ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ILIA STATE UNIVERSITY
G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი

ახლო აღმოსავლეთის ისტორია

და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან
(XIX ს.–XXI ს.–ის დასაწყისი)

GEORGE SANIKIDZE, GIULI ALASANIA, NANI GELOVANI

A HISTORY OF THE MIDDLE EAST

AND ITS RELATIONS WITH THE SOUTH CAUCASUS
(19TH-BEGINNING OF 21ST CC.)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი — 2011 წელი

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი NA-20-09). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This Project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant NA-20-09). All ideas expressed herewith are those of authors and may nor represent the opinion of the Foundation itself.

გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი

ახლო აღმოსავლეთის ისტორია

და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან
(XIX ს.-XXIს.-ის დასაწყისი)

გიორგი სანიკიძის საერთო რედაქციით

George Sanikidze, Giuli Alasania, Nani Gelovani

A HISTORY OF THE MIDDLE EAST

and Its Relations with the South Caucasus
(19th-beginning of 21st cc.)

Edited by George Sanikidze

პროექტი განხორციელებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში

The Project is implemented in the G. Tsereteli Institute of
Oriental Studies of the Ilia State University

ფოტო გარეკანზე: ქამრან ადლი, *იაზდი* (ირანი)
(გამოყენებულია ავტორის ნებართვით)

Cover Illustration: Kamran Adle, *Yazd* (Iran)
(Published with the author's permission)

ISBN 978-9941-18-070-5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

წინამდებარე ნაშრომი საქართველოში გამოქვეყნებული ამ სახის პირველი გამოკვლევაა. ავტორთა მიზანია XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და რეგიონის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების საკვანძო საკითხების გაცნობა სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისა და დაინტერესებული მკითხველისათვის. ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული პერიოდის მანძილზე ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ განვითარებაზე, კულტურულ ტრადიციებზე, რელიგიაზე, თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობასა და რეგიონის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების სპეციფიკაზე. უმთავრესი საკითხების თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საკვანძო მოვლენების, სხვადასხვა მოძრაობებისა თუ გამოჩენილ პირთა მოღვაწეობის შესწავლას.

The presented book is the first work of this kind published in Georgia. The aim of the authors is to present to specialists, students and interested readers a comprehensive picture of the history of the Middle East and its relations with the South Caucasus from the Beginning of the 19th c. till nowadays. Main attention is given to the study of the historical development of the modern Middle East, its cultural traditions, religion contemporary political situation, and interactions of the Region with the South Caucasus. To highlight the key issues, in the presented work a significant place is assigned to the analyzing crucial events, various movements and the activities of well-know figures.

შ ი ნ ა ა რ ს ი

თავი I
ახლო აღმოსავლეთის ცნება. „ახლო“ და „შუა“ აღმოსავლეთი: ტერმინთა ისტორია (გ. სანიკიძე) 11

თავი II
ირანი XIX საუკუნეში (გ. სანიკიძე) 18

დასავლეთი და ირანი. კოლონიალიზმისა
და იმპერიალიზმის ეპოქის დასაწყისი 18
ირანის ეკონომიკა XIX საუკუნის I ნახევარში 26
რელიგიური მოძრაობები XIX საუკუნის ირანში.
ბაბიდების აჯანყება 27
ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და
რეფორმების მცდელობაXIX საუკუნის შუა ხანებში 31
ირანის გადაქცევა ნახევრადკოლონიად 40
„თამბაქოს“ ამბოხება და სამღვდელოების დაპირისპირება ხელისუფლებასთან 44

თავი III
ოსმალეთის იმპერია XIX საუკუნეში (გ. ალასანია) 49

სელიმ III-ის მმართველობა.
იმპერია ახალი გამოწვევების წინაშე 49
მაჰმუდ II-ის რეფორმები. საშინაო და საგარეო პრობლემები 55
თანზიმათის ეპოქა 63
რეფორმები და უკურეაქცია 77

თავი IV
არაბული სამყარო XIX საუკუნეში (ნ. გელოვანი) 81

ეგვიპტე 81
ნაპოლეონ ბონაპარტეს ექსპედიცია ეგვიპტეში /1798-1801/ 81
მუჰამად ალის მმართველობა. ქვეყნის მოდერნიზაცია 91
მუჰამად ალის საგარეო პოლიტიკა 98
ეგვიპტე მუჰამად ალის მემკვიდრეების დროს 103
ინგლისის კოლონიური პოლიტიკა ეგვიპტეში 106
ა) აჰმად ურაბის აჯანყება 106
ბ) ეგვიპტის ოკუპაცია ინგლისის მიერ 109

დიდი სირია 112
თანზიმათი და ოსმალეთის იმპერიის არაბული პროვინციები / სირია/ 112
ევროპელი მისიონერები და განმანათლებლობა
სირიასა და ლიბანში 116
მიდჰათ ფაშას რეფორმატორული საქმიანობა სირიაში 118

თავი V
ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობები XIX საუკუნეში (გ. სანიკიძე) 127

კავკასიისა და საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის
ომებში XIX ს-ის I მესამედში 127
ირან-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები 130
ისლამი და მუსლიმები XIX საუკუნის თბილისში 135
მუჰაჯირობის პროცესები და ისლამი აჭარაში 142

თავი VI
ახლო აღმოსავლეთი XX საუკუნის დასაწყისში (გ. სანიკიძე) 146

ირანი 146
კრიზისი და კონსტიტუციური მოძრაობის დასაწყისი 146
კონსტიტუციის მიღება 149
ანარქია ირანში 154

თურქეთი 157
„ახალგაზრდა თურქების“ რევოლუცია 157
ახალი იდეოლოგიისა და იდენტობის ძიებაში 160

თავი VII
ახლო აღმოსავლეთი და კავკასია I მსოფლიო ომში (გ. სანიკიძე) 165

აღმოსავლეთის ფრონტი. ბრძოლები კავკასიაში 167
სომხური საკითხი 168
გალიპოლის ოპერაცია და ბრძოლები ერაყში 170
ქიშპი სპარსეთისათვის 172
ეგვიპტე და სირია ომის დროს 174
არაბული ამბოხი 175
მოკავშირეთა გეგმები ოსმალეთის იმპერიის დაყოფის შესახებ 182
კავკასია ომის მიწურულს 185
საომარი მოქმედებების შეწყვეტა და ოსმალეთის კაპიტულაცია 190
სამშვიდობო მოლაპარაკებები 191
ოსმალეთის იმპერიის დაშლის შედეგები 197

თავი VIII
ახლო აღმოსავლეთი ომთაშორის პერიოდში 200

ირანი (გ. სანიკიძე)
ფაჰლავიანთა დინასტიის გაბატონება 200
რეზა შაჰის რეფორმები 203
რეზა შაჰი და შიიტური სამღვდელოება 207
ირანის ეკონომიკური განვითარება და საგარეო ურთიერთობები 213

თურქეთი (გ. ალასანია) 216
მუსტაფა ქემალის რევოლუცია 216
ქემალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა 224

არაბული ქვეყნები (ნ.გელოვანი) 228
ეგვიპტე 228
ერაყი 232
სირია და ლიბანი 236
ტრანსიორდანია 242

თავი IX
II მსოფლიო ომი და ახლო აღმოსავლეთი (გ. სანიკიძე) 245

თურქეთი 245
ირანი 249
ეგვიპტე 254
ერაყი 257
ლიბანი და სირია 259
პალესტინა 261
არაბული ერთობის საკითხი 264
ომის შედეგები 265

თავი X
კავკასია და ახლო აღმოსავლეთი II მსოფლიო ომის მიწურულს და ომისშემდგომ წლებში (გ. სანიკიძე) 266
ირანის აზერბაიჯანის კრიზისი 266
თურქეთის ტერიტორიების საკითხი 274

თავი XI
თანამედროვე ირანი (გ. სანიკიძე) 279
მოსადეყი და ნავთობმრეწველობის ნაციონალიზაცია 279
1953 წლის სახელმწიფო გადატრიალება 287
ახალი ავტოკრატია 291
შაჰი და მსოფლიო 294
წინააღმდეგობის იდეოლოგიის საფუძვლები 296
შაჰი და რელიგიური ოპოზიცია 300
ისლამური რევოლუცია 308
ისლამური რეჟიმის კონსოლიდაცია 317
ომი ერაყთან 323
ხომეინის მემკვიდრეობა. ირანი ხომეინის შემდეგ 326
მოჰამად ხათამის „რევოლუცია“ 330
აჰმადინეჟადის „ახალი კონსერვატიზმი“ 335
ირანის ბირთვული პროგრამა 339
ირანი გზაგასაყარზე 344

თავი XII
თანამედროვე თურქეთი (გ. ალასანია) 347
თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემა 347
ა) თურქეთის პოლიტიკური და პარტიული სისტემის ჩამოყალიბება XX ს-ის მეორე ნახევარში 347
ბ) თურქეთის თანამედროვე პოლიტიკური სიტუაცია 365
არმია თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში 368
თურქეთი და ევროკავშირი 379
კონსტიტუციური რეფორმები თურქეთში ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად 384

თავი XIII
თანამედროვე არაბული ქვეყნები (ნ. გელოვანი) 391
ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა 392
სპარსეთის ყურის რეგიონი 406
საუდის არაბეთი 407
ქუვეითი 417
ერაყი 422
შეიარაღებული კონფლიქტები სპარსეთის ყურის რეგიონში 430
ირან -ერაყის ომი (1980-1988) 430
ერაყ-ქუვეითის კონფლიქტი 436
ერაყის 2003 წლის ომი 444

თავი XIV
ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი (გ. ალასანია, ნ. გელოვანი) 454
სიონიზმის საფუძვლები და ისრაელის სახელმწიფოს შექმნა 454
ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომები 467

სუეცის კრიზისი /1956 წლის სინას კამპანია 472
6 დღიანი ომიდან შავი სექტემბრის მოვლენებამდე 478
მომქანცველი ომი 484
1973 წლის ოქტომბრის ომი 485
1982 წლის ომი ლიბანში /ლიბანის პირველი ომი/ 491
პირველი ინთიფადა 494
პალესტინის საკითხი და მისი გადაწყვეტის მცდელობები 496

თავი XV
მსოფლიო რელიგიები და მათი ისტორიული როლი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (ნ. გელოვანი) 511

რელიგიის თავისუფლების საკითხი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში 511
ეთნოკონფესიური ურთიერთობები არაბულ სამყაროში 523
„კონფესიური პარლამენტარიზმი“ ლიბანში 523
შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში 533
სუნიტურ-შიიტური ურთიერთობის ძირითადი ასპექტები საუდის არაბეთში 539
ეთნოკონფესიური ფაქტორი სირიის პოლიტიკაში 546
კოპტები და კონფესიური კონფლიქტი ეგვიპტეში /XXს-XXIს-ის დასაწყისი/ 554

თავი XVI
არაბული ნაციონალიზმი და ისლამიზმი (ნ. გელოვანი) 564

არაბული ნაციონალიზმი /ალ-კავმიზმა ალ-არაბიზმა/ 564
ოტომანიზმი და არაბული იდენტობა 564
არაბული ნაციონალიზმი მსოფლიო ომებს შორის 567
ნაციონალისტური იდეოლოგია XX ს-ის მეორე ნახევარში 570

პოლიტიკური ისლამი 574
მუსლიმი რეფორმატორები 575
პოლიტიკური ისლამის რენესანსი: „მუსლიმი ძმები“ 577
საიდ კუტბი 582
აბუ ლ-'ალა ალ-მავდუდი 583

ისლამური რადიკალიზმი. ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმოქმნის მიზეზები და ძირითადი მიმართულებები. ისლამური ტერორიზმი 584
ისლამური რადიკალიზმი: წინაპირობები და მიზეზები 584
ალ-კა'იდა 589
ლიბანის შიიტური ისლამისტური ორგანიზაცია ჰიზბალაჰი 595

გამოყენებული ლიტერატურა 604

ახლო აღმოსავლეთი



თავი I

ახლო აღმოსავლეთის ცნება. „ახლო“ და „შუა“ აღმოსავლეთი: ტერმინთა ისტორია

ნაშრომის ამ შესავალ ნაწილში შემდეგ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული: პირველი – თუ რამ განაპირობა ტერმინების „ახლო“ და „შუა“ აღმოსავლეთი შექმნა; მომდევნო – რატომ ენიჭება ამა თუ იმ ტერმინს უპირატესობა; როგორ მოხდა დასავლურ მეცნიერებაში რეგიონის გეოგრაფიული საზღვრების ფორმირება; დაბოლოს – რომელი ტერმინის გამოყენებაა უპრიანი საქართველოს სინამდვილეში.

განსახილველი რეგიონის ორი გეოგრაფიული მახასიათებელი ყოველთვის თვალსაჩინო იყო ისტორიის ნებისმიერ პერიოდში. ადგილმდებარეობა მას უმნიშვნელოვანეს, ხშირ შემთხვევაში სტრატეგიულად ცენტრალურ პოზიციას ანიჭებდა და ანიჭებს აფრიკასა და ევრაზიას, ხმელთაშუა ზღვასა და ინდოეთისა და ჩინეთის აზიის სამყაროს შორის (Ochsenwald & Fisher, 2004: 1). მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა რეგიონის დიდი მოცულობა და ზუსტი საზღვრების ბუნდოვანება. სხვა საკითხებთან ერთად ქვემოთ ამ პრობლემაზეც იქნება საუბარი.

ძველი და თითქმის მთელი შუა საუკუნეების ისტორიის მანძილზე პრაქტიკულად არ არსებობდა მოთხოვნილება შექმნილიყო განსახილველი რეგიონის აღმნიშვნელი ტერმინი, ვინაიდან ის, რასაც დღეს ჩვენ შორეულ აღმოსავლეთს ვუწოდებთ, ასევე ნაწილობრივ ინდოეთიც, ევროპელთათვის პრაქტიკულად უცნობი იყო. ამდენად, ევროპელები აღმოსავლეთში გულისხმობდნენ იმ რეგიონს, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით ევროპასთან ყველაზე ახლოს იყო და შესაბამისად, ნებისმიერი სახის კომუნიკაციები მასთან უფრო მარტივად ხორციელდებოდა.

შუა საუკუნეებში არსებობდა სხვა ტერმინიც, რომელიც დღემდე შემორჩა: „ლევანტი“ (შეიძლება შინაარსობრივად ვთარგმნოთ, როგორც მზის ამოსვლის მხარე), რომელიც XIII საუკუნეში შემოიღეს იტალიელმა ვაჭრებმა (მეორე თვალსაზრისით, ფრანგებმა) (Lockman, 2008: 44). ევროპულ ენებში ლევანტი აღნიშნავდა და აღნიშნავს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს. სხვათა შორის, ფრანგები შეეცადნენ ომთაშორის პერიოდში დაემკვიდრებინათ ტერმინი ლევანტი, თუმცა უშედეგოდ. ფრანგული ენციკლოპედია *რობერის* მიხედვითაც კი, დღევანდელი ახლო აღმოსავლეთი შეესაბამება „რეგიონს, რომელიც ასევე ცნობილია ლევანტის სახელით.“ (*Le Petit Robert*, 1993: 1465).

ევროპისა და ოსმალეთის იმპერიის ინტენსიური ურთიერთობების პირობებში (XVI-XVIIIსს.), „აღმოსავლეთი“ ეწოდებოდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებს ბალკანეთიდან დაწყებული სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. „შორეული აღმოსავლეთი“ კი – იმ დროს ახლადაღმოჩენილ ჩინეთს, იაპონიასა და ინდოჩინეთს. მოგვიანებით, XIX ს-ში, სპარსეთსა და ინდოეთში ევროპელთა განმტკიცების შემდეგ, „ახლო აღმოსავლეთი“ გახდა ოსმალეთის ტერიტორიების აღმნიშვნელი ტერმინი (ბალკანეთის ჩათვლით), ხოლო ინდოეთის მიმდებარე ტერიტორიები (მათ შორის სპარსეთიც) – აღმოსავლეთი (Held, 2006: 7). XIX საუკუნის შუა ხანებშივე ხდება პირველად ტერმინ „შუა აღმოსავლეთის“ გამოყენებაც. ეს სახელი იხმარებოდა ბრიტანული ადმინისტრაციის ინდოეთის ოფისთან (*India Office*) მიმართებაში (Beaumont, et al., 1988: 16; Koppes, 1976: 95-98). ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ იმ პერიოდში ბრიტანეთი და რუსეთი ერთმანეთს ებრძოდნენ ცენტრალური აზიაში პოზიციების გასამყარებლად (ამ ბრძოლამ *დიდი თამაშის* სახელწოდება მიიღო), რაც გარკვეულწილად და პარადოქსული გზით, შემდგომში ტერმინ „შუა აღმოსავლეთის“ დამკვიდრების საბაბად იქცა.

საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით კი, ოფიციალურად, ტერმინი „შუა აღმოსავლეთი“ დასაბამს იღებს ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ალფრედ თ. მეიჰენის მიერ 1902 წელს ჟურნალში *National Review* გამოქვეყნებული სტატიიდან „სპარსეთის ყურე და საერთაშორისო ურთიერთობები“ (Mahan, 1902).[1] ამ სტატიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „შუა აღმოსავლეთი“ მოიცავს სპარსეთის ყურის რეგიონს, რომელიც არ ეკუთვნის არც „შორეულ აღმოსავლეთს“ (Far East) და არც

1 მეიჰენის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული შეხედულებების შესახებ იხ. მაგ., Drysdale & Blake, 1985: 10-11.

„ახლო აღმოსავლეთს“ (Near East). ეს გეოპოლიტიკური კონცეფციები კი იმ დროს უკვე ფართოდ გამოიყენებოდა (Adelson, 1995: 22). მეორე მხრივ, „ახლო აღმოსავლეთის“ პირველი არაბუნდოვანი დეფინიცია სწორედ იმავე 1902 წელს წარმოადგინა ბრიტანელმა არქეოლოგმა დ. ჯ. ჰოგართმა. მისი შეხედულებით, „ახლო აღმოსავლეთი“, როგორც გეოგრაფიული რეგიონი, აერთიანებდა ალბანეთს, მონტენეგროს, ბულგარეთს, საბერძნეთს, ეგვიპტეს, სერბიის სამხრეთს, მთლიანად ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიას და ირანის ორ მესამედს (იხ. Davison, 1960: 667).

დავუბრუნდეთ ისევ მეიჰენს: მისი ლოგიკა ემყარებოდა სპარსეთის ყურის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას ინგლისისათვის შორეული აღმოსავლეთისაკენ საზღვაო გზების დაცვის კონტექსტში (იქვე, 673). მეიჰენმა გაიაზრა არა მხოლოდ ზოგადად რეგიონის, არამედ მისი ცენტრის – სპარსეთის ყურის სტრატეგიული მნიშვნელობა (Palmer, 1992: 12-13). მან სპარსეთის ყურის მიმდებარე ტერიტორიები „შუა აღმოსავლეთად“ მონათლა და დაასკვნა, რომ სუეცის არხის შემდეგ ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გზა ბრიტანეთისათვის, რათა შეეკავებინა რუსეთის წინსვლა ინდოეთისაკენ (Laciner, 2006).

მეიჰენის ანალიზის შემდეგ, 1902 წლის ოქტომბრის შუა ხანებში, პრესტიჟულ ინგლისურ გაზეთ „თაიმზში“ გამოქვეყნდა გავლენიანი ბრიტანელი ჟურნალისტის ვ. გ. ჩიროლის რეპორტაჟების სერია. მათგან პირველის სახელწოდება იყო „შუა აღმოსავლეთის საკითხი“ (*The Middle East Question*). 1903 წელს კი ეს რეპორტაჟების სერია გამოიცა ცალკე წიგნად სახელით „*შუა აღმოსავლეთის საკითხი ანუ ინდოეთის დაცვის ზოგიერთი პრობლემა*“ (Chirol, 1902). მეიჰენისგან განსხვავებით, ჩიროლის „შუა აღმოსავლეთი“ არ მოიცავდა მხოლოდ სპარსეთის ყურეს და მიმდებარე რეგიონებს. ის ვრცელდებოდა ინდოეთის მისადგომებამდე, ანუ მასში შესული იყო სპარსეთი, სპარსეთის ყურე, არაბეთის ნახევარკუნძული, ერაყი, ავღანეთი და ტიბეტი. ჩიროლის ხედვა შეესაბამებოდა ბრიტანეთისა და რუსეთის ზემოაღნიშნულ იმპერიულ მეტოქეობას.[2] რუსეთის აზიისაკენ წინსვლის პირობებში, ლონდონი სულ უფრო მეტად გრძნობდა ამ ექსპანსიის ხიფათს, რომელიც შესაძლოა დამუქრებოდა ბრიტანული გვირგვინის მარგალიტს – ინდოეთს. ჩიროლს უკვე მოეწოდებინა ბრიტანული საზოგადოებისათვის სიფრთხილისაკენ რუსული საფრთხის წინაშე 1896 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „*შორეული აღმოსავლეთის საკითხი*“ (*The Far Eastern Question*). აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შუა აღმოსავლეთის პრობლემისადმი მიძღვნილ სტატიებში ჩიროლი კურიოზულად ჯერ კიდევ არ ახსენებს ბრიტანული ინტერესებისათვის სუეცის არხის მნიშვნელობას (Adelson, 1995: 24).

ამდენად, „შუა“ და „ახლო“ აღმოსავლეთის, როგორც გეოპოლიტიკური ცნებების, შექმნა დასავლური რაციონალიზმის გამოვლინებას წარმოადგენს. ეს დეფინიციები თავიდანვე შეესაბამებოდა გეოპოლიტიკურ და არა გეოგრაფიულ კონცეფციებს (Cloarec & Vincent, 2000: 7). ის დასაბამს იღებს XIX-XX სს. მიჯნაზე, მაშინ, როდესაც ევროპული სახელმწიფოები იმპერიალისტურ პოლიტიკას მისდევდნენ. თუ უფრო „შუა აღმოსავლეთზე“ (რაც ბევრად უფრო მიღებული ტერმინია დღეს, ვიდრე „ახლო აღმოსავლეთი“ და რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ) გავამახვილებთ ყურადღებას, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ „ეს ევროპული ტერმინი არც თუ ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა“ (Keddie, 1973: 257). რეალურად, შუა არის სივრცე, რომელიც მდებარეობს „აღმოსავლეთის“ (ესეც ევროპული წარმოსახვის ნაყოფია) „ცენტრში“. შექმნის დროისათვის ეს სივრცობრივი ცნება იყო არა რეგიონის ხალხების წარმოდგენებთან დაკავშირებული, არამედ წარმოადგენდა ევროცენტრული სამყაროს კონცეფციას; იყო დასავლური სახელმწიფოების სტრატეგიული მიზნების თავისებური პასუხი (Lewis M. & Wigen, 1997: 47–103).[3] თუმცა, საგულისხმოა, რომ წარსულში შუა აღმოსავლეთის ხალხები სწორედ საკუთარ რეგიონს აღიქვამდნენ მსოფლიოს ცენტრად და დასავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე მიწები, ევროპისა და უფრო გვიან ამერიკის ჩათვლით, მიიჩნეოდა პერიფერიებად (Lewis, B.,1995: 12).

I მსოფლიო ომამდე და ომის დროს უფრო ხშირად გამოიყენებოდა „ახლო აღმოსავლეთი“. „შუა აღმოსავლეთი“ კი, იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ იხმარებოდა, აღნიშნავდა არაბეთის ნახევარკუნძულს, სპარსეთის ყურეს, სპარსეთს, მესოპოტამიას (ერაყს) და ავღანეთს. I მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ოსმალეთის იმპერია დაიშალა და მოკავშირეებმა საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს ამ იმპერიის ყოფილი არაბული პროვინციები, შუა აღმოსავლეთი თანდათანობით იქცა ამ ორივე რეგიონის აღმნიშვნელ ტერმინად.

---

2 ცენტრალურ აზიაში ბრიტანეთისა და რუსეთის მეტოქეობის შესახებ იხ. მაგ., Gillard, 1977 და Hopkirk, 1990.

3 ახლო აღმოსავლეთისადმი დასავლური მიდგომების სუბიექტურობის და დასავლური „ორიენტალიზმის“ კრიტიკის სფეროში ყველაზე ცნობილი ნაშრომია ედვარდ საიდის „ორიენტალიზმი“ (Said, 1980). თუმცა, დღეს ე. საიდის შეხედულებებს მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდა (იხ. მაგ., Lewis, B., 2004; Lockman, 2008: 182-214 და განსაკუთრებით Varisco, 2007).

ამდენად, ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ტერმინმა „ახლო აღმოსავლეთი“ დასავლეთში თანდათანობით უკანა პლანზე გადაიწია. ინგლისში 1921 წელს, როდესაც უინსტონ ჩერჩილი გახდა კოლონიების სახელმწიფო მდივანი, შეიქმნა „შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტი“ კოლონიების სამინისტროს (*Colonial Office*) შიგნით და ამ შემთხვევაში ტერმინი „შუა აღმოსავლეთი“ უკვე მოიცავდა პალესტინის ტერიტორიებს, სინას, არაბეთის ნახევარკუნძულსა და სუეცის არხსაც (Adelson, 1995: 26). მაგრამ აქ აზრსმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ საკუთრივ ჩერჩილის შეხედულება ხსენებულ ტერმინებთან დაკავშირებით: „ყოველთვის ვგრძნობდი, რომ სახელწოდება „შუა აღმოსავლეთი“ ეგვიპტის, ლევანტის, სირიის და თურქეთის მიმართ არასწორადაა შერჩეული. ეს არის ახლო აღმოსავლეთი; სპარსეთი და ერაყი შუა აღმოსავლეთია; ინდოეთი, ბირმა და მალაია (მალაიზია – გ.ს.) – აღმოსავლეთი; ხოლო ჩინეთი და იაპონია – შორეული აღმოსავლეთი“ (Churchill, 1950: 460).

ომთაშორის პერიოდში, ფრანგების წინააღმდეგობის მიუხედავად, „შუა აღმოსავლეთმა“ თანდათანობით დაიმკვიდრა ადგილი. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა II მსოფლიო ომის დროს, როდესაც მოკავშირეების თვალთახედვიდან რეგიონი გახდა ერთიანი სტრატეგიული პლაცდარმი ღერძის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში (Mansfield, 2003: 1). „II მსოფლიო ომმა ამ მეცნიერულ, მაგრამ პრაქტიკულად ფუჭ კამათს ბოლო მოუღო: გენერალურ შტაბებში საჭირო იყო საომარი თეატრის მკაფიო განსაზღვრა. ბრიტანულმა სარდლობამ, დიდი მსჯელობის გარეშე, სასწრაფოდ დაამტკიცა ტრიპოლიტანიიდან (თანამედროვე ლიბიის ნაწილი) ირანამდე გადაჭიმული საომარი თეატრის სახელად „შუა აღმოსავლეთი“ (გაჩეჩილაძე, 2008ა: 17).

II მსოფლიო ომის დროს ბრიტანელებმა კაიროში შექმნეს „შუა აღმოსავლეთის მომარაგების ცენტრი“ (*Middle East Supply Center*). სამხედრო საქმიანობის წასამართავად, რომელიც მოიცავდა ეთიოპიას, სომალილენდსა და ერითრეას, ლიბიას, საბერძნეთსა და კრეტას, ერაყსა და ირანს (გაჩეჩილაძე, 2008ა: 17). სწორედ ამის შემდგომ, ეს ტერმინი უაღრესად პოპულარული გახდა ევროპასა და შეერთებულ შტატებში (Pearcy, 1959: 410).

1948 წელს გაერო-ში, „შუა აღმოსავლეთის ეკონომიკური კომისიის“ შექმნისას, ამ რეგიონში გაერთიანეს ავღანეთი, ირანი, ერაყი, სირია, ლიბანი, თურქეთი, საუდის არაბეთი, იემენი, ეთიოპია და საბერძნეთი.

„ახლო აღმოსავლეთი“ ინგლისურენოვან სამყაროში ოფიციალური ხმარებიდან გაქრა 50-იანი წლების დასაწყისში. ცივი ომის კონტექსტში კი ტერმინი „შუა აღმოსავლეთი“ თანდათანობით დამკვიდრდა შტატების ადმინისტრაციის ლექსიკაში (Davison, 1960: 665), ოფიციალურად, ეს გამოიხატა ეიზენჰაუერის დოქტრინაში 1956 წელს (Lewis M. & Wigen, 1997: 66–67). მკაფიო გეოგრაფიული დეფინიციის არარსებობა ხელს უწყობდა ტერმინის დიდ პლასტიურობას. ეიზენჰაუერის დოქტრინის მიხედვით, ამ ტერმინში იგულისხმებოდა რეგიონის არაბულ ქვეყნები. გაერო-სთვის კი ამ პერიოდში რეგიონში ასევე შედიოდა ირანი, ავღანეთი და ეთიოპია, მაგრამ არა სუდანი.

შტატების მთავრობამ პირველად იხმარა ოფიციალურად „შუა აღმოსავლეთი“ სუეცის კრიზისთან დაკავშირებით. იმ პერიოდის სახელმწიფო მდივანმა „შუა აღმოსავლეთი“ განსაზღვრა როგორც „რეგიონი რომელიც მოიცავს ლიბიას დასავლეთით და პაკისტანს აღმოსავლეთით, სირიასა და ერაყს ჩრდილოეთით და არაბეთის ნახევარკუნძულს სამხრეთით და დამატებით სუდანსა და ეთიოპიას“ (Davison, 1960: 667).

1958 წელს კი სახელმწიფო დეპარტამენტმა განმარტა, რომ „ტერმინები ახლო და შუა აღმოსავლეთი თანმთხვევია. ამ ახალი განსაზღვრებით, რეგიონში შედიოდა მხოლოდ ეგვიპტე, სირია, ისრაელი, ლიბანი, იორდანია, ერაყი, საუდის არაბეთი, ქუვეითი, ბაჰრაინი და კატარი. (ამდენად, არაბული ქვეყნები +ისრაელი) (*NYT*, 14.08.1958).

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, ტერმინი „ახლო აღმოსავლეთი“ შენარჩუნდა ანტიკური ისტორიის და კულტურის შესწავლის სფეროებში და ის შუა აღმოსავლეთის იდენტურ სივრცეს აღნიშნავს, (მაგ., აშშ-ის ზოგიერთ უნივერსიტეტში „ახლო აღმოსავლეთის“ დეპარტამენტი ნიშნავს სწორედ ზემოთქმულს და არ ეხება შუა საუკუნეებსა თუ უახლეს ხანას). „ახლო აღმოსავლეთი“ ამ დისციპლინებში მანამდე, ბუნებრივია, არ გამოიყენებოდა – რამდენადაც არსებობდა მხოლოდ „აღმოსავლეთი.“ ამიერიდან კი ის გახდა საყოველთაოდ მიღებული აკადემიური ლექსიკონის ნაწილი.[4] „შუა აღმოსავლეთმა“ II მსოფლიო ომის შემდეგ უფრო „თანამედროვე“ მნიშვნელობა მიიღო, მაშინ როცა

4 ბერნარდ ლუისი წერს, რომ ინდოეთში შეეცადნენ დაემკვიდრებინათ ტერმინი „დასავლეთ აზია“ (Lewis, B., 1964: 9).

„ახლო აღმოსავლეთი“, ისე როგორც „ლევანტი“ და „ორიენტი“ უფრო ძველმოდურად იქნა მიჩნეული და ის შემდგომ ასოცირდებოდა უფრო ძველ ისტორიასთან. (Lockman, 2008 : 97).

ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოება ომის შემდეგ სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა რეგიონის შუა აღმოსავლეთად წოდების გამო და კარგადაც ასაბუთებდა მის ალოგიკურობას. მართლაც, თუკი დავუშვებთ, რომ თურქეთი დასავლეთ ევროპიდან „შუა აღმოსავლეთად“ მოჩანს, მაშინ ამ ლოგიკით „ახლო აღმოსავლეთი“ ბალკანეთი უნდა იყოს. (გაჩეჩილაძე, 2008ა: 18). მეორე მხრივ კი, ალბათ უნდა დავამატოთ, რომ ვაშინგტონიდან დანახული სტამბული თუ ბეირუთი სულაც არ არის „ახლო“.

ამასთან, ზოგიერთი ავტორი, განსაკუთრებით ფრანგები, ხშირად იყენებდნენ „ახლო აღმოსავლეთს“ თანამედროვე სტრატეგიის კონტექსტში „შუა აღმოსავლეთის“ ნაცვლად (Rondot, 1959), ანდა განსხვავებული გეოგრაფიული სივრცის აღსანიშნავად.[5] ტერმინოლოგიური ბუნდოვანების მაგალითია საფრანგეთში ენციკლოპედია *Le Petit Robert*, რომელშიც „ახლო აღმოსავლეთს“ ყოველთვის ენიჭებოდა უპირატესობა „შუა აღმოსავლეთთან“ შედარებით (აქვე დავძენ, რომ ორი სხვა ფრანგულის ენციკლოპედია – *Larousse* და *Hachette* სწორედ „შუა აღმოსავლეთს“ ხმარობს), მაგრამ იქვე აღნიშნული იყო, რომ ეს განსაზღვრება სადავოა. რობერის საკუთარი სახელებისა და ადგილების ლექსიკონში კი საერთოდ აღარაა შეტანილი ტერმინი „შუა აღმოსავლეთი“, მაგრამ „ახლო აღმოსავლეთის“ მოყვანილი დეფინიცია არ შეესატყვისება *Le Petit Robert*-ში მოტანილ განსაზღვრებას (Deroy, Mulon, 1992: 391). ზოგადად, ფრანგულ გეოგრაფიულ ტრადიციაში, ტერიტორიას ატლანტიკის სანაპიროებიდან მდ. ინდის აუზამდე არ მიუღია საერთო სახელწოდება (Mutin, 1996 : 6).

ამასთან ერთად, „შუა აღმოსავლეთი“ გამოიყენებოდა ისე, რომ ხშირად მის გამომთქმელს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რას მოიცავდა ის ზუსტად და ასევე არ ითვალისწინებდა იმ სემანტიკურ შინაარსს, რომელიც მას ისტორიამ მიანიჭა. ამის დასტურია იმ ქვეყნების მაგალითი, რომლებიც „შუა აღმოსავლეთის“ გეოგრაფიულ სივრცეში მოექცნენ – მათ არ შემოუთავაზებიათ რაიმე სხვა ტერმინი ან ფორმულა მის შესაცვლელად. ბევრი ახლო აღმოსავლეთში იყენებს ამ ტერმინს საკუთარი რეგიონის აღსანიშნავად, მიუხედავად იმისა, რომ მათი რეგიონის აღმნიშვნელი ეს ტერმინი ბრიტანული და ამერიკული წარმომავლობისაა და ამდენად, ასახავს მსოფლიოს რეგიონების ვაშინგტონიდან და ლონდონიდან დანახულ გეოგრაფიულ მდებარეობას. ტერმინ „შუა აღმოსავლეთს“ უბრალოდ თარგმნიან: არაბულად *Sharq al-awsat* (საუდის არაბეთში გამომავალი გაზეთი ამ სახელწოდების გაზეთი არაბულ გაზეთებს შორის ყველაზე დიდი ტირაჟით ვრცელდება უცხოეთში), თურქულად *Orta Dogu* და სპარსულად *Khavar-e mian-e*.[6] რუსები იყენებენ ძირითადად ახლო აღმოსავლეთს (ან ერთად ახლო და შუა აღმოსავლეთს – *Ближний и Средний Восток*), აფრიკელები და ინდოელები – შუა აღმოსავლეთს, მაშინ როცა რეგიონი მათთვის მდებარეობს შესაბამისად სამხრეთით, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით (Lewis B., 1964: 9). ჩინეთში ასევე იყენებენ გამოთქმას Zhon Dong „შუა აღმოსავლეთის“ აღსანიშნავად, რაც ტერმინის პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს, მაშინ როცა გეოგრაფიულად შუა აღმოსავლეთი ჩინეთის დასავლეთითაა.

უკანასკნელ წლებში კი ფრანგულსა და გერმანულში „ახლო აღმოსავლეთი“ თანდათანობით იცვლება „შუა აღმოსავლეთით“ (*Naher Osten – Mittlerer Osten*; *Proche Orient – Moyen Orient*).

ასოშიეითედ პრესის წერის სტილის წიგნში (*Stylebook*) შემდეგი სახის რჩევაა: გამოიყენეთ „შუა აღმოსავლეთი“, თუ „ახლო აღმოსავლეთი“ რაიმე წყაროში არაა მოცემული და საჭიროა ამ წყაროს ციტირება (Goldstein, 2004: 156).

ტერმინის საყოველთაოდ აღიარების შემდეგ აუცილებელი იყო იმ გეოგრაფიული სივრცის ზუსტად განსაზღვრა, რომელსაც ის მოიცავდა. თუმცა, როგორც ამას აღნიშნავენ შუა აღმოსავლეთის კემბრიჯის ატლასის ავტორები, არ არსებობს შუა აღმოსავლეთის რეგიონის სტანდარტული დეფინიცია (Blake, et al., 1987: 3). ჟაკ ტობი ამგვარად ჩამოთვლის 8 სხვადასხვა დელიმიტაციას (Thobie, 1985: 12–13). უფრო ზოგადი თვალსაზრისით, შუა აღმოსავლეთის გეოგრაფიული განვრცობის ორი ინტერპრეტაცია შეიძლება გამოიყოს: მინიმალისტური და მაქსიმალისტური. მინიმალისტური ინტერპრეტაცია სამი ელემენტისაგან შედგება: არაბული აღმოსავლეთი (მაშრიყი), თურქეთი და ირანი. მაქსიმა-

5 ფრანგი მკვლევრის გ. კორმის შეხედულებით, „ახლო აღმოსავლეთში“ უნდა შედიოდეს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყნები, ანუ სირია, ლიბანი, პალესტინა და ეგვიპტე (Corm, 1983: 14).

6 არაბები ასევე გამოიყენებენ ტრადიციულ ტერმინოლოგიას მაშრიყი/მაღრიბი, მაგრამ ეს ცნებები შეეხება მხოლოდ არაბულ სამყაროს და არა ირანსა და თურქეთს.

ლისტები შუა აღმოსავლეთის დეფინიციაში აქცევენ ჩრდილოეთ აფრიკის ნაწილს, მაღრიბსა და ინდოეთსაც. ე. პირსი 1959 წელს წერდა: „მაქსიმალურ საზღვრებში შუა აღმოსავლეთი ვრცელდება მაროკოდან, ატლანტიკის სანაპიროებიდან აღმოსავლეთ პაკისტანამდე, ბენგალის ყურემდე“ (Pearcy, 1959: 411). ბერნარდ ლუისისათვის შუა აღმოსავლეთი აერთიანებს თურქეთს, სპარსეთსა და შესაძლოა, ავღანეთს, ერაყს და არაბეთის ნახევარკუნძულს, სირიას, ლიბანს, ისრაელს, იორდანიასა და ეგვიპტეს სხვადასხვა განვრცობებით არაბულენოვანი აფრიკის დასავლეთითა და სამხრეთით. შუა აღმოსავლეთის ჩრდილო მიჯნა, დაფიქსირებული ყოფილ საბჭოთა კავშირის საზღვარზე, ამ ავტორისათვის მიუღებელია გეოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით (Lewis B., 1964: 25).

ნაწილობრივ, ალბათ გასაზიარებელი რეგიონის ცნობილი მკვლევრების ა. გოლდსმიტის და ლ. დევიდსონის შეხედულება, რომ შუა აღმოსავლეთი შეიძლება ჩაითვალოს არაზუსტ ტერმინად, რომელიც აღნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს ეგვიპტიდან ავღანეთამდე, ანდა ეს კულტურული რეგიონია, სადაც შეიქმნა და განვითარდა ისლამი (Goldsmith & Davidson, 2006: 1).

ბუნებრივია ჩნდება მრავალი კითხვა: გეოგრაფიული დელიმიტაციის თვალსაზრისით, დგება მიმდებარე ქვეყნების საკითხი – სად უნდა მოვაქციოთ ეგვიპტე? შუა აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში თუ ზოგადად აფრიკაში? იგივე ითქმის თურქეთის შესახებ – სად მდებარეობს? ახლო აღმოსავლეთში თუ უფრო მეტად ევროპაში? ფრანგი ავტორები აღნიშნავენ, რომ ეს არის „კულტურული და რელიგიური“ ელემენტები, რომლებიც შინაარს აძლევს ამ რეგიონს და მას აძლევენ „ისლამის ცენტრის „მყარი ბლოკის“ კვალიფიკაციას (Mutin, 1996: 6). ამგვარი ლოგიკა ჯდება იმ ხედვის ჩარჩოებში, რომლითაც ისლამი წარმოდგენილია ყველა მუსლიმური საზოგადოების არსად და რომელიც ნიღბავს სინამდვილეში არსებულ ჰეტეროგენურობას (Zubaida, 1998: 1; Baduel & Denoix, 1995, 7-18). ისმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: რომელ რეგიონს უნდა მივაკუთვნოთ ისრაელი?

კიდევ ერთ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას: დიდი ხნის მანძილზე „შუა აღმოსავლეთის“ იდენტიფიცირება ხდებოდა ისრაელ-არაბულ ქვეყნების კონფლიქტთან. გაერო-ს დოკუმენტებშიც „შუა აღმოსავლეთის“ ხსენებისას ძირითადად საუბარია ისრაელ-არაბული ქვეყნების კონფლიქტზე. იერუსალიმში ეგვიპტის პრეზიდენტ სადათის ვიზიტისა (1978 წ.) და მადრიდის კონფერენციის შემდეგ უკვე ხმარობდნენ ტერმინს „ახალი შუა აღმოსავლეთი.“ ამ ტერმინს ქვემოთ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით.

დღეს ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საერთაშორისო სისტემა შევიდა ღრმა ტრანსფორმაციებისა და გეოპოლიტიკური რეკომპოზიციების პერიოდში, რომელთა ხანგრძლივობის განსაზღვრა მეტად რთულია. კითხვაც კი ისმის, რომ ისეთი კონსტრუქციები, როგორიცაა იგივე ახლო ან შუა აღმოსავლეთი, კავკასია, ცენტრალური აზია დღეს არსებული რეალობის შესაბამისია თუ ისინი უკვე ნაკლებად გამოსადეგარია? ზოგიერთი მკვლევარი კვლავაც აგრძელებს ამ ტერმინების გამოყენებას, სხვები კი ახალი რეალობის გამოსახატავად სხვა დეფინიციებს ეძებენ.

ავღანეთში საომარი ოპერაციის დასაწყისში აშშ-მა შეიმუშავა „ახალი წესრიგის“ კონცეფცია, რასაც ეწოდა „დიდი შუა აღმოსავლეთის ინიციატივა.“ შემდგომ, 2004 წელს, ეს ინიციატივა განიხილეს „დიდი რვიანის,“ აშშ-ევროკავშირის, ნატო-ს სამიტებზე. „დიდმა რვიანმა“ მიიღო დეკლარაცია „პარტნიორობა პროგრესისა და ერთიანი მომავლისათვის ფართო შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკისათვის.“ ეს ითვალისწინებდა პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ დახმარების პროგრამების განხორციელებას. პრაქტიკულად, ეს არის „გრანდიოზული გეოპოლიტიკური პროექტი“ (Perthes, 2004: No 3).

ამ ახალი კონცეფციის კონტექსტში, აშშ-ის ადმინისტრაციამ დიდი შუა აღმოსავლეთი შემდეგნაირად განსაზღვრა: არაბული ქვეყნები, ისრაელი, თურქეთი, ირანი, პაკისტანი და ავღანეთი. ზოგიერთი ექსპერტი უფრო შორსაც მიდიოდა და რეგიონში რთავდა მთლიანად ცენტრალურ აზიასა და კავკასიას.

კიდევ ერთი ტერმინი – „ახალი შუა აღმოსავლეთი“ – ააღორძინა 2006 წლის ივნისში იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა თელ-ავივში. საგულისხმოა, ეს დაემთხვა ნავთობსადენის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი გახსნას. რაისმა და ისრაელის პრემიერმა ოლმერტმა მაშინ აღნიშნეს, რომ „ახალ შუა აღმოსავლეთს“ სათავე უნდა აეღო ლიბანიდან (Nazemroaya, 18.11.2006) (მოვლენა დაემთხვა ლიბანში ე.წ. „კედრების რევოლუციის“ გამარჯვებას).

თუ წარსულში შუა აღმოსავლეთის გეოგრაფიული დელიმიტაცია არ ეხებოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, დღეს ზოგიერთი ავტორი უკვე ფიქრობს, რომ ამგვარი მიდგომა საჭიროა გადაისინჯოს. ისინი მიიჩნევენ, რომ „შუა აღმოსავლეთი“ უნდა „გაიხსნას“ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილი ახალი სახელმწიფოებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი იქამდეც მიდიან, რომ მისაღებად მიიჩნევენ ცნებების – კავკასია, ცენტრალური აზია და შუა აღმოსავლეთი – შერწყმას. ამგვარად, „დიდი შუა აღმოსავლეთის“ (*Greater Middle East*) იდეის თანახმად, მასში შედის საბჭოთა კავშირის ყო-

ფილი სამხრეთი რესპუბლიკებიც.[7] თავიანთ გამოკვლევაში ამერიკელი მეცნიერები ქემპი და ჰარკავი წარმოადგენენ ამ „დიდი შუა აღმოსავლეთის“ ახალ საზღვრებს: „ვინ უნდა შევიდეს ამ ჩვენს დაჯგუფებაში? პირველ რიგში, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ტრადიციულ ჩამონათვალი (მაროკო, ალჟირი, თუნისი, ლიბია, ეგვიპტე, ისრაელი, სირია, ლიბანი, იორდანია, ირანი, ერაყი, ყურის ქვეყნები და იემენი). ჩვენ გვჯერა, რომ სუდანი, ეთიოპია, სომალი ასევე უნდა განიხილებოდეს (...) ავღანეთი, ინდოეთი, პაკისტანი, სუდანი და თურქეთი აგრეთვე უნდა შევიდეს, ისე როგორც კასპიის ზღვის აუზის ენერგომატარებლების მწარმოებელი ქვეყნები (აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქმენეთი). ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო და სომხეთიც უნდა ჩართული იყოს (...) (უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი) (...) ასევე ნაჩვენებია ახალი შუა აღმოსავლეთის ჩვენს მიერ შედგენილ რუკაზე (Kemp & Harkavy, 1997: 15; იხ. იქვე რუკა 1 და 14).

უნდა დაისვას კითხვა: რომელ რეალობას შეესაბამება ეს „დიდი შუა აღმოსავლეთი”? შეიძლება თუ არა თანმთხვევი წერტილების აღმოჩენა იმ სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებს შორის, რომლებიც გეოგრაფიული კუთხით შედიან „დიდ შუა აღმოსავლეთში”? რეგიონალური დინამიზმის კუთხით, რამდენად ახდენს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ზეგავლენას მაგალითად, ყაზახეთის საგარეო ურთიერთობებზე? ტაჯიკსა და ეგვიპტელს თანმთხვევი იდენტობა აქვთ და ერთიანი ხედვა? ყაზახს წარმოსახვაში შეუძლია საკუთარი თავის იდენტიფიცირება იორდანელთან ან იემენელთან? გამოსადეგარი რომ იყოს, კონცეფციას ზოგადი თვალსაზრისით, ევრასტიკული ღირებულება უნდა გააჩნდეს. გეოგრაფიულ დეფინიციას შეუძლია ამგვარი რეალობის შექმნა, მაგრამ საეჭვოა, რომ „დიდი შუა აღმოსავლეთის“ ცნებას ამგვარი ღირებულება ჰქონდეს და შესაბამისად, ადრე მეტნაკლებად მიღებული გეოგრაფიული სივრცის ესოდენ გაზრდა აზრს მოკლებულია. „მცირე საზღვრებშიც,“ რეგიონი უკიდურესად ჰეტეროგენულია. ეს უფრო წარმოსახვითი რეგიონია.

ცენტრალური აზიის საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა მუსლიმურია. ცენტრალური აზია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ისლამური სამყაროს ინტელექტუალურ ცხოვრებაში. „რუსეთის იმპერიაში შესვლამ ვირტუალურად ბოლო მოუღო ამ კავშირებს. დღეს ვითარება გარკვეულწილად შეცვლილია. ასევე დგას აზერბაიჯანის საკითხი“ (Held, 2006: 8). მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთი ამ ქვეყნებისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შუა აღმოსავლეთის ქვეყნები. მაგალითად, ავღანეთი არ შეიძლება ჩაითვალოს „პოსტსაბჭოთა“ რეგიონად (ავღანური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლობდა და ცხოვრობდა კაიროში, რიადსა თუ ჯიდაში), ცენტრალური აზიის ელიტების სოციალიზაცია კი დიდწილად განხორციელდა საბჭოურ გარემოში.

ცენტრალური აზია საბჭოთა პერიოდში საერთოდ არ იხსენიებოდა, განსხვავებით კავკასიისაგან, რომელთანაც ევროპას ისტორიული ურთიერთობები ჰქონდა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახალი სახელმწიფოების შექმნის შემდეგ მოხდა მისი დაბრუნება სტრატეგიულ წარმოსახვაში.[8]

რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ რეგიონს, რომელსაც დღეს ცენტრალურ აზიად მოიხსენიებენ, თურქესტანი ეწოდა. **20-იანი წლების ბოლოს თურქესტანის ნაცვლად საბჭოთა კავშირში ოფიციალურად** დამკვიდრდა შუა აზია (ზოგჯერ რეგიონს ამგვარადაც მოიხსენიებდნენ: შუა აზია და ყაზახეთი).

1993 წელს ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, უზბეკეთმა, ტაჯიკეთმა და თურქმენეთმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ რეგიონი უნდა იწოდებოდეს „ცენტრალურ აზიად“ (Olcott, 1994: 549). უეჭველია, მათ სურდათ, რომ არ მომხდარიყო რეგიონის „მიერთება“ შუა აღმოსავლეთთან. რეგიონის აღმოსავლეთით განვრცობამ შეიძლება მოიცვას ხუთი „სტანი,“ ასევე ავღანეთი და პაკისტანი.

ერთ-ერთი ევროპელი ანალიტიკოსის მოსაზრებით, ევროპული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისათვის გამოსადეგარი დეფინიციის მოსაძიებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტრანსნაციონალური თუ რეგიონული ურთიერთობები. სწორედ ამის საფუძველზე, „გაფართოებულ (*wider*) შუა აღმოსავლეთში“ უნდა შევიდეს არაბული ქვეყნები, ისრაელი, ირანი და ავღანეთი, მაგრამ არა სხვები (Perthes, 2004).

---

7 ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი „ფართო, გაფართოებული შუა აღმოსავლეთი“ (*Broader, Wider Middle East*). ნაციონალური სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (აშშ) ასევე იყენებს გამოთქმას „დიდი შუა აღმოსავლეთი“ – ჩრდილოეთ აფრიკის, ლევანტის, ჩრდილოეთ აფრიკის, სპარსეთის ყურის, სამხრეთ და აზიისა და ცენტრალური აზიის აღსანიშნავად. RAND-ის კორპორაციასაც ამჟამად აქვს „დიდი შუა აღმოსავლეთის“ პროგრამა (Kemp & Harkavy, 1997: 413, n. 27).

8 ბუნებრივია, რომ ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ნაშრომთა აბსოლუტური უმრავლესობა გამოქვეყნებულია 1991 წლის შემდეგ. იხ. მაგ., Mandelbaum, 1994; Malik, 1994; Manz, 1994; Mesbahi, 1994; Olcott, 1996; Paskoy, 1994; Rahul, 1993.

რეგიონის გადაჭარბებულად ფართო დეფინიცია ართულებს პოლიტიკური სტრატეგიების შემუშავების პროცესს. ევროპელმა პოლიტიკოსებმა თურქეთი უნდა შეაფასონ, როგორც პარტნიორი ნატოში და ევროკავშირის პოტენციური წევრი. კონცეფციური თვალსაზრისით, თურქეთის „შუა აღმოსავლეთისათვის“ მიკუთვნებას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი პოლიტიკური შედეგები, მის მიერ ევროპისათვის ზურგის შექცევის ჩათვლით. ამგვარადვე, ავღანეთისაგან განსხვავებით, კავკასია (იგივე შეიძლება ითქვას ბოსნია-ჰერცეგოვინაზე) არ შეიძლება აღქმული იქნეს შუა აღმოსავლეთის ჩარჩოებში. ეს რეგიონი უფრო უნდა განიხილებოდეს პოსტკომუნისტური ევროპის ნაწილად (იქვე).

“დიდი,“ „ფართო,“ „ახალი“ შუა აღმოსავლეთისა და მსგავსი კონსტრუქციები გარკვეულწილად გლობალისტური ხედვის შედეგია. ხომ არ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ „დიდი შუა აღმოსავლეთი“ (ან იგივე ”დიდი ცენტრალური აზია”) უნდა გარკვეულწილად წარმოადგენდეს ისლამურ სტრატეგიულ რკალს ან ისლამური სამყაროს ცენტრალურ ღერძს? (Djalili & Kellner, 2000: 134). ამ შემთხვევაში კი ყურადღება არ ექცევა მუსლიმური სამყაროს უკიდურეს მრავალფეროვნებას და იმ ღრმა წინააღმდეგობებს, რომელიც მასში არსებობს. ისლამური სამყარო ერთიანია მხოლოდ ზოგიერთი დასავლელი ანალიტიკოსის აღქმაში და, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ზოგიერთი ფუნდამენტალისტი ლიდერის ცნობიერებაში. ისლამს თავისთავად რეალურად არ აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა, თუ არ ჩავთვლით ისეთი მკვლევრების სადავო მოსაზრებებს, როგორიცაა მაგ., სემუელ ჰანთიგთონი.

დაბოლოს, შევეხებით ამ ტერმინების გამოყენების საკითხს ქართულ სინამდვილეში. რ. გაჩეჩილაძე წერს, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი ახლო/მახლობელი აღმოსავლეთი, შესაძლოა, მთლად ზუსტი არაა, მაგრამ მისი შეცვლა კიდევ უფრო არაზუსტი ტერმინით – შუა აღმოსავლეთით, გამართლებული არ იქნებოდა. ასე რომ, ისევ ტრადიციული ტერმინის – ახლო აღმოსავლეთის შენარჩუნება გვიხდება (გაჩეჩილაძე, 2008ა: 18).

საქმე ის არის, რომ „ახლო აღმოსავლეთი“ სწორედაც ტრადიციული, მაგრამ ისევ და ისევ სიზუსტეს მოკლებული ტერმინია. ის ბუნებრივად შემოსულია რუსულიდან. რაც შეეხება „მახლობელ აღმოსავლეთს,“ ის აღნიშნავს საქართველოსთან ახლომდებარე რეგიონს, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას მჭიდრო ისტორიული ურთიერთობები ჰქონდა. ამ მხრივ, „ახლო აღმოსავლეთი“ გეოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით დაკონკრეტებულია. თუმცა, ჩნდება მეორე პრობლემა: შეუძლებელია მახლობელის, თანაც საქართველოდან დანახულის, ეკვივალენტის მოძიება სხვა ენებში თარგმნის დროს.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ორივე ტერმინი საკმაოდ ბუნდოვანია. მაგრამ ჩვენი შეხედულებით, არსებული რეალობის გათვალისწინებით, ქართულში „ახლო აღმოსავლეთის“ გვერდით უნდა დამკვიდრდეს შუა აღმოსავლეთიც და თანდათანობით უპირატესობაც კი უნდა მიენიჭოს მას შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე:

1) ქართულიდან ინგლისურად თარგმანის დროს (რაც დღეს პრაქტიკულად აუცილებლობას წარმოადგენს) მიზანშეუწონელია „ახლო აღმოსავლეთი“ ვთარგმნოთ „შუა აღმოსავლეთად.“ სხვა თუ არაფერი, ეს უბრალოდ, ენობრივი თვალსაზრისით, არასწორი თარგმანი იქნება.

2) 10-15 წლის წინ არავინ იყენებდა ტერმინს „სამხრეთ კავკასია,“ დღეს კი ამ გაცილებით უფრო ზუსტმა ტერმინმა პრაქტიკულად მთლიანად შეცვალა ამიერკავკასია, რუსულშიც კი. იგივე რუსულში, დღეს დასავლეთში მიღებულ „ცენტრალურ აზიას“ ენიჭება უპირატესობა საბჭოურ „შუა აზიასთან“ შედარებით. ამგვარად, ასეთი სახის ცვლილებების არაერთი პრეცედენტი არსებობს.

სწორედ ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სავსებით მისაღები და გარკვეულწილად აუცილებელიც არის ქართულში ტერმინ „შუა აღმოსავლეთის“ დამკვიდრება.

წინამდებარე ნაშრომში კი ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ ქართულ სინამდვილეში დღეისათვის უფრო მიღებულ „ახლო აღმოსავლეთს“ (თუმცა, ინგლისურ სათაურში, გამონაკლისის სახით, უფრო მიღებული „შუა აღმოსავლეთი“ გამოვიყენეთ). ნაშრომი მოიცავს ირანის, თურქეთის, არაბული ქვეყნების ნაწილის და ასევე ისრაელის ისტორიას. ამ თვალსაზრისით, შეესატყვისება რეგიონის ზემოაღნიშნულ მინიმალისტურ დეფინიციას (ირანი, თურქეთი, დასავლეთ აზიის არაბული სამყარო+ეგვიპტე, ისრაელი), ასევე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ „მახლობელ აღმოსავლეთს,“ ანუ საქართველოს სამხრეთით მდებარე ვრცელ რეგიონს, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას (და ზოგადად სამხრეთ კავკასიას) ისტორიულად მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები ჰქონდა.

თავი II

ირანი XIX საუკუნეში

ირანის[1] ხელახალი გაერთიანება XVIII საუკუნის მიწურულიდან ყაჯართა დინასტიის (1796-1925) დამსახურებაა, რომელიც ხანგრძლივ არსებობას, მიუხედავად არაპოპულარობისა, დიდწილად ორი ევროპული სახელმწიფოს, ირანის საშინაო საქმეებში საფუძვლიანად ჩართულ დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს, უნდა უმადლოდეს.

ყაჯარებმა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შეცვალეს ზენდები, რომლებიც ქვეყნის სამხრეთიდან, შირაზიდან აკონტროლებდნენ ირანის დიდ ნაწილს და ასევე მომთაბარე ტომიდან იყვნენ წარმომავლობით. ზენდები ირანის ერთ-ერთი იშვიათი პოპულარული დინასტიაა. ისინი მფარველობდნენ ვაჭრობას, აშენებდნენ ბაზრებს, მავზოლეუმებსა და მეჩეთებს, ქარავანსარაებს და ეწეოდნენ საქველმოქმედო საქმიანობას (მათი პოპულარობა, ასევე უარი რქმეოდათ შაჰები და უპირატესობა მიენიჭებინათ *ვაქილ*ის (წარმომადგენლის) წოდებისათვის, გახდა იმის მიზეზი, რომ მათი სახელები არ გადაერქვათ ქუჩებსა და არქიტექტურულ ძეგლებს 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ).

ზენდები ხელისუფლების სათავეში, სხვა დინასტიების უმრავლესობის მსგავსად, მოვიდნენ ტომების გაერთიანების მხარდაჭერით, მათი მთავარი მეტოქეები კი იყვნენ მეორე მსგავსი ტომობრივი გაერთიანების მეთაურები – თურქული (თიურქული)[2] წარმომავლობის ჩრდილოელი ყაჯარები. მათი წინამძღოლი, ჯერ კიდევ ბავშვობაში დასაჭურისებული აღა მოჰამად ხანი (1742-1797), ზენდებს დატყვევებული ჰყავდათ შირაზში, მაგრამ ზენდების დინასტიის მთავარი წარმომადგენლის, ქერიმ ხან ზენდის (1760-1779) სიკვდილის შემდეგ ის გაიქცა და სათავეში ჩაუდგა თავის მომხრე ტომებს. აღა მოჰამად ხანმა მალე შეძლო სხვადასხვა რეგიონების დამორჩილება. 1786 წელს მან დაიკავა თეირანი და თავის სატახტო ქალაქად აქცია. 1790 წლისათვის ის უკვე ირანის უმეტეს ნაწილს აკონტროლებდა. მისი სისასტიკე, გავიხსენოთ თუნდაც თბილისის მოსახლეობის განადგურება ან ქერმანში ოცი ათასი მამაკაცისათვის თვალების დათხრა, მყარად აღიბეჭდა ირანელების თუ სხვა ხალხების მეხსიერებაში.

1796 წელს აღა მოჰამადმა შაჰის ტიტული მიიღო. მან ასევე მოახერხა ყაჯართა ტომის ორი დაპირისპირებული კლანის – ყოვანლუსა და დავალუს შერიგება და ამგვარად შექმნა ახალი დინასტიის გაბატონების საფუძვლები. აღა მოჰამად ხანი 1797 წელს მოკლეს და ის შეცვალა მისმა ძმისშვილმა ბაბა ხანმა[3], რომელმაც შემდგომ ფათჰ ალი შაჰის სახელი მიიღო. მის ტახტზე ასვლას პროვინციებში მღელვარებები მოჰყვა. ახალი შაჰი, მისი წინამორბედის მეთოდებით, სასტიკად გაუსწორდა ყველა მოწინააღმდეგეს. მის მსხვერპლთა შორის იყვნენ შაჰის ძმა, ფარსის პროვინციის გამგებელი ჰოსეინ ყოლი და ასევე პირველი ვაზირი ებრაჰიმ ხანი. იგი1834 წლამდე მეფობდა. ყაჯარების მიერ ირანის გაერთიანებამ ქვეყანას ის მაინც მოუტანა სასიკეთო, რომ ბოლო მოეღო სამოქალაქო თუ სხვა ტიპის ომებს და XVIII საუკუნის დიდ მანძილზე არსებულ სრულ ეკონომიკურ ქაოსს (Avery et al., 1991: 105).

დასავლეთი და ირანი. კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ეპოქის დასაწყისი

ფათჰ ალი შაჰის მმართველობის პერიოდში ევროპულმა სახელმწიფოებმა პირველად მოიკიდეს მყარად ფეხი ირანში. ამ პროცესის დაწყება ნაპოლეონის ომების არაპირდაპირი შედეგი იყო. ნაპო-

---

1 რამდენადაც 1935 წლამდე ევროპელთა მიერ ირანი ოფიციალურად იწოდებოდა სპარსეთად, აღნიშნულ პერიოდამდე ნაშრომში გამოიყენება როგორც ირანი, ისე სპარსეთი.

2 ტერმინი „თიურქი“ გამოყენებულია ზოგადად თურქული წარმომავლობის ხალხების (თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, ცენტრალური აზიის ხალხები და ა.შ.) აღსანიშნავად (ინგლ. Turkic peoples) (იხ. გაჩეჩილაძე, 2008ა). რუსულში თურქეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები თურქული მოდგმის ხალხების აღსანიშნავად იხმარება тюрк.

3 მიუხედავად იმისა, რომ აღა მოჰამად ხანი საჭურისი იყო, მან ფორმალურად ცოლად შეირთო თავისი ძმის ქვრივი და ბაბა ხანის მამინაცვალი გახდა.

ლეონი, რუსეთის იმპერატორ პავლეს (რომლის მმართველობაც მეტად ხანმოკლე გამოდგა) მსგავსად, ოცნებობდა ინდოეთში შეჭრაზე, რომელსაც ასევე ემუქრებოდნენ ავღანელები. ამ საფრთხის უვნებელსაყოფად, ბრიტანელებმა 1801 წელს კაპიტანი ჯონ მალქოლმი გააგზავნეს ინდოეთიდან თეირანში სავაჭრო და სამხედრო ხელშეკრულების ხელმოსაწერად. სამხედრო ხელშეკრულება ითვალისწინებდა ბრიტანეთის მიერ ირანის აღჭურვილობითა და სპეციალისტებით უზრუნველყოფას. სამაგიეროდ, ირანს უარი უნდა ეთქვა ავღანეთის ან საფრანგეთის მხარდაჭერაზე, რომელთაც პოზიციების გამყარება სურდათ ირანსა თუ ინდოეთში. მაგრამ მალე მოხდა რუსეთისა და ბრიტანეთის დაახლოება. ირანი კი ჯერ კიდევ ცდილობდა ალიანსის შექმნას რუსეთის წინააღმდეგ, რაც უპირველესად რუსეთის მიერ შემოერთბულ აღმ. საქართველოზე კონტროლის აღდგენის სურვილიდან გამომდინარეობდა. ამ მიზნის მისაღწევად, სპარსეთმა 1807 წელს საფრანგეთთან ხელი მოაწერა ფინკენშტეინის ხელშეკრულებას აღმოსავლეთ პრუსიაში, რომელსაც ნაპოლეონი დაეუფლა ეილაუსთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ. ხელშეკრულება დიდწილად ადრე ბრიტანელებთან დადებული ხელშეკრულების ანალოგიური იყო. ამ ხელშეკრულების მიხედვით, საფრანგეთი სპარსეთს დახმარებას აღუთქვამდა საქართველოს დაბრუნების საქმეში, ასევე სამხედრო აღჭურვილობით უზრუნველყოფასა და ჯარის გაწვრთნაში. ირანი, თავის მხრივ, პირობას დებდა, რომ ომს გამოუცხადებდა ბრიტანეთს და დაეხმარებოდა საფრანგეთს, თუ ის გადაწყვეტდა ინდოეთში შეჭრას. ფრანგებმა სამხედრო მისია გააგზავნეს ირანში გენერალ გარდანის მეთაურობით, რომელმაც დაიწყო ირანული ჯარების გაწვრთნა თანამედროვე მეთოდებით და ასევე ირანის შესწავლა ინდოეთში შესაძლებელი ლაშქრობისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. მაგრამ ვითარება ევროპაში უაღრესად სწრაფად და ირანისათვის არასასიკეთოდ იცვლებოდა. იმავე 1807 წელს, ფრანგების ევროპული გამარჯვებების შემდეგ, ნაპოლეონმა და რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ ტილზიტის საზავო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რაც ფინკენშტეინის ხელშეკრულების გაუქმების ტოლფასი იყო. ამ ფაქტმა, თავის მხრივ, გამოიწვია ახალი ბრიტანულ-ირანული ალიანსის გაფორმება 1809 წელს, რომელსაც მოჰყვა 1814 წელს კიდევ ორი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებების თანახმად, ბრიტანეთს სპარსეთისათვის სამხედრო და ფინანსური დახმარება უნდა გაეწია, თუ მას თავს დაესხმოდა რომელიმე ევროპული სახელმწიფო. ყოველივე ამის შედეგად, საბოლოო წერტილი დაესვა ირანის სტრატეგიულ კავშირურთიერთობებს საფრანგეთთან.

ფათჰ ალი შაჰი

ყაჯართა დაინტერესება ამ ხელშეკრულებების დადებით უპირველესად ისევ და ისევ უკავშირდებოდა მათ სურვილს დაებრუნებინათ აღმოსავლეთ საქართველო. ძირითადად სწორედ საქართველოსა და ზოგადად აღმოსავლეთ კავკასიის დასაკუთრებისათვის მიმდინარეობდა რუსეთ-ირანის პირველი ომი 1804-1813 წლებში, რომელშიც ირანის ჯარების მარცხი, შეიარაღების გაუმჯობესების და თანამედროვე მეთოდებით ჯარების გაწვრთნის გარკვეული მცდელობების მიუხედავად, მეტად შთამბეჭდავი იყო. *1813 წლის გოლესთანის* (*გულისტანი* – სოფელი მთიან ყარაბაღში) ხელშეკრულებით, რომელიც უაღრესად დამამცირებელი იყო ირანისათვის, რუსეთმა კავკასიის მნიშვნელოვანი ტერიტორიები და ასევე კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის ექსკლუზიური უფლება მიიღო. გარდა ამისა, ხელშეკრულების მეოთხე მუხლის თანახმად, რუსეთის მეფეს მიენიჭა „უფლება ეღიარებინა ტახტის მემკვიდრედ შერჩეული სპარსელი უფლისწული და მისთვის დახმარება აღმოეჩინა მისი მეტოქეების უვნებელყოფის საჭიროების შემთხვევაში.“ რუსეთის მხრიდან, ამ მოთხოვნის ოფიციალური მიზანი იყო ტერიტორიული მონაპოვრების შენარჩუნება იმ შემთხვევაში, თუ ტახტის მემკვიდრეს ძლევდნენ სხვა პრეტენდენტები, რომლებიც განაახლებდნენ ომს. მაგრამ მეორე ინტერპრეტაციის თანახმად, რომელიც ყაჯარებთან დაპირისპირებულ ნაციონალისტებს ეკუთვნის, ეს ინიციატივა სწორედ მემკვიდრე პრინცს უკავშირდებოდა, რომელმაც პოზიციები განიმტკიცა კავკასიაში რუსებისათვის 17 ქალაქის დათმობის სანაცვლოდ (Richard, 2006: 41).

ამგვარად, XIX საუკუნის დასაწყისიდან, ირანი გარკვეულწილად გახდა ევროპელთა არაპროგნოზირებადი და ირანელთათვის თავისთავად გაუგებარი პოლიტიკური გათვლების მსხვერპლი (Keddie, 2003: 38). ევროპელებს შეეძლოთ ხელშეკრულებების ცალმხრივად შეწყვეტა მათი დადებიდან წელი-

წადზე უფრო ნაკლებ ვადაში. ნათელი იყო, რომ ირანის ინტერესებზე არავინ ზრუნავდა და, შესაბამისად, ირანის ჩართვა საერთაშორისო პოლიტიკაში ირაციონალურ ხასიათს იძენდა.

ნაპოლეონის პერიოდში ევროპული ზეგავლენის ზრდამ და რუსეთთან დაწყებულმა ომმა, აზერბაიჯანის მმართველ მემკვიდრე პრინცს[4] აბას მირზას მიაღებინა გადაწყვეტილება საკუთარი სამხედრო ძალების გასაწვრთნელად დასავლეთისათვის მიემართა. მან ასევე გააგზავნა სტუდენტები უცხოეთის სამხედრო სასწავლებლებში, რათა გაეუმჯობესებინა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი გარეგანი საფრთხეების წინაშე. აბას მირზას რეფორმების ამ პირველ ეტაპზე დიდ სამსახურს უწევდა მისი მთავარი ვაზირი, მირზა ისა ფარაჰანი (გარდ. 1822), რომელიც სხვა მრავალი დიდგვაროვნის მსგავსად, ყაემ მაქამის წოდებას ატარებდა..

აბას მირზა

აბას მირზა სამხედრო რეფორმას ირანის აზერბაიჯანში ატარებდა. ამავე პერიოდში კი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში – სპარსეთის ერაყში ჩამოყალიბდა საკმაოდ კარგად გაწვრთნილი, 12 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი საჯარისო ნაწილი იუსეფ ხან გორჯის (ქართველის) მეთაურობით. იუსეფ ხანმა ლაშქარში ევროპული იარაღის ხმარებისა და გამოყენების ზოგიერთი მეთოდი დანერგა. მან მის დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ნაწილებს რეგულარული ჯარის სახეც მისცა, აამაღლა სამხედრო დისციპლინა, შემოიღო ერთიანი სამხედრო უნიფორმა. სამხედრო სფეროს გარდა, იუსეფ ხან გორჯი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებშიც. სწორედ მან დაარსა ქალაქი სოლთანაბადი (დღევანდელი არაქი). სიცოცხლის ბოლოს (1824 წ.) ის დაინიშნა ისფაჰანის მმართველის, უფლისწულ სოლთან მოჰამად მირზას ვაზირად.

იუსეფ ხანის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა ღოლამ ჰოსეინ ხან გორჯიმ დაიკავა ერაყის მმართველისა და მთავარსარდლის თანამდებობა, ხოლო კიდევ ერთი წარმოშობით ქართველი მოღვაწე – ხოსრო ხან გორჯი გახდა ისფაჰანის მმართველის ვაზირი (შარაშენიძე, 1984: 114-126).

დიდი მცდელობის მიუხედავად, რეფორმებს ამ საწყის ეტაპზე სასურველი შედეგი არ მოჰყვა. აბას მირზას რეფორმირებული არმია სულ ახალი ჩამოყალიბებული იყო, როდესაც დაპირისპირება მოუხდა მასზე ბევრად უფრო ძლიერ ძალასთან – რუსულ ჯართან, რომელთანაც ბრძოლაში თავიდანვე განწირული იყო. მარცხმა კი არმიის რეფორმირებისადმი უნდობლობა გააღვივა. ჯარების მოდერნიზების აბას მირზასეული პირველი ცდის წარუმატებლობის მიზეზი იყო არა მხოლოდ რეფორმების მომხრე ყაჯარი ლიდერების არარსებობა, არამედ ასევე მრავალრიცხოვანი ცენტრიდანული ინტერესების ოპოზიცია; ცენტრი კი არასოდეს გამხდარა იმდენად ძლიერი, რომ ჩაეხშო ეს წინააღმდეგობა. მრავალი ტომობრივი და ურბანული ლიდერიც კი უპირისპირდებოდა ცენტრალიზებულ არმიას, რომელსაც შეეძლო შეეზღუდა მათი როლი და ავტონომიურობა; ზოგიერთი ულემი[5] დასავლელ ინსტრუქტორებს, ჯარის ევროპულად წვრთნასა და განსაკუთრებით თანამედროვე არმიების უნიფორმებს აღიქვამდა ურწმუნოთა აგრესიად და ქვეყნის მათ მიერ დაპყრობის წინაპირობად (Keddie, 2003: 40). არმიის ოფიცერთა ნაწილი და სხვებიც, რომლებიც სარგებელს იღებდნენ ძველი სამხედრო სისტემის კორუმპირებულობისაგან, უპირისპირდებოდნენ რეფორმას. ეს წინააღმდეგობა არსებობდა ყაჯართა მთელი პერიოდის მანძილზე. რომელიმე ყაჯარ მმართველს სიმტკიცე რომ გამოეჩინა და ეცადა ძირეული რეფორმების განხორციელება, ამას სავარაუდოდ შეიძლება გამოეწვია ის, რაც საბოლოოდ რეზა შაჰის (1925-1941) დროს მოხდა – ტომების დევნა-შევიწროება, ულემების ოპოზიციის ჩახშობა და ძლიერი ცენტრალური ბიუროკრატიული აპარატის შექმნა (მუჰამად ალის ეგვიპტური არმია, მაგალითად, ჩამოყალიბდა მხოლოდ რადიკალური და ცენტრალიზებისაკენ მიმართული რეფორმების შედეგად).

---

4 ყაჯართა დროს დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ირანის აზერბაიჯანის მმართველად ინიშნებოდა ტახტის მემკვიდრე. აქვე უნდა ხაზი გაესვას, რომ როდესაც *მირზა* მოსდევდა საკუთარ სახელს, ის აღნიშნავდა უფლისწულს და როდესაც წინ უსწრებდა, უბრალოდ, პატივისცემის გამოხატულებას წარმოადგენდა (მაგ., აბას მირზა ტახტის მემკვიდრე იყო, ხოლო მირზა თაყი ხანი – პირველი ვაზირი).

5 ულემი (მრ. რ. *ულამა*; არაბ. *ალიმ*) – სასულიერო პირი.

1813 წლის გოლესთანის ხელშეკრულება საკმაოდ ბუნდოვანი იყო და არ წყვეტდა ტერიტორიულ უთანხმოებას ირანსა და რუსეთს შორის. მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო და ზოგიერთი ირანელი უკვე ითხოვდა რევანშს ან, ყოველ შემთხვევაში, იმ ტერიტორიების დაბრუნებას მაინც, რომლებიც მათი თვალთახედვიდან, რუსეთმა ხელშეკრულებაში გაწერილი უფლებების დარღვევით დაიკავა. ფართოდ მუსირებდა აზრი, რომ რუსეთის კავკასიაში იდევნებოდნენ შიიტები. ნაწილობრივ ყველაზე ავტორიტეტიანი ულემების ზეგავლენით, ირანის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ასევე მოითხოვდა წმინდა ომის (ჯიჰადის) წამოწყებას რუსეთის წინააღმდეგ.

1825 წელს რუსებმა დაიკავეს ერევნისა და სევანის (გოგჩას) ტბას შორის არსებული რეგიონი. თეირანში გაისმა მოწოდებები საღვთო ომისაკენ. ულემების ძალისხმევით ფათჰ ალი შაჰმა მართლაც გამოაცხადა ჯიჰადი და თავს დაესხა რუსებს 1826 წელს. ირანული არმია, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იყო გაწვრთნილი და ახალი იარაღით აღჭურვილი, მიუხედავად დროებითი წარმატებებისა ომის დასაწყისში, როდესაც აბას მირზას ჯარი სომხეთში შეიჭრა, ამ ომში თავიდანვე განწირული იყო. რუსებმა კონტრშეტევა წამოიწყეს და 1827 წლის ოქტომბერში თავრიზი აიღეს. საბოლოოდ, ირანი სასტიკად დამარცხდა. თურქმანჩაის 1828 წლის საზავო ხელშეკრულებამ ახალი სარგებელი მოუტანა რუსეთს. ირანმა კიდევ უფრო მეტი ტერიტორიები დათმო და ახალი საზღვარი მდ. არეზზე გავიდა. რუსეთმა ასევე მიიღო ომის საფასურის კონტრიბუცია – **20 მლნ რუბლი (ეს დასავლური სახელმწიფოების ჩვეული პოლიტიკა იყო** XIX საუკუნეში; ომში დამარცხებულები არა მხოლოდ ტერიტორიებს თმობდნენ, არამედ ომის „საფასურსაც“ იხდიდნენ). ექსტრატერიტორიულობისა[6] და სატარიფო კონცესიები, რაც ადრე ნაწილობრივ ჰქონდა რუსეთს მინიჭებული, ამჯერად დოკუმენტურად დაფიქსირდა. ირანს არ შეეძლო მოეთხოვა რუსულ საქონელზე საიმპორტო ტარიფი 5 პროცენტზე მეტი და მათზე არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო დამატებითი შინა გადასახადები. რუსეთის ქვეშევრდომებსა და მათ მფარველობაში მყოფ ირანელებზე (თეორიულად ეს ეხებოდა მხოლოდ საკონსულოების თანამშრომლებს, მაგრამ პრაქტიკაში სხვებზეც მოქმედებდა), არ ვრცელდებოდა ირანის კანონმდებლობა. მათი გასამართლება შეეძლო მხოლოდ საკონსულოებთან არსებულ სასამართლოებს. ნებისმიერი სადავო საკითხი, რომელიც სასამართლო განხილვას ექვემდებარებოდა, უნდა გადაწყვეტილიყო კონსულის ან მისი წარმომადგენლის, ასევე ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის (*ქარგოზარ*) თანდასწრებით და ამასთან, მათი წარმომავლობის ქვეყნის კანონების მიხედვით. გარკვეულ შემთხვევებში, ეს ირანელ ვაჭრებსაც აწყობდათ და სამართლის საძიებლად უცხოელებს მიმართავდნენ. „სპარსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაკნინება, იწყება სწორედ 1828 წლიდან“ (Katouzian, 2010: 144).

როგორც ექსტრატერიტორიულობა, ისე ფიქსირებული დაბალი ტარიფი, შემდეგ გავრცელდა სხვა დასავლურ სახელმწიფოებზეც. ამგვარი ხელშეკრულება გაფორმდა დიდ ბრიტანეთთან **1841 წელს. როგორც** აზიის სხვა ქვეყნებში, სადაც მსგავსი დათმობები განხორციელდა, ამის მთავარი შედეგი იყო ქვეყნის გახსნა დასავლური ვაჭრობისა და ბიზნესმენებისათვის. ამის შედეგად კი საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებსა და ზოგჯერ, საკუთარი ქვეშევრდომების დაცვაზე უარის თქმა ხდებოდა. ექსტრატერიტორიალურობის ეს პრივილეგიები საბოლოოდ ირანში მხოლოდ ასი წლის შემდეგ გაუქმდა.[7]

ექსტრატერიტორიულობა დასავლური სახელმწიფოებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში – იმ მიზეზით, რომ დასავლელი დიპლომატები და კერძო პირებიც ორჭოფობდნენ საქმიანობის დაწყებას ისეთ ქვეყნებში, რომელთა კანონებიც გაუგებრად, ბარბაროსულად თუ არა, მიაჩნდათ. ამასთან, მონეტის მეორე მხარეს წარმოადგენდა ის, რომ საკონსულო სასამართლოები ხშირად აბსურდამდე ტოლერანტული იყო – იმ დონეზე, რომ უცხოელი უმძიმესი დანაშაულის შემთხვევაში შეიძლებოდა დაუსჯელი დარჩენილიყო.

მეორე მხრივ კი, თავისუფალი ვაჭრობის სისტემა აზიას თავს ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე მოახვიეს. თავისუფალ ვაჭრობას შეიძლებოდა სარგებელი მოეტანა ბრიტანეთისათვის, რომლის განვითარებული ინდუსტრია უფრო იაფ საქონელს აწარმოებდა, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო, მაგრამ აზიაში, ირანის ჩათვლით, თავსმოხვეულ დაბალ ტარიფებს დამანგრეველი შედეგი მოჰქონდა. ევროპული მანუფაქტურული ნაწარმი სულ უფრო დიდი რაოდენობით და თავისუფლად შემოდიოდა და ცვლიდა

6 უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეებსა და ქვეშევრდომებზე ადგილობრივი კანონების და სასამართლო ხელისუფლების გაუვრცელებლობა.

7 **1857 წლის პარიზის ხელშეკრულების მიხედვით, ლონდონს ეკისრებოდა ვალდებულება: „აღარ მიეცა დიპ**ლომატიური თავშესაფარი სპარსეთის ნებისმიერი ქვეშევრდომისათვის, თუ ის მართლაც არ მსახურობდა ბრიტანულ მისიაში.“ თუმცა, რეალურად ეს არ განხორციელებულა.

ირანულ ხელნაკეთ პროდუქციას. ხელშეკრულებებში პროტექციონისტული ტარიფების გათვალისწინების შეუძლებლობა ერთ-ერთი მრავალ მიზეზთაგანი იყო, რის გამოც ადგილობრივ მრეწველობას არ შეეძლო განვითარება. მრავალი ირანელი ვაჭრის შემოსავლებზე ასევე უარყოფითად იმოქმედა ხელშეკრულებების პირობებმა. ევროპელთაგან განსხვავებით, ისინი არ თავისუფლდებოდნენ საშინაო ტარიფებისა და გადასახადებისაგან. XIX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისიდან ირანელი ხელოსნები და ვაჭრები პროტესტს გამოთქვამდნენ ევროპული იმპორტის მზარდი წნეხის წინააღმდეგ, რაც აკოტრებდა მათ ვაჭრობას და მოითხოვდნენ მთავრობისაგან შემოღეო პროტექციონისტული და ამკრძალავი კანონები (Issawi, 1971:76). არათანაბარი ხელშეკრულებების პირობებში კი მთავრობას ბევრი არაფრის გაკეთება შეეძლო, თუნდაც რომ დიდად მოსურნე ყოფილიყო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ირანის მოსახლეობის მცირე ნაწილმა გარკვეული მოგებაც ნახა. სპარსეთის უცხოურ ვაჭრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ირანელი ვაჭარი და საქმოსანი სარგებელს იღებდა ამ ახალ სიტუაციაში, ისე როგორც მომხმარებლები, რომელთა შემოსავალიც არ შემცირდა იაფი იმპორტული საქონლის მიღების წყალობით.

თურქმანჩაის ხელშეკრულების უარყოფითი ეკონომიკური შედეგები ირანზე გარკვეული დროის შემდეგ აისახა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ ხელშეკრულებას გაცილებით უფრო პირდაპირი და მყისეული შედეგები ჰქონდა. რუსებთან განცდილმა ორმა მარცხმა გამოიწვია რეგიონული და ტომობრივი აჯანყებები, ამ ვითარებაში კი, ხელისუფლება ცდილობდა მზარდი სახალხო უკმაყოფილების საკუთარი მხარიდან რუსებისაკენ შეტრიალებას.

1829 წელს თეირანში გაიგზავნა რუსული მისია ცნობილი მწერლის, გრიბოედოვის მეთაურობით. მისიის მთავარი მიზანი იყო აეძულებინა ირანის მთავრობა გადაეხადა თურქმანჩაის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. ზოგადად, მიჩნეულია, რომ გრიბოედოვთან დაკავშირებული ინციდენტი იყო ფანატიკოსი ულემების მიერ ორგანიზებული ირანული ბრბოს ბრმა და არაპროვოცირებული აქცია. მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჩანს, გრიბოედოვი (გავიხსენოთ, რომ მისი მეუღლე ასევე ანტიირანულად განწყობილი ოჯახიდან გამოსული ნინო ჭავჭავაძე იყო), და მისი ჯგუფი საკმაოდ გამომწვევად იქცეოდნენ და ანგარიში არ გაუწიეს ირანელთა ქცევისა და ღირსების საბაზისო პრინციპებს. [1]

გრიბოედოვის მისიას შეატყობინეს, რომ ერთი ან მეტი ქრისტიანი (სომეხი ან ქართველი) ქალი ძალდატანებით გაამუსლიმეს და ცნობილი ირანელების ჰარემში მოახვედრეს (იხ. მაგ., Algar, 1969: 94 sq; Keddie, 2003: 42; Richard, 2006: 43). რუსულმა მისიამ, იმის წინააღმდეგ, რაც წმინდად და ხელშეუხებლად ითვლებოდა ირანში, არსებული წესების უხეშად დარღვევით გამოიყვანა ჰარემებიდან ეს ქალები, რათა დაეკითხა, თუ სად სურდათ ცხოვრება. ისინი, გადმოცემით, მთელი ღამე მისიაში დარჩნენ. რუსები აცხადებდნენ, რომ ქალებს, რომლებსაც ისლამი ჰქონდათ მიღებული და ბავშვებიც ჰყავდათ, სურდათ ირანის დატოვება და იმ დროს უკვე რუსეთის კუთვნილ კავკასიის ტერიტორიაზე დაბრუნება. თეირანში გავრცელდა ხმები, რომ ქალები მათი ნების საწინააღმდეგოდ ჰყავდათ დაკავებული და ისინი აიძულეს ისლამი უარეყოთ. თეირანელმა ულემებმა თავდაპირველად სცადეს ზეგავლენის მოხდენა გრიბოედოვზე, მაგრამ ამ წარუმატებელი ცდის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა გამოსცა *ფეთვა*[2], რომლის თანახმადაც მუსლიმი ქალის გამოხსნა ურწმუნოთაგან კანონიერი იყო. ამის შემდეგ რუსეთის მისიის წინ შეკრებილი ბრბო არაკონტროლირებადი გახდა.[3] რუსი კაზაკების მიერ ირანელი ყმაწვილის ჩაცხრილვას ირანელთა შეტევა მოჰყვა, რასაც გრიბოედოვი და მთელი რუსული მისია, ერთი წევრის გამოკლებით, რომელმაც სპარსული ტანისამოსი გადაიცვა და ამით გადაირჩინა თავი, ემსხვერპლა (იხ. მაგ., Algar, 1966: 94-99). ეს ეპიზოდი საგულისხმოა, როგორც პირველი მნიშვნელოვანი ანტიუცხოური ინციდენტი რელიგიური სულისკვეთებით, რითაც განსხეულდა მრავალი ირანელის უარყოფითი განწყობა დასავლური სახელმწიფოებისადმი მათი ქედმაღლური დამოკიდებულების გამო. ამ კონფლიქტის ამოწურვის მიზნით, ფათჰ ალი შაჰმა და აბას მირზამ პეტერბურგში აურაცხელი საჩუქრებით დატვირთული დიდი ამალა გააგზავნეს ყაჯარი უფლისწულების წინამძღოლობით.

---

1 ყველაზე სრულად გრიბოედოვის მისიის შესახებ იხ. Kelli, 2003.

2 ფეთვა, ფათვა – სამართლებრივი და საღვთისმეტყველო დასკვნა.

3 რუსი ავტორების ნაწილი ბრბოს აგრესიის მიმართვას რუსების წინააღმდეგ ბრიტანეთის ელჩს მიაწერს. ეს მოსაზრება სათანადო ფაქტებით არ დასტურდება, მაგრამ აჩვენებს მეტოქეობის სიმძაფრეს, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის არსებობდა ირანში. ზოგიერთი ისტორიკოსი კი თვლის, რომ გრიბოედოვი იმ შეთქმულების მსხვერპლი გახდა, რომლის მიზანიც იყო აბას მირზასათვის ტახტზე ასვლაში ხელის შეშლა.

ირანელი ულემების ძალაუფლება მასებზე და მათი უნარი წარემართათ მოძრაობა იმ მიმართულებით, რომელიც ყოველთვის არ იყო მხარდაჭერილი ხელისუფლების მიერ, გამოჩნდა როგორც ულემების მოწოდებებში ჯიჰადისაკენ, რამაც ხელი შეუწყო რუსეთ-ირანის მეორე ომის დაწყებას, ისე გრიბოედოვის ინციდენტში. ულემები ასევე ხშირად უჭერდნენ მხარს ბაზრის ხალხს მათი პროტესტისას უცხოური იმპორტის წინააღმდეგ. ამ პერიოდის შაჰები ზოგადად ცდილობდნენ კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ ულემებთან და გამოემჟღავნებინათ მათ მიმართ პატივისცემა. თავის მხრივ, ულემები საკუთარ პოლიტიკურ მოთხოვნებს ზღუდავდნენ იმ საკითხებით, რომელთა გადაწყვეტაც სასწრაფო იყო ან სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა.

მომდევნო უთანხმოება დასავლურ სახელმწიფოსთან, ამჯერად ბრიტანეთთან, შემთხვევით იქნა თავიდან აცილებული, როდესაც **1833 წელს აბას მირზა, რომელსაც ახალი ჩახშობილი ჰქონდა ტომების** ამბოხებები აღმოსავლეთ ირანში, გაემართა ჰერათის ასაღებად. ეს ქალაქი დასავლეთ ავღანეთში, ძირითადად სპარსულენოვანი შიიტური მოსახლეობით, იმ დროს ავღანურ მმართველობას ემორჩილებოდა, მაგრამ ირანელთა მიერ სპარსულად მიიჩნეოდა. ავღანეთის კამპანიის წარმატებით დასრულება აბას მირზას გაცილებით უფრო იოლ საქმედ ესახებოდა, ვიდრე კავკასიაში რუსებთან დაპირისპირება. მაგრამ ბრიტანელები ეწინააღმდეგებოდნენ ირანის კონტროლის დამყარებას ჰერათზე და აპირებდნენ ავღანელთა დახმარებას. თუმცა, კონფლიქტი მალე ამოიწურა აბას მირზას სიკვდილის გამო. მისი ვაჟი და მემკვიდრე მოჰამად მირზა ცენტრალურმა ხელისუფლებამ უკან გამოიწვია და ომი თავიდან იქნა აცილებული.

აბას მირზას სიკვდილი მძიმე დარტყმა იყო „ზემოდან რეფორმების“ მომავლისათვის, რომელიც არმიის გარდა, ასევე ეხებოდა ბიუროკრატიასა და საგანმანათლებლო სისტემას და რომლებიც აბას მირზამ აზერბაიჯანში წამოიწყო ოსმალო სულტნებისა და ეგვიპტის გამგებლის მუჰამად ალის მიბაძვით. მან თავისი სატახტო ქალაქი – თავრიზი, რომელიც საქარავნო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობდა, ირანში ევროპული ზეგავლენის ცენტრად აქცია. ის აღტაცებული იყო ოსმალეთის სულტან-რეფორმატორის სელიმ III-ის მოღვაწეობით. ის კარგად იყო ინფორმირებული ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. აცნობიერებდა რა საკუთარი ჯარის სისუსტეს რუსეთის არმიასთან შედარებით, მან რეფორმატორული ძალისხმევა პირველ რიგში სამხედრო სფეროსაკენ მიმართა. აზერბაიჯანში საყოველთაო სამხედრო სამსახურის შემოღების წარუმატებელი ცდის შემდეგ, აბას მირზამ გადაწყვიტა რეგულარული არმია მოხალისეების დაქირავების საფუძველზე შეექმნა. მოხალისეები მოსაზიდად მათი ოჯახები გადასახადებისგან გაათავისუფლა, ხოლო პირადად მათ საკმაოდ დიდი ჯამაგირი დაუნიშნა (ტერ-ოგანოვი, 1984: 39). 1819 წელს რუსეთის არმიის დეზერტირებისაგან მან ჩამოაყალიბა **800-კაციანი რაზმი. ასევე გახსნა სამხედრო აკადემია, რომელ**საც ფრანგი ედგა სათავეში და რომელშიც ოსმალო, ფრანგი და რუსი ოფიცრების ხელმძღვანელობით გადიოდნენ ირანელები სამხედრო მომზადებას. მის მიერ დაარსებულ არსენალში მზადდებოდა ზარბაზნები და ტყვია-წამალი. **1831 წლისათვის მის განკარგულებაში იყო 12 ათასი ქვეითი, 1200 არტი**ლერისტი და კავალერისტთა პოლკი. მოხდა თავრიზის, ხოისა და არდაბილის საფორტიფიკაციო ნაგებობების მოდერნიზება. ეს იყო რუსეთთან ომში განცდილი მარცხის შემდეგ პირველი ფართომასშტაბიანი რეფორმა. აბას მირზა ასევე შეეცადა გაეზარდა ქარავანსარაების ქსელი და გაეუმჯობესებინა მმართველობის ეფექტურობა. ეს პროექტები განუხორციელებელი დარჩა, პირველ რიგში, სათანადოდ მომზადებული კომპეტენტური კადრების არარსებობის გამო, მაგრამ ეს იმპულსი გამოდგა უფრო გვიან და განსხვავებულ ვითარებაში წამოწყებული რეფორმებისათვის.

აბას მირზას რეფორმების განხორციელების საქმეში გვერდში ედგა მირზა ისა ფარაჰანის ვაჟი აბოლ-ყასემ ფარაჰანი, რომელიც მამის მსგავსად, ყაემ მაქამის ტიტულს ატარებდა. ის ერთდროულად იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და წარმატებული რეფორმატორი. 1833 წელს, აბას მირზას სიკვდილის შემდეგ, ყაემ მაქამი ჩადგა ცენტრალური მმართველობის სამსახურში. მან, ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მოღვაწეობის გარდა, ლიტერატურის ისტორიაშიც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. ის იყო პირველი ადამიანი ირანის ახალ ისტორიაში, რომელმაც სცადა გაემარტივებინა ღვარჭნილი სტილი და განევითარებინა სამეფო კარის სპარსული პროზის ფორმები. მის მიერ წამოწყებული რეფორმა გაგრძელდა უფრო გვიანდელი ხანის მრავალი მოღვაწის მიერ და ამ ძალისხმევის შედეგად, ოფიციალური სპარსული ენა უფრო მარტივი, მკაფიო და, შესაბამისად გაცილებით ადვილი გასაგები გახდა. ლიტერატურული სპარსული კიდევ უფრო მეტად გამარტივდა (პრემოდერნულ ხანაში შემუშავებული ფორმები, ისე როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, მმართველებს საშუალებას აძლევდა სამთავრობო ნაწერების გამგებთა რაოდენობა შეეზღუდათ მცირე ელიტით). ფათჰ ალი შაჰის სიკვდილის შემდეგ ის მხარში ამოუდგა აბას მირზას ვაჟს, რომელიც მოჰამადის სახელით ავიდა

ტახტზე. თუმცა, მოჰამად შაჰს არ გამოუვლენია მადლიერების გრძნობა ყაემ მაქამისადმი და 1835 წელს ის მოაკვლევინა.

აბას მირზასგან განსხვავებით, არც ფათჰ ალი შაჰი და არც მისი შვილიშვილი მოჰამად შაჰი რეალურად არ ცდილან მოდერნიზაციასა და ცენტრალიზაციას და ქვეყანას მართავდნენ ძველი წესებით, გარდაუვალი ცვლილებების მინიმუმამდე დაყვანით. ფათჰ ალი შაჰი უფრო ცნობილი იყო თავისი წვერით, სიგამხდრით, უზარმაზარი ჰარემით და ურიცხვი შთამომავლობით[4], ვიდრე რაიმე პოზიტიური მიღწევით. მან მიიღო ძველსპარსული შაჰანშაჰის – „მეფეთა მეფის“ ტიტული და ასევე ხაყანის წოდება – ჩინეთის იმპერატორის აღმნიშვნელი თურქული სიტყვა. „ამგვარად, ის ცდილობდა ეჩვენებინა საკუთარი აღმატებულება ოსმალეთის მმართველთან შედარებით, რომელიც მხოლოდ *სულტანი* იყო“ (Richard, 2006: 39). საკუთარი სატახტო ქალაქის სტატუსის ასამაღლებლად, მან თეირანს უწოდა „სახალიფოს კარიბჭე“ (*დარ ალ-ხელაფა*) (რაც საკმაოდ უცნაურია შიიტური სამყაროსათვის), რითაც ხაზი გაუსვა თეირანის უპირველესობას თავრიზთან, რომელიც მხოლოდ „სამეფოს კარიბჭე“ (*დარ ალ-სალთანა*) იყო, და სეფიანთა დიდებულ სატახტო ქალაქ ისფაჰანთან შედარებით. მან არაერთი საკუთარი პორტრეტი დაახატვინა, რომელთაც საჩუქრად უგზავნიდა უცხოელ სუვერენებს. მან ასევე გამოაკვეთინა ბარელიეფები საკუთარი პორტრეტით რეისა და ფარსში სასანიანი და აქემენიანი მონარქების გამოსახულებათა გვერდით.

შაჰის ზოგიერთი ცოლი ფინანსური ნიჭით გამოირჩეოდა და მონაწილეობდა ჰარემისა თუ სამეფო ხაზინის ბუღალტერიის მართვაში. მათ შორის იყო შაჰის ისფაჰანელი ფავორიტი, ქართული წარმომავლობის თავუს ხანომ თაჯ ად-დოულე, რომლისთვისაც გამოიკვეთა ცნობილი „ფარშევანგის ტახტრევანი“ (*თახთ-ე თავუს*).

ფათჰ ალი შაჰი ზრუნავდა არამხოლოდ დინასტიის პრესტიჟის ამაღლებასა და საკუთარი სახელის განდიდებაზე. მან ასევე გააძლიერა მონარქიის რელიგიური ხასიათი; მრავალი მეჩეთი ააგო და აღადგინა იმამთა თუ გამოჩენილ შიიტთა მავზოლეუმები ყუმსა და მეშჰედში (=მაშჰადი), ასევე მესოპოტამიის შიიტურ წმინდა ადგილებში; სამეფო კარზე მოიწვია არაერთი ცნობილი თეოლოგი, მათ შორის შაიხი (=შეიხი) აჰმად აჰსაი (იხ. ქვემოთ), (რომელმაც უარი განაცხადა ამ მოწვევაზე) და ასევე სასულიერო წოდებისათვის პრივილეგიების გაზრდის ყველაზე ცნობილი დამცველი, თეოლოგი მოლა აჰმად ნარაქი.[5] ის პენსიებს უნიშნავდა პოეტებსა და მწერლებს. ეს იყო „ლიტერატურის აღორძინების“ (*ბაზგამთ-ე ადაბ*) ეპოქა, რომლის წარმომადგენლებიც დღეს მეტნაკლებად დავიწყებული არიან. მათ შორის იყო შაჰიც, რომელიც საკმაოდ ბანალურ ლექსებს წერდა ხაყანის ფსევდონიმით.

ყაჯარები ზოგადად ცდილობდნენ რელიგიური აურაც შეექმნათ (თუმცა, იმამობიდან ჩამომავლობის პრეტენზიას, სეფიანების მსგავსად, არ აცხადებდნენ, რადგანაც კარგად იყო ცნობილი მათი მომთაბარული წარსული). ისინი საკუთარ თავს შიიზმის და ყურანის დამცველებად, მორწმუნეთა წინამძღოლებად და ალის – შიიტთა პირველი იმამისა და მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფას (656-661) – წმინდა ხმლის შემნახველებად აცხადებდნენ. ამასთან ერთად, ყაჯარები დიდ ყურადღებას აქცევდნენ საკუთრივ ირანის წარსულის განდიდებას. ისინი პატრონაჟს უწევდნენ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ საჯარო კითხვას. სამეფო გვირგვინსაც კი ამ ეპიკური პოემის მთავარი დინასტიის – ქიანიანთა სახელი უწოდეს. შვილებსაც ხშირად არქმევდნენ „შაჰ-ნამეს“ გმირების სახელებს – ქამრანი, ბაჰმანი, არდაშირი, ჯაჰანგირი. მათ საკუთარი გენეალოგიური კავშირიც კი „აღმოაჩინეს“ ძველპართულ დინასტიასთან. მათ შემოიღეს სპარსული ახალ წლის – ნოურუზის ფეიერვერკებით აღნიშვნა. მათი სასახლეები მორთული იყო აქემენური და სასანური მოტივებით. მათ ასევე შექმნეს ახალი გერბი ლომისა და მზის გამოსახულებით და აცხადებდნენ, რომ ეს სიმბოლო გამოხატავდა „განსხვავებას კეთილსა და ბოროტს შორის ზოროასტრის დროიდან მოყოლებული.“ ამ ემბლემას კი მათ იმამ ალის ლეგენდარული ორლესული ხმალი დაამატეს, რომელიც ლომს ბრჭყალებში ეპყრა.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მიუხედავად ომებში განცდილი მარცხისა და დამცირებისა, ფათჰ ალი შაჰის მეფობა ალბათ ყველაზე მშვიდი და სტაბილური ხანა იყო ირანის ისტორიაში სეფიანთა შემდეგ. სამეფო კარის ბრწყინვალება და დახვეწილი პროტოკოლი ანცვიფრებდათ ლონდონისა და დელის მაღალ სტანდარტებს მიჩვეულ ინგლისელებსაც კი (Katouzian, 2010: 145).

---

4 გამოთვლილია, რომ ფათჰ ალი შაჰს **260 შვილი ჰყავდა 158 ცოლიდან. მათგან 60 ვაჟმა და 55 ქალიშვილ-**მა მამაზე მეტხანს იცოცხლეს. შაჰის სიკვდილიდან 15 წლის შემდეგ მისი შთამომავლობა და ნათესაობა 10 ათასს აჭარბებდა.

5 აჰმად ნარაქიმ პირველმა ჩამოაყალიბა სასულიერო წოდების პოლიტიკური მმართველობის ბუნდოვანი თეორია.

ფათჰ ალი შაჰი აბას მირზას შემდეგ მალე, 1834 წელს გარდაიცვალა. ტახტზე მემკვიდრე პრინცის მოჰამად მირზას ასვლა მშვიდობიანად განხორციელდა ბრიტანელთა დიპლომატიური და სამხედრო მხარდაჭერის წყალობით და რუსების ხელშეწყობით. შემდგომ მონარქების მშვიდობიანი ასვლა ტახტზე ასევე უზრუნველყოფილი იყო ამ ორი სახელმწიფოს მხარდაჭერითა და ძალით, რადგანაც ორივე მათგანის ინტერესში შედიოდა ტახტზე შეენარჩუნებინა და სამოქალაქო ომი აერიდებინა იმ დინასტიისათვის, რომლისგანაც ხელშეკრულებებით მნიშვნელოვანი კონცესიები მიიღეს. ეს დინასტია კი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არაკომპეტენტურად და კორუმპირებულად იყო მიჩნეული. ნაწილობრივ სწორედ ამ მხარდაჭერის გამო, ბრიტანელებმა **1836 და 1841 წლების ხელშეკრულებებით** იგივე პრივილეგიები მიიღეს, რაც ადრე რუსებს ჰქონდათ მინიჭებული. 1841 წლის ბრიტანული ხელშეკრულება შეიცავდა ცნობილ „ყველაზე უპირატესი სახელმწიფოს“ პუნქტს.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელებმა და რუსებმა კომპრომისს მიაღწიეს მოჰამად შაჰის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით, ისინი კვლავაც მეტოქეებად რჩებოდნენ ირანში, ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში. ამ მეტოქეობამ *დიდი თამაშის* სახელი მიიღო. **1826-1828 წლების ომამდე ბრიტანელები** მხარს უჭერდნენ სპარსელებს რუსების წინააღმდეგ; ახალ ვითარებაში კი უკვე რუსები უბიძგებდნენ მოჰამად შაჰს სწორედ მათთან ომში დაკარგული ტერიტორიების სანაცვლოდ აღმოსავლეთში დაესაკუთრებინა ჰერათისა და ყანდაჰარის მხარეები. 1837 წელს მოჰამად შაჰის ჯარებს რამდენიმე თვის მანძილზე ალყაში ჰქონდათ მოქცეული ჰერათი. მაგრამ ბრიტანელებმა, რომლებისთვისაც მიუღებელი იყო ავღანეთში ნებისმიერი ისეთი ძალის შესვლა, რომელიც შესაძლოა დამუქრებოდა ინდოეთს ან რუსებისათვის გაემარტივებინა ინდოეთამდე მიღწევა, დაიკავეს კუნძული ხარგი სპარსეთის ყურეში და მოჰამად შაჰს მოთხოვეს ავღანეთის დატოვება, რაც ამ უკანასკნელმა შექმნილ ვითარებაში უპირობოდ შეასრულა.

1842 წელს საომარი ვითარება შეიქმნა ირანსა და ოსმალეთს შორის სასაზღვრო შეტაკებებისა და ქერბალაში[6] ირანელი შიიტების მიმართ ძალადობრივი აქციების განხორციელების გამო, მაგრამ რუსებისა და ბრიტანელების ჩარევის შედეგად ომი თავიდან იქნა აცილებული. შემდგომი უთანხმოებების პრევენციის მიზნით, **1843 წელს შეიქმნა სასაზღვრო კომისია, რომლის მიერ მომზადებულ ხელშეკრულებასაც 1847 წელს მოეწერა ხელი ერზურუმში. ამ ხელშეკრულებით დადგინდა ირანის და**-სავლეთი საზღვრები, თუმცა კონკრეტულ დეტალებზე მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას მხოლოდ XX საუკუნეში მიაღწიეს.

ამრიგად, პრაქტიკულად XIX საუკუნის დასაწყისიდანვე, ირანში დიდი ბრიტანეთი და რუსეთი დომინირებდნენ და ექიშპებოდნენ ერთმანეთს. ბრიტანეთი და რუსეთი XIX საუკუნეში აბსოლუტურად განსხვავებულ იმპერიალისტურ პოლიტიკას ახორციელებდნენ. ბრიტანელები ცდილობდნენ (ან თავს მაინც აჩვენებდნენ, რომ ცდილობდნენ), რომ მათი იმპერიალისტური ინტერესები ასევე ყოფილიყო პროგრესის, ლიბერალიზმის, მეცნიერების, კომერციის განვითარების, ცხოვრების დონის ამაღლების ხელშემწყობი. საპირისპიროდ, რუსეთის, რომელიც ევროპაშიც ცდილობდა ტრადიციული წესრიგის შენარჩუნებას, მიზანი იყო ახალი დროის მოთხოვნების ნაწილობრივი ადაპტირების საფუძველზე შეენარჩუნებინა ძველი დინასტიური მონარქიები, არ დაეშვა პოლიტიკური რადიკალიზმი. ამდენად, ისინი ირანშიც სხვადასხვა მიზნებს ისახავდნენ. თუმცა, მათთვის მთავარი საკუთარი სტრატეგიული ინტერესები იყო, რომელშიც საკუთრივ სპარსეთის ინტერესები ნაკლებად იყო გათვალისწინებული. ამასთან კი, ამ ორი იმპერიის მეტოქეობამ ერთი სიკეთე მაინც მოუტანა ირანს – პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა ამ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთის მიერ მისი კოლონიად ქცევა.

მოჰამად შაჰის მმართველობის პერიოდი ნიშანდებულია მირზა აბას აღასის **(1783-1848) მოღვაწეობით**, რომელსაც **13 წლის მანძილზე ეკავა პირველი ვაზირის თანამდებობა. მირზა აღასი წარმოშობით** კავკასიიდან იყო და სუფიზმს მისდევდა. ამ მისტიკოსის შეფასებები საკმაოდ წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მან მხარი დაუჭირა მისი წინამორბედის, ყაემ მაქამის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილებას. თუმცა, შემდგომ მან შექმნა ნებისმიერი ძალადობისადმი მტრულად განწყობილი რეჟიმი, აკრძალა წამება. ამგვარი ქმედება XIX საუკუნის სპარსელი მაღალჩინოსნისაგან მართლაც რომ გასაკვირი იყო. ის გამოირჩეოდა ცხოვრების მარტივი წესით და შორს იდგა კორუფციისაგან. თუმცა, მეორე მხრივ, მას ბრალად უყენებდნენ, რომ შემოიკრიბა კავკასიელი ავანტურისტები, რომლებმაც უზამაზარი ქონება დააგროვეს; ასევე ბრალს დებდნენ მამათმავლობაში, სახელმწიფოს მართვის უცოდინარობაში, სიხარბეში, მისტიკოსი სუფიების დაწინაურებაში, რომელ-

6 შიიტთა წმინდა ქალაქი. ამჟამად ერაყის ტერიტორიაზე. სწორედ აქ დაიღუპა 680 წელს უმაიან ხალიფა იაზიდის ჯარებთან უთანასწორო ბრძოლაში მოციქულ მუჰამადის შვილიშვილი იმამი ჰუსაინი.

თაც ორთოდოქსი შიიტი ულემები რჯულგანდგომილებად მიიჩნევდნენ. სუფიურმა მრწამსიდან გამომდინარე, მან აკრძალა ევროპიდან იდეებისა თუ საქონლის ექსპორტი, კერძოდ ბრიტანული საფეიქრო საქონლისა. თუმცა მის ამ მცდელობას დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

ამ პერიოდში მოხდა მრავალი სუფი მოაზროვნის, რომელთა უმრავლესობაც სუნიტი იყო, მავზოლეუმების რესტავრაცია, როგორიც იყო ათარისა ნიშაბურში თუ მაჰმუდ საბესთარისა აზერბაიჯანში. „ჩვეულებრივი და მოდურიც კი გახდა სუფიდ ყოფნა, რაც ასევე თავისებური ფორმა იყო მუსლიმად თავის მიჩნევისა მეჩეთში სიარულის გარეშე“ (Richard, 2006: 47). ყოველივე ეს გამოიხატა აზროვნების თავისუფლების მანამდე არარსებული დონის მიღწევით.

ამგვარი ვითარება ბუნებრივად იწვევდა შიიტი ულემების უკმაყოფილებას. ზოგჯერ კონფრონტაცია ჭეშმარიტი სამხედრო ოპერაციების სახეს იღებდა, ვინაიდან ბევრ ულემს შეიარაღებული რაზმები ჰყავდა, რომელთაც აამოქმედებდა ცენტრალური ხელისუფლების უუნარობის შემთხვევაში. ისფაჰანში უმდიდრესი მოჯთაჰედის (არაბ. *მუჯთაჰიდ*)[7], რომელიც წინა შაჰის დროს დომინირებდა ქალაქში, სეიედ მოჰამად ბაქერ შაფთის (1766-1847) განკარგულებაში იყო ლუთიების[8] არმია, რომელიც დიდი სიძნელეებს უქმნიდა გუბერნატორ ხოსრო ხანს ქალაქის მართვაში. იმისათვის, რომ ეს რელიგიური მოღვაწე აეძულებინა უარი ეთქვა საერო ხელისუფლების საქმეებში ჩარევაზე, 1839 წელს მოჰამად შაჰი თავად ჩაუდგა სათავეში არმიას და ცეცხლი გაუხსნა ისფაჰანის საფორტიფიკაციო ნაგებობებს. შაფთი აიძულეს ქერბალაში გადასახლებულიყო.

ირანის ეკონომიკა XIX საუკუნის I ნახევარში

ომებმა და მათთან დაკავშირებულმა დიდმა სამხედრო დანახარჯებმა ქვეყანაში ეკონომიკური სირთულეები შექმნა. ეს უკვე სერიოზულად იგრძნობოდა ფათჰ ალი შაჰის ომებში რუსეთის წინააღმდეგ და მოგვიანებით კიდევ უფრო გაიზარდა ბრიტანეთთან დაპირისპირებისა თუ ირანის შეიარაღებისა და სამხედრო ძალის ქმედითუნარიანობის გაუმჯობესების მცდელობების გამო.

ეს სახელმწიფო ხაზინას მეტად მძიმე ტვირთად აწვებოდა და შეუძლებელი იყო ამ დონის დანახარჯების შემოსავლებით დაფარვა. ამ ვითარებაში მიღებულ წესად იქცა მიწის ან სხვა სახის საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების გადასახადებისაგან გათავისუფლება. ამგვარ ნაბოძებ საკუთრებას ჩვეულებრივ თიული ეწოდებოდა. პირველმა ომმა რუსეთთან აიძულა ფათჰ ალი შაჰი გაესხვისებინა სახელმწიფო მიწებისა და ქონების დიდი ნაწილი თიულების სახით სამხედრო დახმარების სანაცვლოდ. როგორც ეს ხშირად ხდებოდა ირანში თუ სხვაგან, ამ სახის საკუთრება მემკვიდრეობით გადაიცემოდა. მისი გადასახადებისგან გათავისუფლების გამო კი, ცენტრალური ხაზინა და რეგიონების მმართველები იმისათვის, რომ შემოსავლები არ შემცირებულიყო, ზრდიდნენ გადასახადებს მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისათვის.

მაშინ, როცა პირველმა ყაჯარმა მმართველმა აღა მოჰამადმა შეძლო შეენარჩუნებინა მიწის გადასახადი (ირანის საბაზო გადასახადი) 10 პროცენტის გონივრულ დონეზე (მიწების ზუსტი აღრიცხვის შეუძლებლობის პირობებში, ბუნებრივია, ეს უხეშად გამოყვანილი საშუალო მაჩვენებელი იყო), ფათჰ ალი შაჰმა, დიდწილად თავისი სამხედრო დანახარჯების გამო, გააორმაგა ეს გადასახადი დაახლოებით მოსავლის ერთ მეხუთედამდე და ის პრაქტიკულად ამ დონეზე დარჩა ყაჯართა მთელი მმართველობის მანძილზე (Curzon, II, 1969: 479-481). ყაჯართა პერიოდში მხოლოდ მცირე ღონისძიებანი თუ განხორციელდა აგრარული სექტორის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, რასაც შეეძლო გაეზარდა გლეხების კეთილდღეობა და მთავრობის შემოსავლები; გაუმჯობესების დიდი ნაწილი განხორციელდა იმ კერძო პირთა მიერ, რომლებიც აგრარული პროდუქციის ექსპორტს ეწეოდნენ.

ფართოდ გავრცელებული მომთაბარეობის გარდა, ირანის სასოფლო ეკონომიკა სხვა მახასიათებლებითაც გამოირჩეოდა, რაც ზეგავლენას ახდენდა ირანის საზოგადოებასა და პოლიტიკაზე XX საუკუნეშიც. პირველი იყო გვალვების შედეგად მიწების გამოფიტვა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე

7 უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენელი.

8 ყაჯართა პერიოდში ხშირი იყო შემთხვევები და ჩვეულებადაც კი იქცა, რომ ნებისმიერი ქალაქის ულემები გარშემო შემოიკრებდნენ ქალაქის დეკლასირებულ ელემენტებს, ქურდბაცაცებს (*ლუთი, რუფფიან*), რასაც ორივე მხარისათვის სასარგებლო შედეგები მოჰქონდა. ულემების კონტროლქვეშ ექცეოდა ბანდა, რომლითაც შესაძლებელი იყო ქუჩის მართვა და მღელვარებების გამოწვევა, როდესაც ულემები ამისკენ მოუწოდებდნენ. ლუთიებს, თავის მხრივ, ჰყავდათ დამცველი, რომელთანაც თავის შეფარება შეიძლებოდა, თუკი ხელისუფლება მათ წინააღმდეგ გაილაშქრებდა.

იზრდებოდა ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო. ეს კი ზღუდავდა ირანის უმეტეს ნაწილზე მოსახლეობის განსახლების საშუალებას. XIX საუკუნეში ირანის უზარმაზარ ტერიტორიას შეეძლო გამოეკვება მხოლოდ 5-დან 10 მილიონამდე ადამიანი. ირანელთა უმრავლესობა იძულებული იყო ეცხოვრა და ემუშავა სოფლად, რათა შეექმნა საკმარისი პროდუქცია ქალაქის მოსახლეობის მომარაგებისათვის.[9]

ირანის ვრცელ ტერიტორიაზე გაფანტული სოფლები და მეჩხერი სასოფლო მოსახლეობა გაცილებით ნაკლებად იყო განწყობილი აჯანყებებსა და რევოლუციურ მოძრაობებში ჩასაბმელად, ვიდრე უფრო მჭიდროდ დასახლებული და შინაგანად ორგანიზებული შორეული აღმოსავლეთის გლეხობა. გასული ორი საუკუნის ირანული საპროტესტო მოძრაობების უმრავლესობა ქალაქების მოსახლეობის მიერ წარიმართებოდა, გლეხობის ძალზე მცირე მონაწილეობით, თუ არ ჩავთვლით წყლით კარგად უზრუნველყოფილ და მჭიდროდ დასახლებულ ჩრდილოეთ რეგიონებს. აქ სასოფლო დასახლებების ურთიერთსიახლოვემ და გლეხების სოლიდარობის მაღალმა დონემ, ასევე კაპიტალისტური ურთიერთობების ადრეულმა დანერგვამ, უპირველესად ბრინჯის და აბრეშუმის წარმოების სფეროებში, შექმნა „თანამედროვე“ ("მოდერნულ") კლასებად დაყოფის წინაპირობები და ორგანიზებული გლეხობის ჩამოყალიბების საშუალება (იხ. Keddie, 1980).

ირანის მიწების გამოფიტვა და სარწყავი მიწების შედარებითი სიმცირე დამატებითი სტიმული იყო ნაყოფიერების გაუმჯობესების ძველი მეთოდის, მიწისქვეშა საირიგაციო არხების – ყანათების გაყვანისათვის. ამ საქმეში დახელოვნებულ მუშებს გაჰყავდათ მიწისქვეშა არხები ზედაპირზე გამომავალი საჰაერო ხვრელებით, რათა მთებიდან ქვემოთ მომდინარე წყალი შემდეგ ზედაპირზე ამოსულიყო და იგი მოეხმარა ერთ ან რამდენიმე სოფელს. სისტემის ტექნიკური გამომგონებლობის გვერდით, უნდა აღინიშნოს მისი სიმყიფე და დაუცველობა (ეს გარკვეულწილად შეეხება პრემოდერნული საირიგაციო სისტემების უმრავლესობას). დამპყრობლებს ან მტრულად განწყობილ ადგილობრივ მმართველებს შეეძლოთ შიმშილობა გამოეწვიათ სოფელში სისტემის მოშლით, და ეს განსაკუთრებით დაუცველებს ხდიდა მის მცხოვრებთ. ასევე აღსანიშნავია, რომ თუ სოფლელებს საკმარისი სახსრები არ გააჩნდათ ყანათების გამოცდილი მთხრელების დასაქირავებლად, თანხას იხდიდა მიწისმფლობელი, ვაჭარი, ან სახელმწიფო მოხელე, რომელიც წყლით უზრუნველყოფის საპასუხოდ ითხოვდა მოსავლის დიდ ნაწილს. ამგვარად, ამ უკანასკნელს შეეძლო სრული კონტროლი დაემყარებინა გლეხების მიწებზე. XIX საუკუნეში ვაჭრობისა და ექსპორტისათვის მოსავლის გაზრდილი მოთხოვნების პირობებში, გაჩდნენ შეძლებული ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ ფული დაებანდებინათ საირიგაციო სამუშაოებში ახალი მიწების დასათესად თუ ნაყოფიერების გასაზრდელად აგრარული პროდუქციიდან უფრო მეტი მოგების მიღების მიზნით. ზოგიერთი გლეხი გამდიდრდა კიდეც, მაგრამ მათი დიდი ნაწილის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა იგივე დარჩა ან გაუარესდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სამხედრო სფეროში რეფორმების მცდელობის მიუხედავად, სპარსეთი რჩებოდა ღრმად ტრაციონალისტურ ქვეყნად – ზუსტად ისეთად, როგორიც იყო წინა საუკუნეების მანძილზე (Katouzian, 2010: 141).

რელიგიური მოძრაობები XIX საუკუნის ირანში. ბაბიდების აჯანყება

მოჰამად შაჰის მმართველობის პერიოდში უცხო სახელმწიფოების, უპირველესად ბრიტანეთის, ზეგავლენა და როლი კიდევ უფრო გაიზარდა და სწორედ ამ დროს გაიგზავნა ბაზრის ხალხის მიერ დასავლური კონკურენციის წინააღმდეგ მიმართული პირველი პეტიციები შაჰთან. ამ პერიოდიდან იღებს სათავეს მნიშვნელოვანი რელიგიური მოძრაობები და ამბოხებები. შესაძლოა, ეს კავშირში იყო უცხოური ეკონომიკური ინტერვენციით გამოწვეულ ტრადიციული ირანული ყოფის დეზორგანიზაციასთან (Keddie, 2003: 46).

ერთ-ერთი ასეთი მოძრაობა უკავშირდება ირანის ისმაილიტთა თემს. ირანში ჯერ კიდევ არსებობდა შვიდიმამიანთა ანუ ისმაილიტთა თემი, რომლის მეთაურებიც აცხადებდნენ, რომ ე.წ. „ასასინების"იმამების უშუალო შთამომავლები იყვნენ. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ისმაილიტთა

9 XX საუკუნის დასაწყისისათვის ირანში სულ ასიოდე დასახლება იყო, რომელთა მოსახლეობა 5 ათასს აჭარბებდა. არც თეირანი და თავრიზი (200 ათასი მცხოვრები) და არც ისფაჰანი (120 ათასამდე) არაფრით ჰგავდა თანამედროვე ქალაქებს. ქუჩები არ იყო მოკირწყლული და განათებული. არ არსებოდა წყლით მომარაგების სისტემა და ნაგავსაყრელები.

ძირითადი ნაწილი ინდოეთში ცხოვრობს.[10] მათთვის იმამები არასოდეს გამქრალან. ისმაილიტთა რიგით **46-ე იმამმა ჰასან ალი შაჰმა (1804-1881) ფათჰ ალი შაჰისაგან მიიღო აღა ხანის ტიტული, რომ**ელსაც ისმაილიტთა იმამები დღემდე ატარებენ. ამჟამინდელი აღა ხანი ევროპაში ცხოვრობს და ფართო საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. ირანში კი არსებობს ისმაილიტთა მცირერიცხოვანი და თითქმის ყველასაგან დავიწყებული თემი.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო საუკუნის შუა ხანებში ბაბიდების მოძრაობის სახელით მესიანისტური ამბოხი (ბაბიზმი იყო საფუძველი შემდგომ ირანსა და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ გავრცელებული ეკუმენისტური რელიგიის – ბაჰაიზმისა).

ბაბიზმის ფუძემდებელი, სეიედ ალი მოჰამადი, დაიბადა 1819 წელს შირაზში, ვაჭრის ოჯახში. ის ახალგაზრდობიდანვე რელიგიური სულისკვეთებით იყო განმსჭვალული; სწავლობდა ყველაზე ცნობილ შიიტ ულემებთან იმ დროს ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ქერბალასა და ნაჯაფის შიიტთა წმინდა ქალაქებში. აქ ის გახდა შიიზმის შიგნით არსებული მიმდინარეობის – შაიხიზმის მიმდევარი.[11] შაიხიტური მრწამსი მოიცავდა გაცილებით უფრო ფილოსოფიურ და მისტიკურ იდეებს, ვიდრე ორთოდოქსული შიიზმი, მაგრამ მისი ყველაზე განსაკუთრებული ნიშანი იყო „მეოთხე ბურჯი", რომლის თანახმადაც ამქვეყნად ყოველთვის არსებობს ადამიანი, რომელსაც ძალუძს ფარული იმამის ინტერპრეტირება (და ალბათ, მასთან კავშირიც აქვს). შაიხიტები ასევე მიიჩნევდნენ, რომ არსებობდა „კარიბჭე" (ბაბ) რომლითაც ფარული იმამი უკავშირდებოდა თავის რჩეულს (Axworthy, 2008: 188).

სწორედ ამ პოსტულატის საფუძველზე, **1844 წელს, შირაზში დაბრუნების შემდეგ, ალი მოჰამად**მა საკუთარი თავი ფარული იმამის „კარიბჭედ" (ბაბ) გამოაცხადა.[12] მოგვიანებით, როდესაც ულემთა უმრავლესობამ იგი ერეტიკოსად შერისხა, ის დროდადრო თავს იმამადაც კი აცხადებდა და დასძენდა, რომ „დაბრუნდა," რათა ქვეყნიერება სრულყოფილი გახადოს და აღავსოს ის სამართლიანობით. შირაზსა და შემდგომ ისფაჰანში ის ქადაგებდა ულემთა კორუმპირებულობისა და გამყიდველობის წინააღმდეგ და როდესაც სამოქალაქო ხელისუფლებაც დაუპირისპირდა, მან მასაც ბრალი დასდო გარყვნილებაში.

ბაბმა მოძრაობა წამოიწყო მცირე, მაგრამ თავგადაკლული მომხრეების ჯგუფით, რომელთა რიცხვიც სწრაფად გაიზარდა. თავდაპირველად მრავალი მათგანი უერთდებოდა შაიხიტთა რიცხვიდან, რომელთაც საკმაოდ მყარი პოზიციები ჰქონდათ ირანში XVIII საუკუნის მიწურულიდან. თუმცა, მეორე მხრივ, ნაკლებად რადიკალურად განწყობილი შაიხიტები ამ ვითარებაში ხაზს უსვამდნენ და შემდგომშიც იგივეს აკეთებდნენ, რომ შაიხ აჰმად აჰსაის მოძღვრების თანახმად, ბაბის მოვლინება ღიად არ მოხდებოდა, მისი კონცეფცია სპირიტუალური იყო და არ უკავშირდებოდა რომელიმე კონკრეტულ ადამიანს.

დასაშვებია, რომ ღია სოციორელიგიურ მესიანისტურ ამბოხში გადაზრდილი ბაბის მოძრაობა, ნაწილობრივ გაგებულ იქნეს, როგორც ერთ-ერთი მრავალი რელიგიურ-პოლიტიკური მესიანისტური მოძრაობებიდან, რომლებიც წარმოიშვა ინდუსტრიული დასავლეთის პირველი შეჭრის შემდეგ დანარჩენ მსოფლიოში. ამ შეჭრამ აღმოსავლეთის ქვეყნები დაუქვემდებარა ახალ სავაჭრო ურთიერთობებს, მძიმე დარტყმა მიაყენა სახელოსნო წარმოებას, გამოიწვია აგრარული სექტორის რესტრუქტურიზაცია მშრომელთა დიდი ნაწილის საზიანოდ და ჰქონდა კიდევ სხვა მრავალი დამანგრეველი შედეგი. იმავდროულად კი დასავლეთის მაგალითებს კანონმდებლობის, რელიგიის, ტრადიციების სფეროში შეეძლო შეექმნა ნიადაგი ახალი იდეების გაჩენისათვის. ამგვარ მესიანისტურ მოძრაობებს შორის, რომლებიც იწყება ინდუსტრიული დასავლეთის შეჭრის პირველი ხანებიდან, არის ტაიპინთა ამბოხი ჩინეთში, აჰმადიას და სხვა ჯგუფების მოღვაწეობა ინდოეთსა და პაკისტანში, მაჰდისტური მოძრაობა სუდანში, სხვადასხვა ქრისტიანული და ნახევრადქრისტიანული მოძრაობები აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. მათი უმრავლესობის იდეოლოგიური შინაარსი, როგორც ბაბის მოძრაობის შემთხვევაში, ემყარებოდა იდეას, რომ ისინი წარმოადგენენ არამხოლოდ „ტრადიციულ" მესიანისტურ მოძრაობებს,

---

10 ასასინები (ისმაილიტთა ევროპული სახელწოდება) ითვლებიან პოლიტიკური ტერორიზმის ფუძემდებლებად. ისინი XI-XIII საუკუნეში იყვნენ აქტიურები, სანამ მონღოლებმა არ გაანადგურეს. ინდოეთში ისმაილიტთა გადასახლების შესახებ იხ. მაგ., Algar, 1969.

11 სახელი მოდის მოძრაობის დამფუძნებლის შაიხ აჰმად აჰსაიდან (1754-1826).

12 ჰიჯრის კალენდრით **1260 წელი – ფარული იმამის (შიიტთა უკანასკნელი მეთორმეტე იმამის) „გაუჩინარე**ბიდან" ათასი წელი. შიიტთა ერთი ნაწილის შეხედულებით, „გაუჩინარებიდან" სწორედ ათასი წლის შემდეგ უნდა მოვლინებოდა ფარული იმამი – მაჰდი ქვეყნიერებას.

არამედ დამატებით დაკავშირებული არიან დასავლეთის შემოჭრით გამოწვეულ ახალ პირობებთან (იხ. მაგ., Amanat, 1989; Bayat, 1982).

იმ იმედის დაკარგვის შემდეგ, რომ გახდებოდა რეფორმირებული ისლამის წინამძღოლი, ბაბმა არა მხოლოდ დაგმო სამოქალაქო და რელიგიური ხელისუფალნი, არამედ გამოაცხადა ახალი წმინდა წიგნის – „*ბაიანის*“ ზეგარდმოვლენა, რომელში შეტანილი კანონებიც ყურანის მრავალ მიწერილობას ცვლიდა. თავის თხზულებასა და ქადაგებებში ბაბი მოითხოვდა სოციალური სამართლიანობის დამყარებას. მისი ნააზრევის ნაწილობრივ მოდერნული, შესაძლოა „ბურჟუაზიული“ შინაარსი გარკვეულწილად იკვეთება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა პროდუქტიული შრომის უმაღლესი შეფასება, თავის დამცირების, მათხოვრობის დაგმობა (რაც არ იგმობა ისლამში, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება მათხოვრობას), მოწოდება გულისხმიერი და ჰუმანური დამოკიდებულებისა ბავშვებისა და სხვების მიმართ და ფინანსური ინტერესის ქონის აკრძალვის გაუქმება. ის მოუწოდებდა, შესაძლოა ზუსტად თანამედროვე ეკონომიკური ტერმინოლოგიით არა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისაკენ, ვაჭრობისა და სარგებლის მიღების თავისუფლებისაკენ და დესპოტური გადასახადების შემცირებისაკენ. ის ასევე ქადაგებდა ქალებისათვის მეტი უფლებების მინიჭებას, რომლებსაც უნდა ჰქონოდათ განათლების მიღების საშუალება, და მათზე ფიზიკური ზემოქმედების აკრძალვას, ასევე პოლიგამიის შეზღუდვას. ირანში გენდერული თანასწორობის დამყარებისაკენ მიმართულ ამ პირველ მოკრძალებულ მცდელობებში გამორჩეული როლი შეასრულა ყაზვინელი თეოლოგის ქალიშვილმა ზარინთაჯ ბარაყანიმ (1814-1852), რომელსაც *ყორათ ალ-ეინი* (თვალთა ნუგეში) ეწოდა, ბაბი კი *თაჰერეს* – წმინდას ეძახდა. ყორათ ალ-ეინმა საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული და ლექსებსაც წერდა. გადმოცემით, ის ჩადრის გარეშე ქადაგებდა. მაგრამ ბაბის მიმდევარი ქალების უმრავლესობა ამ ადრეულ ხანაში ასე შორს არ წასულა.

მოგვიანებით ბაბი იმასაც კი ამბობდა, რომ იყო მოციქული და იმამი ერთდროულად და დაბრუნდა, რათა სრულყოფილი სამართლიანობა დაამყაროს ამქვეყნად. ის მესიანისტურ განწყობებს აღვივებდა საკუთარ მიმდევრებში. მისი იდეების სხვაობას ყურანთან ის ხსნიდა, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, პროგრესული ევოლუციონიზმის თეორიით, რაც მეტად იშვიათი იყო წინამოდერნულ ხანაში (Keddie, 2003: 47). მუსლიმებს სწამთ, რომ მუჰამადამდე არსებობდნენ მოციქულები, მაგრამ თითოეული მათგანის გამოცხადება არსებითად იდენტური იყო, რომლიდანაც ზოგიერთმა მიმდევარმა გადაუხვია და ისინი უნდა დაბრუნებოდნენ ჭეშმარიტ რწმენას ახალი მოციქულის მეშვეობით. მაგრამ მუჰამადი იყო უკანასკნელი მოციქული (თუნდაც რომ ზოგჯერ ალისა და ჰუსაინს შიიტები შესაძლოა არანაკლებ ეთაყვანებიან, მაგრამ მათი ნააზრევი, სწორედ მუჰამადისეულ რწმენაზეა დამყარებული). საპირისპიროდ, ბაბი ამტკიცებდა, რომ თითოეულ მოციქულს ახალი გამოცხადება მოაქვს, რაც კაცობრიობის მზარდი მომწიფების შესაბამისია და ყოველი ახალი გამოცხადება ცვლის მის წინამორბედს. ამგვარად, „*ბაიანი*“ არ წარმოადგენს ყურანის ინტერპრეტაციას, არამედ ცვლის მას და იმავდროულად ანვითარებს მის არსს. წარსულის მოციქულები თაყვანისცემას იმსახურებენ და მათთვის ზეგარდმოვლენილი კანონები საჭირო იყო მათი სამოციქულო ციკლის პერიოდში, მაგრამ კანონები, რომლებიც შეიცვალა, აღარ არის მოქმედი. ეს დოქტრინა მორწმუნე მუსლიმების მიერ მეტად საშიშად იქნა აღქმული და მიჩნეულ იქნა ისლამიდან რადიკალურ ერეტიკულ გადახრად.

პოლიტიკურმა ვითარებამ საფრთხე შეუქმნა ბაბის მოძრაობას. 1848 წელს მოჰამად შაჰი გარდაიცვალა და ბრიტანული და რუსული მხარდაჭერა გახდა გარანტია იმისა, რომ ტახტზე ასულიყო მემკვიდრე პრინცი, ჯერ კიდევ ჭაბუკი ნასერ ად-დინი, რომელმაც 44 წელი იმეფა (1848-1896). მუსლიმურ ქვეყნებში ახალი მონარქის ტახტზე ასვლის პერიოდი ხშირად არეულობისა და ამბოხებების ხანაა – რამდენადაც ჯერ კიდევ არ არის ახალი მეფე, რომელიც სატახტო ქალაქიდან მართავს, მრავალი მიიჩნევს, რომ მმართველი საერთოდ არ არის. ირანში მემკვიდრე პრინცებს რამდენიმე კვირა სჭირდებოდათ თავრიზიდან თეირანში გადასასვლელად და ეს პერიოდი, შესაძლოა, მათთვის საფრთხის შემცველი, ხოლო მათი ოპონენტებისათვის ხელსაყრელი ყოფილიყო. ბაბიდები შეეცადნენ გამოეყენებინათ ეს შესაფერისი სიტუაცია ამბოხებათა წამოწყებისათვის და მოახერხეს ანკლავების შექმნა, თავდაპირველად კასპიისპირა პროვინციის მაზანდარანის ერთ სოფელში, ხოლო შემდეგ ზოგიერთ ქალაქშიც. ბაბიდების ამბოხებებს კოორდინირება აკლდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამდენად, კომუნიკაციების სირთულისა და ტრანსპორტის არარსებობის პირობებში, ხელისუფლებას ეყო ძალა 1848-1851 წლებში სასტიკად ჩაეხშო აჯანყება და მრავალი ბაბიდი დაეხოცა – ისინიც კი, ვინც სიცოცხლის შენარჩუნების პირობით ჩაბარდა მას. ბაბი ჯერ კიდევ ამბოხებათა დაწყებამდე შეიპყრეს. მისმა საერო და სასულიერო მოწინააღმდეგეებმა მიიჩნიეს, რომ ბაბის მიერ გამოწვეული მესიანისტური განწყობები ამბოხებათა მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო და შეიძლებოდა ჩახშობი-

ლიყო მისი სიკვდილით დასჯით. ის გადაიყვანეს თავრიზში, სადაც ულემების მიერ დაიკითხა მისი რელიგიური მრწამსის შესახებ და მიესაჯა დახვრეტა. პირველმა ჯერმა მტვერი დააყენა და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ თოკები გაეწყვიტა, რომლითაც ბაბი იყო შეკრული. ის ისევ დააკავეს და მეორე ჯერზე უკვე აღარ აუცდენიათ.

ნასერ ად-დინ შაჰს საკმაოდ კარგი განათლება ჰქონდა მიღებული. მამამისის მსგავსად, მასაც ფრანგი აღმზრდელი ჰყავდა. ის კარგად ერკვეოდა ისტორიასა და ლიტერატურაში; შესანიშნავად ხატავდა – ცნობილია იუმორით აღსავსე მის მიერ შესრულებული სამეფო კარის წარმომადგენელთა კარიკატურები. ის დაინტერესებული იყო ახალი ტექნიკური მიღწევებითაც, კერძოდ ფოტოგრაფიით. მაგრამ პირველ რიგში ის ყაჯარი იყო – ამჯობინებდა მოძრაობასა და ნადირობას სამეფო კარის ინტრიგებსა და სასახლეებში ცხოვრებას. მსგავსად მისი წინამორბედებისა, ნასერ ად-დინიც შეპყრობილი იყო განდიდების მანიით. ფათჰ ალი შაჰის მიერ მიღებულ ტიტულებს მან დაუმატა *ზილ ალლაჰი* (ღმერთის აჩრდილი). მლიქვნელები კი სამეფო კარზე მას უწოდებდნენ „სამართლიანობის დამამყარებელს," „უზენაეს მსაჯულს," „სამყაროს ღერძს," „მორწმუნეთა წინამძღოლს" და ა.შ. (Abrahamian, 2008: 4). **თუმცა, ის არ გამოირჩეოდა ღრმა რელიგიურობით და არც მამამისის მმართველობის არაძალადობრივი** პრინციპები გაუზიარებია. ის თვითონ უძღვებოდა ბაბის სასამართლო პროცესს თავრიზში. შემდგომში მას არ უყოყმანია ყოფილი ერთგული ხელქვეითების სიკვდილით დასჯა.

აჯანყებების ჩახშობის შემდეგ ბაბიდთა მცირე ჯგუფმა სცადა შაჰის მოკვლა 1852 წელს. ამას ისევ მოჰყვა ბაბიდთა სასტიკი დევნა და მათი ამოწყვეტა, ქალი პოეტი-მქადაგებლის ყორათ ალ-ეინის ჩათვლით. გადარჩენილ ბაბიდებს ან უნდა დაეფარათ საკუთარი რწმენა, ან ქვეყნიდან გაქცეულიყვნენ. თავდაპირველად მათი კონცენტრაცია ოსმალეთის იმპერიაში მოხდა. თვითონ ბაბის მიერ შერჩეულმა ახალმა ლიდერმა მირზა იაჰია ნური სობჰ-ე აზალის (მარადიულობის განთიადი) სახელი მიიღო. მას მალე დაუპირისპირდა მისი გაცილებით უფრო ენერგიული ნახევარძმა ბაჰაოლა, რომელმაც შეძლო თემის უმრავლესობა საკუთარ მხარეზე გადაებირებინა. მოციქულთა ბაბის პროგრესული თეორიის ჩარჩოებში, ის ქადაგებდა, რომ მომავალში ქვეყანას ახალი მოციქული მოევლინებოდა, რომელშიც „ღმერთის მანიფესტაცია" მოხდებოდა და რომლის ახალი წმინდა წიგნი შეცვლიდა ძველს. 1863 წელს ბაჰაოლამ საკუთარი თავი სწორედ ამ მოციქულად გამოაცხადა და თავისი თხზულებებით შექმნა ახალი – უფრო კოსმოპოლიტური, პაციფისტური, ლიბერალური დოქტრინა, რომელიც დიდწილად ჩაენაცვლა ბაბის რადიკალურ მესიანიზმს.

ბაჰაიტები მიმდევრებს იჩენდნენ ირანის საზღვრებს გარეთ, მაგრამ ასევე იყვნენ (და არიან) თითქმის უეჭველად ყველაზე მრავალრიცხოვანი არამუსლიმური რელიგიური თემი ირანში, მაშინ როცა სობჰ-ე აზალის მიმდევრების, აზალიების რიცხვი რამდენიმე ათასს არ აღემატება, და პრაქტიკულად ყველა ირანელია. არც ერთი ჯგუფი არ ითვლება რელიგიად არც ირანში და არც რომელიმე სხვა მუსლიმურ ქვეყანაში. მუსლიმური სამართლით მოქცევა შეიძლება ისლამზე ან არამუსლიმურ რელიგიაზე, მაგრამ არა ისლამიდან, რაც ღვთისგმობადაა მიჩნეული.

1863 წლის შემდეგ აზალიები ინარჩუნებდნენ რადიკალური ამბოხის სულისკვეთების კომპონენტს ისევე, როგორც სიძულვილს ყაჯარების მიმართ, რაც უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მათი სიძულვილი შიიტი ულემებისადმი, და ამდენად, ბევრი აზალი აღმოჩნდა **1905-11 წლების კონსტიტუციური რევოლუციის** წინამორბედთა და მონაწილეთა შორის. პაციფისტი ბაჰაიტები, მეორე მხრივ, თავს არიდებდნენ პირდაპირ პოლიტიკურ აქტივობას, თუმცა ზოგიერთ მათ ქმედებას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, და მათ საკუთარი ნეიტრალიტეტის შესახებ განაცხადეს 1905-11 წლების რევოლუციასთან დაკავშირებით (რაც ზოგჯერ ობიექტურად შაჰების მხარდაჭერის ტოლფასი იყო). მრავალმა ბაჰაიტმა მიიღო თანამედროვე განათლება და როგორც სხვა დასავლური განათლებამიღებული ან ევროპელებთან მომსახურე უმცირესობა, ხშირად იწვევდნენ ეჭვს, რომ გამოხატავდნენ დასავლეთის ინტერესებს, რაც მათდამი რელიგიურ სიძულვილს ამატებდა ანტიდასავლურ განწყობას. თუმცა ბაჰაიტები, როგორც სხვა უმცირესობები, ალბათ სულაც არ ცდილობდნენ მტრული განწყობების გაღვივებას. გარდა თანამედროვე განათლებას ზიარებისა, ბაჰაიტები ხშირად იყვნენ პროფესიონალები ან ბიზნესმენები და ყოველივე ეს მათ ხშირად განტევების ვაცად აქცევდა. ბაჰაიზმი, რომელიც ქადაგებდა არაძალადობრივ, პაციფისტურ, კოსმოპოლიტურ, ინტერნაციონალურ და ეკუმენისტურ რელიგიას, უარყოფდა ტრადიციული ისლამის სიხისტეს და გახსნილი იყო გარე, კერძოდ, დასავლური ზეგავლენისათვის.

ბაბიდები ხელისუფლებისა და სასულიერო წოდებისათვის საერთო მტრებს წარმოადგენდნენ. ამდენად, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა ამ ორ ძალას შორის (განსაკუთრებით მძაფრი იყო პირველი ვაზირის ამირ ქაბირის და ულემების დაპირისპირება), ამ ერთობლივმა ბრძოლამ ხელი შეუწყო მათ დაახლოებას.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და რეფორმების მცდელობაXIX საუკუნის შუა ხანებში

მთავარი ვაზირი, რომელიც ნასერ ად-დინმა თან წამოიყვანა თავრიზიდან, მირზა თაყი ხანი, იგივე ამირ ქაბირი (1807-1852), აქტიურად იყო ჩართული ბაბიდების რეპრესიებში. სამეფო კარზე მოხვედრილი უბრალო წარმომავლობის ეს უაღრესად ნიჭიერი ადამიანი პირველი იყო აბას მირზას შემდეგ, ვინც სცადა ქვეყნის „ზემოდან“ მოდერნიზება. ისე, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ყაჯართა პერიოდში, ამირ ქაბირი ნაწილობრივ მისდევდა ოსმალეთის იმპერიის მაგალითს. მასზე ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთში მოგზაურობებმა.

1829-30 წლებში ის იყო სანკტ-პეტერბურგში გრიბოედოვის მკვლელობისათვის ბოდიშის მოსახდელად გაგზავნილი მისიის წევრი; იქ ათი თვის მანძილზე შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა სკოლებს, თანამედროვე დაწესებულებებს, არსენალს, სამრეწველო ქარხნებს და ა.შ. 1837 წელს მირზა თაყი ხანი კიდევ ერთხელ მოხვდა რუსეთში, როგორც უფლისწულის ამალის წევრი, კავკასიაში მყოფ მეფესთან მოკლე ოფიციალური ვიზიტისას. მაგრამ თანამედროვე პოლიტიკური კულტურა მან უპირველესად ოსმალეთში აღმოაჩინა. ის მთავარი ფიგურა იყო, როდესაც ბრიტანელებმა აიძულეს სპარსელები და ოსმალები მოლაპარაკებების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ ამ უკანასკნელთა მოჰამარაზე[13] შეტევისა და ქურთისტანში არაერთი სასაზღვრო კონფლიქტის შემდეგ. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა არზრუმში, ანატოლიაში და 4 წელი (1843-1847) გაგრძელდა. მირზა თაყი ხანი ოსმალეთში გახდა თანზიმათის რეფორმების შედეგების მოწმე, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

იყო რა ქვეყანაში ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე ადამიანი (თუნდაც მცირე ხნით), ირანული საზოგადოებისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი დაპირისპირება სახელმწიფოსადმი სწორედ მისდამი სიძულვილში გამოიხატა. მაგრამ ისიც სახასიათოა ირანული საზოგადოებისათვის, რომ მისი მარცხისა და მკვლელობისა შემდეგ, ის პოპულარული გახდა და მისი იდეალიზაციაც კი მოხდა (Katouzian, 2010: 153).

ამირა ქაბირი

როგორც სხვა აზიური ქვეყნების რეფორმატორები, ის უპირველესად დაინტერესებული იყო რეფორმით სამხედრო სფეროში. მან დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით მოკიდა ხელი აბას მირზას დაწყებული საქმის გაგრძელებას. გარდა ტომების ლაშქრების რეორგანიზაციისა, მან შემოიღო ე.წ. *ბონიჩეს* სისტემა, რომლის მიხედვითაც ყოველ პროვინციას ევალებოდა ქვეყნის არმიისათვის ჯარისკაცთა გარკვეული რაოდენობის რეკრუტირება (იქვე, 154). ამირ ქაბირი შეეცადა დასავლური მაგალითის მიხედვით მოეხდინა არმიის რეორგანიზაცია, გაემყარებინა ჯარების ევროპული სტილით მომზადება და წვრთნა. მაგრამ იგი არ შემოფარგლულა მხოლოდ არმიის რეფორმირებით. დაცარიელებული ცენტრალური ხაზინის შევსების მიზნით, მან შეამცირა სინეკურების (მაღალანაზღაურებადი თანამდებობების) რაოდენობა და სახელმწიფოს დაუბრუნა საეჭვო გზით მიღებული მრავალი თიული, შეცვალა რა ისინი მცირე პენსიებით. მან დაარსა პირველი ოფიციალური გაზეთი და პირველი უმაღლესი საერო სკოლა *დარ ალ-ფონუნი* (ტექნიკის სახლი) თეირანში,[14] რომელიც ითვალისწინებდა სპეციალისტების მომზადებას როგორც სამეცნიერო-ტექნიკურ, ისე სამხედრო სფეროში. იქ ევროპელები ასწავლიდნენ ადგილობრივი თარჯიმნების დახმარებით (მასწავლებლებად ძირითადად ავსტრიელებსა და ფრანგებს იწვევდნენ, რათა თავი აერიდებინათ რუსეთისა და ბრიტანეთის პოლიტიკური ზეწოლისათვის). წლების მანძილზე ეს იყო ერთადერთი თანამედროვე სკოლა ირანში. მოგვიანებით ნასერ ად-დინ შაჰი დაშინდა თანამედროვე განათლების გაუთვალისწინებელი შედეგების გამო და შეზღუდა როგორც განათლების მიღება ირანში, ისე უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნა. თუმცა, დარ ალ-ფონუნმა არსებობა გააგრძელა და ანალოგიური უმაღლესი სკოლა გაიხსნა თავრიზშიც. დარ ალ-ფონუნის მფარველობით პირველად

13 ქალაქი შატ ელ-არაბის მარჯვენა სანაპიროზე. ამჟამად ეწოდება ხორამშაჰრი.

14 ბედის ირონიით, დარ ალ-ფონუნი ოფიციალურად მირზა თაყი ხანის თანამდებობიდან გადაყენების (1851 წლის ნოემბერი) შემდეგ გაიხსნა – 1851 წლის დეკემბერში.

ითარგმნა სპარსულად დასავლური წიგნები სხვადასხვა სფეროში, გამოიცა პირველი სპარსული სახელმძღვანელოები, და ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმაც მიიღო განათლება.

თუმცა, დარ ალ-ფონუნის კურსდამთავრებულთა რიცხვი არ იყო იმდენად დიდი, რომ დარტყმა მიეყენებინა ძველი სტილის ბიუროკრატიისათვის სახელმწიფო ადმინისტრაციაში. ნასერ ად-დინის მეფობის დასასრულისათვის განათლების დეფინიცია მოსახლეობის უმრავლესობისათვის არ ცდებოდა ყურანის სკოლის (*მაქთაბ*) და სემინარიის – მადრასეს ტრადიციულ კონცეფციას. ულემებს გააჩნდათ ძალა წინ აღდგომოდნენ ყოველგვარ პოტენციურ რეფორმას, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ძველ სქოლასტიკურ განათლების სისტემას. ფილოსოფიის (*ჰექმათ*) შემსწავლელნი და სუფიზმისა და შაიხიზმის მიმდევრები იზოლირებულნი ან განდევნილნი იყვნენ (სანიკიძე, 2005: 177).

ალი ყული მირზა ეთეზად ას-სალთანე (დარ ალ-ფონუნის მმართველი 1857-1880 წწ.) თეირანსა და თავრიზში დარ ალ-ფონუნის სკოლების მიზნების შესახებ:

„თავდაპირველად ამ სამეფოს [ირანის] ხალხისათვის უცნობი იყო უცხოური მეცნიერებანი და ტექნოლოგიები... მათ გაცნობასა და შესწავლას ფუჭ საქმედ თვლიდნენ. ამ მიზეზით [შაჰმა] გადაწყვიტა გაეგზავნა ბავშვები სკოლაში. სხვა ფაქტორი იყო ის, რომ არითმეტიკის სფეროში, გარდა შაიხ ბაჰაის „*ხოლასათ ალ-ჰესაბისა*"[15], არც ერთი წიგნი არ იყო ხელმისაწვდომი. დამატებით [სწავლულები] მიიჩნევდნენ, რომ ზოგიერთი [მათემატიკური] საკითხი ამ წიგნში იმდენად მოძველებული იყო, რომ მათ არ სურდათ სხვებისათვის ამის სწავლება და ცდილობდნენ დაემალათ კიდეც. ამჟამად ამ ამაღლებული სკოლის მეორე და მესამე დონის სტუდენტებს შეუძლიათ უკეთ და უფრო სრულად წერონ, ვიდრე „*ხოლასათშია*". იგივე ითქმის გეომეტრიის შესახებ, სადაც ევკლიდეს „*თაჰრირის*" გარდა, არაფერი იყო და მრავალი ისეთი თავი ისწავლებოდა „*თაჰრირიდან*", რომელთაც პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდა. ასეთივე მდგომარეობა იყო საინჟინრო, სამკურნალო, ფიზიკის, სატელეგრაფო, ხელოვნების, ინფანტერიის, კავალერიის, არტილერიის, კარტოგრაფიის, ტელესკოპების დამზადების მეცნიერებათა სფეროებში. [ამ დარგებში] ამ ქვეყანაში ადრე არაფერი კეთდებოდა. დღეს კი ყველა ამ მეცნიერებაში მომზადებულია კარგად ნასწავლი და გაწვრთნილი სტუდენტები.

რამდენადაც ზოგიერთი სტუდენტი, ახალგაზრდობის გამო, არაა სპარსულისა და არაბულის კარგი მცოდნე და რამდენადაც ეროვნული კულტურის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს... აღა შაიხ მოჰამად სალეჰს, რომელიც სწავლული ადამიანია და ცნობილია თავისი ღვთისმოსაობით, მიეცა ერთი ოთახი სკოლაში, რათა ასწავლოს სტუდენტებს სპარსული და არაბული, ლოცვისა და მარხვის ტრადიციები და მნიშვნელობა. ის უძღვება მათ ლოცვას და სტუდენტები მასთან ერთად ჯგუფურად ლოცულობენ.

რამდენადაც ირანელი ხალხის ნაწილი არ ენდობა ევროპულ სამედიცინო პრაქტიკას, მედიცინის დარგის სტუდენტებისათვის სპარსული დომინირებადი სამედიცინო პრაქტიკის გაცნობის მიზნით, მირზა აჰმად ჰაქიმბაში ქაშანი, რომელიც როგორც ცოდნის, ისე პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისით საუკეთესოა ირანელ ექიმთა შორის, დაინიშნა სპარსული მედიცინის მასწავლებლად [ამ] დალოცვილ სკოლაში.

...სკოლის კურსდამთავრებულებს უმაღლესი პოსტები უკავიათ სახელმწიფო და სამხედრო უწყებებში...

...ახალი სტიპენდიები არ მიეცემათ ახალ სტუდენტებს, თუ ისინი არ არიან დიდგვაროვნების შვილები და ვისაც დანიშნული აქვს უკვე სამემკვიდრეო სტიპენდია – მათ ეს გაუგრძელდებათ. მაგრამ დიდგვაროვნების სხვა შვილებს არ მიეცემათ მემკვიდრეობითი თანამდებობები და სტიპენდიები, თუ ისინი არ ისწავლიან და არ დაასრულებენ დარ ალ-ფონუნს."

(გამოქვეყნებულია გაზეთში *რუზნამეჰე ვაყაიეყე ეთთეფაყიე*, 456, 19 ჯომადი 1276/14 დეკემბერი 1859; ციტ. Ringer, 2006: 45-46 მიხედვით).

რეფორმები პირდაპირ „ურტყამდა" ძველ პრივილეგიებს და საკრალიზებულ ჩვევებს. მაგ., რუსეთთან თურქმანჩაის ხელშეკრულებაში ჩაწერილი იყო, რომ მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის დავის გადასაწყვეტად უნდა შექმნილიყო შერეული სასამართლოები – ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი შეტევა ულემთა, როგორც მოსამართლეების პრივილეგიებზე და ზოგადად შარიათზე. ამირ ქაბირის რეფორმები, რომელთა გატარებასაც იგი დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით შეუდგა, ასევე საფუძ-

15 შაიხ ბაჰაი (ბაჰა ად-დინ ალ-ამილი) (1747-1621) – სეფიანთა ხანის გამოჩენილი მეცნიერი, ისფაჰანის ფილოსოფიური (თეოსოფიური) სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მას არაერთი ნაშრომი ეკუთვნის მეცნიერების სხვადასხვა სფეროებში. მათ შორისაა ზემონახსენები თხზულება „არითმეტიკის კომპენდიუმი", რომელიც 1843 წელს გერმანულადაც გამოიცა.

ველშივე არ პასუხობდა შიიტური სამღვდელოების ინტერესებს.[16] მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ცენტრალიზაციისათვის გამიზნული რეფორმების წარმატებისათვის აუცილებელი იყო ჰიეროკრატიის[17] ძალაუფლების მოსპობა (Arjomand, 1988: 78).

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალების მიხედვით, მირზა თაყი ხანი ბრიტანეთის კონსულ სტივენსთან თურქეთში სახელმწიფოსა და სამღვდელოების ურთიერთობასთან დაკავშირებით საუბრისას ხაზს უსვამდა, რომ ამ ქვეყანაში რეფორმების ჩატარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სამღვდელოების ძალაუფლების შეზღუდვის შემდეგ. „ოსმალურმა ხელისუფლებამ მხოლოდ მას შემდეგ შეძლო აღედგინა თავისი სიძლიერე, როდესაც ბოლო მოუღო მოლების ბატონობას“ (ციტ. Иванов, Зайцев, 1988: 114). იგი მიიჩნევდა, რომ სამღვდელოების ძლიერი პოზიციების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი სახის რეფორმები შეუძლებელი იყო. პირველი მინისტრი აცხადებდა, რომ იმოქმედებდა თურქეთის მთავრობის მსგავსად ანდა თავს დადებდა ამ ბრძოლაში. მას არაერთხელ განუცხადებია საჯაროდ, რომ „მთელ ირანში სამღვდელოება მიისწრაფვის პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ და [სახელმწიფო საქმეებში] ჩარევისაკენ“ (Adamīiat, 1961: 418).

სამღვდელოების გავლენის შემცირების მცდელობას, ბუნებრივია, დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. სამწუხაროდ, ისტორიულ წყაროებში მეტად მცირეა ცნობები მირზას უშუალო დაპირისპირების შესახებ სამღვდელოებასთან. მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივიდან ირკვევა, რომ მიმდინარეობდა საკმაოდ დაძაბული ბრძოლა მთავრობის მეთაურსა და სამღვდელოებას შორის. ირანში რუსეთის წარმომადგენელი თავადი დოლგორუკი პეტერბურგში გაგზავნილ წერილებში აღნიშნავდა, რომ ბრძოლას საერო და სასულიერო ხელისუფლებას, უფრო სწორად, პირველ მინისტრსა და სამღვდელოებას შორის შესაძლოა მეტად მძიმე შედეგები მოჰყვეს და იგი გადაიზარდოს „სამოქალაქო ომში“ (ციტ. Иванов, Зайцев, 1988: 116).

პირველი მინისტრი ცდილობდა გაეტარებინა შარიათის სასამართლოების შემზღუდავი ღონისძიებები. მან შემოიტანა ზოგიერთი ახალი საპროცესო წესი. კერძოდ, შარიათის სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება განსახილველად უნდა გადასცემოდა სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებულ *დივან-ხანეს* (სასამართლოს). პროვინციების სასამართლოებში დამყარდა სახელმწიფო ზედამხედველთა სამსახურის მკაცრი კონტროლი. სამღვდელოების იმ წარმომადგენელთა მიმართ, რომლებსაც დაუმტკიცდებოდათ ფიცის სიცრუე ანდა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტი, დივან-ხანეს შეეძლო მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება. „ამირ ქაბირმა შეიტანა ცვლილებები სასამართლო სისტემაში... შეამცირა შარიათის სასამართლოების კომპეტენცია და გააფართოვა ურფის (ჩვეულებითი) სასამართლოების უფლებები; რელიგიურ უმცირესობათა (ზოროასტრელები, იუდევლები, ქრისტიანები) სასამართლო საქმეები არ შედის შარიათის სასამართლოების იურისდიქციაში და მაშინვე გადაცემულ უნდა იქნეს დივან-ხანეში [ე.ი. სამოქალაქო სასამართლოებში]“ (Adamīiat, 1961: 48-49).

მირზა თაყი ხანი ასევე ცდილობდა სამღვდელოებაში დანერგილი საპროტესტო მჯდომარე აქციების (*ბესთ*[18]) პრაქტიკის მოსპობას. ამგვარ აქციებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნდათ. ამ პერიოდში ბესთისათვის თავშესაფრებს წარმოადგენდნენ არა მხოლოდ წმინდანთა მავზოლეუმები და მეჩეთები, არამედ ცნობილ მოჯთაჰედთა სახლებიც. აბსოლუტიზმის პრეტენზიის მქონე რეჟიმს არ სურდა შეგუებოდა თავისუფლების ამგვარი ოაზისების არსებობას, რომლებიც მიუწვდო-

16 აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდობაში ხომეინი მაღალ შეფასებას აძლევდა ამირ ქაბირის მოღვაწეობას, თუმცა მოგვიანებით აზრი შეიცვალა (Qāderi, 2000: 331).

17 ჰიეროკრატია – სიტყვასიტყვით კულტის მსახურთა ხელისუფლება. ტერმინი, რომელიც დღეს ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში (უპირველესად ისლამურ სამყაროსთან მიმართებაში), დაამკვიდრა გერმანელმა სოციოლოგმა მ. ვებერმა (იხ. Вебер, 1994).

18 ბესთი, ანუ „წმინდა ადგილების“ – მეჩეთების, შიიტი წმინდანების საფლავების თავშეფარება, რომლებიც ხელშეუხებლად ითვლებოდა, უკვე სეფიანთა პერიოდიდან წარმოადგენდა მშვიდობიანი ბრძოლის ფორმას. ზოგჯერ ბესთს იყენებდნენ ქალაქელები ხელისუფლების დევნისაგან თავდასახსნელად. XX ს. დასაწყისის რუსი ავტორი ლ. ბოგდანოვი კი ამგვარად განმარტავს ბესთს: „ბესთს (წინაღობა, ღობე) უწოდებენ სრულიად სხვადასხვა ადგილებს, რომლებიც თავშესაფარს წარმოადგენენ მათთვის, ვინც დაარღვია გარკვეული კანონი და ვისაც სურს დროებით თავი აარიდოს მართლმსაჯულებას, რომ იმ პერიოდში, სანამ იგი ბესთში იმყოფება, მისი საქმეები მოაწესრიგონ იმ პირებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მის საქმიანობაში. ამგვარი ადგილები ჩვეულებრივ მეჩეთები და წმინდანთა საფლავებია, ასევე შაჰის საჯინიბოც“ (Богданов, 1909: 124). აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური რევოლუციის დროს, 1905 წელს, ბესთისათვის სამღვდელოებამ ბრიტანეთის საელჩოს ტერიტორია გამოიყენა.

მელს ხდიდნენ არა მარტო კრიმინალებს, არამედ რეჟიმის პოლიტიკურ ოპოზიციონერებსაც. ბესთის აკრძალვის მცდელობამ სამღვდელოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. საბოლოო ჯამში, ამირ ქაბირმა მაინც მოახერხა ბესთისათვის გამიზნული ადგილების შეზღუდვა. **1850 წლიდან ბესთის ადგილად** ითვლებოდა მხოლოდ იმამ რეზას მეჩეთი მეშჰედში, მისი დის – ფატიმას მეჩეთი ყუმში, მეჩეთი შაჰ აბდულ აზიმი თეირანში, აგრეთვე შაჰისა და *სადრ აზამის* (დიდვაზირი, პრემიერ-მინისტრი) საჯინიბოები.

ისიც აღსანიშნავია, რომ მირზა თაყი ხანის მოღვაწეობა ხშირად ეწინააღმდეგებოდა ინგლისელთა ინტერესებს, რომლებიც საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, პირველ მინისტრთან დაპირისპირების პირობებში, ხშირად გვერდში ედგნენ უკმაყოფილო სამღვდელოებას (არ ერიდებოდნენ მათ მოსყიდვასაც). უკმაყოფილო სამღვდელოებასაც არაერთხელ მიუმართავს ბრიტანელებისათვის დასახმარებლად. მაგ., ინგლისელებს მიმართა ამირ ქაბირის მიერ მოხსნილმა თეირანის იმამ ჯომემ (საკრებულო მეჩეთის იმამმა). „ამირ ქაბირს რუსები არ ენდობოდნენ, რადგან პრობრიტანულად განწყობილად მიაჩნდათ, მაგრამ ბრიტანელებიც, თავის მხრივ, ეჭვის თვალით უყურებდნენ მას“ (Keddie, 1999: 26-28).

ამირ ქაბირმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისა და სამეფო მიწების მართვის გაუმჯობესებისათვის. თეირანში მან ააგო დახურული ბაზარი (*ბაზარ-ე ამირ*); დაიწყო საირიგაციო სამუშაო არხის გასაყვანად, რომელიც აერთიანებდა თეირანს ქარაჯთან (დაახლ. **40 კმ-ის მანძილზე). ასევე ააშენა კაშხლები და ხიდები ქვეყნის დასავლეთში. ხუ**ზესთანის პროვინციაში დაათესინა შაქრის ლერწამი, ხოლო ამერიკული ბამბა – ურმიას ტბასთან და თეირანის მახლობლად.

ამირ ქაბირის ძალისხმევას შეექმნა თანამედროვე ინდუსტრიული საწარმოები ნაკლები წარმატება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ფაბრიკა და ქარხანა გაიხსნა მისი მხარდაჭერით, ხელისუფლების ინტერესის ნაკლებობა ქარხნების ასამუშავებლად, პროტექციონისტული ტარიფების არარსებობა, პროფესიონალი მშრომელი ძალების სიმცირე, სატრანსპორტო ქსელის განუვითარებლობა და სხვ. ხელს უშლიდა ამ წამოწყების წარმატებას. სოფლის მეურნეობისათვის მის მიერ შექმნილი მცირე რაოდენობით სქემები უფრო ნაკლებ ინფრასტრუქტურას მოითხოვდა და უფრო წარმატებული გამოდგა.

სამთავრობო დეკრეტებისა და განხორციელებული რეფორმების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, დაარსდა ოფიციალური გაზეთი *„რუზნამეჲე ვაყაიეყე ეთთეფაყიე“* (“მოვლენების ქრონიკა”). ყველა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ვალდებული იყო გამოეწერა ეს გაზეთი.

ბრძანება ოფიციალური გაზეთის დაარსების შესახებ:

„რამდენადაც მისი უდიდებულესობა იმპერატორი არ იშურებს ძალისხმევას ირანელი ხალხის განათლებისა და მისი ინფორმირებისათვის საშინაო საქმეებისა და უცხოეთის მოვლენების შესახებ, გადაწყდა, რომ კვირიდან კვირამდე სამეფო ბრძანებები, ქვეყნის საშინაო ახალი ამბები, გამოქვეყნდეს „გაზეთში,“ რომელიც დაიბეჭდება სახელმწიფო სტამბაში და გავრცელდება ირანის ყველა ქალაქში. ყოველკვირეულად ირანის იმპერიის ხალხი ასევე მიიღებს ინფორმაციას მაღალი ბრძანებებისა და სხვა საკითხების შესახებ ამ გაზეთიდან. ამ გაზეთის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მისი მიზანია ამ ბრწყინვალე სახელმწიფოს ხალხის განათლება და გათვითცნობიერება. სხვა უპირატესობაა, რომ ცრუ და დამახინჯებული ახალი ამბები, რომელიც დროდადრო ჩნდება დივანის (შაჰის მინისტრთა, მრჩეველთა საბჭო) ბრძანებების საწინააღმდეგოდ და ჭეშმარიტი მდგომარეობის დასაფარავად, არის ამ იმპერიაში არასწორი საზოგადოებრივი აზრის შექმნის საფუძველი და ირანის ზოგიერთ ქალაქსა და საზღვრებზე ამას ბოლო უნდა მოეღოს ამ გაზეთის საშუალებით. ამ მიზეზით, საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფო მოხელეს, პროვინციათა გამგებლებს... და სახელმწიფოს პატიოსან ქვეშევრდომებს ჰქონდეთ ეს გაზეთი“

(*რუზნამეჲე ვაყაიეყე ეთთეფაყიე,* No1, 5 რაბი 1267/7 თებერვალი1851; ციტ. Amin, 2003: 99-100 მიხედვით).

ამირ ქაბირის რეფორმები სახიფათო გამოდგა სამეფო კარის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის, მიწისმფლობელებისა და ულემებისათვის. როგორც აღინიშნა, ეს რეფორმები მოიცავდა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო მათი ეკონომიკური და იურიდიული ძალაუფლების შეზღუდვისაკენ. მათ ამირ ქაბირისადმი ტოლერანტობა შეეძლოთ გამოეჩინათ მანამდე, სანამ ის წარმატებას აღწევდა बाბიდთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ამ საფრთხის გაქრობის შემდეგ, მრავალმა მათგანმა დაიწყო ფიქრი მის მოშორებაზე. მათ მხარს უჭერდა შაჰის დედა და ისიც აღსანიშნავია, რომ ამირ ქაბირი საკმაოდ ქედმაღლურად ექცეოდა და დამრიგებლური ტონით ელაპარაკებოდა შაჰს. მას ვერ გაეცნობიერებინა, რომ შაჰი უკვე გამოსული იყო ბავშვობის ასაკიდან. ამირ ქაბირის დისკრედიტაციისათვის

ძლიერი კამპანია გაჩაღდა და ახალგაზრდა შაჰი დაარწმუნეს, რომ მისი მთავარი მინისტრის მიზანი იყო აბსოლუტური ძალაუფლების მოპოვება და ტახტზე ასვლაც კი. სინამდვილეში, ამირ ქაბირის მიზანი იყო შაჰს მემკვიდრედ დაესახელებინა თავისი ნახევარძმა აბას მირზა III, რომელიც ბრიტანელთა მხარდაჭერით სარგებლობდა. საბოლოოდ, შაჰმა ის გადააყენა და დანიშნა ქაშანის საპატიო მმართველად, თუმცა შემდეგ წელს ქაშანის აბანოში მოაკვლევინა.

მიუხედავად იმისა, რომ ამირ ქაბირი არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს პოპულისტად ან დემოკრატად, და მას ასევე აკლდა დიპლომატიური ნიჭი საკუთარ მხარეზე შეენარჩუნებინა შაჰი და ჩამოეყალიბებინა რეფორმატორთა პარტია, უეჭველია, რომ ხელისუფლების გაძლიერების და ცენტრალიზაციის პოლიტიკა უთუოდ სასიკეთო იქნებოდა ირანის შემდგომი ევოლუციისათვის.

ამირ ქაბირი, მისი მმართველობის ხანმოკლე ვადის მიუხედავად, ირანელთა მეხსიერებაში გმირად დარჩა. „უბრალო წარმომავლობის მირზა თაყი ხანმა ძირეული რეფორმების განხორციელება მოახერხა და სიცოცხლეც გაწირა მონარქის თვითნებური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (Richard, 2006: 60).

ამირ ქაბირის დამხობის შემდეგ ასპარეზზე ისევ გამოვიდნენ ის ძალები, რომელთა ალაგმვასაც ის ცდილობდა ცენტრის გაძლიერების მიზნით. ამ ძალებში შედიოდნენ ტომები და მათი ბელადები, სხვადასხვა წარმომავლობის მიწისმფლობელები, სამეფო კარის მოხელენი და ულემები. ამ ჯგუფების მოქმედება რეფორმებისა და რეფორმატორი მინისტრების წინააღმდეგ, რასაც ემატებოდა ირანის ტერიტორიული მთლიანობისა და დინასტიის არსებობის არაფორმალური გარანტირება ბრიტანეთისა და რუსეთის მიერ, უბიძგებდა ყაჯარებს ეფიქრათ, რომ სულაც არ იყო საჭირო ცენტრალიზაცია და სამხედრო ძალის გაძლიერება ირანში სხვა ქვეყნების ინტერესების საპირწონედ.

ამასთან, ირანის არაფორმალური თანხმობა ამ სახელმწიფოებთან, რომლებიც ექსპლუატაციას უწევდნენ მის ეკონომიკას, სულაც არ იყო მოკლებული სირთულეებს. **1856-57 წლებში ირანის ხელ**ისუფლებამ კიდევ ერთხელ სცადა ჰერათის დაუფლება და უკუგდებულ იქნა ბრიტანული არმიის მიერ. ბრიტანეთის ფლოტი ასევე შევიდა სპარსეთის ყურის ნავსადგურ ბუშეჰრში. ბრიტანელებს, რომელთაც უკვე ჰქონდათ პრობლემები საკუთარ არმიასთან დაკავშირებით ინდოეთში და სურდათ ბუფერული სახელმწიფოს შენარჩუნება ავღანეთში, უნდოდათ თავისთვის სასარგებლო ფორმა მიეცათ 1857 წლის პარიზის საზავო ხელშეკრულებისათვის, რასაც მიაღწიეს კიდეც. ირანმა აღიარა ბრიტანეთის დიპლომატიური და კომერციული პრივილეგიები ქვეყანაში და სამუდამოდ უარი თქვა ჰერათზე პრეტენზიებზე. ამ სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ ბრიტანელები უკვე დომინირებდნენ სპარსეთის სამეფო კარზე. ჰერათის კამპანია გაგრძელება იყო რუსეთთან ირანის წარუმატებელი ომებისა და დამცირებისა. ნასერ ად-დინ შაჰი იმედოვნებდა ამ კამპანიით გმირად ქცევას, მაგრამ ყოველივე დასრულდა ირანის საბოლოო უარით იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის საუკუნეების მანძილზე საკუთრად მიიჩნევდა. კიდევ ერთხელ, ეს მარცხი გახდა არა ტრადიციული ლოკალური ომის შედეგი, არამედ ირანიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ, სამხედრო და ტექნოლოგიური თვალსაზრით ირანზე ბევრად უფრო მაღლა მდგომ სახელმწიფოთა ნების გამოხატულება (Katouzian, 2010: 157).

სპარსეთი უკან იხევდა ცენტრალურ აზიაშიც. რუსეთთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ირანი უარს ამბობდა ბუხარასა და ხივას სახანოების მიმართ პრეტენზიებზე – ტერიტორიებზე თურქულენოვანი და სპარსულენოვანი მოსახლეობით, რომელზეც ირანს სეფიანთა დროიდან ეჭირა თვალი.

XIX საუკუნის მანძილზე თითქოს ჩანს, რომ დასავლეთთან კონტაქტების შედეგები ირანისათვის უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი იყო და ბევრი „ტრადიციული სენი“ კიდევ უფრო გაძლიერდა, ნაცვლად გაქრობისა. სპარსეთის მიერ წარმოებული ომების საფასური, უცხოური შეიარაღებისა და ინსტრუქტორების ჩათვლით, რასაც ემატებოდა საქონლის იმპორტი, არ აუმჯობესებდა მოსახლეობის კეთილდღეობას და არ ამაღლებდა განათლების დონეს. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, იმპორტმა ხელმისაწვდომი გახადა შაქარი და ჩაი მოსახლეობის ყველა ფენისათვის და ევროპული ფუფუნების საგნები – ელიტისათვის. მაგრამ იმპორტი იწვევდა ძვირფასი ლითონების სულ უფრო მზარდ ექსპორტს. სპარსული ექსპორტი კი იმ დონეზე არ გაზრდილა, რომ დაეფარა ამ ახალი საქონლის – საფეიქრო ნაწარმისა და საოჯახო ნივთების იმპორტის ხარჯი. სამეფო კარი ასევე ახდენდა საკუთარი თავისათვის იარაღისა და ფუფუნების საგნების იმპორტს, ეს კი იწვევდა გადასახადების ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს იმის მკაფიოდ საჩვენებლად, შემცირდა თუ გაიზარდა „საშუალო“ ირანელის შემოსავალი XIX საუკუნეში, არიან მკვლევრები, რომელთაც ორივე თვალსაზრისის მხარდასაჭერად მოჰყავთ არგუმენტები. საკონსულოების სტატისტიკური მონაცემები და მოგზაურთა ჩანაწერები ადასტურებს, რომ არსებობდა შემოსავლების მზარდი შეუსაბამობა და რომ დაბალი ფენები იხდიდნენ ჩაის, თამბაქოს, ქარხნული წესით დამზადებული

ჭურჭლისა თუ ქსოვილებისათვის რეალურ ფასზე გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებზე, როგორიცაა ხორცი, ხილი, მარცვლეული და პური, ბოსტნეული. ირანი სულ უფრო მეტად ხდებოდა დასავლურ საქონელზე დამოკიდებული, მისი აგრარული ექსპორტი კი – მსოფლიო ბაზრის რყევებზე. ზოგჯერ ეს მომგებიანი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც ბამბაზე დიდი მოთხოვნა ამერიკის სამოქალაქო ომის დროს, მაგრამ ეს ქვეყანასა და ხალხს ასევე ხდიდა უფრო მეტად დამოკიდებულს არაპროგნოზირებად ბაზრებზე. მიწა რომელზეც ნათესები შეიცვალა ექსპორტისათვის ბამბით ჩრდილოეთში ან ოპიუმით ძირითადად სამხრეთში, არ შეიძლებოდა ისევ ერთბაშად დაბრუნებოდა ძველ სათეს კულტურებს დაბალი მოთხოვნილების ან მოუსავლიანობის გამო, და ოპიუმის დათესვამ საკვების ნაცვლად, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მომგებიანი იყო[19], დიდად შეუწყო ხელი ირანის შემზარავ შიმშილობას 1869-1872 წლებში და უფრო გვიან სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას. ის მკვლევრები, რომლებიც განიხილავენ იმპორტისა და ექსპორტის ციფრებს, ხშირად ასკვნიან, რომ ირანი უფრო მოდერნიზებული გახდა და კეთილდღეობა ამაღლდა, მაგრამ ისინი, ვინც ღრმად იკვლევენ საგლეხო რეგიონებს ან საქალაქო ეკონომიკას, ამჩნევენ სულ უფრო მზარდ სტრატიფიკაციას (რაც ჩვეულებრივ ღარიბ ფენებს ეხება) – გაზრდილი უფსკრული შემოსავალსა და დისტრიბუციას შორის, მეტად სახიფათო დამოკიდებულება სულ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაზე და ასევე ხელისუფლების მიერ გადადგმული ეფექტური ნაბიჯების ნაკლებობა ირანის ეკონომიკის გასაძლიერებლად დასავლეთის მოძალების წინაშე (Katouzian, 1981: ch.3).

ყაჯარებს აკლდათ სათანადო საფუძველი თუ სიმტკიცე იმისათვის, რომ გაეტარებინათ ქვეყნის ცენტრალიზებისაკენ მიმართული ძირეული რეფორმები; ყაჯარებს ასევე აკლდათ უნარი ფინანსური რეფორმების გატარებისა, რაც აუცილებელი პირობა იყო სასიკეთო ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცვლილებებისათვის. XIX საუკუნის მანძილზე სულ უფრო მზარდი მასშტაბით ხდებოდა პროვინციების მმართველებისა თუ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამდებობებით ვაჭრობა, რისთვისაც წლიური აუქციონის მსგავსი პროცედურა ტარდებოდა. ეს უბიძგებდა მყიდველებს მიეღოთ რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიღებული მიწებიდან დროის უმცირეს მონაკვეთში, რამდენადაც ისინი ვერ აცნობიერებდნენ, თუ როგორ შეიძლებოდა ჰქონოდათ რეგიონის პროდუქტიულობის ამაღლების ინტერესი გრძელვადიან პერსპექტივაში; მაგრამ მათ სურდათ ჰქონოდათ საკმარისი თანხა, რომ მიეღოთ მომგებიანი ტერიტორია მომდევნო აუქციონზე. მრავალი ტომობრივი ლიდერი მცირეოდენ გადასახადს თუ იხდიდა. ისინი მხოლოდ იმას პირდებოდნენ შაჰს, რომ ომის შემთხვევაში საკუთარ ძალებს გამოიყვანდნენ საბრძოლველად, თუ ამას შაჰი ისურვებდა. უმრავლეს შემთხვევებში შაჰს არანაირი საშუალება არ ჰქონდა გაეძლიერებინა გადასახადების აკრეფის პროცესი ტომების კუთვნილ შორეულ მიწებზე. საქალაქო გადასახადებიც ასევე მეტად დაბალი იყო, მათ გვერდით კი არსებობდა ნახევრადნებაყოფლობითი რელიგიური გადასახადები, რომელთაც ბაზრის ხალხის უმეტესობა უხდიდა ულემებს და ეს თანხა არ ხვდებოდა ხელისუფლების ხელში. გლეხობა, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით, ყველაზე მეტად იყო დატვირთული გადასახადებით; მათგან გადასახადების უმრავლესობა აიკრიფებოდა ადგილობრივი გადასახადების ამკრეფების მიერ ლოკალური მმართველებისათვის და მისი მცირე ნაწილი თუ აღწევდა ცენტრს.

მსოფლიო ბაზარზე შესვლამ ასევე გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ლოკალურ და რეგიონულ დონეზე, რასაც საერთო ჯამში, უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი შედეგები ჰქონდა. XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე ირანელებმა აწარმოეს მნიშვნელოვანი რაოდენობის აბრეშუმი, აბრეშუმის ძაფი, ქერმანის თხის ბეწვის ქსოვილი (ქაშმირის ნაირსახეობა) და სხვა სახის ქსოვილები ევროპაში საექსპორტოდ, მაგრამ XIX საუკუნეში ამ სახის ექსპორტი შემცირდა. ქაშმირისათვის ბრიტანელები ინდოეთს ამჯობინებდნენ. ერთ-ერთმა ევროპულმა კომპანიამ, სავსებით შესაძლებელია ბოროტი განზრახვით, საუკუნის შუა ხანებში ავადმყოფი აბრეშუმის ჭიის კვერცხები შეიტანა ირანში; აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა სწრაფად გავრცელდა და თითქმის მთლიანად მოსპო როგორც საექსპორტო ინდუსტრია, ისე აბრეშუმის ქსოვილების წარმოება შინა მოხმარებისათვის; წარმოების მთლიანად აღდგენა კი პრაქტიკულად აღარ განხორციელებულა.

ირანს გააჩნდა ექსტენსიური საფეიქრო წარმოება როგორც მარტივი, ისე ძვირფასი ქსოვილებისა. ირანული ხელნაკეთი ქსოვილები, რომლებიც დამზადებული იყო ქალებისა და კაცების მიერ სახლში ან საწარმოში, მნიშვნელოვნად შემცირდა ფაბრიკებში ნაწარმი უფრო იაფი ქსოვილების იმპორტის გამო, უპირველესად ბრიტანეთიდან და რუსეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაკეთი პროდუქ-

19 ირანის ოპიუმის ექსპორტი 1858 წლიდან 1870 წლამდე 750%-ით გაიზარდა.

ციის წარმოება გრძელდებოდა (სულ უფრო მცირე რაოდენობით), მან შეწყვიტა ირანის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილის ფუნქციის შესრულება. მრავალმა სხვა ხელობამ – ეს განსაკუთრებით მათ ეხებათ, რომლებიც საოჯახო ნივთების დამზადებასთან იყო დაკავშირებული – ასევე მძიმე დარტყმა მიიღო დასავლურ საქონელთან კონკურენციის პირობებში. ისფაჰანის გეოგრაფიის ირანელი ავტორი XIX საუკუნის მიწურულს ჩივის იმის შესახებ, თუ როგორ ქრებოდა ერთი მეორის მიყოლებით დასავლური კონკურენციის პირობებში ხელობები ისფაჰანის ეკონომიკის საზიანოდ (ციტ. Keddie, 2003: 85), და ასევე ხდებოდა ყველგან.

მეორე მხრივ, ზოგიერთი სახეობის საქონლის წარმოებამ მოგება მიიღო დასავლეთში არსებული მოთხოვნების გამო. მათ შორის იყო აგრარული პროდუქცია – ბამბა, ოპიუმი, მშრალი ხილი და თხილეული. დამატებით, ქერმანული თავშალი, რომელიც მზადდებოდა ხელით გაფენტილი ქერმანული მატყლისგან და ხელითვე იყო ოქროქარგული (სპარსულ-ინდური სტილის), გარკვეული დროის მანძილზე პოპულარული იყო დასავლეთში. მუდმივად პოპულარული იყო სპარსული ხალიჩები, რომლებიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დასავლური მოთხოვნილების საგანი გახდა მხოლოდ 1875 წლის შემდეგ. როგორც ევროპელი, ისე ირანელი (ძირითადად თავრიზელი) მეწარმეები ჩართული იყვნენ მის წარმოებასა და ექსპორტში. ხალიჩების შექმნაზე ძირითადად ქალები და ბავშვები მუშაობდნენ. ისინი ჩვეულებრივ მუშაობდნენ მეტად მცირე ჯამაგირზე და არაჯანსაღ პირობებში. ამ პერიოდში ისინი წარსულთან შედარებით ხშირად უფრო მეტს გამოიმუშავდებდნენ, მაგრამ მეტად მძიმე ფასად.

დასავლეთთან ურთიერთობამ არათანაბარ პირობებში შეამცირა ეკონომიკური აქტივობის ფართო სექტორები და გზა გაუხსნა ან გაზარდა სხვები. რეალობის გათვალისწინებით, არადამაჯერებელია, რომ სარგებელი ახდენდა დანაკარგის კომპენსირებას – მაგალითად, ხალიჩები ახდენდა საშინაო მოხმარებისა და საექსპორტო უამრავი სახეობის საქონლის წარმოების შემცირების კომპენსირებას. როდესაც მრავალი იმპორტირებული სამომხმარებლო საქონლის ყიდვა შეიძლებოდა უფრო იაფად, ვიდრე მათი ადგილობრივი ანალოგების, ამას არ მოჰქონდა უკეთესი ცხოვრება ირანელთა უმრავლესობისათვის. უფრო მეტი თამბაქო და ოპიუმი მოიხმარებოდა, რაც საზიანო იყო ჯანმრთელობისათვის, მაშინ როცა საბაზისო საკვები პროდუქტების ფასი იზრდებოდა.

ცენტრალური ხაზინის მზარდი დაცარიელება იყო საბაჟოების სახელმძღვანელო პოსტების, ისე როგორც მრავალი სხვა თანამდებობის, გაყიდვის შედეგი. ადგილობრივი ხელმძღვანელობა ცდილობდა მოეზიდა მისდამი დაქვემდებარებულ სასაზღვრო პუნქტზე რაც შეიძლება მეტი საქონელი, თავაზობდა რა საბაჟო ტარიფს, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაწესებულ 5%-ზე ნაკლები იყო (ეს კონტროლს არ ექვემდებარებოდა, ვინაიდან ყველა მათგანი ცენტრალურ ხელისუფლებას საკუთარი ნებით განსაზღვრულ გადასახადს უხდიდა), ამდენად, საბაჟო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე უნდა ყოფილიყო.

1857 წლის შემდეგ, ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდის მანძილზე, სამხედრო ოფიცრებს, უპირველესად მაღალი ჩინის მქონეთ, პრაქტიკულად უფლება ჰქონდათ მიცემული მათი ნაწილებისათვის გამოყოფილი თანხები დაესაკუთრებინათ. ეს ნაწილები კი მეტად ცუდად იყვნენ გაწვრთნილი და აღჭურვილი; მათი რიცხვიც არ შეესაბამებოდა ოფიციალურ მონაცემებს. საარსებო სახსრების საშოვნელად ჯარისკაცები ვაჭრობდნენ ქალაქებში და მრავალ მათგანს თოფი და სამხედრო ფორმაც კი არ გააჩნდა.

ირანის სულ უფრო მზარდი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, ვაჭრობის გაუარესებული პირობები და ვერცხლზე, რომელიც ირანის ვალუტას წარმოადგენდა, მსოფლიო ფასის დრამატული ვარდნა, ირანის სულ უფრო მზარდი ეკონომიკური პრობლემების დამატებითი ფაქტორები იყო. ზოგიერთ ვაჭარს, მიწისმფლობელს და თანამდებობის პირს ეყო გამჭრიახობა მიეღო სარგებელი დასავლეთთან ამ ახალი ურთიერთობებით, გაავრცელეს რა კონტროლი ახალ ნედლეულსა და ხელნაკეთ ნაწარმზე, რაც ახლა მომგებიანი იყო, მაგრამ ეს არ ეხებოდა ირანელთა უმრავლესობას. მეორე მხრივ, ცვლილებები ირანის ეკონომიკაში და ვაჭრების, მრეწველების და მცირე რაოდენობით სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელთა გამდიდრება, რომელთაც შეეძლოთ სარგებელი მიეღოთ ეკონომიკის, სოციალური და სასამართლო სისტემის მოდერნიზებით, ქმნიდა უმნიშვნელოვანეს ეფექტურ ოპოზიციას ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, როგორც ეს იყო იმ სოციალური ფენების შემთხვევაში, რომელთა კეთილდღეობაც გაუარესდა ამ ახალ პირობებში.

ამირ ქაბირის ნაცვლად, პირველი ვაზირი გახდა მირზა აღა ხან ნური (1807-1865), რომელმაც თავი გამოიჩინა ბაბიდების დევნითა და რეპრესიებით, ასევე „ორმაგი თამაშით“ ბრიტანელებსა და რუსებს შორის. 1857 წელს შაჰმა ის გადააყენა და გადაწყვიტა უშუალოდ თვითონ ემართა ქვეყანა მრჩეველთა საბჭოს დახმარებით. ამ მრჩევლებს შეზღუდული ჰქონდათ საშუალება, რომ რომელიმე

მათგანს მოეპოვებინა პირველობა და დომინირება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მათ შორის გამოირჩეოდნენ ფინანსისტი მირზა იუსეფ მოსთოუფი ალ-მამალექი, კონსერვატული ფრთის წინამძღოლი და ფაროხ ხან ამინ ად-დოულე[20], პარიზის მოლაპარაკებების მონაწილე და რეფორმატორთა ლიდერი.

ამდენად, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანში დასავლური ტექნოლოგიებისა და კულტურის შემოჭრის ფონზე ქვეყანაში რეფორმების ჩატარების აუცილებლობამ ბუნებრივად შეიძინა აქტუალობა. ამასთანავე, ამ რეფორმების ჩატარების მსურველებს უეჭველად უნდა გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი სპეციფიკა. „საერო (შესაძლოა მედასავლეთე) რეფორმატორებს აუცილებლად უნდა ეჩვენებინათ, რომ სამთავრობო ცვლილებების მათეული გეგმა სანქცირებული და გამართლებულიც კი იყო ისლამის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ძნელია ლაპარაკი ამ რეფორმატორების განსაკუთრებული რელიგიურობის შესახებ“ (Kirmānī, 1953: 214). ამგვარი სტრატეგია საჭირო იყო ისლამისადმი ხალხის მასების ემოციური ერთგულებისა და იმ წამყვანი პოზიციის გამო, რომელიც ულემებს ეკავათ.

რეფორმატორთა ახალი წრე ჩამოყალიბდა ირანის დიპლომატიური სამსახურის დინამიური და ნიჭიერი წარმომადგენლის მირზა ჰოსეინ ხან მოშირ ად-დოულეს, რომელიც უფრო ცნობილია სეფაჰ-სალარის (მთავარსარდლის) სახელით, გარშემო. ის იმ ორ ადგილზე მსახურობდა, რომლებიც ტრადიციულად ყველაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ ირანელ რეფორმისტებზე – კავკასიაში (როგორც კონსული თბილისში 1852-1858 წწ.) და ოსმალეთის იმპერიაში (როგორც მინისტრი სტამბულში 1858 წლის შემდეგ) (Daniel, 2001: 113). **მოშირ ად-დოულეს ყოფნამ ოსმალეთის იმპერიაში თანზიმათის რ**ეფორმების მეორე პერიოდის დროს, როდესაც ბრიტანეთი წარმოადგენდა ერთი მხრივ, ოსმალეთის ტერიტორიული მთლიანობის მთავარ დამცველს რუსული მოძალების პირობებში და მეორე მხრივ, ოსმალეთის სასამართლო, ადმინისტრაციულ და ფინანსურ უწყებებში ლიბერალური რეფორმების მხარდამჭერს, მას მკაფიო შეხედულებები ჩამოუყალიბა ირანში ჩასატარებელი რეფორმებისა და მათი ხასიათის შესახებ. ის ახლო იყო ირანელ ნაციონალისტთან და სეკულარისტთან მირზა ფათჰ ალი ახუნდზადესთან (რომელიც დიდი ხანის მანძილზე თბილისში ცხოვრობდა) და ასევე მირზა მალქომ ხანთან. მოშირ ად-დოულეს შემდგომ ეკავა უმაღლესი სამთავრობო პოსტები, მათ შორის პირველი ვაზირის აღდგენილი თანამდებობა.

ევროპული ტიპის რეფორმების მარტივი და ტაქტიკური იდენტიფიცირება, კონსტიტუციური მმართველობის შემოღების ჩათვლით, რელიგიის უმთავრეს მოთხოვნებთან პირველად სწორედ მირზა მალქომ ხანმა **(1834-1908) მოახდინა, სომხური წარმომავლობის თავისუფალმა მოაზროვნემ, რომელიც სი**ტუაციისდა მიხედვით, არ თაკილობდა საკუთარი თავი ხან მუსლიმად და ხანაც ქრისტიანად გაესაღებინა. მალქომ ხანმა განათლება საფრანგეთში მიიღო. აქ ის შვიდი წლის მანძილზე სწავლობდა მხითარისტებთან (სომეხ კათოლიკებთან). შემდეგ იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა (იყო ირანის ელჩი ლონდონში და ცხოვრების უკანასკნელ წლებში – იტალიაში).

დაახლ. **1860 წლისათვის მალქომ ხანმა შაჰს წარუდგინა კონსტიტუციური რეფორმების ვრცე**ლი პროგრამა. ეს იყო ირანის ისტორიაში კონსტიტუციის პირველი პროექტი. მალქომ ხანი ერთმანეთისაგან ანსხვავებდა აბსოლუტურ მონარქიასა და შეუზღუდავ მმართველობას შორის. მისი შეხედულებით, არსებობდა მონარქიების ორი ტიპი: აბსოლუტური – რუსეთისა და ავსტრიის იმპერიებში და „ზომიერი“ – ბრიტანეთსა და საფრანგეთში. აბსოლუტური მონარქიაც, მისი შეხედულებით, ორი სახისა იყო. პირველს ის უწოდებდა „ორგანიზებულ და წესრიგზე დაფუძნებულ აბსოლუტურ მონარქიებს“ (ე.ი. ევროპულ დესპოტიზმს რუსეთსა და ავსტრიაში), ხოლო მეორეს – „არაორგანიზებულ და მოუწესრიგებელ აბსოლუტურ მონარქიებს.“ ამ შემთხვევაში, დასახელების გარეშე, ის ირანს გულისხმობდა. მისი აზრით, „ზომიერი“ მონარქია, მიუხედავად იმისა, რომ კანონსა და წარმომადგენლობის პრინციპს ემყარებოდა, მიუღებელი იყო ირანისათვის. ქვეყნისათვის საჭირო იყო წესრიგზე, კანონზე დაფუძნებული აბსოლუტური მონარქია, რომელშიც კანონმდებელი მონარქი იქნებოდა, ხოლო აღმასრულებელი – დისციპლინირებული, ორგანიზებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადმინისტრაცია (ციტ. Katouzian, 2010: 158).

მირზა მალქომ ხანი თვლიდა, რომ „ირანს უნდა გამოეყენებინა ოსმალეთის მაგალითი... ანდა ის გახდებოდა მართული და დაპყრობილი ევროპული სახელმწიფოების მიერ“ (McDaniel, 1991: 25). ის მხარს უჭერდა ახალი სეკულარული კანონების მიღებას, საკანონმდებლო ორგანოს შექმნას და რეფორმატორული აღმასრულებელი კაბინეტის ჩამოყალიბებას.

---

20 *ად-დოულე (ალ-დოულე)* – დაახლ. „სახელმწიფოს რწმუნებული,“ ირანის შაჰების მიერ მინიჭებული საპატიო წოდება.

მირზა მალქომ ხანის მიმართვა სასულიერო წოდების წარმომადგენლისადმი:

„...პატივცემულო ბატონო... ახლა თქვენ ახსენებთ მადრასეებს. გვითხარით, გთხოვთ, ვინ ააგო მადრასეები თქვენთვის და თქვენ მსგავსთათვის? ვინ იხდის საფასურს თქვენი ღირსებისა და წოდებისათვის? თქვენ, ვინც თვლით, რომ ხართ ღმერთის მიერ ზეგარდმოვლენილი ბრწყინვალე კანონის მსახური, გულახდილად გვითხარით, რა სამსახურს ეწევით? რომელი უზადო, კარგად არგუმენტირებული წიგნი შეგიდგენიათ, რომელიც მომავალში ძეგლად დარჩება? მოციქულის რამდენი ტრადიცია იცით ზეპირად? რამდენი ათასი გზააბნეული და ცდომილი დააბრუნეთ ჭეშმარიტი წინამძღოლობის გზაზე? რა ძალისხმევა გასწიეთ შიიტთა თემის გაყოფის გარდა?... თქვენ ამ საწყალობელ ხალხს ერთმანეთის დაგმობისაკენ უბიძგებთ. თქვენ გაწყვიტეთ სიყვარულისა და ძმობის ძაფები მათ შორის. ამგვარად, ე.წ. „წინამძღოლები“ და „უხუცესები“ საჭირო ხდება, რომ მუდმივად არსებობდეს ყველა სახის მტრობა.

მითხარით, რომელი მეჩეთი ააშენეთ და რომელი მადრასა დაარსეთ?

...ახლა თქვენ ამბობთ, რომ თქვენს მიმართ გამოვლენილი უპატივცემულობა წმინდა კანონის შეურაცხყოფაა, მაგრამ ეს თქვენ უნდა დაამტკიცოთ. თქვენ თავისთავად არ წარმოადგენთ კანონს. რადგან თქვენ ამბობთ, რომ მხოლოდ მოჯთაჰედი ხართ, გვითხარით, რას გულისხმობთ ამაში. ის, რაც ღმერთს აქვს ნაბრძანები, ყველასათვის საერთოა; კონკრეტული საკითხები თავისუფლად უნდა განიხილებოდეს. რატომ უნდა გქონდეთ მხოლოდ თქვენ უფლება განსაზღვროთ, თუ ვინაა „მორწმუნე“ და „სწავლული“ და ჩვენ მოკლებული ვიყოთ ამ უფლებას?“ (Malkam Khan, 2005: 19-20).

საკუთარი რეფორმების პროპაგანდის მიზნით, მალქომ ხანმა თეირანში დააფუძნა ნახევრადლეგალური ორგანიზაცია *ფარამუშხანე* (დავიწყების სახლი). მისი სათაური მიუთითებდა, რომ საიდუმლო სხდომების მონაწილეებს სხდომის დამთავრების შემდეგ უნდა „დაევიწყებინათ“ ნანახი და მოსმენილი.

ფარამუშხანე მასონური ტიპის ორგანიზაცია იყო. მალქომ ხანი მასონური იდეებით საფრანგეთში ვიზიტის დროს დაინტერესდა და როგორც ჩანს, აქვე გაწევრიანდა მასონურ ლოჟაში.[21] ორგანიზაციის წესდება ფრანგული ლოჟების ანალოგიური იყო. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად შაჰი ყოველმხრივ ხელს უწყობდა ლოჟის მუშაობას და საკუთარ მინისტრებს, სამხედრო ელიტასა და მაღალი რანგის ჩინოვნიკებს აიძულებდა ლოჟაში გაერთიანებულიყვნენ. მაგრამ შაჰმა მალე შეიცვალა პოზიცია მასონების საწინააღმდეგოდ – ფარამუშხანე რესპუბლიკელ შეთქმულთა საზოგადოებად ჩათვალა და მისი ფუნქციონირება აკრძალა (Richard, 2006: 79). მალქომ ხანს ოსმალეთში მოუწია გადახვეწა.

აქ მან წამოიწყო იდეოლოგიური კამპანია ირანის ხელმძღვანელობაზე შურისძიების მიზნით, რომელსაც ბრალს დებდა კორუმპირებულობაში და ეწეოდა კონსტიტუციის მიღების აუცილებლობის პროპაგანდას. 1891 წელს მან დაარსა ჟურნალი „*ქანუნი*“ (კანონი), რომლის 41 ნომერი გამოვიდა 1898 წლამდე. ჟურნალი იბეჭდებოდა ლონდონში და შემდეგ იგზავნებოდა სტამბულის გზით თეირანში, საიდაინაც მას ავრცელებდნენ „დავიწყების სახლის“ ყოფილი წევრები (მათ იმ დროს ახალი არალეგალური ორგანიზაცია *მაჯმა-ე ადამიათ* (ჰუმანურობის საკრებულო) ჰქონდათ დაარსებული). „ქანუნმა“ დიდი ზეგავლენა მოახდინა რეფორმატორებზე, მიუხედავად საკუთრივ მალქომ ხანის არათანმიმდევრულობისა. რელიგიურ პირთა ევროპული ტიპის ინსტიტუტების შექმნისაკენ მიმართული რეფორმებისადმი წინააღმდეგობის გასატეხად, მალქომ ხანი მუდმივად ხაზს უსვამდა, რომ ყველა რეფორმა თავისთავად მოცემული იყო ყურანში. „ქანუნის“ ტონი შერბილდა 1896 წელს ნასერ ად-დინ შაჰის მკვლელობის შემდეგ. ორი წლის შემდეგ კი გაზეთის გამოცემა შეწყდა, როდესაც მალქომ ხანი ირანის წარმომადგენლად დაინიშნა რომში.

„ქანუნის“ მაგალითი აჩვენებს თანამედროვე მედიის მნიშვნელობის ზრდას პოლიტიკური და კულტურული მოდელების გავრცელების საქმეში. თავდაპირველად ეს გააცნობიერა ამირ ქაბირმა, რომელმაც პირველი სამთავრობო გაზეთი დააარსა. მაგრამ XIX საუკუნიდან დღემდე, როდესაც ირანის სა-

21 არსებობს მოსაზრება, რომ მალქომ ხანი არ ყოფილა პირველი ირანელი მასონი. ინგლისელი ავტორის, ვ. ბლანტის აზრით პარიზში მალქომ ხანამდე ორმოცი წლით ადრე ჩასული ირანის წარგზავნილი ასქარ-ხან ავშარი იყო პარიზის მასონური ლოჟის წევრი (Blunt, 1907: 83) (მალქომ ხანის მოღვაწეობის შესახებ იხ. Algar, 1973; Lambton, 1957). აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მასონური იდეები XIX საუკუნის II ნახევრიდან არ იყო უცხო ისლამური სამყაროსათვის. მაგ., ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მუსლიმი მოაზროვნე სეიედ ჯამალ ად-დინ ავღანი 1878 წ. ივნისში ხდება კაიროში მასონური ლოჟის მეთაური, ხოლო 1884 წ. იგი ხდება პარიზის მასონური ლოჟის წევრი. ახლოს იდგა მასონურ ლოჟებთან კონსტიტუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე მოჯთაჰედი სეიედ მოჰამად თაბათაბა“ი. ასევე სიმპათიით უყურებდა მასონურ მოძრაობას ამ პერიოდის მეორე ცნობილი მოჯთაჰედი სეიედ აბდოლა ბეჰბაჰანი (Richard, 1991: 121).

ხელმწიფოს მესვეურები ცდილობენ მედია-საშუალებების გამოყენებას საზოგადოებრივი აზრის განწყობის შესაქმნელად, ემიგრანტები მას საკუთარი მედიით უპირისპირდებიან. სტამბის იმპორტირების შემდეგ, ირანში მხოლოდ რამდენიმე ხანმოკლევადიანი პერიოდი იყო, როდესაც ოპოზიციის პრესა თავისუფლად ვრცელდებოდა ქვეყანაში, ძირითადი დროის მანძილზე კი ოპოზიციური პრესა ქვეყნის გარეთ იბეჭდებოდა.

ირანის გადაქცევა ნახევრადკოლონიად

XIX საუკუნის დასაწყისიდან ირანი თითქმის მუდმივად ევროპული სახელმწიფოების მოვალეს წარმოადგენდა, რაც მის დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნიდა. ჩვეულებრივი გახდა ერთი ევროპული სახელმწიფოსაგან სესხის აღება მეორის ვალის გასასტუმრებლად. ამგვარად, რუსეთთან ორი ომის შემდეგ, ბრიტანეთმა მნიშვნელოვანი სესხები მისცა სპარსეთს ომის რეპარაციების გადასახდელად, რაც ქვეყნის ტერიტორიიდან რუსული ჯარების გასვლის წინაპირობას წარმოადგენდა. 1854 წელს კი რუსებმა ვალის უკანასკნელი ნაწილი გაუქვითეს ირანს, რომ მიეღოთ ყირიმის ომში ირანის მიერ მათთვის მომგებიანი პოზიციის დაკავების გარანტია.

ნასერ ად-დინ შაჰი

ამ ორი შემთხვევის გარდა, მთავრობის შემოსავლები მეტნაკლებად საკმარისი იყო სამეფო ხაზინის შესავსებად. მდგომარეობა შეიცვალა **1873 წლიდან შაჰის ევროპული მოგზაურობების** გამო, რასაც უზომო დანახარჯები მოჰყვა.

50-იანი წლებიდან დაწყებული, ევროპულ ქვეყნებთან ირანის ურთიერთობების ახალი ფაზა ხასიათდებოდა ევროპელთა მიერ აღებული კურსით მიეღოთ კონცესიები გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობაზე. პირველი მნიშვნელოვანი კონცესიები სატელეგრაფო ხაზების გაყვანისათვის მიენიჭათ ინგლისელებს, რომლებისთვისაც აუცილებელი გახდა ინდოეთთან სწრაფი სატელეგრაფო კავშირი 1857 წლის მღელვარებების შემდეგ და ამისათვის ირანი საუკეთესო დამაკავშირებელ ხაზად მიაჩნდათ. საერთაშორისო ხაზი, რომელიც 50-იან წლებში გაიყვანეს, მალე გაიზარდა ირანის ხელისუფლების სურვილიდან გამომდინარე, რომელსაც უნდოდა რაც შეიძლება სწრაფად შეეტყო, თუ რა ხდებოდა პროვინციებში (ამასთან, 1891-92 წლებში და შემდგომ, ტელეგრაფი იქცა ამბოხებების მნიშვნელოვან იარაღად, რომლის საშუალებითაც ირანული ქალაქები ერთმანეთს და ასევე ერაყში შიიტთა წმინდა ქალაქებს უკავშირდებოდნენ).

ყველაზე დიდი კონცესია, რომელიც ოდესმე გაუცია ირანს და ალბათ ნებისმიერ ქვეყანას, იყო 1872 წელს, ირანში დიდი შიმშილობის დამთავრებისთანავე, ბრიტანეთის ქვეშევრდომ ბარონ რეიტერისათვის, რომელმაც სახელი გაითქვა ევროპაში ახალი ამბების სააგენტოს შექმნით. მან მიიღო კონცესია, რომლითაც მიენიჭა რკინიგზისა და ტრამვაის ხაზების გაყვანის, მინერალების მოპოვებისა და გაყიდვის (გარდა იმ მცირე ნაწილის, რომელსაც უკვე მოიპოვებდნენ), ყველა ჯერ კიდევ განუხორციელებელი საირიგაციო სამუშაოების, ნაციონალური ბანკის გახსნის უფლება – პრაქტიკულად ყველა სახის ინდუსტრიული და აგრარული პროექტების კონცესიები. ყოველივე ეს მოხდა მეტად მცირე საფასურად. ლორდმა კერზონმა[22], რომელიც თვითონ მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური იმპერიალისტი იყო, მოგვიანებით ამ კონცესიას უწოდა ყველაზე სრული და განსაკუთრებული გადაცემა სამეფოს მთლიანი სამრეწველო რესურსებისა უცხოელისათვის, რომელზეც ეს უკანასკნელი ალბათ ვერასოდეს იოცნებებდა. კონცესიის მთავარი ხელშემწყობი იყო ზემოთ ნახსენები რეფორმატორი პრემიერი მირზა ჰოსეინ ხან მოშირ ად-დოულე. მან თვითონაც სარგებელი მიიღო ამისგან, მაგრამ ალბათ ასევე მიაჩნდა, რომ ნასერ ად-დინ შაჰი და ყაჯარები იმდენად სუსტნი და გაუბედავნი იყვნენ ეკონომიკურ საქმიანობასთან მიმართება-

22 ჯორჯ ნათანიელ კერზონი (**1859-1924) ითვლებოდა აღმოსავლეთის ერთ-ერთ მთავარ ექსპერტად ბრიტა**ნეთის იმპერიაში. ეკავა უმაღლესი სახელმწიფოს თანამდებობები, მათ შორის ინდოეთის მეფისნაცვლის და საგარეო საქმეთა მინისტრისა. ის ბევრს მოგზაურობდა და 1889-90 წლები ირანში გაატარა. მას ეკუთვნის არაერთი საყურადღებო ნაშრომი, მათ შორის ირანის შესახებ.

ში, რომ მისი მოდერნიზების ერთადერთი გზა, რასაც ის მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, და ირანის გადარჩენა მომავალში რუსეთის კონტროლის ქვეშ მოქცევისაგან, იყო ინგლისელის შემოყვანა ქვეყანაში, რომელიც წარუძღვებოდა ტრანსპორტის ქსელის, მადნეულის მოპოვების, საბანკო საქმის, მრეწველობის და აგრარული სექტორის განვითარებას.

მრავალ ირანელ იმდროინდელ რეფორმატორს ორაზროვანი დამოკიდებულება ჰქონდა დასავლეთისა და დასავლური მთავრობების მიმართ და ზოგჯერ ერთ ინდივიდშიც კი მერყეობა იყო დასავლეთის მიმართ პოზიტიურ და ნეგატიურ რეაქციას შორის. ირანში, ისე როგორც აზიის დიდ ნაწილში, პირველი რეფორმატორები ცდილობდნენ პროდასავლურები ყოფილიყვნენ და მირზა ჰოსეინ ხანიც ამ გზას დაადგა. ეს რეფორმატორები უწყოდნენ, რომ დასავლური სახელმწიფოები მათი ქვეყნების ექსპლუატაციას ეწეოდნენ, მაგრამ ისინი გრძნობდნენ, რომ ერთადერთი გზა იმდენად გაძლიერებისათვის, რომ წინ აღდგომოდნენ დასავლურ ექსპლუატაციასა და კონტროლს, იყო თანამედროვე დასავლური მეთოდების გათავისება მრავალ სფეროში, რომელშიც შედიოდა განათლება, სამხედრო საქმე და ეკონომიკა.

მოშირ ად-დოულემ ძირითადი რეფორმატორული ძალისხმევა მიმართა ჯარსა და სასამართლო სფეროში, მაგრამ როგორც სხვა რეფორმატორები, ის აღმოჩნდა ჩინოვნიკებისა და ულემების წინააღმდეგობის წინაშე. მან საკუთარ დაცემას შეუწყო ხელი რეიტერისათვის კონცესიის გაცემით, რასაც, როგორც ზემოთ ითქვა, ის მიიჩნევდა ეკონომიკური მოდერნიზაციის საუკეთესო გზად, მაგრამ რასაც სხვები აღიქვამდნენ, და გაცილებით უფრო სამართლიანადაც, ირანის რესურსების ბრიტანეთის ქვეშევრდომისათვის მთლიანად გადაცემის საშუალებად (მირზა ჰოსეინ ხანის შესახებ, იხ. Nashat,1981)

ევროპაში სამი მოგზაურობიდან პირველის დროს, 1873 წელს, შაჰმა აღმოაჩინა, რომ რუსეთის მთავრობა მტრულად შეხვდა რეიტერის კონცესიას და დამატებით, ბრიტანეთის მთავრობაც კი არ უჭერდა მხარს რეიტერს, რომლის კონცესიაც არ წარმოადგენდა ხელისუფლების იდეას. ირანში, შაჰის არყოფნის დროს, სპარსელებმა ასევე შექმნეს კონცესიის წინააღმდეგ კოალიცია. ნასერ ად-დინ შაჰის ეს პირველი მოგზაურობა მრავალი კუთხითაა საინტერესო. პირველ რიგში, სირთულეები წარმოიქმნა რელიგიური თვალსაზრისით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა „ურწმუნოთა“ მიწაზე ყოფნა, მათ მიერ მომზადებული საკვების ჭამა, ქალებისათვის ხელის ჩამორთმევა და ა.შ. შაჰს დაახლ. 70 კაციანი ამალა ახლდა, მათგან თითოეულს კი მსახურები. მათ თან მოჰქონდათ ურიცხვი საჩუქრები, უპირველესად ცხენები. კავკასიაში, შაჰის ცოლებსა და მხევლებს შორის გაუთავებელი კინკლაობის გამო, სეფაჰსალარმა დაარწმუნა შაჰი, რომ ქალები უკან გაეგზავნა ფავორიტი მეუღლის, ანის ად-დოულეს გარდა. ამ უკანასკნელმა მოსკოვში სენსაცია მოახდინა თავისი ჩადრითა და საჭურისების ამალით. სეფაჰსალარმა ამჯერად ანის ად-დოულეც უკან გააბრუნებინა და შედეგად, შაჰის საყვარელი მეუღლე მისი მტრების ბანაკში აღმოჩნდა. ანის ად-დოულეს რეზიდენცია, მისი დაბრუნების შემდეგ გახდა ცენტრი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ მოშირ ად-დოულეს ოპონენტები. ისინი წარმოადგენდნენ პატრიოტულად ან ანტიბრიტანულად განწყობილთა, ულემთა და ასევე უბრალოდ იმ ხალხის, ვისაც ზიანი მიაყენა მირზა ჰოსეინ ხანის რეფორმებმა, შერეულ ჯგუფს. როდესაც შაჰი ხმელეთზე გადმოვიდა კასპიის ზღვისპირა ანზალის პორტში, მირზა ჰოსეინ ხანისა და რეიტერის მოწინააღმდეგე კოალიციის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ შაჰი იძულებული გახდა იქვე მიეღო მისი გადაყენების გადაწყვეტილება. თუმცა, შაჰმა მირზა ჰოსეინ ხანს მაინც მისცა რეფორმების გაგრძელების საშუალება, მაგრამ ამჯერად მხოლოდ სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე.

შაჰი შეეცადა მოენახა მიზეზი რეიტერის კონცესიის ანულირებისათვის. ის გაცემული იყო საკონცესიო პირობით, რომ რეიტერი რკინიგზის გაყვანას დაიწყებდა ზუსტად განსაზღვრულ დღეს ან გადაიხდიდა 40 ათას გირვანქა სტერლინგ საგარანტიო თანხას. რეიტერისათვის რკინიგზის გაყვანის დაწყებისათვის აუცილებელი საშუალების ბლოკირებით, შაჰს შესაძლებლობა მიეცა კონცესია გაუქმებულად გამოეცხადებინა და ფულიც მიეთვისებინა. სინამდვილეში, რეიტერს უკვე დაწყებული ჰქონდა სამუშაოები თეირან-აბადანის სარკინიგზო ხაზის გასაყვანად (ხელშეკრულებაში აღნიშნულ ვადასთან შედარებით ოდნავ დაგვიანებით), მაგრამ თავის მხრივ, ბრიტანელები შიშობდნენ, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის გამაერთიანებელი რკინიგზა რუსებს თბილი ზღვებისაკენ ექსპანსიის სურვილს აღუძრავდა. მართლაც, მალე რუსებმა გამოამჟღავნეს ინტერესი რკინიგზის კონცესიისადმი ირანში და მხოლოდ ამის შემდეგ ამოუდგა მხარში ბრიტანეთის მთავრობა რეიტერს. ბრიტანელებმა გამოაცხადეს, რომ არანაირი სარკინიგზო კონცესიის გაცემა არ შეიძლებოდა, სანამ არ დაკმაყოფილდებოდა რეიტერის პრეტენზიები. ეს იყო ერთი იმ მრავალ მიზეზთაგან, რომელთა გამოც მოხდა ირანში რკინიგზის გაყვანის ბლოკირება (იხ. Kazemzadeh, 1968: ch. 2-3). ბრიტანელები ასევე უარყოფითად იყვნენ განწყობილი თავრიზისა და კავკასიის დამაკავშირებელი რკინიგზის გაყვანის მიმართ.

მირზა ჰოსეინ ხანის მიერ განხორციელებულ უფრო წარმატებულ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო სისტემის ცენტრალიზაცია და მთავრობის კაბინეტური სისტემის შემოღება, რომელიც ცხრა მინისტრისაგან შედგებოდა და ყველა მათგანს განსაზღვრული მოვალეობები ჰქონდა. ეს კი ადრე მინისტრების უმრავლესობისათვის არ იყო განსაზღვრული. შაჰის პირველმა ევროპულმა მოგზაურობამ, რომელიც მირზა ჰოსეინ ხანის ორგანიზებული იყო, ასევე ხელი შეუწყო ზოგიერთი რეფორმის გატარებას, კერძოდ თანამედროვე საფოსტო სისტემის შექმნას.

1874 წელს ქართული წარმომავლობის ამინ ად-დოულე[23], მირზა ჰოსეინ ხანის შემდეგ ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმატორი მინისტრი, დაინიშნა ფოსტის მინისტრად (უფრო სწორად – „პირადი კორესპონდენციის“ (*რასა'ილ-ე ხასა*) ვაზირად). მირზა ჰოსეინ ხანი იყენებდა ავსტრიელ მრჩევლებს არმიის რეორგანიზებისათვის, ამინ ად-დოულე კი მათ ეყრდნობოდა საფოსტო სისტემის მოდერნიზებისათვის. მაგრამ საერთო ჯამში, შაჰი სულ უფრო მეტად ემორჩილებოდა სტატუს კვოს შენარჩუნების მსურველებს, განსაკუთრებით მირზა ჰოსეინ ხანის წინააღმდეგ აგორებული მოძრაობის წარმატების შემდეგ (ეს უკანასკნელი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა 1881 წელს, მას შემდეგ, რაც ეკავა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობები).

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის მთავრობა წარმატებით იყენებდა არამხოლოდ რეიტერის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნებს, არამედ სხვა კონცესიონერთა მოთხოვნებსაც (რეიტერის კონცესია იმდენად უნივერსალური იყო, რომ უმრავლეს მოთხოვნათა ბლოკირება სწორედ მის მიხედვით შეიძლებოდა), მაინც იყო რამდენიმე წარმატებული კონცესიებზე მონადირე. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე თევზჭერის მნიშვნელოვანი კონცესია მიენიჭა რუსეთის ქვეშევრდომს, რომლის მიერ შექმნილ კომპანიას მონოპოლია ეკუთვნოდა ირანული ხიზილალის წარმოებასა და გაყიდვაზე I მსოფლიო ომის დასასრულამდე. რუსეთის ქვეშევრდომებმა ასევე მიიღეს სხვა კონცესიებიც, მაგრამ ნამდვილი კონცესიური ციებ-ცხელება დაიწყო 1888 წლის შემდეგ, როდესაც ბრიტანული პოლიტიკა კონცესიების მიმართ ნაწილობრივი კეთილგანწყობიდან მტკიცე მხარდაჭერად შეიცვალა. ბრიტანეთის კონსერვატორული მთავრობის ახალი მისია, ირანის საქმეების მინისტრის, სერ ჰენრი დრამონდ ვოლფის მეთაურობით, აქტიურად იღწვოდა ეკონომიკური კონცესიების მოსაპოვებლად. ვოლფის ზეწოლის შედეგად, შაჰმა ირანის ერთადერთი სანაოსნო მდინარე სამხრეთში ქარუნი გახსნა საერთაშორისო ნაოსნობისათვის. მდინარეზე სავაჭრო გადაზიდვების უფლება კი მიიღო ძმები ლინჩების კომპანიამ. რუსები, თავის მხრივ, ახდენდნენ ირანზე ზეწოლას, რომ მას არ გაეცა სატრანსპორტო კონცესიები მათი დასტურის გარეშე და პროტესტს გამოთქვამდენ ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ ირანის მთავრობა პასუხობდა, რომ მდინარის სანაოსნოდ გახსნა არ იყო კონცესია. ვოლფმა, რეიტერის ვაჟთან ერთად, მიაღწია შაჰთან შეთანხმებას რეიტერის მნიშვნელოვან მოთხოვნებთან დაკავშირებით. ეს შეთანხმება რეიტერს აძლევდა ორ მნიშვნელოვან სფეროს პირველი კონცესიიდან, ნაციონალური ბანკის შექმნის უფლებას (ირანში არ არსებობდა თანამედროვე საბანკო სისტემა) და წიაღისეულის ძიებისა და წარმოების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ წიაღისეულში შედიოდა ნავთობიც (რეიტერის პირვანდელი კონცესია მასაც მოიცავდა), რომელიც ზოგიერთის აზრით, შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ირანში, წიაღისეულის ძიება მალე შეწყდა და მასზე უფლებები დაუბრუნდა ირანის მთავრობას. ბანკი კი, სპარსეთის საიმპერიო ბანკის (*ბანქ-ე შაჰი*) სახელით, გაიხსნა ცენტრით თეირანში და ფილიალებით პროვინციებში და მას ჰქონდა ფულისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვების ექსკლუზიური უფლება. ბანკის დამაარსებელი იულიუს რეიტერის შვილი გახდა. თავის მხრივ, რუსებმა მალე მიიღეს უფლება გაეყვანათ გზები ჩრდილოეთში და გაეხსნათ თავიანთი საკუთარი ბანკი, რომელსაც ისინი ფართოდ იყენებდნენ ირანელი თანამდებობის პირებისათვის სესხების გასაცემად, რეალურად მათ მოსასყიდად.

1879 წელს რუსეთში მყოფ შაჰზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს კაზაკებმა და მან შექმნა ირანული კაზაკთა ბრიგადა, რომლის სათავეშიც რუსი ოფიცრები იდგნენ. ის მალე ჩამოყალიბდა მცირე, კარგად გაწვრთნილ და დისციპლინირებულ ძალად, რომელზე დაყრდნობაც შაჰს შეეძლო, მაგრამ იმავდროულად ამ აქტით კიდევ ერთი საშუალება გაჩნდა რუსეთის ზეგავლენის გაზრდისა ირანში და ის შეიძლებოდა გამოყენებულიყო იმ ირანული მოძრაობების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთ-

23 მირზა ალი ხან ამინ ად-დოულე (1844-1904) 20 წლის მანძილზე ასევე იყო ნასერ ად-დინ შაჰის პირადი მდივანი. მომდევნო შაჰის, მოზაფარ ად-დინის გამგებლობისას, ხანმოკლე დროის მანძილზე (1897-98), ეკავა პირველი ვაზირის თანამდებობა. მას შემდეგ, რაც მან ვერ მოახერხა ინგლისელების მიერ კონტროლირებადი საიმპერიო ბანკიდან სესხის აღება, შაჰმა ის გადააყენა. კონსტიტუციური რევოლუციის დროს მას დიდი პატივი მიაგეს, როგორც პროგრესისტ რეფორმატორს (მის შესახებ იხ. Farmayan, 1983).

ხეს უქმნიდნენ რუსეთის მთავრობას. ბრიგადაში ოფიცრებად რუსები მსახურობდნენ, ირანელები კი თავდაპირველად მხოლოდ რიგითები იყვნენ.

კონცესიების ეს სერია, რომლისგანაც მთავრობამ მხოლოდ მცირე თანხები მიიღო, თუ არ ჩავთვლით შაჰისა და ოფიციალური პირების ფართოდ მოქრთამვას, ნიშნავდა, რომ ბრიტანული და რუსული კონტროლი ირანზე კიდევ უფრო გაიზარდა. სპარსეთის საიმპერიო ბანკის ექსკლუზიური უფლება გამოეშვა ბანკნოტები, არაპოპულარული იყო ირანელ ვაჭრებსა და მევახშეებს შორის, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე უშვებდნენ სხვადასხვა სახის და ცირკულაციის სფეროს საკუთარ ბანკნოტებს. ტრადიციული სპარსელი ბანკირების მიერ მოხდა საიმპერიო ბანკის მონეტების რამდენიმე ბოიკოტი (ეს, ბრიტანელთა თვალსაზრისით, ორგანიზებული იყო რუსების მიერ) და ზოგიერთმა მათგანმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია. რუსული ბანკი, რომელსაც ხელისუფლება აფინანსებდა, უფრო ნაკლები ეკონომიკური პრივილეგიებით სარგებლობდა, ვიდრე ბრიტანული, მაგრამ მეტად სასარგებლო იყო რუსებისათვის, რომ ირანელ მნიშვნელოვან პირებზე ზეგავლენა ჰქონოდათ მათთვის ხელსაყრელი პირობებით სესხების გაცემით. XIX საუკუნის მიწურულს, ამგვარად, როგორც ბრიტანელებს, ისე რუსებს, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ ირანში, და ზოგიერთ სფეროში ისინი სრულ კონტროლს აღწევდნენ.

დასასრულ, XIX საუკუნეში ირანის საშინაო ვითარების ანალიზისას, ბუნებრივად უნდა დაისვას შემაჯამებელი კითხვები, თუ რატომ ვერ მოახერხეს ყაჯარებმა ძალაუფლების ინსტრუმენტების მოდერნიზება და სახელმწიფოს ცენტრალიზება? უნდა გამოიყოს ამის რამდენიმე მიზეზი:

1. გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ყაჯართა პიროვნულ თვისებებს. ტახტის მემკვიდრე აბას მირზა, რომელმაც წამოიწყო არმიისა და ბიუროკრატიის მოდერნიზება, გარდაიცვალა, სანამ ტახტზე ავიდოდა.

ირანის ჩამორჩენის შენარჩუნებისათვის კი გადამწყვეტი გამოდგა ნასერ ად-დინ შაჰის ხანგრძლივი მეფობა. მცირე, ნაკლებადეფექტური რეფორმების მცდელობის შემდეგ, რაც ულემების წინააღმდეგობას წააწყდა, შაჰმა უკან დაიხია. შეთქმულებისა და აჯანყების წრეგადასულმა შიშმა, საკუთარ სიცოცხლეზე ზრუნვამ, იგი მეტად გაუბედავი გახადა. მას არ ძალუძდა დასავლური განათლების ელემენტების შემოტანა ქვეყანაში, რაც მოდერნიზაციისაკენ მიმართული რეფორმების საფუძველს შექმნიდა.

XIX საუკუნეში ფაქტობრივად არ შექმნილა თანამედროვე მოდერნიზებული არმია, ბიუროკრატია და განათლების სისტემა. **1879 წ. შექმნილი კაზაკთა მცირე ბრიგადა, რომელსაც რუსი ოფიცრები** ხელმძღვანელობდნენ, რჩებოდა ყაჯართა ერთადერთ მოდერნიზებულ სამხედრო ძალად.

2. მიუხედავად იმისა, რომ ყაჯართა სახელმწიფო აბსოლუტური მონარქია იყო, ისინი იყვნენ დესპოტები დესპოტიზმის ინსტრუმენტთა გარეშე – არ გააჩნდათ არც ფინანსები, არც არმია და არც სათანადო ბიუროკრატიული აპარატი. ამასთან ერთად არსებობდა იმპერიალისტური მუქარაც, უპირველესად ირანის ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდების მოსურნე ინგლისისა და რუსეთის იმპერიების მხრიდან.

3. რუსეთი და ბრიტანეთი გარკვეულწილად ხელს უწყობდნენ ყაჯართა კონსერვატიზმის შენარჩუნებას. ისინი უშვებდნენ დინასტიისა და ქვეყნის პირობითი ერთიანობის არსებობას (მას შემდეგ, რაც XIX ს. I მესამედში ირანს მნიშვნელოვანი ტერიტორიული დათმობები მოუწია რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ). ამბოხების შემთხვევაში, დინასტიას შეეძლო მიემართა უცხო არმიისათვის და ამდენად არ ესაჭიროებოდა საკუთარი ძლიერი ჯარი. ასევე ხელისშემშლელი ფაქტორი იყო რუსეთ-ბრიტანეთის მეტოქეობაც. პროექტების მიუხედავად, ირანში რკინიგზის გაყვანა შეფერხდა XX ს. 20-იან წლებამდე. რკინიგზის არსებობა კი ხელს შეუწყობდა ცენტრალური ხელისუფლების პოზიციების განმტკიცებას.

4. ცენტრალიზაცია ირანის პირობებში გაცილებით უფრო რთული განსახორციელებელი იყო, ვიდრე ეგვიპტესა და ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ ოლქებში – ირანის რთული ტოპოგრაფიის, დასახლებული ცენტრების დიდი ურთიერთდაშორების გამო, აგრეთვე მომთაბარე ტომების დამოუკიდებელი სამხედრო და პოლიტიკური ძალაუფლების მიზეზით. მაგალითისთვის, ისფაჰანის გუბერნატორი შაჰის უფროსი ვაჟი ზილ ას-სოლთანი პრაქტიკულად სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა – ჰყავდა საკუთარი არმია, სამეფო კარი, ადმინისტრაცია.

"ყაჯარების დროს პოლიტიკური ფუნქციები გადანაწილებული იყო ტომების ბელადებსა და გუბერნატორებს შორის, რომლებიც მეტად დიდი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ ცენტრალური ხელისუფლებიდან და თავადვე გააჩნდათ ძალაუფლების მრავალრიცხოვანი რესურსები: ჰყავდათ შეიარაღებული რაზმები, შემოსავლებს თავისი ნებით კრეფდნენ და ანაწილებდნენ და თვითონვე აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და ასე გაგრძელდა XX საუკუნის დასაწყისამდე" (Badie, 1986: 166). ამდენად, ქვეყანაში მეტად რთული იყო ცენტრალიზებული კონტროლის დამყარება.

ნასერ ად-დინ შაჰის ხანგრძლივი მეფობა ხასიათდებოდა გაცილებით უფრო მცირე რაოდენობით ღონისძიებებით ან ნაბიჯებით ეკონომიკური თუ სოციალური განვითარებისათვის XIX საუკუნის ეგვიპტესთან, ოსმალეთის იმპერიასთან, ან თუნისთან შედარებით. ეს კი ნაწილობრივ განპირობებული იყო ირანში ცენტრიდანული, ტრადიციული ძალების სიძლიერით, ნაწილობრივ კი ყაჯარი მმართველების ხასიათით (ამ მუსლიმური ქვეყნებისაგან განსხვავება არ შეიძლება დაბრალდეს ევროპელთა ზეწოლას, რაც სხვაგანაც ასეთივე დიდი იყო).

5. **გარდა ამისა, პრემიერების ამირ ქაბირის, მოშირ ად-დოულეს და ამინ ად-დოულეს რეფორმებისაკენ** აღებულ კურსს წინ აღუდგა ბევრი ის, ვისაც ხელისუფლების სადავეები ეპყრა – სამეფო კარი, ფეოდალები და, პირველ რიგში, ულემები, რომელთათვისაც მიუღებელი და საზიანო იყო დასავლური გავლენის გაძლიერება და ქვეყნის დასავლური მოდელის მიხედვით რეფორმირება.

„თამბაქოს“ ამბოხება და სამღვდელოების დაპირისპირება ხელისუფლებასთან

XIX საუკუნის მიწურულს ირანში განსაკუთრებით გამოიკვეთა სასულიერო წოდების გააქტიურების ტენდენცია, რაც გამოიხატა **1892 წელს ე.წ. თამბაქოს ამბოხებაში. ამასთან ერთად, თუკი რომელიმე** მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს ირანის, როგორც მოდერნული ერ-სახელმწიფოს ისტორიის დასაწყისად, ეს უეჭველად „თამბაქოს ამბოხებაა“ (Daniel, 2001: 115).

ფათჰ ალი შაჰის ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში როგორც ყაჯართა დინასტიამ, ისე შიიტურმა ჰიეროკრატიამ, მოახერხეს თავიანთი, შესაბამისად პოლიტიკური და რელიგიური ხელისუფლების გამყარება და კონსოლიდაცია. „სეფიანთა ცეზაროპაპისტურმა მონიზმმა გზა გაუხსნა ჰიეროკრატიულ-სახელმწიფოებრივ დუალიზმს“ (Arjomand, 1988: 15). გაიყო ხელისუფლების პოლიტიკური და რელიგიური ფუნქციები. ყაჯარებმა თავიდანვე აღიარეს ულემების განსაკუთრებული, მოძღვრის როლი დინასტიისათვის და, აქედან გამომდინარე, სამღვდელოება, რელიგიური სფეროს კონტროლის გარდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ პროცესებშიც. უფრო ზუსტად კი, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური პროცესების განმაპირობებელი რელიგიური გადაწყვეტილებები გამოჰქონდა. ისლამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამღვდელოების ძალაუფლება მთლიანად მოიცავდა რელიგიურ, იურიდიულ და საგანმანათლებლო სფეროებს. XIX ს.-ის I ნახევარში მრავალი ტრაქტატი დაიწერა პოლიტიკური ეთიკისა და პოლიტიკური თეორიის შესახებ, რომლებიც ამართლებდნენ სამღვდელოების და მონარქიის ფუნქციების ამგვარ გადანაწილებას, ხაზს უსვამდნენ კონკორდატისა და თანამშრომლობის აუცილებლობას სახელმწიფოსა და ჰიეროკრატიას შორის.

დაპირისპირების პირველი თვალსაჩინო ნიშნები XIX ს. II ნახევრიდან ჩნდება, როდესაც ირანის მთავრობა სამღვდელოების მიერ გაკიცხული რეფორმების ჩატარებას შეუდგა. სამღვდელოება ხშირ შემთხვევაში (და არც თუ უსაფუძვლოდ) მიიჩნევდა, რომ რეფორმები და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანას ნახევრადკოლონიად გადააქცევდა, უცხოური საქონლის მოძალება კი ირანელი გლეხებისა და ვაჭარ-ხელოსანთა გაღატაკებას გამოიწვევდა. სწორედ ამ ანტიკოლონიური და პატრიოტულ-პოპულისტური ლოზუნგით (და არა საკუთარი პრივილეგიების შენარჩუნების მოთხოვნით) უპირისპირდებოდა სამღვდელოება რეჟიმს და ამგვარი ოპოზიციური პოლიტიკის მოშველიებით მომხრეთა მრავალრიცხოვან არმიას იძენდა.

ყოველივე ეს ოპოზიციის, მათ შორის ხელისუფლებაზე განაწყენებული სამღვდელოების წისქვილზე წყალს ასხამდა. შედეგმაც არ დააყოვნა და **1891 წელს ე.წ. „თამბაქოს კონცესია“ საყოველთაო საპ**როტესტო მოძრაობის მიზეზად იქცა.

ნასერ ად-დინ შაჰის უზომო ხარჯების, განსაკუთრებით **1889 წლის ევროპაში მოგზაურობის შემ**დეგ დაგროვილი ვალების გამო, პირველმა ვაზირმა ალი აშყარ ხან ამინ ას-სოლთანმა წამოიწყო მოლაპარაკებები ბრიტანელებთან ირანული თამბაქოს კონცესიის შესახებ.

1890 წ. 8 მარტს შაჰმა 50 წლით ბრიტანელ ჯერალდ ტალბოტს მიანიჭა თამბაქოს კულტურაზე მონოპოლია – მისი გასაღებისა და ბრიტანეთში ექსპორტის უფლებით. პრივილეგიებით გათვალისწინებული იყო, რომ მხოლოდ კონცესიის მფლობელის მიერ გაცემული უფლებით უნდა მომხდარიყო მთელი ირანის ტერიტორიაზე თამბაქოს წარმოება და გაყიდვა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, შაჰის ხაზინაში ყოველწლიურად 15 ათასი გირვანქა სტერლინგი უნდა შესულიყო (მიუხედავად შემოსავლის და გასავლისა) და აგრეთვე 25% კომპანიის შემოსავლებიდან (კონცესიის ტექსტი იხ. Hurewitz, 1952: 458-460). კომპანია კი ელოდა უდიდეს მოგებას. სუფთა მოგებას ყოველწლიურად 371,875 გირვანქა სტერლინგისათვის უნდა მიეღწია, რაც დაბანდებული კაპიტალის 50%-ს შეადგენდა (Browne, 1910: 47).

თამბაქოზე ეს უცხოური მონოპოლია ნაკლებ პრობლემებს უქმნიდა მწარმოებლებს, რომლებიც მოგებულნიც კი რჩებოდნენ მათი პროდუქციის გაყიდვის მუდმივი გარანტიითა და ასევე გარანტირებული შემოსავლით, მაგრამ იგი ემუქრებოდა ბაზრის გამყიდველებისა და მევახშეების შემოსავლებს. სწორედ ამ ურბანიზებულ საშუალო კლასთან იდგნენ ყველაზე ახლოს ულემები თავიანთი წარმომავლობით, კავშირებითა და თანმთხვევი ინტერესებით. ამდენად, თამბაქოს ამბოხება უპირველესად უნდა დავუკავშიროთ ბაზრის ხალხის, ირანში ოდითგანვე მეტად ძლიერი სოციალური ფენისა და სამღვდელოების ერთგული მოკავშირის ინტერესების იგნორირებას. მალე გამოვლინდა, რომ სამღვდელოებას შესწევდა უნარი სპონტანური სახალხო საპროტესტო მოძრაობა საკუთარი და ბაზრის ხალხის ინტერესების გამომხატველად გადაექცია. თამბაქოს მონოპოლიასთან დაკავშირებით ფ. ქაზემზადე წერს: „იმ საზოგადოების იგნორირებით, რომელთანაც საქმე უნდა ჰქონოდათ, დრამონდ ვოლფმა (ის თამბაქოს კონცესიის ერთ-ერთი ინიციატორი იყო) და მისმა მეგობარმა ბიზნესმენებმა გამოავლინეს ვაჭრებისა და ბაზრის ძალების პოზიციების უცოდინრობა. ქალაქის მოვაჭრენი არ იყვნენ დაუცველები. როგორც კლასს, მათ უფრო მაღალი სტატუსი გააჩნდათ, ვიდრე ვაჭრებს რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. უფრო მეტიც, ისინი წარმოადგენდნენ კლასს, რომელიც სასიცოცხლო ინტერესებით იყო დაკავშირებული სამღვდელოებასთან. ამ ჯგუფის დაუფასებლობა არ შეიძლებოდა. ურთიერთთანადგომით ვაჭრებსა და სამღვდელოებას შეეძლოთ ქვეყანაში ქაოსის შექმნა“ (Kazemzadeh, 1966: 252).

უნდა აღინიშნოს, რომ კონცესიის გაფორმების თავდაპირველად მხოლოდ დაინტერესებული მოსახლეობის თხოვნა მოჰყვა ხელისუფლებისადმი შეემსუბუქებინა კონცესიის პირობები, ვინაიდან არსებული ხელშეკრულება მათ უსათუო გაკოტრებას უქადდა. იმდენად დიდი იყო ინგლისური კომპანიის მონოპოლიის შიში, რომ ირანელმა თამბაქოს მწარმოებლებმა და თამბაქოთი მოვაჭრეებმა „მზადყოფნა გამოთქვეს გადაეხადათ მთავრობისათვის უფრო დიდი ყოველწლიური შესატანი, ვიდრე ის, რომლის გადახდაც ითავა კომპანიამ“ (იქვე). თუმცა, ეს წინადადება უპასუხოდ დარჩა.

თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ მოძრაობა დაიწყო შირაზში, სადაც განთავსებული იყო კომპანიის ერთ-ერთი მთავარი სააგენტო. საპროტესტო მოძრაობას სათავეში ჩაუდგა შირაზის სამღვდელოება, რომელიც მოითხოვდა კომპანიის აგენტ ბინსს დაეტოვებინა შირაზი. მის წასვლამდე კი უარს ამბობდა მეჩეთებში შესვლაზე.

მღელვარებების ეპიცენტრი შირაზის შემდეგ თავრიზი გახდა, რომელიც ირანის უმსხვილეს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა.

თავრიზის მთავარმა მოჯთაჰედმა ჰაჯი ჯავად აღამ განაცხადა: „თუნდაც რომ დაპატიმრება და გადასახლება მელოდეს, არ შევწყვეტ აგიტაციას თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ, რადგანაც მისი დაკანონება შარიათის აშკარა დარღვევაა“ (Safai, 1967: 16).

ამბოხებულთა მოქმედებამ აიძულა შაჰი დათმობებზე წასულიყო და 1891 წ. 30 აგვისტოს აზერბაიჯანის პროვინციაში თამბაქოს მონოპოლია გაეუქმებინა. თუმცა, ამით კონფლიქტი არ ამოიწურა და საპროტესტო მოძრაობამ უფრო ფართო, ფაქტობრივად მთელი ქვეყნის მასშტაბი მიიღო.

თამბაქოს მონოპოლიასთან დაკავშირებულმა მღელვარებებმა შირაზიდან და თავრიზიდან ისფაჰანს, მეშჰედსა და თეირანს მიაღწია. დაიწყო თამბაქოს, ყალიანების, მოსაწევი ჩიბუხების მასობრივი განადგურება. ერაყის წმინდა ქალაქებიდან შიიტური სამღვდელოების ელიტამ ირანელ შიიტ მოძმეებს მხარდაჭერა გამოუცხადა. სამარაში საყოველთაოდ აღიარებულმა მარჯა ალ-თაკლიდმა[24] მირზა ჰოსეინ შირაზიმ წერილები და ტელეგრამები გაუგზავნა შაჰს კონტრაქტის გაუქმების მოწოდებით. 1891 წ. დეკემბრის დასაწყისიდან თეირანში ცირკულირებდა ფეთვა, რომელიც კრძალავდა თამბაქოს გამოყენებას და ამ მოვლენას აიგივებდა ფარული იმამის წინააღმდეგ ომის დაწყებასთან: „..დღეს თამბაქოს ნებისმიერი სახეობის მოხმარება... ომის გამოცხადებაა მეთორმეტე იმამის წინააღმდეგ“ (ციტ. Mottahadeh, 1980: 216-17). ამავე წერილში პირველი ვაზირი ას-სოლთანი ბაბის მიმდევრად იყო მოხსენიებული.

თამბაქოს კონფლიქტთან დაკავშირებით ქერბალაში მცხოვრები ჰოჯათ ოლ-ესლამ ჰაჯი ჰასან ალ-ჰოსაინი შაჰს აიათოლა შირაზის ანალოგიური წერილით მიმართავდა: „უცხოელებისათვის უფლების მიცემა ჩაერიონ სახელმწიფოს საქმეებში, მათი ურთიერთობა მუსლიმებთან, ბანკისა და თამბაქოს მონოპოლიის შექმნა, რკინიგზის გაყვანა და სხვ., რაც წარმოადგენს დიდებული ყურანის წესებისა და საღვთო კანონის დარღვევას, ასუსტებს ხელისუფლების ძალას, არღვევს სახელმწიფო წესრიგსა და იწვევს ხალხის გაღარიბებას“ (ციტ. Иванов, Зайцев, 1988: 138).

---

24 *მარჯა' ალ-თაკლიდი* (არაბ.) – დიდი აიათოლა, შიიტთა სულიერი მეთაური. სპარსულში მიღებული ფორმაა *მარჯა'-ე თაყლიდი* ან უბრალოდ *მარაჯი*.

ალ-ავღანი

თამბაქოს ამბოხებაში არაპირდაპირ მონაწილეობას იღებდა პანისლამისტური მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ლიდერი ალ-ავღანიც (სეიედ ჯამალ ალ-დინ ასადაბადი) (1838-1897), რომელიც ქადაგებას ეწეოდა შაჰის პოლიტიკის წინააღმდეგ.

XIX ს.-ის 90-ინი წლებიდან ხდება დროებითი შერიგება ადრე დაპირისპირებულ ულემებსა და რეფორმატორებს შორის, რასაც დასაბამი „თამბაქოს“ ამბოხებიდან ედება. სეკულარისტებისა და ულემების ამ ისტორიულად ალოგიკური ალიანსის არქიტექტორი იყო სწორედ მუსლიმი რეფორმატორი და პანისლამისტი ალ-ავღანი. ის ირანში დაიბადა, წარმომავლობით შიიტი იყო და განათლებაც შიიტური ჰქონდა მიღებული ირანსა და ერაყის წმინდა ადგილებში (ავღანეთში დაბადება „აირჩია“ სუნიტურ სამყაროსთან დაახლოების მიზნით). ალ-ავღანი ბევრს მოგზაურობდა, ეწეოდა ისლამის ერთიანობის, რეფორმირებისა და თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებისადმი მისადაგების პროპაგანდას. გამოსცემდა ჟურნალებს, რომლებშიც ქადაგებდა პანისლამისტურ იდეებს და ხაზს უსვამდა მუსლიმთა გაერთიანების აუცილებლობას.

ის გამოირჩეოდა ანტიბრიტანული განწყობებით და ირანში რამდენიმე წლის გატარების შემდეგ, 1887 წელს შაჰმა იგი აიძულა დაეტოვებინა ქვეყანა, თუმცა მალე ისევ მიეცა ქვეყანაში დაბრუნების შანსი. მას კავშირები ჰქონდა როგორც ვაჭრებთან, ისე ულემებთან. 1891 წელს შაჰმა ის ხელახლა გააძევა ქვეყნიდან. ერაყიდან და შემდეგ ლონდონიდან, სადაც მას მალქომ ხანი შეუერთდა, იგი აგრძელებდა შაჰის წინააღმდეგ პროპაგანდას.

1897 წელს, ალ-ავღანის კიბოთი გარდაცვალების შემდეგ, დასრულდა „რელიგიურ-რადიკალური ალიანსის“ პირველი მნიშვნელოვანი ფაზა[25] (Keddie, 1966: 79).

ალ-ავღანის მიმართვიდან ინგლისის საზოგადოებისადმი:

„...თქვენი ინგლისური პრესის უნებლიე თუ მიზანმიმართული უცოდინრობა სპარსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ კიდევ ერთი წყაროა მათი დაბნევისა და გულაცრუებისა, ვისაც სურს მისი [სპარსეთის] კეთილდღეობა. მაგალითისათვის, თქვენ დამოკიდებული ხართ თეირანიდან სატელეგრაფო ხაზებით მიღებულ ინფორმაციაზე. ამჟამინდელ ვითარებაში არაფერი შეიძლება იყოს მსგავსად შეცდომაში შემყვანი. ეს ინფორმაცია იფილტრება საიმპერიო ბანკის გზით. ბანკი ნიშნავს აქციონერთა ინტერესს. [ბრიტანეთის] დიპლომატიური მისია და ბანკი ასახავს მოცემულ მომენტში მათ წარმომადგენელთა შეხედულებას შაჰზე. მათთვის სპარსეთი კარგად იმართება – მასები კმაყოფილი არიან, შაჰი თავისი ხალხის მამაა, ევროპელთათვის გაცემული კონცესიები, განსაკუთრებით თამბაქოს კონცესია, უბრალოდ კეთილშობილი მცდელობებია დამყარდეს ევროპული გზებით და მეთოდებით გულითადი კავშირი (*entente cordiale*) დაშორებულ ხალხებსა თუ მეგობარ მოკავშირეებს შორის. აქაც და იქაც ცოტა თუ იქნება უკმაყოფილო; უეჭველია, რომ ეს უნდა განხორციელდეს „მტკიცე ხელით“. შაჰი, რამდენადაც მომთმენი და კეთილი შეუძლია იყოს, სერიოზულად უნდა მიუდგეს ამას. ღრმად ფესვებგამჯდარი ამბოხი... რომელიც უკვე დაიწყო ჩრდილოეთში, სამხრეთში, დასავლეთსა და აღმოსავლეთში, აღიწერება, როგორც „პოლიციისათვის არსებული ლოკალური სირთულეები.“ ნახეთ, თუ როგორ აღწერეს საკმაოდ დაგვიანებით თქვენმა გაზეთებმა ის უმძაფრესი აღშფოთება, როგორითაც შეხვდნენ სპარსეთში თამბაქოს კონცესიას. თქვენ უბრალოდ ვერ აღიქვამთ არსებულ სიტუაციას. თქვენმა ჟურნალისტებმა, მაგალითად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს „ქერბალას მთავარი მღვდლის“ არაჩვეულებრივ საქციელს, რომელმაც აკრძალა მოწევა იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა, თუ რაოდენი სიძულვილით აღიქვამდნენ მოტყუებული და გაძარცული სპარსელები შაჰის მიერ ინგლისელი სპეკულიანტებისათვის მინიჭებულ თამბაქოს მონოპოლიას, რაშიც შაჰმა დიდი თანხა აიღო. მავანი იფიქრებს, რომ ინგლისურმა პრესამ მართლაც არ იცოდა, თუ რას ნიშნავს მონოპოლია და ვინ იყვნენ სინამდვილეში „ქერბალას მთავარი მღვდელი და თეირანის მთავარი ვაჭარი“...

სპარსელთა კანონიერი და განუყოფელი უფლება მიყიდოს თავისი თამბაქო ან სხვა ნაწარმი ვისაც სურს, უხეშად დაირღვა შაჰის მიერ, რომელმაც გაყიდა, თუ უფლება მისცა თავის მოღალატე მინისტრებს მიეყიდათ თამბაქოს მონოპოლია უცხოელისათვის. შაჰმა მალე დაინახა თავისი შეცდომა, მაგრამ რადგანაც სიტყვა ჰქონდა მიცემული, თავს არ დაესხა ევროპელ სპეკულიანტებს, რომლებმაც თავი თეირანში თქვენს დიპლომატიურ მისიას შეაფარეს. თუმცა, ჩემთან მოვიდა ცნობები თე-

25 საგულისხმოა, რომ 1896 წ. 1 მაისს ნასერ ად-დინ შაჰი მოკლა ალ-ავღანის მიმდევარმა პანისლამისტმა მირზა ქერმანიმ.

ირანიდან, რომ შეთანხმება მოხდა – შაჰი, რომელიც ესოდენ „მტკიცედ იდგა," შეშფოთდა „ქერბალას მთავარი მღვდლის" მოქმედების გამო და თამბაქოს კონცესია გაუქმდა. რაც შეეხება „ქერბალას მთავარ მღვდელს," ის პრაქტიკულად სპარსელი პაპია, უზენაესი ძალაუფლების მატარებელი ქერბალაში. მისი ანათემა გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პიუს IX-ის ან ლეონ XIII-ის მიერ იტალიის მეფის ექსკომუნიკაცია. მოკლედ რომ ითქვას, ყველა მათი, ვინც სპარსეთს იცნობს, ეს დაუფარავი შეხედულებები არ იყო შეტანილი ტელეგრამებში – ის, რომ შაჰი ბრმად უახლოვდებოდა თავის აღსასრულს, მის მიერ ჩადენილ ერთ სიგიჟეს მეორე მოჰყვებოდა, ის შეშინებული იყო და ნაბიჯ-ნაბიჯ უკან იხევდა (al-Afghani, 1892/2005: 11-12).

მთავრობამ სცადა სიტუაციის მოგვარება კონცესიის პირობების შემსუბუქებითა და ხელშეკრულებიდან ტერმინ მონოპოლიის ამოღებით. მაგრამ მოძრაობის აგორებულ ტალღას ეს ვერ შეაჩერებდა. შაჰის ცოლებმაც კი უარი თქვეს თამბაქოს მოწევაზე. სამღვდელოება შემრიგებლურ პოზიციებზე გადავიდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა 28 დეკემბერს ხელისუფლება იძულებული გახდა გაეკეთებინა განცხადება კონცესიის სრული გაუქმების შესახებ. 1892 წ. 6 იანვარს თეირანის მოჯთაჰედმა აშთიანიმ მოუწოდა მოსახლეობას განეახლებინა ყოველდღიური საქმიანობა და 26 იანვარს სამარადან გამოგზავნილი ტელეგრამით აიათოლა შირაზიმ მოსახლეობას თამბაქოს მოხმარების უფლება მისცა. ამით საბოლოო წერტილი დაესვა ბოიკოტს.

კონცესიის გაუქმების შემდეგ ირანის მხარეს, საჯარიმო პირსაგამტეხლოს სახით, 500 ათასი გირვანქა სტერლინგი უნდა გადაეხადა, რისთვისაც პროცენტიანი სესხის აღება მოუწია, ირანის მთავრობა კი 40 წელი უხდიდა ამ თანხას ინგლისელების მიერ კონტროლირებად შაჰინშაჰის ბანკს წლიური 6%-ით.

თამბაქოს ამბოხი გამოდგა პირველი საპროტესტო მოძრაობა, რომელშიც წინამავალი როლი სამღვდელოებამ ითავა და ამით ფაქტობრივად დაირღვა ის კონკორდატი რომელიც მთელი XIX საუკუნე არსებობდა ყაჯარებსა და სასულიერო წოდებას შორის, მაგრამ რომლის არსებობასაც საუკუნის მეორე ნახევრიდან აშკარად საფრთხე დაემუქრა ხელისუფლების მიერ სამღვდელოებისათვის არახელსაყრელი რეფორმების გატარების და ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპეიზაციის მცდელობის გამო.

ირანის მთავრობის გაუბედავი პოლიტიკა და შიში გაეუქმებინა მონოპოლია ინგლისის მხარის თანხმობის გარეშე, ხელსაყრელი მიზეზი იყო მოძრაობაში სასულიერო პირების ჩართვისათვის.

თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო მოძრაობა იყო არა მხოლოდ უცხოელთა შემოჭრის წინააღმდეგ რელიგიური მტრობის წინ წამოწევა, არამედ ულემთა ძალის დემონსტრაციაც. თამბაქოს კონცესიის ოპოზიციაში მათ დაამტკიცეს, რომ გააჩნდათ უნარი გაერთიანებისა და ოდნავ გამოაჩინეს საკუთარი ძალა; შემდგომ წლებში მათი პოზიცია უფრო აგრესიული გახდა, რამდენადაც მათი ძალა გაიზარდა.

არ არსებობს თამბაქოს ამბოხებისა და მასში მონაწილეობის ერთგვაროვანი შეფასება. მაგალითად, ირანელი სეკულარისტი ისტორიკოსი აჰმად ქასრავი მიიჩნევს, რომ ეს იყო სამღვდელოებისა და ხალხის ერთსულოვანი ამბოხი უცხოელთა დომინირების წინააღმდეგ და ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად (Kasravī, 161: 15). მეორე ირანელი ისტორიკოსი ფერეიდუნ ადამიათი კი პირიქით, თვლის, რომ სამღვდელოებას მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვა ამოძრავებდა. იგი და ამ თვალსაზრისის სხვა მომხრეები მიიჩნევენ, რომ სამღვდელოება უზარმაზარ სავარგულებს აკონტროლებდა რელიგიური მიწების სახით, მოვაჭრეთა და მათ შორის კი სწორედ ეკონომიკური ინტერესების თანმთხვევა არსებობდა (Adāmī'yat, 161: 75-78).

მთავარი არის ის, რომ „თამბაქოს" ამბოხების შემთხვევაში სამღვდელოება, ირანის ისტორიაში პირველად, რეალურად გახდა პოლიტიკური პროცესების მთავარი წარმართველი (ჯერ კიდევ სეფიანთა ეპოქაში შექმნილმა თეორიამ ამ სახით მოახდინა პრაქტიკული რეალიზაცია) და პირველად შეძლო ულტიმატუმების ენით ელაპარაკა ხელისუფლებასთან, რელიგიური გამართლება გამოეძებნა წმინდა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მოძრაობისათვის და სათავეში ჩადგომოდა მას (სანიკიძე, 2009: 107).

ასევე იმ მომენტის გათვალისწინებაც აუცილებელია, რომ თამბაქოს მოძრაობა დაიწყო არა სამღვდელოების, არამედ კონცესიით დაზარალებული მოსახლეობის მიერ. სამღვდელოება კი მაშინ შეუერთდა მოძრაობას, როდესაც აშკარად გამოჩნდა, რომ მოძრაობაში ჩაბმა უთუოდ გაზრდიდა მის ავტორიტეტსა და შემატებდა პოლიტიკურ წონას. ამ მხრივ ანგარიშგასაწევია ის მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც „თამბაქოს" ამბოხების დროს ულემებს უბრალოდ შეეშინდათ რევოლუციური მოძრაობისა და ყველაფერი გააკეთეს მისი სასურველ კალაპოტში ჩასაყენებლად. მანიფესტანტებს კი მხოლოდ იმ

მიზეზით შეუერთდნენ, რომ არ დაეკარგათ გავლენა მასებზე და რაც შეიძლება სწრაფად მიეღწიათ კომპრომისისათვის მონარქიასთან.

ისიც აღსანიშნავია, რომ თამბაქოს ამბოხების დროსაც სამღვდელოებაში არ იყო ერთიანობა. მაგ., აიათოლა ბეჰბაჰანი (მომავალი საკონსტიტუციო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი) და მისი ერთგული სამღვდელოების წარმომადგენლები ეწინააღმდეგებოდნენ მოძრაობას და პრემიერ ამინ ას-სოლთანის მოკავშირეები იყვნენ.[26] საინტერესოა, რომ ამინ ას-სოლთანი ქართველი მონის შვილიშვილი იყო. ის ასევე ითავსებდა ფინანსებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, სპარსეთის ყურის პორტების გუბერნატორის პოსტებს. მისი მთავარი მეტოქე კი იყო ასევე ქართული წარმომავლობის ამინ ად-დოულე (Abrahamian, 2008: 14).

საბოლოოდ, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ თამბაქოს ამბოხება წარმოადგენდა პოლიტიკურ ოპოზიციურ მოძრაობაში სასულიერო პირთა ჩაბმის პირველ მაგალითს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძრაობის ინიციატორი სამღვდელოება არ იყო, მან მოახერხა მოძრაობისათვის მისთვის სასურველი, „რელიგიური“ ჩარჩოს გამონახვა და პრაქტიკულად პირველად, ამ მოძრაობის წარმართველი როლის შესრულებით, შექმნა საერო და სასულიერო ძალაუფლების მის ხელში გაერთიანების პრეცედენტი.

ამასთან ერთად, „თამბაქოს ამბოხების“ მაგალითზე კიდევ ერთხელ გამოვლინდა, თუ რაოდენ ღრმად იყვნენ ჩართული ირანში მიმდინარე პროცესებში ბრიტანეთი და რუსეთი. რუსები დიდად შეაშფოთა კონცესიის მასშტაბებმა, როგორც ბრიტანეთის ზეგავლენის უკიდურესად გაზრდის დასტურმა. 1890 წლის სექტემბერში რუსეთის ელჩმა ირანში დაგმო კონცესია. რუსები მხარს უჭერდნენ წინააღმდეგობის მოძრაობას და კონტაქტები ჰქონდათ ალ-ავღანისთან, მირზა ჰასან შირაზისთან და ამბოხებულთა სხვა წინამძღოლებთან. უეჭველია, რომ ამბოხების შედეგად შემცირდა ბრიტანეთის ზეგავლენა და გაიზარდა რუსეთისა. ამინ ას-სოლთანმაც შესაბამისად შეცვალა სამთავრობო პოლიტიკა. ამბოხებამ, პირველ რიგში, აჩვენა სასულიერო წოდების უნარი ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ აზრზე. ამ ახალი რეალობიდან გამომდინარე, ბრიტანელებმა გააორმაგეს ძალისხმევა პრორუსულად განწყობილი ულემების საკუთარ მხარეზე გადმოსაბირებლად და მათდამი კეთილგანწყობილი სამღვდელოების მხარდასაჭერად.

26 ის ულემები, რომლებიც თამბაქოს ამბოხების წინააღმდეგ გამოვიდნენ, დღევანდელი ირანის ოფიციალური კლერიკალური პოზიციით მონათლულები არიან ფსევდოულემებად და „გამყიდველებად,“ ვინაიდან მხარი არ დაუჭირეს აიათოლა შირაზის ფეთვას. „ეს ულემები სამეფო კართან იყვნენ დაახლოებულნი და სწორედ დინასტიის და არა ხალხის ინტერესებს გამოხატავდნენ“ (Bakhshayeshi, 1985:31).

თავი III

ოსმალეთის იმპერია XIX საუკუნეში

ოსმალეთი „ოქროს ხანის“ წლებში მოიცავდა მცირე აზიას, შავი ზღვის ქვეყნებს – დასავლეთ საქართველოს, ბულგარეთს, ყირიმს, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს, ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ზოგიერთ დუნაის პირა ქვეყანას, არაბეთის ნახევარკუნძულის და ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნო ადგილებს, თუმცა აქ ჩამოთვლილ ქვეყნებში კონტროლის სხვადასხვა დონე ხორციელდებოდა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციით 1789 წელს კაცობრიობა ახალ ეპოქაში შევიდა. ქაღალდზე გაცხადდა პიროვნებათა თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე, თუმცა რეალურ თანასწორუფლებიანობამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა იყო გასავლელი. თავის მხრივ, აღნიშნულ ფაქტს წინ მნიშვნელოვანი მოვლენები უძღოდა: ახალი გეოგრაფიული აღმოჩენები, რამაც სავაჭრო გზების გადანაცვლება გამოიწვია, რეფორმაციული მოძრაობა ევროპულ ქვეყნებში, რომელმაც სამყაროს სრულიად ახლებურ ხედვას და განსხვავებულ იდეოლოგიას ჩაუყარა საფუძველი, რენესანსმა, რომელმაც სამყაროს ცენტრში საბოლოოდ პიროვნება დააყენა და სწორედ მას დააკისრა პასუხისმგებლობა საკუთარ მოქმედებებზეც და სამყაროს ბედზე, ტექნიკური მიღწევები ევროპულ ქვეყნებში, რამაც პროგრესის განმსაზღვრელად სწორედ დასავლეთი გახადა. სრულდებოდა შუა საუკუნეები, გაბატონებული აგრარული ურთიერთობებით, იერარქიული სტრუქტურით, და იწყებოდა ინდუსტრიული ეპოქა, ახალი ეკონომიკური კანონებით, რომელიც თანდათან მთავარ მამოძრავებელ ძალად, სამყაროს ღერძად და ძირითად პოლიტიკურ აქტორად ერს აქცევდა, რომელიც, თავის მხრივ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ ხასიათდებოდა ჰომოგენურობით. კაცობრიობა თანდათან ნაციონალიზმის ეპოქაში შედიოდა, თუმცა ამ გზაზე ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლება იყო მოსალოდნელი, მრავალი ომი, დიპლომატიური აქტიურობა, შესაბამისი განათლების სისტემის ჩამოყალიბება. ამ გზაზე ყველა ერთნაირად წარმატემული არ იყო. დღის წესრიგში დაისვა ერთა თვითგამორკვევის აუცილებლობა და დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ ვრცელი და ძლიერი იმპერიები. ერთ-ერთი ასეთი ზესახელმწიფო, რომელიც უკვე საკმაოდ დასუსტებული შევიდა ახალ ეპოქაში, იყო ოსმალეთი.

სელიმ III-ის მმართველობა. იმპერია ახალი გამოწვევების წინაშე

ოსმალეთის ახალგაზრდა სულტანი, სელიმ III (1789-1807) ტახტზე საფრანგეთის რევოლუციის წელს ავიდა. იმ დროისათვის, ოსმალეთის დეგრადაცია უკვე დიდი ხნის დაწყებული რეალობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ ფლობდა ადრე დაპყრობილი ტერიტორიების დიდ ნაწილს და იმპერია მსოფლიოს სამ კონტინენტზე იყო გადაჭიმული, მას უკვე დაკარგული ჰქონდა უნგრეთი და ტრანსილვანია, ყირიმი და აზოვი; დაწყებული იყო ქვეყნის დეცენტრალიზაცია, ქვეყანას არყევდა სოციალური გამოსვლები და ყველა დონეზე გაბატონებული კორუფცია. იმ დროისათვის ოსმალეთი, რომელიც ადრე შიშის ზარს სცემდა და ემუქრებოდა უძლიერეს ქვეყნებს, უკვე აშკარად ჩამორჩებოდა თავისი განვითარებით ევროპულ ქვეყნებს. ის ჯერ კიდევ დაბალი განვითარების აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, სადაც არ შეინიშნებოდა სიახლეების დანერგვის არც სურვილი და არც შესაძლებლობები, ხოლო ქალაქი, განსხვავებით ევროპული ქალაქების უმრავლესობისაგან, არ იყო დამოუკიდებელი და მოძველებული ამქრული წესის ტყვეობაში იმყოფებოდა. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად დასწია უკან სოფლის მეურნეობა, მაგრამ ამასთანავე სამხედრო საქმეც. ერთ დროს ოსმალეთის უძლეველ ჯარს უხდებოდა ბრძოლა რუსეთის და ევროპული ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ახლებური იდეოლოგიითაც, ხოლო ყველა შემთხვევაში ახლებური ტექნიკით იყვნენ აღჭურვილი, და ოსმალეთი მარცხს მარცხზე განიცდიდა. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან რუსეთმა განსაკუთრებით გააქტიურა სამხრეთული პოლიტიკა და მიზნად დაისახა ოსმალეთის ტერიტორიების ხელში ჩაგდება. დაპირისპირებამ თურქეთს, რუსეთს, ინგლისს, საფრანგეთსა და ავსტრიას შორის შვა ე.წ. „აღმოსავლური საკითხი“, რომლის ძირითადი სამიზნე სწორედ ოსმალეთი – მისი დანაწევრება, დასუსტება და მემკვიდრეობის დატაცება იყო. მუდმივ პრობლემებად რჩებოდა ბალკანეთის ქვეყნების გათავი-

სუფლების და სრუტეების საკითხები, რომელსაც რუსეთი განუწყვეტლივ სვამდა და ამ თვალსაზრისით, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით (1774) გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია, როდესაც მის სავაჭრო გემებს მოძრაობის უფლება მიეცათ, მაგრამ სრუტეებით სარგებლობის უფლება იმჯერად რუსულმა სამხედრო გემებმა მაინც ვერ მოიპოვეს.

1768-1774 წლების ომში თურქებმა რუსებთან არაერთი მძიმე მარცხი იწვნიეს. ეს დამარცხებები აისახა ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წელს ხელმოწერილ ხელშეკრულებაში, რომელიც რუსებს შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის, და არაპირდაპირი სახით, ოსმალეთის იმპერიის შიგნით ინტერვენციის უფლებას აძლევდა. მყისეული მნიშვნელობის იყო სტატია ყირიმის შესახებ, რომელიც მანამდე ოსმალეთის სამფლობელო და თურქულენოვანი მუსლიმებით იყო დასახლებული. სულტანი იძულებული გახდა ეღიარებინა თავისი ადრინდელი ვასალების, ყირიმელი ხანების „დამოუკიდებლობა". როგორც მალე გამოჩნდა, ეს იყო მხოლოდ პირველი ეტაპი ანექსიისა, რომელიც **1783 წელს რუსეთმა განახორციელა** ყირიმის მიმართ.

დარტყმა განსაკუთრებით მძიმე იყო. თუკი ევროპაში უფრო ადვილად შეიძლებოდა შეგუება მიწების დაკარგვასთან იმ თვალსაზრისით, რომ საქმე ეხებოდა ახლახანს დაპყრობილ ტერიტორიებს, რომელზეც ცხოვრობდა ერთი მუჭა თურქი სამხედროებითა და ფუნქციონერებით მართული ადგილობრივი, ძირითადად ქრისტიანული მოსახლეობა, საქმე სრულიად სხვაგვარად იდგა ყირიმთან დაკავშირებით: შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ეს იყო თურქულ-მუსლიმური მიწა, რომელიც შეიძლება ითქვას, წარმოადგენდა სამშობლოს ნაწილს. ეს მოხდა პირველად, მაგრამ არა უკანასკნელად, რომ ოსმალოები ქრისტიანების სასარგებლოდ თმობდნენ მუსლიმებით დასახლებულ ტერიტორიებს. ეს მოვლენა ასევე მოასწავებდა რუსეთის უპირობოდ ზესახელმწიფოდ ქცევას შავ ზღვაზე, როგორც საფრთხისა ოსმალეთის იმპერიისათვის და უფრო ზოგადად მუსლიმური ქვეყნებისათვის (Lewis, B., 2002: 2)

მიმდინარეობდა მსოფლიოს ახალი გადანაწილება, რომელშიც თურქეთს აშკარად არამომგებიანი პოზიცია ეკავა და მისი პრეტენზიების დაკმაყოფილებაც უპერსპექტივო ჩანდა.

სელიმ III

ასეთ ვითარებაში ტახტზე ახლადასული სელიმ III, რომელიც თავისი ბუნებით რეფორმატორი და განათლებით და მიზნებით ვესტერნიზაციის მომხრე იყო, სერიოზული გამოწვევების წინაშე იდგა. შესაჩერებელი იყო ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური დეზინტეგრაცია, დაუყოვნებლივ გასატარებელი იყო რეფორმები, მოსაგერიებელი იყო გარეშე მტერი. მიზნის მისაღწევად ახალგაზრდა სულტანს მტკიცე ხასიათიც უწყობდა ხელს. მისი ტახტზე ასვლა ემთხვევა იმ დროს, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომი **(1787-1791) მისთვის წარუმატებლად მიმდინარეობ**და და წარსულში დიდი დამსახურების მიუხედავად, იგი სასიკვდილოდ იმეტებს ცნობილ მხედართმთავარს, ჰასანს, რომელმაც სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია გამოჩენილ რუს გენერალს, სუვოროვს. **1791 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დასას**რულს, სულტანმა მიმართა 22 მოხელეს, რომელთა შორის 2 ქრისტიანიც იყო (შვედი ბერტრანო და სომეხი მურაჯა დ'ოსონი, რომელიც ერთხანს მუსლიმი იყო, ხოლო მოგვიანებით ქრისტიანი გახდა) რათა მიეწოდებინათ თავისი მოსაზრებები ქვეყნის გარდაქმნის შესახებ, ისევე, როგორც ეს ხდებოდა საფრანგეთში 1789 წელს. მათგან შესულ მოხსენებებს (ლაიჰა) კომისიები განიხილავდა. როგორც გამოირკვა, მიუხედავად მოხსენებების კრიტიკული განწყობილებისა, მთლიანობაში მათი ავტორები მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს არა რეფორმებში, არამედ არსებული სისტემის განმტკიცებაში ხედავდნენ. თუ რამდენად მზად იყო საზოგადოება ცვლილებებისათვის, კარგად ჩანს იმ სარეკომენდაციო წერილებიდან, რომლებიც სელიმს მისი მოთხოვნით გაეგზავნა. **22 წერილიდან მხოლოდ სამის ავ**ტორს მიაჩნდა საჭიროდ ახლებურად გარდაქმნა, თუმცა იენიჩართა კორპუსის გაუქმების შესაძლებლობა ვერცერთს ვერ წარმოედგინა. ყველაზე სასარგებლო რჩევები სულტანმა მიიღო აბუ ბექრ რატიფ ეფენდისა და თათარჩიკ აბდულაჰ ეფენდისაგან. სულტნის ბრძანებით მომზადდა ღონისძიებათა გეგმა „სახელმწიფო საქმეების მიმდინარეობის გასაუმჯობესებლად" (Shaw, 1965: 294).

28 წლის განათლებულ სულტანს ფართო გეგმები ჰქონდა. გარდაქმნები ქვეყნის ყველა სფეროს უნდა შეხებოდა, თუმცა, დაუსრულებელ ომებში ჩაბმულ ოსმალეთის სახელმწიფოსათვის, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაზე გადაუდებელ ამოცანად სამხედრო რეფორმა და ჯარის მოდერნიზება იყო მიჩნეული. ნავარაუდევი ცვლილებებისათვის სულტანს დახმარების იმედი კვლავ საფრანგეთიდან ჰქონდა, რომელთანაც ხანგრძლივი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები აკავშირებდა. ამასთანავე, იმ დროისათვის ეს ურთიერთობები გარკვეულ საფრთხესაც შეიცავდა, ვინაიდან რევოლუციის შემდგომი საფრანგეთიდან თავისუფლებისაკენ სწრაფვის განწყობილებები ძალზე სწრაფად ვრცელდებოდა, ეს სულისკვეთება გადამდები იყო, რაც თავის მხრივ, ოსმალეთის სულტანსაც დარტყმის ქვეშ აყენებდა. ყოველივე ამის მიუხედავად, სულტანმა გადადგა ეს გაბედული ნაბიჯი და სამხედრო ექსპერტები და ინსტრუქტორები სწორედ საფრანგეთიდან მოიწვია. საჭირო გახდა შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა. გაფართოვდა უკვე ადრე არსებული საინჟინრო სკოლა. გაიხსნა ახალი სამხედრო-საზღვაო და საერთო საჯარისო სკოლები, სადაც ამზადებდნენ არტილერისტებს, ფორტიფიკაციის, ნავიგაციის და დამხმარე მეცნიერებების სპეციალისტებს. დღის წესრიგში დადგა სახელმძღვანელოების პრობლემა, რომელთა შექმნამდე ძირითადად ფრანგულ ენაზე დაწერილი წიგნები გამოიყენებოდა. სწორედ ამ პროცესებთან იყო დაკავშირებული კარგა ხანს შეწყვეტილი 1729 წელს დაწყებული ბეჭდვის ტრადიციების აღდგენა XVIII ს-ის 90-იან წლებში და სელიმ III ბრძანებით 1795 წელს სტამბულში, საინჟინრო სასწავლებელში, ცალკე სტამბის დაარსება, რომელიც ძირითადად სახელმძღვანელოების ბეჭდვით იყო დაკავებული და რომლისთვისაც ასოთამწყობები საგანგებოდ პარიზიდან ჩაიყვანეს (Желтяков, 1972: 39-40). სწორედ იმ დროს ფრანგული წიგნების უმდიდრესი ბიბლიოთეკა შეიქმნა და გაჩნდა ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც ევროპულ კულტურაზე და განსხვავებულ ღირებულებებზე აღიზარდნენ და ხელს უწყობდნენ დასავლური კულტურის შემოტანას თავის ქვეყანაში. თუმცა უფრო ადრე, ავსტრიასთან სეპარატული ზავის დადების შემდეგ (1791) სელიმ III-მ საგანგებო ელჩობა ავსტრიაშიც, ვენაშიც გააგზავნა თავისი ძველი მეგობრის აბუ ბექირ რატიფ ეფენდის მეთაურობით, აღნიშნულმა ელჩობამ ავსტრიაში გატარებული 227 დღიანი დაკვირვებების შედეგი 500 გვერდიან მოხსენებაში – *სეფარეთ-ნამეში* – წარმოადგინა, სადაც დამაჯერებლად დაასაბუთა დასავლური ცხოვრების წესის უპირატესობა ოსმალურთან შედარებით. სულტნისადმი გაგზავნილ მოხსენებაში იგი მიუთითებდა, რომ ოსმალეთის იმპერიის მრავალი უბედურება მომდინარეობს იქიდან, რომ ევროპულ სახელმწიფოებს აქვთ უპირატესობა სამხედრო და სახელმწიფო ორგანიზაციის თვალსაზრისით.

დასავლეთთან დაახლოების საჭიროება ბევრს უფრო ადრეც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, ზოგიერთი კი სულტანს მიწერილ მიმართვაში ურჩევდა, გაეგზავნა ახალგაზრდები ევროპაში ევროპული გამოცდილების შესასწავლად. იმ დროს დაწყებული დაახლოების შედეგი იყო ისიც, რომ ევროპის რამდენიმე ქალაქში გაიხსნა ოსმალეთის საელჩოები: ლონდონში (1793), ვენაში (1794), ბერლინში (1795) და პარიზში (1796). სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნილ ელჩებს დაევალათ კარგად შეესწავლათ იქ არსებული ვითარება და გადმოეტანათ ახალი გამოცდილება ოსმალეთის გამოსაყვანად მძიმე ვითარებიდან, რასაც ისინი შეძლებისდაგვარად აკეთებდნენ (Naff, 1963: 295– 315).

სელიმი შეეცადა შეეზღუდა დიდი ვეზირების როლი ცენტრალურ ხელისუფლებაში საიმპერიო დივანის რეორგანიზაციის გზით და გადაწყვეტილებით, რომ ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება უნდა მომხდარიყო დივანთან კონსულტაციების საფუძველზე. შეიქმნა სპეციალიზირებული კომისიები და მრჩეველთა საბჭოები. ნებისმიერი რეფორმის გატარებისას ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა იყო ისეთი ჩინოვნიკების ნაკლებობა, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე პირადი სარგებლის მიღებაზე არ იფიქრებდნენ.

სელიმ III-ის მთელი ძალისხმევა მიმართული იყო სამხედრო სფეროს რეფორმირებისაკენ და სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მისი მიზანი იყო არა ტრადიციული ოსმალური სახელმწიფოს ტრანსფორმირება, არამედ მისი შენარჩუნება და გაძლიერება (Clevelend, 2004: 62). ამ თვალსაზრისით, ის კონსერვატორი მმართველი იყო, რომლის ხედვაც ოსმალეთის იმპერიის მოწყობის შესახებ ემყარებოდა სულეიმან ბრწყინვალის (1520-1566) დროს შექმნილი სისტემის მოდელს. მაგრამ რამდენადაც სელიმის გარდაქმნათა პროგრამამ შექმნა საფუძველი მისი მემკვიდრის რეფორმატორული მოღვაწეობისათვის და რამდენადაც საბოლოოდ „მისმა მარცხმა გამოკვეთა მომავალი ცვლილებებისათვის არსებული წინაღობები, მისი მეფობა წარმოადგენს თავისებურ ხიდს ძველსა და ახალს შორის“ (იხ. Stanford, 1971).

მიუხედავად იმისა, რომ სელიმ III ცდილობდა შეეზღუდა ევროპული ტექნოლოგიებისა და იდეების მიღება სამხედრო სფეროთი, მის გადაწყვეტილებას გაეხსნა ოსმალეთის საელჩოები ევროპულ

დედაქალაქებში ჰქონდა დასავლეთის შესახებ ცოდნის ტრანსმისიის ახალი არხების გახსნის ეფექტი ოსმალეთის განათლებული წრეებისათვის. აღიარება იმისა, რომ უნდა არსებულიყო მუდმივი წარმომადგენლობები ევროპაში წარმოადგენდა წარსულის ოსმალური პრაქტიკაზე უარის თქმას. ოსმალური დაპყრობებიდან დაწყებული, ევროპელი კომერციული და დიპლომატიური აგენტები აქტიურად მოღვაწეობდნენ ოსმალთა სამფლობელოებში. ოსმალები კი დარწმუნებული იყვნენ საკუთარი სისტემის უპირატესობაში და ვერ ხედავდნენ ამგვარი გაცვლების აუცილებლობას (ამას თან ერთვოდა რელიგიური ფაქტორიც – „ურწმუნოთა მიწაზე“ მოგზაურობისა და დამკვიდრების არამართლზომიერება მუსლიმისათვის). როდესაც ევროპელ მმართველებს სურდათ სამშვიდობო ან კომერციული ხელშეკრულების დადება, ისინი წარმომადგენლებს აგზავნიდნენ სტამბულში. როდესაც კი ოსმალო მმართველს სურდა ინფორმაციის მიღება ევროპაში არსებული სიტუაციის თაობაზე, ის კმაყოფილდებოდა ერთ-ერთი ევროპელი წარმომადგენლისაგან მიღებული ინფორმაციით. ოსმალთა საუკუნოვანი ჰეგემონიის მანძილზე, ამ „ცალმხრივ“ დიალოგს არ ჰქონდა განსაკუთრებით ანგარიშგასაწევი შედეგები, მაგრამ სელიმ III-ის დროს უკვე გამორჩეული მნიშვნელობა შეიძინა.

იგივე დამოკიდებულება იყო ევროპული ენების მიმართ; განათლებულ მუსლიმ ოფიციალურ პირს შეიძლებოდა სცოდნოდა ოსმალური, არაბული და სპარსული, მაგრამ მას არ ჰქონდა ევროპული ენის შესწავლის შესაძლებლობა. ოსმალური სახელმწიფო ევროპასთან ურთიერთობებს ანხორციელებდა თარჯიმანთა (დრაგომანთა) ოფიციალური სამსახურის მეშვეობით, რომლებიც ჩვეულებრივ ქრისტიანული მილეთებიდან იყვნენ გამოსულები (ძირითადად ბერძნები).

სელიმის მმართველობის პერიოდში ახალი საელჩოების მუშაობის შედეგი ევროპაში არსებული ვითარების შესახებ სამეფო კარის კურსში ჩაყენების თვალსაზრისით, არც თუ ისე საგრძნობი იყო. ოსმალეთის ელჩებმა არ იცოდნენ იმ ქვენების ენა, სადაც მოღვაწეობდნენ და დამოკიდებული იყვნენ ბერძენი დრაგომანებზე (რომლებიც ყოველთვის ოსმალეთის ინტერესების საფუძველზე არ მოქმედებდნენ). მიუხედავად ამისა, მისიებში თანდათანობით ჩამოყალიბდა ახალი, თუნდაც მცირერიცხოვანი კადრები, რომლებიც უკვე კარგად იცნობდნენ ევროპას და იცოდნენ ფრანგული – ევროპული დიპლომატიის ენა.

XVIII ს-ის დასასრულს და XIX ს-ის დამდეგს ოსმალეთს ბევრი მნახველი ჰყავდა ევროპული ქვეყნებიდან და რუსეთიდან. მათ ჩაიწერეს თავიანთი შთაბეჭდილებები ქვეყანაში იმ დროს არსებულ ვითარებაზე, რის მიხედვითაც მეტნაკლებად ხერხდება იმდროინდელი საშინაო ვითარების აღდგენა.

ინგლისელი კონსულის იტონის ცნობით, მთელი ოსმალური ჯარი შედგებოდა 388,400 კაცისაგან, მათ შორის სიფაჰიების ცხენოსანთა ნაწილი – 132,000, იენიჩრები – 113,400, საზღვაო ქვეითი ჯარი – 50,000 კაცისაგან და სხვ. (ციტ. Новичев, 1963: 25). **თუმცა, ბრძოლებში ამის მცირე ნაწილი მონაწილეობდა.** გახშირდა დეზერტირობა და შესაბამისად მომრავლდა შეიარაღებული ბანდები – *კირჯალიები*, რომლებთანაც ბრძოლა უზარმაზარ რესურსს მოითხოვდა და ფიტავდა სახელმწიფოს. 1802 წელს ფრანგი პოლკოვნიკი სებასტიანი, რომელიც გაიგზავნა სტამბოლში, ატყობინებდა ნაპოლეონ ბონაპარტეს: „შფოთი და ანარქია აცარიელებს არა მარტო ბოსნიას და სერბეთს, არამედ თითქმის მთელ იმპერიას. ეს ოდესღაც ესოდენ მრისხანე სახელმწიფო, ყოველი მხრიდან იშლება და მე მეჩვენება, რომ მისი არსებობა დასასრულს უახლოვდება“ (იქვე, 44).

ცვლილებების განხორციელების მიზნით, **1792 წლის დასაწყისში, სულტნის მიერ შექმნილი 3 კაციანი,** ხოლო მოგვიანებით **12 კაციანი საიდუმლო საბჭო, არ იყო ერთგვაროვანი. აქ იყვნენ კონსერვატორები,** რომლებიც არსებული სისტემის შენარჩუნებას ემხრობოდნენ და ამასთანავე ილაშქრებდნენ ჯარის რეორგანიზაციაში „გიაურების“ (არამუსლიმების) მონაწილეობის წინააღმდეგ; შუალედურ პოზიციაზე მდგარი ადამიანები, რომლებიც უშვებდნენ იმავე იენიჩართა კორპუსის[1] ევროპულ ცვლილებებს; დაბოლოს, რადიკალური ფრთა, რომელიც მხარს უჭერდა ახალი ჯარის შექმნას ევროპელი ინსტრუქტორების (**50-100 ევროპელი ოფიცერი) მონაწილეობით. დაპირისპირების და უკმაყოფილების** თავიდან ასაცილებლად ახლად შექმნილ საბრძოლო ნაწილს, რომლის რაოდენობა **12 ათასით** განისაზღვრა, სასახლის დაცვის (*ბოსტანჯი*) მსროლელთა კორპუსი შეარქვეს (*bostanji tufenkcisi ocagi*) და მათ გასაწვრთნელად ინსტრუქტორები და ინჟინრები საფრანგეთიდან, ინგლისიდან და შვედეთიდან მოიწვიეს. პარალელურად მიმდინარეობდა არტილერიის და სამხედრო ფლოტის შექმნაც. წამოწყებუ-

1 იენიჩართა კორპუსი შედგებოდა დევშირმეს (იხ. ქვემოთ) წესით მომზადებული გამუსლიმებული ქრისტიანებისაგან. იენიჩრები პირველად მოხსენიება თარიღდება**1330 წლით და თავდაპირველად ისინი გამოიყენებ**ოდნენ ოსმალეთის ომებში ბიზანტიის წინააღმდეგ. XVI ს-ის მიწურულიდან იენიჩრობა პრაქტიკულად მემკვიდრეობითი გახდა.

ლი საქმე მოითხოვდა სათანადო განათლებას და ტექნიკურ აღჭურვილობას. იმდროინდელ ოსმალეთში ერთიც და მეორეც ძალზე დაბალ დონეზე იდგა, შესაბამისად პროცესიც ნელი და გაჭიანურებული იყო. მაგრამ თანდათანობით მაინც იქმნებოდა ადგილობრივი სამხედრო ინტელიგენცია, რომელიც ოსმალეთში, ხოლო მოგვიანებით თურქეთში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. მართალია, სამხედრო მეცნიერებაში და ტექნიკურ დარგებში ოსმალები ევროპის მიღწევებს აღიარებდნენ, ამასთანავე ხელისუფლება აცნობიერებდა მოსახლეობის განწყობას, რომ არ გაეღრმავებინათ სიძულვილი ევროპისადმი, ამიტომ შეიარაღების გადმოღებასაც კი ყურანით ამართლებდა: „მოიპოვეთ გამარჯვება ურწმუნოებზე იმ იარაღით, რომლის დახმარებითაც ისინი იმარჯვებენ თქვენზე."

რეფორმების ძირითადი მიზანი სამხედრო სისტემის გარდაქმნა იყო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო სხვა სფეროების რეფორმირების გარეშე. თათარჩიკი, რომელიც თავად სასულიერო ფენას ეკუთვნოდა, მიიჩნევდა, რომ ცვლილებები ყველგან იყო გასატარებელი, მათ შორის, იმ ინსტიტუტებშიც, რომლის წარმომადგენელი თვით იყო. საჭირო იყო, პირველ რიგში, ნეპოტიზმის და მექრთამეობის აღმოფხვრა, თანამდებობებზე დასანიშნად გადასახადების გაუქმება, რომ დანიშნულიყვნენ არა მდიდრები, არამედ საუკეთესოები. ამასთანავე, მისი აზრით, შეძლებულებს მაინც უნდა მისცემოდათ უპირატესობა, რომ მათ აღარ ეფიქრათ ქრთამების აღებაზე.

1793 წლის პირველ ნახევარში სულტანმა დაიწყო არმიის რეფორმირება ევროპული მოდელით, ძველი სამხედრო ნაწილების გარდაქმნა, მაგრამ იენიჩართა კორპუსს არ სურდა ცვლილება, ის მიისწრაფოდა თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის – „ტახტის დასაყრდენის" შესანარჩუნებლად. ხელისუფლებამ დაიწყო მათი გაცხრილვა და მხოლოდ საუკეთესოების დატოვება. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცებს გაუზარდეს ხელფასები, გაუუმჯობესეს საცხოვრებელი პირობები და კვების ხარისხი, უკმაყოფილო ბევრად უფრო მეტი იყო. ცვლილებები შედარებით მისაღები აღმოჩნდა არტილერიის კორპუსისათვის. ახალი ჯარი, რომელსაც *ნიზამ-ი ჯედიდ* (ახალი წესრიგის ჯარი) ეწოდა, ოფიციალურად დაფუძნდა 1797 წელს და ემყარებოდა რეკრუტირების პრინციპს, რომელიც სრულიად უცხო იყო იმპერიიის შეიარაღებული ძალებისათვის. ეს პრინციპი ითვალისწინებდა ჭაბუკების გაწვევას ანატოლიის თურქი გლეხობისაგან[2] და მკაფიო მაგალითი იყო იმისა, რომ სახელმწიფო საბოლოოდ ამბობდა უარს *დევშირმეს*[3] სისტემაზე. ნიზამ-ი ჯედიდს უცხოელი ინსტრუქტორები წვრთნიდნენ. 1806 წლისათვის ამ ახალ ჯარში **23 ათასამდე ჯარისკაცი მსახურობდა, თანამედროვე საარტილერიო კორ**პუსის ჩათვლით. ახალი საჯარისო შენაერთები ეფექტური იყო უმნიშვნელო სამხედრო ოპერაციების განხორციელებისათვის. მაგრამ სელიმ III-ს არ ეყო ძალა, რომ ამ შენაერთის ინტეგრირება მოეხდინა რეგულარულ არმიაში და ასევე გამოეყენებინა ის შინა ოპოზიციის წინააღმდეგ.

გარდაქმნები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სახმელეთო ჯარებით. ადრე განადგურებული ფლოტი აღდგენილ იქნა აბდულ ჰამიდის (ღაზი ჰასან ფაშას) და სელიმის (ქუჩუკ ჰუსეინ ფაშას – 1792-1803) **დროს. შეიქმნა ძლიერი ფლოტი, რომელიც 100-ზე მეტ გემს ითვლიდა. ახალი გემები ახალ სა**ნაოსნო არსენალში (*ტერსანე-ი ჰუმაიუნ*), კასიმფაშაში, ოქროს ყურეში, ფრანგი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მზადდებოდა. დაიწყო კადრების მომზადება სპეციალურ სამხედრო სასწავლო დაწესებულებაში (ინჟინერიის, არტილერიის, საზღვაო). საზღვაო საინჟინრო სკოლა იმავე ოქროს ყურეში, ჰასკოიში იყო.

საერთო ჯამში, ხაზი უნდა გაესვას, რომ სამხედრო რეფორმა შეზღუდულ ხასიათს ატარებდა და არ დასტურდება, რომ სელიმს განზრახული ჰქონდა ინოვაციური პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება სამხედრო და ტექნიკური ცვლილებების გასამყარებლად. (Ochsenwald & Fisher, 2004: 261).

საჭირო იყო აგრეთვე ეროვნული მრეწველობის განვითარება, ე.ი. მადნისა და ქვანახშირის შახტების დამუშავება. ამ მიზნით სპეციალისტების მოსამზადებლად აუცილებელი გახდა ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური სასწავლო დაწესებულებების დაარსება.

---

2 ნიზამ-ი ჯედიდში ასევე შეჰყავდათ სტამბოლის ქუჩის ბანდების წევრები (Goldsmith & Davidson, 2006: 175).

3 დევშირმე (თურქ. ზმნის ფუძიდან *დევშირ* – შეკრება) – სამხედრო ბეგარის სახეობა ოსმალეთის იმპერიაში, რომლის მიხედვითაც ქრისტიანი მოსახლეობა ვალდებული იყო მამრობითი სქესის ბავშვები გადაეცა სახელმწიფოსათვის. გამუსლიმებული ჭაბუკები, სათანადო აღზრდა-განათლების მიღების შემდეგ, გამოიყენებოდნენ იენიჩართა ელიტარული სამხედრო კორპუსის შესავსებად, აგრეთვე სასახლის კარისა და და ადმინისტრაციის საჭიროების დასაკმაყოფილებლად (ოსმალეთის მრავალი ვაზირი სწორედ მათი რიგებიდან გამოვიდა).

მართალია, კონსტანტინოპოლი მხარს უჭერდა პირდაპირ კავშირს დასავლეთთან, მაგრამ ეს დამოკიდებულება ვითარებების მიხედვით იცვლებოდა. 1798 წელს ნაპოლეონ ბონაპარტე შეიჭრა ეგვიპტეში, როგორც ის ირწმუნებოდა, ქვეყნის გასათავისუფლებლად მამლუქებისაგან. ბრიტანეთმა, ისევე როგორც რუსეთმა, მხარი დაუჭირა ოსმალეთს. აღიარებული იქნა სულტნის სუვერენობა ეგვიპტეზე. თუმცა ვითარება კვლავ ცვალებადი იყო და 1804 წელს ოსმალეთმა არ ცნო ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორად, რამაც ოსმალეთი რუსეთთან დაახლოვა, რომელმაც თავისი გავლენა გაავრცელა ოსმალეთის ევროპულ ნაწილზე. ნაპოლეონის გამარჯვების შემდეგ ავსტრია-რუსეთის ჯარებზე ულმისა და აუსტერლიცის ბრძოლებში (1805), ოსმალეთმა ცნო ნაპოლეონი. 1806-1807 წლებში კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩი გენერალი გ. სებასტიანი გახდა სელიმ III-ის თითქმის მთავარი მრჩეველი რეფორმების საკითხებში.

ოსმალეთის სულტანს ძალზე მძიმე ვითარებაში უხდებოდა რეფორმების გატარება. 1806 წელს იენიჩართა მძლავრ გამოსვლას, ადრიანოპოლში, სხვა ქალაქებში ამბოხიც მოჰყვა; იენიჩრები შიშობდნენ, რომ სამხედრო რეფორმა შეზღუდავდა მათ პრივილეგიებს. ევროპელთა მიერ გაწვრთნილი და თანამედროვე იარაღით შეიარაღებული ახალი ჯარი კი წარმოაჩენდა მათ პარაზიტულ როლს სახელმწიფოში (Goldsmith & Davidson, 2006: 175). ზოგიერთ შემთხვევაში შეწყდა სულტნის სახელის ხსენებაც კი ხუტბაში.[4] აღნიშნულ გამოსვლებს ზურგს არა მარტო ულემები და სასულიერო ფენა უმაგრებდნენ, არამედ ინგლისი და რუსეთი, რომლებიც ცდილობდნენ შეესუსტებინათ საფრანგეთის პოზიციები ოსმალეთში.

ამგვარად, სწორედ სელიმ III-ის დროს ჩაეყარა საფუძველი ძირეულ ცვლილებებს ოსმალეთში, რომელსაც ქვეყანა შუა საუკუნეებიდან უნდა გამოეყვანა. სელიმ III-ის დროს არმიის თანამედროვე საფუძვლების შექმნის პარალელურად, შესაძლებელი გახდა მანუფაქტურების და ქარხნების მშენებლობა, სპეციალური განათლების სისტემის ჩამოყალიბება, ევროპული კულტურის მიღწევების ათვისება, ახალი იდეების გავრცელება. მაგრამ რეფორმები არ იყო სიღრმისეული და არ შეხებია მთლიანად ტრადიციულ საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ რადიკალური ცვლილებების საჭიროება ნათელი იყო, სულტანი ზოგიერთ შემთხვევაში სანახევრო ზომებით კმაყოფილდებოდა. მაგალითად, 1792 წლის სექტემბერს გამოცემული „ახალი კანონი თიმარებისა[5] და ზეამეთების შესახებ“ სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმებას ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად და მხოლოდ ნაწილობრივ არყევდა ალაი-ბეგების ძლიერებას.

სელიმი გრძნობდა მმართველობის ეფექტურობის გაზრდის აუცილებლობას და ამ მიზნით ჩინოვნიკთა რაოდენობა მკვეთრად შეამცირა. მან გაზარდა გადასახადები, შეამცირა მონეტების წონა, დანერგა კერძო საკუთრების ჩამორთმევის პრაქტიკა (შეიქმნა ახალი ხაზინა *„ირად-ი ჯედიდ“*, რომელიც ივსებოდა ჩამორთმეული ან ადრე დაუბეგრავი მიწებისაგან), ხელი მიჰყო ოქროსა და ვერცხლის ნივთების გადადნობას ზოდებად ძვირფასი ლითონების მარაგის შექმნის მიზნით. მაგრამ ამ ღონისძიებებმა გამოიწვია ინფლაცია და ეკონომიკური დაკნინება. სტამბულში ადრე გამოიცა დეკრეტები სხვადასხვა რელიგიების, პროფესიის და ა.შ. წარმომადგენელთა ჩაცმულობის წესების შესახებ. ამ დადგენილებას შედეგი არ გამოუღია. ქუჩებში ძალადობისა და არეულობების აღსაკვეთად სელიმი ითხოვდა კანონების მკაცრად შესრულებას, ჩაცმულობაზე პერსონალური სტატუსის მიხედვით დაწესებული წესების ჩათვლით და თვითონაც კი სჯიდა კანონის დამრღვევებს. კიდევ ერთ მცდელობას სატახტო ქალაქში კანონიერებისა და წესრიგის აღდგენისათვის წარმოადგენდა ტავერნებისა და ყავახანების უმრავლესობის დახურვის ბრძანება და დაუსაქმებელთა თავიანთ სოფლებში გაძევება. მოუსავლიანობის გამო, სელიმმა ასევე დააწესა ხორბლის შესყიდვასა და ვაჭრობაზე კონტროლი – პურის მცხობელებს უნდა შეესყიდათ ხორბალი და გაეყიდათ პური ფიქსირებული ფასებით. ამ არათანმიმდევრული რეფორმების დიდი ნაწილი სულტნის სისუსტისა და მიზანმიმართული პოლიტიკის არარსებობის გამო, განუხორციელებელი დარჩა.

უკმაყოფილება გადასახადების გაზრდით, რაც რეფორმების გასატარებლად დამატებითი დაფინანსების საჭიროებით იყო გამოწვეული, მორიგი გადატრიალებით დასრულდა. გლეხები და მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ვერ ხედავდა ამ რეფორმების სიკეთეს, აღმოჩნდა სულტნის

4 ხუტბა – სიტყვა, ქადაგება, რომელსაც წარმოთქვამს ხატიბი საკრებულო მეჩეთში პარასკეობით და დღეასწაულების დროს. ხუტბაში მმართველის სახელის გამოტოვება ნიშნავდა იმას, რომ ის დამხობილი იყო, ანდა მას არ ცნობდნენ.

5 სამხედრო სამსახურისათვის ბოძებული მიწა გადასახადის აკრეფის უფლებით.

მოწინააღმდეგეთა ბანაკში, ხოლო მათ 1807 წლის 25 მაისს სათავეში ჩაუდგნენ რეფორმების სამი ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე – იამაკების ანუ იენიჩართა დამხმარე ნაწილების ლიდერი კაბაკჩი მუსტაფა ფაშა, ულემების ლიდერი ათაულაჰ ეფენდი და დიდვეზირი თაიარ ფაშა. ულემებისა და და მმართველი ელიტის წარმომადგენლების უკმაყოფილების წყაროს წარმოადგენდა ის ევროპული მოდელები, რომელსაც ეფუძნებოდა სელიმის რეფორმები (Clevelend, 2004: 63).

1807 წელს დიდმა აჯანყებამ სულტანი აიძულა ყველანაირ დათმობაზე წასულიყო და ჯერ ახლადშექმნილი სამხედრო ნაწილი გაეუქმებინა, ხოლო შემდეგ 11 სახელმწიფო მოღვაწე – რეფორმატორი სიკვდილით დაესაჯა. სულტანი ვერ იხსნა ვერც აჯანყებულებისათვის რეფორმატორების გადაცემამ და ტრიუმვირატის დანიშვნამ. 29 მაისს სულტანმა ტახტი დათმო, თვითონ კი „კაფესში“ (გალია) წავიდა.

საფინანსო კრიზისთან ერთად, სულტნის დანაშაულად აცხადებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას ბალკანეთის პროვინციებში, ჩერნოგორიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. 1808 წელს გაუქმდა საელჩოები ევროპაში, ნიზამ-ი ჯედიდის შენაერთები დაშალეს და სულტანი, რომლის ფრთხილი რეფორმების მიზანი იყო სწორედ ოსმალეთის ძველი სამხედრო ძლიერების აღდგენა, მოკლეს მის ნაცვლად ტახტზე აყვანილი მისი ბიძაშვილის, არაფრით გამორჩეული მუსტაფა IV-ის, ბრძანებით, რომელმაც ძალიან მალე მისი წინამორბედის ბედი გაიზიარა.

ამ ეტაპზე რეფორმების მცდელობამ კრახი განიცადა. ქვეყნის მოსახლეობა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა გარდაქმნებისათვის. ოსმალეთში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ის ფენა, რომელიც უნდა გამხდარიყო რეფორმების დასაყრდენი, ხოლო ის ფენები, რომლებზედაც დრომოჭმული სისტემა იყო დამყარებული, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი იყო. რეფორმებს არ ჰქონდა ფართო სოციალური მხარდაჭერა ოსმალეთში და პოლიტიკური მხარდაჭერა ევროპაში. საფრანგეთსა და ბრიტანეთს ეშინოდათ ოსმალეთში რევოლუციური განწყობილების გაღვივების, რომელიც დაბრკოლებების მიუხედავად, მაინც იჩენდა მიმდევრებს.

მიუხედავად ამ მარცხისა, ეს ის აუცილებელი პირველი ნაბიჯი იყო, რომელმაც გზა გაუკაფა შემდგომ მოვლენებს და დააჩქარა *თანზიმათი* (პოლიტიკური რეფორმები).

მაჰმუდ II-ის რეფორმები. საშინაო და საგარეო პრობლემები

სელიმ III-ს მმართველობის ხანაში, XVII ს-ის მიწურულსა და XIX ს-ის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიის სტრუქტურულ კრიზისს თან დაერთო ახალი მნიშვნელოვანი გამოწვევები საერთაშორისო ასპარეზზე, რამაც იმპერიის შიგნითაც მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია. 1806-1812 წლებში თურქეთი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებდა რუსეთის წინააღმდეგ. თავდაპირველად დიდი ბრიტანეთი მასში ჩაერთო, როგორც რუსეთის მოკავშირე ნაპოლეონის წინააღმდეგ; 1807 წლის თებერვალში ინგლისურმა ესკადრამ ადმირალ დაკვორთის მეთაურობით შეძლო შეჭრილიყო დარდანელის სრუტეში და დამუქრებოდა სტამბულს. სწორედ ამ დროს სიტუაცია შეიცვალა. მაშინ, როცა სულტანი დაუსრულებელ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ადმირალთან, მისმა ძალებმა საფრანგეთის ელჩის, სებასტიანის წინამძღოლობით იმდენად ეფექტურად აღადგინეს და გააძლიერეს ქალაქის სათავდაცვო ზღუდე, რომ ბრიტანული ფლოტი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

ამასთან ერთად, იმავე წლის ივლისში, ნაპოლეონმა, თავისუფალი მოქმედების საშუალება რომ მისცემოდა და გაეგრძელებინა თავისი ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ, რუსეთის მეფესთან შეთანხმებას მოაწერა ხელი ტილზიტში; ის მზად იყო მსხვერპლად შეეწირა თურქეთი თავისი ახალი პოლიტიკისათვის. ორი იმპერატორის მიერ მომზადებული ევროპული თურქეთის გადანაწილების პროექტი ითვალისწინებდა ბალკანეთის აღმოსავლეთი პროვინციების რუსეთისათვის, დასავლეთ ბალკანეთის – საფრანგეთისათვის და ბოსნიისა და სერბიის ნაწილებს ავსტრიელებისათვის გადაცემას. სამხედრო კამპანიისას, რომელიც ამ შეთანხმებას მოჰყვა, რუსებმა გადალახეს დუნაი და შემდეგ, 1812 წლის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების შესაბამისად, მოახდინეს ბესარაბიის ანექსირება, რასაც დღეს მოლდოვა ეწოდება და ასევე მოიპოვეს ფართო უფლებები დუნაისპირეთის სამთავროებში. კავკასიაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზღვარი პრაქტიკულად იგივე დარჩა (ფოთი და ახალქალაქი რუსეთმა „დროებით დაუბრუნა“ ოსმალეთს). ამ მტკივნეულ პროცესში თურქებმა ისწავლეს დიდი თამაში წესები და დროთა განმავლობაში გამოავლინეს გარკვეული ნიჭი, საკმარისი იმისათვის, რომ დროში გადაწეულიყო და შენელებულიყო მათი იმპერიის დაშლის შეუქცევადი პროცესი.

მაჰმუდ II

მაგრამ ამავე ხანებში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი ძალა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააჩქარა და საბოლოოდ გამოიწვია კიდეც ეს დაცემა – ეს იყო იმპერიის ქვეშევრდომი ხალხების გამოღვიძება. საუკუნეთა მანძილზე, და ეს დასავლეთისათვის საკვირველი იყო, უმცირესობებს არასოდეს შეუქმნიათ პრობლემები ოსმალეთის იმპერიისათვის. ხშირად ოსმალური ისლამისა და ქრისტიანული ევროპის კონფრონტაციას XX საუკუნის II ნახევრის ცივ ომს ადარებენ. ამ სიტუაციებს აქვს გარკვეული მსგავსი ნიშნები, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებები. ყველაზე თვალსაჩინოს ალბათ წარმოადგენს ლტოლვილთა ტალღა. XX საუკუნეში ეს მოძრაობა მიმდინარეობდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ; XV, XVI, XVII საუკუნეებში მოძრაობა საპირისპირო მიმართულებით – დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წარმოებდა. რა თქმა უნდა, ოსმალები თანასწორუფლებიანობას არ ანიჭებდნენ თავიანთ ქვეშევდომებს – ეს ცნება სრულიად ანაქრონული იყო იმ ეპოქისათვის სამყაროს ამ ნაწილში. მაგრამ ისინი გარკვეულ ტოლერანტობას იჩენდნენ, რომელსაც არც პრეცედენტი და არც ეკვივალენტი არ გააჩნდა ევროპაში. თითოეული რელიგიური თემი, ანუ *მილეთი* ოსმალური ტერმინოლოგიით, სარგებლობდა რელიგიური თავისუფლებით. უფრო მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდათ საკუთარი სათემო მმართველობა, ირჩევდნენ ხელმძღვანელებს, ახდენდნენ სწავლა-განათლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებას საკუთარი ტრადიციებისა მიხედვით და იყენებდნენ საკუთარ კანონებს, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ამით არ მოხდებოდა იმპერიის ფუძემდებლურ წესებთან დაპირისპირება. უზენაესი ძალაუფლება, პოლიტიკური და სამხედრო, მუსლიმთა ხელში იყო, მაგრამ არამუსლიმები აკონტროლებდნენ ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ანგარიშგასაწევ როლს ასრულებდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

საფრანგეთის რევოლუცია, შემდეგ ფრანგი ჯარისკაცების გამოჩენა და, რაც კიდევ უფრო დიდი საფრთხის შემცველი იყო, ფრანგული იდეების გავრცელება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, დიდი ცვლილებების დასაბამს მოასწავებდა. 1804 წელს, სერბებმა წამოიწყეს პირველი ეროვნული აჯანყება ოსმალების წინააღმდეგ, რომელსაც ამ უკანასკნელებმა უპასუხეს რეპრესიებისა და კომპრომისების ნაზავით. 1815 წლის უფრო რადიკალური და წარმატებული ამბოხის შედეგად შეიქმნა სერბული ავტონომიური სამთავრო ოსმალური სუზერენიტეტის ქვეშ. რამდენიმე წლის შემდეგ, თავის მხრივ, აჯანყდნენ ბერძნებიც. მათმა ამბოხმა ფართო სიმპათია გამოიწვია ევროპაში და საბოლოოდ დასრულდა სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით. მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში, ბალკანეთის ქრისტიანი ხალხები ერთი მეორის მიყოლებით თავისუფლდებოდნენ ოსმალური ბატონობისაგან.

მაჰმუდ II-ის მმართველობის წლებს (1808-1839) პირობითად სამ პერიოდად ჰყოფენ (Shaw, 2002: 140-141):

1. როდესაც ქვეყნის დიდვეზირი იყო რუშჩუკელი[6] მუსტაფა ფაშა ბაირახთარი, იგივე ალემდარი (მედროშე), იენიჩარის შვილი და თავდაპირველად სელიმ III რეფორმების მოწინააღმდეგე, ხოლო შემდეგ თავგამოდებული მომხრე, რომელიც შეეცადა მოეგვარებინა ურთიერთობები ბალკანეთის დიდებულებთან და გაეგრძელებინა სელიმ III-ის სამხედრო რეფორმა (*მილლირი*). ნიზამ-ი ჯედიდს ახალი სახელი *სექბან-ი ჯედიდი* დაერქვა, შეიქმნა ახალი ხაზინაც ახალი სახელით „საღვთო ომის საქმეთა სამინისტრო". შეიქმნა ახალი ფლოტიც რამიზ ეფენდის მეთაურობით. დიდვეზირის გაზრდილი ავტორიტეტი, რომელიც არც სულტანს არ მოსწონდა, გახდა მორიგი აჯანყების მიზეზი 1808 წლის 14 ნოემბერს, **რომელსაც დიდვეზირი ემსხვერპლა, რამაც, თავის მხრივ, დიდი ხნით შეაფერხა დაწ**ყებული რეფორმები.

2. 1808-1826 წლები შედარებით უმოქმედობის ხანა იყო, თუმცა რეფორმების გატარება არც იმ დროს შეწყვეტილა. მაგრამ რეფორმატორი ამჯერად იყო **1805 წელს დანიშნული ეგვიპტის ამბიცი**ური გამგებელი მუჰამად ალი. ამ წლებში გრძელდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბალკანეთსა და საბერძნეთში, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება წინააღმდეგობას ვერ უწევდა. რუსეთთან ომების მსვლელობისას **(1806-1812 და 1828-1829) სულტანი კვლავ დარწმუნდა თავი**სი არმიის სისუსტეში და გადაწყვიტა რეფორმების პროცესის განახლება და დაჩქარება.

6 რუშჩუკი – ქალაქი დღევანდელ ბულგარეთში (რუსე).

3.**1826 წელს 14 ივნისს დაწყებული იენიჩართა აჯანყების პასუხად 15 ივნისს სულტანმა ბრძა-**ნებით (*ვაკა-ი ჰაირიე* - ხელშემწყობი მოვლენა) გააუქმა იენიჩართა კორპუსი, რითაც ბოლო მოუღო საუკუნეების მანძილზე იენიჩართა თვითნებურ თარეშს. ათი ათასობით იენიჩარისა და ბექთაშის სუფიური დერვიშული ორდენის სრული განადგურების შემდეგ (რომლებიც ადრე გარდაქმნების წინააღმდეგი იყვნენ) სულტანმა დაიწყო ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელება, თუმცა კვლავ გარკვეული შეფერხებით, ვინაიდან ვითარება ოსმალეთში და მის გარეთ არ იყო მშვიდი. მიმდინარეობდა ბრძოლა ბერძნებთან, რომელშიც ოსმალებმა დახმარება მუჰამად ალის სთხოვეს. 1827 წელს გაერთიანებულმა ბრიტანულმა, ფრანგულმა და რუსულმა ფლოტმა დაამარცხა ეგვიპტის ფლოტი ნავარინოს სრუტეში საბერძნეთის სამხრეთით, რასაც მოჰყვა საბერძნეთის დამოუკიდებლობა. 1828-29 წლის რუსეთ-თურქეთის ომმა, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, საფრთხის ქვეშ დააყენა სტამბოლი, რომ არა ბრიტანეთის და საფრანგეთის მყისიერი ჩარევა. ედირნეს (ადრიანოპოლის) ზავით რუსეთი იძულებული იყო დაეტოვებინა ის, რაც დაიპყრო რუმინეთსა და ბულგარეთში, თუმცა შეინარჩუნა უფლება ეკონტროლებინა დობრუჯა და დუნაის შესართავი და შავ ზღვაზე სავაჭრო გემებით ნაოსნობის უფლება. აღმოსავლეთში რუსეთმა დატოვა დაპყრობილი ტერიტორიები აღმოსავლეთ ანატოლიაში, ერზურუმის და ყარსის ჩათვლით. **1830 წელს საბერძნეთის გარდა, ავტონო-**მიის უფლება მიიღეს სერბეთმა, მოლდოვამ და ვალახეთმა.

საფრანგეთის რევოლუციის იდეებმა, რომელმაც ზოგადად ევროპაში იდენტობისა და ლოიალობის სრულიად ახალი წყაროები შექმნა, ასევე ხელი შეუწყო ოსმალეთის არამუსლიმი ხალხებში, უპირველესად ბერძნებში, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. დასავლეთის მაგალითსა და მის იდეებს ეფექტის სახით ასევე მოჰყვა იდენტობის და შესაბამისად, ახალი ლოიალობისა და ახალი სულისკვეთების კონცეფციების შემოჭრა. ამ თვალსაზრისით ორმა იდეამ, ახალმა იმ კულტურისათვის, რომლისთვისაც იდენტობა ძირეულად რელიგიური და ლოიალობა დინასტიური იყო, შეასრულა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი. თავდაპირველად ეს იყო პატრიოტიზმი, შემოსული დასავლეთ ევროპიდან, კერძოდ საფრანგეთიდან და ინგლისიდან და გათავისებული ოსმალეთის ახალგაზრდა ელიტების მიერ, რომლებიც მასში ხედავდნენ იმპერიის ჰეტეროგენული მოსახლეობის გაერთიანების საშუალებას სამშობლოს სიყვარულით და თავიანთი სუვერენისადმი ერთობლივი ლოიალობით; შემდეგ კი ნაციონალიზმი, შემოსული ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან, რომელიც უპირველესად ეთნიკური და ლინგვისტური იდენტობის კონცეფცია იყო და რომელსაც შედეგად უნდა ჰქონოდა არა ოსმალეთის პოლიტიკური თემის გაერთიანება, არამედ პირიქით, მისი დანაწევრება და აფეთქება.

ერების გამოღვიძებას ცენტრალურ და და აღმოსავლეთ ევროპაში გაცილებით უფრო დიდი ეფექტი ჰქონდა, ვიდრე დასავლეთევროპულ პატრიოტიზმს, იქაც კი, სადაც პატრიოტიზმი გათავისებული იყო, მან მიიღო უფრო ნაციონალური, ვიდრე იმპერიული ფორმა. იდენტობისა და ლოიალობის ევროპული კონცეფციები უცხო იყო ახლო აღმოსავლეთის ხალხებისათვის, მაგრამ არა ყველასათვის თანაბარი ხარისხით. სიტუაცია, რომელიც არსებობდა დანაწევრებულ გერმანიასა და იტალიაში, ავსტრია-უნგრეთსა და მრავალეროვან რუსეთის იმპერიაში, მიესადაგებოდა ახლო აღმოსავლეთის სიტუაციას და ის, რასაც გადმოსცემდნენ უნგრელი და პოლონელი ლტოვილები, უშუალოდ გასაგები იყო.

ამ იდეებმა ძლიერი, თუმცა არაერთმნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ოსმალეთის ქვეშევრდომების ქცევასა და განწყობაზე და კიდევ უფრო მეტად არამუსლიმ უმცირესობებზე. ერთი მხრივ, ოსმალური პატრიოტიზმი და ახალი რეფორმები თითქოსდა მათ იგივე იურიდიულ და პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებდა, რაც ჰქონდა მანამდე დომინირებად მუსლიმურ თემს. მეორე მხრივ, ნაციონალიზმი თანდათანობით ამწიფებდა განსხვავებული ეროვნული სუვერენიტეტის სურვილს, რომელიც გათავისუფლებული იქნებოდა ოსმალური უღლისაგან, რაც სულ უფრო მძიმედ ეჩვენებოდათ.

პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი ნაღმავდა იმ ძველ კონსენსუსს, რომელმაც საშუალება მისცა სხვადასხვა ხალხებისა და რელიგიების წარმომადგენელ ადამიანებს ეცხოვრათ ერთად შედარებით ჰარმონიაში სულტნის უზენაესი ძალაუფლების ქვეშ. (Lewis, B., 2002: 47).

ყოველივე ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც არამუსლიმი თემები და განსაკუთრებით ქრისტიანები არნახულ აღმავლობას განიცდიდნენ. ამ ფენომენს მრავალი ახსნა აქვს. თავდაპირველად, ესაა უკეთესი აღზრდა-განათლება. გასაგები მიზეზების გამო, არამუსლიმებს უფრო მეტად, ვიდრე მუსლიმებს, და ქრისტიანებს უფრო მეტად, ვიდრე ებრაელებს, ჰქონდათ ენების შესწავლის, მოგზაურობისა და დასავლური განათლების მიღების საშუალება. დამატებით, არამუსლიმები ევროპელთა მფარველობით სარგებლობდნენ. ამ შემთხვევაშიც ისინი ამჯობინებდნენ არამუსლიმებს – მუსლიმებს და ქრისტიანებს – ებრაელებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ იმპერიის ქრისტიანებსა და ნაწილობრივ ებრაელებს, როგორც უმცირესობებს, ჰქონდათ მოკავშირეებისა და თანამორწმუნეების საკუთარი ქსელი, კერძოდ უცხოეთში.

XVIII საუკუნიდან ლიბერალი ევროპელები აღტაცებას არ მალავდნენ ძველბერძნული კულტურით, უპირველესად პოლიტიკურით. სწორედ აქედან გამომდინარე გაცხოველდა ბერძენთა და დასავლეთ ევროპელთა კონტაქტები უკვე XVIII საუკუნიდან. ოდესიდან მარსელამდე ბერძნულ თემებში დაიწყო ინტელექტუალური აღორძინება. **1820 წლამდე უკვე 2500 წიგნი იყო გამოქვეყნებული თანა**მედროვე ბერძნულ ენაზე.

1814 წელს ბერძნებმა შექმნეს იატაკქვეშა ორგანიზაცია *ფილიკე ჰეთაერია* (მეგობრული საზოგადოება) ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყების მოსამზადებლად. 1821 წელს ბერძენმა პატრიოტმა და რუსეთი არმიის გენერალმა ალექსანდრე იპსილანტიმ აჯანყება წამოიწყო. მან გადალახა მდ. პრუტი რუსეთის ბესარაბიიდან და შეიჭრა მოლდოვასა და რუმინეთში. თუმცა, ოსმალებმა ადვილად მოახერხეს მისი დამარცხება და მან თავი უნგრეთს შეაფარა. მაგრამ აჯანყება გადაედო პელოპონესს, სადაც ბერძნები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. აჯანყებულები ქალაქს ქალაქზე იღებდნენ, რასაც თან ახლდა თურქების წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები – ოსმალური პროვინციული დედაქალაქის აღების შემდეგ **8 ათას თურქს თავი მოკვეთეს. ათენიც, აკროპოლისის გარდა, აჯანყე**ბულთა ხელში აღმოჩნდა.

დუნაის პროვინციებსა და პელოპონესზე დაწყებული აჯანყებების საპასუხოდ, მაჰმუდ II-მ რეპრესიები განახორციელა სტამბულის ბერძნების მიმართ. ბერძენთა მრავალი ლიდერი სიკვდილით დასაჯეს. აღდგომის დღეს კი იენიჩრებმა საკუთარი რეზიდენციის ღობეზე ჩამოახრჩვეს ბერძენი პატრიარქი, მიუხედავად იმისა, რომ მან დაგმო აჯანყება. თურქები ასევე სასტიკად გაუსწორდნენ ეგეოსის კუნძულებიდან ყველაზე მდიდარის – ხიოს კუნძულის მცხოვრებლებს და აქ 25 ათასი ბერძენი დახოცეს.

ბერძნული აჯანყებების ერთ-ერთი არაპირდაპირი მიზეზი და ხელშემწყობი ფაქტორი გახდა მაჰმუდ II-ის გადაწყვეტილება ანგარიში გაესწორებინა საბერძნეთის ჩრდილოეთში ჯანინას პროვინციის ალბანელი გამგებლის ალი ფაშას განდგომისათვის. ალი ფაშა საკმაოდ საინტერესო პიროვნება იყო – იცნობდა ევროპელ განმანათლებელთა იდეებს, გამოირჩეოდა სუფიური განწყობებით, დიდი პატივს სცემდა ძველბერძნულ ლიტერატურას. 30 წლის მანძილზე მისი მმართველობა განათლებულ ტირანიას ეფუძნებოდა. მას მიმოწერა ჰქონდა ნაპოლეონთან და ბრიტანელებთან. 1820 წელს მაჰმუდმა ჯარი გააგზავნა მის წინააღმდეგ, რის გამოც ათენსა და სხვა ბერძნულ ქალაქებში ოსმალური გარნიზონების ჯარისკაცთა რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა. ალი ფაშას წინააღმდეგ წარმართული სამხედრო კამპანია, საბოლოო ჯამში, ოსმალთათვის წარმატებული გამოდგა. **1822 წელს ალი ფაშას, მისი შვილე**ბის და შვილიშვილების მოკვეთილი თავები ლანგარზე მიართვეს სტამბულში სულტანს (Ochsenwald & Fisher, 2004: 261). თანდათანობით აღდგა ოსმალური ხელისუფლება ამ რეგიონში. თუმცა, როგორც აღინიშნა, ალი ფაშას წინააღმდეგ ოსმალების კამპანია, ხელსაყრელი აღმოჩნდა ბერძნებისათვის.

ევროპული სახელმწიფოები თავდაპირველად არ აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას ბერძნულ ამბოხს, მაგრამ ინგლისსა და საფრანგეთში შექმნილმა პრობერძნულმა ორგანიზაციებმა თანდათანობით აიძულეს საკუთარი მთავრობები უფრო მეტი ყურადღება მიექციათ საბერძნეთის პრობლემისათვის. ევროპელი მოხალისეები რომანტიკული განწყობით უერთდებოდნენ აჯანყებულთა რიგებს. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო ინგლისელი პოეტი ლორდი ბაირონი, რომლის დაღუპვამ 1824 წელს საბერძნეთში ბევრად უფრო უფრო გააღვივა ბერძნებში ნაციონალისტური გრძნობები, ვიდრე სხვა რომელიმე მოვლენამ (იქვე, 273).

1824 წელს მაჰმუდმა მოუწოდა თავის ეგვიპტელ ვასალს, მუჰამად ალის ჯარები გამოეყვანა ბერძნების აჯანყების ჩასახშობად. ეგვიპტური არმია, მუჰამად ალის ვაჟის, იბრაჰიმის მეთაურობით სასტიკად გაუსწორდა აჯანყებელებსა და მშვიდობიან ბერძნულ მოსახლეობასაც. (იხ. აგრეთვე თავი IV).

ეგვიპტური არმიის გამარჯვებებმა დააჩქარა ევროპულ სახელმწიფოთა ჩარევა. ლონდონის 1827 წლის ხელშეკრულებით, ბრიტანეთმა, რუსეთმა და საფრანგეთმა სამშვიდობო შეთანხმების დადება მოთხოვეს ოსმალებსა და ბერძნებს და ნებისმიერ სადავო საკითხზე მედიატორობის მზადყოფნა გამოთქვეს. მაჰმუდ II-მ უარი განაცხადა საზავო ხელშეკრულების ხელმოწერაზე. საპასუხოდ, ინგლისელებმა და ფრანგებმა ფლოტი შეიყვანეს ნავარინოს სრუტეში და **1827 წლის 20 ოქტომბერს მთლი**ანად გაანადგურეს ეგვიპტურ-ოსმალური ფლოტი.

საბერძნეთის საკითხის მნიშვნელობა რუსეთისათვის ასევე განპირობებული იყო მისი დიდი ინტერესით სერბეთისა და დუნაისპირა პროვინციების მიმართ. ჯერ კიდევ ლონდონის ხელშეკრულების ხელმოწერამდე, რუსეთმა ულტიმატუმი წაუყენა სტამბულს ყარსისა და სხვა აღმოსავლური პროვინ-

ციების დათმობის, მოლდოვასა და ვალახეთიდან ჯარების გაყვანის (აქ გუბერნატორები უნდა არჩეულიყვნენ რუმინული არისტოკრატიის რიგებიდან და მათი გადაყენება შესაძლებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ რუსეთის თანხმობის შემთხვევაში) და სერბეთისათვის ავტონომიის დაუყოვნებლივ მინიჭების მოთხოვნით. მაჰმუდ II სულ უკანასკნელ მომენტში დათანხმდა ამ პირობებზე, რაც დაფიქსირდა 1826 წლის აკერმანის კონვენციაში.

მაგრამ ნავარინოს ბრძოლაში ოსმალეთის ფლოტის განადგურების შემდეგ, რუსეთმა ვერ გაუძლო ცდუნებას არ ესარგებლა ოსმალეთის სისუსტით და 1828 წელს ომი გამოუცხადა მას. დაპირისპირების არეალი გახდა ბალკანეთი და შავი ზღვა. რუსეთის ერთმა არმიამ წარმატებით განახორციელა შეტევა კავკასიის სამხრეთით და აიღო არდაჰანი და ერზურუმი (არზრუმი); ხოლო მეორე ბალკანეთზე დაეუფლა ვარნას და ედირნეში (ადრიანოპოლი) შევიდა.

პრუსიელებისა და ბრიტანელების რჩევით, მაჰმუდ II ზავზე დათანხმდა. გაივლო ახალი საზღვრები ორ იმპერიას შორის და გარდა ამისა, ოსმალეთს, როგორც ომში დამარცხებულს, დიდი კონტრიბუციის გადახდა დაეკისრა. სრუტეები გაიხსნა რუსული სავაჭრო გემებისათვის. დუნაისპირა პროვინციებს ყველა გადასახადის მოეხსნათ სულტნისათვის ყოველწლიური ძღვენის გარდა. მათი გუბერნატორები სამიდღემჩიოდ ინიშნებოდნენ და პროვინციები უნდა ემართათ ადგილობრივ საბჭოებთან კონსულტაციის საფუძველზე. ამდენად, ოსმალეთთან კავშირები მინიმუმადე იქნა დაყვანილი და რუსეთმაც სასწრაფოდ შეავსო შექმნილი ვაკუუმი. გარდა ამისა, ოსმალეთი კისრულობდა მანამდე ევროპულ ქვეყნებს შორის დადებული ლონდონის ხელშეკრულების უპირობოდ შესრულებას, რის საფუძველზეც შეიქმნა საბერძნეთის სამეფო (საბერძნეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1832 წელს, თუმცა ეს პატარა სამეფო იყო და ბერძენთა დიდი ნაწილი მის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდა). რუსეთმა შემოიმტკიცა კავკასიაც. მის მფლობელობაში გადავიდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ნაწილი (ფოთის ჩათვლით) და ახალციხის საფაშო. ამან გამოიწვია რეგიონიდან მუსლიმური მოსახლეობის ნაწილის ემიგრირება ოსმალეთში და იქიდან სომხური მოსახლეობის ჩამოსახლება.

ანდრიანოპოლის ზავის დადებამდე კი მოხდა კიდევ ერთი, ოსმალეთისათვის ალბათ ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა – 1826 წელს მაჰმუდ II-მ დაშალა და გაანადგურა იენიჩართა კორპუსი. უკვე არაერთი ათწლეულის მანძილზე ეს სამხედრო შენაერთი სულტნებისათვის ყელში გაჩხერილ ძვალს წარმოადგენდა. ისინი არ ემორჩილებოდნენ სულტნების პოლიტიკას და მათი ინიციატივით არაერთი დიდი ვეზირი იქნა სიკვდილით დასჯილი. XVII საუკუნიდან დაწყებული, სულტნები ცდილობდნენ კორპუსის მოდერნიზებას და მის შეიარაღებას უფრო თანამედროვე იარაღით, მაგრამ ყველა მცდელობა ფუჭი გამოდგა.

სელიმ III-საგან განსხვავებით, მაჰმუდ II გაცილებით უფრო კარგად მოემზადა იენიჩრებთან დაპირისპირებისათვის. მას ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე ისეთი პირები ჰყავდა დანიშნული, რომლებიც მისგან იყვნენ დავალებულები და მხარს უჭერდნენ მის პოლიტიკას. გაუმჯობესდა ოსმალური არტილერია და 14 ათასზე მეტი მაჰმუდის ერთგული არტილერისტი დისლოცირებული იყო სტამბულში. მას გარანტირებული ჰქონდა საარტილერიო კორპუსის, დიდი ვაზირის, შეიხ ულ-ისლამის და სხვა საჯარისო ნაწილების მხარდაჭერა.

1826 წელს მაჰმუდ II-მ მოსთხოვა იენიჩრებს ჩაეცვათ ევროპული სამხედრო უნიფორმები. ამ გადაწყვეტილებას, როგორც მოსალოდნელი იყო, აჯანყება მოჰყვა, რისთვისაც მაჰმუდი მზად იყო. სულტნის არტილერისტებმა ცეცხლი გაუხსნეს იენიჩართა ყაზარმებს და მთლიანად გაანადგურეს. რეპრესიები იენიჩრების წინააღმდეგ გაგრძელდა პროვინციებში. იენიჩართა უმეტესობა გაწყვიტეს და კორპუსმა არსებობა შეწყვიტა.

მაჰმუდ II მიზნად ისახავდა კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული 40 ათასიანი რეგულარული არმიის შექმნას. თუმცა, რუსეთმა 1828-29 წლებში ამ ჯარის ჩამოყალიბებამდე მიიტანა შეტევა ოსმალეთზე და გამოჩნდა, რომ არმიის მოდერნიზაციის პროცესი უკვე დაგვიანებული იყო. სამხედრო ხარჯები მთავრობის საერთო ხარჯების დაახლ. 70%-ს შეადგენდა. თუმცა, აუცილებელი იყო რეფორმების ჩატარება სხვა სფეროებშიც.

მუჰამად ალიმ, ბერძნების ამბოხის ჩახშობის სანაცვლოდ სულტანს მისი ვაჟისთვის, იბრაჰიმისათვის პელოპონესის გუბერნატორობას ითხოვდა. მაგრამ საბერძნეთის სამეფოს შექმნის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ეს საკითხი თავისთავად მოიხსნა. ამ ვითარებაში კი მუჰამად ალიმ საგამგებლოდ სირიის გადმოცემა მოითხოვა. მუჰამად ალიმ გადაწყვიტა ძალით აეღო ის, რაც ადრე ვერ მიიღო დაპირებით. 1831 წლის შემოდგომაზე მუჰამად ალის შვილი, იბრაჰიმ ფაშა, შეიჭრა სირიაში და აიღო ღაზა, ჯაფა, იერუსალიმი, ხაიფა და აკრა, შემდეგ კი ტავროსი გადალახა და აიღო კონია, ქუთაჰია (1833 წლის 2 თებერვალს) და სტამბოლს დაემუქრა. მას შემდეგ, რაც ოსმალეთს არ დაეხმარა

არც ბრიტანეთი, და არც საფრანგეთი, სულტნის ნებართვით ფლოტი შავი ზღვიდან რუსეთმა შეიყვანა, რომელიც 1833 წლის 20 თებერვალს სტამბულთან გამოჩნდა. 1833 წლის 8 ივლისს რუსეთმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს ჰუნქიარ ისკელესის ზავს, რომლის თანახმადაც რუსეთი იღებდა უფლებას შეეყვანა თავისი სამხედრო ძალები სრუტეებში, თუ სულტანს საფრთხე დაემუქრებოდა. ხელშეკრულებაზე თანდართულ საიდუმლო დამატებაში სულტანი თანხმდებოდა რუსების მოთხოვნაზე, რომ სრუტეებში არ გაატარებდა სხვა არც ერთი ქვეყნის სამხედრო გემებს. ამ ზავმა ევროპაში დიდი შეშფოთება გამოიწვია. საფრანგეთი და ბრიტანეთი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მიეღწიათ მისი გაუქმებისათვის, ხოლო მანამდე ცდილობდნენ არ დაეშვათ მუჰამად ალის თავდასხმა ოსმალეთზე, რომ რუსეთს ზავით მინიჭებული უფლება არ გამოეყენებინა. მაშინ, როცა რუსებისა და ოსმალების დესპანები მშვიდობის დამყარების პირობებს ათანხმებდნენ მუჰამად ალისთან, ფრანგი დიპლომატები ზეწოლას ახდენდნენ მაჰმუდზე, რომ გარკვეულ დათმობებზე წასულიყო ეგვიპტის მიმართ. ასეც მოხდა. ეგვიპტემ მიიღო სირია, ასევე შეინარჩუნა ადანა, რაც მას გზას უხსნიდა ტარუსის სრუტესა და შემდგომ ანატოლიისაკენ. იბრაჰიმ ფაშას კი ანატოლიიდან ჯარები უნდა გამოეყვანა.

ამ მცირე მშვიდობიან პერიოდში მიეცა სწორედ მაჰმუდ II-ს ძირეული რეფორმების განხორციელების საშუალება. შესაძლებელი გახდა უფრო ფართო პროექტების რეალიზაციის დაწყება და მოდერნიზაციის პროცესის გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. რეფორმები გასცდა წმინდა სამხედრო და ტექნიკური ჩარჩოებს და შეეხო როგორც მთავრობის ადმინისტრირებას, ისე ზოგადად მმართველობის პოლიტიკას. იენიჩართა განადგურება და ახალი ჯარების, „მუსლიმ მეომრების“ სახელით ცნობილის, შექმნა, სამხედრო სფეროში ინოვაციების მხოლოდ ერთ-ერთი, შესაძლოა ყველაზე თვალსაჩინო, ასპექტი იყო.

1831 წელს შეიცვალა სიფაჰიების (ფეოდალური ლაშქრის) სისტემა. სიფაჰიებისათვის განსაზღვრული მიწებიდან შემოსავალი ახლა უშუალოდ ხაზინაში შედიოდა და ამ სახსრებით ხდებოდა მოცემულ რეგიონში რეკრუტების გაწვევა. საუკეთესო სიფაჰიებისაგან შედგა კავალერიის ოთხი ესკადრონი და მათ ხელფასი დაენიშნათ. **1834 წელს ჩამოყალიბდა ნაციონალური მილიცია, რომლის და**ნიშნულებაც იყო პროვინციებში სამხედრო წვრთნების ორგანიზება. ოსმალო ოფიცრების მომზადებაში მონაწილეობდნენ პრუსიელი სამხედრო სპეციალისტები. იმ პერიოდში ჩავიდა სტამბულში პრუსიელი გენერალი ჰელმუტ ფონ მოლტკე. შემცირდა სავადებულო სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა.

1830 წელს გაიხნა სამხედრო და სამედიცინო კოლეჯები. ამ კოლეჯებთან დაკავშირებული უფრო ადრე გახსნილი საინჟინრო სკოლები დაწყებითი და საშუალო დონის სწავლების იყო. მათში ძირითადად სეკულარულ განათლებას იღებდნენ და ამზადებდნენ სტუდენტებს სწავლის უფრო მაღალი საფეხურისათვის. 1824 წელს მაჰმუდ II-ის ბრძანებით დაწყებითი განათლების მიღება ყველასათვის სავალდებულო გახდა, თუმცა ამ დეკრეტის განხორციელებისათვის საჭირო პირობები არ არსებობდა. დაწყებითი და საშუალო სწავლების საუკეთესო სკოლა არსებობდა გალათასარაის სამედიცინო კოლეჯთან. აქ სწავლა თურქულად და ფრანგულად მიმდინარეობდა და მოგვიანებით ის იქცა ელიტური განათლების მთავარ ცენტრად. აქ მედიცინა, მათემატიკა და ფიზიკა ისეთივე სახით ისწავლებოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში. სწავლების ძველი კონცეფციები თანდათანობით ადგილს უთმობდა ახალ მეთოდებს.

რამდენადაც ულემები დაუპირისპირდნენ რეფორმების წინა მცდელობას, მაჰმუდი შეეცადა მათი და სუფიების დასუსტებას და ტრადიციული კულტურის სიმბოლურად შეცვლას. **1826 წელს მან სა**ოფისე შენობა მისცა შეიხ ულ-ისლამს და დანიშნა ის მთავრობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. მუსლიმი ქვეშევრდომებისათვის არსებული სასამართლოები მის კომპეტენციაში გადავიდა. ამავდროულად კი მასწავლებლების დანიშვნა და სკოლების კონტროლი ახლადშექმნილ განათლების სამინისტროს დაევალა, ხოლო მოსამართლეების შერჩევა და სამართალწარმოება – იუსტიციის სამინისტროს. კიდევ უფრო მტკივნეული იყო ულემებისათვის და იმ მაღალჩინოსნებისათვის, რომლებიც ვაკუფების მფლობელები იყვნენ, ვაკუფების სამინისტროს შექმნა, რომელიც განკარგავდა ვაკუფებისა და საქველმოქმედო საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების უმეტეს ნაწილს. სამინისტრო განსაზღვრავდა და გამოყოფდა საჭირო თანხებს სხვადასხვა ფონდებისათვის, შემოსავლის დანარჩენი ნაწილი კი ხაზინაში მიდიოდა. ასევე განხორციელდა შეტევა სუფიური ორდენების ფინანსურ დამოუკიდებლობაზე. ბექთაშიიას სუფიური საძმოს ლიდერები გაასახლეს და მათი შენობების კონფისკაცია განახორციელეს – მათი დევნის ძირითადი მიზეზი ამ ორდენის იენიჩრებთან მჭიდრო კავშირი იყო. თუმცა ბექთაშიები იატაკქვეშეთში აგრძელებდნენ მოღვაწეობას იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში და სტამბულშიც XX საუკუნემდე.

დაიწყო განათლების რეფორმა, რომლის პირველი საფეხური იყო თარგმანის პალატის შექმნა (*Tercume Odasi*) 1821 წლის 23 აპრილს, სადაც პროფესიონალი თარჯიმნები მზადდებოდნენ. ეს უკანასკნელნი ემსახურებოდნენ სულტანს მოლაპარაკებების დროს როგორც უცხოელ დიპლომატებთან, ასევე ვაჭრებთან. ახალმა თარჯიმნებმა დაიკავეს ბერძნული და სომხური მილეთების წარმომადგენლების ადგილი, რომლებიც ადრე ასრულებდნენ ამ ფუნქციას. ევროპული ენების შესწავლამ რევოლუციური ძვრები გამოიწვია კომუნიკაციების სფეროში და შედეგად, შეცვალა ურთიერთობები ორ ცივილიზაციას შორის. იმის ნაცვლად, რომ გაევლო უცხოელთა და უმცირესობათა ფილტრი, კონტაქტების განხორციელება ამიერიდან დასავლეთთან პირდაპირ იყო შესაძლებელი. გარდამტეხი მომენტი იყო 1821 წელი, ელინური ამბოხის დასაწყისი, რომელიც მალე გადაიქცა დამოუკიდებლობისათვის ომად. ბრალდებული ამბოხებულებთან კავშირში, უფრო სარწმუნოა, რომ უსაფუძვლოდ, უკანასკნელი ბერძენი დიდი დრაგომანი სტავრაკი არისტარხი სიკვდილით იქნა დასჯილი. ოსმალო ისტორიკოსები გადმოსცემენ, რომ საკმაო ხნის მანძილზე საკურიერო ფოსტა გროვდებოდა მის ყოფილ მაგიდაზე, რადგანაც არავის შეეძლო წერილების წაკითხვა. შემდეგ პრობლემა გადაწყვიტეს საზღვაო სკოლის ინსტრუქტორის, ვინმე ჰოჯა ისჰაკ ეფენდის დანიშვნით თანამდებობაზე. ისლამზე მოქცეული ბერძენი ებრაელი ჰოჯა ისჰაკ ეფენდი (გარდ. 1834) პიონერი იყო დასავლური სამეცნიერო ნაშრომების თურქულად თარგმნის საქმეში – ამ ამოცანისათვის მას მოუწია სრულიად ახალი ლექსიკონის გამოგონება. მის შემდეგ დიდი თარჯიმნები და მათი დამხმარე პერსონალი უკვე მუსლიმი იყო, და ბრწინვალე პორტის მთარგმნელობითი პალატა გახდა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სახელისუფლებო და გავლენიანი თანამდებობების მოსაპოვებლად. იმის ცოდნა, თუ რას ლაპარაკობდნენ ევროპელები, როგორ უნდა წარმართულიყო მათთან მოლაპარაკებები და რა ხდებოდა დასავლეთის ქვეყნებში, ამიერიდან უმთავრესი საკითხები გახდა. XIX საუკუნის შუა ხანებისა და დასასრულის ცნობილმა ოსმალო პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გაიარეს ეს არატრადიციული გზა, რომელიც არ იყო კავშირში არმიასთან, ადმინისტრაციასა თუ რელიგიურ დაწესებულებებთან. თარჯიმანთა ბიურო საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაწილი გახდა და ამ ბიუროს მოხელეები იქცნენ ხელისუფლების თვალსაჩინო წევრებად – მათგან არაერთი მოგვიანებით დიდი ვაზირიც გახდა. მთავრობის დეპარტამენტებში მუშაობდნენ ყველაზე კარგად მომზადებული საჯარო მოხელეები, რომელთა მაღალი ხელფასი ამცირებდა კორუფციის ალბათობას და სამსახურებრივი წინსვლა უკვე უფრო ღირსებასა და ცოდნაზე დამოკიდებული გახდა.

მაჰმუდ II-მ დაიწყო მილეთების რელიგიური ინსტიტუტების საგანმანათლებლო ფუნქციების შეზღუდვა, თუმცა დატოვა დაწყებითი განათლება, სადაც მზადდებოდნენ რელიგიური ლიდერები.

ყურადღება ძირითადად ისეთ სკოლებზე იყო გადატანილი, სადაც მზადდებოდნენ სპეციალისტები ახალი სამინისტროებისათვის, ინჟინრები, ფინანსისტები, მედიცინის მუშაკები. შეიქმნა სამოქალაქო განათლების სისტემა, თურქი ახალგაზრდები სასწავლებლად ევროპის ქვეყნებში იგზავნებოდნენ. გაჩნდა ახალი ტიპის მოხელე (*memur*), რომელიც ხელფასს პირდაპირ ხაზინიდან იღებდა და ექვემდებარებოდა მინისტრებს და სულტანს.

1830-იან წლებში ოსმალეთის იმპერიაში დაიწყო ნამდვილი *რევოლუცია ზევიდან* – ფეოდალიზმის გაუქმება. აგრარული რეფორმის შედეგად განხორციელდა ფეოდალიზმის ოსმალური ტიპის – თიმარული სისტემის ლიკვიდაცია (Lewis, B., 1967: 90-91). ხოლო სახელმწიფოს მიერ გამოსყიდული მიწები გადავიდა მის საკუთრებაში და არენდით გაიცემოდა გლეხებზე. მოხდა ყველაზე დამამძიმებელი გადასახადების გაუქმება.

1831 წელს ჩატარდა აღწერა, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ მამაკაცების, რაც მნიშვნელოვანი იყო მიწების აღრიცხვისთვის და საგადასახადო სისტემის მოწესრიგებისთვის. გამოირკვა, რომ იმ წლებში ანატოლიაში 1500, ხოლო რუმელიაში 1000 თიმარი იყო (იქვე, 90-92).

სულტნის ბრძანებით ჩატარდა ადმინისტრაციული რეფორმები. მთელი სახელმწიფო იმართებოდა საიმპერიო საბჭოს მიერ, რომელიც თოფკაპის სასახლეში იყო, საკანონმდებლო საქმიანობა მინდობილი ჰქონდა „იურიდიული განკარგულებების უზენაეს საბჭოს," რომელიც ასევე უზენაესი სასამართლოს ფუნქციასაც ასრულებდა. შექმნილი იყო მრჩეველთა საბჭო ნახევრად ავტონომიური სამინისტროებისათვის – სამხედრო, საგარეო საქმეთა, ხაზინის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, საჯარო სამუშაოების, რომელთა ხელმძღვანელები შედიოდნენ მინისტრთა საბჭოში, რომელსაც ერთ-ერთი მინისტრი ხელმძღვანელობდა – პირველი თანასწორთა შორის. გარდა ზემოხსენებული სამინისტროებისა, დიდი ვეზირის ოფისის ორი ბიურო გარდაიქმნა სამინისტროებად: საგარეო ურთიერთობებისა და სამოქალაქო საკითხების. ამ ცვლილებებმა შეამცირა დიდი ვეზირის, როგორც სულტნის ყოვლისშემძლე წარმომადგენლის პრეროგატივები და ის რეალურად აქცია პრემიერ-მინისტრად. პროვინციებში შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული ერთეულები, მოწესრიგდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების

ურთიერთობა. მაჰმუდ II-ის დროს გაჩნდა ომის მინისტრის თანამდებობა, რომელსაც ახალი ჯარის ფორმირება და სახმელეთო ჯარის მეთაურობა დაევალა. იმ დროიდან შეწყდა დიდვეზირის, როგორც მთავარსარდლის, ომში მონაწილეობის ტრადიცია. დიდად არ შეცვლილა შეიხ ულ-ისლამის სტატუსი. ის კვლავ გამოსცემდა ფეთვას, მონაწილეობდა ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში – მოსამართლეების, როგორც შარიათის სასამართლოების მეთაური და პედაგოგების, როგორც მედრესეს სკოლების მეთაური, დანიშვნასა და გადაყენებაში (Saydam, 2002: 205; Findley, 1972: 388-416).

1829 წელს რეფორმა შეეხო ტანსაცმელს. შემოვიდა ევროპული ჩაცმულობა, მაგიდა და სკამები, სულტანი დიპლომატებს იღებდა ევროპული და არა ოსმალური პროტოკოლით (Lewis, B., 1967: 102). ფესი გახდა სამთავრობო მოხელეების ახალი ოფიციალური თავსაბურავი, ასევე სერთუკიც. რამდენიმე წელიწადში ფესი, სერთუკი, შარვალი და ტყავის ფეხსაცმელი მამაკაცებისათვის სტანდარტულ ჩაცმულობად იქცა საქალაქო რეგიონებში. როდესაც შეიხ ულ-ისლამმა ამის თაობაზე პროტესტი გამოთქვა, მაჰმუდმა ის გადააყენა, რითაც მკაფიო აჩვენა, თუ რაოდენ სერიოზულად ეკიდებოდა ამ საკითხს. მეორე მხრივ, მაჰმუდი მთლიანად არ დაპირისპირებია ტრადიციულ კულტურას. ის თვითონაც გამორჩეული კალიგრაფი იყო.

რეფორმები დიდ ხარჯებს მოითხოვდა და შესაბამისად იზრდებოდა ფინანსების დეფიციტი. ცენტრალური მთავრობის დანახარჯები 1790-დან 1840 წლამდე ორჯერ გაიზარდა. მონეტებში ვეცხლის წონის შემცირება შემოსავლის გაზრდისათვის იენიჩართა განადგურების შემდეგ რამდენიმე წელიწადში აუცილებლობად იქცა.

სამხედრო სფეროში ცვლილებები გამოყენებული იყო სტამბულიდან ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის. შეიზღუდა ანატოლიაში, ბალკანეთზე, არაბულ პროვინციებში ადგილობრივი მმართველების დამოუკიდებლობა. 1835 წელს ოსმალეთის არმიამ დაიკავა ტრიპოლი ლიბიაში და ამით ბოლო მოუღო ადგილობრივი წარჩინებული ოჯახის დამოუკიდებელ მმართველობას. თუმცა, ოსმალეთის არმიას 20 წელზე მეტი დასჭირდა მთლიანად ლიბიის იმპერიული ხელისუფლებისათვის დასაქვემდებარებლად.

ცვლილებები მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო დასავლეთ ევროპასთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებით. 1828 წელს სტამბულში შემოვიდა პირველი თბომავალი გემი და სულ მალე რეგულარული რეისები ამოქმედდა სტამბულსა და ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ პორტებს შორის. საფრანგეთიდან სტამბულში გემით ჩასვლა უკვე შეიძლებოდა 20 დღიდან 1 თვის მანძილზე. ამგვარად, 30-იანი წლებიდან ერთბაშად გაიზარდა დასავლელი სტუმრების, ვაჭრების, მისიონერების რიცხვი სტამბულსა და ოსმალეთის სხვა სანაპირო ქალაქებში, უპირველესად იზმირში. ამის შედეგად, დიდი ყურადღება მიექცა ევროპული ტექნიკის შესწავლასა და გამოყენებას.

რუსეთთან და ეგვიპტესთან ომებმა იმპერია თითქმის ბანკროტად აქცია. პოტენციურად მდიდარ ქვეყანაში სულტანმა ვერ მოახერხა საგადასახადო სისტემის მთლიანად მოწესრიგება, თუმცა არაერთი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. არამუსლიმები უფრო მაღალ გადასახადებს იხდიდნენ. ახალმა გზებმა გააუმჯობესა კომუნიკაციები და მუსლიმებს ყოველმხრივ აგულიანებდნენ, რომ ბიზნესი წამოეწყოთ. საზოგადოდ, ამ ღონისძიებებმა სასიკეთო ცვლილებები გამოიწვია მაჰმუდ II-ის მმართველობის დასასრულისაკენ, მიუხედავად მრავალი ეპიდემიის და მოუსავლიან წლებში შიმშილობისა.

მაჰმუდი ასევე აცნობიერებდა, რომ რეფორმებს სჭირდებოდა რეკლამირება და სტიმული, რისთვისაც პრესა და წიგნები საუკეთესო საშუალება იყო. შეიქმნა სტამბები სტამბულსა და იზმირში, სადაც ათასობით წიგნი გამოიცა 1830-დან 1840 წლამდე თურქულად და არაბულად. სამხედრო და სამედიცინო კოლეჯებში ახალგაზრდა ოსმალებს ფრანგული და გერმანული ლიტერატურის გაცნობის საშუალება ჰქონდათ. პირველი ფრანგულენოვანი გაზეთები დაარსდა იზმირში 20-იან წლებში. 1832 წელს კი მაჰმუდის მხარდაჭერით სტამბულში დაიწყო პირველი თურქულენოვანი გაზეთის გამოცემა (*თაქვიმ-ი ვექაი* – „მოვლენების კალენდარი“ თურქულ და ფრანგულ ენებზე); ჩამოყალიბდა საფოსტო სამსახური; გაჩნდა პირველი საავადმყოფოები.

მაჰმუდის რეფორმების შედეგად ცენტრალური ხელისუფლების გაზრდას არაერთგვაროვანი შედეგები ჰქონდა: მომთაბარეებმა დაკარგეს თავიანთი თავისუფლების დიდი ნაწილი, სოფლის მოსახლეობისათვის გადასახადები გაიზარდა, პროვინციელი დიდგვაროვნების ზეგავლენა შემცირდა. თუმცა, მეორე მხრივ, საზოგადოების სხვა სეგმენტებმა, განსაკუთრებით ვაჭრებმა და ქალაქების მცხოვრებლებმა, სარგებელი ნახეს წესრიგისა და კანონიერების გამყარებით.

ამგვარად, თუ სელიმ III იყო რეფორმების ინიციატორი, მაჰმუდ II აღმოჩნდა ჭეშმარიტი რეფორმატორი, რომელმაც დაიწყო არსებითი გარდაქმნების პროცესი სახელმწიფოში, საზოგადოების მო-

დერნიზაცია და ევროპეიზაცია, თუმცა მისი დაწყებული საქმის განხორციელება უკვე მის შთამომავლებს მოუხდათ.

1838 წლის 25 მაისს მუჰამად ალიმ თავი ეგვიპტის და სირიის მემკვიდრეობით გამგებლად გამოაცხადა, ხოლო მისი შვილი, იბრაჰიმი, ანატოლიაში შესაჭრელად ალეპოში დაბანაკდა. ოსმალები და ეგვიპტელები კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სირიაში. 1839 წლის 24 ივნისს ამბოხებულ ვასალთან ბრძოლა ოსმალების მარცხით დასრულდა, ხოლო ოსმალეთის ფლოტი ეგვიპტის ფლოტს ჩაბარდა ალექსანდრიასთან. მაჰმუდ II სწორედ იმ დღეებში გარდაიცვალა – ისე, რომ არც შეუტყვია მისი რეფორმირებული არმიის მარცხის შესახებ. საბოლოოდ, კვლავ ევროპელები მოევლინენ ოსმალეთს მშველელებად და აიძულეს ეგვიპტელები დაეტოვებინათ როგორც სირია, ისე სხვა დასაკუთრებული ტერიტორიები. ერთადერთი „დათმობა“ მუჰამად ალის მიმართ, გახდა ეგვიპტის გადაცემა მისი საგვარეულოს სამემკვიდრეო მმართველობისათვის (იხ. თავი IV).

სამხედრო და ადმინისტრაციულ რეფორმას არ მოჰყოლია მისი მთავარი მიზნის – ევროპულ ქვეყნებთან ან თუნდაც იმავე ეგვიპტესთან გათანასწორება, რაც გამოჩნდა იგივე ადრიანოპოლის ხელშეკრულებაში და მაჰმუდის ძალების დამარცხებებში მუჰამად ალის ჯარის მიერ. ასევე ბერძნული ნაციონალისტური მოძრაობის წარმატება მხოლოდ დასაწყისი იყო: მოგვიანებით ნაციონალისტური მოძრაობები დაიწყო იმპერიის სხვა მხარეებშიც, რასაც მოჰყვა იმპერიის ერთიანობის საფრთხის გაზრდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაჰმუდის მიერ განხორციელებული ცვლილებების შემდეგ უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო და რეფორმები გაგრძელდა.

თანზიმათის ეპოქა

1839-1876 წლებში, ევროპული იმპერიალიზმის სულ უფრო გაძლიერებისა და მოძალების პირობებში, ოსმალეთის იმპერიაში განხორციელდა რეფორმების სერია. რეფორმების თითქმის 40-წლიანი პერიოდის განმავლობაში, რაც თანზიმათის სახელითაა ცნობილი, ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო და სამოქალაქო სფეროებში ძირეული გარდაქმნები მოხდა. თუმცა, რეფორმები არ შეხებია ყველა რეგიონს. ზოგიერთი მეტად დაშორებული იყო ცენტრიდან ეფექტური რეფორმების ჩასატარებლად. იმავდროულად, მთელი ამ პერიოდის მანძილზე, იმპერია მუდმივად იმყოფებოდა საგარეო საფრთხეების წინაშე. მათ, ვინც მხარს უჭერდა საშინაო რეფორმებს მტკიცედ სწამდათ, რომ მხოლოდ მოდერნიზაციისაკენ თუ ევროპეიზაციისაკენ მიმართული გარდაქმნებით შეიძლებოდა იმპერიის არსებობის შენარჩუნება.

აბდულ მეჯიდი

მაჰმუდ II-ის სიკვდილის შემდეგ ახალი სულტანი, მისი 16 წლის ვაჟი აბდულ მეჯიდი სამხედრო კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, რომლიდანაც ოსმალეთი მხოლოდ ევროპულმა ქვეყნებმა გამოიყვანეს. ახალ სულტანს საკმაოდ მწირი განათლება ჰქონდა მიღებული და მისი მსოფლმხედველობა არ სცდებოდა სასახლის კედლებს. შედეგად, მას სრულად არ ჰქონდა გაცნობიერებული იმპერიის წინაშე არსებული პრობლემები. ის და თანზიმათის პერიოდის სხვა სულტნები – აბდულ აზიზი (1861-1876) და მურად V (1876) – რჩებოდნენ პოლიტიკური ლეგიტიმურობის და სუვერენიტეტის წყაროდ, მაგრამ მეტად მცირე როლს თამაშობდნენ მმართველობაში, ძალაუფლება კი სულ უფრო გადადიოდა მაღალი რანგის ჩინოვნიკებისა და დიდი ვეზირების ხელში (Ochsenwald & Fisher, 2004: 295).

აბდულ მეჯიდის ტახტზე ყოფნის 21 წელი და 6 თვე საკმაოდ აქტიური მშენებლობით გამოირჩეოდა. უცხოელებისაგან ნასესხები ფულით მის დროს აშენდა დოლმაბახჩეს სასახლე (1853), ბეიკოზის საზაფხულო სასახლე (1855), ქუჩუკსუს საზაფხულო სასახლე (1857), მეჯიდიეს მეჩეთი (1849), თეშვიქიეს მეჩეთი (1854), გურების ჰოსპიტალი (1845-46), ახალი გალათას ხიდი. სულტანი ბევრს მოძრაობდა როგორც თავის ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. იგი საპასუხო ვიზიტით ეწვია ნაპოლეონ III-ს, რომელიც, თავის მხრივ, ჩავიდა სტამბულში ყირიმის ომთან დაკავშირებით (1853-56) და სულტანი მედლით დააჯილდოვა. ბრიტანელებმაც დააჯილდოვეს სულტანი ორდენით, იმ იმედით, რომ ის მოდერნიზაციის გზას დაადგებოდა და არ შეუქმნიდა დაბრკოლებებს უცხოელე-

ბის საქმიანობას მის ქვეყანაში. აბდულ მეჯიდს მრავალი ცოლი და 30 შვილი ჰყავდა, რომელთაგან რამდენიმე სულტანიც გახდა.

რევოლუცია ზემოდან სანქციონირებული იყო სულტნების მიერ, მაგრამ მისი რეალური მამოძრავებელი ძალა და თანზიმათის არქიტექტორები იყვნენ მუსტაფა რეშიდ ფაშა (1800-1858), რომელიც ელჩი იყო ჯერ პარიზში, ხოლო შემდეგ ლონდონში; ასევე ალი ფაშა და ფუად ფაშა, რომლებიც დიპლომატიურ სამსახურს ვენასა და ლონდონში ეწეოდნენ.

მოცემულ შემთხვევაში რეფორმების პროცესზე დადებითი გავლენა მოახდინა საგარეო ფაქტორმაც – ინგლისი და საფრანგეთი ზრუნავდნენ რუსეთის მოწინააღმდეგე ოსმალეთის იმპერიის გაძლიერებით, ამიტომ ლონდონმა და პარიზმა დიპლომატიური არხებით გაუმხილეს სულტანს თავისი სურვილი, რომ მას გაეგრძელებინა რეფორმების პოლიტიკა. ლონდონის პრესა უწოდებდა დიდვეზირს „ინგლისის ჭეშმარიტ მეგობარს, ევროპული ცივილიზაციისა და ჰუმანურობის მომხრეს." ხოლო ფრანგმა პრემიერ-მინისტრმა ფ. გიზომ განაცხადა: „რეშიდი – დიდი ადამიანია, ერთადერთი, რომელიც ჰყავს აღმოსავლეთს" (ციტ. Тарле, 1, 1944: 185).[7]

1839 წლის 3 ნოემბერს სულტანმა აბდულ მეჯიდმა, გიულხანეს სასახლეში (*გიულხანე* (სპარს. *გოლხანე*) – „ვარდების სასახლე"), უამრავი დამსწრეს წინაშე, რომელთა შორის იყვნენ ულემები, გილდიების წარმომადგენლები, არამუსლიმთა ჯგუფების ლიდერები და უცხოელი ელჩები, საჯაროდ გამოაცხადა ფირმანი – *ჰატტ-ი შერიფი* (*გიულხანეი ჰატტი-ი შერიფ*). მასში გადმოცემული იყო რეფორმების პირველი ეტაპი. ეს რეფორმები მანიფესტში იხსენიება საერთო სახელით – *თანზიმათი*.[8] მასში იყო პირობა – იმპერიის ყველა ქვეშევრდომისათვის სიცოცხლის, ღირსების და ქონების უსაფრთხოების გარანტიაზე, გადასახადების აკრეფის სამართლიანობის უზრუნველყოფაზე, საიჯარო სისტემის გაუქმებაზე, ჯარში გაწვევის წესის შეცვლაზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის შემცირებაზე. მოცემული იყო ასევე გარანტია სასამართლო პროცესების საჯაროობაზე და მსჯავრდებულთათვის ქონების კონფისკაციის პრაქტიკის შეწყვეტაზე. ცხადდებოდა იმპერიის ქვეშევრდომთა თანასწორობა სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მიუხედავად (Луцкий: 1966: 108), რაც ძირეულად ცვლიდა საგადასახადო სისტემასაც, რომელიც განსხვავებული იყო მუსლიმების და არამუსლიმების შემთხვევაში. რეშიდ ფაშას პროგრამა ნიშნავდა დემონსტრაციულ უარს ძველ წესრიგზე. **1846 წლის გამოსვლაში** აბდულ მეჯიდი აღნიშნავდა, რომ „რეგიონული და რელიგიური დაყოფა არის მხოლოდ პერსონალური განსხვავებები და მოქალაქეობრივი უფლებების პერსპექტივის თვალსაზრისით, მათ არავითარი გავლენა არ აქვთ და ასეთი მიჯნების შექმნა არ არის სწორი" (Saydam, 2002: 200).

ჰატ-ი შარიფი თეორიული თვალსაზრით ოსმალეთის პოლიტიკური ცხოვრების მრავალ ასპექტს ცვლიდა. უქმდებოდა სიკვდილით დასჯა სასამართლო პროცესის გარეშე; ხდებოდა სიცოცხლის, ღირსებისა და საკუთრების პატივისცემის გარანტია. იქმნებოდა იურიდიულ გადაწყვეტილებათა უზენაესი საბჭო, რომლის დანიშნულებაც იყო კანონების შექმნა. ყალიბდებოდა შერეული ტრიბუნალები მუსლიმებისა და არამუსლიმების მონაწილეობით იმ კომერციული საქმეების განსახილველად, რომელშიც უცხოელებიც იყვნენ ჩართული. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო, რომ დაუშვეს არამუსლიმის ჩვენება მუსლიმის წინააღმდეგ სასამართლოებში. ჰატ-ი შარიფის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო აგრეთვე სოფლად საგადასახადო სისტემის მოწესრიგება – ამიერიდან მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებს უნდა აეკრიფათ სოფლად გადასახადები (თუმცა, ბოლომდე ამის განხორციელება ვერ მოხერხდა). დეკრეტი ეხებოდა იმპერიის უკლებლივ ყველა ქვეშევრდომს, განურჩევლად აღმსარებლობისა.

თავისი არსით, **1839 წლის ედიქტი უფრო მეტად არსებული კანონებისა და უფლებების გამოყენებას** გულისხმობდა, ვიდრე ახალი უფლებებისა და კანონების შექმნას. თუმცა, ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენლების თანასწორობა კანონის, უფლებების და რეალობის თვალსაზრისით რადიკალურ წყვეტას წარმოადგენდა წარსულთან და პრობლემას ქმნიდა მუსლიმთათვის.

ჰატ-ი შარიფი წარმოადგენდა იმის დემონსტრირებას ევროპისათვის, რომ ოსმალეთის იმპერიას შეეძლო არსებობის შენარჩუნება და რეორგანიზაცია ქრისტიანული ეთნიკური ჯგუფების მხრიდან დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის მიუხედავად. მის გამოცემას ძალას მატებდა ლონდონის 1840 და

---

7 ე. ვ. ტარლე მუსტაფა რეშიდს ახასიათებს, როგორც ინგლისელების თავგამოდებულ მომხრეს და რუსეთის მოწინააღმდეგეს, მაგრამ ამასთან ერთად – არაევროპელს. (Тарле, 1, 1944: 185).

8 მომდინარეობს არაბული სიტყვიდან *თანზიმათ* და ნიშნავს „წესრიგს." ამ სიტყვას ზოგჯერ უმატებდნენ ეპითეტს – *ხაირიე* ანუ „კეთილმოქმედი." აქედან ოსმალეთის იმპერიაში რეფორმების პერიოდმა მიიღო „*თანზიმათ ხაირიე*"-ს სახელი.

1841 წლების ხელშეკრულებებს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. მუსტაფა რეშიდ ფაშა, რომელიც დიპლომატიური მოღვაწეობის შედეგად კარგად იცნობდა ევროპას, აცნობიერებდა, თუ რა გამოძახილი მოჰყვებოდა ჰატ-ი შარიფს ევროპულ დედაქალაქებში. თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, ჰატ-ი შარიფი გამოიცა უცხოელთა საამებლად თუ როგორც ნაწილი საშინაო რეფორმატორული პროცესისა. რეშიდი გახდა როგორც საშინაო რეფორმის, ისე პრობრიტანული საგარეო პოლიტიკის გატარების მთავარი ინიციატორი.

მუსტაფა რეშიდ ფაშა

რეშიდ ფაშამ შემოიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ფრანგულ მოდელს ემყარებოდა, მაგრამ 1841 წელს მან დატოვა თანამდებობა ახალი კომერციული კანონის მიღების შეფერხების გამო (საბოლოოდ, 1850 წელს ეს კანონი მაინც მიიღეს).[9] ამის შემდგომ რეფორმების კონცენტრირება ძირითადად სამხედრო სფეროში მოხდა. რიზა ფაშას მმართველობის დროს, რომელიც სამეფო კარის ფავორიტი და კონსერვატორი იყო, მუსლიმების რეკრუტირებამ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო, დაიქირავეს ასევე რამდენიმე ევროპელი ოფიცერიც (ქრისტიანებს ისევ არ იწვევდნენ ჯარში). რეგულარული არმიისა და რეზერვების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა შეიარაღებული ძალები ხშირად საშინაო მიზნებისათვის გამოიყენებოდა. 1850-70-იანი წლებში გაიზარდა ქაღალდის ფულის რაოდენობა, რაც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ვალუტას, თუმცა ზოგადი სამონეტო პოლიტიკა ემყარებოდა მონეტების მოჭრას ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის უცვლელი წონით.

რეფორმების გატარება შიდა და გარე კონფლიქტების ფონზე მიმდინარეობდა. ეგვიპტესთან ხანგრძლივი პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა სწორედ იმ დროს და მხოლოდ დიდი ქვეყნების ჩარევის შედეგად მოხერხდა. მას შემდეგ, რაც მუჰამად ალისათვის მიუღებელი აღმოჩნდა 1840 წლის 15 ივნისის ლონდონის შეთანხმების პირობები, რომელსაც ხელს ავსტრია, რუსეთი, ინგლისი და პრუსია აწერდნენ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ეგვიპტე მისთვის სამემკვიდრეო უფლებით დაეტოვებინათ, თუმცა სულტნის კონტროლის ქვეშ, გადასახადის ნაწილი უნდა გაგზავნილიყო სტამბულში, ფული მოჭრილიყო სულტნის სახელით, ჯარის რაოდენობა შემცირებულიყო 18,000-მდე და სხვ. შეთანხმება, რომელიც ძალაში 1853 წლამდე იყო, არა მარტო ათავისუფლებდა ოსმალეთს რუსეთის მიმართ ჰუნქიარ ისკელესის ზავით არსებული ვალდებულებებისაგან, არამედ საერთოდ უკრძალავდა მას საბრძოლო გემების გატარებას სრუტეებში მშვიდობიან დროს.

გიულხანეს დეკლარაცია მალე განმტკიცდა მთელი რიგი ახალი კანონებით, რომელთა ამუშავება დროდადრო ფერხდებოდა ომებით.

ბრიტანეთი და საფრანგეთი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ოსმალეთის იმპერიისადმი სავაჭრო, გეოპოლიტიკური სტრატეგიის, სამხედრო და საზღვაო ალიანსების თვალსაზრისით. საფრანგეთი დაინტერესებული იყო ექსპანსიით ჩრდილოეთ აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში. ფრანგებმა 1830 წელს დაიპყრეს ალჟირი. რამდენადაც ინგლისი კონკურენციას უწევდა საფრანგეთს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ის, ვინც მოიპოვებდა კონტროლს ახლო აღმოსავლეთის გზებზე, მოახდენდა მეტოქის კომუნიკაციების ბლოკირებას. 1839 წელს ბრიტანეთმა მოახდინა იემენში მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის, ადენის ანექსია. ბრიტანელებს განზრახული ჰქონდათ მხარი დაეჭირათ ოსმალეთის იმპერიის ერთიანობისათვის, რადგანაც ამით საშუალება მიეცემოდათ მოეხდინათ რუსების შესვლის ბლოკირება ხმელთაშუა ზღვაში. აქედან გამომდინარე, ბრიტანეთი ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის იმპერიის დაშლას და ცდილობდა სულტნის ხელისუფლების განმტკიცებასაც. თავის მხრივ, ავსტრიის და რუსეთის მიზანი იყო ახალი ტერიტორიების დასაკუთრება ოსმალეთის ხარჯზე.

რუსეთი, ოსმალეთის ყველაზე ხანგრძლივი და მუდმივი მტერი, ოცნებობდა სტამბულის ხელში ჩაგდებას და ქრისტიანული იმპერიის აღდგენას კონსტანტინეს ქალაქში. რუსეთი ასევე ფართოვდებოდა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში; ამჟავნებდა ინტერესს იერუსალიმის მიმართ და განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ოსმალეთის ქვეშევრდომი მართლმადიდებელი ქრისტიანებისადმი; მას სურდა ქრისტიანული სატელიტი სახელმწიფოების შექმნა ბალკანეთზე. 1840-41 წლებში ევროპული

9 ულემების შეკითხვაზე, იყო თუ არა წარმოდგენილი კანონი საღვთო კანონთან შესაბამისობაში, მუსტაფა რეშიდმა უპასუხა, რომ კანონს არავითარი კავშირი საღვთო კანონთან არ აქვს (Lewis, B., 1967: 110).

სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ რუსეთის მიერ სტამბულის რეგიონის რაიმე ნაწილის ოკუპაციას (ეს მოხდა სტამბულის მუჰამად ალისაგან დასაცავად) მხოლოდ დროებითი ხასიათი შეიძლებოდა ჰქონოდა. ჰუნქიარ ისკელესის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს არ უნდა მინიჭებოდა სხვაზე მეტი პრივილეგიები ოსმალეთში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს, ოსმალებთან სხვადასხვა ხელშეკრულებების საფუძველზე, განსაკუთრებულ უფლებები ჰქონდა ბალკანეთზე და იმპერიის ზოგიერთ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებით.

მე-19 საუკუნის მანძილზე თანდათანობით გაფართოვდა ოსმალეთის საერთაშორისო ვაჭრობა, მაგრამ ეკონომიკის ეს სფერო კონტროლდებოდა ან უცხოელების, ან უცხოელების ნდობით აღჭურვილი და დაცული იმპერიის ქვეშევრდომების მიერ. **1838 წელს ბრიტანულ-ოსმალური სავაჭრო ხელ**შეკრულებით ინგლისელ ვაჭრებს ხელსაყრელი პირობები მიენიჭათ საქმიანობისათვის. მალე სხვა ევროპელებმაც მიიღეს ანალოგიური პრივილეგიები. გარდა ამისა, გაუქმდა იმპერიიდან საქონლის ექსპორტზე მთავრობის მონოპოლია. ამ ცვლილებათა შედეგები არ იყო ხელსაყრელი ოსმალო ვაჭრებისათვის.

ევროპასთან ვაჭრობის ინტენსივობის გაზრდის შემდეგ სწრაფად გაიზარდა და გამდიდრდა ისეთი საპორტო ქალაქები, როგორიცაა ბეირუთი და იზმირი. 1846 წლის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის ხორბლით ვაჭრობამ, განსაკუთრებით დუნაისპირა პროვინციებიდან, არნახულ დონეს მიაღწია. რამდენიმე წელიწადში ბრიტანეთმა იმდენივე რაოდენობის ხორბალი მიიღო ოსმალეთიდან, რამდენიც რუსეთიდან. 1827 წელს ბრიტანული ექსპორტი ოსმალეთის იმპერიაში შეადგენდა დაახლ. £500,000-ს; 1849 წლისათვის კი £2,400,000-ს გადააჭარბა. ბრიტანეთი გახდა ოსმალეთის იმპერიის მთავარი სავაჭრო პარტნიორი.

დასავლეთ ევროპაში ინდუსტრიის განვითარებამ გამოიწვია ახლო აღმოსავლეთის საკვები პროდუქციითა და ნედლეულით დაინტერესება, რომლის გაცვლაც შეიძლებოდა დასავლეთში დამზადებულ ტექნიკაზე. ვაჭრობის ეს ფორმა აისახა ოსმალეთში ქსოვილების წარმოებაზე, არაერთ რეგიონში ქსოვილების სამანქანო წარმოებამ შეცვალა ხელნაკეთი პროდუქცია, რამაც ხელი შეუწყო ამქრების თანდათანობით დაკნინებას და მათი რაოდენობის შემცირებას. ოსმალეთის მრეწველობა ასევე განიცდიდა კაპიტალის ნაკლებობას, თუმცა ზოგიერთ სექტორში ოსმალო ხელოსნებმა მოახერხეს ახალ პირობებთან შეგუება და საქონლის გაყიდვაც კი გაზარდეს.

დიდმა ბრიტანეთმა ერთდროულად აიძულა ოსმალეთის იმპერია, ეგვიპტე და ირანი თითქმის შეეწყვიტათ მონათვაჭრობა.

ე. წ. კაპიტულაციების რეჟიმმა უცხოელებს პრივილეგირებული მდგომარეობა შეუქმნა. ამ პირობებში არაერთმა ოსმალომ მიიღო უცხოელი მოქალაქის სტატუსიც და კორუმპირებული კონსულები დიდი შემოსავალს იღებდნენ მოქალაქეობის მინიჭებითა და პასპორტების გაცემით ვაჭრობით. რამდენადაც უცხოელებს ჰქონდათ უფლება საკუთარი საკონსულო სასამართლოების წინაშე წარდგენისა, კონსულებს შეეძლოთ საკუთარი მოქალაქეები, დანაშაულის სიმძიმისდა მიუხედავად, უდანაშაულოდ გამოეცხადებინათ. უცხოელები არ იხდიდნენ არც ადგილობრივ გადასახადებს.

კაპიტულაციების რეჟიმის მიერ შექმნილ სიტუაციას თან დაერთო კიდევ ერთი ფაქტორი – რელიგია. საფრანგეთი აცხადებდა ოსმალეთის იმპერიაში კათოლიკეების ინტერესების დაცვის, ხოლო რუსეთი – მართლმადიდებლების მფარველობის პრეტენზიას. ამ თვალსაზრისით ევროპული სახელმწიფოები სულ უფრო მეტად ერეოდნენ ოსმალეთის საშინაო საქმეებში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების დაცვის საბაბით. ამგვარად ხდებოდა რელიგიური კუთვნილების შერწყმა ეთნიკურ ნაციონალიზმთან და ნაციონალიზმი რელიგიური გამოცალკევების ანალოგიურ მნიშვნელობას იძენდა.

საბერძნეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ოსმალეთის იმპერიაში სულ სამი მილეთი (რელიგიური თემი) იყო ოფიციალურად აღიარებული. მაგრამ 1914 წლისათვის მათი რაოდენობა უკვე ჩვიდმეტს შეადგენდა და თითქმის ყველა მათგანს რომელიმე უცხოური სახელმწიფო მფარველობდა. თემების რიცხვის გაზრდას დიდად შეუწყო ხელი ქრისტიან მისიონერთა აქტიურმა მოღვაწეობამ – XIX საუკუნეში მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა. იხსნებოდა სხვადასხვა დენომინაციების სკოლები, ეკლესიები, საავადმყოფოები, სტამბები და ამ სახით დასავლური ფასეულობების ახლო აღმოსავლეთის ხალხებში შეტანა ხდებოდა.

ქრისტიანებისაგან განსხვავებით, ახლო აღმოსავლეთი ებრაელთა უმრავლესობა არ სარგებლობდა ევროპული ქვეყნების დიპლომატიური მფარველობით. ამის შედეგად კი, მათ ნაკლებად შეეხოთ მუსლიმთა ერთი ნაწილის მზარდი ანტაგონიზმი ევროპელთა მიერ დაცული ქრისტიანი უმცირესობების მიმართ.

ქრისტიანული სახელმწიფოები ასევე აფინანსებდნენ ოსმალეთის ქრისტიანულ თემებს პოლიტიკური მიზნებისათვის. რუსეთი და ინგლისი, მაგალითისათვის, ერთმანეთს ექიშპებოდნენ სომხების გადმოსაბირებლად და ორივე უარყოფითად აფასებდა ამერიკელი მისიონერების გააქტიურებას.

1846 წელს მუსტაფა რეშიდ ფაშა დაბრუნდა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, ხოლო შემდეგ წელს უკვე დიდი ვეზირი გახდა. მან გაორმაგებული ენერგიით განაახლა რეფორმები, ბრიტანეთის ელჩი კი მის მთავარ მოკავშირედ იქცა.

გაგრძელდა სამხედრო რეფორმა, რომელიც სახელმწიფოს დიდძალი თანხა უჯდებოდა. ოსმალეთის რეგულარული ჯარის პირადი შემადგენლობა 1824 წელს 24 ათასიდან 1850 წლისათვის 120 ათასამდე გაიზარდა. ყირიმის ომის დროს კი რეზერვისტების მობილიზაციაც მოხდა, რის შედეგადაც სამხედროთა რაოდენობამ 250 ათასს მიაღწია. მთავარ პრობლემას შეადგენდა ოფიცრებისა და დამხმარე სამსახურების ნაკლებობა.

თანზიმათის სულისკვეთება ასევე გამოიხატა დასავლეთში განათლებამიღებულ ოსმალთა რიცხვის გაზრდით, რომლების მსოფლმხედველობა უკვე სეკულარიზმს ეფუძნებოდა. 40-იან წლებში გაზეთების და წიგნების გამოცემის არნახული ბუმი დაიწყო. ახალი თაობა დიდი ინტერესს ამჟღავნებდა პოლიტიკის, ისტორიის, ბიოგრაფიების და ფილოსოფიის მიმართ. ევროპაში კონსერვატიზმის წინააღმდეგ ამბოხებებს ოსმალეთშიც მოჰყვა გამოძახილი.

რეშიდ ფაშას ზოგიერთი რეფორმა გასცდა დედაქალაქის ფარგლებს და გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა თანასწორუფლებიანობის გაზრდის, ადგილობრივი მმართველობის მიერ დამოუკიდებლად სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების (უპირველესად ეს ეხებოდა სიკვდილით დასჯას) შეზღუდვის, ადგილობრივი ბიუროკრატიის გაზრდის თვალსაზრისით. ასევე შეიქმნა ლოკალური არჩევითი საბჭოები, რომლებიც ჩვეულებრივ შედგებოდა ადგილობრივი მდიდარი წარჩინებული კონსერვატორებისგან. თუმცა, ამ საბჭოების შექმნის მიზანი – რეფორმების ხელშეწყობა, ვერ განხორციელდა, რამდენადაც საბჭოები პირიქით, ცდილობდნენ ძველი პრივილეგიებისა და წესების დაცვას. დიდი ვეზირი ასევე სპეციალურ კომისიებს აგზავნიდა პროვინციებში რეფორმების მიმდინარეობაზე ზედამხედველობის მიზნით.

სახელმწიფო უკვე აღარ წარმოადგენდა მხოლოდ გადასახადების აკრეფის, ჯარების კომპლექტაციის და სასამართლოს ადმინისტრირების ინსტრუმენტს (Ochsenwald & Fisher, 2004: 299); განათლება, საზოგადოებრივი სამუშაოები, ეკონომიკური განვითარება ასევე შეადგენდა მმართველთა ზრუნვის საგანს. თანზიმათის სულისკვეთება გამოიხატა აგრეთვე კანონმდებლობისა და დიპლომატიის მოდერნიზაციაში. მთავრობის ადმინისტრირება გაცილებით უფრო ეფექტური გახდა (თუ არ ჩავთვლით ფინანსებს). მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო მოხელეთა რიცხვი. საჯარო მომსახურეთა სოციალური წარმომავლობაც გაცილებით უფრო ფართო გახდა. არც ერთი კანონი თუ დადგენილება არ შეიძლებოდა ძალაში შესულიყო, სანამ მას არ განიხილავდა თანზიმათის საბჭო და არ მოიწონებდა მინისტრთა საბჭო. იურიდიული საბჭო, რომელშიც როგორც მუსლიმი, ისე ქრისტიანი წევრები იყვნენ, განიხილავდა დასავლური სამოქალაქო კანონმდებლობის ჩარჩოებში შემავალ საკითხებს (რელიგიური საკითხების განხილვა მილეთების პრეროგატივად დარჩა). განხორციელდა ასევე მრავალი ინოვაცია – შემოღებულ იქნა ერთიანი ზომა-წონის სისტემა, საფოსტო მარკები და ა.შ.

ოსმალეთის ლიდერებს არ შეეძლოთ საკუთარი ძალისხმევის კონცენტრაცია მხოლოდ საშინაო რეფორმებზე. ოსმალები ცდილობდნენ ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინათ ფრანგები და რუსები წმინდა ადგილებთან დაკავშირებით, მაგრამ რუსებს მუდმივად ჰქონდათ გრძნობა, რომ სულტანი მათ ატყუებდა. 1853 წელს მათ მოითხოვეს მართლმადიდებლებისათვის ექსკლუზიური პრივილეგიების მინიჭება პალესტინაში, მათ შორის მაცხოვრის საფლავის ეკლესიის გუმბათის აღდგენის პრეროგატივა, ასევე სპეციალური ხელშეკრულებების დადება, რომლითაც ოსმალეთის მართლმადიდებლებისათვის გარანტირებული იქნებოდა პრივილეგიები და შეიქმნებოდა საიდუმლო ალიანსი ოსმალეთსა და რუსეთს შორის. გარკვეული კომპრომისები მიღწეულ იქნა, მაგრამ სულტანმა უარი თქვა რუსების მიერ მართლმადიდებლების მფარველობის დაშვებაზე, რაც ოსმალეთის თვალთახედვიდან, რუსეთს 10-დან 12 მლნ-მდე ოსმალეთის ქვეშევრდომის მართვის უფლებას ანიჭებდა.

ზიმიების სტატუსი – მუსლიმური სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მყოფი არამუსლიმი ქვეშევრდომისა, შეუთავსებელი იყო უცხო სახელმწიფოს პროტექტორობასთან, პატრონაჟთან და შესაძლოა, მის მოქალაქეობასთან. ეს ეწინააღმდეგებოდა ბრძოლას თანასწორობისათვის კანონის წინაშე და ოსმალეთის სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქეობისათვის; და ეს ბრძოლაც ქრისტიანული მოსახ-

ლეობის უმრავლესობის მქონე ოსმალურ პროვინციებში, სეპარაციის, ავტონომიისა თუ დამოუკიდებლობის მოთხოვნებით მიმდინარეობდა.

რუსეთის იმპერატორმა დუნაისპირა პროვინციების დაკავება გადაწყვიტა. საფრანგეთი და ინგლისი ამ შემთხვევაში ოსმალეთს ამოუდგნენ მხარში. სულტანმა 1853 წელს რუსეთს ომი გამოუცხადა. ოსმალეთმა თავდაპირველად წარმატებებს მიაღწიეს კავკასიასა და დუნაისპირეთში, თუმცა მალე რუსებმა შავ ზღვაზე ოსმალეთის ფლოტი გაანადგურეს. ამის შემდეგ ფრანგებმა და ინგლისელებმა საკუთარი შეერთებული ფლოტი გააგზავნეს შავ ზღვაში. 1854 წელს კი ავსტრია და პრუსია შეუერთდნენ კოალიციას ოსმალეთის იმპერიის მთლიანობის დაცვის მოთხოვნით. რუსეთის არმია გავიდა დუნაისპირა პროვინციებიდან, რამდენადაც რუსეთი არ იყო მზად დაპირისპირებოდა პრაქტიკულად მთელ ევროპას. ბრიტანულმა და ფრანგულმა ჯარებმა დაიკავეს ათენი და აიძულეს ბერძნები შეეჩერებინათ შეტევა ოსმალების წინააღმდეგ. ყირიმის ომი, საბოლოოდ ჯამში, უპირველესად ევროპული სახელმწიფოების ომი იყო. თუმცა, ამ ომში მონაწილეობა ოსმალეთს უზარმაზარი ვალების აღებად დაუჯდა ინგლისისა და საფრანგეთისგან.

XIX ს.-ის 50-იანი წლებიდან, გადაულახავი ფინანსური პრობლემებისა და ომებში ტერიტორიების მუდმივი დაკარგვის გამო, ევროპელები ოსმალეთის იმპერიას „სნეულ ადამიანად“ მოიხსენიებდნენ. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს მიეწერება ყირიმის ომის წინ წარმოთქმული სიტყვები: „სნეული ადამიანი კვდება და დროა მისი მემკვიდრეობის გაყოფაზე ვიზრუნოთ.“

ოსმალეთი იმედოვნებდა ასევე დასავლეთ საქართველოსა და ახალციხის „დაბრუნებას“ რუსეთისაგან. დასავლეთ საქართველოში ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. 1854 წელს კი ოსმალების მოკავშირე შამილის ჯარები შემოიჭრნენ აღმოსავლეთ საქართველოში. ოსმალების იმედი, რომ ისინი თბილისის აღებასაც შეძლებდნენ, არ გამართლდა. რუსეთის იმპერიის ჯარებმა განდევნეს ოსმალები და ანატოლიის ტერიტორიაზეც შეიჭრნენ.

ომი გაგრძელდა მანამდე, სანამ სევასტოპოლი არ დაეცა მოკავშირეთა შეტევის შედეგად და ყარსი არ დაიკავეს რუსებმა ანატოლიაში 1855 წლის მიწურულს. 1856 წელს პარიზში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.

პარიზის ხელშეკრულებით და მისი დამატებითი მუხლებით ოსმალეთი იმპერია ცხადდებოდა ევროპულ სახელმწიფოდ. ცალკე ხელშეკრულებით, ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრია ვალდებულებას იღებდნენ, რომ პატივს ცემდნენ და დაიცავდნენ იმპერიის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. მოხდა შავი ზღვის დემილიტარიზაცია. „იგი გახსნილი იყო ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის და დაკეტილი სამხედრო გემებისათვის. ეს აკრძალვა ვრცელდებოდა რუსეთზეც და ოსმალეთზეც, რომელთაც უფლება ეძლეოდათ ჰყოლოდათ შავ ზღვაზე მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის, მცირე ტონაჟის პატარა სამხედრო გემები“ (სვანიძე, 2007: 309).

სპეციალური ვასალური სტატუსი მიენიჭა ოსმალეთის იმპერიის ვალახეთისა და მოლდოვას პროვინციებს იმ იმედით, რომ პროვინციების ეს „ამაღლებული“ სტატუსი მათგან შექმნიდა ბუფერულ ზონას ოსმალეთსა და რუსეთს შორის.

ამ პირობებზე ევროპელთა თანხმობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულტნის მიერ გამოცემულ ახალ ედიქტს – *ჰატტ-ი ჰუმაიუნს* („უავგუსტოესი (სულტნის) მანიფესტი“), რომელიც მრავალი ახალი რეფორმის წამოწყებასა და ოსმალეთის ქრისტიანებისათვის თანასწორუფლებიანობის გარანტირებას ითვალისწინებდა.

ეს დოკუმენტი გამოიცა პარიზის ხელშეკრულების ხელმოწერამდე, 1856 წლის თებერვალში. მასში ჰატ-ი შარიფთან შედარებით უფრო დეტალურად იყო გაწერილი რეფორმებისათვის აუცილებელი ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ქრისტიანებსა და ებრაელებზე, რომელთაც მუსლიმი ქვეშევრდომების ანალოგიური უფლებები ენიჭებოდათ. გამოცხადდა აღმსარებლობის თავისუფლება და აიკრძალა ძალდატანებით მოქცევა. რელიგია ან ეთნიკური წარმომავლობა აღარ უნდა გამხდარიყო თანამდებობის დაკავების ხელისშემშლელი ფაქტორი (სახელმწიფო სამსახური, სკოლა, არმია).

ყირიმის ომის ერთ-ერთი შედეგი ისიც იყო, რომ დიდი სახელმწიფოების – ბრიტანეთის, საფრანგეთის და ავსტრიის მოთხოვნით, ქრისტიანული ჯგუფების ლეგალური უფლებების შესახებ ახალი კანონი გამოიცა 1856 წელს, რომელიც, თუმცა გარკვეულად ლახავდა ქვეყნის სუვერენიტეტს, ამასთანავე კვლავ ადასტურებდა სიცოცხლის, საკუთრების და ღირსების გარანტიებს ყველა მოქალაქისათვის. ყველა რელიგია ცხადდებოდა თანასწორად, ხოლო რელიგიურ ლიდერებს და სამღვდელო-

ებას ენიშნებოდათ ხელფასები. სამხედრო სამსახური ყველას თანაბრად მოეთხოვებოდა; ასევე გათვალისწინებული იყო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საგანგებო წესების შემუშავება. აუცილებელი გახდა ფულის მოჭრის კანონების გადახედვა, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობისათვის დაბრკოლებების გაუქმება.

ჰატ-ი ჰუმაიუნით გამოცხადდა თანზიმათის მეორე პერიოდი, რომლის მნიშვნელობა, დასავლური სახელმწიფოებისათვის უფრო მეტი იყო, ვიდრე თვითონ ოსმალეთის იმპერიისათვის. ინგლისმა და საფრანგეთმა ახალი შეღავათები მიიღეს ახლო აღმოსავლეთში თავისი კაპიტალის შესაღწევად და მათი დასაყრდენი გახდნენ სომეხი და ბერძენი ვაჭრები, რომელთაც გარანტირებული ჰქონდათ თურქების თანაბარი უფლებები. დასავლური კაპიტალისათვის გაიხსნა ახალი შესაძლებლობები – მიეღოთ სარკინიგზო თუ სხვა კონცესიები ბანკების დასაარსებლად და მიწების შესაძენად.

ხელისუფლებამ გააჟღერა საკუთარი განზრახვა გაეუქმებინა დისკრიმინაციის ორი უმთავრესი ფორმა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვათ არამუსლიმებს: ჯიზია, სულადობრივი გადასახადი, რომელსაც ზოგადად ყველა მუსლიმური ხელისუფლება კრეფდა და იარაღის ტარების აკრძალვა, რომელიც ასევე საყოველთაო და თითქმის ასევე ძველი იყო.

1856 წლის დოკუმენტის გამოქვეყნებისას მუსტაფა რეშიდ ფაშა, თითქმის 20 წლის მანძილზე ოსმალეთის მმართველობაში ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (გარდ. 1858 წ.), თუმცა მას მის შედგენაში თითქმის არ მიუღია მონაწილეობა. რეფორმების გატარება წილად ხვდათ მის ორ თანამოაზრესა და მოწაფეს, ზემოთ ნახსენებ მეჰმედ ემინ ალი ფაშას და ქეჩეჯიზადე მეჰმედ ფუად ფაშას. ორივენი ლიბერალები, რეფორმატორები და მასონები იყვნენ (Ochsenwald & Fisher, 2004: 303). მომდევნო 15 წლის მანძილზე ისინი დომინირებდნენ ოსმალეთის პოლიტიკურ სცენაზე და ატარებდნენ ჰატ-ი ჰუმაიუნით განსაზღვრულ რეფორმებს. 1861-1871 წლებში ერთი მათგანი ყოველთვის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო მეორე – დიდი ვეზირი იყო.

დიპლომატიურ სამსახურში ყოფნის და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1844 წლიდან, ალი ფაშა (1815-1871) იუსტიციის საბჭოში მსახურობდა, 1852 წელს კი მან შეცვალა მუსტაფა რეშიდი დიდვეზირის თანამდებობაზე, რომელზედაც შუალედებით რამდენჯერმე დაინიშნა. ერთხანს ეკავა აგრეთვე რეფორმების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაც და გარდაცვალებამდე (1871), მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის გარდაქმნაში.

განათლებით ექიმი, შემდგომში დიპლომატი, ფუად ფაშა (1815-1869) 1852 წელს გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი. ალი ფაშას მსგავსად, მასაც ერთხანს ეკავა რეფორმების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა. ფუად ფაშა იყო აგრეთვე სწავლული, რომელმაც ჯევდეთ ფაშასთან ერთად შეადგინა „ოსმალური წესები“ (1851) და გამოსცა თურქული ენის პირველი გრამატიკა (Lewis, B., 1967: 117-118).

1858 წელს ძალაში შევიდა მიწის ნაციონალიზაციის კანონი, რომელიც დაამუშავა კომისიამ ჯევდეთ ფაშას მეთაურობით. დაჩქარდა მიწის პრივატიზაცია და მემკვიდრეობის უფლება ვაჟებთან ერთად ქალიშვილებმაც მიიღეს.

1860-იან წლებში შეიქმნა სავაჭრო სასამართლოები შერეულ სასამართლოებში, სადაც უცხოელები თავის ინტერესებს თავისი კანონების შესაბამისად იცავდნენ. საფრანგეთის გავლენით და ახალგაზრდა ოსმალების (იხ. ქვემოთ) მოთხოვნით 1868 წელს მაღალი საბჭო კვლავ გაიყო – იუსტიციის სასამართლოდ და სახელმწიფოს საბჭოდ. უკანასკნელი საზეიმოდ გაიხსნა 1869 წლის 10 მაისს და მისი პირველი პრეზიდენტი იყო მიდჰათ ფაშა, რომლის დამსახურებაცაა 1876 წელს მიღებული კონსტიტუციის მომზადება. 1875 წელს შეიქმნა იუსტიციის სამინისტრო, რომელიც გამოყოფილი იყო უზენაესი სასამართლოსაგან.

1868-76 წლებში მომზადდა სამოქალაქო კოდექსი (*Mecelle*), რომელიც შედგებოდა 16 ტომისგან და 1861 პარაგრაფისაგან. შემდგენლების მიზანი იყო გაეთვალისწინებიათ ოსმალური ტრადიციები და თანამედროვე მოთხოვნები და არ მოეხდინათ ბრმად ევროპულის კოპირება. აღნიშნული სამოქალაქო კოდექსი უცვლელად გამოიყენებოდა კვიპროსში ინგლისის მმართველობის დროს და ერთხანს ბულგარეთში (Saydam, 2002: 212).

ყოველი ოჯახიდან, ერთშვილიანის გამოკლებით, ჯარში 20 წელს გადაცილებული ერთი წევრის გაწვევა ხდებოდა. სულ გაწვეული უნდა ყოფილიყო 25,000 და ყოველწლიურად 1/5-ის განახლება ხდებოდა. 1843 წლის 6 სექტემბრის კანონით აქტიური სამსახური განისაზღვრა 5 წლით, ხოლო 7 წელი რეზერვში ყოფნის დრო იყო. ახალი სახმელეთო ჯარი იყოფოდა 5 დივიზიად – ჰასა, სასახლის, რუმელიის, ანატოლიის და არაბეთის ჯარები. 1848 წელს მათ მიემატა ერაყის და ჰიჯაზის ჯარები. არ-

ტილერიაში სამხედრო სამსახური სამ ნაწილად გაიყო: აქტიური სამსახურის ხანგრძლივობა 4 წელი, რეზერვში ყოფნა ერთი წელი და როგორც პოტენციური რეზერვისტი – 8 წელი, სულ კი – 13 წელი.

იცვლებოდა ვითარება ფლოტშიც. 1867 წელს საზღვაო საბჭო საზღვაო სამინისტროთი შეიცვალა. ხდებოდა ევროპული გემების შეძენა და ახალი გემების აგება. მიუხედავად იმისა, რომ არამუსლიმებს 1847 წელს ჯიზიას გადასახადი მოეხსნათ და ისინიც დაექვემდებარენ გაწვევას, რაც 1856 წლის რეფორმის ფირმანშიც დადასტურდა, ისინი ძველი წესის აღდგენას ითხოვდნენ. ჯიზიას ნაცვლად შემოღებული იქნა „სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლების გადასახადი." თუმცა, კანონის დარღვევით ჯიზიას აღება, თითქოსდა დავალიანების საბაბით, პროვინციებში კიდევ დიდხანს გრძელდებოდა, რაც ზრდიდა უკმაყოფილებას. უწყვეტი სამხედრო რეფორმის მიუხედავად, ოსმალები ომებში მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. მოგვიანებით, 1877-78 რუსეთ-თურქეთის ომმა ისევ დაადასტურა ოსმალური ჯარის არაეფექტურობა.

ძირეულმა ცვლილებებმა მოითხოვა საგანმანათლებლო სფეროს გადახედვაც და მისი სეკულარიზაცია. თანდათან ულემებს ჩამოერთვათ კონტროლი განათლებაზე. ყურადღება მიექცა იმას, რომ თანამდებობებზე მხოლოდ ის პირები დანიშნულიყვნენ, რომლებსაც სათანადო განათლება ჰქონდათ მიღებული. 1845 წელს გამოცხადდა უფასო და სავალდებულო განათლების პრინციპი; 1846 წელს გამოიცა კანონი სახელმწიფო მოხელეების უფლებებსა და ვალდებულებებზე, კანონი სამოქალაქო სკოლების დაარსების შესახებ. 1845 წელს შეიქმნა განათლების საბჭო, ხოლო ორი წლის შემდეგ გენერალური სასკოლო სამინისტრო, რომელიც 1857 წელს მინისტრთა საბჭოში შევიდა. 1847 წლიდან სკოლების რაოდენობა გაიზარდა, ამასთანავე მთავრობა ამ სკოლების ხარჯებს თავის თავზე იღებდა. ამ სკოლებში თავდაპირველად მხოლოდ მუსლიმებს იღებდნენ, ხოლო 1867 წლიდან არამუსლიმებსაც. ყურადღება მიექცა საარქივო მასალას და ახალი დოკუმენტაციის მოვლა-პატრონობას. მცდელობების მიუხედავად, განათლების სისტემაში არსებული პრობლემები ვერ მოგვარდა 1869 წლამდე, როდესაც მიღებულ იქნა განათლების ახალი კანონი. დოკუმენტის მიხედვით, 4 წლიანი განათლება აუცილებელი ხდებოდა ბიჭებისათვის 6-დან 10 წლამდე, ხოლო გოგონებისათვის 7-დან 11 წლამდე. განზრახული იყო უმაღლესი სკოლების გახსნაც, სადაც მუსლიმებს და არამუსლიმებს ერთად უნდა ესწავლათ. განმეორდა უნივერსიტეტის გახსნის მცდელობა, რაც დღის წესრიგში1846 წლიდან იდგა. 1851 წლის 18 ივლისს, უნივერსიტეტის გახსნას სულტანი და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ. თუმცა ეს ცდა, ისევე როგორც რამდენიმე შემდგომი, დროებითი და წარუმატებელი აღმოჩნდა. უნივერსიტეტის შექმნაზე მთავრობის 1869 წლის გადაწყვეტილებაც სამოქალაქო სასწავლო დაწესებულებებისათვის საკმარისი კადრების არარსებობის გამო ვერ შესრულდა.

სულტან აბდულ აზიზის პარიზში ყოფნის შემდეგ 1867 წელს გადაწყდა გალათასარაის სკოლის გახსნა, სადაც სწავლა ფრანგულ ენაზე მიმდინარეობდა და სადაც თავდაპირველად მიღემულ იქნა 150 მუსლიმი და 150 არამუსლიმი. მოგვიანებით ეს ბალანსი დაირღვა არამუსლიმების სასარგებლოდ. როდესაც აბდულ ჰამიდმა (1876-1909) სკოლის დირექტორად ალი სუავი დანიშნა, სკოლაში 162 მუსლიმი და 377 არამუსლიმი იყო. გაიხსნა სკოლა პარიზშიც (*მექთებ-ი ოსმანი*) 1857 წლის ოქტომბერში, თუმცა ის 1864 წელს დაიხურა. 1856 წელს 50 სტუდენტი იყო გაგზავნილი ევროპაში განათლების მისაღებად.

გადაისინჯა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობაც. ეიალეთებს ვილაიეთები დაერქვა, სანჯაყს – ლივა. ბეგლარბეგის ნაცვლად გაჩნდა გუბერნატორი, მუტასარიფი – სანჯაყბეგის ნაცვლად. ვილაიეთის და სანჯაყის საზღვრები შევიწროვდა. 1846 წელს სახელმწიფოში 162 სანჯაყი და 1267 ყაზა იყო, რომლებიც 36 ვილაიეთად იყოფოდა აქედან 15 – რუმელიაში, 19 – არაბეთში, სირიასა და ერაყში, 3 კი – აფრიკაში იყო.

1858 წლის 22 სექტემბრის დირექტივით განისაზღვრა გუბერნატორების, სანჯაყის მმართველების და კაიმაკამის უფლება-მოვალეობები. თუმცა იმ წლებში ხშირი იყო ცვლილებები. 1871 წელს ვილაიეთის ადმინისტრაციული კანონით ყაზას სამოქალაქო ხელისუფალი იყო კაიმაკამი, რომელთანაც არსებობდა ადმინისტრაციული საბჭო.

ვილაიეთის არჩევით ადმინისტრაციულ საბჭოში, რომლის ფუნქცია იყო სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ფინანსური, ოთხი წევრიდან ორი არამუსლიმი უნდა ყოფილიყო. საბჭოში ასარჩევად საჭირო იყო 500 ყურუშის (ოქროს მონეტის) გადახდა წლიურად, ოსმალეთის მოქალაქეობა, წერა-კითხვის ცოდნა და ასაკი არანაკლებ 30 წლისა. არსებობდა ვილაიეთის უფრო მაღალი დონის, წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც წელიწადში ერთხელ, ადმინისტრაციულ ცენტრში იკრიბებოდა. მაგრამ საბჭოების მუშაობა არაეფექტური იყო მათი წევრების არაკომპეტენტურობის გამო. იმ წლებში საბოლოოდ დასრულდა თიმარული სისტემის გაუქმება, ხოლო თიმარიოტები ხელფასიან თანამშ-

რომლებად იქცნენ. 1871 წლის დადგენილებით, ნაჰიედ ითვლებოდა ის სოფელი და სამეურნეო მიწები, რომლებზედაც დასახლებული იყო არანაკლებ 500 მამაკაცისა. მის მმართველს ნიშნავდა გუბერნატორი, ხოლო ამტკიცებდა საშინაო საქმეთა მინისტრი.

გადასახადების ასაკრეფად გაჩნდა ახალი თანამდებობა – მუჰასილი, რომელიც უშუალოდ სულტნის მიერ ინიშნებოდა. 1858 წელს ეს სისტემა გაუქმდა და გადასახადებზე პასუხისმგებლობა დევთერდარებს დაევალათ. უამრავი გადასახადის ნაცვლად შემოღებული იქნა ერთი, უნივერსალური გადასახადი, რომელიც პირდაპირ ხაზინაში ბარდებოდა. 1856 წელს დაწესდა გადასახადი უძრავ ქონებაზე, სამეურნეო მიწებზე და მოგებაზე. ახჩას ნაცვლად შემოვიდა ფარა, რომელიც შეიცავდა 70% ვერცხლს და 30% სპილენძს. 1850 წელს ბანკნოტების დიდი რაოდენობით ბეჭდვამ 10 და 20 ყურუშის დენომინაციით გამოიწვია ფულის ფალსიფიცირება (Saydam, 2002: 206-211). გახშირდა უცხოური სესხები (საფრანგეთი, ბრიტანეთი), რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა ყირიმის ომის შემდეგ. ოსმალეთი ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაშიც გარკვეული როლი ითამაშა ოსმალურმა ბანკმა, რომელიც უცხოური კაპიტალის ინტერესს წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ 1826 წელს დასრულდა მოსამართლეების (ყადი) მმართველობა ქალაქებში და შეიქმნა ამქრების და ბაზრების ზედამხედველობის სამინისტრო. ზედამხედველის თანამდებობა მსურველს ერთი წლით ეძლეოდა, ამასთანავე მას არ ეძლეოდა ხელფასი და იმის გამო, რომ ეს პირები ხშირად ღარიბები იყვნენ, იღებდნენ ქრთამს „რამაზანიეს“ და „ბაირამიეს“ სახელით. 1854 წელს ეს ინსტიტუტი გააუქმეს, ხოლო მის ნაცვლად სტამბულში შექმნეს ქალაქის პრეფექტურა, რომლის მოვალეობაც იყო ქალაქზე ზრუნვა და გადასახადების აკრეფა. პრეფექტი ცენტრიდან ინიშნებოდა და ხშირად იცვლებოდა. მაგ., 1855-76 წლებში პრეფექტი 19-ჯერ შეიცვალა (Saydam, 2002: 209-211).

მას შემდეგ, რაც გაჩნდა მოთხოვნა წყალგაყვანილობაზე, კანალიზაციასა და ტრამვაიზე, შეიცვალა ქალაქის მართვის წესებიც. შეიქმნა მუნიციპალიტეტები, მაგალითად, იზმირში. ხდებოდა შესაბამისი სპეციალისტების მომზადება.

იმპერიის არაბულ პროვინციებში (ფაშალიკები) დიდი იყო მოლოდინი რეფორმებისადმი, მაგრამ სინამდვილეში ძირითადად ადმინისტრაციული ცვლილებები განხორციელდა. ამან გამოიწვია არაბთა აღშფოთება, დაიწყო მღელვარებები და აჯანყებები ლიბანში, სირიასა და პალესტინაში – იმპერიის სულ უფრო მეტად განვითარებულ ნაწილებში, სადაც ადრე უკვე მოქმედებდნენ ქრისტიანი მისიონერები – კათოლიკეები, მართლმადიდებლები და პროტესტანტები; დასავლური კულტურის გაცნობა და არაბული კულტურის მემკვიდრეობის ხსოვნა აძლიერებდა ოსმალეთის ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებას. ამ მიწებზე ყველაზე მეტად სურდათ ეროვნული თვითგამორკვევა, დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნა.

თანზიმათის მეორე პერიოდში ხელისუფლებამ მაინც შეძლო ათი წლის წინ გამოცხადებული ზოგიერთი ღონისძიების ცხოვრებაში გატარება: 1860 წელს დედაქალაქში ჩამოყალიბდა სპეციალური კომერციული სასამართლოები, ხოლო სახელოსნო საამქროებს ჩამოერთვა სასამართლო ფუნქციები. 1864 წელს ვილაიეთებზე კანონით, გათვალისწინებული იყო ხელისუფლების ცენტრალიზაციის გაძლიერება, მაგრამ ამასთან სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების განცალკევება. ისევ შეიქმნა მაჯლისები – სათათბირო ორგანოები პროვინციის გუბერნატორებთან, ხოლო მსხვილ ქალაქებში გაჩნდა მუნიციპალიტეტები. 1868 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა კანონებისა და სამთავრობო აქტების მომზადება, და ახალი სამინისტროები – იუსტიციის, განათლების, საზოგადოებრივი სამუშაოების, ვაკფების; 1869 წელს მიღებულ იქნა კანონები საყოველთაო განათლებაზე და არმიის რეორგანიზაციაზე (ფრანგული მოდელით); შეიქმნა ევროპული ტიპის ახალი ორგანიზაციები: 1861 წელს დაარსდა ოსმალეთის სამეცნიერო საზოგადოება, ხოლო 1865 წელს – სამედიცინო საზოგადოება. დაარსდა აგრეთვე ეროვნული თეატრი, პირველი დასი კი ჩამოყალიბდა 1868 წელს. ფართოდ განვითარდა საგამომცემლო საქმე. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო დიდი როლს ასრულებდა ყოველდღიური გაზეთები (Shaw, 2002: 45-47).

ამასთან ერთად, ჰატ-ი ჰუმაიუნი უძლური იყო იმპერიის არამუსლიმ ქვეშევრდომებში ნაციონალისტური განწყობების გაზრდისათვის ხელის შეშლის თვალსაზრით. ქრისტიანები თვლიდნენ, რომ მათი უფლებების სრული დაცვა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ სრული თვითმართველობის შემთხვევაში.

ევროპული ზეგავლენა როგორც პირდაპირ, ისე ირიბ ხასიათს ატარებდა. ეს თვალსაჩინოდ ვლინდებოდა წიგნების გამოცემასა და სეკულარული იდეების გავრცელებაში, განსაკუთრებით ყირიმის ომის დასრულების შემდეგ (70-იანი წლების დასაწყისიდან წელიწადში დაახლ. 160 წიგნი ქვეყნდებოდა), პირველ რიგში სტამბულში. ოსმალეთის ელიტა, რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლე-

ბის ჩათვლით, სულ უფრო მეტად ითავისებდა ევროპულ კულტურას. თუმცა ეს მაინც შემოფარგლული იყო საქალაქო რეგიონებით.

ევროპული ზეგავლენა სხვა მრავალ სფეროსთან ერთად, გამოვლინდა არქიტექტურაშიც. თანზიმათის პერიოდის სულტნები თოფქაფის სასახლიდან ბოსფორის სანაპიროზე ევროპული სტილით აშენებულ დოლმაბახჩეს სასახლეში გადაბარგდნენ. ქუჩები გაფართოვდა და კეთილმოეწყო. საქალაქო სამსახურების რიცხვი გაიზარდა.

კონსერვატული ზეგავლენის შემოტანა მილიონობით მუსლიმი მიგრანტის დამსახურება იყო, რომლებიც იმპერიაში გადმოსახლდნენ რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად ბალკანეთიდან, კავკასიიდან, ყირიმიდან. მათი დასახლება საკმაოდ ძვირადღირებული პროცესი იყო, თუმცა ოსმალეთის ხელისუფლება მიესალმებოდა ამას, რადგანაც მიაჩნდა სოფლად მუშახელის გაზრდის საშუალებად.

თანზიმათი ზოგიერთი ცვლილება შეეხო სოფლის და ქალაქის ქალებსაც. ქალაქის მკვიდრი მდიდარი ქალები უკვე ევროპულ ტანსაცმელს ატარებდნენ. საუკუნის მიწურულს ათასობით გოგონა სწავლობდა სახელმწიფო და კერძო სკოლებში. ქალების განათლებას მხარს უჭერდა ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი და რეფორმატორი. თუმცა, დაწყებითი განათლება კვლავაც ულემების ხელში დარჩა. ახალი ფაბრიკები და ქარხნები ხშირად ქალებს ქირაობდნენ მუშახელად (განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობაში).

გატარებულმა რეფორმებმა ვერ გამოიწვია ძირეული ცვლილებები ოსმალეთის საზოგადოებაში, მაგრამ მოამზადა წინაპირობები ასეთი ცვლილებებისათვის. საზოგადოების განვითარებულ ნაწილში ჩამოყალიბდა ფასეულობებისა და იდეალების ახალი სისტემა და ახალი სოციალური ჯგუფები – ეროვნული ბურჟუაზია, ინტელიგენცია, ოფიცრობა, თუმცა ისინი ჯერჯერობით უძლურები იყვნენ სულტნის ერთპიროვნული მმართველობის წინაშე. ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში გაჩნდა და განვითარდა კაპიტალიზმი – ქარხნები და ბანკები, რომლებიც მოქმედებდა ბაზრის კანონებით. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფორმალურად არსებობდა ევროპული სახელმწიფოებრიობის ზოგიერთი ელემენტი.

თანზიმათის რეფორმებს საზოგადოებისა და სასახლის კარის ერთი ნაწილის მძაფრი უკურეაქცია მოჰყვა. მეორე მხრივ კი იყვნენ ისინი, ვინც თავს არ ზოგავდა რეფორმებისთვის, თუნდაც ნელი ტემპით მიმდინარეთათვის. 60-იანი წლების შუა ხანებში ამ მხრივ გააქტიურდა ახალგაზრდა ოსმალთა (როგორც მუსლიმი, ისე არამუსლიმი) ერთი ჯგუფი, რომელთაც ევროპაში ჰქონდათ განათლება მიღებული. არმიის ახალგაზრდა ოფიცრები, სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები, მთავრობის ახალგაზრდა წევრები თავიანთ გაზეთებში აკრიტიკებდნენ ხელისუფლების შეცდომებს. ევროპელებმა იტალიაში გამოყენებული ტერმინოლოგიის მსგავსად, მათ „ახალგაზრდა ოსმალები“ უწოდეს. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო ნამიქ ქემალი. თავდაპირველად ის კლერკი იყო სათარჯიმნო ბიუროში, მაგრამ მალე დატოვა ეს პოსტი და ჟურნალისტობას მიყო ხელი. 1873 წელს დაიდგა მისი პიესა *„ვატან“* (სამშობლო). სპექტაკლმა ხელისუფლების აღშფოთება გამოწვია. ის აკრძალეს და ნამიქ ქემალი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ახალგაზრდა ოსმალთა დიდი ნაწილიც ასევე იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა.

ხელისუფლების წარმომადგენელთაგან კი, ვინც რეფორმებს უჭერდა მხარს, ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა მიდჰათ ფაშა იყო – პროვინციული ადმინისტრაციის უნარიანი და გამჭრიახი წარმომადგენელი. ყველგან, სადაც კი ის მსახურობდა (ნიშა, დუნაისპირეთის პროვინცია, ბაღდადი, სალონიკი) მან ფართო რეფორმები ჩაატარა.

1869 წელს ფუად ფაშას, ხოლო 1871 წელს ალი ფაშას სიკვდილის შემდეგ, ოსმალეთის მთავრობაში იგრძნობოდა ძლიერი ლიდერების ნაკლებობა. ფინანსურმა პრობლემებმა და ამბოხებებმა ბალკანეთზე, რასაც თან ახლდა ევროპელთა ჩარევა, გადააწყვეტინა მიდჰათ ფაშას ემოქმედა არაკომპეტენტური სულტნის აბდულ აზიზის (1861-1876) ტახტიდან გადასაყენებლად. 1876 წლის 30 მაისს ტახტზე ავიდა ყოფილი სულტნის ძმისშვილი მურად V, თუმცა, ფსიქიური აშლილობის გამო, ის სულ მალე შეცვალეს მისი ძმით აბდულ ჰამიდ II-თი (1876-1909).

თანზიმათის პერიოდში რეფორმების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად რჩებოდა მმართველი რეჟიმი, აღმოსავლური დესპოტია სულტნის აბსოლუტური ხელისუფლებით, სასახლის კამარილიის დიდი როლით და მუსლიმური სამღვდელოების კონსერვატიული ნაწილის გავლენით. მაგ., ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, სულტან აბდულ აზიზის მმართველობის წლებში მხოლოდ სასახლეების აგებაზე დაიხარჯა **7 მლნ ლირაზე მეტი. ქვეყნის მეურნეობაში კვლავ გაბატონებული იყო ფეო**დალური ურთიერთობები; ცალკეულ სამრეწველო საწარმოებს არ შეეძლოთ ძირეულად შეეცვალათ ეროვნული მეურნეობის ჩამორჩენა – მიწათმოქმედებაში შენარჩუნდა ძველი პრიმიტიული ტექნოლოგია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კვლავ აგრძელებდა ცხოვრებას წინაპართა ტრადიციებით და

ჩვეულებებით, ხოლო ევროპული კულტურის ელემენტები იყო მხოლოდ ზედაფენის – ბიუროკრატიის, მეწარმეთა ნაწილისა და ადგილობრივი ინტელიგენციის მონაპოვარი.

ნამიქ ქემალი

ქვეყნის ეკონომიკაში ისევ დიდ როლს ასრულებდა დასავლური კაპიტალი, განსაკუთრებით ფინანსების სფეროში. გაიზარდა ბამბის, ოპიუმის, ქიშმიშის, აბრეშუმის, ნედლეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ექსპორტი. მიმდინარეობდა იმპერიის გადაქცევა დასავლური კაპიტალის აგრარულ-სანედლეულო ბაზად, მისი ჩართვა სისტემაში – მეტროპოლია-კოლონია, მაგრამ ამ პროცესს ჰქონდა დადებითი მხარეებიც – **1856წ. დაარსებული ოსმალეთის ბანკი 1863 წელს გახდა ინგლისურ-ფრანგული ბანკი** (ოსმალეთის საიმპერიო ბანკი) და დაკავებული იყო უპირატესად საშუამავლო საქმიანობით, იღებდა ხელისუფლებისაგან მომგებიან კონცესიებს.

ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა ღრმავდებოდა სულტნის ხელგაშლილობით პირადი საჭიროებებისა და არმიისათვის შეიარაღების შესყიდვისათვის.

უკმაყოფილებამ გამოიწვია საიდუმლო ორგანიზაციების ჩამოყალიბება. **1859 წელს ანტისამთავრობო შეთქმულების („კულელის შეთქმულების“) მონაწილეები** გახდნენ ოფიცრები, მედრესეების მოსწავლეები, არსენალის მუშები, ჯარისკაცები და სამღვდელოების წარმომადგენლები. შეთქმულები მიზნად ისახავდნენ არა მარტო სულტან აბდულ მეჯიდის დამხობას, არამედ მთავრობის პოლიტიკის შეცვლას.

არსებობს მოსაზრება, რომ „კონსტიტუციური მოძრაობის უშუალო წინაპირობები წარმოიშვა როგორც პირდაპირი შედეგი ერთ-ერთი პირველი თურქული კერძო გაზეთის – „*თავსირ-ი ეფქიარის*“ (აზრების გამოხატვა) საქმიანობისა. მისი დამაარსებელი, იბრაჰიმ შინასი, ქადაგებდა იდეებს ხალხის უფლებაზე ჰქონოდა და გამოეხატა თავისი აზრი ქვეყნის პრობლემებზე, სახელმწიფო საქმეებში საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობაზე, ევროპის მიღწევების დანერგვის აუცილებლობაზე იმპერიის ცხოვრების ყველა სფეროში, სამოქალაქო კანონმდებლობის მნიშვნელობაზე და მმართველის პასუხისმგებლობაზე თავის მოქმედებებზე.

ისლამურ სამყაროში ქალთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი პირველი არგუმენტირებული მაგალითია 1867 წლის გაზეთ „თავსირ ეფქიარში“ ახალგაზრდა ოსმალების მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნამიქ ქემალის მიერ გამოქვეყნებული სტატია. ის წერდა:

„დღეს ჩვენი ქალები კაცობრიობას არანაირი სხვა გზით არ ემსახურებიან, გარდა ბავშვების გაჩენისა და გაზრდისა. როგორც ფიქრობენ, ისინი მხოლოდ სიამოვნებისათვის არსებობენ, ისე როგორც მუსიკალური ინსტრუმენტები თუ სამკაულები. ამასთან კი ისინი შეადგენენ კაცობრიობის ნახევარს, შეიძლება მეტსაც კი. მათი ამგვარი მდგომარეობა არღვევს ელემენტარულ წესებს ყველას თანამშრომლობისა საზოგადოებრივი სიკეთისათვის, იმ დონეზე, რომ ჩვენი ქვეყანა წაგავს ცალმხრივად დაავადებულ ადამიანის სხეულს. მაგრამ ქალები არ დგანან მამაკაცებზე დაბლა მათი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობებით. უძველესი ხანებიდან, ისინი მონაწილეობდნენ მამაკაცთა ყველა საქმიანობაში, ომის ჩათვლით. სოფლებში ისინი დღესაც მუშაობენ სასოფლო სამუშაოებზე და ვაჭრობაში.

ისინი განზე არიან დატოვებულნი და მათ თვლიან სრულიად უმეცრებად, რომლებმაც არაფერი იციან უფლება-მოვალეობების შესახებ, რაც სასარგებლოა და რაც – არა. მრავალი სავალალო შედეგი მოყვება ამ სიტუაციას, პირველი კი მათ ბავშვების ცუდი აღზრდა-განათლებაა.“ (ციტ. Lewis, B., 2002: 39).

როგორც აღინიშნა, **1865წ. სტამბულში ჩამოყალიბდა საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც ჯუზეპე მაძინის** ხელმძღვანელობით მოქმედი ახალგაზრდა იტალიელი კარბონარების წაბაძვით ცნობილი გახდა, როგორც „ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოება“ (*Genc Osmanlilar Cemiyeti*). საზოგადოების ლიდერების, ნამიქ ქემალის, იბრაჰიმ შინასის და სხვათა მიზანი იყო ქვეყნის ვესტერნიზაციის და მოდერნიზაციის გზაზე დაყენებით თურქული ნაციონალიზმის აღორძინება. თავის საპროგრამო დოკუმენტებში ორგანიზაცია მთელ იმედებს ამყარებდა ლიბერალურ მონარქზე, რომელიც გარშემორტყმული იქნებოდა ქვეყნის ინტერესების ერთგული მოხელეებით. საზოგადოებასთან დაკავშირებული იყო მრავალი მსხვილი მოხელე და სამხედრო, მათ შორის ტახტის მემკვიდრე პრინცი მურადი. იმ წლებ-

ში სპარსული ლიტერატურის, როგორც შთაგონების წყაროს, ადგილი ფრანგულმა დაიკავა (Lewis, B., 1967: 136-137). ლიბერალური იდეები პირველ რიგში სწორედ ლიტერატურის გზით ვრცელდებოდა და ყველაზე გამორჩეული, ამ მხრივ, ზემოხსენებული იბრაჰიმ შინასის (1826-1871) და ნამიქ ქემალის (1846-1886) გარდა, ზია ფაშაც (1825-1880) იყო. მწერლები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, ჟურნალის გამომცემლები, დევნის და სამშობლოდან გასახლების მიუხედავად, უშიშრად ჩაუდგნენ სათავეში კონსტიტუციურ მოძრაობას ოსმალეთში. დასავლეთით მათი აღფრთოვანების მიუხედავად, „თავისუფლება“ და „მამული“ მათთვის პირველ რიგში კვლავ მუსლიმურ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების თავისუფლებას და უპირატესად მუსლიმური მოსახლეობის სამშობლოს გულისხმობდა, მაგრამ მასში დაცული იქნებოდა სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების უფლებები, „გაყოფილი ხელისუფლება, დაცული პიროვნული თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა, აზრის, პრესის, ასოციაციის, საკუთრების თავისუფლება, სახლის სიწმინდე“ (იქვე, 141-143). ახალგაზრდა ოსმალები მიზნების მისაღწევად აუცილებლად მიიჩნევდნენ იძულების მეთოდის გამოყენებას. ახლადშექმნილმა საზოგადოებამ მხოლოდ ორი წელი იარსება, რის შემდეგაც განადგურდა, მისი წევრები კი ევროპაში გადაიხვეწნენ ან პატიმრობაში აღმოჩნდნენ.

დაპყრობილ ტერიტორიებზე მთელი XIX ს-ის მანძილზე აჯანყებები მეტნაკლები წარმატებებით მიმდინარეობდა. განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული გარედან მხარდაჭერაზე. ასეთი შემთხვევა იყო მაგალითად ლიბანი და სირია, რომელსაც მხარს უჭერდნენ ინგლისი და საფრანგეთი. ლიბანში ხანგრძლივი ადმინისტრაციული ექსპერიმენტები დასრულდა 1864 წელს „ლიბანის წესდების“ (ე.წ. „ორგანული სტატუსის”) მიღებით, რომელიც ძალაში 1914 წლამდე იყო. ვალახეთის და ბოგდანის საკითხის ხანგრძლივი განხილვა, რომელშიც ასევე რუსეთი, საფრანგეთი, ავსტრია, საბერძნეთი, პრუსია, ინგლისი მონაწილეობდნენ, 1862 წელს 5 თებერვალს ბუქარესტში პირველი გაერთიანებული პარლამენტის შეკრებით დასრულდა. 1866 წლის ფირმანით რუმინეთის სამთავრო, ოსმალეთის კონტროლის ქვეშ რჩებოდა და მისი ჯარი არ უნდა ყოფილიყო 30 ათასზე მეტი. იმ დროიდან 12 წელიწადში რუმინეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1812 წლის ბუქარესტის ზავით მინიჭებული ავტონომია სერბეთისათვის სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი, 1826 წელს აკერმანის ხელშეკრულებით სერბეთი რუსეთის მფარველობაში შევიდა; 1829 წლის ედირნეს ზავით მხოლოდ შეზღუდული ოსმალური ჯარი უნდა მდგარიყო იქ. 1862 წელს კვლავ ევროპელების ჩარევით ხელი მოეწერა „სტამბულის პროტოკოლს,“ რომლითაც თურქული ჯარი მხოლოდ ციხე-სიმაგრეებში უნდა მდგარიყო. 1862 წლის 8 სექტემბრის შეთანხმებით ოსმალეთი მხოლოდ ბელგრადის ციხე-სიმაგრეს ინარჩუნებდა. საბოლოოდ ყველა თურქი გავიდა და დარჩა მხოლოდ თურქული დროშა სერბულის გვერდით. რუსეთის, იტალიის, პრუსიის და საფრანგეთის ჩარევით ოსმალებმა ბელგრადის ციხეც დატოვეს. მიმდინარეობდა ბრძოლა კრეტის დამოუკიდებლობისთვისაც. განიხილებოდა საკითხი მის მიერთებაზე საბერძნეთთანაც. აჯანყებებს მოჰყვებოდა მათი სასტიკად ჩახშობაც. ოსმალეთმა გაწყვიტა ურთიერთობა საბერძნეთთან და გამოიწვია ელჩი.

1875 წელს დაიწყო აქტიური გამოსვლები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, რომელსაც შეუერთდნენ მოხალისეები მონტენეგროდან და სერბეთიდან. აჯანყებულების მოთხოვნა იყო ავტონომია, რელიგიური თავისუფლება, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება. ინგლისის რჩევით ოსმალეთმა გამოსცა ე.წ. „სამართლიანობის დეკლარაცია,“ თუმცა არც ეს აღმოჩნდა საკმარისი.

1876 წელს ბულგარეთის აჯანყების სისხლში ჩახშობამ მნიშვნელოვანად შეცვალა ვითარება როგორც ქვეყანაში ასევე მის ფარგლებს გარეთ. როგორც აღინიშნა, სტამბულში გამოსვლების შედეგად 1876 წლის 30 მაისს აბდულ აზიზი მურადით შეცვალეს, ხოლო ეს უკანასკნელი იმავე წელს აბდულ ჰამიდ II-ით, რომელიც გადაურჩა 1878 წელს ახალგაზრდა ოსმალთა ერთ-ერთი ლიდერის გალათასარაის სკოლის დირექტორად დანიშნული ალი სუავის მეთაურობით მოწყობილი გადატრიალების მცდელობას მურადის სასარგებლოდ, ისევე როგორც მეორე მცდელობასაც. ორივე შეთქმულების ძირითადი მონაწილეები სიკვდილით იქნენ დასჯილი.

1876 წლის 23 დეკემბერს ახალმა სულტანმა ხელი მოაწერა მიდჰათ ფაშას, დიდი ვაზირის ხელმძღვანელობით შედგენილ კონსტიტუციას. სტამბოლში ლიბერალებისათვის ეს დიდი გამარჯვება გახდა. კონსტიტუცია ითვალისწინებდა მინისტრთა კაბინეტის შექმნას და პარლამენტის არჩევას. მასში ხაზგასმული იყო სულტნის ყველა ქვეშევრდომის თანასწორუფლებიანობა, რასისა თუ რელიგიის მიუხედავად. გარანტირებული იყო რელიგიის, განათლების და პრესის თავისუფლება.

რუსეთთან ომის დაწყებამ კი სულტანს შესაძლებლობა მისცა 1878 წელს დაეთხოვა პარლამენტი, გადაეყენებინა მიდჰათი (ის სტამბულს მოაშორეს და ბაღდადის გუბერნატორად გაამწესეს (იხ. თავი IV) და პრაქტიკულად შეეჩერებინა კონსტიტუციის მოქმედება. ბერლინის კონგრესის დროისათ-

ვის (იხ. ქვემოთ) სულტანი და მისი გარემოცვა აკონტროლებდა მთავრობას. 1884 წელს მიჰდათ ფაშა სულტნის ბრძანებით მოკლეს. ამ მკვლელობით დასრულდა ლიბერალური პოლიტიკური რეფორმის გზით მოდერნიზაციის მცდელობა.

საუკუნის მანძილზე სახელმწიფო ხარჯები უზომოდ გაიზარდა – ომების წარმოებას, სამხედრო რეფორმებს და ქვეყნის მოდერნიზაციისაკენ მიმართულ სხვა ღონისძიებებს უზომო თანხები სჭირდებოდა. ყირიმის ომის დაწყების შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებისათვის ჩვეულებად იქცა უცხოური ვალების აღება.

1854-1875 წლებში ოსმალეთის მთავრობამ დაახლ. 1 მლრდ დოლარი ისესხა დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისაგან. ამ პერიოდის დასასრულს კი ამ სესხებისაგან მიღებული მონაგარი თითქმის არ ჩანდა – თვალსაჩინო იყო მხოლოდ ვალების უზომოდ გაზრდა. მცდელობების მიუხედავად, ვერ მოხერხდა საგადასახადო სისტემის სრულყოფა. გაზრდილ ხარჯებს კი სახელმწიფო ხაზინა ვერ აუდიოდა.

1875 წლისათვის ოსმალეთის საგარეო ვალმა მიაღწია 200 მლნ გირვანქა სტერლინგს. იმპერია ყოველწლიურად ვალდებული იყო ამ ვალიდან 12 მლნ გადაეხადა, მაშინ როცა იმპერიის მთლიანი შემოსავალი სულ 22 მლნ-ს უტოლდებოდა. ამგვარად, ოსმალეთის იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდ მევალედ იქცა. იმპერია პრაქტიკულად ბანკროტი იყო.

ფინანსური კრიზისი შეეხო იმპერიის ყველა მხარეს. ჯამაგირის მიუღებლობის პირობებში, ფართოდ გავრცელდა კორუფცია სახელმწიფო მოხელეთა შორის. ამ გამოუვალ მდგომარეობაში მთავრობამ გაამკაცრა გადასახადების აკრეფის პროცესი, რასაც საყოველთაო მღელვარებები მოჰყვა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ბოსნიის აჯანყება გახდა.

ოსმალეთის ქვეშევრდომთა თითქმის ნახევარი ბალკანეთის ნ.-კ.-ზე ცხოვრობდა. ადგილობრივი მუსლიმი ლიდერები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ თანზიმათის რეფორმების გატარებას. 1849 წელს დაწყებული ბოსნიის აჯანყება დიდი გაჭირვებით ჩაახშვეს შემდეგ წელს. 1875 წელს ბოსნიაში გადასახადების აკრეფის პროცესს ისევ მოჰყვა ამბოხი. კიდევ უფრო სახიფათო გამოდგა სერბი ქრისტიანების აჯანყება, რომელთაც რუსეთი უმაგრებდა ზურგს.

ეს აჯანყება ბულგარეთსაც მოედო, სადაც ეკონომიკურმა წინსვლამ და კულტურულმა აღორძინებამ გზა გაუხსნა ეთნიკურ ნაციონალიზმს. ოსმალეთის მრავალსაუკუნოვანი მმართველობის მანძილზე ხელისუფლება ადგილობრივი მუსლიმი დიდგვაროვნებისა და მართლმადიდებელი სამღვდელოების ხელში იყო მოქცეული. 1830 წლიდან კი დაიწყო ბულგარული სკოლების გახსნა, წიგნების გამოცემა. გაიზარდა დაინტერესება ისტორიით, ენით, ფოკლორით, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას. ბულგარეთის რეგიონი სულ უფრო მეტად უკავშირდებოდა ეკონომიკურად დასავლეთ ევროპას. 1870 წელს ბულგარეთის საეგზარქოსოს დაფუძნების შემდეგ ნაციონალიზმმა კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები. ყირიმიდან და კავკასიიდან მუსლიმების ჩასახლებამ ბულგარეთის ტერიტორიაზე დაძაბულობის ახალი კერა შექმნა.

1876 წლის ივლისში მონტენეგრომ და სერბეთმა ომი გამოუცხადეს ოსმალეთს, თუმცა ოსმალეთის არმიამ შესძლო სერბების დამარცხება, მაგრამ ამ ვითარებაში რუსეთმა ულტიმატუმი წაუყენა სულტანს, რის შედეგადაც მოიწვიეს სტამბულში 1876 წლის დეკემბერში დიდი სახელმწიფოების კონფერენცია სერბეთსა და ოსმალეთს შორის ზავის პირობების განსახილველად.

სწორედ ამ კონფერენციის დაწყების წინ სულტანმა ხელი მოაწერა ოსმალეთის კონსტიტუციას. ბრიტანეთის იმედის მქონე ოსმალებმა უარი თქვეს სხვა ევროპული ქვეყნების ნების დამორჩილებაზე და 1877 წლის იანვარში კონფერენციის მუშაობა შეწყდა. თებერვალში კი ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას უშუალოდ სერბეთსა და სულტანს შორის სტატუს კვოს აღდგენის საფუძველზე.

ტერიტორიების შემოერთებისა და ზეგავლენის გაზრდის სურვილიდან გამომდინარე, 1877 წლეს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ოსმალეთის საზღვაო ფლოტი დომინირებდა შავ ზღვაზე, მაგრამ ამ პირობებში რუმინეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დახმარების ხელი გაუწოდა რუსებს. რუსულმა ფლოტმა გაიარა დუნაი და უკვე ედირნესა და სტამბულისაკენ მიიწევდა. ოსმალო გენერლის ოსმან ფაშას არმია პლევნასთან აკავებდა რუსეთის ჯარს ივლისიდან დეკემბრამდე. ოსმალებმა 250 ათასი ჯარისკაცის მობილიზაცია მოახდინეს ევროპისა და კავკასიის ფრონტებზე. მაგრამ ყარსთან ბრძოლაში რუსებმა დაამარცხეს ოსმალებმა, ხოლო ჰერცეგოვინაში მონტენეგროელებმა, ნიშასთან კი – სერბებმა. ოსმალები ევროპული ქვეყნების იმედადღა დარჩნენ, როდესაც რუსეთი, რუმინეთი, სერბია და მონტენეგრო აგრძელებდნენ ომს და 1878 წლის იანვარში ედირნე დაიკავეს.

სტამბულთან მიახლოებულმა რუსებმა შტაბ-ბინად სოფ. იეშილქიოი (სან-სტეფანო) გაიხადეს, სადაც დაიდო ოსმალეთისათვის დამამცირებელი ზავი 1878 წლის მარტში. ამ ზავით აღიარებულ იქნა მონტენეგროს, სერბეთის და რუმინეთის დამოუკიდებლობა, რომლებიც ოსმალეთის ხარჯზე იღებდ-

ნენ ტერიტორიებს. ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ ავტონომიური მმართველობა მიიღო. რუსეთმა კი გაამყარა თავისი პოზიციები კავკასიაში ბათუმისა და ყარსის, ასევე აღმოსავლეთ ანატოლიის – ტრაბზონამდე და ერზურუმამდე – მიღებით. ოსმალეთის იმპერიაში შეიქმნა ბულგარეთის ვრცელი ავტონომიური, პრაქტიკულად დამოუკიდებელი ქრისტიანული სამთავრო ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე და დასავლეთით მაკედონიის ჩათვლით ალბანეთამდე. გარდა ამისა, ოსმალეთს უზარმაზარი რეპარაციები უნდა გადაეხადა რუსეთისათვის.

სან-სტეფანოს ხელშეკრულების ხელმოწერა

ხელშეკრულებამ მაშინვე გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. „დიდი ბულგარეთის“ შექმნას საბერძნეთი, სერბეთი, რუმინეთი და მონტენეგრო პროტესტით შეხვდნენ. ასევე უკმაყოფილოები იყვნენ ალბანელებიც. ბრიტანეთმა და ავსტრიამ მოითხოვეს გარკვეული ცვლილებების განხორციელება. 1878 წლის ივნისში კვიპროსის მმართველობა ოსმალეთმა გადასცა ბრიტანეთს. ივლისში კი ევროპულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ბალკანეთის ახლებურად გადანაწილება გადაწყვიტეს.

ამ მიზნით მოწვეული ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, სან-სტეფანოს ხელშეკრულებით შექმნილი „დიდი ბულგარეთი“ მცირდებოდა ტერიტორიულად და ხდებოდა ავტონომიური ქრისტიანული სამთავრო, რომლის მთავარიც აირჩეოდა ბულგარელი დიდგვაროვნების საბჭოს მიერ და მას ამტკიცებდა სულტანი. აღდგა აღმოსავლეთ რუმელიის პროვინცია, რომლის გენერალ-გუბერნატორს ნიშნავდა სულტანი ევროპულ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. მაკედონია „გამოეყო“ ბულგარეთს და დარჩა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. რუმინეთი, მონტენეგრო და სერბეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ. ავსტრია-უნგრეთი დაიკავებდა ბოსნია-ჰერცეგოვინას და საკუთარ მმართველობას დაუქვემდებარებდა. ყარსი და ბათუმი რუსეთს გადაეცა. დაბოლოს, ოსმალები ანიჭებდნენ რელიგიურ თანასწორუფლებიანობას ყველა თავის ქვეშევრდომს ევროპასა თუ აზიაში.

ევროპული ტერიტორიების დიდი ნაწილის დაკარგვა, გაბანკროტება, ერთი წლის მანძილზე სამი სულტნის გამოცვლა, კონსტიტუციის მიღება გახდა თითქმის ორმოცწლიანი რეფორმების კუმულატიური შედეგი. საგარეო პოლიტიკური კრიზისი ოსმალეთის სახელმწიფოს თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აქცევდა. ევროპული იმპერიალიზმი ძლიერების მწვერვალზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო რეფორმებმა გააძლიერა ჯარი, მას მაინც არ შესწევდა რუსების დამარცხების ძალა. მხოლოდ დასავლეთ ევროპელთა ჩარევამ იხსნა ოსმალეთის იმპერია სან-სტეფანოს დამამცირებელი ხელშეკრულების აღსრულებისაგან. ბერლინის კონგრესზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ოდნავ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ ეს მაინც ოსმალეთის იმპერიის უდიდესი მარცხი იყო.

ჰატ-ი შარიფისა და ჰატ-ი ჰუმაიუნის მეშვეობით ოსმალეთის ლიდერებმა მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელეს ბიუროკრატიის სფეროში, გაიზარდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა და ოსმალეთი მსოფლიო ეკონომიკის ნაწილად იქცა. **70-იან წლებში რეფორმებმა ქალაქებიდან უკვე სოფლებ-**საც მიაღწია, თუმცა გლეხებისაა და ნომადების დიდი უმრავლესობას ის არ შეხებია. იმპერიის შიგნით სულ უფრო იზრდებოდა ევროპელთა გავლენა, ხშირად რელიგიური უმცირესობების საშუალებებით, რომლებიც თავიანთ ინტერესებს უპირველესად უცხო სახელმწიფოებს უკავშირებდნენ. თანზიმათის წარმატების შეზღუდული ხასიათი ასევე განაპირობა იმპერიის სიდიდემ და მისმა კომპლექსურობამ. დეკრეტის გამოცემა სტამბულში ერთი საქმე იყო იყო, ხოლოდ მისი განხორციელება პრო-

ვინციებში – სულ სხვა. 70-იანი წლების მიწურულს იკვეთებოდა, რომ თანზიმათი უძლური იყო გადაერჩინა იმპერია ნგრევისაგან. საჭირო იყო სხვა მიდგომა, ახალი რეფორმა და საგარეო პოლიტიკის უნარიანად წარმართვა.

რეფორმები და უკურეაქცია

1870-იან წლების მეორე ნახევარში იწყება ძირეული რეფორმების მესამე ეტაპი – სისტემის რეფორმა. მიუხედავად უკიდურესად მძიმე პირობებისა (ან სწორედ ამის გამო), მმართველ წრეებს, აჰმედ მიდჰათ ფაშას ხელმძღვანელობით, რეფორმების აუცილებლობა კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. ისინი მხარს უჭერდნენ „ახალგაზრდა ოსმალების“ იდეებს, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური რეფორმების იდეას. მათ მიიმხრეს მუსლიმური სამღვდელოების წარმომადგენლებიც. სულტანი იძულებული გახდა დაჰყოლოდა მათ ნებას, შიდა და გარე პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. როგორც აღინიშნა, 1876 წ. დეკემბერში გადაწყდა ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელიც მნიშვნელოვანწილად ბელგიის კონსტიტუციას იმეორებდა, თუმცა განსხვავებულიც იყო. კონსტიტუცია განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდა სულტანს – ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ სულტანი ხალიფაა. მას ჰქონდა უფლება დაენიშნა ან გადაეყენებია მინისტრები ან მთლიანად მინისტრთა კაბინეტი (Karpat, Zens, 2003: 249-253).

შეიქმნა ორპალატიანი პარლამენტი: სენატი, რომლის წევრებსაც თვითონ სულტანი ნიშნავდა და დეპუტატების პალატა, რომელსაც მუნიციპალური და რაიონული საბჭოები ირჩევდნენ. სულტანს ნებისმიერ კანონზე ჰქონდა ვეტოს უფლება. დეპუტატი უნდა ყოფილიყო 25 წელს გადაცილებული, საკუთრების მფლობელი და გადასახადების გადამხდელი. დეპუტატთა პალატაში აღმოჩნდა 71 მუსლიმი, 44 ქრისტიანი და 4 ებრაელი. 21 მუსლიმი და 5 არამუსლიმი სულტნის მიერ სენატში იყო დანიშნული. მიუხედავად სულტნის ასეთი აქტიური მონაწილეობისა, პარლამენტი ხშირად უპირისპირდებოდა სულტანს და მალე შეწყვიტა არსებობა.

კონსტიტუცია თურქულს სახელმწიფო ენად აცხადებდა, თუმცა განამტკიცებდა კანონის წინაშე იმპერიის ყველა ქვეშევრდომის პირად თავისუფლებასა და თანასწორობას, სარწმუნოებრივი აღმსარებლობის განსხვავების მიუხედავად; იძლეოდა უძრავი და მოძრავი ქონების უსაფრთხოების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის, საბატონო ბეგარის უპირობო აკრძალვის გარანტიას. დეკლარირებული იყო ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გადასვლა. ამას ხელს უწყობდა მთავრობის ზოგიერთი აქტი, მაგ., საამქროების რეგლამენტაცია. გამოცხადდა ძირეული ცვლილებები ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში: პრესის თავისუფლება, სავალდებულო დაწყებითი განათლება, პარლამენტის ჩამოყალიბება, რომლის უფლებებში შედიოდა ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება. ამასთან, კონსტიტუცია აცხადებდა იმპერიის ყველა ქვეშევრდომს, მათ შორის არათურქ ხალხებს, ოსმალებად (Bentwich, 1908: 328-336). ეს ბოლო პუნქტი მნიშვნელოვანია, რადგანაც ის სულტნის ხელში რეალური ხელისუფლების დატოვებასთან ერთად, ნიშნავდა აბსოლუტური ხელისუფლების ძველი რეჟიმის ფაქტობრივ შენარჩუნებას „დემოკრატიული დეკორაციებით“. აბდულ ჰამიდ II-მ აქცია კონსტიტუცია ცარიელ ქაღალდად, მაგრამ არ შეცვალა ის და იცავდა მას. 1877წ. თებერვალში მან გაათავისუფლა და ქალაქიდან გააძევა რეფორმატორთა ერთ-ერთი ლიდერი – მიდჰათ ფაშა, ხოლო 1878წ. თებერვალში, რუსეთ-თურქეთის ომში კატასტროფული მარცხის შემდეგ, დაითხოვა პარლამენტი.

აბდულ ჰამიდ II (1876-1909) უკანასკნელი ოსმალო სულტანი იყო, რომელიც რეალურად ფლობდა ძალაუფლებას. მისი 33-წლოვანი მმართველობა (ხანგრძლივობით მესამე ოსმალეთის ისტორიაში) წარმოადგენდა რეფორმებისა და კონსერვატიზმისა თავისებურ შეზავებას (Clevelend, 2004: 120) და დასრულდა ევროპული ინსტიტუციებისა და იდეების წინააღმდეგ მძაფრი რეაქციით. სულტანი იყენებდა ცენტრალური ხელისუფლების ძალას ოსმალეთის ქვეშევრომთა პოლიტიკური და ინტელექტუალური აქტივობის შესაზღუდად. ვესტერნიზაციის წინააღმდეგ აბდულ ჰამიდის რეაქციის სიმბოლო გახდა იმპერიის ისლამური მემკვიდრეობის ხაზგასმა. თანზიმათის პერიოდის სეკულარიზმისაგან განსხვავებით, ის, პირველ რიგში, რელიგიას აქცევდა ყურადღებას. აბდულ ჰამიდმა ასევე უარი თქვა ოტომანიზმის კონცეფციაზე (იხ. თავი VI), რომელიც გულისხმობდა ყველა რელიგიის თანასწორუფლებიანობას და ჩაანაცვლა ის პანისლამიზმით. ამ დოქტრინის მისეული ხედვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისი, როგორც ხალიფას, პოზიციასთან – მსოფლიოს ყველა მუსლიმის მცველთან. ერთი ხალიფას მეთაურობით ისლამური უმას (თემის)აღორძინების იდეის რეალიზება მეტად რთული იყო, მაგრამ აბდულ ჰამიდის მიერ ამ კონცეფციის გამოყენებამ უფრო მეტი ძალა შესძინა მის სტატუსს და ისლამური სოლიდარობის შექმნის იდეას ევროპული კოლონიური მოძალების პირობებში. პანის-

ლამიზმი ასევე გამოსადეგარ იარაღს წარმოადგენდა დიპლომატიაში სულტნის ურთიერთობებისას ბრიტანეთთან, ინგლისთან და რუსეთთან – ის თუ შეძლებდა დაერწმუნებინა ევროპული ქვეყნები, რომ მას ავტორიტეტი ჰქონდა მილიონობით მუსლიმზე მათ კოლონიებში, ეს მოლაპარაკებებში მისთვის გარკვეული კოზირი გახდებოდა. საშინაო პოლიტიკაში აბდულ ჰამიდის მიერ ისლამური ერთიანობის მუდმივი ხაზგასმა ხელს უწყობდა იმპერიის არაბი ქვეშევრდომების ლოიალობის გამყარებას. მრავალმა არაბმა დიდგვაროვანმა აბდულ ჰამიდის მმართველობის პერიოდში მიიღო მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობები, ზოგიერთი არაბი ულემი კი სასახლის კარზე ანგარიშგასაწევ ფიგურად იქცა. პანისლამიზმის მატერიალური გამოხატულების სიმბოლო გახდა ჰიჯაზის რკინიგზა დამასკოდან მედინამდე, რომელიც 1908 წელს გაიხსნა. რკინიგზის მიზანი იყო ყოველწლიური ჰაჯის გაადვილება და მისი მშენებლობა დაფინანსდა მთელი მსოფლიოდან მუსლიმთა შემოწირულობებით. ამდენად, ის თავისუფალი იყო ევროპული საინვესტიციო კაპიტალისგან.

პანისლამიზმის იდეამ აქტუალობა სულტნისთვის განსაკუთრებით ევროპული, ძირითადად ქრისტიანებით დასახლებული ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ შეიძინა. სწორედ ამ ვითარებაში გააქტიურდა მიგრაციული პროცესებიც. ანატოლიაში და თრაკიაში დაიწყეს ჩასახლება ბალკანეთიდან აყრილმა ებრაელებმა. 1858 წელს მიღებულმა მიწის კანონმა 1897 წლის შესწორების შედეგად, მიწის მეპატრონედ მუსლიმები გახადა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი, ისე როგორც მანუფაქტურული საქონლის იმპორტი, არამუსლიმი ვაჭრების ხელში იყო, რომლებიც ზოგჯერ ინგლისის ან საფრანგეთის მოქალაქეობას ითხოვდნენ.

ამასთანავე ინგლისი და საფრანგეთი ინაწილებდნენ მუსლიმებით დასახლებულ ტერიტორიებს 1830 წელს საფრანგეთმა დაიკავა ალჟირი, გაავრცელა გავლენა თუნისზე. ბერლინის კონგრესის შემდეგ ოსმალეთმა საბოლოოდ დაკარგა ეგვიპტე. 1882 წელს ინგლისელებმა დაიკავეს კაირო.

მიუხედავად ანტიდასავლური განწყობისა და ტრადიციული რელიგიურობის წინ წამოწევისა, აბდულ ჰამიდის მმართველობის პირველ დეკადაში გაგრძელდა და დაჩქარდა კიდეც თანზიმათის ზოგიერთი რეფორმა, განსაკუთრებით განათლების სფეროში. მიღებული თვალსაზრისი, რომ ჰამიდის ეპოქაში დომინირებდა რელიგიური რადიკალიზმი, ამ უკანასკნელ ხანებში გადაისინჯა იმ ახალი ინფორმაციების საფუძველზე, რომელთა საშუალებითაც უკეთ არის შესაძლებელი გაცნობიერდეს ის გლობალური კონტექსტი, რომელშიც არსებობა უხდებოდა ოსმალეთის იმპერიას ამ წლებში (იხ. Fortna, 2002). ამ ახალი ინტერპრეტაციის საფუძველზე ჩანს, რომ სულტანმა და მისმა ბიუროკრატიულმა აპარატმა განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საკმაოდ ფართო პროგრამა განახორციელეს იმისათვის, რომ გარკვეულწილად შეეზღუდათ დასავლეთის მიერ დაფინანსებული ქრისტიანული მისიონერული სკოლების აქტივობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საშუალო განათლების სკოლებზე, რასაც არ ჰქონდა პრიორიტეტული მნიშვნელობა მინიჭებული თანზიმათის პერიოდში. შეიქმნა სამსაფეხურიანი სისტემა – დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლა. 1892-დან 1906 წლამდე გასამმაგდა დაწყებითი სკოლების რაოდენობა – 3057-დან 9,3447-მდე, გაორმაგდა უმაღლესი სკოლების, „რუშდიეს“ რაოდენობა და 619-ს მიაღწია (Deringil,1991: 345-359). სახელმწიფო მოხელეების მიერ შედგენილი და ადმინისტირებული კურიკულუმი ეყრდნობოდა ევროპულ პედაგოგიურ ტექნიკას თანამედროვე მეცნიერების სწავლებაში, მაგრამ იმავდროულად სტუდენტებს ასწავლიდნენ ისლამური მორალის პრინციპებს, ოსმალურ იდენტობას და ლოიალობას სულტნისადმი. მოკლედ რომ ითქვას, ოსმალურმა სახელმწიფომ განათლების დასავლური სისტემა შეუთავსა ტრადიციულ ისლამურ და ოსმალურ ღირებულებებს. სისტემა უკიდურესად ცენტრალიზებული იყო და სულტნის მოხელეები სკოლებსა და პედაგოგებს მკაცრ მონიტორინგს უწევდნენ. ყოველივე ეს აჩვენებდა, რომ სულტნის მიზანი იყო თანამედროვე განათლების ოტომანიზაცია და არა თანზიმათამდე არსებული განათლების სისტემის აღდგენა. თანამედროვე განათლების სისტემის დანერგვის გზაზე შემდეგი ნაბიჯი გახდა 1900 წელს სტამბულის უნივერსიტეტის კიდევ ერთხელ გახსნა.

სულტანმა მნიშვნელოვნად შეამცირა ბიუროკრატიული აპარატი. ამასთანავე, ის ზრუნავდა კვალიფიციური კადრის და სახელმწიფო მოსამსახურეების მომზადებაზე. ამ მიზნით საგანგებო სკოლები შეიქმნა. მოხდა იურიდიული სისტემის სეკულარიზაცია. ამ სფეროს ყველგან სეკულარული სკოლების კურსდამთავრებულები ემსახურებოდნენ, რელიგიური სასამართლოების გარდა, რომლებიც ძველებურად შეიხ ულ-ისლამის კონტროლის ქვეშ იყო (Karpat, Zens, 2003: 249-253).

ამ ათი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ეკონომიკის განვითარება, თუმცა ის ემორჩილებოდა დასავლური კაპიტალის ინტერესებს. ამგვარად, 1881 წ. დეკემბერში შეიქმნა ოსმალეთის საჯარო ვალის ადმინისტრაცია. მასში შედიოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენლები. მათ მიიღეს უფლება აეკრიფათ გადასახადები ოსმალეთის იმ-

პერიის ტერიტორიაზე, რათა უზრუნველეყოთ უცხოელი კრედიტორების ვალების გასტუმრება. ამასთან, ხელშეკრულებით აბდულ ჰამიდმა 1896-1908 წწ.-ში აიღო კიდევ 11 ვალი – 800 მლნ ფრანკზე მეტ თანხაზე. ქვეყანა სულ უფრო იქცეოდა დასავლეთის ნახევარკოლონიად. ამავე დროს უცხოელები ყველანაირად ცდილობდნენ შეერყიათ სულტნის ავტორიტეტი. მაგალითად, ბრიტანელები ეწეოდნენ აგიტაციას არაბულ სამყაროში, ცდილობდნენ დაერწმუნებიათ არაბები, რომ სულტანი, რომელიც არ ეკუთვნოდა ყურეიშიტთა ტომს, უკანონოდ მიიჩნევდა თავს ხალიფად.

გარდა ამისა, აბდულ ჰამიდის მმართველობის დროს სწრაფად განვითარდა კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის სისტემა. 1883 წელს სტამბული რკინიგზით დაუკავშირდა ვენას და მალე, პარიზი და სტამბული ერთმანეთს დაუკავშირა ცნობილმა „აღმოსავლეთის ექსპრესმა." რკინიგზამ ასევე დაუკავშირა იმპერიის ევროპული და ანატოლიის რეგიონები სატახტო ქალაქს. ტელეგრაფით შესაძლებელი გახდა იმპერიის ცენტრიდან ყველაზე დაშორებულ რეგიონებთან დაკავშირება. ეს ხელს უწყობდა იმპერიული კონტროლის გამყარებას პერიფერიულ რეგიონებში.

სატრანსპორტო ბუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი გახდა კავშირის გამყარება ოსმალეთსა და გერმანიას შორის. **1882 წელს გერმანელი გენერალი კოლმან ფონ დერ გოლცი დაინიშნა შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელად.** ეს გაგრძელება იყო იმ ხანგრძლივი ტრადიციისა, როდესაც პრუსიელები აქტიურად მონაწილეობდნენ იმპერიის სამხედრო ძალების მოდერნიზაციაში. სამხედრო სკოლას – *ჰარბიეს* სახელი შეეცვალა, დააარქვეს „ომის მეცნიერების სკოლა" და მისი მიზანი გახდა ევროპული ტიპის ოფიცრების მომზადება. მაგრამ იმის გამო, რომ სულტანმა დაკარგა ჯარის ნდობა, მან შეამცირა სამხედრო ბიუჯეტი, ხოლო სასახლის საჯარისო ნაწილები ძირითადად არათურქებით იყო დაკომპლექტებული.

ჰამიდის ეპოქაში გერმანული საინვესტიციო კაპიტალი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა რკინიგზების გაყვანაში. მათგან უმნიშვნელოვანესი იყო ანატოლიის გზით ბერლინისა და ბაღდადის დამაკავშირებელი რკინგზის გაყვანის პროექტი, რომელმაც ინგლისელების დიდი შეშფოთება გამოიწვია და ეს საინჟინრო პროექტი დიპლომატიურ საკითხად აქცია. გერმანულ-ოსმალური კავშირები გამყარდა კაიზერ ვილჰელმ II-ის ვიზიტების შედეგად, 1889 და 1898 წლებში და კაიზერის განცხადებით, რომ გერმანია იყო მსოფლიოს 300 მილიონი მუსლიმის მეგობარი.

ამავე დროს, იმ წლებში სარკინიგზო ხაზის გარდა, აშენდა ფაბრიკები, და ქარხნები, გაიზარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, არსებითად გაიზარდა შიდა ვაჭრობა და საბანკო საქმიანობა; მაგრამ ჩამოყალიბებული ეროვნული ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო უცხოური კაპიტალის მოძალებით როგორც ფინანსების, ისე მრეწველობის სფეროში. იმპერიას თავს მოახვიეს კონცესიები, არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები (იმ დროისათვის დიდი საგარეო ვალით). სულტანი უძლური იყო დასავლეთის წინაშე, უფრო მეტიც – პირდაპირ იყო დამოკიდებული მის კეთილგანწყობაზე.

განათლებისა და ტრანსპორტის სისტემის სრულყოფის მიუხედავად, აბდულ ჰამიდის ეპოქას ბნელი მხარეც ჰქონდა. ფრთხილი სულტანი, რომელსაც კარგად ახსოვდა მისი წინამორბედის ტახტიდან ჩამოგდების ისტორია და კონსტიტუციონალიზმის საფრთხეები, შეეცადა ტოტალური კონტროლი დაემყარებინა თავის ქვეშევრდომებზე და მათთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე. პრესაზე უმკაცრესი ცენზურა იყო დაწესებული, სასკოლო კურიკულუმს უმკაცრეს ზედამხედველობას უწევდნენ და პოლიტიკაზე საჯარო დისკუსიები აკრძალული იყო. ხელისუფლების ჯაშუშებისა და ინფორმატორების ქსელი, ახალი სატელეგრაფო სისტემის დახმარებითაც, ადმინისტრაციის ყველა დონეზე არსებობდა. მათი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე ხდებოდა ადამიანთა (ოფიციალური პირების და ინტელექტუალების) დაპატიმრება და ქვეყნიდან გაძევება, ხშირად მეტად საეჭვო მიზეზებით. ბევრი კი თვითონ არიდებდა თავს ტირანიას და ნებაყოფლობით მიდიოდა ემიგრაციაში. პარიზსა და ბერლინში ისინი თავისუფლები იყვნენ აბდულ ჰამიდის მარწუხებისაგან და აყალიბებდნენ ოპოზიციურ ჯგუფებს, აქვეყნებდნენ პამფლეტებს (რომლებიც შემდეგ ფარულად ვრცელდებოდა სტამბულში), სადაც გმობდნენ სულტანსა და მის ავტოკრატიას. უმაღლესი განათლების ცენტრებში კი, რომელთა კონტროლს ამაოდ ცდილობდა აბდულ ჰამიდი, იქმნებოდა უკმაყოფილო მასწავლებელთა და სტუდენტთა საზოგადოებები, რომლებიც ილაშქრებდნენ მკაცრი ცენზურის წინააღმდეგ.

აბდულ ჰამიდის მმართველობა ასევე ნიშანდებულია ნაციონალისტური სეპარატისტული მოძრაობების უმკაცრესი რეპრესიებით. ეს რეპრესიები ყველაზე მეტად სომხურ თემს შეეხო. სულტნისა და მისი მრჩევლების თვალთახედვიდან, ბალკანური პროვინციების დაკარგვა დიდი ზარალი იყო, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ზარალი გახდებოდა სომხური ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა იმპერიის შუაგულში. სომხების წინააღმდეგ აბდულ ჰამიდმა ქურთების არარეგულარი რაზმები გამოიყენა, რომლებიც თავს ესხმოდნენ ანატოლიის სომხურ სოფლებს. სტამბულშიც არაერთი ცნობილი ვაჭარი და

სასულიერო პირი დააპატიმრეს. 1897 წელს აბდულ ჰამიდმა სასტიკად ჩაახშო კრეტის აჯანყება ოსმალური მმართველობის წინააღმდეგ, რის შემდეგაც საბერძნეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ოსმალებმა ადვილად მოიპოვეს სამხედრო გამარჯვება, მაგრამ დამარცხდნენ დიპლომატიის ველზე – ევროპულმა სახელმწიფოებმა აიძულეს სულტანი ავტონომია მიენიჭებინა კრეტისთვის, ამან კი კიდევ უფრო გაზარდა აბდულ ჰამიდის უნდობლობა დასავლეთისადმი.

კონსტიტუციის ფორმალური შენარჩუნებით ოსმალეთის იმპერიაში ჩამოყალიბდა რეჟიმი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ზულუმ“ (ტირანია), ხოლო სულტანმა მიიღო ნაკლებად საპატიო მეტსახელი – „სისხლიანი“. ტახტზე რეფორმატორები შეცვალეს ფეოდალებმა, უმაღლესმა სამღვდელოებამ და ბიუროკრატიამ, რომლებიც მიისწრაფოდნენ მხოლოდ პირადი გამდიდრებისაკენ. იმპერიის ყველა საკითხი კვლავ სასახლეში წყდებოდა, მაგრამ 1898 წელს პორტის მინისტრებს შორის არც ერთი ადამიანი არ იყო უმაღლესი განათლებით.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რეჟიმის გამკაცრება აისახა, უპირველეს ყოვლისა, განათლების სფეროზე: ყველა სასწავლო დაწესებულება იყო მოხელეებისა და სამღვდელოების კონტროლის ქვეშ. მნიშვნელოვნად შემცირდა გაზეთებისა და ჟურნალების რაოდენობა. აკრძალულ იქნა სიტყვები: „თავისუფლება,“ „თანასწორობა,“ „უფლება,“ „კონსტიტუცია,“ „რევოლუცია,“ „ტირანია,“ „დესპოტიზმი“ და აგრეთვე „გაზაფხული“ და „აღორძინება.“ ასევე აიკრძალა რუსოს, ვოლტერის, შილერის, შექსპირის, რასინის, კორნელის, ჰიუგოს, ტოლსტოის და სხვა ევროპელი მწერლების წიგნები. ქვეყანაში გამეფებული იყო კორუფცია და მოხელეთა თვითნებობა. სულტანი თავისი ხელისუფლების შესანარჩუნებლად იყენებდა ძალადობის უზარმაზარ აპარატს. ინგლისელი ი. ნაიტი წერდა იმ დროზე: „ის შეგნებულად ასუსტებდა ოსმალეთის იმპერიას, თესავდა განხეთქილებებს და თავისი ქვეშევრდომების დემორალიზაციას ახდენდა, რათა სახელმწიფოში არ გამოჩენილიყო ისეთი ელემენტი, ადამიანთა არანაირი ჯგუფი – იმდენად ძლიერი, რომ დაემხო ის.“ ამგვარად, სუბიექტური და ობიექტური მიზეზების, საზოგადოების ინერტულობის შედეგად, მოხდა უარის თქმა მოდერნიზაციის მიღწევებზე და ძირეული რეფორმები პოლიტიკა პრაქტიკულად დასრულდა.

აბდულ ჰამიდი არაშორსმჭვრეტელი და შეზღუდული მმართველის მაგალითი იყო. სულტანი და მისი მომხრეები შესაძლებლად მიიჩნევდნენ ძალადობის გზით ხელისუფლების არსებული სისტემის შენარჩუნებას უცვლელი სახით. მათი სიჯიუტე ხელს უწყობდა ოპოზიციის სოციალური ბაზის გაფართოვებას.

მმართველობის მიწურულს აბდულ ჰამიდი სულ უფრო მეტად იზოლირებული ხდებოდა თავის სასახლეში. მისი პანისლამისტური პოლიტიკა გარკვეულწილად პოპულარული იყო იმპერიის მუსლიმ ქვეშევრდომებს შორის, მაგრამ ის ისეთივე წარუმატებელი აღმოჩნდა ტერიტორიების შენარჩუნების საქმეში, როგორც თანზიმათის პროგრამები. მის მიერვე დაარსებული სკოლების კურსდამთავრებულები სულ უფრო ღიად მიიჩნევდნენ სულტანს პროგრესის მთავარ წინაღობად. მოძრაობა კი, რომელმაც საბოლოოდ მისი ტახტიდან ჩამოგდება გამოიწვია, დაიწყო არმიის ოფიცრებისა და ევროპაში ემიგრირებულთა ჯგუფების მიერ.

თავი IV

არაბული სამყარო XIX საუკუნეში

ეგვიპტე

ნაპოლეონ ბონაპარტეს ექსპედიცია ეგვიპტეში /1798-1801/

XVIII საუკუნის დასასრულს ევროპის სახელმწიფოთა ბრძოლა კოლონიებისათვის ახალ სტადიაში შევიდა. არაბული აღმოსავლეთის მდიდარი რაიონები კოლონიზატორთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა და შესაბამისად, ეგვიპტის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ექიშპებოდა ევროპის ორი დიდი სახელმწიფო – საფრანგეთი და ინგლისი. ეგვიპტე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო აღმოსავლეთში შესაღწევად.

„ნაპოლეონს რომ მოეხერხებინა გაემეორებინა ალექსანდრე მაკედონელის წარმატება, მისი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდებოდა ორივე სავაჭრო გზა აღმოსავლეთისაკენ: სახმელეთო გზა ერაყისა და ირანის გავლით, რომელიც დაიკარგა კონსტანტინოპოლის დაცემით და საზღვაო გზა, რომელიც ეგვიპტისა და სინას ნახევარკუნძულის სანაპიროს გავლით მივიდოდა არაბულ ზღვამდე. მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა არხი, რომლის საშუალებითაც გემები შეძლებდნენ პირდაპირ შესვლას აზიაში, და უკვე აღარ დასჭირდებოდათ ისეთი უზარმაზარი კონტინენტის შემოვლა, როგორიც აფრიკაა“ (Armour, 2002: 208).

ეგვიპტეში შეღწევის მიზნით საფრანგეთის წარმომადგენელმა ტრიუგეტმა **1785 წელს მოლაპარაკება** გამართა ეგვიპტის მამლუქ ბეებთან (ბეი=ბეგი) და დადო მათთან კონვენცია სუეცის გზით ინდოეთისაკენ ფრანგი ვაჭრების თავისუფალი გატარების შესახებ. კონვენცია ჩვიდმეტი მუხლისგან შედგებოდა. ფრანგულ გემებს უფლება ეძლეოდათ შესულიყვნენ ეგვიპტის ნებისმიერ ნავსადგურში და გადაეხადათ იმდენივე ბაჟი, რამდენიც ოსმალეთის გემებისთვის იყო დაწესებული. თუ ვაჭარი რაიმეს დააშავებდა, მის საქმეს საფრანგეთის გემის კაპიტანი ან კონსული განიხილავდა. ეს სავაჭრო გარიგება გზას უხსნიდა საფრანგეთს ეგვიპტეში გაბატონებული მდგომარეობის დასაკავებლად (ჯანელიძე და სილაგაძე, 1967: 145-146).

1789 წელს საფრანგეთში რევოლუცია დაიწყო და ეგვიპტის საკითხი რამდენიმე წლით გადაიდო. ხუთი წლის შემდეგ, **1794 წლიდან ეგვიპტის საკითხმა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა დირექ**ტორიის საგარეო პოლიტიკაში და მალე ნაპოლეონ ბონაპარტის ამბიციურ პოლიტიკურ გეგმებშიც. ნაპოლეონს სჯეროდა, რომ ჩრდილოეთ აფრიკისა და წინა აზიის არაბული ქვეყნების დაპყრობა საფრანგეთს საშუალებას მისცემდა შეექმნა ძლიერი კოლონიური იმპერია, რომელიც შეუცვლიდა მას დაკარგულ კოლონიურ სამფლობელოებს ამერიკაში. ეგვიპტის დაპყრობით საფრანგეთი იღებდა შემდეგ პრივილეგიებს: **1. იძენდა მდიდარ კოლონიას; 2. ის გამაგრდებოდა ხმელთაშუაზღვის აღმოსავ**ლეთ ნაწილში და დაემუქრებოდა იქიდან ოსმალეთის იმპერიას. 3. ეკონომიკურად განვითარებული საფრანგეთი დარტყმას მიაყენებდა ინგლისს, რადგანაც ხელს შეუშლიდა ინგლისის ბატონობას მსოფლიო ბაზრებსა და კოლონიებზე და საფრთხეს შეუქმნიდა ინგლისის სამრეწველო მონოპოლიის კაპიტალს; 4. ის იღებდა ბაზას ინდოეთზე სალაშქროდ, რომელზედაც ნაპოლეონ ბონაპარტე დიდი ხანია ოცნებობდა (Луцкий, 1966: 34).[1]

გერმანელმა ფილოსოფოსმა გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა (1646-1716) ერთხელ მეფე ლუი XIV-ს უთხრა, რომ საფრანგეთის მომავალი დაკავშირებული იყო სუეცთან. „ეგვიპტე – ეს არის ის, რომ-

1 მართალია, სუეცის არხი ჯერ არ იყო გაჭრილი და ალექსანდრიასა და სუეცს შორის საზღვაო გზა არ არსებობდა, მაგრამ ალექსანდრია იყო სატრანზიტო პუნქტი: აქ ჩამოდიოდნენ მგზავრები, ჩამოჰქონდათ ტვირთები და ფოსტა და იქიდან ქარავნებით გადაჰქონდათ სუეცამდე. ამდენად, ეს გზა მნიშვნელოვნად ამოკლებდა მანძილს ინდოეთამდე – ეგვიპტისა და მეწამული ზღვის გავლით, ფრანგული საქონელი ინდოეთამდე მიაღწევდა 11 კვირაში, ე. ი. მანძილი ორჯერ მცირდებოდა (Луцкий, 1965: 34; Fedorak, 1993: 530).

ლის დახმარებითაც შეიძლება ინგლისისათვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება. იქ თქვენ იპოვით სავაჭრო გზას ინდოეთშისკენ... იქ თქვენ უზრუნველყოფთ საფრანგეთის სამუდამო ბატონობას ლევანტში“ (ციტ.Tuchman,1984:164).

1797 წლის დეკემბერში ნაპოლეონ ბონაპარტემ დირექტორიას წარუდგინა ეგვიპტეში სამხედრო ექსპედიციის პროექტი[2] (Silvera, 1975: 1-13). 1797 **წლის 17 ოქტომბერს იტალიის ქალაქ კამპო-ფორმი**ოში საფრანგეთმა ხელი მოაწერა ავსტრიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას და **1798 წლის გაზაფ**ხულზე დირექტორიამ მიიღო ეგვიპტეში ლაშქრობის ორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება. 1798 წლის მარტში ნაპოლეონ ბონაპარტე დაინიშნა ეგვიპტეში ექსპედიციის (**30-36 ათასიანი საექსპედი**ციო კორპუსი[3]) ხელმძღვანელად (Dukstra, 2008: 117).[4]

ე. ტარლეს სიტყვებით, ნაპოლეონის სამხედრო-პოლიტიკურ კარიერაში ეგვიპტის ლაშქრობა განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ნაპოლეონი დარწმუნებული იყო თავისი გეგმის სისწორეში და ჯერ კიდევ **1797 წლის აგვისტოში ამბობდა: „უკვე შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ ვიგრძნობთ, რომ სინამ**დვილეში ინგლისის გასანადგურებლად ჩვენ გვჭირდება ეგვიპტის დაუფლება“ (ციტ. Тарле,1996:71-72).

1798 წლის 19 მაისს ფრანგული ფლოტი გავიდა ტულონიდან და სხვა პორტებიდან. გემებს უნდა გაევლოთ თითქმის მთელი ხმელთაშუა ზღვა ისე, რომ თავი აერიდებინათ ბრიტანული ფლოტის ადმირალ ნელსონის ესკადრასთან შეხვედრისაგან, რაც შესანიშნავად განახორციელეს. ფრანგებმა შეძლეს ინგლისელთა მოტყუება და ყოველგვარი დაბრკოლების და დანაკარგის გარეშე ალექსანდრიაში შესვლა.[5]

ბონაპარტემ გზად კუნძული მალტა (მოსახლეობა – 150,000) დაიკავა, რომელიც ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან მალტის ორდენის რაინდებს ეკუთვნოდა (Rose,1929: 52). როგორც კი ნელსონმა შეიტყო, რომ ნაპოლეონმა მოატყუა, კუნძულ მალტას დაეუფლა და ახლა ეგვიპტის დაკავებას აპირებდა, სასწრაფოდ იქითკენ გაეშურა, რომ არ დაეშვა ფრანგთა გადმოსვლა ალექსანდრიაში და ზღვაშივე ჩაეძირა ფრანგული გემები (Тарле, 1996: 65-67).

1798 წლის 28 ივნისს ინგლისის გემები ალექსანდრიის ნაპირებს მიადგნენ. ინგლისელები შეხვდნენ ქალაქის მმართველს საიდ მუჰამად ქურაიმას[6] და აცნობეს, რომ ფრანგები ამზადებდნენ ალექსანდრიაზე თავდასხმას. მან არ დაიჯერა და ჩათვალა, რომ ეს იყო ინგლისელთა მიერ დაგებული მახე. ხოლო ალექსანდრიის მცხოვრებლებმა ალ-ბუხაირას გუბერნატორს წერილი გაუგზავნეს, სადაც ბედუინებს შეკრებას თხოვდნენ ქალაქის დასაცავად. ასევე წერილები გააგზავნეს დედაქალაქშიც. კაიროში მისულმა ცნობამ ინგლისელთა გამოჩენის შესახებ შეაშფოთა მოსახლეობა, მაგრამ როდესაც შეიტყვეს, რომ ინგლისის გემებმა პორტი დატოვეს, ეგვიპტელები დამშვიდნენ და ყოველგვარი მითქმა-მოთქმა შეწყდა. რაც შეეხება მამლუქ[7] ბეგებს, ისინი დარწმუნებული იყვნენ თავიანთ ძალებში, და-

---

2 ჯერ კიდევ 1797 წლის 3 ივლისს, საფრანგეთის მეცნიერებისა და ხელოვნების ინსტიტუტის პოლიტიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში შარლ მორის დე ტალეირანმა წაიკითხა მოხსენება: „დასკვნა იმ უპირატესობებზე, რომლებიც შეიძლება მოპოვებულ იქნეს თანამედროვე პირობებში ახალი კოლონიებიდან.“

3 ნაპოლეონის საექსპედიციო კორპუსის შესახებ სხვადასხვა მონაცემები არსებობს: დაახლ. **36,000 სამხედ**რო – 276 ოფიცერი, 28,000 ქვეითი, 2800 კავალერისტი, 2000 არტილერისტი, 1157 სამხედრო ინჟინერი; 900 ექიმი, ფარმაცევტი, მედდა, მეცნიერი, ხელოვანი და მწერალი, მეზღვაურები (1300), ვაჭრები და სხვ. – სულ დაახლ. 54,000 ადამიანი (Cole, 2007: 8).

4 ნაპოლეონის ექსპედიციას ეგვიპტეში დიდძალი ლიტერატურა მიეძღვნა. წინამდებარე ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ეგვიპტელი მწერლის, იმდროინდელი ამბების თანამედროვის და აქტიური მონაწილის – აბდ არ-რაჰმან ალ-ჯაბართის (1754-1826) ქრონიკის მონაცემებს (Ал-Джабарти, 1962).

5 ნაპოლეონმა განზრახ გაავრცელა ჭორი, თითქოს ფრანგები გიბრალტარის გავლას და ირლანდიაში გადმოსხდომას აპირებდნენ. რასაკვირველია, ამ ჭორმა ნელსონამდეც მიაღწია და ნაპოლეონს გიბრალტართან ელოდებოდა იმ დროს, როცა ფრანგული ესკადრა კუნძულ მალტისაკენ მიემართებოდა. ნაპოლეონმა მხოლოდ 22 ივნისს ამცნო ოფიციალურად არმიას, რომ მათი დანიშნულების საბოლოო პუნქტი ეგვიპტე იყო (Dukstra, 2008: 120).

6 მუჰამად ქურაიმ ალ-ისქანდერი – ფრანგთა ექსპედიციის დროისათვის ალექსანდრიის გამგებელი. მამლუქებს მისთვის მინიჭებული ჰქონდათ „დივანსა და ალექსანდრიის საბაჟოებზე“ სრული ძალაუფლება.

7 მამლუქებს უწოდებდნენ მონა მეომრებს, რომლებითაც აკომპლექტებდნენ სამხედრო შენაერთებს. 1250 წელს გაძლიერებულმა მამლუქმა ამირებმა (ბეგებმა) ხელთ იგდეს ძალაუფლება ეგვიპტეში და შემდეგ სირიაშიც. მამლუქთა რიგები ეგვიპტეში ივსებოდა ძირითადად ვოლგისპირეთიდან და ჩრდ. კავკასიიდან შე-

უმარცხებლობაში ეჭვი არ ეპარებოდათ და ამიტომაც ამ ცნობას არავითარი მნიშვნელობა არ მიანიჭეს. უფრო მეტიც – თვლიდნენ, თუნდაც რომ მთელი ევროპის არმია ეგვიპტეში ჩამოსულიყო, ისინი მათ წინააღმდეგობას გაუწევდნენ (Ал-Джабарти, 1962: 50; Cole, 2007: 24-25).

ალექსანდრიის მცხოვრებთა განცხადებამ, რომ ფრანგები მათ არ უნახავთ და არც ნაპოლეონზე სმენიათ რაიმე, ნელსონი დააბნია და კონსტანტინოპოლისაკენ გაეშურა. ამ „შეცდომათა ჯაჭვისა“ და შემთხვევითობის გამო ნელსონის ყოველგვარი ცდა – საფრანგეთის ფლოტის კვალისათვის მიეგნო, მარცხით დამთავრდა (Тарле, 1996: 66; Dukstra, 2008:120).

1798 წლის 1 ივლისს ფრანგული არმია ალექსანდრიის ნაპირს მიადგა. მეორე დღისათვის მათ უკვე გადმოსხეს ჯარი, გადმოტვირთეს სამხედრო აღჭურვილობა და სურსათ-სანოვაგე. ალექსანდრიის მცხოვრებლები შეეცადნენ წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ მათი გამოსვლები ჩაახშეს და ისინიც იძულებული გახდნენ ზავი დაედოთ ფრანგებთან.[8] საომარი მოქმედებები შეწყდა. ფრანგებმა მოსახლეობას აღუთქვეს უსაფრთხოება და უბრძანეს გამაგრებული პოზიციების დატოვება. ქალაქში *ამანი*[9] გამოაცხადეს და ფრანგული დროშები აღმართეს; დაიბარეს გავლენიანი პირები და დაავალეს მოსახლეობიდან იარაღის ამოღება და ფრანგთათვის ჩაბარება.

ფრანგთა მიერ ალექსანდრიის დაკავებამ შეაშფოთა კაიროს მოსახლეობა და უმრავლესობამ ქალაქი დატოვა. იბრაჰიმ ბეიმ თავის რეზიდენციას – კასრ ალ-აინს შეაფარა თავი.[10] ქვეყანაში შექმნილი ვითარების განსახილველად მასთან მივიდნენ მურად ბეი გიზადან, ამირები, ულემები, ყადი (მოსამართლე). მურად ბეის დაავალეს ჯარის მომზადება; შეადგინეს ასევე წერილი, რომელიც ოსმალეთის ნაცვალმა ეგვიპტეში აბუ ბაქირ ფაშამ კურიერს გაატანა, სადაც ატყობინებდნენ სტამბულის უმაღლეს ხელისუფლებას ეგვიპტეში არსებული ვითარების შესახებ. მამლუქებმა კი ალექსანდრიაში წასასვლელად დაიწყეს მზადება, მოახდინეს მოსახლეობის ქონების კონფისკაცია და უფასოდ ღებულობდნენ ყველაფერს, რაც სჭირდებოდათ (Cole, 2007: 34-36).

პირველი შეტაკება მამლუქებთან 1798 წლის 13 ივლისს მოხდა სოფელ შუბრახითთან (კაიროდან ჩრდილოეთით), რომელიც ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. მურად ბეიმ თავს ძლივს უშველა გაქცევით (ჯერ გიზაში გაიქცა, სადაც რამდენიმე დღე დაჰყო, შემდეგ ზემო ეგვიპტეს მიაშურა) და მას მიყვნენ ცხენოსანი მეომრები. ამან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა დედაქალაქის მოსახლეობაზე. კაიროსაკენ გზა გაიხსნა და ფრანგები მიუახლოვდნენ უდიდეს ისტორიულ ქალაქს. ბრძოლის დროს გამოჩნდა ყველა ის ნაკლი, რომელიც ახასიათებდა არაორგანიზებულ მამლუქთა ჯარებს და დაანახა მათ, რომ საქმე ჰქონდათ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან. თუმცა, ნაპოლეონი დიდად აფასებდა მამლუქთა პირად საბრძოლო თვისებებს, რომლებიც „იბრძოდნენ როგორც ლომები“ (Луцкий,1965: 36-37; Cole, 2007: 49-52).

მამლუქებმა დაიწყეს კაიროს გამაგრება და ადგილობრივი მოსახლეობაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ სამუშაოებში. თუმცა ეს უკანასკნელი ცუდად იყო ორგანიზებული: არ იყო საკმარისი რაოდენობის საკვები და იარაღი, არავინ იზრუნა დაზვერვაზე და ქალაქის დამცველებმა უკანასკნელ მომენტამდე არ იცოდნენ, თუ რომელი მხრიდან მოემართებოდა ფრანგული არმია. მამლუქებმა, გაერთიანების ნაცვლად, კორპუსი ორ ნაწილად გაყვეს: იბრაჰიმ ბეი 2 ათასი მამლუქით ბულაკში დაბანაკდა, ხოლო მურად ბეი 6 ათასი მამლუქით ნილოსის მარჯვენა ნაპირზე იმბაბაში გაჩერდა. გარდა ამისა, გზად კაიროსაკენ არ იყო არც ერთი ციხე-სიმაგრე, რომელიც შეაფერხებდა ფრანგთა წინსვლას. ეს ყველაფერი მამლუქთა მმართველობის ნაკლოვანებებისა და მოწინააღმდეგისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგი იყო. ქალაქში ყალიბდებოდა მოხალისეთა რაზმები, აგროვებდნენ შე-

---

მოყვანილი მონებით. 1382-1517წწ. მამლუქთა სახელმწიფოში ბატონობდნენ უპირატესად ჩრდილოკავკასიური, ჩერქეზული წარმოშობის მამლუქები. 1517 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ეგვიპტე და სირია, მაგრამ შეინარჩუნეს მამლუქთა შენაერთები ეგვიპტეში. XVIII ს-ის შუა ხანებიდან, როცა ოსმალეთი სუსტდება, იწყება მამლუქი ამირების აღზევება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მამლუქთა სამხედრო ზედაფენა ფაქტობრივად განაგებდა ეგვიპტეს (ჯაფარიძე,1999: 125-127).

8 ეგვიპტელებს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ევროპელებზე. მაგ., თვითონ ალექსანდრიის მმართველიც კი შესაძლებლად მიიჩნევდა ნაპოლეონის თავდასხმის თავიდან აცილებას ერთი ტომარა ოქროთი (Левин, 1972: 17).

9 *ამან* – უსაფრთხოება, დაცვა, შეუვალობის სიგელი. ამანის გაცემა ნიშნავდა ხელშეუხებლობის გარანტიას და მფარველობის პირობის მიცემას.

10 ნაპოლეონის ლაშქრობის წინ ეგვიპტეს მართავდა მამლუქთა დუუმვირატი – იბრაჰიმ ბეი (შინჯიკაშვილი), რომელსაც ეკავა შეიხ ალ-ბალადის ანუ კაიმაკამის თანამდებობა და მურად ბეი (ამირ ალ-ჰაჯი).

მოწირულობებს, იმართებოდა მანიფესტაციები, მეჩეთებში ულემები ალაჰს შესთხოვდნენ გამარჯვების გამოგზავნას (Ал-Джабарти, 1962: 60-61; Cole, 2007: 66-67).

ნაპოლეონი ეგვიპტეში

1798 წლის 21 ივლისს ბონაპარტის არმია კაიროს მიუახლოვდა. ქალაქის მისადგომებთან გამარ-თულმა ბრძოლამ მიიღო *პირამიდებთან ბრძოლის* სახელწოდება. საღამოსათვის ქალაქის დამცველთა წინააღმდეგობა შესუსტდა. 6 ათასი მამლუქიდან ბრძოლის ველზე დაეცა 3 ათასი, მათ შორის მრავალი ქართული წარმომავლობისა იყო. მურად ბეი გაიქცა ზემო ეგვიპტეში. იბრაჰიმ ბეიმ, რომელიც ბულაკში იმყოფებოდა, დახმარების ნაცვლად, შეიტყო თუ არა მურად ბეის დამარცხების შესახებ, სასწრაფოდ გაიქცა თავის რაზმთან ერთად. ფრანგთა კოლონები მათ უკან დაედევნენ. უკან დახევისას ათასობით ქალაქის დამცველი დაიხრჩო მდინარეში. თვითონ ბონაპარტემ ნილოსის ერთ-ერთ კუნძულს მიაშურა, ქალაქის ახლოს და იქიდან ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს. მამლუქთა მარცხმა დიდი გავლენა მოახდინა ქალაქის შეძლებულ მოსახლეობაზე. მათ გადამალეს ძვირფასი ნივთები და კაირო დატოვეს. ალ-აზჰარის რამდენიმე შეიხმა (=შაიხმა) გადაწყვიტა მოლაპარაკება ნაპოლეონთან, რომელმაც ისინი გულთბილად მიიღო და შესთავაზა მიეწერათ წერილი გაქცეული შეიხებისათვის, რომ დაბრუნებულიყვნენ (Cole, 2007: 65-70).

24 ივლისს ფრანგები კაიროში შევიდნენ. ალექსანდრიისა და კაიროს ხელში ჩაგდების შემდეგ, მათ ყოველგვარი სირთულის გარეშე დაიკავეს სხვა დასახლებული პუნქტებიც. ბოლო ბრძოლა **11 აგვისტოს** გაიმართა. იბრაჰიმ ბეი ამჯერადაც დამარცხდა და სირიაში გაიქცა.

მამლუქები უძლურნი აღმოჩნდნენ: მათ ვერ შეძლეს ფრანგთათვის წინააღმდეგობის გაწევა, ეგვიპტის დაცვა, ქალაქის გამაგრება და მოსახლეობის ორგანიზება. გადასახადებისაგან დაუძლურებული, უიარაღო და არაორგანიზებული ეგვიპტელები ფრანგთა მოახლოებისთანავე გარბოდნენ. ეგვიპტის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სისუსტემ, ფრანგულ არმიასთან შედარებით ცუდად შეიარაღებულმა და არადისციპლინირებულმა მამლუქთა რაზმებმა გაუადვილეს ფრანგებს ყოველგვარი სირთულის, დაბრკოლების გარეშე ეგვიპტის ხელში ჩაგდება (Ал-Джабарти, 1962: 20-21).

ალექსანდრიაში შესვლისთანავე ნაპოლეონმა ეგვიპტელებს მანიფესტით მიმართა. ის მოსვლის მიზეზად მამლუქი ბეების მიერ ფრანგი ვაჭრების შევიწროვებას და დევნას ასახელებდა. მან ასევე შესანიშნავად გამოიყენა ეგვიპტელთა რელიგიური გრძნობები და თავის მიმართვაში ეგვიპტელი ხალხისადმი თავს ჭეშმარიტ მორწმუნედ, ისლამის დამცველად[11] მოიხსენიებდა. ეგვიპტეში ლაშქრობას

11 ნაპოლეონის მიმართვაში საფრანგეთის რევოლუციის ლოზუნგის ნაწილი „თავისუფლება, თანასწორობა“ ერწყმოდა მოწოდებას „ჭეშმარიტი ისლამის“ სახელით (Cardini, 2001:198).

ნაპოლეონი ხსნიდა ქვეყნის მოსახლეობის მამლუქთა უღლისაგან განთავისუფლებისა და სულტნის უფლებების აღდგენის აუცილებლობით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას სწორი წარმოდგენა ჰქონდა მოსახლეობასა და მამლუქებს შორის არსებულ სოციალურ ანტაგონიზმზე (ტიკაძე, 1999: 122-123).

ნაწყვეტი ნაპოლეონის მიმართვიდან ეგვიპტის მოსახლეობისადმი:

„ეგვიპტის მცხოვრებლებო!" თქვენ გეტყვიან, რომ მე მოვედი თქვენი სარწმუნოების მოსასპობად. ეს სიცრუეა! არ დაუჯეროთ მათ. უპასუხეთ იმ მატყუარებს, რომ მე მოვედი თქვენთან, რათა აღვადგინო თქვენი უფლებები, დავსაჯო უზურპატორები. მე მამლუქებზე მეტად ვცემ პატივს ალაჰს, მის მოციქულს და ყურანს" (ციტ. ჯანელიძე,1971: 311-313)

პოლიტიკური მოღვაწეები თუ მეცნიერები, რომლებიც სწავლობდნენ ეგვიპტელთა ტრადიციებს, რელიგიას განიხილავდნენ, როგორც მთავარ წინააღმდეგობას ფრანგთა ეგვიპტეში გაბატონების გზაზე. ფრანსუა ვოლნეი, რომელმაც იმოგზაურა ეგვიპტეში, 1788 წელს წერდა: „ეგვიპტის ნებისმიერ დამპყრობელს მოუხდება სამი ომის გადატანა. პირველი ომი ინგლისის წინააღმდეგ, მეორე – ოსმალეთის, და მესამე, ყველაზე მძიმე, – მუსლიმების წინააღმდეგ." ვოლნეის ეს გაფრთხილება ნაპოლეონმა გამოწვევად აღიქვა (Cole, 2007: 127).

ფრანგებმა დაიკავეს ალექსანდრია, კაირო და სხვა დასახლებული პუნქტები. შებრახითთან და პირამიდებთან ბრძოლებში მათი შთამბეჭდავი გამარჯვებების მიუხედავად, ფრანგების მდგომარეობა არ იყო მყარი, ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად იყო განწყობილი „განმათავისუფლებელი" არმიისადმი. ეს საშიშროება კარნახობდა ნაპოლეონს რელიგიურ კომპრომისზე წასვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში ფრანგული არმია დიდი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა.

ნაპოლეონმა ეგვიპტეში ისლამოფილურ პოლიტიკას მისდევდა, რომლის თვალსაჩინო გამოხატულება იყო ყურანისა და ისლამური სიწმინდეების პატივისცემა, ჰაჯისა[12] და მუსლიმური დღესასწაულების[13] მხარდაჭერა, მუსლიმური სამღვდელოებისათვის მთელი რიგი პრივილეგიების შენარჩუნება და პოლიტიკური დასაყრდენის ძიება ეგვიპტის ულემებში.[14]

ნაპოლეონმა ულემებს გადასცა ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები. დაპყრობილი ტერიტორიის ყველა პროვინციის მართვა-გამგებლობა დაეკისრა *დივანს* – სათათბირო საბჭოს და ამ უკანასკნელის მეშვეობით შეიხებს, რომლებიც დივანის წევრები გახდნენ. დივანი სათათბირო-აღმასრულებელი ორგანო იყო და არსებობდა არა მარტო პროვინციებში, არამედ კაიროშიც (სადაც იწოდებდა *დიდ დივანად*). შეიხებისათვის მართვა-გამგებლობის გადაცემამ მალე შეცვალა მათი დამოკიდებულება ფრანგული არმიის მიმართ (სილაგაძე,1984: 46-47; Cole, 2007: 75-77).

სულტან ქაბირი (ასე უწოდებდნენ ნაპოლეონს) არაბთა ეროვნულ გრძნობებსაც შეეხო და ამის თავის სასარგებლოდ გამოყენება სცადა: „რატომ ემორჩილება არაბი ერი თურქებს? რატომ ბატონობენ ეგვიპტესა და წმინდა არაბეთის ნახევარკუნძულზე კავკასიიდან მოსულნი? მუჰამადი რომ ცის სასუ-

12 არაბულ სამყაროში დადებითად იქნა აღქმული ნაპოლეონის მიერ მექაში პილიგრიმობის აღდგენა. მექის შარიფმა (მმართველმა) კმაყოფილება გამოთქვა ჰაჯის განახლების გამო და ნაპოლეონს წმინდა ქაბას მსახურის წოდება უბოძა. კაიროს უმაღლესმა ულემებმა მექის შარიფს ჰალაბში (ალეპო) აცნობეს ეგვიპტეში ფრანგული არმიის მოსვლის და იმ მფარველობის შესახებ, რომელსაც მისი მთავარსარდალი იჩენდა ისლამის მიმართ. შარიფი დაინტერესდა ეგვიპტეში ფრანგთა გაძლიერებით, რადგანაც ისინი გახდებოდნენ მისი დასაყრდენი კონსტანტინოპოლის მუფთისთან დაპირისპირებაში, რომლის ავტორიტეტის გაზრდისაკენ ისწრაფოდა სულტანი. ნაპოლეონს კი მექის შარიფის კეთილგანწყობა სჭირდებოდა ეგვიპტელებზე გავლენის გასაძლიერებლად (Ал-Джабарти, 1962: 78).

13 ნაპოლეონ ბონაპარტემ არაერთი დღესასწაული აღადგინა და თავის არმიასთან ერთად აქტიურ მონაწილეობასაც ღებულობდა მათ აღნიშვნაში – დიდი ზეიმით აღნიშნეს ე.წ. „ნილოსის დღესასწაული" და მოციქულის დაბადების დღე. ალ-ჯაბართის ცნობით, ნაპოლეონს უკითხავს თუ რატომ არ აღნიშნავდნენ მუჰამადის დაბადების დღეს, შეიხ ალ-ბაქრისათვის მიუცია 300 ფრანგული ფრანკი და უბრძანებია ქალაქის მორთვა და ფანრებით ქუჩების განათება. ფრანგებმა სამხედრო აღლუმი მოაწყეს მოედანზე, უკრავდა მუსიკა, ისროდნენ საარტილერიო ცეცხლს (Ал-Джабарти, 1962: 20-21).

14 ეგვიპტის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით და გავლენით სარგებლობდნენ ულემები, რომლებიც განათლებულ და შეძლებულ ფენას წარმოადგენდნენ და ტრადიციულად ასრულებდნენ შუამავლის როლს მამლუქებსა და ეგვიპტელებს შორის. მათი შემოსავლის წყარო იყო ვაკფები და ისინი ხელშეუხებლობით და მთელი რიგი ფინანსური პრივილეგიებით სარგებლობდნენ (ვაკფის ქონება არ იბეგრებოდა გადასახადებით) (Marsot, 1968: 266-267).

ფევლიდან ჩამოსულიყო, სად წავიდოდა? მექაში? მაშინ იგი არ აღმოჩნდებოდა მუსლიმური იმპერიის ცენტრში, კონსტანტინოპოლში. მაგრამ იქ ხომ უფრო მეტი ურწმუნო, ვიდრე მორწმუნეა და [მუჰამადი] მტრების გარემოცვაში მოექცეოდა. ის აუცილებლად აირჩევდა ნილოსის წმინდა წყალს და დასახლდებოდა ალ-აზჰარის მეჩეთში, რომელიც პირველი გასაღებია ქააბასაკენ“ (Наполеон, 1956: 471).

ნაპოლეონმა „მუსლიმი“ მმართველის ალი ბუნარიდ ფაშას სახელი დაირქვა, პარასკეობით მეჩეთში დადიოდა, მონაწილეობას ღებულობდა რელიგიურ რიტუალებსა და დღესასწაულებში, მისი გენერალი ჟაკ მენუც კი მოიქცა ისლამზე. ნაპოლეონმა შექმნა სათათბირო ორგანო – დივანი, სადაც ადგილობრივი შეიხები და ულემები შეიყვანა და მათი ნდობის მოსაპოვებლად ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები გაატარა, ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა მოსახლეობის სიძულვილი მამლუქებისადმი. მაგრამ ამ ღონისძიებების მიუხედავად, ნაპოლეონმა მაინც ვერ შეძლო ეგვიპტის მოსახლეობის სრული ნდობის მოპოვება და სერიოზულ წინააღმდეგობებსაც წააწყდა, ფრანგთა ადმინისტრაციული პოლიტიკიდან გამომდინარე. ადგილობრივი მოსახლეობა – ყველა ქალაქი და სოფელი დაბეგრილი იყო უამრავი და გაზრდილი ნატურალური თუ ფულადი გადასახადებით, რომლებსაც თვით მამლუქი ბეების დროსაც არ იხდიდნენ (Луцкий, 1965: 37). **ფრანგებმა ვაჭრები დიდი გადასახადებით დაბეგრეს.** მათ დაეკისრათ **500,000 ფრანკის ოდენობის სესხის გადახდა. ფრანგ ხელისუფალთა** ხელში მოექცა საბაჟოს მთელი შემოსავლები, არც კაიროს ხელოსანთა საამქროები აღმოჩნდა უკეთეს დღეში (სილაგაძე,1984: 54).

გადასახადების ამკრეფთა უფროსად დაინიშნა კოპტი (ეგვიპტელი ქრისტიანი) ჯირჯის ალ-ჯავჰარი, რომელიც ამ ფუნქციას მამლუქთა დროსაც ასრულებდა. თანამდებობებზე დარჩნენ სხვა კოპტი ჩინოვნიკებიც, რომლებიც პროვინციებში გადასახადების აკრეფას ხელმძღვანელობდნენ. გადასახადის ამკრეფი მოხელეები თვითნებობდნენ, მიმართავდნენ სასტიკ ზომებს, იყენებდნენ გამოძალვის ყოველგვარ საშუალებას. მამლუქთა განდევნის შემდეგ მათი მოძრავი და უძრავი ქონების კონფისკაცია მოახდინეს და დაახლოებით **2/3 საუკეთესო, დამუშავებული და ნაყოფიერი მიწებისა, რომლებიც** მამლუქ-მულთაზიმებს[15] ეკუთვნოდათ, ახლა ფრანგთა ხელში გადავიდა (Cole, 2007: 169; Shaw, 1964: 122-124).

ახალმა დივანმა, რომელიც უმაღლეს ტრიბუნალად იწოდებოდა[16] მოსახლეობას მოსთხოვა უძრავ ქონებაზე ფლობის ნებართვის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა. ამასთან, დოკუმენტის წარდგენაც კი (როგორ მიიღეს მიწა – იყიდეს თუ მემკვიდრეობით ერგოთ) არ იყო საკმარისი. წესდება მოითხოვდა დოკუმენტის შემოწმებას სააღრიცხვო დავთრებით და ამ შემოწმებისათვის დადგენილი თანხის გადახდას. თუ საბუთი გატარებული არ აღმოჩნდებოდა დავთარში, მაშინ მფლობელს უნდა დაემტკიცებინა მისი უტყუარობა. მას შემდეგ, რაც საბუთის სისწორე დადგინდებოდა, მფლობელი გადაიხდიდა მისი სისწორის შემოწმებისათვის დადგენილ თანხას, გამოუწერდნენ მფლობელობის უფლების ცნობას, დაადგენდნენ ქონების ღირებულებას და დაბეგრავდნენ გადასახადით, რაც შემოსავლის 2%ს უტოლდებოდა. თუ მფლობელს არ ჰქონდა მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, არ იყო შეტანილი დავთარში და არც უტყუარობის დადგენა ხერხდებოდა, მაშინ მიწა ჩამოერთმეოდა საფრანგეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ (Dukstra, 2008: 124-125). **ალ-ჯაბართის სიტყვებით, წესდება** მხოლოდ მოხერხებული მახე იყო მოსახლეობის ქონების ხელში ჩასაგდებად, რადგანაც მფლობელობის დადგენა ამ წესდების საფუძველზე დიდი სირთულეს წარმოადგენდა (Ал-Джабарти, 1962: 24).

წესდებამ აგრეთვე დაადგინა გადასახადი მემკვიდრეობის უფლების მიღებასა და გარდაცვლილებზე. გადასახადების ოდენობა ხშირად იცვლებოდა. გარდაცვლილის რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო და ამისათვის მიცვალებულის მემკვიდრე გარკვეულ თანხას იხდიდა. ანდერძი მემკვიდრეობის შესახებ უნდა გახსნილიყო გარდაცვალებიდან 24 საათის განმავლობაში. დაგვიანების შემთხვევაში მემკვიდრეობა დივანს გადაეცემოდა. თუ ანდერძი დადგენილ ვადაში გაიხსნებოდა დივანის ნებართვით, მემკვიდრენი ამ ნებართვის, ისე როგორც მემკვიდრეობის მოწმობის, სისწორის შემოწმებისათ-

---

15 მულთაზიმის საკუთრება – *ილთიზამი* ფართოდ გავრცელებული მიწათმფლობელობის სისტემა იყო ეგვიპტეში XVI-XVIII სს-ში. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო განსაზღვრული ტერიტორიიდან გადასახადის აკრეფის უფლების ყიდვა. მულთაზიმი – ილთიზამის მფლობელი ვალდებული იყო ფელაჰებისაგან (გლეხებისაგან) აკრეფილი გადასახადიდან დადგენილი რაოდენობა (*მირ*) სახელმწიფო ხაზინაში შეეტანა. რენტის იმ ნაწილს, რომელიც მულთაზიმის განკარგულებაში რჩებოდა, *ფაიზი* ეწოდებოდა. მულთაზიმის უფლებები ილთიზამზე მემკვიდრეობით გადადიოდა.

16 ამ ახალ სასამართლო ორგანოში შევიდა **6 ქრისტიანი კოპტი და 6 მუსლიმი. ტრიბუნალს ევალებოდა** სამოქალაქო საქმეების განხილვა ფრანგების მიერ შემუშავებული საგანგებო წესდების საფუძველზე.

ვის ვალდებული იყვნენ თანხა გადაეხადათ. განსაზღვრული თანხა დაწესებული იყო აგრეთვე სავაჭრო გარიგებებზე, სასამართლო პროცესებზე, მოწმეების მოყვანაზე, ბავშვების დაბადებაზე, უძრავი ქონების იჯარით აღებაზე. მოგზაურსაც კი არ შეეძლო ქვეყანა დაეტოვებინა სპეციალური დოკუმენტის გარეშე, რომლის გაცემაზეც თანხა უნდა გადაეხადა (Ал-Джабарти, 1962: 89-90).

1798 წლის ოქტომბერში შეიკრიბა ეგვიპტის დივანი, მისი წევრები გამოვიდნენ ქონების ხელახალი რეგისტრაციის წინააღმდეგ და მოითხოვეს ძველი წესდების შენარჩუნება, რომელიც დაფუძნებული იყო მუსლიმური სამართლის მემკვიდრეობის წესზე. ოქტომბრის შუა რიცხვებში ფრანგი ხელისუფალნი შეუდგნენ კაიროს მცხოვრებთა ქონების (სახლები, სასახლეები, აბანოები, წისქვილები და ა. შ.) აღწერას და განსაზღვრეს მათი შემოსავალი, დაადგინეს მიწაზე ახალი გადასახადი, რომელიც უდრიდა ყველა იმ გადასახადს ერთად, რომელსაც ეგვიპტელები მამლუქების დროს იხდიდნენ. მიწაზე დაწესებულ ახალ გადასახადში შევიდა აგრეთვე ყველა დამატებითი გადასახადი განსაზღვრული მამლუქი მიწათმფლობელების მიერ.

1798 წლის 1 აგვისტოს აბუკირთან ადმირალ ნელსონის მიერ ფრანგების ფლოტის განადგურებას მოჰყვა ოსმალეთის მიერ საფრანგეთისათვის ომის გამოცხადება იმავე წლის სექტემბერში. ამასთან, პორტა ჩაერთო ანტიფრანგულ კოალიციაში, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ინგლისი, ავსტრია და რუსეთი. პორტას ომში ჩაბმის შემდეგ ეგვიპტელებმა ახალი ენერგიით განაგრძეს ბრძოლა ფრანგების ქვეყნიდან განსადევნად (Vatikiotis, 1980: 49). ფისკალური პოლიტიკით შეწუხებული ეგვიპტის მოსახლეობის უკმაყოფილება მალე ანტიფრანგულ მოძრაობაში გადაიზარდა. გამუდმებული შეტაკებები, თავდასხმები ფრანგულ გარნიზონებზე, ფრანგ კურიერთა მკვლელობები თანდათანობით უფრო სისტემატურ და ორგანიზებულ ხასიათს ღებულობდა. 1798 წლის ზაფხულში ანტიფრანგული გამოსვლების მთელი ციკლი მოეწყო როზეტის, ალექსანდრიის და დამანჰურის რაიონებში. ნაპოლეონ ბონაპარტემ ამ გამოსვლებს სასტიკი რეპრესიებით უპასუხა (სილაგაძე, 1984: 80).

ნაპოლეონმა, ეგვიპტეში ფეხის მოკიდების მიზნით, წამოაყენა იდეა ოსმალთა მფლობელობაში მყოფი არაბული ქვეყნების გაერთიანების შესახებ და ფართო პროპაგანდა გააჩაღა ამ მიმართულებით. ოსმალეთის მთავრობამ ეს ნაბიჯი შეაფასა, როგორც მის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო აქცია და შეცვალა ფრანგებთან დამოკიდებულება. ეს აშკარა გახდა 1798 წლის 17 აგვისტოს, როცა ნაპოლეონმა დიპლომატიური მისია ბოშანის მეთაურობით აქქას გამგებელ აჰმად ჯაზარ ფაშასთან[17] მიავლინა, რათა მისი მეშვეობით რეის ეფენდის (ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს) დაკავშირებოდა. ჯაზარ ფაშამ არ მიიღო მისია და გაწბილებული ელჩი კაიროში დაბრუნდა. ნაპოლეონმა შემდგომაც არაერთხელ სცადა სულტანთან კავშირის დამყარება, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ოსმალეთ-საფრანგეთის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ საომარ მოქმედებებში გადაიზარდა. ოსმალეთმა სირია-პალესტინის რაიონში თავი მოუყარა ეგვიპტეში გასაგზავნ ლაშქარს, რომლის სარდლობაც ჯაზარ ფაშას დაეკისრა. ამ უკანასკნელმა წერილი გაუგზავნა შეიხ ას-სადათს,[18] სადაც აცნობებდა სულტნის მიერ საფრანგეთისათვის ომის გამოცხადების შესახებ (Ал-Джабарти, 1962: 84; Dukstra, 2008:126).

ამასთან ერთად კაიროში ხმები გავრცელდა, თითქოს იაფაში ჩავიდა ოსმალეთის ფლოტის ადმირალი ქაფუდან ფაშა და შეუერთდა ალ-ჯაზარის არმიას. ყოველივე ამან დაარწმუნა დივანის წევრები, რომ პორტა ინგლის-რუსეთის გაერთიანებული ძალების მხარდაჭერით იოლად დაამარცხებდა საფრანგეთს და ბევრმა მათგანმა ანტიფრანგული ბანაკისაკენ იწყო გადახრა. იბრაჰიმ ბეი სირიაში და მურად ბეი ზემო ეგვიპტეში უმოქმედოდ არ იყვნენ და ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ ძველი პრივილეგიების დასაბრუნებლად (Winter, 1980: 100-102).

პარალელურად, ფრანგებმა თავდაცვაზე ფიქრი დაიწყეს და გაამაგრეს ციტადელი. ამ სამხედრო სამზადისს თან ახლდა სახლების, მეჩეთების დანგრევა და მათ ადგილზე ქვემეხების და სხვა სამხედრო მოწყობილობების დაყენება. ქალაქის კომენდანტად დაინიშნა გენერალი დიუპი. თუმცა, მოსახლეობა იმდენად იყო შეწუხებული ფისკალური პოლიტიკით, რომ ვერაფერი შეაჩერებდა მათ გამოსვლას (ал-Джабарти,1962: 110-116).

---

17 აჰმად ფაშა ალ-ჯაზარი (1720-1804) – წარმოშობით ალბანელი. კარიერა დაიწყო თურქულ არმიაში სამხედრო სამსახურით. ეკავა ეგვიპტეში ალ-ბუხარის პროვინციის ქაშიფის (გუბერნატორის) თანამდებობა. ნაპოლეონის სირიაში ლაშქრობის დროს ალ-ჯაზარი მეთაურობდა აქქას ციხე-სიმაგრის დაცვას.

18 შეიხ აბუ ალ-ანვარ ას-სადათი ალ-აზჰარის უმაღლეს სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა და პირველი აჯანყების დროს თავდაცვის დივანის მეთაურად დაინიშნა.

ამრიგად, ფრანგული არმია ყოველი მხრიდან მტრების გარემოცვაში აღმოჩნდა: ზღვიდან ინგლისის ფლოტი უტევდა, სირია-პალესტინიდან ოსმალეთის სულტნის ჯარი მოემართებოდა, მამლუქები ძალაუფლების დასაბრუნებლად ბრძოლას განაგრძობდნენ და რაც მთავარია, 1798 წლის 21 ოქტომბერს კაიროს პირველმა აჯანყებამ იფეთქა.

აჯანყებულთა ძირითად ბირთვს საზოგადოების დაბალი და უღარიბესი ფენა შეადგენდნენ – ფელაჰები (გლეხები), ხელოსნები, ქალაქის საამქროების და კორპორაციების შეიხები, წვრილი ვაჭრები, დაბალი სასულიერო წრის წარმომადგენლები (იმამები და მუეძინები), ზოგიერთი შარიფი. რაც შეეხება უმაღლეს სასულიერო წოდებას, მათ მონაწილეობა არ მიუღიათ აჯანყებაში, მათი როლი მინიმალური იყო (Marsot, 1968: 271). აჯანყების დაწყებამდე შეიქმნა ხელმძღვანელი ორგანო – „თავდაცვის დივანი“ ანუ „თავდაცვის საბჭო“, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს შეიხ ას-სადათი. თუმცა აჯანყების მსვლელობაში მისი მონაწილეობა არ ჩანს.

ალ-ჯაბართის ქრონიკის მიხედვით ირკვევა, რომ ანტიფრანგული განწყობილება მალე გადაიზარდა კაიროს მდიდარი ქრისტიანების და ასევე მუსლიმების წინააღმდეგ თავდასხმებში და ქონების დატაცებაში. თავდაპირველად აჯანყებულებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ ისინი უგეგმოდ და დაქსაქსულად მოქმედებდნენ. 1798 წლის 22 ოქტომბერს ფრანგები შეტევაზე გადავიდნენ. ალ-აზჰარის მეჩეთის მისადგომებთან ძლიერი საარტილერიო სროლა დაიწყო და ქალაქში ხანძარი გაჩნდა. ალ-აზჰარის შეიხებმა გადაწყვიტეს თავიანთ თავზე აეღოთ სამშვიდობო მოლაპარაკება. ნაპოლეონმა, რომელიც ცდილობდა მათგან კაპიტულაციის მიღწევას, მიიღო მხოლოდ შეიხთა წარმომადგენლები და საღამოს ალ-აზჰარის რაიონში ბრძოლები შეწყდა. 23 ოქტომბერს ფრანგები შევიდნენ აჯანყებულთა მიერ დაკავებულ კვარტლებში, თვით ალ-აზჰარში შეიჭრნენ, გაძარცვეს მეჩეთი, დახიეს წიგნები, გათელეს ფეხით ყურანის ფურცლები, მთელ კაიროში ჩხრეკა დაიწყო და აჯანყებაში ეჭვმიტანილ პირებს ადგილზევე ხვრეტდნენ (Ал-Джабарти, 1962: 26). მოკლულთა შორის მრავლად იყვნენ მუეძინები. 14 შეიხი დამნაშავედ ცნეს და მათგან 7 სიკვდილით დასაჯეს. დანარჩენებმა მოახერხეს გაქცევა, მოხდა სიკვდილმისჯილთა ქონების კონფისკაცია და იჭერდნენ ყველას, ვინც კი უმნიშვნელო ეჭვს გამოიწვევდა (Фильштинский, 1958: 47-48).

აჯანყების დამარცხების მიზეზებად მიჩნეულია არაორგანიზებულობა, დაქსაქსულობა, ერთიანი გეგმის უქონლობა, მოწინააღმდეგესთან შედარებით ცუდი შეიარაღება, ერთსულოვნებისა და მამლუქთა მხრიდან მხარდაჭერის არარსებობა.

კაიროს პირველი აჯანყების ჩახშობის შემდეგ ნაპოლეონ ბონაპარტემ ზემო ეგვიპტეში რჩეული დივიზია გაგზავნა გენერალ დეზეს მეთაურობით, რომ საბოლოოდ ბოლო მოეღო მამლუქთა თარეშისათვის და ეს ტერიტორია ფრანგ ხელისუფალთა მმართველობისათვის დაექვემდებარებინა. ნაპოლეონმა პარალელურად წამოიწყო ექსპედიცია სირიაში, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. მას ამ რეგიონის ქრისტიანული მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

სირიის ექსპედიცია დაიწყო 1799 წლის თებერვალში. თავდაპირველად საფრანგეთის არმიამ (13 ათასიანი კორპუსი) დაბრკოლებების გარეშე დაიკავა ქალაქები – ალ-არიშა, ღაზა, იაფა და მარტის შუა რიცხვებში აქქას (აკრას) კედლებს მიადგა. მოსახლეობა მტრულად იყო განწყობილი თურქეთის ფაშა აჰმად ალ-ჯაზარის მიმართ და ამიტომ ფრანგებს არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდა. მაგრამ საფრანგეთის აგრესიული პოლიტიკით შეწუხებული ოსმალეთის მთავრობა ჯარების მობილიზაციას განაგრძობდა. პარალელურად, სულტანი სელიმ III იმის შიშით, რომ მარტოდ არ დარჩენილიყო, მოლაპარაკებას აწარმოებდა ანტიფრანგული კოალიციის წევრ რუსეთ-ინგლისის მთავრობებთან და სამხედრო დახმარებას ითხოვდა, მითუმეტეს, ეს ომი რუსეთ-ინგლისის ინტერესებშიც შედიოდა (Новичев, 1968: 79).

აკრასთან ფრანგებმა მარცხი განიცადეს და ჩრდილოეთისაკენ გზა ჩაეკეტათ. არმიას არ ჰყოფნიდა არტილერია. ფრანგები შეეცადნენ მის გადმოტანას ზღვის საშუალებით, მაგრამ ინგლისელებმა, სიდნეი სმიტის მეთაურობით, შეძლეს საარტილერიო დანადგარებით დატვირთული გემების ხელში ჩაგდება. სმიტის ესკადრა აბუკირში შევიდა და ციხე-სიმაგრე ქვემეხების ცეცხლით დაიცვა. ნაპოლეონი არაერთგზის შეეცადა შტურმით აქქას აღებას, მაგრამ უშედეგოდ. ამას ისიც დაემატა, რომ ფრანგულ არმიაში ეპიდემიამ იფეთქა, რამაც არაერთი ჯარისკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა.1799 წლის მაისში ნაპოლეონმა დაიწყო (თავის სამხედრო მოღვაწეობაში პირველი) უკანდახევა. საფრანგეთის არმია ეგვიპტეში დაბრუნდა (Луцкий, 1966: 40; McGregor, 2006: 45).

> აკრასთან დამარცხებიდან 20 წლის შემდეგ, ნაპოლეონმა წმინდა ელენეს კუნძულზე ყოფნისას დღიურში ჩაწერა: „აკრა რომ ამეღო... კონსტანტინოპოლამდე მივიდოდი და ორივესათვის რომ [მიმეღწია] – ინდოეთამდე. მე შევცვლიდი სამყაროს“ (ციტ. Tuchman, 1984: 165).

გაჭიანურდა ზემო ეგვიპტის დაპყრობაც. მამლუქთა მარცხის მიუხედავად, მათ მთელი წელიწადი აიძულეს გენერალი დეზე ზემო ეგვიპტეში დარჩენილიყო და ამდენად, მან ვერ შესძლო ცოცხალი ძალით დახმარებოდა ნაპოლეონს სირიაში, სადაც ფრანგებს განსაკუთრებით უჭირდათ.

სირიის ექსპედიციამ სრული კრახი განიცადა. ზემო და ქვემო ეგვიპტეში განვითარებულმა მოვლენებმა ნაპოლეონი აიძულა ეგვიპტეში დაბრუნებულიყო, რათა ეს უკანასკნელიც არ გამოსცლოდა ხელიდან. სირიის კამპანია ფაქტობრივად ფრანგული ექსპედიციის დასასრულის დასაწყისი იყო.

ნაპოლეონს ეგვიპტეში არასახარბიელო მდგომარეობა დახვდა. ქვეყანაში კვლავ მღელვარება დაიწყო. გახშირდა ბედუინთა თავდასხმები, იფეთქა აჯანყებებმა. სირია-პალესტინიდან ფრანგების გასვლამ სიდნეი სმიტი დაარწმუნა, რომ ამიერიდან თავისუფლად შეიძლებოდა ჯარების გადასხმა ალექსანდრიაში და საომარი მოქმედებების ეგვიპტის ტერიტორიაზე გადატანა. 1799 წლის 25 ივლისს, აბუკირთან, პორტას დროებითი წარმატების მიუხედავად, ნაპოლეონმა გამარჯვება მოიპოვა ინგლის-ოსმალეთის დესანტზე. თუმცა, ნაპოლეონისათვის ცხადი გახდა, რომ ეგვიპტის კამპანია მარცხისათვის იყო განწირული.

სირიის ექსპედიციის შემდეგ ნაპოლეონ ბონაპარტემ, რომელიც ამ ხნის მანძილზე პრაქტიკულად არაფერი იცოდა ევროპაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, შემთხვევით შეიტყო, რომ ავსტრიამ, ინგლისმა, რუსეთმა და ნეაპოლის სამეფომ განაახლეს ბრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ და რუსეთის არმია სუვოროვის მეთაურობით იტალიაში შეიჭრა. თვითონ საფრანგეთში არეულობა სუფევდა, დაუძლურებული დირექტორია პრაქტიკულად უმოქმედო იყო. ნაპოლეონმა სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება საფრანგეთში გამგზავრების შესახებ. ხელისუფლებას „ძლიერი ხელმძღვანელი“ სჭირდებოდა და ბონაპარტე მზად იყო თავისი სამსახური შეეთავაზებინა დირექტორიისათვის. 1799 წლის 18 აგვისტოს მან საიდუმლოდ დატოვა კაირო და მის შემცვლელ გენერალ „კლებერს დაუტოვა ფრანგული არმია, ადმინისტრაციული და საგადასახადო აპარატის მართვა, უუფლებო და მძიმე ექსპლუატაციაში მყოფი მოსახლეობა“ (Тарле, 1996: 72-73).

სირიის ექსპედიციამ ძლიერ დააზარალა ფრანგული არმია და ხაზინა სრულიად დაცარიელებული იყო. მის შესავსებად და არმიის შესანახად კლებერმა კიდევ უფრო გაზარდა გადასახადები. საჭირო რაოდენობის ფულის მოსაპოვებლად რეკვიზიციებს და კონტრიბუციებს მიმართავდნენ. მაგრამ მოვლენები საფრანგეთის საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. ოსმალეთის არმია და ინგლისის ფლოტი საფრთხეს უქმნიდა ეგვიპტეში მყოფ ფრანგულ არმიას. კლებერი ხვდებოდა, რომ ერთადერთი გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში ქვეყნიდან არმიის ევაკუაცია იყო.

1800 წლის 24 იანვარს კლებერმა ალ-არიშაში ხელი მოაწერა ზავს ინგლისელებთან და ოსმალებთან, რომელთაც აღუთქვეს მას გემები ფრანგული არმიის სამშობლოში დასაბრუნებლად. ისინი აგრეთვე იძლეოდნენ ფრანგული არმიის უსაფრთხოების გარანტიას, დაწყებული ფრანგთა გემებში ჩასხდომიდან საფრანგეთში ჩასვლამდე. ზავის პირობების თანახმად, ფრანგებს 45 დღეში უნდა დაეტოვებინათ კაირო, ხოლო 90 დღეში – მთელი ეგვიპტე. ხელშეკრულების რატიფიკაციისთანავე ორივე მხარე მის აღსრულებას შეუდგა, მაგრამ როცა დადგა ფრანგების ევაკუაციის საკითხი, კლებერმა მოულოდნელად გასცა ბრძანება მისი შეჩერების შესახებ და დამატებითი დროის მიცემა ითხოვა. (Vatikiotis, 1991: 44; Dukstra, 2008: 128). 1800 წლის 20 მარტს, ალ-მატარიასთან (იგივე ჰელიოპოლისი), კლებერმა დაამარცხა ოსმალები, რომელთაც სირიისაკენ დაიხიეს. ამ ვითარებაში კაიროში დაიწყო მეორე აჯანყება, რაც დაემთხვა ეგვიპტეში ოსმალეთის არმიის და მამლუქთა რაზმების შესვლას, რომელთა მიზანი დაკარგული პოზიციების აღდგენა იყო (McGregor, 2006: 46).

კაიროს მეორე აჯანყებაში, ოსმალების გარდა, მამლუქებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. „საერთო მიზანმა გააერთიანა ოსმალები, მამლუქები და კაიროს მოსახლეობის დიდი ნაწილი.“ რა თქმა უნდა, ოსმალთა ხელისუფლების აღდგენა მამლუქთა ინტერესებში არ შედიოდა, „მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალთა ნომინალური ხელისუფლების აღდგენა მათთვის ამჯერად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ფრანგების რეჟიმი“ (ტიკაძე, 1999:131). ამ აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ბულაკის მოსახლეობა, რომელსაც მეზობელი სოფლები სურსათით ამარაგებდნენ. დასაწყისში აჯანყება წარმატებით ვითარდებოდა. რამდენიმე დღეში აჯანყებულებმა თითქმის მთელი კაირო დაიკავეს. მაგრამ ისინი მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლებით კმაყოფილდებოდნენ და შეტევისაგან თავს იკავებდნენ. ცოცხალ ძალასთან ერთად, აკლდათ იარაღი და იყო სურსათის ნაკლებობა, გაიზარდა

ფასები, სავაჭრო დუქნები დაიხურა და ქალაქში შიმშილმა დაისადგურა. კაიროში შექმნილი მდგომარეობა ძლიერ აღელვებდა კლებერს. გადაწყდა ქალაქისათვის შიმშილის ბლოკადა მოეწყოთ და ამით გაეტეხათ მოსახლეობის წინააღმდეგობა, რამაც ფრანგებისათვის სასურველი შედეგი გამოიღო. დაიწყო საზავო მოლაპარაკება ორივე მხარეს შორის. ამ სამშვიდობო პროცესს ტრადიციისამებრ ალ-აზჰარის უმაღლესი სასულიერო წოდება აწარმოებდა, რომელთაც სურდათ მოლაპარაკების სწრაფი დასრულება (სილაგაძე, 1984: 147; ал-Джабарти, 1962: 247; McGregor, 2006: 46-47).

1800 წლის 16 აპრილს ფრანგებმა ბულაკი დაიკავეს. ამის შემდეგ მთელი ძალები კაიროსაკენ მიმართეს. შტურმის დაწყებამდე კლებერმა მოლაპარაკება გამართა ნასიფ ფაშასთან და იბრაჰიმ ბეისთან. ოსმალები და მამლუქები უკვე დაინტერესებულები იყვნენ შეიარაღებული შეტაკებების შეწყვეტით და დათმობაზე წავიდნენ. ოსმალებს და მამლუქებს სამ დღეში უნდა დაეტოვებინათ კაირო. კლებერმა კი დამარცხებულ მოსახლეობას 10 მლნ. ფრანკის ოდენობის კონტრიბუცია დააკისრა. დაიბეგრა უძრავი ქონების, მიწების, ნაგებობათა მფლობელებიც. გადასახადი უმოკლეს დროში უნდა გადაეხადათ. ხაზინაში თანხის დროულად შესვლისათვის საგანგებოდ იყო გამოყოფილი გადასახადების ამკრეფი სადამსჯელო რაზმები.

1800 წლის 14 ივნისს კლებერი მოკლა თურქების მიერ მიგზავნილმა მუსლიმმა ტერორისტმა, სირიელმა სტუდენტმა სულაიმან ალ-ჰალაბიმ. საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ დადგენილებით ჯერ ჰალაბის მარჯვენა ხელი დაუწვეს, შემდეგ კი, სარზე წამოაცვეს და დატოვეს კაიროს მოედანზე. ოთხ მუსლიმ შეიხს, რომლებიც დანაშაულის თანამონაწილენი იყვნენ, თავი მოკვეთეს. კლებერის მკვლელობას ფრანგებმა კაიროს განადგურებით უპასუხეს.

1801 წლის მარტში ინგლისელებმა გადმოსხეს ეგვიპტეში 20 ათასიანი დესანტი, დაიკავეს აბუკირი, გაანადგურეს ფრანგული არმიის ძირითადი ძალები და ალყა შემოარტყეს ალექსანდრიასა და კაიროში დარჩენილ ფრანგულ არმიას. იმავდროულად მათ გადმოსხეს კუსაირში (მეწამულ ზღვაზე) 6 ათასიანი რაზმი, რომელიც უნდა დაძრულიყო კაიროსაკენ. მთელი ფრანგული ძალების გაერთიანების ნაცვლად, ფრანგული არმიის ახალმა მთავარსარდალმა ჟაკ მენუმ (მან ისლამი მიიღო, რათა მუსლიმ ქალზე ექორწინა და დაირქვა აბდალაჰ ჟაკი) გაანაწილა ის რამდენიმე პუნქტში. ალყაშემორტყმულ გარნიზონებში გავრცელდა შავი ჭირი. 1801 წლის 27 ივნისს კაიროს ფრანგული გარნიზონი ჩაბარდა ინგლისელებს, ხოლო 31 აგვისტოს, 4 თვიანი ალყის შემდეგ, დანებდა ალექსანდრიაც, სადაც იმყოფებოდა ჟაკ მენუ. სექტემბრის ბოლოს, საფრანგეთის ექსპედიციის ნარჩენები სამშობლოში დააბრუნეს. ამით დამთავრდა ნაპოლეონის ექსპედიცია. 1801 წლის 9 ოქტომბერს საფრანგეთმა ხელი მოაწერა ოსმალეთთან ზავს (McGregor, 2006: 48-50; Fedorak, 1993: 525-534).

საფრანგეთის ექსპედიციის კრახი შემდეგმა სამხედრო მიზეზებმა განაპირობა: ეპიდემია საფრანგეთის არმიაში და განხეთქილება სამხედრო ხელმძღვანელობაში; ინგლისის ფლოტის ბატონობა იმ გზაზე, რომლის საშუალებითაც ეგვიპტეში მყოფ ფრანგულ არმიას იარაღი და სურსათი მიეწოდებოდა; ინგლისის ჯარის, ოსმალეთის სულტნის და მამლუქთა რაზმების წარმატებული და შეთანხმებული მოქმედება; ეგვიპტელი ფელაჰების და ქალაქის სხვა დაბალი ფენების წარმომადგენელთა შეუწყვეტელი გამოსვლები, რამაც ხელი შეუშალა ფრანგთა ბრძოლას მოკავშირეთა წინააღმდეგ (Тума, 1977: 17; Rose, 1929: 57-58).

1802 წლის 25 მარტს დადებული ამიენის საზავო ხელშეკრულებით (22 მუხლი), ინგლისი და საფრანგეთი აღიარებდნენ ოსმალეთის სამფლობელოებს ომამდელ საზღვრებში. 1802 წლის 13 მაისს ოსმალეთი შეუერთდა ამ შეთანხმებას და 25 ივნისს ხელი მოაწერა საფრანგეთთან საზავო ხელშეკრულებას. შესაბამისად, ეგვიპტე ფორმალურად დარჩა ოსმალეთის იმპერიის იურისდიქციაში. ეგვიპტეში განლაგდა სამი სამხედრო კონტიგენტი – ოსმალეთის არმია, ინგლისის კორპუსი და მამლუქთა ნაწილები, რომელთა შორისაც რთული და წინააღმდეგობრივი ურთიერთობა არსებობდა.

ნაპოლეონის ექსპედიციის შედეგები:

– ნაპოლეონ ბონაპარტეს საექსპედიციო კორპუსმა 1798 წელს დაამყარა ფრანგთა კოლონიური ბატონობა ეგვიპტეზე, რომელიც 3 წელი გაგრძელდა, მაგრამ იმდენად ღრმა კვალი დატოვა ეგვიპტის საზოგადოებაზე, რომ ეს პერიოდი გახდა ათვლის წერტილი ქვეყნის შემდგომი ისტორიისათვის.

– საფრანგეთისათვის ეგვიპტის ექსპედიციის პოლიტიკური შედეგი ნულის ტოლი იყო. თუმცა ამ ექსპედიციის დროს ნათლად გამოჩნდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სამხედრო, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული უპირატესობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან შედარებით.

– ფრანგებისათვის დადებითი შედეგი იყო სამეცნიერო ექსპედიციის (151 წევრი – აღმოსავლეთმცოდნეები, გეოგრაფები, გეოლოგები, არქეოლოგები, ზოოლოგები, ექიმები, ქიმიკოსები, მათემატი-

კოსები, ლინგვისტები) მიღწევები: მათ არა მხოლოდ გადაჭრეს პრაქტიკული სამხედრო საკითხები და შეადგინეს სამხედრო ოპერაციის რუკები, არამედ მათი მუშაობის ძირითადი შედეგი იყო 20 ტომიანი „ეგვიპტის აღწერის“ (*Description de L'Egypte*) გამოცემა, რომელშიც შეკრებილია მნიშვნელოვანი მასალა ქვეყნის შესახებ – მატერიალური კულტურის ძეგლები, ირიგაცია, მიწათმოქმედება და ხელოსნობა, მოსახლეობის ყოფა და წეს-ჩვეულებები, სახელმწიფო ფინანსები და სხვ. (Gillispie,1989: 447-474).

– შეირყა მამლუქთა ორგანიზაციის საფუძვლები. საფრანგეთის ექსპედიციამ გაწყვიტა კავშირი ეგვიპტის ადგილობრივ მოსახლეობასა და მამლუქებს შორის.

– ეგვიპტე გამოვიდა საუკუნეობრივი კულტურული სტაგნაციიდან. შეიცვალა საზოგადოების სულიერი ღირებულებები. თუ ადრე ადამიანთა ინტერესების სფერო შემოსაზღვრული იყო, ახლა ეგვიპტელები თავს თვლიდნენ დიდი სამყაროს ნაწილად. დასავლეთის მიღწევებისა (მაგ., ბეჭდური მედია) და დასავლური იდეების (მაგ., ლიბერალიზმის) გავრცელებას შედეგად მოჰყვა ეგვიპტის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა და რეფორმაცია მუჰამად ალი ფაშას დროს XIXს-ის პირველ ნახევარში და ნაჰდა – არაბული რენესანსი.

– „ნაწილობრივ ამ ექსპედიციის შედეგია უფრო რეგულარული ურთიერთობის დამყარება დასავლეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის. თუმცა, ამ ეტაპზე ეს იყო ახლო აღმოსავლეთის, როგორც „პერიფერიის“ და დასავლეთის, როგორც „ცენტრის“ ურთიერთობა, რომელშიც ეკონომიკური, პოლიტიკური და სამეცნიერო თვალსაზრისით „ცენტრი“ აშკარად დომინირებდა. 1798-1914 წლებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონის დიდი ნაწილი იქცა ინლისისა და საფრანგეთის პოლიტიკურ ქიშპის ობიექტად“ (Sluglett,1996:234).

– „ნაპოლეონის ეპოქა, ისტორიული მასშტაბით, მოკლე იყო, მაგრამ ამის მიუხედავად დაუტოვა ევროპას დიდი მემკვიდრეობა: სამოქალაქო კოდექსსა და ლიბერალიზმის იდეებთან ერთად, ის მოიცავს ეგვიპტოლოგიას, რომელიც დასაბამს სწორედ ეგვიპტის ექსპედიციიდან იღებს. ეგვიპტელებს მან დაუტოვა მემკვიდრეობით აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია რევოლუციური იდეალებისა და ისლამის თანაარსებობა – სწორედ მათი შერწყმით წარმოიშვა მოგვიანებით ეგვიპტეში პირველი მასონური ლოჟები“ (Cardini, 2001: 199).

მუჰამად ალის მმართველობა. ქვეყნის მოდერნიზაცია

საფრანგეთის რევოლუციამ და ფრანგული დირექტორიის მიერ 1798-1801წწ. ორგანიზებულმა ექსპედიციამ ეგვიპტეში ბიძგი მისცა ძირეული რეფორმების გატარებას ქვეყანაში. ამ მხრივ განუზომელია, მუჰამად ალის როლი, რომელსაც უწოდებენ „თანამედროვე ეგვიპტის ფუძემდებელს“ (Dodwell: 1931).

> მუჰამად ალი დაიბადა ალბანურ ოჯახში 1769 წელს მაკედონიის საპორტო ქალაქ კავალაში (თანამედროვე საბერძნეთი). მისი მშობლიური ენა თურქული იყო. ბავშვობაში მას არ უსწავლია წერა-კითხვა და მის მიერ მოგვიანებით პატივისცემის გამოხატვა ცოდნისა და ევროპული კულტურისადმი იყო შედეგი არა იმ განათლების, რომელიც მან მიიღო, არამედ ინსტინქტის და ბუნებრივი ნიჭისა. ის იყო თურქული არმიის ალბანური რაზმის შემადგენლობაში, რომელიც გამოგზავნილ იქნა ეგვიპტეში 1801 წელს ნაპოლეონის ექსპედიციის წინააღმდეგ. 1805 წელს მუჰამად ალი გახდა ეგვიპტის მმართველი. სიმამაცემ, სიბრძნემ, პატივმოყვარეობამ, აგრეთვე დიპლომატიის, სამხედრო მეთაურისა და სახელმწიფო მოღვაწის ტალანტმა, შესაძლებლობა მისცა მას არა მარტო ხელისუფლების მწვერვალზე ასულიყო, არამედ გამხდარიყო დიდი რეფორმატორი და დაეარსებინა საკუთარი დინასტია, რომელიც ეგვიპტეს მართავდა დაახლ. 150 წელი (Зеленев, 1999: 212-213; Rogan, 2009: 66).

მუჰამად ალის მმართველობის (1805-1848) დასაწყისში ქვეყანა ღრმა კრიზისში იმყოფებოდა. ფორმალურად, ეგვიპტე რჩებოდა ოსმალეთის იმპერიიის ვილაიეთად (პროვინციად), რომელზეც ბატონობისათვის იბრძოდნენ მამლუქი ბეები. მამლუქთა გამდიდრება ხდებოდა ეგვიპტის მოსახლეობის რესურსების, გლეხებისა და მოქალაქეების ექსპლუატაციის ხარჯზე. ზოგიერთ რაიონებში გლეხები წყვეტდნენ მიწის დამუშავებას. შიმშილი გახდა მასობრივი მოვლენა, მოსახლეობის რაოდენობა 1600 წლიდან 1800 წლამდე ორჯერ შემცირდა.

> 1805-1811 წლებში მუჰამად ალი ბრძოლას აწარმოებდა მამლუქებთან. 1804 წელს ეგვიპტეში დაბრუნდა ინგლისელთა მოკავშირე მამლუქი ბეი – მუჰამად ალ-ალფი, რომლის წინააღმდეგაც გამოვიდა ფრანგთა მოკავშირე ოსმან ბარდისი. მუჰამად ალიმ თავის სასარგებლოდ გამოიყენა მამლუქებს შორის დაპირისპირება, მხარი დაუჭირა ოსმან ალ-ბარდისის და კაიროს მოსახლეობის ძირითადი ნაწი-

ლის დახმარებით გაანადგურა მუჰამად ალ-ალფი. ეს უკანასკნელი 1806 წლის ბოლოს გარდაიცვალა საიდუმლო ვითარებაში, შესაძლოა მოწამლეს. მალე იგივე ბედი ეწია ოსმან ბარდისის. ამას მოჰყვა მამლუქთა პოზიციების შესუსტება, თუმცა ისინი ბრძოლას აგრძელებდნენ მუჰამად ალის წინააღმდეგ. 1807 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომის დროს ოსმალეთი იბრძოდა საფრანგეთის მხარეზე. შექმნილ ვითარებაში მუჰამად ალი გარკვეულ დათმობებზე წავიდა მამლუქებთან და დაუზავდა მათ. მამლუქებმა შეინარჩუნეს ძალაუფლება ზემო ეგვიპტეში. 1808 წელს აგრარული რეფორმის გატარებამ (ილთიზამების კონფისკაცია, ფაიზის შემცირება და სხვა ღონისძიებები) გამოიწვია მამლუქთა უკმაყოფილება, რომლებიც ორჯერ – 1809 და 1810წწ. აჯანყდნენ მუჰამად ალის წინააღმდეგ. მამლუქთა ნაწილი გაიქცა სუდანში, ნაწილმა კი ცნო მუჰამად ალის ხელისუფლება და დარჩა ეგვიპტეში. თუმცა, მათ ახალი აჯანყებებისათვის დაიწყეს მზადება, რათა დაებრუნებინათ დაკარგული ძალაუფლება. მუჰამად ალიმ გადაწყვიტა მამლუქთა საბოლოო განადგურება და 1811 წლის 1 მარტს, ვაჰაბიტების წინააღმდეგ ექსპედიციის დაწყებამდე, მოაწყო სამხედრო აღლუმი კაიროში. მასში, სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად მონაწილეობდა 500 მამლუქი (მათ შორის 24 მამლუქი ბეი). ეგვიპტის არმია შეიკრიბა კაიროს ციტადელში, საიდანაც ისინი დაიძრნენ ქალაქისაკენ. როდესაც არმიის ძირითადი ნაწილი გავიდა ციტადელიდან, ალბანელებმა ჩაკეტეს მისი ჭიშკარი და მთლიანად ამოხოცეს მამლუქები. ამის შემდეგ დაიწყო მამლუქთა სახლების ჩხრეკა კაიროში, პროვინციებში, ზემო ეგვიპტეში – მუჰამად ალის ჯარისკაცები ყველგან თავდასხმას აწყობდნენ მამლუქებზე. გადარჩა მამლუქთა მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელთაც სუდანს შეაფარეს თავი.

რა იყო მუჰამად ალის რეფორმების ხელშემწყობი მიზეზები? ამაში დიდი როლი შეასრულა რამდენიმე გარემოებამ: 1. მუჰამად ალის სურდა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა და გაემყარებინა თავისი სამხედრო დასაყრდენი, რის გამოც მან გაატარა სამხედრო რეფორმა; 2. მას არ შეიძლებოდა რეაგირება არ მოეხდინა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, სადაც იზრდებოდა მისწრაფება ოსმალთა უღლისაგან განთავისუფლებისაკენ, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის პოლიტიკაში; 3. მისთვის ცნობილი იყო ნაპოლეონის მრავალმხრივი და კონკრეტული გეგმები ეგვიპტის გარდაქმნისათვის. მუჰამად ალიმ, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ თუ სხვა მოსაზრებებით, დაიწყო რეფორმები.

ეგვიპტის ფაშამ (მმართველის ტიტული), თავის ხელში გააერთიანა აბსოლუტური ხელისუფლება სახელმწიფოში, მხარს უჭერდა გავლენიან რელიგიურ ლიდერებს და სხვადასხვა საშუალებებით ადგილობრივი ფეოდალებისა და კონსტანტინოპოლის ნეიტრალიზებას ახდენდა. რეფორმატორთა უმრავლესობის მსგავსად, მუჰამად ალი წყვეტდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიმდინარე კონკრეტულ ამოცანებს და განამტკიცებდა თავის ხელისუფლებას. რეფორმების გატარებაში მას ეწინააღმდეგებოდნენ მამლუქთა რაზმები, მსხვილი მიწათმფლობელები, ისლამური უნივერსიტეტის – ალ-აზჰარის ოპოზიციურად განწყობილი შეიხები.

მუჰამად ალიმ დაიწყო ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმები, რომელთა ნაწილს შეიძლება მოდერნისტული ეწოდოს. ძირეული რეფორმებისათვის საჭირო იყო სახსრები. ეგვიპტის ხაზინა კი, როგორც ახლო აღმოსავლეთის ნებისმიერი ქვეყნისა იმ დროს, ცარიელი იყო. 1811 წელს, მიწათმფლობელი მამლუქი ბეების განადგურების შემდეგ, მუჰამად ალის საკუთრებაში მიწის უზარმაზარი ფართობი აღმოჩნდა; შესაბამისად, გაჩნდა სახსრები რეფორმების დასაწყებად.

მუჰამად ალიმ გარდაქმნები დაიწყო აგრარული რეფორმით (1808-1815), რომელიც ეტაპობრივად განხორციელდა. თავდაპირველად ის შეეცადა დარტყმა მიეყენებინა მულთაზიმებისა[19] და მამლუქი მიწათმფლობელებისათვის. ალ-ჯაბართი წერდა, რომ სახელმწიფოს კონტროლქვეშ გადავიდა ვაჭრების, მემამულეებისა და ვაკფების მიწები. აგრარული რეფორმის შედეგად სახელმწიფოს ხელში გადასული მიწების ნაწილი განაწილდა სოფლის გლეხებს შორის – 3-5 ფედანი (1 ფედანი=0,42 ჰა) სრულწლოვან მუშახელზე. ფორმალურად, გლეხი ითვლებოდა თავისი ნაკვეთის მესაკუთრედ, თუმცა ვალდებული იყო გადაეხადა უფრო მაღალი რენტა – გადასახადი, რომელიც მიდიოდა ხაზინაში, ხოლო თავის პროდუქციას აბარებდა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფასში. ამის გარდა, წელიწადში 60 დღის განმავლობაში გლეხი ვალდებული იყო ემუშავა მემამულესთან ანაზღაურების გარეშე (Ал-Джабарти, 1962).

რეფორმის მომზადებას თან ახლდა სხვადასხვა სამართლებრივი ღონისძიებების გატარება – აღწერა იმ ილთიზამებისა, რომელთაგანაც აღარ შემოდიოდა გადასახადები სახელმწიფო ხაზინაში, მიწისმფლობელობის დოკუმენტების რეგისტრაცია, საჩივრების სასამართლო განხილვა და სხვ. 1813-1818წწ. უცხოელი სპეციალისტებისა და სოფლის შეიხების მონაწილეობით შედგენილ იქნა დამუშავებული მი-

19 1814 წელს მოხდა ილთიზამის სისტემის საბოლოო ლიკვიდაცია. მუჰამად ალის ბრძანებით, მათ ყოველწლიურად უხდიდნენ კომპენსაციას მიყენებული ზარალისათვის (Cuno, 1994: 103-120).

წების კადასტრები, შემოღებულ იქნა მიწების გაზომვის ერთიანი სისტემა, ადრინდელი მრავალრიცხოვანი გადასახადების ნაცვლად დადგინდა ერთიანი მიწის გადასახადი. ქვემო ეგვიპტეში, სადაც მიწაზე კერძო საკუთრების ტენდენციები აშკარა იყო, განისაზღვრა გადასახადი არა თემზე, როგორც ეგვიპტის დანარჩენ ტერიტორიაზე, არამედ თითოეულ მფლობელზე. გლეხებისათვის მიწისმფლობელობის უფლება კვლავ დამოკიდებული იყო გადასახადის გადახდაზე და გლეხს უფლება არ ჰქონდა დაეტოვებინა სოფელი. მიწები, რომლებიც არ შევიდა კადასტრში – მრავალრიცხოვანი მიტოვებული სოფლები, საერთო სავარგულების ნაწილი, ურწყავი ტერიტორიები – სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა.

აგრარული რეფორმის რევოლუციური მნიშვნელობა უეჭველია, მაგრამ ნათელია აგრეთვე, რომ ის ნაადრევი აღმოჩნდა ეგვიპტის საზოგადოებისათვის. გასაკვირი არ არის, რომ 1829 წლის 1 დეკემბრიდან მუჰამად ალიმ დაიწყო თავისი ოჯახის წევრების (თითოეულს – 5-10 ათასი ფედანი), თავისი ოფიცრებისა და უმაღლესი მოხელეების (თითოეულს – 1000 ფედანი), ბედუინთა ტომის ბელადების (თითოეულს – 500 ფედანი), ადგილობრივი დიდებულებისათვის (50-100 ფედანი) მიწების დარიგება, მასზე მიბმულ გლეხებთან ერთად (Зеленев, 2003: 124-126; Cuno, 1994: 147-149). საკუთარი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, მუჰამად ალი სწორად მოიქცა. მან შექმნა ძლიერი სოციალური ბაზა თავისი ხელისუფლებისა და დინასტიისათვის, მაგრამ სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს იყო ეგვიპტის საზოგადოების უკანდახევა. რეფორმამ არ მოსპო ფეოდალური წყობა ეგვიპტის სოფელში, მხოლოდ სახე შეუცვალა მას.

მუჰამად ალი

ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას საექსპორტო კულტურების წარმოების საფუძველზე. დიდად განვითარდა ბრინჯისა და ტექნიკური კულტურების – ბამბა, ინდიგო, მოყვანა. ბამბის წარმოების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1821 წელს ფრანგი ჟიუმელის მიერ ბამბის ახალი, მაღალხარისხიანი ჯიშის გამოყვანამ, რომელმაც მაშინვე დაიპყრო გასაღების ბაზრები ევროპაში. გაიზარდა სხვა საექსპორტო კულტურის – შაქრის ლერწმის წარმოებაც, რომელზეც დიდი მოთხოვნა იყო ევროპულ ბაზარზე. იმავდროულად პურის საექსპორტო ვაჭრობა გახდა სახელმწიფოს მონოპოლია და გარკვეული შემოსავლებით შესაძლებელი გახდა გარდაქმნები სხვადასხვა სფეროში (Ayubi, 1980: 102; Hunter, 1999: 30-32; Richards, 1975: 37-39).

განხორციელდა აგრეთვე საირიგაციო სამუშაოების ფართო პროგრამა. აღადგენდნენ ძველს და შენდებოდა ახალი სარწყავი არხები. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სარწყავი არხის პროექტი ქ. ალექსანდრიიდან ნილოსამდე (სიგრძე 72 კმ), რომლის მშენებლობაც 1817 წლის აპრილში დაიწყო და 1820 წელს დასრულდა. ამ არხს ეწოდა *მაჰმუდიეა*, სულტან მაჰმუდ II-ის საპატივსაცემოდ. ამ ღონისძიებების შედეგად, 1820-იან წლებში სარწყავი მიწების ფართობი გაიზარდა 2-დან 3,1 მლნ ფედანამდე (Fahmy, 2008: 152). სარწყავ მიწებზე, სადაც მოჰყავდათ საექსპორტო კულტურები, ბამბა და შაქრის ლერწამი, ფელაჰები მუშაობდნენ წელიწადში არანაკლებ 250 დღის განმავლობაში (Rivlin, 1961: 137).

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას – ეროვნული მრეწველობის შექმნას. აშენდა ტექსტილის ფაბრიკები, შაქრის და ზეთსახდელი ქარხნები, სადაც გამოიყენებოდა მანქანები და ათეულობით მუშის შრომა – 1830 წლისათვის ინდუსტრიულ საწარმოებში დასაქმებული იყო 30,000-დან 40,000-მდე ეგვიპტელი მუშა (Cleveland, 2009: 70).

გადატრიალებამ სამეურნეო ცხოვრებაში ვერ იმოქმედა საწარმოო ურთიერთობების ხასიათზე: 1816-1820 წლებში ჩამოყალიბდა მონოპოლიების სისტემა. ყველა სამრეწველო საწარმო ეკუთვნოდა ხაზინას და მას აკონტროლებდა მუჰამად ალის მიერ ჩამოყალიბებული მმართველი დინასტია. სამრეწველო საწარმოების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო კერძო პირების ხელში. მისი აბსოლუტური ძალაუფლება ვრცელდებოდა არა მხოლოდ აგრარულ და სამრეწველო სფეროზე, არამედ ვაჭრობაზეც. მზა პროდუქცია მეწარმეს უნდა მიეყიდა სახელმწიფოსათვის ოფიციალურ სახელმწიფო ფასში (Cleveland, 2009: 70). შემოღებულ იქნა „სახელმწიფო შეკვეთა“ სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური წარმოების განსაზღვრულ სახეებზე (კანაფი, ქსოვილები, თავსაფრები, გვარჯილა, საპონი, სოდა, შაქარი და სხვ.): გლეხი ღებულობდა მითითებას – რა სასოფლო-სამეურნეო კულტურა უნდა დაეთესა, რა ოდენობით და რა ფასში უნდა მიეყიდა სახელმწიფოსათვის; უფრო მკაცრი რეგლამენტაცია არსებობდა სახელმ-

წიფო მანუფაქტურებზე. ეგვიპტეში მრეწველობის განვითარება განამტკიცებდა ფეოდალურ წყობას და აძლიერებდა მმართველის აბსოლუტურ ხელისუფლებას. 1950 წლამდე სახელმწიფო მონოპოლიის განსაკუთრებული სახე იყო მონათვაჭრობა, რომელსაც ეგვიპტის ხაზინისათვის დიდი მოგება მოჰქონდა (Зеленев, 2003: 127-128; Cuno, 1994: 121-146).

მუჰამად ალი, რომელიც შიდა მმართველობის საქმეებს თავის თანამემამულეებს უნაწილებდა, ფართოდ იზიდავდა ევროპელ სპეციალისტებს სხვადასხვა სფეროში. მაგ., ალექსანდრიაში გემთსაშენები დაარსებული იყო ფრანგებისა და იტალიელების ხელმძღვანელობით, ხოლო იარაღის სახელოსნოები და ლითონის სამსხმელოები უახლესი კონსტრუქციის ზარბაზნებისათვის ასევე ფრანგების დახმარებით აიგო.

რეგულარული არმიის შექმნა მუჰამად ალიმ დაიწყო ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე. თავდაპირველად მუჰამად ალის დასაყრდენს წარმოადგენდა ალბანელთა და აფრიკელთა რაზმები. 1816 წლიდან მან დაიწყო არმიის დაკომპლექტება ეგვიპტელი ფელაჰებით. ამავე წელს მან დააარსა სკოლა ალ-კალააში 80 მოსწავლისათვის, სადაც მათ ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს, მათემატიკას და იტალიურ ენას. 1820 წელს მუჰამად ალიმ გადაიტანა ეს სკოლა ასუანში, ქვეყნის სამხრეთით. სწავლების ენა იყო თურქული, რადგანაც მოსწავლეები იყვნენ ძირითადად მამლუქთა შვილები – კავკასიიდან, ალბანეთიდან და სომხეთიდან. მუჰამად ალის აზრით, მათ უკეთ შეეძლოთ დაუფლებოდნენ სამხედრო ხელოვნებას, ვიდრე ეგვიპტელებს. ამის პარალელურად ფაშამ დააარსა სამხედრო სკოლები მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებლად: ქვეითთა სკოლა დამიეტაში, კავალერიის – გიზაში, საარტილერიო – ტურში. 1826 წელს კი დაფუძნდა გენერალური შტაბის აკადემია. არმიის მთელი რეორგანიზაცია მიმდინარეობდა ნაპოლეონის მოდელის საფუძველზე. არაბულ ენაზე ითარგმნა ფრანგული სამხედრო წესდებები. მუჰამად ალი ცდილობდა თავისი ჯარისკაცების შეიარაღებას თანამედროვე იარაღით, მათ შორის პირველი კლასის არტილერიით. თავდაპირველად იარაღს მთლიანად იძენდნენ ევროპაში, ხოლო შემდეგ თვითონ ეგვიპტეშიც დაიწყო იარაღის ცალკეული მოდელების დამზადება. 1833 წ. არმია ითვლიდა 220 ათას ჯარისკაცს და ოფიცერს (ზოგიერთი ავტორის ცნობით – 130,000-ს. – Cleveland, 2009: 68) და გადაიქცა უდიდეს სამხედრო ძალად რეგიონში. მუჰამად ალიმ გადაწყვიტა შეექმნა ეროვნული ფლოტიც. 1829 წელს ალექსანდრიაში დაიწყო დიდი გემთსაშენის მშენებლობა და 1831 წლის იანვარში წყალში იქნა ჩაშვებული პირველი 100 ზარბაზნიანი გემი, აიგო აგრეთვე რამდენიმე ახალი ციხესიმაგრე (Луцкий, 1965: 50; Cleveland, 2009: 66-68).

არმიის რეორგანიზაცია მოითხოვდა ახალი ფაბრიკებისა და მანუფაქტურების შექმნას. ალექსანდრიის გემთსაშენთან გაიხსნა ლითონის სამსხმელო საამქროები, სამჭედლოები, საზეინკლო სახელოსნოები და საიალქნე ტილოების მანუფაქტურები. ახალი ფაბრიკები აიგო კაიროსა და როზეტში. ამის გარდა, აშენდა თუჯსასხმელი ქარხანა (წლიური წარმადობა – 2 ათასი ტონა თუჯი), იარაღის სამი ქარხანა, გვარჯილის და დენთის ქარხნები. არმიისა და ფლოტის საჭიროებებისათვის აშენდა ბამბეულის, სელის და მაუდის ფაბრიკები, ბაგირის ქარხნები და ფესის ფაბრიკები. თუმცა ისინი არ იყო ფაბრიკები ევროპული გაგებით. მათზე მიმაგრებული მუშები ცხოვრობდნენ ყაზარმებში და იღებდნენ ყველაზე დაბალ ანაზღაურებას. 1840 წლისათვის სამრეწველო საწარმოებში დაახლ. 35 ათასი მუშა მუშაობდა.

სამხედრო რეფორმის წარმატებით ჩატარებამ მუჰამად ალის საშუალება მისცა განემტკიცებინა თავისი დამოუკიდებლობა კონსტანტინოპოლთან ურთიერთობაში და დაეწყო ტერიტორიული დაპყრობები (არაბეთის ნ.კ.-ზე, სუდანში, პალესტინაში, სირიაში, კუნძულ კრეტაზე).

ძირეულად შეიცვალა ადმინისტრაციული სისტემაც. მუჰამად ალიმ შექმნა ახალი, ევროპული მოდელის ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატი. ჩამოყალიბდა დივანების (სამმართველო) სისტემა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. ამ ორგანოებს სხვადასხვა ფუნქციები დაეკისრათ: *სამხედრო დივანი* ხელმძღვანელობდა არმიასა და ფლოტს, *საფინანსო დივანი* კრეფდა გადასახადებს, *ვაჭრობის დივანი* აკონტროლებდა სავაჭრო საქმიანობას (მას ეკუთვნოდა აგრეთვე საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაც), *განათლების სამმართველო* აარსებდა სკოლებს და აგზავნიდა სტუდენტებს საზღვარგარეთ, რათა დაუფლებოდნენ ევროპულ მეცნიერებებს. შეიქმნა აგრეთვე საგარეო და შინაგან საქმეთა სამმართველოები.

ყველაზე გავლენიანი ადმინისტრაციული ორგანო ქვეყანაში გახდა მმართველთან არსებული *ადმინისტრაციული საბჭო*, რომელიც შეიქმნა 1838 წელს. ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მმართველი იღებდა ამ საბჭოსთან ერთად და ფორმდებოდა ბრძანებებისა და განკარგულებების სახით. საბჭოს ძირითადი ამოცანა იყო ქვეყანაში კონტროლი კანონიერების დაცვაზე და სამთავრობო გადაწყვეტილებების შესრულებაზე. საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა მოემზადებინა და წარედგინა მუ-

ჰამად ალისათვის რეგულარული ანგარიშები სხვადასხვა სფეროში, ეწარმოებინა დიპლომატიური მიმოწერა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, აგრეთვე სტამბულთან. ადმინისტრაციული საბჭო შედგებოდა ორი – არაბული და თურქული პალატისაგან, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ყველა დოკუმენტისა და მასალის შესაბამის ენაზე დროულ თარგმანზე. 1829 **წლის აგვისტოში მუჰამად ალიმ ჩამოაყალიბა** აგრეთვე *საკონსულტაციო საბჭო* (*მაჯლის აშ-შურა*). საბჭოში შედიოდა **33 უმაღლესი წარ**ჩინებული, დივანებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელები, რელიგიური მოღვაწეები, მუფთიები, დიდი სუფიური გაერთიანებების ხელმძღვანელები. თუმცა ეს ორგანო ასრულებდა მხოლოდ სათათბირო ფუნქციებს. 1837 წელს მუჰამად ალის ბრძანებით შეიქმნა ადმინისტრაციულ კანონთა კოდექსი სახელწოდებით *კანუნ ას-სიასათ-ნამე*. ამ კოდექსის შექმნის საფუძველი გახდა ეგვიპტის მძიმე ფინანსური ვითარება, რაც გამოიწვია მსოფლიო ფასების დაცემამ ბამბაზე – ეგვიპტის უმნიშვნელოვანეს საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე. ამ ადმინისტრაციული კოდექსის ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 1900 წელს (Зеленев, 2003: 133-135; Marsot, 1984:102; Hunter, 1999:17-30).

მუჰამად ალის დროს ეგვიპტეში ჩატარდა ადმინისტრაციული რეფორმა და ქვეყანა დაიყო **7 პრო**ვინციად (*მუდირიჲჲა*), რომელთა სათავეში იდგნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის მმართველები – *მუდირები*. მათ მოვალეობებში შედიოდა გადასახადების აკრეფა, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, სახელმწიფო საწარმოების მართვა, ახალი მიწების ათვისება და სხვადასხვა სახის სამეურნეო ფუნქციების შესრულება.

განხორციელდა რეფორმა განათლების სფეროშიც, სადაც მუჰამად ალიმ გამოიყენა ორი ძირითადი მეთოდი: სტუდენტების გაგზავნა ევროპაში და სპეციალური სკოლების დაარსება ეგვიპტეში. 1809 წლიდან მან დაიწყო ახალგაზრდების გაგზავნა სასწავლებლად იტალიის ქალაქებში (ლივორნო, მილანი, ფლორენცია, რომი), რათა ისინი დაუფლებოდნენ სამხედრო ხელოვნებას, გემთმშენებლობას, ბეჭდვით საქმეს. მოგვიანებით მან გაგზავნა ასეთივე სასწავლო ჯგუფები საფრანგეთში, რომელთაგან ყველაზე ცნობილი იყო **1826 წლის მისია – საფრანგეთში გაგზავნილმა 44 ახალგაზრდამ (ეგვიპ**ტელები, თურქები, ჩერქეზები, ბერძნები, ქართველები[20] და სომხები) ორწლიანი სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მიიღო სამუშაო ადგილი ეგვიპტის ადმინისტრაციულ აპარატში, დიპლომატიურ კორპუსში, არმიაში, ფლოტში, სოფლის მეურნეობაში, და სხვ. მუჰამად ალი თავად აკონტროლებდა ევროპაში სასწავლო მისიით სტუდენტთა ჯგუფების გაგზავნას და ამ პროცესში ჩართული იყვნენ ალ-აზჰარის შეიხებიც (Rogan, 2009: 85; Silvera, 2005:122).

ეგვიპტელი მწერალი და განმანათლებელი რიფაა ატ-ტაჰტავი (**1801-1873) იყო ერთ-ერთი პირ**ველი, ვინც გაგზავნილ იქნა სასწავლებლად პარიზში. ტრადიციული ისლამური უნივერსიტეტის, ალ-აზჰარის დასრულების შემდეგ, ის ექვსი წლის მანძილზე სწავლობდა პარიზში, სადაც შეისწავლა ფრანგული პოლიტიკური აზროვნების უმთავრესი შრომები. ეგვიპტეში დაბრუნების შემდეგ (1831) მან დაარწმუნა მუჰამად ალი დაეარსებინა ენების სკოლა (1835), რომლის დირექტორიც ის იყო 15 წლის განმავლობაში. სკოლაში დაახლოებით 2000 წიგნი ითარგმნა ევროპული ენებიდან არაბულად. თვითონ ატ-ტაჰტავიმ თარგმნა 20 ფრანგული გეოგრაფიული, ისტორიული და სამეცნიერო ნაშრომი.

ალი მუბარაქი (**1823-1893) – გაგზავნილ იქნა პარიზში 1844 წელს კაიროს საინჟინრო სკოლი**დან. მან **2 წელი დაჰყო პარიზში და შემდეგ გადავიდა მეცის საარტილერიო ოფიცრებისა და სამხედ**რო ინჟინრების სკოლაში. ის 1849 წელს დაბრუნდა ეგვიპტეში და დაინიშნა საარტილერიო სკოლის ინსტრუქტორად. ერთი წლის შემდეგ კი გახდა სახელმწიფო სკოლების სისტემის დირექტორი. ალი მუბარაქი პირველი ეგვიპტელი მუსლიმი იყო, რომელმაც მიიღო ასეთი მაღალი რანგის თანამდებობა. ეს იყო მისი კარიერის დასაწყისი საჯარო სამსახურში. მას ეკავა განათლების, საზოგადოებრივი სამუშაოების და რკინიგზის მინისტრის თანამდებობები. ალი მუბარაქმა სახელი გაითქვა ეგვიპტის ფუნდამენტური (20 ტომიანი) ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერით, სუეცის არხის გახსნასთან (1869წ. ნოემბერი) დაკავშირებული ზეიმის ორგანიზაციით და ეროვნული ბიბლიოთეკის დაფუძნებით (1870) (Cleveland, 2009: 93; Rogan, 2009: 85-88; Cole, 1999: 123-138).

20 ქართველმა მკვლევარმა გ. ჯაფარიძემ საგანგებო სტატია მიუძღვნა ბედს ქართველი სტუდენტებისა, რომლებიც მონათვაჭრობის შედეგად მოხვდნენ ეგვიპტეში და ეგვიპტის გამგებელმა მუჰამად ალი ფაშამ XIX ს. **20-იან წლებში საფრანგეთში გაგზავნა სასწავლებლად. მათ შორის იყო იოსებ წილოსანი, რომელმაც მო**ახერხა უკან, სამშობლოში დაბრუნება. გ. ჯაფარიძემ შეისწავლა არაბულ წყაროებში დაცული ცნობები ამ პიროვნებისა და მისი სამი თანამემამულის შესახებ (Djaparidze, 2004 : 53-58).

ეგვიპტელი სტუდენტები გაგზავნეს აგრეთვე ინგლისსა და ავსტრიაში ტექნიკური მეცნიერებების და ზღვაოსნობის შესასწავლად. პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაარსდა 1827 წელს – სამხედრო-სამედიცინო სასწავლებელი *აბუ ზაბალი*, რომელიც განთავსებული იყო საავადმყოფოში. მისი დირექტორი იყო ფრანგი ექიმი კლოდ ბეი,[21] რომელსაც დაევალა საერთო კონტროლი ჯანდაცვაზე და სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობაზე ეგვიპტეში. 1832 წელს საავადმყოფოს შეუერთდა მედდების სკოლა. 1829 წელს მუჰამად ალიმ გახსნა სასოფლო-სამეურნეო, ფარმაცევტული და ვეტერინარული სკოლები. მომდევნო წელს, სახელმწიფო საგანმანათლებლო სტრუქტურის განვითარების მიზნით, მან დააარსა სახელოსნო და სამრეწველო სასწავლებლები. 1831 წელს გაიხსნა ქიმიკოსების მოსამზადებელი სკოლა, 1834 წელს კიდევ ერთი სამრეწველო სასწავლებელი. 1834 წელს დააარსა სასწავლებელი სახელმწიფო მოხელეებისათვის და ორი წლის შემდეგ სასწავლებელი გენერალური შტაბისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის იყო 1834 წელს გახსნილი *გიულჰენდისხანე* (საინჟინრო სასწავლებელი), რომელიც დაარსდა ფრანგული პოლიტექნიკური სკოლის მაგალითზე – ინჟინრების, მათემატიკის და სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინების მასწავლებელთა მოსამზადებლად საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის. მუჰამად ალის ბრძანებით ჩამოყალიბდა *მადრასათ ალ-ალსუნ* (უცხო ენების სკოლა), სადაც ამზადებდნენ თარჯიმნებს. მას ხელმძღვანელობდა რიფაა ალ-ტაჰტავი. ის 5-6 წელი აქ ასწავლიდა ფრანგულ ენას, მათემატიკას, ფიკჰ-ს (მუსლიმურ სამართალს) და სხვა დისციპლინებს. ეს სკოლა გახდა მთარგმნელობითი საქმიანობის მთავარი ცენტრი. 1822 წელს კაიროში შეიქმნა პირველი ტიპოგრაფია (წიგნები იბეჭდებოდა არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებზე (İhsanoğlu, 2002: 326; Heyworth-Dunne,1940: 325-349).

1830 წელს საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე დაწყებით განათლებას: მუჰამად ალიმ შეამცირა არსებული რელიგიური დაწყებითი სკოლების (*ქუთთაბ* – არაბ. სკოლა) როლი ტრადიციულ განათლებაში და შეუწყვიტა მათ დაფინანსება ვაკფების ხარჯზე. 3 წლის შემდეგ დედაქალაქსა და პროვინციებში გაიხსნა სახელმწიფო დაწყებითი სკოლები (არაბ. *მუბთადიიან*), რომელთა რიცხვი მომდევნო წლებში 50-მდე გაიზარდა. იქ იღებდნენ მოსწავლეებს 7 წლის ასაკიდან და ასწავლიდნენ არითმეტიკას, გეოგრაფიას და სხვა თანამედროვე სამეცნიერო დისციპლინებს ტრადიციულ რელიგიურ დისციპლინებთან ერთად.

1837 წელს მუჰამად ალიმ დააარსა *დივან ალ-მადარის* (სკოლების სამმართველო), რომელიც მთლიანად გამოეყო *დივან ალ-ჯიჰადიას* (ჯიჰადის სამმართველოს), რომელსაც ადრე ეს სკოლები ემორჩილებოდა. დივან ალ-მადარისი თავდაპირველად ხელმძღვანელობდა სკოლების მშენებლობას და ერთდროულად ყოველკვირეული არაბული გაზეთის (*ალ-ვაკა'ი'ალ-მისრიიია* – „ოფიციალური გაზეთი“) გამოშვებას (გამოცემა დაიწყო 1828 წელს).

დაფუძნდა საერო დაწყებითი და საშუალო სკოლები, კოლეჯის ტიპის 4 წლიანი სპეციალური სასწავლო დაწესებულებები – სამედიცინო, ვეტერინალური, ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, ლინგვისტური, მუსიკალური და რამდენიმე სამხედრო სასწავლებელი. სწავლა უფასო იყო, რადგან სახელმწიფოს ინტერესში შედიოდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. სტუდენტებს ეძლეოდათ სტიპენდია. სკოლებში ასწავლიდნენ როგორც არაბი, ისე სპეციალური მისიით მოწვეული უცხოელი პედაგოგები, რომელთა ხარჯებსა და კეთილმოწყობაზე სახელმწიფო ზრუნავდა. სპეციალურ სასწავლებლებში სწავლის ერთი წელი უტოლდებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურს, ხოლო მომდევნო სამი ან ოთხი წლის შემდეგ აძლევდნენ ოფიცრის წოდებას. არაბულ ენაზე ითარგმნებოდა სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ლიტერატურა, ქალაქების აღწერა, ევროპული ქვეყნების ყოფა და ისტორია (Зеленев, 1999: 229; Lewis, B., 1964: 39).

ევროპელთა დახმარებით შექმნილმა ჯანდაცვის სისტემამ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. ეგვიპტეში გაჩნდა საავადმყოფოები, ჰოსპიტლები, აფთიაქები, სამედიცინო სკოლები, ბოტანიკური ბაღი (Landen, 2006: 31-38).

ინგლისელ ეკონომისტ ჯონ ბოურინგთან საუბარში მუჰამად ალიმ განაცხადა: „ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მე და ჩემმა ხალხმა. ახლა მე ვაგზავნი ედჰემ ბეის 15 ახალგაზრდასთან ერთად ყველაფრის შესასწავლად, რისი სწავლაც შეუძლიათ მათ თქვენს ქვეყანაში. მათ უნდა დაინახონ თავისი თვალით, უნდა ისწავლონ შრომა თავისი ხელით, უნდა გაეცნონ თქვენს მანუფაქტურებს, შეეცადონ გაარ-

21 კლოდ ბეი (1793-1868) – ფრანგი ექიმი ქ. მარსელიდან. ის თანამშრომლობდა მუჰამად ალისთან, ეხმარებოდა მას აბუ ზაბალის საავადმყოფოს ორგანიზებასა და სახალხო განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში. მუჰამად ალის სიკვდილის შემდეგ ის დაბრუნდა სამშობლოში.

კვიონ, რითი და რატომ გვჯობიხართ თქვენ ჩვენ. როცა ისინი საკმაო დროს დაჰყოფენ თქვენს ხალხს შორის, დაბრუნდებიან შინ და ყველაფერს ასწავლიან ჩემს ხალხს“ (ციტ. Левин,1972: 19).

1836 წლის დასაწყისში მუჰამად ალიმ გამოსცა ბრძანება *სახელმწიფო საბჭოს* შექმნის შესახებ.[22] სახელმწიფო საბჭოს მისიას შეადგენდა შეემუშავებინა სკოლების საკითხის მოწესრიგების პროექტი. ამ პროექტის თანახმად, სასწავლებლები იყოფოდა სამ კატეგორიად: დაწყებით, მოსამზადებელ და სპეციალურ სკოლებად. დაწყებითი სკოლების მიზანს შეადგენდა ქვეყანაში განათლების გავრცელება და მოსწავლეთა მომზადება მომდევნო საფეხურის სკოლებში შესასვლელად. მოსამზადებელი სკოლები თავიანთ კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევდნენ განეგრძოთ სწავლა სპეციალურ სკოლებში, სადაც ისინი მომზადდებოდნენ სხვადასხვა სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებებში სამუშაოდ. საბჭომ ასევე შეიმუშავა პროგრამები სწავლების სამივე ეტაპისათვის. შეიქმნა აგრეთვე სპეციალური კომიტეტი, რომელიც ცნობილი იყო „სკოლათა სათათბიროს“ ან „სკოლათა საბჭოს“ სახელწოდებით. გამოიცა „სკოლათა სათათბიროს“ კანონიც. „სკოლათა სათათბიროს“ კომპეტენცია მოიცავდა განათლების სისტემის ტექნიკურ და ადმინისტრაციულ საკითხებს. 1837 წლის თებერვალში შეიქმნა განათლების სამინისტრო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა მუხთარ ბეი (Shukri, 1948: 96-97).

ევროპული გავლენით ცვლილებები განხორციელდა ეგვიპტის ქალაქის მცხოვრებთა ყოფით კულტურაშიც. გავრცელდა ევროპული სამოსი, მანერები, ქცევები. ზ. ი. ლევინის დასკვნით, მთლიანობაში მუჰამად ალის გარდაქმნებმა გამოიწვია ის, რომ ეგვიპტეში უფრო ადრე, ვიდრე ოსმალეთის იმპერიის სხვა არაბულ პროვინციებში, შეიქმნა წინაპირობები დასავლური და აღმოსავლური კულტურების სინთეზისათვის (Левин, 1972: 16). 1813 წლიდან 1848 წლამდე საზღვარგარეთ განათლება მიიღო 339-მა, ხოლო 1882 წლისათვის – 1000-ზე მეტმა ადამიანმა. ამასთან, ნახევარზე მეტი სწავლობდა საფრანგეთში, 16% – ინგლისში და 23% – სხვა ქვეყნებში (Berger, 1957: 23).

ეგვიპტის საზოგადოებაში რეფორმებისადმი დამოკიდებულება იყო ისეთი, როგორიც ნებისმიერ საზოგადოებაში, რომელშიც ხორციელდებოდა ძირეული გარდაქმნები. ევროპელების კულტურა უცხო იყო ხალხისათვის და ის ფრანგული ოკუპაციის მწარე მოგონებებთან ასოცირდებოდა. ხშირ შემთხვევაში, ეს იწვევდა ეგვიპტელთა პროტესტს და მათ არ შეყავდათ თავიანთი შვილები ფაშას მიერ გახსნილ საერო სასწავლებლებში. კლოდ ბეის სიტყვებით, „ხალხი არა მარტო არ ეხმარებოდა რეფორმების გატარებას, არამედ ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მას“ (ციტ. Левин, 1972: 20). იყვნენ ცვლილებათა მომხრეებიც, მაგრამ მოწინააღმდეგეები ჭარბობდნენ. მათ მიეკუთვნებოდა ღვთისმეტყველთა ნაწილი, რომელიც აკრიტიკებდა „ეგვიპტის ამღორძინებლის“ „გიაურულ“ სიახლეებს. თუმცა, თვითონ მუჰამად ალი ყოველთვის პატივისცემას იჩენდა ტრადიციული ისლამური ფასეულობებისადმი.

ეგვიპტელი ღვთისმეტყველი მუჰამად აბდუ (1840-1905) ასე ახასიათებს მუჰამად ალის: „მან აღაზევა ისინი, ვინც განეკუთვნებოდა დაბალ ფენას და დააყენა ისინი ქვეყნის სათავეში. მან დაამცირა დიდებულები და შეინარჩუნა მხოლოდ თავისი ბატონობის იარაღად. მან თავისი ქვეყანა გადააქცია ერთადერთ სამემკვიდრეო მამულად თავისთვის და თავისი დინასტიისათვის, მრავალრიცხოვანი სამემკვიდრეო მამულების ნაცვლად, რომლებადაც ის იყო დაყოფილი ადრე“ (ციტ. Hourani, 1970: 67-68). ამგვარად, ეგვიპტის რეფორმატორის მოწინააღმდეგეებს კარგად ესმოდათ, რომ მის მიერ დაწყებულ გარდაქმნებს ჰქონდა არა ზედაპირული ხასიათი, არამედ ის ძირეულად ცვლიდა ეგვიპტის ტრადიციულ საზოგადოებას. იმავდროულად მუჰამად ალის, ხელისუფლების სათავეში მოსვლის მომენტიდან, მხარს უჭერდნენ ალ-აზჰარის ულემები და ეს მხარდაჭერა გაგრძელდა მთელი მისი მმართველობის მანძილზე.

თვითონ მუჰამად ალი და მისი უახლოესი გარემოცვა იყვნენ ალბანელები, თურქები, ჩერქეზები, ქურთები. ადმინისტრაციაში ჭარბობდნენ ადგილობრივი ქრისტიანები. მისი პირადი მრჩეველი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბოღოს ფაშა სომეხი იყო. ახალი ხელისუფლება განამტკიცებდა ახალ ეროვნულ სახელმწიფოს, და არა ოსმალეთის იმპერიის ეგვიპტის საფაშოს. იმავდროულად ეგვიპტე საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა სრულიად დამოუკიდებელი განვითარებისათვის. რეფორმები არღვევდა ათასობით უბრალო ეგვიპტელის ცხოვრების წესს, მის ტრადიციებს. უნდა ითქვას, რომ ხალხისათვის გაუგებარი დარჩა მასშტაბური გარდაქმნების მნიშვნელობა.

---

22 საბჭოს თავმჯდომარეობდა მუხთარ ბეი, ხოლო წევრებად აირჩიეს ევროპიდან დაბრუნებული რამდენიმე ეგვიპტელი: მუჰამად ბაიუმი, რიფაა ატ-ტაჰტავი, ისტიფან ეფენდი, ჰაქიქიან ეფენდი, ქიან ბეი, ართინ ბეი. საბჭოში შედიოდა აგრეთვე რამდენიმე უცხოელი: ქულუთ ბეი, ჰამუნი (ვეტერინარული სკოლის ზედამხედველი), ლამბირი, ფარინი (კავალერიის სკოლის ზედამხედველი).

ისიც ფაქტია, რომ ევროპაში გაგზავნილი ახალგაზრდობა მოუმზადებელი აღმოჩნდა დასავლეთევროპული საზოგადოებისა და მისი სულიერი ფასეულობების სათანადოდ აღქმისათვის. მათი ნაწილი კი მოექცა ვესტერნიზაციის ძლიერი გავლენის ქვეშ და უარს ამბობდა ეროვნულ ტრადიციებზე. დროთა განმავლობაში ეგვიპტელებმა ყურადღება გაამახვილეს იმ იდეებზეც, რომელიც მოჰქონდა ევროპულ კულტურას – ეს იყო განმანათლებლობის და რევოლუციის იდეები. იმ დროს ამ იდეების გამომხატველად ითვლებოდა ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი, რომლის შეხედულებები უბრალოდ უცხო აღმოჩნდა არაბებისათვის და მის ფილოსოფიურ ნაწარმოებებს კითხულობდნენ, მაგრამ არ თარგმნიდნენ არაბულ ენაზე.

მოდერნიზაციის პროცესმა მოიტანა ორმაგი შედეგი: განათლებული მუსლიმები აღიარებდნენ ევროპული ცივილიზაციის წარმატებებს მატერიალურ სფეროში, სამხედრო საქმესა და პოლიტიკაში. თუმცა თავს თვლიდნენ ევროპელებზე მაღლა რელიგიური თვალსაზრისით.

მუჰამად ალი, ნებით თუ უნებლიედ, გამოვიდა ნაწილობრივი გარდაქმნების ჩარჩოებიდან. ფაქტობრივად, მან დაიწყო „რევოლუცია ზემოდან“ და ჩართო ეგვიპტის საზოგადოება რეფორმების სისტემაში. მუჰამად ალისათვის ხელსაყრელ პირობებში, ქვეყანა შეიძლებოდა ამ გზით შორს წასულიყო, მაგრამ ამას ხელს უშლიდა კონსტანტინოპოლის ზეწოლა (ორი ომი თურქეთთან 1831 და 1840წწ.), რეგიონალური სამხედრო და პოლიტიკური კონფლიქტები (მაგ., ეგვიპტის მონაწილეობა ანტითურქული აჯანყების ჩახშობაში საბერძნეთში **1821-1828წწ., ანტიეგვიპტური აჯანყების ჩახშობა დაპყრობილ** სირიაში, ლიბანსა და პალესტინაში 1840წ.).

მუჰამად ალის საგარეო პოლიტიკა

მუჰამად ალის რეფორმატორულმა საქმიანობამ განამტკიცა მისი ხელისუფლება და მან მიზნად დაისახა იმპერიის არაბულენოვანი პროვინციების გაერთიანება ერთიან არაბულ სახელმწიფოდ. 1811 წლიდან ის აწარმოებდა გამუდმებულ ბრძოლებს და ორი ათეული წლის განმავლობაში დაიპყრო არაბული აღმოსავლეთის არაერთი ქვეყანა.

1811-1818 წლებში მუჰამად ალი ომს აწარმოებდა ჰიჯაზში (არაბეთის ნახევარკუნძულის დას. ნაწილი, ადმინისტრაციული ცენტრი – ჯიდდა) ვაჰაბიტების[23] წინააღმდეგ. თვითონ ოსმალეთის სულტნები სელიმ III და მაჰმუდ II ვაჰაბიტების სახელმწიფოს საფრთხედ აღიქვამდნენ თავიანთი ბატონობისათვის არაბულ ქვეყნებში. თუმცა ისინი დაკავებული იყვნენ შიდა უთანხმოებებით, ბალკანეთის აჯანყებით და ვერ შეძლეს დიდი არმიის გამოყოფა ვაჰაბიტებთან საბრძოლველად. **1811 წელს სულ**ტანმა მაჰმუდ II-მ შესთავაზა მუჰამად ალის მოეწყო სადამსჯელო ექსპედიცია ვაჰაბიტების წინააღმდეგ. მუჰამადი ალი სიამოვნებით დათანხმდა, რადგანაც ამ ლაშქრობით დაინტერესებული იყვნენ ეგვიპტელი ვაჭრებიც. მათ დიდი ზარალი მიაყენა ჰაჯს და მასთან დაკავშირებული ვაჭრობის შეწყვეტამ. ამასთანავე, არაბეთის ნახევარკუნძული იყო გასაღები სირიისა და ერაყისაკენ. ამის პარალელურად მუჰამად ალის სურდა მოეცილებინა ეგვიპტიდან ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც მისი ხელისუფლებისათვის საშიშ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ (Marsot, 2007: 60-62; Lawson, 1992: 70-74).

მუჰამად ალის არმიას (8-10 ათასი) სათავეში ჩაუდგა მისი ვაჟი ტუსუნ ბეი (1793-1816). მისი მრჩეველი და ექსპედიციის ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო აჰმად აღა. **1811 წლის სექტემბერში ეგ**ვიპტის არმია დაიძრა არაბეთის ნახევარკუნძულისაკენ. ოქტომბერში მათ დაიკავეს პორტი იანბუ და ის თავიანთ სამხედრო ბაზად გადააქციეს. ვაჰაბიტებთან ბრძოლა ეგვიპტელებისათვის საკმაოდ რთული და ხანგრძლივი აღმოჩნდა. იყო აუტანელი სიცხე, წყლის სიმცირე, შიმშილი და ეპიდემიები – შავი ჭირი, ქოლერა, მალარია, დიზინტერია, რაც ანადგურებდა არმიას. თითქმის დაუძლურებულ მეომრებს უხდებოდათ უდაბნოს გადალახვა, სადაც ბევრი იხოცებოდა უდაბნოს ქვიშაში. ამასთანავე,

23 ვაჰაბიტები – სუნიტურ ისლამში რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის ვაჰაბიზმის მიმდევრები. ვაჰაბიზმი წარმოიქმნა არაბეთის ნახევარკუმძულზე XVIII საუკუნის შუა ხანებში, ჰანბალიტთა მაზჰაბიდან, მუჰამად აბდ ალ-ვაჰაბის (1703-1792) მოძღვრების საფუძველზე. ეს მოძღვრება მოითხოვდა მუჰამადის დროინდელი ისლამისაკენ დაბრუნებას, ერთღმერთიანობის დაცვას, უარის თქმას სიახლეებზე, წმინდანებისა და წმინდა ადგილების თაყვანისცემაზე. ვაჰაბიტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საღვთო ომს – ჯიჰადს, განსაკუთრებით იმ მუსლიმებთან, რომლებიც განუდგნენ ადრეული ისლამის პრინციპებს. ამჟამად ვაჰაბიზმი საუდის არაბეთის ოფიციალური იდეოლოგიის საფუძველია. მისი მიმდევრები არიან სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში, აზიისა და აფრიკის მრავალ ქვეყანაში.

ბედუინთა ტომები თავს ესხმოდნენ ეგვიპტის ქარავანს და ძარცვავდნენ. ეგვიპტელებს თითოეული სოფლის აღება ბრძოლით უხდებოდათ, ხოლო ქალაქების აღებას რამდენიმე თვე სჭირდებოდა. ბედუინებს ჰქონდათ აგრეთვე რიცხობრივი უპირატესობა ეგვიპტის არმიასთან შედარებით. თუმცა ეგვიპტელებს ჰქონდათ უკეთესი შეიარაღება – თანამედროვე არტილერია. 1812 წლის იანვარში ეგვიპტის არმია დაიძრა მედინისაკენ, მაგრამ მათ თავს დაესხნენ ვაჰაბიტები ვიწრო ხეობაში და ეგვიპტის არმიის ძირითადი ნაწილი ამოხოცეს (5 ათასი). ეგვიპტელებმა ფულითა და დაპირებებით მიიმხრეს ბედუინთა ტომების შეიხები და მათი დახმარებით და განახლებული არმიით ნოემბერში აიღეს მედინა, 1813 წლის იანვარში კი – მექა, ტაიფი და ჯიდა. ამით დაასრულეს ჰიჯაზის დაპყრობა, მაგრამ ეგვიპტის არმიის მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდა, რადგანაც ვაჰაბიტებმა პარტიზანული ომი დაიწყეს (Ibrahim, 2008: 198-201; Fahmy, 2008: 150).

1813 წლის აგვისტოში მუჰამად ალი პირადად ჩავიდა ჯიდაში პილიგრიმობის შესასრულებლად და მხედართმთავრად დანიშნა თავისი უფროსი ვაჟი იბრაჰიმი. ეგვიპტის გამგებელმა გადააყენა მექის შარიფი და დანიშნა თავისი ნდობით აღჭურვილი პირი, მაგრამ ქვეყნის სიღრმეში შეღწევა ვერ შეძლო. ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ბრძოლებს აწარმოებდა მუჰამად ალი, ხოლო ჩრდილოეთში – ტუსუნ ბეი. 1815 წლის გაზაფხულზე დაიდო ზავი, რომლის თანახმადაც ნაჯდი და კასიმი რჩებოდა ვაჰაბიტების ხელში, ხოლო ჰიჯაზი გადადიოდა ეგვიპტელთა მმართველობაში. ვაჰაბიტთა ამირა აბდულაჰ იბნ საუდი ვალდებული იყო ეცნო თავი ოსმალეთის სულტნის ვასალად და დამორჩილებოდა მედინის გუბერნატორს. მას უნდა უზრუნველეყო აგრეთვე ჰაჯის უსაფრთხოება, დაებრუნებინა საგანძური, რომელიც ვაჰაბიტებმა გაიტაცეს მექიდან. ამ ზავის შემდეგ ტუსუნ ბეიმ დატოვა ჰიჯაზში ეგვიპტელთა გარნიზონები და დაბრუნდა ეგვიპტეში1815 წლის 8 ნოემბერს. ასე დასრულდა ბრძოლის პირველი ეტაპი. თუმცა ამ საზავო პირობებს ვაჰაბიტები მხოლოდ სიტყვიერად დაეთანხმნენ და ხელი არ მოაწერეს (Marsot, 2007: 63-64; Lawson, 1992: 78-82; Holt, 1980: 180).

1816 წელს განახლდა ომი ვაჰაბიტების წინააღმდეგ. მას სათავეში ჩაუდგა მუჰამად ალის ვაჟი იბრაჰიმი, ცნობილი მხედართმთავარი. ორი წლის განმავლობაში ეწეოდა ის ბრძოლას ნაჯდის და კასიმის დასაუფლებლად. ეგვიპტელები აყვავებულ ოაზისებს უდაბნოდ აქცევდნენ, ანადგურებდნენ ჭებს, ჭრიდნენ პალმებს, წვავდნენ სახლებს. 1818 წლის დასაწყისში ეგვიპტელები შევიდნენ ნაჯდში და 1818 წლის აპრილში მივიდნენ ვაჰაბიტების დედაქალაქ დარიასთან (დღევანდელი არ-რიადის ადგილზე). 15 სექტემბერს, 6 თვიანი ალყის შემდეგ, დარია დაეცა და გაქრა გეოგრაფიული რუკიდან. ეგვიპტელებმა გაანადგურეს ქალაქი, მოსახლეობა კი გაიქცა. ვაჰაბიტების ამირა აბდულაჰ იბნ საუდი ჩაბარდა ეგვიპტელებს. ის კაიროში, შემდეგ კონსტანტინოპოლში გააგზავნეს, ხოლო 1818 წლის დეკემბერში მას თავი მოკვეთეს. იბრაჰიმმა აღადგინა ოსმალეთის კონტროლი ისლამურ წმინდა ქალაქებზე – მექასა და მედინაზე. ამის შემდეგ ეგვიპტელებმა ალ-ჰასა დაიმორჩილეს, ვაჰაბიტთა მთავარი მხედართმთავრები ტყვედ აიყვანეს და ვაჰაბიტების სახელმწიფო გაანადგურეს. 1819 წლის დეკემბერში იბრაჰიმი თავისი არმიით დაბრუნდა კაიროში (ეგვიპტურ წყაროებში ის მოიხსენიება, როგორც *კაჰირ ალ-ვაჰჰაბიიინ* – „ვაჰაბიტების დამმარცხებელი“). ნაჯდში და ჰიჯაზში დარჩნენ ეგვიპტის გარნიზონები. ოსმალეთმა დე ფაქტო აღიარა ჰიჯაზი ეგვიპტის პროვინციად. მას მართავდა ეგვიპტელი ფაშა, რომელსაც ნიშნავდა მუჰამად ალი. მისი შეხედულებისამებრ ინიშნებოდნენ მექის შარიფებიც.[24] თუმცა წინააღმდეგობა გრძელდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. 1820 წლიდან ვაჰაბიტები პერიოდულად აწყობდნენ აჯანყებებს. მათ რამდენჯერმე წარმატებასაც მიაღწიეს. 1836 წელს ეგვიპტის არმიამ ხელმეორედ ილაშქრა არაბეთის ნახევარკუნძულზე. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს. ისინი დაეუფლნენ არ-რიადს, კატიფს, ალ-ჰასას. ამ გამარჯვებამ გაამწვავა ეგვიპტის ურთიერთობა ინგლისთან და გახდა აღმოსავლეთის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი 1839-1841 წლებში. 1840 წელს მუჰამად ალი იძულებული გახდა თავისი არმია გაეყვანა და დაეტოვებინა არაბეთის ნახევარკუნძული (Kelly, 1965, 1: 350-381, 2:31-65; Lawson, 1992: 89-93).

მუჰამად ალის მეორე დიდი ექსპედიცია იყო აღმოსავლეთ სუდანში (1820-1822), საიდანაც ეგვიპტეში შორეული დროიდან მოდიოდა ქარავნები დატვირთული მონებით, ოქროთი, სპილოს ძვლით, ხის ძვირფასი ჯიშებით და სხვ. ეს სიმდიდრე იზიდავდა ეგვიპტის ფაშას, რადგანაც ხაზინა ცარიელი ჰქონდა ვაჰაბიტებთან ხანგრძლივი ომის შედეგად და არმიისა და ფლოტის მშენებლობისათვის კი დიდი ფულადი სახსრები იყო საჭირო. ამასთანავე, სუდანი იყო ის ადგილი, სადაც იმალებოდნენ მუჰამად

24 მაგ., როდესაც 1827 წელს აჯანყებამ იფეთქა ჰიჯაზში, სულტანმა მაჰმუდ II-მ გადასცა მუჰამად ალის ხელმოწერილი ფირმანი დანიშვნის თაობაზე სახელის გარეშე და მას მხოლოდ მექის შარიფის სახელი უნდა ჩაეწერა (Abir, 1977: 299).

ალის მტრები – ეგვიპტიდან გაქცეული მამლუქები, რაც ფაშას ომის საბაბს აძლევდა[25] (Луцкий, 1966: 82; Robinson, 1925: 47-58, 1926: 164-182).

სუდანთან ბრძოლა უფრო ადვილი იყო, რადგანაც ეგვიპტესთან ახლოს იყო ტერიტორიულად და ქვეყნის მოსახლეობა არ წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ და რელიგიურ ორგანიზმს; ყველაზე დიდი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო სინნარი, ხოლო ყველაზე ძლიერი – დარფურის სასულტნო. სუდანელებს არ ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღიც და პრიმიტიული საშუალებებით იბრძოდნენ (Луцкий, 1966: 83; Ibrahim, 2008: 204-206).

1820 წლის ივნისში ეგვიპტის არმიას (დაახლ. 8000) სათავეში ჩაუდგა მუჰამად ალის უმცროსი ვაჟი ისმაილ ფაშა. ეგვიპტელებმა უკვე **1821 წლის 12 ივნისს დაიკავეს სინარი, მივიდნენ ხართუმამდე** და 1822 წლის დასაწყისისათვის მთელი აღმოსავლეთ სუდანი დაიმორჩილეს, დარფურის გარდა. ამის შემდეგ დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებები, ხოლო ისმაილი მოკლეს. ეგვიპტელებმა შურისძიების მიზნით მთლიანად ამოხოცეს იმ რაიონის მოსახლეობა (30,000-ზე მეტი ადამიანი), სადაც მოკლეს ისმაილ ფაშა.[26] ეგვიპტელები უკიდურესი სისასტიკით ახშობდნენ აჯანყებებს. 1823 წელს ეგვიპტელებმა აიღეს ხართუმიც და ის ეგვიპტური სამფლობელოების ცენტრი გახდა. იქ იყო ეგვიპტის ნაცვლის რეზიდენციაც. 1838 წელს სუდანში ჩავიდა მუჰამად ალიც. ეგვიპტის ხელისუფლებამ გაძარცვა სუდანი. ყოველწლიურად მათ ეგვიპტეში გაჰქონდათ **8 ათასი სული პირუტყვი, სხვადასხვა** სახის ეგზოტიკური საქონელი, მონები. მონათვაჭრობამ ფართო მასშტაბები მიიღო. ამასთან, სუდანის დაპყრობით, ეგვიპტემ მიიერთა უზარმაზარი ტერიტორია. ცნობილი ეგვიპტელი ისტორიკოსი მუჰამად ფუად შუქრი წერდა, რომ მუჰამად ალის მიერ სუდანის დაპყრობამ „მტკიცედ დაამკვიდრა ეგვიპტის კანონიერი და ისტორიული უფლებები“ სუდანზე (Shukri, 1948:79; Ibrahim, 2008: 204-206).

არაბეთის ნახევარკუნძულზე და სუდანში ლაშქრობებმა გზა გაუხსნა მუჰამად ალის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე ლაშქრობისათვის. 1821 წელს საბერძნეთში იფეთქა აჯანყებამ. მან მიიღო ეროვნული რევოლუციის სახე. ბერძნებს თავიანთ ხელში ჰქონდათ მოქცეული მთელი ხმელთაშუა ზღვისპირეთის ვაჭრობა. **3 წლის განმავლობაში ბერძნები იგერიებდნენ ოსმალთა დამსჯელ ექსპედიციებს.** შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობდა სამ ძირითად ფრონტზე: აღმოსავლეთ საბერძნეთში, დას. საბერძნეთში და მორეაში. პორტას სათანადო ძალები არ გააჩნდა აჯანყებულებთან საბრძოლველად და მიმართა მუჰამად ალის დახმარებისათვის. მან უყოყმანოდ მიიღო ოსმალეთის სულტნის წინადადება, რადგანაც საკუთარი ინტერესები ჰქონდა – სურდა თავისი მმართველობის ქვეშ მოექცია მორეა, კუნძული კვიპროსი და კრეტა, აგრეთვე უზრუნველეყო ეგვიპტის კონტროლი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის სავაჭრო გზებზე. წარმატების შემთხვევაში, სულტანი პირდებოდა სირიის გადაცემას (McGregor, 2006: 35-34; Marsot, 2007: 73).

ბერძნების წინააღმდეგ ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა იბრაჰიმ ფაშა. **1824 წლის ივლისში დაიწყო** ეს ექსპედიცია (ეგვიპტის არმიაში იყო **18 ათასი მეომარი). ეგვიპტელებმა ჯერ კრეტაში ჩაახშეს** აჯანყება და გადააქციეს ის თავის სამხედრო ბაზად. **1824 წელსვე მორეაში დაიწყო სამოქალაქო** ომი, 1825 წელს ეგვიპტელებმა ისარგებლეს ამით და გადასხდნენ მორეას სამხრეთ-დასავლეთით. მათ აიღეს ტრიპოლისი (ტრიპოლი), მორეას დედაქალაქი. ბერძნებმაც პარტიზანული ომი დაიწყეს. იბრაჰიმმა უპასუხა მათ ქვეყნის განადგურებით. **1825 წლის ბოლოსათვის ეგვიპტელებმა მთელი მ**ორეა დაიპყრეს და გადააქციეს უდაბნოდ. **1825-26 წლებში იბრაჰიმმა მიიღო დამატებითი ძალები ეგ**ვიპტიდან და თურქებთან ერთად დაიწყო ბრძოლა შუა საბერძნეთის წინააღმდეგ. 1827 წელს მათ დანებდა აკროპოლისი, რის შემდეგაც **5 ივნისს დაიმორჩილეს ათენი. ამით ჩაახშეს ბერძნული რევ**ოლუცია – აჯანყებულთა არმია მთლიანად გააანადგურეს, დარჩა მხოლოდ მთებში გაფანტული პარტიზანული რაზმები. ამ გამარჯვების მიუხედავად, მუჰამად ალიმ ვერ შეძლო გადაექცია საბერძნეთი ეგვიპტის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად – 1827 წლის 6 ივლისს, ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის დადებული ლონდონის კონვენციით, საბერძნეთს მიენიჭა სრული ავტონომია.[27] ოსმა-

25 ექსპედიციის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება აგრეთვე ოსმალეთის მიერ ეგვიპტეში სამხედრო შევსების გაგზავნის შეწყვეტა მუჰამად ალის მებრძოლი არმიისათვის. მუჰამად ალი სუდანში ლაშქრობით გეგმავდა თავისი არმიის შევსებას 20 ან 30 ათასი სუდანელი აფრიკელით (Ibrahim, 2008: 205).

26 ისმაილი მოკლა შინდის (რეგიონი ხართუმის ჩრდილოეთით) მმართველმა.

27 ინგლისი მხარს უჭერდა საბერძნეთის დამოუკიდებლობას, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ბერძენი ვაჭრების საშუალებით გააკონტროლებდა ვაჭრობას შავ ზღვაზე და ხელსაყრელ პირობებში, ხმელთაშუა ზღვაზეც. ამის გარდა, მას აშინებდა რუსეთის გავლენის ზრდა ამ რეგიონში; რუსეთის მხარეს სურდა კონტროლის

ლეთის იმპერიამ არ სცნო ეს კონვენცია. 1827 წლის 20 ოქტომბერს ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის გაერთიანებული ესკადრა (სათავეში ინგლისის ვიცე-ადმირალი ედუარდ კოდრინგტონი) შევიდა ნავარინო ყურეში. საზღვაო ბრძოლაში მათ მთლიანად გააანადგურეს ეგვიპტისა და ოსმალეთის ფლოტი (94 გემი). იბრაჰიმ ფაშა იძულებული გახდა უკან დაეხია (Луцкий,1965: 84-88; Rogan, 2009: 75).

> 1827 წლის 6 ოქტომბერს მუჰამად ალი წერდა თავის პოლიტიკურ აგენტს, ნაჯიბ ეფენდის, სტამბულში: „ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, რომ არ შეგვიძლია ვძლიოთ ევროპელებს და ერთადერთი შესაძლო გამოსავალი [თუ ამას გავაკეთებთ] იქნება ჩაძირვა მთელი ფლოტის, რაც გამოიწვევს დაახლ. 30-40 ათასი ადამიანის სიკვდილს“.. „მართალია ჩვენ ვართ ომის ადამიანები, მაგრამ ჯერ კიდევ ვეუფლებით სამხედრო ხელოვნების ანბანს, მაშინ როცა ევროპელები ჩვენ გვისწრებენ და თავიანთი თეორიები [ომის შესახებ] პრაქტიკულად განახორციელეს“ (ციტ. Fahmy, 2002: 59-60).

1828 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც წელიწადნახევრის შემდეგ დამთავრდა რუსეთის გამარჯვებით. 1829 წ. 14 სექტემბერს *ანდრიანოპოლის ზავით*, ოსმალეთი დათანხმდა 1827 წლის ლონდონის შეთანხმებაზე – საბერძნეთისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. საბერძნეთის საკითხი დარეგულირდა 1832 წლის კონვენციით, რომელმაც გამოაცხადა საბერძნეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ბრიტანეთის, რუსეთის და საფრანგეთის მფარველობის ქვეშ. 1828 წლის 9 აგვისტოს *ალექსანდრიის კონვენციით*, მუჰამად ალი იძულებული გახდა კოალიციის მოთხოვნით დაეტოვებინა მორეა და დაებრუნებინა ბერძენი ტყვეები და მონები. თვითონ მუჰამად ალის რუსეთ-ოსმალეთის ომში მონაწილეობა არ მიუღია. 1828 წ. სექტემბერში მორეაში შევიდა საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი. ამდენად, ეგვიპტისათვის ეს ომი უშედეგო აღმოჩნდა (McGregor, 2006: 85-104; Dodwell, 1931: 67-75).

ბერძნების წინააღმდეგ ომის შემდეგ, მუჰამად ალიმ, კომპენსაციის სახით, მოითხოვა სირია-პალესტინის გადმოცემა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო. სირია-პალესტინას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: სირიის შეერთებით მუჰამად ალი უზრუნველყოფდა აღმოსავლეთ საზღვრების უსაფრთხოებას და ეგვიპტის დამოუკიდებლობას ოსმალეთისაგან; ის იქცეოდა მტკიცე ბარიერად ეგვიპტესა და ოსმალეთის იმპერიას შორის; გარდა პოლიტიკური და სტრატეგიული მოტივებისა, სირიის შეერთება ეკონომიკურადაც ხელსაყრელი იყო; სირია-პალესტინა ითვლებოდა იმპერიის უმდიდრეს პროვინციად, რომელიც აწარმოებდა ნატურალურ აბრეშუმს, შალს, მარცვლეულს, ზეითუნის ზეთს; სირიის სამხრეთ ნაწილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინა აზიისა და ეგვიპტის ვაჭრობისათვის. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ სირიის პორტები. 1822 წელს სულტანმა მაჰმუდ II-მ ნება დართო მუჰამად ალის, აქქას ფაშასთან ინციდენტის მოწესრიგებაში შეტანილი წვლილის გამო, შეუფერხებლად გადაეზიდა სირიის პორტებით ეგვიპტური საქონელი იმპერიის სხვა რაიონებში.[28] ამ პრივილეგიის გამოყენებას ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა აქქას ფაშა (Vatikiotis, 1991: 23-42; Fahmy, 2008: 165-166).

სირიასთან ომის დაწყების საბაბი გახდა სასაზღვრო ინციდენტი აქქას ფაშასთან, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ევნო მუჰამად ალისთვის – აფართოებდა კონტრაბანდას ეგვიპტის საზღვარზე, გახშირდა ფელაჰების გადასვლა აქქაში. 1831 წელს ეგვიპტიდან აქქას საფაშოში გაიქცა ექვსი ათასი ფელაჰი. აბდალაჰ ფაშამ უარი განაცხადა მათ უკან დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ სულტან-ხალიფას ქვეშევრდომთ შეეძლოთ იმპერიის ნებისმიერი რაიონი აერჩიათ საცხოვრებლად. ამ შემთხვევაში, მას მხარს უჭერდა სულტანი მაჰმუდ II. ამ უარყოფითი პასუხით ისარგებლა მუჰამად ალიმ და 1831 წლის 2 ნოემბერს ეგვიპტის არმია იბრაჰიმ ფაშას მეთაურობით შეიჭრა სირია-პალესტინის ტერიტორიაზე (McGregor, 2006: 157-162; Vatikiotis, 1991: 67-85).[29]

1832 წლის 27 მაისს ეგვიპტელებმა აიღეს აქქა. ამის შემდეგ დაეუფლენ ჰამას, ჰომსს, ალეპოს, შევიდნენ ანატოლიაში, დაიკავეს ადანა. 1832 წლის 21 დეკემბერს კონიასთან მოხდა მესამე და გადამ-

---

შენარჩუნება ამ ქვეყანაზე, რომელსაც ჰქონდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა რუსეთის ინტერესებისთვის. საფრანგეთი ომში ჩაერთო, რათა დაებრუნებინა, ნაწილობრივ მაინც, პოზიციები ხმელთაშუა ზღვაზე (Зеленев, 1999: 239).

28 1820 წელს აქქას ფაშა აბდალაჰმა სცადა დამასკოს საფაშოს მიტაცება. სულტნის მხარდაჭერით დამასკოს, ალეპოს და ადანას ფაშებმა გაერთიანებული ლაშქრით ალყა შემოარტყეს აქქას. 1822 წლის აგვისტოში აბდალაჰმა დახმარებისთვის მიმართა მუჰამად ალის, რომლის შუამდგომლობითაც კონფლიქტი შეწყდა.

29 საერთაშორისო ვითარებაც ხელსაყრელი იყო ფაშასთვის, დიდი ევროპული სახელმწიფოები დაკავებულნი იყვნენ საფრანგეთის, ბელგიის, პორტუგალიის, იტალიის რევოლუციებით და პოლონეთის აჯანყებით გამოწვეული პრობლემებით (McGregor, 2006: 100-104; Зеленев, 2002: 45-89).

წყვეტი ბრძოლა. **30 ათასი ეგვიპტელის წინააღმდეგ ოსმალეთის არმიის 60 ათასი მეომარი იბრძო-**და. იბრაჰიმ ფაშას მხედართმთავრული ტალანტის გამო მათ შეძლეს ოსმალეთის არმიის განადგურება. სულტანს აღარ დარჩა არმია საბრძოლველად. სტამბული აღმოჩნდა საფრთხის წინაშე. სულტანმა დახმარებისათვის მიმართა საფრანგეთს, ინგლისს და რუსეთს.[30] 1832 წლის 21 დეკემბერს რუსეთის წარმომადგენელმა სტამბულში ოფიციალურად შესთავაზა პორტას რუსეთის შეიარაღებული დახმარება. **1833 წლის 13 იანვარს რუსეთის გენერალი ნ. მურავიოვი ჩავიდა ალექსანდრიაში და მეფის სა-**ხელით (ნიკოლოზ I) მოთხოვნები წაუყენა მუჰამად ალის, რომელიც იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო: მან აღუთქვა მურავიოვს, რომ შეაჩერებდა წინსვლას სტამბულისაკენ, შეწყვეტდა სამხედრო მოქმედებებს და ცნობდა სულტნის უმაღლეს ხელისუფლებას. თუმცა, მუჰამად ალიმ ეს მოთხოვნები არ შეასრულა და ამას მოჰყვა 1833 წლის 20 თებერვალს 30 ათასიანი რუსული დესანტის შესვლა ბოსფორში ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქის დასაცავად. რუსეთის ინტერვენციამ შეაშინა ინგლისი და საფრანგეთი[31] და მათი შუამავლობით **1833 წლის 4 მაისს ეგვიპტესა და ოსმალეთს შო-**რის დაიდო *ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულება*. ამ ხელშეკრულებით სულტანმა სცნო მუჰამად ალის უფლება ეგვიპტის, არაბეთის ნახევარკუნძულის, სუდანის, კრეტას, სირიის და პალესტინას მმართველობაზე. მუჰამად ალი კი ვალდებული იყო გაეყვანა თავისი არმია ანატოლიიდან და ეცნო სულტნის სუზერენიტეტი. ეგვიპტე დარჩა ოსმალეთის იმპერიის ვასალად. სულტნის ხელში დარჩა ანატოლია, ერაყი და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვა ოლქები. ეს მდგომარეობა გახდა ახალი კონფლიქტის მიზეზი (Луцкий,*1965: 92-95*).

1833-1840 წლებში სირია და პალესტინა იყო ეგვიპტის სახელმწიფოს შემადგენლობაში და ამ ოლქების ნაცვალი იყო იბრაჰიმ ფაშა, რომელმაც დაიწყო იქ რეფორმების გატარება. 1839 წლის 21 აპრილს განახლდა ომი ეგვიპტესა და ოსმალეთს შორის. იბრაჰიმ ფაშამ გამარჯვება მოიპოვა ოსმალებზე 1839 წლის 24 ივნისს *ნიზიბთან ბრძოლაში*. ეგვიპტელებმა გაანადგურეს ოსმალეთის არმია და გზა გაეხსნათ სტამბულისაკენ. ინგლისმა, ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, ხელი შეუშალა ოსმალეთის სრულ განადგურებას.

1840 წლის 15 ივლისს დაიდო *ლონდონის კონვენცია* ერთი მხრივ, ევროპის დიდ სახელმწიფოებს – დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, პრუსია, რუსეთი და მეორე მხრივ, ოსმალეთს შორის. მათ შესთავაზეს მუჰამად ალის და მის მემკვიდრეებს მუდმივი კონტროლი ეგვიპტეზე და აქქას პროვინციაზე, მაგრამ ეს ტერიტორიები უნდა დარჩენილიყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ამასთან, მას 10 დღის ვადაში უნდა დაეტოვებინა დანარჩენი სირია და დაებრუნებინა სულტან აბდულ მეჯიდ I-სთვის ნიზიბთან ბრძოლის დროს მის მხარეზე გადასული ოსმალეთის ფლოტი. მუჰამად ალის დაუყოვნებლივ უნდა გაეყვანა თავისი ძალები აგრეთვე არაბეთის ნახევარკუნძულიდან, კრეტადან და ადანადან. მუჰამად ალიმ, საფრანგეთის მხარდაჭერით, არ მიიღო ეს პირობა და ამას მოჰყვა **1840 წლის აღმო-**სავლური კრიზისი – ბრიტანეთისა და ავსტრიის ძალებმა იერიში მიიტანეს აქქაზე და გაანადგურეს მუჰამადის ალის ძალები; ასევე დაემუქრნენ, რომ ცეცხლს გაუხსნიდნენ ეგვიპტის გემებს ალექსანდრიის პორტში. ამასთან, სირიაში დაიწყო ავჯანყება მუჰამად ალის წინააღმდეგ. მუჰამად ალი დათან-

---

30 სულტნის თხოვნას არ მოჰყვა ევროპის სახელმწიფოების დაუყოვნებლივი გამოხმაურება. საფრანგეთი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუჰამად ალისთან, არ ჩქარობდა ეპასუხა პორტასათვის. ინგლისური კაბინეტი, ქვეყნის შიგნით გართულებული ვითარების გამო, ასევე არ ჩქარობდა ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტში ჩარევას.

31 ინგლისმა და საფრანგეთმა მოითხოვეს აგრეთვე რუსეთის არმიის გასვლა ბოსფორის სრუტედან. ამის მიუხედავად, ოსმალეთმა, რომელიც შეშინებული იყო ეგვიპტის აგრესიით, შესთავაზა რუსეთს სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1833 წლის 26 ივნისს (8 ივლისი) 8 წლის ვადით და მას ეწოდა *ჰუნქიარ ისკელესის* (ადგილი სტამბულის ახლოს) ზავი. ის ამტკიცებდა **1829 წლის ანდრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებას და რუ-**სეთ-თურქეთის სხვა ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. ოსმალეთის იმპერია იღებდა გარანტიას რუსეთის მხრიდან, რომ დაიცავდა მას ოსმალეთ-ეგვიპტის ახალი კონფლიქტის შემთხვევაში. ამის სანაცვლოდ რუსეთი იღებდა შავი ზღვის სრუტეების მისთვის ხელსაყრელ რეჟიმს. ხელშეკრულების დამატებითი საიდუმლო მუხლით, სულტანი იღებდა ვალდებულებას, რუსეთის მოთხოვნით, დაეკეტა ბოსფორი და დარდანელი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სამხედრო გემებისათვის შავ ზღვაში გასასვლელად. ჰუნქიარ ისკელესის ზავი იყო რუსეთის დიპლომატიის დიდი წარმატება ახლო აღმოსავლეთში. მან მცირე ხნით შეასუსტა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების გავლენა ოსმალეთში და გააძლიერა რუსეთის პოზიციები სტამბულში. ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრიის ერთობლივი მცდელობა – გაეუქმებინათ ჰუნქიარ ისკელესის ზავი, მარცხით დამთავრდა.

ხმდა ზავის პირობებს და 1840 წლის 27 ნოემბერს ბრიტანული ფლოტის ადმირალ ნაპიერთან ხელი მოაწერა ალექსანდრიის კონვენციას. მუჰამად ალის ჩამოერთვა უფლება თვითონ დაენიშნა არმიის მთავარსარდალი, აეგო სამხედრო გემები. ეგვიპტის არმიის რაოდენობა არ უნდა აღმატებოდა 18,000-ს, რასაც მოჰყვა სამხედრო ინდუსტრიის გაუქმება და სამხედრო სკოლების დახურვა. მუჰამად ალიმ სცნო თავი სულტნის ვასალად და უნდა გადაეხადა სულტნის ხაზინაში დიდი ხარკი (McGregor, 2006: 130-162; Fahmy, 2003: 163-187; Cleveland, 2009: 74).

1840 წელს ევროპული სახელმწიფოების ზეგავლენით, რომლებიც შეშფოთებულები იყვნენ ეგვიპტის გავლენის გაძლიერებით რეგიონში, ეგვიპტის ფაშამ დაუბრუნა კონსტანტინოპოლს ყველა მათ მიერ დაპყრობილი არაბული მიწები, შეამცირა თავისი არმია 10-ჯერ და ივალდებულა გადაეხადა სულტნისათვის ხარკი, როგორც სუზერენისათვის. მან დატოვა თავისი მემკვიდრე მმართველი და 1841წ. მუჰამად ალი ჩამოშორდა საქმეებს, თუმცა ფორმალურად დარჩა ფაშად სიკვდილამდე.[32]

კაპიტულაციამ იმოქმედა მუჰამად ალის ჯანმრთელობაზე და ის ჩამოშორდა სახელმწიფო საქმეებს. მის მოვალეობებს ასრულებდა იბრაჰიმ ფაშა, რომელიც 1848 წელს ოფიციალურად გახდა ეგვიპტის მმართველი, მაგრამ სამი თვის შემდეგ, 10 ნოემბერს გარდაიცვალა. მალევე, 1849 წლის 2 აგვისტოს, გარდაიცვალა მუჰამად ალიც.

ეგვიპტე მუჰამად ალის მემკვიდრეების დროს

მუჰამად ალის მემკვიდრე გახდა მისი შვილიშვილი აბას I (1849-1854). თავისი მმართველობის 6 წლის განმავლობაში ეს „ფანატიკოსი მუსლიმი“ ცდილობდა ბაბუის საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო: ევროპელებს ათავისუფლებდნენ სახელმწიფო სამსახურიდან (მათ შორის იყო ფრანგი ექიმი კლოდ ბეი), მანუფაქტურები და სამოქალაქო სკოლები დახურეს, ევროპეიზირებულ არაბებს აძევებდნენ ქვეყნიდან, შემცირდა არმიისა და ფლოტის რაოდენობა (რამაც გამოიწვია საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება ხალხისათვის). თუ მუჰამად ალის გარკვეულწილად ზედაპირულმა რეფორმებმა ვერ გადაწყვიტა ყველა პრობლემა აგრარულ სექტორში და ვერც მოსახლეობის ყოფა გააუმჯობესა, მისმა მემკვიდრემ საერთოდ შეაფერხა ეგვიპტის განვითარება. აბასის მმართველობის სუსტი რგოლი იყო საფინანსო პოლიტიკა, როცა დანახარჯები ბევრად აღემატებოდა შემოსავლებს, რამაც სათავე დაუდო ეგვიპტის საგარეო ვალების ზრდას (Hunter, 2008:182).

აბასის მემკვიდრეები გახდნენ საიდ ფაშა (1854-1863) და ხედივი[33] ისმაილი (1863-1879; 1867 წლამდე – ფაშა, 1867 წლიდან – ხედივი), რომლებმაც ისევ განაახლეს რეფორმები.

საგარეო ფაქტორი დასავლეთის სახით კვლავ ახდენდა ზემოქმედებას ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ჯერ კიდევ 1840 წელს დასავლეთის სახელმწიფოების პირდაპირი ზეწოლით, მუჰამად ალი იძულებული გახდა გაეხსნა ქვეყანა დასავლური საქონლისა და დასავლური კაპიტალისათვის და ეცნო 1838 წელს პორტას მიერ ხელმოწერილი ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულება „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.“[34] ქვეყანაში შემოიტანეს იაფასიანი ინგლისური საქონელი, რამაც გამოიწვია ეგვიპტური ფაბრიკებისა და სახელოსნოების დახურვა, გაუქმდა სახელმწიფო მონოპოლია ბამბით ვაჭრობაზე და ამ ვითარებაში ინგლისური კომპანიების აგენტებს შესაძლებლობა მიეცათ უკიდურესად იაფად შეეძინათ ბამბა გლეხებისაგან. მუჰამად ალის სიკვდილიდან სულ მალე, 1851 წელს, ინგლისელებს მისცეს მათთვის ხელსაყრელი კონცესია რკინიგზის (ალექსანდრია-კაირო-სუეცი) მშენებლობაზე,[35] ხოლო 1854 წლის 30 ნოემბერს კონცესია მიეცა ფრანგ დიპლომატს ფერდინანდ ლესეპსს ხმელთაშუა და მეწამული ზღვების დამაკავშირებელ *სუეცის არხის* მშენებლობაზე, რაც განხორციელდა 1859-1869 წლებში.

---

32 1841 წლის 1 ივნისს, სულტნის ფირმანით, მუჰამად ალის სამემკვიდრეო სამმართველოდ გადაეცა ეგვიპტე (Fahmy, 2008: 175).

33 *ხედივი* – ეგვიპტის მმართველთა მემკვიდრეობითი ტიტული 1867-1914წწ.

34 ამ ხელშეკრულებით (მას მოიხსენიებენ აგრეთვე ბალტა ლიმანის შეთანხმების სახელით) ინგლისის ქვეშევრდომებს მიეცათ შეუზღუდავი ვაჭრობის უფლება იმპერიაში. ევროპული საქონლის იმპორტზე გადასახადი 7%-თ განისაზღვრა, ხოლო ექსპორტზე – 16%-ით. გაუქმდა მონოპოლიები ზოგიერთი პროდუქციის შესყიდვაზე. ინგლისის სავაჭრო გემებს შეეძლოთ თავისუფალი ნაოსნობა შავ ზღვაზე და სრუტეებში.

35 საიდმა 1855 წელს რკინიგზისა და კომუნიკაციების მინისტრად დანიშნა ინგლისელი, ხოლო 1861 წელს იმავე თანამდებობაზე დაასახელა იტალიელი (Cleveland, 2009: 93).

1856 წელს გაიცა ახალი ფირმანი, რომელიც აზუსტებდა კონცესიის პირობებს: სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად იგეგმებოდა ერთობლივი ფრანგულ-ეგვიპტური კომპანიის დაარსება 200 მლნ ფრანკის კაპიტალით; ეგვიპტის მთავრობა უსასყიდლოდ გადასცემდა კომპანიას საჭირო მიწის ფართობს, აძლევდა მას თავის ქვის სამტეხლოებს, ვალდებულებას იღებდა უდაბნოში გაეყვანა მტკნარი წყლის არხი ნილოსიდან, რათა მოემარაგებინა სამშენებლო ზონა სასმელი წყლით; ათავისუფლებდა კომპანიას გადასახადებისაგან; ამასთ ან, ეგვიპტე უსასყიდლოდ აძლევდა სამუშაო ძალას (მუშათა საერთო რაოდენობის 4/5; კონცესიის ვადა გრძელდებოდა 99 წლის განმავლობაში არხის გახსნიდან) ამ პროექტის რეალიზაციისათვის.

1858წ. ოქტომბერში ლესეპსმა დააარსა სააქციო საზოგადოება „სუეცის არხის ერთობლივი კომპანია," ხოლო 1859წ. აპრილში ოსმალეთის სულტნის ოფიციალური თანხმობის გარეშე, დაიწყო არხის მშენებლობა. ინგლისის მთავრობა გამოვიდა სუეცის არხის მშენებლობის პროექტის წინააღმდეგ, რადგანაც ამას შეიძლებოდა არასასურველი ზეგავლენა მოეხდინა ინგლისელთა კონტროლის ქვეშ მყოფი ეგვიპტის სარკინიგზო გზების მშენებლობაზე. ინგლისი ოფიციალურად მოითხოვდა, რომ სტამბულს არ გაეცა თანხმობა პროექტის რეალიზაციაზე. თუმცა სუეცის არხთან დაკავშირებით ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, სულტანი დათანხმდა არხის მშენებლობაზე. ყოველდღიურად მშენებლობაზე დაკავებული იყო 20 ათას მუშაზე მეტი, ძირითადად გლეხები, რომლებიც იძულებით სამ ცვლაში მუშაობდნენ სამშენებლო სამუშაოებზე. მხოლოდ 1863 წელს აკრძალა ხელისუფლების სათავეში მოსულმა ისმაილ ფაშამ გლეხთა იძულებითი შრომის გამოყენება სუეცის არხის მშენებლობაზე და ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სტამბოლმა. ლესეპსმა, საერთაშორისო არბიტრაჟის გამოყენებით, მიაღწია „სუეცის არხის ერთობლივი კომპანიისათვის" კომპენსაციის გადახდას ეგვიპტის ხაზინიდან 84 მლნ ფრანკის ოდენობით, რამაც შესაძლებლობა მისცა დაესრულებინა არხის მშენებლობა 1869 წ. 17 ნოემბრისათვის. ეგვიპტე ფინანსურ კაბალაში მოექცა, რადგანაც არხის მშენებლობა 450 მლნ ფრანკი დაჯდა (Hunter, 2008: 184-197; Baer,1956: 372-381).

ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ეგვიპტისათვის თავსმოხვეულმა კაპიტულაციის რეჟიმმა დიდი ხნით განსაზღვრა მისი სოციალ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები. ამასთან, საიდ ფაშა და ხედივი ისმაილი რეფორმების გატარებისას იძულებული იყვნენ გაეთვალისწინებინათ დასავლეთის ქვეყნების და დასავლური კაპიტალის ინტერესები. ქვეყნის განვითარების პროცესებს დასავლეთი აკონტროლებდა, რომლისთვისაც არ იყო ხელსაყრელი ეგვიპტის მოდერნიზაცია (Cleveland, 2009: 96-97; Rogan, 2009: 99-100).

გატარებულ რეფორმებს ჰქონდა დადებითი მხარეებიც: საიდ ფაშამ აკრძალა მონობა და მონათვაჭრობა, გაუქმდა მონოპოლიების სისტემა, დაინერგა კერძო მეწარმეობის თავისუფლება და გამოცხადდა კანონის წინაშე ყველა ეგვიპტელის თანასწორობა. ბამბის პლანტაციების ზრდასთან ერთად იზრდებოდა ბამბის გამწმენდი ქარხნების რიცხვი, გაჰყავდათ სარწყავი არხები, რკინიგზების ქსელი – ბამბის გასატანად საზღვაო პორტებამდე. სოფლებში ნატურალური გადასახადი შეიცვალა ფულადი ფორმით, განმტკიცდა კერძო საკუთრება მიწაზე. სასაქონლო ფულადი ურთიერთობების განვითარებას ხელი შეუწყო 1858 წ. მიღებულმა კანონმა მიწის მემკვიდრეობით გადაცემის, მისი გაყიდვის და არენდით გადაცემის უფლების შესახებ (Marsot, 1994: 68; Cleveland, 2009: 92).

1866 წელს ხედივმა დააარსა სათათბირო წარმომადგენლობითი პალატა, რომელიც ლიტერატურაში უფრო ცნობილი გახდა როგორც *წარჩინებულთა პალატა (მაჯლის შურა ან-ნუვვაბ).* მისი წევრები უნდა ყოფილიყვნენ 25 წლის და ზემოთ, კანონმორჩილნი და ეგვიპტეში დაბადებული (მუხლი 2), ჰქონოდათ კარგი რეპუტაცია (ე.ი. არ ყოფილიყვნენ ბანკროტები ან განთავისუფლებული სამსახურიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით). პალატა შედგებოდა 75 დეპუტატისაგან, რომლებიც აირჩეოდნენ სამი წლის ვადით სოფლის შეიხებისაგან და კაიროს, ალექსანდრიის და დამიეტას მოსახლეობის ზედაფენის რჩეული წარმომადგენლებისაგან (Hourani, 1968: 41-68). *წარჩინებულთა პალატა* არანაირ როლს არ ასრულებდა ქვეყნის მართვაში, მაგრამ სათავე დაუდო პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურიზაციას: 1879 წელს დაარსდა პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია სახელწოდებით *„ვატან"*; წარმოიშვა საიდუმლო საზოგადოებები, ლიტერატურული და სამეცნიერო კლუბები, მასონური ლოჟები; 1867 წელს ისმაილ ფაშას ებოძა ხედივის ტიტული და უფლება დამოუკიდებლად დაედო სესხის, სავაჭრო და სხვა სახის ხელშეკრულებები, ჰქონოდა საკუთარი ფულის ერთეული, გაეზარდა ეგვიპტის არმიის რაოდენობა;[36]

36 მუჰამად ალისგან განსხვავებით, რომელიც ოსმალეთის სულტნისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა ომების საშუალებით, ისმაილის მეთოდი იყო ქრთამი და საჩუქრები. 1863 წელს ოსმალეთის სულ-



პირველი გემები სუეცის არხში

1873 წელს სულტანმა ეგვიპტე „აამაღლა“ „სახელმწიფოს“ დონემდე (მანამდე ჰქონდა პროვინციის სტატუსი); 1870-1876 წწ. ჩატარდა სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია.[37] 1876 წელს ხედივის ბრძანებით ჩამოყალიბდა შერეული სასამართლოები (ის შედგებოდა ეგვიპტელებისა და უცხოელებისაგან), რადგანაც 70-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელთა ჩართვა ეგვიპტის ეკონომიკურ ცხოვრებაში და შესაბამისად, გაიზარდა სასამართლო დავების რაოდენობა ეგვიპტელებსა და უცხოელებს შორის. შარიათის სასამართლოები კვლავ აგრძელებდა მუშაობას, მაგრამ მათი იურისდიქცია მხოლოდ პირადი სტატუსისა და ვაკფის სფეროთი შემოიფარგლებოდა; 1868 წელს გამოიცა *კანონი სახალხო განათლების შესახებ (კანუნ ალ-მა'არიფ ალ-'ამმ),* რომელიც ადგენდა სკოლების სამ ტიპს მათი მოქმედების ადგილის (სოფელი, პროვინციული ქალაქი ან დიდი ქალაქი) მიუხედავად. 10-ჯერ გაიზარდა განათლების ბიუჯეტი და შედგენილ იქნა პროგრამა დაწყებითი და საშუალო სკოლების ქსელის გაფართოებისათვის – სკოლების რიცხვი გაიზარდა 185-დან 1865 წელს 4685-მდე 1875 წელს. ამავე პერიოდში გაიხსნა საჯარო სკოლები გოგონებისათვის. პირველი მათგანი იყო *სიიფიია*, რომელიც გაიხსნა 1873 წელს. მომდევნო წელს სკოლამ მიიღო 400 გოგონა, რომელთაც პროგრამის გათვალისწინებულ დისციპლინებთან ერთად ასწავლიდნენ კერვას და ქსოვას. 1872 წელს, ალი მუბარაქის რჩევით, დაარსდა *დარ ალ-'ულუმ* (მეცნიერების სახლი), რომელიც მასწავლებელთა დახელოვნების კოლეჯს წარმოადგენდა. მუშაობა დაიწყო სპეციალიზირებულმა სკოლებმა – მუსიკალური, სასოფლო-სამეურნეო, სამართლის, სამოქალაქო მედიცინის. გაჩნდა აგრეთვე მოსამზადებელი სკოლები. 1872 წელს დაიწყო ალ-აზჰარის სასწავლო პროცესის რეფორმირებაც. განახლდა სტუდენტების გაგზავნა სასწავლებლად ევროპაში; გაიხსნა არაბული ხელოვნების და ეგვიპტის სიძველეთა მუზეუმები, ეროვნული ბიბლიოთეკა (1871) და საოპერო თეატრი; 1868 წელს მუშაობა განაახლა ენების სკოლამ; გაიზარდა ინტერესი არაბთა ისტორიისა და ლიტერატურისადმი; განმტკიცდა არაბულის, როგორც ერთადერთი ოფიციალური ენის, სტატუსი; იზრდებოდა ბეჭდვითი პროდუქციის რაოდენობა, 1866-1879წწ. გამოდიოდა 25 გაზეთი და ჟურნალი არაბულ ენაზე. შემოტანილ იქნა ევროპული სამინისტროების სისტემა, მაგრამ საბოლოოდ გაფორმება მოხდა მხოლოდ 1923 წელს; ბამბის კულტურის ბუმმა 1843-1872

ტანი აბდულ აზიზი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ეგვიპტეს (ის იყო პირველი ოსმალეთის სულტანი, ვინც ფეხი დაადგა ეგვიპტის მიწაზე მას შემდეგ, რაც 1517 წელს სელიმ I-მა დაიპყრო ეს ქვეყანა) (Cleveland, 2009: 96).

37 ისმაილმა დააარსა პირველი ინსტანციის სასამართლოები. 1863 წლის იანვარში დაარსდა 5 პროვინციული სასამართლო 124 წევრით და 1870 წლისათვის ასეთი სასამართლოები იყო ეგვიპტის ყველა პროვინციაში. 1871 წელს სოფლის სასამართლო დაარსდა ეგვიპტის ყველა სოფელში (მოსამართლეს შეეძლო პიროვნების დაპატიმრება მხოლოდ 24 სთ-იანი ვადით) (Cole, 1999: 44-45).

წლებში 5-ჯერ გაზარდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა – 1850 წ. 918,000 გირვანქა სტერლინგიდან გაიზარდა დაახლ. 10 მლნ-მდე 1860წ;[38] ხედივ ისმაილის მმართველობის წლებში ქვეყანაში აშენდა **112 საირიგაციო არხი, 1466 კმ სარკინიგზო ხაზი (გაგრძელდა სუდანამდე), 430 ხიდი, 64 შაქრის ქარ**ხანა; დაარსდა ახალი ქალაქი ისმაილია (Cleveland, 2009: 95-97; Cole, 1999: 29; İhsanoğlu, 2002: 327).

ხედივ ისმაილს გარკვეული საფუძველი ჰქონდა, რომ **1869 წ. 17 ნოემბერს, სუეცის არხის გახს**ნაზე ეთქვა, რომ „ჩემი ქვეყანა აღარ არის აფრიკაში, ის ახლა ევროპაშია“ (ციტ. Cleveland, 2009: 95).

ისმაილ ფაშას მთელი რეფორმატორული საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო ეგვიპტის გადაქცევა „ევროპის ნაწილად“ და აშკარად შეიმჩნეოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა, მაგრამ რეფორმების უარყოფითი მხარე იყო მათი მაღალი ღირებულება, რაც იფარებოდა უცხოური ვალების ხარჯზე – 1862 წელს ეგვიპტე იძულებული გახდა დაედო შეთანხმება პირველი საგარეო ვალის აღების თაობაზე.

გატარებული რეფორმების მიუხედავად, ეგვიპტე რჩებოდა აღმოსავლურ ქვეყნად, ღრმად ტრადიციული საზოგადოებით და არ შეეძლო ყოფილიყო დასავლეთისათვის თანასწორი პარტნიორი; ეს აჩვენა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა: დაპყრობითი ომები, ფინანსური კრახი, ანგლო-ეგვიპტური ომი და 1882 წლიდან ინგლისის კოლონიური რეჟიმის დამყარება (ეგვიპტემ ფორმალურად შეინარჩუნა ოსმალეთის იმპერიის საფაშოს სტატუსი). ამასთან, **6 ათწლეულის განმავლობაში თან**მიმდევრულმა რეფორმებმა სამხედრო სფეროში, ადმინისტრაციაში, ეკონომიკასა და განათლებაში, ხელი შეუწყო ქვეყნის წინსვლას.

ჯუზეპე ვერდის სახელგანთქმული ოპერა „აიდა“ დაიწერა ისმაილ ფაშას დაკვეთით სუეცის არხის გაყვანასთან დაკავშირებით და დაიდგა 1871 წლის შობის საღამოს. მოქმედება ვითარდება ძველ ეგვიპტეში, რომლის შესახებაც ოპერის ავტორსა და ლიბრეტისტს კონსულტაციებს უწევდა განთქმული ფრანგი ეგვიპტოლოგი ოგიუსტ მარიეტი, ეგვიპტეში მარიეტ ფაშად წოდებული. მთავარი ინტრიგას და დილემას წარმოადგენს გამარჯვებული მხედართმთავრის, რადამესის სიყვარული ორი ქალის მიმართ: ამნერისისადმი, ფარაონის ქალიშვილისადმი და აიდასადმი, ეთიოპელი მონისადმი, ეთიოპიის მეფის ქალიშვილისადმი, რომელთანაც ეგვიპტე ომობს. ამ მდგომარეობაში ჩაგდებული რადამესი საბოლოოდ მიდის სამშობლოს ღალატამდე და სიკვდილით ისჯება. XIX ს.-ის ევროპელი ქრისტიანისათვის რეალურად აქ მართლაც მტკივნეული დილემა იდგა. მაგრამ ფარაონთა დროის, და კიდევ უფრო მეტად ვერდის დროინდელ ეგვიპტეში, ამგვარი დილემა უბრალოდ არ იარსებებდა. გმირს ორივე მათგანი შეიძლებოდა ჰყოლოდა: ეგვიპტელი პრინცესა, როგორც ცოლი და ეთიოპელი მონა, როგორც ნაყიდი ან ნაჩუქარი მხევალი, რომელიც შემდეგ მეორე ცოლი გახდებოდა.

ინგლისის კოლონიური პოლიტიკა ეგვიპტეში

ა) აჰმად ურაბის აჯანყება

1870-იან წლებში ეგვიპტის ფინანსურმა გაკოტრებამ სათავე დაუდო დასავლეთის სახელმწიფოების მიერ ეგვიპტის დაკაბალებას.

1862-1872 წლებში ეგვიპტემ გააფორმა ექვსი საგარეო ვალის ხელშეკრულება, რამაც მთლიანობაში შეადგინა 68,5 მლნ გირვანქა სტერლინგი (376,75 მლნ დოლარი), ხოლო ვალების მომსახურებაზე ყოველწლიურად იხარჯებოდა სახელმწიფო შემოსავლების 1/3. 1875 წელს, საგარეო ვალზე პროცენტების გადასახდელად, ხედივი ისმაილი იძულებული გახდა გაეყიდა ეგვიპტის კუთვნილი სუეცის არხის აქციები (44%). დეკემბერში ისინი შეიძინა ინგლისის მთავრობამ 4 მლნ გირვანქად (22 მლნ დოლარი). თუმცა ამ ღონისძიებამაც ვერ გადაარჩინა ქვეყანა გაბანკროტებას – 1876 წლის აპრილში ხედივი იძულებული გახდა შეეწყვიტა სახაზინო ვალდებულებების შესრულება (Rogan, 2009: 106-107).

1876 წლის მაისში ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანო *სახელმწიფო ვალების კომისია* – (ფრ. *Caisse de la dette publique*), რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ევროპის კრედიტორი ქვეყნების – ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის და იტალიის წარმომადგენლები. ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა ინგლისელ ეველინ ბეირინგს (მოგვიანებით ის ლორდი კრომერი გახდა). ამ კომისიის კონტ-

38 ბამბაზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა აშშ-ში სამოქალაქო ომის (1861-1865) დროს, მაგრამ მისი დამთავრების შემდეგ მოთხოვნა თანდათან შემცირდა და მრავალი საგლეხო მეურნეობა, რომელიც ორიენტირებული იყო ბამბის კულტურის ექსპორტზე, გაკოტრდა.

როლის ქვეშ გადავიდა საგადასახადო შემოსავლები დელტას 4 უმდიდრესი პროვინციიდან, კაიროს და ალექსანდრიის საბაჟო მოსაკრებლები და თამბაქოს აქციზები. მნიშვნელოვნად შეიზღუდა სასახლის კარის ხარჯები, ხოლო ხედივ ისმაილის პირადი მამული გადაეცა ლონდონელ ბანკირ როტშილდს ახალი ვალის მიღების გარანტიად. ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირებამ გამოიწვია ამ ორგანოს გაუქმება და მის ნაცვლად *ორმაგი კონტროლის სისტემის* ჩამოყალიბება: დაინიშნა ორი კონტროლიორი – ინგლისელი და ფრანგი, რაც ნიშნავდა ევროპელთა პირდაპირ ჩარევას ეგვიპტის საფინანსო საქმეებში (Cleveland, 2009: 99; Cole, 1999: 183).

1878 წლის აგვისტოში, კრედიტორების გავლენით, ისმაილი იძულებული გახდა მთავრობაში ჩაერთო რამდენიმე ევროპელი მოხელე (ფინანსთა მინისტრად დაინიშნა ინგლისელი რივერს უილსონი, ხოლო საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრად – ფრანგი გაბრიელ დე ბლინერი), შინაგან საქმეთა მინისტრად – პროევროპულად განწყობილი რიად ფაშა. ევროპელებმა დაიკავეს საკვანძო პოსტები თითქმის ყველა სამინისტროში. ამ მთავრობამ ეგვიპტეში მიიღო სახელწოდება „ევროპული კაბინეტი." ამ მარიონეტული მთავრობის სათავეში აღმოჩნდა ეგვიპტის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ინგლისის მომხრე, კათოლიკე სომეხი ნუბარ ფაშა (Зеленев, 1999: 262-263; Marsot, 1994: 69-71; Owen, 1981: 100-121).

ურაბი ფაშა

1879 წლის თებერვალში „ევროპულმა კაბინეტმა," ეკონომიის მიზნით, გადაწყვიტა არმიიდან 2,5 ათასი ოფიცრის დათხოვნა, ხოლო დანარჩენებისათვის ჯამაგირის ორჯერ შეემცირება; ასევე გადაწყდა არ გადაეხადათ ძველი დავალიანება. მთავრობის მიერ გამოცემული ახალი კანონი უკრძალავდა ეგვიპტელ ფელაჰებს მიეღოთ ოფიცრის წოდება (Луцкий, 1965: 176; Rogan, 2009: 125).

1879 წლის 18 თებერვალს, ეგვიპტის ახალ ისტორიაში პირველად გამოიკვეთა არმიის აქტიური პოლიტიკური როლი – სამსახურიდან დათხოვილმა არმიის ოფიცრების ჯგუფმა შეიპყრო მთავრობის მეთაური ნუბარ ფაშა, ფინანსთა მინისტრი უილსონი და მოითხოვა მათი გადაყენება. „ტყვეების" გათავისუფლება მხოლოდ ხედივ ისმაილის ჩარევით მოხერხდა. ყოფილი სამხედროების დემარშის მეორე დღესვე ხედივმა გადააყენა „ევროპული კაბინეტი," დანიშნა ახალი პრემიერი (შარიფ ფაშა), სამსახურში აღადგინა გადაყენებული ოფიცრები და ახალ მთავრობას დაავალა კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

ამის შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა მოსთხოვეს ოსმალეთის სულტანს გადაეყენებინა ხედივი ისმაილი და მის ნაცვლად მისი შვილი თაუფიკი დაენიშნა. 1879 წლის 10 მარტს, კომპრომისის საფუძველზე, ჩამოყალიბდა ახალი, ე.წ. მეორე „ევროპული კაბინეტი," რომლის სათავეში თაუფიკი აღმოჩნდა. კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ, ნუბარი, რიადი და ორი უცხოელი (ინგლისელი და ფრანგი), რომლებიც სარგებლობდნენ ვეტოს შეუზღუდავი უფლებით. პოლიტიკური ბრძოლის ცენტრმა კვლავ საკონსულტაციო კრებაში გადაინაცვლა. შექმნილ ვითარებაში მთავრობამ გადაწყვიტა დაეთხოვა დეპუტატები. 27 მარტს რიად ფაშა მივიდა მორიგ სხდომაზე, რომელსაც უნდა განეხილა მთავრობის საფინანსო პოლიტიკის საკითხები და გააკეთა განცხადება კრების უფლებამოსილების ვადა ამოწურვის შესახებ. ხედივის გეგმის საპირისპიროდ, დეპუტატები არ დაშლილან და მოითხოვეს სხდომების გაგრძელება ორი თვით, რაც აუცილებელი იყო საფინანსო საკითხების გადასაწყვეტად და სამინისტროების მუშაობის პრინციპის გადასინჯვისათვის. **1879 წლის 2 აპ**რილს დეპუტატების ჯგუფმა ხელი მოაწერა „ეროვნულ მანიფესტს," რომელიც წარმოადგენდა უილსონის ფინანსური გეგმის საწინააღმდეგო კანონპროექტს. ამის საპასუხოდ, 7 აპრილს ხედივმა ისმაილმა გამოაცხადა, რომ „განზრახული აქვს ჩამოაყალიბოს „ნაციონალური მთავრობა," რომელიც პასუხისმგებელი იქნება დეპუტატთა პალატის წინაშე." იმავე დღეს ზომიერ ლიბერალ შარიფ ფაშას დაევალა მთავრობის ჩამოყალიბება „ჭეშმარიტად ეგვიპტური ელემენტებისაგან." ამასთან ერთად, გამოცხადდა, რომ ამის შემდეგ მთავრობა პასუხისმგებელი იქნებოდა არა ხედივის, არამედ წარმომადგენლობითი პალატის წინაშე. შარიფ ფაშას მთავრობამ შეიმუშავა კონსტიტუციისა და ახალი საარჩევნო კანონის პროექტები, აღიარა შიდა სესხებზე ვალდებულებები და სამსახურიდან დაითხოვა მრავალი უცხოელი მოხელე (Луцкий, 1965:178-180).

1879 წლის 25 ივნისს სულტანმა აბდულ ჰამიდ II-მ, ევროპელი კონსულების ზეწოლით,[39] გაათავისუფლა ხედივი ისმაილი და მის ნაცვლად ეგვიპტის ახალ მმართველად დაინიშნა თაუფიკი. ხედივმა თაუფიკმა, რომელიც ინგლის-საფრანგეთის მთავრობების უბრალო მარიონეტს წარმოადგენდა, გადააყენა შარიფ ფაშას მთავრობა, უარყო კონსტიტუციის პროექტი, აღადგინა ინგლის-საფრანგეთის ფინანსური კონტროლი და შეამცირა არმია. **21 სექტემბერს ჩამოაყალიბა ეროვნული მთავრობა, რომელსაც** სათავეში ჩაუდგა რიად ფაშა (რეალურად ის მართავდა ქვეყანას ინგლისელ და ფრანგ კონსულებთან ერთად) და ერთდროულად ხელმძღვანელობდა ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს (Hunter, 1984).

1880 წლის აპრილში ეგვიპტის ვალთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, შეიქმნა ე.წ. სალიკვიდაციო კომისია, რომლის ხელმძღვანელიც რივერს უილსონი გახდა. კომისიის წინადადებით, 1880 წლის 17 ივლისს გამოიცა *ლიკვიდაციის კანონი*, რომელმაც დააფიქსირა ეგვიპტის ვალი **98,4 მლნ გირვანქა სტერლინგის ოდენობით და განსაზღვრა ვალის ყოველწლიური დაფარვის პროცედურა.** ამ კანონის შესაბამისად, ყოველწლიური შემოსავლები უნდა გაყოფილიყო ორ დაახლოებით თანაბარ ნაწილად – ერთი ნაწილი გადაეცემოდა ვალების კომისიას და მეორე – ეგვიპტის სახელმწიფოს (Cleveland, 2009: 99).

ინგლის-საფრანგეთის მთავრობების მორიგმა თვითნებობამ და ახალი ხედივის მთავრობის არაპოპულარულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გააძლიერა უკმაყოფილება ეგვიპტის საზოგადოების ყველა ფენაში.

1881 წლის 17 იანვარს კაიროს გარნიზონის ერთ-ერთმა პოლკის მეთაურმა ურაბი ფაშამ, სხვა ორ პოლკოვნიკთან ერთად, პრემიერ-მინისტრს – რიად ფაშას პირადად გადასცა პეტიცია, სადაც აპროტესტებდნენ სამხედრო მინისტრის (უსმან რიფკი – ჩერქეზი) მოქმედებებს. მათ ჰქონდათ სამი ძირითადი მოთხოვნა: ეგვიპტის არმიის პირადი შემადგენლობის რაოდენობის გაზრდა; თანასწორობა სამხედროებს შორის ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად; წარმოშობით ეგვიპტელი ოფიცრის დანიშვნა სამხედრო მინისტრად. ამას მოჰყვა მათი დაკავება, მაგრამ მათ დაქვემდებარებაში მყოფმა სამხედრო ნაწილებმა ჩაშალეს მთავრობის ცდა – სამხედრო სასამართლოსათვის გადაეცა ურაბი ფაშა და მისი ორი თანამებრძოლი. მათ ალყა შემოარტყეს სამხედრო სამინისტროს შენობას და მოითხოვეს როგორც სამხედრო მინისტრის, ისე მთელი მთავრობის გადადგომა (Rogan, 2009: 125-126).

> ამ მოვლენებმა მოძრაობის ლიდერად აქცია ფელაჰთა წრიდან გამოსული პოლკოვნიკი აჰმად ურაბი ფაშა (1839-1911), რომლის გარშემოც გაერთიანდნენ ოპოზიციის ძირითადი ძალები. ურაბი ფაშას ეგვიპტის პირველ ეროვნულ გმირსაც უწოდებენ. ჯერ კიდევ **1876 წელს ის სათავეში ჩაუდგა არმი**აში ეგვიპტელი ოფიცრების საიდუმლო საზოგადოებას, რომლის წევრებიც თავს უწოდებდნენ *„ვატანიიუნ“* („პატრიოტები“). სწორედ ეგვიპტელი ოფიცრების წრეში წარმოიშვა მოწოდება – „ეგვიპტე ეგვიპტელებისათვის“, რომელიც გახდა მთელი ეგვიპტის ეროვნული მოძრაობის ლოზუნგი. 1881 წელს ურაბიმ და მისმა მომხრეებმა, რადიკალურად განწყობილი ოფიცრებისა და ინტელიგენციის წრიდან, ჩამოაყალიბეს „სამშობლოს პარტია“ (*ალ-ჰიზბ ალ-ვატან*). პარტიის სამხედრო ფრთასთან ერთად წარმოიშვა ლიბერალური სამოქალაქო ფრთა (იმავე სახელწოდებით) და მასში შევიდნენ მსხვილი მიწისმფლობელები, მეწარმეები. პარტიის თავმჯდომარე გახდა მუჰამად სულტან-ფაშა, ისმაილ რაგიბ ფაშა – ყოფილი ფინანსთა მინისტრი და პრემიერ-მინისტრი, ხედივ ისმაილის მომხრე – ლიბერალი მემამულე შარიფ ფაშა. პარტიის მიზანი გახდა ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიის დამყარება მემამულეებისა და მსხვილი ვაჭრების უფლებებისა და პრივილეგიების შენარჩუნებით.
>
> ურაბის და მისი მომხრეებისათვის მისაღები იყო ეგვიპტის, როგორც ოსმალეთის იმპერიის პროვინციის, სტატუსი. ისინი უპირისპირდებოდნენ ევროპელი მინისტრებისა და მრჩევლების ზეგავლენას ეგვიპტის პოლიტიკასა და ეკონომიკაზე და თურქულ-ჩერქეზული ელემენტის დომინირებას არმიასა და მინისტრთა კაბინეტში (Rogan, 2009: 126-127).

ხედივი თაუფიკი იძულებული იყო მიეღო სამხედრო ნაწილების მოთხოვნა. მან შექმნა ახალი მთავრობა და სამხედრო მინისტრად ვატანისტი მაჰმუდ სამი ალ-ბარუდი (1839-1904) დანიშნა. როგორც კი მღელვარება ჩაცხრა და გარნიზონის ნაწილები ყაზარმებში დაბრუნდნენ, მთავრობამ ისევ უკან წაიღო დაპირება დათმობების შესახებ. ხედივი არ დასჯერდა მარტო სამხედრო მინისტრის გადაყენებას და მის ნაცვლად თავისი ერთგული პირის დანიშვნას, მან ასევე ბრძანა დედაქალაქის მეამბოხე გარნიზო-

39 ხედივი ისმაილის გადაყენებაზე ულტიმატუმს ინგლისთან, საფრანგეთთან, გერმანიასა და ავსტრიასთან ერთად მხარი დაუჭირეს რუსეთმა და იტალიამ.

ნების 3 პოლკის გაყვანა პროვინციებში. ამის საპასუხოდ, კაიროს გარნიზონმა (4 ათასი ჯარისკაცი), 1981 წლის 9 სექტემბერს, ურაბი ფაშასა და ვატანისტი ოფიცრების 30-კაციანი ჯგუფის მეთაურობით, აიძულა ხედივი შეესრულებინა ამბოხებული არმიის მიერ წაყენებული მოთხოვნები: კაბინეტის გადაყენება და ახალი ლიბერალური კაბინეტის შექმნა შარიფ ფაშას ხელმძღვანელობით; კონსტიტუციის მიღება და პარლამენტის მოწვევა; არმიის შემადგენლობის გაზრდა 18 ათასამდე. 1981 წლის 18 თებერვლის სამხედროთა დემარშისაგან განსხვავებით, „9 სექტემბრის მოძრაობამ" წამოაყენა პოლიტიკური მოთხოვნები (Reid, 2008: 225-226; Barthorp, 1986: 26-28).

არმიის გადამწყვეტი მოქმედებების შედეგად, მთელი ძალაუფლება ვატანისტების ხელში მოექცა. ახალმა ლიბერალურმა მთავრობამ, რომელსაც შარიფ ფაშა ედგა სათავეში, შეიმუშავა კონსტიტუციის პროექტი. ამავე წლის დეკემბერში შეიკრიბა დეპუტატთა პალატა, რომლის უმრავლესობა სამშობლოს პარტიის პროგრამას უჭერდა მხარს. პარლამენტმა მოითხოვა მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე და უფლება კონტროლი გაეწია ბიუჯეტის იმ ნაწილისათვის, რომელიც განკუთვნილი იყო უცხოური ვალების დასაფარავად. პარლამენტის ეს მოთხოვნები წააწყდა შარიფ ფაშას მთავრობისა და ინგლის-საფრანგეთის მთავრობის სასტიკ წინააღმდეგობას (Vatikiotis, 1991: 178-191).

ურაბის მომხრეებსა და შარიფ ფაშას მთავრობას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა 1882 წლის 2 იანვარს, რაც დაკავშირებული იყო მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ძირითად კანონთან და საარჩევნო კანონთან, რომლებიც ზღუდავდა წარჩინებულთა პალატის უფლებებს, რადგანაც ისინი მიიღეს მისი თანხმობის გარეშე. 2 თებერვალს, არმიის ენერგიული მხარდაჭერით, პარლამენტმა აიძულა ხედივი გადაეყენებინა შარიფ ფაშას კაბინეტი და შეექმნა ვატანისტების კაბინეტი, რომელშიც პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა მაჰმუდ სამი ალ-ბარუდიმ, ხოლო სამხედრო მინისტრის – ურაბი ფაშამ. ახალმა მთავრობამ გაატარა რეფორმების პროგრამა: სამსახურიდან დაითხოვა უცხოელი მოხელეები და მრჩევლები და დაიწყო მათი შევსება ეგვიპტელებით; ხელი მიჰყო არმიის წმენდას, 520 ოფიცერმა-ვატანისტმა მიიღო დაწინაურება და მრავალი მათგანი დაინიშნა პროვინციების გუბერნატორებად, ვიცე-გუბერნატორებად და სხვა თანამდებობებზე; მიიღო კონსტიტუციის პროექტი, აკრძალა ფელაჰების იძულებითი შრომა, შექმნა სასოფლო-სამეურნეო ბანკი და სხვ. (Barthorp, 1986: 30; Зеленев, 1999: 271-272).

1882 წლის 7 თებერვალს წარჩინებულთა პალატამ ფაქტობრივად გააუქმა ორმაგი კონტროლის სისტემა ეგვიპტის ფინანსებზე და დაიწყო დემოკრატიული კანონპროექტების შემუშავება.

ბ) ეგვიპტის ოკუპაცია ინგლისის მიერ

1882 წლის შუა ხანებში რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და იტალიის გენერალური კონსულების ზეწოლით, ხედივმა თაუფიკმა და ურაბი ფაშამ მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებას ეგვიპტის ერთიანი კანონიერი მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ. მას სათავეში ჩაუდგა რაგიბ ფაშა, ხოლო სამხედრო მინისტრის პოსტი შეინარჩუნა ურაბი ფაშამ. ფაქტობრივად, ხედივის არც ერთი ბრძანება არ სრულდებოდა, თუ მას არ ამტკიცებდა ურაბი ფაშა. ამ ვითარებაში ინგლისმა და საფრანგეთმა საზღვაო ესკადრა შეიყვანეს ეგვიპტის ტერიტორიულ წყლებში და ხედივს მოსთხოვეს ამ მთავრობის გადაყენება. ხედივმა გამოსცა სათანადო აქტი, მაგრამ ამას საპროტესტო ტალღის აგორება მოჰყვა ალექსანდრიაში, კაიროში და სხვა ქალაქების მოსახლეობაში. ხედივი იძულებული გახდა გაეუქმებინა თავისი დეკრეტი და დაეტოვებინა ურაბი ფაშა თავის პოსტზე.

1882 წლის 31 მაისს ხედივი თაუფიკი კაიროდან ალექსანდრიაში გადავიდა. ამის შემდეგ ეგვიპტეს მართავდა ორი ადამიანი: სახელმწიფოს კანონიერი მეთაური ხედივი თაუფიკი, რომელიც ალექსანდრიაში თავის სასახლეს არ ტოვებდა და კაიროში მოქმედი მთავრობის ხელმძღვანელი ურაბი ფაშა, რომელიც თაუფიკმა აჯანყებულად გამოაცხადა. 1882 წლის 11 ივნისს ალექსანდრიაში მოხდა ანტიევროპული და ანტიქრისტიანული გამოსვლები, რომლის შედეგადაც დაიღუპა დაახლ. 50 უცხოელი და 150 ეგვიპტელი.[40] ეს მოვლენები გახდა ეგვიპტის საქმეებში ევროპელი სახელმწიფოების ჩარევის საბაბი. ინგლისს სურდა ეგვიპტე თავის კოლონიად ექცია, ჩამოეშორებინა საფრანგეთი და მის გარეშე მოეხდინა ეგვიპტის ოკუპაცია. საფრანგეთის დიპლომატიამ გადაწყვიტა ხელი შეეშალა მეტოქის ამ განზრახვისათვის და წამოაყენა წინადადება ეგვიპტის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. 1882 წლის 23 ივნისს კონფერენცია მართლაც მოიწვიეს კონსტანტინოპოლში, რომელ-

40 არაოფიციალური მონაცემებით, მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო. 18 ივნისათვის ეგვიპტე დატოვა დაახლ. 32 ათასმა ადამიანმა. ესენი იყვნენ ევროპელები, სირიელები, ეგვიპტელი ქრისტიანები (Зеленев, 1999: 272).

საც ოსმალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომ არც ერთ დაინტერესებულ სახელმწიფოს არ უნდა განეცხადებინა ტერიტორიული პრეტენზიები ეგვიპტის მიმართ. ინგლისმა არ გაითვალისწინა ეს დადგენილება და პირდაპირ ინტერვენციაზე გადავიდა (Chamberlain, 1977: 14-39; Marsot, 1978: 471-478).

1882 წლის 11 ივლისს ინგლისმა დაიწყო ალექსანდრიის საარტილერიო დაბომბვა, რომელიც დაახლოებით 10 საათი გაგრძელდა. შედეგად, დაინგრა ასობით სახლი, დაიხოცა ასობით უდანაშაულო მოსახლე. 14 ივლისს დაცარიელებული და დანგრეული ქალაქი დაიკავა ინგლისის დესანტმა. ფრანგებმა თავი შეიკავეს სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისაგან. ხედივმა თაუფიკმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ინგლისელებთან, გაათავისუფლა ურაბი ფაშა, რომელიც არ დაემორჩილა ხედივს, შექმნა თავდაცვის საბჭო და დაიწყო ბრძოლა ქვეყნის გასათავისუფლებლად ოკუპანტთაგან. 1882 წლის აგვისტოში ინგლისმა მოახდინა სუეცის არხის ზონის ოკუპაცია – დაიკავა 3 ქალაქი სუეცის არხის ზონაში: პორტ-საიდი, სუეცი და ისმაილია. ინგლისელებმა სულ მოკლე ხანში ჩაახშეს ეგვიპტელთა წინააღმდეგობა და დაამთავრეს ეგვიპტის ოკუპაცია. 1882 წლის 13 სექტემბერს ინგლისის ძალებმა დაამარცხეს ეგვიპტის 15 ათასიანი არარეგულარული არმია ურაბი ფაშას ხელმძღვანელობით თელ ალ-ქაბირთან. 15 სექტემბერს ინგლისის არმია გენერალ გარნეტ უოლსლის ხელმძღვანელობით კაიროში შევიდა. მათ კაიროში დააბრუნეს მათი მორჩილი ხედივი თაუფიკი, დიდი კონტრიბუციით დაბეგრეს ქვეყანა და მკაცრად დასაჯეს განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილენი. ურაბი ფაშას თავდაპირველად სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით სასჯელი ბრიტანეთის კოლონია ცეილონზე გადასახლებით შეუცვალეს (იქ მან დაჰყო18 წელი, 1901 წლამდე) (Vatikiotis, 1991: 201-214; Rogan, 2009: 130-131).

ინგლისის მიერ ეგვიპტის ოკუპაციის წინააღმდეგ გამოვიდა მრავალი ქვეყანა, მათ შორის საფრანგეთი და რუსეთი, რამაც ხელი შეუშალა ინგლისს გამოეცხადებინა ეგვიპტე თავის კოლონიად. ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ბრიტანეთის არმიის სტატუსი ეგვიპტის ტერიტორიაზე. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებდა, რომ ოკუპაცია დროებით ხასიათს ატარებდა და დასრულდებოდა, როგორც კი წესრიგი აღდგებოდა ეგვიპტეში. ინგლისელთა არმიის ეგვიპტიდან გაყვანის სავარაუდო თარიღი იყო 1888 წელი, რასაც დაჟინებით ითხოვდა საფრანგეთი, რუსეთი და ოსმალეთის იმპერია. საპირისპიროდ, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია, მხარს უჭერდა ინგლისის ოკუპაციას, რამაც ინგლისს მანევრირების საშუალება მისცა. ეგვიპტე ოფიციალურად „დარჩა“ ოსმალეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად. ინგლისელებმა გააუქმეს 1882 წლის კონსტიტუცია და 1883 წელს გამოაქვეყნეს ახალი კანონი, რომლის ძალითაც ფორმალურად მთელი ძალაუფლება გადადიოდა ხედივის ხელში. რეალურად კი ეგვიპტის ერთადერთი სრულუფლებიანი ხელისუფალი იყო ინგლისის მთავრობის ნაცვალი, რომელიც აგენტისა და გენერალური კონსულის ტიტულს ატარებდა. 1883 წლიდან 1907 წლამდე ეს პოსტი ეკავა ლონდონელ ბანკირთა ნდობით აღჭურვილ პირს ლორდ კრომერს.[41] მის განკარგულებაში იყვნენ ინგლისის მრავალრიცხოვანი მრჩევლები და კონტროლიორები, რომლებიც სამინისტროებზე და გუბერნატორებზე იყვნენ მიმაგრებულნი. მას ემორჩილებოდა ხედივი თაუფიკიც და ინგლისის საოკუპაციო არმიაც. „ფარული პროტექტორატის“ რეჟიმი იწოდება „კრომერის რეჟიმად“. ლორდი კრომერის წინაშე იდგა ორი მნიშვნელოვანი ამოცანა: დაემყარებინა ქვეყანაში კოლონიური წესრიგი და თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია ეგვიპტის ნაციონალური მოძრაობა; საფრანგეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაექცია ეგვიპტე ინგლისის რენტაბელურ კოლონიად. კრომერმა ორივე ამოცანა წარმატებით განახორციელა (Taylor, 1950: 52-80).

საფრანგეთი დიდი ხნის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა ინგლისის მონოპოლიურ ბატონობას ეგვიპტეში. ის მოითხოვდა ინგლისის ჯარების გამოყვანას და 1883 წელს გაუქმებული ორმაგი კონტროლის აღდგენას. ასე გრძელდებოდა 1904 წლამდე, როცა შეცვლილმა საერთაშორისო ვითარებამ ინგლისი და საფრანგეთი მეტოქეებიდან მოკავშირეებად აქცია. 1904 წლის აპრილში მოკავშირეებად ქცეულმა ინგლისმა და საფრანგეთმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ საფრანგეთი აძლევდა ინგლისს მოქმედებათა თავისუფლებას ეგვიპტეში, რის სანაცვლოდაც ინგლისი ანიჭებდა საფრანგეთს მოქმედებათა თავისუფლებას მაროკოში.

---

41 ლორდი კრომერი ეგვიპტეში დაბრუნდა ოკუპაციის დაწყებისთანავე. ის თვლიდა, რომ ოკუპაციას უნდა ჰქონოდა ხანგრძლივი ხასიათი, ხოლო კოლონიური რეჟიმი უნდა აგებულიყო ცენტრალიზმის პრინციპებზე. კრომერის 10-წლიან მოღვაწეობას ეგვიპტეში მაღალი შეფასება მისცეს ინგლისში და უბოძეს ლორდის ტიტული (Зеленев, 1999: 277-278).

ინგლისის „დროებითი ოკუპაციის“ ეს განუსაზღვრელი საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი ფორმალურად შენარჩუნდა ეგვიპტეში 1914 წლამდე.



დიდი სირია[42]

თანზიმათი და ოსმალეთის იმპერიის არაბული პროვინციები / სირია/

ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში პერიოდი 1839 წლიდან 1876 წლამდე ცნობილია, როგორც *თანზიმათი* და XIX საუკუნეში ოსმალური რეფორმების ყველაზე ინტენსიურ ფაზას წარმოადგენს.

XIX საუკუნე ნიშანდებულია ევროპული ქვეყნების მზარდი დაინტერესებით და აშკარა ჩარევით ოსმალეთის იმპერიის, როგორც საგარეო, ისე საშინაო საქმეებში. ცენტრალური მმართველობის შესუსტებას თან მოჰყვა ცალკეული ვილაიეთების ხელმძღვანელობის გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა წარჩინებულების – აიანების წინწამოწევა. ახალი აღმავლობა განიცადა ბალკანეთის ქრისტიანული მოსახლეობის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც მხარს უჭერდა რუსეთი (Фадеева, 1985: 23).

რაც შეეხება ოსმალეთის იმპერიის არაბულ სამფლობელოებს, XIX ს-ის შუა წლებამდე ოსმალეთის იმპერია რჩებოდა დასუსტებული ფეოდალური სამთავროების ფორმალურად გაერთიანებულ უზარმაზარ სახელმწიფოდ. სელიმ III-ის და მაჰმუდ II-ის ადმინისტრაციული რეფორმები მხოლოდ იმპერიის ტერიტორიის ევროპული და ანატოლიის ვილაიეთებით შემოიფარგლა. თუმცა, **1831 წელს ერაყში გაუქ**მდა ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატიის თვითმმართველობა და ეს პროვინცია სამმართველოდ გადაეცა პორტას მიერ დანიშნულ გუბერნატორს, რომლის ძალაუფლებაც მხოლოდ ვილაიეთის ცენტრსა და ახლომდებარე რაიონებში ვრცელდებოდა. 1840 წლამდე კი სირიის ვილაიეთი საერთოდ არ ემორჩილებოდა სულტნის ხელისუფლებას და წარმოადგენდა ეგვიპტის დამოუკიდებელი ფაშის – მუჰამად ალის სამფლობელოს. მხოლოდ მისი დამარცხებისა (1840) და ევროპული სახელმწიფოების ჩარევის შემდეგ, **1841 წელს პორტამ შეძლო ოსმალური იურისდიქციის აღდგენა სირიაზე, რაც ავტო**მატურად ნიშნავდა 1839 წლის *გიულხანეს ჰატტ-ი შერიფის* დებულებების (იხ. თავი III) გავრცელებას სირიის პროვინციებზეც (Смилянская, 1959: 104; Зеленев, 2003: 219).

ოსმალეთის იმპერიის არაბულ სამფლობელოებში თანზიმათის რეფორმები, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, ადგილობრივი ფეოდალების ტრადიციული პრივილეგიების შესუსტებას და რეგულარული ცენტრალიზებული საგადასახადო სისტემის შემოღებას. რეფორმების გატარებას ხშირად თან სდევდა დამსჯელი ექსპედიციები და შესაბამისად, ხელისუფლების გამკაცრება. სირიის, ერაყის და სხვა არაბულ ვილაიეთებში გუბერნატორები სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს ადგილობრივი მმართველობის ოფიციალურ ორგანოებს.

ეგვიპტელთა მიერ დაწესებული სამოქალაქო დადგენილებების გაუქმების შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობას იმედი გაუჩნდა, რომ მათ მიერ დაწესებული გადასახადებიც გაუქმდებოდა და ოსმალეთის იმპერიის ფისკალური სისტემა მხოლოდ ყველა პროვინციისათვის დაწესებული მიწის გადასახადით შემოიფარგლებოდა. თავდაპირველად, პორტა მართლაც შეეცადა პროვინციის მცხოვრებლების ამით მოსყიდვას და სირიის იმპერიისათვის ხელახალი შემოერთებით გამოწვეული უკმაყოფილების გაქარწყლებას. თუმცა, ვილაიეთის ეკონომიკურმა კრიზისმა აიძულა თურქები იმავე ეგვიპტურ საგადასახადო სისტემისათვის მიემართათ, რითაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიეს. სულადობრივი გადასახადი კვლავ აღდგენილ იქნა *ვერგის* სახელით. სულტნის მიერ გამოცემული მანიფესტით, ე.წ. „*თანზიმათ ხაირიე*“-ს სახელით თურქებმა მანამდე გაანადგურეს ეგვიპტური სამეურნეო სისტემა, ვიდრე შეისწავლიდნენ ახლად დაქვემდებარებული მხარის ფინანსურ წყაროებს. ოსმალეთის **15 ათა**სიანმა არმიამ სირიის დაკავებისას ნახევარ წელიწადში მიითვისა ეგვიპტელთა 70 ათასიანი ჯარის ერთი წლის მარაგი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოსმალეთის ყველა სხვა პროვინციათაგან მხოლოდ სირია იყო განთავისუფლებული რეკრუტების გაწვევისაგან, რითაც პორტას თითქოს სურდა გამოესყიდა თავისი წარგზავნილების დანაშაული სირიის ვილაიეთში (რეკრუტების გაწვევა სირიაში შემოიღეს 1851 წლიდან) (Базили, 1962: 243).

1841 წელს შემოღებულ იქნა სირიის ვილაიეთის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა: საიდის და ტრიპოლის საფაშოები გაერთიანდა ერთ ვილაიეთად და ცენტრი გადატანილ იქნა ბეირუთში. ძველ საზღვრებში დარჩა დამასკოსა და ალეპოს ვილაიეთები. პალესტინა გამოიყო სპეციალურ იერუსალიმის სანჯაყად და დაექვემდებარა ბეირუთის გუბერნატორს. ცალკე სანჯაყად ჩამოყალიბდა დარაზურის რაიონიც, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარა იმპერიის შინაგან სამინისტროს უწყებას.

სირიის პროვინციაში ადმინისტრაციული რეფორმის შესაბამისად მოხდა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების გაყოფა. მკაცრად განისაზღვრა ვალის ანუ გუბერნატორის და კაიმაკამების (ვილაი-

42 დიდი სირია მოიცავდა დღევანდელ სირიას, ლიბანს, ისრაელს და იორდანიას (Cleveland, 2009: 90).

ეთების და სანჯაყების გამგებლების) უფლება-მოვალეობანი. ისინი მხოლოდდამხოლოდ სამოქალაქო ხელისუფალნი იყვნენ და ცენტრს ნებისმიერ დროს შეეძლო მათი გადაყენება. ახალი ადმინისტრაციული სისტემის ცენტრალიზაციით გუბერნია წარმოადგენდა ერთიანი სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილს. გუბერნატორთან შეიქმნა სათათბირო ორგანო: ადმინისტრაციული საბჭო (*მაჯლის იდარა*). გადასახადების აკრეფა და ვილაიეთის ფინანსების განკარგვა გახდა ვალისაგან დამოუკიდებელი მოხელის – *დეფთერდარის* მოვალეობა. მას ექვემდებარებოდა სანჯაყის საგადასახადო სისტემის ხელმძღვანელი *მალმუდირი* ანუ *მუჰასილი*, რომელიც ასევე დამოუკიდებელი იყო კაიმაკამისაგან. მუჰასილიც და დევთერდარიც უშუალოდ იმპერიის ფინანსთა სამინისტროს ბრძანებებს ემორჩილებოდა (Maoz, 1966: 288).

სამხედრო რეფორმის გატარების შემდეგ სირიაში შეიქმნა ახალი რეგულარული არმიის კორპუსი, ე.წ. „*არაბისტან ორდუსი*“ ერთ-ერთი იმპერიის ხუთ კორპუსთაგან, ცენტრით დამასკოში, დამოუკიდებელი ადგილობრივი სამოქალაქო მმართველობისაგან. მისი ხელმძღვანელი *მუშირი* უშუალოდ ემორჩილებოდა იმპერიის სამხედრო საქმეთა სამინისტროს. სამოქალაქო ხელისუფლება სამხედროებს მხოლოდ მაშინ მიმართავდა, როდესაც ესაჭიროებოდა სამხედრო ძალის გამოყენება. სამოქალაქო პოლიციის სახით იყენებდნენ შეიარაღებულ ქვეით და ცხენოსანთა არარეგულარულ სამხედრო ნაწილებს (Луцкий, 1966: 111).

არაბული, ისევე როგორც სხვა არათურქული ვილაიეთებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საკითხს ოფიციალური ენის შესახებ. სულტნის პოლიტიკა არ ითვალისწინებდა არათურქი ხალხების ეროვნული ინტერესების დაცვას. გუბერნატორის და სხვა მაღალ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ სტამბულიდან, ჩვეულებრივ სულტნის გარემოცვიდან. ამას გარდა, სულტანი ცდილობდა ამა თუ იმ პროვინციის გუბერნატორად დაენიშნა სხვა ვილაიეთის მკვიდრი და სხვა ეროვნების პირი, რითაც უზრუნველყოფდა მათ დამოკიდებულებას სულტნის სამეფო კარსა და ცენტრალურ ადმინისტრაციაზე. შედეგად, არაბული გუბერნიების მმართველები და სხვა მაღალჩინოსნები ძირითადად იყვნენ თურქები ან არარაბული წარმოშობის პირები: ალბანელები, ბოსნიელები და ა.შ. 1864 წლის კანონით თურქული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება გზას უხსნიდა ადგილობრივი ენების შევიწროვებას. სახელმწიფო აპარატში მუშაობისათვის უკვე თურქული ენის ცოდნა წარმოადგენდა აუცილებელ პირობას, რითაც განასხვავებდნენ ადგილობრივ სამოხელეო ელიტას უბრალო ხალხისაგან.

აღსანიშნავია სირიის პროვინციის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაც, რამაც ფაქტიურად შექმნა წინაპირობა მზარდი ეროვნული თუ სოციალური გამოსვლებისათვის. დიდ სავაჭრო ცენტრებში, უპირველეს ყოვლისა, დამასკოსა და ალეპოში, სადაც XIX საუკუნის დასაწყისში მრეწველობის ფორმას წარმოადგენდა მანუფაქტურა, დასავლეთ ევროპის საფაბრიკო საქონლის კონკურენციის პირობებში ხდებოდა ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების კატასტროფული შემცირება. ყოველივე ამან ეკონომიკური გავლენა იქონია სოფელზეც, სადაც შემცირდა სამუშაო ძალების ხელოსნობაში გადინება და გაუარესდა გლეხთა მიწათსარგებლობის პირობები (Базили, 1962: 245).

მასობრივმა სიღარიბემ შექმნა საფუძველი ანტიფეოდალური მოძრაობისათვის. ამას ემატებოდა თურქ ხელისუფალთა მიერ კიდევ უფრო დამძიმებული ფისკალური პოლიტიკა. სასაქონლო-ფულადი კაპიტალისტური ურთიერთობების გავლენამ გამოიწვია ფეოდალური სისტემის კრიზისი. ბევრი მიწისმფლობელი გაკოტრდა. სწორედ შექმნილი ურთიერთობების გამო მონაწილეობდნენ მსხვილი ფეოდალები თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალაქის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მანუფაქტურული და ხელოსნური წარმოების დაცემის შედეგად იმდენად გაუწონასწორებელი იყო, რომ ფასების ზრდამ, ახალი გადასახადების დაწესებამ და რეკრუტირების პროცესმა ამ ფენის სრული გაკოტრება გამოიწვია (Котлов, 1975: 98).

ამრიგად, სირიაში XIX საუკუნის შუა ხანებში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში გაიზარდა სოციალური დაძაბულობა და გახშირდა ამბოხებები. გამძაფრდა წინააღმდეგობები ფეოდალური კლასის ცალკეულ ფენებსა და ჯგუფებს შორის (კერძოდ არაბ და თურქ ფეოდალებს შორის) და ბოლოს გაძლიერდა ანტაგონიზმი გლეხებსა და ფეოდალებს შორის. არაბული ქვეყნების მოსახლეობისათვის ფეოდალური მანკიერებები გამოიხატებოდა, უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკურ რეჟიმში, ამიტომაც მოძრაობა მიმართული იყო ამ ხელისუფლების წინააღმდეგ.

1841 წლის დასაწყისში ალეპოში, ისევე როგორც მთელ სირიაში, თურქი მმართველები იძულებული იქნენ გადაედოთ გადასახადების აკრეფა. ამავე წლის შემოდგომაზე მღელვარებამ მოიცვა ალეპო, თურქთა მიერ სულადობრივი გადასახადის – *ვერგის* აკრეფის გამო. 1841 წელს პალესტინის გლეხობაც უარს აცხადებდა გადასახადების გადახდაზე. იგივე მდგომარეობა იყო ლიბანში, ნაბლუსში. მხო-

ლოდ 1841 წლის ბოლოს შეძლეს თურქებმა ადგილობრივი სირიელი მოსახლეობის დამორჩილება. თუმცა ცალკეული რაიონები ისევ არ იხდიდნენ გადასახადს (Thompson, 1993: 466-468).

1845 წლის მაისში ლიბანში დაიწყო შეტაკება დრუზებსა[43] და მარონიტებს[44] შორის[45]. შემოდგომაზე დრუზმა შეიხებმა, ოსმალეთის არმიის დახმარებით, დაამარცხეს მარონიტები. საფრანგეთის კონსულის რჩევით დამკვიდრდა მმართველობის ახალი სისტემა – ორი კაიმაკამი თითოეულ ოლქში და ორი ვაქილი (რწმუნებული) თითოეულ სოფელში. კაიმაკამთან შეიქმნა საბჭო სასამართლოს ფუნქციით და გადასახადების აკრეფის კონტროლის უფლებით. საბჭო შედგებოდა ათი წევრისაგან: ორი მარონიტი, ორი დრუზი, ორი სუნიტი, ორი მართლმადიდებელი და ორი მელქიტი (ბერძენი კათოლიკე). ეს კიდევ უფრო ართულებდა რელიგიურ წინააღმდეგობას და უქმნიდა უცხო ქვეყნებს ხელსაყრელ პირობებს სირიის შინაურ საქმეებში ჩასარევად.

სწორედ ამ დაპირისპირების ნიადაგზე (მარონიტი გლეხები და ქალაქის მოსახლეობა, ვაჭართა ფენის ჩათვლით, გამოდიოდა დრუზი ფეოდალების წინააღმდეგ), სახალხო მოძრაობა განახლდა სირიაში 1850 წელს. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის მთავრობამ განაახლა რეკრუტების შეგროვება, რამაც მღელვარება გამოიწვია დიდ ქალაქებში. შემოდგომაზე ქვეყნის დასამშვიდებლად სირიის ნაწილის სერასქერმა (თურქ. *sarasker* – არმიის მთავარსარდალი ოსმალეთში) მიმართა მოსახლეობას მცირე რაოდენობის რეკრუტების შეგროვებისა და სირიის საზღვრებს შიგნით დატოვების დაპირებით. მაგრამ ამით მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოხერხდა. მღელვარებამ მოიცვა ტრიპოლი. აჯანყდა ბიკაას (=ბეკაა, ბიკა"ა) ველის მოსახლეობა, რომელსაც შეუერთდა დამასკოდან გაქცეული მუსლიმი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი. თურქმა მეომრებმა შეძლეს აჯანყებულების დამარცხება (Котлов, 1975: 169).

1850 წლის ოქტომბერში ალეპოში დაიწყო რეკრუტების შეგროვება, რამაც ქალაქის მუსლიმური მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია. საიდუმლო შეკრებებზე შემუშავდა შეიარაღებული გამოსვლის გეგმა. რამდენიმე ჯგუფად გაყოფილ აჯანყებულებს უნდა შეეღწიათ ცენტრალურ მეჩეთში, დილის ლოცვის დროს მოეკლათ ფაშა და მისი მოხელეები, დაეკავებინათ ციხესიმაგრე და ხელთ ეგდოთ იარაღი. ამ გეგმის პოლიტიკურ უმწიფრობაზე მეტყველებს ის, რომ აჯანყებულებს არ ჰქონდათ შემუშავებული ხელისუფლების ჩამოგდების შემდგომი მოქმედების გეგმა (Bruse, 1999:71-72). მოგვიანებით აჯანყების ხელმძღვანელი გახდა აბდულაჰ ბეი ბაბილსი, რომელიც აჯანყებამდე ცოტა ხნით ადრე განთავისუფლებულ იქნა ალეპოს *მუთასალიმ*ის (ქალაქის სამოქალაქო ხელისუფალი) თანამდე-

---

43 დრუზები – XI ს-ის დასაწყისში ისმაილიზმის საფუძველზე ჩამოყალიბებული მუსლიმური ეთნოკონფესიური თემის წარმომადგენელები. ეს სახელწოდება უკავშირდება სპარსული ან თურქული წარმოშობის ბუხარელ მუჰამად იბნ ისმაილს (გარდ. 1019წ.), მეტსახელად დარაზის (სპარს. დარზი ნიშნავს თერძს). დრუზების რელიგიური მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს რწმენა ფატიმიანი ხალიფა ჰაქიმის ღვთაებრიობის შესახებ.

44 მარონიტები – მარონიტების ქრისტიანული ეკლესიის (ლეგენდარული მარ მარონის მიერ დაარსებული) მიმდევრები. ცხოვრობენ უმთავრესად ლიბანში, ნაწილობრივ სირიაში, ეგვიპტეში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, კვიპროსზე. მარონიტების რელიგიური თემები წარმოიშვა V-VII სს-ში ჩრდ.-დას. სირიაში აღმოსავლურ ქრისტიანულ ეკლესიაში განხეთქილების პროცესში. XIII-XVIსს-ში მარონიტული ეკლესია დაექვემდებარა ვატიკანს. მარონიტების ეკლესიის მეთაურს, რომლის რეზიდენციაც ლიბანშია, ნიშნავს ვატიკანი.

45 ლიბანის ჩრდილოეთ ნაწილში ქისრავანის თითქმის მთელი მოსახლეობა იყო მარონიტი, ცენტრალურ ნაწილში მარონიტები შეადგენდნენ უმრავლესობას, თუმცა იყო ცალკეული დრუზთა სოფლებიც, სამხრეთ ნაწილში (შუფა) კი ცხოვრობდნენ დრუზებიც და მარონიტებიც. ქისრავანში ხელისუფლება გადავიდა მარონიტი კაიმაკამის ხელში, ხოლო დანარჩენი რაიონები გამოცხადდა „შერეულად". სწორედ ამ რაიონებში წარმოიშვა უთანხმოება დრუზებსა და მარონიტებს შორის. მარონიტები თვლიდნენ, რომ უნდა დამორჩილებოდნენ უშუალოდ ქრისტიან კაიმაკამს, ხოლო დრუზები ამტკიცებდნენ, რომ შუფას „შერეული რაიონის" მარონიტები უნდა დამორჩილებოდნენ დრუზ კაიმაკამს. ინგლისი მხარს უჭერდა დრუზებს, საფრანგეთი კი მფარველობდა მარონიტებს. თურქეთმა ისარგებლა პროვინციის შიდა არეულობებით და ლიბანის სამთავრო გადააქცია იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად. 1842 წელს მის გუბერნატორად დაინიშნა თურქი გენერალი ომარ ფაშა. თურქეთის ქმედებებმა გამოიწვია ევროპის ქვეყნების უკმაყოფილება. ისინი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ ოსმალეთის უშუალო მმართველობის დამყარებას, ლიბანის მოსახლეობა კი მოითხოვდა ლიბანის ავტონომიის აღდგენას. 1843 წელს პორტა იძულებული გახდა უარი ეთქვა ლიბანის პირდაპირ მმართველობაზე. ქვეყანა გადაეცა ორ კაიმაკამს ადგილობრივი ფეოდალებიდან, მარონიტების კაიმაკამად დაინიშნა ქრისტიანი, ხოლო დრუზების მმართველად – დრუზი. ამ გადაწყვეტილებამ დაამკვიდრა კონფესიონალიზმის პრინციპი ლიბანის პოლიტიკურ სისტემაში (Hourani, 1946: 33).

ბობიდან. ამ გამოსვლით იგი იმედოვნებდა ძველ პოსტზე დაბრუნებას. აჯანყება გრძელდებოდა ერთი თვის განმავლობაში. შეიარაღებული გამოსვლის ინიციატივა მოდიოდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობისაგან, თურქ ხელისუფალთა გადაყენების მოთხოვნით, რასაც მხარს უჭერდა გლეხობაც და ბედუინებიც. მათ აგრეთვე მოითხოვეს სამხედრო ვალდებულების და სახელმწიფოს ხაზინაში შემავალი გადასახადების გაუქმება. წამოაყენეს სახალხო პოლიციის შექმნის იდეაც. ჯარის ნაწილების შემოსვლას თან მოჰყვა გუბერნატორის მკაცრი მოთხოვნა მიტაცებული იარაღის ჩაბარების შესახებ. ხალხმა არ დააბრუნა იარაღი, დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები და აჯანყებული უბნების საარტილერიო დაცხრილვები. მარტო ერთ უბანში მოკლულ იქნა 300-დან 500-მდე კაცი, დაიჭრა 2000 და დააპატიმრეს 1000-ზე მეტი აჯანყებული (Maoz, 1966: 294-296).

ალეპოს აჯანყებამ მთელ ქვეყანაში დაძაბა ვითარება. თურქეთის მთავრობა შიშობდა, რომ აჯანყება მოიცავდა ანტიოქიის, ტრიპოლის, იერუსალიმის მოსახლეობასაც. ამ შიშის საფუძველზე ანატოლიიდან სირიაში გადმოისროლეს მრავალრიცხოვანი საჯარისო ფორმირებები. ოსმალეთის მთავრობამ აკრძალა იარაღის შეტანა სირიაში და საბაჟოებზე ხდებოდა ყველანაირი ტვირთის შემოწმება. მაგრამ ალეპოს აჯანყება არ გავრცელებულა მეზობელ რაიონებში და პორტამ შეძლო სწრაფად ჩაექრო ჩრდილოეთ სირიის მძლავრი გამოსვლა.

1856 წელს, ევროპული ქვეყნების ზეწოლით, სულტანმა გამოაქვეყნა ახალი მანიფესტი *ჰატტ-ი ჰუმაიუნი*. ფორმალურად ეს დოკუმენტი წარმოაჩენდა და ამტკიცებდა გიულხანეს ჰატ-ი შერიფის ძირითად პირობებს, მაგრამ ამასთანავე ამ დოკუმენტით აღიარებული იყო ოსმალეთის იმპერიის მოსახლეობის რელიგიური თანასწორუფლებიანობა. მანიფესტის გამოქვეყნებას სირიაში მოჰყვა ახალი კრიზისი, რადგან ლიბანის გლეხობამ ეს დოკუმენტი სამოქალაქო თანასწორობის აღიარებად მიიღო.

1859 წელს ქისრავანში (ჩრდილოეთ ლიბანი) დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მჭედელი ტანიუს შაჰინი (1815-1895). ის დიდი ავტორიტეტით და პოპულარობით სარგებლობდა გლეხებს შორის. აჯანყებულებმა განდევნეს მარონიტი ფეოდალები და მიითვისეს მათი ქონება, პორტა იძულებული გახდა შაჰინი დაენიშნა ქისრავანში დრუზთა კაიმაკამად. აჯანყება მალე გადაიზარდა დრუზებისა და მარონიტების დაპირისპირებაში (მარონიტებს ფრანგი კონსული უჭერდა მხარს). 1860 წლის მაისში მარონიტთა ჯგუფმა ცეცხლი გაუხსნა დრუზებს. შედეგად, მოკლეს ერთი და დაჭრეს რამდენიმე დრუზი. ეს ორ თემს შორის შეიარაღებული დაპირისპირების საბაბად იქცა. ივნისში მღელვარება გადაედო სამხრეთ ლიბანსაც და მოიცვა საიდა, დაირ ალ-კამარი, ზაჰლა და ა.შ. ამ აჯანყების დროს დრუზი გლეხები არბევდნენ კათოლიკურ მონასტრებს და მისიებს, ხოცავდნენ ბერებს (Hourani, 1946: 34; Traboulsi, 2007: 30-34).

1860 წლის ივლისში ტრაგიკული მოვლენები მოხდა დამასკოშიც. ფანატიკოსმა მუსლიმებმა, თურქი ჯარისკაცების მონაწილეობით, მოაწყვეს ქრისტიანების საშინელი ხოცვა-ჟლეტა. 1860 წლის სისხლიანი მოვლენები ძვირად დაუჯდა სირიის მოსახლეობას. ოცი ათასამდე ქრისტიანი დაიღუპა, განადგურდა 380 ქრისტიანული სოფელი, 560 ეკლესია, 40 მონასტერი, დიდი დანაკარგი განიცადეს დრუზებმა და მუსლიმებმაც (Traboulsi, 2007: 35-37).

1860 წლის შეტაკებებმა საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ს სირიის საქმეებში ჩარევის საბაბი მისცა და მან მიიღო გადაწყვეტილება სირიაში ჯარების შეყვანის თაობაზე. ფრანგული ექსპედიციის შესაჩერებლად სულტანმა დამასკოში გააგზავნა იმპერიის ერთ-ერთი პირველი მოხელე ფუად ფაშა, რომელმაც სასტიკად დასაჯა მუსლიმები. მისი ბრძანებით დახვრიტეს 111 კაცი, ჩამოახრჩეს 57, კატორღა მიუსაჯეს 325-ს, გადაასახლეს 145. ფუად ფაშა ცდილობდა საფრანგეთის გულის მოგებას და შესაბამისად, სჯიდა მხოლოდ მუსლიმებს (Cleveland, 2009: 90-91; Schilcher,1981:161-162).

მეორე მხრივ, ინგლისი და რუსეთი, რომლებსაც არ სურდათ საფრანგეთის პოზიციების გამყარება სირიაში, მოითხოვდნენ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას. 1860 წლის 5 სექტემბერს ექვსმა ქვეყანამ – ინგლისმა, რუსეთმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ, პრუსიამ და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც საფრანგეთის ჯარებს მიეცათ სირიის ოკუპაციის უფლება. ოკუპაციის ვადა განისაზღვრა ექვსი თვით. 6 ათასი ფრანგი ჯარისკაცი უნდა შესულიყო სირიაში, სანაპირო ზოლის დაცვა კი შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნების გაერთიანებული ფლოტს ეკისრებოდა. რეალურად, საფრანგეთის მხრიდან სირიის დაპყრობის ცდა წარუმატებლად დასრულდა (Hitti, 1995: 236; Traboulsi, 2007: 43).

1861 წლის 9 ივნისს, დიდი დავის შემდეგ, საერთაშორისო კომისიამ დაადგინა ლიბანის ე.წ. *ორგანული სტატუსი (Règlement organique),* რაც გაფორმდა კონვენციის სახით და მას ხელი მოაწერეს თურქეთმა და ევროპის ქვეყნებმა კონსტანტინოპოლში (1864). ამ დოკუმენტმა დააფიქსირა ლიბანის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მოწყობის ძირითადი პრინციპები, დააკანონა მასზე 5 ევროპული სახელმწიფოს მეურვეობა. მთიანი ლიბანი, სანაპირო ზოლის გამოკლებით (ძირითადი ქალაქები ტრიპოლი,

ბეირუთი და საიდა რჩებოდა დამასკოს ვილაიეთის შემადგენლობაში), ხდებოდა ავტონომიური ოსმალური პროვინცია და სათავეში გუბერნატორი-მუთასარიფი იდგა. ის სარწმუნოებით კათოლიკე უნდა ყოფილიყო. გუბერნატორი უშუალოდ პორტას ექვემდებარებოდა (დამასკოსა და ბეირუთის ფაშების გვერდის ავლით), ინიშნებოდა პორტას შერჩევით და ფლობდა დიდ აღმასრულებელ ხელისუფლებას. გუბერნატორთან იქმნებოდა თორმეტი კაცისაგან შემდგარი ცენტრალური ადმინისტრაციული საბჭო (მრჩეველთა საბჭო), რომელშიც აირჩეოდა ორ-ორი წევრი ლიბანში არსებული ექვსი რელიგიური კონფესიიდან (მარონიტები, დრუზები, სუნიტები, შიიტები, მართლმადიდებლები და ბერძენი უნიატები). გუბერნიის ცენტრი გახდა დაირ ალ-კამარი. ქვეყანაში შემოდიოდა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რაც აუქმებდა კაიმაკამებს. ახლა მუთასარიფია, ოსმალეთის იმპერიის ვილაიეთების მსგავსად, დაყოფილი იყო მუდირიად და ნაჰიად, რომელთა მეთაურები ინიშნებოდნენ გუბერნატორის მიერ მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის გათვალისწინებით. მუდირიებში იქმნებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციული საბჭოები. სოფლებში აირჩეოდნენ შეიხები, რომელთაც თავინთ პოსტზე ამტკიცებდა გუბერნატორი. ორგანული კანონის VI მუხლი აცხადებდა „ყველას თანასწორობას კანონის წინაშე; ყველა ფეოდალური პრივილეგიის გაუქმებას." ლიბანი ვალდებული იყო პორტასათვის გადაეხადა ყოველწლიური გადასახადი. ლიბანის მუთასარიფი კი ეკონომიკურად და პოლიტიკურად აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყო.[1] ორგანული სტატუსი ლიბანმა შეინარჩუნა პირველ მსოფლიო ომამდე (Traboulsi, 2007: 43-45; Cleveland, 2009: 91).

სირიის პროვინციების ტერიტორიულ დაყოფაში და მის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ სისტემაში პირველი არსებითი ცვლილებები შეიტანა 1864 წლის 7 ნოემბრის კანონმა ვილაიეთების შესახებ (*ვილაიეთების პირველი კანონი*). მოგვიანებით ის იქნა შევსებული სხვა საკანონმდებლო აქტებით: 1867 წლის 25 ივლისის კანონით, რომელიც პირველ ვილაიეთების კანონას ავრცელებდა მთელი იმპერიის ტერიტორიაზე, 1871 წლის კანონით საერთო ვილაიეთურ მმართველობაზე და 1913 წლის კანონით ვილაიეთებზე. პირველი ვილაიეთების კანონით (1867) **სირიის ტერიტორია დაიყო ორ ვილაიეთად: სირიის** ვილაიეთი ცენტრით დამასკოში და ალეპოს ვილაიეთი. პირველი მოიცავდა ყოფილი დამასკოს, ტრიპოლის და საიდ-ბეირუთის ვილაიეთების ტერიტორიებს, მეორე – ალეპოს ვილაიეთში შემავალ ტერიტორიებს და აგრეთვე ალ-ჯაზირას და ანატოლიის ოლქებში მთელ რიგ რაიონებს. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ **1864 წლის კანონთან დაკავშირებით, სახელწოდება „სირიის ვილაიეთი" პირველ**ად დაფიქსირდა ოსმალეთის იმპერიის რუკებზე (Зеленев, 2003: 223).

სირიის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა დიდხანს ვერ შენარჩუნდა. ყველაზე პირველი და სერიოზული პრობლემა, რომელსაც წააწყდა ოფიციალური ხელისუფლება, დაკავშირებული იყო პალესტინასთან. **1874 წელს იერუსალიმის მუთასარიფია (საგუბერნიო, რომელიც უშუ**ალოდ ემორჩილებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს) გამოეყო სირიის ვილაიეთს, იქცა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად და დაემორჩილა უშუალოდ სტამბულს (მთიანი ლიბანის მუთასარიფიას მსგავსად, მაგრამ საერთაშორისო მეურვეობის გარეშე). თუმცა, შედიოდა სირიის ვილაიეთთა საერთო შიდა უსაფრთხოების სისტემაში, რომელიც იმართებოდა დამასკოდან. იერუსალიმის მუთასარიფიას გადაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში მოხდა 1870-1873 წლებს შორის (Зеленев, 2003: 223; Davison, 1963: 37-43).

ევროპელი მისიონერები და განმანათლებლობა სირიასა და ლიბანში

არაბული ვილაიეთების საზოგადოებრივ-ინტელექტუალურ მდგომარეობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა იმპერიის ცენტრალურ რაიონებში მიმდინარე მოვლენები. არაბი ახალგაზრდობა, რომელიც განათლებას ღებულობდა სტამბულში ან სხვა ქალაქებში (XIX საუკუნის ბოლოს სტამბულის სამხედრო და სამოქალაქო სასწავლებლებში სწავლობდა 4000-მდე არაბი) ტრიალებდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში და თავადაც ხშირად მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე იყო. დიდი ნაწილი არაბი მოხელეებისა და ოფიცრებისა შესანიშნავად ფლობდა თურქულ ენას. ამ-

1 ლიბანის პირველმა მუთასარიფმა დაუდ ფაშამ (1861-1868), ნიჭიერმა, ევროპული განათლების მქონე მოხელემ, შექმნა ლიბანში ეფექტური ადმინისტრაციული აპარატი, დისციპლინირებული პოლიცია, ხელი შეუწყო თანამშრომლობას დრუზებსა და მარონიტებს შორის. ლიბანში დამყარდა საზოგადოებრივი წესრიგი, განხორციელდა გზების, ხიდების და საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობა. (Traboulsi, 2007: 44-45).

დენად, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ თურქულ ლიტერატურას თუ პრესას, სადაც XIX საუკუნის შუა წლებიდან განიხილებოდა თანამედროვეობის მწვავე პრობლემები (Мейер, 1991: 54-60).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არაბული ქვეყნების საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ევროპელ მისიონერთა მოღვაწეობის გავლენა. მისიონერებმა თავიანთი საქმიანობა დაიწყეს XIX საუკუნის დასაწყისიდან. ისინი ხსნიდნენ სირიასა და პალესტინაში საქველმოქმედო დაწესებულებებს. აღმოსავლეთში პირველი კათოლიკური მისიები დააარსეს იეზუიტებმა. მათ მოქმედებას წარმართავდა ვატიკანი და ენერგიულად მხარს უჭერდა საფრანგეთი. მათ ჰქონდათ სკოლებისა და სემინარიების ფართო ქსელი. 1846 წელს პაპმა აღადგინა იერუსალიმის ლათინური საპატრიარქო. ჯერ კიდევ 1834 წელს, ამერიკელებმა ბეირუთში დაარსეს ტიპოგრაფია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო წიგნების ბეჭდვა არაბულ ენაზე (Hitti, 1995: 230). 1860 წელს მათ უკვე ჰქონდათ ოცდაათზე მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლა, აგრეთვე პედაგოგიური სასწავლებელი ბეირუთში და ლიბანის სოფლებში, დამასკოში, ჰომსში, ჰამაში, ალეპოსა და მთიან ალავიტურ რაიონებში. 1886 წელს დააარსეს *სირიის ევანგელიკური ბეირუთის კოლეჯი* (*ქულლიჲათ ბაირუთ ალ-ინჯილლიჲა ას-სურიჲა*), რომელიც 1920 წელს გარდაიქმნა *ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტად*. მის შემადგენლობაში ერთიმეორეს მიყოლებით გაიხსნა ჰოსპიტალი და სხვადასხვა კოლეჯები, სადაც ამზადებდნენ სპეციალისტებს მედიცინაში, ფარმაკოლოგიაში, ვაჭრობაში, სანიტარიაში, მეანობაში, სტომატოლოგიასა და სოფლის მეურნეობაში. მეცადინეობები მიმდინარეობდა არაბულ ენაზე 1875 წლამდე, როდესაც მასწავლებელთა და არაბული სახელმძღვანელოების არასაკმარისი რაოდენობის გამო, არაბულის ნაცვლად შემოტანილ იქნა ინგლისური ენა. უნივერსიტეტში სწავლობდნენ სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან, უპირველეს ყოვლისა, ერაყიდან, სირიიდან და ეგვიპტიდან. უნივერსიტეტს ჰქონდა დიდი ბიბლიოთეკა და ჰოსპიტალი ბეირუთში. მისიამ ააშენა აგრეთვე საავადმყოფოები დაირ აზ-ზორში და ტრიპოლიში (ლიბანი), აგრეთვე სანატორიუმები ჰელმინში (ლიბანი). აქვე გაიხსნა საღვთისმეტყველო კოლეჯი, ტიპოგრაფია და სხვა მისიონერული სამსახურები. მისიამ გააფართოვა თავისი საქმიანობა, შექმნა სხვა კოლეჯები ბეირუთში, საიდში, ნაბატიაში, ტრიპოლიში და ალეპოში. ამ მისიის კულტურული აქტივობა მოიცავდა აგრეთვე ბიბლიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და ფილოსოფიაში წიგნების თარგმნას არაბულ ენაზე, არაბული ხელნაწერებისა და ლექსიკონების გამოცემას. ამ დაწესებულებების კურსდამთავრებულები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არაბული ინტელექტუალური და პოლიტიკური მოძრაობის მხარდაჭერაში (İhsanoğlu, 2002: 322-323).

კათოლიკურმა იეზუიტურმა მისიამ მიბაძა ამერიკელ პროტესტანტებს და დააარსა *წმ. იოსების უნივერსიტეტი* ბეირუთში 1875 წელს და შეუერთა მას *აღმოსავლური კოლეჯი* (1843წ. დაარსებული) 2 სასულიერო სკოლით, მედიცინის, ფარმაკოლოგიის, სტომატოლოგიის ფაკულტეტებით, 2 სამართლისა და ტექნიკის სკოლით, ობსერვატორია, სემინარია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში შემსვლელთა მოსამზადებლად. უნივერსიტეტს დაექვემდებარა აგრეთვე დაწყებითი სკოლები ლიბანის მთელ რიგ სოფლებში, დამასკოში, ჰომსში, ალეპოში, ჯაბალ ალ-არაბში და ალავიტებით დასახლებულ რაიონში. დროთა განმავლობაში ამ სკოლების რიცხვი 145-მდე გაიზარდა. გაიხსნა აგრეთვე საშუალო სკოლები. სწავლება მიმდინარეობდა ფრანგულ და არაბულ ენებზე. იეზუიტების მიერ დაარსებული აღმოსავლური კოლეჯიც (*ალ-ქულლიჲა ალ-შარკიჲა*) ხელს უწყობდა არაბული ლიტერატურის განვითარებას. მათი ძალისხმევით დაარსდა გამომცემლობაც. მომავალში ორივე უნივერსიტეტმა დიდი როლი შეასრულა არაბულ ინტელექტუალურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1914წ. 700-მა სტუდენტმა დაამთავრა წმ. იოსების უნივერსიტეტი და მათი უმრავლესობა ლიბანელები იყვნენ. 1913 წლამდე ამერიკის უნივერსიტეტი ბეირუთში დაამთავრა 9865-მა სტუდენტმა ლიბანიდან და მსოფლიოს სხვა არაბული და არაარაბული ქვეყნებიდან (İhsanoğlu, 2002: 323; Cleveland, 2009: 129).

ამერიკელ მისიონერებთან ერთად სირიაში XIX ს-ში ჩავიდნენ სხვა პროტესტანტული მისიებიც, მათ შორის ბრიტანულ-სირიული, რომელთა წევრების უმრავლესობა ქალები იყვნენ. მათ უნდა ემუშავათ მუსლიმ ქალებთან. მისიამ თავისი საქმიანობა დაიწყო 1860 წელს, გახსნა სკოლები და თავისი ცენტრები ბეირუთში, დამასკოში, ტირში, ბაალბეკში, შამლანში, ჰასბაიაში, აინ ზალთაში, სადაც მიმდინარეობდა გოგონების სწავლება.

არამარტო სირიის, არამედ სხვა არაბული ქვეყნების საზოგადოებრივი საქმიანობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს. 1842 წელს ბეირუთში შეიქმნა პირველი მცირე საზოგადოებრივი დაჯგუფება სირიის ინტელიგენციის ინიციატივით, რომლის შეკრებებზეც განიხილებოდა მეცნიერული, ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა პრობლემები. 1847 წლის ზამთარში ამ საზოგადოების ბაზაზე ჩამოყალიბდა სირიაში პირველი ორგანიზაცია – *მეცნიერებისა და ხელოვ-*

ნების სირიული საზოგადოება იბრაჰიმ ალ-იაზიჯის[2] (1847-1906), ბუტრუს ალ-ბუსთანის[3] (1819-1883) და მიხაილ მაშაკას (ექიმი და პუბლიცისტი, ვაჭართა ოჯახიდან) მიერ. ამ საზოგადოების მიზანი იყო განათლების გავრცელება, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო დასავლურ მეცნიერებებზე და კლასიკური არაბული კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებაზე. ამ საზოგადოებას ჰყავდა თავისი კორესპონდენტები დამასკოში, ტრიპოლში, საიდაში და ჰაიფში. იგი შედგებოდა დაახლოებით 50 წევრისაგან და ძირითადად ქრისტიანებისაგან. საზოგადოების დაშლის შემდეგ, 1868 წელს მის ადგილზე აღმოცენდა *სირიის სამეცნიერო საზოგადოება* (*ალ-ჯამ'იიდა ალ-ილმიიდა ას-სურიიდა*), რომელშიც 180 წევრი იყო გაერთიანებული. 1873 წელს შეიქმნა ლიტერატურული საზოგადოება „ლიტერატურის აყვავება"; 1882 წელს – აღმოსავლური აკადემია და ა.შ. ეს ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არაბი მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის და ცნობიერების ფორმირებაში და ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას (Taraboulsi, 2007: 63-64).

1858 წლის 1 იანვარს ბეირუთში გამოვიდა პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „*ჰადიკათ ალ-ახბარ*" („სიახლეთა ბაღი"). მისი რედაქტორი იყო პოეტი ხალილ ალ-ჰური, გაზეთს აფინანსებდა ბეირუთელი კომერსანტი და მეცენატი ნაჰლე მდავარი. გაზეთი განათლების პროგრესს უწყობდა ხელს. 1860 წელს ბუტრუს ალ-ბუსთანიმ დააარსა გაზეთი „*ნაფირ სურიიდა*" („სირიის საყვირი"), რომელშიც მოუწოდებდა ლიბანელ და სირიელ ხალხს ერთიანობის აღდგენისა და ძმობისაკენ 1860 წლის სისხლიანი მოვლენების შემდეგ (Hitti, 1995: 231; Abu-Manneh,1980: 293).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალ პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლებლები. მისიონერული სკოლების გვერდით სირიის ვილაიეთში გაჩნდა კერძო ეროვნული სკოლები სხვადასხვა საგანმანათლებლო-საქველმოქმედო საზოგადოებების დაფინანსებით. პირველი ასეთი ეროვნული სკოლა *ალ-მადრასა ალ-ვატანიიდა* გახსნა ბუტრუს ალ-ბუსთანიმ 1863 წელს ბეირუთში. სკოლის სასწავლო პროგრამაში არაბული ენის შესწავლასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. 1865 წლიდან ფუნქციონირებდა *სამი წმინდანის სახელობის მართლმადიდებლური სასწავლებელი*. 1876 წელს გაიხსნა მარონიტული სკოლა *ალ-ჰიქმა* (სიბრძნე) (Taraboulsi, 2007: 64-68; Hourani, 1968:37; Abu-Manneh,1980: 294).

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქალთა განათლების სფეროში. 1830 წელს ბეირუთში ქალთა პირველი არისტოკრატიული სკოლის გახსნის შემდეგ დაარსდა ქალთა რამდენიმე სასწავლებელი. მათგან განსაკუთრებითთ მნიშვნელოვანი იყო *ზუჰრათ ალ-იჰსან* (დაარსდა1880 წ.). 1867 წელს ბეირუთში პირველად გამოიცა ქალი პოეტის ვარდა იაზიჯის (1838-1899, ნასიფ ალ-იაზიჯის ქალიშვილი) ლექსების კრებული – „*ჰადიკათ ალ-ვარდ*" („ვარდების ბაღი"). 1879 წელს სირიაში ჯულია ალ-ჰურანიმ დააარსა ქალთა პირველი საზოგადოება *ბაქურათ სირიიდა* (სირიის განთიადი).

ყოველივე ამის შედეგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში არაბული ვილაიეთების საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, მოსახლეობის ცნობიერებამ ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა, დაიწყო კულტურული აღმავლობა ცნობილი *ნაჰდა*-ს (განახლება, აღორძინება) სახელით, რასაც მოჰყვა აქტიური საგანმანათლებლო მოძრაობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სირიის პროვინციის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე, გარდა თანზიმათის რეფორმების დადებითი ელემენტებისა, განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ოსმალეთის იმპერიის გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ, რეფორმატორმა და ოსმალეთის „კონსტიტუციის მამამ" – მიდჰათ ფაშამ, რომელიც სირიის ვილაიეთის გუბერნატორი იყო 1878-1880 წლებში.

მიდჰათ ფაშას რეფორმატორული საქმიანობა სირიაში

XIX საუკუნის 70-იან წლებში, ბალკანეთის სამფლობელოების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის შემდეგ, პორტასათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა არაბულ პროვინციებზე ძალაუფლების შე-

2 იბრაჰიმ ალ-იაზიჯი – იყო ცნობილი როგორც პოეტი და სპეციალისტი ენისა და ლიტერატურის დარგში, თავის პოეტურ ნაწარმოებებში ის განადიდებდა არაბთა ისტორიას და მოუწოდებდა არაბებს გამოღვიძებისაკენ.

3 ბუტრუს ალ-ბუსთანი – ლიტერატორი და მეცნიერი. არაბულ ენასთან ერთად მან იცოდა რამდენიმე ენა და ენციკლოპედიური განათლების ადამიანი იყო. ის გახდა პროტესტანტი და კონტაქტი დაამყარა ამერიკელ და ევროპელ მისიონერებთან, შეადგინა ლექსიკონი და არაბული ენციკლოპედია (*ალ-მა'არიფ ალ-არაბიიდა*), რომელიც დაუმთავრებელი დარჩა; დააარსა აგრეთვე მთელი რიგი გაზეთები და ჟურნალები (İhsanoğlu, 2002: 323).

ნარჩუნებას და იქ თურქული ადმინისტრაციული სისტემის გაძლიერებას. ევროპელ მისიონერთა გავლენამ გამოიწვია სირიის ვილაიეთში მზარდი ეროვნული მოძრაობა, რაც ოსმალეთის იმპერიას ზეგავლენის დაკარგვის საშიშროებას უქმნიდა ამ პროვინციაში. სწორედ ამას მოჰყვა სტამბულის მიერ საგარეო პოლიტიკაში პანისლამიზმის იდეების წინწამოწევა, რაც სირიაში ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგ მუსლიმი მოსახლეობის მობილიზაციისათვის იდეოლოგიურ იარაღად შეიძლება გამოეყენებინათ. მეტად მძიმე ვითარება სუფევდა ადმინისტრაციული სისტემის ყველა ორგანოში; საჭირო იყო მათი დაუყოვნებლივ რეორგანიზაცია და განახლება. სოციალურ და პოლიტიკურ ნიადაგზე არსებობდა მძაფრი დაპირისპირება პროვინციის სხვადასხვა ეთნოკონფესიურ ჯგუფებს შორის. აუცილებელი იყო საფინანსო რეფორმის გატარება პროვინციის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ფაქტობრივად არ არსებობდა ნორმალური საკომუნიკაციო სისტემა. ძალიან დაბალი იყო განათლების დონე, განსაკუთრებით მუსლიმური მოსახლეობისა. ამრიგად, ამ პერიოდის სირიის ვილაიეთი იდგა რეფორმების გატარების აუცილებლობის წინაშე. სწორედ ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში, 1878 წლის 13 ნოემბერს, დაინიშნა მიდჰათ ფაშა სირიის პროვინციის გუბერნატორად. „სირიამ გადაიტანა საკმარისი გაჭირვება. დღემდე ის იყო ბაზარი მისი მმართველებისა და სახელმწიფო მოხელეებისათვის, რომლებიც ჩამოდიოდნენ აქ ცარიელი ხელებით და უკან ბრუნდებოდნენ დამძიმებული მხრებით იმ დიდი ქონების გამო, რომელიც აქედან მიჰქონდათ. ეჭვგარეშეა, მიდჰათ ფაშა ჩამოვა აქ, როგორც ვაჭარი, მაგრამ მისი საქონელი იქნება სამართლიანობა და რეფორმა“ (Saliba, 1978: 307).

> მიდჰათ ფაშას (1822-1884) მოღვაწეობა 4 პერიოდად იყოფა: 1840-1861 წწ. – საპასუხისმგებლო თანამდებობები იმპერიის აღმასრულებელი ორგანოების კომისიებსა და საბჭოებში. 1861-1872 წწ. – სამი დიდი პროვინციის (ბულგარეთი, დუნაი, ბაღდადი) გუბერნატორი. 1872-1877 წწ. – ორჯერ დიდი ვეზირის უმაღლესი თანამდებობა. **1877-1884 წწ. – გადასახლება, ორი პროვინციის მმართველის** თანამდებობა, სასამართლო, პატიმრობა და სიკვდილი (Davison,1963: 131).

მიდჰათ ფაშას მმართველობის პერიოდში სირიის ვილაიეთი (ე.წ. დამასკოს პროვინცია, არაბ. *აშ-შამ*) მოიცავდა დღევანდელი სირიის არაბული რესპუბლიკის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილს, აღმოსავლეთ ლიბანს, ტრიპოლის, ბეირუთს, სამხრეთ ლიბანს, პალესტინის დიდ ნაწილს და იორდანიას (Tayyib, 1960: 1034).

მიდჰათ ფაშა

XIX ს-ის **70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწ**ყისში სირია ევროპული ქვეყნების მძაფრი დაპირისპირების ასპარეზად იქცა, რომელთაც სურდათ თავიანთი გავლენის გაძლიერება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. რეგიონში პირველობისათვის განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის საყრდენად იყენებდნენ სირიის ვილაიეთის მოსახლეობის ორ ეთნოკონფესიურ ჯგუფს – დრუზებსა და მარონიტებს. ევროპული ქვეყნები ხელს უწყობდნენ ამ ორ ჯგუფს შორის რელიგიური ქიშპის გაღვივებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ახლო აღმოსავლეთში მოღვაწე მისიონერების მოღვაწეობას. ისინი მიზნად ისახავდნენ სირიის პროვინციებში სკოლების, სემინარიების, საქველმოქმედო დაწესებულებების დაარსებას და ამით ადგილობრივ მოსახლეობაზე გავლენის გაფართოებას (Фадеева, 1967: 102).

მიდჰათ ფაშას სირიის ვილაიეთის მმართველად დანიშვნისას, საფრანგეთი ეკონომიკური პრივილეგიებით სარგებლობდა სირიაში. მან ოსმალეთის იმპერიის ეს ნაწილი თავისი საქონლის გასაღების ბაზრად გადააქცია. ფრანგი კაპიტალისტები აკონტროლებდნენ სირიის ვილაიეთში ექსპორტსა და იმპორტზე მოგებას. სოფლის მეურნეობის სფეროში უამრავი პრობლემა იყო დაგროვილი. ხელისუფლება დაინტერესებული იყო მხოლოდ საექსპორტო კულტურების მოყვანით. მიწის დამუშავება ხდებოდა მეტად მარტივი და მოძველებული ხერხით. გზების არარსებობა კი მნიშვნელოვნად აფერხებდა სირიის ვილაიეთის ეკონომიკის და ვაჭრობის განვითარებას.

ერთი თვის განმავლობაში მიდჰათ ფაშა ეცნობოდა ვილაიეთის მდგომარეობას, რის შემდეგაც სტამბულში გააგზავნა პირადი მდივანი ვასიფ ეფენდი მთავრობისადმი სრული ინფორმაციით ვილა-

იეთის შესახებ და გადაუდებელი რეფორმების გატარების თხოვნით. ეს რეფორმები უნდა შეხებოდა, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო სისტემას, სასამართლოს და ჟანდარმერიას.

სირიის გუბერნატორმა ფაქტობრივად წინასწარ აცნობა პორტას თავისი გეგმების შესახებ და სულტნის მიერ დამტკიცებული ბრძანებით შეუდგა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას. უპასუხისმგებლობა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება ჩვეულებრივი იყო მთავრობის ადგილობრივი აპარატის ყველა დეპარტამენტში, კორუფცია სუფევდა ყველა უწყებაში, ადგილი ჰქონდა ცენტრალური მთავრობის ბიუროკრატიული ელიტის მხრიდან პროვინციის საშინაო საქმეებში ჩარევას და მისი მხარდაჭერის იმედით ადგილობრივი მოხელეების სრულ თვითნებობას. აღსანიშნავია გარეშე ძალების გავლენაც სირიის მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებზე. საფრანგეთმა მჭიდრო კავშირი დაამყარა მარონიტ და კათოლიკე ქრისტიანებთან. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი ცდილობდა დრუზებთან და მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ურთიერთობის დამყარებით რეგიონში საყრდენის შექმნას (Tayyib, 1960: 1034).

რთული სიტუაციის მიუხედავად, მიდჰათ ფაშამ მიზნად დაისახა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება და მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება ვილაიეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. დუნაისა და ბაღდადის პროვინციებში მიღწეულმა შედეგებმა, მოპოვებულმა რეპუტაციამ და გამოცდილებამ მას შესაძლებლობა მისცა მსგავსი ხასიათის ღონისძიებები გაეტარებინა სირიის ვილაიეთშიც.

> „მე რეფორმები ჩავატარე ტუნას (დუნაის) და ბაღდადის პროვინციებში, მაგრამ ახლა დავბერდი და დავსუსტდი. მიუხედავად ამისა, მე გადაწყვეტილი მაქვს გარდავქმნა სირიის პროვინცია, რადგან რეფორმის სიყვარული ჩემს პიროვნებასთანაა შესისხლხორცებული და სირია გამოირჩევა თავისი ხალხის ნიჭიერებით და თავისი მიწის ნაყოფიერებით," – წერდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში (ციტ. Saliba, 1978: 308).

მიდჰათ ფაშამ შეიმუშავა რეფორმების პროგრამა, რომელიც 1878 წლის დეკემბერში სულტანს წარუდგინეს. ცოტა ხნის შემდეგ სირიის გუბერნატორმა მიიღო გამამხნევებელი წერილი პორტასაგან, სადაც ნათქვამი იყო, რომ მიმდინარეობდა პროგრამის შესწავლა და რეფორმების შინაარსი კეთილგონივრული ჩანდა. მიდჰათ ფაშა ბუნებით ოპტიმისტი იყო და ელოდებოდა პორტასაგან სირიის გუბერნატორის უფლებების გაფართოებაზე თანხმობის წერილს. 1879 წლის თებერვალში მიდჰათის პირადმა მდივანმა სტამბულიდან ჩამოიტანა წერილი, რომელიც სირიის მმართველს გარკვეულწილად ანიჭებდა თავისუფალი მოქმედების უფლებას, მაგრამ თავად მიდჰათ ფაშა მეტს ელოდა. მისი ხელისუფლება, როგორც სამოქალაქო ძალაუფლების მქონე მმართველისა, მაინც შეზღუდული იყო ვილაიეთში[4] (Shamir, 1968: 351-360).

დედაქალაქიდან მიღებული ინსტრუქციის თანახმად მიდჰათს უფლება მიეცა შეექმნა დამასკოს სანჯაყი მუთასარიფით სათავეში, რათა გუბერნატორი განთავისუფლებულიყო ზედმეტი საქმეებისაგან; განეახლებინა პოლიციის კორპუსისა და სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია; გადაეყენებინა თანამდებობიდან და სტამბულში გაეგზავნა სირიის გუბერნიაში მომსახურე პერსონალი, რომელიც ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობას და შემჩნეული იყო მექრთამეობაში.

ამრიგად მიდჰათ ფაშამ დაიწყო თავისი რეფორმატორული პროგრამის განხორციელება, პორტასაგან შექმნილი გარკვეული დაბრკოლებების მიუხედავად. სირიის ვილაიეთის გუბერნატორმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს განახლებისა და სრულყოფისათვის.

ადმინისტრაციულ-საფინანსო რეფორმები. მიდჰათ ფაშამ მიზნად დაისახა სამოქალაქო სამსახურის განვითარება. რეფორმა გულისხმობდა სამოხელეო აპარატზე მკაცრი კონტროლის დაწესებას და პროვინციის ფისკალური სისტემის გაუმჯობესებას. თუმცა, სირიის მმართველის ჩანაფიქრს მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. სულტანმა უარი განუცხადა პროვინციის სამმართველო სისტემაზე სრული კონტროლის განხორციელების უფლების მინიჭებაზე. მიდჰათს ნება დართეს აღედგინა დამასკოს ლეიტენანტ-გუბერნატორის თანამდებობა, უფლება მისცეს სტამბულის გვერდის ავლით დაენიშნა რეგიონალური და საოლქო მმართველები. თუმცა რეფორმატორი ვალი ამითაც არ იყო კმაყოფილი. მან

4 1864 წლის კანონი პროვინციების შესახებ მას არ აძლევდა უფლებას დაენიშნა რაიონებისა და ოლქების ხელმძღვანელები (*მუთასარრიფ და კა'იმ მაკამ*, მდივნები (*მაქთუბჯი*) და ხაზინადარები (*დაფთარდარ*) (Saliba, 1978: 309).

მეოთხედ სცადა სამოქალაქო სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამთავრობო დეპარტამენტებისათვის მოქმედების სრული თავისუფლების მინიჭება და ფართოდ გავრცელებული კორუფციის მოსპობა (Saliba, 1978: 309; Shamir,1968: 351-370).

სირიაში თურქ მოხელეებთან ბრძოლის მიზნით, მიდჰათი ახორციელებდა ხშირ და გრძელვადიან საინსპექციო გასვლებს ვილაიეთის სხვადასხვა რაიონებში, ატარებდა დეტალურ გამოძიებებს ადგილობრივი მმართველების საქმიანობის გამოსაკვლევად. თუმცა ხშირად მიდჰათი ვერ ამტკიცებდა მათ დანაშაულს და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტებს, რადგან მათ მფარველობდნენ ან ადგილობრივი ფეოდალები ან დამასკოს წარჩინებულები (Фадеева, 1967: 104; Mithat, 2010).

მიდჰათის მსგავსი საინსპექციო მოკვლევების ერთ-ერთ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ბაალბექის ოლქის ადმინისტრაციულ სისტემაში მომუშავე ყველა წევრის განთავისუფლება მექრთამეობისა და თანამდებობრივი ვალდებულებებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ბრალდებით. მეორე წარმატებული ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო ბიკაას ოლქის კორუმპირებული მმართველის ჰოლო ფაშას დამორჩილება. იმავე ოლქში აღმოაჩინეს გადასახადების გაყალბების ფაქტებიც. ეჭვმიტანილებად დაასახელეს ოლქის მმართველი, მოსამართლე (ყადი) და რეგისტრატორი, ხაზინადარის ჩათვლით. ვიდრე ე.წ. ბაალბექის საქმე განსახილველად მოსამართლეს გადაეცა, ეჭვმიტანილები დამასკოში გადაიყვანეს დასაკითხად. ისინი გამართლებულ იქნენ მმართველობის რეგიონალური საბჭოს მიერ, სამხილის ნაკლებობის გამო. 1880 წლის აპრილში ოლქის მეთაური და აჯლუნის ხაზინადარი დამნაშავეებად ცნეს ქრთამის აღების აშკარა სამხილის აღმოჩენის შემდეგ. მათ მიესაჯათ სამწლიანი პატიმრობა და აღებული თანხის ორმაგი გადახდა. მსგავსი „ადმინისტრაციული წმენდა“ 1880 წლის იანვრამდე გრძელდებოდა. მიდჰათი ამ ქმედებებით ცდილობდა არა მარტო კორუფციის და მექრთამეობის აღკვეთას, არამედ ვილაიეთის ყოველი მოქალაქის, განსაკუთრებით კი თურქულ ადმინისტრაციაში მომსახურე პერსონალის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას (Saliba, 1978: 309-310).

ახლად მიღებული ძალაუფლების საფუძველზე მიდჰათმა რეგიონებისა და ოლქების მმართველებად დანიშნა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ძირითადად არაბები, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს არსებული პრობლემების გადაჭრას, ხალხთან ურთიერთობების რადიკალურ ცვლილებას ადმინისტრაციულ აპარატში და განსხვავდებოდა პროვინციის ტრადიციული მმართველების ქმედებისაგან.

1864 წელს მიღებული კანონით პროვინციის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ, ვილაიეთებში განლაგებული ოსმალეთის იმპერიის ჯარის კორპუსები არმიის ცენტრალურ ორგანოს დაქვემდებარა. მხოლოდ ჟანდარმერია (არაბ. *დაბიტა*) ემორჩილებოდა სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებს. მათი ოფიცრები, რანგის მიუხედავად, ინიშნებოდნენ პოლიციის მინისტრის მიერ, რაც საიმპერიოს ფირმანით დასტურდებოდა. დამასკოსა და სხვა ქალაქებში იყო ქვეითი ჟანდარმერია, ხოლო ოლქებში – კავალერია (სახედრებზე ან ცხენებზე ამხედრებული). საქალაქო ჟანდარმერიის ნაწილების მეთაურები პასუხისმგებელი იყვნენ საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე, სასაზღვრო ზოლის ჟანდარმები კი ქვეყნის თავდაცვაზე და უშიშროებაზე. მთელ პროვინციაში დაახლოებით 10,000 ჟანდარმი მსახურობდა (Saliba, 1978: 311-312).

მიდჰათის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას, რეგიონში ქურდობის და ყაჩაღობის აღკვეთას, უპირველესად მიმართული იყო ჟანდარმერიის აპარატის სრული კონტროლისა და რეორგანიზაციისაკენ. მიდჰათი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ პროვინციის მმართველი ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი სახელმწიფო უშიშროებაზე, თუ მის ხელისუფლებას არ ექვემდებარებოდა მის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ძალები. მიდჰათის დროს, ისე როგორც იმპერიის სხვა მმართველების დროს, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა მუდმივი კონკურენცია ვილაიეთის გუბერნატორებსა და რეგიონში მყოფ ჯარის მეთაურებს შორის. სირიის მმართველი ცდილობდა სამხედრო ძალაუფლებაც თავად აეღო ხელში და სულტნის მხარდაჭერით იმედოვნებდა პროვინციაში წესრიგის დამყარებას და სამხედრო ძალის საკუთარი კონტროლისათვის დაქვემდებარებას. მიდჰათ ფაშას გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო უშიშროების სისტემის სრულყოფას და დახვეწას, მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. მისი მოთხოვნა სირიის ვილაიეთში განლაგებული რეგულარული არმიის ნაწილების კონტროლის თაობაზე პორტას მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული, მაგრამ სირიის გუბერნატორს ჟანდარმერიისა და პოლიციის აპარატის რეორგანიზაციის ნება დართეს (იქვე, 313-314).

პორტას ინსტრუქციის თანახმად, მიდჰათმა ჩამოაყალიბა ჟანდარმერიის სახელმწიფო და სპეციალური ჯგუფი, დაკომპლექტებული როგორც მუსლიმებისაგან, ისე ქრისტიანებისაგან. ჯგუფში სამსახურის ვადა ოთხ წელს შეადგენდა. პირველი ჯგუფი შედგებოდა 80 კაცისაგან, რომელთაგან 15 იყო

ქრისტიანი. 55 კაცი მიდჰათმა დამასკოში დატოვა, ხოლო დანარჩენი სხვა ქალაქებში გაგზავნა. პოლიციის სპეციალურ ჯგუფებს ძირითადად იყენებდნენ მოლაპარაკებებისა და სხდომების მსვლელობებისას მოსალოდნელი ინციდენტებისაგან თავის დაზღვევის მიზნით. მოსახლეობის ნაწილს არ სჯეროდა პოლიციის და პოლიციელებს ხელისუფლების აგენტებად მიიჩნევდნენ (იქვე, 314).

დაბრკოლებების მიუხედავად, მიდჰათ ფაშამ მაინც განახორციელა ჟანდარმერიისა და პოლიციის უწყების რეფორმა. მან საგრძნობლად გაზარდა მომსახურე კონტინგენტის რიცხვი, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გუბერნიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფას და დანაშაულებათა რაოდენობის საგრძნობლად შემცირებას. ბრიტანეთის ელჩმა ოსმალეთის იმპერიაში პოლიციის ახალი კადრების მუშაობა სანიმუშოდ მიიჩნია პროვინციებისთვისაც. თუმცა, მიდჰათის შემდეგ იმავე მდგომარეობამ უშიშროების უწყებებში მცირე ხანს გასტანა (იქვე).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიდჰათ ფაშას მიერ სასამართლო სისტემის სრულყოფის მცდელობას. სირიის გუბერნატორი ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას სწორედ სასამართლო რეფორმის გატარებისას წააწყდა. პორტამ დართო მას ნება განეხორციელებინა სასამართლო რეფორმა სირიის ვილაიეთში, სადაც არსებობდა სისხლის სამართლის, სამოქალაქო და კომერციული სასამართლოები. თითოეულ პატარა ოლქს *(კადა')* ჰქონდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოები და ზოგჯერ კომერციული სასამართლოც. პროვინციის დედაქალაქში არსებობდა სააპელაციო სასამართლოებიც. გატარდა საკასაციო სასამართლოების (უზენაესი სასამართლოების) რეორგანიზაცია დამასკოსა და სხვა სანჯაყებში. ისინი გაიყო ორ პალატად: სამოქალაქო, რომელსაც განაგებდა ყადი და სისხლის სამართლის, რომელსაც სათავეში ედგა პორტას ან გუბერნატორის მიერ დანიშნული სასამართლო მოხელე. სააპელაციო სასამართლო დაექვემდებარა გენერალურ პროკურორს. ზოგადად პროკურორები კი გადავიდნენ სანჯაყების სასამართლო უწყებაში. მიდჰათ ფაშას მიეცა მოსამართლეების ხელფასების გაზრდის უფლება, რითაც სასამართლო სისტემაში აღიკვეთა მექრთამეობის და კორუფციის ნებისმიერი შესაძლებლობა. შეიცვალა მოსამართლეების დანიშვნის წესი. მომავალ მოსამართლეებს ჯერ გამოცდას უტარებდნენ და მერე ნიშნავდნენ.

სასამართლოების მართლმსაჯულები სასამართლო ფუნქციასთან ერთად ითავსებდნენ სამოქალაქო სამსახურის ფუნქციასაც და იყვნენ ადმინისტრაციული საბჭოს წევრები. მათი უმრავლესობა არ სარგებლობდა კარგი რეპუტაციით და ზოგიერთი მათგანი შესაბამის ცოდნასაც არ ფლობდა. დანაშაულების უმრავლესობა გაუხსნელი რჩებოდა, ხშირ შემთხვევაში უდანაშაულო პირები იხდიდნენ სასჯელს, როგორც წესი, ყოველგვარი სასამართლოს და გამოძიების გარეშე.

გუბერნიის მმართველს არ გააჩნდა საკმარისი ძალაუფლება სასამართლო სისტემაზე ზემოქმედებისათვის, შეეძლო მხოლოდ მოსამართლეთა გადაწყვეტილების თუ ქმედების გასაჩივრება მოკლე ვადაში შედეგის მისაღებად. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო ვილაიეთში სამართლიანობის პრინციპის განუხრელად დაცვისათვის. სასამართლო სისტემის პრობლემის გადაჭრას მიდჰათი შეეცადა ამ უწყებებზე გუბერნატორის ძალაუფლების გაზრდით და სასამართლო სისტემის უშუალოდ ვალის დაქვემდებარებაში გადატანით. სირიის მმართველი საგულდაგულო კონტროლით და თვალყურის დევნით ცდილობდა ადგილობრივ სასამართლოებში გამეფებული კორუფციის, მექრთამეობის და თანამდებობრივი მოვალეობებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების აღკვეთას (იქვე).

მიდჰათ ფაშა აღნიშნავდა, რომ ევროპული ქვეყნები გარკვეულწილად დაინტერესებული იყვნენ რეგიონში არეულობის შენარჩუნებით, რითაც ეძლეოდათ თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელების და იმპერიის საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალება, ვითომცდა სირიის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, გუბერნატორის მცდელობები თავისი ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა და თავად ეკონტროლებინა სასამართლო სისტემა, პორტას მიერ უარყოფილ იქნა. 1879 წლის მაის-ივნისის კანონით მოხდა *ნიზამიჯას* სასამართლოების რეორგანიზაცია, კერძოდ, გაძლიერდა სასამართლოების დამოუკიდებლობა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან. მიდჰათმა უარი თქვა ახალი კანონის შესრულებაზე, რის გამოც დიდმა ვეზირმა გადაწყვიტა მიდჰათ ფაშას სირიის ვილაიეთიდან სტამბულში გაწვევა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით, სასამართლოსათვის გადაცემა. მხოლოდ ოსმალეთის იმპერიაში ინგლისის ელჩის, ლეიარდის ჩარევამ შეაცვლევინა დიდ ვეზირს გადაწყვეტილება (Mithat, 2010).

მიდჰათ ფაშამ, ადმინისტრაციული რეფორმების გარდა, გაატარა საფინანსო რეფორმა, რითაც შეეცადა ვილაიეთის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მმართველ ორგანოებში კორუფციის აღკვეთას. რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878) მსვლელობისას დამძიმდა პროვინციების ფისკალური სისტემა, გაიზარდა გადასახადები და ექვსი თვით შეწყდა ხელფასების გაცემა ოფიციალურ უწყებებში. სირიის დიდი დანახარჯებისა და მცირე შემოსავლების შესწავლის შემდეგ, პროვინციის მმარ-

თველმა გამოაქვეყნა ბიუჯეტი, რომელიც თუ დამტკიცდებოდა და რეალურად გატარდებოდა, დაარღვევდა საუკუნეების ტრადიციებს სირიაში და მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს რეგიონის ფინანსური პრობლემების მოგვარებას. ვილაიეთის მმართველმა დატოვა მიწის მეათედისა და სულადობრივი გადასახადი და ფულის დაზოგვის მიზნით შეამცირა გადასახადის ამკრეფთა რაოდენობა.

რევოლუციური იყო მიდჰათის პილიგრიმთა ქარავნის (ჰაჯჯ) დამასკოდან გამგზავრების გაუქმების მოთხოვნა. საუკუნეების მანძილზე დამასკო იყო პილიგრიმების შეხვედრის ერთ-ერთი ცენტრი. დამასკოზე გადიოდა წმინდა ქალაქების, მექისა და მედინისაკენ მიმავალი სახმელეთო გზა. თუმცა დამასკოზე გამავალი საპილიგრიმო გზის დიდი დატვირთვის მიუხედავად, ყოველწლიურად ჰაჯის ჩასატარებლად პროვინციის ხაზინიდან იხარჯებოდა 100-120,000 ლირამდე, რაც ვილაიეთის ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა. ამ ფულის დაზოგვის მიზნით მიდჰათმა შესთავაზა პორტას სახმელეთო გზის საზღვაოთი შეცვლა. მისი წინადადებით პილიგრიმები შეიკრიბებოდნენ იმპერიის დედაქალაქში და ზღვის გავლით მოხვდებოდნენ პირდაპირ ჯიდდაში.

ფინანსური რეფორმების გატარების და ფინანსების დაზოგვის სხვა წყაროების გათვალისწინებით მიდჰათმა წარმოადგინა თითქმის გაორმაგებული ბიუჯეტი. სამოქალაქო მოხელეების დასაფინანსებლად მან 35 ათასის ნაცვლად მოითხოვა100,000 ლირა.

მიდჰათ ფაშას მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი	პორტას მიერ 1879წ. დამტკიცებული ბიუჯეტი
სამოქალაქო ადმინისტრაცია – 100,000	სამოქალაქო მოხელეები – 35,000
ჟანდარმერია -75,000	ჟანდარმერია, პოლიცია და ციხეები – 120, 000
გაუთვალისწინებელი ხარჯები – 15,000	-
ლიბანის დეფიციტის დასაფარად განკუთვნილი ხარჯები – 35,000	35,000
მეხუთე არმიის კორპუსი – 250,000	245,000
საზოგადოებრივი სამუშაოები – 125,000	ჰაჯის ქარავანი – 120,000
სტამბულისათვის ხელმისაწვდომი ბალანსი – 400,000	-
მთლიანად – 1,000,000	555,000

(ციტ. Saliba, 1979: 311)

სირიის გუბერნატორის მიერ შემუშავებული სქემა, რომელიც მართავდა სირიის პროვინციის ფინანსებს, მალე შეიცვალა ოფიციალური სტამბულის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით. მისი საგადასახადო პოლიტიკა და ჰაჯის ქარავნის სახმელეთო გზის გაუქმების მოთხოვნა პორტას მიერ უარყოფილ იქნა.

მიდჰათ ფაშა აფასებდა სირიის პროვინციის მძიმე მდგომარეობას და ერთ-ერთ თავის წერილში პორტასადმი აღნიშნავდა, რომ ვილაიეთში ვერ ხერხდებოდა გადასახადების ნახევარი ნაწილის აკრეფაც კი, რომ რეკრუტების გაწვევა ხდებოდა ძალიან ხშირად, შეიმჩნეოდა ფულის გაუფასურება. განსაკუთრებით აკრიტიკებდა მიდჰათი სირიის მოხელეების თვითნებობას. გუბერნატორი წერდა, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ისინი მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ესწრაფვიან და საერთოდ არ ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობაზე (Mithat, 2010: 185; Mundy & Smith, 2007: 28-36).

ვილაიეთის ქრისტიანი მოსახლეობა თვლიდა, რომ მიდჰათ ფაშა იყო ხელისუფალი, რომლის გამგებლობა და მართლმსაჯულება ემყარებოდა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ის მხარს უჭერდა რელიგიურ შემწყნარებლობას და სამოქალაქო სამსახურის უწყებები და ახლად შექმნილი ჟანდარმერიისა და პოლიციის რაზმები დააკომპლექტა ქრისტიანებით. ის კრძალავდა და ეწინააღმდეგებოდა

ფანატიკოსი მუსლიმების მხრიდან ქრისტიანებზე თავდასხმის და გმობდა მათი შეურაცხყოფის ფაქტებს. მიდჰათი ხელს უწყობდა კეთილმოსურნე ურთიერთობების განვითარებას ორი რელიგიის მიმდევრებს შორის.

> ხანგრძლივი დროის მანძილზე ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწის, იუსუფ ალ-ჰაქიმის სიტყვებით, „უდავოა, რომ მიდჰათ ფაშა იყო პირველი ოსმალო მმართველი, რომელმაც სიმტკიცით, პატიოსნებით და კარგი ადმინისტრაციით უკვდავყო თავისი სახელი სირიაში“ (ციტ. Saliba, 1979: 317).

სირიის პროვინციაში რეფორმების გატარების დიდი მცდელობის მიუხედავად, მიდჰათის მთავარი პრობლემა იყო მისი გადაჭარბებული სწრაფვა ვილაიეთის შიდა ადმინისტრაციული სისტემის ცენტრალიზაციისაკენ. ყველა ღონისძიება თუ რეფორმა გუბერნატორის მხრიდან გაგზავნილი და დამტკიცებული უნდა ყოფილიყო სტამბულის მიერ. ყოველივე ეს იწვევდა ამა თუ იმ საკითხის გამუდმებულ გადადებას და მიდჰათ ფაშა გრძნობდა, რომ მას უფრო დიდი ძალაუფლება სჭირდებოდა, როგორც პროვინციის მმართველს. თუმცა საბოლოოდ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირების გამო, მიდჰათ ფაშა იძულებული გახდა 1880 წელს დაეტოვებინა დამასკო (Shamir, 1974: 118-125).

საზოგადოებრივ-კულტურული რეფორმები. მიდჰათ ფაშამ ბეირუთში ჩასვლისთანავე გააჩაღა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა. თავის სიტყვაში ადგილობრივი ვაჭრებისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლებისადმი მან დასახა მთელ სირიაში გზების მშენებლობის ვრცელი გეგმა, მიუთითა ბეირუთ-ბაღდადის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დიდ მნიშვნელობაზე. მიდჰათის კონკრეტული გეგმა უკავშირდებოდა ბეირუთის საქმიან წრეებში გარკვეული თანხის შეკრებას, დაახლოებით 20-30 ათასი ფრანკის ოდენობით, რათა ევროპიდან მოეწვიათ ინჟინერ-ტოპოგრაფები გზების შესასწავლად. თუმცა სირიის გუბერნატორმა მხარდაჭერა მიიღო მხოლოდ სიტყვებით და არა ფულადი სახსრებით, რაც მთავარი იყო ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ერთადერთი პროექტი, რომელიც წამოაყენა სირიის გუბერნატორმა და ბოლომდე იქნა მიყვანილი, იყო საგზაო მაგისტრალი ქალაქსა და საზღვაო პორტს შორის. ამ მშენებლობისათვის ჩამოყალიბდა სააქციო კომპანია, რომლის წევრიც გახდა თვით მიდჰათ ფაშაც. მთელი საჭირო აპარატურა შესყიდულ იქნა ინგლისში. მიდჰათის ინიციატივით აშენდა ტრიპოლისა და ჰომსის დამაკავშირებელი გზა, აგრეთვე დამასკო-კატიფის გზა (დამასკო-ალეპოს მაგისტრალის განშტოება). ასევე დაიწყო გზის მშენებლობა საიდას მხრიდან დამასკოს მიმართულებით, თუმცა არ იქნა დასრულებული. ყველა ამ საგზაო მაგისტრალის მშენებლობა მიმდინარეობდა მხოლოდ და მხოლოდ სირიის მოსახლეობის ხარჯზე, ისე როგორც ადრე, დუნაის ვილაიეთში, იქ მიდჰათ ფაშას გამგებლობის დროს (Mithat, 2010: 109).

მიდჰათი ამ ღონისძიებებით, განსაკუთრებით გზების მშენებლობებით, ცდილობდა გაეუმჯობესებინა გუბერნიის შიდა რაიონებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის გზები. საგზაო მშენებლობებით, როგორც ჩანს, მიდჰათ ფაშა პირადად იყო დაინტერესებული. ზოგიერთი ცნობით, მიდჰათ ფაშა სირიის გუბერნატორობისას ფლობდა რამდენიმე საფეიქრო საწარმოს დამასკოსა და ბეირუთში. მიდჰათის მოღვაწეობამ კომუნიკაციების სრულყოფის და სირიის ეკონომიკური ცხოვრების სტიმულაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო, რადგან საფეიქრო წარმოება ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

თავის მოგონებებში მიდჰათ ფაშა მიუთითებდა სირიის ვილაიეთში მუსლიმი მოსახლეობის გაუნათლებლობაზე და ხაზს უსვამდა მუსლიმ და არამუსლიმ მოსახლეობას შორის განათლების დონის დიდ განსხვავებაზე, რადგანაც არამუსლიმ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა ცოდნა მიეღო სირიაში ევროპელი მისიონერების მიერ გახსნილ სკოლებში (იქვე, 114).

ქრისტიანული მოსახლეობისაგან განსხვავებით, სირიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლები აქტიურობით და ტრადიციული ცხოვრების წესის დაცვით გამოირჩეოდნენ ვილაიეთის მუსლიმი არაბები. მათ ცენტრებს წარმოადგენდნენ სირიის ისეთი დიდი ქალაქები, როგორიცაა დამასკო, ალეპო, ჰომსი, ჰამა, იერუსალიმი, და ა.შ. სირიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ცენტრს და სირიელი მუსლიმების რელიგიურ დედაქალაქს წარმოადგენდა დამასკო.

სწორედ მიდჰათ ფაშას გუბერნატორობისას დამასკოში მისი მითითებით და აქტიური მხარდაჭერით დაარსდა „საზოგადოება სკოლების დაარსების ხელშეწყობისათვის“ (*ალ-ჯამ'იიდაა ალ-ხაირი�ა ლი-ინშა'ალ-მადარის*) და „საზოგადოება კეთილი ზრახვებისათვის“ (*ჯამ'იიდათ ალ-მაკასიდ ალ-ხაირიреა*). ეს უკანასკნელი არაბულ ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც საქველმოქმედო საზოგადოება (Shamir, 1974: 126-133).

ოსმალეთის იმპერიის საგანმანათლებლო სისტემა გავრცელდა არაბულ პროვინციებში, რომლებიც იმყოფებოდნენ სულტნის ხელისუფლების კონტროლქვეშ – ერაყი, სირია, ჰიჯაზი და არაბული აღმო-

სავლეთის ნაწილი და ტრიპოლი. სირიაში ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიწყო სამხედრო სკოლების შექმნა ჯერ კიდევ 1879 წლამდე. 1980-იანი დასაწყისში გაჩნდა სამი სამხედრო სკოლა – დამასკოში, ალეპოში და ბეირუთში. ამ სკოლებმა (სწავლის ვადა 3 წელი) **იარსება 1908 წლამდე. მართალია, ოსმალეთის 1869 წლის ორგანული კანონი ითვალისწინებდა დაწყებითი სკოლების ორგანიზაციის აუცი**ლებლობას ყოველ სოფელში და საქალაქო კვარტალში, სახელმწიფოს არ შეეძლო ამ მუხლის რეალიზება მოკლე დროში სასკოლო ნაგებობებისა და მასწავლებლების ნაკლებობის გამო, ასევე ფინანსური სიძნელეებიდან გამომდინარე. ამ მიზეზით სახელმწიფომ დატოვა დაწყებითი განათლება ქუთაბებში, კერძო და მისიონერულ სკოლებში. სირიის გუბერნატორად დანიშნულმა მიდჰათ ფაშამ დააარსა ახალი დაწყებითი სკოლები (*მაქათიბ-ი იბთიდაიე*). ამ მიზნის მისაღწევად, მან გადაწყვიტა საქველმოქმედო საზოგადოების გამოყენება (İhsanoğlu, 2002: 343-344).

თავისი მოღვაწეობის წარმატებას საქველმოქმედო საზოგადოება უნდა უმადლოდეს მის ხელმძღვანელს ტაჰირ ალ-ჯაზაირს – პედაგოგს, განმანათლებელს, რელიგიურ მოღვაწეს და სირიაში მუსლიმური რეფორმაციის ერთ-ერთ პირველ მომხრეს. კრიტიკულმა მიდგომამ საკითხებისადმი, უდიდესმა ცოდნამ და აქტიურმა მოღვაწეობამ მიიქცია სირიის გუბერნატორის მიდჰათ ფაშას ყურადღება, რომელმაც **1879 წელს ალ-ჯაზაირი დანიშნა პროვინციის განათლების სისტემის გენერალურ ინსპექტორად** (Escovitz, 1986: 294).

ამ ორგანიზაციის გარშემო შეიკრიბა ახალი გუბერნატორის რეფორმატორული მოღვაწეობის მრავალი მომხრე და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არაბული სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოძრაობის განვითარებისა და განახლებისათვის საფუძვლის შექმნაში. საზოგადოებამ დააარსა თავისი ფილიალები სირიის ბევრ ქალაქში, სადაც ხელისუფლებამ გუბერნატორის მითითებით გამოყო სპეციალური შენობები. საზოგადოებამ ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები ახალი სკოლების დასაარსებლად და სწავლების მეთოდების დასახვეწად. 1879 წლის თებერვლიდან დაწყებული, საზოგადოების წევრები აქტიური მხარდაჭერით დამასკოში დაარსდა **8 ვაჟთა და 2 ქალთა დაწყებითი სასწავლებელი**, მთლიანად მოსწავლეთა რაოდენობამ გადააჭარბა 700-ს. თითქმის ყველა სკოლა დაარსებულ იქნა მეჩეთებთან და იქ საერთოდ არ სწავლობდნენ არამუსლიმები.

ალ-ჯაზაირი და მისი მომხრები მკაცრად აყენებდნენ საკითხს თურქული ენის არაბული ენით შეცვლის შესახებ სასწავლებლებში, როგორც სწავლების ენისა დაწყებით და საშუალო სახელმწიფო სკოლებში. მალე ახლადშექმნილ მედრესეებში სწავლება არაბულ ენაზე განახლდა.[5] თავისი მოთხოვნის საფუძვლად შეიხ ალ-ჯაზაირის უპირველესად მოჰყავდა ევროპელი მისიონერების, განსაკუთრებით კათოლიკეების და პროტესტანტების მიერ დაარსებული სკოლების მაგალითი, სადაც სწავლა არაბულ ენაზე მიმდინარეობდა. აუცილებელ საგნად ითვლებოდა არაბული ლიტერატურის შესწავლა საშუალო დონეზე, მაშინ როდესაც ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო სკოლებში სწავლება მთლიანად თურქულ ენაზე მიმდინარეობდა და არაბული ლიტერატურა, როგორც საგანი, პრაქტიკულად საერთოდ არ ისწავლებოდა. ალ-ჯაზაირი ასევე მიუთითებდა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, ახალგაზრდობის უმრავლესობა განათლებას მიიღებდა ევროპელების მიერ დაარსებულ სკოლებში, სადაც ჩამოუყალიბდებოდათ პოლიტიკური აზროვნება, რომელიც ხელსაყრელი იქნებოდა ევროპული ქვეყნების მიზნებისათვის და არ ასახავდა უშუალოდ ოსმალეთის იმპერიის ინტერესებს (Escovitz, 1986: 294-295).

ცნობილი მუსლიმი ღვთისმეტყველი შეიხ ტაჰირ ჯალალუდინი (1869-1956) კრიტიკულ შეფასებას აძლევდა პროდასავლურ კოსმოპოლიტურ განათლებას, რომელსაც ღებულობდნენ უცხოური რელიგიური მისიების დაარსებული სკოლების კურსდამთავრებულები და ცდილობდა პატრიოტული სულისკვეთება მიენიჭებინა სასკოლო პროგრამისათვის მუსლიმურ სახელმწიფო სასწავლებლებში. ის, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ხელისუფლების მიერ პანოსმანური იდეების პროპაგანდას და მეორე მხრივ, აქტიურად უჭერდა მხარს არაბული კულტურის აღმავლობის და არაბიზაციის იდეებს. სწორედ მიდჰათ ფაშას თაოსნობით, საქველმოქმედო საზოგადოების წევრებმა მიზნად დაისახეს დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლებისათვის შეესწავლებინათ პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, შეემუშავებინათ ახალი სახელმძღვანელოები სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა არაბული ენა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება და ღვთისმეტყველება. წიგნებს ბეჭდავდნენ საზოგადოების ტიპოგრაფიაში. საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობამ აქტიურობის პიკს მიაღწია **1878-1880 წლებში, მიდჰათ ფაშას** სირიის ვილაიეთის გუბერნატორობის პერიოდში. აიდინის ვილაიეთში მისი სირიიდან გადაყვანის, სასამართლოს და დედაქალაქიდან განდევნის შემდეგ, ამ ორგანიზაციის აქტიურობაც შენელდა. გუ-

5 დაწყებით საფეხურზე სწავლა მიმდინარეობდა თურქულ ენაზე, ხოლო რელიგიური განათლებას არაბულ ენაზე იღებდნენ.

ბერნატორის რეფორმატორული გეგმების ბევრი მომხრე გადაყენებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. **1882 წელს გამოიცა ბრძანება, რომლითაც ისლამური მიზნების განხორციელების საქველმოქ**მედო საზოგადოება გადავიდა განათლების საბჭოს განკარგულებაში, რაც ნიშნავდა საზოგადოებაზე სრული კონტროლის დაწესებას ოფიციალური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ (იქვე, 295-302).

ამრიგად, საქველმოქმედო საზოგადოება იყო ერთ-ერთი პირველი არაბული საგანმანათლებლო საზოგადოება დამასკოში. მასში გაერთიანდა იმდროინდელი მუსლიმური ინტილიგენციის დიდი ნაწილი, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით სირიაში განათლების სისტემის პროგრესსა და განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობაში უფრო ნაკლებად აისახა არაბული ეროვნული თვითშეგნების ელემენტები, ვიდრე ბეირუთის ქრისტიანების საგანმანათლებლო ორგანიზაციის მუშაობაში, მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არაბიზმის სულის გაღვიძებას დამასკოს მუსლიმური მოსახლეობის კულტურული აღორძინების და საზოგადოებრივი მოძრაობის წინსვლისათვის (Зеленев, 1990: 35).

მართალია, საზოგადოების აქტიური მოღვაწეობის შედეგები თითქმის მთლიანად მოისპო აბდულ ჰამიდის რეჟიმის დამყარების შემდეგ, მის არსებობას უკვალოდ არ ჩაუვლია და უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სირიის საზოგადოებრივ-კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიდჰათ ფაშას მფარველობით, რომელიც თავისთავად წარმოადგენდა ოფიციალური მთავრობის მიმართ პოლიტიკურ ოპოზიციაში მყოფ სახელმწიფო მოღვაწეს, განისაზღვრა საქველმოქმედო საზოგადოების ოპოზიციური განწყობა სტამბულის კონსერვატორი ხელისუფლების მიმართ.

ამრიგად, შემთხვევითი არ არის, რომ სირიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში სწორედ მიდჰათ ფაშას ეკავა ვილაიეთის გუბერნატორის თანამდებობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიდჰათ ფაშა დიდად უწყობდა ხელს სირიული პრესის განახლება-განვითარებას. იგი ხშირი სტუმარი იყო უდიდესი სირიელი განმანათლებლის – ბუტრუს ალ-ბუსთანის (1819-1883) მიერ დაარსებული ჟურნალის – „*ალ-ჯინან*“ რედაქციისა და ღებულობდა მონაწილეობას ჟურნალის ზოგიერთი ნომრის მომზადებაში, სადაც ქვეყნდებოდა მიდჰათის წერილები ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოწყობის შესახებ (Taraboulsi, 2007: 63; Abu-Manneh, 1980: 295).

1878 წელს დაარსდა დამასკოში გაზეთი „*დიმაშკ*“ (დამასკო) მიდჰათ ფაშას ინიციატივით და მხარდაჭერით, რომელიც მიმოიხილავდა სირიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე ცვლილებებს.

მიდჰათ ფაშამ დააარსა თეატრი, ბიბლიოთეკა და ობოლ ბავშვთა თავშესაფარი სირიის პროვინციაში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის უდიდეს დამსახურებაზე სირიის ვილაიეთის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გამოღვიძებაში (Gökbilgin, 1960: 274). მიდჰათის დამასკოს ვილაიეთის გუბერნატორობისას დაიწყო მოქმედება პოლიტიკურ არენაზე ბეირუთის საზოგადოებამ, რომლის წევრებმაც 1880 წლის ზაფხულში გაავრცელეს ანტიოსმალური პროკლამაციები ბეირუთში, დამასკოში და საიდაში, სირიის მოსახლეობის ეროვნული უფლებების ცნობის მოთხოვნით, თუმცა მალე აღიკვეთა ეს ანტისამთავრობო პროპაგანდა, დაიხურა სირიის საქველმოქმედო საზოგადოებაც, როგორც ოპოზიციური მოძრაობის მთავარი ბირთვი პროვინციაში. აკრძალულ იქნა მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემები და გუბერნატორობიდან გადაყენებულ იქნა თავად მიდჰათ ფაშა. მისი პროვინციიდან წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად ჩაკვდა საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობა და აქ კვლავ მკაცრი ოსმალური რეჟიმი დამყარდა, რითაც პორტამ მძიმე დარტყმა მიაყენა სირიის ინტელიგენციას.

მიდჰათ ფაშას მიერ გატარებული რეფორმები შეეხო სირიის პროვინციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს: სამოქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია, ჟანდარმერიისა და პოლიციის უწყებების ახალი კონტიგენტით განახლება, სასამართლო სისტემის სრულყოფის მცდელობა და მასში სამართლიანობის პრინციპის განუხრელად დაცვა, საფინანსო რეფორმით გუბერნიის ბიუჯეტის გაზრდა, ადგილობრივ ადმინისტრაციულ სისტემაში თურქ მოხელეებთან ერთად არაბული ელემენტის დაშვება და სირიელების სახელმწიფო უწყებებში ჩართვა, კონფესიათა თანაბარი უფლებების პრაქტიკულად განხორციელების მცდელობა, საკომუნიკაციო გზების მშენებლობა, საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობა, განათლების სისტემის სრულყოფა.

გარკვეული წარუმატებლობების მიუხედავად (სასამართლო რეფორმის დაუსრულებლობა, დრუზების პრობლემის მოუგვარებლობა და სხვ.), მიდჰათ ფაშას მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა **1878-1880წწ. სირიის ვილაიეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლები**სა და აღმავლობისათვის.

მიდჰათ ფაშას რეფორმები უპირველესად ემსახურებოდა ოსმალეთის იმპერიის უზარმაზარი მმართველი აპარატის სრულყოფასა და პროგრესს.

თავი V

ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობები XIX საუკუნეში

კავკასიისა და საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის ომებში XIX ს-ის I მესამედში

XVIII საუკუნის მიწურულს ირანის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ კარდინალურ საკითხად კვლავ სამხრეთ კავკასია, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველო რჩებოდა. ირან-რუსეთს შორის ურთიერთობები საქართველოს საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს, ქართლ-კახეთის ანექსიამდე გახდა პრობლემატური. 1795 წელს საქართველოში აღა მოჰამად ხანის ცნობილი ლაშქრობის შემდგომ წლებში, რუსეთი უკვე ცდილობდა ირანი დაერწმუნებინა, რომ ამ უკანასკნელს ხელი აეღო აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ პრეტენზიებზე.

1799 წლის ნოემბერში საქართველოში, გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, შემოვიდა დამხმარე რუსული ლეგიონი, რომელსაც გენერალი ლაზარევი სარდლობდა. სწორედ ამ ჯარს მოჰყვა რუსეთის წარმომადგენელი კოვალენსკი. კოვალენსკი და ლაზარევი სარგებლობდნენ გიორგი XII-ის ხელისუფლების სისუსტით და ნელ-ნელა ერეოდნენ ქართლ-კახეთის საქმეებში. ამ დროიდან მოყოლებული, რუსეთმა ფეხი მოიკიდა საქართველოში.

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის წინ, 1799 წელს რუსეთის მთავრობის წარმომადგენელმა საქართველოს მეფის კარზე კოვალენსკიმ თავისი ემისარი მერაბიშვილი გააგზავნა ირანში, რომელსაც ირანის ხელისუფლებისათვის უნდა წარედგინა რუსეთის ოფიციალური პოზიცია საქართველოს საკითხთან დაკავშირებით. ამ პოზიციის თანახმად, 1783 წელს დადებული ტრაქტატის შემდეგ საქართველო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა; ირანი უნდა შეგუებოდა ამ ფაქტს და არაფერი გაეკეთებინა ამ მიმართულებით რუსეთ-ირანის მეგობრული ურთიერთობის საზიანოდ.

საპასუხო წერილში, შაჰის პირველი ვეზირი ჰაჯი იბრაჰიმი წერდა კოვალენსკის, რომ „საქართველო არასოდეს ყოფილა ირანის სამფლობელო. საქართველო, კახეთი და თბილისი უძველესი დროიდან ირანს ეკუთვნოდა. მხოლოდ ერეკლემ ჩამოაშორა იგი ირანს და თქვენთვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორ დაისაჯა იგი ამისათვის; რა უბედურება დაატყდა თავს საქართველოს აღა მოჰამად ხანის რისხვის შედეგად... ერეკლეს მიერ რუსეთთან დადებულ შეთანხმებას არავითარი ძალა არ აქვს. მაგალითად, ერთმა რომელიმემ, რუსეთის ფარგლებში შემავალმა ხალხმა, თავისი ნება-სურვილით რომ ირანის მბრძანებელს მხარი დაუჭიროს და მასთან დასდოს ტრაქტატი, ექნება მას რაიმე ძალა? იგი არასდროს იქნება ირანის სამფლობელო... ამჟამად ირანის ტახტი განმტკიცებულია, მას ჰყავს მბრძანებელი, რომელიც არ აპირებს მის მფლობელობაში მყოფი ქვეყნები სხვას გადასცეს“ (Дубровин, IV, 303-304).

ირანი ცდილობდა რუსეთის წარმომადგენლების გვერდის ავლით მორიგებოდა საქართველოს მეფეს. სწორედ ამით იყო, როგორც ჩანს, გამოწვეული, რომ კოვალენსკის მიერ გაგზავნილ მერაბიშვილს აყოვნებდნენ ირანში და ამავე დროს შაჰი თავის წარმომადგენელს აგზავნის ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-სთან კონფიდენციალური მოლაპარაკების მიზნით. 1799 წელს, სანამ მერაბიშვილი თბილისში დაბრუნდებოდა. საქართველოს მეფეს ეახლა შაჰის წარგზავნილი აბასი, რომელმაც ფირმანი მიართვა გიორგის. შაჰი ითხოვდა, რომ ქართველ მეფეს ეღიარებინა ირანის უზენაესი უფლება და ერთგულების ნიშნად თავისი ვაჟიშვილი დავითი გაეგზავნა შაჰის კარზე (Цагарели, 1898: 156-57). ირანის წარმომადგენელი არწმუნებდა გიორგი მეფეს, რომ თუ ის არ მიიღებდა შაჰის წინადადებას, მაშინ ირანის მრავალრიცხოვანი ლაშქარი საქართველოს მოადგებოდა.

ამ ხანებიდან დაწყებული, თბილისმა მნიშვნელოვანი ადგილი შეიძინა რუსეთ-ირანის ურთიერთობებში. ირანს და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დაიწყო თბილისში XVIII საუკუნის მიწურულს. ეს ურთიერთობები გაგრძელდა ირან-რუსეთის პირველი ომის (1804-1813) დროს. საქარ-

თველოს დედაქალაქი გახდა რუსებისათვის "სამხედრო გზა" სპარსეთისაკენ და დიპლომატიურ შეხვედრათა ადგილი (Natchkebia, 2001: 200).

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ რუსეთი ირანის უშუალო მეზობელი გახდა. ირან-საქართველოს ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო. ქართული პოლიტიკური ელიტა ორ ნაწილად გაიყო. ერთნი მხარს უჭერდნენ რუსეთის იმპერიაში შესვლას, მეორენი კი ირანთან კავშირის საფუძველზე იმედოვნებდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას. ირანის პოზიცია ითვალისწინებდა კონტროლის აღდგენას აღმოსავლეთ საქართველოზე, თუმცა, იმდროინდელი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთს გაცილებით უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭებოდა, ვიდრე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარების გამო შეშფოთებული ირანი ეძებდა გზებს რუსების საქართველოდან განსადევნად. 1803 წლის ივნისში, თავრიზში აბას მირზას ეახლა ერეკლე II-ის ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომლის მიზანიც საქართველოში ირანელთა დახმარებით აჯანყების დაწყება, რუსეთის შემადგენლობიდან ქართლ-კახეთის გამოყვანა და გამეფება წარმოადგენდა. იმავე წელს თბილისიდან ირანში გაიქცა თეიმურაზ ბატონიშვილიც.

ფათჰ ალი შაჰი, ალექსანდრეს გარდა, ყოველმხრივ ეხმარებოდა სხვა ბატონიშვილებსაც. მან, ძველი წესის თანახმად,[1] იულონ ბატონიშვილი მეფედაც კი დაამტკიცა. ის ასევე მოუწოდებდა რუსების წინააღმდეგ ამხედრებას იმერეთის მეფე სოლომონსა და ახალციხის შერიფ ფაშას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა სამხრეთ კავკასიაში ირან-თურქეთის ერთობლივი მოქმედების გეგმა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა ირან-თურქეთის სასაზღვრო კონფლიქტმა.

1802 წლის აგვისტოს იმერეთში გადახვეწილმა ბატონიშვილებმა იულონმა და ფარნაოზმა ჯარი შეაგროვეს და ქართლ-კახეთში შეჭრა სცადეს. პარალელურად ერევნის სახანოს საზღვრებს მოადგა ირანელთა ლაშქარი. თუმცა, ამ პერიოდში რუსებს უკვე მძლავრი სამხედრო ძალა ჰყავდათ აღმოსავლეთ საქართველოში და მათი განდევნა ალბათ შეუძლებელი იყო.

ირანმა **1804 წლის 24 მარტს ოფიციალურად გამოუცხადა რუსეთს ომი. ომის მიზეზებზე საუბრი**სას, ირანელი ისტორიკოსი ნასერ ნაჯემი აღნიშნავს, რომ „ირან-რუსეთის წინააღმდეგობის მთავარი მიზეზი საქართველო იყო" (Nājem, 1915: 40). ის იქვე დასძენს: „საქართველოს რუსეთთან შეერთება ირანისათვის აუტანელი იყო, ირანის პრესტიჟს დიდი ზიანი მიაყენეს, რადგან ეს ქვეყანა საუკუნეების მანძილზე ირანის მოხარკედ ითვლებოდა და მას არ შეეძლო ადვილად ასეთ კავშირში შესულიყო. ამიტომ ირანი უაღრესად გაგულისდა და მზად იყო გაეწია ძლიერი წინააღმდეგობა" (იქვე, 51).

ირანის მესვეურნი განაგრძობდნენ კავშირის ძიებას საქართველოს მეამბოხე ბატონიშვილებთან. 1804 წლის მაისში ბატონიშვილ იულონს ეწვია შაჰის წარგზავნილი, რომელმაც შეატყობინა მას, რომ ირანელთა ლაშქარი მოდიოდა საქართველოზე და მოემზადებინა ქართველი თავადები საბრძოლველად (ბერძენიშვილი, 1973: 320). ამ დროს თბილისში ჩავიდა შაჰის წარმომადგენელი ვინმე იაკუბ ბეგი, რომელმაც რუსეთის არმიის მთავარსარდალს ციციანოვს გადასცა ირანის ვაზირის მირზა შაფის წერილი. ამ წერილში შაჰის მთავრობა მოითხოვდა საქართველოდან რუსების ჯარის გაყვანას, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოზე ლაშქრობით იმუქრებოდნენ (Quzānlu, 1936: 695-96). მაგრამ მალე მეამბოხე ბატონიშვილები – ფარნაოზი და იულონი შეიპყრეს და რუსეთში გაგზავნეს.

თავის მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილი ირანის ჯარით აქტიურად მოქმედებდა რუსეთის არმიის მთავარსარდლის ციციანოვის წინააღმდეგ. დასაწყისში ჩანდა, რომ გამარჯვების სასწორი ალექსანდრესაკენ იხრებოდა, მაგრამ საბოლოოდ, ეჩმიაძინთან გადამწყვეტი ბრძოლის დროს, გამარჯვება ციციანოვს დარჩა. მიუხედავად ციციანოვის მკვლელობისა ბაქოს ალყის დროს, რუსების უკეთესად გაწვრთნილმა და კარგად შეიარაღებულმა არმიამ მოახერხა თითქმის მთლიანი აღმოსავლეთ კავკასიის დაკავება.

საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამის მიერ რუსი გენერლის ლაზარევის მკვლელობის შემდეგ გიორგი XII-ის ვაჟი თეიმურაზი გაიქცა ირანში. ის ირანში იმყოფებოდა 1803-1810 წლებში. თეიმურაზი უშუალო კონტაქტი ჰქონდა საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენლებთან და დანიშნული იყო აზერბაიჯანის რეგულარული ჯარის არტილერიის უფროსად. მაგრამ შემდეგ ის გაიქცა ირანიდან და რუსეთის მხარეზე გადავიდა. ის **1810 წელს რუსეთში გადასახლდა, პეტერბურგში დამ**კვიდრდა და დიდი წარმატებებს მიაღწია სამეცნიერო მოღვაწეობაში.

1 სეფიანთა ხანაში, ე.წ. „კომპრომისული პერიოდის" მანძილზე (1631-1745), ქართლის მეფეებს ბაგრატიონთა საგვარეულოდან „ნიშნავდნენ" სეფიანი შაჰები და ისინი „გორჯესთანის ვალის" ტიტულს ატარებდნენ.

ნაპოლეონის ომების პერიოდში, 1807 წელს დაიდო ე.წ. ფინკენშტეინის ხელშეკრულება ირანსა და საფრანგეთს შორის (იხ. Natchkebia, 2008; Amini, 1995, 1999). ირანის მიერ ინგლისისგან ჩამოშორება და საფრანგეთის მხარის დაჭერა ამიერკავკასიის, უპირველესად კი აღმოსავლეთ საქართველოს საკითხით იყო გამოწვეული.

ფინკეშტეინის ხელშეკრულებაში ერთ-ერთი საკვანძო საკითხი აღმოსავლეთ საქართველოზე ირანის უფლებების აღდგენა იყო. ნაპოლეონი ირანს მხარდაჭერას პირდებოდა, თუმცა, საკმაოდ ორაზროვანი ფორმით – დახმარებას გაუწევდა სპარსელებს მას შემდეგ, რაც ისინი შეძლებდნენ რუსეთის განდევნას საქართველოდან და დაეუფლებოდნენ თბილისს. ნასერ ნაჯემი აღნიშნავს: „ფინკენშტეინის ხელშეკრულება... ისე იყო შედგენილი, რომ მასში ადვილად ჩანდა საფრანგეთის პოლიტიკური ინტერესები, როგორც მაგალითად ინგლისის განდევნა ირანიდან და სხვ. მაშინ, როდესაც პუნქტები, რომელიც ირანს ეხებოდა, მეტად ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო (Nājem, 1915: 96-97).

თუმცა, სულ რაღაც 65 დღის შემდეგ, ტილზიტის ზავის შედეგად, საფრანგეთი დათანხმდა სრული თავისუფლება მიენიჭებინა რუსეთისათვის აღმოსავლეთში მოქმედებაზე, რაც თავისთავად ნიშნავდა ფინკეშტეინის ხელშეკრულების გაუქმებას. შექმნილ ვითარებაში ირანმა მზერა ისევ ინგლისს მიაპყრო. სპარსეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკებებში საქართველო კვლავაც რჩებოდა ყაჯარებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხად, თუმცა არც ინგლისს განუხორციელებია რაიმე ქმედითი ღონისძიებები ირანის სასარგებლოდ ამ საკითხთან დაკავშირებით (Natchkebia, 2009: 119).

ალექსანდრე ბატონიშვილმა შემდგომშიც გააგრძელა ბრძოლა რუსების წინააღმდეგ. 1812 წელს მისი მიზანი ქართლ-კახეთის აჯანყება და საქართველოს სამხედრო გზის ჩაკეტვა იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენაში კი მას ირანელები უნდა დახმარებოდნენ. 1812 წლის კახეთის აჯანყება, მიუხედავად მარცხისა, რუსეთის იმპერიული ხელისუფლების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა (Маркова, 1951; ხანთაძე, 1999; გელაშვილი, 2003).

ამ დროს რუსეთსა და ირანს შორის საზავო მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. დროებით ზავს ვადა გაუვიდა და აბას მირზამ ალექსანდრე ბატონიშვილთან შესაერთებლად და რუსთა განსადევნად თბილისზე გალაშქრება გადაწყვიტა, მაგრამ რუსებმა დაასწრეს – 19-20 ნოემბერს ასლანდუზთან მოულოდნელი თავდასხმის შედეგად აბას მირზას ჯარი დაამარცხეს.

ალექსანდრემ განაგრძო წინააღმდეგობა, მაგრამ უშედეგოდ. ის იძულებული გახდა დაღესტანში გადასულიყო, საბოლოოდ კი ირანში მოხვდა. ალექსანდრე ირანში გარდაიცვალა უკიდურეს სიღარიბეში 1844 წელს და დასაფლავებულია თეიერანის ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე სომხური ეკლესიის ეზოში.

1804-13 რუსეთ-ირანის ომის შემდეგ დადებული გოლესთანის ხელშეკრულებით, ირანი უარს აცხადებდა პრეტენზიებზე ქართლ-კახეთის მიმართ, რაც მოასწავებდა საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში ირანში აქტიური მონაწილეობის დასასრულს. 1826-28 ახალი ომის შემდეგ, თურქმანჩაის ხელშეკრულებით, ირანმა კიდევ ერთხელ აღიარა რუსეთის სუზერენობა საქართველოზე (იხ. შენგელია, 1988: 55-72).

შექმნილ ვითარებას ალბათ ზუსტად გამოხატავს ფრანგი დიპლომატის ამადე ჟობერის მიერ მოტანილი აზერბაიჯანის პროვინციის ბეგლარბეგის აჰმედ-ხანის სიტყვები ირანის ტახტის მემკვიდრის აბას მირზას შესახებ: „ჩვენმა ახლანდელმა მბრძანებელმა... თავისი შემძლე ხელით ყველაფერი გაერთიანა საქართველოს გარდა, პროვინციისა, რომელიც სინამდვილეში უკვე დიდი ხანია იმპერიის ნაწილი აღარ არის“ (ჟობერი, 1997: 118). სპარსეთის იმპერიულ პრეტენზიებს ბოლო მოეღო, მიუხედავად, აღა მაჰმად ხანის დროებითი წარმატებისა აღმოსავლეთ კავკასიაში (Kashani-Sabet, 2000: 21).

1813 წლის გოლესთანის ხელშეკრულებით დადგინდა საზღვრები ირანსა და რუსეთს შორის. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირანის ხელში რჩებოდა ორი სახანო – ერევნის და ნახიჭევანის. ირანს ჩამოშორდა ის ტერიტორიები, რომლებიც რუსეთმა დაიკავა ამ ომში. ამ ხელშეკრულებითვე დაკანონდა იმ ტერიტორიების გადასვლა რუსების ხელში, რომლებიც ადრე ოსმალეთის კონტროლს ექვემდებარებოდა. ეს ეხებოდა დასავლეთ საქართველოს პროვინციებს – იმერეთს, გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს. როდესაც ირანმა ცნო აღნიშნული მხარეების რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში შესვლა, ამით ფაქტობრივად გაუქმდა ირან-ოსმალეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება, ვინაიდან ოსმალეთი პრეტენზიას აცხადებდა საქართველოს ამ ტერიტორიებზე. ხელშეკრულების დადების შემდეგ გამწვავდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობები და ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო კონფლიქტებსაც ჰქონდა ადგილი.

1826-28 წლებში რუსეთთან მეორე ომში მარცხის შემდეგ, თურქმანჩაის ხელშეკრულებით, ირანმა დათმო ამიერკავკასიის დანარჩენი ოლქებიც და საბოლოოდ უარი თქვა აღმოსავლეთ საქართვე-

ლოს კონტროლზე. ხელშეკრულების მეხუთე პუნქტის თანახმად, „მისი უდიდებულესობა, ირანის შა-ჰინშაჰი რუსეთის იმპერატორისადმი მტკიცე მეგობრობის ნიშნად თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით ამტკიცებს, რომ სამფლობელოები, რომელიც... კავკასიის ქედსა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს, რუსეთს მიეკუთვნოს“ (Binā, 1958/59: 59). „რუსეთ-სპარსეთის ომების ამ მეორე რაუნ-დში სპარსეთმა არამარტო საქართველოზე თქვა უარი და დაკარგა ერევანი და ნახიჩევანი, არამედ ქვეყანას უზარმაზარი საომარი რეპარაციების გადახდაც დაეკისრა“ (Kashani-Sabet, 2000: 22). ხელშეკ-რულებამ ასევე განსაზღვა რუსეთ-ირანის ურთიერთობების ხასიათი თითქმის I მსოფლიო ომამდე და ასევე დაადასტურა ირანის სრული უუნარობა მეტოქეობა გაეწია რუსეთისათვის საქართველოსა და კავკასიის მფლობელობისთვის (Hitchins, 2001: 469).

ამის შემდეგ პოლიტიკური ურთიერთობები ირანსა და საქართველოს შორის ხანგრძლივი დროით შეწყდა. კავშირები ორ ქვეყანას შორის ძირითადად ეკონომიკური და კულტურული ხასიათის იყო.

ირან-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები

საქართველო-ირანს შორის მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს საფუძველი არ ჩაყრია XIX საუკუნე-ში. ამ ურთიერთობებს გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. ევროპელებმა საქართველოს, კერძოდ კი მის დედაქალაქ თბილისს მანამდეც მიაქციეს ყურადღება, როგორც საუკეთესო სატრან-ზიტო გზას ირანთან ვაჭრობისათვის, თუმცა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები მხოლოდ XIX სა-უკუნეში გადაიდგა.

XVIII ს-ის 60-იან წლებში ფრანგი მოგზაური პეისონელი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „თბილი-სი მართლაც წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილს სპარსეთთან ვაჭრობის დასამყარებ-ლად“ (Peyssonel: 1754: 153). იგივე ავტორი აცხადებს, რომ „თბილისში ხანდახან არის ყოველგვარი სპარსული საქონლის შეძენის შესაძლებლობა. ეს საქონელი იქ მოდის განჯიდან, შემახიდან, თავრი-ზიდან, ერევნიდან და არზრუმიდან“ (იქვე).

XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში თბილისიდან ყოველდღიურად 150-დან 200-მდე სავაჭრო საქონ-ლით დატვირთული ურემი გადიოდა, მათ შორის ირანის ქალაქებისკენ (პირველ რიგში, თავრიზისაკენ).

ირანთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული დასავლეთ საქართველოს ქალაქებსაც, კერძოდ კი ქუთაისს. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ქუთაისი კარგი სავაჭრო ქალაქია, რადგან ისეთ ადგილას დგას, სადაც ყოველ მხრით ადვილად მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით... ქართლი-დან მოდიან ქართლელები და ირანელები, რომელთაც ჩამოაქვთ ძვირფასი ირანული შალები და ინ-დოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სა-ნელებელი“ (ლამბერტი,1937: 26). დონ ჯუზეპე მილანელის ცნობით კი, სამეგრელოს მთავარი ირან-სა და დასავლეთ ევროპელ ვაჭრებს შორის შუამავლად გამოდიოდა ირანული აბრეშუმის გაყიდვის საქმეში (ციტ. კაციტაძე, 1986: 21).

ამასთანავე, XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული, საქართველოდან ირანში გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი. უცხოელი ვაჭრები (ისევე, როგორც ადგილობრივნი) თბილისში ყიდუ-ლობდნენ ქართული აბრეშუმის ფაბრიკატს, ხოლო შემდეგ უფრო ძვირად ყიდდნენ სამხრეთ-აღმო-სავლეთის ქვეყნებში.

საექსპორტო ნედლეულიდან განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს ენდრო. XVIII საუკუნის მიწურული-სათვის სპარსეთსა და თურქეთში გატანილი ენდროს წლიური ღირებულება 10 ათას მანეთს აღწევ-და (დუმბაძე და გუჩუა, 1990: 357).

გაცილებით უფრო მრავალფეროვანი იყო ის საქონელი, რომელიც ირანიდან შემოდიოდა საქართ-ველოში. ირანული საქონელი საქართველოში შემოჰქონდათ როგორც ადგილობრივ, ისე ირანელ ვაჭ-რებს. ქართული დოკუმენტური წყაროებში არაერთი ცნობაა ამის თაობაზე. ხშირია ცნობები ირანში დამზადებული ქსოვილების შესახებ. წყაროებში იხსენიება როგორც უბრალო, ისე ძვირფასი ქსოვი-ლები. ეს ქსოვილები იაზდის, გილანის, ისფაჰანის, თავრიზის, ქაშანის, ხოის და ირანის სხვა ქალა-ქების სახელოსნოებში იყო დამზადებული. XVII-XVIII სს-ში ირანიდან საქართველოში შემოჰქონდათ ძვირფასი ქვებიც.

საქართველო ირანის ქალაქების საშუალებით ჩაბმული იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების და ევროპის საერთაშორისო ვაჭრობაში. რუსი ავტორის, ბურნაშოვის ცნობით, ვაჭრებს საქართველოს გავლით რუსული საქონელი გაჰქონდათ სპარსეთისა და ინდოეთის ბაზრებზე. საწინააღმდეგო მიმარ-თულებით კი გაცილებით დიდი რაოდენობის საქონელი შემოჰქონდათ (Бурнашев, 1896: 47).

საქართველოს ვაჭრობა ირანთან რუსეთის იმპერიაში გაერთიანების შემდეგაც ინტენსიური იყო და ძველი, ტრადიციული წესებით გრძელდებოდა. შორეულ გზებზე მიმავალ ქარავნებს მიაცილებდნენ შეიარაღებული ქართული რაზმები ე.წ. ქარავანბაშების მეთაურობით, რომლებიც გასამრჯელოს საქონლით დატვირთული ურმების რაოდენობის მიხედვით ღებულობდნენ – თითო მანეთს ყოველ ურემზე. ქარავანბაშთა რაზმები 1817 წლამდე არსებობდნენ. შემდეგში კი ისინი რუსთა ჯარებმა შეცვალეს (*AKAK*, V, 1, 8).

მდგომარეობა არ შეცვლილა რუსეთ-ირანის ომის დაწყების შემდეგაც. ომის მიუხედავად, საზღვრები სპარსეთსა და რუსეთს შორის ღია იყო და კომერციული ურთიერთობები არ შეწყვეტილა. „საგანგებოდ არის აღსანიშნავი, რომ რუსეთ-სპარსეთის უკანასკნელი ომის დროს საქართველოსთან ვაჭრობა საერთოდ არ შეწყვეტილა. ქარავნები თბილისში ისე მიდი-მოდიოდნენ, როგორც მშვიდობიანობის დროს“ (Natchkebia, 2001: 80-81).

საქართველოდან ირანსა და თურქეთში გაჰქონდათ თბილისელი ვაჭრების მიერ მოსკოვის, მაკარიევის და რუსეთის სხვა ქალაქების ბაზრობებიდან ჩამოტანილი რუსული მრეწველობის ნაწარმი, ადგილობრივი საქონლიდან ოქროსა და ვერცხლის ბუზმენტები, ქართული ოქრომკერდით ნაქარგი ქსოვილები, დიდი რაოდენობით ენდრო და სხვ. (*AKAK*, IV, 37). მაგრამ საუკუნის დასაწყისში თბილისელი ვაჭრების კონტაქტები რუსულ ბაზართან მაინც არ ყოფილა მჭიდრო. მთავარი ადგილი ისევ ადგილობრივ ბაზარზე სპარსეთიდან და თურქეთიდან შემოტანილ საქონელს ეკავა. კავკასიაში რუსეთის იმპერიის მთავარსარდალი ტორმასოვი აღნიშნავდა, რომ აქაურ ვაჭრებს თითქმის არ უხდებოდათ რუსეთის ქალაქებში ყოფნა, მთელი მათი სავაჭრო ოპერაციები სპარსეთთან და საერთოდ აზიის ქვეყნებთან იყო დაკავშირებული (იქვე).

საქართველოში მეზობელი სახანოებიდან, სპარსეთისა და თურქეთის პროვინციებიდან ჩამოდიოდნენ ვაჭრები, რომელთაც ჩამოჰქონდათ თავიანთი ქვეყნების საქონელი. ამ დროისათვის აზიის ქვეყნებიდან საქართველოში წლიურად სულ 800 ათასი მანეთის (ვერცხლით) ღირებულების აბრეშუმი, ბამბა, აბრეშუმის, ბამბისა და სალის ქსოვილები, შაქარი, ყავა, სანელებლები, ფოლადი, ტყვია და სხვა წვრილმანი საქონელი შემოდიოდა. 1812 წლის ცნობით, საქართველოში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ირანიდან პირველი მოთხოვნილების თუ ფუფუნების საგნები. საქართველოდან ირანში გაჰქონდათ ნადირის ბეწვეული, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები, სქელი ტილო, შავი გიშერი, ცვილი და სხვ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ქართულ ოქროსქსოვილებზე. მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სპარსული ვერცხლის მონეტა აბაზი (80 ფრანგული სანტიმი) ამ პერიოდში მიმოქცევაში იყო ამიერკავკასიის ყველა პროვინციაში (დუმბაძე, 1973: 89-92).

ხაზგასასმელია, რომ თბილისის სატრანზიტო ფუნქცია რუსეთ-ირანის ომამდე ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი, მაგრამ ომის შემდეგ თანდათანობით გაიზარდა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი იყო საფრანგეთის დაინტერესება, რომელსაც სურდა ინგლისის შევიწროება აღმოსავლეთის ბაზრებზე. ფინკეშტეინის ხელშეკრულების შემდეგ (1807 წლის 4 მაისი) გენერალი გარდანი ჩავიდა სპარსეთის სამეფო კარზე მოკავშირის სტატუსით. ტილზიტის ზავმა (1807 წლის 4 ივლისი) მას საშუალება მისცა უკან დაბრუნებულიყო თბილისის გავლით. ფრანგული მისიის ამ გზამ პირველად მონიშნა თბილისი, როგორც სატრანზიტო ქალაქი სპარსეთსა და ევროპას შორის (იხ. Natchkebia, 2001).

სწორედ აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობებისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების მიზნით თბილისში გაიხსნა საფრანგეთის საკონსულო და კონსულად დაინიშნა ჟაკ ფრანსუა გამბა. ის შავი ზღვის, შესაბამისად საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელობის შესახებ წერდა: „ღონისძიება, რომლის გატარებაც აუცილებელი იქნებოდა ინგლისის მონოპოლიისა და მისი მოჭარბებული სიძლიერისათვის ზღვარის დასადებად და ევროპის გასათავისუფლებლად მისი გავლენისაგან, გახლავთ ევროპისა და აზიის გაერთიანება, მათი ურთიერთდაკავშირება შავი ზღვით, ე.ი. ჩაკეტილი ზღვით“ (გამბა, 1987: 36).

1813 წლის ზავის შემდეგ ირანთან ვაჭრობა გაუმჯობესდა. გოლესთანის ხელშეკრულებით დაწესდა მეტად მცირე საბაჟო გადასახადი ირანიდან შემოტანილ საქონელზე, 5%-ის ოდენობით. შეღავათიანი და თითქმის თავისუფალი საგარეო ვაჭრობის დროს ადგილობრივმა ვაჭრებმა ფულადი კაპიტალი დააგროვეს. მთავარი სატრანზიტო გზის (რედუტ-კალე-თბილისი-ბაქო-ირანი) გასწვრივ მცხოვრებთ საქონლის გადაზიდვით ფულის შოვნის საშუალება მიეცათ.

ამიერკავკასიაში ჩაყენებული რუსის ჯარების მომარაგების აუცილებლობა, საფრანგეთის კაპიტალთან კავშირი და ინგლისთან მეტოქეობა, ხოლო საბოლოო ანგარიშში თავისი პოზიციების განმტკიცება საქართველოში აიძულებდა რუსეთს, რომ აქ დროებით „ვაჭრობის თავისუფლება“ გამოეცხადებინა. ამ დროისათვის რუსეთში აზიასთან ვაჭრობის ამოცანა შემდეგნაირად ესახებოდათ: რუსეთი უნდა ჩაბმუ-

ლიყო ევროპისა და აზიის ვაჭრობაში. იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით უნდა გამხდარიყო სატრანზიტო ქვეყანა ევროპასა და აზიას შორის საქონლის გაცვლაში. სამხრეთ კავკასიის თანდათანობითი დაპყრობის შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა იდეა შავი და კასპიის ზღვების სავაჭრო გზის გადაბმის შესახებ. ამიერკავკასია ერთგვარ ბუნებრივ ხიდს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის და მოსახერხებელი გზა იყო სატრანზიტო ვაჭრობისათვის. რუსეთი შეეცადა სწორედ ეს სატრანზიტო გზა აღედგინა და 1821 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით სამხრეთ კავკასიაში შემოღებულ იქნა შეღავათიანი ტარიფი, რომლის მიხედვითაც ევროპიდან შემოტანილ საქონელზე საბაჟო გადასახადი დაწესებული იყო საქონლის ღირებულების მხოლოდ 5%-ის ოდენობით და ნებადართული იყო ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი ამიერკავკასიის გავლით ირანისაკენ. შეღავათიანი ტარიფი წესდებოდა 10 წლის ვადით, მისი განხორციელება 1822 წლის 1 ივლისიდან დაიწყო. ამიერიდან სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, ოდესა-რედუტ-კალე-თბილისის გავლით უნდა წარმართულიყო ევროპის ვაჭრობა აზიასთან. „1821 წლის 8 (20) ოქტომბრის უკაზით, უცხოეთიდან საქართველოში შემოსული ყოველგვარი საქონელი დაიბეგრება ამ საქონელზე გამოცხადებული ფასის მხოლოდ 5%-ით, მსგავსად გოლესთანის ხელშეკრულების საფუძველზე ირანიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებული ბაჟისა (იქვე, 235).

ამდენად, სატრანზიტო კანონი ითვალისწინებდა რუსეთის საიმპერიო ტარიფთან (25-50%) განსხვავებით როგორც შემოტანილ, ისე გატანილ და ტრანზიტულ საქონელზე მეტად შეღავათიანი ბაჟის გადახდას. ასეთი შეღავათით რუსეთი ევროპულ საქონელს გზას უხსნიდა ამიერკავკასიისაკენ, აქედან კი შუა აზიასა და ირანისაკენ, რადგანაც რუსეთს მაშინ არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ეს ქვეყნები საკუთარი სამრეწველო საქონლით. სამამულო მრეწველობის განვითარებით რუსეთის მაშინდელი მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ 10 წლის შემდეგ შესძლებდნენ ევროპულ საქონელზე დაწაფებულ მომხმარებელთა დაკმაყოფილებას. კანონი გამოიწვევდა ტრაბზონ-არზრუმის გზის გადმონაცვლებასაც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც ფიქრობდნენ, „გააძლიერებდა რუსეთის პოლიტიკურ გავლენას ევროპის კონტინენტზე და ირან-თურქეთის მიმართაც“ (ბოდენშტადტი, 1965: 170).

განსაკუთრებით გაიზარდა შავ ზღვაზე საქართველოს პორტის, რედუტ-კალეს (ყულევის) მნიშვნელობა. „რედუტ-კალე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ყველაზე უფრო გამოცოცხლებული ნავსადგური იყო..., რომელიც წლების მანძილზე ითვლებოდა სპარსეთსა და ევროპას შორის გამართული სავაჭრო ოპერაციების შემაკავშირებელ ცენტრად“ (იქვე). აქ სპარსელებიც ვაჭრობდნენ. რედუტ-კალე ყირიმის ომის დროს განადგურდა. (იხ. პაჭკორია, 1968).

მართალია, 5%-იანი ტარიფი და თავისუფალი ტრანზიტი ნიშნავდა სამხრეთ კავკასიის და ირანის ბაზრების ევროპის ქვეყნებისათვის, კერძოდ საფრანგეთისათვის ხელში ჩაგდებას, მაგრამ რუსეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ შეღავათიანი ტარიფის ვადაში, 10 წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიისა და ირანის ბაზრები გაფართოვდებოდა, გაიზრდებოდა მოთხოვნილება ევროპულ საქონელზე და ვადის დამთავრებისას, უკვე შექმნილ ბაზრებს რუსეთის ბურჟუაზია გააკონტროლებდა.

ამ ბრძანებულებამ დიდი ბიძგი მისცა საქართველოში ვაჭრობის განვითარებას და ქვეყანა, პრაქტიკულად, მსოფლიო ვაჭრობის საქონელბრუნვაში ჩააბა.

მიუხედავად იმისა, რომ შეღავათიანი ტარიფი გარკვეულწილად ინგლისელთა წინააღმდეგ იყო მიმართული და უპირველესად საფრანგეთის ინტერესებს ემსახურებოდა, ამ პერიოდში ინგლისელებიც სარგებლობდნენ საქართველოს სატრანზიტო გზით. საფრანგეთის კონსული თბილისში გამბა 20-იანი წლების შუა ხანებში წერდა: „ტფილისზე გავლით უკანასკნელ ხანებში მრავალი ინგლისელი ბრუნდება ინდოეთიდან ევროპაში. ბომბეიდან გამოსული ისინი ზღვით 15-20 დღეში აღწევენ ბენდერბუშეჰრის ნავსადგურს სპარსეთის ყურეში. ამ ნავსადგურში არის ინგლისის გენერალური კონსული, ინგლისელები აქ დიდი ვაჭრობას ეწევიან, ავრცელებენ აქედან მთელ სპარსეთში ინდოეთისა და თავიანთი სამშობლოს მანუფაქტურას. ბენდერ-ბუშეჰრიდან ისინი ექვს კვირაში ადვილად აღწევენ ტფილისს ქარავნებით“ (Gamba, II, 1826: 159).

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების განმავლობაში თბილისის საბაჟოში სპარსეთიდან უმთავრესად შემდეგი საქონელი შემოდიოდა: ბამბა, ნარმა, ბუზმენტები, შალის საბნები, ოქროქსოვილები, დარაია, შალები, თავშლები, ხალიჩები, ქეჩა, აბრეშუმის ქსოვილები და ნართი, სხვადასხვა ბეწვეული, მარილი და სხვ. (*АКАК*, VI, 1, 227). 1827 წელს თბილისის საბაჟოში შემოტანილი იყო ევროპული საქონელი 383,090 მანეთისა, სპარსული საქონელი – 1,116,696 მანეთისა ვერცხლით (*АКАК*, VII, 132). შეღავათიანი ტარიფის მოქმედების 10 წლის განმავლობაში საშუალო წლიური შემოტანა საქონლისა 1,700,000 მანეთს უდრიდა (Дюкасси, 1853: 410).

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების მიწურულს, 1831 წელს, თბილისში შეიქმნა „კავკასიის სავაჭრო დეპო“. ამ კომერციული კავშირის საქმიანობა ირანთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას

ისახავდა მიზნად: „ირანელი ვაჭრები, რომელთაც უცხოური საქონელი თავის ქვეყანაში შეაქვთ კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის გზით, შესაძლებლობა ექნებათ რა იგივე საქონელი სასურველი რაოდენობით შეიძინონ თბილისში, სულ უფრო ხშირად ჩამოვლენ ამ ქალაქში, და ბოლოს, ევროპული ვაჭრობა ირანში, რაც ფასების კონკურენციას ემყარება, დაკარგავს თავის ძალას, რამდენადაც თბილისიდან გაზიდული საქონელი ირანში უფრო იაფი იქნება“ (გუგუშვილი, 1979: 261-62).

განსაზღვრული ვადის დასრულებამდე ოდნავ ადრე, რუსეთმა გააუქმა ევროპული საქონლისათვის განსაზღვრული შეღავათიანი ტარიფი. ევროპულ საფეიქრო საქონელზე 1832 წელს უზარმაზარი ტარიფი დაწესდა. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას სასურველი შედეგები რუსეთის იმპერიისათვის არ მოუტანია.

უცხოურ საქონელზე შეღავათიანი ბაჟებისა და თავისუფალი ტრანზიტის გაუქმებას თვალსაჩინო ცვლილებები მოჰყვა. ევროპიდან ირანისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც XIX ს-ის 20-იან წლებში აღორძინდა, ამიერიდან ძალას კარგავდა. ევროპის „აზიური ვაჭრობის“ მთავარ მაგისტრალს ტრაბზონის გზით კონკურენტი (რედუტ-კალე-თბილისი-ბაქო) ჩამოაცილეს. ტრაბზონში ჩამოყალიბებულმა ინგლისურმა სავაჭრო კომპანიამ აღმოსავლეთის ბაზარი თავისი საქონლით აავსო (დუმბაძე, 1973: 914).

ხაზგასასმელია, რომ 30-იან წლებამდე სპარსულ-ევროპული ვაჭრობის უმეტესი ნაწილი რუსეთის გზით ხორციელდებოდა. მაგრამ ადრიანოპოლის ხელშეკრულების (1829) დადების შემდეგ [ოსმალეთის] შავი ზღვის პორტები გაიხსნა საერთაშორისო ვაჭრობისათვის. ამ ხანებში, ირანთან ვაჭრობის განვითარებისათვის და სპარსული საქონლის საწყობის შესაქმნელად ტრაბზონში ბრიტანეთის ვიცეკონსული დაინიშნა (Seyf, 1996: 118). 1824-31 წლებში ვაჭრობის საერთო მოცულობა რუსეთის იმპერიასთან 24 მლნ რუბლიდან 1832-41 წლებში 10 მლნ რუბლამდე შემცირდა. ვაჭრობის მოცულობის შემცირებაზე ამ პერიოდში ასევე იმოქმედა შავი ჭირის ეპიდემიამ (ევროპაში ირანული საქონლის იმპორტი ტრაბზონის გზითაც შემცირდა) (იქვე, 119).

ტარიფის გაუქმების შემდეგ, ევროპის ქვეყნებსა და ირანს შორის ვაჭრობამ ტრაბზონ-ერზერუმის გზისაკენ გადაინაცვლა. მთელმა მოგებამ, რომესაც თავისუფალი ტრანზიტის შედეგად იღებდა თბილისი და რედუტ-კალე, ტრაბზონ-ერზურუმისაკენ გადაინაცვლა. მრავალმა თბილისელმა ვაჭარმაც არჩია ევროპული საქონლით სატრანზიტო ვაჭრობა ტრაბზონ-ერზურუმის გზით და ამ საქონლის ირანში ჩატანა.

როგორც აღინიშნა, ტრაბზონში ინგლისური კომპანიის დაარსების შემდეგ, საქართველოში უამრავი კონტრაბანდული საქონელი შემოვიდა. რუსეთის იმპერიის მიერ დაარსებული საბაჟოები კონტრაბანდასთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა. კონტრაბანდის გარდა ინგლისური საქონელი, უმთავრესად ბამბის ქსოვილები, ირანული საქონლის სახელით დიდი რაოდენობით შემოდიოდა ამიერკავკასიაში. ინგლისს ბამბის ქსოვილების ნახევრად მზა პროდუქცია მიჰქონდა ირანში. იქ ხდებოდა მათი საბოლოო დამუშავება და ირანული საქონლის მარკით 5%-იანი ბაჟის გადახდით იოლად შემოდიოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში (დუმბაძე, 1973: 914). ეს საქონელი კი უფრო იაფი და უკეთესი იყო რუსულ ბამბაქსოვლზე და დევნიდა მას საქართველოს ბაზრიდან. 1843 წლისათვის ასეთი სახით შემოტანილი საქონლის ღირებულებამ 350,000 მანეთს მიაღწია (*АКАК*, IX, 662-63).

ინგლისურმა მიტკალმა და ჩითმა არამხოლოდ განდევნა ირანიდან ანალოგიური რუსული ნაწარმი, არამედ ნაწილობრივ შეცვალა ადგილობრივი ნაკეთობაც, რაც ამიერიდან გაძლიერებით შემოდის ამიერკავკასიაში. მაგალითად, ირანიდან რუსეთის შემოზიდული ბამბაქსოვილი საქონლის ღირებულება უდრიდა 1824 წელს 2,170,000 ვერცხ. მანეთს, ხოლო 1842 წელს კი 7,000,000-ს, ე.ი. ნაცვლად იმისა, რომ რუსეთს გაეძლიერებინა თავისი საფეიქრო ნაწარმით ირანის ბაზრების მომარაგება, მოხდა პირიქით – გაძლიერდა ირანული საქონლის რუსეთის შინაგან ბაზრებზე რეალიზაცია.

ინგლისელთა კომერციულ ექსპანსიას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ 1836 წელს რომ მოჰამად შაჰმა მათ უბოძა ფირმანი, რითაც უფლება ეძლეოდათ ირანში შეტანილი საქონლისათვის ეხადათ გამოცხადებული ფასის 5% ბაჟი, ე.ი. იგივე უფლება, რაც თურქმანჩაის ხელშეკრულებით მინიჭებული ჰქონდათ რუს ვაჭრებს. (იხ. Рожкова, 1949: 170-90).

ცხადი იყო, რომ ამკრძალავი ტარიფის შემოღებით რუსეთმა მარცხი განიცადა. მან ამიერკავკასიის ბაზრები თავისთვის ჩაკეტა, მაგრამ რუსეთის მრეწველობის განვითარების დაბალი დონის გამო თავისი საქონლით მათი უზრუნველყოფა ვერ მოახერხა და ამიერკავკასია კონტრაბანდული და ირანის გზით შემოტანილი საქონლით აივსო, ხოლო რუსეთ-ირანის ვაჭრობა დაკნინდა.

თუმცა, ამ ვითარებაშიც არ შეწყვეტილა სავაჭრო კავშირები ირანთან. მაგალითისათვის 1838 წელს თბილისში შეიქმნა (ძირითადად სომეხი ვაჭრების მიერ) „სპარსეთთან ვაჭრობის ამხანაგობა“

(გუგუშვილი, 1979: 161), **რომლის მიზანი იყო სპარსეთის მომარაგება რუსეთის მანუფაქტურული, უპირატესად** საფეიქრო ნაწარმით და იქიდან რუსეთის ფაბრიკებისთვის საჭირო ნედლეულის შემოტანა. მაგრამ არსებულ ვითარებაში ამგვარ წამოწყებას დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

მიუხედავად ამ ხელისშემშლელი ფაქტორებისა, ქართველი ვაჭრები აქტიურად მოღვაწეობდნენ საკუთრივ ირანში. კარგად ინფორმირებული ავსტრიელი ავტორი რუდოლფ გოდელი **1849 წელს წერ**და, რომ ირანის ჩრდილოეთში არსებობდა სამი ბერძნული, ერთი ავსტრიული და რუსების ქვეშევრდომი სომხების ან ქართველების ხუთი კომპანია (ციტ. Issawi, 1983: 238). **ქართველი ვაჭრები აქტი**ურობდნენ ირანის სხვა მხარეებშიც, მათ შორის სპარსეთის ყურეში (იქვე, 238).

ქართველ ვაჭრებს საკმაოდ მძაფრი კონკურენცია უწევდათ ადგილობრივ კომერსანტებთან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ირანის მთავრობის მიერ 1841 წელს ჩაის მოხმარების აკრძალვა იმის საფუძველზე, თითქოს „ჩინელები საწამლავს ამატებდნენ თავიანთ ჩაის." ინგლისის კონსულის ცნობით კი, სინამდვილეში, სპარსელ ვაჭრებს სურდათ შეევიწროებინათ ქართველი ვაჭრები, რომლებიც პრაქტიკულად მთლიანად ფლობდნენ ჩაით ვაჭრობის მონოპოლიას და ადგილობრივ ვაჭრებს აღარაფერი რჩებოდათ (იქვე).

საკუთრივ რუსეთის იმპერიაში კი, სპარსეთიდან იმპორტის შემცირების პირობებში, ხელისუფლება იძულებული გახდა შექმნილ ვითარებაში გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა, რის შედეგადაც მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა.

ამიერკავკასიის მთავარმართებელი გენ.-ადიუტანტი ნეიდგარდტი მივიდა დასკვნამდე, რომ 1831 წლიდან შემოღებულმა ვაჭრობის სისტემამ მოლოდინი ვერ გაამართლა. მისი შეხედულებით, „ამიტომ... ტრაბზონსა და სპარსეთს შორის გაჩაღებული მთელი ვაჭრობის თბილისში გადმოტანის მიზნით უნდა დაწესდეს სპარსული საქონლის უბაჟო ტრანზიტი ბაქო-თბილისი-რედუტ-კალეს მიმართულებით. ცნობილია, რომ სპარსეთში შეტანილი ევროპული საქონლით ვაჭრები ყიდულობენ განსაკუთრებით გილანურ აბრეშუმს, რაც ახლა საპალნეებით სპარსეთიდან იგზავნება თურქეთში – ტრაბზონისაკენ. უბაჟო ტრანზიტის პირობებში, ბუნებრივია, გზის სიიაფისა და სხვ. გამო ვაჭრები აირჩევენ თბილისის მიმართულებას (*ПОЦИА,* ф. КК, 1845, док. №134, ч. IV, 60-64; ციტ. გუგუშვილი, 1979: 88).

1844 წელს შედგენილ ამიერკავკასიისთან რუსეთის ვაჭრობის მიმოხილვაში აღნიშნულია: „ახლანდელი სახე ამ ვაჭრობისა განისაზღვრა იმ ორი ღონისძიებით, რაც მთავრობამ გაატარა 1828 და 1831 წლებში. ეს იყო **1. თურქმანჩაის ტრაქტატით დადგენილი „სამუდამო" წესი, რომ ამიერკავკასიაში ყო**ველგვარ შემოზიდულ ირანულ საქონელზე დაიდებოდა მხოლოდ ხუთპროცენტიანი საბაჟო საფასური და **2. 1831 წლიდან შავი ზღვის პორტებზე ფოთიდან ანაპამდე რუსეთის ე.წ. ევროპული, უაღე**სად პროტექციონისტული, არსებითად ამკრძალავი, საბაჟო ტარიფის გავრცელება (*АКАК*, IX, 662).

1846 წლის კანონით გაიხსნა ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი რედუტ-კალესა და სოხუმ-კალეს პორტებიდან თბილის-ნახჭევანის გზით სპარსეთში და სპარსული საქონლისა ბაქოდან რედუტ-კალესა და სოხუმ-კალეს მიმართულებით ევროპაში. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო თურქეთის გზის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება. სამხრეთ კავკასიის ირანთან ევროპის ვაჭრობის სატრანზიტო გზის ხელახალი ამოქმედებით რუსეთის იმპერია იმედოვნებდა საბაჟო შემოსავლების ისევ გაზრდას.

1848 წელს დამტკიცდა დამატებითი წესები, რომელთა მიხედვითაც მხოლოდ თბილისში შეიძლებოდა გაყიდვა სატრანზიტო, როგორც ევროპული და კოლონიური, ასევე სპარსული საქონლისა, რა თქმა უნდა მას შემდეგ, რაც წინასწარ იქნებოდა გაკეთებული საბაჟო განაცხადი და გადახდილი დაწესებული საბაჟო საფასური.

1850 წლის იმპერატორის ბრძანებულებით კი განისაზღვრა: „წესები, რაც მიღებულია უცხოური საქონლის ამიერკავკასიის გზით სპარსეთში ტრანზიტისათვის, გამონაკლისის გარეშე გავრცელდეს აგრეთვე თბილისში გზავნილ საქონელზეც, რედუტ-კალესა და სოხუმ-კალეში მათზე ბაჟის აღების გარეშე. თუ აქამდე სატრანზიტო საქონლის ბაჟგადაუხდელად გაჩერება თბილისი საბაჟოში შეიძლებოდა 6 თვის ვადით, ეს ვადა განისაზღვროს ერთი წლით, საქონლის შავი ზღვის პორტებზე მიტანის დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ უცხოურ საქონელზე თბილისში აუცილებლად უნდა აიღონ საბაჟო საფასური, ან აქედან საქონელი გაიგზავნოს ტრანზიტით სპარსეთში."

დამატებით, 1852 წელს დამტკიცდა ამიერკავკასიის ტრანზიტის ახალი წესები, რომლის პირველ პარაგრაფში განცხადებულია, რომ „ევროპული და კოლონიური საქონელი შეიძლება ტრანზიტით, საბაჟო საფასურის გადაუხდელად, ამიერკავკასიაზე გავლით გაიგზავნოს სპარსეთში რედუტ-კალედან, სოხუმ-კალედან და თბილისიდან – ერევნის გზით სპარსეთის საზღვრამდე." მეორე პარაგრაფი იუწყება, რომ „პირუკუ იმავე გზით და ასევე უბაჟოდ ევროპისაკენ ნებადართულია აზიური საქონლის ტრანზიტი" (*ПОЦИА, ф. ЛЛ,* 1852, док. №279, 1-119; ციტ. გუგუშვილი, 1979: 73).

აღსანიშნავია, რომ 50-იან წლებში ირანიდან იმპორტში მთავარი ადგილი ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილებს ეკავა. გარკვეული პერიოდის მანძილზე, ფოთის გზით გადიოდა ევროპაში სპარსული აბრეშუმი და აბრეშუმის ნაწარმი (Issawi, 1983: 236).

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, არამარტო ევროპის, არამედ რუსეთის ქალაქებისკენაც იმატა ირანული საქონლის ნაკადმა. 50-იანი წლების ბოლოს ამიერკავკასიიდან რუსეთის შიდა გუბერნიებში, უმთავრესად ნოვგოროდის ბაზრობაზე, დიდძალი ღირებულების სპარსული საქონელი გაჰქონდათ. (*სსცია*, ფ. 40, აღწ. 1, დოკ. 14, გვ. 206, 417).

განსაკუთრებით გაიზარდა საქონელბრუნვა 60-იანი წლებიდან. 1863 წლიდან ერზურუმის გზით თურქეთიდან სპარსეთში მიმავალი ტრანზიტის ნაწილის ამიერკავკასიაზე გადმოსვლას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თურქეთმა სპარსეთის საზღვარზე დაამყარა „ახალი საკარანტინო წესი." ამის შემდეგ დაიწყო ამიერკავკასიის სატრანზიტო ვაჭრობის სწრაფი ზრდა.

1864 წელს კავკასიის მეფისნაცვალი, გენერალფელდლცეხმაისტერი მიხეილ რომანოვი პეტერბურგში კავკასიის კომიტეტს ატყობინებდა, რომ 1863 წლის დეკემბერში სპარსეთის აზერბაიჯანის ადმინისტრაციამ განკარგულება გასცა, რათა ამიერიდან „ევროპაში და პირუკუ მომავალი ყველა სპარსული სავაჭრო ტრანსპორტი, აგრეთვე მგზავრები და სახელმწიფო ფოსტა მიმოდიოდეს თბილისისა და ფოთის გზით და ითხოვა ხელი შეეუწყოთ ამ განკარგულების შესრულების გაადვილებას." (*ПОЦИА*, ф. КК, док. №170, 1-2).

სავაჭრო-სატრანზიტო კავშირების გაზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სარკინიგზო ქსელის გაზრდას. ფოთი-თბილისის შორის რკინიგზის გაყვანის შემდეგ (1872) ფოთიდან თბილისში მიტანილი სატრანზიტო საქონელი სპარსეთში იგზავნებოდა: 1. თბილისი-ერევანი-ნახჭევანი-ჯულფას მიმართულებით, შემდეგ აქედან თავრიზამდე. 2. თბილის-ბაქომდე (ბაქოსთან რკინიგზით დაკავშირებამ გააცხოველა ვაჭრობა) ხოლო აქედან ზღვით სპარსეთის სასურველი პორტისა და ქვეყნის სხვა სავაჭრო ცენტრებისაკენ (Герсеванов, 1875: 565-601).

მაგრამ მოგვიანებით ვითარება შეიცვალა. რუსული საქონლის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, 1883 წელს რუსეთმა გააუქმა სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო გზა. ეს ღონისძიება დაახლოებით ანალოგიური იყო 1832 წლის ბრძანებისა, თუმცა ამჯერად რუსულ საქონელს უკვე ჰქონდა კონკურენციის გაწევის უნარი და ასევე სხვა გზების გამოყენების საშუალება ირანთან ვაჭრობისათვის. ამიერკავკასიის ტრანზიტის აღკვეთამ, რაც ევროპული საქონელს უჭრიდა გზას ირანის მიმართულებით საქართველოს გავლით, ერთბაშად გააძლიერა ჩრდილოეთ სპარსეთში რუსული საქონლის კონკურეტუნარიანობა და შესაბამისად გაიზარდა რუსული ექსპორტი.

ამ გადაწყვეტილების შედეგად დაკნინდა საქართველოს, როგორც ირანისა და ევროპის სატრანზიტო დამაკავშირებელი გზის მნიშვნელობა, თუმცა ეკონომიკური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის არ შეწყვეტილა. 80-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოში შემოტანილი რუსული საქონლის ნაწილი კვლავაც სპარსეთში გასატანად იყო განკუთვნილი.

ისლამი და მუსლიმები XIX საუკუნის თბილისში

ისტორიკოსები მრავალ სირთულეს აწყდებიან XIX საუკუნის საქართველოს მუსლიმური მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას. პირველ რიგში, თითქმის შეუძლებელია თანადროული ჩანაწერების მიხედვით სპარსელების, აზერბაიჯანელების, თურქებისა და სხვა მუსლიმების ერთმანეთისგან განსხვავება. საუკუნის დასაწყისში მუსლიმებს ძირითადად „თათრებად," ზოგჯერ კი „თურქულ-თათრულ" მოსახლეობად მოიხსენიებდნენ.[2] XIX საუკუნეში რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომების შემდეგ, რომელთა შედეგიც გახდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიული ექსპანსია თავისი მეტოქეების ხარჯზე და შესაბამისად, იმპერიის მუსლიმ ქვეშევრდომთა რაოდენობის გაზრდა, ოფიციალურ დოკუმენტებში სულ უფრო ხშირად ხდებოდა რუსეთის იმპერიის მუსლიმი ქვეშერდომების ეთნიკური წარმომავლობის აღნიშვნა. ტერმინი „თათარი" შენარჩუნდა აზერბაიჯანელებთან (სამხ. კავკასიის თურქებთან)მიმართებაში (მაგალითად, ალექსანდრე პუშკინი აღნიშნავს, რომ თბილისის სახელგანთქმული სპარსული აბანოების მეპატრონე იყო სპარსელი, ხოლო მექისე – თათარი) (Пушкин, V, 1960: 418). ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის მოსახლეობის აღწერების სტატისტიკურ კრებულებში XIX საუკუნის II ნახევარში შიიტები და სუნიტები ერთმანეთისაგან გამიჯნული იყვნენ.

2 XIX საუკუნის საქართველოსა და თბილისის მოსახლეობის შესახებ იხ. მაგ., ანთაძე, 1973; ჯაოშვილი, 1984; კაკურია, 1979.

არსებული მონაცემები საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა ზუსტი რიცხვის დადგენის საშუალებას არ იძლევა. ამასთან ერთად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმური აღმსარებლობის მოსახლეობის რაოდენობა საუკუნის მანძილზე იზრდებოდა. მაგ, ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, XIX საუკუნის საქართველოს მოსახლეობის შესახებ, მუსლიმური მოსახლეობის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შემდეგი იყო: 1801 წელს 40,000 670,000-დან; 1832 წელს 36,300 702,000-დან; 1864 წელს 51,300 1,3 მილიონიდან; 1873 წელს 54,800 1,4 მლნ-დან; 1886 წელს 68,800 1,6 მლნ-დან და 1897 წელს 81,700 1,8 მლნ-დან (ანთაძე, 1973: 71). 1886 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს „თათარ-თურქული" მოსახლეობაში 72,49% სუნიტი და 27,51% შიიტი იყო. შიიტები ძირითად ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში – თბილისში, ბორჩალოს, სიღნაღის და თელავის რეგიონებში (*Свод,* 1893: 196-199, 324-327). კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს მხოლოდ მიახლოებითი ციფრებია და რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომთა ზუსტი რაოდენობის დადგენა საკმაოდ რთული საქმეა. მაგალითად, 1832 წლის აღწერაში მთლიანად გამოტოვებული არიან მუსლიმი ქალები, უფრო მოგვიანო აღწერებში კი ისინი გათვალისწინებული არიან, თუმცა აქაც ზუსტი ციფრები არ არის მოყვანილი. ცნობილია, რომ „თბილისში რეგისტრაციის გარეშე ცხოვრება მიღებული პრაქტიკა იყო" (ანთაძე, 1973: 32, 63). პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სეზონური მუშების, მიგრანტი მუშახელის, გლეხების, მოვაჭრეების და სხვათა, აგრეთვე მათი ოჯახების წევრთა, ზუსტი რაოდენობის დადგენა, რომლებიც თითქმის მუდმივად ცხოვრობდნენ თბილისში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვა ადგილებში (რუსეთის იმპერიისა და მის საზღვრებს გარეთ) მცხოვრებლებად ითვლებოდნენ.

თბილისს განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველო-ირანის ურთიერთობებში. XIX საუკუნეში სპარსელები თბილისში ყველაზე მრავალრიცხოვან მუსლიმურ თემს შეადგენდნენ.[3] საუკუნის დასაწყისში თბილისი შედარებით პატარა ქალაქი იყო, თუ შევადარებთ მისი მოსახლეობის რაოდენობას XVII საუკუნეში. მოსახლეობა ერთბაშად შემცირდა 1795 წელს აღა მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად. 1803 წლის აღწერის მიხედვით, „თათრები" (მუსლიმები) თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს შეადგენდნენ. (*АКАК*, VIII, 1868). რამდენიმე წლის შემდეგ კი მუსლიმთა ხვედრითი წილის ქალაქის მოსახლეობაში 11%-მდე გაიზარდა. (ჯამბურია, 1958 : 131-132, 158).

1825 წელს ჟაკ ფრანსუა გამბა თბილისის მოსახლეობას 33 ათასად აფასებდა. „მათ შორის, წერდა ის, 500 ოჯახი არიან თათრები და სპარსელები; თითოეული ოჯახი კი, სულ მცირე, ექვსი წევრისგან შედგება" (Gamba, II, 1826: 58; პოლიევქტოვი და ნათაძე, 1930: 79). გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის ე. აიხვალდის მონაცემებით (20-იანი წლების შუა ხანები) „ქართლის პროვინციის ყველა ოლქში 47,500 ოჯახია, რომლებიც 250,000 სულზე გაცილებით მეტს შეადგენენ. მათგან მაჰმადიანია 12,000" (აიხვალდი, 2005: 71). შესაბამისად, მუსლიმური მოსახლეობის რაოდენობა 70 ათასს უნდა აჭარბებდეს. თუმცა, 1835 წლის აღწერაში გათვალისწინებული არიან მხოლოდ ის მუსლიმები (მოხსენიებულნი ისევ „თათრების" სახელით), რომლებიც ოფიციალურად რეგისტრირებული იყვნენ თბილისის მცხოვრებლებად. ამ აღწერის მიხედვით, თბილისში სულ 723 მუსლიმი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 2,7%-ს შეადგენდა (Эвецкий, 1835: 145).

1864 წლის აღწერაში ერთმანეთისაგან გამოცალკევებული არიან სპარსელები და „თათრები" (იგივე აზერბაიჯანელები), მაშინ როცა ამ დროს სპარსელები შეადგენდნენ მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებს (529 სული) 1864 წლის თბილისის მოსახლეობისა; 1865 წლის მონაცემებით, მათი ხვედრითი წილი უკვე 10%-ს აღწევს (7153 სული). იმავდროულად, ქალაქში მცხოვრებად რეგისტრირებული იყო დაახლოებით 1500 „თათარი" (ანუ საერთო მოსახლეობის 2%-ზე ოდნავ მეტი), (*Сборник..,* 1869: 69). სპარსელთა რიცხვი კი ამ დროს 6624 სულამდე გაიზარდა. თუმცა, მათ შორის ქალების რიცხვი სულ 8 სულით გაიზარდა და მათი საერთო რაოდენობა 29-ს შეადგენდა. ერთი მხრივ, ეს მონაცემები მკაფიოდ აჩვენებს აღწერების ნაკლოვანებებს, მაგრამ მეორე მხრივ, მიუთითებს მუსლიმთა იმ კატეგორიის რაოდენობრივ ზრდაზე, რომლებიც თავდაპირველად დროებითი სამუშაოს ძიებისათვის ჩამოდიოდნენ ქალაქში, შემდეგ კი აქ მკვიდრებოდნენ და ცოლად ადგილობრივ ქალებს თხოულობდნენ. ეს მოსაზრება დასტურდება გვიანდელი მონაცემებით – 1876 წელს აღრიცხულია მხოლოდ 1700 მუსლიმი, ხოლო 1899 წელს მათი რიცხვი 6000-ს აღწევს. სპარსელთა რაოდენობა მკვეთრად იზრდებოდა ზაფხულობით სეზონური სამუშაოების დროს და კომერციული მიზნებისათვის მათი დროებით თბილისში დამკვიდრების გამო. ფრანგი მოგზაურის ერნესტ ორსოლის დაკვირვება 80-იანი წლების თბილისის სპარსულ მოსახლეობაზე ალბათ ზუსტად ასახავს ქალაქში არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციას:

3 თბილისის მუსლიმი მოსახლეობის შესახებ იხ. მაგ., Asatrian & Margarian, 2004.

„თბილისში ცხოვრობს 10-დან 12 ათასამდე სპარსელი; მათი ნაწილი აქ იმ ხანებში დამკვიდრდა, როდესაც სპარსეთი დომინირებდა საქართველოში, მაგრამ... მათი მოდინება და გამრავლება გრძელდება, რამდენადაც მრავალი სპარსელი კავკასიაში ცდილობს ქონების დაგროვებას“ (Orsolle, 1885: 43).

რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობის რელიგიურ შემადგენლობას, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 1876 წელს მუსლიმები შეადგენდნენ თბილისის მოსახლეობის 3,7%-ს. 4300 მუსლიმიდან კი 3700 შიიტი იყო. (*Тифлис.*, 1877: 106-107).

ქალაქის სპარსული მოსახლეობა ძირითადად ინარჩუნებდა სპარსეთის ქვეშევრდომობას. სამწუხაროდ, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შეუძლებელია რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ სპარსეთის ქვეშევრდომთა რაოდენობის დადგენა. ორსოლი საინტერესო ცნობებს გვაწვდის რუსეთში მცხოვრებ სპარსეთის ყოფილ ქვეშევდომთა შესახებ: „რაც შეეხებათ ერევნის პროვინციის სპარსელებს, რომლებიც მეფის ქვეშევრდომები გახდნენ 1828 წლის შემდეგ, ისინი სიამოვნებით მსახურობდნენ რუსეთის არმიასა და ადმინისტრაციაში; აღმოსავლური ენების ცოდნა მათ დიდად დაფასებულებად აქცევს აზიურ პროვინციებში; მათი უმრავლესობა გონიერებითა და გამჭრიახობით გამოირჩევა და მათ ადვილად შეითვისეს ევროპული წეს-ჩვეულებები, ზოგიერთმა კი მაღალ თანამდებობებს მიაღწია [მეფის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციაში]. პირველ რიგში, ისინი კეთილშობილებით გამოირჩევიან და ბევრი მათგანი თავისუფლად ლაპარაკობს ფრანგულად“ (Orsolle, 1885: 43).

თბილისის შიიტური მეჩეთი

XIX საუკუნის თბილისის მუსლიმური მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით ასევე მრავალფეროვანი იყო – შედგებოდა სპარსელებისგან, თურქულენოვანი ხალხებისაგან (რომლებსაც მოგვიანებით აზერბაიჯანელებად მოიხსენიებდნენ), დაღესტნელებისაგან, ვოლგისპირელი თათრებისაგან და სხვ. ყველაზე მრავალრიცხოვანი, როგორც აღინიშნა, იყო სპარსელთა თემი, რომელთაც აზერბაიჯანელები მოსდევდნენ. ორივენი შიიტები იყვნენ, სხვა მუსლიმურ თემებს კი სუნიტები შეადგენდნენ. შიიტებსა და სუნიტებს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები არსებობდა (Анчабадзе и Волкова, 1990: 248). მათ სხვადასხვა მეჩეთები ჰქონდათ, გაყოფილი ჰქონდათ მუსლიმური სასაფლაოც და ზოგადად ერიდებოდნენ ერთმანეთთან კონტაქტს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში იმპერიული ხელისუფლება ცდილობდა სათანადო განათლება მიეცა მუსლიმი ახალგაზრდებისათვის და შემდეგ ისინი საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ე. აიხვალდი აღნიშნავს, რომ „მთის ხალხების მძევალთათვის ტფილისში... მოქმედებდა სკოლა, რომელშიც 1828 წელს 32 მაჰმადიანი მოწაფე იმყოფებოდა. ესენი სწავლობდნენ ამ სარწმუნოებას (ისლამს), ასევე რუსულ და თათრულ ენებს. ეს სკოლა 1827 წელს ტფილისის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალ ადიუტანტმა სეპიაგინმა იმ განზრახვით დაარსა, რომ ამნაირად მთის ხალხების

პირველი გვარების ნასწავლ შვილებს სამშობლოში უკან დაბრუნებისთანავე შესძლებოდათ თავისი ხალხის განსწავლა და აღზრდა“ (აიხვალდი, 2005: 70-71). ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში. რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ცდილობდა მოეპოვებინა საქართველოს მუსლიმთა კეთილგანწყობა და ამ მიზეზით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მუსლიმურ სასულიერო წოდებასთან ურთიერთობებს. თბილისში გახსნილი იყო ისლამური სემინარია მოლების მოსამზადებლად და აქ ნასწავლი მოლები იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდნენ.[4]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის, ბორჩალოს მაზრაში, რომელიც ძირითადად აზერბაიჯანელებით იყო დასახლებულიყო, მოქმედებდა 59 მეჩეთი, რომლებშიც 500-მდე მოლა მოღვაწეობდა. ამ ხანებში საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ფართოდ გავრცელდა მურიდიზმი[5] ჩრდილოკავკასიელი მუსლიმების ზეგავლენით. აზერბაიჯანული თემისათვის ფუნციონირებდა არაერთი მადრასა, თუმცა ისინი მხოლოდ პირველდაწყებითი სწავლის ელემენტებს იძლეოდნენ. საბჭოთა პერიოდის დასაწყისათვის საქართველოს აზერბაიჯანელთა **96,3% წერა-კითხვის უცოდინარი** იყო (*სცსა*, ფ. 14, აღწ. 1, ს. 2884, ფ. 24).

როგორც აღინიშნა, ირანელები შეადგენდნენ თბილისის ყველაზე მრავალრიცხოვან მუსლიმურ თემს. სპარსელ ქვეშევრდომთა შორის სოციალური კიბის ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგნენ ვაჭრები, მათ მოყვებოდნენ ხელოსნები და მუშები. თბილისის ირანელების შესახებ ორსოლი წერს: „ამ ირანელთა უმრავლესობა ბიზნესმენია. ისინი გამოირჩევიან გამჭრიახობით. უნდა დავეთანხოთ გამონათქვამს, რომ „საჭიროა ორი ებრაელი ერთი სომხის მოსატყუებლად, და ორი სომეხი – ერთი სპარსელის გასაცურებლად“ (Orsolle, 1885: 43). **სპარსელთა შიიტური თემისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის** მატარებელი იყო ე.წ. „ცისფერი“ მეჩეთი, მუსლიმური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუში, რომელიც აიგო შაჰ აბას I-ის ბრძანებით (სხვა ცნობით, შაჰ ისმაილ I-ის ბრძანებით). სამწუხაროდ, მეჩეთი დაინგრა კომუნისტური მმართველობის დროს 1951 წელს.

ამ მეჩეთის გარდა, ასევე არსებობდა სუნიტური მეჩეთიც (თუმცა, **1803 წლის მონაცემებით** თბილისში მხოლოდ შიიტური მეჩეთი იყო). გერმანელი ავტორის იოჰან ანტონ გიულდენშტადტის ცნობით, რომელმაც საქართველოში XVIII საუკუნის **70-იან წლებში იმოგზაურა, ქალაქის „თათარ“ მუსლიმებს** სამი მეჩეთი ჰქონდათ (Güldenstädt, 1787: 270-271; პოლიევქტოვი და ნათაძე, 1930: 41). იულიუს ფონ კლაპროტის მიხედვით კი, რომელიც საქართველოში **1807-1808 წლებში იმყოფებოდა, თბილისში** ორი მეჩეთი იყო: ერთი სპარსელი შიიტებისა, ხოლო მეორე – „თათარი“ სუნიტებისა. ეს უკანასკნელი თითქმის მთლიანად დაუნგრევია აღა მაჰმად ხანს, მაგრამ მისი მშვენიერი მინარეთი განადგურებას გადარჩენია. ის აშენებული ყოფილა ოსმალეთის არმიის მთავარსარდლის ისჰაკ-ფაშას მიერ 1710 წელს (Klaproth, II, 1923: 6). ბაღდადში საფრანგეთის კომერციული კომისრის ჟან ფრანსუა რუსოს ცნობით, აღა მაჰმად ხანს თბილისში ორი სუნიტური მეჩეთი დაუნგრევია (ციტ. Natchkebia, 2001: 198).

XIX საუკუნის დასაწყისში, თბილისის არქიტექტურაზე სპარსული ტრადიციების გავლენა კვლავაც ძლიერი იყო. ერთი იმდროინდელი მოგზაურის ჩანაწერების მიხედვით. „სახლების უმეტეს ნაწილს იგივე სტრუქტურა აქვს, როგორიც სპარსეთში. ადგილობრივ სახლები მეტნაკლებად კვადრატული ფორმისაა მცირე რაოდენობით ჩაშენებული ფანჯრებით.“ (Меликсет-Бег, 1914; პოლიევქტოვი და ნათაძე, 1930: 73-75). **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპარსელები კავკასიაში სარგებლობდნენ საუკეთესო მშენებლების** სახელით. ამ მიზეზით, მრავალი სპარსელი მშენებელი დროებით სახლდებოდა თბილისში.

ზემოთ უკვე ნახსენები იყო თბილისის მჭიდრო სავაჭრო კავშირები ირანთან. XIX საუკუნის არაერთი ავტორი ამახვილებს ყურადღებას ამ კავშირებზე. XIX საუკუნის დასაწყისის ავტორი დუნკენ-ველგელი ხატოვნად აღწერს სპარსული სავაჭრო ქარავნის შემოსვლას თბილისში: „ერთ ადგილას გადაგეღობებათ ქარავანი, შემდგარი მრავალი აქლემისაგან, რომელთაც მწყობრი ქანაობით და აუარებე-

4 იმავდროულად, საქართველოს თურქულენოვან მოსახლეობასთან აქტიურად მუშაობდნენ ოსმალები და ახდენდნენ პანთურქული და პანისლამური იდეების პროპაგანდას. 1907 წელს თბილისში შეიქმნა პანისლამური პარტია `მუდაფიე~ (იხ. Документы..,1920: 54-55).

5 სუფიზმის ნაირსახეობა, რომელიც არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და აქედან გავრცელდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. მურიდიზმი ემყარება ასკეტიზმისა და თავგანწირვის პრინციპებს. მურიდიზმში მკაცრად არის დაცული იერარქიული ურთიერთობებბი მოძღვარს (*მურშიდ*) და მოწაფეს (*მურიდ*) შორის. მურიდიზმის მილიტარიზებული ფორმა წარმოადგენდა შამილის იმამათის (1841-1859) იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძველს.

ლი ზარის ჟღარუნით, თავიანთი კუზებით მიაქვთ სპარსეთის ჭრელი ხალიჩები და ქირმანის მდიდარი შალები." (ციტ. პოლიევქტოვი და ნათაძე, 1930: 95).

სპარსეთიდან თბილისში საქონელი შემოდიოდა ნახიჭევანის გზით – თავრიზიდან, არდებილიდან, რეშთიდან და სხვ.

XIX საუკუნის თბილისში, მსგავსად სხვა აღმოსავლური ქალაქებისა, არაერთი ქარვასლა არსებობდა. ტერმინი XVIII საუკუნეში დამკვიდრდა ქართული ფუნდუკის ნაცვლად. ქარვასლა ერთდროულად იყო სასტუმრო, საწყობი, სავაჭრო ცენტრი და სახელოსნო. გამბა აღნიშნავს, რომ თბილისის სამი ქარვასლადან ერთში მხოლოდ სპარსელები ცხოვრობენ. (Gamba, II, 1826: 160-64). ორსოლი, თავის მხრივ, დასძენს: „თათრული ანუ სპარსული ბაზარი მტკვრის მოპირდაპირე ნაპირზეა; ის შედგება ფართო და მაღალი თაღოვანი დერეფნებისაგან... მაღაზიის წინ ზის მისი მფლობელი ვაჭარი და კლიენტების მოლოდინში ეწევა ყალიანს, სპარსულ ნარგილეს. ამ მოვაჭრეთა უმეტესობა ყიდის სპარსეთიდან იმპორტირებულ აბრეშუმის ქსოვილებს და ხალიჩებს..." ქარვასლაში „მრავლად აწყვია სპარსული აბრეშუმის ქსოვილები, მოქარგული ნოხები და აღმოსავლეთის სხვა საუცხოო ქსოვილები" (Orsolle, 1885: 43). **თბილისში დიდი რაოდენობით შემოდიოდა სპარსული ხალიჩები, ძირითადად თავრიზიდან.** თბილისის ერთერთი ყველაზე ცნობილი მაღაზია იყო გ. მ. ახშარუმოვის „სპარსული და კავკასიური მაღაზია." (*სცსა*, ფ. 254, აღწ. 3, დოკ. 3505, გვ. 1-57; Анчабадзе и Волкова, 1990: 103).

თბილისელი მუსლიმები, უპირველესად კი სპარსელები, მკაცრად იცავდნენ ტრადიციულ ყოფით სტანდარტებს როგორც საოჯახო სფეროში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასევე ეთნოსპეციფიკური იყო მუსლიმთა ტანისამოსი, რომელმაც მიუხედავად ტოტალური ევროპეიზაციისა, რომელიც ქალაქის მუსლიმური მოსახლეობასაც შეეხო (განსაკუთრებით პრივილეგირებულ ფენებს), შეინარჩუნა სახასიათო ნიშნები. მაგალითისთვის დიდხანს შემორჩა თმების და წვერის ინით შეღებვის ტრადიცია და ამით სპარსელები გამოირჩეოდნენ XX საუკუნის დასაწყისამდე.

სპარსელები ატარებდნენ არხალუხს, შარვლებს, დაბალ ნაქსოვ ქუდებს ან შავი მოკლემატყლიანი ცხვრის ბეწვისგან შეკერილ წაწვეტებულ ფაფახებს. მათი მდიდარი თანამემამულეები საკუთარ სიმდიდრეს აჩვენებდნენ იმით, რომ ერთმანეთზე რამდენიმე არხალუხს იცვამდნენ, ზემოთ კი აბას – თხელი შალის ქსოვილისაგან შეკერილ ფართო გრძელ მოსასხამს. არხალუხს ჩვეულებრივ კერავდნენ ქაშმირის შალისგან. მდიდარი სპარსელები ასევე ატარებდნენ ქოშებს (უფრო ხშირად მწვანე ფერის, რომელსაც იცვამდნენ ნაქსოვი წინდებზე). სპარსელს თბილისში იცნობდით ერთი მნიშვნელოვანი დეტალით: წვერი, ულვაში და ფრჩილები ღაჟღაჟა წითელ ფერად ჰქონდათ შეღებილი. ინით შეღებვის ამ ტრადიციას იცავდნენ სპარსელი ებრაელებიც. კაცები იღებადნენ წვერებს, ქალები და გოგონები – თმებს, ფეხებს და კბილებსაც კი (Циссерман, 1872: 12; Гастхаузен, 1857: 41).

სპარსული ხალიჩების მაღაზია თბილისში

ქალაქი ადმინისტრაციულად ათ საპოლიციო უბნად იყო დაყოფილი. სპარსელები ძირითადად VI, ვორონცოვის უბანში ცხოვრობდნენ, რომელშიც შედიოდა სეიდაბადიც. ეს უბანი მდებარეობდა ციხე-სიმაგრის სიახლოვეს, სადაც ხალიფა ალის შთამომავლები, სეიდები, ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დასახლდნენ. XVIII საუკუნის ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „აქ (ტფილისს) დასხნა შაჰ სეფიმ სიდნი. მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს." (ვახუშტი, 1973: 334)

უბანს თავდაპირველად ტფილისი ეწოდებოდა, შემდეგ სეიდაბადი, სულ ბოლოს კი ხარფუხი (სომხ. სურდო). XVIII საუკუნეში სეიდაბადი სოფელი იყო, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყიდან უკვე ქალაქის ფარგლებში მოექცა. ფრანგი მოგზაური ბარონ დე ბაი წერს: „მუსლიმური ციხე-სიმაგრე ყოველთვის ეკავათ სპარსელებს ან თურქებს. დღესაც მუსლიმები მის ნანგრევების გარშემო ცხოვრობენ. ქალაქის ეს ნაწილი მოიცავს აბანოებსაც. მან შეინარჩუნა თავისი სახელი „სეიდაბადი," რაც ნიშნავს სეიდების ანუ მუჰამადის შთამომავალთა სამოსახლოს." (De Baye, 1900: 9). სეიდაბადში იყო დამოჟნა (ტამოჟნა – საბაჟო), რომლის წინაც იმართებოდა შეჯიბრი კრივში (ბერაძე, 1980: 48).

სპარსული სახელები ეწოდებოდა ასევე თბილისის სხვა ადგილებსაც. 1800 წლის გეგმაზე ნარიყალას (ზემოთ აღნიშნული მუსლიმური ციხის) ერთ-ერთ კოშკს თავრიზისა ჰქვია. არსებობდა სარდარ-აბადის, თავრიზის, აბას-აბადის მოედანი. მეწაღეთა ქუჩას ეწოდებოდა ხარაზხანა, მებამბეთა – ბამბახანა, მეტყავეთა – დაბახანა.

განსაკუთრებული ადგილი XIX საუკუნის თბილისში ეკავა მუშთაიდის (მოჯთაჰედის) ბაღს. ის საზოგადოებრივ ბაღად ითვლებოდა და ძველი თბილისის ბულონის ტყესაც უწოდებენ (იქვე, 51). ბაღის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა მოჯთაჰედის უბანი, ბაღისაკენ მიმავალ ქუჩას კი – მოჯთაჰედის ქუჩა.

ბაღი დააფუძნა მოჯთაჰედმა აღა მირ ფათჰმა, რომელიც თბილისში რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომის შემდეგ დასახლდა. ირანელი მოგზაური მაჯდ ოს-სალტანე განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს იძლევა მუშთაიდის ცნობილი ბაღის შესახებ: „აღა მირ ფათჰი შვილია განსვენებული აღა მირ იუსუფისა; თავრიზელია. ირან-რუსეთის ომის დროს, როდესაც ირანმა კაპიტულაცია გამოაცხადა, იგი წავიდა თავრიზში. ზავის დადების შემდეგ, ამ სამარცხინო ფაქტის გამო რუსეთში გამოიქცა. დასახლდა თბილისში. გააშენა აქ ბაღი, რომელიც ახლაც მის სახელს ატარებს. აქ ბულვარიც იყო და ძეგლიც. მოჯთაჰედი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უბანია" (მაჯდ ოს-სალტანე, 1971: 81).

თბილისში მდებარეობდა კავკასიის შიიტთა ლიდერის, შეიხ ულ-ისლამის რეზიდენცია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიხ ულ-ისლამი იყო აბდ ალ-სალამ ახუნდ ზადე. ის მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო შიიტთა შორის, არამედ თბილისის მთელ მოსახლეობაში. საინტერესო ცნობაა დაცული მის შესახებ ბათუმის არქივში: „იმ წელს (1891) თბილისში გარდაიცვალა სპარსელი სასულიერო ლიდერი კავკასიის შეიხ ულ-ისლამი ახუნდ ზადე, რომელიც სარგებლობდა დიდი პატივისცემით არამხოლოდ მუსლიმებში, არამედ ქალაქის მთელ მოსახლეობაში. შესაძლოა ყველას ახსოვს გარდაცვლილის შედეგიანი მონაწილეობა ქალაქში სომხურ-თათრული დაპირისპირების ჩახშობაში. ქადაგებებით და პირადი ზეგავლენით, მან მოახერხა, რომ თავიდან აცილებულიყო სისხლისღვრა."[6]

ასევე ყურადსაღებია ლე ბარონ დე ბაის ინფორმაცია ახუნდ ზადეს შესახებ, სადაც ასევე დადასტურებულია ამ უკანასკნელის დიდი ავტორიტეტი ერთი მხრივ, თანამორწმუნეებზე, ხოლო მეორე მხრივ, ძლიერი სპარსული ზეგავლენა: „მეტად საინტერესო იყო ვიზიტი ამიერკავკასიის შიიტთა სულიერ ლიდერთან. მისი სახელია ახუნდ ზადე. ის თათრული (sic!) აზერბაიჯანიდანაა და დაახლოებით 60 წლისაა. ის დაიბადა ელიზავეტპოლში, სადაც ისწავლა სპარსული ენა, ქალაქის ელიტის სალაპარაკო ენა. ის მოლას ოჯახიდანაა. ის კავკასიის მმართველების მადლიერი უნდა იყოს თანამდებობაზე დანიშვნისათვის; ამდენად, ის შეიძლება ჩინოვნიკად ჩაითვალოს და ის თავის ძლიერ ზეგავლენას იყენებს თანამორწმუნეებზე. მებლირებული სახლებიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც 12 ათას რუბლს აღწევს, ის ხარჯავს თავის მეჩეთსა და საქველმოქმედო საქმიანობაზე. შიიტთა ლიდერისა და ბ-ნ ველიჩკოს, რომელმაც წარმადგინა მასთან, თანხლებით, მოვინახულე მუსლიმური სასაფლო (გაბრისთან)... მანახეს ყველაზე ძველი აკლდამები. ერთ-ერთ საფლავს ადგას მოხატული გუმბათი. აქ განისვენებს სეიედი, მოჰამადის შთამომავალი. მიწა მავზოლეუმის წინ გაწითლებულია. აქ წმინდანის სახსოვრად ცხვრებს წირავენ. ეს ჩვეულება ფართო არის გავრცელებული, ისე როგორც სანთლების ანთება საფლავებზე." (De Baye, 1900: 9).

თბილისელი სუნიტებიცა და შიიტებიც ძლიერ სპარსულ ზეგავლენას განიცდიდნენ. სუნიტთა ლიდერი ატარებდა ამიერკავკასიის მუფთის წოდებას.

---

6 *აარსა*, 1891. I. 7, ფ. 8-9, დოკ. 338. ეს დოკუმენტი დასათაურებულია და შენახულია საქაღალდეში «Прошение об восстановлении мечети в Батумскую городскую думу попечителей мечети Орта-джамэ».

ქალაქში ფუნქციონირებდა სპარსეთის გენერალური საკონსულო; მოქმედებდა ასევე საქველმოქმედო, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრები.

სპარსეთის საკონსულო თბილისის ახალ უბანში, სოლოლაკში მდებარეობდა. „სოლოლაკის უბანი თითქმის მთლიანად რუსული და აქ ძირითადად კერძო სახლებია. არის სასახლეც – საქართველოს უკანასკნელ მეფეთა მემკვიდრე პრინცისა. აქ ცხოვრობენ სპარსეთისა და საფრანგეთის კონსულები“ (Lycklama a Nijeholt, 1887: 358).

ფორმალურად სპარსელები შაჰის ქვეშევრდომები იყვნენ და ამით თავს დანარჩენი მოქალაქეებისაგან გამოცალკევებულად გრძნობდნენ. ისინი კონსულის სახლთან იკრიბებოდნენ სხვადასხვა ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად. საკონსულო მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებდა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უცხოური მისია იყო თბილისში. კონსული დიდი პატივისცემით სარგებლობდა ირანის ქვეშევდრომთა შორის. მაჯდ ოს-სალტანე წერს: “ თბილისისა და კავკასიის გენერალურ კონსულად დაინიშნა მუინ ალ-უზურა. არც ერთ ქალაქში არ სარგებლობს ირანის სახელმწიფო საკონსულო ისეთი პრივილეგიებით, როგორც ქალაქ თბილისში; სპეციალური შენობა აქვს განკუთვნილი ბრწყინვალედ და დიდებულად მორთული ავეჯით. ქვეშევრდომები ძალიან კმაყოფილები არიან. თვითონ კონსული დიდი პატივისცემით სარგებლობს ქალაქის მოსახლეობაში, რადგან განათლებული და ბევრის მნახველი ადამიანია. საკონსულო არის ქვეშევრდომების ცერემონიალური მიღებისა, პატივის აღმოჩენისა და დასვენების ადგილი... ირანის სახელმწიფოს არც ერთ უცხო ქვეყანაში არ აქვს ისეთი საკონსულო, როგორიც თბილისში, როგორც შენობის, ისე მისი მოწყობის თვალსაზრისით. საკონსულო თბილისში მცხოვრები ირანის ქვეშევრდომების სიამაყეს წარმოადგენს. (მაჯდ ოს-სალტანე, 1971: 80-81; Ter-Oganov, 2009: 265).

რამაზან ბაირამს, ხსნილის დღესასწაულს, შიიტები ზეიმობდნენ მუსლიმური სასაფლაოზე არსებულ ფართო მოედანზე. აქ ტარდებოდა ნამაზი, საჯარო ლოცვა, რომელსაც უძღვებოდა შეიხ ულ-ისლამი.

თბილისელი სპარსელები ასევე ზეიმობდნენ ირანულ ახალ წელს:

“კვირას, 9 მარტს (ახ. სტილით 21 მარტს), მუსულმან შიიტები თავიანთ ახალწლის პირველს დღესასწაულობენ. ეს დღესასწაული ყოველთვის სამი დღით არის ხოლმე. ტფილისში მცხოვრებნი სპარსელნი პირველად თავიანთ კონსულს მიულოცავენ ხოლმე, მოდის მთელი ამქარი ზურნითა და დაფითა. კონსულის სახლი იმ დღეს მორთულ-მოკაზმულია. შარბათით გამოეგებება კონსული და მათგან რამდენიმე სიტყვის მოსმენის შემდეგ, თითონაც წარმოთქვამს ორიოდე სიტყვას. წლეულსაც, როგორც ყოველთვის, დიდი ამბით იდღესასწაულეს მუსულმანებმა თავიანთი ახალი წელიწადი. კონსულის შემდეგ, ზოგი მუშთაიდის, ზოგი საბოტანიკო ბაღში გაეგზავრნენ სასეირნოდ. კონკის ვაგონები გაჭედილი იყო მათგან. ყოველს ნაბიჯზე შეხვდებოდით პირ-მცინარეს და მორთულს მუსულმანს.“ (*ივერია*, 1886: №55).

თბილისის შიიტური თემის მიერ ისლამური კალენდრის მოჰარამის თვეში ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები (გოცირიძე, 1988; სანიკიძე, 1999: 34-36; Sanikidze & Walker, 2004).

დიდი იყო სპარსული ზეგავლენა საქალაქო ცხოვრებაზე. ხელოსანთა და ვაჭართა აღმოსავლური ტიპის გაერთიანებები, ამქრის სახელწოდებით, თბილისში შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა და XIX საუკუნეში ფართოდ იყო გავრცელებული. მაგალითისათვის, ამქრის ხელმძღვანელს, როგორც ირანში, უსტაბაში ეწოდებოდა. ამქრის დროშაზე გამოსახული იყო ხელობის დამცველი ქრისტიანი წმინდანი, მაგრამ აქაც იკვეთებოდა ირანული გავლენა – ამ გამოსახულებას ფირი, სპარსულად ბრძენი, უფროსი, ეწოდებოდა. თბილისელ წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა წრის წარმომადგენელი, ყარაჩოხელი ქალაქის კოლორიტი იყო. ზოგი მკვლევარი გარკვეულ მსგავსებას პოულობს ყარაჩოხელსა და ჯევანმარდს შორის. ამას მიუთითებს ყარაჩოხელის მეორე სახელიც – ჯომარდი. (ბერაძე,1980: 48). თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თბილისელ ტრუბადურს – აშუღს. აშუღიც სპარსული წარმომავლობისა, და ნიშნავს აშიკს (არშიყს) – მოტრფიალეს. თურქეთიდან და სპარსეთიდან შემოვიდა ქალაქელთა ყოფაში ყავახანა აშუღებით და საზანდარებით. (Анчабадзе и Волкова, 1990: 102-103). სადღესასწაულო დღეებში თბილისელებს ართობდნენ ჯამბაზები და მასხარები. ჯამბაზები ძირითადად სპარსელები იყვნენ. ისინი გამოდიოდნენ აკრობატების როლში. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ოჩოფეხებზე სიარული და თოკზე ეკვილიბრისტიკა (იქვე, 243).

XIX საუკუნის მანძილზე თბილისის სულ უფრო მეტად ევროპიზირებული ხდებოდა. ამით ქალაქი ბევრ სპარსელ ინტელექტუალს იზიდავდა. თბილისში მოღვაწე სპარსელ ინტელექტუალთა შორის უნდა გამოიყოს ფაზელ ხან გარუსი, რომელმაც ცხოვრების ბოლო წლები (1838-1852) თბილისში გაატარა და ასწავლიდა თბილისის პირველ მუსლიმურ სკოლაში. 1847 წელს რუსულმა გაზეთმა „კავ-

კაზმა“ მის მიერ წარმოთმული ხუტბა (ქადაგება) გამოაქვეყნა სკოლის გახსნასთან დაკავშირებით. (Кавказ, №3, 1847). გარუსის, რომელიც ცნობილი პოეტი იყო, ასევე ეკუთვნის სასკოლო სახელმძღვანელოები – სპარსული და არაბული გრამატიკის, ყურანის კომენტარების შიიზმის უმთავრესი დოგმების კომპილაცია და ა.შ.[7]

1821 წელს ირანელი მხატვარი, სახელად ალავერდი, ტახტის მემკვიდრე აბას მირზას დავალებით, თბილისში ჩამოვიდა ლითოგრაფიის შესასწავლად. მან შეისწავლა ეს საქმე და მის მიერ ლითოგრაფიული წესით გამოშვებული წიგნები თბილისიდან თავრიზში იგზავნებოდა (Щеглова, 1979: 8).

თბილისი გახდა სპარსულ ენაზე წიგნების გამოცემის ერთ-ერთი დიდი ცენტრი. აქ ფუნქციონირებდა ორი სპარსული გამომცემლობა: „ღეირათი“ და „აიგრეფინი“. თბილისში ქვეყნდებოდა სპარსული სახელმძღვანელოები, სპარსული მხატვრული და ისტორიული ლიტერატურა. მოქმედებდა ასევე ირანული საქველმოქმედო ორგანიზაციები: „კავკასიის მუსლიმ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაცია“ და „ირანული საქველმოქმედო ორგანიზაცია“. ირანელი მოგზაური იაჰია დოულათაბადი აღნიშნავს, რომ თბილისი ასევე ასრულებდა უმნიშვნელოვანეს როლს, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ცენტრი თავისუფლად მოაზროვნე ირანელთათვის. (Dowlatābādi, 1951: 17; ციტ. Ter-Oganov, 2009: 268). თბილისში 1883-1890 წლებში გამოდიოდა სამენოვანი (აზერბაიჯანულ-სპარსულ-არაბული) გაზეთიც.

მუჰაჯირობის პროცესები და ისლამი აჭარაში

XVII საუკუნის 70-იან წლებამდე აჭარა ძირითადად ქრისტიანული იყო. შემდგომ კი ინტენსიური სახე მიიღო ქართული მოსახლეობის ისლამზე მოქცევის პროცესმა. ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით, „ქართველთ გათათრების შემდეგ ბათუმში პირველად ჯამე (მეჩეთი) გააკეთეს 1690 წელს“ (ჭიჭინაძე,1911:101). აჭარაში თურქების ბატონობა განსაკუთრებით გაძლიერდა მე-18 საუკუნეში, როდესაც ოსმალეთის ხელისუფლებამ ადგილობრივი ბეგების ხელისშეწყობით შესძლო აჭარაში ფეხის მოკიდება და თავისი მართვა-გამგეობის დამყარება. ოსმალებმა მოახდინეს აჭარის აღწერა (სვანიძე,1960: 249). ამავე პერიოდში აფხაზეთის სამთავროში, კერძოდ, სოხუმის ციხეში ოსმალო მეციხოვნეები იდგნენ და შეიძლება ითქვას, რომ ოსმალები აქტიურად ერეოდნენ არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს საშინაო საქმეებში (იხ. ჩხატარაიშვილი,1973: 445-56).

აჭარის მოსახლეობის ისლამიზაციის პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა XIX საუკუნის დასაწყისიდან. თუმცა, გამუსლიმების შემდეგაც „აჭარელთა შორის შემორჩა ქრისტიანობის ძლიერი და მკაფიო კვალი“ (Френкель, 1879: 62). დ. ბაქრაძე, რომელმაც 1873 წელს იმოგზაურა აჭარაში, აღწერს ისლამის გავრცელების პროცესს რეგიონში და ყურადღებას ამახვილებს აჭარელთა რელიგიური წარმოდგენების თავისებურებებზე: „ისლამმა ჯერ ლაზისტანში მოიკიდა ფეხი, შემდეგ ჭოროხის ხეობაში, შემდეგ ახალციხის მაზრაში, შემდეგ შეაღწია აჭარაში და ბოლოს დაეუფლა ქობულეთს, საიდანაც გავრცელდა კინტრიშის ხეობის აყოლებით... თუმცა აჭარასა და ჩურუქ-სუში ქრისტიანული ტაძრები დიდი ხანია დაანგრიეს, მაგრამ მოსახლეობა მათ დღემდე შიშითა და კრძალვით ეპყრობა... ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, განსაკუთრებით მოხუცები, თავის ძველ ხატებზე ლოცულობენ, ანთებენ ცვილის სანთლებს“ (ბაქრაძე, 1987: 72-73). უფრო გვიან ე. თაყაიშვილი წერდა: „სამუსლიმო საქართველოში მიღებულია ზიარეთში წასვლა, რაც ქრისტიანულ ხატობას შეესაბამება. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ჰქვია. უმეტესად აქ ძველი ეკლესიის ნანგრევები ან ყოფილი საჯვარეა“ (თაყაიშვილი, 1912: 219).

აჭარის შემოერთების წინ (1878) ადგილობრივ მოსახლეობაში აქტიურად მიმდინარეობდა თურქული ენის დანერგვა. ისლამიზაციის პროცესმა განაპირობა აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილში ოსმალური სახელმწიფოსადმი ლოიალური განწყობის შექმნა. 1853-55 წლების ყირიმის ომში ოსმალთა მხარეზე არაერთი აჭარელი ქართველი იბრძოდა. ამ ომის შემდეგ დაიწყო ქართული ენის დევნა და შესაძლოა, მისი კვალი „სულ 30 წლის მანძილზე მოსპობილიყო (ჭიჭინაძე, 1911: 165). აჭარელთა ერთი ჯგუფი 1877-78 წლების ომშიც ოსმალების მხარდამხარ იბრძოდა. ერთი ცნობით, ოსმალებმა შეძლეს აჭარა-ქობულეთიდან გამოეყვანათ 6-დან 10 ათასამდე კაცი იარაღქვეშ ომში მონაწილეობის მისაღებად (იაშვილი, 1948: 138). მუჰაჯირებისაგან ჩამოყალიბებული რაზმები თურქეთის მხარეზე იბრძოდნენ პირველ მსოფლიო ომშიც (დათუნაშვილი, 1989: 14).

XIX საუკუნის მიწურულს ქობულეთი მთლიანად ქართულენოვანი მაჰმადიანი ქართველებით იყო დასახლებული, თუმცა სკოლებში სწავლა არაბულ-ოსმალურად მიმდინარეობდა (ჭიჭინაძე, 1913: 13). აჭარაში ქართული ენის პოზიციებთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობას იძლევა ე. ეიდენბაუმი,

7 გარუსის მოღვაწეობის შესახებ იხ. მაგ., ალექსიძე, 2009, გვ. 55-66.

რომელმაც 1878 წლის მიწურულს იმოგზაურა აჭარაში: „ბათუმის ოლქის მოსახლეობის უმეტესობა ლაპარაკობს ქართულად. ეს ენა ბატონობს ქობულეთში, აჭარასა და შავშეთში. ჭოროხის ხეობაშიც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ დამახინჯებულად. იგი ბევრგან თურქულითაა შეცვლილი... იქ, სადაც თურქულს ვერ გებულობენ... რასაკვირველია, ხმარებაშია ქართული ენა. მაგრამ იქაც, სადაც ხალხისთვის თურქული გასაგებია, ოფიციალურ ენად, მემგონი, უნდა იყოს ქართული“ (ეიდენბაუმი, 2005: 52-53). **დ. ბაქრაძის შეფასებით კი, “...ისლამის ბრალია, რომ ქართული ენა სულ ერთიან დათ-**რგუნულია, ხოლო ზოგან სრულიადაც გაქრა თურქეთის საქართველოს იმ ადგილებში, სადაც მაჰმადის რელიგია ადრე დამკვიდრდა“ (ბაქრაძე, 1987: 74).

აჭარელი მუსლიმები, თითქმის გამონაკლისის გარეშე, სუნიტები არიან. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში ისტორიულად მეტად დიდ როლს ასრულებდნენ სუფიური ორდენები, აჭარაში, განსხვავებით საქართველოს მუსლიმებით დასახლებული სხვა რეგიონებისაგან, სუფიზმის კვალი მაინც მცირეა. აქ არც სუფიზმისათვის დამახასიათებელი წმინდანთა კულტი გავრცელებულა.

მეჩეთები აჭარის ზღვისპირეთში თურქული ჯარის დამკვიდრებასთან ერთად მრავლდება. აჭარის რეგიონის მნიშვნელობამ ოსმალეთისათვის ყირიმის ომის შემდეგ განსაკუთრებით წამოიწია წინ. ბათუმის სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ზრდასთან ერთად, გაიზარდა ყურადღება მისი განაშენიანების მიმართ, რამაც მეჩეთების მშენებლობაც განაპირობა (ბარამიძე, რ.). მთიან რეგიონებში ქრისტიანობა გაცილებით უფრო დიდხანს შემორჩა. ბათუმში სამი ჯამე მოქმედებდა. ერთი ოსმალების ჯამედ ითვლებოდა, ხოლო ორი – ქართველების. თურქული გარნიზონისათვის აზიზიეს მეჩეთი 60-იანი წლების დასაწყისში აიგო (ოსმალეთის სულტან აბდულ აზიზის (1861-1876) სახელზე, რომელმაც მეჩეთს შემოსწირა მამული ბათუმის ზღვის სანაპიროზე. სწორედ ამ მიზეზით, მეჩეთს აზიზიე ეწოდა, ხოლო მეჩეთის გარშემო მდებარე უბანს – აზიზიეს უბანი). 1866 წელს, ადრე არსებული ხის მეჩეთის ადგილზე, გაიხსნა ქართველი მუსლიმებისთვის განკუთვნილი ორთა ჯამე (“ახმედიე”). ოდნავ მოგვიანებით კი აიგო კიდევ ერთი მეჩეთი ქართველთათვის – „მუფთიე“. სამივე ჯამესთან გახსნილი იყო მედრესე. ერთი ქართული ჯამეს მზრუნველები იყვნენ აბაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები – ჰუსეინ ბეგი და იბრაიმ ბეგი (ჭიჭინაძე, 1913: 21). **1878 წლიდან, როდესაც რეგიონი რუსეთის იმ-**პერიის შემადგენლობაში შევიდა, „აზიზიეს მეჩეთი, რომელიც ძირითადად თურქებისათვის იყო განკუთვნილი, ჩქარა კარგავს ფუნქციას და თავის საკუთრებასაც. დანარჩენი ორიდან, რომლებიც ქართველ მუსლიმებს ემსახურებოდა, მუფთიეს მეჩეთმა, ამ კატეგორიის მოსახლეობის შემცირების გამო, თანდათან დაკარგა ფუნქცია და ქალაქში მხოლოდ ერთი მოქმედი მეჩეთი – ახმედიე შემორჩა“ (ბარამიძე, რ.). რაც შეეხება რელიგიურ სასწავლებლებს, ბათუმში ფუნქციონირებდა მხოლოდ დაწყებითი და საშუალო სწავლების მედრესეები, სადაც ძირითადად ისწავლებოდა რელიგიური მიმართულების საგნები. დაწყებით მედრესეში სწავლის ხანგრძლივობა შეადგენდა **4-5 წელს, ხოლო საშუალო სწავ-**ლების მედრესეში – 3-4 წელს (კომახიძე, 1996: 9).

დიდ ინტერესს იწვევს აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტი ბათუმში შიიტური მეჩეთის არსებობის შესახებ. აჭარის მკვიდრი მუსლიმი მოსახლეობა, როგორც აღინიშნა, მთლიანად სუნიტური იყო, მაგრამ შიიტური მეჩეთის ფუნქციონირება რეგიონის დედაქალაქში მიუთითებს აქ შიიტური თემის (თუნდაც მცირერიცხოვანის) არსებობაზეც. ამ მეჩეთის არსებობის განმაპირობებელი ფაქტორი კი ის იყო, რომ XIX საუკუნეში საქართველოს ტერიტორია ხშირად წარმოადგენდა სატრანზიტო გზას სპარსეთის ქვეშევრდომებისათვის, რომლებიც მექაში მიემართებოდნენ ჰაჯის შესასრულებლად. ბაქო-თბილისი-ბათუმის მარშრუტი ამ დროისათვის გაცილებით უფრო უხიფათო იყო ირანელთათვის, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის ტრადიციული გზები. მრავალ ირანელ საქმოსანს ჰქონდა უძრავი ქონება ბათუმში, რომლის მნიშვნელობაც განსაკუთრებით გაიზარდა 1883 წელს ბაქოსა და ბათუმის დამაკავშირებელი რკინიგზის ამოქმედებით. ტრანსკავკასიური რკინიგზა ყველაზე იაფ საშუალებას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის მუსლიმებისათვის ცენტრალური აზიიდან და კავკასიიდან, რათა განეხორციელებინათ მექის მოხილვა. ამ გზის მნიშვნელობა ასევე სწრაფად გააცნობიერეს პილიგრიმებმა ირანიდან, ავღანეთიდან თუ ინდოეთიდან.[8]

აჭარლებისათვის არაბული ენა გაუგებარი იყო. ამიტომაც მოსწავლეები მედრესეებში ლოცვის თავებს იზეპირებდნენ, მათ შინაარსს კი ვერ იგებდნენ. ჯამეებში მიღებული წესის მიხედვით, ლოც-

8 XIX ს-ის 80-90-იან წლებში იმ პირთა არაერთი მოგზაურობის ჩანაწერი არსებობს, ვინც მექის გზაზე ტრანსკავკასიური რკინიგზა გამოიყენა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ირანელი შიიტი ავტორის მირზა ფარაჰანის „საფარნამე“ (მოგზაურობა). ფარაჰანის თხზულებაში მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ბათუმისა და იქ არსებული ირანული თემის შესახებ (ამის თაობაზე იხ. Beradze, 2002).

ვები არაბულად იკითხებოდა (არც მოლასათვის და არც მრევლისათვის არ იყო აუცილებელი ლოცვების შინაარსის გაგება და შესაბამისად, არაბული ენის ცოდნა).

ოსმალეთის ისლამურ სასწავლებლებში უპირატესად აღების, ბეგებისა და ფაშების შვილები სწავლობდნენ. ამიტომაც იყო, რომ ისლამური სასულიერო წოდება ძირითადად დიდგვაროვანთა წრიდან გამოსულთაგან შედგებოდა. მოლები და ხოჯები პროთურქული განწყობილებით გამოირჩეოდნენ.

1879 წ. ბერლინის კონგრესზე დადასტურდა, რომ აჭარა ამიერიდან რუსეთის იმპერიის ნაწილს შეადგენდა. ბათუმი კი გახდა თავისუფალი სავაჭრო ქალაქი. ასევე დადასტურდა სან სტეფანოს ხელშეკრულების მე-6 მუხლი, რომლის ძალითაც რუსეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთ უფლება ეძლეოდათ სურვილისამებრ გაეყიდათ საკუთარი ქონება და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. 1879 წლის კონსტანტინოპოლის ტრაქტატით განისაზღვრა ემიგრაციის ოფიციალური ვადები: 03.02.1879-03.02.1882. გადასახლების პროცესს *მუჰაჯირობა* ეწოდა და ზემოაღნიშნული პერიოდი გახდა მუჰაჯირობის ოფიციალური ჩარჩოები. ამასთანავე, მუჰაჯირობა არ დაწყებულა 1879 წლის 3 თებერვალს და არც 1883 წლის 3 თებერვალს დამთავრებულა. იგი განუწყვეტლივ გრძელდებოდა XIX ს-ის 80-იანი წლების დასრულებამდე (ბარამიძე ი., 1989: 16).

ხელისუფლების შეცვლის პროცესი მეტად მძიმე გამოდგა აჭარაში. აჭარელ მამაკაცთა მნიშვნელოვანი ნაწილი სეზონური სამუშაოებისათვის თურქეთის ქალაქებში, ძირითადად სტამბულში დადიოდა და გარკვეული თანხის დაგროვების შემდეგ, უკან ბრუნდებოდა. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ კი საზღვართან სატარიფო საგუშაგოები დაწესდა, რის გამოც ამგვარი მიმოსვლა შეუძლებელი გახდა. ბათუმელებს ასევე აღარ შეეძლოთ თავიანთი ნაწარმი თავისუფლად გაეტანათ და გაეყიდათ ოსმალეთის მიმდებარე რეგიონების ბაზარზე, შეეძინათ საჭირო საქონელი სათანადო საბაჟო გადასახადის გადახდის გარეშე.

რუსი მოხელეები თვლიდნენ, რომ აჭარის მოსახლეობას ადვილად შეცვლიდნენ რუსეთიდან გადმოსახლებული ხალხით. ამიტომაც, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, ხელს უწყობდნენ ხალხის გადასახლებას. რუსეთი აჭარის შავიზღვისპირეთში მისთვის საიმედო მოსახლეობის დასახლებას ცდილობდა. იმპერიული ხელისუფლების მოსაზრებით, „აჭარის სანაპირო ზოლი უნდა გადავიდეს რუსეთიდან გადმოსახლებულთა ხელში, რადგან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაამტკიცეს თავის სრული უუნარობა ჯეროვნად გამოეყენებინათ სანაპირო ნაწილი“ (*Свод*.., 189:43).

1878 წელსვე აჭარაში ამოქმედდა „შურისმაძიებელთა“ სახელწოდებით ცნობილი ტერორისტული ორგანიზაცია. მის მთავარ დამფინანსებლებს თურქები და ინგლისელები წარმოადგენდნენ. ორგანიზაციის მიზანი იყო რუსი ოფიცრებისა და მოხელეების, რუსეთის მმართველობასთან დაკავშირებულ ადგილობრივ მცხოვრებთა ფიზიკური განადგურება (მეგრელიძე, 1964:16).

მუჰაჯირობის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ასევე ოსმალების აგიტაცია. ქართველი ბეგების მნიშვნელოვანი ნაწილიც სათავეში ედგა ემიგრაციას. ისინი ცდილობდნენ თან წაეყვანათ გლეხობის ის ნაწილი, რომელზეც მათ გავლენა ჰქონდათ. მუჰაჯირობის ინიციატორები სასულიერო პირებიც იყვნენ. მაგრამ **1880 წლიდან ბევრი რელიგიური პირი დარწმუნდა, თუ რა სავალალო შედეგები მოჰ**ქონდა მუჰაჯირობას და გასახლების წინააღმდეგი გახდა.

მეტად რთულია აჭარიდან გადასახლებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა. წყაროები ამის შესახებ სხვადასხვა მონაცემებს იძლევიან. 1879 წელს ქობულეთში მოსახლე 2 ათასის ადამიანიდან აქ სულ **500 დარჩა. მუჰაჯირობის შედეგად, აჭარაში ბევრი სოფელი დაცარიელდა. აჭარიდან დაახლო**ებით **10 ათასი ადამიანი გადასახლდა. აქედან 6 ათასი ქართველი მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო, და**ნარჩენ გადასახლებულთა უმრავლესობა კი – აფხაზი (იქვე, **18). მათი ნაწილი შემდგომში უკან დაბ**რუნდა. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოდან დაახლ.150 ათასი კაცი გადასახლებულა. „1877-**1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან სულ 143,200 ადა**მიანი გადასახლდა“ (Фадеев,1890: 413). XX საუკუნის დამდეგს თურქეთში 200-250 ათასი ქართველი ცხოვრობდა (სვანიძე, 1996: 16).

1872 **წელს ბათუმის 4970 მცხოვრებიდან 4500 მუსლიმი იყო (ქართველები, თურქები, ჩერქეზე**ბი, აფხაზები). სხვა ცნობით, 1871-1873 წლებისათვის ქალაქისა და მისი შემოგარენის მოსახლეობა 8324-ს უტოლდებოდა, რომელთა უმრავლესობა მუსლიმი იყო (Джудич, 1873). 1897 წლის აღწერით, მართლმადიდებელ ქრისტიანთა რაოდენობა 15,495-ს გაუტოლდა (განსაკუთრებით იმატა სლავური წარმოშობის მცხოვრებთა რიცხვმა), მაჰმადიანთა რაოდენობამ კი **3156 შეადგინა (მათი ნაწილი ოს**მალეთის ქვეშევრდომი იყო) (სიჭინავა, 1958: 110).

XIX ს-ის მიწურულიდან რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო ზრუნვა საქართველოში მცხოვრები მუსლიმების ლოიალობის მოპოვებისათვის. ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის მიერ შენდებო-

და მეჩეთები და მედრესეები (სოფლებში 400-მდე მეჩეთი აშენდა). 70-იანი წლებში მეფის მთავრობამ მიიღო დებულება „ამიერკავკასიის მუსლიმური სასულიერო წოდების მართვის შესახებ." დებულების მთავარი მიზანი იყო ზუსტად განესაზღვრა მუსლიმური სასულიერო წოდების უფლებები და მოვალეობები ხელისუფლების წინაშე. მეფის მთავრობისათვის აუცილებელი იყო „მაჰმადიანური სასულიერო წოდება ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რათა მას რაც შეიძლება მეტი ემოქმედა მთავრობის სულისკვეთებით, მთავრობას საშუალება ჰქონოდა მისთვის თვალყური ედევნებინა, შეემოწმებინა და წარემართა მისი საქმიანობა" (*АКАК*, 9, 1884: 126).

ამ მიზნის განხორციელება მოხდა სამი გზით: სასულიერო სამმართველოს შექმნით, სასულიერო პირების მომზადების ორგანიზებითა და მუსლიმურ ქვეყნებში სასულიერო წოდების მისაღებად წასვლის აღკვეთით.

აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული ერთი დოკუმენტი მეტად საყურადღებო ცნობას შეიცავს 1909 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი ყურანის გამოცემის შესახებ (*აარცსა*, ფ. 1, ანაწ. 87). ერთი მხრივ, მკაფიო იკვეთება, რომ ამ პუბლიკაციის მიზანი იყო მისი გავრცელება აჭარის ქართულ მოსახლეობაში, მაგრამ მეორე მხრივ, აღნიშნულია, რომ მოსახლეობის ნაწილი ამ პუბლიკაციას ეჭვის თვალით უყურებდა და მასში ხედავდა მართლმადიდებელი ხელისუფლებას მცდელობას შეეცვალა მუსლიმთა წმინდა წიგნის შინაარსი და შეემცირებინა მისი მნიშვნელობა აჭარელ მუსლიმთათვის (Sanikidze, 2008: 268-269).

აჭარელ მუსლიმთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთგული იყო თავისი ეროვნული კუთვნილებისა. I მსოფლიო ომის დროს თბილისში დაარსდა „სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი," რომლის თავმჯდომარედაც მემედ აბაშიძე აირჩიეს. ის ასევე გახდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს" დამაარსებელი და რედაქტორი.

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარების დროისათვის აჭარაში მოქმედებდა 158 მეჩეთი. აქედან ქობულეთის მაზრაში – 27, ბათუმის მაზრაში – 27, ქედას მაზრაში – 60 და ხულოს მაზრაში – 44 მეჩეთი. მოლების რაოდენობა 317-ს აღწევდა. ახალციხის მაზრაში მოქმედებდა 86 მეჩეთი, სადაც 164 მოლა მსახურობდა.

აფხაზეთში ისლამი XVIII ს.-ის 40-იანი წლებიდან შედის – იმ პერიოდიდან, როდესაც ოსმალოები ბატონდებიან (ჭიჭინაძე, 1911: 119). ისლამს არსებობა უხდებოდა ქრისტიანობისა და წარმართული რწმენა-წარმოდგენების გვერდით. თურქების უპირველეს მიზანს აფხაზეთში ქრისტიანობის პოზიციების შესუსტება წარმოადგენდა. „მოსახლეობის მოსყიდვის, დაშინების, ქრისტიანული სალოცავების დანგრევის გზით ისინი ცდილობდნენ ისლამის დამკვიდრებას (Дзидзария, 1960: 118-119). ხაზგასასმელია, რომ აფხაზი დიდგვაროვნების მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანი იყო.

რაც შეეხება მუჰაჯირობის პროცესებს, ზოგადად ჩრდილოკავკასიელთა გადასახლება ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. საკუთრივ აფხაზების პირველი ტალღა, სხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან ერთად, სამშობლოს ტოვებს ყირიმისა და კავკასიის ომების შემდეგ. „კავკასიის ომის შემდეგ, რუსეთი და ოსმალეთი დაინტერესებული იყვნენ კავკასიელ მთიელთა გადასახლებით. რუსეთის ვარაუდით, დაუმორჩილებელი მთიელების გასახლების შედეგად მხარეში მშვიდობა დამყარდებოდა და შესაძლებელი გახდებოდა გამოთავისუფლებულ მიწებზე ხელისუფლებისადმი ლოიალური მოსახლეობის დასახლება" (ხორავა, 2004: 49).

მუჰაჯირობის პროცესების დაჩქარებას ხელი შეუწყო 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამ, გადასახლებამ კი ორგანიზებული ხასიათი მიიღო 1867 წლის აპრილის მიწურულიდან და ძირითადად ძალდატანებით ხასიათს ატარებდა (იქვე, 69). სტატისტიკური მონაცემებით, 1965 წლისათვის აფხაზეთის ყველა ოლქში ცხოვრობდა 79,190 ადამიანი, ხოლო 1867 წლის ნოემბრისათვის მოსახლეობის 64,933-მდე შემცირდა (*Сборник.., I, отд. II, 1902: 39*).

მუჰაჯირობის დროს აფხაზ მუსლიმთა ნაწილი გადასახლდა ჯერ კიდევ ოსმალთა გამგებლობაში მყოფ აჭარაში. ბათუმში დასახლდა აფხაზთა 300 ოჯახი (ძირითადად ბათუმის მახლობლად სოფელ ანგისაში), რუსების შემოსვლის შემდეგ კი მათგან მხოლოდ 146 დარჩა (სიჭინავა, 1958: 87). საერთო აღიარებით, აფხაზეთიდან გადასახლებას 1877-78 წლებში და ომის დამთავრებისთანავე ყველაზე მასობრივი ხასიათი ჰქონდა (იხ. მაგ., Дзидзария, 1982). აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ კი ისლამის პოზიციები რეგიონში მკვეთრად შესუსტდა.

თავი VI

ახლო აღმოსავლეთი XX საუკუნის დასაწყისში

ირანი

კრიზისი და კონსტიტუციური მოძრაობის დასაწყისი

ირანის კონსტიტუციური რევოლუციის ფესვები XIX საუკუნიდან მოდის – კერძოდ კი უკავშირდება ქვეყანაში დასავლეთის თანდათანობით შეჭრას. ამ შეჭრამ კიდევ უფრო შეარყია ტრადიციულად ისედაც სუსტი კავშირები, რომელიც არსებობდა ყაჯართა სამეფო კარსა და ირანის საზოგადოებას შორის. ეს განხორციელდა ორი, პრაქტიკულად ურთიერთსაპირისპირო გზით. ერთი მხრივ, ამან შეაკავშირა ქალაქების ბაზრის ხალხი და რელიგიური ელიტა ერთიან ზერეგიონულ საშუალო კლასში, რომელმაც გააცნობიერა ხელისუფლებისაგან და უცხო სახელმწიფოებისაგან მომავალი საერთო საფრთხე. ამგვარად ჩამოყალიბდა მესაკუთრეთა კლასი, რომელმაც მოგვიანებით ტრადიციული საშუალო კლასის სახელი მიიღო (*თაბაყეი-ე მოთავასავათეი-ე სუნნათი*) (Abrahamian, 2008: 35). ეს სასიცოცხლო კავშირი „მეჩეთსა“ და ბაზარს შორის, რომელიც დღემდე გრძელდება, სათავეს XIX ს-ში იღებს. მეორე მხრივ, დასავლეთთან კონტაქტების გზით, განსაკუთრებით თანამედროვე განათლების წყალობით, შემოვიდა ახალი იდეები, ახალი პროფესიები და შედეგად, გამოიკვეთა ახალი საშუალო კლასის კონტურები. ამ სოციალური ფენის წარმომადგენლები საკუთარ თავს უწოდებდნენ „განათლებულ მოაზროვნეებს“ – ამისათვის თავდაპირველად ისინი იყენებდნენ არაბულ ტერმინს *მონვარ ალ-ფექრან*, ხოლო შემდგომ შექმნეს მისი სპარსული შესატყვისი *როუშანფექრან* (მხ. რ. *როუშანფექრ*). ბევრი კუთხით, ისინი წააგავდნენ რუსეთის იმპერიის XVIII საუკუნის ინტელექტუალებს, რომლებმაც საკუთარი მოღვაწეობისა და მსოფლმხედველობის გამოსახატავად შექმნეს ახალი ტერმინი – *ინტელიგენცია*. ამ ახალ ინტელექტუალებს ბევრი არაფერი ჰქონდათ საერთო ტრადიციულ „კალმის ხალხთან“. ისინი სამყაროს აღიქვამდნენ არა უფლისწულთა აღზრდის შესახებ ტრადიციული დიდაქტიკური ლიტერატურის საშუალებით, არამედ ფრანგული განმანათლებლობის იდეების პრიზმაში. ისინი ეთაყვანებოდნენ არა სამეფო ხელისუფლებას, არამედ სახალხო სუვერენობას; არა ტრადიციას, არამედ თავისუფლებას, ძმობასა და თანასწორობას; არა „ღმერთის აჩრდილს“ [1] ამქვეყნად, არამედ ადამიანის ბუნებრივ და შეუვალ უფლებებს. ისინი ლაპარაკობდნენ არა სოციალური მშვიდობისა და პოლიტიკური ჰარმონიის, არამედ რადიკალური ცვლილებების, ფუძემდებლური ტრანსფორმაციების აუცილებლობაზე და პროგრესის გარდაუვალობაზე. ისინი ქადაგებდნენ არა აბსოლუტიზმისა და კონსერვატიზმის უპირატესობებს, არამედ ლიბერალიზმს, ნაციონალიზმსა და სოციალიზმსაც კი. მათი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა არა ყურანისა და ტრადიციული შიიტური მრწამსის, არამედ გონების, განსჯის და ადამიანის ბუნებრივი უფლებების აღიარების საფუძველზე.

1896 წელს ტახტზე ავიდა მოზაფარ ად-დინ შაჰი (1853-1907). მას მოღვაწეობის დაწყება მეტად მძიმე ვითარებაში მოუწია. რეფორმატორთა პრესი სულ უფრო იზრდებოდა. ახალი შაჰი არ იყო მტრულად განწყობილი ზოგიერთი რეფორმისადმი, და არც პოლიტიკური ძალადობის მომხრე ყოფილა. მან, კერძოდ, დაუშვა *რომდიდას* სკოლების ქსელის შექმნა, რომელიც ევროპული განათლების სისტემაზე იყო დამყარებული და უკვე დანერგილი ოსმალეთის იმპერიაში. ეს გადაწყვეტილება მძაფრად იქნა გაკრიტიკებული ულემების მიერ, რადგანაც არყევდა მათ მონოპოლიას განათლებაზე. თუმცა, შაჰის შემდგომმა მოღვაწეობამ, მისმა გაუბედაობამ და სახელმწიფოს მართვის უუნარობამ, მონარქისადმი მოსახლეობის უაღრესად უარყოფითი განწყობა განაპირობა.

სამეფო ხაზინა დაცარიელებული იყო. შემოსავლების მისაღებად და საბაჟოებზე არსებული სრული ქაოსის მოსასპობად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბელგიელების მოწვევის შესახებ. მათგან პირველის, ჟოზეფ ნაუსის მოღვაწეობა ირანში, შესვენებებით, თითქმის ოცი წელი გაგრძელდა. საბაჟოს სისტემის რეფორმირების ამ პირველ ცდას არ მოჰყოლია დიდი წარმატება.

1 სეფიანთა დროიდან შაჰების ეპითეტი

მოზაფარ ად-დინ შაჰი

1903 წელს საბაჟო ტარიფების რეფორმამ გამოიწვია იმპორტის შემცირება, ვინაიდან მოვაჭრეები არჩევდნენ სხვაგან გაეგზავნათ თავიანთი საქონელი, ვიდრე გადაეხადათ უფრო მაღალი საბაჟო გადასახადი სურსათისათვის. საბაჟო შემოსავლები იმდენად მცირე იყო მოსალოდნელთან შედარებით, რომ ნაუსი იძულებული გახდა ვალიც კი აეღო მოსამსახურეთა ხელფასების გასასტუმრებლად (Richard, 2006: 92). საბაჟო რეფორმების წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობაც დაიწყო, კერძოდ თავრიზში, სადაც ულემები მხარში ედგნენ გამომსვლელებს.

მოზაფარ ად-დინი მაინც ნაკლებად იყო განწყობილი და მომზადებული იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინა თავისი ქვეშევრდომების მოთხოვნები. ის ძირითადად ორ საკითხზე ზრუნავდა: არ დაეშვა ამბოხი არმიაში, სადაც ხშირად ხელფასები ორი წლის დაგვიანებით გაიცემოდა და დაეფინანსებინა თავისი მოგზაურობები ევროპის ბალნეოლოგიურ კურორტებზე (1900, 1902, 1904). ამ მიზნით, ის ამჯერად ვალებს რუსეთისაგან იღებდა. ეს კი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან ვალების დასაფარად ხდებოდა ირანელთათვის საბაჟო გადასახადების ზრდა რუსეთთან კავკასიის საზღვარზე.

რუსეთთან ახალი სავაჭრო ხელშეკრულებით კი, პირიქით, რუსეთიდან შემოტანილ მრავალი სახეობის საქონელზე საბაჟო გადასახადი მცირდებოდა. ბამბის ქსოვილებზე გადასახადი საერთოდ გაუქმდა, რამაც გამოიწვია ქსოვილების ირანელი მწარმოებლების უმრავლესობის გაკოტრება.

არსებულ ვითარებაში, პირველი ვაზირი ამინ ას-სოლთანი საყოველთაო სიძულვილის ობიექტად იქცა და 1903 წელს შაჰმა ის შეცვალა ეინ ად-დოულეთი. ეს უკანასკნელი ანტიევროპული განწყობით გამოირჩეოდა. არაეფექტური მმართველობის გამო, მალე ისიც წინამორბედის მსგავსად შეიძულეს.

ხელისუფლების ქმედებებით უკმაყოფილო მოსახლეობამ მასობრივი საპროტესტო აქციები წამოიწყო. შექმნილ სიტუაციაში თანდათანობით წინა პლანზე წამოიწია ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობაზე გადასვლის იდეამ. „თამბაქოს კონცესიის წინააღმდეგ ულემთა ბრძოლა, გარკვეული თვალსაზრისით, 1905-06 წლების საკონსტიტუციო კრიზისის გენერალური რეპეტიცია გახდა“ (Bayat, 1991: 97). მოსახლეობა უკვე ეჭვის თვალით უყურებდა უცხოელთა ნებისმიერ პროექტს და მიიჩნევდა, რომ ევროპელთა შემოსვლა არაფერ სასიკეთოს არ უქადდა მათ მდგომარეობას. ამგვარ განწყობას კი აღვივებდნენ როგორც ულემები, ისე შაჰის რეჟიმის საერო ლიბერალური ოპოზიცია. ჯულფიდან გზის აშენების პროექტმა გამოიწვია რუსების შემოჭრის შიშის გაღვივება. რუსეთის გავლენის წინააღმდეგობა გამოიხატა თეირანში ნახევრად აგებული რუსული ბანკის შენობის დანგრევით, რომელიც აქ ადრე არსებული რელიგიური დაწესებულების ადგილზე შენდებოდა (1905 წ. ნოემბერში). განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა კი შეიძინა ინციდენტმა თეირანის ბაზარში. 1905 წ. 12 დეკემბერს აქ ორი ვაჭარი გაროზგეს ბრალდებით, რომ ისინი ცდილობდნენ შაქრისათვის ხელოვნურად ფასის აწევას. მათგან ერთ-ერთი სეიედი[2] იყო, რომელსაც არაერთხელ განეხორციელებინა ჰაჯი მექაში და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა.

განრისხებული ბაზრის ხალხი შაჰის მეჩეთში[3] შეიკრიბა და საპროტესტო ბესთი წამოიწყო. ხელისუფლების მსტოვრები პანიკის გამოწვევით შეეცადნენ დაეშალათ ბრბო. ულემებმა, ბაზრის ხალხის მოკავშირეებმა და დამცველებმა, ამბოხებულების მხარე დაიჭირეს და დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას. მათ მასობრივად დატოვეს თეირანი და დაბანაკდნენ იმამზადე აბდ ალ-აზიმის მავზოლეუმთან, ძველ რეისთან, საიდანაც თავისი მოთხოვნები წამოუყენეს შაჰს. ამ მოთხოვნებში შედიოდა: თეირანის გუბერნატორის მოხსნა, საბაჟო სამსახურის ბელგიელი მინისტრის ნაუსის დათხოვნა, შარიათის სრულფასოვანი გამოყენება და სპეციალური კოლეგიის (*ადალეთ ხანე*) შექმნა სამართლიანობის და-

2 მოციქულ მუჰამადის შთამომავალი.

3 როგორც ბ. ლიუსი სამართლიანად აღნიშნავს, მეჩეთი წარმოადგენდა ასოცირებისა და კომუნიკაციების ქსელს, რომელსაც ხელისუფლება ხშირად ვერ აკონტროლებს (Lewis, B., 2003: 23). ამ სახით მეჩეთებმა უდიდესი როლი შეასრულეს XX ს.-ის ირანის საპროტესტო მოძრაობაში და ორივე რევოლუციაში.

საცავად. სწორედ ეს უკანასკნელი პუნქტი გახდა პრაქტიკულად პირველი „დემოკრატიული“ ცვლილების მოთხოვნა სამღვდელოების მხრიდან ირანში, რომელიც შემდეგ პარლამენტის (*მეჯლის, მაჯლის*) შექმნის მოთხოვნაში გადაიზარდა.

როდესაც ულემებმა დატოვეს მავზოლეუმთან არსებული ბანაკი და მოსალაპარაკებლად თეირანში ჩავიდნენ, მათ აღფრთოვანებით შეხვდა ბრბო. ულემებსა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების პროცესს თან ახლდა სისხლიანი შეტაკებები შირაზსა და თეირანში. მეშჰედში კი სამთავრობო ჯარებმა სისხლის ტბები დააყენეს იმამ რეზას მავზოლეუმის ეზოში. როდესაც თეირანში ჯარმა ცეცხლი გაუხსნა შაჰის მეჩეთს თავშეფარებულ ბრბოს, ერთმა ოფიცერმა შემთხვევით ახალგაზრდა სეიედი მოკლა. პროტესტის ნიშნად ორი ათასამდე ულემმა კვლავ დატოვა თეირანი და ყუმში დაბანაკდა (1906 წ. 15 ივლისს). გარდა ამისა, თოთხმეტმა ათასმა ადამიანმა, უმეტესად ბაზრის ხალხმა, ქულჰაქში (თეირანის მახლობლად) ბრიტანული საელჩოს ტერიტორიას შეაფარა თავი და საელჩოს ეზოში ბესთი წამოიწყო.

შაჰის პირველმა 1906 წ. 7 აგვისტოს ბრძანებამ არ დააკმაყოფილა ყუმში მყოფი სამღვდელოება და ბესთის მომწყობნი, ვინაიდან ბრძანებაში მკაფიოდ არ იყო ნათქვამი, რომ მეჯლისი იქნებოდა არჩევითი. გარდა ამისა, ულემები ცდილობდნენ მიეღწიათ საკუთარი წინამავალი როლის აღიარებისათვის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მომავალ მეჯლისში. ამ მიზეზით, ბესთი მხოლოდ მაშინ შეწყდა და სამღვდელოება ყუმიდან თეირანში დაბრუნდა, როდესაც მეორე ბრძანებაში მკაფიოდ იქნა მითითებული, რომ მეჯლისის დეპუტატები ხალხის მიერ იქნებოდნენ არჩეული და მეჯლისის შენობასა და მუშაობის წესს თავად დეპუტატები განსაზღვრავდნენ. ახალ დამატებით ბრძანებაში მეჯლისი ასევე იწოდებოდა მუსლიმურად და მითითებული იყო, რომ მისი მუშაობა შარიათის ნორმების შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

1905-06 წწ. მოძრაობა ძირეულად განსხვავდებოდა თამბაქოს კონცესიის წინააღმდეგ წარმართული კამპანიისაგან. 1992 წელს საპროტესტო მოძრაობას მთელი ქვეყანა შეუერთდა, 1905-06 წლებში კი ბრძოლის ველად თეირანი იქცა. მოძრაობის თეირანელი ლიდერები ინტელექტუალი ლიბერალები იყვნენ და სრულად უჭერდნენ მხარს ჯამალ ად-დინ ალ-ავღანის შეხედულებას, რომ რეფორმები აუცილებლად უნდა განხორციელდეს და, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს მათი მისადაგება ისლამთან. ყოველივე ეს მეტად რთული აღსაქმელი იყო მოლების უმრავლესობისათვის, განსაკუთრებით პროვინციებში. კამპანია უცხოელების წინააღმდეგ, უპირველესად მათ წინააღმდეგ, ვინც ისაკუთრებდა თამბაქოს, გასაგები იყო ყველასათვის, მათ შორის გაუნათლებელი მოლებისთვისაც, რაც არ შეიძლება ითქვას იმ სრულიად ახალი და რთულად აღსაქმელი იდეების შესახებ, რომლებიც საფუძვლად ედო კონსტიტუციურ მოძრაობას (Cottam, 1979: 58).

1906-1911 კონსტიტუციური რევოლუციის დროს ულემები ორ უმთავრეს ფრაქციად გაიყვნენ: „კონსტიტუციონალისტებად“, რომელთაც მხარს უჭერდნენ ვაჭრები და ხელოსნები და „ანტიკონსტიტუციონალისტებად“, რომლებსაც გვერდში შარიათის სასამართლოების წევრები ედგნენ (Arjomand, 1984: 67). **ვაჭრები და ხელოსნები – „ბაზრის ხალხი“, უკმაყოფილონი იყვნენ სახელმწიფოს ინდიფერენტუ**ლობის გამო მათი ინტერესებისადმი. „კონსტიტუციონალისტი“ ულემების მიზანი იყო ბრძოლა ძლიერი და კარგად ორგანიზებული ხელისუფლების ჩამოყალიბებისათვის, რომლის მფარველობის ქვეშაც ვაჭრები და ხელოსნები მშვიდობიანად გააგრძელებდნენ თავიანთ საქმიანობას, შემცირდებოდა უცხოეთის როლი (სანიკიძე, 2002: 31).

სამღვდელოებას ორი გამოჩენილი აიათოლა ედგა სათავეში: პირველი – სეიედ აბდოლა ბეჰბაჰანი **(1846-1910) ამბიციური და პატივმოყვარე რელიგიური პირი იყო, რომელმაც თავის დროზე ან**გარიში არ გაუწია თამბაქოს მოხმარების აკრძალვის ფეთვას და საჯაროდაც კი ბედავდა მოწევას (ჭორები დადიოდა, რომ ეს ბრიტანეთის წარმომადგენლობისათვის თავის მოსაწონად გააკეთა). ის განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი პრემიერ-მინისტრის მიმართ. მანვე გაავრცელა ნაუსის ფოტოები, რომელიც კარნავალზე მოლას ტანისამოსში იყო გამოწყობილი და რაც მოსახლეობამ ისლამის შეურაცხყოფად აღიქვა. რაც შეეხება მეორეს – სეიედ მოჰამად თაბათაბაის (1841-1918) – ის ლიბერალი თეოლოგი იყო, ახლოს იდგა მასონურ წრეებთან და ძლიერ იყო პოლიტიზებული. ის ნაწილობრივ იზიარებდა მალქომ ხანის იდეებს და ხშირად ხვდებოდა ალ-ავღანის მისი თეირანში ყოფნის დროს. თავის ავტობიოგრაფიაში ის წერს, რომ პოლიტიკაში ჩაბმა მას მოზაფარ ად-დინის ტახტზე ასვლამ გადააწყვეტინა, რომელიც მამამისზე უფრო უნიათო მმართველად მიაჩნდა. ამ ორი უაღრესად განსხვავებული ადამიანის ალიანსი მართლაც მოულოდნელი იყო – მითუმეტეს, ბეჰბაჰანის გადაწყვეტილება ებრძოლა გაცილებით უფრო რადიკალური მიზნისათვის, ვიდრე უბრალოდ პრემიერ-მინისტრის გადაყენებისათვის.

აიათოლა თაბათაბაის ქადაგებიდან (1906 წლის 6 ივლისი):

„ჩვენ არ ვიბრძვით რესპუბლიკისათვის, ჩვენ ასე სწრაფად არ გვინდა კონსტიტუციური რეჟიმი, რამდენადაც ირანის ხალხი არ არის არც საკმარისად განათლებული და არც საკმარისად მზად კონსტიტუციისათვის და რესპუბლიკისათვის. რადგანაც რესპუბლიკა განათლებული ერისთვისაა, აი, ჩვენ რას ვამბობთ: რატომ ახორციელებთ [ქვეყნის მესვეურნო] ამ ჩაგვრას; რატომ არის ეს ძალადობა შენს [შაჰის] ქვეშევრდომებზე? ეს ქვეშევრდომები რომ არ იყვნენ, შენ არაფერი გექნებოდა... ის, რაც ჩვენ გვინდა, არის სამართლიანობა და სამართლის სახლი. ჩვენ გვსურს, რომ გამოყენებული იყოს ისლამის კანონი, გვსურს საკრებულო (მეჯლისი), რომელშიც თანასწორად განსჯიან როგორც მეფეს, ისე მათხოვარს, კანონის მიხედვით. ჩვენ არ გვსურს არც რესპუბლიკა და არც კონსტიტუცია; ჩვენ გვინდა რელიგიური სამართლის ასამბლეა (*მაჯლეს-ე მაშრუ'ეე ადალეთ ხანე*).[4] (ციტ. Kermāni, 1357/1978: 450, 453).

ზოგადად, კონსტიტუციისათვის ბრძოლის პერიოდში ულემთა სამი პოზიცია შეიძლება დაფიქსირდეს: ერთი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგნენ მოლა მოჰამად ქაზემ ხორასანი, ჰაჯი შეიხ აბდოლა მაზანდარანი და ჰაჯი მირზა ჰოსეინ თეჰრანი მიიჩნევდნენ, რომ ვინაიდან დროის იმამი ფარულია და აქტიურ როლს არ ასრულებს სამყაროში, ბრძენის მმართველობას შეუძლია შეცვალოს ბოროტის, უღირსის მმართველობა. ამგვარი პოზიციის მომხრენი ფაქტობრივად ჩამოცილებულნი იყვნენ პოლიტიკურ ცხოვრებას და საზოგადოებისათვის სანიმუშო და რელიგიის პოზიციების დაცვისათვის საჭირო მმართველობის განხორციელებას კეთილმორწმუნე და მმართველობისათვის აუცილებელი თვისებებით აღჭურვილი მონარქის პრეროგატივად მიიჩნევდნენ. მეორე ჯგუფი, თაბათაბაისა და ბეჰბაჰანის მეთაურობით, ნაწილობრივ ეთანხმებოდა ამ იდეას, მაგრამ ხაზს უსვამდა მისი განხორციელების სიძნელეს და მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციური ნორმების მიღებით შესაძლებელი იქნებოდა მმართველთა განუსჯელი მოქმედების ალაგმვა, ეს ნორმები კი ევროპულ დემოკრატიულ იდეებს უნდა დაყრდნობოდა (თუმცა, არც ბეჰბაჰანის და არც თაბათაბაის ზუსტი წარმოდგენა დემოკრატიის შესახებ არ ჰქონიათ). მესამენი, შაიხ ფაზლოლა ნურის ხელმძღვანელობით, თვლიდნენ, რომ უნდა დამყარებულიყო კონსტიტუციური მმართველობა, მაგრამ კონსტიტუციის საფუძველი რელიგია უნდა ყოფილიყო და რელიგიურ კანონს უნდა გადაეწყვიტა სახელმწიფოში არსებული ყველა პრობლემა. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ულემთა პოლიტიკური როლი უკიდურესად გაიზრდებოდა. ნურის ლოზუნგი იყო *ენყელაბ-ე მაშრუთიჲათ-ე მაშრუ"* – რელიგიური კონსტიტუციური რევოლუცია (Kasravī: 1961: 44).

შაიხ ფაზლოლა ნურიმ (1843-1909) აქტიური მონაწილეობა მიიღო კონსტიტუციურ მოძრაობაში, თუმცა იგი მიუღებლად მიიჩნევდა ევროპულ ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეებს და მის მთავარ მიზანს მოძრაობისათვის „ისლამური" ხასიათის მინიჭება, შესაბამისად ულემთა წარმმართველი როლის ხაზგასმა და მოძრაობის წინამძღოლობიდან საერო ლიბერალების განდევნა წარმოადგენდა.

„შეუძლებელია, რომ ისლამური ქვეყანა დაექვემდებაროს კონსტიტუციურ მმართველობას ისლამის თავიდან მოცილების გარეშე. ამდენად, თუ მუსლიმი შეეცდება, რომ თავს მოგვახვიოს ჩვენ, მუსლიმებს, კონსტიტუცია, ამას ექნება რელიგიის განადგურების ეფექტი და ეს ადამიანი, როგორიც არ უნდა იყოს მისი განათლების დონე და სოციალური მდგომარეობა, იქნება მოღალატე, რომელიც იმსახურებს ღვთისგმობისათვის განსაზღვრულ სასჯელს [სიკვდილს]."

შაიხ ფაზლოლა ნური (ციტ. Richard, 2006: 113).

კონსტიტუციის მიღება

1906 წლის 5 აგვისტოს შაჰმა ხელი მოაწერა ფირმანს, რომელიც მოუწოდებდა ხალხის რჩეულთ შეექმნათ ეროვნული სათათბირო ასამბლეა. ამ ტექსტმა ახალი უთანხმოებები გამოიწვია. მანიფესტანტები მოითხოვდნენ, რომ ბრიტანელები მისი განხორციელების გარანტი ყოფილიყვნენ, რაზეც ამ უკა-

4 თაბათაბაიმ მოგვიანებით გარკვეულწილად შეიცვალა პოზიცია, მაგრამ მისი უფრო გვიანდელი გამონათქვამი ადასტურებს, რომ ის კონსტიტუციონალიზმს მიიჩნევდა უფრო საშუალებად, ვიდრე მიზნად: „ჩვენ გამოცდილებას მოკლებული კონსტიტუციური ხელისუფლება გვყავდა. მათ მიღებული ჰქონდათ ცნობები კონსტიტუციურ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანებისაგან, რომ ეს ქვეყნები მათ აძლევდნენ უსაფრთხოებას და კეთილდღეობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვინდოდა კონსტიტუციური სისტემის დამყარება" (ციტ. Bagley, 1976: 51).

ნასკნელებმა უარი თქვეს. თავის მხრივ, ახალი პრემიერი მირზა ნასროლა მოშირ ად-დოულე მოითხოვდა, რომ პარლამენტს წოდებოდა „ისლამური სათათბირო ასამბლეა“ (*მაჯლეს-ე შურა-ე ესლამი*), ამ დროს კი საერო რევოლუციონერებს სურდათ შექმნილიყო „ეროვნული სათათბირო ასამბლეა“.

ეს არ იყო მხოლოდ სიტყვიერი ქიშპი. მრავალ რევოლუციონერს პრაქტიკულად, ღიად თუ ფარულად, უარი ჰქონდა ნათქვამი ისლამის პრინციპების გამოყენებაზე. რევოლუციონერებს შორის ასევე იყვნენ ზოროასტრელები, ქრისტიანები, ებრაელები თუ ბაბიდები. თანხმობა ზედსართავ „ისლამურზე“ ნიშნავდა ულემებისათვის განსაკუთრებული ძალაუფლების მიცემას, რომელთათვისაც მუსლიმური კონფესიური ჩარჩოების გარეთ თავისუფლებებზე და თანასწორობაზე ლაპარაკი მისაღები არ იყო. თუმცა, როდესაც მეჯლისი შეიკრიბა, არავის გამოუთქვამს პროტესტი იმის გამო, რომ მოჯთაჰედები პირველ რიგებში (ზემოთნახსენები ორი აიათოლა და შაიხ ფაზლოლა ნური) ისხდნენ, რომელთაც არჩევნებში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა.

დრამატულმა ვითარებამ, რომელიც წინ უსწრებდა მეჯლისის არჩევნებს, გამოიწვია მრავალი პარტიის, ორგანიზაციის და გაზეთების დაფუძნება. პროვინციებში ადგილობრივი მოსახლეობა ქმნიდა რეგიონულ კავშირებს – ე.წ. „ანჯომანებს“. თეირანში **30-მდე კავშირი შეიქმნა პროფესიული და ეთნი**კური ნიშნით, როგორიცაა *ასნაფ* (ამქრების), *მოსთოუფიდან* (ბუღალტრების), *დანეშმანდან* (სწავლულების), *თოლაბ* (მადრასეების სტუდენტების), ზოროასტრელების, სომხების, ებრაელების, სამხრეთელებისა თუ აზერბაიჯანელების. ამ უკანასკნელს თავრიზელი ვაჭრები ედგნენ სათავეში, რომელთაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ კავკასიაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. ორი წლით ადრე ბაქოში მოღვაწე ირანელმა ინტელექტუალებმა შექმნეს წრე სახელწოდებით *ჰემმათ* (ძალისხმევა), რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. მოსახლეობაში საპროტესტო მუხტს ასევე აღვივებდნენ კავკასიაში მოღვაწე ირანელები. იმ ხანებში მრავალი ირანელი მუშაობდა კავკასიის ნავთობსარეწებზე ბაქოს მიდამოებში. მათ ირანში შემოიტანეს რუსი მემარცხენეებისა და დემოკრატების სოციალური რევოლუციის იდეები (Ocshenvald & Fischer, 2004: 362).

პრესა კიდევ უფრო დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა. გაზეთების რაოდენობა რევოლუციის დასაწყისში ექვსიდან კონსტიტუციური კრების გახსნის წინ ოთხმოცდაათამდე გაიზარდა. ინტელექტუალები წინ წამოწევდნენ ისეთ ცნებებს, რომლებიც სახიფათოდ ითვლებოდა წინა ათწლეულებში. ამ კონცეფციებმა, განსაკუთრებით თავისუფლებამ, თანასწორობამ და ძმობამ, მრავალი გაზეთის სახელწოდებაშიც კი ჰპოვა ასახვა: *ბიდარი* (გამოღვიძება), *თარაქქი* (პროგრესი), *თამადონ* (ცივილიზაცია), *ვათან* (სამშობლო), *ესთეყლალ* (დამოუკიდებლობა) *ესლაჰ* (რეფორმა), *ეყბალ* (წარმატება), *ჰოყუყ* (უფლებები), *ჰაყიყათ* (სიმართლე), *მოსავათ* (თანასწორობა), *ახავათ* (ძმობა), *ადალეთ* (სამართლიანობა) და სხვ.

თავრიზი გახდა პოლიტიკური რადიკალიზმის ცენტრი. 1906 წელს *ანჯომან-ე მელის* გვერდით, შეიქმნა ნახევრადიტაკქვეშა მილიციები კავკასიიდან ჩამოსულ შეიარაღებულ და ბრძოლებში გამოცდილ პირთა დახმარებით. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (*ფერგჰე-ე ეჯთემა”იდუნ „ამინიდუნ-ე მოჯაჰედ*), რომელსაც ზოგჯერ ურევდნენ „საიდუმლო ცენტრთან“ (*მარქაზ-ე ყეიბი*), კავშირი დაამყარა ბაქოს პოლიტიკურ ჯგუფებთან და ასევე II ინტერნაციონალთან. რუსი სოციალ-დემოკრატები მათ მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ, რამდენადაც თვლიდნენ, რომ ირანში უნდა გაგრძელებულიყო რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია და ქვეყანას ჯერ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის უნდა მიეღწია, რის შემდეგაც გათავისუფლდებოდა უცხოური დომინირებისაგან.

1906 წ. 7 ოქტომბერს შეიკრიბა პირველი „ეროვნული კონსტიტუციური ასამბლეა“ (*მაჯლეს-ე შურა-ე მელლი*), რომელზეც მოწვეული იყო **156 დელეგატი. დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილი გა**მოსული იყო ბაზრიდან და ხელოსანთა გილდიებიდან. დეპუტატთა შედარებით მცირე ნაწილს, დაახლოებით მეხუთედს, ულემები შეადგენდნენ. თაბათაბაი და ბეჰბაჰანი არ იყვნენ პარლამენტის წევრები, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდნენ დებატებში.

აქვე ერთ საყურადღებო მომენტს უნდა გაესვას ხაზი: პირველ მეჯლისში სამღვდელოების შედარებით მცირე რაოდენობამ (მაგ., თეირანიდან ამორჩეული 50 დეპუტატიდან სულ 4 იყო სასულიერო პირი) არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. ეს არ ასახავს სამღვდელოების რეალურ გავლენას. ვაჭარ-ხელოსანთაგან მრავალი დეპუტატი სეიედი ან ჰაჯი[5] იყო. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სამღვდელოებასთან და მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს ჩაცმულობის თვალსაზრისითაც გამოიხატებოდა – დეპუტატთა ნახევარზე მეტი ჩალმას ატარებდა. შესაძლოა ის ფაქტორიც მოქმედებ-

5 ჰაჯის საპატიო წოდება მუსლიმს ენიჭება მექის მოხილვის შემდეგ.

და, რომ მოჯთაჰედი არ წარმოადგენდა მეჯლისის სასურველ წევრს, ვინაიდან მისი აზრის უარყოფა დაუშვებელი იყო მართლმორწმუნე მუსლიმისათვის და ამგვარად გაქრებოდა საკითხების თავისუფალი განხილვის საშუალება მეჯლისში. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, აიათოლები თაბათაბაი და ბეჰბაჰანი, რომლებიც მხარს უჭერდნენ კონსტიტუციურ მოძრაობას, არ იყვნენ არჩეულები მეჯლისში, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდნენ მის მუშაობაში. ისინი თავმჯდომარის პირდაპირ ისხდნენ. გამოდიოდნენ დებატებში, იძლეოდნენ დასკვნებს მეჯლისის ამა თუ იმ ღონისძიებისა და გადაწყვეტილების შარიათთან შესაბამისობის შესახებ და ამგვარად უმაღლესი ინსტანციის როლს ასრულებდნენ ასამბლეის მუშაობაში.

ამ საწყის ეტაპზე მეჯლისის მთავარი დანიშნულება იყო კონსტიტუციის შემუშავება. „ლიბერალები“ და „ზომიერები“ (ბეჰბაჰანისა და თაბათაბაის მხარდამჭერნი) მჭიდროდ თანამშრომლობდნენ კონსტიტუციის ტექსტის მოსამზადებლად, რომელიც მისაღები უნდა ყოფილიყო არამხოლოდ მომაკვდავი მოზაფარ ად-დინ შაჰისათვის, არამედ მომავალი შაჰისთვისაც – მოჰამად ალისთვის. ეს უკანასკნელი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ დაპირების მიუხედავად არ შეცვლილიყო ტერმინი *მაშრუ* (სათათბირო) უფრო თანამედროვე კონცეფციით *მაშრუთიიათ* (კონსტიტუციური). ორი საბოლოო დოკუმენტი – ძირითადი კანონი და ძირითადი კანონის დამატება – ბელგიური კონსტიტუციის მოდელის მიხედვით შეიქმნა. თვითმხილველთა თანახმად, ამ ორი დოკუმენტის ავტორები (ყველანი დარ ალ-ფონუნის კურსდამთავრებულები) იმედოვნებდნენ კონსტიტუციური მონარქიის შექმნას ძალაუფლების კლასიკური გადანაწილებით აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის. ეს ორი დოკუმენტი, მცირეოდენი დამატებებით, 1979 წლამდე მოქმედებდა ქვეყანაში (ყოველ შემთხვევაში, ქაღალდზე მაინც).

მეჯლისის მიერ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა „ძირითადი კანონი“ (*ყანუნ-ე ასასი*), რომელიც კონსტიტუციის პირველ ვარიანტს წარმოადგენდა (დამატებების გარეშე). კონსტიტუციის ტექსტს მომაკვდავმა მოზაფარ ად-დინ შაჰმა 1906 წ. 30 დეკემბერს მოაწერა ხელი. 1907 წ. 8 იანვარს კი იგი გარდაიცვალა.

ახალი შაჰი მოჰამად ალი არ გამოირჩეოდა კეთილგანწყობით კონსტიტუციური მოძრაობის მიმართ, საკმაოდ ალმაცერად უყურებდა მეჯლისს და ცდილობდა მისი მუშაობისა და გავლენის შეზღუდვას. შაჰის მეჯლისისადმი უარყოფითი განწყობილების მაგალითი გამოდგა ის ფაქტი, რომ მის კორონაციაზე, 1907 წ. 19 იანვარს, მეჯლისის არც ერთი წევრი არ იყო მოწვეული (პარლამენტის წევრი ყაჯართა სამეფო ოჯახის წარმომადგენლების გარდა). შაჰი ამგვარად დაადგა მეჯლისთან დაპირისპირების კურსს.

ერთმანეთის უნდობლობაზე დამყარებული მონარქისა და პარლამენტის ურთიერთობა პრაქტიკულად ახალი შაჰის კორონაციის მეორე დღიდან კრიზისში გადაიზარდა. თავდაპირველად მეჯლისმა ახალ შაჰს წარუდგინა კონსტიტუციის ტექსტი დამატებებით, რომელიც უაღრესად კვეცდა მონარქის ფუნქციებს და თავისი დემოკრატიულობით მეტად ახლოს იდგა დასავლეთ ევროპის კონსტიტუციებთან. თუმცა, საბოლოოდ მეჯლისმა ვერ გაბედა თავდაპირველი დამატებებით კონსტიტუციის მიღება მას შემდეგ, რაც შაჰმა უარი თქვა ამ სახით კონსტიტუციაზე ხელის მოწერაზე. დაპირისპირება ახალ სტადიაში გადაიზარდა. მოლაპარაკებები შაჰსა და მეჯლისის წარმომადგენლებს შორის მეტად მძიმედ მიმდინარეობდა.

სახელმწიფო კრიზისს ირანში თან ახლდა მღელვარებები და საპროტესტო გამოსვლები მთელი ქვეყნის მასშტაბით. 1907 წ. მარტში ქერმანშაჰში ბესთისათვის ამბოხებულებმა სატელეგრაფო კანტორაც კი დაიკავეს. დაიწყო უცხოელ სპეციალისტთა განდევნის კამპანია და უცხოური საქონლის ბოიკოტი. თეირანში თაბათაბაიმ და ბეჰბაჰანიმ მოუწოდეს მოსახლეობას არ ეხმარა უცხოური ჩაი და შაქარი.

29 იანვრის დილიდან თეირანის მცხოვრებნი მეჯლისის შენობასთან შეიყარნენ, რათა გაეგოთ მოლაპარაკებათა შედეგები. ყველანი ელოდნენ ცნობებს სასახლიდან, სადაც შაჰი სთხოვდა მეჯლისს, არ მოეთხოვათ სიტყვა *მაშრუთე* (საკონსტიტუციო) და შეეცვალათ იგი სიტყვით *მაშრუ'ე* (შარიათზე დაფუძნებული). თითქოსდა შაჰის წინადადება მეტად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო მოჯთაჰედებისათვის, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა თავრიზელი დეპუტატების მხრიდან, რომელნიც არავითარ დათმობაზე წასვლას არ აპირებდნენ. საკითხი კენჭისყრაზე გამოიტანეს და ხმათა უმრავლესობით იგი უარყოფილ იქნა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სამღვდელოებას არ გამოუჩენია განსაკუთრებული წინააღმდეგობა მიღებული გადაწყვეტილებისადმი, რაც შესაძლოა, შაჰისადმი ულემების უკიდურესი უარყოფითი დამოკიდებულებით აიხსნას. მზის ჩასვლამდე მეჯლისს გადაეცა შაჰის ახალი ფირმანი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ შაჰი იღებდა მეჯლისის ულტიმატუმს, კერძოდ კი თანხმდებოდა, რომ ამიერიდან სპარსეთში იარსებებდა მმართველობის კონსტიტუციური ფორმა. ფაქ-

ტობრივად, ეს წარმოადგენდა პარლამენტის გამარჯვებას და ირანის გარდაქმნას აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციურ მონარქიად.

საბოლოო ჯამში, მონარქი იძულებული გახდა ხელი მოეწერა კონსტიტუციის სრული ტექსტისათვის 1907 წ. 7 ოქტომბერს, ხოლო 8 ოქტომბერს მეჯლისმა მიიღო კონსტიტუცია შესწორებული დამატებებით და ამ დღიდან მოყოლებული, 1979 წ. ისლამური რესპუბლიკის გამოცხადებამდე, ირანს ოფიციალურად კონსტიტუციური მონარქია (*სალთანათ-ე მაშრუთე)* ეწოდებოდა.

ბრიტანელები მიესალმნენ კონსტიტუციის მიღებას, რუსები კი ამ ფაქტმა გააღიზიანა, რამდენადაც ეს მოვლენა სპარსეთში ზეგავლენის შემცირების წყაროდ ესახებოდათ.

როგორც აღინიშნა, ირანის კონსტიტუცია დიდწილად იმეორებდა ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციას, მაგრამ მასში იკვეთებოდა ულემთა გავლენის კვალიც. მაგ., ჯაფარიტული მაზჰაბი (ე.ი. შიიზმი) ცხადდებოდა ირანის სახელმწიფო რელიგიად. მეჯლისის წევრს უნდა დაეფიცა ყურანზე. დამატებით პუნქტში აღნიშნული იყო, რომ მეჯლისის არც ერთი გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ყურანს. მეჯლისისა და მთავრობის წევრებს წერილობითი და ზეპირი გამოსვლებისას ენიჭებოდათ თავისუფლება, მაგრამ დაუშვებელი იყო ისეთი ქმედება, რისთვისაც ისლამური კანონი სასჯელს ითვალისწინებდა. ასევე დაშვებული იყო „საზოგადოებების და ასოციაციების შექმნა, თუ ისინი საფრთხეს არ უქმნიდნენ... სახელმწიფო რელიგიას." განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კონსტიტუციის 1906 წლის 30 დეკემბრის დამატება, რომლის თანახმადაც არამუსლიმ უმცირესობებს მეჯლისში კენჭისყრის, და შესაბამისად ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის უფლება ეძლეოდათ. 1907 წლის 7 ოქტომრის დამატებით კი, სპარსეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომის თანასწორუფლებიანობა გამოცხადდა. ასევე გაუქმდა *ჯიზია* – სულადობრივი გადასახადი, რომელიც არამუსლიმებს არახელსაყრელ ეკონომიკურ პირობებს უქმნიდა მუსლიმებთან შედარებით და რომელიც „წარმოადგენდა მათი არათანასწორუფლებიანობის თვალსაჩინო ინდიკატორს" (Tsadik, 2003: 380). თუმცა, ამგვარი აქტების მოწინააღმდეგეებიც არ ისხდნენ გულხელდაკრეფილნი და იმავე 7 ოქტომბრის დამატებაში აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ მუსლიმი შეიძლებოდა გამხდარიყო მინისტრი.

კონსტიტუცია ითვალისწინებდა მეჯლისის არჩევას, რომელშიც შევიდოდა 60 წარმომადგენელი თეირანიდან და 100-დან 140-მდე წარმომადგენელი პროვინციებიდან; ასევე სენატის შექმნას, რომლის ნახევარიც აირჩეოდა, ხოლო ნახევარი დაინიშნებოდა შაჰის მიერ.

კონსტიტუციის მიხედვით, ძალაუფლება გადაეცემა შაჰს ერის მიერ, მაგრამ ძალაუფლებით მონარქის აღჭურვისათვის საჭირო იყო სამღვდელოების დასტური, ვინაიდან ძალაუფლება „ღვთის საჩუქარს" წარმოადგენდა. ულემები კვლავ აცხადებდნენ პრეტენზიას, რომ იყვნენ ფარული იმამის ერთადერთი წარმომადგენლები. ულემთა მოთხოვნით, მათი პრეროგატივების ხაზგასასმელად, კონსტიტუციის დამატების თანახმად, პარლამენტის გადაწყვეტილებები უნდა დაედასტურებინა ხუთი მოჯთაჰედისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც პარლამენტს უნდა აერჩია ულემების მიერ შემოთავაზებული ოცი კანდიდატისაგან.[6]

1907 წლის კონსტიტუციის ტექსტი გარკვეული კომპრომისია სამღვდელოების რელიგიურ განწყობებსა და საერო ლიბერალების დემოკრატიულ იდეებს შორის. თუმცა გარკვეულწილად პარადოქსულიცაა, რომ სამღვდელოება დათანხმა ტექსტში შეტანილი ყოფილიყო ბელგიური და ფრანგული კონსტიტუციური სამართლისათვის დამახასიათებელი იურიდიული კონცეფციები. იგი უშვებდა პარლამენტის კანონიერებას და სამოქალაქო სამართლის არსებობას, რაც წმინდა რელიგიური თვალსაზრისით, საღ აზრს მოკლებული და არაკანონიერია, ვინაიდან მხოლოდ ყურანია სამართლის ერთადერთი წყარო. თავის მხრივ, საერო პირები აღიარებდნენ იმამიტურ შიიზმს სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად და თანხმდებოდნენ, რომ ნებისმიერი კანონი ისლამთან შესაბამისობის თვალსაზრისით უნდა შეემოწმებინა ზემოთ ნახსენებ და მხოლოდ „ქაღალდზე" არსებულ ხუთი მოჯთაჰედისაგან შემდგარ საბჭოს.

ირანის პირველ კონსტიტუციაში ულემებისათვის მინიჭებული განსაკუთრებული ადგილი იმის თქმის საშუალებასაც იძლევა, რომ „ირანული კონსტიტუცია ერთადერთი იყო მსოფლიოში, რომელიც დაფუძნებული იყო ბილეგიტიმიზმზე – მონარქიასა და შიიზმზე" (Mozaffari, 1978: 569). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს სამღვდელოების განსაკუთრებულ ისტორიულ როლზე ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

6 ულემთა ეს პრეროგატივა პრაქტიკულად განუხორციელებული დარჩა. თუმცა მოჯთაჰედების საბჭოს შექმნა სამღვდელოების წარმომადგენლებს, მათ შორის აიათოლა ხომეინისაც, შემდგომში არაერთხელ მოუთხოვიათ.

როგორც აღინიშნა, კონსტიტუციური კანონის დამატება, იმ სისტემის გასაღები, რომლის თანახმადაც საკანონდებლო საქმიანობაზე უნდა განხორციელებულიყო რელიგიურ პირთა კონტროლი, მალე დავიწყებას მიეცა. ამის განმაპირობებელ მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი მთავარი იყო ის, რომ რევოლუციის პერიოდში არსებული კავშირი რელიგიურ და სამოქალაქო პირებს შორის მეტად ხანმოკლე გამოდგა და შემდეგ ულემები თანდათანობით ჩამოცილდნენ პოლიტიკურ ცხოვრებას. თავის მხრივ კი, საერო დეპუტატებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ სამღვდელოება პოლიტიკური პროცესებისაგან განერიდებინათ.

საკუთრივ მეჯლისში ინტერესთა წინააღმდეგობა ულემებსა და ლიბერალური და დემოკრატიული განწყობის დეპუტატებს (ისინი ძირითადად ეკონომიკურად უფრო განვითარებული აზერბაიჯანიდან[7] იყვნენ გამოსულები) შორის მალე გამოაშკარავდა და შაჰმაც არ დააყოვნა ამით სარგებლობა.

ძირითადი კანონი შაჰს აძლევდა ნომინალურ პრეროგატივას ყოფილიყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი; ის აცხადებდა ომს, ხელს აწერდა კანონებსა და უმაღლესი თანამდებობის პირების, მინისტრთა კაბინეტის ჩათვლით, დანიშვნის ბრძანებებს. მაგრამ შაჰი ასევე ვალდებული იყო ფიცი დაედო მეჯლისის წინაშე, დათანხმებულიყო მეჯლისის მიერ შერჩეული კანდიდატურების მინისტრებად დანიშვნაზე და ასევე ხელი მოეწერა სწორედ მეჯლისის მიერ მიღებული კანონებსა და ბრძანებებზე. მისი ერთადერთი და რეალური პრეროგატივა იყო პარლამენტის ზედა პალატაში 60-დან 30 სენატორის დანიშვნა. მაგრამ ეს პრეროგატივაც გამოუყენებელი რჩებოდა დიდი ხნის მანძილზე, ვინაიდან სენატი 1949 წლამდე არ შექმნილა.

ახალი კონსტიტუციით მეჯლისს უმთავრესი როლი ენიჭებოდა. მიჩნეული იყო რა „მთელი ხალხის წარმომადგენლად", მას საბოლოო სიტყვა ეკუთვნოდა ყველა „კანონთან, დეკრეტთან, ბიუჯეტთან, სესხების გაცემასთან, მონოპოლიებთან და კონცესიებთან" დაკავშირებით. ის აკონტროლებდა სამეფო კარის ბიუჯეტსაც კი. საგარეო პოლიტიკის წარმართვა ასევე მეჯლისის პრეროგატივა იყო.

კონსტიტუციის მიხედვით, უნდა ეარსება დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას, განათლების მიღება სავალდებულო უნდა გამხდარიყო, გარანტირებული უნდა ყოფილიყო პრესის თავისუფლება. კანონის წინაშე სპარსეთის ყველა ქვეშევრდომი თანასწორი იყო მათი სარწმუნოების მიუხედავად, მაგრამ მეჯლისის ნებისმიერი გადაწყვეტილება არ უნდა ყოფილიყო შარიათის საწინააღმდეგო. შიიზმი კი, როგორც ითქვა, ცხადდებოდა სახელმწიფო რელიგიად.

მირზა ჰასან მოშირ ად-დოულე (ჰასან ფირნია) (1871-1935)

კონსტიტუციის შექმნაში უმთავრესი როლი შეასრულა იმ დროს ევროპიდან სულ ახლახანს დაბრუნებულმა მირზა ჰასან მოშირ ად-დოულემ, რომელმაც მამამისის სიკვდილის შემდეგ (1907) მემკვიდრეობით მიიღო მოშირ ად-დოულეს ტიტული. ახალგაზრდა მოშირ ად-დოულე ირანული ელიტის იმ ახალ ტიპს ეკუთვნოდა, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ნაციონალურ პოლიტიკაში მომდევნო ოცი წლის მანძილზე, რეზა შაჰის გამეფებამდე. მან მემკვიდრეობით მიიღო მამისგან უზარმაზარი სამფლობელოები და მისი ცოლიც სასულიერო წოდების წარჩინებული წარმომადგენლის ოჯახიდან იყო. ის სწავლობდა მოსკოვსა და პარიზში, თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად და რუსულად. მან არამხოლოდ შეადგინა პირველი საარჩევნო სისტემა და ძირითადი კანონი, არამედ შექმნა სახელმწიფო დროშაც; შინაგან საქმეთა სამინისტროს მოდელირება კი მოახდინა რუსეთის ანალოგიური სამინისტროს მაგალითზე. მომდევნო ოცი წლის მანძილზე მოშირ ად-დოულე სათავეში ედგა ოთხ კაბინეტს, რვაჯერ იყო სამხედრო მინისტრი და ხუთჯერ – იუსტიციის. ის ასევე მსახურობდა ელჩად სანკტ-პეტერბურგსა და ლონდონში. პენსიაზე გასვლის შემდეგ მან დაწერა ბესტსელერად ქცეული წიგნი *„ირან-ე ბასთან"* (ძველი ირანი), სადაც მაღალპატრიოტულ ნოტაზე აღწერა წინაისლამური ირანი. მისი უმცროსი ძმა ჰოსეინ

7 სწორედ აზერბაიჯანის ანჯომანის წარმომადგენელმა გააკეთა მეჯლისში განცხადება, რომ „ჩვენ გვინდა საკონსტიტუციო კანონი... და არა შარიათი" (ციტ. Cottam, 1979: 142). ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ანგარიშგასაწევი ჯგუფი დაუფარავად დაუპირისპირდა სამღვდელოებას. ამ რადიკალური წინააღმდეგობის ახსნას წარმოადგენს ის, რომ მძაფრი ბრძოლა თავრიზის მმართველ ანჯომანსა და ისლამიიას (სამღვდელოების ანჯომანი) შორის დასრულდა ლიბერალური ელემენტის ტრიუმფით და ქალაქიდან მრავალი მოლას გაძევებით.

მოთამინ ალ-მოლქი აქტიურად მოღვაწეობდა პარლამენტში 1909-1925 წლებში, თავდაპირველად დეპუტატის, ხოლო შემდეგ სპიკერის რანგში. 1925 წელს, ირანში გვარების შემოღების შემდეგ, ძმებმა გვარად აირჩიეს ფირნია. ბრიტანელები ზოგჯერ მათ „პატიოსანს“ „პროგრესულს“ და „გონიერს“ უწოდებდნენ, ზოგჯერ კი, როდესაც ძმების მოქმედება არ შეესაბამებოდა მათ ინტერესებს, მათ „მფრთხალებად“, „უზომოდ მდიდრებად“, „ზედმეტად ნაციონალისტებად“ მოიხსენიებდნენ. ეს ბრიტანელთა ტიპური დამოკიდებულება იყო ლიბერალი დიდგვაროვნების მიმართ.

ამასთანავე, ისიც აღსანიშნავია, რომ „საკითხი, თუ ვინ ახორციელებდა რეალურ ძალაუფლებას, ჰაერში გამოკიდებული დარჩა“ (Martin, 1996: 102). **შესაბამისი საკანონდებლო ბაზა არ იყო სრულყოფილად ჩამოყალიბებული** და რეალური ხელისუფლება მოექცეოდა იმის ხელში, ვინც კონკრეტულ მომენტში მეტოქეზე ძლიერი იქნებოდა.

1905-**1911 წწ. რევოლუციის დროს სამღვდელოებისათვის დადგა რევოლუციის არსის განსაზღვ**რის პრობლემა. რელიგიურ ავტორიტეტთა თვალსაზრისით, ეს იყო ბრძოლა ტირანული ძალაუფლების (*ზულმ*) წინააღმდეგ, რათა დამყარებულიყო „სამართლიანობის მეფობა“ (*ადალეთ*) ისლამის ტრადიციების მიხედვით. მაშინ, როცა საერო რევოლუციონერები ლაპარაკობდნენ „კანონის მეფობის“ შესახებ, თეოლოგები „კანონის“ იდენტიფიცირებას ახდენდნენ „საღვთო კანონთან“ (Afary,1996: 143).

ანარქია ირანში

მეჯლისს, პირველ რიგში, უნდა ეზრუნა ქვეყნის გაკოტრებისაგან გადარჩენაზე. ირანის „ლომის ბრჭყალებისა (დიდი ბრიტანეთი) და არწივის კლანჭებისაგან (რუსეთი) გასათავისუფლებად“, ანუ უცხოური ვალებისაგან თავდასახსნელად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნაციონალური ბანკის (*ბანქ-ე მელი*) შექმნის შესახებ, რომელიც დაარსდა **1907 წლის იანვარში მეჯლისის ინიციატივით. სახალხო ენ**თუზიაზმი არ გამოდგა საკმარისი ამ წამოწყების წარმატებისათვის, რამდენადაც ეს მოითხოვდა შეძლებული ფენების აქტიურ მონაწილეობას, რაზეც მდიდრები თავს იკავებდნენ. ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად, პრემიერ-მინისტრმა წარუდგინა მოხსენება მეჯლისს, რომელშიც გაწერილი იყო აუცილებელი ხარჯები. მეჯლისმა უფლება მისცა მას აეღო შესაბამისი თანხა ნაციონალური ბანკიდან, რომელიც ამ დროს საერთოდ არ არსებობდა! ბუნებრივია, აღიარებული იყო მთავრობის ფუნქციონირებისათვის მეჯლისთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა, მაგრამ საკუთრივ მეჯლისის ფუნქციონირების ეფექტურობა ამგვარ პირობებში ეჭვს იწვევდა. სწორედ ამის მკაფიო მაგალითია ის, რომ მეჯლისმა ბანკის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ საერთოდ არ დაინტერესებულა ამ გადაწყვეტილების განხორციელების პროცესით.

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა მეჯლისმა 1907 წლის მარტში მოიწვია ემიგრაციაში მყოფი ერთდროს საძულველი ყოფილი პრემიერი ას-სოლთანი, რათა ის მესამეჯერ ჩადგომოდა სათავეში მთავრობას. ას-სოლთანს თითქმის დასრულებული ჰქონდა სესხების აღებაზე რუსებთან, ბრიტანელებთან, გერმანელებთან და ფრანგებთან წარმატებული მოლაპარაკება, მაგრამ 1907 წლის 31 აგვისტოს ის მოკლა თავრიზის ანჯომანის რადიკალმა წევრმა.

იმავე დღეს კონსტიტუციონალისტებმა მეორე დარტყმა მიიღეს: ბრიტანელები და რუსები შეთანხმდნენ ირანის ზეგავლენის ზონებად დაყოფაზე. რუსეთის გავლენის სფეროში მოხვდა ქვეყნის ჩრდილოეთი, ხოლო ბრიტანეთს გაცილებით უფრო მცირე სამხრეთი ნაწილი „ერგო“,[8] რაც მეტყველებს ბრიტანეთის ნაკლებ ინტერესზე ირანის მიმართ და პრიორიტეტის მინიჭებაზე ინდოეთისათვის. სანკტ-პეტერბურგში ხელმოწერილი ბრიტანულ-რუსული ხელშეკრულება სინამდვილეში საფრანგეთის დიპლომატიის გამარჯვებას წარმოადგენდა იმ დიპლომატიურ თამაშში, რომელიც წინ უძღოდა პირველ მსოფლიო ომს (Habibi, 2004: 23).

შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანულ-რუსული ხელშეკრულება არაპირდაპირი გზით კონფორტულ გარემოს უქმნიდა შაჰს, მაგრამ ფინანსების კატასტროფული მდგომარეობის გამო, ქვეყანაში პრაქტიკულად ანარქიული მდგომარეობა იყო შექმნილი.

8 ზეგავლენის ზონები არაოფიციალურად საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგაც შენარჩუნდა და II მსოფლიო ომის დროს პრაქტიკულად ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა ირანში საბჭოთა და ბრიტანული ინტერვენცია.

მოჰამად ალი შაჰი

1908 წლის მაისში მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა – ბრიტანელებმა აღმოაჩინეს ნავთობი სამხრეთ ირანში (ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ძიებისათვის მათ კონცესია ჯერ კიდევ 1901 წელს მიიღეს – ე.წ. „დ'არსის კონცესია"). ბრიტანელებმა შეიძინეს მიწა აბადანის კუნძულზე მდ. შატ ალ-არაბზე ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ასაგებად. მოლაპარაკებები მხოლოდ ადგილობრივი ტომების ლიდერებთან წარმოებდა თეირანის ყოველგვარი ნებართვის გარეშე. სამხრეთში ბრიტანელები ისევე თავისუფლად მოქმედებდნენ, როგორც ჩრდილოეთში რუსები. 1909 წელს შეიქმნა ინგლისურ-სპარსული სანავთობო კომპანია. მოგვიანებით კი ბრიტანეთის საადმირალომ კომპანიის დიდი ნაწილი შეიძინა, როდესაც 1914 წელს ბრიტანული სამხედრო ფლოტი ქვანახშირიდან ნავთობის საწვავზე გადავიდა.

მოჰამად შაჰი, მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ მოიწონა კონსტიტუცია, ეძებდა მისი გაუქმებისა და მეჯლისის დაშლის საშუალებებს. მან დახმარებისათვის რუსებს მიმართა, რამაც საკუთრივ სამეფო ოჯახშიც განხეთქილება გამოიწვია. 1908 წლის 23 ივნისს მოჰამად ალის ერთგულმა კაზაკთა ბრიგადამ დაბომბა მეჯლისის შენობა, დააპატიმრა მრავალი დეპუტატი და სამი მათგანი დახვრიტა. ამდენად, მეჯლისმა არსებობა შეწყვიტა და მოჰამად ალი შაჰი რუსების დახმარებით დროებით ირანის აბსოლუტური მმართველი გახდა.

თუმცა, ქვეყანაში არსებული ანარქიის პირობებში შაჰის ხელისუფლება არ ვრცელდებოდა თეირანის გარეთ. თავრიზში ქალაქს ანჯომანები და კონსტიტუციონალისტები აკონტროლებდნენ. 1909 წლის აპრილში კი ქალაქში რუსები შეიჭრნენ.

ამ ხანებში კი სამხრეთში ხელისუფლება გადავიდა ბახთიარის ტომების ხელში, რომელთაც სათავეში ნაჯაფ ყული ხანი ედგა. ბახთიარებს ჩრდილოეთიდანაც შეუერთდნენ ძალები და ისინი ერთობლივად შევიდნენ თეირანში. გამოცხადდა კონსტიტუციის აღდგენა და მოჰამად ალი შაჰი ტახტიდან გადადგა. მან ჯერ თავი რუსეთის წარმომადგენლობას შეაფარა, ხოლო შემდეგ რუსეთში გადავიდა. ტახტზე მისი მცირეწლოვანი ვაჟი აჰმად შაჰი (1909-1925) ავიდა. აგვისტოში გაიმართა მეორე მეჯლისის არჩევნები.

ახალი არჩევნები ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე შედგა. ამიერიდან ხმის მიცემა ხდებოდა არა კორპორატიული და სოციალური კატეგორიების მიხედვით, არამედ მხოლოდ რეგიონების მიხედვით. მნიშვნელოვანი სიახლე შეეხებოდა რელიგიურ უმცირესობებს (ბაბიდებისა და ბაჰაიტების გარდა), რომელთაც შეეძლოთ ჰყოლოდათ თითო წარმომადგენელი პარლამენტში. ეს მოდელი შენარჩუნდა 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე და ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც აისახა. სინამდვილეში კი ეს საარჩევნო უფლება დისკრიმინაციული ხასიათის იყო, ვინაიდან ებრაელს, ზოროასტრელს თუ ქრისტიანს არ შეეძლო ხმა მიეცა მუსლიმისათვის და არც მუსლიმთა მიერ ყოფილიყო არჩეული. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შემცირდა თეირანის დეპუტატთა რაოდენობა პროვინციებთან შედარებით (15 და 101), რაც პროვინციების წარმომადგენელი უფრო კონსერვატულად განწყობილი დეპუტატების რიცხვს ზრდიდა.

მეორე მეჯლისი 1909 წლის ნოემბერში შეიკრიბა და მასში ორივე მთავარი პარტია იყო წარმოდგენილი: დემოკრატიული პარტია (*ჰეზბ-ე დემოქრათ*), რომელსაც სეიედ ჰასან თაყიზადე (1878-1970) მეთაურობდა და „ზომიერების" პარტია, რომელსაც ისევ და ისევ ბეჰბაჰანი და თაბათაბაი უძღვებოდნენ. იმისთვის, რომ დაევიწყებინათ კავშირი სოციალ-დემოკრატებთან, რამაც 1908 წელს საკმაოდ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი შექმნა, დემოკრატებმა უარი თქვეს ტერმინ სოციალურზე. მაგრამ მათი უცხოური სახელი მაინც იწვევდა უნდობლობას, რადგანაც ზოგიერთი ყველაზე ცნობილი დემოკრატი, როგორიც იყო ჰეიდარ-ხანი და ასევე აზერბაიჯანელი ჟურნალისტი რასულზადე, რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენ.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად მეჯლისმა ამჯერად ამერიკელებს მიმართა. 1911 წელს ამერიკელი უ. მორგან შუსტერი დაინიშნა მთავრობის ფინანსურ მრჩევლად. მისი დანიშვნა არ შედიოდა არც რუსების და არც ბრიტანელების ინტერესებში და ისინი ყოველმხრივ ცდილობნენ მისთვის მოქმედების საშუალება შეეზღუდათ. შუსტერის პოლიტიკა დემოკრატების მხარდა-

ჭერას და ბახთიარების უკმაყოფილებას იწვევდა. შუსტერმა მოსთხოვა მეჯლისს მიეცა მისთვის ყველა სახის შემოსავლების შეკრებისა და გადანაწილების უფლება. რუსეთი დაუპირისპირდა რეფორმებს, რომელთაც შეეძლოთ ირანის დამოუკიდებლობის გამყარება. რუსებიც და ბრიტანელებიც ღიად აფრთხილებდნენ ბანკირებს, რომ არ გაეცათ სესხები ირანისათვის. ამ პირობებში შუსტერმა დაიწყო გადასახადების აკრეფა თეირანელი დიდგვაროვნებისაგან, რომელთაც წლების მანძილზე არაფერი ჰქონდათ შეტანილი სახელმწიფო ხაზინაში. მრავალმა მათგანმა შექმნილ ვითარებაში რუსეთისა და ბრიტანეთის წარმომადგენლობებს მიმართა დახმარებისათვის.

1911 წლის ივლისის შუა ხანებში ყოფილი შაჰი, რუსების დახმარებითა და ბრიტანელების თანხმობით, ირანის კასპიისპირეთში გადმოვიდა და თურქმანი ტომების მხარდაჭერით დაამყარა კონტროლი მაზანდარანის პროვინციაზე. ბევრი სხვა პროვინციაც აჯანყდა თეირანის წინააღმდეგ და მოჰამად ალის ხელისუფლება აღიარა. თეირანში კი ნაჯაფ ყული ხანმა და ბახთიარებმა ისევ ხელში იგდეს ძალაუფლება. მეჯლისის და შუსტერის მიერ დაფინანსებულმა სამთავრობო ჯარებმა დაამარცხეს მოჰამად ალის ლაშქარი და ეს უკანასკნელი 1912 წელს ისევ რუსეთში გაბრუნდა. მანამდე კი, 1911 წლის ნოემბერში, რუსებმა ულტიმატუმი წაუყენეს ირანს, რომლითაც შუსტერის დაუყოვნებლივ გადაყენებას მოითხოვდნენ და ასევე იმას, რომ თეირანის მთავრობას არ უნდა დაექირავებინა არც ერთი უცხოელი რუსებთან შეთანხმების გარეშე. ნაჯაფ ყული ხანი მზად იყო დათმობისათვის, მაგრამ მეჯლისმა უარყო ეს ულტიმატუმი. რუსები შეიჭრნენ თავრიზში და თეირანს დაემუქრნენ. ამ პირობებში, შუსტერი გადააყენეს.[9] 1911 წლის 24 დეკემბერს კი მეჯლისი დაიშალა და აღარ შეკრებილა I მსოფლიო ომის დასაწყისამდე.

1912 წელს რეგენტი აბდ ალ-ყასემი შვეიცარიაში გაემგზავრა და იქ დარჩა საცხოვრებლად. შეიქმნა ჩიხური სიტუაცია, ვინაიდან მისი გადაყენება მხოლოდ მეჯლისს შეეძლო, ახალი მეჯლისის მოწვევა კი – მხოლოდ რეგენტს. 1913-14 წლებში ბრიტანელებმა და რუსებმა ირანელი მინისტრებისაგან მრავალი კონცესია მიიღეს რკინიგზის გაყვანის შესახებ, თუმცა ეს კონცესიები არაკანონიერი იყო, სანამ მათ არ მოიწონებდა მეჯლისი. აბდ ალ-ყასემი კი ჯიუტად ამბობდა უარს შინ დაბრუნებაზე.

კონსტიტუციური რევოლუციის, მოჰამად შაჰის კონტრრევოლუციის, რუსეთისა და ბრიტანეთის მიერ სპარსეთის „დახრჩობის“ პირობებში ბევრი ვერაფერი გაკეთდებოდა ქვეყნის მოდერნიზაციისაკენ მიმართული რეფორმების თვალსაზრისით. სამოქალაქო ომს უცხოური ინტერვენცია მოჰყვა და ორივე ამ მოვლენას კატასტროფული შედეგი ჰქონდა ყაჯართა ირანისათვის. რეალური კონსტიტუციური რეჟიმის შექმნისათვის, მშვიდობის აღდგენისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის საჭირო იყო მოცდა I მსოფლიო ომის დასრულებამდე.

ულემები თანდათანობით ჩამოშორდნენ კონსტიტუციურ მოძრაობას და სულ მალე იჩინა თავი მათი და საერო ინტელექტულების ინტერესთა შეუსაბამობამ. შექმნილი პირობების გამო კონსტიტუციის დემოკრატიული და ლიბერალური იდეებიც ფაქტობრივად განუხორციელებელი დარჩა. თუმცა, ეს მაინც არ აკნინებს ირანის კონსტიტუციური რევოლუციის მნიშვნელობას. ირანში კონსტიტუციური რევოლუცია მაშინ ხდებოდა, როდესაც მისი მეზობლები დამოუკიდებლობაზეც კი არ ოცნებობდნენ. კონსტიტუციური მოძრაობა პირველი ნაციონალური მოძრაობა იყო რეგიონში, რომელიც რელიგიურ საფუძვლებს იყენებდა და მიუხედავად ამისა, მიზნად გაიხადა ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობები.

9 აშშ-ში დაბრუნებუმა შუსტერმა 1912 წელს გამოქვეყნა წიგნი სათაურით „სპარსეთის დახრჩობა“ (Shuster, 1912), რომელშიც ის აღწერდა ირანში არსებულ სიტუაციას და გმობდა დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას ქვეყანაში.



თურქეთი

„ახალგაზრდა თურქების“ რევოლუცია

სულტან აბდულ ჰამიდის რეპრესიული რეჟიმის პირობებშიაც შეუძლებელი აღმოჩნდა საზოგადოების სრული კონტროლი. ოპოზიცია თანდათან იკრებდა ძალებს და მისი ბრძოლა, საბოლოო ჯამში, დაგვირგვინდა ე.წ. „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციით.

მოძრაობა, რომელიც „ახალგაზრდა თურქების“ სახელით არის ცნობილი, წარმოადგენდა სამი ოპოზიციური ჯგუფის გაერთიანებას. პირველი იყო უკვე დიდი ხნის მანძილზე ემიგრაციაში მყოფი თემი, მეორე – უკმაყოფილო სამოქალაქო მოხელეთა და სტუდენტთა ჯგუფი, მესამე კი შედგებოდა არმიის იმედგაცრუებული ოფიცრებისაგან.

„ახალგაზრდა ოსმალთა“ დროიდან მოყოლებული, პარიზსა და ჟენევაში აქტიურად მოქმედებდა ემიგრანტთა ჯგუფი. ეს ჯგუფი რიცხობრივად გაიზარდა აბდულ ჰამიდის სულტნობის პერიოდში და 1890-იანი წლებიდან პირდაპირ ზეგავლენას ახდენდა ოსმალეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. პარიზში მოღვაწე ოპოზიციონერებიდან კი ყველაზე ცნობილი აჰმედ რიზა (1859-1930) იყო. ემიგრანტთა პროგრამა შეიცავდა 1876 წლის კონსტიტუციის აღდგენის მოთხოვნას და გმობდა აბდულ ჰამიდის რეჟიმის ტირანიას. ისინი სულტნის ავტორიტარული რეჟიმის მოსპობით იმედოვნებდნენ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. თუმცა, ამ პატრიოტ და ევროპული ორიენტაციის მქონე ემიგრანტებს არ ჰქონდათ არანაირი ძალაუფლება და, ამასთან ერთად, ვერ გადაელახათ შიდა წინააღმდეგობანი.

სწორედ პარიზში დაარსა ლიბანელმა მარონიტმა ქრისტიანმა ხალილ ღანიმმა გაზეთი *La Jeune Turquie* (*ახალგაზრდა თურქეთი*). ასოციაცია „ახალგაზრდა ოსმალებთან“ უეჭველია (Lewis, B., 2002:

197). საფრანგეთშივე გაჩნდა პირველად ჯგუფი, რომელიც საკუთარ თავს „ახალგაზრდა თურქებს“ უწოდებდა. (Hanioğlu, 1995: 87).

აბდულ ჰამიდ II

საკუთრივ იმპერიაში, 1889 წელს სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტებმა შექმნეს იატაკქვეშა საზოგადოება. ის ცნობილი გახდა „ერთიანობისა და პროგრესის კომიტეტის“ (ეპკ) სახელით და მალე მიიზიდა სხვა სტუდენტები და სამოქალაქო მოხელენი. ემიგრანტთა მსგავსად, ეპკ-ს ძირითადად შეადგენდნენ ევროპული სტილის სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდები, რომლებიც ჰამიდის რეპრესიულ რეჟიმს იმპერიის შესანარჩუნებლად ჩასატარებელი აუცილებელი რეფორმების მთავარ წინაღობად მიიჩნევდნენ. თუმცა, 1895-96 წლებში მისი ბევრი წევრი დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს. იატაკქვეშა ოპოზიცია კვლავაც აგრძელებდა არსებობას, მაგრამ მას მოქმედების მცირე საშუალებაღა ჰქონდა რეპრესიებისა და ცენზურის გამკაცრების პირობებში.

ეპკ-ის პროგრამიდან, 1890 წ.

„იმ მიზნით, რომ დავიცვათ ჩვენი მუსლიმი და ქრისტიანი თანამემამულეები არსებული რეჟიმის მმართველობის სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ლახავს ადამიანის ისეთ უფლებებს, როგორიცაა სამართლიანობა, თანასწორობა და თავისუფლება, რომელიც ოსმალეთის ყველა მკვიდრს უკეტავს გზას პროგრესისაკენ და ქვეყანას უცხოეთის დომინირების ქვეშ აქცევს, შეიქმნა „ოსმალეთის ერთობისა და პროგრესის საზოგადოება“, რომლის წევრი ყველა მამაკაცი და ქალი ოსმალეთის მკვიდრია.“

(ციტ. Lewis, B., 2002, 210).

შემდგომ სწორედ ეპკ გახდა ცნობილი „ახალგაზრდა თურქების“ სახელით (ოღონდ ფრანგული ფორმით – Jeunes turks) (Findley, 2005: 166).

ამასთან ერთად, მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი არმიაში. აბდულ ჰამიდის მმართველობის უკანასკნელ წლებში აღარავინ ზრუნავდა არმიის შეიარაღებაზე და ხელფასებიც დროდადრო თუ გაიცემოდა. ყოველივე ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ჯარში და გაჩნდა ეპკ-თან დაკავშირებული ოფიცერთა ჯგუფები. განსაკუთრებული ოპოზიციური განწყობით გამოირჩეოდა სალონიკში დისლოცირებული ოსმალეთის მესამე არმია. ამ არმიის ევროპულად გაწვრთნილი ოფიცრები ერთგულნი იყვნენ იმპერიისა და ამაყობდნენ მისი სამხედრო წარსულით. მათ სწამდათ, რომ აბდულ ჰამიდის დამოკიდებულება არმიისადმი აკნინებდა მის ძალას და დაუცველს ხდიდა იმპერიის ევროპულ ტერიტორიებს (Cleveland, 2004: 135). ამ უკმაყოფილების ნიადაგზე მესამე არმიის ოფიცრები 1908 წლის ზაფხულში აჯანყდნენ და მოსთხოვეს აბდულ ჰამიდს კონსტიტუციის აღდგენა. ისინი დაემუქრნენ სულტანს, რომ მოთხოვნის არშესრულების შემთხვევაში, გაილაშქრებდნენ სტამბულზე და თვითონ აღადგენდნენ კონსტიტუციას.

კონსტიტუციური მოძრაობის აღმავლობას კიდევ ერთმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. საუკუნის დასაწყისში იაპონია-რუსეთის ომი ამ უკანასკნელის სასტიკი მარცხით დასრულდა. ამდენად, იაპონია გახდა პირველი აზიური ქვეყანა, რომელმაც დაამარცხა დიდი ევროპული სახელმწიფო. ერთადერთმა აზიურმა ქვეყანამ, რომელსაც კონსტიტუცია ჰქონდა, დაამარცხა კონსტიტუციის არქმონე ერთადერთი ევროპული ქვეყანა. იაპონიის ამ გამარჯვებამ დიდი გავლენა მოახდინა „ახალგაზრდა თურქებზე“ (ასევე ირანელ კონსტიტუციონალისტებზე).

სულტანი შეეცადა მდგომარეობის განმუხტვას და დათანხმდა აჯანყებულთა მოთხოვნაზე. 1908 წლის 24 ივლისს გამოცხადდა კონსტიტუციის აღდგენა. ამ ჟესტით აბდულ ჰამიდმა დროებით დაიბრუნა პოპულარობა. ახალი პარლამენტის არჩევნები 1908 წლის შემოდგომაზე გაიმართა და წლის ბოლოს სულტნის მიერ 30 წლის წინ დაშლილმა პარლამენტმა მუშაობა განაახლა. „ამგვარად, ამბოხება რევოლუციად გადაიცა, რევოლუციამ კი თავის მიზანს მიაღწია“ (Lewis, B., 2002: 197).

1901 წლიდან ენვერ ფაშა იყო მაკედონიის გენერალური შტაბის ოფიცერი. მალე შეუერთდა სალონიკის ოპოზიციონერ სამხედროებს. კონტრევოლუციური ამბოხების ჩახშობისას სწორედ ის ედგა მესამე არმიის ნაწილებს სათავეში. 1909 წელს დაინიშნა სამხედრო ატაშედ ბერლინში. ამის შემდეგ ის გახდა „ახალგაზრდა თურქთა“ ყველაზე პროგერმანულად განწყობილი ლიდერი. 1912 წელს დაბ

რუნდა კონსტანტინოპოლში და დაინიშნა გენშტაბის უფროსად. 1914 წელს ის სამხედრო უწყებას ჩაუდგა სათავეში და გერმანელების დახმარებით დაიწყო არმიის მოდერნიზაცია. I მსოფლიო ომში თურქეთის გერმანიის მოკავშირედ ქცევა დიდწილად სწორედ მისი დამსახურებაა. ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე თავი „ვიცე-გერენელისიმუსად“ გამოაცხადა. კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის წარუმატებლობა დიდწილად მისმა შეცდომებმა განაპირობა.

ომის დასრულების შემდეგ დროებით თავი ჯერ ყირიმს, შემდეგ კი ბერლინს შეაფარა. მალე ის მოსკოვში აღმოჩნდა. მიიღო მონაწილეობა 1920 წლის შემოდგომაზე ბაქოში ბოლშევიკთა მიერ ორგანიზებულ აღმოსავლეთის ხალხთა კონგრესში. მალე მოსკოვზეც აუცრუვდა გული და თურქესტანს მიაშურა. აქ ის მიემხრო თეთრგვარდიელებს, შესძლო 10,000 კაციანი არმიის შექმნა და ულტიმატუმიც კი წაუყენა ბოლშევიკებს მოთხოვნით დაეტოვებინათ ბუხარა, ხივა და თურქესტანი. თუმცა, მიზანს ვერ მიაღწია. 1922 წლის 4 აგვისტოს ის დაიღუპა სამარყანდთან ბოლშევიკების რაზმთან შეტაკების დროს.

მაგრამ ყველა როდი ამღავნებდა ენთუზიაზმს ევროპული პოლიტიკური ინსტიტუტების დამყარების გამო. 1909 გაზაფხულზე ახალ მთავრობაზე იერიში მიიტანეს კონტრრევოლუციონერებმა. ამ მოძრაობას სათავეში ედგნენ ჯარისკაცები და რელიგიური სასწავლებლების სტუდენტები, რომლებმაც ხმა აიმაღლეს ევროპეიზაციის წინააღმდეგ და მოითხოვეს შარიათის აღდგენა. მესამე არმიისათვის მოქმედებაზე გადასვლის დრო დადგა. არმია შევიდა სტამბულში, აღადგინა წესრიგი და ერთგულება გამოუცხადა საპარლამენტო მთავრობას. აბდულ ჰამიდს კი ბრალი დასდეს კონტრრევოლუციონერთა მხარდაჭერაში და პარლამენტმა მიიღო მისი ტახტიდან გადაყენების გადაწყვეტილება (თუმცა, მუსლიმური ტრადიციების დაცვის მიზნით, ეს ბრძანება სტამბულის შაიხ ულ-ისლამმა გამოსცა). აბდულ ჰამიდი გაასახლეს სალონიკში და სულტანი მისი უმცროსი ძმა მეჰმეტ V (1909-1918) გახდა, რომელსაც რეალურად არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდა.

1909 წლის 12 აპრილს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ეპკ იატაკქვეშა ორგანიზაციიდან გარდაიქმნა პოლიტიკურ პარტიად.

პარლამენტში სამი პოლიტიკური ჯგუფი გამოიკვეთა. ეპკ-ის წევრთა გარდა, რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ, იყო ასევე ლიბერალ უნიონისტთა ჯგუფი (მათი თვალსაზრისით, იმპერიის გადასარჩენად საჭირო იყო სახელმწიფოს ადმინისტრაციულ მოწყობაზე გადასვლა და პროვინციებისათვის ფართო ავტონომიის მინიჭება); მესამე ჯგუფს კი წარმოადგენდა მუსლიმთა ასოციაცია, რომლებიც მხარს უჭერდნენ პანისლამისტურ იდეებს და შარიათის სრულ ამოქმედებას. (Ochsenwald & Fischer, 2004: 324).

„ახალგაზრდა თურქთა“ მმართველობის პირველი პერიოდი, 1909-1913 წლები, ხასიათდება ძალაუფლებისათვის ბრძოლით ერთი მხრივ, ეპკ-ს, რომლის საფუძველსაც შეადგენდნენ ახალგაზრდა და საშუალო რანგის ოფიცრები და სამოქალაქო მოსამსახურენი და, მეორე მხრივ, ლიბერალებისა და კონსერვატორების უცნაურ ალიანსს შორის.

1911 წელს ოპოზიციურმა ჯგუფები გაერთიანდნენ და შექმნეს „ლიბერალური კავშირი.“ მალე გამოჩნდა, რომ ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას საკმაოდ ფართო მხარდაჭერა ჰქონდა. ეპკ შეტევაზე გადავიდა და პარლამენტი დაშალა, შემდეგ კი ყველა საშუალება გამოიყენა, რომ შემდგომ არჩევნებში თავისი ჰეგემონობა დაემყარებინა. მართლაც, ახალი პარლამენტის 275 წევრიდან მხოლოდ 6 წარმოადგენდა ოპოზიციას (Mansfield, 2003: 129).

ამგვარად, საპარლამენტო არჩევნების მანიპულირებისა და ასევე დაუფარავი სისასტიკის გზით, ეპკ-მა თანდათანობით მთლიანი კონტროლი დაამყარა მთავრობაზე. 1913 წლიდან მან შეძლო პრაქტიკულად სამხედრო დიქტატურის დამყარება ენვერ ბეის (1881-1922), ჯემალ ბეის (1872-1922) (ორივემ შემდგომ ფაშას ტიტული მიიღო) და თაალათ ფაშას (1874-1921) სახით. ენვერს და ჯემალს სტამბულის სამხედრო კოლეჯი ჰქონდათ დამთავრებული და მანამდე მესამე არმიაში მსახურობდნენ. თაალათი, რომელიც ყველაზე კომპეტენტური იყო ამ სამს შორის, სამოქალაქო მოხელე იყო, მსახურობდა სალონიკის ფოსტისა და ტელეგრაფის უწყებაში, 1917 წელს კი იმპერიის დიდი ვაზირი გახდა. 1913 წლისათვის ენვერი სამხედრო მინისტრი იყო, თაალათი შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო ჯემალი

სამხედრო ფლოტს მეთაურობდა. ტრიუმვირატის დიქტატურის დამყარება ოსმალეთის იმპერიაში მოკლევადიანი დემოკრატიული ექსპერიმენტის აღსასრულის მომასწავებელი იყო (Goldsmith, 2006: 197).

მიუხედავად იმისა, რომ ეპკ-ის რეჟიმი 1913 წლის შემდეგ სულ უფრო რეპრესიული ხდებოდა, ის მაინც რეფორმატორულ მოძრაობას წარმოადგენდა. მისი ჰეგემონობის პირველ წლებში ოსმალეთში ისტორიაში ანალოგის არქმონე თავისუფალი ინტელექტუალური გარემო შეიქმნა. აბდულ ჰამიდის ცენზურის გაუქმების შემდეგ იმპერიის მთავარ ქალაქებში ინტენსიურად დაიწყო პერიოდული პრესის გამოცემა. მთავრობა, როდესაც ის არ იყო დაკავებული ომებით ან უბრალოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრით, ზრუნვას იჩენდა დაწყებით და საშუალო განათლებაზე, არმიის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ახალგაზრდა თურქებმა შექმნეს სეკულარული დაწყებითი და საშუალო სკოლების სისტემა, გახსნეს მასწავლებელთა მოსამზადებელი კოლეჯები და ინსტიტუტები. მათი რეფორმების შედეგად უნივერსიტეტში სწავლის უფლება მიეცათ ქალებსაც.

ეპკ-ის პრაგმატიკოს რეფორმატორებს სჯეროდათ, რომ მოსახლეობა მხარს დაუჭერდა უფრო ეფექტურ ხელისუფლებას. ამ რწმენის საფუძველზე მათ იერიში მიიტანეს უზომოდ გაბერილ ბიუროკრატიაზე, არაკომპეტენტურ მოხელეებზე და ზოგადად მნიშვნელოვნად შეამცირეს სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფ მოხელეთა რაოდენობა. თუმცა, ამგვარ პოლიტიკას უკმაყოფილებაც მოჰყვა არაერთი სამოქალაქო მოხელისა თუ არაბული დიდგვაროვანი ოჯახების მხრიდან, რომლებიც პროვინციების ადმინისტრაციაში თანამდებობებს მემკვიდრეობითად აღიქვამდნენ.

ახალი იდეოლოგიისა და იდენტობის ძიებაში

აბდულ ჰამიდის ტახტიდან გადაყენებამ გაამძაფრა პოლემიკა იმპერიაში შემავალი ხალხების პოლიტიკური და კულტურული ლოიალობის შესახებ. ერთი მხრივ, დებატების ფოკუსირება ხდებოდა ევროპული და წმინდა ადგილობრივი იდეებისა და ინსტიტუტების შერწყმის მიღწევაზე, ხოლო მეორე მხრივ, ის ეხებოდა ეროვნული იდენტობის მეტად მტკივნეულ საკითხს.

თურქული ნაციონალიზმის წარმოქმნის ხელისშემშლელი ფაქტორი ის იყო, რომ XX საუკუნემდე არც ერთი განათლებული ოსმალო, თუნდაც რომ მისი მშობლიური ენა თურქული ყოფილიყო, საკუთარ თავს თურქს არ უწოდებდა. ოსმალეთის იმპერია, მიუხედავად იმისა, რომ ევროპელები ხშირად თურქეთად მოიხსენიებდნენ, სულაც არ იყო თურქული ეროვნული სახელმწიფო (Goldsmith, 2006: 195). **მასში მრავალი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი შედიოდა. მას სუნიტი მუსლიმები მართავდ**ნენ, თუმცა მათ გვერდით აქტიურად მოქმედებდნენ სხვადასხვა მილეთების წარმომადგენლები. მისი მცხოვრებნი იყვნენ ან ოსმალები (*osmanlilar*) – მმართველი კლასი, ან *რე'ია* – ქვეშევრდომები. მათ შორის კი არავინ იდგა.

„ახალგაზრდა თურქებს" ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროისათვის გადაწყვეტილი ჰქონდათ ოსმალეთის იმპერიის გადარჩენა. ამასთან, ამ მიზნის მისაღწევად მათ უნდა განესაზღვრათ თუ როგორი უნდა ყოფილიყო იმპერიის ხასიათი. უნდა ყოფილიყო ის ოსმალეთის სახელმწიფო, რომელიც დანიშნულებაც გახდებოდა ტრანსფორმაცია და თანაბარ უფლებების მინიჭება მისი ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობისათვის? თუ ის უნდა გამხდარიყო ისლამური სახელმწიფო, რომლის გადარჩენასაც განაპირობებდა ხელახლა აღმოჩენილი და სწორად ინტერპრეტირებული ისლამური ტრადიციები? ან, ბოლოს, გამომდინარე მისი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობიდან, იქნებოდა ის თურქული სახელმწიფო, რომელსაც ზოგიერთი ეროვნული უმცირესობა შეუერთდებოდა?

ეპკ-ის ლიდერები *ოტომანიზმის*[10] კონცეფციის მომხრენი იყვნენ. დიდწილად მსგავსად ახალგაზრდა ოსმალებისა 40 წლით ადრე, მათ სწამდათ, რომ იმპერიის სიცოცხლისუნარიანობის აღდგენის საუკეთესო გზას წარმოადგენდა კონსტიტუციური მმართველობა, რომელიც შეზღუდავდა მონარქის ძალაუფლებას და შეუქმნიდა არამუსლიმებს უფლებების დაცვის გარანტიას მათი ინკორპორაციიით ოტომანიზმის ჩარჩოებში. აბდულ ჰამიდის დამხობის შემდეგ მთავრობის ერთ-ერთი პირველი აქტი გახდა მილეთების სისტემის გაუქმება. ამით ხაზი გაესვა ეპკ-ის ოტომანიზმის იდეებისადმი და იმპერიის ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნების იდეალისადმი ერთგულებას. იმავდროულად კი რეჟიმს არ შეეძლო ისლამური საფუძვლების უარყოფა, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ემყარებოდა იმპერიის ლეგიტიმურობა. ამდენად, ეპკ ერთდროულად აგრძელებდა სულტნის ხალიფად მოხსენიებას და ისლამური სიმბოლოების გამოყენებას საკუთარი ლეგიტიმურობის საყრდენად. საკუთარი მმართ-

10 ოსმალიზმის ან ოსმანიზმის ნაცვლად გამოყენებულია ევროპულ ენებში დამკვიდრებული ტერმინი ოტომანიზმი.

ველობის ამ და სხვა ასპექტებში, ეპკ დილემის წინაშე იდგა. ოტომანიზმის იდეალის რეალიზაციისათვის განსხვავება მუსლიმ მმართველებსა და არამუსლიმ ქვეშევრდომებს შორის უნდა გაუქმებულიყო როგორც რეალურად, ისე თეორიულად. ასევე აუცილებელი იყო იმ ფაქტორების მოსპობა, რომელიც აღვივებდა ეროვნულ სეპარატისტულ მოძრაობებს იმპერიის შიგნით, საერთაშორისო საზოგადოებას კი მიზეზს აძლევდა უდიერად მოპყრობოდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას. არც ერთი ეს პირობა ბოლომდე შესრულებული არ ყოფილა.

თაალათ ბეის გამოსვლიდან ეპკ-ის სხდომაზე სალონიკში, ჩაწერილი მანასტირში ბრიტანეთის კონსულის მიერ:

„თქვენ იცით, რომ კონსტიტუციის მიხედვით აღიარებულია მუსლიმებისა და გიაურების თანასწორობა, მაგრამ თითოეულმა თქვენგანმა და ყველამ იცით და გრძნობთ, რომ ეს განუხორციელებელი იდეაა. შარიათი, ჩვენი ისტორია, ასობით ათასი მუსლიმის გრძნობა და ასევე საკუთრივ გიაურების გრძნობები, რომლებიც ჯიუტად ეწინააღმდეგებიან მათი ოტომანიზაციის ნებისმიერ მცდელობას, წარმოადგენს გადაულახავ წინაღობას ჭეშმარიტი თანასწორობის დასამყარებლად“ (Lewis, B., 2002: 218).

ეპკ-ის დაპირების, რომ არავითარი განსხვავება არ იქნებოდა რასისა და სარწმუნოების მიხედვით, ჭეშმარიტი მიზანი **1909 წლის სექტემბერში მიღებული „ასოციაციების შესახებ“ კანონით გამოჩ**ნდა, რომლის საფუძველზეც იკრძალებოდა ისეთი პოლიტიკური ასოციაციების შექმნა, რომლებიც ემყარებოდა ან ატარებდა ეთნიკური თუ ეროვნული ჯგუფის სახელს. შესაბამისად, აიკრძალა ბერძნული, ბულგარული და სხვა უმცირესობების კლუბებისა თუ საზოგადოების ფუქნციონირება რუმელიაში.

ოტომანიზაციის პოლიტიკა ასევე მოწყდა ეპკ-ის მიერ დეკლარირებულ მიზნებს არაბულ პროვინციებში. აქ პრობლემას ის წარმოადგენდა, რომ ეპკ-ის მიერ ნაქადაგები ოტომანიზაცია სინამდვილეში „თურქიზაციის“ აღმნიშვნელი გამოდგა. (ბუნებრივია, პანთურანისტული იდეები უცხო იყო არაბებისათვის). თურქული ყოველთვის წარმოადგენდა ოსმალეთის ოფიციალურ ენას, მაგრამ არაბული ოსმალეთის არაბების მშობლიური ენა იყო. რელიგიის ენის სახით, არაბული ასევე დომინირებდა განათლებაში. ახალგაზრდა თურქები კი, რეალურად ცდილობდნენ ჰეტეროგენული იმპერიის ქცევას ერთი ენის მქონე სახელმწიფოდ. თურქული სავალდებულო საგნად იქცა ყველა სკოლაში. მოითხოვებოდა სასამართლოებში თურქულის გამოყენება, ქალაქებში ქუჩების სახელებიც კი თურქულად გადაკეთდა. ამ დროს კი თურქული გაუგებარი იყო არაბული პროვინციების მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის.

იტალიური ჯარები ტრიპოლიტანიაში. იტალიური პროპაგანდისტული პლაკატი

1908 წლის კონსტიტუციის აღდგენიდან სულ მალე, ბულგარეთმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ოსმალეთთან და საბოლოოდ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ავსტრიამ ბოსნიის პროვინციის ანექსირება მოახდინა, კრეტა კი საბერძნეთს შეუერთდა. ოსმალეთის სუვერენიტეტის არაფრად ჩაგდება შემდგომ, **1911 წლის ოქტომბერში, გამომჟღავნდა იტალიის შეჭ**რით ჩრდ. აფრიკაში, ტრიპოლიტანიის პროვინციაში. ოსმალეთის მთავრობამ გააგზავნა იქ დამხმარე ძალები, მაგრამ იმპერიის სხვა სასაზღვრო ნაწილებში არსებულმა პრობლემებმა ხელი შეუშალა სტამბულს ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწია იტალიელებისავის. 1912 წლის ოქტომბერში ოსმალეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც იტალიას დაუთმო ტრიპოლიტანია (მომავალი ლიბიის ნაწილი) და დოდეკანეზის არქიპელაგის რამდენიმე კუნძული, როდოსის ჩათვლით. ამავე წელს დაემთხვა ოსმალეთის უკანდახევა ევროპაში. ძირითადად მუსლიმებით დასახლებულმა ალბანეთმაც კი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რუსეთის წაქეზებით, ბულგარეთის, სერბიის, საბერძნეთის და მონტენეგროს გაერთიანებულმა სამხედრო ძალებმა გამოაძევეს ოსმალები ევროპის დიდი ნაწილიდან პირველი ბალკანური ომის დროს. თუმცა, 1913 წლის გაზაფხულზე ყოფილმა ბალკანელმა მოკავშირეებმა ქიშპი დაიწყეს ოსმალეთისაგან მიღებული ტერიტორიების გაყოფაზე, რამაც ოსმალოებს თრაკიის ნაწილის დაბრუნების საშუალება მისცა. მაგრამ ეს საბოლოო გამარჯვება პრაქტიკულად არაფრისმომტანი იყო. **1912 წლისათ**ვის ოსმალეთის სამფლობელოები ევროპაში შეადგენდა 169,910 კვ. კმ-ს, რომელზეც დაახლ. 6,1 მლნ

ადამიანი ცხოვრობდა. როდესაც ბალკანური ომების საბოლოო ზავს მოეწერა ხელი, ოსმალეთის იმპერიის ევროპული ნაწილი შემცირდა 28,293 კვ. კმ-მდე, ხოლო მოსახლეობა – 1,9 მლნ-მდე. ადამიანური რესურსების, შემოსავლების, პროდუქტიულობის თვალსაზრისით, დანაკარგები უზარმაზარი იყო. ის ასევე უმძიმესი იყო ეპკ-სათვის, რომელიც საკუთარ თავს აღიქვამდა იმპერიის შესანარჩუნებლად მოწოდებულად, ბედის ირონიით კი სწორედ მის მმართველობისას მოხდა ერთ დროს ძლევამოსილი ოსმალეთის იმპერიის ევროპული ტერიტორიების უდიდესი ნაწილის დაკარგვა. დამატებით, უაღრესად დამამცირებელი იყო ოსმალეთის წარსულში ძლევამოსილი არმიის მარცხი პატარა სახელმწიფოების, რომლებშიც იმპერიიის ყოფილი ქვეშევრდომები ცხოვრობდნენ, ჯარებისაგან.

1908-1913 წლების მოვლენებმა დღის წესრიგში დააყენა ოტომანიზმის პოლიტიკის საკითხი. ამ მოვლენებმა დაადასტურა, რომ არც დიდი სახელმწიფოები, და არც ახლადშექმნილი ბალკანური სახელმწიფოები, სულაც არ იყვნენ მოსურნენი პატივი ეცათ ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ამ მოვლენებმა ასევე ცხადყო, რომ მცირე ხალხები ეროვნულ დამოუკიდებლობას ამჯობინებდნენ ოსმალეთის მოქალაქეობას; ასევე ძირი გამოეთხარა იმ აზრს, რომ ქრისტიანებსა და მუსლიმებს შეეძლოთ გაეზიარებინათ ერთიანი ოსმალური სახელმწიფოს იდეა. ეპკ-ის ლიდერები შორს იყვნენ სრულყოფილებისაგან, მაგრამ ისინი აღმოჩნდნენ პრაქტიკულად გადაულახავი წინაღობების წინაშე მათი „პატრიოტული“ მიზნის – იმპერიული ტერიტორიების შენარჩუნების საქმეში.

ამასთან, ამბოხებებს ხელი არ შეუშლია ეპკ-სათვის, რომ ოტომანიზმის პოლიტიკის ერთგული დარჩენილიყო. ეპკ-ის წევრები სწორედ ოტომანისტები და არა თურქი ნაციონალისტები იყვნენ (Goldsmith, 2006: 197). მაგრამ იმპერიის იდენტობის ძიებაში მათ სულ ჩაბერეს ანატოლიურ თურქულ საფუძველს. იმპერია ბევრად უფრო ჰომოგენური გახდა ევროპული სამფლობელოების 80%-ის დაკარგვის შემდეგ. მხოლოდ ბუნებრივად შეიძლება ჩაითვალოს, რომ არაბული ნაციონალიზმისა და ბალკანური სეპარატისტული მოძრაობების წარმოქმნასთან ერთად, სპეციფიკურმა თურქულმა კულტურულმა მოძრაობამ იხილა დღის სინათლე (Cleveland, 2004: 139).

მოძრაობა მრავალი ელემენტისაგან შედგებოდა, მაგრამ მათგან ორი მთავარი მიმდინარეობა უნდა გამოიყოს: პირველია პანთურქიზმი (პანთურანიზმი), რომლის წარმოქმნაც რუსეთის იმპერიიდან გამოსულ თურქული წარმომავლობის ინტელექტუალებს უკავშირდება. მრავალი მათგანი საუკუნეთა გასაყარზე სტამბულის ინტელექტუალური წრეებს ედგა სათავეში. პანთურქიზმი ქადაგებდა თურქულენოვანი ხალხების ერთიანობას. ოსმალო თურქები მხოლოდ ერთი შტო იყო მრავალრიცხოვანი თურქულენოვანი ხალხებიდან, რომლებიც მიმოფანტული იყვნენ ანატოლიიდან ჩინეთამდე უკიდეგანო სივრცეში. თუნდაც რომ სხვადასხვა დიალექტზე ელაპარაკათ, მათი ენის საფუძველი ერთი იყო და ამდენად, ისინი შეადგენდნენ ერთ და გამორჩეულ ხალხს, და როგორც ერთ ხალხს, მათ უნდა ჰქონოდათ ერთიანი სახელმწიფო, რომელშიც შევიდოდნენ ანატოლიის, რუსეთის იმპერიის, ირანის, ავღანეთისა და ჩინეთის თურქულენოვანი ხალხები. „პანთურქისტთა გრანდიოზულმა პოლიტიკურმა პროგრამამ ხელი შეუწყო ოსმალო თურქ ინტელექტუალებს ხელახლა აღმოეჩინათ თავიანთი თურქული წარსული, მაგრამ მან მაინც ვერ მოიპოვა საფუძვლიანი მხარდაჭერა“ (იქვე).

ახალგაზრდა თურქების რეპრესიული და ცენტრალიზაციისაკენ მიმართული პოლიტიკა არანაირად არ შემოიფარგლებოდა იმპერიის ქრისტიანი ქვეშევრდომებით. როგორც რუმელიაში,[11] ისე აზიის პროვინციებში, ისინი ატარებდნენ თურქიზაციის პოლიტიკას და ცდილობდნენ თავს მოეხვიათ თურქული ენა არაბებისთვის, ალბანელებისათვის და სხვა არათურქი მუსლიმებისათვის.

ამდენად, საბოლოო ჯამში, იმპერიის თურქებისათვის უფრო მისაღები გამოდგა დოქტრინა, რომელიც თურქიზმის სახელით გახდა ცნობილი და ფოკუსირებული იყო უშუალოდ ოსმალეთში არსებულ სიტუაციაზე. დოქტრინით ხაზგასმული იყო თურქების გადამწყვეტი როლი ოსმალეთის ძლევამოსილი იმპერიის შექმნასა და არსებობაში. გაჩნდა წინაისლამური, წინაოსმალური კულტურული მემკვიდრეობის ცნება, რომელიც განასხვავებდა თურქებს იმპერიის სხვა მცხოვრებთაგან. ოტომანიზმის იდეებთან მკვეთრი გამიჯვნის საწყის წერტილად გამოდგება 1897 წელს მეჰმეტ ემინის მიერ გამოქვეყნებული ლექსი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „მე ვარ თურქი, კეთილშობილი რელიგიისა და რასისა.“ მიუხედავად იმისა, რომ ემინის ეს ფრაზა შეიცავს ეთნიკური გამოცალკევების ნიშანს, მასში მაინც გაესმევა ხაზი თურქულობის კავშირს ისლამთან.

ბრიტანეთის ელჩი სერ ჯერალდ ლოუთერი:

11 ოსმალეთის იმპერიის ევროპული ნაწილი.

„ის, რომ კომიტეტმა (ეპკ-მა) ხელი აიღო ყველა არათურქი ელემენტის ოტომანიზაციის მცდლობაზე ცივილიზებული და კონსტიტუციურ გზით, უკვე დიდი ხანია გამჟღავნდა. მათთვის „ოსმალო“ ნათლად ნიშნავს „თურქს“ და მათი ამჟამინდელი ოტომანიზაციის პოლიტიკა არის არათურქული ელემენტების ძალაყინში დაფქვა“ (ციტ. Lewis, B., 2002: 218).

1912 წელს სტამბულში თურქული კულტურული კლუბისა და მისი ასოციაციის, რომელიც გამოსცემდა ჟურნალს *„თიურქ ურდუ“* (*თურქული სამშობლო*), შექმნამ ხელი შეუწყო ერთდროს დამამცირებელი სიტყვის – თურქის ტრანსფორმაციას კულტურული იდენტობის პოზიტიურ ძალად. (Cleveland, 2004: 139) მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმდინარეობის ლიდერი ზიდა გიოქალპი (1876-1924), დაიბადა და გაიზარდა აღმ. ანატოლიაში. იყო რა ეპკ-ის ანგარიშგასაწევი წევრი, გიოქალპი ამტკიცებდა, რომ თურქული ეროვნული ტრადიციები, რასაც ის უწოდებდა ერის სულს, გაქრა იმ ხალხების კულტურული ტრადიციების მოძალებით, რომლებსაც თურქები მართავდნენ. მან საკუთარ მისიად დაისახა ამ სულის ხელახალი აღმოჩენა ისლამამდელი თურქების ისტორიის კვლევითა და ხალხური კულტურის შესწავლით, რაც მისი აზრით, ავთენტურ თურქულ ტრადიციებთან მყარად იყო კავშირში. გიოქალპისათვის ენა წარმოადგენდა ერის სულს. მას სძულდა ჰიბრიდული ოსმალური ენა და მხარს უჭერდა მოდიფიცირებულ თურქულ ხალხურ ენას, რომელიც მისი თვალთახედვიდან, თავდაპირველი თურქული სულის ზუსტი ანარეკლი იყო. ის ისლამს თურქიზმის კომპონენტად თვლიდა და მიიჩნევდა, რომ თურქებმა იტვირთეს ისლამის სიდიადის შენახვის ტვირთი საუკუნეთა მანძილზე და რეფორმირებული ისლამი უნდა ყოფილიყო თურქი ნაციის არსებითი ნაწილი. ნაციონალიზმის, ისლამიზმის და მოდერნიზმის შერწყმა, რაც სახასიათო იყო ოსმალური ელიტისათვის ახალგაზრდა თურქების ხანაში, კარგა ჩანს გიოქალპის ფრაზაში: „ჩვენ ვეკუთვნით თურქ ნაციას, მუსლიმურ რელიგიურ თემს და ევროპულ ცივილიზაციას.”

„ოსმალურ სამფლობელოებში, ჩემი რწმენით, სამი უმთავრესი პოლიტიკური მიმდინარეობა უნდა იყოს გათავისებული და სწორედ მათ უნდა მისდიონ, რადგანაც არსებობს სურვილი მოპოვებულ იქნეს ძალა და პროგრესი დასავლეთიდან წამოსული განმანათლებლობის გზით. პირველია ოსმალური (ეროვნული) სახელმწიფოს შექმნა ოსმალეთის ხელისუფლების სუბიექტი სხვადასხვა ჯგუფების გაერთიანებით და მათი წარმომადგენლობით. მეორეა ყველა მუსლიმის პოლიტიკური გაერთიანება ხელისუფლების მიერ სახალიფოს ეგიდით, ოსმალეთის მმართველით სათავეში (რასაც ფრანგები უწოდებენ პანისლამიზმს). მესამეა რასაზე დამყარებული თურქული პოლიტიკური ნაციონალობის შექმნა“ (Akçuraoğlu, Yusuf. Üç Tarz-i Siyaset (*პოლიტიკის სამი სახეობა).* 1904; ციტ. Amin et al., 2006: 85).

ლიტერატურაში, მუსიკაში და ზოგადად კულტურის სფეროში, თურქმა ნაციონალისტებმა წამოიწყეს რეფორმები, რომლებსაც, მათ შეხედულებით, უნდა შეექმნა თურქული იდენტობის საყრდენი. ამ მიზნის მისაღწევად, ეპკ აფინანსებდა საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა მიზანიც იყო ნაციონალური თვითშეგნების განვითარება.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში თურქიზმს არ მიუღია მწყობრი იდეოლოგიური სისტემის სახე, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა სპეციფიკურად თურქული ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეას. მიუხედავად ამისა, დისკუსიებმა თურქული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც განსხვავდებოდა ოსმალურისაგან, ჩაყარა ომისშემდგომ პერიოდში მომწიფებული თურქული ნაციონალური მოძრაობის მარცვლები, თუმცა, იმ პერიოდისათვის ოსმალეთის იმპერიის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო.

ოსმალეთის I მსოფლიო ომში ჩართვამდე ქვეყანას რკინს ხელით მართავდა ახალგაზრდა ხისტი ხელმძღვანელობა. პარტიის დაუმორჩილებელი წევრები მკაცრად ისჯებოდნენ, რეჟიმის ოპონენტებისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ, ქვეყანაში ტერორის ატმოსფერო იყო შექმნილი. საშინაო არეულობამ და საგარეო ომებმა 1908-1914 წლების მანძილზე იმდენად მძაფრად დააყენა საკუთრივ სახელმწიფოს არსებობის საკითხი, რომ ხელმძღვანელობას საშუალება ეძლეოდა გაემართლებინა უკიდურესი რეპრესიები თუ რადიკალური და მტკივნეული რეფორმები.



ოსმალეთის იმპერია I მსოფლიო ომის წინ

თავი VII

ახლო აღმოსავლეთი და კავკასია I მსოფლიო ომში

1914-1918 წლებში მიმდინარე I მსოფლიო ომმა ღრმა გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ, დიპლომატიურ, სამხედრო თუ ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ომის შედეგები უპირველესი მნიშვნელობის ოსმალეთისათვის იყო, რამდენადაც ბრძოლების დიდი ნაწილი სწორედ ოსმალეთის იმპერიის იმჟამინდელ თუ ყოფილ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა. ქვეყანამ უზარმაზარი სამხედრო ზარალი განიცადა, მილიონობით სამოქალაქო პირი ხოცვა-ჟლეტის, შიმშილის, ეპიდემიების მსხვერპლი გახდა. 1918 წელს ბრძოლების დასრულებასაც არ მოუტანია ახლო აღმოსავლეთისათვის შვება, რამდენადაც გამარჯვებულები ამჯერად ერთმანეთში შეუდგნენ ოკუპირებული ქვეყნებისა თუ რეგიონების ტერიტორიებისა და ხალხების გადანაწილებას.

ევროპაში ომისათვის მზადების პერიოდში ოსმალეთის მინისტრთა კაბინეტში არ იყო ერთსულოვნება, მიუხედავად იმისა, რომ ეპკ-ის ლიდერთა უმრავლესობა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას უჭერდა მხარს,[1] მთავრობის ზოგიერთ წევრს სურდა ევროპელთა ეს ომი გამოეყენებინა რუსეთზე, ოსმალეთის ტრადიციულ მტერზე, იერიშის მისატანად. „ოსმალეთისათვის ომში ჩაბმის მთავარი მოტივაცია იყო ეგვიპტის ინგლისისაგან, ხოლო სამხრეთ კავკასიის რუსეთისაგან „დაბრუნება“ (Goldsmith & Davidson, 2006: 210). **საბოლოო ჯამში, ღერძის ქვეყნებისადმი იმპერიის მიმხრობის გადაწყვეტილება** მიღებულ იქნა ეპკ-ის მცირე ჯგუფის მიერ, რომელთაც სათავეში გერმანოფილი ენვერ ფაშა ედგა. ამ უკანასკნელსა და მის მომხრეებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ ომიდან გამარჯვებული გერმანია გამოვიდოდა. აქ ხაზი უნდა გაესვას, რომ **1914 წელს გერმანია ოსმალეთის ხელისუფლების თვალთახედ**ვიდან პატივისცემას იმსახურებდა ეკონომიკური და სამხედრო სიმძლავრის გამო. დამატებით, გერმანელები აგებდნენ რკინიგზას სტამბულიდან ბაღდადისკენ ოსმალეთის იმპერიის ახლოაღმოსავლური ტერიტორიების დასაკავშირებლად.

1914 წლის 2 აგვისტოს ენვერმა ხელი მოაწერა საიდუმლო შეთანხმებას ოსმალურ-გერმანული ალიანსის შექმნის შესახებ. თავდაპირველად, ომში ჩართვის სანაცვლოდ, გერმანია თურქეთს არდაჰანს, ყარსსა და ბათუმს პირდებოდა, შემდეგ კი, როდესაც თურქეთის მოკავშირეობამ, ევროპაში გართულებული მდგომარეობის გამო, გერმანიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა, დაპირებებს ეგვიპტე და მთლიანად კავკასიაც დაემატა. ორი გერმანული სამხედრო გემი, რომლებიც ინგლისურ სამხედრო ფლოტს განერიდა ხმელთაშუა ზღვაში და სტამბულის ნავსადგურს შეაფარა თავი, გერმანიის ელჩის მიერ საზეიმოდ გადაეცა ოსმალეთის მთავრობას (ეკიპაჟებთან ერთად, რომლის წევრებმაც თურქული ქუდები – ფესები დაიხურეს თავზე და „ინსტრუქტორების“ სახელი მიიღეს).[2] ამ ხომალდებმა შეცვალა ის ორი გემი, რომლებიც ბრიტანულ ნავსადგურებში ოსმალეთისათვის იგებოდა და რომლებშიც უკვე ფულიც იყო გადახდილი, მაგრამ რომელთა გადაცემაზეც, საომარი ვითარების გამო, ბრიტანეთმა უარი თქვა. გერმანელი კონტრადმირალი სუშონი დაინიშნა ოსმალეთის ფლოტის სარდლად. ომში ოსმალეთი ოფიციალურად ჩაერთო მას შემდეგ, რაც ამ ორმა ხომალდმა ოდესა დაბომბა, ხოლო თურქული ფლოტის სხვა გემებმა იერიში მიიტანეს რუსეთის შავი ზღვის სხვა პორტებზე. სულტანმა ჯიჰადი გამოაცხადა ბრიტანეთის, რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ იმ იმედით, რომ ეს გამოიწვევდა საფრანგეთის ჩრდილო აფრიკის მუსლიმი მოსახლეობის, ბრიტანეთის ეგვიპტის, სუდანისა და ინდოეთის, რუსეთის იმპერიის მუსლიმების ამბოხებას (Dietrich & Piccoli, 2001: 48), თუმცა, ამ მოწოდებას რაიმე მნიშვნელოვანი რეაქცია არ მოჰყოლია. ამ წარუმატებლობის ერთ-

1 ანტანტის წევრები ცდილობდნენ ოსმალეთის ნეიტრალიტეტის მიღწევას. ომის დაწყებიდან ერთ თვეზე ოდნავ მეტი იყო გასული, როდესაც 18 აგვისტოს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერ ედუარდ გრეი არწმუნებდა ლონდონში ოსმალეთის ელჩს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრწყინვალე პორტა არ ჩაებმებოდა ომში, იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობა „შენარჩუნდებოდა მშვიდობის დამყარების ნებისმიერ პირობებში, რომლებიც შეეხებოდა ახლო აღმოსავლეთს“ (ციტ. Karsh, 2006: 101-102).

2 კრეისერებს სახელებიც შეუცვალეს: „ჰებენს“ ეწოდა „სულტანი სელიმ იავუზი,“ ხოლო „ბრესლაუს“ – „მიდილი.“

ერთი მიზეზი ის იყო, რომ ოსმალო სულტან-ხალიფა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ქრისტიანული სახელმწიფოების მოკავშირე გახდა.

„ჩვენი მონაწილეობა მსოფლიო ომში არის ჩვენი ნაციონალური იდეალის დაცვა. ჩვენი სახელმწიფოსა და ხალხის იდეალი მოითხოვს ჩვენგან... რომ მოვიპოვოთ ბუნებრივი საზღვრები ჩვენი იმპერიისათვის, რომელმაც უნდა მოიცვას და გააერთიანოს ჩვენი რასის ყველა განშტოება," აცხადებდა ოსმალეთის მმართველი ტრიუმვირატი, იყენებდა რა ახლადშემოსულ რასისტულ ლექსიკონს, დასავლეთიდან კიდევ ერთ საზიანო ნასესხობას (Karsh, 2006: 103).

„თურანი ჩვენს მოლოდინშია. კაიროდან ბათუმამდე, ინდოეთსა და ავღანეთამდე ჩვენ გველოდებიან" (Gökalp – ციტ. Ferro, 2003: 71).

ამგვარად, **1914 წლის 29 ოქტომბერს „იმპერია ჩაება ომში, რომელიც მის მიერ წარმოებულ ომთა-**გან უკანასკნელი გამოდგა" (Cleveland, 2004: 149). რუსეთმა, თავის მხრივ, 2 ნოემბერს ოფიციალურად გამოუცხადა ომი ოსმალეთს. რამდენიმე დღეში იგივე გააკეთეს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერიამ მარცხი განიცადა ამ კონფლიქტში და ის დაიშალა სამშვიდობო ხელშეკრულებების საფუძველზე, მისმა უნარმა გაეძლო ოთხწლიანი ტოტალური ომისათვის, აჩვენა ის სიმტკიცე, რომლითაც მისი თურქული მოსახლეობა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო, იცავდა ქვეყანას. მთლიანობაში 3 მილიონამდე ადამიანი იქნა მობილიზებული და ოსმალეთის არმიებმა შთამბეჭდავ წარმატებებსაც მიაღწიეს სხვადასხვა ფრონტზე. საშინაო საქმეებში ეპკ-მა წამოიწყო პროგრამების განხორციელება, რომლებსაც არამხოლოდ მყისეული შედეგი, არამედ მნიშვნელოვანი ხანგრძლივვადიანი ეფექტი ჰქონდა მომავალი თურქული რესპუბლიკის განვითარებისათვის.

ეპკ შეეცადა მოესპო იმპერიის ეკონომიკური დამოკიდებულება უცხოელებზე. ომის დროის ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკა ნაწილობრივ აუცილებლობასაც წარმოადგენდა, რამდენადაც იმპერიის ვაჭრობისა და ინვესტიციების დიდი ნაწილი ანტანტის სახელმწიფოთა ხელში იყო, რომლებიც ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამგვარად, **1914 წელს ეპკ-მა გააუქმა კაპიტულა-**ციების რეჟიმი, შემოიღო პროტექციონისტული ტარიფები და გაატარა ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც უცხოური კომპანიები ოსმალეთის იურისდიქციის ქვეშ მოექცა და მათ ოსმალური გადასახადების გადახდაც დაეკისრათ. ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვიდან გამომდინარე, შემდგომ ეპკ-ის მთავრობამ სახელმწიფო კონტრაქტები გაუფორმა თურქ მუსლიმ მეწარმეებს, რომელთაგან ზოგიერთმა უზარმაზარი სარგებელი ნახა ვაჭრობისა და საქონლის ტრანსპორტირებისაგან ომის დროს. თავისთავად, ამგვარ პოლიტიკას ცარიელ ადგილზე არ შეუქმნია თურქული ბურჟუაზია, მაგრამ ხელი შეუწყო უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნას მუსლიმი საქმოსნებისათვის, ევროპელებსა და მათ ადგილობრივ ქრისტიან მოკავშირეებს კი მოქმედების საშუალებები შეუმცირა.

ომმა ასევე დააჩქარა ოსმალური სოციალური წყობის ტრანსფორმაცია. რამდენადაც დიდი რაოდენობით მამაკაცების მობილიზაცია ხდებოდა, სულ უფრო მეტი ქალი იწყებდა სამოქალაქო სამსახურს და ეუფლებოდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პროფესიებს. ეპკ-მა შეცვლილ პირობებს უპასუხა ახალი საოჯახო სამართლის მიღებით 1917 წელს. ამ კანონით შარიათის სასამართლოები იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარებოდა და ამდენად, სეკულარულ სახელმწიფო უწყებას აძლევდა საოჯახო და კერძო სამართლის კონტროლის საშუალებას. ეს კი იურისდიქციის უკანასკნელი მნიშვნელოვანი სფერო იყო, რომელიც რელიგიურ პირებს შერჩენოდათ. სასამართლო სისტემის რელიგიურის ნაცვლად საერო ხელისუფლებაზე დაქვემდებარება ახალ კანონმდებლობაში გამოიხატა ქალისათვის მინიჭებული უფლებით გამხდარიყო განქორწინების ინიციატორი და ის ასევე უზღუდავდა ნიადაგს პოლიგამიის პრაქტიკას.

ომის შედეგი გახდა ოსმალეთის იმპერიის დაშლა და მისი არაბული პროვინციების ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ ოკუპაცია. ამასთან, ოსმალეთის მარცხს მოჰყვა ანატოლიაში ახალი თურქული რესპუბლიკის წარმოქმნა. ახალი რესპუბლიკის გადარჩენა კი დიდწილად ომში ოსმალეთის ძალისხმევის შედეგი იყო, რომელმაც არამარტო გაზარდა კარგად გაწვრთნილი და განსწავლული ჯარისკაცების, ოფიცრებისა და სამოქალაქო მოხელეების რიცხვი, არამედ შექმნა ისეთი ატმოსფერო, რომელშიც საზოგადოება მიეჩვია სოციალურ ძვრებს და ამდენად, მომზადებული აღმოჩნდა 20-იან წლებში დაწყებული სიღრმისეული რეფორმებისათვის.

აღმოსავლეთის ფრონტი. ბრძოლები კავკასიაში

ოსმალეთის არმიები ომის დროს გაცილებით უკეთ მოქმედებდნენ, ვიდრე ამას მისი მოწინააღმდეგეები ელოდნენ. 1912-13 წლების ბალკანური ომების მწარე გამოცდილებამ ეპკ აიძულა ეზრუნა შეიარაღებულ ძალებში მდგომარეობის გამოსწორებაზე. 1914 წლის დასაწყისში სტამბულში ჩავიდა მრავალრიცხოვანი გერმანული სამხედრო მისია გენერალ ლიმან ფონ სანდერსის ხელმძღვანელობით. ეპკ-მა მისიას განსაკუთრებული უფლებები მიანიჭა და ამ უკანასკნელის ძალისხმევამ, რომელსაც ერთვოდა ხელისუფლების მტკიცე ნება გაეტარებინა შორსმიმავალი სამხედრო რეფორმები, შთამბეჭდავი შედეგები გამოიღო ომის დასაწყისში. ფონ სანდერსი და სხვა გერმანელი ოფიცრები დროდადრო ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ოპერაციებს, მაგრამ საერთო ჯამში, საომარი მოქმედებების წარმართვა ოსმალების პრეროგატივად დარჩა.

თურქეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გახდა ენვერ ფაშა, რომელმაც ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე თავი გამოაცხადა „ვიცე-გენერალისიმუსად." თეორიულად, ამგვარად ის დადგა სულტნის შემდეგ მეორე ადგილზე; პრაქტიკულად კი ეს ისეთი მეორე ადგილი იყო, რომლის ზემოთ არავინ იდგა (Fromkin, 2001: 119).

საზღვრების ურთიერთდაშორებისა და სიგრძის გამო, იმპერია დაუცველი იყო სხვადასხვა მხრიდან. ამ პრობლემის გადასაწყვეტად კი საჭირო გახდა ჯარების ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე განთავსება, რაც უდიდეს პრობლემებს უქმნიდა ოსმალეთის სახელმწიფოს მესვეურთ.

აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში ოსმალურ და რუსულ არმიებს შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა თითქმის სამი წლის მანძილზე. საომარი ზონა დაახლ. 1500 კილომეტრზე იყო გადაჭიმული შავი ზღვიდან ვანის ტბამდე. აღმოსავლური კამპანია დაიწყო საკმაოდ გაუთვლელი შეტევით, რომელსაც სათავეში თავად ენვერ ფაშა ედგა 1914-15 წლების ზამთარში. თუმცა, 1914 წლის დეკემბერში აღმოსავლეთ ანატოლიაში შეტევის დროს ოსმალებმა დაიკავეს იმ ტერიტორიების ნაწილი, რომლებიც 1878 წელს დაკარგეს. მათ რუსები დროებით განდევნეს ირანის აზერბაიჯანის ქალაქ თავრიზიდანაც, სადაც ეს უკანასკნელნი, მიუხედავად ირანის მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტისა, თავისუფლად მოქმედებდნენ.

კავკასიაში ოსმალების წინსვლის შემთხვევაში, რუსები იძულებული გახდებოდნენ შეეჩერებინათ ჯარების შეტევა პოლონეთსა და გალიციაში, რაც უპირველესად გერმანიის ინტერესებში შედიოდა. ამ მიზეზით გერმანელები ოსმალეთის მესამე არმიას უხვად ამარაგებდნენ აღჭურვილობით. რუსები თავდაპირველად მეტად შეაშფოთა ენვერის შეტევამ და მათ ინგლისელებსაც კი მიმართეს დახმარებისათვის.

ენვერის გეგმაში შედიოდა მოულოდნელი და კოორდინირებული თავდასხმის განხორციელება სარიყამიშის[3] რუსულ ბაზაზე, რომელიც შეტევის გზის ბლოკირების ახდენდა. სარიყამიშის აღებას თურქული არმიის კავკასიის კამპანიის გეგმებში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა, ვინაიდან აქედან იხსნებოდა გზა ყარსისა და ბათუმის დასაუფლებლად. ენვერ ფაშა ასევე ფიქრობდა თბილისისკენ წინსვლას. სტამბულში მთავრობა ვარაუდობდა, რომ ოსმალური ჯარების წარმატება გამოიწვევდა კავკასიის მუსლიმთა ამბოხებას რუსეთის წინააღმდეგ. შეტევის საბოლოო სამიზნეს კი ბაქო, იმ დროს ნავთობის მოპოვების უდიდესი ცენტრი, წარმოადგენდა. მაგრამ ამ გეგმების განხორციელებისათვის აუცილებელი პირველივე შეტევა არაკოორდინირებულად წარიმართა, თურქულმა კორპუსებმა დაკარგეს ერთმანეთთან კავშირი. ოსმალური ძალები სარიყამიშთან სხვადასხვა დროს მივიდნენ და ცალ-ცალკე იქნენ განადგურებული.

სარიყამიშთან ბრძოლები 22 დეკემბრიდან 17 იანვრამდე მიმდინარეობდა და მასში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქართველმა ოფიცრებმა, მათ შორის დიმიტრი გედევანიშვილმა და ლეგენდარულმა კაპიტანმა ტარასი ვაშაკიძემ, რომელსაც თურქებმა „შაითან კაპიტანი" შეარქვეს. სარიყამიშის ბრძოლაში კავალერიის ესკადრონს მეთაურობდა გენერალი გაბაშვილი. ბრძოლებში ასევე თავი ისახელა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილმა, რომელიც მძიმედ დაიჭრა. ის სიმამაცისათვის ოქროს დაშნით დააჯილდოვეს.

სარიყამიშის ოპერაციის დროს ოსმალებმა დაკარგეს 70 ათასი ჯარისკაცი, მათ შორის 30 ათასი გაიყინა. რუსეთის არმიამ კი ამ ბრძოლებში დაკარგა 20 ათასი მებრძოლი (სვანიძე, 2007: 355).

3 ყარსის სიახლოვეს მდებარე სარიყამიში იმ დროს რუსეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა. ამჟამად ეს საკურორტო ქალაქი თურქეთს ეკუთვნის.

სხვა მონაცემებით, ამ შეტევაში მონაწილე 100 ათასი თურქი ჯარისკაციდან, ალბათ 86% დაიღუპა (Fromkin, 2001: 121). [4]

არმიის ნარჩენებმა 1915 წლის იანვარში აღმოსავლეთ ანატოლიაში დაიხიეს უკან. გერმანელი ოფიცერი, რომელიც ოსმალეთის გენერალურ შტაბში მსახურობდა, ოსმალეთის მესამე არმიის მარცხს ამგვარად აღწერს: „მის განადგურებას, სისწრაფისა და სისრულის თვალსაზრისით, ანალოგი არ აქვს სამხედრო ისტორიაში“ (Emin, 1930: 88).

მიუხედავად ენვერ ფაშას მცირე წარმატებებისა, იმდენად არარაციონალური დიდი დანაკარგები მოჰყვა მის მიერ წარმართულ კამპანიას, რომ 1915 წლის გაზაფხულისათვის არმიის ნარჩენებს აღარ ძალუძდათ წინააღმდეგობა გაეწიათ რუსული კონტრშეტევისათვის.

მას შემდეგ, რაც რუსებმა ოსმალეთის აღმოსავლეთის არმია განდევნეს უკან, ერზრუმამდე, ენვერი სტამბულში გაბრუნდა. ის კვლავაც სათავეში ედგა სამხედრო უწყებას, მაგრამ უშუალოდ აღარ-ასოდეს ჩართულა სამხედრო ოპერაციებში.

კონტრშეტევაზე გადასულმა რუსეთის ჯარებმა 1915 წლის დასაწყისში დაიკავეს ხოფა და არ-ტანუჯი, 1916 წელს კი მათ ხელში იყო უკვე ერზურუმიც, ერზინჯანი და ტრაბზონის მნიშვნელოვა-ნი პორტი.

ენვერი, როგორც მხედართმთავარი, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ის ფანტასტიკურ გეგმებს აწყობდა და ლიმან ფონ სანდერსს ისიც განუცხადა, რომ რუსები განადგურების შემდეგ გაილაშქრებ-და ინდოეთის დასაპყრობად ავღანეთის გზით. ენვერი ირწმუნებოდა, რომ ომი ხანმოკლე იქნებოდა და მისი ბედი გადაწყდებოდა რამდენიმე ელვისებური კამპანიის საშუალებით. მას არ გააჩნდა არა-ნაირი გეგმა არც ძალების გამოცლისაკენ მიმართული ომისა და არც იმისა, თუ რა შეეძლო გამოეწ-ვია ამგვარ ომს. მას აკლდა ორგანიზაციული ნიჭი, ლოგისტიკის უზრუნველყოფის უნარი და ადმი-ნისტრირებისათვის საჭირო მოთმინება. როგორც სამხედრო მინისტრი, ის გარდაუვლად მიაქანებდა თავის ქვეყანას ქაოსისაკენ.

აღმოსავლეთ ანატოლიაში თურქული არმია იმდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ არა რუსეთის დაკავება ევროპაში 1915-1917 წლებში, მას სრული განადგურება ელოდა (Ochsenwald & Fischer, 2004: 373).

ოსმალური ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ 1917 წლის ბოლ-შევიკურ რევოლუციამდე. რუსული ჯარები, რომლებიც აღმოსავლეთ ანატოლიაში გამაგრდნენ 1916 წელს, მზად იყვნენ წამოეწყოთ შეტევა კონსტანტინოპოლზე 1917 წელს.[5] მაგრამ პეტროგრადში რე-ვოლუციების დრო დადგა, რუსულმა ჯარებმა ირწმუნეს, რომ ომი დამთავრდა და შეტევაზე გადასვ-ლის ყოველგვარ ფიქრს აზრი დაეკარგა.

სომხური საკითხი

ამ ბრძოლებისა და არეულებების დროს ოსმალეთის ქვეშევრდომთა უმრავლესობა, განურჩევლად მათი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, იმპერიისადმი ლოიალური რჩებოდა. მაგრამ არსე-ბობდა ორი გამონაკლისი – სომხები ანატოლიაში და არაბები ჰიჯაზში. თუმცა, მათი უმრავლესობაც არ გამოირჩეოდა ანტიოსმალური განწყობით. ამასთან ერთად კი, ორივე ჯგუფის ნაციონალისტ ლი-დერთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც ომს მიიჩნევდა ოსმალეთის ბატონობისაგან თავის დაღწევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების საუკეთესო საშუალებად.

ნათელი იყო, რომ ამის განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ იმ ევროპული სახელმწიფოების დახმარებით, ვინც იმ დროს ოსმალეთის სულტნის მტრებად იყვნენ ქცეული. ოსმალეთის სომხებისათ-ვის ამგვარი სახელმწიფო, გასაგები მიზეზების გამო (გეოგრაფიული სიახლოვე, მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობა და ა.შ.), რუსეთის იმპერია იყო. სომხებს არ ჰქონდათ არანაირი მიზეზი, რომ ოსმალეთი ემჯობინებათ რუსეთისათვის. მათ მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა თურქების მიერ სომხების მასობრივი გაწყვეტა 1894, 1895, 1896 და 1909 წლებში. დამატებით, ენვერმა სომხებით და-

4 დანაკარგების რაოდენობაზე განსხვავებული შეფასებები არსებობს. მაგ., ოფიციალური თურქული მონაცე-მებით, ბრძოლის ველზე დაიღუპა 32 ათასი ჯარისკაცი, 15 ათასი ეპიდემიების მსხვერპლი გახდა, 7 ათა-სი ტყვედ ჩავარდა, 10 ათასი კი დაიჭრა (იხ. Erickson, 2000: 60).

5 ბოლშევიკურ რევოლუციამდე ოდნავ ადრე, 1917 წლის 2 ოქტომბერს, კავკასიის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე. მან სცადა ჯარებში მდგომარეობის გამოსწორება, მაგ-რამ არსებულ ვითარებაში ეს შეუძლებელი იყო.

სახლებულ რეგიონებში გააგზავნა მათი მტრების – ქურთებისაგან შემდგარი ოსმალეთის საჯარისო ნაწილები (Fromkin, 2001: 211). **1914 წელს რუსებმა შექმნეს ოთხი საკმაოდ მრავალრიცხოვანი სომხური** სამხედრო შენაერთი, 1915 წელს კი დამატებით კიდევ სამი. ისინი შეიქმნა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი სომხებისაგან, მაგრამ მათში გაერთიანდა ოსმალეთის სომეხთა ნაწილიც.[6] მათ შორის ზოგიერთი ოსმალეთის არმიის დეზერტირი იყო, ზოგიც კი ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწე. ერთ-ერთი ასეთი შენაერთის ხელმძღვანელი იყო ოსმალეთის პარლამენტის ყოფილი სომეხი წევრი. სომხური პარტიზანული რაზმები აქტიურად მოქმედებდნენ იმპერიის სხვადასხვა ადგილებში და ბევრგან სომხურმა მოსახლეობამ შეიარაღებული აჯანყებაც წამოიწყო, კერძოდ აღმ. ანატოლიის ქალაქ ვანსა და კილიკიის ქალაქ ზეითუნში. სომხებისათვის მეტად მომხიბლავი გახდა ანატოლიაში სომხური სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომლის ცენტრიც ქალაქი ვანი იქნებოდა.

1915 წლის გაზაფხულზე, როდესაც სომეხმა ამბოხებულებმა კონტროლი დაამყარეს ქალაქ ვანზე, ბრიტანელები დარდანელის სრუტეს უტევდნენ, რუსები აღმოსავლეთიდან ცდილობდნენ შემოჭრას და კიდევ ერთი ბრიტანული არმია ბაღდადისაკენ მიემართებოდა, ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა ანატოლიის სომხური მოსახლეობის დეპორტაცია და ახალ ადგილზე დასახლება. ეპკ-ის გავლენიანმა ფრაქციამ ანატოლიის სომხური სოფლების მოსახლეობა ოსმალეთის ჯარების ზურგში ჩასაფრებულ მტრად ჩათვალა და დაიწყო სომხების წინააღმდეგ კოლექტიური რეპრესიები. ბრძანება სომხური მოსახლეობის დეპორტაციის შესახებ გამოიცა **1915 წლის 27 აპრილს. რეჟიმი დაადგა სომხური მოსახლეობის** აღმოსავლეთ და სამხრეთ ანატოლიიდან ძალადობრივად გასახლების სისტემატური პოლიტიკას. ასობით ათასი სომეხი აყარეს საცხოვრებელი ადგილებიდან და გარეკეს სამხრეთისაკენ, სირიის უდაბნოსაკენ. ეს სიკვდილის გზა გახდა. აურაცხელი რაოდენობით სომეხი დაიღუპა შიმშილისა და ავადმყოფობისაგან დეპორტაციის გზებზე. ბევრი მათგანი კი თურქთა, ქურთთა პოლიციისა თუ შეიარაღებული ბანდების მსხვერპლი გახდა. ასევე დასტურდება, რომ მრავალი მათგანი ჯერ კიდევ ანატოლიის დატოვებამდე დახოცეს. გადარჩენილებმა თავშესაფარი ლიბანში იპოვეს, სადაც თანდათანობით ბეირუთში დამკვიდრდნენ, თუმცა აქ მათ დიდი ენთუზიაზმით არ დახვედრიან. რეპრესიებს ვერ გადაურჩნენ სტამბულელი სომხებიც. **1915 წლის აპრილში დედაქალაქის 200 ყველაზე გამოჩენილი სომეხი** დააპატიმრეს და გააძევეს ქალაქიდან, ზოგიერთი წყაროს მიხედვით კი, მოგვიანებით მოკლეს.[7]

> დღევანდელ ვითარებაში მთელი მსოფლიოს სომხები ბრალს დებენ ოსმალებს გენოციდში, თურქეთის ხელისუფლება კი პასუხობს, რომ მათი შეფასებები გადაჭარბებულია. მაგალითისთვის, თანამედროვე თურქული სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციით, „მეფის რუსეთის წაქეზებით და მხარდაჭერით, სომეხ მეამბოხეებს სურდათ სომხური სახელმწიფოს შექმნა იმ რეგიონში, რომლის მოსახლეობის უმრავლესობასაც თურქები შეადგენდნენ... სომხურმა ძალებმა დახოცეს ქალაქ ვანის მუსლიმური მოსახლეობა და თურქულ არმიას ზურგიდან მოღალატურად ესხმოდნენ თავს“ (Elekdag, 1983: 22).
>
> სომხური პოზიცია, ბუნებრივია განსხვავებულია: „ევროპული სახელმწიფოების ეპიზოდური ინტერვენციის მიუხედავად, ღრმა ისტორიული ფესვების მქონე და შექმნილ ვითარებაში კიდევ უფრო გამძაფრებული თურქულ-სომხური კონფლიქტი, გახდა წყარო ოსმალეთის მმართველებისა და ელიტის გაავების და ფრუსტრაციისა, რომელთაც ქსენოფობიური ნაციონალიზმი ამოძრავებდათ. მონოლითურმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელმაც მოსპო ყველა სახის ოპოზიცია და ტოტალური კონტროლი დაამყარა ოსმალეთის სახელმწიფო აპარატზე, გამოიყენა I მსოფლიო ომის მიერ შექმნილი შესაძლებლობები. მან განდევნა საკუთარი იმპერიის ტერიტორიიდან და ამოხოცა სომხური მოსახლეობა. სტანდარტული დეფინიციით, ეს გენოციდის აქტი იყო“ (Dadrian, 2002).

ნებისმიერი შემთხვევაში, ხაზგასასმელია, რომ მოვლენა, რომლის დროსაც სავარაუდოდ მილიონი[8] სამოქალაქო პირი იღუპება, შემზარავია – იქნება ის წინასწარ დაგეგმილი თუ შინა უსაფრთხოებისათვის გატარებული ზომების გაუთვალისწინებელი შედეგი. ციფრებზე დავა შესაძლებელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თურქეთის სომხეთი განადგურდა და მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწყდა

---

6 სომხურმა შენაერთებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სარიყამიშის ბრძოლაში. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ეს გახდა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი სომეხთა დეპორტაციის და მასობრივი რეპრესიების შესახებ ოსმალეთის მესვეურთა გადაწყვეტილებისა.

7 სომხების მასობრივი განადგურებისა და დეპორტაციის შემდეგ, რუსეთის ოფიციალური პირები სერიოზულად განიხილავდნენ გეგმას „სომხეთი სომხების გარეშე,“ რომლის მიხედვითაც მოსახლეობისაგან დაცლილ რეგიონებში რუსები უნდა ჩაესახლებინათ (Suni, 1994: 180).

8 სხვადასხვა მონაცემებით, მსხვერპლთა რიცხვი მერყეობს 600 ათასიდან 1,5 მილიონამდე.

(არაოფიციალური შეფასებებით, ომის დაწყების წინ ანატოლიაში, ძირითადად მის აღმოსავლეთ ნაწილში, 1,5 მლნ. სომეხი ცხოვრობდა).

გალიპოლის ოპერაცია და ბრძოლები ერაყში

აღმოსავლეთის ფრონტზე რუსეთის კონტრშეტევის პირობებში, მოკავშირეებმა ორი ახალი ფრონტი გახსნეს ოსმალეთის წინააღმდეგ. პირველის სამიზნე სტამბული იყო, ხოლო მეორის – მესოპოტამია.[9] ომის ამ პირველ ეტაპზე ოსმალებმა ორივე შეტევა მოიგერიეს. მესოპოტამიაში **1914 წლის 22 ნოემ**ბერს ბრიტანულმა ძალებმა დაიკავეს იმ დროს ოსმალეთის პორტი ბასრა. ბრიტანელების უშუალო მიზანს შეადგენდა ირანის ნავთობსარეწის დაცვა, მაგრამ ამ პირველმა წარმატებებმა მათი მადა გაზარდა და გეგმებიც უფრო ამბიციური გახდა. 1915 წლის მანძილზე ბრიტანელებმა არაერთი პუნქტი დაიკავეს ტიგროსსა და ევფრატზე და დაიწყეს ჩრდილოეთით ბაღდადისაკენ წინსვლა.

იმავდროულად კი ოსმალეთი უფრო სახიფათო შეტევის წინაშე აღმოჩნდა, რომლის სამიზნეც უკვე სატახტო ქალაქი იყო. ბრიტანეთის სამხედრო მინისტრის ლორდ კიტჩენერის (ეგვიპტესა და სუდანში ბრიტანეთის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი) რჩევით, მოკავშირეებმა გადაწყვიტეს შეიარაღებული ძალების გაგზავნა სრუტეების დასაუფლებლად და სტამბულის ასაღებად. ამ გზით ისინი იმედოვნებდნენ, რომ ოსმალეთისათვის ომი დასრულდებოდა და გზა გაიხსნებოდა რუსეთისაკენ მისთვის აღჭურვილობისა და საქონლის მისაწოდებლად. თებერვალსა და მარტში ბრიტანული და ფრანგული საზღვაო ძალების წარუმატებელი შეტევების შემდეგ (მოკავშირეთა სამხედრო ესკადრონს ოსმალეთის საანაპირო არტილერიამ დარდანელის დაუფლების საშუალება არ მისცა), **1915 წლის აპრილში, მოკავ**შირეთა ჯარებმა დაიწყეს ოპერაცია გალიპოლის ნახევარკუნძულზე. მათ ნახევარკუნძულზე გადმოსხეს 200 ათას კაციანი საექსპედიციო კორპუსი. ბრიტანელებმა ასევე დაიკავეს კუნძული ლემნოსი და იქ სამხედრო ბაზა შექმნეს.

მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმა კ. ლემნოსზე

9 მესოპოტამიად მოიხსენიებდნენ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც მოიცავდა სირიას და ოსმალეთის იმპერიის ბასრის, ბაღდადის და მოსულის ვილაიეთებს – სპარსეთის ყურიდან რუსეთის იმპერიის კავკასიის საზღვრამდე.

თავდამსხმელებს დაუპირისპირდათ გამანადგურებელი ცეცხლი და ოსმალთა მედგარი წინააღმდეგობა, რომელთაც სათავეში მუსტაფა ქემალი და რამდენიმე გერმანელი ოფიცერი ედგა გენერალ ლიმან ფონ სანდერსის საერთო ხელმძღვანელობით. მთავარი დარტყმა ნახევარკუნძულის ცენტრისკენ იყო მიმართული და მის სამიზნეს წარმოადგენდა ჩონუქ-ბაირის ქედი, საკვანძო პოზიცია, რომელიც მთელ ზონას აკონტროლებდა. ამ მაღლობებს თურქთა შეუდარებლად მცირე რაოდენობა იცავდა. თურქების რაზმმა, პოლკოვნიკ მუსტაფა ქემალის მეთაურობით, შეძლო მტრის უკუგდება. ამ გამარჯვების წყალობით ქემალი ჯერ არმიის კორპუსის მეთაური, ხოლო შემდეგ ფაშა (გენერალი) გახდა. ეს იყო ბრწყინვალე კარიერის დასაწყისი, რამაც ის სულ მალე ხელისუფლების სათავეში მოიყვანა.[10]

> გალიპოლის კამპანიას მოკავშირეები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. იმ პერიოდში ბრიტანეთის საზღვაო მინისტრი (საადმირალოს პირველი ლორდი) უინსტონ ჩერჩილი წერდა: „ეს არის ერთ-ერთი უდიდესი კამპანია ისტორიაში. იფიქრეთ, თუ რა არის აღმოსავლეთისათვის კონსტანტინოპოლი. ის უფრო მეტია, ვიდრე ლონდონი, პარიზი და ბერლინი ერთად აღებული დასავლეთისათვის. იფიქრეთ, თუ როგორ დომინირებს ის აღმოსავლეთზე. იფიქრეთ, თუ რას უნდა ნიშნავდეს მისი დაცემა." (ციტ. Roskill, 1970: 488).

გალიპოლის ოპერაციაში ორივე მხარემ უზარმაზარი დანაკარგები განიცადა. მოკავშირეთა ჯარების რაოდენობამ, საბოლოო ჯამში, ნახევარ მილიონს მიაღწია (ბრიტანელებს, ფრანგებს, ავსტრალიელებსა და ახალზელანდიელებს აგვისტოში იტალიელებიც შეუერთდნენ). მათ თითქმის მოახერხეს თურქების წინააღმდეგობის გატეხვა. მაგრამ რუსეთისაგან სავარაუდო დახმარების არმიღებამ, გერმანელთა და ოსმალთა გამჭრიახმა ტაქტიკამ და სადაზვერვო მუშაობის არასათანადოდ წარმართვამ თავდაპირველად შემტევი ძალების პატურ მდგომარეობაში აღმოჩენა, ხოლო შემდეგ სრუტეებიდან უკანდახევა და ამ ოპერაციის საბოლოო მარცხი გამოიწვია 1916 წლის იანვარში.

წარწერა გალიპოლის ნ.-კ.-ზე ავსტრალიელი და ახალზელანდიელი ჯარისკაცების საძმო სასაფლაოს მემორიალურ დაფაზე:

„გმირებს, რომლებმაც დაღვარეთ სისხლი და გაწირეთ სიცოცხლე... დღეს თქვენ განისვენებთ მეგობარი ქვეყნის მიწაში და ამდენად, მშვიდად განისვენეთ. ჩვენთვის არ არსებობს განსხვავება ჯონებსა და მეჰმეტებს შორის. ისინი გვერდიგვერდ წვანან აქ, ჩვენი ქვეყნის მიწაში... თქვენ, დედებო,

10 იმდენად დიდი იყო დარდანელის ოპერაციაში თურქების წარმატების რეზონანსი, რომ ზოგიერთი ავტორი ამ ფაქტს უკავშირებს ბრიტანეთში პრემიერ ესქვითის მთავრობის გადადგომას, ხოლო რუსეთში ნიკოლოზ II-ის ტახტიდან ჩამოგდებას (Fromkin, 2001: 231).

ვინც გამოაგზავნეთ თქვენი ვაჟები შორეული ქვეყნებიდან, მოიწმინდეთ ცრემლი. ამ ქვეყანაში დაღუპვის შემდეგ ისინი ჩვენი შვილებიც გახდნენ."

ათათურქი

იმპერიის მეორე საზღვარზე, სპარსეთის ყურეში, ბრიტანეთის სამხედრო სტრატეგიას ორი მთავარი საკითხი განსაზღვრავდა: პირველი იყო მუდმივი ზრუნვა ჩაეკეტა ნებისმიერი გზა ინდოეთისაკენ, მეორე კი – დაეცვა ირანის ნავთობსაბადოები. პირველი მათგანი ბრიტანული პოლიტიკის ქვაკუთხედს შეადგენდა, მეორემ კი განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბრიტანული ფლოტის ქვანახშირიდან ნავთობის საწვავზე გადასვლის შემდეგ 1912 წელს.[11]

ჯერ კიდევ ოსმალეთ-რუსეთს შორის საომარი მოქმედებების დაწყებამდე, 1914 წლის მიწურულს, ბრიტანულმა ინდოეთის არმიამ დაიკავა საპორტო ქალაქი ბასრა და დაიწყო წინსვლა ბაღდადისაკენ. მაგრამ ბრიტანელებმა ვერ გაითვალისწინეს ოსმალური არმიის მაღალი ბრძოლისუნარიანობა და 1915 წელს ოსმალურმა კონტრშეტევამ აიძულა ისინი უკან დაეხიათ და გამაგრებულიყვნენ სოფელ კუტ ალ-ამარასთან (კუტთან). მალე ოსმალებმა კუტ ალ-ამარას შეუტიეს. ხანგრძლივი ალყის შემდეგ, ბრიტანელები იძულებული გახდნენ ოსმალებს დანებებოდნენ და მათ აქ მოუხდათ დამამცირებელი მარცხის აღიარება.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 1915-1916 წლების მიჯნაზე მოვლენები უფრო ოსმალთა სასიკეთოდ წარიმართა. რუსებმა წარმატებული შეტევა ანატოლიაში დროებით შეაჩერეს. ბრიტანელები დამარცხდნენ და მათი ჯარები ტყვედ ჩავარდნენ ერაყში, სულტნის ჯარებმა კი კიდევ ერთი შეტევა წამოიწყეს სუეცის არხზე. 1916 წლის დასაწყისში, მძიმე ბრძოლებისა და უზომო დანაკარგების შემდეგ, მოკავშირეებმა დატოვეს გალიპოლი და, ამდენად, უარი თქვეს სრუტეების ხელში ჩაგდების მცდელობაზე, მაგრამ ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში, მოკავშირეთა ძალა ბევრად აღემატებოდა ოსმალებისას.

რუსეთის 1917 წლის რევოლუციების შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტზე ოსმალეთს ამოსუნთქვის შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ სამხრეთიდან ბრიტანეთის წინსვლის შეკავება უკვე შეუძლებელი ხდებოდა. მესოპოტამიის ფრონტი იმდენად მნიშვნელოვანი იყო ბრიტანეთისათვის, რომ 1917 წლის მარტში აქ ახალი საექსპედიციო კორპუსი გაიგზავნა და ბრიტანეთმა შესძლო სამხრეთ ერაყში პოზიციების აღდგენა. ბრიტანულმა ჯარებმა ჯერ კუტ ალ-ამარა დაიკავეს, ხოლო შემდეგ ბაღდადშიც შევიდნენ. თუმცა, 1918 წელს, ზავის დადების დროისათვის, ბრიტანელებს ჯერ კიდევ არ მიეღწიათ ჩრდილოეთით მოსულამდე.

ქიშპი სპარსეთისათვის

ომის დროს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა სპარსეთს. თუმცა, დაპირისპირებული მხარეები აქაც აქტიურობდნენ. ახლო აღმოსავლეთში ომის გაჩაღების დროისათვის ირანში დაგროვილი იყო აურაცხელი ფინანსური და ეკონომიკური პრობლემები, რასაც თან ერთვოდა ქიშპი ბრიტანეთსა და რუსეთს შორის. სპარსეთის ახალი სუვერენი, აჰმად შაჰი მონარქად ეკურთხა 1914 წლის 21 ივლისს, 10 დღის შემდეგ კი ევროპაში ომი გაჩაღდა. ნოემბერში შაჰმა ირანის სრული ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. მაგრამ ნეიტრალიტეტი ნიშნავს უნარს დაიცვა საკუთარი სახელმწიფო უცხოური ჯარების შემოჭრისა და მათ მიერ ქვეყნის ოკუპირებისაგან, რისი ძალაც ირანის ხელისუფლებას არ ჰქონდა. „აჰმად შაჰი (1898-1930) ირანული სახელმწიფოს დეკადანსის სიმბოლო გახდა" (Richard, 2006: 142). როდესაც ოსმალები ნოემბერში ომში ჩაებნენ, მათი მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ მათ სურდათ პატივი ეცათ ირანის ნეიტრალიტეტისათვის, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, სანამ რუსული ჯარები რჩებოდნენ მეზობელ ირანის აზერბაიჯანში. როდესაც ირანმა რუსეთს ჯარების გაყვანის თხოვნით მიმართა, პასუხად მიიღო: რუსეთი მოითხოვდა ოსმალებისაგან გარანტიებს, რომ ისინი შეტევას არ წამოიწყებდნენ. ასეთი გარანტიები არ ყოფილა გაცემული. ოსმალეთიდან ქურთები შეიჭრნენ ქვეყანაში და რუსეთმა კიდევ უფრო მეტი ცოცხალი ძალა გადაისროლა ჩრდილოეთ ირანში. ამ ვითარებაში, 1915 წლის 4 იანვარს მუშაობა დაიწყო მესამე მეჯლისმა, მაგრამ უკვე დიდი ხანია, რაც ირანი ვეღარ აკონტროლებდა საკუთარ საშინაო საქმეებს.

11 სპარსეთის ნავთობისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მინიჭებისა და აქ ნავთობის მოპოვების გაზრდის მიუხედავად, ომის მანძილზე ბრიტანეთისათვის ნავთობპროდუქტების მთავარ მიმწოდებლად აშშ რჩებოდა.

1911 წლის შემდეგ, ირანელ ნაციონალისტებს ჩამოუყალიბდათ შეხედულება, რომ მხოლოდ გერმანიის მხარდაჭერით შეიძლებოდა გადარჩენოდა ირანი რუსეთსა და ინგლისს შორის გაყოფას. თუმცა, ამგვარი განწყობა სულაც არ ნიშნავდა, რომ ირანი ომში უპირობოდ დადგებოდა გერმანიის მხარეს.1915 წელს გერმანელებმა პრაქტიკულად აიძულეს სპარსეთის პრემიერ-მინისტრი ხელი მოეწერა ალიანსის შესახებ საიდუმლო ხელშეკრულებისათვის. გერმანიის ელჩმა ასევე მოახერხა ქვეყანაში შემოეყვანა შვედეთის ჟანდარმერიის კარგად მომზადებული და შეიარაღებული 7 ათას კაციანი რაზმი. მისი საიდუმლო აგენტები კი აქტიურად მუშაობდნენ მხარდაჭერის მოსაპოვებლად ტომებში, რომლებიც სპარსეთის მოსახლეობის 20%-ს შეადგენდნენ. თანამშრომლობის სანაცვლოდ, კაიზერის გერმანიამ ირანის მთავრობას აღუთქვა იარაღის, სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება და ფინანსური დახმარება.

მოკავშირეებმა ჩათვალეს, რომ სიტუაცია უმძიმესი იყო და სასწრაფოდ ითხოვდა ჩარევას. ბრიტანეთი და რუსეთი ენერგიულად ამოქმედდნენ ირანის შესანარჩუნებლად. რუსებმა, სპარსეთის 8 ათასიანი კაზაკთა კორპუსის დახმარებით, დაიკავეს ქვეყნის ჩრდილოეთი თეირანის ჩათვლით, სადაც ყოველგვარ ძალაუფლებას მოკლებული ახალგაზრდა შაჰი იმყოფებოდა. პროგერმანელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა თავდაპირველად წმინდა ქალაქ ყუმში, ხოლო შემდეგ ქერმანშაჰში, ოსმალეთის საზღვრის სიახლოვეს, გაიქცა, სადაც ოსმალეთის ჯარების მხარდაჭერილი გერმანიის მარიონეტი მთავრობა შეიქმნა (არსებობდა 1916 წლის ბოლომდე).

აჰმად შაჰი თავის კაბინეტთან ერთად დედაქალაქში დარჩა და წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, ირანი ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს. ამასთან, შაჰი ბრიტანეთისაგან იღებდა სუბსიდიებს და ნებისმიერ მათ მოთხოვნას ასრულებდა. გერმანიის კონსული კი ინგლისელების წინააღმდეგ აქეზებდა სამხრეთში ყაშყაელთა და ბახთიართა ტომებს და საფრთხეს უქმნიდა ბრიტანეთის მიერ აქ ნავთობის მოპოვებას. ამ საფრთხეების მოსასპობად და ნავთობსაბადოების დასაცავად, ბრიტანეთმა სამხრეთში გაგზავნა ბრიგადის გენერალი სერ პერსი საიქსი სამხედრო ძალის ორგანიზებისათვის. გერმანელი აგენტებისაგან ყველაზე წარმატებულმა, ვილჰელმ ვასმუსმა[12] მოახერხა მძლავრი ტომობრივი აჯანყებისათვის სულის ჩაბერვა, რომელიც საიქსმა უდიდესი ძალისხმევის შედეგად ჩაახშო. ამ უკანასკნელმა 1916 წელს ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნა 11 ათასიანი ჯარი, რომელსაც ინგლისელი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. 1917 წელს, რუსი კაზაკების ხელშეწყობით ჩრდილოეთიდან, ბრიტანელებმა დაიკავეს ქერმანშაჰი, ისფაჰანი და შირაზი. საიქსი პრაქტიკულად სამხრეთ ირანის გამგებელი გახდა. თავისი მთავრობის ცენტრად მან შირაზი აქცია. რასმუსი კი ომის მიწურულს ისფაჰანის მახლობლად შეიპყრეს.

რუსეთის იმპერიის კოლაფსმა ჩრდილოეთი პროვინციები ღია და დაუცველი დატოვა. გერმანულმა და ოსმალურმა ჯარებმა, რომელთაც დროებით ეკავათ ირანის აზერბაიჯანი, ომის დასრულებისათვის დატოვეს ეს ტერიტორია და ბრიტანელები ქვეყანაში დომინანტ ძალად გადაიქცნენ.

სამხრეთ სპარსეთის მსროლელთა რაზმი, სპარსელი კაზაკები, ჟანდარმერიის ნარჩენები და მათთან მოქიშპე გერმანიის მიერ მხარდაჭერილი ტომების კონფედერაციები წარმოადგენდნენ იმ მცირეოდენ შეიარაღებული ძალებს, რაც დარჩა ერთ დროს სუვერენული და ამასთანავე სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ქვეყნიდან. შაჰს არ ჰყავდა არანაირი ეფექტური ძალა თავის განკარგულებაში, რომ დაეცვა სპარსეთის ნეიტრალიტეტი, გაეძლიერებინა სასამართლო ხელისუფლება ან შეენარჩუნებინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

სპარსეთი სრულ ანარქიაში იყო ჩაფლული. მრავალი ირანელი ძლიერი და დამოუკიდებელი ხელისუფლების შექმნის მოსურნე იყო. ომის პირობებში გაძლიერდა ნაციონალისტთა გავლენაც. თუმცა, ერთიანი ნაციონალური არმიის არარსებობას ემატებოდა ირანული საზოგადოების ეთნიკური და ტომობრივი მრავალფეროვნება. ეთნიკური სოლიდარობის პრიორიტეტი ნაციონალურ გრძნობებზე უცხო სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა გაეთიშათ ძალები და ამ თუ იმ ჯგუფის სამხედრო ძალა საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინათ. ეს შეეხებოდა ქურთებს, ბახთიარებს, ყაშყაელებს, ასირიელ-ქალდეველებს და სხვ. (Digard et al., 2007: 47).

ამავე დროს, ირანში არსებულ ვითარებაზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა მეზობელ რუსეთში მიმდინარე რევოლუციური მოვლენები. ომის დროს არაერთი აჯანყება მოხდა. მათგან ყველაზე მასშტაბური კასპიისპირა გილანის პროვინციაში იყო, რომელიც 1917 წელს დაიწყო. აქ მოქმედი ე.წ. „ჯანგალიები“ (ტყის ხალხი), ქუჩექ ხანის მეთაურობით, მოითხოვდნენ დემოკრატიული რეფორმების გატარებას და თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული მმართველობის სისტემის შექმნას. ამასთან, მოძ-

12 ვასმუსს „გერმანელ ლოურენსსაც“ უწოდებდნენ (თ. ლოურენსის შესახებ იხ. ქვემოთ).

რაობის წევრებს კავშირი ჰქონდათ როგორც ბოლშევიკებთან რუსეთში, ისე გერმანელებთან (Daniel, 2001: 129). **1918 წლის დასაწყისისათვის ჯანგალიები მთლიანად აკონტროლებდნენ გილანს და მიმ**დებარე რეგიონებს. მათი აჯანყება დიდი გაჭირვებით ჩაახშვეს ინგლისელებმა. საპროტესტო მოძრაობა ფართოდ გაიშალა აზერბაიჯანშიც. ეს იყო არა იმდენად სეპარატისტული, რამდენადაც პროვინციებისათვის მეტი ავტონომიურობის მინიჭებისკენ მიმართული მოძრაობები. „მათ უპირველეს მოთხოვნას ძირეული რეფორმების გატარება შეადგენდა“ (Keddie, 2003: 75).

ამდენად, „ნეიტრალური“ სპარსეთში ომის დროს ოთხი ძალა – ერთი მხრივ, ოსმალეთი და გერმანია, მეორე მხრივ კი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი ექიშპებოდა ერთმანეთს. ომის მიწურულს კი ირანი, როგორც სახელმწიფო, პრაქტიკულად აღარ არსებობდა და მის ტერიტორიას ანტანტის ძალები, კერძოდ კი ბრიტანეთი, აკონტროლებდა.

ეგვიპტე და სირია ომის დროს

ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გადამწყვეტი ფრონტი იყო ოსმალეთის სირია და ბრიტანეთის მიერ ოკუპირებული ეგვიპტე.

ეგვიპტე **1882 წლის შემდეგ გახდა სასიცოცხლო მნიშვნელობის რგოლი ბრიტანულ მსოფლიო იმ**პერიულ სისტემაში. **1914 წლის 18 დეკემბერს დიდმა ბრიტანეთმა ცალმხრივად გამოაცხადა ეგვიპტე**ზე საკუთარი პროტექტორატის დამყარება, რითაც დასრულდა ეგვიპტის ისედაც მეტად სუსტი ასოცირება ოსმალეთის იმპერიასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტი შეიცავდა პირობას თვითმმართველობის დამყარების შესახებ, პროტექტორატი მაინც დამამცირებელი იყო ეგვიპტელებისათვის.

ომის გაჩაღების დროისათვის იმპერიის დედაქალაქში მყოფი პროოსმალურად და ანტიბრიტანულად განწყობილი ხედივი აბას ჰილმი II აღარ დაბრუნებულა ეგვიპტეში და სტამბულში დარჩა. ის გადააყენეს და მისი ბიძა ჰუსაინ ქამილი გამოცხადდა ეგვიპტის სულტნად.

ბრიტანულმა ჯარებმა (მათ მნიშვნელოვან ნაწილს ავსტრალიური და ახალზელანდიური ნაწილები შეადგენდნენ), დაიკავეს კაირო, ალექსანდრია და სუეცის არხის ზონა. მრავალი ბრიტანელი მსახურობდა ეგვიპტეში სამოქალაქო სფეროებშიც.

ოთხი წლის მანძილზე ეგვიპტე სამხედრო ბაზად ემსახურებოდა ბრიტანეთისა და ანტანტის სხვა ძალებს. ჯარები ახდენდნენ სურსათის, აქლემებისა და სახედრების რეკვიზიციას მოსახლეობიდან. 1917 წლიდან ეგვიპტელები ჩაწერეს ჯარში და მათ მოუწიათ ბრიტანელებთან ერთად ბრძოლა. საერთო ჯამში, ომის განმავლობაში, **100 ათასზე მეტი ეგვიპტელი იქნა გაწვეული ბრიტანეთის ჯარების დამ**ხმარე ნაწილებში სამსახურისათვის.

ინფლაციამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია და კორუფციამ უზარმაზარი მასშტაბები მიიღო. მიწისმფლობელებსა და გლეხებს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ფართობზე შეეძლოთ დაეთესათ ბამბა, ვინაიდან ბრიტანელებს განსაკუთრებით სჭირდებოდათ ხორბალი და სხვა მარცვლოვანი კულტურები. ქვეყანაში ფასები უკიდურესად გაიზარდა (ბამბის ფასი გასამმაგდა).

ბრიტანელი სამხედროები ანგარიშს არ უწევდნენ ეგვიპტის სპეციფიკას, საზოგადოება კი ეგვიპტის ყველა გასაჭირის წყაროდ ბრიტანეთს მიიჩნევდა. ომის წლებში ეგვიპტურმა ნაციონალიზმმა უკიდურესად გაიმყარა პოზიციები (Goldsmith, 2004: 65).

ოპოზიციის მოქმედება ქვეყანაში აკრძალული იყო. ქვეყნიდან განდევნილი ოპოზიციონერები ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას იღებდნენ ტახტიდან გადაყენებული ხედივისაგან, ოსმალეთის მთავრობისა და გერმანელებისაგან. შაიხმა იავიშმა მონაწილეობაც მიიღო სულტნის მიერ მოკავშირეთა წინააღმდეგ გამოცხადებული ჯიჰადის ტექსტის შედგენაში, მოგვიანებით კი ბერლინში გამოსცემდა პანისლამურ ყოველთვიურ ჟურნალს *Die islamische Welt* (*ისლამური სამყარო*). ოპოზიციონერთა შორის ისეთებიც იყვნენ, ვისაც სურდა ეგვიპტეში პარტიზანული ომის დაწყება ბრიტანელთა წინააღმდეგ.

ბრიტანული ჯარების დიდი კონცენტრაცია ნაწილობრივ ეგვიპტელი ნაციონალისტების შეკავებასაც ისახავდა მიზნად, მაგრამ ძირითადი მიზეზი ოსმალეთის მოსალოდნელი თავდასხმის უკუგდება და, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეტევაზე გადასვლა იყო. წარმოადგენდა რა სუეცის არხის გასაღებს, რომელიც ბრიტანეთს ინდოეთთან აკავშირებდა, ეგვიპტე დაპირისპირებული მხარეების მიერ აღიარებული იყო სასიცოცხლო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონედ. 1915 წელს, როდესაც ენვერ ფაშა წარუმატებელ და მეტად ძვირადღირებულ კამპანიას ეწეოდა აღმოსავლეთ ანატოლიაში, ჯემალ ფაშა წინ გაუძღვა **80 ათას ჯარისკაცს სინას ნახევარკუნძულის გადასალახავად და სუეცის არხ**თან სწრაფად და მოულოდნელად გასასვლელად. სამხედრო თვალსაზრისით, ეგვიპტეში ბრიტანეთის მოუმზადებელ თავდაცვით ძალებზე შეტევა რაციონალური იყო, მაგრამ კამპანია ცუდად იყო მომზა-

დებული, შენაერთები კოორდინაციის გარეშე მოქმედებდნენ და ოსმალეთის ჯარები მანამდე იქნენ უკუგდებული, სანამ ისინი არხს გადალახავდნენ. ამის შემდეგ, შეშფოთებულმა ინგლისელებმა ჯარების მასობრივი შეყვანა დაიწყეს ეგვიპტეში. ომის დასკვნით ეტაპზე კი სწორედ ეგვიპტეში დისლოცირებულმა ჯარებმა განახორციელეს გადამწყვეტი შეტევა ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ.

იმპერიის მუსლიმი მოსახლეობის საფრანგეთისა და ბრიტანეთის წინააღმდეგ განსაწყობად, ეპკ-ის მთავრობამ ყველა მის ხელთ არსებული ისლამური სიმბოლო გამოიყენა. 1914 წლის ნოემბერში სულტან-ხალიფას მიერ გამოცხადებული ჯიჰადის – საღვთო ომის – მოწოდებაში ხაზგასმული იყო, რომ ანტანტის სახელმწიფოები ისლამის მთავარ მტრებს წარმოადგენდნენ, და ერთიანობის გარეშე, თუკი ჯიჰადს არ შეუერთდებოდნენ, მუსლიმებსა და ისლამს განადგურება ელოდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებდა, რომ ოსმალეთის იმპერია საკუთარ თავს კვლავაც ისლამის მთავარ მცველად აღიქვამდა.

თავის მხრივ, ეპკ ეჭვის თვალით უყურებდა დიდი სირიის არაბულ მოსახლეობას, განსაკუთრებით საქალაქო ცენტრებში მცხოვრებთ. სტამბულის შეშფოთებას იწვევდა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შექმნილი არაბული პოლიტიკური და კულტურული საზოგადოებები და ასევე არაბი ქრისტიანების მჭიდრო კავშირები საფრანგეთთან. დიდი სირიის სტაბილურობისა და ლოიალობის შესანარჩუნებლად, ეპკ-მა რეგიონისათვის შემოიღო ომის დროის სპეციალური რეჟიმი, რომლითაც რეგიონი ტრიუმვირატის ერთ-ერთ წევრს – ჯემალ ფაშას დაექვემდებარა.

> „დასახლებებს, სოფლებს, ოჯახებს, სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევრებს შორის არსებობს ღრმა უნდობლობა, სათუთად ნასაზრდოები თურქების მიერ, რომ სპონტანური გაერთიანება შეუძლებელი გახადონ. სირიაში ჩამოყალიბებული ყველაზე დიდი პოლიტიკური ერთობა მხოლოდ სოფელია, რომელსაც შაიხი განაგებს და პატრიარქალური სირია ტომია ბელადით სათავეში... ყოველივე მათ ზემოთ არსებული წარმოადგენს ხელოვნურად შექმნილ თურქულ ბიუროკრატიას."
>
> *თ. ლოურენსი* (ციტ. Karsh, 1999: 173)

ჯემალ ფაშა ომის დაწყებიდან სულ მალე ჩავიდა დამასკოში. ის აღჭურვილი იყო უზომო სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლებით – ეკავა დამასკოში დისლოცირებული ოსმალეთის მეოთხე არმიის მთავარსარდლის თანამდებობა. დამასკოს დატოვების დროისათვის, 1918 წლის დასაწყისში, ჯემალ ფაშა ადგილობრივმა მოსახლეობამ „სისხლისმსმელად" (*ალ-საფფა*) მონათლა და მისმა პოლიტიკამ არაბი მოსახლეობის ფართო სეგმენტები ეპკ-ის რეჟიმის მოწინააღმდეგედ აქცია. თუმცა, ჯემალის მმართველობა საკმაოდ მშვიდად დაიწყო. ახალი მმართველი ისლამური ერთიანობის აპოლოგიას ეწეოდა და ხაზს უსვამდა არაბულ ღვაწლს ისლამისათვის. მაგრამ სუეცის არხისაკენ წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ, ჯემალ ფაშამ კარდინალურად შეცვალა სირიის პროვინციებში სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ მიმართული პოლიტიკის მეთოდები. მან ფართომასშტაბიანი რეპრესიები დაიწყო.

ჯემალ ფაშამ, პირველ რიგში, ოსმალეთის არმიის არაბული შენაერთები მოაშორა სირიას და შეცვალა ისინი თურქული ჯარებით. ის დარწმუნებული იყო, რომ ზოგიერთ არაბ ლიდერს ფარული კონტაქტები ჰქონდა ბრიტანეთთან და საფრანგეთთან. მან უამრავი არაბი ლიდერი გაასახლა ანატოლიაში და ბევრ მათგანს შინაპატიმრობა მიუსაჯა იერუსალიმსა და დამასკოში. 1915 წელს მან დაიწყო არაბული ელიტის წარმომადგენელთა დაპატიმრება (თითქოსდა საფრანგეთის საკონსულოში მოძიებული მათი მამხილებელი დოკუმენტების საფუძველზე). არაერთი მათგანი საჯაროდ იქნა სიკვდილით დასჯილი. მის მსხვერპლთა შორის იყვნენ არაბი სენატორი და დეპუტატები, მრავალი წამყვანი ჟურნალისტი, დიდგვაროვანი ოჯახების წარმომადგენელი. ასევე სიკვდილით დასაჯეს რამდენიმე არაბი მეცნიერიც, რომლებიც სულაც არ ეკუთვნოდნენ ნაციონალისტთა რიგებს. თავის მართლების მიზნით, 1916 წელს ჯემალ ფაშამ სტამბულში გამოსცა წიგნი სახელწოდებით *La verité sur la question syrienne* (*სიმართლე სირიის საკითხის შესახებ*), რომელშიც ის დეტალურად განიხილავს არაბული საიდუმლო საზოგადოებების მოღვაწეობას და ამტკიცებს, რომ მის მიერ დასჯილები იყვნენ მოღალატეები და არა ნაციონალისტები, თუმცა ამით ბევრი არაფერი შეცვლილა.

ამგვარი პოლიტიკის შედეგად, დიდი სირიის არაბთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც ომის დაწყებამდე ძირითადად ლოიალობას იჩენდა ცენტრალური ხელისუფლებისადმი, უკიდურესად უარყოფითად განეწყო სტამბულისადმი.

არაბული ამბოხი

ოსმალეთის ომში ჩაბმასთან დაკავშირებით ბრიტანელთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა სავარაუდო ისლამური სოლიდარობის საკითხი. სულტან-ხალიფას მიერ ჯიჰადის გამოცხადებას ან-

ტანტის წინააღმდეგ პოტენციურად შეეძლო დიდი პრობლემები შეექმნა ბრიტანეთისათვის როგორც ინდოეთისკენ გამავალ გზებზე, ისე ინდოეთში. ბრიტანელები ეძებდნენ მაღალი ავტორიტეტის მქონე ისეთ მუსლიმ დიდგვაროვანს, რომლის მხარდაჭერის მოპოვებაც და, შესაბამისად, ოსმალო სულტან-ხალიფას პრესტიჟის საპირწონედ გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი. ამგვარ პიროვნებად მათ მიიჩნიეს ჰუსაინ იბნ ალი – მექის ამირა.

რამდენადაც ახლო აღმოსავლეთის I მსოფლიო ომის შემდგომი ისტორია დიდწილად ტრიალებს ბრიტანელების მიერ შარიფ[13] ჰუსაინისათვის მიცემული დაპირებების ინტერპრეტირების გარშემო, მნიშვნელოვანი ამ შეთავაზებათა პოლიტიკური კონტექსტის მკაფიოდ წამოჩენა.

მექის ამირას თანამდებობა ოსმალეთის იმპერიის არაბულ ისლამურ ნაწილში ყველაზე პრესტიჟული იყო. ამ თანამდებობის მფლობელი ითვლებოდა წმინდა ქალაქების – მექისა და მედინის მცველად. მიუხედავად იმისა, რომ ჰიჯაზის ოსმალო გამგებელს ეხებოდა რეგიონის სამოქალაქო და სამხედრო საქმეები, მექის ამირას ინდივიდუალურ პასუხიმგებლობას წარმოადგენდა წესრიგის დაცვა წმინდა ქალაქებში და ყოველწლიური ჰაჯის – პილიგრიმობის – ორგანიზებულად და მშვიდად ჩატარების უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, მექის შარიფი აირჩეოდა იმ დიდგვაროვანი ოჯახებიდან, რომლებიც მოციქულის პირდაპირ შთამომავლებად ითვლებოდნენ და ატარებდნენ შარიფის მეტად საპატივცემულო ტიტულს.

ჰუსაინ იბნ ალი (1855-1931) **იყო შარიფი ჰაშიმიანთა საგვარეულოდან, რომელიც ამირად და**ინიშნა აბდულ ჰამიდ II-ის მიერ 1908 წელს. ამ ამბიციურ ადამიანს გული ჰქონდა აცრუებული ეპკზე როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური თვალსაზრისით. ჰუსაინმა თანამდებობაზე ყოფნის პირველი წლები დაუთმო ტომობრივი ალიანსების ქსელის შექმნას, რამაც მას საშუალება მისცა მიეღწია სტამბულიდან ავტონომიურობის უფრო მაღალ დონეს. ის იმედოვნებდა საკმარისი ძალაუფლების მოპოვებას იმისათვის, რომ მექის ამირას თანამდებობა მისი ოჯახისათვის სამემკვიდრეოდ ექცია.

ეპკ-ის მთავრობამ მოსთხოვა ჰუსაინს მხარი დაეჭირა სულტნის მიერ გამოცხადებული ჯიჰადისათვის და მისი მორჩილი ტომების შეიარაღებული რაზმები ოსმალთა სამსახურში ჩაეყენებინა. ჰუსაინი პირდაპირი პასუხის გაცემისაგან თავს იკავებდა. მას ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტა, თუ რა სჯობდა მისი პირადი ამბიციების განსახორციელებლად – ოსმალების მხარდაჭერა თუ სხვა ალტერნატიული გზების ძიება. ჰუსაინი არ თაკილობდა ასევე ძღვენის მიღებას დაპირისპირებული მხარეებისგან. 1916 წლის ივნისამდე მან სულტნისაგან 50 ათასზე მეტი ოქროს გირვანქა მიიღო ბრიტანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად და ასევე მნიშვნელოვანი თანხები აიღო საკუთრივ ბრიტანელებისგანაც (Pagden, 2008: 460). **ისიც აღსანიშნავია, რომ შარიფ ჰუსაინის ერთ-ერთ ვაჟს, აბდალაჰს ომის წინ კავ**შირები ჰქონდა არაბულ ნაციონალისტურ საზოგადოებებთან სირიაში. ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე აბდალაჰი კაიროშიც ჩავიდა გენერალ-გუბერნატორ ლორდ კიტჩენერის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ბრიტანელები მოერიდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ შეთქმულების წამოწყებას იმ ხანებში, მაგრამ კიტჩენერმა მოგვიანებით, ომის გაჩაღების შემდეგ, როდესაც ოსმალეთი მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა, ეს შეხვედრა გაიხსენა.[14]

> სპარსეთის ყურის დასავლეთ სანაპიროსა და არაბეთის ნ.-კ.-ის სამხრეთ სანაპიროზე არსებობდა არაბული „სახელმწიფოები“ – პრაქტიკულად დამოუკიდებელი ტომობრივი გაერთიანებები. თითქმის ყველა მათგანს დადებული ჰქონდა „მეგობრობის“ ხელშეკრულებები ბრიტანეთთან, რომლითაც ეს უკანასკნელი წარმართავდა ამ პოლიტიკური ერთობების საგარეო საქმეებს, ხოლო ბრიტანელი მრჩევლები დახმარებას უწევდნენ მმართველობაში.
>
> როდესაც ომი უკვე გარდაუვალი გახდა, ბრიტანელებმა დაარწმუნეს აღმოსავლეთ არაბეთის ყველაზე ძლიერი ფიგურა აბდ ალ-აზიზ იბნ აბდ ალ-რაჰმანი (ცნობილი იბნ საუდის სახელით, საუდიანთა საგვარეულო კი ამ დროისათვის პრაქტიკულად დომინანტი ძალა გახდა არაბეთის ნ.-კ.-ის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში) დათანხმებულიყო სტანდარტულ ბრიტანულ-არაბულ ხელშეკრულებაზე: აბდ ალ-აზიზი საგარეო საქმეების მართვას ბრიტანელებს გადასცემდა და იღებდა მნიშვნელოვან სუბსიდიებს. ამასთანავე, ის უნდა დარჩენილიყო ნეიტრალური და ასევე დაიშვებოდა, გარკვეულ პირობებში, მისი ჩართვა ოსმალეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ცენტრალურ არაბეთში.

13 მოციქულ მუჰამადის შთამომავალთა საპატიო წოდება.

14 კიტჩენერი ომის დაწყებამდე რვა თვით ადრე შეხვდა აბდალაჰს და ექვსი კვირით ადრე – შარიფ ჰუსაინს.

სერ პერსი კოქსმა, იმხანად მესოპოტამიის საექპედიციო კორპუსის მთავარმა პოლიტიკურმა ოფიცერმა, რომელმაც ბასრა დაიკავა ომის დასაწყისში, ყურადღება მიაქცია ცენტრალურ არაბეთში იბნ საუდის ძალაუფლების ზრდას და შეექმნა შეხედულება, რომ ბრიტანეთს შეეძლო ის თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. მან გაგზავნა კაპიტანი უილიამ ჰენრი შექსპირი საუდის კარზე. შექსპირი მანამდე უკვე კარგად იცნობდა იბნ საუდს. არაბთა თვალში ის, პირადი სიმამაცის გამო, დიდი პატივისცემით სარგებლობდა და იყო ინგლისელი, რომელსაც იბნ საუდი ყველაზე მეტად აფასებდა. მაგრამ შექსპირი მოკლეს იბნ საუდის მტრებთან შეტაკებისას 1915 წლის იანვარში. მისმა სიკვდილმა გამორიცხა ომის დროს საუდიანთა საგვარეულოსთან ბრიტანელთა დაკავშირების შესაძლებლობა.

შარიფი ჰუსაინი

1915 წლის ივლისში ჰუსაინმა წერილი გაუგზავნა ეგვიპტეში ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს სერ ჰენრი მაკმაჰონს. მასში ჩამოყალიბებული იყო ის პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში, ის დათანხმდებოდა კავშირის დამყარებას ბრიტანელებთან და ამბოხის დაწყებას ოსმალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს იყო ჰუსაინ-მაკმაჰონის ცნობილი მიმოწერის დასაწყისი (**1915 წლის ივლისი-1916 წლის მა**ისი). მათ სულ ათი წერილი გაცვალეს ერთმანეთში. ეს წერილები კი საფუძვლად დაედო ომის შემდეგ მოკავშირეებსა და არაბებს შორის წარმოქმნილ მძაფრ დაპირისპირებას.

ბრიტანეთის ინტერესებში შედიოდა დაწყებულიყო არაბთა ამბოხი ოსმალების წინააღმდეგ და ასევე მოეპოვებინა ჰუსაინის დონის მუსლიმი მოკავშირე. მაკმაჰონს სათანადო ინსტრუქციები ჰქონდა მიღებული, თუ როგორ უნდა ეპასუხა ჰუსაინის ინიციატივებისათვის. ჰუსაინი, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა, რომ მთლიანად არაბ ხალხს წარმოადგენდა, ბრიტანეთისაგან მოითხოვდა ეღიარებინა დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო, რომელშიც შევიდოდა არაბეთის ნახევარკუნძული, დიდი სირიის პროვინციები (ლიბანისა და პალესტინის ჩათვლით) და ერაყის რეგიონები, პრაქტიკულად ეგვიპტის აღმოსავლეთით მდებარე არაბულენოვანი სამყარო მთლიანად. სამაგიეროდ, ის ბრიტანელებს პირდებოდა შეიარაღებული აჯანყების დაწყებას ოსმალეთის წინააღმდეგ. ბრიტანეთი კი რეგიონში მიზნად ისახავდა მომავალში როგორც საკუთარი, ისე მოკავშირე საფრანგეთის ინტერესების დაცვას. ჰუსაინს აუწყეს, რომ დამასკოს, ჰომსის, ჰამასა და ალეპოს დასავლეთით მდებარე ტერიტორიები არ შეიძლებოდა ჩართულიყო მომავალ არაბულ სახელმწიფოში, რადგანაც ამ რეგიონების მოსახლეობას მხოლოდ მუსლიმი არაბები არ შეადგენდნენ. ამ ოთხ ქალაქს ერთი მნიშვნელოვანი რამ აერთიანებდა – რკინიგზა, რომელიც ფრანგული კამპანიის მიერ აიგო **1895 წელს. რკინიგზა ჩრდილოეთიდან – ალე**პოდან სამხრეთისაკენ – დამასკოსაკენ მიდიოდა და მატარებელი ჩერდებოდა ჰომსსა და ჰამაში. დამასკოში ის უერთდებოდა **1908 წელს დასრულებულ ჰიჯაზის რკინიგზას, რომელიც სამხრეთით მედი**ნამდე, ჰუსაინის სამფლობელოების მისადგომებამდე აღწევდა. იმ დროისათვის რკინიგზას უდიდესი დატვირთვა გააჩნდა; მიიჩნეოდა უპირველესი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონედ.[15] ამ ტერიტორიებზე ჰუსაინისათვის უარის თქმის უპირველეს პოლიტიკურ მიზეზს კი ის წარმოადგენდა, რომ სირიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე საფრანგეთს ჰქონდა პრეტენზია. მომავალ არაბულ სახელმწიფოში ბრიტანეთმა ასევე არ ჩართო ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ნაწილი, მათ შორის მერსინის და ალექსანდრეტას (ისქანდერიას) რეგიონები (რომლებიც დღეს თურქეთს ეკუთვნის), ასევე ბასრა (დღეს ერაყის ნაწილია).

15 1906 წელს ოსმალეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დიპლომატიური კრიზისი დაიწყო, რაც უკავშირდებოდა ოსმალეთის გეგმას გაეყვანა ჰიჯაზის ახალი სარკინიგზო ხაზი. ოსმალები ვარაუდობდნენ დამასკო-მედინის სარკინიგზო ხაზით წითელ ზღვაზე მდებარე პორტ აკაბასთან დაკავშირებას. დიდი ბრიტანეთისათვის ეს პროექტი ეგვიპტეზე პირდაპირ მუქარას წარმოადგენდა. ბრიტანელები შიშობდნენ, რომ ახალი სარკინიგზო ხაზი ოსმალეთს საშუალებას მისცემდა სწრაფად შეეყვანა ჯარები სინას ნ.-კ.-ზე და დაუფლებოდა სუეცის არხს. ბრიტანულმა ფლოტმა ძალის გამაფრთხილებელი დემონსტრაცია მოაწყო, ხოლო აკაბას სიახლოვეს მდებარე ტაბას სექტორი ბრიტანელებმა ეგვიპტეს მიუერთეს. ზოგიერთი ავტორი ამ კრიზისის დიპლომატიურ შედეგად მიიჩნევს ოსმალეთის დაახლოებას გერმანიასთან (Cloarec & Laurens, 2000: 15).

მიმოწერის პერიოდში ჰუსაინი უარყოფდა ამ თვალსაზრისს, მაკმაჰონი კი დაჟინებით იცავდა. საბოლოოდ, ამ საკითხის გადაწყვეტა ომისშემდგომი დისკუსიებისათვის გადადეს. თუმცა, ჰუსაინი მკაფიო მიუთითებდა, რომ ის უარს არ იტყოდა ზღვისპირა სირიის არაბულ სახელმწიფოში შესვლის მოთხოვნაზე. მაკმაჰონი ასევე შეეცადა ჰუსაინი დაეთანხმებინა ბრიტანეთის განსაკუთრებულ პოზიციებზე ერაყში – ბაღდადისა და ბასრის პროვინციებში. ჰუსაინი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ეს ისტორიული არაბეთის განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ ის დათანხმდა ომისშემდგომ დროებით ბრიტანულ ოკუპაციაზე, სანამ იქ არ შეიქმნებოდა სტაბილური ხელისუფლება. მაკმაჰონმაც მიიღო ჰუსაინის მოთხოვნები. სირიის საკითხის გადაწყვეტა კი, როგორც ზემოთ ითქვა, უფრო გვიანდელი ხანისათვის გადაიდო.

ჰუსაინის წერილიდან მაკმაჰონისადმი (04.07.1915):

„[იმ მიზეზით, რომ] მთლიანად არაბმა ერმა... უკანასკნელ წლებში მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება იარსებოს და მიაღწიოს თავისუფლებას და ხელში აიღოს მმართველობის სადავეები... ხედავს და გრძნობს, რომ ბრიტანეთის მთავრობის ინტერესს წარმოადგენს მისი მხარდაჭერა და დახმარება მტკიცედ გადაწყვეტილი და კანონიერი მიზნების მიღწევაში...

... და რამდენადაც ასევე მათ [არაბთა] ინტერესს წარმოადგენს უპირატესობა მიანიჭონ დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერას...

... ინგლისმა უნდა აღიაროს არაბული ქვეყნების დამოუკიდებლობა, რომელიც შემოსაზღვრული იქნება ჩრდილოეთით მერსინით და ადანათი **37-ე პარალელზე... სპარსეთის საზღვრამდე; აღმოსავ**ლეთით სპარსეთის საზღვრებით ბასრის ყურემდე; სამხრეთით – ინდოეთის ოკეანით, ადენის (იემენის) გამოკლებით, რომელიც როგორც არის, ისე დარჩება; დასავლეთით კი შემოისაზღვრება წითელი ზღვით, ხმელთაშუა ზღვით და მერსინით. ინგლისმა მხარი უნდა დაუჭიროს არაბული ისლამური სახალიფოს გამოცხადებას."

საპასუხო წერილში, მაკმაჰონი გამოხატავს იმედს, რომ იარსებებს „ჰარმონია" დიდ ბრიტანეთსა და არაბ ხალხს შორის, მაგრამ ასევე დასძენს, რომ „ნაადრევია" პოტენციური არაბული სახელმწიფოს საზღვრებზე მსჯელობა. მომდევნო საპასუხო წერილში კი ჰუსაინი გულისწყრომას გამოთქვამს, რომ მაკმაჰონი უარს ამბობს საზღვრების შესახებ დისკუსიაზე.

მაკმაჰონის წერილიდან ჰუსაინისადმი (24.10.1915):

... დასანანია, რომ ჩემი უკანასკნელი წერილიდან შეგექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს საზღვრების საკითხთან დაკავშირებით მე ვყოყმანობ და გულგრილობას ვამჟღავნებ. ეს სულაც არ არის ასე, მაგრამ მეჩვენება, ჯერ ის დრო არ დამდგარა, რომ საკითხი საბოლოო სახით გადაწყდეს.

ამასთან, კარგად გავაცნობიერე თქვენი უკანასკნელი წერილიდან, რომ ამ საკითხს სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებთ. ამდენად, მე დრო არ დამიკარგავს და გავაცანი დიდი ბრიტანეთის მთავრობას თქვენი წერილის შინაარსი. დიდი სიამოვნებით წარმოგიდგენთ ამ საკითხზე მის [ბრიტანეთის მთავრობის] შეხედულებას, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, თქვენ დაგაკმაყოფილებთ.

მერსინისა და ალესანდრეტას ორი რაიონი, ასევე სირიის ნაწილი, რომელიც მდებარეობს დამასკოს, ჰომსის, ჰამას და ალეპოს დასავლეთით, არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა არაბულად და ამდენად უნდა გამოირიცხოს მოთხოვნილი საზღვრებიდან.

ამ მოდიფიკაციის გათვალისწინებით და არაბ მეთაურებთან არსებული ხელშეკრულებების დაცვით, ჩვენ ვთანხმდებით [მოთხოვნილ] საზღვრებზე.

რაც შეეხება რეგიონებს, რომლებიც არ შედის ამ საზღვრებში, ბრიტანეთს იქ თავისუფალი მოქმედების საშუალება ექნება ისე, რომ არ შეილახოს მისი მოკავშირის, საფრანგეთის ინტერესები."

(წყარო: Parliamentary Papers, Command No. 5957,
House of Commons Sessions Papers, 1939,
pp. 3-4; 7-9; ციტ. Felton, 2008: 10-12).

მიმოწერის დროს ჯერ კიდევ არ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საფრანგეთთან და რუსეთთან ახლო აღმოსავლეთის მომავლის შესახებ და არც არავინ იცოდა ბრიტანეთის მთავრობაში, თუ ზუსტად რას დაუთმობდნენ საფრანგეთს, ხოლო შემდეგ – რუსეთსაც. ამდენად, მაკმაჰონისათვის სახიფათო იქნებოდა, რაიმე სახის მტკიცე დაპირება მიეცა ჰუსეინისათვის.

ომის შემდეგ დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს აღიარების დაპირების გარდა, ბრიტანელები ასევე დაპირდნენ ჰუსაინს სამხედრო აღჭურვილობას, იარაღს, ფულს მისი ამბოხებისათვის ოსმალთა წინააღმდეგ და მის მიერ გამოცხადებული არაბული სახალიფოს ცნობას. საპასუხოდ, ჰუსაინი პირობას იძლეოდა, რომ მოახდენდა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებას და

ოსმალთა რეჟიმს ისლამის მტრად გამოაცხადებდა. ორივე მხარემ, ომის დროს, პრინციპში განახორციელა თავისი მიზნები. ჰუსაინის ამბიციები დაკმაყოფილდა დიდი სახელმწიფოების გარანტიებით, ბრიტანეთმა კი მოიპოვა ძლიერი მუსლიმი მოკავშირე. თუმცა, ტერიტორიების განაწილების ბუნდოვანება გარდაუვალს ხდიდა მომავალ წინააღმდეგობებს. ჰუსაინი შეშფოთებული იყო ამ ბუნდოვანების გამო. მან კარგად უწყოდა, რომ ითხოვდა იმაზე გაცილებით უფრო დიდ არაბულ სახელმწიფოს, ვიდრე მას მოკავშირეები სთავაზობდნენ. ყოველ შემთხვევაში, მას მაინც ყველანაირი უფლება ჰქონდა ერწმუნა, რომ დაპირდნენ დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნას (თუმცა, ამ სახელმწიფოში ბრიტანელი მრჩევლები დიდ როლს ითამაშებდნენ) არაბეთში, შიდა სირიაში, ერაყის ნაწილსა და, შესაძლოა, პალესტინაში.

ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროში ახლო აღმოსავლეთის საქმეების წამყვანი ფიგურა, გენერალ-ლეიტენანტი სერ ფრენსის რეჯინალდ უინგეითი იმ ხანებში წერდა:

„ვშიშობ, უმაღლეს კომისარს და ლორდ ლარდინგს შეექმნათ მცდარი შეხედულება, თითქოს მე მწამს შარიფის ხელმძღვანელობით კონსოლიდირებული არაბული სამეფოს შექმნისა – რა თქმა უნდა, ამგვარი ცნებები შორს დგას ჩემი შეხედულებებიდან, მაგრამ ჩემთვის მისაღებია, ისე როგორც ყველა ჩვენთაგანისათვის, შევუქმნათ არაბული მოძრაობის ლიდერებს ამგვარი შთაბეჭდილება და ჩვენ საკმარისად გამოვხატეთ ეს არსებული კორესპონდენციით, რომელიც აჩვენებს, რომ ჩვენ გულწრფელები ვართ არაბთა წინაშე იმ დონეზე, რამდენადაც წავედით წინ“ (ციტ. Fromkin, 2001: 185).

მაკმაჰონის ენა იმდენად ორაზროვანი და ბუნდოვანი იყო, რომ მან შექმნა ნიადაგი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციებისათვის იმის შესახებ, უნდა შესულიყო თუ არა მომავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოში პალესტინა. მიმოწერაში პალესტინა კონკრეტულად არ ყოფილა ნახსენები, მაგრამ ბრიტანელი ოფიციალური პირები ოდნავ მოგვიანებით ამტკიცებდნენ, რომ ეს რეგიონი სირიის სანაპირო ზოლის ნაწილი იყო, შესაბამისად, საფრანგეთის ხელში უნდა გადასულიყო და არ შესულიყო არაბულ სახელმწიფოში, თუნდაც რომ ის მდებარეობდა მაკმაჰონის მიერ ხსენებული დამასკო-ალეპოს ხაზის სამხრეთით. ამასთან, ამ არგუმენტს სუსტი წერტილები ჰქონდა. რამდენადაც პალესტინა დამასკოს სამხრეთით მდებარეობდა, რეგიონზე არაბული მოთხოვნის მომხრეების შეხედულებით, ის არ შეიძლებოდა მიერთებოდა დამასკო-ალეპოს ხაზის დასავლეთით მდებარე ტერიტორიებს და ამდენად, უნდა გამხდარიყო ჰუსაინისათვის დაპირებული არაბული სახელმწიფოს ნაწილი.

სავარაუდოა, რომ ჰუსაინთან მიმოწერის დროს მაკმაჰონს დიდი ყურადღება არ მიუქცევია პალესტინისათვის, როგორც ცალკე რეგიონისათვის და შესაძლოა, ფიქრობდა კიდეც, რომ ის არაბული სახელმწიფოს ნაწილი უნდა გამხდარიყო. ომისშემდგომ პერიოდში კი, არაბთა თვალთახედვიდან, ბრიტანეთმა დაარღვია პირობა და უღალატა მათ პალესტინის საკითხთან დაკავშირებით.

არაბული ამბოხი დაიწყო **1916 წლის ივნისში, როდესაც ჰუსაინის მიერ გაერთიანებულმა ტომ**ების რაზმებმა მექის ოსმალურ გარნიზონზე მიიტანეს იერიში. სექტემბრისათვის ჰიჯაზის მთავარი ქალაქები ჰუსაინის ხელში გადავიდა, მედინის გარდა, რომელიც ალყაში იყო მოქცეული ომის განმავლობაში. ამბოხის გამამართლებელ პროკლამაციებში ჰუსაინი, პირველ რიგში, ახსენებდა ისლამურ სოლიდარობას. იჩენდა რა სიფრთხილეს იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ის აუჯანყდა ოსმალეთის სულტანს, შარიფი წარმოსახავდა თავის ბრძოლას, როგორც ისლამური მოვალეობის შესრულებას. ის მოუწოდებდა იმპერიის ყველა მუსლიმს შეერთებოდნენ მას, რათა დაემხოთ ეპკ-ის რეჟიმი, რომელიც, მისი განცხადებით, შექმნილი იყო ერთი მუჭა ათეისტებს მიერ, რომელთაც არაფერი იცოდნენ ყურანისა და შარიათის შესახებ. ჰუსაინი სიფრთხილეს იჩენდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ის თავს არ ესხმოდა სულტან-ხალიფას, არამედ მოუწოდებდა მუსლიმებს, რომ მათი ხალიფა გაეთავისუფლებინათ ეპკ-ის ტყვეობიდან. ისლამზე ორიენტირებული ამ სახის პროპაგანდა დომინირებდა შარიფის გამოსვლებში ამბოხის ორი წლის მანძილზე. ჰუსაინი არ ყოფილა არაბი ნაციონალისტი და არ აზროვნებდა არაბიზმის იდეოლოგიის ცნებებით. სანაცვლოდ, ის იყო ამბიციური მმართველი, რომელიც შარიფისა და მექის ამირას ისლამური სტატუსის გამოყენებას ცდილობდა საკუთარი ოჯახისათვის მემკვიდრეობითი სამეფოს შექმნის მისაღწევად.

ბედუინების ჯარების წინსვლა უდაბნოში

მიუხედავად იმისა, რომ ამბოხისადმი მეტ-ნაკლები იატაკქვეშა ხასიათის მხარდაჭერა არსებობდა სირიის ზოგიერთ ნაწილში, ჰუსაინის მოწოდებას არ გამოუწვევია ორგანიზებული მხარდაჭერა არაბულენოვან პროვინციებში. პირიქით, მრავალი არაბი საზოგადო მოღვაწე ბრალს დებდა ჰუსაინს ღალატში და გმობდა მის ქმედებას, რომელიც მიმართული იყო ოსმალურ-ისლამური იმპერიის დაშლისკენ მაშინ, როცა ერთობა, როგორც არასდროს, ისე იყო საჭირო. არსებობდა იდეოლოგიური განსხვავებები ოსმალეთის იმპერიის არაბულ პროვინციებში ოტომანისტებსა და არაბისტებს შორის, მაგრამ ეს შეეხებოდა კონკრეტული დღის წესრიგის პოლიტიკურ საკითხებს, როგორიცაა იმპერიალიზმთან დაპირისპირების საუკეთესო გზების ძიება, ბალანსის ოპტიმალური დაცვა ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის. საკითხი იმის თაობაზე, უნდა დარჩენილიყვნენ თუ არა არაბები იმპერიაში, 1914 წლამდე უბრალოდ არ იდგა (Khalidi, 1991: 62-63). ამ ხანებამდე არაბიზმის მომხრეთა უმრავლესობისათვის ის არ ნიშნავდა არაბულ სეპარატიზმს, არც ოსმალეთის იმპერიისადმი ლოიალობისა და მისი რელიგიური ლეგიტიმიზაციის პრინციპის უარყოფას (Fuller, 2009: 21). არაბული ამბოხი არ იყო სახალხო აჯანყება ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. უფრო მეტად ის წარმოადგენდა არაბეთის ტომობრივი კავშირების გამოსვლას, ჰაშიმიანთა ოჯახით სათავეში, ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. თუმცა, ეჭვი არ არის, რომ არაბებმა სიამოვნებით მიიღეს აჯანყების საბოლოო შედეგი – დამასკოს აღება 1918 წელს, რაც არაბული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საფუძვლებს ქმნიდა.

არაბული ამბოხის გზა დამასკოსაკენ წარიმართა ჰიჯაზიდან აქაბას პორტის გზით (აიღეს 1917 წელს) და შემდეგ გენერალ ალენბის არმიის მარჯვენა ფლანგთან ერთად 1918 წლის საბოლოო შეტევის დროს. შარიფ ჰუსაინის მიერ გაერთიანებული ტომების რაზმებს მეთაურობდა მისი ვაჟი ამირა ფაისალი, რომელსაც გვერდში ედგა ოსმალეთის არმიის ყოფილი ერაყელი ოფიცრების ჯგუფი და ბრიტანელი მრჩევლების მცირე კონტიგენტი. მათ შორის იყო კაპიტანი თომას ედუარდ ლოურენსი, ლოურენს არაბის (Lowrence of Arabia) სახელით ცნობილი, რომელმაც უზარმაზარი შრომა გასწია არაბების დასარწმუნებლად ბრიტანეთის კეთილ განზრახვებსა და ამბოხების აუცილებლობაში. არაბთა საომარი ძალისხმევის კულმინაცია გახდა 1918 წლის 1 ოქტომბერი, როდესაც ფაისალი შეუძღვა თავის ჯარებს დამასკოში.[16] ფაისალმა მაშინვე დაიწყო ადგილზე მთავრობის ჩამოყალიბება, სწამდა რა, რომ ზუსტად იმ პირობის მიხედვით მოქმედებდა, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა მისცა მამამისს.

სომხებისგან განსხვავებით, არაბთა ამბოხებისათვის ადგილი და დრო გაცილებით უკეთესად იყო შერჩეული. ის ასევე კარგად იყო დაგეგმილი. სომხები თურქეთის შუაგულში, მუსლიმი მოსახლეობის გარემოცვაში ცხოვრობდნენ, არაბული ამბოხი კი დაიწყო ჰიჯაზიდან, არაბეთის ნახევარკუნძულიდან,

16 მოკავშირეთა საჯარისო ნაწილებიდან დამასკოს პირველმა ავსტრალიურმა კავალერიამ მიაღწია, მაგრამ ლოურენსმა მოახერხა, რომ არაბული ძალები ტრიუმფალურად შესულიყვნენ ქალაქში და ფაისალს მთავრობა შეექმნა.

პრატიკულად ავტონომიური პროვინციიდან, რომელსაც ისლამის მოციქულის შთამომავალი არაბი მმართველი განაგებდა. ეს ტერიტორია წმინდა არაბული და ისლამური იყო, მოიცავდა ისლამის ორ მთავარ წმინდა ადგილს – მექასა და მედინას; ასევე დაშორებული იყო ოსმალეთის სახელისუფლებო ცენტრებიდან და ადვილად მისადგომი ეგვიპტიდან. ამდენად, ომის პირობებში, არაბული ამბოხი უშუალოდ პასუხობდა ბრიტანეთის ინტერესებს.

თომას ედუარდ ლოურენსი (ლოურენს არაბი) (1888-1935)

ლოურენსი დაიბადა ინგლისურ-ირლანდიური წარმომავლობის ბარონეტის ოჯახში. სწავლობდა ოქსფორდში. **1911-1913 წლებში მუშაობდა** მესოპოტამიაში ბრიტანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. 1914 წელს ის გახდა ბრიტანეთის დაზვერვის კაიროს ბიუროს თანამშრომელი და მალე მიიღო პოლკოვნიკის წოდება. მან ზედმიწევნით კარგად იცოდა არაბული. ომის დაწყების შემდეგ, ის გააგზავნეს შარიფ ჰუსაინთან არაბული ამბოხის ორგანიზებისათვის. ის დაუახლოვდა შარიფის ვაჟებს, პირველ რიგში ფაისალს და დიდი როლი შეასრულა ბედუინების მობილიზაციის საქმეში, თურქების წინააღმდეგ წარმართულ საბრძოლო მოქმედებებსა და მნიშვნელოვანი ქალაქების, კერძოდ 1917 წლის ივნისში აქაბას აღებაში. ლოურენსი და არაბული რაზმები დიდი დახმარებას უწევდნენ გენერალ ალენბის შეტევას სირიასა და პალესტინაში. ლოურენსის ოცნებას წარმოადგენდა პრობრიტანული დიდი არაბული იმპერიის შექმნა. მისი თვალთახედვიდან, ჰიჯაზში უნდა გამეფებულიყო შარიფი ჰუსაინი, ფაისალი – სირიაში, აბდალაჰი კი – პალესტინასა და ტრანსიორდანიაში.

სამშვიდობო კონფერენციებზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გული აუცრუა ლოურენსს. მისთვის ასევე მიუღებელი იყო ბრიტანეთის დაახლოება იბნ საუდთან – ჰუსაინის მეტოქესთან. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, **1922 წელს მან დატოვა სამსახური და ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.**

ლოურენსი თავის თხზულებებში მოვლენების საკუთარ ხედვას წარმოადგენდა და ხშირად ფაქტებსაც ამახინჯებდა. „ის მრავალ ღირსებას ატარებდა, მაგრამ სიმართლის დაცვა მათ შორის არ ნამდვილად იყო." საკუთარ ფანტაზიებს ლოურენსი ხშირად ასაღებდა რეალობად. მისი „სიბრძნის შვიდი ბურჯი" სასიამოვნო წასაკითხი წიგნი და მის მოგონებებზე დამყარებული ოსკარის არაერთგზის ლაურეატი „ლოურენს არაბიც" შესანიშნავი ფილმია, მაგრამ არც ერთ მათგანს არაფერი აქვს საერთო რეალურ ისტორიასთან.

1935 წელს ლოურენსი საგზაო შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

ოსმალური მმართველობის წინააღმდეგ **1916 წლის „არაბული ამბოხის" რომანტიზებული კონცეფციის** პოპულარიზაცია ლოურენსმა მოახდინა და მას ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო არაბულ ნაციონალიზმთან. ის უპირველესად უკავშირდებოდა ჰიჯაზის მმართველის მოთხოვნას შექმნილიყო ლოკალური სამემკვიდრეო იმპერია, შენარჩუნებულიყო შარიათის სამართალი და გათავისუფლებულიყო ოსმალური გადასახადებისგან. „ამბოხმა", თავისთავად, სტრატეგიულად ტრივიალური როლი შეასრულა იმპერიის ბედში (იხ. Ochswenwald, 1991: 190-4).

ამასთან კი, რამდენიმე ათასი ბედუინისაგან შემდგარი არარეგულარული არმიის სამხედრო მნიშვნელობა, რომელიც უპირისპირდებოდა რეგულარულ ჯარებს, შესაძლოა, მეტად მცირე იყო, მაგრამ განუზომლად დიდი იყო არაბების თურქების წინააღმდეგ ბრძოლის მორალური მნიშვნელობა და კიდევ უფრო მეტად, წმინდა ადგილების მმართველის მოქმედება, რომელიც პრაქტიკულად უპირისპირდებოდა ოსმალო სულტანს და მის მიერ გამოცხადებულ ე.წ. ჯიჰადს. ეს ასევე მნიშვნელოვანი იყო ბრიტანელებისა და ფრანგების ავტორიტეტის შესანარჩუნებლად არაბთა თვალში. არაბული ამბოხი აგრეთვე დაემთხვა ოსმალეთის ძალების საერთო უკანდახევას არაბულ პროვინციებში ბრიტანელების წინსვლის პირობებში. ბრიტანელებს კი, რუსებისაგან განსხვავებით, არ ჰქონდათ საშინაო პრობლემები.

ფაისალ იბნ ალ-ჰუსაინი (1883-1933)

ფაისალი შარიფ ჰუსაინის მესამე ვაჟი იყო. ბავშვობა, ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, ბედუინებთან გაატარა. 1891-1909 წლებში მამასთან ერთად ცხოვრობდა სტამბულში. მექაში დაბრუნების შემდეგ იბრძოდა მამამისის ჯარების რიგებში მეტოქე არაბული ტომების წინააღმდეგ.

1916 წლის დასაწყისში, დამასკოში ყოფნის დროს, ის დაუკავშირდა იატაკქვეშა არაბულ საზოგადოებას სახელწოდებით *ალ-ფათათ*. ამ საზოგადოების მიზანი იყო ოსმალეთის ბატონობისაგან არაბული მიწების გათავისუფლება და ამისათვის ბრიტანელებსა და თურქებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენება. ჰუსაინი მექაში დაბრუნდა დოკუმენტით, რომელიც ცნობილია *დამასკოს პროტოკოლის* სახელწოდებით. სწორედ ამ დოკუმენტს იყენებდა მამამისი სახელმძღვანელოს სახით ბრიტანელებთან მოლაპარაკებების დროს.

ფაისალმა, რომელსაც ლოურენს არაბი ედგა გვერდში, თავისი ჯარებით დიდი დახმარება გაუწია ბრიტანელებს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, მისი იმედები, რომ შეიქმნებოდა სირიის სახელმწიფო, რომლის მეფეც ის გახდებოდა, საბოლოო ჯამში, ფუჭი გამოდგა.

1921 წელს, ბრიტანელთა ხელდასხმით, ის ერაყის ახლადშექმნილი სამეფოს მეფე გახდა. მიუხედავად ბრიტანელებზე დამოკიდებულებისა, ომთაშორის პერიოდში ფაისალი მიიჩნეოდა არაბ ნაციონალისტთა წინამძღოლად და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ის ერთადერთი არაბი ლიდერი იყო, რომელსაც გააჩნდა უნარი მოლაპარაკებები ეწარმოებინა ყველა მხარესთან. მისი უეცარი სიკვდილი გულის შეტევისაგან 1933 წელს, შოკი გამოდგა არაბებისთვის.

მოკავშირეთა გეგმები ოსმალეთის იმპერიის დაყოფის შესახებ

ომის განმავლობაში ანტანტის სახელმწიფოებმა არაერთ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ერთმანეთთან ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების მომავალი დანაწილების შესახებ. ეს შეთანხმებები სულაც არ ითვალისწინებდა ანტანტის არაბი მოკავშირეებს სურვილებს, არამედ მიმართული იყო ალიანსის ევროპელი წევრების ინტერესთა დაკმაყოფილებისაკენ. ერთმა მკვლევარმა ამ პოლიტიკას „მოვლენათა წინმსწრები ექსპანსიონისტური რეზერვირება“ უწოდა (Monroe, 1981: 26). ხელშეკრულებების მიზანს შეადგენდა მოსპობილიყო ანტანტის წევრთა შორის ომის შემდეგ რაიმე პოტენციური უთანხმოებებისა მიზეზები. ეს კი მიღწეულ იქნა ალიანსის წევრებისათვის ამგვარი, „მოვლენათა წინმსწრები“ ტერიტორიული კომპენსაციით.

1915 წელს, როდესაც რუსეთის არმიამ შეაჩერა შეტევა აღმ. ანატოლიაში და პოლონეთში უკან იხევდა, ბრიტანეთსა და საფრანგეთს შეშფოთების მიზეზი გაუჩნდათ, რომ რუსეთის სურვილი გაეგრძელებინა ომი, შეიძლებოდა გამქრალიყო. აქედან გამომდინარე, მათ გადაწყვიტეს რუსეთის მეფეს წინასწარ დაპირებოდნენ მისთვის ყველაზე სასურველ ტერიტორიებს. 1915 წლის მარტში ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს „კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებას,“ რომლითაც მოკავშირეები რუსეთს დაპირდნენ სტამბულისა და თურქული სრუტეების გადაცემას. კონსტანტინოპოლის შეთანხმება არასდროს განხორციელებულა – 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ლენინმა უარყო ყოფილ მოკავშირეებთან დადებული ყველა ხელშეკრულება.

1915 წლის 4 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი საზანოვმა საიდუმლო ტელეგრამა გააგზავნა ლონდონსა და პარიზში, რომელშიც ნიკოლოზ II მოკავშირეებს თხოვდა დაეთმოთ მისთვის კონსტანტინოპოლი და სრუტეები მიმდებარე ტერიტორიებით, სამაგიეროდ კი, მხარდაჭერას აღუთქვამდა ბრიტანეთსა და საფრანგეთს ოსმალეთის იმპერიის სხვა ტერიტორიების გადანაწილების საქმეში.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრეი, თავის მხრივ, განმარტავდა, რომ პროგერმანული ელემენტები რუსეთის სამეფო კარზე სხვაგვარად აღიქვამდნენ ბრიტანეთის სამხედრო ოპერაციას დარდანელის სრუტეში, თუ ამგვარი დაპირება არ იქნებოდა გაცემული: „რუსეთის შეკავება კონსტანტინოპოლთან და სრუტეებთან მიახლოებისაგან ყოველთვის შეადგენდა ბრიტანულ პოლიტიკას... და, რა თქმა უნდა, დღესაც ასე არის. ამჟამად ბრიტანეთი აპირებს კონსტანტინოპოლის დაკავებას იმ მიზეზით, რომ როდესაც ბრიტანეთს და საფრანგეთს, რუსეთის დახმარებით, უნარი ექნებათ გაიმარჯვონ ომში, რუსეთს არ უნდა მიეცეს კონსტანტინოპოლი მშვიდობის დამყარების შემდეგ. ასე რომ არ იყოს, რატომ გაიგზავნა ბრიტანეთის ძალები დარდანელისკენ იმ დროს, როდესაც ფრანგული და

ბრიტანული არმიები ესოდენ შევიწროებული არიან საფრანგეთში და რუსეთს თითქოს არ ესმის, რომ მისგან საჭიროა მსხვერპლის გაღება მათ გადასარჩენად?“ (ციტ. Fromkin, 2001: 138).

განსხვავებული პოზიცია ჰქონდა პრემიერ ესქვითს: „მცირე რამ თუ მომიტანს ისეთივე სიამოვნებას, ვიდრე იმის ხილვა, რომ თურქეთის იმპერია საბოლოოდ გაქრა ევროპიდან და კონსტანტინოპოლი გახდა თუნდაც რუსეთის (რაც, ჩემი აზრით, მისი საბოლოო ბედია), თუ სხვაგვარად მისი ნეიტრალიზება შეუძლებელია..“ „ნათელი გახდა, რომ რუსეთის მიზანია მათი (კონსტანტინოპოლის და სრუტეების) ინკორპორაცია საკუთარ იმპერიაში... პირადად მე, ყოველთვის ვიყავი და ვარ რუსეთის მოთხოვნის მხარდამჭერი“ (Asquith, 1982: 300).

საგულისხმოა, რომ გრეიც და ესქვითიც ლიბერალური პარტიის წევრები იყვნენ.

გაცილებით უფრო მძიმე საკითხი იყო ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით მუდმივი დაძაბულობა ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ საფრანგეთი ითხოვდა ოსმალეთის სირიას. რამდენადაც საფრანგეთმა იტვირთა დასავლეთის ფრონტზე ბრძოლის არნახული სიმძიმე, მას არ დარჩა ძალა აქტიურად ჩაბმულიყო ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში და შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს ბრიტანეთის სულ უფრო მზარდ სამხედრო ჩართვას რეგიონში. საბოლოოდ, ორმა მხარემ მიაღწია შეთანხმებას და ხელი მოაწერა საიდუმლო ხელშეკრულებას 1916 წლის მაისში, რომლითაც ისინი ერთმანეთში იყოფდნენ არაბული ახლო აღმოსავლეთის ძირითად ნაწილს. მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მაღალი რანგის ბრიტანელი დიპლომატი სერ მარკ საიქსი და ბეირუთში საფრანგეთის ყოფილი კონსული ჟორჟ პიკო. ეს შეთანხმებაც საიქს-პიკოს სახელით არის ცნობილი.[1] ეს არის ომის ყველაზე წინააღმდეგობრივი დოკუმენტი, რამდენადაც არღვევს ტერიტორიების დანაწილების იმ პირობებს, რომელიც შარიფ ჰუსაინს მისცეს ინგლისელებმა. მოკავშირეთა შეთახმებით, აღიარებული იყო საფრანგეთის უფლებები დიდ სირიაზე (რისი პრეტენზიებიც ამ უკანასკნელს უკვე დიდი ხანია ჰქონდა), რომლის ნაწილიც დაექვემდებარებოდა საფრანგეთის „პირდაპირ კონტროლს.“ ეს ტერიტორია მოიცავდა თანამედროვე ლიბანს და ანატოლიის სამხრეთის ნაწილს. საფრანგეთს ასევე მიენიჭა ექსკლუზიური არაპირდაპირი გავლენის უფლება დანარჩენ სირიაზე. ბრიტანეთის პოზიციები ერაყში ასეთივე სახით იყო გარანტირებული. ბრიტანეთის პირდაპირი კონტროლი უნდა დამყარებულიყო მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილში, ხოლო მისი ზეგავლენის ზონა ვრცელდებოდა ღაზადან ქირქუკამდე (ჩრდ. ერაყი). ჰუსაინისათვის დაპირებული დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო, საიქს-პიკოს შეთანხმების მიხედვით, უნდა ყოფილიყო სახელმწიფოთა კონფედერაცია, რომელიც მოიცავდა საფრანგეთისა და ინგლისის არაპირდაპირი ზეგავლენის ზონებს. ხელშეკრულების მიხედვით, პალესტინა (მის ორ მესამედს შეადგენდა იერუსალიმის სანჯაყი) სამართავად უნდა გადასცემოდა საერთაშორისო ადმინისტრაციას, რამდენადაც რუსები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მათაც მიეღოთ მონაწილეობა წმინდა მიწის მმართველობაში.

სიაქს-პიკოს შეთანხმება ბრიტანეთისა და საფრანგეთის კაბინეტებმა მოიწონეს 1916 წლის დეკემბერში. შეთანხმებაში არ იყო ნახსენები ებრაელები, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 20-30 წელი იყო, რაც ებრაელთა საკითხი აქტუალური გახდა და მათი ჩასახლება პალესტინაში აქტიურად მიმდინარეობდა. მაგრამ 1915 წლისათვის ბრიტანეთი უფრო მეტად საფრანგეთთან ალიანსის შენარჩუნებისათვის ზრუნავდა, ვიდრე პალესტინის ებრაელებისათვის რეზერვირებისათვის. პალესტინაზე ებრაელთა მოთხოვნები მხოლოდ მოგვიანებით იქცა უმნიშვნელოვანეს საკითხად.

საიქს-პიკოს შეთანხმება საჯაროდ ცნობილი გახდა მხოლოდ ორი წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის ბოლშევიკმა ლიდერებმა აღმოაჩინეს ის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში და გადაწყვიტეს მასზე უარის თქმა, ისე როგორც მეფის ხელისუფლების სხვა ომისდროინდელ მოთხოვნებზე.

ბოლშევიკებმა დაუყოვნებლივ ამცნეს ამ დოკუმენტის არსებობის შესახებ თურქებს. ჯემალ ფაშამაც დეტალურად გააცნო ის არაბებს, როგორც დასტური ოსმალეთის იმპერიის მუსლიმი ხალხებისადმი ქრისტიანული სახელმწიფოების ღალატისა. ჰუსაინმა საიქს-პიკოს შეთანხმების შესახებ მანამდე არაფერი იცოდა და ახნა-განმარტება მოითხოვა სერ რეჯინალდ უინგეითისაგან (რომელმაც მაკმაჰონი შეცვალა კაიროში). უინგეითმა პეტროგრადის დოკუმენტების იმგვარი ინტერპრეტირება მოახდინა, თითქოს ეს ჩვეულებრივი მოსაზრებათა გაცვლა იყო ბრიტანულ, ფრანგულ და რუსულ მთავრობებს შორის და არა რაიმე სახის მყარი შეთანხმება. მან ასევე დაამატა, რომ არაბული აჯანყების წარმატებისა და ომიდან რუსეთის გამოთიშვის შემდეგ, სრულიად ახალი სიტუაცია იყო შექმნილი. ეს კი

1 რამდენადაც შეთანხმებაში გათვალისწინებული იყო რუსეთის ინტერესებიც, ზოგჯერ ის მოიხსენიება საიქს-პიკო-საზანოვის შეთანხმების სახელით.

მართლაც შეეფერებოდა სინამდვილეს, ვინაიდან ათავისუფლებდა მოკავშირეებს რუსეთისათვის მიცემული პირობისაგან მისთვის კონსტანტინოპოლისა და სრუტეების გადაცემის შესახებ.



ახლო აღმოსავლეთის გადანაწილება საიქს-პიკოს შეთანხმებით

რაც შეეხება პალესტინის საკითხს, ერთი მხრივ, აშშ-ის, რუსეთისა და გერმანიის ებრაელობის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, სუეცის არხის მიმდებარე მიწების მომავალი კონტროლის გარანტირებისათვის, ბრიტანეთმა მზადყოფნა გამოთქვა პალესტინაში ებრაელთა ნაციონალური კერის შექმნის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებულია ე.წ. ბალფურის დეკლარაცია – ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, არტურ ბალფურის წერილი ლორდ როტშილდისადმი, ცნობილი ბრიტანელი სიონისტისადმი. თუმცა ომის დასაწყისში ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ებრაული სახელმწიფოსა თუ რაიმე ავტონომიური წარმონაქმნის იდეა არ სარგებლობდა დიდი მხარდაჭერით. (იხ. თავი XIV).

რონალდ სტორსი, ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტის აღმოსავლეთის საქმეთა მდივანი, პალესტინის საკითხის შესახებ 1914 წლის მიწურულს წერდა:

„პალესტინასთან დაკავშირებით, მე ვვარაუდობ, რომ როდესაც ჩვენ ბუნებრივად არ გვინდა ვიტვირთოთ ის მძიმე პასუხისმგებლობა, რომელიც დაგვეკისრება ანექსირების შემთხვევაში, ჩვენ ვდგავართ, მე ამას ვადასტურებ, საპირისპიროდ სამხრეთით სირიისაკენ რუსეთის წინწაწევის პერსპექტივის წინაშე, ანდა საფრანგეთის მიერ ლიბანის გარდაუვალი პროტექტორატის გაფართოების პერსპექტივის წინაშე და ა.შ. საფრანგეთი უკეთესი მეზობელი იქნება, ვიდრე რუსეთი, მაგრამ ჩვენ ვერ დავეყრდნობით ნებისმიერი ანტანტის მუდმივობას, თუნდაც ის გულითადი იყოს, როდესაც წავა ის თაობა, რომელიც სავსეა ომის მოგონებებით. ბუფერული სახელმწიფო უფრო სასურველია, მაგრამ შეგვიძლია მისი შექმნა? არ არსებობს არანაირი თვალსაჩინო ელემენტი, რომლის საფუძველზეც შეიძ-

ლება ჩამოყალიბდეს პალესტინის მუსლიმური სამეფო. ებრაული სახელმწიფოს იდეა თეორიულად მეტად მიმზიდველია; მაგრამ ებრაელები, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას წარმოადგენენ იერუსალიმში, უმცირესობაა მთლიანად პალესტინაში და შეადგენენ მოსახლეობის მხოლოდ მეექვსედს."

ამ ალტერნატივების განხილვის შემდეგ, სტორსი ასკვნის, რომ ყველაზე მიმზიდველი მიდგომაა პალესტინის ანექსირება და ეგვიპტეში ინკორპორაცია. (ციტ. Fromkin, 2001: 142).

თუ ბრიტანეთი, არაპირდაპირი გზით, მხარს დაუჭერდა ებრაელთა დასახლებას პალესტინაში, მაშინ მას პალესტინის ოკუპაცია უნდა გაეგრძელებინა. არაბული თვალთახედვიდან, ნებისმიერი ამგვარი აქცია ასევე წარმოადგენდა ჰუსაინისათვის მიცემული დაპირებების დარღვევას.

ამდენად, ომის დასასრულისათვის, ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის დიდი ნაწილი წინასწარ ჰქონდათ გადანაწილებული მოკავშირეებს. ამასთან, როგორც შემდგომ გამოჩნდა, საიქს-პიკოს შეთანხმებამ გაცილებით უფრო მეტი პრობლემები შექმნა, ვიდრე გადაწყვიტა (Rogan, 2009: 151).

კავკასია ომის მიწურულს

მოკავშირეთა გეგმის მიხედვით, ანატოლიაში შესულ რუსულ არმიას სამხრეთისაკენ უნდა წაეწია და საბოლოოდ შეერთებოდა მესოპოტამიაში მოქმედ ბრიტანულ ჯარებს. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში, სავარაუდოდ, ომი გაცილებით უფრო ადრე დასრულდებოდა (King, 2008: 160). მაგრამ რუსეთის 1917 წლის რევოლუციებმა და განსაკუთრებით ბოლშევიკურმა, კარდინალურად შეცვალა ზოგადად საომარი ვითარება და კერძოდ, სიტუაცია კავკასიის ფრონტზე.

დასავლური სახელმწიფოებისათვის 1917 წლის შემოდგომისთვის სამხრეთ კავკასია არაფერი იყო, გარდა ფრონტისა თურქეთის წინააღმდეგ ომში. ამასთან კი, თბილისში აშშ-ის კონსული სმიტი „ოქტომბრის რევოლუციის" შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილ პირველ ტელეგრამაში ხაზს უსვამდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა და არმია უარს ამბობდა მხარი დაეჭირა ბოლშევიკებისათვის. „მაგრამ," ამატებდა ის, „ეჭვი მეპარება მათ უნარში წინააღმდეგობა გაუწიონ ხუთ დღეზე მეტი ხნის მანძილზე ფინანსური დახმარების გარეშე. მათი მხარდაჭერა კი მოკავშირეთათვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს."

წყარო: Papers relating to the Foreign Relations of the United States, 1918, Russia, Vol. II, Washington, 1932, 580-581; ციტ. Kazemzadeh, 1951: 79.

ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვებიდან სულ მალე, 1917 წლის 5 დეკემბერს დაიდო ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ზავის პირობები მოწონებულ იქნა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერაც. ოდნავ მოგვიანებით, ერთი მხრივ, გერმანიასა და მის მოკავშირეებს, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთს შორის, ბრესტ-ლიტოვსკში 1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთმა იტვირთა ვალდებულება გამოეყვანა თავის ჯარები აღმოსავლეთ ანატოლიიდან და ასევე ბათუმიდან. ამ რეგიონების ბედი კი ადგილობრივი მოსახლეობის ნების საფუძველზე, თურქეთისა და მეზობელი ქვეყნების შუამავლობით უნდა გადაწყვეტილიყო. ისიც აღსანიშნავია, რომ გერმანია არ იყო დაინტერესებული ოსმალეთის ყველა მოთხოვნის შესრულებით (მათ შორის იყო 1877-78 წლების რუსეთთან ომში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება), მაგრამ საბოლოო ჯამში, მიღებული კომპრომისული ვარიანტი, სწორედ ოსმალეთის ინტერესებს პასუხობდა. სადავო რეგიონების მოსახლეობისათვის „თვითგამორკვევის უფლების" ზემოთნახსენები ფორმით მინიჭება პრაქტიკულად ამ ტერიტორიების თურქეთისათვის დათმობას ნიშნავდა. „თურქ ისტორიკოსებს მიაჩნიან, რომ თურქეთის დელეგაციამ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე დიპლომატიურ გამარჯვებას მიაღწია" (სვანიძე, 2007: 363).

რამდენადაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელმოწერის დროისათვის ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, თურქების თვალთახედვიდან, ის რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. ამდენად, თურქები მიიჩნევდნენ, რომ ამიერკავკასიას არ ჰქონდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის არაღიარების ლეგალური საფუძველი (*Документы*..,1919: No 58, 118-119).

ამის შემდეგ რუსული ჯარები რეგიონიდან გავიდნენ. ოდნავ ადრე კი **1918 წლის თებერვლი**-დან, ოსმალებმა განაახლეს შეტევა კავკასიაში და სწრაფად წაიწიეს წინ, რამდენადაც ქართული და სომხური შენაერთები ბევრად ჩამოუვარდებოდნენ მათ როგორც რაოდენობრივი, ისე შეიარაღების თვალსაზრისით. ოსმალებმა ადვილად დაიკავეს სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიის ნაწილი.

1918 წლის 1 მარტს ამერკავკასიის სეიმისა და კომისარიატის ერთობლივ სესიაზე თურქეთთან ზავის თაობაზე ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი წინადადებები:

1. სეიმი უფლებამოსილია დაამყაროს მშვიდობა.

2. სეიმი მიიჩნევს, რომ მისი ამოცანაა საბოლოო მშვიდობის მიღწევა თურქეთთან.

3. თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა ეფუძნებოდეს 1914 წლამდე არსებული საზღვრების აღდგენას.

4. ამიერკავკასიის დელეგაცია ყველა ღონეს იხმარს აღმოსავლეთ ანატოლიის თვითგამორკვევის უფლების შესანარჩუნებლად, პირველ რიგში კი თურქეთის სომხეთისა თურქული სახელმწიფოს ფარგლებში (*Документы*.., 1919: No. 46, 83-84).

14 მარტს ტრაბზონში გაიხსნა კონფერენცია, რომელზეც ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა რაუფ ბეიმ ამიერკავკასიის დელეგაციას მოთხოვა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობა და ამის საფუძველზე არდაჰანის (არტაანის), ყარსისა და ბათუმის ოლქებზე უარის თქმა. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურმა აკაკი ჩხენკელმა დაარწმუნა დელეგაციის სხვა წევრები, რომ აუცილებელი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებზე დათანხმება. ოსმალეთის დელეგაციის 6 აპრილის ულტიმატუმის საპასუხოდ, 10 აპრილის ტელეგრამაში ჩხენკელმა დელეგაციის სახელით თანხმობა განაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების აღიარებასა და მოლაპარაკებების გაგრძელებაზე სწორედ ამ ზავის საფუძველზე (*Документы*.., 1919: No. 77, 160). თუმცა, ამიერკავკავკასიის დელეგაციამ იმ პერიოდში არ გაიზიარა ჩხენკელისა და თურქული მხარის მოსაზრება დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობის შესახებ (იქვე, 159).

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატების მიმართვა რუსეთის დემოკრატებისადმი:

„რუს ამხანაგებს, მუშებს, გლეხებს და და ჯარისკაცებს!

ამ სასიკვდილო საფრთხის ჟამს, რომელიც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მოუახლოვდა, მოგმართავთ ამიერკავკასიის დემოკრატიის სახელით.

თურქეთის იმპერიალისტებმა, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, წამოაყენეს მოთხოვნები, რომელთა შორისაა ამიერკავკასიის დამონება. ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ეს მოთხოვნები, რამდენადაც მათზე დათანხმება გამოიწვევს მთლიანად კავკასიის რუსეთიდან მოწყვეტას და იქნება რევოლუციის ღალატი. თურქეთმა გადაწყვიტა მიზნების მიღწევა იარაღის ძალით და თავისი საჯარისო ნაწილები გამოიყვანა ჩვენს წინააღმდეგ. ამიერკავკასიას დიდი საფრთხე ემუქრება. ამ ვითარებაში თქვენ, ჩვენო ძმებო დიდ რევოლუციურ ბრძოლაში, უნდა მოხვიდეთ ჩვენს დასახმარებლად.

ჩვენ ერთად ვიბრძოდით ბარიკადებზე 1905 წელს... ცარიზმის წინააღმდეგ, ერთად ვიტანჯებოდით ციხეებში... გადასახლებებში. ერთად ვზეიმობდით რევოლუციის ტრიუმფს... ერთნაირი იმედები ასხივოსნებდა ჩვენი მომავლის გზას. და ახლა, როცა ჩვენი შენაერთები გზას უღობავენ თურქი სულტნის ჯარებს, ჩვენ იმავდროულად ვიცავთ რუსეთის რევოლუციის დროშას.

ჩვენ ჩვენს მოვალეობას ბოლომდე შევასრულებთ. მაგრამ შეიძლება ჩვენი ძალები გამოილიოს. თქვენ უფრო მდიდრები ხართ ჩვენთან შედარებით – პურით, იარაღით, ადამიანებით. ჩვენ ველით თქვენს მხარდაჭერას და დახმარებას.

გამოეხმაურეთ ჩვენს მოწოდებას, რუსეთის მშრომელებო, გლეხებო და ჯარისკაცებო და ერთობლივად ჩვენ შევძლებთ დავიცვათ მტრისაგან რუსეთის დიდი რევოლუციის წითელი დროშა და ჩვენი თავისუფლება“ (*Документы*.., 1919: No 77, 160).

მიმართვას არანაირი პასუხი არ მოჰყოლია. მაგრამ არმავირში დააკავეს ქართველთა 38-კაციანი ჯგუფი, რომელიც რუსეთიდან თბილისისაკენ მოემართებოდა სამხრეთ კავკასიის თურქებისაგან დასაცავად. ჯგუფის წევრებს ბრალი დადეს კონტრრევოლუციურ მოღვაწეობაში და სასამართლო პროცესის გარეშე დახვრიტეს (იქვე, No 90, 190).

პარალელურად, ოსმალეთის ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას კავკასიაში. 15 აპრილს კონსტანტინოპოლში მიღებული კომუნიკეს თანახმად გადაწყდა ბათუმის აღება. ქალაქში თურქები წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ. აჭარის მოსახლეობის ნაწილი მხარში ამოუდგა თურქებს. ისინი აზიანებდნენ სარკინიგზო ლიანდაგებს, აფეთქებდნენ მატარებლებს, ზურგიდან ესხმოდნენ თავს ქართულ არმიას (იქვე, Nos 94-96, 195-96). ამასთან, ხაზგასასმელია, რომ აჭარელთა დიდი ნაწილი პროქართული ორიენტაციისა იყო. 1918 წელს თბილისში შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი,“ რომლის თავმჯდომარეც მემედ აბაშიძე გახდა. კომიტეტის წევრები შემდგომ შევიდნენ სპეციალურ კომისიაში, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს მთავრობამ ევროპის ქვეყნებში გააგზავნა რუსეთ-გერმანიას შორის დადებული ბრესტის ზავის იმ პირობების გასაპროტესტებლად, რომელიც ქართული ტერიტორიების ოსმალეთისთვის გადაცემას ითვალისწინებდა (კომახიძე, 1993: 22). უფრო გვიან, ბათუმში ინგლისელების შესვლის შემდეგ, 1919 წელს აქ იქმნე-

ბა „მუსლიმი ხალხების გაერთიანების კომიტეტი", რომელიც იმისთვის იღწვოდა, რომ ბათუმის ოლქი, ზოგ სხვა ოლქთან ერთად, ყოფილიყო თურქეთის შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე (სილაგაძე და გურული, 2011: 57). თუმცა, აღნიშნული კომიტეტის მოღვაწეობა არც ხანგრძლივი და არც ნაყოფიერი არ ყოფილა.

სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის უფლებამოსილებისათვის თურქულმა მხარემ პირობა წამოაყენა, რომ ამიერკავკასიას დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა და ოფიციალურად გამოყოფილიყო რუსეთისაგან (იხ. Kazemzadeh, 1951: 103-7). 1918 წლის აპრილში, ოსმალეთის მხრიდან ამგვარი ზეწოლის პირობებში, გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. 27 მაისს კი ოსმალეთმა ოფიციალურად სცნო ეს ახალი „სახელმწიფო". თურქულ მხარეს გაეგზავნა ტელეგრამა, რომლის თანახმადაც ამერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა ოფიციალურად აცხადებდა თანხმობას ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებზე და თხოვდა ოსმალეთის ხელმძღვანელობას მოლაპარაკებების დაწყებას ბათუმში, როგორც ამისთვის ყველაზე შესაფერის ადგილზე. მოლაპარაკებათა დროს კი საომარი ოპერაციები უნდა შეწყვეტილიყო (*Документы*.., 1919: No. 102, 224).

> იმ რწმენით, რომ გერმანიამ არ გაითვალისწინა თურქეთის მოთხოვნები რუსეთთან საზავო ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებისას, ენვერ ფაშამ გადაწყვიტა ყურადღება აღარ მიექცია გერმანიის ინტერესებისათვის სამხრეთ კავკასიაში. მან გააგზავნა ჯარების ნარჩენები საქართველოსა და სომხეთის დასაპყრობად და შემდეგ აზერბაიჯანში შესასვლელად. ამ მიზნით მან შექმნა სპეციალური სამხედრო კორპუსი, რომელიც გამოყოფილი იყო გერმანელი ოფიცრებით გადახუნძლული ოსმალეთის რეგულარული არმიისაგან. მის ახალ „ისლამის არმიაში" გერმანელები არ იყვნენ. ის შედგებოდა მხოლოდ თურქებისა და აზერბაიჯანელებისაგან. მისი ბრძანება იყო ბაქოს აღება. ამ ინდუსტრიულ ქალაქში 300 ათასამდე მცხოვრები იყო, მაგრამ მუსლიმები მის მხოლოდ ნახევარს შეადგენდნენ, განსხვავებით აზერბაიჯანის სხვა ნაწილებისგან. იმ დროს ბაქო ნავთობის მოპოვების უდიდეს ცენტრს წარმოადგენდა. 1918 წლისათვის კი ომში ჩართულმა მხარეებმა უკვე გააცნობიერეს, რომ ნავთობის საწვავი არამხოლოდ საზღვაო, არამედ სახმელეთო სამხედრო ტრანსპორტისათვიც აუცილებელი იყო.
>
> ბაქოს ასევე სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ის წარმოადგენდა კასპიის უდიდეს საზღვაო პორტს და სურვილის შემთხვევაში, ენვერს შეეძლო ჯარების გადასროლა აღმოსავლეთ კასპიისპირეთში, თურქესტანში.
>
> ბაქოს დასაცავად ბრიტანელების მიერ ირანიდან გაიგზავნა საარტილერიო პოლკი გენერალ ლაიონელ დანსტერვილის[2] წინამძღოლობით. ბრიტანელთა ოპერაციის მიზანი იყო ბაქოს ნავთოსარეწებისა და რკინიგზის დაცვა.[3] მათ დროებით შეაჩერეს ოსმალების შეტევა, თუმცა 1918 წლის სექტემბერში „ისლამის არმიამ", ენვერ ფაშას ძმის, ნური ფაშას ხელმძღვანელობით, მაინც აიღო ბაქო.

1918 წლის 11 მაისს ბათუმში დაიწყო საზავო მოლაპარაკებები ოსმალეთისა და ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციებს შორის. მოლაპარაკებებში შუამავლის როლს ასრულებდა გერმანიის დელეგაცია გენერალ-მაიორ ოტო ფონ ლოსოვის ხელმძღვანელობით. ბათუმის საზავო მოლაპარაკებებში ოსმალეთმა უკვე ჩართო ახალციხის, ახალქალაქის, ალექსანდროპოლის, ეჩმიაძინისა და სურმალინის მხარეების მისთვის გადაცემის მოთხოვნა.

ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლისა და სამი სახელმწიფოს მიერ მაისში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბათუმში თითოეულ ამ ქვეყანასა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება „მშვიდობისა და მეგობრობის" შესახებ, რომლითაც ოსმალეთი მოთხოვნილ ტერიტორიებს მთლიანად იღებდა.

> *24 მაისს აკაკი ჩხენკელის მიერ ბათუმიდან თბილისში გაგზავნილი ტელეგრამიდან:*
>
> „შეატყობინეთ შემდეგი საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს: დამოუკიდებლობის გამოცხადების გადავადებას მოჰყვება გამოუსწორებელი შედეგები. გერმანელთა მხრიდან შუამავლობის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი, გერმანიის მხარდაჭერილი საქართველოს წინააღმდეგობა თურქული აგრესიისადმი" (ციტ. Авалов, 1924: 59).

---

2 ამ პოლკს „დანსტერფორსს" (Dunsterforce) – „დანსტერის ძალასაც" უწოდებდნენ.

3 დანსტერვილის ბაქოში ყოფნასთან ერთი კურიოზული ისტორიაა დაკავშირებული: ბრიტანელებმა ვერ მოიძიეს საკუთარი ქვეყნის დროშა და სანაცვლოდ რუსეთის იმპერიის სამფეროვანი დროშა გამოკიდეს. თუმცა, ეს დროშა უკუღმა დაკიდეს და ფერების ასეთი გადანაცვლების შედეგად, ბაქოში სერბეთის დროშა აღიმართა (King, 2008:167).

აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. დამატება II:

„...ოსმალეთის ჯარმა, წინააღმდეგ თვით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა, ბათომისა, ყარსისას და არდაღანის პროვინციები, რუსეთის სომხეთი და აზერბაიჯანი დაიპყრო. ამ მოვლენამ ამიერ-კავკასიის სეიმი იძულებულ ჰყო ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლა ერთხმად დაედგინა. ამ გარეგან ძალთა და ზემოდმოყვანილ პირობათა გავლენით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა“ (*აქტები*, 1990: 9).

დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამდა მიეცა თურქეთისათვის სარკინიგზო ხაზების გამოყენების უფლება და ეღიარებინა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დადგენილი საზღვარი ორ ქვეყანას შორის (*Документы*.., 1919: No. 168, 339). ქართული მხარე ასევე მოითხოვდა ქვეყნის საშინაო საქმეებში არჩარევის გარანტიებს, თუმცა შექმნილ ვითარებაში ეს მხოლოდ ღირსების შენარჩუნების მცდელობას წარმოადგენდა (Kazemzadeh, 1951: 103-7). ბათუმში ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელის განცხადებით, კავკასიაში ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც დაეფუძნებოდა ქართველებისა და კავკასიელი მუსლიმების მეგობრობას, თურქეთის ინტერესებში შედიოდა (იქვე).

4 ივნისს ოსმალეთის იმპერიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.[4] აგვისტოში კი, სულტან მეჰმეტ VI-ის პრესკრიპტით გამოცხადდა არდაჰანის, ყარსისა და ბათუმის სანჯაყების შეერთება ოსმალეთის იმპერიასთან.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ხელშეკრულება გააფორმა გენერალ ფონ ლოსოვთან, რომლითაც გერმანული პროტექტორატი მყარდებოდა ახლადშექმნილ რესპუბლიკაზე. დიპლომატიური აღიარებისა და თურქების გაზრდილი ტერიტორიული მადისგან დაცვის სანაცვლოდ, საქართველო გერმანიას უფლებას აძლევდა გამოეყენებინა ქვეყნის სარკინიგზო ხაზები, ნებისმიერი გემი ქართულ პორტებში, აღიარებდა გერმანიის მონოპოლიას სასარგებლო წიაღისეულსა და ნედლეულზე, უშვებდა გერმანული ფულის თავისუფალ მიმოქცევას საქართველოში. სულ მალე თურქებთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც საქართველო თურქეთს უთმობდა ახალციხესა და ახალქალაქს და აძლევდა საქართველოს რკინიგზის გამოყენების უფლებას. ბათუმის ხელშეკრულებით პრაქტიკულად აღდგა 1829 წლის ანდრიანოპოლის ხელშეკრულებამდე არსებულ საზღვრები (Suni, 1994: 192-193). მუსლიმური საქართველოს ნაწილი, რომელიც მოიცავდა მდ. მტკვარის ზედა წელს და მდ. ჭოროხის აუზს, გადაეცა ოსმალეთს. ამგვარად, საქართველომ დაკარგა მოსახლეობა დაახლ. 350 ათასი ადამიანის რაოდენობით და 9,500 კვ. კმ ტერიტორია. (Asatiani & Janelidze, 2009: 322). მცირე შეღავათი იყო ის, რომ ოსმალებმა ახალციხის მაზრაში შემავალი აბასთუმანი და აწყური აღარ მოითხოვეს (გაჩეჩილაძე, 2008ბ: 162). ოსმალეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების მე-6 პუნქტში ხაზგასმული იყო, რომ „დაცული იქნებოდა საქართველოში მცხოვრები ყველა მუსლიმის რელიგია და ჩვეულებები. მათ მიეცემოდათ რწმენისა და ღვთისმსახურების თავისუფლების გარანტიები. მისი იმპერიული უდიდებულესობა სულტნის სახელი უნდა მოხსენიებულიყო მუსლიმთა საჯარო ლოცვებში“ (ხელშეკრულების ტექსტი იხ. *Документы*.., 1919: No.172, 343-349). ხელშეკრულების დამატებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველო ვალდებულებას იღებდა ქვეყნიდან გაეძევებინა თურქეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ყველა ქვეყნის წარმომადგენელი სამოქალაქო და სამხედრო პირი (იქვე, No 177, 362).[5]

ბათუმის ხელშეკრულება, ბუნებრივია, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ინტერესებს. გერმანიაც იზიარებდა ხელშეკრულების გადასინჯვის თვალსაზრისს და დაარწმუნა თურქული მხარე ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური კონფერენციის გამართვის აუცილებლობაში. ოსმალეთის ხელისუფლება ასევე ვარაუდობდა რეფერენდუმის მოწყობას ამ რეგიონებში. კონფერენციის ჩატარება არაერთხელ გადაიდო (თუმცა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის დელეგაციები ხაგრძლივი დროის მანძილზე იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლში და ელოდნენ მის დაწყებას). ვერც კონფერენციისა და ვერც რეალური რეფერენდუმის ჩატარება ომის მიწურულს ელვის სისწრაფით ცვალებად ვითარებაში ვერ მოხერხდა. თუმცა, თურქებმა ჩაატარეს „პლებისციტი“ ბათუმის ოლქში და „მიიღეს“ მათთვის სასურველი შედეგები. პლებისციტის ჩატარებას ქართული მხარის მძაფრი პროტესტი მოჰყვა. გერმანიამ გაიზიარა ქართული პოზიცია და თურქეთს მოსთხოვა პლებისციტის შედეგების გაუქმება, რამდენადაც ბათუმის პლებისციტი ჩატარდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლის დარღვევით, რომ-

4 ოსმალეთმა დე იურედ საქართველო ცნო 1921 წლის 8 თებერვალს.

5 ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მომხდარა.

ლის მიხედვითაც რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმების საფუძველზე (იქვე, № 188, 337-38).

ევროპაში გერმანიის პოზიციების შესუსტების პირობებში თურქულმა პოზიციამ საქართველოსა და სომხეთის მიმართ თანდათანობით შეცვლა დაიწყო. 1918 წლის სექტემბერში თაალათ ფაშამ, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, ქართული დელეგაცია მიიღო და დაპირდა მას, რომ საკუთარ ზეგავლენას გამოიყენებდა კონსტანტინოპოლში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის (Авалов, 1924: 59). **ერთი თვის შემდეგ თურქეთმა მზადყოფნა გამოთქვა რეალური დათმობები განეხორციელებინა საქართველოს მიმართ.** გერმანელები დასავლეთის ფრონტზე უკან იხევდნენ და რაიხის გამარჯვების იმედი უკვე ილუზორული გახდა. კონსტანტინოპლში თაალათ ფაშას მთავრობა დაემხო. **1918 წლის ოქტომბერში ახალმა პრემიერმა იზათ ფაშამ მიიღო ქართველი დიპლომატები** და განუცხადა, რომ მისი ქვეყანა მოსურნე იყო სასწრაფოდ გამოეყვანა ჯარები სამხრეთ კავკასიის იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით. გენერალმა ფონ ლოსოვმა, რომელიც იმ დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, ქართველებსა და სომხებს ურჩია განეცხადებინათ, რომ ოსმალური ჯარების გასვლის შემდეგ სომხეთ-საქართველოს შორის საზღვარი დადგინდებოდა ამ ორ ქვეყანას შორის შეთანხმების საფუძველზე სხვა სახელმწიფოების ჩარევის გარეშე (იქვე, 140-41). ქართველებსა და სომხებს უკვე აღარ სჭირდებოდათ თურქებთან მოლაპარაკებების გაგრძელება. ოსმალეთის იმპერია იმგვარივე კოლაფსის წინაშე იდგა, როგორშიც აღმოჩნდა სამხრეთ კავკასია 1917 წელს.

> 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში თურქებმა დაიწყეს ჯარების ევაკუაცია ამიერკავკასიიდან, მაგრამ გასვლამდე ისინი შეეცადნენ ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ საქართველო და სომხეთი: სომხებს აცნობეს, რომ 6 დეკემბრის შემდეგ მათ შეეძლოთ დაეკავებინათ თურქული ჯარის მიერ დატოვებული ტერიტორიები; იგივე შინაარსის შეტყობინება მიუვიდათ ქართველებს, ოღონდ ამ შემთხვევაში თურქული ჯარის ევაკუაციის თარიღად 4 დეკემბერი იყო დასახელებული. ამდენად, როდესაც სომხურმა ჯარებმა დააპირეს ლორესა და ბორჩალოს პროვინციებში შესვლა, ისინი უკვე ქართული ჯარის მიერ დაკავებული დახვდათ (Деникин, 1924: 152-154; ციტ. Kazemzadeh, 1951: 177).

სულ მალე კი დადგა ოსმალეთის სრული და უპირობო კაპიტულაციის დროც და ის, საზავო ხელშეკრულების პირობების თანახმად, იძულებული გახდა გამოეყვანა ჯარები სამხრეთ კავკასიაში დაკავებული ტერიტორიებიდან, მათ შორის ბაქოდანაც.

ბათუმში ჯარები ინგლისელებმა შეიყვანეს. მესხეთი კი **1918 წლის დეკემბერში ქართულმა ჯარმა** დაიკავა. 1919 წლის 18 იანვარს თურქების ხელდასხმით, შეიქმნა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) მთავრობა." ამ პოლიტიკური ერთეულის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის ოლქები. თუმცა, 13 აპრილს ინგლისელებმა დააპატიმრეს ამ „მთავრობის" წევრები და სტამბულში გააგზავნეს (სვანიძე, 2007: 370).

რუსეთთან კავკასიის საზღვარზე განლაგებულ ბრიტანულ ჯარებს იმედი ჰქონდათ, რომ მოხერხდებოდა აშშ-ის, იტალიის ან საფრანგეთის დარწმუნება, შეეცვალათ ისინი და დაეცვათ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ახლადშექმნილი სახელმწიფოები, თუ რუსეთი ან თურქეთი იმდენად მოიკრებდა ძალას, რომ მათ თავს დასხმოდა. მაგრამ მოკავშირეები არ დაინტერესდნენ კავკასიით, ბრიტანეთს კი აკლდა ცოცხალი ძალა და ფინანსები ამ ძალისხმევისთვის და თანდათანობით ბედის ანაბარა მიატოვა ეს სახელმწიფოები.

> რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკებები სამხრეთ კავკასიის საკითხზე ჯერ კიდევ 1920 წელს დაიწყო. საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარებამდე ორი დღით ადრე კი, **1921 წლის 23 თებერვალს, თურქულმა ჯარებმა დაიკავეს ართვინი და არდაჰანი. 16 მარტს მოსკოვ**ში ხელმოწერილი რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს გადაეცა ბათუმის ოლქი, ყარსის, არდაჰანის და ართვინის ოლქები კი თურქეთის ტერიტორიები გახდა. მოგვიანებით, ყარსში გამართულ კონფერენციაზე **(26.09-13.10.1921) დაიდო „მეგობრობისა და ძმობის" ხელშეკრუ**ლება თურქეთსა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის. მიუხედავად ქართული და სომხური მხარეების ტერიტორიული მოთხოვნებისა, ხელშეკრულებაში დადასტურდა მოსკოვში თურქეთსა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის დადგენილი საზღვრები.

საომარი მოქმედებების შეწყვეტა და ოსმალეთის კაპიტულაცია

1917 წლის დასაწყისისათვის ბრიტანელებს ეგვიპტეში უზარმაზარი არმია ჰყავდათ. ზაფხულში ოსმალური კამპანიის წარუმატებლობამ გზა გაუხსნა ბრიტანელებს ეგვიპტიდან პალესტინისაკენ. გენერალ ედმუნდ ალენბის წინამძღოლობით, ბრიტანეთის არმიამ ფართო ფრონტი გაშალა ოსმალური ჯარების წინააღმდეგ. ამ კამპანიაში მას დახმარებას უწევდნენ არაბ ამბოხებულთა არარეგულარული ფორმირებები, რომლებიც მის მარჯვენა ფლანგზე მოქმედებდნენ და პარტიზანულ ბრძოლებს ეწეოდნენ ოსმალეთის არმიის ზურგში. ხანგრძლივი დროის მანძილზე ოსმალებმა ახერხებდნენ არაბული ძალების შეკავებას ჰიჯაზის რკინიგზასთან მიახლოებისაგან. თუმცა, გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ბრიტანული არმიის შეკავება შეუძლებელი ხდებოდა. **1917 წლის დეკემბერში ბრიტანელებმა** იერუსალიმი აიღეს, მაგრამ ამით სირიის კამპანია სულაც არ დასრულებულა. ოსმალური წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამძაფრდა **1918 წელს და მხოლოდ ალენბის მიერ კარგად ორგანიზებულ**მა დამხმარე ძალებმა განაპირობეს ის, რომ ბრიტანელების უკან არ დაუხევიათ. შემოდგომაზე ბრიტანელებმა განაახლეს შეტევა და ფრანგული ფლოტის დახმარებით, ბეირუთი დაიკავეს. დამასკოც უკვე არაბი ამბოხებულების ხელში იყო.

გენერალ ალენბის შესვლა იერუსალიმში

გალიპოლის ოპერაციის მარცხის შემდეგ ბალკანეთზე, 1918 წლის სექტემბრამდე, მოკავშირეებს ამ მიმართულებით სამხედრო ოპერაციები შეწყვეტილი ჰქონდათ. ამ დროს ფრანგებმა, გენერალ ფრანშე დ'ესპერეის მეთაურობით, წამოიწყეს შეტევა გერმანისა და ოსმალეთის მოკავშირე ბულგარეთზე. სოფიის მთავრობა იძულებული გახდა 1918 წლის 26 სექტემბერს მოეთხოვა ზავი. ბულგარეთის მარცხის შემდეგ, იმპერიის დედაქალაქს ბალკანეთიდანაც შეექმნა საფრთხე.

ოქტომბრის დასასრულისათვის ოსმალურმა არმიებმა მესოპოტამიის ფრონტიდან უკან დაიხიეს ანატოლიაში, სადაც ისინი ახალ თავდაცვით ხაზს ამზადებდნენ. მაგრამ ეს საჭირო აღარ გამოდგა. გერმანიის დახმარების გარეშე ოსმალეთის იმპერიას არ შეეძლო ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა. **27 ოქტომბერს, გენერალმა ტოუშენდმა, რ**ომელიც კუტ ალ-არაბის მარცხის შემდეგ, **1916 წლი**დან, ოსმალების სამხედრო ტყვეობაში იმყოფებოდა, ადმირალ კალტორფს, ბრიტანეთის შავი ზღვის ესკადრონის მეთაურს, გადასცა ზავის თაობაზე ოსმალეთის წინადადებები.

1918 წლის 31 ოქტომბერს მუდროსში (კ. ლემნოსი) ბრიტანულ ბაზაზე სტამბულის მთავრობამ ხელი მოაწერა *მუდროსის ზავს* – დოკუმენტს სრული და უპირობო დანებების შესახებ, რაც მოასწავებდა ომის დასასრულს ახლო აღმოსავლეთში და ასევე ოსმალეთის იმპერიის აღსასრულს. ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა ესქვითმა განაცხადა: „სნეული ადამიანი ამჯერად მართლაც გარდაიცვალა." ოსმალების კოლაფსის დროც დადგა.

საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ადმირალმა კალტორპმა და ჰუსეინ რაუფ ბეიმ, ოსმალეთის საზღვაო მინისტრმა. ხელშეკრულება **25 პუნქტისგან შედგებოდა და მასში შესული იყო ისე**თი საკითხები, როგორიცაა სრუტეების სამხედრო ოკუპაცია, ანტანტის მიერ ყველა სარკინიგზო და სატელეგრაფო ხაზების კონტროლი, ოსმალეთის ჯარების დემობილიზაცია და განიარაღება, მცირე კონტინგენტის გამოკლებით, რომელსაც ევალებოდა კანონიერებისა და წესრიგის დაცვისათვის თვალყურის დევნა, არაბულ პროვინციებში ოსმალური ჯარების დანებება და ოსმალეთის ტყვეობაში მყოფი ანტანტის ჯარების ყველა წევრის გათავისუფლება (ამასთან, ოსმალო ტყვეების გათავისუფლება არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული). გერმანულ და ავსტრიულ სამხედრო პერსონალს ორი თვის მანძილზე უნდა დაეტოვებინა ქვეყანა. ოსმალური თვალთახედვიდან, ყველაზე სახიფათო და მძიმე ხელშეკრულების მე-**7 მუხლი იყო, რომლის თანახმადაც ანტანტის ძალებს უფლება ჰქონ-**

დათ დაეკავებინათ ოსმალეთის იმპერიის ნებისმიერი ადგილი, თუკი ჩათვლიდნენ, რომ ეს საჭირო იყო უსაფრთხოებისათვის. 24-ე მუხლის თანახმად, ანტანტას ენიჭებოდა „სომხურ“ პროვინციებში სამხედრო ინტერვენციის უფლება, თუკი საჭირო გახდებოდა იქ წესრიგისა და კანონიერების აღდგენა. ეს მუხლები პრაქტიკულად ძალის გამოყენების შეუზღუდავ უფლებას ანიჭებდა ანტანტის სამხედრო ნაწილებს. მოკავშირეები დაიკავებდნენ ბოსფორსა და დარდანელს და ასევე ბათუმსა და ბაქოს. ზავის პირობებით, პირველ რიგში, გათვალისწინებული იყო მხოლოდ ინგლისელთა და არა მათი მოკავშირეების ინტერესები. იმპერიის ტერიტორიების გადანაწილების საკითხი საბოლოო საზავო ხელშეკრულების დადებამდე გადაიდო. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა ოსმალებმა მიიღეს ყველა ეს პირობა.

ოსმალეთის სამხედრო დანაკარგების დაანგარიშება საკმაოდ რთულია, თუმცა უპირობოდ უზარმაზარია. მხოლოდ 1915 წელს დაიღუპა, მძიმედ დაიჭრა ან უკვალოდ დაიკარგა დაახლ. 500 ათასი ადამიანი. ომის დასაწყისიდან 1918 წლის ბოლომდე მობილიზებული 2,9 მილიონი ადამიანიდან დაახლ. 750 ათასი დაიღუპა ბრძოლის ველზე, ეპიდემიებისაგან, 300 ათასი კი მძიმედ დაშავდა. დაახლ. 2,5 მლნ მუსლიმი თურქი დაიღუპა ანატოლიაში 1914-1922 წლებში. საერთო ჯამში, ანატოლიის მოსახლეობის 1/5 ამოწყდა.

ოსმალეთის ჯარების მიერ იარაღის დაყრის დაწყებასთან ერთად, გამარჯვებულებმა იმპერიის ნარჩენების დანაწილება დაიწყეს. ზავის დადებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ მოკავშირეთა ფლოტმა სტამბულის პორტი დაიკავა, იმპერიის სატახტო ქალაქი კი ბრიტანულ სამხედრო ოკუპაციას დაექვემდებარა. ბრიტანელებს ოკუპირებული ჰქონდათ არაბულენოვანი პროვინციების უმრავლესობა, ფრანგული ძალებს კი ბეირუთი ეკავათ. ამდენად, მოკავშირეები პრაქტიკულად მთლიანად აკონტროლებდნენ ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიას.

სტამბული, მოკავშირეთა შეთანხმების საფუძველზე, ოთხ – ბრიტანულ, ფრანგულ, ამერიკულ და იტალიურ ზონებად დაიყო. ამგვარად, მუსლიმთა 600-წლოვანი ბატონობის შემდეგ, კონსტანტინოპოლი დროებით ისევ ქრისტიანთა ხელში გადავიდა.

სამშვიდობო მოლაპარაკებები

1919 წლის იანვარში 27 ქვეყნის წარმომადგენლები პირველად შეიკრიბნენ პარიზში, რათა დაეწყოთ მოლაპარაკებები ისეთი სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად, რომელიც, მათი იმედით, მომავალი ომების მიზეზებს მოსპობდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, „ყველა ომის დამამთავრებელი ომის“ შემდეგ მიღწეულმა შეთანხმებებმა, საყოველთაო მშვიდობის დამყარების ნაცვლად, კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. არაა გადაჭარბებული ამ შეთახმებების „ყველა მშვიდობის დამამთავრებელ მშვიდობად“ მონათვლაც (Fromkin: 2001).

გამარჯვებულ სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის ევროპის ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხები უმთავრესი იყო და 1919 წლის მანძილზე ცალ-ცალკე იქნა დადებული ხელშეკრულებები გერმანიასთან, ავსტრიასთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან. მაგრამ ახლო აღმოსავლეთის ომისშემდგომი მოწყობის საკითხი გაცილებით უფრო დიდ დროს მოითხოვდა მოსალაპარაკებლად და ცხარე კამათს იწვევდა მოკავშირეებს შორის. გადაწყვეტილებების უმრავლესობა ოსმალეთის იმპერიის შესახებ შეთანხმდა პირველ კონფერენციაზე ლონდონში (1920 წლის თებერვალი), დადასტურდა იტალიის საკურორტო ქალაქ სან-რემოში (1920 წლის აპრილი) და ხელმოწერილი ხელშეკრულების სახე მიიღო პარიზის გარეუბან სევრში (1920 წლის 10 აგვისტო).

საზავო ხელშეკრულების მიხედვით, გამარჯვებულთა მიერ ოსმალეთისათვის დატოვებული ტერიტორია უკიდურესად შემცირებული იყო. შავი და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი სრუტეები გამოდიოდა ოსმალეთის იურისდიქციიდან და ექვემდებარებოდა საერთაშორისო კომისიის კონტროლს. ოსმალეთს მხოლოდ 50 ათასიანი ჯარის შენარჩუნების უფლება ეძლეოდა. ხელშეკრულებით საფრანგეთი და იტალია გავლენის ზონებს იძენდნენ სამხრეთ ანატოლიაში (1915 წელს მოკავშირეთა მხარეზე ომში ჩაბმის სანაცვლოდ, იტალიამ მოგვიანებით მოითხოვა სამხრეთ-დასავლეთი ანატოლიის ნაწილი). საბერძნეთი, რომელიც მხოლოდ 1917 წელს შეუერთდა ანტანტას, იღებდა ოსმალეთის უკანასკნელ ევროპულ პროვინციას – თრაკიას. საბერძნეთს ასევე მიეცა სამხედრო კონტინგენტის განთავსების და ადმინისტრაციის შექმნის უფლება ანატოლიის უმნიშვნელოვანეს პორტში – იზმირში (მასზე იტალიაც აცხადებდა პრეტენზიას). სან-რემოს კონფერენციის გადაწყვეტილებით, ჰიჯაზი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა გამხდარიყო.

მოლაპარაკებების პროცესში მოკავშირეები ასევე იძულებული იყვნენ გაეთვალისწინებინათ ახალი ცნება – ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. თუმცა, ამ პრინციპს იყენებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ ის პასუხობდა მათ ინტერესებს და ემთხვეოდა მათ სიმპათიებს. ამ მიზეზით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ სევრის ხელშეკრულების მიხედვით, აღმოსავლეთ ანატოლიასა და რუსეთის კავკასიის ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფო. მოკავშირეები ასევე შეთანხმდნენ, რომ აღმოსავლეთ ანატოლიის ქურთულ რეგიონებს უნდა ჰქონოდათ ნახევრადავტონომიური სტატუსი. სომხების სრული და ქურთების ნაწილობრივი თვითგამორკვევის უფლების აღიარებასთან ერთად, მოკავშირეებმა მკაფიოდ მიუთითეს, რომ მათ არანაირ სამხედრო და ფინანსურ დახმარებას არ აღმოუჩენდნენ. აქედან გამომდინარე, როგორც ანატოლიაში სომხური სახელმწიფოს, ისე ქურთების ავტონომიის შექმნის იდეა განუხორციელებელი დარჩა.

პარიზის „თამბაქოს კვამლში გახვეულ“ ოთახებში წყდებოდა მსოფლიოს მომავალი ბედი. „დიდ სამეულს“ – ბრიტანეთისა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრებს ლოიდ ჯორჯს და კლემანსოს, აშშ-ის პრეზიდენტ უილსონს – უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების სადავეები ეპყრათ ხელთ. ახლო აღმოსავლეთის გადანაწილებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, მთავარი სიტყვა დიდ ბრიტანეთს ეკუთვნოდა.

ლოიდ ჯორჯის მიმართვიდან კლემანსოსა და სხვა მოკავშირეებისადმი:

„დიდი ბრიტანეთის ექსპედიციის დასახმარებლად პალესტინაში არავის გაუგზავნია ერთი მუჭა შავკანიანების რაზმზე მეტი...

ბრიტანეთს ამჟამად დაახლოებით **500 ათასი ჯარისკაცი ჰყავს თურქეთის მიწაზე. ბრიტანელებ**მა დაატყვევეს თურქეთის ოთხი არმიიდან სამი და ასი ათასობით მსხვერპლი გაიღეს თურქეთთან ომში. სხვა მთავრობებმა მხოლოდ რამდენიმე შავკანიანი პოლიციელი გამოაგზავნეს იმის სანახავად, რომ ჩვენ ნამდვილად არ გაგვიძარცვავს მაცხოვრის საფლავი! მაგრამ ზავის ხელმოწერის დროის დადგომასთან ერთად, ყველა ამ პრეტენზიამ დღის სინათლე იხილა!“ (Lloyd George, *War Memoirs*; ციტ. Fromkin, 2001: 373).

ბუნებრივია, საფრანგეთი ძალისხმევას არ აკლებდა, რომ საკუთარი ინტერესები დაეცვა ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ რამდენადაც მისთვის ძირითად ფრონტს ევროპა წარმოადგენდა, ახლო აღმოსავლეთის „გადანაწილების“ პროცესში მას ბრიტანეთთან მიმართებაში მაინც მოუწია გარკვეულ დათმობებზე წასვლა. მთელი თავისი პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე კლემანსოს პოლიტიკურ მრწამსს შეადგენდა ბრიტანეთის მიმართ დათმობებზე წასვლის აუცილებლობა ახლო აღმოსავლეთში, რათა უზრუნველეყო მისი მხარდაჭერა ევროპაში გერმანიის წინააღმდეგ.

ამასთან, კონფერენციის სხვა მონაწილეებსაც ცხოველი ინტერესი ამოძრავებდათ ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით. ფაისალი, რომელსაც დახმარებას ლოურენსი უწევდა, პარიზში გამოხატავდა მამამისისა და ჰიჯაზის სამეფოს ინტერესებს. სომეხთა ორი ჯგუფი საკუთარი ერისათვის მოითხოვდა სახელმწიფოს. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ელეთერიოს ვენიზელოსი ცდილობდა ანტანტის ქვეყნებისაგან მოეპოვებინა საბერძნეთის „დიდი იდეის“ მხარდაჭერა. ეს კი გულისხმობდა საბერძნეთის იმპერიის აღდგენას, რომელშიც შევიდოდა დას. ანატოლია, კონსტანტინოპოლი და სრუტეები. იტალიის პრემიერი ორლანდო ვარაუდობდა დოდეკანეზის კუნძულების, სამხ.-დას. ანატოლიის და იზმირის რეგიონის მიღებას. ებრაელები, რომლებსაც სიონისტთა ერთ-ერთი ლიდერი ხაიმ ვაიცმანი წარმოადგენდა პარიზში, იმედოვნებდნენ ბალფურის დეკლარაციის განხორციელების დაწყებას.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე სპარსეთის წარმომადგენელმა ალი ყოლი ხან მოშავერ ოლ-მამალექმა შემდეგი შინაარსის მემორანდუმი გაავრცელა:

„ჩრდილოეთში სპარსეთისაგან რუსეთთან ომების შედეგად მოწყვეტილია ქალაქები და პროვინციები. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ბაქო, დერბენტი, შაქი, შემახა, განჯა, (ელიზავეტპოლი), ყარაბახი, ნახჭევანი, ერევანი. ეს პროვინციები უნდა დაუბრუნდეს სპარსეთს, რამდენადაც ადრე სპარსეთის ნაწილი იყო. მათი მცხოვრებლების დიდი უმრავლესობა მუსლიმია, ძირითადი ნაწილი სპარსული წარმომავლობისა და რასისაა... ნებისმიერი – ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, კომერციული, რელიგიური, კულტურული თვალსაზრისით, ისინი ეკუთვნიან სპარსეთს. გარდა ამისა, ამ პროვინციების მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ახლახანს მიმართა თეირანის მთავრობას, რომ დაიცვას ისინი და მათ გამოხატეს სურვილი მიერთებოდნენ სპარსეთს“ (წყარო: Claims of Persia before the Conference of the Preliminaries of Peace at Paris, March, 1919, Paris, 9; ციტ. Kazemzadeh, 1951: 267).

სპარსული დელეგაციის მოთხოვნები მართლაც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. ნათელი იყო, რომ მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ ომისშემდგომ არსებულ ვითარებაზე და იმ ძალებზე, ვინც იმ ხანებში წყვეტდა მსოფლიოს ბედს. სიღარიბეში ჩაფლულ, პრაქტიკულად დანაწევრებულ ქვეყანას

არანაირი საშუალება არ ჰქონდა, რომ ჩაბმულიყო სამხრეთ კავკასიის გადანაწილებისათვის ბრძოლაში. სპარსეთმა ეს მემორანდუმი ოფიციალურადაც კი ვერ წარადგინა და დელეგაცია საერთოდ არ დაუშვეს კონფერენციის მუშაობაში.

სან-რემოს კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებებით, არაბული პროვინციები გამოდიოდა ოსმალეთის შემადგენლობიდან და საფრანგეთისა და ბრიტანეთს „მფარველობაში" შედიოდნენ, რომელთაც ადგილობრივი ხალხებისათვის უნდა ესწავლებინათ, თუ როგორ უნდა ემართათ საკუთარი თავი. მანდატის მქონე სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ პერიოდულად ანგარიში წარედგინათ ერთა ლიგის პერმანენტული სამანდატო კომისიისათვის. ოსმალეთის იმპერიის ამ ყოფილ პროვინციებს ეწოდათ სამანდატო ტერიტორიები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამანდატო სისტემა სულ ოდნავ წინგადადგმული ნაბიჯი იყო XIX საუკუნის იმპერიალიზმთან შედარებით. ბრიტანეთმა სამანდატოდ მიიღო ერაყი და პალესტინა, საფრანგეთმა – სირია. ერაყი სრულიად ახალი სახელმწიფო იყო, რომელიც შეიქმნა ოსმალეთის ყოფილი სამი – ბასრის, ბაღდადის და მოსულის ვილაიეთებისაგან. მათ კი ბევრი არაფერი ჰქონდათ საერთო. ამ ახალ წარმონაქმნზე კონტროლის დამყარებით, ბრიტანეთმა გაამყარა თავისი პოზიციები სპარსეთის ყურეში, გაამაგრა ინდოეთის გზები და ასევე კონტროლი დაამყარა ნავთობით მდიდარ რეგიონზე. მესამე არაბული ქვეყანა, რომელზეც ბრიტანეთი პირდაპირ კონტროლს ახორციელებდა, იყო ტრანსიორდანია, რომელიც სევრის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს საერთოდ არ არსებობდა. ტრანსიორდანიის მოულოდნელად შექმნა კი იმ სისწრაფის შედეგი იყო, როგორითაც დაამყარა საფრანგეთმა სირიაზე კონტროლი და აუცილებელია ამ ფაქტის განმაპირობებელი გეოპოლიტიკური კონტექსტის გაცნობიერება (იხ. ქვემოთ).

ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის წინააღმდეგობას ქმნიდა მოსულის ნავთობის საკითხი. საიქს-პიკოს შეთანხმებით, მოსულის რეგიონი საფრანგეთისათვის იყო მიკუთვნებული, მაგრამ ბრიტანეთი დიდ ზეწოლას ახორციელებდა საფრანგეთზე, რომ ეს რეგიონი მიერთებოდა ბრიტანეთის მიერ კონტროლირებად ერაყს. საბოლოოდ, 1920 წლის თებერვალში შეთანხმდნენ, რომ საფრანგეთს შეეძლო ეყიდა ერაყის ნედლი ნავთობის 25%. მოსულის რეგიონის გარდა, საფრანგეთმა უარი თქვა პალესტინაზეც დანარჩენი სირიის სანაცვლოდ. 1919 წლის მიწურულს ლიბანში, საიქს-პიკოს შეთანხმების თანახმად, ბრიტანული კონტიგენტი შეიცვალა ფრანგული ჯარებით.

სამანდატო სისტემის არსი ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის პრეზიდენტ უილსონის პოლიტიკურ იდეალიზმს. ამ უკანასკნელმა წარმოადგინა ე.წ. „14 პუნქტი", რომელთა საფუძველზეც, მისი შეხედულებით, გამარჯვებულ მოკავშირეებს უნდა უზრუნველეყოთ ომის შემდეგ სამართლიანობა და მშვიდობა. ის ამხელდა საიდუმლო შეთანხმებებს, მოითხოვდა ხალხების თვითგამორკვევას (უპირველესად ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ხალხების) და მომავალში ომების თავიდან ასაცილებლად „ერთა ლიგის" შექმნის იდეა წამოაყენა. ის ფაქტი, რომ აშშ-ს არ ჰქონია იმპერიული ამბიციები ახლო აღმოსავლეთის მიმართ, დიდი მორალურ ძალს მატებდა პრეზიდენტ უილსონის მგზნებარე გამოსვლებს ომისშემდგომი სიტუაციის დარეგულირების შესახებ. ამასთან კი, უილსონის პროგრამის მეოთხე პუნქტი თავისთავად უცნაური იყო: პრეზიდენტი მოკავშირეებს სთავაზობდა ოსმალეთის იმპერიის დაშლას – ქვეყნის, რომელთანაც შტატებს ომი არ ჰქონდათ გამოცხადებული.[6] ასევე ანომალიური იყო, რომ აშშ-მა ომი გამოუცხადა გერმანიას, შემდეგ ავსტრია-უნგრეთს და არა მათ მოკავშირეებს.

ზოგიერთ არაბს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ უილსონის დეკლარაცია პასუხობდა ჰუსაინის მოთხოვნებს ერთიანი არაბული სახელმწიფოს შექმნის შესახებ და რომ „14 პუნქტი" აუქმებდა როგორც ბალფურის დეკლარაციას, ისე ომის დროს დადებულ ყველა საიდუმლო შეთანხმებას. უილსონის შემოთავაზებაში თითქოს გამოირიცხებოდა ებრაული სახელმწიფოს შექმნაც, რადგან ებრაელთა რიცხვი პალესტინაში არ აღემატებოდა მოსახლეობის 15%-ს.

მაგრამ საფრანგეთსა და ინგლისს, რომელთაც ომის მთელი სიმძიმე საკუთარ მხრებზე ჰქონდათ გადატანილი, მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი მშვიდობა საკუთარი მოთხოვნების საფუძველზე დაემყარებინათ. ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით, ეს იყო საფრანგეთის მოთხოვნა დიდი სირიის კონტროლისა და ინგლისის სურვილი იმ სახის მშვიდობა დამყარებულიყო ახლო აღმოსავლეთში, რომელიც არ შელახავდა მის ინტერესებს.

---

6 მოკავშირეთა მხარეზე ომში ჩართვის შემდეგ, უილსონის განცხადებებში იკვეთებოდა, რომ აშშ სულაც არ აპირებდა საომარ ოპერაციებში ჩართვას ახლო აღმოსავლეთში. ამასთან, ამერიკელები ომის დროს ზრუნავდნენ საკუთარი ინტერესებისა და ქვეყნის პოპულარობის შენარჩუნებაზე ოსმალეთში. იმპერიის მესვეურებსაც არაერთხელ გამოუხატავთ სიმპათია აშშ-ის, როგორც „არაიმპერიალისტური" სახელმწიფოს მიმართ (იხ. Oren, 2007: 341-350).



ოსმალეთის ტერიტორიების გადანაწილება სევრის ხელშეკრულების მიხედვით

ბრიტანეთმა წამოაყენა წინადადება, რომ აშშ-ს უნდა მიეღო ერთა ლიგის მანდატი კონსტანტინოპოლის, ანატოლიის, დარდანელის, სომხეთისა და კავკასიის დასაკავებლად და სამართავად. ბოლოს ეს წინადადება შემცირდა კონსტანტინოპოლამდე, დარდანელამდე და სომხეთამდე.

ბრიტანეთის სურვილს, აშშ-ს მიეღო ეს მანდატები, ორი მიზეზი განაპირობებდა: ეს აშშ-ს ჩართავდა ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოგვარებაში და შესაბამისად, ის დახმარებას გაწევდა მისი პირობების განხორციელებაში; აშშ-ს დააყენებდა ბოლშევიკური რუსეთის პირისპირ, თუ ეს უკანასკნელი მოინდომებდა თურქეთზე თავდასხმას. თუმცა, უილსონმა და სხვა ამერიკელებმა პარიზში მკაფიოდ აგრძნობინეს ყველას, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ამის თაობაზე კონგრესის თანხმობის მოპოვება.

უილსონმა, თავის მხრივ, წამოაყენა საერთაშორისო კომისიის შექმნის იდეა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრებოდა და ადგილზე შეისწავლიდა სიტუაციას. საბოლოო ჯამში, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი არ დათანხმდნენ ამგვარი კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე და ამერიკულმა მისიამაც არაოფიციალური სახე მიიღო.

ამერიკელთა ორკაციან, „კინგ-კრეინის კომისიად“ წოდებულ ჯგუფს, მარტოს მოუწია ადგილზე მდგომარეობის შესწავლა. კომისია დაესწრო სრულიად სირიის კონგრესის მუშაობას და თავის წერილობით მოხსენებაში გაიზიარა ამ კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებები.

კომისიამ ასევე შეისწავლა ებრაელთა მოთხოვნები და დაასკვნა, რომ ებრაული ეროვნული კერის შექმნა გამოიწვევდა სერიოზულ ებრაულ-არაბულ კონფლიქტს. კომისიის მოხსენებაში რეკომენდირებული იყო სიონისტური პროგრამის ამოქმედების შეჩერება, პალესტინაში ებრაული ემიგრაციის შეზღუდვა და ებრაელთა ეროვნული კერის პალესტინაში შექმნის ნებისმიერ გეგმაზე უარის თქმა. კომისიის მოხსენებითი ბარათი შექმნიდან მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

ფაისალის მთავრობის მიერ ორგანიზებული სრულიად სირიის კონგრესის, რომლის მონაწილეები ლიბანის, პალესტინისა და სირიის დიდგვაროვნები იყვნენ, მიზანი იყო ამერიკის დელეგაციისათვის შეექმნა დიდ სირიაში ერთსულოვნების არსებობის შთაბეჭდილება. ამასთან კი, კონგრესი სულაც არ გამოხატავდა განწყობათა სრულ სპექტრს სირიაში. მისი დანიშნულება უპირველესად ფაისალის, როგორც რეგიონის მმართველის მხარდაჭერა იყო.

სრულიად სირიის კონგრესის დეკლარაციიდან (02.07.1919):

„ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, სრულიად სირიის კონგრესის მონაწილეები, წარმოვადგენთ სამივე – სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონას და აღჭურვილი ვართ უფლებამოსილებით ჩვენი სხვადასხვა რაიონების მუსლიმი, ქრისტიანი და ებრაელი მცხოვრებლების მიერ, ვასრულებთ და წარვუდგენთ იმ ქვეყნის ხალხის თხოვნას, რომელმაც ჩვენ აგვირჩია, საერთაშორისო კომისიის ამერიკულ სექციას.

1. ჩვენ მოვითხოვთ სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას სირიისათვის...

2. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სირიის მმართველობა წარმოადგენდეს დემოკრატიულ სამოქალაქო კონსტიტუციურ მონარქიას, შექმნილს ფართო დეცენტრალიზაციის პრინციპებზე, რომელიც დაიცავს უმცირესობების უფლებებს და რომლის მეფეც უნდა იყოს ამირა ფაისალი...

4. ჩვენ, ვემხრობით რა პრეზიდენტ უილსონის დეკლარაციებს,... შეგვიძლია მხოლოდ ჩავთვალოთ, რომ ერთა ლიგის ხელშეკრულებაში ხსენებული მანდატი ნიშნავს ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას და წინაღობას არ უქმნის ჩვენს სრულ დამოუკიდებლობას... ჩვენ თანახმა ვართ მივიღოთ ტექნიკური და ეკონომიკური დახმარება აშშ-დან იმ პირობით, რომ ეს დახმარება არ გაგრძელდება ოც წელზე მეტი.

5. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა ვერ ჩათვლის საკუთარ თავს ამ დახმარებაზე მზადმყოფად, ჩვენ მივმართავთ ასეთი დახმარებისათვის დიდ ბრიტანეთს, რომლის პირობაც ასევე იქნება, რომ არ დაირღვევა ჩვენი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა და ერთიანობა და რომ დახმარების ხანგრძლივობა არ გადააჭარბებს წინა მუხლში აღნიშნულ ვადას.

6. ჩვენ არ ვაღიარებთ ფრანგული ხელისუფლების არანაირ უფლებას ჩვენი სირიის ქვეყნის არც ერთ ნაწილზე და უარს ვამბობთ, რომ მან დახმარება გაგვიწიოს ან ხელი შეგვიწყოს ნებისმიერ პირობებში და ნებისმიერ ადგილზე.

7. ჩვენ ვეწინააღმდეგებით სიონისტთა პრეტენზიებს შექმნან ებრაული კერა სირიის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ცნობილია პალესტინის სახელით და ვეწინააღმდეგებით ებრაელთა მიგრაციას ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილში... ჩვენ მათ განვიხილავთ დიდ საფრთხედ ჩვენი ხალხისათვის ნაციონალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ჩვენმა ებრაელმა თანამემამულეებმა უნდა იქონიონ საერთო უფლებები და გაიზიარონ საერთო პასუხისმგებლობები.

(ციტ. Felton, 2008: 21-22).

ევროპაში ახლო აღმოსავლეთის მომავალზე ცხარე დებატების დროს, სირიაში ახალი არაბული მთავრობა ყალიბდებოდა. მასში ოსმალური წარსულისა და არაბული სამყაროს მომავლის კონფლიქტური ხედვების ყველა მიმდინარეობა შეირწყა.

ამ მთავრობის შემადგენლობაში იყვნენ ახალგაზრდა არაბი აქტივისტები, რომლებიც ოცნებობდნენ ერთიან სირიასა და პალესტინაზე; ოსმალეთის ყოფილი სამოქალაქო მოხელეები და ოფიცრები, რომლებიც შეიკრიბნენ დამასკოში, რამდენადაც აღარ არსებობდა ოსმალური სახელმწიფო, რომლისთვისაც უნდა ემსახურათ; ადგილობრივი სირიელი დიდგვაროვნები, რომლებსაც სურდათ შეენარჩუნებინათ ზეგავლენის ტრადიციული მექანიზმები. მათ ემატებოდათ შარიფთა ძალები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათი სამხედრო ღვაწლი არაბულ აჯანყებაში უნდა დაფასებულიყო პოლიტიკური თანამდებობების მიღებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოქიშპე ძალები ამცირებდა ფაისალის მთავრობის ქმედითუნარიანობას, ახალ სახელმწიფოს მაინც დიდი იმედით უყურებდნენ. 1920 წლის დასაწყისში, როდესაც ევროპაში მძიმე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სირიის მომავლის შესახებ, სრულიად სირიის კონგრესმა ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მის მეფედ ფაისალი დასახელდა. არაბული სამყაროს მრავალ, თუ არა ყველა მხარეში, ეს აქტი აღქმულ იქნა არაბული სამეფოს ხელახლა დაფუძნებად, რომლის ცენტრიც უმაიანთა ძველი სატახტო ქალაქი იყო.

საფრანგეთისთვის კი სირიის დამოუკიდებლობის გამოცხადება ნიშნავდა რეგიონზე საფრანგეთის უფლებების შელახვას და ფრანგულ-ბრიტანული შეთანხმების დარღვევას, რომლითაც არაბული რეგიონები მეტნაკლებად თანაბრად დაიყვეს. ფაისალის ჩივილის მიუხედავად მის ხშირ გამოსვლებში სამშვიდობო კონფერენციაზე, საფრანგეთსა და ბრიტანეთს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი თავიანთი რეგიონული ინტერესების დაცვა და ალიანსის შენარჩუნებას ყველა სხვა საკითხზე მაღლა აყენებდნენ. ეს ნიშნავდა, რომ საფრანგეთის უფლებები სირიაზე აღიარებული უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ კი, ეს მოასწავებდა, რომ ბრიტანეთს უარი უნდა ეთქვა ნებისმიერ იმ სახის დახმარებაზე, რაც საშუალებას მისცემდა ფაისალს შეექმნა სირიის სამეფო. ყოველივე ეს დადასტურდა სან-რემოს კონფერენციაზე, რომელზეც, როგორც აღინიშნა, სირიის მართვის მანდატი გადაეცა საფრანგეთს.

სირიაში სან-რემოს გადაწყვეტილებებს გაოგნებით და აღშფოთებით შეხვდნენ. არაბ ნაციონალისტთა ბლოკი მთავრობაში მოითხოვდა ფაისალისგან, რომ წინ აღდგომოდა მოკავშირეებს.[7] უფრო ფრთხილები მას ურჩევდნენ გამოენახა კომპრომისული გზა, რომელიც გარკვეულწილად დააკმაყოფილებდა საფრანგეთის მოთხოვნებს და ამასთანავე, შექმნიდა სამეფოს შენარჩუნების საშუალებას.

მიუხედავად ანტითურქული განწყობების გაღვივებისა სირიელთა შორის, ისინი სულაც არ მიიჩნევდნენ მხსნელად საფრანგეთს. ამ უკანასკნელის სავარაუდო მმართველობისადმი მტრულმა დამოკიდებულებამ ბრიტანული დაზვერვაც კი გააოცა, რაც სირიელებმა ფრანგული კოლონიური მმართველობის სტილის არაპოპულარობას დაუკავშირეს ჩრდ.-დას. აფრიკის მუსლიმ მოსახლეობაში. მხოლოდ მთიანი ლიბანის მარონიტები უყურებდნენ საფრანგეთს, როგორც პროტექტორს.

ამ მოვლენებამდე ოდნავ ადრე, **1920 წლის პირველ დღეებში, პარიზში ფაისალმა და საფრანგეთის** პრემიერმა კლემანსომ საიდუმლო შეთანხმებას მიაღწიეს – საიდუმლოს იმიტომ, რომ კლემანსო სულ მალე აპირებდა საფრანგეთის პრეზიდენტად გახდომას და არ სურდა ოპონენტებისათვის მიეცა მიზეზი, რომ ელაპარაკათ, თითქოს მან სირიასთან დაკავშირებით სისუსტე გამოიჩინა. ამ შეთანხმებით ფაისალს ეძლეოდა სირიის დამოუკიდებლობის პირობა, ოღონდ აუცილებლად ფრანგი მრჩევლების დახმარებით. ამ შეთახმების მიზანი იყო მანდატის პირობების შემსუბუქება, მაგრამ *მხოლოდ შემსუბუქება*. ფაისალი გაბრუნდა დამასკოში, რათა გაეგო, მოახერხებდა თუ არა სხვა არაბი მეთაურების დათანხმებას შედარებით ზომიერ პირობებზე. მაგრამ მისი მისიაც ფუჭი გამოდგა. **17 იანვარს კლემანსო**, რომელიც ვერ გახდა პრეზიდენტი, გადადგა პრემიერობიდანაც და დაასრულა თავისი პოლიტიკური კარიერა. კლემანსოს მემკვიდრეს, ალექსანდრე მილერანს, აკლდა მისი წინამორბედის მონდომება გადაერჩინა ბრიტანეთის სახე ახლო აღმოსავლეში და ამდენად, ვერ ხედავდა ვერანაირ საჭიროებას მიენიჭებინა სირიისათვის დამოუკიდებლობა ან ფაისალი ასულიყო ტახტზე.

ფაისალმა, რომელსაც ვერ გადაეწყვიტა, თუ რომელი გზა უნდა აერჩია, მოლაპარაკებები დაიწყო ბეირუთში საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალთან, გენერალ ანრი გუროსთან. მაგრამ გურო სულაც არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას და თავის ჯარებს უბრძანა სირიაზე გაელაშქრათ. 1920 წლის 24 ივნისს ფრანგულმა ძალებმა ადვილად დაამარცხეს ფაისალის არმია, დაიკავეს დამასკო და აიძულეს სირიის მეფე ემიგრაციაში წასულიყო ევროპაში. დამოუკიდებელი სირიის სამეფოს აღსასრული დადგა მისი შექმნიდან ხუთი თვის შემდეგ.

ფრანგების მიერ დამასკოს დაკავებას მოჰყვა შარიფ ჰუსაინის ოჯახის პროტესტი. ფაისალის სირიიდან გაძევების შემდეგ, მისმა ძმამ ამირა აბდალაჰმა ტომების ლაშქარი დაძრა მექიდან მაანის, მდინარე იორდანეს დასავლეთით უდაბნოში მდებარე ქალაქისაკენ. აბდალაჰს არ ჰქონია მკაფიო ჩამოყალიბებული მიზანი და მისი ძალები პირდაპირ საფრთხეს არ უქმნიდნენ ინგლისურ-ფრანგულ პოზიციებს არაბულ სამყაროში. მაგრამ მისი ყოფნა მაანში ქმნიდა უკმაყოფილო ტომების რეგიონში შეჭრის საფრთხეს. აქედან გამომდინარე, ბრიტანელებმა გადაწყვიტეს აბდალაჰის ინტეგრირება არაფორმალურ იმპერიულ ქსელში, იმედოვნებდნენ რა, რომ ის შეიძლებოდა გამხდარიყო სტაბილურობის გარანტი იორდანეს აღმოსავლეთით ჯერ კიდევ დაუკავებელ რეგიონში და მისი იქ ყოფნა, როგორც ბრიტანეთის მოკავშირისა, ხელს შეუშლიდა საფრანგეთს განევრცო თავისი გავლენა სირიის სამხრეთით. შესაბამისად, აბდალაჰს მიეცა საშუალება შეექმნა მთავრობა ქალაქ ამანში ბრიტანეთის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობით; მისი ტერიტორია უნდა გამხდარიყო პალესტინის მანდატის ნაწილი, მაგრამ ის არ უნდა შესულიყო ბალფურის დეკლარაციის პირობებში. აბდალაჰი დათანხმდა ამ მოთხოვნებზე და ახლო აღმოსავლეთის რუკაზე ახალი საზღვრები შემოიხაზა, 1921 წელს კი დღის სინათლე იხილა უდაბნოს უცნაურმა საამირომ, ტრანსიორდანიამ – მომავალმა იორდანიის სამეფომ.

> 1921 წელს უინსტონ ჩერჩილი, იმ დროს კოლონიების მდივანი, კაიროში ჩავიდა და ხანგრძლივი მოლაპარაკებები აწარმოა ბრიტანელ ახლო აღმოსავლეთის ექსპერტებთან. მათ გადაწყვიტეს, რომ საფრანგეთის გავლენის ზონაში მოქცეული სირიის სანაცვლოდ, ფაისალი ერაყში გაემეფებინათ, ხოლო პალესტინის მდ. იორდანეს აღმოსავლეთით შექმნილიყო ტრანსიორდანიის სამეფო, რომლის მეფეც მისი ძმა აბდალაჰი გახდებოდა (ამ უკანასკნელს თავდაპირველად ერაყში გამეფებას პირდებოდნენ). ამის შედეგად შეიქმნა ბრიტანეთის მიერ კონტროლირებადი გზა მოსულიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე (Ochsenwald & Fischer, 2004: 383).

7 შარიფი ჰუსაინი ხმამაღლა აცხადებდა: „ნებისმიერი კონცესია, რომელიც საფრანგეთს ან სხვა სახელმწიფოს მისცემს თუნდაც ერთ კვადრატულ ფუტს ამ ტერიტორიებზე, გამორიცხულია."

ტრასნიორდანიის შექმნით დამთავრდა ომში დამარცხებული ოსმალეთის იმპერიის არაბული ტერიტორიების გადანაწილება. არაბული პროვინციები დაიყო სახელმწიფოებად, რომელთაც ფრანგები ან ინგლისელები აკონტროლებდნენ. შარიფი ჰუსაინი მექაში დარჩა, მაგრამ მალე მასზე ინგლისელებმა გული აიცრუეს, როდესაც გამოჩნდა სხვა არაბი წინამძღოლი, ომის დროს მივიწყებული იბნ საუდი, რომელსაც უკეთესად შეეძლო მათი ინტერესებისათვის მსახურება. არაბებს ომისშემდგომმა ამგვარი გადანაწილებამ იმედგაცრუების გრძნობა დაუტოვა და ისინი თავს მოტყუებულებად გრძნობდნენ. ჰუსაინსა და და სხვა არაბს ლიდერებს სრულიად სხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი ომისშემდგომი სიტუაცია. არაბული თვალთახედვიდან, ჰუსაინისადმი ბრიტანეთის დაპირებების არშესრულება და პრაქტიკულად არაბების ღალატი ამ უკანასკნელისა და მისი მოკავშირის, საფრანგეთის ინტერესებმა განაპირობა.

სევრის ხელშეკრულებას არ მოუხსნია პრობლემები არც ევროპაში და არც ახლო აღმოსავლეთში. „არაფრის კარგის მომასწავებელი არ ყოფილა ხელშეკრულების, რომლითაც ევროპას უნდა ეხელმძღვანელა, ხელმოწერისათვის სევრის არჩევა. სევრი ცნობილი იყო ფაიფურით, მაგრამ ის მყიფე იყო და ადვილად იმსხვრეოდა“ (Fromkin, 2001: 411). **რეალურად, ეს ხელშეკრულება არც არასოდეს ამოქმედებულა** და **1923 წელს მას ჩაენაცვალა ლოზანის ხელშეკრულება, რომელშიც უპირველესად თურ**ქეთში შექმნილი ახალი ვითარება იყო გათვალისწინებული.

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შედეგები

არაბებისათვის, რომლებიც სულტნის სამფლობელოებში ცხოვრობდნენ, ოსმალეთის იმპერიის დაშლა გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო, ვიდრე კონკრეტული სახელმწიფოს განადგურება. ეს მოასწავებდა იმ პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური წესრიგის აღსასრულს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველი იყო 400 წლის მანძილზე.

ოსმალური მმართველობა არაბულ პროვინციებში არ იყო ყოველთვის და ყველგან ერთგვაროვანი. ოსმალური სისტემის დედაარსი – ადაპტირების უნარი, შემდეგ სახეს ატარებდა: ცენტრიდან პირდაპირი მმართველობა ხორციელდებოდა იქ, სადაც სიტუაციის ეფექტურად გაკონტროლება შესაძლებელი იყო, უფრო დაშორებულ რეგიონებში კი ტომების წინამძღოლებსა და ფეოდალ ამირებს მოქმედების გარკვეული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული. პირდაპირი კონტროლის ისეთ რეგიონებშიც, როგორიც იყო დიდი სირიის საქალაქო ცენტრები, ოსმალო გუბერნატორები მართავდნენ ადგილობრივ არაბ დიდგვაროვნებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. ეს უკანასკნელნი ლოკალური ხელისუფლების ნაწილსა და მოსახლეობაზე ზეგავლენას გარკვეულ დონეზე ინარჩუნებდნენ ცენტრალური ოსმალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის სანაცვლოდ. მეტნაკლები ფორმით პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებასთან ერთად, პრაგმატული ოსმალური მმართველობა ტოლერანტობას იჩენდა არაბული პროვინციების რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ.

მაგრამ ომისშემდგომ შექმნილი სახელმწიფოების მმართველები, თავდაპირველად ევროპელთა კონტროლის ქვეშ, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი არაბული რეჟიმების სათავეში, ასეთივე რბილი პოლიტიკის გამტარებელნი აღარ ყოფილან. მათ მიერ გამოყენებული მმართველობის მეთოდები, რომლებიც თანამედროვედ მიაჩნდათ, გულისხმობდა ცენტრალური ხელისუფლებისადმი როგორც სასოფლო თემებისა და მომთაბარე ტომების, ისე ქალაქების მცხოვრებთა სრულ დაქვემდებარებას კულტურული ერთფეროვნების შესაქმნელად. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ოსმალური სისტემა უკეთესი იყო, არამედ წარმოაჩენს არაბული პოლიტიკური ელიტის მიზანს, თუ რა სახე სურდათ, რომ მიეღოთ ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ხალხებს ახლადშექმნილი სახელმწიფოების მოქალაქეებად ქცევისას.

ოსმალეთის იმპერია თავის ქვეშევრდომებს ასევე უნერგავდა რწმენას, რომ ისინი დაცული იყვნენ არსებული საყოველთაო წესრიგით. ეს წესრიგი, ერთი მხრივ, გამოიხატებოდა ოსმალური დინასტიით, რომელსაც სათავეში სულტანი ედგა და, მეორე მხრივ, ისლამური ინსტიტუტებით და წესწყობილებით, რომლის გამყარებაზეც სულტანი ზრუნავდა. იმპერია, მის ქვეშევრდომთა თვალში, ლეგიტიმური იყო არა მხოლოდ ხელისუფლების სტაბილურობით, არამედ ასევე მისი მმართველების ზრუნვით, რომ პოლიტიკური და სოციალური წესრიგი განხორციელებულიყო შარიათის სამართლით, ულემებისადმი პატივისცემით, რელიგიური განათლების პატრონაჟით და წმინდა ქალაქების დაცვით. საერთო ჯამში, ოსმალეთის იმპერიამ არამხოლოდ გაითავისა ისლამური წარსულის მიღწევები, არამედ მან ასევე შექმნა რწმენა, რომ მისი არსებობითა და დამოუკიდებლობით, თვითმყოფადი ისლამური სახელმწიფო გადარჩებოდა სამყაროში, რომელშიც ევროპული ექსპანსიონისტური სახელმწიფოები დომინირებდნენ. მუსლიმი არაბი ქვეშევრდომი ამგვარი სახელმწიფოსათვის ყოველმხრივ მისაღები იყო. მაგრამ 1920

წლისათვის ვერც სახელმწიფო და ვერც ისლამური ინსტიტუტები ვეღარ აკონტროლებდნენ ახლო აღმოსავლეთს და მისი ყოფილი არაბი თუ თურქი ქვეშევრდომები დინებას მინდობილი აღმოჩნდნენ.

ოსმალური სისტემა არასოდეს ყოფილა სტატიკური, მაგრამ არსებობის უკანასკნელ ხანებში მან განსაკუთრებული ტრანსფორმაცია განიცადა. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ იმპერიაში განხორციელებული რეფორმები მიზნად ისახავდა მმართველობის ეფექტურობისა და სამხედრო შემძლეობის გაზრდას. მაგრამ იმავდროულად რეფორმები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, არყევდა იმ საფუძვლებსაც, რომლებსაც ემყარებოდა ოსმალური წესწყობილება. ამასთან, ინსტიტუციონალური ცვლილებებისა და ბალკანეთში ნაციონალისტური აჯანყებების მიუხედავად, იმპერიის არაბი ქვეშევრდომები არ იყვნენ ოპოზიციურად განწყობილი და არც მონაწილეობდნენ მის კოლაფსსა და შეცვლაში რეგიონული არაბული სახელმწიფოებრივი სისტემით. არაბიზმის დოქტრინამ ომის წინა წლებში შეიძინა აქტუალობა, მაგრამ ის იმდენად პოლიტიკური დამოუკიდებლობის პროგრამა არ ყოფილა, რამდენადაც არაბული ავტონომიის მოთხოვნა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში. ამდენად, ომის დასაწყისისათვის, ოტომანიზმი, მისი ისლამური შეფერილობით, დომინანტ იდეოლოგიად რჩებოდა არაბულენოვან პროვინციებშიაც. ჯემალ ფაშას რეპრესიებსა და შარიფ ჰუსაინის ამბოხს ომის წლებში არაბთა უმრავლესობა არ განუწყვია ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ 1918 წელს ომის დასასრულისათვის, ოტომანიზმი უკვე დრომოჭმული იდეოლოგია გახდა. დადგა ახალი პოლიტიკური ლოილობისა და კულტურული იდენტობის ძიების ხანა.

ოსმალეთის იმპერიის კოლაფსთან ერთად, არაბული სამყაროსათვის ინტენსიური პოლიტიკური აქტივობის ხანა დადგა. იმ დროისათვის თითქოს ჩანდა, რომ ფაისალის სირიულ სამეფოს შეეძლო ამოევსო ის სიცარიელე, რაც დარჩა ოსმალეთის მარცხის შემდეგ, მაგრამ ოცნება ილუზორული გამოდგა. ფრანგების მიერ დამასკოს ოკუპაციისა და რეგიონული სახელმწიფოების შექმნის შემდეგ, არაბული ელიტები იძულებული გახდნენ მთელი ყურადღება გადაეტანათ მათ საკუთარ სახელმწიფოებზე. ადგილებში, სადაც მანამდე არაბები ითვლებოდნენ ოსმალეთის პროვინციების მცხოვრებლებად, ახლა ისინი გარდაიქმნენ სირიელებად, ერაყელებად, პალესტინელებად და ა.შ. ეს ოტომანიზმის სრულ უარყოფას წარმოადგენდა. თუმცა, პოსტოსმალურ ახლო აღმოსავლეთში ერთი ელემენტი უცვლელი რჩებოდა – თითქმის ყველა იმ ინდივიდს, რომლებიც პოლიტიკურ თანამდებობაზე აღზევდა სამანდატო სახელმწიფოებში, მანამდე მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა და მყარი პოზიციები ჰქონდა ოსმალურ სისტემაში, იქნებოდნენ ისინი ადგილობრივი დიდგვაროვნები, სახელმწიფო მოხელენი თუ ოფიცრები. ოსმალური დროის ამ ელიტის დომინირების გაგრძელება ომისშემდგომ პერიოდში გამოვლინდა ოსმალური სტილის პოლიტიკური ქცევისა და სოციალური დამოკიდებულების ზოგიერთი ელემენტის შენარჩუნებაში.

ომმა ოსმალეთის იმპერიის არამხოლოდ პოლიტიკური განადგურება, არამედ ეკონომიკური ნგრევაც გამოიწვია. ომის დასაწყისისათვის **25 მილიონიან იმპერიაში სულ 17 ათასი მუშა იყო დასაქმებული** მრეწველობაში (პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ქვეყანაში არ არსებობდა ინდუსტრია). იყო მხოლოდ სოფლის მეურნეობა, რომელსაც ომმა განუზომელი ზარალი მიაყენა. ომის დასასრულს ექსპორტი მეოთხედამდე, ხოლო იმპორტი მეათედამდე შემცირდა ომისწინა პერიოდთან შედარებით. ბრწინვალე პორტას[8] ბიუჯეტის დეფიციტი უზარმაზარი იყო და მთავრობა უშვებდა ქაღალდის ფულს მის დასაფარავად. ომის მანძილზე ფასები 1675%-ით გაიზარდა. ახალგაზრდა თურქების მთავრობას კი სიტუაციიდან გამოსავლის არანაირი გეგმა არ გააჩნდა.

თურქეთის მონაწილეობა დიდი სახელმწიფოების ომში სრულიად ახალი და ავანტურისტული ექსპერიმენტი იყო. მოდერნული დროის ომის ამ ახალმა რეალობამ სწრაფი ცვლილებები გამოიწვია. თურქეთი, ისლამური ქვეყანა, უეცრად აღმოჩნდა ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირში, ხოლო მეორე მხრივ, კონფლიქტურ მდგომარეობაში წამყვან ევროპულ სახელმწიფოებთან. ეს ცვლილებები უაღრესად რთულად აღსაქმელი და დამაბნეველი იყო. საყოველთაო მობილიზაციის შედეგად, მილიონობით თურქი მოწყდა საკუთარ სახლს. ისინი ახალ ადგილებში აღმოჩდნენ ახალი ამოცანებით და კავშირებით და გახდნენ ნაწილი ახალი, თანამედროვე სამხედრო ორგანიზაციისა. მათ მიერ დატოვებული სიცარიელის შესავსებად ათობით ათასმა ქალმა დააღწია თავი კარჩაკეტილობას და მიიღო თანაბარი პრივილეგიები და უფლებები მუშაობისათვის. ომის ეკონომიკურმა ზეწოლამ შექმნა ახალი მოთხოვნები და შესაძლებლობები ერთი მხრივ, სპეკულაციისა და უზომო მოგების მიღებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ, ახალი კომერციული და ინდუსტრიული კომპანიების შექმნისათვის. მჭიდრო კავშირმა გერმა-

8 *ბრწყინვალე პორტა* (კარიბჭე) (ან უბრალოდ პორტა) – ხშირად გამოიყენებოდა ევროპელთა მიერ ოსმალეთის იმპერიის სახელწოდებად.

ნიასა და ავსტრია-უნგრეთთან, სამხედრო და ფინანსური დახმარების გარდა, განათლების თუ ადმინისტრირების სფეროებში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. აღარც ევროპული ტექნიკური მიღწევები იყო თურქებისათვის უცხო.

თურქეთს ბედნიერება ხვდა წილად I მსოფლიო ომიდან გამოსულიყო ვალების მძიმე ტვირთის გარეშე, რომელიც დააწვათ დამარცხებულებსა და გამარჯვებულების უმრავლესობას (ოსმალეთის ვალები მისივე მოკავშირეების მიმართ ნაწილობრივ გაუქმდა ვერსალისა და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებებით. გამარჯვებულებისათვის გადასახდელ რეპარაციებზე უარი ითქვა ლოზანის კონფერენციაზე).

იყო გამარჯვებებიც – ამარ ალ-კუტისა და გალიპოლის კამპანიაში, აღმ. ანატოლიაში რუსების შეტევის შეკავება. რუსეთის იმპერიის კოლაფსთან ერთად აღორძინდა პანთურანისტული იდეა – გაჩნდა აღმოსავლეთით განვრცობილი დიდი თურქული ერთობის შექმნის იმედიც.

მაგრამ ფუჭი და ილუზორული იმედების ხანა მალე დამთავრდა. სრული განადგურების საფრთხის წინაშე არსებულმა სახელმწიფომ თანდათანობით მოიკრიბა ძალა და თითქოს გადაულახავი წინააღმდეგობების მიუხედავად, შუასაკუნეობრივ ტრადიციებზე ჩამოყალიბებული და ფუნქციონირებადი ისლამური იმპერიის ნანგრევებზე ახალი სეკულარული თურქული რესპუბლიკა აღმოცენდა.

თავი VIII

ახლო აღმოსავლეთი ომთაშორის პერიოდში

ირანი
ფაჰლავიანთა დინასტიის გაბატონება

I მსოფლიო ომის დროს რეალური ხელისუფლება ირანში ბრიტანეთსა და რუსეთს ეკუთვნოდათ (თუმცა,1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსული საფრთხე ჩრდილოეთში დროებით მოისპო). შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ომის დასასრულისათვის ირანი კლასიკურ „არშემდგარ“ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ომის დასრულების შემდეგ ევროპელებმა (უპირველესად ინგლისელებმა და ბოლშევიკურმა რუსეთმა, რომელიც აქტიური კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებას ამჯერად „შენიღბული“ – გასაბჭოების ფორმით ცდილობდა) კვლავ გამოავლინეს ცხოველი დაინტერესება ირანით.

უცხო ჯარების ყოფნა ქვეყანაში აკნინებდა ცენტრალური ხელისუფლების ძალას და ხელს უწყობდა ტრაიბალიზმის განახლებული ტალღის გაძლიერებას. ქვეყანაში საერთო არეულობა სუფევდა. იძალეს ცენტრიდანულმა ძალებმა. რაშთში, კასპიისპირეთში, საბჭოთა ჩარევის შემდეგ, 1920 წ. მაისში გამოცხადდა გილანის საბჭოთა რეპუბლიკის შექმნა. აზერბაიჯანში მძლავრი იყო სეპარატისტული მოძრაობა. ხუზესთანში კი ბრიტანელები მხარს უჭერდნენ არაბული ტომის მეთაურის შეიხ ხაზალის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, რათა ჰქონოდათ აქ 1908 წელს აღმოჩენილ ნავთობზე მონოპოლიის გარანტია. ირანის გარდაუვალი დაშლის პერსპექტივამ, თავის მხრივ, გამოიწვია ნაციონალისტური ძალების გააქტიურება.

ამასთან ერთად, ომის შემდგომ პირველ წლებში აზრის გამოთქმისათვის შედარებით თავისუფალი გარემო იყო შექმნილი. დაიწყო ახალი ჟურნალების გამოცემა. ამ ჟურნალებში ისევ წინა პლანზე იყო წამოწეული კონსტიტუციური რევოლუციის იდეები და უცხოელთა სამხედრო ინტერვენციების შემდეგ ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის მოთხოვნა. ევროპაში კი, უპირველესად ბერლინში, ომის წლებში ნაციონალისტმა ინტელექტუალებმა შექმნეს პოლიტიკური წრეები, რომელთა პროგრამებიც ქვეყნის მოდერნიზებას ითვალისწინებდა. სწორედ ბერლინში დაიწყო ომის დროს ჟურნალ „*ქავეს*“ გამოცემა, რომელიც კონსტიტუციური რევოლუციის აქტიურმა მონაწილემ ჰასან თაყიზადემ განაახლა 1920 წელს.

ჰასან თაყიზადე, „ქავეს“ მეორე გამოცემის სარედაქციო წერილიდან (ბერლინი, 22.01.1920):

„პირველ რიგში საჭიროა, ყოველგვარი წინაპირობის და შეზღუდვის გარეშე, ევროპული ცივილიზაციის გათავისება და გავრცელება, ევროპისადმი სრული დამორჩილება, მისი კულტურის, ზნეჩვეულებების, ორგანიზების, მეცნიერების, ხელოვნების, ცხოვრების წესის გაზიარება ერთადერთი გამონაკლისით – ენის შენარჩუნებით... უნდა მოხდეს ირანის ევროპეიზაცია რეალურად, მთელი სულით და ხორცით“ (ციტ. Richard, 2006: 210).

დაიწყო პოლიტიკური გააქტიურება სამღვდელოებამაც. 20-იან წლებში გამოჩნდა რამდენიმე პოლიტიკური საზოგადოება და დაჯგუფება, რომელთა შექმნის ინიციატორებიც სასულიერო პირები იყვნენ. 1919 წ. ცნობილმა მოჯთაჰედმა ხარეგანიმ დაარსა ე.წ. „ისლამის კავშირი,“ რომლის მიზანსაც შეადგენდა ინგლისელ კოლონიზატორთა განდევნა და შარიათზე დაფუძნებული „მუსლიმური წესის მმართველობის აღდგენა – იმგვარის, როგორიც არსებობდა მოციქულ მუჰამადის დროს.“ „ისლამის კავშირს“ მხარს უჭერდა სამღვდელოების ტრადიციული მოკავშირე „ბაზრის ხალხი.“ თუმცა კავშირი მხოლოდ საკუთარი პოზიციის დეკლარირებას ახდენდა და პრაქტიკული მოღვაწეობის თვალსაზრისით, რეალურად არც არაფერი განუხორციელებია.

მეორე მუსლიმური ორგანიზაცია *აჰრარ-ე მოსალმან* (თავისუფალი მუსლიმები), რომელიც 1922 წ. შეიქმნა და რომლის სათავეშიც მოჯთაჰედი მოჰამად იაზდი იდგა, ძირითადად შედგებოდა მსხვილი მიწისმფლობელი სამღვდელოებისაგან. ისინი ცდილობდნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის მმართველობაში და იყვნენ მეოთხე და მეხუთე მოწვევის მეჯლისის წევრები. „თავისუფალი მუს-

ლიმების“ პროგრამა ითვალისწინებდა ინგლისელთა განდევნას ქვეყნიდან და ისლამური ნორმების ცხოვრებაში დანერგვას.

1918-1921 წლებში, ბრიტანეთმა, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი დაეცა საკუთარი სანავთობო ინტერესები და შეეკავებინა ახალი ბოლშევიკური საფრთხე, კიდევ უფრო გაზარდა თავისი ისედაც მნიშვნელოვანი როლი ირანის საქმეებში.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი ირანის შესახებ (1919):

„დღეს ჩვენ ვიწყებთ მანდატის განხორციელებას მესოპოტამაში, რითაც ირანს მის დასავლეთ საზღვრებზე გავუმეზობლდებით. ჩვენ არ გვაქვს უფლება დავუშვათ ჩვენს ინდოეთის იმპერიასა და... ჩვენს ახალ პროტექტორატს შორის უმართაობის, მტრების ინტრიგების, ფინანსური ქაოსისა და პოლიტიკური არეულობის კერის არსებობა. დამატებით, ჩვენ ვფლობთ სპარსეთის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში უმნიშვნელოვანეს ქონებას ნავთობსარეწების სახით, რომელიც მუშაობს ჩვენი ფლოტისათვის და რომელიც ჩვენს ინტერესებს წარმართავს სამყაროს ამ ნაწილში“ (Curzon, 1, 1969: 47).

ბრიტანული სუბსიდიები თეირანში მთავრობას არსებობის საშუალებას უნარჩუნებდა, ბრიტანელი სამხედრო და ადმინისტრაციული მრჩევლები კი ცდილობდნენ იმის რეორგანიზებას, რაც დარჩა ირანული არმიიდან; ასევე პოლიტიკური ფრაქციების ბრიტანეთის ინტერესების შესაბამისად მანიპულირებას.

კერზონი გახდა 1919 წლის ინგლისურ-სპარსული შეთანხმების ინიციატორი. ირანულ მხარეს კი პრობრიტანულად განწყობილი პრემიერი ვოსუყ ად-დოულე წარმოადგენდა. ამ ხელშეკრულებით ბრიტანეთი აღიარებდა სპარსეთის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ასევე გათვალისწინებული იყო ბრიტანელი სამხედრო და სამოქალაქო მრჩევლების დანიშვნა, თანამშრომლობა სატრანსპორტო ქსელის განვითარებისათვის და **2 მლნ გირვანქა სტერლინგის სესხება. ეს შეთანხმება** ამყარებდა ბრიტანეთის დომინირებას სპარსეთში და მას მძაფრი კრიტიკა მოჰყვა შეერთებული შტატების მხრიდან. სესხის გაცემა ქვეყანაში განსაკუთრებული უფლებების მიღებას ითვალისწინებდა. მოსახლეობა უკიდურესად უკმაყოფილოდ იყო განწყობილი ხელისუფლების მიმართ, რომელმაც ბრიტანეთს ამ დონის პრივილეგიები მიანიჭა. მრავალ ქალაქში დემონსტრაციები დაიწყო. შექმნილ ვითარებაში მეჯლისმა უარი თქვა ხელშეკრულების რატიფიკაციაზე.[1]

სწორედ ამ ვითარებაში გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე რეზა ხანი (1878-1944). ის 1878 წელს კასპიისპირა პროვინცია მაზანდარანში დაიბადა. მამამისიც სპარსეთის არმიაში მსახურობდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა რეზა კაზაკთა ბრიგადის წევრი გახდა, ნიჭისა და მონდომების წყალობით პოლკოვნიკის ჩინი მიიღო[2] და სათავეში ჩაუდგა ჰამადანის კაზაკთა ბრიგადას.[3] ის **1921 წლის 21 თებერვალს 3 ათას კაციანი შეიარაღებული სამხედრო შენაერთით შევიდა თეირანში, დააპატიმრა მრავალი** ცნობილი პოლიტიკოსი და შაჰს მოთხოვა დაენიშნა პრემიერ-მინისტრად ახალგაზრდა სამოქალაქო რეფორმატორი სეიედ ზია თაბათაბაი. შაჰს სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა რეზა ხანის ამ წინადადებაზე (პრაქტიკულად ულტიმატუმზე) დათანხმებისა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რეზა ხანის მოქმედება ამ პერიოდში სულაც არ ეწინააღმდეგებოდა ბრიტანელების ინტერესებს. პირიქით, ბრიტანელები ცდილობდნენ მისი ხელით განეხორციელებინათ საკუთარი ინტერესები და მოესპოთ ყაჯართა სამეფოში არსებული ანარქია. დედაქალაქზე გალაშქრებამდე რეზა ხანს ყოველდღიური სატელეფონო კონტაქტი ჰქონდა ბრიტანული ჯარების შტაბთან თეირანში (Malek ash-Sho'arā, 1978: 61 sq.).[4] რეზა ხანსა და ბრიტანელებს შორის არსებული შეთანხმების თანახმად, ის უზრუნველყოფდა ბრიტანელი ჯარების მშვიდობიანად გასვლას ქვეყნის ჩრდილოეთიდან, რაც გააკეთა კიდეც. ბრიტანელებს ასევე მიეცათ გარანტია, რომ გატარდებოდა ვოსუყ ად-დოულესთან მიღწეული შეთანხმებით გათვა-

1 ინგლის-ირანის 1919 წ. ხელშეკრულებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ იხ. Katouzian, 1998.

2 რეზა ხანი თვითნასწავლი იყო და, ზოგიერთი მონაცემით, წერა-კითხვაც არ იცოდა სათანადო დონეზე. სპარსულის გარდა, ის ლაპარაკობდა აზერბაიჯანულად, მაზანდარანის ალაშთის დიალექტზე და ცოტაოდენი რუსულიც იცოდა (Abrahamian, 2008: 63)

3 აღსანიშნავია, რომ I მსოფლიო ომის შემდეგ უცხოელებს აეკრძალათ ამ სამხედრო ნაწილში ოფიცრებად სამსახური.

4 საყურადღებოა, რომ ისლამურ რევოლუციამდე ირანის ოფიციალური პროპაგანდა რეზა ხანის მიერ მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებას წმინდა პატრიოტულ აქციად ნათლავდა ბრიტანელებთან ყოველგვარი კავშირის ხსენების გარეშე. რევოლუციის შემდგომ კი გადატრიალება უკვე ინგლისელებს მიაწერეს. მაგრამ მოგვიანებით მოძიებული დოკუმენტებით მკაფიოდ ჩანს, რომ ბრიტანელების როლი უშუალოდ ამ ოპერაციის განხორციელებაში მაინც უმნიშვნელო იყო (იხ. მაგ., Mallet, 1994).

ლისწინებული რეფორმები. ზია თაბათაბაისაც, ბრიტანული წარმომადგენლობა ახასიათებდა, როგორც „ცნობილს თავისი ანგლოფილური განწყობებით“ (Abrahamian, 2008: 63).

აჰმად შაჰი (მის უკან – რეზა ხანი)

სეიედ ზიამ ჩამოაყალიბა ახალი კაბინეტი, რომელშიც რეზა ხანი სამხედრო მინისტრად დაინიშნა. მან მიიღო *სარდარ სეფაჰის* (მთავარსარდლის) წოდება. თუმცა, სულ მალე, იმავე წლის მაისში, რეზა ხანმა აიძულა სეიედ ზია გადამდგარიყო. მომდევნო ოთხი წლის მანძილზე რეზამ უზარმაზარი ძალაუფლების კონცენტრაცია მოახდინა საკუთარ ხელში.

მეჯლისმა აღიარა პროვინციებში წესრიგის აღდგენის აუცილებლობა და ამ მიზეზით დათახმდა სამხედრო ძალებისათვის ბიუჯეტის უზომოდ გაზრდაზე. რეზა ხანმა ეს რესურსები გამოიყენა შეიარაღებული ძალების გაზრდისა და შეიარაღების მოდერნიზებისათვის. როდესაც რეზა ხანმა თეირანი აიღო, კაზაკთა ბრიგადაში სულ 4 ათასი კაცი ირიცხებოდა. 30-იან წლებში კი საიმპერიო არმიაში მომსახურეთა რიცხვმა 127 ათასს მიაღწია. ჯარები უპირველესად ტომების ამბოხებების ჩასახშობად გამოიყენებოდა და რეზა ხანმაც, საბოლოო ჯამში, პრაქტიკულად მოახერხა ამ პრობლემის გადაწყვეტა.

1923 წელს რეზა ხანი უკვე პრემიერ-მინისტრი გახდა. მან „შესთავაზა“ აჰმად შაჰს ევროპაში დასასვენებლად გამგზავრება. შაჰმა კარგად გააცნობიერა შექმნილი სიტუაცია და პარიზში გაემგზავრა, საიდანაც აღარასოდეს დაბრუნებულა. „აჰმად შაჰის ევროპაში გამგზავრების შემდეგ სარდარ სეფაჰმა, რომელიც ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი იყო, აიძულა რეგენტი მოჰამად ჰასან მირზა ხელი მოეწერა დოკუმენტისათვის, რომლის თანახმადაც იგი არ ჩაერეოდა სახელმწიფოს საქმეებში“ (Sykes, 1930: 553). ამდენად, 1923 წ. მიწურულს, ყაჯარებმა ფაქტობრივად დაკარგეს ძალაუფლება.

რეზა შაჰი პრაქტიკულად ქვეყნის ერთპიროვნული გამგებელი გახდა. ამ დროს მისი და ზოგადად ირანული საზოგადოების წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი: უნდა შენარჩუნებულიყო მმართველობის მონარქიული ფორმა თუ უმჯობესი იქნებოდა ირანის გარდაქმნა თურქეთის მსგავს სეკულარულ სახელმწიფოდ? რეზა ხანი თავდაპირველად მხარს უჭერდა სეკულარული რესპუბლიკის შექმნის იდეას, რომლის პრეზიდენტიც, ირანის იმდროინდელი სპეციფიკიდან გამომდინარე უსაზღვრო ძალაუფლების მქონე ავტორიტარი მმართველი, თვითონვე გახდებოდა. ამ მიზნით, 1923 წელს რეზა შაჰმა მთელი ქვეყნის მასშტაბით წამოიწყო რესპუბლიკის დაფუძნების იდეის პროპაგანდა. მაგრამ ამ თვალსაზრისს, პირველ რიგში, ულემები შეეწინააღმდეგნენ.

1924 წ. მარტში რეზა ხანმა უარი განაცხადა რესპუბლიკის შექმნაზე და მალე, 1925 წ. 31 ოქტომბერს თეირანის პარლამენტმა გააკეთა ოფიციალური განცხადება უკანასკნელი ყაჯარი მონარქის, უცხოეთში მცხოვრებ აჰმად შაჰის დესტიტუციის შესახებ. 12 დეკემბერს კი მეჯლისმა რეზა ხანი ირანის ახალ შაჰად დაასახელა. მონარქიის წინააღმდეგ მეჯლისში ხმა მისცეს ცნობილმა მოჯთაჰედმა მოდარესმა (სხვა ცნობით, იგი იძულებული გახადეს არ მიეცა საწინააღმდეგო ხმა), ჰასან თაყიზა-

დემ, მემარცხენე ნაციონალისტმა იაჰია დოულათაბადიმ და ირანელ ნაციონალისტთა მომავალმა ლიდერმა მოჰამად მოსადეყმა.

მოსადეყის გამოსვლიდან ირანის მეჯლისში 1925 წლის ოქტომბერში:

„დღეს თქვენ, მეჯლისის დეპუტატებო გსურთ შაჰად აქციოთ სარდარ-ე სეფაჰი, რეზა ხანი. ეს პატივცემული ბატონი დღეს არა მარტო პრემიერ-მინისტრია, არამედ ასევე სამხედრო მინისტრი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. დღეს, ოცწლიანი უზომო სისხლისღვრის შემდეგ, ჩვენი ქვეყანა თითქოს რეგრესის ფაზაში შედის. შეიძლება განა ერთი და იგივე პირი შაჰი, პრემიერ-მინისტრი, ომის მინისტრი და მთავარსარდალი იყოს? ამგვარი რამ ზანზიბარშიც კი არ ხდება“ (ციტ. Atabagi, 2008: 46).

ულემთა უმრავლესობას საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით. ტრადიციული ფორმის მონარქიის შენარჩუნება მათ მინიმუმ იმის გარანტიად ეჩვენებოდათ, რომ არ განხორციელდებოდა თურქეთის მსგავსი სეკულარისტული ტიპის ექსპერიმენტი. მაგრამ სულ მცირე დრო აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ გამოჩენილიყო, თუ რაოდენ მცდარი იყო ეს შეხედულება.

ისიც აუცილებელი გასათვალისწინებელია, რომ სამღვდელოება არ ყოფილა ერთადერთი ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო რეზა ფაჰლავის აღზევებას. „რეზა ხანი, რომელსაც მხარში სეკულარისტები და მოდერნისტები ედგნენ, მოწადინებული იყო შეეცვალა ხელისუფლების სტრუქტურა მონარქიიდან საპრეზიდენტო ფორმით. პარლამენტი და ხალხი წინ აღუდგა ამ განზრახვას. მათ სურდათ იგი მეფე გამხდარიყო და ჰქონოდა აუცილებელი ძალაუფლება, რომ დაპირისპირებოდა ირანში უცხოელთა კონტროლს“ (Ta'ati, 1985: 36).

მორთაზე მოვშეყ ქაზემი,[5] *ბერლინში 1924-25 წწ. გამომავალი ჟურნალის „ფარანგესთანის“ რედაქტორი, წერდა:*

„ჩვენ სხვა არჩევანი არ გაგვაჩნია გარდა იმისა, რომ ჩვენი იმედები დავუკავშიროთ ძლიერ და გამოცდილ პიროვნებას. მან უნდა წამოიწყოს ის ქმედებები, რომელიც ერს მოამზადებს ჭეშმარიტი რევოლუციისათვის. ის უნდა გახდეს წინამძღოლი და განსაზღვროს მოღალატე და ქვეყნის მსახური, მისცეს ხალხს ჭეშმარიტი ცხოვრებით დატკბობის საშუალება. იფიქრეთ, თუ ვინმე გეგულებათ თქვენს გვერდით, ვინც ამ თვისებების მატარებელია, მხარი დაუჭირეთ მას და დააკისრეთ ეს ფუნქცია, რადგან ყველაფერთან ერთად, ის უნდა იყოს ახალი ადამიანი ირანისათვის, მან უნდა მოიტანოს ახალი აზროვნება და გზა გაუხსნას ახალ ეპოქას ირანის ამ ძველი მიწების მცხოვრებთათვის“ (*Farangestan*, 12.04.1924, 3-11. ციტ. Richard, 2006: 213).

ამგვარად, მეჯლისმა მსოფლიოში უძველესი მონარქიის სამეფო ტახტი რეზა ხანის ოჯახს გადასცა. გადმოცემით, როდესაც მეჯლისის სპიკერმა ხელში აიღო გვირგვინი რეზასათვის დასადგმელად, ამ უკანასკნელმა ჩამოართვა და განაცხადა: „ეს არ არის ისეთი რამ, რომელიც ჩემს გარდა ვინმე სხვამ შეიძლება თავზე გამადგას“ (Shahri, 1978: 43). **ახალმა შაჰმა გვარად ფაჰლავი (ფეჰლევი) აირჩია. ამგ**ვარად დაიწყო ფაჰლავიანთა დინასტიის მმართველობის 53-წლოვანი ისტორია.

რეზა შაჰის რეფორმები

რეზა ხანი რეფორმატორად მიიჩნევა, მაგრამ მისი რეფორმები შერჩევით ხასიათს ატარებდა და არ ისახავდა მიზნად არსებული პოლიტიკური წესრიგის რესტრუქტურიზაციას. მეჯლისის არჩევნები რეგულარულად იმართებოდა, მაგრამ რეზა შაჰის მანიპულაციები მის არსებობას ყოველგვარ აზრს უკარგავდა. ის მთლიანად აკონტროლებდა პოლიტიკურ სისტემას და მეჯლისი მხოლოდ მისი კანონების უსიტყვოდ დამტკიცებისათვის გამოიყენებოდა. კონსტიტუციის რევიზიის ნაცვლად, მან ის დატოვა და უბრალოდ ყურადღებას არ აქცევდა, როდესაც მისი მიზნები ქვეყნის ძირითად კანონს ეწინააღმდეგებოდა. მისი პირადი ძალაუფლება გამყარებული იყო ცენზურით, პოლიტიკური პარტიების აკრძალვით, დამოუკიდებელი გაზეთების დახურვით, პროფკავშირების ფუნქციონირების შეჩერებით, მაღალი დონის თანამდებობების პირთა დაპატიმრებებითა და ასევე მკვლელობებით, როდესაც ამ უკანასკნელთა მოქმედება არ პასუხობდა შაჰის ინტერესებს.

5 შემდგომში ქაზემი იყო დიპლომატი და მწერლობასაც მიჰყო ხელი. ერთი პერიოდი მას ეკავა რეზა შაჰის პროტოკოლის უფროსის პოსტი.

რეზა შაჰი

რეზა შაჰის ძალაუფლების ინსტიტუციონალურ ბაზას წარმოადგენდა არმიისა და ბიუროკრატიის კონტროლი, ასევე სამეფო პატრონაჟის მეტად გონივრულად შექმნილი ქსელი.

რეზა შაჰმა განსაკუთრებული პრივილეგიები მიანიჭა სამხედროებს – დაუნიშნა მაღალი ხელფასები, აუშენა ფეშენებელური კლუბი თეირანში, აძლევდა მიწების იაფად შესყიდვის საშუალებას. ამასთანავე, ოფიცერთა კორპუსი მას მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდა, რადგანაც საკუთარი ცხოვრების განვლილი გზიდან გამომდინარე, უფრთხოდა არმიაში ოპოზიციური განწყობების გაღვივებასა და შეთქმულებებს (Richard, 2006: 218).**1926 წელს რეზა შაჰი პი**რადად გაუძღვა ჯარებს აზერბაიჯანსა და ხორასანში ამბოხებების ჩასახშობად. მან ასევე დაიმორჩილა მომთაბარე ტომები. 1929 და **1932 წლებში ის სასტიკად გაუსწორდა ყაშყაელთა ტომების კონფე**დერაციას. მისი უმნიშვნელოვანესი მიღწევა კი იყო შეიხ ხაზალის პრაქტიკულად დამოუკიდებელი მმართველობისათვის ბოლოს მოღება მოჰამარაში (ხორამშაჰრი), რომელთანაც ბრიტანელებს უშუალოდ ჰქონდათ დადებული ხელშეკრულება ინგლისურ-სპარსული სანავთობო კომპანიის უსაფრთხო ფუნქციონირების გარანტირებისათვის.[6] ხელისუფლებამ ასევე შექმნა მრავალი ახალი მცირე ზომის პროვინცია ისტორიული რეგიონების ადგილობრივი იდენტობების მოსასპობად.

> „გადასახადების გადამხდელის მთავარი ტვირთი ისევ და ისევ არმიაა. სულ უფრო მზარდი რაოდენობით ხდება ტანკების, არტილერიის და სხვა აღჭურვილობის შესყიდვა, იმდენად, რომ მეზობელ ქვეყნებს ეჭვი გაუჩნდათ იმის თაობაზე, ხომ არ გახდებოდა მომავალში ირანი პოტენციური აგრესორი. მიზეზები კი, რამაც გადააწყვეტინა შაჰს დაეხარჯა ესოდენ დიდი თანხები აღჭურვილობაზე, ალბათ მეტად მარტივია. მას სურდა ჰქონოდა საკმარისი ძალა იმისათვის, რომ დაემყარებინა წესრიგი და ამის მიღწევის შემდეგ, მისი ბუნებრივი სურვილი, როგორც ჯარისკაცისა, იყო ეხილა საკუთარი არმია უმაღლეს დონეზე აღჭურვილი. ამასთან, მას კარგად ახსოვდა სპარსეთში ომებისა და არეულობების ხანა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი აღარ დაეშვა ამგვარი მდგომარეობის განმეორება“ (British Minister, „Annual Report for Persia (1937).“ *India Office*/Political and Secret Library 1940/34-245[82]; ციტ. Abrahamian, 2008: 69).

რეზა შაჰმა ასევე გააძლიერა სასოფლო ჟანდარმერია და საქალაქო პოლიცია. მან მთლიანად შეცვალა თეირანის პოლიციის დეპარტამენტისა და ჟანდარმერიის შემადგენლობა და თავისი ერთგული კადრებით დააკომპლექტა. საპოლიციო ძალების უფლებამოსილება გავრცელდა პროვინციების ქალაქებზეც. მან შექმნა უშიშროების ორი ახალი ორგანიზაცია – *შაჰრბანი*, რომელიც ექვემდებარებოდა საქალაქო პოლიციას და *როქნ-ე დოვომ* (მეორე ბურჯი), რომელიც ფრანგული მეორე ბიუროს (Deuxième bureau) მოდელის მიხედვით ჩამოყალიბდა და არმიაზე იყო მიმაგრებული. ასევე აშენდა არაერთი ახალი ციხე. თუ ადრე ირანში ციხეები მხოლოდ მოკლევადიანი პატიმრობისათვის იყო გათვალისწინებული, ახლა უკვე ციხეები იგებოდა ხანგძლივვადიანი სასჯელის მოხდისათვის. ბრიტანელი მინისტრი მოხსენებით ბარათებში ეჭვს გამოთქვამდა, რომ რეზა შაჰი პოლიციურ სახელმწიფოს ქმნიდა: „პოლიტიკური მოწინააღმდეგები, რომელნიც ამგვარად შეიძლება მიეჩნიათ უბრალოდ თამამი გამონათქვამის ან ხელისუფლებისადმი არალოიალობაში ეჭვმიტანილ მეგობართან ვიზიტის გამო, შეიძლებოდა ციხეში აღმოჩენილიყვნენ ან გაეძევებინათ პროვინციიდან ყოველგვარი სასამართლო პროცესის გარეშე“ (*British Minister*, იქვე; ციტ. Abrahamian, 2008: 69).

---

6 როდესაც სამთავრობო ჯარები სამხრეთისაკენ მიიწევდნენ ტომების დამორჩილების მიზნით, ბრიტანელებს შორის არ იყო ერთსულოვნება ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთს ეჭვი ეპარებოდა, რომ რეზა ხანს ჰქონდა საკმარისი უნარი ქვეყნის სათავეში ხანგრძლივი ყოფნისა და ირანის აღორძინებისათვის და შესაბამისად, მიიჩნევდა, რომ ბრიტანელებს კვლავაც უნდა დაეცვათ მათი ადგილობრივი მოკავშირეები, თუნდაც ირანის სახელმწიფოებრივი ერთიანობის ხარჯზე. სხვები კი თვლიდნენ, რომ ბრიტანელებს მხარი უნდა დაეჭირათ რეზა ხანისათვის, გაეწყვიტათ კავშირები ადგილობრივ ტომებთან, რათა ჰქონოდათ მომავალში ზეგავლენის წყარო და ირანი გამოეყენებინათ, როგორც საყრდენი საბჭოელების წინააღმდეგ (Zirinski, 1992: 654).

რეზა შაჰის ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ მიმართულმა პოლიტიკამ სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის სწრაფი გაზრდა გამოიწვია და ამის შედეგად – საჯარო მოსამსახურეთა სოციალური ფენის შექმნა, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ ფაჰლავის რეჟიმის რეფორმების უწყვეტობაზე. ელიტებზე რეზა შაჰის კონტროლის მესამე წყაროს წარმოადგენდა ზემონახსენები პატრონაჟის ქსელი. თავისი მეფობის პერიოდში რეზა შაჰმა უზარმაზარი სამფლობელოები მიისაკუთრა, რომელთაგანაც მიღებულ შემოსავალს ის იყენებდა სასტუმროების, კაზინოებისა თუ საქველმოქმედო ფონდების შესაქმნელად. რამდენადაც ყოველივე ამის მართვა მენეჯერებისა და სათანადო კადრების არსებობას მოითხოვდა, შაჰს შეეძლო ამ პოსტებზე დაინიშნა ისინი, ვინც უპირობოდ უჭერდა მხარს მის რეჟიმს.

ბრიტანეთის კონსული ისფაჰანის პროვინციის ადმინისტრაციული სტრუქტურის შესახებ:

„პროვინციის მთავარი სამმართველოები ისფაჰანშია. პროვინციაში არსებობს მრავალი დეპარტამენტი და თითოეულს თავისი ხელმძღვანელი ჰყავს – არმია (მე-9 დივიზია), პოლიცია, მუნიციპალიტეტი, საფინანსო, ინდუსტრიული, კომერციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, გზების, საკუთრების და დოკუმენტების რეგისტრაციის, აღწერის, განათლების, სოფლის მეურნეობის, ფოსტისა და ტელეგრაფის უწყებები, სასამართლო, ჟანდარმერია, სამხედრო კომისარიატი. დამატებით, აქ არის ხორბლის, ოპიუმისა და თამბაქოს გამანაწილებელი დეპარტამენტები. ამ დეპარტამენტებს თავიანთ წარმომადგენლები ჰყავთ ისფაჰანის პროვინციის მთავარ დაბებში. პოლიცია მოქმედებს მხოლოდ ისფაჰანის მუნიციპალიტეტის საზღვრებში და ნაჯაფაბადში. ამ ორი ადგილის გარეთ საპოლიციო მუშაობა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა ჟანდარმერიის ამოცანას წარმოადგენს. (British Consul. „Report on Isfahan Province.“ FO371/Persia 1945/34-45426; ციტ. Abrahamian, 2008: 71).

თურქეთის მსგავსად, სეკულარიზაცია რეზა შაჰის მეფობის ცენტრალური კომპონენტი იყო. რეზა შაჰი ათათურქის ანალოგიური პრობლემების წინაშე იდგა, მაგრამ მათი გადაწყვეტა გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე თურქეთში. ირანი მრავალი თვალსაზრისით განსხვავდებოდა თურქეთისაგან. მაგალითად, ირანში იგრძნობოდა გამოწრთობილი ბიუროკრატების, სამხედროებისა და დიპლომატების ნაკლებობა, ეს ყველაფერი კი ათათურქს ოსმალეთის იმპერიიდან ერგო მემკვიდრეობით. ირანის გეოგრაფია რთულს ხდიდა ინფრასტრუქტურის განვითარებას – რკინიგზის გაყვანასა და გზების დაგებას. ის გაცილებით უფრო დაშორებული იყო ევროპიდან და შესაბამისად, უფრო ნაკლებად ინტეგრირებული სულ უფრო მზარდ მსოფლიო ეკონომიკაში, რომელშიც ევროპელები დომინირებდნენ (Ochsenwald & Fisher, 2004: 408).

1935 წელს ქვეყანას ოფიციალურად ეწოდა ირანი, ირანელი ხალხების არიული წარმომავლობის ხაზგასასმელად. ქვეყნის სახელწოდების გამოცვლასთან დაკავშირებით გამოცხადდა, რომ სპარსეთი ასოცირდებოდა მხოლოდ ფარსის პროვინციასთან და ყაჯარული ეპოქის დეკადანსთან, ირანი კი ძველი არიელების სამშობლოს აღმნიშვნელი იყო. ქვეყნისათვის სახელის გადარქმევის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გერმანელებმა, რომლებიც ნაცისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ უაღრესად გააქტიურდნენ ირანში. ჰიტლერმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ახსენა, რომ არიული რასა დაკავშირებული იყო ირანთან. ამასთან ერთად, მრავალი ცნობილი ირანელი სწავლობდა ევროპაში და ისეთი რასისტი თეორეტიკოსების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, როგორიცაა მაგალითად, გობინო. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ ირანს, „რასობრივი“ თვალსაზრისით, გაცილებით უფრო მეტი ჰქონდა საერთო ჩრდილოეთ ევროპის ერებთან, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის დანარჩენ ხალხებს. ამდენად, დასავლურმა რასიზმა გარკვეული როლი შეასრულა თანამედროვე ირანული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში. ირანულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა მესამე რაიხის ანტისემიტური სულისკვეთების მატარებელი წერილები.

სახელმწიფო სასკოლო კურიკულუმის მიზანი გახდა ახალგაზრდობაში პატრიოტული გრძნობების გაღვივება. **1925 წლიდან გაუქმდა მუსლიმური მთვარის კალენდარი, რომელიც ირანულმა მზის კალენდარმა** შეცვალა. ამგვარად მთვარის კალენდრის 1343 წელი იქცა მზის კალენდრის 1304 წლად. ასევე შეიცვალა მუსლიმური თვეების სახელები ძველირანულით (ხორდადი, თირი, შაჰრივარი, მეჰრი, აზარი...).

მნიშვნელოვანი პრივილეგიები მიიღეს ძველი ირანული რელიგიის – ზოროასტრიზმის მიმდევრებმა, რომელთა რიცხვიც სულ 10 ათასს აღწევდა. მათ უფლება მიეცათ გაეხსნათ საკუთარი სკოლები. თეირანის უნივერსიტეტში ისწავლებოდა ზოროასტრელთა წმინდა წიგნი *ავესტა* და ფალაური (საშუალო სპარსული ენა) ტექსტები. დაშვებული იყო ზოროასტრული ახალი წლის აღნიშვნაც. პოპულარული გახდა ძველირანული და ზოროასტრული სახელები. შაჰი ტოლერანტობას იჩენდა სხვა რელიგიების წარმომადგენლების (სომხების, ასირიელების, ებრაელების) მიმართ და აუკრძალა მუსლიმ სამღ-

ვდელოებას სხვა აღმსარებლობათა მიმდევრების დევნა, თუმცა ეს აკრძალვა არ შეხებია ბაჰაიტებს, რომელთა მრავალი სალოცავი სახლი დაიხურა.[7]

ირანული პატრიოტიზმის გაღვივების მიზნით დაფუძნდა ახალი კულტურული ორგანიზაციები. „ფარჰანგესთანი" (კულტურის აკადემია) შექმნილი იყო ფრანგული აკადემიის მოდელის მიხედვით. აკადემიასთან ერთად, „საზოგადოების წინამძღოლობის დეპარტამენტი," „ეროვნული მემკვიდრეობის საზოგადოება," „გეოგრაფიული კომისია," ჟურნალი „*ირან-ე ბასთან*" (ძველი ირანი), ასევე ორი სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული მთავარი გაზეთი – „*ეთელა'ათ*" და ფრანგულენოვანი „*Journal de Téhéran*" ეწეოდნენ ფართო კამპანიას როგორც ძველი ირანის სადიდებლად, ისე სპარსული ენის უცხო სიტყვებისაგან განსაწმენდად. ამგვარად, თანდათანობით შემცირდა არაბულ და თურქულ ნასესხობათა რაოდენობა სპარსულ ენაში. გეოგრაფიულმა საზოგადოებამ 107 ადგილს შეუცვალა სახელი. თუმცა, მივიდა დასკვნამდე, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა ყველა არაბული, თურქული თუ სომხური სახელის შეცვლა (Bayat, 1990-91). ამგვარად, არაბესთანი იქცა ხუზესთანად, სოლთანაბადი – არაქად, ბამფური – ირანშაჰრად. ახალი სახელები ზოგჯერ მონარქიულ კონოტაციასაც ატარებდა. მაგ., ურმიას დაერქვა რეზაიე, ენზელის – ფაჰლავი, ალიაბადს – შაჰი, სალმანს – შაფური. რეზა შაჰის ბრძანებით მხოლოდ სპარსულის გამოყენება შეიძლებოდა მაღაზიების წარწერებში, ოფიციალურ დოკუმენტებში, სავიზიტო ბარათებზეც კი. კულტურის აკადემიამ ასევე დაამკვირდა სპარსული ადმინისტრაციული ტერმინოლოგია. მაგ., თურქული წარმომავლობის პროვინციის აღმნიშვნელი ტერმინი *ვილაიეთი* შეიცვალა სპარსული *ოსთანით*, გუბერნატორი – ვალი, იწოდა ოსთანდარად. პოლიციას *ნაზმიეს* მაგივრად დაერქვა *შაჰრბანი*. ასევე შემოღებულ იქნა სპარსული სამხედრო წოდებები, თუმცა ბევრი მათგანი ხელოვნურად იყო შექმნილი ყოველგვარი ისტორიული საფუძვლის გარეშე. რეზა შაჰი მხარს უჭერდა კანონებს, რომლებითაც იზღუდებოდა უმცირესობათა ენების გამოყენება, კრძალავდა ეთნიკური ტანსაცმლის ტარებას. „ფაჰლავიანთა ოფიციალური იდეოლოგია ჩამოყალიბდა დასავლური კულტურული ფასეულობების შერჩევითი ასპექტების შერწყმით ძველი, წინაისლამური სპარსული ცივილიზაციის რომანტიკულ ხედვასთან" (Farsoun & Mashayekhi, 1992: 11).

თეირანში დაარსდა სახელმწიფო მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ოპერა. შაჰმა ასევე ააგებინა ფირდოუსის მავზოლეუმი თუსში (ამ ქალაქსაც გადაერქვა სახელი და ფერდოუსი ეწოდა). თეირანში ხუთი კინოთეატრი გაიხნა. სწორედ ამ გარემოში – კაფეებით, ბუტიკებით, თეატრებით, რესტორნებით, წიგნის მაღაზიებით – ჩამოყალიბდა ახალი ირანული საშუალო კლასის ცხოვრების სტილი (Abrahamian, 2008: 90).

მაჰმუდ ავშარი, ჟურნალ „აიანდეს" (მომავალი) დამფუძნებელი, იმ ხანებში წერდა:

„სანამ ირანული ეროვნული ერთიანობის რეალიზება არ მოხდება ენით, ჩვეულებებით, ტანისამოსით და ა.შ., პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ყოველთვის შეექმნება საფრთხე... საჭიროა, რომ ვინც დაინტერესებულია ირანის ისტორიით, გრძნობდეს კავშირს სპარსულ ენასთან და ლიტერატურასთან, შიიტურ ისლამთან, საჭიროა, რომ აცნობიერებდნენ – არაფერი დარჩება ამ ქვეყნისაგან, თუ მისი შემაკავშირებელი ძაფები გაწყდება" (ციტ. Richard, 2006: 213).

რეზა შაჰმა გააუქმა არისტოკრატიული ტიტულები და მრავალ დიდგვაროვანს სახელების შემოკლება მოუწია. მაგ., ვოსუყ ად-დოულე იქცა ჰასან ვოსუყად; მისი ძმა აჰმად ყავამ ას-სოლთანე – აჰმად ყავამად; ფირუზ მირზა ფარმანფარმა ნოუსრათ ად-დოულე კი ფირუზ ფარმანფარმა გახდა.

რეზა შაჰი ხელს უწყობდა ირანელი ქალის სტატუსის ამაღლებას. ქალიშვილებისათვის პირველი სახელმწიფო სკოლები გაიხსნა ჯერ კიდევ 1918 წელს, მაგრამ ქალთა განათლების საკითხს სწორედ რეზა შაჰის დროს მიექცა განსაკუთრებული ყურადღება.[8] 1937 წელს ქალები დაუშვეს თეირანის უნივერსიტეტში სასწავლებლად. ჩადრის ტარება 1936 წელს აიკრძალა. მთავრობის მიერ კონტროლირებადი ირანული გაზეთები პროპაგანდას უწევდნენ „ქალების გამოღვიძებას" – მათი საზოგადოებრივი როლის გაზრდასა და დასაქმებას სახლის გარეთ.

7 უნდა აღინიშნოს, რომ ბაჰაიტების სასტიკი დევნა გაგრძელდა რეზა ფაჰლავის ვაჟის, მოჰამად რეზას მეფობის დროს და უკიდურესი რეპრესიული ფორმები მიიღო ისლამური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ (იხ. თავი XI).

8 უნივერსიტეტი შეიქმნა იმ დროს ირანში არსებული ექვსი კოლეჯის – სამართლის, ლიტერატურის, პოლიტიკური მეცნიერების, მედიცინის, სოფლის მეურნეობის და მასწავლებელთა კოლეჯების გაერთიანებით. 30-იანი წლების მიწურულს კი უნივერსიტეტის ბაზაზე კიდევ რამდენიმე კოლეჯი ჩამოყალიბდა.

ქალთა განათლების შესახებ ირანის განათლების სამინისტროს მემორანდუმიდან (1935):

„ნათელია და თვალსაჩინო, რომ მრავალი წლის განმავლობაში ქალები – რომლებიც ამ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ – განზე არიან დატოვებული მეცნიერებისა და განათლების სამეფო გზიდან და უცოდინრობის გამო, არიან ცრურწმენებისა და საფუძველსმოკლებული წარმოსახვების მსხვერპლნი... დღეს ახალმა მოძრაობამ მოახდინა ქვეყნის სოციალური საკითხებისა და საქმეების კონსოლიდირება სამეფო ყურადღების ქვეშ... ქალები, რომლებიც არიან მომავალი დიდი ადამიანების დედები, უნდა სარგებლობდნენ მეცნიერების, ცოდნის, ცივილიზაციისა და განათლების მიღწევებით, ისე როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში....

პირველ რიგში, ყველაზე მცირეწლოვანთა მიმართ გადაწყდა, რომ შეიქმნას შერეული დაწყებითი სკოლები, რომელთაც ეწოდება „kindergartens", მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლებშიც ქვეყნის ახალი თაობის ყმაწვილები და გოგონები ერთიანი პროგრამით ისწავლიან...

მეორე, დაწყებით და საშუალო სკოლებში შემოღებულ უნდა იქნეს ერთიანი ტანისამოსი, ნაქარგობებისა და სამკაულების გარეშე, რაც დიდი სოციალური ზიანის მომტანია. თქვენ თვალყური უნდა ადევნოთ, რომ დაწყებითი და საშუალო სკოლების გოგონებმა ჩაიცვან ის უნიფორმები, რომლებიც განისაზღვრა [კანონით]. ამის შედეგად შეძლებული ოჯახებიდან გამოსულ გოგონებს მოესპობათ საშუალება იყვნენ სიმდიდრით გაამაყებულები და ბაქიები და ყველა მიეჩვევა უბრალოებას და სისუფთავეს.

მესამე, სამართალში ქალების განათლებისათვის დაწყებით და საშულო სკოლებში უნდა ჩატარდეს სპეციალური კონფერენციები ქალებისათვის, რომელთაც დაესწრებიან ქალი მასწავლებლები და რომელზეც ასევე მოწვეული იქნებიან სხვა გამოჩენილი ქალბატონები და, მეუღლეებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ სამეცნიერო, მორალური თუ სოციალური მოხსენებებისა და ლექციების განხილვაში. ამგვარ კონფერენციებზე უნდა მოიწვიონ ღირსეული, გამოცდილი, ქალაქებში პატივცემული ადამიანები. სწავლულებმა უნდა ისაუბრონ პირადი ჰიგიენის, ოჯახის, ინფექციებისაგან დაცვის, ეკონომიკის და სხვა საჭირო სამეცნიერო საკითხებზე. მათ განსაკუთრებით კარგად უნდა შეასწავლონ ქალებს ჯდომის, ადგომის, ჩაცმის და ა.შ. ეტიკეტი – ყველაფერი ის, რაც ჩვეულებრივია პატივცემულ და კეთილშობილ ოჯახებში მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში (ციტ. Amin, et al., 2006: 202-203).

რეჟიმმა ერთ მნიშვნელოვან სფეროში პრაქტიკულად ვერ მიაღწია ვერანაირ წარმატებებს – სამედიცინო მომსახურებაში. აბადანის, ნავთობკომპანიის ქალაქის გარდა, რომელზეც ინგლისელები ზრუნავდნენ, პრაქტიკულად არც ერთ ქალაქში არ არსებობდა თანამედროვე სამედიცინო მომსახურება და არ იყო დაცული სანიტარული ნორმები. ბავშვთა სიკვდილიანობა მაღალ დონეზე რჩებოდა. თეირანშიც კი მხოლოდ 40 რეგისტრირებული დოქტორი იყო.

რეზა შაჰი და შიიტური სამღვდელოება

ჯერ კიდევ სამხედრო მინისტრად ყოფნის პერიოდში, ითვალისწინებდა რა ულემების უზარმაზარ გავლენას ქვეყნის მოსახლეობაზე რეზა ხანი ცდილობდა მოჯთაჰედების კეთილგანწყობის მოპოვებას. თავის მხრივ, სეიედ ზიამ, სხვა რეფორმებთან ერთად, სამღვდელოების გულის მოსაგებად ალკოჰოლით ვაჭრობა აკრძალა და ოფიციალურ მიღებებზე ის შეიცვალა დულით.[9]

რეზა ხანი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა იმ მოჯთაჰედებს, რომლებიც ნაკლებად იყვნენ ჩაბმული პოლიტიკურ პროცესებში. ის კეთილგანწყობას იჩენდა აიათოლა ჰაერის, აიათოლა ხომეინის მასწავლებლის მიმართ, რომლის მუდმივი რეზიდენციაც ყუმი იყო. აქ მან მედრესე „ფაიზიე" გადააქცია შიიტური განათლების უმნიშვნელოვანეს ცენტრად, მაგრამ აიათოლა ჰაერი არასდროს ერეოდა პოლიტიკაში და ამ თვალსაზრისით არსებული ხელისუფლებისათვის სასურველ პარტნიორს წარმოადგენდა. თუმცა, მისი ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე სასულიერო პირების მიმართ რეზა ხანი საკმაოდ დაუნდობლად მოქმედებდა, რაც მკაფიოდ გამოჩნდა მის შემდგომ მოღვაწეობაში – რეზა ხანისათვის მიუღებელი იყო ულემთა პოლიტიკური გააქტიურება.

რეზა შაჰს ორი მიზანი ამოძრავებდა, რომელთაც ერთიანობაში აღიქვამდა: მას სურდა ნაწილობრივ მაინც აღედგინა ირანის ძველი დიდება და იმავდროულად დაემყარებინა საკუთარი აბსოლუტური ძალაუფლება ამ აღორძინებულ სახელმწიფოში. ის ამ მიზნების მისაღწევად ქედუხრელად მიიწევდა წინ; ნებისმიერი ძალას, რომელიც მას წინ აღუდგებოდა, ის დაუნდობლად უსწორდებოდა და შეძლებისდაგვარად ანადგურებდა. ამდენად, ტომების დამოუკიდებლობა, მიწისმფლობელების ძალა, ყაჯარ-

9 ირანული მჟავე არომატიზირებული რძე.

თა სამეფო კარი, ლიბერალური და დემოკრატიული იდეები – ყველაფერი მისი თავდასხმის ობიექტი ხდებოდა. ამგვარ პირობებში, სამღვდელოების ძალაუფლებაც გარდაუვლად დაკნინდა.

შაჰად კურთხევამდე რეზა ხანი, ულემთა მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, 1924 წელს ჩავიდა ყუმში და მოლაპარაკება გამართა ულემებთან, რომლის შედეგიც გახდა უმაღლესი სამღვდელოებისა და ირანის მომავალი მონარქის ერთობლივი დეკლარაცია. მასში ხაზგასმული იყო, რომ სამღვდელოება რეზა ხანს მხარს დაუჭერდა რწმენის საფუძვლების განმტკიცებაში, დამოუკიდებლობასა და ეროვნული მთავრობის შექმნაში.

რეზა ხანმა დაარწმუნა ულემები, რომ სულაც არ ჰქონდა მიზნად თურქული ტიპის რესპუბლიკის შექმნა. იმისათვის, რომ ხაზი გაესვა თავისი მართლმორწმუნეობისათვის, 1924 წ. აგვისტოში, რეზა შაჰმა, „კეთილმორწმუნე შიიტის იმიჯის შესაქმნელად მონაწილეობა მიიღო თეირანის ბაზარში მოჰარამის[10] პროცესიებში“ (Algar, 1978: 238). ულემებმა მას (რეზა ხანი ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრი იყო) იმამ ჰუსაინის ძმის, აბასის ლეგენდარული ხმალი უსახსოვრეს, რომლითაც თითქოსდა იგი ქერბალასთან იბრძოდა. ვალში რომ არ დარჩენილიყო, რეზამ ნაჯაფის მოხილვა განახორციელა და ყველაზე გამოჩენილ მოჯთაჰედებს – მირზა ჰუსაინ ნაინისა და ჰაჯი აბუ ლ-ჰასან მუსავი ისფაჰანის აღუთქვა, რომ ბოლოსდაბოლოს აამოქმედებდა კონსტიტუციის დამატების II მუხლს, რომელიც ითვალისწინებდა პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის კონტროლს ხუთი მოჯთაჰედისაგან შემდგარი კოლეგიის მიერ.

მიუხედავად რეზა ხანის ავტორიტარული პრეტენზიებისა, მას მხარი დაუჭირეს სასულიერო ელიტამ და ახლო აღმოსავლეთის შიიტურმა თემებმა (Cottam, 1979: 86). მას შემდეგ, რაც რეზა ხანმა ჩაახშო ხუზესთანის სამხრეთის ტომების, ქურთებისა და თურქმანების ამბოხებები, მისდამი უარყოფითად განწყობილი შიიტური სამღვდელოება თანდათანობით დათმობებზე წავიდა ქვეყნის ფაქტობრივი ხელისუფლების მიმართ. რეზა ხანმა საჯაროდ დაგმო ვაჰაბიტთა მოქმედება საუდის არაბეთში, რომლებმაც შეურაცხყვეს მუსლიმი წმინდანების საფლავები მედინაში, მათ შორის მუჰამადის საფლავიც. ამ აქტით მან კიდევ უფრო აიმაღლა ავტორიტეტი სასულიერო წრეებში.

რეზა ხანის ირანის ახალ შაჰად გამოცხადების შემდეგ მდგომარეობა სრულიად შეიცვალა და არა სამღვდელოების სასარგებლოდ. ე. წ. მოდერნიზაციის პირობებში სახელმწიფო აპარატში, მმართველ სტრუქტურებში ულემებისათვის ადგილი აღარ მოიძებნა. ულემებს, რომლებსაც პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ რეზა ხანის აღზევების წინააღმდეგ და ფაქტობრივად ვეტო დაადეს მის მიერ რესპუბლიკის გამოცხადების მცდელობას, აშკარად არ გაუმართლდათ რეზა შაჰის გამეფებასთან დაკავშირებული იმედები. „რეზა შაჰის პერიოდში პოლიტიკური ხელისუფლება რელიგიურ წოდებას მიიჩნევდა ერთ-ერთ მთავარ წინაღობად მოდერნიზაციის პროგრამების განხორციელების გზაზე“ (Millward, 1973: 111). მისი მმართველობის პერიოდში ულემებმა თანდათანობით დაკარგეს კონტროლი განათლებისა და სასამართლო სისტემებზე, აგრეთვე ადგილები მეჯლისში. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩაცმულობის თვალსაზრისით (ჩადრის ტარების აკრძალვა). შემცირდა შიიტური მრწამსის მნიშვნელობა, ვინაიდან რეზა შაჰის რეჟიმი წინაისლამური ირანისა და მისი კულტურის აპოლოგეტი გახდა.

შაჰის მიზნები მკაფიო იყო: 1. იდეოლოგიური – სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოცალკევება (უფრო ზუსტად კი რელიგიის თანდათანობითი დაქვემდებარება სახელმწიფოსადმი). 2. „გათიშე და იბატონეს“ პრინციპი – საკუთრივ სამღვდელოებაში წინააღმდეგობათა გაღვივება და ამ გზით ულემთა კორპუსის დასუსტება.

ოპოზიციური სამღვდელოება ტრადიციულად ისევ ბაზრის ხალხსა და წვრილ ბურჟუაზიას ეყრდნობოდა, რომელთა ინტერესებსაც ნაკლებად ითვალისწინებდა შაჰის ეკონომიკური პოლიტიკა. 1927-1935 წწ. ამ კურსის წინააღმდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოსვლა მოხდა.

ოპოზიციონერი სამღვდელოების ერთ-ერთი ლიდერი იყო მოჯთაჰედი სეიედ მირზა ჰასან მოდარესი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში I მსოფლიო ომის შემდეგ. 1919 წ. იგი ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ბრიტანეთ-ირანის კაბალური ხელშეკრულების კრიტიკით. შემდგომში მას არაერთხელ გაუკრიტიკებია რეზა ხანის პოლიტიკური კურსი. თუმცა, საბოლოო ჯამში, მოდარესმა ვერ მოახერხა იმ ძალების გადმობირება, რომლებიც რეზა ხანს უჭერდნენ მხარს. მოდარესი 1922 წელს მეჯლისში უმრავლესობის ლიდერი გახდა და ხმა აიმაღლა რეზა ხანის ერთპიროვნული მმართველობის წინააღმდეგ. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ მოდარესი არ

10 მოჰარამი (არაბ. *მუჰარამ*). შიიტთათვის სამგლოვიარო თვე. ამ თვის მეათე დღეს (აშურა) დაიღუპა იმამი ჰუსაინი. მოჰარამის თვეში იმართება სამგლოვიარო პროცესიები. მისი დაღუპვის დღე (აშურა) აღინიშნება რიტუალური თვითგვემით და თეატრალიზებული მისტერიებით (*თაზიე, თაზია*).

გამოირჩეოდა თანმიმდევრულობით. 1924 წლის დასაწყისიდან რეზა ხანის მიერ დაწყებულ კამპანიას ყაჯართა დინასტიის გაუქმების მოთხოვნით მოდარესმაც დაუჭირა მხარი. მანამდე მოდარესი აჰმად შაჰის ევროპიდან ჩამოყვანის გეგმასაც კი აწყობდა, რომელსაც რეზა ხანის მთავრობის გადაყენება უნდა გამოეცხადებინა. მაგრამ აჰმად შაჰმა დაბრუნებაზე უარი განაცხადა. მოდარესი მოითხოვდა, რომ რეფორმები გატარებულიყო თანდათანობით, კონსტიტუციის დაცვით და „ქვეყნის საქმეებში არმიის არასაჭირო ჩარევის გარეშე." თუმცა 1926 წ. მასზე თავდასხმის შემდეგ, რომლის შედეგადაც იგი კინაღამ დაიღუპა, მისი და მისი მიმდევრების პოზიცია უფრო ზომიერი გახდა.

შაჰად გახდომის შემდეგ რეზას არ დავიწყებია მოდარესისთან ძველი მტრობა. იგი საკმაო ხნის მანძილზე იმყოფებოდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. შემდეგ კი დააპატიმრეს და 1937 წ. ციხეში დაახრჩვეს. ასევე გაუსწორდნენ შაჰის მეორე მოწინააღმდეგეს, ცნობილ ისფაჰანელ მოჯთაჰედს ჰაჯი აღა ნუროლა ნაჯაფი-ისფაჰანის, ისფაჰანის საკრებულო მეჩეთის მთავარ მზრუნველს.

ფაჰლავიანთა მონარქიის არსებობის პირველი წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის ცხოვრებაში გატარება, რომელიც მეჯლისმა 1927 წელს მიიღო. ამ კანონის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ სასულიერო წოდების მქონე პირებისა და საღვთისმეტყველო სკოლების სტუდენტების ერთი ნაწილი, ქრისტიანები და სხვა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები. მოსახლეობა ამ კანონს უარყოფითად შეხვდა. რეკრუტირება უპირველესად ქალაქის მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა და 1927 წელს ქალაქებში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. კანონის გაუქმებისაკენ მიმართულ მოძრაობას სამღვდელოება ჩაუდგა სათავეში. ცნობილი მოჯთაჰედები მოსახლეობას ჯარში გაწვევის ბოიკოტირებისაკენ მოუწოდებდნენ. მეჯლისში სამღვდელოების წარმომადგენლები მოითხოვდნენ კანონის გაუქმებას. თეირანში, შირაზში, ისფაჰანსა და ყუმში მნიშვნელოვანი მღელვარებები დაიწყო. იკეტებოდა ბაზრები, ტარდებოდა ბესთი მეჩეთების ეზოებში, დემონსტრაციები შაჰის საწინააღმდეგო ლოზუნგებით და ზოგჯერ ყოველივე ამას მოსდევდა შეტაკებები სამთავრობო ჯარებთან. სამხედრო სამსახურში გაწვევის პროცესს შეეწინააღმდგნენ ტომებიც. ქვეყანაში წესრიგის დამყარებისათვის ხელისუფლება იძულებული გახდა მოლაპარაკებები გაემართა ყუმში სამღვდელოებასთან. ორმხრივი დათმობების შედეგად, მთავრობამ კანონიდან ამოიღო სიტყვა „სავალდებულო," რითაც შედარებით შენელდა ჯარში იძულებითი გაწვევის პროცესი.

სამხედრო სამსახურის შემოღებასთან დაკავშირებული კონფლიქტი პირველი სერიოზული დაპირისპირება იყო შაჰსა და სამღვდელოებას შორის. სამღვდელოებამ ისარგებლა მოსახლეობის უკმაყოფილებით და მოინდომა არა მარტო სამხედრო სამსახურის კანონის გაუქმება, არამედ რეფორმათა მთელი პროგრამის გადასინჯვაც. მთავრობა, რომელიც ამ დროს გლეხების, ჯარისკაცების, ტომების უკმაყოფილების ჩახშობით იყო დაკავებული, იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1927 წ. დეკემბერში ყუმში გაგზავნილი დელეგაციის მეთაური, სამეფო კარის მინისტრი აცხადებდა, რომ მთავრობას საკუთარ მოვალეობად მიაჩნია „ისლამის დიდებისა და სამღვდელოების ღირსეული მდგომარეობის შენარჩუნება." მთავრობამ ასევე აკრძალა სატირული ჟურნალის „ნაჰიდის" გამოცემა, რომელშიც კარიკატურები იბეჭდებოდა მოლებზე.

რეზა ფაჰლავი ცდილობდა მცირედის დათმობით შეენარჩუნებინა მთავარი – რეფორმების გზით ქვეყნის ძირეული გარდაქმნისაკენ აღებული კურსი.

რელიგიური ტრიბუნალების ნაცვლად 1926 წ. დაიწყო ფრანგული მოდელის მიხედვით სამოქალაქო სასამართლოების შემოღება, რაც კიდევ უფრო ამცირებდა ულემთა ტრადიციულ იურიდიულ მონოპოლიას. მაგრამ ყველაზე მძიმე დარტყმა გამოდგა 1932 წ. 17 მარტის კანონი, რომლითაც რელიგიურ მოსამართლეებს ნოტარიალური ფუნქცია ჩამოერთვათ. ეს ფუნქცია კი მათ უფლებას აძლევდა დაემოწმებინათ და ჩაეწერათ იურიდიული აქტები და კონტრაქტები. ამგვარად, ულემებმა დაკარგეს არა მარტო თავიანთი სოციალური გავლენის მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ ნოტარიალური გადასახადებიდან შემოსული თანხაც – მათი შემოსავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო.

20-იანი წლების შუახანებამდე ყველა სასამართლო საქმე, გარდა პოლიტიკურ დანაშაულებებთან დაკავშირებული საქმეებისა, განიხილებოდა შარიათის მიწერილობების საფუძველზე. შარიათის სასამართლო არსებობდა ჩვეულებითი სამართლისა და შაჰის იურისდიქციის პარალელურად, რომელშიც შედიოდა საქმეები აჯანყებებზე, შეიარაღებულ თავდასხმებზე, სახელმწიფო ღალატზე და ა.შ. 20-30-იანი წლები კი გახდა სასამართლო წარმოების სამოქალაქო სისტემის შექმნის პერიოდი. ამ ხანებში მეჯლისმა მიიღო ახალი კანონები, რომლითაც იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა ე.წ. შარიათის უწყება. ცენტრალური პროვინციებისა და დიდი ქალაქების სამოქალაქო სასამართლოებში იყო ერთი ან ორი სასულიერო პირი, მუსლიმური კანონის მცოდნე, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა შარი-

ათის უწყებებში შემოსული საჩივრების განხილვა. ამასთანავე, შარიათის სფეროს ექსპერტთა გადაწყვეტილებები კონტროლდებოდა სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც მათი გაუქმების უფლება ჰქონდათ. ამდენად, სასამართლო სისტემის ამგვარი მოწყობით, სასამართლოს უკანასკნელი ინსტანცია ხდებოდა არა სამღვდელოება, არამედ სახელმწიფო.

შემდგომ წლებში მიღებულ იქნა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, მოხდა იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაცია და სასამართლო ორგანოები გახდა ირანის სახელმწიფო აპარატის სისტემის ნაწილი. შარიათის მცოდნე სასულიერო პირების უფლებები მეტად შეიკვეცა. ახალ საერო სასამართლო პროცესებს ამიერიდან უკვე ესწრებოდნენ ბრალმდებელი და დამცველი, ეს კი შარიათის მიწერილობებით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტობრივად ისლამური სასამართლო წარმოების წესების დარღვევას წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მიღებული კანონები მნიშვნელოვნად ზღუდავდა შარიათის სასამართლოებს, მათი მთლიანი ლიკვიდაცია არ მომხდარა და ისინი გადაიყვანეს ე.წ. სპეციალური სასამართლოების კატეგორიაში. მას სათავეში ედგა მოჯთაჰედი-მოსამართლე, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო ნიშნავდა (ამ თვალსაზრისითაც უმაღლესი სამღვდელოება სახელმწიფოს კონტროლს დაექვემდებარა). შაჰი და მისი მთავრობა იძულებული იყო ანგარიში გაეწია საშუალო ფენებისათვის და ე.წ. ტრადიციული ირანული ოჯახებისათვის, რომლებიც განქორწინების, მემკვიდრეობის, მეურვეობის და სხვ. საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ამჯობინებდნენ მიემართათ შარიათის სასამართლოებისათვის. სწორედ ამ საკითხებსა და იმ საქმეებს, როდესაც მოსარჩლე მხარეები ვალდებულნი იყვნენ დაედოთ ფიცი, განიხილავდა შარიათის სასამართლო, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამ უფლებას გასცემდნენ სამოქალაქო სასამართლო ინსტაციები.

ხაზგასასმელია, რომ ფაჰლავიანთა დროს ემამ-ე ჯომე-ს (პარასკევის ლოცვის წარმმართველს თეირანის საკრებულო მეჩეთში) თვითონ შაჰი ნიშნავდა და ამდენად ამ სფეროშიც უშუალოდ ერეოდა სამღვდელოების კომპეტენციაში.

სასამართლოსა და იუსტიციის სისტემის რეორგანიზაციის პროცესში, რომელიც რეზა შაჰის მთელი მმართველობის განმავლობაში გაიწელა, შარიათის კანონები იცვლებოდა ბურჟუაზიული სამართლის ნორმებით. მიმდინარეობდა დასავლური იურიდიული ინსტიტუტების დანერგვა. ნიმუშად აღებული იყო ფრანგული და ბელგიური კოდექსები და მოხდა მათი ადაპტირება ადგილობრივ პირობებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ ირანის საკანონმდებლო სისტემა **30-იან წლებში შეივსო ფაშისტური იტალიიდან** გადმოღებული სამართლის ნორმებით.[11]

ისიც ხაზგასასმელია, რომ სხვა რეფორმების მსგავსად, იუსტიციის სისტემის რეფორმა არ იყო სრული და თანმიმდევრული. შარიათის მრავალი მიწერილობა, მაგ., ქალთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ავტომატურად გადავიდა სამოქალაქო კანონმდებლობაში. ფორმალური რჩებოდა სასამართლოს გამოყოფა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. ამასთანავე, სახსრების ნაკლებობის გამო, რეფორმა ყველგან არ განხორციელებულა. პროვინციულ ქალაქებში სასამართლო ხელისუფლება კვლავაც სამღვდელოების ხელში დარჩა. პერიფერიულ ოლქებში, მაგ., ბელუჯისთანის პროვინციაში, ახალი ტიპის სასამართლო ორგანოები 40-იან წლებამდე საერთოდ არ არსებობდა (Upton, 1960: 74).

1936 წ. მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმადაც სასამართლო მოღვაწეობა ეკრძალებოდათ პირებს, რომლებსაც არ ჰქონდათ მიღებული სპეციალური იურიდიული (საერო) განათლება. ამდენად, ეს კანონი კიდევ უფრო ზღუდავდა სამღვდელოების სასამართლო ფუნქციებს.

1935-40 წწ. სამოქალაქო კოდექსში შეიტანეს სტატიები საოჯახო ურთიერთობების, განქორწინების, მემკვიდრეობით ქონების მიღების შესახებ, რომლებიც მანამდე მხოლოდ შარიათის საფუძველზე წყდებოდა. შედარებით გაფართოვდა ქალების უფლებები (მაგ., მათი წილი მემკვიდრეობაში გაიზარდა, ფორმალურად აუცილებელი გახდა ქალიშვილის თანხმობა ქორწინებაზე და ა.შ.) ამასთან ერთად, ქალებს ეკრძალებოდათ უცხოელებთან და სხვა რელიგიათა წარმომადგენლებთან ქორწინება. ამგვარი პრაქტიკის დაკანონება გარკვეულწილად სამღვდელოებისათვის დათმობას წარმოადგენდა და ასევე ნაციონალისტურ ელფერსაც ატარებდა. თუმცა, ზემოაღნიშნული სიახლეები ნაკლებად შეეხო სოფლებსა და ცენტრიდან დაშორებულ პროვინციებს, სადაც ფაქტობრივად შენარჩუნდა შარიათის დებულება მრავალცოლიანობაზე და დროებითი ქორწინების ინსტიტუტი.

11 შაჰის მოღვაწეობიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ასევე მოხიბლული უნდა ყოფილიყო იტალიური „კორპორატიული“ სახელმწიფოს მოდელით.

საბოლოო ჯამში, თეორიულად, და გარკვეულწილად პრაქტიკულადაც, შარიათის პრინციპი „თანასწორობა ღმერთის წინაშე“ ირანისათვის შეიცვალა ახალი ბურჟუაზიული პრინციპით „თანასწორობა კანონის წინაშე.“

იმავდროულად რეზა შაჰი აგრძელებდა განათლების სეკულარიზაციის პროცესს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრავალ საზოგადოებაში, სადაც წერა-კითხვის ცოდნა და განათლება შედარებით შეზღუდულია, მასწავლებლები განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ და ხშირად გავლენას ახდენენ პოლიტიკურ შეხედულებებსა და ქმედებებზე. საჯარო მოსამსახურეთა (ამ შემთხვევაში მასწავლებელთა) კადრების შექმნით, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში იყვნენ, ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეძლოთ გაეზარდათ სოციალური თანხმობის დონე და მოსახლეობის ლოიალობა.

1927 წ. დაიწყო სასკოლო რეფორმის განხორციელება, რომლითაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კონტროლი განათლების სამინისტროს პრეროგატივა გახდა. იმავე წელს გამოიცა ბრძანება ევროპული ტანსაცმლის სავალდებულო ტარების შესახებ. მოლების ნაწილი, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო სკოლებში ასწავლიდნენ რელიგიას, იძულებული გახდა ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილიყო. შაჰის ნების აღმასრულებელმა მეჯლისმა 1928 წ. 27 დეკემბრის ბრძანებულებით სასულიერო ტანსაცმლის ტარების უფლება მიანიჭა სასულიერო პირთა მკვეთრად განსაზღვრულ რვა კატეგორიას. 1930 წ. განათლების სამინისტრომ განსაზღვრა რელიგიური სწავლებისათვის გამოყოფილი დრო, რომელსაც 1934 წ. მოჰყვა ანალოგიური განსაზღვრა უმაღლეს რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებით. 1935 წ. ოფიციალურად დაარსდა თეირანის უნივერსიტეტი, რომელიც გახდა პირველი საერო ალტერნატივა შიიტური სემინარიებისა უმაღლესი განათლების სფეროში. იმავე წელს უნივერსიტეტში გაიხსნა თეოლოგიის ფაკულტეტი და 1937 წლიდან ყადის პოსტის დაკავება შეეძლო მხოლოდ მას, ვისაც საუნივერსიტეტო იურიდიული დიპლომი გააჩნდა.

ზემოთ ნახსენები ევროპული ტანსაცმლის ტარების სავალდებულო კანონი ქვეყნის ევროპეიზაციისაკენ მიმართული კიდევ ერთი ნაბიჯი გახდა. ასევე ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს და შაჰის მიერ გატარებული ზოგიერთი სხვა კანონი აშკარად ქემალიზმის გავლენის მატარებელი იყო. 1928 წლიდან კაცები მოვალენი გახდნენ ევროპული ტანსაცმელი ეტარებინათ.[12] 1936 წლიდან კი აიკრძალა ჩადრის ტარება.[13]

ყოველივე ამან, ბუნებრივია, ულემთა პროტესტი გამოიწვია. სამღვდელოება განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა ე. წ. „ფაჰლავური ქუდის“ შემოღებას იმ მიზეზით, რომ მისი წვერი მუსლიმს ხელს შეუშლიდა ლოცვის დროს თავის დახრაში. სამღვდელოების მიერ წაქეზებული ფანატიკოსები ქუჩებში უსაფრდებოდნენ და ცემდნენ ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანებს, განსაკუთრებით ერჩოდნენ ქალებს. დაჭერილებს პარსავდნენ თავს სპარსული წესით.

ხელისუფლებამ იერიში მიიტანა სამღვდელოების ეკონომიკურ პოზიციებზეც. 30-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა ვაკფების სამფლობელოების რევიზიათა სერია, რომლის შედეგადაც გამომჟღავნდა „ცრუმლოცველთა მიერ ჩადენილი შემზარავი კანონდარღვევები.“ გაზეთები მოსახლეობას მოუწოდებდნენ ქონების მემკვიდრეობით დატოვებას არა მეჩეთებისათვის, არამედ უშუალოდ განათლების სამინისტროსათვის. 1934 წ. დეკემბერში მიღებული კანონით, საზოგადოებრივი ვაკფების სამფლობელოები გადაეცა განათლების სამინისტროს გასაკონტროლებლად, რომელიც ჯილდოდ მზრუნველობისათვის იღებდა შემოსავლის 3%-ს და თვალყურის დევნისათვის – 2%-ს. ამ კანონის დამატების სახით მთავრობამ 1935 წ. მაისში გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც სავაკუფო სამფლობელოებიდან მიღებული შემოსავლის 40% უნდა მოხმარებოდა დაწყებითი სკოლების მშენებლობას, 20% – სახელმძღვანელოებისა და ღარიბი მოსწავლეთათვის ტანისამოსის შეძენას, 10% – განათლების სამინისტროს გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის.

1934 წ. კანონის განხორციელებამ გამოიწვია სამღვდელოების ეკონომიკური ბაზის მნიშვნელოვანი შეზღუდვა. თუმცა კანონი არ ვრცელდებოდა ყველაზე მსხვილი და ავტორიტეტული ცენტრების სამფლობელოებზე, რომელიც რეზა შაჰმა პირად მფარველობაში აიყვანა.

---

12 რელიგიურ პირებს და რელიგიური სასწავლებელების სტუდენტებს, ყველას, ვისაც ეს კანონი არ ეხებოდა, უნდა წარმოედგინათ აუცილებელი დოკუმენტები. ვინც კანონს არ დაემორჩილებოდა, ემუქრებოდა ჯარიმა ან დაპატიმრებაც.

13 ამან გამოიწვია არა მხოლოდ რელიგიური კლასის და მრავალი ჩადრის ტარებას მიჩვეული ქალის დაპირისპირება ხელისუფლებასთან, არამედ ეს აქტი ასევე არაქმედითი და მოკლევადიანი გამოდგა. შეიძლება ითქვას, რომ გახდა თავისებური, საპირისპირო მნიშვნელობის მისაბაძი მაგალითი ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის ათწლეულების შემდეგ ქალებისა და მამაკაცებისათვის ჩაცმულობის დადგენისათვის.

ამგვარად, საერო განათლების სასარგებლოდ ვაკფების შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოართვეს სამღვდელოებას. მედრესეებსა და მაქთაბებში (დაწყებით სკოლებში) სწავლის პროცესი განათლების სამინისტროს კონტროლს დაექვემდებარა. ყოველივე ამან გამოიწვია სამღვდელოების უკურეაქცია, რომელიც ხელისუფლებას ადანაშაულებდა ისლამის ნორმების დარღვევაში, დესპოტიზმში, ევროპელთა წინაშე ქედის მოხრაში.

შაჰის მიზანი იყო კონტროლი დაემყარებინა მეშჰედის სამღვდელოების კუთვნილ ვაკფებზე. თუმცა აქ იგი როგორც სამღვდელოების, ისე მოსახლეობის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. როდესაც სამღვდელოებამ და სხვა რელიგიურმა აქტივისტებმა პროტესტი გამოთქვეს ხელისუფლების პოლიტიკის გამო, რომლითაც ირღვეოდა საუკუნეების მანძილზე სამღვდელოების ვაკფების ხელშეუხებლობის ტრადიცია, შაჰის პოლიციამ სისხლი გაუხსნა საპროტესტო აქციით მსხდომთ ირანის ყველაზე წმინდა მეჩეთში. ამ ინციდენტის დროს 3 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

მთავრობამ განსაკუთრებით გაამკაცრა პოლიტიკა 1928 წ. აპრილში ყუმის მეჩეთში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, როდესაც მოლების მიერ წაქეზებულმა ფანატიკოსებმა შეურაცხყოფა მიაყენეს შაჰის დედასა და მის თანამგზავრ ქალებს, ვინაიდან მათი ჩადრები ტრადიციულ ზომაზე მოკლე იყო. ყუმში სასწრაფოდ გამოძახებულმა ჯარისკაცები შეიჭრნენ მეჩეთში, დააპატიმრეს და ცემეს მოლები. აიათოლა ბაფყიმ დაწყევლა სამეფო კარის „ურცხვი“ ბანოვანები. ბაფყის სიტყვის შემდეგ, ზოგიერთი ცნობით, გენერალმა თიმურთაშმა არტილერია განალაგა მავზოლეუმის გარშემო და წვერებით გამოათრია დარბაზიდან აიათოლა. ინციდენტი ამით არ ამოიწურა. სამღვდელოებისათვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი გამოდგა ის ფაქტი, რომ რეზა შაჰმა მათრახი გაარტყა საჯაროდ აიათოლა ბაფყის.

1936 წ. გაზაფხულზე, იმამ რეზას აკლდამის მოხილვის დღეებში, სამღვდელოებამ მოაწყო გრანდიოზული დემონსტრაცია „ანტირელიგიური კანონებისა და დადგენილებების“ გაუქმების მოთხოვნით. ჯარებმა დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს. სამღვდელოებამ რეზა შაჰს ბრალი დასდო წმინდა ადგილის შერყვნაში და დახმარებისათვის მიმართა ქერბალასა და ნაჯაფის რელიგიურ ავტორიტეტებს, საიდანაც წამოვიდა ყველა შიიტისადმი მიმართული დეკლარაცია, რომელშიც შაჰსა და მთავრობას ბრალი ედებოდა არა მარტო წმინდა ადგილის შეურაცხყოფაში, არამედ შარიათის ნორმების დარღვევაშიც, სამღვდელოების დევნაში და ა.შ. ხელისუფლება იძულებული გახდა თავი შეეკავებინა სამღვდელოების მიმართ რადიკალური ზომების გატარებისაგან. შემდგომში ფაჰლავიანთა მონარქია ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში ხაზს უსვამდა პატივისცემას ისლამისადმი და მოწოდებებში პირველ ადგილებზე აყენებდა სარწმუნოებას (ოფიციალური მოწოდების მიღებული ფორმულა შემდეგი სახის იყო: „ღმერთი, შაჰი, სამშობლო”).

თუმცა სამღვდელოებაც ვერ ბედავდა აშკარა დაპირისპირებას შაჰთან. მათ კი, ვინც პროტესტს ხმამაღლა გამოთქვამდა, ყოველთვის სამაგიეროს უხდიდა მონარქი. ჯერ კიდევ მაშინ ფაიზიეს ახალგაზრდა თეოლოგი მასწავლებელი ხომეინი მოუწოდებდა თავის მოძღვარს ჰაერის გაელაშქრა შაჰის წინააღმდეგ, მაგრამ პოლიტიკისაგან შორს მდგომ ჰაერის არაფერი მოუმოქმედია შაჰის საწინააღმდეგოდ.

გარდა ამისა, შაჰი ცდილობდა საბოლოო წერტილი დაესვა მოჰარამის თვეში სამგლოვიარო პროცესიებისა და თვითგვემისათვის. 1932 წელს აიკრძალა ჰუსაინის მოწამეობრივ სიკვდილთან დაკავშირებული თაზიეს სანახაობა და როუზეხანეების (“მთქმელების”) მოღვაწეობა (გავიხსენოთ, რომ სანამ შაჰი გახდებოდა, რეზა ფაჰლავიმ, კეთილმორწმუნე მუსლიმის იმიჯის შესაქმნელად და სამღვდელოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მონაწილეობა მიიღო თეირანის ბაზარში გამართულ აშურას დღის აღნიშვნაში).

სახელმწიფო მოწყობის „დეკლერიკალიზაციის“ პროცესი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, მეჯლისსაც შეეხო. სამღვდელოების პროცენტული შემადგენლობა პარლამენტში 1923 წ. 14%-დან 1930 წ. შემცირდა 4%-მდე და 1940 წ. საერთოდ გაქრა. ამდენად, იმის მაგივრად, რომ რეზა შაჰს აემოქმედებინა კონსტიტუციის ცნობილი დამატება, რომელიც უსაზღვროდ ზრდიდა ულემთა საკანონმდებლო ხელისუფლებას, მან პირიქით, მორჩილი პარლამენტიდან სამღვდელოების ფაქტობრივი „გამოდევნით,“ საერთოდ ჩამოაშორა სამღვდელოება საკანონმდებლო საქმიანობის კონტროლს.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: თეოლოგ სტუდენტთა დიდი ნაწილისათვის უცხო არ იყო ლიბერალური და დემოკრატიული იდეები. ჯერ კიდევ ძლიერი იყო კონსტიტუციური რევოლუციის იდეები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ჟურნალმა

„*ჰამაიუნმა*,"[1] რომელსაც 1934 წლიდან აქვეყნებდა ლიბერალი და ანტიკლერიკალი ჟურნალისტი და ისტორიკოსი აჰმად ქასრავი (1890-1946).

ქასრავი XX ს. I ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ირანელი მოაზროვნეა. მისი იდეები ზოგადად ისლამისათვის და შიიზმისათვის სკანდალური და მწვალებლურია. ათეულობით წიგნია სპარსულად დაწერილი ქასრავის შესახებ, მათ შორის ცხრა სამღვდელო პირების მიერ. ხომეინის პირველი თხზულების „საიდუმლოებათა ფარდის ახდა," რომელიც **1943 წელს გამოქვეყნდა, ერთ-ერთი ადრესატი** სწორედ აჰმად ქასრავია, რომელსაც ისლამური რევოლუციის მომავალი ლიდერი მკაცრად აკრიტიკებს და მას უწოდებს „თავრიზელ ავანტიურისტს."

> ქასრავი ხაზს უსვამს, რომ შიიზმი არაბული და არა ირანული ფენომენია. იმამების შესახებ მსჯელობისას იგი მრავალ ლექსს იმოწმებს, რომლებშიც მუჰამადი მკაფიოდ მიუთითებს, რომ იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო და სხვათაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ მას ღმერთისგან მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. „როგორ უნდა გააჩნდეთ მის შთამომავლებს, იმამებს, ამგვარი ზებუნებრივი ძალაუფლება?"
>
> ქასრავი უზარმაზარ უფსკრულს ხედავს დღევანდელ ისლამსა და მუჰამადის დროინდელ ჭეშმარიტ რწმენას შორის. მისთვის *თაქიჰა*, რწმენის დაფარვა, სწორედ უღმერთობის ყველაზე დიდი გამოვლინებაა.
>
> ქასრავი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ისლამში სამღვდელოება არ არსებობს და შესაბამისად მას არ შეუძლია აკრიფოს გადასახადები. გადასახადები იკრიფებოდა მაშინ, როდესაც არსებობდა ისლამური მმართველობა და რომელსაც ეს თანხა უნდა გამოეყენებინა ისლამური მმართველობის განსახორციელებლად.
>
> ფარულ იმამთან დაკავშირებით იგი წერს: „თუკი იმამი ლიდერია, მაშინ ხალხთან უნდა იყოს და უხელმძღვანელოს მას. რა შეუძლია უხილავ იმამს? ისინი მპასუხობენ: ფარული იმამი მსგავსია ღრუბლებს ამოფარებული მზისა. მე ვამბობ: ეს ცუდი ანალოგიაა, რადგან მზე ღრუბლებიდან მალე გამოდის, იმამი კი არსად ჩანს... თუკი იმამი ნიშნავს ლიდერს, როგორ უნდა შეასრულოს ეს ფუნქცია, თუკი არსად ჩანს და როგორ შეიძლება ადამიანმა 1000 წელი იცოცხლოს? (Kasravi, 1990: 120, 155).

აჰმად ქასრავის ნაშრომებში გარკვეულწილად ფარულად არის რეზა შაჰის რეფორმების კრიტიკა. მაგრამ ამ უმნიშვნელო კრიტიკას მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა, ვინაიდან ქასრავი მხარს უჭერდა სახელმწიფოს პოლიტიკას სამღვდელოების მიმართ და ამ უკანასკნელს ქვეყნის ჩამორჩენილობის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად მიიჩნევდა.

ირანის ეკონომიკური განვითარება და საგარეო ურთიერთობები

რეზა შაჰის ამბიციურ პროგრამების განხორციელება დიდ დანახარჯებს მოითხოვდა. ირანის ახალი მონარქი კი გაცილებით უფრო ეფექტურად კრეფდა გადასახადებს, ვიდრე ყაჯარები – საიმპორტო ტარიფების გაზრდით, არაპირდაპირი გადასახადების შემოღებით ისეთ სამომხმარებლო საქონელზე, როგორიცაა ჩაი, შაქარი[2] თუ თამბაქო – ამან, უპირველეს ყოვლისა, მძიმე დარტყმა მიაყენა ღარიბ ფენებს. მოსახლეობას ასევე დაეკისრა საშემოსავლო გადასახადის გადახდა, რომლითაც ძირითადად ხელფასები იბეგრებოდა. სახელმწიფო შემოსავლების დიდ ნაწილს ის ქვეყნის შიდა სატრანსპორტო სისტემის გასაუმჯობესებლად ხარჯავდა. ამგვარი ქმედების მიზანი იყო როგორც საშინაო ვაჭრობისათვის ხელშეწყობა, ისე არმიისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა დაშორებული რეგიონების კონტროლისათვის.

ამ რეფორმების განხორციელებაში მთავარი როლი შეასრულა ამერიკელმა არტურ ს. მილსპომ, რომელიც სახელმწიფოს ფინანსების მოწესრიგებისათვის მოიწვიეს. ის იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი ეკონომიკური მრჩეველი; **1922 წლიდან კი გახდა ირანის მთავრობის გენერალური ადმი**ნისტრატორი. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა მთელ მინისტრთა კაბინეტზე. განსხვავებით I მსოფლიო ომამდელი მორგან შუსტერის მისიისა, მილსპოს ჰქონდა იმის ძალა და საშუალებები, რომ ემოქმედა მტკიცედ და უკომპრომისოდ. სწორედ მან შეცვლა საგადასახადო სტრუქტურა და უზომოდ გა-

1 საკმაოდ პარადოქსულია, რომ ქასრავი ჟურნალს, რომლითაც ულემთა პოზიციებს უტევდა, სწორედ ტრადიციონალისტური სამღვდელოების მთავარ ბასტიონში – ყუმში აქვეყნებდა.

2 ჩაისა და შაქარზე დაწესებული გადასახადის შედეგად, ამ პროდუქტებიდან მიღებული სახელმწიფო შემოსავლები 1921 წელთან შედარებით 1938 წლისათვის ექვსჯერ გაიზარდა.

ზარდა გადასახადებისაგან მიღებული შემოსავლები. ამასთან ერთად, ის გამოირჩეოდა სიხისტითა და აროგანტული დამოკიდებულებით ირანელებისადმი. 1927 წელს მან და მისმა ამერიკულმა გუნდმა დატოვეს ირანი, რადგან მილსპომ უარი განაცხადა ახალი კონტრაქტის ხელმოწერაზე, რომლითაც მისი ძალაუფლება შედარებით მცირდებოდა.

ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა ტრანსირანული სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანას. შაჰმა ამ პროექტის განსახორციელებლად გერმანელი ინჟინრები დაიქირავა. 1938 წელს დასრულდა ამ სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომელმაც კასპიისპირეთი – ბანდარშაჰიდან თეირანის გზით დააკავშირა სპარსეთის ყურეს – ბანდარშაფურს. ამ მეტად ძვირადღირებული რკინიგზის აგება კი დაფინანსდა უცხოური სესხების გარეშე. 1400 კმ-იანი სარკინიგზო ხაზისათვის საჭირო გახდა 224 გვირაბის გაჭრა. რკინიგზის უმაღლესი წერტილი კი ზღვის დონიდან 2700 მეტრზე იყო. რკინიგზის გაყვანას ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე შეხვდნენ რუსები და ბრიტანელები. მათი თვალთახედვიდან, ის „არსაიდან“ იწყებოდა და ასევე „არსად“ მთავრდებოდა, რამდენადაც არ აღწევდა რუსეთის, ერაყის, ინდოეთისა და თურქეთის საზღვრებს. მაგრამ ირანელთა შეხედულებით, ეს რკინიგზა აერთიანებდა ჩრდილოეთის ნაყოფიერ პროვინციებს სამხრეთთან მომთაბარეთა ტერიტორიების გავლით და ამგვარად, საქმეს უადვილებდა შაჰის შეიარაღებულ ძალებს გადაადგილების პროცესში. რკინიგზა ასევე მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური განვითარებისათვის. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ რკინიგზა არ აკავშირებდა ირანს თავის მეზობლებთან, ესეც პოზიტიურად იყო აღქმული, ვინაიდან ამცირებდა უცხოური ინტერვენციის შანსებს.[3]

თურქეთის მსგავსად, „დიდი დეპრესიის“ წლებმა შეაჩერა ირანული სახელმწიფოს მრავალი ინდუსტრიული პროექტი, რომლებიც მოითხოვდა სამრეწველო საწარმოების აშენების პირდაპირი გზით დაფინანსებას, დაბალპროცენტიანი სესხის გაცემას ადგილობრივი მრეწველებისათვის და ა.შ. ირანული საქონლის ექსპორტი შემცირდა, ხოლო უცხოური საქონლის იმპორტირების ფასი გაიზარდა. უცხოური ვაჭრობის კონტროლი მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეტატიზმის ირანული ვერსია გამოიხატა არაერთი ინდუსტრიული საწარმოს შექმნით, როგორიცაა საფეიქრო ფაბრიკები, შაქრის გადამამუშავებელი საწარმოები, ჩაის ფაბრიკები, ინდუსტრიალიზაციის პროცესი მთლიანად ექვემდებარებოდა სახელმწიფოს კონტროლს, რაც ხშირ შემთხვევაში მის არაეფექტურობას განაპირობებდა. ამასთან ერთად, ამ პროცესმა ხელი შეუწყო მშრომელთა ახალი სოციალური ფენის ჩამოყალიბებას და შეცვალა უმთავრესი ქალაქების ხასიათი, განსაკუთრებით თეირანისა, რომლის მოსახლეობამაც 1922 წელს 196 ათასიდან 1941 წელს 700 ათასამდე გაიზარდა.

საქალაქო ცენტრები რეზა შაჰის დროს მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაგრამ ცვლილებები არ შეეხო სასოფლო რეგიონებს. ეს არ იყო ზოგადად სოფლის მეურნეობისათვის ყურადღების არმიქცევა, არამედ მიწისმფლობელების ძალაუფლების ზრდისათვის ხელშეწყობა, რაც გლეხების ცხოვრების გაუარესებას იწვევდა. რეჟიმმა გაატარა ისეთი ღონისძიებები, რომლითაც მიწისმფლობელებს საშუალება მისცა კიდევ უფრო გაეზარდათ თავიანთი სამფლობელოები და ამის შედეგად, 30-იანი წლების შუა ხანებში 95-დან 98%-მდე სოფლის მოსახლეობას საკუთარი მიწა არ გააჩნდა. ნაწილობრივ, ეს განპირობებული იყო შაჰის სურვილით გამხდარიყო მიწისმფლობელი არისტოკრატიის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ მან დიდი სისასტიკე გამოიჩინა ამ ფენის წარმომადგენელი ზოგიერთი ოჯახის მიმართ, ბევრ მათგანს, პირიქით, ხელსაყრელი გარემო შეუქმნა; დანიშნა სამთავრობო პოსტებზე და „დაასაჩუქრა“ მეჯლისში დეპუტატის ადგილით. კონფისკაციებისა და პირდაპირი მიტაცების გზით, კაზაკთა ბრიგადის ყოფილი ოფიცერი ყველაზე მსხვილ მიწისმფლობელად იქცა ქვეყანაში. მმართველობის მიწურულს მის საბანკო ანგარიშებზე 3 მლნ გირვანქა სტერლინგი ირიცხებოდა, მისი კუთვნილი მიწების საერთო ფართობი კი 3 მილიონ აკრს[4] უტოლდებოდა (Wilber, 1975: 243-44). ის ასევე ცდილობდა დაემყარებინა ნათესაური კავშირები მიწისმფლობელ არისტოკრატიასთან. მესამე ცოლად მან სწორედ ამ ფენის წარმომადგენელი მოიყვანა.

ზოგადად, რეზა შაჰის მცდელობა ქვეყანა გამოეყვანა ყაჯარების მიერ შექმნილი ეკონომიკური ქაოსიდან, წარმატებული გამოდგა. ამასთან კი არსებობდა ერთი უცხოური ძალა, რომლის დაქვემდებარებაც შაჰმა ვერ მოახერხა. ეს იყო ინგლისურ-ირანული სანავთობო კომპანია, რომელიც ფუნქციონირებდა, როგორც ვირტუალური სახელმწიფო სახელმწიფოს შიგნით სპარსეთის ყურისპირა ხუ-

3 რკინიგზა II მსოფლიო ომის დროს ამერიკელებმა გამოიყენეს საბჭოთა კავშირისათვის დახმარების მისაწოდებლად.

4 1 აკრი – 4047 კვ. მ

ზესთანის პროვინციაში. კომპანიის ზეგავლენას ისიც აძლიერებდა, რომ ის იყო უდიდესი სამრეწველო საწარმო ქვეყანაში, რომელშიც ყველაზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული – დაახლ. 30 ათასი ირანელი იღებდა იქ ჯამაგირს. ირანული მხარის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ირანს კონტროლის არანაირი მექანიზმი არ ჰქონდა მოპოვებული ნავთობის რაოდენობაზე. შაჰი შეეცადა წამოეწყო მოლაპარაკებები 1901 წლის დ'არსის კონცესიის შეცვლის შესახებ, მაგრამ კომპანია არ იყო განწყობილი რაიმე დათმობებისაკენ. ოთხწლიანი მძაფრი დისკუსიების შემდეგ, მხარეებმა 1933 წელს ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას, რომლითაც ირანის წილი ოდნავ გაიზარდა (კომპანიის წლიური შემოსავლის **16-დან 20%-მდე) ყოველწლიური 750 ათასი გირვანქა სტერლინგის გარანტირებული** გადასახადით. სამაგიეროდ, კონცესიის ვადა 1961 წლიდან 1993 წლამდე გაგრძელდა. ამდენად, ამ ხელშეკრულებას განსაკუთრებული სარგებელი არ მოუტანია ირანისათვის, თუმცა მას „რეზა შაჰი დიდ დიპლომატიურ გამარჯვებად მიიჩნევდა." ნავთობკომპანიის საკითხი II მსოფლიო ომის დასრულების ირანული პოლიტიკის საკვანძო საკითხად იქცა. (იხ. თავი XI).

რეზა შაჰი ინარჩუნებდა მეგობრულ დამოკიდებულებას ირანის მცირე და შედარებით სუსტ მეზობლებთან, უპირველეს მნიშვნელობას კი ატარებდა ურთიერთობები ბრიტანეთთან, საბჭოთა კავშირთან და გერმანიასთან. მისი ახლოაღმოსავლური პოლიტიკის მთავარი მიღწევა იყო 1937 წელს საადაბადის ხელშეკრულების ხელმოწერა თურქეთთან, ერაყთან და ავღანეთთან, რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთთანამშრომლობას და აგრესიაზე უარის თქმას.

1933 წლის ინგლისურ-სპარსულ სანავთობო კომპანიასთან ახალი კონცესიის გაფორმებამდეც კი ირანულ-ბრიტანულ ურთიერთობებზე პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა **1928 წელს დადებულმა ხელ**შეკრულებამ. ბრიტანულ საიმპერიო ავიახაზებს ირანის სივრცის გამოყენების უფლება მიეცათ. ბრიტანეთმა აღიარა კაპიტულაციების რეჟიმის დასასრული, ხოლო ირანის მთავრობამ იტვირთა ნავთობსადენების დაცვის ფუნქცია. ირანმა ასევე ცნო ბრიტანეთის მმართველობა ერაყში. ამასთან ერთად, ბრიტანეთი ინარჩუნებდა საშუალებებს პირდაპირი კონტაქტები ჰქონოდა ისეთ ტომებთან, როგორებიც იყო ბახთიარები და ყაშყაელები. ბაჰრეინზე ირანის პრეტენზიების გარდა, განხილულ იქნა ყველა სხვა საკითხი და ანტიბრიტანული განწყობები მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა, ამგვარი განწყობების გაღვივება მეტად მარტივად შეიძლებოდა, ვინაიდან „ბრიტანელი ლომისათვის კუდის მოქაჩვა ირანელი ნაციონალისტებისათვის სპორტული ჟინის აღმძვრელი იყო" (Ochsenwald & Fisher, 2004: 413). **20-იანი წლების მანძილზე ბრიტანეთი ირანის მთავარი სავაჭრო პატრნიორი იყო, თუმცა შემ**დეგ გაიზარდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მნიშვნელობა.

რეზა შაჰის ურთიერთობები საბჭოელებთან გაცილებით უფრო რთულად წარიმართა, პირველ რიგში იმის გამო, რომ ორ ქვეყანას შორის არსებობდა საკმაოდ გრძელი საზღვარი. **1921 წლის 26 თე**ბერვლის ხელშეკრულებით, ირანს საშუალება მიეცა დაებრუნებინა გილანის პროვინცია. მაგრამ ასევე ჩაიწერა პუნქტი, რომ სამხრეთ საზღვრებზე საფრთხის შექმნის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირს ირანის ჩრდილოეთში ჯარების შეყვანის უფლება ჰქონდა. საბჭოთა კავშირმა ფორმალურად უარი თქვა რუსეთის ყველა მანამდელ კონცესიაზე ირანში (თევზსარეწების გარდა), თუმცა შეინარჩუნა უფლება, მოეხდინა ირანის ტერიტორიაზე ინტერვენცია, თუ მას გამოიყენებდა საბჭოთა კავშირთან დაპირისპირებული მესამე ძალა. გარდა ამისა, ამ ხელშეკრულების მესამე პუნქტის მიხედვით, „ირანის ხელისუფლება თახმობას განაცხადებდა სოციალისტური იდეებისა გავრცელებასა და პროფკავშირების შექმნაზე იმ პირობით, თუ ეს არ იქნებოდა მტრული განზრახვის მატარებელი სახელმწიფოს მიმართ." ირანული მხარე დაჟინებით მოითხოვდა ამ პუნქტის ამოღებას, თუმცა საბჭოელების ზეწოლის შედეგად, ეს პუნქტი მაინც დარჩა ხელშეკრულებაში. ის, რომ ყოველნაირ პროპაგანდისტული საქმიანობაზე, რაც შეიძლებოდა ირანის საშინაო საქმეებში ჩარევად ჩათვლილიყო, მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული, ხელშეკრულების ამ მუხლის ამოქმედებას შეუძლებლებლად აქცევდა.

20-30-იან წლებში საბჭოელებმა არაერთხელ გამოთქვეს პროტესტი ჩრდილოეთ ირანში უცხო ქვეყნებისათვის ნავთობის კონცესიების გაცემის გამო. ჩრდილოეთ ირანის ექსპორტის ძირითადი ნაწილი საბჭოთა კავშირში შედიოდა, რომელსაც შეეძლო და ამას ხშირადაც აკეთებდა, დიდი ზეწოლა განეხორციელებინა ირანული საქონლისათვის საზღვრის ჩაკეტვით. შაჰმა კანონგარეშედ გამოაცხადა კომუნისტური პარტია და საგარეო ვაჭრობა მთავრობის კონტროლს დაუქვემდებარა. ამ ღონისძიებამ და ასევე გერმანიის დაბრუნებამ ირანის სცენაზე ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, ირანს გარკვეული თავისუფლება მიანიჭა ჩრდილოეთიდან საბჭოთა კოლოსის ეკონომიკური დომინირებისაგან.

ამგვარად, სამხრეთიდან ბრიტანეთსა და ჩრდილოეთიდან საბჭოთა კავშირს შორის მოქცეული ირანი გერმანიისაკენ შემოტრიალდა. ქვეყანაში დიდი რაოდენობით ჩამოვიდნენ გერმანელი ტექნი-

კოსები, სხვადასხვა სამინისტროების მრჩევლები. 1935 წელს ირან-გერმანიის ახალი ხელშეკრულება გაფორმდა და ვაჭრობამ ორ ქვეყანას შორის გიგანტური ნახტომი გააკეთა. 1939 წლისათვის ირანის საგარეო ვაჭრობის 40% გერმანიაზე მოდიოდა. ირანული სკოლები ქირაობდნენ გერმანელ პროფესორებს, მრავალი ირანელი კი გერმანულ უნივერსიტეტებში სწავლობდა. გერმანული ზეგავლენა ირანულ არქიტექტურაშიც კი იგრძნობოდა.

რეზა შაჰი გერმანულ დახმარებას ირანის უცხოური საქონლის იმპორტზე დამოკიდებულის შესამცირებლად იყენებდა. მაგალითისთვის, ქვეყანა დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირიდან ბამბის ნაწარმის ექსპორტზე, რის შესამცირებლადაც რეზა შაჰმა, გერმანელთა დახმარებით, თეირანის მახლობლად ააგო მთელი რიგი საფეიქრო საწარმოები (Blake, 2009: 13).

რეზა შაჰის კავშირმა გერმანიასთან II მსოფლიო ომის დროს მისი დამხობა გამოიწვია, ვინაიდან იგი უარს აცხადებდა მოკავშირეთა მოთხოვნაზე ქვეყნიდან გაეძევებინა გერმანელი მრჩევლები. არსებობდა გარკვეული ალიანსიც გერმანიასთან, რომელიც განპირობებული იყო როგორც „არიულობის“ ორმხრივი დეკლარირებით, ისე რუსეთისა და ინგლისის ეკონომიკურ-პოლიტიკური ზეწოლის განეიტრალების სურვილით. ამასთანავე, არ შეიძლება ლაპარაკი გარკვეული სახის სამხედრო ანდა პოლიტიკური ალიანსის შესახებ ირანსა და გერმანიას შორის, ვინაიდან აშკარად ჩანს, რომ ირანს ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება სურდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

თურქეთი

პირველი მსოფლიო ომის შედეგად ოსმალეთის იმპერია დაიშალა, ხოლო მისი სამფლობელოები ანატოლიაში არ გახდა კოლონიური სახელმწიფოების სამანდატო ტერიტორიები. თუმცა, ერთ ხანს განიხილებოდა აშშ-ის მანდატის იდეა. 1919 წელს თურქი პოლიტიკოსი რიზა ნური (გარდ.1942წ.) წერდა ათათურქს: „თუ ამერიკა მიიღებდა მანდატს და მოიქცეოდა სამართლიანად და პატიოსნად, 20 წლის მანძილზე ეს მოიტანდა განვითარების ისეთ დონეს, რომელსაც თურქები დამოუკიდებლად საუკუნის მანძილზეც ვერ მიაღწევდნენ“ (Mango, 2000: 246). მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა მხარი დაუჭირა სომხურ პრეტენზიებს, ოსმალეთზე მანდატის საკითხი აღარ დასმულა კონგრესში (Mango, 2000: 248). აზიისა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ოსმალეთის იმპერიამ მოახერხა თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რაც განმტკიცდა 1919-1923 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების შედეგად. ამის უპირველესი მიზეზი იყო არა რესურსები, მმართველობის სისტემა, იდეოლოგია ან ძლიერი არმია, არამედ დიდ სახელმწიფოების შორის არსებული წინააღმდეგობანი, რომლებიც არ აძლევდნენ ერთმანეთს გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ესოდენ მნიშვნელოვანი ტერიტორიის ერთპიროვნული ფლობის საშუალებას.

მუსტაფა ქემალის რევოლუცია

მე-20 საუკუნის დასაწყისში რთული გამოწვევების წინაშე მდგომ თურქეთში ვითარება ხშირად იცვლებოდა. ვითარების შესაბამისად აზრს იცვლიდნენ ლიდერებიც. 1905 წელს მუსტაფა ქემალი მიიჩნევდა, რომ „სულტანი საძულველი პიროვნებაა, მიდრეკილი სიამოვნებისა და ავტოკრატიისადმი, რომელსაც შეუძლია ყველაზე უზნეო საქციელის ჩადენა. ერი ინგრევა ტირანიით და დესპოტიით. იქ, სადაც არ არის თავისუფლება, სიკვდილი და დესტრუქციაა“ (ციტ. Mango, 2000: 63). 1919 წელს კი, არმიის ინსპექტორის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, იგივე მუსტაფა ქემალი ირწმუნებოდა: „სრული ლოიალობით ვაცხადებ, რომ ვიქნები მუდმივად დამცველი და ლოიალური მაღალი სასულტნოსი, სახალიფოსი და მათი დიადი ერის სიცოცხლის დასასრულამდე.“ 1920 წლის 25 აპრილს მუსტაფა ქემალი, ეროვნული კრების მეთაური, კვლავ აცხადებდა: „პრეტენზიები, რომ ჩვენ აჯანყებულები ვართ სულტნის და ხალიფას წინააღმდეგ, ტყუილია. ის, რაც ჩვენ გვინდა, ეს არის გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა ინდოეთის და ეგვიპტის ბედის გაზიარებისაგან“ (ციტ. იქვე, 248).

1922 წლის 1 ნოემბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო დადგენილება სასულტნოს ლიკვიდაციაზე. სულტანი მეჰმეტ VI ჩამოგდებულ იქნა ტახტიდან, თუმცა სახალიფო, როგორც ინსტიტუტი, დროებით შენარჩუნდა და ხალიფად არჩეულ იქნა აბდულ მეჯიდ II (1922-1924). ეს იყო ოსმალეთის პოლიტიკური ისტორიის დასასრული და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების დასაწყისი, რამაც მიიღო სახელწოდება *ქემალისტური რევოლუცია*.

1922 წლის 20 ნოემბერს კონფერენცია გაიხსნა ლოზანაში (შვეიცარია). რუსეთის ფედერაცია მონაწილეობდა მხოლოდ შავი ზღვის სრუტეების საკითხის განხილვაში. მოლაპარაკებები რთულად მიმ-

დინარეობდა. რუსეთი ითხოვდა არ დაეშვათ სრუტეებში უცხოური სამხედრო გემების ნაოსნობა მშვიდობიან პერიოდში, მაგრამ ამ პოზიციამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. 1923 წლის თებერვალში მოლაპარაკებები ისევ განახლდა. 1923 წლის ლოზანის კონფერენცია დასრულდა 1923 წლის 24 ივლისის ლოზანის ხელშეკრულებით (Shaw, 2005: 365).

ლოზანის კონფერენციის დადგენილებების თანახმად:

– თურქეთი ინარჩუნებდა ტერიტორიულ მთლიანობას ეროვნული პაქტით განსაზღვრულ მთელ ტერიტორიაზე, მოსულის გარდა ჩრდილოეთ ერაყში.

– უნდა განხორციელებულიყო შავი ზღვის სრუტეების დემილიტარიზაცია. სტამბულის გარნიზონი პირად შემადგენლობის რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 12,000-ზე მეტი. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში ნაოსნობის კონტროლი დაეკისრა „სრუტეების საერთაშორისო კომისიის სამმართველოს“ – ეს შეთანხმება ძალაში რჩებოდა 1936 წლამდე.

– თურქეთმა ივალდებულა ძველი, ოსმალეთის იმპერიის დროინდელი ვალების გადახდა – ამ პირობებში უქმდებოდა ევროპული სახელმწიფოების ფინანსური კონტროლი. წყდებოდა კაპიტულაციის რეჟიმი.

– თურქეთი ინარჩუნებდა უცხოურ საქონელზე დაბალ საბაჟო გადასახადებს 5 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც იღებდა საბაჟო დამოუკიდებლობას – შეეძლო შემოეღო პროტექციონისტული ტარიფები.

– თურქეთის არამუსლიმმა ხალხებმა – ბერძნებმა, სომხებმა, ებრაელებმა და სირიელმა ქრისტიანებმა – ოფიციალურად მიიღეს უმცირესობის სტატუსი.

– თურქეთსა და საბერძნეთს შორის დადებული სპეციალური შეთანხმება ითვალისწინებდა მოსახლეობის გაცვლას ორ ქვეყანას შორის: ბერძნების – თურქეთიდან და თურქების – საბერძნეთიდან.[5] მთელი უძრავი ქონება, აგრეთვე მიწები გადადიოდა შესაბამისად საბერძნეთის და თურქეთ ის მთავრობის ხელში. ყველა უცხოურ არმიას უნდა დაეტოვებინა საბერძნეთის ტერიტორია (ციტ. Cleveland, 2009: 178-179; Kocatiirk, 1973; Shaw, 2005: 366-368).

1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, დედაქალაქი სტამბულიდან გადატანილ იქნა ანკარაში. თურქეთის პირველი რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა მუსტაფა ქემალი,[6] (Shaw, 2005: 366) ხოლო პრემიერ-მინისტრი – მუსტაფა ქემალის საიმედო მოკავშირე – ისმეთ ფაშა (1923-1924,1925-1937,1961-1965).

მუსტაფა ქემალის პოლიტიკური მოღვაწეობა პირობითად იყოფა სამ პერიოდად: 1. ომი დამოუკიდებლობისათვის (1918-1923); 2. ხელისუფლების კონსოლიდაცია (1923-1927); 3. ქვეყნის შეუცვლელი მმართველი (1927-1938) (Rustow, 1968: 808) . მუსტაფა ქემალმა დაიწყო რეფორმების გატარება, რომელთა ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია. მართალია, დასავლეთთან დაახლოება თურქეთის ისტორიაში მე-18 საუკუნიდან აქტიურად იდგა დღის წესრიგში და არაერთი მოღვაწე ცდილობდა ამ მიზნის განხორციელებას, მაგრამ პროცესი ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა, რასაც სუბიექტურის გარდა, ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, თურქეთისათვის მე-20 საუკუნე 1908 წლის 23 ივლისს დაიწყო, 1876 წლის კონსტიტუციის აღდგენით, ცენზურის მოხსნით გაზეთებსა და ჟურნალებზე და აზრთა სხვადასხვაობის ტრადიციის დამკვიდრებით (Ahmad, 2002:31). მეორე მხრივ, სწორედ აზრთა სხვადასხვაობა სოციალურად და კულტურულად ჭრელ ქვეყანაში სახელმწიფოს ინტეგრაციას მტკივნეულს ხდიდა და ოსმალეთის თანამედროვე სახელმწიფოდ გადაქცევა დიდხანს აწყდებოდა როგორც შინა, ასევე გარე წინააღმდეგობებს დიდი სახელმწი-

5 დაახლ. 1,3 მლნ ბერძენი გადავიდა საბერძნეთში და დაახლ. 400,000 თურქი საბერძნეთიდან გადასახლდა თურქეთში (Cleveland, 2009: 179).

6 მუსტაფა ქემალი დაიბადა 1881 წელს ქ. სალონიკში. დაამთავრა სამხედრო მოსამზადებელი სკოლა (1896-1899) მშობლიურ ქალაქში და შემდეგ სტამბულის სამხედრო სკოლა (1902წ.) ლეიტენანტის ჩინით და გენერალური შტაბის აკადემია (1905წ.) მაიორის ჩინით. ის დაუკავშირდა სულთან აბდულ ჰამიდ II-ის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდა ოფიცრებს. 1907 წელს დაინიშნა „ახალგაზრდა თურქთა“ მიერ შექმნილი „მოქმედების არმიის“ შტაბის უფროსად. მონაწილეობდა იტალია-ოსმალეთის (1911-1912) და ბალკანეთის მეორე (1913) ომებში. 1913-1914 წლებში იყო ოსმალეთის სამხედრო ატაშე სოფიასა და ბერლინში. I მსოფლიო ომში იბრძოდა აღმოსავლეთის და სირიის ფრონტზე. აქ მან მიიღო ფაშას ანუ გენერლის ტიტული. 1919 წლის 19 მაისს მან სამსუნიდან წამოიწყო თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. 1920 წლის 23 აპრილს ანკარაში მოიწვია დიდი ეროვნული კრება (პარლამენტი), რომელმაც იგი აირჩია პარლამენტის და მთავრობის თავმჯდომარედ. იმავე დროს ის სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ ძალებს (Armstrong, 1955; Shaw, 2005: 373-374).

ფოებისაგან, რომელთა მიზანს დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა ოსმალეთის დაშლა და მისი მემკვიდრეობის დაპატრონება. არნოლდ ტოინბი ამ სახელმწიფოებს ადარებდა მშიერ მგლებს, „რომლებიც ზღურბლზე იდგნენ მშიერი თვალებით, რადგან თურქეთი ბუნებით მდიდარია, ხოლო იმპერიალიზმი ხარბი“ (Toynbee & Kirkwood, 1927).

არაერთი უშედეგო ცდის შემდეგ მიზნის მიღწევა შესაძლებელი მხოლოდ მსოფლიო ომის დროს შექმნილმა ვითარებამ გახადა, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა დაუმარცხებელი სამხედრო მეთაური მუსტაფა ქემალ ფაშა, რომელმაც დამარცხებულ და, ერთი შეხედვით, მომაკვდავ ერში გააღვივა ნაციონალიზმი და სრულიად ახალი სიცოცხლე შთაბერა მას. ერის გადარჩენა მოითხოვდა ადრე გაბატონებულ პანისლამიზმზე და პანთურქიზმზე უარის თქმას და ამიერიდან მთელი ენერგიის გარკვეულ საზღვრებში მოქცეული ერ-სახელმწიფოს შექმნისაკენ წარმართვას.

ათა თურქი

სწორედ მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები, რომელიც ქემალიზმის (*Kemalizm*) ან ათათურქიზმის (*Atatürkçülük*) სახელითაა ცნობილი, საფუძვლად უდევს თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოებრიობას. ქემალიზმმა უდიდესი როლი შეასრულა რესპუბლიკური თურქეთის შექმნის საქმეში. ქემალიზმის პრინციპებია: რესპუბლიკანიზმი (*Cumhuriyetqilik*), ნაციონალიზმი (*Milliyetqilik*), ხალხოსნობა (*Halkqihk*), ეტატიზმი (*Devletçilik*), ლაიციზმი (*Layiklik*) და რევოლუციონიზმი (*Inkilapqihk*), იგივე რეფორმიზმი, რომელიც ქემალისტური რევოლუციის სახელით აერთიანებს ყველა ზემოჩამოთვლილ პრინციპს.

ამათგან ძირითადი იყო ლაიციზმი, ანუ სეკულარიზმი, რომლის შესუსტებასაც თურქეთში მომავალში რამდენიმე რევოლუცია მოჰყვა. ეს პრინციპები თანდათან ჩამოყალიბდა, ხოლო **1931 წლის 17-18 მაისს, მმართველი რეს-**პუბლიკურ-სახალხო პარტიის მესამე კონგრესზე, უკვე ქაღალდზე დაფიქსირდა. პარტიის პროგრამაში ჩართული ქემალიზმის 6 ფუნდამენტური პრინციპი, ცნობილი „ექვსი ისრის“ სახელით, აისახა აგრეთვე 1937 წლის 5 თებერვლის კონსტიტუციაში (მუხლი 2) (Tunaya, 1952: 570; Kamrava, 2005: 53), **სადაც ნათქვამია, რომ თურქეთის სახელმწიფო დაფუძნებუ-**ლია შემდეგ პრინციპებზე: „რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, ხალხურობა, ეტატიზმი, ლაიციზმი და რევოლუციონიზმი“. რამდენადაც შედარებით ადვილი იყო სასულტნოს გაუქმება (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა სულტნის თანამშრომლობა ბრიტანელებთან), იმდენად სახიფათო იყო სახალიფოს ინსტიტუტის ხელყოფა. მაგრამ სუვერენული ერ-სახელმწიფოს შექმნა რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებდა. ისმეთ ინონუ წერდა თავის მემუარებში: „ჩვენ შევხვდით უდიდეს წინააღმდეგობას, როდესაც გავაუქმეთ სახალიფო. სასულტნოს გაუქმება უფრო ადვილი იყო, რადგან სახალიფოს შენარჩუნებამ დააკმაყოფილა სასულტნოს მომხრეები. მაგრამ ორთავიან სისტემას არ შეიძლებოდა ეარსება სამუდამოდ. ის კვებავდა იმედებს, რომ სუვერენი დაბრუნდებოდა ხალიფას ნიღბით“ (ციტ. Mango, 2000: 403).

იმ წლებში ქემალისტების სლოგანი იყო „დავამსხვრიოთ კერპები“ (Ahmad, 2002: 80). „კერპების მსხვრევა“ მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა დაეწყო *ლაიციზმის პრინციპის*[7] დამკვიდრებით, რასაც დედაქალაქის „უმინარეთო ქალაქში“ ანკარაში გადატანამაც შეუწყო ხელი სტამბულიდან, რომელიც განიხილებოდა როგორც სახალიფოს გული. დაიწყო ისლამური ქვეყნებისთვის უპრეცედენტო სეკულარული რეფორმები: 1924 წლის 3 მარტს მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება სახალიფოს ლიკვიდაციაზე. სახალიფოს ლიკვიდაციის კანონი შედის პირველ რევოლუციურ კანონებს შორის და არ ექვემდებარება ცვლილებას არც ერთი ხელისუფლების მიერ. ხალიფას ოჯახის ყველა წევრს (**144 ადამიანი – 36 მამა-**

7 ლაიციზმი (ფრანგ სიტყვიდან laic – საერო, არაეკლესიური; იგივეა, რაც სეკულარიზმი) – რაციონალური აზროვნების განცალკევება რელიგიურისაგან; სახელმწიფოსა და რელიგიის სფეროების გამიჯვნა. თურქი ავტორები ასე განსაზღვრავენ ლაიციზმის ძირითად მახასიათებლებს: მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ რელიგიისა და სინდისის, ღვთისმსახურების თავისუფლება; ლაიცისტური სახელმწიფო უზრუნველყოფს და იცავს მოქალაქეთა ამ თავისუფლებას; რწმენა – ადამიანის შინაგანი სინდისის საქმეა; ამის პარალელურად, ღვთისმსახურება, რელიგიური წეს-ჩვეულებები და ღღესასწაულები შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალური ნორმების დაცვის მიზნით. ლაიციზმი ეწინააღმდეგება რელიგიისა და რელიგიური გრძნობების ბოროტად გამოყენებას პოლიტიკური და პირადი ინტერესებისათვის, ასევე რელიგიური წესების საფუძველზე სახელმწიფო წყობის დამყარებას. ეს პრინციპები შემდგომ აისახა რესპუბლიკური თურქეთის 1961 და 1982 წწ. კონსტიტუციებში (Atatürk'ün, 1989: 93,175).

კაცი, 38 ქალი და 60 ბავშვი) კანონის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში უნდა დაეტოვებინათ ქვეყნის ტერიტორია, ეკრძალებოდათ რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღება და უძრავი ქონების ფლობა მის ტერიტორიაზე.[8] ხალიფა ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ კი საფრანგეთში დასახლდა. საბოლოოდ ის გარდაიცვალა პარიზში, 1944 წლის აგვისტოში, ხოლო დაკრძალეს მედინაში. დინასტიის წევრებს დაბრუნების აკრძალვა მოეხსნათ, ქალბატონებს 1952 წელს, ხოლო მამაკაცებს მხოლოდ 1974 წელს. 1924 წლის 3 მარტს მიღებულ იქნა აგრეთვე კანონი №430 „განათლების უნიფიკაციის" შესახებ – ყველა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულება, მათ შორის მედრესეები და იმამ-ხატიბების სკოლები, გადადიოდა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში. გაუქმდა რელიგიურ საქმეთა და ვაკუფების სამინისტრო და 4 მარტს დაფუძნდა რელიგიურ საქმეთა სამმართველო, რომელიც სახელმწიფოს სახელით არეგულირებდა მთელ რელიგიურ საქმიანობას ქვეყანაში; მართალია,1924 წლის 20 აპრილს მიღებულ თურქეთის რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში ისლამი კვლავ განსაზღვრული იყო სახელმწიფო რელიგიად, მაგრამ 1928 წლის 9 აპრილს ეს პუნქტი უკვე ამოღებულ იქნა კონსტიტუციიდან;[9] 1925 წლის 30 ნოემბერს დაიხურა დერვიშული ორდენები და მათი სავანეები, ვაკფები ნაციონალიზებულ იქნა, გაუქმდა შეიხ ულ-ისლამის ოფისი; აიკრძალა ფესის ტარება და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა ევროპული ქუდები (1934 წელს მიღებული კანონი უკრძალავდა სამღვდელოებას რელიგიური სამოსის ტარებას ღვთისმსახურების ადგილების გარდა).[10] 1926 წლის 1 იანვრიდან თურქეთში შემოღებულ იქნა გრეგორიანული კალენდარი და წელთაღრიცხვა; გამოსასვლელი დღე გახდა კვირა და არა პარასკევი, როგორც ყველა მუსლიმურ ქვეყანაში; 1926 წლის 17 თებერვალს მეჯლისმა გააუქმა მაჯალები (ოსმალეთის იმპერიის სამოქალაქო კოდექსი) და შარიათი და დაამტკიცა სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელიც შემუშავდა შვეიცარული მოდელის მაგალითზე. მასში დაფიქსირდა პიროვნებისა და საკუთრების უფლება ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის ანალოგიურად. სამოქალაქო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო საოჯახო კანონმდებლობას – აიკრძალა მრავალცოლიანობა, შემოღებულ იქნა სამოქალაქო ქორწინება, მუსლიმმა ქალებმა მიიღეს არამუსლიმზე ქორწინების უფლება,[11] დაშვებულ

---

8 რის შემდეგაც ხალიფა აბდულ მეჯიდმა დატოვა დოლმაბახჩეს სასახლე თავისი ოთხი ცოლიდან ორის თანხლებით, ვაჟსა და ქალიშვილთან ერთად. სახალიფოს ლიკვიდაციის კანონის თანახმად, ხალხს გადაეცემოდა „სასახლის კარის მთელი უძრავი და მოძრავი ქონება თურქეთის ტერიტორიაზე – მიწები, სასახლეები, სხვა ნაგებობები, მათ შორის არენდით გაცემული, სულტნის ხაზინა, საგანძური და ძვირფასეულობა. ოსმალეთის დინასტიის წევრთა განკარგულებაში რჩებოდა სახსრები, რაც საკმარისი იყო საშუალო დონეზე ცხოვრებისათვის საზღვარგარეთ" (ციტ. Şensözen, 1982: 79-80).

9 თურქი ისტორიკოსები ამ ფაქტს თვლიან დროებით წინააღმდეგობად, საუბრობენ იმ სიძნელეებზე, რაც თან ახლავს საზოგადოების გადასვლას ახალ სახელმწიფო იდეოლოგიაზე. მათი აზრით, რესპუბლიკური თურქეთის ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო კონტროლის შენარჩუნება რელიგიაზე და იმავროულად მისი ჩამოცილება პოლიტიკური სისტემიდან.1927 წლის 20 მარტს მმართველი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მე-2 კონგრესზე, თავის ცნობილ სიტყვაში (*Nutuk*) თურქეთის პრეზიდენტმა მუსტაფა ქემალმა განაცხადა, რომ სახალხო პარტიის პროგრამაში ვერ შევიდა „ისეთი მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური საკითხები, როგორიცაა მაგ., რესპუბლიკის გამოცხადება, სახალიფოს გაუქმება, შარიათის გაუქმება, მედრესეების დახურვა, აკრძალვა თავსაბურავის ტარებაზე... მე ვერ მოვახერხე რაც შეიძლება ადრე ჩამერთო ეს საკითხები პროგრამაში... ამას ეწინააღმდეგებოდა „მოწამლული ხალხი". 1928 წლის 10 აპრილს სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ ეს ცვლილებები ერთხმად მიიღო (Atatürk, 1963: 718; Kocatürk, 1983: 476).

10 ფესი – ფუნჯიანი წაკვეთილი კონუსის ფორმის ქუდი. ოსმალეთის იმპერიაში ის იყო ისლამური იდენტობის სიმბოლო, მაგრამ ქემალისათვის – „ემბლემა უმეცრების, დაუდევრობის, ფანატიზმის და ცივილიზაციისა და პროგრესის სიძულვილის... ცივილიზებული საერთაშორისო ტანსაცმელი ღირსეულია და შეეფერება ჩვენს ერს და ჩვენ მას ჩავიცვამთ." „...ფეხსაცმელი..., შარვალი, პერანგი და ჰალსტუხი, ჟაკეტი და ჟილეტი – და რასაკვირველია, ყველაფრის სრულყოფისათვის თავსაბურავი ფარფლებით... ამ თავსაბურავს ჰქვია ქუდი" (Kinzer, 2008: 42). ქალის სამოსთან დაკავშირებით არანაირი ოფიციალური აკრძალვა არ გამოცემულა, მაგრამ თვითონ მუსტაფა ქემალი თავის გამოსვლებში მოუწოდებდა ქალებს უარი ეთქვათ თავსაბურავის ტარებაზე.

11 ერთგვარად იცვლებოდა ქალის სტატუსიც. ჯერ კიდევ1908 წელს დღის წესრიგში დადგა ქალის უფლებების დაცვის საკითხი. ქალისათვის მისაწვდომი გახდა საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება, თუმცა ქალთა დასაქმების მხრივ ნაკლები შესაძლებლობები იყო. ქალებს არ ჰქონდათ საარჩევნო ხმის უფლება.1924 წელს რეჯეპ პეკერი, ქემალისტი პოლიტიკოსი და მომავალი პრემიერ-მინისტრი, სთავაზობდა ხელისუფლებას კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლის დაზუსტებას („ყოველ თურქს, ვისაც შეუსრულდებოდა 13 წელი, შეეძლო მიეღო მონაწილეობა არჩევნებში") ისე, რომ ხაზგასმული ყოფილიყო მამაკაცებთან ქალის

იქნა სარწმუნოების შეცვლა. **1927 წელს მიღებულ იქნა სისხლის სამართლის და კომერციული კოდექსი**, რომლებიც შემუშავდა იტალიური და გერმანული მოდელის საფუძველზე; მუსტაფა ქემალმა დაუშვა მუსლიმთა წმინდა წიგნის თარგმნა და შესაბამისად, **1932 წელს გამოვიდა ყურანი თურქულ ენაზე. ამავე** წელს სავალდებულო გახდა აზანის წაკითხვა თურქულად, არაბულის ნაცვლად; მოგვიანებით, 1934 წელს თურქეთში ძალაში შევიდა კანონი გვარების შემოღების შესახებ. თვითონ მუსტაფა ქემალმა[12] მიიღო გვარი – ათათურქი („თურქთა მამა"), მისმა მოკავშირემ, ისმეთ ფაშამ – ინონუ (Jäschke, 1929: 104-145; Rustow,1968: 793-828; Shaw, 2005: 384-388).

> ქემალიზმი აღმოცენდა იმ დროს, როცა ახალი იდეოლოგიები იბადებოდა, **1914-1918 წწ. I მსოფ**ლიო ომის შემდეგ... თურქეთის გაგება ქემალიზმის და ათათურქის გააზრების გარეშე იგივეა, რაც ისწავლო ევროპის ისტორია ქრისტიანობის გათვალისწინების გარეშე. „ყველაფრისათვის სამყაროში – ცივილიზაციისათვის, ცხოვრებისათვის, წარმატებისათვის – ყველაზე ჭეშმარიტი მეგზური არის ცოდნა და მეცნიერება," – განაცხადა ათათურქმა ერთ-ერთ ცნობილ გამოსვლაში. მაგრამ დღეს მრავალი თურქი, რომლებსაც სურთ განათლება, თავს მიიჩნევენ ქემალიზმის უფრო მსხვერპლად, ვიდრე მისი სრულყოფილების ნიმუშად. ადამიანი, რომლის ირგვლივაც ეს მგზნებარე რწმენა აშენდა, უცნობი დარჩა მისი ქვეყნის გარეთ. ალბათ იმიტომ, რომ მან თავისი ძალისხმევა საკუთარი ერის შენებისაკენ უფრო წარმართა, ვიდრე დაპყრობისაკენ... ცუდია, რომ ათათურქს არ იცნობენ. ის იმსახურებს, რომ მას იცნობდნენ როგორც მე-20 ს.-ის ერთ-ერთ უდიდეს რევოლუციონერს. მან ჩაიბარა **12 მილიონიანი ჩამორჩენილი ერი, რომელიც სიღარიბესა და უმეცრებაში იყო ჩაფლული. „ცივილი**ზებული სამყარო ბევრად წინ არის," – განაცხადა მან, „ჩვენ არა გვაქვს არჩევანი, გარდა იმისა, რომ უნდა დავეწიოთ მათ." მას სჯეროდა, რომ თურქეთს შეეძლო გამხდარიყო თანამედროვე, სეკულარული, აყვავებული და ჭეშმარიტად ევროპული ქვეყანა. დაიწყო ერთი ადამიანის რევოლუცია. მიწისძვრა, ქარბორბალა, ციკლონი, ტორნადო, მოვარდნილი ტალღა – არც ერთი ეს მეტაფორა არ ამოწურავს ქემალის გავლენას თავის ერზე (Kinzer, 2008: 34-35).

1947 წელს რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის კონგრესზე მიღებულ პროგრამაში ასეა განმარტებული ლაიციზმი: „ჩვენი პარტია, საზოგადოების ყოველმხრივი განვითარებისა და ჩვენი ერის ასაღორძინებლად, თავისი წარმატების საფუძვლად მიიჩნევს იმ კანონების, დებულებების და მეთოდების მიღებასა და რეალიზაციას, რომლებიც პასუხობენ თანამედროვე ცივილიზაციის მოთხოვნებს; რელიგიური აზროვნების (*din fikirlerinin*) გამიჯვნას სახელმწიფო და მსოფლიო საქმეებისა და პოლიტიკისაგან" (Tunaya, 1952: 570).

რესპუბლიკანიზმი გამოიხატა თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის ფორმის დამკვიდრებაში. 1924 წლის 23 აპრილის ქვეყნის ძირითადი კანონის (105-ე მუხლი) თანახმად, თურქეთი გახდა რესპუბლიკა ერთპალატიანი პარლამენტით, სადაც პირდაპირი არჩევნები **1946 წლამდე არ ჩატარებ**ულა. პარლამენტი აირჩეოდა ორსაფეხურიანი არჩევნებით მაჟორიტარული სისტემით. დეკლარირებულ იქნა მოქალაქეთა ძირითადი დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები. ახალი სლოგანი იყო „ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს" (*Hâkimiyet Milletindir*). გაძლიერდა ცენტრალიზაცია – ქვეყანა დაიყო ოლქებად – ვილაიეთებად (Shaw, 2005:390).

ორი პრინციპი – *ნაციონალიზმი* და *ხალხოსნობა* ახლოს დგას ერთმანეთთან. ათათურქის მიხედვით, ხალხოსნობა დემოკრატიულობაა. ნაციონალიზმის ნათელი გამოხატულება იყო დებულება – ყველა მოქალაქე თავისი ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად არის თურქი,[13] რაც აისახა 1924 წლის კონსტიტუციაში. ნაციონალიზმის პრინციპის გატარებას ემსახურებოდა მუსტაფა ქემალის დავალება

უფლებების გათანაბრება, მაგრამ მისმა წინადადებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მხოლოდ1930 წელს მოიპოვეს ქალებმა ადგილობრივ არჩევნებში, ხოლო1934 წელს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება (Ahmad, 2002: 90).

12 1934 წლამდე მუსტაფა ქემალი ატარებდა ტიტულს – ღაზი (მუსლიმი მებრძოლი, რომელიც მონაწილეობდა ჯიჰადში).

13 თურქეთში ცნობდნენ მხოლოდ რელიგიურ უმცირესობებს, უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხებოდა ბერძნებს, სომხებს და ებრაელებს. თურქეთის ყველა მოქალაქე ითვლებოდა თურქად (Kirisçi, Wi-nrow: 1997, 44-45; Earle: 1925, 73-100). ეროვნული მოძრაობის დროს ამ საკითხის დასმა ნაადრევი იყო, რადგანაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ისლამისტებმა. მაჯლისის პირველი შემადგენლობის 20%-ს წარმოადგენდნენ ულემები და დეპუტატების 8%-ს – შაიხები.

სპეციალურ კომისიას ანბანის რეფორმის მომზადებაზეც.[14] 1928 წლის 7 ნოემბერს მეჯლისმა მიიღო კანონი ახალი ანბანის შემოღების თაობაზე,[15] რომელიც ძალაში უნდა შესულიყო შემდეგი წლიდან. ოდნავ ადრე, იმავე 1928 წლის 24 მაისს, შეწყდა ისლამურ სამყაროში გავრცელებული ტრადიციული არაბული ციფრების ხმარება. ყველაფერი ეს დასავლეთთან დასაახლოებლად ხდებოდა. ამავე დროს ერთ დღეში თითქმის მთელი მოსახლეობა წერა-კითხვის უცოდინარი აღმოჩნდა. იმავე წელს შეიქმნა „ეროვნული სკოლები" მოზრდილებისათვის, სადაც ახალ ანბანს ასწავლიდნენ. განათლებულების რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა. თუ 1927 წლის აღწერით მოსახლეობა იყო 13,650,000, რომლის მხოლოდ 9% იყო წერა-კითხვის მცოდნე, 1928 წელს – 8%, 1936 წელს – 20%-ზე მეტი, თუმცა მოსახლეობამ 16 მილიონს მიაღწია და 30% – ომის დასასრულს (Ahmad, 2002: 81). ბევრი კეთდებოდა ეროვნული იდენტობის და სიამაყის გასამყარებლად. მუსტაფა ქემალი პირადად ინტერესდებოდა ისტორიით, ენით. შეიქმნა „მზის ენის" თეორია, რომელიც ყველა ენის თურქულიდან წარმომავლობას ასაბუთებდა, ანთროპოლოგიური თეორიები, რომლებიც ასაბუთებდნენ თურქების უფლებას მცირე აზიის ტერიტორიაზე და სხვ. 1933 წელს რესპუბლიკის მე-10 წლისთავის ზეიმზე გამოსვლაში (მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა) ათათურქი კვლავ მიმართავდა ერს და შთააგონებდა მას, რომ „ბედნიერია ის, ვინც თავის თავს თურქს უწოდებს" (Mango, 2000: 489). თურქული ლინგვისტური საზოგადოება სათავეში ჩაუდგა თურქული ენის განვითარებას – უნდა მომხდარიყო თურქული ენის გაწმენდა უცხო ნასესხობებისაგან, არაბულ-სპარსული სიტყვებისაგან (Rustow, 1968: 821; Shaw, 2005: 376). 1925 წელს დაარსდა თურქეთის ისტორიული საზოგადოება, რათა წარმოჩენილიყო თურქების წვლილი ისტორიაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, თურქეთში ნაციონალური თვითშეგნების განვითარება და რელიგიის გავლენის შემცირება მიმდინარეობდა არა ობიექტური მიზეზებით (ურბანიზაცია, სამრეწველო კაპიტალის განვითარება, საყოველთაო სამხედრო სამსახურის შემოღება), არამედ ზემოდან, ევროპეიზირებული პოლიტიკური ელიტის გავლენით. სწორედ თურქული ეროვნული იდენტობის დასამკვიდრებლად მუსტაფა ქემალის ბრძოლა გახდა 1925 წლის თებერვალში ქურთების აჯანყების ძირითადი მიზეზი. მოხდა ქურთული ნაციონალიზმისა და ისლამური აღორძინების შერწყმა, რადგანაც აჯანყებულთა ფორმალური მოთხოვნა იყო სახალიფოს აღდგენა (Orga, 1962: 37-44).[16]

ხალხოსნობის ქემალისტური ინტერპრეტაცია უარყოფდა კლასებს შორის განსხვავებას, კონფლიქტს და არ ცნობდა ცალკეული პიროვნების, ოჯახის, კლასის ან ორგანიზაციის რაიმე პრივილეგიას (Kili, 1980: 389).

> „[ხალხოსნობა] არის ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი [ხაზგასმულია სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დოკუმენტში] – მოვიხსენიოთ თურქეთის რესპუბლიკის ხალხი, არა როგორც სხვადასხვა კლასების წარმომადგენელები, არამედ როგორც თემი, რომელიც იყოფა სხვადასხვა პროფესიებად შრომის განაწილების წესების შესაბამისად. ...ჩვენი პარტიის მიზანია დავიცვათ სოციალური წერიგი და სოლიდარობა, კლასთა კონფლიქტის ნაცვლად და დავამყაროთ ინტერესთა თანხვედრა" (ციტ. Ahmad, 1993: 64-65).

ხალხოსნობა გამოიხატა „ხალხთა სახლების" (*Halk Evleri*) დაარსებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით (ძირითადად ქალაქებში), მოგვიანებით დაფუძნდა აგრეთვე „ხალხთა ოთახები" (*Halk Odalari*). ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბრის ინტერვიუში მუსტაფა ქემალი აღნიშნავდა, რომ „ერი ძლიერი უნდა იყოს სულით, ცოდნით, მეცნიერებით და მორალით" (ციტ. Mango, 2000: 219). პროექტი სწორედ ასეთი ერის შექმნას

---

14 ლათინურ ანბანს არ გააჩნდა ყველა აუცილებელი ნიშანი თურქული ენის ფონეტიკური თავისებურებების გადმოსაცემად, რის გამოც შეიქმნა სპეციალური კომისია (სათავეში – მუსტაფა ქემალი), რომელმაც შეიმუშავა ეს ნიშნები.

15 იმდენად მნიშვნელოვანი იყო მიზანი – დასავლეთთან დაახლოება, რომ მუსტაფა ქემალს ნაკლებად აწუხებდა ის ფაქტი, რომ ახალი ანბანის შემოღება ახალგაზრდა თაობას უსპობდა მდიდარი ოსმალური ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობის შესაძლებლობას (Cleveland, 2009: 182).

16 ქურთები შეადგენდნენ ეთნიკურ ჯგუფს, რომლებიც ცხოვრობდნენ არა მხოლოდ ირანსა და თურქეთში, არამედ იმ დროს ინგლისის სამანდატო ერაყის ტერიტორიაზე. პირველი მსოფლიო ომის წლებში ქურთებმა აღმოუჩინეს დახმარება ინგლისელებს თურქებთან ბრძოლაში და იმედოვნებდნენ დამოუკიდებლობის მიღებას. ინგლისმა ჩამოაჭრა თურქეთს ქურთებით დასახლებული ტერიტორიის ნაწილი, ერაყის სასარგებლოდ (ქ. მოსულის რაიონი, ერაყის ჩრდილოეთით). მუსტაფა ქემალმა პრეტენზიები წამოაყენა, მაგრამ უარყოფილ იქნა საბოლოოდ 1925 წელს ერთა ლიგის მიერ, რომელმაც ცნო მოსულის რაიონი ერაყის ტერიტორიად (Shaw, 2005: 381).

ისახავდა მიზნად. ამ ცენტრების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო წერა-კითხვის უცოდინრობის დაძლევა ქვეყანაში. თუმცა მათ ხელმძღვანელობდა სახალხო-დემოკრატიული პარტია და გამოიყენებოდა პრეზიდენტისა და მისი რეფორმისტული პროგრამის მხარდასაჭერად (Cleveland, 2009: 183; Shaw, 2005: 378-385). ამასთანავე ეს პროცესი არ იყო მარტივი. როდესაც მთავრობამ 1940 წელს გადაწყვიტა შეექმნა „სოფლის ინსტიტუტები," მიუხედავად ერთპარტიული სისტემისა და ფორმალური ოპოზიციის არარსებობისა, 148 კაცი მეჯლისში არ დაესწრო კანონის მიღებას. ბევრის აზრით გლეხების განათლება სახიფათო იყო და ეს მხოლოდ გაამწვავებდა კლასობრივ კონფლიქტს. თანდათან ეს მოძრაობა შეფერხდა, 1948 წლიდან მხოლოდ 20 ინსტიტუტი შეიქმნა, თუმცა 49,000 სოფელი არსებობდა, მომზადდა 25,000 სტუდენტი. ამ სკოლებს ჯერ შეუცვალეს შინაარსი, ხოლო 1954 წელს დემოკრატიულმა მთავრობამ გააერთიანა ისინი არსებულ პედაგოგიურ სკოლებთან „სოფლის მასწავლებლების სკოლების" სახელით. იმის გამო, რომ ამოცანა რთული იყო, დიდ დროს და რესურსს მოითხოვდა, მისი შედეგი არ იყო ისე ეფექტური. მიიჩნევენ, რომ შეიქმნა ორი კულტურა. მთელი საზოგადოება გაიყო ორ ნაწილად: ერთი განათლებული, ვესტერნიზებული ან სეკულარული, რომელიც საზოგადოების მცირე ნაწილს შეადგენდა და დაკავშირებული იყო ბიუროკრატიასთან და ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან, ხოლო მეორე ნაწილი, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი, უპირატესად სოფლების და რეგიონების მოსახლეობა, ძირითადად ისლამის მიმდევრად რჩებოდა (Ahmad, 2000: 92), რამაც საზოგადოებაში გარკვეული წინააღმდეგობა შექმნა.

ეტატიზმი[17] აღნიშნავს სახელმწიფოს წარმმართველ როლს ეკონომიკაში. სახელმწიფოს უნდა ეკისრა პასუხისმგებლობა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე და ხალხის სოციალურ კეთილდღეობაზე. 1923 წელს თებერვალში, იზმირში ჩატარებულ ეკონომიკურ კონგრესზე ეკონომიკის მინისტრი აღნიშნავდა: „მე მესმის ეროვნული სუვერენიტეტი როგორც ეროვნული ეკონომიკური სუვერენიტეტი. თუ ეს ასე არ არის, ეროვნული სუვერენიტეტი ხდება მირაჟი" (ციტ. Ahmad, 2002: 93). ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო ევროპული კონკურენციისაგან გათავისუფლება, ამავე დროს შეუძლებელი იყო წარმატება უცხოური ინვესტიციების გარეშე. იმავე წელს ლოზანის მოლაპარაკებებზე თურქეთმა მიაღწია კაპიტულაციების გაუქმებას, თუმცა აეკრძალა განსხვავების დაწესება ადგილობრივ და იმპორტულ პროდუქციას შორის, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის ვერ დაიცავდა თავის ჯერ კიდევ სუსტ ეკონომიკას. ასეთი აკრძალვები ძალაში იყო 1929 წლამდე. თურქეთი ძირითადად კვლავ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნად რჩებოდა, ძალზე სუსტი ინდუსტრიული სექტორით. 1927 წლის აღწერის მონაცემებით, ქვეყანის მოსახლეობა შეადგენდა 14 მილიონს და მხოლოდ 16,4% ცხოვრობდა ქალაქებში (1950 წელს – 18,8%). ამასთანავე, რესპუბლიკამ არსებობა დაიწყო მნიშვნელოვანი უცხოური ვალით, რომლის დაფარვას ქვეყნის ბიუჯეტის (146,210,355 თურქული ლირა) დიდი ნაწილი ხმარდებოდა და მხოლოდ 86,007,852 ლირა იხარჯებოდა თავდაცვაზე, საჯარო სამუშაოებზე, ჟანდარმერიაზე, სოციალურ დახმარებაზე და სხვ. (იქვე, 95). მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა თურქეთის ეკონომიკა საბოლოოდ დააყენა ეტატიზმისა და იძულებითი ინდუსტრიალიზაციის გზაზე. XX ს-ის 30-იან წლებში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იყო სამრეწველო საწარმოების და ინფრასტრუქტურის ობიექტების, რკინიგზების ნაციონალიზაცია. სახელმწიფოს ხელში გადადიოდა ზოგიერთი კონცესია, რომლებიც ადრე უცხოელებს ეკუთვნოდათ.

1929 წელს დასრულდა 5 წლიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც ლოზანის შეთანხმებით თურქეთს უნდა შეენარჩუნებინა ძველი საბაჟო ტარიფები. იმავე წელს მიღებულ იქნა კანონი №4199 საბაჟო ტარიფის შესახებ, რომელიც უფლებას აძლევდა მთავრობას გაეზარდა ბაჟი და დაეწესებინა შეზღუდვები იმპორტზე. საბაჟო ტარიფის არასასურველი გავლენის თავიდან ასაცილებლად ქემალისტებმა შემოიღეს სახელმწიფო მონოპოლია ზოგიერთ საქონელზე – თამბაქოზე, ასანთზე, შაქარზე, ნავთობპროდუქტებზე და სხვ. 1930 წელს მეჯლისმა მიიღო კანონი თურქული ვალუტის დაცვაზე. 1930 წლის მარტში, თურქული ლირას კურსის დასაცავად და ვალუტით ვაჭრობისათვის, დაარსდა დროებითი კონსორციუმი, რომელშიც შევიდა სტამბულში მოქმედი ყველა მსხვილი ეროვნული და უცხოური ბანკი და აგრეთვე თურქეთის ფინანსთა სამინისტრო. 6 თვის შემდეგ კონსორციუმს მიეცა ემისიის უფლება. ფულადი სისტემის მოწესრიგებისა და თურქული ლირას კურსის დარეგულირებისათვის შემდგომი ნაბიჯი იყო 1930 წლის

17 ტერმინი „ეტატიზმი" პირველად გამოიყენა პრემიერმა ისმეთ ინონუმ. 1930 წლის 30 აგვისტოს, სიტყვით გამოსვლისას, მან აღნიშნა: „ლიბერალური შეხედულებების ათვისება რთულად ხდება ჩვენს ქვეყანაში. ეკონომიკაში ჩვენ ზომიერი ეტატისტები ვართ... თითოეული ჩვენს ქვეყანაში ეძიებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინისაგან. ქალაქი, რომელსაც არა აქვს ელექტროობა, რაიონი, რომელიც მოწყვეტილია პორტს, ადამიანი, რომელსაც არა აქვს სამუშაო – ყველა მიმართავს მთავრობას" (ციტ. Iktisat, 1963: 9, 11).

11 ივნისს თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის (*Türkiye Cihnhuriyeti Merkez Bankast*) დაარსება. შესაბამისად, მოხდა კონსორციუმის ლიკვიდაცია და მას გადაეცა ოსმალეთის ბანკისაგან გამოსყიდული აქციები და ფულადი ემისიის უფლება. ცენტრალური ბანკი გახდა თურქული ეკონომიკის რეგულირების მთავარი საშუალება. 1930-32 წლებში ინდუსტრიული ზრდა შეადგენდა 14,8%-ს. მნიშვნელოვნად დაეცა იმპორტი – **256 მლნ ლირადან 1929 წ., 101 მლნ ლირამდე 1932 წ. პირველად რესპუბლიკის გა**მოცხადებიდან დაფიქსირდა პოზიტიური სავაჭრო ბალანსი (Ahmad, 2002: 97).

ეტატიზმი, რომელიც ჩვეულებრივ განისაზღვრება როგორც სახელმწიფო კაპიტალიზმი, დაიწყო პირველი 5 წლიანი გეგმის (1934-1938) გამოცხადებით. ამ გეგმის შედეგად სახელმწიფო სექტორში წარმოებული პროდუქციის მოცულობა მისი ღირებულებითი გამოხატულებით გაიზარდა სამჯერ. ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას კოორდინაციას უწევდა ეკონომიკის სამინისტრო. ის აფინანსებდა სახელმწიფო სექტორის საწარმოებს სახელმწიფო ბანკების საშუალებით, რომლებიც ორიენტირებული იყო მეურნეობის ამა თუ იმ სექტორზე: სუმერბანკი (*Sümerbank*) – გადამამუშავებელ მრეწველობაზე;[18] ეთიბანკი (*Etibank*) – სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ მრეწველობასა და ენერგეტიკაზე; იყო ბანკები, რომლებიც ემსახურებოდა მეტალურგიულ ქარხნებს, ორთქლმავლების კომპანიებს და ა.შ. ყველა ეს ბანკი მონაწილეობდა სახელმწიფო საწარმოების მართვაშიც (Singer, 1983: 301-305).

აგრარულ სექტორში ცვლილებები უმნიშვნელო იყო. **1920-იან წლების დასაწყისში გაუქმდა ნატუ**რალური გადასახადი, გამოქვეყნდა კანონი უმიწო გლეხებისათვის მიწების გადაცემის შესახებ სახელმწიფო ფონდიდან (იმ მიწებიდან, რომლებიც ჩამოართვეს ბერძნებს, სომხებს და ქურთებს). თუმცა, სულ გადანაწილდა 700 ათასი ჰა მიწა. შემოღებულ იქნა იჯარის ერთიანი წესი. ხელისუფლება ცდილობდა შეექმნა პირობები, რათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას სასაქონლო სახე მიეღო. გლეხების დასაფინანსებლად დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ბანკი (*Ziraat Bankasi*). სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფო სავაჭრო საწარმოებთან, რომლებიც მოსახლეობას სთავაზობდნენ სამამულო საქონელს. ეს მონოპოლიური სქემა ექვემდებარებოდა სახელმწიფო ეკონომიკურ ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციების მმართველი კადრები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ბიუროკრატიასთან, რომელიც კადრებს აწვდიდა თურქეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტას (იქვე, 305-308).

არაბულიდან ლათინურ ანბანზე გადასვლის საჯარო დემონსტრირება ათათურქის მიერ

18 ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა კაპიტალდაბანდებას 44 მლნ ლირას მოცულობით, მათგან 41,6 მლნ ლირა მიდიოდა სახელმწიფო სუმერბანკზე.

სახელმწიფო თურქეთში მკაცრად აკონტროლებდა ფასებს. ჯერ კიდევ 1920-იან წლებში დადგინდა სახელმწიფო ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ცალკეულ სახეობებზე (თამბაქო, ჭარხალი, ხორბალი). 1936 წელს მიღებულ იქნა კანონი „სამრეწველო ნაწარმზე ფასების კონტროლის" შესახებ. „ეროვნული დაცვის კანონით" (1940) ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო პროდუქციის თვითღირებულების, მოგების, სატრანსპორტო და დამატებითი ხარჯების განსაზღვრის უფლება. ეკონომიკურ პროცესებზე ასეთი მკაცრი კონტროლი შენარჩუნდა თურქეთში XX ს-ის 80-იან წლებამდე (იქვე, 308-311; Shaw, 2005: 388-389).

1936 წელს მიღებულ იქნა შრომის კოდექსი, რომელიც აწესებდა 8 საათიან სამუშაო დღეს (კვირაში 48 საათი), ზღუდავდა დამატებით სამუშაოებს, აწესრიგებდა შრომის პირობებს. მაგ., აიკრძალა მძიმე სამუშაოები ქალებისათვის და მოზარდებისათვის. შემოღებულ იქნა სპეციალური შეღავათები ავადმყოფობის შემთხვევაში, დაწესდა დეკრეტული შვებულება და სხვ. ამის პარალელურად, იკრძალებოდა საკუთარი სამსახურეობრივი ინტერესების დაცვა, საგაფიცვო მოძრაობა (Brockett, 1998: 44-50). ყველას უნდა ეცხოვრა ჰარმონიულად საზოგადოებაში, ხოლო მათ ინტერესებს დაიცავდა სახელმწიფო. მის პოლიტიკით უკმაყოფილების გამოხატვა კი კვალიფიცირებული იყო „კომუნისტური პროპაგანდად" და დანაშაულად ითვლებოდა. მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეიძლებოდა უცხოელი ექსპერტების ჩართვა ისეთ დარგებში, როგორიცაა მედიცინა, სტომატოლოგია, ვეტერინარია, სამართალი. მხოლოდ თურქებს შეეძლო მუშაობაში აგრეთვე ვაჭრობაში, საპარიკმახეროებში, ფოტოგრაფიაში, ბეჭდვით წარმოებაში, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დამზადებაში, დაცვის სისტემაში, სახელმწიფო ტრანსპორტში, ხის საამქროებში, მუსიკალურ ხელოვნებაში,[19] ღამის კლუბებში, და სხვ. (Shaw, 2005: 395). პირველი ხუთწლედის შედეგად, II მსოფლიო ომის წინ თურქეთის ეკონომიკამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. შემცირდა თურქეთის ეკონომიკის დამოკიდებულება ინგლისზე და საფრანგეთზე და გაძლიერდა კავშირები სსრკ-თან, გერმანიასა და აშშ-თანაც კი.

ათათურქის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები:

ქვანახშირის წარმოება გაიზარდა თითქმის 100 %-ით – 1930წ. 1,59 მლნ ტ. – 1940წ. – 3,019 მლნ ტ.; იმავე პერიოდში ქრომის წარმოება გაიზარდა 600%-ით, 28,000-დან 170,000 ტონამდე; რკინის წარმოება – 0-დან 130 000 ტონამდე; მინერალების წარმოება – 1930წ. – 100, 1935წ. – 157, და 1940წ. – 232; ტექსტილის წარმოება აკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნის 80%-ს, რის შედეგადაც მზა ნაწარმის იმპორტი შემცირდა – 1927წ. 51,1 მლნ თურქული ლირადან 11,9 მლნ თურქულ ლირამდე 1939წ.; 1924 წლიდან 1929 წლამდე პერიოდში გაიზარდა ბამბის წარმოება – 70-დან 3,773 ტონამდე, შალის – 400-დან 763 ტონამდე, აბრეშუმის – 2-დან 31 ტონამდე; შაქრის წარმოება დაიწყო მხოლოდ 1926 წლიდან და 1927-1930 წლებში გაიზარდა 5,162-დან 95,192 ტონამდე; 1927 წლიდან 1940 წლამდე პერიოდში გაორმაგდა სარკინიგზო ხაზის სიგრძე – 4,637-დან 7,381 კმ-მდე, ხოლო საავტომობილო გზების სიგრძე – 22,053-დან 41,582 კმ-მდე. თუმცა, დაბალი იყო ეროვნული შემოსავლების ინდექსი (იქვე).

ქემალიზმის ექვსივე დებულება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთისგან გამომდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ამ ექვსი დებულების ჩამოყალიბების პროცესი, ამავე დროს, არის ქემალიზმის, როგორც იდეოლოგიის, ჩამოყალიბების პროცესი (გიგინეიშვილი, 1983: 142-156).

ქემალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა

ამავე წლებში თურქეთმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საგარეო სარბიელზე, რათა განესაზღვრა თავისი ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში. საგარეო პოლიტიკაში მუსტაფა ქემალი იცავდა „თანაბარი სიშორის" პრინციპს, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა. მან გამოაცხადა ლოზუნგი – „მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში". ლოზანის კონფერენციის შემდეგ გადასაწყვეტი დარჩა შემდეგი საკითხები: თურქეთის საგარეო ვალის

19 1935 წელს, დასავლური მუსიკალური განათლების სისტემის შესაქმნელად და ანკარაში კონსერვატორიის დასაარსებლად, თურქეთში მოწვეული იყო ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი პოლ ჰინდემიტი.

დარეგულირება;[20] მოსულის საკითხი;[21] აშშ-თან პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა; ალექსანდრეტას სანჯაყის (ჰათაის რაიონი) დაბრუნება თურქეთისათვის – პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეს ტერიტორია შევიდა სირიის შემადგენლობაში, რომელიც საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიას წარმოადგენდა (იხ. თავი IX); საბერძნეთთან მოსახლეობის გაცვლის საკითხი;[22] ქვეყანაში უცხოური კონცესიების, სკოლების, სავაჭრო პალატების და სხვ. მოქმედების პირობების განსაზღვრა.

---

20 ოსმალეთის იმპერიის საგარეო ვალი წარმოიშვა 1854 წელს, როცა ოსმალეთის იმპერიამ მონაწილეობა მიიღო ყირიმის ომში რუსეთის წინააღმდეგ. ამის შემდეგ, 1914 წლამდე ოსმალეთის იმპერიას თითქმის 40-ჯერ მიეცა სესხი ევროპული სახელმწიფოების სხვადასხვა ბანკებიდან. ლოზანის ხელშეკრულების თანახმად, ვალი უნდა განაწილებულიყო ყველა სახელმწიფოს შორის, რომელთა ტერიტორიები შედიოდა ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში, და ამგვარად თურქეთზე მოდიოდა მხოლოდ ვალის ნაწილი. თუმცა, ხელშეკრულებით არ იყო დადგენილი ეს ნაწილი, ისევე როგორც არ იყო დასახელებული ვალუტა, რითიც უნდა გადახდილიყო. საგარეო ვალთან დაკავშირებული კარდინალური სადავო საკითხები გადასაწყვეტად გადაეცა ერთა ლიგის საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელმაც დაადგინა თურქეთის წილი: 1912 წლის 17 ოქტომბერს ვალის 62,23% და ამ ვადის შემდეგ – 77,53%. ფულადი ფორმით ეს უტოლდებოდა 84,6 მლნ ლირას. 1925 წლის შემდეგ ოსმალეთის ვალთან დაკავშირებული პრობლემა ნაწილობრივ დარეგულირდა. თუმცა, თურქეთი მოითხოვდა, რომ დასახელებული 84,6 მლნ ფულადი ფორმით უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული და არა ოქროს ლირებით. დასავლელი კრედიტორები და განსაკუთრებით საფრანგეთი, თვლიდნენ, რომ გადახდა უნდა მომხდარიყო ოქროს ლირებით. შემდგომი მოლაპარაკებების დროს კრედიტორები დათმობაზე წავიდნენ და 1928 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას ვალის გადახდის პირობების დარეგულირებაზე. საერთო თანხამ, 1924-1928წწ. გადაუხდელი თანხის ჩათვლით, შეადგინა 104,7 მლნ ოქროს ლირა. თუმცა ეს შეთანხმებაც არ იყო საბოლოო და ეს საკითხი დარეგულირდა მხოლოდ 1933 წლის შეთანხმებით, რომელიც ითვლება თურქეთის საფინანსო დიპლომატიის წარმატებად. შესაძლებელი გახდა ვალების გადახდა არა მხოლოდ ვალუტით, არამედ ტრადიციული თურქული საექსპორტო საქონლით. ამან დააჩქარა ვალის გადახდა – საბოლოოდ, თურქეთმა ძველი ვალები 1944 წლისათვის გაისტუმრა (Shaw, 2005: 367) .

177 ინგლისელებმა დაისაკუთრეს ნავთობით მდიდარი მოსულის რაიონი, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე შედიოდა ოსმალეთის იმპერიის მოსულის ვილაიეთის შემადგენლობაში, ქირქუკთან, ერბილთან და სულაიმანიასთან ერთად. 1920 წლის სევრის ხელშეკრულებით, მოსული ჩართულ იქნა დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიის – ერაყის შემადგენლობაში. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ, ათათურქის ხელმძღვანელობით, არ სცნო ეს ხელშეკრულება და მოითხოვა 1918 წელს მუდროსის ზავის დადებამდე თურქეთის საზღვრებში არსებული მთელი ტერიტორიების შენარჩუნება. თურქეთის ძირითადი არგუმენტი იყო ის ფაქტი, რომ ვილაიეთი ძირითადად დასახლებული იყო თურქებით. ლოზანის კონფერენციამ ეს საკითხი ვერ გადაწყვიტა – ხელშეკრულებით (პუნქტი 2, მუხლი 3) დადგინდა 9 თვიანი ვადა ინგლისსა და თურქეთს შორის ორმხრივი მოლაპარაკებებისათვის მოსულის საკითხზე, ხოლო თუ მხარეები დამოუკიდებლად ვერ შეთანახმდებოდნენ – ეს საკითხი განსახილველად უნდა გადასცემოდა ერთა ლიგას. 1924 წლის მაისში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ამ საკითხზე სტამბულში თურქეთსა და ინგლისს შორის. მხარეები დარჩნენ თავიანთ პოზიციებზე და საკითხი განსახილველად გადაეცა ერთა ლიგას. 1925 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის საბჭომ გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება საზღვართან დაკავშირებით – ძირითადად სადემარკაციო ხაზი გადიოდა ე.წ. „ბრიუსელის ხაზზე“ (ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, 1924 წლის 23 ივლისს, არსებულ ფაქტობრივ საზღვარზე). უცხოური სახელმწიფოების ზეწოლით, 1926 წლის 5 ივნისს თურქეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ერაყთან და დიდი ბრიტანეთთან და აღიარა ბრიუსელის ხაზი (მცირე კორექტივებით). თურქეთს მიეცა უფლება მიეღო ერაყის მთავრობისაგან 20 წლის განმავლობაში მოსულის ნავთობის შემოსავლების 10% ან მიეღო ფულადი კომპენსაცია – 500 ათასი გირვანქა სტერლინგი *(Olaylarla Türk Dış Politikası, 1982: 70-75).*

22 საბერძნეთთან თურქეთის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის გაცვლის საკითხის დარეგულირებას. მოსახლეობის ორმხრივი გაცვლის პროცესი ძირითადად დასრულდა 1924 წლის ბოლოს. ამ დროიდან თურქეთიდან გასახლებულ იქნა 200 ათასი ბერძენი, ხოლო საბერძნეთიდან – 300 ათას თურქზე მეტი. ამის გარდა 1 მლნ ბერძენმა დატოვა თურქეთი, როგორც ლტოლვილმა, თურქეთის არმიის კონტრშეტევის დროს 1922 წელს. სახელმწიფოებმა, რომელთაც ხელი შეუწყეს თურქეთის წინააღმდეგ ინტერვენციას, არაფერი გააკეთეს არც ბერძენი და არც თურქი ლტოლვილების დასახმარებლად. ლტოლვილთა განთავსებას და მატერიალურ უზრუნველყოფას დიდი თანხები სჭირდებოდა, რამაც ხელი შეუწყო სამეურნეო ცხოვრების დეზორგანიზაციას. რამდენიმე წელი გაგრძელდა დავა თურქეთსა და საბერძნეთს შორის ლტოლვილების მიერ დატოვებული ქონების კომპენსაციის თაობაზე და დასრულდა მხოლოდ 1930 წლის ოქტომბერში საბერძნეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულებით მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ.

სსრკ-თან ურთიერთობა ძირითადად ნაკარნახევი იყო უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობით. ჯერ კიდევ 1925 წლის 17 დეკემბერს პარიზში დაიდო სსრკ-თან მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება, რომელიც 1929, 1931 და 1935 წლებში შეივსო ანკარის ოქმებით და შესაბამისად მისი გაგრძელება მოხდა 1945 წლამდე. ამ ურთიერთობებში ნაკლები როლი ენიჭებოდა ეკონომიკურ ინტერესებს. თუმცა 1933 წელს კ.ე. ვოროშილოვის ვიზიტის დროს თურქეთმა მიიღო კრედიტის სახით 8 მლნ მანეთი ოქროთი.

მომდევნო წლებში თურქეთმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა მრავალ ქვეყანასთან – გერმანიასთან, დიდ ბრიტანეთთან,[23] ავსტრიასთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, იუგოსლავიასთან, და სხვ. ხელშეკრულებები აგებული იყო სუვერენიტეტის ორმხრივი პატივისცემის პრინციპებზე და ითვალისწინებდა სავაჭრო კავშირების განვითარებას.

1923 წლის 6 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა თურქეთ-ამერიკის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას და იმეორებდა ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულების ძირითად დებულებებს. თუმცა თურქულ-ამერიკულმა ხელშეკრულებამ აშშ-ის სენატში და საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. განსაკუთრებული კამათის საგანი გახდა კაპიტულაციური რეჟიმის გაუქმების აღიარება. 1924 წლის მაისში ხელშეკრულება წარედგინა სენატს, მაგრამ დემოკრატების ზეწოლით, 1927 წელს საბოლოოდ არ იქნა რატიფიცირებული. თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა აღდგა 1927 წელს ოფიციალური წერილების გაცვლით თურქეთში აშშ-ის უმაღლეს კომისარსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის. მოგვიანებით, 1929 წელს, დადებულ იქნა თურქულ-ამერიკული ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ (*Papers*, 1946: 1042).

ათა თურქი და რეზა შაჰი

1932 წლის 18 ივლისს თურქეთი გახდა ერთა ლიგის წევრი. 1934 წლის 9 თებერვალს ათენში ხელი მოეწერა ბალკანეთის პაქტს თურქეთს, იუგოსლავიას, რუმინეთს და საბერძნეთს შორის – პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბალკანეთზე ჩამოყალიბებული ძალთა თანაფარდობის შენარჩუნების მიზნით. მას წინ უსწრებდა ბალკანეთის კონფერენციები და მოლაპარაკებები ბალკანეთის სახელმწიფოების მთავრობებს შორის, რათა დაეარსებინათ საერთობალკანური კავშირი ტერიტორიული სტატუს კვოს შენარჩუნების ბაზაზე (Toynbee, 1935: 508-536).

თურქეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულებები ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ საბერძნეთთან და იტალიასთან.[24] 1936

23 1937-1938წწ. თურქეთმა დიდი ბრიტანეთისაგან მიიღო კრედიტები 19 მლნ გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

24 1928 წლის 30 მაისს იტალიასა და თურქეთს შორის რომში დაიდო ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ. იტალიის არმიები ასევე მონაწილეობდნენ თურქეთის ოკუპაციაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში. თურქეთს სურდა ურთიერთობის ნორმალიზაცია იტალიასთან, რათა თავიდან აეცილებინა იტალიის აგრესიის საფრთხე მცირე აზიასთან მიმართებაში, თურქეთსა და საბერძნეთს შორის

წლის ივნისში ქ. მონტრეში (შვეიცარია), თურქეთის წინადადებით, დაიწყო საერთაშორისო კონფერენცია შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის დარეგულირების თაობაზე.[25] ხანგრძლივი დებატების შემდეგ, 1936 წლის 20 ივლისს, ხელი მოეწერა მონტრეს კონვენციას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დემილიტარიზაციის თაობაზე.

მონტრეს კონვენციის გადაწყვეტილებები:

– თურქეთმა აღიდგინა სრული სუვერენიტეტი სრუტეების ზონაზე – გაუქმდა სრუტეების კონტროლის საერთაშორისო კომისია და მისი ფუნქციები გადაეცა თურქეთის ხელისუფლებას;

– ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებმა მიიღეს სრუტეებში თავისუფალი ნაოსნობის უფლება როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს – სანიტარული ზედამხედველობის საყოველთაოდ მიღებული წესის დაცვით;

– არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემებისათვის ნაოსნობა ბოსფორისა და დარდანელი სრუტეებში შეზღუდული იყო მათი სახეობის მიხედვით (შეეძლოთ მხოლოდ მსუბუქ – კრეისერი, ნაღმოსანი და დამხმარე – გემებს), გასვლის მომენტში საერთო ტონაჟით (15 ათასი ტონა) და საერთო რაოდენობით (9 გემი). რაც შეეხება შავ ზღვას, არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს შეეძლოთ მთლიანობაში ერთდროულად ჰყოლოდათ გემები საერთო ტონაჟით 30 ათასი ტონა და მათი იქ ყოფნის ვადა შემოიფარგლებოდა 21 დღით. ამასთან, შავ ზღვაში არაშავიზღვისპირა სახელმწიფოების გემების საერთო ტონაჟი შეიძლებოდა გაზრდილიყო 45 ათას ტონამდე, თუ ყველაზე ძლიერი შავიზღვისპირა სახელმწიფო გაზრდიდა თავისი ფლოტის ტონაჟს 10 ათასი ან მეტი ტონით;

– ომის დროს, თუ თურქეთი თვითონ არ მონაწილეობდა მასში, მეომარი ქვეყნების სამხედრო გემებს ეკრძალებოდათ სრუტეებში შესვლა. ხოლო თუ თურქეთი მონაწილეობდა, მაშინ თვითონ ადგენდა სრუტეების რეჟიმს.

1936 წლის 4 სექტემბერს შედგა თურქეთში ბრიტანეთის მეფის ედუარდ VIII ვიზიტი, ხოლო ბრიტანეთის მხარდაჭერა თურქეთს განსაკუთრებით სჭირდებოდა იმ დროს საფრანგეთთან მოლაპარაკებისათვის. უკანასკნელმა იმ ხანებში ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლითაც სამ წელიწადში დამოუკიდებლობა მიეცემოდათ სირიას და ლიბანს, ხოლო თურქეთი შექმნილ ვითარებაში თხოულობდა დამოუკიდებლობას ალექსანდრეტას (ისკანდერუნის) სანჯაყისათვის, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდა 1921 წლის ეროვნული პაქტით. როდესაც 1936 წლის 26 სექტემბერს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, თევფიკ რუშტუ არასის მიმართვა ერთა ლიგისადმი უშედეგო აღმოჩნდა, იმავე წლის 1936 წლის 1 ნოემბრის სესიაზე განცხადება გააკეთა ათათურქმა, რასაც მოჰყვა თურქების და ფრანგების შეთანხმება. მაგრამ არაბი და სომეხი მოსახლეობის უთანხმოებამ, რომელთაც სურდათ სირიის შემადგენლობაში დარჩენა, გამოიწვია სისხლიანი ამბოხი, რამაც უფრო დააჩქარა პრობლემის გადაჭრა. ათათურქი განწყობილი იყო ბრძოლით აეღო ტერიტორია, რომელსაც უკვე ჰათაი დაარქვა. 1937 წლის 29 მაისს ერთა ლიგამ სანჯაყი დამოუკიდებელ ერთეულად გამოაცხადა. როდესაც 1937 წლის ნოემბერში მძიმედ დაავადებული ათათურქი გაემგზავრა ადანასა და მერსინში, სირიის ჩრდილოეთ საზღვარზე, ფრანგები კიდევ ერთ დათმობაზე წავიდნენ და გადაწყვიტეს, რომ ფრანგული და თურქული ჯარები სადავო ტერიტორიაზე ერთად დაამყარებდნენ წესრიგს. მიუხედავად ამისა, 1938 წლის 5 ივლისს თურქული სამხედრო შენაერთები შეიჭრენ სანჯაყში, რასაც მოჰყვა არჩევნები და თურქებმა პარლამენტში 40-დან 20 ადგილი მოიპოვეს. თაიფურ სოქმენი, ანკარის პარლამენტის წევრი, ჰათაის პრეზიდენტი გახდა. ათათურქი ვერ მოესწრო იმ შეთანხმების დადებას, რომლითაც ფრანგებმა ცნეს ჰათაი, როგორც „ცალკე ერთეული“ თურქეთის შემადგენლობაში, 1939 წლის 23 ივნისს. მაგრამ სწორედ „ჰათაი, რომლის მოსახლეობა დღეისთვის გახუთმაგდა და მილიონს გადასცილდა, იყო ათათურქის უკანასკნელი საჩუქარი თავის ქვეყანისათვის (Mango, 2000: 509).

თანდათან დარეგულირდა ურთიერთობა მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებთან. ჯერ კიდევ 1926 წლის 22 აპრილს თურქეთმა ხელი მოაწერა თეირანში ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტზე ირანთან. ამ ხელშეკრულების მიუხედავად, შემდგომში ირან-თურქეთის ურთიერთობა არაერთხელ გამწვავდა სასაზღვრო კონფლიქტების გამო. 1932 წელს მოხდა მხოლოდ ამ კონფლიქტების საბოლოო დარეგულირება და

უთანხმოებამ ხელი შეუშალა სამმაგი იტალია-საბერძნეთი-თურქეთის პაქტის დადებას. 1932 წლის მაისში თურქეთის პრემიერ-მინისტრის ისმეთ ინონუს ვიზიტმა რომში შედეგი არ გამოიღო.

25 მასში მონაწილეობა მიიღეს თურქეთმა, საბჭოთა კავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, საბერძნეთმა, იუგოსლავიამ, ასევე ავსტრალიამ და იაპონიამ. კონფერენცია მუშაობდა დაახლ. ერთი თვის განმავლობაში. იტალიამ გვიან მიიღო შეთანხმების პირობები – 1938 წლის 2 მაისს.

ხელშეკრულება განახლდა ახალი ვადით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1934 წლის ივნისში თურქეთში ირანის შაჰის – რეზა ფაჰლავის ვიზიტს.

1937 წლის 8 ივლისს თეირანში, საადაბადის სასახლეში, დაიდო ე.წ. საადაბადის პაქტი, რომ-ლითაც გაფორმდა პოლიტიკური ბლოკი თურქეთს, ირანს, ავღანეთს და ერაყს შორის. პაქტი ითვალისწინებდა საერთო საზღვრების ხელშეუხებლობას, აგრესიაზე უარის თქმას, საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და სხვ.

ქემალ ათათურქი გარდაიცვლა **1938 წლის 10 ნოემბერს. პირველი რესპუბლიკის ახალი პრეზი-**დენტი გახდა ისმეთ ინონუ (1938-1950), მიუხედავად იმისა, რომ იგი ათათურქის დროსვე პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ჯელალ ბაიარმა შეცვალა.

არაბული ქვეყნები

ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ არაბული მიწები გაიყვეს მანდატორმა სახელმწიფოებმა საიქს-პიკოს საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე. ეს დაყოფა ოფიციალურად გაფორმდა სან-რემოს კონფერენციაზე 1920 წლის 20 აპრილს. როგორც აღინიშნა, ფრანგებმა მიიღეს თანამედროვე სირიის და ლიბანის ტერიტორიები, დიდ ბრიტანეთს წილად ხვდა პალესტინა ტრანსიორდანიით და ერაყი, რომლის შემადგენლობაშიც ჩართეს აგრეთვე მოსულის ვილაიეთი (ადრე საფრანგეთისათვის აღთქმული). 1922 წელს ინგლისელებმა ტრანსიორდანია გამოყვეს პალესტინისაგან და შექმნეს იქ ცალკე საამირო, რომლის სათავეშიც ჩააყენეს ფაისალის ძმა აბდალაჰი, ხოლო პალესტინაში დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინეს სიონისტურ მოძრაობას. ასე ჩაეყარა საფუძველი არაბული ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკას მისი ხელოვნური საზღვრებით.

სამანდატო ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკა წააწყდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის მძაფრ წინააღმდეგობას. საბოლოოდ სწორედ ამან აიძულა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მიეცათ არაბული ქვეყნებისათვის „დეკორატიული სახელმწიფოებრიობა."

ეგვიპტე

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეგვიპტეში ახალი ძალით გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევა. ეგვიპტელი ნაციონალისტები აღფრთოვანებული იყვნენ ოსმალეთის იმპერიისაგან არაბული მიწების გამოყოფით და ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო უილსონის (**1913-1921) განცხადებებით (ე.წ. უილსო-**ნის 14 პუნქტი) ყველა ერისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭების აუცილებლობის თაობაზე. ეგვიპტის ომისშემდგომ სტატუსთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დასაწყებად წარმომადგენლების გაგზავნის ინიციატივა ეკუთვნოდა სულტან ფუადს (1917-1936). 1918 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა პოლიტიკური გაერთიანება *ეგვიპტის დელეგაცია* (არაბ. *ალ-ვაფდ ალ-მისრი* – პარტია სწორედ *ვაფ*დის სახელით გახდა ცნობილი),[26] რომელსაც სათავეში ჩაუდგა *სა'დ ზაგლული (ზაღლული)*. პარტიამ წინ წამოწია ეგვიპტის პრობლემის ინტერნაციონალიზაციის იდეა და მიზნად ისახავდა ეგვიპტის სრული დამოუკიდებლობის მიღწევას მშვიდობიანი გზით – ეგვიპტის დელეგაციის აქტიური მონაწილეობით პარიზის კონფერენციაზე, სადაც მას უნდა დაეცვა ქვეყნის ინტერესები.

სა'დ ზაგლულ ფაშა – *ვაფდის* დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე. დაამთავრა ალ-აზჰარის უნივერსიტეტი, სადაც ის მოექცა XIX ს-ის ორი დიდი მუსლიმი რეფორმატორის – ჯამალ ად-დინ ალ-ავღანის და მუჰამად აბდუს გავლენის ქვეშ. აბდუ იყო გაზეთ *Egypt's official Gazette*-ის არაბული სექციის (*ალ-ვაკა'ი' ალ-მისრიიდა*) მთავარი რედაქტორის ასისტენტი. მონაწილეობდა **1879-1882 წწ. ეგვიპტის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძ-**რაობაში. კაიროსა და პარიზში სამართლის სკოლის დამთავრების შემდეგ, **1892 წლიდან მუშაობდა მოსამართლედ სააპელაციო სასამართლოში.** ეგვიპ-ტის პრემიერ-მინისტრის – მუსტაფა ფაშა ფაჰმის ქალიშვილზე ქორწინებამ

26 მათ შორის ჰუსაინ რუშდი ფაშა – ეგვიპტის პრემიერ-მინისტრი 1914-1919წწ., ალი შარავი, აბდ ალ-აზიზ ფაჰმი, აჰმად ლუტფი ას-საიიდი, აბდ ალ-ლატიფ ალ-მაკაბათი, მუჰამად ალი ალუბა, ჰამად ალ-ბასილი, სუნუთ ჰანა.

(1895) დაახლოვა ის ლორდ კრომერთან, ეგვიპტის ფაქტობრივ მმართველთან, რამაც ხელი შეუწყო მის დაწინაურებას. კრომერის სიტყვებით, „მას აქვს ყველა თვისება, რაც აუცილებელია, რათა ემსახუროს თავის ქვეყანას. ის არის პატიოსანი, ნიჭიერი და გაბედული. ის ბოროტად გამოიყენეს მისმა უღირსმა თანამემამულეებმა. ეს არის უმაღლესი დახასიათება. ის შორს წავა." 1906-1908წწ. ზაგლული იყო განათლების მინისტრი, ხოლო 1910-1912წწ. – იუსტიციის მინისტრი და გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები. 1913 წლის კონსტიტუციით დაშვებულ იქნა საკანონმდებლო კრების დაარსება და არჩევნების ჩატარება. ზაგლული გახდა დეპუტატი და 1914 წ. ის არჩეულ იქნა საკანონმდებლო კრების ვიცე-პრეზიდენტად. 1918 წელს სათავეში ჩაუდგა მოძრაობას ეგვიპტის სრული დამოუკიდებლობისათვის, რის გამოც ორჯერ იყო გადასახლებაში (1919,1921-1923წწ.) (Goldschmidt, 2004: 68; Goldschmidt, 2002: 234).

1918 წლის 13 ნოემბერს დელეგაციის სამი წევრმა (სა'დ ზაგლული, ალი შარავი, აბდ ალ-აზიზ ფაჰმი) ინგლისის უმაღლეს კომისარს რეჯინალდ უინგეითს მიმართა თხოვნით ნება დაერთო ჩასულიყვნენ ლონდონში და მოლაპარაკება დაეწყოთ ბრიტანეთის პროტექტორატის დასრულების თაობაზე. იმავე თხოვნით მიმართეს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრემიერ-მინისტრმა ჰუსაინ რუშდი ფაშამ და ადლი იაქანმა. ამის პარალელურად, ზაგლულის ჯგუფმა დაიწყო ხელმოწერების შეგროვება მათ მიერ შემუშავებულ ეროვნული მოთხოვნების ქარტიაზე (რამდენიმე კვირაში ქარტიის ტექსტზე ხელი მოაწერა ასეულ ათასობით ადამიანმა). ეგვიპტის მოთხოვნებზე უარმა და 1919 წლის 8 მარტს ვაფდისტთა ოთხი ლიდერის (ზაგლული და მისი სამი მომხრე) დაპატიმრებამ გამოიწვია რევოლუციური აფეთქება, რომელმაც მიიღო საყოველთაო მასშტაბი – კაიროში და გარეუბნებში ეწყობოდა დემონსტრაციები და მშრომელთა გაფიცვები დამოუკიდებლობის მოთხოვნით, მთელ რიგ ქალაქებში შეიქმნა ეროვნული კომიტეტები, როგორც რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები. 17 მარტს ჩატარდა ყველაზე დიდი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 ათასმა ეგვიპტელმა (მასწავლებლები, სტუდენტები, მუშები, ადვოკატები და სხვადასხვა სამთავრობო უწყების თანამშრომლები).[27] მეორე დღეს ბრიტანელებმა დემონსტრანტებს შეიარაღებული ძალა დაუპირისპირეს და 1919 წლის მარტ-აპრილში მოკლულ იქნა 800-ზე მეტი ეგვიპტელი, 60 ევროპელი ჯარისკაცი და დაიჭრა 1400. შექმნილ ვითარებაში ბრიტანეთის ახალმა უმაღლესმა კომისარმა ედმუნდ ალენბიმ ნება დართო ზაგლულს და მის მომხრეებს დასწრებოდნენ პარიზის სამშვიდობო კონფერენციას.[28] თუმცა, ეგვიპტელთათვის ერთადერთი მიღწევა ამ კონფერენციაზე გახდა ბრიტანეთის გადაწყვეტილება ჩაერთო ზაგლული მოლაპარაკებებში ინგლის-ეგვიპტის მომავალი ურთიერთობების თაობაზე. მოლაპარაკებები გაგრძელდა ორი წლის მანძილზე, რადგანაც ეგვიპტე ითხოვდა სრულ დამოუკიდებლობას, ხოლო ინგლისი ცდილობდა თავს მოეხვია ეგვიპტისათვის მისი სუვერენიტეტის შემზღუდველი პირობები (Cleveland, 2009: 187-190).

1922 წლის 28 თებერვალს ინგლისმა გამოაქვეყნა *დეკლარაცია* („ოთხი გადადებული პუნქტი"), რომელმაც გააუქმა ინგლისის პროტექტორატი და გამოაცხადა ეგვიპტე დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ. მაგრამ მე-4 პუნქტი უნდა განხილულიყო ინგლისსა და ეგვიპტეს შორის შემდგომი მოლაპარაკებების დროს. ეს პუნქტები იყო: 1. დიდი ბრიტანეთის კომუნიკაციების (სუეცის არხი) უსაფრთხოების დაცვა; 2. ეგვიპტის დაცვა უცხოური აგრესიისაგან და პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევისაგან; 3. უცხოელთა და უმცირესობების ინტერესების დაცვა; 4. სუდანის სტატუსი. 1922 წ.15 მარტის დეკრეტით ეგვიპტის მმართველის სტატუსი – სულტანი შეიცვალა მეფით და სულტანი ფუად I (1917-1922) გამოცხადდა ეგვიპტის მეფედ (1922-1937). ეგვიპტეში დარჩნენ ინგლისელი მრჩევლები, უმაღ-

27 ზოგადეროვნულ ლოზუნგებთან ერთად, მუშებმა წამოაყენეს სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნები: ყოველდღიური ანაზღაურების მომატება, სამუშაო დღის შემცირება 8 სთ-მდე, სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, ყოველკვირეული არასამუშაო დღის დაწესება, პროფკავშირების წევრებზე დევნის შეწყვეტა და სხვ.

28 27 მარტს, ალენბისთან შეხვედრის შემდეგ, 55 ეგვიპტელმა მოღვაწემ (მათ შორის ვაფდისტებმა) გამოაქვეყნეს მოწოდება ხალხისადმი უარი ეთქვათ ყოველგვარ „უკანონო ქმედებაზე." შედეგად, შეწყდა დემონსტრაციები და აპრილის დასაწყისში გაათავისუფლეს ზაგლული. მართალია 1919 წლის რევოლუცია ჩახშობილ იქნა და თავის მიზნებს ვერ მიაღწია, მაგრამ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეგვიპტელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში. კონფერეციაზე ჩასვლამდე, სა'დ ზაგლულმა და მისმა მომხრეებმა გაუგზავნეს მემორანდუმი პარიზის კონფერენციას, აშშ პრეზიდენტს ვუდრო უილსონს, ეგვიპტეში დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს, უცხოელ რეზიდენტებს. თუმცა გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა სცნეს ინგლისის პროტექტორატი ეგვიპტეზე (Gershoni & Jankowski, 1986).

ლესი კომისარი. უცვლელი დარჩა აგრეთვე ინგლისის პოზიციები ეგვიპტის ეკონომიკაში (O'Rourke, 1936: 698).

ბრიტანეთმა თავს მოახვია ეგვიპტეს დამოუკიდებლობის საკუთარი ვერსია ვაფდისა და მისი ლიდერების სურვილის საწინააღმდეგოდ[29] და ამ კონფრონტაციამ განსაზღვრა ომთაშორის პერიოდში ეგვიპტის პოლიტიკური ცხოვრება.

1923 წლის 19 აპრილიდან ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ბელგიის კონსტიტუცია – ეგვიპტე გახდა კონსტიტუციური მონარქია, რომლის სათავეში მეფე ფუად I იდგა. ეგვიპტის კონსტიტუცია დიდ უფლებებს ანიჭებდა მეფეს: მის კომპეტენციაში შედიოდა პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის (ორპალატიანი) დათხოვნა, ვეტოს გამოყენება კანონებთან მიმართებაში. სენატის წევრების 2/5-ს მეფე ნიშნავდა. საკონსტიტუციო ცვლილება ძალაში შედიოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მოიწონებდა ორივე პალატის დეპუტატების 2/3 და მეფე. კონსტიტუციით გარანტირებული იყო სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები. დაწყებითი განათლება სავალდებულო გახდა ვაჟებისა და გოგონებისათვის. ამან დროებით დაამშვიდა ეგვიპტელი ნაციონალისტები, ხოლო ამ უდიდესი არაბული ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი, რომელსაც ეწოდა „ლიბერალური ექსპერიმენტი."

1924 წლის იანვარში ჩატარდა პირველი ორპალატიანი პარლამენტის (სენატი და დეპუტატთა პალატა) არჩევნები. ვაფდის პარტიამ მიიღო დეპუტატთა პალატის ადგილების 90% (183 ადგილი 211-დან). სა'დ ზაგლული გახდა ეგვიპტის პირველი არჩეული პრემიერ-მინისტრი (26.01.1924-24.11.1924). მან შეცვალა თურქულ-ჩერქეზული ელიტა ადგილობრივი ეგვიპტელებით. მინისტრთა კაბინეტი პასუხიმგებელი იყო პარლამენტისა და მეფის წინაშე და მას ხელმძღვანელობდნენ ვაფდის ლიდერები (Marsot, 2007: 99-100; Botman, 2008: 285; Vatikiotis, 1967: 279).

კონფლიქტი გამწვავდა სუდანის გამო, რომელიც წარმოადგენდა ინგლისისა და ეგვიპტის კონდომინიუმს.[30] თუმცა, კონდომინიუმი სინამდვილეში ფიქცია იყო, რადგანაც სუდანი ფაქტობრივად ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა. ვაფდი მხარს უჭერდა ანტიინგლისურ მოძრაობას სუდანში. როდესაც 1924 წელს ვაფდის ლიდერებმა დააყენეს საკითხი ინგლისის წინაშე სუდანიდან ბრიტანეთის არმიის გაყვანისა და ინგლისურ-ეგვიპტური სუდანის ეგვიპტესთან გაერთიანების შესახებ, ინგლისელებმა გადაწყვიტეს დაემხოთ ვაფდის მთავრობა (El-Amin, 1986: 235-260).

1924 წლის 19 ნოემბერს ეგვიპტელი ტერორისტების მიერ კაიროში სუდანის ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის ლი სტეიქის[31] მკვლელობის შემდეგ, ინგლისმა ულტიმატუმი წაუყენა ზაგლულს შემდეგი მოთხოვნებით: ბოდიშის მოხდა; დამნაშავეთა სასტიკი დასჯა; სახალხო დემონსტრაციების აკრძალვა; კონტრიბუციის გადახდა 500 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით; 24 საათში ეგვიპტის არმიის გაყვანა სუდანიდან; ინგლისური კომპანიებისათვის უფლების მიცემა შეუზღუდავად გაეზარდათ სარწყავი ფართობები სუდანში (ალ-ჯაზირას რაიონში); ინგლისის მთავრობის განსაკუთრებული უფლების – ეგვიპტეში უცხოელთა ინტერესების დაცვის ცნობა.

სა'დ ზაგლული დათანხმდა ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნები, თუმცა უარი თქვა არმიის გაყვანაზე სუდანიდან და ინგლისური კომპანიების სარწყავი ფართობების გაზრდაზე სუდანის ალ-ჯაზირას რაიონში. ინგლისელებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედებები ეგვიპტელთა წინააღმდეგ სუდანში, ხოლო თვითონ ეგვიპტეში დაიკავეს ალექსანდრიის საბაჟო. ვაფდისტების კაბინეტს წინააღმდეგობა არ გაუწევია და 24 ნოემბერს გადადგა. ერთი თვის შემდეგ დათხოვნილ იქნა პარლამენტიც.

---

29 ეს იყო ნაწილობრივი ავტონომია, რომელსაც ჯერ კიდევ 1920 წელს მილნერი სთავაზობდა ზაგლულს (ბრიტანეთის მმართველი წრეების დავალებით, ეგვიპტეში 1919 წლის დეკემბრიდან 1920 წლის მარტამდე იმყოფებოდა ლორდ მილნერის კომისია, რომლის მიზანი იყო რეკომენდაციების გაცემა ბრიტანეთ-ეგვიპტის ურთიერთობებზე – როგორ უნდა გაეუქმებინათ ბრიტანეთის პროტექტორატი); ზაგლულმა უარი თქვა ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების ამ პროექტზე, რადგანაც მისი თვალთახდევიდან, ის ეწინააღმდეგებოდა ეგვიპტის ეროვნულ ინტერესებს.

30 XIX ს-ის ბოლოდან სუდანი ფაქტობრივად იყო ინგლისის კოლონია, ფორმალურად კი ექვემდებარებოდა ინგლის-ეგვიპტის ერთობლივი მმართველობას (კონდომინიუმი). 1899 წლის ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების თანახმად, სუდანში განლაგებული იყო ინგლისის და ეგვიპტის არმიები.

31 1924 წლის ნოემბერში სა'დ ზაგლულმა, მასებში პოპულარობის შენარჩუნებისა და ვაფდის წინააღმდეგ მზარდი ოპოზიციის დასასუსტებლად, მოითხოვა ინგლისელი ოფიცრების გაწვევა ეგვიპტის არმიიდან. ამის საპასუხოდ ეგვიპტის არმიის ხელმძღვანელად დაინიშნა სუდანის ინგლისელი გენერალ-გუბერნატორი სერ ლი სტეიქი, რომელმაც მანამდე ჩაახშო სუდანში აჯანყება.

კონდომინიუმი ფაქტობრივად გაუქმდა. ეგვიპტის არმია გამოყვანილ იქნა სუდანიდან – 1925 წელს ხართუმში ჩამოყალიბდა *სუდანის დაცვის ძალები* (4500 ჯარისკაცი), სათავეში სუდანელი ოფიცრებით.

1925 წლის ახალ არჩევნებში ვაფდის პარტიამ ნაწილობრივი გამარჯვება მოიპოვა (მიიღო ხმების 54%) და სა'დ ზაგლული აირჩიეს დეპუტატთა პალატის სპიკერად, მაგრამ მეფის ბრძანებით, პარლამენტი დათხოვნილ იქნა შეკრებიდან 9 საათის შემდეგ. 1926 წლის არჩევნებში კვლავ გამარჯვება მოიპოვა პარტიამ, მაგრამ ბრიტანეთის ახალმა უმაღლესმა კომისარმა ლორდ ლოიდმა არ მისცა ზაგლულს მთავრობის ჩამოყალიბების საშუალება და ის ხელახლა იქნა არჩეული სპიკერად. 1927 წლის 23 აგვისტოს სა'დ ზაგლული გარდაიცვალა (მას უწოდებენ „ეგვიპტის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მამას") და ვაფდის პარტიის ახალი ხელმძღვანელი გახდა მოსამართლე და პოლიტიკოსი მუსტაფა ან-ნაჰასი (ნაჰას ფაშა, 1879-1965).

1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა[32] ბიძგი მისცა ეგვიპტეში ახალი განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას. ქვეყნის ეკონომიკა ემორჩილებოდა ინგლისელთა არმიის სამხედრო საჭიროებას, ფართოდ იყო დანერგილი „შრომით კორპუსებში" ეგვიპტელთა იძულებითი მობილიზაციის პრაქტიკა. ისე როგორც სხვა არაბულ ქვეყნებში, აქაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარზე იყო, რასაც ემატებოდა უმუშევრობის მაღალი დონე. მაგრამ ამ მოძრაობის დაწყების უპირველესი საბაბი გახდა ინგლისის ლეიბორისტული მთავრობის მიერ ეგვიპტისათვის ახალი ხელშეკრულების თავსმოხვევა. ამ ხელშეკრულების პროექტმა ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ ვაფდის ახალმა ლიდერმა ნაჰას ფაშამ, რომელიც პრემიერ-მინისტრი იყო 1930 წელს, უარი თქვა მის ცნობაზე (Beinin, 2008: 309-333; Richards, 2005: 56-84). მეფე ფუადმა დაითხოვა პარლამენტი და გადააყენა ნაჰას ფაშას მთავრობა. ახალ კაბინეტს სათავეში ჩაუდგა ისმაილ სიდკი ფაშა **(1930-1933), რომელმაც ჩამოაყალიბა** თავისი პარტია – *ჰიზბ აშ-შა'ბ* (*ხალხის პარტია*).

ხელისუფლების სათავეში სიდკი ფაშას მთავრობის მოსვლა დაემთხვა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს. ქვეყანაში დაიწყო მშრომელთა გამოსვლები ანტიინგლისური ლოზუნგებით და შრომის ანაზღაურების გაზრდის მოთხოვნით. 1930 წლის ივლისში ვაფდისტებმა მოაწყეს მანსურში დემონსტრაცია და მიტინგი, პოლიციამ დაშალა ისინი, რასაც მოჰყვა მსხვერპლი. **15 ივლისს, დაღუპულთა გლოვის ნიშნად,** მანსურში მშრომელებმა ორი საათით შეაჩერეს სამუშაო და ქუჩაში გამოვიდნენ. პოლიციელებმა მოკლეს 22 და დაჭრეს რამდენიმე ასეული დემონსტრანტი. იმავე დღეს ბარიკადული ბრძოლები გაიმართა კაიროში, ალექსანდრიასა და პორტ-საიდში, ხოლო ქ. სუეცი დროებით დაიკავეს აჯანყებულებმა. თუმცა, აჯანყება ჩახშობილ იქნა (Botman, 2008: 293-300; Marsot, 2007: 104-109).

1930 წლის ოქტომბერში ისმაილ სიდკი ფაშამ გააუქმა 1923 წლის კონსტიტუცია. ახალი კონსტიტუცია კი დეპუტატებს უკრძალავდა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევას. იმავე დროს მთავრობამ აკრძალა ვაფდის გავლენის ქვეშ მყოფი მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციები, ხოლო პოლიციასთან შეიქმნა სამთავრობო შრომის ბიურო, რომელიც დაკავებული იყო გაფიცვების აღკვეთით. 1931 წლის თებერვალში შეიქმნა „უმუშევრობასთან ბრძოლის კომისია", რომელიც ეხმარებოდა პოლიციას უმუშევართა გაძევებაში მთავარი ქალაქებიდან. ყველა ამ ღონისძიებამ, რომელთა მიზანი იყო ეგვიპტის რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა, შედეგი არ გამოიღო. 1931 წლის მაისში მთელ ქვეყანაში დაიწყო საგაფიცვო მოძრაობა და მთავრობის მიერ დაგეგმილი არჩევნები ჩაიშალა. 1933 წლის დასაწყისში სიდკის მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო.

1934 წელს მეფე ფუადმა გააუქმა 1930 წლის კონსტიტუცია და ჩამოყალიბდა გარდამავალი „უპარტიო" კაბინეტი. **1935 წლის იანვარში ჩატარდა ვაფდის საერთოეროვნული კონგრესი, რომელმაც მოითხოვა** 1923 წლის კონსტიტუციის აღდგენა და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ამასთან, ვაფდმა მზადყოფნა გამოხატა დაედო ბრიტანეთთან „თანასწორუფლებიანი" შეთანხმება. თავდაპირველად ინგლისის მთავრობამ მოიწონა კონგრესის გადაწყვეტილება, მაგრამ შემდეგ უარი განაცხადა დათმობებზე და კონსტიტუციის აღდგენა ნაადრევად მიიჩნია. ამას მოჰყვა საყოველთაო პროტესტი – 1935 წლის **13-14 ნოემბერს განახლდა შეტაკებები პოლიციასთან, ხოლო 21 ნოემბერი გამოცხადდა გლოვის** დღედ ამ შეტაკებების მსხვერპლთა ხსოვნის საპატივსაცემოდ. ჩამოყალიბდა ეროვნული ფრონტი

32 ამ პერიოდში მკვეთრად დაეცა მოთხოვნა ეგვიპტის მთავარ საექსპორტო საქონელზე – ბამბაზე. ამან მნიშვნელოვნად გააუარესა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და უკიდურესად გაზარდა უმუშევრობის დონე. აგრარულ კრიზისს მოჰყვა მრეწველობის განვითარების დონის დაცემაც. მნიშვნელოვნად შემცირდა მშრომელთა რეალური შრომის ანაზღაურება. 1930 წელს ვაფდის მთავრობამ დააწესა მომატებული საბაჟო გადასახადები უცხოურ საქონელზე, რამაც ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალდაბანდებების ზრდას ქვეყანაში.

ვაფდის პარტიის ხელმძღვანელობით. 1935 წლის 13 დეკემბერს მეფემ, ინგლისელი უმაღლესი კომისრის მაილს ლემფსონის რჩევით, დააკმაყოფილა ფრონტის მოთხოვნა და აღადგინა 1923 წლის კონსტიტუცია.

1936 წლის მაისში შედგა პარლამენტის არჩევნები, რომელზედაც ვაფდისტებმა კვლავ მიიღეს უმრავლესობა (179 ადგილი 232-დან დეპუტატთა პალატაში და სენატის არჩევითი 79 ადგილიდან – 65) და ჩამოაყალიბეს მთავრობა ნაჰას ფაშას მეთაურობით. 1936 წლის 28 აპრილს მეფე ფუადი გარდაიცვალა და გამეფდა მისი ვაჟი ფარუკი (გარდ.1965 წ.). 1936 წლის 26 აგვისტოს ეგვიპტის დელეგაციამ ხელი მოაწერა ინგლისთან ხელშეკრულებას, რომელიც განიხილება როგორც „ბოლო ნაბიჯი ეგვიპტის პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ“ (Goldschmidt, 2004: 79).

1936 წლის ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულება დაიდო 20 წლის ვადით და ამ შეთახმებით ფორმალურად დასრულდა ინგლისის მიერ ეგვიპტის ოკუპაცია. ინგლისის უმაღლესი კომისრის პოსტი უქმდებოდა და სამაგიეროდ უნდა შექმნილიყო ინგლისის საელჩო; მშვიდობიან პერიოდში ინგლისს უნდა შეემცირებინა არმია 10 ათასამდე, მაგრამ ხელშეკრულება უშვებდა ინგლისის არმიის ყოფნას სუეცის არხის ზონაში, კაიროსა და ალექსანდრიაში მანამდე, სანამ „მოლაპარაკებაში მონაწილე ორივე მხარე არ მივა შეთანხმებამდე, რომ ეგვიპტის არმიას ძალუძს საკუთარი ძალებით უზრუნველყოს თავისუფალი და სრულიად უსაფრთხო ნავიგაცია სუეცის არხში.“ ომის შემთხვევაში, ეგვიპტე ვალდებული იყო ინგლისისათვის მიეცა ნავსადგურების, აეროდრომების, გადაადგილებისა და კავშირის საშუალებების გამოყენების უფლება; ეგვიპტეში მყოფ უცხოელთა სიცოცხლისა და ქონების დაცვის პასუხიმგებლობა „გადავიდა მხოლოდ ეგვიპტის მთავრობის ხელში“; სუდანის საკითხი გადაწყდა კომპრომისულად – აღდგა კონდომინიუმის რეჟიმი, 1899 წლის კონვენციის საფუძველზე; სუდანის „დაცვისათვის“ გენერალ-გუბერნატორს სუდანური შენაერთის შესავსებად უნდა მისცემოდა ინგლისური და ეგვიპტური საჯარისო შენაერთები. ამ უკანასკნელის რაოდენობას და დისლოკაციის ადგილს თვით გუბერნატორი განსაზღვრავდა. ამგვარად, 1936 წლის ხელშეკრულებამ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად გააფართოვა დამოუკიდებელი ეგვიპტის მთავრობის კომპეტენცია, ხოლო მეორე მხრივ, დაუტოვა ინგლისს კონტროლი ეგვიპტეზე, თუმცა შეცვლილი სახით (Marsot, 2007: 114-115; Reid, 1982: 632; Gibb, 1936: 351-373).

1936 წლის ხელშეკრულების საფუძველზე გაფართოვდა სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების მშენებლობის პროგრამა ეგვიპტეში – გამოიყო თანხები ეგვიპტეში ინგლისური ბაზების შეიარაღებაზე და კომუნიკაციებზე. ეგვიპტემ მეტი თავისუფლება მიიღო თავდაცვის საკითხებში – მაგ., მიიღო უფლება არმიის რაოდენობის გაზრდაზე (Cleveland, 2009: 197).

1937 წელს ეგვიპტე გახდა ერთა ლიგის წევრი. იმავე წელს მონტრეს კონფერენციაზე, ყველა სახელმწიფომ, რომელთა სასარგებლოდაც არსებობდა კაპიტულაციის რეჟიმი, ცნო მისი ლიკვიდაცია (Botman, 2008: 295).

მეორე მსოფლიო ომის წინ, 1936-1940 წლებში, ეგვიპტის პოლიტიკური ისტორია განუყოფელია ალი მაჰირის (1882-1960) და მისი უმცროსი ძმის – აჰმად მაჰირის მოღვაწეობისაგან. ამ უკანასკნელს 1924-1938 წლებში რამდენჯერმე ეკავა მინისტრის პოსტი ვაფდის მთავრობაში. 1938 წლის იანვარში, პარტიის შიგნით არსებული დაპირისპირებების გამო, აჰმად მაჰირმა დააარსა *სა'დისტების პარტია* (სახელი ეწოდა სა'დ ზაგლულის საპატივსაცემოდ). ალი მაჰირს სამჯერ ეკავა ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის პოსტი – 1935, 1936 და 1939-1940 წლებში.

ერაყი

1920 წელს სან-რემოს კონფერენციაზე ინგლისმა მოკავშირეების თანხმობით მიიღო ერთა ლიგისაგან მანდატი სამი ოსმალური ვილაიეთის (მოსული, ბაღდადი და ბასრა) ტერიტორიაზე შეექმნა ერაყის სახელმწიფო. მისი მოსახლეობის (დაახლ. 3 მლნ ადამიანი) ნახევარზე ოდნავ მეტს შეადგენდნენ შიიტები, 20%-ს – სუნიტები, 20%-ს – ქვეყნის ჩრდილოეთში მოსახლე ქურთები, 8%-ს კი – ქრისტიანები, იუდეველები, იეზიდები, საბაელები და თურქმანები.

ინგლისელთა პოლიტიკა ერაყში არ გამოირჩეოდა ლიბერალობით. ჩვეულებრივი იყო სურსათისა და მიწების რეკვიზიცია, შრომითი ბეგარა, სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა. ინგლისის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო ერაყის მოსახლეობის დიდი ნაწილი – არაბები და ქურთები, ხელოსნები, მომთაბარეები. ინგლისის საწინააღმდეგო პოზიცია ჰქონდა ეროვნულ ბურჟუაზიას; ტომთა შეიხებს, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ინგლისელთა ჩარევით ტომების წინამძღოლთა ფუნქციებში; შიიტ

ღვთისმეტყველებს – მუჯთაჰიდებს, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ფაქტობრივი ავტონომიის ლიკვიდაციით წმინდა ქალაქებში – ნაჯაფსა და ქერბალაში.

ინგლისისადმი მზარდი წინააღმდეგობის ვითარებაში, ჯერ კიდევ 1918-1919 წლებში ჩამოყალიბდა სამი მნიშვნელოვანი საიდუმლო საზოგადოება: *ისლამური გამოღვიძების ლიგა* (*ჯამ'იიათ ან-ნაჰდა ალ-ისლამიიდა*) ნაჯაფში; *მუსლიმური ეროვნული ლიგა* (*ჯამ'იიათ ალ-ვატანიდა ალ-ისლამიიდა*); 1919 წლის თებერვალში კი ბაღდადში შეიქმნა მესამე ორგზანიზაცია –*დამოუკიდებლობის მცველები* (*ჰარას ალ-ისთიკლალ*), რომელიც აერთიანებდა ერაყის შიიტ ვაჭრებს, სუნიტ მასწავლებლებს, სამოქალაქო მოსამსახურეებს, სუნიტ და შიიტ ულემებს და ერაყის ოფიცრებს, მაგრამ საზოგადოების წევრების უმრავლესობა მაინც შიიტი იყო და მას ხელმძღვანელობდა შიიტი მუჯთაჰიდი მუჰამად ას-სადრი. საზოგადოებას რამდენიმე ფილიალი ჰქონდა პროვინციულ ქალაქებში – ქერბალაში, ნაჯაფსა და ჰილლაში. ქერბალას ცნობილმა მუჯთაჰიდმა იმამ შირაზიმ გამოსცა ფათვა, სადაც გაცხადებული იყო, რომ მუსლიმებისათვის ისლამური კანონების საწინააღმდეგოა იმართებოდეს არამუსლიმების მიერ და მან მოუწოდა ბრიტანეთის წინააღმდეგ ჯიჰადისაკენ.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის ბოლოს დაიწყო აჯანყებები ერაყის ცალკეულ ნაწილებში: 1918 წელს ნაჯაფში, 1919 წლის მაის-ივნისში – ქურთთა აჯანყება ქვეყნის ჩრდილოეთში და სხვ.

სან-რემოს კონფერენციამ და მისმა გადაწყვეტილებამ მანდატის დაწესების თაობაზე ახალი ბიძგი მისცა ანტიბრიტანულ მოძრაობას. ამ ვითარებაში, 1920 წლის 30 ივნისს, ქ. რუმეისაში ევფრატის სანაპიროებზე მცხოვრებ ტომთა გამოსვლა მალე გადაიზარდა საყოველთაო აჯანყებაში. ერთი თვის განმავლობაში აჯანყებულებმა დაიკავეს ერაყის თითქმის მთელი არაბული ნაწილი, ინგლისელთა დასაყრდენი პუნქტების გარდა ტიგროსის ველზე ბასრასა და ბაღდადს შორის. აჯანყებულებმა რამდენიმე სერიოზული დარტყმა მიაყენეს ინგლისელთა არმიას. თუმცა, ეს აჯანყება იზოლირებულად მიმდინარეობდა ქვეყნის სხვა რაიონებისაგან, რამაც ხელი შეუწყო მის მარცხს. ინგლისელებმა აჯანყების ჩასახშობად გამოიყვანეს 150 ათასიანი არმია და 1920 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში გაანადგურეს აჯანყებულთა ძირითადი ძალები (დაიღუპა 10,000 ერაყელი, 450 ინგლისელი ჯარისკაცი, და ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა 40 მლნ)[33] (Cleveland, 2009: 205).

1920 წლის „დიდი ერაყული რევოლუცია“ (*ას-სავრა ალ-ირაკიიდა ალ-ქუბრა*) იყო წყალგამყოფი მოვლენა თანამედროვე ერაყის ისტორიაში – სუნიტები და შიიტები, სხვადასხვა ტომები და ქალაქები პირველად გაერთიანდნენ ერთი მიზნის მისაღწევად.

1920 წლის ოქტომბერში ინგლისის უმაღლესმა კომისარმა არნოლდ უილსონმა ერაყში ჩამოაყალიბა დროებითი მთავრობა, ხოლო 1921 წლის 23 აგვისტოს ინგლისმა მიაღწია ერაყის სამეფოს გამოცხადებას. ამავე დღეს მოხდა მეფის ფაისალ იბნ ჰუსაინის (1921-1933) კორონაცია. ყველა სამთავრობო უწყებაში დაინიშნენ ინგლისელი მრჩევლები. 1922 წლის 10 ოქტომბერს ბაღდადში დაიდო ინგლის-ერაყის ხელშეკრულება 20 წლის ვადით და ფაქტობრივად ოფიციალურად გაფორმდა ინგლისის მანდატი ერაყზე: მეფის ხელისუფლებას უნდა ეხელმძღვანელა ინგლისის უმაღლესი კომისრის რჩევებით საერთაშორისო და საფინანსო პოლიტიკის საკითხებში. შეიარაღებულ ძალებზე, ფინანსებზე, ქვეყნის მთელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე კონტროლი გადავიდა ინგლისის უმაღლესი კომისრის ხელში. ინგლისი ინარჩუნებდა ერაყში თავის არმიას (Silverfarb, 1986: 8). ხელშეკრულების პირობებმა გამოიწვია ერაყელთა დიდი წინააღმდეგობა. საპროტესტო მოძრაობის სათავეში იდგნენ ერაყის *ნაციონალური პარტია* (*ალ-ჰიზბ ალ-ვატან*), (ხელმძღვანელი – შიიტი პოლიტიკოსი ჯაფარ აბუ ათთიმანი, შეიქმნა საზოგადოება „დამოუკიდებლობის მცველების“ ბაზაზე); ერაყის *აღორძინების პარტია* (*ნაჰდა*) ას-სადრის მეთაურობით. მძლავრი საპროტესტო მოძრაობის გამო, 1923 წლის შეთანხმებით, ინგლისი იძულებული გახდა 4 წლამდე შეემცირებინა ხელშეკრულების მოქმედების ვადა. მხოლოდ 1924 წლის 10 ივნისს, მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ჩახშობის შემდეგ, მიაღწია ინგლისმა ხელშეკრულების რატიფიკაციას (Tripp, 2007: 52; *Outline of Anglo-Iraq Treaty*, 1927: 3-4).

1925 წელს მიიღეს ქვეყნის ორგანული კანონი (შედგება შესავლისა და 10 მუხლისაგან), რომლითაც ერაყი მემკვიდრეობით კონსტიტუციურ მონარქიად გამოცხადდა, ორპალატიანი პარლამენტით (სენატი და დეპუტატთა პალატა).[34] კონსტიტუციით მეფეს მიენიჭა უფლება დაეთხოვა პარლამენტი,

33 სხვა მონაცემებით, ერაყის აჯანყების შედეგად დაიღუპა 10,000 ერაყელი და დაახლ. 500 ინდოელი და ინგლისელი ჯარისკაცი (Tripp, 2007: 43).

34 სენატი შედგებოდა არა უმეტეს 20 წევრისაგან, რომელთაც მეფე ნიშნავდა 8 წლის ვადით, მაგრამ ყოველ 4 წელიწადში უნდა მომხდარიყო სენატის შემადგენლობის ნახევრის განახლება. დეპუტატთა პალატა აირჩეოდა ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით. არჩევნები ისე იყო ორგანიზებული, რომ დეპუტატთა შორის ჭარბობდ-

შეერჩია პრემიერ-მინისტრი და ამ უკანასკნელის რეკომენდაციით დაენიშნა მინისტრები. 1921 წლიდან 1945 წლამდე **შეიცვალა 39 კაბინეტი და არც ერთ პარლამენტს არ დაუსრულებია თავისი უფლება-**მოსილების ვადა. ორგანული კანონის შესაბამისად, ისლამი იყო სახელმწიფო რელიგია, შენარჩუნდა შარიათის სასამართლოები (სუნიტური და შიიტური), ჩამოყალიბდა აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტები (Davidson, 1925: 41-52). ერაყის არმია, რომელიც იყო ეროვნული სიმბოლოც და სახელმწიფო ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენიც, შეიქმნა 1921 წელს. ბრიტანელებმა შეზღუდეს არმიის შემადგენლობა 7500-მდე, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1932), ჯარისკაცთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა: 1933წ. – 12,000, 1935წ. – 15,000, და 1941წ. – 43,000 (Anderson & Stansfield, 2004: 20).

1926 წლის 13 იანვარს დაიდო ინგლის-ერაყის ხელშეკრულება, რომელიც აგრძელებდა 1922 წლის ხელშეკრულების ვადას 1950 წლამდე, თუ ამ დრომდე ერაყი არ გახდებოდა ერთა ლიგის წევრი (ეს უკანასკნელი ავტომატურად ათავისუფლებდა ერაყს ინგლისის მანდატისაგან).

ნური ას-საიდი

ინგლისის ადმინისტრაცია, თავისი ბატონობის განმტკიცების შემდეგ, შეეცადა დაეტოვებინა ინგლისური კომპანიებისათვის მონოპოლიური უფლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნავთობის მოძიებასა და მოპოვებაზე. თუმცა, **1927 წელს ინგლისელები საერთაშორისო კაპიტალის ზეწოლ**ით იძულებული გახდნენ თანხმობა განეცხადებინათ შერეული კომპანიის დაარსებაზე და შეიქმნა *ერაყის სანავთობო კომპანია* (*Iraq Petroleum Company*), რომლის მეწილეებიც ინგლისური, ჰოლანდიური, ამერიკული და ფრანგული კომპანიები გახდნენ. ამასთან, ინგლისი ინარჩუნებდა ერაყის სანავთობო მრეწველობაში წამყვან მდგომარეობას (*Outline of Anglo-Iraq Treaty*, 1927: 4-6; Anderson & Stansfield, 2004: 17).

სამანდატო სისტემას ერაყში სულ უფრო მეტი წინააღმდეგობები ხვდებოდა. ამ ვითარებაში ინგლისის მთავრობამ შესთავაზა ერაყს შეეცვალათ ინგლის-ერაყის ურთიერთობების ფორმა და გაეუქმებინათ მანდატი. ამისკენ ინგლისს უბიძგა იმ გარემოებაც, რომ მანდატის პირობები ავალდებულებდა მას გაეტარებინა ერაყში „ღია კარის პოლიტიკა“ და თანაბარი შესაძლებლობები მიეცა სხვა ევროპული ქვეყნებისა და ამერიკის კაპიტალისათვის. **1930 წლის 30 ივ**ნისს ლონდონში ერაყის პროინგლისურმა მოღვაწემ ნური ას-საიდმა, რომელიც მანამდე მთავრობას ხელმძღვანელობდა,[35] ხელი მოაწერა ახალ ინგლის-ერაყის ხელშეკრულებას, **25 წლის ვადით. ამ ხელ**შეკრულებით, რომელიც ძალაში შედიოდა ერთა ლიგაში ერაყის შესვლის მომენტიდან, ერაყი ცხადდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ის დაკავშირებული იყო ინგლისთან „მეგობრობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულებით.“ ინგლისი ინარჩუნებდა უფლებას „კონსულტაცია“ მიეცა ერაყისათვის საგარეო პოლიტიკის საკითხებში (**1931 წლისათვის ერაყში იყო დაახლ. 260 ინგლისელი მრჩევე**ლი), ინარჩუნებდა აგრეთვე ორ სამხედრო ბაზას – *ჰაბბანიიას* (ბაღდადის ახლოს) და *შუ'აიბას* (ბასრას ახლოს) და „განსაკუთრებულ ინტერესებს“ ერაყის დაცვაში ომის შემთხვევაში, იღებდა უფლებას ეკონტროლებინა ერაყის შეიარაღებული ძალების განვითარება – ინგლისს ენიჭებოდა მონოპოლიური პრივილეგია ერაყელი სამხედროების წვრთნა განხორციელებულიყო მხოლოდ ინგლისში, ყველა უცხოელი სამხედრო ინსტრუქტორი ერაყში ყოფილიყო ინგლისიდან, ერაყის არმიის იარაღით აღჭურვა მომხდარიყო მხოლოდ ინგლისიდან. ამგვარად, ხელშეკრულება პრაქტიკულად ადასტურებდა ინგლისის ბატონობას ერაყში (Vesey-Fitzgerald, 1931: 55-60; Reeva, 2004: 4).

ამგვარი ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოვიდნენ ერაყის საზოგადოების ფართო ფენები. 1931 წლის მარტში ჩამოყალიბდა ოპოზიციური *ნაციონალური ძმობის პარტია*, რომელიც აერთიანებდა ნური ას-საიდის მოწინააღმდეგე ფეოდალურ დაჯგუფებებს, ნაციონალისტურად განწყობილ ბურჟუაზიას, ინტელიგენციას, სტუდენტობას. მის შემადგენლობაში შევიდა ზემოთ ნახსენები *ერაყის ნაციონალუ-*

ნენ მსხვილი ფეოდალები, ტომთა შაიხები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილი ინგლისის ხელისუფლებისადმი. მოქალაქეთა წარმომადგენლობა მკაცრად იყო შეზღუდული. აღმასრულებელი ხელისუფლებას მთავრობა ახორციელებდა. პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ინგლისის ყველაზე აქტიური მხარდამჭერები (Davidson, 1925: 47-48; Reeva, 2004: 5).

35 ნური საიდი (1888-1958) – პრობრიტანულად განწყობილი არაბი სუნიტი, მონარქიის პერიოდში 47-ჯერ ეკავა სხვადასხვა სახელმწიფო პოსტი, მათ შორის 14-ჯერ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.

რი პარტია (*ალ-ჰიზბ ალ-ვატან*), და *ხალხის პარტია* (*ჰიზბ აშ-შა"ბ*, ხელმძღვანელი – იასინ ალ-ჰაშიმი). ახალ პარტიასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ერაყის ყველაზე დიდი სავაჭრო კავშირს – *ხელოსანთა საზოგადოებას* (*ჯამ"იÁÁა ას-საან"ა*, ხელმძღვანელი – მუჰამად სალიჰ ალ-კაზაზი). ნაციონალური ძმობის პარტია ითხოვდა 1930 წლის ხელშეკრულების ლიკვიდაციას, პარლამენტის მოწვევას და მთავრობის გადადგომას (Vesey-Fitzgerald, 1931: 60-65).

ნური ას-საიდის მთავრობამ, რომელიც ეყრდნობოდა ინგლისურ არმიას, შეძლო შეეჩერებინა განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარება და 1932 წელს წლის 13 ოქტომბერს მიაღწია, რომ ერაყი შესულიყო ერთა ლიგაში.[36] შესაბამისად, ერაყმა მიიღო ფორმალური დამოუკიდებლობა. ერაყი გახდა ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრე პირველი სახელმწიფო, რომელმაც მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის ერაყი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო. სანავთობო მრეწველობის გარდა, მანდატის პერიოდში არ ჩამოყალიბებულა არც ერთი მსხვილი სამრეწველო საწარმო. ერაყისათვის ფორმალური დამოუკიდებლობის მინიჭება დაემთხვა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს. რის შედეგადაც მკვეთრად დაეცა ფასები ერაყის ძირითად საექსპორტო საქონელზე – ფინიკზე, აგრეთვე ხორბალზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. კრიზისის შედეგი იყო სათესი ფართობების შემცირება, გლეხთა გაღატაკება და მათი მასობრივი მიგრაცია ქალაქებში. სამანდატო რეჟიმმა დატოვა ქვეყანაში უმიწო გლეხები, უმუშევართა არმია, ეთნიკური და რელიგიური წინააღმდეგობების მთელი კომპლექსი.

მანდატის გაუქმებიდან ორნახევარი წლის განმავლობაში ქვეყანაში შეიცვალა რვა მინისტრთა კაბინეტი და სამჯერ ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. 1933 წელს გარდაიცვალა მეფე ფაისალი და ტახტზე ავიდა მისი **21 წლის ვაჟი ღაზი იბნ ფაისალი (1933 -1939) ღაზი I-ის სახელით, რომელ**საც ნაკლებად აინტერესებდა სახელმწიფო საქმეები. **1933 წლის 20 მარტს ჩამოყალიბდა „ნაციონა**ლური ძმობის" მთავრობა და პრემიერ-მინისტრი რაშიდ ალი ალ-ქაილანი გახდა. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, პარტიის ლიდერებმა უარი თქვეს თავიანთ ძირითად პოლიტიკურ მიზანზე და **1930 წლის ინგლის-ერაყის ხელშეკრულების მოწინააღმდეგეებიდან გადაიქცნენ ამ ხელშეკრულე**ბის დამცველებად. ალ-ქაილანიმ ღიად განაცხადა, რომ აღიარებდა 1930 წლის ხელშეკრულებას და შეეცადა მოეძებნა გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან. ერაყის ნაციონალური პარტია გამოვიდა ამ კურსის წინააღმდეგ და გამოაცხადა კავშირის გაწყვეტის შესახებ ნაციონალურ ძმობასთან. ქვეყანაში კრიზისულ სიტუაციას კიდევ უფრო აღრმავებდა გლეხთა ფართო მასების უკმაყოფილების ზრდა, არ წყდებოდა ქურთების შეიარაღებული ბრძოლა (Tripp, 2007: 79).

პოსტსამანდატო პერიოდში პოლიტიკურ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გავლენიანმა ორგანიზაციამ, რომელიც შეიქმნა იყო გაზეთ „ალ-აჰალის" (*ხალხი*) ბაზაზე. (გამოდიოდა **1932 წლი**დან). მის შემადგენლობაში შედიოდნენ ერაყის საზოგადოებრივი მოღვაწეები, რომელთაც სურდათ კარდინალური გარდაქმნების გატარება. **1934 წლიდან „ალ-აჰალის" მუშაობაში წამყვან როლს ასრუ**ლებდნენ ნაციონალური ძმობის ყოფილი წევრები –ჯაფარ აბუ ათ-თიმანი, ჰიქმათ ას-სულაიმანი და ადვოკატი ქამილ ალ-ჩადირჩი.

პოლიტიკური ბრძოლის არენაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მუშათა კლასმა. **1920-იანი წლე**ბის ბოლოს შეიქმნა პროფკავშირები, ხოლო **1935 წლის მაისში – ერაყის კომუნისტური პარტიის პირ**ველი ცენტრალური კომიტეტი, მაგრამ წლის ბოლოს პარტიის მრავალი წევრი დააპატიმრეს და მისი გაზეთიც დახურეს.

„ნაციონალური ძმობის" მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდნენ სხვადასხვა ფეოდალური დაჯგუფებები. ერაყის ერთ-ერთმა წამყვანმა მოღვაწემ, მსხვილმა მიწათმოქმედმა ჰიქმათ სულაიმანმა კავშირი დაამყარა „ალ-აჰალის" ჯგუფთან. მისი სახელით ის მოლაპარაკებებს აწარმოებდა ინგლისის საწინააღმდეგო სამხედრო დაჯგუფების ლიდერთან ბაქრ სიდკისთან, რომელიც ცნობილი გახდა შუა ევფრატის ტომების გამოსვლის ჩახშობით და ასირიელთა ხოცვა-ჟლეტით (დაიღუპა დაახლ. **6000 ასი-**

36 ერთა ლიგაში ერაყს წაუყენეს პირობა, რომ მისი სუნიტური არაბული ელიტა დაიცავდა უმცირესობების უფლებებს. ეს შეეხებოდა ჩრდილოეთით მცხოვრებ ქურთებსა და სამხრეთით მცხოვრებ შიიტ არაბებს, რომლებიც რაოდენობრივად აჭარბებდნენ სუნიტ არაბებს. თუმცა 1921-1936 წლებში, ერაყის პოლიტიკურ ელიტას ძირითადად შეადგენდნენ სუნიტები.1920-1958 წლებში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ლიდერებიდან დაახლ. 60% იყო არაბი სუნიტი, 25% – არაბი შიიტი და 15% ქურთი. იმავე პერიოდში სუნიტები შეადგენდნენ ერაყის მოსახლეობის 20%-ს, შიიტები – 55-60%-ს და ქურთები – 20%-ს. სუნიტებს დომინანტური პოზიცია ჰქონდათ არმიაშიც (Anderson & Stansfield, 2004: 20).

რიელი). ჰიქმათ სულაიმანმა და ბაქრ სიდკიმ შეადგინეს სამხედრო გადატრიალების გეგმა, რომლის შესახებაც ბოლო მომენტში შეატყობინეს „ალ-აჰალის“ ლიდერებს (იქვე, 86).

1936 წლის 29 ოქტომბერს არმია ბაქრ სიდკის მეთაურობით დაიძრა ბაღდადისაკენ და მეფე ღაზი I-ს წაუყენეს ულტიმატუმი მოთხოვნით გადაეყენებინა ნაციონალური ძმობის მთავრობა. ამის პარალელურად საჰაერო ძალებმა რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს პრემიერ-მინისტრის იასინ ალ-ჰაშიმის რეზიდენციის ახლოს, რასაც მოჰყვა მის მიერ ქვეყნის დატოვება. მეფემ მიიღო ულტიმატუმი და დაავალა ჰიქმათ სულაიმანს შეექმნა მინისტრთა კაბინეტი (ჩამოყალიბდა 30 ოქტომბერს). მთავრობაში შევიდა ალ-აჰალის სამი წარმომადგენელი. ბაქრ სიდკი დაინიშნა გენერალური შტაბის მეთაურად, ხოლო ჯაფარ ალ-ასქარი – თავდაცვის მინისტრად. აბუ ათ-თიმანი გახდა ფინანსთა მინისტრი. 1936 წლის ნოემბერში „ალ-აჰალის“ ლიდერებმა დააფუძნეს „სახალხო რეფორმების საზოგადოება“ (*ალ-ჯამ'იიდა ალ-ისლაჰ ამ-შა'ბი*). საორგანიზაციო კომიტეტში შევიდა ოთხი რეფორმატორი მინისტრი – ქამილ ალ-ჩადირჩი, იუსუფ იზ ად-დინ იბრაჰიმი, ჯაფარ აბუ ათ-თიმანი და ნაჯი ალ-ასილი, ასევე აბდ ალ-კადირ ისმაილი – „ალ-აჰალის“ რედაქტორი და მოგვიანებით ცნობილი ფიგურა კომუნისტურ მოძრაობაში. ჰიქმათ სულაიმანი და აბუ ათ-თიმანი თავის საპროგრამო გამოსვლებში საუბრობდნენ ფართო რეფორმების გატარების, მათ შორის უმიწო გლეხებისათვის სახელმწიფო მიწების გადაცემის შესახებ; აგრეთვე ხაზს უსვამდნენ ეროვნული მრეწველობის განვითარების, სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ...აუცილებლობას. თუმცა, ჰიქმათ სულაიმანი (წარმოშობით თურქი) და ბაქრ სიდკი (წარმოშობით ქურთი) უცხო იყვნენ ერაყის მმართველი ელიტისათვის და მათი ძირითადი მიზანი იყო პოპულარობის მოპოვება ხალხთა მასებში. ისინი განიხილავდნენ ამ პროგრამას მხოლოდ როგორც ეფექტურ საშუალებას საზოგადოების დასამშვიდებლად და აფერხებდნენ მის რეალიზაციას. პრაქტიკაში ისინი მიმართავდნენ ძალადობის ტრადიციულ მეთოდებს, ახშობდნენ სახალხო აჯანყებებს, ცდილობდნენ ტომთა შეიხების მოსყიდვას და სხვ. პროტესტის ნიშნად, „ალ-აჰალის“ წარმომადგენელი მინისტრები გადადგნენ 1937 წლის 19 ივნისს.[37] ბაქრ სიდკი, რომელიც იტალიური და გერმანული ფაშიზმის იდეების გავლენის ქვეშ იყო, ამზადებდა ახალ გადატრიალებას სამხედრო დიქტატურის დამყარების მიზნით. მაგრამ ჰიქმათ სულაიმანისა და ბაქრ სიდკის დაპირისპირებამ დემოკრატიულ წრეებთან შეარყია მათი გავლენა, რითაც ისარგებლეს პროინგლისურმა დაჯგუფებებმა (Simon, 2004: 118-121).

1937 წლის 11 აგვისტოს ბაქრ სიდკი მოკლეს, 55 დღის შემდეგ კი დაემხო ჰიქმათ სულაიმანის მთავრობა.[38] ქვეყანაში აღდგა პროინგლისური ძალების ბატონობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1938 წლის 25 დეკემბერს ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა ნური საიდის თავმჯდომარეობით. ახალი პრემიერი გაუსწორდა არა მარტო სახალხო მოძრაობას, არამედ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსაც. 1939 წლის მარტში მან მოაწყო ანტისამთავრობო შეთქმულების ინსპირირება, რამაც საშუალება მისცა დაეპატიმრებინა ოპოზიციონერების დიდი ჯგუფი. 1939 წლის აპრილში საეჭვო ვითარებაში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა მეფე ღაზი I, რომელიც არ იზიარებდა ნური საიდის პროინგლისურ კურსს. მეფედ გამოცხადდა დაღუპულის ვაჟი – 3 წლის ფაისალ II, რომლის რეგენტიც გახდა ნური ას-საიდის თანამოაზრე პრინცი აბდ ალ-ილაჰი.

სირია და ლიბანი

I მსოფლიო ომის დამთავრებისა და ოსმალეთის იმპერიის მარცხის შემდეგ, 1918 წლის ოქტომბერში, ინგლისის არმიამ ედმუნდ ალენბის ხელმძღვანელობით, ჰიჯაზიდან არაბული რაზმების (სათავეში – ამირა ფაისალი, მექის შარიფის ჰუსაინის ძე) დახმარებით, დაიკავა სირია. საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა ლიბანშიც. სირიის სანაპირო რაიონებში და ლიბანში შეყვანილ იქნა აგრეთვე საფრანგეთის არმიის ნაწილები და დაინიშნა ფრანგი გუბერნატორი. გამოცხადდა, რომ ეს იყო დროებითი რეჟიმი

37 სულაიმან ჰიქმათის მთავრობას დემოკრატიული ფრაზეოლოგიისათვის უწოდეს „სახალხო ფრონტის მთავრობა სახალხო ფრონტის გარეშე“. 7 მინისტრიდან 4 გადადგა – აბუ ათ-თიმანი, ქამილ ალ-ჩადირჩი, სალიჰ ჯაბრი და იუსუფ იზზ ად-დინ იბრაჰიმი. მოგვიანებით ისინი გაასახლეს ქვეყნიდან (Tripp, 2007: 90).

38 ბაქრ ას-სიდკის მკვლელობა დაგეგმა შვიდმა მაღალი რანგის ოფიცერმა (ჰუსაინ ფავზი, ამინ ალ-უმარი, სალაჰ ად-დინ ალ-საბაღი, მაჰმუდ სალმანი, ქამილ შაბიბი, აზიზ იამულქი და ფაჰმი საიდი), რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჰიქმათ სულაიმანის შემდეგ, მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჯამილ ალ-მიდფაი, რომლსაც მხარს უჭერდნენ აჯანყებული ოფიცრები.

და მომავალში სირიისა და ლიბანის ბედი გადაწყდებოდა სამშვიდობო კონფერენციაზე. ფაისალ ალ-ჰუსაინ ალ-ჰაშიმიმ დამასკოში ჩამოაყალიბა პირველი არაბული მთავრობა.

1919 წლის 18 იანვარს პარიზში მუშაობა დაიწყო სამშვიდობო კონფერენციამ და ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაძაბული კამათის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სირიისა და ლიბანის მანდატის საფრანგეთისათვის გადაცემის შესახებ (1920წ. აპრილი). 1919 წლის 26 ნოემბერს ბრიტანეთის არმიამ დატოვა დამასკო. ფრანგებმა დაიწყეს აღმოსავლეთ სირიაში (დამასკოს ჩათვლით) ინტერვენციისათვის მზადება. 1920 წელს საფრანგეთის არმიის რაოდენობა სირიის სანაპირო რაიონებში და ლიბანში გაიზარდა 7 ათასიდან 70 ათასამდე.

აბსოლუტური ხელისუფლება გადავიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისრის (ანრი გურო) ხელში, რომელიც ეყრდნობოდა საოკუპაციო არმიას. საფრანგეთი სამანდატო ტერიტორიებზე თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ეძებდა სახელმწიფოებრიობის შესაბამის ფორმას. 1920 წლის 1 სექტემბერს შეიქმნა სახელმწიფო *დიდი ლიბანის* სახელწოდებით,[39] რომლის სათავეში ფრანგი გუბერნატორი იდგა. ყოფილ მთიანი ლიბანის მუთასარიფიას საფრანგეთმა მიუმატა სანაპირო ქალაქები: ტრიპოლი, ტირი, სიდონი, და ბეირუთი. დამატებით, საფრანგეთმა ჩამოაცილა სირიის იურისდიქციას ნაყოფიერი ბიკაას ველი და ჩართო ის ლიბანის სახელმწიფოს შემადგენლობაში. დიდ ლიბანში ჩამოყალიბდა მმართველობის ადგილობრივი ორგანო – ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელსაც მხოლოდ სათათბირო ფუნქციები ჰქონდა. 1922 წელს ის შეიცვალა წარმომადგენლობითი საბჭოთი, მაგრამ არსებითი ცვლილებების გარეშე მის უფლებებსა და მოვალეობებში.

საფრანგეთის ხელისუფლებამ სირიასთან მიმართებაში გააატარა დეზინტეგრაციის პოლიტიკა. სამანდატო სირია (დამასკოს და ალეპოს ვილაიეთი), ძირითადად რელიგიური ნიშნით, გაიყო 5 მცირე მარიონეტულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად: დამასკო, ალეპო (ჰალაბ), ალავიტები, ჯაბალ დრუზი და ავტონომიური ალექსანდრეტას სანჯაყი.[40] ტერიტორიული ერთეულები ასევე იმართებოდა ფრანგი გუბერნატორების მიერ, რომლებიც თავის მხრივ, ემორჩილებოდნენ უმაღლეს კომისარს (Cleveland, 2009: 226; Zamir, 1985: 24-39). სამანდატო ხელისუფლება ცდილობდა რელიგიური უთანხმოების გაღვივებას ქვეყნის მოსახლეობაში – საზღვრები გაყავდათ ამა თუ იმ ოლქში ერთი კონფესიის წარმომადგენელთა სიჭარბის შესაბამისად: ქრისტიანები (უპირატესად უნიატი-მარონიტები) ლიბანში, დრუზები სამხრეთით, ჯაბალ-დრუზის მთიან რაიონში (ამჟამად *ჯაბალ ალ-არაბ*), ალავიტები ჯაბალ ანნუსაირის მთებში ჩრდილო-დასავლეთით.

დამასკოს სახელმწიფო – იყო საფრანგეთის მანდატის ქვეშ 1920-1925 წლებში. დედაქალაქი – დამასკო. 1925 წელს გაერთიანდა სირიის სახელმწიფოში.

ალეპოს სახელმწიფო (1920-1925) (არაბ. *დავლათ ალ-ჰალაბ*) – დასახლებული იყო ძირითადად სუნიტი მუსლიმებით. ის მოიცავდა ჩრდილოეთ სირიას და ევფრატის აუზს აღმოსავლეთ სირიაში. 1923 წელს მას შეუერთდა ალექსანდრეტას სანჯაყი. დედაქალაქი იყო ჩრდილოეთის ქალაქი ალეპო, სადაც ცხოვრობდნენ სუნიტი მუსლიმები, ასევე ქრისტიანთა და იუდეველთა დიდი თემები. ალეპოს სახელმწიფოში ცხოვრობდნენ აგრეთვე შიიტებისა და ალავიტების რელიგიური უმცირესობები. ეთნიკური ქურთები, სირიელები და ასირიელები ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ რეგიონში არაბების გვერდით. ალეპოს სახელმწიფოს სუნიტი მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა სირიის დაყოფას. 1925 წელს საფრანგეთმა ალეპოს სახელმწიფო და დამასკო გააერთიანა სირიის სახელმწიფოში.

ალავიტების სახელმწიფო – მდებარეობდა სირიის სანაპიროზე და მისი მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ ალავიტები (შიიტური სექტა). საპორტო ქალაქი ლათაკია იყო ამ სახელმწიფოს

---

39 ფრანგებმა დიდი ლიბანის სახელმწიფო უპირველესად შექმნეს როგორც „საიმედო თავშესაფარი“ მთიანი ლიბანის მუთასარიფიას (ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული) ქრისტიანი მარონიტი მოსახლეობისათვის. მასში მთიანი ლიბანის გარდა შედიოდა სხვა, ძირითადად მუსლიმური რეგიონები, რომლებიც არ იყო მარონიტთა მუთასარიფიას ნაწილი (ამის გამო ეწოდა დიდი ლიბანი).

40 1921 წლის 20 ოქტომბრის თურქეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებით, ალექსანდრეტას სანჯაყი წარმოადგენდა ავტონომიურ ტერიტორიას 1921-1923 წლებში, რადგანაც დიდი რაოდენობით აქ ცხოვრობდნენ თურქები არაბთა სხვადასხვა რელიგიურ თემებთან ერთად (სუნიტი მუსლიმები, ალავიტები, სირიელი მართლმადიდებლები, ბერძენი მართლმადიდებლები, ბერძენი კათოლიკეები, მარონიტები. ამის გარდა იყვნენ იუდეველთა, ასირიელთა, ქურთების, სომხების და ბერძნების თემები. 1923 წელს ალექსანდრეტა მიუერთდა ალეპოს სახელმწიფოს და 1925 წელს ის პირდაპირ მიუერთდა სამანდატო სირიას, სპეციალური ადმინისტრაციული სტატუსით. 1936 წლიდან დავის საგანი გახდა საფრანგეთსა და თურქეთს შორის (იხ. ზემოთ ქვეთავი თურქეთი; ასევე თავი X).

დედაქალაქი. ეს იყო ავტონომიური ტერიტორია ფრანგთა მმართველობის ქვეშ (ალავიტების ტერიტორია). 1922 წელს ის გახდა *სირიის ფედერაციის* წევრი, მაგრამ 1924 წელს კვლავ გამოვიდა ამ ფედერაციიდან და ეწოდა ალავიტების სახელმწიფო. 1930 წლის 22 სექტემბერს მას ეწოდა ლატაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფო. მისი მოსახლეობა ამ დროისათვის უტოლდებოდა 278 ათასს. 1936 წლის 5 დეკემბერს ლატაკიის სახელმწიფო შეუერთდა სირიის რესპუბლიკას.

ჯაბალ დრუზი (სირიის სამხრეთი) – იყო საფრანგეთის სამანდატო ტერიტორია 1921-1937 წლებში. მოსახლეობა – 50 ათასი, ძირითადად დრუზები. დედაქალაქი – ას-სუვაიდა.

ლიბანისაგან განსხვავებით, სადაც ქრისტიანული მოსახლეობა ფრანგებს განმათავისუფლებლებად აღიქვამდა, სირიის მოსახლეობამ მანდატის შემოღებას აჯანყებებით უპასუხა. ოკუპაციის პირველივე დღეებში გლეხები და ბედუინები აყალიბებდნენ პარტიზანულ რაზმებს. 1919 წელს ანსარიას მთებში იფეთქა ალავიტების აჯანყებამ, რომელიც ჩაახშეს მხოლოდ 1921 წელს. აღმოსავლეთ სირიაში ფრანგების საწინააღმდეგო მოძრაობის ცენტრები გახდა „არაბული კლუბები“ – ნაციონალისტური ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს. 1919 წლის ივლისში მოწვეულ იქნა *სრულიად სირიის კონგრესი*, რომელიც გამოვიდა საფრანგეთის მანდატის წინააღმდეგ. (იხ. თავი VII). ჩამოყალიბდა აგრეთვე *ეროვნული თავდაცვის სახალხო საბჭო*. მასში შევიდნენ მრავალი ქალაქისა და ოლქის, სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობების წარმომადგენლები. სახალხო საბჭო აგროვებდა სახსრებს და იარაღს პარტიზანული ბრძოლისათვის, კრებდა მოხალისეებს. თუმცა, ფაისალის და მისი გარემოცვის პოლიტიკა აფერხებდა ამ მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის წინაღობად იქცა. 1920 წლის დასაწყისში ფაისალმა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ კლემანსოსთან ერთად, ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელშიც არსებითად აღიარებული იყო საფრანგეთის პროტექტორატი აღმოსავლეთ სირიაზე. თუმცა, ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მომხდარა. 1920 წლის მარტში საყოველთაო სირიული კონგრესის სესიაზე ფაისალი გამოცხადდა სირიის მეფედ.

1920 წლის 23 ივლისს ქ. მაისალუნთან ახლოს აჯანყებულების განადგურების შემდეგ, 25 ივლისს ფრანგებმა აიღეს დამასკო და ფაისალი ქვეყნიდან გააძევეს. მათ გაანადგურეს ნაციონალისტური ორგანიზაციები, აიკრძალა სირიის ყველა პოლიტიკური პარტია. 1920 წლის 9 აგვისტოს საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 37 წამყვან არაბ პოლიტიკურ მოღვაწეს. ეროვნული მოძრაობის მრავალი მონაწილე ემიგრაციაში წავიდა და მათ დაუსწრებლად გამოუტანეს განაჩენი. მათი უმრავლესობა დასახლდა კაიროში, სადაც მოღვაწეობა გააგრძელა ადრე დაარსებულმა *არაბული დამოუკიდებლობის პარტიამ* (Crowfoot, 1942: 130-137).

არაბული დამოუკიდებლობის პარტიამ და კაიროში დაარსებულმა *სირიის ერთიანობის პარტიამ* 1921 წლის 21 სექტემბერს მოიწვიეს ჟენევაში *სირიულ-პალესტინური კონგრესი* და შეიმუშავეს მოთხოვნები ერთა ლიგისადმი:[41] სირიის, ლიბანის და პალესტინის დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის აღიარება; მანდატის სრული გაუქმება; საფრანგეთის და ინგლისის არმიების ევაკუაცია სირიიდან, ლიბანიდან და პალესტინიდან; ბალფურის დეკლარაციის გაუქმება, რაც გზას უხსნის პალესტინის ებრაულ კოლონიზაციას. ერთა ლიგამ უპასუხოდ დატოვა ეს მოთხოვნები.

საფრანგეთს სამი წელი (1920-1923) დასჭირდა სირიაზე სრული კონტროლის დასამყარებლად. 1920 წლის აგვისტოში მღელვარებები იყო ჰაურანში, ბაალბეკში. 1921 წელს აჯანყებებმა მოიცვა მთელი ჩრდილოეთ სირია. დამასკოში ჩამოყალიბდა ფრანგული მანდატის პერიოდში პირველი ნაციონალისტური ჯგუფი – *რკინის ხელის საზოგადოება*, რომლის სათავეში აბდ არ-რაჰმან შაჰბანდარი (1882-1940) იდგა. 1922 წლის აპრილში დემონსტრაციები და ბარიკადული ბრძოლები გაჩაღდა დამასკოსა და სხვა ქალაქებშიც. შაჰბანდარი, საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, დააპატიმრეს და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, ორნახევარი წლის შემდეგ ფრანგებმა ის გადაასახლეს, მაგრამ მალევე მისცეს სირიაში დაბრუნების უფლება.

სამანდატო ხელისუფლება, რომელსაც აშინებდა ხალხთა მასების მზარდი პოლიტიკური აქტივობა, წავიდა გარკვეულ დათმობებზე: 1922 წლის ივლისში ფრანგებმა დააფუძნეს *სირიის ფედერაცია* (*სირიის ავტონომიური სახელმწიფოების ფედერაცია*), რომელშიც შევიდა სამი სახელმწიფო – დამას-

41 სირიულ-პალესტინური კონგრესი დააფუძნეს ჟენევაში სირიიდან, ლიბანიდან და პალესტინიდან გადასახლებულმა ნაციონალისტებმა. მათ შორის იყო შუქრი ალ-კუვატლი (1891-1967). გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონგრესს თავმჯდომარეობდა შაქიბ არსლანი (1869-1946), დრუზთა ამირა ლიბანიდან, რომელიც იყო სირიისა და პალესტინის არაოფიციალური წარმომადგენელი ერთა ლიგაში. ის იყო პანარაბიზმის მხარდამჭერი. ჟურნალში *The Arab Nation* (არაბი ერი) ის მოუწოდებდა ყველა არაბის ერთიანობისაკენ ანტიკოლონიურ ბრძოლაში.

კო, ალეპო და ალავიტები. ჯაბალ დრუზი, ალექსანდრეტას სანჯაყი და დიდი ლიბანი არ იყო ამ ფედერაციის შემადგენლობაში. **1924 წლის 1 დეკემბერს ალავიტების სახელმწიფო გამოვიდა ამ ფედერაციიდან,** როდესაც ალეპოს და დამასკოს სახელმწიფოები გაერთიანდა *სირიის სახელმწიფოს* შემადგენლობაში, რომელმაც იარსება 1936 წლამდე.

სირიაში განმათავისუფლებელი ბრძოლის მასშტაბებზე მსჯელობა შეიძლება თვითონ ფრანგი მოხელეების გამონათქვამებით. 1928 წელს საფრანგეთში გამოქვეყნებულ სტატიაში სირიის უმაღლესი კომისარი გენერალი სარაილი წერდა: „მხოლოდ **1922 წელს სირიელები აჯანყდნენ 35-ჯერ, რის შედეგადაც** საფრანგეთის არმიას მოუხდა თავისი 5 ათასი ჯარისკაცის დაკრძალვა“. 20-იანი წლების შუა ხანებში მანდატის საწინააღმდეგო მოძრაობაში ერთვებიან კომუნისტები. 1925 წელს დაარსდა *სირიის კომუნისტური პარტია*, რომელიც აერთიანებდა სირიისა და ლიბანის კომუნისტებს. სამანდატო ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და ნაციონალისტებს ნება დართეს 1925 წლის ივნისში დაეარსებინათ სირიაში ლეგალური *სახალხო პარტია* (*ჰიზბ აშ-შა'ბ*) აბდ არ-რაჰმან შაჰბანდარის ხელმძღვანელობით.[1] სამანდატო ადმინისტრაცია იმედოვნებდა, რომ შეიარაღებულ ბრძოლას შეცვლიდა პოლიტიკური დისკუსიებით, მაგრამ არც უცდია შეესუსტებინა თავისი მმართველობის სიხისტე (Rogan, 2009: 227-229).

1925 წლის 18 ივლისს ჯაბალ დრუზში დაიწყო *დიდი სირიული აჯანყება* (*ას-სავრა ას-სურიდა ალ-ქუბრა*), იგივე *დრუზთა დიდი აჯანყება*, რომელიც ყველაზე მასშტაბური და ხანგრძლივი ანტიკოლონიური გამოსვლა იყო **(1925-1927) ომთაშორის პერიოდის არაბულ აღმოსავლეთში. აჯანყებამ მოიცვა** მთელი სირია (დამასკო, ალეპო, ჰამა, ჰომსი, ალექსანდრეტა და სხვ.) და ლიბანის ნაწილი. აჯანყებულთა არმიას სათავეში ჩაუდგა დრუზი ფეოდალი სულტან ალ-ატრაში (1891-1982). ფელაჰები და ბედუინები ერთიანდებოდნენ პარტიზანულ რაზმებში და მწყობრიდან გამოჰყავდათ კომუნიკაციები. რევოლუციის დასაწყისში ალ-ატრაშმა მოიპოვა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება (*ალ-ქაფირის* ბრძოლა – 21.07.1925; *მეზრა'ას* ბრძოლა – 02.08.1925;; *სალხადის* და *ას-სუვაიდას* ბრძოლები). ჯაბალ დრუზში აჯანყებულმა არმიამ გაანადგურა იქ გაგზავნილი გენერალ მიშოს 4 ათასიანი სადამსჯელო ექსპედიცია. აჯანყების დაწყებიდან დაახლოებით 6 კვირის შემდეგ, სირიელმა ნაციონალისტებმა და დრუზმა ლიდერებმა ჯაბალ დრუზში ჩამოაყალიბეს დროებითი ეროვნული მთავრობა, რომლის პრეზიდენტი გახდა სულტან ალ-ატრაში და ვიცე-პრეზიდენტი – აბდ არ-რაჰმან შაჰბანდარი. ისინი შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი ბრძოლა ეწარმოებინათ მთელი სირიის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ უმაღლესმა კომისარმა სარაილმა ჩაშალა ეს გეგმები. აგვისტოს ბოლოს მან აკრძალა *ჰიზბ აშ-შა'ბი* და რამდენიმე მისი აქტიური წევრი დააპატიმრა. **1925 წლის ოქტომბერში ქ. ჰამაში აჯანყებას სათავეში** ჩაუდგა ფავზი ალ-კავუკჯი, რომელმაც შექმნა რელიგიური ორიენტაციის პოლიტიკური პარტია *ჰიზბ ალლაჰი* (*ალაჰის პარტია*).[2] **18 ოქტომბერს ფრანგულმა არტილერიამ დაიწყო დამასკოს დაბომბვა,** რაც 48 საათი გაგრძელდა (Miller, 1977: 545-556).

> „დანიშნულ დროს იმ ჯოჯოხეთურმა მანქანებმა გახსნეს პირი და გადააფარეს ფერფლი ქალაქის ულამაზეს უბნებს. **24 საათში ნგრევამ და ცეცხლმა შთანთქა 600-ზე მეტი ულამაზესი სახლი.“ მას მოჰყვა** საჰაერო დაბომბვა, რომელიც „კვირას, შუაღამიდან სამშაბათს საღამომდე გაგრძელდა,“ – წერდა თავის მოგონებებში შაჰბანდარი. დამასკოში, სამდღიანი ძალადობის შემდეგ, დაიღუპა დაახლ. 1500 ადამიანი (Shahbandar, 1967: 186-189).

1926 წლის გაზაფხულიდან საფრანგეთის ხელისუფლება თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა – სირიაში და ლიბანში გადაისროლა არმია (70-78 ათასი) მაროკოდან და სენეგალიდან.[3] ბრძოლები კვლავ

---

1 1925 წლის აგვისტოს ბოლოს საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა აკრძალა სახალხო პარტია და დააპატიმრა მისი წევრები.

2 ალ-კავუკჩიმ მოუშვა წვერი და ყოველ ღამე დადიოდა ჰამას სხვადასხვა მეჩეთში, რათა მხარდაჭერა მოეპოვებინა. მან დაამყარა კარგი ურთიერთობები ქალაქის მუსლიმ მქადაგებლებთან და მოუწოდებდა მათ, რომ პარასკევის ქადაგებებში შეეტანათ ყურანის აიები ჯიჰადის შესახებ. ასევე ჰამას ზოგიერთი მიწისმფლობელი მდიდარი ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვა, რამაც გაზარდა ჰიზბალაჰის ფინანსები (Rogan, 2009: 229).

3 საფრანგეთის არმიას ეხმარებოდნენ აგრეთვე სამხედრო ნაწილები, რომლებიც დაკომპლექტებული იყო სირიისა და ლიბანის მცხოვრებლებით. მათი რაოდენობა 1926 წელს აღემატებოდა 30 ათასს. მათ შორის იყვნენ: ლიბანის ქრისტიან მოხალისეთა არმია; სირიის ჟანდარმერია და პოლიცია; სირიის ლეგიონი, რომელიც შედგებოდა ეთნიკური (ჩერქეზები, სომხები, ქურთები) და რელიგიური უმცირესობების (შიიტები, ნუსაირიტები, ისმაილიტები, იეზიდები) წარმომადგენლებისაგან.

მიმდინარეობდა ჯაბალ დრუზში, გუტას ოაზისში და ორივე ქვეყნის სხვა რაიონებში. სადამსჯელო არმია წვავდა სოფლებს, უსწორდებოდა ფელაჰებს, ბედუინებს, მოქალაქეებს. დამასკო ინტენსიურად იბომბებოდა, ბეირუთში მიმდინარეობდა ქუჩის ბრძოლები და მთელ ფრონტზე ზეწოლის მიუხედავად, სირიელები და ლიბანელები აგრძელებდნენ ბრძოლას 1927 წლის გაზაფხულამდე[4] (Khalifa, 1985: 23-38).

1925-1927წწ. აჯანყებამ აიძულა ფრანგები შეეცვალათ მმართველობის მეთოდები. აჯანყების ჩახ-შობის შემდეგ, ფრანგულმა კომპანიებმა დაიწყეს ცალკეული სირიელი და ლიბანელი ადმინისტრატორების „დაინტერესება“ მათ სააქციო საზოგადოებებში გაწევრიანებით „უმცროსი პარტნიორების“ როლში.[5] ამით ფრანგები შეეცადნენ რეჟიმის სოციალური ბაზის გაფართოვებას.

კეთილი ნების გამოხატვის დემონსტრირებისათვის, საფრანგეთის ხელისუფლებამ ნება დართო სირიას მოეწვია დამფუძნებელი კრება, რომლის არჩევნები შედგა 1928 წლის 24 აპრილს. სადეპუტატო ადგილების უმრავლესობა მოიპოვა პარტიამ *ნაციონალური ბლოკი* (*ალ-ქუთლა ალ-ვატანიჲა*), რომელიც ჩამოყალიბდა აკრძალული სახალხო პარტიის ნაცვლად. პარტიის პოლიტბიუროს თავმჯდომარე და მისი მუდმივი საბჭოს წევრი იყო იბრაჰიმ ჰანანუ **(1869-1935). ამ გზით ფრანგები ფიქრობდ-**ნენ შეექმნათ პოლიტიკური სტრუქტურა, რომელსაც შეიძლებოდა დაყრდნობოდნენ. თუმცა, მალევე დამფუძნებელი კრება ემიგრანტთა ცენტრების მხარდაჭერით კონფლიქტში შევიდა საფრანგეთის ხელისუფლებასთან. 1928 წლის 8 აგვისტოს მათ მიერ მიღებულმა კონსტიტუციამ სირიის სახელმწიფო გამოაცხადა სირიის რესპუბლიკად[6] – დამოუკიდებელ სახელმწიფოდ (ფრანგული მანდატის მოხსენიების გარეშე). საფრანგეთის ახალმა უმაღლესმა კომისარმა მ. პონსომ ჩათვალა, რომ ეს არღვევდა მანდატის პირობებს და დაუყოვნებლივ დაითხოვა დამფუძნებელი კრება. კონსტიტუცია ძალაში შევიდა მხოლოდ **1930 წლის 14 მაისს და მას დაემატა მუხლი, რომელიც ადასტურებდა სირიაზე საფ-**რანგეთის სამანდატო რეჟიმის შენარჩუნებას ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.[7] სირია გამოცხადდა საპარლამენტო რესპუბლიკად. მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში სირიის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა შეინარჩუნეს პოსტები და ყოველწლიურად ეწყობოდა პარლამენტის სესიები (Zamir, 1985: 25-37; *Syria and Lebanon*,1940: 841-845).

საფრანგეთის დეზინტეგრაციის პოლიტიკამ არ გაამართლა; პირიქით, გაამწვავა ეკონომიკური კრიზისი და სირია და ლიბანი მიიყვანა კატასტროფამდე. **1929-1933წწ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრი-**ზისმა მნიშვნელოვნად გააუარესა სირიისა და ლიბანის მოსახლეობის მდგომარეობა. ამ პერიოდში ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაეცა 5-ჯერ, რამდენჯერმე შემცირდა აგრეთვე ძირითადი სამრეწველო საქონლის მოცულობა, ხოლო გადასახადები უცვლელი დარჩა სამომხმარებლო საქონელზე ფასების ინტენსიური ზრდის პირობებში. არასასურველმა ეკონომიკურმა კონიუქტურამ გამოიწვია გლეხობის გაღატაკება. ათეულ ათასობით ფელაჰი გადავიდა ქალაქში სამუშაოს საძიებლად, მაგრამ

---

4 ამ აჯანყების შედეგად დაიღუპა დაახლ. 6000 სირიელი. დიდი ზარალი განიცადა საფრანგეთმაც ცოცხალი ძალისა და მატერიალური რესურსების თვალსაზრისით.

5 ჯერ კიდევ 1920-იან წლებში გაძლიერდა ფრანგული კაპიტალის შეჭრა სირიასა და ლიბანში. 1919 წლის აპრილში ჩამოყალიბდა სირიისა და ლიბანის ბანკი, რომელიც მთლიანად ემსახურებოდა სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, რადგანაც მან მიიღო მონოპოლია 1920 წელს შემოღებული სირიული გირვანქის ემისიაზე. ოქროს მონეტების მარაგი ამოღებულ და გატანილ იქნა ქვეყნიდან. ამის სანაცვლოდ სირიამ და ლიბანმა მიიღეს ქაღალდის ფული. მანდატორები ხელს უშლიდნენ სირიისა და ლიბანის ეკონომიკის განვითარებას, ვითარდებოდა მხოლოდ უფრო შემოსავლიანი დარგები. მრეწველობაში კვლავ დომინირებდა კუსტარული წარმოება. წარმოების პროცესის ორგანიზაციაში არანაირი ცვლილებები არ ხორციელდებოდა. მუშათა კლასი საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო. სამანდატო ხელისუფლებამ გარკვეულწილად შეინარჩუნა ოსმალეთის იმპერიის დროს გაბატონებული ფეოდალური მიწათმფლობელობა. მძიმე მდგომარეობაში იყო გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია და ხელოსნები. ომმა დაანგრია ტრადიციული სამეურნეო და სავაჭრო კავშირები, უცხოური საქონლის კონკურენციამ შიდა ბაზარზე მოსპო მცირე წარმოება. შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ უბიძგა მოსახლეობას საპროტესტო მოძრაობის დაწყებისაკენ (Owen, 1976: 12-20).

6 1932 წელს მიღებულ იქნა რესპუბლიკის დროშა – 3 წითელი ვარსკვლავით, რაც გამოხატავდა რესპუბლიკის 3 პროვინციას – დამასკო, ალეპო და ალ-ჯაზირა. სირიის დროშა შემდგომ არაერთხელ შეიცვალა და 1980 წლიდან მასზე ორი ვარსკვლავია გამოსახული (იგივე სახის იყო 1858-61 წწ. ეგვიპტისა და სირიის გაერთიანებული არაბთა რესპუბიკის დროშაც).

7 მ. პონსომ თითქმის ერთდროულად გამოაქვეყნა 5 კონსტიტუცია – ლიბანის რესპუბლიკის, სირიის სახელმწიფოს, ლათაკიას, ჯაბალ დრუზის და ალექსანდრეტას სანჯაყის (Antonius, 1934: 530).

მდგომარეობა ქალაქებშიც გაუარესდა. მოიშალა დაბალშემოსავლიანი კუსტარული სამრეწველო წარმოება, რის შედეგადაც უმუშევარი დარჩა ათეულ ათასობით მუშა და ხელოსანი (Owen, 1976: 24-29).

1925-1927წწ. მარცხის მიუხედავად, საპროტესტო გამოსვლები არ შემწყდარა. შედეგად, საფრანგეთის ხელისუფლებამ აღადგინა კონსტიტუციის მოქმედება[8] და დაიწყო მოლაპარაკება ნაციონალური ბლოკის ლიდერებთან ახალი სახელმწიფოებათაშორისო შეთანხმების დასადებად, რაც დაფუძნებული იქნებოდა სირიის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. ასეთი ხელშეკრულება დაიდო 1936 წლის 9 სექტემბერს და ის ითვალისწინებდა ფრანგული მანდატის შეცვლას სამი წლის განმავლობაში მისი რატიფიკაციიდან. ჯაბალ დრუზი და ლათაკია (ალავიტების სახელმწიფო) უნდა გაერთიანებულიყო სირიის რესპუბლიკაში მომდევნო ორი წლის განმავლობაში. საფრანგეთის არმია ინარჩუნებდა სირიაში 2 სამხედრო ბაზას ჯაბალ დრუზსა და ლათაკიაში – მათ ხელშეკრულების რატიფიკაციიდან 5 წლის განმავლობაში და უნდა დაეცვათ უმცირესობების უფლებები აღნიშნულ მხარეებში. სირიის ტექნიკური მრჩევლები ფრანგები უნდა ყოფილიყვნენ (მინიმალური ოდენობა – 80). ხელშეკრულება დაიდო 25 წლის ვადით. სირია, დამოუკიდებლობის მიღწევის ნაცვლად, კვლავ აღმოჩნდა საფრანგეთის კონტროლის ქვეშ, მაგრამ ეს ხელშეკრულება იყო რეალური ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ – ის იძლეოდა ქვეყნის ერთიანობის გარანტიას, ამცირებდა ფრანგთა ფინანსურ პრეტენზიებს და უზღუდავდა მათ სირიის საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალებას (Cleveland, 2009: 223).

1936 წლის 30 ნოემბერს შედგა არჩევნები ახალ სირიულ პარლამენტში. გამარჯვება კვლავ მოიპოვა ნაციონალურმა ბლოკმა, ხოლო მისი ლიდერი ჰაშიმ ალ-ატასი არჩეულ იქნა ქვეყნის პრეზიდენტად. სირიის შემადგენლობაში ჩაერთო ლათაკია, ჯაბალ დრუზი, და ალ-ჯაზირა, რომლებიც მანამდე მცირე სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ (Rogan, 2009: 216-219; Zamir, 1985: 45-67).

საფრანგეთს სურდა თავისი მდგომარეობის განმტკიცება რეგიონში, რის გამოც აჭიანურებდა მანდატის გაუქმებას და 1937-1938 წწ. თავს მოახვია სირიის ხელისუფლებას ორი დამატებითი შეთანხმება, რომლებიც აფართოვებდა მის სამხედრო და ეკონომიკურ პოზიციებს. ასეთი მოქმედებებისაკენ მეტროპოლიას უბიძგა აგრეთვე გამწვავებულმა ვითარებამ ევროპაში, რაც იყო გერმანიის მხრიდან საფრთხის გაძლიერების შედეგი. 1939 წლის იანვარში საფრანგეთის პარლამენტმა უარი განაცხადა 1936 წლის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, ხოლო ლათაკია, ჯაბალ დრუზი და ალ-ჯაზირა კვლავ ფორმალურად გამოეყო სირიას.[9] ამ გადაწყვეტილებაზე პროტესტის ნიშნად, სირიის ეროვნული ხელისუფლება გადადგა. უმაღლესმა კომისარმა კიდევ ერთხელ დაითხოვა პარლამენტი, გააუქმა კონსტიტუციის მოქმედება და აღადგინა ალავიტების და დრუზების სახელმწიფოს ავტონომია. შეიქმნა ე.წ. დირექტორთა საბჭო, რომლის მოქმედება სრულად კონტროლდებოდა საფრანგეთის მხარის მიერ. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სირიის ტერიტორია გამოცხადდა „სამხედრო ზონად“ და შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა (Cleveland, 2009: 224).

1936 წლის შემოდგომაზე აჯანყებამ მოიცვა ლიბანიც. მის ჩასახშობად საფრანგეთის ხელისუფლება შეეცადა მტრობის ჩამოგდებას რელიგიურ ჯგუფებს შორის და ლიბანელ ქრისტიანებს უბიძგა მოძრაობის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ. ამის გარდა, საფრანგეთის ხელისუფლებას მოუხდა ზოგიერთ დათმობებზე წასვლა – 1926 წლის 23 მაისს საფრანგეთის ხელისუფლებამ „აჩუქა“ ლიბანს რესპუბლიკური კონსტიტუცია, რომელიც იწონებდა *ლიბანის რესპუბლიკის* შექმნას. პრეზიდენტს ირჩევდა პარლამენტი 6 წლის ვადით (არ შეიძლებოდა მისი ხელახლა არჩევა ამ ვადის დასრულების შემდეგ) და მას ენიჭებოდა განუსაზღვრელი უფლებები, მათ შორის პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის დანიშვნის უფლება. ქვეყანაში შეიქმნა მთავრობა და ორპალატიანი პარლამენტი (წარმომადგენლობითი საბჭო შეიცვალა დეპუტატთა პალატით და სენატი). თუმცა მნიშვნელოვანი პრეროგატივები – საგარეო ურთიერთობები და სამხედრო საკითხები – დარჩა საფრანგეთის კომპეტენციაში. ლიბანის მთავრობის

8 1934 წლის კონსტიტუციით, მთელი ხელისუფლება გადაეცემოდა რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელსაც ნიშნავდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა სახელმწიფო მდივანს და მთავრობის მრჩევლებს. პარლამენტი აღდგენილ იქნა, მაგრამ ჩამოერთვა საკანონმდებლო ინიციატივა. პრეზიდენტმა მიიღო უფლება დაემტკიცებინა ბიუჯეტი პარლამენტის გარეშე.

9 ამას ხელი შეუწყო შემდეგმა მიზეზებმა: ფრანგული ვალუტის ვარდნით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური სიტუაცია, ნაციონალისტური ბანაკის სუსტი ერთობა და ზოგიერთი რაიონის სეპარატიზმი. ამას შეიძლება დაემატოს არაბთა მღელვარება პალესტინაში (1936წ. მძლავრი აჯანყება) და 1939წ. თურქეთისათვის ყოფილი ალექსანდრეტას (ისქანდერუნის) სანჯაყის გადაცემა.

ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის კონსტიტუცია, შეეძლო გაეუქმებინა უმაღლეს კომისარს (ეს პრივილეგია გამოიყენა 1932-1934 წლებში და 1939 წელს)[10] (Traboulsi, 2007: 92-99; Khalifa, 1985: 43-49).

მთიანი ლიბანი ჯერ კიდევ საფრანგეთის დაპყრობამდე იყო ფრანგული ინტერესების ტრადიციული სფერო და მნიშვნელოვანწილად განცალკევებული რეგიონი, სადაც ჭარბობდა ქრისტიანული მოსახლეობა. თუმცა, **1926 წელს ლიბანის საზღვრები გაფართოვდა. მის შემადგენლობაში შევიდა სანა**პირო ქალაქები – ტრიპოლი, ბეირუთი, სური (ტირი), საიდა (სიდონი), ბიკაას ველი. ამან მკვეთრად შეცვალა სახელმწიფოს კონფესიური შემადგენლობა მუსლიმების სასარგებლოდ.

1936 წლის ნოემბერში საფრანგეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა საფრანგეთ-ლიბანის ახალ ხელშეკრულებაზე. საფრანგეთის ხელისუფლება ვალდებულებას იღებდა სამი წლის შემდეგ (ანალოგიურად როგორც სირიის ხელშეკრულებაში) შეეცვალა მანდატი. ის უარს ამბობდა საბაჟოებზე, სავალუტო სისტემასა და კავშირგაბმულობაზე კონტროლზე. მაგრამ ლიბანის მთავრობა ვალდებულებას იღებდა კონსულტაცია მიეღო საფრანგეთისაგან საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ამის გარდა ლიბანის ტერიტორიაზე რჩებოდა საფრანგეთის შეიარაღებული ძალები და მას უფლება ჰქონდა დაეცვა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები. ეს წარმოადგენდა სუვერენიტეტის მნიშვნელოვან შეზღუდვას, რადგანაც ქვეყანაში იყო 20-მდე კონფესიური თემი. მეორე მსოფლიო ომის წინ ლიბანში კვლავ დამყარდა საფრანგეთის ხელისუფლების კონტროლი (Traboulsi, 2007: 99-104; Cleveland, 2009: 227-228).

ტრანსიორდანია

I მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისმა მიიღო მანდატი პალესტინაზე. 1921 წელს მან პალესტინიდან ცალკე გამოყო ავტონომიური ერთეული – ტრანსიორდანიის საამირო *(’იმარა შარკ ალ-’ურდუნ),* რომელიც სამართავად გადასცა ამირა აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინს. მან სათავე დაუდო იორდანიის ჰაშიმიანთა დინასტიას, რომელიც დღემდე მართავს ქვეყანას. ტრანსიორდანიის დედაქალაქი იმ დროს მცირე დასახლება (დაახლ. 2500-5000 მოსახლე) ამანი გახდა.

> 1921 წლის 28-30 მარტს კოლონიების მინისტრი უინსტონ ჩერჩილი მოლაპარაკებას აწარმოებდა ამირა აბდალაჰთან იერუსალიმში. მოლაპარაკებების დროს ინგლისური მხარე გამოვიდა პალესტინაზე და სირიაზე ჰაშიმიანთა პრეტენზიების წინააღმდეგ და შესთავაზა აბდალაჰს დარჩენილიყო იორდანიაში და სათავეში ჩადგომოდა ახალ სახელმწიფოს – ტრანსიორდანიას. მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ პუნქტებზე: **1. ტრანსიორდანიაში ყალიბდება ეროვნული სახელმწიფო და მას სათავეში ჩაუდგება აბ**დალაჰ იბნ ალ-ჰუსაინი; **2. ტრანსიორდანიის მთავრობა განახორციელებს იმ ღონისძიებებს, რაც აუცი**ლებელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა და ფუნქციონირებისათვის; **3. ამანში, ტრანსიორდა**ნიის დედაქალაქში, ინიშნება სამანდატო ხელისუფლების წარმომადგენელი – ბრიტანელი რეზიდენტი (ის უნდა დაქვემდებარებოდა პალესტინაში ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს); 4. ინგლისი აღმოუჩენს ტრანსიორდანიას აუცილებელ მატერიალურ დახმარებას; 5. ტრანსიორდანია არ იქნება გამოყენებული როგორც ბაზა რაიმე ოპერაციის დროს სირიის და პალესტინის წინააღმდეგ; 6. ინგლისი ინარჩუნებს უფლებას ააშენოს ავიაბაზები ამანში. იყო აგრეთვე შეთანხმება, რომ ბალფურის დეკლარაცია არ გავრცელდებოდა ტრანსიორდანიაზე. **1921 წლის 11 აპრილს ამირა აბდალაჰმა ჩამოაყალიბა ტრანსიორდა**ნიის პირველი მთავრობა – „მრჩეველთა საბჭო," რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა სათათბირო ორგანოს. **1922 წლის 16 სექტემბერს ერთა ლიგა დათანხმდა ინგლისის წინადადებას გამოეყო ტრან**სიორდანია პალესტინაზე მისი მანდატიდან, ხოლო **15 ოქტომბერს ამირა აბდალაჰი ჩავიდა ლონდონ**ში ხელშეკრულების გასაფორმებლად. თუმცა ინგლისის მთავრობამ თავი შეიკავა ტრანსიორდანიასთან

10 ლიბანის პირველი პრეზიდენტი გახდა ბერძენი ორთოდოქსი შარლ დაბასი (1926-1934). მისი უფლებამოსილების ვადა დასრულდა 1932 წელს და პრეზიდენტის პოსტისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ფრანგული პოლიტიკის მომხრე დეპუტატები – ბიშარა ალ-ხური და ემილ ედე. ამ დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად დასახელდა შაიხ მუჰამად ალ-ჯისრის კანდიდატურაც, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ტრიპოლის მუსლიმთა ლიდერი იყო. შექმნილ ვითარებაში საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა ანრი პონსომ 1932 წ. 9 მაისს გააუქმა კონსტიტუცია და გაუგრძელა შარლ დაბასს უფლებამოსილების ვადა 1 წლით (მოგვიანებით კიდევ ერთი წლით). ამ გზით თავიდან იქნა აცილებული მუსლიმის არჩევა პრეზიდენტად. 1934 წ. 30 იანვარს საფრანგეთის ახალმა უმაღლესმა კომისარმა გრაფმა დამიენ დე მარტელმა დანიშნა ამ პოსტზე ლიბანელი მარონიტი ჰაბიბ ფაშა ალ-საადი. 1936 წ. 30 იანვარს ლიბანის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ემილ ედე. მან პრემიერ-მინისტრად დანიშნა სუნიტი მუსლიმი ხაირ ად-დინ ალ-აჰდაბი. ერთი წლის შემდეგ, ამ უკანასკნელმა ნაწილობრივ აღადგინა 1926 წლის კონსტიტუცია და დანიშნა დეპუტატთა პალატის არჩევნები. ანრი პონსომ კვლავ გააუქმა კონსტიტუცია (Mandates, 1948: 265-266).

ხელშეკრულების გაფორმებაზე, რაც განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: ინგლისის საწინააღმდეგო გამოსვლები ტრანსიორდანიის მრავალ რაიონში, ბედუინთა ტომების მღელვარებები, შეტაკებები ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ საზღვრებზე, დაბოლოს, ინგლისის მთავრობა არ იყო დარწმუნებული, რომ აბდალაჰი შეძლებდა თავისი ძალაუფლების გავრცელებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (Kazziha, 1979: 247-259; *История арабских стран, 1985: 160-165*).

ქვეყანაში უკიდურესი სიღარიბე სუფევდა, რაც ნაწილობრივ აიხსნება მისი გეოგრაფიული მდებარეობით: ბუნებრივი რესურსების სიმცირე, ნაყოფიერი მიწების უქონლობა, ოაზისების შეზღუდული რაოდენობა. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ მომთაბარე ბედუინები, რომელთაგან ინგლისელებმა ჩამოაყალიბეს არაბული ლეგიონი და მას ხშირად საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდნენ. ქვეყანა მნიშვნელოვანწილად ცხოვრობდა ინგლისური სუბსიდიების ხარჯზე, რაც გამოყოფილი იყო არაბული ლეგიონის შესანახად.

1920-იანი წლების მეორე ნახევარში ინგლისმა გადაწყვიტა იურიდიულად გაეფორმებინა ტრანსიორდანიის კოლონიური სტატუსი. 1928 წლის 20 თებერვალს იერუსალიმში ხელი მოეწერა ტრანსიორდანია-ინგლისის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ფუნქციები გადაეცემოდა ამირას. თუმცა, ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი იერუსალიმში და მისი რეზიდენტი ამანში ინარჩუნებდნენ კონტროლს ქვეყნის საგარეო და კონცესიურ პოლიტიკაზე, კანონმდებლობაზე, ფინანსებზე, შეიარაღებულ ძალებზე და გადასახადებზე. ყველა დაწესებულებაში შემოღებულ იქნა ინგლისელ მრჩეველთა ინსტიტუტი. ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამხედრო საკითხებს. ინგლისს მიენიჭა უფლება ჰყოლოდა ტრანსიორდანიის ტერიტორიაზე თავისი შეიარაღებული ძალები, ასევე შეექმნა და ეკონტროლებინა ადგილობრივი სამხედრო დაჯგუფებების მოქმედება, გამოეცხადებინა საომარი მდგომარეობა; ინგლისის ხელისუფლებას უფლება ენიჭებოდა შეექმნა სამხედრო ინფრასტრუქტურის ფართო ქსელი ტრანსიორდანიის ტერიტორიაზე; ინგლისელებს შეეძლოთ შეუფერხებლად ესარგებლათ კავშირგაბმულობის საშუალებებით და გაეყვანათ ახალი სატელეგრაფო და სატელეფონო ხაზები; ტრანსიორდანიას უნდა გაეღო ხარჯები ინგლისის არმიის შესანახად, ხოლო ინგლისი ვალდებულებას იღებდა გადაეცა აბდალაჰისათვის ყოველწლიური სუბსიდია ადგილობრივი და ინგლისის შეიარაღებული ძალების შესანახად გაწეული ხარჯების დასაფარად; ინგლისელებს ჰქონდათ აგრეთვე იურისდიქციის უფლება ადგილობრივი და ინგლისის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაზე.

ამირა აბდალაჰი

1928 წლის 19 აპრილს გამოქვეყნდა ტრანსიორდანიის პირველი კონსტიტუცია, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავდა ამირას პრეროგატივას. საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცემოდა ამირას და საკანონმდებლო საბჭოს (16 არჩეული წევრი: 9 – არაბი მუსლიმებიდან, 3 – არაბი ქრისტიანებიდან, 2 – ჩერქეზებიდან და 2 – ბედუინებიდან), ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება – აღმასრულებელ საბჭოს (მთავრობას) 6 წევრის შემადგენლობით, სათავეში – პრემიერ-მინისტრი. სახელმწიფოს მეთაური ამირა იღებდა განუსაზღვრელ ძალაუფლებას: მას შეეძლო დაემტკიცებინა კანონები, ესარგებლა საკანონმდებლო საბჭოს მოწვევისა და დათხოვნის უფლებით, გამოეცა კანონები და სხვ.

კონსტიტუციასთან ერთად გამოქვეყნდა საარჩევნო კანონი, რომლის თანახმადაც საკანონმდებლო საბჭოში არჩევნები იყო ორსაფეხურიანი და მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ 30 წელს მიღწეულ მამაკაცებს ბინადარი მოსახლეობიდან. საარჩევნო უფლება არ ჰქონდათ ბედუინთა ტომებს.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სამოქალაქო უფლებების შელახვამ გამოიწვია საპროტესტო კამპანია, რომელსაც ხელმძღვანელობდა *სახალხო პარტია* (შეიქმნა 1927წ. მარტში).[11] საკანონმდებლო საბჭოს არჩევნები რამდენჯერმე გადაიდო და მხოლოდ 1929 წლის იანვარში ჩატარდა პირველად. 1929 წლის 4 ივნისს საკანონმდებლო საბჭომ ინგლის-ტრანსიორდანიის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა, რომელმაც იურიდიულად განამტკიცა ბრიტანეთის ხელისუფლება რეგიონში.

11 საამიროს მრავალ ქალაქში მიმდინარეობდა დემონსტრაციები და გაფიცვები. 1928 წ. 25 ივლისს სახალხო პარტიამ მოიწვია ეროვნული კონგრესი, რომელშიც მონაწილეობდა 150 ადამიანი და მიღებულ იქნა ეროვნული პაქტი.

1930-იან წლებში ინგლისის ხელისუფლება კვლავ დიდ ყურადღებას უთმობდა თავის სტრატეგიულ ინტერესებს და არ ზრუნავდა ტრანსიორდანიის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. საბიუჯეტო ასიგნებების დიდი ნაწილი მიდიოდა სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნაზე – სტრატეგიული გზებისა და საჰაერო ბაზების მშენებლობა ამანსა და ლა-მაფრაკში. 1931 წელს ერაყის სანავთობო კომპანიამ მიიღო უფლება გაეყვანა ტრანსიორდანიის ტერიტორიაზე ნავთობსადენი ქირქუკიდან ხაიფამდე. მისი მშენებლობა დაიწყო 1932 წლის გაზაფხულზე და დასრულდა 1934 წლის ბოლოს. 1938-1941 წლებში აშენდა უმსხვილესი სტრატეგიული მაგისტრალი – საავტომობილო გზა ბაღდადი-ხაიფა (Kazziha, 1977: 557-560).

წლიდან წლამდე იზრდებოდა მოსახლეობის დაბეგვრა გადასახადებით. 1939-1940წწ. პირდაპირი და ირიბი გადასახადების წილი გახდა ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 76,6%. ბიუჯეტის გამუდმებული დეფიციტი ზრდიდა დამოკიდებულებას ინგლისზე, რომელიც ფინანსურ დახმარებას უწევდა ტრანსიორდანიას ბიუჯეტის დასაფარად.

ინგლისელთა ინტერესების გათვალისწინებით ხდებოდა მეზობელ არაბულ სახელმწიფოებთან ტრანსიორდანიის პოლიტიკის დაგეგმვა. 1931 წლის მარტში დადებულ იქნა თანამშრომლობის ხელშეკრულება ჰაშიმიანთა ერაყთან, ხოლო 1933 წლის მარტში ორმხრივი აღიარებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულება გაფორმდა საუდის არაბეთთან. შესაბამისად, იბნ საუდმა უარი განაცხადა თავის პრეტენზიებზე მაანსა და აკაბაზე, ხოლო აბდალაჰმა ჰაშიმიანთა სახელით უარი თქვა ჰიჯაზზე პრეტენზიაზე.

1930-იან წლებში შესუსტდა ბრიტანეთის წინააღმდეგ მოძრაობა. სახალხო პარტიამ დაკარგა თავისი გავლენა და გაქრა პოლიტიკური არენიდან. მხოლოდ ბედუინთა რაიონებში, სადაც მიმდინარეობდა სტრატეგიული ობიექტების მშენებლობა, არ წყდებოდა მღელვარებები. 1933 წელს ეს რაიონები სამართავად გადაეცა ინგლისელ ოფიცერს ჯონ გლაბს. რამდენიმე წლის შემდეგ ბედუინთა რაიონები „დაწყნარდა." 1939 წლის 16 მაისს ინგლის-ტრანსიორდანიის 1928 წლის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომელიც ეხებოდა ტრანსიორდანიის შეიარაღებული ძალების ორგანიზაციას. ამ ცვლილების შესაბამისად, გარდაიქმნა არაბული ლეგიონი და მის შემადგენლობაში ჩაერთო „უდაბნოს დარაჯი," რომელიც ჩამოაყალიბა ჯ. გლაბმა ბედუინების წინააღმდეგ საბრძოლველად და მათი შემადგენლობის საერთო რაოდენობა 1600-ს აღწევდა. 1939 წლის 25 ივნისს ლეგიონის მეთაურად დაინიშნა ჯ. გლაბი, რომელმაც იმ დროს მიიღო გენერლის წოდება და ფაშას ტიტული. მალე ჯ. გლაბი გახდა ტრანსიორდანიის ფაქტობრივი მმართველი. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ინგლისელები ფართოდ იყენებდნენ არაბული ლეგიონის ძალას (Cleveland, 2009: 214-215; Vatikiotis, 1967).

თავი IX

II მსოფლიო ომი და ახლო აღმოსავლეთი

II მსოფლიო ომის მიმდინარეობა ახლო აღმოსავლეთისათვის ძირეულად განსხვავდებოდა I მსოფლიო ომის დროს არსებული სიტუაციისაგან. აღარ არსებობდა ოსმალეთის იმპერია, რომლის შენარჩუნებასა თუ დაშლაზე ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ ახლო აღმოსავლეთის ხალხები. ევროპული სახელმწიფოების მიზანიც, ბუნებრივია, აღარ იყო ამ იმპერიის გადანაწილება ან მისი მხარდაჭერის მიღწევა. მათ შორის ბრძოლა მიმდინარეობდა ამა თუ იმ ქვეყანაში გავლენის შენარჩუნებასა თუ მოპოვებისათვის. თავის მხრივ, I მსოფლიო ომისგან მიღებული მწარე გაკვეთილიდან გამომდინარე, რეგიონის ქვეყნები ყოველნაირად ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ომში ჩაბმისათვის. დამოუკიდებელი ახლოაღმოსავლური სახელმწიფოების უმრავლესობა ყველა ღონეს ხმარობდა ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთქმულის მიღწევა ომის დროს შეუძლებელი გამოდგა, მათ ჯარებს პრაქტიკულად არ მიუღიათ მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში. ამასთან ერთად, არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების გარდა, თითქმის ყველა სახელმწიფო მეტ-ნაკლებ დონეზე ჩართული იყო პროცესებში; განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა ჩრდ. აფრიკაში, მაგრამ ეს ბრძოლები დაპირისპირებული ევროპული სახელმწიფოების ჯარებს შორის იყო გაჩაღებული.

ომისადმი ახლო აღმოსავლელთა განწყობა, ერთი ავტორის მოსწრებული თქმით, ჩოგბურთის დროს მაყურებელთა ქცევას წააგავდა, რომლებიც თვალს ადევნებენ ბურთის მოძრაობას (Oren, 2007: 451) – **ამგვარად უყურებდნენ ახლო აღმოსავლელები მათ ტერიტორიებზე ევროპელთა მიერ წარ**მოებულ ბრძოლებს.

ომში აშშ-ის ჩაბმის შემდეგ მისი ჯარების ჩრდ. აფრიკაში გადმოსხმას, დღევანდელი თვალთახედვიდან ერთი კურიოზული მოვლენა სდევდა თან: ამერიკული თვითმფრინავები აურაცხელ პროკლამაციებს ყრიდნენ დასახლებულ ადგილებში, რომელიც არაბულ ენაზე მოწოდებას შეიცავდა „მაღრიბის შვილებისადმი“ და აუწყებდა მათ, რომ „წმინდა ომის ამერიკელი მეომრები მოვიდნენ... რათა წარმართონ თავისუფლების დიდი ჯიჰადი“. დღევანდელი მკითხველისათვის ასეთი სახის ტექსტი უეჭველად შოკისმომგვრელია, მაგრამ ისლამური ლოზუნგების ამგვარ გამოყენებას **1942 წელსაც არანაირი ზე**გავლენა არ ჰქონია ჩრდ. აფრიკის **25 მილიონიან მუსლიმ მოსახლეობაზე, ისე როგორც ისლამისად**მი პატივისცემის გამოხატვის მცდელობებს ევროპელი დაპირისპირებული ქვეყნების მხრიდან მთელი ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით. მუსლიმთათვის II მსოფლიო ომი მხოლოდდამხოლოდ კიდევ ერთი ფაზა იყო ქრისტიანთა შორის ბრძოლისა მუსლიმური სამყაროსათვის: ევროპული ჯარები რეგიონში შემოვიდნენ არა მათი გათავისუფლებისათვის, არამედ, პირველ რიგში, ამ ტერიტორიების შესანარჩუნებლად თუ ბატონობის დასამყარებლად. გერმანელები კი, მეგობრობისა და პატივისცემის შესახებ განცხადებების მიუხედავად, რეგიონის ხალხებს, უპირველესად არაბებს, რასობრივი თვალსაზრისით ქვედა საფეხურზე მდგომებად თვლიდნენ.

თურქეთი

30-იანი წლების მიწურულს მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, რომ თურქეთი ნებისმიერ ფასად შეეცდებოდა თავი აერიდებინა ომში ჩართვისაგან. თურქებს მწარედ ახსოვდათ I მსოფლიო ომის გამოცდილება. თუმცა, II მსოფლიო ომის წინ შექმნილ ვითარებაში ევროპაში მიმდინარე პროცესებისაგან განზე დგომა მეტად რთული იყო.

ქვეყნისათვის ომის პერიოდი მძიმე გამოდგა. თურქეთს სურდა მშვიდობიანად ეარსება გამარჯვებული სახელმწიფოების გვერდით, მაგრამ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე გაურკვეველი რჩებოდა, თუ ვისკენ გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი. თურქების უმრავლესობის ცხოვრების დონე ომის დროს დაქვეითდა. თუმცა, საომარი მზადყოფნის, გამჭრიახი და რეალისტური დიპლომატიის, ბედის წყალობისა თუ სიფრთხილის მეშვეობით, პრეზიდენტმა ისმათ ინონუმ და თურქეთის სხვა ლიდერებმა მოახერხეს ქვეყნისა და ხალხისათვის იმ უბედურებათა დიდი ნაწილის თავიდან აცილება, რომელთა მსხვერპლიც მისი მეზობლების უმრავლესობა გახდა.

ისმეთ ინონუ

იტალიის შესაძლო აგრესია თურქეთის ხელმძღვანელობისათვის მთავარი თავსატკივარი იყო 30-იანი წლების მიწურულს. შიში გაიზარდა 1939 წლის აპრილში იტალიის მიერ ალბანეთის ოკუპაციის შემდეგ, რამაც დიდად განაპირობა თურქეთის დაახლოება ბრიტანეთთან და საფრანგეთთან.

ომის დასაწყისისათვის პრეზიდენტ ინონუს საგარეო პოლიტიკა უფრო ბრიტანეთისა და საფრანგეთისკენ იყო გადახრილი. მეორე მხრივ კი, თურქული ვაჭრობის თითქმის 50% ნაცისტურ გერმანიაზე მოდიოდა (Ochsenwald & Fisher, 2004: 462). ამასთან ერთად, 1939 წლის აგვისტოს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის მოულოდნელი გაფორმება თურქეთის ხელმძღვანელობის დიდი შეშფოთების მიზეზი გახდა. არსებობდა ეჭვი, რომ რუსეთს ჰიტლერი დაპირდა სტამბულსა და სრუტეებს და მალე შეიძლებოდა ამის განხორციელება დაწყებულიყო. სრუტეებისადმი რუსეთის ტრადიციული ინტერესის შიში თან სდევდა თურქეთის საგარეო პოლიტიკას მთელი ომის მანძილზე.

1939 წლის 19 ოქტომბერს თურქეთმა ალიანსის შესახებ ფორმალურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი საფრანგეთთან და ბრიტანეთთან.[1] ხელშეკრულების მიხედვით, თურქეთის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში, მოკავშირეები მას დახმარებას გაუწევდნენ, თურქეთის ომში ჩართვა კი მოხდებოდა მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, მაგრამ არანაირ პირობებში თურქეთი არ ჩაებმებოდა ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „ხელშეკრულებაზე თანდართული პროტოკოლით თურქეთი თავისუფლდებოდა ნებისმიერი ვალდებულებისაგან, რასაც ის შეეძლო ჩაერთო ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“ (Deringil, 1989: 119). ხელშეკრულების დადების შემდეგ, თურქეთმა მიიღო 16 მლნ ოქროს გირვანქა სტერლინგი სესხად და 25 მლნ გირვანქა სტერლინგი კრედიტის სახით სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად.

ალესანდრეტას სანჯაყის პრობლემა

1921 წლის ანკარის ფრანგულ-თურქული ხელშეკრულების მიხედვით, ამ პორტისა და რეგიონის განსაკუთრებული სტატუსი იქნა აღიარებული. რეგიონის თურქმა მოსახლეობამ მიიღო საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტიები. 1936 წელს თურქეთის მთავრობამ მოითხოვა სანჯაყის მოსახლეობისათვის თვითგამორკვევის უფლების მიცემა. ამ დროს რეგიონის 220 ათასი მცხოვრებიდან 39% თურქი, 28% ალავიტი, 11% სომეხი და 10 % სუნიტი არაბი იყო (Cloarec & Laurens, 2000: 75). მოსახლეობის ამგვარი მრავალფეროვნების პირობებში, ბუნებრივია, თვითგამორკვევის განხორციელება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. საფრანგეთმა საკითხი გადასაწყვეტად ერთა ლიგას გადასცა. ამ მიზეზით დაგვიანდა ფრანგულ-სირიული ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ერთა ლიგის ეგიდით გამართული მოლაპარაკებების შედეგად, 1937 წლის 29 მაისს მიღწეულ იქნა შეთანხმება. სანჯაყი უნდა ჩამოშორებოდა სირიას და დაქვემდებარებოდა საერთაშორისო ადმინისტრაციის მმართველობას. სანჯაყის სირიელი მმართველები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. სირიამ პროტესტი განაცხადა და უარი თქვა ამ შეთანხმების აღიარებაზე. ანკარა კი აგრძელებდა ტერიტორიაზე პრეტენზიების გამოხატვას და აქტიურად უჭერდა მხარს თურქეთთან კავშირის მომხრეებს. სანჯაყის თურქებმა სცადეს ალავიტების თურქებად ჩაწერა საარჩევნო სიებში, მაგრამ მაინც ვერ მოიპოვეს უმრავლესობა. თუმცა, 1938 წლის 10 მარტის არჩევნებმა მაინც მისცა „მისაღები უმრავლესობა“ თურქებს – 40-დან 22 ადგილი არჩეულ საბჭოში. საპროტესტო მოძრაობის ჩასახშობად გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. 4 ივლისს ხელი მოეწერა ფრანგულ-თურქულ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც თურქეთის არმიას უფლება ეძლეოდა ფრანგულ ჯარებთან ერთად მონაწილეობა მიეღო სანჯაყში წესრიგის დაცვაში. ისარგებლა რა სიტუაციის დაძაბვით ევროპაში, ანკარამ 1939 წლის 23 ივნისს, საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან ალიანსის ხელშეკრულების სანაცვლოდ, მიიღო სანჯაყის სრული ანექსიის უფლება. სომხები ლიბანში გადასახლდნენ. დამასკოს კი დღემდე არ უღიარებია ალექსანდრეტას თურქეთისადმი კუთვნილება.

---

1 გადმოცემით, ათათურქმა სიკვდილის წინ დაიბარა, რომ... მისი ხალხი უნდა ყოფილიყო „იმდენად მზად, რამდენადაც შესაძლებელია, და როცა მოხდებოდა ის, რაც მოსახდენია, ინგლისის მხარე დაეჭირა, რადგან ეს მხარე უეჭველად გამარჯვებული იქნება საბოლოო ჯამში“ (ციტ. Lewis V. & Fray, 1951: 89).

თუმცა მალე, საფრანგეთის მარცხმა, რუსეთის მტრულმა დამოკიდებულებამ და გერმანიის ძალისა და ზეგავლენის ზრდამ ევროპის დიდ ნაწილზე, თურქეთის მთავრობა მიიყვანა დასკვნამდე, რომ არაფერი უნდა გაკეთებულიყო ისეთი, რაც გამოიწვევდა გერმანიის პროვოცირებას და თითქმის უეჭველად გერმანიის მიერ თურქეთის დაპყრობას. ამდენად, 1940 წლის ივნისში თურქებმა გადაწყვიტეს უარი ეთქვათ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებაზე ომში ბრიტანეთის მხარეზე ჩაბმის შესახებ.

ამის სანაცვლოდ, მათ აირჩიეს საკმაოდ რთული და თავისთავად ბუნდოვანი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომლის ერთადერთი და სახელმძღვანელო პრინციპი იყო მტკიცე გადაწყვეტილება თავი აერიდებინათ 1914 წლის ოქტომბრის ტრაგიკული შეცდომისათვის. საფრანგეთის ფიასკოს შემდეგ თურქეთმა მთელი თავისი ენერგია შეალია ომისგან გარეთ დარჩენას და ამის გასამართლებლად სწორედ ხელშეკრულების ზემოთნახსენებ თანდართულ პროტოკოლს იშველიებდა. თურქეთი იმ პირობებშიაც ნეიტრალური რჩებოდა, როცა იტალიამ, გერმანიამ და მათმა მოკავშირეებმა მთლიანად დაიკავეს ბალკანეთი, უშუალოდ თურქეთის საზღვრამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში საზოგადოებრივი აზრი ძირითადად მოკავშირეების მხარეზე იყო, მაგრამ 1940 წლიდან სიმპათიები გარკვეულწილად შეიცვალა იმ რწმენის საფუძველზე, რომ გამარჯვება ომში ღერძის ქვეყნებს დარჩებოდათ. 1941 წლის ივნისში, როდესაც გერმანული ჯარები ბალკანეთში სტამბულიდან სულ **150 კმ-ის მანძილზე იდგნენ, თურქებმა გამოსავლად ჩათვალეს გერ**მანიასთან მეგობრობისა და ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება, თუმცა ამ ხელშეკრულებაში ხაზგასმული იყო, რომ ისინი უარს არ ამბობდნენ ბრიტანეთთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულების (რასაც თავისთავად სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა) შესრულებაზე. გერმანიისა და თურქეთის სავაჭრო ხელშეკრულების თანახმად, **1943 წლისათვის, როდესაც იწურებოდა ბრიტანეთთთან დადე**ბული ხელშეკრულების ვადა, გერმანიას საშუალება მიეცემოდა მიეღო სამხედრო მრეწველობისათვის მეტად მნიშვნელოვანი თურქული ქრომი სამხედრო აღჭურვილობის სანაცვლოდ.[2]

1941 წელს, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ, თურქეთის განწყობამ ღერძის ქვეყნების მიმართ კიდევ უფრო პოზიტიური ფორმა მიიღო. რუსეთი, ყველაფერთან ერთად, ისტორიული მტერი იყო, რომლის წინსვლის წინააღმდეგ სამხრეთისაკენ თურქეთი საუკუნეების მანძილზე იბრძოდა. მაგრამ არსებობდა იმის შიშიც, რომ გერმანიის მარცხი საბჭოთა კავშირს დომინანტ კონტინენტურ ძალად აქცევდა ევროპაში. გერმანელთა წინსვლა 1941 წლის შუა ხანებიდან 1943 წლის გაზაფხულამდე ასევე მეტად აფრთხობდა თურქეთის მესვეურთ – არ იყო გამორიცხული თურქეთის გერმანელთა სამიზნედ ქცევა.

ამდენად, პრეზიდენტი ინონუ თავს იკავებდა რომელიმე მხარეზე გადახრისაკენ და საზოგადოებრივი აზრიც მხარს უჭერდა მის მიერ არჩეულ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. ერთი თურქის შენიშვნით, „ჩვენ ყველაზე მეტად გვაწყობს ის, რომ გერმანელებმა გაანადგურონ რუსეთი და მოკავშირეებმა გაანადგურონ გერმანია. ამ შემთხვევაში ვიგრძნობთ თავს დაცულებად“ (ციტ. Lewis, B., 2002: 296). ეს, რა თქმა უნდა, განუხორციელებელი იყო და **1943 წლიდან ანკარის სამთავრობო წრეებმა თანდა**თანობით გაანალიზეს, რომ ღერძის ქვეყნები განწირული იყვნენ მარცხისათვის.

ბრიტანეთი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ თურქეთი ჩაება ომში ჯერ კიდევ გერმანიის მიერ საბერძნეთის დაკავების შემდეგ. თურქეთი იმ თვალსაზრისითაც იყო მნიშვნელოვანი ბრიტანეთისათვის, რომ ტერიტორიულ ბარიერს წარმოადგენდა სირიისათვის, სუეცისა და სპარსეთის ყურისათვის.

სტალინგრადთან გერმანელთა მარცხის შემდეგ მოკავშირეთა ზეწოლა თანდათანობით გაძლიერდა, მაგრამ თურქეთი ისევ დაუცველად გრძნობდა თავს გერმანიის შეტევის შემთხვევაში. ამ ხანებში მოკავშირეთა მოთხოვნებიც შეიცვალა და ამიერიდან თურქეთს უყურებდნენ უფრო როგორც სტრატეგიულ ავანპოსტს მოკავშირეთა ჯარებისა და ავიაციისათვის, ვიდრე როგორც ჯარების წყაროს. შექმნილ ვითარებაში გერმანელებმა მკაცრი გაფრთხილება გააკეთეს, რომ თურქეთის მიწაზე თუნდაც ერთი სამხედრო თვითმფრინავის გამოჩენა ომის მომასწავებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ თურქეთი ისევ დაჟინებით უარს ამბობდა ნეიტრალიტეტის დარღვევაზე, აცნობიერებდა რა, რომ გერმანულ ბომბდამშენებს ბულგარეთის ბაზებიდან, ოციოდე წუთის საფრენ მანძილზე სტამბულიდან, ნებისმიერ დროს შეეძლოთ მიწასთან გაესწორებინათ ქალაქი, თურქეთის მეტად მწირ საჰაერო ძალებს კი არ შეეძლოთ სათანადოდ დაეცვათ ის (Ochsenwald & Fisher, 2004: 465).

მიუხედავად ამისა,**1943 წლის იანვარში ჩერჩილმა და ინონუმ მიაღწიეს შეთანხმებას მოკავში**რეთა ქვეყანაში შესვლის მომზადების შესახებ. საქმე, ბუნებრივია, ეხებოდა სამხედრო ავიაციას, მაგ-

2 ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც 1943 წლამდე მოქმედებდა, ბრიტანეთს შეეძლო თურქული საბადოებიდან ამოღებული ქრომი მთლიანად შეეძინა და ქვეყნიდან გაეტანა.

რამ ეს სამუშოები ხშირ შემთხვევაში საბოტაჟს აწყდებოდა და მშენებლობას თურქები წინასწარგანზრახულად ანელებდნენ.

1943 წლის დეკემბერში კაიროში შეხვედრაზე, როდესაც მოკავშირეები უკვე დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში, ინონუს ნათლად აგრძნობინეს, რომ მოკავშირეთა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თურქეთი ომის შემდეგ იზოლაციაში აღმოჩნდებოდა. ინონუ, საბოლოო ჯამში, დათანხმდა ალიანსში გაწევრიანებას, მაგრამ მან მოითხოვა ერთობლივი კამპანიის განხორციელება პირველ რიგში ბალკანეთის ფრონტზე. ეს საკმაოდ ჭკვიანური ნაბიჯი იყო, ვინაიდან მოკავშირეებს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ ბალკანეთის კამპანიის მიზანშეწონილობის შესახებ. სტალინი წინააღმდეგი იყო რეგიონში ბრიტანელებისა და ამერიკელების ნებისმიერი ჩარევისა და ჩანდა, რომ ამერიკელები მის აზრს ითვალისწინებდნენ. ბრიტანეთის პრემიერი უინსტონ ჩერჩილი მუდმივად ხაზს უსვამდა თურქეთის ომში ჩაბმის და ერთობლივი შეტევის მნიშვნელობას გერმანიაზე ბალკანეთის გზით, როგორც გერმანიის დამარცხების და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის კომუნისტებისაგან გადარჩენის საუკეთესო გზას. ჩერჩილის გეგმაზე კი გადამწყვეტი ვეტო შტატებმა დაადო. ამერიკელების თვალთახედვიდან, მცირედი შეიარაღებაც კი არ უნდა მოკლებოდა მოკავშირეთა ჯარებს გერმანიის ოკუპირებულ საფრანგეთზე ლა მანშის სრუტის მხრიდან გადამწყვეტი შეტევის წარმოებისას.

ამდენად, მიუხედავად, ალიანსში გაწევრიანებისა, თურქეთმა რეალურად მაინც აიცილა თავიდან ომში უშუალოდ ჩართვა. თუმცა, ამ დროიდან მოყოლებული, თურქეთმა მჭიდრო ეკონომიკური და სამხედრო კავშირები განავითარა მოკავშირეებთან და სხვადასხვა გზებით უწევდა მათ დახმარებას. 1944 წელს შეწყდა თურქეთის მიერ გერმანიისათვის ქრომის მიწოდება. 1944 წლის აგვისტოში თურქეთმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები გერმანიასთან და1945 წლის 23 თებერვალს ფორმალურად ომი გამოუცხადა მას. ამ აქტს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან არც ერთ თურქ ჯარისკაცს არ გაუსვრია ტყვია II მსოფლიო ომის დროს.

ომის წლებში თურქეთის ეკონომიკა მუდმივ პრესს განიცდიდა ყველა მხრიდან. იმ ვითარებაში, როდესაც მილიონზე მეტი ადამიანი ჯარში იყო გაწვეული, თურქეთის ბიუჯეტს უწევდა უზომო სამხედრო ხარჯების გაწევა. ფინანსურმა დეფიციტმა გამოწვია ინფლაცია; ფასების კონტროლი ან არ ხდებოდა, ან არაეფექტური იყო. ამავდროულად მთავრობა აიძულებდა გლეხებს მარცვლეულის მოსავალი იაფ ფასში გაეყიდათ.

მეორე მხრივ, ისიც აღსანიშნავია, რომ დაპირისპირებული მხარეები დიდ თანხებს ხარჯავდნენ თურქეთში სადაზვერვო სამუშაოებისათვის. თურქული საქონლით მეომარი მხარეების დაინტერესებამ ქვეყანას დიდი საექსპორტო ძალა შესძინა. იმ პერიოდში სამომხმარებლო საქონლის და სურსათის იმპორტი მეტად გართულებული იყო ზოგადად გემების ნაკლებობით და ასევე საომარი მდგომარეობით ხმელთაშუა ზღვაში. ამგვარ ვითარებაში კი თურქეთისათვის ზღვით გადაზიდვები მომგებიანი გახდა, გაიხსნა თურქული პორტები და თურქულმა პროდუქცია მზა ბაზარზე გავიდა, სადაც პრაქტიკულად ყველაფრის ნაკლებობა იყო.

თურქეთში ინფლაციის მაღალი დონის კიდევ ერთი მიზეზი იყო ინგლისისა და შტატების ე.წ. „წინასწარი შესყიდვების“ პოლიტიკა. ათეულობით მილიონი დოლარის ღირებულების საქონელი ნაყიდი იქნა თურქეთში და იქვე განთავსდა იმ მიზნით, რომ გერმანიას არ შეესყიდა. ომის მიწურულისათვის თურქეთს უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი მარაგი ჰქონდა მიღებული ექსპორტისა და გაყიდვებისაგან, მაგრამ ეს არ იყო დაბალანსებული იმპორტით.

ომის წლებმა თურქეთი მძიმე ეკონომიკური გამოცდის წინაშე დააყენა და ზოგადად მკვეთრად გაზარდა ეკონომიკურ ცხოვრებაში მთავრობის ინტერვენციის დონე. ინფლაციამ და მზარდმა დეფიციტმა უბიძგა ინონუს გადაედგა მეტად არაპოპულარული და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შემლახველი ნაბიჯი – დაეწესებინა ე.წ. „კაპიტალის გადასახადი“ იმ იმედით, რომ ეს გამოიწვევდა ფასების დაწევას, დაბალანსდებოდა ბიუჯეტი და შემცირდებოდა ფულის მასა. კანონით დადგინდა ყველა პროვინციაში სპეციალური კომიტეტის შექმნა, რომელიც გადასახადებს დააკისრებდა მოსახლეობას მათი კაპიტალის მიხედვით. თუმცა, ამ გადასახადის აკრეფის პროცესმა მეტად არასამართლიანი სახე მიიღო, რის შედეგადაც ყველაზე მეტად არათურქი მოსახლეობა და უცხოელი მოქალაქეები დაზარალდნენ, განსაკუთრებით სტამბულში. ბერძნები, სომხები, ებრაელები და საერთოდ უცხოელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩდნენ. ზოგიერთი ვალდებული იყო გადაეხადა მათი კაპიტალის ტოლფასი თანხა. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა პროტესტი განუცხადეს ინონუს, მაგრამ თურქეთის ნეიტრალურობის საკითხი დიდ დელიკატურობას მოითხოვდა და ევროპელთა ზეწოლა არ იყო განსაკუთრებულად მძიმე. 1943 წელს, უმაღლეს დონეზე კონფერენციების დროს კი გადასახადი გაუქმდა და ვისაც არ ჰქონდა გადახდილი, ამისგან გათავისუფლდა.

ამ ექსპერიმენტმა დაუცველობის გრძნობა დაუტოვა თურქეთის არამუსლიმ მოქალაქეებს, რომლებიც გადასახადს აღვირახსნილი ნაციონალიზმის გამოხატულებად აღიქვამდნენ.

„ყველაზე ფასეული ვალუტა, რაც ჩვენ დავკარგეთ ამ გადასახადით საფინანსო სფეროში, იყო მოქალაქის რწმენა სახელმწიფოს მიმართ... მრეწველობა, ვაჭრობა, მთლიანად ეკონომიკური ცხოვრება შეიძლება ცოცხლობდეს მხოლოდ ნდობის ატმოსფეროში; კაპიტალის გადასახადით ეს ატმოსფერო მოიწამლა“ (Ökte, 1951: 210 – ციტ. Lewis, B., 2002: 301).

ის რეპუტაცია, რომელიც თურქეთის რესპუბლიკამ მოიპოვა მას შემდეგ, რაც დაამყარა ფინანსური წესრიგი და რელიგიური ტოლერანტობა, შეირყა. მისი აღდგენა არ იყო ადვილი საქმე. თურქი პატრიოტებისათვის კაპიტალის გადასახადის ყველაზე უპატიებელი ასპექტი თურქეთის სუვერენიტეტისა და ღირსების შელახვა იყო. უცხოელი მოქალაქეებისათვის არასამართლიანი და დისკრიმინაციული ხასიათის გადასახადის თავს მოხვევით, თურქეთი სრულიად სამართლიან საფუძვლებს უქმნიდა უცხო სახელმწიფოებს მის საშინაო საქმეებში ჩასარევად; შედეგმაც არ დააყოვნა და ათათურქის შექმნილი რესპუბლიკა თითქოს დაუბრუნდა დიდი ხნის წინ გაუქმებული კაპიტულაციების „ყველაზე სამარცხვინო და დეგრადირებულ პრაქტიკას“ (იქვე).

მეორე მხრივ, ხაზი უნდა გაესვას, რომ თურქმა დიპლომატებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ნაცისტების ევროპული სამფლობელოებიდან გამოქცეულ ებრაელ ლტოლვილებს (იხ. Shaw, 1993).

ომის განმავლობაში საშინაო პოლიტიკა და პრესა მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო და ემსახურებოდა თურქეთის დარჩენას კონფლიქტის გარეთ. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირთან გამარჯვების სასწორი გერმანელთა მხარეზე იყო გადახრილი, აღორძინდა პანთურქისტული პროპაგანდა. 1941 წლის ივლისში გერმანელთა მხარდაჭერით შეიქმნა პანთურქისტული კომიტეტი. არაერთმა თურქმა გენერალმა, გერმანელთა მოწვევით, დაათვალიერა აღმოსავლეთის ფრონტი და პანთურქიზმისადმი სიმპათიით განწყობილი რამდენიმე პირი შეიყვანეს მინისტრთა კაბინეტშიც – ყველაფერი ეს კეთდებოდა გერმანელთა მოსალოდნელი გამარჯვების შემთხვევაში თავის დაზღვევისათვის. როდესაც გერმანიის მარცხის კონტურები გამოიკვეთა, 1944 წლის მაისში პანთურქისტული ორგანიზაციების მოღვაწეობა და პროპაგანდა აიკრძალა.

ომის დროს თურქეთის პოლიტიკა ხშირად ამორალურად მიიჩნევა, როგორც 1939 წლის ხელშეკრულების ღალატი. ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია დაეცა, მაგრამ ომისაგან თავის არიდება დიდი მიღწევა იყო იმ პოლიტიკოსების თვალთახედვიდან, როგორიც იყვნენ ინონუ და მისი საგარეო საქმეთა მინისტრები (შუქრუ სარაჩოღლუ, ნუმან მენემენჩიოღლუ). მათ კარგად ახსოვდათ, თუ როგორ მისცა I მსოფლიო ომის დროს ოსმალეთმა გერმანიას საშუალება გადაექცია იგი საკუთარ იარაღად და ის ნგრევა, რომელიც ამ ომმა ქვეყანას მოუტანა.

ირანი

II მსოფლიო ომის წინ ირანი, ეკონომიკური თვალსაზრისით, დიდად იყო დამოკიდებული გერმანიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ომის დასაწყისში ირანმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, ოფიციალური ირანული პოზიცია უფრო გერმანიის მხარეს იხრებოდა. რეზა შაჰი აშკარად ანტიბრიტანული და ანტირუსული განწყობისა იყო, რასაც დიდწილად განაპირობებდა ირანთან მიმართებაში ამ სახელმწიფოების იმპერიალისტური წარსული. ამასთან ერთად,1941 წლამდე რეზა შაჰი შიშობდა საბჭოთა ინტერვენციას და სურდა ეხილა ბრიტანეთი სავარაუდო საპირწონედ საბჭოთა ინტერვენციის წინააღმდეგ, რომელიც შესაძლოა გერმანიის ჩუმი თანხმობით განხორციელებულიყო (Ochsenwald & Fisher, 2004:) ჰიტლერის შეჭრამ საბჭოთა კავშირში კი ირანის დიპლომატიური სიტუაცია პრაქტიკულად ერთ დღეში შეცვალა.

ომის საწყის ეტაპზე, ირანის მეზობელი ავღანეთი ანალოგიურ პოლიტიკას მისდევდა. ავღანეთის მთავრობას ჰყავდა გერმანელ მრჩეველთა მთელი რაზმი. მან ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და შიშობდა, რომ გერმანია დათანხმდებოდა საბჭოთა ექსპანსიონიზმზე ავღანეთსა და ირანში. საბჭოთა კავშირში ნაცისტების შეჭრის შემდეგ კი ავღანეთი დათანხმდა მოკავშირეთა მოთხოვნაზე ქვეყნიდან გაეძევებინა ღერძის ქვეყნების რეზიდენტები. მთავრობა დიდ სამხედრო ხარჯებს ეწეოდა და ინფლაციამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, მაგრამ ავღანეთმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და არც ერთ ძალას არ განუხორციელებია მისი ოკუპაცია.

ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს სურდათ სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება საბჭოთა კავშირისათვის და ამისთვის სავარაუდო მცირე გზებიდან ერთ-ერთი ირანის გზა იყო, ამ გზის გამოყენება კი ქვეყნის ნეიტრალიტეტის დარღვევის ტოლფასი იქნებოდა. დიდი ბრიტანეთს ასევე სურდა ირანის ნავთობსარეწების დაცვა, ისე როგორც მეზობელი ერაყისა. მოკავშირეთა თვალთახედვიდან, ასევე არ შეიძლებოდა ირანისათვის უფლების მიცემა გამხდარიყო გერმანიის იარაღი.

1941 წლის ივლისში, ურთიერთდახმარების შესახებ ბრიტანულ-საბჭოთა შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ორივე მთავრობამ ზეწოლა განახორციელა ირანზე, რათა ქვეყნის მთავრობა აეძულებინა უამრავი გერმანელი განედევნა ქვეყნიდან. რეზა შაჰი აღაშფოთა ამ მოთხოვნამ და მის შესასრულებლად არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს.

არაერთი ულტიმატუმის წაყენების შემდეგ, 1941 წლის 25 აგვისტოს ბრიტანული და საბჭოთა ჯარები შევიდნენ ირანში. საბჭოთა კავშირმა, ირანში ჯარების შეყვანის ლეგიტიმაციისათვის გამოიყენა 1921 წლის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი, რომლის თანახმადაც მას ირანში ჯარების შეყვანის უფლება ჰქონდა იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე დაემუქრებოდა საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრებს (Blake, 2009: 12). ირანის არმია, რომელიც უფრო საშინაო ოპოზიციასთან საბრძოლველად იყო გაწვრთნილი, ვიდრე უცხოელთაგან ქვეყნის დასაცავად, მათ ორი დღის მანძილზე უწევდა წინააღმდეგობას, სანამ ახალმა მთავრობამ არ გასცა დანებების ბრძანება. პრაქტიკულად, მხოლოდ რამდენიმე მცირე შეიარაღებული ინციდენტი მოხდა. მოკავშირეებმა, როგორც ნაცისტური „მეხუთე კოლონა," დააპატიმრეს ორასამდე ირანელი ოფიცერი და ინჟინერი, ასევე რკინიგზაზე მომუშავე გერმანელები (Abrahamian, 2008: 97). ბრიტანელებმა და საბჭოელებმა, პირველი მსოფლიო ომის მსგავსად, ქვეყანა ჩრდილოეთ და სამხრეთ ზონებად გაიყვეს.

ბრიტანული ჯარები ირანში

რამდენადაც რეზა შაჰი კვლავაც გამომწვევად იქცეოდა, მოკავშირეთა ძალები შევიდნენ თეირანში. თეირანის ოკუპაცია, რომელიც სრულიად არ იყო ნავარაუდევი, ამერიკელებთან კონსულტაციის გარეშე მოხდა (Digard et al., 2001: 99). ბრიტანელები ასევე თვითონ იღებდნენ გადაწყვეტილებას გერმანელებთან კავშირში ეჭვმიტანილი პირების დაკავებაზე. თუმცა, გერმანელთა იატაკქვეშა აქტიურობა ირანის პოლიტიკური ვექტორის ძალადობრივი შეცვლის შემდეგაც მრავალითვის მანძილზე გრძელდებოდა. ირანის არმიის გენერალი ფაზლოლა ზაჰედი შეუერთდა პროგერმანულ ნაციონალისტურ მოძრაობას და მხარს უჭერდა ქურთებისა და სამხრეთის ტომების ამბოხს. თუმცა შემდგომ, გერმანელების უკანდახევის დაწყებასთან ერთად, შეწყდა ეს პროგერმანული მოძრაობებიც.

შაჰი 17 სექტემბერს ტახტიდან „ავადმყოფობის გამო" გადადგა და მისი 21 წლის ვაჟი მოჰამად რეზა გამოცხადდა ახალ მონარქად. ამდენად, ახალი მმართველი ტახტზე ავიდა ბრიტანულ-საბჭოთა ოკუპაციისა და მათ მიერ მამამისის ტახტიდან გადაყენების შედეგად, რაც სულ არ იყო მისთვის კარგი მომავლის მომასწავებელი. რეზა შაჰი თავდაპირველად ბრიტანეთის მავრიკიაზე გაასახლეს. შემდეგ ის სამხრეთ აფრიკაში მოხვდა, სადაც 1944 წელს გარდაიცვალა.

ქვეყნის ოკუპაციის ლეგალიზებისა და ოკუპაციის საზღვრების დასადგენად, ბრიტანეთმა, სსრკ-მა და ირანმა 1942 წლის იანვარში ხელი მოაწერეს სამხრივ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც

ოკუპანტი სახელმწიფოები აღიარებდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას და ვალდებულებას იღებდნენ პატივი ეცათ ირანის ტერიტორიული მთლიანობისათვის, გადაეხადათ ჯარების ყოფნის საფასური და სამხედრო ნაწილები გაეყვანათ ქვეყნიდან ომის დასრულებიდან 6 თვის მანძილზე.

საბჭოთა კავშირის მომარაგების გზა უდიდეს მნიშვნელობას ატარებდა. მეორე მხრივ კი, ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპირება საბჭოთა კავშირმა გამოიყენა საკუთარი იმპერიალისტური და კომუნისტური მიზნების გასატარებლად. ის ქმნიდა და დახმარებას უწევდა პროსაბჭოურ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, აქეზებდა ეროვნული უმცირესობების ავტონომისტურ და სეპარატისტულ მოძრაობებს და ბოლოს, 1944 წელს, მოითხოვა ნავთობის კონცესია.

ირანის თხოვნის მიუხედავად, ვაშინგტონმა უარი თქვა ხელი მოეწერა 1942 წლის სამხრივი ხელშეკრულებისათვის, რამდენადაც არ სურდა საკუთარი გავლენის ზონის გარეთ გასვლა და არც ბრიტანელების კომპეტენციებში ჩარევა. რუზველტმა მხოლოდ წერილი გაუგზავნა რეზა შაჰს, რომელშიც აღნიშნა, რომ მხარს უჭერდა მოკავშირეების მიერ გარანტირებულ ირანის ტერიტორიულ შეუვალობას. ამასთან, ამერიკელები, ფორმალური ალიანსის გარეშე, მონაწილეობდნენ სსრკ-ის მომარაგების პროგრამაში ირანის გზით. ასევე გაიგზავნა დელეგაციები სპეციფიკური მიზნებით – ირანის არმიის, პოლიციისა და ჟანდარმერიის რეორგანიზაციისათვის (იხ. Fawcett, 1992: 111). ამ მისიას სათავეში ჰერბერტ ნორმან შვარცკოპფი ედგა.[3] ამერიკული მისია რჩევებს უწევდა არმიას, რომელიც ახალმა შაჰმა პირად კონტროლს დაუქვემდებარა. ასევე გაიგზავნა მისიები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს, ტრანსპორტის მოწესრიგებისათვის; ბოლოს კი მილსპოს ახალი მისია (1943-1945) მოიწვიეს ირანის ფინანსების სამართავად – კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, როდესაც მან ფინანსთა სამინისტროს რეორგანიზება მოახდინა 20-იან წლებში. ამგვარი პოლიტიკის თვალნათლივი მიზანი იყო ირანის დაკავშირება ამერიკის ინტერესებთან.

მეორე მხრივ, საბჭოელები ცუდი თვალით უყურებდნენ ამერიკელების დამკვიდრებას ირანში და მათ მიერ თავრიზში – საბჭოთა ზონაში – საკონსულოს გახსნას, რომლის დანიშნულებაც იყო სურსათ-სანოვაგის გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბრიტანული ზონის ჩათვლით. მათი შეშფოთება გაიზარდა, როდესაც შეიტყვეს, რომ მიუხედავად ომისა, თეირანი მოლაპარაკებებს გეგმავდა ამერიკულ სანავთობო კომპანიებთან ირანის ნავთობსაბადოების ექსპლუატაციის შესახებ და ინგლისელები ასევე ცდილობდნენ ახალი კონცესიის მიღებას.

ირანის ოკუპაციამ, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მრავალ ირანელს შვება მოგვარა: მოხდა პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება, ცენზურა შემცირდა (თუმცა, ოკუპანტებმა საკუთარი ცენზურა დააწესეს), ქალებს შიშის გარეშე შეეძლოთ ქუჩაში ჩადრით გამოსვლა, მოლები კი თავისუფლად ქადაგებდნენ ათეიზმის, სეკულარიზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ. ამასთან, უცხოურმა ოკუპაციამ გააღვივა ნაციონალისტური გრძნობები. საბჭოელების მიერ დაკავებულ ზონაში კი, როგორც ზემოთ ითქვა, ინტენსიური კომუნისტური პროპაგანდა მიმდინარეობდა.

მოკავშირეთა მიერ ირანის ოკუპაცია ნიშნავდა რეზა შაჰის დიქტატორული მეთოდებით ქვეყნის საშინაო მართვის დასასრულს. შემდგომი 13 წლის მანძილზე ირანში პოლიტიკური თვალსაზრისით ცვალებადი სიტუაცია იყო და ირანული საზოგადოების სხვადასხვა ელემენტები, რომლებსაც რეზა შაჰი მკაცრად აკონტროლებდა, უმალ გამოჩდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. ახალი პარტიები თავიანთი პროგრამებით გამოხატავდნენ მრავალფეროვან ინტერესთა ჯგუფების, კლასების მიზნებს. ნაწილობრივ თავისუფალი არჩევნებიც ჩატარდა. მოკავშირეთა ჯარების ირანში შესვლამდე მხოლოდ ოცი გაზეთი გამოდიოდა, 1941-47 წლებში კი მათი რიცხვი 580-მდე გაიზარდა. მათგან 40 ყოველდღიური გაზეთი იყო. ამავე პერიოდში პარტიათა რიცხვმა ნულიდან 21-მდე მიაღწია (Atabagi, 2000: 65).

ომის დარჩენილ დროში ირანს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ეთანამშრომლა მოკავშირეებთან.

უცხოური არმიების ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა უშუალო ზეგავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე. ამის პირდაპირი შედეგი იყო ირანული რიალის მყისეული დევალვაცია 50%-ით, რამაც საშუალება შეუქმნა ირანელებს უფრო ადვილად მიეყიდათ საქონელი ოკუპანტებისათვის და რამაც ადგილობრივი ეკონომიკა გამოაფხიზლა, მაგრამ ამან ასევე გამოიწვია ახალი სირთულეები. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პურის ნაკლებობა; ჩრდილოეთში საბჭოთა არმიის მიერ პერმანენტულად ხდებოდა მარცვლეულის რეკვიზირება. არაერთ ქალაქში დაიწყო მღელვარებები. გარდა ამისა, ირანის ვალები

3 ის იყო 1991 წელს ერაყის წინააღმდეგ ნატო-ს სამხედრო ოპერაციის – „უდაბნოს ქარიშხლის“ მთავარსარდლის, ნორმან შვარცკოპფის მამა.

ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მიმართ გაიყინა (მათი გასტუმრება მოხდა ომის მიწურულს ოქროთი, მაგრამ მეტად დაბალი კურსით, რამაც ირანის ხაზინის დაცარიელება გამოიწვია).

ირანმა ომიც გამოუცხადა გერმანიას და ამდენად, შესაძლებლობა მიეცა გაერო-ს პირველ წევრთა რიცხვში აღმოჩენილიყო. **1943 წლის 9 სექტემბერს ირანი ოფიციალურად ჩაება ომში მოკავშირეთა** მხარეზე, მაგრამ თეირანის კონფერენცია, რომელიც ნოემბერში გაიხსნა ჩერჩილის, რუზველტისა და სტალინის მონაწილეობით, შაჰის გარეშე ჩატარდა და ეს ირანელებისათვის მეტად დამამცირებელი იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია ირანის შესახებ, რომელმაც დაადასტურა სამხრივი ხელშეკრულებით მოკავშირეთა მიერ აღებული ვალდებულებები.

ამერიკელების მიერ ირანის ნავთობისადმი გამოჩენილი ინტერესის საპასუხოდ, მოსკოვმა ირანს მოსთხოვა კონცესია ჩრდ. ირანის რეგიონის ნავთობზე. მოსკოვის დაინტერესების მთავარი მიზეზი, ბუნებრივია, იყო არა მარტო ნავთობი (რომლის არსებობაც რეგიონში იმ დროს არც იყო დადასტურებული) არამედ გეოპოლიტიკური მიზნებიც. ეს მოთხოვნა თავისებურად ეხმაურებოდა ირანის აზერბაიჯანის საკითხს, რომლიც ავტონომიისა და გასაბჭოების პრობლემა ომის მიწურულს მთელი სიმძაფრით დადგა (იხ. თავი X). ხაზგასასმელია, რომ თუ საბჭოთა კავშირის მოკავშირე დიდი სახელმწიფოები თავდაპირველად იხრებოდნენ აზერბაიჯანის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესაძლებლობისაკენ, თეირანი, პირიქით, ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ნებისმიერი სახით დანაწევრებას.

მოსკოვთან მოლაპარაკებების წარმართვისათვის მეჯლისმა პრემიერად გამოცდილი პოლიტიკოსი აჰმად ყავამი (1873-1955)[4] აირჩია.

> ყავამის დევიზი იყო „პოზიტიური გაწონასწორება," ნაციონალისტთა ლიდერის, დოქტორ მოსადეყის მომხრეებისა კი – „ნეგატიური გაწონასწორება" (ეს ტერმინი პირველად ჯანგალიებთან დაკავშირებით იხმარა მოდარესმა (Digard et al., 2001: 102)). **პირველი ითვალისწინებდა დისტანციის შენარჩუნებას** დიდი სახელმწიფოებისაგან მათთვის თანაბარი პრივილეგიების მინიჭებით, მეორე კი – ყოველგვარი პრივილეგიების უარყოფას.

დოქტორ მოსადეყის ინიციატივით, რომელიც თანდათანობით ყალიბდებოდა ირანელ ნაციონალისტთა ლიდერად, მეჯლისმა მიიღო კანონი, რომლითაც იკრძალებოდა „ნებისმიერი ახალი სანავთობო კონცესია, სანამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ უცხო ქვეყნების ჯარები." ამ კანონის მიღების შემდეგ, თეირანსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა დაიძაბა, მაგრამ ირანი უკვე მტკიცედ იყო დაკავშირებული შტატებთან.[5]

1944 წელს, ახალ პრემიერ მოჰამად საედს საბჭოელებმა ისევ მოთხოვეს სანავთობო ხელშეკრულების გაფორმება. საედმა უარი განუცხადა მეჯლისის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, რომ ნებისმიერი კონცესიის შესახებ მოლაპარაკება ომის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. ამის შემდეგ საბჭოელებმა „ჩათვალეს," რომ „უფრო სანდო" პრემიერი უნდა ყოფილიყო ხელისუფლების სათავეში. მიუხედავად მეჯლისის უმრავლესობის უარყოფითი განწყობისა კონცესიის მიმართ, პრემიერი მაინც გადააყენეს.

თუმცა, **1944 წლის 2 დეკემბერს მეჯლისმა ისევ გაიხსენა მის მიერ მიღებული კანონი და აუკრძალა** კაბინეტის ნებისმიერ წევრს მოლაპარაკებების წარმოება კონცესიების შესახებ, სანამ ქვეყანაში უცხო ჯარები იდგნენ. შემდგომ ეს ნაციონალისტთა და კერძოდ, მოსადეყის, რომელმაც კანონპროექტი მოამზადა, ტრიუმფად გამოცხადდა, მაგრამ პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით სწორედ საედის კაბინეტმა გადადგა და მას ასევე მხარს უჭერდა ახალი პრემიერი მორთეზა ბაიათი. გარდა ამისა, მთავრობას დაევალა მოლაპარაკებები წამოეწყო ინგლისურ-ირანულ სანავთობო კომპანიასთან ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ ირანისათვის უფრო მისაღები პირობებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ნაციონალისტებმა მოსადეყის მეთაურობით, პირველად ახსენეს ირანის საზღვრებს შიგნით არსებულ ნავთობზე სახელმწიფო მონოპოლიის უფლება, რაც მომავალი მძაფრი ბრძოლების პრელუდია გამოდგა.

---

4 ომი დროს ყავამი პრემიერი იყო 1942 წლის აგვისტოდან 1943 წლის თებერვლამდე. 1941-1945 წლებში ირანში სულ რვა პრემიერი გამოიცვალა.

5 მოსადეყი უფრო შორსაც მიდიოდა და მისი საკანონმდებლო ინიციატივით, არანაირ შემთხვევაში „ირანის მთავრობას მომავალში არ უნდა ჰქონოდა უცხო სახელმწიფოებისათვის სანავთობო კონცესიების გაცემის უფლება, იქნებოდა ეს ძიება თუ ექსპლუატაცია." მოსადეყი ასევე ითხოვდა საბჭოთა კავშირთან ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულების გაუქმებას. არსებულ ვითარებაში პარლამენტს არ შეეძლო მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება.

ირანში 40-იან წლებამდე არ არსებულა მასობრივი პოლიტიკური პარტიები, იყო მხოლოდ პოლიტიკური კლუბები თუ კონსტიტუციური რევოლუციის პერიოდის ე.წ. ანჯომანები. I მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ გაერთიანებებს ძნელად თუ შეიძლება დაერქვას პარტიები – მათაც კი, რომელთა წევრებიც მემარცხენე იდეოლოგიის მომხრეებად აცხადებდნენ თავს. რაც შეეხება ირანის კომუნისტური პარტიას, რომელიც დაარსდა 1920 წელს და დაიშალა 1931 წელს, ის რეალურად არც არსებულა – არ ეყრდნობოდა სოციალურ მოძრაობას და არც პარლამენტში იყო წარმოდგენილი.

რეზა შაჰის ტახტიდან გადადგომის შემდეგ, კომუნისტობის ბრალდებით 1937 წელს დაპატიმრებული 35 პირი გაათავისუფლეს. მათ თანამოაზრეებთან ერთად შექმნეს თუდეს (შრომის) პარტია. თუდე დასაწყისში წარმოადგენდა მემარცხენეთა გაერთიანებას, რომელიც ღია იყო ყველა ტენდენციისათვის.

თუდეს იდეოლოგიის მამამთავრად დრ. თაყი არანი ითვლება. მას გერმანიაში ჰქონდა განათლება მიღებული; იყო მგზნებარე მარქსისტი და გმობდა რეზა შაჰის დიქტატურას. არანი მოდერნიზებას მომხრე იყო, ოღონდ ქვეყნის სპარსული განსაკუთრებულობის შენარჩუნებით. მას სურდა უცხო სიტყვების განდევნა სპარსული ენიდან. ის იმდენად შორს წავიდა, რომ გამოქვეყნა სტატია, რომელშიც მოითხოვდა ირანის აზერბაიჯანის თურქული ენის დიალექტის გამოყენების შეზღუდვას და მის შეცვლას სპარსულით (ამასთან, ის წარმომავლობით სწორედ აზერბაიჯანიდან იყო) (Abrahamian, 1970: 297–98).

1933 წლიდან არანი გამოსცემდა ჟურნალ „*დონიას*“ (მსოფლიო). ჟურნალის გამოცემა 1937 წელს შეწყდა, როდესაც არანი თანამოაზრეებთან ერთად დააპატიმრეს. არანი ციხეში გარდაიცვალა. მისმა მიმდევრებმა კი 1941 წელს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, თუდე დაარსეს.

პარტიამ პირველი კონფერენცია 1942 წელს გამართა და მიიღო დროებითი პროგრამა, რომელიც თავდაპირველად ზომიერი და ლიბერალური იყო, მაგრამ პარტიის ერთიანობის შენარჩუნება რთული გამოდგა, ნაწილობრივ თუდეს წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილის თანდათანობით საბჭოთა კავშირისაკენ გადახრის გამო (Abrahamian, 1982: 137). თუდე სწრაფად გაიზარდა და მის რიგებში თუ მის მიმართ სიმპათიით განწყობილთა შორის მრავალი ინტელექტუალი აღმოჩნდა. თუდეს მთავარი ცენტრი ინდუსტრიულად დაწინაურებულ ჩრდილოეთში იყო, სადაც მას რუსებიც უჭერდნენ მხარს.

ირანში პოლიტიკურ პარტიათა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა 1943 წელს. ბრიტანელებმა დაბრუნების უფლება მისცეს ქვეყნიდან განდევნილ ყოფილ პრემიერს სეიედ ზია ად-დინ თაბათაბაის. მან შექმნა ე.წ. „ეროვნული ნების“ პარტია. ეს მემარჯვენე მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია მალე თუდეს მთავარ ოპონენტად იქცა. თუდეს გავლენის შემცირების მიზნით, თავის მხრივ, აჰმად ყავამმაც ჩამოაყალიბა ირანის დემოკრატიული პარტია, რომლის უჯრედები შეიქმნა მთელ ქვეყანაში; სურდა რა დაემარცხებინა კომუნისტები მათსავე მოედანზე, მან საკუთარი პროპაგანდა მიმართა სოციალური საკითხებისადმი და პოპულიზმისაკენ. გარდა ამისა, მას ეყო უნარი საკუთარ კაბინეტში თუდეს სამი წევრი შეეყვანა და ამგვარად, პარტია ნაციონალური ერთობის პოლიტიკის ტყვედ აქცია.

თუდეს შექმნისთანავე დაიწყო მისი ბრალდებები მოსკოვთან სავარაუდო კავშირის გამო. თავდაპირველად პარტია კატეგორიულად უარყოფდა ამ ბრალდებებს:

„ირანის თუდეს პარტიისათვის კომუნისტური იარლიყის მიკვრა სეიედ ზიას (ზია თაბათაბაი) ჯგუფის ძალისხმევის შედეგია. ამ საშუალებით ისინი ცდილობენ ჩვენით დააშინონ ირანელი კაპიტალისტები და ვაჭრები. მაგრამ ეს იარლიყი გამოგონილია და შორს დგას ჭეშმარიტებისაგან. ირანის თუდეს პარტია კონსტიტუციონალისტური პარტიაა და მხარს უჭერს კონსტიტუციურ წესრიგს. ჩვენი ღრმა რწმენით, კომუნიზმი და სოციალიზმი იშვა იმ სოციალური პირობებისგან, რომლებიც ირანში არ არსებობს და თუ ერთ დღესაც შეიქმნება ირანის კომუნისტური პარტია, ის უეჭველად არ იქნება თუდეს პარტია.“ (გაზ. *რაჰბარ*, No 281. 08.05.1944 – ციტ. Atabagi, 2000: 72).

1942 წლიდან არაერთი პროფკავშირული ორგანიზაცია გაჩნდა, რომელთაც თუდე ხელმძღვანელობდა. 1945 წლის დასაწყისისათვის თუდე წარმოადგენდა პირველ მასობრივ ორგანიზაციას ირანის ისტორიაში (Keddie, 2003: 107)

პროსაბჭოურად განწყობილებს პარტიის შიგნით მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდათ. მათ შორის იყო ხალილ მალექი, ტიტოს იდეების მომხრე, რომელმაც ზოგიერთი ინტელექტუალიც მიიზიდა, კერძოდ მწერალი ალ-ე აჰმადი. ისინი უპირისპირდებოდნენ პარტიის სტალინისტურ ხაზს, რომელიც ითვალისწინებდა მოსკოვთან მტკიცე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კავშირს. პარტიის ერთიანობისათვის ყველაზე მძიმე დარტყმა გამოდგა აზერბაიჯანში დაწყებული მოვლენები.

ომის მიწურულს, მიუხედავად დიდი სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებებისა, დიპლომატებს უმრავლესობას შთაბეჭდილება ექმნებოდა, რომ ქვეყნის მთლიანობას ორმაგი ოკუპაცია ემუქრებოდა და აზერბაიჯანში იღვიძებდა „ავტონომიზმის ძველი დემონი“ (Digard et al., 2001: 107).

ინგლისელები, ჩანდა, რომ შეგუებოდნენ აზერბაიჯანისა და ქურთისტანის გამოყოფის ორმაგ ფატალურობას; ისინი ემზადებოდნენ, ყაშყაელთა და ბახთიართა მომთაბარე ტომების საშუალებით, ქვეყნის სამხრეთში განემტკიცებინათ თავიანთი გავლენის ზონა, რომელშიც უეჭველად შევიდოდა ხუზესთანი, გასასვლელი სპარსეთის ყურეზე და ინდოეთის მოსაზღვრე ტერიტორია. მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე ირანისათვის მოსალოდნელი საბჭოთა აგრესია იყო.

ეგვიპტე

სტრატეგიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით, ეგვიპტეს დაპირისპირებულ მხარეთათვის უმნიშვნელოვანესი პოზიცია ეკავა. ომის დაწყების წინ კი ქვეყანაზე ბრიტანეთის ზეგავლენა კვლავაც დიდი იყო. ეგვიპტემ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები გერმანიასთან, როგორც კი ბრიტანეთმა ამ უკანასკნელს ომი გამოუცხადა. 1936 წლის ინგლისურ-ეგვიპტური ხელშეკრულების თანახმად, ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა, პორტები ბრიტანული ფლოტს დაექვემდებარა და დამყარდა ცენზურა. 1939-40 წლებში ეგვიპტე ბრიტანეთის იმპერიის ყველა კუთხიდან ჩამოსული ჯარების უზარმაზარ ბაზად გადაიქცა. ხელშეკრულება ზღუდავდა ბრიტანული ჯარების ყოფნას მშვიდობიან დროს, მაგრამ ომიანობის პერიოდში არანაირი შეზღუდვა არ არსებობდა (1945 წლისათვის ჯარისკაცების რიცხვმა 250 ათასს მიაღწია). ხელშეკრულებით, ბრიტანეთი ასევე ვერ მოსთხოვდა ეგვიპტეს ომის გამოცხადებას. მაგრამ ბრიტანული ჯარების ყოფნა, გერმანელთა და იტალიელთა თვალში, ეგვიპტეს თავდასხმის და ოკუპაციის სამიზნედ აქცევდა. ეგვიპტეს ჰქონდა უნარი გაეძლო ომში ჩაბმის მოთხოვნის პრესისათვის, მაგრამ არ შეეძლო, შვედეთის ან შვეიცარიის მსგავსად, მთლიანად აერიდებინა თავი მისთვის (Goldsmith, 2004: 89).

ავსტრალიელი ჯარისკაცების საუბარი ბედუინებთან

როდესაც 1940 წლის ივნისში მუსოლინის იტალია ომში ჩაება, ეგვიპტემ გაწყვიტა ურთიერთობები მასთან; იტალიამ კი გადაწყვიტა შეეტია ეგვიპტისთვისაც და სუდანისთვისაც.

გერმანიის მხარეზე იტალიის ომში ჩართვის შემდეგ სიტუაცია ინგლისელებისათვის შეიცვალა. იტალიური სამხედრო თვითმფრინავები რეიდებს ახორციელებდნენ ეგვიპტეში და ქვეყანა სრულმასშტაბიანი იტალიური შემოსევის საფრთხის წინაშე იდგა. 1940 წლის ივლისში იტალიური ძალები შეიჭრნენ სუდანში ეთიოპიიდან, მაგრამ ბრიტანეთის არმიის ინდურმა ძალებმა კონტრშეტევა წამოიწყეს და იტალიელთა ეს პირველი ოპერაცია, საბოლოოდ, მათთვის წარუმატებელი გამოდგა. 1941 წლის მაისისათვის ეგვიპტის სამხრეთით იტალიელები იძულებული გახდნენ სრული მარცხი ეღიარებინათ და ეთიოპიის დამოუკიდებლობა აღდგა. შეტევის მეორე ხაზზე, 1940 წლის სექტემბერში იტალიურმა ჯარებმა ლიბიიდან წინ წაიწიეს ალექსანდრიისა და სუეცის არხის მიმართულებით, თუმცა ბრიტანელებმა ისინი უკუაგდეს ბენღაზის დასავლეთისაკენ. 1941 წლის ზამთარში ბრიტანული არმია დაეუფ-

ლა კირენაიკასაც. ბრიტანეთის მტკიცე გადაწყვეტილებამ, არ დაეშვა ღერძის ქვეყნების ჰეგემონიის დამყარება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში, აიძულა ის ტანკების ნაწილი გადაესროლა ევროპიდან ეგვიპტეში – იმ პირობებშიც კი, როდესაც ჰიტლერის ბრიტანეთში შეჭრის ალბათობა დიდი იყო.

გერმანიამ საპასუხოდ აფრიკაში აფრიკული კორპუსი (*Afrikakorps*) გააგზავნა, გერმანული ავიაცია კი ცდილობდა გამოუსადეგრად ექცია სუეცის არხი. ამ ხანებში, **1941 წლის გაზაფხულზე, ბრიტანელებმა** გაშალეს ფრონტი ბერძნებისა და სერბების დასახმარებლად. გერმანიის აფრიკული კორპუსის მთავარსარდალმა გენერალმა ერვინ რომელმა ამით ისარგებლა და შეტევა წამოიწყო ეგვიპტეზე. შემდეგ თვეში გერმანელები დაეუფლენ კ. კრეტას და ბრიტანელთა პოზიციები აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში უკიდურესად შეირყა.

1941 წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც დიდი ძალა დახარჯეს საბერძნეთის დახმარებაზე, ბრიტანული ძალები იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ ეგვიპტის საზღვრისკენ, თუმცა ტობრუკის ციხე-სიმაგრე მათ მფლობელობაში დარჩა. ბრძოლებს ბრიტანული და იმპერიის სხვა ქვეყნების ძალები აწარმოებდნენ, მცირე ეგვიპტური არმია კი უშუალოდ არ ყოფილა ჩართული საომარ მოქმედებებში.

1941 წლის შემოდგომაზე ბრიტანულმა არმიამ მოახერხა ღერძის ძალების უკუგდება და ისევ შევიდა კირენაიკაში. მალე ბრიტანელებმა ირანი (საბჭოთა კავშირთან ერთად), ეთიოპია და სომალიც დაიკავეს. მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ბრიტანეთისათვის ყველაზე მძიმე დღეები ჯერ კიდევ წინ იყო. შორეულ აღმოსავლეთში გათამამებული იაპონელები უკვე ემუქრებოდნენ მალაიზიასა და ინდოეთს, რის გამოც ბრიტანეთი იძულებული გახდა აფრიკიდან, დასავლეთ უდაბნოდან, ტანკები აღმოსავლეთში გადაესროლა. 1942 წლის იანვარში რომელმა ისევ წამოიწყო წინსვლა ეგვიპტისაკენ.

> მას შემდეგ, რაც ომმა პრაქტიკულად მთელი ახლო აღმოსავლეთი მოიცვა, „მთელი ზონა ბრიტანული გენშტაბის მიერ მოინათლა „შუა აღმოსავლეთის თეატრად," რომელშიც შედიოდა არაბული აზია, ყურის ქვეყნები, ეგვიპტე, ლიბია, აფრიკის რქა და ბალკანეთი."

ამ დროიდან 1942 წლის მაისამდე, ერვინ რომელი შეტევა-თავდაცვითი მანევრებით აწარმოებდა ბრძოლებს ბრიტანელთა წინააღმდეგ და ფრონტი მიიყვანა ელ-ალამაინამდე, ალექსანდრიიდან დასავლეთით **110 კმ-ის მანძილზე. 1942 წლის აგვისტოში კაიროში ჩერჩილი ჩავიდა და მიღებულ იქნა გა**დაწყვეტილება, რომ ბრიტანეთის მერვე არმიას სათავეში ჩაუდგებოდა გენერალი მონტგომერი. 1942 წლის ოქტომბერში ელ-ალამაინის უმნიშვნელოვანეს ორკვირიან ბრძოლაში გერმანელთა წინააღმდეგობა გატყდა. ომის დროს აფრიკის ტერიტორიაზე ამ ყველაზე მასშტაბურ შეტაკებაში ბრიტანელთა გამარჯვება გახდა ომში შემობრუნების მომენტი და ღერძის ქვეყნების მარცხის დასაწყისი ახლო აღმოსავლეთში. მომდევნო შვიდი თვის მანძილზე მოხდა დარჩენილი გერმანული და იტალიური ჯარების ევაკუაცია ჩრდ. აფრიკიდან. და ამდენად, **1943 წლის მარტის მიწურულს ომი ჩრდ. აფრიკაში დას**რულდა. ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ლიბია სამხედრო მმართველობას დაუქვემდებარეს.

ეგვიპტის მოსახლეობის დამოკიდებულება ომისადმი არ იყო ერთგვაროვანი. პოლიტიკოსთა უმრავლესობა გერმანიისათვის ომის გამოცხადების წინააღმდეგი იყო, ერთი მხრივ, იმ შეხედულებიდან გამომდინარე, რომ ეს არ იყო ეგვიპტის ომი და მეორე მხრივ, არ იყვნენ ბრიტანელთა უეჭველ გამარჯვებაში დარწმუნებული. ამასთან ერთად, ეგვიპტე ასრულებდა ბრიტანულ-ეგვიპტური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. გერმანიის მოქალაქეები ქვეყნიდან გაასახლეს და მათი ქონების კონფისკაცია მოხდა. გარეგნულად, ეგვიპტე აქტიურად და ნებაყოფლობით თანამშრომლობდა ბრიტანეთთან ეგვიპტის დაცვის საქმეში. მოსახლეობაში გარკვეული შიში არსებობდა ბამბის გაყიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ მოთხოვნა მაღალი იყო და ფასებიც უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ამის გარანტიას ხელისუფლება იძლეოდა. მოკავშირეთა ძალების ყოფნით ბევრმა ეგვიპტელმაც ისარგებლა. გაიზარდა მოთხოვნილება ეგვიპტურ საქონელსა და მუშახელზე.

ეგვიპტელთა ნაწილი ფიქრობდა, რომ ომიდან გამარჯვებული ღერძის ქვეყნები გამოვიდოდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, ეგვიპტეს პირდებოდნენ მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას. პროგერმანულად განწყობილთა შორის იყო გენერალი აზიზ ალ-მასრი, ეგვიპტის გენშტაბის უფროსი და ასევე ახალგაზრდა კაპიტანი ანვარ ალ-სადათი, რომელზეც ბრიტანულმა დაზვერვამ ეჭვი მიიტანა, რომ თანამშრომლობდა პროგერმანულ იატაკქვეშა ორგანიზაციასთან და ის დააპატიმრეს.

მეფე ფარუკი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმპათიებით გერმანიისადმი, მაგრამ მის ახლო წრეს იტალიელები შეადგენდნენ და ალი მაჰირი, მისი ფავორიტი პრემიერ-მინისტრი, ცნობილი იყო ღერძის ქვეყნებისადმი კეთილგანწყობით. როდესაც მაჰირმა არაფერი გააკეთა იტალიელი მოქალაქეების წინააღმდეგ, ბრიტანეთის ელჩმა სერ მაილს ლემფსონმა აიძულა მეფე ის გადაეყენებინა.

რამდენადაც ჩერჩილს ნაკლებად სჯეროდა ეგვიპტური ჯარის ერთგულებისა, მან მოითხოვა, რომ ისინი გაეყვანათ დასავლეთ უდაბნოდან, ხოლო გენერალი აზიზ ალ-მასრი გადაეყენებინათ. ასევე უარყოფილ იქნა მეფე ფარუკისათვის ალი მაჰირის ხელისუფლებაში დაბრუნების ნებისმიერი შესაძლებლობა.

კრიზისმა ბრიტანელებსა და მეფეს შორის ურთიერთობებში მაქსიმალურ დონეს 1942 წლის დასაწყისში მიაღწია. მოკავშირეთა პრესის ქვეშ, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გაეწყვიტა კავშირი ვიშისტურ საფრანგეთთან. მეფე, რომელიც ამ დროს კაიროში არ იმყოფებოდა და მას ამის თაობაზე არაფერი ჰკითხეს, უკიდურესად აღშფოთდა და აიძულა პრემიერ-მინისტრი გადამდგარიყო. მისი კვლავაც ალი მაჰირით შეცვლა მეტად პროვოკაციული ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ მეფემ მკაფიოდ გამოხატა თავისი განზრახვა გაეხადა მაჰირი კაბინეტის წევრი, რომელშიც რეალური ძალაუფლება მას ექნებოდა. ბრიტანელები, ბუნებრივია, მეფის ამგვარმა საქციელმა გააღიზიანა და ბრიტანული ინტერვენცია ეგვიპტის პოლიტიკაში კიდევ უფრო დრამატულად გამოჩნდა 1942 წლის 3 თებერვალს, როდესაც ბრიტანეთის ელჩმა მეფე ფარუკს მიღებაზე განუცხადა, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლივ ახალი მთავრობის შექმნა და რომ ახალ მთავრობას მუსტაფა ნაჰასი (ალ-ნაჰჰას ფაშა) და ვაფდის პარტია უნდა ჩადგომოდნენ სათავეში. ლეფსონს ესმოდა, რომ ვაფდისტები ჯერ კიდევ ფართო პოპულარობით სარგებლობდნენ და მათი თანადგომა დიდად წაადგებოდა მოკავშირეებს. ის ასევე უწყოდა, რომ ფარუკი ყოველმხრივ შეუშლიდა ხელს მისთვის საძულველი ვაფდისტების დაბრუნებას. საკუთარი მიზნების მისაღწევად, მეორე დღეს ბრიტანელებმა მეფეს უკვე ულტიმატუმი წაუყენეს. ფარუკმა უარი განაცხადა. იმავე საღამოს, ელჩი სატანკო ნაწილის თანხლებით მიადგა მეფის სასახლეს და მოთხოვა არჩევანის გაკეთება – ან ბრიტანელთა პირობების შესრულება, ან გადადგომა. ფარუკმა ქვეყნიდან განდევნას არჩია დაენიშნა ახალი მთავრობა. ამგვარად, მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ქვეყანაში სიტუაციას მთლიანად ბრიტანელები აკონტროლებდნენ.

> მონარქიის ამგვარი დამცირება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ეგვიპტის ახალ ისტორიაში. მიუხედავად არაერთი შეცდომისა, მეფე ჯერ კიდევ ეგვიპტის სიმბოლოს წარმოადგენდა და მისდამი ამგვარი დამოკიდებულება ნაციონალისტების აღშფოთებას იწვევდა. ამ მიზეზით, პროტესტის ნიშნად, ერთ-ერთმა მაღალი რანგის ოფიცერმა, გენერალმა მუჰამად ნაგიბმა, მოითხოვა მეფისგან უფლება, რომ გაეთავისუფლებინათ ეგვიპტის არმიაში სამსახურიდან. 24 წლის ლეინტენანტი გამალ აბდელ ნასერი (აბდ ან(ალ)-ნასირი), რომელიც სუდანში მსახურობდა, ერთ-ერთი იყო ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფიდან, რომლებმაც დაიწყეს ოცნება ეგვიპტის არმიის აღდგენაზე (Mansfield, 2003: 222).ამდენად, ეგვიპტის სამივე მომავალი პრეზიდენტი – ნაგიბი, ნასერი და სადათი ომის დროს ბრიტანელების მოწინააღმდეგეთა რიგებში იყვნენ.

უდაბნოს ომის ამ გადამწყვეტ მომენტში, ბრიტანეთს უწევდა ეგვიპტის საშინაო საქმეებზე ყურადღების გადატანა. რომელის ჯარები კი უკვე ალექსანდრიას უახლოვდებოდნენ, კაიროს ქუჩებში კი ისმოდა შეძახილები – „გაუმარჯოს რომელს!“ გამოფიტული და მორალურად დეგრადირებული რამდენიმე ათასი ბრიტანელი ჯარისკაცი დეზერტირად იქცა და ნილოსის დელტას შეაფარა თავი. ბრიტანეთის საელჩომ მათი საქმეები დაწვა. ბრიტანელი სამოქალაქო პირები ეგვიპტეში პანიკამ მოიცვა. ქალები და ბავშვები მატარებლით გადაიყვანეს პალესტინაში. მაგრამ ნაჰასი და მისი მთავრობა, რომელსაც არჩევანი ბრიტანელთა სასარგებლოდ ჰქონდა გაკეთებული, თავის საქმეს აგრძელებდა. მათ დააპატიმრეს და გაასახლეს ღერძის ქვეყნების სიმპათიაში ყველა ეჭვმიტანილი, მათ შორის ალი მაჰირიც. მთავრობა უარს ამბობდა ეცნო გერმანული ოკუპაციის შესაძლებლობა იმ პირობებშიც კი, როდესაც რომელის რადიო ტრიუმფალურად აცხადებდა მის შესვლას უახლოეს ხანებში კაიროში.

მიუხედავად იმისა, რომ მუსტაფა ნაჰასი და ვაფდი თავს გარეგნულად ისევ ბრიტანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მედროშეებად წარმოადგენდნენ, ისინი თავს ვერ არიდებდნენ ბრალდებას, რომ ხელისუფლების სათავეში ბრიტანული ტანკების მხარდაჭერით მოვიდნენ. დიდი სკანდალი მოჰყვა პარტიის გენერალური მდივნის და ყველაზე პატივცემული ვაფდისტის მაკრამ უბაიდის გამოსვლას პარტიიდან და მის წერილს, რომელშიც ის ამხელდა პარტიაში გამეფებულ კორუფციას.

შუა აღმოსავლეთის მომარაგების ცენტრი

> II მსოფლიო ომმა მრავალი სიახლე შეიტანა ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ არც ერთი არ ყოფილა ისეთი ყოვლისმომცველი, როგორც ბრიტანელების მიერ დაარსებული „შუა აღმოსავლეთის მომარაგების ცენტრი“ (*Middle East Supply Center*). ჯარების სამხედრო აღჭურვილობით მომარაგებასთან ერთად, „ცენტრი“ ანაწილებდა ტონობით სამოქალაქო მოხმარების საქონელს.

ომის საწყის ეტაპზე ეგვიპტის პორტები და დოკები უზომოდ იყო გადატვირთული საქონლით, მათ შორის ფუფუნების საგნებითაც. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ომში შესაძლო მარცხის განმაპირობებელი გახდებოდა ნავსაყუდელსა და საწყობებში ადგილების არარსებობა. ამ ქაოსიდან იშვა სწორედ **1941 წლის აპრილში ხსენებული „ცენტრი", რომელმაც თავისი ეფექტური კონტროლი გაავ**რცელა მთელ ახლო აღმოსავლეთზე, თურქეთის გამოკლებით. ის აკონტროლებდა გადაზიდვებს, საქონლის სახეობას და რაოდენობას, ფლობდა იმპორტ-ექსპორტის უფლებებს და ახლო აღმოსავლეთს აუცილებელი საქონლის მინიმუმით მაინც უზრუნველყოფდა.

თავდაპირველად „ცენტრს" მხოლოდ ბრიტანელები მართავდნენ. მაგრამ 1942 წელს, როდესაც ლენდ ლიზმა ახლო აღმოსავლეთს მიაღწია და სულ უფრო მეტი საქონელი წამოვიდა აშშ-დან, ამერიკელი ოფიციალური პირებიც ჩაერთვნენ კაიროს ცენტრალური შტაბის მართვაში. ამასთან ერთად, „ცენტრის" მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები.

1944 წლის დასაწყისიდან ნათელი გახდა, რომ ბრიტანეთი, იმპორტის კონტროლის საშუალებით, გირვანქას ამყარებდა, უარს ამბობდა დოლარის მიმოქცევაზე და შესაბამისად, „ცენტრს" იყენებდა ბრიტანული ეკონომიკური კოლონიალიზმის შენარჩუნების ინსტრუმენტად. რამდენადაც ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგებოდა ამერიკის საგარეო ვაჭრობის პოლიტიკას, აშშ გამოვიდა ოპერაციებიდან **1945 წელს და „ცენტრის" საქმიანობას ამით დიდი ზიანი მიადგა. „ცენტრის" შემდგომი ფუნქციონირე**ბისათვის თავის დროზე არ იქნა მომზადებული ადგილობრივი კადრები. ამდენად, ომის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას დაუბრუნდნენ.

მრავალი ახლოაღმოსავლური ქვეყნისათვის, სწორედ „ცენტრის" მუშაობის შეწყვეტა იყო II მსოფლიო ომის დასრულების მომასწავებელი და არა ზავები, ხელშეკრულებები ან თუნდაც გაერო-ს შექმნა.

ეგვიპტე სუვერენულ ქვეყანას წარმოადგენდა, მაგრამ როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, რეალურად ბრიტანეთზე იყო დამოკიდებული. ამან ომამდელ და ომისდროინდელ პერიოდში მრავალ ახალგაზრდა ეგვიპტელს დაუკარგა საპარლამენტო დემოკრატიისა და პარტიების ნდობა. ომის წინ უკვე არსებობდა ულტრანაციონალისტური დაჯგუფება „ახალგაზრდა ეგვიპტის" სახელწოდებით, რომლის წევრებიც ატარებდნენ მწვანე პერანგებს, გადიოდნენ გასამხედროებულ წვრთნას და შემოღებული ჰქონდათ ფაშისტური მისალმების წესი. მათი ლიდერი აჰმად ჰუსაინი მოხიბლული იყო ჰიტლერით და მუსოლინით. ომის დროსა და მის შემდგომ წლებში „ახალგაზრდა ეგვიპტე" უკვე იწოდებოდა „ისლამურ სოციალისტურ პარტიად" და მონაწილეობას იღებდა დემონსტრაციებსა და მასობრივ არეულობებში. პროპაგანდა ასევე დაიწყო საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილმა ეგვიპტის კომუნისტურმა პარტიამ (Goldsmith, 2004: 89). **ყველაზე პოპულარული მოძრაობა კი „ძმების მუსლიმების ასოცი**აცია" იყო.[6] (იხ. თავი XVI)

1944 წლის ოქტომბერში მეფემ ისარგებლა ქვეყანაში ლემფსონის არყოფნით, დაითხოვა ვაფდისტთა მთავრობა და მცირე ლიბერალური პარტიების წევრები მოიწვია მთავრობის შესაქმნელად, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვაფდისტთა მოწინააღმდეგეები იყვნენ; ნაჰასი კი შეცვალა აჰმედ მაჰირით, ალი მაჰირის ძმით. ძმები მსოფლმხედველობა საკმაოდ განსხვავებული იყო და ახალი პრემიერი უფრო პრაგმატული პოლიტიკის განხორციელებას ისახავდა მიზნად. **1945 წლის არჩევნებს ვაფ**დისტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს და შესაბამისად, მასში სამთავრობო პარტიებმა გაიმარჯვეს. ბრიტანეთთან კოოპერაციის ლოზუნგით გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ, აჰმად მაჰირმა შექმნა ახალი ანტივაფდისტური მთავრობა. ახალი პრემიერი მოითხოვდა, რომ ეგვიპტეს ომი გამოეცხადებინა გერმანიისათვის მომავალ გაერო-ში ადგილის გარანტირებისათვის. 1945 წლის 24 თებერვალს აჰმედ მაჰირმა პარლამენტში წაიკითხა ეგვიპტის მიერ გერმანიისათვის ომის დეკლარაციის ტექსტი. შენობიდან გამოსვლისას კი ის მოკლეს. „თითქმის უეჭველია, რომ ეს აქტი დაიგეგმა მუსლიმი ძმების ახალი ტერორისტული ფრთის მიერ" (Mansfieed, 2003: 222).

ამგვარი არეული საშინაო ვითარებით მოუწია ეგვიპტეს ომისშემდგომ ხანაში შესვლა.

ერაყი

II მსოფლიო ომს ერაყი მძიმე ეკონომიკური პრობლემებით და დაძაბული პოლიტიკური სიტუაციით შეხვდა. შექმნილ ვითარებაში,**1939 წელს ბრიტანეთმა ერაყს შეიარაღების შესაძენად და სარ**კინიგზო მაგისტრალების მოსაწესრიგებლად ასესხა დაახლ. **4 მლნ გირვანქა სტერლინგი, ერაყის სა-**

6 ისრაელთან 1948 წლის ომში „ძმები" პირველი მოხალისეები გახდნენ.

ნავთობო კომპანიამ კი დაუმატა 3 მლნ მთავრობის ყოველდღიური ხარჯებისათვის. ომის დასაწყისშივე პრემიერმა ნური საიდმა გაწყვიტა ურთიერთობები გერმანიასთან. თუმცა, მიუხედავად მთავრობის განცხადებისა, რომ ერაყი დაიცავდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ბრიტანეთის წინაშე, მრავალი ერაყელი ლიდერი კმაყოფილი იყო ინგლისისა და საფრანგეთის ომისდროინდელი სირთულეებით.

ჰაჯ ამინ ალ-ჰუსაინი, პროგერმანულად განწყობილი იერუსალიმის მუფთი, 1939 წლის ოქტომბრიდან ბაღდადში დამკვიდრდა და აქედან ეწეოდა კამპანიას პალესტინაში არაბული სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით. მუფთის დიდი ზეგავლენა ჰქონდა ერაყის არმიის ნაციონალისტურად განწყობილ ოფიცრებზეც. ერაყი რეალურად არაბული ნაციონალისტური მოძრაობის ცენტრად იქცა, რაშიც დიდი იყო როგორც მუფთის, ისე საფრანგეთის რეპრესიებს გამოქცეული სირიელების როლი.

1940 წლის დასაწყისში, რაშიდ ალი ალ-კაილანი, ადვოკატი, მოსამართლე და მინისტრთა კაბინეტის წევრი, პრემიერი გახდა. საუბედუროდ, მან ბევრი არაფერი იცოდა ერაყის საზღვრებს გარეთ არსებულ სამყაროზე. თუ ყოფილი პრემიერი ნური საიდი „ზომიერებს“ ედგა სათავეში, რაშიდ ალი უკომპრომისო ნაციონალისტად წარმოდგა, რომელიც იმედოვნებდა გერმანული და იტალიური იარაღისა და ფულის გამოყენებას ანტიბრიტანული ნაციონალისტური მიზნების განსახორციელებლად. „ექტრემისტმა ნაციონალისტებმა უარყვეს საუდიანი მეფის აბდ ალ-აზიზის გონივრული რჩევა, რომ გამძღარი ლომი (ბრიტანეთი) უფრო უხიფათო მოკავშირე იყო, ვიდრე მშიერი აფთარი (გერმანია)“ (Ochsenwald & Fisher, 2004: 468).

ნოემბერში ბრიტანეთის ელჩმა მოსთხოვა რეგენტს მოენახა ახალი პრემიერი, რომელიც რაშიდ ალის მსგავსად აღარ დაიწყებდა დახმარების ძიებას ღერძის ქვეყნებთან (პრემიერის კავშირები ღერძის ქვეყნებთან სულ უფრო დაუფარავი ხდებოდა).

როდესაც პარლამენტმა ნდობა აღარ გამოუცხადა რაშიდ ალის და გადააყენა თანამდებობიდან, მან თავის მხრივ, პარლამენტის დაშლის მოთხოვნით რეგენტს მიმართა. ამ უკანასკნელმა უარი გაანუცხადა მოთხოვნაზე და მოქმედების თავისუფლების შენარჩუნებისათვის, ბაღდადი დატოვა. შექმნილ პირობებში რაშიდ ალი, 1941 წლის 1 აპრილს, არმიის მხარდაჭერით განხორციელებული ერთგვარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, დაუბრუნდა თავის პოსტს.

ბრიტანელებს კი მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ერაყზე ზეგავლენის შენარჩუნება. მათ თავდაპირველად ინდოეთის არმიის ბრიგადა გადმოსხეს ბასრასთან ჰაბანიას მნიშვნელოვანი საავიაციო ბაზის დასაცავად. 1941 წლის 30 აპრილს ერაყის არმიამ ალყა შემოარტYა ამ საჰაერო ბაზას. ერაყელთა მიერ დაბომბვები და საარტილერიო თავდასხმები გრძელდებოდა მთელი მაისის მანძილზე, სანამ ბრიტანელებმა და ტრანსიორდანიის არაბულმა ლეგიონმა დახმარება არ აღმოუჩინა საჰაერო ბაზას, გაანადგურა ერაყის საჰაერო ძალების უმეტესი ნაწილი და დაიკავა ბაღდადი.

31 მაისს რაშიდ ალი გაიქცა ირანში და ერაყის არმიამ ზავს მოაწერა ხელი. ბაღდადში მღელვარებები დაიწყო, რომლებიც უპირველესად ქალაქის ებრაული თემის წინააღმდეგ იყო მიმართული (რაშიც დიდი იყო იერუსალიმის მუფთისა და მისი მომხრეების დამსახურება). გერმანელები შეეცადნენ ლევანტის ფრანგული აეროდრომების გამოყენებას ერაყელი აჯანყებულების დასახმარებლად, მაგრამ დახმარებამ ძალზე დაიგვიანა. რეგენტი დაბრუნდა ნური საიდთან და ბრიტანელებთან ერთად. ამის შემდეგ ნური საიდი ახალ მთავრობას ისევ ჩაუდგა სათავეში.

ერაყული ამბოხის მარცხის შემდეგ, მუფთიმ და მისმა მომხრეებმა თავი ირანს შეაფარეს, მაგრამ ბრიტანული და საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ იძულებული გახდნენ სწრაფად დაეტოვებინათ ქვეყანა. ისინი ჯერ თურქეთში გადავიდნენ, ბოლოს კი ნაცისტურ ევროპაში აღმოჩდნენ. მუფთი იტალიიდან გერმანიაში გაემგზავრა, სადაც 1941 წლის 28 ნოემბერს შეხვდა ჰიტლერს. მუფთიმ მას განუცხადა, რომ არაბებს და გერმანელებს ერთი და იგივე მტრები ჰყავთ: ებრაელები, ბრიტანელები და კომუნისტები. მან გერმანიას შესთავაზა სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობის პირველი აქტი შეიძლებოდა გამხდარიყო არაბული ლეგიონის შექმნა, რომელიც ნაწილობრივ ჩამოყალიბდებოდა ფრანგული არმიის ჩრდილოაფრიკელი ტყვეებისაგან. ჰიტლერმა უპასუხა, რომ გერმანიის პოზიცია იყო „უკომპრომისო ბრძოლა“ ებრაელების წინააღმდეგ და, შესაბამისად, იგი წინააღმდეგი იყო პალესტინაში ყოველგვარი ებრაული ეროვნული კერის შექმნისა. მან საკმაოდ ბუნდოვნად მიანიშნა ისიც, რომ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა შეეხებოდა არაევროპულ ტერიტორიებსაც. ის დაპირდა არაბებს მატერიალურ დახმარებას, მაგრამ ნებისმიერი სამხედრო ინტერვენცია ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით დროებით გამორიცხა, რამდენადაც პრიორიტეტი მინიჭებული ჰქონდა აღმოსავლეთის ფრონტს და განსაკუთრებით კავკასიის რეგიონს. ამასთან, ჰიტლერი მოერიდა თამამ განცხადებებს სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობის შესახებ, რომ არ გაეძლიერებინა

საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობა და გერმანია იძულებული არ გამხდარიყო დიდი რაოდენობით ჯარები გაეჩერებინა საფრანგეთში.

მუფთის მოწოდებების მიუხედავად, პალესტინელმა არაბებმა უარი თქვეს აჯანყებაზე ბრიტანელების წინააღმდეგ. იმედგაცრუებულ მუფთის არ შეუწყვეტია მოღვაწეობა. ის გერმანიის სასარგებლო პროპაგანდას ეწეოდა ბალკანეთისა და საბჭოთა კავშირის მუსლიმებთან. ის ასევე მოითხოვდა გერმანიის მთავრობისაგან ყველაფერი ეღონა ებრაელთა პალესტინაში ემიგრაციის შეწყვეტისათვის.

თავის მხრივ, რაშიდ ალიც შეეცადა მოლაპარაკებების დაწყებას ღერძის ქვეყნებთან. თავს წარადგენდა რა არაბული ნაციონალური მოძრაობის ლიდერად, ის ცდილობდა გერმანიის და იტალიისაგან მოეპოვებინა არაბული ახლო აღმოსავლეთის დამოუკიდებლობის დაპირება ებრაული ნაციონალური კერის შექმნის გეგმის საწინააღმდეგოდ. მან გერმანიასთან ამ საკითხის თაობაზე საიდუმლო შეთანხმებასაც მიაღწია 1942 წლის 28 აპრილს.

ჰაჯი ამინ ალ-ჰუსაინი

თუმცა, საბოლოო ჯამში, ღერძის ქვეყნებს აღარ გამოუჩენიათ დიდი ძალისხმევა ერაყში საკუთარი ინტერესების გასატარებლად და ომის დანარჩენი დროის მანძილზე ქვეყანაში შედარებითი პოლიტიკური მშვიდობა სუფევდა. ბრიტანელები არაპირდაპირი გზით აკონტროლებდნენ ეკონომიკას, არმიას, ბიუროკრატიას და განათლების სისტემას. რაშიდ ალის მთავრობის წარმომადგენელი მრავალი ნაციონალისტი სიკვდილით იქნა დასჯილი. რეპრესიები შეეხო არმიის ოფიცერთა კორპუსსაც.

თავის მხრივ, ბრიტანელების დახმარებით ხელისუფლების სათავეში დაბრუნებულმა ნური საიდმა სცადა არაბული ერთობის საკუთარი პროექტების წინწამოწევა. საფრანგეთის დასუსტებიდან გამომდინარე, ერაყის ლიდერი ქადაგებდა იდეას სირიისა და ერაყის კავშირის შესახებ (ნაყოფიერი ნახევარმთვარის პროექტი). ნური საიდის მოწოდებას გარკვეული გამოხმაურება მოჰყვა სირიაში, განსაკუთრებით ჩრდილოეთის დიდ ქალაქებში, როგორიცაა ალეპო, სადაც თვლიდნენ, რომ მათი ქვეყანა და ერაყი ეკონომიკური თვალსაზრისით ერთმანეთს ავსებდნენ.

ერაყმა ღერძის ქვეყნებს ომი გამოუცხადა 1943 წლის იანვარში და პირველი ახლოაღმოსავლური ქვეყანა გახდა, რომელმაც გაერო-ს წევრობის უფლება მიიღო. ერაყის ნავთობი და შვრია დიდად გამოადგათ ბრიტანელებსა და მათ მოკავშირეებს ომის მოგებაში, იმის მიუხედავად, რომ 1940 წლისათვის მთლიანად ახლო აღმოსავლეთი მსოფლიო ნავთობის პროდუქციის მხოლოდ 5%-ს აწარმოებდა.

ერაყი ჩართული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისათვის საქონლის მიწოდების პროცესში. აქ განლაგებული იყო ბრიტანული და ამერიკული ჯარების საკმაოდ დიდი რაოდენობა. 1941 წლის აპრილში რუზველტი დათანხმდა, რომ ბრიტანეთისათვის განკუთვნილი დახმარების ნაწილი პირდაპირ ახლო აღმოსავლეთში გაგზავნილიყო. ივნისში რეგიონში ამერიკული მისია ჩავიდა, რომელსაც ევერელ ჰარიმანი ხელმძღვანელობდა. მისიის დასკვნით, უნდა შექმნილიყო „სპარსული დერეფანი," რომელიც ნავთობით (ძირითადად ქუვეითისა და ბაჰრეინის) მოამარაგებდა საბჭოთა კავშირს. ამ დერეფნის ასამოქმედებლად ყურეში 20 ათასზე მეტი ამერიკელი გაიგზავნა. ამერიკის ომში ჩართვის შემდეგ ვაშინგტონმა ამერიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონებად გამოაცხადა ბრიტანული სამანდატო ტერიტორიები და ეგვიპტე. ამდენად, ამ ტერიტორიებს შეეძლოთ ესარგებლათ ლენდ ლიზის კანონით. „შუა აღმოსავლეთის მომარაგების ცენტრმა" დიდი როლი ითამაშა ერაყის მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფაში. **1942 წლის შეიქმნა სექტემბერში სპეციალური ამერიკული სამხედრო მმართველობა ყურისათვის** სახელწოდებით *Persian Gulf Command* (Cloarec & Laurens, 2000: 82).

ომის უკანასკნელ წლებში ქვეყნის ჩრდილოეთში დაიწყო ქურთების აჯანყება მოლა მუსტაფა ბარზანის მეთაურობით. ახალი რეჟიმის პირობებში უკიდურესად შემცირებულმა ერაყის არმიამ მაინც მოახერხა აჯანყების ჩახშობა. თუმცა, არსებობდა ცენტრალური ხელისუფლებით უკმაყოფილო სხვა ძალებიც. **1945 წლისათვის, როდესაც ოფიციალურად დასრულდა ბრიტანეთის ოკუპაცია, მათ მიერ ხელოვნურად შექმნილი** სახელმწიფოს ერთიანობის პერსპექტივა ისევ ეჭვებს ბადებდა.

ლიბანი და სირია

ომის დასაწყისისათვის ერაყი ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, მაგრამ ლიბანი და სირია ჯერ კიდევ საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიებს წარმოადგენდა. ომის ალბათობამ გაამკაც-

რა ფრანგული მთავრობის დამოკიდებულება მათდამი. საფრანგეთს ომის დაწყებამდე სირიაში მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები ჰყავდა გენერალ ვაიგანის მეთაურობით. სირიასთან ისედაც მძიმე ურთიერთობებს დაემატა 1939 წლის ივლისში ალექსანდრეტას თურქეთისათვის „ჩუქება", რის გამოც სირიის პრეზიდენტი პროტესტის ნიშნად გადადგა. ამის შემდეგ ფრანგებმა დაშალეს წარმომადგენლობითი კრება, შეაჩერეს კონსტიტუციის მოქმედება; საგარეო საქმეები, თავდაცვა უშუალოდ დაიქვემდებარეს და თავის თავზე აიღეს კაბინეტის ფუნქციები. ასევე შექმნეს სეპარატისტული რეჟიმები ჯაბალ დრუზსა და ლატაკიაში. საბჭოთა კავშირის ომში ჩაბმამდე არსებობდა გეგმაც, რომლის თანახმადაც ფრანგულ არმიას უნდა წამოეწყო შეტევა კავკასიისაკენ, ბაქოს მიმართულებით, რათა მოესპო საბჭოთა კავშირის მიერ გერმანიის ნავთობით მომარაგების პერსპექტივა (Cloarec & Laurens, 2000: 82).

1940 წელს საფრანგეთის მარცხმა და ვიშის პროგერმანული მთავრობის შექმნამ საკმაოდ ბუნდოვანი სიტუაცია შექმნა სირიასა და ლიბანში (ისე როგორც საფრანგეთის ჩრდილო აფრიკის სამფლობელოებში – მაროკოს, ალჟირსა და თუნისში). ვიშის მთავრობის მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი კონცესიები მიეღო გერმანიისაგან და ამ მიზნით ბეირუთში საფრანგეთის უმაღლეს კომისარს უბრძანეს სრულად ეთანამშრომლა ღერძის ქვეყნებთან. მრავალი ფრანგი ოფიცერი შეუერთდა შარლ დე გოლის „თავისუფალი საფრანგეთის" ძალებს, მათი ნაწილი კი თანამშრომლობდა ვიშისა და ღერძის ქვეყნების მთავრობებთან.

საფრანგეთის მარცხის შემდეგ, ბრიტანელებმა სირიისა და ლიბანის ბლოკადა მოაწყვეს და ხელს უწყობდნენ „თავისუფალი საფრანგეთის" პირველ წარმომადგენლებს. ვიშისა და გერმანიის კოლაბორაცია ბრიტანეთის დიდ შეშფოთებას იწვევდა. სირია და ლიბანი ღერძის ქვეყნების დამხმარე ბაზად შეიძლებოდა ქცეულიყო, რითაც პირდაპირი საფრთხე შეექმნებოდა სუეცის არხსა და ნავთობით მომარაგებას. ეს შიში გააძლიერა კ. კრეტაზე გერმანელების მიერ აეროდრომების დასაკუთრებამ. თავის მხრივ, გერმანული აგენტურა აქტიურად მოქმედებდა საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიებზე და ამზადებდა მათზე გერმანიის კონტროლის დამყარების საფუძვლებს.

ეკონომიკურმა სიძნელეებმა, სურსათის ნაკლებობამ, ასევე ფრანგული ფრანკის კოლაფსმა, რომელზეც მიბმული იყო სირიისა და ლიბანის ფული, გამოიწვია გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები. ვიშის რეჟიმმა ახალი მთავრობები დანიშნა ლიბანსა და სირიაში, მაგრამ ცვლილებებმა მხოლოდ ნაწილობრივ გამოასწორა სიტუაცია, ვინაიდან სირიისა და ლიბანის ხელმძღვანელები გეგმავდნენ სრული დამოუკიდებლობის მიღწევას საფრანგეთის ამ დასუსტების მომენტში და წინააღმდეგი არ იყვნენ მოქცეულიყვნენ გერმანიის ან იტალიის გავლენის ორბიტაში.

1941 წლის გაზაფხულზე, გერმანელ „ტურისტთა" ინფილტრაციამ და სირიის აეროდრომების გამოყენებამ ერაყისათვის გერმანიის დასახმარებლად სერიოზული საფრთხე შეუქმნა ბრიტანეთის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. ამ ვითარებაში, ივნისში ბრიტანული, ავსტრალიური, ინდური, „თავისუფალი საფრანგეთის" და ტრანსიორდანიის ძალები შეიჭრნენ ფრანგულ სამანდატო ტერიტორიებზე. ეს შეტევა პირდაპირი გაგრძელება იყო ბრიტანელების მიერ ერაყის შემომტკიცებისა. წინააღმდეგობა მოულოდნელად საკმაოდ მედგარი გამოდგა და მოკავშირეთა ძალებს ბრძოლით მოუწიათ ბეირუთსა და დამასკოში შესვლა. გერმანიის დახმარების გარეშე, რომელმაც იმ დროს საბჭოთა კავშირზე წამოიწყო შეტევა, ვიშისტური საფრანგეთი 1941 წლის 21 ივლისს დათანხმდა ზავზე და დაიწყო ფრანგული ძალების გაყვანა სამანდატო ტერიტორიებიდან.

„თავისუფალი საფრანგეთი" შიშობდა, რომ დიდი ბრიტანეთი სირიაში არაბულ ნაციონალიზმს გამოიყენებდა რეგიონიდან საფრანგეთის განსადევნად. დე გოლისა და ბრიტანეთის წარმომადგენელ ლითლთონის 1941 წლის 25 ივლისის შეთანხმება დროებით აგვარებდა ამ საკითხს. ამ შეთანხმებით ბრიტანეთმა აღიარა ფრანგული ინტერესები რეგიონში. დამოუკიდებელ სირიასა და ლიბანში საფრანგეთის დომინირებადი ზეგავლენა უნდა შენარჩუნებულიყო. მიუხედავად ამ დაპირებებისა, ფრანგები მაინც შეშფოთებული იყვნენ, ვინაიდან დიდწილად ბრიტანელების კეთილ ნებაზე იყვნენ დამოკიდებული.

1943 წლის მარტში ბრიტანელებმა აიძულეს ფრანგები დათანხმებულიყვნენ სირიასა და ლიბანში კონსტიტუციური რეჟიმების აღდგენასა და არჩევნების ჩატარებაზე. საფრანგეთმა ორი სახელმწიფო დამოუკიდებელ და თავისუფალ რესპუბლიკებად აღიარა. გენერალ დე გოლის სახელით, გენერალმა კატრუმ მოსახლეობას ამის შესახებ ამცნო 1943 წლის 8 ივნისს. დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსის საბოლოოდ გარკვევა კი ამ პროკლამაციით ომის დასასრულამდე გადაიდო. ფრანგებს ნებისმიერ შემთხვევაში სურდათ სირიასა და ლიბანში კონტროლის შენარჩუნება. თუმცა, რეალური ხელისუფლება ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ხელში იყო, რამდენადაც ბრიტანეთმა მოახდინა ლიბანისა და სირიის გირვანქა სტერლინგის ზონაში ინკორპორაცია.

კაიროში „ახლო აღმოსავლეთის მომარაგების ცენტრის“ მოქმედებამ და ეკონომიკურმა ზეგავლენამ დაარწმუნა „თავისუფალი საფრანგეთი,“ რომ ბრიტანეთი ეწინააღმდეგებოდა ფრანგულ ხელისუფლებას სირიასა და ლიბანში, ამან კი დიდი დებატები გამოიწვია მოკავშირეებს შორის.

ლიბანში მუსლიმები დათახმდნენ სირიისაგან გამოყოფას, ქრისტიანებმა კი, საპასუხოდ, ქვეყანა „არაბულად“ აღიარეს. ორ თემს შორის ამგვარი კომპრომისი საფუძვლად დაედო ე.წ. დაუწერელ „ნაციონალურ პაქტს.“ ლიბანში არჩევნებში მანდატის მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს.

სირიაში რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა ნაციონალისტთა ბლოკის ლიდერი შუკრი ალ-კუვათლი. ლიბანში პრეზიდენტად არჩეულ იქნა ბიშარა ალ-ხური. ლიბანელები და სირიელები უპირისპირდებოდნენ კოლონიალიზმის პოლიტიკის გაგრძელებას და თავიანთი კონსტიტუციებიდან ამოიღეს საფრანგეთის ყოველგვარი ხსენება. საპასუხოდ, ფრანგებმა ალ-ხური და ლიბანის მინისტრთა კაბინეტი დააპატიმრეს, მაგრამ საერთო გაფიცვამ და სპონტანურმა ამბოხმა აიძულა ფრანგები ისინი გაეთავისუფლებინათ. სირიაში ნაციონალურმა ბლოკმა ასევე მიაღწია ფრანგული კონტროლისაგან თავის დაღწევას. 1944 წელს აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა ამ ორი ქვეყნის სრული დიპლომატიური აღიარება მოახდინა და მათაც ომი გამოუცხადეს ღერძის ქვეყნებს, რის შედეგადაც ასევე აღმოჩდნენ გაერო-ს პირველ წევრთა შორის. ნაციონალისტების, რუსებისა და ამერიკელების ქმედებამ აიძულა ფრანგები, დროებით მაინც, ეღიარებინათ სირიისა და ლიბანის სრული დამოუკიდებლობა.

ომის მიწურულს დე გოლი კიდევ ერთხელ შეეცადა შეენარჩუნებინა რეგიონში პრივილეგირებული მდგომარეობა. 1945 წლის მაისში ფრანგული ჯარების დამატებითი ძალების შესვლამ სირია პრაქტიკულად აჯანყების მდგომარეობამდე მიიყვანა. დამასკოში ფრანგულ არმიასა და სირიულ პოლიციას შორის სისხლიანი შეტაკებები მოხდა. ფრანგულმა ავიაციამ დაბომბა ქალაქი. ამ პირობებში დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა სიტუაციაში ჩარეულიყო და საფრანგეთს ჭეშმარიტი ულტიმატუმი წაუყენა სამხედრო ჩარევის მუქარით. ამის შემდეგ ბრძოლები შეწყდა და ფრანგები თავიანთ ყაზარმებს დაუბრუნდნენ. **1945 წლის 21 ივნისს სირიამ და ლიბანმა ყველა ფრანგი გაათავისუფლა სამსახურიდან. 13 დეკემბერს მიღებულ იქნა ბრიტანული და ფრანგული ჯარების საბოლოო გასვლის გا**დაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული ჯარები ლევანტში კიდევ ერთი წელი დარჩნენ, ამით პრაქტიკულად დასრულდა ფრანგების მმართველობა რეგიონში. 1946 წელს სირია და ლიბანი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, გაერო-ს წევრები გახდნენ.

საფრანგეთი მეტად მძიმედ შეურიგდა სირიისა და ლიბანის დაკარგვას და ეჭვიანობდა, რომ მისი მოკავშირე და ძველი იმპერიული მეტოქე დიდი ბრიტანეთი მიისწრაფვოდა ამ ქვეყნების საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევას.[7] თუმცა, სირიასა და ლიბანში შექმნილი ვითარება ვერ შეედრებოდა იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ბრიტანეთი აღმოჩნდა პალესტინაში 1946 წელს.

პალესტინა

ლიბანის, სირიისა და ერაყისაგან განსხვავებით, ბრიტანეთის სამანდატო პალესტინა პრაქტიკულად არ ყოფილა დაპირისპირებულ მხარეებს შორის საბრძოლო მოქმედებების ასპარეზი. მაგრამ II მსოფლიო ომმა აქ მაინც უმძიმესი შედეგები მოიტანა პალესტინელი არაბებისა და სიონისტი ებრაელების დაპირისპირების გამო.

ომის წინ მიღებული 1939 წლის ე.წ. „თეთრი წიგნი“ პალესტინის მომავალს არ წყვეტდა, ხოლო ებრაელთა ემიგრაცია მომავალი ხუთი წლის მანძილზე **75 ათასით შეზღუდა. იმ მომენტისათვის ებ**რაული სააგენტო და არაბები დათანხმდნენ „თეთრი წიგნის“ პირობებზე, მაგრამ ბევრს მიაჩნდა, რომ პალესტინის პრობლემა მყისიერად უნდა გადაწყვეტილიყო II მსოფლიო ომის შემდეგ მძიმე გართულებების თავიდან ასაცილებლად. ებრაული სააგენტო და არაბები უკვე ემზადებოდნენ სავარაუდო ბრძოლებისათვის.

სიონისტები მოუწოდებდნენ ებრაელებს ჩაწერილიყვნენ ბრიტანულ არმიაში და ომის დროს ათასობით პალესტინელი ებრაელი მოხალისედ იბრძოდა ბრიტანულ ჯარებში. არაბებიც იყვნენ იმპერიის არმიაში, მაგრამ მხოლოდ დამხმარე არამებრძოლ ნაწილებში. თუმცა, ბრიტანელების მოკავშირე ტრანსიორდანიის პრინცმა აბდალაჰმა ჯარები გააგზავნა მათ დასახმარებლად ერაყსა და სირიაში. მეორე მხრივ, არსებობდა არაბთა პროგერმანული ფრთაც, რომლის ლიდერიც ზემოთნახსენები იერუსალიმის მუფთი იყო.

---

7 ოცი წლის შემდეგ გენერალმა დე გოლმა, შესაძლოა, გარკვეულწილად შური იძია, როდესაც ვეტო დაადო ბრიტანეთის გაწევრიანებას ევროპის ეკონომიკურ კავშირში (Mansfield, 2003: 226).

ისიც აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმდროინდელი პოლიტიკური წინააღმდეგობებისა, პალესტინაში არაბთა და ებრაელთა ნაწილმა ეკონომიკური სარგებელიც ნახეს ომიდან 1941 წლის შემდეგ. ჯარების დიდი რაოდენობით განთავსების გამო, გაიზარდა მოთხოვნა სურსათზე, მშენებლობაზე და სამხედრო მომარაგებაზე, რამაც მათ დიდი შემოსავალი მოუტანა.

ჩერჩილის ხელისუფლების სათავეში მოსვლამ 1940 წელს ბრიტანეთის პოლიტიკის მოდიფიცირება მოახდინა პალესტინაში. ჩერჩილი ემხრობოდა სიონისტებს და 1939 წლის „თეთრი წიგნის“ წინააღმდეგი იყო. თუმცა, საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი იცავდა წინამორბედი მთავრობის პოზიციებს. ამგვარ პირობებში შემცირდა ებრაელთა ემიგრაცია პალესტინაში, მაგრამ ასევე არ განხორციელებულა არც ერთი ნაბიჯი არაბთათვის აქ ხელისუფლების გადასაცემად.

ომის დასაწყისში ფილბიმ, ბრიტანელმა ავანტურისტმა, რომელიც 20-იან წლებში ამირა აბდალაჰთან მსახურობდა, წამოაყენა პალესტინის პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი გეგმა. ამ გეგმის თანახმად, დიდი ბრიტანეთს ხელი უნდა შეეწყო ახლო აღმოსავლეთის კონფედერაციის შექმნისათვის, რომლის სათავეშიც იბნ საუდი იქნებოდა და რომელიც ინტეგრირებული უნდა ყოფილიყო ბრიტანულ თანამეგობრობაში. ფილბის ვარაუდით, 230 მილიონი გირვანქა სტერლინგის საფასურად, იბნ საუდი დათანხმდებოდა მისი სამეფოს მიწებზე პალესტინელების გადმოსახლებაზე. ებრაული სახელმწიფო კი ინტეგრირებული იქნებოდა არაბულ ფედერაციაში. იდენი უარყოფითად იყო განწყობილი ამ გეგმის მიმართ. მისი შეხედულებით, არსებულ სიტუაციაში დიდ ბრიტანეთს სჭირდებოდა არაბთა თანადგომა. 1941 წლის 29 მაისს სიტყვით გამოსვლისას იდენმა მხარი დაუჭირა გარკვეული ფორმით არაბთა ერთობის შექმნას. ჩერჩილი კი იძულებული გახდა აღარ გაეზიარებინა ფილბის გეგმა. ის შეეცადა პროექტით რუზველტის დაინტერესებას. ამ უკანასკნელმა კონტაქტები დაამყარა იბნ საუდთან 1943 წლის აგვისტოში და კატეგორიული უარი მიიღო ამ პროექტზე. შემდგომ, ამერიკელმა პრეზიდენტმა თავის ექსპერტებს დააწყებინა მუშაობა პროექტზე ინტერნაციონალიზებული პალესტინის შესახებ, რომელსაც გაუძღვებოდა სამი მონოთეისტური რელიგიის წარმომადგენელთაგან შექმნილი ორგანო. დიდი ბრიტანეთი კი, თავის მხრივ, ისევ დაუბრუნდა დაყოფის გეგმას.

> 1941 წელს რუზველტმა გადაწყვიტა ფინანსური დახმარება გაეწია საუდის არაბეთისათვის, ამ დახმარების მიზანი იყო ქვეყნის შენარჩუნება მოკავშირეთა ბანაკში იმ დროს, როდესაც რეგიონი ამჟღავნებდა ღერძის ქვეყნებისაკენ გადახრის ტენდენციას. ყურეში ამერიკელთა სამხედრო და ლოგისტიკური ყოფნა აძლიერებდა კავშირებს იბნ საუდთან. 1942 წლიდან, ამერიკელმა ექსპერტებმა გააცნობიერეს საუდის არაბეთის სტრატეგიული როლი დასავლეთის ეკონომიკისათვის. დასავლეთის ქვეყნების სანავთობო რეზერვები ადრე თუ გვიან გამოილეოდა და საუდიანთა სამეფოს ამ თვალსაზრისით, მომავალში დიდი დახმარება შეეძლო გაეწია. 1944 წლის იანვარში ამერიკულმა კომპანია CASOC-მა, რომელიც ფლობდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ყველაზე მნიშვნელოვან კონცესიებს, მიიღო სახელის შეცვლის გადაწყვეტილება და ამიერიდან იწოდებოდა „არაბულ-ამერიკულ სანავთობო კომპანიად“ (ARAMCO). კომპანიამ გაამყარა კავშირები საუდიანთა სამეფოსთან. ამერიკელებმა იტვირთეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მისია და წამოიწყეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნის, საავადმყოფოებისა და პროფესიული სკოლების გახსნის, საირიგაციო სამუშაოების ფართო პროგრამები.

რაც შეეხება ებრაელებს, ოფიციალური სიონისტური პოზიცია შეჯერდა 1942 წელს სიონისტურ კონფერენციაზე ნიუ იორკის სასტუმრო „ბილტმორში“ და ებრაულმა სააგენტომ მისი რატიფიცირება მოახდინა. „ბილტმორის პროგრამა“ ისევ და ისევ ითვალისწინებდა ებრაული კერის შექმნას მთელ პალესტინაში და ებრაელთა შეუზღუდავ ემიგრაციას ებრაული სააგენტოს კონტროლის ქვეშ.

სიონისტთა საბაზისო არგუმენტის მართლზომიერება, ემიგრაციის შეზღუდვის მოხსნისა და ებრაულის კერის დაარსების აუცილებლობის შესახებ, თითქოს დადასტურდა, როდესაც 1942 წლის მიწურულიდან ნათელი გახდა ნაცისტთა მიერ განხორციელებული ჰოლოკოსტის მასშტაბები: ებრაელები დაცულები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ებრაულ სახელმწიფოში. ნაცისტთა გაუგონარმა დანაშაულებებმა ებრაელთა წინააღმდეგ შეზარა მოკავშირე ქვეყნების ხალხები და განსაკუთრებით დიდი ეფექტი მოახდინა პალესტინაში მცხოვრებ ებრაელებზე, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ებრაელთა ევაკუაციისათვის ევროპიდან, სანამ მათ დახოცავდნენ. ამის შედეგად, ებრაული სააგენტომ დაიწყო იატაკქვეშა საემიგრაციო ქსელების შექმნა; ბრიტანეთი კი ცდილობდა კვლავაც დაეცვა შეზღუდვები. ბრიტანელებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობების კრიზისი თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც ბრიტანულმა ხელისუფლებამ უფლება არ მისცა ებრაელი ლტოლვილებით გადატვირთულ გემებს ღუზა ჩაეშვათ პალესტინის პორტებში, მათ უკან აბრუნებდნენ ან კვიპ-

როსზე გადაყავდათ. დიდი რეზონანსი მოჰყვა საბჭოთა წყალქვეშა ნავის მიერ შავ ზღვაში, ბოსფორის სრუტის სიახლოვეს, რუმინეთის პორტ კონსტანცად გამოსული გემის „სტრუმას“ ჩაძირვას, რომელსაც 769 უვიზო ებრაელი გადაჰყავდა. ამგვარი ინციდენტები სიონისტი პალესტინელების აღშფოთებას იწვევდა, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბრიტანეთის მორალური ვალი იყო გაეხსნა პალესტინის კარიბჭე უსახლკაროთათვის.

სიონისტური მოძრაობის ერთმა ფრთამ უკიდურესი რადიკალიზაცია განიცადა ომის დროს. ირგუნის[8] ერთმა ფრაქციამ, სტერნის ჯგუფმა ანუ „ლეჰიმ“, შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო ბრიტანელთა წინააღმდეგ. ის ღერძის ქვეყნებსაც კი სთავაზობდა ალიანსს, თუ ეს უკანასკნელი დათანხმდებოდა ებრაული სახელმწიფოს შექმნაზე, მაგრამ გერმანიამ პასუხი არ გასცა ამ შემოთავაზებებს. 1942 წლის თებერვალში აბრაამ სტერნი ბრიტანულმა პოლიციამ მოკლა. წინააღმდეგობის მოძრაობას სათავეში მენაჰემ ბეგინი ჩაუდგა, რომელმაც 1944 წლის მარტში შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო, იმავდროულად სტერნის ჯგუფის ექსტრემისტი წევრები, რომელსაც იცჰაკ შამირი ედგა სათავეში, ახორციელებდნენ თავდასხმებს პალესტინაში ბრიტანელების წინააღმდეგ.

ბრიტანული ბლოკპოსტი იერუსალიმის შესასვლელში

ევროპაში ომის დასასრულის მოახლოებასთან ერთად, „ბილტმორის პროგრამის“ განხორციელებისათვის მუშაობა გააქტიურდა. ევროპაში გადარჩენილი ებრაელები დროებით შეიხიზნენ ადგილმონაცვლე პირთა ბანაკებში. დასავლეთში „მსოფლიო ებრაელობამ“, ნაცისტების მიერ დახოცილი 6 მილიონი ებრაელის სამახსოვროდ, „ღვთაებრივი მოუთმენლობა“ გამოამჟღავნა ლტოლვილთათვის სამოსახლოების მონახვაში. ებრაული სააგენტოს ლიდერის, დავიდ ბენ გურიონისათვის ლტოლვილები, თუკი ისინი დასახლდებოდნენ პალესტინაში, შექმნიდნენ საჭირო უმრავლესობას სიონისტთა დომინანტი პოზიციის გარანტირებისათვის. ამდენად, ებრაული სააგენტო მოითხოვდა, რომ ებრაელები პალესტინაში წასულიყვნენ.

პალესტინაში ებრაელთა მოდინებას არაბული ქვეყნების მთავრობებისა და პალესტინელი არაბების მძაფრი ოპოზიცია მოჰყვა. ბრიტანეთი ომის დროს დაკავებული იყო არაბულ ქვეყნებსა და პალესტინაში საკუთარი სამხედრო უსაფრთხოების შენარჩუნებაზე ზრუნვით, რისი დანიშნულებაც იყო ნავთობსადენისა და ხაიფას პორტის დაცვა. ამდენად, ბრიტანული პოლიტიკა პალესტინაში ითვალისწინებდა არაბული ამბოხის ნებისმიერი გზით თავიდან აცილებას, რაც უეჭველად მოხდებოდა ბრიტანელთა თვალთახედვიდან, თუ ებრაელთა ემიგრაცია მაღალ დონეს მიაღწევდა.

თავის მხრივ, რამდენადაც სიონისტები შიშობდნენ, რომ დრო მათ საწინააღმდეგოდ შეიძლებოდა ამოქმედებულიყო, 1945 წელს ისინი უკვე კატეგორიულად მოითხოვდნენ საკუთარი პროგრამის ამოქმედებას. ბენ გურიონმა განაცხადა, რომ თუ ბრიტანეთის მთავრობა დაუბრუნდებოდა 1939 წლის „თეთრ წიგნს“, მას შეხვდებოდა სიონისტთა მძაფრი წინააღმდეგობა პალესტინაში. მაგრამ ბრიტანელთა წინაშე ებრაელთა საკითხი ისევე იდგა, როგორც არაბებისა. შესაბამისად, ლეიბორისტული მთავრობ-

8 ირგუნ ზევაი ლეუმი – ებრაული სამხედრო ორგანიზაცია; მოქმედებდა სამანდატო პალესტინაში 1931-48 წწ.

და ავადებდა ნებისმიერ ცვლილებას და 1939 წლის „თეთრი წიგნი“ თეორიულად ისევ ძალაში იყო. ამდენად, ომმა პალესტინა სამოქალაქო ომის ზღვარზე დატოვა, ეს ზღვარი კი სულ მალე გადაილახა.

არაბული ერთობის საკითხი

1943 წლის თებერვალში, პარლამენტში გამოსვლის დროს იდენის სიტყვაში გამოჩნდა, რომ ბრიტანეთი მხარს დაუჭერდა გარკვეული ფორმის არაბულ ერთობას. ნაჰას ფაშას ვაფდისტურმა მთავრობამ გამოიყენა ეს შესაძლებლობა და 1943 წ. 30 მარტს შესთავაზა არაბულ მთავრობებს გამოეგზავნათ კაიროში წარმომადგენლები არაბული ერთობის საკითხის განსახილველად. ბრიტანელებმა ამავე დროს აკრძალეს დელეგატების ჩამოსვლა პალესტინიდან და ჩრდ. აფრიკის ქვეყნებიდან. შეკრებილებმა განიხილეს „დიდი სირიის“ სახელმწიფოს შექმნის იდეა, მაგრამ მას ლიბანელი დელეგატები დაუპირისპირდნენ. სირიის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება გაეხადათ დამასკო 1943 წლის ეროვნული პაქტის გარანტი. ამ და სხვა მრავალ შემოთავაზებებზე კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. კონსულტაციები დასრულდა გაერთიანების ფორმების შესახებ მოსამზადებელი კონგრესის მოწვევის პროექტის შემუშავებით. საუდის არაბეთისა და ლიბანის მოთხოვნით, შეთანხმდნენ, რომ ეს ერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ასოციაცია. ეგვიპტეც ამ ფორმულის მომხრე იყო: საკუთარი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მტკიცედ დაცვით, ის ხელს უწყობდა თავისი მეთაურობით არაბული სამყაროს სოლიდარობის შექმნას და უკვე თავს რეგიონულ ძალად წარმოაჩენდა.

მოსამზადებელი კომიტეტი ალექსანდრიაში შეიკრიბა 1944 წლის 25 სექტემბერს და პროტოკოლის ტექსტზე შეთანხმდა 7 ოქტომბერს. სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს პალესტინელი დელეგატი მუსა ალ-ალამიც. კომისიის პირველი გადაწყვეტილება გახდა არაბული ქვეყნების ლიგის (არაბთა ლოგოს) შექმნა. ის უნდა შეედგინათ დამოუკიდებელ არაბულ სახელმწიფოებს, ვისაც სურდა მისი წევრობა. ლიგის საბჭოში ქვეყნები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე იმუშავებდნენ. საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულო უნდა ყოფილიყო. იკრძალებოდა ძალის გამოყენება წევრების მიერ ერთიმეორის წინააღმდეგ და მათ შორის ყველა სადავო საკითხი საბჭოს უნდა მოეგვარებინა. ორი განსაკუთრებული გადაწყვეტილება ეხებოდა ლიბანსა და პალესტინელებს. პირველის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა 1944 წლის საზღვრებში აღიარებული იქნებოდა კომიტეტის მიერ. პალესტინასთან დაკავშირებით, საბჭო მხარს უჭერდა არაბული მოსახლეობის დამოუკიდებლობის ცნობას, მოითხოვდა დიდი ბრიტანეთისაგან ებრაელთა ემიგრაციის შეწყვეტას, ისე როგორც არაბული მიწების შენარჩუნებას. ლიგის შექმნა ოფიციალურად გამოცხადდა 1945 წლის 22 მარტს. მისი შტაბბინა კაირო, ხოლო მისი პირველი გენერალური მდივანი ეგვიპტელი აბდ ალ-რაჰმან აზამ ბეი გახდა.

არაბთა ლიგის დამფუძნებელთა პრესკონფერენცია

რეალურად, არაბული ქვეყნების ლიგა დიდწილად ბრიტანეთის ხელდასხმით შეიქმნა. მისი დამაარსებელი გახდნენ იმ დროისათვის არსებული შვიდი დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო – ეგ-

ვიპტე, ერაყი, საუდის არაბეთი, ტრანსიორდანია, იემენი, სირია და ლიბანი. მათ დაადასტურეს, რომ ლიგა არანაირ შემთხვევაში არ იქნებოდა ფედერაცია. თითოეული წევრი ინარჩუნებდა სრულ სუვერენიტეტს და არაბთა ლიგის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულო იყო მხოლოდ მათთვის, ვინც ამ გადაწყვეტილებაზე ხელი მოაწერა.

ამასთან კი, არსებობის პირველივე დღიდანვე, როგორც ამას ლიგის ქარტია აჩვენებს, არაბული ქვეყნების რეალურად გამაერთიანებელი თემა მხოლოდ პალესტინის საკითხი იყო. ეს საკითხი კი ძლიერ გავლენას ახდენდა ამ სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკაზეც.

ომის შედეგები

ახლო აღმოსავლეთში II მსოფლიო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი იყო ახლო აღმოსავლური სახელმწიფოების დიდი ნაწილის მიერ ნეიტრალიტეტის (ნაწილობრივის მაინც) და დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ასევე მოპოვებაც. ამასთან, ბევრმა ქვეყანამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ აარიდა თავი ომს. ირანი მოკავშირეების მიერ იქნა ოკუპირებული. ბრიტანული გავლენის ქვეშ მყოფი ეგვიპტე ღრმად იყო ჩაფლული ბრძოლებში. ვიშისტური საფრანგეთის კონტროლის მოსპობამ სირიასა და ლიბანში შექმნა რეალური დამოუკიდებლობის მიღწევის პერსპექტივები, მაშინ როცა ბრიტანეთმა აღადგინა ერაყის ყოფილი რეჟიმი. ევროპაში განხორციელებულმა ჰოლოკოსტმა ღრმა გავლენა მოახდინა პალესტინაში ორ ეროვნულ თემზე. ყველა დამოუკიდებელი არაბული ქვეყანა გახდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრი.

ომმა ხელი შეუწყო ახლო აღმოსავლეთის ხალხებში ნაციონალიზმისა და იმპერიული კონტროლისადმი რადიკალური ოპოზიციის განვითარებას. მრავალ ახლოაღმოსავლურ ქვეყანაში ლიბერალური კონსტიტუციონალიზმზე დამყარებული წყობის შექმნის მცდელობებმა ომთაშორის პერიოდში შედეგი არ გამოიღო და **1945 წლის შემდეგ დაიწყო უფრო ავტორიტარული და რევოლუციური რეჟიმების ჩამოყალიბება.** II მსოფლიო ომმა დააჩქარა ინდუსტრიალიზაცია და გამოიწვია მცირე დონის მრეწველობის შექმნა, იმავდროულად კი რეგიონმა დიდი ფიზიკური დანაკლისი განიცადა ბრძოლებისა და ინფლაციის შედეგად.

გარეგნულად, ომის დასასრულისათვის რეგიონი თითქოს ფართოდ ემანსიპირებული იყო. სირიამ და ლიბანმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ერაყი და ეგვიპტეც, მიუხედავად ბრიტანეთის ძლიერი ზეგავლენისა, შეიძლებოდა ჩათვლილიყო დასავლური დომინირებისაგან თითქმის გათავისუფლებულად. საუდის არაბეთი სუვერენული სახელმწიფო იყო. მხოლოდ პალესტინა და ტრანსიორდანია რჩებოდა ბრიტანული პროტექტორატის ქვეშ.

II მსოფლიო ომის ერთ-ერთი მთავარი შედეგი კი მთელს ახლო აღმოსავლეთში იყო ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ძალების გამოფიტვა. ისინი იძულებული გახდნენ დაეთმოთ ახლო აღმოსავლეთის უმეტესი ნაწილის იმპერიული კონტროლი. ორმა ახალმა ზესახელმწიფომ, აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა ამის შედეგად თანდათანობით განავრცეს საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო ზეგავლენა ახლო აღმოსავლეთში. შტატების წინამავალი პოლიტიკური და კულტურული როლი მსოფლიოში **1945 წლის შემდეგ თანდათანობით ნათელი გახდა ახლო აღმოსავლეთის ხალხებისათვის.** აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის ქიშპი თავდაპირველად შეეხო თურქეთსა და ირანს, შემდეგ კი სხვა ახლოაღმოსავლური სახელმწიფოებიც მოიცვა. ცივი ომი კი თანდათანობით მთავარი გარეგანი ფაქტორი გახდა, რომელიც ზეგავლენას ახდენდა ახლო აღმოსავლეთის ნაციონალისტებზე გერმანიის, იტალიისა და იაპონიის მარცხიდან წლების შემდეგ.

თავი X

კავკასია და ახლო აღმოსავლეთი II მსოფლიო ომის მიწურულს და ომისშემდგომ წლებში

ირანის აზერბაიჯანის კრიზისი

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, როდესაც გამოიკვეთა გერმანიის გარდაუვალი მარცხის კონტურები, საბჭოთა ხელმძღვანელობას შეექმნა კავკასიის სამხრეთით ტერიტორიული ამბიციები თურქეთისა და ირანის მიმართ. თუ თურქეთში შემავალი ტერიტორიები ჰიპოთეკურად სომხეთსა და საქართველოს უნდა გადასცემოდა, ირანთან დაკავშირებით იდგა ორი აზერბაიჯანის – საბჭოთა და ირანის გაერთიანების საკითხი.[1]

ირანის პროვინციებში, უპირველესად აზერბაიჯანსა და ქურთისტანში, ლინგვისტური და ეთნიკური უმცირესობები ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში აღებას და თვითმართველობის დამყარებას ცენტრიდან კონტროლის მოსპობის ხარჯზე.

ჯერ კიდევ 1942 წლის თებერვლის დასაწყისში რეზა შაჰმა სთხოვა პრეზიდენტ რუზველტს, რომ აშშ გამხდარიყო ირანის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტი. ირანის მთავრობას სურდა, რომ აშშ მის მხარდამჭერ საგარეო ძალად გადაქცეულიყო (გერმანიის ნაცვლად). აშშ, რუსეთისა და ბრიტანეთისაგან განსხვავებით, არ იყო ასოცირებული ტრადიციულ კოლონიურ პოლიტიკასთან. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ რუზველტი მოერიდა იმ ხანებში ირანის მთავარ პოლიტიკურ და სამხედრო „დამცველად“ ქცევას, აშშ უაღრესად გააქტიურდა ქვეყანაში. შტატებმა ლენდ ლიზის პროგრამით 4 მლნ ტონა სამხედრო აღჭურვილობა გაგზავნეს საბჭოთა კავშირში ირანის გზით (Rossow, 1956: 17) საბოლოოდ კი, ირანში „აზერბაიჯანის კრიზისის“ დასრულება და საბჭოთა ხელმძღვანელობის ექსპანსიონისტური ამბიციების შეკავება ქვეყანაში დიდწილად სწორედ შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ძალისხმევის შედეგად განხორციელდა.

აზერბაიჯანის ჭეშმარიტი კრიზისი დაიწყო მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირმა, გაიგო რა შტატებისათვის შესაძლო სანავთობო კონცესიის გაცემის შესახებ, მოინდომა ირანზე ზეწოლის განხორციელება ქვეყნის ჩრდილოეთში სანავთობო კონცესიის მოსაპოვებლად. აქედან დაწყებული, მოსკოვი ყოველმხრივ უწყობდა ხელს სინდიკატების შექმნას და თუდეს პარტიის იმპლანტაციას ჩრდილოეთის პროვინციებში. თუმცა, ძლიერი ზეგავლენის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა თუდეს მთლიანად საბჭოთა მიზნებისათვის დაქვემდებარება.

თუდეს პარტიის აზერბაიჯანის ფრთა დაიშალა 1945 წლის ზაფხულში, როდესაც დაარსდა აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტია (სპ. *ფერქა-იე დემოქრათ-ე აზერბაიჯან*). ახალი პარტიის ლიდერი გახდა ძველი კომუნისტი ჯაფარ ფიშავარი (ის ჯერ კიდევ 1905 წელს მონაწილეობდა ბაქოში მიმდინარე რევოლუციურ მოძრაობაში). პარტიის წევრები მოითხოვდნენ რეგიონისათვის ავტონომიის მინიჭებას (შემდგომ უკვე დამოუკიდებლობის, შესაძლოა საბჭოთა აზერბაიჯანთან გაერთიანების პერსპექტივითაც) და თვლიდნენ, რომ ამგვარი რევოლუციური მოწოდება უფრო კარგად იქნებოდა მიღებული სახალხო ფენების მიერ ცენტრალიზაციის პოლიტიკის არაპოპულარობის გამო. ისინი ცენტრალურ ხელისუფლებას ბრალს დებდნენ ეთნიკური უმცირესობების ინტერესების უგულვებელყოფაში. თავის მხრივ, თუდე იზიარებდა ცენტრალიზმის იდეებს და ზღუდავდა ლოკალური ენების გამოყენებას თავის შეკრებებსა და პროპაგანდაში. დემოკრატიული პარტია ასევე მოითხოვდა ღონისძიებების გატარებას გლეხთა დასაცავად მიწისმფლობელებისაგან და ვაჭრობის ხელშეწყობას. თუდემ, პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრის ხალილ მალექის მომხრეთა მეცადინეობით, კავშირი გაწყვიტა დემოკრატიულ პარტიასთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი საბჭოთა საელჩოს მოქმედებაც იყო, რომელიც

1 ირანისა და თურქეთის კრიზისების შესახებ საქართველოში დაცული საყურადღებო საარქივო მასალები მოიძია და შეისწავლა გ. მამულიამ (Mamoulia, 2004). წინამდებარე თავში საარქივო მასალები ამ პუბლიკაციის მიხედვითაა გამოყენებული.

ცდილობდა თუდე დემოკრატიული პარტიის უბრალო დანამატად ექცია. ახალმა პარტიამ სწრაფად შექმნა პოლიტიკური ადმინისტრაცია, საკუთარი მილიციით, რომელსაც აიარაღებდა წითელი არმია.



ფიშავარი – სტალინის მარიონეტი

თუდეს პარტიის ლიდერები ეთანხმებოდნენ ფიშავარის უმცირესობათა უფლებების დაცვის აუცილებლობაში, მაგრამ კატეგორიულად უარყოფდნენ სეცესიონისტურ მოთხოვნებს. მალექიმ და თუდეს სხვა ლიდერებმა რეზოლუციაც კი მიიღეს, რომლითაც უარს აცხადებდნენ ფიშავარის პარტიის ცნობაზე. მაგრამ საბჭოთა საელჩომ მოთხოვა თუდეს, რომ უარი ეთქვა რეზოლუციის გამოქვეყნებაზე, ვინაიდან ეს „საზიანო იქნებოდა სოციალიზმის მომავლისათვის ირანში“ და აიძულა, რომ თუდეს მისალოცი წერილიც კი გაეგზავნა ფიშავარისათვის (Blake, 2009: 13). **თუმცა, ამით „შერიგება“ არ განხორციელებულა** და თუდესაც არ შეუცვლია ირანის ერთიანობის დაცვის პოზიცია, რამაც განაპირობა ზემონახსენები განხეთქილება.

დემოკრატიულმა პარტიამ 1945 წელს ჩაატარა კონგრესი თავრიზში, რომელზეც გამოცხადდა აზერბაიჯანის ავტონომიის შექმნა, მაგრამ ირანულ სახელმწიფოსთან კავშირის გაწყვეტის გარეშე, რომლისთვისაც პროვინცია აგრძელებდა გადასახადების გადახდას. დემოკრატიული პარტიის მიერ ირანის პარლამენტის ლეგიტიმურობაც აღიარებული იყო, ვინაიდან აზერბაიჯანი დეპუტატებს აგზავნიდა თეირანში. ამასთან ერთად, პროვინციაში განლაგებული ირანული სამხედრო შენაერთები ადგილობრივ ხელისუფლებას დაემორჩილნენ და არააზერბაიჯანული წარმოშობის საჯარო მოხელეები დაითხოვეს სამსახურებიდან. ოფიციალურად, საბჭოთა არმია ნეიტრალური იყო, რეალურად კი, **1942 წლის ხელშეკრულებით მოსკოვის მიერ აღებული ვალდებულების საწინააღმდეგოდ, არ აპირებ**და ქვეყნიდან გასვლას. კომუნისტებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ ამგვარი ქცევის გამართლებას, სტრატეგიული თვალსაზრისით აზერბაიჯანი მიიჩნეოდა საბჭოთა კავშირის და კერძოდ, კავკასიის უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანეს რეგიონად.

კიდევ ერთი ავტონომისტური მოძრაობა დაიწყო ქურთისტანში. მას არ ჰქონდა მკაფიოდ გამოკვეთილი კომუნისტური შეფერილობა, მიუხედავად საბჭოელებს მცდელობისა საკუთარი მიზნებისათვის დაექვემდებარებინათ იგი. ამ მოძრაობის ლიდერი ადგილობრივი დიდგვაროვნები, ყაზი მოჰადამის მეთაურობით, არაერთხელ მიიწვიეს ბაქოში კომუნიზმის „წარმატებების“ საჩვენებლად, მაგრამ დიდი ზეწოლის მიუხედავად, მათ უარი თქვეს შეერთებოდნენ აზერბაიჯანულ მოძრაობას.

> არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავება ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასა და ფიშავარის აზერბაიჯანის დემოკრატიულ პარტიას შორის. ფიშავარის პარტიის წევრებს ძირითადად ის ირანელები შეადგენდნენ, ვინც დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში და კარგად იცნობდა კომუნისტურ იდეოლოგიას. ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის წევრები კი იყვნენ ადგილობრი-

ვი კლანების ლიდერები, რომლებმაც არაფერი იცოდნენ კომუნიზმის შესახებ და საერთოდ, განათლებაც არ ჰქონდათ მიღებული. ამ მიზეზით, საბჭოელებს გაცილებით უფრო უჭირდათ ქურთების საკუთარ მხარეზე გადმობირება. ისინი დემოკრატიულ პარტიას იარაღით და ფულით ამარაგებდნენ, მაგრამ მაინც ვერ მოიკიდეს მყარად ფეხი ქურთისტანში.

თავის მხრივ, ირანის აზერბაიჯანში მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, ჯერ კიდევ1944 წლის 6 მარტს, ბაქოში შეიქმნა კავკასიის მუსლიმთა სამმართველო (აზერბაიჯანის კომპარტიის გადაწყვეტილებით!). რელიგიისა და მორწმუნეების ხელშეწყობით საბჭოთა ხელმძღვანელობა იმედოვნებდა სამხრეთ აზერბაიჯანის მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას (თუმცა, ეს სულაც არ ყოფილა მთავარი მიზანი). ომის დროს კავკასიის მუსლიმი სამღვდელოებისა და მორწმუნეების კონგრესმა მიიღო დეკლარაცია, რომლითაც მოუწოდა მთელი მსოფლიოს მუსლიმებს ჯიჰადისკენ „ფაშიზმის, გერმანიისა და იტალიის, ჰიტლერისა და მუსოლინის“ წინააღმდეგ, რომელთა გეგმებშიც შედიოდა „არაბეთისა და ეგვიპტის წმინდა მიწების დაპყრობა.“

დიდი ბრიტანეთი და აშშ ყოველმხრივ ცდილობდნენ არ დაეშვათ საბჭოთა ზეგავლენის გაძლიერება ირანში. ვაშინგტონმა და ლონდონმა ამგვარი ქმედებებით აშკარად უბიძგეს საბჭოელებს გაეგზავნათ დელეგაცია თეირანში 1944 წელს, რომელსაც საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანაშემწე სერგო ქავთარაძე მეთაურობდა. სექტემბერში თეირანში ჩასულმა დელეგაციამ მოითხოვა ხუთწლიანი სანავთობო საძიებო კონცესია ირანის ჩრდილოეთში (Hess, 1974: 122) 6 ოქტომბერს ირანის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ნებისმიერ კონცესიაზე დისკუსიების აკრძალვის შესახებ ომის დასრულებამდე. ქავთარაძე, საბჭოთა პრესა და თუდე მკაცრად აკრიტიკებდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას (იქვე, 121).

ჯორჯ ქენანის, მოსკოვში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის თანახმად, ქავთარაძის მისიის გაგზავნა განაპირობა არა სანავთობო კონცესიის მიღების სურვილმა, არამედ ირანში დასავლური სახელმწიფოების პოზიციების გამყარების შიშმა, რომელსაც თან ერთვოდა საკუთარ პრესტიჟზე ზრუნვა. საბჭოელებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ არც ერთი ქვეყანა არ შეეშვათ ჩრდ. ირანში ნავთობის ექსპლუატაციისათვის და ქენანის აზრით, შეიძლება ფიქრობდნენ, რომ აშშ მათ პოლიტიკურ მიზნებს უპირისპირდებოდა ქვეყნის ჩრდილოეთში.

1944 წლის 25 ოქტომბერს, ერთთვიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, საბჭოთა „სანავთობო“ დელეგაცია დაბრუნდა თეირანიდან მოსკოვში და მაშინვე დაიწყო სამხრეთ აზერბაიჯანში სააგიტაციო კამპანია. დაახლ. 70 ათასი ადამიანი გაიფიცა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ – ამგვარი იყო პრემიერ საედისადმი საბჭოთა პასუხი.

მაშინ როცა საბჭოთა აზერბაიჯანის ლიდერები ფართო აგიტაციას ეწეოდნენ ბრძოლის მოწოდებით „გაყოფილი“ ერის გასამთლიანებლად, მოსკოვში უფრო პრაგმატული მიდგომა აირჩიეს. 1945 წლის 6 ივლისს პოლიტბიურომ მიიღო საიდუმლო რეზოლუცია „სამხრეთ აზერბაიჯანსა და ჩრდ. ირანის სხვა პროვინციებში სეპარატისტული მოძრაობის მოღვაწეობის ორგანიზებისათვის.“ სწორედ ეს გახდა ფიშავარის მთავრობის შექმნისაკენ გადამწყვეტი ბიძგი.

რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ ირანის ნავთობის რეზერვებმა დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაინტერესებაში ახლო აღმოსავლეთით. მაგრამ ნავთობის კონცესიის საბჭოთა მოთხოვნას ასევე განაპირობებდა გეოპოლიტიკური ფაქტორიც და რთულია საბოლოო დასკვნამდე მისვლა იმის თაობაზე, თუ რა იყო პირველადი და რა მეორადი სტალინის სურვილში მოეპოვებინა ნავთობის კონცესია ჩრდ. ირანში. თუმცა ხაზგასასმელია, რომ საბჭოთა და ირანის მთავრობებს შორის სანავთობო დისპუტები (ერთი ირანული კაბინეტი ამ „სანავთობო თამაშებს“ საერთოდ შეეწირა) 1944-46 წლებში სტიმულს აძლევდა და აძლიერებდა პროპაგანდას „სამხრეთ აზერბაიჯანის გათავისუფლებისთვის.“ სტალინისათვის არ იდგა უბრალოდ ირანის აზერბაიჯანში სეპარატიზმის მხარდაჭერის საკითხი. საბჭოთა პოლიტიკა გაცილებით უფრო ამბიციური იყო და მის მიზანს წარმოადგენდა ჩრდილოეთ-სამხრეთის რკალის შექმნა პროსაბჭოურად განწყობილი ირანული ტომებისაგან, რაც მოსკოვს სპარსეთის ყურეზე გასვლის საშუალებას მისცემდა (Morozova, 2005: 88).

1945 წლის ივნისიდან სტალინმა გადაწყვიტა ირანის მიმართ პოლიტიკა გაცილებით უფრო აგრესიული გაეხადა. სამხედრო დაზვერვის წყალობით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ბრიტანელებს დაწყებული ჰქონდათ ნავთობის საძიებო სამუშაოები თეირანის რეგიონის დასავლეთითა და ჩრდილოეთით. საბჭოთა სამხედროები აქ ხედავდნენ ნავთობით მდიდარ ამ რეგიონებში ინგლისელთა შეჭრის დასაწყისს კასპიისპირეთისაკენ მათი წინსვლის პერსპექტივით. 11 ივნისს ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოლოტოვს, ქავთარაძეს და აზერბაიჯანის კომპარტიის ლიდერს ბაგიროვს „შეემუშავე-

ბინათ წინადადებები ირანის აზერბაიჯანსა და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში სეპარატისტული მოძრაობების ორგანიზებისათვის“ (Mamoulia, 2004: 276). რეზოლუცია ითვალისწინებდა სამხრეთ აზერბაიჯანში ავტონომიის შექმნას (ირანის შემადგენლობაში) და ავტონომისტური მოძრაობების წაქეზებას გილანში, მაზანდარანსა და ხორასანში. მოძრაობის წარმართვა უნდა დავალებოდა „აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას, რომელიც უნდა შეექმნათ ირანის კომუნისტური პარტიის ადგილობრივ წევრებს. რეზოლუციაში ასევე ხაზგასმული იყო ქურთული მოძრაობის წამოწყების აუცილებლობა. მართლაც, აგვისტოს ბოლოს საბჭოთა კავშირის ხელდასხმით შეიქმნა ზემოთნახსენები დემოკრატიული (რეალურად კომუნისტური) პარტია. **10 დეკემბერს კი ჯაფარ ფიშავარმა ირანის აზერბაიჯანის დე-**დაქალაქ თავრიზში ავტონომიური მთავრობის დაფუძნება გამოაცხადა. 1946 წლის იანვარში შეიქმნა ქურთული ავტონომიური მთავრობაც.

თავის მხრივ, საბჭოთა აზერბაიჯანის ლიდერი ბაგიროვი უკვე დიდი ხანია ცდილობდა ცენტრი დაერწმუნებინა ორი აზერბაიჯანის გაერთიანების აუცილებლობაში. ბაგიროვი ეწინააღმდეგებოდა ქურთული ავტონომიის შექმნის იდეას. ის ამჯობინებდა ქურთული რეგიონის გაერთიანებას ავტონომიურ აზერბაიჯანში და ქურთებისათვის კულტურული ავტონომიის მინიჭებას. ბაგიროვი ასევე უპირისპირდებოდა საბჭოთა სომხეთის ხელმძღვანელობას, რომელიც ცდილობდა კრემლიდან მიეღო დასტური ურმიის ტბის რეგიონის, სადაც სომხები მრავლად იყვნენ, საბჭოთა სომხეთისათვის მიერთებაზე ირანის დაშლის შემთხვევაში (Hasanli, 2006: 166-168).

სტალინი არ იზიარებდა ბაგიროვის მოსაზრებებს ქურთულ საკითხთან დაკავშირებით. ბაგიროვის გეგმის განხორციელების შემთხვევაში, აზერბაიჯანელები დომინანტ პოზიციას მოიპოვებდნენ რეგიონში და რაოდენობრივი თვალსაზრისით ბევრად გადააჭარბებდნენ ქართველებსა და სომხებს. არ იყო გამორიცხული პანთურქისტული განწყობების გაღვივებაც.

ფერეიდნელი ქართველებით დაინტერესება სტალინის ამ პოლიტიკის ჩარჩოებში თავსდებოდა. 1942 წლის ზაფხულში, როდესაც კავკასიის ფრონტზე წითელი არმია მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო, საბჭოთა ხელმძღვანელობამ პირველად მიაპყრო ყურადღება ფერეიდნელებს. არქივებში ფერეიდანის ქართველების პირველი მოხსენიება **1945 წლის 25 ივლისით თარიღდება. ეს არის თხზულე-**ბების და ქართული გრამფირფირტების, ასევე მუსიკალური ინსტრუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ფერეიდნელებისათვის საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა ჩარკვიანმა გაუგზავნა თეირანში საბჭოთა საელჩოს ელჩ სმირნოვის მოთხოვნით. (სპა, ფ.14, აღწ. 16, დოკ. 201, 1. 5, 7-12; ციტ. Mamoulia, 2004: 278). 1943 წლის ივნისში აშუროვმა, ისფაჰანში საბჭოთა კავშირის ვიცეკონსულმა, დეკანოზოვს, საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილეს, დეტალური ნოტა გაუგზავნა ფერეიდანის ქართველების შესახებ. ნოტაში აღწერილია, ფერეიდანის ქართველების ისტორია, მათი სოფლების ადგილმდებარეობა და მათი პოლიტიკური განწყობები. ნოტა იძლევა რეკომენდაციას ფერეიდნელი ქართველების (მიუხედავად მათი აპოლიტიკურობისა) გამოყენების უპრიანობის შესახებ მათი სამშობლოსადმი სიყვარულისა და ირანის ცენტრალური ხელისუფლებისადმი მტრული დამოკიდებულების გამო. (სცსა, ფ.14, აღწ. 25, დოკ. 229, 1. 14; ციტ. იქვე).

> **1945 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა კომისარი კიკნაძე წერდა მოლო-**ტოვს: „[საქართველო] მზად იყო ძმური დახმარება გაეწია ირანის ქართველებისათვის და გაეგზავნა ირანში ექიმების, მასწავლებლების, ისტორიკოსების, ლინგვისტების და სხვე სპეციალისტთა ჯგუფი, რომ ადგილზე შესწავლილიყო ირანის ქართველების მდგომარეობა... და პირდაპირი კულტურული კავშირების დამყარებისათვის საქართველოსა და ირანს შორის. ამ ჯგუფის წევრები მზად იქნებოდნენ ჩატარებინათ ლექციები და მიემართათ ირანში პროგრესული ელემენტებისათვის. ამ ჯგუფის დაბრუნების შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა ირანის ქართველებისათვის დახმარების გაწევისათვის ახალი ღონისძიებების შემუშავება ან საქართველოში მათი რეპატრიაციის საკითხის დაყენება, რაც ჩვენი ინფორმაციით, ბევრ მათგანს სურს“ (სპა, ფ.14, აღწ. 19, დოკ. 209, 1. 44-45; ციტ. იქვე, 279).

ირანის აზერბაიჯანის საბჭოთა აზერბაიჯანისათვის მიერთების პერსპექტივამ ქართველ და სომეხ კომუნისტებს იმედი ჩაუსახა, რომ შესაძლებლობა შეექმნებოდათ აზერბაიჯანისათვის მოეთხოვათ ტერიტორიების რევიზია. საქართველოს მხრიდან საქმე ეხებოდა საინგილოს პროვინცია (კახის, ზაქათალას და ბელაქნის რაიონები), საიდანაც იყვნენ ძირითადად გასახლებული ფერეიდნელები. (იქვე, 280). სომხების მხრიდან, ბუნებრივია, საქმე ეხებოდა მთიან ყარაბახს.

1946 წლის ზაფხულში საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მიიღო უფლება და-ენიშნა ქართველი დიპლომატი ისფაჰანის საბჭოთა საელჩოში, რომელსაც დაეკისრებოდა ფერეიდნელ ქართელებთან სამუშაოდ სპეციალური მისია. 1946 წლის 10 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ

მოითხოვა ფერეიდანში დელეგაციის გაგზავნა ფერეიდნის ქართველებისათვის ჰუმანიტარული დახმარების ჩასატანად. კიდევ ერთხელ იყო ხაზი გასმული „სამშობლოში დაბრუნების მსურველი ქართველების დაუყოვნებლივი რეპატრიაციის აუცილებლობა." 1946 წლის ოქტომბერში დეკანოზოვმა თბილისს მისცა ირანის ქართველებისათვის განსაზღვრული რადიოგადაცემების განხორციელების უფლება. საბჭოელთა გააქტიურება ფერეიდანის ქართველებთან დაკავშირებით აიხსნება 20 სექტემბერს პრობრიტანული და პროამერიკული ყაშყაელთა ტომის ამბოხით (Kuniholm, 1980: 385).

სტალინს სურდა, რომ ჰქონოდა მეტოქე ბრიტანეთის გავლენის ზონაში მღელვარებების გამოწვევის საშუალება. 3 დეკემბრს კიკნაძემ სთხოვა რესპუბლიკის ცკ-ის მეორე მდივანს პეტრე შარიას მოემზადებინა „წიგნები და ჟურნალ-გაზეთები" ირანის ქართველებისათვის. ამ დროს კი ირანული მთავრობის შეტევამ თავრიზელ სეპარატისტებზე ბოლო მოუღო ამ პროექტებს. საქართველო იძულებული გახდა ფერეიდნელ ქართველებთან სამუშაოდ გაგზავნილი ქართველი დიპლომატი უკან გამოეწვია, თუმცა 1947 წლის ივლისში თბილისმა კიდევ ერთი დიპლომატი გააგზავნა ირანში, რომელმაც სპეციალური მოხსენება მოამზადა ფერეიდნელი ქართველების შესახებ (თუმცა, არავის შეხვედრია), სადაც აღნიშნული იყო, რომ ფერეიდნელები თუდეს უჭერდნენ მხარს (სპა, ფ.14, აღწ. 22, დოკ. 412, 1. 33; Mamoulia, 2004: 281).

კავკასიის ლიდერების ოცნებები ზოგადად ეფემერული იყო, რასაც მოსკოვში აცნობიერებდნენ. სტალინიც სულაც არ იყო „დიდი აზერბაიჯანის" შექმნის მოსურნე. ფერეიდანის საკითხი, სამხ. აზერბაიჯანის საკითხთან შედარებით, ბუნებრივია, მეორეხარისხოვანი იყო და რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევას არ ემსახურებოდა.

ირანის სუვერენიტეტის დარღვევა მოკავშირეების მძაფრი პოლემიკის საგნად იქცა 1945 წელს საგარეო საქმეთა მინისტების მოსკოვის კონფერენციაზე. ამ კონფერენციამ დასავლეთს იმედები გაუცრუა. როდესაც ჯეიმს ბირსნმა ირანის საკითხი დააყენა, სტალინმა მას უპასუხა, რომ ა) საზღვართან ახლოს მდებარე ბაქოს ნავთობსაბადოები „დაცული უნდა იყოს ირანის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნებისმიერი მტრული ქმედებისაგან და ირანის მთავრობის ნდობა არ შეიძლება"; ბ) რუსეთს აქვს უფლება ირანში ჯარები დატოვოს 15 მარტამდე (სინამდვილეში, 2 მარტამდე, რადგან ამ დღეს სრულდებოდა იაპონიასთან ომის დამთავრებიდან 6 თვე); გ) 1921 წლის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირს უფლებას აძლევს გაგზავნოს ჯარები ირანში „თუ არსებობს რომელიმე საგარეო წყაროდან შესაძლო საფრთხე" (Byrnes, 1947: 119).

1945 წლის 15 ნოემბერს საბჭოელებმა დაიწყეს ირანის აზერბაიჯანში ამბოხებულებისათვის იარაღის დარიგება და მომდევნო დღეს გულდასმით დაგეგმილი რევოლუციური ოპერაცია დაიწყო.

ფიშავარის რეჟიმმა ტერორის ატმოსფერო შექმნა. მოსახლეობის დატერორებას კი აწარმოებდა ფიშავარის მთავრობის შრომის, განათლებისა და პროპაგანდის მინისტრი მოჰამედ ბერია (არაფერია ჰქონია საერთო ლავრენტი ბერიასთან) (Rossow, 1956: 19). ის იყენებდა ე.წ. „საბჭოთა აზერბაიჯანთან მეგობრობის საზოგადოების" მებრძოლებს. 1946 წლის იანვარში ფიშავარმა „ჯიჰადი" გამოუცხადა დანარჩენ ირანს და მოუწოდა აზერბაიჯანელ ხალხს „ამბოხება, თეირანის მთავრობის დამხობა და ახლის შექმნა."

ნათელი იყო, რომ მოძრაობის საბოლოო მიზანი საბჭოელებს და ფიშავარს სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ. ეს უკანასკნელი, ჩანს, რომ არ კმაყოფილდებოდა ავტონომიით ირანის ფარგლებში. ის ოცნებობდა აზერბაიჯანის ეროვნულ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის ზეგავლენის სფეროში შევიდოდა, მსგავსად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა.

სამხრეთ აზერბაიჯანში მოვლენათა სწრაფმა განვითარებამ 1945 წლის მიწურულსა და 1946 წლის დასაწყისში გადააჭარბა მოსკოვის მოლოდინს და ეს სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო დიპლომატიის იმ ჩარჩოებს, რომელიც საბჭოთა კავშირს არსებულ ვითარებაში უნდა დაეცვა. აზერბაიჯანის ეროვნულმა პარლამენტმა საბოლოოდ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. სწორედ მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს ეროვნულმა პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება „აზერბაიჯანის სახალხო არმიის შექმნის" შესახებ (Hasanli, 2006: 170).

თუმცა, მაისის ბოლოს ფიშავარი უკვე ალაპარაკდა იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო საერთო ენის გამონახვა ცენტრალურ ხელისუფლებასთან „ვინაიდან ბრიტანელები და ამერიკელები აზერბაიჯანის საკითხს გასაცვლელ პაიკად იყენებენ ჩვენ დიდი მეგობართან, საბჭოთა კავშირთან თამაშში" (Rossow, 1956: 25).

შექმნილ ვითარებაში, პრემიერ ჰაქიმის მთავრობის უუნარობამ გადაელახა კრიზისი გამოიწვია მისი გადადგომა და გზა გაუხნა აჰმად ყავამს, რომელიც ხელახლა გახდა ირანის პრემიერი 1946 წლის 27 იანვარს.

აჰმად ყავამი

სახელმწიფო მდივან ბირნსისგან განსხვავებით, რომელსაც შეეძლო გამოეყენებინა შტატების ძალა ირანის მიმართ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის საჯაროდ დაგმობისას, ყავამი თავს არიდებდა ირანის დიდი მეზობლის პროვოცირებას. მან მალე დააპატიმრა პრობრიტანულად განწყობილი რამდენიმე ოფიციალური პირი და გამოამჟღავნა მზადყოფნა საბჭოელებთან მაღალ დონეზე ოფიციალური მოლაპარაკებების გამართვაზე (Lenczowski, 295). ისტორიული ჩანაწერების მიხედვით, ყავამი ბურუსით მოცულ პიროვნებად წარმოდგება. თითქმის ყველას ჰქონდა მისდამი უნდობლობის საფუძველი. შაჰს აღიზიანებდა იგი, რადგანაც მისი თვალთახედვიდან, ყავამს შეეძლო კომუნისტებისათვის „ჩაებარებინა“ ქვეყანა; რუსები ეჭვობდნენ, რომ ყავამი ორმაგ თამაშს თამაშობდა და ბრიტანელებისა და ამერიკელების მარიონეტი იყო; ამერიკელი დიპლომატები მას გამჭრიახ პოლიტიკოსად თვლიდნენ, რომლის მიზნების გარკვევაც ხშირად რთული იყო; ბრიტანელები კი ცბიერ ბებერ ჩიტად (*sly old bird*) მოიხსენიებდნენ. ის ფაქტი, რომ ყავამს ყველა ეჭვის თვალით უყურებდა, ალბათ მისი გონიერებისა და დამოუკიდებლობის დამადასტურებელია. მიზნების მისაღწევად ყავამი, როგორც მსგავსი პოლიტიკური ფიგურები ნებისმიერ დროსა და ადგილზე, იყო უნარის მქონე ეთამაშა ცბიერი თამაში, თუკი ეს ემსახურებოდა ქვეყნის ინტერესებს (Samii, 1987: 99).

ყავამს თებერვალში მოსკოვში ჰქონდა უშედეგო მოლაპარაკებები (საბჭოთა მოთხოვნა იყო გაურკვეველი ვადით ჯარების გამოყვანის გადადება და ერთობლივი სანავთობო კომპანიის შექმნა). თეირანში მარტში ის შეხვდა აშშ-ის ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის საქმეების დივიზიონის დირექტორს მარის და შეატყობინა, რომ საბჭოელები ყოყმანობდნენ ჯარების გაყვანაზე, უარყოფდნენ აზერბაიჯანის საქმეებში ჩარევას და იმავდროულად დაჟინებით მოითხოვდნენ ერთობლივ სანავთობო კომპანიის შექმნას. პრემიერმა მათ უპასუხა, რომ სანავთობო მოლაპარაკებებამდე საჭირო იყო ახალი მეჯლისის არჩევა, მაგრამ არჩევნები ვერ ჩატარდებოდა, სანამ საბჭოთა ჯარები ირანში იდგნენ. მარიმ ყავამს პოზიციების მტკიცედ დაცვა ურჩია და დაპირდა ამერიკის სრულ მხარდაჭერას; ასევე შეახსენა, რომ ირანი დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა. დამატებით, მარიმ ხაზი გაუსვა ისედაც გავრცელებულ ხმებს საბჭოელების მიერ თეირანის მოსალოდნელი ოკუპაციის შესახებ და საბჭოთა კავშირის ქმედებები შეადარა ევროპულ ქვეყნებში ჰიტლერის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მეთოდებს (Lenczowski, 1949: 297-98).

იმ დროს აშშ-ში ირანის ელჩის ჰოსეინ ალის ცნობით, საბჭოთა ლიდერები ცდილობდნენ ყავამის დათანხმებას შემდეგ წინადადებებზე:

– საბჭოთა შეიარაღებული ძალები ირანში დარჩებოდნენ განუსაზღვრელი ვადით;

– ირანის მთავრობა აღიარებდა აზერბაიჯანის ავტონომიას; სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფდა, რომ ადგილობრივი შემოსავლების **30% გადასცემოდა თეირანის ცენტრალურ ხელ**ისუფლებას, რომელსაც ეს თანხები უნდა გამოეყენებინა პროვინციის დაცვისა და მისი საგარეო ურთიერთობებისათვის;

– საბჭოთა კავშირი უარს იტყოდა სანავთობო კონცესიების მოთხოვნაზე ერთობლივი ირანულ-საბჭოთა სააქციო საზოგადოების შექმნის სანაცვლოდ, რომლის აქტივების **51%-ის მფლობელი საბ**ჭოთა მხარე უნდა გამხდარიყო. (ციტ. Sicker, 1988: 75)

საბჭოთა კავშირმა, ჯარების გამოყვანის ნაცვლად, პირიქით, ჯარების შეყვანა დაიწყო 1946 წლის მარტში. იმავდროულად სატანკო არმია მარშალ ტოლბუხინის მეთაურობით განლაგდა აღმოსავლეთ ბულგარეთში თურქეთის ევროპული საზღვრის გასწვრივ. **4 მარტს 15-მა საბჭოთა საჯავშნო ბრიგა**დამ გადალახა საზღვარი (ეს ხდებოდა ყავამის მოსკოვში ყოფნის დროს) და თურქეთ-ირანის საზღვრიდან დაიწყო წინსვლა თეირანისაკენ. მეჰაბადში ქურთულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, საქართველომ კი ოფიციალური გამოთქვა ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ. ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ამ მოვლენებს მიიჩნევს „ცივი ომის“ დასაწყისად, რამდენადაც

სწორედ ამ დროს მოხდა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ქვეყნების პირდაპირი დაპირისპირება, რომელიც ვერ გადაწყდა დიპლომატიური გზებით (Morozova, 2005: 110).

შტატებმა დაუყოვნებლივ მოთხოვა პასუხი მოსკოვს. თუმცა, მოსკოვი კატეგორიულად უარყოფდა, რომ დამატებითი ძალები შეიყვანა ირანში.

„ირანი ომის დროს ჩვენი მოკავშირე იყო. ირანი რუსეთის მოკავშირეც იყო ომში... ახლა კი რუსეთი აგულისებს აჯანყებებს და ტოვებს ჯარებს ჩვენი მეგობრისა და მოკავშირის – ირანის მიწაზე. ჩემთვის ეჭვი არ არსებობს, რომ რუსეთი აპირებს თურქეთში და შავი ზღვის სრუტეებში შეჭრას ხმელთაშუა ზღვისაკენ. თუკი რუსეთს არ დაუპირისპირდება მტკიცე ნება და მყარი განცხადებები, კიდევ ერთი ომი დაიწყება... მე არ ვფიქრობ, რომ უნდა გავაგრძელოთ კომპრომისები... მე დავიღალე რუსების ფერებით“ (Truman, 1955: 550).

სწორედ იმ დღეს, როდესაც ჩერჩილი ფულტონში სიტყვით გამოდიოდა, სახელმწიფო მდივანმა ბირნსმა მოსკოვში ნოტა გააგზავნა, რომელიც მეორე დღეს ქენანმა საბჭოთა ხელმძღვანელობას გადასცა. წერილის თანახმად, „საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება დატოვოს საბჭოთა ჯარები ირანში იმ დროის შემდეგ, რაც განსაზღვრულია სამმხრივი ხელშეკრულებით, ქმნის სიტუაციას, რომლის მიმართაც შეერთებული შტატები, როგორც გაერო-ს წევრი და როგორც მონაწილე **1943 წლის 1 დეკემბრის** დეკლარაციისა ირანის შესახებ, არ შეიძლება დარჩეს ინდიფერენტული“ (Samii, 1987: 99).

ამ ნოტას არ მოჰყოლია ოფიციალური საბჭოთა პასუხი; იყო მხოლოდ ტრუმენის კრიტიკა ჩერჩილის ფულტონის გამოსვლის მხარდაჭერისათვის.

მეორე წერილი მოსკოვში 8 მარტს გაიგზავნა. ჯორჯ ქენანს მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია, შეეტყობინებინა საბჭოთა მთავრობისათვის, რომ „აშშ-ის მთავრობას სურს იცოდეს, თუ რატომ ხდება, რომ საბჭოთა მთავრობას, ირანიდან ჯარების გამოყვანის ნაცვლად, როგორც ეს მოთხოვნილია საელჩოს **6 მარტის ნოტაში, დამატებითი ძალები შეჰყავს ქვეყანაში. საბჭოთა ძალების ირანში გაზ**რდის შემთხვევაში, მთავრობა მოხარული იქნება მიიღოს ინფორმაცია ზემოთქმულის სათანადო განმარტებით“ (იქვე).

ნაწყვეტი ჯორჯ ქენანის მიერ მოსკოვიდან სახელმწიფო მდივნისათვის გაგზავნილი ე.წ. „გრძელი ტელეგრამიდან“ (22.02.1946):

„სადაც კი მიიჩნევა, რომ დადგა შესაფერისი დრო და ეს მომგებიანია, განხორციელდება საბჭოთა ძალაუფლების ოფიციალური საზღვრების გაფართოება. ამ დროისათვის ეს ძალისხმევა შემოფარგლულია ზოგიერთი მოსაზღვრე ადგილით, რომლებიც უშუალო სტრატეგიულ აუცილებლობად აღიქმება. ეს არის ჩრდილოეთ ირანი, თურქეთი... ამგვარად, „მეგობარ“ სპარსეთის მთავრობას შეიძლება მოსთხოვონ სპარსეთის ყურეში რუსეთისათვის პორტის გადაცემა. მაგრამ ასეთი მოთხოვნები ოფიციალურ დონეზე განცხადდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც არაოფიციალური მომზადება უკვე დასრულებული იქნება.”

არსებულ ვითარებაში ირანმა პირველი საჩივარი შეიტანა სულ ახლახანს შექმნილ გაერო-ს უშიშროების საბჭოში. თავდაპირველად საბჭოთა კავშირი კატეგორიულად უარყოფდა არსებული ხელშეკრულებების დარღვევას და რაიმე სახით ჩარევას ირანის საქმეებში.

„ირანის აზერბაიჯანის მოვლენებს არაფერი აქვს საერთო საბჭოთა ჯარების ყოფნასთან და ეს დადასტურებულია უეჭველი და ობიექტური ფაქტებით. ეს მოვლენები მხოლოდ ირანს ეხება და საშინაო ხასიათისაა. როგორც ცნობილია, ის, რაც ხდება ჩრდ. ირანში, წარმოადგენს ჩრდ. ირანის მოსახლეობის განწყობის და ნების გამოხატულებას ავტონომიის შექმნისადმი ირანული სახელმწიფოს საზღვრებში, რაც სრულიად ჩვეულებრივია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს იმ ფაქტს რომ საბჭოთა კავშირს მიმართ მტრული პროპაგანდა სულ უფრო მყარდება ირანში და ირანის მთავრობა სულაც არ არის ამის წინააღმდეგი. ეს პროპაგანდა არაფრით განსხვავდება იმ ფაშისტური პროპაგანდისგან, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ხორციელდებოდა რეზა შაჰის დროს.

ირანში საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი რეაქციული ძალების ანტიდემოკრატიული და პოგრომისტული საქმიანობა, რომელიც მხარდაჭერილია მმართველი კლასებიდან გამოსული ზოგიერთი გავლენიანი ირანული ჯგუფის და პოლიციური ხელისუფლების მიერ, ქმნის აზერბაიჯანისა და ბაქოსათვის ორგანიზებული მტრული აქციების, დივერსიებისა და ა.შ. საშიშროებას“ (*The Soviet Letter to the Security Council re Persia*, 1946: 84-85).

24 მარტს, უსაფრთხოების საბჭოს შეკრებამდე ერთი დღით ადრე, საბჭოთა კავშირმა გამოხატა ნება გაეყვანა ჯარები ირანიდან ექვსი კვირის მანძილზე, „თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა“ მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება სულაც არ ნიშნავდა კრიზისის დასრულებას, ეს იყო საბჭოთა პოზიციის შემსუბუქების პირველი ნიშანი.

ბირნსმა, შტატების სახელით, საბჭოელებს მოსთხოვა ჯარების უპირობოდ გაყვანა. საბოლოოდ, საბჭოთა კავშირი დათანხმდა, რომ ევაკუაცია დასრულდებოდა **6 მაისამდე. უეჭველია, რომ 24 მარტის** საბჭოთა განცხადება, **4 აპრილის სსრკ-ირანის შეთანხმება და 14 აპრილს საბჭოთა კავშირის კი**დევ ერთხელ უკანდახევა ტრუმენის ადმინისტრაციის მუდმივი პრესის შედეგი იყო.

ყავამი გამხნევებული იყო შტატების მიერ მხარდაჭერის გამოხატვით და დირექტივა მისცა ირანის წარმომადგენელს გაერო-ში, რომ განეცხადებინა იქ ირანის მთავრობის განზრახვის შესახებ შეეყვანა ჯარები აზერბაიჯანში. ამ განცხადებამ წონასწორობიდან გამოიყვანა რუსები. ირანში საბჭოთა ელჩი მივიდა ყავამთან და განუცხადა, რომ „საბჭოთა მთავრობა გადახედავს თავის დამოკიდებულებას პირადად თქვენდამი.“ მაგრამ ყავამი უკვე დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა საფრთხე ქვეყანას აღარ ემუქრებოდა.

საბოლოოდ ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც საბჭოთა ჯარები უნდა გასულიყვნენ მაისის დასაწყისში და უნდა შექმნილიყო ერთობლივი სანავთობო კომპანია. დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ აზერბაიჯანის საკითხი წმინდა საშინაო პრობლემას წარმოადგენდა და უშუალოდ ირანის მთავრობისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უნდა გადაწყვეტილიყო.

საბჭოთა კავშირის ჯარების გასვლის შემდგომ პირველ ხანებში ყავამის პოლიტიკა საბჭოელების მიმართ ზომიერი იყო. ფიშავარის მთავრობას მან საკმაოდ დიდი უფლებები მიანიჭა და საკუთარ მინისტრთა კაბინეტში თუდეს სამი წევრიც შეიყვანა. მაგრამ საბოლოოდ, ამერიკელთა მხარდაჭერით გათამამებულმა ყავამმა 1946 წლის დეკემბერში ჯარები შეიყვანა აზერბაიჯანში და 14 დეკემბერს ფიშავარის რეჟიმის დაემხო. ჯარებს აზერბაიჯანის მოსახლეობა ენთუზიაზმით შეხვდა, რამდენადაც ბევრად უფრო ამჯობინებდნენ თეირანის დომინირებას მოსკოვისას (Hess, 1974: 144). ქურთისტანში ყაზი მოჰამადმა და მისმა მომხრეებმა სწრაფად გააცნობიერეს, რომ ცენტრალური ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა აზრსმოკლებული იყო. სულ მალე სამთავრობო ჯარები მეჰაბადში შევიდნენ და ქურთისტანის რესპუბლიკის არსებობას საბოლოო წერტილი დაესვა.

ყავამმა თუდეს წევრები კაბინეტიდან ჯერ კიდევ ოქტომბრის შუა ხანებში დაითხოვა. ყავამის გადაწყვეტილება დაპირისპირებოდა თუდეს დიდწილად განპირობებული იყო შეერთებული სტატების მტკიცე პოზიციით განერიდებინა ირანისათვის საბჭოთა საფრთხე (Sicker, 2008: 79). ნოემბრის შუა რიცხვებში ყავამმა ასამდე თუდეს აქტივისტი დააპატიმრა თეირანში. ახალ არჩევნებში კი თუდემ სულ ორი ადგილი მოიპოვა მეჯლისში.

საბოლოოდ, ივნისში პარლამენტმა 102 ხმით 2-ის წინააღმდეგ არ მოახდინა საბჭოთა კავშირთან სანავთობო კონცესიის რატიფიკაცია.

უბიძგებდა რა ირანის მთავრობას, რომ მკაცრი პოზიცია დაეკავებინა გაერო-ში და მუდმივად მხარს უჭერდა რა ირანს მისი ჩივილის დროს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში, შტატებმა პირველი დიპლომატიური გამარჯვება მოიპოვა ცივ ომში. საბჭოთა კავშირმა ჯარები გამოიყვანა აზერბაიჯანიდან და თეირანის მთავრობამ 1946 წლის ბოლოს აღადგინა აზერბაიჯანზე კონტროლი.



თურქეთის ტერიტორიების საკითხი

ომის საწყის ეტაპზე საბჭოთა კავშირს, ბუნებრივია, არ ჰქონია ტერიტორიული თუ სხვა სახის პრეტენზიები თურქეთის მიმართ. საბჭოთა ხელმძღვანელობა იზიარებდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის აზრს, რომ აუცილებელი იყო თურქეთის კეთილგანწყობის შენარჩუნება.

1941 წლის დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა ელჩებმა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში წარადგინეს ერთნაირი შინაარსის დეკლარაციები. ბრიტანული დეკლარაციის ტექსტი შემდეგი სახის იყო:

„მისი უდიდებულესობის მთავრობა ადასტურებს მონტრეს კონვენციის ერთგულებას და არწმუნებს თურქეთის მთავრობას, რომ არ აქვს აგრესიული ზრახვები სრუტეებთან მიმართებაში."

„მისი უდიდებულესობის მთავრობა, ისე როგორც საბჭოთა მთავრობა, მზადყოფნას გამოთქვამს პატივი სცეს და დაიცვას თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა."

„...ითვალისწინებს რა თურქეთის მთავრობის სურვილს ქვეყნის ომში არჩართვის შესახებ, მისი უდიდებულესობის მთავრობა, ისე როგორც საბჭოთა მთავრობა, მზად არის მას დახმარება გაუწიოს რომელიმე ევროპული სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში"

წყარო: British and U.S.S.R. Governments" Declaration to Turkey, August 10. *Bulletin of International News*, Vol. 18, No. 17 (Aug. 23, 1941), p. 1079.

მაგრამ ომის დასკვნით ეტაპზე და განსაკუთრებით მისი დამთავრების შემდეგ, საბჭოთა კავშირი მიზანმიმართულად ცდილობდა მონტრეს კონვენციის რევიზიას იმ მიზნით, რომ სრუტეებში გასვლის

უფლება მხოლოდ ზღვის მოსაზღვრე ქვეყნებს ჰქონოდათ. რუმინეთისა და ბულგარეთის „სახალხო დემოკრატიებად“ ქცევის პირობებში, პრაქტიკულად ამას შეეძლო შავი ზღვა საბჭოთა ტბად ექცია (King, 2006: 230). მონტრეს კონვენციის გადასიჯვის საკითხი სტალინმა 1944 წლის დეკემბერში მოსკოვში, ხოლო შემდეგ 1945 წლის თებერვალში იალტის კონფერენციაზე დააყენა (თუმცა, ამ დროს საბჭოთა ხელმძღვანელობას არ გამოუთქვამს ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ). თავის მხრივ, ცივი ომის დაწყების შემდეგ, თურქეთი და აშშ მოითხოვდნენ სრუტეების საერთაშორისო საწყალოსნო გზად შენარჩუნებას, რომელიც ღია უნდა ყოფილიყო როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემებისათვის. ეს ამერიკულ სამხედრო გემებს საშუალებას აძლევდა ჩვეულებრივ შესულიყვნენ სრუტეებში მონტრეს კონვენციის მიხედვით.[2]

II მსოფლიო ომის დამთავრების დროისათვის ამერიკელ პოლიტიკოსებს ეჭვი ეპარებოდათ, რომ საბჭოთა ლიდერებს განზრახული ჰქონდათ ძალის გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ თავიანთი მიზნების მისაღწევად. ის, რომ საბჭოთა კავშირს სურდა მონტრეს კონვენციის გადასინჯვა, ბაზების შექმნა დარდანელის სრუტეში, ასევე ყარსისა და არდაჰანის ოლქების შემოერთება, უფრო შორეულ პერსპექტივად ეჩვენებოდათ. საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო საქმის ისეთი ექპერტების, როგორიც იყვნენ ჯორჯ ქენანი, ელბრიჯ დუბროუ და გენერალი ჯორჯ ა. ლინკოლნი თვლიდნენ, რომ საბჭოთა ლიდერები გრძნობდნენ სისუსტეს და ამდენად ვერ განახორციელებდნენ სამხედრო აგრესიას, ვინაიდან დიდი ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ (Leffle, 1985: 808-809).

მიუხედავად რწმენისა, რომ საბჭოთა კავშირი ვერ გაბედავდა სამხედრო ძალის გამოყენებას, ამერიკელ პოლიტიკოსებს აშფოთებდათ, რომ დარდანელის სრუტეში ბაზების მოთხოვნა წარმოადგენდა უფრო შორეული საბჭოთა გეგმის ნაწილს, რომელიც ითვალისწინებდა პოზიციების გამყარებას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში და ახლო აღმოსავლეთში. რეგიონში საბჭოთა ზეგავლენის განვრცობის შემთხვევაში, აქ ბრიტანეთის სანავთობო მრეწველობას საფრთხე შეექმნებოდა. დიდი ბრიტანეთის იმპერიის დაშლის პირობებში კი საბჭოთა კავშირს ევრაზიაში ჰეგემონობის დამყარების შანსი მიეცემოდა.

ევროპაში ომის დასრულებიდან სულ მალე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა მოლოტოვმა წერილი გაუგზავნა თურქეთის ელჩს, რომელშიც აცხადებდა, რომ 1925 წლის 17 დეკემბრის საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულება „აღარ შეესაბამება ახალ სიტუაციას და მოითხოვს სერიოზულ გაუმჯობესებას.“ საბჭოთა კავშირი დაინტერესებული იყო თურქეთთან საზღვრის ცვლილებით, მონტრეს კონვენციის გადასინჯვით, რომელიც აწესრიგებდა სრუტეების რეჟიმს, და ასევე თურქეთის ბრიტანეთთან კავშირების შესუსტებით. დარდანელის სრუტეში საბჭოთა ბაზის გახსნის აუცილებლობა მოლოტოვმა გაამართლა იმ ფაქტიდან, გამომდინარე, რომ თურქეთს არ ჰქონდა საკმარისი ძალა სრუტის დასაცავად (Sadak, 1949: 456).

1945 წლის 7 ივნისს თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სელიმ შარფერი შეხვდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარს ვიაჩესლავ მოლოტოვს ახალი სამეგობრო ხელშეკრულების დადების პერსპექტივების განხილვის მიზნით. ამ უკანასკნელმა ელჩს განუცხადა, რომ ახალი ხელშეკრულების დადებამდე უნდა გადაწყვეტილიყო სადავო საკითხები. პირველ რიგში საქმე შეეხებოდა 1921 წლის ხელშეკრულებით თურქეთისათვის დათმობილ ტერიტორიებს, რაც მოლოტოვის განცხადებით, იძულებით და ზეწოლის შედეგად განხორციელდა. ამდენად, ყარსისა და არდაჰანის ოლქების ტერიტორიები უნდა დაბრუნებოდა საბჭოთა კავშირს. შარფერმა უპასუხა, რომ თურქეთის მთავრობა არ იყო მზად მოლაპარაკებები დაეწყო მსგავსი საკითხების შესახებ. მან უარი თქვა ისეთი საკითხების განხილვაზე, რომელიც შეეხებოდა თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას. მოლოტოვმა კი განაცხადა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, საკითხი ღიად რჩებოდა.

სწორედ აქ გამოიკვეთა საბჭოთა ხელმძღვანელობის სურვილი, რომ თურქეთი უნდა შესულიყო საბჭოთა „უსაფრთხოების ზონაში,“ რომელსაც უნდა მოეცვა ვრცელი ტერიტორია ფინეთიდან ჩინეთამდე (Xydis, 1960: 420-421).

საბჭოთა მიზანი თურქეთთან მიმართებაში მეტნაკლებად გამოკვეთილი იყო: პირველი, შავი ზღვის „ჩაკეტვა“ საბჭოთა ბლოკის არაწევრი ქვეყნებისათვის და იმავდროულად ხმელთაშუა ზღვაზე თავისუფალი გასასვლელის მოპოვება; მეორე, კავკასიის სამხრეთი საზღვრების გაფართოება – ერთი მხრივ, აღმოსავლეთ თურქეთისა და ალექსანდრეტას ოლქის დაქვემდებარების გზით აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში გასვლა, და მეორე მხრივ, ერაყისა და ირანის დაქვემდებარების გზით სპარსეთის ყურე-

2 შავი ზღვის შესახებ ცივი ომის სტრატეგიაში. იხ. Howard, 1974

ში გასვლა. საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ტერიტორიების „დაბრუნების“ მოთხოვნა სწორედ ამ პოლიტიკის კონტექსტში ჯდებოდა.

პირველად ყარსის, არდაჰანისა და ართვინის შესახებ მოთხოვნა გაკეთდა სომხეთის რესპუბლიკის სახელით, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით ირედენტისტული მოთხოვნები საქართველომაც წამოაყენა. საკითხი წამოიჭრა პოტსდამში 1945 წელს და კიდევ ერთხელ სტალინის შეხვედრაზე დასავლეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან დეკემბერში.

დაიწყო სომხური დიასპორის საბჭოთა სომხეთში რეპატრიაციის კამპანია. სომხური ეკლესია უშუალოდ იყო ჩართული ყარსისა და არდაჰანის სომხეთისათვის შემოერთების ძალისხმევაში. საბჭოთა მოთხოვნებმა შეაშფოთა თურქები, ისე როგორც ბრიტანელები და ამერიკელები და იყო ერთ-ერთი ფაქტორი თურქეთის დასავლური ალიანსისაკენ გადახრისა (Suni, 1984: 285). საბჭოთა ხელისუფლებამ, სომხური მოთხოვნების მხარდასაჭერად ამ პერიოდში დაახლ. 90 ათას სომეხს უფლება მისცა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირში გადმოსახლებულიყო, მათგან **5 ათასი ციმბირში** დაასახლეს (Dekmejian, 1968: 511) (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, გაასახლეს).

ამასთან ერთად, მოლოტოვმა პოტსდამის კონფერენციაზე მკაფიო მინიშნება გააკეთა იმის თაობაზე, რომ კრემლისათვის უმთავრესი სრუტეების საკითხი იყო. „თუ თურქეთის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შეუძლებელია ორივე ამ საკითხზე [სრუტეების და საზღვრების გადასინჯვის] შეთანხმების მიღწევა, ჩვენ მზად ვართ შეთანხმებისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სრუტეები“ (Кочкин, 2002: 65).

ამდენად, ზოგიერთი მკვლევრის შეხედულებით, ტერიტორიებს საბჭოთა კავშირისათვის მხოლოდ მეორადი მნიშვნელობა ჰქონდა. თავის მხრივ კი მოკავშირეები სწორედ ტერიტორიების გადასინჯვის საკითხზე ამჟღავნებდნენ მზადყოფნას. „ტერიტორიული საკითხი ეხება საბჭოთა კავშირს და თურქეთს და უნდა გადაწყდეს ამ ორი ქვეყნის მიერ... სრუტეების საკითხი კი ჩვენც გვეხება, როგორც სხვა მრავალ ქვეყანას,“ განაცხადა პრეზიდენტმა ტრუმენმა (იქვე). თითქოს ჩანდა, რომ პოტსდამში მიღწეულ იქნა კომპრომისი: დასავლეთი თვალებს დახუჭავდა საზღვრების გადასინჯვაზე, თუ სტალინი უარს იტყოდა თავის ამბიციებზე სრუტეებთან დაკავშირებით. თუმცა, დასავლეთისა და, პირველ რიგში, შეერთებული შტატების შემდგომი ძალისხმევა სწორედ თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული.

საზღვრების გადასინჯვის საკითხს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. კიკნაძემ 1945 წლის ოქტომბერში ლ. ბერიას გადასცა ორი მემორანდუმი: „თურქეთის შემადგენლობაში შესული ქართული ტერიტორიების შესახებ“ და „თურქეთის მიერ მითვისებული ქართული პროვინციების შესახებ.“

ნაწყვეტი I მემორანდუმიდან:

„...ხელშეკრულებით საბჭოთა რესპუბლიკები, ომის თავიდან ასაცილებლად, იძულებული იყვნენ თურქეთისათვის დაეთმოთ, მისი უსაფუძვლო პრეტენზიების საფუძველზე, საკუთარი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც იმ დროს უკვე ოკუპირებული იყო თურქეთის მიერ...

საბჭოთა კავშირის სამამულო ომის დროს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, თურქეთმა დაარღვია ის ძირითადი პრინციპები და დებულებები, რომლებსაც ემყარებოდა 1921 წლის ხელშეკრულება... განსაკუთრებით მკაფიოდ ეს გამოვლინდა თურქეთის მხრიდან გამიზნულ დაშვებასა და ხელისშეწყობაში მის ტერიტორიაზე „პანთურქისტთა“ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის აქტიურ მოღვაწეობისთვის. ეს ორგანიზაცია არაფერი იყო, გარდა გერმანული აგენტურისა და მიზნად ისახავდა „დიდი თურქეთის“ შექმნას საბჭოთა კავშირისათვის ყირიმის, კავკასიისა და მისი სხვა ნაწილების ჩამოჭრის გზით.

რამდენადაც თურქეთმა პრაქტიკულად ცალმხრივად შეწყვიტა საბჭოთა რესპუბლიკებსა და მას შორის დადებული მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების მოქმედება, შესაძლებელია დადგეს ამ ხელშეკრულებების დენონსაციის საკითხი და, შესაბამისად, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მათთვის ოდითგანვე კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნების საკითხი.

1878-1918 წლების საზღვრების აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას, საქართველოს სსრ-ს პრეტენზია შეიძლება გამოეხატა მის შემადგენლობაში ყოფ. ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორისა და ყოფილი ართვინის, არდაჰანის და ოლთისის ოლქების შესვლის თაობაზე, 12,760 კვ. კმ საერთო ფართობით.

თუკი თურქეთის შემადგენლობაში შესული ტერიტორიების საკითხის დაყენება ამას მოითხოვდა, მაშინ საქართველოს სსრ-ს შეეძლო დაესაბუთებინა საკუთარი უფლებები თავისი ისტორიული პროვინციის – სამხრეთ-დასავლეთ მესხეთის ხუთი რაიონიდან სამზე – პარხალის, თორთომის და ისპირის რაიონებზე...

ამგვარადვე შეიძლება საკითხი დადგეს ლაზისტანის შესახებ, რომლის მოსახლეობის – ლაზების გათურქება ძალადობრივად ხდება. ლაზები ეკუთვნიან ქართველ ხალხს... თუკი სხვა შესაძლებლობები გამოირიცხება, მაშინ შესაძლოა მისაღები იყოს ლაზისტანისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხი“ (სპა, ფ. 14, აღწ. 19. დოკ. 209, 1. 55-67; ციტ. Mamoulia, 2004: 270).

ნაწყვეტი II მემორანდუმიდან:

„სომხეთის სსრ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ამხ. ქავთარაძის მოთხოვნით უკვე გააგზავნა სსრკ-ის საგარეო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში მოხსენებითი ბარათი ამ საკითხის შესახებ.

ამ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ამხ. ს.ი. ქავთარაძემ ამხ. ვ.მ. მოლოტოვს გაუგზავნა ცნობა თავისი ხელმოწერით.

ამ ცნობის მიხედვით, ამხ. ს.ი. ქავთარაძე თვლის, რომ ტერიტორია, რომელიც ექვემდებარება თურქეთის მიერ საბჭოთა კავშირისათვის დაბრუნებას, შეადგენს დაახლ. **26,000 კვ. კმ-ს, რომლიდანაც 20,500 კვ. კმ უნდა შევიდეს სომხეთის სსრ-ის შემადგენლობაში, ხოლო 5500 კვ. კმ საქართველოს** სსრ-ის შემადგენლობაში. არდაჰანისა და ოლთისის ყოფილი ოლქები ამხ. ს.ი. ქავთარაძის ცნობაში მიკუთვნებულია სომხეთის ტერიტორიისათვის.

ჩვენს მიერ შედგენილი ცნობა, რომელიც ამხ. ს.ი. ქავთარაძის ცნობის ანალოგიურია, ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება მასში იმის მითითებით, რომ ყოფ. ბათუმის ოლქისა და ყოფ. ართვინის ოლქის გარდა, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, საქართველოს სსრ-ს უნდა შეუერთდეს მისი ისტორიული პროვინციები – არდაჰანის და ოლთისის ოლქები.

ამგვარად, ივარაუდება, რომ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში უნდა შევიდეს 12,760 კვ.კმ-ს ტოლი ტერიტორია, ხოლო სომხეთის სსრ-ში – 13.190 კვ. კმ ტერიტორია.“ (სპა, ფ. 14, აღწ. 19. დოკ. 209, 1. 50-61; ციტ. იქვე).

ამ ტალღაზე, **1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა აკადემიკოსების** სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სტატია (ბუნებრივია, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დაკვეთით) – „ჩვენი კანონიერი მოთხოვნები თურქეთის მიმართ.“ აკადემიკოსები ასაბუთებდნენ თურქეთში შემავალი ისტორიული ქართული პროვინციების შემოერთების მართლზემოიერებას. მოთხოვნილ ტერიტორიებში შედიოდა არდაჰანი, ოლთისის რეგიონები, ბაიბურდის, თორთომის, ისპირის, გუმისხანეს ოლქები და ლაზისტანიც ტრაპიზონისა და გერასუნტის ჩათვლით.

ოდნავ ადრე, **27 ნოემბერს, სამხეთის კათალიკოსი კევორკ VI აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საბ**ჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის გაგზავნილ ნოტაში (მათი მოსკოვში შეკრების წინ) მოითხოვდა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აღდგენას სევრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღვრებში (Mouradian, 1979: 80).

ქართველ აკადემიკოსთა წერილს ფართო კამპანია მოყვა საბჭოთა პრესაში. **1946 წლის 25 თებ**ერვალს, საბჭოთა საქართველოს შექმნის **25-ე წლისთავთან დაკავშირებით, „პრავდაში“ გამოქვეყ**ნდა საქართველოს ცკ-ის პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის წერილი, რომელშიც კიდევ ერთხელ იყო ნახსენები საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნები და ხაზი გაესმეოდა ამ მოთხოვნების ლეგიტიმურ ხასიათს. თუმცა, ამ კამპანიას რეალურად გაგრძელება არ მოჰყოლია.

სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანდრეი ვიშინსკიმ 1947 წლის 24 ოქტომბერს გაერო-ში სიტყვით გამოსვლისას მხარი დაუჭირა ქართველების მოთხოვნებს. ამან სომხური დიასპორის მძაფრი პროტესტი გამოიწვია და ის იძულებული გახდა ერთი თვის შემდეგ უკან წაეღო თავისის სიტყვები საბჭოთა კავშირის საელჩოში მიღების დროს (Dekmejian, 1968: 512). შეიძლება ითქვას, რომ სტალინი კავკასიურ ირედენტიზმს ვაჭრობის საგნად გამოსაყენებლად მიიჩნევდა ახლო აღმოსავლეთში ძალთა ურთიერთმიმართების გაცილებით უფრო ფართო თამაშში.

1946 წლის 7 აგვისტოს საბჭოთა მთავრობამ თურქეთის მთავრობას ნოტა გაუგზავნა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სრუტეებთან დაკავშირებით საბჭოთა პოზიცია: თურქეთსა და საბჭოთა კავშირს, რომელთაც ყველაზე მეტად შეეძლოთ სრუტეებში კომერციული ნავიგაციის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არ უნდა დაეშვათ სრუტეების გამოყენება სხვა ქვეყნების მიერ, რომელთაც შავი ზღვის სახელმწიფოების მიმართ „მტრული განზრახვები“ ჰქონდათ. ამერიკული პოზიცია განსხვავებული იყო და ეფუძნებოდა სრუტეების საერთაშორისო დაცვის სისტემის შექმნის იდეას, რომელიც უზრუნველყოფდა შავ ზღვაზე უსაფრთხოებას. საბჭოთა მოთხოვნებზე აშშ-ის 1946 წლის 19 აგვისტოსა და 2 ნოემბრის პასუხებში, ხაზგასმული იყო, რომ სრუტეების უსაფრთხოების საკითხი არ ეხებოდათ მხოლოდ შავი ზღვის სახელმწიფოებს. თავის მხრივ, **1946 წლის 22 აგვისტოს წერილ-**

ში, თურქეთის მთავრობა კატეგორიულად უარყოფდა საბჭოთა კავშირის მოთხოვნებს ერთობლივი საბჭოთა-თურქული თავდაცვითი სისტემის შექმნის შესახებ სრუტეებში, თუმცა მზადყოფნას გამოთქვამდა მონტრეს კონვენციის ზოგიერთი პუნქტის გადახედვაზე (Howard, 1947: 71).

საბჭოთა ზეწოლის პირობებში, თურქეთმა დახმარებისათვის აშშ-ს და ბრიტანეთს მიმართა. დახმარებასაც არ დაუგვიანია და გამოიხატა ტრუმენის დოქტრინითა და მარშალის გეგმით. თურქეთის დასავლეთთან კავშირის ფორმალიზება მოხდა ქვეყნის ნატო-ში გაერთიანებით (1949) და შემდეგ ბაღდადის პაქტში გაწევრიანებით, რომლის მიზანიც ახლო აღმოსავლეთში სსრკ-ს შეკავება იყო.

პრეზიდენტი ტრუმენი თურქეთის კრიზისის შესახებ:

„ამერიკის მხარდაჭერის მქონე თურქულმა მთავრობამ უარყო საბჭოთა მოთხოვნები და მტკიცედ გადაწყვიტა წინააღმდეგობა გაეწია რუსეთისათვის, თუ ის ღიად გადავიდოდა ძალის გამოყენებაზე. მაგრამ თურქეთის არმია, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდია, ცუდად იყო აღჭურვილი და წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ბრძოლებში გამოწრთობილ კრემლის დივიზიებს.

უფრო სერიოზულად შემაშფოთებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. 1946 წლის მიწურულს ჩვენი ელჩი ანკარიდან გვატყობინებდა: „თურქეთი დაუსრულებლად ვერ გაუძლებს საბჭოთა კავშირის ზეწოლას. ეს ტვირთი მეტად მძიმეა ქვეყნის ეკონომიკისათვის." თურქეთს სჭირდება ჩვენი დახმარება... ფინანსური დახმარება აუცილებელია ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად... ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, ვისაც დახმარების გაწევა შეუძლია... მსოფლიოს თავისუფალი ხალხები ჩვენს იმედზე არიან თავიანთი თავისუფლების შესანარჩუნებლად" (Truman, 1955: 97-98).

მაგრამ ბაღდადის პაქტის შექმნამდეც, სტალინის სიკვდილიდან სულ მალე, პრობლემა მოიხსნა. მოლოტოვმა 1953 წ. ივლისში გამოაცხადა, რომ „საქართველო და სომხეთი შესაძლებლად მიიჩნევენ უარი თქვან თურქეთისადმი ტერიტორიულ მოთხოვნებზე. საბჭოთა მთავრობა შესაბამისად ადასტურებს, რომ სსრკ-ს არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ" (Правда, 19.07.1953).

თურქეთისა და ირანის კრიზისი საბჭოთა კავშირის სრული მარცხით დასრულდა. მსოფლიო პოლიტიკის ახალმა მთავარმა აქტორმა აშშ-მა დროებით მაინც შეძლო შეეკავებინა სსრკ-ის იმპერიალისტური ამბიციები ახლო აღმოსავლეთში.

თავი XI

თანამედროვე ირანი

მოსადეყი და ნავთობმრეწველობის ნაციონალიზაცია

პერიოდი რეზა შაჰის გადადგომიდან 1953 წლის სახელმწიფო გადატრიალების ჩათვლით ირანში უაღრესად აქტიური პოლიტიკური ცხოვრების ხანაა. ასპარეზზე გამოდიან სრულიად სხვადასხვა მიმართულებისა და მიზნების მქონე პოლიტიკური ძალები. კვლავ დღის წესრიგში დგება კონსტიტუციური რევოლუციის ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების განხორციელება.

განსაკუთრებით გაიზარდა ნაციონალისტების როლი, რომელთაც სათავეში დოქტორი მოსადეყი ედგა და რომლის დემოკრატიის ელემენტებით უხვად გაჯერებულმა ნაციონალიზმმა ფართო დასაყრდენი მოიპოვა მოსახლეობაში.

ირანული ნაციონალიზმი უაღრესად კომპლექსური და მრავალშრიანი მოვლენაა. შეიძლება საუბარი სრულიად სხვადასხვა ტიპის ირანულ ნაციონალიზმზე – ეთნიკურის, ტერიტორიულის, ლინგვისტურის და რელიგიურის ჩათვლით. მოსადეყის ნაციონალიზმს, რის შესახებაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი, საფუძველი XIX საუკუნიდან ეყრება.

XIX საუკუნეში საერო ინტელექტუალი ირანელებისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა სპარსულის ინდოირანული ენების ოჯახისადმი კუთვნილების ფაქტმა. მრავალი ევროპელის თვალთახედვიდან ენდოევროპული ენის დომინირება რასობრივი უპირატესობის გამოხატულება იყო – ამ იდეას ნაციონალისტები იყენებდნენ იქ, სადაც ეს ენები დომინირებდა.

ჟ. დე გობინო, რომელმაც XIX ს.-ში იმოგზაურა სპარსეთში, აღფრთოვანებული იყო მისი ხალხის „უკვდავი პატრიოტიზმით". იგი აღტაცებას ვერ მალავდა იმ ფაქტით, რომ მიუხედავად ურიცხვი საგარეო შემოსევებისა, არ მომხდარა „სპარსული ინდივიდუალობის ჩაკვლა". გობინო ასკვნიდა: „ვინც არ უნდა აწამოს სპარსეთი უმიზნოდ, ვინც არ უნდა დაყოს იგი, წაართვას მას სახელი, ის მაინც სპარსეთად დარჩება." (De Gobineau, 1980 : 217). გობინოს მოხიბვლა ირანით, ნაწილობრივ იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ ქვეყანას გააჩნდა წარსული, რომელიც ადვილად გამოიყენებოდა ნაციონალური მითოლოგიის შესაქმნელად. გობინოზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ირანელთა ინტერესმა საკუთარი ისტორიის მიმართ. მიუხედავად აღიარებისა, რომ „სპარსელების მიერ წარმოსახული ისტორია ალბათ ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს", ის მიიჩნევდა, რომ „ერი, რომელიც ესოდენ დიდი ფასეულობას ანიჭებს საკუთარ წარსულს (წინაპრებს) აშკარად დიდი ენერგიის მატარებელია" (იქვე).

ირანული ნაციონალიზმის ერთ-ერთი ადრეული ფიგურა იყო მირზა ფათჰ ალი ახუნდზადე (ახუნდოვი), რომელიც იცნობდა ფრანგული განმანათლებლობის იდეებს რუსული და ინგლისური თარგმანების საშუალებით.[1] ბედის ირონიით, მიუხედავად საკუთარი თავის იდენტიფიცირებისა ირანთან, მან ცხოვრების დიდი ნაწილი ირანის საზღვრებს გარეთ, რუსეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ კავკასიაში (თბილისშიც) გაატარა. ნაშრომში *მაქთუბათ-ე ქამალ ალ-დოულე*, ის ვრცლად საუბრობს ირანელი ერის (*მელლათ-ე ირან*) კეთილდღეობაზე ძველი სპარსელი მეფეების ეპოქაში, რომელიც დასრულდა არაბული დაპყრობებით. ნაშრომში ის ფრანგული პოლიტიკური ფილოსოფიისა და ლიტერატურის გარკვეულ ცოდნასაც ამჟღავნებს და იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა *civilisation, changement, parlement,* და *poésie*.[2]

1896 წელს კიდევ ერთმა ნაციონალისტმა მირზა აღა ხან ქერმანიმ იხმარა „არიული ერი" *(მელლათ-ე არიან)* თავის თხზულებაში *აინე-ი ესექანდარი.* ამ ტერმინის გამოყენება მიუთითებს მის მსოფლმხედველობაზე დასავლური ორიენტალიზმის გავლენას.

ნაციონალიზმი და ირანის წარსულის (ისლამამდელის) აპოლოგია გახდა ფაჰლავიანთა დინასტიის იდეოლოგიის ქვაკუთხედიც. 1921 წლიდან სწორედ ნაციონალიზმი დომინირებდა ირანის კულტურასა

1 მირზა ფათჰ ალი ახუნდზადეს ნაციონალისტური შეხედულებების შესახებ იხ. Sanjabi, 1995: 39; Cole, 1996

2 ამ ნაწარმოების შესახებ იხ. Kashani-Sabet, 2002: 165.

და პოლიტიკაში. მაგრამ ფაჰლავიანთა ნაციონალიზმი მკვეთრად განსხვავდებოდა მოსადეყის ნაციონალიზმისაგან, რომლის ძირითად მახასიათებლებსა და გამოვლინებებზე უფრო ქვემოთ იქნება საუბარი. მაგრამ აქვე ხაზს გავუსვამთ, რომ რეზა შაჰისაგან განსხვავებით, მოსადეყი გამოხატავდა ნაციონალიზმს, რომლის საფუძველსაც უცხოელთაგან ირანის დაცვა წარმოადგენდა; მიმართული იყო ირანის ყველაზე ძვირფასი რესურსის – ნავთობის, უცხოელთა მიერ კონტროლის წინააღმდეგ, და შესაბამისად ავთენტურად ირანული იყო, ეხებოდა ირანულობის ერთ-ერთ ყველაზე მყარ სიმბოლოს: ნაციის ტერიტორიას და მის რესურსებს. დღევანდელ ირანულ ისტორიოგრაფიაში, მიუხედავად მოსადეყის მრწამსის შეუთავსებლობისა ირანის ისლამური რესპუბლიკის ოფიციალურ იდეოლოგიასთან, ფართოდაა გაზიარებული თვალსაზრისი, რომ „მოსადეყის მიერ ირანის დამოუკიდებლობის დაცვამ... მისმა ქარიზმამ და დამხობამ ამერიკელებისა და ბრიტანელების საშუალებით, იგი ეროვნულ გმირად აქცია“ (იხ. მაგ., Keddie, 2003: 141).

მოჰამად მოსადეყ ოს-სალთანე (1879-1967) დიდგვაროვანთა ოჯახიდან იყო გამოსული. მამამისი მირზა ჰედაიათი 30 წლის მანძილზე ასრულებდა ყაჯარი შაჰების ფინანსთა მინისტრის მოვალეობას, დედა კი ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. იგი უკვე ახალგაზრდობაში იზიარებდა კონსტიტუციური რევოლუციის ლიბერალურ და დემოკრატიულ იდეებს; ამასთანავე, ჯერ კიდევ 10-იან წლებში ჩამოუყალიბდა ნაციონალისტური მრწამსი.

საპატიო ტიტული *მოსადეყ* (“ის, ვინც ღირსეულად გაუძლო გამოცდას”) მას უბოძა შაჰმა 10 წლის მანძილზე ხორასანში ფინანსურ აგენტად წარმატებული მუშაობის დასაფასებლად.

იგი სწავლობდა პარიზსა და ბერნში, სადაც მიიღო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მოსადეყის მიერ პარიზის უნივერსიტეტში დაცული დისერტაციის სათაური იყო „ირანი და არაირანელთათვის მინიჭებული კაპიტულანტური უფლებები,“ რომელიც მან 1914 წელს გამოაქვეყნა. იგი განიხილავდა იმ საფრთხეს, რასაც ირანისათვის ქმნიდა ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელთათვის მინიჭებული უფლებები, მათ შორის ექსტრატერიტორიულობის უფლება (ხომეინიმდე გაცილებით ადრე). ნაშრომში მოსადეყი ამ უფლებებს მიიჩნევს „უკიდურეს დამცირებად, რომელიც თავს მოახვიეს ირანელებს მას შემდეგ, რაც აღარ არსებობს ირანელთა კონტროლი კანონსა და ქვეყანაზე“ (Mottahedeh, 1985: 223). მოსადეყის თვალსაზრისით, ხელისუფლებას უნდა გაეკონტროლებინა მის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი და ნებისმიერი რეზიდენტი ადგილობრივ კანონებს უნდა დამორჩილებოდა.

1921 წ. მოსადეყი დაინიშნა ფინანსთა მინისტრად ყავამ ოს-სალთანეს კაბინეტში, მაგრამ მალე გადადგა. შემდეგ იყო იუსტიციის მინისტრი. 1923 წ. კი აირჩიეს მეჯლისში, სადაც მოიპოვა გაბედული და უკომპრომისო ორატორის სახელი. იგი გამოვიდა რეზა ხანის შაჰად გამოცხადების წინააღმდეგ. 1928 წლიდან კი, შაჰის მზარდი ავტორიტარიზმის პირობებში, იძულებული გახდა დროებით თავი დაენებებინა პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. მომდევნო 15 წლის მანძილზე მოსადეყი არ ერეოდა პოლიტიკაში და არც საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მას საკმაოდ ეშინოდა დაპატიმრების და 1940 წ. მართლაც დაიჭირეს ხანმოკლე დროით. 1944 წელს კი მოსადეყი ისევ აირჩიეს XIV მოწვევის მეჯლისის დეპუტატად და მან განაახლა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა.

ცნობილი მკვლევარი ჰ. კატუზიანი მოსადეყს ამ საუკუნის ყველაზე დიდ ირანელ პოლიტიკურ მოღვაწეს უწოდებს, მის მმართველობას კი – საუკეთესო მმართველობას ირანის ისტორიაში (Katouzian, 1990: 12). შეიძლება გარკვეულწილად გავიზიაროთ ეს შეხედულება იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მოსადეყის მთავრობა დემოკრატიულ საფუძველზე იყო არჩეული, მოსადეყი კი მართლაც თავგადაკლულად იბრძოდა ირანის ინტერესებისათვის; ამასთანავე, მისი მმართველობის საკმაოდ ავტორიტარული ფორმა, დაშვებული შეცდომები და თავად მოსადეყის უკიდურესად არამდგრადი ნერვული სისტემა სათუოს ხდის მისი მმართველობის იდეალიზაციას.

ომის დასრულების შემდეგ შაჰმა ინტენსიურად დაიწყო ზრუნვა საკუთარი ხელისუფლების აღდგენაზე. 1949 წლის თებერვალში თეირანის უნივერსიტეტში მასზე განხორციელებულმა თავდასხმამ, როდესაც ის ძლივს გადაურჩა სიკვდილს, საზოგადოებაში მონარქისადმი სიმპათიების გაღვივება გამოიწვია. შექმნილ ვითარებაში შაჰმა სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და უმკაცრესი ზომები გაატარა რელიგიური რადიკალების, კომუნისტებისა და რეჟიმის სხვა ოპონენტების წინააღმდეგ. მარტში მან მოიწვია საკონსტიტუციო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კონსტიტუციის შეცვლისა და სენატის შექმნის შესახებ. სენატის წევრთა ნახევარი შაჰს უნდა დაენიშნა და მას ასევე ჰქონდა პარლამენტის დაშლის უფლება. მიღებულ იქნა ასევე კანონები პრესაში სამეფო ოჯახის კრიტიკის აკრძალვისა და მონარქიისათვის სამეფო მიწების დაბრუნების შესახებ

მოჰამად რეზა შაჰისა და მონარქისტების ოპოზიცია სამი ძირითადი ჯგუფისაგან შედგებოდა. სტუდენტებსა და მუშებს შორის სწრაფად იზრდებოდა მემარცხენე პარტია თუდეს პოპულარობა. მარჯვე-

ნა ფრთაზე იდგნენ რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ სეკულარიზმსა და ქვეყანაში უცხოური გავლენის ზრდას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაცია *ფედაიან-ე ესლამ*, რომელიც 1945 წელს შეიქმნა. საერთო შეფასებით, ეს იყო რელიგიურ ფანატიკოსთა ორგანიზაცია. ჯგუფი დაარსდა სამი ახალგაზრდა სასულიერო პირის მიერ. რამდენადაც მათ არანაირი ავტორიტეტი არ ჰქონდათ ირანის რელიგიურ ცენტრში – ყუმში, ვერ შეძლეს იქ სათანადო ძალისა და მხარდაჭერის მოპოვება. არც ერთი ავტორიტეტის მქონე სასულიერო პირი არ შეერთებია მათ მოძრაობას. არსებობს ინფორმაცია, რომ როდესაც ფედაიების ლიდერი ვაჰედი შეეცადა არეულობა გამოეწვია ყუმში რეზა შაჰის ვიზიტისას, აიათოლა ბორუჯერდის ბრძანებით, ის გააძევეს ქალაქიდან. 40-იანი წლების მიწურულს ორგანიზაცია საკმაოდ გაძლიერდა და ტაქტიკური ალიანსი შეკრა კონსერვატორ რელიგიურ ლიდერთან აიათოლა აბო'ლ-ყასემ ქაშანისთან. 1946-1951 წწ. მრავალ პოლიტიკურ მკვლელობაზე პასუხისმგებელნი სწორედ ფედაიები არიან. 1946 წ. ფედაიანებმა მოკლეს ანტიკლერიკალი ისტორიკოსი და პუბლიცისტი აჰმად ქასრავი. შაჰზე თავდასხმის შემდეგ, 1949 წ. 4 თებერვალს, ორგანიზაცია კანონგარეშედ გამოცხადდა. ფედაიების იდეოლოგი ნავაბ საფავი 1956 წელს სიკვდილით დასაჯეს.[3]

მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის იდგნენ სხვადასხვა სახის ლიბერალური, ანტიმონარქისტული და ნაციონალისტური ჯგუფები, რომლებიც გაერთიანდნენ 1949 წელს დოქტორ მოსადეყის მიერ შექმნილ „ეროვნულ ფრონტში" (*ჯებჰე-იე მელი*).

მოსადეყმა და მისმა მომხრეებმა 1949 წელს აქტიური პოლიტიკური აგიტაცია წამოიწყეს არჩევნების წინ. 3 მარტს მოსადეყის მეთაურობით 20 საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი დაჯდა ბესთში შაჰის სასახლის ეზოში და მოითხოვა, რომ მთავრობას შეეწყვიტა ჩარევა წინასაარჩევნო კამპანიაში. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებისაგან მოთხოვნების შესრულების პირობა მიიღეს, მათ გადაინაცვლეს მოსადეყის სახლში და შემდგომი სამოქმედო გეგმა ჩამოაყალიბეს. შეკრებილებმა სამი ძირითადი მიზანი დაისახეს: თავისუფალი არჩევნები, პრესისა და სიტყვის თავისუფლება (1949 წ. 3 მარტის კანონის გაუქმება) და სამხედრო მდგომარეობის გაუქმება. სწორედ ამ სხდომის დროს შეიქმნა ხსენებული პოლიტიკური ორგანიზაცია.

მოსადეყი, როგორც აღინიშნა, ცნობილი იყო საგარეო ეკონომიკური კონცესიებისადმი უპირობო დაპირისპირებით, ასევე სამართლიანი მთავრობის შექმნისა და შაჰის კონსტიტუციისადმი დამორჩილების მოთხოვნებით. მან მოახერხა ზემოთნახსენები აიათოლა ქაშანის დროებით შემოყვანა „ეროვნულ ფრონტში." უნებლიეთ, „ფედაიან-ე ესლამიც" არჩევნებში მოსადეყისა და „ეროვნული ფრონტის" ხელშემწყობი გახდა – ორგანიზაციის წევრებმა მოკლეს სამეფო კარის მინისტრი აბო'ლ ჰოსეინ თაზჰირი, რომელსაც უშუალოდ ეხებოდა ხმების დათვლა და თეირანის არჩევნებზე ისინი იცავდნენ საარჩევნო ყუთებს ფალსიფიცირებისაგან.

ოპოზიციის მცდელობების მიუხედავად, ახალ მეჯლისში მონარქისტები მაინც უმრავლესობას შეადგენდნენ. თუმცა, მოსადეყმა და მცირე, მაგრამ უაღრესად აქტიურმა „ეროვნულ ფრონტის" ჯგუფმა მოახერხა თავდაცვით პოზიციებზე გადაეყვანა შაჰი. ისინი იბრძოდნენ 1933 წლის ინგლისურ-ირანული სანავთობო კომპანიის (*ეიოკ*) ხელშეკრულების წინააღმდეგ და დაიწყეს კონცესიის დასრულებისა და მისი ნაციონალიზაციის მოთხოვნის გამოხატვა. ამ იდეას თითქმის მთელ ირანში დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. მას მხარს უჭერდნენ როგორც რელიგიური ჯგუფები, ისე თუდე. ამან კი „ეროვნულ ფრონტს" საშუალება მისცა მეჯლისში რაოდენობრივი სიმცირის კომპენსირება მოეხდინა ქუჩის მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილება დიდი ბრიტანეთისათვის მინიჭებული სანავთობო კონცესიის გადასინჯვის შესახებ ირანის პარლამენტმა ჯერ კიდევ 1947 წელს მიიღო, რომლის თანახმადაც მომდევნო წლებში უნდა განხორციელებულიყო ამ კონცესიის პირობების შეცვლა ირანის ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, გარკვეული ნიადაგი ამ თვალსაზრისით მოსადეყის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე იყო შექმნილი.

სწორედ 1947 წელს წარუდგინა ირანის მთავრობამ კომპანიას 25 პუნქტიანი მემორანდუმი, რომლითაც ითხოვდა ნავთობის კონცესიის პირობების გადახედვას და მის შეცვლას ირანის სასარგებლოდ, რომ მას შესაფერისი წილი მიეღო საკუთარი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისაგან. თავდაპირ-

3 როგორც ბ. ლუისი აღნიშნავს, ფედაიან-ე ესლამის იდეოლოგია მეტად ახლოს იდგა ეგვიპტელი „ძმები მუსლიმების" პანისლამიზმთან. 1954 წელს ნავაბ საფავის ვიზიტს ეგვიპტეში მოჰყვა პირველი სერიოზული დაპირისპირება მუსლიმ ძმებსა და ეგვიპტის რეჟიმს შორის (Lewis, B., 1995: 177).

ველად ეს მხოლოდ რიგით კომერციულ უთანხმოებად ჩანდა, მაგრამ მალე გადაიქცა მძლავრ იარაღად ირანელ ნაციონალისტთა ხელში.

მაგრამ შექმნილ ვითარებაში შაჰს არ შეეძლო ინიციატივის ნაციონალისტებისათვის დათმობა და მისი პასუხი გახდა გენერალ ალი რაზმარას, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიხისტით, პრემიერად დანიშვნა. რაზმარა არ სარგებლობდა პოპულარობით და ბრიტანელთა მიმართ კეთილგანწყობით გამოირჩეოდა. მისი სამხედრო წარსული კი ბევრისათვის იმის დასტური იყო, რომ შაჰი ცდილობდა დაბრუნებოდა მამამისის მილიტარისტული, ავტორიტარული მმართველობის სტილს (Axworthy, 2008: 235). რაზმარა შეეცადა გადმოებირებინა მემარცხენეები და დაეშინებინა „ეროვნულ ფრონტსა“ და მეჯლისში ბურჟუაზიული ელემენტები საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაუმჯობესებით, მიწების გლეხებისათვის დანაწილების კანონის შექმნით და პროვინციებში არჩეული ორგანოების უფლებების გაზრდით. რაც უფრო შორს მიდიოდა ის ამ მიმართულებით, მით უფრო დაჟინებული ხდებოდა „ეროვნული ფრონტისა“ და მისი მომხრეების მოთხოვნა წამოეწყოთ მოლაპარაკებები ნავთობის, როგორც სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი საკითხის, შესახებ. შაჰის მთავრობა ცდილობდა კომპანიასთან მოლაპარაკებების გზით მიეღწია კომპრომისისათვის, რაც ითვალისწინებდა შემოსავლების თანაბარ გაყოფას (ეს იმ დროს უკვე მიღებული პრაქტიკა იყო), მაგრამ კომპანია თავს იკავებდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისაგან.[4]

> „ირანი კმაყოფილი იქნება, რომ მისი [სანავთობო] ინდუსტრია მუშაობდეს გაცილებით უფრო დაბალი წარმადობით, მაგრამ უცხოური მართვის გარეშე. სწორედ აქ იქმნება პრობლემა: თავისუფალი სამყაროს უსაფრთხოება დამოკიდებულია ახლო აღმოსავლეთის წყაროებიდან ნავთობის დიდი რაოდენობით მიღებაზე. თუკი ირანის მიდგომა ამ საკითხისადმი გაზიარებული იქნება საუდის არაბეთში ან ერაყში, მთელი სტრუქტურა შეიძლება დაინგრეს ჩვენს თავდაცვისუნარიანობასთან ერთად. ნავთობის უფრო მცირე რაოდენობით შესყიდვის პერსპექტივა, აქედან გამომდინარე, პოტენციურად დიდი საფრთხის შემცველია.“ (British Ministry of Fuel, Memorandum on Persian Oil Crisis, FO 371/98608 – ციტ. Abrahamian, 2009: 119).

რაზმარას სურვილი ნავთობის საკითხზე უფრო რეალისტური გადაწყვეტილება გამოენახა, მიუხედავად მისი პოლიტიკის სხვა ასპექტებისა, მას აქცევდა შაჰისა და ბრიტანელების მარიონეტად. 1951 წლის 19 თებერვალს, მეჯლისის სპეციალურმა კომიტეტმა, რომელსაც სათავეში მოსადეყი ედგა, მოითხოვა სანავთობო კომპანიის სრული ნაციონალიზაცია. რაზმარამ უარყო ეს მოთხოვნა. სულ მალე კი, 7 მარტს, რაზმარა „ფედაიან-ე ესლამის“ ერთ-ერთმა წევრმა მოკლა თეირანის მეჩეთში.

რამზარას მკვლელობის შემდეგ შექმნილმა ქაოსმა, რასაც ემატებოდა თუდეს მიერ ორგანიზებული მასობრივი დემონსტრაციები ყველაზე დიდ ქალაქებში, შეუძლებელი გახადა სანავთობო კონცესიის გაუქმების კანონისადმი წინააღმდეგობის გაწევა. დადგენილება კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ მეჯლისმა 15 მარტს და რამდენიმე დღეში სენატმაც მიიღო.

რაზმარას შემცვლელ ჰოსეინ ალას კი არ შესწევდა უნარი გაეკონტროლებინა მეჯლისი და ის გადადგა. დადიოდა ხმები, რომ შაჰი და ბრიტანელები აპირებდნენ პრემიერ-მინისტრად სეიედ ზია თაბათაბაის დანიშვნას, თუმცა ხმები ხმებად დარჩა. მეჯლისის ერთ-ერთმა თავგადაკლულმა კონსერვატორმა წევრმა ჯამალ ემამიმ, ნახევრად სერიოზულად წამოაყენა წინადადება, რომ რამდენადაც კანონის მიღებაზე პასუხისმგებელი მოსადეყი იყო, სწორედ მას უნდა დაკისრებოდა მისი განხორციელებაც და შესაბამისად, დანიშნულიყო პრემიერ-მინისტრად. ემამი აშკარად თვლიდა, რომ მოსადეყი ქრონიკული ობსტრუქციონისტი იყო, რომელსაც შეეძლო მხოლოდ კრიტიკა და ვერასოდეს ვერაფერზე ვერ აიღებდა პასუხისმგებლობას. მისდა გასაკვირად კი, მოსადეყი დათანხმდა ამ შემოთავაზებაზე და მეჯლისმაც სწრაფად მოითხოვა, რომ შაჰს ის პრემიერად დაენიშნა. შაჰს დათანხმების გარდა, შექმნილ ვითარებაში სხვა გზა არ დარჩენოდა. მან მოსადეყის დანიშვნას ხელი 29 აპრილს, ხოლო სანავთობო კომპანიის ნაციონალიზაციის დადგენილებას 2 მაისს მოაწერა. ამ დროისათვის მოსადეყი თითქმის 70 წლისა იყო.

პრემიერ მოსადეყს კარგად ესმოდა, რომ ამგვარი რადიკალური ნაბიჯი – ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია, სიძნელეებს წარმოქმნიდა ირანის ეკონომიკისათვის და მისი ბრძოლაც ინგლისელებთან დავითისა და გოლიათის ბრძოლას წააგავდა. მაგრამ სრულყოფილი დამოუკიდებლობი-

4 ამასთანავე, ბრიტანეთის ელჩის აღიარებით, ლონდონი მზად იყო 60%-იც კი დაეთმო ირანული მხარისათვის, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის რეალური „მართვა“ კვლავაც დასავლელთა ხელში დარჩებოდა.

სათვის ბრძოლაში ამგვარი ნაბიჯის გადადგმას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1951 წ. ივნისში მან განაცხადა: „ნავთობის ნაციონალიზაციის მორალური ასპექტი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მისი ეკონომიკური ასპექტი."

ამასთანავე, მისი ამგვარი პოლიტიკა არ იყო მოკლებული პრაგმატულობას. პრემიერობისას მოსადეყის პოლიტიკურ პლატფორმას წარმოადგენდა „ნეგატიური გათანასწორება," რომელიც ამ შემთხვევაში შემდეგი სახის იყო: თუკი რუსებსა და ბრიტანელებს არ შეუძლიათ გაითვალისწინონ ირანის ინტერესები, მაშინ მივმართავთ მესამე ძალას (გერმანია, საფრანგეთი ან აშშ).[5] მოგვიანებით „ნეგატიური გათანასწორების" პოლიტიკა და მოსადეყის მსოფლმხედველობა უაღრესად პოპულარული გახდა მესამე სამყაროს ქვეყნებში (ეგვიპტე, ინდონეზია, იუგოსლავია, ინდოეთი) და შესაძლოა ეს იყო მიუმხრობლობის მოძრაობის დასაწყისი." (Mahallati, 1996: 141).

ამდენად, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს დღევანდელი გადასახედიდან, მოსადეყს ყველაზე მეტად სწორედ ამერიკელების დახმარების იმედი ჰქონდა. ნაციონალიზაციის შემდეგ მოსადეყი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ შტატები ნეიტრალურ მხარედ დარჩებოდა, მისცემდა ირანს სესხებს და შეისყიდიდა მისგან ნავთობს.

ამ განწყობას თავისი ისტორიული მიზეზები აქვს. შეერთებული შტატები მანამდე არ აღიქმებოდა ირანში იმპერიალისტურ ან კოლონიალისტთა მოკავშირე ძალად. ჩვეულებრივი ირანელებისათვის კარგად იყო ცნობილი ახალგაზრდა ამერიკელი სკოლის მასწავლებლის ჰოვარდ ბასკერვილის სახელი, რომელიც კონსტიტუციონალისტებიც გვერდით იბრძოდა ირანში და 1909 წელს მონარქისტებმა მოკლეს. ის მოწამედაც კი შერაცხეს და „ამერიკელი ლაფაიეტი" უწოდეს.

იმავე პერიოდში ირანში ჩავიდა სემუელ ჯორდანი, რომელმაც ირანში სულ ორმოცდასამი წელი დაჰყო და ხელმძღვანელობდა ალბორზის კოლეჯს. ეს იყო ერთ-ერთი პირველი თანამედროვე საშუალო სკოლა ირანში და მისმა ათასობით კურსდამთავრებულმა ღრმა კვალი დატოვა ირანის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. „ამერიკელები თითქმის საყოველთაო აღტაცებას და პატივისცემას იმსახურებდნენ," იტყვის ამ სკოლის ერთ-ერთი კურსდამთავრებული მოგვიანებით.

გარდა ამისა, შეერთებულმა შტატებმა მკაცრად გააკრიტიკა 1919 წლის ბრიტანულ-სპარსული ხელშეკრულება, რომლითაც ბრიტანეთი თითქმის კოლონიურ ძალაუფლებას იღებდა ირანში.

აშშ-ის ამგვარი „ანტიიმპერიალისტურ იმიჯს" ემყარებოდა მოსადეყისტების რწმენა, თუმცა რეალობა სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდა და სწორედ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გახდა 1953 წ. სახელმწიფო გადატრიალების მთავარი შემოქმედი.[6]

მალე მოსადეყმა ასევე შეიმუშავა დადგენილება ეიოკ-ის დაშლისა და ირანის ნაციონალური საანავთობო კომპანიის შექმნის შესახებ. ივნისში მან ჯარები გააგზავნა ხუზესთანში კომპანიის ინფრასტრუქტურისა და საკუთრების დასაკავებლად.

ბრიტანეთი უკიდურესად გააღიზიანა მოსადეყის ამგვარმა მოქმედებამ, მიუხედავად ამ უკანასკნელის დაპირებისა, რომ ირანი აანაზღაურებდა კომპანიის დანაკარგებს. ბრიტანეთის ინტერესი ირანული ნავთობისადმი ასევე სტრატეგიული მნიშვნელობის და იმპერიული ღირსების საქმე იყო. კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადებისა და დივიდენდებისაგან მიღებული შემოსავალი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ომისშემდგომ პრობლემების მქონე ბრიტანული ეკონომიკისათვის. ადგილობრივი კომპანიების ნაციონალიზაცია (რასაც ლეიბორისტული მთავრობა ახორციელებდა ბრიტანეთში) ცალკე საკითხი იყო ბრიტანელთა თვალთახედვიდან, მაგრამ ეიოკ-ის ნაციონალიზაცია უკვე სახელმწიფოებს შორის არსებული შეთანხმების დარღვევას წარმოადგენდა, რაც ბრიტანეთის მთავრობას აიძულებდა ამ დავაში ერთ-ერთი მხარე გამხდარიყო. ბრიტანელებმა საჩივარი შეიტანეს საერთაშორისო სასამართლოში, მაგრამ სასამართლომ **1952 წლის ივლისში მიიღო გადაწყვეტილება, რომ მას არ ჰქონდა სა**თანადო კომპეტენცია მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად და მოუწოდა მხარეებს ისევ მისხდომოდნენ მოლაპარაკების მაგიდას. ბრიტანეთმა ასევე მოთხოვა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ჩარეულიყო, მაგრამ 1951 წლის სექტემბერში მოსადეყი ნიუ იორკში წარდგა უშიშროების საბჭოს წინაშე და დაარწმუნა მისი წევრები, რომ ეს იყო კერძო დაპირისპირება და არა მშვიდობის მუქარა, რა შემთხვევაშიც უნდა ემოქმედა გაერო-ს. ბრიტანეთმა ასევე გაზარდა სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა

5 მოსადეყის მოქმედებას ფართო გამოხმაურება მოჰყვა მთელ მსოფლიოში. იმდენად დიდი იყო მოსადეყის პოპულარობა, რომ 1951 წელს ჟურნალმა „თაიმმა" იგი „წლის ადამიანად" დაასახელა.

6 „ნეგატიური გათანასწორების" პოლიტიკის გამო, რომელიც ასევე ითვალისწინებდა დიდ სახელმწიფოებს შორის უთანხმოებათა გამოყენებას, სახელმწიფო გადატრიალებამდე მოსადეყს ზოგჯერ ამერიკელების ანდა რუსების ჯაშუშადაც ნათლავდნენ. (იხ. მაგ., Ta'ati, 1985: 44).

სპარსეთის ყურეში, მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენება ირანის წინააღმდეგ არ იქნებოდა უპრიანი, რამდენადაც უეჭველად გამოიწვევდა ამერიკის მხრიდან კრიტიკას და საბჭოთა კავშირთან დაპირისპირებას. კრიზისმა ლეიბორისტული მთავრობის მარცხსა და ხელისუფლების სათავეში უინსტონ ჩერჩილის კონსერვატული მთავრობის დაბრუნებას შეუწყო ხელი. ამ უკანასკნელმა გააგრძელა მოსადეყთან დაპირისპირების პოლიტიკა, ოღონდ „უფრო დახვეწილი ფორმით." (Daniel, 2000: 150).

> იმდროინელი ბრიტანელი პოლიტიკოსები და პრესა მოსადეყს ასეთი ეპითეტებით მოიხსენიებდნენ: „ფანატიკოსი", „გიჟი", „არათანმიმდევრული", „ექსცენტრიული", „დაუბალანსებელი", „დემაგოგი", „აბსურდული", „ბავშვური", „დამღლელი და თვითნება", „აღგზნებული" „არასტაბილური", „სენტიმენტალურად მისტიკური", „ველური", „ცბიერი აღმოსავლელი", „არმოსურნე, რომ რეალობას თვალი გაუსწოროს", „დიქტატორი", „ქსენოფობი", „რობესპიერის დარი", „ფრანკენშტეინის მსგავსი."

ბრიტანეთმა ყველაზე დიდ შედეგს ეკონომიკური ზეწოლით მიაღწია. როდესაც კომპანია ირანელების ხელში გადავიდა, არც ერთი ბრიტანელი არ დათანხმდა გაეგრძელებინა მუშაობა ირანში. ამან გამოიწვია კომპანიის ოპერაციების უმეტესი ნაწილის შეჩერება. ამას თან დაერთო იმ ნავთობის, რომლის წარმოებაც ირანს ჯერ კიდევ შეეძლო, ბოიკოტირება და ბლოკადა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას, რომლის შემოსავლებიც დიდწილად ნავთობზე იყო დამოკიდებული. იმის სანაცვლოდ, რომ ნავთობიდან მიღებულ შემოსავალს კრიზისიდან გამოეყვანა ირანი, სანავთობო ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და კომპანიის ირანელ თანამშრომელთათვის ხელფასების გაცემის აუცილებლობამ დაცალა ქვეყნის ხაზინა, რამაც უზარმაზარი დავალიანება და მძიმე ეკონომიკური პრობლემები წარმოქმნა. გაიყინა ირანული აქტივები ბრიტანულ ბანკებში. ბრიტანეთი ასევე იყენებდა თავის დიპლომატიურ ზეგავლენას, რომ დაერწმუნებინა ტრუმენის ადმინისტრაცია არ გაეწია დახმარება ან მიეცა სესხი ირანისათვის. როდესაც მოსადეყი ვაშინგტონს ეწვია ნიუ იორკში გაერო-ს ასამბლეაზე გამოსვლის შემდეგ, მას აუწყეს, რომ დავის დასრულებამდე ირანს შტატებისაგან სესხის მიღების იმედი არ უნდა ჰქონოდა. ამერიკული ნავთობკომპანიებიც შეუერთდნენ ბოიკოტს და შტატების ადმინისტრაციაც სულ უფრო მეტ შეშფოთებას გამოხატავდა „კომუნისტების ჩართვის გამო ნავთობის ნაციონალიზაციის მოძრაობაში" (სწორედ თუდე წარმართავდა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს). ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებასთან ერთად, მოსადეყის პოლიტიკა სულ უფრო არათამიმდევრული ხდებოდა და ფრაქციათა შორის დაძაბულობაც მატულობდა. შექმნილ ვითარებაში, მოსადეყმა პარლამენტს წარუდგინა პროგრამა „ეკონომიკა ნავთობის გარეშე."[7]

მოჰამად მოსადეყი

1952 წელს ნათელი გახდა, რომ მოსადეყი არც მოსურნე იყო და არც უნარის მქონე გადაეწყვიტა ნაციონალიზაციის საკითხი. უუნარო, რადგან გრძნობდა, რომ ნებისმიერი კომპრომისი მისი პო-

7 1951 წელს ირანში ნავთობის მოპოვება 650,000 ბარელიდან 20,000-მდე შემცირდა, მაშინ როცა მსოფლიოში 10-დან 13 მილიონამდე გაიზარდა.

პულარობის დაცემას (შესაძლოა, მკვლელობასაც კი) გამოიწვევდა; ხოლო არამოსურნე, რამდენადაც მისი პოპულარობა სწორედ ნავთობის საკითხს და ამის შედეგად შაჰთან დაპირისპირებას ემყარებოდა. მოსადეყის პოლიტიკა (დიდწილად მისი მოკავშირის, საგარეო საქმეთა მინისტრისა და რადიკალი ჟურნალისტის ჰოსეინ ფათემის გავლენით) სულ უფრო ავტორიტარული და მარცხივ „გადახრილი“ ხდებოდა. მან მეჩვიდმეტე მეჯლისის არჩევნების მანიპულირებაც დაიწყო, მისცა რა უფრო მეტი ადგილები განათლებულ ელიტასა და საქალაქო ცენტრებს, როგორიცაა თეირანი, სადაც „ეროვნული ფრონტი“ პოპულარობით სარგებლობდა. როდესაც ნათელი გახდა, რომ არჩევნებში ის სრულ და უპირობო გამარჯვებას ვერ აღწევდა, მან შეაჩერა ხმის მიცემის პროცესი, რამდენადაც ქვორუმისათვის არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა უკვე საკმარისი იყო. ამ პირობებშიც „ეროვნული ფრონტმა“ 79 ადგილიდან მხოლოდ მესამედი მოიპოვა.

შაჰის ხელისუფლების კიდევ ერთი გამოწვევა გახდა 1952 წლის ივლისში მოსადეყის მიერ სამხედრო მინისტრის დანიშვნა. ტექნიკური თვალსაზრისით, ეს მისი პრეროგატივა იყო, მაგრამ ტრადიციულად ამას შაჰი, როგორც ქვეყნის მთავარსარდალი, აკეთებდა. შაჰმა უარი განაცხადა ამ დანიშვნის ხელმოწერაზე და მოსადეყი გადადგა. მისმა შემცვლელმა დაუყოვნებლივ გამოაცხადა, რომ იწყებდა მოლაპარაკებებს ბრიტანელებთან. „ეროვნულმა ფრონტმა“ თუდეს მხარდაჭერით უზარმაზარი დემონსტრაციები მოაწყო. დემონსტრანტები სკანდირებდნენ „მოსადეყი ან სიკვდილი!“ (Richard, 2006: 262). საბოლოოდ, შაჰი იძულებული გახდა 21 ივლისს დაებრუნებინა მოსადეყი პრემიერის პოსტზე.

ამ გამარჯვებისა და მეორე დღეს საერთაშორისო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, მოსადეყის ხელში უზარმაზარი ძალაუფლება მოექცა და მანაც ავტორიტარული მეთოდებით დაიწყო საკითხების გადაწყვეტა. მან უარი თქვა სანავთობო კრიზისის გადალახვის კიდევ ერთ შემოთავაზებაზე, რომელიც ჩერჩილისა და ტრუმენის მიერ ერთობლივად იყო შემუშავებული და ითვალისწინებდა შტატების დაუყოვნებლიოვ სესხს. ოქტომბერში მან გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები ბრიტანეთთან იმ მიზეზით, რომ ის ერეოდა ირანის საშინაო საქმეებში (ძმები რაშიდიანები, ბრიტანეთის ცნობილი აგენტები და გენერალი ფაზლოლა ზაჰედი ხანმოკლე ვადით დააპატიმრეს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობის ბრალდებით). მან შეითავსა სამხედრო მინისტრობაც და კიდევ არაერთი ნაბიჯი გადადგა შაჰის დასამცირებლად – შაჰის ტყუპისცალი და, პოლიტიკურად აქტიური აშრაფი, აიძულა ქვეყნიდანაც კი გაქცეულიყო. მან სამეფო კარსა და სამხედროებს ბიუჯეტი შეუმცირა და პრესას უბიძგებდა აღეწერა სამეფო კარი, როგორც კორუმპირებული და ქვეყნის მოღალატე. მან შეძლო მეჯლისისაგან მიეღო დეკრეტი, რომლითაც აღიჭურვა „საგანგებო ძალაუფლებით,“ პრაქტიკულად დიქტატორული უფლებებით, თავდაპირველად ექვსი თვის, ხოლო შემდეგ ერთი წლის ვადით. ეს მან გამოიყენა ზოგიერთი პოპულისტური ხასიათის ღონისძიების გასატარებლად, როგორიც იყო მიწის რეფორმა და შეძლებული ფენებისათვის მაღალი გადასახადების დაწესება. როდესაც მეჯლისის წევრები 1953 წლის ივლისში ამგვარ პოლიტიკას შეეწინააღმდეგნენ და უარი თქვეს სესიებში მონაწილეობაზე, მოსადეყმა, კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, მოითხოვა მეჯლისის დაშლა და საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება მისდამი ნდობის გამოსავლენად. შექმნილ ვითარებაში არ იყო გასაკვირი, რომ მოსადეყმა უპირობო გამარჯვება მოიპოვა ამ რეფერენდუმში. დადიოდა ხმები, რომ უნდა გამართულიყო კიდევ ერთი რეფერენდუმი მონარქიის გასაუქმებლად და მის ადგილზე რესპუბლიკის შესაქმნელად.

მაგრამ მოსადეყის პოპულარობა საკმაოდ სწრაფად დაეცა. იმ სეკულარისტულმა და პოპულისტურმა ღონისძიებებმა, რომლების გატარებაც მან დაიწყო, ასევე სულ უფრო მზარდმა ეკონომიკურმა სიძნელეებმა, გამოიწვია მისგან კონსერვატორების, ბაზრის ხალხის და რელიგიური ლიდერების განდგომა. ქაშანიც ეწინააღმდეგებოდა მოსადეყის საგანგებო უფლებამოსილების გაზრდასა და ასევე ისეთი რადიკალების, როგორიც იყო ფათემი, გავლენის ზრდას. მან დატოვა „ეროვნული ფრონტი“ და მალე მისი მაგალითი გაიზიარეს სხვა ჯგუფებმაც. პრაქტიკულად მთლიანი რელიგიური ისტებლიშმენტი – ქაშანი, პრომონარქიულად განწყობილი აიათოლა ბეჰბაჰანი და აპოლიტიკური აიათოლა ბორუჯერდი მოსადეყის წინააღმდეგ განეწყვნენ.

> აბოლ ყასემ ქაშანი დაიბადა 1882 წ. თეირანში. მამამისი აიათოლა იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი ენათესავებოდა პანისლამისტური მოძრაობის ერთ-ერთ ფუძემდებელ ალ-ავღანის. ქაშანიმ სასულიერო განათლება მიიღო ნაჯაფში. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი იბრძოდა ინგლისელთა წინააღმდეგ მესოპოტამიაში. მონაწილეობდა 20-იან წლებში ერაყის შიიტური ტომების აჯანყებაში ინგლისის წინააღმდეგ და სიკვდილიც ჰქონდა მისჯილი.

ქაშანი გადაურჩა დაპატიმრებას და ირანში დაბრუნდა. აქ იგი მალე გახდა მეჯლისის დეპუტატი. შემდგომში, რეზა შაჰის მმართველობის დროს, ქაშანი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას არ ეწეოდა და ყუმში ცხოვრობდა.



1941 წ. იგი ყუმიდან თეირანში ჩამოვიდა და მაშინვე მიიპყრო ყურადღება ინგლისელთა საწინააღმდეგო პროპაგანდით. 1942 წელს ინგლისელებმა, ძირგამომთხრელი საქმიანობისა და ჰიტლერის დაზვერვასთან კავშირის ბრალდებით, ქაშანი დააპატიმრეს. 1943 წ. არჩევნებზე ქაშანი დაუსწრებლად აირჩიეს მეჯლისში. თუმცა, ამ ფაქტს და სამღვდელოების პროტესტს გავლენა არ მოუხდენია ქაშანის გათავისუფლებაზე და იგი მხოლოდ 1945 წ. გამოუშვეს საპატიმროდან.

40-იანი წლების მეორე ნახევარში ქაშანიმ დააფუძნა „ისლამური პროპაგანდის ცენტრი." ცენტრი აქვეყნებდა მუსლიმ ღვთისმეტყველთა თხზულებებს, აგრეთვე მოწოდებებს მოსახლეობისადმი გაერთიანებულიყვნენ და ებრძოლათ ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. 1948 წელს ქაშანიმ მოახერხა დემონსტრაციების ორგანიზება პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ, აგროვებდა ფულს არაბული საქმისათვის და მოხალისეების გაგზავნაც კი შეძლო პალესტინაში.

ქაშანი არ მიჯნავდა ერთმანეთისაგან რელიგიასა და პოლიტიკას – მიიჩნევდა, რომ ისლამის კანონები მისადაგებოდა ისეთ კატეგორიებსაც, როგორიც იყო ნაციონალიზმი, პატრიოტიზმი, პოლიტიკა და სამართალი. მისი თვალსაზრისით, სწორედ სამღვდელოებას უნდა ეხელმძღვანელა ხალხისათვის.

1949 წ. თებერვალში ქაშანი ისევ დააპატიმრეს შაჰზე თავდასხმის მოწყობის ეჭვით და გააძევეს ქვეყნიდან. 1950 წლამდე იგი ცხოვრობდა ბეირუთში. ინგლისურ-ირანული სანავთობო კომპანიის წინააღმდეგ მოძრაობის აღმავლობის პერიოდში კი კვლავ დაუსწრებლად აირჩიეს XVI მოწვევის მეჯლისში.

ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ ქაშანი მეჯლისის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო 1953 წ. სახელმწიფო გადატრიალებამდე. მას შემდეგ, რაც ნავთობის პრობლემა და ინგლისური კონცესიის საკითხი აქტუალური გახდა, ქაშანიმ დაიწყო ნავთობთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიანი შესწავლა და მალე ამ სფეროში აღიარებულ ექსპერტად იქცა (Элвелл-Саттон, 1955: 248).

გარდა პოლიტიკის ისლამიზაციის მცდელობისა, ქაშანი ასევე ცდილობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისლამური ნორმებისადმი დაქვემდებარებას. მან მოახერხა და მთავრობას მიაღებინა გადაწყვეტილებები მუსლიმური მარხვის დროს ყველა რესტორნის და კაფეს დახურვის, მუსიკისა და გართობის აკრძალვის შესახებ.

შაჰმა და მთავრობამ არ აპატიეს ქაშანის მისი აქტიური ჩაბმა პოლიტიკურ ბრძოლაში სანავთობო კრიზისის დროს და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მისი გავლენა და პრესტიჟი დაცემულიყო. (Katouzian, 1990: 236).

ქაშანი ყველასაგან დავიწყებული გარდაიცვალა 1962 წელს. ნაციონალისტები მას მოღალატედ მიიჩნევდნენ. მაგრამ 1980 წელს სამღვდელოებამ მისი რეაბილიტაცია მოახდინა.

1952 წ. მოსადეყის მთავრობამ დასვა საკითხი ყუმის საზოგადოებრივი ვაკფების ადმინისტრაციის მზრუნველის შეცვლის შესახებ და ამ პოსტზე მოსადეყის მომხრე სასულიერო პირის დანიშვნის თაობაზე, რათა მომხდარიყო ამ ვაკფებისაგან მიღებულ შემოსავლებზე კონტროლის გაძლიერება. ამ აქციით მოსადეყი პრაქტიკულად დაუპირისპირდა ყუმის სამღვდელოების ლიდერს ბორუჯერდის, რომელიც აქამდე ზომიერ ნეიტრალიტეტს იცავდა. თუმცა, ბორუჯერდის ღიად არც ამ შემთხვევაში გამოუთქვამს პროტესტი. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ყუმში აღქმული იქნა, როგორც მთავრობის პირდაპირი ჩარევა რელიგიის საქმეებში. ულემებმა მჯდომარე აქცია მოაწყვეს ყუმის საკრებულო მეჩეთში. საპასუხოდ, მთავრობამ სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. ყუმელ ულემთა დელეგაციამ დახმარებისათვის ქაშანის მიმართა.[8] რთული მოლაპარაკებების შედეგად, მთავრობამ უარი განაცხადა ახალი მზრუნველის დანიშვნის გადაწყვეტილებაზე.

ასევე უარყოფითი პოზიცია დაიკავა ყუმმა მოსადეყის კანონპროექტის მიმართ, რომელიც ითვალისწინებდა ქალთა უფლებრივ გათანასწორებას მამაკაცებთან. აიათოლა ბორუჯერდიმ სთხოვა ყუმელ დეპუტატს შეეხსენებინა პრემიერ მოსადეყისათვის, რომ „ყუმი არ არის დამღანი და არც სავე და არ აპირებს დაიმორჩილოს მიღებულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ყუმი, როგორც შიიტთა წმინდა ადგილს, საკუთარი სტატუსი უფლებას აძლევს იყოს დამოუკიდებელი როგორც სამეფო კარისაგან,

8 საინტერესოა, რომ მოსადეყის პირველ კაბინეტში ქაშანის თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა.

ისე მთავრობისაგან." სამღვდელოების ძლიერი ზეწოლის შედეგად მეჯლისმა უარი განაცხადა ამ კანონის მიღებაზე. „როდესაც **1952 წ. მიწურულს მოსადეყმა მოამზადა კანონი, რომლის თანახმადაც ქალებს** საარჩევნო ხმა ენიჭებოდათ, მოჯთაჰედთა ვეტომ ჩაშალა ამ კანონის მიღება."(Halm, 1995: 246).

ქაშანი კიცხავდა მოსადეყს კოსტიტუციის დარღვევისა და ადამიანთა უფლებების შელახვის გამოც. მან მოსადეყს შეუტია, მაგალითად, ცნობილი „საზოგადოებრივი უსაფრთხოების" კანონის (*ამნიათ-ე ეჯთემა'ი*) გამო, რომლითაც დაიშვებოდა ადამიანთა დაპატიმრება უბრალო ეჭვის საფუძველზე (მოგვიანებით ამ კანონმა საშუალება მისცა შაჰს სურვილისამებრ დაეპატიმრებინა მისთვის არასასურველი პოლიტიკური მოღვაწეები).

ამდენად, შექმნილ ვითარებაში, მოსადეყი სულ უფრო მეტად ხდებოდა თუდეზე დამოკიდებული, რომელსაც შეეძლო მისი პოლიტიკისათვის მხარდაჭერა ქუჩის დემონსტრაციების ორგანიზებით. თუდე ამას მხოლოდ ტაქტიკური მიზეზებით აკეთებდა და არა მოსადეყის იდეების გაზიარების საფუძველზე. მათი მოსადეყის გვერდში დგომა კი კიდევ უფრო აღიზიანებდა კონსერვატორებს. მოსადეყის მიერ სამხედრო ბიუჯეტის შემცირებამ, ოფიცერთა კორპუსში ჩატარებულმა წმენდამ და მისმა მცდელობამ დაესუსტებინა არმია, ასევე გამოიწვია სამხედროების შაჰის მხარეზე დადგომა. მონარქისტმა ოფიცრებმა დაიწყეს გეგმების შემუშავება მოსადეყის დასუსტებისა და „ეროვნული ფრონტის" დანაწევრებისათვის.

ნავთობის ნაციონალიზაციის გამო გამოწვეულ კრიზისში მოსადეყს ორი გამოსავლის იმედი ჰქონდა, რომელთაგან არც ერთი არ გამართლდა: ის იმედოვნებდა ირანული ნავთობის გაყიდვას, მიუხედავად ბრიტანელების წინააღმდეგობისა, და შეერთებული შტატების მხარდაჭერას. საკუთრივ ნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, აშშ-ის ადმინისტრაცია თავდაპირველად იმედოვნებდა რაციონალური გამოსავლის მოძიებას მოკავშირე ბრიტანეთთან დაპირისპირების გარეშე. ცივი ომის კონტექსტში ვაშინგტონის მიზანი იყო წესრიგის შენარჩუნება ირანში, თუდეს ხელისუფლების გარეთ დატოვება და საბჭოელებისათვის მიზეზის არმიცემა ინტერვენციისათვის. მოსადეყის უკომპრომისობამ კი, რომელსაც თან ერთვოდა მისი პოლიტიკის მარცხნივ გადახრა და თუდეს როლის გაზრდა, შეარყია იმის რწმენა, რომ მოსადეყს შესწევდა ძალა ემსახურა ამ ინტერესებისათვის. საკუთრივ მოსადეყმაც დაადასტურა ამგვარი შთაბეჭდილების სისწორე, როდესაც ის შეეცადა **1953 წლის მაისში კომუნისტური** საფრთხის გამოყენებას ამერიკული დახმარების მიღების გამართლებისათვის.

1953 წლის სახელმწიფო გადატრიალება

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ირანი კვლავაც დარჩა დიდი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში. „ცივი ომის" საწყის ეტაპზე დაპირისპირებული ბლოკებმა ურთიერთქიშპი დაიწყეს რეგიონში ჰეგემონობის მოსაპოვებლად. პრეზიდენტი ტრუმენი მათ შორის იყო, ვისაც სწამდა, რომ საბჭოელებს სურდათ ირანის თავიანთი გავლენის ორბიტაში მოექციათ. გადმოცემით, იმ დღეს, როდესაც ჩრდ. კორეის ჯარები შეიჭრნენ სამხ. კორეაში, მან ოვალურ კაბინეტში გლობუსზე ხელი დაადო ირანს და დამსწრეებს განუცხადა: „სწორედ აქ ეცდებიან არეულობების მოწყობას, თუ ფრთხილად არ ვიქნებით." თუმცა, ტრუმენის ადმინისტრაციას არ გადაუდგამს რადიკალური ნაბიჯები მოსადეყის დამხობისათვის.

ბევრი დაიწერა და ითქვა 1953 წ. ირანში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ. ერთი ფრანგი ჟურნალისტის მოსწრებული თქმით, ამერიკელების მიერ მძევლების ისტორიის ხსენებაზე, ირანელებს საპასუხოდ მოსადეყის მიმართ განხორციელებული უსამართლობა აქვთ. ისიც აღსანიშნავია, რომ მოსადეყის დამხობა ახლადშექმნილი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) მიერ განხორციელებული პირველი წარმატებული ოპერაცია იყო.

2000 წლის 19 მაისს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაითმა ოფიციალურად აღიარა აშშ-ის მონაწილეობა სახელმწიფო გადატრიალებაში, რომლის შედეგადაც დაემხო მოსადეყის მთავრობა. მანამდე კი აპრილში „ნიუ იორკ თაიმსმა" გამოაქვეყნა აშშ-ის ცსს-ს ანგარიში ამ გადატრიალებასთან დაკავშირებით, ხოლო 16 ივნისს ინტერნეტის საკუთარ გვერდზე განათავსა იგი.[9]

9 www.nytimes.com/library/world/mideast/iran-cia-intro.pdf დოკუმენტი დათარიღებულია 1954 წლით და ხელმოწერილია დონალდ ვ. ვილბერის მიერ. საინტერესოა, რომ გადატრიალებაში მონაწილე ირანელთა სახელები სხვა საიტზე იყო განთავსებული (http://cryptome.org/cia-iran.htm). როგორც მ. გასიოროვსკი აღნიშნავს, დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანია. რომ ირანის შიდა პოლიტიკითა და ამერიკის საერთაშორისო პოლიტიკით ყველა დაინტერესებულმა უნდა წაიკითხოს. (M. Gasiorowski, 2000).

რეალურად კი, ეიზანჰაუერის ახალი ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე შტატებმა გადაწყვიტა მთლიანად ბრიტანეთისა და შაჰის მხარეს დამდგარიყო. დღევანდელი გადმოსახედიდან, აშშ-ის პოზიცია შესაძლოა უცნაურად გამოჩნდეს, რამდენადაც ნაციონალიზაციის საკითხისადმი და ზოგადად ირანის მიმართ აშშ-ის საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ დადებითად იყო განწყობილი. მაგრამ მოსადეყის პოლიტიკა ანტიბრიტანულ და გარკვეულწილად უკვე ანტიდასავლურ ხასიათსაც ატარებდა. იმდროინდელ ვითარებაში, განსაკუთრებით კი ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლისა და სენატორ ჯო მაკკარტის გააქტიურების შემდეგ, მოძრაობაში პროკომუნისტური მოძრაობის მონაწილეობა, რომელსაც საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს, უკვე საკმარისი არგუმენტი იყო შტატებისათვის მთლიანად მოძრაობის დასაგმობად. მალე, **1953 წლის თებერვალში**, ამერიკელები და ინგლისელები შეთანხმდნენ ოპერაციის ჩატარებაზე კოდური სახელწოდებით „აიაქსი". ის უნდა შემუშავებულიყო ბრიტანული სადაზვერვო სამსახურის მიერ იმ დროს უკვე გათავისუფლებული გენერალ ზაჰედისა და სხვა კეთილგანწყობილ ირანელებთან თანამშრომლობის საფუძველზე და განხორციელებულიყო ცსს-ს მიერ, რომელმაც ირანში გააგზავნა თავისი აგენტი ქერმით რუზველტი.

შექმნილ ვითარებაში შაჰმა კასპიისპირეთში მდებარე რეზიდენციას შეაფარა თავი, სადაც ხელი მოაწერა ბრძანებას მოსადეყის გათავისუფლებისა და ზაჰედის დანიშვნის შესახებ, რისი კონსტიტუციური უფლებაც მას ჰქონდა. მოსადეყმა წინასწარ იცოდა ამის შესახებ და დააპატიმრებინა ოფიცერი, რომელსაც მოჰქონდა ეს დოკუმენტი.[10] ის შეეცადა ყოველივე წარმოადგინა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად (რაც სინამდვილეს შეეფერებოდა). შექმნილ ვითარებაში შაჰი იძულებული იყო ქვეყანა დაეტოვებინა. „ეროვნულმა ფრონტმა" დაუფარავად დაიწყო მოქმედება მონარქიის გაუქმების მიზნით. ფათემიმ „მოღალატე" შაჰის ჩამოხრჩობაც კი მოითხოვა. თუდეს მიერ ქუჩებში გამოყვანილმა ბრბომ დაარბია რეზა შაჰის ქანდაკებები. მოსადეყი ამ დროს უკვე შიშმა შეიპყრო, რომ უკვე მიმდინარეობდა თუდეს რევოლუცია და პოლიციასა და არმიას უბრძანა ქუჩების გაწმენდა. ამგვარად, ის დაუპირიპირდა ძალას, რომელიც ხელისუფლების შესანარჩუნებლად მას აუცილებლად ესაჭიროებოდა. **19 აგვისტოს კი ქუჩებში უზარმაზარი ბრბო გამოვიდა პროშაჰური ლოზუნგებით, რომ**ლებმაც გაიარეს თეირანის ბაზარი და დაარბიეს მოსადეყის ერთგული ორგანიზაციები, მათ შორის ეროვნული რადიოს შენობა. ბრბოს წარმართველები იყვნენ *ლათები* თეირანის ღარიბი სამხრეთი რაიონებიდან (მათ შორის იყო კოლორიტული ფიგურა შაბან ჯაფარი (ცნობილი *ბიმოხ*ის – უტვინოს სახელით). ლათები რეკრუტირებული იყვნენ ქაშანისა და მონარქისტების მიერ და მათი ნაწილობრივი დაფინანსება ცსს-საც მიეწერება.

ლათი, ისე როგორც არაერთი სპარსული ტერმინი, რთულია სათარგმნია. ზოგიერთ ინგლისურ ლექსიკონში, ის განმარტებულია, როგორც „ხულიგანი," რაც აშკარა შეცდომაა. ლათებს განსაკუთრებული ადგილი უკავით ირანულ კულტურაში. ეს ადგილი გარკვეულწილად შეიძლება შეედაროს მაფიოზების პოზიციას ამერიკულ ხალხურ კულტურაში, თუმცა მასთან ასოცირებული განსაკუთრებული ძალადობის გარეშე. მეორე მხრივ კი, ისინი ირანულ საზოგადოებაში იწვევენ პატივისცემას, თაყვანისცემას კი, მუშათა კლასის ცხოვრების წესისა და დაუწერელი კანონების დაცვით. ხულიგნები ანარქიას განასახიერებენ; ლათები კი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იბრძვიან საკუთარი ძალის საჩვენებლად და ავტორიტეტის გასამყარებლად. XX საუკუნის ირანის კულტურული ისტორიისათვის ლათის ფენომენი მკაფიო სახასიათო ნიშანია. ეს კულტურა კი, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტადაცაა ნიშანდებული *ჯაჰელით* – ყოფილი ლათით, რომელმაც უმაღლესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა ქალაქის მოცემულ უბანში. ჯაჰელი, ქუჩის „ბოსი," დაკავებული იყო სხვადასხვა სახის არაკანონიერი საქმიანობით, მაგრამ ამერიკის განგსტერი ლიდერებისაგან განსხვავებით, იშვიათად ხდებოდა პოლიციის სამიზნე; ერთი მხრივ, იმის გამო, რომ პოლიციაც ხშირად იმავე სოციალური ფენიდან იყო გამოსული, მეორე მხრივ – პოლიცია ხშირად მოსყიდული იყო და, მესამე მხრივ, შაჰის მთავრობები ცდილობდნენ უარყოფითად არ განეწყოთ საზოგადოების ის ფენა, რომლის მხარდაჭერაც შესაფერის მომენტში მეტად საჭირო იქნებოდა, თუნდაც მოსყიდვის გზით.

ლათები და ჯაჰელები ირანული საზოგადოების ქვედა და შესაბამისად, ღრმად რელიგიური ფენიდან იყვნენ გამოსული. მაგრამ მორწმუნეობას ისინი უთავსებდნენ ალკოჰოლსა და მექალთანეობას, ასევე ჩაბმული იყვნენ პროსტიტუციისა და ნარკოტიკების ბიზნესში.

10 არსებობს ცნობა, რომ ამის შესახებ მოსადეყს თუდეს წევრებმა შეატყობინეს (იხ. Axworthy, 2008: 236).

უფრო მეტად სწორედ ამ ქუჩის „მებრძოლების," ვიდრე რეგულარული არმიის გამოყენებით (რომელიც ისედაც არ იყო სანდო, რადგანაც მერყეობდა დემოკრატიულად არჩეულ პრემიერსა და შაჰს შორის), შაჰი ცდილობდა თავის სასარგებლოდ გაეღვივებინა პოპულისტური გრძნობები.

უფრო გვიან კი, **1979 წლის ისლამური რევოლუციისას, ლათები და ჯაჰელები უკვე შაჰის საწინააღმდეგო** მხარეს აღმოჩდნენ. აიათოლა ხომეინი, მოსადეყისაგან განსხვავებით, რევოლუციის დღეებში, მთელი ოპოზიციის გამაერთიანებელი იყო. საზოგადოების ის ფენაც, რომელსაც ლათები და ჯაჰელები განასახიერებდნენ, მონარქიასთან იყო დაპირისპირებული. ამდენად, მათი „ყიდვა" უკვე შეუძლებელი გახდა. ისინი შეუერთდნენ რევოლუციურ კომიტეტებსა და გვარდიას. თუმცა, მალე ნათელი გახდა, რომ ქვეყანაში სამღვდელოება მთლიანად იღებდა ხელში ძალაუფლებას – იმ სივრცეშიც კი, სადაც ჯაჰელები და ლათები ბატონობდნენ. მიწასთან გაასწორეს თეირანის სახელგანთქმული „წითელი ფანრების" უბანი „შაჰრ-ე ნოუ" (ახალი ქალაქი) – ჯაჰელებისა და ლათების თავშეყრის ტრადიციული ადგილი.

დღეს ლათები ისევ არიან ქალაქების ღარიბულ უბნებში, ჯაჰელებისგან კი ირანელთა უმრავლესობას მხოლოდ მოგონება დარჩა. ისინი დროდადრო თუ გამოჩნდებიან ეკრანებზე ძველი ირანულ ფილმების ჩვენებისას (იხ. Majd, 2009).

დემოსტრაციების პარალელურად გენერალმა ზაჰედიმ შეიარაღებულ რაზმთან ერთად იერიში მიიტანა მოსადეყის რეზიდენციაზე და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, აიძულა ის დანებებულიყო. ამან გზა გაუხსნა შაჰს ქვეყანაში დასაბრუნებლად, რაც გააკეთა 22 აგვისტოს. ზაჰედი პრემიერი გახდა და ამ პოსტზე დარჩა **1955 წლამდე. მოსადეყი დააპატიმრეს და სამხედრო ტრიბუნალმა მას ქვეყნის ღალატის** ბრალდება წაუყენა. თუმცა, მას უფლება მისცეს ეცხოვრა შინაპატიმრობაში სიცოცხლის ბოლომდე (ის **1967 წელს გარდაიცვალა). ფათემი დაატყვევეს და მიუხედავად თუდეს მცდელობებისა დაეცვა** ის, სიკვდილით დასაჯეს.

ვერავინ უარყოფს, რომ ეიოკ-ი ირანის ექსპლუატაციას ეწეოდა და მოსადეყს მხარდაჭერა ჰქონდა კომპანიასთან დაპირისპირებისას. კომპანია უფლებას არ აძლევდა ირანელებს ან დამოუკიდებელ აუდიტორებს შეემოწმებინათ საბუღალტრო აღრიცხვის წიგნები. კომპანია ირანის წილს არასამართლიანი ფორმულით ანგარიშობდა (ბრიტანეთისათვის გადასახადების გადახდისა და ირანის საზღვრებს გარეთ ინვესტიციების განხორციელების შემდეგ). კომპანიის ირანელი მოსამსახურეების ანაზღაურება და ცხოვრების დონე უკიდურესად დაბალი იყო. არსებობს ცნობა, რომ მუშაობის უკანასკნელ წელს კომპანია უფრო მეტი მოგება მიიღო, ვიდრე კომპანიის დაარსების დღიდან ირანს გადაუხადა. ამერიკული მხარე მიიჩნევდა, რომ კონცესია არასამართლიანი იყო და ბრიტანელებს უნდა გაეუმჯობესებინათ მისი პირობები. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ნაციონალიზაცია არ იყო ირანისათვის საუკეთესო გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან. მოსადეყს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ეკონომიკის საკითხების შესახებ. ის აშკარად გადაჭარბებით აფასებდა ირანული სანავთობო პროდუქციის მნიშვნელობას მსოფლიოსათვის იმ დროს, როდესაც მსოფლიო ბაზარი უკვე საკმაოდ გაჯერებული იყო. ამის შედეგად, მან ვერ გაითვალისწინა, თუ როგორ მარტივად შეეძლო ბრიტანეთს დაებლოკა მისი გაყიდვები, ისე რომ არ შექმნილიყო დეფიციტი მსოფლიო ბაზარზე. მან ასევე ვერ გაითვალისწინა, რომ ნაციონაზაცია ირანს ართმევდა კანონიერ უფლებას მოეთხოვა თავისი წილი სხვა ქვეყნებში ინვესტირების შემდეგ კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლებიდან. წმინდა ფინანსური თვალსაზრისით, გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება გაცილებით უფრო მომგებიანი იქნებოდა, ვიდრე ნაციონალიზაცია.

მოსადეყი საკუთარ თავს დემოკრატად და კონსტიტუციონალისტად ასაღებდა, მაგრამ არ უყოყმანია ამ პრინციპების დარღვევა, როდესაც ეს მის მიზნებს შეესაბამებოდა. მან ისე, როგორც არავინ, ხელი შეუწყო იმ აზრის ჩამოყალიბებას, რომ ირანის პოლიტიკური დავები უკეთ წყდებოდა ქუჩის დემონსტრაციებით, ვიდრე დებატებით ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ პოპულისტურ გადაწყვეტილებებს ხშირად იღებდა, ის მაინც ელიტისტი იყო, რომელსაც სურდა შეეზღუდა არჩევანის საშუალებები და საზოგადოებრივი საქმეების წარმართვა მოექცია პრივილეგირებული ოლიგარქიის ხელში. როგორც ძველი არისტოკრატიის წარმომადგენელი, ის, შესაძლოა, უფრო მეტად მოტივირებული იყო სიძულვილით მდაბიო ფაჰლავიანებისადმი, ვიდრე უცხოური გავლენისადმი. მმართველობის მეთოდების გამო მას ჩამოშორდნენ რელიგიური და სამხედრო ჯგუფები, რაც აუცილებელი იყო მთავრობის სტაბილური ფუნქციონირებისათვის.



მოსადეყის სასამართლო პროცესი

სწორედ ირანელებმა დაამხეს მოსადეყი და არა ერთმა მუჭა ამერიკელებმა დოლარებით გატენილი დიპლომატებით. მაგრამ იმასაც ვერავინ უარყოფს, რომ გადატრიალება არ განხორციელდებოდა ბრიტანული და ამერიკული სპეცსამსახურების ჩარევის გარეშე (Keddie, 2003: 130).

შემდგომში მოსადეყი ეროვნული გმირად იქცა, მაგრამ **1953 წლისათვის ირანელთა უმრავლესობა** ალბათ მოსადეყის მოწინააღმდეგე და შაჰის მომხრე იყო, რაც განპირობებული იყო ეკონომიკური სიძნელეებით და ზოგადად ქვეყანაში არსებული არასტაბილური სიტუაციით (Daniel, 2000: 155-156). ის სისწრაფე და სიმარტივე, რომლითაც გადატრიალება განხორციელდა, აჩვენებს, თუ რამდენად მცირე და კულტურულად იზოლირებული იყო მოსადეყის გარშემო შეკრებილი ლიბერალური, ინტელექტუალური და ნაციონალისტური ელიტა და რამდენად გადაჭარბებული აღმოჩნდა მისი რწმენა საკუთარი სოციალური ზეგავლენის შესახებ. მრავალ ქვეყანაში ამგვარმა ელიტებმა მოახერხეს მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარება მოდერნიზებულ სამხედრო ავტოკრატიებთან და თანდათანობით გახდნენ მმართველი ისტებლიშმენტის ნაწილი. მაგრამ ირანში ამ ორ ჯგუფს შორის ურთიერთობები კვლავ დაპირისპირებასა და უნდობლობას ემყარება, ორივე მხარისათვის საზიანოდ.

1953 წლის სახელმწიფო გადატრიალებას რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. პირველი იყო მოჰამად რეზა შაჰის პოზიციების გაძლიერება ამერიკელთა დახმარებით და თანდათანობით აბსოლუტისტური ტიპის რეჟიმის დამყარება. მეორე მნიშვნელოვანი შედეგი იყო ოპოზიციური ძალების დაქსაქსვა და ნაციონალიზმიდან თანდათანობით ისლამიზმისაკენ – პოლიტიზებული ისლამისაკენ გადახრა.[1] მესამე შედეგს კი (ეს ზოგადად დამახასიათებელი იყო იმდროინდელი მსოფლიოსათვის), წარმოადგენდა ბრიტანეთის პოზიციების თანდათანობითი დასუსტება ირანში და ამერიკელთა ფაქტობრივი ჰეგემონიის დამყარება, რაც მთლიანად ახლო აღმოსავლეთში მათი პოზიციების განმტკიცების პირველი ნაბიჯი იყო.

ეიზენაჰაუერის გარემოცვის გადაწყვეტილებით, არც ერთ კომპანიას და არც ერთ ქვეყანას არ უნდა ჰქონოდა ირანულ ნავთობზე მონოპოლიის უფლება. ასე გაიყო იგი ოთხ არათანაბარ ნაწილად. 1954 წ. 9 მარტს შეიქმნა „ირანული ნავთობის დისტრიბუციის საერთაშორისო კონსორციუმი“: 40-40% ხუთ ამერიკულ კომპანიასა და „ბრიტიშ პეტროლიუმს“ ერგოთ, **6% – „შელს“, 14% – ფრანგულ კომპანიას**. ეს შეთანხმება **25 წელი გაგრძელდა და ირანი მისგან იღებდა მოგების ნახევარს. ირანის მთავ**რობა ამ ხელშეკრულებას მიიჩნევდა „საღი აზრის ტრიუმფად“, მაგრამ „არა იდეალურ გადაწყვეტილებად“ (Nahavandi, 1995: 61).

მომდევნო ხუთი წლის მანძილზე ირანმა მიიღო ორჯერ მეტი მოგება, ვიდრე წინა ორმოცი, 1911-**1950 წლების განმავლობაში. ამდენად, ეკონომიკური თვალსაზრისით, გადატრიალება შესაძლოა „მომ**გებიანიც“ იყო. მაგრამ საკითხი სულ სხვაგვარად დგას: რეალურად ირანში დასავლეთმა (და დღეს

1 ამასთან ერთად, არ შეიძლება იმის თქმა, რომ მოსადეყი ზოგადად ისლამის წინააღმდეგი იყო. მოსადეყი უპირველესად იცავდა ირანის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მაგრამ იგი ასევე იცავდა შიიზმს, როგორც ირანული იდენტობის ნაწილს. „მიუხედავად ამისა, მას არ სწამდა, როგორც ზოგიერთ შიიტ ულემს, რომ შიიტური სარწმუნოებრივი სისტემა წარმოადგენდა ერთადერთ გზას საზოგადოების „განწმენდისა“ და „გადარჩენისათვის“ (Ta'ati, 1985: 42).

ამას არავინ უარყოფს) საკუთარი ფუძემდებლური დემოკრატიული პრინციპების ღალატი არად ჩათვალა ეკონომიკური სარგებლისა და გეოსტრატეგიული მიზნების მისაღწევად. მოსადეყის ექსპერიმენტის მარცხი კი, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, წლების შემდეგ ბუმერანგივით დაუბრუნდა დასავლეთსა და ამერიკას დასავლური ფასეულობებისათვის მართლაც მიუღებელი და ანტიამერიკული ლოზუნგებით წარმართული ისლამური რევოლუციის სახით.

ნავთობის ნაციონალიზაციით მოსადეყი გახდა მესამე სამყაროს პირველი ლიდერი, რომელმაც ხაზი გადაუსვა ქვეყნის რესურსებზე ბრიტანელთა კონტროლს. ნასერის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაცია მოსადეყის იდეის გამოძახილი იყო (Diba: 1986: 42).

სახელმწიფო გადატრიალება სხვა მრავალი კუთხითაც იყო მნიშვნელოვანი. შტატები გახდა ირანის უპირველესი მოკავშირე და შაჰის რეჟიმის დამცველი და, რაც მთავარია, მიაღწია კომუნისტური ზეგავლენის მოსპობას ირანში. მაგრამ ამან ასევე გამოიწვია შტატებისადმი ნდობის შემცირება, რომელიც ადრე დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ძველი იმპერიების ალტერნატივა. ირანელთა ნაწილი მაშინ ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ შტატების მიერ ბრიტანეთის ჩანაცვლება თანდათანობით გამოიწვევდა ირანშიც ამერიკული ფუძემდებლური ფასეულობების დამყარებას, მაგრამ შტატები უკვე აღარ იყო ის ქვეყანა, რომელსაც საუკუნის პირველ ნახევარში აღიქვამდნენ ახლო აღმოსავლეთის ხალხები. გრძელვადიან პერსპექტივაში მოსადეყის დამხობამ უდიდესი ზიანი მიაყენა შტატების ინტერესებს და ეს ზიანი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა გადატრიალების ხანებში.

დღევანდელი გადასახედიდან, 1953 წლიდან მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი იყო რელიგიური ჯგუფებისა და ტრადიციული კლასების გადამწყვეტი როლი ირანის პოლიტიკურ ბრძოლებში. მოსადეყის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავდა, რომ მოსადეყის მიერ გამოყვანილი ყოველ ათას მხარდამჭერზე ქაშანის შეეძლო ათი ათასის გამოყვანა. ამიტომაც ქაშანის გამოსვლა მოსადეყის კოალიციიდან ესოდენ მნიშვნელოვანი იყო გადატრიალების წარმატებისათვის. სწორედ ქაშანიმ და რელიგიურმა ჯგუფებმა შეუწყვეს ხელი მოსადეყს ხელისუფლების სათავეში მოსვლაში და მათვე უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს მის დამხობაში. საბოლოო ჯამში, ჩანს, რომ ეს გაკვეთილი დაივიწყეს როგორც შაჰმა, ისე მოსადეყის იდეების მომხრეებმა, რაც მათთვის დამღუპველი გამოდგა 1979 წელს.

ახალი ავტოკრატია

მოსადეყის დამხობით დასრულდა პლურალიზმის პერიოდი ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც **1941 წელს, რეზა შაჰის გადადგომით დაიწყო. „გამარჯვებულმა“ მოჰამად რეზამ საკუთარი ხელისუფლება**, მამამისის მსგავსად, სამ ძირითად საყრდენზე დააფუძნა: სამხედროებზე, ბიუროკრატიასა და სამეფო კარის პატრონაჟის სისტემაზე. მრავალი კუთხით, მისი მეფობა წარმოადგენდა მამამისის მმართველობის გაგრძელებას მცირეოდენი ცვლილებებით. მამამისი ნაციზმის ეპოქაში ცხოვრობდა, შვილი კი ცივი ომის ხანაში მოღვაწეობდა და შესაბამისად, თავს არიდებდა ავტოკრატული და რასობრივი ლექსიკონის გამოყენებას. მაგრამ მანაც, თავისი მეფობის ძლიერების ხანაში, ვერ გაუძლო ცდუნებას და საკუთარ ტიტულებს დაამატა *არია მეჰრი* (არიელების მზე). მოჰამად რეზა შაჰმა ხორცი შეასხა მამამისის ოცნებას ყოვლისმომცველი სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის შესახებ. ეს კი სწორედ ნავთობისაგან მიღებული შემოსავლებით განხორციელდა (Abrahamian, 2009: 123).

1960 წლისათვის შაჰი პრაქტიკულად მთლიანად აკონტროლებდა ირანის პოლიტიკურ ცხოვრებას, ამასთან კი, მისი სრული დამოკიდებულება ამერიკულ ფინანსურ დახმარებასა და მხარდაჭერაზე განაპირობებდა მის მრავალ გადაწყვეტილებას. **1954 წელს აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები** დიდ ბრიტანეთთან, მაგრამ უკვე ნათელი იყო რომ ბრიტანეთი ვეღარ დაიბრუნებდა ძველ პოზიციებს ირანში და მას შტატები ჩაენაცვლა. მოსადეყის „ეროვნული ფრონტის“ მოღვაწეობა აიკრძალა, ხოლო თუდეს წევრები და მომხრეები უშიშროების სამსახურის (რომელიც 1957 წლიდან *სავაქ*ად იწოდებოდა) მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოეცნენ.

მაგრამ მალე შაჰმა იგრძნო, რომ ახლადარჩეული კენედის ადმინისტრაცია კეთილგანწყობას იჩენდა განვითარებადი ქვეყნების „პროგრესული“ ლიდერების მიმართ და ამ ფაქტიდან გამომდინარე, გარკვეულ დონემდე ირანში პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაცია მოახდინა. მეოცე მეჯლისის არჩევნები შედარებით სამართლიანად ჩატარდა და მასში, შაჰის მიერ შექმნილი ორი „ოფიციალური“ პარტიის წარმომადგენელთა გარდა, რამდენიმე ოპოზიციონერი პოლიტიკოსიც შევიდა. თუმცა ეს ორი

პოლიტიკური პარტია აკონტროლებდა პარლამენტს. ერთს ეწოდა *მელიიუნ* (ეროვნული), ხოლო მეორეს – *მარდომ* (ხალხის).[2]

აშშ-ის ზეწოლის შედეგად შაჰმა გააუქმა „ეროვნული ფრონტის“ აკრძალვის დადგენილება და ამ უკანასკნელის კრიტიკამ, რასაც თან ერთვოდა ეკონომიკური პრობლემები, გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღა გამოიწვია. **1961 წელს აშშ-ის მხარდაჭერილი ორი რეფორმატორი შევიდა მთავ**რობაში – ალი ამინი[3] (მოსადეყის მთავრობის ყოფილი წევრი) პრემიერი გახდა, ხოლო ჰასან არსანჯანი – სოფლის მეურნეობის მინისტრი. ამინმა დაშალა პარლამენტი, ახალ კაბინეტში მრავალი დამოუკიდებელი წევრი შეიყვანა და აიძულა სავაქ-ის ხელმძღვანელი ქვეყანა დაეტოვებინა. ის ხმამაღლა აკრიტიკებდა კორუფციას ეკონომიკასა და მთავრობაში.

1960 წელს შაჰმა მიწის რეფორმის დაწყება განიზრახა. მრავალი უმაღლესი რანგის ულემი ეწინააღმდეგებოდა რეფორმას (რამდენადაც საფრთხე ექმნებოდა სასულიერო წოდების საკუთრებაში არსებულ დამუშავებულ მიწებს და ბევრი ანტიისლამურად მიიჩნევდა საკუთრების ამ სახით ჩამოთმევას) (Axworthy, 2008: 242). აიათოლა ბორუჯერდიმ, რომელიც მანამდე შაჰის უპირობო მხარდამჭერად ითვლებოდა, ფეთვაც კი გამოსცა საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგ. რეფორმა დროებით შეჩერდა. თუმცა, სულ მალე ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. არსანჯანი გახდა **1962 წლის მიწის რეფორმის არქიტექტორი, რომლითაც ზოგიერთი მსხვილი მიწის**მფლობელი იძულებული გახდა მიწა მიეყიდა სახელმწიფოსათვის და ეს მიწები შემდეგ ფერმერებზე გადანაწილდა. ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმა იყო ფაჰლავიანთა ირანში. სამწუხაროდ, პრემიერი ამინი ერთი მხრივ „ეროვნული ფრონტის“ წევრთა კრიტიკის სამიზნე გახდა პარლამენტის დაშლის გამო, მეორე მხრივ კი შაჰის ეჭვების ობიექტი მისი მზარდი პოპულარობის მიზეზით. 1962 წელს ის აიძულეს, რომ გადამდგარიყო.

ამინის დამხობის შემდეგ, შაჰი შეეცადა ხელში აეღო რეფორმების მართვა „შაჰისა და ხალხის რევოლუციის,“ რომელიც უფრო ცნობილია „თეთრი რევოლუციის“ სახელით, წამოწყებით. ის ექვს პრინციპს ეყდნობოდა. მასში შედიოდა მიწის განახლებული რეფორმა, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, ქალებისათვის საარჩევნო ხმის მიცემა, განათლებული ახალგაზრდობისაგან საგანმანათლებლო კორპუსების შექმნა სოფლად წერა-კითხვის უცოდინრობის მოსასპობად. „ეროვნული ფრონტის“ ბოიკოტის მიუხედავად (რომელიც მოითხოვდა, რომ ამგვარი ღონისძიებები განხილული და დამტკიცებული უნდა ყოფილიყო კონსტიტუციის მიხედვით არჩეული მეჯლისის მიერ), პროგრამამ ფართო მხარდაჭერა მიიღო რეფერენდუმზე – ხმის მიცემის უფლების მქონე **6,1 მლნ ირანელისგან მას მხა**რი დაუჭირა 5,5 მლნ-მა.

რეფორმებს მართლაც მოჰყვა ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. თანდათანობით იზრდებოდა განათლებული საშუალო კლასის წარმომადგენელთა რაოდენობა. თუმცა, კვლავაც დიდი იყო სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს, ქალაქსა და სოფელს, ქალაქების მდიდრულ და ღარიბულ უბნებს შორის.

> 1957 წელს ერთმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა საოცრად ზუსტად განჭვრიტა თეირანში 60-70-იანი წლების მომავალი დაძაბული ვითარება – განასხვავა რა ქალაქის ვესტერნიზებული ჩრდილოეთი ტრადიციონალისტური და ღარიბი სამხრეთისაგან. ქალაქის ამ მხარეს ის ამგვარად აღწერს: „აქ მოლები ყოველ საღამოს ქადაგებენ ფართო აუდიტორიის წინაშე. ამ ქადაგებების უმეტესობა მხოლოდ ემოციებზეა აგებული და დაბალი ინტელექტუალური სტანდარტისაა. მაგრამ ზოგიერთი ცნობილი მქადაგებელი იზიდავს ქალაქის ინტელიგენციას საკმაოდ დასაბუთებული და სრული ისტორიული გადმოცემებით... თეირანი, რომელიც ჩვენ ვიხილეთ **10 მოჰარამს (აშურას დღეს) სხვა სამყაროში, სა**უკუნესა და ცივილიზაციაშია, შორსმდგომი უგემოვნო კადილაკების, ოტელების, ანტიკვარიატის მაღაზიების, ტურისტებისა და დიპლომატებისაგან, სადაც ჩვენ ყოველდღიურად ვიმყოფებით... მაგრამ

2 იმდროინელი ანეკდოტით, პირველს ეწოდებოდა „დიახ“ პარტია, ხოლო მეორეს – „დიახ, ბატონო“ პარტია (Ansari, 2003:133).

3 დოქტორი ალი ამინი XIX ს-ის ბოლოს მოღვაწე ყაჯართა ლიბერალი პრემიერის ამინ ად-დოულეს შთამომავალი იყო. მას ეკავა ფინანსთა მინისტრის პოსტი მოსადეყის კაბინეტში ნავთობკომპანიის საკითხზე მოლაპარაკებების დროს, შემდეგ კი შტატებში ელჩად დაინიშნა. მალე მან დატოვა ეს პოსტი შაჰის პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ირანელისათვის ის ასოცირდებოდა შეერთებულ შტატებთან, მიიჩნეოდა, რომ ის ახლოს იდგა ამერიკელი პოლიტიკოსების ლიბერალურ ფრთასთან, ჯონ კენედის ჩათვლით, რომლებიც შაჰის დიქტატორული მეთოდების წინააღმდეგი და ქვეყანაში სერიოზული რეფორმები ჩატარების მომხრენი იყვნენ (Keddie, 2003: 140).

ეს არა მხოლოდ სიღარიბე, უმეცრება და სიბინძურეა, რაც განასხვავებს ძველ სამხრეთს ახლახანს გამდიდრებული ჩრდილოეთისაგან. ქოხმახებს მყარი ერთობის გრძნობა აქვთ, რაც აკლიათ კეთილმოწყობილ უბნებს ქლორიზებული წყლით, მოპირკეთებული გზებით და განათებული ქუჩებით. ბურჟუა არ იცნობს თავის მეზობელს; ქოხმახში მცხოვრებს კი მასთან მუდმივი კონტაქტი აქვს. ქოხმახებში პეპსი კოლას ცივილიზაციის შხეფებს არ დაუნგრევიათ ცხოვრების ძველი წესი, სადაც ნებისმიერი ადამიანის კომფორტი და უსაფრთხოება დამოკიდებულია დაუწერელი და სპონტანური ქცევის ტრადიციული კოდექსის დაცვაზე. ქალაქის სამხრეთში ქცევები და ზნეობა უკეთესი და უფრო მკაცრია, ვიდრე თაჯრიშში (ჩრდ. თეირანის უბანი); მეზობლისათვის ზიანის მიყენების, სხვისი ცოლის შეცდენის, ბავშვისადმი ძალადობისათვის პასუხისგება უმალ ხდება ადვოკატისა და სასამართლოს გარეშე." (ციტ. Ansari, 2000: 38-39).

60-იანი წლების შუა ხანებიდან ირანული პოლიტიკა მთლიანად შაჰის ნებაზე დამყარებულად იქცა. მეჯლისი განაგრძობდა არსებობას, მაგრამ მას საკანონმდებლო ფუნქციების თვალსაზრისით მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა გააჩნდა და შაჰის ნების უსიტყვო აღმსრულებელი იყო. 1965-1977 წლებში მთავრობას უცვლელად მეთაურობდა შედარებით რბილი, მაგრამ შაჰისადმი უპირობოდ ლოიალური ამირ აბას ჰოვეიდა. **1975 წელს ორპარტიული სისტემაც კი გაუქმდა, რადგანაც შაჰმა გადაწყვიტა**, რომ ირანი უნდა გამხდარიყო მონოლითური, ერთპარტიული ქვეყანა. ახალი პარტია „აღორძინების" (*რასთახიზ*) პარტიად იწოდა. პარტიის წევრობა მთავარი პირობა გახდა ფაჰლავის ადმინისტრაციაში, საჯარო სფეროსა თუ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავებისათვის. ერთპარტიული სისტემა ემყარებოდა იდეას, რომ პარტია უზრუნველყოფდა ფაჰლავის რეჟიმისადმი მასების მხარდაჭერას, მოსპობდა ან შთანთქავდა სხვა პოლიტიკურ ჯგუფებს და საშუალებას მისცემდა ახალ ტექნოკრატ, ბიუროკრატიულ სახელმწიფოს შეჭრილიყო საზოგადოების ყველა კუთხე-კუნჭულში. მაგრამ მოხდა საპირისპირო – ამ ძალადობრივმა შეჭრამ ძლიერი უკურეაქცია გამოიწვია საზოგადოების მრავალ ფენაში.

შაჰი და დედოფალი

ამ პერიოდის კანონმდებლობის, კეთილდღეობის და სოციალური ვითარების გაუმჯობესებისაკენ მიმართული პროექტები უეჭველად ყურადსაღებია და მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით ქალთა უფლებების დაცვის სფეროში მიღებული კანონები. მაგ., **1967 წელს მიღებულ იქნა ოჯახის დაცვის კანონი**, რომლითაც ქალის უფლებივად გაუთანაბრდა მამაკაცს განქორწინების შემთხვევაში. მაგრამ შაჰის ყურადღებას საშინაო საქმეებზე გაცილებით უფრო მეტად იპყრობდა ეკონომიკური, სამხედრო და გეოპოლიტიკური საკითხები. მისი მიზანი გახდა „დიადი ცივილიზაციის" (*თამადონ-ე ბოზორგ*) შექმნა. ამ მიზნით შემუშავებულ პროგრამას ირანი უნდა დაეყენებინა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, მაგალითად გერმანიისა თუ იაპონიის, გვერდით.

შაჰის რეფორმებს, მიუხედავად უდიდესი მნიშვნელობისა ქვეყნის განვითარებისათვის, მაინც წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა. მაგალითისათვის, მიწის რეფორმა მოითხოვდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, რაც არ განხორციელებულა და უეცრად, სოფლის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარი დარჩა. ამან გამოიწვია სოფლებიდან მოსახლეობის ქალაქებში, განსაკუთრებით თეირანში, მოდინება, სამუშაოს საძიებლად. 1972-73 წლებში ამ სახის შიდა მიგრაციამ 8%-ს მიაღწია (Keddie, 2003: 138). თეირანი ერთბაშად გაიზარდა და მისმა მოსახლეობამ 4,5 მლნ-ს მიაღწია. თეირანში ეს ადამიანები სახლდებოდნენ ქალაქის განაპირა სამხრეთის ყველაზე ღარიბ უბნებში. ერთი სოფლიდან გამოსულები ცდილობდნენ ერთად დასახლებულყვნენ. ზოგჯერ მოლებიც კი მათი თანასოფლელები იყვნენ.

1963 წლიდან 70-იანი წლების შუა ხანებამდე ირანი არნახულ ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა. სამრეწველო განვითარების შედეგად შეიქმნა საფეიქრო, ქვანახშირის, საავტომობილო ახალი საწარმოები. შესაბამისად, გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები სოფლიდან მოდინებული მოსახლეობის დასასაქმებლად (თუმცა, ამ ადგილების რაოდენობა მოთხოვნას ვერ ფარავდა და სამრეწველო საწარმოებში ხელფასებიც დაბალი იყო). ხელისუფლება დიდი დანახარჯებს ეწეოდა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში. დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 1953 წელს 1,6 მლნ-დან 1977 წელს 4 მლნ-მდე გაიზარდა. ახალ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სტუდენტთა რაოდენობა შესაბამისად 24,885-დან 154,215-მდე გაიზარდა. უცხოეთში სტუდენტების რაოდენობა კი 18,000-დან 80,000-მდე. საავადმყოფოებში ადგილების რაოდენობა – 24,126-დან – 48,000-მდე. გაუმჯობესდა ცხოვრების პირობები, სანიტარული ნორმები და ჯანდაცვის მომსახურება, რამაც მკვეთრად შეამცირა ბავშთა სიკვდილიანობა. 70-იანი წლების შუა ხანებში მოსახლეობის ნახევარი 16 წლამდე იყო, ხოლო ორი მესამედი – 30 წლამდე. სწორედ ეს უნდა გამხდარიყო რევოლუციის თაობა (Abrahamian, 1982: 535-536).

შაჰი რეფორმების გამართლების ცდილობდა ისლამური დოგმებიდან გამომდინარე. მაგ., ქალების თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებით, რეზა შაჰი, ყურანზე დაყრდნობით, წერდა: „ყურანის მოძღვრება არა მარტო აღიარებს ქალის ადამიანურ ღირსებას, არამედ მას სამართლებრივ პრივილეგიებსაც ანიჭებს." საგანმანათლებლო კორპუსის შექმნისას შაჰის ასევე ისლამს იშველიებდა – „რელიგიას, რომელიც მფარველობდა მეცნიერებებს." კორპუსის დევიზი გახდა მუჰამადისათვის მიწერილი გამონათქვამი: „ცოდნის მოპოვება ყოველი მუსლიმი მამაკაცისა და ქალის მოვალეობაა." (Пахлеви, 1967: 110).

ირანის შაჰთა მიერ ქვეყნის ერთპიროვნული გამგებლობის გამართლების კონცეფცია ჩამოყალიბებული აქვს შაჰის ერთ-ერთ თეორეტიკოსს მანუჩეჰრ ჰონარმანდს ნაშრომში „ახალი მოძღვრება – ფაჰლავიზმი." მისი თვალსაზრისით, არაბული სახალიფოს დროსაც კი, როდესაც ირანის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ადგილობრივი დინასტიები, მუსლიმი სამღვდელოების როლი სახელმწიფო პოლიტიკაში საკმაოდ შეზღუდული იყო. ზენდები და ყაჯარები ასევე ცდილობდნენ, რომ ხელი შეეშალათ სამღვდელოების ჩართვისათვის პოლიტიკაში, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური სისუსტის გამო, ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. ფაჰლავიანთა მონარქიამ კი, საბოლოოდ შესძლო პოლიტიკიდან რელიგიის რეალური გამოცალკევება. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ 40-იან წლებში ქვეყნის შინა არასტაბილურობის გამო, სამღვდელოების ზოგიერთ წრეს გაუჩნდა ამბიციები და მოინდომა პოლიტიკის სფეროში ჩაბმა, მაშინ როცა ჭეშმარიტი მუსლიმი ლიდერების დანიშნულებას შეადგენს მხოლოდ რელიგიური საკითხების შესწავლა (Honarmandi: 1964: 54-55).

შაჰი და მსოფლიო

მოჰამად რეზა შაჰის ზემონახსენები მაგელომანიის ფესვები 50-იანი წლების მიწურულს იღებს სათავეს, როდესაც ის დაჟინებით უმტკიცებდა ვაშინგტონს, რომ სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ირანი მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ მისი მმართველობის სიმყარისათვის, არამედ ზოგადად ამერიკისათვის, რამდენადაც ქვეყანა უნდა ყოფილიყო აშშ-ის სანდო და ეფექტური რეგიონული მოკავშირე არასტაბილურობისა და რეგიონული კონფლიქტების ეპოქაში.

1955 წელს ირანი გახდა ბაღდადის პაქტის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ამ პაქტის წევრებმა – ირანმა, ერაყმა, პაკისტანმა და ასევე დიდმა ბრიტანეთმა მიაღწიეს შეთანხმებას სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობის შესახებ. აშშ ფორმალურად არ ყოფილა პაქტის წევრი, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდა მისი კომიტეტების მუშაობაში. ივარაუდებოდა, რომ პაქტი გახდებოდა როგორც ნასერის ეგვიპტის, ისე საბჭოთა კავშირის საპირწონე (ამ უკანასკნელს უკვე დაწყებული ჰქონდა პროპაგანდის-

ტული რადიოგადაცემები ირანის ტერიტორიაზე). „ეროვნული ფრონტის“ მომხრეები დაუპირისპირდნენ პაქტს, როგორც ირანში ბრიტანულ-ამერიკული ზეგავლენის ზრდის კიდევ ერთ საშუალებას.[4]

1964 წელს შაჰი და აშშ-ის მთავრობა შეთანხმდნენ ირანში აშშ-ის სამხედრო პერსონალისათვის დიპლომატიური იმუნიტეტის მინიჭების შესახებ. კანონის მიღებიდან სულ მალე კი შტატებმა კიდევ 200 მლნ დოლარი ასესხა ირანს სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად.

> „მათ ირანელი ხალხი იმაზე უფრო დაბალ დონეზე დაიყვანეს, ვიდრე ამერიკელი ძაღლია. თუკი ვინმე ამერიკელის ძაღლს შეეხება, მას დასჯიან. შაჰიც კი თუ შეეხება ამერიკელის ძაღლს, მასაც დასჯიან. მაგრამ თუ ამერიკელი მზარეული შეეხება შაჰს, სახელმწიფოს მეთაურს, არავის აქვს უფლება, რომ ის დასაჯოს..“ (აიათოლა ხომეინი, 1964).

აშშ-სთვის ამგვარი რეგიონული ძალის საჭიროება სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა ჯერ 1956 წლის სუეცის კრიზისის, შემდეგ არაბული ქვეყნებისა და ისრაელის 1967 წლის ომის, და ბოლოს, ბრიტანეთის განცხადების შემდეგ, რომ ის გამოიყვანდა ჯარებს ბაჰრეინიდან 1971 **წელს. ეს უკანასკნელი** განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა, ვინაიდან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სპარსეთის ყურის დასავლეთის დაცვის გარეშე რჩებოდა; შეერთებულ შტატებს კი არ შეეძლო ეს მოვალეობა უშუალოდ ეტვირთა, ვინაიდან მისი დაუფარავი კავშირები ისრაელთან ისედაც იწვევდა არაბული ქვეყნების გაღიზიანებას. შაჰმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა ირანისა და საკუთარი თავისათვის.

აშშ-თან კავშირი განსაკუთრებით მჭიდრო გახდა რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის დროს. შაჰმა „ფინანსური წვლილიც“ შეიტანა ნიქსონის საპრეზიდენტო კამპანიაში (Katouzian, 2010, 277). ნიქსონმა მას პრაქტიკულად კარტ ბლანში მისცა ამერიკული შეიარაღების შესყიდვაზე და პირდაპირ თხოვა, ეკისრა მშვიდობის დამცველის ფუნქცია სპარსეთის ყურეში.

შაჰის პროგრამა სამი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ რიგში, მან დაიწყო თავის წარმოდგენა, როგორც ძველი სპარსული იმპერიების ბუნებრივი მემკვიდრისა. 1967 **წლის ოქტომბერში მან შთამ**ბეჭდავი კორონაციის ცერემონია ჩაატარა თავისთვის და დედოფალ ფარაჰისათვის თეირანის გოლესთანის სასახლეში. მანამდე ის ერიდებოდა ფორმალური კორონაციის ჩატარებას, რამდენადაც თავს დაცულად არ გრძნობდა საშინაო საფრთხეებისა და უცხოური ზეწოლისაგან. ოთხი წლის შემდეგ კიდევ უფრო შთამბეჭდავი ცერემონია ჩატარდა პერსეპოლისში ირანის მონარქიის 2500-**წლოვანი იუბი**ლეს აღსანიშნავად (კიროს დიდის ტახტზე ასვლის თარიღთან დაკავშირებით).[5]

პროგრამის მეორე ნაწილს შეადგენდა ირანის სამხედრო ძალების გაზრდა და გაძლიერება რეგიონში ჰეგემონობის მიღწევისათვის. ამ მიზნით, მან თავი ნიქსონის ახალი დოქტრინის ერთგულად გამოაცხადა, რომლის თანახმადაც ვიეტნამის ფიასკოს შემდეგ შეერთებულ შტატებს რეგიონული კრიზისები ადგილობრივი მოკავშირეების საშუალებით უნდა მოაგვარებინა და არა პირდაპირი სამხედრო ჩარევით. ნიქსონისა და ფორდის ადმინისტრაციებმა სიამოვნებით მიიღეს შაჰის ამგვარი გადაწყვეტილება და ირანის არმიაც აღიჭურვა უახლესი ამერიკული არაბირთვული იარაღით. სულ რამდენიმე წელიწადში შაჰმა შექმნა არმია, რომელიც „ქაღალდზე“ მსოფლიოს მეხუთე ან მეექვსე არმია იყო. 1976 წლის შეფასებით, მას 3000 ტანკი, 890 სამხედრო ვერტმფრენი, 200-მდე ყველაზე ახალი გამანადგურებელი, დიდი სამხედრო ფლოტი და 9000 ანტისატანკო რაკეტა ჰქონდა, ასევე შესაბამისი საჯარისო აღჭურვილობაც. ნავთობის ბუმის პერიოდში ირანის სამხედრო ხარჯები 20-**ჯერ გაიზარ**და და ქვეყანას უახლესი ამერიკული იარაღით აღჭურვილი უძლიერესი არმია ჰყავდა. შაჰს, დასავლეთის უპირობო და უპირველეს მოკავშირეს ამ რეგიონში, „ყურის ჟანმდარმსაც“ უწოდებდნენ (იხ. მაგ., Leba: 1985, 105).

თანდათანობით გამოიკვეთა შაჰის მიზანი ყოფილიყო ყურის მაკონტროლებელი. ბაჰრეინის დამოუკიდებლობის აღიარებიდან სულ მალე, ირანულმა ძალებმა დაიკავეს სპარსეთის ყურეში მდებარე

---

4 1985 წელს, ერაყის რევოლუციისა და მისი პაქტიდან გამოსვლის შემდეგ, ორგანიზაციას სენტო ეწოდა.

5 ამ ზეიმზე მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მეთაური მიიწვიეს. თუმცა, პირველ რიგში მონარქების მიმართ გამოიჩინა შაჰმა განსაკუთრებული ყურადღება. მაგალითად, წინასწარ გაწერილი გეგმით, ეთიოპიის იმპერატორ ჰაილე სელასიეს უფრო პრესტიჟული ადგილი უნდა რგებოდა, ვიდრე საფრანგეთის პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუს, რამაც ეს უკანასკნელი გაანაწყენა და თავის მაგივრად, ზეიმზე პრემიერი გააგზავნა. იუბილეს არ დასწრებიან ასევე აშშ-ის პრეზიდენტი და სსრკ-ის კომპარტიის ცკ-ის გენმდივანი. შაჰმა კი კიროსს ამგვარი სიტყვებით მიმართა: „...შეგიძლია მშვიდად განისვენებდე, რადგან ჩვენ ფხიზლად ვდგავართ [ირანის ინტერესების სადარაჯოზე]“

აბუ მუსასა და თომბის სტრატეგიული კუნძულები (ეს ირანისა და ყურის არაბულ სახელმწიფოებს შორის დღემდე არსებული დაძაბულობის მთავარი წყაროა). 1973 წელს შაჰმა ჯარები გააგზავნა ომანში პრომარქსისტული აჯანყების ჩასახშობად. ის ასევე უწევდა დახმარებას ქურთ სეპარატისტებს ერაყში, რითაც მიაღწია ერაყთან 1975 წლის ალჟირის შეთანხმებას – ამ შეთანხმებით დადგინდა ირან-ერაყის საზღვარი მდ. შატ ელ-არაბის წელზე და არსებითად, ამ შეთანხმებით სპარსეთის ყურის საქმეებში ირანის დომინირების აღიარებაც მოხდა.

მესამე – შეიარაღების შეძენას და „დიადი ცივილიზაციის აშენებას“ უზარმაზარი სახსრები ჭირდებოდა. შაჰმა ყველაფერი გააკეთა ამ სახსრების მოძიებისათვის. 1971 წელს მან აიძულა 1954 წელს შექმნილი კონსორციუმის წევრები გაეზარდათ ირანისათვის გადახდები. **1973 წლის მარტში კი გამოაცხადა**, რომ 1954 წლის შეთანხმებამ თავისი თავი ამოწურა და ირანის სანავთობო კომპანიამ სრული კონტროლი დაამყარა ნავთობის წარმოებასა და გაყიდვაზე. იმავე წელს მან გამოიყენა მსოფლიო ბაზარზე ეგვიპტეს, სირიასა და ისრაელს შორის ომის შედეგად შექმნილი ქაოტური სიტუაცია და მას მოყოლილი არაბული სანავთობო ემბარგო, რომ ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაციაში (ოპეკ) გაეტარებინა ინიციატივა ერთიანი სანავთობო ფასის შემოღების შესახებ. ამის შედეგად, ნავთობის ფასმა ბარელზე 1971 წლის 2 დოლარიდან 1973 წელს 12 დოლარს მიაღწია. ამან დიდად გაზარდა ნავთობის ფასი მისი მომხმარებელი სახელმწიფოებისათვის და შეიძლება აღიწეროს კაპიტალის ყველაზე დიდ გადანაცვლებად ქვეყნების ერთი ნაწილიდან მეორე ქვეყნებში.

> ნავთობიდან მიღებული შემოსავალი ასეთი იყო: 2,4 მლრდ. – 1972; 5 მლრდ-ზე მეტი – 1973; 20 მლრდ. – 1974. თუ 1972 წ. ირანის ეროვნული სანავთობო კომპანია, ჟურნალ „ფორჩუნის“ შეფასებით მსოფლიოში **28-ე ადგილზე იყო, მომდევნო წელს მან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. ნავთობიდან შე**მოსავლების გაზრდას, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ **1973 წელს შაჰი არ შე**უერთდა არაბული ქვეყნების სანავთობო ბოიკოტს.

1975 წელს, როდესაც ფასმა მაქსიმუმს მიაღწია, ირანმა მიიღო ნავთობისაგან წლიური 20 მილიარდი დოლარის შემოსავალი (რამდენიმე წლის ადრე კი სულ **200 მილიონს იღებდა). პარადოქსუ**ლია, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი შტატებსა და სხვა მომხმარებელ ქვეყნებში, სადაც ამან ეკონომიკური სიძნელეები გამოიწვია, ნეგატიურად განეწყო არა ირანისა და შაჰის, არამედ არაბული ქვეყნების მიმართ, რომელთაც სინამდვილეში ფასების ზრდის შეკავება სურდათ. რეალურად, შაჰის აგრესიული პოზიცია ნავთობის ფასთან დაკავშირებით მხარდაჭერას პოულობდა ნიქსონის ადმინისტრაციაში, რადგანაც ირანის გაზრდილი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი შტატებიდან შეიარაღების შესყიდვაზე იხარჯებოდა.[6]

წინააღმდეგობის იდეოლოგიის საფუძვლები

ავტორიტარულ რეჟიმს, რომელიც თანდათანობით ჩამოყალიბდა 1953 წლის შემდეგ, რელიგიურ, მარქსისტულ თუ ნაციონალისტურ ოპოზიციასთან ურთიერთობისათვის სულ ორ ფორმა ჰქონდა. ერთი იყო რეპრესიები, დაპატიმრების, წამების, მკვლელობების სახითაც (ორი უკანასკნელი ფორმა განსაკუთრებით 70-იან წლებს ახასიათებს). მეორეს კი წარმოადგენდა ოპოზიციასთან თანამშრომლობა. ეს ფორმაც აქტიურად გამოიყენებოდა **60-70-იან წლებში. ოპოზიციონერი სტუდენტები და სხვა ყოფი**ლი ოპონენტები დაასაქმეს სახელმწიფო სამსახურებში იმ მიზნით, რომ ისინი არც ილაპარაკებდნენ და არც იმოქმედებდნენ რეჟიმის წინააღმდეგ. სახელმწიფო სამსახურების რაოდენობის და ხელფასების ზრდა ნავთობისაგან მიღებული შემოსავლების გაზრდის პირობებში, გარკვეულ დროის მანძილზე, ეფექტურ სტრატეგიას წარმოადგენდა, მაგრამ ამას არ გამოუწვევია შაჰისადმი რეალური ლოიალობის შექმნა. გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართულთა რაოდენობა არ გაზრდილა და აზრის გამოხატვის თავისუფლებაც თანდათანობით კიდევ უფრო შეიზღუდა.

ამ პერიოდში მემარცხენეების მოღვაწეობა დიდი ეფექტურობით არ გამოირჩეოდა და ისინი დაყოფილნი იყვნენ მრავალ ურთიერთდაპირისპირებულ ფრაქციად – მაოისტებად, მარქსისტებად და ა.შ. ზოგიერთმა პარტიზანული მოძრაობამაც კი წამოიწყო, ჩე გევარას და ანალოგიური მოძრაობების მაგალითზე. ამ ჯგუფებიდან ყველაზე აქტიური იყო *„ფედაიან-ე ხალყ-ე ირან“* და *„მოჯაჰედინ-ე ხალყ-ე*

6 შეიარაღების შესყიდვების თვალსაზრისით, ირანისათვის მეორე ადგილზე დიდი ბრიტანეთი იდგა. მაგალითისათვის, ირანმა უფრო მეტი ინგლისური საშუალო ტანკი „ჩიფთენი“ შეისყიდა, ვიდრე ბრიტანეთის არმიას გააჩნდა.

ირან". პირველი **1970 წელს შეიქმნა, ხოლო მეორე – 1965 წელს. „ფედაიანი" მარქსისტული ორგანი-**ზაცია იყო. „მოჯაჰედინ-ე ხალყმა" კი მოღვაწეობა დაიწყო, როგორ მებრძოლმა რელიგიურმა ჯგუფ-მა, თუმცა მისი ლიდერები მოხიბლული იყვნენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით. ამის შედეგად, ჯგუფი ორ ნაწილად დაიყო, რომელთაგან ერთი ისლამის, ხოლო მეორე – სოციალიზმის აპოლოგიას ეწეოდა. ამ ჯგუფების უპირველეს მიზანს შეადგენდა რევოლუციური სიტუაციის შექმნა ტერორისტული თავ-დასხმებისა და ქალაქებში არეულობების მოწყობის გზით, რათა შეერყიათ სახელმწიფოს ძალაუფლე-ბისადმი საზოგადოების რწმენა. ამ ბრძოლებში ჯგუფების რამდენიმე ასეული წევრი დაიღუპა. თუ-დესათვის პრაქტიკულად სასიკვდილო დარტყმის მიყენების შემდეგ, სავაქ-მა მთელი კონცენტრირება ამგვარ ჯგუფებზე მოახდინა. სავაქი ცდილობდა პარტიზანულ ორგანიზაციებში აგენტების ინფილტ-რაციით შეექმნა მათი განადგურების პირობები.

„ეროვნული ფრონტის" ყოფილი წევრები შეეცადნენ გაერთიანებულიყვნენ „ეროვნული წინააღმ-დეგობის მოძრაობაში," მაგრამ რეალურად ეს ორგანიზაცია უმოქმედო იყო გადაულახავი შიდა უთან-ხმოებების გამო. ისინი დროდადრო გამოდიოდნენ ხელისუფლების კრიტიკით, მაგრამ სავაქ-ის მხრი-დან რეპრესიების შიშის გამო სწრაფად იხევდნენ უკან. 1965 წელს მათ შექმნეს შედარებით ზომიერი და სეკულარული ფრთა (ე.წ. „მეორე ეროვნული ფრონტი") და უფრო რადიკალური და რელიგიაზე ორიენტირებული ფრთა ("მესამე ეროვნული ფრონტი"). ეს უკანასკნელი სულ უფრო მეტ გავლენას იძენდა და მასში დომინირებდნენ ე.წ. „ირანის განთავისუფლების მოძრაობის" (*ნეჰზათ-ე აზადი-ე ირან*). წევრები. მოძრაობას სათავეში ედგა ორი პოპულარული საზოგადო მოღვაწე – მეჰდი ბაზარგანი – სამოქალაქო ინჟინერი და მაჰმუდ თალეყანი, თეირანის შიიტური სამღვდელოების წარმომადგენელი. ორივე მათგანს სწამდა, რომ ისლამი შეესატყვისებოდა მოდერნულობასა და პროგრესულ სოციალურ ღირებულებებს და ის იძლეოდა პასუხებს თანამედროვე საზოგადოებების პრობლემების გადასაწყვე-ტად. ისინი ასევე თანხმდებოდნენ, რომ სამღვდელოების ჩართვა ირანის პოლიტიკაში სასურველი იყო, რამდენადადაც მათ მიერ წარმოსახული სამღვდელოების ისტორიული როლი განუყოფელი იყო ირა-ნელი ხალხის ბრძოლასთან დემოკრატიისათვის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. „განთავისუფლების მოძრაობა" ყოფილი „ეროვნული ფრონტის" სხვა ელემენტებისაგან ორი თვალსაზრისით განსხვავდე-ბოდა: 1) ის ღიად მოითხოვდა ფაჰლავიანთა მონარქიის დამხობას და არა მხოლოდ რეფორმირებას; 2) რელიგიის მხარდაჭერა აუცილებელი იყო ირანში ამგვარი მოძრაობის წარმატებისათვის. 70-იანი წლებიდან დაწყებული „განთავისუფლების მოძრაობის" პოლიტიკა სწორედ სამღვდელოებასთან თა-ნამშრომლობას ემყარებოდა – პირველ რიგში კი სამღვდელოება იდენტიფიცირებული იყო აიათოლა ხომეინისთან, შაჰის რეჟიმის ყველაზე უკომპრომისო ოპონენტთან. მოძრაობამ ასევე შექმნა ევროპა-სა და ამერიკაში ირანელ სტუდენტთა ორგანიზაციების ქსელი, რამდენადაც უცხოეთში გაცილებით უფრო ადვილი გასავრცელებელი იყო რელიგიური ლიტერატურა.

ირანში რელიგიის იდეოლოგიზაციის აუცილებლობას პირველმა ხაზი სწორედ ლიბერალური პო-ლიტიკური ისლამის „მამამ" ინჟინერმა მეჰდი ბაზარგანმა გაუსვა და შესაბამისად, ისლამიზმს დაუდო საფუძველი. იგი იყო პარიზის ცენტრალური სკოლის დიპლომანტი და გავლენა ჰქონდა როგორც ის-ლამური რესპუბლიკის დამფუძნებლებზე, ისე მათ უპირობო მტრებზე – „მოჯაჰედინ-ე ხალყზე." დასაწ-ყისში მისი მოძრაობა აერთიანებდა როგორც საერო პირებს, ისე სამღვდელოების ყველაზე თვალსა-ჩინო წარმომადგენლებს. მათ შორის იყვნენ დოქტორი იადოლა საჰაბი, თალეყანი, ძმები აიათოლები რეზა და აბო'ლ ფაზლ ზანჯანი და სხვ.

ირანის განთავისუფლების მოძრაობის მთავარი მოთხოვნა იყო **1906 წ. კონსტიტუციის პრინციპე-**ბის აღდგენა. მოძრაობის წესდებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ „ისლამის პოლიტიკურ, საზოგადოებ-რივ და ეთიკურ საფუძვლებზე უნდა წარმოებდეს ბრძოლა უსამართლობის ლიკვიდაციისათვის, გან-საკუთრებით კი უცხოელებზე ნებისმიერი სახით დაყრდნობის წინააღმდეგ, ირანის ხალხის კონსტი-ტუციური უფლებების აღდგენისათვის კანონის მმართველობის დამყარებით." (ციტ. Chehabi, 1990: 49).

ბაზარგანისათვის და მისი მოძრაობისათვის ისლამი განუყოფლად იყო დაკავშირებული ირანთან და წარმოადგენდა ირანული იდენტობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. აქედან გამომდინარე, ირანის დაკნინების მიზეზი იყო როგორც ისლამური სამყაროს საერთო სისუსტე, ისე ირანის სპეციფიკა და განსაკუთრებულობა. „ორგანიზაციის იდეოლოგების მიზანი ნაციონალური მოძრაობის მუხტის შენარ-ჩუნება და ისლამურ რეფორმისტულ მიმდინარეობასთან მისი შერწყმა იყო." (პიტიურიშვილი, 2005: 36).

პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში ბაზარგანი მიიჩნევდა, რომ ისლამური სამყაროს ეს დაკ-ნინება განპირობებულია არა იმდენად დასავლეთის გამო, რამდენადაც ადრეული პერიოდიდანვე რე-ლიგიის გამოდევნით საზოგადოებრივი საქმეებიდან. რელიგიის ხალხი ჩამოშორდა სოციალურ და პო-

ლიტიკურ საქმიანობას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა რელიგიურ პირთა კლასი, რომელიც აბსოლუტურად არ მონაწილეობდა პრაქტიკულ საქმიანობაში.

ბაზარგანის თვალსაზრისით, შიიტურმა სამღვდელოებამ უნდა განახორციელოს კონტროლი ზნეობაზე, მორალსა და პოლიტიკაზე, ვინაიდან რელიგიის სფერო არ ექვემდებარება სახელმწიფოს და რელიგია პოლიტიკაზე მაღლა დგას. სამღვდელოების დანიშნულებაა უკანონობის წინააღმდეგ ხმის ამაღლება, ვინაიდან უკანონობა ყოველთვის თან სდევს მმართველობას.

ბაზარგანის შეხედულებები შეიძლება მივიჩნიოთ რელიგიური მოდერნიზმისა და მოდერნიზებული ნაციონალიზმის შერწყმად, რაც არ არის ახალი ისლამში (აბდუ ეგვიპტეში, ალ-ქავაქიბი სირიაში).

მეჰდი ბაზარგანი ერთადერთი აღმოჩნდა საერო ისლამისტებს შორის, რომელსაც ბედმა მისცა საშუალება ყოფილიყო არა მარტო შაჰის აქტიური ოპოზიციონერი, არამედ ძალები მოესინჯა საკუთარი შეხედულებების რეალიზაციაში (ისლამური რესპუბლიკის არსებობის პირველ ხანებში მას პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა).

სავაქ-ისა და ხელისუფლების ცენზორების თვალყურის დევნის პირობებში პოლიტიკური უკმაყოფილების გამოხატვა და ფაჰლავის რეჟიმის კრიტიკა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამგვარ ვითარებაში თავდასხმა ხორციელდებოდა ფაჰლავის რეჟიმზე არა პირდაპირი გზით, არამედ დასავლური კულტურის კრიტიკის და ადგილობრივი ირანული და ისლამური ფასეულობების დაცვის სახით. ამ მიდგომის ორი მთავარი წარმომადგენელი არიან ჯალალ ალ-ე აჰმადი და ალი შარიათი.

მოსადეყის დაცემამ ირანული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში დასავლური პოლიტიკისადმი უნდობლობა გააღვივა. კრიტიკის პირველი ტალღა, რომელიც ინტელექტულებიდან წამოვიდა, გარკვეულწილად თვითკრიტიკაც იყო. ამ თვალსაზრისით ყველაზე თვალსაჩინო თხზულებაა ჯალალ ალ-ე აჰმადის „ყარბზადეგი“ (“მედასავლეთეობა”).[7]

ალ-ე აჰმადი თავდაპირველად თუდეს წევრი, შემდეგ სოციალ-დემოკრატი იყო, 50-იან წლების მიწურულს კი შიიზმს დაუბრუნდა. „ამგვარი რელიგიური ღწვა პიროვნებისაგან, რომელიც სვამდა კიდეც და ხშირად ავიწყდებოდა სავალდებულო ლოცვის შესრულება, უცნაურია... მაგრამ იგი გულწრფელი იყო“ (Mottahedeh, 1985: 223). მან მოახდინა თანამედროვე ირანის ისტორიის რეინტერპრეტაცია დასავლურ სეკულარიზმთან დაპირისპირებული კუთხით.

ავტორი ვესტერნიზაციას ახასიათებს, როგორც „შავ ჭირს“ (*თა'უნ*) (იგი ამ შემთხვევაში კამიუს დაესესხა).[8] მისთვის კონკრეტულად ვესტერნიზაცია არის „სიმბოლოთა ერთობა, რომელიც იჭრება ცხოვრებაში, კულტურაში, ცივილიზაციასა და აზროვნებაში დედამიწის იმ ნაწილზე, სადაც არ არსებობს არავითარი კავშირის ძაფი იმ ისტორიულ და ტრადიციულ სფეროებთან, საიდანაც იგი შემოტანილია.”

ალ-ე აჰმადის თვალსაზრისით, მთავარი შეცდომა არის ის, რომ დასავლეთი აღიქმება არა „უწმინდურად“ და „ურწმუნოდ,“ არამედ „მოძღვრად.“ „იყო დრო, როდესაც ყურანის ერთი ლექსით ან ერთი ისლამური ტრადიციით ხმას აკმენდინებდნენ ყველას და ნებისმიერ მტერს თავის ადგილს უჩენდნენ. დღეს კი დასავლელის ნებისმიერ სიტყვას ჭეშმარიტებად ვიღებთ.“ (Al-e Ahmad, 1988: 116).

ალ-ე აჰმადისათვის დასავლეთი უპირველესად „სატანური ავტომატიზაციის განსახიერებაა, რომელმაც საკუთარი ცივილიზაცია მოკლა.“ მისი კონცეფცია მარტივია: დასავლეთს ღუპავს ტექნიკის მოძალება, რომელიც ადამიანში სულიერ საწყისს და ზოგადად სამყაროს აღქმის უნარს კლავს. აღმოსავლეთის უპირატესობას რელიგიური გრძნობა წარმოადგენს, რომელიც ქმნის ადამიანის გადარჩენის გარანტიას უნიფიკაციისაგან და მანქანის დანამატად ქცევისაგან. განვითარებადი ქვეყნების ტრაგედიას, ალ-ე აჰმადის თვალსაზრისით, წარმოადგენს არა უბრალოდ მათი ჩამორჩენილობა, არამედ მათში არსებული ილუზია, რომ ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია შესაძლებელია დასავლური მოდელების ბრმად კოპირების საშუალებით.

შიიზმი ალ-ე აჰმადისათვის ირანული ნაციონალიზმის საფუძველია. მისი აზრით, ირანი ჯერ კიდევ XVII ს-დან იმ მიზეზით გახდა იძულებული დამორჩილებოდა უცხოეთის ზეწოლას, რომ შიიტურმა სამღვდელოებამ ხელიდან გაუშვა ხალხის იდეოლოგიური და პოლიტიკური კონტროლის სადავეები, სახელმწიფო დამორჩილდა არასამართლიან მმართველებს და გახდა ჩაგვრის იარაღი. „მას შემ-

7 „ყარბზადეგი“ არალეგალურად გამოიცა თეირანში 1962 წელს და მალე ისლამისტების სამაგიდო წიგნად იქცა.

8 საგულისხმოა, რომ ალ-ე აჰმადი სწორედ დასავლური ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდის საქმეს ემსახურებოდა. მისი თარგმანების საშუალებით გაიცნო ირანელმა მკითხველმა სარტრი, იონესკო, კამიუ, გრამში.

დეგ რაც შიიზმის იდეების გამოყენება დაიწყო სეფიანთა დინასტიის ბატონობის განმტკიცებისათვის, ჩვენ გადავიქეცით საფლავების ძალაგამოცლილ მცველებად, მათხოვრებად, დაღუპული შაჰიდების დამტირებლებად. ამ დღიდან ჩვენ ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა გმირობისა და შემოვიფარგლეთ შაჰიდების დატირებითა და მათთვის ხოტბის შესხმით."

50-იანი წლების ნაციონალისტებისაგან განსხვავებით კი ალ-ე აჰმადი ხაზს უსვამს სამღვდელოების განსაკუთრებულ როლს ქვეყნის აღორძინების საქმეში. შექმნილ ვითარებაში „მხოლოდ მეჩეთებია უკანასკნელი ბარიერი მედასავლეთეობის გზაზე."

ამასთან ერთად, ალ-ე აჰმადი რელიგიურ პირთა მმართველობის უპირველესი ოპონენტი იყო და ტრადიციონალისტ ულემებს მიიჩნევდა კონსერვატულ, ელიტისტურ ფენად, რომელსაც არ შეეძლო ჩაბმულიყო დინამიურ რევოლუციურ პროცესში. „სამღვდელოება ტრადიციის დამცველია. აქედან გამომდინარე, ისინი ეწინააღმდეგებიან ნებისმიერი ხასიათის ცვლილებას, პროგრესსა და რევიზიას. სწორედ ამიტომ უწოდებენ მათ მასების გამაბრუებლებს. რამდენადაც ტრადიციების დაცვა რეტროგრადული პროცესია."

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მის თხზულებაში აშკარად იგრძნობა დასავლური აზროვნებისა და იდეების გავლენა. როდესაც „ავადმყოფობიდან" განკურნების გზების ძიება მიმდინარეობს, წამალი ინდუსტრიალიზაციაა. მაგრამ ეს თავისთავად არ არის საკმარისი, უბრალო იმიტაციის ნაცვლად უნდა არსებობდეს დასავლური ცივილიზაციის ღრმა ცოდნა.

ალ-ე აჰმადის რელიგიისაკენ შემობრუნებას სწორედ პოლიტიკური მიზეზები განაპირობებდა. ალ-ე აჰმადი თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდა იმ აზრამდე, რომ თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთადერთი გზა შიიზმისაკენ შემობრუნება იყო. მან ფაქტობრივად მოხაზა 70-იანი წლების ისლამისტების იდეოლოგიური კრედოს ჩარჩოები.

საერო ისლამისტებს შორის უპირობოდ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა ალი შარიათი იყო. იგი აღიარებულია თეორეტიკოსად, რომელმაც „ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ირანელი ახალგაზრდობის მომზადებაზე რევოლუციური გარდაქმნებისათვის." (Dabashi, 1983: 203). შარიათი დაიბადა 1932 წელს თვალსაჩინო რელიგიური მოღვაწისა და ინტელექტუალის ოჯახში. იგი ახალგაზრდობიდანვე დაინტერესდა სოციალისტური და ისლამისტური იდეებით.

1959 წ. შარიათი პარიზში სასწავლებლად შაჰის მთავრობისაგან მიღებული სტიპენდიით გაემგზავრა. საფრანგეთში სწავლის პერიოდში, ალჟირის ომის მიწურულს, ის დარწმუნდა ისლამის მობილიზაციის უნარში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს. იგი ასევე იყო „ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში მუსლიმ სტუდენტთა კავშირის" ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. პარიზში მას კონტაქტი ჰქონდა მემარცხენეებთან და ალჟირის დამოუკიდებლობის მომხრეებთან – ფრანც ფანონთან,[9] ლუი მასინიონთან, ჟან-პოლ სარტრთან და სწორედ მათი აზროვნების გავლენით დაიწყო შარიათიმ ისლამის ასოცირება რევოლუციურ თემატიკასთან. მისი იდეები ეფუძნებოდა როგორც მუსლიმ მოდერნისტებს (ავღანის, აბდუს, იკბალს), ისევე მარქსსა და ვებერს, სარტრს, ჰერბერტ მარკუზესა და ფანონს. შ. ახავი აღნიშნავს, რომ შარიათის შემოქმედებაში ყოველთვის იგრძნობოდა ორიენტაცია ორ კულტურაზე: მუსლიმურსა და ევროპულზე. ამასთანავე, შარიათისათვის დასავლეთი კვლავაც კოლონიალიზმის სიმბოლოდ რჩებოდა, ისლამს კი (კონკრეტულ შემთხვევაში შიიზმს), ადაპტირებადობის უნარის გამო, შეეძლო გაეთავისებინა ის საუკეთესო, რაც ევროპულმა აზროვნებამ შექმნა. „შარიათი ცდილობდა ეკლექტიკური სისტემის შექმნას დასავლური სოციოლოგიის, ნაწილობრივ მარქსიზმის, მუსლიმური თეოლოგიისა და ასევე ფრანც ფანონის იდეების საფუძველზე." (Abrahamian, 1982: 25).

1964 წ. შარიათი დაბრუნდა ირანში და როგორც არალეგალური მუსლიმური ჯგუფის „*ალ-ჯაზაერის*" წევრი, „ანტისამთავრობო მოღვაწეობისათვის" დააპატიმრეს, თუმცა მალე გამოუშვეს ციხიდან.

იმ დროს, როდესაც სამღვდელოება დაუბრუნდა მისთვის ჩვეულ კვიეტიზმს, შიიზმის მოდერნიზება წამოიწყეს საერო ინტელექტუალებმა. ამ მოძრაობის ცენტრი გახდა *ჰოსეინიე ერშადი* ("სწორი, ჭეშმარიტი მიმართულების ჰოსეინიე") – შეკრებათა ცენტრი, რომელიც ერთმა შეძლებულმა საერო პირმა 1969 წელს დაარსა ქულჰაქში, თეირანის შემოგარენში. აქ მთავარი მოქმედი პირი შარიათი იყო. მსმენელები ძირითადად უნივერსიტეტის სტუდენტები და საშუალო და მცირე ბურჟუაზიის წარმომადგენელი „საერო" ახალგაზრდები იყვნენ. ერშადში იმდენად ფართო სწავლება მიდიოდა, რომ იგი უკვე კონკურენციას უწევდა აღიარებულ რელიგიურ სკოლებს. სწორედ ერშადში წაკითხული ლექციები დაედო საფუძვლად შარიათის ნაშრომებს.

9 შარიათიმ სპარსულად თარგმნა ფ. ფანონის ყველაზე ცნობილი თხზულება „მიწის ჩაგრულნი." ფანონის იდეები შარიათიმ ფართოდ გამოიყენა საკუთარ ლექციებსა და თხზულებებში.

ალი შარიათი

ერშადის მესვეურთა პოზიცია მკაფიოდ ანტისამთავრობო ხასიათს ატარებდა. შედეგმაც არ დააყოვნა და 1973 წ. მიწურულს შაჰმა დახურა ერშადი. შარიათი კი დააპატიმრეს „ისლამური მარქსიზმის პროპაგანდისა“ და „ტერორისტ მოჯაჰედინებთან“ კავშირის ბრალდებით. მან 18 თვე გაატარა ციხეში. განთავისუფლების შემდეგ შარიათიმ დატოვა ირანი და საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა ლონდონში 1977 წელს.

შარიათი ერთმანეთს უპირისპირებს ორ რელიგიას – კლერიკალურ ისლამს, რომელიც ნებისმიერ კომპრომისზე მიდის ინსტიტუციონალიზებული ფორმების შესანარჩუნებლად და ცოცხალ ისლამს, რომელიც, მოციქულისა და იმამთა მსგავსად, გამოდის დრომოჭმული ტრადიციების წინააღმდეგ, რათა ისინი შეცვალოს ჩაგრულთა სამსახურში ჩაყენებული საღვთო მოწოდებით. მას იერიში მიაქვს „სპეციალიაზაციაზე“ თეოლოგიაში, რასაც სამღვდელოება იყენებს საკუთარი დომინირებისათვის. შარიათი უპირისპირებს „ალის ჭეშმარიტ შიიზმს“ „სეფიანთა შიიზმს“.

შარი ათი დარწმუნებული იყო იდეოლოგიის აუცილებლობაში, რომელიც მისთვის წარმოადგენდა რევოლუციის და მასების მობილიზაციის უმთავრეს პირობას. იგი არ იზიარებდა ფანონის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც მესამე სამყაროს ქვეყნებს უნდა დაევიწყებინათ თავიანთი რელიგია, რადგანაც იმპერიალისტურ ქვეყნებთან დაპირისპირებასა და რევოლუციურ ბრძოლას სრულიად განსხვავებული საფუძვლების მქონე იდეოლოგია სჭირდებოდა. შარი ათი ამის საპირისპიროდ მიიჩნევდა, რომ ამ მიზნით უნდა გამოყენებულიყო ისლამურ სამყაროში უკვე არსებული იდეოლოგია, რათა შექმნილიყო აუცილებელი პოლიტიკური გარემო – პარტია, ლოზუნგი, დროშა, სახალხო ძალა – რევოლუციური მიზნების მისაღწევად. როგორც ისლამურ სამყაროში მიმდინარე პოლიტიკური მოძრაობების დამკვირვებელი, იგი მომსწრე იყო რადიკალური დასავლური იდეოლოგიების წარუმატებლობისა მასების პოლიტიკურ მხარდაჭერის მოპოვების საქმეში. საკუთარ ქვეყანაში კი იგი თვითმხილველი იყო კომუნისტური თუდეს პარტიის ამაო და სისხლში ჩახშობილი მცდელობებისა გარდაექმნა ღრმად რელიგიური თემი სოციალისტურ საზოგადოებად. მისთვის ისლამი იყო ახალი იდეოლოგია, რომელიც სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ ახალ სოციალურ წესრიგს ქმნიდა.

შარიათის სიკვდილის შემდეგ „მარად ოპოზიციონერს“ შაჰის რეჟიმმა საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო ლიბერალიზაციის კონტექსტში, მოულოდნელად პატივი მიაგო. შემდგომ კი რევოლუციამ იგი ერთ-ერთ სიმბოლოდ გაიხადა.

შარიათის ნაადრევმა და მოულოდნელმა სიკვდილმა დიდწილად განაპირობა სამღვდელოების როლის წინწამოწევა და ახალი ოფიციოზის მიერ მისი იდეების თანდათანობითი უარყოფა, თუმცა რევოლუციის პერიოდში მისი ნააზრევის გავლენა მეტად თვალსაჩინო იყო. დემონსტრანტებს შარიათის და ხომეინის სურათები ერთად ეჭირათ და რაოდენობრივად შარიათის სურათები არ იყო ისლამური რესპუბლიკის დამფუძნებელზე ბევრად ნაკლები. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას – შარიათის ნაშრომები გაცილებით უფრო კარგად იყო ცნობილი ირანში რევოლუციის დაწყების პერიოდში, ვიდრე ხომეინისა. მაგრამ ისლამურმა რევოლუციამ სწრაფად დაივიწყა მის იდეოლოგია, რომელიც დასავლური კონცეფციების ძლიერ კვალს ატარებდა და, შესაბამისად, სამღვდელოებისათვის მიუღებელი იყო.

შაჰი და რელიგიური ოპოზიცია

ირანის მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას შორის მონარქიისათვის ყველაზე რთული პოლიტიკური ობიექტი უპირობოდ სამღვდელოება იყო. ისტორიულად, ულემები შეადგენდნენ ირანის ტრადიციული სახელისუფლებო ელიტის ნაწილს. რელიგიურ სისტემა ნაწილობრივ უზრუნველყოფდა არსებული წესრიგის შენარჩუნებას ტრადიციებსა და საყოველთაო ფასეულობებზე აპელირებით. მოდერნიზაციამ და უცხოური (არამუსლიმური) გავლენის გაზრდამ კი მძიმე დარტყმა მიაყენა რელიგიური კლასის გავლენას ირანულ საზოგადოებაზე. ულემთა დაპირისპირება დასავლეთისა და მისი მოკავშირე ხელისუფლების მოძალებასთან უპირველესად განპირობებული იყო წინააღმდეგობით ცვლილებებისადმი და ტრადიციული ფასეულობებისა და წესრიგისაკენ შემობრუნების სურვილით.

ამასთანავე, ულემთა ოპოზიციურ როლს საკმაოდ შემოსაზღვრული ჩარჩოები გააჩნდა. ულემები არ მოითხოვდნენ საზოგადოების სტრუქტურულ ცვლილებებს და აგიტაციას არ ეწეოდნენ ამ მიმართულებით. ოპოზიციონერი ულემები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი პოლიტიკურ პროცე-

სებში, უპირველესად მოითხოვდნენ რელიგიის როლის გაზრდას (ანდა რეფორმების შედეგად სამღვდელოების ტრადიციული როლის აღდგენას) და არა მმართველობის ფორმისა და ხასიათის შეცვლას. 60-იანი წლების მოვლენებმა კი საფუძველი ჩაუყარა ულემთა პოლიტიკური ძალაუფლების პრაქტიკული განხორციელების გზების ძიებას, რაც მანამდე მხოლოდ თეორიული და მეტად ბუნდოვანი სახით არსებობდა და რაც 15 წლის შემდეგ, ისლამური რევოლუციის შედეგად, სამღვდელოების მიერ ხელისუფლების ხელში აღებით დაგვირგვინდა.

60-იანი წლების დასაწყისში, გარდა აგრარული რეფორმისა, სამღვდელოებისათვის ორი უმთავრესი საკითხი იდგა დღის წესრიგში. პირველი – შაჰი არ უწევდა ანგარიშს ისლამურ ტრადიციებს, მაგ., ისლამურ საზოგადოებაში ქალების მდგომარეობის თვალსაზრისით (მათ ეძლეოდათ საარჩევნო ხმის უფლება და უფრო მოგვიანებით განქორწინების მოთხოვნის უფლება). მეორე – ისლამი სხვა რელიგიებთან გათანაბრებული იყო. რეგიონული და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ ახალ კანონის თანახმად, სასამართლოში ფიცი უნდა დაედოთ არა ყურანზე, არამედ ზოგადად წმინდა წიგნზე, რაც „თეორიულად შეიძლება ყოფილიყო ავესტა, სახარება და ბაბის თხზულებაც კი!"

სამღვდელოების რადიკალურ უმცირესობას სათავეში აიათოლა ჰაერის მოწაფე, პრაქტიკულად უცნობი ხომეინი ედგა. როდესაც შაჰმა „თეთრი რევოლუციის" პროექტების გამოტანა მოინდომა საჯაროდ განსახილველად, 1963 წ. იანვარში ყუმის[10] ფაიზიეს მედრესეში რეფორმებისადმი უარყოფითად განწყობილ თეოლოგ სტუდენტებსა და შენობაში შეჭრილ სავაქ-ის რაზმს შორის ბრძოლა გაჩაღდა. 2 ივნისს (10 მოჰარამს) ხომეინიმ გააკეთა მოწოდება „ჩვენი დროის იაზიდის წინააღმდეგ"[11]. დაიწყო მანიფესტაციები „ტირანის" წინააღმდეგ. მეორე დღეს ხომეინი და კიდევ 14 რელიგიური პირი ყუმიდან, შირაზიდან და მეშჰედიდან, დააპატიმრეს. ხომეინისთან ერთად დააკავეს აიათოლები თალეყანი, შარი ათმადარი, ზენჯანი და ზოგიერთი განსაკუთრებით აქტიური მოლა. ამ ფაქტმა დიდ ქალაქებში ახალი მღელვარებები გამოიწვია. 5 ივნისს ამბოხება დაიწყო თეირანში. შაჰმა არმიას სროლის ბრძანება მისცა, რასაც მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა. ეს აჯანყება თანამედროვე ირანული ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ მოინათლა ისლამური რევოლუციის გარიჟრაჟად: „1342 წ. 15 ხორდადი (1963 წ. 5 ივნისი) რევოლუციის დასაწყისია 6 ბაჰმანის (1963 წ. 26 იანვარი) ხელოვნური რეფერენდუმისა და ამერიკული „თეთრი რევოლუციის" წინააღმდეგ" (Bakhshayeshi, 1985: 131). აქვე შეიძლება ითქვას, რომ ყუმის სემინარიაში დაწყებულმა ამ მოძრაობამ ღრმა ანაბეჭდი დატოვა ირანის პოლიტიკურ კულტურაზე და ამის კვალი დღესაც საგრძნობია.

სწორედ 60-იანი წლების დასაწყისის დრამატული ამბებიდან იღებს სათავეს მანამდე პრაქტიკულად უცნობი ულემის, რუჰოლა მუსავი ხომეინის პოლიტიკური კარიერა.

სეიედი რუჰოლა ხომეინი საშუალო სოციალური წარმომავლობის იყო. მან 1932 წელს მიიღო მოჯთაჰედის წოდება, 1945 წელს კი გამოაქვეყნა მცირე ნაშრომი, რომელშიც გაილაშქრა აჰმად ქასრავის და შაჰის სეკულარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.[12]

თუმცა, ამ პერიოდში და შემდგომშიც საკმაო ხნის მანძილზე, ძნელია ლაპარაკი ხომეინის ანტიმონარქისტულ განწყობაზე. ხსენებულ ნაშრომში იგი წერდა: „ცუდი მმართველობა უკეთესია, ვიდრე მმართველობის საერთოდ არარსებობა. ჩვენ არასოდეს შეგვიტევია სულთანათისათვის; თუკი ჩვენ ვაკრიტიკებდით, ეს იყო კონკრეტული მეფე და არა ზოგადად მონარქია. ისტორია აჩვენებს, რომ მოჯთაჰედები ეხმარებოდნენ მეფეებს, თუნდაც რომ მათ არასწორად ემოქმედათ" (ციტ. Kramer, 1987: 7).

ხომეინი პოლიტიკურ ასპარეზზე ქალების თანასწორუფლებიანობის საწინააღმდეგო მოწოდებით გამოჩნდა.[13] ხომეინი ასევე უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა შაჰის მიერ "თეთრი რევოლუციის" რეფერენდუმის მიმართ. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი შაჰს წერდა, რომ ამ პროცედუ-

---

10 თანამედროვე ირანული პროპაგანდა, გარდა კინოების და ღვინის მაღაზიების გახსნისა, შაჰს მიაწერს სურვილს გაეხსნა პროსტიტუციის ცენტრი ყუმში (Madani, 1996: 25).

11 იაზიდი (680-689) შიიტთათვის ყველაზე საძულველი უმაიანი ხალიფა. 680 წელს, სწორედ მის ჯარებთან ქერბალას უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა იმამი ჰუსაინი. იაზიდი შიიტთათვის გახდა ტირანი ხელისუფლის ეპითეტი.

12 ეს თხზულება, სახელწოდებით „საიდუმლოებათა ფარდის ახდა" *(სირრ ას-სალათ)* არაბულად არის დაწერილი.

13 საგულისხმოა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციით ქალებმა შეინარჩუნეს შაჰის რეფორმების შედეგად მიღებული უფლებები და ამ მოვლენას ხომეინის პროტესტი არ მოჰყოლია. თუ 60-იან წლებში ხომეინი თანამოაზრე სამღდელოებასთან ერთად მკაცრად ილაშქრებდა, ქალთა თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ, კერძოდ, მათთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭების წინააღმდეგ, მოგვიანებით ის რადი-

რას ფასი არ გააჩნია ისლამში. თუმცა შემდეგ, ირანის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადებისას, თავად გამოიყენა.

საპატიმროდან გამოშვების შემდეგ ხომეინიმ კიდევ ერთხელ გაილაშქრა შაჰის პოლიტიკის წინააღმდეგ. 1964 წლის ოქტომბერში შაჰმა ყველა ამერიკელს დიპლომატიური იმუნიტეტი მიანიჭა. 27 ოქტომბერს კი დღის სინათლე იხილა ხომეინის „ანტიკაპიტულანტურმა" წერილმა (Dabashi, 1989: 512). ნოემბერში 62 წლის ხომეინი გააძევეს ქვეყნიდან.

ხაზგასასმელია, რომ უკომპრომისო ხომეინის „იმიჯის" შექმნაში განსაკუთრებული როლი შეასრულა მისმა დაპატიმრებამ და შემდგომ ირანიდან გასახლებამ. შაჰმა ხომეინის განდევნით ქვეყნიდან იგი მორწმუნე ირანელთათვის „გმირად და მოწამედ" აქცია.

პირველი კონფრონტაცია ხომეინისა ხელისუფლებასთან მრავალი თვალსაზრისითაა საყურადღებო. პირველ რიგში, გამოჩნდა ხომეინის მსოფლმხედველობა და მისი მიზნები; ასევე გამოვლინდა ხომეინის, როგორც ტაქტიკოსისა და ქარიზმატული ლიდერის თვისებები; დაბოლოს, ნათელი გახდა, რომ მოსახლეობის ანგარიშგასაწევი ნაწილი მზად იყო გვერდში დადგომოდა სასულიერო ლიდერებს შაჰის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველივე ეს კარგად გააცნობიერა ხომეინიმ, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა როგორც შაჰის მთავრობამ, ისე ლიბერალურმა ოპოზიციამ, რაც მათთვის საბოლოო ჯამში, სავალალო შედეგებით დასრულდა.

როდესაც ხომეინი გამოდიოდა ქალებისა და არამუსლიმებისათვის პოლიტიკური უფლებების მიცემის წინააღმდეგ, ის გამოხატავდა როგორც ღარიბი მასების მნიშვნელოვანი ნაწილის, ისე კონსერვატორების ინტერესებს, რომელთა შორის მრავალი ვაჭარი და ხელოსანი იყო. ამერიკელთათვის ექსტრატერიტორიულობის მინიჭების წინააღმდეგ გალაშქრებით, ის იმდროინდელი ლიბერალებისა და ნაციონალისტების განწყობას გამოხატავდა.

შაჰის მთავრობის რეაქცია სამღვდელოების მოთხოვნებზე უკიდურესად უარყოფითი იყო. როგორც აღინიშნა, ოპოზიციის მრავალი ლიდერი დროებით დააპატირეს. პრემიერ-მინისტრი ალამი ლაპარაკობდა „ანტიპროგრესულ შეთქმულებაზე" და უფრო მოგვიანებით „შავ რეაქციაზე," რითაც ოფიციალურად იწოდებოდა ხომეინისა და მისი მიმდევრების მოღვაწეობა.

საუბრებსა და მოსახლეობისადმი მოწოდებებში შაჰი, მთავრობა და დეპუტატები ხშირად იყენებდნენ რელიგიურ სიმბოლიკას, ახდენდნენ ყურანის ადგილების, შიიტური გადმოცემების ციტირებას. ამასთან ერთად, რეფორმების დროსაც შაჰი და ხელისუფლება მუდმივად ხაზს უსვამდნენ, რომ ირანში მიღებული არ იქნება ისლამის საწინააღმდეგო არც ერთი კანონი.

მთავრობამ ლოიალურ სამღვდელოებას სპეციალური საათები გამოუყო რადიოში ყოველდღიური ქადაგებისათვის. რელიგიური დღესასწაულების დროს აკრძალული იყო მუსიკის ჩართვა და ეთერი მხოლოდ რელიგიურ პროპაგანდას ჰქონდა დათმობილი. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ, 60-იანი წლების მიწურულს მთავრობამ შეამცირა არასამუშაო დღეთა რიცხვი რელიგიური დღესასწაულების დროს და მათი რაოდენობა ათ დღემდე დაიყვანა.

პოლიტიკური თვალსაზრისით, მთავრობის მიერ ქვეყნის ვესტერნიზაციისაკენ სწრაფვამ დიქოტომიის წარმოქმნა გამოიწვია. თუკი ოფიციალური ხელისუფლება, შაჰის სახით, ორიენტირებული იყო დასავლეთზე, მის გვერდით არსებობდა „უხილავი" ხელისუფლება, რომლებსაც ულემები წარმოადგენდნენ. იგი შეტრიალებული იყო ტრადიციისაკენ, წარსულისაკენ. რელიგიურ პირთა ძალა იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ზეპირი სიტყვაა. ყოველივე ეს კი სულ რაღაც **15 წლის შემდეგ ირანში მონარქისტული რეჟიმის კრახითა და სამღვდელო**ების ტრიუმფით დაგვირგვინდა.

ამ პერიოდში კი ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად „გაანელა" ოპოზიციური მოძრაობის ალი და განაგრძო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ძირეული რეფორმირებისაკენ აღებული კურსი.

1963 წლის მოვლენების შემდეგი 14 წელიწადი შედარებითი სიმშვიდის ხანაა, თუმცა ამ პერიოდშიც მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა. უნდა გამოიყოს მათი ოთხი მთავარი მახასიათებელი: შაჰის მისწრაფება შეექმნა მთავრობის მიერ კონტროლირებული და ულემებისაგან დამოუკიდებელი რელიგიური სისტემა; სასულიერო წრეებში მიმდინარე დებატები ულემთა კორპუსის რეფორმირების შესახებ; შაჰის რეჟიმის მცდელობები ხმარებიდან ამოეღო ზოგიერთი არქაული შიიტური კონცეფცია, რის

კალურად იცვლის პოზიციას და ხაზს უსვამს, რომ „ქალს ისლამურ სისტემაში იგივე უფლებები აქვს, რაც კაცს – უფლება განათლებისა, მუშაობისა, მესაკუთრეობისა, ხმის მიცემისა და არჩევისა."

შედეგადაც დასავლურ კულტურას ქვეყანაში შეღწევის უფრო ფართო შესაძლებლობები მიეცემოდა; ასევე ულემთა ნაწილის იატაკქვეშა ოპოზიციური მოღვაწეობის გაგრძელება.

ულემების ეფექტურად ჩაჩუმების შემდეგ, შაჰმა, რომელსაც ესმოდა, რომ მასების ღრმა რელიგიურობა ყოველთვის იქნებოდა ულემთა გარკვეული ძალაუფლების საფუძველი, განიზრახა ალტერნატიული რელიგიური სისტემის შექმნა. პროექტის განსახორციელებლად შაჰმა მოინდომა რელიგიურ შემოწირულობებზე კონტროლის დაწესება. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ შემოწირულობათა სახელმწიფო დეპარტამენტი აგრძელებდა შემოწირულობათა საქველმოქმედო, რელიგიური და საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებას, მთავარი ის იყო, რომ ამჯერად უკვე მთავრობა ახორციელებდა კონტროლს იმაზე, თუ ვის უნდა მიეღო ფული და რა რაოდენობით. (Nasri, 1983: 609).

შაჰის მიერ ალტერნატიული რელიგიური სტრუქტურის, რომელიც კონკურენციას გაუწევდა ულემთა ჰეგემონობას, შექმნის პირველი მცდელობას „თეთრი რევოლუციის" დროს ჩამოყალიბებული „საგანმანათლებლო კორპუსი" (*სეფაჰ-ე დანეშ*) წარმოადგენდა, რომლის დანიშნულებაც სოფლებში წერა-კითხვის გავრცელება და განათლების შეტანა, შესაბამისად სოფლის მოლებისათვის კონკურენციის გაწევა იყო.

ის, რაც მოინათლა „ხელისუფლების რელიგიად" (*დინ-ე დოულათ*), დაუპირისპირდა „ხალხის რელიგიას" და მას გააჩნდა „ვირტუალურად ჩამოყალიბებული იერარქია." მას სათავეში ედგნენ ყველაზე გავლენიანი აიათოლები (მაგ., მაჰდავი და ალამა ვაჰიდი). მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებდნენ სახელმწიფოს მიერ დანიშნული სასულიერო პირები (მაგ., ემამ ჯომეები ყველაზე მნიშვნელოვან მეჩეთებში). განათლებას უზრუნველყოფდნენ როგორც უნივერსიტეტებში თეოლოგიის ფაკულტეტები, ისე სახელმწიფო კოლეჯები და მედრესე სეფაჰსალარი თეირანში. ჯერ კიდევ რეზა შაჰის დროს დაარსებული თეირანის უნივერსიტეტის რელიგიური ფაკულტეტი გახდა რელიგიური განათლების მიღების სამღვდელოებისაგან დამოუკიდებელი ცენტრი.[14]

შაჰის იდეოლოგია და პოლიტიკური კრედო ჩამოყალიბებული იყო მის ნაშრომებში „ჩემი მსახურება ირანს," „თეთრი რევოლუცია," „დიადი ცივილიზაციისაკენ."[15]

მის თხზულებებში განსაკუთრებული ხაზი ირანელობას ესმებოდა. შექმნილი იყო შაჰის კულტი. მონარქია უკავშირდებოდა უწყვეტ ეროვნულ ტრადიციას. შაჰი ყველანაირი გზით ცდილობდა სახალხო მხარდაჭერის მოპოვებას. გამოსვლებისას და მის მიერ კონტროლირებად პრესის ორგანოებში ის ხაზს უსვამდა, რომ თვითონ, და არა მოსადეყი იყო ჭეშმარიტი ნაციონალისტი. იგი საკუთარ ნაციონალიზმს აღწერდა, როგორც „პოზიტიურს," რაც ნიშნავდა, რომ ის წარმოადგენდა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ მიმართულ რეალურ პროგრამას, მაშინ როცა მოსადეყის ნაციონალიზმი, მისი შეხედულებით, ნეგატიური და თვითგანადგურებისაკენ მიმართული იყო.

შაჰისდროინდელი სახელმძღვანელოები ირანს განსაზღვრავდნენ ერთიან პოლიტიკურ ერთობად აქემენიანებიდან ფაჰლავიანებამდე. „ისლამური, შესაბამისად არაბული, შედარებით უკან იყო გადაწეული, ლაიციზმი კი ნაციონალიზმის დამხმარე საშუალება ხდებოდა." გამუდმებით წინ წამოიწეოდა ეთნიკური ერთიანობა, მაგალითად აზერბაიჯანული (თურქული ჯგუფის) ენის აკრძალვისათვის იმ ქვეტექსტით, რომ ირანის თურქოფონები ეთნიკურად ირანელები არიან, მაგრამ ლინგვისტურად თურქიზებულნი.

საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს მონარქიასთან, რომ არ ითქვას პირადად შაჰთან, იდენტიფიცირება მისი მმართველობის ცენტრალური ამოცანა გახდა.

რაც შეეხება ისლამისა და სამღვდელოების ადგილს შაჰის თხზულებებში, მიუხედავად კეთილმორწმუნეობის მუდმივი ხაზგასმისა, შაჰი არ განიხილავს ისლამს ტრადიციული და ულემთათვის მისაღები ფორმით. ისლამს იგი ძირითადად კულტუროლოგიურ ასპექტში იხსენიებს მსოფლიო ისტორიაში ექსკურსებთან დაკავშირებით.

---

14 ამ პერიოდში რელიგიური განათლების მიღების სამი ალტერნატიული წყაროს არსებობა შეიძლება დაფიქსირდეს – მედრესეები, რომელთაც ულემები აკონტროლებდნენ, რელიგიური ფაკულტეტები, რომლებზეც სწავლებას მთავრობა ადევნებდა თვალყურს, და მოგვიანებით ისლამისტების მიერ შექმნილი ჰოსეინიე ერშადი, რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს რელიგიური განათლების (ბუნებრივია არასისტემატიზებული) მიღების საშუალებად.

15 ისტორიამ მართლაც რომ უმაგალითოდ დასცინა შაჰს. ერთი წელიც არ იყო გასული მისის წიგნის „დიადი ცივილიზაციისაკენ" გამოსვლის შემდეგ, რომ შაჰის გენერალური იდეა – ირანელი ხალხის იმანენტური და მთელი ისტორიული განვითარებით განმტკიცებული მხარდაჭერა მონარქისტული იდეისა, საკუთრივ მონარქიის ნანგრევების ქვეშ აღმოჩნდა დამარხული.

რეალურად შაჰი ისლამის შესახებ ლაპარაკობს მისი კულტის მსახურების გარეშე. „დიადი ცივილიზაციის“ მიღწევის გზა კი მისთვის წმინდა საერო ხასიათს ატარებს.“ შაჰი არც კი ახსენებს სამღვდელოების განმაზოგადებელ სახელწოდებას (*რუჰანიუნ*).[16] მაგ., „თეთრი რევოლუციის“ მე-9 **თავში „მართლმსაჯულების სახლები,“** ამ ორგანოების შექმნისა და მათი სტრუქტურის შესახებ ლაპარაკისას სიტყვაც არ არის ნათქვამი სამღვდელოების იურიდიული ფუნქციების თაობაზე (Пахлеви, 1967: 111-118).

შაჰის მიერ ისლამამდელი ირანის განდიდებამ, რა თქმა უნდა, ულემების უკურეაქცია გამოიწვია, თუმცა დიდი ხნის მანძილზე ისინი თხოულობდნენ მხოლოდ **1906-07 წწ. კონსტიტუციის სრულ გამოყენებას**, რომლის თანახმადაც უნდა არსებულიყო მეტად შეზღუდული კონსტიტუციური მონარქია და ულემებს ვეტოს უფლება ჰქონოდათ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე.

1971 წ. ოქტომბერში შაჰმა ხელი მოაწერა ბრძანებას „რწმენის არმიის“ (*სეფაჰ-ე დინ*) შექმნის შესახებ, რომლის მიზანიც იყო ჯარისკაცებში „რწმენის პრინციპების“ გამყარება და რელიგიური განათლების გავრცელება. ამით შაჰი ცდილობდა მოჯთაჰედებისა და მოლების გავლენის შესუსტებას არმიაში. ბუნებრივია, ამ სიახლეს სამღვდელოება უარყოფითად შეხვდა.

ასევე უარყოფითად იქნა შეფასებული ირანული მონარქიის 2500-წლოვანი იუბილეს აღნიშვნა. მოჯთაჰედებმა (მათ შორის პირველ რიგში ხომეინიმ) არაერთი საპროტესტო ტელეგრამა გაუგზავნეს შაჰს ამ საკითხთან დაკავშირებით. გამოქვეყნდა აიათოლების მოთაჰარის, რუჰანის, შირაზის წერილები, რომლებშიც ეს ზეიმი „XX საუკუნის უდიდეს კომედიად“ მოინათლა. ხომეინის წერილი კი ფეთვას წარმოადგენდა.

ამ ბოიკოტს და კორპუსის შექმნის წინააღმდეგ პროტესტს **30 ცნობილი მოჯთაჰედის დაპატიმრება** მოჰყვა.

1970 წ. მაისში ამერიკელი ინვესტორები ჩავიდნენ ირანში, რათა გაერკვიათ ირანის ეკონომიკაში მომავალი ინვესტირების საკითხები (ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, საბადოები, ტურიზმი, სამომხმარებლო სფერო). ამ განზრახვას საპროტესტო აქციები მოჰყვა. თეირანელმა მოჯთაჰედმა აიათოლა სეიედ მოჰამად რეზა საიდიმ დაწერა დეკლარაცია, რომელიც გავრცელდა დედაქალაქის ულემებს შორის. იგი ამერიკულ ინვესტიციებს მიიჩნევდა „კატასტროფად და დამანგრევლად ირანელი ხალხისათვის.“ რეჟიმი, რომელმაც ინვესტორები მოიწვია ირანში, „არის იმპერიალიზმის ტირანიის აგენტი.“ საიდი დააპატიმრეს და იგი წამებისაგან გარდაიცვალა ციხეში. მისი გარდაცვალების ცნობას საპროტესო აქციები მოჰყვა ყუმსა და სხვა ქალაქებში.

1971 წ. მიწურულს მთავრობამ და შაჰმა არმიას მისცეს ბრძანება შესულიყო ყუმში. დააპატიმრეს მრავალი ულემი. ბევრი მათგანი გაასახლეს ბანდარაბასის რაიონში, სადაც მეტად მძიმე საცხოვრებელი პირობები იყო.

მიუხედავად ანტიკლერიკალური განწყობისა, შაჰი მაინც იძულებული იყო შეენარჩუნებინა ტრადიციულ სამღვდელოებასთან არსებული „კონკორდატი.“

1964 წ. ხომეინის ქვეყნიდან განდევნა მოწონებული იყო სამღვდელოების უმრავლესობის მიერ, რომელიც სახელმწიფოს საქმეებში ჩარევას ტრადიციულად უარყოფითად აფასებდა. (Hourcade, 1985: 139).

პრემიერ ჰოვეიდას მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს ურიცხავდა საქველმოქმედო რელიგიურ ორგანიზაციებსა და რელიგიურ სკოლებს. ულემთა უმრავლესობაც კმაყოფილი იყო არსებული შეთანხმებით. **1965-1976 წწ. რელიგიური წრეები სარგებლობდნენ სიტყვისა და და კავშირების შექმნის შ**ედარებითი თავისუფლებით მეჩეთებისა და რელიგიური შეკრებების ჩარჩოებში. ურთიერთობათა ახალი ეტაპი იწყება **1974 წლიდან, როდესაც ნავთობის ფასის მომატების შედეგად ირანში დაჩქარებუ**ლი ვესტერნიზაცია დაიწყო. სამღვდელოების იმ ლოიალურმა უმრავლესობამ, რომელსაც სათავეში აიათოლა შარიათმადარი ედგა, მიიჩნია, რომ სახელმწიფო უკვე აღარ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და საზოგადოება თანდათანობით ზურგს აქცევდა ისლამურ ფასეულობებს. **1977 წ. ჯ. ამუზეგარის** მთავრობამ, რომელსაც ნაკლებად აღელვებდა რელიგიური საკითხები, უმნიშვნელოვანესი შეცდომა დაუშვა და ფულის ჩარიცხვა შეუწყვიტა რელიგიურ საზოგადოებებს. „კონკორდატი“ დაირღვა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სამღვდელოების უკიდურესი რადიკალიზაცია.

---

16 აღსანიშნავია, რომ არაბულ ენაში არც კი არსებობს სამღვდელოების აღმნიშვნელი ტერმინი, სპარსულში კი შედარებით ახალი დაწყებულია ტერმინის რუჰანიუნ გამოყენება. ეს ტერმინი წარმოდგება ფუძისგან *რუჰ* – „გონება, სული.“ ხმარებაში იქნა შემოტანილი XX ს. დასაწყისიდან ირანში ულემთა კორპუსის განსაკუთრებული ხასიათის ხაზგასასმელად და „მოკვდავთაგან“ გა-მოსაყოფად.

სამღვდელოების მსგავსად, მთლიანად ირანის მოსახლეობაში მატულობდა უკმაყოფილება, იზრდებოდა სოციალური დაძაბულობა.

ისლამის პოლიტიზაციაზე მსჯელობისას, ბუნებრივია, პირველ რიგში ამოტივტივტება აიათოლა რუჰოლა ხომეინის სახელი. სწორედ მან მოახერხა კლერიკალური პოლიტიზებული ისლამის ჩამოყალიბება და მისთვის რევოლუციური ხასიათის მინიჭება, გახდა ისლამური რევოლუციის ქარიზმატიული ლიდერი და მთელი მსოფლიო დააყენა სრულიად ახალი და მანამდე პრაქტიკულად არაპროგნოზირებული რეალობის, ირანში ისლამური მმართველობის დამყარების ფაქტის წინაშე.

70-იანი წლების მიწურულს მანამდე ყველასათვის უცნობი ირანელი მოლა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. 1979 წელს „თაიმმა" იგი წლის ადამიანად დაასახელა. იმავე „თაიმში" აღნიშნული იყო: „იშვიათია ლიდერი, რომელიც ესოდენ ააფორიაქებდა მსოფლიოს. იგი არ არის პოლიტიკოსი ამ ცნების დასავლური მნიშვნელობით, მაგრამ ფლობს მნიშვნელოვან და საშიშ იარაღს პოლიტიკური ინსტუმენტებიდან: უნარს გამოიწვიოს მილიონების როგორც თაყვანისცემა, ისე მრისხანება. რევოლუციამ, რომელსაც იგი წინამძღოლობდა ჰიტლერის შემდეგ ყველაზე მეტად შეცვალა მსოფლიოში ძალთა ბალანსი." ხომეინი იქცა ამ პერიოდის ახალი ამბების მთავარ გმირად.

ხომეინიმ შეძლო, ერთის მხრივ აეღორძინებინა სამღვდელოების, როგორც საზოგადოების სულიერი მოძღვრის, ფაჰლავიანთა ბატონობის შედეგად ესოდენ დაკნინებული როლი, მეორეს მხრივ კი მისთვის მიენიჭებინა უაღრესად პოლიტიზებული, ჯერარნახული ფუნქცია, რაც განხორციელდა ისლამურ რესპუბლიკაში ხომეინის მხარდამჭერი სამღვდელოების პოლიტიკური გაბატონებით.

1963 წ. ამბების შემდეგ იგი მცირე ხანს ცხოვრობდა ბურსაში (თურქეთი), 1965 წ. ოქტომბრიდან კი ნაჯაფში, სადაც მის, როგორც ირანის შაჰის ოპოზიციონერისა და მგზნებარე პროპაგანდისტის მიმართ, ერაყის ბაასისტური მთავრობა ტოლერანტობას იჩენდა.[17] სწორედ ნაჯაფში შეიქმნა მისი მთავარი ნაშრომი (იხ. ქვემოთ).

ხომეინისა და მის მიმდევრების პირველ მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს მათი ზეწოლის შედეგად იუსტიციის სამინისტროს იმ გადაწყვეტილების გაუქმება, რომლის თანახმადაც სასამართლოში მოწმეებს შეეძლოთ ყურანზე არ დაეფიცათ.

ხომეინის თანდათანობით უყალიბდება ფაჰლავიანთა მონარქიის „ისტორიის სანაგვეზე" გადაგდების მოთხოვნა. „1967 წლის აპრილში ხომეინის ტონი იცვლება, როდესაც იგი შეიტყობს, რომ შაჰმა თვითონ დაიდგა გვირგვინი, იგი წერილს წერს პრემიერ ჰოვეიდას, რომელშიც უკვე პირდაპირ აყენებს ეჭვქვეშ ფაჰლავიანთა ლეგიტიმურობას." ხომეინის ნააზრევში ულემების პოლიტიკური ხელისუფლების თემამ წინ წამოიწია 70-იან წლებში. ამასთან დაკავშირებით კი განსაკუთრებით მძაფრი ფორმა მიიღო მისმა ანტიმონარქისტულმა განწყობამ: „ისლამი მონარქიის პრინციპს არაკანონიერად აცხადებს," წერდა იგი. (Khomeyni, 1988: 27).[18]

ფაჰლავიანთა რეჟიმის მოდერნისტული რეფორმები, რაც ტრადიციულად იწვევდა სამღვდელოების პროტესტს, ერთ-ერთი მიზეზი იყო ხომეინის ანტიდასავლური განწყობისა. ხომეინი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ 1964 წელს გამოვიდა აშშ-ის საწინააღმდეგო განცხადებებით. შემდგომში ხომეინის თავდასხმის ობიექტად იქცა არა მხოლოდ ზოგადად დასავლეთი, არამედ დასავლეთში ჩამოყალიბებული ორიენტალისტური სამეცნიერო სკოლაც. 1970 წლის 31 მაისს ხომეინიმ ღია წერილი გაუგზავნა ევროპისა და ამერიკის ირანელ სტუდენტებს, რომელშიც ბრალი დასდო ორიენტალისტებს ისლამის არსის დამახინჯებაში, გაილაშქრა „მედასავლეთეობის" წინააღმდეგ, უპირველეს მტრად კი შეერთებულ შტატებს სახავდა: „ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ირანისა და ისლამური სამყაროს ყველა პრობლემა მომდინარეობს ამერიკისგან."

ხომეინისათვის ისლამური სამყაროს ერთ-ერთ უმთავრეს მტერს ისრაელი წარმოადგენდა (ანტისრაელური განწყობილებები ისლამურ სამყაროში განსაკუთრებით გამძაფრდა 1967 წ. ე.წ. „ექვს-

17 1975 წ. ირანსა და ერაყს შორის ალჟირში დადებული ხელშეკრულებით ორ ქვეყანას შორის საზღვრები იხსნებოდა. ამდენად, ხომეინის უპრობლემოდ შეეძლო გადაელახა საზღვარი და ირანში გადმოსულიყო. შაჰმა, მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასარიდებლად, ხომეინის ექსტრადიციის მოთხოვნით მიმართ ერაყის მთავრობას. სადამ ჰუსეინი გამოეხმაურა შაჰის თხოვნას და 1978 წ. ერაყიდან გააძევა ხომეინი. თუმცა, ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია ხომეინის აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვის.

18 სწორედ ამ არგუმენტაციას იყენებდა ისლამური ირანი უკვე რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საუდის არაბეთთან დაპირისპირების პირობებში. იმავდროულად ხომეინი აღნიშნავდა, რომ „ირანში რევოლუციის მიზანი იყო არა მონარქიული რეჟიმის დამხობა, არამედ ღვთაებრივი გამოცხადების პრინციპებზე დაფუძნებული რესპუბლიკის შექმნა."

დღიანი ომის შემდეგ). რეზა შაჰის საგარეო პოლიტიკა კი, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს ისრაელთან მჭიდრო ურთიერთკავშირი წარმოადგენდა, როგორც ხომეინის, ისე საერთოდ ოპოზიციონერი ისლამისტების პროტესტს იწვევდა. ხომეინის განცხადებით, „ნებისმიერი კავშირი ისრაელთან და მის აგენტებთან, კომერციული თუ პოლიტიკური, აკრძალულია და ეწინააღმდეგება ისლამის მიწერილობებს."

ხომეინიმ ასევე გასცა განკარგულება რელიგიური გადასახადების, ზაქათის და *საჰმ-ე ემამის* ნაწილი გადაეცათ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისათვის.

მისთვის მიუღებელი იყო როგორც დასავლეთი, ისე კომუნისტური სისტემა. იგი ადრეული პოლიტიკური მოღვაწეობიდანვე ამჟღავნებდა შეურიგებლობას მემარცხენეებისადმი. ხომეინი აღნიშნავს, „თუკი ახალგაზრდობა გააცნობიერებს ისლამური მმართველობის მიზნებს... ტირანული და კოლონიური სახელმწიფოების საყრდენი – მცდარი კომუნისტური და მისი მსგავსი სკოლები, ავტომატურად დაემხობიან." (Khomeyni, 1988: 54).

1971 წელს რელიგიური კორპუსის შექმნა კიდევ ერთი მიზეზი გახდა ხომეინის პროტესტისათვის. 12 ნოემბერს იგი თავს დაესხა ამ კორპუსს და კოლონიური სახელმწიფოების აგენტების შექმნილად მიიჩნია, რომლის მიზანიც იყო მუსლიმი სამღვდელოების ავტორიტეტის დაკნინება. ხომეინი მოუწოდა სამღვდელოებას ამ კორპუსის წინააღმდეგ ბრძოლისა და მის საპირისპირო პროპაგანდისაკენ სოფლებსა და ქალაქებში.

ხომეინის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ირანის სახელმწიფოებრიობის 2500-წლოვანი იუბილეს პომპეზურმა აღნიშვნამ (საგულისხმოა, რომ ამავე პერიოდში ირანის ზოგიერთ რეგიონში გვალვამ ათასობით ადამიანი სარჩო-საბადებლის გარეშე დატოვა). ხომეინის კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება თავს დასხმოდა შაჰს ისრაელთან კავშირის გამო: „2500-წლოვანი იუბილეს ორგანიზებისათვის შაჰმა ექსპერტები ისრაელიდან მოიწვია." ხომეინი ცვლის მონარქიის ისტორიას, რომელიც, მისი აზრით, „ისტორიის სამარცხვინო ლაქაა." ხომეინის რწმენით, ტირანების – რეზა შაჰის, აღა მოჰამად ხან ყაჯარის, ნადირ შაჰის მეფობა ნამდვილად არ იყო აღსანიშნავი.

მოგვიანებით, ხომეინი ხაზს უსვამდა: „მონარქიის პრინციპი ოდითგანვე ეწინააღმდეგება გონივრულ კანონებს, წესებსა და ადამიანის უფლებებს. დავუშვათ, მთლიანად ხალხმა ხმა მისცა იმას, რომ ერთი ადამიანი ყოფილიყო მონარქი, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მონარქის შთამომავლებიც მონარქები უნდა ყოფილიყვნენ." ხომეინის განცხადებებში სულ უფრო მატულობდა ანტიმონარქისტული მოტივები. იგი უკვე აცხადებდა: „ღმერთმა მოსე წარმოგზავნა მეფის (ფარაონის) გასანადგურებლად." 1972 წლიდან კი ხომეინის ლექსიკონში ჩნდება ახალი ტერმინები: „ნეოკოლონიალიზმი," „განვითარებადი ქვეყანა," „სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პრესა," რაც ნათლად მეტყველებს, რომ ხომეინი საბოლოოდ იშორებდა ტრადიციული სამღვდელოებისათვის დამახასიათებელ იმიჯს.

ამავე ხანებში მან გამოსცა ფეთვა, რომლითაც რელიგიური გადასახადის ნაწილის პოლიტპატიმრების ოჯახებისათვის გადაცემა კანონიერი ხდებოდა.

ემიგრაციაში 15 წლის ცხოვრების მანძილზე ხომეინის სალაროში უზარმაზარი თანხები შემოდიოდა. ცალკეულ წლებში ხუმსისა და ზაქათის რაოდენობა, რომელსაც შიიტები აგროვებდნენ და უგზავნიდნენ ნაჯაფში ხომეინის აღწევდა 25 მლნ. დოლარს (Balta & Roullaux, 1978: 154). მიღებული თანხის ნაწილს ხომეინი ხარჯავდა ღარიბი მოლებისა და მედრესეების სტუდენტებისათვის, მაგრამ „ხომეინის ფონდის" მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯებოდა პროპაგანდისტული მასალების შესაქმნელად და მათ გასავრცელებლად ირანში, აგრეთვე „ძალოვანი ცენტრის" – შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლებისათვის იატაკქვეშა რაზმების შესაქმნელად. მთავარ ფინანსურ დონორს ბაზრის სისტემა წარმოადგენდა, რომელიც სამღვდელოების შემოსავლის 80%-მდე იძლეოდა რელიგიური გადასახადების, ნებაყოფლობითი შემოწირულობების, ძღვენის და ა.შ. სახით. ამ შემოსავლის მასშტაბებზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი.

1975 წ. შაჰის ხელდასმით „აღორძინების" პრომონარქსიტული პარტიის შექმნასაც ხომეინი საპროტესტო წერილით გამოეხმაურა: „ვინაიდან ეს პარტია ეწინააღმდეგება ისლამს და მუსლიმი ერის არსებობას ირანში, მისი წევრობა თანაბარმნიშვნელოვანია მჩაგვრელობისა და მუსლიმების შეურაცხყოფისა."

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ხომეინი 1963-78 წლებში „ჩრდილში" სულაც არ იდგა და არ იყო დაკავებული მხოლოდ თეორიული საკითხების დამუშავებით. შესაძლებელია იგი სხვა ისლამისტებზე ნაკლებად ჩანდა, მაგრამ ხომეინი შეძლებისდაგვარად აქტიურობდა და საკუთარ აზრს, რომელსაც ირანში საკმაო წონა გააჩნდა, გამოთქვამდა ნებისმიერ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით.

ალ-ე აჰმადის მსგავსად, **60-იანი წლების მიწურულს ხომეინიმ უარყო დემოკრატიული მმართველობის** (*ალ-ჯუმჰურიდა*) და კონსტიტუციური მონარქიის (*ალ-მაშრუთა*) პრინციპები – ე.ი. ირანის რეჟიმი 1906 წლიდან (ხომეინი წინა თაობის სამღვდელოებას ადანაშაულებდა იმაში, რომ მათ დაუშვეს **1906 წ. კონსტიტუციის მიღება, რომელიც ევროპული კონსტიტუციების „ბრმა გამეორებას“ წარმოადგენდა**). იგი პრაქტიკულად იმავე მიმართულებით მიდიოდა, რომელიც აირჩია ირანის ისლამისტურმა ინტელიგენციამ, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მისი პოლიტიკური თეორიის ამოსავალი პუნქტი სამღვდელოების პოლიტიკური მმართველობა გახდა. „არ მოტყუვდეთ და არ აჰყვეთ ცრუ პროპაგანდას, რომელსაც სურს ჩვენ (სამღვდელოება) გაგვრიყოს პოლიტიკიდან, საზოგადოებრივი საქმიანობიდან და ხელი შეგვიშალოს ბრძოლაში,“ მოუწოდებდა იგი მორწმუნეებს.

სწორედ ამ პერიოდში იქმნება ხომეინის მთავარი ნაშრომი, რომლის იდეებიც დაედო საფუძვლად ისლამური რესპუბლიკას. ეს ნაშრომი წარმოადგენდა ხომეინის ორი თეოლოგი სტუდენტის (კერძოდ ჯალალ ად-დინ ფარსისა და ჰამიდ რუჰანის) მიერ **1971 წ. ხომეინის ნაჯაფში წაკითხული ლექციების** ჩანაწერს და იყო ხომეინის პოლიტიკური აზროვნების რადიკალიზაციის ნაყოფი **1964 წ. ირანიდან** მისი გაძევების შემდეგ. სწორედ ამ ნაშრომშია ჩამოყალიბებული ველაიათ-ე ფაყიჰის კონცეფცია.

ხომეინიმ ამ ლექციებში მოახდინა სამღვდელოების თეოკრატიული ძალაუფლების პრინციპების სისტემატიზაცია და ველაიათ-ე ფაყიჰი გახდა 1979 წ. ირანის კონსტიტუციის საფუძველი.

„ისლამურ მმართველობაში,“[19] ხომეინი უკვე ამტკიცებდა, რომ ისლამი არა მარტო ეთიკური რელიგიაა, არამედ ყველა ის კანონი და პრინციპები გააჩნია, რომლებიც აუცილებელია მმართველობისა და სოციალური ადმინისტრირებისათვის. აქედან გამომდინარე, ისლამური მმართველობა არის ჭეშმარიტი კონსტიტუციური მმართველობა, რომელსაც ყურანი და ტრადიციები გააჩნია კონსტიტუციის სახით. იმის გამო, რომ ყურანსა და ტრადიციებში არ არის სპეციფიკური მითითება იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა იყოს მმართველი ოკულტაციის პერიოდში, შარი ათის სრულფასოვანი ამოქმედებისათვის აუცილებელია სოციალური წესრიგი. მუსლიმი გამგებელი უნდა იყოს სამართლიანი. შესაბამისად, მან ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს შარიათი, რათა მისი ქმედებები საღვთო კანონის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. ამ პირობებს აკმაყოფილებს მხოლოდ ფაყიჰი. იგი არის პიროვნება, რომელსაც ყველაზე მეტად ხელეწიფება მუსლიმური თემის მართვა – *ველაიათ-ე ფაყიჰი*. მან იგივე ფუნქციები უნდა იტვირთოს, რომელთაც იმამი ასრულებდა, თუმცა ბუნებრივია, მას ვერ გაუტოლდება. ამგვარ მმართველობაში არ არის ადგილი მეფეებისა თუ სხვა საერო ხელისუფალთათვის. „მონარქია და მემკვიდრეობა ის ორი რამ არის, რომლის წინააღმდეგაც აღდგა ჰუსაინი და რის გამოც დაიღუპა მოწამეობრივი სიკვდილით. მან უარი თქვა ეღიარებინა იაზიდის მეფობა, აჯანყდა და ყველა მუსლიმს იგივეს გაკეთება მოუწოდა.”

ხომეინი მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა კლერიკალური მმართველობის პრინციპების ჩამოყალიბებას და ფაყიჰთა უზენაესობის აღიარებას პოლიტიკის სფეროში: „ნათელია, რომ ფაყიჰები მბრძანებლობენ სულტნებზე. თუ სულტნები მუსლიმები არიან, ისინი უნდა დაემორჩილონ ფაყიჰს და მიმართონ მას კითხვებით კანონების შესახებ მათ განხორციელებამდე, ვინაიდან ჭეშმარიტი ხელისუფალნი სწორედ ფაყიჰები არიან. ამდენად, სუვერენობა ეკუთვნით ფაყიჰებს.”

ნაჯაფში ლექციების კითხვის დროს ხომეინი თანდათანობით აყალიბებდა თუ როგორი იქნებოდა პრაქტიკულად ისლამური მმართველობა. მაგრამ აცხადებდა, რომ ყურანის, ახბარებისა და შუა საუკენეების შიიტი ულემების იდეალი ფარული იმამის არყოფნის პერიოდში იყო არა მონარქია, არამედ ისლამური რესპუბლიკა, რომლის სათავეშიც იქნებოდნენ შიიტი ავტორიტეტები. ხელისუფლების ორგანოები სამი ჯგუფისაგან უნდა შედგებოდეს: გადაწყვეტილებათა მიღების ძირითადი ჯგუფი (სამეთვალყურეო საბჭო), სათათბირო (მეჯლისი) და აღმასრულებელი ჯგუფი. სამეთვალყურეო საბჭო საკანონმდებლო ხელისუფლების მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს და გამოსცემს ფეთვებს და ბრძანებულებებს, რომლებიც ეფუძნება შარიათს და სავალდებულოა დანარჩენი ორი ჯგუფისათვის. იგი ასევე აკონტროლებს სათათბირო და აღმასრულებელი ჯგუფების ბრძანებულებებსა და მითითებებს.

მეჯლისი საკანონმდებლო კრების თანმხვევ ფუნქციას ასრულებს. დეპუტატები აირჩევიან ხალხის მიერ. მას შეუძლია გამოსცეს კანონები, რომლებიც უპირობოდ უნდა შეესაბამებოდეს ყურანსა და საღვთო კანონებს. მესამე ჯგუფი კი მთავრობას ანდა მინისტრთა კაბინეტს წარმოადგენს.

---

19 ისიც აღსანიშნავია, რომ „ისლამური მმართველობის“ ენა ტექნიკური თვალსაზრისით იურიდიული და ტონით ელიტისტურია და შესაბამისად მის მკითხველთა რიცხვის შეზღუდული იყო. რაც შეეხება ხომეინის წერილებს და მოწოდებებს, ისინი ყველასათვის გასაგებ ენაზე იყო დაწერილი და მოსახლეობისათვის სამოქმედო პროგრამა ხდებოდა.

ხომეინი ხაზს უსვამდა ისლამის გლობალურ ხასიათს, მის ყოვლისმომცველობას: „ისლამი ერთიანი პროგრამაა საზოგადოების სხვადასხვა პრობლემების გადასაწყვეტად. ეს არის მმართველობისა და ადმინისტრირების ფორმა, ინდივიდთა შორის ურთიერთობათა რეგლამენტაცია, დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ხალხს შორის, ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და ყველა სხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხები... მეჩეთი ყოველთვის იყო დირექტივების გაცემისა და ხელმძღვანელობის ცენტრი." ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ქრისტიანობის ხომეინისეული შეფასება. იგი ქრისტიანობას აღიქვამს, როგორც ინდივიდის პიროვნული სულიერი კავშირის გამოხატულებას უზენაესთან: „არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისლამი გავს ქრისტიანობას. მხოლოდ სულიერი კავშირი ინდივიდსა და ღმერთს შორის არ არის საკმარისი... საპირისპიროდ ქრისტიანობისა, მეჩეთი არამარტო ღვთისმსახურების, არამედ სარწმუნოებისათვის მებრძოლთა ლაშქრის შექმნის ადგილიცაა, როგორც ეს იყო მოციქულის დროს." (Khomeyni,1988: 31).

მოსადეყის შემდეგ ხომეინი გახდა ირანის უახლეს ისტორიაში მეორე ქარიზმატული ლიდერი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ორი ტრადიციული ხელისუფლების ტიპის შერწყმით „ირანში ძალა შეიძინა არა ლეგალურ-რაციონალურმა ხელისუფლებამ, არამედ წარმოიქმნა სრულიად ახალი, ქარიზმაზე დამყარებული ხელისუფლება." (Chehabi, 1990: 19).

ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მცდელობებს არ მოჰყოლია შაჰის იმედების გამართლება და მოსახლეობის სრული ლოიალობის მოპოვება. 1975 წლის დეკემბრისათვის ნავთობის წარმოება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20%-ით შემცირდა. ყოველივე ამის შედეგად 1976/77 წლებში ბიუჯეტის დეფიციტმა 2,4 მილიარდ დოლარს მიაღწია. საბოლოო ჯამში გამოჩნდა, რომ შაჰის რეფორმები ხშირად არადაბალანსირებული და ნაჩქარევი ხასიათის იყო. ერთის მხრივ, იგი იწვევდა ტრადიციული სოციალური ურთიერთობების მომხრე ფენების (უპირველესად სამღვდელოებისა და ბაზრის ხალხის) უკმაყოფილებას, ხოლო მეორეს მხრივ, ვერ აკმაყოფილებდა ქალაქის უაღრესად სწაფი ტემპებით მზარდი მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ს. ჰანტიგტონი მართებულად შენიშნავს, რომ „წერა-კითხვის, განათლების გავრცელება და მედიის კონტროლიდან გამოსვლა ხელს უწყობს გაზრდილი მოთხოვნებისა და იმედების წინწამოწევას და თუკი ეს მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია, ახდენს ინდივიდთა და ჯგუფების პოლიტიკაში ჩაბმისათვის განწყობის გაზრდას." (Huntington: 1968: 189)

1977 წლისათვის ეკონომიკურმა რეცესიამ, ინფლაციამ, შემოსავლებს შორის უფსკრულის ზრდამ, ელიტის გამომწვევად დასავლური სტილის ცხოვრებამ, თავისუფლებებისა და მონაწილეობის შეზღუდვამ, უკიდურესად შეამცირა ოფიციოზის მიერ ნაქადაგები „დიადი ცივილიზაციის" მიღწევის რწმენა. სეკულარული ოპოზოციის წინააღმდეგ გატარებულმა ეფექტურმა ღონისძიებებმა გზა გაუხსნა რელიგიურ ოპოზიციას, რომლის ქადაგებებიც, პროცესიები და თეატრალიზებული მისტერიები, მაგალითად იმამ ჰუსაინის მკვლელობა ტირანების მიერ თანამედროვე ტირანიასთან გაიგივებულად აღიქმებოდა და ამის აკრძალვა შეუძლებელი იყო (იხ. მაგ., Fischer, 1980: ch. 6 და Akhavi, 1980: ch. 5-6).

ისლამური რევოლუცია

ერთი შეხედვით, 70-იანი წლების დასაწყისსა და შუა ხანებში თითქოს არ ჩანდა მომავალი სოციალური აფეთქების მკაფიო ნიშნები. მრავალი მაჩვენებლით ირანს ლიდერის პოზიცია ეკავა მესამე სამყაროში: განათლებისა და ურბანიზაციის მაღალი დონე, ლიდერის პოზიცია მეზობლებთან ურთიერთობაში, საერთო ეროვნული პროდუქტის მუდმივი და სწრაფი ზრდა (1973 წ-დან 1976 წ-მდე, „ნავთობის ბუმის" პერიოდში, იგი 50%-ზე მეტით გაიზარდა), განვითარებული ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები, სწრაფი ინდუსტრიალიზაცია (მოდერნიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა) აშკარად მაღლა აყენებდა ირანს მესამე სამყაროს სხვა ქვეყნებთან შედარებით. ირანის საშუალო კლასი ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვნად და კულტურულად მთელ მესამე სამყაროში (Bill, 1979/1980: 40). შაჰმა ისიც კი განაცხადა, რომ მისი გეგმის თანახმად, 1993 წლისათვის ირანი, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, საფრანგეთს გაუტოლდებოდა. „ნავთობდოლარების" უზომო რაოდენობით მოდინების პირობებში შაჰს განუმტკიცდა თავისი მეგალომანიაკალური ოცნების – გადაექცია ირანი „ახლო აღმოსავლეთის იაპონიად" – რეალობის რწმენა (Dabashi: 1989, 515). შაჰის დასავლელი აპოლოგეტები, თავის მხრივ, აკეთებდნენ პროგნოზს, რომ ირანი მომავალში პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი ინდუსტრიული სახელმწიფო გახდებოდა. 1977 წელს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა, სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე, წარმოადგინეს მსოფლიოს უმძლავრესი სახელმწიფოების მომავლის კომპლექსური

შეფასება. აშშ-ის, სსრკ-ის გფრ-ის, იაპონიის შემდეგ, მეხუთე ირანი იყო (Cline, 1977: 89). 1978 წელს კი ეს პოტენციურად მეხუთე „სუპერსახელმწიფო“ აფეთქდა.

საერთო ჯამში, „ისლამური რესპუბლიკის დაფუძნება მასობრივი მოძრაობის საფუძველზე 1979 წელს... არ იყო პროგნოზირებული მოდერნიზაციის ლიბერალური თუ მარქსისტული თეორიული მოდელებით“ (Benard & Khalilzad, 1979: 232) **და ამ მოვლენამ მსოფლიო სრულიად ახალი და ჯერარნახული** რეალობის წინაშე დააყენა. დასავლელებისათვის, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ გასულ, 1789, 1830, **1848 წლების რევოლუციებში დაენახათ ბურჟუაზიის გამარჯვება ტახტისა და ეკლესიის ალიანსზე**, ის, რაც ირანში მოხდა – შიიტური სამღვდელოების ალიანსი ბაზრის ბურჟუაზიასა და ინტელექტუალებთან „მოდერნიზატორი“ შაჰის წინააღმდეგ – წარმოუდგენელი და გაუგებარი იყო.

პრეზიდენტი კარტერი და შაჰი

მოსახლეობის უკმაყოფილების მკაფიო ნიშნები **1977 წლიდან გამოჩნდა. გაფიცვებმა მოიცვა ირა**ნის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა. ულემები იბრძოდნენ *დინ-ე დოულათის*, რეჟიმის მიერ მიღებული მათი თვალსაზრისით ანტიისლამური კანონების, დასავლური კულტურის შემოჭრის წინააღმდეგ. სტუდენტები უკმაყოფილონი იყვნენ სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტების კონტროლით. ფერმერები და გლეხები ხედავდნენ, რომ „თეთრი რევოლუციის“ დაპირებები რეალურად არ სრულდებოდა და ხელისუფლება უფრო მეტად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტზე ზრუნავდა, ვიდრე ადგილობრივი აგრარული სექტორის განვითარებაზე. მრავალი გლეხი ქალაქში ჩამოდიოდა და მშენებელი მუშა ხდებოდა, თუმცა ძირითადი დრო უმუშევარი იყო. რაც შეეხება ბიზნესს, მომსახურების სფეროსა და საშუალო კლასის უმრავლესობას, ისინიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მზარდი ინფლაციის და კორუფციის გამო.[20]

დასავლეთი, უპირველესად კი აშშ, საკმაო პასიურობასა და არაშორსმჭვრეტელობას იჩენდა ირანში შექმნილი სიტუაციის მიმართ. 70-იანი წლების პერიოდში ირანი აღიქმებოდა რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ქვეყნად და ასევე რეგიონში მშვიდობის ერთ-ერთ მთავარ გარანტად. რევოლუციის წინა ხანებშიც დასავლეთში არ მიიჩნევდნენ, რომ ირანს უახლოეს მომავალში რევოლუციური ძვრები ელოდა. **1978 წ. აგვისტოშიც კი ცსს ატყობინებდა კარტერს, რომ „ირანში არ არის რევოლუ**ციური, ან თუნდაც წინარევოლუციური სიტუაცია.“ (Carter, 1982: 438). **თავდაცვის დაზვერვის სააგენ**ტოს (DIA) ანალიზის თანახმად, შაჰის მმართველობა სტაბილური იქნებოდა მინიმუმ კიდევ ერთი ათწლეულის მანძილზე.[21] ასევე ოპტიმისტური ხასიათის იყო თეირანში აშშ-ის საელჩოდან მიღებული შეტყობინებებიც. ირანში აშშ-ის ელჩი სალივანი მიიჩნევდა, რომ „ჩვენი მოვალეობაა ვიმუშაოთ შაჰთან, რომელიც მზად არის თანხმობა განაცხადოს ჭეშმარიტად დემოკრატიულ რეჟიმზე და იგი შესაფერისი ფორმით იქნება დამკვიდრებული.“ პრეზიდენტი კარტერი 1977 წელს, როდესაც კრიზისის პირველი ნიშნები უკვე თვალსაჩინო გახდა, ირანს „სტაბილურობის კუნძულს“ უწოდებდა. რამდენი-

20 1968/69 წლიდან, საერთო ჯამში, ხელფასები გაიზარდა 6-ჯერ, რეალური შემოსავალი კი მხოლოდ 3-ჯერ.

21 აქვე გასათვალისწინებელია, რომ ცსს-ს ანალიზი ხშირ შემთხვევაში სავაქ-ისაგან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა.

მე თვეში კი ეს „სტაბილურობის კუნძული“ აფეთქდა. რევოლუციის დაწყების შემდეგაც აშშ-ის ოფიციალური პირები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ „არ არსებობდა შაჰის ალტერნატივა.“ კემპ-დევიდის მოლაპარაკებათა ცხელი დღეების დროსაც კი, 1978 წლის სექტემბერში, პრეზიდენტმა კარტერმა გამონახა დრო შაჰთან დასარეკად და დაარწმუნა იგი, რომ ვაშინგტონი აგრძელებდა მის მხარდაჭერას. 1978 წლის შაჰის წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ საპროტესტო მოძრაობაში კი უკვე აშკარად იკვეთებოდა რევოლუციური სიტუაციის ნიშნები. ისიც აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატების საელჩოში სულ რამდენიმე სპარსულად მოლაპარაკე დიპლომატი იყო და საელჩოს პირდაპირი კონტაქტი საერთოდ არ ჰქონია ისლამისტურ ოპოზიციასთან რევოლუციური მოძრაობის თითქმის დასასრულამდე (Kurzman, 2004: 145).

საერთო ჯამში, უნდა გამოიყოს 1977 წ. დასასრულსა და 1978 წლიდან კრიზისის განმაპირობებელი სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი: 1) შაჰის გადაწყვეტილება წასულიყო გარკვეულ დათმობებზე რეჟიმის საერთო ხასიათის შეუცვლელად; 2) რელიგიურ მოღვაწეთა გადაწყვეტილება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ შაჰთან. 3) მთავრობის სიჩქარე და დაუფიქრებლობა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისას.

შაჰის მრწამსი მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული მის უკანასკნელ, რევოლუციის ცხელ კვალზე დაწერილ თხზულებაში „ისტორია განსჯის“: „თუკი ჩვენ ერს სურს დარჩეს დინამიურ, პროგრესულ და თავისუფალ ერებს შორის, მისთვის არ არსებობს ალტერნატივა გარდა იმისა, რომ უარყოს საზოგადოების არქაული წყობა და დაუკავშიროს თავისი მომავალი დღევანდელობის ხედვისა და მოთხოვნების შესაბამის ახალ წესრიგს.“ (Pahlavi, 1980: 101). მაგრამ ეს იყო *მისი ხედვა* და *მისი მოთხოვნილებანი* – ხედვა პიროვნებისა, რომელსაც აღარ გააჩნდა საყრდენი ირანულ საზოგადოებაში. შაჰმა ამბიციური მიზანი დაისახა: მუსლიმურ სამყაროში ყველაზე ვესტერნიზებული სახელმწიფოსა და ერის ჩამოყალიბება, რაც იმდროინდელი ირანის სინამდვილეში განუხორციელებელ მიზანს წარმოადგენდა და რაც მისთვის ტრაგიკულად დასრულდა. ყველასაგან მიტოვებული შაჰი ჩივის, რომ უმძიმეს დღეებში, მას თითქოს ყველამ ზურგი აქცია და უპირველესი მოკავშირის, აშშ-ს პრეზიდენტისაგან, მიუხედავად არაერთი თხოვნისა, არავითარი ინსტრუქცია არ მიუღია.

> სიტუაციის კონტროლიდან გამოსვლის პირობებში ჯ. კარტერის მრჩეველი ზ. ბჟეზინსკი დაჟინებით თხოვდა პრეზიდენტს აეძულებინა შაჰი გამოეყენებინა სამხედრო ძალა წესრიგის აღსადგენად, მაგრამ ბჟეზინსკი თვითონვე აღნიშნავს: „კარტერი სკეპტიციზმს ამჟღავნებდა, როდესაც მე მას მუქ ფერებში ვუხატავდი ჩვენთვის მძიმე სტრატეგიული შედეგების სურათს, რაც მოჰყვებოდა ირანისა და შაჰის ტრაგედიას“ (Brzezinski, 1983: 382).

ისიც უეჭველია, რომ პასუხისმგებლობა რევოლუციის მიმდინარეობაზე და შედეგზე შაჰს ეკისრება. მას გააჩნდა ქვეყნის მართვის 37-წლიანი გამოცდილება. იგი სათავეში ედგა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს არმიას. მის განკარგულებაში იყო ყოველწლიურად ნავთობის გაყიდვისაგან შემოსული მილიარდობით დოლარი. ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი უცხოეთის სახელმწიფო მას მხარს უჭერდა თითქმის ბოლომდე – აშშ-ისა თუ ბრიტანეთის გარდა, სსრკ და ჩინეთიც (ირანში უკანასკნელი ოფიციალური ვიზიტით შაჰის დროს სწორედ ჩინეთის ლიდერი ჰუა გო ფენი ჩავიდა).

1975 წ. მარტში ირანში დაიშალა ყველა პოლიტიკური პარტია და გამოცხადდა პარტია „*რასთახიზ-ე მელი-ე ირან*“-ის (ირანის ეროვნული აღორძინება) შექმნა.[22] გენერალურ მდივნად დაინიშნა პრემიერი ჰოვეიდა. პარტიის წესდებასა და პროგრამას საფუძვლად დაედო „თეთრი რევოლუციის“ იდეები. შაჰმა „რასთახიზი“ ჩამოაყალიბა, როგორც მთელი ქვეყნის მომცველი პატრონაჟული ორგანიზაცია, რომელიც ანაწილებდა სამუშაო ადგილებს და მომსახურებას პარტიული სამუშაოს ფარგლებში, განსაკუთრებით საპარლამენტო ელექტორალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მაგრამ სულ რამდენიმე თვეში „რასთახიზმა“ შეცვლა დაიწყო და უფრო „ღია“ გახდა. შეიქმნა ფრთებიც პარტიის შიგნით, რაც შემდგომში პოლიტიკური დემოკრატიზაციის იმედს სახავდა. თუმცა, 1976 წლისათვის ამგვარი „დემოკრატია“ შაჰისათვის მეტად შორს წასული გამოდგა და მან მკაცრად განუსაზღვრა პარტიას ის პოლიტიკური ჩარჩოები, რომლის შიგნითაც იგი ტოლერანტობას გამოიჩენდა.

1977 წელს სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვის მიზნით შაჰის მიერ წამოწყებული ლიბერალიზაცია არ შეეხო პარტიას. როდესაც მისმა გენერალურმა მდივანმა გააკრიტიკა მთავ-

22 აღსანიშნავია, რომ „რასთახიზის“ პროგრამით შაჰს, ისე როგორც შემდგომში ისლამური კონსტიტუციით ქვეყნის უზენაეს ხელისუფალს (ხომეინის), რაჰბარი ეწოდებოდა.

რობა უსახლკაროების დარბევისათვის (რასაც მსხვერპლი მოჰყვა) გამოსახლებათა კამპანიის დროს 1977 წლის აგვისტოში, შაჰმა ის დაშალა.

საბოლოო ჯამში კი, 1977 წლის დასასრულიდან, როდესაც რევოლუციური განწყობა თანდათანობით რევოლუციურ ქმედებაში გადაიზარდა – ერთადერთი ეროვნული ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო პოლიტიკური მხარდაჭერა გაეწია შაჰისათვის, უკვე აღარ არსებობდა.

1973 წ. შაჰის ხელდასხმით შეიქმნა „ირანული პრობლემების შესწავლის ჯგუფი," რომელშიც შევიდნენ 2000-მდე პროფესორი და ინტელექტუალი. 1974 წ. ჯგუფმა სუვერენს წარუდგინა 60-გვერდიანი მოხსენება, რომელშიც ისინი ასკვნიდნენ, რომ „მნიშვნელოვანი კრიზისი გარდაუვალი იქნება და ისტორიული და სოციოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე, მასში დომინირებადი ფაქტორი შეიძლება რელიგია იყოს" (Nahavandi, 1995:88-89).

> 1978 წ. აპრილში გენერალმა ნასერ მოყადამმა, გენერალური შტაბის მეორე ბიუროს უფროსმა, კონფიდენციალური წერილი გაუგზავნა შაჰს, რომელშიც მოუწოდებდა „გაეწირა ქვეყნის საკეთილდღეოდ სამეფო ოჯახის, დედოფლისა და მისი ახლობლების წრეების წარმომადგენელი რამდენიმე ათეული კორუმპირებული პირი, წარემართა კონსტრუქციული დიალოგი უმაღლეს სამღვდელოებასთან." ამ ბიუროს ცსს-სთან მჭიდრო კავშირების გამო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს იყო ამერიკელთა გაფრთხილება.

შაჰმა პრაქტიკულად რევოლუციის წინა დღეს წამოიწყო ქვეყანაში საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალიზაციისაკენ მიმართული „გაუბედავი" ნაბიჯები. ამ ხანებში შაჰმა გააკეთა განცხადება მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეფორმების დაწყების შესახებ, რაც მოიცავდა პოლიტპატიმრების განთავისუფლებასაც. დამატებით, შაჰმა დააპატიმრა მრავალი ცნობილი კორუმპირებული სახელმწიფო მოხელე, მათ შორის სავაქ-ის შეფი.

1977 წელს ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ცენზურა (სწორედ ამ წელს დაიწყო საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ალი შარიათის თხზულებების გამოცემა). შესაძლოა, ეს იყო კარტერის მოწოდების შედეგი ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ. ამდენად, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ირანის რევოლუციის განხორციელების მიზეზთა შორის არის კარტერის ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკაც. ასევე დიდი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების (ემნესთი ენთერნეიშენალ, იურისტთა საერთაშორისო კომისია) ზეწოლაც. ცენზურის შესუსტებამ და ადამიანთა უფლებების ნაწილობრივმა დაშვებამ კი საშუალება მისცა რეჟიმით უკმაყოფილოებს ხმამაღლა გამოეთქვათ პროტესტი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შაჰის მოურჩენელმა დაავადებამ ლიმფათიკური კიბოთი შეასუსტა მისი „რკინის ხელის" ძალა. საზოგადოების ზეწოლის შედეგად, შაჰი ბოლოსდაბოლოს იძულებული გახდა 1977 წლის აგვისტოში გადაეყენებინა პრემიერ-მინისტრი ამირ აბას ჰოვეიდა, 2 ნოემბერს კი ჰოვეიდა და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნები დააპატიმრეს, თუმცა ახალი პრემიერის კაბინეტი თითქმის მთლიანად წინას იდენტური გამოდგა.

1977 წ. პრემიერმა ამუზეგარმა, რომელმაც ჰოვეიდა შეცვალა, ოფიციალურად აღიარა ინფლაციის არსებობა და მკაცრი ღონისძიებების გატარება დაიწყო. ასეთი ღონისძიება გახდა სამღვდელოებისათვის 25 მლნ. დოლარიანი სუბსიდიის მოხსნა, რამაც ასევე გაზარდა ულემთა უკმაყოფილება სახელმწიფოს მოქმედებების გამო.

1978 წლის იანვარში გაზეთ „*ეთელაათში*" გამოქვეყნდა წერილი ხომეინისა და სასულიერო წოდების ზოგიერთი სხვა წარმომადგენლის წინააღმდეგ. სტატიაში, რომელიც სამეფო კარის დაკვეთით დაიწერა და ინფორმაციის სამინისტროში მომზადდა, ხომეინი და მისი თანამოაზრენი მოხსენიებული იყვნენ „შავ რეაქციონერებად," ფეოდალიზმის, იმპერიალიზმისა და კომუნიზმის მქადაგებლებად (საინტერესოა, რომ სტატიის გამოქვეყნებაზე უარი თქვა შედარებით დამოუკიდებელმა გაზეთმა „*ქეიჰანმა*," რაც მკაფიოდ მიუთითებს იმ ხანებში ხელისუფლების უუნარობაზე საკუთარი ნებისათვის დაემორჩილებინა პრესა). სტატია ძირითადად გამოგონილ ფაქტებსა და უმნიშვნელო დეტალების გაზვიადებაზე იყო აგებული. მაგალითად, ანონიმი ავტორი ხაზს უსვამდა ხომეინის „უცხოურ" წარმომავლობას (ბაბუამისი მართლაც ინდოეთში იყო დაბადებული და ატარებდა გვარს ჰინდი). ხომეინის ბრალს დებდნენ, რომ იყო ბრიტანელთა ყოფილი აგენტი და პოეტი (ესეც სიმართლეს შეეფერებოდა და ამ ფაქტის ხსენება ოფიციოზს იმისთვის დასჭირდა, რომ ხომეინი დაემცირებინა ულემთა დიდი ნაწილის თვალში, რომლებიც ალმაცერად უყურებდნენ პოეზიას) (Moin, 1999: 186).

სტატიის გამოქვეყნებას უმალ მოჰყვა საპროტესტო დემონსტრაციები ყუმში. ქუჩებში გამოსული რელიგიური სასწავლებლების ათასობით სტუდენტი გმობდა „იაზიდის მთავრობას," მოითხოვდა მის-

გან ბოდიშის მოხდას, კონსტიტუციის სრულფასოვან ამოქმედებას და ხომეინის დაბრუნებას ქვეყანაში. პოლიციასთან შეტაკებების შედეგად არაერთი სტუდენტი დაიღუპა. მეორე დღეს კი პარიზში მყოფმა ხომეინიმ კიდევ უფრო მეტი გააქტიურებისაკენ მოუწოდა სტუდენტებს. ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა აიათოლამ, შარიათმადარიმაც დაგმო ხელისუფლების მიერ გამოყენებული ძალადობა.

ორმოცდღიანი გლოვის შემდეგ დემონსტრაციები განახლდა. თავრიზში პოლიციამ ისევ გაუხსნა ცეცხლი სტუდენტებს. მდგომარეობა თანდათანობით იძაბებოდა. დემონსტრანტები სულ უფრო ხშირად გაიძახოდნენ – „სიკვდილი შაჰს!“ იზრდებოდა მსხვერპლის რაოდენობა. 19 აგვისტოს, ტერაქტის შედეგად ქალაქ აბადანში კინოთეატრი აფეთქდა; დაიღუპა 400-ზე მეტი ადამიანი. ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს დებდა ბრალს ტერაქტის ორგანიზებაში. რამდენიმე წლის შემდეგ ჩატარებულმა გამოძიებამ თითქმის უეჭველად დაადგინა, რომ აფეთქებაზე პასუხისმგებელი იყო რადიკალური ისლამისტური ჯგუფი, რომელსაც კავშირი ჰქონდა სასულიერო წოდების ზოგიერთ წარმომადგენელთან (Axworthy, 2008: 256). თუმცა, იმ დროს, ცხელ კვალზე, უმრავლესობა (რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, რეჟიმის შენარჩუნების მომხრეებიც) უშიშროების სამსახურს – სავაქ-ს დებდა ბრალს. დაღუპულთა ნათესავებმა მსვლელობა მოაწყვეს ლოზუნგით „სიკვდილი შაჰს, ძირს ფაჰლავი!”

ამ ვითარებაში შაჰი იძულებული იყო ხელი აეღო სამღვდელოების წინააღმდეგ მიმართული კამპანიისაგან. ხელისუფლებაში მოვიდა მრავალი ახალი, სამღვდელოებისათვის უფრო მისაღები პირი. გარკვეულ ფარგლებში დაშვებული სიტყვის თავისუფლების შედეგად, ისეთი გაზეთები, როგორიც იყო ოფიციალური „ეთელაათი“ ანდა ნახევრადოფიციალური „ლიბერალური“ „ქეიჰანი,“ უკვე პირველ გვერდებზე აქვეყნებდნენ ხომეინის ფოტოებს. მთავრობამ მიიღო დადგენილებები სამორინეების და სხვა გასართობი დაწესებულებების დახურვის შესახებ, ირანული კალენდრის მუსლიმური კალენდრით შეცვლის თაობაზე და აგრეთვე ხაზი გაუსვა ისლამის კანონების დაცვისათვის მზადყოფნას. თუმცა, სამღვდელოება ამით არ კმაყოფილდებოდა და განაგრძობდა უფრო რადიკალური ცვლილებების მოთხოვნას.

1979 წ. იანვარი. ხომეინის მხარდამჭერთა დემოსტრაცია თეირანში

დემონსტრაციებს, რომლებშიც ძირითადად საშუალო კლასის წარმომადგენელი სტუდენტები და ბაზრის ხალხი მონაწილეობდა, თან დაერთო გაფიცვები და ქარხნების მუშების სხვა აქციები, რომელთაც შაჰის პოლიცია ძალადობრივი გზით ახშობდა. მალე აიკრძალა დემონსტრაციები და გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. თუმცა, საპროტესტო გამოსვლების ტალღის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. **8 სექტემბერს სამხრეთ თეირანის მუშათა უბნებში ბარიკადები აღიმართა. ხელისუფლებამ ამბოხებულთა** წინააღმდეგ ტანკები და ვერტმფრენები გამოიყენა. აჯანყებულები მათ მოლოტოვის კოქტეილებით დაუპირისპირდნენ. დამორჩილებაზე უარის შემდეგ, თეირანის ჟალეს მოედანზე შეკრებილები ჩაცხრილეს.[23] ეს დღე „შავი პარასკევის“ სახელით გახდა ცნობილი (რუსეთის 1905-06 წლების

23 ფრანგი ფილოსოფოსის, მიშელ ფუკოს, რომელიც იტალიური გაზეთისათვის აშუქებდა ირანში მიმდინარე მოვლენებს, შეფასებით, ჟალეს მოედანზე 4 ათასამდე კაცი დაიღუპა. თუმცა, „მოწამეთა ფონდის“ მონაცე-

რევოლუციის „სისხლიანი შაბათის“ ანალოგიით); ამბოხებულთა მოთხოვნა კი უკვე ერთ პუნქტამდე დავიდა – შაჰის გადადგომა (რასაც ხომეინი 1970 წლის შემდეგ ითხოვდა). „შავი პარასკევის“ შედეგად პრაქტიკულად აღარ დარჩა რაიმე სახის კომპრომისის მიღწევის საშუალება. მომდევნო კვირათა მანძილზე უნივერსიტეტებში დაწყებულმა გაფიცვებმა მოიცვა სანავთობო მრეწველობა, ბაზრები, კერძო და სახელმწიფო საწარმოები, ბანკები, რკინიგზა, პორტები და ასევე სამთავრობო უწყებებიც. მთელი ქვეყანა, ცენტრალური ხელისუფლების უპირველესი საყრდენის – დაგეგმარებისა და ბიუჯეტის უწყების ჩათვლით, გაფიცული იყო.

ასევე მალე გამოჩნდა, რომ ლიბერალიზაციის ღონისძიებანი მეტად შეზღუდული და ნაგვიანები იყო და ამდენად – არაეფექტური სიტუაციის განსამუხტავად. ლიბერალიზაცია ფაქტობრივად იძულებით ხასიათს ატარებდა და მან შაჰისათვის არასასურველი შედეგები მოიტანა. შაჰი დილემის წინაშე აღმოჩნდა: ან სრულიად უნდა შეეცვალა პოლიტიკა, ანდა ძველი გზა გაეგრძელებინა. ლიბერალიზაცია კი მას არაფერს სასიკეთოს არ უქადდა.

შაჰი ხაზს უსვამდა საკუთარ ურყევ რწმენას, რომ მისი, როგორც შაჰის, ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა იყო შეენარჩუნებინა რელიგია „იმ ადგილზე, რომელიც მას ეკუთვნოდა"; რელიგია კი, მისი სიტყვებით, იყო „სოციალური შენობის დუღაბი.“ თუმცა იგი არასოდეს ცდილა თანაბარპარტნიორული დიალოგი წამოეწყო უმაღლეს სამღვდელოებასთან. შაჰი ხშირად ახასიათებდა შიიტ სამღვდელოებას „შავ რეაქციონერებად“ და, შესაძლოა, შვეიცარიაში მიღებული განათლების გავლენით, ირანის მრავალ სოციალურ ინსტიტუციაში, ბაზრის ჩათვლით, ხედავდა შუა საუკუნეების გადმონაშთს, რომელიც უნდა აღეგავა პირისაგან მიწისა თანამედროვეობას. უფრო გვიან, 1979 წლის ზაფხულში, მექსიკაში თავშეფარებული შაჰი რევოლუციურ ხელისუფლებას აღწერდა, როგორც „შუა საუკუნეების მმართველობის გავლენის ქვეშ მყოფს“ (ციტ. Cole, 2002: 190).

ოქტომბერში ოპოზიციურმა ჯგუფებმა თანდათანობით დაიწყეს გაერთიანება ხომეინის გარშემო. „ეროვნული ფრონტისა“ და „განთავისუფლების მოძრაობის“ ლიდერები – ქარიმ სანჯაბი და მეჰდი ბაზარგანი პარიზში ჩაფრინდნენ ხომეინისთან შესახვედრად და მას მხარდაჭერა გამოუცხადეს. მძიმედ დაავადებული შაჰი (თუმცა, ეს საზოგადოებისათვის ცნობილი არ ყოფილა), მერყეობდა „რეპრესიებსა და კონცესიებს“ შორის – პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების გეგმის ჩათვლით. მან ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას და განაცხადა, რომ ესმის ხალხის მოთხოვნები, გამართავს თავისუფალ არჩევნებს და გამოასწორებს წარსულში დაშვებულ შეცდომებს.

1978 წ. 6 ნოემბერს შაჰი შეეცადა თავისი „უკანასკნელი კარტის გათამაშებას.“ მან რადიოთი მიმართა ერს: „მე ბევრი შეცდომა მომივიდა... მაგრამ მე კარგად მომესმა თქვენი რევოლუციის ხმა. მე მესმის, რომ მოვლენათა მდინარება უნდა შეიცვალოს. ამიერიდან მე ვალდებულებას ვიღებ დავიცვა კონსტიტუცია. მე ვთხოვ ჯარების გენერალური შტაბის უფროსს ხანმოკლე ვადით დროებითი მთავრობის შექმნას. ამ მთავრობამ უნდა აღადგინოს წესრიგი და შესაძლებელი გახადოს სამოქალაქო მთავრობის შექმნა“ (Nahavandi, 1995: 125). საგულისხმოა, რომ სიტყვა *რევოლუცია* პირველად სწორედ შაჰმა იხმარა და აღიარა, რომ კონსტიტუციას არღვევდა. სწორედ ამ დროიდან მოინათლა მოძრაობა რევოლუციად.

საერთო ჯამში, რეზა შაჰის მეფობის უკანასკნელი წელი პოლიტიკური შეცდომების უწყვეტი სერიაა. ალბათ სწორია შეხედულება, რომლის თანახმადაც „შაჰი დიდწილად საკუთარი ქცევისა და პოლიტიკის მსხვერპლი გახდა“ (Saikal, 1980: 208).

არაერთი მოსაზრება გამოთქმულა იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა რევოლუციისაგან თავის არიდება. მაგალითად, შაჰი უნდა უფრო დაუნდობელი ყოფილიყო ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში; მისი უმოქმედობა გამოწვეული იყო მძიმე ავადმყოფობით (კიბოთი დაავადებული შაჰი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სულ მალე გარდაიცვალა); მას უფრო ნაკლები ფული რომ დაეხარჯა უახლესი იარაღის შეძენაზე და სახსრები მიემართა სოციალური პრობლემების გადაწყვეტისაკენ; ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს ნაკლები ზეწოლა რომ განეხორციელებინათა მასზე; ცსს უფრო სერიოზულად რომ მოჰკიდებოდა ირანის საკითხს და ა.შ. მაგრამ რევოლუციური აფეთქება არ იყო განპირობებული უკანასკნელ მომენტში დაშვებული ამა თუ იმ პოლიტიკური შეცდომით. „მისი ვულკანისებური ამოხეთქვა მოხდა იმ განუზომელი ძალადობის გამო, რომელიც ათწლეულების მანიძილზე ხორციელდობოდა ირანულ საზოგადოებაზე. 1977 წლისათვის შაჰი ამგვარ ვულკანზე იჯდა და გაუცხოებული იყო საზოგადოების თითქმის ყველა სექტორისაგან.“ (Abrahamian: 2009, 155).

მებით, რომელსაც რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაევალა დაღუპულთა ოჯახებისათვის კომპენსაციის გაცემა, იმ დღეს სულ 84 ადამიანი დაიღუპა (იხ. Abrahamian, 2008: 159-60).

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ შაჰი არ ცდილა გამოეყენებინა არმია (ძირითადად შინაგანი ჯარების იმედზე იყო). თურქული სამხედრო გადატრიალებების ტრადიციებისაგან განსხვავებით, ფაჰლავიანთა დროს არმია დაცლილი იყო ნებისმიერი პოლიტიკური ამბიციისაგან. ირანის უძლიერესი არმია გარე და არა შინა პრობლემების გადაწყვეტაზე იყო მიმართული და, მუსტაფა ქემალის არმიისაგან განსხვავებით, არ გააჩნდა შიდაპოლიტიკური დანიშნულება.

თვითმხილველების ჩანაწერებიდან:

„ალყაში მოქცეულ პოლიციის შენობებს მოლოტოვის კოქტეილებს უშენდნენ და შემდეგ ამბოხებულები შიგნით იჭრებოდნენ. ერთ-ერთი შენობა პარლამენტის მახლობლად ბრბომ ალყაში მოაქცია და დაუშინა ცეცხლმოდებული საწვავით სავსე ბოLთლები. ცეცხლი სულ უფრო მატულობდა. პოლიციელები ან ნებდებოდნენ ან გარბოდნენ. ბრბო შეიჭრა შენობაში და დაარბია ის“ (Balta & Rulleau,1979: 92).

კონსტიტუციური რევოლუციიის და უფრო ადრინდელი ტრადიციული ირანული ამბოხებების მსგავსად, რევოლუცია იყო საზოგადოების აჯანყება სახელმწიფოს წინააღმდეგ. შაჰის პოლიტიკითა და ქვეყანაში არსებული სიტუაციით, როგორც აღმოჩნდა, უკმაყოფილო იყო ყველა. „არც ერთ სოციალურ კლასს არ გაუწევია წინააღმდეგობა რევოლუციისათვის. არც ერთ ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალას არ დაუცავს რეჟიმი“ (Katouzian, 1997: 49) **და ბოლოს, მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ დემონსტრაციებს (Katouzian & Shahidi, 2008: 3). ის შედარებითი სიადვილე, რ**ოგორითაც ისლამისტები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, უფრო მეტად განპირობებული იყო შაჰის რეჟიმის სისუსტით, ვიდრე წინარევოლუციურ ირანში რელიგიური გრძნობების მემკვიდრეობითი სიძლიერით. (Chehabi, 1997: 29).

შაჰის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. „შაჰის პრობლემა იყო ის, რომ ირანის მოსახლეობამ უარი თქვა მის მორჩილებაზე“ (Kurzman, 2004: 11). **შემოდგომის დასრულებასა და ზამთრის დად**გომასთან ერთად სულ უფრო მატულობდა გაფიცულთა რიცხვი. დეკემბერში ყაზვინში კიდევ ერთი სისხლიანი შეტაკება მოხდა, რომლის შედეგადაც **135 დემონსტრანტი დაიღუპა. 11 დეკემბერს, აშუ**რას დღეს, თეირანის ქუჩებში მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა. დედაქალაქში სრული ანარქია სუფევდა. ისედაც მოვლენებისგან განზე მდგომ არმიაში დეზერტირთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. ამ დროისათვის პრეზიდენტ კარტერის მხარდაჭერა შაჰისადმი უკვე აშკარად შემცირდა და მრავალმა ამერიკელმა დატოვა ირანი ამერიკულ ოფისებსა და საკუთრივ საელჩოზეც მიტანილი იერიშების შემდეგ. შაჰმა მთლიანად დაკარგა სიტუაციაზე კონტროლი. **1979 წლის 16 იანვარს მან ქვეყანა და**ტოვა. 1 თებერვალს კი ხომეინი ტრიუმფალურად დაბრუნდა თეირანში.



აიათოლა ხომეინი

ხომეინის სამ მილიონამდე ადამიანი დახვდა. აეროპორტიდან ის პირდაპირ ბეჰეშთ-ე ზაჰრას სასაფლაოსკენ გაემართა, რათა პატივი მიეგო „რევოლუციის ათი ათასობით მოწამისათვის.“ ახალი რეჟიმის განცხადებით, შაჰის წინააღმდეგ ბრძოლაში 60 ათასი ადამიანი დაიღუპა. თუმცა მსხვერპლის რაოდენობა სინამდვილეში **3 ათასს არ უნდა აღემატებოდეს** (იხ. მაგ., Abrahamian, 2009: 161). **ქუჩებში გამოსულები განუწ**ყვეტლივ გაიძახოდნენ – „ალაჰ აქბარ!“ და ასევე – „ხომეინი, ო, ემამ!”[24]

რევოლუციაში ჩაბმული იყვნენ სრულიად განსხვავებული მიზნების მქონე პარტიული და სოციალური ჯგუფები. რევოლუციას არ გააჩნდა პროგრამა. მას არ მეთაურობდა ავანგარდული პარტია ოქტომბრის რევოლუციისა თუ ჩინური რევოლუციის მსგავსად. რევოლუციური მოძრაობის უმთავრესი კატალიზატორი შაჰთან დაპირისპირება იყო. მოძრაობაში ჩაბმული მასებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ რა არ *უნდოდათ* – შაჰის მმართველობა, მაგრამ არ იცოდნენ, თუ რა *უნდოდათ*. ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული განზომილება ირანული რევოლუციისა იყო დომინირებადი ლოზუნგი **1978 წლის მიწურუ**ლიდან *მარგ ბარ შაჰ* – „სიკვდილი შაჰს.“ „ეს შეიძლება აღქმული იყოს მონარქიის დელეგიტიმაციის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ქვეყანაში,

24 შიიტურ მისტიციზმში *(ერფან)* იმამი *(სპ. ემამ)* და სრულყოფილი ადამიანი ერთი და იგივეა. არც ერთი ადამიანი მეთორმეტე იმამის შემდეგ არ წოდებულა იმამად. მრავალი უმაღლესი სასულიერო პირიც არასოდეს დათანხმებულა ხომეინისათვის იმამის წოდებაზე..

რომელშიც მონარქიის ისტორია ორ ათასწლეულზე გაცილებით მეტ ხანს ითვლიდა." (Halliday, 2000: 95-96). **რევოლუციის დღეებში გაიხსენეს, რომ იმამი ჰუსაინი ეწამა იმისათვის, რომ ისლამი გადაერ-**ჩინა დინასტიურ პრინციპზე დამყარებული მონარქიული რეჟიმისაგან.

რევოლუციაში მონაწილე ძალების თვალისმომჭრელ „მოზაიკაში," ამ „მღვრიე წყალში" კი „თევ-ზის დაჭერა" პოლიტიზებულმა სამღვდელოებამ შეძლო, რომლის რადიკალურ და საბოლოო ჯამში ტრიუმფატორ ფრთას, აიათოლა ხომეინი ედგა სათავეში.

თანამედროვე ირანში სამღვდელოების პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმის ახსნისას აუცილებლად გა-სათვალისწინებელია, რომ შიიზმს არ გააჩნია ეკლესია ამ სიტყვის სოციოლოგიური მნიშვნელობით. გან-საკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არ არსებობს მკაცრი და ცენტრალიზებული იერარქია. „კლერიკალუ-რი იერარქიის წესრიგი მისი უწესრიგობაა" (Chehabi, 1991: 69). **სწორედ ეს „უწესრიგობა" განაპირობებ-**და ირანის შიიტურ სამღვდელოებაში შიდა დაქსაქსულობას, რეალური სუბორდინაციის არარსებობას, შესაბამისად სასულიერო ლიდერების პოზიციათა არათამთხვევას რევოლუციის პირობებში. ამასთანავე, ზოგადად მოძრაობის უკიდურესი რადიკალიზაციის პირობებში, რომლის ანალოგიური არაერთი მაგა-ლითი არსებობს მსოფლიო ისტორიაში (გავიხსენოთ თუნდაც ბოლშევიკური პარტიის ზეასვლა რევო-ლუციურ რუსეთში), არ არის გასაკვირი, რომ მათ შორის ყველაზე რადიკალურმა და ალბათ არა ყვე-ლაზე მრავალრიცხოვანმა, მოახერხა ფაქტობრივად „ქუჩაში დაგდებული" ძალაუფლების სრული უზურ-პაცია. „ერთ-ერთი ნეგატიური ფაქტორი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ისლამის ოპოზიციის იდეოლოგიად გარდაქმნის საქმეში, იყო შაჰისა და მამამისის მიერ სეკულარული ოპოზიციის განადგუ-რება, რომელიც უმთავრეს როლს ასრულებდა უფრო ადრე" (Halliday, 1988: 46).

შიიტური სამღვდელოება ერთადერთი არასახელმწიფოებრივი სტრუქტურა იყო, რომელსაც სო-ლიდური ბაზა გააჩნდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომელიც ყველასათვის გასაგებ ენაზე ლაპარა-კობდა. რადიკალურმა სამღვდელოებამ, ხომეინის მეთაურობით, კი შესძლო ამ ხანებში მონარქიისადმი უარყოფითად განწყობილი მოსახლეობისათვის მისაღები და საკუთრივ სამღვდელოებისათვის ტრადი-ციული ფასეულობებისაგან პოლიტიკური პროგრამა ჩამოეყალიბებინა. ისლამური რევოლუციის შესა-ხებ კლასიკური ნაშრომის ავტორი დ. შეიეგანი აღნიშნულ პროცესს სამართლიანად უწოდებს „ტრა-დიციის იდეოლოგიზაციას," რომლის რეალიზებაც მეტად შთამბეჭდავად მოახდინა ისლამურმა რევო-ლუციამ (Shayegan, 1982: 179).

ირანული საზოგადოებრივი განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვი-რი, რომ „ირანში ისლამმა შეინარჩუნა ორიენტაციის მიცემის უნარი მოსახლეობის დიდ ნაწილზე, იმავ-დროულად კი სახელმწიფომ გააუქმა სამღვდელოების ეს „ერთპიროვნული დომინირება" და მოახდი-ნა ხელისუფლების ყველა ფორმის მონოპოლიზება, ისე რომ „ღრმად არ შეუღწევია საზოგადოებაში."

ზოგადად შიიტური მსოფლმხედველობა საკმაოდ ადვილად ადაპტირებადია რევოლუციის იდე-ისადმი: ესაა ისტორიის შიიტური ხედვა, მესიანიზმი, სოციალური სამართლიანობის მოთხოვნა, საერო ხელისუფლების უკანონოდ მიჩნევა, მოწამეობის კულტი. „ისტორიული განგრძობადობის" პრინციპი დაცული იყო ირანის რევოლუციის დროსაც. თავად ხომეინის სიტყვებით, „ირანელი ხალხი მე სიმბო-ლოდ მიმიჩნევს. მე ვლაპარაკობ მის ენაზე. მესმის მისი მოთხოვნები" (*Newsweek*, 06.11.1978). ხომეინის შემთხვევაში რელიგია გამოიყენება ქარიზმატულობის ლეგიტიმაციისათვის, ქარიზმა კი ადასტურებს რელიგიური დოგმის ჭეშმარიტებას. ირანში შექმნილ სიტუაციას ალბათ ზუსტად შეესაბამება თვალ-საზრისი, რომლის თანახმადაც ქარიზმატიული ლიდერი არის „კრიზისისა და ენთუზიაზმის პროდუქტი."

> მიშელ ფუკო, ისე როგორც უცხოელ დამკვირვებელთა და ირანელ ლიბერალთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მოხიბლული იყო „აიათოლების შემრიგებლური და ზომიერი დისკურსით." ის დარწმუნებული იყო, რომ შიიტურ სამღვდელოებას არ ჰქონდა მიზნად პოლიტიკის წარმართვა. „ისლამური მმართ-ველობა," მისი თვალთახედვიდან, იყო ის იდეალი, რომელიც გულისხმობდა „დაბრუნებას მოციქულის დროინდელი ისლამისკენ; და ასევე წისვლას ნათელი და შორეული მიზნისაკენ, როდესაც ზემოთქ-მულის განხორციელება შესაძლებელი გახდება ერთგულების და არა მორჩილების საფუძველზე..." „ამ იდეალის ძიებაში უნდობლობა კანონისადმი, ისლამის შემოქმედებითობის რწმენის საფუძველზე," მას არსებითად ესახებოდა. რელიგიური სტრუქტურები, ამ იდეალის თანახმად, აღარ იქნებოდა მხოლოდ „წინააღმდეგობის საყრდენი წერტილი, არამედ გარდაიქმნებოდა „პოლიტიკური შემოქმედების პრინ-ციპად." ისლამური მმართველობა ის მოძრაობაა, „რომელიც საშუალებას იძლევა პოლიტიკურ ცხოვ-რებაში სულიერი განზომილება ჩაერთოს; და ამით პოლიტიკური ცხოვრება დარჩეს არა სულიერე-ბის წინაღობად, როგორიც ყოველთვის იყო, არამედ გარდაიქმნას მის მიმღებად... მის ფერმენტად." სპარსეთმა, „რომელმაც გამოიგონა სახელმწიფო," ასევე გამოიგონა ისლამში „უსასრულო რესურსები სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი დასაპირისპირებლად." ჩნდება კიდევ ერთი კითხვა „დედამიწის ამ

> პატარა კუთხის [ირანის] შესახებ, რომლის მიწაც და ისიც, რაც მიწის ქვეშაა, მსოფლიო სტრატეგიული თამაშების ობიექტია. ამ მიწის მკვიდრნი ეძიებენ, საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი, იმას, რომლის არსებობის შესაძლებლობაც ჩვენ, ყველა დანარჩენმა, დავივიწყეთ რენესანსისა და ქრისტიანობის დიდი კრიზისების ხანებიდან მოყოლებული“ (Foucault, 1994: 688).[25]

ხომეინის არ გააჩნდა რევოლუციური ლენინისტური პარტია, მაგრამ მის ხელთ იყო დისციპლინირებული კადრები. მას არც პროგრამა ჰქონია მკაფიოდ ჩამოყალიბებული. მას შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ საკუთარი ქარიზმა, ისლამის გამარტივებული რიტორიკა, მოხუცი ბრძენკაცის დოგმატური სტილი, მოწინააღმდეგეების პოპულისტური მხილება.

რევოლუციის მიმდინარეობის პროცესში სამღვდელოება თანდათანობით სულ უფრო ნაკლებ ტოლერანტობას იჩენდა სეკულარული ევოლუციისა და და სამეფო კარის სკანდალების მიმართ. საერო წარმომავლობის ოპოზიციონერები უკვე მასობრივად ეძიებდნენ თავშესაფარს სამღვდელოებასთან, რომელსაც ქარიზმატიული ლიდერის, ხომეინის წყალობით, უკვე შეეძლო თამაშის საკუთარი წესების კარნახი.[26] ამგვარი კავშირი სულაც არ იყო ახალი ირანისათვის. მსგავსი ალიანსი უკვე არსებობდა მოსადეყის დროს, მაგრამ მაშინ ეროვნულ ფრონტსა და თუდეს მტკიცე პოზიციები გააჩნდათ. 1978 წელს კი მხოლოდ *ისლამურ მოძრაობას* შეეძლო დაპირისპირებოდა ფაჰლავიანთა იმპერიას. საერო ისლამიტები კი უფრო რეფორმებისაკენ, ვიდრე რევოლუციისაკენ იხრებოდნენ. ამასთანავე უკვე ცოცხალი აღარ იყო მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო, რევოლუციური განწყობის, უკომპრომისო და უაღრესად პოპულარული ალი შარიათი. საერო ისლამისტები, ისე როგორც სამღვდელოების ზომიერი წარმომადგენლები, არ თაკილობდნენ კომპრომისებზე წასვლას და მოლაპარაკებებს შაჰის ძალაგამოცლილ ხელისუფლებასთან. სამღვდელოების რადიკალურმა ფრთამ ხომეინის სახით კი კარგად გააცნობიერა, რომ შექმნილ ვითარებაში საზოგადოებისათვის მისაღები იქნებოდა მაქსიმუმის მოთხოვნა და ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდა სწორედ ის, ვინც არავითარ დათმობებზე არ წავიდოდა შაჰის ხელისუფლებასთან და მაქსიმალურად თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა შექმნილ სიტუაციას.

სწორედ ეს მაქსიმალური პრინციპულობა გახდა ირანში ისლამური სახელმწიფოს შექმნისა და სამღვდელოების ჰეგემონიის დამყარების მთავარი მიზეზი.

თითქმის ყველა საზოგადოებამ ისტორიულად გამიჯნა საერო და სასულიერო ხელისუფლება. როდესაც ეს დუალისტური სისტემა იშლება და რელიგიური ინსტიტუცია ითავისებს საერო ხელისუფლებასაც, პოლიტიკური სისტემა უკვე განისაზღვრება, როგორც თეოკრატია. მისი ყველაზე „განწმენდილი“ ფორმით „ღმერთი აღიარებულია უშუალო და პირდაპირ მმართველად, მისი კანონები კი საზოგადოების ერთადერთ ლეგალურ კანონდებლობად არის წარმოდგენილი და განხორციელებულია რელიგიურ პირთა, როგორც ღმერთის წარმომადგენელთა მიერ“ (Chehabi, 1991: 69).

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია თეორიულად სწორად ამ პრინციპზე, საღვთო მმართველობაზე იყო დამყარებული, რეალურად კი ითვალისწინებდა სამღვდელობის აბსოლუტურ ჰეგემონობას, რომელსაც სათავეში ყველასათვის უზენაესი ავტორიტეტი, იმამად წოდებული ხომეინი ედგა.

> რამდენად წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკა თეოკრატიას? თუ იმ მნიშვნელობით გავიგებთ, როგორც დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ დიდი ბრიტანეთი მონარქიაა, პასუხი უეჭველად დადებითი იქნება. მაგრამ თუ ამ შემთხვევაში ვიგულისხმებთ სახელმწიფოს, რომელსაც წინამძღოლობენ ეკლესია ან მღვდელთმთავრები, ისლამური სახელმწიფო არ არის და არც შეიძლება იყოს თეოკრატია. კლასიკურ ისლამში არ არსებობს სამღვდელოება, არც პრელატები, რომელთაც მმართველობის უნარი აქვთ და არც ძალა, რომ ზეგავლენა მოახდინონ მათზე, ვინც მართვას ახორციელებს. „მმარ-

25 ისლამური რევოლუციით „მონუსხვის“ გამო, ფუკო ისლამური სამყაროს ცნობილი სპეციალისტის მაქსიმ როდინსონის მძაფრი კრიტიკის ობიექტად იქცა (იხ. Rodinson, 1993: 264, 279, 301).

26 1978 წ. 6 ოქტომბერს შაჰის დაჟინებული მოთხოვნით ერაყიდან გააძევეს ხომეინი და ის საფრანგეთმა შეიფარა. ეს დიდი შეცდომა იყო შაჰის მხრიდან, ვინაიდან პარიზის სიახლოვეს, სოფელ ნოფლ-ლე-შატოში დამკვიდრებულ ხომეინის კომუნიკაციისა და თვითრეკლამის გაცილებით მეტი საშუალება ჰქონდა, ვიდრე ერაყში. ამ შეცდომის გაცნობიერების შემდეგ, შაჰი შეეცადა კომპრომისზე წასულიყო და გამოაცხადა, რომ ხომეინის უპრობლემოდ შეეძლო ირანში დაბრუნება. როგორც შაჰი, ისე საერო ისლამისტური ოპოზიცია, ემისრებს აგზავნიდნენ პარიზში ხომეინისთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ნებისმიერ კომპრომისზე და უარი თქვა ირანში დაბრუნებაზე, სანამ ქვეყანაში შაჰის ხელისუფლება არსებობდა. ხომეინი უკვე კარგად გრძნობდა, რომ პირობები შეეძლო თავად ეკარნახა.

თველობის ინსტიტუტის სათავეში, რომელიც ერთდროულად სახელმწიფოც იყო და ეკლესიაც, იდგა ხალიფა, რომელიც არც სამართლისმცოდნე და არც თეოლოგი არ ყოფილა, არამედ იყო პოლიტიკის და ზოგჯერ სამხედრო ხელოვნების პრაქტიკოსი“ (Lewis, B., 2002: 114). **აიათოლას ფუნქცია XIX საუკუნის** გამოგონებაა. უზენაესი სამართლისმცოდნე-იურისტის (ველაიათე ფაყიჰის) სტატუსი კი უკვე ხომეინის შემოქმედების ნაყოფია.

ისლამური რეჟიმის კონსოლიდაცია

1979 წლის რევოლუცია არ დაწყებულა, როგორც რელიგიური რევოლუცია (და რეალურად არც ყოფილა ამ სახის). ეკონომიკური სტაგნაცია და საშუალო კლასის იმედგაცრუება რეჟიმის კორუმპირებულობისა და რეპრესიულობის გამო, ამ მოვლენის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო, რასაც თან ერთვოდა შტატებთან არათანაბარპარტნიორული ურთიერთობების შედეგად ნაციონალისტური გრძნობების გაღვივება. მაგრამ რევოლუციამ დიდი ძალა შეიძინა ისლამის შიიტური მიმდინარეობიდან. მან ერთ მუჭად შეკრა და ერთიანი მიზნის გრძნობა ჩაუსახა სრულიად განსხვავებულ ელემენტებს – მათაც კი, რომელთა იდეოლოგიაც სულაც არ საზრდოობდა რელიგიით. ერთიანობის ამ რელიგიური ფორმის სიმბოლოდ კი ქარიზმატული ლიდერი, ხომეინი იქცა. სხვა მსოფლიო რევოლუციებისაგან, იგივე **1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციისაგან განსხვავებით, ირანის რევოლ**უცია მართლაც სახალხო რევოლუცია იყო. საბოლოო გამარჯვებისათვის კი სწორედ ფართო მასების არნახული აქტიურობა გახდა გადამწყვეტი.[27]

მეფობის მიწურულს შაჰმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი შაფურ ბახთიარი. ამ უკანასკნელმა შეიმუშავა ღონისძიებების პროგრამა, რომელთა მიზანი იყო კონსტიტუციური მმართველობის აღდგენა და მდგომარეობის სტაბილიზაცია, თავისუფალი არჩევნების ჩატარების ჩათვლით.[28] მაგრამ „ეროვნული ფრონტი“, რომლისთვისაც უკვე მიუღებელი იყო შაჰთან თანამშრომლობის ნებისმიერი ფორმა, განუდგა ბახთიარს და ხომეინიმაც მისი მთავრობა არაკანონიერად გამოაცხადა. 5 თებერვალს კი ხომეინიმ პრემიერად მისი იმდროინდელი მოკავშირე მეჰდი ბაზარგანი დანიშნა.

პრემიერ ბახთიარის განცხადებიდან რევოლუციის დღეებში:

„როდესაც ნებისმიერს შეუძლია *თქვას* ის, რაც სურს – ეს დემოკრატიაა, მაგრამ როდესაც ნებისმიერს შეუძლია *გააკეთოს* ის, რაც სურს – ეს უკვე ანარქიაა. ამქვეყნად არც ერთი მთავრობა არ დაუშვებს ამას.”

მალე ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტები, რომლებმაც არმიის დეზერტირებთან, თუდეს წევრებთან, ფედაიებთან და ზემოთნახსენებ ლათებთან ერთად დაიწყეს თავდასხმები რეჟიმთან ასოცირებულ შენობებზე, მათ შორის პოლიციის უბნებზე და სავაქ-ის პოლიტიკურ საპატიმრო ევინზე.

9-11 თებერვალს რევოლუციური დრამის უკანასკნელი აქტი გათამაშდა. ამბოხებულებმა აიღეს იმპერიული გვარდიის საჰაერო ძალების ბაზა, სამხედროებმა კი გააკეთეს განცხადება, რომ არმია არ იმოქმედებდა რევოლუციის წინააღმდეგ. (იხ. მაგ., Abrahamian, **1982: 526-529). 11 თებერვალს თეირა**ნის რადიოთი ისტორიული განცხადება გაკეთდა: „ეს არის ირანის ხმა, ხმა ჭეშმარიტი ირანისა, ხმა ისლამური რევოლუციისა“. დასრულდა 53-წლოვანი დინასტიისა და 2500-წლოვანი მონარქიის არსებობა.

ბახთიარი იძულებული გახდა გადამდგარიყო და დაპატიმრების საფრთხის გამო, მიმალულიყო. ორი თვის შემდეგ კი მან ფარულად დატოვა ქვეყანა.[29] რევოლუციონერებმა მთლიანად აიღეს ხელში ძალაუფლება. კომიტეტები აპატიმრებდნენ და სასიკვდილო განაჩენები გამოჰქონდათ ფაჰლავის რეჟიმის წარმომადგენლებისათვის. ხომეინი თვითონ ჩაუდგა სათავეში რევოლუციურ საბჭოს, რომელსაც კონტაქტები ჰქონდა კომიტეტებთან მოლების საშუალებით. ამგვარად რევოლუციის ლიდერი ცდილობდა გზიდან ჩამოეცილებინა ყველა ის, ვინც მისი თვალთახედვიდან საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის მომა-

27 ირანის მოსახლეობის 10 პროცენტზე მეტი მონაწილეობდა დემონსტრაციებსა და საყოველთაო გაფიცვებში. შედარებისათვის, მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი იყო ჩართული საფრანგეთის რევოლუციაში და 1 პროცენტზე ნაკლები საბჭოთა კომუნისტური სისტემის დამხობაში (Kurzman, 2004: VII).

28 ბახთიარი 1953 წლის შემდეგ არაერთხელ იყო დაპატიმრებული და მრავალი წელი გაატარა ციხეში.

29 ცხოვრების დანარჩენი ნაწილი ბახთიარმა საფრანგეთში გაატარა, საიდანაც ხელმძღვანელობდა „ირანული წინააღმდეგობის ეროვნულ მოძრაობას“ ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1991 წელს ის პარიზში, საკუთარ ბინაში მოკლეს. მისი მკვლელობის საქმე დღემდე გაუხსნელია.

ვალს. სეკულარისტები 1982 წლამდე უწევდნენ რელიგიურ ძალებს წინააღმდეგობას, სანამ სასულიერო წოდებამ არ მოახერხა პრაქტიკულად ტოტალურად დაემყარებინა საკუთარი კონტროლი ქვეყანაზე.

რევოლუციური კომიტეტები მთელი ირანის მასშტაბით შეიქმნა, მაგრამ თავდაპირველად ყველა არ ექვემდებარებოდა ხომეინის კონტროლს. განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდ.-დასავლეთში, სადაც სეპარატისტული მოძრაობებისა და მემარცხენეობის ძლიერი ტრადიცია არსებობდა. აქ რევოლუციურ ენთუზიაზმს ერთვოდა უფრო ფართო რეგიონული ავტონომიურობის მოთხოვნა.

ქურთისტანში სწორედ ამ მოთხოვნით დაიწყო ამბოხება. ხაზგასასმელია, რომ 70-იან წლებში შაჰი მხარს უჭერდა ქურთებს ერაყში ერაყის მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში, მაგრამ შაჰის ამ მხარდაჭერის მიზანი მხოლოდ ერაყის მთავრობის დაშანტაჟება და მისგან დათმობების მიღება იყო და არა ქურთების უფლებებზე ზრუნვა. ამგვარი დათმობების მიღების შემდეგ, მან ქურთები ბედის ანაბარა მიატოვა და ერაყის ხელისუფლებამაც სისხლში ჩაახშო მათი აჯანყება. ეს ეპიზოდი კიდევ ერთი სტიმული იყო ქურთული ნაციონალიზმისათვის, რომელიც ასევე საზრდოობდა უფრო ადრეული სეპარატისტული მოძრაობებიდან – 20-იან წლებში ქარიზმატული ლიდერის სიმკოს (სიმიტკუს) მეთაურობით და 40-იან წლებში ავტონომისტური აჯანყებიდან. ირანის მრავალრიცხოვანი ეთნიკური და რელიგიური თემებიდან, ქურთებს ყველაზე მეტად ჩამოყალიბებული ეროვნული იდენტობა აქვთ – მჭიდრო კავშირებით ერაყის, თურქეთისა და სირიის ქურთებთან. საბოლოოდ, ქურთების ამბოხი სასტიკად ჩაახშვეს, შესაძლოა უფრო მძიმე შედეგებითაც კი, ვიდრე 80-იანი წლების მიწურულის ერაყში.

> „ზოგჯერ სიტყვა უმცირესობა გამოიყენება ისეთი ხალხის აღსანიშნავად, როგორიცაა ქურთები, ლურები, თურქები, სპარსელები, ბელუჯები და სხვ. ამ ხალხებს არ უნდა ეწოდოს უმცირესობა, რადგანაც ეს ტერმინი გულისხმობს, რომ არსებობს განსხვავება ამ ძმებს შორის. ისლამში ამგვარი გამიჯვნისათვის ადგილი არ არსებობს. არავითარი სხვაობა არ არის მუსლიმებს შორის, რომლებიც ლაპარაკობენ სხვადასხვა ენებზე, მაგალითად, არაბებსა და სპარსელებს შორის... ალბათ უეჭველია, რომ ამგვარი პრობლემები შექმნილია მათ მიერ, ვისაც არ სურს, რომ მუსლიმური ქვეყნები გაერთიანდნენ... მათ შექმნეს ნაციონალიზმი, პანირანიზმი, პანთურქიზმი და სხვა მსგავსი იზმები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ისლამურ დოქტრინებს. მათ მიზანია ისლამისა და ისლამური ფილოსოფიის განადგურება."
>
> აიათოლა ხომეინი
> (წყარო: BBC, Summary of World Broadcasts,
> Middle East and Africa, 19.12.1979)

ჯერ კიდევ ირანში დაბრუნებამდე, ხომეინი მკაცრად აკრიტიკებდა შაჰის მემარცხენე ოპონენტებს. მარტში მან მიაღწია, რომ რეფერენდუმზე მოსახლეობის **97%-მა მოიწონა ისლამური რესპუბ**ლიკის შექმნა. მაისში კი ჩამოყალიბდა „რევოლუციის გუშაგთა კორპუსი" (*სეფაჰ-ე ფასდარან*), არმიის ძალის დასაბალანსებლად და როგორც დამატება ქუჩის ბანდებისა (ეს უკანასკნელი ღმერთის პარტიის – *ჰეზბოლას* – სახელით გახდა ცნობილი). მოსახლეობის ღარიბი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდებისაგან შეიქმნა მოხალისე *ბასიჯთა* რაზმები. ბასიჯები ისლამური რეჟიმის თავგადაკლული დამცველები გახდნენ. „გუშაგებთან" ერთად, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ერაყთან ომში. რეჟიმი მათ ასევე იყენებდა და იყენებს როგორც ოპოზიციის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებში, ისე ისლამური ნორმების დაცვის ზედამხედველობისათვის (მაგ., ქალებისათვის ჩადრის ტარების იძულება). ფაჰლავის ფონდის მთელი ქონება გადაეცა ახლადშექმნილ „ჩაგრულთა ფონდს" (*ბონიად-ე მოსთა'ზაფინ*), რომელიც რეჟიმის სოციალური პოლიტიკისა და პოლიტიკური პატრონაჟის სისტემის მატერიალური საყრდენი გახდა.

> ხაზგასასმელია, რომ ირანში, ლიბანისაგან განსხვავებით, არ არსებულა და არც არსებობს კონკრეტული პოლიტიკური თუ სამხედრო ჯგუფი, რომელიც ჰეზბოლას სახელს ატარებს. სხვადასხვა ინდივიდები თუ ჯგუფები ამ სახელს ხმარობდნენ საკუთარი ღრმა რელიგიურობისა და რევოლუციის მხარდაჭერის გამოსახატავად. 1979-1981 წლებში ხომეინის მომხრეები იყენებდნენ ამ სახელს სხვა ჯგუფებისაგან საკუთარი თავის გამოსაცალკევებლად და ველაიათ-ე ფაყიჰის კონცეფციის მოწინააღმდეგეებზე თავდასასხმელად. „ამ ტერმინის გამოყენება მიუთითებს, რომ მავანს სურს თავი წარმოაჩინოს რელიგიურ-რევოლუციონერ ინდივიდად, რომლის მიზანიცაა ისლამური რევოლუციის რელიგიური პრინციპების დაცვა." მაგალითისათვის, მეხუთე მოწვევის მეჯლისის (1996-2000) დეპუტატთა ნახევარი საკუთარ თავს *„მაჯმა'-ე ჰეზბოლას"* უწოდებდა, ხოლო მეორე ნახევარი – *„ჯამ'ე ჰეზბოლას."* ეს სახელწოდებები აჩვენებდა ფრაქციულ დანაწილებას – პირველები წარმოადგენდნენ მემარცხენეებსა და მოდერნისტ მემარჯვენეებს, ხოლო მეორენი – ტრადიციონალისტ მემარჯვენეებს. უკვე მოჰამად ხათა-

მის პრეზიდენტობის პერიოდში, **1999 წელს, სტუდენტების საპროტესტო მოძრაობის ჩახშობაში ბასიჯებთან** ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მებრძოლი ისლამისტები „ანსარ-ე ჰეზბოლას“ სახელით.

ჯერ კიდევ თებერვალში კიდევ ერთი მაკონტროლებელი ორგანო შეიქმნა – რევოლუციური ტრიბუნალები. მათ სათავეში რელიგიური მოსამართლეები ედგნენ. ისინი ასამართლებდნენ შაჰის ხელისუფლების ყოფილ წევრებს და ასევე ისლამური რეჟიმის ოპონენტებსაც. 1979 წლის ბოლომდე ამ ტრიბუნალების ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰოვეიდა, სავაქ-ის შეფი გენერალი ნასირი, მრავალი ყოფილი პარლამენტარი, სავაქ-ის ასობით აგენტი და არმიის ოფიცერი (Kurzman, 2004: 28).

ძველი რეჟიმის წარმომადგენლების მასობრივად სიკვდილით დასჯამ შოკში ჩააგდო ზომიერები და ლიბერალები (ბაზარგანის ჩათვლით), ისე როგორც ბევრი სხვა მსოფლიო მასშტაბით, ვინც მიესალმა შაჰის ავტორიტარული რეჟიმის დამხობას. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ხომეინი ამ თვალსაზრისით ზომიერებისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ შემდეგ დაყვა ახალგაზრდა რადიკალების ნებას, რომლებიც შურისძიებას მოითხოვდნენ წინა წლის მკვლელობებისათვის. სწორედ ახალგაზრდა ისლამისტი რადიკალები გახდნენ მისი იარაღი იმ მეტოქე ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც მონაწილეობდნენ რევოლუციაში.

შიიტური სამღვდელოება ალბათ არასდროს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ხომეინის უცხოეთიდან დაბრუნების მომენტში. მაგრამ ხომეინიც თითქოს არ ჯდებოდა უმაღლესი სამღვდელოების წრისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ჩარჩოებში. მის მიერ შექმნილი ისლამური რეჟიმი სწორედ მის ინდივიდუალურ ხედვაზე იყო დამყარებული და არა ტრადიციული შიიზმის დოგმებზე. რევოლუციის დასაწყისში რამდენიმე სხვა უმაღლესი სასულიერო პირიც აქტიურობდა, მაგრამ ისინი ხომეინის ჩამოსვლისთანავე მის ჩრდილში მოექცნენ. მათგან ყველაზე ცნობილი იყო აიათოლა სეიედ ქაზემ შარიათმადარი, რომელიც **1979 წელს უფრო ზომიერი პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა, მაგ**რამ ის სწრაფად გააჩუმეს; მისი ზოგიერთი მომხრე კი სიკვდილითაც დასაჯეს. ხომეინიმ მოგვიანებით შარიათმადარის ჩამოართვა მარაჯის წოდება, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა შიიზმის ისტორიაში. ველაიათ-ე ფაყიჰის პრინციპი უმაღლესი სამღვდელობის მრავალი წარმომადგენლისათვის კვლავაც საეჭვო ნოვაცია იყო და არაერთმა მათგანმა გაილაშქრა მის წინააღმდეგ 1980-1981 წლებში. თუმცა, მალე ისინი აიძულეს, რომ ასევე გაჩუმებლიყვნენ. ხომეინიმ და მისმა მიმდევრებმა თანდათანობით გაამყარეს თავიანთი კონტროლი ველაიათ-ე ფაყიჰის პრინციპზე დაყრდნობით, თუმცა არასოდეს მოუპოვებიათ ირანელი ულემების საყოველთაო მხარდაჭერა.

ისლამური ფასეულობების აღორძინებას, ულემების მოსამართლეებად დაბრუნების გარდა, მოჰყვა შარიათის საკანონმდებლო ნორმების აღდგენაც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საკანონმდებლო ნორმის შეზღუდვა მოხდა, შენარჩუნებული პრაქტიკები, მაგალითად ჩაქოლვა ცოლ-ქმრული ღალატისათვის (თუმცა ეს უკიდურესად იშვიათად გამოიყენებოდა), საერთაშორისო საზოგადოებრიობის მძაფრ კრიტიკას იწვევდა.

1979 წლის შემოდგომისათვის სულ უფრო თვალსაჩინო გახდა ზომიერებისა და ლიბერალების მარგინალიზაცია. ზაფხულში ხომეინიმ შექმნა „ისლამური რესპუბლიკური პარტია“ (ირპ)[30] და შემუშავდა კონსტიტუციის პირველი ვარიანტი. ბაზარგანის მონაწილებით შექმნილი ეს დოკუმენტი დიდწილად დე გოლის მეხუთე რესპუბლიკის მოდელს ემყარებოდა და ითვალისწინებდა ისეთი რესპუბლიკის დაფუძნებას, რომელიც „სახელწოდებით ისლამური იქნებოდა, მაგრამ შინაარსით დემოკრატიული.”

მარტის დასაწყისში, როდესაც ქვეყანა რეფერენდუმისათვის ემზადებოდა, აშკარად გამოიკვეთა, რომ არსებობდა უთანხმოება ხომეინისა და ბაზარგანს შორის. ბაზარგანის აზრით, რეფერენდუმზე გამოტანილ კითხვას, სურდა თუ არა მოსახლეობას *ისლამური რესპუბლიკის* შექმნა, უნდა დამატებოდა კიდევ ერთი კითხვა: სურდათ თუ არა *დემოკრატიული ისლამური რესპუბლიკის* შექმნა. ხომეინიმ უარი განაცხადა ამ კომპრომისზე შემდეგი არგუმენტის საფუძველზე: „ის, რაც ხალხს ჭირდება, არის ისლამური რესპუბლიკა და არა დემოკრატიული რესპუბლიკა ან დემოკრატიული ისლამური რესპუბლიკა. ნუ ახსენებთ დასავლურ ტერმინს „დემოკრატიული.“ ის, ვინც ამისაკენ მოუწოდებს, არაფერი იცის ისლამზე... ისლამს არ ჭირდება ისეთი ზედსართავები, როგორიცაა დემოკრატიული.

30 მაქს ვებერის სიტყვებით, „ჰიეროკრატიას არ რჩება სხვა გზა გარდა იმისა, რომ შექმნას პარტიული ორგანიზაცია და გამოიყენოს დემაგოგიური საშუალებები, ისე როგორც ნებისმიერმა სხვა პარტიამ“ (Weber, 1978: 1195).

სწორედ იმიტომ, რომ ისლამი ყველაფერია, ის ნიშნავს ყველაფერს. სიბრიყვეა ჩვენთვის, რომ სხვა რაიმე სიტყვა დავუმატოთ სიტყვა ისლამს, რომელიც სრულყოფილია."[31]

რეფერენდუმზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისლამური რესპუბლიკის შექმნის იდეას მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ამგვარად, მყარი ნიადაგი შეიქმნა 73-წევრიანი „ექპერტთა საბჭოს" არჩევნებისათვის (*მაჯლეს-ე ხობრეგან*). კანდიდატები გაიცხრილა ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური მეჩეთის უწყების, იმ დროისათვის ახლად შექმნილი თეირანის მებრძოლი სამღვდელოების საზოგადოების (*ჯამე'ე-იე რუჰანიან-ე მობარეზ-ე თეჰრან*) მიერ და არ არის გასაკვირი, რომ „ექპერტთა საბჭოში" მთლიანად ხომეინის მიმდევრები დომინირებდნენ: „საბჭოში" შევიდა 15 აიათოლა, 40 ჰოჯათოლესლამი და 11 ხომეინის მომხრე საერო პირი.[32]

კონსტიტუციის პირველი, „ბაზარგანისეული" ვარიანტი თითქმის ძირეულად შეიცვალა „ექპერტთა საბჭოს" მიერ. საბოლოოდ, კონსტიტუციამ მიიღო ის სახე, რომლითაც დღემდე მოქმედებს და რომელიც ასახავს ველაიათ-ე ფაყიჰის ხომეინისეულ ხედვას: მთავრობა სეკულარული უნდა იყოს, მაგრამ ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას საბოლოო სიტყვა ისლამურ ხელისუფლებას ეკუთვნის. თუმცა, კონსტიტუციაში შენარჩუნდა ბაზარგანის იდეების ნაწილიც. კონსტიტუცია „წარმოადგენდა ჰიბრიდს... რომელშიც შერწყმული იყო ღმერთის და ადამიანის, უფლებები, თეოკრატია და დემოკრატია... კლერიკალური ხელისუფლება და სახალხო სუვერენიტეტი" (Abrahamian, 2009: 163-64). კონსტიტუციით განისაზღვრა პრეზიდენტის, მეჯლისის, მუნიციპალური ორგანოების არჩევითობა, მაგრამ ასევე დამყარდა „ზედამხედველთა საბჭოს" პრეროგატივა, რომელიც შედგებოდა სამღდელოების 12 წარმომადგენლისაგან. ამ საბჭოს უნდა მოეწონებინა ნებისმიერი კანდიდატურა, სანამ ის საარჩევნო კამპანიას დაიწყებდა, ასევე ვიზირება მიეცა მეჯლისის მიერ მიღებული ნებისმიერი კანონისათვის ან დაეწუნებინა ეს კანონი. საბოლოო ჯამში, კონსტიტუციამ დაადასტურა ხომეინისა და მისი თანამოაზრეების ჰეგემონია. ხომეინის (შემდგომ კი მის მემკვიდრეს) ჰქონდა უფლება დაენიშნა ზედამხედველთა საბჭოს ნახევარი, მოეწონებინა პრეზიდენტის არჩევა, დაენიშნა რევოლუციის გუშაგთა კორპუსისა და შეიარაღებული ძალების მეთაურები.

კონსტიტუციის ამოსავალი წერტილი გახდა ხომიენის ველაიათ-ე ფაყიჰის კონცეფცია, რომლის თანახმადაც, მეთორმეტე იმამის არყოფნის პირობებში, მუსლიმური თემისათვის (შესაბამისად სახელმწიფოსათვის) სასულიერო პირებს უნდა ეხელმძღვანელათ. ქვეყნის უზენაესი წინამძღოლი, ბელადი (რაჰბარი) კი უნდა გამხდარიყო ყველაზე მაღალი ავტორიტეტის მქონე სასულიერო პირების მიერ არჩეული რელიგიური მოღვაწე. ბუნებრივია, ამგვარი პიროვნება შექმნილ ვითარებაში სწორედ აიათოლა ხომეინი იყო. ამდენად, ხომეინის ისლამური მმართველობის კონცეფცია შეიძლება „ხალხისთვისაა," მაგრამ უეჭველად არაა დემოკრატიული (Takyeh, 2006: 15).

აიათოლა ხომეინის გამონათქვამებიდან:

„სამღვდელოების ხელისუფლება მუსლიმთათვის ღვთისგან ბოძებული საჩუქარია." „კონსტიტუციის საუკეთესო პრინციპს წარმოადგენს სამღვდელოების ხელისუფლება." „ხალხს არ შეუძლია წინ იაროს წინამძღოლის გარეშე." „ვარწმუნებ მთლიანად ხალხს, მთლიანად შეიარაღებულ ძალებს, რომ თუ ისლამური სახელმწიფოს მმართველობის სადავეები სამღვდელოების ხელში იქნება, ქვეყანას არ მიადგება არანაირი ზიანი." „საღვდელოების ხელისუფლება დიქტატურის საპირწონეა. თუ არ იარსებებს სამღვდელოების ხელისუფლება, მაშინ წარმოიქმნება დიქტატურა" (Хомейни, 1995).

ქვეყნის მეთაურად ითვლება საყოველთაო არჩევნების საფუძველზე 4 წლით არჩეული პრეზიდენტი,[33] რომლის ხელისუფლება, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეზღუდულია (მაგ., რაჰბარი განაგებს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს და ნიშნავს არმიის მთავარსარდალს). ირანის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს მეჯლისი – პარლამენტი, რომლის მაკონტროლებელი ორგანო, თავის მხრივ, ისლამური ზედამხედველობის საბჭოა. ამ უკანასკნელმა უნდა შეამოწმოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების შესატყვისობა ისლამის ნორმებთან და, შესაბამისად, დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს კანონები (იხ. მაგ., Schirazi, 1997).

---

31 ორიანა ფალაჩის ინტერვიუდან ხომეინისთან. *NYT*, 07.10.1979.

32 1989 წელს „ექსპერტთა საბჭოს" წევრთა რიცხვი 89-მდე გაიზარდა.

33 პრეზიდენტობა შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით, მაგრამ ყოფილ პრეზიდენტს, ერთი საპრეზიდენტო ციკლის გამოტოვების შემდეგ, ისევ შეუძლია საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის დაყენება.

ხომეინი, ბაზარგანი და ბანი სადრი

ხელისუფლების ამგვარი „გაორება“ და მაკონტროლებელი ორგანოების სიმრავლე იყო და დღესაც არის ირანის პოლიტიკური ცხოვრების სპეციფიკური ნიშანი. ეს ხშირად იწვევს ფრაქციულ ბრძოლას ხელისუფლების სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში პარალელურ ორგანოებს შორის და აყოვნებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების დროულად მიღებასა თუ ეფექტურ გატარებას.

კონსტიტუციასთან დაკავშირებული კონფლიქტი იყო ხომეინისა და მისი მომხრეების მიერ ბაზარგანის სეკულარული მთავრობის თანდათანობითი დაქვემდებარების პროცესის გამოხატულება. ბაზარგანის მთავრობაში შედიოდნენ მოსადეყის „ეროვნული ფრონტის“ ვეტერანები და პრემიერის თანამოაზრეები „განთავისუფლების მოძრაობიდან“, მეორე მხარეს კი იდგა ისლამური ხელისუფლება, რომელიც შექმნილ პირობებში პრაქტიკულად უმოქმედოდ ტოვებდა მთავრობას. ბაზარგანი იმავე ორიანა ფალაჩისათვის მიცემულ ინტერვიუში ჩიოდა: „თეორიულად, მთავრობას ეკისრება ქვეყნის მართვა, მაგრამ სინამდვილეში ამას ხომეინი აკეთებს, თავის რევოლუციურ საბჭოსთან, კომიტეტებთან ერთად და თავისი კავშირებით მასებთან... მათ მე დანა მომცეს ხელში, მაგრამ ის მხოლოდ ცალი მხარით არის გალესილი, სხვებს კი ორლესული დანები უჭირავთ (*NYT*, 07.10.1979).

რევოლუციის შემდეგ ბაზარგანის ნაციონალიზმი არ შეიძლება წინააღმდეგობაში არ მოსულიყო ხომეინის იდეებთან. თუ ბაზარგანის უნდოდა „ისლამი ირანისათვის“, ხომეინის ნააზრევში იკვეთებოდა „ირანი ისლამისათვის“.

ადამიანი, რომელიც ისლამური რესპუბლიკის პირველი პრემიერი გახდა **1979 წლის თებერვალ**ში, თანამედროვე და ლიბერალი მუსლიმი იყო, მაგრამ ჩანს რომ სათანადოდ არ აფასებდა იმ უზარმაზარ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც აღელვებდა ირანს.

ზაფხულში შეიზღუდა პრესის თავისუფლება. ჰეზბოლას წევრები თავდასხმებს აწყობდნენ გაზეთებისა და პოლიტიკური პარტიების ოფისებზე. დაიხურა 40 გაზეთი. ორი ყველაზე მნიშვნელოვანი – „ეთალაათი“ და „ქეიჰანი“ – „ბონიად-ე მოსთაზაფინის“ კონტროლის ქვეშ გადავიდა. იმავდროულად უშიშროების სამსახური სავაქი, სამეთაურო კორპუსის განადგურების შემდეგ, ისლამური სახელმწიფოს იარაღად იქცა (ისე როგორც ევინის ციხე). 1984 წელს მას ეწოდა დაზვერვისა და უშიშროების სამინისტრო (*ვეზარათ-ე ეთელა'ათ-ე ჯომჰური-ე ესლამი-ე ირან*).

1979 წლის ნოემბერში, იმ ცნობების საფუძველზე, რომ შაჰს უფლება მიეცა სამკურნალოდ ჩასულიყო შტატებში (ის მალე, 1980 წლის ივლისში გარდაიცვალა ეგვიპტეში), „იმამის (ხომეინის) კურსის მიმდევარი სტუდენტების“ ასოციაციამ მძევლად აიყვანა თეირანში აშშ-ის საელჩოს პერსონალი. რეჟიმს მოსახლეობის რადიკალიზაციისათვის კრიზისი სჭირდებოდა და ასეთი გახდა მძევლების ისტორია, რომელიც 444 დღე გაგრძელდა. საბოლოოდ, 57-ვე მძევალი გაათავისუფლეს, მაგრამ ყოველივე ეს ირანს დაუჯდა აშშ-თან ურთიერთობების უკიდურესად გამწვავებად (რაც დღემდე გრძელდება), ასევე ქვეყანას საერთაშორისო არენაზე შეუქმნა არაპროგნოზირებადი ექსტრემისტული სახელმწი-

ფოს იმიჯი. თავის მხრივ, მძევლების კრიზისმა დიდწილად განაპირობა პრეზიდენტ კარტერის სრული ფიასკო შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში 1980 წელს (იხ. მაგ., Houghton, 2001).

თავდაპირველად, შეიქმნა აზრი, რომ ეს კიდევ ერთი დემონსტრაცია იყო, მაგრამ როდესაც ხომეინიმ მხარი დაუჭირა სტუდენტებს მძევლების კრიზისში, ბაზარგანმა და „განთავისუფლების მოძრაობის" სხვა წევრებმა თანამდებობები დატოვეს. 1980 წელს პრეზიდენტად არჩეული აბოლ-ფაზლ ბანი სადრი წელიწადნახევრის მანძილზე ყველანაირად ცდილობდა მოენახა გამოსავალი მძევალთა კრიზისიდან, ასევე აღედგინა კანონიერება და სეკულარული ხელისუფლების ქმედითუნარიანობა. მაგრამ ბაზარგანის მსგავსად, მისი მცდელობაც წარუმატებელი გამოდგა და 1981 წელს ხომეინიმ ის გადაყენა. ბანი სადრსაც ფარულად მოუწია ქვეყნის დატოვება. ახალი პრეზიდენტი კი 1981 წლის 2 აგვისტოს კიდევ ერთი სამოქალაქო პირი, ალი რაჯაი გახდა. ის სულ მალე, 20 აგვისტოს, ტერაქტის დროს დაიღუპა პრემიერ-მინისტრთან ერთად. ტერაქტის მოწყობა მოჯაჰედინებს მიეწერებათ. ახალი პრეზიდენტი ამჯერად უკვე სასულიერო წოდების წარმომადგენელი ალი ხამენეი გახდა.

ხომეინიმ მძევალთა კრიზისი გამოიყენა რევოლუციური აღტკინების შესანარჩუნებლად და ოპოზიციონერთა წინააღმდეგ. მისი ბრძანებით დაიწყო იმ საჯარო მოხელეების დევნა, რომლებზეც ეჭვი მიიტანეს სეკულარულ და ანტირევოლუციურ განწყობებში. დაიხურა უნივერსიტეტები მემარცხენე და ანტორევოლუციური ელემენტებისათვის ასპარეზის შესაზღუდად (მათი ხელახალი გახსნა და ისიც ნაწილობრივ, მხოლოდ 1982 წელს განხორციელდა), კომიტეტები და ჰეზბოლას წევრები ქალებს ჩადრის ტარებას აიძულებდნენ (გავიხსენოთ, რომ რეზა შაჰი, 30-იან წლებში პირიქით, ტარებას უკრძალავდა).

კრიზისი კიდევ უფრო გამძაფრდა პრეზიდენტ კარტერის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ გაეთავისუფლებინა მძევლები 1980 წლის აპრილში. მძევლების კრიზისის გამო მიღებული დამცირება, მათი განთავისუფლების წარუმატებელი ოპერაცია, რიგითი ამერიკელების ირანისადმი უარყოფითი განწყობის წყაროდ იქცა, რაც დღემდე გადაულახავია (მძევლების კრიზისი 1981 წლის იანვარში, კარტერის მიერ თეთრი სახლის დატოვებისთანავე დასრულდა). ირანელთა უმრავლესობა, მათ შორის ისინიც, ვინც მხარს უჭერდა იმ დროს ამ აქციას და მონაწილეობდა მასში, დღეს ამას დიდი შეცდომად მიიჩნევს.

რევოლუციის პირველ წლებში ხომეინიმ არაერთი მნიშვნელოვანი მეტოქე, როგორც შინა, ისე გარე, ჩამოიშორა. ტერორი და რეპრესიები რეჟიმის განუყოფელი ნაწილი გახდა. ხომეინი დარწმუნებული იყო, რომ არ უნდა მიეცა მტრებისათვის ინიციატივის ხელში აღების საშუალება. მან მიზანმიმართულად გაანადგურა ოპონენტთა უმრავლესობა.

> თავდაპირველად, ხომეინი თვითონაც ამბობდა, რომ სამღვდელოებას არ უნდა მინიჭებოდა მთავარი როლი ახალი რეჟიმის პირობებში. მძევლების აყვანისა და ახალი კონსტიტუციის რეფერენდუმის საფუძველზე რატიფიკაციის შემდეგაც (1979 წლის დეკემბერი), მან მხარი დაუჭირა ბანი სადრის პრეზიდენტად არჩევას. კლერიკალიზაცია დაიწყო უფრო გვიან, ალი ხამენეის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ (Richard, 2006: 338).

ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე მოჯაჰედებისა და ერაყის ახალი პრეზიდენტის სადამ ჰუსაინისაგან მოდიოდა. ხომეინიმ მოჯაჰედებს 1980 წლის ნოემბერში შეუტია (ისინი მონათლა სახელით *მონაფეყინ* (მოღალატეები) – ტერმინი გამოიყენებოდა მათ აღსანიშნავად, ვინც თავდაპირველად ერთგულება გამოუცხადა, ხოლო შემდეგ უღალატა მოციქულ მუჰამადს). მათი ლიდერი ათი წლით ჩასვა ციხეში საბჭოთა კავშირის აგენტობის ბრალდებით. ჰეზბოლას წევრები კი თავს ესხმოდნენ ორგანიზაციის ოფისებს. მოჯაჰედები გააფთრებით იცავდნენ თავს – დემონსტრაციებით, ქუჩაში არეულობების მოწყობით, ბოლოს ტერაქტებითაც და ხომეინის მრავალი მომხრე გაანადგურეს, სანამ მათი ლიდერები უცხოეთში არ გადაიხვეწნენ. 1981 წლის ივნისში ირპ-ს შტაბბინაში აფეთებულმა ბომბმა ხომეინის 70-ზე მეტი მთავარი მომხრე და მიმდევარი იმსხვერპლა, მათ შორის იყო მის მარჯვენა ხელად მიჩნეული აიათოლა ბეჰეშთი. ამ ბრძოლას ათასობით მოჯაჰედიც შეეწირა. მრავალი მათგანი საჯაროდ დასაჯეს სიკვდილით ან დააპატიმრეს. საბოლოოდ, მოჯაჰედების უმატესი ნაწილი ერაყში დამკვიდრდა და ბაასისტური რეჟიმის ინტერესების სამსახურში ჩადგა.

ავტონომისტური გამოსვლების ჩახშობის შემდეგ ირანის აზერბაიჯანსა და ქურთისტანში (თუმცა, ქურთისტანის დემოკრატიული პარტია ლოკალურ ბრძოლებს 1984 წლამდე აგრძელებდა), ერთადერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც არ იზიარებდა ხომეინისა და მისი მომხრეების პოზიციებს, იყო პროკომუნისტური თუდე, რომელსაც მრავალი ფედაიც შეუერთდა. ისინი რევოლუციის დროს მხარს უჭერდნენ ხომეინის, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს იყო წვრილბურჟუაზიული რევოლუცია, რომელსაც

სოციალისტური რევოლუცია უნდა მოჰყოლოდა. 1983 წელს ხომეინიმ მძაფრად შეუტია თუდეს, ბრალი დასდო მის წევრებს საბჭოთა აგენტობაში და ისლამური რეჟიმის დამხობის შეთქმულების მზადებაში. პარტიის 70 ლიდერი დააპატიმრეს. დაპატიმრებებს მოჰყვა სატელევიზიო აღიარებები და რამდენიმე საჯარო სიკვდილით დასჯა. თუდეს და ფედაების მოღვაწეობა აიკრძალა. პოლიტიკურ ასპარეზზე ორად ორი ძალა დარჩა – ირპ და „განთავისუფლების მოძრაობა", ეს უკანასკნელი – შეთხელებული რიგებითა და მოქმედების უკიდურესად შეზღუდული შესაძლებლობებით.[34]

ხომეინისტები მთლიანად დომინირებდნენ ქვეყანაში. უზომოდ გაიზარდა ბიუროკრატიული აპარატი – 1979 წელს 20 სამინისტრო არსებობდა და 304 ათასი საჯარო მოხელე იყო, ხოლო 1982 წელს მათმა რაოდენობამ შესაბამისად 26-ს და 850 ათასს მიაღწია (საჯარო მოხელეთა რიცხვმა 2004 წლისათვის მილიონს გადააჭარბა). ახალ სამინისტროებს და უწყებებს შორის იყო დაზვერვისა და უშიშროების, რევოლუციის გუშაგების, უმაღლესი განათლების, აღმშენებლობის ჯიჰადის და ისლამური დამოძღვრის. 1979 წელს კი ბაზარგანი ხმამაღლა მოითხოვდა ბიუროკრატიისაგან, როგორც ფაჰლავიანთა რეჟიმის მთავარი ნაშთისაგან, განთავისუფლებას.

სამინისტროების გარდა, შეიქმნა არაერთი ნახევრადრელიგიური ფონდი. ზემოთ ნახსენებ „ბონიად-ე მოსთაზაფინს" (რომელსაც ერაყთან ომის შემდეგ ეწოდა *ბონიად-ე მოსთა'ზაფინ ვა ჯანბაზან*), ორი ცენტრალური გაზეთის გარდა, 80-იანი წლების მიწურულს დაახლ. 80 მლრდ. აშშ დოლარის ქონება ეკუთვნოდა – 140 ქარხანა, 470 სასოფლო-სამეურნეო საწარმო, 100 სამშენებლო ფირმა, 64 სხვადასხვა სახის საბადო და 250 სავაჭრო კომპანია. ის ასევე ფლობდა ირანულ „კოკა-კოლას", რომელსაც „ზამზამი" ეწოდა და „ჰილტონისა" და „ჰაიათის" ყოფილ სასტუმროებს. ალავის, მოწამეთა, ჰაჯის, დაბინავების, ომის ლტოლვილების, იმამ ხომეინის თხზულებათა პუბლიკაციის ფონდებში, საერთო ჯამში, 400 ათასამდე ადამიანი მუშაობდა (Amuzegar, 1993: 100). მათი საერთო ბიუჯეტი კი ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტის ნახევარს უტოლდებოდა.

მკაცრი ცენზურა დამყარდა გაზეთებზე, წიგნებზე, ფილმებსა და მაუწყებლობაზე. სასკოლო სახელმძღვანელობიდან ამოიღეს მონარქიისა და საერო გმირების დადებით კონტექსტში მოხსენიება. პრაქტიკულად აიკრძალა ევროპული საკუთარი სახელების გამოყენება. საზოგადოებრივი ადგილებიდან წაშალეს მონარქების ნებისმიერი სახით ხსენება. ისფაჰანში სეფიანთა დროს აშენებულ შაჰის ცნობილ მეჩეთს იმამის მეჩეთი ეწოდა. ქალაქებს დაუბრუნდათ ძველი სახელები; მაგალითად, ფაჰლავის ისევ ეწოდა ენზელი, რეზაიეს – ურმია, შაჰის – ალიაბადი.

ომი ერაყთან

ირანს ყოველთვის ჰქონდა რეგიონული ლიდერის ამბიციები. სპარსელი მონარქები და იმპერიები ქვეყანას აღიქვამდნენ რეგიონის ეპიცენტრად – სახელმწიფოდ, რომელსაც თავისი ისტორიისა და ცივილიზაციის წყალობით, არაბული ქვეყნების წინამძღოლობა ეკისრებოდა (Takyeh, 2006: 11). რევოლუციამ კი ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ მეზობელი არაბული სამყაროს მხრიდანაც.

ახალგაზრდა ისლამური რესპუბლიკისათვის მთავარი გამოცდა გამოდგა ერაყის მიერ გაჩაღებული ომი. ერაყს მანამდეც არაერთხელ მოუთხოვია მდინარე შატ ელ-არაბის წელზე ორ ქვეყანას შორის საზღვრის გადასინჯვა. არსებული საზღვრის მიხედვით, ნავთობსაბადოების დიდი ნაწილი ირანულ მხარეს იყო მოქცეული. ერაყის ახალმა ლიდერმა სადამ ჰუსაინმა ჩათვალა, რომ რევოლუციურ ანარქიაში ჩაფლული ირანის დამარცხება არ იქნებოდა რთული და 1980 წელს ომი გააჩაღა, რომელიც XX საუკუნეში ორ ქვეყანას შორის წარმოებულ ომებს შორის ყველაზე სისხლიანი გამოდგა. პარადოქსული გზით, ომმა ხომეინის რეჟიმს კონსოლიდაციის საშუალება შეუქმნა: ირანული პატრიოტიზმის გრძნობა შეერწყა ისლამისათვის საბრძოლო აღტკინებას.

ომი 8 წელი გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ 1979-80 წლებში რევოლუციური ირანი აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა ერაყის შიიტთა შორის სადამის რეჟიმის წინააღმდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, ომში აგრესორი სადამი იყო. ამ დამანგრეველი ომის მიწურულს ირანის რიტორიკამ „ისლამური რევოლუციის ექსპორტის" შესახებ (ამ რიტორიკას განსაკუთრებული რეზონანსი ისლამურ სამყაროში არ მოჰყოლია, თუმცა ერთ-ერთი კონკრეტული შედეგი იყო ლიბანში პარტია „ჰეზბოლას" (არაბ. *ჰიზბალაჰ*) შექმნა 80-იანი წლების დასაწყისში) ისლამური რესპუბლიკის მესვეურთათვის აქტუალობა დაკარგა. ხშირად აღი-

34 ნომინალურად, „განთავისუფლების მოძრაობა" კვლავაც არსებობს და მას ებრაჰიმ იაზდი უდგას სათავეში. თუმცა, პარტია ქმედითუნარიან პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს.

ნიშნება, რომ ომში მილიონზე მეტი ირანელი დაიღუპა. თუმცა **1988 წელს, ცეცხლის შეწყვეტის დროისათვის,** მთავრობის სპიკერმა დაასახელა ბრძოლებში დაღუპულთა რაოდენობა – 160 ათასი.[35] მათ ომში მიღებული ჭრილობებისაგან უფრო გვიან გარდაცვლილი 30 ათასი მებრძოლი დაემატა. 16 ათასი სამოქალაქო პირი დაიღუპა ქალაქების დაბომბვის დროს, **39 ათასი კი სამუდამოდ დასახიჩრდა (მრავალი** მათგანი ქიმიური იარაღით ერაYყელთა შეტევების გამო). მიიჩნევა, რომ დამატებით 23 ათასი ომში დაავადდა პოსტტრამვატული ფსიქიური აშლილობით, რაც I მსოფლიო ომისშემდგომი „სამხედრო ნევროზის“ ანალოგიური იყო. მთელი თაობა კი ნიშანდებული გახდა შიიტური მოწამეობის ახალი სიმბოლიზმით. რეგულარული ჯარისა და ფასდარანის გარდა, მოხდა მრავალი ბასიჯი მოხალისის რეკრუტირება, მათ შორის **12 წლის ყმაწვილებისაც კი. მოსახლეობაში ომის მხარდაჭერის და ჯარების მო**ტივაციის შესანარჩუნებლად, რეჟიმი გამუდმებით აკეთებდა აქცენტს აშურაზე, ჰუსაინზე, ქერბალაზე. ერაყის არმია უკეთ იყო აღჭურვილი, მაგრამ ირანს უფრო მეტი ადამიანური რესურსები გააჩნდა და მიზნის მისაღწევად ხელისუფლება არ ერიდებოდა დიდძალი მსხვერპლის გაღებას.

ერაყის ტექნიკური უპირატესობა დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკის შედეგი იყო, რომლებიც მიუხედავად განცხადებული ნეიტრალიტეტისა, ერაყს უზრუნველყოფდნენ შეიარაღებით (თუმცა მოძველებულით), ხოლო ირანს უარს ეუბნებოდნენ შაჰის დროს შესყიდული სამხედრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე. ერაყელებისათვის მიყიდულ არსენალში შედიოდა ქიმიური იარაღის ტექნოლოგიაც, რომელიც ერაყელმა ჯარისკაცებმა გამოიყენეს ჩრდ. ერაყში ქურთული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ – ისინი სადამს ამბოხებულებად მიაჩნდა. ომმა ასევე ფიზიკურად მოწყვიტა ირანელი შიიტები ნაჯაფის, ქერბალასა და სამარას წმინდა ქალაქებს.

პრეზიდენტი ბანი სადრი ომის წინ ირანში არსებული სიტუაციის შესახებ:

„გამოიკვეთა სამი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: ჩვენი (საერო ისლამისტების – გ.ს.), რომლის თანახმადაც ომის საფრთხე რეალური იყო; მოლების, რომლებიც ომის შესაძლებლობას უარყოფდნენ და მემარცხენეებისა, რომლებისთვისაც ომი აუცილებლობას წარმოადგენდა. რევოლუცია ომის გარეშე მათთვის წარმოუდგენელი იყო, თუმცა ისინი არ ვარაუდობდნენ სამოქალაქო ომის გაჩაღებას, როგორც **1917 წლის რუსეთში, რომელიც ერთი რევოლუციიდან მეორეში გადასვლის საშუალებას** შექმნიდა“ (Bani Sadr, 1989: 13).

ომის საწყისი ეტაპი ერაყის უპირატესობით წარიმართა. ირანელთა ზარალი ერაყის მოსაზღვრე სანავთობო რეგიონ ხუზესთანში უზარმაზარი იყო და აქედან ლტოლვილთა ტალღა დაიძრა. 1982 წლის გაზაფხულზე კი ირანელებმა წამოიწყეს კონტრშეტევა, დაიბრუნეს სტრატეგიული ქალაქი ხორამშაჰრი და ამის შედეგად, მადაც გაეზარდათ – უკვე ითხოვდნენ სადამის გადადგომას და უზარმაზარ საომარ რეპარაციებს. **1982 წელს სადამ ჰუსაინი უკვე თანახმა იყო ზავზე სტატუს კვოს აღდგენის პი**რობით. თავის მხრივ, საუდის არაბეთი, რომლის ინტერესებშიც შედიოდა სპარსეთის ყურეში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენა, ირანს, ზავზე დათანხმების შემთხვევაში, სთავაზობდა ომისგან მიყენებული ზარალის მთლიან ანაზღაურებას. თუმცა, ხომეინი არ დაეთანხმა ამ წინადადებებს. მან ბაღდადის აღება დაისახა მიზნად და მისი ლოზუნგი გახდა „ბაღდადის გავლით – იერუსალიმისაკენ“ (Balta, 2001: 67). ამ დროიდან დაწყებული, ერაყელები თავდაცვაზე გადავიდნენ, თუმცა ირანელებმა მხოლოდ მცირე ტერიტორიულ მონაპოვრებს მიაღწიეს, მათ შორის იყო ფაოს ნახევარკუნძული, რომელიც **1986 წლის თებერვალში დაიკავეს. სამხრეთ ერაყში შიიტური აჯანყების იმედი ირანული შე**ტევის მხარდასაჭერად, ილუზორული გამოდგა, ისე როგორც სადამის იმედი 1980 წელს ხუზესთანში მოსახლე არაბთა აჯანყებისა. ომის მეორე ეტაპზე სახმელეთო ბრძოლებში პატური სიტუაცია შეიქმნა.

1984 წელს სადამმა იერიში მიიტანა ირანულ ფლოტზე სპარსეთის ყურეში. ირანელების პასუხმაც არ დააყოვნა. დაიწყო ე.წ. „ტანკერების ომი,“ რომლის დროსაც ირანი ცდილობდა არ დაეშვა ყურიდან ნავთობით დატვირთული ტანკერების გასვლა. შტატებმა და სხვა დასავლურმა სახელმწიფოებმა სამხედრო გემები შეიყვანეს ყურეში ნავთობის გადაზიდვების უზრუნველსაყოფად. 1988 წლის ივლისში ამერიკულმა სამხედრო გემმა Vincennes, რომელიც ირანულ ტერიტორიულ წყლებში შეიჭრა ირანული სამხედრო კატერების დევნისას, შეცდომით რაკეტა ესროლა ირანულ სამგზავრო თვითმფრინავს, რომლის შედეგადაც 290 მგზავრი დაიღუპა.[36] რეიგანის ადმინისტრაციის მობოდიშება საკმაოდ ბუნ-

35 ირანის მხარის ოფიციალური მონაცემები ომში დანაკარგების შესახებ იხ. *Iran Times,* 23.09.1988.

36 თვითმფრინავი ასრულებდა რეისს თეირანიდან დუბაიში და მის ბორტზე ირანის მეჯლისის არაერთი წევრი იმყოფებოდა.

დოვანი და ორაზროვანი იყო, გემის კაპიტანს კი სამხედრო მედალიც უბოძეს. ამ მიზეზით, მრავალ ირანელს დღესაც სჯერა, რომ ამერიკელებმა თვითმფრინავი განზრახ ჩამოაგდეს.

საერთაშორისო საზოგადოებას თავდაპირველად არც კი დაუდანაშაულებია სადამ ჰუსაინი აგრესიაში. 1980 წელს გაერო-ს მიერ მიღებული რეზოლუცია ორივე მხარეს მოუწოდებდა მშვიდობის აღდგენას და მასში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვინ გააჩაღა ომი. ომის დაწყების დრო დაემთხვა ამერიკელი მძევლების კრიზისს, რამაც განაპირობა საერთაშორისო საზოგადოების უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება ხომეინის რეჟიმისადმი.

ომის დროს აშშ-სა და ირანს ოფიციალურად გაწყვეტილი ჰქონდათ ურთიერთობები, თუმცა ცნობილი გახდა ორ ქვეყანას შორის ფარული მოლაპარაკების ფაქტი. ამ მოლაპარაკებების შედეგად, აშშ-მა, ისრაელის შუამავლობით (sic!), რომლის ინტერესებშიც არ შედიოდა სადამ ჰუსაინის რეჟიმის გაძლიერება,1986 წელს ირანს სამხედრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები მიყიდა; მიღებული თანხა კი აშშ-მა ნიკარაგუაში პროკომუნისტური რეჟიმის ოპოზიციის დასაფინანსებლად გამოიყენა. ამ ფაქტის გამჟღავნებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია შტატებში. ის „ირანგეიტისა“ და „ირან-კონტრას“ სახელებით გახდა ცნობილი და დიდი ზიანი მიაყენა რეიგანის ადმინისტრაციის იმიჯს. ირანისათვის აღჭურვილობის მიწოდების ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ირანელთა პირობა, რომ გაათავისუფლებდნენ ლიბანში აყვანილ ამერიკელ მძევლებს. თუმცა, სულ სამი მძევალი გაათავისუფლეს და შემდგომ ირანისადმი ლოიალურმა ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ლიბანში უფრო მეტი ამერიკელი აიყვანეს მძევლად (Takeyh, 2009: 104).

სახმელეთო ბრძოლებში პატური სიტუაციის შექმნის შემდეგ, ირანელებმაც და ერაყელებმაც დაიწყეს დედაქალაქებისა და სხვა ქალაქების დაბომბვა (ე.წ. „ქალაქების ომი”), რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ერაყმა მცირე უპირატესობას მიაღწია ამ ბრძოლებში და შეძლო ერაყის ტერიტორიიდან (მათ შორის ფაოს ნ.-კ.-დან) ირანელთა განდევნა. საბოლოოდ, როდესაც ნათელი გახდა, რომ ქერბალაში ტრიუმფალური შესვლა განუხორციელებელი ოცნება იყო, ხომეინი დაარწმუნა მეჯლისის სპიკერმა ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ ზავზე დათანხმებულიყო.

რაფსანჯანი ალბათ ფიქრობდა, რომ შტატები არასოდეს მისცემდა ომში გამარჯვების უფლებას ირანს (შესაძლოა, თვითმფრინავის ინციდენტიდანაც გამომდინარე) (Axworthy, 2008: 269). ხომეინიმ ნება დართო პრეზიდენტ ხამენეის (რომელიც **1985 წელს ხელმეორედ აირჩიეს პრეზიდენტად), გა**მოეცხადებინა 1988 წლის ივლისში, რომ ირანი თანხმობას აცხადებდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭოს 598-ე რეზოლუციის შესრულებაზე. (ომის შესახებ იხ. ასევე თავი XIII).

ხამენეის წერილიდან გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს 598-ე რეზოლუციაზე ირანის დათანხმების შესახებ:

....როგორც ყველა თქვენთაგანისათვის კარგად არის ცნობილი, ომმა, რომელიც ერაყის რეჟიმმა დაიწყო 1980 წლის 22 სექტემბერს ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად, დღეს უპრეცედენტო მასშტაბები მიიღო, ჩართო მასში სხვა ქვეყნები და გამოიწვია უდანაშაულო სამოქალაქო პირების დაღუპვა.

290 უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა, რაც იყო შედეგი ირანის ისლამური რეპუბლიკის თვითმფრინავის ჩამოგდებისა სპარსეთის ყურეში ამერიკული სამხედრო გემების მიერ, ამ დაპირისპირების მკაფიო დასტურია.

ამ ვითარებაში თქვენი აღმატებულების [გაერო-ს გენერალური მდივნის] ძალისხმევას **598-ე რე**ზოლუციის განსახორციელებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ირანის ისლამური რესპუბლიკა თქვენ ყოველთვის გიჭერდათ მხარს ამ მიზნის მიღწევაში. ამ კონტექსტში, ჩვენ გადავწყვიტეთ ოფიციალურად განვაცხადოთ, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა, იმ მნიშვნელობიდან გამომდინარე, რასაც ის ანიჭებს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას, ასევე სამართლიანობის, რეგიონული და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებას, თანხმდება უშიშროების საბჭოს 598-ე რეზოლუციის შესრულებაზე.“

ხომეინის განცხადებიდან ერაყთან საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ:

...[598-ე] რეზოლუციაზე დათანხმება, უეჭველად მეტად მძიმე და ტრაგიკული გადაწყვეტილება იყო ყველასათვის და განსაკუთრებით ჩემთვის. სულ რამდენიმე დღის წინ მე მწამდა თავდაცვის მეთოდების და ომში ჩვენი პოზიციების სიმყარისა. ამის განხორციელებაში მე ვხედავდი სისტემის, ქვეყნის, რევოლუციის ინტერესებს. თუმცა, ზოგიერთი ინციდენტიდან და ფაქტორიდან გამომდინარე, რომელთა განმარტებისგანაც თავს შევიკავებ და რაც ღვთის ნებით, მომავალში ნათელი გახდება, ასევე ქვეყნის მაღალი რანგის პოლიტიკური და სამხედრო ექსპერტების მოსაზრებათა გათვალისწინებით,

> რომელთა ერთგულების, სიმპათიისა და გულწრფელობის მე მწამს, მე ვიზიარებ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეზოლუციაზე თანხმობას. ამ გადამწყვეტ მომენტში მე ამას რევოლუციისა და სისტემის ინტერესებში შემავალად აღვიქვამ. ღმერთმა იცის, მეტი საშუალება რომ გვქონოდა ჩვენი ღირსებისა და სამართლიანი საქმის მსახურებისათვის, ისლამისა და მუსლიმების ინტერესებისათვის თავის გასაწირად, მე არასოდეს დავთანხმებოდი ამ საკითხზე. სიკვდილი და მოწამეობა უფრო მისაღები იქნებოდა ჩემთვის... ყველანი უნდა დავმორჩილდეთ ყოვლისშემძლე ალაჰის ნებას...
>
> ...ამ საკითხზე დათანხმება ჩემთვის უარესია, ვიდრე საწამლავი. მაგრამ ვემორჩილები ღმერთის ნებას. მე ვსვამ ამ საწამლავს ღმერთის ნებისადმი მორჩილების ნიშნად."
>
> წყარო: BBC-Foreign Broadcast Information Service, Daily Report: Near East and South Asia. July 18, 1988, pp. 44-45; July 21, pp.49-50 (ციტ. Felton, 2008: 440-442).

ხომეინის მემკვიდრეობა. ირანი ხომეინის შემდეგ

ხომეინი **1989 წლის 3 ივნისს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ კი, თებერვალში, მან ფეთვა გამოსცა** ბრიტანელი მწერლის სალმან რუშდის წინააღმდეგ.[37] ის მუსლიმებს მოუწოდებდა მოეკლათ სალმან რუშდი, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა თავის რომან „სატანურ ლექსებში" მოციქულ მუჰამადს. „რუშდის საქმემ" ირანი მორიგ საერთაშორისო სკანდალში გაახვია.

ხომეინი ალბათ იცნობდა ამ წიგნს, რომლის იმპორტირებაც კი დაუშვა. მაგრამ მან მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, ქაშმირსა და პაკისტანში მუსლიმების დემონსტრაციების შემდეგ გადაწყვიტა ფეთვის გამოქვეყნება. ამით ირანი, მისი ხელმძღვანელობით, იჩემებდა მთელ მსოფლიოში მუსლიმთა ინტერესების დაცვის ფუნქციას და, შესაბამისად, პრეტენზიას აცხადებდა ისლამურ სამყაროში ლიდერის როლზე (Moin, 1999: 282-283). „რუშდის საქმე" ხომეინის სიკვდილის შემდეგაც მრავალი წლის მანძილზე საერთაშორისო ყურადღების ცენტრში იყო და ამყარებდა ირანის, როგორც „ტერორიზმის მხარდამჭერი" სახელმწიფოს, იმიჯს. დღეს ეს ისტორია თითქმის მივიწყებულია, მაგრამ მწერალს მაინც პრაქტიკულად ფარულად ცხოვრება უხდება.

ამ თვეებში კიდევ ერთი ღირსსახსოვარი ამბავი მოხდა, რამაც კვლავ აჩვენა, თუ რაოდენ ამოუცნობად რჩებოდა (და დარჩა) ხომეინი ულემებისთვისაც კი. **1989 წლის იანვარში მან წერილი გაუგზავნა** საბჭოთა ლიდერს მიხეილ გორბაჩოვს, სადაც აღნიშნავდა, რომ კომუნიზმი ამიერიდან ეკუთვნოდა „ისტორიის მუზეუმს." სანამ ის მოექცეოდა „მატერიალისტური კაპიტალიზმის ხაფანგში," ხომეინი გორბაჩოვს ურჩევდა ესწავლა ისლამი. მაგრამ ხაზგასასმელია, რომ ისლამის ფორმა, რომელსაც ხომეინი სთავაზობდა გორბაჩოვს, არ შეესატყვისებოდა ბევრი მისი კოლეგა ულემის მსოფლმხედველობას – ის ურჩევდა გორბაჩოვს წაეკითხა არა ყურანი და სხვა კანონიკური ტექსტები, არამედ იბნ არაბის, ავიცენას და სოჰრავარდის თხზულებები. წერილმა ყუმის სამღვდელოების კრიტიკა გამოიწვია და ზოგიერთმა მათგანმა უსაყვედურა ხომეინის მისტიკოსებისა და ფილოსოფოსების თხზულებების რეკომენდაციის გამო. ხომეინიმ პასუხი გასცა „წერილით სამღვდელოებისადმი," რომელშიც გამოხატული იყო მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ტრადიციონალისტი მოლების დამოკიდებულებისაგან მიღებული იმედგაცრუება:

> "თქვენმა მოხუცებულმა მამამ გაცილებით მეტი ტკივილი მიიღო ბრიყვი რეაქციონერი მოლებისაგან, ვიდრე ვინმე სხვამ. როდესაც თეოლოგია ნიშნავს პოლიტიკაში არჩარევას, სიბრიყვე ხდება ღირსება. თუ სასულიერო პირს შეუძლია და ზრუნავს იმაზე, რაც ხდება სამყაროში მის გარშემო, ისინი მას შეთქმულებაში ადანაშაულებენ. თქვენ ჩაითვლებოდით უფრო წმინდებად, რომ გევლოთ გაუკვალავი გზით. უცხო ენების შესწავლა ღვთისგმობა იყო, ფილოსოფია და მისტიციზმი ცოდვად და ურწმუნოებად მიიჩნეოდა... და თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, ეჭვი არ მეპარება, რომ სამღვდელოება და მადრასეები იმავე გზას დაადგებიან, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ აირჩია შუა საუკუნეებში" (ციტ. Moin, 1999: 282-283).

რევოლუციამდე მოჯთაჰედთა იერარქიულ კიბეზე წინსვლა არაფორმალიზებული პროცესი იყო, მაგრამ 80-იან წლებში ამ პროცესის უკიდურესი სტრუქტურიზაცია მოხდა. ეს ახალი სტრუქტურის მოდელი ჩამოყალიბდა და იმართებოდა ხომეინისა და მისი მიმდევრების შეხედულებების შესაბამისად (Momen, 1985: 298-299). ირანული შიიზმის იერარქიზაციასთან ერთად, იგივე განხორციელდა დოქტრინასთან დაკავშირებით. ხომეინი შეეცადა ადრინდელი პლურალიზმისაგან შეექმნა შიიზმის მისთ-

37 ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეს იყო ჰოქმი – რელიგიური განაჩენი, ბრძანება (იხ. Axworthy, 2008: 269).

ვის „კომფორტული“ ერთიანი იდეა. შემოღებულ იქნა გამოცდები მოჯთაჰედთა წოდებების მისაღებად და პოლიტიკური ლოიალობა, პირველ რიგში ველაიათ-ე ფაყიჰის იდეის მხარდაჭერა, გახდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ღვთისმოსაობა, თეოლოგიაში განსწავლულობა, ინტელექტუალური ძალა და უმაღლესი სამღვდელობის ჯგუფის დადებითი ან უარყოფითი განწყობა, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ჩამოყალიბდა და გაიზარდა ახალი „პოლიტიკური“ აიათოლების ჯგუფი, რომლებიც ამ ახალი გზით შეირჩეოდნენ (Ansari, 2003: 244-245). ვინც ტრადიციული შიიზმის ერთგულებას ამჯობინებდა, უბრალო მოჯთაჰედად რჩებოდა.

ზემოაღნიშნული ნათელს ხდის, რომ რევოლუციამ მოახდინა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი და სახელმწიფოს ინტერესებისადმი დაქვემდებარებული რელიგიის ინსტიტუციონალიზაცია. ამ თვალსაზრისით სიტუაცია პარადოქსულად ემსგავსებოდა *დინ-ე დოულათს*, რისი შექმნაც შაჰმა სცადა „თეთრი რევოლუციის“ დროს – იმ განსხვავებით, რომ ამჯერად სახელმწიფოს სათავეში მოჯთაჰედი იყო და არა შაჰი.

90-იანი წლების მეორე ნახევარში ზოგიერთმა ირანელმა ინტელექტუალმა გაილაშქრა ამ რეალობის წინააღმდეგ. მათ შორის იყო ფილოსოფოსი და თეოლოგი აბდოლქარიმ სორუში, რომელიც მოუწოდებდა სეკულარული სახელმწიფოს შექმნისაკენ და წინასწარმეტყველებდა, რომ ხელისუფლების „თვალთმაქცობა რელიგიის დისკრედიტაციას მოახდენდა ირანში და გააუცხოებდა მისგან ახალგაზრდობას“ (იხ. Ansari, 2000: 75). ასეც მოხდა. ინტელექტუალებმა იატაკქვეშეთში ააღორძინეს 20-30-იანი წლების მსგავსი ნაციონალიზმი, რომლითაც ხდებოდა წინაისლამური ირანის იდეალიზაცია და განვითარების შეჩერება მიწერილი იყო არაბული დაპყრობებისათვის; პარადოქსულად, ეს „კიროსის ნოსტალგია“ სწორედ მათ გაუჩნდათ, ვინც ახლო წარსულში გააფთრებით უპირისპირდებოდა შაჰის მიერ ისლამამდელი ირანის აპოლოგიას.

სორუში ხომეინის აქტიური მიმდევარი იყო რევოლუციის დროს და 1980 წელს გახდა უნივერსიტეტების დახურვის ერთ-ერთი ინიციატორი. თუმცა, შემდგომ რეჟიმის თავგადაკლულ მოწინააღმდეგედ იქცა. 90-იანი წლების შუა ხანებში ის გამოსცემდა პოპულარულ გაზეთ „ქიანს“. მის თხზულებები და ლექციები უაღრესი პოპულარობით სარგებლობდა. ის აკრიტიკებდა ალი შარიათის იდეოლოგიზებულ საზოგადოებას (იდეალიზებულ მონისტურ საზოგადოებას (*თოუჰიდ*), რაც შეადგენდა შარიათის ნააზრევის ქვაკუთხედს), რადგანაც ეს არ ტოვებდა ადგილს ინტელექტუალური ძიების, კრიტიკის ან იდეების მრავალფეროვნებისათვის (Jahanbakhsh, 2001: 152). სორუშმა ასევე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ალ-ე აჰმადის „მედასავლეთეობა“. ის შეეხო ცოდნისა და თანამედროვე პოლიტიკური იდეების იდეოლოგიზაციას და ხაზი გაუსვა, რომ „ისლამური უფლებები“ ისეთივე უაზრო ცნებაა, როგორც მაგალითად „ისლამური წყალი“. (ციტ. Brumberg, 2001: 210).

სორუშის ჟურნალში დაიწყო ჟურნალისტის კარიერა აქბარ განჯიმ, რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ყოფილმა წევრმა და მალე ის ოპოზიციონერ ჟურნალისტთა ლიდერად იქცა. 1997 წლის ივნისში, პრეზიდენტად ხათამის არჩევიდან სულ მალე (იხ. ქვემოთ), შირაზის უნივერსიტეტში გამოსვლისას, განჯიმ ტოტალიტარული ისლამის მომხრეები ფაშისტებად მოიხსენია. ლექცია მალე ცალკე ბროშურად გამოიცა, რასაც განჯის დაპატიმრება მოჰყვა (ის შემდგომშიც არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული). 1998-99 წლებში განჯიმ სტატიების სერიაში ხომეინიც კი გააკრიტიკა, რომელმაც მისი შეხედულებით, რელიგიური მმართველობის ორი განსხვავებული კონცეფცია წარმოადგინა. უკანასკნელი, ველაიეთ-ე ფაყიჰი, განჯის თვალსაზრით, რელიგიის სრულიად ახლებურად წაკითხვა იყო. ამგვარი კონცეფცია ქმნიდა „ძალადობის იდეოლოგიასა და ლეგიტიმურობის კრიზისს“ თანამედროვე ირანულ საზოგადოებაში არსებული უზარმაზარი უფსკრულის გამო, რაც გამოწვეული იყო „წინააღმდეგობით „ტრადიციასა და მოდერნულობას შორის“ (ციტ. Arjomand, 2009: 84).

2002 წელს, მორიგი დაპატიმრების წინ, განჯიმ კიბერსივცეში გაავრცელა „რესპუბლიკური მანიფესტი“ (*მანიფესთ-ე ჯომჰური ხაჰი*), სადაც ამტკიცებდა, რომ ისლამური რეჟიმის რეფორმირება შეუძლებელი იყო და, შესაბამისად, ის მანამდე უნდა მოსპობილიყო, სანამ რესპუბლიკანიზმისა და დემოკრატიის რეალიზაცია მოხდებოდა (Ganji, 2003).

ისლამური ხელისუფლების კიდევ ერთი ოპონენტი გახდა აიათოლა მონთაზერი. აიათოლა ბეჰეშთის სიკვდილის შემდეგ, მონთაზერი ხომეინის უპირველესი მემკვიდრე იყო. თავდაპირველად ის ხომეინისა და ველაიათ-ე ფაყიჰის პრინციპის უპირობო მომხრედ ითვლებოდა, მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში ის განუდგა ხომეინის (კონფლიქტის მიზეზები ბუნდოვანია).[38] მონთაზერიმ გაბედული წერილი გაუგზავნა ხომეინის, რომელშიც პროტესტს გამოთქვამდა ციხეებში ათასობით პო-

38 არსებობს თვალსაზრისი, რომ მონთაზერის გაღიაზიანება გამოიწვია „ირან-კონტრას“ საქმემ, როდესაც მას არაფერი შეატყობინეს ამერიკელებთან მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ.

ლიტიკური პატიმრის მკვლელობის გამო. მოკლულთა უმრავლესობა მოჯაჰედები იყვნენ (ამ მკვლელობებს კი მოჰყვა მოჯაჰედების შეიარაღებული რაზმების აბსურდული თავდასხმა ირანის ტერიტორიაზე ერაყიდან 1988 წელს ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ). მონთაზერიმ ასევე გააკრიტიკა რუშდის წინააღმდეგ მიმართული ფეთვა.

ხომეინის სიკვდილამდე ოდნავ ადრე გამოცხადდა, რომ მისი მემკვიდრე აიათოლა მონთაზერის ნაცვლად, გახდებოდა ხამენეი. ის ჰოჯათოლესლამის რანგიდან უეცრად აღზევდა აიათოლამდე – მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყოფილა ცნობილი სწავლული. ამასთან დაკავშირებით არაერთმა აიათოლამ განუცხადა პროტესტი ხომეინის, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდგომ, სიკვდილამდე (2009), მონთაზერი პრაქტიკულად შინაპატიმრობაში ცხოვრობდა ყუმში, მაგრამ არაერთხელ გამოსულა მძაფრი განცხადებებით რეჟიმის პოლიტიკის წინააღმდეგ – ის მოითხოვდა ველაიათ-ე ფაყიჰის როლის შეზღუდვას, რეალური დემოკრატიული და კონსტიტუციური მმართველობის დამყარებას, ადამიანის უფლებების დაცვას. მიუხედავად რეჟიმის მცდელობებისა მოეხდინა მისი მარგინალიზაცია, მონთაზერი სიკვდილამდე მრავალი ირანელისათვის მარაჯიდ რჩებოდა.

დაუმორჩილებლობის კიდევ ერთი მაგალითია დიდი აიათოლა იუსეფ სანაი, რომლის შეხედულებითაც ბირთვული იარაღის, ისე როგორც ზოგადად მასობრივი განადგურების იარაღის, ფლობა ან გამოყენება მიუღებელია. სანაიმ ასევე გამოსცა ფეთვა სუიციდური აფეთქებების წინააღმდეგ.

გამოიკვეთა კიდევ ერთი ყურადსაღები ტენდენცია: რევოლუციის მრავალი მონაწილე, სორუშისა და განჯის მსგავსად, ისლამური რეჟიმის თავგადაკლულ მოწინააღმდეგედ გადაიქცა. მათ შორისაა აბას აბდი, „იმამის ხაზის მიმდევარ სტუდენტთა“ ყოფილი ლიდერი – სწორედ ამ „სტუდენტებმა“ აიყვანეს მძევლებად აშშ-ის საელჩოს პერსონალი. აბდი კი შემდგომ რეფორმატორად გადაიქცა და უარს ამბობს დასავლეთის ბოროტებასთან გაიგივებაზე კლერიკალური რეჟიმისათვის დამახასიათებელი პრიმიტიული გზით (Khosrokhavar, 2002: 10); **მოჰსენ მახმალბაფი, რომელიც დღეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კინორეჟისორია და რომელიც 2008 წელს ხელმძღვანელობდა რეფორმატორთა** კანდიდატის, მირ ჰოსეინ მუსავის საარჩევნო შტაბს, რევოლუციის დღეებში „პოლიტიკურად რადიკალურ, მაგრამ სოციალურად კონსერვატულ ჰეზბოლას რიგებში იყო“ (იქვე); საკუთრივ მირ ჰოსეინ მუსავიც ხომეინის დროს პრემიერ-მინისტრის მოვალეობებს ასრულებდა. მემარცხენე ისლამისტური „მოჯაჰედინ-ე ენყელაბ-ე ესლამის“ (ისლამური რევოლუციის მებრძოლები) მრავალმა თვალსაჩინო ფიგურამ შემდგომ ასევე რადიკალურად შეიცვალა მრწამსი და ამჟამად უარყოფს ისლამის სახელით რევოლუციურ რადიკალიზმს.

მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორებს და პოლიტიკურ აქტივისტებს არ შეუქმნიათ რეფორმატორული მოძრაობის ჩარჩო. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ისლამური რესპუბლიკის მრავალი კრიტიკოსი საკუთრივ სასულიერო წრეებიდანაა გამოსული. მათ შორისაა ჰოჯათოლესლამი მოჰსენ ქადივარი. ის ამოდის შიიტური დოგმებიდან ხომეინის კონცეფციის არაშიიტურობის საჩვენებლად: „არ არსებობს არანაირი მკაფიო მითითება იმის თაობაზე, თუ ვის უნდა ეპყრას ხელისუფლება [იმამის] ოკულტაციის პირობებში. არავის აქვს სპეციალური მისია თუ ღვთისგან ბოძებული ძალაუფლება საზოგადოების წინამძღოლობისათვის“. მას მხარს უბამს აიათოლა მონთაზერი: „მე მწამს, რომ შესაძლებელია ისლამისა და დემოკრატიის თანაარსებობა. ის, რასაც დღეს ახორციელებენ კონსერვატორი ლიდერები, არ არის ისლამი და მე ამას ვუპირისპირდები“ (Abdo, 2001: 34). აიათოლა ჯალალედდინ თაჰერი, რომელიც 2002 წლის ივლისში გადადგა ისფაჰანის ემამ ჯომე თანამდებობიდან, ბრალს დებდა სასულიერო ოლიგარქებს „ჩინგიზ ყაენის მსგავს ქცევაში, ხალხისა და კანონის წინააღმდეგ ქმედებაში, მოაზროვნეთა იზოლირებაში, ქვეყნის იმ მიმართულებით წაყვანაში, რომელიც გამოიწვევს სავალალო დასასრულს.“

ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოს – ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ პარადოქსს წარმოადგენს ის, რომ რელიგიური კლასის დევნამ გაცილებით უფრო ფართო მასშტაბები მიიღო, ვიდრე მისი მონარქიული წინამორბედების დროს იყო. სამღვდელოებისათვის სპეციალური სასამართლოც კი შეიქმნა; ასეულობით სასულიერო პირს ჩამოერთვა წოდება და დააპატიმრეს.

ომის დასრულებასა და ხომეინის სიკვდილს ირანულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან გარდატეხა მოჰყვა. **1989 წლის აგვისტოში პრეზიდენტი გახდა რაფსანჯანი, რომელმაც ხამენეი შეცვალა (ამ უკა**ნასკნელმა კი, როგორც ზემოთ ითქვა, ხომეინის ადგილი დაიკავა). რაფსანჯანიმ გამოაცხადა ახალი, „რეკონსტრუქციის“ ეპოქის დასაწყისი. ალი ანსარი რაფსანჯანის პრეზიდენტობის დროინდელ ირანს „მერკანტილურ ბურჟუაზიულ რესპუბლიკას“ უწოდებს – ამ პერიოდში ბაზრის საშუალო კლასმა, პოლიტიკურად აქტიურ ულემთა საყრდენმა, საბოლოოდ მოახერხა საკუთარი „სამეფოს“ შექმნა. იმავდროულად, ხამენეიმ შეინარჩუნა სრული კონტროლი რევოლუციის გუშაგთა კორპუსზე, რომლის ელი-

ტარული დანაყოფი „ყოდსი“ უშუალოდ მის კონტროლს ექვემდებარებოდა. მას ემორჩილებოდა ბასიჯთა რაზმებიც (Arjomand, 2009: 38).



ალი ხამენეი

ომმა უზარმაზარი ზარალი მიაყენა ირანის ეკონომიკასა და რიგითი ირანელების ცხოვრების დონე უკიდურესად დაეცა. შემოსავლებმა, სულ მცირე, 40%-ით იკლო 1978 წელთან შედარებით (Keddie, 2003: 264). სასაზღვრო რაიონებში, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა, 1,6 მლნ ადამიანი უსახლკაროდ დარჩა და მთლიანად განადგურდა ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, 1991 წლის ყურის ომის შემდეგ, როდესაც სადამი სასტიკად გაუსწორდა სამხრეთ ერაყში აჯანყებულ შიიტებს, ირანს აქედან ლტოლვილთა ახალი ტალღა მოაწყდა. 90-იანი წლების ბოლოსათვის ირანში 2 მილიონამდე ლტოლვილი იყო. ერაყისგან განსხვავებით, ირანი ომიდან პრაქტიკულად ვალების გარეშე გამოვიდა, მაგრამ ქვეყნის აღდგენას დიდი სახსრები ჭირდებოდა. ამ ამოცანას კი უკიდურესად ართულებდა ირანის საერთაშორისო იზოლაცია.

ომი ქვეყნის ერთიანობის გამყარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, რიგით ირანელებს გაუჩნდათ და გაუმძაფრდათ ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეობის გრძნობა. ეს ომი პირველი კონფლიქტი იყო XIX ს-ის შემდეგ (შესაძლოა, ნადირ შაჰის შემდეგაც), რომელშიც დიდი რაოდენობით რიგითი ირანელები იყვნენ ჩართული. თუმცა, ამ თავგანწირვას საზღაური და დაფასებაც ჭირდებოდა ხელისუფლების მხრიდან. როდესაც პრეზიდენტად აირჩიეს, რაფსანჯანი სწორედ ამას დაპირდა მოსახლეობას – უპირველესად კი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ღარიბ ფენებს, რომელთა ზურგზეც გადაიარა ომის სიმძიმემ.

მაგრამ არ არსებობდა ერთსულოვანი აზრი იმ საშუალებების შესახებ, რომლებიც უნდა გამოყენებულიყო ამ მიზნების მისაღწევად. რევოლუციის შემდეგ, ომის წარმოებისათვის და ასევე დეკლარირებული სოციალური თანასწორობის მისაღწევად, რეჟიმი მისდევდა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის სრული კონტროლის პოლიტიკას. ახლა კი რაფსანჯანი, დიდწილად ბაზრის ხალხიდან საკუთარი წარმომავლობისა და შესაბამისად, ამ სოციალური ფენისადმი სიმპათიების გამო, ცდილობდა ისეთი ეკონომიკის შექმნას, რომელიც დაემყარებოდა თავისუფალ ბაზარს. მაგრამ რეჟიმის შიგნით ამის თაობაზე უთანხმოებები არსებობდა – განსაკუთრებით პრივატიზაციასთან დაკავშირებით, რომლის პროცესსაც თან სდევდა კორუფციის დონის ამაღლება. ეკონომიკური წინსვლა თვალშისაცემი იყო, მაგრამ არსებულ იმედებზე გაცილებით უფრო ნაკლები. სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოება გაიზარდა, დაიწყო ექსპორტიც, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და პირველ რიგში, ფსტასი, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს რაფსანჯანის ოჯახი აკონტროლებდა. მაგრამ ეკონომიკა მაინც დიდწილად ნავთობზე იყო დამოკიდებული, სანავთობო ინდუსტრია კი სათანადო დონეზე ვერ ვითარდებოდა უცხოური ინვესტიციების გარეშე (რაც გამოწვეული იყო აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციებით – ეს იყო ნაწილი ე.წ. „ორმაგი შეკავების“ პოლიტიკისა ერაყისა და ირანის წინააღმდეგ). ეკონომიკაში ინვესტირების დიდი ნაწილი მოდიოდა მშენებლობებზე, რომლიდანაც ინვესტორები მნიშვნელოვან შემოსავლებს იღებდნენ, თუმცა ეს პრაქტიკულად არ აისახებოდა ღარიბ ფენებზე.

რაფსანჯანის პრეზიდენტობის მეორე ვადის შუა ხანებში უკვე აშკარად იგრძნობოდა უკმაყოფილება მისი პოლიტიკის გამო. უმუშევრობის დონე გაიზარდა ნაწილობრივ ეკონომიკის განვითარების ნელი ტემპების გამო, მაგრამ ასევე რევოლუციის შემდგომ პირველ ათწლეულში მოსახლეობის რაოდენობის უაღრესად სწრაფად ზრდის მიზეზითაც. ირანში მოსახლეობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მთელ მსოფლიოში. 1976 წელს 33,7 მლნ-დან მოსახლეობა 1986 წელს 48,2 მლნ-მდე გაიზარდა და 2007 წლისათვის, არაოფიციალური მონაცემებით, 68,5 მლნ იყო. 80-იან წლებში მოსახლეობის ყოველწლიური მატება 3,2%-ს შეადგენდა, თუმცა 90-იან წლებში 1,2%-მდე შემცირდა. ამ პერიოდში, გაერო-ს მონაცემებით, ირანი შობადობის კონტროლის თვალსაზრისით მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ქვეყანა იყო (Abrahamian, 2009: 184). თეირანის მოსახლეობამ 12 მლნ-ს გადააჭარბა. ამასთან ერთად, 90-იანი წლების მანძილზე ისევ ხდებოდა დიდ ქალაქებში მოსახლეობის მოდინება, მათთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა კი არ იყო ადვილი საქმე.[39]

39 ირანში 1976 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 47%-ს, 2006 წლისათვის კი 68%-მდე გაიზარდა (Arjomand, 2009: 125).

ჰაშემი რაფსანჯანი

პრობლემების მიუხედავად, ისლამური რესპუბლიკის არსებობის პირველი 18 წელიწადის მანძილზე რიგითი ირანელებისათვის არაერთი სასიკეთო ცვლილება მოხდა. გატარდა საკმაოდ მიზანმიმართული და წარმატებული პოლიტიკა სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის (შაჰმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს ვერ მოახერხა). ამოქმედდა და მოწესრიგდა წყალმომარაგების სისტემა, სამედიცინო მომსახურების ცენტრები და სკოლები ყველაზე პერიფერიულ რეგიონებშიც კი გაიხსნა. განათლება პრაქტიკულად ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა (2004 წლისათვის მამაკაცთა 86% და ქალთა 73% წერა-კითხვის მცოდნე იყო). საგრძნობლად გაიზარდა ცხოვრების ხანგრძლივობა.

რევოლუციის შედეგები ქალთათვის არაერთგვაროვანია. განქორწინების შემთხვევაში ქალთა უფლებრივი თანასწორობა, რაც შაჰმა დააკანონა, გაუქმდა. თუმცა, ამას განსაკუთრებული ცვლილებები არ გამოუწვევია. ქალებმა შეინარჩუნეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. პოლიგამია და ბავშვთა ქორწინება ისევ დაუშვეს ოფიციალურად, თუმცა ამასაც პრაქტიკულად არავინ მისდევს, თუ არ ჩავთვლით დაშორებულ სასოფლო რეგიონებს (მაგ., ბელუჯისტანში სუნიტებით დასახლებულ სოფლებს). ჩადრის სავალდებულო ტარების კანონმა ქალები მნიშვნელოვნად შეზღუდა, მაგრამ მეორე მხრივ, ქალთა და ვაჟთა სკოლების შექმნამ „ტრადიციონალისტ მამებს“ მოუსპო სკოლებში გოგონების არგაშვების მიზეზი. ახალგაზრდა ქალებმა სწავლის მიღების საშუალება სრულად გამოიყენეს და დღეს ირანელ სტუდენტთა თითქმის ნახევარს ქალები შეადგენენ. ქალთა დიდი ნაწილი ასევე დასაქმებულია.

საერთო ჯამში, რაფსანჯანის პრეზიდენტობის ეპოქა საკმაოდ წინააღმდეგობრივი ხასიათს ატარებდა. ქვეყნის ესოდენ ნანატრი გახსნა მსოფლიოსათვის თითქოს რეალური იყო, მაგრამ ამან უპირველესად ეკონომიკაზე მოახდინა დადებითი შედეგი, სანამ უზარმაზარმა ვალებმა ისევ არ შეაჩერა ქვეყნის განვითარება და მისი საერთაშორისო გახსნა პოლიტიკისა და კულტურის სფეროებში. რაც შეეხება პრაგმატიზმს, რომელმაც რევოლუციური იდეოლოგია შეცვალა და თავისუფლებათა მინიმუმი მაინც დაუშვა, მას დიდი დარტყმა მიადგა რაჰბარის მიერ წარმოებული „დასავლური კულტურული აგრესიის წინააღმდეგ“ ბრძოლით და ასევე **1996 წლის გაზაფხულზე მეჯლისის არჩევნებში კონ**სერვატორთა გამარჯვებით (Digard et al., 2007: 387). **შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გა**მოსწორების მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. კლინტონის ადმინისტრაციამ 1995 წელს მიიღო და 1996 წლიდან განახორციელა სრული ემბარგო ირანის მიმართ (დ'ამატოს კანონი), რაც პირველ რიგში ქვეყნის სანავთობო ეკონომიკის განვითარებას უქმნიდა მუქარას. სულ უფრო მძიმდებოდა ტერორისტთა მხარდაჭერის ბრალდებები ირანისადმი. საუდის არაბეთში ხობარის სამხედრო ბაზაზე თავდასხმასა და 1992 წელს ბერლინში ქურთი ლიდერების მკვლელობაში დასავლეთმა ირანს დადო ბრალი. პროტესტის ნიშნად, **1997 წლის აპრილში ევროპის ყველა ელჩმა დროებით დატოვა თეირანი, ევრო**კავშირმა კი შეწყვიტა „კრიტიკული დიალოგი“ ირანთან.

ამ მძიმე, თითქმის უიმედო ვითარებაში **1997 წლის მაისის საპრეზიდენტო არჩევნებზე მოჰა**მად ხათამის კანდიდატურა რეალისტურ გამოსავლად წარმოდგა რევოლუციით შობილი კლერიკალური იერარქიის „ჩაკეტილი პოლიტიკური თამაშებიდან“ თავდასაღწევად (იქვე, 388). არსებული კონსტიტუციის ჩარჩოებში ისეთი პოლიტიკის გატარების სრულად მოულოდნელმა შესაძლებლობამ, რომელიც ძალადობაზე არ იქნებოდა დამყარებული, ირანელთა უდიდეს უმრავლესობას მომავლის იმედი ჩაუსახა. მათ სურდათ, რომ ქვეყანა შესულიყო პოსტისლამისტურ ფაზაში და ბოლო მოღებოდა ირანის იზოლაციას.

ხათამის „რესპუბლიკური ექსპერიმენტი“ კონსერვატორი რელიგიური ისტებლიშმენტის წნეხში მოექცა. მაგრამ რეპრესიების მიუხედავად, ხათამის პრეზიდენტობის წლებმა მაინც მისცა საშუალება ირანულ საზოგადოებას წინ წასულიყო და შეუქცევადად ჩართულიყო მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ, სამეცნიერო და კულტურულ პროცესებში.

მოჰამად ხათამის „რევოლუცია”

ქალები პრეზიდენტ სეიედ მოჰამად ხათამის ყველაზე თავგადაკლული მომხრეები გახდნენ, რომელმაც1997 წლის არჩევნებში გაიმარჯვა რეფორმატორული პროგრამით. ხათამიმ ხმათა 70% მიიღო (არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მქონეთა **80% მივიდა საარჩევნო უბნებში, წინა საპრეზიდენტო არ-**

ჩევნებში კი – მხოლოდ 50%). ხათამის პრეზიდენტად არჩევა კონსერვატორებისათვის არასასიამოვნო სიურპრიზი გახდა (ისინი მხარს უჭერდნენ მის მოწინააღმდეგეს, მეჯლისის კონსერვატორ სპიკერს ნათეყ ნურის). ამ გამარჯვებამ მომავლის იმედი ჩაუსახა ახალგაზრდობას. ველაიათ-ე ფაყიჰზე თავდასხმის გარეშე, ხათამი მოითხოვდა კონსტიტუციის პატივისცემას და სასამართლო ძალადობის შეწყვეტას.

ხათამი ჰოჯათ ოლ-ესლამის წოდებას ატარებდა. ის გამოსული იყო ცნობილი რელიგიური ოჯახიდან, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა აიათოლა ხომეინისთან. რევოლუციის პერიოდში ის მეთაურობდა ჰამბურგის შიიტურ მეჩეთს, შემდეგ ეკავა ისლამური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პოსტი, რომელიც 1992 წელს დატოვა, რამდენადაც უარყოფითად აფასებდა კულტურის სფეროში ხელისუფლების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს. თუმცა, ის მალე დაინიშნა ირანის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად და ეს პოსტი ეკავა პრეზიდენტად არჩევამდე (იხ. სანიკიძე, 2005ბ).

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მას ხმა მისცეს რევოლუციის გუშაგებმა და ყუმის რელიგიური სასწავლებლების სტუდენტებმაც. მაგრამ მის მთავარი მხარდამჭერი გახდა ახალი საშუალო კლასი, სტუდენტები, ქალები და ქალაქის დაბალი ფენები. რეფორმატორებმა მაშინვე დაიწყეს ახალი გაზეთის გამოშვება, სახელწოდებით *„2 ხორდად“* („2 მაისი“ – სწორედ 2 მაისს გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში ხათამიმ). მალე შეიქმნა „ხორდადის“ მოძრაობაც. ხათამის ძმამ კი, მედიცინის დოქტორმა რეზა ხათამიმ დაარსა გაზეთი *„მოშარექათ“* ("მონაწილეობა") და „ირანის მონაწილეობის პარტია.“ „ხორდადმა“ და „მოშარექათმა“ მალე ტირაჟით გადაუსწრეს „ქეიჰანსა“ და „ეთელაათს.“ ხათამის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე იყო თეირანის მერი ღოლამ ჰოსეინ ქარბასჩი, რომლის გაზეთი *„ჰამშაჰრი“* აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა რეფორმების სასარგებლოდ. ხათამის ბანაკში იყო აგრეთვე იმ დროს ისლამური „მემარცხენეობის“ ლიდერი, ყოფილი პრემიერი და მომავალში პრეზიდენტობის კანდიდატი მირ ჰოსეინ მუსავი.

ამ რეფორმატარულმა გაზეთებმა (მალე მათ კიდევ არაერთი დაემატა) მთლიანად შეცვალეს ადრე დამკვირებული ტერმინოლოგია. წინა ათწლეულებში, საზოგადოებრივ დისკურსის საკვანძო ტერმინები იყო *იმპერიალიზმი*, *მოსთაფაზინ*, *ჯეჰად* (ჯიჰადი, საღვთო ომი), *მოჯაჰედ*, *შაჰედ* (მოწამე), *ენყელაბ* (რევოლუცია), *ყარზადეგი* და ა.შ. ახლა კი მათ ადგილზე გაჩნდა *დემოქრასი*, *პლურალიზმ*, *მოდერნიიათ*, *აზადი* (თავისუფლება), *ბარაბარი* (თანასწორობა) *ჯამე'ე მადანი* (სამოქალაქო საზოგადოება), *ჰოყუყ-ე ბაშარ* (ადამიანის უფლებები), *მოშარექათ-ე სიიასი* (პოლიტიკური მონაწილეობა) *გოფთოგუ* (დიალოგი) და სრულიად ახალი ტერმინი *შაჰრვანდი* (მოქალაქეობა). ეს თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანი კულტურული შემობრუნება იყო, როგორიც 1979 წლის რევოლუცია (Abrahamian, 2009: 188).

ხათამის პრეზიდენტობის დასაწყისი ირანისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის შემობრუნებით იყო ნიშანდებული. უცხოეთში ალაპარაკდნენ, რომ ბოლოსდაბოლოს დადგა ისლამური რევოლუციის „თერმიდორის,“ პოსტისლამისტური ფაზა. ევროკავშირმა და ირანმა დაივიწყეს „რუშდის საქმე“ და წამოიწყეს „გლობალური პოლიტიკური დიალოგი“ კომერციული შეთანხმების დადების პერსპექტივით.

ხათამი იყო 1979 წლის შემდეგ ირანის პირველი სახელმწიფო მეთაური, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ეწვია დასავლეთის ქვეყნებს. პირველი ვიზიტი შედგა რომში 1999 წლის მარტში. სწორედ აქ წარმოადინა ირანის რეფორმატორმა პრეზიდენტმა საკუთარი საგარეო-პოლიტიკური ხედვა, რომელიც უნდა დამყარებოდა „დაძაბულობის განმუხტვას და მეტ თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებულ მსოფლიო წესრიგს“ (Roshandel, 2002: 139).

2001 წელი გაერო-მ, პრეზიდენტ ხათამის თაოსნობით, „ცივილიზაციათა დიალოგის“ წლად გამოაცხადა.

> „ანტიკური ხანიდან მოყოლებული ვიდრე ამერიკების აღმოჩენამდე, აზიის, აფრიკისა და ევროპის ცივილიზაციები ურთიერთკავშირში იმყოფებოდნენ. ისინი სხვადასხვა გზით გარდაქმნიდნენ ერთმანეთს. ისლამმა, რომელზედაც საფუძვლიანი ზეგავლენა იქონია ბერძნულმა ცივილიზაციამ, ცენტრალური შუამავლის როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ ევროპელები აზიარა ბერძნული აზრისა და ფილოსოფიის მიღწევებს. ამრიგად, „ახალი“ ცივილიზაცია არასოდეს არის ახალი ჭეშმარიტი გაგებით, ვინაიდან იგი ყოველთვის საზრდოობს წინამორბედი ცივილიზაციების ნაღვაწიდან, ითვისებს და გადაამუშავებს ყოველივეს, რაც მის მოთხოვნებს ერგება და თავისუფლდება ყოველივე იმისაგან, რაც არ უხდება“ (ხათამი, 2005: 152-153).

მას არაერთხელ უთქვამს, რომ მისი პროგრამა უკანასკნელი შანსი იყო ისლამური რესპუბლიკისათვის – რადგანაც თუ რეფორმების ბლოკირება მოხდებოდა, ხალხი მოითხოვდა სეკულარულ ხელისუფლებას და ამას თეოკრატიული რეჟიმის დამხობა მოყვებოდა. მაგრამ ხათამის, კონსერვატორთა დომინირების პირობებში, არ ჰქონდა თავისუფალი მოქმედების საშუალება და მისი რეფორმების

ბლოკირება მაინც განხორციელდა. ამ ვითარებაში რეჟიმის პოპულარობა სულ უფრო ეცემოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. მეჩეთებში მოსიარულეთა რიცხვი შემცირდა.[40]

ხათამის პრეზიდენტობის პერიოდში კვლავაც აქტუალური იყო შტატებთან ურთიერთობის საკითხი. ხათამიმ არაერთხელ გამოხატა დიალოგის წამოწყების სურვილი (პირველად CNN-ს ჟურნალისტ ქრისტიან ამანფურთან ინტერვიუში **1998 წლის იანვარში). მაგრამ ისრაელისადმი მტრული დამოკი-**დებულება კვლავაც გადაულახავ წინაღობად რჩებოდა. გაუმჯობესდა ურთიერთობა ბრიტანეთთან და გაჩნდა იმედი, რომ სწორედ ბრიტანეთი შეუწყობდა ხელს შტატებთან ურთიერთობის გამოსწორებას, თუმცა ამ უკანასკნელმა ამისათვის არაფერი გააკეთა. 1999-2000 წლებში კლინტონმა და ოლბრაითმა, არაერთი შემრიგებლური განცხადება გააკეთეს, **1953 წლის სახელმწიფო გადატრიალებაში ცსს-ს მო-**ნაწილეობის შეცდომად აღიარების ჩათვლით. თავის მხრივ, ხათამიმაც „სინანული“ გამოხატა მძევლების ინციდენტის გამო. თუმცა, რეალური ნაბიჯები ურთიერთობების აღდგენისაკენ არ გადადგმულა.



მოჰამად ხათამი

ხათამის რეფორმებზე კონსერვატორებმა შეტევა უკვე 1998 წელს დაიწყეს. აპრილში გაიმართა თეირანის მერის ქარბასჩის სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალად დასდეს ხათამის საპრეზიდენტო კამპანიის დაფინანსება მუნიციპალური ფონდებიდან. რამდენიმე თვის შემდეგ პარლამენტმა გადააყენა „2 ხორდადის“ გამომცემელი, შინაგან საქმეთა მინისტრი აბდოლა ნური, რომლის პოლიტიკაც „ზედმეტად ლიბერალურად“ ჩაითვალა. ორივე მათგანს სასამართლომ ხანგრძლივვადიანი პატიმრობა მიუსაჯა.

1998 წლის ნოემბერ-დეკემბერში მწერლებისა და დისიდენტების მკვლელობები „სერიული მკვლელობების“ სახელით გახდა ცნობილი და საერთო შეხედულებით, უშიშროების სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული ხათამის დისკრედიტაციის მიზნით. მსხვერპლთა შორის იყვნენ მწერალი დარიუშ ფორუჰარი, მისი მეუღლე ფარვანე და რევოლუციის სხვა ვეტერანები. ამ პირობებში ხათამიმ მოახერხა, რომ დაეპატიმრებინათ მკვლელობების ორგანიზატორი საიდ ემამი და სხვა დამნაშავეები, დაიწყო უშიშროების სამინისტროში წმენდაც.

ბევრი მიიჩნევდა, რომ მან მოახერხა საკუთარი პოზიციებისა და რეფორმების პროცესის გამყარება. მაგრამ ამ დაკავებებს მალე მოყვა შირაზში 13 ებრაელის დაპატიმრება შპიონაჟის ბრალდებით – ეს უშიშროების სამსახურს სჭირდებოდა სიონიზმთან „მამაცი და ფხიზელი მებრძოლის“ იმიჯის შესაქმნელად. დაპატიმრებების ამ სერიამ უარყოფითად იმოქმედა ხათამის საერთაშორისო იმიჯზე. უშიშროების სამსახურის განცხადებით, იმავე ბრალდებით დააკავეს რამდენიმე მუსლიმიც, თუმცა, ეს აშკარად წინა ქმედების ანტისემიტური ხასიათის დასაფარად განხორციელდა. მალე ებრაელები გამოუშვეს, მაგრამ მოგვიანებით რამდენიმე მათგანი ისევ დააპატიმრეს ისრაელის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით.

დაკავებულთა საქმემ ირანი ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების კრიტიკის ქარცეცხლში მოაქცია. ბევრმა ეს ფაქტი ისლამურ რესპუბლიკაში ებრაელების მძიმე მდგომარეობის დასტურად აღიქვა. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელების რიცხვი ირანში დღესაც აღემატება მათ რაოდენობას სხვა ნებისმიერ ახლოაღმოსავლურ ქვეყანაში, მათი რაოდენობა მაინც უკიდურესად შემცირებულია 1948 წელთან შედარებით.[41] ეს შემცირება დიდწილად აიხსნება ებრაელთა ემიგრაციით ისრაელსა და განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში. **1979 წლიდან ემიგრაციამ უფრო ფართო მასშ-**ტაბები მიიღო. აღსანიშნავია, რომ ხომეინი შეხვდა ებრაულ თემს რევოლუციის შემდეგ და ისლამური კანონმდებლობის საფუძველზე, როგორც „წმინდა წიგნის“ ხალხს, დაცვა აღუთქვა. კონსტიტუციით,

40 მანსურ მოადელის 2004 წლის გამოკვლევის თანახმად, ირანელთა მხოლოდ 27% ასრულებს კვი-რაში ერთხელ მაინც რელიგიურ მიწერილობებს ან ესწრება ღვთისმსახურებას, ახლო აღმოსავ-ლეთის სხვა სხვა ქვეყნების მონაცემები ასეთია: საუდის არაბეთი – 28%, თურქეთი – 38%, ეგვიპტე – 42%, აშშ – 45%. ამასთან, მორწმუნედ თავს მიიჩნევს ირანელების 82%, საუდის არაბეთის მცხოვრებთა 62%, თურქების 80%, ეგვიპტელების 99% და ამერიკელების 81%. (Moaddel, 2007).

41 1948 წელს, ისრაელი სახელმწიფოს შექმნისას ირანში მინიმუმ 100 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. 1980 წელს უკვე 80 ათასი იყო, დღეს კი აფასებენ 25-დან 35 ათასამდე (Sanasarian, 2000: 47, 47n.). სხვა მონაცემებით ირანში ებრაელთა რიცხვი 1948 წლისათვის 140-დან 150 ათასამდე მერყეობდა.

ებრაელებს გარანტირებული აქვთ ერთი ადგილი მეჯლისში, ისე როგორც სომხებს (2 ადგილი) და ზოროასტრელებს. თუმცა, ებრაელებისათვის კვლავაც დარჩა გადაუჭრელი პრობლემები. მაგალითად, ისლამზე მოქცეული, ნათესავის სიკვდილის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის ქონებას მთლიანად იღებს მემკვიდრეობით; ისინი კი, ვინც იუდეველად დარჩა, არაფერს იღებენ. ისლამურ რესპუბლიკაში ძველი ანტისემიტიზმი უბრალოდ შეიმოსა ანტისიონიზმის სამოსში (ამასთან, ირანელების ნაწილი ზოგადად ანტიპათიურად არის განწყობილი ისრაელის მიმართ პალესტინის საკითხის გამო). მრავალი ებრაელი გრძნობს, რომ რეჟიმის ანტისიონიზმმა საფუძველი გაუმყარა ანტისემიტიზმს. ეს თვალსაჩინოდ ვლინდება პრესაში და ზოგადად ებრაელების სხვადასხვა ფორმით შევიწროებაში (მაგალითად, ებრაელებს აიძულებდნენ სახსრები გაეღოთ „ანტისიონისტური საქმეებისათვის"). ირანის ებრაელთა უძველესი ისტორიისა და უნიკალური და მდიდარი ირანული ებრაული კულტურიდან გამომდინარე, სრულიად არანორმალური სიტუაციაა შექმნილი. ხაზგასასმელია, რომ მრავალი ირანელი ებრაელი ისრაელსა თუ შტატებში ინარჩუნებს ირანულ ტრადიციებს, მაგალითად აღნიშნავენ ირანულ ახალ წელს – ნოურუზს და სახლშიც სპარსულად ლაპარაკობენ.

ბაჰაიტთა მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა. ისლამური ხელისუფლება ბაჰაიტებს საერთოდ ათეისტებად მიიჩნევს. არაერთი ბაჰაი დასაჯეს სიკვდილით 1979 წლის შემდეგ (ბრალდებებში ხშირი იყო მათი დადანაშაულება სიონისტებთან კავშირში). მათ ძალით ისლამზე მოქცევასაც აიძულებდნენ. მათ აუკრძალეს უნივერსიტეტებში სწავლაც და სადამსჯელო რაზმები ხშირად ესხმოდნენ ბაჰაიტებს მათი საგანმანათლებლო წრეების შეკრებებზე.

1999 წელს ირანი სტუდენტთა მძლავრმა საპროტესტო გამოსვლებმა მოიცვა. ეს იყო ყველაზე მასშტაბური საპროტესტო მოძრაობა რევოლუციის შემდეგ. დემონსტრაციების საბაბად იქცა კონსერვატორების მიერ კიდევ ერთი რეფორმატორული გაზეთის „სალამის" დახურვა. მოძრაობამ პრაქტიკულად შეარყია ისლამური რესპუბლიკის საფუძვლები. კონსერვატული ისტებლიშმენტი, რომელიც მიჩვეული იყო, რომ ძალადობის გამოყენებაზე სრული მონოპოლია გააჩნდა, შოკირებული აღმოჩნდა სტუდენტთა გააფთრებული წინააღმდეგობით არამარტო თეირანში, არამედ მთელ ქვეყანაში (Ansari, 2009: 171). ხელისუფლებამ ძალისმიერი მეთოდებით სასტიკად ჩაახშო გამოსვლები. იყო მსხვერპლიც. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბასიჯები. დასავლეთში ბევრს გაუცრუვდა იმედი ხათამიზე, როდესაც ის არ დაუპირისპირდა კონსერვატორებს და საშუალება მისცა დაერბიათ სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები, მაგრამ ჩანს, რომ მრავალი ირანელი იზიარებდა მის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ძალადობრივ დაპირისპირებას სჯობდა ნელი, ევოლუციური ცვლილებები. მისი თვალსაზრისის დასტურად საკმაოდ მყარი არგუმენტი არსებობდა: რევოლუციისაგან მიღებული გამოცდილების შემდეგ, გასაგები იყო, ხათამისა და მრავალ სხვა რეფორმატორს აღარ სურდა, რომ მათი იმედები ქუჩის ძალადობაზე დამყარებული რისკის ქვეშ დაეყენებინა.

2000 წლის მაისის მეჯლისის არჩევნებში რეფორმატორებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს (250 ადგილიდან მათ 195 ერგოთ). უკვე მრავალი ფიქრობდა, რომ ირანში რელიგიური წინამძღოლობის უფრო ზომიერი ფორმა დამყარდებოდა, რომელშიც კლერიკალური ელემენტი აღარ ითამაშებდა ესოდენ მნიშვნელოვან როლს.

> „ირანი, მიუხედავად იმისა, რომ ისლამური სახელმწიფოა, გაჟღენთილი რელიგიითა და რელიგიური სიმბოლიზმით, სულ უფრო ანტიკლერიკალური ქვეყანა ხდება. ამ თვალსაზრით ის წააგავს კათოლიკურ ქვეყნებს, სადაც რელიგია მხარდაჭერილია, მაგრამ ამას საზოგადოება არ გამოხატავს და ეჭვის თვალით უყურებს სამღვდელოებას. ირანელები ამჟღავნებენ მოლების აბუჩად აგდების ტენდენციასაც და მრავალი ანეკდოტი არსებობს მათ შესახებ. მათ აშკარად სურთ, რომ ისინი თავიდან მოიშორონ. განსაკუთრებით არ უყვართ პოლიტიკური სამღვდელოება" (*The Economist*, 09.02.2000).
>
> „სამღვდელოება ჩივის, რომ მოსახლეობის 70% არ ასრულებს ყოველდღიურ ლოცვას და მხოლოდ 2% დადის პარასკეობით მეჩეთში" (*The Economist*, 16.01.2003).

2000 წლიდან კონსერვატორთა წინააღმდეგობა რეფორმებისადმი გაცილებით უფრო მიზანმიმართული და კომპეტენტური გახდა. თავისუფალ პრესაზე ძლიერი თავდასხმა განახორციელდა. მრავალი ჟურნალისტიც ციხეში ჩასვეს. ბელადი ხამენეი პირადად ჩაერია ახლადარჩეული მეჯლისის მუშაობაში და მოითხოვა, რომ არ შეერბილებინათ კანონი პრესის შესახებ, რომელიც ამგვარი რეპრესიების განხორციელების საშუალებას იძლეოდა (ეს კანონი წინა მეჯლისმა, რომელშიც კონსერვატორები დომინირებდნენ, მუშაობის ბოლო თვეებში მიიღო). მეჯლისი პრაქტიკულად ბლოკირებული აღმოჩნდა გარედან კონსერვატორთა ზეწოლის შედეგად და რეფორმების პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წარმატებისათვის არ მიუღწევია. თავის მხრივ, ზედამხედველთა საბჭომ მეჯლისის მიერ მი-

ღებული რეფორმატორული კანონების უმრავლესობას ვეტო დაადო იმ მიზეზით, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ შარიათსა და კონსტიტუციას. სასამართლო ხელისუფლებამ პრესაზე შეტევა დაიწყო და ერთბაშად თექვსმეტი რეფორმატორული გაზეთი დაიხურა (ეს მოვლენა „პრესის დიდი განადგურების“ სახელით გახდა ცნობილი). რელიგიის საწინააღმდეგო ქმედების ბრალდებით კი არაერთი ინტელექტუალი დააპატიმრეს. მათ შორის იყვნენ: ისტორიკოსი, რომელმაც გამოთქვა აზრი, რომ ისლამს პროტესტანტული რეფორმაციის მსგავსი ცვლილებების განხორციელება ჭირდებოდა; ჟურნალისტი, რომელმაც დაწერა, რომ ვერ მოიძია ველაიათ-ე ფაყიჰის კვალი ყურანსა და თორმეტი იმამის მოძღვრებებში; კიდევ ერთი ჟურნალისტი კი დაისაჯა იმ განცხადების გამო, რომ ჩადრის ტარების ტრადიცია წინ უსწრებდა ისლამს და წარმართულ ცივილიზაციებს უკავშირდებოდა.

ხათამიმ ამ ვითარებაში ვერ და არ აიღო ინიციატივა საკუთარ ხელში. 2000 წლის ივლისში კი ირანმა საშუალო მანძილის რაკეტები „შაჰაბ III“ გამოსცადა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საერთაშორისო უნდობლობა ისლამური რეჟიმის მიმართ.

2001 წლის ტერაქტები ირანმა (არამარტო ხათამიმ, არამედ ხამენეიმაც) დაგმო.[42] რიგითი მოქალაქეები სანთლებით გამოვიდნენ ქუჩებში (ამ მხრივ ირანელთა ქცევა განსხვავდებოდა სხვა ახლოაღმოსავლური ქვეყნებისაგან). აშშ-ირანის ურთიერთობების გამოსწორების კიდევ ერთი შესაძლებლობა შეიქმნა **2001 წლის მიწურულს, როდესაც ირანმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია კو**ალიციურ ჯარებს ავღანეთში თალიბებთან დაპირისპირებისას, დაარწმუნა რა დაჯგუფება „ჩრდილოეთის ალიანსი“ დათანხმებულიყო სიტუაციის დემოკრატიულ მოწესრიგებაზე თალიბების შემდგომდროინდელ ავღანეთში.[43] მაგრამ **2002 წელს ჯორჯ ბუშმა ისევ მოიხსენია ირანი „ბოროტების ღერ**ძის“ ქვეყნად ერაყთან და ჩრდ. კორეასთან ერთად.[44] შტატების პრეზიდენტმა ბრალი დასდო ირანს აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსებაში და ასევ დაგმო ქვეყნის „არარჩეული ლიდერები“ ირანელი ხალხისათვის თავისუფლებების წართმევაში. ბოლოს კი, ბუშის ადმინისტრაციამ უარი თქვა ირანის შეთავაზებაზე 2003 წლის გაზაფხულზე (ბაღდადის დაცემიდან სულ მალე), შვეიცარიის გზით, ორმხრივი მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, რომლის შედეგიც შეიძლებოდა ყოფილიყო ბირთვულ პროგრამაზე კომპრომისის მიღწევა და ისრაელის დე ფაქტო აღიარება.

> **„2003 წელს შეერთებული შტატებისათვის ირანის მიერ შეთავაზებული კონცესიების პაკეტი ძა**ლიან ახლოს დგას იმასთან, რასაც დღეს თეირანისგან მოითხოვენ. ირანი, სხვა დათმობებთან ერთად, მზად იყო შეეწყვიტა ლიბანური და პალესტინური მებრძოლი ჯგუფების მხარდაჭერა და დახმარება გაეწია ერაყისათვის აშშ-ის მეთაურობით განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ. აშშ-ის მაღალი რანგის ყოფილმა ოფიციალურმა პირმა BBC-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ეს შემოთავაზებები უარყოფილ იქნა ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის ოფისის მიერ. სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ერთ-ერთი თანაშემწის სიტყვებით კი, სახელმწიფო დეპარტამენტი დიდ ინტერესს ამჟღავნებდა ამ გეგმის მიმართ, თუმცა ვერ მოიპოვა მხარდაჭერა“ (*CSM,* 18.01.2007; news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/6274147.stm).

ამდენად, სიმართლეს წარმოადგენს, რომ ირანელებმა ხათამის დროს დაკარგეს დასავლეთთან დაახლოების შანსი, მაგრამ ასევე საჭიროა მოვლენების ირანული პერსპექტივიდან დანახვაც.

---

42 თუმცა, 2009 წელს პრეზიდენტმა აჰმადინეჟადმა შემდეგი სახის განცხადება გააკეთა: „მოხდა ინციდენტი, რომელიც ცნობილია 9/11-ის სახელით. დღემდე არ არის ნათელი, თუ ვინ განახორციელა ეს და ვინ იყო ხელშემწყობი... ჰოლოკოსტის მსგავსად... მათ ობიექტურ საგამოძიებო ჯგუფებს უარი უთხრეს სიმართლის დადგენაზე. ისინი შეიჭრნენ ავღანეთსა და ერაყში და ამისათვის 9/11 პრეტექსტად გამოიყენეს.“ (MEMRI Special Dispatch – No 2221, January 30, 2009). 2010 წელს კი მან ტერაქტების ორგანიზებაში უკვე პირდაპირ დასდო ბრალი შტატებს და ისევ გაიმეორა, რომ აშშ-მა ტერაქტები მუსლიმთა წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად გამოიყენა.

43 ირანს თალიბების რეჟიმთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. 1998 წელს თალიბებმა ირანელი დიპლომატები დახოცეს ავღანეთის შიიტურ ქალაქ მაზარ-ი შარიფში.

44 აშშ-ირანის ურთიერთობის ხელახალი „გაცივება“ ამ პერიოდში ნაწილობრივ აიხსნება 2002 წელს ისრაელის მიერ სატვირთო გემის დაკავებით, რომელიც დატვირთული იყო „ჰეზბოლასათვის“ ირანიდან გამოგზავნილი იარაღით. „პროისრაელურმა ლობიმ, ამერიკელ ნეოკონსერვატორთა მხარდაჭერით, კიდევ ერთხელ, ისე როგორც წარსულში, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამერიკის პოლიტიკის განსაზღვრაში ახლო აღმოსავლეთის მიმართ“ (Digard et al., 2007: 394).

მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის შედეგები ცალსახა არაა. ერთი მხრივ, იყო პოლიტიკური და კულტურული ლიბერალიზაციისაკენ მიმართული რეალური ძალისხმევა, მაგრამ ამას თან ერთვოდა მიზანმიმართული რეფორმების გატარების უუნარობა ეკონომიკური კრიზისის გაძლიერების პირობებში. კონსერვატორებს (იგივე „რადიკალებს") და „რეფორმატორებს (იგივე „ლიბერალებს") შორის მოქცეულ პრეზიდენტ ხათამის უკიდურესად შეზღუდული ჰქონდა მოქმედების სივრცე. მის მომხრეებს არც შეეძლოთ და არც სურდათ წამოეწყოთ ახალი პოსტისლამისტური რევოლუცია და არც ისეთი პოლიტიკური ცვლილებები განეხორციელებინათ, რომელთა კონტროლის უნარიც მათ არ გააჩნდათ. ხომეინიზმის იდეოლოგიით ნასაზრდოები ხათამიც რელიგიური კლასს ეკუთვნოდა და სულაც არ იყო მოსურნე დაენგრია ისლამური რესპუბლიკა, მას უბრალოდ მისი ევოლუცია სურდა. მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობრივი შედეგისა, **1997-2005 წლების პერიოდმა, დიდად შეუწყო ხელი ურბანული** საშუალო ფენების, უპირველესად ქალებისა და ახალგაზრდობის, ემანსიპაციას, განსაკუთრებით იდეოლოგიური თვალსაზრისით. ირანის კულტურულ და პოლიტიკურ სივრცეში, შეუქცევადად დამკვიდრდა ისეთი საყოველთაო ფასულობები, როგორიცაა „ცივილიზაციათა დიალოგი," აზრის გამოხატვის თავისუფლება. თავისი შედეგებით, ეს მოვლენა შესაძლოა „ველაიათ-ე ფაყიჰის" დოქტრინის დამკვიდრებას შეედაროს.

აჰმადინეჟადის „ახალი კონსერვატიზმი"

რეფორმებისა და საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკის წარუმატებლობამ ლიბერალური ეიფორია მოსპო. ამ პირობებში კი კონსერვატორებმა გამარჯვება მოიპოვეს 2004 წლის საპარლამენტო და **2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ამგვარად, მაჰმუდ აჰმადინეჟადის პრეზიდენტად არჩევის შემ**დეგ ირანისა და დასავლეთის ურთიერთობები ახალ, უფრო ძლიერ კონფრონტაციულ ფაზაში შევიდა.

მაჰმუდ აჰმადინეჟადი ირანის მოსახლეობის დაბალი ფენებიდანაა გამოსული. თუმცა, მან შეძლო უმაღლესი განათლების მიღება. რევოლუციის დღეებში ის „იმამის კურსის მიმდევარი სტუდენტების" ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. არსებობს ცნობები, რომ პირადად იღებდა მონაწილეობას აშშ-ის საელჩოს პერსონალის მძევლად აყვანაში 1979 წელს, თუმცა ამას აჰმადინეჟადი კატეგორიულად უარყოფს. ერაყთან ომის დროს ის „რევოლუციის გუშაგთა" წევრი იყო, შემდეგ მუშაობდა უშიშროების სამსახურში. კონსერვატორთა მხარდაჭერით, 2003 წელს ის თეირანის მერი გახდა (აღსანიშნავია, რომ ამ არჩევნებში თეირანელთა მხოლოდ **12%-მა მიიღო მონაწილეობა). სწორედ კონსერვატორთა, უპირ**ველესად კი რაჰბარ ხამანეის თაოსნობით, 2005 წელს ის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდა.

მისი **2005 წლის ივნისის კამპანია წარმატებული გამოდგა, ვინაიდან ორგანიზაციული თვალსაზ**რისით მას დახმარებას უწევდა გუშაგთა კორპუსი, ის კი ღარიბებსა და ქალაქების უმუშევრებს მიმართავდა მათთვის გასაგები ენით, პირდებოდა იმ საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაწყვეტას, რომლის წინაშეც ხათამის მთავრობა უძლური აღმოჩნდა. არჩევნებამდე აჰმადინეჟადი ეწვია ქვეყნის ყველაზე ღარიბ რეგიონებს, სადაც არც ერთ პოლიტიკოსს არასოდეს ჩაუდგამს ფეხი და იქაურ მოსახლეობას ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას დაპირდა. თავისი კარიერის მანძილზე ხომეინი, შაჰის მმართველობის გმობისას, ხშირად იყენებდა მემარცხენე, მარქსისტულსაც კი, დისკურსს, რამდენადაც სურდა წარმოეჩინა დასავლეთის „ექსპლუატატორული არსი." აჰმადინეჟადის საპრეზიდენტო კამპანიის სლოგანი იმეორებდა ხომეინის დისკურსს იმ განსხვავებით, რომ თავდასხმის ობიექტი არა შაჰი, არამედ ის სასულიერო ლიდერები იყვნენ, რომლებმაც ხომეინის ღირებულებებს უღალატეს სახელისუფლებო პრივილეგიების მოსაპოვებლად (Takyeh, 2006: 15).

არჩევნებზე პირველი ტურის შემდეგ რაფსანჯანი ბევრად უსწრებდა მეორე ადგილზე გასულ აჰმადინეჟადს. პირველ ტურში, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატების რიცხვი დიდი იყო, აჰმადინეჟადმა ხმების სულ **6% დააგროვა. საერთოდ კი პირველ ტურში 4 კანდიდატმა, რომლებიც მეტ-ნაკ**ლებად რეფორმატორთა ბანაკს ეკუთვნოდნენ, ერთად ორჯერ მეტი ხმები მიიღეს, ვიდრე ორმა კონსერვატორმა კანდიდატმა. აღსანიშნავია ასევე რეფორმატორთა წარუმატებელი პოლიტიკით გულაცრულებული ამომრჩევლების დაბალი აქტივობა (საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა 40-დან 50%-მდე მივიდა). მხოლოდ ერთი რეფორმატორი კანდიდატი რომ ყოფილიყო, ყოველივე მიუთითებს, რომ ის აუცილებლად გაიმარჯვებდა პირველსავე ტურში (Ansari, 2009: 226). **მაგრამ მეორე ტურში მდგომა**რეობა შეიცვალა. რაფსანჯანი რეჟიმის უკიდურეს კორუმპირებულობასთან იყო ასოცირებული. ბევრმა აჰმადინეჟადს მხოლოდ იმისათვის მისცა ხმა, რომ არ აერჩია კიდევ ერთი მოლა[45] – აჰმადინეჟა-

45 რაფსანჯანი იმ დროს ჰოჯათ ოლ-ესლამის წოდებას ატარებდა, 2008 წლიდან კი აიათოლად მოიხსენიება.

დი ბანი სადრის შემდეგ პირველი პრეზიდენტი იყო, რომელიც რელიგიურ ფენას არ ეკუთვნოდა. აჰმადინეჟადს დიდი დახმარება გაუწია ძალოვანი სტრუქტურების მხარდაჭერამაც. მრავალი დასავლელი ექსპერტისათვის არჩევნების შედეგები სრული მოულოდნელობა გახდა.

არჩევნები სულაც არ ჩატარებულა სამართლიანად. მრავალმა რეფორმატორმა ბოიკოტს მიმართა ზედამხედველთა საბჭოს მიერ მათი კანდიდატების დაბლოკვის გამო. მეორე ტურში აჰმადინეჟადმა ხმათა 60% მიიღო. ამ ტურში კი მოსახლეობის 60% მონაწილეობდა – შესაბამისად მას ამომრჩეველთა 40%-ზე ნაკლებმა მისცა ხმა (აჰმადინეჟადს 100%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა ძალოვან სტრუქტურებში).

> 2003 **წელს თეირანის მერის არჩევნების დროს, კონსერვატორები აჰმადინეჟადს მხარს უჭერდ**ნენ მისი „ბასიჯის მილიციის მენტალიტეტის გამო". 2004 წელს მან მართლაც განაცხადა, რომ ქვეყნის პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა „რევოლუციური ძალები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ ბასიჯის მენტალიტეტი." (Naji, 2008: 49-50). **პრეზიდენტად არჩევის შემდეგ აჰმადინეჟადს არ დავიწყება მად**ლიერების გამოხატვა რევოლუციის გუშაგებისა და ბასიჯების მიმართ – ე.წ. „განვითარების" ბიუჯეტი 74%-ით გაიზარდა, რათა ბასიჯებს სამთავრობო კონტრაქტების მოგების საშუალება შექმნოდათ. **2005 წელს მან ჩაატარა „ბასიჯის კვირეული" – ასეულ ათასობით მწყობრში მყოფმა და რეზერვის**ტმა ბასიჯმა სიმბოლური ცოცხალი ჯაჭვი შეკრა მთელი ირანის მასშტაბით. აჰმადინეჟადმა გამოაცხადა, რომ ირანის წარმატებები განაპირობა „ბასიჯის კულტურამ, რომელსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული ერსა და ქვეყანაში, დღევანდელი მსოფლიოს ნებისმიერ პრობლემას კი განაპირობებს „ამ კულტურისათვის ზურგის შექცევა."

პირველი ნიშანი იმისა, რომ აჰმადინეჟადი განსხვავებულ სტრატეგიას აირჩევდა საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაციისა და გაზრდისათვის, იყო მისი კაბინეტის შემადგენლობა. მის მიერ დანიშნულებს ადმინისტრირების გამოცდილება ან საერთოდ არ ჰქონდათ, ან მეტად მცირე გააჩნდათ. სამაგიეროდ, მრავალი მათგანი წარსულში უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურებთან იყო დაკავშირებული. იმის მაგივრად, რომ კაბინეტი დაეფუძნებინა პროფესიონალებზე, აჰმადინეჟადმა წამყვან თანამდებობებზე დანიშნა ძველი მეგობრები თეირანის მუნიციპალიტეტიდან თუ „რევოლუციის გუშაგებიდან."

აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პერიოდში ირანის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა უკიდურესად ხისტი სახე მიიღო, აღორძინდა რევოლუციის იდეოლოგიური თემები. აჰმადინეჟადის დაახლოებული პირისა და საგარეო უწყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის საიდ ჯალილის განცხადებით „ჩვენ არ შეგვიძლია გვქონდეს ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც იდეებზე არ იქნება დამყარებული... იყო დრო, როდესაც მავანნი ამბობდნენ, რომ ჩვენ იდეოლოგია უნდა ამოგვეღო საგარეო პოლიტიკიდან. მე არასოდეს მესმოდა ეს" (ციტ. Maloney, 2008: 21).

აჰმადინეჟადის ფაქტორი მალე მართლაც დრამატულად აისახა ირანის საგარეო პოლიტიკაზე. ამასთან, ირანმა დააჩქარა ბირთვული პროგრამა, კვლავაც დახმარებას უწევდა ჰამასსა და ჰეზბოლას, ხშირ შემთხვევაში დასავლეთისათვის მიუღებელ პოლიტიკას ახორციელებდა ერაყში. ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე კი განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა აჰმადინეჟადის არაერთმა განცხადებამ ისრაელის სახელმწიფოს მოსპობის აუცილებლობის (ირანი საერთოდ არ ცნობს ისრაელის არსებობას) შესახებ და II მსოფლიო ომში ებრაელთა ჰოლოკოსტის უარყოფამ.

> *აჰმადინეჟადის გამონათქვამებიდან:*
>
> „ზოგიერთი ევროპული ქვეყანა დაჟინებით ამტკიცებს, რომ ჰიტლერმა დახოცა მილიონობით უდანაშაულო ებრაელი ღუმელებში და ისინი მოითხოვენ, რომ თუკი ვინმემ დაამტკიცა ამის საწინააღმდეგო, ის უნდა დაიგმოს და ციხეში ჩასვან. მაგრამ ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოთხოვნას. თუკი დავუშვებთ, რომ ეს სიმართლეა, ჩვენი კითხვა ევროპელების მიმართ შემდეგი სახის იქნება: არის ჰიტლერის მიერ უდანაშაულო ებრაელების დახოცვა გამართლება იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ იერუსალიმის ოკუპანტებს? თუკი ევროპელებს სურთ სამართლიანობა გამოიჩინონ, მაშინ მათ თავიანთი ზოგიერთი პროვინცია უნდა მისცენ ევროპაში – გერმანიაში, ავსტრიაში თუ სხვაგან სიონისტებს და მათ შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი სახელმწიფო შექმნან ევროპაში." (*IRNA*, 08.12.2005).

ისრაელის საკითხთან დაკავშირებით აჰმადინეჟადი ყოველთვის თანმიმდევრული არ იყო. იგი ხშირად იმეორებდა, რომ სიონისტური რეჟიმი სწრაფად დასრულდება იგივე გზით, როგორითაც დასრულდა საბჭოთა კავშირის არსებობა და კაცობრიობა მიაღწევს თავისუფალი არჩევნების ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ებრაელები, ქრისტიანები და მუსლიმები, ამგვარად პალესტინის მოსახლეობამ თვითონვე უნდა აირჩიოს ხელისუფლება და განსაზღვროს საკუთარი ბედი დემოკრა-

ტიული გზით. „ჩვენი მოთხოვნაა **5 მილიონი პალესტინელი ლტოლვილის დაბრუნება საკუთარ სახ-**ლებში და ამის შემდეგ ამ მიწებზე მცხოვრები მთელი მოსახლეობა ჩაატარებს რეფერენდუმს და აირ-ჩევს მმართველობის საკუთარ სისტემას. ეს არის დემოკრატიული გზა.“[46] მაგრამ მას ეკუთვნის შედა-რებით „რბილი“ და „შემრიგებლური განცხადებებიც: „თუ მათ [პალესტინელებს] სურთ, რომ სიონის-ტები დარჩნენ, მათ შეუძლიათ დარჩნენ... ჩვენ პატივს ვცემთ ხალხის ნებისმიერ გადაწყვეტილებას. მე ვგულისხმობ, რომ ეს ემთხვევა ჩვენს შეთავაზებას მიეცეს პალესტინელ ხალხს გადაწყვეტილების მიღების უფლება თავისუფალი რეფერენდუმის გზით.“[47]

მაშინ, როცა ირანის მმართველი ელიტა დიდი ნაწილი ჰოლოკოსტის საკითხთან დაკავშირებით აჰმადინეჟადის გარშემო დაირაზმა, რეფორმატორებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მისი შეხე-დულებები. ყოფილმა პრეზიდენტმა ხათამიმ დაგმო მისი მემკვიდრის პოზიცია: „ჩვენ ხმა უნდა ავი-მაღლოთ თუნდაც ერთი ებრაელის მკვლელობის შემთხვევაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰიტლე-რის, ნაციზმის ერთ-ერთი მთავარი დანაშაული უდანაშაულო ადამიანების დახოცვაა და მათ შორის მრავალი ებრაელი იყო (*AFP*, 11.03.2008). **კიდევ ერთი თვალსაჩინო ფიგურა რეფორმატორთა რიგე-**ბიდან, საედ ჰავჯარიანი საუბრობს იმ ზიანზე, რაც ირანს მიაყენა თავისი პოზიციით აჰმადინეჟადმა: „მსოფლიოს თვალთახედვიდან, ირანი არაპროგნოზირებადი ქვეყანაა, [მისი ლიდერის] ანომალიური და არადიპლომატიური კომენტარების გამო“ (ციტ. Takeyh, 2009: 257).

თუმცა, ჰოლოკოსტის საკითხთან დაკავშირებით აჰმადინეჟადის მომხრეებს შორისაც კი არ იყო ერთსულოვნება. ირანის პოლიტიკური სპექტრის მრავალფეროვნებისა და წინააღმდეგობების მაგალი-თად ისიც გამოდგება, რომ აჰმადინეჟადის უპირობო მხარდამჭერი „გუშაგთა კორპუსი“ არ მოერიდა მის გაკრიტიკებას გუშაგების მიერ კონტროლირებად ერთ-ერთ ვებ-გვერდზე ჰოლოკოსტის უარყო-ფის გამო, მას ბრალი დასდეს „ეროვნული ინტერესების საზიანო ავანტურიზმში იმის ხაზგასმით, რომ ეს „იმამ ხომეინის პოზიციის უარყოფას წარმოადგენდა, რომელსაც არასოდეს შეუტანია ეჭვი ჰოლო-კოსტში“ (ციტ. Naji, 2008: 175).

მაჰმუდ აჰმადინეჟადი

ისრაელზე თავდასხმები უკეთ შეიძლება იქნეს გაგებული ისლამური რესპუბლიკის იდეოლოგიის კონტექსტში, ისე როგორც ახლო აღმოსავ-ლეთის მასებზე ზემოქმედების მცდელობებში. აჰმადინეჟადი და ირანუ-ლი კლერიკალური ელიტა გულწრფელად იზიარებენ ხომეინის მრწამსს, რომ იმპერიალიზმის ძალებით შექმნილი და ისლამს თავსმოხვეული ის-რაელი ხელოვნური წარმონაქმნია. მაგრამ ამასთან ერთად, ისინი ამგვარ რიტორიკას იყენებენ საზოგადოებრივი აზრის მოსანუსხად ალმოდებულ რეგიონში. ერაყის სისხლისღვრამ, თუნდაც მცირედი კომპრომისის მიუღ-წევლობამ პალესტინელებისა და ისრაელის კონფლიქტში და არაბ მმართ-ველთა უუნარობამ ჯეროვანი პასუხი გაეცათ ვაშინგტონისათვის, მასებში შექმნა ისეთი ლიდერის მოთხოვნილება, რომელსაც აშშ-თან და ისრაელ-თან დაპირისპირების ძალა შესწევს. აჰმადინეჟადი კარგად აცნობიერებს, რომ მის მიერ ისრაელის თავგადაკლული გმობა და ჰოლოკოსტის უარყო-ფა ზრდის მის პოპულარობას რეგიონში. ისლამური დისკურსის გამოყენე-ბითა და წინააღმდეგობის მოწოდებით, აჰმადინეჟადი ცდილობს ისლამუ-რი სამყაროს სექტანტური დაყოფაზე მაღლა დადგეს და შიიტური, სპარ-სული ქვეყნის პრინციპულობით მოხიბლოს სუნიტი არაბები. ამ თვალსაზ-რისით, მისი „მგზნებარე რელიგიური მოწოდებების მიზანია არა ფარული იმამისათვის მოსავლინებ-ლად „გზის განწმენდა“, არამედ ირანის ამ პოლიტიკური ინტერესების განხორციელება“ (იქვე, 257).

მრავალი აჰმადინეჟადის მმართველობის მეთოდებს ანომალიურად მიიჩნევს, მაგრამ მისი წარმატე-ბის საიდუმლო ყოველთვის მარტივი იყო – ყველასათვის გასაგები პოპულისტური ენა. მას შესაძლოა აქვს ინჟინრის დოქტორის ხარისხი, მაგრამ არა ფილოსოფიის დოქტორისა. ხათამის ფილოსოფიური მსჯელობებისგან განსხვავებით, აჰმადინეჟადისეული სამყაროს ხედვა მარტივია – ემყარება მანიქევ-ლურ დუალიზმს, რომელშიც არ არსებობს კომპრომისის თუ თანამშრომლობის შესაძლებლობა. ხათა-

46 We Do Not Need Attacks. *Time*, 17.09.2006.

47 Tatchell, Peter. Ahmadinejad accepts Israel's right to exist. guardian.co.uk, 29.09.2008. სწორედ ამგვარი იყო ირა-ნის ხელმძღვანელობის პოზიცია ხათამის პრეზიდენტობის დროს.

მის „დიალოგის“ მცდელობის მასხრად აგდების შემდეგ, ამერიკელმა ნეოკონსერვატორებმა აღმოაჩინეს ოპონენტი, რომელიც იზიარებს მათ რწმენას „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ (Ansari, 2009: 230).

> 2006 წლის მიწურულს, აჰმადინეჟადმა, რელიგიურ ისტებლიშმენტთან კონსულტაციის გარეშე, მიიღო გადაწყვეტილება ნება დაერთო ქალებისათვის დასწრებოდნენ სტადიონზე მამაკაცთა საფეხბურთო მატჩებს. ამ გადაწყვეტილებამ სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია, ვინაიდან მათი თვალთახედვიდან, „საერო“ პირს, თუნდაც პრეზიდენტს, არ ჰქონდა მსგავსი „სამართლებრივი“ გადაწყვეტილების მიღების უფლება – ეს სამღვდელოების პრეროგატივას წარმოადგენდა. 2007 წლის დასაწყისში აჰმადინეჟადი რამდენჯერმე უშედეგოდ შეეცადა ყუმში შეხვედროდა დიდ აიათოლა მოჰამად ფაზელ ლანქარანის, მაგრამ ამ უკანასკნელმა პრეზიდენტი არ მიიღო სწორედ მისი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გამო.

2005 **წლის ზაფხულში ამერიკელმა მკვლევარმა ნ. ფერგიუსონმა გამოთქვა ვარაუდი, რომ აჰმა**-დინეჟადი შეიძლებოდა გამხდარიყო ირანული რევოლუციის სტალინი. შესაძლოა აჰმადინეჟადს აქვს სტალინის ინსტიქტები და სულიკვეთება, მაგრამ ირანის თანამედროვე მდგომარეობა ამას გამორიცხავს. მეჯლისმა არაერთხელ დაბლოკა მისი ფავორიტების დანიშვნა წამყვან თანამდებობებზე. ასევე არ განხორციელდა აჰმადინეჟადის დაპირებები ღარიბების მიმართ. მისი ეკონომიკური პოლიტიკა ირანში მძაფრი კრიტიკის ობიექტი გახდა. 2007 **წლის ზაფხულში საწვავზე რაციონის შემოღების შემდეგ, გა**-მოკითხვამ აჩვენა, რომ მათი 62,5%, **ვინც აჰმადინეჟადს მისცა ხმა არჩევნებში, მას მხარს აღარ და**-უჭერდა. მაგრამ ბირთვული პროგრამის გამო დასავლეთთან დაპირისპირებამ, რომელშიც მას წინამავალი როლი აქვს, გამოიწვია სანქციების დაწესება და ამან, შესაძლოა, მისცა მას და რეჟიმს ალიბი ეკონომიკური სირთულეებისა და ახალი სამუშაო ადგილების შეუქმნელობის საკითხთან დაკავშირებით.

2007 **წლის დასაწყისში იყო ირანისა და შტატების დაახლოების ნიშნები ერაყის საკითხთან დაკავ**-შირებით, თუმცა კვლავაც უშედეგოდ. სულ მალე აშშ-ის მთავრობამ წარმოადგინა დოსიე, რომელშიც განცხადებული იყო, რომ ირანი ასაფეთქებელი მოწყობილობებით ამარაგებდა ამბოხებულებს კოალიციის ჯავშანტექნიკაზე იერიშების მისატანად. ამ შეტევების შედეგად კი 187 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, თუმცა ამ მტკიცების სიზუსტეში ბევრს ეჭვი შეაქვს. ხაზგასასმელია, რომ იმ დროისთვის კოალიციის ჯარების დანაკარგმა 3 **ათასს გადააჭარბა, ტერაქტებს კი უმთავრესად სუნიტები ახორ**-ციელებდნენ. თავისთავად ჩნდება კითხვა: რატომ უნდა აკეთებდეს ამას ირანი, როდესაც ირანისადმი კეთილგანწყობილი ერაყელი შიიტები უკვე მართავენ ქვეყანას?

ირანში არსებული რეჟიმისათვის მნიშვნელოვანი გამოცდა გამოდგა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც მოქმედ პრეზიდენტს დაუპირისპირდა ლიბერალური ოპოზიციის ლიდერი მირ ჰოსეინ მუსავი. მას ყოფილი პრეზიდენტები ხათამი და რაფსანჯანიც უჭერდნენ მხარს. მთელი ქვეყანა მოიცვა მუსავის მხარდამჭერთა ე.წ. „მწვანე მოძრაობამ“, რომელშიც განსაკუთრებით სტუდენტი ახალგაზრდობა აქტიურობდა. თავის მხრივ, აჰმადინეჟადის ვებ-გვერდზე არჩევნებს „მესამე რევოლუცია“ ეწოდა (კონსტიტუციური და ისლამური რევოლუციების „გაგრძელების“ თვალსაზრისით) (Arjomand, 2009: 167). წინასწარი შეფასებებით, მუსავის გამარჯვების გაცილებით უკეთესი შანსი ჰქონდა. არჩევნების ოფიციალურმა შედეგებმა, რომლის მიხედვითაც აჰმადინეჟადმა საკმაოდ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, ოპოზიციის მძლავრი საპროტესტო ტალღა გამოიწვია. საპროტესტო მოძრაობას წარმართავდნენ არა მარტო სტუდენტები – მასში მონაწილეობდა ისლამური რევოლუციის რამდენიმე თვალსაჩინო ფიგურაც, რომლებიც ღიად აცხადებდნენ, რომ რეჟიმმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა სისტემის რესპუბლიკური და წარმომადგენლობითი პრინციპების მოსპობის მიზნით და აბსოლუტისტური ტიპის ისლამური სახელმწიფოს შესაქმნელად (Katouzian, 2010: 394). **ხელისუფლე**-ბამ საკმაოდ ხისტად უპასუხა საპროტესო გამოსვლებს, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. არაერთი ოპოზიციონერი დააპატიმრეს და მრავალი მათგანი დღესაც ციხეშია. ხაზგასასმელია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო ირანის ხელისუფლების მოქმედება და სამართლიანი არჩევნების ჩატარება მოითხოვა (ბუნებრივია, უშედეგოდ). ამდენად, დღეს არსებული რეჟიმი კვლავაც ინარჩუნებს მეტნაკლებ სიმყარეს, რაც დიდწილად ძალოვანი სტრუქტურების ერთგულებითა და მრავალრიცხოვნებით არის განპირობებული.

2011 წლის არაბულ სამყაროში რევოლუციებისა და მღელვარებების გამოძახილი ირანშიც იყო. დაიწყო გამოსვლები დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნით. თუმცა, ხელისუფლებამ ეს საპროტესტო ტალღაც დროებით ჩაახშო და აქციების ორგანიზატორებსა და რეჟიმის ოპონენტებს (მათ შორის მუსავისაც) შინაპატიმრობა მიუსაჯა.

პოლიტიკური ძალების დაპირისპირების გარდა, არსებობს წინააღმდეგობები საკუთრივ მმართველ გუნდში. ისევ და ისევ რჩება ხელისუფლების დიქოტომიის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ბელადი და პრეზიდენტი ერთი გუნდის წევრებად ითვლებიან, **2011 წლის აპრილში მათ შორისაც დაიძაბა** ურთიერთობა – აჰმადინეჟადმა გადააყენა უშიშროების მინისტრი თანამდებობიდან, ხოლო ხამენეიმ ის უკან დააბრუნა. ამ აქტს აჰმადინეჟადის საპროტესტო დემარში მოჰყვა, რომელიც 2 კვირის მანძილზე არ ესწრებოდა მთავრობის სხდომებს. ირანის კონსტიტუციური მოწყობის თავისებურებიდან გამომდინარე, ქვეყნის სულიერი ლიდერს და კონსერვატორებს თავიანთი პოლიტიკური ჰეგემონიის გარანტირების საშუალება ექმნებათ არაარჩევით ინსტიტუტებში დომინირებით (რაჰბარის ოფისი, მცველთა საბჭო, სასამართლო...).

ირანის ბირთვული პროგრამა

2006 წელს აშშ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: მსოფლიო არ დაუშვებს, რომ ირანის რეჟიმი აღიჭურვოს ატომური იარაღით. ეს არ იყო პირველი მსგავსი განცხადება, მაგრამ ამის შემდეგ დასავლეთის დამოკიდებულებამ ირანის ბირთვული პროგრამისადმი უკიდურესად მკაცრი ფორმა მიიღო.

ირანის ბირთვული პროგრამა კი სულაც არ დაწყებულა **1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ**. ჯერ კიდევ 1967 წელს თეირანში აიგო მცირე, 5 მეგავატიანი რეაქტორი აშშ-ის დახმარებით (Lotfian, 2008: 159). **70-იანი წლების დასაწყისში შაჰმა გადაწყვიტა ატომურ ენერგიაზე მომუშავე სადგურების** ინფრასტრუქტურის შექმნა. დახმარებისათვის მან დასავლეთ გერმანიას, საფრანგეთსა და სამხრეთ აფრიკას მიმართ. გათვალისწინებული იყო სულ მცირე **20 ბირთვული რეაქტორის აგება და ამ მიზნისათვის 40 მლრდ დოლარი გამოიყო. მაშინაც იყო ეჭვი, რომ შაჰის საბოლოო მიზანს ატომური იარაღით** აღჭურვა წარმოადგენდა. მოგვიანებით ეს ეჭვი დაადასტურეს შაჰის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა არდაშირ ზაჰედიმ და ირანის ბირთვული პროგრამის იმდროინდელმა დირექტორმა ახბარ ეთემადმა (Sahimi, I, 2003).

საგულისხმოა, რომ იმ ხანებში ვაშინგტონს არ გასჩენია კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ სჭირდებოდა ნავთობით ესოდენ მდიდარ ქვეყანას ბირთვული ენერგია, რასაც დღეს მუდმივად აკეთებს. ევროპული სახელმწიფოებიც, რომლებიც დღეს ასევე დაჟინებით მოუწოდებენ ირანს შეწყვიტოს ბირთვული პროგრამა, იმ დროს ირანს ბირთვული რეაქტორებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიებით ამარაგებდნენ. ეს ტექნოლოგიები კი, ისე როგორც დღეს, თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო სამხედრო მიზნებისათვის გამოყენებული.

რევოლუციის გამარჯვებისთანავე შეჩერდა ბუშეჰრის რეაქტორის პროექტი. გარდა ამისა, ომის დროს ერაყმა არაერთხელ დაბომბა ბუშეჰრი რეაქტორის დასრულებული ნაწილის განადგურების მიზნით. ამ დროს ბირთვული პროგრამისათვის ირანს, ბუნებრივია, აღარ ეცალა. **90-იანი წლების დასაწყისიდან** კი დაიწყო პროგრამის თანდათანობითი აღორძინება.

სწორედ ამ პერიოდში გადაწყვიტეს რუსებმა ევროპელების მიერ დატოვებული სიცარიელის შევსება და დახმარება გაუწიეს ირანს ბუშეჰრში ორი ბირთვული რეაქტორის აგებაში. ზოგადად, რუსეთი ამ პერიოდიდან ირანის ბირთვული პროგრამის აქტიური ხელშემწყობი გახდა (სხვადასხვა სახის ტექნოლოგიების მიწოდება, ურანის გამდიდრებაში ხელშეწყობა). თუმცა, **1995 წელს აშშ-სა და რუსეთს** შორის (აშშ-ის ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ), მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ რუსეთი შეზღუდავდა თანამშრომლობას ირანთან. მაგრამ როგორც შემდგომ აღმოჩნდა, რუსეთს არ შეუწყვეტია ამ მიმართულებით ირანთან აქტიური თანამშრომლობა (Khan, 2009: 143).

ზემოთქმულის მიუხედავად, 90-იანი წლების მანძილზე ირანის ბირთვული პროგრამა არ იწვევდა დასავლეთი განსაკუთრებულ შეშფოთებას. მდგომარეობა შეიცვალა **2002 წლის აგვისტოში, როდესაც** ერთ-ერთმა ირანულმა ოპოზიციურმა ჯგუფმა გამოაქვეყნა ინფორმაცია თეირანის მახლობლად ნათანზში მიმდინარე სამუშაოების შესახებ.[48] ნათანზში უკვე არსებობდა ურანის გამდიდრებისათვის აუცილებელი 160 ცენტრიფუგა და დაახლ. 1000 მომზადების პროცესში იყო. მალე ასევე გამჟღავნდა, რომ ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობდა ისფაჰანის მახლობლად და არაქში. აშშ-ისა და დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ რადიკალურად შეიცვალა.

48 ეს ჯგუფი იყო ზემოთნახსენები „მოჯაჰედინ-ე ხალყი." საგულისხმოა, რომ იმ დროს „მოჯაჰედინ-ე ხალყი" აშშ-ს ტერორისტული ორგანიზაციების სიაში ჰყავდა შეყვანილი. მოგვიანებით ორგანიზაცია ამ სიიდან ამოიღეს, რასაც ირანის მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა.

თუმცა მალე, **2003 წლის იქტომბერში მიღწეულ იქნა შეთანხმება ერთი მხრივ ირანის უსაფრთხოების ეროვნული საბჭოს გენერალურ მდივანსა და მეორე მხრივ,** გერმანიის ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი კრიზისის და საერთაშორისო სანქციების თავიდან ასაცილებლად, ირანი თანხმდებოდა შეესრულებინა მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დამატებითი პროტოკოლი და შესაბამისად, საკუთარი ბირთვული პროგრამის საერთაშორისო ინსპექტირების უფლება გაეცა, ასევე შეეწყვიტა ნათანზში ურანის გამდიდრების პროცესი, რაც დასავლეთში ყველაზე დიდ ეჭვებს იწვევდა. სამაგიეროდ, ევროკავშირი ირანს თავაზობდა საერთაშორისო თანამეგობრობაში ირანის რეინტეგრაციის მხარდაჭერას. თუმცა ირანის ბირთვული კრიზისის მოგვარების ეს პირველი ცდა წარუმატებელი გამოდგა, ვინაიდან ირანელთათვის, შეერთებული შტატების გარანტიების გარეშე, ევროპელების დაპირებები არ იყო დამაჯერებელი.

ირანის პირობები ევროკავშირთან ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებაზე:

1. ირანის წინააღმდეგ მიღებული ყველა სანქცია უნდა გაუქმდეს, პირველ რიგში ის სანქციები, რომლებიც კრძალავს ნავთობისა და გაზის სექტორში ინვესტიციებს.
2. ირანი უნდა გახდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრი.
3. **ირანმა უნდა მიიღოს უცხოეთიდან ტექნიკური დახმარება ელეტროენერგიის დამატებითი წყაროების** მოსაძიებლად.
4. ბირთვული შეკავების საშუალების არარსებობის პირობებში, ირანს უნდა მიეცეს ეროვნული უსაფრთხოების სრული გარანტიები. უნდა მოხდეს ირანის ჩართვა სპარსეთის ყურის რეგიონული უსაფრთხოების ქმედით სისტემაში (Lotfian, 2008: 172).

2005 წლის 4 აგვისტოს ხათამიმ გამოაცხადა, რომ ირანი ხელშეკრულების დენონსაციას ახდენდა, რამდენადაც ევროკავშირმა არ შეასრულა აღებული ვალდებულები, და ანახლებდა ურანის გამდიდრების პროცესს. ეს იყო პრეზიდენტის პოსტზე ხათამის უკანასკნელი პოლიტიკური აქტი. ეს დამატებითი სტიმული გახდა აშშ-ისა და სანქციების მომხრეებისათვის გაემკაცრებინათ პოლიტიკა ირანის მიმართ. სწორედ ევროკავშირმა წარუდგინა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ირანის უარი დაეშვა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს) ინპექცია ბირთვულ ობიექტებზე. ამგვარად, რეფორმატორი ხათამის, „ცივილიზაციათა დიალოგისა“ ინიციატორისა და აშშ-თან ურთიერთობების ნორმალიზაციის მომხრის პრეზიდენტობა დასრულდა ირანისათვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე საერთაშორისო კრიზისით 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ დროს ქვეყანა პრაქტიკულად გარშემოტყმული იყო ამერიკული სამხედრო ძალებით ერაყში, ავღანეთში, უზბეკეთში, არაბეთის ნახევარკუნძულსა და სპარსეთის ყურეში.

2006 წლის აპრილში ახალმა პრეზიდენტმა აჰმადინეჟადმა საზეიმოდ განაცხადა, რომ ირანი უკვე აწარმოებდა ურანის გამდიდრებას. დასავლეთისთვის ეს უკვე იყო იმის ნიშანი, რომ ირანი მიზანმიმართულად და აქტიურად მიიწევდა წინ ბირთვული იარაღით აღჭურვისაკენ.

თუმცა, დღეს რთულია იმის პროგნოზირება, თუ როდის აღიჭურვება ირანი ამ სახის იარაღით. ეს დამოკიდებულია ზოგადად პროგრამის ინტენსივობაზე და ამ ამოცანისათვის გამოყოფილი ეროვნული რესურსების სიდიდეზე. ირანი დღეს აჩქარებით მუშაობს ამ პროგრამაზე, მაგრამ ამ მუშაობის ინტენსივობას ვერ შევადარებთ **70-იანი წლების პაკისტანში არსებულ ვითარებას, როდესაც ამ ამ**ოცანისათვის პრაქტიკულად მთლიანად მოხდა ეროვნული ენერგორესურსების მობილიზება.

ჩვეულებრივია, რომ როდესაც სახელმწიფო ანვითარებს თავის ბირთვულ პროგრამას, ის ქმნის პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ გარემოს, ნაციონალისტურ ნარატივს (Betts, 1979: 1054). პაკისტანის მაგალითზე დასტურდება, რომ ამ პროგრამის მოქმედების დროს ხშირად იხსენიებოდა ნაციონალური პრესტიჟი, სამხედროები ლაპარაკობდნენ ასეთი იარაღის აუცილებლობაზე ქვეყნის თავდაცვისათვის, გარდა ამისა, მუდმივად იყო საუბარი ეკონომიკურ სარგებელზე (სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.). ირანში მსგავსი სიტუაცია ჯერჯერობით არ არის, გამომდინარე თუნდაც იქედან, რომ ოფიციალურ დონზე ირანი ყოველთვის უარყოფს იმ ფაქტს, რომ ბირთვული პროგრამის საბოლოო მიზანს შეადგენს ატომური იარაღით აღჭურვა.

რატომ სჭირდება ირანს ატომური ბომბი?

დასავლეთში ფართოდ გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, უნდა ითქვას, რომ ირანის სურვილი აღიჭურვოს ბირთვული იარაღით არ ემყარება ირაციონალურ იდეოლოგიურ პოსტულატებს. პირიქით, ეს შეიძლება რაციონალიზმის გამოვლინებადაც ჩავთვალოთ არსებული თუ პოტენციური საფრთხეების წინააღმდეგ. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ცენტრალურ აზიასა და ავღა-

ნეთში არსებული არასტაბილურობა გარკვეულ პრობლემებს ქმნის ირანის საზღვრებზე, მაგრამ ბირთვული იარაღის ფლობა ამ თვალსაზრისით ბევრი არაფრის შემცვლელია. ალბათ ირანის ბირთვული პროგრამა უნდა დავუკავშიროთ უფრო ნაკლებად თვალსაჩინო, მაგრამ ფართოდ დეკლარირებულ საფრთხეებს. უახლესი ისტორიის მანძილზე, ამერიკისა და ერაყისაგან მომდინარე საფრთხე ირანელ პოლიტიკოსთა მთავარი თავის ტკივილი და მოტივაციის წყარო იყო. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ეს არის ბირთვული იარაღით აღჭურვილი პაკისტანი, რომელიც შესაძლოა ირანის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა.

ბუნებრივად წამოიჭრება ისრაელის საკითხიც. ბირთვული იარაღის მქონე ისრაელი (რომელსაც სხვათა შორის, ოფიციალურ დონეზე არც უღიარებია, რომ ამგვარ იარაღს ფლობს) ირანის უპირველესი მტერია. ორ ქვეყანას შორის დღეს არსებული ურთიერთობები შეიძლება მოინათლოს დაბალი ინტენსივობის კონფლიქტად. თუმცა, ირანის დაპირისპირება ისრაელთან დღეს რეალურად გამოიხატება პალესტინური და სხვადასხვა ტერორისტულად მონათლული ორგანიზაციების მხარდაჭერით. ეს მხარდაჭერა მორალური და ფინანსურია, მაგრამ არა პირდაპირი ჩართვა კონფლიქტში. ხამენეის განცხადებით, „პალესტინის საკითხი არ არის ირანის ჯიჰადი“ (Tarock, 2006: 159). ამის დასტური ის ფაქტიცაა, რომ ღაზას სექტორში ბრძოლების დროს, 2008 წლის 28 დეკემბერს, ხამენეიმ გამოსცა ფეთვა, რომლითაც პალესტინელთა დაცვისათვის ყველა დაღუპული ცხადდებოდა ჯიჰადის მოწამედ. თეირანში 10 ათასზე მეტი მოხალისე შეიკრიბა, მათ ჯერ საპროტესტო დემონსტრაციები გამართეს დიდი ბრიტანეთის, იორდანიისა და ეგვიპტის საელჩოებთან, შემდეგ კი თეირანის მეჰრაბადის აეროპორტი დაიკავეს. ისინი ითხოვდნენ თვითმფრინავების გამოყოფას ღაზაში გასამგზავრებლად. მაგრამ ხამენეიმ ამის უფლება არ მისცა და **2009 წლის 4 იანვარს უბრძანა დაშლილიყვნენ. ეს ფაქტი ალ-**ბათ კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე აგრესიული რიტორიკის მიუხედავად, ირანი თავს არიდებს პირდაპირ კონფრონტაციას თავის მეტოქეებთან.

ამდენად, ისლამური რესპუბლიკისათვის ისრაელი შეიძლება იყოს იდეოლოგიური მოწინააღმდეგე და ცივილიზაციური გამოწვევა, მაგრამ ის არ არის ის საფრთხე, რომლის უვნებელსაყოფად აუცილებელია ბირთვული იარაღით აღჭურვა.

ისრაელი ირანისათვის ევროპისა და აშშ-ის ორმაგი სტანდარტების მაგალითია: როდესაც ირანის პროგრამას აკრიტიკებენ, ხმას არავინ იღებს იმის თაობაზე, რომ ისრაელი აღჭურვილია ატომური იარაღის ფართო არსენალით. იგივე რაფსანჯანის სიტყვებით: „როდესაც ისინი საუბრობენ ატომურ იარაღზე, სიონისტურ სახელმწიფოს არც კი ახსენებენ“ (ციტ. Gheissari & Nasr, 2009: 203). ირანი ასევე იხსენიებს, რომ ქვეყანამ ხელი მოაწერა შეიარაღებათა კონტროლისა და განიარაღების ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებას (მათ შორის ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ), მაშინ, როცა ისრაელს სულ სამი ხელშეკრულებისთვის აქვს ხელი მოწერილი და მათ შორის არაა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება. თუმცა, ირანის დღევანდელი ანტაგონიზმი ისრაელთან არ შეიძლება ჩაითვალოს ატომური ბომბის ფლობის მთავარ მოტივაციად. ირანის ხელმძღვანელობა და სამხედროები მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ ატომური იარაღი სულაც არ არის საჭირო ამჟამად არსებული დაბალი ინტენსივობის კონფლიქტისათვის.

სრულიად სხვა განზომილებისაა სპარსეთის ყურის პრობლემა. ისლამური რესპუბლიკის პერსპექტივიდან, ყურე მისთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული არენა და ყველაზე ხელსაყრელი გზა საერთაშორისო სანავთობო ბაზარზე გასასვლელად. დიდი ხნის მანძილზე, ამ თვალსაზრისით, მთავარ მოწინააღმდეგეს ერაყი წარმოადგენდა. ირანში დღემდე ყურადღების ცენტრშია ომის დროს ერაყის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება (ირანული მხარის შეფასებით, სადამ ჰუსაინმა 34 ათასი ქიმიური თავდასხმა მოაწყო და ამ შეტევების სამიზნე სამოქალაქო პირებიც იყვნენ). ერთ-ერთი ირანული გაზეთი ახლახანს წერდა: „დღესაც ვხედავთ ომის ჩვენ ვეტერანებს, რომლებიც მოწამლული არიან სადამ ჰუსაინის მიერ გამოყენებული გაზით, ეს ქიმიური იარაღი კი დამზადებული იყო გერმანიასა და საფრანგეთში.“

ერაყთან ომმა, შეიძლება ითქვას, შეცვალა ირანის სტრატეგიული დოქტრინა. ომის დროს, უფრო სწორად მის საწყის ფაზაში, ირანი იარაღის ნაკლებობის კომპენსირებას ახდენდა „რევოლუციური აღტკინებით და მოწამეობისათვის მზადყოფნით.“ მაგრამ ომის დამანგრეველმა შედეგებმა ეს მოწამეობის მზადყოფნა თანდათანობით გაანელა. უკვე ომის პერიოდში გაჩნდა მყარი რწმენა იმისა, რომ ირანი უნდა აღჭურვილიყო ქიმიური თუ ბაქტერიოლოგიური იარაღით.

სადამის რეჟიმის დაცემამ შეამცირა, თუმცა სრულიად არ მოუსპია ირანისათვის ერაყიდან მომდინარე საფრთხე. ერაყში მიმდინარე არაპროგნოზირებად პროცესებს არ შეიძლებოდა, რომ ირანის

შეშფოთება არ გამოეწვია. ერაყი ყოველთვის ცდილობდა და ახლაც შეძლებისდაგვარად ცდილობს ჰეგემონის პოზიციის მოპოვებას სპარსეთის ყურეში. ამ შემთხვევაში ირანის შეშფოთებას იწვევს შტატების პოზიცია, რომელიც ამ თვალსაზრისით ერაყის, როგორც „კონტროლირებადი" მოკავშირის ინტერესების გამომხატველი იქნება. უკვე საუბარია სახეშეცვლილ ნიქსონის დოქტრინის აღორძინებაზე, როდესაც სპარსეთის ყურის მთავარ მაკონტროლებლად, აშშ-ის ხელდასმით, შეიძლება იქცეს ერაყი. შაჰის დროს ეს ფუნქცია ირანს ეკისრა და სწორედ იმ ხანებში უწოდეს შაჰს „ყურის ჟანდარმი."

ერაყი არ არის ამ თვალსაზრისით ირანის ერთადერთი პოტენციური პრობლემა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს პაკისტანსაც. **90-იანი წლების პაკისტანის პოლიტიკა ცინიკურად შეიძლება მოინათლოს.** საბჭოთა კავშირის დაშლა პაკისტანმა აღიქვა ცენტრალური აზიის ბაზარზე შეღწევის შესანიშნავ საშუალებად. ამ თვალსაზრისით ავღანეთი მისთვის ხიდს წარმოადგენდა. პაკისტანს დიდი წვლილი მიუძღვის ავღანეთში თალიბების ხელისუფლების სათავეში მოსვლაში. იმავდროულად კი პაკისტანი ცდილობდა მეგობრული ურთიერთობა შეენარჩუნებინა აშშ-თან. მდგომარეობა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ შეიცვალა, როდესაც პაკისტანი აშკარად გადავიდა თალიბების მოწინააღმდეგეთა ბანაკში. მაგრამ მანამდე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: **1998 წელს პაკისტანმა ატომური იარაღი** გამოსცადა. ირანში ამ ფაქტმა დიდი შეშფოთება გამოიწვია. ირანის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ქამალ ხარაზი აღნიშნავდა: „ეს არის ჯინი, რომელიც გაცილებით სჯობდა, რომ ბოთლში დამწყვდეული დარჩენილიყო" (ციტ. Jafarzadeh, 2007: 37).

11 სექტემბრის შემდეგ კი რეგიონში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. აშშ-მა ერაყსა და ავღანეთში ჯარები შეიყვანა და, შეიძლება ითქვას, ირანს ორი მხრიდან „გაუმეზობლდა." სწორედ იმ ხანებში კონსერვატული გაზეთი *„ჯომჰური-ე ესლამი"* აღნიშნავდა: „დღეEვანდელ სამყაროში ნათელი ხდება, რომ თანამედროვე (იგულისხმება ბირთვული) იარაღით აღჭურვა შეკავების და შესაბამისად, უსაფრთხოების გარანტიაა და ის უვნებელყოფს დიდი სახელმწიფოებს მზაკვრულ გეგმებს თავს დაესხან სხვა ქვეყნებს." მეორე გაზეთში კი ხაზგასმული იყო: „მომავალში ირანს მოუწევს ბირთვული ენერგიის სამხედრო ასპექტების შესახებ ფიქრი."

11 სექტემბრის შემდგომმა სიტუაციამ ახლო აღმოსავლეთში პარადოქსული გავლენა მოახდინა ისლამურ რესპუბლიკაზე. ირანის ორი მთავარ მტერზე – თალიბებს და სადამ ჰუსაინის ერაყზე შეერთებულმა შტატებმა გადამწყვეტი იერიში განახორციელა. ამ ფაქტის მიუხედავად, ირანმა თავი ახალი და უშუალო საფრთხის წინაშე აღიქვა: გავლენიან „ირან ნიუსში" განცხადებული იყო: **„9/11 შემდეგ** ბუშის მოხსენების საფუძველზე, მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: აშშ არ შეჭრილა ჩვენს უშუალოდ დასავლეთით და აღმოსავლეთით მხოლოდ ალ-ქაიდას გასანადგურებლად. პოლიტიკოსები გვაფრთხილებენ, რომ შემდეგი პირდაპირი სამიზნე ირანია."

ყველა ამ გამოგონილ თუ რეალურ საფრთხეს საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ სინამდვილეში ირანს სტრატეგიული მოკავშირე არ ჰყავს. ის კავშირები, როგორიც მაგალითად სირიასთან აქვს (არაფერი რომ არ ითქვას რუსეთზე), ემყარება ორმხრივ დროებით დაპირისპირებას სხვა ქვეყნებთან. ჭეშმარიტ ალიანსს, რომელიც დამყარებული იქნება საერთო ფასეულობებსა და ერთიან ხედვაზე, ირანი მოკლებულია. ირანი ჯერ კიდევ გარშემორტყმულია სახელმწიფოებით, რომლებსაც მყარი სტრატეგიული კავშირები აქვთ აშშ-თან და ასევე ირანთან შედარებით უფრო თანამედროვე იარაღს ფლობენ. ამგვარი სტრატეგიული გარემო კი გარკვეულწილად უბიძგებს ირანს ეძიოს საკუთარ რესურსებზე დამყარებული სამხედრო შემძლეობა.

ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის პოლიტიკურ კლასშიც მძაფრი დებატები მიმდინარეობს. პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას საერთო კონსენსუსს იმის თაობაზე, რომ ირანმა უნდა გააგრძელოს თავის ბირთვული პროგრამა და მეორე რიგში – ირანი მზადყოფნას მოლაპარაკებებისათვის (უფრო სწორი იქნება, ვაჭრობისათვის) იმ პირობით, თუ საქმე არ შეეხება საერთოდ პროგრამის შეწყვეტას. მაგრამ საკუთრივ პროგრამასთან დაკავშირებით, რადიკალები კვლავაც ინარჩუნებენ რადიკალიზმს, ზომიერები კი შესაბამისად – ზომიერებას.

ყველა მხარე თანხმდება, რომ ბირთვული პროგრამა წარმოადგენს ირანის ეროვნულ ინტერესს.[49] ირანი დღეს არ არის ირაციონალური კრიმინალური სახელმწიფო, რომელიც ამგვარი იარაღის გამო-

49 RAND-ის კორპორაციის მონაცემებით, 2009 წლის დეკემბერში ბირთვული ენერგეტიკის განვი-თარებას სამოქალაქო მიზნებისათვის მხარს უჭერდა ირანელთა 87%; ხოლო ატომური იარაღით აღჭურვას დადებითად აფასებდა გამოკითხულთა 32%; უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად – 11%; ნეიტრალურად იყო განწყობილი 7%; უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად – 41% და პროგრამის შესახებ არაფერი იცოდა 4%-მა (Elson & Nader, 2011: 30-31).

ყენებას ვარაუდობს აგრესიული რევოლუციური საგარეო პოლიტიკის გასატარებლად და შესაბამისად, საკუთარი ძალაუფლების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასავრცელებლად. ის არ ფიქრობს „ისლამური ბომბის“ შექმნაზე, რომელსაც გადასცემს ტერორისტებს ვთქვათ, ნიუ იორკში ასაფეთებლად. ცნობილია, რომ ირანი უკვე დიდი ხანია ფლობს ქიმიურ იარაღს, მაგრამ ის არ გადაუცია ე.წ. ტერორისტული ორგანიზაციებისათვის. ირანის ფრთხილი ლიდერების მთავარ ამოცანას შეადგენს ძალაუფლების შენარჩუნება და მათ კარგად ესმით, რომ მსგავსი ქმედება აშშ-ისა და ისრაელის უკიდურესად მკაცრ პასუხს გამოიწვევს, რაც მათ რეჟიმს ბოლოს მოუღებს.

ირანს არასოდეს განუცხადებია ოფიციალურად, რომ მისი მიზანია ატომური იარაღის ფლობა,[50] მაგრამ არაპირდაპირი გზით ამ იდეის მხარდამჭერებად გამოდიან რადიკალი კონსერვატორები ქვეყნის სულიერი ლიდერის აიათოლა ხამენეის მეთაურობით და ასევე ერაყის ომისდროინდელი თაობა, პრეზიდენტ აჰმადინეჟადის წინამძღოლობით. ისევ დავუბრუნდებით ერაყის ომს და გავიხსენებთ 2005 წელს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე აჰმადინეჟადის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს: „**8 წლის განმავ**ლობაში სადამის რეჟიმი მასიურ აგრესიულ ომს აწარმოებდა ჩემი ხალხის წინააღმდეგ. ის იყენებდა მასობრივი განადგურების ყველაზე საშინელ იარაღს ქიმიური იარაღის ჩათვლით როგორც ირანელების, ისე ერაყელების წინააღმდეგ. ვინ აძლევდა ამ იარაღს სადამს? როგორი იყო მათი რეაქცია, ვინც აცხადებს, რომ იბრძვის მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების წინააღმდეგ, მაშინ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე?“ (ციტ. Kinzer, 2010: 67).

რაც შეეხება პრაგმატიკოსებს, შეიძლება გამოიყოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი მირ ჰოსეინ მუსავი, ყოფილი პრეზიდენტი ალი აქბარ რაფსანჯანი, მაგრამ მათი პოზიციაც საკმაოდ ფრთხილია – საქმე ისევ და ისევ შეეხება მოლაპარაკებებს და არა პროგრამის შეწყვეტას. აქ ამ პოლიტიკოსებს ირანული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება უხდებათ (იხ. ქვემოთ).

უფრო შორს წავიდა ისლამური მონაწილეობის ფრონტის ლიდერი, ექს-პრეზიდენტ ხათამის ძმა რეზა ხათამი: „ჩვენ არაერთი წერილით მივმართეთ რაჰბარ ხამანეის იმის ასახსნელად, რომ ურანის გამდიდრება არ შედის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში; ამ გზით ჩვენ ვკარგავთ ყველა იმ მონაგარს, რაც მოვიპოვეთ განვლილი **16 წლის მანძილზე. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა ურანის გამდიდრე**ბის შეწყვეტა და მოლაპარაკებები, რომ მივაღწიოთ საერთაშორისო საზოგადოების ნდობას.“

ამასთან ერთად, ბევრი ე.წ. ზომიერი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ირანს შეუძლია ბირთვულ პროგრამას პრაგმატულად მიუდგეს და ეს შეიძლება თავისებური კოზირი გახდეს ქვეყნის საგარეო ურთიერთობებში. მაგალითისათვის, საკმაოდ გავლენიანი ზომიერი პოლიტიკოსი მოჰსენ მირაჰმადი ხაზს უსვამს: „რეალობას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ უკანასკნელი მიღწევები ბირთვული ტექნოლოგიების სფეროში არის ჩვენი ძალის ნაწილი და ახალ შესაძლებლობებს გვიქმნის საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ ჩვენ ის ახალ საფრთხედ არ უნდა გარდავქმნათ. ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ამერიკა და ევროპა არ გაერთიანდნენ ჩვენს წინააღმდეგ.“ დაახლოებით იგივე პათოსს ატარებს ამონარიდი გავლენიან კონსერვატულ გაზეთ „ფარდადან“: „ის მნიშვნელობა, რაც ჰქონდა და მომავალშიც ექნება ამგვარ იარაღს საერთაშორისო დონეზე, იძლევა საერთაშორისო მოლაპარაკებებში დიდ ძალას და ეროვნული ინტერესების გატარების საშუალებას.“

ახლა რაც შეეხება ირანის საზოგადოებრივ აზრს ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით: დიადი ცივილიზაციის მემკვიდრეობა ქმნის საერთო აზრს, რომ ირანი უნდა აღიჭურვოს ამგვარი ძალით. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ირანის მოქალაქეებს ეს პროგრამა სიამაყის გრძნობასაც უჩენს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ **2005 წელს გამოვიდა ირანის ბირთვული პროგრამის მიღწევებისად**მი მიძღვნილი საფოსტო მარკა.

კიდევ ერთი საკითხი, რაშიც კონსერვატორები და ზომიერები თანხმდებიან, არის ის, რომ ბირთვული იარაღის ქონის უფლება ირანს ისევე აქვს, როგორც სხვა ქვეყნებს. მაგალითისთვის, ცნობილი კონსერვატორი მოაზროვნე ამირ მოჰებიანი აღნიშნავს: „ამერიკელები ამბობენ, რომ მათი ბავშვებისათვის მშვიდობის შესანარჩუნებლად მათ უნდა ჰქონდეთ ბირთვული იარაღი, ჩვენ კი არ უნდა გვქონდეს.“ მეორე მხრივ კი რეფორმისტი აქტივისტი მოსტაფა თაჯზადე დასძენს: „ეს ძალთა გაწონასწორების საკითხია: თუ მე არ მაქვს ბირთვული იარაღი, მაშინ მოკლებული ვარ უსაფრთხოებას.“ (ციტ. Arjomand, 2009: 134).

50 ჯერ კიდევ 2000 წელს ირანის ატომური ენერგიის სააგენტოს დირექტორმა ღოლამრეზა აყაზადემ განაცხადა, რომ ირანმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც ქვეყნისათვის საჭირო ელექტროენერგიის 20% ბირთვული ენერგიიდან უნდა იყოს მიღებული (Askarieh, 2008: 191).

მრავალი ანალიტიკოსის მიერ ირანელი სტუდენტები მიჩნეული არიან საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრად. დასავლეთის მიერ ირანის სტუდენტური მოძრაობა იდენტიფიცირებულია დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნებთან. მაგრამ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის განათლებული ახალგაზრდობის დამოკიდებულება საკმაოდ განსხვავებულია დასავლური მოთხოვნებისაგან. სტუდენტურ ორგანიზაციებს (ამ შემთხვევაში, უპირველესად იგულისხმება ოპოზიციურად განწყობილი ორგანიზაციები) არაერთი განცხადება გაუკეთებიათ ბირთვული პროგრამის მხარდასაჭერად.

საერთო ჯამში შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგადად ირანის დამოკიდებულება (როგორც სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკოსების, ისე საზოგადოების) გარკვეულწილად ერთგვაროვანია – ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს. წინააღმდეგობა არსებობს ამ პროგრამის მიზნებისა თუ მისი გამოყენების თაობაზე. ირანული დიასპორაც კი მხარს უჭერს ამ „ეროვნულ საქმეს", რაც თავისთავად აძლიერებს თეირანის ხელისუფლების პოზიციებს. „ბრძოლა ირანის უფლებისათვის ჰქონდეს ბირთვული მრეწველობა შეიძლება შეედაროს პრემიერ მოსადეყის ბრძოლას ნავთობის ნაციონალიზაციისათვის" (Digard et al., 2007: 396).

შესაძლოა გარკვეული პარალელები გავავლოთ ირანში მიმდინარე დებატებსა და იმ დებატებს შორის, რომლებიც მიმდინარეობდა ჩინეთში, ინდოეთში, ისრაელში, სანამ ეს ქვეყნები შეუერთდებოდნენ ატომურ კლუბს. ნაციონალური პრესტიჟი, ეროვნული სუვერენიტეტი, დიდი სახელმწიფოების ორპირობა, შესაფერისი შეკავების საშუალების ქონის აუცილებლობა გამოგონილი თუ რეალური მტრების წინააღმდეგ – ასევე დომინირებადი თემებია ირანულ პრესასა თუ პოლიტიკოსთა გამოსვლებში. შესაძლოა ნაციონალისტურმა თემატიკამ არ მიაღწია იმ დონეს, რომელიც თავის დროზე იყო ინდოეთსა თუ პაკისტანში, მაგრამ დღეს შეიძლება ითქვას, რომ უკვე შეძენილი აქვს გარკვეულწილად ნაციონალური სიმბოლოს როლი.

დაბოლოს, რა მდგომარეობა დღეს: პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ წლების მანძილზე გარკვეული შეუთანხმებლობა არსებობდა აშშ-სა და მის ევროპელ პარტნიორებს შორის ირანის სანქციებთან დაკავშირებით. დღეს ამ თვალსაზრისით კონსენსუსი მიღწეულია. მეორე და ალბათ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბირთვული პროგრამის გამო ირანისათვის სანქციების დაწესებას მხარი დაუჭირა და დასავლეთის პოზიცია გაიზიარა ირანის ორმა ძველმა პარტნიორმა – რუსეთმა და ჩინეთმა (არ შეიძლება არ აღინიშნოს რომ რუსეთ-ირანს შორის ურთიერთობები 2009-2010 წლებში გაუარესდა და ირანულ პრესაში გაჩნდა მკვეთრად ანტირუსული განცხადებები).

ბოლოს ისმის კითხვა: რა არის ან საერთოდ არსებობს თუ არა ამ სიტუაციიდან გამოსავალი? ირანი არ ამბობს და ბუნებრივია, არ იტყვის უარს ბირთვულ პროგრამაზე მხოლოდ სანციების გაუქმების სანაცვლოდ, რაც არ უნდა მკაცრი იყოს ეს სანქციები, არც მხოლოდ გამოგონილი თუ რეალურად არსებული საფრთხეების მოსპობის სანაცვლოდ. ირანისათვის საკითხის გადაწყვეტას უფრო კომპლექსური ხასიათი უნდა ჰქონდეს, რაც გულისხმობს არამხოლოდ ზემოჩამოთვლილ ფაქტორებს, არამედ ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანას, ზოგადად არსებული რეჟიმის კანონიერების აღიარებას და ა.შ. კონსენსუსის მიღწევა ამ საკითხებზე კი საკმაოდ რთულია.

ირანი გზაგასაყარზე

XXI საუკუნის ირანი მართლაც წარმოადგენს რეგიონულ ძალას – სპარსეთის ყურეში მაინც, თუ არა მთელ ახლო აღმოსავლეთში. **70 მილიონიანი ირანი ყველაზე დიდი ქვეყანაა რეგიონში. ის უმ**თავრეს როლს ასრულებს ოპეკ-ში. მსოფლიოში ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებს შორის მესამე ადგილი უკავია და ასევე არის მესამე (შესაძლოა მეორე) ადგილზე დადასტურებული ნავთობისა და ბუნებრივი აირის რეზერვებით. გასული საუკუნის მანძილზე ირანი ჩამოყალიბდა მყარ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, ძლიერი და მრავალრიცხოვანი ძალოვანი სტრუქტურებით. მისი არმია შესაძლოა არაა საკმარისად შეიარაღებული შეტევითი ომისათვის, მაგრამ ნამდვილად ეფექტური იქნება თავდაცვის შემთხვევაში.

ამდენად, ირანი არ შეიძლება ჩაითვალოს, რეგიონის ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით, არშემდგარ სახელმწიფოდ. ნავთობისაგან მიღებული შემოსავლების წყალობით, ირანი თავის მოქალაქეებს უზრუნველყოფს ცხოვრების საკმაოდ მაღალი სტანდარტებით: ბავშვთა სიკვდილიანობის დაბალი და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალი დონე, ასევე განათლების მაღალი დონე (ქალების ჩათვლით). ირანში სახელმწიფო ჯამაგირზე მყოფი საშუალო კლასი მრავალრიცხოვანია, მუშათა კლასი – განათლებული, ბიზნესში ჩართული ტრადიციული საშუალო კლასი – ძლიერი. მრავალი თვალსაზრისით, ირანი ალბათ აღარ ეკუთვნის მესამე სამყაროს.

რაც უფრო მნიშვნელოვანია, ირანი ეროვნული იდენტობის წყაროდ საზრდოობს არამხოლოდ შიიტური და ისლამამდელი მემკვიდრეობიდან, არამედ ასევე გასულ საუკუნეში მიღებული გამოცდილებიდან – იმპერიული მუქარა დასავლეთიდან, კონსტიტუციური რევოლუცია, მოსადეყის ნაციონალისტური მოძრაობა და **1953 წლის დრამატული გადატრიალება, ფაჰლავის ერა და, რა თქმა უნდა, ის**ლამური რევოლუცია და ომი ერაყთან. ირანული იდენტობა ამოიზარდა არამხოლოდ საერთო ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, ენიდან და რელიგიიდან, არამედ ასევე უახლესი წარსულში მიღებული გაკვეთილებიდანაც – 2010 წლამდე 9 საპრეზიდენტო და 7 საპარლამენტო არჩევნების ჩათვლით. ხშირად არასპარსულენოვანი ქვეშევრდომები, გლეხები, ისტორიამ გარდაქმნა ირანელ მოქალაქეებად (Abrahamian, 2009:195). **ეს ეროვნული იდენტობა გამოკვეთილი არაა მხოლოდ სუნიტი ქურთებით, თურქ**მანებით, ბელუჯებით დასახლებულ პერიფერიულ რეგიონებში.

> მკაცრი ცენზურის, ჟურნალ-გაზეთების პერიოდული დახურვის და ჟურნალისტების რეპრესიების მიუხედავად, ირანული პრესა კვლავაც ცოცხალი და აქტიურია. ინტელექტუალური ცხოვრება ინტენსიურია. ირანელი მკითხველი დიდი ინტერესს იჩენს მსოფლიოში მიმდინარე კულტურული თუ პოლიტიკური პროცესების მიმართ. მაგალითისათვის, 2005 წელს ირანში გამოქვეყნდა თითქმის 15 ათასი წიგნი (ამავე პერიოდში ეგვიპტეში **9700 და სირიაში – სულ 600). ამ წიგნების დიდი ნაწილი სხვა**დასხვა ენებიდანაა სპარსულად თარგმნილი. თეირანის ყოველწლიური წიგნის ბაზრობა, რომელიც მაისში იმართება, უამრავ მყიდველს იზიდავს.

სახელმწიფოს საერთაშორისო ორიენტაცია განისაზღვრება ფაქტორთა და ისტორიულ ინტერაქციათა მრავალსახეობით. კულტურული ნიშან-თვისებები, იდეოლოგიური მისწრაფებები, დემოგრაფიული პრესი, რელიგიური მრწამსი – ყოველივე ეს კრიტიკული სახით განსაზღვრავს იმას, თუ როგორ აღიქვამს ქვეყანა გარემომცველ სივრცეს და თავის ადგილს ამ მეზობლობაში. ამ თვალსაზრისით, ირანი არ წარმოადგენს გამონაკლისს, რამდენადაც ქვეყნის ნაციონალური ნარატივი და ისლამური წარმომავლობა განსაზღრავს მის მიდგომას ფართო ახლო აღმოსავლეთის მიმართ.

რევოლუციურ სახელმწიფოთა უმრავლესობის მსგავსად, ირანმა გაიარა გზა მებრძოლი აქტორიდან, რომელიც რეგიონში დამკვიდრებული ნორმების უგულვებელყოფას ახდენდა, პრაგმატულ სახელმწიფომდე, რომელიც ნაციონალური ინტერესის გათვლებზე დამყარებულ პოლიტიკას ატარებს.

ირანის რეგიონული პოლიტიკა სამ წრე მოიცავს. ეს არის სპარსეთის ყურე, არაბული აღმოსავლეთი და ევრაზიის მოსაზღვრე ტერიტორიები. მათ შორის სპარსეთის ყურე ყველაზე მნიშვნელოვანია. რამდენადაც ირანის ნავთობის ძირითადი ნაწილი სპარსეთის ყურიდან გადის. „თეოკრატიულ“ მთავრობას კარგად ესმის ამ კრიტიკულ რეგიონში სტაბილურობის აუცილებლობა.

ფაჰლავიანთა დროს ქვეყნის ელიტები უფრო მეტ ინვესტირებას ახდენდნენ აშშ-სა და ევროპაში, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში, შემდეგ კი სწრაფად გაიხიზნენ ქვეყნიდან, ისე რომ არაფერი გაუკეთებიათ იმპერიული რეჟიმის გადასარჩენად. საპირისპიროდ, ისლამურმა რევოლუციამ შესძლო მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მობილიზაცია, შექმნა კონსენსუსი ამბიციური პოლიტიკური, კულტურული და სოციალური პროექტების შესახებ. **1978 წლის მილიონობით მანიფესტანტი ამ ერთიანობისა და იმე**დების სიმბოლო იყო (Hourcade, 2010: 266). **ისლამურ რესპუბლიკასაც არსებობის მეორე ათწლეული**დან მეტად ხელსაყრელი საერთაშორისო გარემო შეექმნა (საბჭოთა კავშირის დაშლა, ნავთობის ფასის ზრდა, არაბული ნაციონალიზმის და ერთობის იდეის დაკნინება), რომლის გამოყენების შემთხვევაში, ირანს შეეძლო ჭეშმარიტ რეგიონულ ლიდერად გადაქცევა და გლობალური მასშტაბით საკუთარი როლის უკიდურესად გაზრდა, უბრალო „ყურის ჟანდარმად“ დარჩენის სანაცვლოდ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის შტატებთან და ევროკავშირთან დაპირისპირებას, ირანის პრაქტიკულ ამოვარდნას საერთაშორისო სამართლის სისტემიდან, გაერო-ს მეტად მკაცრ სანქციებს ბირთვული პროგრამის გამო, ჯერჯერობით ამგვარი მიზნები ირანისათვის მიუღწეველი რჩება.

ზოგიერთი პოლიტიკოსი ხატავს ატომური იარაღით შეიარაღებული ირანის აპოკალიფტური საფრთხის სურათს – ირანი აკონტროლებს ერაყს, რომელშიც შიიტები დომინირებენ, შიიტური „ჰეზბოლა“ იმყარებს პოზიციებს ლიბანში, სუნიტური „ჰამასი“ კი – იორდანეს დასავლეთ ნაპირზე. ამას თან ერთვის ირანული მხარდაჭერით გააქტიურებული შიიტური მოძრაობები ბაჰრეინსა და სპარსეთის ყურის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებში. ამ მოსაზრების მხარდამჭერთა თვალთახედვიდან, ეს არაა ისრაელის (სხვები რომ არ ვახსენოთ) „შიშების კომბინაცია,“ არამედ აჰმადინეჟადისაგან წამოსული რეალური საფრთხეა.

მაგრამ ეს წარმოსახვითი სურათი არ ასახავს ზუსტ რეალობას. ახლო აღმოსავლეთში, შესაძლოა „ჰეზბოლას“ გამოკლებით ლიბანში, შიიტებს არასოდეს გამოუხატავათ დიდი აღტაცება ირანული სტი-

ლის ისლამური მმართველობით. შიიტებს ირანის გარეთ არასოდეს გაუთავისებით ველაიათ-ე ფაყიჰის პრინციპი. ამასთან ერთად, ყველაზე რადიკალური ისლამისტური მოძრაობები სუნიტურია. ირანს გარკვეულ გავლენა აქვს შიიტურ ერაყზე და თავს წარმოადგენს, როგორც ერაყელი შიიტების დამცველს (ისე როგორც შიიტთა დამცველს ნებისმიერ სხვა ადგილზე). მაგრამ სამხრეთ ერაყის შიიზმი, რომლის მთავარი ცენტრებია ნაჯაფი, ქერბალა და სამარა, საკუთარ ხელმძღვანელობას (აიათოლა ალ-სისთანი და მუკტადა ალ-სადრი) ექვემდებარება, რომელიც ირანული შიიზმიდან დამოუკიდებელია; ამ უკანასკნელის ცენტრი კი ყუმია. ირანელთა დიდი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს, როდესაც მათი ხელისუფლება უცხოელებისათვის ფულს ხარჯავს – იქნებიან ეს ერაყელები, ლიბანელები თუ პალესტინელები, მაშინ როცა მრავალ ირანელს მატერიალურად უკიდურესად უჭირს.

ირანის მმართველ რეჟიმს მრავალი ნაკლი აქვს, მაგრამ ის მაინც გაცილებით უფრო წარმომადგენლობითია, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის სხვა რეჟიმები, თუ არ ჩავთვლით ისრაელსა და თურქეთს (თუმცა, 2004 წლიდან დაწყებული, სულ უფრო იკვეთება ზეწოლა არჩევნებზე). მიუხედავად რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიული ღონისძიებებისა, ირანი არ არის ტოტალიტარული სახელმწიფო, როგორიც მაგალითად იყო სსრკ ცივი ომის დროს. ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა საკმაოდ კომპლექსურ ხასიათს ატარებს; არსებობს ძალაუფლების სხვადასხვა ცენტრები, რომლებიც ყოველთვის შეხმატკბილებულად არ მოქმედებენ. არის გარკვეული სივრცე ოპოზიციური აზრისთვისაც, თუმცა შეზღუდული. ირანს ისევ და ისევ გააჩნია უნარი, თვითონვე განახორციელოს ცვლილებები. ისეთი დამოუკიდებელი ირანელი ოპოზიციონერები, როგორიცაა შირინ ებადი ან აქბარ განჯი, ასაბუთებენ, რომ ირანმა თავადვე, სხვისი ჩარევის გარეშე უნდა გადაწყვიტოს საკუთარი პოლიტიკური პრობლემები. ჰომა კატუზიანისა და სხვათა მიერ ჩამოყალიბებული ირანის ისტორიის თეორიის თანახმად, ირანი ქაოსიდან ავტოკრატიამდე მიდის და შემდეგ ისტორია ისევ მეორდება (იხ. Katouzian & Shahidi, 2007: 1-13). **უეჭველია, რომ დღევანდელი ირანის ხელმძღვანელობაშიც არიან პრაგმატიკოსები, რომლებიც** ცდილობენ არსებული ვითარების შენარჩუნებას, როგორც სტაბილურობის გარანტიას. ზოგიერთი ფიქრობს, რომ რეფორმატორული მოძრაობის დროებითი მარცხი, რასაც მოჰყვა პრესაზე შეტევა, კატუზიანის ციკლის კიდევ ერთი ეპიზოდია. არსებობს მრავალი ახალგაზრდა ირანელის იმედგაცრუებისა და ნიჰილიზმის ნიშნები ირანულ ახალგაზრდობაში ხათამის ექსპერიმენტის მარცხის შემდეგ.

მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია ამ სახის დეტერმინიზმი. ირანში მართლაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რეალური სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, რომელშიც უფრო მეტი ცოდნისაკენ, განათლებისაკენ და თავისუფლებისაკენ ბუნებრივი ლტოლვა დომინირებს. ირანი დღეს მართლაც გზაგასაყარზეა – სპეციფიკური სახელმწიფოებრიობის, თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და გლობალიზებულ მსოფლიოში საკუთარი გამორჩეული ადგილის დაკავების ყველაზე ოპტიმალური გზის ძიებაში.

თავი XII

თანამედროვე თურქეთი

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემა

თურქეთი უნიტარული, მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფოა ხელისუფლების არჩევითი ორგანოებით. ქვეყანაში ამჟამად უკვე მოქმედებს მე-5 კონსტიტუცია.[1] სახელმწიფოში ძალაუფლება განაწილებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. თურქეთის საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი – თურქეთის დიდი ეროვნული კრება. პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი 7 წლით და მეორე ვადით არჩევა არ შეიძლება. პრეზიდენტად არჩევისათვის აუცილებელია პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედის უმრავლესობა. სწორედ ამის გამო პრეზიდენტის არჩევნების პროცედურა ზოგჯერ რამდენიმე თვე გრძელდება. პრეზიდენტს საკმაოდ ფართო უფლებები და მოვალეობები აქვს მინიჭებული საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების სფეროებში (მუხლი 104). **პრეზიდენტი არ არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე**, მას არ ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ნებისმიერ მის ბრძანებულებას, გარდა იმ დადგენილებებისა, რომლის შესახებაც აღნიშნულია კანონში, ხელს აწერენ პრემიერ-მინისტრი ან მინისტრები (მუხლი 105). პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის თანამდებობას ითავსებს პარლამენტის თავმჯდომარე (*თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია*, 2000: 5)

პრემიერ-მინისტრი, როგორც წესი, არის არჩევნებზე გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის ლიდერიც. მის კანდიდატურას წამოაყენებენ საპარლამენტო ფრაქციები და ამტკიცებს პარლამენტი ხმათა უბრალო უმრავლესობით. საპარლამენტო არჩევნები ერთპალატიან პარლამენტში (მეჯლისი) ტარდება **5 წელიწადში ერთხელ. პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ თავიანთ კანდიდატურებს ქვეყ**ნის საარჩევნო ოლქებში. დეპუტატი შეიძლება გახდეს ან კანდიდატი პარტიიდან, რომელიც დააგროვებს ხმების არანაკლებ **10%-ს, ან დამოუკიდებელი კანდიდატი, თუ მოცემულ ოლქში ის დააგ**როვებს ამომრჩეველთა უფრო მეტ ხმებს, ვიდრე პარტიის წარმომადგენლები. 20 დეპუტატზე მეტს შეუძლია მეჯლისში ცალკე ფრაქციის ჩამოყალიბება. ტრადიციული საკანონმდებლო საკითხების, ბიუჯეტის, სოციალური პოლიტიკის გარდა, თურქული პარლამენტის დეპუტატები აქტიურად წყვეტენ საგარეო პოლიტიკის საკითხებს. დეპუტატებს აგრეთვე უკავიათ პოსტები მთავრობაში პრემიერ-მინისტრის ბრძანებით.

ა) თურქეთის პოლიტიკური და პარტიული სისტემის ჩამოყალიბება XX ს-ის მეორე ნახევარში

თურქეთის პოლიტიკური სპექტრი მრავალფეროვანია. ათათურქი, რომელიც ხელისუფების სათავეში მოვიდა ბერძნებისა და ინგლისელების წინააღმდეგ წარმატებით განხორციელებული განმათავისუფლებელი ომის შედეგად, თავდაპირველად ფლობდა უსაზღვრო ავტორიტეტს. როგორც პოლიტიკურ ლიდერს, მას მხარს უჭერდნენ საზოგადოებრიობის ფართო ფენები. ათათურქის მოწინააღმდეგენი იყვნენ ძირითადად სომხები, ბერძნები, ებრაელები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ევროპის კაპიტალთან და სტამბულის ინტელიგენციის ვიწრო ფენა, რომელიც თურქეთზე ამერიკული მანდატის მომხრე იყო. ათათურქმა ჩამოაყალიბა სახალხო, მოგვიანებით *რესპუბლიკურ-სახალხო პარტია* (*Cumhuriyet Halk Partisi)*. მისი პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, გახდა ნაციონალიზმის იდეები. ნაციონალიზმი თურქეთში არ ატარებდა ქსენოფობიურ ხასიათს, ე. ი. არ იყო მიმართული რომელიმე ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ. მართალია, თურქეთის ყველა მოქალაქე ცხადდებოდა თურქად, ქვეყნდებოდა ინსტრუქციები უცხო ეროვნებებისათვის, როგორ უნდა მიეღოთ სწრაფად თურქული

1 პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა ოსმალეთის იმპერიაში ჯერ კიდევ 1876 წელს, შემდეგ მიიღეს 1921წ. კონსტიტუცია, მომდევნო 1924წ. (რესპუბლიკის კონსტიტუცია); 1961 წელს, სამხედრო გადატრიალების შემდეგ მიიღეს ახალი ძირითადი კანონი; ახლა მოქმედი ქვეყნის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1982 წელს, მესამე სამხედრო გადატრიალების შემდეგ.

კულტურა, ენა და ტრადიციები. ის, ვინც მოისურვებდა შეენარჩუნებინა თავისი ეთნიკური იდენტობა (უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა ბერძნებს და ქურთებს), განიცდიდა დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით (Güneş-Ayata, 2002: 102-121). **პარტიის შემდეგი პოსტულატი ლაიციზმი, ე. ი. სეკულარიზმი**, რელიგიის განცალკევება პოლიტიკისაგან, ასევე ინტეგრაციას ისახავდა მიზნად.

პარტიის ეკონომიკური პროგრამა გახდა ეტატიზმი – სახელმწიფო სექტორის უპირატესობა ეკონომიკაში, როდესაც კერძო კაპიტალს მეორე ადგილი ჰქონდა. პარტიის საგარეო პოლიტიკა ხასიათდებოდა ჩაკეტილობით, შეზღუდული პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტებით სხვა ქვეყნებთან. პირველ რიგში, ეს ეხებოდა სამხედრო კავშირების და საკრედიტო შეთანხმებების დადებას, რომლებზედაც დაწესდა სერიოზული შეზღუდვები.

XXს. 20-იან წლებში ყალიბდებოდა ძირითადი მიმართულებები ოპოზიციური საქმიანობისათვის, რაც დაფუძნებული იყო ხელისუფლების კრიტიკაზე: 1. *რელიგიური, ტრადიციონალისტური* – ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ შეუწყნარებლობის გამო ისლამთან მიმართებაში, რომლის აქტიური მიმდევარი იყო მოსახლეობის დაახლ. 80%. 2. *ეკონომიკური, ლიბერალური* – ითხოვდნენ ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოზიდვას, მეტ თავისუფლებას ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში მონაწილეობისათვის, საკრედიტო შეთანხმებების დადებას უცხოურ სახელმწიფო ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან.

ლიბერალიზაციის აუცილებლობა ნათელი იყო ათათურქისთვისაც. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ მისი სიკვდილის წინ ლიბერალური ხაზის ერთ-ერთი მომხრე მაჰმუდ ჯელალ ბაიარი ჩაუდგა სათავეში მთავრობას. თუმცა უკვე ათათურქის შემდეგ, **1939 წელს, მან დატოვა პოსტი ნაციონალისტ-ეტატისტებთან** წინააღმდეგობის გამო.

მეორე მსოფლიო ომის დროს რადიკალი ნაციონალისტები გამოვიდნენ პანთურქიზმისა და პანთურანიზმის პოზიციებიდან სსრკ-ის წინააღმდეგ და გერმანიის მხარდასაჭერად, რამაც ხელი შეუწყო ამ მიმართულების კრიზისს თურქეთის პოლიტიკაში. ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვების შემდეგ და მთელი რიგი ლიდერები დააპატიმრეს. პოლიტიკურ ელიტაშიც ჩამოყალიბდა ოპოზიცია, რომელიც ორიენტირებული იყო კერძო კაპიტალზე და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკურ კავშირებზე. თურქეთს უნდა აერჩია თავისი მომავალი განვითარების მიმართულება, რომელიც ახალ პირობებში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო უცხოელი პარტნიორების პოლიტიკაზე.

დიდ ბრიტანეთთან ალიანსის მიუხედავად, თურქეთი რჩებოდა ნეიტრალური II მსოფლიო ომში, ყოველ შემთხვევაში ნაცისტების დამარცხებამდე სტალინგრადში, **1943 წლის იანვარში. 1945 წლის აპრილში** თურქეთმა მონაწილეობა მიიღო გაერო-ს სან-ფრანცისკოს კონფერენციაში, როგორც დამფუძნებელმა წევრმა და ხელი მოაწერა გაერო-ს ქარტიას, რითაც დაადასტურა თავისი ერთგულება დემოკრატიული იდეალებისადმი. 1945 წლის 19 მაისს თურქეთის პრეზიდენტმა *ისმეთ ინონუმ* [2] (1938-1950) **წარმოთქმულ სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ უფრო დემოკრატიულს გახდიდა არსებულ ხელისუფლებას**, მაგრამ არ მიუთითა კონკრეტულ ღონისძიებებზე (Zürcher, 2003: 209). თურქეთის პოლიტიკურ „ვესტერნიზაციას“ თან ახლდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის და ქვეყნის გარდაქმნების გზის არჩევა – საბაზრო ეკონომიკის კურსის ან ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო რეგულირება. მთავრობის პირველი ღია კრიტიკის მიზეზი გახდა **1945 წლის მაისში თურქეთის მეჯლისში** მიწების განაწილების კანონპროექტის განხილვა (Van der Lippe, 2005: 115-116).

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ თურქეთში, დასავლელი პარტნიორების დახმარებით, მოხდა სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, დაიწყო გლეხებისათვის მიწის გადაცემის მცდელო-

---

2 1938 წლის 11 ნოემბერს პრეზიდენტად არჩეულ ისმეთ ინონუს მიენიჭა ტიტული – ეროვნული ლიდერი (Millî Şef) რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის კრებაზე, სადაც ათათურქი გამოცხადდა ქვეყნის უცვლელ ლიდერად (Ebedî Şef). ინონუს ძირითადი მიზანი იყო რესპუბლიკის მიღწევების დაცვა: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, შიდა სტაბილურობა, ათათურქის კულტურული რევოლუცია, ეროვნული ეკონომიკის განვითარება. თუმცა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ წარმოშვა ე.წ. „საალყო მენტალიტეტი“ და „საალყო ეკონომიკა“. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ უთანხმოებამ ისმეთ ინონუსა და ჯელალ ბაიარს (პრემიერ-მინისტრი 1937-1938წწ.) შორის, რაც ზეგავლენას ახდენდა თურქეთის პოლიტიკაზე მრავალი წლის მანძილზე და უფრო ხშირად ეს იყო უთანხმოება ორ ეკონომიკურ პოლიტიკას შორის – კონტროლირებად ეკონომიკასა (ისმეთ ინონუ) და თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებულ ეკონომიკურ ლიბერალიზაციას შორის. ამის შესახებ ისმეთ ინონუ წერდა: „მთავარი პრობლემა იყო ჯელალ ბაიარის ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკა. ის დაიწყო იმით, რომ ზედმეტად დიდ დროს უთმობდა დემაგოგიას და არ ეფუძნებოდა რაიმე [საკუთარ] გათვლებს. სახელმწიფო ფინანსები ფუნდამენტურად ისპობოდა. ზიანი მიადგა ვაჭრობას და ფულის მიმოქცევას“ (Mango, 2004: 27; İnönü, 1987: 326).

ბები. კანონპროექტი მიწის განაწილების შესახებ პარლამენტში განსახილველად შევიდა 1945 წლის იანვარში. ის ითვალისწინებდა მცირემიწიანი ან უმიწაწყლო გლეხებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფას, რომლებიც უნდა შეეძინათ 20 წლის განმავლობაში. მთავრობას უფლება ეძლეოდა ჩამოერთმია (გარკვეული კომპენსაციით) მსხვილი მიწათმფლობელებისათვის მიწა. მიწის მაქსიმალურ ნორმად დაწესდა 500 ჰა ანუ დონუმი, ხოლო მინიმალურ ნორმად – 200 ჰა ანუ დონუმი. მიწაYთმფლობელთა 99,75% ფლობდა მხოლოდ 500 ჰექტარზე მეტ მიწის ნაკვეთს. წინააღმდეგობის მიუხედავად, კანონი მიიღეს 1945 წლის 11 ივნისს (Zürcher, 2003: 210).

თურქეთის პროგრესული ძალები მოითხოვდნენ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებას, საკუთრების უფლების დაცვას. 1945 წლის 7 ივნისს ოთხმა დეპუტატმა – ადნან მენდერესმა (მსხვილი მიწისმფლობელი აიდინიდან), ჯელალ ბაიარმა (ყოფილი პრემიერ-მინისტრი, 1937-1938წწ.), ფუად ქოფრულუმ[3] და რეფიკ ქორალთანმა (სამართლისმცოდნე, ყოფილი მოსამართლე და პროვინციის მმართველი) პარლამენტში შეიტანა მემორანდუმი ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების თაობაზე და ის ცნობილია, როგორც „ოთხთა მემორანდუმი“ (*Dörtlü Takrir*). ისინი მოითხოვდნენ პოლიტიკურ ლიბერალიზაციას, მოქალაქეებს უნდა ჰქონოდათ უფლება ესარგებლათ კონსტიტუციაში ჩაწერილი თავისუფლებით. რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ უარყო ეს წინადადება. ისმეთ ინონუმ განაცხადა: „[ოთხმა] არ უნდა წააყენოს მოთხოვნები პარტიის შიგნით. ნება მივცეთ მათ დაგვტოვონ და ღიად დაგვიპირისპირდნენ ჩვენ, ჩამოაყალიბონ თავიანთი ორგანიზაცია და წამოიწყონ ბრძოლა, როგორც ცალკე პარტიამ“ (Van der Lippe, 2005: 120-121). ამის შემდეგ პარტიის ოპოზიციურმა წევრებმა კამათი გააგრძელეს პრესაში – ლიბერალურ გაზეთ „*ვატანსა*“ („მამული,“ რედაქტორი – აჰმეთ ემინ იალმანი) და მემარცხენე „*თანში*“ („განთიადი“)[4] (Zürcher, 2003: 210-211; Ahmad, 2002:103).

თურქეთის ისტორიაში *მრავალპარტიული პერიოდი* დაიწყო 1945 წლის 18 ივლისს, როდესაც ცნობილმა მეწარმემ ნური დემირაღმა დააარსა ოპოზიციური „ეროვნული განვითარების პარტია“ (*Millî Kalkınma Partisi*), რომელიც ოფიციალურად დარეგისტრირდა 5 სექტემბერს. პარტიის პლატფორმა ითვალისწინებდა ეკონომიკის ლიბერალიზაციას და თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. თუმცა პარტიის წევრებს შორის არ იყვნენ გამოცდილი პოლიტიკოსები და მათ არ ჰყავდათ წარმომადგენელები მეჯლისში.

1945 წლის 1 ნოემბრის მეჯლისის სესიის გახსნაზე პრეზიდენტმა ინონუმ განაცხადა: „მთავრობის ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ მმართველ პარტიას არა ჰყავს ოპოზიციური პარტია“ (Van der Lippe, 2005: 123). ეს კი გულისხმობდა მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრებასაც. მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის შემოღება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მეორე მსოფლიო ომში თურქეთის მოკავშირეების – აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ზეწოლით. ამ პროცესს ხელი შეუწყო აგრეთვე მმართველი პარტიის შიგნით დაპირისპირებამ. ისმეთ ინონუმ ხაზი გაუსვა, რომ ის აპირებდა პოლიტიკური სისტემის შეცვლას იმ ცვლილებების შესაბამისად, რაც მოჰყვა მსოფლიოში ფაშიზმზე დემოკრატიის გამარჯვებას (Ahmad, 2002:102).

დემოკრატიული პარტია (*Democratic Party)* ჩამოყალიბდა 1946 წლის 7 იანვარს (ხელმძღვანელი – ჯელალ ბაიარი). მისი პროგრამა თითქმის არ განსხვავდებოდა რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის პროგრამისაგან და მასში აისახა ათათურქის ექვსი პრინციპი. პარტია იზიარებდა ეტატიზმის პრინციპებს, მაგრამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული უცხოეთის კაპიტალთან და გამოვიდა კრიტიკით სახალხო-დემოკრატიული პარტიის მისამართით, რომელიც ვერ ეგუებოდა აშშ-თან მჭიდრო თანამშრომლობის ახალ პირობებს და ვერ მიაღწია ქვეყნის ეკონომიკის ჩართვას მსოფლიო ბაზარში. 1946 წლის 10-11 მაისს ანკარაში ჩატარდა პარტიის რიგგარეშე ყრილობა, რომელზედაც მიღებულ იქნა ლიბერალური დადგენილებები: პირდაპირი (ერთსაფეხურიანი) არჩევნების დაწესება, წესდებაში გაუქმდა ეროვნული ლიდერის (*millî şef*) და „პარტიის უცვლელი თავმჯდომარის“ ტიტულები და ისმეთ ინონუ გახდა გენერალური თავმჯდომარე, რომელიც აირჩეოდა 4 წლის ვადით. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო წესდე-

3 ფუად ქოფრულუ (1890-1966) – ცნობილი ისტორიკოსი, თურქოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და თურქული ისტორიული საზოგადოების პირველი დირექტორი, 1934 წლიდან თურქეთის პარლამენტის წევრი.

4 წესდების დარღვევის საბაბით, ფაქტობრივად კი კრიტიკული წერილების გამო, 21 სექტემბერს ადნან მენდერესი და ფუად ქოფრულუ პარტიიდან გარიცხეს, 27 ნოემბერს კი – რეფიკ ქორალთანი. 3 დეკემბერს ჯელალ ბაიარმა უარი თქვა დეპუტატის მანდატზე და დაიწყო მზადება ახალი პარტიის შესაქმნელად (Zürcher, 2003: 211).

ბის 22-ე მუხლის გაუქმება, რომელიც კრძალავდა ასოციაციების დაარსებას. ამას მოჰყვა 1946 წლის მაის-ივნისში ქვეყანაში სხვა პარტიების შექმნაც: თურქეთის სოციალისტური პარტია (*Türkiye Sosyalist Partisi*), თურქული სოციალისტური მუშათა და გლეხთა პარტია (*Türkiye Sosyalist Emekçi ve Köylü Partisi*), ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია (*Liberal Demokrat Partisi*) და სხვ. სულ სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 20-მდე სხვადასხვა ორიენტაციის პარტია ჩამოყალიბდა (Van der Lippe, 2005: 137-142; Ahmad, 2002: 105-106; Jenkins, 2008: 126).

რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის ყრილობის შემდეგ მოხდა პრესის კანონის ლიბერალიზაცია, უნივერსიტეტებმა მიიღეს ავტონომია, დაამტკიცეს ახალი საარჩევნო კანონი – ორსაფეხურიანი არჩევნების ნაცვლად დაწესდა პირდაპირი არჩევნები, ფარული კენჭისყრა, ხმების საჯარო დათვლა და შედეგების სასამართლოში გასაჩივრების უფლება. ამის პარალელურად ხელისუფლება დახურვით ემუქრებოდა იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც უარს განაცხადებდნენ მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა ახალი წესების შესაბამისად (Ahmad, 2002:106; Lewis,1968: 294; Ahmad, 1977: 1-34).

პოლიტიკური სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა 1945 წლის შემდეგ, რეალურად შეიძლება შეფასდეს, როგორც „შეზღუდული დემოკრატიის“ სისტემა. ამის ნათელი მაგალითი იყო რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად საპარლამენტო არჩევნების ვადა გადაწიეს 1947 წლის ივლისიდან 1946 წლის 21 ივლისზე, რითაც სხვა პარტიებს არჩევნებისათვის მომზადების საშუალება არ მიეცათ (Ahmad, 2002: 107; ლებანიძე, 2003: 568).

თურქეთის ისტორიაში პირველად ჩატარდა ერთსაფეხურიანი არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ოპოზიციურმა პარტიებმა. ასამბლეაში 465 ადგილიდან რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ მიიღო 390, დემოკრატიულმა პარტიამ – 65, დამოუკიდებელმა კანდიდატებმა კი – 7 ადგილი (Ahmad, 2002: 106-107).

გამარჯვებულმა *რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ* ვერ შეძლო ღირსეული ოპოზიცია ყოფილიყო დემოკრატიული პარტიისათვის. მის სათავეში იდგა ათათურქის მომხრე – ისმეთ ინონუ (პარტიის ლიდერი 1938-1972წწ.), რომლის იდეოლოგია ეფუძნებოდა იმავე პრინციპებს, რაც იყო 30-იან წლებში, მაგრამ შერბილებულს ნაციონალიზმის საკითხებში და არ იყო მზად შეექმნა ახალი პროგრამა. ახალ პარლამენტში გამოიკვეთა გამარჯვებული რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის ორი ფრთა: რეფორმატორთა (ისმეთ ინონუს მეთაურობით) და კონსერვატორთა (სათავეში – რეჯეფ ფექერი – თურქეთის პრემიერ-მინისტრი 1946 წლის 7 აგვისტოდან 1947 წლის 9 სექტემბრამდე). მთავრობასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირების გამო, ისმეთ ინონუმ 1947 წლის 12 ივლისს გამოაქვეყნა „12 ივლისის დეკლარაცია“, რომელიც მიზნად ისახავდა ოპოზიციური პარტიებისათვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემას და პრეზიდენტის მიერ „მიუმხრობლობის პრინციპის“ დაცვას პარტიის მიმართ (Zürcher, 2003: 214; Van der Lippe, 2005: 149-151).

1950 წლის 14 მაისის არჩევნების შედეგად გამარჯვებული *დემოკრატიული პარტია* ხელისუფლებაში იყო 1950-დან 1960 წლამდე და საფუძველი ჩაუყარა თურქულ ლიბერალურ დემოკრატიას (პარტიამ სამჯერ მიაღწია გამარჯვებას არჩევნებზე – 1950, 1954 და 1957 წელს). პარლამენტმა პრეზიდენტად აირჩია ჯელალ ბაიარი, ხოლო პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ადნან მენდერესი.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დემოკრატიულმა პარტიამ დაიწყო იმ კაპიტალის ლეგალიზაცია, რომელიც მიიღო თურქეთის ბურჟუაზიამ გერმანიასთან თანამშრომლობით მეორე მსოფლიო ომის წლებში, აგრეთვე აშშ-თან ომის შემდგომ წლებში. თანხა იდებოდა სავაჭრო და სამრეწველო საწარმოების დაარსებაში, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობდა ინვესტორ ამერიკულ და ევროპულ სახელმწიფო კომპანიებთან. XXს. 50-იან წლებს უწოდებენ თურქული მეწარმეობის „ოქროს საუკუნეს“. მენდერესის მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა თურქული კერძო კაპიტალის შესაძლებლობები. პირველ რიგში, გაუქმდა მაღალი საბაჟო გადასახადები, რამაც დაარეგულირა თურქეთის ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან და დაიცვა ადგილობრივი სახელმწიფო საწარმოები კონკურენციისაგან. კერძო მეწარმეები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული დემოკრატიული პარტიის ბიოროკრატიულ ელიტასთან, აქტიურად ჩაერთნენ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში, რამაც მნიშვნელოვანი შემოსავლები მოუტანა მათ. სოფლის მეურნეობაში განვითარდა სასაქონლო ურთიერთობები და სპეციალიზირებულ იქნა ნედლეულის მიწოდებაზე აშშ-სა და ევროპისათვის. 1954 წელს თურქეთის მთავრობამ მიიღო კანონი კერძო უცხოური ინვესტიციების გამარტივების შესახებ, რასაც მოჰყვა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოდინება. დიდ ქალაქებში დაიწყო მრავალრიცხოვანი სამრეწველო საწარმოების მშენებლობა, რომლებიც უშვებდნენ უცხოური ფირმების ლიცენზირებულ პროდუქციას. ინვესტიციები ხორციელდებოდა ბანკების საშუალებითაც, რომლებიც დაარსებული იყო აშშ-ის დახმარებით. მძიმე

და სამხედრო მრეწველობის საწარმოები არ იქცევდა ინვესტორების ყურადღებას დაბალი შემოსავლების გამო. ამიტომ დემოკრატიულმა პარტიამ ვერ ჩაატარა პრივატიზაცია, რაც წარმოადგენდა ლიბერალური რეფორმების საფუძველს. სახელმწიფო საკუთრების გაყიდვაზე უარის თქმის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს პარტიის ძალაუფლების განმტკიცება. უცხოური დახმარება კრედიტების სახით შემოდიოდა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ანგარიშზე, შემდეგ ნაწილდებოდა მოხელეების მიერ სახელმწიფო სექტორის საწარმოებს შორის, რაც იწვევდა სხვადასხვა კორუფციული სქემების გაჩენას. მთავრობამ დაიწყო ახალი სახელმწიფო ეკონომიკური ორგანიზაციების შექმნა, მაგრამ უკვე შერეული კაპიტალით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი წაქეზებული იყო სახელმწიფოს მიერ სპეციალური პრემიებით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში წინამავალ პოზიციებზე გამოვიდნენ კერძო კაპიტალისტური მეურნეობები, რომლებიც მუშაობდნენ დაქირავებული სამუშაო ძალის დახმარებით. ასეთი პოლიტიკის გატარებამ ქვეყანას შესაძლებლობა მისცა უმოკლეს ვადაში შეევსო ბაზარი სამომხმარებლო პროდუქციით, რასაც მოჰყვა მოსახლეობის მხარდაჭერა და დემოკრატიული პარტიის გამარჯვება 1954 და 1957 წლების არჩევნებში (Zürcher, 2003: 215-229).

პარტიამ დაიწყო აგრეთვე უმუშევრობის ლიკვიდაცია, თავისუფალი პროფკავშირების დაარსება, ზოგიერთი დათმობის გატარება რელიგიასთან მიმართებაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მკაცრ ლაიციზმზე უარის თქმას. 1958 წელს დემოკრატიული პარტიის კონგრესზე მენდერესმა განაცხადა: „ჩვენ დავაწესეთ აზანის (მოწოდება ლოცვისაკენ) წარმართვა არაბულად. ჩვენ დავუშვით რელიგიის სწავლება სკოლებში. ყურანი იკითხება რადიოთი. თურქეთი არის მუსლიმური ქვეყანა და ის დარჩება ასეთად“ (Zürcher, 2003: 232-233; Hale, 1981: 86-113).

დემოკრატიული პარტიისათვის მნიშვნელოვანი იყო აშშ-თან მრავალმხრივი თანამშრომლობა. 1947 წლის 21 თებერვალს ბრიტანეთის მთავრობამ აცნობა აშშ-ის ხელისუფლებას, რომ 1947 წლის 1 აპრილიდან ბრიტანეთი უწყვეტდა თურქეთს და საბერძნეთს ფინანსურ დახმარებას და სთხოვდა შეერთებულ შტატებს თავის თავზე აეღო ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო დახმარება. ეს ფაქტი სიმბოლურად იმას ნიშნავდა, რომ ბრიტანეთი ახლო აღმოსავლეთში პირველობას უთმობდა აშშ-ს. 1947 წლის 12 მარტს პრეზიდენტმა ტრუმენმა გაუგზავნა აშშ-ის კონგრესს სპეციალური მიმართვა, ცნობილი როგორც „ტრუმენის დოქტრინა“. ის ითვალისწინებდა 400 მლნ დოლარის გამოყოფას თურქეთისა და საბერძნეთისათვის – 300 მლნ საბერძნეთს და 100 მლნ თურქეთს. ფილიპს პრაისი ხაზს უსვამდა ტრუმენის დოქტრინის მნიშვნელობას თურქეთისათვის: „ამან საშუალება მისცა თურქეთს შეექმნა 500 ათასიანი პირველხარისხოვანი სამხედრო ძალა, რომელიც მობილიზაციის შემთხვევაში შეიძლება 1 მლნ-მდე გაიზარდოს“ (Price, 1969: 171). 1947 წლის 5 ივნისს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. მარშალმა ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას წარადგინა ამერიკული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის იმ სახელმწიფოთა დახმარებას, რომელთა ეკონომიკა ომის შედეგად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს გეგმა შემდგომში ცნობილი გახდა „მარშალის გეგმის“ სახელით. 1947 წლის 12 ივლისს ხელი მოეწერა ამერიკა-თურქეთის შეთანხმებას და თურქეთმა მიიღო დახმარება 100 მლნ დოლარის ოდენობით, რომლის ძირითადი ნაწილი უნდა მოხმარებოდა არმიის და ავიაციის მოდერნიზაციას, აეროდრომებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის მშენებლობას. ანკარისა და ვაშინგტონის პოზიციების დაახლოვებაში შემდეგი სერიოზული ნაბიჯი იყო თურქეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობა კორეის ომში, რის შემდეგაც მნიშვნელოვნად გაიზარდა აშშ-ის დახმარება. 1957 წელს მიღებულ იქნა ეიზენჰაუერის დოქტრინა, რომლითაც აშშ ცდილობდა შეეჩერებინა კომუნიზმის გავრცელება ახლო აღმოსავლეთში. 1959 წლის დეკემბერში თურქეთში ეიზენჰაუერის ვიზიტის დროს გადაწყდა გამოეყოთ თურქეთისათვის დახმარება – 280 მლნ დოლარი. 1948-1959 წლების მანძილზე აშშ-ის დახმარება თურქეთისადმი შეადგენდა 2885,5 მლნ დოლარს. ამის საპასუხოდ თურქეთი აშშ-ის მხარდამჭერ პოლიტიკას ატარებდა არა მხოლოდ კორეის ომში, არამედ სუეცის კონფლიქტში, ეგვიპტის, ერაყის რევოლუციებში, ლიბანის მოვლენებში. 1969 წელს მენდერესი ამერიკაში გაემგზავრა დამატებითი ფინანსური დახმარების მიღების იმედით, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა, რადგან აშშ-ის პრეზიდენტ ეიზენჰაუერს არსებული მთავრობის იმედი აღარ ჰქონდა (Ahmad, 2002: 118).

თურქეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნატო-ში და სხვა რეგიონალურ პრო-ამერიკულ ორგანიზაციებში შესვლა. 1951 წლის 15 მაისს ვაშინგტონმა ოფიციალურად მიმართა ინგლისს და საფრანგეთს, მიეღოთ თურქეთი და საბერძნეთი ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ბლოკში. 21 სექტემბერს ნატო-ს საბჭომ, რომელიც ოტავაში შეიკრიბა, მიიღო გადაწყვეტილება რეკომენდაცია გაეწია თურქეთისათვის ნატო-ში მისაღებად. 1952 წლის 29 იანვარს შეერთებული შტატების სენატმა დაამტკიცა თურქეთის მიღება ნატო-ში, ხოლო 18 თებერვალს თურქეთის მეჯლისმა მოახდინა ნა-

ტო-ში შესვლის ხელშეკრულების რატიფიკაცია. 1953 წლიდან დაიწყო აშშ-ის საგარეო პოლიტიკური დომინირების ეპოქა თურქეთში. ნატო-ში შესვლამ გზა გაუხსნა მის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო ბაზების მშენებლობას, არმია გადიოდა სწრაფ გადაიარაღებას ამერიკული მოდელის მიხედვით. 1955 წლის 24 თებერვალს შეიქმნა *ბაღდადის პაქტი*, რომელშიც თურქეთის და ერაყის გარდა შევიდნენ ინგლისი (3 აპრილს), პაკისტანი (23 სექტემბერს) და ირანი (3 ნოემბერს). მას შემდეგ, რაც ერაყმა1958 წლის რევოლუციის შედეგად დატოვა პაქტი, 1959 წლის 24 მარტს გაერთიანებას შეეცვალა სახელი და ეწოდა *CENTO* – ცენტრალური სახელშეკრულებო ორგანიზაცია და მისი შტაბ-ბინა 1959 წლის 21 აგვისტოს გადავიდა ანკარაში. ამან თურქეთი ირანთან ერთად აქცია ამერიკული პოლიტიკის ფორპოსტად ახლო და შუა აღმოსავლეთში. სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციებში მონაწილეობის გარდა, თურქეთმა მიიღო დასავლური ეკონომიკური სტრუქტურების – *მსოფლიო სავალუტო ფონდის* და *რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის* წევრობაც.

ამდენად, დემოკრატიულმა პარტიამ მოახერხა ქვეყნის შესვლა დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში, უზრუნველყო სტაბილური ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა. თუმცა ლიბერალური გარდაქმნების შედეგად ტრადიციულმა სამოქალაქო ბიუროკრატიულმა ელიტამ დაკარგა თავისი პოზიციები, რაც გახდა ძალისმიერი მეთოდით ხელისუფლების შეცვლის მიზეზი.

ამერიკელი ექსპერტების ცნობით, 1950 დან 1958 წლებში თურქეთის მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდა იყო ერთ-ერთი ყველაზე დინამიური რესპუბლიკის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე და შეადგენდა 11%-ს წელიწადში. თუმცა, დემოკრატიული პარტიის მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული თურქული ფინანსური სისტემის მთავარი თავისებურებები იყო დეფიციტური ბიუჯეტი და ინფლაციის მაღალი დონე (10 წელიწადში 25%-ზე მეტი). დემოკრატიული პარტიის მთავრობა საბიუჯეტო დეფიციტის აღმოსაფხვრელად საჭირო სახსრებისათვის იღებდა ვალს საზღვარგარეთიდან. XXს. 50-იან წლებში საზღვარგარეთის ბანკებში ჩაიდო ქვეყნის ოქროს მთელი მარაგი, რომელიც შეივსო მეორე მსოფლიო ომის დროს. ამასთან 1960წ. საგარეო ვალმა შეადგინა 5 მლრდ თურქული ლირა. 1958 წელს სახელმწიფომ ფაქტობრივად სცნო თავი ბანკროტად კრედიტორების წინაშე და აყვანილ იქნა მსოფლიო ბანკის თავდების ქვეშ იმ პირობით, რომ შეასრულებდა სპეციალურად თურქეთისათვის შემუშავებულ სტაბილიზაციის პროგრამას (1958 წლის 4 აგვისტოს გამოქვეყნდა) – თურქული ლირას დევალვაცია (დაახლ. 120%-ით აშშ დოლართან მიმართებაში), მკაცრი კონტროლი ფულად-საკრედიტო ემისიებზე, ფასებზე კონტროლი, ექსპორტის წახალისების ღონისძიებების შემუშავება, საინვესტიციო პროგრამებში უპირატესობის მინიჭება მოკლევადიანი და მაღალშემოსავლიანი პროექტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ, თავის მხრივ, გადაუვადა თურქეთს იმ კრედიტების (420 მლნ დოლარი) გადახდის ვადა, რომელთა ვადა ამოიწურა და გამოუყო 359 მლნ დოლარი ახალი კრედიტის სახით. ამ პერიოდში თურქეთს დახმარება აღმოუჩინა აგრეთვე დასავლეთ გერმანიამ – 1950-იან წლებში თურქეთში ორჯერ ჩავიდა დასავლეთ გერმანიის პრემიერ-მინისტრი კონრად ადენაუერი, ხოლო 1957 წლის 6 მაისს – პრეზიდენტი თეოდორ ჰოისი. ამ ვიზიტების შემდეგ გადაწყდა გამოეყოთ თურქეთისათვის კრედიტის სახით 255 მლნ მარკა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიული პარტიის 10 წლიანი მმართველობის პერიოდში თურქეთის ეკონომიკაში უზარმაზარი ძვრები მოხდა: დამუშავებული მიწების ფართობი გაიზარდა 14 მლნ ჰა-დან 23 მლნ ჰა-მდე, ტრაქტორების რაოდენობა – 2000-დან 42,000-მდე, გამოყენებული სასუქების რაოდენობა 42,000-დან 107,000 ტონამდე, მოპირკეთებული გზების სიგრძე – 2000-დან 7000 კმ-მდე; გაიზარდა სახელწიფო სექტორის წილი (*Turkey*, 2001: 8; Zürcher, 2003: 220-229; Mango, 2004: 47).

მართალია, ორივე პარტია თანხმდებოდა იმაზე, რომ მემარცხენეებისათვის ადგილი არ იყო და 1945-1960 წლებში მემარცხენე პარტიები აკრძალეს, დემოკრატიულ პარტიასა და სახალხო-დემოკრატიულ პარტიას შორის გამწვავდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის. მენდერესის მთავრობამ მიიღო კანონი ქემალისტური სახალხო-დემოკრატიული პარტიის ძირითადი დასაყრდენის – „სახალხო სახლების“ დახურვის თაობაზე და მათი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. უფრო მეტიც, დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა გადაწყვიტეს აეკრძალათ ოპოზიციური პარტიების საქმიანობა. 1956 წლის ივნისში მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავდა გაფიცვებს და დემონსტრაციებს. 1957 წლის სექტემბერში მეჯლისმა მიიღო კანონი, რომელიც უკრძალავდა ოპოზიციურ პარტიებს ერთიანი საარჩევნო სიით გამოსვლას. 1957 წლის საპარლამენტო არჩევნებში დემოკრატიულ პარტიას ხმა მისცა უფრო ნაკლებმა ამომრჩეველმა, ვიდრე ოპოზიციურ პარტიებს და მხოლოდ მაჟორიტარულმა სისტემამ მოუპოვა მას ადგილების უმრავლესობა მეჯლისში – 419, სახალხო– დემოკრატიულმა პარ-

ტიამ მიიღო 173 ადგილი, დანარჩენი განაწილდა სხვა წვრილ პარტიებს შორის. როდესაც მენდერესს შეახსენეს, რომ ის დაპირდა თურქ მუშებს გაფიცვების უფლებას, მან უპასუხა, „შეწყვიტეთ ეს აბსურდი. თურქეთს გაფიცვები სჭირდება? მოდით, ჯერ ეკონომიკურ განვითარებას მივაღწიოთ და მერე ვიფიქროთ ასეთ რამეებზე“ (Ahmad, 2002: 109-110).

1960 წლის აპრილში მთავრობამ მეჯლისში შეიტანა კანონპროექტი საგანგებო კომისიის შექმნის თაობაზე, რომელსაც უნდა გამოეძიებინა „სახალხო-დემოკრატიული პარტიის საიდუმლო, ძირგამომთხრელი საქმიანობა.“ კანონპროექტის განხილვამ კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. საგანგებო კომისიამ გააუქმა ბეჭდვითი ორგანოები და აუკრძალა გაზეთებს და ჟურნალებს ხელისუფლების მისამართით კრიტიკული წერილების გამოქვეყნება. ანტიდემოკრატიულმა კანონებმა პრესის და უნივერსიტეტების წინააღმდეგ ხელისუფლებას ლიბერალური ინტელიგენციის მხარდაჭერა დააკარგვინა.

1960 წლის აპრილში მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის ბრძოლა მწვავე პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა, რამაც ფაქტობრივად დაბლოკა მეჯლისის მუშაობა. 1960 წლის 19 აპრილს შედგა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი მთავრობის ანტიდემოკრატიული მოქმედებების წინააღმდეგ. 28 აპრილს სტამბოლში, ბაიაზითის მოედანზე მიტინგის დროს, პოლიციამ დაცხრილა სტამბოლის უნივერსიტეტის სტუდენტები, რამდენიმე დაიჭრა, ერთი გარდაიცვალა. ამას მოჰყვა სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები, რომელსაც მხარს უჭერდნენ საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენები. სტამბულსა და ანკარაში ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მენდერესმა განაცხადა, რომ აპირებდა ვადამდელი არჩევნების ჩატარებას სექტემბერში, რაც აღარ დასცალდა. ჯერ კიდევ 1954 წლიდან თურქეთში არსებობდა ორგანიზაცია „ათათურქისტები,“ რომელთა მიზანი იყო ქემალ ათათურქის პოლიტიკისადმი მიბრუნება. ოფიცრობამ მიიღო გადაწყვეტილება მენდერესის მთავრობის დამხობის თაობაზე. სახმელეთო ძალების ხელმძღვანელმა ჯ. გურსელმა ულტიმატუმი წაუყენა მთავრობას. რამდენიმე საათის შემდეგ, *1960 წლის 27 მაისს* რესპუბლიკური თურქეთის ისტორიაში მოხდა *პირველი სამხედრო გადატრიალება* ლოზუნგით – „ათათურქის პრინციპებთან დაბრუნება.“

პოლკოვნიკმა ალფარსლან თურქეშმა რადიოთი წაიკითხა დეკლარაცია და ამცნო მოსახლეობას, რომ თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა ხელში აიღეს ადმინისტრაციული ხელისუფლება. ჩამოყალიბდა ეროვნული ერთობის კომიტეტი (*Millî Birlik Komitesi* – 38 ოფიცერი) გენერალ ჯემალ გურსელის თავმჯდომარეობით. გაუქმდა 1924 წლის კონსტიტუცია, დათხოვნილ იქნა პარლამენტი, აიკრძალა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. ამით დასრულდა თურქეთის რესპუბლიკის არსებობის პირველი ეტაპი – *თურქეთის პირველი რესპუბლიკის*[5] პერიოდი (Ahmad, 2002: 122-126).

1960 წლის სამხედრო გადატრიალება იყო დემოკრატიის პირველი სერიოზული გამოცდა (Shambayti, 2008: 100). *ეროვნული ერთობის კომიტეტის* დავალებით ქვეყნის ცნობილმა იურისტებმა[6] შეიმუშავეს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც გატანილ იქნა 1961 წლის 9 ივლისს რეფერენდუმზე. მოწონების შემდეგ ძალაში შევიდა ახალი, რიგით მესამე, კონსტიტუცია (168 მუხლი), რომელიც განიხილებოდა, როგორც ყველაზე დემოკრატიული. ეს იყო *თურქეთის მეორე რესპუბლიკა,* რომელმაც იარსება 20 წელი. 1961 წლის კონსტიტუციაში აისახა დასავლური დემოკრატიის პრინციპები. პირველად კონსტიტუციით განმტკიცდა ხელისუფლების განაწილების პრინციპი – ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას – პარლამენტს (აირჩეოდა 6 წლის ვადით). შეიცვალა აგრეთვე პარლამენტის სტრუქტურა – ის გახდა ორპალატიანი – დეპუტატთა პალატას (450 დეპუტატი) დაემატა სენატი (150 წევრი), რათა შეზღუდულიყო ეროვნული კრების საქმიანობა. სენატის 15 წევრს ნიშნავდა რესპუბლიკის პრეზიდენტი და მის გარდა სე-

5 იმპერიებისა და რესპუბლიკების დანომვრის ტერმინოლოგია სამეცნიერო ლექსიკონში შემოიტანეს ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა XVIII-XX სს-ის საფრანგეთის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე – „მეორე იმპერია,“ „პირველი, მეორე .... მეხუთე რესპუბლიკა.“ ეს არის პოლიტიკური რეჟიმების დახასიათებაც.

6 გადატრიალებიდან ფაქტობრივად რამდენიმე საათში კონსტიტუციის მომზადებისათვის ჩამოყალიბდა კომისია, რომელშიც შევიდა სტამბულის უნივერსიტეტის 5 სამართლის პროფესორი. თავმჯდომარე გახდა რექტორი, პროფესორი სიდიკ სამი ონარი (თუმცა შემდგომ კომისია შეიცვალა და წევრთა რაოდენობა ოცამდე გაიზარდა). მეორე დღესვე კომისიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც სამხედრო ჩარევა კანონიერად ცხადდებოდა, რადგანაც დემოკრატიული პარტიის მთავრობა მოქმედებდა არაკონსტიტუციურად. ამ დასკვნის საფუძველზე ეროვნული ერთობის კომიტეტმა 31 აგვისტოს აკრძალა დემოკრატიული პარტიის მოქმედება და 29 სექტემბერს ის დაიშალა (Zürcher, 2003:242-245).

ნატში შედიოდნენ „მუდმივ წევრებად“ ერთობის კომიტეტის მთელი შემადგენლობა და ყოფილი პრეზიდენტები ასაკის მიუხედავად. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა პრეზიდენტი და მის წინაშე პასუხისმგებელი მინისტრთა საბჭო. დაარსდა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც 1962 წლიდან დაიწყო მუშაობა 15 მუდმივი წევრით. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს (40-დან 65 წლამდე) ირჩევდა ორპალატიანი პარლამენტი (5 წევრს), უმაღლესი სასამართლოები და რესპუბლიკის პრეზიდენტი (Shambayati, 2008: 104).

კონსტიტუციით გაფართოვდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლება (მუხლები 10-62). ახალი კონსტიტუციის მნიშვნელოვან თავისებურებად უნდა ჩაითვალოს მრავალპარტიული სისტემის განმტკიცება – პოლიტიკური პარტიებისა და ბეჭდვითი ორგანოების ჩამოყალიბების თავისუფლება (Giritli, 1962: 1-17; Shambayati, 2008: 104).

1961 წლის 15 სექტემბერს დასრულდა სასამართლო პროცესი დემოკრატიული პარტიის ლიდერებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ. 592 ადამიანიდან პარტიის ოთხ ლიდერს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, 461-ს – სხვადასხვა ვადით პატიმრობა, დანარჩენები გაათავისუფლეს.[7] ეს განაჩენი იყო ბოლო ეტაპი სამხედრო დიქტატურიდან სამოქალაქო მმართველობისაკენ გადასვლის გზაზე (სვანიძე, 2007: 500; Zürcher, 2003: 247-248).

1961 წლის 15 ოქტომბერს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და ხელისუფლება გადავიდა სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელში. დემოკრატიული პარტიის მემკვიდრეობაზე აღმოცენებულმა პარტიებმა უფრო მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ.

1961 წლის არჩევნების შედეგები:

რესპუბლიკურ-სახალხო პარტია – 36,7% (173 სადეპუტატო მანდატი და 36 სენატორი); *სამართლიანობის პარტია* (ჩამოყალიბდა 1961 წლის 11 თებერვალს და მისი ლიდერი გახდა რაჯიფ გუმუშფალა, გადამდგარი გენერალი. 1964 წელს ის გარდაიცვალა და პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს ტექნოკრატი სულეიმან დემირელი) – 34,8% (158 დეპუტატი და 70 სენატორი); *ახალი თურქეთის პარტია* (*Yeni Türkiye Partisi*) – 13,7% (65 მანდატი); *რესპუბლიკელ გლეხთა ეროვნული პარტია* (*Cumhuriyetçi Köylü Millet Partisi*) – 13,4% (54 მანდატი) (Ahmad, 2002: 137-139).

1961 წლის 26 ოქტომბერს *მეორე რესპუბლიკის* პირველი პრეზიდენტი გახდა *ჯემალ გურსელი*. პრეზიდენტმა მთავრობის შედგენა დაავალა რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის ლიდერს ისმეთ ინონუს, რადგანაც არც ერთ პარტიას არ ჰქონდა პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა. პირველად თურქეთის ისტორიაში შეიქმნა კოალიციური მთავრობა.

პირველი კოალიცია შეიქმნა (1961წ.10 ნოემბერი – 1962წ. 30 მაისი) რესპუბლიკურ-სახალხო პარტიისა და სამართლიანობის პარტიის თანამშრომლობით; *მეორე კოალიცია* რთულ პირობებში ჩამოყალიბდა და იარსება 1963 წლის 25 ივნისიდან დეკემბრამდე. მასში შევიდნენ რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის, ახალი თურქეთის პარტიის, რესპუბლიკელ გლეხთა ეროვნული პარტიის წევრები და დამოუკიდებლები. თავდაპირველად მხოლოდ სამართლიანობის პარტიას არ ჰყავდა მინისტრები, მაგრამ 1963 წლის ნოემბრის მუნიციპალური არჩევნების შემდეგ სამართლიანობის პარტია გახდა ყველაზე პოპულარული პარტია ქვეყანაში; *მესამე კაბინეტი* ჩამოყალიბდა 1963 წლის 25 დეკემბერს. რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის გარდა მასში შევიდნენ მხოლოდ „დამოუკიდებლები“; *მეოთხე კოალიციური მთავრობა* შეიქმნა 1965 წლის 20 თებერვალს და მასში შევიდნენ სამართლიანობის პარტიის, რესპუბლიკური გლეხთა ეროვნული პარტიის, ახალი თურქეთის პარტიის წევრები. მთავრობის მეთაური გახდა დამოუკიდებელი პოლიტიკური მოღვაწე, სამართლიანობის პარტიის სიით არჩეული სენატორი სუათ ჰაირი ურგუფლუ. ამ მთავრობის პრინციპული მიზანი იყო არჩევნების ჩატარება და პოლიტიკური სტაბილურობის აღდგენა (Ahmad, 1993: 137-138).

ინონუს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო სექტორის განვითარებას. 1962 წელს შეიქმნა სახელმწიფო საგეგმო ორგანიზაცია, რომელსაც დაევალა შეედგინა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმა უახლოეს 15 წელიწადში. ჯერ კიდევ 1930-იან წლებში თურქეთმა გადმოიღო ხუთწ-

7 სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ყოფილ პრეზიდენტს ჯელალ ბაიარს (შემდეგ შეუცვალეს ეს მუხლი სამუდამო პატიმრობით ხანდაზმულობისა და სუსტი ჯანმრთელობის გამო, ხოლო 1966 წლის აგვისტოში ამნისტიის კანონით გაათავისუფლეს), ყოფილ პრემიერ-მინისტრს – მენდერესს, ფინანსთა მინისტრს – ფოლატკანს და საგარეო საქმეთა მინისტრს – ზორლუს (Zürcher, 2003: 248).

ლიანი გეგმები საბჭოთა რუსეთისაგან. თუმცა ამჯერად „ეს გეგმები მკაცრად სავალდებულო იყო და არა საჩვენებელი." მიღებულ იქნა 5 წლიანი გეგმა (1963-1967), ეკონომიკური განვითარების ტემპები გაიზარდა 7-9,5%-მდე წელიწადში. გაიზარდა აგრეთვე კაპიტალდაბანდებები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე კერძო სექტორის ხარჯზე. 1964 წლის მარტში მიიღეს კანონი სახელმწიფო ეკონომიკურ ორგანიზაციებზე. ახლა ისინი ემორჩილებოდნენ შესაბამის სამინისტროებს და იღებდნენ დოტაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მთავრობას მიეცა ფასების დადგენის უფლება, რაც გაგრძელდა 1984 წლამდე. 1964 წელს თურქეთი გახდა საერთო ბაზრის ასოცირებული წევრი. თუმცა ქვეყანაში მაღალი იყო უმუშევრობის დონე და უკვე 1960-იანი წლების დასაწყისში ადგილი ჰქონდა თურქი მუშების მასობრივ მიგრაციას დასავლეთ ევროპაში. უკვე 1980-იანი წლებისათვის მარტო დას. გერმანიაში იყო დაახლ. 1,8 მლნ თურქი, დიდი თემები გაჩნდა საფრანგეთსა და სკანდინავიაში (Cleveland, 2009: 282; Mango, 2004: 65).

1960-იან წლებში პარტიული ორგანიზაციების აქტიურობა მიუთითებდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ახალი ძალების ჩართვაზე. 1965 წლის 13 ივლისის კანონით აიკრძალა ისეთი პარტიების დაფუძნება, რომლებიც რელიგიას, რელიგიურ მოძღვრებებს ეყრდნობოდა და გამოდიოდა სახალიფოს აღდგენისათვის. ამის მიუხედავად, რელიგიური პროგრამების მქონე პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ რეალობად იქცა (Zürcher, 2003: 253-256).

1965 წლის 10 ოქტომბერს ჩატარდა თავისუფალი არჩევნები და ხელისუფლების სათავეში მოვიდა დემოკრატიული პარტიის მემკვიდრე *სამართლიანობის პარტია (Adalet Partisi),* რომელიც ასევე იდგა ლიბერალურ პოზიციებზე. სამართლიანობის პარტია იყო მრეწველების, წვრილი ვაჭრების და ხელოსნების, გლეხებისა და მსხვილი მიწათმფლობელების და დასავლეთზე ორიენტირებული ლიბერალების კოალიცია. პარტიის ლიდერი იყო სულეიმან დემირელი, რომელმაც 1965 წლის 27 ოქტომბერს ჩამოაყალიბა ერთპარტიული მთავრობა[1] და 1965-1993 წლებში 7-ჯერ იყო პრემიერ-მინისტრი (Sherwood, 1967: 54-65).

სულეიმან დემირელის განცხადებით, მას სურდა ყოფილიყო „თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების არქიტექტორი," სურდა „დაესამარებინა მოძველებული სტრუქტურები," რათა მიეღწია მიზნისათვის. სულეიმან დემირელმა განუცხადა ეროვნულ კრებას (1965): „თანამედროვე თურქული სახელმწიფოს გზა იქნება სრულიად განსხვავებული XIX საუკუნის კაპიტალიზმის მეთოდებისაგან" (Ahmad, 2002: 143). სულ მალე მეწარმეთა მცირე ჯგუფი (მათ შორის იყო „იღბლიანი 500 ფირმა") აქტიურად ჩაერთო ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაში, თუმცა წვრილი ვაჭრები და ხელოსნები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და დაიწყეს სულეიმან დემირელის კრიტიკა დამსაქმებელთა და არა ხალხის ინტერესების გათვალისწინების გამო. მათ დელეგაციას დემირელმა ასეთი რჩევა მისცა: „ჩვენს ქვეყანაში არის მილიონნახევარი ვაჭარი და ხელოსანი. ეს ნიშნავს 5 ან 6 მილიონ ადამიანს [ოჯახებთან ერთად]. საკმარისად გამოცდილი, მცოდნე და კვალიფიციური ხალხი არის ძალა დემოკრატიულ წესრიგში. დღევანდელი წვრილი ვაჭარი ხვალ შეიძლება გახდეს ქარხნის მფლობელი" (Ahmad, 2002: 143). 1968 წლის მაისში ნეჯმეთინ ერბაქანმა გააკრიტიკა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც თურქეთი აქცია „ღია ბაზრად ევროპისა და ამერიკისათვის." ერთი წლის შემდეგ ერბაქანმა დაამარცხა დემირელის კანდიდატი ვაჭრობისა და ინდუსტრიის გაერთიანებული პალატის პრეზიდენტის არჩევნებში (იქვე, 144).

სამართლიანობის პარტიის მიღწევად ითვლება სასამართლო სისტემის (მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს) დამოუკიდებელობის, სახელმწიფო რადიოსა და ტელევიზიის, ასევე პრესის დიდი ნაწილის და უნივერსიტეტების ავტონომიურობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა (Zürcher, 2003: 251-252; Mango, 2004: 61-62).

1966 წლის 28 მარტს პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სესიაზე ჯემალ გურსელის ნაცვლად (მისი მძიმე ავადმყოფობის გამო) პრეზიდენტად აირჩიეს გენერალი *ჯევდეთ სუნაი* (1966-1973), თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი.

სამართლიანობის პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ჩამოყალიბდა სერიოზული ოპოზიცია. ერთი მხრივ, ეს იყო მემარცხენე მოძრაობა. შეიქმნა დიდი რაოდენობით ლეგალური, მაგრამ უფრო მეტი ოდენობით კომუნისტური, ტროცკისტული და ანარქისტული მიმართულების არა-

1 დემირელის მეორე მთავრობა ჩამოყალიბდა 1969 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. მართალია, სამართლიანობის პარტიის ხმები ამ არჩევნებში შემცირდა, მაგრამ ის მაინც უმრავლესობას ინარჩუნებდა.

ლეგალური პარტიები და ორგანიზაციები.[2] იზრდებოდა მემარცხენე ტერორიზმი. მეორე მხრივ, განვითარდა უკიდურესად მემარჯვენე ახალგაზრდული მოძრაობა, რომელიც ქადაგებდა პანთურქიზმის, ფაშიზმის და სხვა იდეებს (Zürcher, 2003: 254-258).

1970-იან წლებში რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ შეიმუშავა ახალი პოლიტიკური პროგრამა, რაც დაფუძნებული იყო სოციალ-დემოკრატიისაკენ მიბრუნებაზე. პროგრამის – „მემარცხენე ცენტრი" (*ortanın solu*) – ლიდერი და ავტორი გახდა ახალგაზრდა პოლიტიკოსი ბულენთ ეჯევითი (1972-1980).

> ისმეთ ინონუმ ასე განსაზღვრა პარტიის პოზიცია: „ცენტრიდან მარცხენა." სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ სამართლიანობის პარტია იყენებდა სლოგანს: „*Ortanın solu, Moskova yolu*" – „მემარცხენე ცენტრი არის გზა მოსკოვისაკენ" (Zürcher, 2003: 253).

1973 წელს რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებზე და განავითარა პოლიტიკა ზომიერი ნაციონალიზმისა და სოციალ-დემოკრატიის ჩარჩოებში, გაწყვიტა მჭიდრო კავშირები აშშ-თან და ნატო-სთან 1974წ. კვიპროსის კრიზისის გამო,[3] გადახედა ურთიერთობებს „საერთო ბაზართან," განამტკიცა ვაჭრობა სსრკ-თან. თუმცა რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ ვერ შეძლო ხელისუფლების

---

2 მემარცხენეების ძირითადი ლეგალური პარტია იყო თურქეთის მშრომელთა პარტია (Türkiye İşçi Partisi), რომელიც დაარსდა 1961წელს. ხელმძღვანელად მიიწვიეს მარქსისტი სამართლისმცოდნე – მეჰმეთ ალი აიბარი.

3 კუნძული კვიპროსი ოსმალებმა დაიპყრეს 1578 წელს და 1878 წლამდე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა. 1878 წლიდან კუნძული ბრიტანელების კონტროლქვეშ იყო, ხოლო 1914 წლის 5 ნოემბრიდან უშუალოდ ბრიტანეთის შემადგენლობაში შევიდა, რაც სცნო თურქეთმა 1923 წლის 24 ივლისის ლოზანის ხელშეკრულებით. თურქები კვლავ დაინტერესდნენ კუნძულით 1950-იან წლებში, მას შემდეგ, რაც დაიწყო კუნძულის ბერძნული მოსახლეობის მოძრაობა საბერძნეთთან შესაერთებლად: თურქები ჯერ სტატუს კვოს მომხრეები იყვნენ, შემდეგ ითხოვდნენ მის თურქეთთან მიერთებას, მოგვიანებით კი – კუნძულის გაყოფას. მოლაპარაკებათა შედეგად, 1959 წელს, გადაწყდა შექმნილიყო დამოუკიდებელი კვიპროსის რესპუბლიკა, რომელიც გამოცხადდა 1960 წლის 15 აგვისტოს. ორივე ენა – ბერძნული და თურქული – იქნებოდა სახელმწიფო ენა. პარლამენტის წევრთა 70% იქნებოდა ბერძნების, ხოლო 30% – თურქების წარმომადგენელი. ეს თანაფარდობა 7:3 უნდა დაეცვათ მთავრობის ჩამოყალიბების დროსაც. რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა ბერძენი არქიეპისკოპოსი მაკარიოსი (მაკარიოს III), ხოლო ვიცე-პრეზიდენტი – თურქი ფაზილ კუჩუკი. 1963 წლის დეკემბერში, როდესაც პრეზიდენტმა მაკარიოსმა განაცხადა მოსალოდნელი კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ, ამას მოჰყვა საპროტესტო დემონსტრაციები თურქების მხრიდან, ხოლო 1964 წლის 22 ივლისს თურქეთის მთავრობამ, თურქული მოსახლეობის დაცვის მიზნით, ჯარის ნაწილები გადასხა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში. გაერო დაპირდა კვიპროსის პრეზიდენტს მხოლოდ მშვიდობისმყოფელთა გაგზავნას, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯონსონმა, წერილით მიმართა ინონუს („ჯონსონის წერილი"), რომელშიც გააფრთხილა, რომ არ დაეხმარებოდა თურქეთს სსრკ-ის ინტერვენციის შემთხვევაში. წერილის შინაარსი საზოგადოებაში ანტიამერიკული განწყობილების მიზეზი გახდა. გამარჯვებულ პოლიტიკურ პარტიებს აკრიტიკებდნენ ნატო-ში და ბაღდადის პაქტში შესვლისათვის (Ahmad, 2002: 140-142; The turks, V, 2002: 264, 267).1969 წლის 3 ივლისს თურქეთსა და აშშ-ს შორის ხელი მოეწერა ახალ შეთანხმებას თანამშრომლობაზე თავდაცვის სფეროში, რასაც წინ უძღოდა მემარცხენე მოძრაობის გაძლიერება თურქეთში და თავდასხმები ამერიკელებზე. დაძაბულობის შესანელებლად ამერიკელებმა შეამცირეს პერსონალი 30,000-დან 7000-მდე, ხოლო ამერიკელების სამშვიდობო კორპუსი, რომელიც თურქეთში 1962 წლიდან იმყოფებოდა, გაიწვიეს. 1967 წლის საბერძნეთში მოხდა გადატრიალება გენერალ პოპოდოპულოსის მეთაურობით. სამთავრობო პროგრამაში აღნიშნული იყო: „ჩვენი მიზანია განვახორციელოთ „ენოსის"-ი (მოძრაობა კუნძულ კვიპროსის საბერძნეთთან შეერთებისათვის) მშვიდობიანად, უმცირესობების უფლებების გათვალისწინებით კვიპროსზე." პრემიერ-მინისტრ დემირელის მოთხოვნა იყო, რომ კვიპროსი არ ყოფილიყო არც ერთი მხარის კონტროლის ქვეშ და არ შეცვლილიყო ლოზანის შეთანხმება. 1967 წლის 16 ნოემბერს თურქეთის მეჯლისი დათანხმდა კვიპროსში სამხედრო ოპერაციის განხორციელებაზე. იმ დროისათვის თურქებს ჰქონდათ სსრკ-ის მხარდაჭერა, სადაც მიიჩნევდნენ, რომ „ბერძნები დირექტივებს ამერიკელი იმპერიალისტებისაგან იღებდნენ" (Moustakis, 2003: 66-68; The Turks, V, 2002: 269). საქმეში ჩაერივნენ აშშ და გაერო და კრიზისი დროებით გადაიჭრა. თუმცა განახლდა 1974 წელს, როდესაც დაიძაბა ურთიერთობა ხუნტას მთავრობასა და მაკარიოსს შორის და ივლისში კვიპროსზე მოხდა გადატრიალება. შესაბამისად თურქებმა განახორციელეს ორი სამხედრო ოპერაცია, რასაც მოჰყვა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები #353 და #360 ცეცხლის შეწყვეტაზე. 1975 წლის 5 თებერვალს აშშ-ის კონგრესმა დაუწესა თურქეთს იარაღის ემბარგო და ეს მდგომარეობა გრძელდებოდა 1980-იან წლებამდე (*The Turks*, V, 2002: 274-75).

შენარჩუნება და 1977 წლიდან 1980 წლამდე იყოფდა მინისტრთა პორტფელებს ლიბერალურ სამართლიანობის პარტიასთან და მის მხარდამჭერ ისლამისტებსა და ნაციონალისტებთან.

ლიბერალები, დემოკრატიული პარტიის მემკვიდრეები, XXს. 60-70-იან წლებში ძირითადად დაჯგუფდნენ *სამართლიანობის პარტიის* გარშემო, რომლის უცვლელი ლიდერი 1964 წლიდან იყო სულეიმან დემირელი. 1970-იან წწ-ში ის ატარებდა თანმიმდევრულ ლიბერალურ პოლიტიკას. პარტია უწინდებურად ეყრდნობოდა გლეხობისა და წვრილი მეწარმეების მასობრივ მხარდაჭერას და ემსახურებოდა სამრეწველო ქალაქების მსხვილი კაპიტალის ინტერესებს. თუმცა ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მემამულეთა ინტერესებს. 1970წ. დემოკრატიული პარტიის ყველაზე ერთგულმა მიმდევრებმა შექმნეს ახალი დემოკრატიული პარტია, რომლის ხელმძღვანელობაში იყო მაგ., ა. მენდერესის ვაჟი. თუმცა სერიოზული კონკურენცია სამართლიანობის პარტიას ვერ გაუწია.

სულეიმან დემირელი

XX ს-ის 50-60-იან წლებში თურქეთის არმიაში გაბატონებული იყო ნაციონალისტური შეხედულებები. იატაკქვეშა ოფიცერთა პოლიტიკური ორგანიზაციების იდეოლოგიაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა XXს-ის დასაწყისის პანთურქისტულმა და პანთურანისტულმა ნაშრომებმა, მაგ., ზია გიოქალპის (იგივე მეჰმედ ზია – 1876-1924, წარმოშობით ქურთი, სოციოლოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე) და იუსუფ აკჩურის (მწერალი, ჟურნალისტი და ისტორიკოსი – 1876-1935). თურქეთში 1960 წლის გადატრიალების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსული *ეროვნული ერთობის კომიტეტის* რადიკალური ფრთის იდეოლოგიად იქცა სწორედ თავისებური ნაციონალ-პატრიოტიზმი. თუმცა მოგვიანებით რადიკალები ჩამოაშორეს ხელისუფლებას და თავიანთი პოლიტიკური კარიერა წარმართეს სახელმწიფო სტრუქტურებს მიღმა. ეროვნული ერთობის კომიტეტის ყოფილი წევრები დემობილიზაციის შემდეგ დაინტერესებული იყვნენ უკიდურესი მიმართულებებით პოლიტიკაში: უკიდურესი მემარცხენეები (თურქეთის მუშათა პარტია) ან უკიდურესი მემარჯვენეები. ალფარსლან თურქეში თავისი მომხრეების ჯგუფთან ერთად 1964 წელს შევიდა არაპოპულარულ *რესპუბლიკელ გლეხთა ნაციონალისტურ პარტიაში* (ჩამოყალიბდა 1958წ.) და 1965წ. ჩაუდგა მას სათავეში. 1969 წელს პარტიამ მიიღო ახალი სახელწოდება – *ნაციონალისტური მოძრაობის პარტია*, რომელიც დღესაც არსებობს (Zürcher, 2003: 302; Yavuz, 2002: 205-206; Lipovsky, 1991: 94-102).

1960-იანი წლების ბოლო პერიოდი აღინიშნა საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერებით, სტუდენტთა მღელვარებებით, ქურთთა სეპარატიზმის გაღვივებით. მემარცხენე და ექსტრემისტული პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობამ შექმნა პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც გამოიწვია მეორე სისტემური კრიზისი თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში – არმია იძულებული გახდა კვლავ ჩარეულიყო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1971 წლის 12 მარტს გენერლებმა (გენერალური შტაბის უფროსმა და სამხედრო, საზღვაო და საჰაერო ძალების მხედართმთავრებმა), თურქეთის შეიარაღებული ძალების სახელით, პრეზიდენტ სუნაის და ორი პალატის თავმჯდომარეებს წარუდგინეს მემორანდუმი, სადაც მოითხოვდნენ დემირელის მთავრობის ნაცვლად ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებდა დემოკრატიული რეფორმების გატარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უფლებას იტოვებდნენ ძალის გამოყენებით სრული ძალაუფლება აეღოთ საკუთარ ხელში. ეს ფაქტობრივად ულტიმატუმი იყო და პრიორიტეტი მიეცა „კანონიერების და წესრიგის აღდგენას." სულეიმან დემირელი გადადგა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან (Ahmad, 2002: 148-149).

12 მარტის სამხედრო გადატრიალების შემდეგ პარლამენტი დათხოვნილ იქნა და ხელისუფლება სამხედროებმა აიღეს ხელში. 1971 წლის 19 მარტს ახალი მთავრობის ჩამოყალიბება დაევალა რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის ყოფილ წევრს, კონსერვატორ სამართლისმცოდნეს – პროფესორ ნიჰათ ერიმს. მისმა დანიშვნამ განხეთქილება გამოიწვია პარტიაში. ისმეთ ინონუ თავიდან აკრიტიკებდა სამხედრო რეჟიმს, მაგრამ ერიმის დანიშვნის შემდეგ პოზიცია შეიცვალა. თუმცა, ბულენთ ეჯევითი, პარტიის გენერალური მდივანი, გადადგა თანამდებობიდან ინონუს გადაწყვეტილების პასუხად. ნიჰათ ერიმი თავს აცხადებდა ეროვნული მთავრობის თავმჯდომარედ. მან ჩამოაყალიბა ტექნოკრატების მთავრობა, რომელმაც შეიმუშავა რადიკალური რეფორმების პროგრამა. სულ მალე მთავარი პრიორიტეტი მიენიჭა „კანონისა და წესრიგის აღდგენას." 1971 წლის 22 აპრილს პრემიერის მოადგილემ, სამხედროების წარმომადგენელმა კაბინეტში, სადი კოსაჩმა გამოაცხადა: „დღეიდან ჩვენ ომს ვუცხადებთ ყველას, ვინც იმოქმედებს კანონის წინააღმდეგ." მთავრობამ 11 პროვინციაში საგანგებო

მდგომარეობა გამოაცხადა და დაიწყო ფართომასშტაბიანი რეპრესიების განხორციელება დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ: დააპატიმრეს დაახლოებით 5 ათასი ადამიანი (მათ შორის მწერლები, ჟურნალისტები და პროფესორები); 1971 წლის 20 ივლისს დაიხურა თურქეთის მუშათა პარტია, ქურთი ხალხის დემოკრატიული უფლებების მხარდაჭერის გამო. ასეთივე ბედი ეწია მაისში ნეჯმეთინ ერბაქანის ეროვნული წესრიგის პარტიას (*Millî Nizam Partisi).*[4] პროფესიული ასოციაციების შეკრებები აიკრძალა (Zürcher, 2003: 259; Lapidot, 1995:172-176). ნიჰათ ერიმმა განაცხადა, რომ 1961 წლის კონსტიტუცია არ იყო ლიბერალური და „ის უნდა გაეხვიათ თავსაფარში." ეს იმას ნიშნავდა, რომ კონსტიტუცია უნდა დაემალათ, მომავალში შესაძლო გამოყენებისათვის. ამ განცხადებამ მას დაუმკვიდრა მეტსახელი „თავსაფრით მოვაჭრე" (şalci) (Mango, 2004: 69).

> 1971 წლის 20 სექტემბრის *საკონსტიტუციო ცვლილებები* შეეხო თითქმის ყველა სფეროს: შეიზღუდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლება (მაგ., მოქალაქეებმა დაკარგეს პროფკავშირების დაარსებისა და კოლექტიურ ხელშეკრულებებში გაწევრიანების უფლება), პრესის თავისუფლება; რადიოს, ტელევიზიის და უნივერსიტეტების ავტონომია დასრულდა; გაძლიერდა აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება; შეიზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. რეპრესიების პირობებში ამ ცვლილებათა საჯარო განხილვა არ მომხდარა. სულ შესწორდა 1961 წლის კონსტიტუციის 35 მუხლი და დაემატა 9 ახალი.

საკონსტიტუციო ცვლილებები მნიშვნელოვნად ზღუდავდა 1961 წლის კონსტიტუციით აღიარებულ ლიბერალურ ღირებულებებს, მაგრამ ერიმმა და უმაღლესმა სამხედრო ხელმძღვანელობამ დაასკვნეს, რომ „ლიბერალური კონსტიტუცია იყო ფუფუნება თურქეთისათვის. განვითარებადმა საზოგადოებამ არ შეიძლება თავს ფუფუნების ნება მისცეს, მაშინ როცა ის მოითხოვს დაჩქარებულ პროგრესს კაპიტალიზმისაკენ მიმავალ გზაზე" (Ahmad, 2002:152; Zürcher, 2003: 260).

1973 წლის 6 აპრილს არჩეულ იქნა ახალი პრეზიდენტი – სენატორი ფაჰრი ქორუთურქი (1973-1980). 1973 წლის შემოდგომაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და 14 ოქტომბერს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რითაც დასრულდა 1971 წლის გადატრიალების შემდეგ დამყარებული სამხედრო მმართველობა. არჩევნებში უპირატესობა მოიპოვა რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ (*Cumhuriyet Halk Partisi*), რომელმაც მიიღო ხმების 33,3% და 185 მანდატი. თუმცა საპარლამენტო უმრავლესობა ვერ მოიპოვა (Ahmad, 2002: 159; Nye, 1977: 209-228). შესაბამისად, პრეზიდენტმა კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება დაავალა ბულენთ ეჯევითს. თურქული ისტებლიშმენტი, განსაკუთრებით ბიზნესწრეები ამჯობინებდნენ დიდ კოალიციას ორ ძირითად პარტიას – რესპუბლიკურ-სახალხო და სამართლიანობის პარტიას შორის. სულეიმან დემირელმა უარი განაცხადა საერთოდ კოალიციაში გაერთიანებაზე მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის პირობებში. საბოლოოდ, კოალიციური მთავრობა შეადგინა ორმა პარტიამ – ეჯევითის სახალხო დემოკრატიულმა და ერბაქანის ეროვნული ხსნის პარტიამ. თუმცა იდეოლოგიური განსხვავებების გამო ამ პარტიათა კოორდინირებული მუშაობა შეუძლებელი აღმოჩნდა და 1974 წლის 18 სექტემბერს ეჯევითი გადადგა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან (Zürcher, 2003: 262).[5] მემარჯვენე პარტიებმა უარი განაცხადეს ვადამდელ არჩევნებზე და პოლი-

---

4 ეროვნული წესრიგის პარტია შეიქმნა1970 წელს და მისი ლიდერი იყო ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ნეჯმეთინ ერბაქანი, რომელიც პარტიას ახასიათებდა, როგორც ისლამისტურს. ის ითხოვდა რელიგიის თავისუფლებას, საზოგადოების მორალურ სრულყოფას დასავლური კულტურის გავლენასთან დასაპირისპირებლად. ერბაქანი საგარეო პოლიტიკაში მოითხოვდა მუსლიმურ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარებას. ეს პარტია 1971 წელს აიკრძალა ლაიციზმის პრინციპების დარღვევის გამო. მის ნაცვლად, 1972 წელს დაარსდა პროისლამური ეროვნული ხსნის პარტია (Millî Selâmet Partisi), რომელიც თვლიდა, რომ მისი მიზანი იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რაც შექმნიდა პირობებს ქვეყნის გაძლიერებისათვის (Toprak, 1981: 91-121).

5 ამ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რაც გამოიწვია ნავთობზე დადგენილმა ახალმა ფასებმა 1973 წლის ნოემბერში (1973 წლის ოქტომბრის ომში თურ-ქეთმა მხარი დაუჭირა არაბულ ქვეყნებს. მან განაცხადა, რომ არ მისცემდა აშშ-ს ნებას გამოეყენებინა მისი ბაზები ისრაელის მხარდასაჭერად). მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო ეკონომიკური ვარდნა. თურქეთი შეეცადა ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე აეღო ორიენტირი – სესხებმა, რომლებიც მიიღო ნავთობმომპოვებელი ქვეყნებიდან, რამდენადმე შეასუსტა ნავთობზე ფასების მატებიდან გამოწვეული ეკონომიკური შედეგების სიმძიმე. 1975 წლიდან განახლდა ეკონომიკური ზრდა (8%-ით), მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები მაინც დაბალი იყო. ძვირი დაუჯდა ქვეყანას 1974 წ. კ. კვიპროსზე ინტერვენცია (Mango, 2004: 73-75).

ტიკური კრიზისი გაგრძელდა 241 დღე. 29 ნოემბერს სადი ირნაკმა ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა და მისი პრემიერ-მინისტრობა გაგრძელდა 1975 წლის 31 მარტამდე. შემდეგ ს. დემირელმა ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა, რომელშიც შევიდა 4 პარტია: სამართლიანობის პარტია, ეროვნული ხსნის პარტია, ნდობის რესპუბლიკური პარტია (1973 წლის არჩევნებზე მიიღო ხმების 5,3%) და ნაციონალისტური მოძრაობის პარტია. ეს კოალიციური მთავრობა ცნობილია როგორც „ნაციონალური ფრონტი," „მემარჯვენეების ფრონტი მემარცხენეების წინააღმდეგ," „ისლამისტებისა და ნეოფაშისტების გაერთიანება" (Ahmad, 2002: 167-169).

რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის უცვლელი ლიდერი 1970-90-იან წლებში იყო ბულენთ ეჯევითი, რომელმაც მოახერხა ახალი იდეოლოგიის – „მემარცხენე ცენტრი" (*Ortanın solu*) – შექმნა. პარტია სარგებლობდა სახელმწიფო მოსამსახურეთა, სეკულარული ინტელიგენციის, სამხედრო და მუშათა კლასის მხარდაჭერით. რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის ცენტრალური ლოზუნგი გახდა „მზრუნველობა „პატარა" ადამიანზე, რომელიც დაუცველია სისტემის წინაშე." მემარჯვენე პოლიტიკოსების მხრიდან კომუნიზმში დადანაშაულების მიუხედავად, პარტია და მისი ლიდერი იყვნენ დასავლური მოდელის ტიპური სოციალ-დემოკრატები. რესპუბლიკურ-სახალხო პარტია და 1980 წლის გადატრიალების შემდეგ მისი მემკვიდრე – დემოკრატიული მემარცხენე პარტია, ცდილობდნენ გადაექციათ თურქეთი დასავლეთევროპულ სახელმწიფოდ, მაშინ როცა მათი მოწინააღმდეგეები დემოკრატიული პარტიიდან უპირატესობას ანიჭებდნენ თურქეთის გადაქცევას „მცირე ამერიკად."

1970-იან წლებში თურქეთში ჩამოყალიბდა პოლიტიკურ ძალთა სპექტრი, რომელიც ძირითადად უცვლელია დღემდე. ამ პერიოდში თურქეთში შეიმჩნეოდა მემარცხენე, პროფკავშირული და ქურთული ნაციონალური მოძრაობების აქტივიზაცია. ნაციონალისტების მრავალრიცხოვანი ჯგუფები აქტიურად მონაწილეობდნენ დემონსტრაციებისა და მიტინგების დარბევაში, დაპირისპირებული მოძრაობების ლიდერების მკვლელობაში. პოლიტიკურ აქციებში ძირითადად მონაწილეობდა ახალგაზრდობა. თურქმა ნაციონალისტებმა ჩამოაყალიბეს მებრძოლთა რაზმები – „რუხი მგლები" (*bozkurtlar* – თურქი ნაციონალისტების სიმბოლო არის რუხი მგელი). მემარცხენეებს, ქურთებს, ნაციონალისტებს და ისლამისტებს შორის შეტაკებების დროს, 1980 წლის აგვისტოში, დღეში იღუპებოდა დაახლ. 20-30 ადამიანი. ლეგალურ პოლიტიკაში ნაციონალისტები წარმატებით ვერ სარგებლობდნენ – 1970-იან წლებში პარტია გავიდა პარლამენტში: 1973 წელს – 3 დეპუტატი და 1977 წელს – 16 დეპუტატი (იქვე, 167-173).

მინისტრთა კაბინეტში დიდი გავლენა ჰქონდა ნაციონალისტური მოძრაობის პარტიას, (მისი ლიდერი – ალფარსლან თურქეში იყო პრემიერ-მინისტრის მოადგილე), რომლის ნეოფაშისტური იდეოლოგია გავრცელდა ქვეყანაში. პრესაში გაჩნდა სლოგანი: „დემირელი პარლამენტშია, თურქეში – ქუჩაში" და ეს პრაქტიკულად განახორციელა პარტიის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „რუხმა მგლებმა." მათ მიერ განხორციელებულ ტერორს 1974-1980 წლებში 694 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. პოლიტიკურმა ტერორმა თავის პიკს მიაღწია 1977 წლის 1 მაისს – რადიკალურმა მემარცხენე ფრონტმა ტაქსიმის მოედანზე მოაწყო მიტინგი, რომელიც „რუხ მგლებთან" სისხლიან შეტაკებაში გადაიზარდა, დაიღუპა 36 ადამიანი და ასზე მეტი დაიჭრა (Zürcher, 2003: 263-264; Poulton, 1997: 137).

თუმცა ამ მოვლენებმა და ზოგადად პოლიტიკურმა არეულობამ უფრო დადებითად იმოქმედა წამყვანი პარტიების ხმებზე 1977 წლის ივნისის არჩევნებში. რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ მიიღო 41,4% (213 დეპუტატი) და სამართლიანობის პარტიამ – 36,9% (189 დეპუტატი) (Zürcher, 2003: 261-262). აბსოლუტური უმრავლესობა ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა, რასაც მოჰყვა კოალიციური მთავრობების პერმანენტული ცვლა.[6] შესაბამისად, გადაუწყვეტელი დარჩა 70-იანი წლების ორი მთავარი პრობლემა – პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი.

1978 წლიდან გამწვავდა დაპირისპირება მემარჯვენე და მემარცხენე მოძრაობას შორის. პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლთა რიცხვი[7] თანდათან იზრდებოდა: 1978 წლის დეკემბერში „რუხმა მგლებმა" განახორციელეს სერიული თავდასხმები ალავიტებზე (კაჰრამანმარაში – პროვინცია თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით), რომლის დროსაც 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მთავრობა იძულებული გახდა 13 პროვინციაში საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა. ათასობით ადამიანი და-

6 ეჯევითის მიერ ჩამოყალიბებული კოალიცია (რესპუბლიკურ-სახალხო პარტია და დამოუკიდებელი დეპუტატები) ჩაიშალა. ამის შემდეგ დემირელმა ჩამოაყალიბა მეორე „ნაციონალური ფრონტის" მთავრობა, რომელმაც 1977 წლის 31 დეკემბრამდე იარსება – პარლამენტმა დემირელს იმპიჩმენტი მოუწყო და მთავრობა დაიშალა. 1978 წლის იანვარში ეჯევითმა კვლავ ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა, რომელიც ასევე წარუმატებელი იყო და იარსება 1979 წლის ოქტომბრამდე.

7 1977 წელს 230-დან გაიზარდა 1200 ან 1500-მდე 1979 წელს.

აპატიმრეს და არბევდნენ მიტინგებსა და დემონსტრაციებს. 1980 წლის ივლისში მოკლეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიჰათ ერიმი და ქემალ თურქლერი – რევოლუციური სავაჭრო კავშირის კონფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი (იქვე, 263-264).



გენერალი ევრენი

პოლიტიკური სისტემის პარალიზება ცხადი გახდა ორივე პალატის გაერთიანებული სხდომის მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევის დროს. 1980 წლის 6 აპრილს შეუწყდა უფლებამოსილების ვადა ფ. კორუთურქის და ჩატარდა კენჭისყრის 100 ტური, მაგრამ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო სათანადო ხმების რაოდენობა. შესაბამისად, ახალი პრეზიდენტი 6 თვის განმავლობაში ვერ აირჩიეს და პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შესრულება დაევალა სენატის თავმჯდომარეს ი. ჩაგლანგილს.

1980 წლის 12 სექტემბერს ხელისუფლება კვლავ სამხედროებმა (ეროვნული უშიშროების საბჭო – სათავეში გენერალი ქენან ევრენი) აიღეს ხელში, რასაც ხელი შეუწყო პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა.[8] ამას მოჰყვა პარლამენტის დათხოვნა და პოლიტიკური პარტიების აკრძალვა (1981 წლის 16 ოქტომბრის სპეციალური კანონით).[9] 1981 წლის 1 ივლისს ეროვნული უშიშროების საბჭომ გამოაცხადა საკონსულტაციო ასამბლეის (160 წევრი)[10] დაფუძნების შესახებ, რომელსაც უნდა მოემზადებინა ახალი კონსტიტუციის პროექტი, კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ და საარჩევნო კანონი (McFadden, 1985: 71). სამხედრო რეჟიმის დამყარებას ბუნებრივად მოჰყვა რეპრესიები. მნიშვნელოვანი კანონების მიღების მიუხედავად, მურად ბელგეს სიტყვით, ქვეყანა საკუთარი ხალხისათვის „ღია ციხედ“ იქცა. სიკვდილით დასჯა მოთხოვნილ იყო 7000 კაცისათვის, აქედან 517 კაცს გამოუტანეს განაჩენი, 49 დასაჯეს სიკვდილით, 300 კაცი დაიღუპა „საეჭვო გარემოში“, 171 გარდაიცვალა წამებით. სულ 650,000 კაცი იყო დაპატიმრებული, მათ შორის 3854 მასწავლებელი, 120 უნივერსიტეტის პროფესორი და 47 მოსამართლე. 30,000 კაცამდე აღმოჩნდა პოლიტიკურ დევნილობაში უცხოეთში. როგორც ბულენთ ტანორი აღნიშნავს, როდესაც 12 სექტემბრის სამხედრო რეჟიმი გაუქმდა, მან უკან „ბრძოლის ველი“ დატოვა (*The Turks*, V, 2002: 305).

1982 წლის 7 ნოემბერს რეფერენდუმმა (ხმების 91%) მოიწონა კონსტიტუციის პროექტი და ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა 18 ნოემბერს. ერსინ კალაიჯიოღლუს დახასიათებით, „1982 წლის კონსტიტუცია იყო როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის, ასევე ნაციონალური სუვერენიტეტის რეგისტრაცია“ (*The Turks*, V, 2002: 300). კონსტიტუციის მიღებით თურქეთში დამყარდა *მესამე რესპუბლიკა*. ახალმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად გააძლიერა აღმასრულებელი ხელისუფლება, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან შედარებით. პრეზიდენტმა დამატებით მიიღო უფლება დაენიშნა ახალი საპარლამენტო არჩევნები და გაეტანა რეფერენდუმზე საკონსტიტუციო ცვლილებები (მუხლი 104). კონსტიტუციის პირველი მუხლის შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარე და სახელმწიფოს მეთაური – ქენან ევრენი (1982-1989) ავტომატურად გახდა ქვეყნის პრეზიდენტი 7 წლის ვადით. ეროვნული უშიშროების საბჭო გარდაიქმნა საპრეზიდენტო საბჭოდ 6 წლის

8 1973-1980 წლებში ეკონომიკური მაჩვენებლები დაეცა, ინფლაცია გაიზარდა ორჯერ, გაიზარდა საგარეო ვალებიც 4,6-ჯერ და მიაღწია 15,3 მლრდ დოლარს. 1980 წლის 24 იანვარს სულეიმან დემირელის ეკონომიკურმა მრჩეველმა და ცნობილმა ეკონომისტმა – თურგუთ ოზალმა, რომელიც რამდენიმე წელი მუშაობდა აშშ-ში, მსოფლიო ბანკში, წარმოადგინა თურქეთის ეკონომიკის სტა-ბილიზაციის პროგრამა (ცნობილი გახდა „24 იანვრის გადაწყვეტილებების“ სახელით). ის ითვალისწინებდა ეკონომიკური პოლიტიკის ძირეულ ცვლილებას, მათ შორის სახელმწიფო საწარმოების რეორგანიზაციას, მათი რენტაბელობის ამაღლებას, ხელსაყრელი პირობების შექმნას უცხოური კაპიტალის მოსაზიდად, ეკონომიკის ორიენტირებას ექსპორტზე. თურქული ლირა გახდა კონვერტირებადი ვალუტა. გეგმა მოიწონეს მსოფლიო სავალუტო ფონდმა და დასავლელმა ექსპერტებმა, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელი იყო მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში (Mango, 2004: 79-80).

9 მაგ., დახურეს ნაციონალისტური მოძრაობის პარტია და ა. თურქეშს აუკრძალეს პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა. ნაციონალისტებმა შექმნეს ახალი კონსერვატორული პარტია, ხოლო 1985წ. მას შეუცვალეს სახელი – ნაციონალისტური შრომის პარტია (Milliyetçi Çalışma Partisi). მხოლოდ 1993 წელს პარტიამ მიიღო კვლავ ძველი სახელწოდება – ნაციონალისტური მოძრაობის პარტია (Milliyetçi Hareket Partisi).

10 მისი წევრების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი გახდა შემდეგი: არ უნდა ყოფილიყო რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი 1980 წლის სექტემბრამდე. 40 წევრს ნიშნავდა უშიშროების საბჭო.

ვადით (მუხლი 2) და გაუქმდა სენატი. პოლიტიკური პარტიები აიკრძალა და ყველაზე უფრო გავლენიანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებს აეკრძალათ აქტიური პოლიტიკური საქმიანობა 10 წლის განმავლობაში, ხოლო პარლამენტის დეპუტატებს – 5 წლით[11] (შესაბამისად 723 პოლიტიკოსს აეკრძალა პოლიტიკური საქმიანობა) (Zürcher, 2003:278-279; Birand,1987:93-94; McFadden,1985:72).

თურქეთის პრეზიდენტი ქენან ევრენი, რომლის მამა იყო ლეგიონის იმამი, აცხადებდა:

„სიკვდილით დასჯა არის არა მარტო ჩვენს კანონებში, არამედ ჩვენს რელიგიაშიც. მისი დაძებნა შესაძლებელია სახარებაშიც [ის გულისხმობდა ბიბლიას]. ის არის აგრეთვე ალაჰის მიერ გამოგზავნილ წიგნში [ყურანი]. ჩვენ კი ახლა ვმსჯელობთ იმის გაუქმებაზე, რაც არის ალაჰის წიგნში. მე გეტყვით რატომ: თუ არ იქნება სიკვდილით დასჯა, ადვილი იქნება ანარქიის დამკვიდრება და იდეოლოგიური დაპირისპირებები. ეს არის ის, რაც სიკვდილის დასჯის მოწინააღმდეგეებმა უნდა მიიღონ მხედველობაში."

„თურქეთმა არ უნდა დაუშვას კომუნისტური პარტია, როგორც ეს რამდენიმე ქვეყანამ გააკეთა. კომუნისტურ პარტიას არანაირი საქმე არა აქვს თურქეთში" (ციტ. Mango, 2004: 83).

კონსტიტუციის 130 და 131 მუხლის შესაბამისად შეიქმნა ყველაზე მნიშვნელოვანი არალიბერალური ინსტიტუტი – *უმაღლესი განათლების საბჭო* (*Yüksek Öğretim Kurulu*), რომელიც უშუალოდ ნიშნავდა ყველა რექტორს და დეკანს (Shambayati, 2008: 101). ეს ღონისძიებები მიუთითებდა იმაზე, რომ ახალი რესპუბლიკის კურსი აღებულ იქნა „მართულ" დემოკრატიაზე.

1983 წლის 24 აპრილს, სპეციალური კანონით პოლიტიკურ პარტიებზე, დაუშვეს პარტიების დაარსება. აიკრძალა პოლიტიკური საქმიანობა სასწავლო დაწესებულებებში.

პარტიებზე ახალი კანონის შესაბამისად, გამკაცრდა პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციისა და მოქმედების პირობები (მაგ., პარტიაში უნდა ყოფილიყო არანაკლებ 30 წევრი), მკაცრი კონტროლი დაწესდა პარტიული აპარატის ფუნქციონირებაზე. რამდენიმე თვეში ჩამოყალიბდა 15 პარტია, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა მხოლოდ სამ პარტიას: *ნაციონალისტური დემოკრატიული პარტია* (*Milliyetçi Demokrasi Partisi*), რომელსაც მხარს უჭერდნენ ძირითადად გენერლები და მას სათავეში ედგა გადამდგარი გენერალი – თურგუთ სუნალფი; *სახალხო პარტია* (*Halkçı Partisi*), რომელსაც ხელმძღვანელობდა ნეჯდეთ ჯალფი; *დედასამშობლოს პარტია*, სათავეში – თურგუთ ოზალი, რომელსაც ს. დემირელი ასე მოიხსენიებდა: „ჩემი სახელმწიფო მოსამსახურე." ჰ. შამბაიათის აზრით, ტექნიკურად თურქეთი 1983 წელს დაუბრუნდა სამოქალაქო ხელისუფლებას, მაგრამ 1990 წლამდე სამხედრო გადატრიალების ლიდერი რჩებოდა პრეზიდენტად (Shambayati, 2008: 113; Mango, 2004: 82).

1983 წლის 10 ივნისს მიიღეს საარჩევნო კანონი, რომელმაც დააწესა ცვლილებები საარჩევნო პროცედურაში. მათ შორის 10%-იანი ბარიერი: პარტია, რომელიც დააგროვებდა უფრო ნაკლებ ხმებს, ვერ იქნებოდა წარმოდგენილი პარლამენტში. დაწესდა არჩევნების პერიოდულობა – 5 წელიწადში ერთხელ.

1983 წლის 6 ნოემბრის არჩევნებში გაიმარჯვეს ლიბერალებმა, დედასამშობლოს პარტიის (*Anavatan Partisi*) მომხრეებმა (1983-1989), სათავეში – თურგუთ ოზალი. მან მოიპოვა ხმების 45,14% და მიიღო 211 ადგილი პარლამენტში (400-დან). დედასამშობლოს პარტიის პროგრამა, რომელიც ეფუძნებოდა ეკონომიკურ ლიბერალიზაციას და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას, უმეტესად იმეორებდა 1950-60წწ. დემოკრატიული პარტიის პროგრამას. სამხედროების მიერ დაარსებულმა *ნაციონალისტურ დემოკრატიულმა პარტიამ* (*Milliyetçi Demokrasi Partisi* – დაარსდა 1983წ. 16 მაისს) ვერ შეძლო ამომრჩეველთა ნდობის მოპოვება – მიიღო ხმების 23,27% და 71 ადგილი. ერთპარტიულ მთავრობას სათავეში ჩაუდგა თურგუთ ოზალი (Jenkins, 2008: 142; Ergüder, 1991: 152-169).

თურგუთ ოზალმა (მას უწოდებენ „გარდაქმნების მამას") განახორციელა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების პროგრამა. 1983 წელს მან წარადგინა ე.წ. „ეკონომიკური სტაბილიზაციის პაკეტი", რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკურ რეფორმებს მსოფლიო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის დახმარებით. 1980-იან წლებში და 1990-იანი წლების დასაწყისში გატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური გარდაქმნები: 1. განხორციელდა ეტაპობრივი გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე და ჩამოყალიბდა კონკურენტუნარიანი ეკონომიკის კერძო სექტორი. ამასთან აღებულ იქნა კურსი მსხვილი კაპიტალის მხარდაჭერაზე. მთავარი ამოცანა იყო უცხოური

11 ამ სიაში მოხვდნენ ყოფილი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელები, სულეიმან დემირელი, ბულენთ ეჯევითი და სხვ. გადატრიალებიდან პირველი ექვსი კვირის განმავლობაში 11,500 ადამიანი დააპატიმრეს. ეს აკრძალვა მოქმედებდა 1987 წლის რეფერენდუმამდე (Shambayti, 2008: 114).

ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკაში. გაუქმდა შეზღუდვები უცხოელი ინვესტორებისათვის, დაწესდა შეღავათიანი საბაჟო ტარიფები. დიდი შეღავათები ეძლეოდათ იმათ, ვინც ქმნიდა ერთობლივ საწარმოებს და იყენებდა ახალ, თანამედროვე ტექნოლოგიებს. გაიზარდა ფულადი გზავნილები თურქეთის ასი ათასობით მოქალაქის, რომლებიც მუშაობდნენ დას. ევროპაში. მრავალი დაბრუნდა თურქეთში და დაგროვილი კაპიტალით შექმნეს მცირე საწარმოები, რომლებიც ორიენტირებული იყო ექსპორტზე და მომსახურებაზე. თანდათანობით გაუქმდა სახელმწიფო მონოპოლია ყველა სახის პროდუქციის წარმოებაზე. 2. მმართველი პარტიის პოლიტიკის ძირითადი მიმართულება გახდა კურსი ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციაზე. 1986 წლის ივნისში №3291 კანონით, რომელმაც თურქეთში მიიღო სახელწოდება *პრივატიზაციის კოდექსი*, კერძო საკუთრებაში გადავიდა სახელმწიფო სექტორის არარენტაბელური მრავალი საწარმო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პრივატიზაცია არ შეეხო მეურნეობის სტრატეგიულ დარგებს (სამხედრო მრეწველობა, კომუნალური მომსახურება, ჯანდაცვა, განათლება, სამრეწველო ინფრასტრუქტურა). პრივატიზაციის პროცესში პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენებოდა საჯარო ვაჭრობა და ტენდერები. სახელმწიფომ უარი თქვა ფასების მკაცრ კონტროლზე, შემცირდა სახელმწიფო სექტორის დოტაცია, საწარმოებმა დაკარგეს შესაძლებლობა ესარგებლათ შეღავათიანი კრედიტებითა და ფასებით სამრეწველო ნედლეულზე და მომსახურებაზე. 3. **დაინერგა „ღია კარის“ პოლიტიკა და მოხდა მისი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.** მსოფლიო ბაზარზე ორიენტაციამ მოითხოვა ღონისძიებების გატარება ეროვნული საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფომ დაიწყო მხარდაჭერა იმ დარგების, რომლებიც მზარდი მოცულობით აწარმოებდა საექსპორტო პროდუქციას. მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობის წილი ექსპორტში (საექსპორტო პროდუქცია დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა). 4. **1985 წლის ივნისში მიიღეს კანონი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის შესახებ. ჩამოყალიბდა ორი ზონა** – მერსინსა და ანტალიაში, სადაც უცხოური კაპიტალის მოზიდვით სწრაფად დაიწყო ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარება, ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების შექმნა. 5. თურქეთი ყოველთვის იყო აგრარული ქვეყანა და შესაბამისად, გარდაქმნებმა გვერდი ვერ აუარა სოფლის მეურნეობას. „მწვანე რევოლუცია“ ხორციელდებოდა მსხვილი მიწისმფლობელობის შეზღუდვის და გამოთავისუფლებული მიწების მცირემიწიანი გლეხობისათვის გადაცემის გზით. მთავრობამ გაზარდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სარწყავი მიწების ფართობები. მთავრობამ დაიწყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია – უპირველეს ყოვლისა, სოფლების ელექტრიფიკაცია და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაზრდა (Киреев, 1991: 181-233; Aral, 2001: 72-88).

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრების მიუხედავად, დიდი იყო წინააღმდეგობა კონსერვატორების მხრიდან. ეკონომიკური გარდაქმნების ნეგატიური შედეგები იყო: სამომხმარებლო ფასების ზრდა (გაორმაგდა), უმუშევრობა (**1,5 მლნ ადამიანმა დაკარგა სამსახური), სახელმწიფო** სექტორში კორუფციის ზრდა და სხვ. ზოგიერთ თანამედროვე გამოკვლევაში თურგუთ ოზალის პერიოდი ხასიათდება ფრაზით „გამდიდრება სწრაფად“ (Kuyucuklu, 1993; Mango, 2004: 81-88).

თურგუთ ოზალი

1983-1987 წლებში მიმდინარეობდა პარტიული სისტემის აქტიური ფორმირება. სწორედ ამ წლებში ჩამოყალიბდა 20 პარტია, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ პოლიტიკური ორგანიზაციების **4 სპექტრი: მემარჯ**ვენე-ცენტრისტული, მემარცხენე-ცენტრისტული, პროისლამური და რადიკალურ-ნაციონალისტური. თანდათან კვლავ გააქტიურდნენ სულეიმან დემირელი და ბულენთ ეჯევითი, რომელთაც **1982 წლის კონსტიტუციით** აეკრძალათ პოლიტიკური საქმიანობა. **1987 წლის 6 სექტემბრის რეფერენდუ**მით, რომელშიც მონაწილეობდა 24.5 მლნ ადამიანი (50.16% – დადებითი ხმა, 49.84% – უარყოფითი), მოიხსნა აკრძალვა პოლიტიკურ საქმიანობაზე.

XXს. **80-90-იან წლებში ხელისუფლება ძირითადად ეკუთვნოდა მემარ**ჯვენე ცენტრისტულ ლიბერალურ *დედასამშობლოს პარტიას* და *საიმედო გზის პარტიას,* რომლებიც ან დამოუკიდებლად ან სხვა პარტიებთან კოალიციაში აყალიბებდნენ მინისტრთა კაბინეტებს.

1980წ. სამხედრო გადატრიალების შემდეგ აკრძალული სამართლიანობის პარტიის მემკვიდრე გახდა *დედასამშობლოს პარტია*, რომელსაც ხელმძღვანელობდა თურგუთ ოზალი. ის იყო მთავრობის სათავეში 1980-1989წწ., შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდენტის პოსტზე (1989 წლის ოქტომბერი), რომელიც ეკავა 1993 წლამდე (Ahmad, 2002: 196-199). **თურგუთ ოზალი პირდა**პირ აცხადებდა თავს დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური ტრადიციების მემკვიდრედ. **1993 წლი**დან 2002 წლამდე დედასამშობლოს პარტიას მეთაურობდა მესუთ ილმაზი (Zürcher, 2003: 294-296).

1987 წელს სულეიმან დემირელი სათავეში ჩაუდგა *საიმედო გზის პარტიას* და იმავე წელს არჩევნებში მიიღო ხმების 20%. პარლამენტსა და მთავრობაში პარტია მოქმედებდა დედასამშობლოს პარტიასთან მჭიდრო კავშირში, მცირედით განსხვავდებოდა მისგან იდეოლოგიური შეხედულებებით. ფაქტობრივად, პარტია გახდა დემოკრატიული პარტიის ლიბერალური ტრადიციების კიდევ ერთი მემკვიდრე. 1990-დან 1993 წლამდე სულეიმან დემირელს ეკავა პრემიერ-მინისტრის, ხოლო თურგუთ ოზალის გარდაცვალების (1993) შემდეგ – თურქეთის პრეზიდენტის პოსტი (1993-2000). 1993 წელს პარტიის ლიდერი და პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი გახდა სტამბულის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი თანსუ ჩილერი. მის დროს მთავრობაში დომინირებდა სამი თემა: ეკონომიკა, ქურთების საკითხი და ევროკავშირთან ურთიერთობა.

1959 წლის 31 ივლისს თურქეთის რესპუბლიკამ პირველად მიმართა განცხადებით ევროკავშირს (იმ დროს ევროპის ეკონომიკური საზოგადოებას) ასოცირებულ წევრობაზე. თუმცა 1960 წლის სამხედრო გადატრიალებამ შეაჩერა ეს პროცესი და მხოლოდ 1963 წლის 12 სექტემბერს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება (ცნობილია ანკარის ხელშეკრულების სახელით) თურქეთსა და ევროპის ეკონომიკურ საზოგადოებას შორის, რომელიც ძალაში შევიდა 1964 წლის 1 დეკემბრიდან. ამ ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა მიზნები და საზოგადოების სტრუქტურაში თურქეთის ინტეგრაციის 3 ეტაპი. შეთანხმების არსი ეტაპობრივად საბაჟო კავშირის შექმნა იყო. ეს უკანასკნელი კი კავშირსა და თურქეთს შორის ინტეგრაციის საშუალებად უნდა ქცეულიყო. თუმცა, თურქეთის ეკონომიკა ნელი ტემპებით ვითარდებოდა. 1970-იან წლებში ერბაქანის *ეროვნული წესრიგის პარტია*, *ეროვნული ხსნის პარტია* და *კეთილდღეობის პარტია* წინააღმდეგი იყვნენ თურქეთის გაერთიანების ევროკავშირში. ერბაქანი ასე წარმოადგენდა ევროკავშირს: „ეს არის სამსართულიანი შენობა, სადაც ყველაზე ზემო სართულზე ცხოვრობენ ებრაელები, მათ ქვემოთ – ამერიკელები, შემდეგ – ევროპელები, ხოლო ჩვენ (თურქები) უნდათ, რომ მოგვათავსონ სარდაფში“ (*Avrupa Birliği-Türkiye İlişkileri*, 2005:91). 1983 წელს ხელისუფლებაში მოსულმა დედასამშობლოს პარტიამ – სათავეში თურგუთ ოზალი, მხარი დაუჭირა თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში. 1987 წლის 14 აპრილს თურქეთმა შეიტანა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მაგრამ უარი მიიღო (Aral, 2001: 72-88).

XX ს. 80-90-იან წლებში ხელისუფლების სათავეში მყოფი *დედასამშობლოს პარტია* და *საიმედო გზის პარტია* მხარს უჭერდნენ ეკონომიკისა და პოლიტიკის ლიბერალიზაციას, აშშ-თან მტკიცე კავშირს, აქტიურ ჩარევას იმ სახელმწიფოთა საქმეებში, რომლებიც წარმოიშვა პოსტსაბჭოურ სივრცეში.

ამ წლებში უპრეცედენტოდ გაიზარდა თურქეთის საგარეო ვალი, ინფლაციამ მიაღწია 100 და მეტ პროცენტს წელიწადში, გაიზარდა მოსახლეობის სოციალური განშრევება ქალაქებსა და სოფლებში, ლიბერალები არ მიდიოდნენ კომპრომისზე ქურთული უმცირესობის უფლების აღიარების საკითხზე, ცდილობდნენ აქტიურად გაევრცელებინათ განვითარების თურქული მოდელი ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში.

1992 წელს, იზმირის მესამე ეკონომიკურ კონგრესზე, *თურგუთ ოზალმა* განაცხადა: „თურქეთის მთავარი ამოცანა შემდგომ პერიოდში არის ის, რომ თურქეთი იყოს მსოფლიოს 10 ან 15 ყველაზე მოწინავე ქვეყანას შორის. მე გეტყვით თქვენ, რომ უნდა შევიდეს და შეძლებს შესვლას პირველი კლასის ქვეყნების ლიგაში... ახალ სახელმწიფოებთან ერთად ბალკანეთიდან ცენტრალურ აზიამდე – სახელმწიფოები, რომლებიც მუსლიმური და უმეტესად თურქულია – ჩვენ უნდა გავხადოთ ჩვენი ხელისუფლება უფრო ეფექტური... თუ ჩვენ არ დავუშვებთ სერიოზულ შეცდომებს, 21-ე საუკუნე იქნება თურქების და თურქეთის საუკუნე.“

ეს იყო თურგუთ ოზალის „გედის სიმღერა“ (Mango, 2004: 93).

2002 წ. არჩევნებში საიმედო გზის პარტიამ და დედასამშობლოს პარტიამ მიიღეს შესაბამისად ხმების 9,55% და 5,13%. 2007 წელს კი გაერთიანებულმა დემოკრატიულმა ოპოზიციამ, დემოკრატიული პარტიის სახით, რომელშიც გაერთიანდნენ საიმედო გზის პარტიისა და დედასამშობლოს პარტიის მომხრეები, მიიღო ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 5,41%.

ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში ქურთებთან გაჩაღებული კონფლიქტის გამო, გაიზარდა ნაციონალისტური განწყობილებები, რომლებსაც აქტიურად იყენებდა *ნაციონალისტური მოძრაობის პარტია*. მემარცხენე პარტიები იკრძალებოდა *ქურთისტანის მუშათა პარტიის* აქტიური ტერორისტული საქმი-

ანობის გამო.[12] პოლიტიკაში ჭარბობდა პოპულიზმი, რომელიც ეფუძნებოდა პანთურქისტულ, ევროცენტრისტულ და ანტიქურთულ რიტორიკას, რაც დამახასიათებელია როგორც ლიბერალებისათვის (დედასამშობლოს პარტია და საიმედო გზის პარტია), ისე ნაციონალისტებისათვის (Ahmad,1993: 184-192).

1994 წლის 27 მარტის მუნიციპალურ არჩევნებში ისლამური ორიენტაციის *კეთილდღეობის პარტიამ (Refah Partisi)* წარმატება მოიპოვა და ქვეყნის **28 დიდ ქალაქში, მათ შორის ანკარასა და სტამბულში**, მერის თანამდებობები მიიღეს. 1995 წლის 24 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში[13] პარტიამ მოიპოვა ყველაზე მეტი ხმების ოდენობა – 21,1%, მაგრამ ვერ მიიღო უფლება დამოუკიდებლად ჩამოეყალიბებინა მთავრობა. მხოლოდ 1996 წლის ივნისში ხელისუფლებაში მოვიდა კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევიდნენ კეთილდღეობის პარტია და მემარჯვენე-ცენტრისტული *ჭეშმარიტების გზის პარტია* (ლიდერი – თანსუ ჩილერი). პრემიერ-მინისტრის პოსტს მონაცვლეობით იკავებდნენ ნ. ერბაქანი და თანსუ ჩილერი[14] (Zürcher, 2003: 295-299). **2002 წელს არჩევნებზე პარტიის დამარცხების გამო**, თანსუ ჩილერი ჩამოშორდა პოლიტიკას (იქვე, 294-295).

თანსუ ჩილერი

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ნ. ერბაქანმა ხაზი გაუსვა ქემალიზმისადმი ერთგულებას. თუმცა პარტიის ლოზუნგი – „სამართლიანი წესრიგისათვის“ განიხილებოდა, როგორც მოწოდება წესრიგის დამყარებისაკენ ისლამური ნორმების შესაბამისად. ხელისუფლებაში თექვსმეტთვიანი ყოფნის მანძილზე კეთილდღეობის პარტიამ, „რეფაჰმა,“ შეძლო ისლამისტების მოყვანა ყველა ძირითად პოსტზე. 1998 წლის 16 იანვარს აიკრძალა კეთილდღეობის პარტია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. თვითონ ერბაქანს[15] ჩამოერთვა უფლება მონაწილეობა მიეღო 2003 წლის არჩევნებში (იქვე, 300-301).

1980-90-იან წლებში დემოკრატიული მემარცხენე პარტია და მისი მოკავშირეები გავიდნენ პარლამენტში, მაგრამ ვერ შეძლეს რეფორმების გატარება, თუმცა გარკვეულ პერიოდში ეჯევითს ეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტიც (**1999-2002). ამ პერიოდში მოხერხდა ქურთი სეპარატისტების ლიდერის** აბდულაჰ ოჯალანის დაკავება, რამაც უდავოდ შემატა პოპულარობა პარტიას და მის ლიდერს. თუმცა, ეკონომიკურმა კატასტროფამ (2001 წლის თებერვლის სავალუტო კრიზისმა თურქეთს მიაყენა ყველაზე დიდი ზარალი ბოლო 50 წლის მანძილზე), რაც გააღრმავა 1999 წელს იზმითის მიწისძვრამ, სერიოზულად შეარყია პარტიის ავტორიტეტი, რომელმაც 2002წ. არჩევნებში მიიღო ხმების მხოლოდ 1,2% (Cizre and Yeldan, 2005: 387-408).

---

12 მემარცხენე პარტიების უმრავლესობა XX ს-ის 50-80-იან წლებში მოღვაწეობდა იატაკქვეშ. გავრცელებული იყო რადიკალური იდეები ანარქიზმიდან მაოიზმამდე და ტროცკიზმამდე. ზოგიერთ მათგანს ურთიერთობა ჰქონდა ქურთულ სოციალისტურ ორგანიზაციებთან, მათ შორის ქურთისტანის მუშათა პარტიასთან, რომელიც ასევე იდგა მემარცხენე, სოციალისტურ პოზიციებზე. ისინი მხარს უჭერდნენ სოციალისტურ ბანაკთან მიერთებას, ნაციონალიზაციას, სოციალისტურ გარდაქმნებს. მთავრობისა და მემარჯვენეების მხრიდან ზეწოლის გამო ისინი იყვნენ იატაქვეშ და მიმართავდნენ ტერორისტულ მეთოდებს. სსრკ-ის დაშლის შემდეგ კომუნიზმის იდეებმა დაკარგა პოპულარობა.

13 მანდატები ასე განაწილდა: კეთილდღეობის პარტია – 158 ადგილი; დედასამშობლოს პარტია – 132 ადგილი; ჭეშმარიტების პარტია – 135 ადგილი; მემარცხენე დემოკრატიული პარტია – 76 და სახალხო-დემოკრატიული პარტია – 49 ადგილი. ამ შედეგების წინაპირობა იყო მწვავე სოციალ-ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობის ზრდა, ინფლაციის მაღალი დონე – 150%-მდე წელიწადში.

14 ნ. ერბაქანმა ხუთწლიანი გეგმის (1996-2000) ფარგლებში წარადგინა ეკონომიკის გაჯანსაღების პროგრამა შეთავაზებული პაკეტების სისტემის („პაკეტები კაპიტალდაბანდებათა წყაროების გამოსავლენად“) საფუძველზე. ხელისუფლებას სულ შესთავაზეს 4 პაკეტი – ეკონომიკის გაჯანსაღების უმთავრესი ინსტრუმენტი იყო პრივატიზაციის დაჩქარება და ამ პროცესში სახელმწიფო მიწის ნაკვეთების ფართო ჩართვა.

15 ისლამისტები, ისლამური აღორძინების მომხრეები, გამოეყვნენ სამართლიანობის პარტიას XXს. 60-70-იან წლებში. ყველა საპარლამენტო ისლამისტური პარტიის უცვლელი ლიდერი იყო ნეჯმეთინ ერბაქანი (გარდ. 2011 წლის თებერვალში). პარტიას ჰქონდა შემდეგი სახელწოდებები: ეროვნული ლაშქრის პარტია, ეროვნული ხსნის პარტია, რეფაჰი („კეთილდღეობის პარტია“), ფაზილეთი („სათნოების პარტია“). პარტიამ ვერ შეძლო სამუშაო პროგრამის შექმნა, ამიტომ იყენებდნენ პოპულისტურ ისლამისტურ ლოზუნგებს, რომელიც თავის გამოძახილს ჰპოვებდა მოსახლეობაში. მხოლოდ 1990-იან წლების ბოლოს პარტიამ შეძლო შეექმნა პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა.

რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ, რომელიც ხელახლა შეიქმნა[16] 1993 წელს, მხოლოდ 2002 წელს დაიბრუნა ამომრჩევლების განწყობა (მიიღო ხმების 19% და 178 მანდატი 550-დან). ახალი ლიდერი გახდა დენიზ ბაიკალი – პრაგმატული, ნეიტრალური საგარეო პოლიტიკისა და ქვეყნის შიგნით სოციალ-დემოკრატიული გარდაქმნების მომხრე. ახალი რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის იდეოლოგია უმეტესწილად ეყრდნობოდა ათათურქის მემკვიდრეობას. **2010 წლის ივნისიდან პარტიის ახალი ლიდერი** გახდა ქემალ კილიჩდაროღლუ. თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, მან თვითონ მოუწოდა პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს განეხილათ ქურთული პრობლემა. ის გამოვიდა აგრეთვე წინადადებით, რომ თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, სამეცნიერო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშავონ ერთიანი პოზიცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიის ლიდერის განცხადებით, ის აამაღლებს პარტიის იმიჯს თურქეთის საზოგადოებაში და საზღვარგარეთ.

ნაციონალისტები, თურქისტული, პანთურქისტული, და პანთურანისტული იდეების მომხრეები გაერთიანებული არიან ლეგალურ და არალეგალურ პარტიებსა და მოძრაობებში. მარჯვენა მხარეს – რესპუბლიკელ გლეხთა ნაციონალისტური პარტია, რომელიც გარდაიქმნა ნაციონალისტური მოძრაობის პარტიად (ემბლემა – სამი ნახევარმთვარე), ლიდერი – ალფარსლან თურქეში, მისი სიკვდილის შემდეგ **1997წ. – დევლეთ ბაჰჩელი. ნაციონალისტები მომხრეები არიან აგრესიული საგარეო პოლიტიკის**, რომელიც მიმართული იყო ძირითადად სსრკ-ის (შემდეგ რუსეთის) წინააღმდეგ, თურქიზმის გავრცელებისაკენ ბალკანეთში, ირანსა და მონღოლეთში; ეკონომიკურ პროგრამას დიდი ყურადღება არ ეთმობა. ნაციონალისტები უპირატესობას ანიჭებენ „უკლასო საზოგადოების“ პოპულისტურ ლოზუნგებს, იწონებენ მთავრობის რეაქციულ მოქმედებას ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე (Yavuz, 2002: 205-211).

სეპარატისტებს შორის ყველაზე ცნობილია სომხური და ქურთული ორგანიზაციები. სომხური ტერორისტული ორგანიზაცია *ასალამ* სახელი გაითქვა მრავალრიცხოვანი ტერაქტებით ქვეყნის ტერიტორიაზე. *ქურთისტანის მუშათა პარტიის* ლიდერი აბდულაჰ ოჯალანი სარგებლობდა დიდი პოპულარობით სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის ქურთულ მოსახლეობას შორის XXს. 80-90-იან წლებში. 1984 წელს პარტიამ ომი გამოუცხადა მთავრობას. **1993 წელს ქურთმა დეპუტატებმა დატოვეს პარლამენტი** და ცნობილი თურქი პოლიტიკოსების მიმართ ახორციელებდნენ ტერაქტებს. **1999 წლის თებერვალში** ოჯალანი დააპატიმრეს. **2000 წლის თებერვალში ქურთისტანის მუშათა პარტიის VII საგანგებო** ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები და პრობლემები მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტათ. ზოგიერთი მემარცხენე ორგანიზაცია თანამშრომლობდა ქურთისტანის მუშათა პარტიასთან (Zürcher, 2003: 316-319).

1980-90-იან წლებში ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების შედეგად, თურქეთი მივიდა სოციალურ ქაოსამდე. ცნობილი პოლიტიკური ლიდერები ნდობას ვერ ნერგავდნენ, საჭირო იყო ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლო წამოეჭრა ახალი იდეები – საზოგადოების რადიკალური განახლების იდეები. ასეთი ძალა აღმოჩნდა *სამართლიანობისა და განვითარების პარტია* (*Adalet ve Kalkınma Partisi an AK Parti*), რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა 2002 წელს.

ა) თურქეთის თანამედროვე პოლიტიკური სიტუაცია

XXI საუკუნის დასაწყისში თურქეთმა გადაიტანა ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პერიოდი, რაც გააღრმავა მიწისძვრის შედეგებმა იზმითში, ნავთობზე ფასების აწევამ, თითქმის **100 %-იანმა ინფლაციამ** წელიწადში და საგარეო ვალმა (იმ დროს შეადგენდა **100 მლრდ** დოლარზე მეტს).

ნეჯმეთინ ერბაქანი

2001 წელს სამხედროებმა დაადანაშაულეს პრემიერ-მინისტრი ნ. ერბაქანი სახელმწიფოს საერო საფუძვლების შერყევაში და აკრძალეს მისი პარტია. *დემოკრატიული პარტია* ორ ნაწილად გაიყო: *ბედნიერების პარტია (Saadet Partisi)*, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რეჯაი კუტანი, ერბაქანის მომხრე და *სამართლიანობისა და განვითარების პარტია (Adalet ve Kalkınma Partisi)*, რომელსაც ხელმძღვანელობს სტამბულის ყოფილი მერი – რეჯებ

16 ახალი კანონით პარტიებს შეეძლოთ აღედგინათ 1980 წლამდე არსებული სახელი.

თაიფ ერდოღანი. პირველი დარჩა კონსერვატიულ, ტრადიციონალისტურ პლატფორმაზე, ხოლო მეორემ უარი განაცხადა ანტიდასავლურ რიტორიკაზე და გამოაცხადა თურქეთის ევროკავშირში შესვლაზე თავისი მხარდაჭერის შესახებ.

2002 **წელს სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ შეიმუშავა სამუშაო პროგრამა, რომ**ელიც შეიცავდა მკაცრი ფინანსური პოლიტიკის და ზომიერი ისლამური რიტორიკის ელემენტებს. 2002 წლის 3 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიამ მოიპოვა ხმების დიდი უმრავლესობა (ხმების 34% და 363 მანდატი 500-დან) და მიიღო ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბების უფლება (Zürcher, 2003: 304-306).

2002 **წელს სამართლიანობისა და განვითარების პარტიის გამარჯვების შემდეგ ხშირად ისმებო**და *კითხვა:* ხომ არ გამოიწვევს ზომიერი ისლამისტების გამარჯვება სამოქალაქო, დემოკრატიული, პროდასავლური რეჟიმის დემონტაჟს (თუნდაც სამხედროების მკაცრი კონტროლის პირობებში)?

პასუხი: თურქეთი არის პოლიტიკური მოდერნიზაციის საუკეთესო მაგალითი და დღეს თურქეთში არსებული პოლიტიკური რეჟიმი ფასდება, როგორც დემოკრატიული. პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმირება ოსმალეთის იმპერიის ისლამური წესების შესაბამისად უბრალოდ შეუძლებელია.

1999-2002 **წლის პარლამენტში მყოფი არც ერთი პარტია არ აღმოჩნდა ახალ პარლამენტში. არჩევ**ნებზე გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატიული დამოუკიდებელი კურსის მომხრეებმა და ზომიერმა ისლამისტებმა, რომელთათვისაც არ იყო დამახასიათებელი წინამორბედების ისლამისტური პოპულიზმი.[17] განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკიდურესად პოპულისტური ახალგაზრდობის პარტიის მედიამაგნატის – ჯემ უზანის წარმატება, რომელმაც მოიპოვა **7,25% ხმების მხოლოდ თანამედროვე პოლიტტექ**ნოლოგიების გამოყენებით და ქურთული დემოკრატიული სახალხო პარტიის გამარჯვება, რომელმაც მიიღო ხმების **6,23%. ამ უკანასკნელი პარტიის წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ხელისუფლე**ბა არ დაუშვებდა პარტიის მიერ **10%-იანი ბარიერის გადალახვას (რომელიც გარკვეულწილად დაწეს**და ქურთებისათვის) და არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატებმა.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის თითქმის ერთპიროვნული მმართველობის შედეგად 2002 წლიდან 2007 წლამდე, მოხერხდა ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების სტაბილიზირება.

პარტიის მიღწევებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

ინფლაციის შეჩერება, ეკონომიკის სტაბილური ზრდა – წელიწადში 8%;

მრავალრიცხოვანი სოციალური პროგრამების განხორციელება;

თურქეთმა დაიკავა უფრო დამოუკიდებელი, გაწონასწორებული, პრაგმატული პოლიტიკური პოზიცია საერთაშორისო არენაზე. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თურქეთის ურთიერთობა რუსეთთან, ირანთან, არაბულ ქვეყნებთან (სირია, ეგვიპტე, ლიბანი);

უმაღლეს დონეზე ვითარდება ურთიერთობები ევროკავშირთან. ტარდება რეფორმები, რომლებიც დადებითად ფასდება ევროკავშირის ქვეყნების მიერ.

ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის განმტკიცების პოლიტიკამ თურქეთს მოუტანა ერთი არცთუ უმნიშვნელო გამარჯვება – **2005 წლის იანვარში მწვავე კონკურენტუნარიანი ბრძოლის პირობებ**ში, პირველად თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში, მისი მოქალაქე – ექმელედინ იჰსანოღლუ გახდა *ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის* გენერალური მდივანი.

2007 წელს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ერდოღანის ფავორიტ აბდულაჰ გულის კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე, რომელიც არჩეულ იქნა 2007 წლის 28 აგვისტოს უკვე ახალი პარლამენტის მიერ (მან მიიღო 339 ხმა კენჭისყრაში მონაწილე 448 დეპუტატიდან).

აბდულაჰ გული დაიბადა **1950 წელს ქ. კაისერში (ცენტრალური ანატოლია). დაამთავრა სტამბო**ლის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. ახალგაზრდობაში ის დაკავშირებული იყო თურქულ

17 გარკვეული როლი შეასრულა შემდეგმა ფაქტორებმა: ეკონომიკური კრიზისის გამწვავება, უმუშევრობის ზრდა (მილიონ ადამიანამდე, 9,4%), თურქული ლირას კურსის დაცემა 50%-ით, საგარეო ვალის გაზრდა 15 მლრდ დოლარამდე, კორუფციის აღზევება, დაბალი შრომის ანაზღაურება (2003 წლის სექტემბერში სახელმწიფო მოსამსახურეების საშუალო ანაზღაურება თვეში შეადგენდა 440 ამერიკულ დოლარს; ეჯევითის მთავრობაში კოალიციურ პარტიებს შორის ბრძოლა (მემარცხენეები – დემოკრატიული მემარცხენე პარტია; მემარჯვენეები – დედასამშობლოს პარტია და საიმედო გზის პარტია; ნაციონალისტები – ნაციონალური მოძრაობის პარტია) (Поцхверия, 2004: 65; Mango, 2004:112).

ისლამისტურ მოძრაობასთან. მისი მამა იყო ეროვნული ხსნის პარტიის წევრი. სტუდენტობის წლებში ა. გული იყო რელიგიური საზოგადოების – „დიდი აღმოსავლეთი“ ახალგაზრდული ფრთის შემადგენლობაში, სადაც გაიცნო რ. ერდოღანი. 1976-1978 წლებში დიდ ბრიტანეთში სტაჟირების (მაგისტრატურა ლონდონსა და ექსეტერში) შემდეგ გახდა *თურქ სტუდენტთა ურთიერთდახმარების საზოგადოების* (მუსლიმ სტუდენტთა კავშირთან) დამფუძნებელი. 1980 წლის სამხედრო გადატრიალების დროს ა. გული დააკავა პოლიციამ ისლამისტური წრეების ხელშეწყობის ბრალდებით. 1983 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი სტამბოლის უნივერსიტეტში. იმავე წელს, თავისი მასწავლებლის – ისლამისტური მოძრაობის ცნობილი იდეოლოგის, ჯიდდაში განვითარებისა და რეკონსტრუქციის ისლამური ბანკის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელის – ნ. იალჩინთაშის რეკომენდაციით, ის მიიღეს ამავე ბანკში ექსპერტად და იქ იმუშავა 8 წელი. 1991 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა მარმარას უნივერსიტეტში.

1990-იან წლებში რეგულარულად ირჩევდნენ მას იმ დროს არსებული პროისლამური პარტიების დეპუტატად. 2000 წელს მან თავისი კანდიდატურა წამოაყენა „ფაზილეთის“თავმჯდომარის პოსტზე, მაგრამ დამარცხდა. 2001 წელს მან, სტამბოლის ყოფილ მერთან რ. ერდოღანთან ერთად, მონაწილეობა მიიღო „ფაზილეთის“ დამოუკიდებელი ფრთის ჩამოყალიბებაში, საიდანაც მოგვიანებით წარმოიქმნა სამართლიანობისა და განვითარების პარტია. ეს იყო ზომიერი ისლამისტური პარტია, რომელსაც ჰქონდა საზოგადოების ყველა ფენის გაერთიანების პრეტენზია. პარტიის გამარჯვების შემდეგ ა. გული გავიდა დეპუტატად მეჯლისში (თავისი მშობლიური ქალაქიდან). ამის შემდეგ მას ეკავა პრემიერ-მინისტრის (2002 წ. ნოემბერი – 2003წ. მარტი), ვიცე-პრემიერის და საგარეო საქმეთა მინისტრის (2003-2007) პოსტები.

2007 წლის 22 ივლისის საპარლამენტო არჩევნებზე ხალხმა კვლავ მხარი დაუჭირა სამართლიანობისა და განვითარების პარტიას.[18] სულ არჩევნებში მონაწილეობდა 14 პოლიტიკური პარტია. პარლამენტში ადგილები ასე განაწილდა: სამართლიანობისა და განვითარების პარტია – 340 ადგილი (550-დან); სახალხო დემოკრატიული პარტია – 99; ნაციონალისტური მოძრაობის პარტია – 70; დემოკრატიული მემარცხენე პარტია – 20; დემოკრატიული საზოგადოების პარტია – 20; დამოუკიდებელი დეპუტატები – 6 ადგილი.

2007 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

ხალხმა მხარი დაუჭირა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პოლიტიკას;

ლიბერალურმა ძალებმა, რომლებიც ორიენტირებული არიან დასავლეთზე, მარცხი განიცადეს;

81,8% მოიპოვეს პარტიებმა, რომლებმაც გადალახეს 10%-იანი ბარიერი;

ქურთმა დეპუტატებმა შეძლეს საკუთარი ფრაქციის შექმნა პარლამენტში.

2010 წელს აბდულაჰ გულის პრეზიდენტად არჩევა იქცა ერთ-ერთ ყველაზე რთულ პოლიტიკურ პროცესად თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში. 2010 წლის 27 აპრილს აბდულა გული წარადგინა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ კანდიდატად პრეზიდენტის პოსტზე. მან მიიღო 353 ხმა, აუცილებელი 367 ხმის ნაცვლად (პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედი). სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში იყო ძირითადი ოპოზიციური პარტია, ბოიკოტი გამოუცხადა საპრეზიდენტო არჩევნებს და მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევნების არაკანონიერების თაობაზე, კვორუმის უქონლობის გამო. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ხმის მიცემის შედეგები. დაიწყო პოლიტიკური კრიზისი, რომლის შედეგი გახდა პარლამენტის 2010 წლის 22 ივლისის არჩევნები. გამარჯვებულმა „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიამ კვლავ წარადგინა აბდულაჰ გული პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატად და სამი ტურის გავლის შემდეგ (20-28 აგვისტო) ის არჩეულ იქნა თურქეთის მეთერთმეტე პრეზიდენტად.

თურქეთის რესპუბლიკის პრაქტიკაში პრეზიდენტების მოსვლა ხელისუფლების სათავეში ხდებოდა ორი გზით: 1. სამხედრო გადატრიალებების შედეგად ან არმიის მთავარსარდლობის პირდაპირი ზეწოლით პარლამენტზე. მაგ., ჯემალ გურსელმა (1961-1966), 1960 წლის გადატრიალების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ისევე როგორც ეროვნული ერთობის კომიტეტის სხვა წევრებმა, 1961 წლის კონსტიტუციის თანახმად, მიიღეს სამუდამო სენატორის წოდება და შემდეგ პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა პრეზიდენტად; ასევე, სენატორის უფლებამოსილების მიღების შემდეგ, მეჯლისის მიერ არჩეულ

18 პარტიის სლოგანი – „არა – უსაფრთხოებასა და სტაბილურობის მისაღწევად [ძალისხმევის] შეჩერებას, დიახ – შემდგომ წინსვლას.“

იქნენ პრეზიდენტებად – გენერალური შტაბის უფროსი ჯევდეთ სუნაი (1966-1973) და გადამდგარი ადმირალი ფაჰრი ქორუთურქი (1973-1980); ქენან ევრენმა (1982-1989), 1980 წლის სამხედრო გადატრიალების ლიდერმა და ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ, რეფერენდუმზე წარადგინა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც გამოაცხადა ის სახელმწიფოს მეთაურად. 2. პრეზიდენტების ნაწილი არჩეულ იქნა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ: დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე – ჯელალ ბაიარი (1950-1957), რომლის ხელახლა არჩევა სამჯერ მოხდა; დედასამშობლოს პარტიის თავმჯდომარე – თურგუთ ოზალი (1989-1993); საიმედო გზის პარტიის თავმჯდომარე – სულეიმან დემირელი (1993-2000); აჰმედ ნეჯეთ სეზერი (2000-2007). ამასთან, ყველა პრეზიდენტმა, ჯ. ბაიარის გარდა, გაიმარჯვა ხმების უბრალო უმრავლესობით მხოლოდ მესამე ტურში. წინამორბედებისაგან განსხვავებით, აბდულა გულის არჩევის პროცედურა გაგრძელდა ოთხნახევარი თვე.

2010 წლის 12 სექტემბერს თურქეთის მმართველი პარტიის (სამართლიანობისა და განვითარების პარტია) ინიციატივით ჩატარდა საკონსტიტუციო რეფერენდუმი 1982 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.[19] ამ ცვლილებების მიზანია თურქეთის კონსტიტუციის დაახლოვება ევროკავშირის სტანდარტებთან.

არმია თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში

ახლო აღმოსავლეთში არმია ყოველთვის ასრულებდა ტოტალიტარული მოდერნიზატორის განსაკუთრებულ როლს, რაც მკვეთრად განასხვავებს ამ რეგიონს დასავლეთისაგან. ევროპაში და ამერიკაში სამხედროები, როგორც წესი, იყვნენ კონსერვატიული წესრიგის დამცველები, ხოლო მოდერნიზაციული პროცესების სათავეში იდგა ინტელიგენცია. აღმოსავლეთში ვესტერნიზაცია დაიწყო არმიიდან, რადგანაც სწორედ სამხედრო სფეროში დასავლეთისაგან ჩამორჩენა იყო ყველაზე თვალსაჩინო, განსაკუთრებით კი ბრძოლის ველზე.

ოსმალეთის იმპერიაში სწორედ სამხედრო სასწავლებლებში ვრცელდებოდა მოწინავე ევროპული აზროვნება, კურსანტებს ასწავლიდნენ სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნიდან, ახალგაზრდა ოფიცრები მიდიოდნენ დასავლეთში მოკავშირეებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით. კონსტიტუციური ახალგაზრდა თურქთა მოძრაობა ჩაისახა სწორედ ახალგაზრდა ოფიცრების წრეში. მებრძოლი გენერალი იყო თურქული მოდერნიზაციის ლიდერიც – ქემალ ათათურქი და მისი უახლოესი თანამებრძოლი – ისმეთ ინონუ, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქვეყანას რესპუბლიკის დამაარსებლის გარდაცვალების შემდეგ. თუმცა, თურქეთის პირველ პრეზიდენტად გახდომის შემდეგ, მუსტაფა ქემალმა დატოვა არმია და გამოაცხადა ის პოლიტიკის მიღმა. დღემდე თურქეთში ოფიცრებს, ისევე როგორც სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პარტიების საქმიანობაში. თურქეთის რესპუბლიკაში არმიას ჰქონდა პრივილეგირებული სტატუსი, მაგრამ არ დაიშვებოდა პირდაპირ სახელმწიფოს მართვაში, მასზე მონოპოლია ეკუთვნოდა პოლიტიკურ სტრუქტურას – რესპუბლიკურ-სახალხო პარტიას.

პარტია ნახევრად შედგებოდა ყოფილი სამხედროებისაგან, რომელთაც დათხოვნის შემდეგ მიიღეს პარტბილეთები. მათთვის კარგად იყო ცნობილი სამხედრო დისციპლინა, რომელიც ახლოს იდგა პარტიულ დისციპლინასთან. პრაქტიკულად სახალხო-დემოკრატიული პარტია, არმია, მოხელეები და სახელმწიფო დაწესებულებების მმართველები წარმოადგენდნენ მთლიანობაში ახალი თურქეთის ერთიან პოლიტიკურ ელიტას.

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა XXს. 40-იან წლებში. ქვეყნის ახალი ხელმძღვანელი ისმეთ ინონუ არ ფლობდა ათათურქის ავტორიტეტს, მათ შორის სამხედრო წრეებში, თუმცა თვითონ წარსულში იყო გენერალი. ისმეთ ინონუმ გენერალური შტაბი დაუმორჩილა თავდაცვის სამინისტროს.[20] ომის

19 უნდა აღინიშნოს, რომ 1982 წლის შემდეგ 16-ჯერ შევიდა ცვლილება კონსტიტუციაში და შეიცვალა მისი მუხლების თითქმის მესამედი. საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი დაუჭირა მოსახლეობის 57,9%, წინააღმდეგი იყო 42,1%. ქურთებმა ბოიკოტი გამოუცხადეს რეფერენდუმს.

20 ათათურქის დროს გენერალური შტაბი უშუალოდ ემორჩილებოდა პრეზიდენტს, ხოლო1961 წლის კონსტიტუციის შესაბამისად – პრემიერ-მინისტრს. დღეს სახელმწიფო პროტოკოლით შტაბის ხელმძღვანელს უკავია მეოთხე ადგილი პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და მეჯლისის თავმჯდომარის შემდეგ. თურქი გენერლების განცხადებით, „ჩვენ არ ვართ სრულ მორჩილებაში სამოქალაქო პოლიტიკოსების, როფორც ეს არის დასავლეთ ევროპაში ან ამერიკაში. მათთან შედარებით ჩვენ უფრო ავტონომიურები ვართ და ჩვენს საკითხებში უფრო გავლენიანი“ (Birand, 1987: 414).

წლებში მკვეთრად დაეცა სამხედროების ცხოვრების დონე (ინფლაცია, მომარაგების ნაკლებობა, სოციალური პირობები გარნიზონებში). ამის პარალელურად უკიდურესად გაუარესდა მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენის ეკონომიკური მდგომარეობა. მეორე მხრივ, გაიზარდა იმ მეწარმეთა კეთილდღეობა, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ პარტიულ სტრუქტურებთან და გამდიდრდნენ სახელმწიფო შეკვეთებით. როგორც 1960 წლის 27 მაისის გადატრიალების მონაწილენი წერენ მოგონებებში, 40-იან წწ.-ში ახალგაზრდა ოფიცრებმა პირველად დაიწყეს უნდობლობის გამოხატვა მმართველი წრეებისადმი (Turkeş, 1968). მრავალპარტიული სისტემის შემოღების შემდეგ მრავალმა ოფიცერმა მხარი დაუჭირა დემოკრატიულ პარტიას, რომლის პოლიტიკური პროგრამა ძირითადად შედგებოდა რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის კრიტიკისაგან. თუმცა, მალე გამოჩნდა, რომ დემოკრატიული პარტიის მოსვლით ხელისუფლებაში, ათათურქის აღთქმები უფრო შორს იქნა გადაწეული რეალური ცხოვრებიდან. ქვეყნის ეკონომიკური სისტემა ხელს უწყობდა სახელმწიფო მოსამსახურეთა გაღატაკებას, მათ შორის ოფიცრების გამდიდრებას, რომლისადმი ნეგატიური ურთიერთობა ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის დროს. დემოკრატიული პარტიის განდგომა მკაცრი ლაიციზმისაგან არმიაში შეფასდა, როგორც რეგრესი – რესპუბლიკის არსებობის პრინციპების ხელყოფა. დემოკრატიული პარტიის მმართველობის წლებში თურქეთმა ფაქტობრივად დაკარგა თავისი საგარეო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რადგანაც შევიდა ნატო-ში, სენტო-ში, მხარს უჭერდა აშშ-ის პოლიტიკურ ხაზს გაერო-ში ყველა საკითხზე, რაც ასევე განსხვავდებოდა ათათურქის საგარეო პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კონცეფციისაგან. რესპუბლიკურ-სახალხო პარტიამ ისმეთ ინონუს ხელმძღვანელობით ვერ შეძლო შეეთავაზებინა საკუთარი პროგრამა კრიზისიდან გამოსასვლელად და კონცენტრირებული იყო მხოლოდ დემოკრატიული პარტიის კრიტიკაზე. ფაქტობრივად, არმიას მოუხდა მოქმედებათა პროგრამის შემუშავება, რაშიც მას დაეხმარა საზღვარგარეთ განვითარებული მოვლენები (ადრე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნები – ეგვიპტე და ერაყი, სადაც სამხედროებმა არა მარტო დაამხეს არსებული რეჟიმი, არამედ განმტკიცდნენ ხელისუფლებაში).

1960 წლის მოვლენები კარგად არის ცნობილი და აღწერილი ქართულ, რუსულ და დასავლურ ლიტერატურაში (გიგინეიშვილი,1989; Данилов, Базиянц, 1963; Weiker, 1980; Harris,1965: 169-176). 27 მაისს სამხედროების ჯგუფმა დააპატიმრა დემოკრატიული პარტიის მთავრობა[21] და ხელისუფლება გადავიდა ახალი სტრუქტურის ხელში, სახელწოდებით – ეროვნული ერთობის კომიტეტი (*Millî Birlik Komitesi*), რომელიც შედგებოდა 38 შეთქმულების მონაწილე ოფიცრისაგან. მათი უმრავლესობა, ე.წ. რადიკალები, გამოვიდნენ მოქმედებათა გეგმით, რომელიც ახლოს იყო იმასთან, რასაც აყენებდნენ სხვა ახლოაღმოსავლური მოძრაობები. ოფიცრებმა ფაქტობრივად ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აიღეს ხელში ძალაუფლება. დემოკრატიული პარტია და რესპუბლიკურ-სახალხო პარტია – ძირითადი პოლიტიკური ძალები დისკრედიტებული იყო, ხოლო შესაძლო იდეოლოგიური კონკურენტები, ისლამისტებისა და მემარცხენეების სახით, აკრძალული იყო. ხელისუფლება იოლად მიიღეს ოფიცრებმა, მაგრამ ასევე იოლად დაკარგეს ნახევარი წლის შემდეგ, გადატრიალების შედეგად.

საინტერესოა, რატომ ვერ მოახერხა რადიკალურად განწყობილმა ახალგაზრდობამ გაჰყოლოდა გამალ აბდელ ნასერის და აბდ ალ-ქარიმ კასიმის (ეგვიპტის 1952 წლის და ერაყის 1958 წლის რევოლუციების ორგანიზატორების) გზას?

1960 წლის მოვლენების თანამედროვე მკვლევართა მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ოფიცრებს არ ჰყავდათ ლიდერი, რომელიც უხელმძღვანელებდა ორგანიზაციას. მმართველობის ავტორიტარული მოდელის მომხრეებს შორის, რომლებიც ორიენტირებული იყვნენ ათათურქის გამოცდილებაზე, არ მოიძებნა ქარიზმატული ლიდერი, რომელიც თავის თავზე აიღებდა საგანგებო უფლებამოსილებებს.[22] როდესაც შეთქმულებმა მოახერხეს მთავრობის დაპატიმრება, მათ მიმართეს ერს, გაემართნენ გადამდგარ გენერალ ჯემალ გურსელთან, როგორც წოდებით უფროსთან და თა-

21 დაპატიმრებულთა შორის იყვნენ პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი, პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი, დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები, მინისტრები, მეჯლისის დეპუტატები დემოკრატიული პარტიიდან.

22 თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ალფარსლან თურქეშს ახასიათებს ქარიზმატულ ფიგურად. მას ეკავა პრეზიდენტის მრჩეველის პოსტი, მაგრამ ფლობდა რეალურ ძალაუფლებას. ის გამოირჩეოდა თავისი რადიკალიზმით და სწორედ მის ჯგუფს მიაწერენ 31 აგვისტოს 260-დან 235 გენერლის და 5000 პოლკოვნიკისა და მაიორის გადაყენებას. ამას მოჰყვა ოქტომბერში 147 უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლის განთავისუფლება. შერჩევის კრიტერიუმი უცნობი იყო და ამ ქმედებამ პროტესტი გამოიწვია. შედეგად ყველა უნივერსიტეტის რექტორი გაათავისუფლეს. აკადემიური წრეების საპროტესტო მოძრაობამ შედეგი გამოიღო და უნივერსიტეტის პროფესურა აღადგინეს, მაგრამ მხოლოდ 1962 წლის მარტში. გადამდგარი ოფიც-

ვიანთი მოქმედების ლეგიტიმიზაციისათვის, მოიწვიეს ქვეყნის ხელმძღვანელად. როგორც ჩანს, ასაკოვან გენერალს არ მოსწონდა ახალგაზრდა რადიკალების მრავალი იდეა და მან კავშირი დაამყარა კონსერვატორულ ფრთასთან, რომელსაც სურდა ხელისუფლების გადაცემა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკოსებისათვის.

საოცარია, მაგრამ ახალგაზრდა ოფიცრებს არ ჰქონდათ მოქმედებათა ერთიანი პოლიტიკური პროგრამა, გადატრიალების ავტორებს მხოლოდ დაახლოებით ჰქონდათ წარმოდგენილი ქვეყნის მომავალი. *ეროვნული ერთობის კომიტეტი (Millî Birlik Komitesi)* ჩამოაყალიბეს ოფიცრებმა გადატრიალების შედეგად და გარკვეული დროის განმავლობაში ის იყო მთავარი საკანონმდებლო ორგანო, მაგრამ მისი პროგრამა გამოქვეყნდა მხოლოდ 1960 წლის 7 ივლისს, ე.ი. ერთი თვის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან. მასში შერწყმული იყო ნაციონალისტური, სოციალისტური, ნეიტრალური იდეები, რომლებიც დამახასიათებელი იყო იმ დროის წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმისათვის. ასეთი პროგრამა შეიძლება მისაღები ყოფილიყო მოსახლეობის ფართო მასებისთვის მხოლოდ გადატრიალების შემდეგვე (Ahmad, 2002: 121-127).

ძირითადი საგარეო პოლიტიკური ხაზის შენარჩუნებას ხელს უწყობდა **2 მიზეზი: 1.1960 წელს მრ**ავალს ჯერ კიდევ ახსოვდა სსრკ-ის აგრესიული პოლიტიკა თურქეთთან მიმართებაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ; ქვეყანაში მემარცხენე მოძრაობა ფაქტობრივად აკრძალული იყო და არ შეეძლო სერიოზული გავლენა მოეხდინა ელიტის მსოფლმხედველობაზე. **2. თურქეთის არმიას, გან**საკუთრებით მის უმაღლეს ხელმძღვანელობას, შეეძლო ეამაყა ზოგიერთი დივიდენდით, რაც მიიღო ნატოსთან თანამშრომლობით – რადიკალური გადაიარაღება, აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ბლოკის სხვა ქვეყნებში სტაჟირების გავლა. გადატრიალების მონაწილეთა თვალსაზრისით, აუცილებელი იყო თანამშრომლობის გაგრძელება თავდაცვის სფეროში დასავლეთთან, მაგრამ თურქეთის პოზიცია უნდა გამხდარიყო უფრო დამოუკიდებელი. თუმცა ისტორია გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ბიპოლარული სისტემის პირობებში, შემობრუნება საგარეო პოლიტიკაში შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ქვეყნის მიერ ორიენტაციის შეცვლის შემთხვევაში ერთი პოლუსიდან მეორეზე. ასეთი სიტუაცია შეიქმნა ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების სათავეში მოსულმა რადიკალებმა საგარეო-პოლიტიკურ პარტნიორად აირჩიეს მოსკოვი. **1960 წელს სამხედრო გადატ**რიალება იყო შიდა მოვლენა, რომელიც არ ითვალისწინებდა უარის თქმას ნაციონალისტური ნეიტრალიზმის მოძველებულ საგარეო პოლიტიკურ დოქტრინაზე, რის გამოც არანაირი რეალური ცვლილება არ განხორციელებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს უკიდურესად ეშინოდა ამ ცვლილებების. 1960 წლის 30 ივნისს აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს საიდუმლო თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს ეროვნული ერთობის კომიტეტის არასაკმარისი ლოიალობა ვაშინგტონის პოლიტიკისადმი და წუხდნენ მენდერესის მეგობრული ხელისუფლების გადაყენებაზე. თათბირის მემორანდუმში აღინიშნა, რომ აუცილებელია ნაციონალური ერთობის კომიტეტიდან რადიკალების მოცილება, ხოლო სამოქალაქო ადმინისტრაციისათვის ხელისუფლების გადაცემის შემდეგ ხელი უნდა შეეწყოთ დემოკრატიული პარტიის აღდგენისათვის. თურქეთში გაგზავნილ იქნა კონსულტაციებისათვის ნატოს მთავარსარდალი ევროპაში გენერალი ნორდსტედი და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი ალენ დალესი, რომელთაც დაარწმუნეს ქვეყნის ხელმძღვანელობა ჩამოეცილებინათ დამოუკიდებლობის მომხრეები: ეროვნული ერთობის კომიტეტის 14 რადიკალი წევრი (მათ შორის ალფარსლან თურქეში) გაგზავნილ იქნა დიპლომატიურ სამუშაოზე საზღვარგარეთ და ფაქტობრივად ჩამოაცილეს ქვეყნის ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობას (Ahmad, 2002: 128; Zürcher, 2003: 243).

1961 წლის 15 ოქტომბერს ჩატარებულმა დემოკრატიულმა არჩევნებმა აჩვენა, რომ შეთქმულების მიერ დასახული არცერთი მიზანი არ განხორციელდა. ამ არჩევნებზე გაიმარჯვა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ (სათავეში ისმეთ ინონუ) და სამართლიანობის პარტიამ – ხელახლა შექმნილმა დემოკრატიულმა პარტიამ (სათავეში სულეიმან დემირელი). უმაღლესმა გენერალიტეტმა სწრაფად გამონახა საერთო ენა სამოქალაქო ხელისუფლებასთან. გენერალი ჯემალ გურსელი, რომელიც ახალგაზრდა ოფიცრებმა პენსიონერიდან პოლიტიკურ ფიგურად აქციეს, გახდა ქვეყნის პრეზიდენტი. 1963 წლის **20/21 მაისს ეროვნული ერთობის კომიტეტის ერთ-ერთმა რადიკალურად განწყობილმა ყოფილმა წევ**რმა, თალათ აიდემირმა, განახორციელა სამხედრო გადატრიალების მცდელობა, მაგრამ ნეიტრალიზებულ იქნა მაშინვე მასზე მაღლა მდგომი გენერალიტეტის ბრძანებით. ახალგაზრდა ოფიცრების შემ-

---

რები გაერთიანდნენ ორგანიზაციაში „რევოლუციის გადამდგარი ოფიცრები“ (*Emekli İnkılâp Subayları or Eminsu*) (Zürcher, 2003: 243).

დგომი მცდელობები განეხორციელებინათ სამხედრო გადატრიალებები რადიკალური გარდაქმნების მიზნით, აღიკვეთებოდა ჯერ კიდევ მზადების პერიოდში. არმიამ დაიკავა თავისი განსაკუთრებული ნიში თურქეთის პოლიტიკურ ელიტაში და მეტად აღარ განუცხადებია პრეტენზია მთელს ხელისუფლებაზე (Zürcher, 2003: 244; Ahmad, 2002: 128).

1960 წლის შემდეგ არმია თანდათან ხდება გავლენიანი ძალა, რომელსაც შეეძლო საკუთარი შეხედულებისამებრ ჩარეულიყო ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში. ის იყო კონსტიტუციური წესრიგის გარანტი. გადატრიალების შემდეგ არმიაში შეიქმნა პოლიტიკური ორგანიზაცია *შეიარაღებული ძალების გაერთიანება (Silâhli Kuvvetler Birliği),* რომელიც ჩამოყალიბდა სამხედრო იერარქიის პრინციპით. ორგანიზაციის მიზანი იყო პოლიტიკური ცხოვრების რეგულირება კრიზისულ სიტუაციებში პირდაპირ სამხედრო ჩარევამდე (Zürcher, 2003: 244). აშშ ლოიალურად იყო განწყობილი თურქული არმიისადმი. 1960 წლის გადატრიალების შემდეგ ვაშინგტონმა გამოყო სახსრები არმიის დაფინანსების გაზრდისათვის, მათ შორის ოფიცერთა შემადგენლობის სახელფასო ფონდისათვის. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა თურქი ოფიცრების მივლინებები საზღვარგარეთ (Ahmad, 2002: 128-129).

1961 წლის კონსტიტუციით განისაზღვრა ეროვნული უშიშროების საბჭოს (*Millî Güvenlik Kurulu*) ჩამოყალიბება. საბჭოს, რომელიც ფაქტობრივად დაარსდა 1962 წლის მარტში და რომელსაც ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი (მისი არყოფნის პერიოდში – პრემიერ-მინისტრი), რჩევა უნდა მიეცა ხელისუფლებისათვის შიდა და გარე უსაფრთხოების საკითხებზე. საბჭოს ჰქონდა სამდივნო და რამდენიმე დეპარტამენტი (Zürcher, 2003: 245).

1961 წლის 4 იანვარს მიღებულ იქნა კანონი №211 „თურქეთის შეიარაღებული ძალების შიდა სამსახურის წესდების შესახებ," სადაც მოცემულია შეიარაღებული ძალების სამართლებრივი როლისა და მოვალეობების დეტალური აღწერა. ამ კანონში მნივნელოვანია 35-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: „თურქეთის შეიარაღებული ძალების ვალდებულებად ითვლება თურქული დედასამშობლოსა და თურქეთის რესპუბლიკის დაცვა და შენარჩუნება, როგორც ეს განსაზღვრულია კონსტიტუციით" (*Resmi Gazete*, 10.01.1961, 9 №10703). ამის შემდეგ სამხედროები, რომლებიც ახორციელებდნენ სამხედრო გადატრიალებას ან წარადგენდნენ „მემორანდუმს," ყოველთვის ეყრდნობოდნენ ამ წესდებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თურქული გენერალიტეტის ინიციატივა – თურქული შეიარაღებული ძალების ძლიერი სოციალ-ეკონომიკური ბაზის შესაქმნელად. 1960წ. სამხედრო გადატრიალების შემდეგ შეიქმნა *ჯარის ურთიერთდახმარების ასოციაცია* (*Army Mutual Assistance Association – Ordu Yardimlasma kurumu – OYAK*)[23], რომლის ფინანსურ ბაზას შეადგენდა ოფიცერთა ხელფასებიდან დაქვითული 10% (მასში გაერთიანდა 80,000 ოფიცერი). სახსრები იდებოდა ყველაზე უფრო დინამიურად განვითარებულ დარგებში – ნავთობპროდუქტების წარმოება, ცემენტის, კვების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, უძრავი ქონება და სხვა დარგები. ასოციაცია განკუთვნილი იყო სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის რეგულირებისათვის, ოფიცერთა სიცოცხლისა და ქონების საიმედო დაზღვევისათვის, შეღავათიანი კრედიტების გამოსაყოფად საცხოვრებლის შესაძენად, სატრანსპორტო საშუალებებისათვის და სხვ. შეიარაღებული ძალების განკარგულებაში იყო ასოციაციის შემოსავლების 42% (Ahmad, 2002: 130-131).

XXს. 70-იანი წწ.-ში ასოციაცია სიდიდით გახდა თურქეთის მესამე ეკონომიკური ძალა. 80-იანი წლებიდან ფონდი აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის პროცესში. ასოციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო უძლიერესი სახელმწიფო ფოლადის გადამდნობელი კორპორაციის *Erdemir*-ის შეძენა, რომელიც 2006 წელს მერვე იყო ევროპაში ფოლადის წარმოებით. ასოციაციის კონტროლის ქვეშ არის თურქეთის სააავტომობილო წარმოება (*OYAK-Renault*), რომელიც ვითარდება 1971 წლიდან (Ahmad, 2002:131). 2007 წელს ასოციაციის წევრთა რაოდენობამ მიაღწია 235,000-ს. ამჟამად ასოციაციის კაპიტალი შეადგენს 25 მლრდ. დოლარს, თუმცა ასოციაციამ უარი თქვა მხოლოდ სამამულო ბაზარზე კაპიტალდაბანდებებზე. 2008 წელს მიიღეს გადაწყვეტილება გამოეყოთ 3 მლრდ დოლარი საერთაშორისო კომპანიების აქციების შესაძენად (Vaner,1987: 251-252).

უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაციის ჩამოყალიბება მოხდა აშშ-ის სრული თანხმობით და მხარდაჭერით. აშშ ფიქრობდა ამით ექსტრემისტული სოციალისტური ფენის ლიკვიდაციას თურქეთის შეიარაღებულ ძალთა რიგებში. ასოციაციის პირველი სტრუქტურები იქმნებოდა ამერიკელი მენეჯერების დახმარებით, ხოლო მთავარი საფინანსო ორგანიზაცია ბანკი შეიქმნა *First National Bank of Boston*-ის საფუძველზე. ამის შედეგად თურქეთის არმია გახდა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოთამაშე თურქულ

23 ამ ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდია http://www.oyak.com.tr

ბაზარზე, რომელიც დამოკიდებული იყო ეკონომიკურ კონიუქტურაზე და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები იცავდა OYAK-ის კუთვნილ კომპანიებს კონკურენციის მკაცრი პირობებისაგან. არმია გახდა უშუალოდ დაინტერესებული ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებით. უცხოურ კაპიტალთან კავშირების განმტკიცების, სამხედრო მოსამსახურეთა კეთილდღეობისა და სოციალური დაცვის გაუმჯობესების შედეგად, ფაქტობრივად ლიკვიდირებულ იქნა მიზეზები ოფიცერთა წრეში ექსტრემისტული მიმდინარეობების პოპულარულობისათვის, რაც მიმართული იყო საზოგადოებრივი წყობის ან ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტირების შესაცვლელად (Ahmad, 2002: 131-132). არმიის პოლიტიკური კრედო ჩამოყალიბდა ტრადიციული ნაციონალიზმის საფუძველზე, რომელსაც მიემატა კონსერვატიზმი საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ განვითარებაზე და ლიბერალიზმი – ეკონომიკურ განვითარებაზე.

თუმცა, მეორე მხრივ, არ შეიძლება თქმა, რომ ახალგაზრდა ოფიცრების რადიკალიზმი, რომელთაც მოაწყეს 1960 წლის გადატრიალება, მთლიანად ჩაქრა და არ გადაეცა შემდგომ თაობას. 1950-იან წლებში არმიაში ჩამოყალიბებული ორი პოლიტიკური ხაზი – რადიკალური და კონსერვატიული – დღემდე არსებობს. თუ 1950-იან წწ.-ში უმრავლესობა მხარს უჭერდა საშუალო რანგის ოფიცრებს, ნაციონალისტური და ნეიტრალური იდეების მომხრეებს, 70-იან წლებში კონსერვატორებმა, აშშ-ის დახმარებით, მოახერხეს სრული გავლენა მოეპოვებინათ შეიარაღებულ ძალებში. 1960 წლის გადატრიალების მონაწილე ზოგიერთი ოფიცერი, რომლებიც სერიოზულად იყვნენ დაკავებული პოლიტიკით, წავიდა არმიიდან. მათგან ყველაზე ცნობილი გახდა ალფარსლან თურქეში – ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი. ამ პარტიას დღემდე აქვს მნიშვნელოვანი როლი თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ მან ვერც ერთხელ ვერ მოახერხა ხელისუფლებაში მოსვლა.

ცალკე უნდა განვიხილოთ თურქეთის არმიისა და ქვეყნის მთავარი პოლიტიკური მოკავშირის – აშშ-ის რთული ურთიერთობის პრობლემა. თავდაპირველად, სსრკ-ის მხრიდან მუქარის პირობებში, თურქეთის არმია მთლიანობაში დადებითად აფასებდა აშშ-თან თანამშრომლობის შესაძლებლობას. გადაიარაღების პროგრამა აკმაყოფილებდა არმიას, თუმცა ქემალიზმის იდეოლოგია, რომელსაც იზიარებდა ოფიცერთა უმრავლესობა, არ ითვალისწინებდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას. თურქეთის სამხედროებზე მნიშვნელოვნად იმოქმედა ამერიკელი სამხედროების მოქმედებამ ქვეყანაში. 1976 წლამდე, სამხედრო ბაზებს თურქეთის ტერიტორიაზე ჰქონდა ერთიანი სტატუსი. თუმცა ფაქტობრივად, მათი ფუნქციონირება მიმდინარეობდა აშშ-ის სრული კონტროლით. ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები თურქეთში სარგებლობდნენ იმუნიტეტით სასამართლო დევნისას და არ ექვემდებარებოდნენ თურქეთის იუსტიციის ორგანოების კონტროლს.

თურქეთსა და აშშ-ს შორის სამხედრო თანამშრომლობა რეგულირდებოდა მთელი რიგი ორმხრივი შეთანხმებებით, რომლებიც აწესებდა კონტროლს სამხედრო ხასიათის ნაგებობებზე, ტექნიკის და შეიარაღების მოწოდებაზე, თურქული თავდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე, ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების სტატუსზე და სხვ. 1969 წლის 3 ივლისს ხელი მოეწერა თურქულ-ამერიკულ შეთანხმებას თანამშრომლობაზე ერთობლივი თავდაცვის შესახებ, რომელიც აერთიანებდა ყველა ადრე დადებულ შეთანხმებას. ამ დოკუმენტით მთელი რიგი სამხედრო ობიექტები გადადიოდა თურქეთის კონტროლის ქვეშ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტები რჩებოდა ერთობლივ მმართველობაში, ფაქტობრივად ვაშინგტონის კონტროლქვეშ. არმია დაინტერესებული იყო სტაბილურობით და მხარს უჭერდა ხელშეკრულებათა ხელმოწერას, რადგანაც აშშ-ზე პირდაპირ იყო დამოკიდებული გადაიარაღების პროგრამის დაფინანსება, ხელფასების სიდიდე და ოფიცრების უცხოური მივლინებები.

1968 წელს საფრანგეთში მიმდინარე მოვლენებს თურქეთში გამოეხმაურენ მასობრივი სტუდენტური დემონსტრაციებით, მზარდი საგაფიცვო და პროფკავშირული მოძრაობით. ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლო ლეგალურად ხელისუფლებაში მოსვლა, იყო ლიბერალური *სამართლიანობის პარტია*, რომლის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ ნაციონალისტები (რომელთა პოლიტიკური გავლენა შეზღუდული იყო) და აკრძალული მემარცხენეეები და ისლამისტებიც. 1970 წელს თურქეთში შეიმჩნევოდა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ვარდნა, საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ზრდა, ნაციონალური ვალუტის დევალვაცია. მსხვილ ქალაქებში, არაკონტროლირებადი მიგრაციის გამო, ჩამოყალიბდა ქალაქის ღარიბთა რაიონები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ბრძოლაში ექსტრემისტების მხარეზე – უკიდურესი მემარცხენეები, ნაციონალისტები, ქურთი სეპარატისტები (Ahmad, 2002: 144-147).

1971 წელს, არასტაბილურობის აღსაკვეთად, არმიამ გადაწყვიტა კიდევ ერთი სამხედრო გადატრიალების მოწყობა, ხოლო მოცემულ შემთხვევაში – წარსულის შეცდომების გათვალისწინებით. უნდა

აღინიშნოს, რომ 1970 წლისათვის სამხედრო წრეებში მოხდა განსაზღვრული პოლიტიკური ტრანსფორმაცია. ფონდის წყალობით, რომლის სათავეშიც უმაღლესი ოფიცრები იდგნენ, გაიზარდა უმცროსი ოფიცრების ნდობა ხელმძღვანელობისადმი, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა ანტისამთავრობო გამოსვლებს. თუ 1960 წლის გადატრიალებას ხელმძღვანელობდა ოფიცრების საშუალო რგოლი ანუ ოფიცრები, რომლებიც იდგნენ რადიკალურ პოზიციებზე, 1971 წელს ორგანიზატორებს შორის შეიძლება გამოვყოთ უკვე სამი ჯგუფი: პირველი შედგებოდა ოფიცრებისაგან, რომლებიც იდგნენ ნაციონალური ერთობის კომიტეტის რადიკალურ პოზიციებზე – პოლიტიკური ნეიტრალიზმი, სამხედრო ადმინისტრაციისათვის ხელისუფლების შენარჩუნება გადატრიალების შემდეგ. 2. მეორე ჯგუფი იყო იდეოლოგიურად ახლოს კონსერვატორებთან და გამოვიდა მოთხოვნით, რომ გადატრიალების შემდეგ ხელისუფლება გადასცემოდა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას და 1961 წლის კონსტიტუციის შენარჩუნებით. 3. მესამე ჯგუფი მჭიდროდ იყო დაკავშირებული OYAK თან და მსხვილ კაპიტალთან და გამოდიოდა 1961 წლის კონსტიტუციაში ანტიდემოკრატიული ცვლილებების შესატანად, რადიკალების წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარების მოთხოვნით და მხარს უჭერდა სამართლიანობის პარტიას. ფაქტობრივად, ბოლო ჯგუფი არმიის როლს ხედავდა რადიკალური ოპოზიციის ლიკვიდაციაში და სამართლიანობის პარტიის დახმარებაში ლიბერალური სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების გასატარებლად. სწორედ ოფიცრების ეს ჯგუფი აღმოჩნდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სათავეში (Zürcher, 2003: 258-259; Ahmad,2002: 148-152).

თავდაპირველად სამივე ჯგუფი მუშაობდა ერთად. ამასთან, უმაღლესი რანგის ოფიცრები ყურადღებას ამახვილებდნენ სამხედრო იერარქიის და დისციპლინის დაცვის აუცილებლობაზე, რაც ზღუდავდა რადიკალების შესაძლებლობებს. 1971 წლის მარტის დასაწყისში მეორე და მესამე ჯგუფის ერთობლივი მოქმედების წყალობით, რადიკალები გააძევეს გადატრიალების ორგანიზატორთა შემადგენლობიდან, ხოლო 12 მარტს სამხედროებისათვის ხელისუფლების გადაცემაზე მემორანდუმის გამოცხადების შემდეგ, 100-ზე მეტი რადიკალური შეხედულებების ოფიცერი გაუშვეს შორეულ გარნიზონებში.

1960 წლის მოვლენებისაგან განსხვავებით, 1971 წლის 12 მარტის გადატრიალება განხორციელდა არა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ რადიკალების წინააღმდეგ – როგორც სამოქალაქოების, რომლებიც ხელს უწყობდნენ შიდაპოლიტიკურ არასტაბილურობას, ასევე სამხედროების, რომელთა შეხედულებები მხარდაჭერით სარგებლობდა არმიაში, ახალგაზრდა ოფიცრების მნიშვნელოვან ნაწილში. ფონდის დაარსებით და აშშ-თან კავშირების განმტკიცებით, თურქეთის გენერალიტეტი აღმოჩნდა დაინტერესებული თურქეთის განვითარებაში არსებული კურსის შენარჩუნებით. ეკონომიკაში არმიის ინტერესები ემთხვეოდა მსხვილი კაპიტალის ინტერესებს, რომელიც წარმოდგენილი იყო სამართლიანობის პარტიის პოლიტიკურ სფეროში. სწორედ ამიტომ მეჯლისი, რომელშიც სამართლიანობის პარტიას ეკუთვნოდა ადგილების უმრავლესობა, არ იქნა გაშვებული, ხოლო ეჯევითი – სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, გადადგა გადატრიალების საპასუხოდ.

1971წ. „პროსამთავრობო“ გადატრიალებამ ფაქტობრივად განუმტკიცა ხელისუფლება თურქეთის ეკონომიკურ ელიტას, თუმცა არმია შეეცადა გაეწმინდა პოლიტიკური არენა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც სთავაზობდნენ მემარჯვენე ლიბერალური კურსის ალტერნატივას.

1971 წლის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები ეხებოდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს როლის გაზრდას პოლიტიკაში და პრესის და უნივერსიტეტის თავისუფლების ხარისხს. გადატრიალებაში დამარცხებული აღმოჩნდნენ მემარცხენეები: მუშათა მოძრაობა, პროფკავშირები. მორატორიუმი გამოცხადდა გაფიცვებზე, 11 პროვინციაში (67-დან) – ძირითად ინდუსტრიულ ცენტრებში (მათ შორის სტამბულში, იზმირსა და ანკარაში) და ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთში, სადაც ყველაზე მეტად აქტიურობდნენ ქურთი ნაციონალისტები – შემოღებულ იქნა სამხედრო მდგომარეობა (მისი განახლება ხდებოდა ყოველ ორ თვეში მომდევნო ორი წლის განმავლობაში); დაარსდა *სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოები* (*Devlet Güvenlik Ahkemesi*), რომლებმაც გაასამართლა 3000 ადამიანზე მეტი, ვიდრე ისინი გაუქმდებოდა 1976 წელს; სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გაიყინა ფასები, რაც ნეგატიურად აისახა გლეხობის კეთილდღეობაზე. ფაქტობრივად განადგურდა რადიკალური ფრთა არმიაში. გადატრიალების შედეგად, სამხედრო წრეების მრავალმა წარმომადგენელმა, ძირითადად გადამდგარმა სამხედროებმა, დაიკავეს წამყვანი პოზიციები მსხვილ ბიზნესში, ასევე პრესაში და უნივერსიტეტებში. საზოგადოებაში და პოლიტიკაში არმიის როლის ზრდასთან ერთად შეიმჩნეოდა დანახარჯების მკვეთრი ზრდა შეიარაღებაზე, რომელსაც იძენდნენ აშშ-ში (Zürcher, 2003: 259-260; Ahmad, 2002: 151-153).

თურქული არმიის პროამერიკულად განწყობილი ნაწილისათვის სერიოზული გამოცდა გახდა 1974 წლის კვიპროსის კრიზისი. აშშ აქტიურად არ უჭერდა მხარს კონფლიქტის არც ერთ მხარეს, ნატო-ს

ბლოკის შიგნით განხეთქილების შიშის გამო. თუმცა ასეთი პოზიცია მიუღებელი აღმოჩნდა როგორც თურქებისათვის, ისე ბერძნებისათვის. შედეგად, საბერძნეთი გამოვიდა ნატო-ს სამხედრო სტრუქტურიდან, ხოლო თურქეთი გარკვეული დროით აღმოჩნდა იარაღის მიწოდებაზე ამერიკული ემბარგოს მოქმედების ქვეშ (1975 წლის 5 თებერვლიდან – 1978 წლამდე). ამან რამდენადმე შეცვალა მრავალი თურქი ოფიცრის შეხედულება აშშ-თან მიმართებაში, როგორც თურქეთის საიმედო მოკავშირესთან. ფაქტობრივად, 1974 წლიდან თურქეთის არმიამ და ხელისუფლებამ აჩვენეს, რომ შეუძლიათ გადადგან დამოუკიდებელი ნაბიჯები საერთაშორისო პოლიტიკაში. ქვეყნის პოლიტიკურმა ელიტამ დაალაგა პრიორიტეტები: პირველ ადგილზე ეროვნული ინტერესები, მეორეზე – დასავლური ცივილიზაციის, ნატო-ს ან აშშ-ის მოკავშირეების საერთო სიკეთე (Zürcher, 2003: 275-276; Ahmad, 2002: 164-165, 175-176).

1980 წელს, 12 სექტემბერს (04.30 სთ-ზე), მოხდა მორიგი სამხედრო გადატრიალება, რომელიც თავისი მასშტაბებით არ ჩამორჩებოდა 1960 წლის მოვლენებს, თუმცა თავისი მიზნებით უფრო ახლოს იყო 1971 წლის გადატრიალებასთან. გადატრიალების მიზეზები გახდა არა არმიასა და ხელისუფლებას შორის უთანხმოება ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე, არამედ ხელისუფლების უუნარობა შეენარჩუნებინა წესრიგი, რაც იქნებოდა ქვეყნის სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გარანტი და შესაბამისად, სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფა სამხედრო ხელმძღვანელობისათვის შეიარაღებული ძალების ურთიერთდახმარების ფონდიდან.

1980 წელს ქვეყანაში გართულდა პოლიტიკური ვითარება მძიმე ეკონომიკური კრიზისის ფონზე. თითქმის ყოველდღიურად ხორციელდებოდა პოლიტიკური მკვლელობები.[24] ქვეყანაში იყო დიდი რაოდენობით იარაღი – გადატრიალების შემდეგ ამოიღეს 734,000 ერთეული იარაღი, რომელთა შორის იყო 7000 ტყვიამფრქვევი და 48,000 შაშხანა და ავტომატი (Mango, 2004: 81; Hale, 1996: 214-215). განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ შარიათის შემოღების მომხრეები, რომელთაც აფინანსებდნენ სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ისლამური ფონდები. მათი მიმდევრების რიცხვი გაზარდა საერთაშორისო მოვლენებმა – საბჭოთა არმიის შეჭრამ ავღანეთში და ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ ირანში (1979). ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად გაიზარდა მემარცხენე ძალთა გავლენა, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა თურქეთის რევოლუციური პროფკავშირები. მემარცხენეებს დაუპირისპირდნენ უკიდურესი ნაციონალისტები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ნაციონალისტური მოძრაობის პარტიასთან. 1978 წელს ქურთისტანის მუშათა პარტიის ჩამოყალიბებასთან ერთად მოხდა სეპარატისტული განწყობილებების რადიკალიზაცია ქვეყნის ქურთულ რეგიონებში. მაგრამ არც ერთ ლეგალურ პოლიტიკურ ძალას არ შეეძლო ჩამოეყალიბებინა ერთპარტიული მთავრობა და დიდი ძალისხმევა იხარჯებოდა კონკურენტებთან ბრძოლაზე. ამ პირობებში მხოლოდ არმიას შეეძლო დაემყარებინა ქვეყანაში სტაბილურობა, არ დაეშვა რევოლუციური სიტუაცია და სახელმწიფოს შესაძლო დაშლა, სამოქალაქო ომის თავიდან აცილება (Ahmad, 2002: 181-185).

სამხედრო ხელმძღვანელობა, გენერალ ჯემალ გურსელით სათავეში, არასტაბილურობის ძირითად მიზეზებს ხედავდა არა საზოგადოებაში მიმდინარე ობიექტურ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში, არამედ 1960 წლის კონსტიტუციის გადაჭარბებულ დემოკრატიულობაში. ისევე, როგორც 1960 და 1971 წელს, სამხედროებს შორის იყო განსხვავებული აზრი ქვეყანაში სიტუაციის დარეგულირებაზე. სამხედრო წრეებში დიდი იყო ნაციონალისტების და მათი ლიდერის ა. თურქეშის გავლენა, რომელსაც შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა თვლიდა უწესრიგობის ერთ-ერთ ორგანიზატორად (Birand, 1987: 93-94).

1987 წლის 2 ივლისს პრეზიდენტმა ევრენმა 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებასთან დაკავშირებით შენიშნა:

„შეიარაღებული ძალები არ აწყობენ გადატრიალებას, როცა მათ მოესურვებათ ეს. ისინი აკეთებენ ამას მხოლოდ ხალხის მოწვევით. ხალხს სურდა 12 სექტემბრის [გადატრიალება]. მან აიძულა [არმია ემოქმედა]. გადატრიალება მოხდა დიდი ძალდატანებით. რომ ყოფილიყო მიზეზი, ჩვენ არ დავიცდიდით 12 სექტემბრამდე“ (ციტ. Ahmad, 1993: 214).

1980 წლის 12 სექტემბრის გადატრიალების შემდეგ შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა მიისწრაფოდა შეენარჩუნებინა თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა, მისი საგარეო პოლიტიკური

24 1980 წლის ზაფხულიდან მოყოლებული ყოველთვიურად საშუალოდ 183 ადამიანი იღუპებოდა პოლიტიკური დაპირისპირებების შედეგად. გადატრიალების შემდეგ, გენერალმა ევრენმა აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე დაიღუპა 5241 ადამიანი და 14,152 დაიჭრა (McFadden, 1985: 70).

ორიენტაცია და სამოქალაქო რეჟიმი, თუმცა ამის პარალელურად უნდა მოეხდინა პოლიტიკური წყობის მოდერნიზაცია დემოკრატიის შეზღუდვისა და არმიის როლის გაზრდის მიმართულებით. ყველა პოლიტიკური პარტია აიკრძალა, ქვეყანაში იყო მასობრივი დაპატიმრებები პოლიტიკური მოტივით.[25] 1960 წლის კონსტიტუცია შეიცვალა, მის ნაცვლად, 1982 წლის 7 ნოემბერს, მიიღეს ახალი, რომლის თანახმად ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს[26] ენიჭებოდა განსაკუთრებული უფლება სახელმწიფოს მმართველობაში თურქეთის *ეროვნული კრების* მოწვევამდე. კონსტიტუციის თანახმად, პოლიტიკური პარტიების საქმიანობა შეზღუდული იყო. სტუდენტებს, სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო მოსამსახურებს ეკრძალებოდათ პოლიტიკური პარტიების წევრობა. პარტიის ხელმძღვანელებს, რომლებიც დაითხოვეს გადატრიალების შედეგად, ეკრძალებოდათ მონაწილეობა პოლიტიკურ საქმიანობაში (Shambayati, 2008: 101-102; Karabelias, 1999: 130-151).

„1980 წლის გადატრიალებას მოჰყვა კიდევ ერთი, მოულოდნელი, შედეგი. მისი მარცხის შედეგად გამოჩნდა ყველაზე დინამიური პოლიტიკური ლიდერი, რაც კი უნახავს თურქეთს ათათურქის შემდეგ. მხოლოდ დღეს, მისი გარდაცვალებიდან წლების შემდეგ, ნათელია, რა სიღრმისეულად შეცვალა მან თურქეთი. ქალაქები, სადაც თურქუთ ოზალი გაიზარდა, მალათია, მერსინი, მარდინი და კაისერი – ანატოლიის შუაგულის ნამდვილ რუკას მოიცავს. **1983 წელს ის გახდა პრემიერ-მინისტრი, გ**ენერლების ცდების მიუხედავად, ხელი შეეშალათ მისი არჩევნებისათვის. ყველგან შეარყია ტაბუ, სადაც შეიძლებოდა. ოზალმა კვლავ მოაწყო რევოლუცია თურქეთის სახელმწიფოში. „მან გახსნა ყველა კარი და ფანჯარა თავის სახლში," – აღფრთოვანებით მითხრა ერთმა ამერიკელმა ელჩმა თურქეთში. ერზე, რომელსაც ოზალი ჩაუდგა სათავეში **1983 წელს, პოლიტიკურად გაბატონებული იყვნენ გენერ**ლები, ხოლო ეკონომიკურად – კოსმოპოლიტურ სტამბოლში დაფუძნებული მცირერიცხოვანი, სეკულარული და „თანამედროვე" ინდუსტრიალისტები. რეჟიმი მათ ხელს უწყობდა სუბსიდირებით, იცავდა კონკურენციისაგან მაღალი ტარიფებით და ანტიკონკურენტული რეგულაციებით აჯილდოვებდა მათ ლოიალობისათვის სამთავრობო კონტრაქტებით. ...პრემიერ-მინისტრ ოზალმა შეარყია ამ ელიტის ძალაუფლება სუბსიდირების რეჟიმის დანგრევით, სახელმწიფო კომპანიების გაყიდვით, კრედიტების მისაწვდომობის დემოკრატიულობით და ჩვეულებრივი თურქების დაუღალავად წახალისებით, რომ დაეწყოთ ბიზნესი. მილიონებმა ეს გააკეთეს. 1990-იან წლებისათვის შეიქმნა სრულიად ახალი კლასი, რომელსაც სურდა არა მარტო ღია ეკონომიკა, არამედ უკეთესი ურთიერთობა ევროპასთან, სადაც მათ მომგებიანი საექსპორტო ბაზარი ნახეს."

„თურქული ეკონომიკის რევოლუციური გარდაქმნის გარდა, ოზალმა პოლიტიკური ტაბუ მოხსნა. როდესაც სამხედრო შტაბის მეთაური გადადგა, რადგანაც არ დაეთანხმა მას თურქეთის მონაწილეობაზე 1991 წელს ყურის ომში, ოზალმა უარი თქვა სამხედროების დასახელებულ ახალ კანდიდატზე და აირჩია საკუთარი, ანუ გააკეთა ის, რაც თურქეთის პრემიერს არასოდეს გაუბედავს ადრე... ის იყო პირველი თანამედროვე თურქი ლიდერი, რომელმაც აღიარა, რომ ქურთები ცხოვრობენ თურქეთში და წარმოადგენდნენ განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს და განაცხადა, რომ თვითონ არის ნაწილობრივ ქურთი. ღიად აღიარა ნაკშბანდიას სუფიური ორდენი, რომელიც, ათათურქმა აკრძალა 1920-იან წწ. ის ფიქრობდა სომხებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზეც და ერთხელ იკითხა: „რა მოხდება, თუ ჩვენ ვცნობთ გენოციდს?" (Kinzer, 2008: 16-17).

აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობის საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნაბიჯებზე. საგარეო პოლიტიკის სფეროში სამხედროები დაუბრუნდნენ მჭიდრო თანამშრომლობას ნატო-სთან და აშშ-თან (Поцхверия, 1986: 182). **1982 წელს თურგუთ ოზა**ლი გამოიყვანეს მთავრობის შემადგენლობიდან, ფინანსური პირამიდების მასობრივ გაბანკროტებაში მონაწილეობისათვის. ამან საშუალება მისცა ჩამოშორებოდა ეროვნული უშიშროების საბჭოს, შეექმნა საკუთარი პარტია – დედასამშობლოს პარტია.

დედასამშობლოს პარტიამ გამარჯვება მოიპოვა გადატრიალების შემდეგ პირველ დემოკრატიულ არჩევნებში **1983 წელს, რაც განპირობებული იყო სამხედროების პოლიტიკით 1980-1983 წლებში. ძვე-**

25 სულ დაპატიმრებულ იქნა 180,000 ადამიანზე მეტი, რომელთაგან 42,000-ს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯა.

26 **1982 წლის კონსტიტუციის (მუხლი 118) შესაბამისად, განისაზღვრა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევ**რობა და მათი მოვალეობები. საბჭოში უნდა შედიოდეს: პრემიერ-მინისტრი; გენერალური შტაბის თავმჯდომარე; ეროვნული თავდაცვის, შინაგან და საგარეო საქმეთა მინისტრები; არმიის, საზღვაო ძალების და საჰაერო ძალების მეთაურები, ჟანდარმერიის გენერალური მეთაური, რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. მინისტრები და სხვა მოხელეები შეიძლება მიწვეულ იქნენ საჭიროებისამებრ და მოისმინონ მათი აზრი (Shambayati, 2008: 101).

ლი პოლიტიკური პარტიები აიკრძალა, ხოლო მათ ლიდერებს ეკრძალებოდათ პოლიტიკური საქმიანობა. მრავალი პარტია არ იქნა დაშვებული არჩევნებზე, რადგანაც **1982 წელს კონსტიტუციის მიღების** შემდეგ, პარტიების იურიდიული გაფორმების წესები გამკაცრდა და მკაცრად კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ. არჩევნებზე დაშვებულ იქნა მხოლოდ 3 პარტია, რომელთაგან დედასამშობლოს პარტია ფორმალურად დამოუკიდებლად ითვლებოდა სამხედროებისაგან, დანარჩენი ჩამოყალიბებული იყო სახელმწიფოს დახმარებით. არჩევნების წინ კ. ევრენმა საჯარო რეკომენდაცია გასცა – არ მიეცათ ხმა დედასამშობლოს პარტიისათვის, რადგანაც გაიგო ამ პარტიის მომხრეთა მნიშვნელოვან ზრდაზე, რის შედეგადაც მას ხმა მისცა სამხედრო დიქტატურის ყველა მოწინააღმდეგემ.

თუმცა, როგორც აღნიშნავს მრავალი მკვლევარი, დედასამშობლოს პარტია და სამხედრო ხელმძღვანელობა კარგად იყო ერთმანეთთან. არმიის მკაცრი ღონისძიებები – პროფკავშირების ორგანიზაციებისა და მემარცხენე პარტიების უმრავლესობის აკრძალვა, მუშათა კლასისათვის გაფიცვის უფლების ჩამორთმევა, აწყობდათ ლიბერალებს, თურგუთ ოზალის ხელმძღვანელობით. პრემიერ-მინისტრს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ისლამთან, რაც არ მოსწონდათ ლაიცისტებს. შეიმჩნეოდა არმიის უპრეცედენტო დაახლოვება ისლამთან. ტრადიციულად სამოქალაქოდ განწყობილი სამხედროები, რომელთა ხელში იყო ფაქტობრივად ხელისუფლება, იწონებდნენ იმამ-ხატიბების ახალი ლიცეუმების გახსნას, ახალი მეჩეთების მშენებლობას. პრეზიდენტი, გენერალი კ. ევრენი, თვითონ ხშირად იყენებდა რელიგიურ ლექსიკონს. თურგუთ ოზალის ლიბერალური რეფორმების პერიოდში ისლამი ასრულებდა „უსაფრთხოების ბალიშის“ როლს, მაგრამ ისლამური ნორმები არ ვრცელდებოდა ეკონომიკაზე, რომელიც აგებული იყო პროცენტიან კრედიტებზე, რასაც კატეგორიულად უარყოფს ისლამი.

უნდა აღინიშნოს, რომ **1980 წლის გადატრიალების შემდეგ, სამხედროები ყველაზე დიდხანს დარჩნენ** ხელისუფლებაში – თავდაპირველად როგორც ეროვნული უსაფრთხოების საბჭო (1980-1983) და შემდეგ როგორც პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭო (1983-1989) (Ahmad, 2002: 214).

XXს. 90-იან წლებში მოხდა პოლიტიკური ისლამის პოზიციების მკვეთრი გაძლიერება. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება ძირითადად ეკუთვნოდათ საიმედო გზის პარტიისა და დედასამშობლოს პარტიის ლიბერალებს, რელიგიური კონსერვატორების უცვლელი ლიდერი ნ. ერბაქანი ხელმძღვანელობდა პარტიას, რომელიც ყველა არჩევნებზე იღებდა ამომრჩეველთა სულ უფრო მეტ ხმებს. ბოლოს, 1995წ. *კეთილდღეობის პარტიამ* გაიმარჯვა მისი რეფორმების შედეგად. თუმცა, ის არ იმსახურებდა სამხედროების ნდობას.

1997 წლის 28 თებერვალს ჩატარდა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა. სამხედროებმა მთავრობას შესთავაზეს ანტიისლამური ღონისძიებების სია (*მემორანდუმი*), რომელიც **18 პუნქტისაგან შედ**გებოდა და მიზნად ისახავდა სეკულარიზმის დაცვას. ძირითადი მოთხოვნები ეხებოდა ისლამური პარტიების საქმიანობის შეზღუდვას, იმამ-ხატიბების სკოლების დახურვას,[27] სახელმწიფო სკოლებში 8 წლიანი სავალდებულო განათლების შემოღებას და სხვა. ნ. ერბაქანმა ამგვარ განცხადებას არაკონსტიტუციური უწოდა და სამხედროების ზეწოლის განეიტრალების მიზნით დაიწყო კონსულტაციები ოპოზიციურ ძალებთან. **13 მარტს კაბინეტმა მიიღო ეს რეკომენდაციები, მაგრამ არაფერი არ შეას**რულა იმ მოთხოვნებიდან. 6 კვირის შემდეგ სამხედროებმა კვლავ წაუყენეს ეს მოთხოვნები, ახლა უკვე ულტიმატუმის ფორმით. ამის შემდეგ დაიწყო ღია ბრძოლა სამართლიანობის პარტიასა და სამხედროებს შორის. სამხედროებმა მოახდინეს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის მობილიზაცია მთავრობის წინააღმდეგ და 21 მაისს ჩამოაყალიბეს „ფრონტი სეკულარიზმისათვის“. იმავე დღეს ანკარაში უზენაესი სასამართლოს პროკურორმა ვურალ სავაშმა მოითხოვა პარტიის დახურვა. მან დაადანაშაულა პარტია რელიგიის პოლიტიზაციაში, ლაიციზმის პრინციპის დარღვევაში, რაც განმტკიცებულია ქვეყნის კონსტიტუციით. **5 დღის შემდეგ არმიიდან დაითხოვეს 161 ოფიცერი და გადამდგარი ოფი**ცერი. ივნისში არმიამ დაიწყო ბრიფინგების მოწყობა ჟურნალისტებისა და მოსამართლეებისათვის, სადაც საუბარი იყო ფუნდამენტალიზმის საფრთხეებზე. არმიამ წარმატებას მიაღწია – 1997 წლის 18 ივნისს ერბაქან-ჩილერის მთავრობა გადადგა[28] და ის შეცვალა სამი პარტიისაგან შემდგარმა კოლა-

27 არმიის განცხადებით, ამ სკოლების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა: 398 – 1982წ., 497 – 1993წ. და 609 – 1997წ. ხოლო ამ სკოლების კურსდამთავრებულთა ოდენობამ მხოლოდ 1996 წელს 43,000-ს (Jenkins, 2007: 346).

28 ინგლისელი ჟურნალისტი ჰარეტ ჯოუნსი წერდა: „28 თებერვლის მემორანდუმიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ტანკებისა და ჭურვების გარეშე და საზოგადოების ფართო მხარდაჭერით, არმიამ აიძულა ერბაქანი გადამდგარიყო“ (Jones, 2007). „ასე ჩაიშალა ერბაქანის იმედები, რომელიც არაერთხელ აცხადებდა, რომ კეთილდღეობის პარტია და საიმედო გზის პარტია იქნებოდნენ 2000 წლამდე“ (Milliyet, 15.06.1997).

იციამ. 9 წლის შემდეგ ეს მოვლენები შეფასდა, როგორც „პოსტმოდერნისტული სამხედრო გადატრიალება“ ან „პირველი პოსტმოდერნისტული გადატრიალება.“[29] საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით დაიხურა კეთილდღეობის პარტია, ხოლო ნ. ერბაქანს 5 წლით აეკრძალა პოლიტიკური საქმიანობა. ასევე იქნა გაშვებული კეთილდღეობის პარტიის მემკვიდრე – სათნოების პარტია 2001 წლის 22 ივნისს (ბატიაშვილი, 2000: 31; Егоров, 2005: 140-141; *Milliyet*, 22.05.1997).

რეჯებ თაიფ ერდოღანი

2002 წ. მოსახლეობისა და არმიისათვის მოულოდნელად, გაიმარჯვა სათნოების პარტიის ერთ-ერთმა ნაწილმა – *სამართლიანობისა* და *განვითარების პარტიამ*. პარტიის ლიდერია სტამბულის ყოფილი მერი, რეჯებ თაიფ ერდოღანი. მან რადიკალურად გადასინჯა თავისი წინამორბედების ტრადიციული პოსტულატები, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რაც ეხებოდა თურქეთის ურთიერთობას ევროკავშირთან, მსოფლიო სავალუტო ფონდთან, რუსეთთან. თავისი პარტია ერდოღანმა შეადარა ევროპაში ქრისტიანულ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც ცნობილი გახდა თავისი ზომიერებით და დემოკრატიის მხარდაჭერით.

პარტია შეგნებულად ცდილობდა თავი აეცილებინა არმიასთან და სამოქალაქო წრეებთან კონფლიქტისათვის და არ მოითხოვდა ისეთი კანონების მიღებას, რაც მიუღებელი იყო პოლიტიკური ოპონენტებისათვის. მმართველობის პირველ პერიოდში მთვარობას არ უცდია კონსერვატიული რეფორმების გატარება. თუმცა იმავე დროს მოხდა ქვეყნის კანონმდებლობის შეცვლა ევროპული მოდელით, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც ეხებოდა არმიის როლს პოლიტიკაში: გაუქმდა აუცილებელი პირობა – ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივანი ყოფილიყო მოქმედი გენერალი (პირველი სამოქალაქო პირი გენერალურ მდივნად დაინიშნა 2004 წლის ოქტომბერში) და მისი შეუზღუდავი უფლება შესულიყო ნებისმიერ სამოქალაქო ორგანიზაციაში ან ხელისუფლების ორგანოებში უშიშროების საბჭოს რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით; სამდივნოში დანიშვნის წესები უფრო გამჭვირვალე გახდა და გაიზარდა სამოქალაქო პირთა რიცხვი; შეიცვალა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომების რეგულარობა – თვეში ერთხელ მოწვევის ნაცვლად, ახლა უნდა ჩატარდეს თვეში ორჯერ, რამაც გაართულა გენერალური შტაბისათვის გამოიყენოს უშიშროების საბჭო სამოქალაქო ხელისუფლებაზე ზეწოლისათვის.

2002 წლის 28 აგვისტოს თურქეთის გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა ჰილმი ოზკოკი (2002-2006)[30], რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა არმიის პოლიტიკაში ჩარევის მართებულობა და განაცხადა:

„არმია გამოვიდა 27 მაისს, 12 მარტს და 12 სექტემბერს. იყო კი ეს გამოსვლები წარმატებული? არა! ისინი წარმატებული რომ ყოფილიყო, პოლიტიკოსები, რომლებიც ჩამოაცილეს პოლიტიკურ საქმიანობას, ვეღარ შეძლებდნენ პოლიტიკაში დაბრუნებას. ისინი, ვისაც აეკრძალა პოლიტიკური საქმიანობა, მოგვიანებით გახდნენ პრემიერ-მინისტრები და რესპუბლიკის პრეზიდენტი. ეს აჩვენებს, რომ არმიის ჩარევა პანაცეა არ არის. დღევანდელი დღიდან დაწყებული, ჩვენ უფრო მეტად უნდა დავუჯეროთ ხალხის შეფასებას“ (Hurriyet, 27.08.2003).

ოზკოკის აზრით, საჭიროა ათათურქიზმის რეინტერპრეტაცია – „ადამიანი არ შეიძლება იყოს ათათურქისტი მხოლოდ იმის გამო, რომ ის ატარებს სამკერდე ნიშანს ათათურქის გამოსახულებით. მას უნდა შეეძლოს ხედვა იმავე მიმართულებით, საითაც ათათურქს და ჰქონდეს წინასწარგანჭვრეტის ისეთივე უნარი, როგორიც ჰქონდა ათათურქს“ (Heper, 2006: 75).

29 ამერიკელმა თურქოლოგმა ზეინო ბარანმა ამას „პოსტმოდერნისტული ჩარევა“ უწოდა (Yeni Şafak, 28.11.2006).

30 უნდა აღინიშნოს, რომ ოზკოკის დანიშვნამდე ამ თანამდებობაზე, აზრთა სხვადასხვაობა იყო მის კანდიდატურასთან დაკავშირებით. განსაზღვრულ ეჭვს იწვევდა ორი გარემოება: 1. თავისი სამხედრო კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი გენერალმა ოზკოკმა გაატარა საზღვარგარეთ – ნატო-ს აპარატში სხვადასხვა თანამდებობებზე. ამიტომ გაჩნდა კითხვა – თავს გაართმევდა თუ არა საშინაო პოლიტიკის რთულ საკითხებს და შეძლებდა თუ არა ის არმიის ინტერესების დაცვას სამოქალაქო ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში; 2. ცნობილი გახდა, რომ ის იყო მორწმუნე მუსლიმი, რომელიც იცავდა მარხვას და ამის გამო ერთხელ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაც შეწყვიტა, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წევრებთან ერთად. თუმცა არავინ იცოდა, მოახდენდა თუ არა ეს გავლენას მის ვალდებულებაზე – დაეცვა ლაიციზმი (*Milliyet,* 11.04.2007).

თურქეთის საგარეო პოლიტიკაში პარტიის ერთ-ერთი პრიორიტეტია ევროკავშირში შესვლა, რისთვისაც აუცილებელია ქვეყნის კანონმდებლობის ევროპულ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ ნორმების შესაბამისად, არმია ჩამოცილებულ უნდა იქნეს პოლიტიკური ცხოვრებიდან, ხოლო კონსტიტუციური შეზღუდვები, დაკავშირებული რელიგიის ადგილთან პოლიტიკურ ცხოვრებაში, უნდა მოიხსნას. წინამორბედებისაგან განსხვავებით, სამართლიანობისა და განვითარების პარტიას აწყობდა ამ ტიპის ევროპული რეფორმები. რელიგიური ცხოვრების დემოკრატიზაცია და ლიბერალიზაცია მისაღები იყო პირველ რიგში მუსლიმური უმრავლესობისათვის, რომელიც მხარს უჭერდა სამართლიანობისა და განვითარების პარტიას. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ფაქტობრივად გადაუკეტა გზა თურქეთს ევროკავშირისაკენ და ამ იდეის მხარდაჭერა ქვეყნის მოსახლეობაშიც შემცირდა ერთნახევარჯერ (2001 წელს 75%-დან 57%-მდე 2004 წელს). თუმცა არმიის როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში რეფორმების წყალობით მნიშვნელოვნად დაეცა.[31]

აბდულა გული

2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ წამოაყენა აბდულა გულის კანდიდატურა, რომელსაც მხარს უჭერდა საპარლამენტო უმრავლესობა. ეს პოლიტიკოსი, თავისი ისლამური შეხედულებების გამო, აბსოლუტურად მიუღებელი იყო არმიისათვის.[32] კონსტიტუციურმა სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო ძალების კონტროლქვეშ იყო, მიაღწია გულის კანდიდატურის უკუგდებას და ვადამდელ არჩევნებს მეჯლისში. თუმცა ასეთი ზეწოლის გამო სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ მიიღო ამომრჩეველთა ერთნახევარჯერ მეტი მხარდაჭერა 2007 წლის არჩევნებზე. აბდულა გული გახდა პრეზიდენტი.

თურქეთში სამოქალაქო ძალების ძირითადი დასაყრდენი გახდა არმია, რომლის გარშემოც გაერთიანდა ერდოღანის მთავრობის ყველა მოწინააღმდეგე. სამხედრო და სამოქალაქო ძალებს შორის იყო დაპირისპირება. ძირითადად ეს არის დაპირისპირება ლაიციზმისა და ისლამიზმის მომხრეებს შორის. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული სამხედროები თავს თვლიდნენ შიდა სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობის, ათათურქის იდეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის გარანტად. საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, რომელთაც შეზღუდეს არმიის პოლიტიკური როლი, არმიის ვალდებულებები უცვლელი რჩება უკვე 70 წლის მანძილზე. სახელმწიფოს შიგნით არმია არის სრულიად ავტონომიური ინსტიტუტი, მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამოტანისას, და როგორც „სახელმწიფო სუვერენიტეტის მცველი“ აკონტროლებს პოლიტიკურ ხელისუფლებას. „ტერმინი“ სამხედრო პატრონაჟის სისტემა“ საკმაოდ ზუსტად აღწერს პოლიტიკურ წყობას, რომელიც ფუნქციონირებს თურქეთში“ (Bayramolu, 2007: 7).

პირველად თანამედროვე თურქეთის ისტორიაში 2010 წლის ნოემბერში სამი გენერალი დაითხოვეს თავიანთი პოსტებიდან სამოქალაქო ხელისუფლების გადაწყვეტილებით. ბრძანებას ხელი მოაწერეს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა. ხელისუფლების განცხადებით, ყველაფერი განხორციელდა კანონის ფარგლებში: სამმა გენერალმა არ გაიარა ხელახალი ატესტაცია 2010 წლის აგვის-

31 ჯერ კიდევ 1999 წლის 18 ივნისს ცვლილება შევიდა ქვეყნის კონსტიტუციის143-ე მუხლში – „სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები,“ მათი უფლებამოსილება შემოისაზღვრა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის პერიოდით, ხოლო სამხედრო მოსამართლეები საერთოდ ჩამოაცილეს ამ სასამართლოების კოლეგიას. 2001 წლის ოქტომბერში მეჯლისმა ცვლილება შეიტანა კონსტიტუციის 118-ე მუხლში – ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში, სამოქალაქო ადმინისტრაციის წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით, ჩართო იუსტიციის მინისტრი და ერთ-ერთი ვიცე-პრემიერი. ამასთან ერთად ამოღებულ იქნა მუხლი, რომელიც ავალდებულებდა მინისტრთა კაბინეტს პრიორიტეტი მიენიჭებინა ეროვნული უშიშროების საბჭოს რეკომენდაციების განხილვისათვის. ეს მუხლი შეიცვალა მითითებით – კომიტეტი იქნება „ინფორმირებული“ მათ შესახებ. თუმცა 2006 წლის 28 აგვისტოს გენერალური შტაბის ახალმა უფროსმა, იაშარ ბუიუკანიტმა (2006-2008), უფლებამოსილებათა გადაცემის ცერემონიალზე განაცხადა: „რესპუბლიკის ფუნდამენტური პრინციპების დაცვა არ არის შიდა პოლიტიკის საკითხი, ეს არის არმიის მოვალეობა.“ ხოლო 2007 წლის 27 აპრილს პრესაში გაჩნდა არმიის განცხადება, რომ ის „შეასრულებს თავის ვალდებულებას, ე. ი. ხელში აიღებს ძალაუფლებას, თუ მთავრობა სათანადო პატივისცემით არ მოეპყრობა სახელმწიფოს ინტერესებს“ (Milliyet, 28.04.2007).

32 ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ „პრეზიდენტი სეკულარული პრინციპებისადმი ლოიალური უნდა იყოს. თუ ამირჩევენ, მე ვიმოქმედებ შესაბამისად“ (Kinzer, 2008: 182).

ტოში. თუმცა ადრე ამგვარ გადაწყვეტილებას იღებდა მხოლოდ შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბი. გენერლებმა უკვე შეიტანეს საჩივარი უმაღლეს სამხედრო სასამართლო ორგანოში. ეს გენერლები არიან აგრეთვე იმ **200 ოფიცერს შორის, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან 2003 წელს სამხედ-**რო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში (საქმე აღიძრა მხოლოდ **2010 წელს). გამოძიებამ შეთქ-**მულების თაობაზე, რომელსაც არ ადასტურებენ სამხედროები, გაამწვავა ურთიერთობა მთავრობასა და არმიას შორის. მთავრობის ქმედება არმიის მიმართ გააკრიტიკეს ოპოზიციურმა პარტიებმაც.

ექსპერტების აზრით, მთავრობამ განახორციელა კიდევ ერთი მცდელობა არმიის ფუნქციების შესამცირებლად – შეიქმნა ახალი უწყება სახელმწიფო საზღვრების დასაცავად (*საზღვრების დაცვის მთავარი სამმართველო*). საზღვრების დაცვაზე ახალი კანონი ითვალისწინებს, რომ სასაზღვრო დაცვის ხელმძღვანელობა, პირადი შემადგენლობა, ინვენტარი და ტექნიკა გენშტაბის ნაცვლად დაექვემდებაროს საზღვრების დაცვის მთავარ სამმართველოს, რომელიც სტრუქტურულად იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში. ეს საშუალებას მისცემს ახალ უწყებას გამოიყენოს მძიმე ტექნიკა და იარაღი სასაზღვრო ოპერაციების ფარგლებში და მოისმინოს სატელეფონო საუბრები სასამართლოს ნებართვის გარეშე. კანონის თანახმად, ჟანდარმერია საზღვრების დაცვას გადასცემს მთავარ სამმართველოს განსაზღვრულ ვადებში, ეტაპობრივად: მაგ., სამმართველო უხელმძღვანელებს საზღვრების დაცვას საბერძნეთთან და ბულგარეთთან 2015 წლიდან, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანთან – 2017 წლიდან, სირიასთან – 2018 წლიდან, ხოლო ირანთან და ერაყთან გადაწყდება მოგვიანებით.

რესპუბლიკური თურქეთის არმია ამჟამად წარმოადგენს საკმაოდ იდეოლოგიზირებულ ლობისტურ ჯგუფს, რომლის უფლება – ჩაერიოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩაწერილია კონსტიტუციაში. თურქეთის სამხედრო წრეების პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველი არის ნაციონალიზმი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ათათურქის იდეალებისადმი ერთგულება. თურქულ არმიას აქვს დიდი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე კომპანიების ჯგუფის სახით, რომლებიც გაერთიანებული არიან ფონდში – *ჯარის ურთიერთდახმარების ასოციაცია*. ამდენად დაინტერესებულია ჰოლდინგიდან სტაბილური შემოსავლების მიღებაში. უნდა აღინიშნოს, რომ არმია მნიშვნელოვანი პოპულარობით სარგებლობს ქვეყნის მოსახლეობაში, ამასთან არა როგორც უსაფრთხოების გარანტი, არამედ როგორც პოლიტიკური ძალა.

პროფ. ჰ. ოზდემირი ასე აფასებს არმიის როლს თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში: „12 სექტემბრის შემდეგ გადატრიალებების ეპოქა დასრულდა. ახლა სამხედროებს სხვა მიდგომა აქვთ. 1997 წლის 28 თებერვლის მემორანდუმმა აჩვენა ახალი პერიოდის დასაწყისი. 27 აპრილის [2007წ.] განცხადებამ დაგვანახა, რომ შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ სცადონ თავიანთი როლის რეალიზება კონსტიტუციური და რესპუბლიკური პრინციპების დასაცავად პრესისათვის მოკრძალებული განცხადების დახმარებით... გადატრიალებების ტრადიცია არ არის ქემალისტური, ის ეკუთვნოდათ ახალგაზრდა თურქებს. როგორც ნებისმიერი ადამიანი და ორგანიზაცია განიცდის ცვლილებას, ისევე შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა და თვითონ სამხედრო სტრუქტურები განიცდიან სერიოზულ ცვლილებებს. ამას შეიძლება ვუწოდოთ გარდაქმნა საზოგადოების ინსპექციად“ (*Milliyet*, 19.01.2008).

თურქეთი და ევროკავშირი

თურქეთის ევროკავშირში შესვლის საკითხი, რომელიც მრავალწლიანი დებატების საგანია, წარმოადგენს უფრო ფართო პრობლემის – თურქული საზოგადოების ევროპიზაციისა და ვესტერნიზაციის ნაწილს. თუ გადავხედავთ თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობას ბოლო ათი წლის განმავლობაში, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ამ პროცესის შეფერხებას. ესენია, პირველ რიგში, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. ევროკავშირის წევრობის ეკონომიკურ კრიტერიუმებში იგულისხმება საბაზრო ეკონომიკის მყარი და ეფექტური ფუნქციონირება, საბანკო სექტორის გამართულობა, ვალუტის სიმყარე, უმუშევრობის დაბალი დონე და სხვა. პოლიტიკური კრიტერიუმები კი გულისხმობს დემოკრატიულობის ხარისხს, პიროვნების სიტყვის, საკუთრების თავისუფლების გარანტირებას და ა.შ. მართალია, ევროკავშირის პრეტენზიები ძირითადად ეყრდნობა ადამიანთა უფლებების დაცვის აუცილებლობას, ასევე ეროვნული უმცირესობების საკითხს.

1987 წლის 14 აპრილს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე თურქეთის მიერ განაცხადის შე-ტანის შემდეგ ევროკავშირის კომისიამ ანგარიში წარადგინა ამ საკითხთან დაკავშირებით. მასში მითითებული იყო, რომ ქვეყნის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ ვერ დაარწმუნა კომისია იმაში, რომ თურქეთი გადალახავდა ეკონომიკური პროცესების სირთულეებს ამ ორგანიზაციაში შეს-

ვლის დროს. ასევე აღინიშნა, რომ, პოზიტიური ძვრების მიუხედავად, დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებების სფეროებში კვლავაც რჩება პრობლემები.

1989 წლის 18 დეკემბერს ევროპული გაერთიანების კომისიამ გამოაქვეყნა ორი დოკუმენტი: „კომისიის მოსაზრება თურქეთის გაერთიანებაში შესვლასთან დაკავშირებით“ და მასთან დანართის სახით მოხსენება „თურქეთის ეკონომიკა: სტრუქტურა და განვითარება“, რომელიც წარმოადგენდა თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობის ვრცელ ანალიზს, ასევე მის შედარებას საბერძნეთთან, ესპანეთთან და პორტუგალიასთან, როგორც ევროკავშირის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ წევრ-ქვეყნებთან. დოკუმენტში მითითებული იყო, რომ ევროკავშირში ნებისმიერი ქვეყნის შესვლასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დაწყება განპირობებულია ორი პრინციპით. კანდიდატ ქვეყანას უნდა შეეძლოს გაერთიანების წევრებისთვის სავალდებულო რიგი შეზღუდვების თავის თავზე აღება და იმ პრობლემების დაძლევა, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას ევროკავშირში ქვეყნების ეტაპობრივ ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ასევე აღინიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს მდგომარეობა თურქეთის, როგორც დიდი ტერიტორიისა და მზარდი მოსახლეობის მქონე ქვეყნისთვის, მაგრამ რომელიც ეკონომიკური განვითარებით მთლიანობაში გაერთიანების საერთო დონეზე დაბლა დგას.

1993 წლის ნოემბრის ბოლოს ხელი მოეწერა ასოციაციის საბჭოს ოქმს, რომელმაც განაპირობა თურქეთის გადასვლა საბაჟო კავშირის რეჟიმზე ევროკავშირის ნორმების შესაბამისი რიგი კანონების მიღებითა და მათი ამოქმედებით.

საბაჟო კავშირის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ თურქეთი მონაწილეობას არ მიიღებს ევროკავშირის მმართველ ორგანოებში და არ აქვს შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს მისაღებ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ ვალდებულია, შეასრულოს ისინი და ამ მიზნით შეცვალოს ნაციონალური კანონმდებლობა. საუბარია კონსტიტუციაში განმტკიცებული ნაციონალური სუვერენული პრინციპების შეზღუდვაზე. ამასთანავე, ევროკავშირი თავის თავზე არ იღებს ადეკვატურ ვალდებულებებს თურქეთთან მიმართებაში.

ეკონომიკური და სოციალური ასპექტებით თურქეთის პოზიცია ევროკავშირში შესვლის სხვა კანდიდატებთან შედარებით გაცილებით სუსტია. იგი ევროკავშირის შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს – ესპანეთს, პორტუგალიასა და საბერძნეთს უსწრებს მხოლოდ საერთო შიდა პროდუქტის ზრდის ტემპით, ექსპორტითა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდით. თურქეთის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე აღწევს ევროკავშირის საშუალო დონის მხოლოდ 22%-ს. ამგვარად, იგი შემოსავლების მიხედვით ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩება იმ ათ უღარიბეს ქვეყანას, რომლებიც ევროკავშირში 2004 წელს შევიდნენ.

თურქეთს ამ ეტაპზე არ შეუძლია ევროკავშირის წინაშე ეკონომიკური ვალდებულებების სრულად აღება. თურქეთის ეკონომიკის არასტაბილურობა, ინფლაციის მაღალი დონე, ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არაპროპორციულობა, ეკონომიკაში სახელმწიფოს ზედმეტი ჩარევა თურქეთს არ აძლევს სავალუტო კავშირში მონაწილეობის საშუალებას. თურქეთი ძალიან დიდი, ღარიბი, მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა უმუშევრობის დიდი მაჩვენებლით. ამას გარდა, ევროკავშირში თურქეთის შესვლის შემთხვევაში, შეიქმნება სხვა ქვეყნებში იაფი თურქი მუშახელის მასიურად გადაადგილების საფრთხე და კავშირის სტრუქტურული ფონდები იძულებული იქნებიან, მისთვის კრედიტი გასცენ. ბუნებრივია, რომ ევროკავშირის ნაკლებად განვითარებული ქვეყნები – საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია და ირლანდია – არ მოინდომებს თურქეთის კავშირში გაერთიანებას და მასთან ერთად ამ ორგანიზაციის დახმარების ფონდების გაყოფას.

1995 წლის 13 დეკემბრის ევროკომისიის მოხსენებაში ფორმულირებული იყო ძირითადი დებულებები, რომელსაც თურქეთმა ყურადღება უნდა მიაქციოს ევროკავშირში შესვლისას: 1982 წლის კონსტიტუცია, ადამიანთა უფლებების დაცვა და ქურთების საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტის ალტერნატიული გზების ძიება (Seyfi Tashan, 1997).

მთავარ წინააღმდეგობას თურქეთის დემოკრატიზაციის პროცესში წარმოადგენს პოლიტიკაში თურქი სამხედროების როლი. ქემალიზმის მიმართ ნებისმიერი საშიშროება იწვევს მძაფრ რეაქციას სამხედროების მხრიდან. სწორედ ამის გამო ისინი ისლამის პოლიტიკური როლის ზრდის წინააღმდეგაც გამოდიან, რომელიც ლაიციზმს ემუქრება და ეწინააღმდეგებიან ასევე ქურთი სეპარატისტების ქმედებებს, რომელიც თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას უქმნის საშიშროებას. თურქეთის ამჟამინდელი სიტუაცია ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების საშიშროებას არ ქმნის. მისთვის დამახასიათებელია საზოგადოებაში სამხედროების აქტიური როლი. 90-იანი წლები მოწმობს თურქი სამხედროების ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციას ეროვნული უშიშროების საბჭოს საშუალებით, რომელიც მოქმედებს, როგორც მაკონტროლებელი ორგანო. ეროვნული უშიშროების საბჭოს

წევრები არიან პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და თურქეთის სამხედრო ძალების უმაღლესი თანამდებობრივი პირები. საბჭო, 1982 წლის კონსტიტუციის თანახმად, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეროვნულ პოლიტიკაში, ხოლო მინისტრთა საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს. ასეთი სტრუქტურა და მისი, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს როლი არ მიიღება ევროკავშირში: ლიბერალურ დემოკრატიულ სახელმწიფოებში სამხედროებს მართავს სამოქალაქო ხელისუფლება და არა პირიქით. ევროკავშირი პოლიტიკაში სამხედროების ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგია და ამ ფაქტს იმის მტკიცებულებად თვლის, რომ თურქული დემოკრატია ევროპულ სტანდარტებს ძლიერ ჩამორჩება.

გარდა ამისა, ევროკავშირში თურქეთის სრულუფლებიან წევრად შესვლისთვის ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ქურთების პრობლემის გადაუწყვეტელობა. ქურთების მიმართ ტარდება პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქურთების ნაციონალური იდენტობის უარყოფისკენ. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია 1982 წლის 7 ნოემბრის რეფერენდუმის შედეგად, სამხედრო რეჟიმის მმართველობის დროს, შედგება რიგი მუხლებისგან, რომლებიც გამოხატავენ სახელმწიფოს პოლიტიკას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ქურთებთან სამხედრო კონფლიქტზე დიდი რესურსები იხარჯება, რომლის ეფექტური გამოყენებაც შესაძლებელი იყო სხვა სფეროში. გარდა ამისა, ქურთების პრობლემა წარმოადგენს თურქეთში ინფლაციის მაღალი ტემპის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.

1996 წლის სექტემბერში ევროპარლამენტმა გადაწყვიტა, თურქეთისთვის ყველა ფინანსური დახმარება შეეწყვიტა, გარდა დემოკრატიის აღდგენისთვის გამიზნული თანხებისა. გარდა ამისა, 1997 წლის ივლისში ევროკავშირის კომიტეტმა განაცხადა, რომ თურქეთში ადამიანის უფლებების დაცვა არ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს.

შედეგად, 1997 წლის 8 დეკემბერს თურქეთის მთავრობამ მიიღო კანონების პაკეტი ადამიანთა უფლებების შესახებ. მისი ძირითადი დებულებები ეხებოდა პატიმართა პირობებს. ევროკავშირის მოსაზრებით, წამების ოთხი შემთხვევა და თურქეთში სასიკვდილო განაჩენის გამოტანის პრაქტიკა მოწმობდა ქვეყნის მთავრობის უუნარობას კონტროლი გაეწია უშიშროების ორგანოებისთვის და ემართა მათი მოქმედებები.

უფრო ადრე, 1997 წლის 29 აპრილს, ევროსაბჭომ დაამტკიცა, რომ თურქეთი შეფასდება იმავე ობიექტური სტანდარტებითა და კრიტერიუმებით, როგორც სხვა პრეტენდენტები. თუმცა, 1997 წელს ლუქსემბურგის შეხვედრაზე ევროკავშირმა თურქეთი კანდიდატთა რიცხვში არ შეიყვანა. ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი გახდა მღელვარება თურქი სამხედროების კვიპროსზე ყოფნის გამო და დაძაბული ურთიერთობა საბერძნეთთან. ევროსაბჭოში აზრი გამოითქვა იმასთან დაკვშირებით, რომ საბერძნეთსა და თურქეთს შორის ეგეოსის ზღვაზე არსებული კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებითაა შესაძლებელი. (*Turkey and European Integration*, 2004: 104-107).

ევროსაბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთის ევროკავშირში შესვლის სტრატეგია უნდა დაეფუძნოს იმ შესაძლებლობების განვითარებას, რომელიც ანკარის შეთანხმებით გამოცხადდა; საბაჟო კავშირში მონაწილეობის ინტენსიფიკაციით, ფინანსური კოოპერაციის განხორციელებით, ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებით. ადამიანის უფლებების სფეროში პრიორიტეტული უნდა იყოს ქალის სტატუსი, ბავშვთა უფლებები, ინფორმაცია და განათლება. კომისიამ თურქეთთან თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებად განიხილა სამრეწველო ურთიერთქმედების ინტენსიფიკაცია და ინვესტიციების მოზიდვა, სოფლის მეურნეობის რეფორმირების მხარდაჭერა, ტექნიკური თანადგომითა და ადმინისტრაციული თანამშრომლობით საბაჟო კავშირის როლის გაზრდა, მაკროეკონომიკური დიალოგის დამყარება (განსაკუთრებით კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის საკითხებში), თურქეთის მხარდაჭერა თანამეგობრობის მიერ გარემოს დაცვის სფეროში, ტელეკომუნიკაცია და მომხმარებლის უფლებათა დაცვა. ევროკავშირთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისთვის ხაზი გაესვა თურქეთში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობასა და მოლაპარაკებების გაგრძელებას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით ტარდებოდა კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიების მიზნით.

1999 წლის დეკემბერში ჰელსინკიში ევროსაბჭოს სხდომაზე თურქეთს მიენიჭა ევროკავშირში შესვლის კანდიდატის სტატუსი, მაგრამ ის დარჩა თავის მოსაზრებაზე და განაცხადა, რომ იღებს წინადადებას ევროკავშირში შესვლის კრიტერიუმების დაცვასთან დაკავშირებით, მაგრამ კატეგორიულად არ ეთანხმება საბერძნეთთან სადაო საკითხებზე დათმობაზე წასვლის აუცილებლობას.

ევროსაბჭოს მონაწილეებმა ჰელსინკიში მოიწონეს თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში პოზიტიური ძვრები და რეფორმების გაგრძელების მკვეთრად გამოხატული განზრახვა, რომელიც კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისობის მისაღწევად არის გამიზნული.

თურქეთმა მიიღო კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და ევროკავშირის საწესდებო მოთხოვნების შესრულების ვალდებულება. თუმცა, **2000 წლის დასაწყისში მოლაპარაკებები დაიწყო ევროკავშირის ყველა** კანდიდატ ქვეყანასთან, გარდა თურქეთისა. ეს ახსნილი იყო იმ ფაქტით, რომ თურქეთის მთავრობამ არ შეასრულა ისეთი აუცილებელი პირობები, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, სიკვდილით დასჯის გაუქმება, თურქეთ-საბერძნეთის უთანხმოების დარეგულირება და კვიპროსის საკითხი. თურქეთს აუცილებელი რეფორმების გატარებაში დახმარება შეთავაზეს. (Carkoglu, 2003: 173-175).

2000 წლის ნიცის სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით არ დაიწყებოდა მანამდე, სანამ ქვეყანა არ მიაღწევდა წინასწარი პოლიტიკური მოთხოვნების შესაბამისობას, კერძოდ, თუ ძირეულად არ გააუმჯობესებდა მდგომარეობას ადამიანის უფლებებთან მიმართებაში, არ შეზღუდავდა არმიის როლს საშინაო პოლიტიკაში, არ შეწყვეტდა ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაციას. „ევროკავშირში შესვლისთვის თურქეთი აუცილებლად უნდა გახდეს თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო," – ასეთი კომენტარი გააკეთა ევროკომისიის თავმჯდომარემ რომანო პროდიმ თურქეთის ევროკავშირში შესვლის პერსპექტივასთან დაკავშირებით. პროდის აზრით, თურქეთი მიიწევს სწორი მიმართულებით, მაგრამ ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა ევროკავშირის სტანდარტების სრული შესაბამისობისგან. „იმისთვის რომ თურქეთი „წავწიოთ" ევროკავშირისკენ, – აღნიშნა პროდიმ, – ხელი მოეწერება შეთანხმებებს პარტნიორობაზე, რომელიც იქნება თურქეთის ხელისუფლებისთვის თავისებური სამოქმედო პროგრამა."[33]

იმავე წელს თურქეთი შეუდგა ევროკავშირის მოთხოვნებისა და პირობების თანდათანობით პრაქტიკულ რეალიზაციას, რათა მიეღო ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსი.

თურქეთის მთავრობამ ოპერატიულად დაამუშავა კანონპროექტი „ევროკავშირის საკითხებთან დაკავშირებით გენერალური სამდივნოს" შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა 2000 წლის ივნისში.

2000 წლის დეკემბერში ევროკავშირის მორიგ სამიტზე ბრიუსელში გამოქვეყნდა და თურქეთის დელეგაციას გადაეცა ევროკავშირის გაფართოების კომიტეტის მიერ მომზადებული „დოკუმენტი ევროკავშირში თურქეთის შესვლის საკითხებზე პარტნიორობის შესახებ." მან დაკონკრეტა პირობები პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, რომელიც თურქეთის მიერ უნდა შესრულდეს „პოსტკანდიდატურ" პერიოდში მოკლევადიანი (2002 წლამდე) და გრძელვადიანი (2006 წლამდე) პერსპექტივებით.

„დოკუმენტი პარტნიორობის შესახებ" შეიცავს კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელთაც თურქეთი გარკვევით უნდა შეესაბამებოდეს. რთული საკითხების გადასაჭრელად (კვიპროსის, ეგეოსის ზღვაში საბერძნეთთან ტერიტორიული გამიჯვნა, ქურთების უფლებები) გათვალისწინებულია „გაფართოებული პოლიტიკური დიალოგი," გარდა ამისა, განსაზღვრულია ვადები, რომელშიც თურქეთი უნდა ჩაეტიოს. კომპრომისი გულისხმობდა იმას, რომ თურქეთის მთავრობას არავინ აიძულებდა, დაეთმო ეროვნული ინტერესები. მან თვითონ უნდა შეუფარდოს თავისი მოქმედება და ინტერესები კარგად ცნობილ ე.წ. ევროკავშირში შესვლის კოპენჰაგენის კრიტერიუმებს.

ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხთა რიგშია კვიპროსის პრობლემის მოწესრიგება. „დოკუმენტმა პარტნიორობის შესახებ" თურქეთი დაავალდებულა „აქტიურად დაეჭირა მხარი გაერო-ს გენერალური მდივნის ძალისხმევისთვის" კვიპროსის საკითხის გადასაჭრელად. თურქეთის რესპუბლიკის კვიპროსის პრობლემის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გამომდინარეობს იქიდან, რომ ანკარა კუნძულს განიხილავს, როგორც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში თავისი სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფის საკვანძო ელემენტს. (Seyrek, 2004: 47-68).

თურქეთის კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც ასახულია „დოკუმენტში პარტნიორობის შესახებ," ქურთების საკითხია. ევროკავშირის მოთხოვნაა პირველ ეტაპზე (მოკლევადიანი პერსპექტივა) „ყველა საკანონმდებლო წინაპირობის გაუქმება, რომელიც თურქეთის მოქალაქეებს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში მშობლიური ენის გამოყენებას უკრძალავს." პრობლემა ისაა, რომ თურქეთის კონსტიტუციაში სიტყვა „უმცირესობის" გაგება რომელიმე ეთნოსის მიმართ არ არსებობს და ქვეყნის ქურთ მოსახლეობას ხელოვნურად წართმეული აქვს იურიდიული წინაპირობა, რათა მიაღწიოს თავი-

33 http://www.korrespondent.net/main.php?arid=10782

სი უფლებების დაკმაყოფილებას. ქურთული ენა აკრძალული იყო, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შენარჩუნებული იყო საგანგებო მდგომარეობა. ამ სიტუაციის შეცვლის ნებისმიერ მცდელობას თურქეთის პოლიტიკურ წრეებში მწვავე პოლემიკა მოსდევდა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებასა და ძალაუფლების მქონე ინსტიტუტებში საერთაშორისო საზოგადოების ზეგავლენამ და რეალობის აღიარების აუცილებლობამ (რისთვისაც ევროკავშირში შესვლის პროგრამა დამატებითი კატალიზატორი იყო) თანდათანობით მოამწიფა ამ სფეროში რეფორმების გატარების აუცილებლობა. შერჩეულ იქნა დასავლეთის ქვეყნების შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, რათა განესაზღვრათ მინიმალური ლიმიტები თურქეთში ეროვნული უმცირესობებისთვის შესაბამისი უფლების მისაცემად.

„დოკუმენტმა პარტნიორობის შესახებ“ თურქეთს დაუწესა, საშუალოვადიან პერსპექტივაში ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება დაეყვანა „მთავრობის სათათბირო ორგანომდე,“ რაც დიდ სირთულეს წარმოადგენს ეროვნული უშიშროების საბჭოს იმ ტრადიციული როლის გათვალისწინებით, რომელსაც ვერ ხელყოფდა ვერცერთი თურქი პოლიტიკოსი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. თურქეთის კონსტიტუციაში წერია, რომ „მინისტრთა კაბინეტი პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული უშიშროების საბჭოს იმ გადაწყვეტილებებს, რომელსაც იგი თვლის აუცილებლად სახელმწიფოს არსებობის, დამოუკიდებლობის, ქვეყნის ერთიანობისა და განუყოფლობის და საზოგადოების მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის.“ თურქეთის აზრით, სწორედ ეს ფორმულირება იწვევს კრიტიკას ევროკავშირის მხრიდან, რომელიც თურქეთის მთავრობას სთავაზობს, თავის თავზე აიღოს გამოკვეთილი ვალდებულება, ეროვნული უშიშროების საბჭოს მიანიჭოს სწორედ სათათბირო ორგანოს სტატუსი.

ევროკომისია მიესალმა **2001 წლის მარტში თურქეთის მიერ ეროვნული პროგრამის გამოქვეყნებას**, როგორც „ევროკავშირის კანონმდებლობასთან ადაპტაციის მნიშვნელოვან ეტაპს“ და ევროპული ინტეგრაციის ინსტიტუციონალური და იურიდიული ნორმატიული ბაზის მიღებას (*Acquis Communautaire*) – პროცესის საწყისი წერტილიდან თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოსთან ძირეულ ტრანსფორმაციას. ევროკავშირში ფიქრობენ, რომ ნაციონალური პროგრამა მყარი საფუძველია იმისთვის, რომ თურქეთის მთავრობა შეუდგეს ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელებას.

2001 წლის განმავლობაში მუშაობა გაგრძელდა პრიორიტეტების რეალიზაციისთვის, რომელიც ეროვნული პროგრამით იყო გათვალისწინებული. აუცილებელ შესწორებებთან დაკავშირებით მომზადებული კონსტიტუციური შესწორებების 37-მუხლიანი პაკეტი პოლიტიკურ კრიტერიუმებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თურქეთის კონსტიტუციის სრულყოფის თვალსაზრისით, რომელიც საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის კომისიის მიერ იქნა ჩატარებული. შესწორებების **22 წინადადება დაემთხვა პრიორიტეტებს, რომლებიც ეროვნულ პროგრამაში იყო დაფიქსირებული** (Seyrek, 2004: 31-45).

2001 წლის 13 ნოემბერს კომისიის მიერ გამოქვეყნებულ იქნა ანგარიში თურქეთის განვითარებასთან დაკავშირებით. დასკვნით ეტაპზე გადასვლის შეფერხების მოტივაცია იყო ის, რომ ევროკავშირის ბევრი წევრი დასკვნითი ნაწილის დასაწყისსა და შესვლასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს ერთმანეთთან აიგივებდა, მაგრამ, რამდენადაც თურქეთი მოლაპარაკებების დასაწყებად არ აკმაყოფილებდა პოლიტიკურ კრიტერიუმებს, მას არ შეეძლო დასკვნით ეტაპზე გადასვლაც. ადამიანის უფლებების სფეროში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სიტყვის თავისუფლებას, ციხეში არსებულ პირობებს, სამართალწარმოებასა და უკანონობასთან ბრძოლას. ანგარიშში დადებითად იქნა შეფასებული მთავრობის მიერ გაწეული ძალისხმევა კონსტიტუციის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლის მიზანიც იყო დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების გაფართოება ევროკავშირში შესვლის კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისად. დოკუმენტის ავტორებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს წინასწარი ღონისძიებების მნიშვნელობაზე და იმ შესწორებების პრაქტიკაში უშუალო რეალიზაციაზე, რომელიც ძირითად კანონში იქნა შეტანილი. მაღალი შეფასება მიეცა ადამიანის ახალ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს მიენიჭა, და ეროვნული უშიშროების საბჭოში სამოქალაქო წევრების წილის ზრდას. ამავდროულად, კვლავ კრიტიკის საგანი იყო ამ ორგანოს ფართო უფლებამოსილება. აღინიშნა ასევე კონსტიტუციაში სიკვდილით დასჯის შენარჩუნება და უმნიშვნელო პროგრესი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების საკითხსა და მსჯავრდებულთა მიმართ პრაქტიკაში არსებულ სასტიკ მოპყრობასთან ბრძოლაში. ჩიხში მოექცა კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტის პროცესი. თუმცა, აღინიშნა, რომ საერთაშორისო არენაზე ანკარის მოქმედება ძირითადად საერთო ევროპული საგარეო პოლიტიკის ფარგლებშია. მთლიანობაში ხაზი გაესვა იმას, რომ თურქეთი ერთადერთი კანდიდატი ქვეყანაა, რომელმაც გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, კოპენჰაგენის კრიტერიუმები არ შეასრულა.

გარდა ამისა, 2001 წლის ლაკეის დეკლარაციაში ხაზგასმული იყო, რომ „ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი არის დემოკრატია და ადამიანის უფლებები. კავშირი ღიაა მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ემხრობიან იმ ძირითად ფასეულობებს, როგორიცაა თავისუფალი არჩევნები, უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა და კანონის უზენაესობა." თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ 2001 წლის ოქმში დადგენილია შემდეგი მოთხოვნები: თურქეთში სასჯელის უმაღლესი ზომის მორატორიუმის მხარდაჭერა, ხოლო შემდგომში სიკვდილით დასჯის გაუქმება და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ოქმ №6-ის რატიფიკაცია.

თურქულ-ევროპულ საპარლამენტო კომისიაზე გამოსვლის დროს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ არ იზიარებს ევროსაბჭოს კრიტიკას ადამიანის უფლებების დაუცველობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ის არ ეთანხმება თურქეთის ციხეებში დამნაშავეთა წამების ბრალდებას და აღნიშნავს, რომ თავისუფალი შეკრებებისა და მსვლელობების შეზღუდვა სხვა ევროპულ ქვეყნებშიც არსებობს. (*The European Union*, 2004: 65-73).

ბევრი გავლენიანი თურქი სამხედრო დარწმუნებულია, რომ ევროკავშირის მიერ წამოყენებული პირობების უმრავლესობა ქვეყნისთვის დამღუპველია. ბოლო დროს მათ ეთანხმებიან საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლებიც. ქვეყანაში უფროდაუფრო პოპულარული გახდა აზრი იმის შესახებ, რომ სინამდვილეში გაწევრიანების პირობით ევროკავშირი ანკარას აცდუნებს და ცდილობს, რომ თურქეთი აიძულოს, დათმობაზე წავიდეს ქურთების და კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით, ტერიტორიული დავები გადაწყვიტოს საბერძნეთთან ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულების გამო და შემდეგ კარი მიუხუროს დასუსტებულ და დანაწევრებულ ქვეყანას.

როგორც ჩანს, თურქეთის გაურკვეველი მდგომარეობა მომგებიანია ევროკავშირისთვის, რათა ქვეყანას შეუნარჩუნოს დემოკრატიული ფასეულობები და არაექსტრემისტული ზეგავლენა, რომელიც უსაფრთხოს გახდის ევროპის სამხრეთ საზღვრებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ევროკავშირი თავს არიდებს ცალსახა უარის თქმას თურქეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

კონსტიტუციური რეფორმები თურქეთში ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში თურქეთის მთელი საშინაო პოლიტიკა წარმოადგენდა პროდასავლური პოლიტიკისა და ისლამური განვითარების გზის მომხრეთა ბრძოლას. ახლა ისლამისტები თავად აცხადებენ დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციის სურვილს. ამან შესაძლოა მთლიანად შეცვალოს ქვეყანაში გატარებულ რეფორმათა მიმართულება.

რეფორმები, რომლებიც ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში ჩატარდა, დიდი ხანია მომწიფებული იყო და უფრო მეტად ჭირდებოდა ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტას, ვიდრე ევროკავშირს. ევროკავშირში სავარაუდო შესვლა გახდა მნიშვნელოვანი მიზეზი მათი საბოლოოდ განხორციელებისთვის. ორ წელიწადზე ნაკლებ დროში „სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ" შეძლო კანონმდებლობის კოლოსალური რეფორმების გატარება. მთლიანობაში კი იგი შესაბამისობაში იყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

რეფორმები გატარდა შემდეგ სფეროებში:
- ურთიერთობა არმიასა და მთავრობას შორის
- სასამართლო სისტემა
- სიკვდილის დასჯის, წამებისა და სისასტიკის გამოვლინებების მიმართ დამოკიდებულება
- სიტყვისა და პრესის თავისუფლება
- ასოციაციების თავისუფლება
- შეკრებების თავისუფლება
- რელიგიის თავისუფლება
- გენდერული თანასწორობა
- უმცირესობათა უფლებების დაცვა
- ქვეყნის შიგნით გადაადგილების თავისუფლება

2003 წლის ოქტომბერსა და 2004 წლის ივლისს შორის თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო 261 ახალი კანონი.

2001 წლის ოქტომბერში თურქმა დეპუტატებმა ხმათა დიდი უპირატესობით შეძლეს კონსტიტუციის 34-ე მუხლში შესწორებების შეტანა, რომელთა შორის არის ეროვნული უმცირესობების ენებზე

რადიომაუწყებლობის უფლება (რაც მეტწილად ეხება ქურთ მოსახლეობას). თუმცა, ისინი მიღებულ იქნა არსებითი დამატებითი შენიშვნით: „ნებისმიერი ენის გამოყენება შეიძლება შეზღუდოს ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად." უწინდებურად 42-ე მუხლი თურქულ ენას აცხადებს სწავლების ერთადერთ ენას. გაუქმებულ იქნა სიკვდილით დასჯა, თუმცა დასჯის ეს ფორმა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმწიფოებრივი ღალატისა და ტერორიზმში მონაწილეობის შემთხვევებში. მოიხსნა შეზღუდვები პარტიებისა და პროფკავშირების მიმართ. სამოქალაქო უფლებებში განმტკიცდა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. სამხედრო დიქტატურის დროინდელი კანონები შესაძლებელია გაპროტესტებულ იქნას სასამართლოში. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში სამხედრო პირებით წარმოდგენილი ადგილები განისაზღვრა ხუთით, ხოლო სამოქალაქო წევრების რაოდენობა გაიზარდა ხუთიდან ცხრამდე. ამ ორგანოს გადაწყვეტილებები გამოცხადდა იურიდიულად არასავალდებულოდ. ამასთანავე, მთავრობასა და პარლამენტს შეუძლია უარი თქვას საბჭოს ნებისმიერ წინადადებაზე. და ბოლოს, კანონმდებლები პირველად იღებენ უფლებას, თავდაცვის სამინისტროსგან მოითხოვონ სამხედრო ხარჯების დაწვრილებითი ანგარიში.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბიულენტ ეჯევიტმა მომხდარი ცვლილებები ევროკავშირისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. „ამჯერად ვერავინ შეძლებს იმის თქმას, რომ თურქეთი არ იმსახურებს ევროკავშირში სრულფასოვან არსებობას, – განაცხადა მან. – ახლა თურქეთი გახდა უფრო თავისუფალი, უფრო დემოკრატიული, უფრო ევროპული." მისი სიტყვებით, „თურქეთი შეესაბამება ყველა პოლიტიკურ კრიტერიუმს, რომელიც ევროკავშირმა მოითხოვა" (ციტ. Aydin, 2004: 29-34).

ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელმა მომხდარს უწოდა „წინ გადადგმული ძალიან პოზიტიური ნაბიჯი." ამასთანავე, მან თურქეთს შეახსენა გარკვეული განმარტებების წარმოდგენის აუცილებლობაზე, უპირველეს ყოვლისა, მიღებული რეფორმების ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით. „ჩვენ ძალიან გარკვევით და დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ გადაწყვეტილებების მთელი ერთობლიობა და, პირველ ყოვლისა, მიღებულ უნდა იქნას გარკვეული დეკრეტები რეფორმების ცხოვრებაში გასატარებლად. მაგალითად, ეს ეხება თურქულის გარდა სხვა ენებზე ტელერადიომაუწყებლობას." მისი სიტყვებით, ეს ინფორმაცია მიღებული იქნება უახლოეს პერიოდში და მისი შესწავლის საფუძველზე ევროკომისია შეძლებს, მოგვცეს რეფორმების „საერთო შეფასება" და წარმოადგინოს რეკომენდაციები კოპენჰაგენის მაღალი დონის შეხვედრაზე.

ევროკავშირში შესვლის მზადების პროცესი თურქეთისთვის გახდა სამართალებრივი რეფორმების ძირითადი კატალიზატორი. თურქეთის პარლამენტმა მიიღო სამოქალაქო კოდექსი, რომელშიც ევროკავშირის რეკომანდაციის შესაბამისად შეტანილ იქნა ცვლილებები. ეს კოდექსი ძალაში შევიდა 2002 წლის 1 იანვარს. თებერვალში თურქეთის დიდმა ნაციონალურმა კრებამ დადებითად შეაფასა რეფორმების „მინიმალური პაკეტი," ცდილობდა რა დროულად შეესრულებინა აღებული მოკლევადიანი ვალდებულებები. 2002 წლის აპრილში მიღებულმა საკანონმდებლო აქტების პაკეტმა გააფართოვა აზროვნების, სიტყვის, ბეჭდვისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლების საზღვრები. მან გაამკაცრა წამების აკრძალვის ზომები. მასში განსაზღვრული იყო სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის აკრძალვის ეფექტური საშუალებები. ძლიერდებოდა სამოქალაქო ადმინისტრაცია. 2002 წლის 21-22 ივნისს ჩატარებულმა ევროსაბჭოს სხდომამ მოიწონა თურქეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები და დაადგინა, რომ „სხვა კანდიდატი ქვეყნების მიმართ გატარებული პრინციპებისა და კრიტერიუმების შესაბამისი აუცილებელი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება გაზრდის თურქეთის გაწევრიანების პერსპექტივებს."[1]

როგორც ვხედავთ, თურქეთმა მსხვილი შიდა რეფორმების გატარება დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა მათ შესაბამისობას ევროკავშირის კანონმდებლობასა და ყოველდღიური პრაქტიკის კრიტერიუმებთან და ნორმებთან. 2002 წლის აგვისტოში ძალაში შესული საკანონმდებლო აქტების პაკეტი კრძალავდა სიკვდილით დასჯას, ინდივიდებისთვის კულტურული უფლებების ჩამორთმევას. მან შესაძლებელი გახადა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებების სფეროში ხელმეორე მოსმენა, გააძლიერა სიტყვისა და ბეჭდვის საკანონმდებლო გარანტიები, შეამცირა შეკრების უფლების შეზღუდვა, უზრუნველყო საკუთრების უფლება იმ საზოგადოებრივ დაწესებულებებზე, რომლებიც თურქეთის ნაციონალურ უმცირესობებს ეკუთვნოდა, დაამუშავა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აუცილებელი იყო თურქეთში არსებული უცხოური ორგანიზაციებისთვის, მიიღო ახალი ზომები უკანონო იმიგრა-

1 http://www.mfa.gov.tr/mfa

ციასთან ბრძოლაში. ამგვარად, ქვეყანა ტექნიკურად მზად იყო ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისთვის (Miller, 2005: 97-100).

2003 წლის მარტში თურქეთმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ოქმს №6, რომელიც კრძალავს სიკვდილით დასჯას მშვიდობიან ვითარებაში. „ესაა თურქეთის ახალი მთავრობის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და თავისი მოქალაქეების ევროპული სტანდარტებით უზრუნველყოფისთვის," – განაცხადა ევროპის საქმეთა მინისტრმა დენის მაკშანმა.[2]

თურქეთმა მოახდინა ძირითადი საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიცირება: „გაერო-ს შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ", „შეთანხმება სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა შესახებ" და „ევროპული კონვენციის ოქმი ადამიანთა უფლებების შესახებ". 2004 წლის 1 იანვრიდან თურქეთი არის ევროპის სახელმწიფოთა საბჭოს წევრი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში (*RECO*). ამგვარად, თურქეთი ცალსახად აღიარებს საერთაშორისო კანონმდებლობის პრიორიტეტს.

2003 წლის აპრილში თურქეთის კანონმდებლობის რეფორმათა მონიტორინგის მიზნით შეიქმნა „ევროკავშირის კომიტეტი ჰარმონიზაციის საკითხებზე". კომიტეტმა მოიწვია ევროპული კომისიისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლები სისხლის სამართლის კოდექსისა და ადმინისტრაციის შესახებ ადგილობრივი კანონის პროექტების განსახილველად. იმისთვის, რომ უზრუნველეყოთ რეფორმების განხორციელება ადამიანის უფლებათა სფეროში, 2003 წლის სექტემბერში თურქეთის ხელისუფლების მიერ შეიქმნა მთავრობის წევრებისგან შემდგარი რეფორმათა კონტროლის ჯგუფი.

თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 2004 წლის მაისში მიიღო რიგი კონსტიტუციური ცვლილებებისა. 2004 წლის 7 მაისს მის მიერ მიღებულ იქნა კანონი №5170, რომლის მიხედვითაც, თურქეთის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში შეტანილ იქნა შესწორებები. თურქეთის კონსტიტუცია შეიცვალა ევროპული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების შესაბამისად.

2004 წლის ივნისში და ივლისში პარლამენტმა მიიღო რეფორმების პაკეტი სახელმწიფოს მართვის სფეროში. თუმცა რეფორმები ამოიწურა ორი კანონით: „დედაქალაქის მუნიციპალიტეტების შესახებ" და „მუნიციპალიტეტის შესახებ", რადგანაც თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯეთ სეზერმა ვეტო დაადო დანარჩენ პროექტებს იმ მიზეზით, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციის მუხლებს, კერძოდ კი მუხლებს, რომლებიც სახელმწიფოს უნიტარულ მოწყობასთან არის დაკავშირებული. შედეგად, თურქეთის დიდმა ნაციონალურმა კრებამ უნდა გადახედოს შესაბამის კანონპროექტებს.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კანონმდებლობაში შეტანილ იქნა მრავალი ცვლილება სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლის გასაძლიერებლად იმ მიზნით, რომ თურქული კანონები შესაბამისობაში მოეყვანათ ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა კანონებთან.

საკანონმდებლო სფეროში ფორმალური რეფორმების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო ხელისუფლებამ მთლიანად მოახდინოს ეროვნული უშიშროების სტრატეგიის ჩამოყალიბება და კონტროლი გაუწიოს მის შესრულებას, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში. ასევე განახორციელოს კონტროლი სამხედრო ხარჯებზე.

საკანონმდებლო ცვლილებები ასევე შეეხო სასამართლო სისტემას, რომელთა ეფექტურობისთვისაც შეიქმნა სპეციალიზირებული სასამართლოები. გაჩნდა იურიდიული შესწორებები, რომლებიც აუმჯობესებდნენ დაცვის შესაძლებლობებს.

რელიგიის თავისუფლების სფეროში კანონი და პრაქტიკა განსაკუთრებულად რთულია. თურქული სახელმწიფო მხარს უჭერს ისლამის სუნიტურ მიმართულებას და თან ახორციელებს მასზე მნიშვნელოვან კონტროლს (მოსახლეობის დაახლოებით 80% სუნიტი მუსლიმია, ხოლო დანარჩენი კი – შიიტი ალავიტები).

მართალია, კონსტიტუციით რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია, არამუსლიმური რელიგიური თემები მაინც აწყდებიან სირთულეებს. მათ აქვთ შეზღუდვები საკუთრების უფლებაზე, თავიანთი ფონდების მართვის საკითხში განიცდიან ჩარევას და არ ეძლევათ უფლება, ასწავლონ სასულიერო პირებს. მიღებულ უნდა იქნას შესაბამისი კანონმდებლობა, რათა ეს სირთულეები დაიძლიოს.

მიღებულ იქნა ზომები, რათა გარანტირებული იყოს მეჩეთების გარდა, სხვა ტაძრების გახსნაც. თუმცა, ამავდროულად გართულებულ იქნა ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც მიმართული იყო რეგისტრირებულ საკულტო ნაგებობათა რიცხვის შემცირებისკენ.

2 http://news.britemb.msk.ru/article.php?id=2221

ოფიციალურად ალავიტები ჯერ კიდევ არ არიან აღიარებულნი რელიგიურ თემად. ისინი ტაძრების გახსნასთან დაკავშირებით ხშირად აწყდებიან სირთულეებს. ალავიტები ამტკიცებენ, რომ თურქეთმა ყველა რელიგია უფლებრივად თანასწორად უნდა მიიჩნიოს და არ უნდა დაუჭიროს მხარი მხოლოდ სუნიტებს, როგორც ეს ამჟამად ხდება რელიგიის საქმეთა სამმართველოს მიერ.

2004 წლის მაისში ხელისუფლების მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომელიც უმსუბუქებს მუსლიმური სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებელში შესვლას. ამ კანონმა გამოიწვია პროტესტი სამხედროების მხრიდან. რამდენიმე თურქული უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორ-მასწავლებელი მივიდა ქვეყნის პარლამენტში, რათა გამოეხატათ პროტესტი განათლების ამ ახალი კანონის შესაძლებელი მიღების წინააღმდეგ. პარლამენტში 18-საათიანი დებატების შემდეგ თურქეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება უმაღლესი განათლების წარმოდგენილი კანონის დამტკიცების შესახებ.

2004 წლის 28 მაისს ქვეყნის პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯედ სეზერმა ვეტო დაადო კანონპროექტს, რომელიც ხსნიდა შეზღუდვებს უმაღლეს სასწავლებლებში მუსლიმური სკოლების კურსდამთავრებულებისთვის. სახელმწიფოს მეთაურმა გაიზიარა გენერალური შტაბის აზრი, რომელმაც მაისის თვეში ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა დოკუმენტის დაბლოკვა. კონსტიტუციასთან ნაწილობრივ წინააღმდეგობაში მყოფ კანონპროექტზე ვეტოს დადებით პრეზიდენტმა სიტუაცია განმუხტა. მთავრობას შეეძლო, გაეკეთებინა საპასუხო სვლა: მას უფლება ქონდა, დადებითად შესაფასებლად დოკუმენტი შეუცვლელი სახით განმეორებით გადაეცა დეპუტატებისთვის, რომლის შემდეგაც დოკუმენტის ბედს გადაწყვეტდა მხოლოდ კონსტიტუციური სასამართლო. მაგრამ ამის გაკეთება ისლამისტმა მინისტრებმა არ ისურვეს. პრემიერ-მინისტრი და მისი გარემოცვა დარწმუნებულები იყვნენ, რომ არსებულ სიტუაციაში, როდესაც ევროკავშირი მზად იყო თურქეთთან მოლაპარაკებების დასაწყებად, გენერალები არ წავიდოდნენ ისეთ რადიკალურ ნაბიჯებზე, როგორიცაა სახელმწიფო გადატრიალება ან დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის დათხოვნა, ისეთი კეთილშობილური მიზნებისთვისაც კი, როგორიცაა იმ პრინციპების დაცვა, რომლითაც ცხოვრობს ქვეყანა თანამედროვე თურქეთის „მამამთავრის“ და შარიათის კანონების გაუქმების ინიციატორის მუსტაფა ათათურქის დროიდან. „გადაწყვეტილება ამ კანონპროექტთან დაკავშირებით და განათლების რეფორმის შესახებ მიღებული იქნება კომპეტენტური ორგანოს, პარლამენტის მიერ. თურქეთი დემოკრატიული რესპუბლიკაა და დემოკრატია არ შეიძლება ჩაითვალოს სეზონურ მოვლენად, რამდენადაც იგი ჩვენი ცხოვრების და არსებობის საფუძველია“, – განაცხადა მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, იუსტიციის მინისტრმა ჯემილ ჩიჩეკმა.

რაც შეეხება ბავშვთა უფლებებს, არასრულწლოვანთა მუშაობა ჯერ კიდევ არსებული პრობლემაა. ბავშვთა განათლების საკითხი, განსაკუთრებით გოგონების, არ ითვლება მნიშვნელოვნად. უპატრონო ბავშვთა საკითხი ზოგიერთ რეგიონში სერიოზულ პრობლემად რჩება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით (*International Labour Organization*)[3], მომუშავე ბავშვთა რიცხვს ექვსიდან თხუთმეტი წლის ასაკამდე აქვს კლების ტენდენცია. ეს ხდება იმიტომ, რომ ბავშვებმა უნდა გაიარონ აუცილებელი სწავლება თხუთმეტი წლის ასაკამდე, რაც მოწმობს იმას, რომ ბავშვთა შრომის გამოყენების წინააღმდეგ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამა წარმატებითაა შესრულებული. თურქეთმა მოახდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეთანხმებების – 138 „ბავშვთა შრომის მინიმალური ასაკის შესახებ“ და №182 „ბავშვთა შრომის გაუარესებული ფორმების შესახებ“ – რატიფიცირება. კანონი შრომის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2003 წლის მაისში, კრძალავს ბავშვთა დასაქმებას თხუთმეტ წლამდე. თუმცა ეს არ არის აუცილებელი ისეთი სექტორებისთვის, როგორიცა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი ან კომერციული საქმიანობის სოფლის მეურნეობის სახეობები (*The European Union*, 2004: 78-92).

პროგრესი შეიმჩნევა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველსაყოფად. 1923 წლის ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით (მუხლები 37-44 – „არამუსლიმ უმცირესობათა უფლებების დაცვა“ (*Севрский мирный договор и акты,* 1927: 150-151), ეროვნული უმცირესობები თურქეთში შედგება მხოლოდ არამუსლიმი თემებისგან. უმცირესობები, რომელთა უფლებებიც მოხსენიებულია ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებაში, არიან ებრაელები, სომხები და ბერძნები. თუმცა, თურქეთში არის სხვა თემებიც, მაგალითად, ქურთები.

თურქეთმა ხელი არ მოაწერა ევროსაბჭოს შეთანხმებას ეროვნული უმცირესობების დაცვასთან დაკავშირებით და ასევე ევროპულ წესდებას უმცირესობათა ენების შესახებ. თურქეთს ჯერ კიდევ

3 http://www.ilo.ru

არ მოუხდენია ადამიანთა უფლებების დაცვისა და ფუნდამენტური თავისუფლების დამატებითი №12 პროტოკოლის რატიფიკაცია.[4]

2004 წლის იანვარში მთავრობამ გააუქმა „უმცირესობათა მეორადი კომიტეტი", რომელიც დაარსდა საიდუმლო დეკრეტით 1962 წელს, რათა უსაფრთხოების დაცვის მიზნით თვალყური ედევნებინათ უმცირესობებისთვის. შეიქმნა ახალი ორგანო, რომელიც ამიერიდან დაკავებული უნდა იყოს უმცირესობათა პრობლემებით.

მიუხედავად ამისა, მაინც გრძელდებოდა უმცირესობათა დისკრიმინაცია. მათი წარმომადგენლები მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობების მიღების დროს სირთულეებს აწყდებოდნენ. 2003-2004 წლების ისტორიის სახელმძღვანელოებში უმცირესობები წარმოდგენილია, როგორც სახელმწიფოსთვის არასაიმედო, მოღალატე და მავნე საზოგადოებრივი ელემენტი. თუმცა, ხელისუფლება პრობლემის მოგვარებას შეეცადა სახელმძღვანელოებში უმცირესობათა როლის სხვაგვარად გაშუქების გზით. 2004 წლის მარტში გამოიცა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სასკოლო სახელმძღვანელოებში კრიტიკის აკრძალვას რასის, სქესის, ენის, ეთნიკური კუთვნილების ან რელიგიის მიხედვით (*Commission of the European Communities*, 2004).

რაც შეეხება კულტურულ უფლებათა დაცვას, ამ სფეროში არის მნიშვნელოვანი პროგრესი. კონსტიტუციაში შეიტანეს შესწორებები, რომელიც ხსნიდა თურქულის გარდა, სხვა ენების გამოყენების აკრძალვას. 2004 წელს საკანონმდებლო ცვლილებები იქნა შეტანილი ტელე-რადიომაუწყებლობაში: ნებადართული გახდა გადაცემები უმცირესობათა ენებზე. 2004 წლის ივნისში თურქულთან ერთად სხვა ენებსა და დიალექტებზე პირველი რადიოგადაცემები ტრანსლირებული იყო სახელმწიფო რადიომაუწყებლობის კორპორაციის მიერ. რადიოგადაცემებმა ბოსნიურ, არაბულ და ქურთულ ენებზე, დოკუმენტურმა ფილმებმა, მუსიკამ და სპორტულმა გადაცემებმა გამოიწვიეს სხვა უმცირესობათა დაინტერესება მოემზადებინათ გადაცემები თავიანთ ენებზეც.

2004 წლის იანვარში გამოიცა ახალი კანონი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა კერძო ეროვნულ ტელევიზიებსა და რადიოარხებს, სახელმწიფო არხთან ერთად მოეხდინა გადაცემათა ტრანსლაცია ეროვნულ უმცირესობათა ენებზე (*იქვე*). (მაგრამ გაკეთდა შემდეგი შენიშვნა: „ნებისმიერი ენის ხმარების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ნაციონალური უსაფრთხოების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის, რესპუბლიკის ფუნდამენტალური პრინციპების, სახელმწიფოსა და ერის ერთიანობის შესანარჩუნებლად") (Grigoriadis, 2009: 115-126).

თურქეთის ხელისუფლება ქურთებთან დაკავშირებით შემწყნარებლობის პოლიტიკის გაფართოებას აგრძელებს. შესამჩნევი პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი შეზღუდვებია ქურთების კულტურული უფლებების განხორციელების დროს. კანონი, რომელიც იძლევა სხვადასხვა ენასა და დიალექტზე სწავლების უფლებას, ძალაში შევიდა 2003 წლის დეკემბერში. ამან პირველად გახადა შესაძლებელი ქურთული ენის კურსების ჩამოყალიბება. ქურთული ენის სწავლება დაიწყეს ექვს კერძო სკოლაში: 2004 წლის აპრილიდან – ვანში, ბატმანსა და შანლიურფში, 2004 წლის აგვისტოდან – დიარბაქირსა და ადანში, ხოლო 2004 წლის ოქტომბრიდან – სტამბოლში. ეს სკოლები სახელმწიფოსგან ფინანსური მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ. იქ ადგილი ჰქონდა სასწავლო გეგმებთან, მასწავლებელთა დანიშვნასთან და ცხრილთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ამ სკოლების მოსწავლეები უნდა ყოფილიყვნენ თხუთმეტ წელს ზევით, ანუ მიღებული უნდა ჰქონოდათ ზოგადი განათლება. შეიმჩნევა შემწყნარებლობა ქურთული ენის გამოყენებისა და ქურთული კულტურის სხვადასხვა ფორმით განვითარების საკითხებთან მიმართებაში. 2003 წლის დეკემბერში საკასაციო სასამართლომ გააუქმა ვანის ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც აკრძალა ქურთულ ენაზე ემბლემის გამოყენება.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში 380 ათასი ქურთი სოფლის მცხოვრები იძულებით იქნა გადაადგილებული თავისი საცხოვრებელი ადგილიდან თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთებში მომხდარი კონფლიქტის გამო. ხალხის დიდი რაოდენობა ქალაქებში სახელმწიფო დახმარებისა და კომპენსაციის გარეშე სიღარიბის პირობებში დარჩა (*Human Rights Watch briefing,* 2004). სამთავრობო ინიციატივები დევნილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დასაბრუნებლად ძირითადად მოჩვენებითი იყო. ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სოფლის დაცვის კორუმპირებული სამხედრო კორპუსი. 2004 წლის ივლისში მიღებულ იქნა კანონი „ტერორისტული მოქმედებების შედეგად ზარალის კომპენსაციის შესახებ." იგი იძლევა კომპენსაციის მიღების საშუალებას ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლე-

4 Протокол №12 к Конвенции о защите прав человека и основных свобод. Совет Европы и Россия. 2001. №1.

თის იმ მცხოვრებლებისათვის, რომლებმაც მატერიალური ზარალი განიცადეს 1987 წლის ივლისში (Grigoriadis, 2009: 97-108).

ოფიციალური წყაროების მიხედვით, **2003 წლის იანვრიდან 124,218 ადამიანი (საერთო რაოდენობა 350 ათასი)** დაუბრუნდა თავის სოფლებს. არასამთავრობო ორგანიზაციები ვარაუდობენ, რომ იძულებით გადაადგილებული ადამიანების რაოდენობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მითითებულია ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში (საერთო რაოდენობა დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი).

გადასახლებულების დაბრუნებას ხელს უშლიდა აღმოსავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის რეგიონის ეკონომიკური ჩამორჩენილობა. მათ სოფლებში დაბრუნებას ძირითადად აფერხებდა: ხელისუფლება, რომელიც სოფლის დაცვის სისტემას ასპონსორებს, ძირითადი ინფრასტრუქტურის არარსებობა და დასაქმების საშუალებების ნაკლებობა.

2004 წლის 26 სექტემბერს თურქეთის პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე მიიღო სისხლის სამართლის ახალი კოდექსის პროექტი, რომელიც ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. ამით მან თავიდან აიცილა ქვეყნის ევროკავშირში შესვლის ძირითადი დაბრკოლება. სისხლის სამართლის ახალ კოდექსში დიდი ადგილი დაეთმო ქალთა უფლებების დაცვას. მიღებული კანონების უმრავლესობამ გააძლიერა ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის პრინციპი. ხაზგასასმელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსს ცვლილებები არ განუცდია 1926 წლიდან. სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, რომელიც ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება, ძალაში შევიდა **2005 წლის აპრილიდან. იგი აძლიერებს სანქციებს** ადამიანის უფლებების ზოგიერთი დარღვევის წინააღმდეგ და შემოაქვს ახალი ტიპის დარღვევები, როგორიცაა: გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, დისკრიმინაცია და პირადი მონაცემების ბოროტად გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ რეფორმებთან ერთად არის მათი ცხოვრებაში განხორციელების პრობლემები. მაგალითად, გამოვლენილია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევები, ასევე ჟურნალისტების დევნა. მიღებული იყო ზომები კრებებისა და მიტინგების წინასწარი შეთანხმების გარეშე ჩასატარებლად, ასევე არაადეკვეტური ძალის გამოყენების გაკიცხვისა და აცილებისთვის. ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებების დამცველები და სამართალდამცავი ორგანიზაციები მაინც განიცდიდნენ დევნას (ამ კონტექსტში შეიძლება გავიხსენოთ **2005 წლის 8 მარტის მიტინგის დაშლა, რომელიც** ევროპაში ფართო განხილვის საგანი გახდა) (Grigoriadis, 2009: 124-135).

ევროკავშირის აღმასრულებელმა ორგანომ – ევროპულმა კომისიამ მთლიანობაში დადებითად შეაფასა გატარებული რეფორმები. თუმცა, არავითარი ცვლილებები არ განხორციელებულა ქვეყნის საარჩევნო სისტემაში, რომელიც პოლიტიკური პარტიებისთვის 10%-იან ზღვარს ითვალისწინებს. ეს კი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ უმცირესობების წარმომადგენლები პარლამენტში იყვნენ. პოლიტიკური პარტიები ჯერ კიდევ შეზღუდულნი არიან, თურქულის გარდა, სხვა ენების გამოყენების მხრივ. ევროკავშირის უმაღლესმა კომისრებმა აღმოაჩინეს უამრავი ანტიდემოკრატიული ნორმა თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში. ეს არის მუხლები, რომლებიც ზღუდავენ თურქეთის მოქალაქეების სიტყვის თავისუფლებას. მაგალითად, ხანგრძლივი ვადით პატიმრობით ისჯებიან პირები, რომლებიც პროპაგანდას უწევენ დანაშაულებრივ ორგანიზაციას; მხარს უჭერენ გარკვეულ ჯგუფებში მტრობის გამჩაღებელ დამნაშავეებს; ამხელენ საიდუმლო ინფორმაციას, რომელიც სასამართლო საქმეზე დაკითხვას ეხება; აკრიტიკებენ პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, ეროვნულ ჰიმნს, არმიას და ა.შ.

ამგვარად, შედარებით მოკლე ვადებში პროისლამური მთავრობის მუშაობის შედეგად დემოკრატიული ცვლილებები კონსტიტუციაში შეტანილ იქნა სამართალწარმოების სისტემაში, სისხლის სამართლის კოდექსში; გაუმჯობესდა ქურთებისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა, შემცირდა სამხედროების როლი ქვეყნის მართვაში და სხვა მრავალი. თურქეთის მიერ ჩატარებული კოლოსალური სამუშაო წარმოადგენს ევროკავშირში შესვლის საკითხის გადაწყვეტის მოსამზადებელ სამუშაოს ბრიუსელის სამიტზე. ორდღიანი სამიტი, რომელიც დაიწყო 2004 წლის 16 დეკემბერს, დასრულდა ევროკავშირის ისტორიული გადაწყვეტილებით, მოლაპარაკებები დაეწყო თურქეთთან ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა თურქეთის ევროპულ ამბიციებს. სამიტის შედეგების მიხედვით, მოლაპარაკებები უნდა დაწყებულიყო **2005 წლის 3 ოქტომბერს. მოლაპარაკების** დაწყებაზე ევროპარლამენტის 407-მა დეპუტატმა მისცა ხმა, მოწინააღმდეგე იყო 262, ხოლო თავი შეიკავა 29-მ. ქვეყნების უმრავლესობამ თურქეთს მხარი დაუჭირა ნაწილობრივ იმიტომ, რომ მისი ევროკავშირში შესვლის ინიციატივის მარცხით დასრულების შემთხვევაში, ევროპული დიპლომატია ნდობას დაკარგავდა. უფრო მეტიც, ეს არ იქნებოდა პირველი მარცხი. ევროკავშირმა ხომ კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირებაც ვერ მოახერხა; მან ვერ შეძლო ერაყთან დაკავშირებით კოორდინირებული პოზიციის დემონსტრირება და ასევე ირანთან ბირთვულ პროგრამასთან დაკავ-

შირებული მოლაპარაკებებიც გაუგებარი შედეგებით დამთავრდა. ასე რომ, ევროკავშირის ვერდიქტმა თურქეთთან დაკავშირებით განსაზღვრა არა მხოლოდ თურქეთის, არამედ ევროკავშირის ბედიც (Grigoriadis, 2009: 157-168).

ამგვარად, ევროკავშირის ლიდერებმა დადებითად შეაფასეს თურქეთის – ერთადერთი ისლამური ქვეყნის – საკანონმდებლო გარდაქმნა, რომელიც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ თურქეთის საკანონმდებლო ბაზა ევროკავშირის დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი ყოფილიყო, რამაც, თავის მხრივ, კარი გაუღო თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს. ამჟამად დარჩენილია არანაკლებ რთული სამუშაო და მთავრობას დასჭირდება დიდი ძალისხმევა თურქეთის როგორც შინა, ასევე გარე პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად.

თავი XIII

თანამედროვე არაბული ქვეყნები

ტერმინი არაბული სამყარო (არაბ. *ალ-'ალამ ალ-'არაბი*) აღნიშნავს ყველა არაბულენოვან ქვეყანას, რომლებიც გადაჭიმულია დასავლეთით ატლანტის ოკეანიდან, აღმოსავლეთით არაბეთის ზღვამდე და ჩრდილოეთით ხმელთაშუა ზღვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ინდოეთის ოკეანემდე. არაბული სამყაროს ტერიტორიის საერთო ფართობი 12,9 მლნ კვ. კმ-ს აღწევს. ის შედგება 22 ქვეყნისაგან, რომლებიც განლაგებულია აზიისა და აფრიკის კონტინენტზე: ალჟირი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრაინი, ეგვიპტე, ერაყი, თუნისი, იემენი, იორდანია, კატარი, კომორი, ლიბანი, ლიბია, მავრითანია, მაროკო, ომანი, პალესტინის ავტონომია, საუდის არაბეთი, სირია, სომალი, სუდანი, ქუვეითი და ჯიბუთი. არაბული სამყაროს აზიურ ნაწილს ჰქვია *მაშრიკი* („აღმოსავლეთი“ – ეგვიპტის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები), ხოლო ჩრდილოეთ-აფრიკული ნაწილი დასავლეთით ეგვიპტემდე და სუდანამდე ცნობილია როგორც *მაღრიბი* („დასავლეთი“). მაშრიკი (რეგიონი, „სადაც მზე ამოდის”; ეგვიპტე და ახლო აღმოსავლეთი) მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ 5 ქვეყანას (ერაყს, იორდანიას, ლიბანს, სირიას, და პალესტინას) და აგრეთვე ეგვიპტეს. გეოსტრატეგიული კუთხით, მაშრიკს მიეკუთვნება აგრეთვე საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი, ბაჰრაინი, ქუვეითი, იემენი და ომანი. ზოგჯერ მას მიაკუთვნებენ სუდანსაც. არაბები მაღრიბს უწოდებენ ქვეყნებს, რომლებიც განლაგებულია იქ, „სადაც მზე ჩადის“. ეს არის ჩრდილოეთ აფრიკა, რომელიც მოიცავს ალჟირს, მაროკოს, თუნისს და ლიბიას. მაროკოს არაბული სახელწოდებაა – „ალ-მაღრიბ ალ-აკსა“ („უკიდურესი დასავლეთი“). დასავლეთი საჰარა ძირითადად მაროკოს ადმინისტრაციაში განიხილება. არსებობს „დიდი მაღრიბის“ შექმნის გეგმა, რომელშიც შევა მავრითანიაც.

არაბულ სამყაროში ფართობის მიხედვით ყველაზე დიდი ქვეყნებია სუდანი (2,505,813 კვ.კმ), ალჟირი (2,381,741 კვ.კმ) და საუდის არაბეთი (2,149,690კვ. კმ). ყველაზე პატარა არაბული ქვეყანა არის ლიბანი (10,452 კვ.კმ), ხოლო ყველაზე პატარა კუნძულოვანი ქვეყანა – ბაჰრაინი (665 კვ. კმ). ყველაზე დიდი არაბული ქალაქებია: კაირო (ეგვიპტე), ბაღდადი (ერაყი), ხართუმი (ლიბანი), დამასკო (სირია), არ-რიადი (საუდის არაბეთი) და კასაბლანკა (მაროკო).

თანამედროვე სალიტერატურო არაბული ენა – *ფუსჰა* ერთიანი სამწერლობო და ოფიციალური ენაა ყველა არაბული ქვეყნისათვის. ამ ენაზე იბეჭდება მხატვრული ლიტერატურის დიდი ნაწილი, სამეცნიერო შრომები, პრესა, მიმდინარეობს ოფიციალური მოლაპარაკებები, რადიო თუ ტელეგადაცემები. ამავე დროს, ამ სახელმწიფოების მოსახლეობა ყოველდღიურ მეტყველებაში იყენებს ადგილობრივ დიალექტს (სულ 27 დიალექტი). ეს დიალექტები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ფუსჰასგან. თითოეულ არაბულ ქვეყანაში გავრცელებულია ერთი ადგილობრივი დიალექტი მაინც. არაბული არ არის მშობლიური ენა არაბული ქვეყნების მოსახლეობის 25%-თვის. არაბულის გარდა ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული სამი ენა: ქურთული – ერაყის ჩრდილოეთ რეგიონში (15-20%) და ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში (5-10%), ბერბერული – ჩრდილოეთ აფრიკის ძირითად ნაწილში და ნუბიური – ნილოსის ხეობაში. არაბული ქვეყნების მოსახლეობის მცირე ნაწილი საუბრობს აგრეთვე ისეთ ენებზე, როგორიცაა აფარი, სირიული, სომხური, ებრაული, სპარსული, თურქმენული და სომალური. ორენოვნების პრობლემა არაბულ ქვეყნებში მეტად მწვავედ დგას. 1974 წელს სომალი გახდა არაბთა ლიგის წევრი და ამ სახელმწიფოში სომალური და არაბული არის ოფიციალური ენები. ჯიბუთი, სადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენს ორი ეთნიკური ჯგუფი – ისა და აფარი (სომალური ტომები), მსგავს მდგომარეობაშია. აქ არაბული ერთ-ერთი ოფიციალური ენაა და მოსახლეობის 94% მუსლიმია. ჩადის რესპუბლიკა, ერითრეა და ისრაელი აღიარებენ არაბულს ოფიციალურ ენად, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის არაბთა ლიგის წევრი (ერითრეას აქვს დამკვირვებლის სტატუსი).

XX ს. 40-60-იან წლებში არაბული ქვეყნების უმეტესობამ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ჩამოყალიბდა სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმა: ბაჰრაინი, კატარი, იორდანია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, მაროკო, ქუვეითი, ომანი და საუდის არაბეთი მონარქიებია, ხოლო დანარჩენი არაბული ქვეყნები – რესპუბლიკები. რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ-ად-

მინისტრაციული სისტემების თავისებურებას წარმოადგენს სუსტად განვითარებული ფედერალიზმი და, მრავალი ქვეყნის პოლიეთნიკურობის მიუხედავად, ჭარბობს უნიტარული სტრუქტურები. თუ არ ჩავთვლით არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, რომელიც აბსოლუტური მონარქიების ფედერაციაა, სომალის რესპუბლიკას და ერაყს, რომლის სახელმწიფოებრივი მოწყობა, ამჟამად უნიტარულ-ფედერალურ ხასიათს ატარებს.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მმართველობის ფორმა მონოკრატიული რესპუბლიკის ხასიათს ატარებს, რომელშიც პოლიტიკური ხელისუფლების ძირითადი სადავეები თავმოყრილია პრეზიდენტის ხელში. უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტეში მოქმედი კანონმდებლობა ზღუდავს კონსტიტუციის ზოგადდემოკრატიული მუხლების პრაქტიკულ განხორციელებას. ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლება თეორიულად გაყოფილია პრეზიდენტსა (სახელმწიფოს მეთაურს) და პრემიერ-მინისტრს (მთავრობის თავმჯდომარე – მინისტრთა საბჭო) შორის. პრეზიდენტი კონსტიტუციით იმავდროულად არის სახელმწიფოს მეთაური და განსაზღვრულ შემთხვევებში (სახალხო კრების სხდომებს შორის პერიოდში ან მისი დათხოვნის დროს) კონსტიტუციით მინიჭებული აქვს კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის უფლება. მას, საკანონმდებლო კრებასთან ერთად აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (ამასთან, მას ნებისმიერ დროს შეუძლია კრების დათხოვნა). პრეზიდენტს ასევე აქვს პარლამენტის საკანონდებლო საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება ვეტოს უფლების გამოყენებით.

> „ეგვიპტეში საპრეზიდენტო ხელისუფლების აღმნიშვნელი არაბ. ტერმინი *არ-რი'ასა* გამოხატავს უფრო ძლიერ ინსტიტუტს, ვიდრე ამ სიტყვის რუსული, ინგლისური ან სხვა ეკვივალენტი. ტრადიციების, სტატუსის და სოციალ-კულტურული ვითარების ერთობლიობა პრეზიდენტის ხელში დიდ ძალაუფლებას აქცევს, რომელიც შერწყმულია კოლოსალურ პასუხისმგებლობასთან“ (Васильев,1990: 224).

ეგვიპტელი პოლიტოლოგის, ყოფილი დიპლომატის, ბ. თაჰსინის სიტყვებით, „1954 წლის შემდეგ (ე.ი. ნასერის დაჯგუფების საბოლოო გამარჯვების შემდეგ) ეგვიპტეში პრეზიდენტები ცხოვრობენ და იხოცებიან; ისინი არასოდეს იცვლებიან ხალხის არჩევანის საფუძველზე“ (Tahseen, 1999: 3).

რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ ეგვიპტეში არსებობდა სამხედრო რეჟიმი. 1952 წლის 23 ივლისს სამხედროების იატაკქვეშა ორგანიზაციამ სახელწოდებით „თავისუფალი ოფიცრები“ (*ად-დუბ-ბათ ალ-აჰრარ*) ხელში აიღო ძალაუფლება. მეფე ფარუკის ჩამოგდების შემდეგ, ხელისუფლება გადავიდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს ხელში, რომელშიც შევიდა „თავისუფალი ოფიცრების“ ორგანიზაციის ყოფილი აღმასრულებელი კომიტეტის 12 წევრი (14-დან). საბჭოს სათავეში იდგნენ გენერალი მუჰამად ნაგიბი და გამალ აბდელ ნასერი.[1] 1953 წელს მონარქია გაუქმდა და ეგვიპტე რესპუბლიკად გამოცხადდა.

„თავისუფალ ოფიცრებს“ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა.[2] თუმცა ძირითად მიზნად ისახავდნენ ბრძოლას ბრიტანული იმპერიალიზმის ბატონობისა და მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ, რომელთა ინტერესებსაც გამოხატავდა მონარქია. რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭომ განახორციელა შემდეგი პოლიტიკური ცვლილებები: პირველივე კვირაში გამოიცა კანონი პოლიტიკური პოლიციის ლიკვიდაციის შესახებ; მიღებულ იქნა კანონი კორუმპირებული ელემენტებისაგან სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ; გაუქმდა ტიტულები „ფაშა“ და „ბეი“, რომლებიც არსებობდა თურქთა ბატონობის დროიდან; 1952 წლის 9 სექტემბერს მიიღეს კანონი აგრარული

---

1 გამალ აბდელ ნასერი მთავრობაში პირველად შევიდა 1953 წ. 23 ივლისს – ის გახდა შინაგან საქმეთა მინისტრი და პრემიერის მოადგილე; ხელმძღვანელობდა მთავრობას 1954 წლის 25 თებერვლიდან 8 მარტამდე, შემდეგ დაუბრუნა ეს პოსტი მუჰამად ნაგიბს, მეორედ პრემიერის პოსტი დაიკავა ამავე წლის 17 აპრილს და შეინარჩუნა ის პრეზიდენტობამდე (1956) (Nasser,1955: 5).

2 1955 წ. 26 მარტს ნასერმა პირველად გამოაცხადა ეგვიპტის რევოლუციის 6 პრინციპი: იმპერიალისტური ძალადობის მოსპობა; 2. ფეოდალიზმის ლიკვიდაცია; 3. „ხელისუფლებაზე კაპიტალის ბატონობის“ ლიკვიდაცია; 4. სოციალური სამართლიანობის განმტკიცება; 5. ძლიერი ეროვნული არმიის შექმნა; 6. ჯანსაღი დემოკრატიული ცხოვრების დამკვიდრება. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა მმართველობის პარლამენტურ ფორმას (Beattie, 2000: 3).

რეფორმის შესახებ;[3] 1923 წლის კონსტიტუცია გაუქმდა და 1953 წელს მიიღეს პირველი დროებითი კონსტიტუცია (საკონსტიტუციო დეკლარაცია); პარლამენტი დაითხოვეს; **1953 წლის 17 იანვარს გამოცხადდა** პოლიტიკური პარტიების გაუქმება და მათი ქონების კონფისკაცია.[4] მათ ნაცვლად შეიქმნა ერთადერთი ოფიციალური პოლიტიკური გაერთიანება – *განთავისუფლების ორგანიზაცია*, რომელიც უნდა გამხდარიყო ახალი რეჟიმის დასაყრდენი; ეგვიპტის მთავრობამ გადაწყვიტა საგარეო პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი – **1953 წლის 12 თებერვალს კაიროში ხელი მოეწერა ინგლის-ეგვიპტის** ხელშეკრულებას, რომლითაც სუდანს მიენიჭა თვითგამორკვევის უფლება. 1953 წლის თებერვალში კი დაიდო ხელშეკრულება აშშ-სა და ეგვიპტეს შორის „ტექნიკური დახმარების" შესახებ.1954 წ. მარტში სსრკ-ის მთავრობამ და ეგვიპტემ თავიანთი დიპლომატიური მისიები შეცვალეს საელჩოებით. 1954 წლის 19 ოქტომბერს ხელი მოეწერა ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულებას ინგლისის არმიის ევაკუაციის შესახებ **20 თვის განმავლობაში. 1955 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა შეთანხმ**ებას (საბჭოთა) იარაღის მიწოდებაზე ეგვიპტისათვის ჩეხოსლოვაკიიდან. ამავე წლის 20 ოქტომბერს დაიდო თავდაცვითი ხელშეკრულება სირიასთან და 27 ოქტომბერს – საუდის არაბეთთან. მომდევნო წლის მარტში შედგა თავდაცვის ხელშეკრულების მონაწილე სამი ქვეყნის სამიტი, ხოლო 1956 წლის აპრილში ამ ხელშეკრულებას შეუერთდა იემენი (Goldschmidt, 2004: 118-119; Cleveland, 2009: 307-310).

1953 წლის შუა ხანებში აშკარად გამოიკვეთა დაპირისპირება ნაგიბსა და ნასერს შორის, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა არჩევანს ორ პოლიტიკურ კურსს შორის: **1. რეჟიმის დემოკრატიზაცია და სა**მოქალაქო მმართველობისაკენ დაბრუნება, მაგრამ ძველი პარტიებისა და პარლამენტის გარეშე (ნაგიბი); 2. ერთმმართველობა – ხელმძღვანელი პოსტების სამხედროებისათვის შენარჩუნებით (ნასერი). ნაგიბი, რომელსაც არ ჰქონდა ისეთი პოლიტიკური გავლენა, როგორიც ნასერს, ეყრდნობოდა პარტია *ვაფდ*-ს და „მუსლიმი ძმების" ასოციაციას. 1954 წლის იანვარში განთავისუფლების ორგანიზაციის მომხრეებსა და „მუსლიმი ძმების" ასოციაციის წევრ სტუდენტებს შორის სისხლიანი შეტაკებისა და ნასერზე ასოციაციის წევრების წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, ოქტომბერში „მუსლიმი ძმების" ასოციაციას სასტიკად გაუსწორდნენ (მისი **6 ლიდერი სიკვდილით დასაჯეს, ათასობით წევრი დააპა**ტიმრეს). საბოლოოდ, „თავისუფალი ოფიცრების" უმრავლესობა განუდგა ნასერს, რომელსაც რადიკალური ღონისძიებების გატარება სურდა დეკოლონიზაციისათვის, მრეწველობის განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის (Cleveland, 2009: 306-307).

1955 წელს ბაღდადის პაქტის შექმნა (წევრები – თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ერაყი და ბრიტანეთი) ეგვიპტის მიერ შეფასდა, როგორც „არაბული ინტერესების ღალატი." ეგვიპტე, სირიასთან ერთად, სათავეში ჩაუდგა კამპანიას ბაღდადის პაქტში არაბული სახელმწიფოების ჩართვის წინააღმდეგ. ბანდუნგის კონფერენციის[5] (1955 წლის 18-24 აპრილი) შემდეგ, რომლის მონაწილეთა უმრავლესობა გამოვიდა ანტიიმპერიალისტური პოზიციებით და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ნასერი გახდა „პოზიტიური ნეიტრალიზმის" ბლოკის ლიდერი.

1954 წლიდან გამალ აბდელ ნასერი სათავეში ჩაუდგა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს,[6] ხოლო სამწლიანი „გარდამავალი პერიოდის" დასრულების შემდეგ, 1956 წლის 23 ივნისს, არჩეულ იქნა პრეზიდენტად. სწორედ **1956 წელს უკავშირდება შემდეგი ეპოქალური მოვლენები: უკანასკ**ნელმა ბრიტანელმა ჯარისკაცმა დატოვა ეგვიპტე (**13 ივნისი); რეფერენდუმზე მიღებულ იქნა ეგვიპ-**

---

3 ეს იყო მთელ არაბულ აღმოსავლეთში პირველი რეფორმა, რომელმაც სათავე დაუდო ფეოდა-ლური ურთიერთობების ლიკვიდაციას. დადგინდა მიწათსარგებლობის მაქსიმუმი – 200 ფედანი (1 ფედანი=0,42 ჰა), გათვალისწინებული იყო იჯარის გადასახადის განსაზღვრული შემცირება, შრომის ანაზღაურების გაზრდა სოფლად და კოოპერატივების დაარსება (Cleveland, 2009: 307; Hopwood, 1991: 39).

4 აიკრძალა ეგვიპტის კომუნისტური პარტია, ხოლო მისი წევრები სასტიკი რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ.

5 ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ ბანდუნგის (ინდონეზია) კონფერენციამ (მასში მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის 29 დამოუკიდებელი ქვეყანა) წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ნასერზე, რომელმაც იგრძნო, რომ მას უყურებენ, როგორც დამოუკიდებელი აფრიკული და აზიური სახელმწიფოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლიდერს. თავის მხრივ, „ნეიტრალიზმმა შესაძლებლობა მისცა არაბულ ქვეყნებს და, უპირველეს ყოვლისა, ეგვიპტეს, ეგრძნო თავი რეალურ მოთამაშედ საერთაშორისო საქმეებში" (Berger, 1964: 333). ბანდუნგის კონფერენციამ სათავე დაუდო 1961 წელს მიუმხრომლობის მოძრაობის (Non-Aligned Movement) ჩამოყალიბებას ბელგრადის კონფერენციაზე.

6 1954წ. 14 ნოემბერს ნაგიბი გადააყენეს ყველა თანამდებობიდან, ჩამოართვეს ორდენები და მან დარჩენილი ცხოვრება, 29 წელი, ფაქტობრივად შინაპატიმრობაში გაატარა.

ტის რესპუბლიკის კონსტიტუცია (23 ივნისი); **გამოქვეყნდა დეკრეტი სუეცის არხის ნაციონალიზაციაზე** (26 ივლისი),[7] რასაც მოჰყვა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ერთობლივი სამხედრო ოპერაცია ეგვიპტის წინააღმდეგ (29 ოქტომბერი – 7 ნოემბერი). ეგვიპტის არმიის გარდაუვალი კატასტროფა ამ ომში აცილებულ იქნა სსრკ-ის, აშშ-ის და გაერო-ს ჩარევით (იხ. თავი XIV).

1956 წლის შემდეგ ნასერი გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ლიდერი არაბულ სამყაროში, ხოლო ეგვიპტე – „არაბთა ერთიანობის“ ცენტრი. ნასერის მიმდევრები იყვნენ ყველა არაბულ ქვეყანაში. 1950-იან და 1960-იან წლებში *ნასერიზმი*[8] რჩებოდა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ იდეოლოგიად ახლო აღმოსავლეთში და ნასერი იყო არაბი ხალხის ერთიანობისა და რევოლუციის სიმბოლო.

> „1956 წლისა და შემდგომი წლების მოვლენებმა ნასერი აქცია არაბული ნაციონალიზმის ცოცხალ სიმბოლოდ, მაგრამ ამ ფენომენის უკან, – წერდა ალბერტ ჰოურანი, – იკვეთებოდა ეგვიპტის პოლიტიკის ნათელი მიზანი: ეგვიპტის საერთოარაბული ბლოკის წინამძღოლად და მთავარ რგოლად ქცევა. ბლოკი კი იმდენად მტკიცე უნდა ყოფილიყო, რომ გარე სამყარო იძულებული გამხდარიყო დაემყარებინა ურთიერთობა მასთან, სწორედ კაიროსთან მოლაპარაკებების საფუძველზე“ (Hourani, 1991: 540).

1956 წლის 23 ივნისის მეორე დროებითი კონსტიტუციით, ქვეყანაში დამყარდა ერთპარტიული რეჟიმი და პრეზიდენტი სათავეში ჩაუდგა ერთადერთ პარტიას – *ეროვნულ კავშირს*, რომლის აღმასრულებელ კომიტეტს უნდა დაესახელებინა და წარედგინა ეროვნული კრების დეპუტატობის ყველა კანდიდატი, ე. ი. ფაქტობრივად დაენიშნა პარლამენტის შემადგენლობა. კონსტიტუცია ითვალისწინებდა აგრეთვე მუნიციპალური საბჭოების დაარსებას. პროვინციების (*მუჰაფაზ*) გუბერნატორებისა და ქალაქის მერების დანიშვნა პრეზიდენტის კომპეტენციაში შედიოდა, ხოლო სოფლის საბჭოს თავმჯდომარეების – პროვინციათა გუბერნატორების. პრეზიდენტს შეეძლო დაეთხოვა მუნიციპალური საბჭო. კონსტიტუციაში გათვალისწინებული იყო ეგვიპტის რესპუბლიკის მეთაურის არჩევის პროცედურა – რეფერენდუმის გზით და არა პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით და ამან განამტკიცა პრეზიდენტის ხელისუფლების ავტორიტარული ხასიათი (Berger,1964: 76-77).

გამალ აბდელ ნასერი

1958 წლის თებერვლის დასაწყისში ხელი მოაწერეს დოკუმენტს ეგვიპტისა და სირიის გაერთიანების შესახებ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ჩატარდა პლებისციტი, რომელზედაც ორივე ქვეყნის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა გამალ აბდელ ნასერის დანიშვნას *არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის* პრეზიდენტად. გაერთიანების ძირითადი მიზეზი გახდა პანარაბული ნაციონალიზმის იდეა. ვარაუდობდნენ, რომ *არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა* გახდებოდა მომავალი ერთიანი არაბული სახელმწიფოს საფუძველი. კაიროს და დამასკოს გაერთიანებას ხელი შეუწყო აგრეთვე 1956 წელს სამმაგმა აგრესიამ (ინგლისი, საფრანგეთი, ისრაელი) ეგვიპტის წინააღმდეგ და სირიაზე ზეწოლამ, რომელსაც ახორციელებდნენ მეზობელი ისრაელი, ერაყი და თურქეთი (Kamrava, 2005: 109).

გარდამავალ პერიოდში რესპუბლიკა შედგებოდა ორი რაიონისაგან – ჩრდილოეთის (სირიული) და სამხრეთის (ეგვიპტური), დედაქალაქად არჩეულ იქნა კაირო. *არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის* საფუძველი გახდა მმართველობის ეგვიპტური სისტემა – სამხედრო რეჟიმი, რასაც მოჰყვა სირიაში პოლიტიკური პარტიების გაუქმება, სირიელი ოფიცრების დათხოვნა და სხვა იძულებითი ღონისძიებები (მიწის რეფორმა, ეგვიპტური კაპიტალის ექსპანსია, მკაცრი კონტროლის დაწესება ვალუტის გაცვლაზე და სხვ.). მოგვიანებით ერთი სირიელი გენერალი წერდა: „ამ

---

7 სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილება ნასერმა მიიღო, უპირველეს ყოვლისა, ასუანის კაშხლის დასაფინანსებლად. ამ კაშხლის მნიშვნელობა უკვე პროექტის განხილვის დონეზე გასცდა წმინდა სამეურნეო მიზნებს. ასუანის კაშხალი იყო „არა მხოლოდ ეკონომიკური ჩანაფიქრი, არამედ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტიც ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად, რაც ნაწილობრივ ხსნის ნასერის მძვინვარე რეაქციას აშშ-ის უარზე დაეფინანსებინა კაშხლის მშენებლობა“ (Hudson, 1977: 22-24).

8 ნასერიზმი – გამალ აბდელ ნასერის პოლიტიკური ფილოსოფია და პროგრამა, რომელიც მოიცავს ნაციონალიზმს, ნეიტრალიზმს და არაბულ სოციალიზმს. მისი სიკვდილის შემდეგ ეს ტერმინი აღნიშნავდა იმ ეგვიპტელთა და სხვა არაბთა პოლიტიკურ შეხედულებებს, ვინც უპირისპირდებოდნენ ანვარ სადათის პოლიტიკას.

გაერთიანების დროს თითოეული ეგვიპტელი ოფიცერი ისე იქცეოდა, თითქოს ის იყო გამალ აბდელ ნასერი“ (Kerr, 1971: 51). არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ იარსება მხოლოდ **1961 წლის სექ**ტემბრამდე. მისი დაშლა განაპირობა მასშტაბური პოლიტიკური ექსპერიმენტის ნაჩქარევმა და გაუთვლელმა განხორციელებამ, ასევე დიდმა განსხვავებამ ამ გაერთიანებული სახელმწიფოს ორი ნაწილის პოლიტიკურ სისტემებში[9] (Parker, 1962: 15-28).

1960-იან წლებში ეგვიპტის მთავრობამ დაიწყო რეფორმების გატარება („სოციალიზმის მშენებლობა ეგვიპტეში მარქსისტული მოდელით“): ფართომასშტაბიანი ნაციონალიზაცია;[10] ახალი აგრარული კანონი;[11] დადგინდა **42 საათიანი სამუშაო კვირა, პირველად დაწესდა ყოველწლიური ანაზღა**ურებადი შვებულება და პენსიები, შემცირდა ბინის გადასახადი და მკურნალობის ხარჯები, გაუქმდა სწავლის საფასური ყველა საფეხურზე; **1960 წელს გამოცხადდა პირველი 5 წლიანი გეგმა, რომელ**შიც დიდი ყურადღება ეთმობოდა ინდუსტრიულ განვითარებას; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდის მაჩვენებელს (წელიწადში 2,5%), რის გამოც 1962 წელს შემოღებულ იქნა ოჯახის დაგეგმვა; მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა განათლების სისტემაში[12] (Ginat, 1996: 15-16).

1961 წლის ნოემბერში დათხოვნილ იქნა ეროვნული კრება და ეროვნული კავშირი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ რეფორმებს. **1962 წელს მოიწვიეს სახალხო ძალების ეროვნული კონგრესი, რო**მელმაც მიიღო *ეროვნული ქარტია* – თეორიულად დასაბუთებული ეკონომიკური და სოციალური რეფორმები და პოლიტიკური პროგრამა უახლოესი **10 წლის მანძილზე. 1962 წლის 6 ნოემბერს გამოცე**მულ იქნა პრეზიდენტ ნასერის დეკრეტი ქვეყანაში ერთადერთი მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის – *არაბული სოციალისტური კავშირის* დაარსების შესახებ (თავმჯდომარე – გამალ აბდელ ნასერი). მასში გაერთიანება შეეძლო ყველა მსურველს, „ფეოდალებისა და კაპიტალისტების“ გარდა, და შესაბამისად, 1968 წელს მისი წევრების რაოდენობამ 5 მლნ-ს გადააჭარბა (Hopwood, 1991: 90-91).

ოფიციალურ დოკუმენტებში განხორციელებული გარდაქმნების ერთობლიობა შეფასდა, როგორც „არაბული სოციალიზმი“ – ეგვიპტის სოციალისტური არჩევანი, რომელსაც ჰქონდა „ეროვნული“ ხასიათი. ეროვნული ქარტიის მიხედვით, ეგვიპტე იყო არაბული რევოლუციის შუაგულში, რათა მიეღწია თავისუფლების, სოციალიზმისა და ერთობისათვის. ეგვიპტის მოვალეობა იყო მოეხდინა რევოლუციის ექსპორტი არაბულ ქვეყნებში (Ginat,1996: 19-23).

> გამალ აბდელ ნასერს ზოგჯერ ადარებენ ათათურქს. ორივე იყო რეფორმატორი, მაგრამ ეგვიპტის რეჟიმის დამოკიდებულება ისლამისა და რელიგიური ინსტიტუტების მიმართ განსხვავდებოდა ათათურქისაგან. ნასერმა ისლამური ინსტიტუტები სახელმწიფოს კონტროლქვეშ მოაქცია და ჩართო ისინი არაბული რევოლუციის სამსახურში. 1961 წლის სახელმწიფო დეკრეტით, განხორციელდა ალ-აზჰარის უნივერსიტეტის რეორგანიზაცია – დამატებით გაიხსნა 4 არარელიგიური ფაკულტეტი:

---

9 სირიაში უკმაყოფილო იყვნენ ეგვიპტის საქონლისა და კაპიტალის ექსპანსიით, ბამბის ნათესების იძულებითი შემცირებით, მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციით, აგრარული რეფორმის გატარებით, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკით.

10 ჯერ კიდევ 1957 წელს, სუეცის კრიზისის შემდეგ, ნაციონალიზებულ იქნა ინგლისური და ფრანგული ბანკები, შემდეგ სამრეწველო, სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა კომპანიები საერთო კა-პიტალით 182 მლნ გირვანქა სტერლინგი. 1961-1964 წლებში, ნაციონალიზაციის შესახებ დეკრეტების საფუძველზე, სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა მრეწველობაში წარმოების საშუალე-ბების 85%, საკრედიტო-საბანკო სისტემა, მთელი ტრანსპორტი.

11 ამ კანონის თანახმად, მიწათმფლობელობის მინიმუმი შემცირდა 200-დან 100 ფედანამდე (1969 წელს 50 ფედანამდე). თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ 9%-მა მიიღო მიწის ნაკვეთი და 1964 წლისათვის მცირე საგლეხო მეურნეობებს (5 ფედანზე ნაკლები) ეკავა დამუშავებული მიწების 55%, საშუალო მეურნეობებს (5-დან 50 ფედანამდე) – 33% და დარჩენილი 12% იყო 50-დან 100 ფედანს შორის. 1964 წელს გაუქმდა კომპენსაციის გადახდა მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწების გამო (Richards & Waterbury, 1990: 152-153).

12 მთავრობის მიზანი იყო განათლების დონის ამაღლება დაწყებით და საშუალო სკოლებში. დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 1,3 მლნ-დან (1953) 3,6 მლნ-მდე (1970), მაგრამ 1969 წლისათვის ეგვიპტელ მოზარდთა 60% კვლავაც წერა-კითხვის უცოდინარი იყო. პროვინციულ ქალაქებში გაიხსნა რამდენიმე ახალი უნივერსიტეტი. მნიშვნელოვანი იყო 1962 წელს ნასერის საჯარო განცხადება, რომელიც სახელმწიფო სამსახურით უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებულს. ამან გააორმაგა სტუდენტების რაოდენობა უნივერსიტეტებში 60-იან წლებში.

> მედიცინის, ინჟინერიის, სასოფლო-სამეურნეო და მუსლიმ ქალთა ფაკულტეტი. რეორგანიზაციის შედეგი იყო ალ-აზჰარის რექტორის უფლებების შეზღუდვა და სახელმწიფოს კონტროლქვეშ გადავიდა უნივერსიტეტის კურიკულუმი და მისი ადმინისტრაციისა და მასწავლებლების დანიშვნა. სახელმწიფომ თავის კოტროლქვეშ მოაქცია ვაკფებიც და 1955 წელს შარიათის სასამართლოების გაუქმებით გაანადგურა „ულემთა იურიდიული ძალაუფლების უკანასკნელი ბასტიონი." სახელმწიფოს დანიშნული ულემები წერდნენ სტატიებს ისლამსა და არაბულ სოციალიზმს შორის არსებული ჰარმონიის შესახებ (Cleveland, 2009: 320-321).

1964 **წელს ეგვიპტეში გაუქმდა საგანგებო კანონები, ციხეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან** გამოუშვეს პოლიტპატიმრები, მათ შორის კომუნისტები. დასრულდა „გარდამავალი პერიოდი." 1964 **წლის ახალი კონსტიტუციით, ეგვიპტე გამოცხადდა დემოკრატიულ, სოციალისტურ სახელმწიფოდ**, რომელიც უნდა განვითარებულიყო „ხალხთა მასების ხელმძღვანელობით" (გლეხობა, მუშათა კლასი, ინტელიგენცია, ჯარისკაცები). ეროვნული კრების დეპუტატების **50% უნდა ყოფილიყო მუშები** და გლეხები. ნასერის პრეზიდენტობა ნიშანდებული იყო ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაციით. მკვლევრები აღწერენ ნასერის რეჟიმს ტერმინებით: „მართული დემოკრატია" და „რბილი ავტორიტარიზმი" (Waterbury, 1983:11).

> „ნასერი იწვევდა მთელ არაბულ სამყაროში ისეთ შიშს და აღფრთოვანებას, რომ ისინიც კი, ვინც ვერ იტანდნენ მას, იმავდროულად მას ბაძავდნენ" (Richards & Waterbury, 1990: 453).

1967 **წლის გაზაფხულზე მკვეთრად გამწვავდა პოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთის** რეგიონში. ივლისში „ექვსდღიანი ომის" დროს ისრაელმა დაიკავა ეგვიპტის კუთვნილი სინას ნახევარკუნძული, ღაზას სექტორი და აღმოსავლეთ იერუსალიმი და სირიის კუთვნილი გოლანის მაღლობები და იორდანიის კუთვნილი – მდ. იორდანეს დას. ნაპირი. ისრაელმა უარი თქვა გაერო-ს უშიშროების საბჭოს №242 **რეზოლუციის შესრულებაზე, რომელიც ითვალისწინებდა ისრაელის არმიის გასვლას** ომის დროს დაკავებული ტერიტორიიდან. (დაწვრილებით იხ. თავი XIV).

ნასერმა თავის თავზე აიღო ამ ომში დამარცხების პასუხისმგებლობა და განაცხადა თავისი გადადგომის შესახებ. თუმცა, იმ დღეებში ნასერის პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნების მოთხოვნით ეგვიპტეში მიმდინარე მასობრივმა დემონსტრაციებმა აჩვენა, რომ ის კვლავაც აღიქმებოდა ჭეშმარიტ ლიდერად არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ მთელ არაბულ სამყაროში. „ექვსდღიან ომში" დამარცხებამ გამოიწვია პოლიტიკური ბრძოლის გამწვავება, მაგრამ ამას არ გამოუწვევია ნასერის მიერ არჩეული კურსის ცვლილება.

1967 **წლის წარუმატებელი ომის შემდეგ ჩატარდა კამპანია ე. წ. სამხედრო-ბიუროკრატიული ელიტის** წინააღმდეგ, ფაქტობრივად, მარშალ აბდელ ჰაქიმ ამერის დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც გადაიქცა „ხელისუფლების პარალელურ ცენტრად."[13] 1968 წლის მარტის სტუდენტთა დემონსტრაციების შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, სადაც სამხედროების რიცხვი მინისტრებს შორის მნიშვნელოვნად შემცირდა.[14] პრეზიდენტმა ნასერმა ე. წ. „30 მარტის პროგრამით" ხალხს აღუთქვა ცვლილებები.

სსრკ-ის ეკონომიკური დახმარებით ეგვიპტეში აშენდა ასობით სამრეწველო ობიექტი, მათ შორის უმსხვილესი იყო მეტალურგიული ქარხანა ჰალვანში, ალუმინის ქარხანა ნაჩ-ჰამადში და ასუანის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი. ასუანში კაშხალი და ელექტროსადგური ამოქმედდა 1969 წელს, რამაც გაზარდა სარწყავი ფართობების მოცულობა **500 ათას ჰა-მდე, ხოლო ელექტროენერგიის წარ-**

---

13 აბდელ ჰაქიმ ამერი დაადანაშაულეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში. 1967 წლის აგვისტოდან ის შინაპატიმრობაში იმყოფებოდა და ოფიციალური ვერსიით, 14 სექტემბერს, მიიღო საწამლავი, რითაც გარდაიცვალა. არაოფიციალური ვერსიით, ის მოკლეს სპეცსამსახურის თანამშრომლებმა.

14 სამხედროების რიცხვი შემცირდა 65,4%-დან 39,4%-მდე, ხოლო სამეცნიერო ხარისხისა და სამოქალაქო განათლების მქონე მინისტრების რიცხვი გაიზარდა 31%-დან 52%-მდე (Dekmejian, 1971:189). ეს ტენდენცია გაგრძელდა ანვარ სადათის მმართველობის დროსაც. 1971-1981 წლებში 163 ადამიანიდან, რომლებიც მთავრობაში იყვნენ აღნიშნულ პერიოდში, 131-ს არასოდეს ჩაუცვამს სამხედრო ფორმა. მათ შორის 52 იყო უნივერსიტეტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენელი, 34 – საინჟინრო-ტექნიკური კადრი, 12 – პროფესიონალი იურისტი, 6 – დიპლომატი, 4 – პრაქტიკოსი ეკონომისტი, 5 – მუსლიმი ღვთისმეტყველი. ამასთან, 32 სამხედროს შორის, 18 წარმოადგენდა საკუთრივ არმიის ოფიცრობას, 9 – სამხედრო-ტექნიკურ სპეციალისტებს და 5 – დაზვერვისა და უშიშროების სამსახურიდან იყო. ჰოსნი მუბარაქის პრეზიდენტობის დროს, სამხედროები შეადგენდნენ პირველი სამი კაბინეტის 10%-ზე ნაკლებს (Ayubi, 1989: 4-5).

მოება – ორჯერ. ეგვიპტეში მსხვილი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა შეფასდა, როგორც „სამრეწველო გადატრიალება."

რეფორმების შემდგომი სტრატეგიის შემუშავებას ხელი შეუშალა გამალ აბდელ ნასერის გარდაცვალებამ 1970 წლის 28 სექტემბერს. პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ანვარ სადათმა (1970-1981), როელმაც უარი თქვა ნასერის კურსზე[15] – გაათავისუფლა ნასერის მომხრეები სახელმწიფო აპარატიდან, მოხდა სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილის დენაციონალიზაცია, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები კერძო მეწარმეობისა განვითარებისა და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზაცია გამოიხატა სლოგანით – „გამოსასწორებელი მოძრაობა" (*ჰარაქათ ათ-თაჰსინ*) (Goldschmidt, 2004: 158-159).

> სადათი „ყოველთვის რაიმე როლს ასრულებდა: თავს წარმოსახავდა ხან ფილოსოფოსად, ხან ერის მამად, ხან გონებამახვილ პოლიტიკოსად, ხან სამხედრო სტრატეგოსად." თუმცა, მას კარგად ესმოდა, რომ არ ჰქონდა ლიდერის ის თვისებები, რაც მის წინამორბედს, რომელიც ბრწყინვალე ორატორი იყო. სამთავრობო წრეებთან დაახლოებული პოლიტიკოსი და ჟურნალისტი მუჰამად ჰეიკალი, თავის ცნობილ წიგნში „რისხვის შემოდგომა," წერდა სადათის „ცვალებად ნიღაბზე, რომელსაც ის ირგებდა" (Heikal,1983:12-24). ამერიკელი კირკ ბიეითი, სადათის პერიოდის ეგვიპტეზე უახლესი გამოკვლევის ავტორი, ჰეიკალის თავდასხმებს გარდაცვლილი პრეზიდენტის მისამართით, არასამართლიანად მიიჩნევს. თუმცა ეთანხმება, რომ ის იყო გამოუცნობი ადამიანი და თავის გადაწყვეტილებებს ბოლო წუთამდე უმალავდა თვით უახლოეს ადამიანებსაც კი (Beattie, 2000:14,20).

1971 წლის 2 სექტემბერს ეგვიპტის ადრინდელი სახელწოდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა შეიცვალა *ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკით*, რაც მოიწონა სახალხო რეფერენდუმმა. 8 სექტემბერს დათხოვნილ იქნა ეროვნული კრება (*მაჯლის ალ-უმმა*), შეიცვალა მისი სახელწოდება და ნოემბერში ჩატარდა არჩევნები ახალ პარლამენტში (სახალხო კრება – *მაჯლის აშ-შა'აბ*). მანამდე, 1971 წლის 11 სექტემბერს, რეფერენდუმზე მიიღეს „ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მუდმივი კონსტიტუცია" (ხმების 99,98%-ით), რომელიც 1980 წლის 22 მაისის შესწორებებით დღემდე მოქმედებს.[16] ერთ-ერთი ამ შესწორებით, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 6 წლით, ხელახლა არჩევის ვადა აღარ იყო შეზღუდული და შესაძლებელი გახდა პრეზიდენტობა სიცოცხლის ბოლომდე. თუმცა, ამ შესწორების ინიციატორმა ანვარ სადათმა პირადად ვერ ისარგებლა ამ მუხლით. კონსტიტუციაში უშუალოდ აისახა ნასერის 1968 წლის „30 მარტის პროგრამის" ზოგიერთი იდეოლოგიური პოსტულატი და ორგანიზაციული დებულება. კონსტიტუციამ გააფართოვა პრეზიდენტის უფლებამოსილება. ის გამოცხადდა სახელმწიფო სუვერენიტეტის სიმბოლოდ და კანონიერების გარანტად. 1971 წლის 20 სექტემბერს ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა – მინისტრის კაბინეტი, რომელიც, სადათის განმატებით, უნდა დაყრდნობოდა „ცოდნას და რწმენას" (*ალ-'ილმ ვა-ლ-იმან*), განსხვავებით ნასერის „არაბული სოციალიზმისაგან."[17] კონსტიტუციის მე-2 მუხლით, ისლამი გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად და კანონმდებლობის ძირითად წყაროდ.

ანვარ სადათის მმართველობის პერიოდში ეგვიპტის საგარეო პოლიტიკაში მოხდა კარდინალური ცვლილებები: 1972 წელს სადათმა გაწყვიტა კავშირი სსრკ-თან და 20,000 საბჭოთა სამხედრო სპეციალისტი დააბრუნა უკან; ანვარ სადათისათვის, თავისი წინამორბედის მსგავსად, ახლოაღმოსავლური პრობლემის გადაწყვეტა იყო არა მხოლოდ ომისა და მშვიდობის საკითხი,[18] არამედ მნიშვნელოვანი ფაქტორი საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაციისათვის. 1973 წლის შემოდგომაზე სადათის ინიციატივით დაიწყო არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ისრაელის

---

15 ეგვიპტეში მოარული ისტორიის თანახმად, როდესაც ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ანვარ სადათი ჩაჯდა საპრეზიდენტო ლიმუზინში და მძღოლმა ჰკითხა თუ საით ისურვებდა წასვლას, მან უპასუხა: „წამიყვანე იმ გზით, რომლითაც ნასერი დადიოდა ხოლმე." გზის ჩვენების შემდეგ სადათმა ბრძანა საპირისპირო მიმართულებით წასვლა. ეს ქმედება მიუთითებდა ნასერიზმის დასასრულზე (Goldschmidt, 2004: 159).

16 2011 წლის მარტში, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, კონსტიტუციაში ახალი შესწორებები შევიდა (იხ. ქვემოთ).

17 არაბული ნაციონალიზმიდან სადათი გადავიდა ეგვიპტურ ნაციონალიზმზე და მისი მთავარი ლოზუნგი გახდა „ეგვიპტე უწინარეს ყოვლისა!."

18 თუმცა ნასერისაგან განსხვავებით, რომელიც ერთგული იყო უიმედო ლოზუნგის - „ძალით წართმეულის დაბრუნება მხოლოდ ძალით შეიძლება," სადათი აღმოჩნდა უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. ის ცდილობდა ეტაპობრივად გადაეჭრა ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა.

მიერ „ექვსდღიანი ომის“ დროს დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნება და განემტკიცებინა ეგვიპტის ახალი მთავრობის ავტორიტეტი არაბულ სამყაროში. ომის დასაწყისში ეგვიპტისა და სირიის არმიების წარმატების მიუხედავად, ისრაელმა, ძალების დაძაბვითა და საგრძნობი მსხვერპლის ფასად (დაიღუპა 2500 ადამიანი), შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. 1973 წლის 22 ოქტომბერს ომი დამთავრდა დროებითი ზავით – ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით, რის გამოც ორივე მხარე თავს გამარჯვებულად თვლიდა.[19] შუალედური მიზანი მიღწეულ იქნა – 1975 წლის 5 ივნისს სუეცის არხი, რომელიც 8 წლის მანძილზე დახურული იყო ნაოსნობისათვის, გაიხსნა (Goldschmidt, 2004: 161-165).



სადათი და ნასერი

სწორედ ოქტომბრის ომმა განუმტკიცა ძალაუფლება მმართველ დაჯგუფებას ანვარ სადათის ხელმძღვანელობით. 1974 წელს სადათმა გამოაქვეყნა „ოქტომბრის დოკუმენტი“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო „ღია კარის“ *(ინფითაჰ)* პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რაც ნიშნავდა ეკონომიკის ლიბერალიზაციას და უცხოური კაპიტალისათვის, მათ შორის აშშ-ის, თავისუფლების მინიჭებას. მართალია, *ინფითაჰმა* გამოაცოცხლა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება, ძირითადად ამერიკის ინვესტიციებით[20] ნავთობის, საბანკო და ბინათმშენებლობის სფეროში, მაგრამ „ეკონომიკური სასწაული“ არ მომხდარა (1970-იანი წლების ბოლოს ინფლაციამ მიაღწია 60%-ს წელიწადში). უფრო მეტიც, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კრიზისმა გამოიწვია მუშებისა და სტუდენტების მასობრივი გამოსვლები 70-იანი წლების ბოლოს. პრეზიდენტმა უკან წაიღო თავისი ადრინდელი დემოკრატიული დაპირებები და დაიწყო ზეწოლის განხორციელება საზოგადოებრივ პროცესებზე (იქვე, 168-171; Baker, 1981: 378-384).

მოკავშირეების ცვლამ და აშკარა პროამერიკულმა კურსმა აიძულა სადათი, სხვა არაბული ქვეყნების ზურგს უკან, დაეწყო მოლაპარაკებები ისრაელთან. 1975 წლის სექტემბერში მათ შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა სინას ნახევარკუნძულის დიდი ნაწილის დაბრუნებას ეგვიპტისათვის, თუ ის დადებდა ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულებას. 1977 წლის 19 ნოემბერს ანვარ სადათი ჩავიდა იერუსალიმში და დაიწყო მოლაპარაკებები მენაჰიმ ბეგინის მთავრობასთან.[21]

---

19 შემდგომში ანვარ სადათი ყოველ წელს აღნიშნავდა სამხედრო აღლუმით ომის დაწყებას – 6 ოქტომბერს და არა საომარი მოქმედებების შეწყვეტას – 22 ოქტომბერს, რადგანაც ვერ მოიპოვა სასურველი საბოლოო გამარჯვება.

20 ეგვიპტემ უარი თქვა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაზე, მაგრამ 1973 წლის ომმა აჩვენა, რომ ქვეყანას არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაეჭრა პრობლემები და სადათმა შემდგომ საგარეო პოლიტიკა აშშ-თან სამხედრო-სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ააგო.

21 1977 წლის 19 ნოემბერს, შაბათ საღამოს, მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის წინა დღეს, სადათი გახდა პირველი არაბი ლიდერი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ისრაელში. 1977 წლის 9 ნოემბერს ანვარ სადათმა განაცხადა ეგვიპტის სახალხო კრების წინაშე, რომ მას სურდა წასვლა ისრაელის ქნესეთში მხოლოდ მშვიდობის დასამყარებლად. 15 ნოემბერს ის მიიწვია ოფიციალურად ისრაელის პრემიერ-მინის-

აშშ-ის პრეზიდენტის ჯ. კარტერის შუამავლობით, ხელშეკრულების ძირითადი მუხლები შეთანხმებულ იქნა კემპ-დევიდში 1978 წელს. საბოლოო სახით ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1979 წლის 26 მარტს ვაშინგტონში. ხელშეკრულება შედგებოდა პრეამბულის, **9 მუხლისა და მთელი რიგი დამატებებისაგან.** ხელშეკრულება ითვალისწინებდა ომის მდგომარეობის შეწყვეტას არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ისრაელს შორის და ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენას სინაზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ნორმალური ურთიერთობა, რომელიც დამყარდა მათ შორის, გულისხმობდა სრულ აღიარებას, დიპლომატიურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს, ეკონომიკური ბოიკოტისა და დისკრიმინაციული ღონისძიებების შეწყვეტას." ისრაელის გემებმა, მათ შორის სამხედრო ხომალდებმა, მიიღეს ნაოსნობის უფლება სუეცის არხზე. ისრაელი ვალდებულებას იღებდა დაესრულებინა „თავისი შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო პირების სრული გაყვანა სინას ნახევარკუნძულიდან არა უგვიანეს მოცემული ხელშეკრულების რატიფიცირებული ეგზემპლარების გაცვლიდან 3 წლის შემდეგ." ხელშეკრულების მე-**4 მუხლით, ეგვიპტემ ცნო ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დებულებათა** პრიორიტეტი ყველა ადრე დადებული არაბთაშორისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ვალდებულებებზე. ამით ეგვიპტე ფაქტობრივად გამოდიოდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის 1950 წლის ხელშეკრულებიდან „ერთობლივი თავდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ." №3 ოქმის დამატების შესაბამისად, ეგვიპტემ აიღო ვალდებულება მოემარაგებინა ისრაელი ნავთობით. ისრაელთან ხელშეკრულებამ გამოიწვია სადათის მკაცრი კრიტიკა როგორც ეგვიპტეში, ისე მთელ არაბულ სამყაროში.[22] 1979 წელს სადათმა დაითხოვა სახალხო კრება, რადგანაც მისი დეპუტატების ნაწილი გამოვიდა ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ (Safty, 1991: 285-298).

ნასერის სისტემის პოლიტიკური დემონტაჟი დასრულდა არაბთა სოციალისტური კავშირის რეორგანიზაციით და 1980 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით.[23] 1976 წელს *არაბთა სოციალისტური კავშირი* გაიყო სამ პარტიად: *ლიბერალურ-სოციალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული (მემარცხენე)* და *ეგვიპტის არაბული სოციალისტური პარტია*. ლიბერალურ-სოციალისტური პარტია მოითხოვდა შეუზღუდავი თავისუფლების მინიჭებას კერძო სექტორის განვითარებისათვის და აკრიტიკებდა მთავრობას ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების შელახვისათვის უცხოური კაპიტალის სასარგებლოდ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ნასერისტები, მარქსისტები, არაბი ნაციონალისტები, ზომიერი მუსლიმური და კოპტური ორგანიზაციის წარმომადგენლები) გამოვიდა ნასერის პოლიტიკის გაგრძელების მოთხოვნით. ეგვიპტის არაბული სოციალისტური პარტია იყო სამთავრობო პარტია (სათავეში – პრემიერ-მინისტრი მამდუჰ სალიმი), რომელმაც მიიღო საყოველთაო მხარდაჭერა და გაიმარჯვა 1976 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. თუმცა, პრეზიდენტი არ შევიდა არც ერთ პარტიაში და დაიტოვა უმაღლესი არბიტრის როლი.[24] ყოფილი არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი შეიცვალა საკონსულტაციო საბჭოთი (*მაჯლის აშ-შურა*), რომელიც დაკომპლექტდა 2/3 არჩეული და **1/3 პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრებით. ეს ორგანო უშუალოდ აკონტროლებდა ახალი პარტიების** საქმიანობას.

ეგვიპტის ხელისუფლების ღონისძიებები მრავალპარტიული სისტემის შესაქმნელად ატარებდა ფორმალურ ხასიათს და მიმართული იყო სოციალური დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად. 1977 წლის 18-19 იანვრის „პურის ბუნტი", რომელიც მიმდინარეობდა შეძახილებით „გაუმარჯოს ნასერს!", „ძირს სადათი!" იყო გაფრთხილება პრეზიდენტისათვის. ფიასკო განიცადა 1970-იანი წლების ბოლოს სადათის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პარტიების ახალმა გარდაქ-

---

ტრმა. უნდა აღინიშნოს, რომ საიდუმლო მოლაპარაკებები სადათის ისრაელში ჩასვლასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა უკვე 1977 წლის მაისიდან, რუმინეთის პრეზიდენტისა და მაროკოს მეფის – ჰასან II-ის შუამავლობით (Beattie, 2000: 226-228; Kamel, 1986: 14-17).

22 1979 წლის 27 მარტს ეგვიპტეს შეუჩერდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრობა და ის გარიცხეს ნავთობის ექსპორტიორი არაბული ქვეყნების ორგანიზაციიდანაც. 1979 წლის 17 აპრილს ეგვიპტემ გამოიხმო ელჩები ბაჰრაინიდან, ქუვეითიდან, კატარიდან, საუდის არაბეთიდან და არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან. ერთი თვის შემდეგ საუდის არაბეთმა და ქუვეითმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს ეგვიპტესთან (Reform in the Middle East, 2008: 40).

23 1980 წლის საკონსტიტუციო ცვლილებით, შარიათი გამოცხადდა კანონმდებლობის ძირითად წყაროდ.

24 1978 წელს სამთავრობო პარტია – ეგვიპტის არაბული სოციალისტური პარტია გარდაიქმნა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად. 1982 წელს მისი თავმჯდომარე გახდა პრეზიდენტი, ხოლო გენერალური მდივანი – ფიქრი მაქრამ უბაიდი (ის იყო კოპტი – ეგვიპტელი ქრისტიანი).

მნამ, რომელმაც მიიღო სახელწოდება – „დემოკრატიული ექსპერიმენტი“.[25] შრომის სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც შეიქმნა როგორც „ლეგალური ოპოზიცია,“ მკაცრად გააკრიტიკა კემპ-დევიდის შეთანხმებები. ლეგალური ოპოზიციის შეზღუდვამ გამოიწვია არალეგალური და ნახევრადლეგალური ოპოზიციის აშკარა ზრდა, რომელშიც შევიდნენ სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ორგანიზაციები (*ახალი ვაფდი, ეროვნული ფრონტი* და სხვ.) (Goldschmidt, 2004: 175-176). ამის გარდა, თავდაპირველად ახალი რეჟიმი ხელს უწყობდა მუსლიმური საზოგადოებების აქტივიზაციას, როგორც ნასერისტების საწინააღმდეგო ძალას. საბოლოოდ, სწორედ ისლამისტურმა ჯგუფებმა (დაახლ. 5 მლნ) შეადგინეს სადათის ოპოზიცია ისრაელთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. 1980 წლის გაზაფხულზე გამოცხადდა ეგვიპტის პატრიოტული ფრონტის შექმნის შესახებ, რომელშიც შევიდა ოპოზიციური ორგანიზაციების უმრავლესობა. შეშფოთებას იწვევდა სიტუაცია არმიაშიც, სადაც შეიქმნა საზოგადოება „თავისუფალი ოფიცრები,“ რომელთაც 1980 წლის 23 ივლისს გაავრცელეს ანტისამთავრობო პროკლამაცია მოწოდებით – მოესპოთ ეგვიპტის სამხედრო დამოკიდებულება აშშ-ზე, აღედგინათ ურთიერთობა არაბულ ქვეყნებთან, დაბრუნებოდნენ ნასერის მიუმხრობლობის პოლიტიკას.

სადათის დროს ოფიციალურ რიტორიკაში დაინერგა „დემოკრატიული სოციალიზმის“ ცნება. მართალია, ანვარ სადათი სიტყვებით გამოდიოდა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, მაგრამ სინამდვილეში თავის ხელში მოახდინა იმდენად დიდი ძალაუფლების კონცენტრაცია, როგორიც არ ჰქონდა თვით ნასერს. 1981 წელს სადათს (არაოფიციალური მეტსახელი „ეგვიპტის ოჯახის უფროსი“) ჰქონდა შემდეგი თანამდებობები: რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მმართველი პარტიის თავმჯდომარე, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და „უფლებამოსილება ყველა სამხედრო და ეკონომიკურ საკითხზე, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნულ უსაფრთხოებასთან.“

1981 წლის სექტემბერში სადათმა დაიწყო უპრეცედენტო რეპრესიების კამპანია თავის მრავალრიცხოვან პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ: დააპატიმრეს ეროვნულ-პროგრესული პარტიის მრავალი წევრი, კომუნისტები, მუსლიმური საზოგადოებების აქტივისტები; დაშალეს მუსლიმური და კოპტური ორგანიზაციები; დაიხურა ოპოზიციური გაზეთები; დაწესდა კონტროლი მრავალ მეჩეთზე და საერთო ლოცვაზე. არ მიმდინარეობდა არანაირი დიალოგი ოპოზიციასთან და რეჟიმის იზოლაცია იზრდებოდა. 1981 წლის სექტემბერში ციხეში აღმოჩნდა სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და სოციალური წარმომავლობის დაახლ. 1000 ადამიანი. „ყველას, მემარცხენეებს და მემარჯვენეებს, პრეზიდენტი „ერთ კალათაში ათავსებდა““ (Korany, 1998: 50).

1981 წლის 6 ოქტომბერს კაიროს გარეუბანში – ჰელიოპოლისში სამხედრო აღლუმზე, რომელიც ეძღვნებოდა 1973 წლის ოქტომბრის ომში „გამარჯვების“ მერვე წლისთავს, მუსლიმმა ექსტრემისტებმა მოკლეს ანვარ სადათი.[26] თუმცა ეს არ გახდა აჯანყების სიგნალი, როგორც ამას ვარაუდობდნენ შეთქმულები. ერთი კვირის შემდეგ მმართველმა სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტის პოსტზე პარლამენტში განსახილველად წარადგინა ვიცე-პრეზიდენტის – ჰოსნი (ჰუსნი) მუბარაქის კანდიდატურა,[27] რომელიც საბოლოოდ დაამტკიცა რეფერენდუმმა (98,46%). ჰოსნი მუბარაქი (დაბ. 1928 წ. 4 მაისი) გახდა პრეზიდენტი (1981-2011) ქვეყნისა, რომელიც მწვავე პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა, ჰქონდა დიდი საგარეო ვალი და იზოლირებული იყო არაბული სამყაროსაგან.

---

25 ეს იყო დოკუმენტი, რომელიც ანვარ სადათმა წარადგინა 1978 წლის 28 ივნისს სიტყვით გამოსვლისას და მას უწოდა „დემოკრატიული სოციალიზმი.“ სადათმა გამოაცხადა, რომ ეს არის გზა, რომელიც მან აირჩია ქვეყნისათვის. ცნობილია, რომ ეს დოკუმენტი მომზადდა კაიროს უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის რექტორის სუფი აბუ ტალიბის ხელმძღვანელობით.

26 მასთან ერთად დაიღუპა 9 ადამიანი, რომლებიც ტრიბუნაზე იდგნენ და დაიჭრა 22 ადამიანი, ვიცე-პრეზიდენტის ჩათვლით.

27 ჰოსნი მუბარაქი, მისი წინამორბედების მსგავსად, პროფესიონალი სამხედროა, ავიაციის მარშალი, რომელმაც 25 წელი გაატარა სამხედრო სამსახურში. ის ფლობს ეგვიპტის უმაღლეს სამხედრო ჯილდოს – სინას ვარსკვლავს, რომლითაც აღინიშნა მისი დამსახურება 1973 წლის ოქტომბრის ომში. მუბარაქის დამახასიათებელ თვისებებად ითვლებოდა სიფრთხილე, ზომიერება, პრაგმატიზმი, თანმიმდევრულობა – ამას ხშირად აღნიშნავენ დასავლელი პოლიტიკოსები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელები, უცხოელი ჟურნალისტები.



სადათის მკვლელობა

1981 წლიდან ეგვიპტეში მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. შესაბამისი კანონი არ გამოიყენებოდა სრული მოცულობით, მაგრამ უფლებას აძლევდა პრეზიდენტს ესარგებლა სამხედრო ტრიბუნალებით მთელი რიგი სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა ფაქტობრივად გააგრძელა სადათის კურსი „შერბილებული ფორმით." მუბარაქი შეეცადა მოეძებნა საერთო ენა ქვეყანაში არსებულ პარტიებთან და ორგანიზაციებთან. იყო ექსტრემისტულ ისლამისტურ ორგანიზაციებზე კონტროლის დამყარების მცდელობაც. გამოცოცხლდა შინაპოლიტიკური ცხოვრება – ქვეყანაში 1984 წელს ჩატარდა ეროვნული კრების (448 წევრი) არჩევნები, რომელშიც ხმების უმრავლესობა მიიღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ (1978 წლიდან მმართველი პარტია – 391 ადგილი) და ახალმა ვაფდმა – „მუსლიმ ძმებთან" ერთად (48 დეპუტატი), გაძლიერდა აგრეთვე მემარცხენე პარტიების გავლენა.

ჰოსნი მუბარაქმა დაიწყო წინამორბედების შეცდომების გამოსწორება – ეგვიპტის პრესტიჟის აღდგენა საერთაშორისო ასპარეზზე, არაბულ სამყაროში იზოლაციის შეწყვეტა, და სხვ. **1984 წელს აღ**დგა ეგვიპტის წევრობა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში; **1987 წლიდან დაიწყო ურთიერ**თობის გაუმჯობესება არაბულ ქვეყნებთან,[28] აღდგა ეგვიპტის წევრობა არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში (1989) და თუნისიდან კაიროში დაბრუნდა ლიგის შტაბ-ბინა (1991);[29] **1988 წელს ეგვიპტე გახ**და ინიციატორი ახალი ორგანიზაციის – არაბული თანამშრომლობის საბჭოს დაარსებისა, რომელიც შეიქმნა ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და პოლიტიკის კოორდინაციისათვის არაბულ ქვეყნებს შორის. მასში შევიდნენ იორდანია, ერაყი, ეგვიპტე, იემენი; ეგვიპტის აღდგენილი ავტორიტეტის აღიარება იყო **1989 წელს ჰოსნი მუბარაქის არჩევა აფრიკული ერთობის ორგანიზაციის თავმჯდომა**რედ. მოგვიანებით ეგვიპტე გახდა ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო ურთიერთობების ნორმალიზაციის შუამავალი; გაუმჯობესდა აგრეთვე ურთიერთობა სსრკ-თან. იმავდროულად ეგვიპტე იღებდა დასავლეთის ქვეყნების და მათ შორის აშშ-ის დახმარებას. ოპონენტები ხშირად აკრიტიკებდნენ ჰოსნი მუბარაქს იმ ფაქტის გამო, რომ მან გადააქცია ქვეყანა „ამერიკის ეგვიპტედ" (Cleveland, 2009: 394).

ჰოსნი მუბარაქმა დაიწყო სადათის ეკონომიკური პოლიტიკის გაგრძელება – ეკონომიკაში უპირატესობა ენიჭებოდა სახელმწიფო და კერძო სექტორის თანაფარდობას. თუმცა, აშშ-ის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზეწოლით, მიმდინარეობდა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ობიექტების პრივატიზაცია. პირველი **4-5 წლის მანძილზე აქცენტი გადატანილი იყო ინფრასტ**რუქტურის განვითარებაზე (ელექტროენერგეტიკა, გზები, პორტები, კავშირგაბმულობის საშუალებები, მომსახურების სფერო). **1991 წელს ქვეყნის ხელმძღვანელობამ, წარმოების ზრდასა და მოსახლე-**

28 აღდგა დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობა საუდის არაბეთთან, შემდეგ სხვა ქვეყნებთან და ბოლოს 1989 წ. – ერაყთან, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან, სირიასთან.

29 როგორც ცნობილია, ეგვიპტის დაბრუნება „არაბთა ოჯახში" მოხდა გარკვეულწილად ერაყის დახმარებით, რომელიც ირანთან ომის დროს (1980-1988) იყენებდა ეგვიპტის სამხედრო სპეციალისტებს და ყიდულობდა ეგვიპტურ იარაღს. ეგვიპტის ადვოკატად გამოვიდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაც.

ობის ზრდას შორის ბალანსის მისაღწევად, დაიწყო სამეურნეო რეფორმების კომპლექსური პროგრამის ეტაპობრივი განხორციელება: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ეკონომიკაში საკრედიტო მექანიზმის როლისა და მნიშვნელობის აღდგენა; კომერციული ბანკების როლის განმტკიცება, სავალუტო ბაზრის ლიბერალიზაცია; სახელმწიფო სექტორის კომპანიებისა და მათი მმართველობის სისტემის სტრუქტურული გარდაქმნა; სახელმწიფო სექტორის პრივატიზაციის დაწყება;[30] ფასების ლიბერალიზაცია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის დიდ ნაწილზე; იმპორტის საბაჟო დაბეგვრის საერთო დონის შემცირება; კერძო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, კაპიტალდაბანდებებსა და მრეწველობაში კონტროლის შემცირების გზით; სახელმწიფო წარმოების დემონოპოლიზაცია; კერძო სექტორის დისკრიმინაციის (სახელდობრ სახელმწიფო საკუთრების შეძენისას) ლიკვიდაცია. ექსპერტების დასკვნით, პოზიტიური შედეგები იქნა მიღწეული ეგვიპტის ეკონომიკაში ორი ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში – 1992/93-1996/97 და 1997/98-2001/2002წწ. (McDermott, 1988; Goldschmidt, 2004: 192-196).

1987 წლის არჩევნები, 1952 წლიდან მოყოლებული, იყო ყველაზე დემოკრატიული. პირველად დაუშვეს პარტიული ბლოკების ჩამოყალიბება. ოპოზიცია ყველაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი სახალხო კრებაში – 22,3%. ზომიერმა ისლამისტურმა ორგანიზაციებმა („მუსლიმი ძმების" ასოციაცია, სოციალისტური შრომის პარტია და ლიბერალურ-სოციალისტური პარტია) მიიღეს 60 ადგილი (17,5%) პარლამენტში და ჩამოაყალიბეს დიდი ოპოზიციური ფრაქცია. ამის გამო 1990 წლის ოქტომბერში პარლამენტი ვადამდე დაითხოვეს და მიიღეს ახალი საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვითაც მოიხსნა 8%-იანი ბარიერი პარტიებისათვის და შეზღუდვა დამოუკიდებელი კანდიდატების წარდგენაზე. თუმცა შენარჩუნდა დებულება, რომ არჩევნები უნდა ჩატარებულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს „მეთვალყურეობით." შედეგად, 1990 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებულ არჩევნებში სამთავრობო ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ (თავმჯდომარე – ჰოსნი მუბარაქი) მიიღო **348 ადგილი, ეროვნულ-პროგრესული** პარტია გახდა ერთადერთი ოპოზიციური ორგანიზაცია, რომელმაც კანდიდატები გაიყვანა პარლამენტში (**6 ადგილი). დანარჩენი 83 მანდატი წილად ხვდათ დამოუკიდებელ კანდიდატებს**, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილნი რეჟიმის მიმართ.

1990-იან წლებში ჰოსნი მუბარაქმა არაერთხელ შეზღუდა პარლამენტის, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირებისა და პროფკავშირული ასოციაციების აქტივობა – ოპოზიცია სუსტად იყო წარმოდგენილი პარლამენტში, აკრძალული იყო სახალხო დემონსტრაციები, ოფიციალურ პრესაში პრეზიდენტის კრიტიკა კანონით ისჯებოდა, სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებდა ისლამისტ მებრძოლებს და **1993 წლიდან მრავალი სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა. „საერთაშორისო ამნისტიის" მონაცემებით**, ეგვიპტის ციხეებში უახლოეს ხანებამდე იყო 18 ათასი პატიმარი, რომელთაც არ ჰქონდათ წაყენებული ბრალდება სათანადო წესით და არ გაუვლიათ სასამართლო პროცედურა. პრეზიდენტს ხშირად ადარებდნენ ფარაონს, რომელიც ფლობდა კოლოსალურ პოლიტიკურ ხელისუფლებას. ქვეყანაში სულ უფრო იზრდებოდა უკმაყოფილო ადამიანთა რიცხვი, რომლებიც დემონსტრაციებზე აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ ოპოზიციურ აზრს. ეგვიპტეში 2004 წლიდან აქტიურად მოქმედებდა მოძრაობა *„ქიფაია"* („კმარა") – „ეგვიპტური მოძრაობა ცვლილებებისათვის," რომელიც იბრძოდა დემოკრატიისა და სამოქალაქო თავისუფლებისათვის. მოძრაობის მიზანი იყო ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლებიდან ჩამოცილება. ბოლო წლებში ქვეყანაში უკიდურესად გამწვავდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო ბაზარზე კვების პროდუქტებზე, სახელდობრ ხორბალზე, ფასების მკვეთრი მატებით.

ეგვიპტის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ქვეყნის ისტორიაში პირველად ჩატარდა სახელმწიფოს მეთაურის პირდაპირი, ალტერნატიული არჩევნები (**2005 წლის მაისის საკონსტიტუციო შესწორება). თუმცა ოპ**ოზიციურმა პარტიებმა გააკრიტიკეს კანდიდატის შერჩევის წესი: კანდიდატის წარდგენა პრეზიდენტის პოსტზე შეეძლო მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც მიიღებდა არანაკლებ 5 ადგილს სახალხო კრებაში და კონსტიტუციურ საბჭოში.[31] დამოუკიდებელ კანდიდატს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე უნდა მი-

30 პრივატიზაციას არ უნდა დაქვემდებარებოდა სუეცის არხის კომპანია და სახელმწიფო სანავთობო კორპორაცია, სამხედრო ქარხნები, ტელე-რადიომაუწყებლობა, ასევე საავადმყოფოები და სკოლები. სახელმწიფოს ხელში რჩებოდა ფქვილის გადამამუშავებელი და ფარმაცევტული საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტი, რათა შენარჩუნებულიყო დაბალი ფასები პურ-ფუნთუშეულზე და წამლებზე.

31 წარდგენილი იყო 10 კანდიდატი სხვადასხვა პარტიიდან: ჰოსნი მუბარაქი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), აიმან ნური (პარტია „ხვალ"), უსამა შალთუთი (სოციალისტური სოლი-დარობის პარტია), ვაჰიდ ალ-

ეღო პარლამენტის 250 დეპუტატის და ადგილობრივი საკანონმდებლო კრების მხარდაჭერა. 77 წლის ჰოსნი მუბარაქმა განაცხადა: „რთულ პირობებში, რომელშიც ახლა ეგვიპტეა და მთელი არაბული სამყარო, მე ვაცხადებ, რომ მსურს დავრჩე ეგვიპტის პოლიტიკური მოწყობის ცენტრალურ ფიგურად და ვეძიო ეგვიპტელი ხალხის ნდობა და მხარდაჭერა. მე ვაცხადებ საკუთარი კანდიდატურის წარდგენის შესახებ ახალი საპრეზიდენტო ვადით“ (Collombier, 2007: 95-111; Meital, 2006: 257-279).

ჰოსნი მუბარაქის წინასაარჩევნო პროგრამა:

ეგვიპტელთა ცხოვრების გაუმჯობესება – სამედიცინო დაზღვევა თითოეულ მოქალაქეს; ათასობით ახალი სკოლისა და ათი ათასობით ახალი, სათანადო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი, საცხოვრებელი სახლის აშენება; უმუშევრობასთან ბრძოლა – 4 მლნ სამუშაო ადგილის შექმნა, ახალი სამრეწველო საწარმოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილით 250 ათას ახალგაზრდა ეგვიპტელს; ხელფასების, შემწეობებისა და პენსიების გაზრდა.

საპრეზიდენტო უფლებამოსილებათა ნაწილის პარლამენტისათვის გადაცემა.

ძლიერი, უსაფრთხო და სტაბილური ეგვიპტისა და მისი შეიარაღებული ძალების შენარჩუნება; გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობა და ეროვნული ნების განხორციელება; მუსლიმებისა და კოპტების ერთიანობა; მოსახლეობის ყველა ფენის სოლიდარობა ტერორიზმისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად; საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარება.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონის შეცვლა და დემოკრატიული რეფორმების გაგრძელება.

არაბულ სამყაროში ეგვიპტის წამყვანი როლის შენარჩუნება.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 23%-მა. ჰოსნი მუბარაქმა გაიმარჯვა პირველივე ტურში და მოიპოვა ხმების 88,5%. გარკვეული კრიტიკის მიუხედავად, ამ არჩევნებს მაღალი შეფასება მისცეს როგორც ეგვიპტეში, ისე საზღვარგარეთ. 2005 წლის (9 ნოემბერი-7 დეკემბერი) საპარლამენტო არჩევნები ხასიათდებოდა ეგვიპტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის სამი მნიშვნელოვანი მომენტით: 1. „მუსლიმი ძმების“ ოპოზიციური დაჯგუფების შთამბეჭდავი გამარჯვება – მისი წარმომადგენლობა სახალხო კრებაში 17-დან 88 ადგილამდე გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1980-1990-იანი წლებისაგან განსხვავებით, „მუსლიმმა ძმებმა“ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს არა სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ბლოკში, არამედ დამოუკიდებლად.[1] ეგვიპტის პრესამ კენჭისყრის შედეგებს უწოდა ისლამისტების „ისტორიული მიღწევა”; 2. მმართველმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და მასში შემავალმა დამოუკიდებელი დეპუტატების სამთავრობო ბლოკმა მიიღო 326 ადგილი (მოქმედი კანონმდებლობით, ქვეყნის პარლამენტში არის 454 დეპუტატი, რომელთაგან 444 აირჩევა, ხოლო დანარჩენ 10-ს ნიშნავს პრეზიდენტი). თუმცა გამოჩნდა შიდაპარტიული ბრძოლის ნიშნები პარტიაში; 3. სამოქალაქო ოპოზიციური პარტიების მარცხი (*Reform in the Middle East*, 2008: 64-68).

უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობდა რთულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში.[2] ქვეყანა განიცდიდა სოციალ-ეკონომიკურ კრიზისს, რაც გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება (2004 წელს შეადგინა 3%); უცხოური ინვესტიციების შემცირება მოსახლეობის მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ზრდის პირობებში (2,1%), უცხოური ტურიზმის დაბალი მაჩვენებლები 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში და 2005-2006წწ. ეგვიპტეში განხორციელებული ტერაქტების გამო; ინფლაციის მაღალი დონე (1981 წლიდან 2005 წლამდე ეგვიპტის ეროვნულმა ვალუტამ დაკარგა თავისი ღირებულების 88%), რის შედეგადაც 2003 წელს ფასები გაიზარდა 40-ჯერ (მათ შორის კვების პროდუქტებზე – ბრინჯი, მზესუმზირის და ზეითუნის ზეთი); უმუშევრობა – 11%; მოსახლეობის 20% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იყო (დღიური შემოსავალი 2 ამერიკულ დოლარზე ნაკლები). სოციალური დაძაბუ-

---

ასქარი (ეგვიპტის არაბული სოციალისტური პარტია), იბრაჰიმ თურქი (პარტია „დემოკრატიული ფედერაცია”), აჰმად ას-საბაჰი (პარტია“ ალ-უმმა“), რიფაათ ალ-აგრუდი (პარტია „ეროვნული თანხმობა”), ფაუზ გაზალი (პარტია „ეგვიპტე-2000”), ნუამან გუმაა (პარტია „ვაფდ”), მამდუჰ კენაუი (სოციალ-კონსტიტუციური პარტია).

1 „მუსლიმი ძმების”ასოციაციის პოლიტიკური საქმიანობა ოფიციალურად აკრძალულია 1954 წლიდან. მათ წარადგინეს დამოუკიდებელი კანდიდატები.

2 ქვეყნის ზოგიერთ პროვინციაში არჩევნებს თან ახლდა მასობრივი მღელვარებები, სხვადასხვა კანდიდატების მომხრეთა შეჯახება პოლიციასთან. ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცნაწილებმა გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი, რკინის ტყვიები, წყლის ჭავლი მომიტინგეთა დასაშლელად, ზოგიერთ ოლქში შემოღებულ იქნა კომენდატის საათი.

ლობის თავიდან ასაცილებლად დაწესებული იყო სახელმწიფო სუბსიდიები კვების პროდუქტებზე; ეგვიპტე იღებს უცხოურ დახმარებებს, მათ შორის აშშ-ის დახმარებას (ბოლო 20 წლის განმავლობაში 47 მლრდ დოლარი). უნდა აღინიშნოს, რომ ამ დახმარების დაახლ. 2/3 (2-2,5 მლრდ დოლარი წელიწადში) მიდიოდა ეგვიპტის არმიის შენახვასა და მომარაგებაზე (ეგვიპტის არმია ყველაზე მრავალრიცხოვანი ახლო აღმოსავლეთში – 500 ათასი სამხედრო მოსამსახურე). ამის პარალელურად სამხედრო მიზნებისათვის იხარჯებოდა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლ. 15% (*Al-Ahram Weekly*, 8–14.09. 2005. Issue No. 759).

ჰოსნი მუბარაქმა შეურიგებელი ბრძოლა წამოიწყო რადიკალი ისლამისტების წინააღმდეგ, რის შედეგადაც ექსტრემისტული ისლამისტური დაჯგუფებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა, თუმცა ცალკეული ტერორისტული აქტები ეგვიპტეში დღემდე ხდება.

ჰოსნი მუბარაქი

ეგვიპტის პოლიტიკური სისტემა ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც „მემარჯვენე-ცენტრისტული“ (მისი დასაყრდენი იყო ქვეყნის პრეზიდენტი, ხოლო დანარჩენი სახელისუფლებო ინსტიტუტები ასრულებდნენ დამოკიდებულ როლს), მმართველი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შიგნით. თუმცა, ბოლო წლებში გაძლიერდა შიდაპარტიული ბრძოლა. ძირითადი დაპირისპირება იყო ე.წ. „ძველ გვარდიასა“ (აპარატის წარმომადგენლები, რომელთაც განათლება მიიღეს XXს-ის 50-60-იან წლებში და ახლოს იყვნენ ეროვნული კრების სპიკერთან აჰმად ფათჰი სურურთან) და „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ (სახალხო-დემოკრატიული პარტიის „მეორე ადამიანის“ – აჰმად ნაზიფის მთავრობის „ეკონომიკური ბლოკის“ წარმომადგენლები და პრეზიდენტის ვაჟის – გამალ მუბარაქის მომხრეები) შორის. ამ უკანასკნელ ჯგუფს უფრო პერსპექტიულად მიიჩნევდნენ, მაგრამ ეგვიპტეში მიღებული თვალსაზრისით, გამალ მუბარაქი სუსტი ლიდერი იყო, „გმირი მამის ფერმკრთალი ჩრდილი“ და არ პასუხობდა იმ კრიტერიუმებს, რაც აუცილებელია ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის. ეგვიპტის მმართველი ელიტის შიგნით პრობლემებმა გამოიწვია ოპოზიციური ძალების გააქტიურება – 2009 წლის ოქტომბერში ოპოზიციის წარმომადგენლებმა შექმნეს კოალიციური გაერთიანება ლოზუნგით „პოლიტიკური რეფორმებისათვის, პრეზიდენტობის მემკვიდრეობის წინააღმდეგ“ (გამალ მუბარაქის შესაძლო პრეზიდენტობის წინააღმდეგ). ახალი პოლიტიკური მოძრაობის დაფუძნების იდეა ეკუთვნოდა ცნობილ ოპოზიციონერ ადვოკატს – აიმან ნურს. ამ კოალიციაში გაერთიანდნენ ზემონახსენები მოძრაობა „*ქიფაია*“ („კმარა“), „მუსლიმი ძმები“ და მრავალი სხვა წვრილი ოპოზიციური პარტიები, ცნობილი პოლიტოლოგები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერები. „ეს არ არის პირადი ბრძოლა გამალ მუბარაქთან, ეს არის ჩვენი ბრძოლა არსებულ პოლიტიკურ სისტემასთან;“ – განაცხადა კოალიციის დამფუძნებელ კონფერენციაზე ერთ-ერთმა იდეოლოგმა, პოლიტოლოგმა ჰასან ნაფაამ – „არ არსებობს არანაირი იმედი ჩვენი ქვეყნის განვითარების, თუ ეგვიპტელი ხალხი არ აირჩევს ჭეშმარიტად დემოკრატიულ რეჟიმს.“

2010 წლის საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 439 ადგილი 504-დან, რაც შეადგენს 87%-ს. ამის გარდა 50 ადგილი მიიღეს „დამოუკიდებელმა“ კანდიდატებმა. ახალ პარლამენტში 64 ადგილი გამოყოფილი იყო ქალებისათვის.

> ბოლო წლების გამოკვლევებში პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის რეჟიმის გამოსახატავად ხშირად გამოიყენებოდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა სტაგნაცია, კორუფცია და ავტორიტარიზმი;1979 წლიდან ეგვიპტეში დამყარდა მრავალპარტიული სისტემა, მაგრამ პრაქტიკაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დარჩა დომინანტურ მმართველ პარტიად. ცნობილი ეგვიპტელი ადამიანის უფლებათა დამცველი აიმან ჰამზას პროგნოზი ამგვარი იყო: „იმისათვის, რომ დამყარდეს დემოკრატია, ეგვიპტეს სჭირდება 20-40 წელი... დემოკრატია არ შეიძლება დაინერგოს იქ, სადაც მოხვდება... ის შეიძლება მიღწეულ იქნეს, როდესაც ადამიანი შინაგანად მზად არის ამისათვის.“

2011 წელი ეგვიპტეში ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლებით დაიწყო. თუნისის შემდეგ, „არაბული გაზაფხულის“ რევოლუციური მოვლენების ეპიცენტრად ეგვიპტე იქცა. მოვლენების ამგვარ განვითარებას კი თითქოს არავინ ელოდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საკუთარ თავს დარტყმა მიაყენა იმ ანგარიშის გამო, რომელიც 2010 წელს ეგვიპტესთან დაკავშირებით მოამზადა და სადაც შეაქო ის „მდგრადი და ფართომასშტაბიანი რეფორმები, რომლებიც 2004 წლიდან ტარდება.“ ფონდი

აღნიშნავდა, რომ ამ რეფორმებმა ეკონომიკა უფრო მტკიცე და გარე ფაქტორებზე ნაკლებად დამოკიდებული გახადა (ციტ. *NYT*, 25.02.2011).

რევოლუციის პროცესების დაწყებისათვის კი მართლაც არსებობდა საფუძვლიანი მიზეზები. უკანასკნელ წლებში მოსახლეობის შემოსავლების ზრდის მიუხედავად, კვლავაც გადაუწყვეტელი იყო არაერთი სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემა. პირველ რიგში, ეს იყო უმუშევრობის, კერძოდ კი ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე – 25 წლამდე ახალგაზრდების თითქმის ნახევარი დაუსაქმებელი იყო. ხელისუფლება დაუნდობლად უსწორდებოდა პოლიტიკურ ოპონენტებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2009 წლის ანგარიშში ასობით ადამიანის უფლებების დარღვევის, ათობით ადამიანთა „გაქრობის", უსამართლო პატიმრობისა და წამების ფაქტი დააფიქსირა.

მოსახლეობაში დაგროვილი იყო მძლავრი საპროტესტო მუხტი, რომელმაც ერთბაშად იხეთქა 2011 წლის 25 იანვარს (შემდგომ ამ მოვლენებს სწორედ „25 იანვრის რევოლუცია" ეწოდა). ამბოხება ძირითადად არაძალადობრივი სამოქალაქო პროტესტის ხასიათს ატარებდა და გამოიხატა მრავალთასიანი დემონსტრაციებით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, გაფიცვებით. მოძრაობის მშვიდობიანი ხასიათის მიუხედავად, დემონსტრანტებსა და ჯერ კიდევ ხელისუფლების მორჩილ შინაგან ჯარებს შორის არაერთი შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც 840 ადამიანი დაიღუპა, 6 ათასამდე კი დაშავდა (იხ. მაგ., Almasry-alyoum.com, 16.03.2011). კაირო „საომარ ზონადაც" კი მოინათლა.

დემონსტრანტების მოთხოვნებში შედიოდა პოლიციური რეპრესიების აღკვეთა, თავისუფალი არჩევნები და სიტყვის თავისუფლება, კორუფციის მოსპობა, საკვებზე ფასების ზრდის შეჩერება, უმუშევრობის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარება და ა.შ. უპირველესი მოთხოვნა კი პრეზიდენტ მუბარაქის გადადგომა იყო. მალე გამოჩნდა რეჟიმის სრული უუნარობა შეეჩერებინა საპროტესტო ტალღა და ასევე თვალსაჩინო გახდა შეიარაღებული ძალების სიმპათიების გადახრა ამბოხებულებისაკენ. შექმნილ ვითარებაში, ჰოსნი მუბარაქი, რომელიც თავდაპირველად არ ფიქრობდა თანამდებობის დატოვებას და დარწმუნებული იყო, რომ მას საკმარისი მხარდაჭერა ჰქონდა როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, 2011 წლის 11 თებერვალს იძულებული გახდა გადამდგარიყო. მალე მუბარაქისა და მისი კლანის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. ღრმად მოხუცებულ და ავადმყოფ ყოფილ პრეზიდენტს არაერთი ბრალდება წაუყენეს, მათ შორის მშვიდობიანი დემონსტრანტებისათვის ცეცხლის გახსნის ბრძანების გაცემა, მილიონების უკანონოდ მითვისება და ა.შ.

ქვეყანაში ძალაუფლება გადაეცა შეიარაღებული ძალების უმაღლეს საბჭოს მუჰამად ჰუსაინ ტანტავის ხელმძღვანელობით, რომელმაც 2011 წლის 13 თებერვალს გამოაცხადა კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება და პარლამენტის დაშლა. ასევე გამოცხადდა, რომ 6 თვის მანძილზე, ახალი არჩევნების ჩატარებამდე, ქვეყანას სამხედროები უხელმძღვანელებდნენ. 3 მარტს პრემიერად დაინიშნა ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი ესამ შარაფი. 19 მარტს ჩატარებულმა რეფერენდუმმა დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილებები, რითაც განისაზღვრა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პირობები.

რევოლუციისშემდგომი ეგვიპტის პოლიტიკური სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია. დასავლეთისათვის მისაღებ პოპულარულ პოლიტიკოსთა შორის არიან მუჰამად ალ-ბარადეი (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ყოფილი გენერალური მდივანი და ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში) და უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსი ომარ სულეიმანი, რომელიც გადადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ვიცე-პრეზიდენტის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშნა მუბარაქმა. ამასთან ერთად, საკმაოდ ძლიერია ისლამისტური მოძრაობა, უპირველესად „მუსლიმი ძმების" ასოციაციის სახით.

მიღებული თვალსაზრისით, ეგვიპტის საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება. ქვეყანა კვლავაც დარჩება დასავლეთის პარტნიორად და შეასრულებს ისრაელთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს (რის შესახებაც უკვე გაკეთდა განცხადება); შესაბამისად, მიიღებს იმ დახმარებას, რომელსაც შეერთებული შტატებისაგან იღებდა რევოლუციამდე. ეგვიპტე ასევე ეცდება უფრო აქტიური როლის შესრულებას ახლო აღმოსავლეთში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, შეძლებს თუ არა ახალი ხელისუფლება მოაგვაროს რელიგიური ტოლერანტობის საკითხი ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, კოპტებთან დაკავშირებით. (იხ. თავი XV). ეგვიპტის ახალი რეჟიმმა საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტის მოსაპოვებლად აუცილებლად უნდა აჩვენოს, რომ მზად არის დაიცვას საკუთარი უმცირესობების უფლებები (დროებითმა ხელისუფლებამ უკვე დადო რადიკალი ისლამისტების მიერ დანგრეული კოპტური ეკლესიის აღდგენის პირობა).

დემოკრატიული განვითარებისათვის კი უნდა შეიქმნას ქმედითი კანონები, ინსტიტუტები, თავისუფალი პრესა, კონკურენტუნარიანი თანამედროვე პარტიები, ჩატარდეს ჭეშმარიტად თავისუფალი არჩევნები. თუმცა ეს მხოლოდ ინსტრუმენტებია ცლილებების განხორციელებისთვის და არა საბოლოო

ამოცანები. საჭიროა ასევე სხვა რამ, რაც დასაწყისში დიდად არც იგრძნობა: ადამიანების მენტალიტეტის შეცვლა[3] ახალი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება.

სპარსეთის ყურის რეგიონი

სპარსეთის ყურის[4] რეგიონი მოიცავს **8 ქვეყანას – არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრაინი**, ერაყი, ირანი, კატარი, ომანი, ქუვეითი, რომელთაც აქვთ გასასვლელი ყურეში. მათ შორის გამოიყოფა **3 რეგიონალური ცენტრი – ირანი, ერაყი და საუდის არაბეთი. თუმცა მათი უპირატესი გავ**ლენა რეგიონში იცვლებოდა კონკრეტული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე. გარკვეულ პერიოდში ირანი ფლობდა უპირატესობას რეგიონში, შემდეგ მოხდა ერაყის პოზიციების გაძლიერება, რაც გახდა მათ შორის რვაწლიანი (1980-1988) დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი. ბოლო პერიოდში საუდის არაბეთმა მოიპოვა პოლიტიკური პრესტიჟი თავისი აქტიური მონაწილეობის გამო ახლოაღმოსავლური კონფლიქტისა და ერაყის კრიზისის დარეგულირებაში და ირანის ბირთვული პროგრამისადმი დაპირისპირების გამო. ამის გარდა, ყურის სხვა მცირე სახელმწიფოები, რომელთაც საკუთარი ინტერესები აქვთ, მჭიდროდ თანამშრომლობენ საუდის არაბეთთან ეკონომიკურ და სამხედრო სფეროში და ამიტომ რეგიონალური სახელმწიფოების მეტოქეობაში მხარს უჭერენ საუდის სამეფოს, რაც მატებს მას პოლიტიკურ ქულებს.

რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა დღეს ეჭვს აღარ იწვევს, რაც დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, ნავთობის რესურსებთან და სტრატეგიულ მდებარეობასთან (ის მდებარეობს აზიის, აფრიკის და ევროპის კონტინენტების გასაყარზე). თუმცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ამ რეგიონში მდებარეობს მთავარი მუსლიმური სიწმინდეები, რაც განსაზღვრავს ყურის ქვეყნების განსაკუთრებულ სტატუსს მუსლიმურ ქვეყნებში.

ყურის გეოპოლიტიკური რეგიონის ჩამოყალიბება განეკუთვნება **1970-იან წლებს, როდესაც რე**გიონის ყველა ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. რეგიონალიზაციის პროცესს ხელი შეუწყო ნავთობის ფაქტორმა, რომლის მნიშვნელობა გაიზარდა 1973-1974 წლების ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ. XXს-ის 70-იან წლებში ლიკვიდირებულ იქნა უცხოური კონცესიები, რომლებსაც მონოპოლიზებული ჰქონდათ ნავთობის მოპოვება ამ ქვეყნებში და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა გადავიდა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. ყურის ქვეყნები გახდა ნახშირწყალბადის რესურსების მსხვილი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე, რამაც გამოიწვია მათი მნიშვნელობის ზრდა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. მზარდი ფინანსური შესაძლებლობების წყალობით ამ ქვეყნებმა განიმტკიცეს საკუთარი პოლიტიკური პოზიციები და გავლენა მსოფლიო პოლიტიკაში.

1970-იანი წლები ყურის რეგიონში აღინიშნა განსაზღვრული ინტეგრაციული ტენდენციებით. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, სანავთობო სფეროში, ყურის ქვეყნები ადგენდნენ პროექტებს რეგიონალური გაერთიანებების შესაქმნელად. ამ გეგმაში ყველაზე მეტ აქტიურობას იჩენდა ირანი. **1971 და 1975 წწ. მან შესთავაზა ყურის ქვეყნებს თავისი პროექტები ერთი**ანი თავდაცვითი ბლოკის შესაქმნელად, მაგრამ მხარდაჭერა ვერ მიიღო საუდის არაბეთისაგან, რომელიც უნდობლობით უყურებდა შაჰის ირანის რეგიონალური პოზიციების გაძლიერებას. 1976წ. ერთ-

3 Hoffman, David E. The Arab spring. http://hoffman.foreignpolicy.com/posts/2011/02/21/the_arab_spring

4 ირანელები მას უწოდებენ სპარსეთის ყურეს, ხოლო არაბები – არაბულს (1940-იანი წლების შუა ხანებამდე არაბულენოვან ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენებოდა სახელწოდება „სპარსეთის ყურე“ – „ალ-ხალიჯ ალ-ფარისი,“ თუმცა არაბული ნაციონალიზმის აღმავლობამ და ანალოგიურმა პროცესებმა ირანში, გამოიწვია კონფლიქტური სიტუაციის ასახვა ტერმინოლოგიაში და ამის შემდეგ ამ ყურეს მოიხსენიებდნენ არაბული ყურის სახელით). თანამედროვე პირობებში ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ მინიმუმამდე დაიყვანონ შესაძლო კონფლიქტური სიტუაციები, ამ რეგიონს უწოდებენ უბრალოდ ყურის რეგიონს. ამ ტენდენციამ ასახვა ჰპოვა ინგლისურენოვან ტექსტებშიც, სადაც იყენებენ ტერმინს – The Gulf, ხოლო არაბულ ტექსტებში – „ალ-ხალიჯ,“ „ყურე.“ არაბულმა ქვეყნებმა, რომელთაც შექმნეს რეგიონალური ორგანიზაცია – ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო (The Cooperation Council for the Arab States of the Gulf), არ შეიტანეს სახელწოდებაში ყურის განსაზღვრება – სპარსეთის ან არაბული ყურე. 2006 წლის მარტ-აპრილში გაერო-ს 23-ე სესიამ კანონიკურად ცნო ტერმინი – სპარსეთის ყურე და ის ამჟამად ოფიციალურად გამოიყენება გაერო-ს წევრი ქვეყნების მიერ. საგულისხმოა, რომ ირანმა სასამართლო დავაც კი მოუგო ცნობილ ჟურნალ National Geographic-ს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა თავიდან დაებეჭდა ერთ-ერთი ნომრის ტირაჟი, რომელშიც ყურე „არაბულად“ იყო მოხსენიებული.

ერთ კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყურის ყველა ქვეყანამ, წარმოდგენილ იქნა სამი პროექტი (ირანის, ერაყის და ომანის მიერ) უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის რეგიონის ქვეყნების გაერთიანებული ძალებით. მართალია, ეს პროექტები არ მიიღეს, მაგრამ მათი განხილვა მოწმობდა, რომ რეგიონის ქვეყნები აცნობიერებდნენ თანამშრომლობის – რეგიონალური ერთობის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

რეგიონალური ურთიერთობების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ირანის ისლამურმა რევოლუციამ. აქცენტი გადატანილ იქნა ისლამზე, როგორც რეგიონის ყველა ქვეყნის სახელმწიფო იდეოლოგიაზე. ირანის გაძლიერებამ გამოიწვია მეზობელი არაბული ქვეყნების შეშფოთება, რადგანაც ისინი ეკუთვნოდნენ ერთიან არაბულ გეოპოლიტიკურ სივრცეს და თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიურ საფუძვლად მიიჩნევდნენ არაბული ნაციონალიზმის იდეებისადმი ერთგულებას. ყველაზე მწვავე რეაქცია ჰქონდა ერაყს, რომელმაც ეგვიპტის მიერ კემპ-დევიდის ხელშეკრულების დადების შემდეგ, დაიკავა არაბული სამყაროს ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია. 1980-1988წწ. ირან-ერაყის ომმა გამოიწვია რეგიონალური ურთიერთობის შემდგომი კრისტალიზაცია.

1981 **წელს არაბეთის ნახევარკუნძულის 6 მონარქია (არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრა**ინი, კატარი, ომანი, ქუვეითი, საუდის არაბეთი) გაერთიანდა *ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო*-ში. ეს რეგიონალური ორგანიზაცია დღეს არის ყველაზე წარმატებული არაბულ სამყაროში. მასში შედიან ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მოწინავე ქვეყნები, რომლებიც ნავთობის და გაზის კოლოსალური მარაგის წყალობით ანვითარებენ ეკონომიკას და დიდ თანხებს აბანდებენ სოციალურ სფეროში. ისინი ეროვნული შემოსავლებით (მათ შორის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებით) მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სხვა არაბული ქვეყნებისაგან. ეს ქვეყნები დონორის როლს ასრულებენ ნაკლებად განვითარებულ არაბულ ქვეყნებში. ეკონომიკური კავშირების თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება წევრ-ქვეყნებს შორის თანამშრომლობას. ორგანიზაციის საფუძველია საუდის არაბეთი, სადაც თავმოყრილია ეკონომიკური რესურსების პოტენციალის ძირითადი ნაწილი და აქვს დიდი პოლიტიკური წონა, როგორც არაბულ სამყაროში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა ყურის თითოეული ეს ქვეყანა გამოირჩევა თავისი სპეციფიკით და ცდილობს საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას, რასაც ზოგჯერ მოსდევს არატრადიციული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და თანამშრომლობის საბჭოს პოლიტიკური კურსიდან გადახვევა. მაგ., კატარმა, საბჭოს წევრი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, დაიწყო ურთიერთობის განვითარება ისრაელთან.

2002 წლის ოქტომბერში ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეექმნათ კიდევ ერთი ორგანო თავდაცვის სფეროში კოორდინაციისათვის – უმაღლესი სამხედრო კომიტეტი კოლექტიური უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის გაზრდისათვის. არაბული მონარქიების სამხედრო თანამშრომლობა დაიწყო 1980 წელს, როდესაც გართულდა სპარსეთის ყურის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ირან-ერაყის ომის გამო. 1983 წელს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე დაიწყო *ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს* გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შექმნა – „ნახევარკუნძულის ფარი," მაგრამ დღეისათვის არაბული მონარქიების ინტეგრაცია სამხედრო სფეროში ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

ყურის რეგიონი ბოლო პერიოდში მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ იმ ფაქტთან, რომ აქ თავმოყრილია ნავთობისა და გაზის რესურსების მსოფლიო მარაგის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ ამ რეგიონის სახელმწიფოებში მიმდინარე კარდინალურ ცვლილებებთან.

საუდის არაბეთი

XX საუკუნეში საუდის არაბეთის განვითარების ისტორია არის აღმოსავლური ქვეყნის წარმატებული მოდერნიზაციის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი, ხელისუფლების მიერ გატარებული ძირეული სოციალ-ეკონომიკური რეფორმების შედეგად. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ყურის ქვეყნებში მიმდინარე „უსისხლო რევოლუციამ" საშუალება მისცა საუდის არაბეთს (ასევე ქუვეითს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, კატარს, ბაჰრაინს, ომანს) განეხორციელებინა ნახტომი თავის საზოგადოებრივ განვითარებაში შუა საუკუნეებიდან – XX ს-ში.

XX ს-ის დასაწყისში ახალგაზრდა ამირა აბდულ აზიზ ბინ აბდულ რაჰმანი (1882-1953), ას-საუდის დინასტიიდან (მოგვიანებით მსოფლიოში ცნობილი გახდა იბნ საუდის სახელით) შეეცადა აღედგინა არაბეთის ნახევარკუნძულზე ადრე არსებული საუდიანთა სახელმწიფო. თავდაპირველად 1902 წელს მან დაიკავა პატარა ქალაქი არ-რიადი, **1904 წელს – მთელი ცენტრალური ნეჯდი, ხოლო 1926 წლი-**

სათვის თანდათან მან დაიმორჩილა არაბეთის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი და 8 იანვარს მექის დიდ მეჩეთში აბდულ აზიზ იბნ საუდი ჰიჯაზის მეფედ გამოცხადდა.[5] **1932 წლის 18 სექტემბერს მეფემ** გამოსცა დეკრეტი „არაბული სამეფოს ნაწილების გაერთიანების შესახებ“ და მსოფლიო რუკაზე გაჩნდა საუდის არაბეთის სამეფო (Rasheed, 2002: 39-71; Bligh, 1984: 17-44).

ფაქტობრივად, იბნ საუდმა განახორციელა სხვადასხვა მიწების ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოში ცენტრალიზებული ხელისუფლებით. თუმცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებას მოჰყვა მრავალი პრობლემა. ძირითადი იყო ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებით გამწვავდა 1929-1932წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს.[6] შექმნილმა ვითარებამ დააჩქარა ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესის დასაწყისი.

XXს-ში საუდის არაბეთის, როგორც არადასავლური საზოგადოების, მოდერნიზაციის პერიოდი, შეიძლება პირობითად 4 ეტაპად დავყოთ: *1-ლი ეტაპი*: 1920-1930წწ. – საუდის არაბეთის ძალისმიერი გაერთიანების ციკლი, სახელმწიფოს ჩამოყალიბება ცენტრალიზებული მმართველობით და აბსოლუტური მონარქიით, ხელისულების მიერ ეროვნული მასშტაბის კრიზისის აღიარება და ნაწილობრივი რეფორმების გატარება; *მე-2 ეტაპი*: 1940-1950წწ. – პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის ციკლი, ხელისუფლების მიერ შემოსავლების საიმედო წყაროების მოძიება სანავთობო შემოსავლების სახით, დაპირისპირება მმართველი დინასტიის შიგნით განვითარების გზის არჩევისათვის; *მე-3 ეტაპი:* **1960-1990წწ. – ძირეული სოციალ-ეკონომიკური რეფორმების ციკლი, ხელისუფლების მიერ განხორციელებული** *რევოლუცია ზემოდან*; *მე-4 ეტაპი*: **1990-იანი წლების მეორე ნახევარი – XXIს-ის დასაწყისი**, განვითარების არაბული მოდელის ჩამოყალიბება.

იბნ საუდმა ჩამოაყალიბა ახალი სახელმწიფოებრიობა, რომელიც ეფუძნებოდა ადრეული სახალიფოს მოდელს, შარიათის ნორმების განუხრელი დაცვით. კანონით, მუსლიმ მმართველს არ გააჩნდა დინასტიური ტახტის მემკვიდრეობის უფლება, მაგრამ მან დაარღვია ეს წესი. დინასტიის დასაყრდენს წარმოადგენდნენ მუსლიმი ღვთისმეტყველები და ტომები, რომლებიც იბნ საუდმა ორი ათწლეულის მანძილზე დაიმორჩილა.

იბნ საუდმა დაიწყო ცალკეული ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმის გატარება, რომელთა მიზანი იყო არა ქვეყნის მოდერნიზაცია, არამედ ტომობრივი წყობის ლიკვიდაცია. სამეფო გაყოფილი იყო 14 საამიროდ, რომელთა სათავეში იდგნენ მეფის მიერ დანიშნული მოხელეები. მოხდა მმართველობის სისტემის უნიფიცირება საუდის არაბეთის სხვადასხვა ნაწილში, ხოლო 1927 წელს ჩატარდა სასამართლო რეფორმა, რომლითაც ტომობრივი ადათები შარიათის სამართალწარმოებით შეიცვალა. ამასთან ტომის შაიხები, როგორც მოსამართლეები, ყადიებმა შეცვალეს. შემოღებულ იქნა კომერციული სასამართლო და დაშვებულ იქნა ადვოკატების საქმიანობა (Прошин,1964: 85-92; Wynbrandt, 2010: 183).

საუდელი ავტორი საიდ იბნ ბადიბი, რომელიც აანალიზებს თითქმის სინქრონულად მიმდინარე რეზა შაჰისა (1925-1941) და აბდულ აზიზის გარდაქმნებს, ხაზს უსვამს მნიშვნელოვან განსხვავებას სახელმწიფოებრიობის სფეროში გატარებული რეფორმების შედეგებში: „საუდის არაბეთის პოლიტიკური სისტემა არის ზუსტი ასახვა სამეფოს სოციალური სტრუქტურის, სადაც დიდ როლს ასრულებს ტრადიციული და ტომობრივი კავშირები, რის გამოც საუდის სისტემა აღმოჩნდა „უნიკალური არაბული და ისლამური სამყაროს სხვა პოლიტიკურ სისტემებთან შედარებით“ (Badeeb, 1993: 37,38).

საიდ იბნ ბადიბი საუბრობს აგრეთვე ორივე ქვეყნის გარდაქმნებში მმართველის პიროვნების როლზე: რეზა შაჰის აბსოლუტური ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საუდის მონარქია იყო და რჩება „შეთანხმებათა სისტემად“, რომელიც დაფუძნებულია ისლამურ კანონებზე და მეფეს არ შეუძლია იდგეს

---

5 1926 წელს პირველი ქვეყნები, რომელთაც აღიარეს ახალი სამეფო, იყვნენ: სსრკ, ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ფინეთი, საფრანგეთი და თურქეთი.

6 ამ პერიოდში საუდის არაბეთი იყო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა. მისი მოსახლეობის 80% იყო სოფლის მცხოვრები, რომელთა უმეტესობა მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. არაბეთის ნახევარკუნძულის ქალაქებიდან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მექას, როგორც რელიგიურ ცენტრს მთელი მუსლიმური სამყაროსათვის და ჯიდდას, მსხვილ სავაჭრო ცენტრს, რომლის საშუალებითაც ჩადიოდა მექაში პილიგრიმების მნიშვნელოვანი ნაწილი. ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად წერა-კითხვის უცოდინარი იყო, სახელმწიფოს არ ჰქონდა საკუთარი ფულის ერთეული (მიმოქცევაში იყო ტალერი, ინდური რუპია და ინგლისური გირვანქა სტერლინგი). ქვეყანაში არ იყო არანაირი თანამედროვე სამრეწველო საწარმო, ავტომობილები და სარკინიგზო ხაზები. ტრანსპორტის როლს ასრულებდა აქლემები და სახედრები, რამდენიმე იალქნიანი გემი მეწამულ ზღვაში.

კანონზე მაღლა. ავტორი აზრით, საუდის მონარქის ხელისუფლება მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლეთში მონარქის ხელისუფლებისაგან (Badeeb, 1993: 41).

იბნ საუდმა მოიწვია ქვეყანაში მრჩევლების სახით დასავლელი სპეციალისტები და ევროპეიზირებული მუსლიმები. 1932 წელს მეფემ ჩამოაყალიბა პოლიტიკური კომიტეტი (*აშ-შუ'ბა ას-სიდასიდა*), რომელშიც შევიდა 8 წევრი; მისი ვაჟები – საუდი და ფაისალი; ეგვიპტელი – ჰაფიზ ვაჰბა; ორი სირიელი – ხალიდ ალ-ჰაქიმი და იუსუფ იასინი; ლიბანელი – ფუად ჰამზა; ლიბიელი – ხალიდ ალ-ღარგინი; ინგლისელი სამხედრო და არაბისტი – ჯონ ფილბი, რომელიც ისლამზე მოექცა და მიიღო აბდალაჰის სახელი. საბჭოს თავმჯდომარეობდა მეფე – აბდულ აზიზ ბინ საუდი. ეს კომიტეტი განიხილავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს (საფინანსო საკითხების გარდა), მაგრამ მას არ ჰქონდა აღმასრულებელი ძალაუფლება და მისი როლი მხოლოდ რჩევებით შემოიფარგლებოდა (Almana, 1980: 191-192; Wynbrandt, 2010: 193).

XX ს-ის 20-30-იან წლებში ქვეყნის ცენტრალიზაცია მიმდინარეობდა ცენტრალურ ხელისუფლებასა და *იხვანებს* (ბედუინების სამხედრო ძალა) შორის ურთიერთობის გამწვავების ფონზე. იხვანები გამოირჩეოდნენ რელიგიური ფანატიზმით – მტრულად იყვნენ განწყობილი ურწმუნოებისა და ჰიჯაზის ქალაქების მცხოვრებთა მიმართ, რომელთაც „დაივიწყეს" ჭეშმარიტი ისლამი. იხვანები „შაითანის გამოგონებად" მიიჩნევდნენ იმ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებსაც იბნ საუდი ფართოდ ნერგავდა ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად და სამეურნეო და სამხედრო მიზნებისათვის (ავტომობილები, რადიო, ტელეფონი და სხვ.).[7] წინააღმდეგობის დასაძლევად მეფეს მოუხდა ძალის გამოყენებაც – მაგ., 1930 წელს მან ბრძანა იმ ოფიცერთა ჯგუფის სიკვდილით დასჯა, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ რადიომაუწყებლობის წინააღმდეგ (Habib, 1978: 15-16). იმავდროულად იბნ საუდმა 1936 წელს მოახდინა მონათვაჭრობის ლეგალიზაცია.

საუდის სამეფოს ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა პილიგრიმებზე დაწესებული გადასახადი, მაგრამ ის წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყანას არაბულ სამყაროში (მაგ., 1927 წელს ქვეყნის ბიუჯეტი შეადგენდა 1,5 მლნ გირვანქა სტერლინგს). თუმცა XX ს-ის 30-იან წლებში ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ნავთობის ფაქტორმა. ამერიკული სანავთობო კომპანიები დაინტერესებული იყვნენ ახლო აღმოსავლეთის სანავთობო რაიონებით, ხოლო იბნ საუდი – ფინანსური დახმარების მიღებით. 1933-1938წწ. საუდის არაბეთში ამერიკული კომპანიები აწარმოებდნენ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს, ხოლო 1939 წლიდან იწყება ნავთობის სამრეწველო მოპოვება. სანავთობო კომპანიებმა გაიყვანეს გზები და ნავთობსადენები, მოამზადეს მუშები სანავთობო სფეროში. წარმოშობილ სისტემაში – *მეტროპოლია-კოლონია* – საუდის არაბეთი იყო არათანასწორუფლებიანი პარტნიორი, მაგრამ იღებდა მნიშვნელოვან მოგებას დასავლეთიდან.

1940-იან წლებში – 1950-იანი წლების დასაწყისში მეფემ შემოიღო სამინისტროების სისტემა,[8] გაატარა სამხედრო რეფორმა ამერიკელი და ინგლისელი მრჩევლების დახმარებით, მოიზიდა ქვეყანაში დასავლური სანავთობო და სხვა კომპანიები, რითაც საფუძველი ჩაუყარა დასავლური კაპიტალისა და საუდის არაბეთის საზოგადოების თანამშრომლობას, თუმცა არათანასწორუფლებიან პირობებში (Safran, 1985: 84). ამ ღონისძიებების მიუხედავად, მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონე კვლავ ძალიან დაბალი იყო – ისინი ცხოვრობდნენ ანტისანიტარიულ პირობებში, გამუდმებით შიმშილობდნენ, მოკლებული იყვნენ სამედიცინო დახმარებას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 33 წელს. 1952 წელს საუდის არაბეთში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალმა წელიწადში შეადგინა სულ 45 დოლარი (პაკისტანში – 5, იორდანიაში – 60, ერაყში და ირანში – 85 დოლარი).

1953 წელს, იბნ საუდის სიკვდილის შემდეგ, ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი საუდ ბინ აბდულ აზიზ ალ საუდი (1953-1964), რომელიც თავისი მსოფლმხედველობით აღმოჩნდა აშკარა ტრადიციონალისტი. მართალია, მას ღიად უარი არ უთქვამს იბნ საუდის მიერ განხორციელებულ რეფორმებზე, მაგრამ მის დროს მოხდა საზოგადოებრივი განვითარების აშკარა შეფერხება: სამეფოში ტრადიციული ისლამური ნორმების განსამტკიცებლად 1954 წელს დააწესა პრიზი – 2000 რიალი (დაახლ. 532 ამე-

7 1927 წელს ულემთა საბჭოზე იბნ საუდს ბრალდება წაუყენეს მისი შვილების საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრების გამო (საუდი – ეგვიპტეში, ფაისალი – ინგლისში).

8 საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს (1926 წელს ჩამოყალიბდა საგარეო საქმეთა დირექტორატი, რომელიც 1930წ. სამინისტროდ გადაკეთდა) გვერდით ჩამოყალიბდა 5 სამინისტრო: შინაგან საქმეთა (1951), ჯანდაცვის (1951), კომუნიკაციების (1953), სოფლის მეურნეობისა და წყლის (1953), და განათლების (1953). მთავრობის (მინისტრთა საბჭო – *მაჯლის ალ-ვუზარა'*) ფორმალური ინაუგურაცია მოხდა 1954 წლის 7 მარტს (Rasheed, 2002: 95; Wynbrandt, 2010: 205-206).

რიკული დოლარი) მუსლიმთა წმინდა წიგნის – ყურანის ზეპირად დასწავლისათვის; 1955 წელს სამეფო დეკრეტით საზღვარგარეთიდან გამოიხმეს ახალგაზრდა საუდელები, რომლებიც გაგზავნილ იქნენ იქ განათლების მისაღებად; გააქტიურდა რელიგიური პოლიციის – რწმენისა და მორალის დაცვის ლიგის („საზოგადოება სათნოების ხელშეწყობისათვის და მანკიერების აღსაკვეთად") საქმიანობა; შეიქმნა არმიის სამხედრო ალტერნატივა – ეროვნული გვარდია, რომელიც ჩამოყალიბდა პირადად მეფისადმი ერთგული მომთაბარე ტომების წევრებისაგან. საუდი არ ცდილობდა გაეუმჯობესებინა ხალხთა მასების მდგომარეობა ან დახმარებოდა ეროვნული კაპიტალის განვითარებას, არამედ დაკავებული იყო ნავთობდოლარების ხარჯვით – მისი ბრძანებით იგებოდა მდიდრული სასახლეები, შეიძინეს ასობით ძვირფასი მანქანა, მეფისა და სასახლის საჭიროებებზე იხარჯებოდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 14%-მდე (განათლებაზე, ჯანდაცვაზე და სოფლის მეურნეობაზე კი – მხოლოდ 12%) (Wynbrandt, 2010: 208-209).

> „არავის შეუძლია თქვას რაიმე კარგი საუდზე, თვით სამეფო ოჯახშიც კი" – შენიშნავს საიდ აბურიში. მეფე მართავდა ქვეყანას, როგორც ტომის შაიხი, ნავთობიდან მიღებულ შემოსავლებს „ალაჰის საჩუქრად" მიიჩნევდა. სახელმწიფო ხაზინა ფაქტობრივად იყო მისი პირადი ხაზინა, საიდანაც ის ხარჯავდა უპირატესად სამომხმარებლო და პრესტიჟული მიზნებისათვის, რომლის ნათელი მაგალითია ძველის დანგრევა და ახალი სასახლის (ან-ნასარიჰა) მშენებლობა – ღირებულება 10 მლნ გირვანქა სტერლინგი ან სასახლის პარკის („მცირე სამოთხე") განათება 25 მლნ ნათურით (Aburish,1995: 43).

XX ს-ის 50-იანი წლებიდან საუდის საზოგადოებაში, რომელიც იყო ახლო აღმოსავლეთის ყველაზე ღარიბი ქვეყნების რიგში, იზრდებოდა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება და ძლიერდებოდა სერიოზული გარდაქმნების სურვილი. ქვეყანაში რევოლუციურ ავანგარდად იქცნენ აღმოსავლეთ პროვინციების მუშა-მენავთობეები. 1953 წელს მოხდა ნავთობკომპანია *საუდი არამკო*-ს პერსონალის (მუშები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები) საყოველთაო გაფიცვა ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნებით: ხელფასების მომატება (უცხოელებთან გათანაბრებული), სამუშაო ადგილებზე ავტობუსებით მიყვანა, რელიგიური დღესასწაულების გამოცხადება არასამუშაო დღეებად და სხვ. თავდაპირველად, ხელისუფლებამ გადაწყვიტა ძალით ჩაეხშო ეს გამოსვლა და ნავთობსარეწებზე გააგზავნა არმია, მაგრამ რამდენიმე ათეული მუშის სიკვდილმა ვერ შეაჩერა უკმაყოფილოთა ტალღა. ქვეყანაში დაარსდა პირველი პოლიტიკური გაერთიანება – *ეროვნული რეფორმების ფრონტი*. უკვე მისი სახელწოდება მეტყველებდა ორგანიზაციის მიზნებზე, ხოლო მის საპროგრამო დებულებებში იყო არა მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური (ეროვნული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინრობასთან და სხვ.), არამედ პოლიტიკურიც (დასავლეთთან ურთიერთობის ხასიათის შეცვლა; კონსტიტუციის შემოღება, სიტყვის თავისუფლება; პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების საქმიანობის ნებართვა, მონობის გაუქმება). ხელისუფლებამ მოახდინა ზეწოლა *არამკო*-ს ხელმძღვანელებზე, რომლებიც წავიდნენ დათმობებზე და კონფლიქტი ნავთობსარეწებზე მოიხსნა. თუმცა გაფიცვები და დემონსტრაციები აღმოსავლეთ პროვინციებში გაგრძელდა 1956 წლამდე (Rasheed, 2002: 112-113).

ქვეყნის მომავლისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა *არამკო*-სთან სახელმწიფოს უფრო თანასწორუფლებიანი ურთიერთობისათვის ბრძოლას, რომლის ინიციატორი გახდა სანავთობო რესურსების მინისტრი – აბდულაჰ ტარიკი. 1950-იანი წლების შუა ხანებში, ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შემდეგ, ამერიკული კომპანიები დათმობებზე წავიდნენ ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში: ნედლი ნავთობის მოპოვებიდან მიღებული მოგების განაწილებისას გაიზარდა საუდელთა წილი 50%-მდე, კომპანიამ დააბრუნა ვალი და კონცესიის გამოუყენებელი ნაკვეთები, კომპანიის შტაბ-ბინა გადატანილ იქნა აშშ-დან სამეფოში, კომპანიის მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს 2 საუდელი.

თუმცა საუდი ვერ აანალიზებდა, რომ ეროვნული რეფორმების ფრონტის მოთხოვნები იყო არაბული საზოგადოების სისტემური კრიზისის შედეგი. სამეფო ოჯახში საუდი იყო კონსერვატორთა ჯგუფის ლიდერი. მის ძმების თაოსნობით კი ჩამოყალიბდა *რეფორმატორების* (სათავეში – ამირა ფაისალი) და *ლიბერალების* (სათავეში – ამირა ტალალი) ჯგუფები. საუდიანთა მმართველ წრეებს შორის დაიწყო განხეთქილება ქვეყნის მომავალი განვითარების გზასთან მიმართებაში (Abir, 1988: 92).

1958 წლის მარტში საუდმა, რომელმაც ქვეყანა მიიყვანა ფინანსური კრახის ზღვარზე, ძმების ზეწოლით, პრემიერ-მინისტრად დანიშნა ამირა ფაისალი. ამერიკელი მკვლევარი პ. მენსფილდი წერს: „საუდის არაბეთში ერთადერთი ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ აზრს – სამეფო ოჯახის პრინცები, შეიხები და ულემები – გაერთიანდნენ, რათა ეხსნათ საუდის მონარქია და სამეფოს

ერთიანობა და აიძულეს საუდი გადაეცა აღმასრულებელი ხელისუფლება უმცროსი ძმისათვის – ტახტის მემკვიდრე ფაისალისათვის“ (Mansfield, 1976: 401).

1958 წლის 31 მარტს ფაისალი ფორმალურად გახდა მთავრობის მეთაური, პრაქტიკულად კი მიიღო მთელი ადმინისტრაციული ხელისუფლება ქვეყანაში და მის მიერ მიღებული კანონები და ბიუჯეტი ძალაში შედიოდა მეფის დამტკიცების გარეშე. ივნისში მან მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შეთავაზებული ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამა და 1958-1960 წწ. შეძლო გამოეყვანა ქვეყანა ფინანსური კრიზისიდან. მან განახორციელა არსებითი გარდაქმნები: ჩატარდა უმსხვილესი პორტის – ჯიდას (*ჯიდდა*) ნაციონალიზაცია, შეიზღუდა უცხოური კაპიტალის მოქმედება ვაჭრობაში – 51% უნდა ყოფილიყო საუდელთა საკუთრება; შეიზღუდა ქვეყანაში ფუფუნების საგნების, მათ შორის ძვირფასი ავტომობილების შემოტანა; გატარდა სავალუტო სისტემის რეფორმა. ეს ღონისძიებები განხორციელდა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ საყოველთაო განსჯის საგანი გახდა. რადიკალები კიცხავდნენ ფაისალს შეზღუდული გარდაქმნების გამო (Holden & Johns, 1981: 201-207).

1960 წლის დეკემბერში ფაისალი გაათავისუფლეს პრემიერ-მინისტრის პოსტიდან და საუდმა შეითავსა ეს თანამდებობა. საუდს არ შეეძლო ქვეყნის ხელმძღვანელობა, ის ცდილობდა მხოლოდ თავისი ხელისუფლების შენარჩუნებას, რისთვისაც იყენებდა სხვადასხვა მეთოდებს. საუდმა მიიწვია მთავრობის შემადგენლობაში ლიბერალები, სათავეში – ამირა ტალალ ბინ აბდულ აზიზი. მთავრობის პირველ სხდომაზე განიხილეს საკითხი ქვეყანაში კონსტიტუციური მმართველობის შემოღების შესახებ. კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად შეიქმნა ეროვნული საბჭო, ეკონომიკის მიზანმიმართული ხელმძღვანელობისათვის – დაგეგმვის უმაღლესი კომიტეტი, სათავეში ამირა ტალალი, სახელმწიფო აპარატში კორუფციასთან ბრძოლისათვის – სპეციალური კომიტეტები.

ამ პროგრამის რადიკალიზმმა გააოცა რეფორმატორები და დააშინა კონსერვატორები. ქვეყნის უმაღლესმა მუფთიმ – მუჰამად იბნ იბრაჰიმმა და რწმენისა და მორალის დაცვის ლიგის მეთაურმა – შაიხმა ამრ იბნ ჰასანმა მოუწოდეს მეფეს უარი ეთქვა „საშიშ“ სიახლეებზე და მოსთხოვეს წინასწარ გაეცნო მათთვის კანონპროექტები, რათა დაედგინათ მათი შესაბამისობა ისლამის პრინციპებთან და შარიათის კანონებთან. საუდმა ისინი დაამშვიდა, რადგანაც მისთვის ყველა პროექტი მანევრი იყო თავისი ხელისუფლებისადმი საფრთხის შესუსტების მიზნით. 1961 წლის დასაწყისში გამოიცა სამეფო დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას ან სამუდამო პატიმრობას ნებისმიერი გამოსვლისათვის სამეფო ოჯახის წინააღმდეგ. ამავე წლის შემოდგომაზე ამირა ტალალი დაითხოვეს მთავრობიდან თავის მომხრეებთან ერთად (Abir, 1988: 94).[9]

1962წ. ამირა ტალალ ბინ აბდულ აზიზი 4 ძმასთან ერთად წავიდა ლიბანში და იქიდან დაიწყო ბრძოლა საუდის რეჟიმის წინააღმდეგ. მათ გამოაცხადეს მეფის ოპოზიციური ჯგუფის – „თავისუფალი ამირები“ (*ალ-უმარა“ ალ-აჰრარ*) – ჩამოყალიბება.[10] ტალალმა დააარსა აგრეთვე ორგანიზაცია „ეროვნული განთავისუფლების არაბული ფრონტი,“ რომლის მიზანი იყო „საუდის არაბეთში დემოკრატიული რეჟიმის გამოცხადება“ (Rasheed, 2002: 109-110). იმავდროულად კაიროში შეიქმნა მეორე ოპოზიციური ორგანიზაცია – *არაბეთის ნახევარკუნძულის შვილების ფედერაცია*. სამეფოში მოქმედებდა აგრეთვე 1958წ. შექმნილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი (Wynbrandt, 2010: 222). მეფეზე რამდენჯერმე განხორციელდა თავდასხმა, მოხდა დივერსიები *არამკო*-ს კონცესიის ტერიტორიაზე. 1962 წლის სექტემბერში მეზობელ იემენში მოხდა ანტიმონარქიული რევოლუცია და იემენის არაბთა რესპუბლიკის ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული ძალები. საუდს არ შეეძლო დასავლეთზე დაყრდნობა, რადგანაც ვაშინგტონში საუდის ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებები ფასდებოდა როგორც მონარქიის კრიზისის გაძლიერება (Partner, 1960: 76).

---

9 XX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში აშკარა იყო განხეთქილება საუდის საზოგადოებაში, განსაკუთრებით სამეფო ოჯახში და საუდის პოლიტიკურ ელიტაში. ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მიმართულება: 1. კონსერვატორული, „დამცველები,“ რომელთაც ეშინოდათ თავიანთი მატერიალური მდგომარეობისა და პრივილეგიების დაკარგვა; 2. რეფორმატორები, რომლებიც მზად იყვნენ ნებისმიერ დათმობებზე წასულიყვნენ თავიანთი ხელისუფლების შესანარჩუნებლად; 3. რადიკალი ლიბერალები და დემოკრატები, რომელთაგან ერთნი სთავაზობდნენ რესპუბლიკის დამყარებას, ხოლო მეორენი – სახალხო რევოლუციის მოწყობას. ფაისალი, რომელიც ეკუთვნოდა მეორე ჯგუფს, ებრძოდა თავის მოწინააღმდეგეებს. მისი ბრძანებით, პოლიციამ ესროლა დემონსტრანტებს, რომლებიც ცდილობდნენ ქვეყანაში პირველი ტელესადგურის აფეთქებას.

10 „თავისუფალი ამირები“ უკვე 1964 წლის დასაწყისისათვის ბეირუთიდან დაბრუნდნენ არ-რიადში.

აშკარა საფრთხის პირობებში, საუდიანებმა მიიღეს სათანადო გადაწყვეტილება: 1962 წლის 17 ოქტომბერს ამირა ფაისალი კვლავ დაინიშნა პრემიერ-მინისტრად (**4 ოქტომბერს ფაისალი შეხვდა ვაშინგტონში აშშ პრეზიდენტს – ჯ.** კენედის, რომელმაც აღუთქვა დახმარება) (Wynbrandt, 2010: 221).

1962 **წლის 6 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ფაისალმა გამოაცხადა თავისი პროგრამა**, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც **„10 პუნქტი". ეს იყო ძირეული რეფორმების პროგრამა, რომ**ელიც ფაისალმა, სხვა რეფორმატორებისაგან განსხვავებით, თითქმის სრულად განახორციელა. „10 პუნქტი" მოიცავდა შემდეგ ამოცანებს: საუდის საზოგადოების დახმარება სოციალურ, კულტურისა და განათლების სფეროში; ახალი კანონმდებლობის შემოტანა და იუსტიციის სამინისტროს დაარსება, ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის უფასო სამედიცინო დახმარებისა და განათლების უზრუნველყოფა; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და უმუშევრობის ლიკვიდაცია; მონების განთავისუფლება; გზებისა და კაშხლების აგება; სანავთობო რესურსებისა და რამდენიმე საბანკო დაწესებულების სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნა. „ჩვენ მივაღწევთ ცხოვრების დონეს, რომელიც მრავალი ქვეყნის ოცნებად რჩება, მივაღწევთ სოციალურ სამართლიანობას ხალხისათვის უფლებებისა და საკუთრების წართმევის გარეშე" – მითითებული იყო პროგრამაში. „საუდის სამეფო მალე გახდება სამრეწველო და თვითუზრუნველყოფადი აგრარული ქვეყანა შემოსავლების სხვადასხვა წყაროებით" (Long, 1976; Khadduri, 1973; Prince Faisal, 1963: 6-12).

პროგრამაში, სოციალ-ეკონომიკურის გარდა, მოცემული იყო პოლიტიკური მიზნებიც: „საუდის არაბეთში მმართველობის ფორმა შეიცვლება საუდის საზოგადოების ცვლილებასთან ერთად. შემუშავდება ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელიც დაფუძნებული იქნება ყურანსა და შარიათზე, გაფართოვდება საკონსულტაციო საბჭოს უფლებები." ფაისალმა ჩართო პროგრამაში ეს დებულებები, რადგანაც კარგად ესმოდა, რომ სამეფოში პოლიტიკური მოთხოვნები აუცილებელი იყო უმნიშვნელო უმცირესობისათვის – ასეულობით მენავთობისათვის ეგვიპტიდან, პალესტინიდან, ლიბანიდან და სირიიდან, მაშინ როცა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის აუცილებელი იყო მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და არა დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება.

თვითონ ფაისალი იყო „10 პუნქტის" ავტორი, მაგრამ მან გაითვალისწინა ულემთა ინტერესები და მემარცხენე ოპოზიციური ძალების მოთხოვნები. ამ უკანასკნელთაგან მან დაისესხა პროგრამის პრაგმატული ნაწილი, ხოლო კონცეპტუალური მან აიღო ტრადიციონალისტებისაგან. პროგრამის მე-5 და მე-6 პუნქტში გაცხადებული იყო: „მთავრობა აღიარებს თავის ვალდებულებას ისლამის მოძღვრების გასავრცელებლად სიტყვით და საქმით. „10 პუნქტში" ტრადიციას ეკისრებოდა მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების განვითარებისათვის; საუდის არაბეთში პროგრესული გარდაქმნების გატარება თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების შესაქმნელად დაიწყეს ტრადიციულ – ისლამურ, იდეოლოგიურ პლატფორმაზე" (Prince Faisal, 1963: 10-12). ამის დადასტურება იყო ფაისალის სიტყვები ერთ-ერთ ინტერვიუში, 1966 წლის დასაწყისში: „ჩვენ განზრახული გვაქვს წინ წავიწიოთ დიდი გეგმების წყალობით, რომლებიც ეფუძნება ისლამურ კანონებს და რწმენას. ჩვენ ავირჩიეთ ეკონომიკური სისტემა, რომელიც დაფუძნებულია თავისუფალ მეწარმეობაზე, რადგანაც ჩვენ გვჯერა, რომ ის სრულად შეესაბამება ჩვენს ისლამურ კანონებს და ეთანხმება ჩვენი ქვეყნის პირობებს, აძლევს შესაძლებლობას ინიციატივიან ადამიანებს და ნებისმიერ ჯგუფს იღვაწოს საკუთარი კეთილდღეობისათვის" (Beling, 1980: 61).

მეფე ფაისალის მმართველობის 10 წლის განმავლობაში (ფორმალურად ტახტზე ავიდა 1964წ.) საუდის არაბეთმა დიდი ნახტომი განახორციელა თავის განვითარებაში. ამისათვის ფაისალმა გამოიყენა ორი ბერკეტი: სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი ეკონომიკაში, მისი დაგეგმვითი, რეგულირებადი და კონტროლის ფუნქციის გაძლიერება, აგრეთვე ნავთობის ფაქტორი, რადგანაც სამეფოს ტერიტორიაზე იყო მსოფლიო სანავთობო მარაგის დაახლ. **25%. შეიქმნა სახელმწიფო სანავთობო კომ**პანია *პეტრომინ*, რაც გახდა საფუძველი ეროვნული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის და ნაწილობრივ მმართველი და ტექნიკური კადრების მომზადებისათვის. *არამკო*-ს მოქმედების მიუხედავად, ქვეყანაში პრაქტიკულად არ იყო ეროვნული მრეწველობა. დაიწყო ათეულობით სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, მაგ., ჰიჯაზის მეტალურგიული კომბინატის. მიღებულ იქნა კანონი ეროვნული მრეწველობის დაცვის შესახებ და სხვა ღონისძიებები, რათა დაჩქარებულიყო საუდის კაპიტალით თანამედროვე სამრეწველო დაწესებულებების შექმნა. მაგ., შეიქმნა **6 საფინანსო ინსტიტუ**ტი საუდის მოქალაქეებისათვის დახმარების აღმოსაჩენად სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და საცხოვრებელი პროექტების რეალიზებისას. განხორციელდა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები: გაიყვანეს მაღალი კლასის საავტომობილო გზები, ხელახლა აშენდა საერთაშორისო აეროპორტები მსხვილ ქალაქებში, ჩატარდა საზღვაო პორტების რეკონსტრუქცია. ჩამოყალიბდა

მრეწველობის დარგი – ზღვის წყლის გამტკნარება – კომუნალური მეურნეობის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. საუდის არაბეთმა, ოპეკ-ის სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად, მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავლები ნავთობიდან. 1975 წელს ეროვნული შემოსავალი 1312 მლნ. დოლარიდან 1963 წ. – 31,725 მლნ დოლარამდე გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები გაიზარდა 204 დოლარიდან 3538 დოლარამდე (Rasheed, 2002: 121-122).

მეფე ფაისალი

ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა განათლებას. მაგ., 1970-1975წწ. დაწყებითი კლასის მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 397 ათასიდან 686 ათასამდე, საშუალო სკოლებში – 77-დან 204 ათასამდე; ასევე მრავალგზის გაიზარდა უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა. ამავე წლებში დაიწყო საჯარო ბიბლიოთეკების, უფროსებისათვის უწიგნურობის ლიკვიდაციის კურსების დაარსება. განათლების სისტემა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იყო, ხოლო ყველა ქალთა სკოლა და კოლეჯი ექვემდებარეოდა ქალთა განათლების მთავარ სამმართველოს, რომლის სათავეშიც იდგნენ ულემები. სწავლა ყველა დონეზე უფასო იყო და განცალკევებული – გოგონებისა და ვაჟებისათვის. 1975 წელს დაარსდა მეფე ფაისალის უნივერსიტეტი (Al-Farsy, 1990: 255,257; al-Salloum,1995: 65-72).

მნიშვნელოვნად გაიზარდა დანახარჯები ჯანდაცვაზე. შენდებოდა სახელმწიფო საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, რომლებიც აღჭურვილი იყო უახლესი უცხოური აპარატურით. დასაწყისში იქ მუშაობდნენ სხვა არაბული ქვეყნებიდან ჩამოსული ექიმები და სპეციალისტები, მაგრამ სახელმწიფომ მიიღო ზომები ეროვნული სამედიცინო კადრების დაჩქარებული მომზადებისათვის (Rasheed, 2002: 121). დაწესდა სოციალური დახმარებები ხანდაზმულებისათვის, ქვრივების, ინვალიდების და ობლებისათვის; 1970-1975წწ. იმ ოჯახების რიცხვი, რომლებიც იღებდნენ სახელმწიფო სოციალურ დახმარებას, გაიზარდა 62 ათასიდან (187 ათასი ადამიანი) 174 ათასამდე (531 ათასი ადამიანი). 1962 წელს გაუქმდა მონობა და სახელმწიფომ გამოისყიდა მონები მათი პატრონებისაგან.

თანამედროვე შრომის კანონმდებლობა ქვეყანაში შემოღებულ იქნა 1969 წელს. შრომის ახალი კანონი გავრცელდა ყველა უცხოურ და კერძო ეროვნულ კომპანიაზე, ყველა მუშაზე ეროვნებისა და სქესის მიუხედავად. დაწესდა 48 საათიანი სამუშაო კვირა, 8 საათიანი სამუშაო დღით (რამადანის თვეში – 36 და 6 საათი), გათვალისწინებული იყო შვებულება და პილიგრიმობის შესრულების შესაძლებლობა; სამუშაოზე დაქირავებულთა მინიმალური ასაკი განისაზღვრა 15 წლით. დაწესდა შეზღუდვები ღამით მუშაობაზე ახალგაზრდებისა და ქალებისათვის.

1960-იანი წლების შუა ხანებში ქვეყანაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის დახმარებითაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ გააძლიერა კონტროლი ადგილობრივ ადმინისტრაციაზე. სახელმწიფო დაიყო 4 პროვინციად, ისინი კი თავის მხრივ ოლქებად და რაიონებად. გუბერნატორები ინიშნებოდა მეფის მიერ მისი ძმებიდან; ოლქებისა და რაიონების მეთაურები ინიშნებოდნენ მინისტრთა საბჭოს მიერ. სოფლებსა და ოაზისებში კი ფაქტობრივად შენარჩუნდა ადგილობრივი ამირებისა და შეიხების მმართველობა, რომელთაც, როგორც წესი, ეკავათ დასახლების ადმინისტრაციული მმართველის თანამდებობა (Васильев,1982: 496-500). მოხდა სახელმწიფო აპარატის, მისი სამინისტროებისა და უწყებების რეორგანიზაცია.

იმავე პერიოდში, უფრო კომპრომისულად ჩატარდა სასამართლო რეფორმა: შეიქმნა ახალი სასამართლო სისტემა, სამი ინსტანციის სასამართლოს ჩათვლით – ტრადიციული მუსლიმური „სასწრაფო საქმეთა სასამართლოდან“ უმაღლეს სასამართლომდე; უმაღლესი იურიდიული საბჭო დაექვემდებარა შარიათის უმაღლეს სასამართლოს. 1970 წელს ფაისალმა დააარსა იუსტიციის სამინისტრო (Rasheed, 2002: 124).

პოლიტიკის სფეროში მეფე-რეფორმატორმა არაფერი არ განახორციელა პროგრამაში აღთქმულიდან. კონსტიტუციას ის არ თვლიდა საჭიროდ, როცა ხალხს აქვს ყურანი; პარლამენტს ის უწოდებდა „ყავარჯენს სუსტი მმართველისათვის.“ ამის გარდა გაძლიერდა ხელისუფლების აბსოლუტური ხასიათი, მეფე იღებდა ყველა საკითხზე დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. შესაძლებელია ეს გამოწვეული იყო არა მხოლოდ ფაისალის მტკიცე ხასიათით, არამედ ქვეყნის ობიექტური პირობებით, იმ გარდამავალ პერიოდში ქვეყანას სჭირდებოდა ძლიერი ხელისუფლება.

პროგრამის ყველა პუნქტი შესრულდა, რომელიც ეხებოდა ისლამის დაცვას: ნაწილობრივ პოლიტიკური მოსაზრებებიდან (ნასერის არაბულ ნაციონალიზმთან დასაპირისპირებლად) და ნაწილობრივ

ჭეშმარიტი რწმენიდან გამომდინარე, ფაისალი ახორციელებდა ღონისძიებებს ისლამის ასაღორძინებლად ქვეყანაში და მსოფლიოში.

> მეფე ფაისალი, „რევოლუციონერი ტახტზე," რომელიც ბრწყინვალედ საუბრობდა ინგლისურად, დარჩა ღრმად მორწმუნე ადამიანად. მისი კრედო ასეთი იყო: „საითკენ მიისწრაფის ადამიანი? მას სურს სიკეთე. ის ისლამურ სამართალშია. მას სურს სამართლიანობა – ისიც ისლამურ სამართალშია. მას სურს უსაფრთხოება – ისიც იქ არის. ყველაფერი იქაა, ყველაფერი აღნიშნულია ისლამურ სამართალში" (Aburish, 1995: 45).

1969 წელს მეფის ინიციატივით შეიქმნა ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია. ფაისალი გახდა „ისლამური პოლიტიკის სიმბოლო" არა მარტო არაბულ სამყაროში, არამედ აზიისა და აფრიკის მუსლიმებს შორის. საუდის არაბეთმა დაიწყო საზღვარგარეთ მუსლიმური განათლების, რელიგიური ცენტრებისა და მეჩეთების დახმარება. 1974 წელს ფაისალმა გადასცა ისლამური სოლიდარობის ფონდს 10,2 მლნ დოლარი (Sindi, 1980: 195-196). **თვითონ სამეფოში გრძელდებოდა ახალი მეჩეთების მშენებ**ლობა და არსებულის, მათ შორის მექის და მედინის დიდი მეჩეთების, რეკონსტრუქცია. რელიგიური დისციპლინები დიდი მოცულობით იყო ყველა სასწავლო დაწესებულების პროგრამაში. სკოლის მოსწავლეებისათვის ეწყობოდა ეროვნული კონკურსები ყურანის ზეპირად ცოდნაზე.

საუდის მოდერნიზაციას შეხვდა წინააღმდეგობები: ოპოზიცია კიცხავდა ფაისალის რეფორმებს და ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას. ქვეყანაში გააქტიურდა მემარცხენე ოპოზიციური მოძრაობა, ხოლო **1969 წელს გაანადგურეს იატაკქვეშა ორგანიზაცია არმიაში, რომელიც ამზადებდა აჯანყ**ებას. ფანატიკურად განწყობილი ახალგაზრდების ჯგუფი ისლამური ოპოზიციიდან, რომელთა სათავეშიც იდგა მეფის ძმისშვილი, შეეცადა დაენგრია არ-რიადში სატელევიზიო სადგური, მაგრამ დაშალა პოლიციამ. ფაისალის ძმისშვილი მოკლულ იქნა. თუმცა უკმაყოფილების ტალღა თანდათან დაცხრა.

> ფაისალი აფასებდა თავის საქმიანობას, როგორც რევოლუციას. 1973 წელს მან განაცხადა: „ჩვენ ბევრი რამ გვაკლია ჩვენს ქვეყანაში და, უპირველეს ყოვლისა, სტაბილურობა. ჩვენ ვიწყებთ ქვემოდან და უნდა ავაშენოთ ნელა. ჩვენ არ შეგვიძლია განვახორციელოთ სასწაული ერთ ღამეში" (ციტ. Beling,1980: 62).

უნდა აღინიშნოს, რომ ფაისალმა გარკვეულწილად განსაზღვრა საუდის სამეფოში ახალი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოებრივი წყობის ძირითადი მახასიათებლები: 1. სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი ცხოვრების ყველა სფეროში; **2. ხელისუფლებისა და საზოგადოების განსაკუთ**რებული ყურადღება ტრადიციებისადმი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით (რწმენა, ისტორია, ენა, მორალის ისლამური ნორმები, კულტურა და სამოსიც კი); **3. საუდის მოდერნიზაციის მესამე მახასი**ათებელი გახდა საზოგადოებაში ძველი და ახალი საწყისების მეტნაკლებად წარმატებული სინთეზი.

მეფე-რეფორმატორი ფაისალი მოკლეს **1975 წელს. ის შეცვალა მეფე ხალიდმა (1913-1982), რო**მელმაც გააგრძელა მოდერნიზაციის კურსი, ხოლო 1982 წელს ხელისუფლების სათავეში მოსულმა ფაჰდმა **(1982-2005) ხელი შეუწყო მის დასრულებას სოციალ-ეკონომიკურ სფეროში და განახორცი**ელა ზოგიერთი რეფორმა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს პოლიტიკა გააგრძელა აბდულაჰ ბინ აბდულ აზიზმა (2005-დღემდე).

1970-**1980 წლები რთული აღმოჩნდა საუდის ეკონომიკისათვის, რომლის განვითარებაც ძირითა**დად დამოკიდებული იყო ნავთობის ფაქტორზე. მსოფლიო სანავთობო ბაზარზე განხორციელებულმა დრამატულმა ცვლილებებმა გამოიწვია საფინანსო კრიზისი, რის გამოც მნიშვნელოვნად დაეცა ეკონომიკური განვითარების ტემპები, ვერ განხორციელდა მრავალი სამრეწველო პროექტი. თუმცა ყველა სოციალური პროგრამა სრული მოცულობით ხორციელდებოდა. კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ საუდის ეკონომიკა ვითარდებოდა ფაისალის პროგრამის ჩარჩოებში.

1990-იანი წლისათვის რეფორმებმა თავისი შედეგები გამოიღო: ოდესღაც ჩამორჩენილი საუდის არაბეთის სამეფო გადაიქცა საშუალოდ განვითარებულ სახელმწიფოდ, ჰქონდა თავისი მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის ძირითად მოთხოვნას კვების პროდუქტებზე, მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა და ბოლოს, განათლების, ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის სისტემები. კარდინალურად შეიცვალა საუდის საზოგადოება, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპაში განათლებული ადამიანების რიცხვი.

თვითონ საუდიანთა მმართველმა ოჯახმა განიცადა შიდა ტრანსფორმაცია და გადაიქცა მრავალდარგოვან საფინანსო-სამრეწველო კორპორაციად. ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში გაიზარდა

უცხოელი მუშების რიცხვი, შესაბამისად საუდელთა წილი სამუშაო ძალის შემადგენლობაში 1975-1985წწ. შემცირდა 66%-დან 48%-მდე. უცხოელები დომინირებდნენ სამ ეკონომიკურ სექტორში: მშენებლობა, წარმოება და კომუნალური მომსახურება. უცხოელ მუშებს შორის ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენდნენ არაბები (ეგვიპტიდან, ლიბანიდან, პალესტინიდან, სირიიდან, და იორდანიიდან (Birks, et al., 1988: 267-274). ამან აიძულა ხელისუფლება მიეღო ზომები სამუშაო ძალის „საუდიზაციისათვის," მაგრამ შედეგები არ იყო მაინც და მაინც სახარბიელო. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად, სახელმწიფომ მიაღწია წარმატებებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში. მაგ., 2000 წელს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა ორჯერ და მეტად და შეადგინა 70 წელი. უწიგნურობის წილი შემცირდა თითქმის ორჯერ – 95-დან 40%-მდე. ეროვნული შემოსავლის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 2000 წლისათვის 100-ჯერ და შეადგინა 6800 აშშ დოლარი (2010 წლისათვის არაოფიციალური შეფასებით – დაახლ. 17 ათასი დოლარია).

უნდა აღინიშნოს, რომ საუდის არაბეთში ხელისუფლება ძირეულ გარდაქმნებს ატარებდა მხოლოდ მატერიალურ სფეროში, რათა ხელი შეეშალა დასავლური კულტურის შემოღწევისათვის. საინტერესოა, რომ ათასობით საუდელი ახალგაზრდა ამერიკულ უნივერსიტეტებში სწავლის შემდეგ, ბრუნდებოდა სამეფოში, თუმცა სხვა აღმოსავლური ქვეყნების წარმომადგენლები ამჯობინებდნენ აშშ-ში დარჩენას. ეს გამოწვეული იყო არა მარტო კარგი მატერიალური პირობებით სამეფოში, არამედ იმითაც, რომ დასავლური ცხოვრების წესი მიუღებელი იყო საუდელი ინტელექტუალებისათვის. მათ გააჩნდათ ტრადიციებისადმი უკიდურესი ერთგულება. მაგ., ჰიჯაზის ნავთობის მინისტრი აჰმად ზაქი იამანი (დაბ. 1930წ.), გარეგნულად ევროპეიზირებული და საუდის სამეფოში გასამართლებული აშკარა „ამერიკანიზმისათვის," რჩებოდა ტრადიციონალისტად, ისლამური კანონების ერთგულად.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საუდის არაბეთში სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების შემდეგ, ხელისუფლება არ აპირებდა განეხორციელებინა ცვლილებები პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკური პარტიები კვლავ აკრძალული იყო, კონსტიტუციად რჩებოდა ყურანი. მხოლოდ 1992 წელს მეფე ფაჰდმა გამოსცა სამი მნიშვნელოვანი დეკრეტი – სახელმწიფოს ძირითადი კანონი, კანონი საკონსულტაციო საბჭოს შექმნაზე, კანონი პროვინციათა მართვაზე (Vassiliev, 1998: 466-467).

მეფე ფაჰდი

სათათბირო ორგანომ – საკონსულტაციო საბჭომ უფლება მიიღო განეხილა ყველა მიმდინარე სახელმწიფო საქმე და გამოეტანა თავისი აზრი, მოესმინა მინისტრებისათვის და შეეთავაზებინა თავისი რეკომენდაციები. საბჭოს შემადგენლობაში მეფემ დანიშნა 60 ცნობილი მოღვაწე.[11] საბჭოს წევრთა ვალდებულებებიც მეფის დეკრეტით განისაზღვრა. საბჭოს წევრი უნდა იყოს „საუდელი მოქალაქეობით, წარმოშობით და დაბადების ადგილით," „იყოს ცნობილი თავისი კეთილსინდისიერებით" და მისი ასაკი არ შეიძლება *იყოს „30 წელზე ნაკლები"*. საბჭოს წევრთა უფებამოსილების ვადა 4 წელია. მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარეს აქვს საჯარო განცხადებების და მედიისათვის ინფორმაცია მიწოდების უფლება. საკონსულტაციო საბჭოში არის 8 კომიტეტი: ისლამურ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საქმეთა, ეკონომიკურ და ფინანსურ საქმეთა, უსაფრთხოების საქმეთა, განათლების, კულტურისა და მედიის საქმეთა, საერთაშორისო საქმეთა, ადმინისტრაციის და საჯარო სამსახურის კომიტეტები (Dekmejian, 1998: 204-208).[12]

კანონი პროვინციებზე აწესრიგებდა რეგიონალურ მმართველობას. 1992 წლამდე იყო მხოლოდ პროვინციის ამირას თანამდებობა, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა მეფეს. ახალმა კანონმა განსაზღვრა პროვინციათა გამგებლების ვალდებულებები და რეგიონალური მმართველობა დაექვემდებარა შინაგან საქმეთა მინისტრს. ამ კანონის შესაბამისად, 14 პროვინცია დაიყო გუბერნიებად, რომ-

11 აქედან 33-ს ჰქონდა დოქტორის ხარისხი, 9 იყო შარიათის სპეციალისტი, 11-ს ჰქონდა მაგისტრის ხარისხი სხვადასხვა სპეციალობით, დანარჩენ წევრებს _ უმაღლესი განათლების დიპლომი. საბჭოს წევრთა 60%-ს განათლება მიღებული ჰქონდა დასავლეთის უნივერსიტეტებში (Al-Rasheed, 2002: 123-124; Dekmejian, 1998: 204-210). საბჭოს წევრები შერჩეული იყვნენ საუდის არაბეთის რამდენიმე რეგიონიდან, მათ შორის 40% იყო ნაჯდის პროვინციიდან. საკონსულტაციო საბჭოს წევრთა რიცხვი 1997 წელს გაიზარდა 90-მდე, 2002 წელს – 120-მდე და 2005 წელს – 150-მდე, თავმჯდომარის გარდა.

12 იხ. კანონი საკანონმდებლო საბჭოზე, მუხლი 3 – http://www.shura/gov.sa

ლებიც თავის მხრივ დაიყო რაიონებად. ჩამოყალიბდა აგრეთვე პროვინციათა საბჭოები. სამეფოს ისტორიაში პირველად 2005 წელს ჩატარდა მუნიციპალური არჩევნები.

მეფე ფაჰდის მმართველობის პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები შემდეგია: ნავთობ-ქიმიურ საწარმოთა კომპლექსის მშენებლობა ჯუბაილსა და იანბოში; საზღვაო პორტების, საავტომობილო გზებისა და აეროპორტების თანამედროვე ქსელის შექმნა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; ქვეყნის „საუდიზაცია“ – ეროვნული სამუშაო ძალის უფრო მეტად გამოყენება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის და განათლების სისტემის განვითარებაში; **2004 წელს ადამიანის უფ**ლებათა ეროვნული კომიტეტისა და მეფე აბდულ აზიზის სახელობის ეროვნული დიალოგის ცენტრის ჩამოყალიბება (Reed, 2007: 74).

2005 წლის 11 ივლისს ტახტზე ავიდა მემკვიდრე პრინცი აბდულაჰ ბინ აბდულ აზიზი.[13] მეფის **2005 წლის 2 აგვისტოს ბრძანებით, ტახტის მემკვიდრედ დაინიშნა სულტან ბინ აბდულ აზიზი (სუ**დეირის გვარი). მან დაიწყო რეფორმების გატარება თითქმის ყველა სფეროში. მეფის პირველი ნაბიჯი რეფორმების გზაზე გახდა ყველა კატეგორიის საუდელი მშრომელისათვის (მათ შორის სამოქალაქო და სამხედრო) ხელფასების **15%-იანი მატება, ასევე პენსიების 15%-ით გაზრდა და სახელმ**წიფო შემწეობების გაზრდა ელექტროენერგიისა და წყლის მოხმარებაზე, თხევად საწვავზე ფასების შემცირება. **2005 წელს დააფუძნა „ეკონომიკური ქალაქები“ რაბიღაში, ჯიზანში, ჰაილში და მედინა**ში უცხოური ინვესტიციებისა და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ახალ ინდუსტრიულ ზონებში ჩაიდო 80 მლრდ დოლარის ინვესტიცია და დასაქმდა 1მლნ-ზე მეტი საუდის მოქალაქე. დაიწყო პრივატიზაციის პროცესი და საუდის ეკონომიკაში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვა.[14] 2005 წლის ნოემბერში საუდის არაბეთი შეუერთდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (149-ე წევრი) (*al-Hayat,* 14.11. 2005).

2006 წელს სამეფო ოჯახში ერთიანობისა და კონსენსუსისათვის მიღებულ იქნა კანონი „ფიცის მიცემის კომიტეტის“ ჩამოყალიბების შესახებ. ამ კანონმა კორექტივები შეიტანა სახელმწიფოს ძირითად კანონში, რომლის მესამე თავის მე-5 მუხლის თანახმად მეფე ირჩევდა მემკვიდრე პრინცს. ამ მუხლის ახალი რედაქციით, მმართველ მონარქს აღარ აქვს პრეროგატივა დამოუკიდებლად დანიშნოს ეროვნული პოლიტიკური ისტებლიშმენტის მეორე ფიგურა. ახლა ეს უფლება გადაეცა კოლექტიურ ორგანოს – „ფიცის მიცემის კომიტეტს“, რომელიც შედგება აბდულ აზიზ ბინ საუდის ცოცხალი ვაჟებისაგან ან მათი ოჯახების წარმომადგენლებისაგან.[15]

2007 წლის დეკემბრის ბოლოს, საკონსულტაციო საბჭომ, ხანგრძლივი დებატების შემდეგ, მიიღო კანონი საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და ინსტიტუტებზე. თუმცა ამავე კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა „იურიდიული ორგანო“ – „საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ეროვნული კომიტეტი“, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (ლიცენზიის გაცემა, რეგისტრაცია და სხვ.).

2009 წლის 14 თებერვალს მეფე აბდულაჰ ბინ აბდულ აზიზმა გამოსცა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ეხებოდა რეფორმებს სახელმწიფო სტრუქტურებში, მათ შორის საკონსულტაციო საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, სასამართლო სისტემას და მორალის პოლიციას.

საკონსულტაციო საბჭოს დეპუტატთა კორპუსში შეიყვანეს **81 ახალი წევრი, რომელთა დიდ ნა**წილს განათლება მიღებული აქვს დასავლეთში და მათი ასაკი არ აღემატება 40 წელს. პირველად საკონსულტაციო საბჭოს არსებობის ისტორიაში, მისი წევრები წარმოადგენენ სამეფოს თითქმის ყველა რეგიონს.

მეფის ბრძანებით დაინიშნა ჯანდაცვის, კულტურისა და ინფორმაციის, განათლების ახალი მინისტრები. პრინციპულად შეიცვალა უმაღლეს ულემთა საბჭო (მის შემადგენლობაში არის **20 წამყვანი რე-**

---

13 პირველად საუდის სამეფოს ისტორიაში ხელისუფლებაში მოვიდა არა სუდეირის გვარის წარმომადგენელი (იბნ საუდის სიკვდილის შემდეგ ტრადიციულად ისინი მართავდნენ ქვეყანას). ახალი მეფის პირველი ბრძანება იყო მემკვიდრე პრინცად ამ გვარის წარმომადგენლის – სულტან ბინ აბდულ აზიზის დანიშვნა.

14 ჯერ კიდევ 2001 წლის ბოლოს მემკვიდრე პრინცმა აბდულაჰმა გამოაცხადა სამრეწველო საწარმოების პრივატიზაციის დაწყების შესახებ. ეს გამოწვეული იყო კერძო სექტორის როლის ამაღლების აუცილებლობით ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ დროისათვის კერძო სექტორის წილი შეადგენდა მხოლოდ 10%-ს, მაგრამ 2004 წლისათვის გაიზარდა ორჯერ.

15 კანონი გამოქვეყნდა სახელწოდებით: „კანონი ფიცის მიცემის კომიტეტზე, როგორც ნაბიჯი მმართველობის სისტემის რეორგანიზაციისაკენ, მეფისადმი ფიცის მიცემაზე და ტახტის მემკვიდრის არჩევაზე“ (al-Shark al-Awsat, 20.10.2006 - www.aawsat.com).

ლიგიური ავტორიტეტი). პირველად თანამედროვე საუდის სამეფოს ისტორიაში, საბჭოს შემადგენლობაში ჰანბალიტური რელიგიურ-იურიდიული სკოლის მიმდევრების გარდა, შეყვანილ იქნენ სუნიზმის სამი სხვა მაზჰაბის (მალიქიტური, შაფიიტური და ჰანაფიტური) წარმომადგენლები. ამასთან, საბჭოს წევრების განცხადებით, საბჭოს სამი წევრის („რეფორმატორი შეიხების") დანიშვნა მეფე აბდულაჰის უშუალო იურიდიულ მრჩევლებად (უმაღლეს ულემთა საბჭოს წევრობის შენარჩუნებით), „ხელს შეუწყობს ქვეყნის შემდგომ პროგრესს." სასამართლო სისტემის რეფორმის ჩარჩოებში შეიქმნა უმაღლესი სასამართლო და განხორციელდა საარბიტრაჟო სასამართლოს (დივან *ალ-მაზალიმ*) რეორგანიზაცია.

ქუვეითი

1961 წლის 19 ივნისს, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, გაუქმდა ინგლის-ქუვეითის 1899 წლის ხელშეკრულება და ქუვეითმა მიიღო პოლიტიკური დამოუკიდებლობა (Cleveland, 2009: 466).[16] თუმცა ქუვეითის დამოუკიდებლობის საკითხი გადაიზარდა რეგიონალურ კონფლიქტში, რომელიც თითქმის 2 წელი გაგრძელდა. 1961 წლის 25 ივნისს ერაყის პრემიერ-მინისტრმა, გენერალმა აბდ ალ-ქარიმ კასიმმა პრესკონფერენციაზე ბაღდადში გამოაცხადა ქუვეითი „ერაყის განუყოფელ ნაწილად" და მიუთითა, რომ უახლოეს მომავალში ის დანიშნავდა საამიროს მმართველს „ბასრის პროვინციის ქუვეითის რაიონის გუბერნატორად." შექმნილ ვითარებაში 30 ივნისს ქუვეითის მმართველმა წერილი გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ აგენტს საამიროში დ. რიჩმონდს თხოვნით სამხედრო დახმარების თაობაზე. შესაბამისად, ქვეყანაში შეყვანილ იქნა ინგლისის ჯარი (დაახლ. 6000 ჯარისკაცი და ოფიცერი). ამ პირობებში საამიროს წინაშე დადგა საკითხი მოკავშირეების ამორჩევის შესახებ, რომელთაც შეეძლოთ გამხდარიყვნენ სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების გარანტი. გადაწყდა უფრო მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინათ არაბულ ქვეყნებთან: 1961 წლის 20 ივლისს ქუვეითი გახდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრი. **1 აგვისტოს ქუვეითის მთავრობამ ხელი მოაწერა ლიგის „კოლექტიური თავდაცვის პაქტს"** და შეთანხმებას ინგლისელთა არმიის არაბთა ლიგის ქვედანაყოფებით შეცვლის შესახებ. სექტემბრის ბოლოს არაბული შეიარაღებული ძალები (**3300 სამხედრო მოსამსახურე**) საუდის არაბეთიდან, იორდანიიდან, სირიიდან და თუნისიდან ჩავიდნენ ქუვეითში და ქვეყანაში დარჩნენ **1963 წლის 4 თებერვლამდე, როდესაც ლიგის საბჭომ „საიმედოდ მიიჩნია ერაყ-ქუვეითის საზღვარზე არსებული ვითარება."** ერაყისაგან საფრთხე დროებით შეწყდა კასიმის გარდაცვალების შემდეგ (1963 წლის თებერვალი). დაიწყო მოლაპარაკებები ერაყსა და ქუვეითს შორის და ოქტომბერში ხელი მოეწერა ერაყ-ქუვეითის პროტოკოლს და კომუნიკეს, ასევე შეთანხმებას ქუვეითის მიერ ერაყისათვის სესხის მიცემის თაობაზე 30,000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით (25 წლის ვადით). ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, 1963 წელს ქუვეითი გახდა გაერო-ს წევრი (Casey, 2007: 67).

„ქუვეითის კრიზისმა" დღის წესრიგში დააყენა ეროვნული კონსოლიდაციის საკითხი და ამ მიზნით გარკვეული სოციალ-პოლიტიკური რეფორმების გატარება.

1961 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა უმაღლესი საბჭო – სათათბირო ორგანო,[17] რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ას-საბაჰის ოჯახის **10 წარმომადგენელი და ჩატარდა არჩევნები დამფუძნებელი კრებისა**, რომელსაც უნდა შეემუშავებინა კონსტიტუციის პროექტი. ამირამ მოიწვია ეგვიპტელი იურისტე-

16 თანამედროვე ქუვეითის ტერიტორია VII საუკუნიდან შედიოდა არაბთა სახალიფოს, ხოლო XVI ს-დან ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1756 წელს მიიღო ავტონომიის სტატუსი და XVIII ს-ში დაფუძნდა ქუვეითის საამირო საბაჰთა დინასტიის მიერ. 1899 წლიდან ქუვეითი იყო ინგლისის კონტროლის ქვეშ. 1914 წელს ქვეყანამ მიიღო დამოუკიდებლობა, მაგრამ ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გამწვავდა ინგლის-ამერიკის ბრძოლა ქუვეითის ნავთობისათვის. ინგლისი ეყრდნობოდა თავის პოლიტიკურ ბატონობას რეგიონში, ხოლო აშშ – თავის უპირატესობას საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში. ინგლის-ამერიკის სანავთობო კომპანიამ 1946 წელს დაიწყო ნავთობის სამრეწველო მოპოვება. 1952 წლის ეგვიპტის რევოლუციამ, 1956 წლის სუეცის კრიზისმა და 1958 წლის ერაყის რევოლუციამ გაამძაფრა ანტიინგლისური განწყობა საამიროში და გააქტიურა განმათავისუფლებელი მოძრაობა.

17 ქუვეითელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ქუვეითში წარმომადგენლობითი ხელისუფლების იდეა ჩაისახა XX ს-ის 20-იან წლებში, როდესაც ამირასთან ჩამოყალიბდა პირველი საკონსულტაციო საბჭო (მაჯლის აშ-შურა – 12 წევრი). 30-იან წლებში ორგანიზაციამ – „ახალგაზრდა ქუვეითელები" – მოაწყო მასობრივი აქცია ქვეყანაში დიდი ბრიტანეთის ბატონობის წინააღმდეგ და საპარლამენტო მმართველობის შემოსაღებად. 1938 წელს ჩამოყალიბდა საკანონმდებლო კრება, რომელმაც იარსება მხოლოდ 6 თვე. 1939 წელს ქვეყნის მმართველმა, რომელსაც ჰქონდა ინგლისის არმიის მხარდაჭერა, აკრძალა მოძრაობა „ახალგაზრდა ქუვეითელები" (Salih,1991:53).

ბი, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონსტიტუციის პროექტის მომზადებასა და ქუვეითის სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებაში (Casey, 2007: 71). **1962 წლის 16 ნოემბერს დაამტკიცეს კონსტიტუცია** და ქუვეითი გამოცხადდა „მუბარაქ ას-საბაჰის შთამომავლების მემკვიდრეობით საამიროდ", სადაც ახალი მმართველის არჩევა განიხილებოდა როგორც მმართველი ოჯახის საშინაო საქმე. კონსტიტუციამ კანონმდებლობით განამტკიცა სიტყვის თავისუფლება, საყოველთაო საარჩევნო უფლება და ფარული კენჭისყრა არჩევნებზე, რაც სპარსეთის ყურეში რევოლუციურ გარდაქმნად აღიქმებოდა. იმავდროულად კონსტიტუციამ დიდი უფლებამოსილება მიანიჭა ამირას (ის ცხადდებოდა ხელშეუხებელ პიროვნებად, რომელსაც არავის წინაშე არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა) და აიკრძალა პოლიტიკური პარტიები, მათ შორის პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა.

1963 წლის 23 იანვარს ჩატარდა ქუვეითის ისტორიაში პირველი საპარლამენტო არჩევნები (ეროვნული ასამბლეა – 50 დეპუტატი) და ქუვეითი გახდა პირველი ქვეყანა სპარსეთის ყურის მონარქიებს შორის, სადაც ჩამოყალიბდა სრულუფლებიანი პარლამენტი. თუმცა შეიზღუდა მმართველი ოჯახის პოლიტიკური ძალაუფლება. 29 იანვარს შეიქმნა მთავრობა, რომელშიც 15 მინისტრის პოსტიდან 12 მმართველი ოჯახის წევრებმა დაიკავეს და მათი უმრავლესობა სუნიტი მუსლიმები იყვნენ. დიდი ყურადღება ეთმობოდა მთელი სახელმწიფო აპარატის არაბიზაციას (Cleveland, 2009: 466; Casey, 2007: 72).

1960-იანი წლების შუა ხანებში ქუვეითში გაუარესდა შინაპოლიტიკური ვითარება. წინააღმდეგობა წარმოიშვა „ტრადიციონალისტებსა" და „პროგრესისტებს" შორის, რომლებიც სხვადასხვა პოზიციებიდან განიხილავდნენ ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევისა და ეროვნული პრიორიტეტების განვითარების უზრუნველყოფას. პარლამენტში ჩამოყალიბდა ოპოზიციონერი დეპუტატების ჯგუფი, სათავეში არაბი ნაციონალისტების ლიდერი, არაბი ნაციონალისტების საერთოარაბული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი – აჰმად ალ-ხატიბი.

1965 წლის ნოემბერში ამირა გახდა აბდულაჰ III-ის (1950-1965) ნახევარძმა საბაჰ III ას-სალიმ ას-საბაჰი (1965-1977), რომელმაც დაიწყო ქვეყანაში ოპოზიციური მოძრაობების წინააღმდეგ ბრძოლა. შინაპოლიტიკურმა ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო 1966 წლის ბოლოს და 1967 წლის დასაწყისში, მეორე მოწვევის პარლამენტში წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. ამას ხელი შეუწყო 1967 წელს დაწყებულმა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომმა. ქუვეითი აგრძელებდა ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცების პოლიტიკას (ასევე გაითვალისწინა ქვეყანაში დიდი რაოდენობით პალესტინელი ლტოლვილის ყოფნა) და არაბულ ქვეყნებს დაუჭირა მხარი. ქუვეითი გახდა ერთ-ერთი პირველი აქტიური მონაწილე ბაღდადის კონფერენციისა, რომელზედაც ნავთობმომპოვებელმა არაბულმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება ემბარგო შემოეღოთ ნავთობის მიყიდვაზე ისრაელის მხარდამჭერი ქვეყნებისათვის. ქუვეითი იყო აგრეთვე ერთ-ერთი ინიციატორი ხართუმის კონფერენციისა, რომელზედაც გადაწყდა დახმარება აღმოეჩინათ არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომში დაზარალებული „არაბი ძმებისათვის." მეორე მხრივ, ქუვეითმა არ გაწყვიტა ურთიერთობა აშშ-თან და დიდი ბრიტანეთთან და ხართუმის კონფერენციაზე მხარი დაუჭირა ნავთობის მიწოდებაზე ემბარგოს გაუქმებას.

1965 წლის ნოემბერში ჯაბერ ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ას-საბაჰმა (1978 წლიდან პრეზიდენტი) ჩამოაყალიბა მთავრობა. ის აქტიურად გამოდიოდა ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფო მიწების გასანაწილებლად (მომავალი გამოსყიდვის უფლებით), საფინანსო ბაზრის შესაქმნელად, უცხოური საინვესტიციო პოლიტიკის გასატარებლად.

1975 წელს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა შინაპოლიტიკური ბრძოლის ვითარებაში. ეროვნული კრების შემადგენლობაში შევიდნენ ახალი სოციალური ფენის (ბიზნესმენები, ტექნოკრატები, ფინანსისტები) წარმომადგენელი დეპუტატები. თუმცა, ახალმა პარლამენტმა არ მიიღო მთავრობის მიერ შეთავაზებული მთელი რიგი კანონპროექტები და დაიწყო პოლიტიკური კრიზისი. 1976 წლის 29 აგვისტოს ამირამ პირველად, სპეციალური დეკრეტით, დაითხოვა ეროვნული კრება,[18] გააუქმა კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის მოქმედება, რომელიც ეხებოდა პარლამენტის საქმიანობას (მაგ., მუხლი, რომელიც აწესებდა ორთვიან ვადას ახალი პარლამენტის ასარჩევად). ამის პარალელურად გამოაცხადა, რომ დაიხურებოდა ნებისმიერი ბეჭდვითი ორგანო, რომლის „პოლიტიკური ხაზი ერის ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა."

1977 წლის დეკემბერში გარდაიცვალა ას-საბაჰ III ას-სალიმ ას-საბაჰი და მისი მემკვიდრე გახდა ჯაბერ ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ას-საბაჰი (ჯაბერ III, 1977 წლის 31 დეკემბერი – 2006). **1978 წლის თებერვალში** ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, რომელშიც 18-დან 7 მინისტრის პორტფელი მმართველი

18 კონფლიქტებმა პარლამენტსა და მთავრობას შორის განაპირობა პარლამენტის დათხოვნა 1976, 1982, 1986, 1999 და 2007 წლებში.

დინასტიის წევრებმა მიიღეს. ჯაბერ ალ-აჰმადი მიისწრაფოდა გადაექცია საამირო დემოკრატიის ნიმუშად სხვა არაბული ქვეყნებისათვის, რისთვისაც აუცილებელ პირობად მიაჩნდა პიროვნების თავისუფლება. მისი კონცეფციის ძირითადი კომპონენტები იყო – კანონების მკაცრი დაცვა, თავისუფალი აზრის გამოხატვა, მათ შორის საინფორმაციო საშუალებებით, პიროვნების პატივისცემა და მოქალაქეთა ღირსების დაცვა.

ჯაბერ აჰმად საბიჰი: დემოკრატია და წესრიგი, თავისუფლება და პასუხისმგებლობა არის თანამედროვე „ცივილურობის“ კრიტერიუმები.

> ჯაბერ აჰმად საბიჰის თეზისი – „ჩვენი ქვეყანა ერთი გემია, რომლის გემბანზე ჩვენ ყველა ვიმყოფებით“ – მიმართული იყო ეროვნული ერთობის განმტკიცებისაკენ. (ციტ.: *Kuwait's Political System*, 1999: 18).

1979 წელს ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ხელისუფლებას აშინებდა ოპოზიციური ძალების მოსალოდნელი ანტისამთავრობო გამოსვლები და მკაცრი კონტროლი დააწესა პროირანული დაჯგუფებების საქმიანობაზე.[19] იმავდროულად მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული კრების მუშაობის განახლებაზე.

1981 წლის 18 თებერვალს ქუვეითი კვლავ დაუბრუნდა საპარლამენტო სისტემას. საარჩევნო სიებში შეიყვანეს მხოლოდ მოსახლეობის 30%. ამის შედეგად არჩევნებში გამარჯვებული დეპუტატების ძირითადი ნაწილი ლოიალურად იყო განწყობილი მმართველი დინასტიისადმი. არაბი ნაციონალისტების კანდიდატებმა, ალ-ხატიბის მეთაურობით, მარცხი განიცადეს. ამასთან, ორჯერ შემცირდა შიიტების მიერ დაკავებული ადგილების რაოდენობა და თავისი მდგომარეობა განიმტკიცეს მუსლიმმა ფუნდამენტალისტებმა, რომლებიც იდეურ-პოლიტიკური შეხედულებებით ახლოს იყვნენ მეზობელი არაბული ქვეყნების „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციებთან (Casey, 2007: 73; Salih, 1991: 59-61).

1983 წლის ბოლოს მუსლიმურმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა რამდენიმე აფეთქება განახორციელეს ქვეყანაში. ფუნდამენტალისტების მხრიდან საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლებამ დაიწყო „ისლამიზაცია ზემოდან“: გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რელიგიურ საკითხებზე მასალების მოცულობა და რელიგიური დისციპლინების სწავლების საათები სკოლებში, დაიწყო „ზომიერი ისლამის“ პროპაგანდა. ამ კამპანიის შედეგად 1985 წლის საპარლამენტო არჩევნებში შიიტურმა დაჯგუფებამ მიიღო მხოლოდ სამი ხმა.

1985 წლის მაისში მოხდა თავდასხმა ამირაზე, ხოლო ივლისში კვლავ დაიწყო აფეთქებების ახალი ტალღა. ხელისუფლებამ ტერორისტულ აქტებს უცხოელების მასობრივი დეპორტაციით უპასუხა. ეროვნულმა კრებამ ამჯერად მხარი დაუჭირა ხელისუფლების ძალისხმევას ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციისათვის.

1980-იან წლებში უკიდურესად გამწვავდა სოციალური და შინაპოლიტიკური უთანხმოებები. ას-საბაჰის მმართველი დინასტია დაადანაშაულეს საერთო ეროვნული სიმდიდრის მითვისებასა და კორუფციაში. ეთნიკურმა და კონფესიურმა უმცირესობებმა (შიიტური მოსახლეობა, ქუვეითის ირანული წარმომავლობის ქვეშევრდომები) განაცხადეს, რომ ხელისუფლებას სწორედ მათზე გადააქვს კრიზისის მთელი სიმძიმე. დედაქალაქში და ცალკეულ პროვინციებში ადგილი ჰქონდა უცხოური სამუშაო ძალის საპროტესტო გამოსვლებს.[20] 1986 წლის 3 ივლისს ამირას დეკრეტით დათხოვნილ იქნა პარლამენტი, შეჩერდა კონსტიტუციის მთელი რიგი მუხლების მოქმედება, შემოღებულ იქნა პრესის წინასწარი ცენზურა. 1990 წლის 10 ივნისს შედგა არჩევნები ეროვნულ საბჭოში, რომელიც უნდა ყოფილიყო „თავისუფალი ეროვნული კრების ნაკლოვანებებისაგან“ და „განემტკიცებინა ეროვნული ერთობა,“ მაგრამ აგვისტოში ამ საბჭოს მუშაობა შეწყდა ქუვეითზე ერაყის თავდასხმის გამო (Cleveland, 2009: 466-467).

1991 წლის 14 მარტს ას-საბაჰი და მმართველი ოჯახი დაბრუნდა ემიგრაციიდან და გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა სამი თვით. 1990-იან წლებში სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა იყო ერაყის აგრესიის შედეგების დაძლევა და უსაფრთხოების საიმედო სისტემის ჩამოყალიბება სპარსეთის ყურის

---

19 ქუვეითში მოსახლეობის 30%-ს და იმიგრანტების (მათი მნიშვნელოვანი ნაწილს ირანელები არიან) 60%-ს შიიტები შეადგენენ. შესაბამისად, ირანის მოვლენებმა მხარდაჭერა ჰპოვა ქუვეითის მოსახლეობაში.

20 უცხოელ მუშებს არა აქვთ ის პრივილეგიები, რაც მინიჭებული აქვთ ქუვეითის მოქალაქეებს: უცხოელი არ შეიძლება ფლობდეს მიწის ნაკვეთს ან სახლს და ისინი დეპორტაციის ობიექტს წარმოადგენენ გაფრთხილების გარეშე. უკვე 1980 წელს უცხოური სამუშაო ძალა შეადგენდა ქვეყნის მოსახლეობის (1,5 მლნ) 60%-ს (Cleveland, 2009: 467).

ზონაში. დაიწყო სამხედრო თანამშრომლობა ნატო-ს წევრ-ქვეყნებთან და მათ შორის აშშ-თან. 1991 წლის სექტემბერში დაიდო ქუვეით-ამერიკის შეთანხმება სამხედრო თანამშრომლობაზე 10 წლის ვადით, თებერვალში ხელი მოეწერა ანალოგიურ შეთანხმებას დიდ ბრიტანეთთან, აგვისტოში – საფრანგეთთან, ხოლო დეკემბერში – რუსეთთან (Casey, 2007: 112-113, 126).

1992 წლის 5 ოქტომბერს ჩატარდა ეროვნული კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა – *ისლამური კონსტიტუციური მოძრაობა* (სუნიტური), *დემოკრატიული ფორუმი, ისლამური საპარლამენტო ალიანსი* (სუნიტური) და *ეროვნული ისლამური კოალიცია* (შიიტური). ოპოზიციამ მიიღო ადგილების (50) ორი მესამედი, ხოლო დანარჩენი – სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილმა პოლიტიკოსებმა. 1992 წლის 20 აპრილს ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, რომელსაც კვლავ სათავეში ჩაუდგა მემკვიდრე პრინცი – საად ალ-აბდულაჰ ას-სალიმ ას-საბაჰი. 16 მინისტრის პოსტიდან 6 დაიკავეს ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა. სამ ძირითად სამინისტროს (საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა და თავდაცვის) კვლავ ხელმძღვანელობდა მმართველი ოჯახის წარმომადგენელი (Casey, 2007: 123-124; Cordesman, 1997: 64).

ქუვეითის პარლამენტი აქტიურად ჩაერთო ეკონომიკის რეფორმირებისა და შინაპოლიტიკური სიტუაციის გაჯანსაღების პროცესში. ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა კორუფციაზე, რომელზედაც პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრებოდა. 1993 წლის იანვარში ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომელიც ავალდებულებდა ყველა სახელმწიფო კომპანიას და საინვესტიციო ორგანიზაციას თავიანთი ანგარიშები ეწარმოებინათ ერთიანი აუდიტორული კომპანიის საშუალებით, რომელიც თავის მხრივ, ანგარიშვალდებული იქნებოდა შესაბამისი საპარლამენტო კომისიის წინაშე. პარლამენტის დეპუტატებმა მკაცრად გააკრიტიკეს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ფინანსური საქმიანობა.

1992 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა საპარლამენტო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა 1990 წელს ერაყის მიერ ქუვეითის ანექსიის გარემოებები. 1995 წელს კომისიის მიერ წარდგენილ ანგარიშში ხაზგასმული იყო მთავრობისა და სამხედრო ხელმძღვანელობის „გულგრილობა“ ქვეყნის უსაფრთხოებისადმი, „შესაძლო თავდასხმის შესახებ გაფრთხილების უგულებელყოფა“ (*The Middle East and North Africa*, 2005: 708). მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საპარლამენტო კომისიამ გააკრიტიკა აგრეთვე მმართველი ოჯახის წევრები და მთავრობა, რომელთაც დატოვეს ქვეყანა ოკუპაციის დაწყებისთანავე და ქუვეითის მოსახლეობა დარჩა პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის გარეშე. იმავდროულად, ეროვნული კრება მოითხოვდა იმ სახელმწიფო მოხელეების უმკაცრესად დასჯას, რომელთაც ბრალად ედებოდათ საზოგადოებრივი ფონდების გაფლანგვაში. დეპუტატები მკაცრად აკრიტიკებდნენ აგრეთვე ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ფინანსურ საქმიანობას.

1994-1995 წწ. წინააღმდეგობა მთავრობასა და პარლამენტს შორის უფრო გამწვავდა, რასაც ხელი შეუწყო ცხარე დისკუსიებმა შეიხ საად ალ-აბდულაჰ ას-სალიმ ას-საბაჰსა (მემკვიდრე პრინცი) და პარლამენტის ყოფილ სპიკერს აჰმედ აბდულ აზიზ ას-საადუნის შორის, რომელიც მოითხოვდა, რომ მთავრობა ჩამოყალიბებულიყო მხოლოდ პარლამენტის რჩეული წევრებისაგან (იქვე, 708).

1995 წელს პარლამენტმა მოიწონა ცვლილება ქუვეითის 1959 წლის მოქალაქეობის კანონში, რომლის თანახმადაც ნატურალიზებულ მოქალაქეთა შვილებს მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხოლო თვითონ ამ მოქალაქეებს – მოქალაქეობის მიღებიდან 20 წლის შემდეგ და არა 30 წლის, როგორც ეს ადრე იყო განსაზღვრული (Cordesman, 1997: 64).

1998 წლის მაისში ეროვნულმა კრებამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც მოითხოვდა სახელმწიფო მოხელეებისაგან დეკლარაციის შევსებას პირად შემოსავლებზე, რაც ხელს შეუწყობდა მმართველ აპარატში კორუფციასთან ბრძოლას. პარლამენტსა და მთავრობას შორის უთანხმოების მიზეზი იყო ეკონომიკური პოლიტიკაც. 1998 წელს ნავთობზე ფასების ვარდნამ აიძულა ხელისუფლება დაესვა საკითხი ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობაზე – პრივატიზაცია და უცხოური ინვესტიციების ბაზის გაფართოვება, მათ შორის სანავთობო მრეწველობაში. პოზიციების განსხვავების მიუხედავად, ერთი მხრივ, სამთავრობო სტრუქტურებსა და მეორე მხრივ, პარლამენტს შორის, ქვეყანაში მაინც გრძელდებოდა ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესი.[21] 2007 წლის აპრილში პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა თავისუფალ კონკურენციას მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე (*al-Shark al-Awsat*, 18.04. 2007).

2006 წლის15 იანვარს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ჯაბერ III და ახალ ამირად გამოცხადდა მემკვიდრე პრინცი, 75 წლის საად ალ-აბდულაჰ ას-სალიმ ას-საბაჰი. პირველად ქუ-

21 993 წელს ქუვეითი შევიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

ვეითის ისტორიაში პარლამენტმა არ დაამტკიცა ამირას კანდიდატურა და გამოვიდა ინიციატივით, რომ აერჩიათ ახალი მმართველი, ვინაიდან მემკვიდრე პრინცი მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებდა თავისი მოვალეობების შესრულებას. 2006 წლის 29 იანვრიდან ქუვეითის ამირა გახდა საბაჰ IV ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ას-საბაჰი. ის **40 წლის განმავლობაში (1963-2003) ასრულებდა საგარეო საქ**მეთა მინისტრის მოვალეობას (2003 წელს გახდა პრემიერ-მინისტრი). საბაჰ IV-მ გაატარა მთელი რიგი დემოკრატიული რეფორმები: ქალებს მისცა საარჩევნო ხმის უფლება და ნება დართო დაეკავებინათ სახელმწიფო თანამდებობები, შეარბილა კანონი ასოციაციების შესახებ და პრესის კანონი. იმავდროულად 6-ჯერ გაზარდა სამეფო ოჯახზე დანახარჯები (Casey, 2007: 136-137).

პარლამენტის მწვავე კრიტიკამ მთავრობის მისამართით, გააღრმავა დაპირისპირება ამ ორ შტოს შორის.[22] **2006 წლის 21 მაისს ქუვეითის ამირამ სპეციალური დეკრეტით დაითხოვა ეროვნული კრე**ბა და დანიშნა ახალი არჩევნები.

> 2006 წლის თებერვლიდან პრემიერ-მინისტრია *ნასერ ალ-მოჰამედ ალ-აჰმედ ას-საბაჰი (დაბ.1940 წ.).* მისი პრემიერობის პერიოდში ქვეყანამ გადაიტანა სამი პოლიტიკური კრიზისი: მთავრობის პირველმა შემადგენლობამ იმუშავა 143 დღე, რის შემდეგაც პარლამენტი დაითხოვეს მთავრობასა და პარლამენტს შორის სერიოზული უთანხმოების გამო. **2006 წლის ზაფხულში ჩატარდა ახალი საპარ**ლამენტო არჩევნები. მთავრობის ახალმა შემადგენლობამ იმუშავა 238 დღე. **2007 წლის მარტში, მო**რიგი პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, ქუვეითის ამირამ კვლავ დაითხოვა პარლამენტი და 17 მარტს ჩატარდა ვადამდელი არჩევნები. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მთავრობის შემადგენლობაშიც. პარლამენტი მკვეთრად აკრიტიკებს მთავრობის საქმიანობას, გამოდის ცალკეული მინისტრების საქმიანობის შესწავლის მოთხოვნით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მმართველი ოჯახის წევრები არიან.

2006 წლის 29 ივნისს ჩატარდა ეროვნული კრების არჩევნები. ოპოზიციამ მიიღო 33 ადგილი, საიდანაც 21 დეპუტატის ადგილი (17 სუნიტი,[23] 4 შიიტი) **წილად ხვდათ ისლამისტური ორგანიზაცი**ების წარმომადგენლებს. ისლამისტების ფართო წარმომადგენლობა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ახალი ფენომენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისლამისტების (პირველ რიგში, ისლამისტური კონსტიტუციური მოძრაობის) პოპულარობა და გავლენა გაიზარდა 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ. ერაყის ოკუპაციის პერიოდში ისინი იყვნენ წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი ორგანიზატორები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მათი პოპულარობა და წარმატება მოიპოვეს **1992 წლის და მომდევნო მოწვევის პარლამენტში. ისლამისტების პოზიცია არ გამოირჩევა რადიკალუ**რი მოთხოვნებით, რაც მიმართულია ქვეყნის ისლამიზაციისაკენ. საპარლამენტო ოპოზიციამ დააარსა ბლოკი „ცვლილებებისათვის". **2006 წლის იანვარში წინა მოწვევის პარლამენტის ისლამისტური ჯგუფე**ბის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს ქუვეითის პირველი პოლიტიკური პარტიის – ალ-უმმა („თემი") დაარსების შესახებ. ის არ დაარეგისტრირეს, რადგანაც ქვეყნის კონსტიტუციით იკრძალება პოლიტიკური პარტიები. მართალია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები ფაქტობრივად ასრულებენ პარტიების როლს, მაგრამ ოპოზიცია გამოდის პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაციის მოთხოვნით.

ქუვეითში კვლავ რჩება გადაუჭრელი პრობლემები: განხეთქილება მოქალაქეებსა და ქვეყანაში მომუშავე უცხოელებს შორის; მოქალაქეობის მინიჭების პრობლემა ბედუინებისათვის, რომელთაც ვერ შეძლეს ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა. გრძელდება აგრეთვე პოლიტიკური კრიზისი – დაპირისპირება პარლამენტსა და მთავრობას შორის, ძირითადად საარჩევნო კანონის გამო.

---

22 პარლამენტი გამოვიდა მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ საარჩევნო კანონში ცვლი-ებების თაობაზე, რაც ითვალისწინებდა საარჩევნო ოლქების შემცირებას 25-დან 10-მდე, საპარლამენტო ოპოზიცია კი ითხოვდა 5-მდე შემცირებას (ოპოზიციის აზრით, საარჩევნო ოლქების დიდი რაოდენობა აადვილებს ამომრჩეველთა „მოსყიდვას"). პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც პარლამენტმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრისაგან მოითხოვა ანგარიშის ჩაბარება დეპუტატების წინაშე და დაინიშნა თარიღიც – 29 მაისი. ეს პროცედურა გათვალისწინებულია კონსტიტუციით, მაგრამ არასოდეს გამოუყენებიათ ქუვეითის პოლიტიკურ პრაქტიკაში (*Reform in the Middle East*, 2008: 33).

23 სუნიტებს შორის არიან ორი საპირისპირო მიმართულების წარმომადგენლები – სალაფიტები და ისლამური კონსტიტუციური მოძრაობა, რომელიც ახლოს დგას „მუსლიმ ძმებთან."

ერაყი

1921 წელს ერაყი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო – კონსტიტუციური მონარქია, მაგრამ 1930 წლამდე ქვეყანა დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიას წარმოადგენდა. 1932 წელს კი უკვე სრულად დამოუკიდებელი ერაყი ერთა ლიგის წევრი გახდა. XX ს-ის 20-30-იან წლებში ქვეყანას მართავდა მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად ორგანიზებული ბაღდადის სუნიტური ზედაფენა. ეს პერიოდი ხასიათდება პოლიტიკური არასტაბილურობით – გლეხთა აჯანყებები, ტომთა მღელვარებები, ხელისუფლების ხშირი ცვლა. მონარქიის პერიოდში (1920-1958) ქვეყანაში შეიცვალა 50 მინისტრთა კაბინეტი და პარლამენტის 15 შემადგენლობა.[24]

40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში ერაყში გაძლიერდა ბრძოლა მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ. 1955 წელს ინგლისის აქტიური მონაწილეობით ბაღდადში შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი – *ბაღდადის პაქტი*, რომელშიც შევიდნენ ერაყი, ირანი, თურქეთი და პაკისტანი. ინგლის-ერაყის 1955 წლის შეთანხმებით, რომელმაც შეცვალა 1930 წლის შეთანხმება, ინგლისი ინარჩუნებდა სამხედრო-პოლიტიკურ კონტროლს ერაყზე, რაც ერაყის მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ბაღდადის პაქტიდან ერაყის გამოსვლის მოთხოვნამ ქვეყნის სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკური ძალები გააერთიანა. ფართო მანიფესტაციები და საპროტესტო გაფიცვები 1956 წლის ნოემბერში შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა ერაყის სამ მთავარ ქალაქში – ბაღდადში, ბასრასა და მოსულში. მათ შიიტური ქალაქებიც შეუერთდა – ნაჯაფი, ქუფა და ჰილა. 1956 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ხელისუფლებამ ჩაახშო აჯანყება, რამაც ერაყის ოპოზიციური ძალები დაარწმუნა პოლიტიკური მოქმედებებისა და ანტისამთავრობო აქციების კოორდინაციის აუცილებლობაში (Dawisha, 2009: 114-117).

1954 წელს დაარსდა *არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია* – *ბაასი*, რომელიც მალე უაღრესად პოპულარული გახდა მოსახლეობაში. პარტიამ ხალხს აღუთქვა სოციალური რეფორმების გატარება. 1956 წელს კი ერაყის არმიაში ჩამოყალიბდა იატაკქვეშა ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრები," რომელშიც დომინირებდა სუნიტი არაბი ოფიცრების ფრაქცია გენერალ აბდ ალ-ქარიმ კასიმის ხელმძღვანელობით. მისი უახლოესი თანამოაზრე იყო პოლკოვნიკი აბდულ სალამ არიფი. 1957 წლის თებერვალში *ეროვნული ერთიანობის ფრონტში* შევიდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, დამოუკიდებლობის პარტია (*ისთიკლალ*), არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია (ბაას) და ერაყის კომუნისტური პარტია. 1957 წელს სადამ ჰუსაინი ბაასის პარტიის წევრი გახდა (Anderson & Stansfield, 2004: 43; Cleveland, 2009: 408).

ეროვნული ერთიანობის ფრონტის პროგრამა:
- ნური ას-საიდის ჩამოშორება ხელისუფლებიდან;
- ქვეყნის გამოსვლა ბაღდადის პაქტიდან;
- პოლიტიკური წყობის დემოკრატიზაცია;
- ერაყის განთავისუფლება უცხოური ჩარევისაგან;
- პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარება.

1958 წლის14 ივლისს ერაყის არმიის ოფიცერთა ჯგუფი, გენერალ აბდ ალ-ქარიმ კასიმის და პოლკოვნიკ აბდულ სალამ არიფის ხელმძღვანელობით, გამოვიდა მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა დაიკავეს მეფის სასახლე და სამთავრობო დაწესებულებები. სამხედროებს შეუერთდა სამოქალაქო მოსახლეობაც. დედაქალაქი და შემდეგ მთელი ქვეყანა აჯანყებულთა კონტროლქვეშ აღმოჩნდა. მონარქია დაემხო, ხოლო მეფე ფაისალ II, მემკვიდრე პრინცი აბდ ალ-ილაჰი და სამეფო ოჯახის სხვა წევრების დახოცეს. დაიწყო სამეფო ელიტისადმი ანგარიშსწორებაც, რისი მსხვერპლიც გახდა პრემიერ-მინისტრი ნური ას-საიდიც (Dawisha, 2009: 171; Tripp, 2007: 144).

1958 წლის რევოლუციამდე ერთი თვით ადრე ნური ას-საიდმა ბრიტანეთის ელჩს განუცხადა:

„მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მე ვატარებდი ერთ პოლიტიკას, რომლისაგანაც არ გადამიხვევია, სახელდობრ ურყევი მეგობრობის პოლიტიკას [დიდ ბრიტანეთთან]... მე შემეძლო გავმხდარიყავი დიდი ეროვნული გმირი თუ გადავიდოდი [ანტიბრიტანულ გზაზე]. მაგრამ მე საკმაოდ ხანდაზ-

24 აქედან მხოლოდ ერთმა დაასრულა თავისი უფლებამოსილების ვადა. ამ პერიოდში აშკარად შეიმჩნეოდა პოლიტიკური ხელისუფლების კონცენტრაცია პრემიერ-მინისტრის ხელში – 21 მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობდა ნური ალ-საიდი და 7-ს – ჯამილ ალ-მიდფაი (Dawisha, 2009: 149).

მული ვარ, რომ შევიცვალო ჩემი [გზა]. მე ვისურვებდი პოლიტიკისათვის თავის დანებებას და დასვენებას პატარა სოფელში... ვიდრე თქვენ დამადანაშაულოთ [თქვენს საწინააღმდეგო ქმედებაში]."

(ციტ. Batatu, 1978: 946-949; Dann, 1969: 282-285).

ქვეყანაში დაემხო მონარქია და გამოცხადდა ერაყის რესპუბლიკის შექმნა. მონარქიის დამხობის შემდეგ წარმომადგენლობითი ინსტიტუტები არ ჩამოყალიბებულა და აბდ ალ-ქარიმ კასიმი გახდა პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. აბდულ სალამ არიფი კი – პრემიერ-მინისტრის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი. 1958 წლის 26 ივლისს მიღებულ იქნა ერაყის რესპუბლიკის დროებითი კონსტიტუცია. პრეზიდენტი გახდა აბდ ალ-ქარიმ კასიმი (1958-1963) და იგი იმავდროულად იყო რევოლუციური ხელმძღვანელობის ეროვნული საბჭოს (ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო) თავმჯდომარეც. მის დროს ერაყი გამოვიდა ბაღდადის პაქტიდან, ერაყისა და იორდანიის არაბული ფედერაციიდან, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ყველა კომუნისტურ ქვეყანასთან (Anderson & Stansfield, 2004: 36).

1958 წლის ივლისის მოვლენები შეფასდა ეროვნულ რევოლუციად, რომლის წარმატება განაპირობა ხალხთა ფართო მასების მონაწილეობამ და მონარქიის ოპოზიციური ძალების ერთიანობამ. „პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, მემარჯვენეებიდან უკიდურეს მემარცხენეებამდე, ძნელი იყო მოძებნა ადამიანის, რომელიც არ იყო რეჟიმისადმი ამა თუ იმ სახით ოპოზიციაში, იმათ გარდა, ვისი კეთილდღეობაც დამოკიდებული იყო მის არსებობაზე" (Халед ибн Султан, 1996: 149). თუმცა, ახალმა რეჟიმმა საბოლოოდ დაასამარა ერაყის განვითარება. ძალადობა იქცა ხელისუფლების შენარჩუნების ძირითად საშუალებად.

ხელისუფლების სათავეში მოსული სამხედროების ნაციონალიზმს არაფერი ჰქონდა საერთო დემოკრატიულ ფასეულობებთან. სამხედრო ელიტა გამოირჩეოდა კონსერვატორული, ანტიდემოკრატიული შეხედულებებით. ამას მოჰყვა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის შეფერხება. მალე თავი იჩინა უთანხმოებამ თავისუფალი ოფიცრების სხვადასხვა ფრაქციებს შორის, რადგანაც სამხედროების ნაწილმა ვერ მიიღო მნიშვნელოვანი პოსტები და არ იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თვითონ კასიმსა და არიფს შორისაც უთანხმოება იყო, რის გამოც ეს უკანასკნელი 1958 წლის სექტემბერში დანიშნა ელჩად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. არიფი იძულებული გახდა დათანხმებოდა, მაგრამ მალულად დაბრუნდა ოქტომბერში და ის დააპატიმრეს (Dawisha, 2009: 174; Dann, 1969:78).

კასიმის მმართველობის წლებში (1958-1963) აქტიურად მოქმედებდა ერაყის კომუნისტური პარტია (ჩამოყალიბდა 1958 წელს). მან შეძლო მასების მიმხრობა და წინააღმდეგობის ჯგუფების ჩამოყალიბება. იმ პერიოდში კომპარტია ბაასისტებზე გაცილებით უფრო ძლიერი იყო და ეხმარებოდა კასიმს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, მალე კომუნისტებმა პოზიცია შეიცვალეს. მათ კავშირი დაამყარეს ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასთან და დაიწყეს ერთობლივი ანტისამთავრობო გამოსვლების ორგანიზება. მათი ბაზა გახდა ერაყის ქურთისტანი. 1958-1959წწ. ანტისამთავრობო გამოსვლები (მოსულსა და ქირქუკში) ხელისუფლებამ ჩაახშო და კასიმმა მიმართა რეპრესიებს კომუნისტების წინააღმდეგ, ხოლო წინააღმდეგობის ჯგუფები ხელისუფლებამ დაშალა. თანდათანობით გაძლიერდა კასიმის პირადი ხელისუფლება, რომელიც გადაიქცა ერთპიროვნულ დიქტატორად (მისი მომხრეები მას მოიხსენიებდნენ „ერთპიროვნულ ლიდერად" – *აზ-ზა'იმ ალ-ავჰად*). ფაქტობრივად, მას ბრძოლა უხდებოდა ყველა ძირითადი პოლიტიკური ოპოზიციური ძალის წინააღმდეგ.

ქურთებთან ბრძოლაში წარუმატებლობამ, ეკონომიკურმა სიძნელეებმა, ოპოზიციასთან ბრძოლამ, წარუმატებელმა საგარეო პოლიტიკამ გააძლიერა რეჟიმის იზოლაცია ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. 1959 წლის ოქტომბერში ბაასისტებმა განახორციელეს წარუმატებელი თავდასხმა კასიმზე, რომელშიც მონაწილეობდა ერაყის მომავალი ლიდერი, 22 წლის სადამ ჰუსაინი. ის გადაურჩა დაპატიმრებას და დროებით დასახლდა კაიროში (Dawisha, 2009: 174-183).

1960 წლის იანვარში ხელისუფლებამ მიიღო კანონი ასოციაციებზე, რომლის საფუძველზე მოხდა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლეგალიზაცია. მომდევნო 6 თვის განმავლობაში რვა პარტიამ შეიტანა განაცხადი შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაგრამ მხოლოდ 4 პარტიამ მიიღო ლიცენზია და მათ შორის არ აღმოჩნდა კომუნისტური პარტია (*ჰიზბ ათ-თაჰრირ*). კასიმის ერთპიროვნულმა დიქტატურამ გამოიწვია ბაასისტების, არაბი ნაციონალისტების მოძრაობის და ე.წ. ერაყელი ნასერისტების (ისინი მხარს უჭერდნენ ეგვიპტის განვითარების ნასერისტულ გზას) უკმაყოფილება.

1962 წელს კასიმის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ჩამოაყალიბეს შეთქმულთა ჯგუფი მის წინააღმდეგ. მას ხელმძღვანელობდნენ ბაასისტები და არიფის მომხრეები. ბაასის პარტია გულდასმით ემზადებოდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად. დარტყმა მიმართული იყო არა მხოლოდ რეჟიმის, არამედ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგაც. ყალიბდებოდა ეროვნული გვარდიის შეიარაღებული რაზმები. ქალაქებში შეადგინეს კომუნისტთა სიები კვარტლების მიხედვით, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა დაეპატიმრებინათ.1962 წელს პარტიის გენერალურმა მდივანმა აკი სალიჰ ას-სადიმ დააარსა ბაასის სამხედრო ბიურო.

1963 წლის 8 თებერვალს შეთქმულთა არმია შევიდა ბაღდადში და შტურმით აიღო თავდაცვის სამინისტროს შენობა, სადაც იმყოფებოდა კასიმი. 9 თებერვალს ის დახვრიტეს, ხოლო მისი გვამი, სკამზე მიბმული, აჩვენეს ეროვნული ტელევიზიით (ეს იყო ქვეყანაში პოლიტიკური ბრძოლისათვის დამახასიათებელი თავისებურების კიდევ ერთი დეტალი). 1963 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაემხო კასიმის დიქტატურა და პრეზიდენტი გახდა აბდულ სალამ არიფი (1963-1966), რომელიც არ იყო ბაასისტი. ჩამოყალიბდა ხელისუფლების ახალი ორგანოები – რევოლუციური ხელმძღვანელობის ეროვნული საბჭო (8 ბაასისტი და 4 არაბი ნაციონალისტი ოფიცერი) და მთავრობა. ძირითადი პოსტები ბაასისტებმა მიიღეს – ვიცე-პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი გახდა ბაასისტი აჰმედ ჰასან ალ-ბაქრი (Tripp, 2007:163-164).

ახალმა რეჟიმმა ქვეყანაში დაიწყო მასობრივი ტერორი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერაყის ბაასის ლიდერი ას-სადი – მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი. ბაასისტები თავიანთი ხელისუფლების გასაძლიერებლად და ოპოზიციასთან საბრძოლველად ფართოდ იყენებდნენ ეროვნულ გვარდიას, რომლის ოდენობაც 1963 წლის აგვისტოში 5000-დან 54,000-მდე გაიზარდა. გვარდიელები აკონტროლებდნენ მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. თავდაპირველად ტერორი მიმართული იყო კომუნისტების წინააღმდეგ, შემდეგ იუნიონისტების (ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის მომხრეების) და საზოგადოების დემოკრატიულად განწყობილი ნაწილის მიმართ. 1963 წლის ზაფხულში მათ წამოიწყეს სისხლისმღვრელი ომი ქურთების წინააღმდეგ. 10 თვის მმართველობის განმავლობაში ბაასისტების მსხვერპლი გახდა 10,000 ადამიანი. დაახლ. 100,000 აღმოჩნდა საკონცენტრაციო ბანაკებში და ციხეებში. 1963 წელი ქვეყნის ისტორიაში შევიდა, როგორც ეროვნული ტრაგედიის და სისხლიანი ტერორის წელი (Tripp, 2007: 165-170; Anderson & Stansfield, 2004: 38-39).

1963 წლის 18 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად სამხედროებმა, აბდულ სალამ არიფის ხელმძღვანელობით, ჩამოაშორეს ხელისუფლებას ბაასის პარტია. ხელისუფლებამ მიიღო ახალი დროებითი კონსტიტუცია, რომელმაც გამოცხადა ერაყის ყველა მოქალაქის თანასწორობა. ამასთან, იკრძალებოდა ყველა პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა და მათ ნაცვლად უნდა შექმნილიყო სამთავრობო ორგანიზაცია – *არაბული სოციალისტური კავშირი*, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მხარდამჭერი ყველა პოლიტიკური ძალა. თუმცა, ერაყში დამყარებული პოლიტიკური სტაბილურობა მოჩვენებითი იყო. ბრძოლა ხელისუფლებისათვის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის არ შეწყვეტილა. გრძელდებოდა რეპრესიები მემარცხენე ძალებისა და ქურთების წინააღმდეგ. 1964 წელს რეჟიმმა განაახლა რეპრესიები ბაასისტებისა და იუნიონისტების წინააღმდეგ. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ჰასან ალ-ბაქრი და სადამ ჰუსაინი, რომელიც 1966 წლამდე დარჩა ციხეში. არიფის რეჟიმი გადაიქცა სამხედრო-ბიუროკრატიულ დიქტატურად. ქვეყანაში განმტკიცდა მემარჯვენე ძალთა პოზიციები (Tripp, 2007: 183).

1966 წლის აპრილში ავიაკატასტროფაში დაიღუპა აბდულ სალამ არიფი. ეროვნული თავდაცვის საბჭომ, რომელმაც შეცვალა რევოლუციური ხელმძღვანელობის ეროვნული საბჭო, პრეზიდენტად აირჩია მისი ძმა აბდულ რაჰმან არიფი (1966-1968). ის შეეცადა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციას. ქურთებს 12 პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა შესთავაზეს, რათა დაესრულებინათ ომი ჩრდილოეთში, მაგრამ არმიის ოფიცრების ზეწოლით ქურთებთან მოლაპარაკებები შეწყდა. ბაასის პარტიის აქტივისტები ციხიდან გაათავისუფლეს, რასაც ხელისუფლებისათვის ფატალური შედეგები მოჰყვა (Anderson & Stansfield, 2004: 40).

მზარდი შინაპოლიტიკური კრიზისის პირობებში ბაასის ხემძღვანელობამ, რომელთაც მხარს უჭერდნენ სამხედრო ზედაფენის გავლენიანი წარმომადგენლები, 1968 წლის 17 ივლისს მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება. მათ დაიკავეს ბაღდადის ტელევიზია, დააპატიმრეს თავდაცვის მინისტრი და რეს-პუბლიკური გვარდიის მეთაურები. ბაასის პარტიის სამხედრო მეთაურმა, გენერალმა ჰარდან ალ-თიქრითიმ შესთავაზა პრეზიდენტს გადადგომა და ლონდონში წასვლა, სადაც იმყოფებოდა მისი ცოლი, მაგრამ უარი მიიღო. ბაასისტებსა და სამხედრო დაჯგუფებებს შორის ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. საბოლოოდ, ბაასისტებმა 30 ივლისს სამხედროები გაათავისუფლეს დაკავებული პოსტებიდან, ქვეყნის

პრეზიდენტი აბდულ რაჰმან არიფი კი დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს. ხელისუფლება მთლიანად გადავიდა ბაასის ხელში (Anderson & Stansfield, 2004: 39-40, 50).

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა *რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო*. მისი თავმჯდომარე გახდა აჰმედ ჰასან ალ-ბაქრი (1968-1979), რომელსაც იმავდროულად ეკავა ერაყის პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის პოსტი. 31 წლის სადამ ჰუსაინი გახდა მეორე პირი ახალ სახელისუფლო იერარქიაში – 1969 წელს მან დაიკავა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. ის ხელმძღვანელობდა აგრეთვე პარტიის უსაფრთხოების ბიუროს და კურირებდა ბაასის საორგანიზაციო და იდეოლოგიური სამუშაოების განყოფილებას. სადამ ჰუსაინი ცდილობდა ალ-ბაქრის ნდობის მოპოვებას, რომელსაც ის „მამა-ლიდერს“ (*ალ-აბბ ალ-კა"იდ*) უწოდებდა (Dawisha, 2009: 208-211; Cleveland, 2009: 408-409).

ჯერ კიდევ 1964 წელს სადამ ჰუსაინმა შექმნა პარტიის სპეციალური უსაფრთხოების ორგანიზაცია (*ჯიჰაზ ალ-ამნ ალ-ხას*). ამ კონსპირაციული ორგანოს არსებობა ცნობილი იყო მხოლოდ ბაასის ვიწრო ჯგუფისათვის კოდური სახელწოდებით *ჯიჰაზ ჰანინ*. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ცხოვრებაში. ორგანიზაციის სტრუქტურაც გასაიდუმლოებული იყო. ის შედგებოდა ყველაზე ერთგული კადრებისაგან, რომლებიც ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ პარტიასა და ქვეყანაში. სადამ ჰუსაინი მისი საშუალებით ხსნიდა და ანადგურებდა ნებისმიერ პიროვნებას ან ჯგუფს, ვინც ემუქრებოდა ბაასს გარედან თუ შიგნიდან. ყველა საპასუხისმგებლო პოსტებზე – არმიაში, პარტიასა და სახელმწიფო აპარატში – ინიშნებოდნენ სადამ ჰუსაინთან ნათესაობის ან ერთგულების პრინციპით.

ბაასისტებმა გაითვალისწინეს 1963 წლის მარცხის მიზეზები და ხელისუფლებაში დაბრუნების პირველი დღეებიდანვე ხაზს უსვამდნენ გადატრიალების უსისხლო ხასიათს. მათ გააკეთეს განცხადება „პროგრესულ ძალთა ფართო ფრონტის“ შექმნის განზრახვის შესახებ, ციხეებიდან გამოუშვეს 1000-მდე კომუნისტი და დემოკრატი. ბაასის ხელმძღვანელობამ კონტაქტი დაამყარა ერაყის კომუნისტურ პარტიასთან. მთავრობამ გამოუცხადა ამნისტია ქურთთა აჯანყების მონაწილეებს. თუმცა, ახალი მთავრობის ლიბერალური ღონისძიებები მხოლოდ მოჩვენებით ხასიათს ატარებდა და ქვეყნის მმართველი რეჟიმის სხვა პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობაში პრაქტიკულად სრული უნდობლობა სუფევდა (Dawisha, 2009: 210; Cleveland, 2009: 408-409).

ბაასი ხელისუფლებაში მოვიდა არადემოკრატიული გზით და ერაყის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მხარს არ უჭერდა მას. 1968 წლის მაისში პარტიაში იყო დაახლოებით 5000 წევრი. პარტიის წევრებს ძირითადად სუნიტები შეადგენდნენ. ამასთან, რეჟიმის სოციალური ბაზა ვიწრო იყო.

1968 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა საგანგებო რევოლუციური სასამართლო, ჯაშუშების, აგენტებისა და „ხალხის მტრების“ განსასჯელად. დანაშაულის კვალიფიკაცია იყო ტრადიციული: „შეთქმულება ხელისუფლების დასამხობად;“ „შპიონაჟი აშშ-ის, ისრაელის და ირანის სასარგებლოდ;“ ამის პარალელურად ხშირი იყო ადამიანის მოტაცებები და დაპატიმრებები სასამართლო განხილვის გარეშე. სახელმწიფო დაწესებულებებში მიმდინარეობდა არასასურველი ელემენტების „წმენდა.“ ჰუსაინი დარწმუნებული იყო, რომ „თუ თვითონ არ მიაყენებდა დარტყმას თავის მოწინააღმდეგეს, რეალურად ან წარმოსახვით, მაშინ ისინი დაასწრებდნენ მას თავდასხმას“ (Dawisha, 2009: 227).

ახალი რეჟიმის მრავალი ქმედება მიმართული იყო სოციალური ბაზის გაფართოებისაკენ – მშრომელთა მიმხრობისაკენ. მათ შეამცირეს გადასახადები, დაწიეს ფასები საწვავზე, გააუქმეს მთელი რიგი შეზღუდვები პირველი მოთხოვნილების საგნების იმპორტზე.

1970 წლის 16 ივლისს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ერაყი გამოაცხადა „სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად.“ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანო გახდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო. 1971 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა *ეროვნული მოქმედების ქარტიის* პროექტი, რომლის მიხედვითაც იგეგმებოდა ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალისა და ჯგუფის გაერთიანება და „ეროვნული ფრონტის“ ჩამოყალიბება. ბაასის ხელმძღვანელობამ კომუნისტურ პარტიას „ერთიან ფრონტში“ შესვლა შესთავაზა, მაგრამ სამაგიეროდ კომუნისტებს უნდა ეღიარებინათ: ბაასი, როგორც რევოლუციური იუნიონისტური, სოციალისტური და დემოკრატიული პარტია; 1968 წლის რევოლუციის პროგრესული ხასიათი; ბაასის ხელმძღვანელი როლი მთავრობაში, მასობრივ ორგანიზაციებსა და ფრონტზე; არმიაში პოლიტიკური საქმიანობის უფლების მხოლოდ ბაასისათვის მინიჭება. 1973 წლის ივლისში კომუნისტები დათანხმდნენ ამ პირობებზე და ხელი მოაწერეს ბაასის პარტიასთან ერთად „ეროვნული მოქმედების ქარტიას,“ რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა „პროგ-

რესული ეროვნულ-პატრიოტული ფრონტი." მასში შევიდა 8 ბაასისტი, 3 კომუნისტი, 3 ქურთი, და 2 დამოუკიდებელი[25] (Dawisha, 2009: 228).

პროგრესული ეროვნულ-პატრიოტული ფრონტი და კოალიციაზე დამყარებული პოლიტიკური სისტემა იყო მხოლოდ შირმა ხელისუფლების კონსოლიდაციისათვის. იმ პერიოდში ხელისუფლებას სჭირდებოდა ქურთთა აჯანყების ჩახშობა. სინამდვილეში, ბაასის ხელმძღვანელობას სურდა ერთპარტიული სისტემის შექმნა. ამასთან, სადამ ჰუსაინს აშინებდა კომუნისტური პარტიის ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურა და მასების, განსაკუთრებით შიიტების და ქურთების, მხარდაჭერა. 1970-იანი წლების ბოლოს, როდესაც ბაასი გაუსწორდა ქურთებს და შიიტებს, მას უკვე აღარ სჭირდებოდა თანამშრომლობა კომუნისტურ პარტიასთან, რომელიც ერთადერთ დაბრკოლებას წარმოადგენდა ქვეყანაში ბაასის სრული ჰეგემონიის დასამყარებლად. დაიწყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან კომუნისტების გამოდევნის პროცესი. აიკრძალა მათი საქმიანობა მასობრივ ორგანიზაციებში, სადაც კომუნისტები კიდევ ინარჩუნებდნენ გარკვეულ გავლენას. 1978-1979წწ. კომპარტიის დაახლ. 1000 მომხრე რეპრესირებულ იქნა. მათ ძირითადად პირდაპირ ქუჩაში ხოცავდნენ. ხშირი იყო ადამიანების მოტაცება და წამება. სადამ ჰუსაინმა კომუნისტები გამოაცხადა უცხო ქვეყნების აგენტებად და დახურა მათი ყველა ბეჭდვითი ორგანო. ამგვარად, ერაყი გადაიქცა ქვეყნად, სადაც ბაასმა მოიპოვა სრული მონოპოლია ხელისუფლებაზე და შექმნა ტოტალურად იდეოლოგიზირებული საზოგადოება.[26]

1968 წლის ივლისის შემდეგ ერაყის მმართველმა რეჟიმმა დაკარგა წმინდა სამხედრო მახასიათებლები: ბაასის ხელმძღვანელობამ კურსი აიღო სრული იდეოლოგიური, პოლიტიკური და ადმინისტრციული კონტროლის დასამყარებლად შეიარაღებულ ძალებზე „ბაასიზაციის" საშუალებით. ბაასმა მიზნად დაისახა იდეოლოგიური არმიის შექმნა, რომელიც დაიცავდა მის ხელისუფლებას. რეჟიმისადმი არალოიალურად განწყობილ ოფიცრებს ათავისუფლებდნენ ან აგზავნიდნენ სამუშაოდ ქურთისტანში. სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში იღებდნენ მხოლოდ ბაასის წევრებს, რომლებიც ხელს აწერდნენ ვალდებულებას – ემუშავათ პარტიის ინტერესებისათვის, მისი დარღვევის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეებს ემუქრებოდათ რეპრესიები. გამკაცრდა დისკრიმინაცია რელიგიური და ეთნიკური ნიშნით შეიარაღებულ ძალთა შერჩევისას და სამსახურში დაწინაურებისას. საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აწინაურებდნენ მხოლოდ იმ გენერლებს და ოფიცრებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ სადამ ჰუსაინთან.

1976 წლის ბოლოს არმიაში დასრულდა ბაასისტი პოლიტიკური კომისრების ქსელის ჩამოყალიბება, რომლებიც ეკუთვნოდნენ სადამის უსაფრთხოების აპარატს. 1976 წელს ალ-ბაქრმა სადამ ჰუსაინს, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული სამხედრო განათლება, მიანიჭა არმიის გენერლის წოდება. ჰუსაინის ჩართვამ სამხედრო იერარქიაში შეასუსტა ალ-ბაქრის როლი. 1977 წელს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა სადამ ჰუსაინის ბიძაშვილი – გენერალი ადნან ხაირალა (მეორე ბიძაშვილი – საადუნ შაქრი ხელმძღვანელობდა ეროვნული თავდაცვის ოფისს), რაც ნიშნავდა უშუალოდ სადამის კონტროლისათვის დაქვემდებარებას. 1977 წელსვე განხორციელდა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია – ბაასის პარტიის მმართველი საბჭოს ყველა წევრი გახდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს წევრი, რაც ნიშნავდა განსხვავების მოშლას პარტიასა და სახელმწიფოს შორის. 1978 წელს გამოიცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ბაასის პარტიას შეეძლო ეწარმოებინა პოლიტიკური საქმიანობა შეიარაღებულ ძალებში. ამ დროისათვის ბაასის ხელმძღვანელობიდან გამოაძევეს ე.წ. სამხედრო ჯგუფი (77 წევრი), რომლებიც პრეზიდენტ ბაქრის მომხრეები იყვნენ; 22 სიკვდილით დასაჯეს, 55 კი დამნაშავედ ცნეს და ციხეებში ჩასვეს (Dawisha, 2009: 212-214; Anderson & Stansfield, 2004: 59).

სადამ ჰუსაინი ოცნებობდა გადაექცია ბაასი სანიმუშოდ ორგანიზებულ ძალად, რომელსაც შეეძლო არა მარტო ხელისუფლების მოპოვება, არამედ მისი შენარჩუნებაც. ამასთან დაკავშირებით, „მისთვის სულ უფრო მიმზიდველი ხდებოდა" ბოლშევიკური რუსეთის და ფაშისტური გერმანიის მოდელები, რომლებიც ეყრდნობოდნენ ერთპარტიულ სისტემას. სადამმა ზედმიწევნით შეისწავლა კომუნისტური მოძრაობის გამოცდილება. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხებს, ნერგავდა პარტიულ და სახელმწიფო აპარატზე კონტროლის დამყა-

25 კომუნისტების დათანხმებას ხელი შეუწყო ერაყსა და საბჭოთა კავშირს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებამ და 1972 წლის აპრილში სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოსიგინის ვიზიტმა ერაყში (Tripp, 2007: 201).

26 ერაყის ბაასის პარტიას ჰქონდა 21 ფილიალი.

რების სტალინურ მეთოდებს. სადამ ჰუსაინმა ჩამოაყალიბა მკაცრი პარტიული სტრუქტურა, არჩევდა საჭირო და ერთგულ კადრებს. იდეოლოგიზირებული გახდა განათლების სისტემაც, დაწყებული სკოლამდელი განათლების საფეხურიდან (Dawisha, 2009: 211).

მკაცრი სასჯელები იქნა შემოღებული ბაასის პარტიის წევრებისათვის: სისხლის სამართლის კოდექსით, რომელიც პირადად სადამ ჰუსაინის ხელმძღვანელობით შემუშავდა, გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა ბაასის პარტიის წევრთა მიერ ყოფილი პარტიული კუთვნილების დაფარვის შემთხვევაში, სხვა პოლიტიკურ პარტიასთან ერთდროულად კავშირის შენარჩუნების, პარტიიდან გასვლისა და სხვა პარტიაში გადასვლის შემთხვევაში. **1975-1978წწ. მიღებულ იქნა მთელი რიგი ანტიდემოკრატიული** კანონები. მაგ., 1977 წლის №35 კანონით, ერაყის მოქალაქეობა უწყდებოდა „ყველას, ვინც მხარს უჭერდა რევოლუციისა და მისი პროგრამისადმი მტრულად განწყობილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან ინტელექტუალურ ოპოზიციას."

1977 წლიდან პროვინციების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, უსაფრთხოების ორგანოები, არმიის მეთაურები და მინისტრები ანგარიშს აბარებდნენ უკვე არა პრეზიდენტ ბაქრს, არამედ უშუალოდ სადამ ჰუსაინს.

1979 წლის 17 ივლისს ბაქრი გადააყენეს ყველა პოსტიდან და შინა პატიმრობა მიუსაჯეს. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ის „ავადმყოფობის გამო" გადადგა. სახელმწიფოსა და პარტიის მეთაური გახდა სადამ ჰუსაინი. ბაქრი 16 ივლისს ტელევიზიით გამოვიდა და გამოაცხადა თავისი გადადგომის და სადამ ჰუსაინისათვის ხელისუფლების გადაცემის შესახებ. ეს ფაქტი შეფასდა, როგორც „უსისხლო გადატრიალება" (Kamrava, 2005: 174; Dawisha, 2009: 213-214).

> სადამ ჰუსაინმა უზარმაზარი ძალაუფლება ჯერ კიდევ 1970-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა. მისი ბიოგრაფები წერდნენ: „ყველამ იცის, რომ სადამ ჰუსაინი იყო ბაღდადის ძლიერი ადამიანი, მის ჩრდილქვეშ გაუფერულებული ბაქრი კი მხოლოდ ნომინალურ სახელმწიფო მეთაურს წარმოადგენდა. ფუნქციების გადანაწილება მათ შორის მარტივად ხდებოდა: ჰუსაინი ატარებდა პოლიტიკურ კურსს, მაშინ როცა ბაქრი სანქციას აძლევდა მას თავისი ოფიციალური პოზიციიდან და ეროვნული პრესტიჟიდან გამომდინარე. ხმა იყო ბაქრის, მაგრამ ხელები – სადამ ჰუსაინის" (Karsh & Rautsi, 1991: 81).

1979 წელს ქვეყნის პრეზიდენტი გახდა სადამ ჰუსაინი *(არაბ. სადდამ ჰუსაინ „აბდ ალ-მაჯიდ ათ-თიქრითი, 1979-2003)*. იმავდროულად მან დაიკავა პრემიერ-მინისტრის, რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლისა და ბაასის გენერალური მდივნის პოსტები. ქვეყანაში დამყარდა მისი აბსოლუტური ხელისუფლება (Anderson & Stansfield, 2004: 59).

ახალი ლიდერის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი გახდა სრული პოლიტიკური, იდეოლოგიური და ადმინისტრაციული კონტროლის დამყარება ქვეყანაში. ეს ამოცანები უნდა გადაწყვეტილიყო რამდენიმე გზით – პირველი იყო სახელმწიფო აპარატის „წმენდა" და სადამ ჰუსაინისადმი პირადი ერთგულებით გამორჩეული ადამიანების დანიშვნა სახელმწიფო თანამდებობებზე. შესაბამისად, სადამ ჰუსაინმა დაიწყო რეალური და პოტენციური მოწინააღმდეგეების განადგურება – 22 დახვრიტეს, 33-ს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს, მათ შორის რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს წევრებს, მინისტრებს, ბაასის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრებს, პროფკავშირულ მუშაკებს. განაჩენის აღსასრულებლად პირადად დიქტატორმა ჩამოაყალიბა ბრიგადა. სიკვდილით დასჯა ხდებოდა მოედანზე, ხალხის უზარმაზარი მასის, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ჟურნალისტების და დიპლომატების თანდასწრებით. „სადამ ჰუსაინის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ... გამოთვლილია, რომ რეჟიმი იყენებდა თავისი მტრების წამების 107 სხვადასხვა მეთოდს" (Dawisha, 2009: 214; Anderson & Stansfield, 2004: 56). ერთ-ერთი ექსპერტის სიტყვებით, ეს სისტემა „იყო უკიდურესად ეფექტური თავისი ერთ-ერთი ძირითადი მიზნის – მოსახლეობაში უმწეობის შეგრძნების გაჩენის თვალსაზრით" (al-Khafaji, 1992:16).

სადამ ჰუსაინი განამტკიცებდა თავის ხელისუფლებას ტოტალური ტერორით. სახელმწიფო მანქანის ძირითადი ამოცანა იყო პრეზიდენტის აბსოლუტური პოლიტიკური კონტროლის განმტკიცება და ხალხზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება.

> „ჰუსაინისათვის პოლიტიკა – ეს არის უწყვეტი ბრძოლა გადარჩენისათვის. საბოლოო მიზანი ცოცხლად დარჩენა და ხელისუფლების შენარჩუნებაა. ეს მიზანი კი ამართლებს ყველა საშუალებას. არავის ნდობა არ შეიძლება. ყველა რეალური ან პოტენციური მტერია. საჭიროა არც ერთ შემთხვევაში

> არ დაკარგო სიფრთხილე, აიძულო სხვები თრთოდნენ შიშისაგან და ყოველთვის მზად იყო მოკლა, ვიდრე შენ მოგკლავენ."

ბაასის პარტიის დამფუძნებელი მიშელ აფლაკი პარტიულ კადრებთან დაკავშირებით წერდა: „დაუნდობლობა აუცილებელი ინსტრუმენტია... როდესაც ჩვენ დაუნდობლები ვართ სხვების მიმართ, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სისასტიკე ნიშნავს შევახსენოთ მათ ჭეშმარიტება (ციტ. Makiya,1998: 38).

სადამ ჰუსაინი რეჟიმის დასაცავად აქტიურად იყენებდა ერაყის საზოგადოების კლანურ სტრუქტურას (*ალ-'ასაბიიდა ალ-კაბალიიდა*) – ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, რესპუბლიკურ გვარდიის ქვედანაყოფებში მრავალი პირი იყო თიქრითიდან, სადამ ჰუსაინის მშობლიური მხარიდან (Cleveland, 2009: 409; Dawisha, 2009: 236). მაგ., 1973 წელს რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს 9 წევრიდან 4 თიქრითელი იყო, თიქრითელებს ეკავათ ყველა ძირითადი პოსტი პარტიაში, არმიასა და მთავრობაში, საჰაერო ძალების ხელმძღვანელობაში, ბაღდადის გარნიზონში და რესპუბლიკურ გვარდიაში. „ეს იყო გაერთიანება ოჯახისა და პარტიის, სადაც პირველი იყენებდა უკანასკნელს, როგორც საშუალებას ქვეყნის კონტროლისათვის" (ციტ. Anderson & Stansfield, 2004: 56).

> თიქრითელების როლი იმდენად გადამწყვეტი იყო, რომ ერთ-ერთმა ისტორიკოსმა აღნიშნა: „თიქრითელები მართავენ ბაასის პარტიის საშუალებით და არა ბაასის პარტია იმართება თიქრითელების საშუალებით" (Batatu, 1982:180).

დიქტატორული რეჟიმისა და მისი ლიდერის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა აგრეთვე საზოგადოებრივი სტრუქტურების სრული იდეოლოგიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მასობრივი საშუალებების ბაასიზაციას, ბაასისტური იდეების დანერგვას. სადამ ჰუსაინმა წინა პლანზე წამოწია არაბული ნაციონალიზმის იდეა. 1980 წლის თებერვალში მან განაცხადა, რომ ერაყი დარჩება „არაბთა მიწის" საიმედო დამცველად და ბაასის პარტია არის „რაინდი," რომელიც აღადგენს ერაყელი ხალხისა და არაბი ერის ღირსებას. 1979 წლის მაისში კომუნისტური პარტია აიკრძალა. იერარქიული ხელისუფლების მწვერვალზე, სადამ ჰუსაინმა ირწმუნა თავისი ისტორიული მისია, რომლის დედაარსიც შემდეგი სახის იყო: „ერაყი ბატონობს არაბებზე, ხოლო არაბები – მთელ მსოფლიოზე."

1980 წლის 20 ივნისს ერაყში ჩატარდა პირველი არჩევნები1958 წლის შემდეგ. შედეგები არ იყო მოულოდნელი – ეროვნულ ასამბლეაში (*ალ-მაჯლის ალ-ვატანიი*) ადგილების 75% (187 ადგილი 250-დან) ბაასისტებმა დაიკავეს (Baram, 1981: 391-412).

სადამ ჰუსაინი

1980 წელს დაწყებულმა ომმა ირანთან არსებითად გაართულა ვითარება ქვეყანაში. გაზრდილმა სამხედრო ხარჯებმა, მსოფლიო ფასების დაცემამ ნავთობზე, ეკონომიკურმა პრობლემებმა ქვეყანა დააყენა ფინანსური კრახის ზღვარზე. იმავდროულად გაიზარდა ისლამის როლი საზოგადოებაში. თუმცა რეჟიმი ომის წლებშიც არ წყვეტდა რეპრესიებს არმიაში.

სადამ ჰუსაინის ტოტალიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება ხდებოდა სწორედ ხანგრძლივი ირან-ერაყის ომისა და 1990-1991 წლის სპარსეთის ყურის ომის დროს. **1990 წლისათვის ბაასიზმმა ქვეყანაში საბოლოოდ დაანგრია განსაზღვრულ იერარქიასა** და წესრიგზე დაფუძნებული ურთიერთობათა ტრადიციული სისტემა. ერაყის ცხოვრების რეალობად იქცა რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მკვლელობები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ – შეთქმულებების „გახსნა," წამებები, საჩვენებელი პროცესები.

ერაყი დამარცხდა კოალიციასთან ბრძოლაში 1991 წლის თებერვალში და ქვეყანა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შინაპოლიტიკური კრიზისით ისარგებლეს ქურთებმა ჩრდილოეთში და შიიტებმა სამხრეთში. მოკლე დროის განმავლობაში მათ თავიანთი კონტროლი დაამყარეს დიდ ტერიტორიაზე. თუმცა ერაყის არმიას კვლავ გააჩნდა საკმარისი ძალა მასშტაბური სადამსჯელო ოპერაციების ჩასატარებლად ოპოზიციის წინააღმდეგ და სადამმა მოახერხა ამ გამოსვლების ჩახშობა[27] (Dawisha, 2009: 224-227).

---

27 1991 წლის 5 აპრილს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 688, რომელმაც დააწესა „უსაფრთხოების ზონა" 36-ე პარალელის ჩრდილოეთით, სადაც ერაყის სამხედრო ავიაციას ეკრძალებოდა ფრენა. ამ ზონიდან სრულად გამოიყვანეს ერაყის არმია, ხოლო პროვინციები სულაიმანია, ერბილი, დოჰუკი გადავიდა ერაყის ქურთისტანის ფრონტის კონტროლქვეშ, ჩამოყალიბდა ე.წ. „თავისუფალი ქურთისტანი." ქურთისტანში შეყვანილ იქნა საერთაშორისო ძალები, რათა შეეჩერებინათ რეპრესიები ქურთული მოსახ-

1991 წლის ზაფხულში, ხელისუფლების განსამტკიცებლად, ერაყში შეიქმნა სამხედრო გუბერნატორების ინსტიტუტი. გუბერნატორებს, წესრიგის დამყარების მიზნით, რეგიონებში არსებული ყველა სამხედრო შენაერთი დაექვემდებარა. ამის მიუხედავად, 1992 წლის ოქტომბერში სალაჰ ად-დინში (ქურთისტანი) შედგა 31 ოპოზიციური პარტიის და დაჯგუფების შეხვედრა, რომლებიც მოქმედებდნენ ერაყში და საზღვარგარეთ. მაგრამ ოპოზიციამ მაინც ვერ შექმნა ქმედითუნარიანი ბლოკი.

1992 წელს სადამ ჰუსაინმა წამოიწყო „რწმენის ლაშქრობა“ (*ალ-ჰამლა ალ-იმანიდა*) – შემცირდა ღამის კლუბების მუშაობის საათები და შეწყდა ახალი ლიცენზიების გაცემა. ბაღდადში ღამის კლუბების რაოდენობა 40-დან 18-მდე შემცირდა. ორი წლის შემდეგ სადამ ჰუსაინის მიერ გამოცემული დეკრეტით აიკრძალა ალკოჰოლის მოხმარება ყველგან, სახლისა და კერძო წვეულებების გარდა. უფრო გვიანდელი სახელმწიფო დეკრეტებით გამკაცრდა სასჯელი ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა ქურდობა და დეზერტირობა. რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭომ დააწესა ხელის მოკვეთა ქურდობისა და ძარცვისათვის და ფეხის მოკვეთა დანაშაულის განმეორებისათვის. იგივე სასჯელი განისაზღვრა საზღვრის გადაკვეთის მცდელობაზე ქვეყნის დატოვების მიზნით (*MEED*, 22.05.1992. *FBIS*, 1994: 27).

1999 წელს ნიუ იორკში შედგა ერაყელი ოპოზიციონერების ახალი შეხვედრა, რომელზეც შემუშავდა რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალების გაერთიანების ძირითადი პრინციპები. იმავდროულად შიიტური დაჯგუფებების უმრავლესობამ უარი თქვა თათბირში მონაწილეობაზე და უარყოფითად შეაფასა მისი ჩატარება. შიიტები ურყევად იცავდნენ თავიანთ პოზიციას, რომლის თანახმადაც ისინი უარს აცხადებდნენ აშშ-ის ეგიდით ჩატარებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებაზე და ამერიკის ნებისმიერი სახის დახმარებაზე სადამის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოპოზიციური ძალების დაქსაქსულობის პირობებში რეჟიმმა შეძლო ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე კონტროლის შენარჩუნება.

1999 წლის აგვისტოში სადამ ჰუსაინმა თავის მემკვიდრედ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დანიშნა უმცროსი ვაჟი კუსაი; 2001 წლის აპრილში კი ის არჩეული იქნა ბაასის გენერალური მდივნის მოადგილედ თავდაცვის პოლიტიკის დარგში. ამით ოფიციალურად განმტკიცდა მისი, როგორც ერაყის მეორე პირის, მდგომარეობა. სწორედ კუსაი ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ გვარდიას, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა სადამ ჰუსაინს. რეგულარულ არმიაში იყო 7 დივიზია (3 ქვეითი, 1 მექანიზებული, 3 სატანკო), 2 კორპუსი – ჩრდილოეთის (ცენტრით ბაღდადი) და სამხრეთის (ცენტრით დელაია). არსებობდა ასევე სპეციალური დანიშნულების რესპუბლიკური გვარდია (26,000), რომელსაც ასევე კუსაი ხელმძღვანელობდა. 1983 წელს ის გამოეყო რესპუბლიკურ გვარდიას. ამ შენაერთის დანიშნულებას უშუალოდ პრეზიდენტის და მისი ოჯახს დაცვა, შეთქმულებების გამოვლენა და აღკვეთა შეადგენდა. პირადი შემადგენლობა მკაცრად აირჩეოდა, სახელმწიფოს მეთაურისადმი პირადი ერთგულების პრინციპით. 1996 წელს შეიქმნა „სადამის ფედაინების“ რაზმები. ეს 40 ათასიანი საჯარისო ნაწილი უშუალოდ პრეზიდენტის უფროს ვაჟს – უდეის ემორჩილებოდა. ისინი ახორციელებდნენ პატრულირებას ქალაქებში და სოფლებში, იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და ებრძოდნენ კონტრაბანდას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში დიდ როლს ასრულებდნენ პარტიის სამხედრო ქვედანაყოფები. 1997 წელს შეიქმნა კიდევ ერთი ახალი სტრუქტურა – *ადნან*, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა პრეზიდენტს (Anderson & Stansfield, 2004: 149-150).

2003 წლის 20 მარტს ერაყში სამხედრო მოქმედება დაიწყეს ამერიკის და ბრიტანეთის სამხედრო ძალებმა, რომელთაც შეუერთდნენ სხვა სახელმწიფოების სამხედრო ქვედანაყოფებიც. 2003 წლის 9 აპრილს კოალიციის ჯარებმა დაიკავეს ბაღდადი. კამპანია 43 დღე გაგრძელდა და დასრულდა 1 მაისს.

ლეობის წინააღმდეგ. ამის შედეგად ერაყის ქურთებმა მიიღეს თვითმმართველობის შესაძლებლობა. 1992 წლის 12 მაისს ერბილში ჩატარდა არჩევნები ქურთისტანის პარლამენტში, რომელიც იყო პირველი, დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ორგანო ქურთების ისტორიაში. 1992 წლის 4 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია, რომელმაც გამოაცხადა სამხრეთ (ერაყის) ქურთისტანის ავტონომიური ერთეულის (ცენტრი – ერბილი) შექმნა. თუმცა ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასა და ქურთისტანის პატრიოტულ კავშირს შორის უთანხმოება რამდენჯერმე გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში, რომელმაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1994 წელს. სხვადასხვა ქურთული ორგანიზაციების და დასავლეთის ქვეყნების საშუამავლო მისიებმა შედეგი ვერ გამოიღო და 1996 წელს სამხრეთ (ერაყის) ქურთისტანი შუაზე გაიყო: მისი აღმოსავლეთის ნაწილი (სულაიმანიას პროვინცია) გახდა ქურთისტანის პატრიოტული კავშირის კონტროლის ზონა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთში (ერბილი და დოჰუკი) – ქურთისტანის დემოკრატიული პარტია. 1998 წლის ვაშინგტონის შეთანხმების საფუძველზე, 2002 წელს ჩამოყალიბდა სამხრეთ ქურთისტანში ერთიანი მთავრობა, შემუშავდა კონსტიტუცია, არჩეულ იქნა ქურთისტანის პრეზიდენტი (Амоев, 2006: 63-64).

საბოლოოდ, სადამ ჰუსაინის რეჟიმი დაემხო, დაწესდა სამხედრო კონტროლი და ქვეყანაში დროებით ხელისუფლება გადაეცა კოალიციურ ადმინისტრაციას. ერაყის მოვლენები ამერიკამ შეაფასა როგორც „მეწამული რევოლუცია." ქვეყანაში დაიწყო „დებაასიზაციის" პროცესი, რაც ითვალისწინებდა ბაასის პარტიის სრულ ლიკვიდაციას და ჰუსაინის მომხრეთა ჩამოცილებას სახელმწიფო აპარატიდან. ერთ-ერთი კარდინალური ცვლილება, რაც მოიტანა „სამკვირიანმა ომმა," იყო სუნიტების მრავალსაუკუნოვანი ერთპიროვნული მმართველობის დასრულება. შიიტებმა ბაღდადის სახალიფოს შემდეგ პირველად შეძლეს ხელისუფლების სათავეში მოსვლა.

2003 წლის 20 ივლისს მოკლეს სადამ ჰუსაინის ვაჟები – 38 წლის უდეი და 36 წლის კუსაი. 2003 წლის **13 დეკემბერს სადამ ჰუსაინი დააპატიმრეს, დასახლება ად-დაურის ახლოს, მშობლიური თიქ**-რითიდან 15 კმ-ზე. სასამართლომ სადამ ჰუსაინს ბრალად წაუყენა: 1988 წელს მომწამვლელი გაზის გამოყენება ქურთული მოსახლეობის მიმართ ჰალაბჯაში, სადაც ერთ დღეში **5 ათასი ქურთი დაიღუ**-პა; **1987-88 წელს სამხედრო ოპერაცია „ალ-ანფალის" განხორციელება, რომლის შედეგადაც განად**-გურდა 80 ქურთული სოფელი; შიიტთა აჯანყების ჩახშობა 1991 წელს; ქუვეითზე თავდასხმა 1990 წელს; შიიტი სასულიერო პირებისა და ერაყელი ოპოზიციონერი პოლიტიკური ლიდერების დახოცვა; კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებები ადამიანთა წინასწარ დაგეგმილი მკვლელობების სახით. სასამართლომ სადამ ჰუსაინს სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდა და **2006 წლის 30 დეკემ**-ბერს ის ჩამოახრჩვეს.

სადამ ჰუსაინის **35 წლიანი მმართველობა ხშირად სხვადასხვაგვარადაა შეფასებული: ერთნი მას**-ში ხედავენ პირადად სადამ ჰუსაინის დიქტატურას და პიროვნების კულტს, მეორენი ყურადღებას ამახვილებენ თიქრითის კლანის დიქტატურაზე, ხოლო მესამენი – ბაასის პარტიის როლზე. ერთმნიშ-ვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სადამ ჰუსაინის მმართველობა იყო პოლიტიკური ხელისუფლე-ბის გადაჭარბებული პერსონალიზაცია. მას მოიხსენიებდნენ შემდეგი ეპითეტებით: *ალ-რა'ის* (პრეზი-დენტი), *ალ-მუნაზილ* (მებრძოლი), *ალ-ბატალ* (გმირი), *ალ-მუფაქირ* (მოაზროვნე) და სხვ. ჯერ კიდევ 1977 წელს სადამ ჰუსაინმა განაცხადა: „არაბი ლიდერები არ მოდიან ხელისუფლებაში ლიბერალურ-დემოკრატიული საშუალებებით, ამიტომ ისინი მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ შეიძლება ხელი-სუფლების დატოვება მოუწიოთ ასევე არადემოკრატიული გზით."

შეიარაღებული კონფლიქტები სპარსეთის ყურის რეგიონში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახლო აღმოსავლეთზე მოდის რეგიონალური შეიარაღებული კონ-ფლიქტების **30%. მრავალ მუსლიმურ ქვეყანას შორის არსებობდა პოლიტიკური დაძაბულობა (უპირ**-ველეს ყოვლისა, მოუგვარებელი ტერიტორიული საკითხების და ეთნოკონფესიური დაპირისპირებე-ბის გამო): ალჟირი-მაროკო, ლიბია-ჩადი, საუდის არაბეთი-ირანი, სირია-ერაყი, ავღანეთი-პაკისტანი, კატარი-ბაჰრაინი, კატარი-საუდის არაბეთი, საუდის არაბეთი-იემენი, ომანი-საუდის არაბეთი, თურქე-თი-ერაყი, ირანი-ერაყი, ირანი-ქუვეითი, აშშ-ერაყი და სხვა. თუმცა ბოლო სამი შეიარაღებული დაპი-რისპირება იყო საერთაშორისო საზოგადოების და მისი ინსტიტუტების სერიოზული გამოცდა.

ირან -ერაყის ომი (1980-1988)

ორ მეზობელ ქვეყანას – ირანსა და ერაყს შორის კონფლიქტს ხანგრძლივი ისტორია აქვს და საფუძვლად დაედო შემდეგი ძირითადი მიზეზები: **1. სასაზღვრო-ტერიტორიული – სასაზღვრო მდი-**

ნარის შატ ელ-არაბის სანაოსნოდ გამოყენების,[28] ტერიტორიული წყლების გამიჯვნის,[29] სპარსეთის ყურეში ირანსა და ერაყს შორის კონტინენტური შელფის განსაზღვრის პრობლემები; საზღვრებთან მიმდებარე ნავთობსაბადოების ექსპლუატაციის საკითხები; 2. პოლიტიკური – ბრძოლა ორ ქვეყანას შორის სპარსეთის ყურის ზონაში ლიდერობისათვის;[30] 3. იდეოლოგიური – შიიტური რეჟიმი ირანში გამოდიოდა სუნიტების მიერ შევიწროვებული ერაყის შიიტური მოსახლეობის მფარველის როლში. ასევე მწვავედ იდგა ირანის იმ ქვეშევრდომთა საკითხი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ერაყის ტერიტორიაზე.[31]

---

28 გადაუჭრელი სასაზღვრო საკითხი ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიისა (რომლის შემადგენელი ნაწილიც იყო ერაყი) და ირანს შორის გამუდმებული დავისა და შეტაკებების მიზეზი ხდებოდა ხოლმე. განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის მდინარე შატ ელ-არაბზე (ირანში ამ მდინარეს არვანდ რუდს უწოდებენ) საზღვრის დადგენის პრობლემა იქცევდა. 1913 წლის კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებით, ოსმალეთი აღარ აცხადებდა პრეტენზიას მდინარის მარცხენა ნაპირზე. ირანმა მიიღო ქალაქი-პორტი მოჰამარა (ახლანდელი ხორამშაჰრი). მაგრამ მდინარე, ზემოთ დასახელებული მონაკვეთის გარდა მთლიანად ერაყს ეკუთვნოდა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა ამ რეგიონში ინგლისელების დამკვიდრებამ. 1937 წლის 4 ივლისს, ინგლისელების აქტიური ჩარევის საფუძველზე, დადებულ იქნა ხელშეკრულება ირანსა და ერაყს შორის, რომლის ძალითაც საზღვარი დაწესდა მდინარის აღმოსავლეთ (მარცხენა) სანაპიროს გასწვრივ. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ საზღვრის 5 კმ-იანი მონაკვეთი ირანის პორტის აბადანის გასწვრივ, სადაც საზღვარი თალვეგზე (მდინარის შუაგულში ყველაზე უფრო ღრმა ადგილების შემაერთებელ პირობით ხაზზე) გადიოდა. ამრიგად, მდინარის წყლები მთლიანად ერაყს მიეკუთვნა. ამასთან ერთად, ხელშეკრულება ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებს მდინარეზე თავისუფალი მიმოსვლის უფლებას ანიჭებდა, რაც იმ პერიოდში ყველაზე ხელსაყრელი უდავოდ ინგლისელებისათვის იყო. ირანსა და ერაყს უფლება ეძლეოდათ მდინარეზე თავიანთი სამხედრო ხომალდებიც ჰყოლოდათ. ირანი საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მოითხოვდა, რომ საზღვარი არა მარცხენა ნაპირზე, არამედ ე.წ. თალვეგზე გასულიყო. 1965 წლის 1 დეკემბერს ირანმა 1937 წლის 4 ივლისის ხელშეკრულების ცალმხრივი დენონსაცია გამოაცხადა, ხოლო 1969 წლის აპრილში ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულებას ძალადაკარგულად თვლიდა. ამასთან, წინადადება მისცა ერაყის მხარეს ახალი ხელშეკრულების დადების თაობაზე. იმავე 1969 წლის ოქტომბერში ირან-ერაყის სასაზღვრო კონფლიქტები უკვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მსჯელობის საგნად იქცა, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი ამ ჩარევას არ მოჰყოლია. 1971 წელს კი ირან-ერაყის ურთიერთობაში კრიზისული ვითარება შეიქმნა. ამის მიზეზი გახდა ირანის მიერ სპარსეთის ყურეში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობის მქონე სამი სადავო კუნძულის მიერთება (აბუ მუსა, დიდი და მცირე თომბი). ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია არაბულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ერაყში. 1971 წლის 1 დეკემბერს ერაყის მთავრობამ პროტესტის ნიშნად დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ირანთან. თავის მხრივ, 4 დეკემბერს თეირანმაც განაცხადა ბაღდადთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებს შორის აღდგენილ იქნა მხოლოდ 1973 წლის 15 ოქტომბერს. თუმცა ამის შემდეგაც ორმხრივ ურთიერთობათა ნორმალიზაციის პროცესი მეტად მტკივნეულად მიმდინარეობდა (Conflicts, 2004: 84-88; Swearingen,1988: 405-416; Reform in the Middle East, 2008: 48-49).

29 1958 წელს ერაყმა და 1959 წელს ირანმა თავიანთი ტერიტორიული წყლების ფარგლები შესაბამისად 3 და 6-დან 12 საზღვაო მილამდე გაზარდეს. ეს საზღვრები ბევრ ადგილას გადაიკვეთა, რამაც საფუძველი დაუდო უთანხმოებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

30 ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე სადამ ჰუსეინის მიზანი იყო ერაყის გადაქცევა სპარსეთის ყურის რეგიონის ლიდერ-სახელმწიფოდ და ცდილობდა გამოეყენებინა ამ მიზნით არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების განწყობა, რომლებიც არ იწონებდნენ ირანის ჰეგემონურ მისწრაფებას. ამ კურსმა ასახვა ჰპოვა ერაყის ეროვნულ დეკლარაციაში, რომელიც გამოიცა 1980 წლის 8 თებერვალს სადამ ჰუსეინის ხელმძღვანელობით. მასში იყო მოწოდება არაბული ქვეყნებისადმი – ერთობლივად გამოსულიყვნენ „არაბთა სამშობლოს“ მიწებზე „უცხოელთა“ ყოფნის წინააღმდეგ.

31 1968-1972 წლებში ერაყიდან გაასახლეს 70 ათასი ირანული წარმოშობის ერაყელი. ირანი უკმაყოფილო იყო აგრეთვე იმით, რომ ერაყმა თავშესაფარი მისცა გენერალ თემურ ბახთიარს (ირანის უშიშროების სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს, რომელიც შაჰის წინააღმდეგ გამოსვლის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა ლიბანში. ამის გამო 1969 წლის იანვარში ირანმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ლიბანთან. დიპლომატიური ურთიერთობები მხოლოდ 1971 წელს იქნა აღდგენილი), რომელიც ერაყში ლიბანიდან გადმოვიდა და როგორც ირანის მთავრობა ამტკიცებდა, იქ ირანისადმი მტრული მოღვაწეობა გააჩაღა.

ირან-ერაყის ურთიერთობაში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი იყო ქურთების პრობლემა.[32] ერაყი ბრალს დებდა ირანს ქურთი აჯანყებულების და მათი ლიდერის – მუსტაფა ბარზანის მხარდაჭერაში (და ეს ბრალდება არ ყოფილა უსაფუძვლო). ირანის მიზანი იყო მიეღწია ერაყისგან დათმობისათვის სასაზღვრო საკითხში. მართლაც, 1975 წლის 13 ივნისს, ალჟირის პრეზიდენტის ჰუარი ბუმედიანის ინიციატივით, ხელი მოაწერეს ირანსა და ერაყს შორის საზღვრებისა და კეთილმეზობლური დამოკიდებულების შესახებ ხელშეკრულებას – ალჟირის შეთანხმებას (ან ალჟირის დეკლარაციას), რომლის საფუძველზეც ზუსტად დადგინდა საზღვარი ორ მეზობელ ქვეყანას შორის (Anderson & Stansfield, 2004: 60).

1975 წლის შეთანხმების პირობები:

– სახმელეთო საზღვრების საბოლოო გამიჯვნა უნდა მომხდარიყო **1913 წლის კონსტანტინიპოლის** შეთანხმების და 1914 წლის საზღვრების დამდგენი კომისიის დასკვნების მიხედვით;

– შატ ელ-არაბზე საზღვარი **50 მილის მანძილზე (82 კმ) თალვეგზე გადიოდა (მდინარის შუაგულ**ში ყველაზე უფრო ღრმა ადგილების შემაერთებელ პირობით ხაზზე);

– ამის სანაცვლოდ ირანი უარს ამბობდა ქურთ აჯანყებულთა მხარდაჭერაზე და დათანხმდა დათმობაზე წასულიყო სახმელეთო საზღვრის ზოგიერთ სადავო, ტერიტორიულ საკითხზე. სახმელეთო საზღვარი იწყებოდა თურქეთის, ერაყისა და ირანის საზღვრების გადაკვეთის ადგილზე და გრძელდებოდა დაახლოებით **15000 კმ-ის მანძილზე მდინარე შატ ელ-არაბამდე. ამ ხელშეკრულებით ირან**მა ივალდებულა ზოგიერთი სასაზღვრო ტერიტორია ერაყისათვის დაებრუნებინა. კერძოდ იგულისხმებოდა ქასრე შირინ-მანდალისა და ნაფთ-ხანე ნაფთ-შაჰის (ამ რაიონებში ნავთობის საბადოებია) რაიონების გარკვეული ტერიტორია (სულ 500 კვ. კმ). შემდგომში ირანმა მოლაპარაკების ეს მუხლი არ შეასრულა.

ციტ. *Algiers Accord* – 1975. – UN Treaty Series Vol. 1017, 1985 http://treaties.un.org/Home.aspx

1979 წელს ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ გამოიწვია ირან-ერაყის ურთიერთობის გამწვავება. თეირანმა გააჩაღა აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობა ერაყელ შიიტებს შორის, მოუწოდებდა მათ მმართველი ბაასის ხელისუფლების დამხობისაკენ. ირანის რევოლუცია და მისი ლიდერის – აიათოლა ხომეინის მოღვაწეობა ერაყის მმართველი რეჟიმის სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა (Pelletiere, 1992: 31-34). **სადამ ჰუსაინს არ აკმაყოფილებდა აგრეთვე 1975 წლის ხელშეკრულე**ბის პირობები, რომელზედაც ერაყი პრაქტიკულად იძულებით დათანხმდა. 1980 წლის 17 სექტემბერს, სახელმწიფო საბჭოს წინაშე გამოსვლის დროს, სადამ ჰუსაინმა, ირანსა და ერაყს შორის საზღვრებისა და კეთილმეზობლური დამოკიდებულების შესახებ **1975 წლის 13 ივნისის შეთანხმების გაუქმე**ბა მოითხოვა. ამასთან მან ბრალი დასდო ირანს ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევაში. ერაყის ხელისუფალთა განცხადების თანახმად, ხელშეკრულებით ირანს ერაყისათვის უნდა გადაეცა 508 კვ. კმ. ტერიტორია, მაგრამ ეს ტერიტორია ჯერ კიდევ ირანის იურისდიქციის ქვეშ იყო. 18 სექტემბერს ერაყის ეროვნულმა საბჭომ თავის საგანგებო სხდომაზე მიიღო დადგენილება ირან-ერაყის 1975 წლის სასაზღვრო ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ. 19 სექტემბერს თეირანის რადიოთი გადაცემულ იქნა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელშიც ირანის მთავრობა არ ცნობდა ერაყის მხრივ ხელშეკრულების ცალმხრივ დენონსაციას (Palmer, 1992).

1980 წლის 22 სექტემბერს ერაყის რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭომ თავის შეიარაღებულ ძალებს უბრძანა საომარი მოქმედებების დაწყება ირანის წინააღმდეგ. განცხადებაში, რომელსაც სადამ ჰუსაინი აწერდა ხელს, ნათქვამი იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ირანის მიერ ბოლო დღეების განმავლობაში ჩატარებული სამხედრო ოპერაციების საპასუხოდ.[33] ეს ოპერა-

32 ქურთები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ როგორც ერთ, ისე მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ბაასისტების მიერ ქურთების პრობლემის გადაჭრისათვის დასახული ღონისძიებები ფაქტობრივად არ განხორციელებულა – ერაყის მთავრობა დაპირდა ქურთებს, რომ 4 წლიანი გარდამავალი პერიოდის შემდეგ ქურთისტანს ფართო ავტონომიას მიანიჭებდა. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ ქურთებმა არ მიიღეს ერაყის მთავრობის მიერ შემოთავაზებული ავტონომიის პირობები და 1974 წლის 11 მარტს ბრძოლა განაახლეს.

33 ერაყში თვლიდნენ, რომ ომი დაიწყო 4 სექტემბერს ირანის მიერ პროვოცირებული სასაზღვრო ინციდენტების შედეგად. ომის დაწყების შემდეგ, ნოემბერში ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მემორანდუმი, სადაც მოცემული იყო მიზეზები, რის გამოც ერაყმა წამოიწყო სამხედრო შეტევა ირანზე. მემორანდუმში იყო მტკიცება იმის თაობაზე, რომ ბოლო 5 თვის განმავლობაში (1980 წლის თებერვალი-ივ-

ციები შატ ელ-არაბზე და ერაყის ტერიტორიულ წყლებში – სპარსეთის ყურეში, გემთა მიმოსვლის შეფერხებას ისახავდა მიზნად. იმავე დღეს საომარი მოქმედება გაჩაღდა მთელ ირან-ერაყის მთელ საზღვარზე (დაახლ. 800 კმ-ის სიგრძეზე) და ორივე ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში სპარსეთის ყურეში. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ბრძოლებმა ხუზესთანის რაიონში (ერაყში მას არაბისტანს უწოდებენ), სადაც განლაგებულია ქვეყნის ნავთობრესურსების 90%. ერაყის ამ ომს ეწოდა მეორე კადისია ან „სადამის კადისია" (*კადისიიეა სადდამ*) (VII ს-ში არაბების მიერ კადისიას ბრძოლაში სპარსელების დამარცხების ანალოგიით) (*Conflicts*, 2004: 88-89).

> ირან-ერაყის ომი შეიძლება დაიყოს სამ ფაზად: 1. პირველი ფაზა გაგრძელდა 1 წელი (1980-1981) და აღინიშნა ერაყის მიერ ირანის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაპყრობით ქვეყნის ნავთობით მდიდარ სამხრეთ-დასავლეთში. 2. მეორე ფაზა დაიწყო 1981 წლის სექტემბერში და გაგრძელდა 1982 წლის გვიან ივლისამდე. ამ პერიოდში ირანელებმა რამდენიმე წარმატებული ოპერაცია განახორციელეს და დაიბრუნეს დაკარგული ტერიტორიები. მართალია, ირანელებმა დაუშვეს ტაქტიკური და სტრატეგიული ხასიათის შეცდომები, მაგრამ ერაყელები აიძულეს თავდაცვაზე გადასულიყვნენ. 3. მესამე ფაზა იყო ყველაზე ხანგრძლივი და გაგრძელდა 6 წელი – 1982 წლის ივლისიდან 1988 წლის ივლისამდე. ეს ბოლო ფაზა ხასიათდება, როგორც პოზიციური ომი (Kamrava, 2005:177-178).

ამ ომმა არაბული სამყარო ორ ნაწილად გაყო: ერთნი, ვინც თანაუგრძნობდნენ ირანს (სირია, იემენი) და მეორენი, ვინც ფინანსურ მხარდაჭერას უწევდნენ ერაყს (საუდის არაბეთი, ეგვიპტე, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი და სხვ.).

ომის საწყის ეტაპზე ერაყელებმა შეძლეს გარკვეული უპირატესობის მოპოვება. ერაყმა შეძლო ჩრდილოეთით 5-19, ხოლო სამხრეთით, ხუზესთანის პროვინციაში 50-60 კმ-ით შეჭრილიყო ირანის ტერიტორიაზე (სულ დაახლოებით 10 ათასი კვ კმ დაიკავეს). ერაყის სტრატეგოსებს, როგორც ჩანს, იოლი გამარჯვების იმედი ჰქონდათ. ისტორიული პროცესის ლოგიკა კი გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა. შეიცვალა ომის ხასიათი – მან გაჭიანურებული, სანგრების ომის ხასიათი მიიღო, რაც გამანადგურებელი აღმოჩნდა ორივე ქვეყნის ეკონომიკისათვის. ერთი შეხედვით აშკარა უპირატესობა ისლამური რევოლუციით „დემორალიზებული" ირანის არმიის წინააღმდეგ მოჩვენებითი აღმოჩნდა.[34] ირანმა შეძლო არა მარტო თავისი არმიის რეორგანიზაცია, არამედ F-4 ტიპის 200 თვითმფრინავის გამოყენებაც, რომლებიც გამუდმებით ბომბავდნენ ერაყის ნავთობისა და სხვა სამრეწველო კომპლექსებს. ეფექტური ძალა აღმოჩნდა ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსიც (Efraim, 2002: 22-30).

1980 წლის 28 სექტემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №479, რომელიც მოითხოვდა მხარეებისაგან „დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ძალის შემდგომი გამოყენება და დაეწყოთ დავის გადაწყვეტა მშვიდობიანი საშუალებებით საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად." ერაყი დათანხმდა რეზოლუციის შესრულებაზე, ირანის თანხმობის შემთხვევაში და გამოაცხადა ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა 1980 წლის 5-დან 8 ოქტომბრამდე. ირანმა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის მთავარ პირობად დაასახელა სადამ ჰუსაინის, როგორც სამხედრო დამნაშავის, სასამართლოსათვის გადაცემა და ხელისუფლებიდან ბაასის პარტიის ჩამოცილება. 1980-1982 წლებში ამ კონფლიქტში შუამავლის ფუნქცია იკისრეს გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა უ. პალმემ, პაკისტანის პრეზიდენტმა ზია ულ-ჰაკმა და ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰაბიბ შათთიმ.

ერაყი გეგმავდა ირანის 4 ძირითადი ქალაქის (ხორამშაჰრი, აბადანი, აჰვაზი და დეზფული) აღებას ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში. ერთთვიანი ალყის შემდეგ, 1980 წლის 10 ნოემბერს ერაყელებმა აიღეს ირანის ქ. ხორამშაჰრი, რასაც შეეწირა 1500 ერაყელის სიცოცხლე (Pelletiere, 1992: 37). მეზობელი ქალაქი აბადანი ალყაში მოაქციეს, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლეს. 1981 წელს ერაყმა მოულოდნელი დარტყმა მიიღო – 7 ივნისს ისრაელის ავიაციამ დაბომბვით გაანადგურა მშენებლობის პროცესში მყოფი ატომური რეაქტორი „ოსირაკი," ბაღდადის ახლოს (Darwish & Gregory, 1991: 123–27; Kamrava, 2005: 178).

ლისი) ირანმა 224-ჯერ დაარღვია ერაყის სახმელეთო და საზღვაო საზღვარი და შემოიჭრა აგრეთვე მის საჰაერო სივრცეში.

34 საუდის არაბეთის მეფე ფაჰდი ამტკიცებდა, რომ ერაყის თავდასხმამდე ირანზე, სადამ ჰუსაინმა უთხრა მას: „უფრო სასარგებლოა დაესხა მათ [ირანელებს] ახლა, როცა ისინი სუსტები არიან. თუ ჩვენ დავიცდით იქამდე, ვიდრე მომძლავრდებიან, მაშინ ისინი გვძლევენ ჩვენ" (*Reform in the Middle East*, 2008: 49).

1980 წლის 25 იანვარს ირანის პრეზიდენტად აირჩიეს ბანი სადრი, რომელსაც დაუპირისპირდნენ რელიგიური პირები და მათ მიერ ჩამოყალიბებული ისლამური რესპუბლიკური პარტია. პრეზიდენტმა დატოვა დედაქალაქი და ფრონტის ხაზზე ჩამოაყალიბა შტაბები და თავის თავზე აიღო ომის მსვლელობაზე თვალყურის დევნება. მისმა სტრატეგიამ გაამართლა და ირანელებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს 1981 სექტემბრიდან (Pelletiere, 1992: 41-42).

1982 წლის მარტიდან ირანმა კონტრშეტევა განახორციელა ფრონტის მთელ რიგ უბნებზე. 24 მაისს ირანმა წარმატებული სამხედრო ოპერაციის („იერუსალიმი") შედეგად გაათავისუფლა ქალაქი ხორამშაჰრი. 1982 წლის ზაფხულში კი საომარმა მოქმედებამ ერაყის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, სადაც 13 ივლისს შევიდნენ ირანის ჯარის ნაწილები. თუ ადრე ირანი იცავდა თავს, ამჯერად თავის დამცველის როლში ერაყი აღმოჩნდა. ირანის არმიამ თავდასხმებით აიძულა ერაყელები დაეხიათ თავიანთ ტერიტორიაზე. 1982 წლის ზაფხულში ერაყმა გამოაცხადა, რომ სრულად დააბრუნებდა თავის არმიას 1975 წლის საზღვრებში, რაც განხორციელდა კიდეც ივლისის ბოლოს (Kamrava, 2005: 180).

არც ქვეყანა და არც არმია არ აღმოჩნდა მზად გაჭიანურებული ომისათვის, ერაყის ძალები შეზღუდული იყო. ირანი, თავისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით, მნიშვნელოვნად აღემატებოდა ერაყს. სადამ ჰუსაინის ავანტიურა კატასტროფას გადაურჩა. ერაყს დაეხმარა ის გარემოება, რომ ზესახელმწიფოები სსრკ და აშშ ნეგატიურად იღებდნენ ირანის სამხედრო წარმატებებს. ირანის მიერ საზღვრის გადალახვის შემდეგ, სსრკ-მ **1982 წლის ივლისში განაახლა ერაყის სამხედრო მომარაგება**. იარაღის მიწოდებას ახორციელებდნენ აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები, საფრანგეთი, ჩინეთი და სხვა სახელმწიფოები (აშშ-ს არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა ერაყთან, მაგრამ მაინც მოახერხა დაედო ხელშეკრულება ერაყისათვის 90 სამხედრო ვერტმფრენისა და სხვა სახის იარაღის მიწოდების შესახებ) (Pelletiere, 1992: 44-45).

1982-1987 წლებში ირანმა განახორციელა მრავალი თავდასხმა, ცდილობდა დაეკავებინა ბასრა-ერაყის მთავარი საზღვაო პორტი, რომელიც ძირითადად შიიტებით იყო დასახლებული. თუმცა ირანმა ვერ მოახერხა სრულად შეეღწია ერაყის თავდაცვით ხაზში. კონფლიქტის ესკალაციამ მაქსიმუმს მიაღწია „ტანკერების ომისა" და „ქალაქების ომის" დროს. „ტანკერების ომი" დაიწყო **1983 წლის აგვისტოში** – ირანი და ერაყი თავს ესხმოდნენ სპარსეთის ყურეში მესამე ქვეყნის ტანკერებს, რომლებსაც გადაჰქონდათ მოწინააღმდეგის ნავთობი. ასეთმა ტაქტიკამ გამოიწვია კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია (O'Ballance, 1988: 116-129). „ქალაქების ომი" დაიწყო 1984 წლის თებერვალში – ორივე მხარის ავიაცია ბომბავდა მოწინააღმდეგის უმსხვილესი ქალაქების სანავთობო ტერმინალებს და საცხოვრებელ კვარტლებს. მაგ., **1985 წელს 7 კვირის განმავლობაში ერაყის თვითმფრინავებმა დაბომბეს** თეირანი 47-ჯერ, მაშინ როცა ირანელების მიერ მხოლოდ 12 რაკეტა იქნა გაშვებული ბაღდადის მიმართულებით (Hiro, 1991: 136).

ირანმა დიდი წარმატება მოიპოვა 1986 წლის თებერვალში, როცა მოახდინა ნახევარკუნძულ ფაოს სრული ოკუპაცია, რაც პრაქტიკულად წყვეტდა ერაყს სპარსეთის ყურისაგან. ერაყელებმა მხოლოდ 1988 წლის აპრილში დაიბრუნეს ნახევარკუნძული. 1986 წელს ირანმა წამოიწყო ყველაზე ამბიციური ოპერაცია – „ქარბალა" (26 დეკემბრიდან 1987 წლის აპრილის ბოლომდე გაგრძელდა და 6 ძირითადი საბრძოლო ეპიზოდისაგან შედგებოდა: ქარბალა-4,5,6,7,8,9). ორივე მხარემ დიდი დანაკარგი განიცადა ამ სამხედრო ოპერაციის დროს და ირანის წარმატება უმნიშვნელო იყო. ამასთან დაკავშირებით იმ დროს ირანის პარლამენტის სპიკერმა ჰაშემი რაფსანჯანიმ განაცხადა: „ირანმა დაასრულა ქარბალას ლაშქრობა **6 კმ (4 მილზე ნაკლები) ახალი ტერიტორიის შეერთებით და ისიც შატ ელ-არაბის აღმოსავლეთ** ნაპირზე" (Pelletiere, 1992: 83-122; Efraim, 2002: 35-61; Cordesman, 1987).

ირან-ერაყის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში გარდამტეხი მომენტი იყო 1987 წლის 20 ივლისს ერთხმად მიღებული რეზოლუცია №598.

№598 რეზოლუციის ძირითადი მოთხოვნები:

1. **ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და ერაყს შორის მოლაპარაკებების გზით დაუყოვნებლივ ცეცხლის** შეწყვეტა, ყველა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამხედრო მოქმედების შეწყვეტა და უმოკლეს დროში ჯარების გაყვანა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში;

2. გაერო-ს დამკვირვებლების გაგზავნა, რათა თვალყური ადევნონ და გააკონტროლონ ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარების გაყვანის პროცესს;

3. **სამხედრო ტვეების გათავისუფლება და რეპატრიაცია 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის მესა**მე კონვენციის შესაბამისად;

4. ირანმა და ერაყმა უნდა ითანამშრომლონ გენერალურ მდივანთან, რათა ყველა საკითხი დარეგულირდეს გაერო-ს წესდების შესაბამისად;

5. ყველა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის შემდგომ ესკალაციას და გაფართოვებას;

6. გენერალურმა მდივანმა ირანთან და ერაყთან კონსულტაციებით უნდა გამოიკვლიოს კონფლიქტზე პასუხიმგებელი მხარე და შესაბამისი ანგარიში წარუდგინოს საბჭოს;

7. დადგინდეს კონფლიქტის დროს მიყენებული ზარალის ოდენობა და დაისახოს ღონისძიებები საერთაშორისო დახმარებებით მისი აღდგენის თაობაზე კონფლიქტის დასრულების შემდეგ;

8. გენერალურმა მდივანმა ირანთან, ერაყთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან კონსულტაციებით დასახოს ღონისძიებები რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განსამტკიცებლად;

9. გენერალურმა მდივანმა მუდმივად აცნობოს საბჭოს რეზოლუციის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ;

10. აუცილებლობის შემთხვევაში კვლავ შეიკრიბოს საბჭო, რათა დასახოს ღონისძიებები რეზოლუციის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

Security Council Resolutions. 1987 – http://www.un.org/documents/scres.htm

თუმცა ირანმა მოითხოვა ჯერ კონფლიქტზე პასუხისმგებელი მხარის გამოვლენა და მერე ცეცხლის შეწყვეტა, რაც არღვევდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისი პუნქტების შესრულების თანმიმდევრობას. 1988 წლის 21-25 მარტს ამანში გამართული ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების XVII კონფერენციაზე განხილულ იქნა ირან-ერაყის კონფლიქტი. კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის განმასხვავებელი თავისებურება იყო თხოვნა უშიშროების საბჭოსადმი – მიეღო აუცილებელი ზომები (გაერო-ს წესდების შესაბამისად) ირანთან მიმართებაში, რომელმაც უარყო საბჭოს რეზოლუცია – კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით.

ერაყმა ისარგებლა ირანის საერთაშორისო იზოლაციით და 1988 წლის აპრილ-ივნისში რამდენიმე წარმატებული თავდასხმა განახორციელა, გაათავისუფლა თავისი ტერიტორიები ირანის არმიისაგან და შეიჭრა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზეც.

1988 წლის 18 ივლისს ირანმა გამოაცხადა გაერო-ს უშიშროების საბჭოს პირობების მიღების შესახებ. შესაბამისად,1988 წლის 8 აგვისტოს გაერო-ს გენერალურმა მდივანმა გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესახებ 1988 წლის 20 აგვისტოსათვის. ერაყმა თანხმობა განაცხადა ცეცხლის შეწყვეტაზე, მას შემდეგ რაც ირანმა მზადყოფნა გამოხატა მოლაპარაკებების საწარმოებლად. საომარი ოპერაციების შეწყვეტის შემდეგ, 1988 წლის 26 აგვისტოს დაიწყო ჟენევაში პირდაპირი მოლაპარაკებები მხარეებს შორის (Wagner, 2008: 80).

ირანის განცხადების შემდეგ დაიწყო გაერო-ს ქვედანაყოფების (შემადგენლობა – 350 ადამიანი 24 ქვეყნიდან) ჩამოყალიბება, რომელთაც კონტროლი უნდა განეხორციელებინათ შეთანხმების შესრულებაზე ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. სადამკვირვებლო ზონის სიგრძე შეადგენდა 1000 კმ-ზე მეტს. ამის შემდეგ დაიწყო განხორციელება გაერო-ს სამშვიდობო გეგმის, რომელიც ითვალისწინებდა: ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიებიდან, დაახლ. 150 ათასი ერაყელი და ირანელი სამხედრო ტყვის გაცვლას, პირდაპირ მოლაპარაკებებს კონფლიქტის დარეგულირების მისაღწევად და ირანის დაჟინებული მოთხოვნით სპეციალური ტრიბუნალის დაარსებას ომის მიზეზების გამოსავლენად.

ამ ომის დროს ერაყმა გამოიყენა ქიმიური იარაღი – 1988 წლის 17-18 მარტს ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე ქ. ჰალაბჯას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც ის დაიკავა ირანის არმიამ.[35] ქიმიური დაბომბვა განხორციელდა სხვადასხვა მომწავლელი ნივთიერებებით (Hiltermann, 2007:12; *Conflicts*, 2004: 92).

ირან-ერაყის ომმა, რომელიც თითქმის 8 წელი გაგრძელდა, არც ერთ მხარეს არ მოუტანა პოლიტიკური და სამხედრო უპირატესობა. ვერც ირანმა და ვერც ერაყმა ვერ მიაღწიეს დასახულ მიზნებს (ბაღდადს სურდა ისლამური რეჟიმის დამხობა ირანში და არაბისტანის (ხუზესტანის) ერაყისათვის შემოერთება). თუმცა ორივე მხარემ გამოაცხადა თავისი სამხედრო ტრიუმფის შესახებ. ირან-ერაყის ომი იყო XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი (Hiro, 1991: 288–96).

35 ქურთული ქალაქი ჰალაბჯა მდებარეობს ბაღდადის ჩრდილო-აღმოსავლეთით 240 კმ-ის დაშორებით და ირანის საზღვრიდან 15 კმ-ზე. 5 საათიანი სამხედრო ოპერაციის დროს დაიღუპა დაახლ. 5000 და დაშავდა 7000 ადამიანი.

ირან-ერაყის ომის შედეგები:

ერაყის დანაკარგები – 105 ათასი დაღუპული, 350-400 ათასი დაჭრილი, 150 ათასი დაშავებული; ერაყელი სამხედრო ტყვეების რაოდენობა – 50-70 ათასი. ეს ომი ერაყს 94-112 მლრდ დოლარი დაუჯდა, საიდანაც იარაღის შესყიდვაზე დაიხარჯა 30-35 მლრდ დოლარი; ნავთობის ექსპორტის შეწყვეტის გამო მიღებულმა ზარალმა 40-41 მლრდ დოლარი შეადგინა. ომის შემდეგ ერაყის ვალი 89 მლრდ-მდე გაიზარდა, მათ შორის არაბი კრედიტორების – 50-55 მლრდ დოლარი (საუდის არაბეთი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საამიროები. აქედან ქუვეითის იყო 14 მლრდ. რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი ომის დაწყების ქუვეითთან). თუმცა ერაყი არ აპირებდა ვალების დაბრუნებას, რადგანაც თვლიდა, რომ იცავდა არაბულ საქმეს „შიიტური იმპერიალიზმისა და მისი სამხედრო ექსპანსიისაგან."

ირანის დანაკარგები – 206 ათასი დაღუპული; ეკონომიკური ზარალი – 500 მლრდ დოლარი; ირანს ეს ომი დაუჯდა 74-91 მლრდ დოლარი;

(Hiro,1991: 250; *Islamic Republic News Agency*, September 23, 2000; Kamrava, 2005: 182-183).

1980-1988 წლების ომი სერიოზული გამოცდა იყო ბაასისტური რეჟიმისთვის, მაგრამ ქვეყნის ლიდერმა სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა და 1990 წელს სადამ ჰუსაინმა წამოიწყო ახალი ავანტიურა – თავს დაესხა ქუვეითს.

ირანსა და ერაყს შორის ურთიერთობაში საზღვრების საკითხი დღემდე ძირითად პრობლემად რჩება. 2008 წლის თებერვალში თეირანში ორივე ქვეყნის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სასაზღვრო პოსტების რეკონსტრუქციაზე, რომლებიც განადგურდა ირან-ერაყის ომის დროს. შეთანხმება ითვალისწინებდა სახმელეთო და საზღვაო საზღვრების აღდგენას ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო ხაზზე – შატ ელ-არაბზე. მხარეები შეთანხმდნენ აწარმოონ ერთობლივი ჰიდროგრაფიული ოპერაციები, რათა განსაზღვრონ ჩაძირული გემების ადგილი შატ ელ-არაბზე და ასევე დაარსონ ერთობლივი მმართველობა „სასაზღვრო აქტივობების" ხელშეწყობისათვის – იგულისხმება ნაოსნობის გაუმჯობესება სასაზღვრო მდინარეზე, ასევე ვაჭრობის მოცულობის გაზრდა (Тероганов, 2008). ირანსა და ერაყს შორის მოლაპარაკებებზე[36] განიხილება აგრეთვე ე.წ. „ჰუმანიტარული დოსიეს" საკითხები – სამხედრო ტყვეების გაცვლა და ომის დროს უგზოუკვლოდ დაკარგულთა ბედი. გადაწყვეტას მოითხოვს აგრეთვე საკითხი – ერაყის მიერ ირანისათვის ომის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურება, რაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მონაცემებით შედაგენს 97 მლრდ დოლარს. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ არსებობს პრინციპული შეთანხმება.

ერაყ-ქუვეითის კონფლიქტი

ირან-ერაყის ომმა ვერ გადაწყვიტა სადამ ჰუსაინის წინაშე არსებული პრობლემები, პირიქით – უფრო გაამწვავა. ერაყის ეკონომიკა მწვავე კრიზისს განიცდიდა. ფინანსურმა დავალიანებამ შეადგინა დაახლ. 100 მლრდ დოლარი. ამის მიუხედავად, სადამ ჰუსაინმა მიიღო გადაწყვეტილება დაეჩქარებინა შეიარაღებული ძალების განახლება თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით და სამხედრო მრეწველობის განვითარება. 1990-იანი წლების დასაწყისში ერაყი რჩებოდა მსოფლიოში იარაღისა და სამხედრო დანიშნულების უმსხვილეს იმპორტიორად. ახალი ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად სადამ ჰუსაინმა იპოვა „ადვილი გამოსავალი" – ნავთობით მდიდარი ქუვეითის შეერთებას ერაყისათვის შეიძლებოდა გადაეწყვიტა ყველა საკითხი.

პრაქტიკულად ირან-ერაყის ომის დამთავრებისთანავე გამოიკვეთა დაძაბულობის ზრდის ნიშნები ერაყსა და ქუვეითს შორის. დაპირისპირების მთავარი მიზეზი იყო ერაყის ტერიტორიული პრეტენზია ქუვეითზე.[37]

ერაყი აცხადებდა, რომ ქუვეითი იყო ქვეყნის სამხრეთი პროვინცია, რომელიც 1913 წელს მიიტაცა დიდმა ბრიტანეთმა. პრაქტიკულად, ერაყის ხელისუფლება, მონარქიული და რესპუბლიკური, არ ცნობდა ინგლისის პროტექტორატს ქუვეითზე. 1961 წელს ერაყი გამოვიდა ქუვეითისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების წინააღმდეგ, ხოლო ერაყის მაშინდელმა სახელმწიფოს მეთაურმა – გენერალმა აბდულ ქარიმ კასიმმა ქუვეითი გამოაცხადა „ერაყის განუყოფელ ნაწილად." ამ პრეტენზიის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ პირველ მსოფლიო ომამდე ქუვეითი ერაყთან ერთად შედიოდა ოსმალეთის პროვინცია ბასრას შემადგენლობაში. მაგრამ კასიმის მცდელობა კრახით დამთავრდა. ქუ-

36 2008-2009 წლებში, პირველად 8 წლიანი ომის შემდეგ, მოხდა დელეგაციების გაცვლა ორ ქვეყანას შორის.

391 XX ს-ში ერაყმა სამჯერ განაცხადა პრეტენზია ქუვეითზე – 1938, 1961 და 1990 წელს.

ვეითის ამირა აბდულაჰ III ბინ სალიმ ას-საბაჰმა დახმარებისათვის მიმართა დიდ ბრიტანეთს, რომელმაც ოპერატიულად გააგზავნა თავისი სამხედრო კონტიგენტი ქუვეითში. ბაღდადის მოქმედებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა ვერც არაბულ სამყაროში. არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გადაწყვეტილებით ქუვეითში თავისი არმიის ქვედანაყოფები გააგზავნეს საუდის არაბეთმა, ეგვიპტემ, იორდანიამ და სუდანმა, რის შემდეგაც ბრიტანეთის არმიამ დატოვა ქუვეითი. 1963 წლის 4 ოქტომბერს ერაყის ხელისუფლებამ ცნო ქუვეითის სუვერენიტეტი. ორივე მხარემ ხელი მოაწერა პროტოკოლს, რომელიც ამტკიცებდა 1932 წელს დადგენილ ერაყ-ქუვეითის საზღვრების სტატუსს. ამ პროტოკოლით ქუვეითს ეკუთვნოდა სანაპირო კუნძულები ვარბა და ბუბიანი. თუმცა **1967,1973,1974 და1977 წლებში ორ ქვეყანას** შორის იშვიათი არ იყო სასაზღვრო კონფლიქტები ამ ორი კუნძულისა და ერაყის სამხრეთში პორტის – უმმ კასრის გამო (Goldschmidt, 2006: 399; Simon, 2002: 809-810).

ქუვეითზე ერაყის პრეტენზიისათვის არსებობდა ეკონომიკური მიზეზებიც – ძირითადი იყო ქუვეითის ნავთობი. 1990 წლის ივლისში ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსაინმა დაადანაშაულა ქუვეითი ნავთობის მოპოვების კვოტების შესახებ ხელშეკრულებების დარღვევაში, „ერაყის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციაში“ და „იმპერიალიზმისა და სიონიზმის“ დახმარებაში.[38] არაბული ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრებზე ერაყის ლიდერი ითხოვდა აგრეთვე ქუვეითის, საუდის არაბეთისა და არაბთა გაერთიანებული საამიროებისაგან **30 მლრდ დოლარის ვალის ჩამოწერას, რაც მან მიიღო კრედიტების** სახით ირან-ერაყის ომის დროს (Kamrava, 2005:184-185).

სადამ ჰუსაინი ქუვეითისაგან ითხოვდა ირან-ერაყის ომის დროს დაგროვილი ვალის ჩამოწერას და **10 მლრდ დოლარის გადახდას. არაბული თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრაზე, 1990 წლის თებერვალში**, სადამ ჰუსაინმა განაცხადა: „მე მჭირდება 30 მლრდ დოლარი ნაღდი ფული და თუ ისინი არ გადამიხდიან მე მას, მე ვიცი როგორც მოვიქცევი“ (Kamrava, 2005:185).

საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდდაში ორი ქვეყნის დელეგატების შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბაღდადში არასწორად შეაფასეს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული პოლიტიკური და სამხედრო ვითარება და ვერ გათვალეს ომის მოსალოდნელი შედეგები. ამის გამო ამ ომს „მცდარი გათვლების ომსაც“ (*war of miscalculations*) უწოდებენ. ერაყი ფიქრობდა, რომ საუდის არაბეთი, ეგვიპტე და სხვა არაბული ქვეყნები შეეგუებოდნენ ქუვეითის ანექსიას.1991 წლის ომში კოალიციის ძალებისა და საუდის არმიის მთავარსარდალი – გენერალი პრინცი ხალიდ ბინ სულტანი წერდა: „სადამ ჰუსაინმა შელახა არა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების და ისრაელის ინტერესები. ჰუსაინი დაემუქრა რეგიონის ყველა ძირითადი მოთამაშის სასიცოცხლო ინტერესებს.“ ერაყმა შეცდომა დაუშვა ამერიკასთან მიმართებაშიც. ბაღდადში დარწმუნებული იყვნენ, რომ აშშ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლიტიკური დემარშებით და ძალის დემონსტრირებით, და ქუვეითში ერაყის შეჭრას გამოიყენებდა თავისი პოზიციების განსამტკიცებლად სპარსეთის ყურის ზონაში.[39]

1990 წლის ერაყ-ქუვეითის ომს „სპარსეთის ყურის“ ან უბრალოდ „ყურის ომს“ უწოდებენ (ზოგჯერ „არაბთა ომის“ სახელითაც მოიხსენიებენ). ერაყის თავდასხმა ქუვეითზე დაიწყო **1-დან 2 აგვის-**

---

38 1990 წლის 15 ივლისს ერაყმა გააგზავნა არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში მემორანდუმი, სადაც ადანაშაულებდა ქუვეითს და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს ერაყის ეკონომიკის დანგრევაში ნავთობის მოპოვების გაზრდით, რამაც გამოიწვია ფასების მკვეთრი დაცემა მსოფლიო ბაზარზე. ერაყი ითხოვდა აგრეთვე ქუვეითის ვალის (14 მლრდ დოლარი) ანულირებას და ქუვეითის მიერ ერაყისათვის 10 მლრდ დოლარის გამოყოფას ქვეყანაში ფინანსური კრიზისის დასაძლევად. ქუვეითის მთავრობამ ერაყს აღუთქვა ყველა პრეტენზიის განხილვა. თუმცა სადამ ჰუსაინი მაინც აგრძელებდა ქუვეითის წინააღმდეგ კამპანიას და გადავიდა პირდაპირ მუქარაზე.

39 ამერიკელთა სამხედრო ოპერაციის წინ ერაყის პრეზიდენტი კონსულტაციებს გადიოდა ამერიკელებთან და დარწმუნებული იყო, რომ აშშ თვალს დახუჭავდა ერაყის მოქმედებებზე. ამაზე მოწმობს ჰუსეინის მოლაპარაკებები აშშ-ის ელჩ ეფრილ გლასპისთან (1990 წლის 25 ივნისს), რომლის დროსაც აშშ-ის ელჩი არწმუნებდა ერაყის პრეზიდენტს ბუშის დადებით განწყობაში ერაყისადმი. აშშ-მა არანაირი რეაგირება არ მოახდინა ომისათვის ერაყის მზადებაზე, არმიის თავმოყრაზე ქუვეითის საზღვართან, რამაც დაარწმუნა ჰუსეინი, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის მხრიდან ულტიმატუმებისა და მუქარის იქით საქმე არ წავიდოდა. ამერიკელმა დიპლომატებმა დაარწმუნეს არაბი მონარქები (პირველ რიგში, საუდის არაბეთის მეფე), რომ ერაყისათვის ქუვეითი არის მხოლოდ „მოთელვა“ სპარსეთის ყურის სხვა ტერიტორიების დაპყრობის წინ. როდესაც ვითარება გართულდა, არაფათი შეეცადა შეესრულებინა მშვიდობისმყოფელის როლი არ-რიადსა და ბაღდადს შორის, მაგრამ უშედეგოდ. პალესტინელებმა, რომლებიც მუშაობდნენ ქუვეითში, მხარი დაუჭირეს ერაყის არმიას, ფაქტობრივად გახდნენ „მეხუთე კოლონა.“

ტოს ღამით და ოკუპაცია ფაქტობრივად დასრულდა 24 საათში. იმავე დღეს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №660, რომლითაც დაგმო ერაყის აგრესია ქუვეითის წინააღმდეგ და მოითხოვა ერაყის ძალების დაუყოვნებლივი გასვლა ქუვეითის ტერიტორიიდან და ომამდელი პოზიციების (1990 წლის 1 აგვისტოს) დაკავება. ქუვეითის ამირა შაიხ ჯაბერ ალ-აჰმად ას-საბაჰი, მისი ოჯახი და მთავრობის წევრები საუდის არაბეთში გადავიდნენ და მიმართეს საერთაშორისო საზოგადოებას დახმარებისათვის. საუდის სამეფოს ტერიტორიაზე თავშესაფარი ჰპოვა ასეულ ათასობით ლტოლვილმა ქუვეითიდან (Dawisha, 2009:226; Tripp, 2007: 225-235; Халед ибн Султан,1996: 10).

> არ გამართლდა სადამ ჰუსაინის იმედი, რომ ცივი ომის კონტექსტში, ახლო აღმოსავლეთში შეერთებულ შტატებთან ტრადიციული მეტოქეობის გამო, საბჭოთა კავშირი მხარს დაუჭერდა მის მოქმედებებს. სადამმა ვერ გათვალა, რომ საბჭოთა კავშირს, რომელიც არსებობის უკანასკნელ თვეებს ითვლიდა, აღარ ჰქონდა არც სურვილი და არც ძალა, რომ კვლავაც დაპირისპირებოდა შეერთებულ შტატებს. 2 აგვისტოს ირკუტსკში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა და სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომლითაც დაგმეს ერაყის აგრესია ქუვეითის მიმართ. ცივი ომის ოფიციალურ დასასრულად ხშირად სწორედ ამ მოვლენას მიიჩნევენ.

საუდის არაბეთმა, როგორც ერთ-ერთმა რეგიონალურმა სახელმწიფომ და ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრმა, თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ქუვეითის განთავისუფლებაზე. მეფე ფაჰდი პირადად ესაუბრა სადამ ჰუსაინს, რასაც მოჰყვა ერაყის ვიცე-პრეზიდენტის იზათ იბრაჰიმის ვიზიტი საუდის არაბეთში. მან ფაჰდს გადასცა სადამ ჰუსაინის რწმუნებულება, რომ საუდის არაბეთს საშიშროება არ ემუქრებოდა, მაგრამ უარი განაცხადა ქუვეითის საკითხის განხილვაზე.

1990 წლის 3 აგვისტოს კაიროში, საუდის არაბეთის ძალისხმევით, მოწვეულ იქნა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც გმობდა ერაყის შეჭრას ქუვეითში – 14 წევრმა ხმა მისცა, ხოლო ხუთმა (იორდანია, იემენი, მავრითანია, სუდანი და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია) თავი შეიკავა. ლიბიამ დატოვა სხდომათა დარბაზი, ხოლო ერაყს ჩამოერთვა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. საუდის არაბეთისა და საბჭოს წევრი სხვა ქვეყნებისათვის ცხადი გახდა, რომ არაბულ ქვეყნებს არ ჰქონდათ ერთნაირი პოზიცია ერაყის მიერ ქუვეითის აგრესიაზე. შექმნილ ვითარებაში რეზოლუციის მხარდამჭერმა არაბულმა ქვეყნებმა ჩაატარეს ცალკე სხდომა, რომელზეც დაგმეს ერაყის აგრესია უფრო მკაცრი ფორმით და დაისვა საკითხი ქუვეითის სასწრაფო განთავისუფლების თაობაზე. საუდის არაბეთმა, აქტიური დიპლომატიური საქმიანობით (კონფერენციები, სიმპოზიუმები, შეხვედრები სამეფოში და საზღვარგარეთ), მიაღწია ქუვეითის განთავისუფლების იდეის მხარდაჭერას მშვიდობიანი ან სამხედრო გზით (*The Gulf Crisis*, 1992: 320).

1990 წლის 5 აგვისტოს ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე კაიროში მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებს სადავო საკითხები მშვიდობიანი გზით უნდა მოეგვარებინათ და იყო მოწოდება ერაყისადმი – გამოეყვანა ჯარები ქუვეითის ტერიტორიიდან და დაბრუნებულიყო საწყის პოზიციებზე.

1990 წლის 6 აგვისტოს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №661, რომელიც აწესებდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სანქციებს ერაყის წინააღმდეგ.[40] სანქციები, თავის მხრივ, ითვალისწინებდა ნებისმიერი სახის ფინანსური ოპერაციებისა და ეკონომიკური დახმარების აკრძალვას. რეზოლუციის საგანგებო პუნქტით იკრძალებოდა ერაყისათვის შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება. გამონაკლისი დაიშვებოდა საკვებ პროდუქტებსა და ჰუმანიტარულ დანიშნულების საქონელზე, ასევე სამედიცინო დახმარებაზე. ჯარების გამოსაყვანად ერაყს მიეცა ორთვიანი ვადა.

საუდის არაბეთის მეფე ფაჰდ ბინ აბდულ აზიზ ას-საუდმა დახმარებისათვის მიმართა აშშ-ს, რათა დაეცვა მისი ქვეყანა. მეფე ფაჰდმა განაცხადა: „ქუვეითელებმა არ ითხოვეს დროულად დახმარება და ახლა ისინი ჩვენი სტუმრები არიან – ჩვენ არ უნდა დავუშვათ ისეთივე შეცდომა და ასევე გავხდეთ

40 იორდანია და იემენი პრაქტიკულად ცდილობდნენ დახმარებოდნენ ერაყს ეკონომიკური ბლოკადის გარღვევაში, უთმობდნენ ამ მიზნით თავიანთ პორტებს – შესაბამისად აკაბას და ადენს. იორდანიამ ნება დართო ერაყს განეთავსებინა თავისი ფინანსური ავუარები ბანკებში სამეფოს ტერიტორიაზე (Жданов, 2003: 162).

ვინმეს სტუმრები“ (Халед ибн Султан, 1996: 23-24). ამასთან, ფაჰდის სიტყვებითვე, „არაბთა მიერ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა“ უშედეგოდ დასრულდა[41] (*The Gulf Crisis*, 1992: 320).

> საუდის არაბეთის ეს პოზიცია განაპირობა ქვეყნის გეოპოლიტიკურმა გარემოცვამ. ხალიდ იბნ სულტანი წერს: „აღმოსავლეთით ირანი, რომელიც უეჭველად მიესალმება ნებისმიერ აგრესიას სამეფოს წინააღმდეგ. სამხრეთით იემენი და ჩრდილო-დასავლეთით იორდანია სიმპათიით არიან განწყობილი ერაყისადმი და დაკავშირებული არიან მასთან ცოტა ხნით ადრე ჩამოყალიბებული არაბული თანამშრომლობის საბჭოთი... ჩრდილო-დასავლეთით არის აგრეთვე ისრაელი თავისი მუდმივი მტრობით არაბულ ქვეყნებთან.“
>
> არსებობდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – ყურის არაბულ ქვეყნებს არ ჰქონდათ საიმედო ერთიანი თავდაცვის სისტემა, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ქუვეითის დასაცავად. ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს და ერაყის სახმელეთო არმიების რაოდენობის თანაფარდობა იყო 1–7-თან. თუ ეგვიპტე და სირია გამოაგზავნიდნენ ყურის რეგიონში თავიანთ სახმელეთო ძალებს, მაშინ ძალთა თანაფარდობა თანასწორი ხდებოდა. თუმცა, არც ეგვიპტე, არც სირია და არც ყურის ქვეყნები არ შეიძლებოდა დარჩენილიყვნენ სახმელეთო არმიის გარეშე, რომლებიც ასრულებდნენ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიის თავდაცვის ფუნქციებს (Халед ибн Султан, 1996: 24).

1990 წლის 6 აგვისტოს ამერიკის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავდაცვის მინისტრი დიკ ჩეინი, ჩავიდა ჯიდდაში. მოლაპარაკებებში მონაწილეობდა მეფე ფაჰდი, პრინცი აბდულაჰი, თავდაცვისა და ავიაციის მინისტრის მოადგილე პრინცი აბდულ რაჰმან ბინ აბდულ აზიზი,[42] გენერალური შტაბის უფროსი მოჰამედ ალ-ჰამადი, საგარეო საქმეთა მინისტრი საუდ ბინ ფაისალი და საუდის არაბეთის ელჩი აშშ-ში, პრინცი ბანდარ ბინ სულტანი. ამ მოლაპარაკების შემდეგ პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა გააგზავნა 40,000 აშშ სამხედრო საუდის არაბეთის საზღვრის დასაცავად.[43] საპასუხოდ, სადამ ჰუსაინმა1990 წლის 8 აგვისტოს ქუვეითი გამოაცხადა ერაყის მე-19 პროვინციად (*The Gulf Crisis*, 1992: 321).

1990 წლის 9 აგვისტოს გაერო-ს უშიშროების საბჭომ №662 რეზოლუციით დაგმო და იურიდიულად არაკანონიერად სცნო ერაყის მიერ ქუვეითის ანექსია. გაერო-მ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციებსა არ ეცნოთ ეს ანექსია.

რამდენადაც, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ყველა ცდა მარცხით დამთავრდა, 1990 წლის 10 აგვისტოს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამიტზე, არაბულმა ქვეყნებმა (12 ხმით 3-ის

---

41 გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კონფლიქტს (ანუ ერაყის კრიზისს, როგორც მას მოიხსენიებენ) ადგილი ჰქონდა ახალ საერთაშორისო პირობებში - „ცივი ომი“ დამთავრდა და აშშ გეგმავდა მსოფლიოში „ახალი სამშვიდობო წესრიგის დამყარებას.“ პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა, ყურის რეგიონში თავისი საქმიანობის შეფასებისას, გააცხადა: „ახალი სამშვიდო წესრიგი ახლო აღმოსავლეთში შედგება 4 პირობის შესრულებისაგან: 1. კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა; 2. აგრესიის წინააღმდეგ სოლიდარობა; 3. შემცირება და კონტროლი შეიარაღებაზე; 4. სამართლიანობა ყველა ხალხისადმი ურთიერთობაში“ (*NYT*, 13.04.1991). აშშ-ს ასეთ შესაძლებლობას აძლევდა სწორედ ერაყის აგრესია ქუვეითის წინააღმდეგ.

42 თავდაცვისა და ავიაციის მინისტრი – პრინცი სულტან ბინ აბდულ აზიზი საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

43 გენერალ ხალიდ ბინ სულტანის განცხადებით, „თავიდანვე მეფემ, მემკვიდრე პრინცმა აბდულაჰმა და პრინც სულტანმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ საუდის არაბეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაემორჩილონ მხოლოდ ეროვნულ ხელმძღვანელობას. ისინი არ უნდა დაექვემდებარონ ამერიკულ ხელმძღვანელობას: აუცილებელია სამეფოს სუვერენიტეტის დაცვა – ეს ყველაფერზე მაღლა დგას.“ ჩამოყალიბდა ამერიკის პარალელური – საუდის სამხედრო ხელმძღვანელობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალი ხალიდ იბნ სულტანი. მისი თანამდებობა ასე იწოდებოდა: „გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო მოქმედებათა თეატრის მხედართმთავარი“ (Халед ибн Султан,1996:39-40). მოქმედებათა კოორდინაციისათვის შეიქმნა სპეციალური ორგანო – *Coalition Cooperation Communication and Integration Cell (CCCIC).* საუდის არაბეთისათვის მნიშვნელოვანი იყო დაერწმუნებინა არაბულ-მუსლიმური სამყარო, რომ უცხოური არმიის ყოფნა სამეფოს ტერიტორიაზე საუდელთა მკაცრ კონტროლს ექვემდებარეობდა. ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ვალდებული იყვნენ დაეცვათ ამ ქვეყნის ტრადიციები, არ დაერღვიათ ისლამური ნორმები, მათ შორის უარი ეთქვათ ალკოჰოლის მოხმარებაზე, სხვადასხვა სახის გართობებზე. ამერიკელ სამხედრო მოსამსახურე ქალებს უნდა დაეცვათ განსაზღვრული წესები: მაგ., ეკრძალებოდათ მანქანის მართვა სამოქალაქო სამოსში.

წინააღმდეგ)[44] მხარი დაუჭირეს კოალიციის სამხედრო ძალის გამოყენებას ერაყის წინააღმდეგ. უკვე 11 აგვისტოს პირველი ეგვიპტის სამხედრო ფორმირებები ჩავიდა საუდის არაბეთის ტერიტორიაზე. ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი გამოვიდა განცხადებით, რომ მას აღარ აქვს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის იმედი (*The Gulf Crisis,* 1992: 322).

1990 წლის 18 აგვისტოს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №664, **რომელიც ეხებოდა** ქუვეითსა და ერაყში უცხოეთის მოქალაქეთა უსაფრთხოებას. გაერომ მოსთხოვა ერაყს, რომ გაეუქმებინა ბრძანება ქუვეითში დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების დახურვისა და დიპლომატიური კორპუსისათვის იმუნიტეტის შეწყვეტის თაობაზე.

1990 წლის 25 სექტემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №670, რომლითაც გამოცხადდა ერაყის სრული საზღვაო და საჰაერო ბლოკადა. გაყინვას ექვემდებარებოდა გაერო-ს წევრი-ქვეყნების ბანკებში არსებული ერაყის აქტივები. 1990 წლის ბოლოდან ერაყი აღმოჩნდა სრულ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში.[45] ამასთან, მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები (ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია, მიუმხრომლობის მოძრაობა, სსრკ, გაერო და სხვ.) მიმართავდნენ ინტენსიურ ღონისძიებებს რათა დაერწმუნებინათ ბაღდადი გადაეხედა თავისი პოზიციისათვის და მოეძებნა კონფლიქტის პოლიტიკურ-დიპლომატიური დარეგულირების საშუალება გაერო-ს მოთხოვნების საფუძველზე. მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, ერაყს აძლევდნენ სანქციების გაუქმების გარანტიას. სადამ ჰუსაინმა უარი თქვა ყველა წინადადებაზე.

საუდის არაბეთის ოფიციალური პოზიცია დაფიქსირდა1990 წლის 23 ოქტომბერს მეფე ფაჰდის განცხადებაში, რომელიც შედგებოდა **4 ძირითადი დებულებისაგან: 1. ქუვეითის სახელმწიფოს წინააღ**მდეგ ერაყის აგრესიის დაგმობა, უარის თქმა ისეთ მოქმედებებზე, რაც, „ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს წესებს"; 2. **1990 წლის 10 აგვისტოს კაიროში ჩატარებული არაბული სა**ხელმწიფოების რიგგარეშე სამიტის გადაწყვეტილებების და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების (№660, №661, №662) მხარდაჭერა 3. საოკუპაციო ერაყის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა ქუვეითის ტერიტორიიდან, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე და „ქუვეითის კანონიერი ხელისუფლების აღდგენა მისი უდიდებულესობა შაიხ ჯაბერ ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ას-საბაჰის ხელმძღვანელობით, ასევე 1990 წლის 2 აგვისტოსათვის არსებული მდგომარეობისადმი დაბრუნება"; 4. საუდის არაბეთის საზღვარზე შეკრებილი ყველა ერაყული სამხედრო ფორმირების გაყვანა, და გარანტია, რომ აღარ განმეორდებოდა ერაყის მმართველის მხრიდან აგრესია ყურის ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ.

1990 წლის 16 ნოემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №678, **რომელიც გან**საზღვრავდა კონკრეტულ თარიღს ქუვეითიდან ერაყის არმიის გასაყვანად – 1991 წ. 15 იანვარი. ამის შემდეგ იგეგმებოდა ძალის გამოყენება. **1990 წლის 30 ნოემბერს ერაყის რევოლუციური საბჭოს ხელ**მძღვანელობამ უარყო ეს ულტიმატუმი (Anderson & Stansfield, 2004: 86-87).

1991 წლის 9 იანვარს ჟენევის სამშვიდობო კონფერენცია იყო ბოლო მცდელობა, რათა თავიდან აეცილებინათ კოალიციის ომი ერაყის წინააღმდეგ. ამ კონფერენციაზე ერთმანეთს შეხვდნენ აშშ-ის

---

44 რეზოლუციას მხარი დაუჭირა არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ბაჰრაინმა, ეგვიპტემ, კატარმა, ლიბანმა, მაროკომ, ომანმა, საუდის არაბეთმა, სირიამ, სომალიმ, ქუვეითმა, ჯიბუთიმ; წინააღმდეგი იყო ერაყი, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია და ლიბია; ალჟირმა და იემენმა თავი შეიკავეს. იორდანიამ, მავრითანიამ და სუდანმა მხოლოდ შენიშვნები გამოთქვეს რეზოლუციასთან მიმართებაში (Hiro,1992:128; The Gulf Crisis, 1992: 322). 1990-1991 წლების კრიზისის პერიოდში მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა იემენი (სწორედ 1990 წელს გაერთიანდა ჩრდილოეთი და სამხრეთი იემენი). მისი მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო ერაყი, რომელიც ფინანსურ დახმარებას უწევდა მას. იმავე დროს იემენი ფინანსურ დახმარებას იღებდა საუდის არაბეთის მხრიდანაც და ბევრი იემენელი მუშაობდა საუდის სამეფოში. ამიტომ იემენის მთავრობამ, ერთი მხრივ, დაგმო ერაყის აგრესია, ხოლო მეორე მხრივ, აკრიტიკებდა უცხოური არმიის ყოფნას რეგიონში. შესაბამისად, ერაყის კრიზისის პერიოდში, იემენმა დაკარგა 3 მლრდ დოლარი (საუდის არაბეთმა შეუწყვიტა იემენს ყოველწლიური ფინანსური დახმარება წელიწადში 600 მლნ დოლარის ოდენობით. ამის გარდა, გააძევა ქვეყნიდან 500-დან 800 ათასამდე იემენელი, რამაც წარმოშვა ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური პრობლემები). იემენსა და ქუვეითს შორის ურთიერთობა აღდგა მხოლოდ 1999 წელს *(The Middle East and North Africa, 2007: 1219).*

45 თავდაპირველად, გაერო-ს სანქციები ითვალისწინებდა ერაყის იძულებას გამოეყვანა ქუვეითიდან ჯარი და აენაზღაურებინა მიყენებული ზარალი; თუმცა ქუვეითის გათავისუფლების შემდეგ, გაერო-ს სანქციები გადაიქცა ერაყზე ზეწოლის ერთგვარ ბერკეტად.

სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი და ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი – ტარიკ აზიზი. შეხვედრა 7 საათს გაგრძელდა, მაგრამ ერაყმა უარი განაცხადა გაეყვანა ჯარები ქუვეითიდან.

ჯეიმს ბეიკერმა გადასცა ტარიკ აზიზს აგრეთვე აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წერილი, სადაც ჯ. ბუში აფრთხილებდა სადამ ჰუსაინს არ გამოეყენებინა ქიმიური იარაღი აშშ-ის (კოალიციის) წინააღმდეგ ომში.

„ნება მომეცი განვაცხადო, რომ აშშ არა დაუშვებს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას, რაიმე სახის ტერორისტული მოქმედების მხარდაჭერას ან ქუვეითის ნავთობის საბადოების და მილსადენების განადგურებას. ამერიკელი ხალხი მოითხოვს შესაბამის რეაგირებას. თქვენ და თქვენი ქვეყანა გადაიხდით საშინელ საზღაურს, თუ თქვენ უბრძანებთ ამ სახის უგუნური ქმედებების ჩადენას“ (ციტ. Sifry & Cefr, 1991: 179).

ერთ-ერთ ინტერვიუში სადამ ჰუსაინმა განაცხადა: „მე ვლოცულობ და შევთხოვ ალაჰს, რომ არ გავხდე იძულებული გამოვიყენო [ქიმიური] იარაღი, მაგრამ არ დავფიქრდები ამის გაკეთებაზე, თუ ამის საჭიროება წარმოიშობა“ (ციტ. Terrill, 2009: 76).

1991 წლის 17 იანვარს (16 იანვრიდან – 17 იანვრის ღამე) საერთაშორისო კოალიციის ძალებმა დაიწყეს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“. სადამ ჰუსაინმა პირობა დადო, რომ მას აქცევდა „ყველა ბრძოლების დედად“. იმავე დღეს საუდის არაბეთის ულემთა უმაღლესმა საბჭომ გამოსცა ფათვა, რომლითაც ერაყის წინააღმდეგ ომი ნებადართულად გამოცხადდა და მოუწოდა ყველა მუსლიმს და „იმათ, ვინც მათ მხარს უჭერს,“ გამოეყვანათ არმია ქუვეითიდან (*The Gulf Crisis,* 1992: 333).

ანტიერაყულ კოალიციაში მონაწილეობა მიიღო 36 ქვეყანამ (აშშ და მისი მოკავშირეები ნატოში – დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, აგრეთვე არაბული, ევროპული, აზიური და აფრიკული ქვეყნები): ავღანეთი, არგენტინა, ავსტრალია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, აშშ, ახალი ზელანდია, ბაჰრაინი, ბანგლადეში, ბელგია, გერმანია, დანია, ეგვიპტე, ესპანეთი, თურქეთი, იტალია, კანადა, კატარი, მაროკო, ნიდერლანდები, ნიგერია, ნორვეგია, ომანი, პაკისტანი, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საუდის არაბეთი, სენეგალი, სამხრეთ კორეა, სირია, უნგრეთი, ქუვეითი, ჩეხოსლოვაკია ჰონდურასი.

კოალიციის ძალები – 585,000 (აშშ – 430,000; დიდი ბრიტანეთი – 25,000; საუდის არაბეთი – 40,000; ეგვიპტე – 35,000; სირია – 20,000; საფრანგეთი – 9,000; სხვები – 26,000).

კოალიციის ძალების ფინანსური სპონსორები გახდნენ საუდის არაბეთი და ერაყის აგრესიის მსხვერპლი – ქუვეითი: საუდის არაბეთის ფინანსური დახმარება შეადგენდა **55 მლრდ დოლარს, რო**მელიც მოიცავდა მრავალეროვნული ძალების დანახარჯების დაფარვას, სამხედრო ოპერაციაში მონაწილე ქვეყნების დახმარებას და სხვ. საუდის არაბეთმა თავის თავზე აიღო აგრეთვე ზრუნვა უცხოური კონტინგენტის განლაგებაზე, მათ კვებაზე, აეროდრომებისა და პორტების მომზადებაზე, რიგ შემთხვევებში სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფაზე არმიის გადასაყვანად საუდის არაბეთის ტერიტორიაზე; ქუვეითმა გამოყო 5 მლრდ დოლარი აშშ სამხედრო ხარჯების ნაწილის დასაფარად და იმ ქვეყნების კომპენსაციისათვის, რომლებიც დაზარალდნენ ერაყის წინააღმდეგ განხორციელებული ემბარგოს გამო (Hutchison, 1995:208-10).

საუდის არაბეთმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ქუვეითის განთავისუფლების საქმეში. 1991 წლის 22 იანვარს ქუვეითის ამირამ ჯაბერ ალ-აჰმადმა საუდის არაბეთის მიმართ თავისი მადლიერება და მაღალი შეფასება გამოხატა მეფე ფაჰდისადმი გაგზავნილ დეპეშაში: „ორი წმინდა ადგილის მცველს, მეფე ფაჰდ ბინ აბდულ აზიზს იმ უზარმაზარი როლისათვის, რომელიც საუდის არაბეთის სამეფომ შეასრულა ქუვეითისა და ქუვეითელების მიმართ ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობის დროს წარმოშობილი კრიზისის დასაწყისში და ქუვეითის გასათავისუფლებლად განხორციელებული ოპერაციების ჩათვლით... ეს იყო გამორჩეულად მამაცური ქმედება (*'ამალუნ ბუტულიიიია*)“.

ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბრძოლო მოქმედებებში ქუვეითის გასათავისუფლებლად, მაგრამ მათ არ გადაულახავთ ერაყის საზღვარი, მაშინ როცა ამერიკის არმიამ გააგრძელა სამხედრო ოპერაციები უკვე ერაყის ტერიტორიაზეც. ერაყი გადაიქცა სხვადასხვა სახის იარაღის სამიზნედ – მწყობრიდან გამოვიდა კავშირგაბმულობის საშუალებები, ენერგეტიკული ობიექტები, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები და ნავთობქიმიური მრეწველობის სხვადასხვა ობიექტები. ამ ვითარებაში ერაყის სამხედრო ხელმძღვანელობამ დაგეგმა საუდის არაბეთში შეჭრა, რათა მაქსიმალური დარტყმა მიეყენებინა მოწინააღმდეგის სახმელეთო ძალებისათვის. 1991 წლის 29 იანვარს საღამოს ერაყის ერაყის შეიარაღებული ძალები – დაახლ.

2000 ადამიანი და 100 ტანკი გადავიდა ქუვეით-საუდის არაბეთის საზღვარზე. მათ დაიკავეს საზღვაო ქალაქი რას ალ-ხაფჯი, რომლის მოსახლეობა ევაკუირებული იყო ომის დაწყებისას. ეს თავდასხმა მოულოდნელი იყო კოალიციის ძალებისათვის, მაგრამ 30 იანვარს საუდის არაბეთის არმია, კატარის სატანკო ქვედანაყოფებისა და საერთაშორისო კოალიციის ავიაციის დახმარებით, შეეცადა ქალაქის უკან დაბრუნებას, რაც წარმატებით დასრულდა 1991 წლის 1 თებერვალს (Terrill, 2009: 73-76).

1991 წლის 24 თებერვალს დაიწყო ოპერაციის ბოლო ეტაპი – საჰაერო და სახმელეთო ოპერაცია „უდაბნოს ხმალი". 108 საათის განმავლობაში განთავისუფლდა ქუვეითი და დამყარდა კონტროლი სამხრეთ ერაყის ზოგიერთ რაიონზე. შეიქმნა ყველა პირობა, რათა აეძულებინათ ერაყის ხელმძღვანელობა კაპიტულაციაზე წასულიყო. თუმცა, ერაყის არმია უკან დახევის დროს ანადგურებდა ნავთობის ჭაბურღილებს და აფეთქებდა ნავთობსადენებს. ამის შედეგად ქუვეითმა მიიღო დიდი ზარალი – 5 მლრდ. დოლარი. კონფლიქტის ამ ეტაპზე ბრძოლის მთავარი მონაკვეთი გახდა ქუვეითი-ბასრა, რომელსაც უწოდეს „სიკვდილის გზატკეცილი," რადგანაც კოალიციის ძალებს ბრძანება ჰქონდათ მიღებული – „იპოვეთ ყველაფერი, რაც მოძრაობს და გაანადგურეთ" (Kamrava, 2005: 190).

ოპერაცია უდაბნოს ქარიშხალი

1991 წლის 27 თებერვალს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი" დასრულდა ქუვეითის სრული განთავისუფლებით. ყურის თანამშრომლობის წევრი ყველა ქვეყანა მონაწილეობდა 3 მარტის თათბირში ქ. სავაფში (ერაყის საავიაციო ბაზა), სადაც მიიღეს გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტყვეების გაცვლის თაობაზე.

1991 წლის 28 თებერვალს ერაყი იძულებული გახდა გამოეცხადებინა თანხმობა გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციების (№660, №662, №674) სრულ და უპირობო შესრულებაზე. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა სრულად არ გაანადგურეს ერაყი და არ დაამხეს სადამ ჰუსაინის რეჟიმი.[46]

1991 წლის 3 აპრილს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №687, რომლითაც აღდგა ქუვეითის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა და განისაზღვრა ერაყის კაპიტულაციის შემდეგი პირობები:

საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მასობრივი განადგურების იარაღის და 150 კმ-ზე მეტი სიშორის ბალისტიკური რაკეტების ლიკვიდაცია;

46 აშშ-ს და მისი მოკავშირეების სამხედრო ოპერაცია დაჯდა 60 მლრდ დოლარი. ის ძირითადად გადაიხადეს საუდის არაბეთმა და ქუვეითმა, იაპონიამ (10 მლრდ დოლარი), გარკვეული თანხა გაიღეს აგრეთვე გერმანიამ და სხვა ქვეყნებმა.

უარის თქმა მასობრივი განადგურების იარაღისა და 150 კმ-ზე მეტი სიშორის ბალისტიკური რაკეტების გამოყენებაზე, შექმნაზე და შეძენაზე;

ერაყი ვალდებული იყო გადაეხადა ქუვეითისათვის მატერიალური კომპენსაცია მიყენებული ზარალისათვის;

ერაყს უნდა მოეხდინა დაკავებული ქუვეითის და მესამე ქვეყნების მოქალაქეების რეპატრიაცია.

ერაყის მიერ რეზოლუციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემდეგ გაერო-ს უშიშროების საბჭოს უნდა დაესვა საკითხი მისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის თაობაზე (*Security Council Resolution* №687; Cleveland, 2009: 486).[47]

1991 წლის 2 მაისს №687 რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა კომისია ერაყ-ქუვეითის საზღვრების დემარკაციისათვის. ის შედგებოდა 5 წევრისაგან. მასში შევიდა ერაყიდან და ქუვეითიდან თითო წარმომადგენელი და დანარჩენი სამი დამოუკიდებელი წევრი დაინიშნა გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ (ერთი მათგანი იყო თავმჯდომარე). მათი ძირითადი ფუნქცია იყო ტექნიკური და არა პოლიტიკური. კომისიას ჰქონდა 82 შეხვედრა 1991-1993 წლებში, ვიდრე ის დაასრულებდა თავის სამუშაოს. 1993 წლის 27 მაისს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №833, რომელიც ამტკიცებდა ერაყ-ქუვეითის საზღვრების დემარკაციის კომისიის მუშაობის შედეგებს – საზღვრების დემარკაცია მოხდა ძირითადად 1963 წელს ორ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე. ქუვეითმა ოფიციალურად სცნო კომისიის დასკვნები. მან დაკარგა მცირე ტერიტორიები საზღვრების ჩრდილოეთ მონაკვეთზე – საფვანის, სანამის და უმმ-კასრის რაიონში და გამოხატა უკმაყოფილება საზღვაო საზღვრის ხორ-ზუბეირის რაიონში გავლებასთან დაკავშირებით და ქუვეითის უფლებების შელახვის გამო ხორ-აბდულას რაიონში, სადაც კომისიამ ერაყს ნაოსნობის ნება დართო. ერაყმა ვერ მიიღო დამატებითი გასასვლელი სპარსეთის ყურეში და კუნძულები – ვარბა და ბუბიანი. ჩრდილოეთ რუმაილაში ნავთობის საბადოს საკამათო ნაწილი გადავიდა ქუვეითის საკუთრებაში (Tripp, 2007: 260).

1991 წლის 20 მაისს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საკომპენსაციო ფონდის შექმნის თაობაზე ქუვეითისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით. 1991 წლის 14 აგვისტოს რეზოლუცია ავალდებულებდა ერაყს ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების 30% ჩაერიცხა ამ ფონდში.[48] გაერო-ს უშიშროების საბჭოს №687 რეზოლუციის მთავარი მიზანი იყო რეგიონის პრობლემების გადაწყვეტა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უნდა გამორიცხულიყო ერაყის ურთიერთობა და თანამშრომლობა საერთაშორისო ტერორიზმთან. ამასთან დაკავშირებით რეზოლუცია ითვალისწინებდა „სპეციალური კომისიის ჩამოყალიბებას," რომელსაც უნდა მოეძია ერაყში ბიოლოგიური, ქიმიური და სარაკეტო წარმოების სავარაუდო ადგილები. ერაყის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის მოსაძიებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.[49]

ერაყ-ქუვეითის დაძაბული ურთიერთობა შენარჩუნდა ომის შემდეგ პერიოდშიც. 1994 წლის ოქტომბერში სპარსეთის ყურის ზონაში წარმოიშვა ახალი კრიზისი, რაც გამოიწვია ერაყის რესპუბლიკური გვარდიის 2 სატანკო დივიზიის გადაადგილებამ ქუვეითის საზღვრების მიმართულებით. ბაღდადში განაცხადეს, რომ ეს ჩვეულებრივი სამხედრო წვრთნები იყო. მაგრამ აშშ-მა დაიწყო სპარსეთის ყურის ზონაში სახმელეთო არმიის, საზღვაო ძალების, შეიარაღებული ძალების გადასროლა. შედეგად ერაყმა გაიყვანა არმია ჩრდილოეთში და დათანხმდა დადებითად გადაეწყვიტა ქუვეითის საზღვრებისა და სუვერენიტეტის ცნობის საკითხი, რაც გააკეთა 1994 წლის 10 ნოემბერს. თავის მხრივ, ქუვეითს არ სურდა ბაღდადთან ურთიერთობის ნორმალიზაცია გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების ყველა მოთხოვნის სრულად შესრულებამდე. რჩებოდა უთანხმოებები საზღვრების დემარკაციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რაიონში, რომელიც უერთდება სპარსეთის

47 ეს სანქციები ერაყს მოეხსნა მხოლოდ 2010 წლის 15 დეკემბრის გაერო-ს უშიშროების საბჭოს N1958 რეზოლუციის საფუძველზე

48 თავის მხრივ, გაერო-ს კომიტეტმა, 1991 წლის 6 აგვისტოს რეზოლუციის საფუძველზე ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, თუ რა სახის საქონელი უნდა შეეძინა ერაყს ამ გამოყოფილი თანხიდან და რა – არა.

49 1994 მარტისათვის განხორციელდა ერაყის ყველა ბირთვული დანადგარის დემონტაჟი. მომწოდებელ ქვეყნებს, მათ შორის რუსეთს, უკან დაუბრუნდათ შეტანილი ბირთვული მასალები. 1998 წლის მეორე ნახევარში, ერაყმა შეწყვიტა თანამშრომლობა სპეციალურ კომიტეტთან, რის შემდეგაც კომიტეტის საქმიანობა ერაყში შეწყდა. 1998 წლის დეკემბერს, გაერო-ს უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა ახალი კომისიის შექმნა, რომელიც გააგრძელებდა სამუშაოებს ერაყის განსაიარაღებლად. ერაყის ხელისუფლება უარს აცხადებდა დამკვირვებლების ქვეყანაში შეშვებაზე.

ყურის საზღვაო სანაპიროს. ორივე მხარე თვლიდა, რომ გაერო-ს კომისიამ სრულად არ გაითვალისწინა მათი უფლებები გარკვეულ ტერიტორიებზე.

ამ ომის შემდეგ ქუვეითმა ერაყის საზღვართან (242 კმ) ააგო თავდაცვითი ნაგებობების კომპლექსი: ტანკსაწინააღმდეგო თხრილი სიღრმით 3 მ და სიგანით 5 მ, მიწაყრილი 4 მ სიმაღლის, შეტყობინების სისტემა საზღვრის დარღვევის შესახებ – „ელექტრონული ღობე“ და მავთულხლართი ელექტრონული გამტარობით. პოსტსადამურ ერაყსა და ქუვეითს შორის ურთიერთობა დარეგულირდა, თუმცა ჯერჯერობით არ არის საუბარი თავდაცვითი ნაგებობების დემონტაჟზე.

ერაყის კრიზისის შედეგები დღემდე არ არის ლიკვიდირებული: ქუვეითს მრავალი პრეტენზია აქვს ერაყისადმი. ეს ეხება აგრეთვე დაუბრუნებელ ქონებას და ოკუპაციის 7 თვის განმავლობაში მიყენებული ზარალისათვის გადაუხდელ კომპენსაციას. ქუვეითი კვლავ იღებს ერაყისაგან ყოველწლიურად ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების 5%-ს – დაახლ. 800 მლნ. დოლარს წელიწადში გაერო-ს გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცდა სადამ ჰუსაინის რეჟიმის დამხობის შემდეგ. ქუვეითი მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს ერაყს, მაგრამ უარს არ ამბობს ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

ერაყის 2003 წლის ომი

ერაყის კრიზისის ახალი ფაზა დაიწყო 2002 წლის 8 ნოემბერს, როდესაც გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო №1441 რეზოლუცია, რომლის შეთანხმებაც მიმდინარეობდა ორი კვირის განმავლობაში. უშიშროების საბჭო ერაყის მთავრობისაგან მოითხოვდა თანამშრომლობას „გაერო-ს დაკვირვების, კონტროლისა და ინსპექციის კომისიის“ ინსპექტორებთან და ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოსთან. მათ უნდა შეემოწმებინათ ყველა ის ობიექტი, სადაც არსებობდა ეჭვი, რომ ინახებოდა ან მზადდებოდა მასობრივი განადგურების იარაღი. გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის განცხადებით, „№1441 რეზოლუციაში ნათლად არის აღნიშნული, რომ მოთხოვნები უნდა შესრულდეს. იმ შემთხვევაში, თუ ერაყი გააგრძელებს გამომწვევ ქცევას გაერო-ს მიმართ, უშიშროების საბჭო იძულებული იქნება დადგეს თავისი ვალდებულებების დაცვის სადარაჯოზე.“ მიღებული რეზოლუციის თანახმად, ერაყს უნდა უზრუნველეყო საერთაშორისო ინსპექტორების შეუფერხებელი დაშვება ყველა ობიექტზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, პრეზიდენტის სასახლის ჩათვლით. მიღებული დოკუმენტის მიხედვით, თუ ერაყი არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას, უნდა შეკრებილიყო გაერო-ს უშიშროების საბჭო შექმნილი ვითარების განსახილველად, ძალის გამოყენება კი შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ უშიშროების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. რაც შეეხება ერაყს, მას უნდა მოეწონებინა რეზოლუციის ტექსტი გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში, რადგანაც საერთაშორისო ინსპექტორებს მუშაობა უნდა დაეწყოთ 2003 წლის 23 დეკემბრამდე (*Security Council Resolutions* №1441, November 8, 2002: 3, 5).

აშშ-მა ასევე დაადანაშაულა ერაყი საერთაშორისო ტერორიზმთან თანამშრომლობაში (უპირველეს ყოვლისა ალ-კაიდასთან), რაც გახდა მთავარი მიზეზი ერაყში სადამ ჰუსაინის რეჟიმის დამხობისა და პროამერიკული რეჟიმის დამყარების გასამართლებლად.[50]

გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განხორციელებას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები შეხვდა. ერაყი არ იყო მზად ეთანამშრომლა საერთაშორისო საზოგადოებასთან. მხოლოდ უშიშროების საბჭოს წევრების, არაბული ქვეყნების ზეწოლამ და სამხედრო მოქმედებების დაწყების მუქარამ აიძულა ერაყი დათანხმებოდა გაერო-ს ინსპექტორებთან თანამშრომლობაზე. თუმცა, ინსპექტორებმა ვერ შეასრულეს სამუშაო სრული მოცულობით, რის გამოც მათ რჩებოდათ ეჭვი, რომ ერაყი მუშაობდა ატომური იარაღის შექმნაზე, მაგრამ ზუსტი მონაცემები მათ არ ჰქონდათ. ამ პირობებში გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს წარედგინა განსახილველად ორი დოკუმენტი ერაყთან მიმართებაში.

ერთი დოკუმენტი იყო აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მიერ მომზადებული გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია. მასში ხაზგასმული იყო, რომ №1441 რეზოლუცია წარმოადგენდა უკანასკნელ საშუალებას ერაყის განსაიარაღებლად. რამდენადაც ერაყმა არ გამოიყენა ეს საშუ-

50 ამ კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოადგინა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა 2003 წლის 5 თებერვალს, გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე. თავის სიტყვაში მან აღნიშნა: „ამჟამად, ერაყმა თავის ტერიტორიაზე შეიფარა უკიდურესად საშიში ტერორისტული ქსელი ბინ ლადინის მეგობრისა და თანამებრძოლის აბუ მუსაბ აზ-ზარკავის მეთაურობით“ (Colin Powell, 2003:13).

ალება, მის მიმართ უნდა შეემუშავებინათ სხვა ზომები, მათ შორის თუ კი ვითარება მოითხოვდა, განხორციელებულიყო სამხედრო ქმედებანი ერაყის წინააღმდეგ.[51]

აშშ-სა და მისი მოკავშირეების მოსაზრების საწინააღმდეგოდ გამოქვეყნდა საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის მიერ მომზადებული მემორანდუმი. ეს დოკუმენტი მიმართული იყო მშვიდობიანი შეთანხმების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ინსპექციას უნდა ჰქონოდა საკმარისი დრო და რესურსები. განიარაღებისათვის უნდა მიეღწიათ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით, სამხედრო ვარიანტი კი უნდა განხილულიყო უკიდურეს საშუალებად.

პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ არც ერთი დოკუმენტი არ გამორიცხავდა სამხედრო ძალის გამოყენებას. საერთო კი ამ ორივე დოკუმენტისათვის იყო ის, რომ ორივე მოითხოვდა ერაყის განიარაღებას.

არაბული ქვეყნების ლიგის პოზიცია მკვეთრად დაფიქსირდა 2003 წლის მარტს, შარმ აშ-შაიხში გამართულ სხდომაზე, სადაც ლიგის წევრებმა მხარი დაუჭირეს არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტის, შეიხ ზაიედ ბინ სულტან ალ ნაჰიანის ინიციატივას. ამ ინიციატივით ერაყის კრიზისთან დაკავშირებულ მოვლენათა განვითარება საფრთხეს უქმნიდა როგორც საკუთრივ არაბულ სახელმწიფოთა ლიგას, ასევე მთელ მსოფლიოს. ინიციატივა მოუწოდებდა არაბული ქვეყნების მმართველებს მოენახათ გამოსავალი ამ რთული და საშიში კრიზისიდან, შეენარჩუნებინათ ერაყის ტერიტორიული მთლიანობა, თავიდან აეცილებინათ მოსახლეობის ხოცვა, სისხლისღვრა და მსხვერპლი. ყოველივე ამის შესასრულებლად შეიხი ზაიდი სთავაზობდა: პირველ რიგში, ერაყის მთავრობას უარი ეთქვა ხელისუფლებაზე და დაეტოვებინა ერაყი, ამავდროულად მათ მიეცემოდათ იურიდიული გარანტიები (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო) ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით. მისი წინადადებით, უნდა გამოცხადებულიყო ამნისტია ერაყში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა ერაყელზე. და ბოლოს, არაბულ სახელმწიფოთა ლიგას, გაერო-ს გენერალურ მდივანთან თანამშრომლობით, პასუხისმგებლობა უნდა აეღო ერაყში გარდამავალი პერიოდის დროს არსებულ ვითარებაზე, რომლის დროსაც უნდა გატარებულიყო ქმედითი ზომები „ერაყში, მოძმე ერაყელი ხალხისთვის ნორმალური და ბუნებრივი მდგომარეობის დასაბრუნებლად."

ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრი ქვეყნების პოზიცია არ იყო იდენტური, მაგრამ ყველა თვლიდა, რომ შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ერაყის ტერიტორიული მთლიანობა და ერაყის მთავრობას საკუთარი ნებით უნდა ეთქვა უარი ხელისუფლებაზე, რათა თავიდან აეცილებინა ომი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. უნდა აღინიშნოს, არც არაბულ სახელმწიფოთა ლიგა და არც ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო უშუალოდ არ ადანაშაულებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს[52] (Dawisha, 2009: 242-244).

---

51 US, UK and Spain draft UN Security Council resolution on Iraq (25/02/03). *Foreign and Commonwealth Office News.*

52 ქუვეითმა სრულად დაუჭირა მხარი სამხედრო აქციას და აღმოუჩინა დახმარება აშშ-ს. მისი ტერიტორია გამოყენებულ იქნა ანტიერაყული კოალიციის მიერ (შეჭრა განხორციელდა მისი ტერი-ტორიიდან) და ასევე კოალიციის ძალებს ამარაგებდა კვების პროდუქტებით, საწვავით, უზრუნველყოფდა საყოფაცხოვრებო მომსახურებით. კატარის ტერიტორიაზეც განლაგდა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც მონაწილეობდნენ სამხედრო აქციაში ერაყის წინააღმდეგ. თუმცა კატარის არმიამ თავი შეიკავა ამ აქციაში მონაწილეობისაგან; ბაჰრაინი არ გეგმავდა ერაყის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობას, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობამ გამოთქვა მზადყოფნა გაეგზავნა თავისი არმია ერაყში მშვიდობის მხარდასაჭერად მას შემდეგ, რაც იქ დასრულდებოდა სამხედრო მოქმედებები; ომანმა დაიკავა ნეიტრალური პოზიცია, უარი თქვა რაიმე აქტიურ მოქმედებაზე არც კრიზისის ადრეულ ეტაპზე და არც მისი განვითარების სამხედრო სტადიაზე. ყველაზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა საუდის არაბეთი, თავისი წამყვანი როლიდან გამომდინარე არაბულ და მუსლიმურ სამყაროში. საუდის არაბეთის ხელმძღვანელობის განცხადებით, „ერაყი უნდა იყოს ერთიანი, თავისუფალი და დამოუკიდებელი - ეს არის ის პრინციპი, რომელიც არ უნდა შეირყეს რაიმე განხილვით ან ეჭვქვეშ უნდა დადგეს." ამასთან, მეფე ფაჰდმა და პრინცმა აბდულაჰ ბინ აბდულაზიზმა ხაზი გაუსვა შემდეგ ფაქტორებს: 1. საუდის არაბეთი არ მიიღებს მონაწილეობას ომში და მისი შეიარაღებული ძალები არ შევლენ ერაყის ტერიტორიაზე; 2. ომი უნდა დამთავრდეს N1441 რეზოლუციის შესრულების შემდეგ, რაც ითვალისიწინებს მასობრივი განადგურების იარაღის მოსპობას; 3. 12 წელზე მეტი ხნის მანძილზე მიმდინარე კრიზისი შეიძლება სრულიად მოულოდნელი მიმარ-თულებით განვითარდეს და ამ შემთხვევაში სამეფო იტოვებს უფლებას შეცვალოს თავისი პოზიცია.

2003 წლის ამერიკის სამხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ გამოწვეული იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორებით: პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსის) მიერ აშშ-ის გლობალური როლის სტრატეგიული ხედვა; ერაყის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა – მისი მდებარეობისა და ნავთობის რესურსების გათვალისწინებით (Kamrava, 2005: 207).

აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის ჯარების კოალიციურმა ძალებმა 20 მარტს ერაყში დაიწყეს სამხედრო ოპერაცია. ამდენად, კრიზისი შევიდა გადამწყვეტ ფაზაში.

სამხედრო მოქმედებების გეგმა შემუშავდა ამერიკული სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ და ხორციელდებოდა ამერიკელ ოფიცერთა ბრძანებით. მისი ლეგიტიმაციაზე კი საკუთრივ ამერიკის ხელისუფლებამ იზრუნა. ის ეფუძნებოდა რესპუბლიკელთა ადმინისტრაციის კონცეპტუალურ ხედვას უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებით. ყოველივე ეს კი ასახული იყო ფუძემდებლურ დოკუმენტში სახელწოდებით „ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“ (ის დაამტკიცა 2002 წელს აშშ-ის კონგრესმა). ამ დოკუმენტის პრეამბულაში შეტანილია ამონარიდი აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამოსვლიდან 2002 წლის სექტემბერში. მისი დედაარსია ის, რომ XX საუკუნის უდიდესი წინააღმდეგობები თავისუფლებასა და ტოტალიტარიზმს შორის დასრულდა თავისუფლების გამარჯვებით, რადგან ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი მოდელი ნაციონალური წარმატების მისაღწევად სწორედ თავისუფლება და დემოკრატიაა. აშშ-ს დღეს უკავია შეუდარებელი ადგილი მსოფლიოში, გამომდინარე იქიდან, რომ ფლობს უზარმაზარ სამხედრო ძალას, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბერკეტებს. ამგვარად, აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა აშშ-ის ლიდერობას მსოფლიოში, რაც გულისხმობდა გლობალური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებას. ამით ცხადია, კნინდებოდა გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს როლი, რომელიც სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტი უნდა იყოს როგორც გლობალურ ასევე რეგიონალურ სივრცეში (Dawisha, 2009: 246-248; *The National Security Strategy*, 2002. http://georgewbush-whitehouse.archives.gov /nsc/nss/ 2002).

ზემოხსენებული დოკუმენტის ტექსტი ადასტურებდა აგრეთვე, რომ ერაყი შემთხვევით არ იქნა არჩეული აშშ-ს მიერ სამხედრო აქციის მთავარ სამიზნედ. ამ დოკუმენტში მოცემულია „ბოროტების ღერძის ქვეყნების“ დახასიათება – სახელმწიფოები, რომლებიც გამოირჩევიან სისასტიკით საკუთარი მოქალაქეების მიმართ და სადაც ეროვნული რესურსების გამოყენება ხდება მმართველების პირადი დაინტერესების საფუძველზე (სადამ ჰუსაინის სასახლეები ადასტურებდა ამას); ამ ქვეყნებში იგნორირებულია საერთაშორისო სამართლის ნორმები, ისინი ემუქრებიან მეზობლებს, უხეშად არღვევენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებსაც ისინი შეუერთდნენ; მიისწრაფიან, რომ ფლობდნენ მასობრივი განადგურების იარაღს და სხვა სამხედრო ტექნოლოგიებს, რათა გამოიყენონ ისინი, როგორც მუქარა ან საშუალება აგრესიული მოქმედებებისათვის. ამასთან, „ბოროტების ღერძის ქვეყნების“ დახასიათებისას, ზოგიერთი ქვეყნის მიმართ წაყენებული იყო ბრალდება, რომ ისინი მხარს უჭერენ გლობალურ ტერორიზმს, უარს ამბობენ ჰუმანიზმის საბაზო პრინციპებზე, სძულთ აშშ და ყველაფერი, რასაც ის მხარს უჭერს (*The National Security Strategy*, 2002).

2003 წლის 17 მარტს, საღამოს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, 15-წუთიანი სიტყვით მიმართა ამე-
რიკელებს, რომელშიც სადამ ჰუსაინის მიმართ წაყენებული იყო ულტიმატუმი: სადამ ჰუსაინს, თავის შვილებთან ერთად, 24 საათის განმავლობაში უნდა დაეტოვებინა ერაყი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აშშ თავის მოკავშირეებთან ერთად დაიწყებდა საომარ ოპერაციებს ბაღდადის წინააღმდეგ.[53] ამერიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რადგან „გაერო-ს უშიშროების საბჭომ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, ჩვენ შევასრულებთ ჩვენს ვალდებულებას“. აშშ-ის ვალდებულებებში კი იგულისხმებოდა, როგორც ჩანს, ერაყის განიარაღება და მასობრივი განაგურების იარაღის დამზადებისა და შენახვის სავარაუდო ობიექტების მოძიება და განადგურება.

ჯორჯ ბუშის მიმართვაში, ასეთი მკვეთრი ულტიმატუმის პარალელურად, ასევე გაცხადდა რომ საომარო მოქმედებების შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატები არავითარ შემთხვევაში არ მოიქცეოდა, ერაყის ტერიტორიაზე უკანონოდ შეჭრილი დამპყრობლების მსგავსად. „აზრი არ აქვს შეებრძოლო აგონიაში მყოფ რეჟიმს, რომელიც არ ღირს თქვენს ფასად! საომარი ქმედებების შემთხვევაში, ერაყის მშვიდობიან მოსახლეობას არ მიადგება ზარალი. პირიქით, ჩვენ მივაწოდებთ მათ სურსათს,

53 „მათი უარი გამოიწვევს შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელიც დაიწყება მაშინ, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ ამას საჭიროდ“ – ჯორჯ ბუში.

მედიკამენტებს და გავუწევთ სხვა სახის საჭირო დახმარებას. ჩვენი საომარი კამპანია მიმართული იქნება არა მათ წინააღმდეგ, არამედერაყის უკანონო მმართველების წინააღმდეგ."

სადამ ჰუსაინის ძეგლის დამხობა

ამგვარად, შეერთებული შტატების მმართველმა წრემ ერთგვარად განმათავისუფლებელი ფუნქცია აიღო საკუთარ თავზე, მისია კი მათი რწმენით, იყო „მსოფლიო ბოროტებასთან ბრძოლა." ამ მხრივ, აღსანიშნავია, ჯორჯ ბუშის გამოსვლა აშშ-ის კონგრესში, 2003 წლის, 28 იანვარს: „ჩვენ ვიღვწვით მშვიდობისთვის. ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისთვის. თუმცა ხანდახან მშვიდობას სჭირდება შენარჩუნება და დაცვა" (*al-shark al-awsat*, 29.01.03). **ამდენად, მათი ქმედებები მათივე მოსაზრებით გამართლებული იყო,** რადგან კეთილ განზრახვებს ემყარებოდა. ხოლო რაც შეეხებოდა მსოფლიო საზოგადოებას, აშშ-ის ადმინისტრაციის აზრით, ისინი ვერ აღიქვამდნენ რეალურ საფრთხეს, რომელიც მომდინარეობდა სადამ ჰუსაინის რეჟიმიდან.

აშშ-ის ხელმძღვანელობა ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ხსნიდა ახლო აღმოსავლეთში ვითარების სტაბილიზაციის აუცილებლობით. აშშ-ის ოფიციალური პირებისა და ექსპერტების განცხადებების მიმოხილვა საშუალებას იძლევა გამოიყოს შემდეგი ფაქტორები:

1. ერაყმა დაარღვია გაერო-ს №16 რეზოლუცია და მის იგნონირებას ახდენდა 12 წელი; 2. ერაყი აწარმოებს მასობრივი განადგურების იარაღს და მისი დახმარებით აპირებს აშშ-ზე თავდასხმას; 3. რუსეთი და საფრანგეთი ეწინააღმდეგებიან ომს ერაყში იმის გამო, რომ იაფად ყიდულობენ ერაყის ნავთობს და არ სურთ დაკარგონ შემოსავლების წყარო; **4. რუსეთის და საფრანგეთი ეწინააღმდეგებიან** ერაყში ომს იმის გამო, რომ მიჰყიდეს ერაყს დიდი რაოდენობით იარაღი; 5. ერაყელები ომის შემდეგ გაცილებით უკეთესად იცხოვრებენ, რადგანაც აღარ იქნება დიქტატორი სადამ ჰუსაინი და ყველა ერაყელი ისარგებლებს ნავთობიდან მიღებული შემოსავლებით, რასაც ამჟამად სადამ ჰუსაინი ითვისებს; **6. აშშ-სთვის აბსოლუტურად არახელსაყრელია ომი, რადგანაც შემოსავლები ნავთობიდან** უფრო ნაკლებია, ვიდრე დანახარჯები ომის წარმოებაზე. აშშ იბრძვის ალტრუისტული მოსაზრებებით; 7. აშშ იყენებს თანამედროვე იარაღს, რაც მინიმუმამდე დაიყვანს მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობაში; 8. აშშ-ს არ სურს ომი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის; 9. გაერო არასათანადოდ ეფექტურია, რათა უზრუნველყოს საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესრულება. ამიტომ ვინმემ უნდა შეასრულოს „მსოფლიო პოლიციელის" როლი; **10. ერაყის არ თანამშრომლობს გაერო-ს ინ**სპექტორებთან, არ უშვებს მათ მნიშვნელოვან ობიექტებზე და 1998 წელს ისინი ქვეყნიდან გააძევა;

11. ერაყი არღვევს ზონებს, რომლებიც აკრძალულია ერაყის საბრძოლო ავიაციის ფრენისათვის; 12. ერაყის მხარს უჭერს ტერორისტებს და აფინანსებს მათ; **13. ერაყი საფრთხეს წარმოადგენს მეზობელი ქვეყნებისათვის.**

ჯორჯ ბუშის ულტიმატუმზე, ერაყის ხელისუფლების რეაქციამ არ დააყოვნა და 2003 წლის, 18 მარტს, სამშაბათს, ბაღდადმა ოფიციალურად და კატეგორიულად უარყო აშშ-ის მოთხოვნა და განაცხადა: „სადამ ჰუსაინი და მისი შვილები საკუთარი ნებით არ გადადგებიან და არ დატოვებენ ერაყის საზღვრებს." გარდა ამისა, ერაყის პრეზიდენტის უფროსმა შვილმა უდეიმ, ულტიმატუმის პასუხად შტატების პრეზიდენტს შესთავაზა თავად დაეტოვებინა თანამდებობა. ოფიციალური ბაღდადის განცხადებით, „ერაყი არ ირჩევს თავის გზას უცხოელების ბრძანების მიხედვით, და არ ცვლის თავის ლიდერს ვაშინგტონის, ლონდონის ან თელ ავივის მითითებით, არამედ ემორჩილება მხოლოდ უდიდესი ერაყელი ხალხის ნებასა და სურვილს."

2003 წლის, 19 მარტს, ნიუ იორკში, გაერო-ში ერაყის წარმომადგენელმა მუჰამად ად-დურიმ განაცხადა, რომ აშშ-ის თავდასხმა ერაყზე, იქნება „გენოციდის აქტი და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ." ერაყელმა დიპლომატმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-ის საომარ ოპერაციას ერაყში გამართლება „არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს," იმდენად რამდენადაც, „ეს ჩვეულებრივი აგრესიაა და აშშ ბედავს ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგანაც გრძნობს თავის სრულ დაუსჯელობას. ერაყი ყოველმხრივ თანამშრომლობს გაერო-სთან და არ არსებობს თავდასხმის მიზეზი."

ამავდროულად, ბაღდადში შეიკრიბა ერაყის ნაციონალური ანსამბლეა, რომელმაც განიხილა აშშ-ის მიერ წაყენებული ულტიმატუმი სადამ ჰუსაინის მიმართ. ნაციონალური ასამბლეის თავმჯდომარემ, საადუნ ჰამადიმ ერაყის პრეზიდენტს უწოდა „თითოეული ერაყელის ლიდერი და არაბული იდეალებისა და მათ შორის პალესტინელების დამცველი." ნაციონალური ასამბლეის ამ სესიაზე, განხილვის მთავარი საგანი გახდა ერაყის საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბება ულტიმატუმთან დაკავშირებით, ასევე განიხილეს ერაყის ხელმძღვანელობის მოქმედება ომის დაწყების შემთხვევაში.

პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა ერაყში საომარი მოქმედებების დაწყების ბრძანება გასცა 2003 წლის **19 მარტს. საექსპედიციო ძალებს მეთაურობდა გენერალი თომას ფრენქსი. ოფიციალურმა ვაშინგტონ**მა ერაყში საომარ ოპერაციას უწოდა „შოკი და თრთოლა," თუმცა, მოგვიანებით სამხედრო ოპერაციამ მიიღო სახელწოდება „ერაყის თავისუფლება." რაც შეეხება, ოფიციალურ ბაღდადს, მან ომს „გადამწყვეტი ომის" („*ჰარბ ალ-ჰავასიმ*") სახელწოდება მისცა.

2003 წლის, 20 მარტს, ადგილობრივი დროით 05:33 სთ-ზე, გამთენიისას, ბაღდადში პირველი აფეთქებების ხმა გაისმა. 45 წუთის შემდეგ, ჯორჯ ბუშმა, პირდაპირ ეთერში, განაცხადა, რომ მისი ბრძანებით, კოალიციურმა ჯარებმა (აშშ, დიდი ბრიტანეთი და ავსტრალია) გადალახეს ერაყის საზღვარი.

ჯორჯ ბუშის გამოსვლა 2003 წლის 20 მარტს:

„ძვირფასო თანამოქალაქენო! ამ მომენტში ამერიკელებმა და მათმა მოკავშირეებმა დაიწყეს ოპერაცია ერაყის განიარაღებისათვის, რათა გაათავისუფლონ მისი ხალხი და დაიცვან სამყარო სერიოზული საფრთხისაგან. ჩემი ბრძანებით, კოალიციის ჯარებმა დაიწყეს დარტყმების მიყენება სამხედრო დანიშნულების ობიექტებზე, რათა შეასუსტონ სადამ ჰუსაინის შესაძლებლობები აწარმოოს ომი. ეს მხოლოდ დასაწყისია ფართო და ძლიერი კამპანიისა. **35 სახელმწიფოზე მეტი გვიწევს მნიშვნე**ლოვან დახმარებას – სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებიდან დაზვერვის მონაცემებამდე, ტექნიკური დახმარებიდან – სამხედრო ძალებამდე. ჩვენს კოალიციაში თითოეული სახელმწიფო დაადგა ამ გზას პასუხისმგებლობის გრძნობის გამო, რათა ჩვენთან ერთად ემსახუროს საერთო თავდაცვის საქმეს. მე მივმართავ ყველა მამაკაცს და ქალს ამერიკულ არმიაში, რომლებიც ახლა არიან ახლო აღმოსავლეთში. თქვენზეა დამოკიდებული მშვიდობა, თქვენზეა დამყარებული ტანჯული ხალხის იმედი! ეს იმედები არ იქნება ამაო. მტერი, რომელსაც თქვენ ებრძვით, მალე მიხვდება, რამდენად მამაცები და ძლიერები ხართ. ხალხი, რომელსაც თქვენ გაათავისუფლებთ, გაიცნობს ამერიკული არმიის კეთილშობილურ და ღირსეულ სახეს.

ამ კონფლიქტში ამერიკა დაუპირისპირდა მტერს, რომელიც არ იცავს ომის წარმოების წესებს და მორალის ნორმებს. სადამ ჰუსაინმა განალაგა არმია და იარაღი საცხოვრებელ რაიონებში, ცდილობს ამოეფაროს უდანაშაულო მამაკაცებს, ქალებს და ბავშვებს, როგორც ცოცხალ ფარს. ეს არის უკიდურესი სისასტიკე საკუთარ ხალხთან მიმართებაში.

აშშ-ის ხალხი, ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები არ შეიწყალებენ უკანონო რეჟიმს, რომელიც სამყაროს ემუქრება მასობრივი განადგურების იარაღით. ჩვენ მოვსპობთ ამ საფრთხეს ჩვენი არმიის, კოალიციის ძალებით და არა სახანძროს ძალებით და ექიმების საშუალებით ჩვენი ქალაქების ქუჩებში.

მე მსურს, რომ ამერიკელებმა და მთელმა სამყარომ იცოდეს, რომ მოკავშირეთა ძალები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ზიანი არ მიაყენონ უდანაშაულო ადამიანებს. კამპანია რთულ ტერიტორიაზე, რომელიც სიდიდით კალიფორნიას შეედრება, შეიძლება აღმოჩნდეს უფრო რთული, ვიდრე ადრე იყო ნავარაუდევი. და ჩვენ ვრჩებით ერთგული ჩვენი მიზნის – ჩვენ დავეხმარებით ერაყელებს რათა მივაღწიოთ ერთიანი, სტაბილური და თავისუფალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

მე ვიცი, რომ ჩვენი სამხედროების ოჯახები ილოცებენ იმისათვის, რომ ისინი დაბრუნდნენ ჯანმრთელნი და უვნებელნი. მილიონი ამერიკელი ილოცებს ჩვენთან ერთად, მაგრამ სამხედროები დაბრუნდებიან, როცა მისია შესრულდება.

ჩვენი ქვეყანა ჩაება ამ კონფლიქტში თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, თუმცა ჩვენი მიზნები ნათელია. ახლა, როცა კონფლიქტი დაიწყო, ერთადერთი გზა მისი საბოლოო დასრულებისათვის არის ძალის გამოყენება. მე გარწმუნებთ თქვენ, რომ ეს კამპანია არ შემოიფარგლება სანახევრო ღონისძიებებით – ჩვენ გვჭირდება მხოლოდ გამარჯვება.

ძვირფასო თანამოქალაქენო! საშიშროება, რომლის წინაშეც დადგა ქვეყანა, დაიძლევა. ჩვენ გადავლახავთ ამას და მივაღწევთ მშვიდობას. ჩვენ დავიცავთ თავისუფლებას და თავისუფლებას მოვუტანთ სხვებსაც და ჩვენ გავიმარჯვებთ.

დაე, ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქვეყანა და ისინი, ვინც მას იცავს!" (ციტ. Diamond, 2006: 16-17).

ერაყის ტერიტორიაზე შეჭრა დაიწყო ბაღდადის, ბასრის, ქირქუკის მასიური დაბომბვითა და შტურმით. გეგმით ასევე გათვალისწინებული იყო სამხედრო ინფრასტრუქტურის მოშლა. სამხედრო ძალების პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობა **173,218-ს უტოლდებოდა (აქედან აშშ-ის ძალები** – 150,815 და კოალიციის – 22,402) (Tripp, 2007: 275).

პირველი იერიშების განხორციელებამდე რამდენიმე კვირით ადრე, სადამ ჰუსაინის ბრძანებით, ერაყის ტერიტორია დაიყო ოთხ სამხედრო ოლქად: სამხრეთის (მოსულისა და ქირქუკის რაიონი); ჩრდილოეთის, რომლის შტაბიც ბასრაში იყო; ევფრატის, რომელსაც უნდა მოეგერიებინა ამერიკის ძირითადი შეტევები და ბაღდადის, რომელსაც იცავდა პრეზიდენტის გვარდია.

აღსანიშნავია ერთი ნიუანსი – ერაყში სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგ, პენტაგონის ექსპერტების განცხადებით, ერაყს შესყიდული ჰქონდა ორიგინალების ზომის ტანკების მაკეტები და სპეციალური ბუქსირების სისტემა, რითაც ახდენდნენ ტანკების მოქმედებების იმიტაციას.[54]

2003 წლის 20 მარტს, სადამ ჰუსაინმა „ალ-ჯაზირას" ეთერით მიმართა თავის მომხრეებს. ერაყის პრეზიდენტმა, თავის გამოსვლაში განაცხადა: „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა! ის, ვინც დაჩაგრულია, უფლება აქვს იბრძოლოს და ალაჰი გვიბოძებს ჩვენ გამარჯვებას! ...ამერიკის თავდასხმა, ეს არის დანაშაული ერაყისა და მთელი მსოფლიოს წინაშე. ...აიღეთ ხელში ხმალი და შეებრძოლეთ მტერს!... სამართლიანობა გაიმარჯვებს ამქვეყნად. გაუმარჯოს ერაყს, გაუმარჯოს ჯიჰადს და გაუმარჯოს პალესტინას! ალაჰი ყოვლისშემძლეა!" (*al-shark al-awsat*, 20.03.03).

ამერიკის შეერთებული შტატების მესამე ქვეითი დივიზია, დასავლეთით და შემდეგ, უდაბნოს გავლით, ბაღდადისაკენ მიემართებოდა. იმავდროულად საზღვაო ქვეითის პირველი საექსპედიციო კორპუსი ქვეყნის ცენტრის გავლით გადაადგილდებოდა სამხრეთ-დასავლეთით, ბასრა-ბაღდადის ავტომაგისტრალზე. 22 მარტს კი ბრიტანულმა ნაწილებმა აიღეს ბასრასთან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული ნავთობის საბადოები. აშშ-ს პირველი დივიზია მიიწევდა ქ. ნასირიისაკენ.[55] ნასირიასთან ახლოს მდებარეობდა სამხედრო აეროდრომი თალილი. ამერიკის შეერთებული შტატების მესამე ქვეითმა დივიზიამ გატეხა აეროდრომის დამცველი არმიის წინააღმდეგობა. ქალაქი პრაქტიკულად ალყაში იყო, ამდენად, **23 მარტს, საზღვაო ქვეითმა ნაწილმა და სპეციალური დანიშნულების რაზმებმა** დაიწყეს ქალაქის შტურმი. კოალიციურ ძალებს, თალილის აეროდრომის საშუალებით შეეძლოთ ოპერატიულად შეევსოთ ძალები.

კოალიციის ძალებს წინააღმდეგობას უწევდნენ: **1. სადამ ჰუსაინის მომხრეები (ბაასის პარტიის აქ**ტივისტები, „სადამის ფიდაინები," სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლები, რესპუბლიკური გვარდიისა და ყოფილი რეჟიმის სხვა ელიტარული შეიარაღებული ფორმირებების სამხედრო მოსამსახუ-

54 მსგავსი ხერხი გამოყენებულ იქნა სერბეთისა და კოსოვოს დაბომბვის დროსაც

55 ნასირია ძირითადად შიიტებით იყო დასახლებული და წარმოადგენდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქს ერაყის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

რეები; 2. ადგილობრივი მუსლიმური მოსახლეობის რადიკალურად განწყობილი ფენები, რომლებიც იზიარებდნენ ანტიამერიკულ განწყობილებებს **3. „კრიმინალური ელემენტები"; 4. დაქირავებული სამხედრო** რაზმები (საუდის არაბეთიდან, სირიიდან, ალჟირიდან, იემენიდან, ლიბიიდან), რომელთა შორის იყვნენ ჩეჩნები და პალესტინელებიც. მოხსენიებულია აგრეთვე ორი არასამთავრობო დაჯგუფება: „ქუვეითის მოჯაჰედები" და „ნახევარკუნძულის სპილოები."

27-28 მარტს, ძლიერმა ქვიშის ქარიშხალმა ხელი შეუშალა ამერიკელთა ჯარის წინსვლას. იმავდროულად მესამე ქვეითი დივიზია ბრძოლას აწარმოებდა ქუფასა და ნაჯაფთან. განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწია ერაყის ჯარმა ამერიკელებს ქუფას მისადგომებთან. თუმცა ამერიკელებმა დაამარცხეს ერაყელთა არმია და სამხრეთით ქარბალასკენ განაგრძეს სვლა.

ჩრდილოეთში, კი მერვე მოტორიზირებული ბრიტანული ბრიგადა მიიწევდა წინ და ბასრასაკენ მიემართებოდა. ქალაქის დასავლეთით ტანკების იერიშის დახმარებით, **6 აპრილს ბრიტანელები შე**ვიდნენ ბასრაში. ქალაქის ცენტრში ტანკების განლაგება შეუძლებელი იყო და ამდენად, ცენტრში გამაგრდა საპარაშუტო დესანტი. **9 აპრილს, პირველი ბრიტანული მექანიზირებული დივიზია მიემარ**თებოდა უკვე სამხრეთით, ამერიკელების პოზიციებისაკენ.

პირველმა ამერიკულმა მოტორიზირებულმა დივიზიამ დაიკავა ქალაქი სამარა. ამავდროულად, პირველმა საზღვაო ქვეითმა დივიზიამ დაიკავა ქარბალა და ნაჯაფი, ამით მათ აღმოფხვრეს აღმოსავლეთიდან კონტრშეტევის შესაძლებლობა. კოალიციურ ძალებს, პრაქტიკულად გზა გაეხსნათ ბაღდადის ასაღებად. ერაყის დედაქალაქთან მათ 100 კილომეტრზე ნაკლები აშორებდათ. კოალიციური ძალები მიუახლოვდნენ ერაყის დედაქალაქს დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. თავდაპირველი გეგმა გულისხმობდა ბაღდადის ყველა მხრიდან გარემოცვას, ერაყის ჯარის ქალაქის ცენტრში შევიწროებასა და არტილერიის განადგურებას. ამ გეგმაზე უარი ითქვა, რამდენადაც ბაღდადის გარნიზონის ძირითადი ნაწილი უკვე განადგურებული იყო ჩრდილოეთის მისადგომებთან. 9 აპრილს, ამერიკელმა მთავარსარდლობამ ერაყის ჯარს მოსთხოვა კაპიტულაცია, წინააღმდეგ შემთვევაში იგეგმებოდა ფართომასშტაბიანი შტურმი. ერაყის ხელისუფლებამ უარი თქვა წინააღმდეგობის გაწევაზე. ამერიკის შეერთებული შტატების მესამე სახმელეთო ქვეითი დივიზია, მოკავშირეთა პირველი დანაყოფი იყო, ვინც შევიდა ერაყის დედაქალაქში **9 აპრილს. ბაღდადის მცხოვრებლებ**მა, აშშ-ის ძალების დახმარებით, დაამხეს სადამ ჰუსაინის გიგანტური ქანდაკება ქალაქის მთავარ მოედანზე. ფორმალურად ბაღდადი იყო ოკუპირებული, თუმცა ქუჩის ბრძოლები მაინც გრძელდებოდა (Diamond, 2006: 23-37). 10 და 11 აპრილს კოალიციურმა ძალებმა აიღეს ერაყის სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები, მათ შორის კირკუკი და მოსული. **14 აპრილს აშშ სამხედრო ქვედანაყოფებმა აიღეს ქალა**ქი თიქრითი, სადამ ჰუსაინის დაბადების ადგილი და თვის ბოლომდე დაიკავეს დანარჩენი ქალაქები.

2003 წლის 1 მაისს, ჯორჯ ბუშმა გამოაცხადა ძირითადი საბრძოლო ოპერაციების დამთავრება. სადამ ჰუსაინი თავის თანაშემწეებთან ერთად მიიმალა. გენერალმა ფრენქსმა, როგორც საოკუპაციო ძალების მთავარსარდალმა თავის თავზე აიღო ერაყის მმართველობა. კოალიციურმა ჯარებმა, პრაქტიკულად მინიმალური დანაკარგით შეძლეს **21 დღეში ერაყის უმსხვილეს ქალაქებზე კონტრო**ლის დამყარება.

ერაყის მოძველებულმა, საბჭოურმა ტექნიკურმა აღჭურვილობამ, ვერ გაუწია შესაბამისი წინააღმდეგობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის აღჭურვილობას. უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ომში ავიაციამ. აშშ-ის ვერტმფრენებს პრაქტიკულად დაკავებული ჰქონდათ ერაყის საჰაერო სივრცე, რითაც შეძლეს ბაღდადთან სწრაფი მიახლოვება და თავიდან აიცილეს დიდი დანაკარგი.

ერაყის არმიაში კი ქაოსი შეინიშნებოდა. მეთაურობა ზოგ შემთხვევაში გარბოდა, ან ურიგდებოდა მოწინააღმდეგე მხარეს.[56] პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი ხშირ შემთხვევაში კოალიციური ძალების მოახლოებისთანავე ტოვებდა პოზიციებს. ასევე, დიდი ნაწილი ნებდებოდა ბრძოლის გარეშე. ამდენად, მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ერაყის არმია სამ კვირაში პრაქტიკულად სრულიად განადგურდა.

2003 წლის 22 მაისს, გაერო-ს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო №1483 რეზოლუცია, რომელშიც განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, დაფიქსირდა საერთაშორისო საზოგადოების საერთო მიდგომა ერაყის ომისშემდგომი მოწყობის პრობლემასთან დაკავშირებით. ამ რეზო-

56 ეს, ფაქტი, სხვათა შორის, დაადასტურა მოგვიანებით გენერალმა ფრენქსმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც განაცხადა, რომ ამერიკელები ურიგდებოდნენ ერაყის არმიის მეთაურებს, რათა მათ უბრძოლველად დაეთმოთ პოზიციები.

ლუციით აღიარებული იქნა განსაკუთრებული უფლებამოსილებანი, პასუხისმგებლობა და ვალდებულებები აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის, როგორც ოკუპანტი სახელმწიფოებისა საერთაშორისო სამართლით გამოყენებული ნორმების საფუძველზე (უპირველეს ყოვლისა, 1949 წლის ჟენევის კონვენცია და 1907 წლის ჰააგის კონვენცია).[57] რეზოლუციის მიღების მომენტიდან შეწყდა №661 რეზოლუციით გათვალისწინებული სანქციების გატარება (ძალაში რჩებოდა, მხოლოდ სამხედო მომარაგების ემბარგო). 21 ნოემბრიდან კი შეწყდა ერაყში სანქციებთან დაკავშირებული კომიტეტის საქმიანობა (*Security Council Resolution* №1483).

2003 წლის 21 ნოემბერს, გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო ასევე №1518 **რეზოლუცია, რომლის** მიხედვითაც შეიქმნა სპეციალური კომიტეტი. მას უნდა გამოევლინა ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც ფლობდნენ ან აკონტროლებდნენ სადამ ჰუსაინის მთავრობის მიერ ქვეყნიდან გატანილ ფინანსურ აქტივებს ან ეკონომიკურ რესურსებს. კომიტეტის საქმიანობა მიზნად ისახავდა ამ ქონების კონფისკაციასა და აშშ-ის მიერ კონტროლირებად *ერაყის განვითარების ფონდში* [58] გადატანას (*Security Council Resolutions*, 2003: №1518).

გარდა ამისა, №1483 რეზოლუციაში, რომელსაც დაემატა 2003 წლის 16 ოქტომბერს მიღებული №1511 რეზოლუცია, ფორმულირებული იყო ერაყის პოლიტიკური მოწყობის ძირითადი პრინციპები. ერაყის მართვის ფუნქციები დაეკისრა კოალიციურ ადმინისტრაციას, ვიდრე არ მოხდებოდა ოფიციალურად ქვეყნის მთავრობის დამტკიცება. №1483 **რეზოლუცია, კოალიციურ ადმინისტრაციას მოუწოდებდა** „ტერიტორიის ეფექტურად მართვის გზით, უზრუნველეყო ერაყელი ხალხის კეთილდღეობა... აღედგინა უსაფრთხოება და სტაბილურობა, რათა ერაყელებს შეძლებოდათ თავიანთი პოლიტიკური მომავლის განსაზღვრა“ (*იქვე,* №1483).

2003 **წლის 12 მაისს, ერაყის ადმინისტრაციის მეთაურად დაინიშნა ამერიკის შეერთებული შტა**ტების სპეციალური წარმომადგენელი პ. ბრემერი. სწორედ მის მოვალეობებში გადავიდა მთელი რიგი საკითხებისა, როგორიც იყო: ეკონომიკის აღდგენა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სოციალური ინფრასტრუქტურის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების გაუმჯობესება და სხვ.[59] ამ ადმინისტრაციის ეგიდით ჩამოყალიბდა დროებითი კოალიციური ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები: *ერაყის დროებითი ადმინისტრაცია*, *ერაყის დროებითი მმართველი საბჭო* და *ერაყის განვითარების ფონდი*. ერაყში დარჩა კოალიციური ჯარები (დაახლ. 140,000 ჯარისკაცი).

უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ოპერაციის დროს ერაყელებს პრაქტიკულად არ გაუწევიათ წინააღმდეგობა კოალიციის ძალებისათვის. თუმცა ოკუპაციის შემდეგ დაიწყეს პარტიზანული მოძრაობა. ამერიკელები აღიქმებოდნენ აგრესორებად, მითუმეტეს, რომ ერაყში მათ ვერ შეძლეს აკრძალული იარაღის საიდუმლო საწყობების აღმოჩენა.

---

57 საერთაშორისო სამართლის ამ დოკუმენტების საფუძველზე, ოკუპაციის ფაქტი დადასტურებულია თუ უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები ახორციელებენ ეფექტურ კონტროლს ტერიტორიაზე, რომელიც მათ არ ეკუთვნით.

58 1483 რეზოლუციის შესაბამისად, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის თანამშრომლები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყვნენ ერაყის განვითარების ფონდის მმართველობაში, რომლის შექმნაც მითითებული იყო რეზოლუციის ტექსტში. ამ რეზოლუციის მე-16 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ პროგრამის — „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ — რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლები უნდა გადარიცხულიყო ამ ფონდში. მას უნდა აეღო პასუხისმგებლობა ნავთობის შემოსავლების მიღებასა და განაწილებაზე. ფონდი იყო ინტერნაციონალური მმართველობის უშუალო კონტროლის ქვეშ, რომელიც, თავის მხრივ, ანგარიშვალდებული იყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე. ამ ფონდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ერაყის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისათვის, რადგანაც ომამდე პერიოდში ქვეყნის მოსახლეობის 60% დამოკიდებული იყო პროგრამის — „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ რეალიზებაზე. ომის შემდგომ პერიოდში კი მდგომარეობა უფრო გართულდა, რადგანაც პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ და საწარმომ შეწყვიტა მუშაობა. შესაბამისად, ეს ფონდი უნდა მოხმარებოდა ერაყელი ხალხის ჰუმანიტარულ მოთხოვნებს, ქვეყნის ეკონომიკურ აღდგენას, ინფრასტრუქტურის ჩათვლით, განიარაღების პროცესის დაფინანსებას და სამოქალაქო ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას.

59 ჯერ კიდევ 2003 წლის აპრილში, ერაყის სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა შეხვედრაზე მიღებულ იქნა ბაღდადის და ან-ნასირიას დეკლარაციები. ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული იყო ქვეყნის ახალი პოლიტიკური სისტემის შექმნის ძირითადი პრინციპები. იგეგმებოდა სახელმწიფოს ფედერალური მოწყობა.

2004 **წლის 8 მარტს, ერაყის დროებითმა მმართველმა საბჭომ მიიღო ახალი დროებითი კონსტი-**ტუცია. აღნიშნულ დოკუმენტს ეწოდა „ერაყის სახელმწიფოს მართვის კანონი გარდამავალ პერიოდ-ში". ის ძირითადად ამყარებდა სახელმწიფო ხელისუფლების დროებითი ორგანოების ფუნქციონირე-ბას. გარდამავალი პერიოდი, აღნიშნული კანონის შესაბამასად, იწყებოდა 2004 წლის 30 ივნისიდან (ერაყის დროებითი კონსტიტუციის საფუძველზე დროებითი ხელისუფლების ფორმირებით) და მთავ-რდებოდა არა უგვიანეს **2005 წლის 31 დეკემბრისა (უკვე მუდმივმოქმედი კონსტიტუციის საფუძველ-**ზე ერაყის ეროვნული ხელისუფლების ფორმირებით). ამგვარად, კონსტიტუციის შესაბამისად, ერა-ყის ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ფორმირების მთელი პერიოდი პრაქტიკულად მოიცავ-და მხოლოდ წელიწადნახევარს.

მას შემდეგ, რაც ეროვნული ასამბლეა საბოლოოდ მოამზადებდა მუდმივი კონსტიტუციის პროექტს, ის უნდა წარედგინათ საყოველთაო რეფერენდუმზე, რომლის ჩატარებაც დროებითი კონსტიტუციის თანახმად, იგეგმებოდა არა უგვიანეს **2005 წლის 15 ოქტომბრისა. რეფერენდუმის ჩატარებამდე პროექ-**ტი უნდა გამოქვეყნებულიყო, რათა ერაყის მოსახლეობას შესძლებოდა მისი განხილვა. კონსტიტუცია დამტკიცდებოდა იმ შემთხვევაში, თუ კი მას დაეთანხმებოდა რეფერენდუმში მონაწილე მოსახლეობის უმრავლესობა. თუმცა კონსტიტუციაში არ იყო მითითებული ამომრჩეველთა რაოდენობა, ანუ არ იყო განსაზღვრული ლეგიტიმაციის საკითხი (Diamond, 2006: 62-66).

იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმით დამტკიცდებოდა მუდმივი კონსტიტუცია, ეროვნული ასამ-ბლეის არჩევნები, დროებითი კონსტიტუციის თანახმად, უნდა ჩატარებულიყო არა უგვიანეს 2005 წლის **15 დეკემბრისა და ახალ მუდმივ ხელისუფლებას თავისი მოვალეობების შესრულება უნდა დაეწ-**ყო 2005 წლის 31 დეკემბერს.

2005 წლის 15 ოქტომბერს ერაყში დაიწყო ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივი განვითარების ახალი ეტაპი: ძალაში შევიდა ერაყის ახალი კონსტიტუცია, რომელიც მოიწონეს საყოველთაო რეფე-რენდუმზე ხმების უმრავლესობით (**79%). კონსტიტუცია შედგება საერთო პრეამბულისგან, ექვსი თა-**ვისგან, რომელიც თავის მხრივ იყოფა ნაწილებად და მოიცავს **139 მუხლს. ერაყი გამოცხადდა დამო-**უკიდებელ, სუვერენულ, დემოკრატიულ და ფედერალურ სახელმწიფოდ (მმართველობის ფორმა – სა-პარლამენტო რესპუბლიკა). კონსტიტუციაში ერაყი დახასიათებულია მრავალეთნიკურ და მრავალკონ-ფესიურ სახელმწიფოდ. ისლამი გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად და კანონმდებლობის ძირითად წყაროდ. ოფიციალური ენა არაბული და ქურთულია. ამასთანავე, ნებისმიერ რაიონს და პროვინციას შეუძლია გამოიყენოს დამატებით ადგილობრივი ენა იმ პირობით, რომ ამ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა მოიწონებს მას საყოველთაო რეფერენდუმზე. აიკრძალა ისეთი ორგანიზაციები და სა-ზოგადოებები, რომლებიც ეფუძნება რასიზმს და ტერორიზმს. ძირითად აკრძალულ პარტიად გამოც-ხადდა ბაასის პარტია. საგანგებოდ არის მითითებული, რომ ამ პარტიის წევრებს არ შეუძლიათ და-იკავონ უმაღლესი პოსტები საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში (კონ-სტიტუციის სრული ტექსტი იხ. *NYT*, 15.10.2005).

ერაყის საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი – წარმომადგენელთა საბჭო და კავ-შირის საბჭო. წარმომადგენელთა საბჭოში საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით აირჩევა ერთი დეპუტატი ქვეყნის ყოველ **100,000 მცხოვრებზე. მისი მოქმედების ვადა 4 წლით განისაზღვრე-**ბა. კავშირის საბჭოში შედიან რაიონებისა და პროვინციების წარმომადგენელები. **2005 წლის 15 დე-**კემბერს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა შიიტურმა ბლოკმა – *გაერთიანე-ბული ერაყული ალიანსი* (140 მანდატი 275-დან), სუნიტურმა პარტიებმა მიიღეს 18 მანდატი, ხოლო ქურთული პარტიების ალიანსმა – 75 მანდატი. 2010 წლის 7 მარტში წარმომადგენელთა საბჭოში (325 ადგილი) არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 165 პარტიამ და 12 წინასაარჩევნო ბლოკმა. ყველაზე მეტი ადგილი მიიღო ბლოკმა *ალ-ირაკია*, სათავეში ყოფილი პრემიერ-მინისტრი (2004-2005) აიად ალაუი (შიიტი). მეორე ადგილზე 89 მანდატით გავიდა კოალიცია *კანონის სახელმწიფო*, სათავეში პრემიერ-მინისტრი ნური ალ-მალიქი. შიიტურმა რელიგიურ-პოლიტიკურმა ბლოკმა *ერაყის ეროვნული ალიან-სი* მიიღო 70 მანდატი, ხოლო ქურთული პარტიების კოალიციამ – 43 მანდატი. ერაყის კონსტიტუციის თანახმად საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ამტკიცებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო.

ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი. 2005 წლის 6 აპრილიდან ერაყის მეექვსე პრეზიდენტი გახდა ქურთი *ჯალალ ტალაბანი* (დაბად. 1933წ.) – სუნიტი მუსლიმი (2010 წლის 11 ნოემბერს აირჩიეს მეორე ვადით). ორი ვიცე-პრეზიდენტიდან ერთი შიიტია და ერთი სუნიტი. ქვეყნის პრეზიდენტი აირჩევა **4 წლის ვადით წარმომადგენელთა საბჭოს მიერ ხმების უმრავ-**ლესობით (**2/3). სახელმწიფოს სათავეში არის საპრეზიდენტო საბჭო, რომელშიც შედიან პრეზიდენ-**ტი და ვიცე-პრეზიდენტები.

მთავრობას (მინისტრთა კაბინეტს) აყალიბებს მსხვილი საპარლამენტო ფრაქცია და ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. მინისტრთა კაბინეტის წევრებს ამტკიცებს წარმომადგენელთა საბჭო. 2006 წლის 20 მაისიდან ქვეყნის პრემიერ-მინისტრია შიიტი *ნური ქამილ ალ-მალიქი* (დაბად.1950წ., მისი ფსევდონომია ჯავადი), რომელიც არის აგრეთვე ისლამური *და"ვ*ას პარტიის („მოწოდების პარტია") გენერალური მდივანი. ამჟამად მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაშია 3 ვიცე-პრემიერი და 29 მინისტრი.

2008 **წლის 31 დეკემბრიდან ძალაში შევიდა ხელშეკრულება ერაყსა და აშშ-ს შორის, სადაც დეტალურადაა** გაწერილი ამერიკის არმიის შესაძლო გაყვანის ვადები ერაყიდან. შეთანხმება შედგება პრეამბულისა და **30 პუნქტისაგან და მასში ხაზგასმითაა აღნიშნული ერაყის სრული სუვერენიტეტ**ის და მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ. ამ შეთანხმებით, ამერიკის სამხედრო შენაერთები უნდა გავიდნენ 2011 წლის ბოლომდე. 2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ერაყის ტერიტორიაზე იმყოფებოდა დაახლ. **96 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამ**სახურე. აშშ-ს მრავალი სამხედრო ბაზა ერაყის ტერიტორიაზე უკვე გადაეცა ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებს.

- *2008 წლის მონაცემებით, დაღუპულია 85,000-93,000 ერაყელი, ხოლო 4-5 მლნ ლტოლვილად იქცა. 2003 წლის 20 მარტიდან 2010 წლის 1 დეკემბრამდე აშშ-ს შეიარაღებული ძალებიდან დაღუპულია 4746 და დაჭრილია 31980 ადამიანი.*
- *სამხედრო ოპერაციამ გამოიწვია სადამ ჰუსაინის რეჟიმის დაცემა და ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება. ეს პერიოდი აღინიშნება სისხლიანი შეტაკებებით ძველი რეჟიმის მომხრეებსა და ხელისუფლების ახალ სტრუქტურებსა და მათ უკან მდგომ კოალიციის ძალებს შორის, ასევე სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის, რომლებიც ცდილობენ მიიღონ გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები.*
- *გაძლიერდა ტერორისტული დაჯგუფებების მოქმედება, რომელთაც აქვთ ტრანსნაციონალური ხასიათი.*
- *ერაყის კრიზისი გახდა ერთ-ერთი სერიოზული საფრთხე რეგიონში მშვიდობისათვის.*
- *პოლიტიკური პროცესის ნელი განვითარება არ აძლევს ერაყს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს მნიშვნელოვანი რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაში.*

თავი XIV

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი

თანამედროვე ისტორიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში ტერმინები „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი“ და „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირება“ აღნიშნავს სწორედ არაბული ქვეყნებისა და ისრაელის კონფლიქტს და მისი გადაჭრის მცდელობებს. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი (სინონიმები – არაბ-ისრაელის, არაბულ-ისრაელური, არაბებისა და ისრაელის, არაბული ქვეყნებისა და ისრაელის, პალესტინა-ისრაელის, ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტი/საკითხი) გახდა რამდენიმე ფართომასშტაბიანი ომის მიზეზი, წარმოშვა მთელი რიგი სერიოზული პრობლემები, იქცა არასტაბილურობის ძირითად წყაროდ ახლო აღმოსავლეთში. დღემდე არაბული ქვეყნების უმრავლესობას არ აქვს ისრაელთან არც დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული და არც სამშვიდობო ხელშეკრულება ხელმოწერილი, რაც ითვალისწინებს მის აღიარებას არსებულ საზღვრებში. პალესტინის გადაუჭრელმა პრობლემამ ბიძგი მისცა ტერორისტული ორგანიზაციების აღმოცენებას. საფრთხე შეექმნა მშვიდობას არა მარტო რეგიონული, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

ცივი ომის პერიოდში აშშ და სსრკ, რომლებიც მხარს უჭერდნენ კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს, ერთი მხრივ, დახმარებას უწევდნენ რეგიონის ქვეყნებს ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარებაში და მეორე მხრივ, აქტიურად ამარაგებდნენ მოწინააღმდეგე მხარეებს ტექნიკითა და შეიარაღებით. შესაბამისად, ზესახელმწიფოების როლი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში პრაგმატულ მიზნებს ატარებდა და ზოგჯერ შორს იდგა ოფიციალურად განცხადებული მიზნისაგან – „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირება.“

რეგიონის ცალკეული არაბული და არაარაბული ქვეყნის ურთიერთობა ისრაელთან აგებულია ორ სხვადასხვა პრინციპზე: **1. ოფიციალურ დონეზე მშვიდობიანი ურთიერთობები და ეკონომიკური** თანამშრომლობა (ეგვიპტე, იორდანია, თუნისი, თურქეთი); **2. აშკარა დაპირისპირება**, სამხედრო კონფლიქტის მუდმივი მუქარით (ირანი, სირია, ლიბანი). არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ორმხრივ ურთიერთობებში ძირითადი პრობლემაა გადაუწყვეტელი ტერიტორიული საკითხები (ისრაელი დღემდე აკონტროლებს არაბებით დასახლებული ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს) და არაბული ქვეყნების მიერ ისრაელის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო დაჯგუფებების მხარდაჭერა. თუმცა, არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე სერიოზული საკითხი იყო პალესტინელთა მდგომარეობა „ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ და პალესტინელი ლტოლვილებისა ისრაელის გარეთ.

პალესტინელ არაბთა და ისრაელის კონფლიქტი, რომელიც დაკავშირებულია პალესტინელი არაბების ბრძოლასთან საკუთარი სახელმწიფოს შესაქმნელად, სწორედ არაბ-ისრაელის კონფლიქტის ფარგლებში უნდა იყოს განხილული და შეუძლებელია პოლიტიკურად მისი „ცალკე“ გადაწყვეტა.

სიონიზმის საფუძვლები და ისრაელის სახელმწიფოს შექმნა

ძველ ებრაელთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო *ისრაელის სამეფო*, რომელშიც დას. სემიტური მოდგმის ტომები, მათ შორის საკუთრივ ისრაელი, იუდა, ბენიამინი, ზებულონი და სხვ. შედიოდნენ. სამეფო წარმოიშვა პალესტინაში (ქანაანში) დაახლ. ძვ. წ. XI ს.-ის მიწურულს, როდესაც ისრაელთა ტომებმა თითქმის მთლიანად დაიპყრეს ადგილობრივი ქანაანელები (ასევე დას. სემიტური წარმოშობის ტომები). ქანაანი მოიცავდა ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვიდან მდინარეების ორონტესის და იორდანეს ველებამდე, ტავრის მთიდან ღაზამდე. თორას თანახმად, ქანაანის მიწა ანუ *ერეც-ისრაელი* (ებრ. ისრაელის მიწა) იყო ღმერთის მიერ აღთქმული მიწა ისრაელის მოდგმისათვის. ძვ.წ. 1025 წელს ისრაელის სამეფოს პირველი მეფე გახდა საული. მეფე დავითმა (ძვ.წ. **1003-970) აიღო იერუსალიმი**, გამოაცხადა ის ისრაელისა და იუდეას გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქად და იქ იაჰვეს კულტი დაამყარა. მეფე სოლომონს (ძვ.წ. **970-931) მიეწერება ისრაელ-იუდეას ერთიანი სამეფოს აყვავება**, იერუსალიმის (იგივე „სოლომონის”) ტაძრის აგება. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ იფეთქა აჯანყებამ (დაახლ. ძვ.წ. 928), **რასაც შედეგად მოჰყვა ისრაელ-იუდეას ერთიანი სახელმწიფოს გაყო-**

ფა (ძვ.წ. 930-920) ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ: სამხრეთი სამეფო – *იუდეას სამეფო* (ცენტრი – იერუსალიმი) და ჩრდილოეთი სამეფო – საკუთრივ *ისრაელის სამეფო* (ცენტრი – ქ. სიქემი, ახლანდელი ნაბლუსი; მოგვიანებით დაარსდა ახალი სატახტო ქალაქი – სამარია).

ძვ. წ. 722 წელს ასურელებმა დაიპყრეს ისრაელის სამეფო, განდევნეს ებრაელები და მათ ადგილას ასურეთის ქვეშევრდომნი (ბაბილონელები, არამეელები) ჩაასახლეს. ხოლო ძვ.წ. 586 წელს ბაბილონელებმა დაიკავეს იუდეა, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ გადაასახლა ბაბილონში, სადაც შეიქმნა პირველი ებრაული დიასპორა. დაიწყო ე.წ. „ბაბილონის ტყვეობა". აქემენიანთა მიერ ბაბილონის დამხობის შემდეგ (ძვ.წ. 538) კიროს II-მ იუდეველებს იერუსალიმში დაბრუნებისა და იაჰვეს ტაძრის აშენების ნება დართო. ძვ.წ. IV ს.-ში იუდეა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოში შედიოდა, მოგვიანებით კი რომის იმპერიის პროვინციად გადაიქცა. იუდეა საბოლოოდ ახ. წ. 70 წელს დაეცა, როდესაც რომაელმა სარდალმა ტიტუს ფლავიუსმა იერუსალიმი დაანგრია. ახ.წ. 135 წელს ებრაელები საბოლოოდ განდევნეს იერუსალიმისა და მისი მიმდებარე მიწებიდან. ამ ტერიტორიას რომაელებმა უწოდეს პალესტინა (*Philistine Syria* – ჰეროდოტესაგან მომდინარე ტერმინი, რომლითაც „ისტორიის მამად" წოდებული მემატიანე სირიის სამხრეთ ნაწილს აღნიშნავდა), რათა „მოგონებაც კი წაეშალათ ებრაულ სამფლობელოზე" (Chertoff, 1975: 83). რომაელები პალესტინას მე-4 საუკუნემდე მართავდნენ,[1] ხოლო შემდეგ ის ბიზანტიის კონტროლის ქვეშ გადავიდა. იერუსალიმის აღების შემდეგ (638) არაბებმა ებრაელებს ნება დართეს დაბრუნებულიყვნენ ქალაქში, სადაც მათ რომაელები/ბიზანტიელები წინა ხუთი საუკუნის განმავლობაში დასახლების უფლებას არ აძლევდნენ. ოსმალეთის მიერ პალესტინის დაპყრობის (1516) შემდეგ ებრაელთა მცირე ჯგუფების მოძრაობა ოსმალური პალესტინის მიმართულებით განუწყვეტელი პროცესი იყო.

„ბაბილონის ტყვეობიდან" მოყოლებული (ძვ.წ. VI ს.), ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში ებრაელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობდა მუდმივად მზარდ დიასპორაში (მესოპოტამია, სპარსეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, რუსეთი, აშშ და სხვ.; პირველი ებრაული კოლონია საქართველოში დადასტურებულია ძვ.წ. II ს-ში), ხოლო მცირე ნაწილი რჩებოდა პირვანდელ სამშობლოშიც (გაჩეჩილაძე, 2008ა: 427-431; Slavicek, 1956: 7-28; Golden, 2009).

ისტორიულად, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პერიოდში, ებრაელები ხშირად განიცდიდნენ მასობრივ დევნასა და შევიწროვებას. ჯერ კიდევ 1215 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ დაავალდებულა ებრაელები ეტარებინათ სპეციალური სამოსი, აუკრძალა დაკავებული ყოფილიყვნენ ხელოსნობით და სათავე დაუდო ებრაელთა განცალკევების იდეას – ებრაულ გეტოებს.[2] 1555 წლის პაპის ბულათი (*Cum nimis absurdum*) დაწესდა რელიგიური და ეკონომიკური შეზღუდვები ცენტრალური იტალიის ტერიტორიაზე (მასზე ვრცელდებოდა პაპის უფლებამოსილება 1870 წლამდე) მცხოვრები ებრაელებისათვის. 1558 წელს გამოცემული რამდენიმე კანონით გამკაცრდა კონტროლი ებრაელებზე. XIX ს-ის დასაწყისიდან შუა ხანებამდე საფრანგეთსა და გერმანიაში ებრაელებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა და გაჩნდა ევროპულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის იმედი. მრავალი ებრაელი გახდა ევროპული კულტურის, ხელოვნების და ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი. მოძრაობა *ჰასკალას* (*ებრაული განათლება*) დამფუძნებელი და სულიერი ლიდერი გახდა ფილოსოფოსი და ეგზეტიკოსი, „გერმანელი სოკრატე" მოსეს მენდელსონი, რომლის იდეებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა XIX ს-ში იუდაიზმის რეფორმაციაზე. 1791 წელს ებრაელებმა მიიღეს მოქალაქეობა საფრანგეთში, ხოლო 1858 წელს – ინგლისში. „ემანსიპაციის" კამპანია, ე.ი. ებრაელების მიერ ყველა სამოქალაქო უფლების მიღება, თანდათანობით ძალას იკრებდა. თუმცა მალე ვითარება შეიცვლა. 1880-იან წლებში გერმანელმა ფილოსოფოსმა კარლ დიურინგმა გამოაქვეყნა მთელი რიგი შრომები, რომლებიც მიმართული იყო ებრაელების წინააღმდეგ და მოუწოდებდა ევროპელებს ჩამოერთმიათ მათთვის სამოქალაქო უფლებები და გადაეყვანათ გეტოებში. მისი აზრით, „ებრაული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ხოცვის გზით" (Johnson, 1987: 394). 1881 წლის 1 მარტს რადიკალური ორგანიზაცია *ნაროდნაია ვოლიას* ტერორისტული აქტის შედეგად მოკლულ იქნა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II, რაშიც ებრაელე-

1 რომაელებმა დაყვეს რეგიონი სამ ნაწილად: პირველი პალესტინა, მეორე პალესტინა და მესამე პალესტინა. ეს დაყოფა ძალაში დარჩა ახ.წ. 614 წლამდე, როდესაც სპარსელებმა დაიპყრეს იერუსალიმი (*The Encyclopaedia of the Arab-Israeli Conflict*, 2008: 772).

2 გეტო - ქალაქის იზოლირებული ნაწილი ქრისტიანულ ქვეყნებში, რომელიც გამოყოფილია ხელისუფლების მიერ ებრაელთა ცხოვრებისათვის. ტერმინი გეტო, ჩაკეტილი ებრაული კვარტლის აღსანიშნავად, გაჩნდა იტალიის ქ. ვენეციაში 1516 წელს. დასავლეთ ევროპაში (რომში) ბოლო გეტო გაუქმდა 1870 წელს. XVIII ს-ში გეტო არსებობდა რამდენიმე მუსლიმურ ქვეყანაშიც.

ბის დაადანაშაულეს. ამას მოჰყვა ებრაული *პოგრომების* (რბევა) ტალღა რუსეთში. „სამი დღე მთელი დასავლეთ რუსეთი, შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე, იყო ებრაული სახლების ნანგრევების კვამლში," 160 სოფელი ბარბაროსულად განადგურდა. „ასეთი სისასტიკე, როგორიც იმ დღეებში გამოვლინდა, უცნობი იყო შუა საუკუნეებიდან დღემდე" (Tuchman, 1984: 231-232). თუმცა, ევროპაში ებრაელთა დევნის ყველაზე მძიმე ეტაპი დაიწყო ადოლფ ჰიტლერის მიერ საკონცენტრაციო ბანაკების შექმნითა და გაზის კამერების გამოყენებით. გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის მკვეთრად გამოხატულ ანტისემიტურ პოლიტიკას 1939-1945 წლებში შეეწირა დაახლ. 6 მლნ ებრაელის სიცოცხლე.

არაბ-ისრაელის კონფლიქტის საფუძვლების განხილვისას, აუცილებელია პალესტინის ებრაული კოლონიზაციის საკითხის განხილვა. XIX საუკუნის დასაწყისში პალესტინის ებრაული მოსახლეობა შეადგენდა დაახლ. 5000 ადამიანს და ისინი ცხოვრობდნენ ძირითადად 4 ქალაქში – იერუსალიმი, საფედი (ცფათ), ტიბერია, ხებრონი. მართალია, ებრაელებს არასდროს შეუწყვეტიათ „წმინდა მიწაზე" ანუ პალესტინაში პატარა ჯგუფებად ჩასახლება, რადგან პალესტინა რჩებოდა ებრაულ საკულტო და კულტურულ ცენტრად, მაგრამ XIX ს-ის ბოლომდე ებრაული კერის ჩამოყალიბებისათვის პირობები არ არსებობდა და მათი კავშირი წმინდა მიწასთან დიდხანს აბსტრაქტულ იდეად რჩებოდა. ეს იყო „ძველი მესიანური" და „მითიური" სიონიზმის ეპოქა, როგორც აღნიშნავდა ამერიკელი მკვლევარი უოლტერ ლაკერი, „სიონიზმის ისტორიის" ავტორი (Лакер, 2000; Laqueur, 1989: 231-232).

ჯერ კიდევ პურიტანული რევოლუციის[3] დროს ებრაელთა პალესტინაში დაბრუნების იდეამ მრავალი ინგლისელის ყურადღება მიიპყრო. ბარბარა თაჩმენი შენიშნავს, რომ ებრაელებს წმინდა მიწაზე დაბრუნებისაკენ პირველმა მოუწოდა სერ ჰენრი ფინჩმა 1621 წელს თავის ნაშრომში *The World's Great Restauration or Calling of the Jews and with Them of All Nations and Kingdoms of the Earth to the Faith of Christ*. მან „იწინასწარმეტყველა, რომ უახლოეს მომავალში ებრაელები აღადგენენ თავიანთ ბატონობას და შექმნიან მსოფლიო იმპერიას" (Tuchman, 1984: 131).

სიონში (იერუსალიმის ბიბლიური სახელი) დაბრუნების ტრადიციული მესიანური იდეა რაციონალიზებულ იქნა რაბინების – იუდა ალკალაის (1798-1878) და ცვი ჰირშ კალისჩერის (1795-1874) ნაშრომებში. ისინი იღვწოდნენ ებრაელთა კოლონიების დაარსებისათვის ერეც-ისრაელში. ინგლისელი პოლიტიკოსი ენტონი ეშლი კუპერ შეფთსბერი (მეშვიდე გრაფი შეფთსბერი, 1801-1885) იყო *ქრისტიანული სიონიზმის* მომხრე და „სული შთაბერა ევანგელიკურ მოძრაობას ინგლისის ეკლესიაში." მან განაცხადა, რომ ინგლისელებს აქვთ განსაკუთრებული ვალდებულება ებრაელების წინაშე და ამიტომ უნდა მოაქციონ ისინი ქრისტიანობაზე და დააბრუნონ ბიბლიურ სამშობლოში. „მხოლოდ [ქრისტიანობაზე] მოქცევისა და ებრაელთა წმინდა მიწაზე დაბრუნების შემდეგ დადგება სამყაროს აღსასრული და გამოჩნდება მესია" (Tuchman, 1984: 178; Fromkin, 1989: 268). შეფთსბერიმ ასევე შთააგონა ინგლისის სახელმწიფო მდივანი საგარეო საკითხებში ლორდი პალმერსტონი, რათა ბრიტანეთს აღმოეჩინა მფარველობა პალესტინაში მცხოვრები ებრაელებისათვის. თუმცა ლორდი შეფთსბერის ინტერესები არ სცილდებოდა ქრისტიანული მოძღვრების ჩარჩოებს, რაზედაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ის ებრაელებში ხედავდა პოტენციურ ქრისტიანებს. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ პალესტინის ტერიტორიაზე შეიძლებოდა შექმნილიყო დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფო, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ებრაელები, წმინდა მიწაზე დასახლებით, პალესტინაში მიიტანდნენ ევროპულ ცივილიზაციას (Wagner, 1998: 1020-1026).

ისტორიულ სამშობლოში ებრაელთა დაბრუნების იდეა რეალურად გაჩნდა ჯერ კიდევ XVIII ს-ის ბოლოს. ცნობილია, რომ ნაპოლეონ ბონაპარტე, ეგვიპტის ექსპედიციის (1798-1801) დროს ფიქრობდა იერუსალიმის სამეფოს შექმნაზე. თავის მიმართვაში ის მოუწოდებდა ებრაელებს „აჯანყებულიყვნენ" და „აღედგინათ სამოქალაქო უფლება იმ მიწის მოსახლეობას შორის, რომელსაც ისინი სამარცხვინოდ მოწყვიტეს ათასწლეულების მანძილზე" (Tuchman, 1984: 163). შემდეგ ეს იდეა წინ წამოწიეს საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა. იყო ებრაელთა დასახლების მცდელობებიც პალესტინაში.[4]

> „ინგლისელების როლი ისრაელის აღორძინებაში... თავდაპირველად განისაზღვრებოდა ორი მოტივით: რელიგიურით და პოლიტიკურით. პირველს განაპირობებდა მორალურ ვალი გრძნობა ბიბლიურ ხალხთან მიმართებაში, რომელსაც სჭირდებოდა ეს მიწა... ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ბრიტა-

3 ინგლისის ისტორიის „პურიტანულ" პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ებრაელებისა და ებრაული ენისადმი.

4 "საქართველოდან გადასახლებულმა ქართველმა ებრაელებმა XIX საუკუნის იერუსალიმში ე.წ. „გურჯების უბანიც" კი შექმნეს" (გაჩეჩილაძე, 2008ა: 428).

ნეთი გახდებოდა იმპერია. ბიბლია... თომას ჰაქსლის სიტყვებით, აღიქმებოდა როგორც „ინგლისელთა ეროვნული ეპოსი." შესაბამისად, ინგლისი უკვე იდგა ერთი ფეხით პალესტინაში, მეორე ფეხი კი აღმოჩნდა იქ იმპერიის მოთხოვნით."

„ინგლისელებს მიმზიდველად ეჩვენებოდათ ევროპული ტიპის ებრაული სახელმწიფოს წარმოქმნა ახლო აღმოსავლეთში: „კლიენტი სახელმწიფო" შეიძლებოდა დახმარებოდა ინგლისს დაეცვა თავისი ინტერესები – მათ შორის შეენარჩუნებინა კონტროლი ევროპასა და აზიასთან დამაკავშირებელ სახმელეთო და საზღვაო გზებზე" (Tuchman, 1984: xiii-xiv).

ებრაელთა მოძრაობა სუვერენული, ნაციონალური სახელმწიფოს შესაქმნელად დაიწყო XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში და მიიღო *სიონიზმის* სახელწოდება.

ტერმინი *სიონიზმი* პირველად გამოიყენა ავსტრიელმა ჟურნალისტმა ნათან ბირნბაუმმა, 1885 წელს მის მიერ დაარსებულ ჟურნალში „თვითემანსიპაცია" (*Self-Emancipation*) (ჯერ კიდევ 1882 წელს მან დააარსა *ევროპული ეროვნული საძმო*).

პოლიტიკური სიონიზმის ძირითადი ამოცანა იყო ებრაული სახელმწიფოს შექმნა. ავსტრიელ ჟურნალისტს თეოდორ ჰერცლს (1860-1904) ეკუთვნის ნაშრომი „სახელმწიფო ებრაელებისათვის," რომელშიც მოცემულია პოლიტიკური სიონიზმის იდეოლოგიური ბაზისი. თეოდორ ჰერცლმა მხარი დაუჭირა ე.წ. „უგანდის პროექტს," რომლის მიხედვითაც ბრიტანეთის მთავრობის ნებართვით უგანდაში უნდა შექმნილიყო ებრაული ავტონომიური დასახლება. თუმცა, ჰერცლი დათანხმდა ამ წინადადებას, როგორც დროებით ნაბიჯს, რაც გამოწვეული იყო რუსი ებრაელების უკიდურესად მძიმე მდგომარეობით და 1903 წლის კიშინიოვის დარბევით. თეოდორ ჰერცლის გარდაცვალებისთანავე ეს პროექტი უარყოფილ იქნა.[5] აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობოდა ებრაელთა დაბრუნებას შორეული წინაპრების მიწაზე – პალესტინაში.

1897 წლის 29 აგვიტოს თეოდორ ჰერცლის ინიციატივით ქ. ბაზელში მოწვეულ იქნა პირველი სიონისტური კონგრესი, სადაც მოხდა სიონიზმის, როგორც ებრაელთა მოძრაობის დაფუძნება. თეოდორ ჰერცლი და მისი მომხრეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გადასახლებისათვის საერთაშორისო იურიდიული ბაზის შექმნას. თეოდორ ჰერცლმა კონგრესზე განაცხადა: „სიონიზმის მიზანია პალესტინაში ეროვნული კერის შექმნა ებრაელთათვის, რომელთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს კანონი" (Rollin, 2002: 243-244).

კონგრესს ესწრებოდა დაახლ. 200 დელეგატი 17 ქვეყნიდან. 69 დელეგატი იყო სხვადასხვა სიონისტური ორგანიზაციიდან და დანარჩენი – ინდივიდუალური მოწვევით. მას ესწრებოდა აგრეთვე 10 არაებრაელი და 17 ქალი, რომელთაც არ ჰქონდათ ხმის უფლება (ქალებმა ეს უფლება მოიპოვეს მხოლოდ მეორე კონგრესზე). ბაზელის კონგრესზე შეთანხმდნენ, რომ დაეარსებინათ მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია, როგორც სიონისტური მოძრაობის ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო (Cleveland, 2009: 242). 1897 წლის შემდეგ კონგრესი ყოველწლიურად იკრიბებოდა. პირველი კონგრესის დამთავრების შემდეგ თეოდორ ჰერცლმა თავის დღიურში ჩაწერა: „ბაზელში მე დავაფუძნე ებრაელთა სახელმწიფო" (ციტ. Morris, 2009: 36). მეორე სიონისტური კონგრესი ჩატარდა 1898 წელს და მას ესწრებოდა 350 დელეგატი, ხოლო სიონისტური მოძრაობის წევრთა რაოდენობამ ამ დროისათვის 900-ს მიაღწია (Kamrava, 2005: 74).

1889 წლიდან პალესტინაში უკვე ყოველთვიურად ჩადიოდა რამდენიმე ათეული ებრაელი, 1890 წლის გაზაფხულიდან – რამდენიმე ასეული და XX ს-ის დასაწყისისათვის პალესტინაში ებრაელთა რაოდენობა შეადგენდა 50 ათას ადამიანს (ძირითადად რეპატრიანტები აღმოსავლეთ ევროპიდან) (McDowall, 1975: 7; Mansfield, 1992: 173).

პალესტინაში ებრაელთა მასობრივი იმიგრაცია აღინიშნება ტერმინით *ალია*, რომელიც დაიწყო 1881 წელს სიონისტური ორგანიზაციის *ჰიბბატ ციონის* ინიციატივით. 1896 წლამდე განხორციელდა

5 უგანდის გეგმას ეწინააღმდეგებოდა ხაიმ ვეიცმანიც (1874-1952; მომავალში ისრაელის სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი), რადგანაც სიონისტური იდეალი ერეც-ისრაელში დაბრუნება იყო. 1906 წელს ლორდ ბალფურის მიერ დასმულ კითხვას – თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა ამ გეგმას, ასე უპასუხა: „ნუთუ თქვენ მზად იქნებოდით დაგეტოვებინათ ლონდონი, თქვენთვის რომ შემოეავაზებინათ პარიზი?" – „ლონდონი ხომ ჩემი ქვეყნის დედაქალაქია," – უპასუხა ბალფურმა. „იერუსალიმი, – განაცხადა ვეიცმანმა, – იყო ჩვენი სახელმწიფოს დედაქალაქი, როდესაც ლონდონი ჯერ კიდევ ჭაობს წარმოადგენდა."

5 ალია: **1. 1881-1903წწ. – გადასახლდა 25-30 ათასი ებრაელი, რომელთა უმრავლესობა იყო აღმოსავ**ლეთ ევროპიდან. 2. 1904-1914წწ. – 35-40 ათასი ებრაელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, ძირითადად რუსეთიდან; **3. 1919-1923წწ. – 37 ათასი ებრაელი, რომელთა ძირითადი ნაწილი იყო რუ**სეთიდან და პოლონეთიდან. მესამე ალიას სათავე დაუდო ბალფურის დეკლარაციამ და რუსეთის რევოლუციამ; **4. 1924-1928წწ. – 70 ათასი, ძირითადად პოლონელი ებრაელები და გადასახლების მთა**ვარი მიზეზი იყო პოლონეთის მკაცრი საგასახადო პოლიტიკა; **5.1929-1939წწ. – 200-225 ათასი ებრა**ელი, ძირითადად გერმანიიდან (Tessler, 1994: 60-61, 185, 208; Cleveland, 2009: 254; Kamrava, 2005: 75).

საყურადღებოა სიონისტების მიდგომა პალესტინის მკვიდრი მოსახლეობისადმი – არაბებისადმი, რადგანაც საკითხი „ვინ არის სინამდვილეში პალესტინის მკვიდრი“ ძირითადი ქვაკუთხედია ებრაელებსა და არაბებს შორის დაპირისპირებაში. ერთი მხრივ, ებრაელები ეყრდნობიან ებრაელი ხალხის უძველეს ისტორიას, რაც დაკავშირებულია პალესტინასთან და მეორე მხრივ, არაბები საუბრობენ წმინდა მიწაზე ყოფნის ათასწლეულზე მეტ ისტორიაზე.

XX ს-ის 40-იან წლებში პალესტინაში იყო ორი ნაციონალისტური მოძრაობა: *სიონიზმი*, რომლის მიზანი იყო ებრაელებისათვის ეროვნული კერის შექმნა და *პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმი*, რომელსაც სურდა ბრიტანული მმართველობის გაუქმება და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა. სწორედ ამ ორმა ნაციონალისტურმა ხედვამ გამოიწვია კონფლიქტი ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის.

> „წარმოშობითა და თავისი არსით... კონფლიქტი [ებრაელებსა და არაბებს შორის] მხოლოდ შედეგია ორი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის – ებრაულის და პალესტინურის. დილემა იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ებრაელები მიისწრაფიან იბატონონ პალესტინაში, ხოლო მეორე მხრივ, ბუნებრივი უფლება იმავეზე აქვთ პალესტინელებს“ (Shlaim, 2000: 598).

სიონისტური მოძრაობის ლიდერები განიხილავდნენ პალესტინასთან არაბების ურთიერთმიმართების საკითხს – ზოგიერთი სიონისტი უარყოფდა არაბული მოსახლეობის არსებობას, წამოწევდა ლოზუნგს „მიწა [პალესტინა] ხალხის გარეშე – ხალხი [ებრაელები] მიწის გარეშე.“[6] ბოას ევრონი შენიშნავდა: „პალესტინაში დიდხანს მცხოვრები ებრაელები არასოდეს ასე არ იტყოდნენ. მათ საკუთარი გამოცდილებით იცოდნენ, რომ პალესტინელები – ეს ხალხია და ამასთან ხალხი, რომლის იგნორირებაც არ შეიძლება“ (Evron,1995:139).

> ებრაული დასახლებები [ისრაელში] და ისრაელის სახელმწიფო წარმოიშვა და ვითარდებოდა პალესტინის არაბულ მოსახლეობასთან და მის მხარდამჭერ მეზობელ არაბულ ქვეყნებთან მუდმივი ბრძოლის პირობებში. ეს პროცესი აყალიბებდა აგრეთვე ხასიათს და თვითშეგნებას არაბებისა, რომლებიც დღეს თავის თავს თვლიან არამხოლოდ არაბებად, არამედ პალესტინელებადაც, თუმცა საკუთრივ პალესტინური ეროვნული თვითშეგნება მათ გაუჩნდათ ჯერ კიდევ ამ ბრძოლის გამწვავებამდე (იქვე, 134).

ისეთი ავტორები, როგორიც არის ხაიმ ხისინი (ცნობილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი) აკრიტიკებდა ებრაელი კოლონისტების პოლიტიკას არაბულ მოსახლეობასთან მიმართებაში. ის წერდა: „[კოლონისტებისადმი] არაბების სიძულვილში თვითონ კოლონისტები არიან დამნაშავენი, მათ ეს დაიმსახურეს. ებრაელები ზედმეტად მაღალი აზრის არიან საკუთარ თავზე და ზედმეტად ქედმაღლურად უყურებენ არაბებს“ (ციტ. Сакер, 1994).

სიონისტებს სურდათ შეექმნათ „ებრაელთა სამშობლო“ პალესტინაში თურქების ან გერმანელების გამგებლობის ქვეშ. პალესტინაში ჩასახლებული ებრაელები ქმნიდნენ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს – *კიბუცებს*, მოგვიანებით ააშენეს ქალაქი თელ-ავივი. სწრაფად იზრდებოდა არაბული მოსახლეობაც. 1914 წ. პალესტინის 700 ათასზე ოდნავ მეტი მოსახლეობიდან 615 ათასი არაბი, ხოლო 85-100 ათასი ებრაელი იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ევროპელებს არაბული და ებრაული ნაციონალიზმი ბუნებრივ მოკავშირეებად მიაჩნდათ. ომის საკითხებში ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანი ჰორაციო ჰერბერტ კიტჩენერი (1850-1916) ომის დასაწყისში ფიქრობდა, რომ ომის დასრულების შემდეგ ახლო აღმოსავლეთი უნდა დანაწილებულიყო ბრიტანეთს, საფრანგეთს და რუსეთს შორის, ხოლო პროექტის

6 “A land of no people for a people with no land“ (Wagner, 1998: 1021). დონალდ ვაგნერი ამ ლოზუნგის შექმნას მიაწერს ლორდ შეფთსბერის (1801-1885), რის შემდეგაც ის გაიზიარეს სიონიზმის მამამთავრებმა - მაქს ნორდაუმ (1849-1923) და თეოდორ ჰერცლმა.

დეტალების დამუშავება მან მარკ საიქს დაავალა. მოგვიანებით შეიცვალა ვითარება და როგორც დ. ფრომკინი შენიშნავს, „ჩვენ ვხედავთ, რომ ბრიტანეთის 1914, 1915 და 1916 წწ. მთავრობა, რომელიც მიესალმებოდა რუსეთის და საფრანგეთის ყოფნას ომის შემდგომ ახლო აღმოსავლეთში, შეიცვალა ომისშემდგომი მთავრობით, რომელიც განიხილავდა რუსეთს ახლო აღმოსავლეთში როგორც ხიფათს და საფრანგეთის [გავლენას] რეგიონში როგორც უბედურებას. ჩვენ ვხედავთ 1917 წლის პროსიონისტებს, რომლებიც გადაიქცნენ ანტისიონისტებად 1921 და 1922 წელს; ფაისალის არაბული მოძრაობის მხარდამჭერებს, რომლებიც შემდეგ აუმხედრდნენ ფაისალს როგორც არასაიმედოს და მის ძმას, აბდალაჰს, როგორც უიმედოდ წარუმატებელს“ (Fromkin, 1989: 19).

1916 წლის საიკს-პიკოს შეთანხმებით, პალესტინა ბრიტანული მართვის ქვეშ უნდა ყოფილიყო, მისი ნაწილი – მოკავშირეების, სირია და ლიბანი კი – საფრანგეთის. ამავე დროს ბრიტანეთი მხარს უჭერდა არაბების დამოუკიდებლობას და იგივე ტერიტორიას არაბებსაც პირდებოდა. დიდი ბრიტანეთი, ებრაელებისათვის ეროვნული კერის შექმნის შეთავაზებით, ეწეოდა ორმაგ ომს – 1915-1916წწ. მიმდინარეობდა აქტიური მიწერ-მოწერა ეგვიპტეში ინგლისელთა უმაღლეს კომისარს სერ ჰენრი მაკმაჰონსა და მექის შარიფ ჰუსაინს შორის. ამ წერილებში ინგლისელი დიპლომატი თავს იკავებდა პალესტინის მომავლის შესახებ ზუსტი პოზიციის დაფიქსირებისაგან (იხ. თავი VII).

ებრაელთა რეპატრიაციის რეალური იურიდიული საფუძველი გახდა *ბალფურის დეკლარაცია*, სადაც ბრიტანეთის მთავრობა აცხადებდა მხარდაჭერას სიონისტური მიზნისადმი. 1917 წლის 2 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ლორდმა ბალფურმა (1848-1930) გაუგზავნა საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი ბრიტანეთის ებრაული თემის წარმომადგენელს ლორდ როტშილდს. წერილის ტექსტის მიხედვით, დიდი ბრიტანეთი გამოხატავდა თავის კეთილგანწყობას პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნების თაობაზე (Goldschmidt, 2006: 278; Mayir, 1982).

> 2 ნოემბერი 1917წ.
> ძვირფასო ლორდო როტშილდ,
>
> ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით გადმოგცეთ ებრაელთა სიონისტური მისწრაფებისადმი თანაგრძნობის შემდეგი დეკლარაცია, რომელიც წარედგინა და დამტკიცდა კაბინეტის მიერ:
>
> „მისი უდიდებულესობის მთავრობა კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებას და გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას, რათა გაადვილოს ამ მიზნის მიღწევა, იმის ნათელი გაგებით, რომ არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს, ანდა იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს, რომლითაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში.“[7]
>
> მადლობელი დაგრჩებით, თუკი გააცნობთ ამ დეკლარაციას სიონისტურ ფედერაციას.
>
> არტურ ბალფური
>
> (ციტ. Felton, 2008: 24-25; გაჩეჩილაძე, 2008ა: 270).

ბალფურის დეკლარაციას, რომლის საბოლოო რედაქცია გარკვეული კომპრომისების შედეგია, იმთავითვე გარკვეული ხარვეზი ახლდა. იქ არ იყო მითითებული ზუსტი ტერიტორია, სადაც უნდა დაესახლებინათ ებრაელები. გათვალისწინებული იყო ებრაელთა იმ ნაწილის მოსაზრება, რომელიც სიონიზმის ამ გეგმას „ღვთის გეგმის უზურპაციად“ მიიჩნევდა, რადგან ისრაელი, მათი რწმენით, მხოლოდ მესიას უნდა აღედგინა, ებრაელების ჩასახლებას ნებაყოფლობითი ხასიათი უნდა ჰქონოდა და მათ უნდა ჰქონოდათ უფლება შეენარჩუნებინათ სტატუსი ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. დეკლარაციაში ლაპარაკია პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებაზე და არა მთელი პალესტინის გადაქცევაზე ასეთ კერად (Hertzberg, 2002; გაჩეჩილაძე, 2008ა: 272; ხონელიძე, 2003: 543-544).

ნაჰუმ გოლდმანი (1895-1982), მსოფლიო ებრაული კონგრესის ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში, წერდა: „რამდენად კანონიერიც არ

---

7 მოგვიანებით ბალფური თავის გამოუქვეყნებელ მოხსენებით ბარათში საგარეო საქმეთა მინი-სტრისადმი ეწინააღმდეგება დეკლარაციის ამ პუნქტს: „როგორი პატივისცემითაც არ უნდა ვე-პყრობოდეთ იმათ შეხედულებებს, ვინც იქ ცხოვრობს, დიდი სახელმწიფოები, სამანდატო ქვეყნის არჩევისას, არ აპირებდნენ, როგორც ეს მე მესმის, მხედველობაში მიეღოთ მათი აზრი“ (Berger, 1974: 234). ეს განცხადება გაკეთდა ბალფურის დეკლარაციიდან ორი წლის შემდეგ, მაგრამ გა-მოქვეყნდა მხოლოდ 30 წლის შემდეგ.

უნდა იყოს მისი მოთხოვნები, სიონისტურმა მოძრაობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ საყოველთაოდ მიღებული პრინციპის მიუხედავად, სინამდვილე ასეთია – ესა თუ ის ტერიტორია ეკუთვნის მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს უმრავლესობას. სხვა სიტყვებით, იდეოლოგიური და ეთიკური თვალსაზრისით, და პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისითაც, სიონისტებს თავიდანვე უნდა ეცადათ მიეღწიათ ურთიერთგაგებისათვის არაბულ სამყაროსთან"[8] (Berger, 1974: 235).

1917 წლის 11 დეკემბერს იერუსალიმში შევიდა ბრიტანეთის არმია გენერალ ედმუნდ ალენბის მეთაურობით. **1920 წლის 1 ივლისს იერუსალიმი ოფიციალურად გახდა ბრიტანეთის სამოქალაქო ადმინისტრაციის** ცენტრი. ბრიტანეთის უმაღლეს სამოქალაქო კომისრად დაინიშნა ჰერბერთ სემუელი. 1922 წლის 24 ივლისს სან რემოს საერთაშორისო კონფერენციაზე დიდმა ბრიტანეთმა მიიღო ერთა ლიგის მანდატი პალესტინის მართვაზე. მანდატის ტერიტორია უფრო დიდი იყო, ვიდრე სიონისტების მიერ განხილული ისტორიული პალესტინა. იმ დროისათვის პალესტინაში 85 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. ბრიტანეთისათვის მინიჭებული მანდატი მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ტრანსიორდანიის მთელ ტერიტორიასა და დასავლეთ სანაპიროს მიწებს მოიცავდა. 1922 წელს ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანმა კოლონიების საკითხში უინსტონ ჩერჩილმა, ამირა აბდალაჰის (შემდგომში მეფე) მმართველობის ქვეშ ტრანსიორდანიის ტერიტორიაზე საამირო შექმნა, რომელიც მოგვიანებით იორდანიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა (ჰერცოგი, 2007: 19-20). სიონისტების ჯგუფი თავს მოტყუებულად თვლიდა, რადგან დიდი ნაწილი იმისა, რასაც ისინი „ისტორიულ პალესტინას" უწოდებდნენ, ტრანსიორდანიას მიეცა, და მათ ჩამოაყალიბეს „რევიზიონისტული" მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსი ებრაელი ჟურნალისტი ვლადიმირ ჟაბოტინსკი (1880-1940). მისი, როგორც სიონისტი-რევიზიონისტის აზრით, ებრაელთა სახელმწიფო მდ. იორდანეს ორივე – დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს უნდა ყოფილიყო (Wilson, 1987).

ჯერ კიდევ 1925 წელს ვ. ჟაბოტინსკი წერდა:

„თითოეულმა არაბმა უნდა იცოდეს სიმართლე – „არც ძალით, არც საპარლამენტო აქტებით, არც ღვთიური სასწაულით შენ (არაბო) ვერ მოახერხებ ხელი შეუშალო ერეც-ისრაელის ნაბიჯ-ნაბიჯ გარდაქმნას ქვეყნად უპირატესი ებრაული მოსახლეობით" (ციტ. Kumaraswamy, 2009: 48).

მანდატის თანახმად, დიდი ბრიტანეთი იღებდა ვალდებულებას ხელი შეეწყო ებრაელთა იმიგრაციისათვის და შეექმნა ისეთი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამეურნეო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფდა პალესტინაში ებრაელთა ეროვნული კერის დაარსებას (Felton, 2008: 27-33). ბრიტანულმა სამოქალაქო ხელისუფლებამ შექმნა იერუსალიმში ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებები, ხოლო **1924 წელს პირველად იქნა არჩეული საქალაქო საბჭო, რომლის შემადგენ**ლობაშიც შევიდა ოთხ-ოთხი წარმომადგენელი სამი რელიგიური თემიდან (მუსლიმური, ქრისტიანული და ებრაული).

XX საუკუნის დასაწყისიდან ებრაულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს მიწების შესყიდვა პალესტინაში. მიწის დიდი ნაკვეთები ეკუთვნოდათ არა მხოლოდ პალესტინელ არაბებს, არამედ ფეოდალებს სირიიდან და ლიბანიდან, რომლებიც ყიდდნენ პალესტინის მიწის ნაკვეთებს სიონისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებზე. არაბი მიწისმფლობელებისათვის ხელსაყრელი იყო მიეყიდათ ეს მიწები ებრაელებისათვის, ვიდრე მიეცათ ის არენდით თავისი თანატომელებისათვის. ამ მიწების 1/3-ზე მეტი გაიყიდა ებრაელებზე ჯერ კიდევ ბალფურის დეკლარაციის გამოქვეყნებამდე. არაბებს იმ მომენტში არ ესმოდათ პალესტინაზე სიონისტური პრეტენზიების ჭეშმარიტი არსი, ვერ ხედავდნენ საფრთხეს სიონისტების მიერ პალესტინური მიწების ყიდვაში. ამას მხოლოდ მოგვიანებით მიხვდნენ, როცა **1930-იან წლებში სამანდატო პალესტინის ტერიტორიაზე გახშირდა შეტაკებები არაბებ**სა და ებრაელებს შორის, ასევე პალესტინელთა შეიარაღებული გამოსვლები ბრიტანეთის კოლონი-

8 როდესაც საუბარი მიმდინარეობდა იმაზე, რომ სიონისტები საჭიროდ არ თვლიდნენ მოთათბი-რებოდნენ ამ საკითხზე არაბებს, ისრაელის სახელმწიფოს დაარსების მომხრეები იმოწმებდნენ ერთ გამონაკლისს – მოლაპარაკება ამირა ფაისალ იბნ ჰუსაინთან, რომელიც ბალფურის დეკლარაციის მოქმედების პერიოდში იყო არაბთა ლიდერი. ხაიმ ვეიცმანმა, სიონისტების ლიდერმა და ისრაელის პირველმა პრეზიდენტმა, 1947 წლის 18 ოქტომბერს გაერთიანებული ერების პალესტინის ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ პალესტინაში ის შეხვდა ამირა ფაისალს და მიაღწია მასთან შეთანხმებას: „ამირა ფაისალი, მოგვიანებით ერაყის მმართველი, მომეთათბირა მე და აღმითქვა, რომ როდესაც თავისუფალი იქნება მთელი არაბული აზია, არაბები აღიარებენ ებრაელთა უფლებას თავისუფლად დასახლდნენ და განვითარდნენ პალესტინაში, რომელიც იქნება მოსაზღვრე არაბულ სახელმწიფოსთან" (Feisal, 1974:11).

ური ადმინისტრაციის წინააღმდეგ (განსაკუთრებით „პალესტინის აჯანყების“ წლებში – 1936-1939). არაბებს და ებრაელ ახალმოსახლეებს შორის შეტაკებებს ჰქონდა როგორც სოციალ-პოლიტიკური, ისე კულტურული სარჩული. ებრაელები უყურებდნენ არაბებს როგორც ველურ აბორიგენებს, ხოლო არაბები კი ხედავდნენ ებრაელებში ევროპელ კოლონიზატორებს (Khalidi, 1997: 111-117).

XX ს.-ის 30-იანი წლების მიწურულს არაბთა უკმაყოფილების ზრდის ფონზე დიდი ბრიტანეთის პოზიციამ სერიოზული ცვლილება განიცადა: ერთი მხრივ, ინგლისელებს ესმოდათ, რომ არაბებსა და ებრაელებს არ შეეძლოთ გაეყოთ პალესტინა, რადგანაც ორივე მხარე მას საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა. მეორე მხრივ, გერმანიისა და იტალიის გაძლიერება აიძულებდა ინგლისელებს წინდახედულად ემოქმედათ არაბებთან მეორე მსოფლიო ომის წინ, რომელშიც ახლო აღმოსავლეთი საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთი ასპარეზად შეიძლებოდა ქცეულიყო.

1937 წელს ლორდ პილის სამეფო კომისიამ[9] გამოიტანა ინგლისელთათვის არასაიმედო დასკვნები: სამანდატო რეჟიმს არ შეუძლია მოაგვაროს გაღრმავებული კონფლიქტი პალესტინელებსა და ებრაელებს შორის. თავის დასკვნაში კომისია იძლეოდა რეკომენდაციას მოეწვიათ კონფერენცია პალესტინაში ებრაული და არაბული თემების ხელმძღვანელების მონაწილეობით (Felton, 2008: 42-48).

პილის კომისიის დასკვნები:

– კონფლიქტი არ შეიძლება გადაწყდეს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში;

– პალესტინა უნდა გაიყოს ორ – არაბულ და ებრაულ ნაწილებად, მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე;

– ებრაულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს გალილეის დიდი ნაწილი, სანაპირო ზოლი თანამედროვე აშდოდამდე (პალესტინის ტერიტორიის **20%). არაბებმა უნდა მიიღონ მდ. იორდანეს დას. სა**ნაპირო, ნეგევი, ღაზას მიდამოები. უნდა შეიქმნას ერთიანი არაბული სახელმწიფო, რომელშიც შევა ტრანსიორდანიაც;

– ებრაული თემისათვის გამოყოფილი ტერიტორიების ფარგლებში იკრძალება მიწების შეძენა;

– უნდა შეეზღუდოს [ებრაელთა] იმიგრაცია 8 ათასამდე 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის 8 მარტამდე პერიოდში;

– ინგლისის კონტროლქვეშ უნდა დარჩეს იერუსალიმი, ბეთლემი და დერეფანი, რომელიც აკავშირებს იერუსალიმს იაფასთან. ასევე ვიწრო ზოლი აკაბას ყურის ჩრდილო-დასავლეთით და შესაძლოა, ქ. ნაზარეთი.

სენტ-ჯეიმზის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც არაბებმა, ისე ებრაელებმა, დაიწყო ლონდონში **1939 წლის თებერვალში, ხოლო 17 მაისს გამოქვეყნდა ბრიტანეთის კოლონი**ების მინისტრის მალკოლმ მაკდონალდის ანგარიში ბრიტანეთის პარლამენტისადმი, რომელიც ისტორიაში შევიდა *მაკდონალდის „თეთრი წიგნის“* სახელწოდებით. ფაქტობრივად „თეთრი წიგნი“ გახდა ბალფურის დეკლარაციის რევიზია. მასში იყო წინადადებები შეექმნათ **10 წლის განმავლობაში და**მოუკიდებელი სახელმწიფო პალესტინაში არაბული უმრავლესობით, უახლოესი **5 წლის განმავლო**ბაში კი პალესტინაში შემოსვლის ნება დაერთოთ არაუმეტეს 75 ათასი იმიგრანტი-ებრაელისათვის,[10] შეეზღუდათ მიწების ყიდვა ებრაელების მიერ. ფაშისტური გერმანიის მიერ ევროპაში ებრაელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის პირობებში, სიონისტებმა „თეთრი წიგნი“ უაღრესად ნეგატიურად მიიღეს. პალესტინის ბრიტანული ადმინისტრაციის წინააღმდეგ გაჩაღდა ტერორისტული საქმიანობა, რომელიც არ შეწყვეტილა მეორე მსოფლიო ომის დროს. თუმცა, ომის პერიოდში არაბები და ებრაელები მეტნაკლებად მშვიდობიანად თანაარსებობდნენ (Laqueur & Rubin, 2008: 50; Cleveland, 2009: 260-261).

9 მართალია, ეს გეგმა ითვალისწინებდა არაბული სახელმწიფოს შექმნას პალესტინის ტერიტორიის არა უმეტეს 80%-ზე, მაგრამ ებრაული თემის ლიდერებმა არ მიიღეს ის 1937 წ. აგვისტოში სიონისტების კონგრესზე, ხოლო არაბთა წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს 1937 წ. სექტემბერში პანარაბულ კონფერენციაზე სირიაში. ბრიტანეთის მთავრობამ პრინციპში მიიღო კომისიის გეგმა და ივალდებულა გაეტარებინა ღონისძიებები მისი რეალიზაციისათვის. არაბთა მზარდი უკმაყოფილების ჩასახშობად, 1938 წლის აპრილში ბრიტანეთის მთავრობამ გაგზავნა პალესტინაში ახალი კომისია დ. ვუდჰედის ხელმძღვანელობით, რომელმაც იმუშავა რამდენიმე თვე და მისი რეკომენდაციებით, უქმდებოდა პილის კომისიის მიერ შემოთავაზებული პალესტინის დაყოფის გეგმა.

10 5 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ აიკრძალებოდა ებრაელების შემოსვლა ქვეყანაში, „თუ პალესტინელი არაბები იმიგრაციის წინააღმდეგი იქნებოდნენ.“

ბრიტანული წყაროები აღშფოთებით აღწერენ სიონისტების ტერორისტულ საქმიანობას პალესტინაში, ხაზს უსვამენ, რომ ის ასუსტებდა დიდ ბრიტანეთს, რომელიც ომს აწარმოებდა გერმანიასა და იტალიასთან: „1942 წელს სიონისტი ექსტრემისტების მცირე ჯგუფი აბრაჰა შტერნის ხელმძღვანელობით ცნობილი გახდა იმით, რომ აწყობდა თელ-ავივის რაიონში მთელ რიგ პოლიტიკურ მკვლელობებს და ძარცვებს. მომდევნო წელს ცნობილი გახდა ფართო შეთქმულება, იარაღისა და საბრძოლო მასალების მოტაცების მიზნით ინგლისელი სამხედროებისაგან ახლო აღმოსავლეთში, რომელშიც ჩარეული იყო *ჰაგანა* („თავდაცვა").[11] მაგ., 1944 წლის 6 ნოემბერს, შტერნის ჯგუფის ორმა წევრმა (ელიაჰუ ჰანიმი და ელიაჰუ ზური) კაიროში მოკლა ინგლისის სახელმწიფო მინისტრი ახლო აღმოსავლეთში, ანტისიონისტი ლორდი მოინი, რომელიც უინსტონ ჩერჩილის პირადი მეგობარი იყო. ორივე დამნაშავე ჩამოახრჩეს, თუმცა ბრიტანული პოლიტიკა პალესტინის მიმართ არ შეცვლილა. კიდევ ერთმა იატაქვეშა ებრაულმა ორგანიზაციამ – „*ირგუნ ცვაი ლეუმი*" („ეროვნული სამხედრო ორგანიზაცია" – დაარსდა 1937წ.) მიაყენა დიდი ზარალი სახელმწიფო ქონებას 1944 წლის განმავლობაში." სიონისტების მიერ განხორციელებულ ტერაქტებს შორის ყველაზე გახმაურებული იყო 1946 წლის 22 ივლისს იერუსალიმში სასტუმრო „მეფე დავითის" აფეთქება, სადაც განლაგებული იყო პალესტინის ბრიტანული ადმინისტრაციის მმართველობა, სამხედრო ოფისები და ფრანგული საკონსულო. 350 კილოგრამიანი ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა 91 და დაიჭრა 45 ადამიანი (Kamrava, 2005: 78-79; Rogan, 2008: 247-249).

ებრაელ ახალმოსახლეთა რიცხვი კი პალესტინაში მაინც იზრდებოდა. აქ ათი ათასობით იმიგრანტი ჩადიოდა არალეგალურად. თუ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ებრაელები შეადგენდნენ პალესტინის მოსახლეობის 1/10-ზე ნაკლებს, 1947 წლისათვის ისინი უკვე შეადგენდნენ თითქმის მესამედს.

> 1939 წელს პალესტინაში იმიგრანტებთან მიმართებაში ბრიტანულ პოლიტიკას მოჰყვა ტრაგიკული შედეგები. ამ წელს ინგლისელებმა ნება არ დართეს სამ სატვირთო გემს, რომლებიც ებრაელი ლტოლვილებით იყო სავსე, შესულიყო პალესტინაში. მოგვიანებით ფართო გამოძახილი მოჰყვა გემ „სტრუმას" ისტორიას, რომელიც გავიდა კონსტანცადან (რუმინეთი) 769 ლტოლვილით, მიადგა სტამბოლს 1941 წლის 16 დეკემბერს, სადაც უნდა შეეკეთებინათ. 10 კვირის განმავლობაში თურქეთის და ბრიტანეთის მთავრობები საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ – ბრიტანელებს არ უნდოდათ მათი შესვლა პალესტინაში, ხოლო თურქეთის ხელისუფლება არ უშვებდა მათ ნაპირზე (ნება დართეს მხოლოდ ერთ ფეხმძიმე ქალს და ორ ოჯახს), რადგანაც ეშინოდა თურქეთში არ დარჩენილიყვნენ. 1942 წლის 24 თებერვალს გემი იძულებით გაუშვეს ზღვაში და ჩაძირულ იქნა რუსეთის წყალქვეშა ნავით, რომელმაც ის, შესაძლოა, ნაცისტურ გემად მიიჩნია. გადარჩა მხოლოდ ერთი ადამიანი – 19 წლის დევიდ სტოლიარი. იმავე წელს ხაიფასთან ჩაზირეს გემი „პატრია," რასაც 252 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა (Ofer, 1990: 166; Rollin, 2002: 259-260).

როგორც აღინიშნა, ინგლისელები შიშობდნენ, რომ არაბები მხარს დაუჭერდნენ გერმანიას. „თეთრი წიგნი" სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილების მცდელობა იყო. ჰოლოკოსტმა კი – ებრაელთა მასობრივმა განადგურებამ II მსოფლიო ომის დროს, ბევრისთვის გახადა ნათელი ებრაელების სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა.

ბრიტანელების „ორპირობა" არ აწყობდათ სიონისტებს, რომლებიც ელოდნენ უფრო აქტიურ მხარდაჭერას დიდი ბრიტანეთის მხრიდან ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხში. ამ პირობებში სიონისტები შეეცადნენ აშშ-ის მხარდაჭერის მოპოვებას. 1942 წლის 11 მაისს ებრაული სააგენტოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის სხდომაზე ნიუ იორკის სასტუმრო „ბილტმორში"ოფიციალურად გაახმოვანა ე.წ. „ბილტმორის პროგრამა." მისი მიზანი იყო პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნა შეუზღუდავი იმიგრაციის გზით. ფაქტობრივად, ბილტმორის შეხვედრა ნიშნავდა პრიორიტეტების ცვლას სიონისტური მოძრაობის პოლიტიკური მოკავშირეების არჩევაში – დიდი ბრიტანეთი შეცვალა აშშ-მა. ამერიკელები, თავის მხრივ, მზად იყვნენ მიეღოთ აქტიური მონაწილეობა ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში, მათ შორის პალესტინის საკითხის გადაწყვეტაშიც. ომის შემდგომ მალევე შეიქმნა ინგლისურ-ამერიკული კომიტეტი, რომელსაც დეტალურად უნდა შეესწავლა სიტუაცია პალესტინაში. კომიტეტის

11 ებრაული სააგენტოს მიერ კონტროლირებადი არალეგალური სამხედრო ფორმირება, რომელიც არსებობდა 1920-1948 წლებში, პალესტინაზე ბრიტანული მანდატის პერიოდში. ჰაგანა, რომელშიც ორი იატაკქვეშა ორგანიზაცია შედიოდა (მათ შორის ერთს – ირგუნ ცვაი ლეუმი – მენაჰემ ბეგინი ხელმძღვანელობდა), გააქტიურდა მას შემდეგ, რაც 1945 წელს აშშ-ის პრეზიდენტ ტრუმენის თხოვნაზე 100 ათასი ებრაელის ევროპიდან პალესტინაში ჩასახლების შესახებ ბრიტანეთმა უარით უპასუხა.

საქმიანობის შედეგებმა შეაშფოთა სიონისტები – უახლოეს დროში პალესტინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების იდეა შეუძლებლად დასახელდა იმის გამო, რომ მტრობა პალესტინელ არაბებსა და ებრაელებს შორის გამოიწვევდა სამოქალაქო ომს. პალესტინა, მანდატის დასრულების შემდეგ, უნდა ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მზრუნველობის ქვეშ. კომიტეტმა აგრეთვე რეკომენდაცია მისცა შეეცვალათ „თეთრი წიგნის" დებულებები და ნება დაერთო **100 ათასი ებრაელისათვის** დასახლებულიყო პალესტინის ტერიტორიაზე. თუმცა, კომიტეტის ყველა რეკომენდაცია მიღებული იყო მხოლოდ ცნობად ბრიტანეთის მთავრობის მიერ. მოწვეულმა ლონდონის კონფერენციამ ხელი ვერ შეუწყო პალესტინის საკითხის გადაწყვეტას. ორივე მხარის მკაცრმა პოზიციამ გამოიწვია ის, რომ დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა უარი ეთქვა მანდატზე და გადაეცა პალესტინის პრობლემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის[12] (Laqueur & Rubin, 2008: 55-57; Cleveland, 2009: 261).

დიდი ბრიტანეთის მხრიდან მანდატზე უარის თქმის მიზეზი გახდა უძლურება უზრუნველეყო მშვიდობა წმინდა მიწაზე. პალესტინის საკითხისადმი არათანმიმდევრულობამ გამოიწვია ის, რომ პალესტინელები, ისე როგორც ებრაელები, განწყობილი იყვნენ ანტიბრიტანულად. ირიბი მიზეზი გახდა დიდი ბრიტანეთის დასუსტება ომის შემდეგ, რასაც თან ახლდა ეკონომიკური პრობლემები. მიმდინარეობდა დიდი ბრიტანეთის კოლონიური სისტემის ეტაპობრივი დაშლა. ევროპული და ამერიკული საზოგადოებრიობა ებრაული საკითხის გადაწყვეტისა და დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხისადმი დადებითად იყო განწყობილი. ბრიტანეთის ადმინისტრაციის მცდელობებმა მოლაპარაკებოდნენ არაბებს და ებრაელებს გადაეწყვიტათ საკითხი გაერო-ს გარეშე, წარმატება არ მოიტანა – ინგლისელთა წინადადებებმა არ დააკმაყოფილა არც სიონისტები და არც არაბები. ბრიტანეთმა დახმარებისათვის მიმართა გაერო-ს გენერალურ ასამბლეას და არა უშიშროების საბჭოს, რადგანაც იქ საბჭოთა კავშირს შეიძლებოდა გამოეყენებინა ვეტოს უფლება და დაებლოკა ნებისმიერი შეთანხმებული გადაწყვეტილება[13] (Felton, 2008: 58). **ამდენად, 1947 წლის 14 თებერვალს პალესტინის მომავლის** საკითხი განსახილველად გადაეცა გაერო-ს.

> პალესტინაზე 25-წლიანმა მმართველობამ გამოიწვია სერიოზული დემოგრაფიული ცვლილებები – თუ 1922 წელს იქ ცხოვრობდა 750 ათასი ადამიანი, 1946 წელს მოსახლეობის რაოდენობამ უკვე 1,850 ათასს მიაღწია. ებრაული მოსახლეობა იმავე წლებში გაიზარდა 80 ათასიდან 608 ათასამდე. თუ I მსოფლიო ომის შემდეგ ებრაელები შეადგენდნენ პალესტინის მოსახლეობის 1/10-ზე ნაკლებს, 1947 წელს ისინი შეადგენდნენ უკვე თითქმის 1/3-ს. მოსახლეობის ზრდისა და პალესტინაში მიწების შესყიდვის აქტიური პოლიტიკის მიუხედავად, ებრაელები აკონტროლებდნენ მხოლოდ პალესტინის საერთო ტერიტორიის 6,2% და დამუშავებული მიწების 12%-ს (Choueiri, 2005: 278-280).

პალესტინის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება დაევალა გაერო-ს სპეციალურ კომისიას პალესტინაზე (*United Nations Special Committee on Palestine*), რომელიც შეიქმნა **1947წ. 15 მაისს და მასში შევიდნენ 11 ქვეყნის – ავსტრალიის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, გვატემალის, ინდოეთის, ირანის, ნიდერლანდების,** პერუს, შვეიცის, ურუგვაის და იუგოსლავიის წარმომადგენლები. **15 ივნისს კომისია ჩავიდა** პალესტინაში ადგილზე მდგომარეობის შესასწავლად და დაჰყო იქ 5 კვირა. კომისიამ გამოავლინა, რომ ებრაელები კვლავ უმცირესობას შეადგენდნენ. 1947 წლის 31 აგვისტოს სპეციალურმა კომისიამ წარადგინა გაერო-ში თავისი მოხსენება, რომელშიც იყო მთელი რიგი რეკომენდაციები: პალესტინაზე მანდატის შეცვლა, პალესტინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება და სხვ. ერთდროულად წარდგენილ იქნა პალესტინის მომავალი მოწყობის **2 გეგმა, რომლებიც ლიტერატურაში პირობითად იწოდება** „უმრავლესობის გეგმად" და „უმცირესობის გეგმად".

„უმრავლესობის გეგმა", რომელიც მოიწონეს კანადის, ჩეხოსლოვაკიის, გვატემალის, ნიდერლანდების, პერუს, შვეიცის და ურუგვაის წარმომადგენლებმა, ითვალისწინებდა პალესტინის დაყოფას ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – *არაბულად (მიწების 60%)* და *ებრაულად (მიწების 40%)*. იერუსალიმი გადადიოდა გაერო-ს მეურვეობის ქვეშ. გარდამავალ პერიოდში, რომელიც **2 წელი უნდა გაგრძელებულიყო**, პალესტინაზე მართვა ხორციელდებოდა დიდი ბრიტანეთის მიერ, გაერო-ს ზედამხედველობის ქვეშ.

---

12 1945 წლის ზაფხულში ბრიტანეთში ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ლეიბორისტები, რომლებმაც შეცვალეს პოლიტიკა და მხარი დაუჭირეს ებრაული სახელმწიფოს შექმნას პალესტინაში.

13 თუმცა, საბჭოთა კავშირი დათანხმდა პალესტინის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას: საბჭოთა ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ ებრაული სახელმწიფო შეიძლებოდა სსრკ-ის მეგობარი ქვეყანა გახდარიყო.

„უმცირესობის გეგმა," რომელიც მოიწონეს იუგოსლავიამ, ინდოეთმა და ირანმა, ითვალისწინებდა ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას და ის შედგებოდა არაბული და ებრაული შტატებისაგან დედაქალაქით იერუსალიმში. ის უნდა ემართა იქ მცხოვრებთა უმრავლესობას – მუსლიმ არაბებს (პალესტინაში იმ დროს ცხოვრობდა 600 ათასი ებრაელი და 1,25 მლნ არაბი, რომელთა 90% იყო მუსლიმი) (Felton, 2008: 58; Laqueur & Rubin, 2008: 69).

სიონისტურმა მოძრაობამ უარყო უმცირესობის გეგმა (ისე როგორც დასავლეთმა და საბჭოთა კავშირმა). თუმცა, პალესტინის საკითხის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-ის და სსრკ-ის პოზიციებს.

1947 წ. 29 ნოემბერს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია №181(II) პალესტინის დაყოფაზე ებრაულ და არაბულ სახელმწიფოდ, ხოლო იერუსალიმის ცალკე რაიონად გამოყოფაზე. ეს უკანასკნელი უნდა გამხდარიყო საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მყოფი ქალაქი. როგორც ებრაული, ისე არაბული სახელმწიფო რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა და ანკლავები უნდა ჰქონოდა (Felton, 2008: 59-67; Laqueur & Rubin, 2008: 69-77).

ებრაულ სახელმწიფოს გადაეცემოდა სამანდატო პალესტინის ტერიტორიის დაახლ. 56,47%, არაბულს – 43,53%. იმ მომენტში პალესტინაში ცხოვრობდა დაახლ. 650 ათასი ებრაელი და 1200 ათასი არაბი. ამასთან, ებრაულმა სახელმწიფომ მიიღო ეკონომიკურად უფრო განვითარებული ტერიტორია, რომელსაც ჰქონდა გასასვლელები ხმელთაშუა ზღვაზე და წითელ ზღვაზე – ქ. ისდუდის (დღევანდელი აშდოდი) ჩრდილოეთით ქ. ხაიფამდე; ზემო გალილეის დიდი ნაწილი, თითქმის მთელი ნეგევი (ბირ-საბას, დღევანდელი ბერ-შევას (ბეერშება), გარეშე) და გასასვლელი აკაბას ყურეში.

არაბულ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა გასასვლელი ზღვაზე ქ. აკოდან ჩრდილოეთით, ლიბანის საზღვრამდე და სამხრეთით – ქ. ისდუდი, მაჯდალი (დღევანდელი აშკელონი) და ღაზა ეგვიპტის საზღვრამდე; არაბული სახელმწიფოსი უნდა ყოფილიყო დასავლეთ გალილეა ქ. ნაზარეთითურთ, ქ. რამლა, ლიდა (დღევანდელი ლოდი), პროვინცია სამარია და იუდეა მკვდარ ზღვაზე გასასვლელით; ქ. ჯაფა (დღევანდელი იაფო) არაბული ანკლავი უნდა გამხდარიყო (*The United Nations Partition Plan*, 2006; გაჩეჩილაძე, 2008ა: 442-443).

> ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა 33 სახელმწიფომ: ავსტრალია, აშშ, ბელორუსიის სსრ, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, გვატემალა, დანია, დომინიკელთა რესპუბლიკა, ეკვადორი, ვენესუელა, ისლანდია, კანადა, კოსტა რიკა, ლიბერია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნიკარაგუა, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პანამა, პარაგვაი, პერუ, პოლონეთი, სსრკ, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, უკრაინის სსრ, ურუგვაი, ფილიპინები, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი, ჰაიტი;
>
> წინააღმდეგი იყო 13 სახელმწიფო: ავღანეთი, ეგვიპტე, ერაყი, თურქეთი, იემენი, ირანი, ინდოეთი, კუბა, ლიბანი, საბერძნეთი, სირია, საუდის არაბეთი;
>
> თავი შეიკავა 10 სახელმწიფომ: არგენტინა, ჰონდურასი, დიდი ბრიტანეთი, ეთიოპია, იუგოსლავია, კოლუმბია, მექსიკა, სალვადორი, ჩილე, ჩინეთის რესპუბლიკა.
>
> კენჭისყრაში არ მონაწილეობდა ტაილანდი (Bregman, 2001: 7).

გაერო-ს ამ რეზოლუციას დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პალესტინის პრობლემის მოგვარების საერთაშორისო-სამართლებრივ ისტორიაში. აღსანიშნავია აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის (1945-1953) პოზიცია: „ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, მე უნდა გავცე პასუხი ასობით ათასს, რომელთაც სურთ სიონიზმის წარმატება. მე არა მყავს ასობით ათასი არაბი ჩემს ამომრჩევლებს შორის." ჰარი ტრუმენს ეკუთვნის აგრეთვე სიტყვები: ქვეყნის გაყოფა ორ სექტორად „გზას გაუხსნის არაბებისა და ებრაელების მშვიდობიან თანაარსებობას"[14] (ციტ. Lilienthal, 1974: 129). თუმცა, ამას მშვიდობა არ მოჰყვა. ვინაიდან მიღწეული არც ერთ მხარეს არ აკმაყოფილებდა. 1948 წელს მენაჰიმ ბეგინი აცხადებდა, რომ „სამშობლოს გაყოფა უკანონოა. ის არასდროს იქნება აღიარებული.... ეს არ შეკრავს ებრაელ ხალხს. იერუსალიმი იყო და სამუდამოდ იქნება ჩვენი დედაქალაქი. ერეც ისრაელი იქნება აღდგენილი ისრაელის ხალხისათვის მთლიანად და სამუდამოდ" (ციტ. Chomsky, 1999).

სიონისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები არაოფიციალურ საუბრებში გამოხატავდნენ თავიანთ შეხედულებებს ებრაული სახელმწიფოს მომავალ მოწყობაზე და მის შესაძლო პოზიციაზე საერთაშორისო ურთიერთობებში. მისი საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველი უნდა ყოფილიყო ნეიტრა-

14 „ემიგრაციის ტალღა პალესტინაში გამოწვეული იყო არა თავისიანთა, ისეთივე ებრაელებს შორის ცხოვრების იდეის მიმზიდველობით, არამედ ანტისემიტიზმით და ებრაელთა დაუცველობით პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით" (Friedmann, 1974: 36).

ლიტეტი, შვეიცარიის მსგავსი. „ებრაული სახელმწიფოს არსებობა რეალობად იქცა ძირითადად აშშ-ის და სსრკ-ის პოზიციების შედეგად... აშშ-ში არის 5 მლნ ებრაელი, ხოლო სსრკ-ში – 3 მლნ ებრაელი. ახალ ებრაულ სახელმწიფოს არ სურს ორიენტაცია რომელიმე განსაზღვრულ ქვეყანაზე, ამის გამო უფრო სწორია, რომ ახალი ებრაული სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური კურსი ეფუძნებოდეს ნეიტრალიტეტს და ორიენტაციას გაეროზე“ (Запись, 2000: 277). ჯერ კიდევ ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე პრიორიტეტი მომავალ ეკონომიკურ თანამშრომლობაში ენიჭებოდა აშშ-ს (ეს ეხებოდა შეიარაღების, აღჭურვილობის და მომარაგების სხვა აუცილებელი მასალების შეძენას), რასაც უნდა განესაზღვრა ებრაული სახელმწიფოს პოზიცია ბიპოლარულ სამყაროში, რომლის კონტურებიც უკვე იკვეთებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის პოზიცია პალესტინის საკითხზე არ გამოირჩეოდა თანმიმდევრულობით. ეს დაკავშირებული იყო შიდაპოლიტიკურ პროცესებთან: ერთი მხრივ, ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანიები არ იზიარებდნენ თავისი ქვეყნის პროსიონისტურ პოზიციას, რაც იყო არაბული ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ნდობის დაკარგვის შედეგი. მეორე მხრივ, ებრაული ლობი დახმარებისაკენ მოუწოდებდა თავის თანატომელებს პალესტინაში და სერიოზული გავლენა ჰქონდა პრეზიდენტ ტრუმენზე. ისრაელის აღიარების მოწინააღმდეგეები იყვნენ ისეთი სერიოზული პოლიტიკოსები, როგორიცაა ჯორჯ მარშალი. ის თვლიდა, რომ ებრაულმა ლობიმ აშშ-ში არ უნდა განსაზღვროს აშშ-ის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში. სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი მრავალი ამერიკელი დიპლომატი და ასევე პენტაგონის წარმომადგენლები.

ამასთან, აშშ-ის პოზიციაში მოხდა გარკვეული შემობრუნება, რაც გამოიხატა ებრაული ორგანიზაციებისადმი იარაღის მიყიდვაზე უარის თქმაში და პალესტინის დაყოფის საკითხზე გაერო-ს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებების მხარდაჭერაზე უარის თქმაში. 1948 წლის მარტში, პალესტინაში სიტუაციის გაუარესების შემდეგ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს დაევალათ კონსულტაციების ჩატარება და რეკომენდაციების გაცემა იმ ღონისძიებებზე, რაც უკავშირდებოდა პალესტინის დაყოფაზე გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1947 წ. 29 ნოემბრის 181 (II)-ე რეზოლუციის შესრულებას.

აშშ-მა წარადგინა დოკუმენტი, რომელიც აცხადებდა რეზოლუციის შესრულების შეუძლებლობას ძალის გამოყენების გარეშე და გამოვიდა წინადადებით გაერო-ს დროებითი მეურვეობის თაობაზე, რაც უარყვეს სიონისტებმა. რადიკალებმა დაადანაშაულეს აშშ იმპერიალისტურ ზრახვებში და ებრაელთა საქმის ღალატში. არაბულმა მხარემ პოზიტიურად მიიღო ამერიკული ინიციატივა.

შიშის სინდრომი, რაც დაკავშირებული იყო პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს წარმოქმნის რეალურ პერსპექტივასთან, გახდა არაბული სამყაროს გამაერთიანებელი ფაქტორი, მაგრამ მაინც არასაკმარისად ეფექტური წინააღმდეგობისათვის. პალესტინელი არაბების პოზიცია ითვალისწინებდა 2 ძირითადი პუნქტის შესრულებას: ებრაელთა იმიგრაციის შეწყვეტა პალესტინაში, ერთიანი და განუყოფელი პალესტინური სახელმწიფოს შექმნა მრავალეროვნული მთავრობით პროპორციული წარმომადგენლობის ბაზაზე. სრულიად საპირისპირო იყო სიონისტების აზრი, რომლებიც არაბული ვარიანტის თანახმად, აღმოჩნდნენ უმცირესობაში, ხოლო იმიგრაციის შეწყვეტა არ შეცვლიდა არსებულ პროპორციებს.

არაბებსა და ებრაელებს შორის სულ უფრო ხშირად ხდებოდა შეიარაღებული კონფლიქტები, რასაც თან სდევდა დიდი მსხვერპლი ორივე მხრიდან. ინგლისელთა ფლოტი ახდენდა პორტების ბლოკირებას ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და ხელს უშლიდა იარაღის შეტანას. აშშ კი აწესებდა ემბარგოს მის შეტანაზე. მიუხედავად ამისა, ებრაელი ახალმოსახლეები იღებდნენ იარაღს არალეგალური არხებით. არაბული ქვეყნები ამარაგებდნენ ინგლისური იარაღით პალესტინელებს. მოხალისეთა რაზმები ერაყიდან, ტრანსიორდანიიდან, სირიიდან, ლიბანიდან ჩავიდნენ პალესტინაში სიონისტებთან საბრძოლველად.

გაერო-ს გადაწყვეტილებით, ინგლისური მანდატის ვადა იწურებოდა 1948 წლის 15 მაისს. ამიტომ ინგლისელები მიისწრაფოდნენ გამოეყენებინათ დრო საკუთარი ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთაგან ძირითადი იყო პალესტინაში გავლენის შენარჩუნება, პალესტინის არაბული ნაწილის შეერთება ტრანსიორდანიასთან. არსებობს აზრი, რომ ინგლისური ადმინისტრაცია არაბულ-ებრაული შეტაკებების ინსპირირებას ახდენდა, რათა ჩაეშალა გაერო-ს გადაწყვეტილება პალესტინის დაყოფაზე. ასეთი ფაქტის დადასტურება ან უარყოფა ძნელია, თუმცა შეიძლება იმის განცხადება, რომ ინგლისის ადმინისტრაციის პასიურობამ გამოიწვია პალესტინაში სიტუაციის გამწვავება. ოფიციალურად ინგლისი ხაზს უსვამდა თავის ნეიტრალურ პოზიციას და სურვილს უზრუნველეყო მშვიდობა პალესტინაში. თუმცა, პალესტინის დაყოფაზე გაერო-ს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ინგლისის მანდატის

დასრულებამდე პალესტინის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. ამ ომის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ეპიზოდი იყო ხოცვა-ჟლეტა არაბულ სოფელ დაირ-იასინში 1948 წ. 9 აპრილს, რაც განახორციელეს ლეჰის და ირგუნის ებრაელთა არარეგულარული რაზმების ბოევიკებმა. სოფლების შტურმისა და შემდეგი ანგარიშსწორებების დროს მოსახლეობასთან, დაიღუპა დაახლ. 250 პალესტინელი, მათ შორის ქალები და ბავშვები (Milstein, 1991: 255-276; Felton, 2008: 68; Goldschmidt, 2006: 289). ამ მოვლენას მოჰყვა პალესტინიდან არაბთა მასობრივი მიგრაცია. არაბთა საპასუხო ქმედებამ არ დააყოვნა და 13 აპრილს ისინი თავს დაესხნენ იერუსალიმში საავადმყოფოს და დახოცეს 79 ადამიანი – ექიმები, მოწყალების დები და სტუდენტები. ინგლისელი სამხედროები, რომლებიც იმყოფებოდნენ დაახლოებით ორასი მეტრის მოშორებით სისხლიანი შეტაკების ადგილიდან, არ ჩაერივნენ (Cleveland, 2009: 266; Rollin, 2002: 260).

ბენ გურიონი დამოუკიდებლობის დეკლარაციით

1948 წლის 14 მაისს (ერთი დღით ადრე მანდატის ვადის ამოწურვამდე) პრემიერ-მინისტრმა დავიდ ბენ გურიონმა გამოაცხადა *ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა* გაერო-ს 181-ე რეზოლუციით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. ბენ გურიონი თავის დღიურში წერდა: „შუადღის 4 საათზე ებრაელთა დამოუკიდებლობა გამოცხადდა და [ისრაელის] სახელმწიფო დაფუძნდა... მისი ბედი სამხედრო ძალების ხელშია“ (ციტ. Bregman, 2001: 14). იმავე საღამოს ამერიკის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა აღიარა ებრაელთა სახელმწიფოს არსებობა დე ფაქტო, ხოლო სსრკ-მა 18 მაისს ისრაელის მიმართვის პასუხად, აგრეთვე ცნო დე ფაქტო და ამასთანავე დე იურედ – 25 მაისს (ხონელიძე, 2003: 547).

დამოუკიდებლობის დეკლარაციაში (შედგება სამი ნაწილისაგან), რომელიც შეიმუშავეს მაღალკვალიფიციურმა იურისტებმა და ხანგრძლივი დებატების შემდეგ დაამტკიცა სახალხო საბჭომ, გადმოცემულია ისრაელის სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი პრინციპები.

> [...] 1947 წლის 29 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ ერეც-ისრაელში.
>
> [...] ებრაელ ხალხს, ისე როგორც ნებისმიერ სხვა ხალხს, აქვს ბუნებრივი უფლება იყოს დამოუკიდებელი თავის სუვერენულ სახელმწიფოში.
>
> [...] ისრაელის სახელმწიფო ღია იქნება რეპატრიაციისათვის და მასში მთელ სამყაროში გაფანტული ებრაელების გასაერთიანებლად; ისინი ყოველ ღონეს იხმარენ ქვეყნის განვითარებისათვის თავისი ყველა მცხოვრების საკეთილდღეოდ... ის განახორციელებს თავისი მოქალაქეების სრულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თანასწორობას, რელიგიის, რასის ან სქესის მიუხედავად. ის უზრუნველყოფს აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას, მშობლიური ენით სარგებლობის უფლებას, განათლებისა და კულტურის უფლებას. ის დაიცავს ყველა რელიგიის წმინდა ადგილებს და გაერო-ს ქარტიის პრინციპების ერთგული იქნება.

ისრაელის სახელმწიფო აცხადებს თანხმობას ითანამშრომლოს გაერო-ს ორგანოებთან და წარმომადგენლებთან, რათა ცხოვრებაში გაატაროს გენერალური ასამბლეის **1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია** და მიიღოს ზომები მთელი ერეც-ისრაელის ეკონომიკური ერთობის განსახორციელებლად [...].

ვუხმობთ არაბი ხალხის შვილებს, ვინც ცხოვრობენ ისრაელის სახელმწიფოში... მონაწილეობა მივიღოთ სახელმწიფოს მშენებლობაში სრული სამოქალაქო თანასწორობის საფუძველზე და შესაბამისი წარმომადგენლობით ყველა მის დროებით და მუდმივ დაწესებულებაში.

[...] ისრაელის სახელმწიფო მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს მთელი ახლო აღმოსავლეთის განვითარების საერთო საქმეში [...].

Declaration of Founding of Israel; cit.: Felton,2009: 69-71.
State of Israel: Proclamation of Independence.
ციტ. Laqueur & Rubin,2008: 81-83.

ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომები

ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბრიტანელები გავიდნენ პალესტინიდან. 1948 წლის15 მაისს ხუთი არაბული ქვეყნის (ეგვიპტე, ტრანსიორდანია, ლიბანი, სირია და ერაყი) ჯარები, რომლებიც მიისწრაფოდნენ არ დაეშვათ ებრაული სახელმწიფოს შექმნა, შევიდნენ პალესტინის ტერიტორიაზე. დაიწყო *ისრაელისა და არაბული ქვეყნების პირველი ომი*, რომელმაც ისრაელში მიიღო სახელწოდება „ომი დამოუკიდებლობისათვის", ხოლო არაბულ ქვეყნებში – „პალესტინური ომები". ომში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე არაბულმა ქვეყანამ, მაგრამ მათი შეიარაღებული ძალები, იორდანიის არმიის გამოკლებით, წარმოადგენდნენ არაორგანიზებულ და ცუდად შეიარაღებულ ფორმირებას.[15]

> არაბული ლეგიონის ბრიტანელმა ხელმძღვანელმა გენერალმა ჯონ გლაბმა განაცხადა: „[არაბებს] სჯეროდათ საკუთარი თავის, რომ იყვნენ დიდი სამხედრო ძალის მქონენი და უყურებდნენ ებრაელებს, როგორც მედუქნეებს... [არაბები] დარწმუნებული იყვნენ, რომ არ გაუჭირდებოდათ ებრაელების დამარცხება" (ციტ. Bregman, 2001: 18).

საბრძოლო მოქმედებების ფონზე, რომელმაც განამტკიცა პალესტინის დაყოფის საკითხზე სკეპტიკოსთა შიში, გაერო-ს შუამავალმა პალესტინის საკითხზე გრაფმა ბერნადოტმა (შვედეთის წარმომადგენელმა) 1948 წ. ივნისში გაერო-ს 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციას უწოდა წარუმატებელი და მოითხოვა მისი გადახედვა. ბერნადოტის გეგმა ითვალისწინებდა პალესტინის აღდგენას **1922წ. საზღვრებში** (ტრანსიორდანიის გამოყოფამდე) უნიტარული სახელმწიფო წარმონაქმნის სახით და **2 სახელმწიფოს** გამოყოფას – ებრაულის და არაბულის, როგორც ერთიანი კავშირის წევრების. ნეგევი გადაეცემოდა არაბებს, ხოლო გალილეა – ისრაელს. პალესტინელი ლტოლვილები ბრუნდებოდნენ სახლში და იბრუნებდნენ თავიანთ ქონებას. იერუსალიმი, გეგმის მიხედვით, შევიდოდა არაბული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ხაიფას პორტი და აეროპორტი ლოდი ხდებოდა თავისუფალი ზონები. წინადადება უარყო ორივე მხარემ. ებრაელები ისედაც აკონტროლებდნენ დასავლეთ გალილეას, ნეგევის ჩამოჭრა კი ნიშნავდა ისრაელის ტერიტორიის 2/3 დაკარგვას. ტრანსიორდანიის შეერთება პალესტინის არაბულ ნაწილად ნიშნავდა ამ უკანასკნელის გადასვლას ინგლისელთა კონტროლის ქვეშ, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ტრანსიორდანიის მეფე აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინთან. სირიას, ეგვიპტეს და ერაყს არ სურდათ ტრანსიორდანიის გაძლიერება პალესტინის (ნეგევით) ხარჯზე. ამასთან ერთად, სიონისტები პრინციპში არ იყვნენ წინააღმდეგი ამ ვარიანტისა იმ შემთხვევაში, თუ შეძლებდნენ მოლაპარაკებას აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინთან ისრაელისათვის გალილეის და ნეგევის დატოვების შესახებ.

გაერო-ს შუამავლის მიერ შემუშავებული წინადადებები გააგზავნეს უშიშროების საბჭოში 1948 წლის 16 სექტემბერს, ხოლო 20 სექტემბერს ჩართულ იქნა გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში. ბერნადოტის გეგმა ცვლილებებით და დამატებებით, ითვალისწინებდა შემდეგ პუნქტებს: დაედასტურებინათ ისრაელის სახელმწიფოს არსებობა, მოეწოდებინათ მხარეებისათვის გადაეწ-

15 მათი არმიების შემადგენლობა არ იყო დიდი (23,500): ეგვიპტე – 10,000, სირია - 3000, ერაყი - 3000, ლიბანი - 3000, ტრანსიორდანია (მოგვიანებით იორდანია) – 4,500. ისრაელს ჰყავდა 29,677-იანი არმია, მაგრამ თანდათან იზრდებოდა და 1948 წლის 4 ივნისისათვის მიაღწია 40,825-ს, 28 ოქტომბერს - 92,275-ს და 30 დეკემბერს - 108,300-ს (მათგან ქალი - 10,259). 1948 წლის 31 მაისს პრემიერ-მინისტრმა და თავდაცვის მინისტრმა ბენ გურიონმა გამოსცეს ბრძანება ისრაელის თავდაცვის ძალების – ცაჰალის ოფიციალურად დაარსების შესახებ (Bregman, 2001: 15-18).

ყვიტათ დავები მშვიდობიანად, დაემტკიცებინათ არაბი ლტოლვილების უფლება დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში, განესაზღვრათ იერუსალიმის სტატუსი.

ინგლისი პირობას დებდა, რომ დე იურე აღიარებდა ისრაელს ბერნადოტის გეგმის მიღების შემთხვევაში. აშშ-ის წარმომადგენლებიც პირდებოდნენ დე იურე აღიარებას და სესხის მიცემას ებრაული მხარის თანხმობის შემთხვევაში. თვით ბერნადოტი მოკლეს ლეჰის ჯგუფის ტერორისტებმა 1948 წ. 17 სექტემბერს. ისრაელის მიერ ბერნადოტის გეგმის არმიღების მიზეზები შემდეგში მდგომარეობდა: ნეგევის დაკარგვა ისრაელის დანარჩენ ნაწილს წყვეტდა აკაბას ყურიდან და მკვდარი ზღვიდან, ისრაელს აწყობდა იერუსალიმის საერთაშორისო სტატუსი, მაგრამ ებრაული ნაწილი უნდა მიკუთვნებოდა ისრაელს და დაკავშირებული ყოფილიყო ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან ფართო დერეფნით. თუმცა, ისრაელის არმიის წარმატებულმა მოქმედებებმა თავისი კორექტივები შეიტანა.

გაერო-ს უშიშროების საბჭომ, რომელიც ცდილობდა შეეჩერებინა საომარი მოქმედებანი, მიიღო ორი რეზოლუცია 1948 წლის 4 და 13 ნოემბერს, რომლებშიც მოითხოვა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა დაპირისპირებული მხარეებისაგან.

1949 წლის პირველ ნახევარში არაბული ქვეყნები და ისრაელი დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან კუნძულ როდოსზე. 1949 წ. 24 თებერვალს ისრაელმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ეგვიპტესთან, 23 მარტს – ლიბანთან, 3 აპრილს – ტრანსიორდანიასთან, და 20 ივლისს – სირიასთან.

გავლებულ იქნა სადემარკაციო ხაზი – *მწვანე ხაზი* – ერთი მხრივ, ისრაელსა და მეორე მხრივ, ლიბანს, სირიას, იორდანიას (იორდანიის მიერ ოკუპირებული მდ. იორდანეს დას. ნაპირის ჩათვლით), ეგვიპტეს (ეგვიპტის მიერ ოკუპირებული ღაზას სექტორის ჩათვლით) შორის. 1967 წლის „ექვსდღიან ომამდე“ მწვანე ხაზი არსებობდა, როგორც *ცეცხლის შეწყვეტის ხაზი*, ხოლო მის შემდეგ შეიძინა პოლიტიკური სტატუსი, რამდენადაც გაერო ოკუპირებულად თვლის ისრაელის კონტროლირებად ტერიტორიებს ამ ხაზს გარეთ (Bregman, 2001: 21-23).

ომი გაგრძელდა 1 წელი, 3 თვე და 10 დღე. ეს ომი ისრაელს დაუჯდა 500 მლნ აშშ დოლარი, ხოლო არაბებს – **300 მლნ აშშ დოლარი. ომის შედეგები არ იყო მანუგეშებელი არაბებისათვის.** გაერო-ს გადაწყვეტილებების მიუხედავად, პალესტინის ტერიტორიაზე არაბული სახელმწიფო არ შექმნილა – ისრაელმა ოკუპირება მოახდინა პალესტინის ტერიტორიის თითქმის 77%-ისა, ისე როგორც იერუსალიმის დიდი ნაწილის, დანარჩენი მიიტაცეს იორდანიამ და ეგვიპტემ. ომის შედეგად, ისრაელის ტერიტორია გაიზარდა 46,4%-ით (Bregman, 2001: 21).

არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პირველ ომში არაბული არმიების დამარცხების მიზეზი გახდა არამარტო ეკონომიკური და სამხედრო ჩამორჩენილობა, არამედ პალესტინის საკითხზე ერთიანი პოლიტიკის არქონაც. არაბების დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად თვლიდნენ აგრეთვე იორდანელთა და მეფე აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინის მოქმედებებს, რომელიც პირველ რიგში, დაინტერესებული იყო თავისი ტერიტორიის გაფართოებით პალესტინის ხარჯზე და არა პალესტინელი არაბების სახელმწიფოს შექმნით.

არაბული ქვეყნების მოქმედებებში ერთიანობის არქონამ, როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ დონეზე, გამოიწვია მათი დამარცხება. ამ მარცხის შედეგად მათი მთავარი მიზანი – არ დაეშვათ ისრაელის სახელმწიფოს შექმნა – განუხორციელებელი დარჩა: არაბული არმიები დამარცხდა, ხოლო ისრაელი არათუ „არ აღიგავა გეოგრაფიული რუკიდან,“ არამედ გაზარდა კიდეც თავისი ტერიტორია (სულ 1300 კმ^2 და 112 დასახლებული პუნქტი); ისრაელის სახელმწიფომ ხელი მოაწერა შეთანხმებებს თითქმის ყველა მოსაზღვრე არაბულ ქვეყანასთან; პალესტინის სახელმწიფო არ შექმნილა; პალესტინელი არაბების დიდი ნაწილი ლტოლვილებად იქცა; წარსულში ჩაბარდა იდეა იერუსალიმზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტერიტორიებიდან ისრაელმა მიიღო:

– ისრაელის დას. ნაწილი (იმ პირობებში, როცა გაერო-ს რეზოლუცია ითვალისწინებდა მის ინტერნაციონალიზაციას, ე.ი. საერთაშორისო კონტროლის ქვეშ დარჩენას);

– იაფო – თელ-ავივის არაბული გარეუბანი (გაერო-ს გეგმით, უნდა დარჩენილიყო არაბულ ანკლავად, მომავალში დაკავშირებული არაბულ სახელმწიფოსთან);

ჩრდილოეთით – გალილეის არაბული ნაწილი (დაახლ. მესამედი);

სამხრეთით – ბეერშევა და მისი მიდამოები;

ცენტრში – ლოდ-რამლეს რაიონი.

დამოუკიდებლობის ომში გამარჯვების შემდეგ პირველად იქცა რეალობად მსოფლიოს ყველა ებრაელის შეუზღუდავი უფლება ისრაელში იმიგრაციაზე.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რაც წარმოშვა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პირველმა ომმა, გახდა პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა. ჯოზეფ ვაიტცი, ებრაული ეროვნული მიწის ფონდის დირექტორი, ჯერ კიდევ 1940 წლის 19 დეკემბერს წერდა: „ნათელი უნდა იყოს, რომ ორივე ხალხისათვის ამ ქვეყანაში ადგილი არ არის. სხვა გზა არ არის, გარდა არაბების გასახლებისა აქედან მეზობელ ქვეყნებში, მათი სრულად გაყვანა“ (ციტ. Said, 1980). ამაზე უფრო ადრე დავიდ ბენ გურიონიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ის იძულებითი გასახლების მომხრე იყო, თუმცა ომის დროს მას მსგავსი ბრძანება არ გაუცია. დაახლ. 800 ათასმა ადამიანმა (გაერო-ს მონაცემებით 711 ათასი) დატოვა თავისი სახლი და იძულებული გახდა თავშესაფარი ეძებნა მეზობელ არაბულ ქვეყანაში. პალესტინელთა მასობრივმა მიგრაციამ თავიანთი მიწებიდან მიიღო სახელწოდება *ან-ნაქბა* (კატასტროფა). პალესტინელთა გაქცევის ფაქტებზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა როგორც ისრაელის მიერ ახალი ტერიტორიების შემოერთების ლეგიტიმიზაციისათვის, ისე პალესტინელებისათვის „ლტოლვილის სტატუსის“ მინიჭებისათვის მომავალში. პროისრაელურ შრომებში საუბარია იმაზე, რომ პალესტინელებმა დატოვეს თავიანთი სახლები სურვილისამებრ, არაბული ქვეყნების მოწოდების საფუძველზე. პროარაბულ მასალებში, თავის მხრივ, საუბარია იძულებით გასახლებაზე. 1948-49 წლებში სირიის პრემიერ-მინისტრის, ხალიდ ალ-აზმის მემუარებში ნათქვამია: „ლტოლვილებს 1948 წლიდან მოვუწოდებთ, თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ, მაგრამ განა თავადვე არ მოვუწოდებდით, ქვეყანა დაეტოვებინათ? ამ ორ მოწოდებას ერთმანეთისაგან მხოლოდ რამდენიმე თვე აშორებს“ (ჰერცოგი, 2007). უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პალესტინელი არაბების გაქცევა დაიწყო არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პირველი ომის დაწყებამდე და დაკავშირებული იყო ებრაული საბრძოლო ჯგუფების აქტიურ საქმიანობასთან. პალესტინელთა გაქცევამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო დაირ-იასინში სისხლიანი მოვლენების შემდეგ, რაც არაბებმა შეაფასეს როგორც საჩვენებელი სადამსჯელო ოპერაცია. „მითი „მიწა ხალხის გარეშე“ განხორციელდა ებრაული ტერორისტული ორგანიზაციების ძალით და განმტკიცდა არაბების უუნარობით დაეცვათ თავიანთი სახლები“ (Masalha, 1992).

> „სიონისტების ოცნება – ქვეყნის დეარაბიზაცია, მისი გადაქცევა ქვეყნიდან უპირატესი არაბული მოსახლეობით ქვეყნად უპირატესი ებრაული მოსახლეობით, ახდა 1948 წელს, როდესაც 750 ათასი პალესტინელი, ისრაელის სახელმწიფოს მფლობელობაში გადასულ ტერიტორიებზე [მცხოვრები] არაბი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტი, დევნილად იქცა.“
>
> „[პალესტინელების] მესამედი გაიქცა შიშის გამო, მესამედი – გააძევეს ისრაელიდან ძალის გამოყენებით, მესამედი – დაარწმუნეს წასვლის აუცილებლობაში.“
>
> აღმოსავლეთ იერუსალიმი, რომელიც ისრაელელებმა დაიპყრეს **1948 წლის ომის დროს, თითქ**მის მთლიანად ებრაული გახდა, რამაც საშუალება მისცა დავიდ ბენ გურიონს, ისრაელის პრემიერ მინისტრად გახდომის შემდეგ, განეცხადებინა: „მას შემდეგ, რაც იერუსალიმი დაანგრიეს რომაელებმა (ახ.წ. 131), ის არ ყოფილა ისეთი ებრაული, როგორიც ის გახდა ახლა“ (იქვე, 175, 179, 180-181).

1948 წლის 19 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია №212, რომლის მე-11 პარაგრაფი ეხებოდა პალესტინელ ლტოლვილებს. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ „ლტოლვილებმა, ვისაც სურთ დაბრუნდნენ თავიანთ სახლში და იცხოვრონ მშვიდობით თავის მეზობლებთან,“ უნდა მიიღონ შესაძლებლობა დაბრუნდნენ თავიანთ მიწაზე. ხოლო მათ, ვინც გადაწყვეტენ არ დაბრუნდნენ, მიეცემათ კომპენსაცია დატოვებული ქონების სანაცვლოდ და აუნაზღაურდებათ ზარალი „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად,“ რაზედაც პასუხს აგებენ ამ პრობლემასთან დაკავშირებული სახელმწიფოების მთავრობები. რეზოლუციაში საუბარი იყო ლტოლვილებზე, რომელთაც სურთ იცხოვრონ მშვიდობით მეზობლებთან.[16] ფორმულირება „ლტოლვილებს ნება უნდა დაერთოთ დაბრუნდნენ უახლოეს შესაძლო ვადაში“ ნიშნავდა, რომ მხოლოდ ისრაელს შეეძლო ნებართვის გაცემა დაბრუნებაზე და ვადების განსაზღვრა, რაც მიუღებელი იყო არაბებისათვის – მათ არ სურდათ დამოკიდებული ყოფილიყვნენ ისრაელის გადაწყვეტილებებზე.

---

16 ისრაელი მოითხოვდა, რომ ეს მითითება გავრცელებულიყო ორივე მხარის ლტოლვილებზე. ლტოლვილის სტატუსი პალესტინელებს საშუალებას აძლევდა მიეღოთ საერთაშორისო დახმარება, რის გამოც არაბულმა ქვეყნებმა არაფერი არ გააკეთეს პალესტინელი ლტოლვილების ასიმილაციისათვის, ისინი დღემდე ცხოვრობენ ბანაკებში გაერო-ს მიერ გამოყოფილი თანხებით.

პალესტინელები, არაბული ქვეყნების მოთხოვნით, გამოყვანილ იქნენ ლტოლვილთა საქმეებზე გაერო-ს უმაღლესი კომისრის მმართველობის იურისდიქციიდან, რამდენადაც ამ ორგანოს საქმიანობა ატარებდა ჰუმანიტარულ ხასიათს, ხოლო არაბული მხარე პალესტინელთა პრობლემას განიხილავდა, როგორც პოლიტიკურს.

1949წ. დეკემბერში გაერო-სთან შეიქმნა *ახლოაღმოსავლური სააგენტო პალესტინელი ლტოლვილებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და სამუშაოთა ორგანიზაციისათვის.*[17] ამ სააგენტომ დაამკვირდა განსაკუთრებული წესები, რომლებიც არ გამოუყენებიათ იძულებით გადასახლებულთა არც ერთი სხვა კატეგორიისათვის: ლტოლვილთა შთამომავლები, რომლებიც დაიბადებოდნენ პალესტინის გარეთ, ასევე მიიღებდნენ ლტოლვილის სტატუსს.

არაბული ქვეყნებისა და ისრაელის მომდევნო ომებმა (განსაკუთრებით 1967 წლის 6 დღიანი ომი) კიდევ უფრო გაზარდა ლტოლვილების რაოდენობა, რაც დღეს შეადგენს 4,5-დან 4,9 მლნ-მდე ადამიანს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პალესტინელთა სტატუსის საკითხი.

გაერო-ს ახლოაღმოსავლური სააგენტოს მონაცემებით, დღეს პალესტინელები ცხოვრობენ შემდეგ ქვეყნებში: იორდანია – 1,903,703; ღაზას სექტორი – 1,059,584; მდ. იორდანეს დას. ნაპირი – 754,263; სირია – 456,983; ლიბანი – 416,608; საუდის არაბეთი – 240,000-ზე მეტი; ეგვიპტე – 71 ათასზე მეტი.

ებრაელი სეფარდების[18] რაოდენობა, რომელთაც დატოვეს არაბული ქვეყნები (ეგვიპტე, ერაყი, იემენი და მაროკო), აღწევს 800-900 ათას ადამიანს (Roumani, 1983; Matas & Urman, 2003). ბევრ შემთხვევაში, ეს მოხდა ანტიებრაული განწყობის გამო (ეგვიპტე), ერაყში – საკანონმდებლო შეზღუდვების მიზეზით, ბევრი კი აიყარა ისრაელისაგან კარგი ცხოვრების დაპირების გამო. ამათგან 2/3 დიდხანს ცხოვრობდა ლტოლვილთა ბანაკებში ისრაელში, დანარჩენები კი გადავიდნენ საფრანგეთში, აშშ-ში და სხვა დასავლურ და ლათინური ამერიკის ქვეყანებში. ისრაელი ირწმუნებოდა, რომ ეს და პალესტინელების მასობრივი გაქცევა იყო მოსახლეობის გაცვლა არაბებსა და ებრაელებს შორის. ებრაელების დიდი ნაწილი ცხოვრობდა არაბული მაღრიბის ქვეყნებში და დატოვეს ის XXს. 50-60-იან წლებში. მაგრამ პალესტინელებისაგან განსხვავებით, ებრაელ სეფარდებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეეძინათ სახლები ახალ სამშობლოში – გაერო-ს მიერ ებრაული სახელმწიფოსათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომელიც შეიქმნა როგორც ეროვნული კერა მთელი მსოფლიოს ებრაელებისათვის. პალესტინის სახელმწიფო არ შექმნილა, ამიტომ არაბულმა ქვეყნებმა (იორდანიის გამოკლებით) უარი თქვეს თავისი მოქალაქეობის მინიჭებაზე იმ პალესტინელებისათვის, რომელთაც თავშესაფარი ჰპოვეს მათ ტერიტორიაზე და არ ჰქონდათ არანაირი სტატუსი.

გაერო-ს რეზოლუციაში პალესტინის დაყოფაზე ნათქვამი იყო: „ებრაულ სახელმწიფოში არ დაიშვება არაბული მიწების ექსპროპრიაცია, გარდა საზოგადოებრივი საჭიროებებით განპირობებული შემთხვევებისა. ექსპროპრიაციის ყველა შემთხვევაში წინასწარ უნდა იყოს გადახდილი სრული კომპენსაცია უმაღლესი სასამართლოს მიერ დადგენილი ზომით“ (Felton, 2008). მაგრამ უკვე 1948 წლის დეკემბერში დროებითმა მთავრობამ გამოუშვა პირველი დადგენილება მიტოვებულ მიწებზე და ქონებაზე. მისი მიზანი იყო ხელი შეეშალა უძრავი ქონების დაბრუნებისათვის მათი მეპატრონე არაბებისათვის, რომელთაც დატოვეს ქვეყანა მალევე ომის დაწყებიდან, 1948 წელს. ასეთივე მიზანი ჰქონდა 1950 წელს პირველი მოწვევის ქნესეთის (პარლამენტის) მიღებულ კანონს, რომლითაც სამთავრობო მეურვეს მიენიჭა უფლება მიეყიდა დატოვებული არაბული მიწები და სახლები მიწის სამმართველოსათვის. ამ უკანასკნელს კი უფლება ჰქონდა გადაეცა მიწა და სხვა უძრავი ქონება არენდით სხვადასხვა ებრაული დასახლებებისათვის ან, თუ საქმე ეხებოდა შენობებს ქალაქებში – ცალკეული პირებისათვის.

თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ ეს დადგენილებები ეხებოდა მხოლოდ არაბული მოსახლეობის იმ დიდ ნაწილს, რომელიც გაიქცა მეზობელ არაბულ ქვეყნებში. თუმცა სახელმწიფოს შექმნიდან 2 წლის შემდეგ გაირკვა, რომ აქტები მიტოვებულ ქონებაზე უშვებდა აგრეთვე კონფისკაციას იმ მიწების დაახლოებით 40%-ისა, რომლებიც ეკუთვნოდათ ისრაელის არაბ მცხოვრებლებს.

ტრანსიორდანიამ მიიტაცა მდ. იორდანეს დას. ნაპირი, ის ტერიტორია, რომელიც უნდა გამხდარიყო პალესტინის არაბული სახელმწიფოს ნაწილი. 1950 წლის 23 აპრილს სპეციალურად მოწვეულ-

17 თავდაპირველად გათვალისწინებული იყო, რომ ეს ორგანიზაცია დროებითი უნდა ყოფილიყო. თუმცა დღემდე არსებობს და მისი პერსონალი 20,000 ადამიანს ითვლის, ხოლო წლიური ბიუჯეტი – 311 მლნ აშშ დოლარს.

18 იმ ებრაელების სახელწოდება, რომლებიც XV ს-ში განდევნეს ესპანეთიდან და პორტუგალიიდან) და რომლებიც დასახლდნენ იმდროინდელი ოსმალეთის იმპერიის პროვინციებში (ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდ. აფრიკაში).

მა პარლამენტმა ოფიციალურად გამოაცხადა ტრანსიორდანიის და პალესტინის აღმოსავლური ოლქების გაერთიანება იორდანიის ჰაშიმიანთა სახელმწიფოში.

ისრაელის სამხედრო წარმატებები ხელს უწყობდა მის აღიარებას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ. შეიმჩნეოდა ურთიერთობის გაუმჯობესება აშშ-თან და დიდი ბრიტანეთთან. თუმცა ისრაელის მთავრობის პოზიცია ოფიციალურად რჩებოდა „ნეიტრალური" – მსოფლიოს ორ ბანაკად გაყოფის კონტექსტში.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დათანხმდნენ ებრაელთა ნაწილობრივ რეპატრიაციაზე ისრაელში. იმ ქვეყნებში (იუგოსლავია, პოლონეთი, ბულგარეთი), სადაც ებრაული თემები შეადგენდნენ უმნიშვნელო პროცენტს, რეპატრიაციის პრობლემა არ იყო. უნგრეთი და რუმინეთი, ყველაზე დიდი ებრაული დიასპორით (200 და 350 ათასი ადამიანი), ნეგატიურად უყურებდნენ ებრაელთა ემიგრაციას – ეშინოდათ, რომ მათ წასვლას შეიძლებოდა ზიანი მიეყენებინა ამ ქვეყნებისათვის.

რეპატრიაციის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისრაელისათვის. იგეგმებოდა ნეგევის და სხვა სტრატეგიული ტერიტორიების ინტენსიური დასახლება. სულ უფრო ხშირად განიხილებოდა საკითხი საბჭოთა ებრაელების ისრაელში შესაძლო გადასახლების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლებამ გამიჯნა გაერო-ში ისრაელის პოლიტიკის მხარდაჭერის საკითხი და ებრაელი საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის საკითხი.

1949 წლის 9 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია №303, **რომელმაც დაამტკიცა** გაერო-ს გენერალური ასამბლეის **1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებათა პრინციპები იერუ**სალიმის გამოყოფის თაობაზე „*corpus separatum*"-ის სახით, გაერო-ს მმართველობის ქვეშ. გაერო-ს სამეურვეო საბჭოს ევალებოდა საბოლოოდ დაემუშავებინა იერუსალიმის სტატუსი და მიეღო ზომები მის ასამოქმედებლად. სსრკ-მა, არაბულმა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა ხმა მისცეს ამ რეზოლუციას. წინააღმდეგი იყო ისრაელი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, დანია, ურუგვაი და იუგოსლავია (Laqueur & Rubin, 2008: 86-87).

1949 წელს დიდი ბრიტანეთი და აშშ შეეცადნენ ახლო აღმოსავლეთში ნატო-ს ტიპის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას. ისრაელმა უარი თქვა რომელიმე სამხედრო ბლოკში გაერთიანებაზე, რათა ხაზი გაესვა თავისი ნეიტრალური პოზიციისათვის. ისრაელის უარი განელაგებინა თავის ტერიტორიაზე დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სამხედრო ბაზები პოზიტიურად მიიღო საბჭოთა კავშირმა. თუმცა გავლენის სფეროებისათვის სსრკ-სა და აშშ-ს შორის დაპირისპირების გამწვავების ფონზე, ამ ორი ქვეყნის არაპირდაპირი მონაწილეობით შექმნილი ისრაელისათვის, ძნელი იყო ნეიტრალიტეტის პოზიციის შენარჩუნება. 1949-დან 1953 წლამდე პერიოდში სსრკ-სა და ისრაელს შორის ურთიერთობა გაუარესდა, რასაც თან სდევდა მწვავე პოლემიკა პრესაში და ორივე ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა საუბრებში.

1952 წლის 6 იანვარს პარიზში ისრაელისა და სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების (მ. შარეტი და ა. ი. ვიშინსკი) შეხვედრაზე კვლავ დღის წესრიგში დადგა ისრაელში საბჭოთა ებრაელების იმიგრაციის საკითხი. ვიშინსკიმ დაგმო ისრაელის პროამერიკული პოზიცია გაერო-ში მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. შარეტი შეეკამათა და აღნიშნა, რომ აშშ-ის ფინანსური დახმარების გარეშე ისრაელი ვერ შეძლებდა ფეხზე დადგომას და ებრაელთა რეპატრიაციის უზრუნველყოფას მთელი მსოფლიოდან. ვიშინსკიმ ხაზი გაუსვა, რომ სსრკ, თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ასეთივე მდგომარეობაში იყო და ერთადერთ გამოსავლად მიიჩნეოდა უცხოელებისათვის კონცესიების გადაცემა და დამოუკიდებლობის დაკარგვა, მაგრამ ქვეყანამ დაძლია ეს პრობლემები თავისი საკუთარი ძალებით (*Запись*, 2000). მოშე შარეტმა ხაზი გაუსვა ისრაელის პოზიციას: „ჩვენ დაინტერესებული ვართ დავიცვათ წონასწორობა ჩვენს საერთაშორისო პოზიციაში, მაგრამ სსრკ არ გვეხმარება ამის მიღწევაში. ამერიკელებს აქვთ ძლიერი კოზირი, რომელსაც თითქოსდა ფლობს საბჭოთა კავშირიც, მაგრამ მოსკოვში მას რატომღაც საერთოდ არ იყენებენ. შედეგად ირკვევა, რომ ამ გეგმაში უპირატესობა ამერიკელების მხარეზეა. ეს კოზირი არის თავისუფალი კავშირები დიასპორის ებრაელებსა და ისრაელს შორის" (იქვე, 323).

სსრკ-ს არ შეეძლო დათანხმებოდა ათასობით თავისი მოქალაქის ემიგრაციას, რადგანაც ოფიციალური წრეების მტკიცებით, ეროვნული საკითხი ქვეყანაში გადაწყვეტილი იყო და არც ერთ ეთნიკურ ჯგუფს არ შეიძლებოდა მიეღო სხვა ქვეყანაში იმაზე უკეთესი ცხოვრების პირობები, რაც ჰქონდა სსრკ-ში. ებრაელებისათვის სამშობლოში დაბრუნების უფლების აღიარება ნიშნავდა სიონიზმის (საბჭოთა იდეოლოგიური თვალთახედვიდან – ნაციონალისტური იდეოლოგია, რომელიც უცხო იყო კომუნისტურისათვის) აღიარებას. სსრკ-მა სცნო ებრაელთა უფლება და მხარი დაუჭირა ებრაელთა რეპატრიაციას ომის შემდგომი ევროპიდან, სადაც მათ ვერ შეძლეს დამკვიდრება. მაგრამ სსრკ-ში ებრა-

ელები ითვლებოდნენ მრავალეროვნული საბჭოთა საზოგადოების განუყოფელ ნაწილად, ამიტომ მათი ისრაელში გადასახლების პერსპექტივას საბჭოთა ხელმძღვანელობა ნეგატიურად აფასებდა.

1953 წლის 9 თებერვალს სსრკ-ის მისიის ტერიტორიაზე აფეთქდა ბომბი, რომელიც ისროლეს დაუდგენელმა ტერორისტებმა. საბჭოთა მთავრობამ საპროტესტო ნოტაში ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა დააკისრა ისრაელის მთავრობას და მითითებული იყო ისრაელსა და სსრკ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე.

საბჭოთა კავშირისა და ისრაელის ურთიერთობის გაწყვეტას დადებითად შეხვდნენ არაბული ქვეყნები. სტალინის გარდაცვალების შემდეგ აღდგა საბჭოთა კავშირისა და ისრაელის ურთიერთობები. თუმცა **1947-48 წლების დროინდელი თბილი ურთიერთობების აღდგენა არ მომხდარა, ამას ხელს უშ**ლიდა, პირველ რიგში, ისრაელსა და აშშ-ს შორის კავშირი.

სუეცის კრიზისი /1956 წლის სინას კამპანია

1956 წელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გამწვავება, *სუეცის კრიზისის*[19] სახით, დაკავშირებული იყო ეგვიპტესთან და ატარებდა სამხედრო ხასიათს, მაგრამ განსხვავდებოდა ყველა მომდევნო არაბულ-ისრაელური კონფლიქტისაგან, რადგანაც მასში არაბების და ისრაელელების გარდა მონაწილეობდნენ ევროპული ქვეყნების – დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის არმიები. ეგვიპტემ, 1948-1949წწ. არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომის შემდეგ, კონტროლი დაამყარა ქ. ღაზას მოსაზღვრე ტერიტორიაზე, როგორც იყო მითითებული ისრაელსა და ეგვიპტეს შორის 1949 წლის თებერვალში დადებულ შეთანხმებაში. ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ ვიწრო ზოლს (დაახლ. **360 კვ. კმ) ეწოდა ღა**ზას სექტორი. ღაზას მოსახლეობა გაიზარდა ისრაელის ტერიტორიიდან ლტოლვილთა ნაკადის გამო – 80 ათასიდან 1948წ. 245 ათასამდე 1950წ. (Wael, 1994). 1951 წლის ივლისში იერუსალიმის მუფთის ჰაჯ ამინ ალ-ჰუსაინის აგენტებმა იერუსალიმის ტაძრის მთაზე, ალ-აკსას მეჩეთის საფეხურებზე, მოკლეს იორდანიის მეფე აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინი, რომელიც საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ისრაელთან. მასთან ერთად იყო მისი შვილიშვილი ჰუსაინი, რომელიც **1 წლის შემდეგ იორდანიის მე**ფედ ეკურთხა. ეგვიპტეში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ნუკრაშ ფაშა მოკლეს, **1949 წლის სირიაში გე**ნერალმა ჰუსნი აზ-ზაიმმა მთავრობა დაამხო. ღაზას პალესტინელებმა ვერ მიიღეს ეგვიპტის მოქალაქეობა და მათი გადასვლა ეგვიპტის ტერიტორიაზე შეზღუდული იყო – ლტოლვილთა ნაკადი გააღრმავებდა ეგვიპტეში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს. **1952 წლის 23 ივლისის რე**ვოლუციის შემდეგ ეგვიპტეში დაემხო მონარქია და დაიწყო ქვეყნის ისტორიაში ახალი, რესპუბლიკური პერიოდი. ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა რთული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, არმიის მოდერნიზაცია, ბრიტანეთის კოლონიური მეურვეობისაგან განთავისუფლება და პალესტინის საკითხის გადაწყვეტა.

ეგვიპტისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ღაზაზე ლაშქრობა", როდესაც **1955 წ. 28 თებერ**ვალს ისრაელის არმია თავს დაესხა ეგვიპტის არმიის ღაზაში განლაგებულ გარნიზონს. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ინციდენტს სერიოზული შედეგი მოჰყვა – ეგვიპტელი ჯარისკაცების სიკვდილმა და ისრაელელების დაუსჯელობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია და დარტყმა მიაყენა ხელისუფლების ავტორიტეტს. აუცილებელი გახდა ეგვიპტის არმიის ბრძოლისუნარიანობის გაუმჯობესება. მოლაპარაკებები იარაღის მოწოდებაზე აშშ-თან, დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან წარუმატებლად დასრულდა.[20] აშშ და დიდი ბრიტანეთი ამის სანაცვლოდ ითხოვდნენ ეგვიპტის მონაწილეობას ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში (მედო,[21] ბაღდადის პაქტი), რომლებიც მიმართული იყო სსრკ-ის წინააღმდეგ. საფრანგეთი უკმაყოფილო იყო ნასერის რეჟიმის მხარდაჭერით არაბული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ალჟირში (Kissinger, 1994: 529; Risse-Kappen, 1995: 85).

---

19 სუეცის კრიზისი ლიტერატურაში ცნობილია აგრეთვე შემდეგი სახელწოდებებით: სუეცის ომი, 1956 წლის ომი, სამმაგი აგრესია, სუეც-სინას ომი, 1956 წლის არაბ-ისრაელის ომი, მეორე არაბ-ისრაელის ომი, სუეცის კამპანია, სინას კამპანია.

20 1950 წლის 25 მაისს 3 სახელმწიფომ – შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა დადეს შეთანხმება ემბარგოს დაწესების შესახებ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის იარაღის მიწოდებაზე, რათა არ დაეშვათ დაძაბულობის ესკალაცია. მაგრამ ის მალე დაირღვა - საფრანგეთმა 1954 წელს ისრაელს მიაწოდა თვითმფრინავი-გამანადგურებლები.

21 Middle East Defense Organization – შეიქმნა 1959 წელს.

1955 წლის სექტემბერში ეგვიპტემ დაიწყო იარაღის შესყიდვა ჩეხოსლოვაკიაში, რამაც დასავლეთის შეშფოთება გამოიწვია, რადგანაც ამ კონტრაქტში ხედავდნენ სსრკ-ისა და მისი მოკავშირეების შეჭრის საფრთხეს ახლო აღმოსავლეთში. 1955 წლის ოქტომბერში სირიამ და ეგვიპტემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთობლივ თავდაცვაზე და გააფორმეს კავშირი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ხელდასხმით შექმნილ ბაღდადის პაქტის ორგანიზაციას. ამასთან, „თავისუფალი ოფიცრები“ აგრძელებდნენ მოლაპარაკებას ასუანში კაშხლის მშენებლობის დაფინანსებაზე. 1955 წლის დეკემბერში აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება სახსრების გამოყოფაზე კაშხლის მშენებლობისათვის (54 და 14 მლნ დოლარი შესაბამისად). კაშხალი მისცემდა ეგვიპტეს მისთვის საჭირო ელექტროენერგიას და მნიშვნელოვნად გაზრდიდა სოფლის მეურნეობისთვის ვარგისი მიწის ფართობებს. ეგვიპტის მთავრობა, საბჭოთა იარაღის შეძენით და აშშ-სა და დიდ ბრიტანეთთან თანამშრომლობით ტექნიკურ სფეროში, ატარებდა ბალანსირების პოლიტიკას ზესახელმწიფოებს შორის.

აშშ და დიდი ბრიტანეთი ეგვიპტის პოლიტიკას აფასებდნენ როგორც დესტრუქციულს და ცდილობდნენ ეკონომიკური ზეწოლა მოეხდინათ ეგვიპტეზე – ერთი მხრივ, აღუთქვამდნენ კრედიტებს მნიშვნელოვანი სამეურნეო ობიექტების მშენებლობისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ემუქრებოდნენ ეგვიპტის ანგარიშების გაყინვით, ეგვიპტური ბამბის შესყიდვის შეზღუდვის გზით. 1956 წლის 20 ივლისს აშშ-მა გამოაცხადა თავისი წინადადების ანულირების შესახებ ასუანის კაშხლის დაფინანსების თაობაზე.

1956 წლის 26 ივლისს ეგვიპტის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა გამოაცხადა სუეცის არხის ნაციონალიზაცია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იყო დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საკუთრება (აქციების 44% და 52%; ეგვიპტე იღებდა მხოლოდ 7 %-ს). ნაციონალიზაცია ითვალისწინებდა სუეცის არხზე საკუთრების უფლების ცვლილებას, ე.ი. მისგან შემოსავლების მიღებას და მის მართვას. ამასთან, ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა აქციის მფლობელი კომპანიებისათვის კომპენსაციის გადახდისა და სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების თაობაზე. დიდი ბრიტანეთისათვის სუეცის არხი წარმოადგენდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან არტერიას – ბრიტანული იმპორტის 25% გადიოდა სუეცის არხზე, ხოლო ტვირთების მესამედი რეგისტრირდებოდა როგორც ბრიტანული. ნაციონალიზაციის შესახებ განცხადება ლახავდა აგრეთვე არხის აქციის მფლობელი 70 ათასი ფრანგის ინტერესებს (Kissinger, 1994: 529).

ინგლისელებმა და ფრანგებმა გადაწყვიტეს „სუეცის საკითხის“ გადაჭრა ძალისმიერი გზით, დაიწყეს ეგვიპტის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის მომზადება. თუმცა, სუეცის არხისათვის ომს წინ უძღოდა საკითხის დიპლომატიური გზით გადაჭრის მცდელობა.

1956 წლის 2 აგვისტოს ინგლისის, საფრანგეთის და აშშ-ის მთავრობებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ისინი „ეჭვის ქვეშ არ აყენებენ ეგვიპტის უფლებას სრულად ისარგებლოს სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყნის ყველა უფლებამოსილებით, მათ შორის საყოველთაოდ აღიარებული უფლებით – ნაციონალიზაცია მოახდინოს იმ აქტივების, რომლებზედაც არ ვრცელდება საერთაშორისო დაინტერესება“ (*Суецкий канал,* 1959: 235). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სუეცის არხზე ვრცელდებოდა სწორედ ეს საერთაშორისო დაინტერესება. „ეს მოქმედება წარმოადგენს არამხოლოდ ნაციონალიზაციის უბრალო აქტს – ნათქვამი იყო მიმართვაში – არამედ, ეს არის თვითნებური დაპყრობა ერთი ქვეყნის მიერ საერთაშორისო ორგანოსი, რომელიც ვალდებულია მართოს სუეცის არხი და უზრუნველყოს მისი ექსპლუატაცია... მასზე არის დამოკიდებული ვაჭრობა, ეკონომიკა და სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილის უსაფრთხოება“ (იქვე, 235).

ამგვარად, სამმხრივი კავშირი არხის ნაციონალიზაციის საკითხს მსოფლიოში მშვიდობის საფრთხედ წარმოაჩენდა. დასავლელი მოკავშირეები ნასერს დიქტატორად მოიხსენიებდნენ (ბრიტანელმა პრემიერმა იდენმა მას „ახალი ჰიტლერიც“ კი უწოდა), დაიწყეს ფსიქოლოგიური ომი და ამზადებდნენ საზოგადოებას რეალური ომისათვის.

ამავე განცხადებაში სამი დასავლური სახელმწიფოს მთავრობა მიუთითებდა, რომ გადაწყვიტეს კონფერენციის ჩატარება ლონდონში. ამ კონფერენციაზე მიწვეული იქნებოდნენ 1888 წ. კონფერენციის მონაწილეები და სხვა ქვეყნები, რომლებიც „მნიშვნელოვნად იყვნენ დაინტერესებული“ არხით სარგებლობაში. კონფერენციის მოწვევა იყო ამერიკული ინიციატივა – აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დალესმა დაიყოლია ინგლისი და საფრანგეთი არ დაეწყოთ სამხედრო მოქმედებები იქამდე, ვიდრე მშვიდობიანი დარეგულირების შესაძლებლობა არ ამოიწურებოდა.

აშშ არ იწონებდა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციას, მაგრამ წინააღმდეგი იყო ძალის გამოყენების: ეიზენჰაუერი ფიქრობდა, რომ სამხედრო აგრესია არ იყო გამართლებული – ის ხელს შეუწ-

ყობდა ანტიდასავლური განწყობილებების ზრდას და სსრკ-ის პოზიციების გაძლიერებას. იდენისადმი გაგზავნილ წერილში ეიზენჰაუერი მას აფრთხილებდა: „ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ხალხები... ერთიანდებიან დასავლეთის წინააღმდეგ იმ ხარისხით, რომ მე ვშიშობ, მისი დაძლევა შეუძლებელი იქნება არა მხოლოდ მთელი საუკუნის განმავლობაში“ (ციტ. Киссинджер, 1997: 485).

ამერიკელი სტრატეგოსები ფიქრობდნენ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მკვეთრი მოქმედებები გამოიწვევდა საშიშ შედეგებს რეგიონული უსაფრთხოების მთელი სისტემისათვის, რომელსაც აშშ და დიდი ბრიტანეთი თითქმის ათი წლის მანძილზე ქმნიდნენ. თუმცა, ამერიკელთა შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტიც, რომ სუეცის არხი გამოვიდოდა მისი მოკავშირის – დიდი ბრიტანეთის კონტროლიდან (Yergin, 1990: 480).

დიდი ბრიტანეთის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. მსოფლიოში ყველაზე მსხვილი კრედიტორიდან ის გადაიქცა ყველაზე მსხვილ მევალედ. დიდი ბრიტანეთის სანავთობო სამფლობელოები ახლო აღმოსავლეთში იყო ყველა მისი უცხოური შემოსავლების არსებითი ნაწილი. მათი დაკარგვა გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებდა მის ეკონომიკას. ნასერის გამარჯვებას ეგვიპტეში შეიძლება ისეთივე გამოძახილი ჰქონოდა როგორიც მოსადეყის მიერ ნავთობმრეწველობის ნაციონალიზაციას ირანში. იდენი აფრთხილებდა ეიზენჰაუერს: „ნასერს შეუძლია უარი უთხრას დასავლეთ ევროპას ნავთობზე და ჩვენ ყველა აღმოვჩნდებით მის ხელისუფლებას დამორჩილებული“ (იქვე, 481).

სსრკ-მა რამდენჯერმე განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა ეგვიპტის პოზიციას სუეცის არხის საკითხზე. საბჭოთა პოზიციაც ნაკარნახევი იყო პრაქტიკული მოსაზრებებით: კონფლიქტი ეგვიპტესა და დასავლეთის ქვეყნებს შორის საბოლოოდ გამოიყვანდა ეგვიპტეს ბრიტანული კონტროლიდან, სსრკ კი მიიღებდა მოკავშირეს არაბულ აღმოსავლეთში და რაც მთავარია, მოწყვეტდა სამხრეთ „სანიტარულ კორდონს“ ბაღდადის პაქტის სახელმწიფოებიდან, რომელიც აღმართეს ინგლისელებმა და ამერიკელებმა სსრკ-ის საზღვრის გასწვრივ.

1956 წლის 16 აგვისტოს გაიხსნა კონფერენცია, სადაც განიხილებოდა სუეცის არხის მომავლის საკითხი და დაახლოებით 50 ქვეყნიდან, რომლებიც სარგებლობდნენ სუეცის არხით, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 22 **ქვეყანამ – უმრავლესობა იყო პროამერიკული სამხედრო ბლოკების მონაწილე**. საბჭოთა კავშირის დელეგაციამ კონფერენციის დასაწყისშივე ყურადღება გააამახვილა, რომ ეგვიპტის გარეშე (ეგვიპტემ უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე) შეუძლებელი იქნებოდა „სუეცის საკითხის“ გადაწყვეტა. ამასთან, სუეცის არხი, საბჭოთა დელეგაციის განცხადებით, ნაციონალიზაციის გამოცხადების შემდეგ ფუნქციონირებდა უწინდელ რეჟიმში, რაც უსაფუძვლოს ხდიდა ეგვიპტისადმი ბრალდებებს.

1956 წლის 20 აგვისტოს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯ. ფ. დალესმა კონფერენციაზე განსახილველად შეიტანა თავისი წინადადებები სუეცის საკითხის დასარეგულირებლად – ე.წ. „დალესის გეგმა“. ამ გეგმის თანახმად, ეგვიპტეს ფაქტობრივად უარი უნდა ეთქვა სუეცის არხთან მიმართებაში არხის მართვის თავის სუვერენულ უფლებებზე საერთაშორისო ორგანოს სასარგებლოდ. საბჭოთა დელეგაცია გამოვიდა ამ გეგმის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ინდოეთის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, რომელიც ემყარებოდა ეგვიპტის სუვერენული უფლებების დაცვის პრინციპს. ამგვარად, ლონდონის კონფერენციის ორგანიზატორების მცდელობა – გამოეყენებინათ ის კონტროლის დასამყარებლად სუეცის არხზე – უშედეგოდ დამთავრდა. საკითხი გატანილ იქნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, სადაც საბოლოოდ დასამარდა ინგლისისა და საფრანგეთის იმედი სუეცის საკითხის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტის თაობაზე, რადგანაც სსრკ-მა გამოიყენა ვეტოს უფლება.[22]

1956 წლის 24 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უმაღლესი დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლები, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრები ფარულად შეხვდნენ პარიზის გარეუბან სევრში, ისრაელის უმაღლესი ხელმძღვანელობის დელეგაციას (დავით ბენ გურიონი, მოშე დაიანი და შიმონ პერესი). სამმა სახელმწიფო შეთანხმებას მიაღწია და შედგა *სევრის ოქმი*: ისრაელი, ეგვიპტის მუქარის საპასუხოდ, დარტმას მიაყენებდა სინას ნახევარკუნძულს სუეცის არხის მიმართულებით. ამას მოჰყვებოდა ინგლისისა და საფრანგეთის ნოტა ეგვიპტისადმი და ისრაელისადმი მოთხოვნით შეეწყვიტათ ცეცხლი და გაეყვანათ არმია არხიდან **10 კმ-ის მოშორებით. ამ შემთხვევაში ინ-**

22 1956 წლის წლის 11 სექტემბერს სსრკ-მა, რომელიც არ გამორიცხავდა სუეცის გამო ომის შესაძლებლობას, მიმართვა გაუგზავნა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს, სადაც ხაზგასმული იყო, რომ სსრკ არ იქნებოდა ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენათა მიღმა და იქვე იყო აგრეთვე გაფრთხილება „მოვლენათა საშიში განვითარების თაობაზე, თუ არ იქნებოდა გამოჩენილი სათანადო კეთილგონიერება“ (Горбатов, 1973: 90).

გლისი და საფრანგეთი სამშვიდობო მისიის სახით გადასხამდა დესანტს სუეცის არხის დასაკავებლად. მოკავშირეთა ქმედებები ეთანხმებოდა 1954 წლის ხელშეკრულების პუნქტს – საფრთხის წარმოშობა ნებას რთავდა ინგლისს შეეყვანა არმია. ეგვიპტის უარის შემთხვევაში იგეგმებოდა ომის წარმოება გამარჯვებამდე სამი სახელმწიფოს ძალებით. სევრის ოქმი საიდუმლოდ დარჩა დაახლოებით 40 წლის განმავლობაში (Felton, 2008: 81).

ისრაელს ჰქონდა საკმარისი მიზეზი, რათა მიეღო მონაწილეობა ინგლისურ-ფრანგულ კამპანიაში ეგვიპტეში ნასერის რეჟიმის დამხობის მიზნით: უპირველეს ყოვლისა, ჯერ კიდევ 1950 წლის ივლისიდან ეგვიპტემ დააწესა აკრძალვა გემების გატარებაზე, რომლებსაც ტვირთი მიჰქონდათ ისრაელში და დაბლოკა ისრაელის გემებისათვის ტირანის სრუტე. მეორე მხრივ, ისრაელს სურდა ბოლო მოეღო პალესტინელთა ბანაკებიდან პარტიზანების (ფედაიანთა) თავდასხმებისათვის ღაზას სექტორში. მესამე, ეგვიპტეში რეჟიმის შეცვლას შეიძლებოდა გამოეწვია სოციალისტური ქვეყნებიდან შეიარაღების შესყიდვაზე ხელშეკრულებების დენონსაცია. ისრაელს სჭირდებოდა ომი ეგვიპტესთან, რომელშიც გამარჯვებას აღუთქვამდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

პრემიერმა ბენ გურიონმა ისრაელის მინისტრთა კაბინეტის წევრებს 27 ოქტომბერს განუცხადა:

„არ ვიცი, როგორი იქნება სინას ბედი. ჩვენ პირველ რიგში გვაინტერესებს ეილათის მიმდებარე სანაპირო ზოლი და ყურე. ვვარაუდობ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო შეეცდება ჩვენს იქედან [სინადან] გამოძევებას. ესენია ამერიკა, რუსეთი, ასევე გაერო, ნერუ (ინდოეთის პრემიერი), აზია, აფრიკა; მინდა ვთქვა, რომ ყველაზე მეტად ამერიკა მაშინებს. ამერიკამ შეიძლება გვაიძულოს იმ პოზიციების დატოვება, რომლებსაც დავიკავებთ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაოსნობის თავისუფლების საკითხია“ (ციტ. Sachar, 2007: 494).

1956 წლის 29 ოქტომბერს ისრაელის არმია, რომელიც ითვლიდა 100 ათას ადამიანს, 200 ტანკს, 600 ერთეულ ჯავშანტექნიკას, დაახლ. 150 საბრძოლო თვითმფრინავს, *კადეშის* გეგმის მიხედვით შეიჭრა ეგვიპტეში. 30 ოქტომბერს ისრაელის აგრესიის საკითხი განსახილველად დაისვა უშიშროების საბჭოზე. იმავე დღეს საბჭოზე ინგლისის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 30 ოქტომბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ეგვიპტესა და ისრაელში გააგზავნეს სასწრაფო ნოტები, სადაც მოუწოდებდნენ ორივე მხარეს შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედებები ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში და გაეყვანათ თავიანთი შეიარაღებული ძალები არხიდან 10 მილის დაშორებით.

ასეთი სქემა ფარავდა ინგლისისა და საფრანგეთის თანამონაწილეობას კონფლიქტში. ეგვიპტეს სთავაზობდნენ უბრალოდ დაეტოვებინა მთელი თავისი ტერიტორია ისრაელის საზღვრიდან დასავლეთით 10 მილის დაშორებით სუეცის არხიდან – ე. ი. უნდა გადაეცა სინას ნახევარკუნძული. ეგვიპტეს მოსთხოვეს აგრეთვე დათანხმებოდა ინგლისურ-ფრანგული არმიის შეყვანაზე საკვანძო პოზიციებზე პორტ-საიდში, ისმაილიაში და სუეცში – მათი უსაფრთხოების მიზნით. ამასთან გამოცხადდა, რომ თუ 12 საათის განმავლობაში მხარეები არ შეასრულებდნენ ამ მოთხოვნებს, ეს გამოიწვევდა ინგლისურ-ფრანგული შეიარაღებული ძალების პირდაპირ ჩარევას.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება 1956 წლის შემოდგომაზე ბუდაპეშტში განვითარებულ მოვლენებზე. ცხადია, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების დაწყება და აჯანყება ბუდაპეშტში ერთმანეთს შემთხვევით არ დაემთხვა – ინგლისელები და ფრანგები ფიქრობდნენ, რომ სსრკ დაკავებული იქნებოდა უნგრეთის მოვლენებით და არ ჩაერეოდა სუეცის კრიზისში. ამ კონტექსტში გასაგებია ინგლისური პროპაგანდის აქტიურობა, რომელიც უნგრეთში ტრანსლირებული რადიოგადაცემების საშუალებით მოსახლეობას მოუწოდებდა აჯანყებისაკენ, აღუთქვამდა დასავლეთის დახმარებას სსრკ-ის ჩარევის შემთხვევაში. უნგრეთის აჯანყებამ ვერ შეუშალა ხელი საბჭოთა მთავრობას აქტიურად გამოსულიყო ისრაელის სამხედრო ოპერაციისა და დასავლური სახელმწიფოების მანევრების წინააღმდეგ (Rawsley, 1996).

1956 წლის 30 ოქტომბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოში სსრკ-ის წარმომადგენელმა მოუწოდა წევრებს მიეღოთ ზომები „ისრაელის აგრესიის აღსაკვეთად“ და მიეღწიათ შეთანხმებას ეგვიპტის ტერიტორიიდან მისი არმიის დაუყოვნებლივი გამოყვანის თაობაზე. გაერო-ს უშიშროების საბჭოში სსრკ-მა აშშ-თან ერთად ხმა მისცა ცეცხლის შეწყვეტას, მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა ვეტოს გამოყენებით დაბლოკეს როგორც სსრკ-ის, ისე აშშ-ის წინადადება. 31 ოქტომბერს ინგლისმა და საფრანგეთმა გამოაცხადეს სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ ეგვიპტის წინააღმდეგ (Felton, 2008: 81).

3 ნოემბერს აზიისა და აფრიკის 19 ქვეყანამ გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე განსახილველად წარადგინა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ომის შეწყვეტას. 4 ნოემბერს, 59 ხმით 5-ის წინააღმდეგ, რეზოლუცია მიიღეს. თუმცა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა კვლავ იგნორირება მოახ-

დინეს გაერო-ს მოწოდების – ინგლისურ-ფრანგული ავიაცია აგრძელებდა ეგვიპტური პოზიციების დაბომბვას.

1956 წლის 5 ნოემბერს სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა დეპეშა გაუგზავნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, სადაც მან მოითხოვა საბჭოს სასწრაფო მოწვევა, რომელსაც უნდა განეხილა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ისრაელის მიერ გაერო-ს გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის საკითხი და დაესახა დაუყოვნებლივი ღონისძიებები ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის შესაწყვეტად. ამავე დეპეშაში იყო რეზოლუციის პროექტი, რომელიც კატეგორიული ფორმით სთავაზობდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ისრაელის მთავრობებს „დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 12 საათისა გადაწყვეტილების მიღებიდან, შეეწყვიტა სამხედრო მოქმედებები ეგვიპტის წინააღმდეგ და სამი დღის ვადაში გაეყვანა ეგვიპტის ტერიტორიაზე შეჭრილი არმია." საბჭოთა პროექტში მითითებული იყო აგრეთვე, რომ თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდებოდა, მაშინ გაერო-ს ყველა წევრი და უპირველეს ყოვლისა სსრკ და აშშ, სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა ეგვიპტეს. საბჭოთა მთავრობა ხაზს უსვამდა აგრეთვე, რომ ის „მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს აგრესორთა დამარცხებაში, აგრესიის მსხვერპლთა დაცვაში, მშვიდობის აღდგენაში ეგვიპტეში სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების გაგზავნის გზით" (Горбатов, 1973: 95; Суецкий канал: 1959).

იმავე დღეს, **1956 წლის 5 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ წერილობით მიმართა აშშ-ის პრეზი**დენტს, სადაც სთავაზობდა სსრკ-ის და აშშ-ის ძალისხმევის გაერთიანებას ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის შესაწყვეტად. თუმცა, სსრკ-ის ინიციატივას მხარდაჭერა არ ჰქონდა ვაშინგტონში. შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ბულგანინმა გაუგზავნა მიმართვა ინგლისის, საფრანგეთის და ისრაელის მთავრობის თავმჯდომარეებს (ენტონი იდენს, გი მოლეს და ბენ გურიონს), რომელშიც პირდაპირი მუქარა იყო, რომ სსრკ ძალას გამოიყენებდა „აგრესორთა დასამარცხებლად და მშვიდობის დასამყარებლად აღმოსავლეთში."

თითოეულ მიმართვაში იყო სერიოზული გაფრთხილებები. იდენს გაეგზავნა პირველი მკვეთრად გამოხატული მუქარა სარაკეტო იარაღის გამოყენების თაობაზე: „საბჭოთა მთავრობა აუცილებლად მიიჩნევს თქვენი ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მიერ გაჩაღებული აგრესიული ომი ეგვიპტის სახელმწიფოს წინააღმდეგ... თავისი შედეგებით აისახა მთელ მსოფლიოზე... როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა თავად ინგლისი, მას თავს რომ დასხმოდა უფრო ძლიერი სახელმწიფო, რომლის მფლობელობაში იქნებოდა გამანადგურებელი იარაღის ყველა სახე? ...ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ძალის გამოყენებით აღვკვეთოთ აგრესია და მშვიდობა დავამყაროთ აღმოსავლეთში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კრიტიკულ მომენტში თქვენ გამოიჩენთ კეთილგონიერებას და გამოიტანთ აქედან სათანადო დასკვნებს."

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენ გურიონისადმი მიმართვაში ნათქვამი იყო: „ისრაელის სახელმწიფო, რომელიც ასრულებს სხვის ნებას და მოქმედებს გარედან მიღებული მითითებებით, დანაშაულებრივად და უპასუხისმგებლოდ თამაშობს სამყაროს ბედით, თავისი ხალხის ბედით. ის თესავს ამ სიძულვილს ისრაელის სახელმწიფოსადმი აღმოსავლეთის ხალხებს შორის, რომელიც არ შეიძლება არ აისახოს ისრაელის მომავალზე, და რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს თვითონ ისრაელის არსებობას, როგორც სახელმწიფოსი (Киссинджер, 1997: 489).

საბჭოთა განცხადებებმა შედეგი გამოიღო – ინგლისს და აშშ-ს არ აწყობდა საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების გაგზავნის პერსპექტივა ეგვიპტეში. იმავდროულად სსრკ-მა „მოაგვარა" უნგრეთის საკითხიც: **1 ნოემბერს საბჭოთა არმია შევიდა უნგრეთში, 4 ნოემბერს ბუდაპეშტში. აჯანყებულთა წი**ნააღმდეგობა საბოლოოდ ჩაახშეს 1956წ. 10 ნოემბერს. ამ ფონზე „მოხალისეთა გაგზავნის"და ძალის გამოყენების მუქარა „აგრესორების" წინააღმდეგ დამაჯერებლად გამოიყურებოდა (Rawnsley, 1996).

1956 წლის 5 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია №1000 ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. 1956 წლის 6 ნოემბერს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა გაუგზავნა მიმართვა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელშიც იტყობინებოდა, რომ ინგლისის მთავრობამ მისცა განკარგულება თავის შეიარაღებულ ძალებს ეგვიპტეში შეეწყვიტათ ცეცხლი **6-დან 7 ნოემბრის ღა**მეს. იმავე დღეს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მიმართვა გაუგზავნა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იმის თაობაზე, რომ საფრანგეთი თანახმაა ცეცხლის საბოლოო შეწყვეტაზე ეგვიპტეში, როგორც კი მსგავს სურვილს გამოხატავს ისრაელი და ეგვიპტე და როგორც კი გაერო-ს შეიარაღებული ძალები შეძლებენ შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები. ამას მოჰყვა **8 ნოემბერს ისრაელის პრემიერ-მინისტრის მიმართვა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისად**მი, სადაც იყო შეტყობინება ისრაელის არმიის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ეგვიპტეში.

1956. ნასერი პოპულარობის პიკზე

სინას კამპანიის შემდეგ ისრაელმა მიიღო თავისუფალი ზღვაოსნობის უფლება ეილათის ყურეში და ტირანის სრუტეში და მათი საშუალებით – მეწამულ ზღვაშიც. კანადის მთავრობის ინიციატივით შეიქმნა გაერო-ს „საგანაგებო ძალები." მართალია, ისრაელი ცდილობდა შეენარჩუნებინა ომის დროს დაპყრობილი მნიშვნელოვან რაიონები – შარმ აშ-შაიხი და ღაზას სექტორი, მაგრამ აშშ-მა აიძულა გაეყვანა არმია ამ რაიონებიდან, რის სანაცვლოდაც მიიღო ისრაელმა ტირანის სრუტეში ნაოსნობის გარანტია. ღაზას სექტორი და შარმ აშ-შაიხი გადადიოდა გაერო-ს საგანგებო ძალების კონტროლქვეშ. ისრაელმა თანდათან გამოიყვანა არმია იმ პირობით, რომ სამშვიდობო დარეგულირებამდე სექტორში დარჩებოდა გაერო-ს ძალები. ამასთან, ის იტოვებდა თავისუფალი მოქმედებების უფლებას მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში (Risse-Kappen, 1995: 98-99).

ღაზას სექტორის გაერო-ს კონტროლქვეშ გადაცემიდან ორი დღის შემდეგ, ნასერმა დანიშნა სამხედრო გუბერნატორი სექტორში, რომელიც გაერო-სთან შეუთანხმებლად, თავისი შტაბით გადავიდა ღაზაში. ეგვიპტის ზეწოლით გაერო-ს ჯარებმა დატოვეს ღაზას სექტორი და მისი საზღვრების გასწვრივ ახორციელებდნენ პატრულირებას. შედეგად ისრაელის ხომალდები თავისუფლად გადადიოდნენ ტირანის სრუტეში. დაწყნარდა სიტუაცია ეგვიპტე-ისრაელის საზღვართან, ვიდრე, 10 წლის შემდეგ, გამალ აბდელ ნასერმა საბოლოოდ არ გააძევა გაერო-ს ძალები (ჰერცოგი, 2007: 210).

1956 წლის ომში ეგვიპტის ფაქტობრივ გამარჯვებას ნეგატიური შედეგები ჰქონდა ისრაელისათვის. ეგვიპტის პრეზიდენტი, რომელმაც გაუძლო სამმაგ დარტყმას, გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი არაბულ სამყაროში. **1956 წლის შემდეგ ეგვიპტემ სერიოზული პრეტენზია** განაცხადა რეგიონალურ ლიდერობაზე.[23] **1958 წლის თებერვალში სირიასთან გაერთიანება გახდა ეგ**ვიპტის ამბიციური გეგმების განხორციელების კიდევ ერთი ნაბიჯი. 1958 წლის ერაყის რევოლუცია იყო გამალ აბდელ ნასერის მიერ გამოცხადებული პანარაბული კურსის გამარჯვება. ერაყის რევოლუციამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა იორდანია, რომელიც აკონტროლებდა არაბული პალესტინის ტერიტორიის დიდ ნაწილს. რესპუბლიკური პანარაბული რეჟიმები ეგვიპტეში, სირიასა და ერაყში აქტიურად ითხოვდნენ პალესტინის საკითხის სასწრაფო გადაწყვეტას. იორდანიის მონარქია შიშობდა, რომ აღმოჩნდებოდა ორ ცეცხლს შორის – არაბული ქვეყნებისა და ისრაელის მორიგ შეტაკებასთან

23 თუმცა, დავიდ ბენ გურიონმა აღნიშნა, რომ სინას კამპანიამ „ძლიერი დარტყმა მიაყენა ეგვიპტელი დიქტატორის პრესტიჟს, რომელიც მიისწრაფვის თავისი ხელისუფლება დაამყაროს ახლო აღმოსავლეთის ხალხებზე და შესაძლებელია მთელ აფრიკაზეც."

და მღელვარებებთან პალესტინური მოსახლეობისა, რომლებიც შეადგენდნენ იორდანიის მცხოვრებთა უმეტესობას.

ომის შედეგები: ეგვიპტის დანაკარგები – 1650 ადამიანი (მათ შორის 1000 მეომარი ისრაელის არმიასთან ბრძოლაში), 4900 დაჭრილი (მათ შორის 4000 სინაზე), ტყვეები და უგზოუკვლოდ დაკარგულები – 6285 ადამიანი (მათ შორის 6100 ისრაელელებთან ბრძოლაში). ისრაელის არმიის დანაკარგები – 189 ადამიანი მოკლული, 849 დაჭრილი და ტყვე; ინგლისელები – 16 მოკლული და 96 დაჭრილი; ფრანგები – 10 მოკლული და 33 დაჭრილი.

ინგლისისა და საფრანგეთისათვის ეგვიპტის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია იყო ახლო აღმოსავლური პოლიტიკის მორიგი კრახი. ინგლისისათვის ახლო აღმოსავლეთში ყოფნის დღეები დათვლილი იყო: შემდგომი დარტყმები – იორდანიაში არაბული ლეგიონის მეთაურის გლაბის განთავისუფლება 1956 წელს და 1958 წლის ერაყის რევოლუცია – ნიშნავდა დიდი ბრიტანეთის პოზიციების კიდევ უფრო შესუსტებას. **1962 წელს საფრანგეთმა უარი თქვა ალჟირზე. დასასრულს უახლოვდებო**და ინგლისურ-ფრანგული ბატონობა ახლო აღმოსავლეთში – ეპოქა, რომელიც დაიწყო საფრანგეთის მიერ ალჟირის კოლონიზაციით, ინგლისელების მიერ ეგვიპტის ოკუპაციით და **1916 წლის საიქს-პი**კოს ხელშეკრულებით ოსმალური სამფლობელოების განაწილების შესახებ. ამის შემდეგ არც საფრანგეთს და არც ინგლისს აღარასოდეს უთამაშიათ ასეთი მნიშვნელოვანი როლი ახლო აღმოსავლეთში. აშშ და სსრკ აღმოჩნდნენ უზარმაზარი კოლონიური სისტემის მემკვიდრეები.

6 დღიანი ომიდან შავი სექტემბრის მოვლენებამდე

1965 წელს თუნისის პრეზიდენტი ჰაბიბ ბურღიბა, ახლო აღმოსავლეთის მრავალი პოლიტიკოსისათვის მოულოდნელად, გამოვიდა სამშვიდობო ინიციატივით და შესთავაზა არაბულ სახელმწიფოებს ეცნოთ ისრაელი იმ საზღვრებში, რაც აღნიშნული იყო გაერო-ს 1947 წლის №181-ე რეზოლუციაში და დაეცვათ **№194-ე რეზოლუცია პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნების თაობაზე. ეს გეგმა უარყო**ფილ იქნა ორივე მოწინააღმდეგე მხარის მიერ, მაგრამ ზოგიერთი წყაროს ცნობით, სერიოზული დისკუსიები ამ თემაზე მიმდინარეობდა როგორც ისრაელის, ისე არაბულ პოლიტიკურ ელიტებში. მაგრამ ბურღიბას ინიციატივა უშედეგო აღმოჩნდა.

1967 წლის 5 ივნისს ახლო აღმოსავლეთში გაჩაღდა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ახალი ომი, რომელიც ისტორიაში შევიდა *ექვსდღიანი ომის* სახელით და დამთავრდა ისრაელის სრული გამარჯვებით ეგვიპტეზე, სირიასა და იორდანიაზე. ამ ომს ჰქონდა სერიოზული შედეგები მთელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონისათვის. ეს იყო ახალი ეტაპი როგორც ისრაელის, ისე არაბული ქვეყნების ისტორიაში. მან განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთის შემდგომი განვითარება და რეგიონის თანამედროვე რუკა, ზოგიერთი გამონაკლისით, მოხაზული იქნა ექვსდღიანი ომით.

ამერიკელი მკვლევარი მაიკლ ორენი თავის ვრცელ მონოგრაფიაში „ომის ექვსი დღე“ წერს: „ყველა მომდევნო კონფლიქტი და სამშვიდობო ინიციატივა – მომქანცველი ომი, იომ-ქიფურის ომი, „შავი სექტემბერი,“ ლიბანის ომი, შეთანხმებები კემპ-დევიდში, ოსლოში, ინთიფადა – ყველაფერი ეს იყო 1967 წლის ივნისის ექვსი დაძაბული დღის შედეგი“ (Oren, 2003).

ექვსდღიან ომს წინ უძღოდა ლოკალური შეიარაღებული შეტაკებების და მძაფრი პოლიტიკური პოლემიკის სერია, უპირველეს ყოვლისა, გაერო-ს ჩარჩოებში. ისრაელის ხელმძღვანელობას სჭირდებოდა „მცირე ძლევამოსილი ომი,“ ხოლო არაბული არმიები, თავის მხრივ, მზად იყვნენ შური ეძიათ ისრაელზე ადრინდელი დამამცირებელი დამარცხებების გამო.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წყლის რესურსების განაწილების საკითხმა. **1964-1967 წწ. ის**რაელელებს და არაბებს შორის გაჩაღდა კონფლიქტი მტკნარი წყლის გამო. მდ. იორდანეს წყლის რესურსების განაწილების საკითხი არაერთხელ წამოიჭრა წინა ათი წლის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა **1964 წლის სექტემბრის შემდეგ, როდესაც ამუშავდა ისრაელის ნა**ციონალური წყალშემკრები და მდ. იორდანეს წყლებმა დაიწყო გადასვლა ნეგევის უდაბნოში. სირიიდან წყლის გადაქაჩვამ გამოიწვია სირიასა და ისრაელს შორის დაძაბულობის გადაზრდა შეიარაღებულ კონფლიქტში, რამაც უბიძგა ეგვიპტეს განეხორციელებინა სერიოზული ღონისძიებები ისრაელთან მიმართებაში.

საბჭოთა იარაღის დახმარებით ეგვიპტის არმიის გაძლიერებამ დაარწმუნა ეგვიპტის გენერალიტეტი სიძლიერეში და პრეზიდენტ ნასერს გაუჩნდა ისრაელზე უპირატესობის საშიში ილუზია. მართალია ეგვიპტის სამხედრო სიძლიერე გაიზარდა 1948 წელთან შედარებით, მაგრამ ისრაელი, თავის მხრივ, გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ (თუ არა უძლიერეს) სამხედრო ძალად რეგიონში.

ეგვიპტის არმია მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომში იემენში, მხარს უჭერდა ანტიმონარქიულ ძალებს. არაბული სამყაროს მონარქიები კი ეხმარებოდნენ იემენელ როიალისტებს ნასერიზმისა და ეგვიპტური იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეგვიპტის არმიის იემენურ კამპანიას ისტორიკოსები ადარებენ ამერიკის ვიეტნამურ ომს (მას მოიხსენიებენ აგრეთვე სახელით – „ნასერის ვიეტნამი“). ამ ომმა ეგვიპტეს მოუტანა დიდი ფინანსური და ადამიანური დანაკარგები. 1967 წელს იემენის ომში მონაწილეობდა ეგვიპტის არმიის საუკეთესო ძალები – **50 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე**. მათმა არყოფნამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ექვსდღიან ომზე. არაბული ქვეყნების საერთო ანტიისრაელური რიტორიკის მიუხედავად, 60-იანი წლების შუახანებში არაბული სამყარო იყოფოდა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად – *კონსერვატიულად*, რომელიც აერთიანებდა არაბულ მონარქიულ რეჟიმებს საუდის არაბეთის მეთაურობით და *რევოლუციურად*, რომელშიც შედიოდნენ არაბული რესპუბლიკები ეგვიპტის მეთაურობით. როგორც ადრინდელი ომების წინ, ახლაც ერთიანობის არქონა სერიოზულად ასუსტებდა არაბთა „ანტიისრაელურ კოალიციას“ (Kamrava, 2005: 113-115).

საკითხს – „ვინ დაიწყო ომი?“ – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში, რომლებიც ეძღვნება ექვსდღიანი ომის მიზეზების განხილვას.

ისრაელის მხარე ამ ომს უწოდებს პრევენციულს, ცდილობს დაადასტუროს, რომ ეგვიპტე თვითონ ამზადებდა ომს ისრაელის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ მოშე დაიანმა ამ ომის შემდეგ განაცხადა: „წარსულში მრავალი ომი დაწყებულა მოულოდნელად, მაგრამ საეჭვოა, რომ ოდესმე ასე მოულოდნელი ყოფილიყო ისრაელის ისტორიაში, როგორც ეს [1967 წლის ომი]“ (Bregman, 2000: 147). მართალია, ეგვიპტე მოითხოვდა გაერო-ს სამშვიდობოების გაყვანას სუეცის არხის ზონიდან და დაიწყო არმიის გადასროლა სინაზე, მაგრამ ეს ხდებოდა ისრაელის სირიასთან კონფრონტაციის პირობებში, რაც ქმნიდა სირია-ისრაელის ომის საფრთხეს, რომელშიც ეგვიპტელები მხარს დაუჭერდნენ სირიას.

ზოგიერთ ისრაელურ და ამერიკულ ნაშრომებში პოპულარულია ვერსია იმის თაობაზე, რომ საბჭოთა მხარემ საიდუმლო ინფორმაცია მიაწოდა ეგვიპტეს ისრაელის საომარი გეგმების თაობაზე. თითქოსდა სწორედ ამ ინფორმაციამ უბიძგა ეგვიპტეს მოეხდინა თავისი ძალების მობილიზაცია (Laqueur & Rubin, 2008: 109). სახელდება თარიღი – 1967 წლის 13 მაისი, როდესაც სსრკ-მა აცნობა ეგვიპტეს ისრაელის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ სირიასა და ეგვიპტეზე. მაგრამ არაბული წყაროებსა და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ ეგვიპტელებმა მიიღეს ინფორმაცია შესაძლო თავდასხმაზე სირიელებისაგან. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო დოკუმენტებში, მათ შორის 1967 წლის 13 მაისის დოკუმენტში, სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო საუბრობს მხოლოდ რეგიონში „რეაქციული ძალების გააქტიურებაზე;“ იგულისხმება სირია-ისრაელის ურთიერთობების გამწვავება. ეგვიპტური მხარე კი უშვებდა ისრაელზე თავდასხმის შესაძლებლობას მხოლოდ სირია-ისრაელის ომის დაწყების შემთხვევაში. ზოგიერთ წყაროში არის ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისაგან, ვლადიმირ სემიონოვისაგან, ეგვიპტის პრემიერ-მინისტრს – ანვარ სადათს გადაეცა კონფიდენციალური ინფორმაცია ისრაელის დივიზიების თავმოყრის თაობაზე სირიის საზღვრის გასწვრივ (*Запись*, 2003; Parker, 1996: 13-73; Quandt, 2005: 25-27).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სირია რამდენიმე თვის მანძილზე ომის პირას იყო ისრაელთან და ორივე მხარეს ხშირი იყო სასაზღვრო შეიარაღებული კონფლიქტები. სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს გასაიდუმლოებულ დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს საუბრის ჩანაწერს ეგვიპტეში სსრკ-ის ელჩს დ.პ. პოჟიდაევას და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს შ. ბადრანს შორის, აღნიშნულია სირიის საზღვართან 12 ისრაელური ბრიგადის განლაგების ფაქტი. ამის შესახებ ეგვიპტის მინისტრს შეატყობინეს სირიელებმა, რომელთაც ეშინოდათ ისრაელთან შესაძლო ომის. ბადრანმა შეატყობინა პოჟიდაევს, რომ სინასკენ მიემართებოდნენ ეგვიპტური ქვედანაყოფები, რომლებიც მზად იყვნენ დახმარებოდნენ სირიას ისრაელის შეჭრის შემთხვევაში. ამ შეჭრის მიზანი, ბადრანის აზრით, შესაძლოა ყოფილიყო სირიის რეჟიმის დამხობა და ეგვიპტის მეთაურობით არაბული „პროგრესული“ კოალიციის დასუსტება (Gawrych, 2000).

1967 წლის 18 მაისს ეგვიპტელებმა მოითხოვეს გაერო-ს სამშვიდობო ძალების გაყვანა, რომელიც განლაგებული იყო სინაზე და წარმოადგენდა ბუფერს ისრაელსა და ეგვიპტეს შორის. ეგვიპტური მხარის ეს ნაბიჯი განიხილებოდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად იმის სასარგებლოდ, რომ ეგვიპ-

ტელები ემზადებოდნენ ომისათვის ისრაელის წინააღმდეგ. თუმცა, ეგვიპტის მხარე თავის მოთხოვნას ხსნიდა სირიულ-ისრაელური შეტაკების შიშით – გაერო-ს ძალები არ მისცემდნენ ეგვიპტელებს საშუალებას დახმარებოდნენ სირიელებს, სირიულ-ეგვიპტური თავდაცვითი ხელშეკრულებების შესაბამისად. ამასთან, ისრაელს სრული საფუძველი ჰქონდა გაერო-ს საგანგებო ძალების გასვლა თავისი უსაფრთხოების მუქარად შეეფასებინა, ხოლო მომავალში აეხსნა ომის დაწყება პრევენციულობის მოსაზრებებიდან გამომდინარე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნასერი, სინადან გაერო-ს ჯარების გაყვანით, მხოლოდ ისრაელზე არ ფიქრობდა. ამის მიზეზი იყო აგრეთვე იორდანიისა და საუდის არაბეთის მეფეების მხრიდან პერიოდული მუქარა (Laqueur & Rubin, 2008: 96-97, 107; Quandt, 2005: 24-27).

1967 წლის 22 მაისს ეგვიპტემ, რომელსაც სურდა ისრაელზე ზეწოლა მოეხდინა, გამოაცხადა ტირანის სრუტის დახურვის თაობაზე ყველა გემისათვის, რომლებიც ეკუთვნოდა ისრაელს და აგრეთვე ყველა გემისათვის, რომლებსაც ჩაჰქონდათ ისრაელში სტრატეგიული მასალები, მათ შორის შეიარაღება და ნავთობი. ნავთობი ისრაელში ჩადიოდა უპირატესად გემებით, ლიბერიის დროშით, მაგრამ ეგვიპტის პრეზიდენტის თხოვნით ლიბერიამ ივალდებულა შეეწყვიტა ნავთობის მიწოდება. ტირანის სრუტის დახურვა უკეტავდა ისრაელს ინდოეთის ოკეანეში გასასვლელს. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ნაოსნობა ტირანის სრუტის გავლით არ იყო ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ისრაელისათვის – პორტ ეილათის საშუალებით ხორციელდებოდა ისრაელის საგარეო საქონელბრუნვის მხოლოდ დაახლ. 5% (Laqueur & Rubin, 2008: 108-109; Quandt, 2005: 27).

22 მაისამდე აშშ-ს არ გაუკეთებია საჯარო განცხადება. პრეზიდენტმა ჯონსონმა წერილი გაუგზავნა ეგვიპტის ლიდერს, რომელშიც ის არწმუნებდა აშშ-ს მეგობრობაში და ურჩევდა თავიდან აერიდებინა ნებისმიერი ნაბიჯი, რასაც შეიძლებოდა ომი გამოეწვია. დამატებით ის სთავაზობდა ვიცე-პრეზიდენტის – ჰუბერტ ჰამფრის გაგზავნას კაიროში. ჯონსონი ასრულებდა წერილს სიტყვებით: „ვიმედოვნებ, რომ ჩვენ შევიმუშავებთ პროგრამას, რომელიც მისაღები და კონსტრუქციული იქნება“ (ციტ. Quandt, 2005: 27). წერილი გადაეცა ნასერს მეორე დღეს, როცა სრუტეები უკვე დახურული იყო. ჯონსონმა იმავე დღეს შეტყობინება გაუგზავნა კოსიგინს და მოუწოდა ერთობლივი მოქმედებისაკენ სიტუაციის გამოსასწორებლად.

ისრაელის არმია სუეცის არხთან

1967 წლის 30 მაისს იორდანიის მეფე ჰუსაინი, რომელსაც ეგვიპტური პრესა მანამდე არაბული ინტერესების გამყიდველად მოიხსენიებდა, ჩაფრინდა ეგვიპტეში და ხელი მოაწერა თავდაცვით შეთანხმებას. ეს მოვლენა აღქმულ იქნა ისრაელის მხარის მიერ, როგორც არაბი მოკავშირეების მომავალი აგრესიის მორიგი დადასტურება. ეგვიპტელი მკვლევრები ეგვიპტის არმიის მზადებას ხსნიან ისრაელის მხრიდან თავდასხმის გარდაუვალობით, ისრაელის მხარე კი – არაბული არმიების მხრიდან თავდასხმის თავიდან აცილების მცდელობით.

ისრაელმა 1967 წლის 4 ივნისს საჰაერო დარტყმები განახორციელა ეგვიპტურ ობიექტებზე და დაიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა. არაბთა სწრაფმა დამარცხებამ გამოავლინა, რომ ეგვიპტე, სირია და იორდანია ცუდად იყვნენ მომზადებული ომისათვის (Bregman, 2000: 54-55).

ისრაელის არმიამ არ დატოვა ომის დროს დაპყრობილი ტერიტორიები, რის გამოც ბევრი ასკვნის, რომ მოწინააღმდეგის არმიის განადგურება არ იყო ისრაელის ერთადერთი მიზანი. არსებული საზღვრები არ პასუხობდა ისრაელის გეოპოლიტიკურ მისწრაფებებს. ექვსდღიანი ომის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი, გენერალი მოშე დაიანი, ომის დაწყების წინ ამბობდა: „ჩვენი წარმატება გამოითვლება არა განადგურებული ტანკების რაოდენობით, არამედ იმ ტერიტორიის მოცულობით, რომელსაც ჩვენს კონტროლს დავუქვემდებარებთ." ცხადია, რომ სინას კონტროლი ისრაელს უკეთეს პოზიციაში ჩააყენებდა ეგვიპტესთან დაპირისპირებისას, რადგანაც შექმნიდა დიდ ბუფერულ ზონას. ნავთობით და ბუნებრივი აირით მდიდარი სინას ნახევარკუნძული დიდი შენაძენი იქნებოდა ისრაელისათვის, როგორც ენერგეტიკული რესურსების წყარო. გოლანის მაღლობებზე კონტროლს ასევე ჰქონდა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. ცხადი იყო აგრეთვე მდ. იორდანესა და ტიბერიადის ტბის წყლის რესურსების როლი, რომელთა ფლობა აუცილებელი იყო ებრაული სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისათვის. ამ ფაქტების გათვალისწინებით, ალბათ სარწმუნო უნდა იყოს მოსაზრება, რომ ისრაელის მიერ წამოწყებული ომი მხოლოდ პრევენციულ ხასიათს არ ატარებდა.

ომმა, რომელიც გაგრძელდა სულ ექვსი დღე, კარდინალურად შეცვალა გეოპოლიტიკური ბალანსი ახლო აღმოსავლეთში. ისრაელმა მოიპოვა სრული გამარჯვება, გააფართოვა თავისი ტერიტორია **3,5-ჯერ, დაისაკუთრა სინას ნახევარკუნძული (60,000 კვ. კმ), ღაზას სექტორი (360 კვ. კმ), იორდ**ანიის კონტროლირებადი ტერიტორიები მდ. იორდანეს დას. ნაპირზე, სირიის გოლანის მაღლობების ძირითადი ნაწილი. სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა კონტროლის დამყარებას იერუსალიმზე (Felton, 2008: 97). გაერო-ს №181-ე რეზოლუციით, იერუსალიმს უნდა ჰქონოდა სტატუსი *corpus separatum*, მაგრამ არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პირველი ომის დაწყების გამო ეს სტატუსი „ქაღალდზე დარჩა" და გაყოფილი იყო ისრაელსა და იორდანიას შორის 1967 წლამდე. იერუსალიმის საკითხი არის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა პალესტინა-ისრაელის ურთიერთობებში. ისრაელის კონტროლი იერასალიმზე (არაბ. *ალ-კუდს*) გახდა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არაბთა იდეოლოგიურ ომში. მართალია, ისრაელის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ არ ჩაერეოდა წმინდა ადგილების მართვაში, რომელსაც ახორციელებდა იერუსალიმის **3 რელიგიური თემი, საკუთრივ წმინდა ქალაქზე არამუსლიმთა კონტ**როლი მუსლიმების მიერ დამცირებად აღიქმებოდა. ისრაელმა ომის დამთავრებისთანავე შეიერთა აღმოსავლეთ იერუსალიმი, რის შემდეგაც 1967 წლის 28 ივნისს გაერთიანებული ქალაქი იერუსალიმი გამოცხადდა ისრაელის ერთიან და განუყოფელ დედაქალაქად.[24] მოგვიანებით ქალაქის ეს სტატუსი დაფიქსირდა 1980 წლის 5 ივნისს მიღებულ ქვეყნის ძირითად კანონში (მუხლი 1).

რაც შეეხება დანარჩენ ტერიტორიებს, XXს. **70-იან წლების ბოლოს მათი ნაწილი დაუბრუნდა ეგ**ვიპტეს სამშვიდობო ხელშეკრულებების ფარგლებში (სინას ნახევარკუნძული), ნაწილი ისრაელმა შეიერთა (გოლანის მაღლობები), ნაწილს აქვს სამართლებრივი თვალსაზრისით განუსაზღვრელი სტატუსი (ღაზას სექტორი და მდ. იორდანეს დას. ნაპირი). უნდა აღინიშნოს, რომ პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსი განუსაზღვრელია და ამ სიტუაციას ანალოგი არა აქვს მსოფლიო პრაქტიკაში, რადგანაც **1967 წლიდან დაწყებული ისრაელის არმიის კონტროლქვეშ არის მიწები, რომლე**ბიც არ არის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, ხოლო მოსახლეობას არ აქვს ისრაელის მოქალაქეობა. პალესტინის ტერიტორიების ანექსია, რომლებზედაც ცხოვრობდა 2,5 მლნ. არაბზე მეტი, ემუქრებოდა ისრაელის, როგორც ევროპული ნაციონალური სახელმწიფოს იდეას. არაბულმა რეჟიმებმა ვერ შეძლეს პალესტინის საკითხის გადაწყვეტა და ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება; უფრო მეტიც, მათ ვერ შეძლეს თავისი ტერიტორიების დაცვაც (Bregman, 2001: 56-60).

---

24 საინტერესოა აღინიშნოს, რომ ექვსდღიანი ომის დამთავრების შემდეგ, ისრაელის სახელმწიფო გამოვიდა ინიციატივით გაეთანაბრებინათ იერუსალიმში წმინდა ადგილების სტატუსი დიპლომატიური წარმომადგენლობების სტატუსთან. ამის გარდა იყო წინადადება ეცნოთ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაური ქალაქში ყველა ქრისტიანული რელიგიური ჯგუფისა და ორგანიზაციის სრულუფლებიან წარმომადგენლად. ამის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ისრაელისა და ვატიკანის სრულუფლებიან წარმომადგენლებს შორის, მაგრამ საბოლოოდ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა უარი თქვა ხელი მოეწერა ორმხრივი შეთანხმების საბოლოო ვარიანტზე. მისი მტკიცებით, ეს დოკუმენტი აღიქმებოდა როგორც ვატიკანის მხრიდან ისრაელის მიერ აღმოსავლეთ იერუსალიმის ანექსიის აღიარება.

პალესტინის ორგანიზაციებს შორის, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა ჯერ კიდევ 1964 წელს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის აქტიური მონაწილეობით. ამ ორგანიზაციის შექმნის ინიციატივა ეკუთვნოდა პრეზიდენტ ნასერს, რომელიც დაინტერესებული იყო თავისი კონტროლის ქვეშ არსებული პალესტინური ორგანიზაციის არსებობით. ნასერის დაჟინებული მოთხოვნით, ორგანიზაციის პირველი პრეზიდენტი გახდა ადვოკატი აჰმად შუქაირი. პალესტინის მოძრაობა არ იყო ერთიანი და შედგებოდა მრავალრიცხოვანი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებებისაგან, რომლებიც იბრძოდნენ ლიდერობისათვის, მიისწრაფოდნენ თავის ხელში აეღოთ პალესტინურ წინააღმდეგობაზე კონტროლი და გამოეყენებინათ ის თავისი ინტერესებისათვის. ექვსდღიან ომში მარცხის შემდეგ აჰმად შუქაირის, როგორც ორგანიზაციის ლიდერის, პოზიცია დასუსტდა. მისი მემკვიდრის იაჰია ჰამუდის დროს ორგანიზაცია გადაიქცა „სადისკუსიო კლუბად“ (Cleveland, 2009: 358-359).

1968 წლის 21 მარტს მოხდა მოვლენა, რომელიც პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიაში შევიდა როგორც *კარამას ბრძოლა*. ეს იყო ბრძოლა ისრაელის არმიასა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის. მოგვიანებით ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო იორდანიის არმიაც. მისი მსვლელობის დროს იორდანიის არმია და პალესტინელი მებრძოლები წარმატებით დაუპირისპირდნენ ისრაელის არმიის მცდელობას შტურმით აეღოთ ქალაქი კარამა, სადაც იყო პალესტინელი ლტოლვილების დიდი ბანაკი. პალესტინელებმა არა მარტო მოიგერიეს ისრაელის არმიის დარტყმები, არამედ მიიტაცეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ტანკი. ამ მოვლენათა ერთ-ერთი გმირი გახდა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ფათჰ აბუ ამარი, რომელიც ცნობილი იყო აგრეთვე იასირ არაფათის სახელით. ისრაელის არმიისადმი წარმატებულმა წინააღმდეგობამ აამაღლა მისი ავტორიტეტი პალესტინელებში და სხვა არაბ ხალხებში, რომელთა მეხსიერებაში ღრმად იყო აღბეჭდილი წინა წლის სამარცხვინო მარცხი. 1969 წელს არაფათი გახდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარე, ხოლო ფათჰ-მა[25] დაიკავა წამყვანი პოზიციები მთელ პალესტინურ წინააღმდეგობის მოძრაობაში.

იმავდროულად ორგანიზაციამ მიიღო საწესდებო დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შეძლო აღებული ვალდებულებების შესრულება, რათა სამართლიანად გადაეწყვიტა პალესტინის საკითხი. წესდებაში ისრაელი იწოდებოდა უკანონო სახელმწიფოდ, რამაც გამოიწვია ისრაელის მიერ უარის თქმა ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობაზე (Laqueur & Rubin, 2008: 93-96). ორმხრივი აღიარება იყო საკვანძო საკითხი პალესტინელებსა და ისრაელელებს შორის ურთიერთობაში. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია კი არაბული რეჟიმების მარიონეტიდან თანდათანობით გადაიქცა რეალურ პოლიტიკურ და სამხედრო ძალად.

პალესტინის საკითხი აქტიურად განიხილებოდა მსოფლიო საზოგადოების მიერ – გაერო-ს 1969 წლის №2535-ე რეზოლუციაში დაფიქსირებულია, რომ პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა წარმოიშვა მათი უფლებების ხელყოფის გამო. რეზოლუციაში ნათქვამია: „მათი უფლებების ხელყოფა უფრო მწვავდება უკანონო დაკავებებით, კომენდატის საათის შემოღებით, სახლების და ქონების განადგურებით, დეპორტაციით და სხვა რეპრესიული ღონისძიებებით, რომლებიც მიმართულია ლტოლვილების და ოკუპირებული ტერიტორიების სხვა მცხოვრებლების წინააღმდეგ.“ 1970 წელს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია №2672, რომელიც ადასტურებდა პალესტინელთა უფლებას თვითგამორკვევაზე (*United Nations Security Councils Resolutions*, 1969-1970).

თუ 1948 წლის ომმა დარტყმა მიაყენა არაბული ინტეგრაციის იდეას, 1967 წლის ომმა აამოძრავა მთელი არაბული სამყარო, რომლის მორიგმა დამცირებამ ხელი შეუწყო რევანშისტული განწყობილების გაძლიერებას. ეგვიპტის არმიის განადგურებას არ მოჰყოლია ნასერის რეჟიმის დამხობა – მან შეინარჩუნა თავისი პოსტი და დაიწყო ეგვიპტის არმიის სერიოზული გადაიარაღება და მომზადება.[26]

---

25 ფათჰ, ფათაჰ – პალესტინური წინააღმდეგობის ორგანიზაცია. შეიქმნა 1959 წელს. 6 დღიანი ომის შემდეგ პალესტინურ პოლიტიკაში დომინანტი ადგილი მოიპოვა. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაში გაერთიანების შემდეგ კი ამ ორგანიზაციის წარმმართველ ძალად იქცა. ფათჰს დღესაც ცენტრალური როლი უკავია პალესტინის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მეტოქეობა უწევს უფრო რადიკალურ ჰამასთან.

26 ეს დამარცხება ეგვიპტელებისათვის იყო ფსიქოლოგიური შოკი, *ან-ნაქსა* (დამარცხება, ნაბიჯი უკან) ან მორიგი *ან-ნაქბა* (კატასტროფა), 1948 წლის ომის შემდეგ. შექმნილ ვითარებაში, 9 ივნისს, როცა ჯერ კიდევ ომი მიმდინარეობდა სირიის ფრონტზე, ნასერმა გააკეთა პრეზიდენტობიდან გადადგომის შესახებ. ამას მოჰყვა მასობრივი დემონსტრაციები და თხოვნები, რომ არ დაეტოვებინა პრეზიდენტის პოსტი. მეორე დღეს გამალ აბდელ ნასირმა უარი თქვა გადადგომაზე (Kamrava, 2005:121). ნასერის მიერ გადაწყვეტილების შეც-

ომში დამარცხებამ საშუალება მისცა ეგვიპტის პრეზიდენტს დაეწყო არმიის წმენდა. არმიის მთავარსარდლის – მარშალ აბდ ალ-ჰაქიმ ამირის გადაყენება და შემდგომში მისი მომხრეების მიერ გადატრიალების განხორციელების მცდელობა (რასაც მოჰყვა ამირის დაპატიმრება 14 სექტემბერს), იყო ასახვა იმ რთული პოლიტიკური პროცესებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ეგვიპტეში XXს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში. ექვსდღიანმა ომმა გამოაჩინა წინააღმდეგობები მმართველ წრეებს შორის და გახდა ახალი ეტაპის დასაწყისი ეგვიპტის საზოგადოების განვითარებაში. ამ ომის შემდეგ არმია აღარ ასრულებდა აქტიურ როლს ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაში (Quandt, 2005: 48-52).

1967 **წლის 6-7 ივნისს ქუვეითმა, ალჟირმა, საუდის არაბეთმა, ლიბიამ, კატარმა და ბაჰრაინმა** გადადგეს ეკონომიკური ხასიათის ნაბიჯები, რომელიც მდგომარეობდა ნავთობის მიწოდების შეწყვეტაში აშშ-სა და დიდი ბრიტანეთისათვის. მაგრამ ეს ეკონომიკური დემარში არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. ის გახდა რეპეტიცია იყო სერიოზული „სანავთობო დარტყმისათვის," რომელიც განხორციელდა დასავლეთში ისრაელის მოკავშირეებზე არაბული ქვეყნებისა და ისრაელის შემდეგი ომის მსვლელობის დროს.

1967 წლის 1 სექტემბერს შედგა *ხართუმის კონფერენცია*, რომელზედაც მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები არაბული ქვეყნების შემდგომ მოქმედებებთან დაკავშირებით. საუდის არაბეთმა, ქუვეითმა და ლიბიამ თავის თავზე აიღეს ფინანსური დახმარების გაწევა აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის. გამოცხადდა პრინციპი „სამი არა," არა – ისრაელის აღიარებას, არა – ისრაელთან მოლაპარაკებებს, არა – ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას. ამის გარდა, მიიღეს დამატებითი რეზოლუცია: არავითარი კომპრომისი ან მცირეოდენი დათმობა პალესტინელების უფლებებთან დაკავშირებით (Felton, 2008: 97).

ექვსდღიანი ომის შედეგები:

სინაზე და ღაზაში დაიღუპა **338 ისრაელელი და არანაკლებ 9800 ეგვიპტელი, გოლანის მაღლობებზე** – 141 ისრაელელი და არანაკლებ 500 სირიელი ჯარისკაცი, ხოლო იორდანიის ფრონტზე – 300 ისრაელელი და 800 იორდანელი ჯარისკაცი. ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს 46 თვითმფრინავი, ომში მონაწილე არაბულმა ქვეყნებმა – 452.

ამ ომის შედეგად პალესტინელ ლტოლვილებს (1948წ.) დაემატა 500 ათასი არაბი ლტოლვილი, მათ შორის 120 ათასი სირიელი და 250 ათასი ეგვიპტელი (Morris,1999: 327, 689).

ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, **1967 წლის ნოემბერში, გაერო-ს უშიშროების საბჭომ** მიიღო რეზოლუცია №242, **რომელშიც იყო მოთხოვნა ისრაელის არმიის გაყვანის თაობაზე იმ ტერიტორიებიდან**, რომლებიც დაიკავა ექვსდღიანი ომის დროს. მითითებული იყო ლტოლვილთა პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტილების აუცილებლობაზე. რეზოლუციაში საუბარი იყო აგრეთვე გაერო-ს სპეციალური წარმომადგენლის გაგზავნის აუცილებლობის შესახებ ახლოაღმოსავლური პრობლემის დარეგულირებაზე მოლაპარაკებათა საწარმოებლად. სირიამ და ერაყმა უარი თქვეს №242-ე რეზოლუციაზე იმ მოტივით, რომ ის ირიბად განამტკიცებდა ისრაელის იურისდიქციას 1948 წლის ომის დროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (Felton, 2008: 109-111).

ვლაში შესაძლოა გარკვეული როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა - ეგვიპტეში სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტის შემდეგ 25 ივნისს გაიხსნა „საჰაერო ხიდი," რომლითაც ეგვიპტის არმია იღებდა ახალ საბჭოთა სამხედრო ტექნიკას, ომის დროს დაკარგულის სანაცვლოდ.



მომქანცველი ომი

ითვლება, რომ მომქანცველი ომი დაიწყო **1969 წლის მარტში, მაგრამ ფაქტობრივად პირველი საბ-**რძოლო მოქმედებები დაიწყო 6 დღიან ომში ეგვიპტის დამარცხებიდან ერთი თვის შემდეგ და 1970 წლამდე გაგრძელდა. ეს ომი წამოიწყო ეგვიპტემ ისრაელის მიერ ოკუპირებული სინას ნახევარკუნ-ძულის დაბრუნებისათვის. ომი წარმოებდა ძირითადად არტილერიისა და ავიაციის საშუალებით. პირ-ველი გასროლა 1967 წლის 1 ივლისს მოხდა. ამ ომში ისრაელი სამ ფრონტზე (იორდანიის ფრონტი, სირიის ფრონტი, ეგვიპტის ფრონტი) იბრძოდა (ჰერცოგი, 2007: 289-346). 1967 წლის ბოლოდან 1970 წლის აგვისტომდე სულ დაიღუპა 400 ისრაელელი და 2000-ზე მეტი დაიჭრა (Tov, 1980).

გაერო-ს სპეციალურ წარმომადგენლად დაინიშნა შვედი დიპლომატი გუნარ იარინგი, რომლის დიპლომატიური სამუშაო გაგრძელდა რამდენიმე წელი, მაგრამ არ იყო წარმატებული. ახლოაღმო-სავლური პოლიტიკის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა მონაწილემ – სირიამ უარი თქვა იარინგის მისიის მიღებაზე. ისრაელი და ეგვიპტეც აბრკოლებდნენ მის მუშაობას.

1970 წლის ივნისში აშშ-მა წამოაყენა ე.წ. „როჯერსის გეგმა," რომელიც ეფუძნებოდა №242 **რეზო-**ლუციას და სთავაზობდა მხარეებს მშვიდობის დამყარებას და მოლაპარაკებების დაწყებას. ეგვიპტე და იორდანია დათანხმდნენ მიეღოთ როჯერსის გეგმა. ისრაელმა უარი თქვა ამის გაკეთებაზე (Goldsch-

midt, 2006: 342-344). **თუმცა, 1970 წლის 7 აგვისტოს ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტაზე,** რომელმაც დაასრულა „მომქანცველი ომი". 1971 წელს იარინგმა წამოაყენა ეგვიპტე-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირების ახალი ვარიანტი, რომლის თანახმადაც ისრაელს უნდა აეღო ვალდებულება თავისი არმიების გაყვანაზე ოკუპირებული ეგვიპტური ტერიტორიიდან ადრინდელ საზღვრამდე ეგვიპტესა და სამანდატო პალესტინას შორის, ხოლო ეგვიპტეს უნდა ევალდებულა სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ისრაელთან.

ისრაელმა არ მიიღო როჯერსის გეგმა და არ დაეთანხმა არც არმიის გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიებიდან, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო ამის ფასად მიეღო მშვიდობის დამყარება ეგვიპტესა და იორდანიასთან და შესაბამისად, ამ ქვეყნების აღიარება. უნდა აღინიშნოს, რომ ნასერისა და მეფე ჰუსაინის მიერ როჯერსის გეგმის მიღება, ხოლო შემდეგ სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა ისრაელთან, პალესტინელებმა მიიღეს ღალატად – გეგმა ითვალისწინებდა არაბული ქვეყნების მიერ მომავალში სიონისტური სახელმწიფოს აღიარებას, მაგრამ არ ითვალისწინებდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნას და მისდევდა №242 რეზოლუციის იდეებს, რომლის მიხედვითაც მდ. იორდანეს დას. ნაპირი უბრუნდებოდა იორდანიას. მემარცხენე პალესტინური ორგანიზაციები – პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი, პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტი და სხვები მზად იყვნენ ჩაეშალათ როჯერსის გეგმა და ხელსაყრელი ვითარების შემთხვევაში, დაემხოთ მეფე ჰუსაინის რეჟიმი, რათა გადაეცია იორდანია პლაცდარმად პალესტინის განთავისუფლებისათვის (Quandt, 2005: 67-70).

იასირ არაფათი

1970 წლის 1 სექტემბერს მეფე ჰუსაინის კორტეჟს თავს დაესხნენ შეიარაღებული პალესტინელი ბოევიკები. შემდეგ პალესტინელებმა დაიკავეს ქალაქი ირბიდი (იორდანიის ჩრდილოეთ ნაწილში) და გამოაცხადეს ის „გათავისუფლებულ ტერიტორიად". ყველაფერმა ამან გამოიწვია სისხლისღვრა, რაც ისტორიაში შევიდა *„შავი სექტემბრის"* სახელით (15-25 სექტემბერი), რომლის დროსაც იორდანიის არმიამ ჩაატარა მასშტაბური ოპერაცია ამანიდან და სხვა ქალაქებიდან პალესტინის ორგანიზაციის აქტივისტების გასაძევებლად. კონფლიქტში მონაწილეობა მიიღო სირიის და ერაყის არმიამ. იორდანიაში კონფლიქტის შემდგომ ესკალაციას მოჰყვა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წინააღმდეგ რეპრესიები. სხვადასხვა მონაცემებით, **1970 წლის სექტემბერში დაიღუპა 3500-დან 20,000 პალესტინელი** (Goldschmidt, 2006: 362-363; Cleveland, 2009: 362-363).

იორდანიაში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია გაუქმებას გადაურჩა ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის აქტიური მონაწილეობით, რომელმაც მოლაპარაკების მაგიდასთან დასვა პალესტინელი და იორდანელი ლიდერები. ამის შემდეგ ნასერის სიკვდილი (გულის შეტევით) მძიმე დარტმა იყო პალესტინელებისათვის. ნასერი დიდი ხნის მანძილზე სკეპტიკურად იყო განწყობილი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისადმი და ცდილობდა მის გამოყენებას თავისი მიზნებისათვის, მაგრამ ის თანმიმდევრულად იცავდა არაბული ერთიანობის იდეას და თვლიდა, რომ ეგვიპტე უნდა დაეხმაროს პალესტინელებს. იასირ არაფათმა მის გარდაცვალებაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „გამალ აბდელ ნასირის სიკვდილით პალესტინურმა რევოლუციამ დაკარგა მამა. პალესტინელები მომავალში არაერთხელ დარწმუნდებინა, თუ რაოდენ სერიოზულ გავლენას მოახდენს ნასერის სიკვდილი არამარტო პალესტინის საკითხზე, არამედ მთლიანად ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაზე."

1973 წლის ოქტომბრის ომი

ნასერის სიკვდილის (1970 წ. 28 სექტემბერი) შემდეგ ეგვიპტის პრეზიდენტი გახდა ანვარ სადათი (1970-1981), რომელმაც დაიწყო თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ორმაგი თამაში წამოიწყო საგარეო პოლიტიკაში – შეეცადა მაქსიმალური მოგება მიეღო როგორც სსრკ-დან, ისე აშშ-დან. სადათი ასე მსჯელობდა: მხოლოდ სსრკ-ს შეეძლო მიეწოდებინა ტექნიკა და შეიარაღება, რომლის დახმარებითაც ეგვიპტეს ექნეობოდა უნარი ეომა ისრაელთან და მხოლოდ აშშ-ს შეეძლო პოლიტიკური ზეწოლა მოეხდინა ისრაელზე ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების მიზნით (Bregman, 2001:71-72).

აშშ-თან ურთიერთობა გაწყდა 1967 წელს, მაგრამ ეგვიპტის ხელმძღვანელობას ჰქონდა საიდუმლო კონტაქტები ამერიკელებთან 1970 წლის ივნისიდან, ჯერ კიდევ ნასერის სიცოცხლეში, რომელსაც კარგად ესმოდა აშშ-ის როლი ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში. ნასერის სიკვდილის შემდეგ საიდუმლო

კავშირებმა ეგვიპტესა და აშშ-ს შორის რეგულარული ხასიათი მიიღო. ნასერის დაკრძალვაზე სადათი ცდილობდა ურთიერთობას ამერიკის დელეგაციის მეთაურთან – ელიოტ რიჩარდსონთან, მაგრამ ამერიკულმა მხარემ არ გამოიჩინა სათანადო ინტერესი სადათის პერსონისადმი – ფიქრობდნენ, რომ ის დიდხანს ვერ შეძლებდა ეგვიპტის სათავეში ყოფნას. თუმცა აღმოჩნდა, რომ სადათმა არა მარტო შეინარჩუნა მაღალი პოსტი, არამედ სერიოზული კარდინალური ნაბიჯები გადადგა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. 1971 წელს მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა-ეგვიპტური ახალ ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების უეცარი გაციება მოჰყვა, რაც გამოიხატა 15 ათასი საბჭოთა სამხედრო სპეციალისტის გაძევებით 1972 წლის ივლისში (Bergman, 2000: 69).

სადათს სჭირდებოდა ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც გადაჭრიდა ეგვიპტის ყველა პრობლემას. გადაწყვეტილება მოიძებნა – ომი. ამ ომს უნდა ეჩვენებინა, რომ ეგვიპტე ახლოაღმოსავლური კონფლიქტის „მნიშვნელოვანი მოთამაშეა," რომელსაც ანგარიშს გაუწევდნენ აშშ-ც და ისრაელიც. ომი აუცილებელი იყო ყაზარმებში მყოფი ეგვიპტის არმიისათვის, რომელზედაც იხარჯებოდა უზარმაზარი თანხები – 1972 წელს სამხედრო ხარჯებმა შეადგინა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 21%. ომი აუცილებელი იყო, რათა ხალხს დავიწყებოდა სოციალური პრობლემები. 1972 წელს კაიროში სტუდენტების გამოსვლები სწორედ ხელმძღვანელობის პოლიტიკით ეგვიპტელთა მზარდი უკმაყოფილების ასახვას წარმოადგენდა. თვითონ ეგვიპტის ხელისუფლებაც ფიქრობდა, რომ ომი მოიზიდავდა სპარსეთის ყურის მდიდარი სამეფოების ფინანსურ რესურსებს და ამაღლდებოდა ეგვიპტის ავტორიტეტი არაბულ ქვეყნებში.

აღნიშნავენ აგრეთვე, რომ როდესაც ეგვიპტის ახალმა პრეზიდენტმა ომი წამოიწყო ისრაელთან, ის არ ისახავდა მიზნად ისრაელის განადგურებას ან მისთვის გამოუსწორებელი ზარალის მიყენებას (Ближний Восток, 2010: 51). **სადათი პრაგმატიკოსი იყო და კარგად ახსოვდა 1967 წლის ომის გაკვეთილები.** არმიის წინაშე იდგა შემდეგი ამოცანები: სუეცის არხზე ისრაელის გამაგრებების ფორსირება, მოწინააღმდეგისათვის მაქსიმალური ზიანის მიყენება, სინას ნახევარკუნძულის გათავისუფლება. სადათის ამოცანა იყო ეჩვენებინა, რომ ეგვიპტეს შეეძლო შეზღუდული ომის დახმარებით დარტყმა მიეყენებინა ისრაელისათვის, რათა ოპონენტის პოზიცია მომავალი დარეგულირების პროცესში გაწონასწორებული გაეხადა. დაწყებული ომი უფრო მეტად პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა, ვიდრე სამხედროს, კერძოდ, პოლიტიკური პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ ისრაელი იძულებული გამხდარიყო 1967 წლისთვის არსებულ საზღვრებს დაბრუნებოდა (ჰერცოგი, 2007: 731).

ამ ომში მეორე ფრონტი უნდა გაეხსნა სირიას, რომლის მიზანი იყო გოლანის მაღლობების დაბრუნება. ერთობლივი მოქმედებების გეგმაზე საუბარი იყო ჯერ კიდევ 1969 წელს, მაგრამ ნასერის სიკვდილის გამო გადაიდო. **1970 წლის 13 ნოემბერს სირიაში მოხდა გადატრიალება, რომლის შედეგადაც** ხელისუფლების სათავეში მოვიდა გენერალ-ლეიტენანტი ჰაფეზ ასადი[27], რომელსაც გარკვეული დრო დასჭირდა საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

1973 წლის აპრილში ეგვიპტე და სირია, საიდუმლო მოლაპარაკებების შემდეგ 1973 წლის 22-23 აგვისტოს ალექსანდრიაში, შეთანხმდნენ ერთობლივ საომარ მოქმედებებზე ისრაელის წინააღმდეგ. იორდანიის მეფე ჰუსაინმაც განაცხადა თანხმობა მომავალ ომში მონაწილეობაზე, თუმცა მეფე სკეპტიკურად უყურებდა ამ ომში გამარჯვების შესაძლებლობას.[28] თავიანთი სამხედრო ქვედანაყოფების გამოგზავნაზე თანხმობა განაცხადეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა ერაყი, ალჟირი, ლიბია, ქუვეითი, საუდის არაბეთი, სუდანი და მაროკო (Bregman, 2001: 76-77).

1973 წლის 6 ოქტომბერს დაიწყო *არაბული ქვეყნებისა და ისრაელის მეოთხე ომი.* ეგვიპტე **(80,000 ან 90,000-იანი არმია) და სირია ერთდროულად თავს დაესხნენ ისრაელს იმ დროს, როცა ებ**რაელები აღნიშნავდნენ მთავარ რელიგიურ დღესასწაულს – *იომ-ქიფურს* („განკითხვის დღე").[29] სამხედრო მოქმედებების მაქსიმალური კოორდინაცია უნდა მომხდარიყო 2 ფრონტზე – ეგვიპტისა და სირიის ფრონტებზე. სირიისა და ეგვიპტის არმიის ხელმძღვანელებმა მიიღეს მკაფიოდ განსაზღვრული სამხედრო დავალება – გადასულიყვნენ სუეცის არხით და დაეკავებინათ პლაცდარმი მის აღმო-

27 ისე, როგორც ნასერის (ან-ნასირ) შემთხვევაში, ალ-ასადსაც ჩვეულებრივ ასადად მოიხსენიებენ.

28 „დღეისათვის ნათელია, რომ არაბი ხალხი ემზადება ახალი ომისათვის - წერდა მეფე თავის გენერლებს მაისში - ომი იქნება წინდაუხედავი ნაბიჯი" (Kamrava, 2005:131).

29 არაბთა გათვლები ეფუძნებოდა მოულოდნელი თავდასხმის ტაქტიკას – იომ-ქიფურის დღეს ისრაელში „ცხოვრება თითქმის წყდება." ამასთან კი, ხალხი სინაგოგებში იყო შეკრებილი, რაც აადვილებდა მობილიზაციას.

სავლეთ ნაპირზე, ეგვიპტის ფრონტზე – სამხრეთით, დაეკავებინათ გოლანის მაღლობები და წინ წაეწიათ გალილეას ტბისაკენ – ჩრდილოეთისაკენ. თავდაპირველად ეგვიპტელებმა, ავიაციის დახმარებით, უპირატესობა მოიპოვეს – გაარღვიეს ბარ ლევის ხაზი სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე და დაეუფლნენ ისრაელის პოზიციებს. ეს იყო მნიშვნელოვანი მიღწევა ეგვიპტის არმიისათვის პირველი 24 საათის განმავლობაში, რომლის დროსაც მხოლოდ 200 ჯარისკაცი დაიღუპა. ოქტომბრის ომის ეს ეპიზოდი დარჩა ეგვიპტელთა ცნობიერებაში, როგორც „გადალახვა“ და სამხედრო ტრიუმფის სიმბოლო, ხოლო სადათი გახდა „გადალახვის გმირი“ (Cleveland, 2009: 375; Terrill, 2009: 22-25).

1973 წლის 16 ოქტომბერს სამხედრო უპირატესობა ისრაელის მხარეს გადავიდა და ის არამარტო გადაურჩა განადგურებას, არამედ უკუაგდო სირიელები და ეგვიპტელებიც. თუმცა, ამ ომმა ისრაელს აჩვენა, რომ მოწინააღმდეგე ახლა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ადრე. მართალია აშშ არაპირდაპირი გზით მონაწილეობდა ამ ომში, ტექნიკას და შეიარაღებას პირდაპირ აწვდიდა ისრაელს და ზეწოლას ახდენდა პრეზიდენტ ანვარ სადათზე, მაგრამ ამ ომმა დაანახა ისრაელს, რომ შეუძლებელი იყო აშშ-თან მისი შემდგომი ურთიერთობის წინასწარმეტყველება.

როგორც ისრაელელებისათვის, ისე არაბებისათვის, ამ ომს ჰქონდა სერიოზული ფსიქოლოგიური შედეგები: ისრაელი აღარ იყო უწინდელივით თვითდაჯერებული თავის დაუმარცხებლობაში. არაბულმა ქვეყნებმა დარტყმა მიაყენეს ისრაელის ხელმძღვანელობის პრესტიჟს და შესაძლებლობა მიეცათ ეამაყათ ომის პირველი ფაზით მაინც, როდესაც მათი მოქმედებები წარმატებული იყო. ისრაელი არ ელოდა, რომ ეგვიპტე ომს დაიწყებდა – გოლდა მეირის მთავრობა დარწმუნებული იყო 1967 წლის ომის შედეგების ურყეობაში, რამაც თავისთავად განუმტკიცა ისრაელს თავისი სამხედრო ძალების რწმენა. ამის გამო ისრაელელები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ არც ეგვიპტისა და გაერო-ს სამშვიდობო ინიციატივებს და არც 1972-73 წლების ომისათვის მზადებას (Quandt, 205: 105-106; Kamrava, 2005: 131-132).

1973 წლის ომმა დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში. არაბული ქვეყნების მიერ ემბარგოს დაწესებამ ნავთობის მიყიდვაზე იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც მხარი დაუჭირეს ისრაელს და შესაბამისად ნავთობზე ფასების მომატებამ, გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი დასავლეთში. ნატო-ს ქვეყნების უმეტესობამ უარი უთხრა აშშ-ს საჰაერო გზით მიეწოდებინა ნავთობი ისრაელისათვის. ნიდერლანდებს, რომელიც დათანხმდა აშშ-ის თხოვნაზე დაეთმო თავისი ბაზები ამერიკული თვითმფრინავებისათვის, ასევე სანავთობო ბოიკოტი გამოუცხადეს. გაიზარდა ისრაელის პოლიტიკური იზოლაცია მსოფლიოში – 29 აფრიკულმა ქვეყანამ გაწყვიტა ურთიერთობა ისრაელთან. შესუსტდა იმიგრაცია ისრაელში, რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა ექვსდღიანი ომის შემდეგ (Oren, 2003; Cleveland, 2009: 376-377).

ცეცხლის შეწყვეტა მიღწეულ იქნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ 1973 წლის 22 ოქტომბერს მიღებული №338-ე რეზოლუციით, რომელშიც იყო მოწოდება დაეწყოთ №242-ე რეზოლუციის შესრულება და მოლაპარაკებები მომავალი სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად (*United Nations Security Councils Resolutions*, 1973).[30] იმავე დღეს ეგვიპტემ, ისრაელმა და მოგვიანებით სირიამ მიიღეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომელსაც ესწრებოდნენ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი და სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკო (Cleveland, 2009: 375-376).

ოქტომბრის ომის დამთავრებისთანავე სადათმა განაცხადა, რომ ახლოაღმოსავლური დარეგულირების პროცესის 99% აშშ-ის ხელშია. ამას ის ხსნიდა იმ ფაქტით, რომ ომის უკანასკნელ სტადიაზე სწორედ აშშ-მა შეაჩერა ისრაელი არაბებზე საბოლოო გამარჯვებისაგან. ამ პერიოდში ამერიკის ადმინისტრაცია დაინტერესებული იყო ახლოაღმოსავლური კრიზისის გადაწყვეტით, რადგანაც მის ესკალაციას შეიძლებოდა ზიანი მიეყენებინა დაძაბულობის განმუხტვისათვის საბჭოთა კავშირთან ურთიერობებში. ამერიკა მზად იყო გამოეყენებინა სიტუაცია იმისათვის, რომ გამხდარიყო ერთადერთი სამშვიდობო ძალა არაბულ-ისრაელურ კონფლიქტში და გამოეთიშა ამ პროცესიდან ევროპა და სსრკ (Parker, 1996).

ცნობილი ეგვიპტელი ჟურნალისტი მუჰამად ჰასანაინ ჰაიკალი მწვავედ აკრიტიკებდა სადათის პოლიტიკას 1973 წლის ომის შემდეგ. მისი აზრით, სადათს ჰქონდა მრავალი კოზირი, რომლებიც მას შეეძლო გამოეყენებინა უფრო ეფექტურად – საერთოარაბული მხარდაჭერა, სანავთობო „იარაღი,“ საბჭოთა შეიარაღება და ტექნიკა. მაგრამ მან ჩათვალა, რომ სჯობდა გადაეწყვიტა ახლოაღმოსავლური დარეგულირების საკითხები სეპარატულად და ახალი მეგობრის – აშშ-ის დახმარებით (Heikal, 1976: 59-60).

30 United Nations Information System on the Question of Palestine, http://domino.un.org/UNISPAL. NSF/d744b47860e5c97e85256c40005d01d6/7fb7c26fcbe80a31852560c5006

ცვლილებები ეგვიპტის პოლიტიკაში სადათის დროს გამოწვეული იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორებით. სადათის მიერ გატარებული პოლიტიკა შეიძლება ამგვარად შეფასდეს – ეგვიპტემ უარი თქვა რეგიონული ლიდერობის ამბიციაზე და მასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე (რევოლუციის ექსპორტი, აშშ-თან კონფლიქტი, არმიაზე დიდი დანახარჯები, ისრაელთან ომის მუდმივი საფრთხე). სადათს და გარკვეულ ჯგუფს, რომლებიც იზიარებდნენ ეგვიპტის ბურჟუაზიის ინტერესებს, არ სურდათ, რომ ეგვიპტე დარჩენილიყო „მთელი არაბი ერის მამოძრავებელ ძალად," პალესტინელი ხალხის ინტერესების დამცველად, „იმპერიალიზმისა და სიონიზმის" წინააღმდეგ საერთოარაბული ფრონტის ლიდერად.

არაბულ-ისრაელური კონფლიქტის დარეგულირებაში მონაწილეობა მიიღო ორივე ზესახელმწიფომ – შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა. მათი ინიციატივით გადაწყდა ჟენევის კონფერენციის მოწვევა, რომლის ჩარჩოებშიც მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დამჯდარიყვნენ მოწინააღმდეგე მხარეები. **1974 წლის დასაწყისში აშშ-ის სახელწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა დაიწყო დიპლომატიური მისიის** რეალიზება, რომელმაც მოგვიანებით მიიღო სახელწოდება „მაქოური დიპლომატია" (*Shuttle Diplomacy*) (Goldschmidt, 2006: 352-354). **1974 წლის 18 იანვარს ამერიკელებმა მიაღწიეს შეთანხმებას** ანვარ სადათთან და მოშე დაიანთან არმიების განცალკევების გეგმაზე, სუეცის არხის ზონიდან არმიების ნაწილობრივი გამოყვანის თაობაზე და ბუფერული ზონის აღდგენაზე გაერო-ს კონტროლის ქვეშ (შეთანხმებამ მიიღო სახელწოდება „პირველი სინა"). ამის საფუძველზე სუეცის არხის ორივე ნაპირი გადავიდა ეგვიპტის კონტროლქვეშ, ხოლო მხარეთა პოზიციები გაყოფილ იქნა ბუფერულ ზონებად (სიგანე – 11 კმ), რომელზედაც განლაგდა გაერო-ს საგანგებო ძალები ახლო აღმოსავლეთში. ეგვიპტე-ისრაელის შეთანხმება არ იქნა დადებული ჟენევის კონფერენციის ჩარჩოებში – ამერიკული მხარე მოითხოვდა მის „ამოღებას ჟენევის ჩარჩოებიდან." უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამერიკული დიპლომატიის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეგვიპტის პრეზიდენტის სურვილმა სწორედ აშშ ყოფილიყო არაბულ-ისრაელური დარეგულირების მედიატორი (Quandt, 2005: 126-141).

1974 წელს გოლდ მეირის მთავრობა გადადგა. შეიძლება ითქვას, რომ ამის ირიბი მიზეზი იყო 1973 წლის ომის შედეგები. ისრაელის საზოგადოება აღშფოთებული იყო იმით, რომ იომ-ქიფურის ომის შემსწავლელი სპეციალური კომისიის (შიმონ არგანატის კომისია)[31] დასკვნაში ისრაელის თავდაცვის მინისტრს მოშე დაიანს მოხსნილი ჰქონდა ბრალდება – ომისწინა ვითარების არასწორი შეფასება. 1974 წელს ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა იცხაკ რაბინი.

შემდგომი ნაბიჯი გახდა სირიისა და ისრაელის არმიების განცალკევება. ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო როგორც ამერიკულმა, ისე საბჭოთა მხარემ. სირიის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი მოითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებინათ **1967 წელს დაკარგული ტერიტორიების ნაწილი, რაც მას საშუალებას** მისცემდა გამოეცხადებინა „გამარჯვება." სირიელმა მიიღეს მიწის ფართობის ვიწრო ზოლი 663 კვ. კმ ქალაქ კუნეიტრასთან ერთად. **1974 წლის 5 ივნისს ჟენევაში ისრაელისა და სირიის წარმომადგენლებმა** ხელი მოაწერეს შეთანხმებას არმიების განცალკევებაზე.



გოლდა მეირი

1973 წლის ომის შემდეგ სერიოზული ცვლილებები მოხდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სტატუსში. 1974 წლის ოქტომბერში არაბული სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების შეხვედრაზე, მიიღეს რეზოლუცია, რომელიც განამტკიცებდა პალესტინელი ხალხის უფლებას თვითგამორკვევაზე და ცნობდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას პალესტინელი ხალხის კანონიერ წარმომადგენლად. ერთი თვის შემდეგ გაერო-მ სცნო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია და მიანიჭა მას დამკვირვებლის სტატუსი ასამბლეაში და აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ღონისძიებებზე, რომლებიც ჩატარდებოდა გაერო-ს ეგიდით. №3236 რეზოლუციამ განამტკიცა „პალესტინელების განუყოფელი უფლება დაბრუნებოდნენ თავიანთ კერას და თავიანთ ქონებას, საიდანაც ისინი გააძევეს და მოუწოდა მათი დაბრუნებისაკენ." ისრაელის რეაქცია ნეგატიური იყო და ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია წარმოადგენდა არა პალესტინელ ხალხს, არამედ შექმნილი იყო არაბული ქვეყნების მიერ ისრაელის წინააღმდეგ ტერორისტული ომის წარმოების საშუალებად.

31 1974 წელს ისრაელის ქნესეთმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია ომისათვის ისრაელის მოუმზადებლობის მიზეზები. კომისიამ, მოსამართლე შიმონ არგანატის თავმჯდომარეობით, დასკვნაში დაადანაშაულა არმიისა და სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელობა.

1974 წლის ნოემბერში არაბული ქვეყნების თათბირზე რაბათში (მაროკო) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ეგვიპტემ და იორდანიამ უარი თქვეს პალესტინის ტერიტორიებზე (იორდანეს დას. ნაპირი და ღაზას სექტორი). ახლა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას უნდა შეექმნა დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფო 1967 წ. ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. გაერო-ში დამკვირვებლის სტატუსის მიღების შემდეგ, 1974 წელს იასირ არაფათი პირველად გამოვიდა სიტყვით გენერალური ასამბლეის სხდომაზე.

1975 წელს, უკვე პრეზიდენტ ფორდის (1974-1977) დროს, ჰენრი კისინჯერმა განაახლა „მაქოური დიპლომატია," რომელსაც მოჰყვა მეორე ეგვიპტურ-ისრაელური შეთანხმების დადება არმიების განცალკევებაზე („მეორე სინა," „სინას მეორე კამპანია"). ორწლიანი ამერიკული შუამავლობის შედეგად, ისრაელის არმიამ დატოვა მიტლას და გიდიეს გადასასვლელები, აგრეთვე სუეცის არხის მიმდებარე ზოლი, რომელიც მოიცავდა აბუ რუდაისის სანავთობო სარეწს. ეგვიპტემ ნება დართო სხვა ქვეყნების გემებს გადაეტანათ არასამხედრო ტვირთები სუეცის არხის საშუალებით ისრაელში და პირიქით (Kamrava, 2005: 132; Quandt, 2005: 163-175).

1977 წელს ისრაელის მთავრობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. გადადგა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი და ქვეყანას სათავეში ჩაუდგა მენაჰემ ბეგინი, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარადგინა არჩევნებში გამარჯვებულმა პარტია *ლიკუდმა*. ხელისუფლების სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ შეიცვალა ისრაელის ხელმძღვანელობის შეხედულებები სამშვიდობო პროცესზე. ბეგინისათვის, რომელსაც უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებები ჰქონდა და იყო ვლადიმერ ზეევ ჟაბოტინსკის მიმდევარი, ძალიან მნიშვნელოვანი იყო კონტროლის საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე – იუდეასა და სამარიაზე (მდ. იორდანეს დას. ნაპირი). არსებობს მოსაზრება, რომ ჟაბოტინსკი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა სინას არსებობას განუყოფელი ისრაელის შემადგენლობაში. სწორედ ამ ფაქტმა იქონია გავლენა ბეგინის გადაწყვეტილებაზე. ამ გარემოებამ, აშშ-ის ზეწოლასთან ერთად, უბიძგა ისრაელის ხელმძღვანელობას მიეღო გადაწყვეტილება – დაებრუნებინა სინას ნახევარკუნძული ეგვიპტისათვის, მშვიდობისა და მდ. იორდანეს დას. ნაპირზე, იუდეასა და სამარიაში, მოქმედებათა თავისუფლების სანაცვლოდ.

მეორე მხრივ, იმავე წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებთან ინტერვიუში განაცხადა მზადყოფნა კონსტრუქციულ დიალოგზე, რომელიც მიმართული იქნებოდა მშვიდობის დამყარებისაკენ, ისრაელში ვიზიტის ჩათვლით. 1977 წლის 20 ნოემბერს ანვარ სადათი გახდა პირველი არაბი ლიდერი, რომელმაც ეწვია ისრაელს, რაც დე ფაქტო ნიშნავდა ეგვიპტის პრეზიდენტის მიერ ისრაელის სახელმწიფოს სუვერენიტეტის აღიარებას. სადათი ხაზს უსვამდა, რომ არაბ-ისრაელის კონფლიქტი შეიძლება გადაწყდეს პირდაპირი მოლაპარაკებებით დაპირისპირებული მხარეების ლიდერებს შორის. იერუსალიმში ჩასვლისას სადათი გამოვიდა როგორც ყველა არაბული ქვეყნის წარმომადგენელი, სიტყვა წარმოთქვა ქნესეთში და ხაზი გაუსვა, რომ ეგვიპტე არ ისახავს მიზნად სეპარატული ზავის ხელმოწერას ისრაელთან, რადგანაც ვერანაირი სეპარატული ზავი ვერ გადაწყვეტს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს და ვერ უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობის დამყარებას (Laqueur & Rubin, 2008: 207-215; Cleveland, 2009: 379).

სადათის „სამშვიდობო ინიციატივას" წინ უძღოდა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა „*ინფითაჰ*" („ღია კარის" პოლიტიკა), ნასერიზმისაგან თანდათანობითი ჩამოშორება, ქვეყნის ხელმძღვანელობაში წმენდა, სსრკ-თან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დარღვევა, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა აშშ-თან, ისრაელთან პირველი და მეორე *სინას შეთანხმების* დადება არმიის განცალკევებაზე.

სადათის სამშვიდო ინიციატივებმა გამოიწვია არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია არაბულ სამყაროში. 1977 წლის 2-5 დეკემბერს ტრიპოლიში ჩატარდა სახელმწიფო მეთაურთა კონფერენცია, რომელმაც გააკრიტიკა ეგვიპტის პოლიტიკა ისრაელთან მიმართებაში. სირიის, ალჟირის და ლიბიის გარდა მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე ერაყის, სამხრეთ იემენის და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ შეხვედრის მსვლელობის დროს ეგვიპტე კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, მას გამოუცხადეს ბოიკოტი არაბთა ლიგის ფარგლებში, მაგრამ სადათმა გადაწყვიტა ემოქმედა არაბული სახელმწიფოების აზრის გათვალისწინების გარეშე. ის აფასებდა თავის სამშვიდობო წამოწყებებს არა როგორც სეპარატულ ზავს, არამედ როგორც პირველ ნაბიჯს საყოველთაო ისლამური დარეგულირების გზაზე (ე.წ. „ელექტრონული შოკის დიპლომატია")[32] (Morris, 2009: 122; Kamrava, 2005: 132).

32 ანვარ სადათის ქალიშვილი ნოჰა სადათი იგონებს: ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, ვითარებაში, როდესაც საზოგადოებაში სადათისადმი სიძულვილი იზრდებოდა, ის ხშირად მეუბნე-

1978 **წლის 17 სექტემბერს აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია კემპ-დევიდში, პრეზიდენტ კარტე-**რის შუამავლობით, სადათმა და ბეგინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებათა პაკეტს, რომელიც ისტორიაში შევიდა *კემპ-დევიდის შეთანხმების* სახელით.

კემპ-დევიდის შეთანხმება შედგებოდა ორი დოკუმენტისაგან. პირველი იყო „მშვიდობის ჩარჩოები ახლო აღმოსავლეთში", რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა სადათის „ნაბიჯს საყოველთაო ახლოაღმოსავლური დარეგულირებისაკენ". ეს დოკუმენტი ეხებოდა პალესტინის საკითხს და ითვალისწინებდა პალესტინელებისათვის შეზღუდული თვითმმართველობის მინიჭებას მდ. იორდანეს დას. ნაპირზე და ღაზას სექტორში. მაგრამ დოკუმენტში არ იყო მოხსენიებული თვითგამორკვევაზე პალესტინელთა უფლების ცნობის აუცილებლობა, არაფერი იყო ნათქვამი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაზე და იერუსალიმის არაბული ნაწილის პრობლემაზე. დას. ნაპირისა და ღაზას სექტორის პალესტინელებისათვის „ავტონომია" ნიშნავდა ისრაელის სამხედრო და პოლიტიკურ კონტროლს, ფაქტობრივად ოკუპაციის გაგრძელებას. დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ გაერო-ს №242 და №338 რეზოლუციები იქნებოდა საფუძველი მომავალი ახლოაღმოსავლური დარეგულირების, ხოლო მხარეების მიერ შემუშავებული საერთო დებულებები უნდა გამხდარიყო მშვიდობის ჩარჩოები ახლო აღმოსავლეთის სხვა არაბული სახელმწიფოებისათვის (Felton, 2008: 120-121, 124-127; Laqueur & Rubin, 2008: 222-227; Quandt, 2005: 197-204).

ბეგინი, კარტერი და სადათი

მეორე დოკუმენტი – „ჩარჩოები ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად" ეხებოდა ორმხრივ დარეგულირებას. მის საფუძველზე, 1979 წლის 26 მარტს ვაშინგტონში ხელი მოეწერა სადათის, ბეგინის და კარტერის მიერ ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ისრაელი თანხმდებოდა სინადან თავისი არმიისა და მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანას ურთიერთობის ნორმალიზაციის და მშვიდობის სანაცვლოდ (ფორმულა „ტერიტორიები მშვიდობის სანაცვლოდ"). იმის მიუხედავად, რომ ისრაელი უბრუნებდა ტერიტორიების ნაწილს, რომელიც მოიპოვა **1967 წელს, მან შეინარჩუნა სამხედრო უპირატესობა ეგვიპტეზე, რადგანაც სინას ნა-**ხევარკუნძული გადაიქცა დემილიტარიზებულ ზონად. ეგვიპტესთან მშვიდობის დამყარების ყველაზე მთავარი სამხედრო-სტრატეგიული შედეგი იყო ისრაელისათვის მეორე ფრონტის დახურვა მისი ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგის მხრიდან. ახლა ისრაელს შეეძლო ძალების თავმოყრა აღმოსავლეთის მიმართულებით. მოლაპარაკებების დროს ეგვიპტელები სვამდნენ საკითხს ისრაელის ატომურ იარაღზე და მოითხოვდნენ, რომ ისრაელი შეერთებოდა ატომურ იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, მაგრამ ისრაელი არ დათანხმდა რაიმე დოკუმენტის ხელმოწერაზე ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით (Felton, 2008: 121, 128-131; Agha, 2001).

ბოდა: „მხოლოდ ალაჰს შეუძლია მაცოცხლოს, რომ მოვესწრო 1982 წლის 26 აპრილს – დღეს, როცა ისრაელმა უნდა დაგვიბრუნოს სინას ნახევარკუნძული" (Beattie, 2000: 274).

კემპ-დევიდის ხელშეკრულების ხელმოწერა ნიშნავდა ეგვიპტესა და აშშ-ს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ახალ ეპოქის დაწყებას. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ აშშ-ის კონგრესმა მიიღო სპეციალური აქტი, რომლის მიხედვითაც ისრაელს და ეგვიპტეს სამშვიდობო პროცესის განხორციელების ფარგლებში გამოეყოფოდა საერთო თანხა დაახლ. 73 მლრდ დოლარი, რომელიც უნდა განაწილებულიყო მხარეებს შორის თანაფარდობით 3:2. შემდგომში აშშ ახორციელებდა ეგვიპტის და ისრაელის ფინანსურ დახმარებას. ეგვიპტის ხელმძღვანელობამ დაიწყო დაახლოება აშშ-თან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში. ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამ გამოიწვია უკმაყოფილების ტალღა არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში. ეგვიპტე გარიცხეს ლიგიდან, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციიდან და ის აღმოჩნდა პოლიტიკურ იზოლაციაში. ამგვარად, ეგვიპტემ საბოლოოდ დაკარგა რეგიონალური ლიდერის პოზიცია. ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულება საბოლოოდ სიცოცხლის ფასად დაუჯდა ანვარ სადათს – ის მოკლეს ტერორისტებმა სამხედრო აღლუმის დროს 1981 წლის 6 ოქტომბერს (Goldschmidt, 2006: 385).

კემპ-დევიდის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ისრაელთან კონფლიქტის დარეგულირებაზე არაბულ ინიციატივებს შორის უნდა აღინიშნოს „ფაჰდის გეგმა" (1981წ.), რომელსაც ასე ეწოდა ერთ-ერთი მისი მთავარი ავტორის, იმ დროს საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცის ფაჰდის გამო. ფაჰდის ინიციატივა აგებული იყო ისრაელის არმიისა და ახალმოსახლეების გაყვანაზე 1967 წ. დაპყრობილი ტერიტორიებიდან, პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნებაზე უფლების დადასტურებასა და პალესტინის სახელმწიფოს შექმნაზე. ამ გეგმის ზოგიერთი უტოპიური დებულების მიუხედავად, მასში ირიბად იყო დადასტურებული ისრაელის აღიარება იმ პუნქტში, რომელიც ეხებოდა რეგიონის ყველა სახელმწიფოს უფლებას ეცხოვრათ მშვიდობიანად. სწორედ ისრაელის ამ ირიბ აღიარებას და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის იგნორირებას მოჰყვა სხვა არაბული სახელმწიფოების მიერ უარის თქმა ამ გეგმაზე. მეორე სერიოზული ინიციატივა იყო „რეიგანის გეგმა," რომელიც წამოყენებულ იქნა 1982 წელს, ისრაელის ინტერვენციის დროს ლიბანში. რეიგანის გეგმით, მხარეებს უნდა შეესრულებინათ კემპ-დევიდის შეთანხმება; მასში რეანიმირებული იყო პალესტინის ავტონომიის იდეა ამ პროცესში იორდანიის ჩართვით – „პალესტინელების თვითმმართველობა დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორზე იორდანიასთან ერთად," მაგრამ არა პალესტინის სახელმწიფოს შექმნა და ის მოუწოდებდა კონფლიქტის მონაწილეებს შეესრულებინათ გაერო-ს №242 რეზოლუცია. გეგმა არ მიიღეს არც არაბებმა და არც ისრაელელებმა. ეს გეგმა გააკრიტიკეს მენაჰიმ ბეგინმა და მისმა მინისტრებმა, მაგრამ მის საბაზისო თეზისებს ათწლეულების შემდეგ დაუბრუნდნენ არა მხოლოდ ამერიკელები, არამედ ზოგიერთი ისრაელელი პოლიტიკოსიც (Felton, 2008: 131-136).

კემპ-დევიდის შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ ისრაელის მიზანი იყო ოკუპირებული ტერიტორიების ათვისება და იურიდიული შემომტკიცება.1980 წლის 30 ივლისს მიღებულ იქნა ე.წ. „ძირითადი კანონი," რომლის თანახმადაც იერუსალიმი ცხადდებოდა ისრაელის ერთიან და განუყოფელ დედაქალაქად. 1981 წლის 14 დეკემბერს ისრაელმა დაიკავა გოლანის მაღლობები. აქტიურად ხორციელდებოდა მდ. იორდანეს დას. ნაპირისა და ღაზას სექტორის კოლონიზაცია. 1979 წლის აპრილიდან 1982 წლამდე, ისრაელური ახალშენების საერთო რაოდენობა დას. ნაპირზე გაიზარდა 91 ათასიდან 140 ათასამდე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი პალესტინელები ჩართულ იქნენ ისრაელის ეკონომიკურ სისტემაში, მაგრამ იმავდროულად არ იყვნენ ქვეყნის მოქალაქეები. ოკუპირებულ ტერიტორიებზე პალესტინელების 2/3-ზე მეტი მუშაობდა ისრაელელთა საწარმოებში, იღებდა უფრო ნაკლებ ანაზღაურებას, ვიდრე ისრაელის მოქალაქე და წარმოადგენდა იაფ მუშახელს. პალესტინელებისათვის არ იქნა შემოღებული „ავტონომია," რომელსაც დიდი დრო დაეთმო ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკებებში.

1982 წლის ომი ლიბანში /ლიბანის პირველი ომი/

ლიბანის (იხ. აგრეთვე თავი XV) სამოქალაქო ომი (1975-1990), რომელიც 15 წელი გაგრძელდა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მთელ პროცესში და თავიდანვე არ წარმოადგენდა მხოლოდ ლიბანის შინაპოლიტიკურ მოვლენას. მასში მთავარი „გარე" აქტორები გახდნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის რაზმები, სირიისა და ისრაელის არმიები.

ლიბანმა და პალესტინის მოსაზღვრე არაბულმა ქვეყნებმა მიიღეს დიდი რაოდენობით პალესტინელი ლტოლვილები. 1948 წელს ლიბანს თავი შეაფარა დაახლ. 140 ათასმა ლტოლვილმა, 50 წლის შემდეგ მათმა რიცხვმა 400,000-ს მიაღწია. თუ გავითვალისწინებთ ლიბანის მცირე ტერიტორიას და მცირერიცხოვან მოსახლეობას, ასი ათასობით პალესტინელს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ქვეყ-

ნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე. დიდი ხნის მანძილზე ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა ეფუძნებოდა კონფესიურ ჯგუფების წარმომადგენლებს შორის ხელშეკრულებას (იურიდიულად განმტკიცებული 1943 წლის ეროვნული პაქტით). ლიბანში პალესტინელი ლტოლვილების დიდი ნაწილი მუსლიმები იყვნენ, რაც აისახებოდა ძალთა ბალანსზე ქვეყანაში. მოსახლეობის ნაწილი, უპირატესად მუსლიმები, მხარს უჭერდნენ პალესტინელებს, მაგრამ ნაწილი მათ თვლიდა უცხოებად, რომელთა ყოფნა ლიბანში არასასურველი იყო. პერიოდული შეტაკებები ლიბანელებსა და პალესტინელებს შორის და მზარდი უკმაყოფილება მარონიტულ წრეებში გადაიზარდა სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ლიბანის ყველა რელიგიურმა ჯგუფმა. ლიბანის ომი გახდა პალესტინის საკითხის გადაუწყვეტლობის ერთ-ერთი შედეგი.

1969 წელს კაიროში იასირ არაფათსა და ლიბანის არმიის მეთაურს ემილ ბუსტანის შორის ხელმოწერილ იქნა ე.წ. *კაიროს შეთანხმება*, რომელიც განსაზღვრავდა ლიბანის ხელისუფლების და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის უფლებამოსილებას ლიბანში. პალესტინელებმა თავისი პასუხისმგებლობის ზონად მიიღეს ზოლი ქვეყნის სამხრეთით, ისრაელის საზღვრის გასწვრივ და უფლება ეწარმოებინათ შეიარაღებული ბრძოლა ლიბანის ტერიტორიიდან. „შავი სექტემბრის" მოვლენების (1970) შემდეგ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შტაბი განთავსდა ლიბანში. პალესტინელთა თავდასხმები იწვევდა საპასუხო დარტყმებს, რაც ლიბანელების მიერ ნეგატიურად აღიქმებოდა. 1978 წლის მარტში ისრაელის პირველი თავდასხმა ლიბანზე ისრაელის სამხედროებმა ახსნეს, როგორც შურისძიების აქცია პალესტინელი მებრძოლების წინააღმდეგ. ლიბანში გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა შესაძლებლობა მისცა ისრაელს დარტყმა მიეყენებინა პალესტინური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ლიბანის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ, რის შედეგადაც ლიბანელი მარონიტები ისრაელის მოკავშირეებად იქცნენ. 1979 წლის ივნისში ისრაელის არმიამ დატოვა სამხრეთ ლიბანი, სადაც განლაგდა ლიბანის მილიცია საად ჰადადის მეთაურობით (Cleveland, 2009: 382-387).

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა არიელ შარონმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: არაერთი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ 1982 წელს ლიბანში ისრაელის არმიის ინტერვენციისათვის მრავალი ხელსაყრელი ფაქტორი არსებობდა – 1982 წლის აპრილში დასრულდა სინადან არმიის გამოყვანა და ეგვიპტე-ისრაელის ზავი გახდა ისრაელის უსაფრთხოების გარანტია დასავლეთ საზღვრებზე. ლიბანში ისრაელს ჰყავდა მოკავშირეები, რომლებიც ემხრობოდნენ ისრაელის არმიის ქვეყანაში შესვლას „წესრიგის დასამყარებლად". 1982 წლის იანვარში არიელ შარონმა საიდუმლოდ მოინახულა ბეირუთი, სადაც შეხვდა ქრისტიანი ფალანგისტების (*ქათაიბ*) ლიდერს ბაშირ ჟმაიელს და ესაუბრა ისრაელის შესაძლო ოპერაციაზე ლიბანში. 1982 წლის გაზაფხულზე ისრაელის არმია რამდენჯერმე მზად იყო გადაელახა საზღვარი, მაგრამ ბოლო მომენტში თავს იკავებდა. ლიბანში არმიის შესვლის წინ (1982 წლის მაისი) შარონი ვიზიტით ეწვია აშშ-ს, სადაც შეხვდა სახელმწიფო მდივანს ჰეიგს. მათი საუბრის ძირითადი თემა იყო ისრაელის მომავალი ინტერვენცია ლიბანში. რეიგანის ადმინისტრაცია თანახმა იყო ისრაელის არმიის შეზღუდულ ოპერაციაზე ლიბანში. უნდა აღინიშნოს, რომ რეიგანი ითვლებოდა ისრაელის დიდ მეგობრად. სახელმწიფო მდივანს ჰეიგს კი მომავალ არჩევნებზე იმედი ჰქონდა ებრაული ლობის მხარდაჭერისა, რის გამოც ის ისრაელის მხარდაჭერისაკენ იხრებოდა. თუმცა, სწორედ ეს ცალმხრივი პოზიცია მას აშშ სახელმწიფო მდივნის პოსტის დაკარგვად დაუჯდა – ის გაანთავისუფლეს ისრაელის ლიბანში ინტერვენციიდან ორი კვირის შემდეგ (Quandt, 2005: 252-253).

ისრაელის საინფორმაციო საშუალებები არ ფარავდნენ, რომ ისრაელის არმიის მთავარი ამოცანა იყო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისათვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება, რადგანაც მისი გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საფრთხეს უქმნიდა ისრაელს. არსებობს მოსაზრება, რომ ლიბანში ისრაელის შეჭრის ერთ-ერთი ინიციატორი იყო არიელ შარონი, რადგანაც მას სურდა რადიკალურად გადაეწყვიტა პალესტინის საკითხი. სწორედ ამის გამო მიიღეს გადაწყვეტილება შეზღუდულ ოპერაციაზე ლიბანში, რაც სწრაფად გადაიზარდა ფართომასშტაბიან ომში. ლიბანის ტერიტორია ან მისი ნაწილი, ისრაელელი პოლიტიკოსებისა და სამხედროების მიერ განიხილებოდა, როგორც შესაძლო ბუფერული ზონა, სადაც იგეგმებოდა მარიონეტული მთავრობის ჩამოყალიბება ბაშირ ჟმაიელის მეთაურობით. ისრაელი ასევე მიისწრაფოდა არ დაეშვა ლიბანში თავისი მთავარი მოწინააღმდეგის – სირიის გაძლიერება (Schulze, 1998: 217).

თავის მხრივ, სირიის მონაწილეობა ლიბანის კონფლიქტში გამოწვეული იყო იმით, რომ მას არ სურდა ისრაელის გაძლიერება. პრეზიდენტი ასადი განიხილავდა ბიკაას ველს, როგორც უსაფრთხოების ზონას, რომელზეც ისრაელისა და მისი მოკავშირეების კონტროლი სერიოზულად შეცვლიდა სამხედრო-პოლიტიკურ ბალანსს და არა სირიის სასარგებლოდ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სირიაში პოპულარული იყო პანარაბული ლოზუნგი „ერთი ხალხი – ორი ქვეყანა" (იგულისხმება სი-

რია და ლიბანი) და სირიის ხელმძღვანელობა არ ფარავდა სურვილს ეკონტროლებინა პოლიტიკური პროცესები მეზობელ ლიბანში. სირიის არმია ლიბანში შევიდა 1976 წლის ივნისში ლიბანის პრეზიდენტის სულეიმან ფრანჯეს თხოვნით, რათა შეეჩერებინა სხვადასხვა კონფესიათა წარმომადგენლებს შორის სისხლისღვრა. ოქტომბერში სირიამ მიიღო არაბულ სახელმწიფოთა ლიგის მანდატი ლიბანში სამშვიდობო მისიაზე. ლიბანის ომში სირიის პოზიცია შეიძლება არათანამიმდევრულად წარმოჩნდეს, მაგრამ სირია კონიუქტურულ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა და არ უნდოდა დაეშვა ერთ-ერთი მხარის საბოლოო განადგურება. სირიის ხელმძღვანელობას სურდა შეენარჩუნებინა ძალთა ბალანსი ლიბანში – დაპირისპირებულ მხარეთაგან არც ერთი არ უნდა გამოსულიყო ომიდან გამარჯვებული ან დამარცხებული.

1982 წლის 3 ივნისს დიდ ბრიტანეთში აბუ ნიდალის ტერორისტულმა ჯგუფმა, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ ემორჩილებოდა ფათჰ-ს და იასირ არაფათს, განახორციელა თავდასხმა ისრაელის ელჩზე შლომო არგოვზე. ეს გახდა ფორმალური საბაბი ლიბანში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის, სახელწოდებით – „მშვიდობა გალილეაში“ დაწყებისათვის (1982 წლის 6 ივნისს). ოპერაციის წინ ისრაელელები ირწმუნებოდნენ, რომ არ გადავიდოდნენ მდ. ლიტანის იქით (საზღვრიდან 25 კმ), მაგრამ არ გაჩერდნენ ამ საზღვარზე და გააგრძელეს სვლა ლიბანის ტერიტორიის სიღრმეში. 1982 წლის 13 ივნისს ისრაელის არმიამ ალყა შემოარტყა დას. ბეირუთს, სადაც განლაგებული იყო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შტაბები და დაახლ. 12 ათასი პალესტინელი ბოევიკი. 1982 წლის ზაფხულის თვეებში ბეირუთი დაიბომბა, პირველ რიგში, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის და მისი ლიდერის, იასირ არაფათის განადგურების მიზნით. ისრაელელთა საჰაერო თავდასხმების შედეგად დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა და ამას მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოების ჩარევა – აგვისტოს შუა რიცხვებში ამერიკელი ფილიპ ჰაბიბის დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად, შეთანხმებულ იქნა გეგმა, რომლის მიხედვითაც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ძალები უნდა გამოსულიყვნენ ბეირუთიდან. 30 აგვისტოს არაფათმა, რომელიც თავს გამარჯვებულად თვლიდა, დატოვა ბეირუთი. ისრაელელები, თავის მხრივ, კმაყოფილი იყვნენ საბრძოლო მოქმედებების შედეგებით, რადგან შეძლეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის გაძევება ლიბანიდან (შტაბ-ბინა გადავიდა თუნისში), თუმცა ვერ გააანადგურეს, როგორც გეგმავდნენ. ბეირუთიდან პალესტინის წინააღმდეგობის ძალების გასვლით კონფლიქტი ლიბანში არ დასრულებულა (Felton, 2008: 334-335; Bregman, 2001: 113-115).

1982 წლის 14 სექტემბერს მოკლეს ლიბანის ახლადარჩეული პრეზიდენტი ბაშირ ჟმაიელი. როგორც ჩანს, მკვლელობის უკან იდგა სირიის სპეცსამსახურები. თუმცა ფალანგისტები თვლიდნენ, რომ ეს იყო პალესტინელების დამსახურება და შურისძიებისათვის ემზადებოდნენ. 16-17 სექტემბერს ქრისტიანმა ფალანგისტებმა მოაწყვეს ხოცვა-ჟლეტა საბრას და შატილას ბანაკებში, რაც დასრულდა 700-დან 35,000-მდე პალესტინელის სიკვდილით (ისრაელელების და პალესტინელთა მონაცემები). ამ მოვლენებმა დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელ მსოფლიოში და ისრაელშიც. ისრაელის მხარე ამტკიცებდა, რომ ისრაელის არმიას არ მიუღია მონაწილეობა ამ ხოცვა-ჟლეტაში, ხოლო მკვლელობები ჩაიდინეს ქრისტიანმა ფალანგისტებმა. პალესტინელები აცხადებდნენ, რომ თავდამსხმელთა შორის იყვნენ ისრაელელი ჯარისკაცებიც (al-Shaikh, 1984: 57-90; Felton, 2008: 336).

ისრაელელი სამხედროების როლის გამოსაკვლევად შეიქმნა ოფიციალური კომისია ისრაელის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის იცხაკ ჰაკანის ხელმძღვანელობით. კომისიამ აღიარა, რომ ისრაელს ეკისრებოდა ირიბი პასუხისმგებლობა საბრასა და შატილას მოვლენებში, ვინაიდან ისრაელის არმიამ ხელი არ შეუშალა ფალანგისტთა მილიციას პალესტინელთა ბანაკებზე თავდასხმაში. დამნაშავეთა სიაში პირველ ადგილზე იყო თავდაცვის მინისტრი. ამის შედეგად არიელ შარონი იძულებული გახდა დაეტოვებინა პოსტი. ქვეყანაში ჩატარდა მასობრივი ანტისამხედრო და ანტისამთავრობო დემონსტრაციები. პირველად ისრაელის ხანმოკლე ისტორიაში, ებრაულ საზოგადოებაში განხეთქილება მოხდა.

ლიბანში ისრაელის ოპერაციის შედეგად განადგურდა 6 ქალაქი, 30 სოფელზე მეტი და პალესტინელ ლტოლვილთა 17 ბანაკი. ომი ლიბანში გაგრძელდა კიდევ რამდენიმე წელი და სამშვიდობო პროცესის დაწყებად ითვლება ე.წ. „ტაიფის შეთანხმება,“ რომელიც დაიდო 1989 წელს არაბული ქვეყნების შუამავლობით. ისრაელმა მიაღწია თავის მიზანს – აიძულა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია დაეტოვებინა ბეირუთი, ფაქტობრივად გაანადგურა მისი ინფრასტრუქტურა ლიბანში, მაგრამ ქვეყნის სამხრეთში ანტიისრაელური ბრძოლის ესტაფეტა აიტაცეს ლიბანელმა შიიტებმა, რომლებიც 1982 წელს გაერთიანდნენ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში სახელწოდებით *ჰიზბალაჰ* (შეიქმნა ირანის უშუალო მონაწილეობით).

ხაზგასასმელია, რომ ლიბანი (მცირე ხნით) გახდა მეორე არაბული ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას ისრაელთან 1983 წლის 17 მაისს. ამ ხელშეკრულების თანახმად, ისრაელმა გაიყვანა არმია, მაგრამ დაიტოვა უსაფრთხოების ზონა ლიბანის სამხრეთში. თუმცა, ლიბანის მთავრობამ გააუქმა ისრაელთან შეთანხმება ერთი წლის შემდეგ სირიის ზეწოლით. ისრაელის არმია ლიბანში გამუდმებული თავდასხმის ობიექტი იყო და დიდი დანაკარგები ჰქონდა, რამაც აიძულა ისრაელის ხელმძღვანელობა დაეჩქარებინა ისრაელში არაპოპულარული ომების დასრულება. 1985 წელს ისრაელის არმია გადავიდა საზღვარზე, მაგრამ 2000 წლამდე შეინარჩუნა მცირე ტერიტორია სამხრეთ ლიბანში. სირიის სამხედრო კონტიგენტი ლიბანში დარჩა 2005 წლის აპრილამდე (Quandt, 2005: 257-260).

პირველი ინთიფადა

XX საუკუნის 80-იან წლებში პალესტინელელების ბრძოლამ საკუთარი სახელმწიფოს შესაქმნელად დაკარგა თავისი მნიშვნელობა არაბული სამყაროს დიდი ნაწილისათვის. პალესტინური აჯანყების (*ინთიფადა*) დაწყებიდან 1 თვის შემდეგ, 1988 წლის იანვარში შეკრებილი არაბული ქვეყნების ლიდერებისათვის, პალესტინის საკითხი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო, ვიდრე ირან-ერაყის ომი. პალესტინელი ლიდერები ასევე წუხდნენ, რომ სხვადასხვა მუსლიმური ორგანიზაციების მიერ უზარმაზარი თანხები ირიცხებოდა ავღანეთში ჯიჰადისათვის და არა ისრაელის წინააღმდეგ საბრძოლველად. არაბული სამყარო გარკვეულწილად შეურიგდა იერუსალიმის ოკუპაციას და გაძევებული პალესტინელების სტატუსს. ლიბანში ისრაელის მიერ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისადმი მიყენებულმა დარტყმამ გააღრმავა ამ ორგანიზაციაში არსებული შიდა უთანხმოებანი. გამოიკვეთა უფრო ზომიერი და შერიგების მომხრე ძალები პალესტინის ორგანიზაციაში – რეიგანის გეგმა არ იყო ერთმნიშვნელოვნად უარყოფილი, ხოლო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ განახორციელა მცდელობა იორდანიასთან დასაახლოებლად. ამას მოჰყვა რადიკალურად განწყობილი პროსირიული და სირიის მიერ მხარდაჭერილი პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მემარცხენე მონაწილეების უკმაყოფილება (მაგ., *ას-საიკა*, *სახალხო ფრონტი*, *დემოკრატიული ფრონტი* და სხვ.). პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაში ფაქტობრივად მოხდა განხეთქილება, რაც ხელს უშლიდა ორგანიზაციის ნორმალურ საქმიანობას. პალესტინის ეროვნული საბჭოს რეგულარულ სხდომებზე, რომლებიც ტარდებოდა 1983-1987 წლებში, არაფათი და მისი მომხრეები ცდილობდნენ არ დაეშვათ განხეთქილების გაღრმავება და შეენარჩუნებინათ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ერთიანობა. ამის პარალელურად ცდილობდნენ არ გაეუარესებინათ ურთიერთობა იმ არაბულ ქვეყნებთან (იორდანია და ეგვიპტე), რომელთა როლი ახლოაღმოსავლურ კონფლიქტში უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო პალესტინელებისათვის.

ისრაელის მიერ მდ. იორდანეს დას. ნაპირისა და ღაზას სექტორის ოკუპაციამ გამოიწვია ეკონომიკის სტაგნაცია და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა. ისრაელის ხელმძღვანელობა აკონტროლებდა წყლისა და ენერგეტიკულ რესურსებს და არ ცდილობდა ინფრასტრუქტურის განვითარებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. გამონაკლისს წარმოადგენდა ებრაული დასახლებები ღაზაში და დას. ნაპირზე, სადაც იდებოდა დიდი სახსრები. თვალსაჩინო იყო ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის რადიკალური განწყობილებების ზრდა. ოკუპაციის დაწყებიდან 20 წლის განმავლობაში უკვე მთელი თაობები გაიზარდა, რომლებიც გაუსაძლისი ცხოვრების პირობების გამო, მზად იყვნენ გამოეხატათ პროტესტი რაიმე ფორმით. ეს ფაქტი გახდა პალესტინის არაბთა შორის პოლიტიკური ისლამის პოპულარიზაციის ერთ-ერთი მიზეზი. სწორედ ახალგაზრდობა, რომელთა შორის იყო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სხვადასხვა ფრაქციის მრავალი აქტივისტი, გახდა პალესტინელ არაბთა ამბოხის (*ინთიფადა*) მამოძრავებელი ძალა (Lockman, 1989).

პირველი ინთიფადა დაიწყო 1987 წლის 8 დეკემბერს ლტოლვილთა ბანაკ ჯაბალიიაში, ღაზას სექტორში. ისრაელის არმიის სატვირთო მანქანამ გაიტანა 4 მუშა ღაზადან. მათი დაკრძალვა გადაიზარდა მასობრივ საპროტესტო მოძრაობაში და მალე მოიცვა მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორია. მეორე ვერსიით, ინთიფადას დაწყების მიზეზი გახდა არიელ შარონის გადასვლა მუდმივად საცხოვრებლად იერუსალიმის მუსლიმურ ნაწილში, რაც პალესტინელებმა პროვოკაციად აღიქვეს (მრავალი წლის შემდეგ შარონის ვიზიტმა ტაძრის მთაზე (ებრ. *ჰარ ჰებაიათ*) გამოიწვია ახალი აჯანყება – *ალ-აკსას ინთიფადა*). ფაქტობრივად ამბოხი დაიწყო სპონტანურად და არ იყო დაგეგმილი ან განხორციელებული რომელიმე პალესტინური მოძრაობის მიერ, მაგრამ უკვე 1988 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა ინთიფადას ორგანიზაციული სტრუქტურა – გაერთიანებული ეროვნული ხელმძღვანელობა.

მასში გაერთიანდა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის სხვადასხვა ჯგუფები. გაერთიანებული ეროვნული ხელმძღვანელობის მიერ წამოყენებული მოთხოვნები იყო: „რკინის მუშტის“ პოლიტიკის შეჩერება, რომელსაც ისრაელი ატარებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე; ისრაელის არმიის გაყვანა ღაზას სექტორში და დას. ნაპირზე მდებარე ქალაქებიდან, სოფლებიდან და ლტოლვილთა ბანაკებიდან; მმართველობის არსებული ორგანოების ლიკვიდაცია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქალაქო და სასოფლო საბჭოებში; აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაკავებულთა განთავისუფლება; დამატებითი ღირებულების გადასახადის გაუქმება; მიწების კონფისკაციისა და ახალი ებრაული დასახლებების მშენებლობის შეწყვეტა; სასწავლო დაწესებულებების დახურვის შეწყვეტა (Laqueur & Rubin, 2008: 320-321: Quandt, 2005: 274-277).

ინთიფადას მებრძოლი

რაც შეეხება ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებს, გაერთიანებული ეროვნული ხელმძღვანელობა მოუწოდებდა ისრაელის პროდუქციაზე ბოიკოტისაკენ, გადასახადების გადახდაზე უარის თქმისაკენ; მოუწოდებდა აგრეთვე ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო ადმინისტრაციისა და პოლიციის თანამშრომლებს დაეტოვებინათ თავიანთი თანამდებობები. არაფათმა გამოაცხადა „ქვების რევოლუციის“ დაწყება და მისი სიმბოლო გახდა ახალგაზრდა პალესტინელი ქვით ხელში, რომელსაც ის უღერებდა ისრაელის ტანკს ან შეიარაღებულ ჯარისკაცს. 1988 წლის 19 იანვარს ისრაელის თავდაცვის მინისტრმა იცხაკ რაბინმა განაცხადა, რომ ინთიფადას ჩასახშობად ისრაელი, პირველ რიგში, ეყრდნობა „ძალას, ძლიერებას, მათრახს.“ დამსჯელმა ღონისძიებებმა, რომლებიც გაატარა ისრაელის ხელმძღვანელობამ აჯანყებული პალესტინელების მიმართ, გამოიწვია ასობით ადამიანის სიკვდილი. დემონსტრანტების დასაშლელად ისრაელი იყენებდა ცეცხლსასროლ იარაღს, ადგილი ჰქონდა დაკავებული პალესტინელების მკვლელობას სასამართლოსა და ძიების გარეშე, დაკავებულთა დამცირებას და წამებას, რაზედაც ყურადღება გაამახვილა გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ.

1988 წლის ივნისში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელი ბასამ აბუ სარიფი გამოვიდა ყურადსაღები განცხადებით, რომლის თანახმადაც პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირების გასაღებს წარმოადგენდა პირდაპირი მოლაპარაკებები დაპირისპრებულ მხარეებს შორის. მან ასევე გამოხატა მზადყოფნა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას ეწარმოებინა მოლაპარაკებები ისრაელის ნებისმიერ ოფიციალურ წარმომადგენელთან. აბუ შარიფმა განაცხადა აგრეთვე, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია ცნობს გაერო-ს №242 და №338 რეზოლუციებს პალესტინელი ხალხის უფლებათა აღიარების შესახებ.

1988 წლის 31 ივლისს მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა – იორდანიის მეფე ჰუსაინმა უარი თქვა იორდანიის პრეტენზიებზე დას. ნაპირსა და აღმოსავლეთ იერუსალიმზე, ამასთან გაამარტივა მანამდე ბუნდოვანი საკითხი (მათ შორის ისრაელელებისათვის), თუ ვის უნდა დაბრუნებოდა ისრა-

ელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები გაერო-ს რეზოლუციების თანახმად. ამის გარდა, იორდანიის მეფემ დადებითი აზრი გამოთქვა პალესტინის სახელმწიფოს შექმნაზე. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი იორდანიის ხელმძღვანელობისათვის – ჯერ კიდევ 1987 წელს მიმდინარეობდა იორდანია-ისრაელის მოლაპარაკებები ქვეყნებს შორის სამშვიდობო შეთანხმებების თაობაზე და მდ. იორდანეს დას. ნაპირის სტატუსის გამო, რომლებიც უშედეგოდ დასრულდა (Lockman, 1989; Laqueur & Rubin, 2008: 338-341).

პალესტინელების რეაქცია გამოიხატა პალესტინის ეროვნული საბჭოს მე-19 სესიაზე, როდესაც 1988 წლის 15 ნოემბერს გამოცხადდა *პალესტინის სახელმწიფოს შექმნა* დას. ნაპირისა და ღაზას სექტორის ტერიტორიაზე – დედაქალაქით აღმოსავლეთ იერუსალიმში. ეს სახელმწიფო გამოცხადდა არა ისრაელის სახელმწიფოს ადგილას, არამედ მის გვერდით. სესიამ გამოაცხადა გაერო-ს №242 და №338 რეზოლუციების მიღების თაობაზე. ფაქტობრივად ეს ნიშნავდა არსებობაზე ისრაელის უფლების აღიარებას. ამ თეზისმა გამოიწვია სერიოზული პოლემიკა როგორც ფათჰ-ის შიგნით, ისე მთელ პალესტინურ მოძრაობაში. გაერო-ს რეზოლუციამ პალესტინაზე იმავდროულად სცნო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პალესტინელთა ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად (Laqueur & Rubin, 2008: 354-357).

ამ ახალი სიტუაციის გათვალისწინებით, 1988 წლის 14 დეკემბერს აშშ პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან არსებითი დიალოგის" დაწყებისათვის მისგან **3 პირობის შესრულება მოითხოვა: 1. უარის ეთქვა ტერორიზმზე; 2. ეღიარებინა გაერო-ს უფლებამოსილებები; 3. ეცნო ისრაელის უფლება არსებობაზე. მაშინვე დაიწყო ამერიკა-ისრაელის მოლაპარაკება** თუნისში.

ამან გამოიწვია განხეთქილება თვითონ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შიგნით და ასევე მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება რადიკალური არაბული რეჟიმების (ერაყი, ლიბია და სირია) მხრიდან, რომლებიც შეეცადნენ შეექმნათ ერთიანი ფრონტი ისრაელთან დასაპირისპირებლად. მათ ასევე განაცხადეს, რომ მიზნად ისახავდნენ იასირ არაფათის გადაყენებას პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტიდან.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მოლაპარაკებები აშშ-თან რთულად მიმდინარეობდა, თუმცა, 1989 წლის ივნისიდან მასში ჩაერთო ეგვიპტის პრეზიდენტი ჰუსნი მუბარაქიც შუამავლის სახით. ამ დროისათვის ეგვიპტეს უკვე აღუდგა არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში წევრობა და მისი შტაბ-ბინაც დაბრუნდა კაიროში.

1990 წლის დასაწყისში ამანში შედგა იორდანიის მეფე ჰუსაინის შეხვედრა ერაყის, ეგვიპტის და იემენის ლიდერებთან. ბევრმა ეს აღიქვა ახალი არაბული ინიციატივის გამოხატულებად პალესტინის პრობლემის დარეგულირების მიზნით.[33]

პალესტინის საკითხი და მისი გადაწყვეტის მცდელობები

იასირ არაფათი გახდა ერთ-ერთი არაბი ლიდერი, რომელმაც მხარი დაუჭირა სადამ ჰუსაინს, რამაც ნეგატიურად იმოქმედა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის იმიჯზე მსოფლიოში. 80-იანი წლების მიწურულს მსოფლიოში დაწყებულმა ძირეულმა ტრასფორმაციამ არაერთი ყოფილი კეთილისმსურველი თუ მოკავშირე დააკარგვინა არაფათს: იკვეთებოდა დაუძლურებული სსრკ-ის დაშ-

33 1984 წელს საინტერესო ინიციატივით გამოვიდა იორდანიის მეფე ჰუსაინი – ის მოეთათბირა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას პრინციპზე „მშვიდობა ტერიტორიების სანაცვლოდ" და შესთავაზა ისრაელის მხარეს ეწარმოებინათ მოლაპარაკება ერთიან იორდანია-პალესტინის დელეგაციასთან - მომავალში ფედერაციულ პალესტინის სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით იორდანიის მონაწილეობით. ისრაელში შრომის პარტია მზად იყო მხარი დაეჭირა ამ ინიციატივისათვის და გაეთავისუფლებინა 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიები. 1984 წლის ივლისში ისრაელში შეიქმნა კოალიციური მთავრობა შრომის პარტიისა და ლიკუდის ბლოკის მონაწილეობით. მოლაპარაკების თანახმად, მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობა მორიგეობით უნდა შეესრულებინათ შიმონ პერესს და იცხაკ შამირს. მეფე ჰუსაინმა დაიწყო დიპლომატიური აქტივობა. 1985 წლის 11 თებერვალს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასა და იორდანიას შორის, მაგრამ ბოლოს მათ შორის ისევ განხეთქილება მოხდა. 1985 წლის ოქტომბერში პალესტინელმა ექსტრემისტებმა მოაწყეს თავდასხმა იტალიურ გემზე „აკილე ლაურა," რამაც გამოიწვია დაძაბულობის ზრდა ორივე მხარეს. ისრაელმა დაბომბა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შტაბ-ბინა თუნისში და ჰუსაინის გეგმა ჩაიშალა. ოფიციალურად პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ გააუქმა ის 1987 წელს, როცა დაუბრუნდა თავის მოთხოვნას – დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნისა და მოლაპარაკებებზე ცალკე წარმომადგენლობის თაობაზე.

ლის კონტურები, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში მიმდინარეობდა ძველი რეჟიმების რღვევა, მიუმხრობელმა ქვეყნებმა სრულიად დაკარგეს უწინდელი როლი. სადამ ჰუსაინი ამ ფონზე გამოიყურებოდა პალესტინელების ძლიერ მოკავშირედ. ამის გარდა, ერაყი იყო იმ მცირერიცხოვან არაბულ ქვეყნებს შორის, რომელმაც დიდი თანხები შეიტანა ინთიფადას მხარდასაჭერ ფონდში.

1990-1991 წწ. ერაყ-ქუვეითის კონფლიქტში ერაყის მხარდაჭერა ძვირად დაუჯდათ პალესტინელებს: პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შეუწყდა ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი საუდის არაბეთიდან და ქუვეითიდან. ამ ქვეყნებიდან მრავალი პალესტინელი გააძევეს.

ომი სპარსეთის ყურეში გახდა პირველი საერთაშორისო კონფლიქტი, რომელიც აღნიშნავდა ახალი ეპოქის დაწყებას მსოფლიო პოლიტიკაში. დასრულდა საერთაშორისო ურთიერთობების გლობალური ბიპოლარიზაცია, ცივი ომი. სსრკ-მა დათმო პოზიციები საერთაშორისო არენაზე და მოსკოვი ვეღარ უწევდა ვაშინგტონს კონკურენციას ახლო აღმოსავლეთში. შეცვლილ ვითარებაში, საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა გაერო-ს 1990 წლის 20 ნოემბრის №678 რეზოლუციის, რომელიც სანქციას აძლევდა მრავალნაციონალური კოალიციის ომს ერაყთან. ერაყის იზოლაცია, სირიის მონაწილეობა ანტიერაყულ კოალიციაში, ეგვიპტისა და სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მიერ აშშ-ის პოლიტიკის მხარდაჭერა – ყოველივე ეს ნიშნავდა ამერიკული ახლოაღმოსავლური დიპლომატიის გამარჯვებას. ამ ვითარებაში პრეზიდენტმა ბუშმა ჩათვალა, რომ შეეძლო გადაეწყვიტა ახლოაღმოსავლური კონფლიქტი და მიუთითა პალესტინა-ისრაელის დარეგულირების სასწრაფო გადაწყვეტის აუცილებლობაზე, რის გარეშეც ახლო აღმოსავლეთში ნებისმიერი სამშვიდობო ინიციატივის წარუმატებლობას გარდაუვალად თვლიდა.

1991 წლის 6 მარტს ბუშმა წარმოადგინა ახლოაღმოსავლური კონფლიქტის დარეგულირების 4 პუნქტი:

- გაერო-ს №242 და №338 რეზოლუციების შესრულების აუცილებლობა;
- პრინციპის „ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ“ დაცვა;
- პალესტინელი ხალხის კანონიერი უფლებების პატივისცემა;
- ისრაელისათვის მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა (Quandt, 2005: 306).

იცხაკ შამირის მთავრობამ უარყოფითად უპასუხა ჯ. ბუშის ინიციატივას. ამ პერიოდში აშშ-ს და ისრაელს შორის ურთიერთობა სერიოზულად გაუარესდა. ისრაელი ითხოვდა ვალის მიცემას 10 მლრდ დოლარის ოდენობით, რომელიც უნდა დახარჯულიყო სსრკ-დან რეპატრიანტების მოწყობაზე, მაგრამ ბუშმა უარი უთხრა თავის მოკავშირეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბუშმა მკაცრად დასვა საკითხი ისრაელისათვის კრედიტების გამოყოფაზე, თუ ის არ მიიღებდა მონაწილეობას ახლო აღმოსავლეთის დარეგულირების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციებში. ამერიკელები მოითხოვდნენ პალესტინელთა ტერიტორიების ებრაელებით დასახლების შეწყვეტას – სხვაგვარად არაბთა მხრიდან არანაირ დათმობებზე არ იქნებოდა საუბარი. მხოლოდ 1992 წლის ივნისში არჩევნებზე *ავოდას* (შრომის პარტიის) გამარჯვების შემდეგ, ისრაელის ახალი პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი დაეთანხმა დაეკონსერვებინათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასახლებების მშენებლობა (Quandt, 2005: 313-315).

90-ანი წლებიდან ისრაელში ერთბაშად გაიზარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან რეპატრიანტთა რიცხვი. **1989-2002 წლებში 900 ათასზე მეტი ყოფილი საბჭოთა მოქალაქე გადასახლდა** ისრაელში. ისინი დაემატნენ წინა 3,5 ათწლეულის მანძილზე გამოსახლებულ 120 ათას საბჭოთა იმიგრანტს. საბჭოთა იმიგრანტებმა ისრაელში შექმნეს ყველაზე დიდი „ეთნიკური“ ბლოკი, რომელიც რაოდენობრივად ბევრად აღემატება ქვეყნის არსებობის პირველ ხანებში ყველაზე დიდი თემებს – მაროკოელი და უნგრელი ებრაელებისას (Sachar, 2007: 1080). **სწორედ ყოფილი საბჭოთა მოქალაქეების** განსახლებისთვის იგებოდა ახალშენები

1991 წლის 18 ოქტომბერს ისრაელის, ლიბანის, სირიის, იორდანიის და პალესტინის წარმომადგენლებს გაეგზავნათ ერთობლივი საბჭოთა-ამერიკული მოწვევა მადრიდის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის მიზანი იყო ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა (Rabinovich, 2004: 39-44).

მადრიდის სამშვიდობო კონფერენცია დაიწყო **1991 წლის 30 ოქტომბერს. საბჭოთა მონაწილეობა** კონფერენციაში სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ახლოაღმოსავლური დარეგულირების ინიციატივა ეკუთვნოდა აშშ-ს. პალესტინის მხარე კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა საერთო პალესტინურ-იორდანული დელეგაციის შემადგენლობაში და მასში არ იყვნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აქტივისტები, რადგანაც ეს მოითხოვა ისრაელმა. კონფერენციის მსვლელობის დროს

დაპირისპირებულ მხარეებს ჰქონდათ უშუალო ურთიერთობების შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვანი იყო ახლოაღმოსავლური დარეგულირებისათვის. ამ მოვლენათა ერთ-ერთი მონაწილე, იმ პერიოდში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი, შიმონ პერესი წერდა, რომ იორდანელებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა წარმატებით, მაგრამ ინფორმაციის გაჟონვამ გამოიწვია იორდანიის დელეგაციის მიერ უარის თქმა რაიმე ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ლიბან-ისრაელის მოლაპარაკებებმაც არ მოიტანა წარმატება სირიის (იმ პერიოდში ის განსაზღვრავდა ლიბანის პოლიტიკას) აქტიური პოლიტიკის გამო. სირიის დელეგაცია მოითხოვდა ისრაელის მიერ ოკუპირებული გოლანის მაღლობების დაბრუნებას, როგორც სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების წინაპირობას, მაგრამ ისრაელი არ დათანხმდა (Felton, 2008: 138-142; Quandt, 2005: 310-313).

მადრიდის კონფერენციის შედეგები:

– მიღებულ იქნა პრინციპი: „ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ“ (ანუ, როგორც პალესტინელი პოლიტიკოსი მუნთასარ აბუ ზაიდი განსაზღვრავს: „სამართლიანობა უსაფრთხოების სანაცვლოდ“);

– ისრაელმა ოფიციალურად სცნო „პალესტინელთა კანონიერი უფლებები,“ რაც ითვალისწინებდა ისრაელის ჯარების გაყვანას, პალესტინის ძლიერი პოლიციის შექმნას – ისრაელის უშიშროების სპეციალური ძალების შენარჩუნებით, პალესტინის ტერიტორიაზე „თვითმმართველობის ორგანოების“[34] არჩევნების ჩატარებას;

– შეთანხმებულ იქნა ამ მოლაპარაკებათა რეალიზაციის პრაქტიკული მექანიზმი და მათი განხორციელების ეტაპობრივი გრაფიკიც;

– კონფერენციის დასრულების შემდეგ, **3 ნოემბერს დაიწყო პირდაპირი ორმხრივი მოლაპარაკებები** ისრაელსა და მეზობელ არაბულ ქვეყნებს შორის. მთლიანობაში ჩატარდა მოლაპარაკებათა **12 რაუნდზე მეტი, მაგრამ ისინი ძირითადად ეძღვნებოდა პროცედურულ საკითხებს და ურთიერთ**გამომრიცხავი მემორანდუმების გაცვლას. ყველაზე დიდი პროგრესი იქნა მიღწეული ისრაელ-იორდანიის ორმხრივ მოლაპარაკებებში, რაც დასრულდა სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერით 1994 წ. ისრაელსა და პალესტინას შორის ოსლოს შეთანხმებების შემდეგ;

– **1992 წლის იანვარში მოსკოვში დაიწყო მრავალმხრივი მოლაპარაკებები მთელი რეგიონის საკ**ვანძო საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა წყლის რესურსებს და ეკოლოგიას, ლტოლვილების პრობლემას, შეიარაღებაზე კონტროლს, რეგიონალური ეკონომიკური განვითარების ასპექტებს. თითოეულ თემას ეძღვნებოდა ცალკე საერთაშორისო ფორუმი. მრავალმხრივი მოლაპარაკებები (ოტავა, ვენა, ბრიუსელი) გაგრძელდა 1993 წლის შუა ხანებამდე;

– მოხდა საერთაშორისო კლიმატის ცვლილება ახლოაღმოსავლური კრიზისის გარშემო;

– ისრაელის მთავრობამ მიიღო 10 მლრდ დოლარი ამერიკელთა გარანტიით ასეულობით ათასი საბჭოთა ებრაელის მოწყობაზე, რომლებიც გადასახლდნენ ისრაელში და საჭიროებდნენ საცხოვრებელს და ახალ სამუშაო ადგილებს;

– სამშვიდობო პროცესს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისრაელის შიდაპოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგებისათვის. ეს დაკავშირებული იყო **1992 წლის 23 ივნისს დანიშნულ არჩევნებთან ქნესეთ**ში. ქვეყანაში ჩამოყალიბდა კოალიციური მთავრობა იცხაკ რაბინის მეთაურობით.

The Encyclopaedia of Arab-Israeli Conflict, 2008: 657-658.

1991 წლის შემდეგ ინთიფადა დასუსტდა. ამ პერიოდში პალესტინაში გაძლიერდა წინააღმდეგობის ისლამური მოძრაობა *ჰამასი*, რომელიც მზად იყო ჩამოერთვა სიონისტურ ოკუპაციასთან წინააღმდეგობის ინიციატივა იასირ არაფათისა და მისი მიმდევრებისათვის. ისრაელელი სამხედროების მიმართ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა ჰამასი პოპულარული გახადა პალესტინელ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც აღარ ენდობოდნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას. ინთიფადას მსვლელობის დროს ჰამას-ის პოზიციის გაძლიერებამ უბიძგა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას ისრაელთან მოლაპარაკებებისაკენ. თავის მხრივ, ისრაელის ახალი მთავრობა ასევე მზად იყო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან ურთიერთობებისათვის. შიმონ პერესი წერდა, რომ არსებულ სიტუაციაში „ისრაელის ინტერესებში შედიოდა შესაძლებლობა მიეცა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისათვის შეესრულებინა განსაზღვრული როლი მოცემულ პოლიტიკურ ეტაპზე.“ თავისი როლი შეასრულა ინთიფადამ, რომელმაც ზარალი მიაყენა ისრაელის ეკონომიკას და

34 ეს ნიშნავდა არა დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს სახელისუფლებო სტრუქტურების ჩამოყალიბებას, არამედ მხოლოდ გარკვეული ღონისძიებების გატარებას ადმინისტრაციული ავტონომიის შექმნისათვის მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირისა და ღაზას სექტორის პალესტინელებისათვის.

მის საერთაშორისო იმიჯს. ფაქტობრივად, პალესტინელთა შეიარაღებული აჯანყება შეიძლება შევადაროთ **1973 წლის იომ-ქიფურის ომს, რომელმაც ისრაელის საზოგადოება მოამზადა ისრაელ-ეგვიპტ**ის კონფლიქტის კომპრომისული გადაწყვეტილებებისათვის და მას მოჰყვა კემპ-დევიდი.

მადრიდის კონფერენციის ჩარჩოებში პალესტინელებსა და ისრაელელებს შორის კონტაქტები სისტემატური გახდა. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წევრები არ იქნენ იქ დაშვებული, მაგრამ მასში მონაწილეობა არაფათთან დაკავშირებულმა პალესტინელმა პოლიტიკოსებმა მიიღეს. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელებსა და ისრაელს შორის ფარულ შეხვედრებს ლონდონში მოჰყვა შეთანხმება მოლაპარაკების გაგრძელების თაობაზე ნორვეგიაში. ორივე მხარე დაინტერესებული იყო მოლაპარაკებათა აბსოლუტურ კონფიდენციალურობაში, რის გამოც მათთვის მისაღები აღმოჩნდა ნორვეგია. სკანდინავიის ქვეყნები კარგად ასრულებდნენ მიუკერძოებელი მშვიდობისმყოფელის როლს და ამასთან არ იწვევდნენ ნეგატიურ რეაქციას აშშ-ის მხრიდან, რადგანაც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით.

1993 წლის იანვარში დაწყებული მოლაპარაკებების ინიციატორი იყო *ფაფო* – გამოყენებითი საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტი ოსლოში. მისი ხელმძღვანელი ტერე როდ-ლარსენი, რომელიც იკვლევდა პალესტინელებსა და ისრაელელებს შორის ურთიერთობებს, მივიდა დასკვნამდე, რომ შესაძლებელი იყო სათანადო ღონისძიებების გატარება პალესტინა-ისრაელის დაპირისპირების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ფაფო-ს სამშვიდობო ძალისხმევას მხარი დაუჭირეს ისრაელელებმაც და პალესტინელებმაც – თავდაპირველად საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც ახლოს იყვნენ მმართველ წრეებთან, შემდგომ კი დიალოგს შეუერთდნენ უფრო მნიშვნელოვანი ფიგურები, რომელთაც შეეძლოთ სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ისრაელისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სახელით. კამერებისა და ჟურნალისტების, მსოფლიო საზოგადოებრიობის მხრიდან ზეწოლის გარეშე, ისრაელელები და პალესტინელები ამუშავებდნენ მომავალი შეთანხმების ვარიანტებს. როდესაც ნათელი გახდა, რომ პალესტინა-ისრაელის დიალოგი შეიძლება გასცდენოდა ამ „საზოგადოებრივ საწყისებზე“ შეხვედრების ჩარჩოებს, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იორგენ ხოლსტმა თავის თავზე აიღო მოლაპარაკებათა მედიატორის როლი, რამაც ინიციატივას მიანიჭა უფრო სერიოზული ხასიათი. პალესტინის დელეგაცია მოითხოვდა იერუსალიმისათვის ავტონომიის მინიჭებას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალი ებრაული დასახლებების მშენებლობის შეწყვეტას. ისრაელი მზად იყო გაეყვანა არმია ღაზას სექტორიდან და იერიქონიდან და ნება დაერთო შექმნილიყო პალესტინის ავტონომია. ისრაელელები ასევე ითხოვდნენ უსაფრთხოების გარანტიას და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტას ისრაელთან. შედეგად, იერუსალიმი რჩებოდა პალესტინის ავტონომიაზე შეთანხმების გარეთ, თუმცა მის პალესტინურ მოსახლეობას შეეძლო მონაწილეობა მიეღო ავტონომიის არჩევნებში. გადაწყდა, რომ მოგვიანებით გაეგრძელებინათ მოლაპარაკებები მდ. იორდანეს დას. ნაპირის სხვა ტერიტორიების ავტონომიის შესახებ (Usher, 1999: 12-54).

საინტერესოა, რომ მოლაპარაკებები ნორვეგიაში დაიწყო ამერიკელი პოლიტიკოსების მონაწილეობის გარეშე. აშშ ჩაერთო უფრო გვიანდელ ეტაპზე – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი უორენ ქრისტოფერი ინფორმირებული იყო ისრაელის მხარესთან მოლაპარაკებების თაობაზე. მაგრამ ამერიკელმა პოლიტიკოსებმა მნიშვნელობა არ მიანიჭეს ოსლოში მოლაპარაკებებს, რამაც მოგვიანებით ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ახლოაღმოსავლური კონფლიქტის მეორე მნიშვნელოვანი მონაწილე – იორდანიის მეფე ჰუსაინი, ასევე ფლობდა ინფორმაციას მიმდინარე მოლაპარაკებებზე.

1993 წლის 9 სექტემბერს არაფათმა და რაბინმა გაცვალეს წერილები ერთმანეთის აღიარების ცნობის რწმუნებით. **1993 წლის 13 სექტემბერს იცხაკ რაბინმა და იასირ არაფათმა, ამერიკის პრეზი**დენტის ბილ ქლინტონის თანდასწრებით, ხელი მოაწერეს *„პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაციას“*, რაც იყო ნორვეგიაში მოლაპარაკებების ძირითადი შედეგი. დეკლარაცია ითვალისწინებდა პალესტინელებისათვის ღაზას და იერიქონის გადაცემას, სადაც უნდა შექმნილიყო პალესტინის ავტონომია. ეს იყო ორივე მხარისათვის ხელსაყრელი შეთანხმება – ისრაელი თავისუფლდებოდა ღაზას სექტორისაგან, სადაც ძალიან ძნელი იყო წესრიგის შენარჩუნება, ხოლო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შეეძლო ეჩვენებინა პალესტინელებისათვის ისრაელთან მოლაპარაკებათა პროცესის შედეგი. „პრინციპების დეკლარაციის“ ხელმოწერამ, ერთი მხრივ, გამოიწვია პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოპულარობის ზრდა, რომელმაც მიაღწია ისრაელის არმიის გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილიდან, მეორე მხრივ კი, ხელს შეუწყო ანტიარაფათული ფრონტის გახსნას, რომელსაც შეადგენდნენ ჰამას-ის გარშემო შემოკრებილი სხვადასხვა ოპოზიციური ფრაქციები, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ არაფათის ოპორტუნიზ-

მით. პალესტინელთა უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ოსლოს შეთანხმებამ გვერდი აუარა პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხებს – ლტოლვილთა პრობლემას, იერუსალიმის სტატუსს, და ღაზას სექტორსა და მდ. იორდანეს დას. ნაპირზე ისრაელელთა ახალშენებს. უნდა აღინიშნოს, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაცია მოლაპარაკებების დროს ყოველთვის წინა პლანზე წამოწევდა ამ საკითხებს, მაგრამ ისრაელს მკაცრი პოზიცია ჰქონდა (Felton, 2008: 215-217; Laqueur & Rubin, 2008: 413-422; Rabinovich, 2004: 53-57).

არ იყო ერთიანობა ისრაელის საზოგადოების შიგნითაც. ის გაიყო ორ ნაწილად: ისინი, ვინც მხარს უჭერდა რაბინის ინიციატივას, ე.ი. პალესტინელებთან მშვიდობის დამყარებას და ისინი, ვინც ეწინააღმდეგებოდა პალესტინელებთან შეთანხმებას, რამაც გამოიწვია ისრაელისათვის ღაზას სექტორისა და მდ. იორდანეს დას. ნაპირის დაკარგვა (იუდეა და სამარია). ქნესეთში შეთანხმების რატიფიკაციისას 61 დელეგატი დაეთანხმა, 59 წინააღმდეგი იყო, რვამ კი თავი შეიკავა, ხოლო ერთი არ გამოცხადდა (ჯაფარიძე, 2005: 20).

1994 წლის 4 მაისს ეგვიპტეში მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სახელწოდებით „თავდაპირველად – ღაზა და იერიქონი". შეთანხმებაში მოცემული იყო დეტალური გეგმა ადრე ხელმოწერილი ხელშეკრულებების რეალიზაციისა და პალესტინის ავტონომიის შექმნისათვის. ამგვარად, *შეიქმნა პალესტინის ავტონომია* – პალესტინელების პროტოსახელმწიფო. შეთანხმების შესაბამისად, დაიწყო 50 წლიანი გარდამავალი პერიოდის ათვლა, რომლის დასრულების შემდეგაც უნდა წარმოშობილიყო სრულფასოვანი პალესტინის სახელმწიფო (Rabinovich, 2004: 58-62).

ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის მოლაპარაკებებში აქტიურ შუამავლად გამოვიდა ეგვიპტე – 1995 წლის 24 სექტემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები (მეწამული ზღვის კურორტ თაბაში), რომლებიც განმტკიცდა 1995 წლის 28 სექტემბერს ვაშინგტონში აშშ-ის პრეზიდენტის კლინტონის, ასევე რუსეთის, იორდანიის, ეგვიპტის, ნორვეგიის და ევროკავშირის წარმომადგენლების თანდასწრებით. ხელშეკრულება იყო ლოგიკური გაგრძელება იმ შეთანხმებისა, რომელსაც ხელი მოეწერა ვაშინგტონში ორი წლით ადრე. „შუალედური შეთანხმება დას. ნაპირსა და ღაზას სექტორზე" (ამ ხელშეკრულებას „ოსლო II"-საც უწოდებენ) ხელმოწერილ იქნა იცხაკ რაბინისა და იასირ არაფათის მიერ (Laqueur & Rubin,2008: 502-521; Rabinovich, 2004: 62-71; Quandt, 2005: 334-337).

ოსლო II-ის ხელშეკრულებით (31 მუხლი) მოხდა პალესტინის ტერიტორიების დაყოფა 3 სხვადასხვა ტიპის ზონად:

A ზონა – გადადიოდა პალესტინის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ;

B ზონა – სამოქალაქო ხელისუფლება ხორციელდებოდა პალესტინელების მიერ ისრაელის ძალოვანთა ზედამხედველობის ქვეშ.

C ზონა – ისრაელის სრული კონტროლის ქვეშ. მოიცავდა დასახლებებსა და უსაფრთხოების ზონებს.

ზემოთქმულის შედეგად, პალესტინელებმა მიიღეს თვითმმართველობა ბეთლემში, ჰებრონში, ჯენინში, ნაბლუსში, რამალაში; 450-ზე მეტი დასახლების პუნქტში და იორდანეს დას. ნაპირის სოფლებსა და უსაფრთხოების ზონებში.

ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის მოლაპარაკებებმა სასიკეთო ძვრები გამოიწვია ისრაელსა და იორდანიას შორის ურთიერთობის დარეგულირებაში. 1993 წლის 26 სექტემბერს აკაბაში შედგა იორდანიის მეფე ჰუსაინის საიდუმლო შეხვედრა პრემიერ-მინისტრ იცხაკ რაბინთან. აშშ-ის შუამავლობით, ერთწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, მხარეები მივიდნენ საბოლოო შეთანხმებამდე, რომელსაც ხელი მოეწერა 1994 წლის 26 ოქტომბერს ვადი არაბაში, აკაბას და ეილათის ახლოს. შეთანხმებათა ძირითადი საკითხი იყო მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიები. ტერიტორიების საკითხი, რომელთა დაბრუნებასაც ითხოვდა იორდანია, გადაწყდა შემდეგი სახით: იორდანიის „სუვერენიტეტი" ისრაელისათვის „მიწათსარგებლობის პირობითი უფლების" სანაცვლოდ. მდ. იორდანეს წყლის რესურსების საკითხი გადაწყდა იორდანიის სასარგებლოდ (Felton, 2008: 254-259; Usher, 1999: 55-107; Quandt, 2005: 334-335; Cleveland, 2009: 502-511).

მოლაპარაკებათა პროცესის წარმატებების გავლენით, რამდენიმე ქვეყანამ გადადგა ნაბიჯი ისრაელთან შერიგებისაკენ. მაგ., მაროკოს სამეფომ 1994 წლის სექტემბრის დასაწყისში გამოაცხადა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ისრაელთან,[35] თუნისმა რწმუნებულება გადასცა ბელგიის საელჩოს თელ-ავივში, რათა დაეცვა მისი ინტერესები ისრაელში. 1994 წლის სექტემბრის ბოლოს 6-მა

35 ეგვიპტის შემდეგ, მაროკო მეორე არაბული ქვეყანა გახდა, რომელმაც ცნო ისრაელი.

სახელმწიფომ – ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრებმა (არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრაინი, კატარი, ომანი, ქუვეითი, საუდის არაბეთი), გამოაცხადეს ისრაელთან სავაჭრო-ეკონომიკური ბოიკოტის შეწყვეტა.

რაბინი, კლინტონი და არაფათი

რეგიონში დიპლომატიური გარღვევის 5 წელი შეცვალა ახალმა დაძაბულობამ. ებრაელი ექტრემისტის იგალ ამირის მიერ იცხაკ რაბინის მკვლელობის (1995 წლის 4 ნოემბერს) შემდეგ მისი მემკვიდრის შიმონ პერესის მთავრობამ წააგო არჩევნები. გაიმარჯვა მემარჯვენე პოლიტიკოსმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ და მისმა პარტიამ „ლიკუდმა". განახლდა ებრაული დასახლებების მშენებლობა, მოხდა პალესტინელთა შეტაკებები ისრაელელებთან, რასაც მოჰყვა ორმხრივი ძალადობა. ჰამას-ის აქტივისტები ტერორისტულ აქტებს ახორციელებდნენ ისრაელელთა ობიექტებზე.

1996 წლის 20 იანვარს არჩეულ იქნა პალესტინის საკანონმდებლო საბჭო, რომელმაც ჩამოაყალიბა პალესტინის ავტონომიის საბჭო იასირ არაფათის ხელმძღვანელობით. ისრაელის ახალი მთავრობა კი ორიენტირებული იყო ებრაული დასახლებების მშენებლობაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე. იასირ არაფათის ადმინისტრაციას ადანაშაულებდნენ არასაკმარის ღონისძიებებში ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც აწყობდნენ აფეთქებებს და ხოცავდნენ ისრაელის მოქალაქეებს. ეს იწვევდა მოლაპარაკებებათა შეწყვეტას და ძალადობის ესკალაციას ორ თემს შორის. გახშირდა შეტაკებები ისრაელის არმიასა და პალესტინის მოსახლეობას შორის, რამაც აიძულა გაერო-ს უშიშროების საბჭო ჩარეულიყო კონფლიქტის მოგვარებაში (რეზოლუცია №1073 – 28 სექტემბერი, 1996წ.).

1995 წლის შეთანხმება თანდათანობით ხორციელდებოდა. 1997 წლის იანვარში პალესტინის ადმინისტრაციის კონტროლქვეშ გადავიდა ჰებრონი მდ. იორდანეს დას. ნაპირზე. თუმცა ებრაელების უარმა დაეტოვებინათ დასახლება, გამოიწვია ისრაელსა და პალესტინელებს შორის ურთიერთობის ახალი გამწვავება.

1998 წლის ნოემბერში აშშ-ს შუამავლობით ხელმოწერილ იქნა ახალი შეთანხმება – *უაის მემორანდუმი* – პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასა და ისრაელს შორის. ის ითვალისწინებდა პალესტინის ავტონომიის გაფართოვებას დას. ნაპირზე (ტერიტორიის 40%) იმ პირობით, თუ არაფათი დათანხმდებოდა უზრუნველეყო ისრაელელი გადასახლებულების უსაფრთხოება (დაახლ. 140 ათასი ადამიანი). ამის გარდა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია ვალდებულებას იღებდა გაეძლიერებინა ტერორიზმთან ბრძოლა და გაეუქმებინა საბოლოოდ ეროვნული ქარტიის ანტიისრაელური მუხლები (ისრაელის სახელმწიფოს განადგურების მოთხოვნა), რაც შესრულდა კიდეც იმავე წლის დეკემბერში.

1999 წელს ისრაელში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ეჰუდ ბარაკი, შრომის პარტიის ლიდერი, რომელიც მზად იყო მოლაპარაკებების დაწყებისათვის თავის ოპონენტებთან და ბილ კლინტონს კიდევ ერთი შანსი მიეცა გამხდარიყო წარმატებული მშვიდობისმყოფელი. კლინტონის შუამავლობით, 1999 წლის დეკემბერში ბარაკმა დაიწყო მოლაპარაკებები სირიასთან. ეს უკანასკნელი ითხოვდა არა მარტო 1967 წელს ოკუპირებული გოლანის მაღლობების დაბრუნებას, არამედ იქიდან 17 ათასი ის-

რაელელი ახალმოსახლის გაძევებას. მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო. 2000 წლის მაისში ბარაკმა ცალმხრივად გაიყვანა ისრაელის არმია ე.წ. „უსაფრთხოების ზონიდან“ – ლიბანის სამხრეთიდან, ხოლო 19 ივნისს – სრულად, გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1978 წლის 19 მარტის №425 რეზოლუციის შესაბამისად (Laqueur & Rubin, 2008: 545-549; Cleveland, 2009:511-513).

2000 წლის 11-25 ივლისს კემპ-დევიდში მიმდინარეობდა პალესტინა-ისრაელის სამიტი *(კემპ-დევიდი II),* რომელიც 25 ივლისის შეთანხმებით დასრულდა. ისრაელს წარმოადგენდა ეჰუდ ბარაკი, პალესტინას – იასირ არაფათი. პალესტინელები ითხოვდნენ სახელმწიფოს შექმნას ღაზას სექტორისა და დას. ნაპირის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ეს განსაზღვრული იყო ოსლოს მოლაპარაკებებზე. ეჰუდ ბარაკი მზად იყო მიეცა პალესტინის სახელმწიფოსათვის ღაზას მთელი ტერიტორია და დას. ნაპირის 73%-მდე ტერიტორია, ებრაული ახალშენების გარდა. პალესტინელები, თავის მხრივ, ითხოვდნენ ისრაელელი ახალმოსახლეების სრულ გაყვანას დას. ნაპირის ტერიტორიებიდან გაერო-ს რეზოლუციების შესაბამისად (Rabinovich, 2004: 153-158; Hanieh, 2001: 75–97; Quandt, 2005: 365-369).

კემპ-დევიდში უმაღლეს დონეზე პირველად დაისვა იერუსალიმის საკითხი – ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და რთული საკითხი პალესტინა-ისრაელის ურთიერთობებში. თუმცა, იერუსალიმთან დაკავშირებით მოლაპარაკებების აუცილებლობა ხაზგასმული იყო „პრინციპების დეკლარაციაში“ და იერუსალიმის სტატუსი ასევე მთავარი საკითხი იყო ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის იოსი ბეილინისა და პალესტინის დელეგაციის იმდროინდელი ხელმძღვანელის აბუ მაზენის მოლაპარაკებების დროს (1993-1995 წლებში). ბარაკი შორს წავიდა თავის დაპირებებში იერუსალიმის საკითხთან დაკავშირებით – თვითონ ფაქტი, რომ ისრაელი დათანხმდა იერუსალიმის სტატუსზე საუბარს და ქალაქის ზოგიერთი რაიონი პალესტინელებისათვის სამმართველოდ გადაცემას, უკვე შეიძლება რევოლუციურად მოინათლოს. კემპ-დევიდის სამიტის შედეგი იყო მოლაპარაკებათა გაგრძელებაზე მზადყოფნის გამოცხადება და ვალდებულების აღება არ გადაედგათ ცალმხრივი შეუთანხმებელი ნაბიჯები. მაგრამ არსებითად კემპ-დევიდის სამიტზე ვერ მოხერხდა პალესტინა-ისრაელის ურთიერთობების მოგვარება (Quandt, 2005: 369-373).

კემპ-დევიდის მოლაპარაკებების წარუმატებლობაში აშშ-მა და ისრაელმა დაადანაშაულეს არაფათი. ამ მოლაპარაკებათა თავისებურება იყო ის, რომ ის ატარებდა ზეპირ ხასიათს და არ იქნა ხელმოწერილი რაიმე დოკუმენტი, გარდა შემაჯამებელი განცხადებისა. ამიტომ ინფორმაციის ძირითადი წყარო გახდა მოლაპარაკებათა მონაწილეების ჩვენება, რაც განაპირობებდა მის სუბიექტურ ხასიათს. პრეზიდენტი კლინტონი თავის მემუარებში წერდა, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა არაფათის გამო (Clinton, 2004; Ross, 2004). ისრაელის ყოფილი გენერალური პროკურორი ე. რუბინშტეინი წერდა, რომ „პრობლემა იყო არაფათი, რომელსაც არ სურდა რაიმე დათმობაზე წასვლა და არც განიხილავდა კომპრომისულ გეგმებს, რომლებსაც სთავაზობდნენ ისრაელელები და ამერიკელები.“ „არაფათის მიზეზით“ მოლაპარაკებათა ჩაშლის ვერსია გაზიარებულია ძირითადად ისრაელში და აშშ-ში (Hagha & Malley, 2001). მეორე მხრივ, ამერიკულ პრესაში გაჩნდა რამდენიმე სტატია, სადაც გამოხატულია რევიზიონისტური პოზიცია, რომელიც ამართლებს არაფათს და პალესტინელებს. არაფათი გამოდიოდა პრინციპიდან „ყველაფერი ან არაფერი,“ ბარაკი კი სთავაზობდა „პაკეტურ“ შეთანხმებას. ამის გარდა, ორივე ლიდერი შიშობდა ზედმეტის დათმობას, რათა შემდგომ ოპოზიციას არ დაედანაშაულებინა ისინი ღალატში.

2000 წლის 28 სექტემბერს მოხდა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც სათავე დაუდო ფართომასშტაბიან პალესტინურ აჯანყებას (*ინთიფადა ალ-აკსა* – მეორე პალესტინური ინთიფადა). ისრაელის ოპოზიციური ლიკუდის ბლოკის ლიდერმა არიელ შარონმა პარტიის წევრთა დიდ ჯგუფთან ერთად, პოლიციის დაცვით, მოინახულა ძველ იერუსალიმში ტაძრის მთა (*ალ-ჰარამ აშ-შარიფ*) – წმინდა ადგილი სამი აბრაამისტული რელიგიისათვის, რომელიც უკვე მრავალი საუკუნეა, რაც მუსლიმთა ერთ-ერთ ყველაზე მთავარ სალოცავებს – ალ-აქსასა და კლდის მეჩეთებს უკავია. ეს მოხდა ებრაული ახალი წლის (ებრ. *როშ ჰაშანა*) დამდეგს. ისრაელელი ავტორები აღნიშნავენ, რომ შარონი მოქმედებდა კანონიერად. მან აჩვენა, რომ უფლება აქვს მოინახულოს ისრაელის დედაქალაქის ნებისმიერი ადგილი და ამით მას სურდა ამ ტერიტორიაზე ისრაელის სუვერენიტეტი დაედასტურებინა (Felton, 2008: 278). მაგრამ პალესტინელებისათვის ეს ჟესტი იყო აშკარა პროვოკაცია, რადგანაც გენერალ შარონს ისინი ადანაშაულებდნენ პასუხისმგებელი ღაზას სექტორში განხორციელებულ რეპრესიებში, საბრასა და შატილაში ლტოლვილ პალესტინელთა ხოცვა-ჟლეტაში. ტაძრის მთაზე წასვლა შარონს ურჩია ცნობილმა ისრაელელმა პოლიტტექნოლოგმა არტურ ფინკელშტეინმა, რომელიც 1996 წელს ხელმძღვანელობდა ბენიამინ ნეთანიაჰუს წარმატებულ საარჩევნო კამპანიას. ფილკენშტეინის რჩევა შედეგიანი აღმოჩნდა – შარონი ისრაელის პრემიერ-მინისტრი გახდა. მიტჩელის საერთაშორისო კომისიამ,

რომელიც იკვლევდა პალესტინელებსა და ისრაელელებს შორის დაპირისპირების ახალ ტალღას, გა-ამართლა შარონი – კომისიამ დაადგინა, რომ ის არ იყო დამნაშავე ალ-აკსას ინთიფადას დაწყებაში. კომისიამ პასუხისმგებლობა დააკისრა კონფლიქტის ორივე მხარეს. შარონის ვიზიტი დასრულდა სერიოზული ინციდენტის გარეშე. თუმცა, მისი წასვლის შემდეგ პალესტინელებმა ქვები დაუშინეს ისრაელის თავდაცვის ძალებს. **29 სექტემბერს, პარასკევის ლოცვის შემდეგ, არეულობები განახლდა. მა-**სობრივი არეულობებმა აღმოსავლეთ იერუსალიმში გამოძახილი ჰპოვა ქალაქებში – იუდეასა და სამარიაში (დასავლეთ ნაპირი). ძალადობის ესკალაცია სწრაფად მოხდა და მეორე ინთიფადას პირველ ექვს დღეში ისრაელის სამხედრო ძალებმა და პოლიციამ მოკლეს 61 და დაჭრეს 2657 პალესტინელი (Kamrava, 2005:258-259; ჯაფარიძე, 2005: 138-139; Hammami, 2001: 5-25).

ახლო აღმოსავლეთის მორიგი კრიზისის თავიდან ასაცილებლად, 2000 წლის 16-17 ოქტომბერს აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის, ეგვიპტის პრეზიდენტის ჰუსნი მუბარაქის, იასირ არაფათის და ეჰუდ ბარაკის, გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის, იორდანიის მეფე აბდალაჰ II-ის და ევროკავშირის დიპლომატის ხავიერ სოლანას მონაწილეობით ჩატარდა სამიტი შარმ ალ-შაიხში. მხარეები შეთანხმდნენ სისხლისღვრის შეჩერებაზე, მაგრამ ვითარება პალესტინაში უფრო გამწვავდა. **2000 წლის 19-23 დეკემბერს პრეზიდენტ კლინტონის ინიციატივით ვაშინგტონში შედგა მოლაპარა-**კება პალესტინისა და ისრაელის დელეგაციებს შორის, რომლის დასრულებისას ამერიკის პრეზიდენტმა წარადგინა სამშვიდობო დარეგულირების თავისი ფორმულა, რაც ითვალისწინებდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნას პალეტინელების მიერ მოთხოვნილი ტერიტორიების 94-96%-ზე (*Bridging Proposal*), რომელმაც ვერ მიიღო მხარდაჭერა ვერცერთი მხარისაგან.

2000 წლის ნოემბერ-დეკემბერში ინთიფადა გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში ისრა-ელელებსა და პალესტინელებს შორის და გაგრძელდა 2005 წლის 15 იანვრამდე.

2001 წლის 21-27 იანვარს ჩატარდა მოლაპარაკებათა სერია ისრაელსა და პალესტინის ადმინის-ტრაციას შორის თაბაში, სინას ნახევარკუნძულზე. *თაბას სამიტი* (ცნობილია, როგორც *თაბას მოლა-პარაკებები, თაბას კონფერენცია*) წარმოადგენდა კემპ-დევიდის ჩაშლილი მოლაპარაკებების გაგრძელებას და მისი ძირითადი მიზანი იყო პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის „საბოლოო სტატუსის“ განსაზღვრა. მოლაპარაკებების დროს განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: სადავო ტერიტორიები, მათ შორის მდ. იორდანეს დას. ნაპირი, ღაზას სექტორი და იერუსალიმი; პალესტინელი ლტოლვილები და უსაფრთხოება. ისრაელმა მიიღო ამერიკის პრეზიდენტის ბილ კლინტონის ფორმულა, რომელიც ითვალისწინებდა პალესტინელებისათვის ტერიტორიების **94-96%-ის გადაცემას. ისრაელს უნდა დაეტოვე-**ბინა „მწვანე ხაზის“ ახლო მდებარე ტერიტორიები დას. ნაპირზე, სადაც იყო ებრაული ახალშენების 80%. რაც შეეხება ახალშენებს დას. ნაპირის მთიან რაიონში და ღაზას სექტორში, შემოთავაზებული იყო სხვადასხვა ვარიანტები: ამ ახალშენებიდან ყველაზე პრობლემატურის დემონტაჟი შეიძლება მომხდარიყო თანდათანობით, ხოლო სხვა მოახალშენეებს საშუალება ეძლეოდათ თანდათან გადასულიყვნენ პალესტინის იურისდიქციაში ან დაეტოვებინათ თავიანთი სახლები შესაბამისი კომპენსაციით. ისრაელი პრინციპში დათანხმდა მიეცა კომპენსაცია პალესტინის სახელმწიფოსათვის ტერიტორიების ანექსიის გამო, მაგრამ არა პრინციპით „მეტრი-მეტრზე.“ ისრაელი ეთანხმებოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს №242 რეზოლუციას, რომელიც არ ითხოვდა მისგან ტერიტორიების მთლიანად დატოვებას. იასირ არაფათი მოითხოვდა „მწვანე ხაზის“ დაცვას. ის მზად იყო აგრეთვე საზღვრების ცვლილებაზე, მაგრამ კომპენსაცია უნდა დაფუძნებოდა პრინციპს „მეტრი-მეტრზე.“ მას მხედველობაში ჰქონდა პალესტინის სახელმწიფოსათვის „მწვანე ხაზის“ გასწვრივ მდებარე ისრაელის დაუსახლებელი ტერიტორიის მიერთება. ის სთავაზობდა ისრაელს დას. ნაპირის ტერიტორიების **2-4%-ს, სადაც ცხოვრობ-**და მოახალშენეების 2-3%. რაც შეეხება უსაფრთხოებას, პალესტინის სახელმწიფო უნდა ყოფილიყო დემილიტარიზებული. ისრაელს უნდა განეხორციელებინა კონტროლი დას. ნაპირისა და ღაზას სექტორის საჰაერო სივრცეზე. ლტოლვილებთან დაკავშირებით შეთანხმდნენ, რომ შეექმნათ საერთაშორისო მექანიზმი, რათა მიეღოთ კომპენსაცია არაბებს და ებრაელებს, რომლებიც ლტოლვილებად იქცნენ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ. თუმცა, ცალკეულ დეტალებზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ისრაელმა უარი განაცხადა ეღიარებინა პალესტინელთა „დაბრუნების უფლება,“ მაგრამ დათანხმდა ფინანსურ მონაწილეობაზე მათ დასახლებასა და რეაბილიტაციაში. იერუსალიმთან დაკავშირებით შეთანხმდნენ, რომ იფუნქციონირებდა ორი დედაქალაქი მუნიციპალური გეგმით, როგორც ერთიანი განუყოფელი ქალაქი. იასირ არაფათი მოითხოვდა პალესტინელთა სრულ სუვერენიტეტს მთელ ძველ ქალაქზე, მაგრამ ებრაულ კვარტალსა და დას. კედელთ ან მიმართებაში შეეძლო დათმობაზე წასულიყო. ამასთან, ითხოვდა სრულ სუვერენიტეტს ტაძრის მთაზე, რათა არ ეცნო ებრაელების ისტორიული კავშირი ამ ადგილთან. თაბას სამიტს, რომელზედაც ოფიციალური რეზოლუცია ვერ მი-

იღეს, სხვადასხვაგვარი შეფასებები მოჰყვა. „ჩვენ მივაღწიეთ პროგრესს, მნიშვნელოვანი პროგრესს. ჩვენ, როგორც არასდროს, ისე ახლოს ვართ, [კონფლიქტის] საბოლოო გადაწყვეტის შესაძლებლობასთან," – განაცხადა შლომო ბენ ამიმ, ისრაელის წარმომადგენელმა. პალესტინის წარმომადგენელმა საებ ერექათმა, თავის მხრივ, დასძინა: „ჩემი გული ძგერს, რადგანაც მე ვიცი, რომ ჩვენ ვიყავით ასე ახლოს. ჩვენ გვჭირდება დამატებით 6 კვირა, რომ მივაღწიოთ საბოლოო შეთანხმებას" (Matz, 2003; *Israeli-Palestinian Joint Statement*, 2001).

2001 წლის თებერვალში ეჰუდ ბარაკმა წააგო არჩევნები არიელ შარონთან, რომელმაც ჩამოაყალიბა ისრაელის ახალი მთავრობა მემარჯვენე პარტიების მხარდაჭერით. ისრაელის ახალმა ხელმძღვანელობამ გაატარა უფრო მკაცრი პოლიტიკა პალესტინელებთან ურთიერთობაში. მოლაპარაკებები არაფათთან შეწყდა. ის დაადანაშაულეს უუნარობაში გაეკონტროლებინა პალესტინელები (ის 2002 წლის სექტემბრამდე ფაქტობრივად იზოლირებული იყო თავის რეზიდენციაში ისრაელის არმიის ძალებით).

2003 წლის 24 იანვარს კაიროში მოიწვიეს პალესტინის ძირითადი პოლიტიკური დაჯგუფებების წარმომადგენლები, რათა განეხილათ ისრაელთან დროებითი დაზავების შესაძლებლობა. თუმცა, სწორედ მოლაპარაკებების პროცესში, **25-26 იანვრის ღამეს, პალეტინელი ტერორისტების განადგურების** მიზნით, ისრაელმა ჩაატარა სამხედრო ოპერაცია ღაზას სექტორში, რამაც ჩაშალა პალესტინა-ეგვიპტის მოლაპარაკებები. პალესტინის ორგანიზაცია „ისლამური ჯიჰადის" წარმომადგენლის სიტყვებით, „არ არსებობს არანაირი მიზეზი წინააღმდეგობის შეწყვეტისათვის, რადგანაც ისრაელის აგრესია გრძელდება ყოველდღე" (Ross, 2004).

პალესტინა-ისრაელის დიალოგის მომდევნო მცდელობის ინიციატორი იყო ამერიკის პრეზიდენტი ჯ. ბუში-უმცროსი. 2003 წლის 1 მაისს გამოქვეყნდა ე.წ. *„საგზაო რუკა"* (*Road Map*), რომელიც მომზადდა საერთაშორისო შუამავლების ოთხეულის (გაერო, ევროკავშირი, რუსეთი და აშშ) მიერ. ეს იყო **2005 წლამდე პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის საბოლოო დარეგულირების სამეტაპიანი გეგ**მა, რომლის მიზანი იყო დამოუკიდებელი, დემოკრატიული და სიცოცხლისუნარიანი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა (საფუძველი: ფორმულა „ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ" და გაერო-ს უშიშროების საბჭოს №242, №338 და №1397 რეზოლუციები). ეს პროექტი, რომელიც მოწონებულ იქნა ორივე მხარის მიერ,[1] დამტკიცდა **2003 წლის 19 ნოემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სპეციალუ**რი რეზოლუციით. „საგზაო რუკის" საფუძველი გახდა შემდეგი პრინციპები: ცეცხლის შეწყვეტა, ომის გზით ტერიტორიების მითვისების დაუშვებლობა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის გასვლის აუცილებლობის დადასტურება, ლტოლვილთა პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა, ყველა პრეტენზიის და ომის მდგომარეობის შეწყვეტის აუცილებლობა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ცალკეული სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მშვიდობიანად, უსაფრთხო და აღიარებულ საზღვრებში, ცხოვრების უფლება (Felton, 2008: 298-300; Rabinovich, 2004: 212-219).[2]

„საგზაო რუკა" (სამივე ფაზისათვის განისაზღვრა სავარაუდო თარიღები):

1-ლი ფაზა – 2003 წ. მაისამდე – დაზავების გამოცხადება პალესტინელებსა და ისრაელელებს შორის, ისრაელის არმიის გაყვანა პალესტინის ტერიტორიიდან, ახალი დასახლებების მშენებლობის გაყინვა, არჩევნები პალესტინაში;

1 2003 წლის 23 მაისს ისრაელის ახალმა პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა თანხმობა განაცხადა კონფლიქტის დარეგულირების გეგმაზე. 2003 წლის 4 ივნისს იორდანიის ქ. აკაბაში შედგა ახლოაღმოსავლური სამიტი, რომელსაც ესწრებოდნენ აშშ-ის, ისრაელის და პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ლიდერები. სამიტის შედეგი იყო მხარეების მიერ „საგზაო რუკის" ორმხრივი აღიარება, როგორც საფუძველი მოლაპარაკებათა შემდგომ პროცესისათვის.

2 „საგზაო რუკის" განხილვას მიეძღვნა 2 მნიშვნელოვანი სამიტი ახლო აღმოსავლეთში: 1. ამერიკულ-არაბული, რომელიც ჩატარდა 2003 წლის 3 ივნისს ეგვიპტის საკურორტო ქალაქ შარმ აშ-შაიხში, აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის, ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის, საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინც აბდალაჰ იბნ აბდ ალ-აზიზის, ბაჰრაინის მეფე ჰამად იბნ ისა ალ-ხალიფას, იორდანიის მეფე აბდალაჰ II-ის და პალესტინის პრემიერ მაჰმუდ აბასის მონაწილეობით; 2. სამმხრივი – ამერიკა-ისრაელ-პალესტინის სამიტი, რომელიც ჩატარდა აკაბაში (იორდანია) 2003 წლის 4 ივნისს, აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის, ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის, პალესტინის პრემიერ მაჰმუდ აბასის და იორდანიის მეფე აბდალაჰ II-ს მონაწილეობით და მთლიანად მიეძღვნა „საგზაო რუკის" განხილვას.

მე-2 ფაზა – 2003 წ. ივნისი-დეკემბერი – პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადება, საერთაშორისო კონფერენცია, დამკვირვებელთა საერთაშორისო ჯგუფის შექმნა გეგმის შესასრულებლად;

მე-3 ფაზა – 2004-2005წწ. – მეორე საერთაშორისო კონფერენცია, შეთანხმება მუდმივ სტატუსზე, კონფლიქტის დასრულება, საზღვრების დემარკაცია, იერუსალიმზე, ლტოლვილებზე და დასახლებებზე შეთანხმება, არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის შეთანხმება.

The Road Map, 2003: 83-89.

2003 წელს (არიელ შარონის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში) დაიწყო ისრაელის *სასაზღვრო ბარიერის* (გამყოფი კედლის) მშენებლობა, რომელიც გამოყოფდა ისრაელს მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირისაგან. ბარიერის საერთო სიგრძედ განისაზღვრა 703 კმ-ით. აქედან 90% მავთულხლართის ზღუდეა, რომლის ორივე მხარეს 70 მ-ის რადიუსში იკრძალება უცხო პირის შესვლა, 10% რკინაბეტონის კედელია (იერუსალიმის ახლოს – 8 მეტრის სიმაღლის). კედლის მშენებლობის ძირითადი მიზანი იყო საზღვრის ახლოს მდებარე ებრაული დასახლებების, კომუნიკაციებისა და გზების დაცვა პალესტინელთა და პალესტინელი სნაიპერების თავდასხმებისაგან; არაბული მოსახლეობის ძირითადი ნაწილის გამოყოფა ებრაული მოსახლეობისაგან; ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიის დაცვა ტერორისტთა თავდასხმებისაგან; პირობების მომზადება ისრაელისაგან ტერიტორიების საბოლოოდ გამოსაცალკევებლად და სახელმწიფოთა ფაქტობრივი სასაზღვრო ბარიერის გამოსაცხადებლად; ისრაელის სახელმწიფოსათვის უკიდურესად მნიშვნელოვანი ზოგიერთი მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი ანექსია (*Under the Guise of Security*, 2005).

გამყოფი ბარიერის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2005 წლის ზაფხულში, მაგრამ აშენდა მხოლოდ 403 კმ, რადგანაც ისრაელის უმაღლეს სასამართლოში შევიდა სხვადასხვა სახის საჩივრები. უნდა აღინიშნოს, რომ არაბულ-ისრაელური კონფლიქტის ისტორიაში პირველად არაბებსა და ებრაელებს შორის დაპირისპირება გახდა განხილვის საგანი ჰააგის სასამართლოში (გაერო-ს უმაღლესი იურიდიული ორგანო), რომელიც ჩატარდა 2004 წლის 23-25 თებერვალს. საქმის თითქმის 5 თვიანი განხილვის შემდეგ სასამართლომ (14 ხმით ერთის წინააღმდეგ) მშენებლობა უკანონოდ ცნო. სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „მწვანე ხაზსა“ და დამცავ კედელს შორის განლაგებულია დასავლეთ ნაპირზე ებრაელთა უკანონო ახალშენების 80%. სასამართლომ გამოხატა შეშფოთება, რომ ისრაელი შეეცდებოდა მოეხდინა დამცავი კედლის, როგორც პალესტინურ ტერიტორიებთან ოფიციალური საზღვრის, ლეგალიზება. 2004 წლის 16-20 ივლისს გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიამ მხარი დაუჭირა ჰააგის სასამართლოს ვერდიქტს და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია (191-დან 150-მა მისცა ხმა; 5 იყო წინააღმდეგი, მათ შორის – აშშ და ისრაელი) – მოიხსნას კედლის ის ნაწილები, რომლებიც აგებულია ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე; ისრაელმა გადაუხადოს კომპენსაცია პალესტინელებს, რომელთაც კედლის მშნებლობის დროს მიაყენეს მატერიალური ზარალი. ამასთან, რეზოლუციაში აღიარებული იყო ისრაელის თავდაცვის უფლება თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და შესაბამისად იყო მოწოდება კონფლიქტში ჩართული მხარეებისადმი შეესრულებინათ თავიანთი ვალდებულებები სამშვიდობო დარეგულირების გეგმის („საგზაო რუკა“) განხორციელების ფარგლებში საერთაშორისო „ოთხეულის“ დახმარებით (*U.N. Court rules West Bank Barrier Illegal*, 2004).

2004 წლის 22 მარტს ისრაელმა ჩაატარა წერტილოვანი ოპერაცია ღაზას სექტორში, რომლის შედეგი გახდა მოძრაობა ჰამას-ის სულიერი ლიდერის შაიხ აჰმად იასინის განადგურება. ამ მოვლენას ფართო რეზონანსი მოჰყვა მთელ არაბულ და მუსლიმურ სამყაროში, დაიწყო ანტიისრაელური საპროტესტო აქციები. 2004 წლის 7 აპრილს ისრაელის სპეცსამსახურებმა მოკლეს ჰამას-ის ახალი ლიდერი აბდ ალ-აზიზ არ-რანტისი. ამ ორმა მოვლენამ ფაქტობრივად ხაზი გადაუსვა ყველა მცდელობას, რომლებიც მიმართული იყო ისრაელისა და პალესტინის მთავრობებს შორის კომპრომისის მიღწევისაკენ. ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. მაჰერის განცხადებით, „არ-რანტისის მკვლელობა – ეს არის ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის უკანასკნელი შესაძლებლობის მკვლელობა.“

2004 წლის 11 ნოემბერს გარდაიცვალა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერი, პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაური იასირ არაფათი,[3] რის შემდეგაც პალესტინის ხელ-

3 იასირ არაფათი გარდაიცვალა სამხედრო ჰოსპიტალში პარიზის გარეუბანში. მეორე დღეს პალესტინის ლიდერის სამგლოვიარო ცერემონიალი შედგა კაიროში, შემდეგ ცხედარი გადაასვენეს რამალაში, სადაც დაკრძალეს პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაურის ყოფილი რეზიდენციის მუკატა‘ას ტერიტორიაზე.

მძღვანელობაში დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. 2005 წლის 9 იანვარს პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციას სათავეში ჩაუდგა მაჰმუდ აბასი, იგივე აბუ მაზენი, რომელიც ორი თვით ადრე არჩეული იქნა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. მაჰმუდ აბასის წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი დევიზები იყო: „წავიდეთ არაფათის გზით!" „იერუსალიმი – პალესტინის დედაქალაქია"; „არა – ისრაელთან ზავს 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების გარეშე, დიახ – პალესტინის სუვერენიტეტს აღმ. იერუსალიმში, დიახ – პალესტინელი ლტოლვილების უფლებას დაბრუნებაზე (ჯაფარიძე, 2005: 337-356; *Al-Ahram Weekly*, 06.01-12.01.2005).

> მაჰმუდ აბასი (პარტიული მეტსახელი აბუ მაზენი) დაიბადა 1935 წელს პალესტინის ჩრდილოეთით, ქ. საფადში (გალილეა). არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პირველი ომის შემდეგ ოჯახთან ერთად გადავიდა სირიაში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ დამასკოს უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი და მიიღო მაგისტრის ხარისხი. 1954 წელს სირიაში დააარსა პალესტინის საზოგადოება. შემდეგ გადავიდა კატარში, სადაც მუშაობდა სამოქალაქო სამსახურის სამმართველოში კადრების დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1961 წელს გახდა იასირ არაფათის მიერ დაარსებული ფათჰ-ის წევრი, ხოლო 1968 წელს – პალესტინის ეროვნული საბჭოს წევრი.
>
> 60-იან წლებში მაჰმუდ აბასი სწავლობდა მოსკოვში და დაამთავრა პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ასპირანტურა. 1982 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლთმცოდნეობის ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალში, სპეციალობით – სიონიზმის ისტორია. მოგვიანებით მისი დისერტაცია „საიდუმლო კავშირი ნაციზმსა და სიონიზმს შორის" საფუძვლად დაედო მის მონოგრაფიას – „სიონიზმი – დასაწყისი და დასასრული" (გამოვიდა 1977 წელს).
>
> მაჰმუდ აბასი ითვლება ისრაელთან პოლიტიკური დარეგულირების მიღწევის მომხრედ. სამშვიდობო პროცესის ჩარჩოებში, 70-იანი წლებიდან, ის ხვდებოდა ისრაელის ლიდერებს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში (ის ითვლება ოსლოს შეთანხმებების „არქიტექტორად"). 1994 წლიდან ის ხელმძღვანელობდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მოლაპარაკებათა საქმეების დეპარტამენტს. ის იყო საერთაშორისო ურთიერთობების კურატორი და შედიოდა პალესტინის ადმინისტრაციის შემადგენლობაში. 1996 წელს არჩეულ იქნა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად. 2002 წლის სექტემბერში ფათჰ-ის ორგანიზაციამ წამოაყენა მისი კანდიდატურა ავტონომიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე, მაგრამ მაშინ იასირ არაფათმა „დაბლოკა" ეს იდეა. მისი კანდიდატურა 2003 წლის თებერვალში კვლავ წამოაყენეს და იმავე წლის მაისში გახდა ავტონომიის პრემიერ-მინისტრი. მაჰმუდ აბასის პრემიერობა სულ 129 დღე გაგრძელდა, ის გადადგა იასირ არაფათთან მწვავე დაპირისპირების გამო.

მაჰმუდ აბასის პრიორიტეტული ამოცანები გახდა ისრაელთან მოლაპარაკებების დაუყოვნებლივი განახლება, რეფორმების გატარება და პალესტინის ინთიფადას დასრულება.

2005 წლის 15 აგვისტოს ისრაელმა დაიწყო შარონის გეგმის რეალიზაცია ცალმხრივ გამიჯვნაზე. 22 აგვისტოს ისრაელელებმა დატოვეს ღაზას სექტორი, მეორე დღეს – დას. ნაპირის ჩრდ. ნაწილი (ჩრდ. სამარია). 2006 წლის 30 იანვარს, მაჰმუდ აბასის პოლიტიკური რეფორმების შედეგად, ჩატარდა არჩევნები საკანონმდებლო ორგანოში (პალესტინის პარლამენტი). გამარჯვება მოიპოვა რადიკალურმა ორგანიზაცია ჰამას-მა, რომელსაც ისრაელი მიიჩნევს ტერორისტულ ორგანიზაციად (ჰამასი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაშიცაა). ჰამას-ის გამარჯვებას საპარლამენტო არჩევნებში შედეგად მოჰყვა შიდაპოლიტიკური კონფლიქტი პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციაში და ისრაელის ხელმძღვანელობის უარი ხელისუფლების სათავეში მოსულ ახალ ძალებთან თანამშრომლობაზე.

2007 წლის 27 ნოემბერს ამერიკულ ქალაქ ანაპოლისში (მერილენდის შტატი) შედგა საერთაშორისო კონფერენცია ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დასარეგულირებლად.[4] ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს 49 ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის გა-

4 სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა ირანსა და ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის ანაპოლისში კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით. ირანმა დაიკავა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია. უფრო მეტიც, ამ კონფერენციის საპირისპიროდ მან შეკრიბა თეირანში ოპოზიციური პალესტინური ორგანიზაციები. ერთ-ერთმა მაღალი რანგის ირანელმა მოხელემ განაცხადა, რომ მათ, „ვინც შეიკრიბა ანაპოლისში, არა აქვთ არანაირი გავლენა და არ ასრულებენ არანაირ როლს პალესტინაში." მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „რეგიონის რუკაზე არ არის ადგილი სახელმწიფოსათვის, რომელსაც ეწოდება ისრაელი" (*Ash-Sharq al-Awsat*, 28.11.2007).

ერო-მ, არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციამ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა. მას ესწრებოდნენ აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, პალესტინის ლიდერი მაჰმუდ აბასი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი. კონფერენციაზე განხილულ იქნა კონცეფცია „ორი სახელმწიფო ორი ხალხისათვის," რომლის მიხედვითაც ისრაელი რჩება, როგორც ებრაელთა სახელმწიფო და იქმნება ახალი პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო მდ. იორდანეს დას. ნაპირზე და ღაზას სექტორში. მაჰმუდ აბასი და ეჰუდ ოლმერტი შეთანხმდნენ დაეწყოთ მოლაპარაკებები და მისულიყვნენ საბოლოო შეთანხმებამდე პალესტინის სახელმწიფოს საკითხთან დაკავშირებით 2008 წლის ბოლომდე.[5] მაგრამ მოლაპარაკებები შეწყდა 2008 წლის დეკემბრის ბოლოს ისრაელის მიერ ღაზას სექტორში ჰამას-ის დაჯგუფების წინააღმდეგ წამოწყებული ოპერაციის („ტყვიების წვიმა") გამო. ისრაელი ამ ოპერაციას ხსნიდა აუცილებლობით, რათა შეეწყვიტა მრავალწლიანი სარაკეტო დარტყმები ღაზას სექტორიდან.

2009 წელს გაგრძელდა მოლაპარაკებები ფათჰ-თან ისრაელის ახალი პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუსა და აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას მონაწილეობით. 2009 წლის 28 მაისს ვაშინგტონში ვიზიტით იმყოფებოდა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარე მაჰმუდ აბასი. პალესტინის ლიდერთან მოლაპარაკებების შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა: „ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის წინწაწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველა მხარე შეასრულებს თავის ვალდებულებას." ვაშინგტონი მოითხოვდა ფორმულის – „ორი სახელმწიფო ორი ხალხისათვის" რეალიზებას და პალესტინის ტერიტორიაზე (მდ. იორდანეს დას. ნაპირი) ებრაული ახალშენების მშენებლობის შეწყვეტას. 2009 წლის 21 ივნისს ნეთანიაჰუ გამოვიდა ახლოაღმოსავლური დარეგულირების თავისი გეგმით, რომლის ჩარჩოებში თანხმობა განაცხადა პალესტინის სახელმწიფოს შექმნაზე შეზღუდული უფლებებით, თუ პალესტინელები ცნობდნენ ისრაელს, როგორც ებრაელთა ეროვნულ კერას და ისრაელი მიიღებდა უსაფრთხოების გარანტიას, მათ შორის საერთაშორისოს. ამასთან, ისრაელი თანხმობას აცხადებდა ახალი დასახლებების მშენებლობასა შეწყვეტასა და უკანონო დასახლებების დემონტაჟზე, მაგრამ უარს არ ამბობდა დარჩენილი დასახლებების გაფართოებაზე „მათი მოსახლეობის ბუნებრივი მატების გამო." 2010 წლის მონაცემებით, მდ. იორდანეს დას. ნაპირზე სულ იყო 121 ებრაული დასახლება (მოსახლეობა – დაახლ. 300 ათასი ადამიანი).

2009 წლის ნოემბერში ისრაელის მთავრობამ გამოაცხადა 10 თვიანი მორატორიუმი დას. ნაპირზე ებრაული დასახლებების მშენებლობაზე. მაგრამ ამ მორატორიუმმა არ დააკმაყოფილა პალესტინური მხარე, რამდენადაც ეს არ ეხებოდა აღმ. იერუსალიმს.

2010 წლის 2 სექტემბერს ვაშინგტონში განახლდა სამშვიდობო პროცესი – პირდაპირი მოლაპარაკებები პალესტინა-ისრაელს შორის. პირველად პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებები ჩატარდა არა სამმხრივ (ისრაელი, არაბები – მოცემულ შემთხვევაში პალესტინა, აშშ), არამედ ოთხმხრივი ფორმატით. მეოთხე მონაწილე გახდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, რომელმაც თავისი უფლებამოსილებები დე ფაქტო გადასცა არაბულ სახელმწიფოთა მეთაურებს – იორდანიის მეფე აბდალაჰ II-ს და ეგვიპტის პრეზიდენტ ჰუსნი მუბარაქს. ისრაელს წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ და პალესტინას – პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციის მეთაური მაჰმუდ აბასი. მოლაპარაკებების დაწყების ცერემონიას ესწრებოდა ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა. მოლაპარაკებების დაწყების ფაქტი დადებითად შეფასდა, მაგრამ მრავალი ექსპერტი სკეპტიკურად იყო განწყობილი. ბენიამინ ნეთანიაჰუ და მაჰმუდ აბასი შეთანხმდნენ პირისპირ ახალი შეხვედრის თაობაზე 2010 წლის 14-15 დეკემბერს და შემდგომში ყოველ ორ კვირაში ერთხელ. მომავალ შეხვედრაზე ორი ლიდერი ვარაუდობდა შემდეგი საკითხების განხილვას: იერუსალიმის სტატუსი, საზღვარი ისრაელსა და პალესტინას შორის, პალესტინელი ლტოლვილებისა და ისრაელის ციხეებში პალესტინელი პატიმრების საკითხი, მდ. იორდანეს დას. ნაპირზე ებრაული დასახლებების მშენებლობა, ორმხმრივი უსაფრთხოება, წყლის რესურსების განაწილება.

მოლაპარაკებათა ჩაშლის მიზნით, ჰამას-ის ხელმძღვანელობით 13-მა სამხედრო ჯგუფმა განახორციელა თავდასხმები ისრაელის მოქალაქეებზე.

---

5 ანაპოლისის კონფერენცია შეფასდა, როგორც „მოლაპარაკებები მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე" (www.aljazeera.net, 27.11.07). ამ კონფერენციის შემდეგ მაჰმუდ აბასმა განაცხადა: „პალესტინელები არ იღებენ ფორმულას, რომ ისრაელის სახელმწიფო არის ებრაული სახელმწიფო... ჩვენ ვამბობთ, რომ ისრაელის სახელმწიფო არსებობს და ისრაელის სახელმწიფოში ცხოვრობენ ებრაელები და იქ არიან არაებრაელებიც" (Morris, 2009: 174).

კონფრონტაციამ, რომლის მონაწილეებიც გახდნენ ისრაელი და მისი მეზობელი არაბული ქვეყნები – ეგვიპტე, იორდანია, სირია და ლიბანი, აგრეთვე პალესტინელები, ხოლო ირიბად მასში ჩართული აღმოჩნდა კიდევ მრავალი ქვეყანა, მათ შორის „ცივი ომის“ წლებში აშშ და სსრკ, გადააქცია ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთ ყველაზე „ცხელ წერტილად“ მსოფლიოში. კონფლიქტის შეფასება სხვადასხვაგვარია: ერთნი განიხილავენ მას, როგორც კონფლიქტს ეთნიკურ ჯგუფებს შორის (პალესტინელი არაბები და ებრაელები), მეორენი – როგორც კონფესიურს (ისლამი და იუდაიზმი), მესამენი – როგორც სახელმწიფოთაშორისოს (ისრაელი და პალესტინელები).

ათწლეულების მანძილზე მიმდინარე არაბ-ისრაელის კონფლიქტში შეიძლება გამოვყოთ 2 ძირითადი პერიოდი:

1. კონფრონტაციის პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია მრავალრიცხოვან, თავისი ხასიათით მწვავე, კონფლიქტურ სიტუაციებთან ახლო აღმოსავლეთში. 1991 **წლამდე კონფრონტაცია განპირობებული** იყო არა მხოლოდ იმ ფაქტით, რომ მასში მონაწილეობდა ისრაელი და მეზობელი არაბული ქვეყნები – ეგვიპტე, იორდანია, სირია და ლიბანი, აგრეთვე პალესტინელები, არამედ „ცივი ომის“ წლებში ორი ზესახელმწიფოს – აშშ-ისა და სსრკ-ის ჩართულობით და ირიბად მასში კიდევ მრავალი ქვეყნის მონაწილეობით, რის გამოც ის გასცდა რეგიონალური კონფლიქტების რიგს.

– ბრიტანული მანდატის პერიოდში **(1922-1948) არაბული მოსახლეობისათვის ერთ-ერთი ყველაზე** მწვავე პრობლემა იყო ებრაული იმიგრაცია. ისრაელის სახელმწიფოს მიერ ებრაელთა დაბრუნების შესახებ კანონის (1950) მიღების შემდეგ ქვეყანაში ჩავიდა ორნახევარი მილიონი ებრაელი და ამ საკითხმა პრაქტიკულად დაკარგა აქტუალობა;

– **1948 წლის შემდეგ პალესტინის პრობლემის ძირითადი არსი იყო ის ფაქტი, რომ ისრაელის სახელმწიფო** შეიქმნა და არაბული სახელმწიფო – არა. არაბებისათვის განკუთვნილ მიწებზე კონტროლი დაამყარეს ეგვიპტემ და იორდანიამ. პალესტინელი ლტოლვილი არაბების ასიმილაცია მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე არ მომხდარა, რადგანაც ისინი იქ დროებით იმყოფებოდნენ ისრაელის „განადგურებამდე";

– არაბულმა ქვეყნებმა არ ცნეს ისრაელი, რადგანაც თვლიდნენ მას „იმპერიალიზმის ანკლავად“ ახლო აღმოსავლეთში. ამის დასტურად მოჰყავდათ 1956 წელს ინგლისისა და საფრანგეთის მხრიდან ისრაელის მხარდაჭერა და სამხედრო ოპერაცია ეგვიპტის წინააღმდეგ;

– 1978 წელს ეგვიპტემ დადო სამშვიდობო ხელშეკრულება ისრაელთან, რომლითაც დაიბრუნა სინას ნახევარკუნძული. ამის გამო ეგვიპტეს ბოიკოტი გამოუცხადა არაბულმა სამყარომ და ყოფილმა მოკავშირემ – საბჭოთა კავშირმა.

– **80-იან წლებში, „ცივი ომის“ ფონზე, გაღრმავდა პალესტინის პრობლემა. მასზე გავლენა მოახ**დინა შემდეგმა ახალმა ფაქტორებმა: ერთი მხრივ, სამოქალაქო ომი ლიბანში, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა სირია (1976) და ისრაელი (1982) და მეორე მხრივ, 1980-1988წწ. ირან-ერაყის ხანგრძლივი ომი, რომელმაც ორ ნაწილად გაყო არაბული სამყარო. რეგიონში დაძაბულობის გამო, **1987წ. პალეს**ტინელებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაიწყეს აჯანყება – *ინთიფადა*, რომელმაც აჩვენა, რომ პალესტინის პრობლემის შემდგომ გადაწყვეტას საფრთხე დაემუქრა, ხოლო ისრაელი მზად არ იყო ისეთი მოვლენისათვის, როგორიცაა „სახალხო აჯანყება“;

– **1988 წლის 15 ნოემბერს დამოუკიდებლობის დეკლარაციით გამოცხადდა პალესტინის სახელმ**წიფოს შექმნა 1967 წელს ოკუპირებულ ისტორიული პალესტინის ტერიტორიაზე (მდ. იორდანეს დას. ნაპირი და სექტორი ღაზა). ის ცნო არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ და რამდენიმე სხვა ქვეყანამ, მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი ვერ მიიღო აშშ-ის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ქვეყნების მხრიდან. ამასთანავე, 1988 წლისათვის არ არსებობდა სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი, სულ მცირე სამი ელემენტი: 1. ხალხი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე; 2. **ტერიტორია, რომელსაც აქვს საზღვრები, ჰყავს ხელისუფლება და ეს უკანასკნე**ლი ახორციელებს თავის ნებას მოცემულ ტერიტორიაზე, ამყარებს ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან; 3. **ეკონომიკა, რომელსაც ემყარება დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამდენად, ეს დეკლარა**ცია ნომინალური იყო.

2. **სამშვიდობო პროცესი. 1990-იან წლებში თანდათანობით ჩამოყალიბდა წინაპირობები კრიზი**სის დასაძლევად და სამშვიდობო პროცესის დასაწყებად:

– დასრულდა სამოქალაქო ომი ლიბანში;

– 1991 წელს დასრულდა „ცივი ომი". 1991წ. 19 ოქტომბერს, სსრკ-ის დაშლამდე რამდენიმე დღით ადრე, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა სსრკ-სა და ისრაელს შორის. 1980-იანი წლების ბოლოდან ებრაული მოსახლეობის ემიგრაციამ სსრკ-დან მასობრივი ხასიათი მიიღო;

– აშშ-მა და ისრაელმა აღიარეს მოლაპარაკებათა აუცილებლობა პალესტინელებთან და დათანხმდნენ მათ წარმართვას. 1993 წლის სექტემბერში ხელმოწერილი პრინციპების შესახებ დეკლარაციის შესაბამისად, 1994 წელს გაჩნდა საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სუბიექტი – პალესტინის ავტონომია მდ. იორდანეს დას. ნაპირზე და ღაზაში, რასაც მოჰყვა რადიკალური ორგანიზაციების – ჰამას-ის, ისლამური ჯიჰადისა და ჰიზბალაჰის გააქტიურება. დეკლარაციისა და მთელი სამშვიდობო პროცესის მთავარი მიღწევა იყო კონფლიქტური მხარეების მიერ თანაარსებობის შესაძლებლობის აღიარება. პრინციპების დეკლარაციის ხელმოწერაში შეტანილი დიდი წვლილისათვის 1994 წელს იცხაკ რაბინი, იასირ არაფათი და შიმონ პერესი დაჯილდოვდნენ ნობელის პრემიით მშვიდობის დარგში. ხელმოწერილი დეკლარაციის თანახმად, *ოკუპირებული ტერიტორიები* გახდა *სადავო ტერიტორიები;*

– დაიდო სამშვიდობო შეთანხმება იორდანიასთან (1994) და შეთანხმებები ისრაელსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის (1995 და1998). ამის შემდეგ 8 არაბულმა ქვეყანამ (მათ შორის თუნისი, მაროკო, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი და სხვ.), გახსნა წარმომადგენლობა ისრაელში, მაგრამ დახურა 2000 წლის სექტემბერში *ინთიფადა ალ-აკსას* დაწყების შემდეგ.

– 1996 წელს ჩატარდა პირველი დემოკრატიული არჩევნები პალესტინაში.

– ისრაელის მხარე მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა კემპ-დევიდის (2000) და თაბას (2001) მოლაპარაკებების დროს. თუმცა, 2000 წელს *ინთიფადა ალ-აკსას* დაწყება და ისრაელელების მიერ პალესტინის ლიდერის იასირ არაფათის დადანაშაულება ტერორისტების მხარდაჭერაში, გახდა კემპ-დევიდის მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი. თაბას სამიტის შემდეგ კონფლიქტის საბოლოო დარეგულირების საკითხი აღარ განხილულა. 2003 წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა დაიწყო „ცალმხრივი განცალკევების გეგმის" განხორციელება – ებრაული დასახლებების ევაკუაცია და ისრაელელი სამხედროების გასვლა ღაზას სექტორიდან (ეს გეგმა დასრულდა 2005 წლის 12 სექტემბერს). ამ გეგმის არსი მარტივი იყო: „ჩვენ გავდივართ იმ ტერიტორიებიდან, რომელთა დაცვა ჩვენთვის რთულია, ჩვენი გამყოფი იქნება კედელი, გზას გადავუკეტავთ ტერორისტებს ისრაელისაკენ, თქვენ კი იცხოვრეთ, როგორც გინდათ." ისრაელი უარს აცხადებდა მოლაპარაკებათა იდეაზეც კი. თუმცა, რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა;

– მაჰმუდ აბასის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ (2005) მოლაპარაკებების პროცესი ისრაელსა და პალესტინელებს შორის აღდგა. პარალელურად გაძლიერდა საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლა;

– 2006 წელს, პალესტინის ხელისუფლების სათავეში ჰამას-ის მოსვლის შემდეგ, ისრაელმა უარი თქვა ამ მოძრაობასთან დიალოგზე. ისრაელისათვის ერთადერთ რელევანტურ პარტნიორად რჩება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია. კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართულები არიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორები: *ახლო აღმოსავლეთის კვარტეტი* (აშშ, რუსეთი, ევროკავშირი და გაერო), *არაბულ სახელმწიფოთა ლიგა* და ეგვიპტე – ლიგის დამფუძნებელი წევრი და ისტორიულად სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე;

– 2006 წელს შეიარაღებულმა კონფლიქტმა ისრაელისა და ლიბანის საზღვარზე და 2008 წელს ისრაელის სამხედრო ოპერაციამ ღაზას სექტორში ჰამას-ის დაჯგუფების წინააღმდეგ შეაფერხა სამშვიდობო პროცესი.

– 2010 წელს განახლდა პირდაპირი მოლაპარაკებები პალესტინა-ისრაელს შორის, მაგრამ ჰამასის ხელმძღვანელობით 13 პალესტინური სამხედრო ჯგუფის „ძალადობის ლაშქრობამ" ჩაშალა სამშვიდობო მოლაპარაკება.

წარმატებები, რომლებიც მიღწეულ იქნა პალესტინის პრობლემის დასარეგულირებლად, უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ არსებობს ობიექტური წინააღმდეგობები მის გადასაჭრელად:

– პალესტინელი ლტოლვილების და მათი შთამომავლების საკითხი.

– ისრაელის დასახლებების (ახალშენების) საკითხი. პალესტინელები მოითხოვენ არა მარტო ახალშენების ლიკვიდაციას, არამედ მოახალშენეთა მიერ ამ ტერიტორიის დატოვებას. ისრაელელები ეწინააღმდეგებიან ამას და იცავენ „ებრაელთა უფლებას იცხოვრონ მათი ისტორიული სამშობლოს ნებისმიერ ადგილას";

– პალესტინური ორგანიზაციების ტერორისტები, რომელთაც შეუძლიათ ჩაშალონ ნებისმიერი მოლაპარაკება;

– იერუსალიმის საკითხი – იერუსალიმი 1980 წლიდან გამოცხადებულია ისრაელის დედაქალაქად. ამ ქალაქში არის სამი რელიგიის – იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის წმინდა ადგილები. მრავალი მუსლიმი თვლის, რომ არ შეიძლება ის მთლიანად იყოს ისრაელის ხელში. უმრავლესობა თხოულობს 1967 წლამდე არსებული ვითარების აღდგენას, როცა იერუსალიმი იყო გაყოფილი ორად – დასავლურ (ებრაულ) და აღმოსავლური (არაბულ) ნაწილებად. არაბების აზრით, სწორედ აღმოსავლეთ იერუსალიმი უნდა გახდეს არაბული სახელმწიფოს დედაქალაქი პალესტინაში. ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა ისრაელი იპოვოს ამ ქალაქის სტატუსის დარეგულირების მისაღები ფორმულა;

– წყლის რესურსების განაწილების საკითხი – პალესტინა წყლის ძირითად ნაწილს იღებს მიწისქვეშა წყაროებიდან, რომელთა უმრავლესობა მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზეა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ აქედან იღებს ისრაელი ამჟამად მოხმარებული წყლის 70%-ს. **პალესტინის დამოუკიდებლობის** გამოცხადების შემდეგ ეს შეუძლებელი იქნება, რაც ისრაელელი პოლიტიკოსების აზრით, „სახელმწიფოს თვითმკვლელობის“ ტოლფასია;

– არაბული ქვეყნების პოლიტიკა და ცალკეული ლიდერის რადიკალიზმი (მაგ., მუამარ კადაფი). ერთი პალესტინელმა მწერლის სიტყვებით, „მრავალი არაბი ლიდერი იყენებს პალესტინის პრობლემას ხან დროშად და ხან ჩვრად.“ ისიც ფაქტია, რომ სამი სახელმწიფო მეთაური (იორდანიის მეფე აბდალაჰი, ანვარ სადათი და იცჰაკ რაბინი) მოკლეს სწორედ იმის გამო, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ძალები არ იზიარებდნენ მათ პროგრამებს და მოქმედებებს არაბ-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ლიდერების პოზიციას, არამედ სოციუმის პოლიტიკურ განწყობას. მნიშვნელოვანია სირიის პოლიტიკა, რადგანაც ითვლება, რომ სირია-ისრაელის ხელშეკრულების დადება გამორიცხავს მომავალში არაბული ქვეყნების ნებისმიერი კონფლიქტის შესაძლებლობას ისრაელთან;

– დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა და ტერიტორიული საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მომავალი სახელმწიფოს საზღვრების დადგენასთან.

ისრაელ-პალესტინის კონფლიტის დარეგულირების პერსპექტივები:

ექსპერტების აზრით, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირებისათვის აუცილებელია შემდეგი დადგენილებების შესრულება: გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები – №242 და №338 (ისრაელის მიერ 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლება); №1515 **(მადრიდის კონ**ფერენციაზე მიღებული ფორმულის „ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ,“ შეთანხმებათა განმტკიცება); **2002 წელს ბეირუთში არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამიტზე მიღებული „არაბული სამშვიდო**ბო ინიციატივა“ ან „საერთოარაბული სამშვიდობო ინიციატივა“ (ისრაელის მიერ **1967 წელს ოკუპი**რებული არაბული ტერიტორიების დატოვება, დამოუკიდებელი და სუვერენული პალესტინის სახელმწიფოს შექმნის აღიარება და პალესტინელი ლტოლვილების პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტის უზრუნველყოფა. ამის სანაცვლოდ, არაბული ქვეყნები აღიარებენ ებრაულ სახელმწიფოს, დადებენ მასთან სამშვიდობო ხელშეკრულებებს და დაამყარებენ ნორმალურ ურთიერთობას).

მოვლენების მომავალი განვითარება დამოკიდებული იქნება ზემოხსენებულ მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთა ტრანსფორმაციის ვექტორების განსაზღვრა და პროგნოზირება ძნელია. მთელ რიგ შემთხვევებში გამოთქვამენ თვალსაზრისს, რომ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი ვერ დარეგულირდება უახლოეს მომავალში. თითოეულ სამშვიდობო ინიციატივას თან სდევს ახალი კონფრონტაცია, რაც მოწინააღმდეგე მხარეებსა და მათ საერთაშორისო სპონსორებში პესიმიზმს სთესავს. ამასთან, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ უახლოეს პერსპექტივაში პალესტინის ხელმძღვანელებს შესთავაზებენ ისეთ წინადადებებს, როგორიც მათ უარყვეს 2000-2001 წლებში კემპ-დევიდსა და თაბაში და მიიღებენ ისრაელთან მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას უფრო უარესი პირობებით. ამიტომ გასათვალისწინებელია ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის კლინტონის საგანგებო კოორდინატორის დენი როსის დასკვნა – „ხელიდან იქნა გაშვებული ისტორიული შესაძლებლობა, რომელიც არ განმეორდება კიდევ მრავალი წელი.“ ამასთან, 2009 წლის 5 ივნისს კაიროს უნივერსიტეტში გამოსვლისას აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია თავს მოვახვიოთ მშვიდობა.“ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ბარაკ ობამას ძირითადი აქცენტი გადატანილია პალესტინის სახელმწიფოს შექმნაზე, რაც მიიჩნევა მშვიდობის დამყარების ძირითად საფუძვლად.

თავი XV

მსოფლიო რელიგიები და მათი ისტორიული როლი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში

რელიგიის თავისუფლების საკითხი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში

თვითიდენტიფიკაციის პრობლემა ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით, თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. კონფესიური ფაქტორი სულ უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე და ხშირ შემთხვევაში ის ხდება კონფლიქტების წყარო. როგორც წესი, კონფესიათა თანაბარი უფლებები ქვეყნის კონსტიტუციით არის განმტკიცებული.

1998 წელს ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო კომისია რელიგიის თავისუფლებაზე. ეს არის დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომელიც საერთაშორისო მონიტორინგს ახორციელებს რელიგიის თავისუფლების სფეროში და თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 **მუხლით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, ღირ-**სებისა და რელიგიის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას – შეიცვალოს თავისი რელიგია ან რწმენა, თავისუფლად აღიაროს თავისი რელიგია ან რწმენა ერთპიროვნულად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან პირადად, შეასრულოს ღვთისმსახურება, რელიგიური და რიტუალური წესები." კომისიის ყოველწლიური ანგარიში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების სფეროში, წარედგინება ამერიკის კონგრესს, პრეზიდენტს და სახელმწიფო დეპარტამენტს რეკომენდაციის სახით, რათა გაითვალისწინოს ის საგარეო პოლიტიკის გატარებისას. არაბული ქვეყნები ამ კომისიის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. რელიგიის თავისუფლების პრინციპის დაცვის საკითხებს სწავლობს აგრეთვე „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია" (*Human Rights Watch*), რომელსაც არაბული ქვეყნები ხშირად უწოდებენ „სიონისტურ-ქრისტიანული" ექსპანსიის იარაღს.

არაბულ ქვეყნებს ახასიათებს ისტორიული, სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური განვითარების თავისებურებები. ყველა არაბულ ქვეყანაში ისლამი არის სახელმწიფო რელიგია. ისტორიულად და ტრადიციულად, რელიგიური ფაქტორი და მასზე აგებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოადგენდა მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავდა არაბული ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ისლამური პოლიტიკური კონცეფცია გამომდინარეობს იქიდან, რომ მუსლიმური სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა ისლამური რწმენის შენარჩუნება და შარიათის დაცვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს რელიგიურ დოგმატიკას, პრაქტიკულ ნორმებს და ისლამურ ეთიკას.

საუდის არაბეთში ისლამი არის არა მხოლოდ სახელმწიფო რელიგია, არამედ სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო და საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის საფუძვლებს, სახელმწიფო მმართველობის სისტემას, ქვეშევრდომთა უფლებებსა და მოვალეობებს. სამოქალაქო და რელიგიური სტრუქტურები აქ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც განასხვავებს საუდის არაბეთს სპარსეთის ყურის სხვა მონარქიებისაგან, სადაც სამოქალაქო ხელისუფლება განმსაზღვრელ როლს ასრულებს სახელმწიფო საქმეებში, ხოლო სახელმწიფო არეგულირებს ისლამური დაწესებულებების საქმიანობას, რათა არ გასცდნენ „დადგენილ საზღვრებს."

1992 წლის საუდის არაბეთის კონსტიტუციით: „საუდის არაბეთის სამეფო სუვერენული არაბული სახელმწიფოა. მისი რელიგია არის ისლამი, კონსტიტუცია – ყურანი და ალაჰის მოციქულის სუნა." ამ დოკუმენტში არის კატეგორიული მითითება ისლამის აღმსარებლობაზე და ფაქტობრივად არ დაიშვება სხვა რელიგიის გავრცელება. უფრო მეტიც, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ისლამი ყველა საშუალებით. მოსახლეობა იძულებულია შეასრულოს ისლამური, ფაქტობრივად ვაჰაბიტური პოსტულატები და

ამას აკონტროლებს სპეციალური „საზოგადოებრივი მორალის ლიგა“,[1] რომელიც მოქმედებს სამეფოს ყველა დასახლებულ პუნქტში. საკონსტიტუციო ნორმების მიხედვით, „სახელმწიფო დგას ისლამური რწმენის სადარაჯოზე“, ახორციელებს მის დადგენილებებს. საუდის სამეფოში რელიგიის თავისუფლება მკაცრად არის შეზღუდული. საუდის არაბეთის მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ მუსლიმი. იმ პირებს, რომლებიც არ არიან საუდის არაბეთის მოქალაქეები, აქვთ ქვეყანაში კანონიერად ყოფნის დამასტურებელი პირადობის მოწმობა (*იკამა*), სადაც არის აღნიშნული მათი რელიგიური კუთვნილება: „მუსლიმი“ ან „არამუსლიმი“.[2] ქვეყანაში არ არის სხვა რელიგიის საკულტო ნაგებობა. ისლამისაგან განდგომა, თუ განდგომილმა არ მოინანია, სიკვდილით ისჯება. საუდის არაბეთში არის რელიგიური პოლიცია (*მუტავვა'ინ*), რომელსაც ჰყავს შეიარაღებული და შეუიარაღებელი რაზმები და ისინი აკონტროლებენ ისლამური ნორმების დაცვას ქვეყანაში (დედაქალაქში და 13 პროვინციაში). პოლიციის თავმჯდომარეს აქვს მინისტრის სტატუსი. საუდის არაბეთი არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც არსებობს სპეციალური ცენტრები (50-მდე), რომლებიც ატარებენ გარკვეულ სამუშაოს, რათა უცხოელები მოექცნენ ისლამზე. თუმცა, ისლამზე ძალით მოქცევა იკრძალება.

სხვა მონარქიებში (მაროკო, იორდანია, ბაჰრაინი, კატარი, ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი) ისლამური ფაქტორი არ ატარებს ასეთ კატეგორიულ ხასიათს. იქაც ისლამი სახელმწიფო რელიგიაა, მაგრამ ამ ქვეყნების კონსტიტუცია უშვებს რელიგიის თავისუფლებას. ქუვეითის კონსტიტუციის 35-ე მუხლი უშვებს „აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას“ იმ პირობით, თუ რელიგიური ჯგუფები არ შეუქმნიან პრობლემებს არსებულ რეჟიმს. პრაქტიკულად კი, სახელმწიფოს მიერ კანონიერად აღიარებულია მხოლოდ გარკვეული რელიგიური თემები. ომანის 1996 წლის კონსტიტუციის მე-17 მუხლი „ადგენს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე“ და იკრძალება დისკრიმინაცია წარმომავლობის, ენის, კანის ფერის, რელიგიის და სოციალური სტატუსის მიხედვით. ხოლო 28-ე მუხლი ითვალისწინებს რელიგიური რწმენის თავისუფლებას – „დადგენილი ტრადიციის თანახმად იმ პირობით, რომ დაიცავენ საზოგადოებრივ წესრიგს და ქცევის აღიარებულ ნორმებს.“ ბაჰრაინის კონსტიტუციის 22-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო უზრუნველყოფს რელიგიური რწმენის ხელშეუხებლობას, რელიგიური გრძნობების გამომჟღავნების თავისუფლებას, კულტმსახურების ადგილების ხელშეუხებლობას, ასევე რელიგიური რიტუალების დაცვის თავისუფლებას, რელიგიურ შეკრებებში მონაწილეობის თავისუფლებას ქვეყანაში არსებული ტრადიციების შესაბამისად.“ ამავე კონსტიტუციის მე-18 მუხლში კი ხაზგასმულია: „ყველა ადამიანი თანაბრად სარგებლობს პატივისცემით და ყველა მოქალაქე თანაბარია კანონის წინაშე იმ საკითხებში, რაც ეხება ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, წარმოშობის, ენის, რელიგიის ან მრწამსის მიხედვით.“[3] კატარის კონსტიტუცია (მუხლი 9) აცხადებს მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს მათი სარწმუნოების მიუხედავად. ამასთანავე, სახელმწიფო მიისწრაფვის საზოგადოებრივ პრაქტიკაში დანერგოს „ისლამური პრინციპები“ (მუხლი 7). მაროკოს კონსტიტუციით (მუხლი 6 და 9) გარანტირებულია რელიგიის და ასოციაციების თავისუფლება. იორდანიის (მუხლი 14) და არაბთა გაერთიანებული საამიროების კონსტიტუციები (მუხლი 32) კრძალავენ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას, მაგრამ მაინც არსებობს გარკვეული შეზღუდვები ქრისტიანების მიმართ.

რაც შეეხება არაბულ რესპუბლიკებს, ყველა ქვეყნის კონსტიტუციით, ისლამი არის სახელმწიფო რელიგია. გამონაკლისს წარმოადგენს ლიბანი, სადაც დღეისათვის არის 18 სხვადასხვა რელიგიური

---

1 ის არის თანამედროვე ანალოგი ისლამური ინსპექციისა (*ჰისბა*), რომელიც ტრადიციული სახით არსებობდა XX ს-ის დასაწყისამდე მექასა და მედინაში. მეფე იბნ საუდის 1926 წლის ბრძანებით, ეს ინსპექცია გადაიქცა „საზოგადოებრივი მორალის ლიგად.“ 1930 წელს არ-რიადში შეიქმნა „საზოგადოებრივი მორალის ლიგის გენერალური სამმართველო,“ რომელსაც ემორჩილებოდა დამსჯელი სტრუქტურები ყველა დასახლებულ პუნქტში. დღეს ამ ლიგის წესდების ძირითადი პრინციპია: „მორალის ერთადერთი წყარო – ღვთიური გამოცხადებაა.“

2 საუდის არაბეთის მოსახლეობა შეადგენს დაახლ. 28 მლნ-ს (2010 წლის მონაცემები), აქედან დაახლოებით 10 მლნ-ზე მეტი არ არის საუდის მოქალაქე (სხვადასხვა ქვეყნების საელჩოების მონაცემები) – 1,8 მლნ ინდოელი, 2 მლნ ბანგლადეშელი, 1,3 მლნ ფილიპინელი, 1,5 მლნ პაკისტანელი, 1 მლნ ეგვიპტელი, 1 მლნ იემენელი, 600,000 ინდონეზიელი, 400,000 შრი-ლანკელი, 400,000 სირიელი, 350,000 ნეპალელი, 250,000 პალესტინელი, 150,000 ლიბანელი, 100,000 ერითრიელი და 50,000 სომეხი. მათ შორის არიან ქრისტიანები, ებრაელები, ბუდისტები, მუსლიმები და სხვ.

3 ბაჰრაინის კონსტიტუციაში, სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნების კონსტიტუციებისაგან განსხვავებით აღნიშნულია, რომ „ისლამი – ცოდნისა და კანონის წყაროა, ასევე გზაა, რომელსაც ჩვენ მივყვებით.“

თემი, ხოლო ძირითად რელიგიებად ითვლება ისლამი და ქრისტიანობა. სირიაში განსაზღვრული არ არის სახელმწიფო რელიგია. ძალიან ფრთხილი ფორმულირებაა მოცემული სუდანის **1998 წლის კონ**სტიტუციაში, რომლის თანახმადაც, „სუდანის სახელმწიფო არის რასობრივი და კულტურული ჰარმონიისა და რელიგიური შემწყნარებლობის ქვეყანა. ისლამი არის მოსახლეობის უმრავლესობის რელიგია, ხოლო ქრისტიანობას და ტრადიციულ რელიგიები ფართოდ არის გავრცელებული“ (მუხლი 1).

ერაყის ისლამური იდენტობა განმტკიცებულია ქვეყნის ახალი კონსტიტუციით: „ისლამი – სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია და კანონმდებლობის ძირითადი წყაროა. არც ერთი კანონი არ შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ ის ეწინააღმდეგება ისლამის დადგენილ ნორმებს“ (მუხლი 2). **აქვე ხაზგას**მულია, რომ „არსებული კონსტიტუცია უზრუნველყოფს ერაყის მოსახლეობის უმრავლესობის ისლამურ იდენტობას და თითოეულის რელიგიურ უფლებებს, ასევე რელიგიური აღმსარებლობის და რელიგიური კულტმსახურების თავისუფლებას, მათ შორის ქრისტიანების, იეზიდების და საბაელების.“ კონსტიტუციის ამ მუხლში არის წინააღმდეგობები, რადგანაც თუ ისლამი, ე.ი. შარიათი არის კანონმდებლობის ძირითადი წყარო, მაშინ მას (შარიათს) არ შეუძლია უზრუნველყოს ამ მუხლში მოცემული რელიგიური უმცირესობის უფლებების სრული დაცვა.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულაში წერია: „ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია განასახიერებს ისლამის საწყისებზე დაფუძნებული ირანის საზოგადოების კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას. იგი პასუხობს ისლამური თემის (ხალხის) ძირეულ ინტერესებს.“ კონსტიტუციით, „ირანის ოფიციალური სარწმუნოება არის ისლამი, კერძოდ, ჯაფარიტული მაზჰაბი[4]. ეს პრინციპი მუდმივი და უცვლელია. დანარჩენი მაზჰაბები, როგორიცაა ჰანაფიტური, შაფიიტური, მალიქიტური, ჰანბალიტური და ზაიდიტური, სარგებლობენ სრული პატივისცემით და მათი აღმსარებელნი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებაში თავისუფალი არიან. მათ რელიგიურ სწავლა-აღზრდას, პიროვნულ მდგომარეობას (ქორწინება, განქორწინება, მემკვიდრეობა, ანდერძი) და მასთან დაკავშირებულ დავას სასამართლოში ოფიციალური ძალა აქვს. ყოველ რეგიონში, სადაც ნებისმიერი მაზჰაბის აღმსარებელნი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, ადგილობრივი დადგენილებები საბჭოების კომპეტენციის ფარგლებში იმ მაზჰაბის შესატყვისი იქნება, ამასთანავე დაცული იქნება სხვა მაზჰაბების აღმსარებელთა უფლებები“ (მუხლი 12). **ამასთან, „მხოლოდ ირანელი ცეხლთაყვანისმცემლები, ებრაელები და ქრისტიანები წარ**მოადგენენ რელიგიურ უმცირესობებს და კანონის ფარგლებში თავიანთი რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულებაში თავისუფლებით სარგებლობენ, პირადი მდგომარეობისა და რელიგიური სწავლების საკითხებში თავიანთი წესების მიხედვით მოქმედებენ“ (მუხლი 13).[5] ბაჰაიტების თემი არ არის აღიარებული ოფიციალურად რელიგიურ უმცირესობად და ბაჰაიტები ზოგადად ათეისტებად მიიჩნევიან.

ირანის ისლამური რესპუბლიკური სისტემა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. ერთღმერთიანობის (არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა) აღიარება, ღვთის უზენაესობის ცნობა და მისი საქმისადმი მორჩილება.
2. ღვთაებრივი ზეშთაგონება და მისი ფუძემდებლური როლი კანონების განმარტებისას.
3. ადამიანთა საქმიანობაში ღვთის სახელით ისლამური ტრადიციების დამკვიდრება.
4. სამართლიანობა და ღვთისმოსაობა.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1994: 15.

მრავალი არაბული ქვეყნის კონსტიტუცია რელიგიურ პრინციპს უკავშირებს პიროვნების სამართლებრივ სტატუსს. მაგ., თუნისის **1991 წლის კონსტიტუციით, სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალა**ქეებს „სინდისისა და რელიგიური წესების შესრულების თავისუფლებით იმ პირობით, თუ არ დაარღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს.“ ასეთივე მუხლები არის სირიის (მუხლი 35), ეგვიპტის (მუხლი 46), ლიბიის (მუხლი 2) და სხვა ქვეყნების კონსტიტუციაში. სუდანის კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად:

4 *მაზჰაბ* – საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა.

5 ირანის მოსახლეობა შეადგენს 70,6 მლნ-ს (2010 წლის არაოფიციალური მონაცემები). მოსახლეობის 98% მუსლიმია, აქედან 89% შიიტია და 9% სუნიტი (ძირითადად თურქმანები და არაბები, ბელუჯები, და ქურთები, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სამხრეთ-დასავლეთში და ჩრდილო-დასავლეთით). არ არის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები სუფიზმის მიმდევრებზე, ზოგიერთო ცნობით, ისინი შეადგენენ დაახლ. 2-2,5 მლნ-ს. ყველაზე დიდი არამუსლიმური თემი არის ბაჰაიტები, რომელთა რიცხვი 300,000-დან 350,000-მდეა. იუდეველები - 20,000-30,000; ქრისტიანები - დაახლ. 300,000, რომელთა უმრავლესობა ეთნიკური სომეხია.

„ყველას აქვს უფლება სინდისის თავისუფლებაზე და უფლება დემონსტრირება მოახდინოს ან გაავრცელოს თავისი რელიგია ან რწმენა სწავლების პროცესში, ღვთისმსახურებისას ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. არ შეიძლება ვინმე იყოს იძულებული შეასრულოს რიტუალები, რომლებსაც ის ნებაყოფლობით არ იღებს. ეს უფლება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს საზოგადოებრივ წესრიგს, ან სხვათა გრძნობებს და კანონთან თანხმობაში იყოს." ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში კონსტიტუციური ნორმები, მათ შორის რელიგიურ აღმსარებლობასთან მიმართებაში, ივსება სისხლის სამართლის კოდექსით და სხვა კანონებით. სირიის სისხლის სამართლის **307-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი** მოქმედება, წერილობითი ან ზეპირი განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს ან თავისი შედეგებით გამოიწვევს რელიგიურ ან რასობრივ შუღლს, ან დაპირისპირებას საზოგადოების სხვადასხვა თემებს და ფენებს შორის, კვალიფიცირდება როგორც დანაშაული და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6 თვიდან ორ წლამდე, აგრეთვე ჯარიმას და ასეთი დანაშაულის ჩამდენ პირს არა აქვს უფლება დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა ან იყოს არჩეული.

ირანის კონსტიტუციით, „ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობა და მუსლიმები ვალდებული არიან ისლამური კეთილზნეობა და სამართლიანობა გამოიჩინონ ქვეყანაში მცხოვრები არამუსლიმებისადმი, დაიცვან მათი ადამიანური უფლებები. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც ისლამისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას არ ეწევა" (მუხლი 14). ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერსა და ქვეყნის უზენაეს ხელისუფალს ეწოდება *რაჰბარი*, რომელსაც ირჩევს 86 მუსლიმი სწავლული. რაჰბარს შეუძლია ვეტო დაადოს პრეზიდენტის ნებისმიერ ინიციატივას. თავის მხრივ, ზედამხედველობის საბჭოს ფუნქციას შეადგენს პარლამენტის მიერ მიღებული ნებისმიერი კანონისა თუ გადაწყვეტილების ისლამის ნორმებთან შესატყვისობის შემოწმება და, შესაბამისად, დამტკიცება ან უარყოფა.

ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში (ლიბია, ეგვიპტე, იემენი და სხვ.) მოქმედებს ისლამური კანონმდებლობის სამართლებრივი ნორმები, სამართლის ძირითად წყაროდ კი ითვლება ყურანი. მრავალი კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ ქვეყნის კანონმდებლობა უნდა დაეფუძნოს ისლამის პრინციპებს. „ისლამი არის სახელმწიფო რელიგია, ხოლო ისლამური სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს კანონმდებლობის ძირითად წყაროს" – ნათქვამია იემენის **1991 წლის კონსტიტუციაში (მუხლი 2). სუ**დანის კონსტიტუციის **55-ე მუხლი ადგენს კანონმდებლობის შემდეგ წყაროებს: „ისლამური სამართა**ლი და ერის მიერ რეფერენდუმზე გამოხატული კონსენსუსი, კონსტიტუცია და ტრადიცია." ეგვიპტის კონსტიტუციის მე-2 მუხლი სამართლის ძირითად წყაროდ აცხადებს შარიათის პრინციპებს. შარიათის დაცვა მუსლიმი მოქალაქეების არა მხოლოდ რელიგიური, არამედ სამართლებრივი ვალდებულებაა. განსაზღვრული სახელმწიფო სტრუქტურები (მაგ., საკონსულტაციო საბჭო) აგებულია ისლამური ტრადიციების გათვალისწინებით. 1980 წლის კანონით, ეგვიპტეში სახელმწიფო თანამდებობის დაკავება ეკრძალებათ იმ პირებს, რომლებიც უარყოფენ „ღვთიურ კანონებს." ლიბიაში ისლამი გამოცხადებულია სახელმწიფო რელიგიად, ხოლო კანონმდებლობის ძირითად წყაროდ – შარიათი. 1977 წელს მიღებულ „დეკლარაციაში ხალხის ხელისუფლების დამყარების შესახებ" გამოცხადებულია, რომ „წმინდა ყურანი არის ლიბიის სოციალისტური სახალხო არაბული ჯამაჰირიის კონსტიტუცია." აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური ფაქტორი ტრადიციულად ყოველთვის ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ლიბიის სახელმწიფოში. ლიბიის მონარქი იყო სენუსიტების ორდენის წინამძღოლი (ლიბიის მუსლიმების 30% იყო სენუსიტების ორდენის მოძღვრების მიმდევარი). მონარქიის პერიოდში მრავალმა ულემმა მიიღო მნიშვნელოვანი პოსტი პროვინციულ მმართველობაში და სასამართლო ორგანოებში. **1969 წელს ხე**ლისუფლების სათავეში მოვიდა რევოლუციური საბჭო, მუამარ კადაფის ხელმძღვანელობით და სახელმწიფო ორგანოების სისტემის ფორმირებისას განსაკუთრებული აქცენტი გადაიტანა მათ ისლამურ ხასიათზე. მუამარ კადაფის „მწვანე წიგნში" ნათქვამია: „რელიგია, ტრადიციების ჩათვლით, არის ბუნებრივი კანონის დადასტურება. კანონები, რომლებიც არ ემყარება რელიგიას და ტრადიციებს, სპეციალურად არის შექმნილი ადამიანის მიერ ადამიანის წინააღმდეგ და ამიტომ არ არის სამართლიანი, რადგანაც ისინი არ ეფუძნება ბუნებრივ წყაროს – ტრადიციებს და რელიგიას."

1991 წლის მავრიტანიის კონსტიტუცია აცხადებს ისლამს „ხალხისა და სახელმწიფოს რელიგიად" (მუხლი 5). ალჟირის 1996 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში ხაზგასმულია ისლამის ისტორიული ფასეულობების განუყოფელი კავშირი ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. ალჟირი გამოცხადებულია „ისლამის მიწად," ხოლო კონსტიტუციის მე-**9 მუხლი პირდაპირ კრძა**ლავს სახელმწიფო დაწესებულებებში პრაქტიკას, რომელიც „ეწინააღმდეგება ისლამურ მორალს." რაც შეეხება სუდანს, კონსტიტუციის მე-**18 მუხლი განამტკიცებს რელიგიის პრინციპებს, უწესებს სახელ**მწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე მუსლიმებს პატივი სცენ და

დაიცვან „ყურანის პრინციპები, ხოლო დანარჩენმა ადამიანებმა უნდა დაიცვან რელიგიური პრინციპები და ასახონ ისინი თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, ქვეყნის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, სოციალური სამართლიანობის პრინციპების მისაღწევად ღვთის სამეფოში."

შარიათის სასამართლოები მოქმედებს სპარსეთის ყურის ყველა მონარქიაში, მაგრამ ძირითადად კერძო და საოჯახო სამართლის სფეროში. შარიათის მოქმედება განსაკუთრებულია მხოლოდ საუდის არაბეთში და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ირანის კონსტიტუციის თანახმად: „ისლამური რესპუბლიკა – ეს არის მმართველობის სისტემა, რომელიც ეფუძნება ერთღმერთიანობის რწმენას, და რომ ღმერთისგან ზეგარდმოვლენილია შარიათის კანონები, და ადამიანი უნდა დაემორჩილოს მის ნებას" (მუხლი 2). ქუვეითის (მუხლი 2), კატარის (მუხლი 1), ბაჰრაინის (მუხლი 2), არაბთა გაერთიანებული საამიროების (მუხლი 7), ომანის (მუხლი 2) კონსტიტუციების თანახმად, შარიათი არის კანონმდებლობის „მთავარი", „ფუნდამენტური" წყარო, რაც უშვებს სხვა წყაროების არსებობის შესაძლებლობას. ბაჰრაინში სასამართლოები ორ კატეგორიად იყოფა: სამოქალაქო, რომელიც კომპეტენტურია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს და შარიათის სასამართლოები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას პირადი სტატუსის საკითხზე. შარიათის სასამართლოები, რომლებსაც გააჩნიათ სუნიტური და ჯაფარიტული (შიიტური) დანაყოფები, კომპეტენტურია იმ საკითხებში, რაც ეხება ქორწინებას და გაყრას, მემკვიდრეობას, მეურვეობას ბავშვებზე. სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებას პირად სტატუსზე იმის მიხედვით, თუ რომელ ისლამური სამართლის სკოლას ეკუთვნის მოსარჩლე, რაც ეთანხმება კონსტიტუციით განმტკიცებულ რელიგიის თავისუფლების პრინციპს. სასამართლო სისტემა არ ითვალისწინებს არანაირ განსხვავებას ბაჰრაინელებსა და სხვა ეროვნების წამომადგენლებს შორის, როცა საქმე ეხება საპროცედურო საკითხებს. მუსლიმებს შორის დავა წყდება შარიათის სასამართლოებით, ხოლო სხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის სამოქალაქო სასამართლოებით. ანალოგიური დუალისტური სისტემა ჩამოყალიბდა კატარში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, მაროკოსა და ომანში. 1993 წელს არაბთა გაერთიანებული საამიროების უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ შარიათით გათვალისწინებული სასჯელი არ გამოიყენონ არამუსლიმების მიმართ. საამიროებში არამუსლიმ პატიმარს, რომელიც მიიღებს ისლამს, სასჯელი უმცირდება. ეს წესი ვრცელდება მუსლიმ პატიმარზეც, რომელიც მთელ ყურანს ან მის ნაწილს ზეპირად დაიმახსოვრებს. რელიგიური და ეროვნული დღესასწაულების დროს საამიროების სახელმწიფო ხელისუფლების დადგენილებით ცხადდება ამნისტია პატიმართათვის მათი რელიგიური შეხედულებებისა და მრწამსის მიუხედავად. 2001 წელს ქუვეითში დაფუძნდა შიიტური სააპელაციო სასამართლო, რომელიც იხილავს საოჯახო სამართლის საქმეებს. იორდანიაში არამუსლიმებისათვის არის ცალკე სასამართლოები, მაგრამ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები წყდება მხოლოდ ისლამური სამართლის მიხედვით. არაბული რესპუბლიკების კონსტიტუციები ხაზგასმით აცხადებს ყველა მოქალაქის თავისუფლებას, რათა მან მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცხოვრებაში. არ შეიძლება დისკრიმინაცია სქესის, კანის ფერის, ეთნიკური წარმოშობის, ენის, სოციალური მდგომარეობის ან რელიგიის გამო. თუმცა განქორწინების დროს გამოიყენება მხოლოდ მუსლიმური კანონმდებლობა. რაც შეეხება არაბულ რესპუბლიკებს, არის შარიათის სასამართლოებიც და სხვა რელიგიური თემების სასამართლოებიც. მაგ., სირიაში ცალკეა დრუზების სასამართლო და ცალკე – სპეციალური სასამართლო არამუსლიმური თემების (კათოლიკები, პროტესტანტები, მართლმადიდებლები და იუდევლები) წარმომადგენელთათვის. ეს სასამართლოები იყენებენ იმ სასამართლო ნორმებს, რომლებიც აღიარებულია შესაბამის რელიგიურ თემში.

არაბულ ქვეყნებში ისლამი არის აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის სისტემის საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება პრეზიდენტის ინსტიტუტს. სახელმწიფოს მეთაურის პოსტის დასაკავებლად ძირითადი პირობა არის ისლამის აღმსარებლობა, ხოლო პრეზიდენტის თანამდებობაზე – ოფიციალური ფიცის დადება „ალაჰის სახელით." შარიათის ეს მოთხოვნა განმტკიცებულია ყველა სახელმწიფოს კონსტიტუციაში (ლიბანის გარდა). მუსლიმური რწმენისადმი კუთვნილება სახელმწიფოს მეთაურისათვის აუცილებელია იმიტომ, რომ ის იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს ქვეყანაში. ამდენად ეს გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს ისლამის დოგმებს. მუსლიმი იურისტების აზრით, ამ მოთხოვნას ვერ შეასრულებს სხვა სარწმუნოების აღმსარებელი, რომელსაც შესაბამისი შინაგანი რწმენა არ გააჩნია. გამონაკლისს წარმოადგენს ლიბანის კონსტიტუცია, სადაც სახელმწიფო მმართველობის სისტემის საფუძველი არის კონფესიური სისტემა. ლიბანში ყველაზე დიდ თემად ითვლებოდა მარონიტების თემი; არიან აგრეთვე მართლმადიდებლები, სუნიტები, შიიტები, დრუზები, და ბერძე-

ნი-კათოლიკეები. არაბულ ქვეყნებში იყო ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაციის რამდენიმე მაგალითი კონფესიურ საფუძველზე. სირიასა და ერაყში **50-იან წლებამდე დეპუტატთა პალატაში აირ**ჩეოდა განსაზღვრული რაოდენობა სხვადასხვა რელიგიური თემების წარმომადგენელთაგან. ერაყში 6 ადგილი განკუთვნილი იყო ქრისტიანებისათვის. სირიაში, **1949 წლის საარჩევნო კანონით, დეპუტატ**თა პალატაში აირჩეოდა **86 მუსლიმი, 15 ქრისტიანი, 1 იუდეველი და 6 ბედუინთა ტომების წარმო**მადგენელი. ამჟამად კონფესიური სისტემის კლასიკური ფორმა არსებობს მხოლოდ ლიბანში.

პრეზიდენტის გარდა, სხვა უმაღლესი სახელმწიფო პოსტების დასაკავებლად აუცილებელი არ არის რელიგიური ცენზი. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ სახალიფოს პერიოდში ვაზირების და პროვინციათა მმართველების პოსტები ეკავათ არამუსლიმებსაც. თანამედროვე კანონმდებლობა ზოგ შემთხვევაში სცილდება ამ პრაქტიკას. მრავალ არაბულ ქვეყანაში მთავრობის წევრებისათვისაც აუცილებელია პრეზიდენტის ანალოგიური ფიცის დადება თანამდებობის დაკავებისას, მაგრამ ამ ფიცს დებენ უკვე სახელმწიფოს მეთაურის წინაშე. საუდის არაბეთის მინისტრთა საბჭოს კაბინეტის წევრი ვერ შეძლებს თანამდებობის დაკავებას, თუ არ წარმოთქვა შემდეგი ფიცი: „ვფიცავ ყოვლისშემძლე ალაჰს, რომ ვიქნები ერთგული ჩემი რწმენის (რელიგიის), ჩემი მეფისა და ჩემი ქვეყნის; არ გავამხელ სახელმწიფო საიდუმლოებას, დავიცავ სახელმწიფოს ინტერესებს და მის პრინციპებს და შევასრულებ ჩემს ვალდებულებებს პატიოსნად და ლოიალურად." ქუვეითის ამირა ტახტის დაკავებისას წარმოთქვამს ფიცს, რომელიც დაფიქსირებულია კონსტიტუციაში: „ვფიცავ ყოვლისშემძლე ალაჰს, რომ პატივს ვცემ კონსტიტუციას და ქვეყნის კანონებს, ვიზრუნებ ხალხის თავისუფლების, მათი ინტერესებისა და ქონებრივი უფლებების დაცვაზე, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობაზე." ფიცის წარმოთქმა აუცილებელია ქუვეითის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებისათვისაც: „ვფიცავ ყოვლისშემძლე ალაჰს, რომ ვიქნები სამშობლოსა და ამირას ერთგული, პატივს ვცემ კონსტიტუციას და სახელმწიფოს კანონებს, ვიზრუნებ ხალხის თავისუფლების, მისი ინტერესებისა და ქონებრივი უფლებების დაცვაზე, აგრეთვე პირნათლად შევასრულებ ჩემს მოვალეობებს." სირიის კონსტიტუციის თანახმად, ასეთ ფიცს დებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მინისტრები და მათი მოადგილეები, ხოლო ეგვიპტეში – ეროვნული კრების დეპუტატებიც თავისი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე.

ისლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება განაპირობებს სპეციალური ორგანოების ჩამოყალიბებას რელიგიური საქმეების მართვისათვის. გამოიყოფა ასეთი ინსტიტუტების ორი ტიპი: პირველი წარმოდგენილია სახელმწიფო მმართველობის ორგანოებით – ვაკუფთა და რელიგიურ საქმეთა სამინისტროები, რომელთა ორგანიზაციული სტრუქტურა რეგულირდება სპეციალური აქტებით; მეორე ჯგუფს შეადგენენ ისეთი ორგანოები, რომლებიც ასრულებენ მუსლიმური სამღვდელოების ტრადიციულ ფუნქციებს. მაგ., უმაღლესი ისლამური საბჭო (ალჟირში, ეგვიპტეში, მავრიტანიაში, **2004 წლი**დან ჯიბუთიში) ჩამოყალიბებულია ჩვეულებრივ სახელმწიფოს მეთაურთან როგორც საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც შედის თავისი აზრის გამოხატვა იმ საკითხებზე, რომლებიც გადაეცემა განსახილველად პრეზიდენტის მიერ. სათათბირო ორგანო ვალდებულია განიხილოს ეს საკითხები რელიგიური მითითებების შესაბამისად. ყველა არაბულ მონარქიაში ჩამოყალიბებულია ასეთი ორგანო, რომელიც არსებობს იუსტიციის სამინისტროსთან. სპარსეთის ყურის ყველა მონარქიაში ჩამოყალიბდა ისეთი სისტემები, რომლებიც ნებას რთავს სახელმწიფოს მეთაურს განახორციელოს კონტროლი რელიგიურ ინსტიტუტებზე და შეზღუდოს მათი მისწრაფება ჩაერიონ პოლიტიკაში. მაგ., ომანში მთავარი მუფთი ინიშნება სახელმწიფოს მეთაურის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ სულტანი აკონტროლებს მის საქმიანობას. ამის პარალელურად, სახელმწიფოს მოთხოვნით, ყველა იმამმა ხუტბა (ქადაგება) უნდა წარმოთქვას სტანდარტული ტექსტის შესაბამისად, რომელსაც ყოველთვიურად ამუშავებს ვაკუფთა და ისლამურ საქმეთა სამინისტრო. მეჩეთებში არის მონიტორინგის სამსახური, რათა იმამებმა არ განიხილონ პოლიტიკური საკითხები. ისლამურ საქმეთა სამინისტრომ გახსნა ვებგვერდი, სადაც დიდი მუფთი პასუხობს კულტის მსახურთა შეკითხვებს. ბაჰრაინში სახელმწიფო ფონდები, მონიტორინგის სამსახურები აკონტროლებენ ყველა რელიგიურ ინსტიტუტს, სუნიტურ და შიიტურ მეჩეთებს, შიიტურ *მა'თამებს* (რელიგიური თემების ცენტრი), შიიტურ და სუნიტურ ვაკფებს,[6] რელიგიურ სასამართლოებს. საუდის არაბეთში ისლამურ საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს და

6 ვაკფი [ვაკფ, მრ. რ. აუკაფ, ვუკუფ] – მიწა და სხვა ქონება მუსლიმურ სახელმწიფოში, რომელთაც მფლობელი წირავდა მუსლიმურ და საქველმოქმედო დაწესებულებებს (მეჩეთებს, მედრესეებს, ქსენონებს, ღარიბთა თავშესაფრებსა და სხვ.). ისლამური სამართლის მიხედვით ვაკფი არის ორი სახის: 1. როცა შემწირველი მთლიანად კარგავდა უფლებას შეწირულ ქონებაზე; 2. როცა შემოსავლის ნაწილი რჩებოდა შემწირ-

აფინანსებს მეჩეთების მშენებლობას, თუმცა მეჩეთების 30% შენდება კერძო პირების მიერ. უცხოელ იმამებს ეკრძალებათ პარასკევის ლოცვის წარმართვა. სამინისტრო უხდის ხელფასს იმამებს და სხვა კულტის მსახურებს მეჩეთში და განსაზღვრავს იმამების კვალიფიკაციას.[7] საუდის არაბეთის მეჩეთებში იმამ-ხატიბები ხშირად გამოდიან ანტისემიტური და ანტიქრისტიანული ქადაგებებით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 2006 წლის იანვარში მოციქულ მუჰამადზე კარიკატურების პუბლიკაციების (თავდაპირველად დანიასა და ნორვეგიაში, ხოლო შემდეგ ზოგიერთ სხვა ევროპულ ქვეყანაში) სკანდალის და სექტემბერში რაგენსბურგის უნივერსიტეტში პაპის – ბენედიქტე XVI-ის გამოსვლის შემდეგ.[8] თუნისში პრეზიდენტი ნიშნავს დიდ მუფთის. 1988 წლის კანონით მეჩეთებზე, მხოლოდ სახელმწიფოს დანიშნულ იმამებს შეუძლიათ მეჩეთებში ღვთისმსახურების შესრულება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხია, თუ რამდენად პროპორციულად არიან წარმოდგენილი სხვადასხვა კონფესიის ადამიანები სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოში. საუდის არაბეთში მთელი ხელისუფლება ეკუთვნის მონარქს. ტახტის მემკვიდრე ინიშნება მეფის სიცოცხლეში უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტების თანხმობით. საკონსულტაციო საბჭოში (*შურა*), რომელსაც თავმჯდომარეობს პრეზიდენტი, არის 150 წევრი. მხოლოდ 1996 წელს ამ საბჭოში შეიყვანეს ერთი შიიტი (დოქტორი ჯამილ ალ-ჯიშში), ხოლო 2001 წლის ზაფხულში – სამი, რამაც მუსლიმი რადიკალების პროტესტი გამოიწვია. ამჟამად საბჭოს შემადგენლობაში **5 შიიტია. შიიტებს არ შეუძლიათ აგრეთვე** ეროვნული გვარდიის ელიტარულ ქვედანაყოფში და უშიშროების ორგანოებში სამსახური. საუდის არაბეთის 59 გუბერნატორიდან მხოლოდ სამია შიიტი.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში რელიგიური უმცირესობები არ აირჩევიან წარმომადგენლობით ორგანოებში, და არ უკავიათ რაიმე მაღალი სახელმწიფო თანამდებობა. ირანის ისლამური რესპუბლიკის მეჯლისში რელიგიურ უმცირესობებს გამოყოფილი აქვთ მხოლოდ **5 ადგილი (290-დან) – 3 ადგილი** გამოყოფილი აქვთ ქრისტიანებს (აქედან 2 ადგილი სომეხ ქრისტიანებს და 1 ადგილი – ასირიელ ქრისტიანებს), 1 ადგილი – იუდეველებს და 1 ადგილი – ზოროასტრელებს. სუნიტებს არა აქვთ არც ერთი ადგილი. რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს აქვთ საარჩევნო ხმის უფლება, მაგრამ არ შეუძლიათ (მათ შორის სუნიტებს) პრეზიდენტის პოსტის დაკავება.

ბაჰრაინში სუნიტებს აქვთ უპირატესი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ შიიტები შეადგენენ მოსახლეობის **2/3-ს. მეფე და ალ-ხალიფას მმართველი ოჯახი ეკუთვნის ისლამის სუნიტურ მიმართულებას.** შესაბამისად, სახელმწიფო თანამდებობებზე ძირითადად ინიშნებიან სუნიტები, შიიტებს არ უკავიათ რაიმე თანამდებობა თავდაცვის სფეროში. საკონსულტაციო საბჭოში (40 წევრი) არის **1 ქრისტიანი და 1 იუდეველი. 2005 წელს ბაჰრაინის სამეფოში მომხდარ პოლიტიკურ სკანდალს ად**გილობრივმა მიმომხილველებმა უწოდეს „ბანდარგეიტი." მისი არსი ისაა, რომ ბაჰრაინის მინისტრთა საბჭოს და სტატისტიკური სამთავრობო სააგენტოს თანამშრომელმა, სალაჰ ალ-ბანდარმა დაადანაშაულა ხელისუფლება შიიტების საკონსტიტუციო უფლებების დარღვევაში. სალაჰ ალ-ბანდარი წარმოშობით სუდანელი, ბრიტანეთის მოქალაქე და რელიგიური აღმსარებლობით მუსლიმი-სუნიტია. მან აღმოაჩინა დოკუმენტების სერია, რომლებიც ადასტურებს მთავრობის ბრალეულობას. ამ დოკუმენტებს შორის არის საბანკო ანგარიშები, რომლებზეც ირიცხებოდა მნიშვნელოვანი თანხები სამთავრობო წყაროებიდან ანტიშიიტურად განწყობილი პოლიტიკოსებისათვის. მთავრობის ასეთი ქმედებების მიზანი იყო შიიტი ოფიციალური პირების დისკრედიტირება, რათა დაეთხოვათ ისინი სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

ველისა და მისი შთამომავლების სამემკვიდრეო სარ-გებლობისათვის. ამჟამად მუსლიმურ ქვეყნებში არსებობს სპეციალური სამინისტროები, რომლებიც განაგებენ ვაკფს.

7 ქვეყანაში არის 73 ათასი სუნიტური მეჩეთი და 50,000 კულტის მსახური, რომლებიც ექვემდებარებიან ისლამურ საქმეთა სამინისტროს. მხოლოდ ორი მეჩეთი მექასა და მედინაში ექვემდებარება ორი წმინდა ადგილის საქმეთა გენერალურ სამმართველოს, რომელიც უშუალოდ ანგარიშვალდებულია მეფის წინაშე. იმამები ყოველთვიურად იღებენ ანაზღაურებას 500-დან 800 დოლა-რამდე (1,875-3,000 რიალი). ხატიბები, რომლებიც წარმართავენ პარასკევის ლოცვას დამატებით იღებენ 425 დოლარს (1,593 რიალი). შიიტი კულტის მსახურები არ ფინანსდებიან ისლამურ საქმეთა სამინისტროდან.

8 პაპმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ისლამი, მოციქულ მუჰამადის პიროვნება და ღვთიური ატრიბუტები, როგორც ისინი წარმოდგენილია ყურანში." მუსლიმები განსაკუთრებით აღაშფოთა ფრაზამ: „ისლამი გავრცელდა მახვილით." საუდის არაბეთის პოზიცია ოფიციალურად დაფიქსირდა სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის – პრინც საუდ ალ-ფაისალის წერილში თავისი ვატიკანელი კოლეგისადმი (2006 წლის 16 სექტემბერს).

იორდანიის პარლამენტის ქვედა პალატაში 110 ადგილიდან 9 ქრისტიანებს უკავიათ, მაგრამ დრუზებს (მათ საერთოდ არ აღიარებენ მუსლიმებად) და სხვა რელიგიურ თემებს არც ერთი ადგილი არა აქვთ. 2006 წელს ქუვეითის ეროვნულ ასამბლეაში 50-დან მხოლოდ 4 შიიტი აირჩიეს (წინა მოწვევის პარლამენტში 5 იყო). მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში, ინფორმაციის მინისტრის გარდა, არც ერთი შიიტი არ ყოფილა. 2007 წლის მარტში ჩამოყალიბებულ მინისტრთა კაბინეტში დატოვეს ერთი შიიტი ძველი კაბინეტიდან და დამატებით ერთი ახალი წევრი შეიყვანეს შიიტური თემიდან. შიიტები არ არიან არმიაშიც. იორდანიაში გარკვეული თანამდებობები სამხედრო სტრუქტურებში გათვალისწინებულია ქრისტიანებისათვის (4%), მაგრამ ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა უკავიათ მუსლიმებს. დივიზიების და არმიების მეთაურები ხელმძღვანელობენ ლოცვას ცალკეულ შემთხვევებში. 2006 წლის 26 დეკემბერს მეფე აბდალაჰ II პირველად შეხვდა ევანგელიკური ეკლესიის წარმომადგენლებს, რაც ჩაითვალა რელიგიათშორისი დიალოგის დაწყების წინაპირობად. ბოლო პერიოდში ადგილობრივ გაზეთებში ბევრი კრიტიკული წერილი იბეჭდება ევანგელიკურ ეკლესიაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა არაბულ ქვეყანაში იკრძალება პროზელიტიზმი (მისწრაფება თავის სარწმუნოებაზე სხვების მოქცევისაკენ) არამუსლიმთა მიერ.[9] 2008 წლის თებერვალში ალჟირში მიიღეს კანონი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებს (ქრისტიანულ) პროზელიტიზმს. 2008 წლის 3 ივლისს 2 ალჟირელს, რომელთაც მიიღეს პროტესტანტობა, მიესაჯათ პირობითი სასჯელი – 6 თვით პატიმრობა. პროზელიტიზმის პრობლემა აქტუალური გახდა ეგვიპტეში 1980-იანი წლების დასაწყისში, როდესაც კოპტმა ზაქარია ბუტრუსმა დაახლ. 500 მუსლიმი დაარწმუნა მოქცეულიყვნენ ქრისტიანობაზე. მისი საქმიანობა შეფასდა, როგორც პროზელიტიზმი და ორჯერ ჩასვეს ციხეში, რის შემდეგაც იძულებული გახდა, დაეტოვებინა ეგვიპტე (Darwish, 2006: 6).

საუდის არაბეთში იკრძალება არამუსლიმთა ყოველგვარი რელიგიური აქტივობა და არამუსლიმური სიმბოლოებისა და ლიტერატურის შეტანა ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს დაპატიმრებას, გაშოლტვას ან დეპორტაციას. მაროკოში დაშვებულია ბიბლიის გაყიდვა ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ენაზე, მაგრამ იზღუდება ლიცენზიის გაცემა არაბულენოვანი ბიბლიის დაბეჭდვაზე და გავრცელებაზე (კანონი აკრძალვის შესახებ არ არსებობს). მაროკოში დაფიქსირებულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დააპატიმრეს ქრისტიანები ლიტერატურის ფოსტით მიღების გამო. კატარში ფორმალურად სახელმწიფო კრძალავს არამუსლიმური რელიგიური ლიტერატურის გავრცელებას, მაგრამ ინდივიდუალურად, პირადი მოხმარებისათვის მისი შემოტანა არ იკრძალება. ომანში იკრძალება არამუსლიმური ლიტერატურის ბეჭდვა, მაგრამ არამუსლიმურ რელიგიურ თემებს შეუძლიათ შემოიტანონ საზღვარგარეთ დაბეჭდილი რელიგიური ლიტერატურა. ომანი არის აგრეთვე პირველი ქვეყანა სპარსეთის ყურეში, სადაც 1998 წელს დაფუძნდა ბიბლიის საზოგადოება. ბაჰრაინში არ იკრძალება ანტიისლამური ლიტერატურა. ბიბლია და სხვა ქრისტიანული ლიტერატურა იყიდება ისლამურ ლიტერატურასთან ერთად. ქუვეითის მთავრობა კრძალავს სახელმწიფო არამუსლიმურ საგამომცემლო კომპანიებს, მაგრამ კერძო კომპანიებს ნება ეძლევათ გამოუშვან არამუსლიმური ლიტერატურა მხოლოდ იმ რელიგიური თემებისათვის, რომლებიც კანონიერად არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ. 2003 წელს საამიროების მთავრობამ დახურა რელიგიური ცენტრი, რომელიც ბეჭდავდა და ავრცელებდა ანტისემიტურ ლიტერატურას. საამიროების ინტერნეტ-სერვისის პროვაიდერმა 2005 წელს დახურა ვებგვერდები, რომლებიც შეიცავდა რელიგიურ ინფორმაციას (იუდაიზმზე, ბაჰაიზმზე და სხვ.). თუმცა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, კერძოდ ალ-აინში გაიხსნა საერთაშორისო ბიბლიური საზოგადოების წარმომადგენლობა, რომელიც ავრცელებს ბიბლიას და სხვა რელიგიურ ლიტერატურას ქრისტიანებისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით. კატარში ქრისტიანული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე იყიდება ადგილობრივ მაღაზიებში და ნებადართულია მისი დაბეჭდვა და გავრცელება. მავრიტანიაში იზღუდება ბიბლიის ან სხვა არამუსლიმური ლიტერატურის ბეჭდვა და გავრცელება, მაგრამ დასაშვებია პირად საკუთრებაში მათი ქონა. ეგვიპტის ალ-აზჰარის ისლამური კვლევების ცენტრს აქვს კანონიერი უფლება ცენზურა გაუწიოს პუბლიკაციებს, რომლებიც ეხება ყურანს და ჰადისებს, ასევე არამუსლიმურ ლიტერატურასაც. 2004 წლის ივნისის ბრძანებით ამ ცენტრს უფლება აქვს რეკომენდაცია გასცეს იმ ლიტერატურის კონფისკაციაზე, რომელთა შინაარსი ეწინააღმდეგება ისლამის ძირითად პრინციპებს. კონფისკაცია ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

არაბულ მონარქიებში სახელმწიფო ცდილობს ისლამური მორალის, კულტურის და ეთიკის განმტკიცებას მოსახლეობის თვითშეგნებაში. ასეთი აუცილებლობა გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

9 უნდა აღინიშნოს, რომ სირიის სამოქალაქო კანონი არ კრძალავს პროზელიტიზმს. თუმცა სახელმწიფო განიხილავს მას, როგორც პოტენციურ საფრთხეს რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობაში.

საუდის არაბეთის კონსტიტუციის მე-9 **მუხლის თანახმად: „საუდის არაბეთის საზოგადოების ძირითადი** საფუძველი არის ოჯახი. მისი წევრები უნდა აღიზარდონ ისლამური რწმენის საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, უზენაესი ალაჰისა და მისი მოციქულისადმი ერთგულებით და მორჩილებით." ეს მუხლი არის უალტერნატივო ნორმა, რომელიც ავალდებულებს ოჯახს თავისი ცხოვრება წარმართოს მხოლოდ ისლამური რწმენის საფუძველზე. ასეთივე იმპერატიულ ხასიათს ატარებს მე-**13 მუხლი, რომელ**იც ეხება განათლების საკითხებს სამეფოში: „განათლების მიზანია აღზარდონ მომავალი თაობა ისლამური რწმენის პრინციპებით." მუსლიმური რელიგიური განათლება სავალდებულოა საუდის არაბეთის სახელმწიფო სკოლებში. კერძო სკოლებში არამუსლიმ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ისლამის სწავლა. რელიგიის თავისუფლების სფეროში ამერიკის საერთაშორისო კომისიის **2007 წლის დასკვ**ნაში აღნიშნულია, რომ სკოლის სახელმძღვანელოები არატოლერანტულად განმარტავენ იუდეველთა, ქრისტიანთა და მუსლიმ-შიიტთა დოქტრინებს. საუდის არაბეთში, როგორც ისლამის სამშობლოში, არის რამდენიმე ისლამური უნივერსიტეტი. სხვა არაბული ქვეყნების ანალოგიური ტიპის უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით, აქ ისწავლება მხოლოდ მუსლიმური თეოლოგია (ისლამური სამართალი, ყურანი და არაბული ენა). საუდის არაბეთის *ალ-აჰსას* უნივერსიტეტში, რეგიონში, რომლის მოსახლეობის 50% შიიტია, პროფესორთა შორის შიიტი არის მხოლოდ 2%, ხოლო დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებს შორის – მხოლოდ 1%. შიიტ მასწავლებლებს უფლება არა აქვთ ასწავლონ რელიგიის ისტორია სკოლებში, განსაკუთრებით სადაც შიიტები ცხოვრობენ, რათა უპირატესობა არ მიანიჭონ შიიზმს. სახელმწიფო ოფიციალურად არ ცნობს შიიტურ *ჰავზათს* (შიიტური სწავლების ცენტრებს), არ აძლევს მათ სერტიფიკატს.

სწავლების ისლამური ხასიათი შენარჩუნებულია, როგორც ნორმა, ბაჰრაინისა და კატარის კონსტიტუციებში. კატარის კონსტიტუციის მე-**8 მუხლის თანახმად, „აღზრდა უნდა მოხდეს არაბულ-მუსლი**მური მემკვიდრეობის გათვალისწინებით." კატარში ისლამურ საქმეთა მინისტრი აკონტროლებს ისლამურ განათლებას მოზარდებისა და ისლამზე ახლადმოქცეულთათვის. ბაჰრაინის კონსტიტუციის მე-7 მუხლი ითვალისწინებს „ისლამურ აღზრდას" განათლების ყველა ეტაპზე. ბაჰრაინში მხოლოდ 2002 წლის ოქტომბერში, პირველად მიეცა ლიცენზია სკოლას, სადაც არის შიიტური კურიკულუმი. ქუვეითის, ომანის, იორდანიის, მაროკოს და საამიროების კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი სწავლების რელიგიურ ხასიათზე, მაგრამ რელიგიური მითითებების დაცვა აუცილებელია ყველა მუსლიმისათვის საჯარო სკოლებში. ამ ქვეყნებში აღზრდისა და განათლების ისლამური ხასიათი რეალიზდება სამთავრობო სტრუქტურების – განათლების სამინისტროს მეშვეობით. ომანში მოქალაქეთა შვილები აუცილებლად უნდა სწავლობდნენ სკოლებში, რომლებიც არის ისლამური. სავალდებულო კურიკულუმია: ყურანი, ჰადისები, მოციქულისა და მისი მიმდევრების ცხოვრება, ისლამის **5 ბურჯი. ომან**ში ისლამის სწავლება სავალდებულოა სამხედრო სამსახურშიც, მაგრამ არამუსლიმ სამხედროებს არ ეკრძალებათ თავიანთი რელიგიური ღვთისმსახურების შესრულება. ქუვეითში მცხოვრები შიიტები, რომელთაც სურთ გახდნენ იმამები, იძულებული არიან განათლება მიიღონ საზღვარგარეთ (ერაყსა და ირანში), რადგანაც ქუვეითის უნივერსიტეტის შარიათის ფაკულტეტზე არ არის შიიტური იურისპრუდენციის კურსები. რომაულმა კათოლიკურმა ეკლესიამ თხოვნით მიმართა მთავრობას, რომ კათოლიკე სტუდენტებისათვის ნება დაერთოთ ესწავლათ კატეხიზისი განცალკევებით იმ პერიოდში, როცა მუსლიმი სტუდენტები გადიან ისლამის კურსს, თუმცა ქუვეითის მთავრობას ჯერ არ დაუკმაყოფილებია ეს თხოვნა. **1996 წელს იორდანიაში შემუშავდა სპეციალური მითითებები ქრისტიანი მოს**წავლეებისათვის საჯარო სკოლებში, **1998 წელს კი – ქრისტიანული განათლების სპეციალური პროგ**რამა. არამუსლიმურ თემებს უფლება აქვთ დააარსონ სკოლები თავიანთი მრევლისათვის, მაგრამ სახელმწიფო ინსპექცია აკონტროლებს მათ პროგრამებს. საჯარო სკოლებში ქრისტიანები და ბაჰაიტები არ არიან ვალდებული გაიარონ ისლამის კურსები, მათ შეუძლიათ აირჩიონ ქრისტიანული დისციპლინები. **1998 წელს გატარდა ღონისძიებები ქრისტიანული კურიკულუმის დანერგვისათვის. იორ**დანიაში მოქმედებს ევანგელიკური თეოლოგიური სემინარი, ქრისტიანული სკოლა პასტორებისა და მისიონერებისათვის. იორდანიაში არის ორი სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც სწავლობენ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის სტუდენტები. ეს არის „რელიგიათშორისი სწავლების სამეფო ინსტიტუტი" და „ისლამური ცივილიზაციის კვლევის სამეფო აკადემია." არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სავალდებულოა შარიათის სწავლება სკოლებში, მაგრამ 4 საამიროში არის ქრისტიანული სკოლებიც (დაწყებითი და საშუალო). მაროკოში ისლამურ საქმეთა სამინისტრომ, 2005/2006 სასწავლო წელს, მუსლიმური სკოლებისათვის მოამზადა სპეციალური თეოლოგიური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქრისტიანობის და იუდაიზმის სწავლებასაც. მუსლიმებს ნება ეძლევათ ისწავლონ ქრისტიანთა და იუდეველთა სკოლებში. მაროკოს მეფე მოჰამედ VI-მ 2005 წელს დააარსა ისლამურ-იუდევლური

ობსერვატორია. მაროკო არის ერთადერთი არაბული ქვეყანა, სადაც არის იუდეველთა მუზეუმი. ეგვიპტეში ქრისტიანთა დისკრიმინაციად განიხილება ის ფაქტი, რომ მათ ეკრძალებათ ალ-აზჰარის ისლამურ უნივერსიტეტში სწავლა. არაბულ ენაში მასწავლებელთა გადამზადების პროგრამაში ჩართული არ არიან ქრისტიანები, რადგანაც პროგრამა ითვალისწინებს ყურანის სწავლებასაც. 2001 წელს კაიროს უნივერსიტეტის არაბული ენის მასწავლებლად პირველად დაინიშნა ქრისტიანი (კოპტი). მავრიტანიაში ყურანის სკოლებშიც და საჯარო სკოლებშიც სავალდებულოა ისლამის პრინციპების და არაბული ენის, როგორც ყურანის ენის, სწავლება. თუნისში არის რელიგიური სკოლები იუდეველთათვის. სირიის სახელმწიფო სკოლებში ოფიციალური ენა არის არაბული, მაგრამ სახელმწიფო უშვებს სომხურის, ებრაულის, სირიულის (არამეულის) და ქალდეურის სწავლებას, როგორც „ლიტურგიკული ენების“ სწავლებას. რელიგიური დისციპლინების (ისლამი და ქრისტიანობა) სავალდებულოა მხოლოდ საშუალო განათლების დონეზე.

ირანში, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვამდე აუცილებელია ისლამურ თეოლოგიაში გამოცდის ჩაბარება, რაც ზღუდავს მრავალი რელიგიური თემისათვის უმაღლესი განათლების მიღებას. ამასთან, სახელმწიფო სკოლების ყველა მოსწავლემ, მათ შორის არამუსლიმებმა, უნდა ისწავლონ შიიტური ისლამი.

რაც შეეხება რელიგიურ დღესასწაულებს, ყველა არაბულ ქვეყანაში აღინიშნება ორი დიდი ისლამური დღესასწაული – *„იდ ალ-ადჰა* (მსხვერპლშეწირვის დღესასწაული) და *„იდ ალ-ფიტრი* (ხსნილის დღესასწაული). საუდის არაბეთში *„აშურა* (შიიტთა მე-3 იმამის – ჰუსაინის გლოვის ათდღიური) დაშვებულია მხოლოდ შიიტებით დასახლებულ რეგიონში – კატიფში (იკრძალება ალ-აჰსასა და დამამში) და პოლიცია აკონტროლებს, ხოლო ბაჰრაინში აშურა ორდღიანი ეროვნული დღესასწაულია. კატარში ამირა უშუალოდ მონაწილეობს საზოგადო ღვთისმსახურებაში რელიგიური დღესასწაულების დროს და პერსონალურად აფინანსებს ღარიბ მუსლიმებს ჰაჯის – მექის მოხილვის რიტუალის შესასრულებლად. ყველა არაბულ მონარქიაში მარხვის დროს არამუსლიმი ვალდებულია საჯაროდ თავი შეიკავოს ჭამა-სმისაგან. 1996 წელს იორდანიაში შობა და გრიგორიანული კალენდრით ახალი წელი გამოცხადდა ეროვნულ დღესასწაულად. 2003 წლიდან ეგვიპტეში მართლმადიდებლური შობა (7 იანვარი) ეროვნულ დღესასწაულად და უქმე დღედ გამოცხადდა. ირანში ძირითადად აღინიშნება შიიტური დღესასწაულები, მათ შორის აშურა, იმამ ალის დაბადების დღე, შიიტების მეექვსე იმამის – ჯაფარ ას-სადიკის გარდაცვალების დღე და სხვ.

არაბული მონარქიების დიპლომატიური პრაქტიკის ძირითადი თავისებურება არის ისლამურ პრობლემატიკაზე ფოკუსირება. ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრ-სახელმწიფოების კონსტიტუციებში თეზისი „ისლამური სოლიდარობის“ შესახებ არის მათი საგარეოპოლიტიკური ხაზის ძირითადი პრინციპი. საუდის არაბეთის კონსტიტუციის **25-ე მუხლში – „ხელისუფლების სისტემის საფუძვლები“** – მითითებულია: „სახელმწიფო განახორციელებს არაბი ხალხის იმედს სოლიდარობისა და ჰარმონიის შესახებ, განამტკიცებს ურთიერთობას მეგობრულ ქვეყნებთან.“ კატარის კონსტიტუციაში ეს თეზისი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „სახელმწიფოს სწამს არაბული ძმობის, ხელს უწყობს სოლიდარობის განმტკიცებას მოძმე არაბულ ქვეყნებთან, მიისწრაფვის არაბი ერის ერთიანობის განტკიცებისაკენ, ყველა შესაძლებლობით მხარს უჭერს ერთობლივ ძალისხმევას არაბული მიზნების მისაღწევად. ის ყოველმხრივ მხარს უჭერს არაბულ სახელმწიფოთა ლიგას და იმ კეთილშობილურ მიზნებს, რომლებსაც აცხადებს მისი წესდება.“ კონსტიტუციაში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ „სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მიმართულია მეგობრობის განმტკიცებისაკენ ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით მუსლიმ ხალხებთან და სახელმწიფოებთან.“ ისინი ცდილობენ აგრეთვე დიპლომატიური ურთიერთობებით განამტკიცონ კონფესიათა თანაბარი უფლებები. 2001 წელს ქუვეითმა და 2002 წელს კატარმა ვატიკანთან დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა.

ირანის კონსტიტუციაში დაფიქსირებულია დებულება, რომ „კონსტიტუცია რომელსაც აქცენტი გადააქვს ისლამური რევოლუციის ძირითად შინაარსზე, იმაზე, რომ იგი არის მოძრაობა ყველა ჩაგრულის მჩაგვრელებზე გამარჯვებისათვის, ამზადებს ნიადაგს ამ რევოლუციის გასავრცელებლად... მის საზღვრებს გარეთ, განსაკუთრებით იღვწის სხვა ისლამურ და სახალხო მოძრაობებთან საერთაშორისო კავშირების გასაფართოვებლად, რათა გააიოლოს გზა, რომელსაც მსოფლიოს ერთიანი თემის შექმნამდე მივყავართ... გააძლიეროს ბრძოლა მთელს მსოფლიოში ჩაგრული და ღატაკი ხალხების გასათვისუფლებლად.“

ცალკე საკითხია არამუსლიმური ტაძრების რეგისტრაცია. ძირითადად იმ რელიგიურ თემებს, რომლებიც არ იხსენიება ყურანში (ბაჰაიზმის, ბუდიზმის, ინდუიზმის, სიკჰთა რელიგიის და სხვ. მიმდევრებს) არ შეუძლიათ რელიგიური ღვთისმსახურების შენობების აგება. საუდის არაბეთის რელიგიური

ავტორიტეტები აცხადებენ: „სამეფოში არ აშენდება არამუსლიმური საკულტო ტაძრები, რადგანაც ეს იგივე იქნებოდა, რომ მეჩეთი აშენდეს ვატიკანის ცენტრში." იორდანიაში არამუსლიმურმა თემებმა უნდა მიმართონ პრემიერ-მინისტრს, რათა მიიღონ ოფიციალური აღიარება. არამუსლიმური რელიგიური ორგანიზაციები არ იღებენ სახელმწიფოსაგან სუბსიდიებს. ისინი ფინანსურადაც და ადმინისტრაციულადაც დამოუკიდებელი არიან სახელმწიფოსაგან და არ იხდიან გადასახადებს. ზოგიერთი ეკლესია დარეგისტრირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროში, როგორც საზოგადოება. მაგ., იორდანია არ ცნობს დრუზების და ბაჰაის თემებს, იეღოვას მოწმეებს, მაგრამ არ კრძალავს მათ რელიგიურ პრაქტიკას. საამიროებში შიიტები შეადგენენ მოსახლეობის 5%-ს. ყველა შიიტური მეჩეთი არის კერძო. სახელმწიფოს მიერ შიიტი იმამები ინიშნება მხოლოდ დუბაიში. არამუსლიმები ვერ იღებენ მიწის ნაკვეთებს ახალი ტაძრების ასაშენებლად. 1999 წელს რას ალ-ხაიმაში მიწის ნაკვეთი გამოუყვეს კათოლიკეებს ეკლესიის ასაშენებლად. მშენებლობა დამთავრდა 2000 წელს, მაგრამ მისი გახსნის ნება არ მისცეს სამშენებლო გეგმის შეცვლის საბაბით. საამიროებში არ არის ბუდისტური ტაძრებიც, მაგრამ ბუდიზმის მიმდევრები კერძო სახლებში ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს. დუბაიში და შარჯაში არის ინდუისტთა თემის სასაფლაო. 2003 წელს კოპტურმა ორთოდოქსულმა ეკლესიამ მოიპოვა უფლება აეშენებინა ეკლესია აბუ დაბიში, რომელიც ერთი წლის შემდეგ გაიხსნა. შარჯაში და ფუჯაირაში გაიხსნა აგრეთვე ინდური ორთოდოქსული და კათოლიკური ეკლესია. კატარში მხოლოდ 1999 წელს მოიპოვეს ოფიციალური აღიარება კათოლიკურმა, ანგლიკანურმა და ორთოდოქსულმა ეკლესიებმა, თუმცა მათ ჰქონდათ პრობლემები საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვაზე. 2008 წლის 14 მარტს ქვეყნის ტერიტორიაზე პირველად გაიხსნა დოჰაში მარიამ ღვთისმშობლის კათოლიკური ეკლესია, რომელშიც ერთდროულად 3000 მლოცველს შეუძლია ღვთისმსახურების შესრულება (მასზე არ არის ჯვარი – მთავარი ქრისტიანული სიმბოლო და სამრეკლო, რაც გამორიცხავს მოწოდებას ლოცვისაკენ სამრეკლოს ზარით). მისი მშენებლობა 18 მლნ ამერიკული დოლარი დაჯდა. ამ თანხის დიდი ნაწილი კატარის შაიხმა ჰამად იბნ ხალიფა ას-სანიმ გამოყო. კატარი გახდა მეხუთე ქვეყანა სპარსეთის ყურეში (ქუვეითის, ბაჰრაინის, საამიროების და ომანის შემდეგ), სადაც გაიხსნა ქრისტიანული ეკლესია. 1997 წლამდე კატარში ოფიციალურად აკრძალული იყო არამუსლიმურ კულტებთან დაკავშირებული რაიმე ცერემონიის ჩატარება. ქუვეითში მხოლოდ 7 ქრისტიანული ეკლესიაა (რომაულ-კათოლიკური, ანგლიკანური, ეროვნული ევანგელიკურ-პროტესტანტული, ბერძნული ორთოდოქსული, სომხური, კოპტური და ბერძნული კათოლიკური) აღიარებული სახელმწიფოს მიერ. ისინი ექვემდებარებიან სოციალურ საქმეთა და შრომის სამინისტროს. სხვა ქრისტიანულ თემებს ნება ეძლევათ კერძო სახლებში შეასრულონ თავიანთი ღვთისმსახურება. ქვეყანაში არის 1200 სუნიტური და დაახლ. 35 შიიტური მეჩეთი. არის აგრეთვე დაახლ. 600 *ჰუსაინია*,[10] რომელთაგან 500 არალიცენზირებულია. ომანში დაშვებულია არამუსლიმური ღვთისმსახურება და თვითონ სულტან კაბუსის ნებართვით გამოიყოფა მიწის ნაკვეთები ინდუიზმის და ქრისტიანული ცენტრების მშენებლობისათვის. ქვეყანაში არამუსლიმი იმიგრანტების ძირითადი ნაწილი არის სამხრეთ აზიიდან. არის კათოლიკური, პროტესტანტული და ინდუისტური ტაძრები. იორდანია არ ცნობს ბაჰაის და დრუზების რელიგიურ თემებს. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, 1999 წლამდე, 1856 წლის ჰუმაიუნის დეკრეტი მოქმედებდა, რომლის მიხედვითაც 10 მოთხოვნის შესრულება იყო აუცილებელი არამუსლიმური ღვთისმსახურების ადგილების რეგისტრაციისათვის. მათ შორის მთავარია ის, რომ მანძილი მეჩეთსა და ეკლესიას შორის უნდა იყოს არანაკლებ 100 მეტრი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვასთან ერთად საჭიროა მეზობელი მუსლიმური თემის თანხმობაც (Ibrahim, 1996: 11-12). ოფიციალური ინფორმაციით, 2005 წლის 30 ივნისიდან 2006 წლის 1 ივლისამდე ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა 63 დეკრეტი გამოსცა ეკლესიების მშენებლობასთან დაკავშირებით (მათ შორის 21 ახალი ეკლესიის მშენებლობა: 14 კოპტური, 2 პროტესტანტული და 2 კათოლიკური ეკლესია; 2 კოპტური თემის საოფისე ნაგებობა; 1 კათოლიკური ჰოსპიტალი).[11] ბაჰრაინში არის სიკჰების ოთხი და ინდუის-

10 ჰუსაინიები – სპეციალური ნაგებობები, სადაც ხდება შიიტთა მესამე იმამის ჰუსაინის დატირება, დეტალურად და პოეტურ-თეატრალიზირებული ფორმით აღიწერება ჰუსაინის რაზმის გზა მედინიდან ერაყში.

11 პრეზიდენტ ნასერის დროს კოპტებს მიეცათ ნებართვა წელიწადში 25 ეკლესიის მშენებლობაზე, სადათის დროს ეს რაოდენობა 25-დან 50-მდე გაიზარდა. ამან გამოიწვია მუსლიმი ფუნდამენტალისტების აღშფოთება და რეალურად უკვე 80-იან წლებიდან ყოველწლიურად საშუალოდ მხოლოდ 5 ეკლესია შენდება (Ansar, 1984: 398). პრეზიდენტის 1998 წლის 13 ბრძანებით, ეკლესიების რემონტზე ნებართვის გაცემა პრეზიდენტიდან გადავიდა მუჰაფაზების მმართველთა იურისდიქციის ქვეშ. 1999 წელს პრეზიდენტ ჰ. მუბარაქის სპეციალური ბრძანებით, ყველა საკულტო ნაგებობის რემონტი რეგულირდება 1976 წლის სამოქალაქო კა-

ტების რამდენიმე ტაძარი. მავრიტანიაში მხოლოდ კათოლიკური ეკლესიაა აღიარებული სახელმწიფოს მიერ. სუდანში, 1975 წლის შემდეგ, ახალი ეკლესიების მშენებლობაზე ნებართვა პირველად გაიცა 2005 წლის ივლისში. 2007 წლის თებერვალში სუდანის პრეზიდენტმა რელიგიის თავისუფლების პრინციპების დასაცავად შექმნა სპეციალური კომისია, რომელშიც 28 წევრია: მოსამართლეები, იუსტიციის მინისტრი და ისლამის, ქრისტიანობის და სხვა ტრადიციული რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები. თუნისის სახელმწიფო ცნობს ყველა ქრისტიანულ და იუდეველურ რელიგიურ ორგანიზაციას, რომლებიც დაფუძნებულია ქვეყნის დამოუკიდებლობამდე (1956). მართალია, კონსტიტუცია უშვებს რელიგიის თავისუფლებას, მაგრამ სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ერთი კათოლიკური ეკლესია და სინაგოგები. თუნისის დიდ რაბინს სახელმწიფო უხდის ხელფასს.

არაბულ ქვეყნებში დაფიქსირებულია ქრისტიანთა დისკრიმინაციის კონკრეტული ფაქტები, რაც იწვევს მათ ემიგრაციას ამ რეგიონიდან. XX ს-ის დასაწყისში ქრისტიანები შეადგენდნენ რეგიონის (ძირითადად პალესტინა, ეგვიპტე, იორდანია, ლიბანი, სირია, ერაყი და თურქეთი) მოსახლეობის 24%-ს, დღეს – მხოლოდ 5%-ს. 1956 წელს ჯიდდაში მუსლიმურმა სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა ჩაეტარებინათ ახლო აღმოსავლეთის „წმენდა“ ქრისტიანი მოსახლეობისაგან. მაგ., კოპტების დაახლ. 15-20% დატოვა ეგვიპტე. ერაყში, სადამ ჰუსაინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, გახშირდა თავდასხმები ქრისტიანებზე, რომელთაც ისლამისტები უწოდებდნენ „ჯვაროსნებს.“ ადგილობრივი ქრისტიანთა სამშვიდობო ასოციაციის მონაცემებით, ერაყში ცხოვრობს დაახლ. 450,000 ქრისტიანი (2003 წელს იყო 800,000). მკვეთრად შემცირდა ქრისტიანთა მიერ ეკლესიებში სიარული და ღვთისმსახურების შესრულება. ბაღდადის ტრადიციული ქრისტიანული რაიონები (დორა და კარადა) ფაქტობრივად დაცარიელდა და მიმდინარეობს ქრისტიანთა შიდა მიგრაცია ქ. არბილში (ერბილი). ქრისტიანთა დევნის ახალი ტალღა ერაყში დაიწყო 2006 წლიდან, ისლამის მისამართით რომის პაპის ბენედიქტ XVI-ის გამონათქვამის საპასუხოდ. გახშირდა ეკლესიების აფეთქებები, რის გამოც ბაღდადის ეკლესიების 60%-ზე მეტი დაიხურა (2003 წლამდე ბაღდადის ქრისტიანული თემი ყველაზე დიდი იყო მთელს ახლო აღმოსავლეთში). მოსულის ეკლესიის ერთ-ერთი მღვდელი გაიტაცეს და თავი მოკვეთეს. 100 წლის შემდეგ კვლავ დააბრუნეს ჯიზია (სულადობრივი გადასახადი, რომელსაც იხდიან მხოლოდ არამუსლიმები) და მრავალ ქრისტიანს აიძულებენ იხადოს ასი ან ათასი დოლარი. ქრისტიან მშობლებს ეშინიათ შვილების გაშვება სკოლებსა და ინსტიტუტებში მათი თანატოლების მხრიდან მუქარის გამო. ქრისტიანმა ქალებმა დაიწყეს აბაიას (მუსლიმი ქალის ზედა სამოსი) და თავსაფრის ტარება, რათა არ განსხვავდებოდნენ მუსლიმი ქალებისაგან. მრავალი სპეციალისტი ვარაუდობს განხეთქილების გაზრდას ლიბანის ქრისტიან და მუსლიმ მოსახლეობას შორის.

არაბულ მონარქიებში რელიგიური ფაქტორის მოქმედების ერთ-ერთი გამოვლინებაა პოლიტიკური პარტიების საქმიანობის აკრძალვა, რაც არღვევს მუსლიმური თემის ერთობას. ეგვიპტის 1977 წლის კანონი პარტიების შესახებ აცხადებს, რომ იკრძალება პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დაფუძნებულია რელიგიაზე. აქედან გამომდინარე, „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაცია არალეგალურია. 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად სახალხო ასამბლეაში აღმოჩნდა „მუსლიმი ძმების“ 88 დამოუკიდებელი კანდიდატი. სირიაში „მუსლიმი ძმების“ წევრებთან თანამშრომლობა ისჯება, გათვალისწინებულია პატიმრობა 12 წლის ვადით.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (ირანი და არაბული ქვეყნები) კონსტიტუციებში შესულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, მაგრამ რელიგიური კუთვნილება არის მათი საზოგადოებრივი სტრუქტურის, პოლიტიკური სისტემების ერთ-ერთი საფუძველი. ეს კი თავისთავად განსაზღვრავს რელიგიის თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას.

ნონით. იმავდროულად ეკლესიებს დაუბრუნდა პრეზიდენტ ნასერის დროს ჩამორთმეული ქონება, მათ შორის მიწები (Leach, 1999). თუმცა ახალი ეკლესიების მშენებლობაზე კვლავ საჭირო იყო პრეზიდენტის ნებართვა (BDHRL, 26.10.2001). პრეზიდენტის 2005 წლის დეკემბრის 291/2005 ბრძანებით, ეკლესიების გაფართოებაზე და გადაკეთებაზე ნებართვის გაცემის უფლება გადაეცა მუჰაფაზეს. ამავე კანონით, ეკლესიებს შეუძლიათ კაპიტალური რემონტის ჩატარება წერილობითი განაცხადის წარდგენის საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. გუბერნატორებმა უნდა განიხილონ ყველა განცხადება 30 დღის განმავლობაში, უარი სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული. თუმცა ეკლესიები (მეჩეთებისაგან განსხვავებით), შენდება არა სახელმწიფო, არამედ თემის სახსრებით (Guindy, 2006: 10).

ეთნოკონფესიური ურთიერთობები არაბულ სამყაროში

„კონფესიური პარლამენტარიზმი“ ლიბანში

ლიბანი ერთადერთი არაბული ქვეყანაა, სადაც ოფიციალურად აღიარებულია 18 რელიგიური თემი: 12 ქრისტიანული,[12] 5 მუსლიმური[13] და 1 ებრაული.[14] ლიბანის პოლიტიკური სისტემა ეფუძნება კონფესიონალიზმს (*ტა'იფიჲჲა*) – სხვადასხვა რელიგიური თემების (ებრაულის გარდა) პროპორციულ წარმომადგენლობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ამგვარ სტრუქტურას ღრმა ისტორიული საფუძვლები აქვს.

ლიბანში ხელისუფლების ეთნოკონფესიური მოწყობის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ჯერ კიდევ 1841 წელს ლიბანის ამირასთან სათათბირო ორგანოს (საბჭოს) ჩამოყალიბება, რომელშიც შედიოდა 10 წარმომადგენელი (3 მარონიტი, 3 დრუზი, 1 სუნიტი, 1 შიიტი, 1 ბერძენი კათოლიკე და 1 ბერძენი ორთოდოქსი), რომელთა კანდიდატურებს წარადგენდნენ შესაბამისი რელიგიური თემები.

1864 წელს, ოსმალეთის იმპერიის მიერ (ევროპული სახელმწიფოების გავლენით) 1861 წლის „ლიბანის ორგანულ სტატუსზე"[15] მიღებული შესწორებით, ლიბანის სამართავად დაინიშნა მთიანი ლიბანის გენერალ-გუბერნატორი (*მუთასსარიფ*), ქრისტიანი. მის დროს ჩამოყალიბდა ცენტრალური ადმინისტრაციული საბჭო, რომელშიც უნდა შესულიყვნენ ადგილობრივი თემების წარმომადგენლები: 4 – მარონიტებიდან, 3 – დრუზებიდან, 2 ადგილი ჰქონდათ მართლმადიდებლებს და თითო-თითო – სუნიტებს და შიიტებს (სულ 12 წევრი, ხოლო 1912 წლიდან – 14 წევრი).

ცენტრალური ადმინისტრაციული საბჭოს არჩევნები ტარდებოდა 2 ტურად. პირველ ტურში აირჩეოდნენ თემის უხუცესები (შაიხები) და მასში მონაწილეობდა საგუბერნიოს ყველა ზრდასრული მამაკაცი. მეორე ტურში თემის უხუცესები ირჩევდნენ საბჭოს წევრებს, სადაც თითოეული მაზრა (კაიმაკამათ) წარმოდგენილი იყო კონკრეტული რელიგიური აღმსარებლობის დეპუტატით (Baaklini, 1976: 49).

ლიბანის ტერიტორია იყოფოდა 7 კაიმაკამად – ქისრავანი, ჯეზინი, მეთნი, შუფი, კურა, ზაჰლია, ბატრუნი, ხოლო 1972 წლიდან მათი რაოდენობა გახდა 8 – ჩამოყალიბდა კიდევ ერთი – დაირ ალკამარი. დასავლელი იურისტების დამსახურებას, რომელთაც შეიმუშავეს 1861 წლის „ორგანული სტატუსი“ და 1864 წლის შესწორება, ის წარმოადგენდა, რომ „გაითვალისწინეს ეთნოკონფესიური თავისებურებები“ და გამოცდილება, რომელიც უკვე დაგროვდა საარჩევნო სფეროში და განამტკიცეს ისინი საკანონმდებლო აქტებით (Зубов, 1990: 2). სწორედ „ლიბანის ორგანული სტატუსის“ შესწორე-

---

12 მარონიტები, ბერძენი კათოლიკეები, სომეხი კათოლიკეები, სირიელი კათოლიკეები, ლათინი კათოლიკეები, ქალდეველები, ბერძენი-ორთოდოქსები, სომეხი-გრიგორიანელები, ასირიელები, პროტესტანტები, კოპტები, სირიელი მონოფიზიტები. ქრისტიანები შეადგენენ ლიბანის მოსახლეობის 37%-ს.

13 ბეირუთის სტატისტიკის კვლევითი ცენტრის მონაცემებით (2010) მოსახლების დაახლ. 27% სუნიტია, 27% – შიიტი, 21% – მარონიტი, 8% – ბერძენი მართლმადიდებელი, 5% – დრუზი, 5% – ბერძენი კათოლიკე და 7% – სხვა ქრისტიანული თემების წარმომადგენელი (ციტ. Lebanon – International Religious Freedom Report, 2010). ხაზგასასმელია, რომ სხვადასხვა სააგენტოების სტატისტიკური მონაცემები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს.

14 2009 წლის მონაცემებით, ლიბანის იუდეველთა არაბიზებული თემი ითვლის 1000-ზე ნაკლებ ადამიანს. 1958 წელს ლიბანში იყო დაახლ. 15 ათასი იუდეველი. არაბ-ისრაელის კონფლიქტების შედეგად იუდეველთა ყოფნა ლიბანის ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა, რამაც აიძულა იუდეველთა თემის წარმომადგენლები წასულიყვნენ ემიგრაციაში, ძირითადად, ისრაელში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

15 ლიბანი უძველესი დროიდან წარმოადგენდა კონფლიქტების ცენტრს რელიგიურ თემებს შორის, განსაკუთრებით ქრისტიან მარონიტებსა და დრუზებს შორის. XIX ს.-ის 40-60-იან წლებში ეს დაპირისპირება შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა. ქვეყანა გაყვეს ორ ოლქად – მარონიტების და დრუზების, მაგრამ ამან ვერ მოაგვარა კონფლიქტი და 1860 წელს დაპირისპირებამ თავის აპოგეას მიაღწია (დამასკოში განხორციელდა ქრისტიანების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა). საფრანგეთი მფარველობდა ქრისტიან მარონიტებს და გადასხა ლიბანში თავისი საექსპედიციო კორპუსი, მაგრამ 1861 წელს ინგლისელთა ზეწოლით გაყვანილ იქნა ლიბანიდან. სპეციალურმა საერთა-შორისო კომისიამ – საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის, პრუსიის, რუსეთის და თურქეთის წარმომადგენლობით – შეიმუშავა „ლიბანის ორგანული სტატუსი“, რომლის მიხედვით მთიანი ლიბანი რჩებოდა განსაკუთრებულ რაიონად და მას მართავდა თურქების მიერ დანიშნული ქრისტიანი (Васильев, 1994).

ბაში იყო ჩამოყალიბებული კონფესიონალიზმის ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების განაწილება ხორციელდებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ამა თუ იმ ეთნორელიგიური ჯგუფის რაოდენობის მიხედვით. ეს პრინციპები საფუძვლად დაედო ლიბანის წარმომადგენლობითი ორგანოების მოწყობას როგორც საფრანგეთის მანდატის, ისე ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში.

1918 წელს, ოსმალეთის იმპერიის მარცხის შემდეგ, საიქს-პიკოს ხელშეკრულების პირობებით, რეგიონის ტერიტორია გაყოფილ იქნა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროებად. ლიბანი მოექცა საფრანგეთის მანდატის იურისდიქციის ქვეშ. 1922 **წლიდან ქვეყანაში დაიწყო მოქ**მედება წარმომადგენლობითმა საბჭომ (გუბერნატორთან არსებულმა), რომელსაც ირჩევდნენ მოსახლეობის მამრობითი სქესის წარმომადგენლები. 1926 **წლის 23 მაისს მიღებულ იქნა ლიბანის პირვე**ლი კონსტიტუცია, რომელმაც განამტკიცა ხელისუფლების ორგანოების არჩევის კონფესიური პრინციპები. მოწვეულ იქნა პირველი პარლამენტი (30 წევრიანი წარმომადგენლობითი საბჭო), რომელმაც აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენტი. კონფესიური პრინციპები განმტკიცდა ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში (Nakash, 2005: 108; Zamir, 1985: 175,182-183, 188-190).

1926 წლის კონსტიტუცია, მუხლი 95:

„სამართლიანობისა და თანხმობის სახელით, დროებითი ღონისძიებების სახით, რელიგიური თემები წარმოდგენილი იქნებიან სამართლიანად სახელმწიფო სამსახურში, პარლამენტში და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში“ (ციტ. Сапронова, 2003:281)

საფრანგეთის მანდატის პერიოდში ჩამოყალიბდა ორი პრინციპული პოზიცია ლიბანის მომავალ სახელმწიფო მოწყობასთან, ლიბანის მცხოვრებთა მოქალაქეობასთან, რეგიონალურ პოლიტიკაში ქვეყნის ადგილსა და როლთან მიმართებაში. თუ მარონიტები მიესალმებოდნენ საფრანგეთის გავლენის გაძლიერებას და ნეგატიურად უყურებდნენ სხვა არაბულ ქვეყნებთან კონტაქტებს, სუნიტები მხარს უჭერდნენ არაბულ ნაციონალისტურ შეხედულებებს, გამოდიოდნენ სამანდატო ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკის წინააღმდეგ (Lyde, 1954: 12).

1941 წლის 26 ნოემბერს გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდეგ, 1943 წელს მიღებული *ეროვნული პაქტით* (არაბ. *ალ-მისაკა ალ-ვატანი* – ზეპირი, „ჯენტლმენური“ შეთანხმება რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, ქრისტიან-მარონიტ ბიშარ ალ-ჰურის და მის პირველ პრემიერ-მინისტრს, მუსლიმი სუნიტ რიად სულჰის შორის). უცვლელი დარჩა ხელისუფლების კონფესიური პრინციპები როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში. საკანონმდებლო ხელისუფლება წარმოდგენილი იყო ეროვნული პალატით, სადაც ადგილებს იყოფდნენ პრაქტიკულად ყველა არსებული კონფესიების წარმომადგენელები განსაზღვრული ოდენობით.[16] ყველაზე მეტი ადგილები პარლამენტში მიიღეს მარონიტებმა და სუნიტებმა, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვანმა თემებმა ქვეყანაში. ტრადიციის შესაბამისად შენარჩუნდა პრინციპი: ყოველ **5 მუსლიმ დეპუტატზე – 6 დეპუტატი ქრისტიანთა**გან. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მარონიტებს უმკვიდრდებოდათ პრეზიდენტის პოსტი, სუნიტებს კი – პრემიერ-მინისტრის და ფინანსთა მინისტრის (ეს ორი პოსტი ერთი და იმავე პირს უნდა დაეკავებინა). დანარჩენი თემების წარმომადგენლები (დრუზები, შიიტები, ბერძნები) იღებდნენ მინისტრების პორტფელებს ქვეყანაში მათი რაოდენობის შესაბამისად. თუმცა ტრადიციისამებრ, დრუზი არის გენერალური შტაბის უფროსი (Shanahan, 2005: 31; El-Khazen, 1991: 5-17).

1943 წლის ეროვნული პაქტი /ძირითადი პუნქტები/:

– მარონიტებმა არ უნდა ისურვონ უცხოეთის ჩარევა [ქვეყნის შინაურ საქმეებში] და მიიღონ ლიბანი, როგორც არაბული ქვეყანა და არა როგორც ერთ-ერთი დასავლური ქვეყანა;

– მუსლიმები – შიიტები და სუნიტები – უარს ამბობენ სირიასთან გაერთიანებაზე;

– პრეზიდენტის პოსტი ყოველთვის უკავია მარონიტს;

16 რელიგიური ნიშნით დაყოფაზე გარკვეულწილად გავლენას ახდენდა აგრეთვე ტერიტორიული ფაქტორი. მთავრობაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ლიბანის რესპუბლიკის ყველა ოლქი. როგორც წესი, მთავრობაში რელიგიურ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპით, მინისტრების პოსტები ასე იყო წარმოდგენილი: 3 სუნიტი, 2 მარონიტი, 2 მართლმადიდებელი, 2 კათოლიკე, 2 შიიტი, 2 დრუზი. ამასთან, 3 მინისტრი წარმოადგენდა ჩრდილოეთ ლიბანს, 4 – მთიან ლიბანს, 2 – ბიკაას, 3 – ბეირუთს და 2 – სამხრეთ ლიბანს. გარდა ამისა, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ხდებოდა მარონიტი, იუსტიციის მინისტრი – ბერძენი მართლმადიდებელი და თავდაცვის მინისტრი – დრუზების თემის წარმომადგენელი (Winslow, 1996: 80).

– პრემიერ-მინისტრის პოსტი ყოველთვის უკავია სუნიტს;
– ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარის პოსტი ყოველთვის უკავია შიიტს (1947 წლის შემდეგ);
– პარლამენტის სპიკერის მოადგილე ყოველთვის უნდა იყოს ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელი;
– პარლამენტში შეფარდება ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის უნდა იყოს 6:5-ზე.

ციტ.: Binder,1966:276; Nakash, 2006: 108.

1932 წლის აღწერის მონაცემებით, ქრისტიანებისა და მუსლიმების თანაფარდობა შეადგენდა 51,2% (30% მარონიტები და დანარჩენი ბერძენი მართლმადიდებლები, ბერძენი კათოლიკეები და სომხები) და 48,8% (უმეტესობა სუნიტები – 22,4% და შიიტები – 19,6%, დრუზები და სხვები – 6,8%). შესაბამისად, ქრისტიანებმა მიიღეს პრეზიდენტის პოსტი, კონტროლი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობაზე და საპარლამენტო უმრავლესობაზე. ეს თანაფარდობა განისაზღვრა საფრანგეთის ხელისუფლების მიერ, რომელიც ქვეყნის მართვაში ეყრდნობოდა ქრისტიან-მარონიტებს და დაინტერესებული იყო ქრისტიანების ხელისუფლების შენარჩუნებით, რათა დაპირისპირებოდა არაბული ნაციონალიზმის იდეას და მანდატის საწინააღმდეგო მოძრაობას (Najem, 1998: 7; Salibi, 1988: 25-26, 32-33, 35; Zamir, 1985: 66-67).

ლიბანელმა მკვლევარმა ჯორჯ ირანიმ ეროვნული პაქტის მიღება შეაფასა როგორც ქრისტიანების „არაბიზაცია“ და მუსლიმების „ლიბანიზაცია“ (Irani, 1989: 5). მარონიტი მწერალი ქამალ იუსუფ ალ-ჰაჯი იყო „პოზიტიური კონფესიონალიზმის“ დამცველი. მისი განცხადებით, კონფესიონალიზმს ისტორიული საფუძვლები ჰქონდა ლიბანში და კანონიერი საფუძველი – კონსტიტუციასა და 1943 წლის ეროვნულ პაქტში. მისი განმარტებით, პაქტის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის აქცევდა ლიბანს ეროვნულ სახელმწიფოდ, რაც მოითხოვდა აღიარებას და ლოიალობას საზოგადოების ყველა სეგმენტიდან. ალ-ჰაჯის დასკვნით, ის, ვინც შეეცდება გააუქმოს კონფესიური წარმომადგენლობის სისტემა, იქნება ლიბანის ერის წინააღმდეგი (Nakash, 2006:110). თუმცა, ყველაზე მეტად 1943 წლის აქტს იცავდა მარონიტების ლიდერი ქამილ შამუნი (1934 წლიდან ლიბანის პარლამენტის წევრი; 1952-1958 წლებში ლიბანის პრეზიდენტი). ამგვარად, 1943 წლის ეროვნული პაქტი თავისი არსით იყო კომპრომისი მარონიტებისა და სუნიტების ელიტას შორის, რომლებიც დომინირებდნენ იმ პერიოდში ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ქრისტიანებმა უარი თქვეს საფრანგეთის მხარდაჭერაზე, ხოლო მუსლიმებმა – სირიასთან გაერთიანების იდეაზე.[17] სხვა თემები, პირველ რიგში დრუზები და შიიტები, ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ (Petran, 1976: 33; Attié, 2004: 8-9; Zogby, 2010: 137).

ხელისუფლების ორგანოებში შერჩევითი წარმომადგენლობის კონფესიური მექანიზმი უზრუნველყოფდა, უპირველეს ყოვლისა, გვაროვნული ელიტის უპირატესობას, რომლისთვისაც ლიბანის საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში დომინანტურ როლთან ერთად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებაც მისაწვდომი გახდა (Lijphart, 1969: 216; 1999: 31-47).

ლიბანის საარჩევნო სისტემის 1922-1973წწ. სტატისტიკამ აჩვენა, რომ ლიბანის პარლამენტის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში მონოპოლია ჰქონდა 294 ოჯახს და გვარს. ამასთან 68 მათგან წარმოდგენილი იყო ეროვნულ პალატაში 5-20-ჯერ. მათ შორის ალ-ჰურის ოჯახი მთიანი ლიბანიდან – 30-ჯერ, 3 ოჯახი – 16-ჯერ, 1 ოჯახი – 14-ჯერ, 5 ოჯახი – 13-ჯერ, დანარჩენი 111 ოჯახი – ორიდან ოთხამდე და 115 – მხოლოდ ერთხელ. ჩრდილოეთ ლიბანში, აკარის რაიონში, სადაც ცხოვრობენ სუნიტები, არჩევის პრივილეგია ჰქონდა მხოლოდ 4 ფეოდალურ ოჯახს – ალ-ალი, ალ-რასი, ალ-მარაბი, ალ-დაგერი. დრუზებს წარმოადგენდნენ არსლანების და ჯუმბლატების ოჯახები (Шайрян, 1991: 114-115; Lyde, 1954: 12). ამგვარად, უფრო მდიდარ ოჯახებს ჰქონდათ ელიტური მდგომარეობა არა მარტო თავიანთ თემებში, არამედ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში.

კონფესიონალიზმა თავისი როლი დაამჩნია ყველა იმ პოლიტიკურ ინსტიტუტს, რაც დამახასიათებელია წარმომადგენლობითი დემოკრატიისათვის. ამ ინსტიტუტებმა ისესხეს ევროპული ფორმები, მაგრამ იმავდროულად არ განუცდიათ არსებითი „ვესტერნიზაცია“ და შეინარჩუნეს აღმოსავლური სახელმწიფოს ტრადიციული ელემენტები.

1943 წლიდან ლიბანში არჩევნები ტარდებოდა ყოველ 4 წელიწადში 1972 წლამდე (99 დეპუტატი), როდესაც შედგა ბოლო საყოველთაო არჩევნები (16, 22 და 30 აპრილი) – 1975-1976წწ. სამოქა-

17 სირიასთან გაერთიანების იდეა პოპულარული იყო ლიბანელ მუსლიმებს შორის და გამომდინარეობდა იქიდან, რომ ორივე სახელმწიფო შედიოდა ოსმალეთის იმპერიის ერთ პროვინციაში.

ლაქო ომის დაწყებამდე.[18] პარლამენტის დეპუტატების რაოდენობა იცვლებოდა, მაგრამ კონფესიათა თანაფარდობა უცვლელად შენარჩუნდა.

მთლიანობაში ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება განისაზღვრებოდა პოლიტიკური პარტიებით და ბლოკებით, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესებს. არაბმა მკვლევარმა ა. ბაალკინმა განიხილა სხვადასხვა პარტიებისა და ბლოკების პოლიტიკური პოზიციები სამოქალაქო ომის წინ და წარმოაჩინა პარტიათა სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებული სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. მისი აზრით, ქვეყანაში იყვნენ ხელისუფლების მომხრეები, რეფორმისტები, მარქსისტები, ნაციონალისტები. ისინი თავის მხრივ იყოფიან ორ ნაწილად: პოლიტიკოსები, რომლებიც შედიან ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოში და პოლიტიკოსები, რომლებიც არ შედიან ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოში. ეროვნულ პალატაში წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი პოლიტიკური ძალები: ქრისტიანული დაჯგუფება – პარტია *ქათაიბ*, *ეროვნული ბლოკი*, *შამუნის ეროვნულ-ლიბერალური პარტია*; მუსლიმური დაჯგუფება – *ნაციონალური ორგანიზაცია*, *ნაციონალური მოწოდება*, *ნაჰჯი*; მუსლიმურ-ქრისტიანული დაჯგუფება – *კონსტიტუციური კავშირი*, *დემოკრატიული საპარლამენტო ფრონტი* და *პროგრესულ-სოციალისტური პარტია*; პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც არ შედიოდა ლიბანის ხელისუფლების ორგანოებში, მოიცავდა ლიბანის კომუნისტურ პარტიას, ლიბანელი ნაციონალისტების ორგანიზაციას, პარტია *ბაასის* (არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია) მომხრეებს და სხვ. (Baaklini, 1976: 124, 137). სახელისუფლებო პარტიები, პირველ ყოვლისა ქრისტიანული, იწონებდნენ ეროვნული პაქტის ყველა პუნქტს, საგარეო და საშინაო პოლიტიკის ჩათვლით – ხელისუფლების განაწილების კონფესიურ პრინციპს, საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მაჟორიტარულ მოწყობას. საპირისპიროდ, მემარცხენეები და ნაციონალური მოძრაობა, რომელთაც არ ჰქონდათ პარლამენტში ადგილები, გამოდიოდნენ ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის, ასევე მისი ეკონომიკური განვითარების გზის მძაფრი კრიტიკით.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გარშემოც აზრთა სხვადასხვაობა იყო. მემარჯვენე ქრისტიანული ძალები ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი პალესტინელთა ყოფნის მიმართ ლიბანში, ამას საზოგადოების დესტაბილიზაციის ფაქტორად მიიჩნევდნენ. ქრისტიანთა უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ყოველ წელს იზრდებოდა: თუ 1970-1971წწ. ის შეადგენდა მოსახლეობის 9-დან 33%-მდე, 1972წლის არჩევნების შემდეგ – უკვე 53%-ს. საპირისპიროდ, მუსლიმური პარტიები მხარს უჭერდნენ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას (1972 წელს მუსლიმური მოსახლეობის 56%) და გამოხატავდნენ საერთოარაბულ სოლიდარობას პალესტინელებისადმი მათ ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის. პოლიტიკური ბანაკების დამოკიდებულება განსხვავებული იყო აგრეთვე არაბულ-ისრაელური კონფლიქტის დარეგულირების მცდელობის მიმართ 1970-იანი წლების დასაწყისში. გაერო-ს 1969 წლის №242 **რეზოლუცია უარყოფითად მიიღო ლიბანის მუსლიმების 64%-მა, ხოლო მხარი დაუჭირა** ქრისტიანების 74%-მა (Зубов, 1990: 92-93).

1948 და 1967 წლებში ლიბანი მონაწილეობას იღებდა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომში. ამის შემდეგ გახდა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის საქმიანობის მთავარი ცენტრი (ბეირუთში განლაგდა ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინა). 1970 წლისათვის პალესტინელი ლტოლვილების რიცხვი ლიბანში 400 ათასს აღწევდა.

1970-იანი წლების დასაწყისში გაძლიერდა პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა ლიბანში, რაც გამოწვეული იყო ხელისუფლების განაწილების კონფესიური სისტემით (1970 წელს მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის შეფარდება **55:45) და მზარდი სოციალ-ეკონომიკური პრობლემებით. პოლი**ტიკური კოალიცია – ნაციონალური მოძრაობის მიზანი იყო ლიბანის კონფესიური სისტემის შეცვლა სამოქალაქო დემოკრატიით – „ერთი მოქალაქე – ერთი ხმა." ამ კოალიციის თავმჯდომარე იყო დრუ-

18 საარჩევნო სისტემის მექანიზმი გამოიყურებოდა ასე: 99 საპარლამენტო მანდატი განაწილებული იყო 26 საარჩევნო ოლქზე. თითოეული ოლქიდან პარლამენტში აირჩეოდა სხვადასხვა რელიგიური თემის განსაზღვრული ოდენობა. თითოეულ ოლქში ერთ ადგილზე რელიგიური თემიდან იბრძოდა რამდენიმე ჯგუფი. იმ ოლქებში, სადაც ცხოვრობდა რამდენიმე რელიგიური ჯგუფი, სხვადასხვა თემების პოლიტიკოსებს უხდებოდათ კენჭი ეყარათ ერთი სიით, რათა არ გაეხლიჩათ ელექტორატი. ამის გამო თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიაში დეპუტატებობის კანდიდატები ქმნიდნენ კოალიცი-ებს – ე.წ. სიებს. ამგვარად, პოლიტიკური მეტოქეობა მიმდინარეობდა სწორედ სიებს შორის და არა ცალკეულ კანდიდატებს შორის (Зубов, 1990: 120; Игнатенко, 1988: 42).

ზი ქამალ ჯუმბლატი.[19] მან განაცხადა: „მხოლოდ სამოქალაქო, პროგრესულ, კონფესიონალიზმისაგან თავისუფალ ლიბანს შეიძლება ჰქონდეს გადარჩენის იმედი“ (Rogan, 2009: 381).

კრიზისის პერიოდში პარლამენტის არჩევნები არ ჩატარებულა 1992 წლამდე. 1972 წელს არჩეული პარლამენტის უფლებამოსილება პერიოდულად გრძელდებოდა. თავდაპირველად, არჩევნები დაგეგმილი იყო 1976 წლისათვის, მაგრამ გადაიდო 26 თვით. შემდეგ ეროვნული პალატის უფლებამოსილება გაგრძელდა ჯერ 1980 წლამდე, შემდეგ – 1983 წლამდე.

დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილებამ ქვეყანაში გამოიწვია მუსლიმური ელიტის მიერ პოლიტიკურ სისტემაში უფლებამოსილებათა გადანაწილების მოთხოვნა.1975 წლის 13 აპრილს ლიბანში დაიწყო სამოქალაქო ომი ერთი მხრივ, პალესტინელებსა და მუსლიმებს და მეორე მხრივ, არმიასა და მემარჯვენე ქრისტიანულ პარტიებს შორის. შეიქმნა საშიშროება ქვეყნის გაყოფისა კონფესიონალური ნიშნით. პარტია *ქათა'იბ* (ბატალიონები) აკონტროლებდა ქრისტიანულ რაიონებს, ხოლო „პატრიოტული და პროგრესული პარტიების, ორგანიზაციებისა და მოღვაწეთა ფრონტი“ – მუსლიმურს. მოწინააღმდეგე მხარეთა შერიგება მოლაპარაკებების გზით არ მოხერხდა (Felton, 2008: 331-332).

> სამოქალაქო ომში, რომელიც 4 ეტაპად მიმდინარეობდა (1975-1977, 1978-1981, 1982-1983, 1983-1990) და 15 წელს გაგრძელდა, დაახლ. 150,000 ადამიანი დაიღუპა. ამ ომში ჩაერთო სირია და ისრაელიც. 1976 წლის 1 ივნისს სირიამ შეიყვანა ლიბანის ტერიტორიაზე თავისი არმია. 1976 წლის მეორე ნახევარში სამხედრო დამარცხებებისა და 1977 წლის 16 მარტს სირიის სპეცსამსახურების მიერ ქამალ ჯუმბლატის (ფრონტის ხელმძღვანელი) მკვლელობის შემდეგ, ბლოკი „პატრიოტული და პროგრესული პარტიების, ორგანიზაციებისა და მოღვაწეთა ფრონტი“ დაიშალა. ამის პარალელურად გაძლიერდა მემარჯვენე ქრისტიანული პარტიების ალიანსი, რომლებიც ითხოვდნენ სირიის „სამშვიდობო“ კონტიგენტის დაუყოვნებლივ გაყვანას ლიბანის ტერიტორიიდან. ქრისტიანული პარტიების ხელმძღვანელებმა დაიწყეს ფარული თანამშრომლობა ისრაელთან, რომელიც ამარაგებდა ქრისტიანულ არმიას იარაღითა და ტექნიკით, ეხმარებოდა ფინანსურად. 1978 წლის 14 მარტს ისრაელის თავდაცვის არმიამ ლიბანის ტერიტორიაზე განახორციელა სამხედრო ოპერაცია „ლიტანი“. გაერო-ს უშიშროების საბჭომ დაგმო ისრაელის სამხედრო აქცია და 19 მარტს მიიღო რეზოლუციები №425 და №426, რომლებიც ითვალისწინებდა გაერო-ს დროებითი სამშვიდობო ძალების განლაგებას ლიბანში და ისრაელის არმიის გაყვანას ლიბანის სამხრეთი ტერიტორიიდან. ეს პროცესი დასრულდა 1978 წლის ივნისში. მოგვიანებით, ამ ტერიტორიის კონტროლი დაეევალა ახლად შექმნილ სამხედრო ორგანიზაციას – „სამხრეთ ლიბანის არმიას“. 1982 წლის 6 ივნისს ისრაელმა, პალესტინურ ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, კვლავ განახორციელა სამხედრო ოპერაცია („მშვიდობა გალილეაში“) ლიბანში. ისრაელმა დაიკავა ლიბანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის დედაქალაქი ბეირუთი. 1 სექტემბერს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის რაზმები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა და გადასულიყვნენ თუნისში. ამის შემდეგ ისრაელის არმიამ ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე შექმნა „უსაფრთხოების ზონა“. 1983 წელს ლიბანის მთავრობამ „სამშვიდობო შეთანხმება“ დადო ისრაელთან, მაგრამ კვლავ გააუქმა ის ერთი წლის შემდეგ. 1985 წლის ივნისში ისრაელმა გაიყვანა თავისი არმია ლიბანიდან, გარდა სამხრეთი სასაზღვრო ზოლისა, რომელიც გახდა მემარჯვენე ქრისტიანული სამხედრო დაჯგუფებების ბაზა ბუფერული ზონის დაცვის მიზნით. სამოქალაქო ომი ქრისტიანულ და მუსლიმურ (შიიტები, სუნიტები, დრუზები) თემებს შორის გრძელდებოდა. 1989 წელს ქ. ტრიპოლიში სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ასადსა (*ჰაფიზ ალ-ასად*) და ალჟირის პრეზიდენტ შადლი ბენჯადიდს შორის მოლაპარაკებებზე განიხილეს ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სირიის ჯარების გაყვანას ლიბანის ტერიტორიიდან, ცეცხლის შეწყვეტაზე კონტროლის გაწევას, დამკვირვებლების გაგზავნას ბეირუთის ქრისტიანულ ანკლავში, სირიის მხრიდან საზღვაო ბლოკადის მოხსნას და „ეროვნული თანხმობის ქარტიის“ შემუშავებას.

1982 წლის 23 აგვისტოს ლიბანის პრეზიდენტად აირჩიეს ისრაელის მოკავშირე, ლიბანის ქრისტიანული პარტიის („ლიბანური ძალები“) ხელმძღვანელი *ბაშირ ჟმაიელი (არაბ. ბაშირ ალ-ჯამაილ)*, რომელიც მოკლეს ერთი თვის შემდეგ სირიის პრეზიდენტის ჰაფეზ ასადის უშუალო ბრძანებით. პრე-

19 ქამალ ჯუმბლატმა (მისი საგვარეულო ტრადიციულად იყო ლიბანის დრუზების თემის ლიდერი) დაამთავრა საფრანგეთში სორბონას უნივერსიტეტი, სადაც მიიღო ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიასა და სამოქალაქო განათლებაში და ბეირუთის იეზუიტთა უნივერსიტეტი, სადაც 1945 წელს მიიღო სამართლის ხარისხი. 1946 წელს გახდა ლიბანის პარლამენტის წევრი, 29 წლის ასაკში. ის მოკლეს ლიბანის სამოქალაქო ომის დროს, 1977 წლის 16 მარტს.

ზიდენტად, ფაქტობრივად ბრძოლის გარეშე, აირჩიეს ბაშირის ძმა, პარტია *ქათა'იბის* პოლიტბიუროს წევრი ამინ ჟმაიელი (არაბ. *ამინ ალ-ჯამაილ)*.[20]

1984 **წელს ბეირუთის დაყოფამ (აღმოსავლურ-ქრისტიანული – „მწვანე ხაზი"; დასავლურ-მუსლიმური ნაწილი)** გამოიწვია ორივე ზონაში მთავრობის შექმნა.

1989 **წელს ტრიპოლიში სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ასადსა და ალჟირის პრეზიდენტ შადლი ბენ**ჯადიდს შორის მოლაპარაკებებზე განიხილეს ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სირიის ჯარების გაყვანას ლიბანის ტერიტორიიდან, ცეცხლის შეწყვეტაზე კონტროლის გაწევას, დამკვირვებლების გაგზავნას ბეირუთის ქრისტიანულ ანკლავში, სირიის მხრიდან საზღვაო ბლოკადის მოხსნას და „ეროვნული თანხმობის ქარტიის" შემუშავებას.

1989 წლის სექტემბერში ტაიფში (საუდის არაბეთი), საუდის არაბეთის, ალჟირის და მაროკოს ხელშეწყობით, შედგა ეროვნული ასამბლეის (**1979 წელს ეროვნულ პალატას ეწოდა ეროვნული ასამ**ბლეა) სხდომა. მას ესწრებოდა 31 დეპუტატი ქრისტიანთაგან და მუსლიმთაგან (1972 წელს არჩეული 99 დეპუტატიდან ცოცხალი იყო 73). სირიის აქტიური მონაწილეობით განხილულ იქნა ლიბანის ე.წ. *„ეროვნული თანხმობის ქარტია"*, რომელიც ითვალისწინებდა ლიბანში განსაზღვრული პოლიტიკური რეფორმების ჩატარებას. პარლამენტის 73 დეპუტატიდან ესწრებოდა 62 დეპუტატი. 58-მა ხმა მისცა ქარტიას. მას მხარი დაუჭირა აშშ-მა და არაბულმა სამყარომ. გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1559-ე რეზოლუცია ეფუძნება სწორედ ამ შეთანხმებას. ქარტია ხელმოწერილ იქნა **1989 წლის 22 ოქტომ**ბერს, ხოლო მისი რატიფიკაცია მოხდა 4 ნოემბერს (Sassine, 2006: 20-26; Wislow, 1996: 274; Gresh, 2006: 161-163, 381-389, 527-528).

ტაიფის შეთანხმების ძირითადი თავისებურებები:

– ამ ქარტიის თანახმად, ხელისუფლების კონფესიური სისტემა შენარჩუნდა თითქმის უცვლელად. თუმცა იმავდროულად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აეღოთ კურსი ხელისუფლების ორგანოებში კონფესიონალიზმის თანდათანობით გაუქმებაზე, რადგანაც ის განიხილებოდა ხელისუფლების ორგანოების არაეფექტური ფუნქციონირების მიზეზად და ლიბანის საზოგადოებაში დესტაბილიზაციის ფაქტორად. ქარტიის დებულებები აისახა **1990 წლის 21 ოქტომბრის კონსტიტუციაში, რომ**ლის პრეამბულის ახალ რედაქციაში განსაკუთრებით არის აღნიშნული: „ძირითადი ეროვნული ამოცანა არის კონფესიური სისტემის შეცვლა."

– აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტიდან (მარონიტი) გადაეცემოდა მთავრობას (პრემიერ-მინისტრს). მინისტრების პორტფელები თანაბრად იყოფოდა ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის. თუმცა, პრეზიდენტის პრეროგატივად რჩებოდა პრემიერ-მინისტრის (სუნიტი) დანიშვნა, ეროვნულ ასამბლეასა და პარლამენტის თავმჯდომარესთან შესაბამისი კონსულტაციების საფუძველზე. ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე (შიიტი) აღიჭურვებოდა უფრო დიდი უფლებამოსილებებით, ვიდრე ადრე.

– დადგინდა წამყვანი პოლიტიკური და კონფესიური ძალების ახალი თანაფარდობა: პარლამენტში ადგილების რაოდენობა გაიზარდა 99-დან 108-მდე (1992 წლის საარჩევნო კანონით გაიზარდა **128-მდე) და თანაბრად განაწილდა მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის. უმაღლეს პოსტებს იღებ**ნენ სამი ძირითადი კონფესიის წარმომადგენლები – მარონიტები, სუნიტები და შიიტები. ფორმალურად გაუქმდა კონფესიური წარმომადგენლობის პრინციპი სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში, სასამართლოებში, არმიაში და უშიშროების ორგანოებში, სახელმწიფო და შერეული სექტორის დაწესებულებებში, პირველი კატეგორიის (დეპარტამენტის თავმჯდომარე და ზევით) მოხელეების გამოკლებით, სადაც მოქმედებს ქრისტიანებისა და მუსლიმების თანაბარი წარმომადგენლობის წესი.

– გადაწყდა აგრეთვე, რომ პირველი ეროვნული პარლამენტის არჩევნებთან ერთად შეიქმნებოდა სენატი, სადაც ადგილები განაწილდებოდა ეთნოკონფესიურ საფუძველზე (თუმცა ეს პუნქტი დღემდე არ განხილულა).

25-ე **მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხვადასხვა კონფესიების მშვიდობი**ანი თანაარსებობა.

Full text of the Tai'f Agreement, 1991;
Felton, 2008: 346-354: Nakash, 2006: 122-123.

20 კრიზისის წლებში ფორმალურად იცვლებოდნენ მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტები: ს. ფრანჟე (1970-1976), ე. სარქისი (1976-1982), ბ. ჟმაიელი (1982), ა. ჟმაიელი (1982-1988).

20 წლიანი შესვენების შემდეგ პირველი არჩევნები შედგა 1992 წლის აგვისტო-სექტემბერში. არჩევნების ჩატარებამ გამოიწვია ლიბანელთა დიდი ნაწილის უკმაყოფილება. წინასაარჩევნო პერიოდში ქვეყანაში ტარდებოდა დემონსტრაციები მოთხოვნით – ჯერ მოწესრიგებულიყო ქვეყნის ეკონომიკა, შემდეგ კი ჩატარებულიყო არჩევნები ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში. არჩევნების გადადებას მხარს უჭერდნენ როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი ლიდერები (მაგ., ყოფილი პრემიერ-მინისტრი სელიმ ალ-ჰოსი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ქამალ ალ-ასადი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი და სუნიტური თემის ლიდერი სააბ სალამი). ნაციონალურ-ლიბერალური პარტიის ლიდერმა დორი სამუნმა განაცხადა, რომ „ოპოზიციონერებმა კარგად იციან, რაში მდგომარეობს ქვეყნის პოლიტიკური სარგებელი და მათ კი არ მიჰყავთ ქვეყანა დაცემისაკენ, არამედ ახლანდელი მთავრობა მოითხოვს საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ხალხის ნების საწინააღმდეგოდ." ამ არჩევნების ჩატარების პირობები არ აწყობდა ქრისტიანულ პოლიტიკურ და რელიგიურ ელიტას, რომელიც მასში ხედავდა საფრთხეს არა მხოლოდ ლიბანის პოლიტიკური სტაბილურობის, არამედ ქვეყნის სუვერენიტეტისთვისაც. ქრისტიანული ოპოზიციის ლიდერის, რაიმონ ელდეს სიტყვებით, „სირიული სიით შედგენილი პარლამენტი თავის პირველ სხდომაზე ხმას მისცემს ორი ქვეყნის გაერთიანებას (სირიის და ლიბანის)" (*The Middle East*, 1999: 652).

მართლაც, მთავრობის პოლიტიკა მიმართული იყო პოლიტიკური ურთიერთობების განმტკიცებისაკენ ლიბანსა და სირიას შორის. კულმინაციური მომენტი გახდა 1991 წლის მაისში ხელმოწერილი ხელშეკრულება „მეგობრობის, თანამშრომლობის და მოქმედებათა კოორდინაციის" შესახებ, რომელიც ადგენდა ამ ურთიერთობების განვითარების ფორმალურ სტრუქტურას და ერთიანი პოლიტიკის გატარებას მრავალ საკითხში – პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში. ეს ეთანხმებოდა ტაიფის გადაწყვეტილებათა პირობებს (*იქვე*).

ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ სირიას და ლიბანს აქვთ განსაკუთრებული ურთიერთობები, რაც ეფუძნება „გეოგრაფიულ მეზობლობას, საერთო ისტორიას და საერთო ინტერესებს." ამის გარდა ხელშეკრულება დეტალურად განსაზღვრავდა აღმასრულებელ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ეს „განსაკუთრებული ურთიერთობები" უნდა განვითარებულიყო. შეიქმნა 5 ერთობლივი საბჭო, რომლებიც რეგულარულად უნდა შეკრებილიყვნენ კოორდინაციისათვის და ორივე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკურ მოქმედებათა შესასრულებლად. ყველაზე მთავარი მათ შორის იყო უმაღლესი საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ლიბანისა და სირიის პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, პრემიერ-მინისტრების მოადგილეები, აგრეთვე ორივე ქვეყნის შესაბამისი სამინისტროების მაღალჩინოსნები. უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულო იყო შესასრულებლად, მაგრამ ლიბანისა და სირიის საკონსტიტუციო და საკანონმდებლო თავისებურებათა გათვალისწინებით.

ხელშეკრულების მოწინააღმდეგეები, რომელთა შორის იყვნენ როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი ლიდერები, აცხადებდნენ, რომ გაერთიანებული საბჭოების შექმნა წარმოადგენდა ლიბანის სუვერენიტეტის დარღვევას და საბოლოოდ გამოიწვევდა სირიის მიერ ლიბანის ანექსიას. თუმცა ხელშეკრულების მომხრეები თვლიდნენ, რომ ეს ხელშეკრულება არ ლახავდა ლიბანის თავისუფლებას და სირიასთან ახლო ურთიერთობა აუცილებელი იყო ლიბანის სტაბილურობისა და აყვავებისათვის.

მოსახლეობის ქრისტიანულმა ნაწილმა, მთავრობის პოლიტიკის (სირიასთან მომავალი დაახლოება) პროტესტის ნიშნად, ბოიკოტი გამოუცხადა 1992 წლის არჩევნებს (Kamrava, 2005: 354). ხელისუფლებამ, რომელიც თვლიდა რომ არჩევნები ვერ ჩატარდებოდა ქრისტიანების მონაწილეობის გარეშე, დაიწყო ოპოზიციის დადანაშაულება იმაში, რომ მისი მოქმედებები ხელს უწყობდა პოლიტიკური კრიზისის დაწყებას. „თუ არჩევნები არ შედგება, ექმნება საფრთხე ეროვნულ ერთობას და ეროვნულ შერიგებას", ხოლო არჩევნების ჩატარება, საპირისპიროდ, მხოლოდ განამტკიცებს ლიბანის პოლიტიკურ ინსტიტუტებს – განაცხადა პრეზიდენტმა ჰრაუიმ (*The Middle East*, 1999: 653).

მოსახლეობის საარჩევნო აქტივობა ოფიციალურად დაფიქსირდა 30,3%-ის დონეზე (ლიბანისათვის ეს ელექტორალური აქტივობის ძალიან დაბალი დონეა, თუ შევადარებთ წინასაომარი პერიოდის მაჩვენებლებს – 1972წ. 54,6%). ამის მიუხედავად, არჩევნები ჩატარდა და ეს იყო ლიბანის პარლამენტარიზმის აღორძინების დასაწყისი – საპარლამენტო სისტემის ფუნქციონირების ძირითადი ტრადიციული წესები შეიცვალა და სახელისუფლებო სტრუქტურებში შევიდა ახალი პოლიტიკური ელიტა, რომელიც დაინტერესებული იყო ეკონომიკურ ცხოვრებაში თავისი აქტიური მონაწილეობით და ქვეყნის ტრადიციულ ფინანსურ წრეებში შესვლით. 1992 წელს ეროვნულ ასამბლეაში ადგილები ასე განაწილდა: ქრისტიანებმა მიიღეს 64 ადგილი, ტაიფის შეთანხმებამდე ჰქონდათ 54 (მარონიტებმა მიიღეს 34, ნაცვლად 30-ის; ბერძენმა ორთოდოქსებმა 14 – 11-ის ნაცვლად; ბერძენმა კათოლიკეებმა – 8 ადგილი 6-ის ნაცვლად; სომეხმა გერგორიანელებმა – 5 ადგილი 4-ის ნაცვლად; სომეხმა კათოლი-

კეებმა, პროტესტანტებმა და სხვა ქრისტიანებმა კვლავ ერთი ადგილი მიიღეს), მუსლიმებმაც ასევე მიიღეს 64 ადგილი – 45-ის ნაცვლად (სუნიტებმა – 27 ადგილი, 20-ის ნაცვლად; შიიტებმა – 27 ადგილი, 19-ის ნაცვლად; დრუზებმა – 8 ადგილი, 6-ის ნაცვლად; ალავიტებს მანამდე ადგილები არ ჰქონდათ და ახლა მიიღეს 2 ადგილი) (*Oxford Encyclopedia*, 1995: 559). ქვეყანაში დაიწყო ქვეყნის ახალი სუნიტი პრემიერ-მინისტრის – ჰარირის „ერა."

რაფიკ ჰარირი

სამოქალაქო ომის შემდეგ მეორე საპარლამენტო არჩევნები ლიბანში ჩატარდა 1996 წელს. ახალი პარლამენტი, ანალიტიკოსთა აღიარებით, შეფასდა როგორც „პარლამენტი ოპოზიციის გარეშე," რამდენადაც 128 დეპუტატიდან მხოლოდ რვამ შეძლო წარმოედგინა რეალური საპარლამენტო ოპოზიცია. მთლიანობაში ეროვნულ ასამბლეაში ადგილები განაწილდა ორ პოლიტიკურ ბლოკს შორის – რაფიკ ჰარირის ბლოკი (30-40 დეპუტატი) და ნაბიჰ ბერის ბლოკი (20-25 დეპუტატი), რაშიც აისახა ბრძოლა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის. 1996 წლის პარლამენტი გახდა „ბიზნესმენებისა და მილიციონერების პარლამენტი – მათი, ვისაც აქვს ფული ან სირიის მხარდაჭერა ან ერთიც და მეორეც" (Lebanon, 1996: 5). 1996 წლის პარლამენტის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო ისლამისტების რაოდენობის შემცირება 1992 წლის პარლამენტთან შედარებით. თუმცა ისლამისტები არ ასრულებდნენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს პარლამენტში არც 1996 წლამდე და არც მის შემდეგ. ქრისტიანული ოპოზიციის მიერ 1996 წლის არჩევნების ბოიკოტმა ვერ მოახდინა არსებითი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციაზე და ძალთა თანაფარდობაზე.[21] 1996 წელს ლიბანელთა საარჩევნო აქტივობა უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე 1992 წელს და შეადგინა 44% (*Lebanon*, 1996: 6).

2000 წლის საპარლამენტო არჩევნები ლიბანში ჩატარდა უკვე სრულიად განსხვავებულ საგარეო და საშინაოპოლიტიკურ პირობებში. ჰარირი გადადგა და პრემიერ-მინისტრი გახდა ს. ელ-ჰოსი; 2000 წლის მაისში ისრაელმა გაათავისუფლა ლიბანის სამხრეთი; ჰაფეზ ასადის სიკვდილის შემდეგ სირიის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა მისმა შვილმა – ბაშარ ასადმა.

სირიის როლი და გავლენა ამ არჩევნებზე კიდევ უფრო აშკარა იყო. მაგ., კანდიდატებს, რომლებსაც არ ჰქონდათ კავშირი დამასკოსთან, მრავალი პრობლემა შეხვდათ წინასაარჩევნო კამპანიის დროს. სირიის მხარე მოლაპარაკებებს აწარმოებდა ქრისტიანულ ოპოზიციასთან, რათა შეეწყვიტა არჩევნების ბოიკოტირება და ქრისტიანი ლიდერების უმრავლესობა მართლაც დათანხმდა მონაწილეობა მიეღო 2000 წლის არჩევნებში, რის შედეგადაც კვლავ აღმოჩნდა ლიბანის პარლამენტში. სირიის მხარემ ხელი შეუწყო პროსირიულად განწყობილი კანდიდატების გაყოფას ორ ბანაკად: ექსპრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის ბანაკი და კანდიდატები ემილ ლაჰუდის მმართველი რეჟიმიდან. ამგვარად, ლიბანელი კანდიდატების შიდაპოლიტიკური ბრძოლა არ ასუსტებდა სირიის გავლენას ლიბანის ხელისუფლებაზე.

2000 წლის არჩევნების მთავარი სენსაცია იყო რაფიკ ჰარირის გამაჯვება.[22] მისმა მომხრეებმა მოიპოვეს 92 – 128 საპარლამენტო ადგილიდან (Hirst, 2000: 3). ლიბანის პოლიტიკური ლიდერების ამგვარი ცვლა, უეჭველია პროვოცირებული იყო დამასკოს მიერ. ლიბანელი პოლიტოლოგი მ. იანგი აღნიშნავდა: „ჩვენ არ შეგვიძლია დავუბრუნდეთ 1998 წელს, როცა ყველა პრობლემა წყდებოდა დამასკოში. სირია შეიცვალა, ჩვენც შევიცვალეთ. ისრაელმა გაიყვანა არმია სამხრეთიდან. მე არ ვფიქრობ, რომ ლიბანელები მოისურვებენ ნებაყოფლობით დაუბრუნდნენ სირიის გავლენის ქვეშ ყოფნას" (Kifner, 2000: 1).

---

21 ქრისტიანთა ნაწილი კვლავ ბოიკოტისაკენ მოუწოდებდა. ყოფილი პრეზიდენტი ა. ჟმაიელი, ყოფილი მთავარსარდალი ა. აუნი და ეროვნულ-ლიბერალური პარტიის ლიდერი დ. შამუნი ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს ქრისტიანული მოსახლეობის დისკრიმინაცია. ისინი მიუთითებდნენ ახალ საარჩევნო კანონზე, რომლის მიხედვით ქრისტიანული პროვინცია მთიანი ლიბანი გაიყო 6 ოლქად. ამასთან ქრისტიანთა პოლიტიკურმა ნაწილმა გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა (Гасратян, 2004:171-173).

22 რ. ჰარირის ხელისუფლებაში დაბრუნებას აკავშირებდნენ იმასთან, რომ მისი ყოფნა პრემიერ-მინისტრის პოსტზე გამოასწორებდა მნიშვნელოვნად სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ლიბანში ს. ელ-ხოსას მუშაობის წლებში. როგორც აღნიშნა ვ. ჯუმბლატმა: „რ. ჰარირის დაბრუნება არის ნდობის ნიშანი მისი ეკონომიკური კურსისადმი. მისი ყოფნა მეტ-ნაკლებად შეაჩერებს ლიბანის ეკონომიკის განადგურებას. რ. ჰარირი აღძრავს ნდობას ინვესტორებში" (Walid, 2000: 4).

1998 წლის 15 ოქტომბერს ლიბანის პრეზიდენტად აირჩიეს ემილ ჯამილ ლაჰუდი *(არაბ. ამილ ლაჰუდი,1998-2007),* რომელსაც მხარი დაუჭირა სირიამ, რათა ლიბანი კვლავ თავისი გავლენის სფეროდ გადაექცია. ლაჰუდმა, არჩევნების შემდეგ, შეცვალა მთავრობის თავმჯდომარე, დაადანაშაულა ჰარირი წარუმატებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში (მათ შორის ქვეყნის საგარეო ვალის მნიშვნელოვან გაზრდაში). 2000 წელს ჰარირის პოლიტიკურმა ბლოკმა კვლავ გაიმარჯვა არჩევნებში და პრეზიდენტი ლაჰუდი იძულებული გახდა ხელმეორედ დაემტკიცებინა ის მთავრობის თავმჯდომარედ (პარლამენტის დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას). **2004 წლის 20 ოქ**ტომბერს ჰარირი გადადგა მინისტრთა კაბინეტთან ერთად. უშუალო მიზეზი გახდა სირიის მხარდაჭერით პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება. ლიბანის პარლამენტმა ხმა მისცა შესწორებას კონსტიტუციის 49-ე მუხლში, რათა პრეზიდენტ ლაჰუდისათვის სამი წლით გაეგრძელებინათ საპრეზიდენტო ვადა (ეს მოხდა 2004 წლის 3 სექტემბერს). სამთავრობო კრიზისი გამოიწვია აგრეთვე გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2004 წლის 2 სექტემბრის რეზოლუციამ №1559, რომელიც მოითხოვდა სირიის არმიის გაყვანას ლიბანიდან, ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალური სამხედრო ფორმირებების („ჰიზბალაჰი“) განიარაღებას და თავისუფალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ამ რეზოლუციის მიღებაში დიდი წვლილი მიუძღოდა სწორედ რაფიკ ჰარირის. პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ჰარირი სათავეში ჩაუდგა ოპოზიციას, რომელიც მოითხოვდა სირიის არმიის გაყვანას ლიბანიდან. **2005 წლს 14 თებერვალს რაფიკ ჰარირი მოკლეს ტერორისტული აქ**ტის შედეგად (ბეირუთის ცენტრში ბომბი აფეთქდა). ამ აფეთქებას შეეწირა 21 ადამიანი და დაახლ. **140 დაიჭრა. ჰარირის მკვლელობაში არაპირდაპირ ადანაშაულებენ სირიას. ამ მკვლელობამ გამოიწ**ვია ანტისირიული მასობრივი საპროტესტო აქციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ასეულ ათასობით ადამიანმა (ძირითადად სუნიტებმა და მარონიტებმა). ამ საპროტესტო გამოსვლებმა პიკს მიაღწია 2005 წლის 14 მარტს და პოსტსაბჭოურ სივრცეში „ფერადი რევოლუციების“ ანალოგიით ეწოდა „კედრების რევოლუცია“ ანუ „სირია-ლიბანის კრიზისი“. დემონსტრანტების მოთხოვნები იყო: ჰარირის მკვლელობის საერთაშორისო გამოძიება, „ტაიფის შეთანხმებების“ შესრულება, სირიის არმიის გაყვანა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს №1559 **რეზოლუციის შესრულება, სპეცსამსახურების და ძალოვა**ნი სტრუქტურების ხელმძღვანელთა გადადგომა. ოპოზიციის „არაოფიციალური“ მოთხოვნა ეხებოდა პრეზიდენტის გადადგომასაც. ანტისირიულმა მანიფესტაციებმა გააერთიანა სხვადასხვა პოლიტიკური ძალები კოალიციაში, რომელმაც მიიღო სახელწოდება **„14 მარტის მოძრაობა“. ამ საპროტესტო გა**მოსვლებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ჩარევის შედეგად სირიამ გაიყვანა თავისი არმია ლიბანიდან. ოპოზიციის აქტიური ჩარევით, ახალი მთავრობის ფორმირება დაევალა ნაჯიბ მიკატის, რომელსაც 1998 წლიდან უცვლელად ეკავა მინისტრის პოსტი. 2005 წლის 19 ივლისიდან პრემიერ-მინისტრია ფუად სინიორა *(არაბ. ფუ'ად ას-სანიურა).*

2007 წლის 20 მაისს დაიწყო კონფლიქტი ჩრდილოეთ ლიბანში სამთავრობო არმიასა და პალესტინის რადიკალურ ორგანიზაცია „ფათჰ ალ-ისლამს“ შორის ტრიპოლის მიდამოებში და დასრულდა 2 სექტემბერს ლიბანის არმიის გამარჯვებით. ეს იყო ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი ლიბანში სამოქალაქო ომის შემდეგ. ტერორისტებთან არმიის შეტაკებების დროს დაიღუპა 300 ადამიანზე მეტი, 154 ჯარისკაცი, 120 ტერორისტი და 42 მშვიდობიანი მცხოვრები. დაახლ. 40,000 ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი.

2008 წლის აგვისტოში მოხდა შეტაკებები სუნიტურ მოძრაობა ალ-მუსთაკბალის და შიიტურ მოძრაობა „ამალის“ და „ჰიზბალაჰის“ მომხრეებს შორის ლიბანის სხვადასხვა რაიონში. **2008 წლის ოქ**ტომბერში სირიასა და ლიბანს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა (შეწყდა 1943 წლის შემდეგ), რასაც დადებითი შეფასება მოჰყვა როგორც არაბულ ქვეყნებში, ისე დასავლეთში.

სამ ძირითად პოლიტიკური ძალას წარმოადგენენ (პარტიული სიები დგება კონფესიური პრინციპით):

1. მოძრაობა – *მუსთაკბალ* (მომავალი) – ხელმძღვანელობს საად ჰარირი, რომელიც წარმოადგენს ლიბანის სუნიტების ინტერესებს. მისი მთავარი მოკავშირე არის პროგრესულ-სოციალისტური პარტია (ლიდერი – კედრების რევოლუციის სულისჩამდგმელი ვალიდ ჯუმბლატი, დრუზი). კოალიციაში „რეფორმები და შერიგება“, რომლის ძირითადი დასაყრდენი არის *მუსთაკბალ,* შედიან ქრისტიანებიც – „ლიბანური ძალები“ (ყოფილი ქრისტიანული შეიარაღებული მილიცია) და მემარჯვენე ქრისტიანული პარტია *კორნეტ შაგვან.* თუმცა შემდგომ ვალიდ ჯუმბლატი გამოვიდა ამ კოალიციიდან და კურსი აიღო პროსირიულ ძალებთან დაახლოებაზე.

2. ლიბანის ქრისტიანული თემის და „თავისუფალი პატრიოტული მოძრაობის“ ლიდერი არის ექსპრემიერი და შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი, გადამდგარი გენერალი მიშელ აინი.

ის პოპულარულია არა მარტო ქრისტიანებს შორის, არამედ განათლებულ მუსლიმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც მომხრე არიან რადიკალური პოლიტიკური გარდაქმნებისა. გენერალი მხოლოდ 2005 წლის მაისში დაბრუნდა საფრანგეთიდან 14 წლიანი ემიგრაციის შემდეგ (ანტისირიული განწყობილებების გამო ის გააძევეს ქვეყნიდან). არჩევნებზე აინის მოკავშირეები არიან სულაიმან ფრანჯეს მოძრაობა *მარადა* და ლიბანის კომუნისტური პარტია.

3. პოლიტიკური ორგანიზაციების – ჰიზბალაჰის და ამალ-ის შიიტური ალიანსი.

2007 წლის 23 ნოემბერს ამოიწურა პრეზიდენტ ემილ ლაჰუდის 9 წლიანი პრეზიდენტობის უფლებამოსილების ვადა. ახალი პრეზიდენტის არჩევამ გამოიწვია ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური კრიზისი. ლიბანის კონსტიტუციით, პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი, რომლის დეპუტატები გაიყვნენ ორ ნაწილად: უმრავლესობა, რომელსაც მხარს უჭერდა ფუად სინიორას მთავრობა და ოპოზიციური უმცირესობა, რომელიც სარგებლობდა პრეზიდენტ ემილ ლაჰუდის მხარდაჭერით. ამ პერიოდში პარლამენტი პარალიზებული იყო, პრეზიდენტი ლაჰუდი არ ცნობდა მთავრობას, რომელიც ფაქტობრივად მართავდა ქვეყანას, თითოეული მხარე ეყრდნობოდა კონფესიურ სოციალურ ბაზას, კონსტიტუციის განმარტება ურთიერთსაწინააღმდეგოდ ხდებოდა. კონფლიქტის დარეგულირებაში ჩაერთნენ საერთაშორისო პოლიტიკური სუბიექტები. თუმცა დადგენილ ვადამდე მხარეები ვერ შეთანხმდნენ პრეზიდენტობის კანდიდატზე. შექმნილ ვითარებაში პრეზიდენტმა ე. ლაჰუდმა, რამდენიმე საათით ადრე პოსტის დატოვებამდე, გადასცა პრეზიდენტის უფლებამოსილება და მთელი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების მართვაც ლიბანის არმიას, რათა უზრუნველეყო „უსაფრთხოება მთელ ტერიტორიაზე". ლაჰუდს არ სურდა, რომ თუნდაც დროებით დაეშვა სუნიტი ფუად სინიორას მთავრობის მიერ პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელება. თუმცა ფუად სინიორას მთავრობამ, კონსტიტუციის საფუძველზე, არ ცნო ეს გადაწყვეტილება და 24 ნოემბრიდან დაიწყო პრეზიდენტის უფლებამოსილებათა დროებითი შესრულება. საბოლოოდ შეთანხმდნენ არმიის გენერლის – მიშელ სულაიმანის კანდიდატურაზე, რომელიც 2008 წლის მაისში არჩეულ იქნა ლიბანის პრეზიდენტად.

მინისტრების დანიშვნისას 2008 წლამდე ხელმძღვანელობდნენ ფორმულით – 15-10-5 (15 პორტფელს იღებდა უმრავლესობა, 10-ს ოპოზიცია და 5 კანდიდატს წარადგენდა პრეზიდენტი). 2008 წლის 21 მაისს დოჰაში ლიბანის ნაციონალური დიალოგის კონფერენციაზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელსაც საფუძვლად დაედო 2008 წლის 15 მაისს ბეირუთში მიღებული შეთანხმება ლიბანის პარტიებს შორის. დოჰაში შეთანხმებით დასრულდა ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი – დადგინდა მინისტრების პორტფელების განაწილების ახალი წესი: უმრავლესობა – 16, ოპოზიცია – 11, პრეზიდენტი წარადგენდა სამ მინისტრს. უმცირესობამ მიიღო მესამედი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს დაბლოკოს საკითხის გადაწყვეტა (*Doha Agreement,* 2008).

2009 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამარჯვება მოიპოვა მმართველმა „14 მარტის კოალიციამ" (ანტისირიული პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების კოალიცია), რომელსაც ხელმძღვანელობს საად ჰარირი. ამ კოალიციაში შედიან ქრისტიანი-მარონიტები, დრუზები, მუსლიმი-სუნიტები, აგრეთვე საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი ქვეყანაში სირიის პოლიტიკური გავლენისადმი. ამ კოალიციამ მიიღო 71 ადგილი პარლამენტში. პროსირიულმა ალიანსმა – „8 მარტის ალიანსი", რომელსაც ხელმძღვანელობდა ჰიზბალაჰი, მიიღო 57 ადგილი. 2005 წლის პარლამენტში ჰიზბალაჰს ჰქონდა 14 ადგილი და მიაღწია ლიბანის მთავრობაში მონაწილეობასაც – მან მიიღო 5 მინისტრის პოსტი, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრის. მუჰამად ფუნაიშმა, ჰიზბალაჰის დამფუძნებელმა წევრმა, მიიღო ენერგეტიკის მინისტრის პოსტი (Harik, 2004: 100-101). სწორედ ჰიზბალაჰი და ამალი არიან ლიბანის პოლიტიკური სისტემის და კონფესიონალიზმის ძირითადი მომხრეები (Nakash, 2006:126).

– *ლიბანში, უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე არსებული სიძნელეების (სამოქალაქო ომი, ეკონომიკური კრიზისი, დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე, პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა) მიუხედავად, კონფესიური პრინციპი არ გაუქმებულა. ბოლო პერიოდში ლიბანის პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა კვლავ წამოწია კონფესიონალიზმის ლიკვიდაციის პრობლემა. მრავალი ექსპერტის აზრით, ეს სისტემა გარკვეულწილად „მოძველდა". ცხადია, რომ კონფესიური სისტემის შეცვლა თავისთავად გამოიწვევს პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის ცვლილებას ლიბანში. ქრისტიანები უკვე 30 წელია აღარ წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, მაგრამ ინარჩუნებენ წამყვან პოსტებს ქვეყნის მთავრობაში და ძალოვან უწყებებში. პოლიტიკური კონფესიონალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის გამოდიან ლიბანის მუსლიმები, პირველ რიგში შიიტები, რადგანაც სწორედ მათ (თავიანთი რაოდენობით) შეუძლიათ მიიღონ უფრო*

მეტი პოლიტიკური დივიდენდები დეკონფესიონალიზმისაგან. მოვლენათა ასეთი განვითარების შედეგები ძალიან სერიოზული იქნება როგორც ქვეყნის შიდა ისე საგარეო პოლიტიკისათვის.

- *ისლამური ფაქტორი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კონფესიათაშორის ურთიერთობებზე – სხვადასხვა ისლამური მიმდინარეობების ლიდერების ლოიალური დამოკიდებულება სხვა კონფესიების წარმომადგენლებთან, პერიოდულად წარმოშობილი დაპირისპირების მიუხედავად, ხელს უწყობს კონფესიათაშორისი თანამშრომლობის პროცესის სტაბილიზაციას და მის წარმართვას კონსტრუქციული დიალოგის ფორმატში.*
- *ტაიფის შეთანხმების (1989) შემდეგ ლიბანის ქრისტიანულ-მარონიტულმა თემმა, რომელიც დღემდე მართავს ქვეყანას, დაკარგა ჰეგემონია. ერაყში ამერიკის სამხედრო ოპერაციის (2003), „კედრების რევოლუციის" და 2006 წ. მეორე ლიბანური ომის შემდეგ, ქვეყანაში მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები შიიტურმა რადიკალურმა ორგანიზაციამ ჰიზბალაჰმა.*

შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში

ერაყი არის ქვეყანა, სადაც ეთნოკონფესიური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკაში.[23] მტრობა ერთი მხრივ, არაბ-სუნიტებსა და მეორე მხრივ, შიიტებსა და ქურთებს შორის მუდმივად რჩებოდა ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად.

1932 **წელს, ერაყის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ხელისუფლება ქვეყანაში აღმოჩნ**და არაბი სუნიტების ხელში და ეს გაგრძელდა **2003 წლამდე, აშშ-ის მიერ ერაყში საომარი მოქმედებე**ბის დაწყებამდე. თავის დროზე, ერაყის სუნიტმა მეფემ ფაისალ I-მა განაცხადა: „შიიტ ულემებს არანაირი კავშირი არა აქვთ ხელისუფლებასთან და ამჟამადაც ჩამოშორებული არიან მას" (Batatu,1978: 56).

ერაყში შიიტები ცხოვრობენ ქვეყნის სამხრეთ რაიონებში, რომელიც ეკონომიკური მაჩვენებლებით და ინფრასტრუქტურით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ცენტრალურ რეგიონს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო სოფლის მოსახლეობა – ე.წ. „ჭაობის არაბები." იყო წინააღმდეგობები სუნიტ და შიიტ სასულიერო მეთაურებსა და მაზჰაბებს შორის არათანაბარი სოციალური სტატუსის გამო. შიიტები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში.

ხელისუფლებასა და შიიტებს შორის კონფლიქტმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.[24] აიათოლა ხომეინიმ, რომელიც ბაასის რეჟიმმა ირანის შაჰის მოთხოვნით გააძევა ერაყიდან **1978 წელს, დაიწყო ხელისუფლების ღია კრიტიკა ირა**ნიდან. **1979 წლის ივლისში აჯანყებები მოხდა ქერბალასა და ნაჯაფში, რადგანაც ერაყის ხელისუფ**ლებამ არ დართო ნება შიიტების სულიერ ლიდერს – აიათოლა მუჰამად ბაკირ ას-სადრს (1935-1980) ეხელმძღვანელა დელეგაციისათვის ირანში და მიელოცა აიათოლა ხომეინისათვის. ამ ვითარებაში ას-სადრმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა აიათოლა ხომეინის, რის გამოც ის შინაპატიმრობაში აიყვანეს ნაჯაფში, ხოლო შემდეგ ბაღდადში გადაიყვანეს. ამას მოჰყვა საპროტესტო დემონსტრაციები ქვეყნის სამხრეთში და ქალაქ ბაღდადში. ხელისუფლებამ არმია გამოიყვანა დემონსტრანტების წინააღმდეგ, მრავალი დახოცეს და ათასობით შიიტი დააპატიმრეს. ამან კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ხელისუფლებასა და შიიტებს შორის. 1980 წლის 30 მარტს რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს ბრძანებით პარტიის *ისლამური ად-და'ვა*[25] საქმიანობა აიკრძალა და მისი წევრობა სიკვდილით ისჯე-

---

23 ქვეყნის მოსახლეობა უტოლდება 31,234 მლნ-ს (2009 წ. აპრილის მონაცემები). მოსახლეობის 75% არაბებია, 15% – ქურთი, დანარჩენი 5% – ასირიელები, ერაყელი თურქმანები, სომხები და სხვ. მოსახლეობის 97% მუსლიმია. აქედან შიიტები – 60-65% (ძირითადად არაბები, მცირე ნაწილი თურქმანები და ქურთები; სუნიტები – 32-37% (არაბები და თურქმანები ეკუთვნიან ჰანაფიტურ მაზჰაბს, ქურთები – შაფიიტურს). სხვა სარწმუნოებათა აღმსარებლები შეადგენენ მოსახლეობის 3%-ს (ერაყის ქრისტიანული მოსახლეობის დიდ ნაწილს, სომხებთან ერთად, შეადგენენ ეთნიკური ასირიელები). შიიტების 96-99% ცხოვრობს ქერბალას, ბაბილის, კადისიას, ვასიტის, ზეიკარის, მაისანის გუბერნიებში, ხოლო 75% – ბასრას გუბერნიაში.

24 ჯერ კიდევ 1977 წლის თებერვალში პოლიციამ გზა გადაუღობა ათი ათასობით პილიგრიმის ტრადიციულ რელიგიურ პროცესიას ნაჯაფიდან ქერბალასაკენ (საბაბი – ქერბალაში „დამალული" სირიის აგენტების მოძიება), რასაც მოჰყვა შიიტების საპროტესტო გამოსვლები რეჟიმის საწინააღმდეგო ლოზუნგებით. შიიტთა მღელვარებები ჩახშობილ იქნა ერაყის სამხედრო პოლიციის მიერ. შედეგად, რამდენიმე ათეული აჯანყებული მოკლეს.

25 შიიტური პოლიტიკური პარტია – „ისლამური მოწოდების პარტია" (*არაბ. ჰიზბ ად-და'ვა ალ-ისლამიიდა*) დაარსდა 1957 წელს დიდი აიათოლა მუჰსინ ალ-ჰაქიმის მიერ.

ბოდა. პარტიის მებრძოლებმა, თავიანთი თანაპარტიელების მიმართ გატარებული დამსჯელი ღონისძიებების გამო (მხოლოდ მარტის თვეში პარტიის 96 წევრი მოკლეს), 1980 წლის 1 აპრილს განახორციელეს ბაღდადში წარუმატებელი თავდასხმა ერაყის პრემიერ-მინისტრზე – ტარიკ აზიზზე. ამის საპასუხოდ პრეზიდენტმა სადამ ჰუსაინმა (1979-2003) ბრძანა ერაყში მცხოვრები ათასობით ირანელის და ასევე ირანული წარმოშობის ერაყელი შიიტების დეპორტაცია სამხრეთ ერაყიდან ირანში (დაახლ. 30-40 ათასი შიიტი). 1980 წლის 9 აპრილს მოკლეს შიიტი აიათოლა, ზემოხსენებული პარტიის იდეოლოგიური ფუძემდებელი – მუჰამად ბაკირ ას-სადრი და მისი და – ამინა სადრ ბინთ ალ-ჰუდა (Aziz, 1993: 207-227; Tripp, 220; Anderson & Stansfield, 2004:127).

ირანის ისლამური რესპუბლიკის მოთხოვნა შეეცვალა ერაყელი შიიტების სოციალური მდგომარეობა და პოლიტიკური სტატუსი, გახდა ერაყის მიერ ირანზე თავდასხმის ერთ-ერთი მიზეზი. 1980-1988 წლების ირან-ერაყის ომის დაწყებას ხელი შეუწყო აგრეთვე ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურმა ამბიციებმა, რომლებიც ეფუძნებოდა ურთიერთგამომრიცხავ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ და სამხედრო დოქტრინებს. ომის წლებში შიიტთა მრავალი რელიგიური ლიდერი გადავიდა ირანში. 1982 წლის ნოემბერში ირანში ემიგრირებული შიიტების ჯგუფმა დააარსა „ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭო ერაყში“ აიათოლა მუჰამად ბაკირ ალ-ჰაქიმის ხელმძღვანელობით.[26] თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ირან-ერაყის ომის დროს შიიტები ლოალური იყვნენ ბაღდადის რეჟიმისადმი.

1990 წლის 2 აგვისტოს ბაღდადმა განახორციელა ქუვეითის ანექსია, როგორც „ერაყის ისტორიულად კუთვნილი მე-19 პროვინციისა.“ საერთაშორისო კოალიციამ აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმატებით ჩაატარა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „უდაბნოს ქარიშხალი.“ სადამის რეჟიმი იძულებული გახდა შეეწყვიტა შეიარაღებული წინააღმდეგობა. გაერო-მ საერთაშორისო სანქციები დაუწესა ერაყს. ამას მოჰყვა პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციის გამწვავება ერაყის რესპუბლიკის სამხრეთში.

1991 წლის 1 მარტს შიიტებმა (ორი ორგანიზაცია: *ად-და'ვა* და *ერაყში ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭო*) აჯანყება დაიწყეს ქ. ბასრაში და დაიმორჩილეს დიდი ტერიტორია ჰილამდე (ბაღდადიდან 100 კმ). ეს იყო ბრძოლა სადამ ჰუსაინის რეჟიმის წინააღმდეგ. არის მოსაზრება, რომ აჯანყების საბაბი გახდა ამერიკის პრეზიდენტის ჯ. ბუშის მოწოდება ერაყელი ხალხისადმი დაემხოთ სადამ ჰუსაინის რეჟიმი. ამერიკის ადმინისტრაციას იმედი ჰქონდა, რომ ქვეყნის სათავეში მოვიდოდნენ „დემოკრატიული ძალები,“ მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა: სამხრეთ ერაყში შეიქმნა „ისლამური რესპუბლიკის“ დაარსების საფრთხე. ვაშინგტონი არ ჩაერია და ერაყის არმიამ დაბომბა ქვეყნის სამხრეთი რაიონები. აჯანყება რამდენიმე დღეში ჩაახშეს. დიდი იყო მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, ბევრი გადავიდა არალეგალურად ირანის ტერიტორიაზე. აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკური გვარდიის ნაწილები, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. ყველა ეჭვმიტანილს ოჯახებთან ერთად ხოცავდნენ, ანადგურებდნენ შიიტთა ყველაზე აქტიურ ლიდერებს, პრაქტიკაში იყო მთელი ტომების გადასახლება სამხრეთიდან ჩრდილოეთით და პირიქით. სადამსჯელო ოპერაციებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი – სადამ ჰუსაინის ბიძაშვილი ალი ჰასან ალ-მაჯიდი, რომელიც უკიდურესი სისასტიკით უსწორდებოდა შიიტებს (Nakash, 2006: 94-95; Makiya, 1993: 152-153).

იმავე პერიოდში ერაყში აჯანყდნენ ქურთები. 1991 წლის პირველ ნახევარში მათი ძალაუფლების ქვეშ გადავიდა „ქურთთა ავტონომიური რაიონის“ მთიანი და სასოფლო-სამეურნეო რეგიონები და მთელი რიგი ქალაქები. თუმცა, 1991 წლის ოქტომბერში ბაღდადმა გამოაცხადა ქურთისტანის სამხედრო და ეკონომიკური ბლოკადა. ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა არა მარტო აჯანყებულებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობასაც (სამთავრობო არმიაის მიერ მოკლულ იქნა დაახლ. 200 ათასი ქურთი). ამას მოჰყვა ამერიკის არმიის შესვლა ჩრდილოეთ ერაყში და იქ „უსაფრთხოების ზონის“ შექმნა. 1994 წელს ერაყმა ცნო ქუვეითის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. 1995 და 1998 წელს ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა სარაკეტო დარტყმები განახორციელეს ერაყზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევის გამო. ვითარება გართულდა ქვეყნის შიგნითაც. კვლავ აჯანყდნენ ქურთები, რომლებიც საკუთარი სახელმწიფოს შექმნას მოითხოვდნენ. ბაასის პარტიის მოწინააღმდეგეები მოითხოვდნენ ქვეყნის დემოკრატიზაციას და სადამ ჰუსაინის რეჟიმის დამხო-

26 ერაყში ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭოს სამხედრო სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს კარგად ორგანიზებული და დისციპლინირებული 15 ათასიანი კორპუსი *ბადრი* (დაარსდა 1983წ.), რომელიც დაყოფილია ბრიგადებად (ქვეითი, სატანკო, საარტილერიო, ჰაერსაწინააღმდეგო) (Anderson & Stansfield, 2004: 128-129).

ბას. ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის კონტროლს სადამ ჰუსაინი ახერხებდა მხოლოდ გამკაცრებული რეპრესიული ზომებით დიქტატორული რეჟიმის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ (Makiya, 1993: 152-153).

1992 წლიდან ხელისუფლებამ გააგრძელა ბრძოლა შიიტების წინააღმდეგ: ქვეყნის სამხრეთში განხორციელდა სამელიორაციო სამუშაოების მთელი პროგრამა იმ რაიონებში, სადაც იყო განლაგებული აჯანყებულთა რაზმები. ხელისუფლებამ ტიგროსისა და ევფრატის წყლების მიმართულების შეცვლით ამოაშრო ჭაობიანი ტერიტორია და ამით აიძულა მოსახლეობა გადასულიყვნენ ამ ადგილებიდან ან საერთოდ დაეტოვებინათ ქვეყნის ტერიტორია. 1996 წლის აგვისტოში შიიტების წინააღმდეგ მოეწყო კიდევ ერთი დამსჯელი ექსპედიცია, რომლის დროსაც ხელისუფლებამ გამოიყენა არტილერია და ასაფეთქებელი საშუალებები.1999 წლის თებერვალში კვლავ იფეთქა შიიტების აჯანყებამ ერაყის სამხრეთში, რაც გამოწვეული იყო 1978 წლის აგვისტოში შიიტთა სულიერი ლიდერის – მუჰამად სადრისა და მისი ორი ვაჟის მკვლელობით. შიიტი პარტიზანების საბრძოლო აქტივობა თვალსაჩინო იყო 1999 წლის აპრილსა და აგვისტოში. ხელისუფლება რეაგირებდა ყველა ამ გამოსვლაზე ახალი დამსჯელი ღონისძიებებით. შიიტების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციას სათავეში ჩაუდგა ალი ჰასან ალ-მაჯიდი, რომელიც იმ პერიოდში დაინიშნა სამხრეთის სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქის მეთაურად.[27]

2003 წელს, აშშ-ის მიერ ერაყის ოკუპაციის შემდეგ, დაიწყო სუნიტურ-შიიტური კონფრონტაციის ახალი ტალღა. ამ სამხედრო ოპერაციის შემდეგ ერაყელებმა, რომლებსაც პრაქტიკულად წინააღმდეგობა არ გაუწევიათ მოკავშირეთა რეგულარული არმიისათვის, დაიწყეს მათ წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი პარტიზანული მოძრაობა. სადამის მომხრეები ამერიკელებს შეხვდნენ როგორც აგრესორებს. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ვერ აღმოაჩინეს აკრძალული იარაღის საიდუმლო საწყობები. სახელისუფლებო ვაკუუმით, უპირველეს ყოვლისა, ისარგებლეს სხვადასხვა კონფესიების რელიგიურმა ლიდერებმა, რომლებიც, სადამ ჰუსაინის სამოქალაქო დიქტატურის მიუხედავად, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოსახლეობაში. ამიტომ ამერიკელებმა დაიწყეს დიალოგი სხვადასხვა ეთნოკონფესიური ჯგუფების წარმომადგენლებთან.

2003 წლის 29 აგვისტოს ნაჯაფში, ტერაქტის დროს, მოკლეს ერაყში ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭოს ლიდერი აიათოლა მუჰამად ბაკირ ალ-ჰაქიმი[28] და მასთან ერთად დაიღუპა 125 ადამიანი (Bazzi, 2005). ამან სერიოზული ზეგავლენა მოახდინა ერაყში შინაპოლიტიკური ვითარების დარეგულირების პროცესზე. 20 წელზე მეტი ხანი ხელმძღვანელობდა ალ-ჰაქიმი სადამის საწინააღმდეგო დაჯგუფებას, რომელიც დააარსა 1982 წელს, ირანში ყოფნის დროს. ალ-ჰაქიმი გამოცდილი პოლიტიკოსი იყო, რის გამოც არ წავიდა კონფრონტაციაზე აშშ-თან და მიიღო გადაწყვეტილება რაც შეიძლება მეტი შიიტი შეეყვანა ისლამური რევოლუციის საბჭოდან ერაყის დროებითი მმართველობის საბჭოში. კონფესიური პრინციპი გათვალისწინებულ იქნა: გარდამავალ მთავრობაში იყო 13 შიიტი, 5 სუნიტი, 5 ქურთი, 1 ეთნიკური თურქმანი და 1 ასირიელი ქრისტიანი. ეს ნაბიჯი იყო სტაბილიზაციის გარანტი, მაგრამ ალ-ჰაქიმის მკვლელობის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა (Duss, 2009: 10-11).

ერაყში ექსტრემისტულ შიიტურ დაჯგუფებად ითვლება „მაჰდის არმია," რომელიც ითვლის 10,000 მებრძოლს და მას მეთაურობს მუკთადა ას-სადრი. მაჰდისტები მოითხოვდნენ ქვეყნიდან კოალიციის არმიის გაყვანას და ტერორისტულ აქტებს აწყობდნენ სუნიტების წინააღმდეგ. 2004 წლის 4 აპრილიდან 30 აგვისტომდე მუკთადა ას-სადრის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა შიიტთა აჯანყება აშშ-ის სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ. მუკთადა ას-სადრმა აიძულა კოალიციის ძალები ხელი მოეწე-

27 ალი ჰასან ალ-მაჯიდი (ქიმიური იარაღის გადამეტებული დოზით გამოყენების გამო მიიღო მეტსახელი – „ქიმიური ალი") წარსდგა ერაყის სპეციალური ტრიბუნალის წინაშე სადამ ჰუსაინსა და მის მომხრეებთან ერთად. მას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა ქურთებისა და შიიტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო.

28 მუჰამად ბაკირ ალ-ჰაქიმი ირანში იყო 1980 წლიდან და დაბრუნდა ერაყში სადამ ჰუსაინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, 2003 წლის მაისში. მისი მკვლელობის მიზეზი უცნობია: ზოგიერთი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს თავდასხმა მოაწყეს სადამ ჰუსაინის მომხრეებმა; სხვები ამტკიცებენ, რომ ეს ჩაიდინეს სუნიტებმა (არა აუცილებლად სადამის მომხრეებმა), რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ შიიტთა გავლენის გაძლიერებას ქვეყანაში; სხვები მიიჩნევენ, რომ ეს მოხდა აშშ-ს ჩარევით, ალ-ჰაქიმის დიდი ძალაუფლებისა და გავლენის გამო ერაყელ შიიტებზე და ამერიკის გეგმებისადმი მისი ობსტრუქციის გამო. აშშ-ს და ერაყის ოფიციალური წრეების განცხადებით, ალ-ჰაქიმის მკვლელობაში ბრალი ედება აბუ მუსა აზ-ზარკავის. მუჰამად ბაკირ ალ-ჰაქიმის მკვლელობის შემდეგ, შიიტური ორგანიზაცია „ერაყში ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭოს" და შეიარაღებული ფორმირება „ბადრის" ხელმძღვანელი გახდა მისი ძმა აბდ ალ-აზიზ ალ-ჰაქიმი.

რათ შეთანხმებაზე. ამის შემდეგ „მაჰდის არმიის“ კონტროლის ქვეშ გადავიდა მთელი რიგი რაიონები, მათ შორის ნაჯაფი და დედაქალაქის შიიტური რაიონები. მათ სურთ ერაყი გადააქციონ თეოკრატიულ სახელმწიფოდ ირანული მოდელით. „მაჰდის არმია“ ეყრდნობა შიიტ ახალგაზრდობას (al-Wifak al-Arabi, 2003: 11).

ჯალალ ტალაბანი

2005 წლის 15 ოქტომბერს მიიღეს ერაყის მუდმივი კონსტიტუცია (შედგება 139 მუხლისაგან), რომელიც რეფერენდუმზე მოიწონეს (79%). მას ხმა არ მისცეს მხოლოდ არაბი სუნიტების ნაწილმა. კონსტიტუციით ერაყი გამოცხადდა დამოუკიდებელ, სუვერენულ, დემოკრატიულ და ფედერალურ სახელმწიფოდ, მმართველობის საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით. ისლამი გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად და კანონმდებლობის ძირითად წყაროდ. კონსტიტუციაში ერაყი დახასიათებულია მრავალეთნიკურ და მრავალეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც არის ისლამური სამყაროს ნაწილი, ხოლო მისი ხალხი – არაბი ერის ნაწილი. ოფიციალური ენა არაბული და ქურთულია. ამასთანავე, ნებისმიერ რაიონს და პროვინციას შეუძლია გამოიყენოს დამატებით ადგილობრივი ენა იმ პირობით, რომ ამ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა მოიწონებს მას საყოველთაო რეფერენდუმზე. აიკრძალა ისეთი ორგანიზაციები და საზოგადოებები, რომლებიც ეფუძნება რასიზმს და ტერორიზმს. მთავარ აკრძალულ პარტიად გამოცხადდა ბაასის პარტია. საგანგებოდ არის მითითებული, რომ ამ პარტიის წევრებს არ შეუძლიათ დაიკავონ უმაღლესი პოსტები საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში (*Constitution*, 2005).

ერაყში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა **2005 წლის 30 იანვარს. შიიტებმა უპირატესობა მოიპოვეს** პარლამენტში. გაერთიანებულმა ერაყულმა ალიანსმა (ხელმძღვანელი – აიათოლა ალი ას-სისთანი[29]), რომელშიც დომინირებენ შიიტური პარტიები, **275 ადგილიდან მიიღო 140 (48%). ქვეყნის აღმასრულებელ** ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი. ქურთებმა პარლამენტში 43 ადგილი მიიღეს. 2005 წლის 6 აპრილიდან ერაყის მეექვსე პრეზიდენტი გახდა ქურთი ჯალალ ტალაბანი, სუნიტი მუსლიმი. ორი ვიცე-პრეზიდენტიდან ერთი შიიტია და ერთი სუნიტი. ფაქტობრივად, კონსტიტუციის ამ ვარიანტმა განამტკიცა საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმა, მაგრამ სახელმწიფოს სათავეში არის საპრეზიდენტო საბჭო. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები შეადგენენ საპრეზიდენტო საბჭოს. მინისტრთა კაბინეტის წევრებს ამტკიცებს წარმომადგენლობით საბჭო. **2005 წლის 28 აპრილს დამტკიცდა ახალი მინისტრთა** კაბინეტი.[30] 2006 წლის 20 მაისიდან ქვეყნის პრემიერ-მინისტრია შიიტი ნური ქამილ ალ-მალიქი (მისი ფსევდონომია ჯავადი), რომელიც არის აგრეთვე პარტიის *ისლამური და'ვა* გენერალური მდივანი.

შიიტები და ქურთები მხარს უჭერენ ქვეყნის ფედერალურ მოწყობას, რადგანაც ფედერალიზმის პრინციპი მიაჩნიათ იმის გარანტად, რომ აღარ მოხდება წარსულის რეციდივების განმეორება (შესაბამისად, მათი დევნა). სეპარატისტულ განწყობილებებს აქვს სერიოზული ეკონომიკური საფუძველიც: ნავთობის საბადოები, რომლებიც განლაგებულია ქვეყნის სამხრეთში და ჩრდილოეთში, ხოლო ქვეყნის ცენტრში კი ჯერ არ არის აღმოჩენილი ბუნებრივი სიმდიდრეები.

ფედერალიზაციის (დაყოფის) მოწინააღმდეგეებად გამოდიან სუნიტები, რომელთაც არ სურთ საბოლოოდ დაკარგონ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები და რადიკალი შიიტი პო-

29 ალი ას-სისთანი (წარმოშობით ირანელი) შიიტების სულიერი ლიდერი გახდა 2003 წელს, მუჰამად ბაკირ ალ-ჰაქიმის გარდაცვალების შემდეგ. მას დიდი ავტორიტეტი აქვს არა მარტო ერაყში, არამედ ირანსა და ლიბანში. ის არის ტრადიციონალისტი, ერთ-ერთი ყველაზე ზომიერი რელიგიური ავტორიტეტი ერაყში. მისთვის მიუღებელია ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო მოწყობის ძირითადი პრინციპი – ვილაიეთ-ე ფაყიჰი. მისგან განსხვავებით, მუკთადა ას-სადრი იზიარებს ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა ალი ხამენეის შეხედულებებს და ფინანსდება ირანიდან (Visser, 2006).

30 2005 წლის მაისში ჩამოყალიბებულ მთავრობაში შიიტებმა დაიკავეს შინაგან საქმეთა, მშენებლობის, ფინანსთა, საშუალო და უმაღლესი განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, იუსტიციის, ნავთობის, ელექტროობის, ტრანსპორტის და მიგრაციის მინისტრების პოსტები. ქურთებმა მიიღეს 7 მინისტრის პოსტი: საგარეო საქმეთა, დაგეგმვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, წყლის რესურსების, მუნიციპალიტეტებისა და საზოგადოებრივი სამუშაოების და გარემოს დაცვის მინისტრების პოსტები. სუნიტებმა კი მიიღეს მხოლოდ ვაჭრობის, კულტურის, თავდაცვის, მრეწველობის, ქალთა საკითხების და პროვინციათა საქმეების მინისტრების პოსტები.

ლიტიკოსის – მუკთადა ას-სადრის მომხრეები, რომელთა დიდი ნაწილი ცხოვრობს იმ რაიონებში, სადაც არ არის ნავთობსაბადოები. სუნიტები წინააღმდეგი არიან აგრეთვე ქურთთა ავტონომიის ტერიტორიის გაფართოების და მისი დამოუკიდებლობის გაძლიერების.

დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური მიმომხილველის აზრით, ერაყის დეზინტეგრაციის შემთხვევაში ქურთულ, სუნიტურ და შიიტურ ნაწილად, ირანი შეიძლება გახდეს დომინანტი ძალა რეგიონში[31] (Haeri, 2006). **თეირანის ოფიციალური პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში ასეთია: „ირანი არ დაუშვებს** მოვლენების ისეთ განვითარებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საზღვრების ცვლილება და დაიცავს რეგიონის ტერიტორიულ მთლიანობას“ (*Iran*.., 2005; Дунаева, 2007: 50-51). **პროფ. ი. ნაკაშის** აზრით, ერაყის ომის შემდგომი განვითარების სამი ძირითადი ვარიანტი არსებობს. პირველი, ეს არის უნიტარული სახელმწიფო (თუმცა არ აზუსტებს სამოქალაქო თუ ისლამური), მეორე – ქვეყნის ორ ნაწილად დაყოფა: შიიტურ და სუნიტურად (რაც თავისთავად გამოიწვევს ორივეს დასუსტებას) და მესამე, წმინდა თეორიული ვარიანტი – ერაყის შიიტების ირანელ შიიტებთან გაერთიანება (რაც თუნდაც ეთნიკური მიზეზებით, პრაქტიკულად შეუძლებელია) (Nakash, 1994: 25-28; Luomi, 2008: 9-11).

პარლამენტში შიიტური პარტიების ბლოკს ხელმძღვანელობს აბდ ალ-აზიზ ალ-ჰაქიმი. ზომიერი შიიტების აზრით, ამერიკელებს საშუალება უნდა მისცენ ჩაახშონ შეიარაღებული წინააღმდეგობა, ჩამოაყალიბონ მათი დახმარებით უშიშროების ძალები და არმია, რომელსაც შეუძლია კონტროლი გაუწიოს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას (Duss, 2009: 3-9). შიიტური ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭო ერაყში და პარლამენტარები გაერთიანებული ერაყული ალიანსიდან ითხოვენ შიიტურ ავტონომიას, რომლის შემადგენლობაშიც იქნება **9 პროვინცია. თუმცა ყველა შიიტი არ ეთანხმება ამ მოთ**ხოვნას. მაგ., „მაჰდის არმიის“ ხელმძღვანელი მუკთადა ას-სადრი, რომელიც თავს თვლის ერაყელ ნაციონალისტად, ეწინააღმდეგება შიიტური ავტონომიის მოთხოვნას (Darwisha, 2009: 265).

2006 წლის 22 თებერვალს ქ. სამარაში შიიტთა სიწმინდის – „ოქროს მეჩეთის“ (*ალ-‘ასქარიდა*) აფეთქებამ განსაკუთრებით დაძაბა ურთიერთობა სუნიტებსა და შიიტებს შორის – დაიწყო მასობრივი არეულობები, თავდასხმები სუნიტურ და შიიტურ მეჩეთებზე, ორივე თემის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეებისა და რიგითი მოქალაქეების მკვლელობები, შეიარაღებული შეტაკებები არაბ-სუნიტებსა და შიიტებს შორის. ყველაზე უფრო მასობრივ საპროტესტო აქციებს ადგილი ჰქონდა ბაღდადში, სამარაში, ნაჯაფში, ქერბალასა და ბასრაში. 2006 წლის ივლისში კონფესიათაშორისო ძალადობამ ერაყში მიიღო სახელწოდება „მეჩეთების ომი,“ რომლის დროსაც შიიტურმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ „მაჰდის არმიამ“ გაანადგურა 90 სუნიტური მეჩეთი (სულ შიიტებმა გაანადგურეს დაახლ. **113 სუნიტური მეჩეთი). ამის შემდეგ შიიტურმა დაჯ**გუფებებმა უპირატესობა მოიპოვეს სუნიტურ შეიარაღებულ დაჯგუფებებზე. შიიტებსაც და სუნიტებსაც ჰყავთ თავიანთი „სიკვდილის ესკადრონები,“ რომლებიც ახორციელებენ ადამიანთა მკვლელობებს რელიგიური ნიშნით. 2007 წლის აპრილში ისრაელის მსგავსად, ბაღდადში, სუნიტური რაიონის *ალ-აზამიდას* გარშემო ააგეს 5 კმ-იანი და 4 მ სიმაღლის ბეტონის კედელი „მის დასაცავად შიიტების მხრიდან ტერაქტებისაგან“ (Dawisha, 2009: 262; Вавилов, 2009: 99).



აიათოლა სისთანი

2006 **წლის 20 ოქტომბერს მექაში ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის ეგიდით ერაყის სუ**ნიტმა და შიიტმა რელიგიურმა ლიდერებმა ხელი მოაწერეს მექის დოკუმენტს (*ვასიკა მაქქა*), რომელიც ითვალისწინებდა კონფესიათაშორისი სისხლიანი კონფლიქტის შეწყვეტას ქვეყანაში. ამ დოკუმენტის შედგენის ინიციატივა ეკუთვნის საუდის არაბეთს, რომელიც დიდი ხანია შუამავლის როლს ასრულებს არაბულ-მუსლიმურ სამყაროში კონფლიქტების მოგვარებაში. ისლამური კონფერენციის ორგანიზაციამ ხაზი გაუსვა, რომ მექის დოკუმენტი „არ არის შერიგების მიღწევისაკენ მიმართული ინიციატივა, არამედ განსაზღვრული მცდელობაა, რომელიც მიიღეს კონფესიონალიზმზე დაფუძნებული ძმათამკვლელი ომის შესაჩერებლად.“ ეს დოკუმენტი შეიცავს 10 პუნქტს და ხაზს უსვამს სუნიტებისა და შიიტების ერთიანობას. ამ ორი მიმართულების გამაერთიანებელი ნიშნები უფრო მნიშვნელოვა-

31 ირანის ხელისუფლება მუდმივად ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს ერაყის შიიტურ დაჯგუფებებთან, რომელთა საშუალებითაც უშუალო ზეგავლენას ახდენს მოვლენების განვითარებაზე მეზობელ ქვეყანაში. „ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭო ერაყში“ კონტროლდება თეირანის მიერ. თუმცა ირანის რელიგიური ხელმძღვანელობის გავლენა სხვა შიიტურ დაჯგუფებებზე შეზღუდულია.

ნია, ვიდრე განმასხვავებელი და მათი მიზეზები; დოკუმენტში საუბარია, რომ აუცილებელია უარის თქმა „რელიგიური, ეთნიკური, ენობრივი და რეგიონალური წინააღმდეგობის გამომწვევ ქმედებებზე. დოკუმენტი მოითხოვს შეწყდეს ძალადობა, მოხდეს ყველა გატაცებული მუსლიმისა თუ არამუსლიმის გათავისუფლება და დაბრუნება მშობლიურ ადგილებში. სუნიტმა და შიიტმა ღვთისმეტყველებმა ხაზი გაუსვეს, რომ „ერაყის მთავრობის ვალია უზრუნველყოს ყველა ერაყელის უსაფრთხოება, მათი რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად." მექაში არ ჩავიდა ერაყის შიიტური თემის ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენელი, მათ შორის აიათოლა ალი ას-სისთანი და მუკთადა ას-სადრი (*Makkah Document*, 2006).

2008 წლის 24 მარტს ერაყის სამთავრობო ძალებმა დაიწყეს სამხედრო ოპერაცია ბასრაში შიიტი მებრძოლების წინააღმდეგ, რაც გადაიზარდა ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში და მოიცვა ერაყის სამხრეთი ნაწილი და ბაღდადის შიიტური რაიონები. სამხედრო ოპერაციას ბასრაში პირადად ხელმძღვანელობდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნური ალ-მალიქი და მონაწილეობდა 15 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 15 ათასი პოლიციელი. ბასრის სამხედრო ოპერაციაში აქტიურად ჩაერთო ამერიკისა და ბრიტანეთის ავიაცია. 2008 წლის 30 მარტს ას-სადრმა მოუწოდა თავის მომხრეებს ბასრაში, შეეწყვიტათ შეიარაღებული მოქმედებები, ხოლო ხელისუფლებისაგან მოითხოვა საყოველთაო ამნისტია, „მაჰდის არმიის" დაპატიმრებული მომხრეების გათავისუფლება და „უკანონო ქმედებების" შეწყვეტა მისი მოძრაობის წინააღმდეგ. შერიგება ხელისუფლებასა და შიიტურ მოძრაობას შორის მოხდა 2008 წლის აპრილში. თუმცა ეს შერიგება დროებითი აღმოჩნდა და ხელისუფლებამ გააგრძელა ას-სადრის მომხრეების დაპატიმრება. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ნური ალ-მალიქმა დამატებით ჩამოაყალიბა სამხედრო ქვედანაყოფები – „ცენტრალური ხელისუფლების დამხმარე საბჭოები" (Duss, 2009: 15-16).

2008 წლის ოქტომბერში დასრულდა მუშაობა ხელშეკრულების პროექტზე ერაყსა და ამერიკას შორის, სადაც დეტალურად არის გაწერილი ამერიკის არმიის შესაძლო გაყვანის ვადები ერაყიდან. ეს არის 27 პუნქტიანი შეთანხმება, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული ერაყის სრული სუვერენიტეტის და მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ. ამ შეთანხმებით, ამერიკის სამხედრო შენაერთები უნდა გავიდნენ 2011 წლის ბოლომდე (*Withdrawal Agreement*, 2008).

2009 წლის 31 იანვარს ერაყის 14 პროვინციაში ჩატარდა არჩევნები პროვინციათა საბჭოებში. ბაღდადში და ბასრაში ყველაზე მეტი ხმა მიიღო კოალიციამ „სახელმწიფო და კანონი", რომელსაც ხელმძღვანელობდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნური ალ-მალიქი. ბასრაში მეორე ადგილი დაიკავა შიიტთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ – „ერაყის უმაღლესი ისლამური საბჭო." ას-სადრის მომხრეებმა კი მეორე ადგილი გაიყვეს არაბ სუნიტებთან ბაღდადში. ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინცია ნაინავაში (ქ. მოსული) დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს არაბმა სუნიტებმა (48,4% ხმების), რამაც მათ საშუალება მისცა დამოუკიდებლად ჩამოეყალიბებინათ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ქურთულმა პარტიებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 25,5% (Duss, 2009: 1-2).

2010 წლის 7 მარტს ჩატარდა ერაყში საპარლამენტო არჩევნები. ყველაზე მეტი ხმები მიიღო ბლოკმა *ალ-ირაკიიეა* (91 ადგილი 325-დან). 89 ადგილი მოიპოვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ნური ალ-მალიქის კოალიციამ „კანონის სახელმწიფოს კოალიცია." ნური ალ-მალიქმა, რომელსაც ქურთები ეძახიან „მეორე სადამ ჰუსაინს," კოალიციაში ჩართო რადიკალი შიიტი ლიდერის მუკთადა ას-სადრის[32] და სხვადასხვა ზომიერი სუნიტური პოლიტიკური ორგანიზაციების მომხრეები, აგრეთვე დამოუკიდებელი ქურთი პოლიტიკოსები. ახალ კოალიციას სურს, ერაყიდან ამერიკის ჯარების გასვლის შემდეგ, მოიპოვოს არაბული ქვეყნების ფართო მხარდაჭერა, პირველ რიგში ეგვიპტის, საუდის არაბეთის და სხვა არაბული მონარქიების. არაბული ქვეყნები ბაღდადს მოიხსენიებენ როგორც „ირანის სატელიტს," რადგანაც ახლანდელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ძირითადად შიიტებით არის დაკომპლექტებული.

კოალიციის რიგებში რადიკალი ას-სადრის ჩართვა განპირობებულია ამ პოლიტიკოსის მზარდი გავლენით. ამასთანავე, ას-სადრი და ნური ალ-მალიქი მომხრე არიან ერაყში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისა. ერაყის მთავრობის მეთაური ნური ალ-მალიქი თვლის, რომ „ფართო პოლიტიკური უთანხმოება" შიიტებს, სუნიტებსა და ქურთებს შორის უნდა გადაწყდეს დიალოგის გზით.

32 2010 წლის მაისში ნური ალ-მალიქი და ალ-ალაუი (*ალ-ირაკიიეას* კოალიციის თავმჯდომარე) შეხვდნენ ერაყელი შიიტების სულიერ ლიდერს აიათოლა ალი ას-სისთანის, რომელმაც არ გამოხატა მხარდაჭერა არც ერთი პოლიტიკოსის მიმართ. აიათოლა სისთანიმ განაცხადა, რომ ერაყის მომავალ მთავრობაში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა პოლიტიკური ძალა, მაგრამ თვითონ ის „ერთნაირად შორს იქნება ყველა პოლიტიკური ძალისაგან."

მან მოუწოდა აგრეთვე, რომ აპატიონ სადამ ჰუსაინის მომხრეებს იმ პირობით, თუ ისინი „დაბრუნდებიან ჩვენთან და გადაფურცლავენ ერაყის ისტორიის ბნელ ფურცელს". ას-სადრი, ირანთან ფართო კავშირების მიუხედავად, დამოუკიდებელი პოლიტიკური მოღვაწეა და უარს არ ამბობს არაბულ ქვეყნებზე ორიენტაციაზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შიიტთა ლიდერი ას-სადრი თავს თვლის მთელი ერაყის ინტერესების დამცველად, რომელიც გამოდის კონფესიათაშორისი შუღლის წინააღმდეგ და არა მხოლოდ შიიტ მოღვაწედ.

2010 წლის 11 ნოემბერს პარლამენტარებმა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერად აირჩიეს ბლოკ ალ-ირაკიᲫᲐᲡ წარმომადგენელი, სუნიტი ან-ნუჯაიფი. მისი მოადგილეები გახდნენ ქურთული და შიიტური ბლოკის წარმომადგენლები. იმავე დღეს დეპუტატებმა ხმების 2/3-ით ქურთი ჯალალ ტალაბანი აირჩიეს მეორე ვადით ერაყის პრეზიდენტად, რომელმაც ნური ალ-მალიქს დაავალა ახალი მთავრობის ჩამოყალიბება, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეყნის ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი. 13 ნოემბერს პარლამენტმა მოიწონა შეთანხმება ხელიუფლების უფლებამოსილებათა დანაწილების შესახებ, გადაწყდა შემუშავდეს სამართლებრივი დადგენილებები, რათა გაუქმდეს აკრძალვა პოლიტიკურ საქმიანობაზე ალ-ირაკიᲫᲐᲡ ბლოკის სამ სუნიტ პოლიტიკოსთან მიმართებაში. დეპუტატებმა მიიღეს აგრეთვე განცხადება ახალ მინისტრთა კაბინეტში ყველა პოლიტიკური პარტიის მონაწილეობის აუცილებლობაზე. 2010 წლის 10 დეკემბერს გამოცხადდა, რომ პოლიტიკური ბლოკების ლიდერები, ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შემდეგ, შექმნიან სამთავრობო კოალიციას „ეროვნული პარტნიორობა", რომელსაც უხელმძღვანელებს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ნური ალ-მალიქი. მის მთავარ მოწინააღმდეგეს, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ა. ალაუის (2004-2005) შესთავაზეს ახალი სტრუქტურის – „სტრატეგიული პოლიტიკის საბჭოს" თავმჯდომარეობა, რაც საშუალებას მისცემს სუნიტური ალ-ირაკიᲫᲐᲡ ბლოკს გავლენა მოახდინოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხების გადაწყვეტაზე.

მრავალი ექსპერტი თვლის, რომ შეთანხმება ხელისუფლების უფლებამოსილებათა დანაწილებაზე გამოიწვევს ერაყის „ლიბანიზაციას" – ძირითადი სახელმწიფო პოსტები გადანაწილდება განსაზღვრული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელებზე. ეს კი საბოლოოდ გამოიწვევს ერაყის საზოგადოების დაყოფას ეთნიკური და კონფესიური ნიშნით. არსებობს აგრეთვე მოსაზრება ერაყის პოლიტიკური ელიტის სამ ძირითად ჯგუფად დაყოფაზე, რომლებიც ორიენტირებული იქნება შესაბამისად აშშ-ზე, ირანზე და საუდის არაბეთზე.

კონფესიური კონფლიქტი სუნიტებსა და შიიტებს შორის კვლავ რჩება ერაყში დესტაბილიზაციის ძირითად წყაროდ. ერაყში სუნიტურ-შიიტური კონფრონტაცია შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ეტაპად: 1. 1932-2003 წწ. – ხასიათდება სუნიტების დომინანტური როლით ქვეყნის პოლიტიკაში, რასაც მოჰყვა შიიტების დისკრიმინაცია და მრავალი ათასი შიიტის პოლიტიკური ემიგრაცია ირანში სადამ ჰუსაინის მმართველობის პერიოდში (1979-2003) განხორციელებული სასტიკი რეპრესიების შედეგად; 2003-2010 წწ. – პოსტსადამური ერაყის თანამედროვე პოლიტიკურ პრაქტიკაში ნათლად გამოჩნდა ეთნიკური და კონფესიური დაპირისპირებები. ქვეყანაში ჩამოყალიბებული ახალი პოლიტიკური სისტემის საფუძველზე, რომელიც დაეფუძნა დასავლური დემოკრატიის პრინციპებს, შიიტებმა შესაძლებლობა მიიღეს წამყვანი პოზიციები დაეკავებინათ ერაყის პოლიტიკურ არენაზე. შიიტებს მიეცათ ისტორიული შესაძლებლობა – შეცვალონ ერაყის მომავალი. სტაბილურობა და უსაფრთხოება ერაყში დიდად არის დამოკიდებული სუნიტურ-შიიტური დაპირისპირების დარეგულირებაზე, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კომპრომისი ქვეყნის პოლიტიკურ ძალებს შორის და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დამკვიდრება.

სუნიტურ-შიიტური ურთიერთობის ძირითადი ასპექტები საუდის არაბეთში

თანამედროვე საუდის არაბეთის მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ მუსლიმი-სუნიტები.[33] ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტის საფუძველს შეადგენენ ულემები, რომლებიც არიან ჰანბალიტური მოძღვრების მიმდევრები. სწორედ ისინი შედიან უმაღლესი ულემების საბჭოში და პრაქტიკულად

33 საუდის არაბეთის მოსახლეობის რაოდენობა არის 28 მლნ (2010 წლის მონაცემები). სუნიტები არიან სხვადასხვა საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლების მიმდევრები. ნაჯდში ჭარბობენ ჰანბალიტები. ჰიჯაზში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არის მალიქიტების მაზჰაბის მიმდევარი. არიან სუფიზმის მიმდევრებიც. ქვეყნის სამხრეთში (ასირი, ჯაᲫზანი, ნაჯრანი) რელიგიური თვალსაზრისით მოზაიკური სურათია. ოფიციალური მიმართულების გარდა, აქ არიან შაფიიტები და მალიქიტები.

ხელმძღვანელობენ რელიგიურ, სასამართლო, საგანმანათლებლო სფეროს, აგრეთვე მეჩეთებს, ვაკუფებს და სხვ. ისლამის სხვა საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლებისა და მიმდინარეობების წარმომადგენლები პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მიღებაში მონაწილეობას არ ღებულობენ. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში კონფესიების თანაბარი უფლებები განმტკიცებულია კონსტიტუციით, უზრუნველყოფილია მათი პროპორციული წარმომადგენლობა სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში. ამ თვალსაზრისით, საუდის არაბეთი გამონაკლისს წარმოადგენს.

მრავალი დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ შიიტები საუდის არაბეთში განიცდიან დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით. ამის შესახებ ღიად განაცხადა საუდის არაბეთის შიიტური თემის წარმომადგენელმა შაიხ ჰაშიმ სალმანმა „ეროვნული დიალოგის“ წარმომადგენელთა მეორე შეხვედრაზე მექაში 2004 წლის იანვარში. თუმცა ე. წ. „შიიტური საკითხის“ მოხსენიება საერთოდ არ ხდება არც ოფიციალური წრეების და არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ. არ-რიადში ხაზს უსვამენ, რომ საუდის არაბეთის სამეფო არის სახელმწიფო, რომელიც თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს აძლევს თავის ქვეშევრდომებს მათი რელიგიური კუთვნილების მიუხედავად.

ზუსტი მონაცემები საუდის არაბეთის შიიტების შესახებ არ არსებობს. მათი რაოდენობა დაახლოებით 2,4-დან 3,6 მლნ-მდე უნდა იყოს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 10–15%-ს შეადგენს. სამეფოს დედაქალაქში არ-რიადში ცხოვრობს 30,000-მდე შიიტი (*The Shiite Question*, 2005: 1; Логинов, 2003: 105).

საუდის არაბეთში სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირებას აქვს ისტორიული ხასიათი და მომდინარეობს XVIII საუკუნეში ვაჰაბიტების მიერ შემუშავებული რელიგიურ-იდეოლოგიური დოქტრინიდან, რომელიც გამოირჩეოდა უკიდურესი ფანატიზმით და სისასტიკით იმ მუსლიმებისადმი, ვინც არ იზიარებდა მათ შეხედულებებს. ისტორიკოსი ა. ვასილიევი აღნიშნავდა, რომ „ვაჰაბიტები ებრაელებს და ქრისტიანებს ექცეოდნენ უფრო ლმობიერად, ვიდრე მუსლიმებს“ (Васильев, 1967: 127). ეს ვითარება დღეს შეიცვალა, მაგრამ შიიტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მაინც რჩება.

საუდის არაბეთის შიიტების უმრავლესობა ცხოვრობს ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციაში, სადაც ისინი შეადგენენ ადგილობრივი მოსახლეობის 60%-ს. აღმოსავლეთ პროვინციის და ქალაქ მედინის შიიტები იმამიტები, ანუ თორმეტი იმამის ამღიარებლები არიან. იანბუს რაიონში წარმოდგენილი არიან შიიტი-კაისანიტები. შიიტი-ისმაილიტები თავმოყრილი არიან სამხრეთით, განსაკუთრებით ნაჯრანში. ზაიდიტები კი – ქვეყნის სამხრეთ და დასავლეთ რაიონებში. ეთნიკური კუთვნილების მიხედვით საუდის არაბეთის შიიტები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: საკუთრივ საუდის არაბეთის არაბები და უცხოელები, ძირითადად ირანელები და იემენელები, აგრეთვე ინდოეთისა და პაკისტანის მცხოვრებლები.

1913 წელს საუდის არაბეთის მომავალმა მეფემ აბდ ალ-აზიზ იბნ საუდმა დაისაკუთრა ალ-ჰასას და ალ-კატიფის ოაზისებიდან. ადგილობრივი შიიტი მუჯთაჰიდების – მუსა იბნ აბდალაჰ აბუ ხამსინის (1874-1932), ალი იბნ ჰასან ალი ალ-ხუნაიზის (1868-1944) და სხვა ავტორიტეტული შიიტი რელიგიური მოღვაწეების მოწოდებამ თავიანთი ერთმორწმუნეებისადმი – არ შეწინააღმდეგებოდნენ – მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იბნ საუდის გამარჯვებაში. მეფემ ხელი მოაწერა შიიტთა რელიგიურ ლიდერებთან შეთანხმებას „პროვინციის მცხოვრებლებისათვის რელიგიური თავისუფლების გარანტიის შესახებ“ მათი მორჩილების სანაცვლოდ ახალი სახელმწიფოსადმი. ამასთან, აბდ ალ-აზიზმა განსაზღვრული ღონისძიებები გაატარა აღმოსავლეთ პროვინციებში ადგილობრივი შიიტი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. მან ნება დართო შიიტებს, ჰქონოდათ საკუთარი მეჩეთები, შეესრულებინათ თავიანთი რელიგიური რიტუალები და ჰქონოდათ საკუთარი სასამართლოები. ალ-კატიფში შარიათის სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა შაიხ ალ-ხუნაიზი, რომელსაც გამოჰქონდა სასამართლო განაჩენი როგორც შიიტების, ისე სუნიტების საქმეებთან დაკავშირებით.

1925 წელს „იხვანებმა“[34] პოლიტიკური ხელისუფლებისაგან მოითხოვეს აეკრძალათ ალ-ჰასას და ალ-კატიფის შიიტებისათვის საჯაროდ თავიანთი რელიგიური რიტუალების შესრულება, შეეწყვიტათ მოციქულის და ალის დაბადების დღის აღნიშვნა, პილიგრიმობა ქერბალასა და ნაჯაფში. აბდ ალ-აზიზმა არ შეასრულა ეს მოთხოვნები.

ვაჰაბიტებსა და შიიტებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად შეიცვალა 1926 წელს. „იხვანებმა“ მეფეს წაუყენეს მთელი რიგი ბრალდებები, უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ არ სურდა შიიტებისათვის თავს მოეხვია „სწორი“ ისლამი, როგორც ეს განმარტებულია იბნ აბდ ალ-ვაჰაბის წიგნში *„ათ-თავჰიდ“*. 1926 წლის ოქტომბერში წელს „იხვანებმა“ კონფერენცია მოაწყეს

34 იხვან – ბედუინთა რელიგიური ჯგუფი (ან კომიტეტი). ისინი იყვნენ ვაჰაბიტები და წინააღმდეგი იყვნენ ყველაფრის, რაც იყო დასავლური. ახლა ეწოდებათ ალ-მუტავვა'ა და ის ასრულებს იგივე როლს, რასაც იხვანი იბნ სა'უდის დროს. ისინი აკონტროლებენ საუდელთა ყოველდღიურ ცხოვრებას.

არტავიაჰში, სადაც მათ გააკრიტიკეს იბნ საუდი. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო შიიტური თემის სტატუსი და მათი „ისლამიზაცია“. მეფე აბდ ალ-აზიზმა, „იხვანთა“ კრიტიკის საპასუხოდ, 1927 წლის იანვარში მოაწყო კონგრესი რიადში, სადაც მიიწვია ულემები და „იხვანების“ მეთაურები. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მეფემ შიიტებთან ურთიერთობის საკითხი განსახილველად გადასცა უმაღლესი ულემების კომიტეტს და მოითხოვა მათგან შესაბამისი ფათვა (საღვთისმეტყველო-სამართლებრივი დასკვნა). ულემებმა თავის ფათვაში (1927 წლის თებერვალი) მოსთხოვეს აბდ ალ-აზიზს გარკვეული შეზღუდვების დაწესება შიიტების მიმართ და მათი იძულება მიეღოთ ვაჰაბიზმი. ულემები არწმუნებდნენ იბნ საუდს – გაეგზავნა ინსტრუქტორები და მასწავლებელები ალ-ჰასაში და ალ-კატიფში, რათა დაერწმუნებინათ შიიტები მიეღოთ „ჭეშმარიტი ისლამი“. შესაბამისად, შიიტები დიდმა ნაწილმა აღიარა ვაჰაბიზმი, ხოლო ნაწილი გადავიდა ბაჰრაინში. იმათ შორის, ვისაც აიძულეს ვაჰაბიზმზე გადასვლა, იყო მუსა იბნ აბდალლაჰ აბუ ხამსინი, ალ-ჰასას ცნობილი მუჯთაჰიდი (Kostiner, 1985: 315-217; al-Yassini, 1985: 49-50, 55-56; Steinberg, 2001: 248-251). მეფემ აკრძალა შიიტებისათვის იმამ ჰუსაინის საჯარო დატირება და ბრძანა დაენგრიათ შიიტ წმინდანთა საფლავები მედინაში და საუდის არაბეთის სხვა ადგილებში. „იხვანთა“ მოძრაობის ლიკვიდაციამ (1930) მოხსნა დაძაბულობა ოფიციალურ რელიგიურ ინსტიტუტებსა და შიიტებს შორის ურთიერთობაში. თუმცა გაჩნდა ისეთი ძალებიც ვაჰაბიტებს შორის, რომელთაც შიიტებთან თანაარსებობა შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ იმ პირობებში, თუ მათ ექნებოდათ *ზიმმი*ების (მფარველობის ქვეშ მყოფი ხალხი) სტატუსი. არის ცნობა იმის შესახებ, რომ მეფე იბნ საუდმა *ჯიზია* (არამუსლიმთათვის დაწესებული გადასახადი) დააკისრა ალ-ჰასას შიიტებს და არამუსლიმებს, ძირითადად ქრისტიან ვაჭრებს (al-Hasan, 1993: 34).

XX საუკუნის 50-60-იანი ნავთობის მრეწველობის აღმავლობამ აღმოსავლეთ პროვინციაში უზრუნველყო შიიტების დასაქმება და პროვინციაში იმიგრანტების დიდი რაოდენობით მოზიდვა.[35] აქ ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმართულების მუშათა და პოლიტიკური მოძრაობა, რომელშიც ადგილობრივმა შიიტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.[36] თუმცა მათ არ წამოუყენებიათ ამ მოძრაობის სხვა მონაწილეებისაგან განსხვავებული მოთხოვნები (Rasheed, 2003: 97, 100).

მეფე ფაისალის (1964-1975) დროს ვაჰაბიტმა ულემებმა გამოსცეს რამდენიმე სპეციალური ფათვა შიიტების მიმართ, რაც უკრძალავდა მათ საჯაროდ რელიგიური რიტუალების შესრულებას და მეჩეთების აშენებას. რამდენიმე ღვთისმეტყველმა საერთოდ გამოაცხადა, რომ შიიტების მიერ დაკლული ცხოველის ხორცი არ შეიძლებოდა გამოეყენებინათ მუსლიმებს საკვებად (al-Hasan, 1993: 58). 1974 წელს შიიტთა წინამძღოლი ჰასან ას-საფარი და მისი ახალგაზრდა მიმდევრები: თავფიკ ას-საიფი და მისი ძმები, ფავზი და მაჰმადი, იუსუფ სალმან ალ-მაჰდი, ჰასან მაქი ალ-ხუვაილიდი, ჰუსაინ აბუ ხამსინი წავიდნენ ქუვეითში, სადაც აიათოლა მუჰამად ალ-ჰუსაინი აშ-შირაზიმ (იმ დროს ერაყის ოპოზიციური ჯგუფის რელიგიური წინამძღოლი) თავის ძმისშვილთან – მუჰამად თაკი ალ-მუდარასისთან ერთად დააარსა რელიგიური სკოლა. ამ დროს ქუვეითში იყო ბევრი ერაყელი შიიტი აქტივისტი, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს საუდის არაბეთის შიიტების მსოფლმხედველობაზე. 1977 წელს ას-საფარი და მისი თანამოაზრეები დაბრუნდნენ ალ-კატიფში და საფუძველი ჩაუყარეს „შიიტური რეფორმების მოძრაობას“ (Fandy, 1999: 198). ისინი ორი წლის განმავლობაში თეირანის რადიოგადამცემის საშუალებით აკრიტიკებდნენ საუდის არაბეთის სამეფო ოჯახს[37]. ამან ხელი შეუწყო პოლიტიკური შიიზმის გაძლიერებას საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში.

ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ ირანში და ირან-ერაყის ომმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები საუდელი შიიტების ცხოვრებაში. შიიტების თემმა გამოსვლები დაიწყო ცალკე კონფესიის სახით. ამას ხელი შეუწყო სხვადასხვა ფაქტორებმა. აღმოსავლეთ პროვინციის მრავალი პოლიტიკური მოღვაწე ყუმის, თეირანის, მეშჰედის რელიგიურ სკოლებში სწავლობდა, სადაც უშუალოდ გაეცნენ იმამ ხომეინის იდეებს. საუდის არაბეთიდან ირანში ჩავიდა შიიტების დელეგაცია, რათა შეხვედროდა ხომეინის. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ირანელი პილიგრიმები ჰაჯზე ჩასვლას იყენებდნენ პოლიტიკური დემონსტრაციებისათვის, რომლის დროსაც ხდებოდა ისლამური რევოლუციის იდეების პროპაგანდა (*The Shiite Question*, 2005: 3). შესაბამისად, ამ პერიოდში ხელისუფლება გაატარა გარკვეული ღონისძიებები: შემცირდა იმ სახელების რიცხვი, რომლებიც შეიძლებოდა აერჩიათ შიიტ

35 თუმცა, მძიმე იყო იმ შიიტების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, ვინც არ იყო დასაქმებული ნავთობკომპანიებში.

36 ეს საპროტესტო მოძრაობა გამოიხატა დემონსტრაციებისა და გაფიცვების სახით 1953 და 1956 წელს.

37 საუდის არაბეთში არის ირანის ტელე და რადიო გადაცემების მიღების შესაძლებლობა არაბულ ენაზე.

მშობლებს თავიანთი შვილებისათვის – აიკრძალა ისეთი სახელები, როგორიცაა მუჰამად ჰასანი, მუჰამად ალი, მუჰამად ალ-ბაკირი და სხვ. (Nakash, 2006: 50).

1979 წლის ნოემბერში აღმოსავლეთ პროვინციაში შიიტთა რელიგიურ-პოლიტიკურმა მოძრაობა დაიწყო. თუმცა, ეს იყო ფართომასშტაბიანი მშვიდობიანი დემონსტრაციები და გაფიცვები, რომელიც სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა და მოიცვა ქალაქები: სუფუვა, საიჰათი, ალ-კატიფი და სხვ. საუდელ შიიტებს კონკრეტული მოთხოვნები ჰქონდათ: შიიტური რიტუალების შესრულების თავისუფლება; ნავთობიდან მიღებული შემოსავლებიდან უფრო დიდი წილი; დისკრიმინაციის მოსპობა რელიგიურ ნიადაგზე; შიიტებით დასახლებული რაიონების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ამავე წლის 28 ნოემბერს საფვაში შიიტებმა საჯაროდ აღნიშნეს აშურა – შიიტების მესამე იმამის, ალ-ჰუსაინის გლოვის დღე. ეს მოვლენები დასრულდა პოლიციასთან და ეროვნულ გვარდიასთან (20,000) შეტაკებებით, რომლებიც ხელისუფლებამ გამოგზავნა დემონსტრანტების წინააღმდეგ (al-Hasan, 1993: 72; Nakash, 2006: 50). ამ შეტაკებების შემდეგ აღმოსავლეთ პროვინციაში გაჩნდა პროკლამაციები სათაურით: „*ალ-ჰარაქა ალ-ისლამიჲჲა*“ (ისლამური მოძრაობა), რომელშიც იყო მოწოდებები ხალხთა მასებისადმი – არ დამორჩილებოდნენ და ეპასუხათ ხელისუფლებისათვის სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ძალისმიერი მეთოდებით. ისმოდა აგრეთვე ლოზუნგები: „*ლა შარკიჲჲა, ლა ღარბიჲჲა, სავრა ისლამიჲჲა*“ („არც აღმოსავლური, არც დასავლური, [არამედ] ისლამური რევოლუცია“); „*მაბდა'უნა ჰუსაინი კა'იდუნა ხომეინი*“ („ჩვენი პრინციპი ჰუსაინურია, ხომეინი ჩვენი ბელადია“). ზუსტად ამავე პერიოდში, 1979 წელს, მოხდა „ახალი იხვანების“ (სუნიტი რადიკალების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ჯუჰაიმან იბნ მუჰამად ალ-უთაიბი და მუჰამად იბნ აბდალაჰ ალ-კაჰტანი – მათი ძირითადი მოთხოვნა იყო საუდის სამეფო ოჯახის ჩამოცილება მმართველობიდან) მიერ მექის მეჩეთის აღება, რამაც ამ მოვლენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა (Rasheed, 2003: 144-148; Goldberg, 1986: 238-245; Toby, 1979: 213-233).

1980 წელს შიიტებმა მოაწყვეს დიდი დემონსტრაცია ირანის ისლამური რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად. გარკვეულწილად ეს მოვლენები შეფასდა, როგორც „რევოლუციური სიტუაცია.“ თვითონ შიიტებმა კი ამ მოვლენებს უწოდეს „*ინთიფადა ფი ალ-მინტაკა აშ-შარკიჲჲა*“ („აღმოსავლეთ პროვინციის ამბოხება“). მაგრამ ხელისუფლებამ ძალიან მალე მოაწესრიგა მდგომარეობა აღმოსავლეთ პროვინციაში, რადგანაც ეს მოძრაობა არ გავრცელდა ისეთ მსხვილ სამრეწველო ქალაქებზე, როგორიცაა დაჰრანი, ალ-დამამი და სხვ. მასში არ მონაწილეობდნენ მუშები (al-Hasan, 1993: 77-79). ამიტომ აღმოსავლეთ პროვინციაში მიმდინარე ამ მოვლენებს პრაქტიკულად არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია ნავთობგადამამუშავებელ და ნავთობქიმიურ მრეწველობაზე, როგორც ეს მოხდა 1950-60-იან წლებში მუშათა მოძრაობის დროს.

შიიტების ამ აქციების ორგანიზატორი, როგორც ჩანს, იყო „ისლამური რევოლუციის ორგანიზაცია არაბეთის ნახევარკუნძულის გასათავისუფლებლად“ (*მუნაზზამა ას-სავრა ალ-ისლამიჲჲა ლი-თაჰრირ ალ-ჯაზირა ალ-არაბიჲჲა*), თუმცა ამის დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს. ცნობილია ისიც, რომ ამ ორგანიზაციის საფუძველი გახდა „შიიტური რეფორმების მოძრაობა,“ რომელიც ჩამოაყალიბა ჰასან ას-საფარიმ. 1979 წლის მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე, ას-საფარიმ შეუცვალა ორგანიზაციას სახელი. მისი შემადგენლობის ძირითადი ნაწილი შიიტურია, რომელთა გარკვეული ნაწილი ემიგრაციაშია. ამ ორგანიზაციის წევრები ძირითადად არიან დამამის უნივერსიტეტის სტუდენტები და ნავთობის მრეწველობაში დასაქმებული მუშები. მათ ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ირანი.[38] მისი ხელმძღვანელები არიან შიიტები, ას-საფარი და მისი თანამოაზრეები. მათ კარგად ესმოდათ ამ ორგანიზაციის სისუსტე, მისი იზოლირება ხალხთა მასებისაგან თავისი კონფესიური ხასიათის გამო და ხაზს უსვამდნენ, რომ ეს არის ისლამური მოძრაობა და მოუწოდებდნენ სუნიტებისა და შიიტების ერთიანობისაკენ.[39] (იქვე, 79-81; Rasheed, 2003: 147-148; *Can Saudi Arabia..*, 2004: 3-4). ამ ორგანიზაციამ თავისი მოთხოვნები წაუყენა ხელისუფლებას: შეეწყვიტათ შიიტების დევნა, გაეთავისუფლები-

38 ირან-ერაყის ომის დროს მათ მხარი დაუჭირეს ირანს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ისეთ ისლამისტურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა ჰიზბ ად-და'ვა (მოწოდების პარტია), ალ-ჯიჰად ალ-ისლამი (ისლამური ჯიჰადი), და ისლამური რევოლუციის უმაღლეს საბჭოსთან, რომლის შტაბი ირანშია. ეს ორგანიზაცია გამოვიდა აგრეთვე არაბული ნაციონალიზმის იდეის წინააღმდეგ და მისაღებად მიიჩნევს მხოლოდ „ისლამურ უმმას“ (ისლამურ თემს) და „ისლამურ ინტერნაციონალიზმს.“

39 შესაძლოა სწორედ ამის გამო მათ სოლიდარობა გამოუცხადეს „ახალ იხვანებს“ (მათ ჰქონდათ ნაკლებად ცნობილი ორგანიზაცია „მუსლიმი რევოლუციონერების საზოგადოება“), რომელთაც დაიწყეს აჯანყება ჰიჯაზში 1979 წელს. მოვლენათა კულმინაცია იყო ანტისამთავრობო გამოსვლები ნოემბერში, როდესაც აჯან-

ნათ პოლიტპატიმრები, მიეღოთ ისლამური კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფდა დემოკრატიას, სოციალურ თანასწორობას, დასავლეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ამერიკასთან ხელშეკრულებების გაუქმებას. მეფე ხალიდმა (1975-1982) **აიძულა ორგანიზაციის ხელმძღვანელები ქვეყნიდან** წასულიყვნენ. 1980 წელს ას-საფარი წავიდა ირანში. მალე ორგანიზაციის ჟურნალში „*ას-სავრა ალ-ისლამიზა*,"[40] რომელიც იბეჭდება ლონდონში, გაისმა მოწოდებები არა ისლამური რევოლუციისაკენ საუდის არაბეთში, არამედ გამოცხადდა ადგილობრივ რეჟიმთან თანამშრომლობის კურსი. ითვლება, რომ ეს ტრანსფორმაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა ისლამური შიიტური მოძრაობის განვითარებაში სპარსეთის ყურეში და მთელს არაბეთის ნახევარკუნძულზე. ორგანიზაციის ამგვარი გარდაქმნა დაკავშირებული იყო ხელისუფლების გარკვეულ ღონისძიებებთან, რათა მოეხსნა დაძაბულობა შიიტებთან მიმართებაში. ხელისუფლების წარმომადგენლები ჩავიდნენ ამ პროვინციაში და შიიტებს აღუთქვეს შიიტური ქალაქების საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება (al-Hasan, 1993: 77-80). **გარკვეული შეთანხმება მიღწეულ იქნა მხოლოდ** 1991 **წლის** სპარსეთის ყურის კრიზისის შემდეგ.[41] თუმცა, უკვე 1987 **წელს შიიტების ნაწილმა**, ირანელთა დახმარებით, დააფუძნა ჰიჯაზის *ჰიზბ* ალლაჰი („ალაჰის პარტია") (Rasheed,1998:122).

1993 წელს მეფე ფაჰდი (1982-2005) შეხვდა ჯიდდაში შიიტთა ლიდერებს და აღუთქვა, რომ არ დაუშვებდა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის არანაირ ფორმას შიიტებთან მიმართებაში. ასევე გამოცხადდა ამნისტია პოლიტიკური იმიგრანტების მიმართ იმ პირობით თუ ისინი არ მიიღებდნენ მონაწილეობას მმართველი ას-საუდის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებში. ამის შედეგად შიიტთა ოპოზიციური მოძრაობის ასობით მონაწილე დაბრუნდა სამშობლოში (*The Shiite Question*, 2005: 4). თუმცა მეფის დაპირება ვერ შესრულდა. მას წინააღმდეგობა შეხვდა ხელისუფლების, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს და პრინცის – მუჰამად იბნ ფაჰდის მხრიდან. შიიტური უმცირესობის წარმომადგენელმა ნაჯიბ ალ-ხუნაიზიმ განაცხადა: „მეფის ავადმყოფობამ ხელი შეუშალა ყველა პროექტის განხორციელებას, რაც დაკავშირებული იყო შიიტების მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და მათ ინტეგრაციასთან საუდის არაბეთის საზოგადოებაში" (*al-Jazeera*, 2003: 31-4). **ზოგიერთი შიიტი-ოპოზიციონერი** კვლავ წავიდა ემიგრაციაში საზღვარგარეთ. **1993 წლის აგვისტოში საუდის არაბეთის** საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში შევიდა შიიტი – დოქტორი ჯამილ ალ-ჯიში. ამ ფაქტმა ორთოდოქსების აღშფოთება გამოიწვია. საუდის არაბეთის რადიკალი ისლამისტების აზრით მეფეს არ შეიძლება რჩევა მისცეს შიიტმა „ერეტიკოსმა" (*Can Saudi Arabia..*, 2004: 14).

XX საუკუნის 90-იან წლებში საუდის არაბეთის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა „შიიტურ საკითხთან" მიმართებაში. ამას ხელი შეუწყო საუდის არაბეთში ირანის პრეზიდენტის ხათამის ვიზიტმა 1999 წელს. ამის შემდეგ რეგულარულად ხდება შიიტთა წარმომადგენლების შეხვედრა ირანის ხელისუფლებასთან. საუდის არაბეთის ადგილობრივ და ცენტრალურ პერიოდულ გამოცემებში გაჩნდა მასალები, რომლებიც მომზადებული იყო შიიტი ჟურნალისტების მიერ. პრინცი აბდალაჰი თვითონ ჩავიდა ამ პროვინციაში და ხაზი გაუსვა სამეფოს ქვეშევრდომთა რელიგიურ ერთიანობას ერთღმერთიანობის პრინციპის საფუძველზე. **1999 წლის აპრილში პრინცმა ჩაატარა 9 დღიანი ტურნე** აღმოსავლეთ პროვინციის ქალაქებში. ამ ოფიციალურ ღონისძიებებს ესწრებოდა შიიტური თემის ლიდერები. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ქ. დამამში პრინცმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ „ჭეშმარიტი რწმენის" გაგება არის თითოეული ადამიანის შინაგანი სინდისის საქმე და არ შეიძლება საკუთარი შეხედულებების და რწმენის ძალით თავს მოხვევა სხვა ადამიანებისათვის. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საუდის სამეფოს ქვეშევრდომთა თანასწორობის პრინციპს ერთღმერთიანობის პრინციპის საფუძველზე. ამავე წლის ზაფხულში აღმოსავლეთ პროვინციის გუბერნატორის ადმინისტრაციასთან შემოღებულ იქნა მრჩევლის პოსტი შიიტურ საკითხებში, თუმცა მას არა აქვს ხმის უფლება (Логинов, 2003: 108). პირველად საუდის არაბეთის ისტორიაში, 1999 წელს ჯამილ ალ-ჯიში დაინიშნა ირანში ელჩის თანამდებობაზე (1999-2003).

ყებულებმა დაიკავეს მექის წმინდა მეჩეთი 1979 წელს. ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო ეს აჯანყება, გამოიყენა იარაღი და ცრემლსადენი გაზი. მოძრაობის 62 ხელმძღვანელი სიკვდილით დასაჯეს.

40 სპარსეთის ყურის მეორე ომის დროს, ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის მზადების პერიოდში ამ ჟურნალს შეუცვალეს სახელი და უწოდეს ალ-ჯაზირა ალ-არაბიზა (არაბეთის ნახე-ვარკუნძული).

41 შიიტები შეურაცხყოფილი იყვნენ იმ ფაქტით, რომ ერაყ-ქუვეითის კონფლიქტის დროს ალ-საუდმა მოიწვია უცხოელები, მათ შორის ქალები და არამუსლიმები საუდის არაბეთის დასაცავად და არ მიიწვია შიიტები. ისინი მოითხოვდნენ ყველა საუდელისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის დაწესებას, რელიგიის თავისუფლების აღიარებას, პირველი კლასის მოქალაქეობას (ჯინსიზა ვატანიზა) და სხვ.

ანტიშიიტური განწყობილებების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ის ფაქტი, რომ ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტის წარმომადგენელთა ნაწილი საერთოდ არ თვლის შიიტებს მუსლიმებად და ზოგიერთ მათ ჩვეულებებს განიხილავს, როგორც „უდიდეს მრავალღმერთიანობას“ (*აშ-შირკ ალ-აძბარ*). ამ აზრს იზიარებს საუდის არაბეთში „ზომიერი“ სალაფიტების წარმომადგენელი შაიხი სალმან მუჰამად ალ-უდა. 1991 წელს აბდალაჰ იბნ აბდ არ-რაჰმან ალ-ჯიბრინმა, იმ დროს ულემთა უმაღლესი საბჭოს წევრმა, გამოსცა ფათვა, რომლითაც შიიტები სარწმუნოებისაგან განდგომილად გამოცხადდნენ (*The Shiite Question*, 2005: 10).

თეოლოგიური ხასიათის განსხვავებების პარალელურად ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტის უნდობლობა ადგილობრივი შიიტური თემისადმი განპირობებულია მათი ტრადიციული კავშირებით თავიანთ ერთმორწმუნეებთან სამეფოს ფარგლებს გარეთ – განსაკუთრებით ირანთან, ერაყთან და ლიბანთან. ამასთან დაკავშირებით ვაჰაბიტურ წრეებში აქტიურად განიხილება საკითხი, თუ რამდენად ლოიალური არიან შიიტები საუდის ხელისუფლებასთან მიმართებაში. ზოგიერთი რადიკალი სუნიტი იქამდეც კი მიდის, რომ საუდელ შიიტებს თვლის არა არაბებად, არამედ სპარსელებად. საუდის არაბეთის რელიგიური ექსტრემისტები თვლიან, რომ შიიტებმა კავშირი დაამყარეს ამერიკელებთან, რათა გამოეყოს აღმოსავლეთ პროვინცია საუდის არაბეთს და დაეუფლონ ნავთობის უზარმაზარ მარაგს. ამის გამო შიიტებს უწოდებენ „რგოლს მუსლიმებსა და ურწმუნოებს შორის გლობალურ ბრძოლაში“, „ამერიკელთა და ებრაელთა მეხუთე კოლონას“.[42] საუდის არაბეთის ხელისუფლებას ირანში ისლამური რეჟიმის დამყარების შემდეგ სერიოზული შიში ჰქონდა შიიტურ წრეებში პროირანული „მეხუთე კოლონის“ ჩამოყალიბების თაობაზე. ოფიციალურმა არ-რიადმა პირდაპირ დაადანაშაულა თეირანი სპარსეთის ყურის რეგიონში დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობებში. 1996 წლის 25 ივნისში, ხობარში ამერიკელთა სამხედრო ბაზის აფეთქება, რომლის დროსაც დაიღუპა19 და დაიჭრა 350 ადამიანი, დაუკავშირეს უკმაყოფილო შიიტებს. ამან გამოიწვია საუდის არაბეთის უშიშროების სამსახურის კონტროლის დაწესება შიიტური კონფესიის წარმომადგენელთა საქმიანობაზე (*The Shiite Question*, 2005: 4; Johnston, 2001).

სადამ ჰუსაინის რეჟიმის დამხობამ ერაყში სერიოზული გავლენა მოახდინა საუდის არაბეთის შიიტებზე, რომლებმაც უფრო აქტიურად დაიწყეს თავიანთი მოთხოვნების წამოყენება. პირველად სამეფოს ისტორიაში, ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებული იყო დოკუმენტში, რომლის სათაურია „პარტნიორები სამშობლოში“.[43] ეს დოკუმენტი გადაეცა მემკვიდრე პრინცს, პრემიერ-მინისტრს – აბდალაჰ იბნ აბდ ალ-აზიზს 2003 წლის 30 აპრილს. ამ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ შიიტები არიან საუდის არაბეთის მოქალაქეები, სამეფო არის მათი ერთადერთი სამშობლო და ისინი მისი ერთგულები არიან. საფრთხე ემუქრება მთლიანად მუსლიმებს, რაც მოითხოვს მათ გაერთიანებას. საუდის არაბეთს უკავია წამყვანი პოზიცია მთელს არაბულ და ისლამურ სამყაროში, იმის გამო, რომ აქ მდებარეობს ორი მუსლიმური წმინდა ქალაქი. ამასთან საუდის არაბეთის ხელისუფლება დაკავებულია ისლამური სოლიდარობის პრობლემის გადაწყვეტით. თუმცა ამ ისტორიული მისიის შესრულებაში მას ხელს უშლის ეთნოკონფესიური კონფლიქტები. ქვეყანაში არიან რელიგიური ფანატიკოსები, რომლებიც თესავენ სიძულვილს ისლამის სხვა მიმდინარეობების, განსაკუთრებით შიიტების მიმართ. ამდენად, უპირველეს ყოვლისა, ისინი ხელისუფლებისაგან ითხოვდნენ: 1. კონფესიური ურთიერთობების მოგვარებას სამეფოში და ხელისუფლების მიერ ამ ორი ისლამური მიმდინარეობის თანასწორობის აღიარებას კანონმდებლობით; 2. კონფესიური ნიშნით დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოვლინების მოგვარებას კანონმდებლობით; 3. ყველა ადმინისტრაციული განკარგულების გაუქმებას, რაც იწვევს დისკრიმინაციას; 4. უშიშროების ორგანოების მიერ შიიტების მიმართ უკანონოდ განხორციელებული ქმედებების

42 დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები შიიტურ თემს უკავშირებენ საუდის სამეფოს დაყოფის გეგმას სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ: შიიტური – აღმოსავლეთში, ჰიჯაზის – დასავლეთში და ნაჯდის – ქვეყნის ცენტრში. მაგ., საუდელი შიიტების ერთ-ერთმა ლიდერმა ან-ნიმრიმ განაცხადა თავის ერთ-ერთ ქადაგებაში: შიიტების ღირსება „მოპარულია“, და „ის წარმოადგენს უფრო დიდ ფასეულობას, ვიდრე ქვეყნის ერთიანობა“ და თუ ხელისუფლება მას არ დაგვიბრუნებს, მაშინ „ჩვენ მოვუწოდებთ გამოყოფისაკენ“.

43 უფრო ადრე საუდის არაბეთის ცნობილი მოღვაწეების მიერ შემუშავებულ იქნა დოკუმენტი სათაურით: „სამშობლოს დღევანდელობის და მომავლის ხედვა“, სადაც ხაზგასმული იყო, რომ უნდა ჩამოყალიბდეს კანონის უზენაესობაზე დამყარებული სახელმწიფო, სადაც დაცული იქნება ყველა მოქალაქის უფლება. უნდა განხორციელდეს სათანადო რელიგიური, ინფორმაციული და კულტურული პოლიტიკა, რომლის საფუძველი იქნება პატივისცემა და პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და კონფესიონალური პლურალიზმი *(Can Saudi Arabia, 2004:5).*

(დაპატიმრებები, თვალთვალი, დაკითხვა, საზღვარგარეთ წასვლის აკრძალვა, საზღვარზე შეჩერება, პირადი ჩხრეკა), რასაც თან ახლავს პირადი შეურაცხყოფა, შეწყვეტას; 5. ავტორიტეტული ეროვნული კომიტეტის შექმნას შიიტების მონაწილეობით, რომელიც განიხილავს კონფესიური ნიშნით დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებს. ასეთ ღონისძიებად მიიჩნევენ შიიტთა წარმომადგენლობის გაზრდას საკონსულტაციო საბჭოში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მინისტრთა საბჭოში და არმიაში; 6. საუდის არაბეთის ოფიციალური მიმართულების ულემებსა და სხვა მიმართულების ულემებს შორის კავშირის დამყარებას; 7. საშუალების მიცემას ისლამის ყველა მიმდინარეობას, რომ ჰყავდეს წარმომადგენელი ისლამურ ინსტიტუტებში, მაგ., ისლამური სამყაროს ლიგა, მეჩეთების უმაღლესი საბჭო, დახმარების საყოველთაო ისლამური ფონდი, და სხვა დაწესებულებებში (*al-Jazeera*, 2003: 31-34). პრინცი დაპირდა შიიტებს, რომ განიხილავდა ამ მოთხოვნებს. ამის შემდეგ, 2004 წლის მარტში, საუდის არაბეთში აშშ სახელმწიფო მდივნის – კოლინ პაუელის ვიზიტის წინ, ხელისუფლებამ დააპატიმრა აქტივისტები, მათ შორის სამი ცნობილი შიიტი ლიდერი, რომლებიც მონაწილეობდნენ რეფორმების პროექტის შედგენაში – ნაჯიბ ალ-ხუნაიზი, ადნან ალ-შუხუსი და ამრ აბუ ხამსინი, რომლებიც შემდეგ გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ ხელს არ მოაწერდნენ მთავრობის საწინააღმდეგო პეტიციას (*The Shiite Question*, 2005: 6).

შიიტური მოსახლეობის სტატუსი თანამედროვე საუდის არაბეთში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ერთის მხრივ სამეფოში არ არსებობს იურიდიული პრაქტიკა, რომელიც რაღაც ფორმით ზღუდავს შიიტების სამოქალაქო-სამართლებრივ და სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს. მათ უფლება აქვთ იმსახურონ არმიაში და პოლიციაში, ეროვნული გვარდიის და უშიშროების სამსახურის ელიტარული ქვედანაყოფების გარდა. თუმცა არსებობს გარკვეული შეზღუდვები. მათთვის საერთოდ მიუწვდომელია დიპლომატიის სფერო. არ არსებობს შიიტებისათვის სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები, რის გამოც ისინი იძულებული არიან ისლამური განათლება მიიღონ ყუმის, თეირანის, მეშჰედის და სხვა ისლამურ უნივერსიტეტებში. შიიტ ქალებს ეკრძალებათ დაიკავონ ხელმძღვანელი თანამდებობა, მათ შორის განათლების სამინისტროს გოგონათა სწავლების დეპარტამენტში (*იქვე,* 9).

არც ოფიციალური პირების მიერ და არც საინფორმაციო საშუალებებით საერთოდ არ ხდება შიიტთა უმცირესობის საკითხის მოხსენიება. მეორეს მხრივ სუნიტი ულემებისათვის იდეოლოგიურად მიუღებელია შიიზმი. სამეფოში შიიტების მიერ ჩამოყალიბებული თემი განიხილება, როგორც „სოციალური ანომალია“ (Rasheed, 1998: 131). ამასთან ისინი შიიტებს სამეფოსათვის პოტენციურ საფრთხედ მიიჩნევენ.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, საუდის არაბეთის ურთიერთობა ამერიკასთან, მის სტრატეგიულ პარტნიორთან მნიშვნელოვნად შეიცვალა. მას შემდეგ რაც საუდის არაბეთი დაადანაშაულეს ისლამისტური ორგანიზაციების ფინანსურ დახმარებაში, სამეფოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს საზოგადოების კონსოლიდაციას. შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები შიიტურ საკითხთან მიმართებაშიც. დაიწყო შიიტთა თვალსაჩინო წარმომადგენლების ჩართვა ადგილობრივ ორგანოებში (პრეფექტურა, მუნიციპალიტეტი) და საკონსულტაციო საბჭოში. 2001 წელს ამ საბჭოს შემადგენლობა 120-ით განისაზღვრა და მათ შორის სამი შიიტია (Логинов, 2003: 107). 2005 წელს ამ საბჭოს რაოდენობა 150-მდე გაიზარდა, რომელშიც ოთხი შიიტია. თუმცა, ამის პარალელურად გამკაცრდა ხელისუფლების კონტროლი შიიტთა თემის საქმიანობაზე.

2005 წლის 3 მარტს საუდის არაბეთში ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფლების პირველი ნაციონალური არჩევნები, რომელშიც ძალიან დიდი იყო შიიტების აქტივობა. ალ-კატიფსა და ალ-ჰასაში შიიტებმა მიიღეს 11 ადგილი 12-დან. შიიტების მოთხოვნით საუდის ხელისუფლებამ შექმნა მუნიციპალური საბჭო ალ-კატიფისა და მიმდებარე სოფლებისათვის. აბდალაჰის ტახტზე ასვლის შემდეგ (2005) ცხადდება ამნისტიები შიიტი პატიმრების მიმართ (თუმცა ეს შეღავათები მიუღებელია ულემებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა გარკვეული ნაწილისთვის). ამის პარალელურად, 2003-2005 წლებში ექსტრემისტებმა გადაწვეს შიიტების მეჩეთი ალ-კატიფში და შიიტური თემის ცენტრები თარუთში, დაანგრიეს შიიტთა სასაფლაო ანაკში (*The Shiite Question*, 2005: 1).

2009 წლის დეკემბერში რელიგიურმა პოლიციამ დახურა შიიტური მეჩეთები აღმოსავლეთის პროვინციის ქალაქებში – ხობარი, რას ტანური, ხარფჯა და აბკაიკი, 2010 წლის აპრილში კი დააპატიმრა ამავე პროვინციაში შიიტური თემის რამდენიმე წარმომადგენელი რელიგიური რიტუალების შესრულების გამო სახლში, რისთვისაც მიუსაჯეს ერთთვიანი პატიმრობა (*Denied Dignity..*, 2009).

უკანასკნელ წლებში საუდის არაბეთში განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ საუდის არაბეთის სტაბილურობა დამოკიდებულია ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტების შესაძლებლობაზე – გარდაიქმნას ქვეყანაში არსებული ცვალებადი ვითარების გათვალისწინებით და მმართველი

რეჟიმის შესაძლებლობაზე – მისცეს სწორი იმპულსი ამ ტრანსფორმაციას. საუდის არაბეთის მეფის – აბდალაჰ იბნ აბდ ალ-აზიზის სიტყვებით, „რეგიონალური კონფესიური განსხვავებები ზრუნვის ობიექტია და არა საფრთხის“ (*MEED,* 16-22.02.2007: 42).

ეთნოკონფესიური ფაქტორი სირიის პოლიტიკაში

ეთნოკონფესიური ფაქტორი ყოველთვის ასრულებდა მნიშვნელოვან როლს სირიის საზოგადოებაში. თუმცა XX ს-ში მოხდა ამ ფაქტორის მოქმედების კარდინალური ტრანსფორმაცია – არსებითად შეიცვალა სხვადასხვა ეთნოკონფესიური თემების როლი და ძალთა ბალანსი, როგორც სირიის საზოგადოების ცხოვრებაში, ისე ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებაში.

> სირიის მოსახლეობის (19 მლნ) უმრავლესობას შეადგენენ არაბები. ქვეყანაში ცხოვრობენ აგრეთვე ქურთები (1,415 მლნ), თურქმანები (127 ათასი), თურქები (58 ათასი), სომხები (80 ათასი). ამის გარდა, არის კიდევ დაახლოებით 20 სხვა ეთნიკური ჯგუფი (საერთო რაოდენობა – 50 ათასამდე), მათ შორის უნდა გამოიყოს ირანელები (19 ათასი) და და ებრაელები (100-ზე ცოტა). რაც შეეხება კონფესიურ ვითარებას, სირიაში მოსახლეობის 74%-ს შეადგენენ სუნიტები. ალავიტები[44] შეადგენენ ყველაზე დიდი რელიგიურ უმცირესობას – მოსახლეობის 11,5%-ს. ისინი უპირატესად ცხოვრობენ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო რაიონში, ნუსაირიეას მთებში. ალავიტების უმრავლესობა თავმოყრილია ტარტუსის და ლატაკიის პროვინციებში (ალავიტური თემის 75%) და დამასკოს მრავალი მცხოვრები არის სწორედ ამ პროვინციებიდან გამოსული; დრუზები (3%) ცხოვრობენ ჯაბალ დრუზში, ქვეყნის სამხრეთით; ისმაილიტები – 1,5%; ქრისტიანები (მართლმადიდებლები, კათოლიკეები, უნიატები, მარონიტები, პროტესტანტები, იაკობიტები, ნესტორიანები, სომეხი-გრიგორიანელები) – 10% (Wagner, 2002: 19).

ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს ქვეყანაში დომინირებული როლი ჰქონდათ მიკუთვნებული სუნიტებს, რომელთაც ტრადიციულად წამყვანი პოზიციები ეკავათ საზოგადოების სტრუქტურაში და შეადგენდნენ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას. მოგვიანებით, სირიაზე ფრანგული მანდატის არსებობის პერიოდში, მუსლიმმა სუნიტებმა შეინარჩუნეს თავიანთი ტრადიციული როლი სირიის საზოგადოებაში. თუმცა, აშკარად შეიმჩნეოდა ქრისტიანული ელემენტის გაძლიერების ტენდენცია ქვეყანაში. ოფიცერთა კორპუსის ძირითად ნაწილს სწორედ ქრისტიანები შეადგენდნენ. სუნიტები მართალია, სამხედრო მოსამსახურეთა ნახევარს შეადგენდნენ, მაგრამ მრავალი მათგანი იყო ქურთი ან ჩერქეზი და არა არაბი. ეს კონფესიური დისბალანსი შეიმჩნეოდა რეგიონებშიც.

1946 წლის აპრილში, სირიიდან ფრანგული არმიის გაყვანისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სიტუაცია ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა და ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაერთო ახალი ძალები. განსაკუთრებით ნათლად ეს გამოჩნდა სირიაში სამხედრო გადატრიალებების დროს XX ს-ის 40-50-იან წლებში. ეს იყო ორი ეთნოკონფესიური ჯგუფის – სუნიტების და დრუზების – ბრძოლის პერიოდი წამყვანი პოზიციების მოსაპოვებლად. თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ყველა ამ სამხედრო გადატრიალების უკან იდგა კიდევ ერთი ეთნოკონფესიური უმცირესობა – ქურთები, რომელთაც მოახერხეს დრუზების გავლენის შემცირება და განსაკუთრებით ოფიცერთა კორპუსში. ამის პარალელურად იქმნებოდა პირობები, რაც ახალ შესაძლებლობებს ქმნიდა ალავიტების წარმატებული სამხედრო კარიერისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდში ეთნოკონფესიური უმცირესობები არ იყო ძალიან შესამჩნევი პოლიტიკურ სფეროში. თუმცა, მათი პოზიციები მტკიცდებოდა, განსაკუთრებით სირიის პარტია ბაასში.

უნდა აღინიშნოს, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნამ, სირიისა და ეგვიპტის გაერთიანების შედეგად (1958-1961), კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა სირიის ეთნოკონფესიური უმცირესობების დაწინაურების თვალსაზრისით ხელისუფლებაში.[45] იმ პირობებში, როდესაც დაითხოვეს ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია სირიის ტერიტორიაზე, ბაასის ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა ლატაკიას პროვინციაში, სადაც ტრადიციულად დომინირებდნენ ალავიტები, შეინარჩუნეს თავისი პოზიციები.

---

44 ნუსაირიტები, ალავიტები – ე.წ. „უკიდურესი“ შიიტური სექტის წევრები.

45 1953 წლამდე ალავიტებს განსაზღვრული ადგილები ჰქონდათ გამოყოფილი სირიის პარლამენტში, როგორც სხვა რელიგიურ თემებს.

1959 წელს ჩამოყალიბდა ბაასის პარტიის *სამხედრო კომიტეტი*, რომელსაც მკვლევართა აზრით, დასაწყისიდანვე ჰქონდა კონფესიური საფუძველი.[46] სამხედრო კომიტეტის წევრები ფიქრობდნენ, რომ „ტრადიციულ კონფესიურ კავშირებს უნდა განემტკიცებინა მათი იდეოლოგიური კავშირი და მიეცა მათთვის გადამწყვეტი უპირატესობა სხვა ფრაქციებთან შედარებით, რომელთაც იმ დროს შეეძლოთ შეეცვალათ არსებული ხელისუფლების ხასიათი." თავდაპირველად ეს პირობა უნდა დახმარებოდა მთავარი ამოცანის მიღწევას – ბაასისტური ხელისუფლების დამყარებას სირიაში. ბაასის პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ზაქი ალ-არსუზი ალავიტი იყო და ხელი შეუწყო პარტიის შემადგენლობის გაზრდას ალავიტებით.

> „უკვე აშკარაა, რომ ოფიცრები მოქმედებენ არა როგორც ბაასისტები, არამედ როგორც ნუსაირიტები (ალავიტები), იმ განზრახვით, რომ იყენებენ ბაასს და შეიარაღებულ ძალებს, რათა დაწინაურდნენ სირიის ხელისუფლებაში. სამხედრო კომიტეტის ჩამოყალიბება იყო მათი გეგმის დასაწყისი, რათა მომავალში ხელში აეღოთ ძალაუფლება" (Matti Moosa, 1988: 297).

1961 წლის 28 სექტემბერს ეგვიპტე-სირიის კავშირის დარღვევის შემდეგ, ალავიტები აღმოჩნდა იმ მცირერიცხოვან პოლიტიკურ ძალთა შორის, რომელთაც რეალურად შეეძლოთ ბრძოლის წარმოება ხელისუფლებისათვის. ეს ტენდენცია უფრო აშკარა გახდა **1963 წლის 8 მარტის სამხედრო გადატრიალების** (სირიის ისტორიოგრაფიაში კვალიფიცირდება, როგორც „მარტის რევოლუცია") შემდეგ, რომელიც განახორციელეს ბაასისტებმა, ნასერისტებმა და იუნონისტებმა და რომლის შედეგადაც ხელისუფლება გადავიდა ბაასის ხელში. ამ მომენტიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ეთნოკონფესიური უმცირესობების როლი, უპირველეს ყოვლისა ალავიტების, ასევე დრუზების, და ისმაილიტების.

ისრაელელი მკვლევრის ი. რაბინოვიჩის მონაცემებით, **1963 წლის მოვლენების განვითარებას** განსაზღვრავდა ერთგვარი კონსენსუსის მიღწევა – ერთი მხრივ, პარტიულ ხელმძღვანელობას, რომელსაც წარმოადგენდნენ პარტიის ლიდერები – მიშელ აფლაკი (ქრისტიანი) და ს. ბითარი (სუნიტი) და მეორე მხრივ, სამხედრო კომიტეტის წევრებს შორის. ამ კონსენსუსს ი. რაბინოვიჩმა უწოდა „სამხედრო-პარტიული სიმბიოზი." იმავე პერიოდში პარტიის დოქტრინაში გაჩნდა კონცეფცია იდეოლოგიზირებული არმიისა, რომელმაც შეცვალა პროფესიონალთა არმია. თუმცა სწორედ ამ სიმბიოზის ჩარჩოებში მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლა პარტიის სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელობას შორის. ამ ბრძოლის შედეგი იყო სწორედ ალავიტური წარმოშობის სამხედროების დაწინაურება პარტიულ-სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში (Rabinovich, 1972: 76).

ამერიკელი მკვლევარი მ. სეიმური, ბაასისტური სამხედრო-პარტიული სიმბიოზის ჩარჩოებში ძალთა გადანაწილების ანალიზისას აღნიშნავდა, რომ **1963 წლის მარტის გადატრიალების შემდეგ სუნიტების** უმრავლესობას თანმიმდევრულად ეზღუდებოდათ ჰომსის სამხედრო აკადემიაში შესვლა. სუნიტი ოფიცრები გადაყავდათ ნაკლებად მნიშვნელოვან სამხედრო თანამდებობებზე ან საერთოდ ათავისუფლებდნენ (Seymour, 1970: 38).

1963 წლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო სუნიტი ოფიცრების ალავიტი ოფიცრებით შეცვლის პროცესი. არმიის **700 ვაკანსიიდან ნახევარი ალავიტებმა შეავსეს. ამასთან ალავიტებმა, დრუზებმა** და ისმაილიტებმა პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პოსტები დაიკავეს დამასკოს რეგიონში, ხოლო სუნიტები გაგზავნეს დედაქალაქიდან პროვინციებში. ბაასის სამხედრო კომიტეტში 14 წევრიდან 5 ეკუთვნოდა ალავიტების თემს – მათ შორის იყვნენ მუჰამად უმრანი, სალაჰ ჯადიდი და ჰაფეზ ასადი.[47] ს. ჯადიდი გახდა სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი (1963წ. აგვისტო – 1965წ. სექტემბერი), მუჰამად უმრანი – 70-ე სატანკო ბრიგადის მეთაური,[48] რომელიც დისლოცირებული იყო დამასკოს სამხრეთით და სხვ.

---

46 1960 წელს ალავიტი რელიგიური ლიდერები და ოფიცრები (ასადის ჩათვლით) შეიკრიბნენ კარდაჰაში, ასადის მშობლიურ ქალაქში. ამ შეკრების მიზანი იყო ნუსაირიტი ოფიცრების დაწინაურება ბაასის პარტიაში. ამას მოჰყვა რამდენიმე ფარული შეხვედრის ჩატარება, რომლებიც იმავე მიზანს ემსახურებოდა.

47 ეს სამი ალავიტი ფლობდა თითქმის მთელ ძალაუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი – ამინ ალ-ჰაფიზი სუნიტი-მუსლიმი იყო. თავდაპირველად სამხედრო კომიტეტში შედიოდა მხოლოდ 5 წევრი – სამი ზემოხსენებული ალავიტი და ორი ისმაილიტი (Wagner, 2002: 59).

48 1963 წლის სამხედრო გადატრიალება განახორციელეს მე-5 და 70-ე ბრიგადებმა, რომლებიც ფაქტობრივად ალავიტებით დაკომპლექტდა. უკვე 60-იანი წლების შუა ხანებისათვის ამ ორ საბრძოლო ნაწილში პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობის 20-25%-ს შეადგენდნენ ალავიტური წარმოშობის ჯარისკაცები.

„მრავალ საბრძოლო დივიზიასა და ბრიგადაში თანამდებობები გადანაწილებული იყო ამ ორი კონფესიის (ალავიტები და დრუზები) წარმომადგენლებს შორის. თუ ქვედანაყოფის მეთაური იყო ალავიტი, მაშინ მისი მოადგილე – დრუზი და პირიქით“ (Van Dam, 1979: 17).

გაძლიერდა აგრეთვე ალავიტების გავლენა ბაასის ხელმძღვანელობაში. ეს ტენდენცია კი არ სუსტდებოდა, არამედ ძლიერდებოდა. 1966 წლის თებერვლის მორიგი სამხედრო გადატრიალება, რომლის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა სალიჰ ჯადიდი, იყო ალავიტური ტრიუმვირატის (ს. ჯადიდი, იზათ ჯადიდი და ჰ. ასადი) ტრიუმფი. ს. ჯადიდის ხელისუფლების სათავეში მოსვლა ნიშნავდა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლება გადავიდა ალავიტი ოფიცრების ხელში – ჰაფეზ ასადი გახდა თავდაცვის მინისტრი.

სირიის ბაასის პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრების კონფესიური შემადგენლობა

№ რეგიონალური ხელმძღვანელობა	1 – 4		5 – 8	
პერიოდი	IX.1963-II.1966 წ.		III.1966– X.1970 წ.	
აღმსარებლობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა
სუნიტები	35	7	42,1	8
ალავიტები	30	6	42,1	8
დრუზები	25	5	-	-
ისმაილიტები	10	2	15,8	3
ქრისტიანები	-	-	-	-
სულ:	100	20	100	19

წყარო: Van Dam, 1979, Table 5-6.

ეს ცხრილები, რომლებშიც მოცემულია ბაასის პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის და ასევე სამხედრო წევრების კონფესიური შემადგენლობა, საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ძალთა განლაგება ამ პარტიულ სტრუქტურაში. ცხადი ხდება, რომ პარტიული ხელისუფლების ამ ორგანოს სტრუქტურაში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ სამხედროები – **1963-1966წწ. რეგიონალური ხელმძღვანელობის 50 წევრიდან 20 ოფიცერია და 1966-1970წწ. 64-დან – 19. ეს ბუნებრივი იყო იმ ქვეყ-**ნისათვის, სადაც ხელისუფლება უკვე 1964 წელს გადავიდა ოფიცერთა კორპუსის ხელში. აშკარაა, რომ ალავიტების რიცხვი იზრდებოდა პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის სამხედრო ფრაქციაში. თუ 1963-1966წწ. ისინი შეადგენდნენ 30%-ს, 1966-1970წწ. ალავიტების წარმომადგენლობამ მიაღწია 42%-ს. იმავე პერიოდში დრუზების წილი დაეცა 25%-დან 0-მდე. როგორც ჩანს, ძირითადი მიზეზი გახდა 1966წ. ალავიტების ყოფილი მომხრის, დრუზების სამხედრო ლიდერის – სალიმ ჰათუმის მიერ ახალი სამხედრო გადატრიალების ორგანიზების მცდელობა. ეს გამოსვლა ჩაახშეს, რამაც სათავე დაუდო დრუზ ოფიცრებთან ურთიერთობის გაწყვეტას. ერთ-ერთ მიზეზად უნდა დასახელდეს დაპირისპირება ბაასისტებსა და ნასერისტებს შორის, რაც აისახა არმიაში ორ კონფესიურ ჯგუფს შორის კონფრონტაციაზე – დრუზებს კონტაქტები ჰქონდათ ეგვიპტეში დაარსებულ პრონასერულ არაბულ სოციალისტურ კავშირთან. ისმაილიტების წილი 10%-დან 16%-მდე გაიზარდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ სირიელი ოფიცრების ეს ჯგუფი გაერთიანდა ალავიტებთან „ბლოკში“. ქრისტიანების გამორიცხვა პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის სამხედრო ფრაქციიდან, შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ამ კონფესიის წარმომადგენელები აღარ ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს ეროვნული ოფიცერთა კორპუსის რიგებში (Hinnebusch, 2002: 59-60).

რაც შეეხება პარტიის რეგიონალურ ხელმძღვანელობაში ალავიტების წარმომადგენლობას, საყურადღებოა კიდევ ერთი ასპექტი – თუ 1963-1966წწ. პერიოდში ალავიტების წილი არ აღემატებოდა 7 ადამიანს და მათგან 6 სამხედრო იყო, 1966-1970წწ.-ში ალავიტური წარმოშობის სამოქალაქო პოლიტიკოსების რიცხვი გაიზარდა, მიაღწია 7 ადამიანს, ხოლო იმავე კონფესიის სამხედროების რიცხვმა – 8 ადამიანს. არანაკლებ პრინციპულია პარტიის რეგიონალურ ხელმძღვანელობაში სუნიტების წარმომადგენლობის საკითხი. მთლიანობაში ის კვლავ მაღალი რჩებოდა – 1963-1966წწ. სუნიტების რაოდენობა ამ ორგანოში შეადგენდა 50-დან 27-ს და 1966-1970წწ. 64-დან 33-ს. სამხედრო ფრაქციის სუნიტი წევრების რაოდენობა არ იყო დიდი – 7 ადამიანი პირველი პერიოდის და 8 – მეორე პერიოდის განმავლობაში ან 35% და 42,1% შესაბამისად. თუმცა ამ ციფრებს ჰქონდა დამატებითი ახსნა. ნ. ვან დამის გამოთვლებით, დროის ორივე მონაკვეთში რეგიონალური ხელმძღვანელობის სამხედრო ფრაქციაში იყო არაუმეტეს 6% სუნიტი ოფიცრების, რომლებიც გამოსული იყვნენ ქვეყნის წამყვანი საქალაქო ცენტრებიდან – დამასკოდან და ალეპოდან. ეს იმას ნიშნავდა, რომ სუნიტი ოფიცრების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენდა პერიფერიულ რაიონებს. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ „სიმბიოზის“ ეს ელემენტი არ ასრულებდა წამყვან როლს სახელისუფლებო სტრუქტურაში (Van Dam, 1979: 67-78).

უნდა აღინიშნოს, რომ იცვლებოდა არა მხოლოდ პარტიული ხელმძღვანელობა, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტებიც. 1963-1976 წლებში სუნიტი უმრავლესობის წარმომადგენლობა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში 77%-მდე დაეცა (ადრე ის შეადგენდა 83%-ს). შესაბამისად, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებმა გაზარდეს თავიანთი წილი აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში 17%-მდე. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა ალავიტებს, რომელთა წარმომადგენლობა მინისტთა კაბინეტში ამ პერიოდში აღწევდა 9,4%-ს (ადრე ალავიტების, დრუზების და ისმაილიტების საერთო წილი 5%-ს აღწევდა). ამ პერიოდის მთავრობის შემადგენლობაში იკლო წარმომადგენლებმა დამასკოდან და ალეპოდან, შესაბამისად 21,8% და 7,9% (1942-1963 წწ. ამ ქალაქების წარმომადგენლები შეადგენდნენ შესაბამისად 43% და 20,3%-ს). თავის მხრივ, თუ 1963 წლამდე სირიის მინისტრთა კაბინეტში სასოფლო რაიონების – ლატაკიას და ჰაურანის წარმომადგენელები შეადგენდნენ 6,6 და 0,7%-ს, 1963-1976 წლებში გაიზარდა 21,2% და 10,5%-მდე შესაბამისად[49] (Pipes, 1989: 141-142).

სირიის საზოგადოების სამხედრო, პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების „ალავიტიზაციის“ პროცესმა დასრულებული სახე მიიღო 1970 წლის 13 ნოემბერს, როდესაც ხელისუფლების სათავეში, სამხედრო გადატრიალების (ისტორიაში მიიღო სახელწოდება „გამოსასწორებელი მოძრაობა“) შედეგად, მოვიდა ალავიტი ჰაფეზ ასადი, რომელმაც დაამარცხა ალავიტი – სალიჰ ჯადიდი და დააპატიმრა მთავრობის სხვა წევრებთან ერთად. 1971 წლის 22 თებერვალს არჩეულ იქნა ქვეყნის პრეზიდენტად და თავის ხელში გააერთიანა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის და პარტიის გენერალური მდივნის პოსტი. ხოლო მოგვიანებით, ეროვნულ-პროგრესული ფრონტის თავმჯდომარეობაც. ჰაფეზ ასადის რეჟიმის მთავარი დასაყრდენი გახდა არმია და სპეცსამსახურები. პრეზიდენტის პოსტი აქამდე ეკავათ მხოლოდ სუნიტებს და ამ პოსტის გადასვლა ალავიტების ხელში ნიშნავდა სუნიტების უპირატესობის დასასრულს. სწორედ ამ პერიოდში გაძლიერდა ალავიტური ელემენტის ჩართვის პროცესი სირიის არმიის და უშიშროების ძალთა ოფიცერთა კორპუსში.[50] ამ პირობებში ალავიტებმა ფაქტობრივად ხელისუფლების მონოპოლიზირება შეძლეს ქვეყანაში (*Syria Unmasked*, 1991: 3; Perthes, 1995: 146–154).

ჰაფეზ ასადმა მიზანმიმართულად დაიწყო თავისი თანატომელების დაწინაურება ალავიტების თემიდან, რადგანაც მათ განიხილავდა ყველაზე საიმედო და ერთგულ ძალად, რომელიც დაეხმარებოდა მას ხელისუფლების შენარჩუნებაში. ასეთი პრაქტიკის შედეგად სირიის სახელისუფლო მექანიზმში ჩამოყალიბდა ერთგვარი ტანდემი: პრეზიდენტი – ალავიტური თემი, რომელშიც ჰ. ასადს ჰქონდა წამყვანი როლი. თუმცა ის იძულებული იყო გაეთვალისწინებინა ალავიტი შეიხების – თემის სულიერი ლიდერების აზრი.[51] აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად ყველა სუნიტს,

---

49 1963-1978 წლებში სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ შემდეგი თანაფარდობით: სუნიტებს – 58,2%,ალავიტებს – 20%, დრუზებს – 10,6%, ისმაილიტებს – 6,5%, ქრისტიანებს – 4,7%; 1976-1982 წლები იწოდება ალავიტურ რეჟიმად (Van Dam, 1979: 126-129).

50 არმიაში ალავიტების ფართო წარმომადგენლობის მიუხედავად, ოფიცერთა კორპუსში არ იყო მათი რიცხვი მნიშვნელოვანი. ეს აიხსნებოდა ალავიტთა განსახლების რაიონებში სიღარიბის მაღალი დონით და დაბალი განათლების ცენზით.

51 სირიაში არის 4 ალავიტური კონფედერაცია, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ტომებად. ამასთან ნუსაირიტები იყოფიან ორ ჯგუფად: რჩეულები *(ხასსა)* და მდაბიოები *(‘ამმა)*. ჰაფეზ ასადი თავის წარმოშობით არ

ასევე სხვა კონფესიის წარმომადგენლებს (ქრისტიანები, დრუზები), რომელთაც ეკავათ ხელმძღვანელი პოსტები სახელმწიფოში, მოადგილეებად ჰყავდათ ალავიტები.

ქვეყნის სხვადასხვა ეთნოკონფესიური ჯგუფების ინტერესების საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ბალანსის დარღვევამ გამოიწვია ძლიერი ეროვნული მოძრაობის დაწყება, რომელიც გამოდიოდა ისლამური ლოზუნგებით და იბრძოდა სუნიტური უმრავლესობის წამყვანი პოზიციების აღსადგენად. ეს ისლამური ოპოზიციური მოძრაობა დაიწყო 1970-იანი წლების მეორე ნახევარში და წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს მმართველი რეჟიმის, რომლის საფუძველს შეადგენდა შიიტური უმცირესობა. მოძრაობა ასახავდა სირიის საზოგადოებაში არსებულ დაფარულ კონფლიქტს – ერთი მხრივ, ქვეყნის სუნიტური უმრავლესობას, რომელსაც დამოკიდებული მდგომარეობა ჰქონდა და მეორე მხრივ, პოლიტიკურად დომინანტური როლის მქონე კონფესიურ უმცირესობებს (შიიტები – ალავიტები, დრუზები, ისმაილიტები და ნაწილობრივ ქრისტიანები) შორის. 1973 წლის იანვარში სირიის სახალხო საბჭომ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელმაც გამოაცხადა სოციალიზმის პრინციპები. მარტში კონსტიტუცია დაამტკიცა რეფერენდუმმა. თუმცა, მუსლიმი-სუნიტები უკმაყოფილო იყვნენ, რადგანაც კონსტიტუცია არ აღიარებდა ისლამს სახელმწიფო რელიგიად.[52] კონსტიტუციის თანახმად, აღიარებულ იქნა რელიგიის თავისუფლება, ამასთან შარიათი გამოცხადდა სამართლის ძირითად წყაროდ.

1976 წელს სირია ღიად ჩაერთო შიდალიბანურ კონფლიქტში. სირიის ხელმძღვანელობის ამგვარმა ქმედებამ გამოიწვია არა მარტო ქვეყნის გარკვეული პოლიტიკური ძალების, არამედ შეირაღებული ძალების ნაწილის უკმაყოფილებაც, რაზედაც მეტყველებს იმ პერიოდში დაპატიმრებები არმიის ოფიცერთა შორის.

ცხადია, რომ ოფიციალური დამასკოსათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა ისლამური ოპოზიცია, რომელიც რეალურად ემუქრებოდა ალავიტური თემის წარმომადგენლებს. როგორც კი ბაასის პარტია მოვიდა ხელისუფლების სათავეში (1963), ისლამისტებმა გაილაშქრეს პარტიის სეკულარული ტენდენციების წინააღმდეგ. 1964 წლის აპრილში ქ. ჰამაში, სადაც ძლიერი იყო ისლამისტი „მუსლიმი ძმების“ პოზიციები, იფეთქა ანტიბაასისტურმა აჯანყებამ, რომელიც სასტიკად ჩაახშეს. 70-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში ისლამური მოძრაობის ძირითად ბირთვს კვლავ „მუსლიმი ძმები“ შეადგენდნენ. ისლამური ოპოზიციის აქტივობამ პიკს მიაღწია 1979-1982 წლებში, როდესაც ქვეყნის სხვადასხვა რელიგიურ-ექსტრემისტულმა მიმდინარეობებმა შექმნეს „გაერთიანებული ისლამური ფრონტი“ (1980 წლის ბოლოს), რომელშიც შევიდნენ „მუსლიმი ძმების“სამხედრო ფრთა – სათავეში ადნან საად ად-დინ უკლე, და უფრო ზომიერი კონსერვატიული ისლამური ოპოზიციური დაჯგუფება – საიდ ჰავვას და შეიხ ალი ბაინუნის ხელმძღვანელობით. მათი მიზანი იყო რეჟიმის დამხობა და ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება სირიაში. ფრონტის პროკლამაციებში ხაზგასმული იყო ჰაფეზ ასადის ალავიტური წარმომავლობა და მოიხსენიებდნენ მას ერეტიკოსად. გაერთიანებული ისლამური ფრონტის დაარსებამ ქვეყანა დააყენა სამოქალაქო ომის ზღვარზე (Cleveland, 2009: 406).

1980 წლის 10 ოქტომბერს გამოქვეყნდა *გაერთიანებული ისლამური ფრონტის* პირველი ოფიციალური მიმართვა, რომელსაც ხელს აწერდა მისი ლიდერი – შაიხი ალი ბაინუნი. ამ განცხადების ტექსტის თანახმად, ფრონტის შემადგენლობაში შევიდნენ: „მუსლიმები ძმების“ ორგანიზაცია, ისლამური განთავისუფლების პარტია და მთელი რიგი სუფიური დაჯგუფებები, რომელთა მოთხოვნა იყო ისლამური სახელმწიფოს დაარსება სირიის ტერიტორიაზე და შარიათის შემოღება ქვეყნის ძირითად კანონად. 1981 წლის იანვარში გაერთიანებულმა ისლამურმა ფრონტმა გამოაქვეყნა ძირითადი დოკუმენტები – სირიაში ისლამური რევოლუციის მანიფესტი და პროგრამა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის ისლამურ ოპოზიციაში არ იყო ერთიანობა. ნაწილობრივ განხეთქილება მოხდა თვით „მუსლიმები ძმების“ ორგანიზაციის შიგნითაც. გაერთიანებული ისლამური ფრონტის გვერდით სირიაში არსებობდა ოპოზიციური და ფრონტისაგან ორგანიზაციულად დამოუკიდებელი ისლამური დაჯგუფებები, მათ შორის *სირიის განთავისუფლების ფრონტი* (*Syria Unmasked*, 1991: XIII, 3-8, 18-21).

ეკუთვნოდა რჩეულთა კატეგორიას.

52 ახალი კონსტიტუციის ყველაზე სადავო პუნქტი გახდა მე-3 მუხლი – რესპუბლიკის პრეზიდენტის რელიგია უნდა იყოს ისლამი. სუნიტები ამტკიცებდნენ, რომ ალავიტი მმართველის ხელში სირიის რეჟიმი იქნებოდა „სამოქალაქო და სექტანტური“ და დაიწყეს საპროტესტო მიტინგები დიდ ქალაქებში. შექმნილ ვითარებაში ჰაფიზ ასადმა მიმართა შიიტ ულემებს.1974 წელს მუსა სადრმა (ლიბანის შიიტური თემის ხელმძღვანელმა) გამოსცა ფათვა, რომ ალავიტები წარმოადგენენ ისნააშარიტების (თორმეტიანების) თემს (Cleveland, 2009: 400).

ჰაფეზ ასადი

სირიაში რამდენიმე წლის მანძილზე მიმდინარეობდა შეიარაღებული დაპირისპირება ერთი მხრივ, პოლიციასა და უშიშროების ძალებს და მეორე მხრივ, ისლამისტებს შორის. ამ მოვლენათა მასშტაბებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მათ ეპიცენტრში აღმოჩნდა ისეთი ქალაქები, როგორიცაა დამასკო, ალეპო, ლათაკია, ჰომსი, ჰამა და სხვ. საბოლოოდ ოპოზიციური ისლამისტური მოძრაობა დამარცხდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ეხმარებოდა იორდანია და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია. ოფიციალურმა დამასკომ დაადანაშაულა იორდანია ტერიტორიის გადაცემის გამო ისლამისტებისათვის საწვრთნელი ბაზების შესაქმნელად, და რთული აღმოჩნდა ორ მეზობელ ქვეყანას შორის შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილება 1980 წლის ნოემბერ-დეკემბერში. სუნიტურ გაერთიანებულ ისლამურ ფრონტსა და ჰაფეზ ასადის რეჟიმს შორის ღია დაპირისპირება დასრულდა 1982 წელს ჰამაში, როდესაც სამთავრობო არმიის არტილერიამ და ტანკებმა (არმიის სათავეში – პრეზიდენტის ძმა რიფ'ათ ალ-ასადი) ავჯანყებულ ქალაქს ალყა შემოარტყეს და პრაქტიკულად გაანადგურეს. ამ შეტაკების მსხვერპლი გახდა 10-30 ათასი ადამიანი,[53] ხოლო ქალაქის ძირითადი ნაწილი ნანგრევებად იქცა (Abd-Allah, 1983). თუმცა ჰამას მოვლენების შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კიდევ გრძელდებოდა სირიის სხვადასხვა რაიონში ცალკეული შეტაკებები ქვეყნის უშიშროების ძალებსა და მუსლიმი-სუნიტების შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, როგორც ეს მოხდა ჰომსში 1983 წლის ივლისის დასაწყისში. უფრო მეტიც, 1986 წლის ივლისში ზოგიერთი უცხოური საინფორმაციო საშუალება იუწყებოდა 16 სირიელი სუნიტი ოფიცრის დაპატიმრებაზე, რომლებიც დადანაშაულებული იყვნენ „მუსლიმ ძმებთან" და კიდევ ერთ სუნიტურ იატაკქვეშა დაჯგუფებასთან – ისლამური განთავისუფლების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში. ოფიციალურმა დამასკომ, ისლამური ოპოზიციის განადგურების შემდეგ, დაიწყო ურთიერთობის ნორმალიზაცია მის ზოგიერთ ლიდერთან. 1985 წლის იანვარში სირიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიწყალა ორგანიზაცია „შეიარაღებული ავანგარდის" წევრები, რომელთაც დაყარეს იარაღი. ამ ორგანიზაციის მრავალი წევრი გამოუშვეს ციხიდან და ქვეყნიდან გაქცეული ისლამისტების ნაწილი დაბრუნდა სირიაში (Syria *Unmasked*, 1991: 36).

ჰაფეზ ასადი უპირატესობას ანიჭებდა თავის ახლობლებს ალავიტების წრიდან. პრეზიდენტის ძმებს – რიფათს,[54] ჯამილს, ისმაილს, მუჰამადს, ალი სულაიმანს – ეკავათ საპასუხისმგებლო თანამდებობები არმიაში, სახელმწიფო და პარტიულ სტრუქტურებში. გასაკვირი არ არის, რომ „უმაღლესი ალავიტური საბჭო" იღებდა გადაწყვეტილებებს ყველა პრინციპულ პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ საკითხებზე. ალავიტების მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო არა მხოლოდ ძალოვანი უწყებები, არამედ სახელმწიფო სტრუქტურები, ეკონომიკური დაწესებულებები და მსხვილი ბიზნესის ნაწილი. ამერიკელი პოლიტოლოგის დ. ფაიფსის თანახმად, პრეზიდენტი ასადი ყველაფერს აკეთებდა, რათა „შეენარჩუნებინა თავის ქვეყანაში უპირატესი მდგომარეობა თავისთვის, ოჯახისა და კონფესიისათვის, უტოვებდა ხელისუფლების ბერკეტებს მდიდარ მუსლიმ-სუნიტებს და ატარებდა კიდეც ლიბერალიზაციას მათი ინტერესების შესაბამისად, იმ პირობით, რომ ისინი არ მოინდომებდნენ პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში მოსვლას".

53 ამავე პერიოდში იქნა მიღებული კანონი №49 (დღემდე არ გაუქმებულა), რომლის მიხედვითაც „მუსლიმი ძმებისადმი" კუთვნილება სიკვდილით ისჯებოდა.

54 1983 წელს განხეთქილება მოხდა თვით ჰაფეზ ასადის მმართველ ჯგუფში. პრეზიდენტს გულის შეტევა ჰქონდა და რამდენიმე თვის განმავლობაში 1983 წლიდან 1984 წლამდე, იშვიათად ჩნდებოდა საჯაროდ. ამ პერიოდის განმავლობაში, მისი ძმა რიფათი – ელიტარული დაცვის ასეულის (რაზმების) – ას-სარაია ად-დიფა' (აერთიანებდა დაახლ. 20,000 ადამიანს) – ხელმძღვანელი, შეეცადა ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ძალის გამოყენებით (თავის ასეულთან ერთად სტრატეგიული პოზიცია დაიკავა დამასკოს გარშემო). პრეზიდენტის ერთგულმა სხვა გენერლებმა ჩააჩშეს ეს მცდელობა. 1997 წელს ჰაფეზ ასადმა ნება დართო რიფათს პარიზიდან დამასკოში დაბრუნებულიყო და აღადგინა ის თავის უფლებებში – ის გახდა სირიის ვიცე-პრეზიდენტი და დაე-ვალა ეროვნული უსაფრთხოების საკითხების კურირება. თუმცა ის ვალდებული იყო თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩაებარებინა უშუალოდ პრეზიდენტისათვის. დაახლ. ერთი წლის შემდეგ, 1998 წლის თებერვალში ბაასის საგანგებო სხდომაზე კვლავ დაადანაშაულეს სირიის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებში და იძულებული გახდა კვლავ დაეტოვებინა სირია (Cleveland, 2009: 407; Hinnebusch, 2002: 65).

1990-ანი წლების დასაწყისში სირიის შეიარაღებული ძალების 70%-ს შეადგენდნენ ალავიტები, ხოლო სამხედრო ელიტიდან **14 იყო ალავიტი. სირიის პარლამენტისა და ბაასის პარტიის ყრილობების** დელეგატთა **60%-ს შეადგენდნენ სუნიტები. ალავიტების ხელში იყო მობილური და კარგად შეი**არაღებული სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პრეზიდენტის და რეჟიმის უსაფრთხოებას. თუმცა ჰაფეზ ასადმა ისეთი სისტემა შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მჭიდრო კავშირს ალავიტების სამხედრო ჯგუფსა და სუნიტური თემის წარმომადგენელებს შორის. ამ უკანასკნელთა შორის უნდა დავასახელოთ – თავდაცვის მინისტრი მ. თლასი, ვიცე-პრეზიდენტი ა. ჰადამი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ა. კასმი. არმიაში სუნიტების გვერდით ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაინიშნენ დრუზები და ქრისტიანებიც. გარკვეულწილად, ეს დათმობა განაპირობა ჰაფეზ ასადის სურვილმა მოემზადებინა პირობები ხელისუფლების თავისი შვილისათვის უმტკივნეულოდ გადაცემის მიზნით.

ჰაფეზ ასადის ავტორიტარული მმართველობა ემყარებოდა სამ საფუძველს: სამხედროები (არმია და სპეცსამსახურები), ბაასის პარტია და ალავიტების თემი.

ჰაფეზ ასადის რეჟიმი იმდენად პერსონიფიცირებული იყო, რომ სირია იწოდებოდა „ასადის სირიად." მართალია ასადის მმართველობის პერიოდში სირიაში ჩამოყალიბდა მმართველობის ავტორიტარული სისტემა (სირიას მოიხსენიებდნენ აგრეთვე, როგორც „საპრეზიდენტო მონარქია") და შიდა უსაფრთხოების თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფო, მაგრამ სირია არასოდეს ყოფილა ტოტალიტარული – ხელისუფლება არ ცდილობდა ემართა საზოგადოება მხოლოდ იდეოლოგიის საფუძველზე და განეხორციელებინა კონტროლი სახელმწიფოში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებზე მხოლოდ იდეოლოგიური ინსტიტუტების საშუალებით.

ჰაფეზ ასადის დროს სირიაში მოქმედებდა ხელისუფლების ორგანიზაციის ე.წ. **2 საფეხურიანი სის**ტემა. გარეგნულად, ფუნქციონირებდა სტანდარტული მმართველი სტრუქტურა მთავრობის თავმჯდომარეობით, მთელი რიგი მაკონტროლებელი სახელმწიფო ინსტიტუტებით, რომელთა უმრავლესობა რეჟიმის მიერ იყო შექმნილი და მოქმედებდა იერარქიული სისტემის ფარგლებში. კონსტიტუციის და ბაასის პარტიის იდეოლოგიური დადგენილებების შესაბამისად, ამ სახელმწიფო ინსტიტუტებს შეადგენდნენ: პრეზიდენტის ადმინისტრაცია, პარლამენტი (სახელმწიფო საბჭო), მინისტრთა საბჭო. მმართველ პარტიაში არსებობდა საკუთარი სახელისუფლებო იერარქია და მმართველობის საკუთარი ორგანოები. ამის პარალელურად სირიაში მოქმედებდა საზოგადოებრივი და პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენდა სირიის სხვადასხვა ფენების (პროფკავშირების, გლეხთა ასოციაციების, „თავისუფალი პროფესიების" ადამიანთა, სტუდენტთა კავშირების, ქალთა ორგანიზაციების) ინტერესებს. ეს „ფორმალური" სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ქმნიდნენ კანონიერი ხელისუფლების სახეს და ახდენდნენ მმართველი ელიტის მოქმედების ლეგიტიმაციას.

2000 წლის 17 ივლისს, ჰაფიზ ასადის გარდაცვალების შემდეგ, სირიის პრეზიდენტი გახდა მისი ვაჟი ბაშარ ასადი (*ალ-ასად*), რომელმაც მმართველობის პირველ ხანებში დაიწყო სირიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების შედარებითი ლიბერალიზაციის კურსის გატარება. ბაშარ ასადის დროს ხელისუფლების რეალური ბერკეტები უწინდებურად მმართველი ელიტის ხელში იყო, რომლის უმრავლესობას შეადგენენ ალავიტები. თუმცა ოფიციალურად ქვეყანას მართავდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია – ბაასი, რომლის შიგნითაც ძალთა თანაფარდობა ასევე ალავიტების სასარგებლოდ იყო. ბაშარ ასადმა, მამისაგან განსხვავებით, სტრატეგიული პოლიტიკური კავშირი დაამყარა სუნიტებთან და ქრისტიანულ უმცირესობებთან.[55] პრეზიდენტი არაბულ და ისლამურ კონფერენციებზე ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ერთგულებას საერთო ისლამური საქმისადმი. პარტიებზე კანონის ახალ რედაქციით აიკრძალა პარტიის შექმნა ეთნიკური და კონფესიური ნიშნით. პოლიტიკური ისლამის როლის ზრდამ აიძულა სირიის ხელისუფლება ნება დაერთო ისლამური მოძრაობის წარმომადგენლებისათვის მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში. ბოლო პერიოდში „პარტიული ფუნქციონერების" დიდი ნაწილი თვლიდა, რომ „ბაასისტები" აუცილებლად უნდა დაუახლოვდნენ ისლამისტურ მოძრაობას სირიის მოსახლეობის ფართო მასებში თავიანთი პოპულარობის ასამაღლებლად. ისინი აუცილებლად მიიჩნევდნენ აგრეთვე დიალოგის წარმოებას „ზომიერ ისლამის-

55 2004 წლის მარტში სირიის ჩრდილოეთში არაბებსა და ქურთებს შორის მომხდარი შეტაკების მიუხედავად, ქვეყანაში არ არის დაპირისპირება ეთნიკური და კონფესიური ნიშნით. ეთნიკურ უმცირესობებს – ქურთებს და სომხებს ღირსეული ადგილი უკავიათ სახელმწიფო და კერძო სექტორში. ბაშარმა დაიწყო საკადრო ცვლილებები თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით. მხოლოდ 2000-2004 წლებში მან შეცვალა 15 მაღალი თანამდებობის პირი, მათ შორის სამხედროები.

ტებთან". მათ შორის გამოირჩევა სირიის პარლამენტის დამოუკიდებელი კანდიდატი მუჰამად ჰაბაში, რომელიც წარმოადგენს პატრიოტული ისლამისტური მოძრაობის ინტერესებს. მისი შეფასებით, არაბულ აღმოსავლეთში „თანამედროვე ისლამური ქუჩის" დაახლ. **80% არიან ტრადიციონალისტი-კონ-**სერვატორები, რომლებიც არ ცნობენ სხვა რწმენას, ისლამის გარდა და 20% – „რეფორმატორები", რომლებიც თვლიან, რომ ღმერთის რწმენისაკენ მიდის „არაერთი გზა". ტრადიციონალისტებს შორის მხოლოდ 1%-ა „რადიკალები" და ექსტრემისტები. იმავდროულად, ის ვერ ხედავს ისლამური პარტიის შექმნის აუცილებლობას, მაგრამ არ გამორიცხავს სირიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას დემოკრატიის სრული გამარჯვების შემთხვევაში. ამ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობაა პარტიის წევრებს შორის. სირიის ისლამისტურ საზოგადოებაში არიან რადიკალური ისლამის მომხრეები, რისი დემონსტრირებაც მოხდა 2004-2006 წლებში, როცა სირიიის უსაფრთხოების ორგანოებს არაერთი შეტაკება მოუხდათ *ჯუნუდ ეშ-შამის* (სირიის სამხედროები) ტიპის ორგანიზაციებთან. სირიის „მუსლიმი ძმების" უცხოური ფილიალის ხელმძღვანელია ალი სადრედდინ ბაიანუნი (=ალი სადრ ად-დინ ბაიანუნი). 2006 წელს სირიის ისლამისტებმა ლონდონში შექმნეს „ისლამური ხსნის ფრონტი", რომლის ხელმძღვანელობაშიც შევიდნენ ა. ჰადამი, სირიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და ალი სადრედდინ ბაიანუნი. მათი მიზანია „დემოკრატიული ისლამური სახელმწიფოს" შექმნა. მათ შეადგინეს რეფორმების თავისებური პროგრამა, „მომავალი სირიის პოლიტიკური პროექტი" (Humphreys, 1979: 13; Ахундова, 1988: 82-85). სირიაში არის დაახლ. **2500 მეჩეთი, სადაც ხელისუფლების ფარული კრი-**ტიკა მიმდინარეობს. **2011 წელს, „არაბული გაზაფხულის" ტალღამ სირიამდეც მოაღწია. ამ ვითარე-**ბაში ხელისუფლება ცდილობს რეპრესიებით დაუპრისპირდეს ოპოზიციონერთა ამბოხს და ასევე შეინარჩუნოს „ისლამური ფაქტორის" კონტროლი ქვეყანაში.

ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ გადატრიალების მცდელობის შესაძლებლობას მუსლიმისუნიტების მხრიდან. ისინი უკმაყოფილო არიან ალავიტური უმცირესობის მმართველობით.[56] სირიაში ხელისუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობს სახელმწიფო აპარატში და გენერალიტეტში. რეჟიმის მოწინააღმდეგეები არიან ისლამისტებიც. შესაძლებელია ალავიტები გენერლების შეთქმულებაც არმიაში, რომლებიც უკმაყოფილო არიან ბაშარ ასადის, რადგანაც მას არა აქვს ე.წ. „სამხედრო საფუძველი". ისინი (სუნიტი გენერლების ჩათვლით) უკმაყოფილო არიან იმ ფაქტით, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტმა გამოიყვანა ლიბანიდან სირიის არმიის დიდი ნაწილი.

სირიის მთავრობაში მინისტრების უმეტესობა სუნიტები არიან, მაგრამ ისინი (შინაგან საქმეთა, თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრების გარდა) პრაქტიკულად არ ფლობენ რეალურ ძალაუფლებას. ბაშარ ასადს, ლიბანის პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მვლელობის გამო, დაუპირისპირდა სუნიტი ვიცე-პრეზიდენტი აბდ ალ-ჰალიმ ჰადამი, რომელიც გააძევეს ქვეყნიდან სამშობლო ღალატის ბრალდებით. 2006 წელს მან განაცხადა: „ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი კოლაფსის ზღვარზეა... მკითხეთ მე, ჩემო ძმებო, **6 წლის შემდეგ, რაც ის მართავს ქვეყანას, რა გააკეთა ბაშარ ალ-ასადმა გარდა კო-**რუფციის გავრცელებისა და ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისა, რომელთაც გამოიწვიეს ეროვნული ერთიანობის დასუსტება, და სირიის იზოლაციისა არაბული და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან... გარწმუნებთ თქვენ, რომ ტირანიისა და კორუფციის რეჟიმი განადგურების ზღვარზეა და უახლოეს მომავალში მმართველი დაინახავს როგორ გარბიან ოპორტუნისტები და ფარისევლები, რომლებიც ახლა მას გარს ახვევიან. ის, მისი გამყიდველი ოჯახი და გარემოცვა აღმოჩნდებიან მართლმსაჯულების ხელში ".

- *კოლონიურ პერიოდში და მის შემდეგ, ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პერიოდში ჩაეყარა საფუძველი სირიაში კონფესიურ დისბალანსს;*
- *ჰაფეზ ასადის დროს ფაქტობრივად დაკანონდა არმიის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობა პარტიულ-სახელმწიფო აპარატში – მათ შორის მინისტრთა კაბინეტში, პარტიული ხელმძღვანელობის ორგანოებში, დიპლომატიურ ასპარეზზე, სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყე-*

56 2007 წლის ბოლოს მთელ რიგ სამხედრო სასწავლებლებში, ქ. ჰომსში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, განხორციელდა აჯანყებათა სერია. ძირითადი მიზეზი იყო კურსანტებისა და მასწავლებლების მხრიდან უკმაყოფილება მათი კოლეგა ალავიტების პრივილეგირებული მდგომარეობისა და იმ უპირატესობების გამო, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ შვებულებების მიღებისას, დაწინაურებისა თუ წახალისებისას. ბაშარ ასადი იძულებული გახდა ჩარეულიყო კონფლიქტში – მათ ჩასახშობად ხელისუფლებამ გააგზავნა სამხედრო კონტრდაზვერვის ელიტარული ნაწილები და პრეზიდენტის ბრძანებით დროებით დაიხურა ეს სასწავლო დაწესებულებები.

ბებში, სამეურნეო, საბანკო და კომერციულ სტრუქტურებში, პროვინციების ადმინისტრაციული აპარატის მართვაში და ა.შ.

- *დამოუკიდებლობის მიღების დროიდან (1946) სირიაში კონფესიათა შედარებით მშვიდობიან თანაარსებობა დამყარდა, რომელიც ხასიათდებოდა, როგორც „ხელოვნური ეთნოკონფესიური ბალანსი", და მას განაპირობებდა რამდენიმე მიზეზი: 1. სირიის რელიგიური თემები ისტორიულად ერთიანდებოდნენ საგარეო მტრისაგან თავდაცვის მიზნით; 2. ისრაელის მიერ გოლანის მაღლობების დაკავებამ გააერთიანა ქვეყნის მოსახლეობა; 3. ჰაფეზ ასადის ავტორიტეტი, სიმტკიცე და მანევრირების უნარი (რელიგიური უმცირესობების კოალიციის ჩამოყალიბება ბალანსის დასაცავად სუნიტურ უმრავლესობასთან მიმართებაში) და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ძირითადი სოციალ-ეკონომიკური მოთხოვნების გარკვეულ დონეზე დაკმაყოფილება;*
- *ჰაფეზ ასადის უახლოესი გარემოცვა, რომელიც მონაწილეობდა პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაში და სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაში, იყვნენ უპირატესად სამხედროები. ალავიტური ხელისუფლების სტაბილურობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი იყო მმართველი ალავიტური ზედაფენის კავშირი სავაჭრო-ფინანსური და სამხედრო-ბიუროკრატიული ელიტის სუნიტ წარმომადგენლებთან – სახელმწიფო აპარატის, არმიისა და სპეცსამსახურების სრული კონტროლის ქვეშ. წამყვანი პოზიციები ჰქონდათ ალავიტებს, მაგრამ ისინი უყოფდნენ პოლიტიკურ ხელისუფლებას სუნიტებს. შეიქმნა საერთო ინტერესების ერთგვარი კონგლომერატი – ალავიტებმა მისცეს საშუალება სუნიტებს მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში. ალავიტებს, თავის მხრივ, სჭირდებოდათ სუნიტური ბიზნეს-ელიტა დასავლეთის ბაზრებთან დასაკავშირებლად და საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოსაზიდად.*
- *ალავიტებსა და სუნიტებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანი პირობაა პოლიტიკური და კონფესიური ბალანსის შესანარჩუნებლად.*
- *ექსპერტთა აზრით, ბაშარ ასადის დროს „ჰ. ასადის მიერ შექმნილმა მთლიანობის კონსტრუქციამ ეროზია განიცადა". შესაბამისად, კონფესიათა მშვიდობიანი თანაარსებობა სირიაში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ხელისუფლების კონფესიურ პოლიტიკაზე, რადგანაც სხვადასხვა კონფესიურ ძალებს აქვთ პოლიტიკური და ფინანსური რესურსები არა მარტო სირიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.*

კოპტები და კონფესიური კონფლიქტი ეგვიპტეში /XXს-XXIს-ის დასაწყისი/

XX ს-ის 70-იანი წლებიდან ფართო მასშტაბები მიიღო ქრისტიანთა ემიგრაციამ არაბული ქვეყნებიდან, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ისლამური ექსტრემიზმის ზრდამ. არაბული ქვეყნებიდან ქრისტიანთა ემიგრაციის პროცესი შეფასებულია, როგორც „დამცავი რეაქცია" კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. ერთი მხრივ, არაბული ქვეყნების ლიდერები აქტიურად მონაწილეობენ მუსლიმურ-ქრისტიანულ დიალოგში (*Христиане и мусульмане,* 2000), რასაც ხელს უწყობს საუკუნეების მანძილზე ამ ორი რელიგიის ისტორიული თანაარსებობა, მეორე მხრივ, მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის არსებობს იდეოლოგიური განსხვავებები, რომელიც წარმოშობს კონფლიქტურ პოტენციალს, რაც რეალიზდება კრიზისულ პირობებში, დამატებითი იდეოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების არსებობის დროს.

არაბული ქვეყნებიდან, ამ თვალსაზრისით, ყველაზე „პრობლემურია" თანამედროვე ეგვიპტე, სადაც ბოლო წლების მანძილზე შეიმჩნევა მუსლიმებსა და ქრისტიანებს (კოპტებს) შორის კონფლიქტის აშკარა ესკალაცია.

2010 წლის მონაცემებით, კოპტები შეადგენენ ეგვიპტის მთელი მოსახლეობის (81,103,614) 9%-ს, დაახლოებით 9,1 მილიონს (*The World Factbook*, 2010).[57] არაბული ტერმინი *კიბტ* (მრ.რ. *აკბატ*) აღ-

57 კოპტების რაოდენობა XIX საუკუნის ბოლოს 4 მილიონს არ აღემატებოდა (ქვეყნის მოსახლეობის 6%). კოპტები ძირითადად ცხოვრობენ ზემო ეგვიპტეში – ძირითადად ასიუტის და მინიას პროვინციებში. რამდენიმე სოფელი ზემო ეგვიპტეში მთლიანად კოპტებით არის დასახლებული. ეგვიპტელი კოპტების 25% ცხოვრობს კაიროში, 6% – ალექსანდრიაში. ეგვიპტეში შეიმჩნევა კოპტური მოსახლეობის შემცირების ტენდენცია, რაც გამოწვეულია ეგვიპტის მთავრობისა და ისლამისტური ორგანიზაციების მხრიდან ქვეყნის ქრისტიანული მოსახლეობის დისკრიმინაციით.

ნიშნავს კოპტებს ან ეგვიპტის მკვიდრ ქრისტიანებს.[58] ტერმინი ნაწარმოებია ბერძნული აიგიპტოსი-დან (*aigyptos*). ბერძნები ამ სიტყვით აღნიშნავდნენ ეგვიპტეს და ნილოსს, აქედან გამომდინარე სიტყვა „კოპტი" არის ეგვიპტელის ეკვივალენტური.[59]

კოპტები თავს თვლიან ძველი ეგვიპტელების შთამომავლებად. ძვ.წ. 31 წელს ეგვიპტე გახდა რომის იმპერიის პროვინცია, ხოლო 395 წელს გადავიდა ბიზანტიის იმპერიის მფარველობის ქვეშ. 641-642 წლებში დაპირისპირებამ ბიზანტიურ ეკლესიასა და კოპტებს შორის გაუადვილა არაბებს ეგვიპტის დაპყრობა.[60] არაბებმა ეგვიპტეში გაავრცელეს არაბული ენა და ისლამი. ქრისტიანებმა მიიღეს მუსლიმთა მფარველობაში მყოფი ხალხის – *ზიმმიების* სტატუსი, რაც ანიჭებდა მათ პიროვნებისა და ქონების, ეკლესიებისა და მონასტრების ხელშეუხებლობის გარანტიას. ამ მფარველობის სანაცვლოდ ისინი იხდიდნენ სულადობრივ გადასახადს – *ჯიზიას*. თავდაპირველად არაბთა სახალიფოში არ არსებობდა შეზღუდვები ქრისტიანული მოსახლეობის მიმართ, ხოლო არაბებისა და ეგვიპტელი კოპტების დაახლოებას ხელს უწყობდა არაბთა ლიბერალური რელიგიური და საგადასახადო პოლიტიკა (Зеленев, 2007: 37). პირველი ეგვიპტელი მუსლიმები ეზიარენ კოპტების მდიდარ სულიერ და მატერიალურ კულტურას, რომელმაც, თავის მხრივ, ბევრი რამ ისესხა ძველი ბერძნებისა და რომაელებისაგან. კოპტური ენა არასოდეს ყოფილა ოფიციალური, სახელმწიფო ენა. კოპტებს მოუხდათ ეგვიპტის მუსლიმურ საზოგადოებაში ინტეგრირება, მაგრამ მათ არასოდეს უთქვამთ უარი საკუთარ იდენტობაზე, მრავალი საუკუნის განმავლობაში ისინი ინარჩუნებდნენ ტრადიციებს, შეხედულებებს, მსოფლმხედველობასა და გაქრობის გზაზე მდგარ კოპტურ ენას.[61]

ეგვიპტის არაბიზაციის შემდეგ ხალიფების (სულტნების) პოლიტიკა კოპტების მიმართ სტაბილური არ ყოფილა და იცვლებოდა მმართველთა პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. თავდაპირველად არანაირი რელიგიური და ყოფითი ხასიათის შეზღუდვები არ იყო დაწესებული სახალიფოში მცხოვრები ქრისტიანებისათვის. მითითებები განსხვავებული სამოსის ტარების, ახალი ეკლესიების აშენების აკრძალვის შესახებ და სხვ. გაჩნდა მოგვიანებით. თუ არ ჩავთვლით ეგვიპტის ისტორიის რამდენიმე მონაკვეთს (ფატიმიანი ხალიფა ალ-ჰაქიმი; მამლუქი მმართველები; მუჰამად ალის შვილიშვილი აბას I). კოპტები ძირითადად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ფატიმიანთა მმართველობის პერიოდში (969-1171) კოპტები სარგებლობდნენ კეთილგანწყობით ამ დინასტიის პირველი ხალიფების მხრიდან. მაგ., ხალიფა ალ-აზიზმა (975-996) დანიშნა მელქიტური ეკლესიის პატრიარქებად ალექსანდრიასა და იერუსალიმში თავისი ცოლის (ას-საიდა ალ-აზიზიდა იყო მელქიტი კოპტი) ძმები. ხალიფა ალ-ჰაქიმის (996-1021) დროს დაიწყო ქრისტიანთა და არამუსლიმთა სასტიკი დევნა – 1008-1015წწ. ალ-ჰაქიმმა აღადგინა ძველი კანონები, რომლის მიხედვითაც ქრისტიანებს უნდა ეტარებინათ სპეციალური, განმასხვავებელი სამოსი, ხოლო კისერზე – მძიმე ხის ჯვრები. აიკრძალა ქრისტიანული დღესასწაულები და ზარების რეკვა, დაანგრიეს ეკლესიებისა და მონასტრების დიდი ნაწილი. თუმცა ალ-ჰაქიმის მემკვიდრეების დროს შემწყნარებლობა ქრისტიანების მიმართ აღდგა და ზოგიერთი ფატიმიანი ხალიფა მონაწილეობდა ქრისტიანულ დღესასწაულებში.

მამლუქი სულტნები (1250-1517) პერიოდულად ახორციელებდნენ რეპრესიულ ზომებს ზიმიების წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1321 წელი, როცა სულტან ნასირ მუჰამადის ბრძანებით ეგვიპტეში დაანგრიეს მრავალი ეკლესია და მონასტერი, მათ შორის ქართველთა ეკლესია – *ქანისათ ალ-ქურჯ* ფუსტატში (ჯაფარიძე,1999: 126). საპასუხოდ, კოპტებმა გადაწვეს მუსლიმთა მრავალი მეჩეთი, სასახლე და საცხოვრებელი სახლი. XVI ს-ში ეგვიპტის ჩართვამ ოსმალეთის იმპერიის შემადგენ-

58 ეგვიპტეში ქრისტიანობამ გავრცელება დაიწყო ახ.წ. 283 წლიდან. მოგვიანებით ალექსანდრიაში დაარსდა კოპტური ორთოდოქსული ეკლესია, რომელიც დღემდე ყველაზე დიდი ქრისტიანული ეკლესიაა მთელს ახლო აღმოსავლეთში. კოპტების დიდი ნაწილი მონოფიზიტობას აღიარებდა, ნაწილი იყო კათოლიციზმის მიმდევარი, ხოლო ნაწილი – 16 პროტესტანტული დენომინაციის (Makari, 2000: 89).

59 თუ ბერძნულ ტერმინს ჩამოვაკლებთ პრეფიქსს-სუფიქსს, მივიღებთ გიპტ-ს (*Gypt*), რაც არაბულად კიბტ-ად გარდაიქმნება (Meinardus, 1977).

60 თუმცა, გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს იმის მტკიცება, რომ კოპტები შეხვდნენ არაბ დამპყრობლებს, როგორც განმათავისუფლებლებს.

61 კოპტურმა ენამ თანდათან შეწყვიტა არსებობა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ის მთლიანად შეცვალა არაბულმა, ხოლო ძველი კოპტური ენა გამოიყენება მხოლოდ კოპტური ეკლესიის ლიტურგიკაში (Pennigton, 1982: 158).

ლობაში გააუმჯობესა კოპტების მდგომარეობა მამლუქთა პერიოდთან შედარებით. თუმცა ოსმალთა დროსაც ისინი ხდებოდნენ დევნის ობიექტი. ერთ-ერთი ასეთი პერიოდი იყო ოსმალთა ვასალის მამლუქი ალი ბეგ ალ-ქაბირის მმართველობის პერიოდი (1760-1773), რომელმაც დაბეგრა ქრისტიანები და სხვა არამუსლიმები მაღალი გადასახადებით (Зеленев, 1999: 194). უკანასკნელი მამლუქი ბეგების დროს, რომელთა მმართველობა დაასრულა ნაპოლეონ ბონაპარტეს ლაშქრობამ ეგვიპტეში (1798), კოპტების მდგომარეობა არასტაბილური იყო. ქრისტიანთა სახელმწიფოსაგან დახმარების მიღების იმედით, კოპტებმა მხარი დაუჭირეს ფრანგთა შემოსვლას (ნაპოლეონის პრაგმატული პრომუსლიმური კურსის მიუხედავად). თუმცა ფრანგების წასვლის შემდეგ (1801) კვლავ განიცადეს დევნა „ურწმუნოებთან" თანამშრომლობის გამო (*Fiches du monde arabe*, 02.03.1982, № 2144).

1805 წელს, ხელისუფლების სათავეში მუჰამად ალის მოსვლის შემდეგ, კოპტების დევნა შეწყდა. კოპტი დიდებული – მუალიმ გალი გახდა ფაშას ფინანსური მრჩეველი. კოპტური თემი, სათავეში პატრიარქი ბუტროს VII, კარგად იყო განწყობილი მუჰამად ალის მიმართ. მუჰამად ალის შვილიშვილი აბას I (1848-1854) კი პროოსმალური ორიენტაციის მომხრე იყო და მისი მმართველობის ხანმოკლე პერიოდი აღინიშნა ქრისტიანების ახალი დევნით. თუმცა, საიდ ფაშას (1854-1863) მოსვლამ ხელისუფლების სათავეში რადიკალურად შეცვალა კოპტების მდგომარეობა უკეთესობისაკენ. 1855 წელს გაუქმდა არამუსლიმებისთვის ჯიზიას გადახდა (Ibrahim, 1996: 11). ისმაილ ფაშას დროს (1863-1879), 1866 წელს, როცა ეგვიპტის პირველი საკონსულტაციო ასამბლეა დაფუძნდა, კოპტებს და მუსლიმებს მიეცათ თანაბარი საარჩევნო უფლებები (Pennigton, 1982: 160) და ასევე თანაბარი უფლებები სამხედრო სამსახურის დროს. თუმცა დაფიქსირდა ფაქტები, რომ კოპტ სამხედრო მოსამსახურეებს აიძულებდნენ ისლამის მიღებას (*Fiches du monde arabe*, 27.12.1977, № 837). ამ პერიოდში უნდა აღინიშნოს კოპტური ეკლესიის კულტურული მოძრაობა, რომელსაც აფინანსებდა პატრიარქი კირილე IV რეფორმატორი (1854-1861). მან დააარსა მრავალი სკოლა და ხელს უწყობდა კოპტური ენის აღორძინებას.

1881-1882წწ. ეროვნული მოძრაობა, აჰმად ურაბი ფაშას მეთაურობით, ატარებდა აშკარა ანტიევროპულ და ნაწილობრივ ანტიქრისტიანულ ხასიათს. თვითონ ურაბი ფაშა ხაზს უსვამდა იმ „საფრთხეს," რასაც ისლამისათვის, მისი აზრით, წარმოადგენდა „კოპტების მზარდი მონაწილეობა ხელისუფლებაში" (*იქვე*). 1882 წლის ივნისში ალექსანდრიაში ადგილი ჰქონდა მუსლიმთა ანტიევროპულ და ანტიქრისტიანულ გამოსვლებს, რომელთა დროსაც, ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 50 უცხოელი და 150 ეგვიპტელი (არაოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 1400 ადამიანი). ალექსანდრიის მოვლენებმა გამოიწვია ებრაელებისა და კოპტების ემიგრაცია ეგვიპტიდან: 1882 წლის 18 ივნისისათვის ეგვიპტე დატოვა დახლ. 32 ათასმა ადამიანმა, რომელთა შორის მრავალი ქრისტიანი იყო (Зеленев, 1999: 272).

ინგლისმა გამოიყენა ალექსანდრიაში განვითარებული მოვლენები ინტერვენციის საბაბად და ეგვიპტეში გააგზავნა თავისი არმია, რომელსაც კოპტური თემი ფარული ენთუზიაზმით შეხვდა. ბრიტანეთის ოკუპაციის პერიოდში დაწინაურდა კოპტი დიდებული ბუტროს გალი (ღალი). 1882 წელს ჩამოყალიბებულ ეგვიპტის მთავრობაში მას თავიდან ეკავა ფინანსთა მინისტრის, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის და ბოლოს 1908-1910 წლებში – პრემიერ-მინისტრის პოსტი. თუმცა, პრობრიტანული განწყობა ბუტროს ფაშას სიცოცხლის ფასად დაუჯდა – გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე 1910 წელს მოკლა მუსლიმმა იბრაჰიმ ვარდანიმ, ტერორისტული ორგანიზაცია „ძმური სოლიდარობის საზოგადოების" წევრმა. თუმცა, თვითონ იბრაჰიმ ვარდანიმ უარყო, რომ თავის მოქმედებებში ხელმძღვანელობდა რელიგიური მოტივებით, მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლებამ, ბრიტანეთის გენერალური კონსულის – ელდონ გორსტის სახით, ეს მოვლენები შეაფასა, როგორც სისხლისღვრა მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის; ამასთან, ბუტროს ფაშა გალის მკვლელობა გამოიყენა რეპრესიებისათვის ნაციონალისტებთან და მთლიანად მუსლიმებთან მიმართებაში (Кудрявцев, 2002: 161-165). ამას მოჰყვა მცირე კონფესიური კრიზისი – ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა კოპტმა აქნუხ ფანუსმა თხოვნით მიმართა *ეგვიპტურ პარტიას*, რათა დაეცვა კოპტების უფლებები (Pennigton, 1982: 160).

კოპტები ეგვიპტეში ბრიტანელთა ყოფნას თავიანთი უსაფრთხოების გარანტად მიიჩნევდნენ, რის გამოც არ თანაუგრძნობდნენ პირველ ეგვიპტელ მუსლიმ-ნაციონალისტებს, რომლებიც ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს აპელირებდნენ პანისლამიზმზე. ერთ-ერთი მათგანი იყო მუსტაფა ქამილი (1874-1908), პარტია *ალ-ვატანის* (მამული) დამაარსებელი. კოპტი პუბლიცისტი, პარტიის ლიდერისადმი თავის ღია წერილში, რომელიც გამოქვეყნდა პარტიის ბეჭდვითი ორგანოს „*ალ-ლივა*" („დროშა") ფურცლებზე, წერდა: „ჩემთვის საშინელებაა ვხედავდე, რომ შენ – ეგვიპტის შვილი და ეგვიპტის ყველაზე მეტად მოყვარული – აპელირებას ახდენ ისლამურ ლიგაზე, მოუწოდებ მუსლიმებს ერთიანობისა და თანხმობისაკენ და სრულიადაც არ ფიქრობ შენს ძმებზე – კოპტებზე, რომლებიც არიან

შენი თანამემამულეები და უფრო ახლოს დგანან შენთან, ვიდრე იავას, ბუხარის და ინდოეთის მუსლიმები“ (ციტ. Pennigton, 1982: 160).

1911 წლის თებერვალში ასიუტში (ზემო ეგვიპტე) ჩატარდა კოპტების კონგრესი (ორგანიზატორები – აქნუხ ფანუსი და ჯორჯ ვისა), რომელმაც მოითხოვა კოპტების დისკრიმინაციის გაუქმება ადმინისტრაციულ სფეროში, საარჩევნო სისტემის რეფორმა, რაც ხელს უშლიდა კოპტების წარმომადგენლობას პროვინციულ საბჭოებში და კოპტებისათვის მუსლიმების თანაბარი უფლებების მინიჭება განათლების სფეროში (კოპტური სკოლების სახელმწიფო დაფინანსება და სხვ.), კვირა დღის უქმედ გამოცხადება. თუმცა ორი თვის შემდეგ მუსლიმებმა კაიროში ჩაატარეს თავიანთი ალტერნატიული ყრილობა, მაგრამ კოპტების მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს. ამასთან გამწვავდა მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის არსებული დაპირისპირება, რასაც ასაზრდოებდა პოლიტიკური ორიენტაციის სხვადასხვაობა (Makari, 2000: 92-93; Pennigton, 1982: 160-161).

XX ს-ის პირველ ნახევარში კოპტები გამოვიდნენ პოლიტიკურ არენაზე ეგვიპტის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლოზუნგებით. 1919 წლის რევოლუციამ (ამ რევოლუციის ემბლემა იყო ნახევარმთვარე ჯვრით), რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ეგვიპტელი ნაციონალისტი-პოლიტიკოსი, პარტია *ვაფდის* (არაბ. დელეგაცია) დამაარსებელი, სა'დ ზაგლული (1860-1927), მძლავრი სტიმული მისცა მუსლიმებისა და კოპტების დაახლოებას. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე თვითონ ზაგლულის პოზიციამ, რომელმაც განაცხადა: „ეგვიპტე ეკუთვნით კოპტებს ისევე, როგორც მუსლიმებს.“ მან კოპტური ელემენტი წააქეზა აქტიურად ჩაბმულიყო ეგვიპტის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ლოზუნგით – „ეგვიპტე ეგვიპტელებისათვის,“ პარტიამ მრავალი კოპტი მიიმხრო. პარტიის გენერალური მდივანი გახდა კოპტი პროტესტანტი უილიამ მაქრამ ობეიდი. მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის სრული თანხმობა დამყარდა (Pennigton, 1982: 161).

1922 წლის თებერვალში ინგლისის მიერ ეგვიპტისათვის ფორმალური დამოუკიდებლობის მინიჭების შემდეგ, კოპტები სარგებლობდნენ მნიშვნელოვანი პრივილეგიებით. მრავალი კოპტი შედიოდა 1923 წლის ეგვიპტის პირველი კონსტიტუციის ტექსტის შემმუშავებელ კომისიაში. სწორედ ამ კონსტიტუციამ უზრუნველყო კულტმსახურების თავისუფლება, ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე და სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისას, პარლამენტის დაფუძნება არჩევნების გზით. ზაგლული და კოპტების უმრავლესობა შეეწინააღმდეგა კოპტების პროპორციულ წარმომადგენლობას პარლამენტში. თუმცა, არჩეული კოპტი დეპუტატების რაოდენობა პარლამენტში უფრო მეტი იყო, ვიდრე სპეციალური სტატუსი ითვალისწინებდა. 1923 წელს კოპტები შეადგენდნენ ვაფდის აღმასრულებელი კომიტეტის დაახლ. 44%-ს. 1926 წელს ზაგლულის მიერ ჩამოყალიბებულ მინისტრთა კაბინეტში იყო ორი კოპტი – ვასიფ ბუტროს გალი (საგარეო საქმეთა მინისტრი) და მაქრამ ობეიდი (ფინანსთა მინისტრი).

1922 წლამდე ეგვიპტის საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოქმედებდა კოპტების წარმომადგენლობის ასეთი წესი: 13 მუსლიმ დეპუტატზე 1 კოპტი დეპუტატი. მეფე ფუად I-ის (1922-1936) დროს ეს წესი შეიცვალა და კოპტები კვლავ ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი ქვეყნის პარლამენტში (*Fiches du monde arabe*, 20.12.1977). თუმცა, რეალური ვითარება უცვლელი იყო: ეგვიპტე წარმოადგენდა მუსლიმურ ქვეყანას ქრისტიანული უმცირესობით და კოპტებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში კანონიერი მონაწილეობის სურვილი აიძულებდა ეცნოთ ისლამის უზენაესობა.

1928 წელს „მუსლიმი ძმების“ ასოციაციის დაარსებას მოჰყვა ქვეყნის მუსლიმური მოსახლეობის კონსოლიდაცია. ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა უშუალო საფრთხეს ქრისტიანული ეგვიპტისათვის. „მუსლიმი ძმების“ ასოციაცია საუბრობდა კოპტების მიერ ვაფდის პარტიის „დაპყრობაზე“ და ადანაშაულებდნენ ეგვიპტელ ქრისტიანებს განზრახვაში, ებრაელთა მიბაძვით, „დაეარსებინათ თავიანთი ეროვნული კერა“ (*იქვე*, 09.03. 1982).[62]

1937 წელს მუსლიმების როლი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და კოპტებმა მიიღეს სახელმწიფო პოსტების მხოლოდ 9% (ამ პერიოდში ისინი მოსახლეობის 20%-ს შეადგენდნენ) (Wakin,1963: 170).

ეგვიპტის 1952 წლის ანტიმონარქიულ რევოლუციას მოჰყვა პოლიტიკური ხასიათის არსებითი ცვლილებები როგორც ქვეყანაში, ისე მთელს ახლო აღმოსავლეთში. ნასერიზმი, არაბული ნაციონა-

62 1940-იან წლებში „მუსლიმ ძმებს“ რადიკალური პოზიცია ჰქონდათ კოპტებთან მიმართებაში. 1948 წლის 27 მარტს ორგანიზაციის წევრებმა ქ. ზაკაზიკში გადაწვეს კოპტური ეკლესია, სადაც იმყოფებოდნენ მლოცველები. 1952 წლის 4 იანვარს გადაწვეს კოპტური ეკლესია სვეისში, რომლის შედეგად რამდენიმე კოპტი დაიღუპა.

ლიზმი, სოციალიზმი, ნაციონალიზაცია (კოპტების საეკლესიო ქონება ჩამორთმეულ იქნა ისლამურ საქმეთა სამინისტროს მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ), აგრარული რეფორმა (მოხდა კოპტების კუთვნილი მიწები კონფისკაცია ნაციონალიზაციის სამსახურის მიერ და და ეს მიწები გადაეცა მუსლიმებს), ეტატიზმი, სამხედრო დიქტატურა და მუსლიმთა ნაწილის რადიკალიზაცია – ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო კოპტების განდევნას ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან. არც ერთი ქრისტიანი არ შედიოდა ნასერის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ მთავრობაში – რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოში. შესაბამისად, **1952 წელსვე სამართლის სპეციალობის სტუდენტმა იბრაჰიმ ჰილალმა ჩამოაყალიბა** კოპტური ორგანიზაცია, ე.წ. რეფორმების მოძრაობა – *ალ-უმმა ალ-კიბტიიდა* (კოპტური თემი). ორგანიზაციის ქმედებები არ იყო ეფექტური, მაგრამ მრავალი მიმდევარი ჰყავდა (დაახლ. 92 ათასი) ახალგაზრდებს შორის. ორგანიზაცია მოუწოდებდა კოპტებს შეესწავლათ კოპტური ენა და ხელისუფლებისაგან ითხოვდა რადიოსადგურს კოპტებისათვის. **1954 წლის აპრილში, ხელისუფლების გადაწყვეტილებით**, ორგანიზაციის მოღვაწეობა აიკრძალა.

ნასერისა და კოპტი არქიეპისკოპოსის შეხვედრა

1956 წლის იანვარში მიღებული ეგვიპტის დროებითი კონსტიტუციით, ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ხოლო სკოლებში, წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის ფარგლებში, სავალდებულო საგნად, მათ შორის კოპტებისათვის, შემოტანილ იქნა ყურანი, როგორც „სალიტერატურო არაბული ენის მთავარი საგანძური." ნასერის ნაციონალისტურმა პოლიტიკამ, მისმა კონფლიქტმა ინგლისთან, საფრანგეთთან და აშშ-თან, გამოიწვია ეგვიპტეში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, რაც შეეხო კოპტებსაც. **1957 წელს არჩეულ ეროვნულ კრებაში (პარლამენტი) არც ერთი კოპ**ტი დეპუტატი არ იყო (Bennigton, 1982: 164).

1958 წლის მარტში მიღებული დროებითი კონსტიტუცია უკვე აღარ უთითებდა ისლამზე, როგორც სახელმწიფო რელიგიაზე და აცხადებდა ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე. კოპტები არ აღმოჩნდნენ 1958 წელს არჩეულ პარლამენტშიც და ეგვიპტის ლიდერმა თვითონ „დანიშნა" 10 ქრისტიანი, რითაც შექმნა პრეცედენტი და 1964 წლის კონსტიტუციით ეს იქცა საკანონმდებლო ნორმად. ნასერს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კოპტური თემის პატრიარქთან – კირილე VI-თან. ნასერის ბრძანებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა პატრიარქის რეზიდენციის მშენებლობა კაიროში. ნასერმა ასევე თანხმობა განაცხადა ეგვიპტეში კოპტური უნივერსიტეტის დაარსებაზე, რაც განხორციელდა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 1984 წელს (*Fiches du monde arabe, 09. 03.1982. Réimprimé et révisé – Dec. 1984*).

1956 წლის სუეცის კრიზისის შემდეგ ქრისტიანულმა მოსახლეობამ აქტიურად დაიწყო ეგვიპტის დატოვება. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება კოპტური დიასპორის გაჩენა ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში (Karas, 1985: 95-98,120).

რევოლუციის შემდეგ ეგვიპტის სახელმწიფო აპარატი მთლიანად მუსლიმური გახდა. ნასერის გარკვეული დათმობების მიუხედავად, კოპტებს პრაქტიკულად არ შეეძლოთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა და პოლიტიკური აზრის აქტიურად გამოხატვაც კი. 1952-1970 წლებში მხოლოდ რამდენიმე კოპტი იყო პარლამენტში, ხშირად კოპტ პატრიარქთან კონსულტაციით, რათა შეენარჩუ-

ნებინათ ფორმალურად კოპტების წარმომადგენლობა პოლიტიკურ სტრუქტურაში. შესაბამისად, შემცირდა კოპტების გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე და დაკნინდა რელიგიური ინსტიტუტების და კოპტური ეკლესიის როლიც (Spanel, 1996: 641).

ანვარ სადათის (1970-1981) ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, არაბულმა ნაციონალიზმმა დათმო თავისი პოზიციები და მთელი ყურადღება გადატანილ იქნა ახალი კონსტიტუციის შემუშავებაზე. ამასთან პრიორიტეტი მიენიჭა ისლამს. როგორც თვითონ სადათმა განაცხადა: ეგვიპტემ უნდა შეასრულოს „რწმენის თავისი მისია." ამან მნიშვნელოვნად განამტკიცა სადათის პოზიციები ისლამისტების და უპირველეს ყოვლისა, „მუსლიმი ძმების" თვალში. 1971 წლის 5 სექტემბერს ეროვნულმა კრებამ მოიწონა საკონსტიტუციო შესწორება, რომელმაც აღადგინა ისლამის, როგორც სახელმწიფო რელიგიის სტატუსი და შარიათი გამოაცხადა კანონმდებლობის ძირითად წყაროდ. მოგვიანებით, როდესაც სადათმა გადაწყვიტა შეესუსტებინა ისლამის გავლენა საზოგადოებაზე, ეს მუხლი, 1979 წლის საკონსტიტუციო ცვლილებით, ასე ჩამოყალიბდა: „ისლამი არის სახელმწიფო რელიგია, არაბული – ოფიციალური ენა და ისლამური სამართლის პრინციპები – კანონმდებლობის ძირითადი წყარო" (Ansari, 1984: 401).

XXს-ის 70-იან მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა თვითონ კოპტურ თემშიც – 1971 წლის ოქტომბერში კოპტური ეკლესიის პატრიარქი გახდა შენუდა III – დინამიური რელიგიური ლიდერი. მან აქტიური პოზიცია დაიკავა კოპტური თემის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.[63]

პირველი კონფლიქტი კოპტურ ეკლესიასა და სადათის რეჟიმს შორის მოხდა 1972 წლის 18 ივლისს ალექსანდრიაში კოპტური თემების ყრილობამ გაუგზავნა სახელმწიფოს მეთაურს მემორანდუმი, მოთხოვნების ჩამონათვალით – კოპტების წინააღმდეგ მიმართული ბეჭდვითი მასალების პუბლიკაციის აკრძალვა, სკოლებში ქრისტიანთა მიღებისას დაწესებული კვოტების გაუქმება, სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვების მოხსნა ახალი ეკლესიების მშენებლობაზე. მემორანდუმმა შეაშფოთა ხელისუფლება და 1972 წლის 15 აგვისტოს ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომელიც აწესებდა სამუდამო პატიმრობას „ეროვნული ერთობის დარღვევისათვის" და მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირების გაღვივებისათვის. ამის მიუხედავად, გახშირდა შეტაკებები მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის. 1972 წლის 29 სექტემბერს ქ. დამანჰურში, ალექსანდრიის ახლოს, მუსლიმების ჯგუფმა გადაწვა კოპტური ეკლესია და ქვები დაუშინა ეკლესიის მრევლს, 6 ნოემბერს, კაიროს ახლოს, გადაწვეს „არასანქცირებული" ეკლესია. 12 ნოემბერს კოპტებმა მოაწყეს საპროტესტო მსვლელობა. მუსლიმებმა უპასუხეს დემონსტრაციით და რამდენიმე ათეული კოპტის სახლის გადაწვით.

1972 წელს მუსლიმურ-კოპტური დაპირისპირების გამოსაძიებლად შეიქმნა საპარლამენტო კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ 1970 წლის 16 ივლისიდან, 1972 წლის 12 ნოემბრამდე, ქვეყანაში მოხდა 11 ინციდენტი რელიგიურ საფუძველზე. კომისიამ გამოავლინა რელიგიური სისხლისღვრის ძირითადი მიზეზები და თავისი წინადადებები წამოაყენა არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად; მაგ., შერბილება 1934 წლის კანონისა, რომელიც აწესებდა 10 პირობას ეკლესიების მშენებლობისათვის – ერთ-ერთი პირობა იყო ეკლესიის ახლოს მეჩეთის არარსებობა. საპარლამენტო კომისიის მოხსენებით პირველად იქნა ოფიციალურად აღიარებული რელიგიური პრობლემის არსებობა ეგვიპტეში. კომისიის რეკომენდაციებმა ვერ დააკმაყოფილა კოპტური თემი, რომელიც გამოდიოდა ყველა – დაწერილი და დაუწერელი – შეზღუდვების გაუქმების მოთხოვნით ქრისტიანებთან მიმართებაში. თუმცა, კომისიის რეკომენდაციების მიღებამ გარკვეულწილად შეასუსტა დაძაბულობა – რამდენიმე წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია რელიგიურ ნიადაგზე სერიოზულ ინციდენტს. არაბული ქვეყნებისა და ისრაელის 1973 წლის ოქტომბრის ომის დროს გავრცელდა ხმები ქრისტიანი ოფიცრების ღალატზე, რომლის წყალობითაც თითქოს ისრაელის არმიამ მოახერხა სუეცის არხის დასავლეთ ნაპირ-

63 კოპტური ეკლესიისა და პატრიარქ შენუდა III-ის აქტიურობა პოლიტიკურ არენაზე განსაკუთრებით გაიზარდა და აშკარად გამოჩნდა 1973 წლის ომის შემდეგ, ეგვიპტის მიერ ისრაელთან სეპარატული ზავის დადების შემდეგ. პატრიარქის ყურადღება მიმართული იყო კოპტების სოლიდარობაზე არაბულ სამყაროსთან, მათ შორის პალესტინელებთან, რათა განემტკიცებინა კოპტური თემის მდგომარეობა ეგვიპტურ საზოგადოებაში. 1980-იან წლებში კოპტურმა ეკლესიამ გამოხატა თავისი პოზიცია არაბ-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე. ამ პოზიციის გამო კოპტებს აეკრძალა პილიგრიმობა იერუსალიმში, ვიდრე ის ოკუპირებულია ისრაელის მიერ. იასირ არაფათთან შეხვედრის დროს, შენუდა III-მ დაადასტურა, რომ „კოპტები არ გახდებიან გამყიდველები" და შევლენ იერუსალიმში მხოლოდ თავის მოძმე არაბ მუსლიმებთან ერთად მას შემდეგ, რაც დასრულდება ოკუპაცია და მონასტერი დაირ ას-სულტანი დაუბრუნდება ეგვიპტურ ეკლესიას.

ზე შეჭრა, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტის საპასუხო ღონისძიება გახდა მე-2 არმიის მხედართმთავრად კოპტი გენერლის – ფუად აზიზ გალის დანიშვნა, ხოლო მეორე კოპტ ოფიცერს დაევალა კაიროს საჰაერო დაცვის უზრუნველყოფა (*Fiches du monde arabe*, 16.03.1982; Bennigton, 1982: 168-169). სადათმა 1977 წელს კოპტი ბუტრუს გალი,[64] რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის ფიგურას წარმოადგენს კოპტების ისტორიაში, დანიშნა საგარეო საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე (1977-1991).[65] მოგვიანებით, ბუტრუს გალი გახდა აფრიკის და არაბული სამყაროს პირველი წარმომადგენელი გაერო-ს გენერალური მდივნის პოსტზე.

კოპტების უკმაყოფილების ახალი ტალღა გამოიწვია 1977 წლის 15 ივლისს გაზეთ *ალ-აჰრამში* ინფორმაციის გამოქვეყნებამ იუსტიციის სამინისტროს განზრახვის შესახებ გადაესინჯა ქვეყნის კანონმდებლობის ისლამიზაციის პროექტები. ისლამური კანონპროექტების მისაღებად მოწვეულ იქნა ეროვნული კრება, რომლის შემადგენლობაში არც ერთი კოპტი არ იყო. ახალი კანონპროექტის თანახმად, იქმნებოდა ისლამური სასამართლოები და წესდებოდა მკაცრი სასჯელი ისეთ დანაშაულებებზე, როგორიცაა სპირტიანი სასმელების მიღება. სარწმუნოების უარყოფისათვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა. ამასთან დაკავშირებით, კოპტური ეკლესიის სინოდმა მოიწვია საგანგებო სხდომა, ხოლო პატრიარქმა შენუდა III-მ მოუწოდა მრევლს 5-9 სექტემბერს დაეცვათ „საპროტესტო მარხვა." ჩრდილოამერიკულმა კოპტურმა დიასპორამ მიმართა რომის პაპს პავლე VI-ს და აშშ-ის პრეზიდენტ ჯ. კარტერს ეშუამდგომლათ ეგვიპტელი კოპტებისათვის. **1977 წლის 12 სექტემბერს, პატრიარქ შენუდა** III-სა და პრემიერ-მინისტრ მაჰდუმ სალეჰის შეხვედრის შემდეგ, კოპტური ეკლესიის სინოდმა განაცხადა, რომ მიიღო მთავრობისაგან დაპირება კანონმდებლობის ისლამიზაციის პროექტების შეჩერების შესახებ. მალე შენუდა III-ს შეხვდა თვითონ პრეზიდენტი ა. სადათი, რომელმაც აჩუქა ეკლესიას 125 ათასი დოლარი წმინდა მარკოსის სახელობის საავადმყოფოს მშენებლობისათვის (*Fiches du monde arabe*, 16.03.1982; Bennigton, 1982: 172).

მუსლიმებსა და კოპტებს შორის ახალი დაძაბულობის მიზეზი გახდა კაიროს სააპელაციო სასამართლოს **1978 წლის მარტის გადაწყვეტილება, რომელმაც პოლიგამია, მუსლიმების მსგავსად, ნებადართულად** გამოაცხადა კოპტებისათვისაც. შენუდა III-მ და შვიდი ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, სადაც უარს აცხადებდნენ ქრისტიანებისათვის პოლიგამიის ნებართვაზე. დეკლარაციაში იყო აგრეთვე მოთხოვნა „ბრალდებულ ქრისტიანს – ქრისტიანი მოსამართლე." ამ პოლემიკას ასევე მოჰყვა ახალი ინციდენტები – რადიკალი ისლამისტების მიერ კოპტურ ეკლესიებზე თავდასხმები. შესაბამისად, **9 ივნისს საკასაციო სასამართლომ შეაჩერა გადაწყვეტილება ქრისტიანებისათვის** პოლიგამიაზე ნებართვის მინიჭების თაობაზე. თუმცა **1978 წლის სექტემბერში კოპტი სასულიერო** პირის მკვლელობამ სალამუთში (პროვინცია ელ-მინია) ხელი შეუწყო დაძაბულობის ტალღას.

---

64 ბუტრუს ბუტროს გალი დაიბადა 1922 წლის 14 ნოემბერს კაიროში, კოპტების საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. მისი ბაბუა – ბუტროს ფაშა 1908-1910 წლებში იყო ეგვიპტის პრემიერ-მინისტრი, მამა - პარლამენტის დეპუტატი მრავალი წლის მანძილზე, ბიძა – მინისტრი. 1946 წელს დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი, 1949 წელს სორბონაში მიიღო დოქტორის ხარისხი საერთაშორისო სამართალში. 1954-1955 წლებში იყო ფულბრაიტის სტიპენდიანტი მკვლევარი კოლუმბიის უნივერსიტეტში, 1963-1964 წლებში – ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის კვლევების ცენტრის თავმჯდომარე, 1967-1968 წლებში – პარიზის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მიწვეული პროფესორი. 1975 წელს გახდა პოლიტიკური და სტრატეგიული სწავლების ცენტრის პრეზიდენტი და 1980 წელს – პოლიტიკურ მეცნიერებათა აფრიკული საზოგადოების პრეზიდენტი. 1979 წელს გახდა კაიროს უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი და პოლიტიკურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი. ბუტრუს გალის ეკუთვნის მრავალი ნაშრომი პოლიტიკისა და იურისპრუდენციის სფეროში. ყველაზე ცნობილი გახდა მისი ნაშრომი - „საგარეო პოლიტიკა ცვლილებათა სამყაროში" (1979). მასში მან იწინასწარმეტყველა კომუნისტური სისტემის კრახი. 1977 წლის ნოემბრიდან დაიწყო ბუტროს გალის დიპლომატიური კარიერა. სადათმა დანიშნა ის სახელმწიფო მინისტრად საგარეო საკითხებში. ის თან ახლდა ანვარ სადათს იერუსალიმში მისი მოულოდნელი ვიზიტის დროს. ის იყო იმ მცირერიცხოვან ეგვიპტელ მოღვაწეებს შორის, რომელთაც მხარი დაუჭირეს მაშინ სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას ისრაელთან. ბუტრუს გალი მალე გახდა სადათის თანაშემწე და მისი მომხრე, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ – პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის. 1991 წელს დაინიშნა ეგვიპტის საგარო საქმეთა მინისტრის მოადგილედ. 1992 წლის 1 იანვრიდან 1996 წლის 31 დეკემბრამდე იყო გაერო-ს გენერალური მდივანი. 2004 წლიდან კი – ეგვიპტის ფინანსთა მინისტრი.

65 თუმცა ბუტროს ბუტროს გალის დანიშვნას ხსნიან არა კონფესიური ბალანსის შენარჩუნებით, არამედ საგარეო საქმეთა მუსლიმი-მინისტრის ნეგატიური დამოკიდებულებით პრეზიდენტის კურსისადმი – ურთიერთობის ნორმალიზაცია ისრაელთან, რომელიც პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა ბუტროს გალის.

1980 წლის 29 მარტს კოპტური ეკლესიების საბჭომ პროტესტის ნიშნად გააუქმა აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნა (6 აპრილს). შენუდა III და 54 კოპტი ეპისკოპოსი განმარტოვდა წმინდა ფსხოის მონასტერში ვადი ან-ნატრუნში, თავიანთი პროტესტის სადემონსტრაციოდ. პრეზიდენტი სადათი დაეთანხმა კოპტური ეკლესიის საბჭოს წინადადებას – შეექმნათ შერეული კომისია (5 ქრისტიანი, 5 მუსლიმი) ინციდენტების გამოსაძიებლად, მაგრამ 4 და 12 აპრილს სადათი გამოვიდა მკაცრი კრიტიკით კოპტების მისამართით, რომლებიც დაადანაშაულა არეულობაში (Bennigton, 1982: 174-175).

უნდა აღინიშნოს, რომ გამოსვლები ქრისტიანული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ეგვიპტის ისტორიაში და ხელისუფლებაც არ ეწინააღმდეგებოდა ამ ძალადობას. 1981 წელს ცენტრალური ხელისუფლების მითითებით, და უშიშროების სამსახურებთან შეთანხმებით, *ჯამა'ა ალ-ისლამიიას* (ისლამური ასოციაცია) ბოევიკებმა მოაწყეს სისხლისღვრა მუსლიმებსა და კოპტებს შორის კაიროში, აზ-ზავია ალ-ჰამრას რაიონში, რომელიც გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით – გადაწვეს სამი ეკლესია, დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი, რამდენიმე ასეული დაიჭრა. მოწმეთა უმრავლესობის განცხადებით, პოლიცია კვარტალში შევიდა მხოლოდ ტრაგედიის დასრულების შემდეგ (Kepel, 1993: 179). ხელისუფლებამ ამ ინციდენტში დაადანაშაულა ექტრემისტები ორივე მხრიდან. ამას მოჰყვა ფართომასშტაბიანი რეპრესიები ისლამისტური დაჯგუფებების (როგორც ზომიერი, ისე რადიკალური) წინააღმდეგ, რომლებიც ღიად დაუპირისპირდნენ სადათის რეჟიმს კემპ-დევიდის (1978) და ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების (1979) შემდეგ. ხელისუფლების რეპრესიები შეეხო კოპტ „ექსტრემისტებსაც," რომელთაც სადათმა მიაკუთვნა პატრიარქი შენუდა III-ც. ის დაადანაშაულეს ანტიმუსლიმური განწყობილებების გავრცელებაში აზ-ზავიიას ალ-ჰამრას რაიონში შეტაკების დროს და სადათის საწინააღმდეგო კამპანიის ორგანიზებაში ამერიკულ პრესაში, ეგვიპტის ლიდერის ვაშინგტონში ვიზიტის დროს, 1980 წლის აპრილში (Bennigton, 1982: 175; Spanel, 1996: 640-642).

1980 წლის 5 სექტემბერს პრეზიდენტ სადათის ბრძანებით შენუდა III-ს შინაპატიმრობა მიუსაჯეს ვადი ან-ნატრუნში. ამავე პერიოდში დააპატიმრეს 1536 ადამიანი – „რეჟიმის მტრები." მათ უმრავლესობას შეადგენდნენ მუსლიმი ფუნდამენტალისტები, მაგრამ მათ შორის იყო 120 კოპტიც – 8 კოპტი ეპისკოპოსი და 13 მღვდელი.[66] ამასთან გაუქმდა კოპტების გაზეთები, მათ შორის საპატრიარქოს გაზეთი „*ალ-კირაზა*" (ტირაჟი – 400 ათასზე მეტი ეგზემპლარი) და ყოველკვირეული გაზეთი „*ალ-ვატან*". 1988 წლამდე კოპტური ლობი აშშ-ში და კანადაში მოითხოვდა ამ გამოცემების აღდგენას (Bennigton, 1982: 176).

1980 წლიდან რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების წევრთა (პირველ რიგში, *ალ-ჯიჰადის* ორგანიზაციის წევრების) თავდასხმებმა კოპტებზე მიიღო მიზანმიმართული ტერორის სახე. იმავდროულად ანტიკოპტური აქციების მიზეზი ზოგ შემთხვევაში იყო რადიკალური ორგანიზაციებისათვის სახსრების შეგროვება – მაგ., ალ-ჯიჰადის ორგანიზაციის ლიდერმა შაიხ უმარ აბდ არ-რაჰმანმა სპეციალურ ფათვაში ნება დართო მუსლიმებს გაეძარცვათ კოპტების სავაჭრო ჯიხურები „საღვთო ომის" დასაფინანსებლად (იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა კოპტების დახმარება „ისლამის მტრებისადმი") (Ansari, 1984: 415).

1981 წელს სადათი მოკლა „მუსლიმი ძმების" ერთ-ერთმა ბოევიკმა ხალიდ ალ-ისლამბულიმ. მასთან ერთად მოკლულ იქნა კოპტების ეპისკოპოსი სამუილ ას-სურიანი, რომელიც მის გვერდით იჯდა. სადათის მკვლელობით დაიწყო მუსლიმურ-კოპტური კონფრონტაციის ახალი ტალღა.

ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ (1981წ.14 ოქტომბერი) დაიწყო ბრძოლა რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების წინააღმდეგ, მაგრამ შეტაკებები მუსლიმებსა და კოპტებს შორის მთელი 80-90-იანი წლების მანძილზე გრძელდებოდა, განსაკუთრებით ქალაქებში და ზემო ეგვიპტის სოფლებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ კოპტები.

> ფრანგი ისლამოლოგის ჟ. კეპელის აზრით, „კონფესიათაშორის ინციდენტებში მონაწილეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ისლამისტური რადიკალური მოძრაობის სისუსტის ნიშანი, სახელდობრ მისი უუნარობა აწარმოოს ბრძოლა უშუალოდ სახელმწიფოსთან" (Kepel, 1993: 260).

---

66 შენუდა III-მ გააქტიურა თავისი კავშირები სხვა ეკლესიებთან და მიიღო ზოგიერთი ქვეყნის ლიდერის (ეთიოპია, ფილიპინები) მხარდაჭერა. 1985 წლის იანვარში ჰოსნი მუბარაქი, მსოფლიო საზოგადოებრიობის ზეწოლით, დათმობაზე წავიდა – შენუდა III-მ შეძლო დაბრუნება კაიროში, მაგრამ მას ეკრძალებოდა ქადაგებებით გამოსვლა (Karas, 1985: 205-213). ამგვარად, კოპტური ეკლესიის მეთაურმა დაკარგა ყოველგვარი პოლიტიკური გავლენა.

90-იან წლებში კოპტებთან მიმართებაში ტერორისტულ აქციებს ახორციელებდნენ *ალ-ჯამა"ა ალ-ისლამიიას* წევრები. ორ კონფესიის წარმომადგენლებს შორის ყველაზე მწვავე კონფლიქტი მოხდა 1990 წლის გაზაფხულზე სოფ. აბუ კურკასში (პროვინცია ალ-მინია). ამ დაჯგუფების ბოევიკებმა დახოცეს კოპტების ჯგუფი, რომლებიც იმ მომენტში ლოცულობდნენ ადგილობრივ ეკლესიაში. 1992 წლის მარტში **14 კოპტი მოკლეს სოფ. სანადში (კაიროს სამხრეთით 300 კმ-ზე). 1997 წელს ამ ორგა**ნიზაციის ბოევიკებმა ახალი ტერაქტი განახორციელეს აბუ კურკასში, რომელსაც ეგვიპტის პრესაში ეწოდა „შიშის სოფელი". 90-იანი წლების ბოლოს დრამატული მოვლენები განვითარდა აგრეთვე სოფ. ალ-ქუშეჰში (პროვინცია სოჰაგი), რომელიც ძირითადად კოპტებით არის დასახლებული. 1999 წლის დეკემბერში აქ მოხდა ინციდენტი რელიგიურ საფუძველზე – **31 დეკემბერს ორ მოვაჭრეს – მუსლიმ**სა და ქრისტიანს შორის დავა გადაიზარდა ორი ოჯახის წევრებს შორის დაპირისპირებაში და შემდეგ – თემთა შორის კონფლიქტში, რომლის დროსაც დაიღუპა **21 ქრისტიანი, 1 მუსლიმი, დაშავ**და 40-ზე მეტი (Rowe, 2007: 344; *BDHRL*, 26.10.2001). 1998 წლიდან 2005 წლამდე ეგვიპტის არმიის მიერ განხორციელდა 9 თავდასხმა ქრისტიანულ საქველმოქმედო ცენტრზე პათმოსში (*Barnabas Fund*, 05.01.2005). აღნიშნულია, რომ უმრავლეს შემთხვევაში დამნაშავეები დაუსჯელნი რჩებოდნენ და ეს დანაშაულებები არ განიხილებოდა, როგორც კონფესიათაშორისო კონფლიქტები.

კოპტების ძირითადი მოთხოვნაა მუსლიმებთან უფლებრივი გათანაბრება, რასაც ვერ მიაღწიეს მრავალი საუკუნის განმავლობაში. რაც შეეხება კოპტების პოლიტიკურ აქტივობას, კოპტები არ აირჩევიან პარლამენტში, არამედ შედიან იმ 10 დეპუტატის სიაში, რომელთაც ნიშნავს პრეზიდენტი. ჰ. მუბარაქმა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დანიშნა კოპტი ფიქრი მაქრამ ობეიდი პრემიერ-მინისტრის მოადგილედ, ხოლო მეორე კოპტი – სახელმწიფო მინისტრად ემიგრაციის საკითხებში (Vatikiotis, 1991: 434). ჰოსნი მუბარაქმა 2000 წლის სადეპუტატო სიაში ჩართო 3 კოპტი. 2005 წლის 30 ივნისის მონაცემებით, კოპტებს ეკავათ 7 ადგილი ეროვნული კრების 454 დეპუტატს შორის, და 6 – სახალხო საბჭოს (ყველა დანიშნულია) 264 დეპუტატს შორის. მათ მიიღეს აგრეთვე 2 პორტფელი მინისტრთა კაბინეტში (32 ადგილი).[67] **2010 წლის პარლამენტში პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა და**ნიშნა **6 კოპტი, მათ შორის სამი ქალი. 2005 წლის ნოემბერში უპირატესად ქრისტიანული პროვინ**ციის – კენას გუბერნატორად დაინიშნა მაგდი აიიუბ ისქანდერი. ის იყო ერთადერთი ქრისტიანი 26 დანიშნულ გუბერნატორს შორის. ამის გარდა, აიიუბი გახდა პირველი კოპტი, რომელიც დაინიშნა ამ თანამდებობაზე მას შემდეგ, რაც ანვარ სადათმა გაამწესა სამხრეთ სინას პროვინციის გუბერნატორად **1973 წლის ომის ვეტერანი კოპტი ფუად აზიზი გალი. 2008 წლის დეკემბერში ქრისტიანული ქა**ლაქის კომბოპის (ეგვიპტის სამხრეთში) მერად არჩეულ იქნა ევა ჰაბილი (ქალაქის ყოფილი მერის ქალიშვილი), რომელიც წარმოადგენს მმართველ სახალხო-დემოკრატიულ პარტიას. **2010 წელს დანიშ**ნული 30 ქალი მოსამართლიდან მხოლოდ ერთია კოპტი.

კოპტებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ ოპოზიციურ პარტიებში: მოძრაობა *ქიფაიას* ლიდერი არის კოპტი – ჯორჯ ისჰაკი, ლიბერალური პარტია ვაფდის ვიცე-პრეზიდენტიც კოპტია – მუნირ აბდ ან-ნური (Abaza, Nakhla, 2005). ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ პატრიარქ შენუდა III-ის და ალ-აზჰარის უნივერსიტეტის ხელმძღვანელს და დიდ მუფთის – შეიხ მუჰამად საიდ ტანტავის (გარდ. 2010 წლის 10 მარტს), რის გამოც ამ უკანასკნელს აკრიტიკებდნენ რადიკალი ისლამისტები.

1990-იან წლებთან შედარებით, გარკვეული ცვლილებები განიცადა „მუსლიმი ძმების" პოზიციამ კოპტების მიმართ. 1997 წლის აპრილში „მუსლიმი ძმების" ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მუსტაფა მაშრუჰმა განაცხადა, რომ კოპტები წარმოადგენენ „მეხუთე კოლონას" (მაგ., არმიაში ქრისტიანულ ქვეყანასთან სამხედრო მოქმედებების დროს შეიძლება გადავიდნენ მოწინააღმდეგის მხარეზე) და მოითხოვა ჯიზიას აღდგენა. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში ზომიერი ისლამისტების მოსვლის შემდეგ, ვითარება შეიცვალა. „მუსლიმი ძმების" ორგანიზაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელის – მუჰამად მაჰდი აკიფის განცხადებით, ისინი კოპტებს განიხილავენ როგორც „პარტნიორებს სამშობლოში" და ეგვიპტური საზოგადოების განუყოფელ ნაწილად თვლიან. **2005 წლის ბოლოდან ორგანიზაციამ გააქ**ტიურა თავისი საქმიანობა, რათა წარმართოს დიალოგი კოპტურ თემთან.

---

67 2005 წლის ნოემბერში უპირატესად ქრისტიანული პროვინციის კენას გუბერნატორად დაინიშნა კოპტი – მაგდი აიუბ ისქანდერი. ის იყო ერთადერთი ქრისტიანი დანიშნულ 26 გუბერნატორს შორის. ისქანდერი იყო აგრეთვე პირველი კოპტი, რომელიც დაინიშნა ამ თანამდებობაზე, მას შემდეგ, რაც ანვარ სადათმა, 1973 წლის ოქტომბრის ომის ვეტერანი, კოპტი ფუად აზიზ გალი, დანიშნა სამხრეთ სინას პროვინციის გუბერნატორად (*Egypt Appoints*, 2006).

2006 წლის ბოლოს ამერიკულმა კოპტურმა კავშირმა წამოაყენა 19 პუნქტი, რომელთა დაცვა გამოიწვევს კოპტების და მუსლიმების უფლებების გათანაბრებას. ამ პუნქტებს შორისაა:

– კოპტები ითხოვენ მოძველებული, XIX ს-ში გამოცემული, ჰუმაიუნის დეკრეტის გაუქმებას. ამ დეკრეტის მიხედვით ეგვიპტის პრეზიდენტმა უნდა მოიწონოს ნებართვა ეკლესიების მშენებლობაზე, ხოლო მეჩეთების მშენებლობა ხდება შეუზღუდავად;

– კოპტები ითხოვენ ეკლესიებზე მიმაგრებული მიწების დაბრუნებას. ისლამურ საქმეთა სამინისტრო იყენებს ამ მიწებს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დადგენილებით ეს მიწები უნდა გადასცემოდა მის კანონიერ მფლობელებს – კოპტებს;

– კოპტები ითხოვენ შეწყდეს კოპტი გოგონების ძალით მოქცევა ისლამზე;

– კოპტები მოითხოვენ გაუქმდეს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში რელიგიური კუთვნილების აღნიშვნა, რათა არ სდევნიდნენ კოპტებს რელიგიური ნიშნით;[68]

– შეწყდეს კოპტების დისკრიმინაცია სამუშაოზე მიღებისას და სამსახურეობრივი კარიერული წინსვლის დროს. ძალიან ცოტაა კოპტების რაოდენობა საკვანძო თანამდებობებზე. განიხილება საკითხი კოპტების სათანადო წარმომადგენლობაზე ეგვიპტის პარლამენტში. კოპტები ითხოვენ, რომ იმ სკოლებში, სადაც დადიან მათი შვილები, ისწავლებოდეს კოპტების ისტორია, ეროვნული ენა და კულტურა. აგრეთვე შეწყდეს რელიგიური დისკრიმინაცია, რომელიც შეინიშნება განათლების ყველა საფეხურზე.

(*Copt Demand Equality*).

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული თავდასხმა კოპტურ თემზე მოხდა **2010 წლის 7 იანვარს, როდესაც კოპტები, სოფ. ნაგა ჰამადის (ლუქსორიდან 64 კმ-ზე, ზემო ეგ**ვიპტე) მცხოვრებნი, აღნიშნავდნენ შობას. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ, მარ-იოჰანიის ეკლესიიდან გამოსვლისას მათ ცეცხლი გაუხსნეს. 6 კოპტი და 1 მუსლიმი ადგილზე გარდაიცვალა, 11-მა მიიღო სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები. ამას მოჰყვა კოპტების საპროტესტო გამოსვლები და შეტაკებები მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის. ხელისუფლებამ სოფელში შეიყვანა უშიშროების ძალები და გამოაცხადა კომენდატის საათი. ამ თავდასხმას რეზონანსი მოჰყვა მთელს ეგვიპტეში. **2010 წლის 13 იანვარს ქ. კაირო**ში ქრისტიანებმა (2000 კოპტი მონაწილეობდა) მოაწყვეს მასობრივი საპროტესო აქცია, მათ მომხდარში დაადანაშაულეს ხელისუფლება და მოითხოვეს დამნაშავეთა დასჯა. ისინი აცხადებდნენ, რომ ეგვიპტეში ირღვევა რელიგიური უმცირესობის უფლებები, რასაც არ აღიარებს ხელისუფლება.

კოპტთა ისტორიის მკვლევარი სამიჰ ფაუზი აკრიტიკებს კოპტების იზოლირებას ეგვიპტელების პოლიტიკური ცხოვრებიდან და აცხადებს, რომ „ისინი ძირითადად კონცენტრირებული არიან „კოპტური პრობლემის“ ირგვლივ და ეს არ აძლევს მათ საშუალებას სრულად მოხდეს მათი ინტეგრირება ეგვიპტურ საზოგადოებაში“ (Gharib, 2008).

XXს-ის დასაწყისიდან ეგვიპტელი კოპტების ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ 2 ძირითადი პერიოდი: 1. 1919-1952 წწ. – ეგვიპტის ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდი, ე.წ. „ოქროს ხანა“ – კოპტების მიერ ეგვიპტის დამოუკიდებლობის მხარდაჭერისა და პატრიოტიზმის გამოვლენის გამო, მოხდა მათი ინტეგრაცია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; 2. 1952 წლიდან – დღემდე. აღნიშნულ პერიოდში კრიზისული ტენდენციები მუსლიმურ-კოპტურ ურთიერთობებში უშუალოდ დაკავშირებულია „მუსლიმი ძმების“ მოძრაობის აღმავლობასთან, პრეზიდენტ ანვარ სადათის (1970-1981) მიერ დაწყებული ისლამიზაციის პოლიტიკასა და ამ პოლიტიკაზე ეგვიპტის ქრისტიანული თემის მწვავე რეაქციასთან.

ეგვიპტის ხელისუფლება კოპტებთან მიმართებაში გამოირჩევა ორმაგი მიდგომით: ერთი მხრივ, გამოცხადდა ყველა ეგვიპტელის თანასწორობა კანონის წინაშე, მეორე მხრივ კი, დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით ფაქტობრივად არსებობს.

68 ეგვიპტეში „მცირე რევოლუციად“ განიხილეს 2008 წლის 9 თებერვალს უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც ნება დართო ადრე ისლამზე მოქცეულ 12 კოპტს დაბრუნებოდა ქრისტიანობას. კოპტების ადვოკატებმა ამ გადაწყვეტილებას „ისტორიული“ უწოდეს. სასამართლომ აღიარა აგრეთვე კოპტების უფლება – პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, გრაფაში – „რელიგიური კუთვნილება“ ჩაწეროდათ „ქრისტიანი.“ ადრე უწერდნენ, რომ ისინი იყვნენ „მუსლიმები“ (Shukry, 17.02.2008).

თავი XVI

არაბული ნაციონალიზმი და ისლამიზმი

არაბული ნაციონალიზმი /ალ-კავმიჯჯა ალ-არაბიჯჯა/

XX საუკუნის შუა წლებში არაბულ ქვეყნებში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა პანარაბიზმის იდეის გავრცელებისათვის. *პანარაბიზმი* (*ალ-ვაჰდა ალ-არაბიჯჯა*) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მიმართულია ახლო აღმოსავლეთის არაბი ხალხების კონსოლიდაციისაკენ (ატლანტის ოკეანიდან არაბეთის ზღვამდე). არაბთა გაერთიანების საფუძველია საერთო ენა, ისტორია და კულტურა. პანარაბიზმი ჩაისახა არაბეთის ნახევარკუნძულზე. ჯერ კიდევ **1916 წელს მექის შარიფმა ჰუსაინ იბნ ალიმ დააარსა ჰიჯაზის გაერთიანებული არაბული სა**მეფო (დედაქალაქით ჯიდაში), რომლის მემკვიდრეც გახდა საუდის არაბეთი.

მართალია სხვადასხვა არაბული ქვეყნის ნაციონალური პრიორიტეტები და ინტერესები განსხვავებულია ან ეწინააღმდგება ერთმანეთს, მაგრამ პრაქტიკულად ყველა არაბული ქვეყანა, შესაძლებელია ფორმალურად, აცხადებს თავის კუთვნილებას არაბული ეროვნული ერთობისადმი და იყენებს არაბულ სალიტერატურო ენას სახელმწიფო ენად. ზ. ლევინის სიტყვებით, პანარაბიზმი „გადაიქცა იდეოლოგიურ მიმდინარეობად და პოლიტიკურ მოძრაობად, რომელშიც განსხეულდა არაბული ქვეყნების მოსახლეობის რეაქცია ნეოკოლონიალიზმზე, მათი სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხეები თუ მათი უფლებების და ნაციონალური სიამაყის გრძნობის შელახვა“ (Левин, 1982: 56).

არაბული ნაციონალიზმის წარმოშობის შემდეგ ისლამური თვითიდენტიფიკაცია არ გამქრალა. „1920-1960-იან წლებში მუსლიმურ ქვეყნებში და აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში დომინირებდა არაბული ნაციონალიზმი. თუმცა, ისლამი ყველგან რჩებოდა ნაციონალიზმის იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილად.“ სწორედ ამის გამო, არაბული ნაციონალიზმი მკვეთრად განსხვავდება ევროპულისაგან, რომელიც დაფუძნებულია სეკულარიზმზე (Abu Rafi‘, 2004: 15).

ოტომანიზმი და არაბული იდენტობა

ოსმალეთის იმპერიის მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა ჭრელი იყო და თურქების გვერდით იქ ცხოვრობდნენ არაბები, ბერძნები, სერბები, ბულგარელები, რუმინელები, სომხები, ქურთები და სხვ. იმპერიაში წარმოდგენილი იყო აგრეთვე მრავალი კონფესია – მუსლიმი სუნიტები, მუსლიმი შიიტები (სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლები), სომეხი გრიგორიანელები, კოპტები და სხვ.

იმპერიაში მმართველობის ფორმას აბსოლუტური მონარქია წარმოადგენდა. სულტანი იყო არა მარტო სახელმწიფოს მეთაური, არამედ ხალიფაც – ყველა მუსლიმის მეთაური. ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა იყო თურქული (ძველი ოსმალური).

მოსახლეობის განსხვავებული ეთნოკონფესიური შემადგენლობის გათვალისწინებით, აუცილებელი იყო მოსახლეობის ლოიალობის უზრუნველყოფა ოსმალეთის სახელმწიფოსადმი, რათა თავიდან აეცილებინათ იმპერიის დაშლა. ეს ხერხდებოდა სელიმ III-ის **(1789-1807) მიერ ვესტერნიზაციის პრო**ცესის დაწყებამდე.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში იმპერიამ დაკარგა მნიშვნელოვანი ტერიტორიები აჯანყებებისა და ევროპული სახელმწიფოების კოლონიური დაპყრობების შედეგად. მაღრიბის არაბული ქვეყნები დაიპყრო საფრანგეთმა, ლიბია დაისაკუთრა იტალიამ 1911 წლის ტრიპოლიტანიის ომის დროს, არაბეთის ნახევარკუნძულის სანაპიროზე მცხოვრები ტომები და სამეფოები (სამხრეთ იემენის ჩათვლით), აგრეთვე ქუვეითი მოექცა დიდი ბრიტანეთის ზეგავლენის ქვეშ. ეგვიპტე ფორმალურად რჩებოდა იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ დე ფაქტო იყო ინგლისელთა პროტექტორატი. იმპერია აკონტროლებდა არაბული პროვინციებიდან მხოლოდ სირიას (თანამედროვე პალესტინის, ლიბანის და იორდანიის ჩათვლით), ერაყს, ჰიჯაზს და იემენს (მის ჩრდილოეთ ნაწილს).

ფაქტობრივად XIXს-ში იწყება იმპერიის ეთნოკონფესიური შემადგენლობის ცვლილების პროცესი. თუ XVIII-XIXსს. მიჯნაზე იმპერიის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ ბალკანეთში მცხოვრები მართლმადიდებელი ბერძნები და სლავები, პირველი მსოფლიო ომის წინ ძირითად ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ არაბი მუსლიმები. სწორედ მათდამი იყო მიმართული სულტან აბდულ ჰამიდ II-ის (1876-1909) პანისლამისტური პროპაგანდა. არაბებს ოსმალეთის ხელისუფლებასთან აკავშირებდა განსაკუთრებული ურთიერთობა. არაბთა აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმები იყვნენ, რომელთაც ოფიციალურად უფლება ჰქონდათ დაეკავებინათ მაღალი სახელმწიფო პოსტები იმპერიაში. თუმცა, რეალურად მხოლოდ რამდენიმე არაბი თუ ახერხებდა წინ წაწევას იერარქიულ კიბეზე. მათ, როგორც წესი, ეკავათ თანამდებობები რელიგიურ იერარქიაში, ადმინისტრაციულ და საგადასახადო სისტემაში და მეტად იშვიათად – გუბერნატორების და ელჩების პოსტები (Lee, 1942: 278-287).

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არაბები თავს თვლიდნენ გამორჩეულ ეთნოკულტურულ ჯგუფად. ამის საფუძველი იყო ორი ფაქტორი: არაბული ენა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ კულტურასა და ფსიქოლოგიაში და არაბთა საერთო წარმოშობის რწმენა. ისლამის შექმნის შემდეგ არაბები, ყველა მუსლიმის თანასწორობის მიუხედავად, გრძნობდნენ თავიანთ განსაკუთრებულობას სწორედ არაბული ენის როლის გამო ისლამსა და მუსლიმური ცივილიზაციაში.

ვესტერნიზაციის პროცესის შედეგად ოსმალეთის იმპერიაში გავრცელდა ერის, სამშობლოს, თავისუფლებისა და თანასწორობის ევროპული კონცეფციები. ევროპის უნივერსიტეტებში სწავლობდნენ იმპერიის ახალგაზრდა ქვეშევრდომები, ფართოვდებოდა ეკონომიკური კავშირები, ოსმალეთის სასწავლო დაწესებულებებში ასწავლიდნენ ევროპელი სპეციალისტები, ევროპაში აკრედიტებული იყვნენ ოსმალო დიპლომატები. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა დასავლური იდეების ათვისებას და მათ გავრცელებას განათლებული ინტელიგენციის წრეში.

პატრიოტიზმის თემა ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში წამოჭრა თავის თხზულებებში ეგვიპტელმა რიფაა ატ-ტაჰტავიმ (1801-1873). ის იყო კაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელმაც რამდენიმე წელი გაატარა საფრანგეთში, ხოლო შემდეგ მისი ხელმძღვანელობით შესრულდა ევროპელი ავტორების შრომების მრავალრიცხოვანი თარგმანები არაბულ ენაზე (Powell, 2003:48-51).

> რიფა'ა ატ-ტაჰტავიმ თავის ნაშრომში *„მანაჰიჯ ალ-ალბაბ ალ-მისრიიდა ფი მაბაჰიჯ ალ-'ადაბ ალ-'ასრიდა“*, რომელიც ეგვიპტის ისტორიასა და გეოგრაფიას ეძღვნება, პირველად გამოიყენა სიტყვა *ვატან* სამშობლოს მნიშვნელობით და ფრაზა *ჰუბბ ალ-ვატან* (არაბ. სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი) და განიხილა ეგვიპტელთა მოვალეობები თავიანთი სამშობლოს წინაშე (Powell, 2003: 52).

ეგვიპტელი ღვთისმეტყველი და მუსლიმი რეფორმატორი მუჰამად აბდუ (1849-1905) თავის შრომებში ხაზს უსვამდა არაბთა განსაკუთრებულობას და მათ როლს ისლამის ისტორიაში. მან გამოიყენა ტერმინი „არაბი ერი“ ისლამამდელ არაბებთან მიმართებაში.

არაბული ნაციონალური იდეების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით სირიელ ქრისტიან განმანათლებლებს. სირიელი ქრისტიანები შეადგენდნენ განათლებულ და შეძლებულ უმცირესობას, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ ევროპულ სახელმწიფოებთან და არ იყვნენ დაკავშირებული თურქ-ოსმალებთან ისლამით. მნიშვნელოვანი მომენტი იყო ისიც, რომ არაბი მუსლიმები, იმპერიის არამუსლიმი ხალხებისაგან განსხვავებით, არ სარგებლობდნენ კულტურული ავტონომიით და არ ჰქონდათ თავიანთი ეროვნული სკოლები, როგორც ბერძნებს, სლავებს, სომხებს და ა.შ. მუსლიმი არაბები სწავლობდნენ სახელმწიფო სკოლებში, სადაც სწავლა მიმდინარეობდა თურქულ ენაზე. არაბულ ენაზე ისწავლებოდა მხოლოდ ქრისტიანულ სკოლებში, რომლებიც დაარსებული იყო დასავლელი მისიონერების მიერ, რის გამოც არაბი ქრისტიანები გამოირჩეოდნენ უფრო ძლიერი ეროვნული თვითშეგნებით.

სირიელ განმანათლებლებს შორის იყვნენ მწერლები ბუტრუს ალ-ბუსთანი (1819-1883), ნასიფ ალ-იაზიჯი (1800-1871) და სხვ. განმანათლებლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ არაბულ ენას, ისტორიას და კულტურას. ნასიფ ალ-იაზიჯი წერდა წიგნებს არაბულ ენაზე მისიონერთა სკოლებისათვის. ის განთქმული იყო თავისი მოწოდებებით არაბული ენის განწმედისაკენ ნასესხობებისაგან და მისი თავდაპირველი სრულყოფის აღდგენისაკენ. მოგვიანებით, სწორედ სირიულ-ლიბანური ქრისტიანული წრიდან გამოსულმა განმანათლებლებმა, მათ შორის აჰმად ფარის აშ-შიდიაკმა (1804-1887), დიდი როლი შეასრულეს არაბული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში (İhsanoglu, 2002).

არაბული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აბდ არ-რაჰმან ალ-ქავაქიბის (1854-1902) იდეებმა. ის იყო სირიის ქალაქ ალეპოდან, მიღებული ჰქონდა რელიგიური გა-

ნათლება და განიცდიდა მუსლიმი რეფორმატორის – ჯამალ ად-დინ ალ-ავღანის იდეების გავლენა. ალ-ქავაქიბის ალბათ უფრო მეტად უნდა ეწოდოს პანარაბული ორიენტაციის ღვთისმეტყველი-რეფორმატორი, ვიდრე ნაციონალისტი, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ალ-ქავაქიბი, სხვა მუსლიმი რეფორმატორების მსგავსად, მოუწოდებდა თანამემამულეებს თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გათავისებისა და სოციალური რეფორმებისაკენ. მისი ძირითადი ნაშრომები გამოიცა კაიროში. ის აკრიტიკებდა მმართველობის დიქტატორულ ფორმას, რასაც მიეძღვნა მისი ნაშრომი „*ტაბაი'ალ-ისთიბდად*" (დესპოტიზმის ბუნება) და ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტი ისლამი ქადაგებს ხალხის მმართველობას და მმართველობის დემოკრატიულ ფორმას, რის დასტურადაც მოჰყავდა ციტატები ყურანიდან. რაც შეეხება არაბებს, ალ-ქავაქიბი თვლიდა, რომ მათ უკავიათ განსაკუთრებული მდგომარეობა მუსლიმ ხალხს შორის. თავის პირველ წიგნში – „*უმმ ალ-კურრა*" (ქალაქების დედა – მექა), რომელიც წარმოადგენდა წარმოსახვითი ისლამური აღორძინების კონგრესის ოქმებს, მას ჩამოთვლილი ჰქონდა არაბებისათვის დამახასიათებელი 26 დადებითი თავისებურება, რაც გამოარჩევდა მათ სხვა მუსლიმებისაგან და ამგვარად ასაბუთებდა მათ უფლებას ეხელმძღვანელათ *უმმ*ასათვის (მუსლიმური თემი). ალ-ქავაქიბის აზრით, ყველა მუსლიმის ხალიფა უნდა ყოფილიყო არაბი, მოციქულის ტომიდან (კურაიში), რომელიც იქნებოდა უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტი ყველა მუსლიმი მმართველისათვის. ხალიფას რეზიდენცია უნდა ყოფილიყო მექაში, ხოლო მისი პოლიტიკური ხელისუფლება გავრცელებულიყო მხოლოდ ჰიჯაზზე. მაგრამ ხალიფას არ შეეძლო ჩარევა სახალიფოში შემავალი ამირებისა და სულტნების საქმეებში. ხალიფას უნდა ეზრუნა მრჩეველთა საბჭოს შესაქმნელად (**100 წევრით ყველა მუსლიმური** ქვეყნიდან), რომლის დანიშნულებაც იქნებოდა მხოლოდ რელიგიურ საკითხების განხილვა. ერთგულების ფიცი ხალიფასადმი უნდა განახლებულიყო ყოველ სამ წელიწადში, ხალიფა კი აირჩეოდა მრჩეველთა საბჭოს მიერ. ამასთან ერთად, ალ-ქავაქიბი მოუწოდებდა ყველა არაბს ეროვნული ერთიანობისაკენ მათი სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მიუხედავად. ერს ის განმარტავდა, როგორც „ხალხთა ერთობას, რომლებიც დაკავშირებული არიან რასის, ენის, სამშობლოს და უფლებების ერთობით" (Tauber, 1994: 190-193; Raz, 1996:179-190).

ამგვარად, ალ-ქავაქიბი გახდა სეკულარული არაბული ნაციონალიზმის წინამორბედი. მალე წარმოიშვა ეროვნულობაზე ორიენტირებული პირველი არაბული პარტიები. თავდაპირველად ისინი არ ხელყოფდნენ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ მიზნად ისახავდნენ მხოლოდ არაბებისათვის თანაბარი უფლებებისა და ავტონომიის მოპოვებას. ამ პარტიებიდან ყურადღებას იმსახურებს ორი – „დეცენტრალიზაციის პარტია" (*ჰიზბ ალ-ლამარქაზიზზა*) და „ახალგაზრდა არაბთა საზოგადოება" (*ალ-ჯამ'იზზა ალ-'არაბიზზა ალ-ფათათ* ან შემოკლებით *ალ-ფათათ*).

ორგანიზაცია *ალ-ფათათი* ოფიციალურად დაარსდა 1911 წელს ახალგაზრდა არაბი მუსლიმების ჯგუფის მიერ, რომლებიც სწავლობდნენ პარიზში. მისი დამაარსებლები იყვნენ პალესტინელები – აუნი აბდ ალ-ჰადი (1889-1970) და მუჰამად რაფიკ ალ-თამიმი (1889-1957). თავდაპირველად ალ-ფათათის მიზანი იყო ადმინისტრაციული ავტონომიის მოპოვება არაბებისათვის. ალ-ფათათი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი პარიზში**1913 წლის არაბული კონგრესისა, რომელზეც განხილულ იქნა არაბებისათ**ვის ფართო ავტონომიის გადაცემის საკითხი ოსმალეთის იმპერიის ჩარჩოებში.

დეცენტრალიზაციის პარტია დააარსეს კაიროში რაფიკ ალ-აზმიმ და რაშიდ რიდამ 1913 წლის იანვარში. ალ-ქავაქიბის მსგავსად, რაშიდ რიდა ოცნებობდა არაბულ-ისლამურ იმპერიაზე და ასაბუთებდა არაბთა გამორჩეულ უფლებებს მუსლიმებს შორის. დეცენტრალიზაციის პარტია მიზნად ისახავდა არაბთათვის ავტონომიის მოპოვებას, პროვინციული ადმინისტრაციული საბჭოებისათვის უფლებამოსილებათა გაფართოვებას. პარტიას ჰქონდა განყოფილებები სხვადასხვა არაბულ ქალაქში, მაგრამ ფართო მხარდაჭერით მაინც არ სარგებლობდა.

არაბი ინტელექტუალების მცირე ნაწილი არაბთა სრულ დამოუკიდებლობაზეც ოცნებობდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც გამოხატავდა ასეთ შეხედულებებს, იყო სირიელი კათოლიკე ნაჯიბ აზური (გარდ.1916).

> ცნება „არაბი ერი" (*ალ-უმმა ალ-არაბიზზა*) პირველად გაჩნდა ნაჯიბ აზურის **1905 წელს პარიზ**ში გამოქვეყნებულ წიგნში „არაბი ერის გამოღვიძება" (*Le réveil de la nation arabe*): „არსებობს არაბი ერი, რომელიც ერთნაირად მოიცავს ქრისტიანებსა და მუსლიმებს, ხოლო რელიგიური პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა თემის წევრებს შიგნით, არაფერია თუ არა პოლიტიკური პრობლემები, გაღვივებული უცხო სახელმწიფოების მიერ მათი საკუთარი ინტერესებისათვის" (Azzuri,1984: 46).

იმპერიის არაბული პროვინციების მოსახლეობის დიდი ნაწილი ტრადიციულად გრძნობდა თავს ისლამური უმმას ნაწილად და სულტან-ხალიფას ქვეშევრდომად. არსებული მდგომარეობა ხელსაყრელი იყო არაბული ელიტისათვის – გვაროვნული არისტოკრატიისათვის, რომელმაც მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი გავლენა თანზიმათის პერიოდში გატარებული მიწის და ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად. ამის გარდა, სულტანმა აბდულ ჰამიდმა, რომელიც ცდილობდა არაბი ქვეშევრდომების კეთილგანწყობის მოპოვებას, განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები არაბული პროვინციების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

ამგვარად, XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში ნაციონალისტური იდეები ჯერ კიდევ არ ახდენდა არსებით გავლენას ოსმალეთის იმპერიის არაბებზე. არაბული ნაციონალიზმის იდეის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა ევროპული იდეების შეღწევამ იმპერიაში. ამასთან ერთად, ახალგაზრდა თურქების ნაციონალისტურმა პოლიტიკამ გამოიწვია არაბული ელიტის გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება და გაჩნდა საპასუხო თეზისი: რადგანაც თურქები შეადგენენ განსაკუთრებულ ნაციონალურ ერთობას, მაშინ არაბებიც ასეთები არიან.

ხელისუფლებაში ახალგაზრდა თურქების მოსვლამ სერიოზულად შეცვალა სიტუაცია. ახალგაზრდა თურქების მიერ აღებული კურსი თურქიზაციაზე ლახავდა არაბთა უფლებებს და უბიძგებდა მათ განსაზღვრულ ნაწილს ებრძოლათ თურქების თანაბარი უფლებების მოსაპოვებლად. ახალგაზრდა თურქები აკრიტიკებდნენ აბდულ ჰამიდ II-ის პანისლამიზმს სეკულარული ნაციონალიზმის პოზიციებიდან. ახალგაზრდა თურქებმა უარი თქვეს ოტომანიზმის იმპერიულ იდეებზე და შეცვალეს ის „თურქიზმით." თურქიზაციამ გამოიწვია ცალკეული ჯგუფების შექმნა, რომელშიც შედიოდნენ არისტოკრატიული ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები. მათ მიღებული ჰქონდათ სათანადო განათლება, მაგრამ მაღალი თანამდებობებზე არაბთა დანიშვნის შეზღუდვების გამო, ვერ შეძლეს დაწინაურება. ისინი გამოუცდელები იყვნენ პოლიტიკაში, მაგრამ სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი არაბულ ნაციონალურ მოძრაობას. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის მრავალი არაბი რეფორმატორი მიხვდა, რომ მათი ბრძოლა არაბათათვის თანაბარი უფლებების მოსაპოვებლად არ გამოიღებდა შედეგს და ამ ვითარებაში მათ დაიწყეს ფიქრი დამოუკიდებლობაზე (Cleveland, 2009: 130-131).

I მსოფლიო ომის შედეგი გახდა ოსმალეთის იმპერიის დამარცხება და დემონტაჟი. ოტომანიზმმა, როგორც პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, დაკარგა სიცოცხლისუნარიანობა. არაბულ ქვეყნებში შექმნილი იდეოლოგიური ვაკუუმი სწრაფად შეივსო არაბული ნაციონალისტური იდეებით. არაბული არისტოკრატიის დიდმა ნაწილმა, რომელიც იქამდე ოტომონიზმის ტრადიციული მომხრე იყო, ორიენტაცია აიღო არაბულ ნაციონალიზმზე. (იხ. თავები VII-VIII)

არაბული ნაციონალიზმი მსოფლიო ომებს შორის

ომის დამთავრების შემდეგ, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, მთავარი ნაციონალისტური პარტიის – ალ-ფათათის მომხრეები პანარაბული ნაციონალიზმის ნაცვლად მხარს უჭერდნენ უფრო რეალისტურ სირიულ ნაციონალიზმს. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროის არაბული ნაციონალიზმი ჯერ კიდევ არ იყო სრულფასოვანი იდეოლოგია, არამედ წარმოადგენდა ზოგად იდეას მოქმედებათა პროგრამის გარეშე.

არაბული ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის წარუმატებელმა მცდელობებმა გამოიწვია იმედგაცრუება არაბთა ერთობის იდეის მომხრეებში. არაბულმა ნაციონალიზმმა ადგილი დაუთმო ნაციონალიზმის ლოკალურ ფორმებს – ეგვიპტურ, სირიულ, პალესტინურ, ერაყულ და ა.შ. ნაციონალიზმს (Kamrava, 2005: 70).

არაბული ნაციონალური იდეის კრახის მიზეზები:

- მისი გამტარებლების პოლიტიკური გამოუცდელობა. ძნელი იყო არაბული ნაციონალური იდეის დამკვიდრება იმ ხალხის ცნობიერებაში, რომლებიც საუკუნეების მანძილზე შეეჩვივნენ უმმასადმი და ოსმალური სახელმწიფოსადმი ლოიალობის იდეას;
- ერთიანობის არქონა ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობაში, რაც გამოწვეული იყო მასში შემავალი სირიელების, პალესტინელების და ერაყელების განსხვავებული პოლიტიკური პრიორიტეტებით. ამას შეიძლება დაემატოს არაბული საზოგადოებისათვის ტრადიციული კლანურ-ტომობრივი გათიშულობა. ყველაფერი ეს წარმატებით გამოიყენეს დასავლეთის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა – დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, რომელთაც გაიყვეს ყოფილი ოსმალეთის იმპერიის არაბული მიწები;

- არაბული ნაციონალიზმის იდეოლოგია ამოიზარდა არა ევროპელთა წინააღმდეგ ანტიკოლონიური ბრძოლის, არამედ ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლების იდეისაგან. რეალურად კი მათ მოუხდათ ბრძოლა არა თურქებთან, არამედ ევროპელებთან, რაც მოითხოვდა განსაკუთრებულ მიდგომას.

სამანდატო პერიოდი არაბული ქვეყნებისათვის დაკავშირებული იყო დასავლურ კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა არაბული ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია. თუმცა ამ მოძრაობის ჩარჩოები – მომავალი ნაციონალური სახელმწიფოების საზღვრები – შეადგინეს პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულებმა მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე, რამაც მრავალი პრობლემა წარმოქმნა მომავალში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ არაბული ნაციონალური მოძრაობის დამარცხებით ნაციონალიზმის იდეები არ გამქრალა, არამედ იქცა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეოლოგიურ საფუძვლად ევროპული სახელმწიფოების სამანდატო მმართველობის ქვეშ მყოფ არაბულ ქვეყნებში. მართალია, პანარაბული იდეები თანდათან გზას უთმობდა რეგიონალურ ტენდენციებს და ნაციონალიზმის ადგილობრივ ფორმებს, პანარაბიზმის მომხრეები არ გამოდიოდნენ ამის წინააღმდეგ, თვლიდნენ რომ ცალკეული არაბული ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება საბოლოოდ მიიყვანდა მათ არაბულ ერთობამდე.

არაბ ისტორიკოს იუსეფ ხუეირის თანახმად, პანარაბიზმის „პირველი საჯარო გამობრწყინება“1931 წლით თარიღდება, როცა მოწვეულ იქნა პანისლამისტური კონფერენცია იერუსალიმში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ერთად შეიკრიბნენ დელეგატები ჩრდ. აფრიკიდან, ეგვიპტიდან, არაბეთის ნახევარკუნძულიდან და „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ ქვეყნებიდან, რათა განეხილათ არაბთა დამოუკიდებლობისა და ერთობის საკითხები[1] (Choueiri, 2005: 307).

შეიქმნა ნაციონალისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ახალი პარტიები, რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებლობის მოპოვება და არაბული ერთობა. ესენი იყო დაჯგუფებები, რომლებიც შექმნილი იყო უპირატესად ადგილობრივი დიდგვაროვნების მიერ. ისინი უპირველესად ზრუნავდნენ თავიანთი კლანების ინტერესებზე, რაც ზოგ შემთხვევაში ქვეყნის ინტერესების დაცვასაც ნიშნავდა. ამასთან, ისინი არ ცდილობდნენ თავიანთი თანამოქალაქეების განათლებას, არ უთმობდნენ სათანადო ყურადღებას არსებულ პრობლემებს და არ სთავაზობდნენ კონკრეტულ გეგმას დამოუკიდებლობის შესაძლო მოპოვების შემთხვევაში. ეს ძირითადად ზომიერი პარტიები უფრო ხშირად არ იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ ზეწოლას ახდენდნენ სამანდატო ხელისუფლებაზე, რათა ხელსაყრელი შეთანხმებებისათვის მიეღწიათ. ამ პარტიებმა მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს: მაგ., სირიაში ნაციონალურმა ბლოკმა მიაღწია საფრანგეთისაგან ფორმალური დამოუკიდებლობის გადაცემას ქვეყნისათვის 1936 წელს. თუმცა მთლიანობაში ისინი არ წარმოადგენდნენ სერიოზულ ძალას, რომელსაც შეეძლო არაბული ნაციონალური იდეის რეალიზება. ამ „ოპოზიციის“ გვერდით თანდათანობით ჩნდება უფრო რადიკალური ორგანიზაციები ჩამოყალიბებული პროგრამებით, რომლებიც ორიენტირებული იყო ახალგაზრდა თაობაზე – მაგ., *ალ-აჰალი* ერაყში (დაარსდა 1931წ.) ან *ნაციონალური მოქმედების პარტია*[2] სირიაში (დაარსდა 1933წ.). იმის მიუხედავად, რომ ეს მოძრაობები შეზღუდული გავლენით სარგებლობდნენ თავიანთ ქვეყნებში, მათ მიაღწიეს უფრო მეტს, ვიდრე მათმა წინამორბედებმა. ისინი ყურადღებას იმსახურებენ იმის გამო, რომ „მიისწრაფოდნენ წარმოედგინათ უფრო სისტემატიზირებული უკომპრომისო ნაციონალური დოქტრინა.“ უკვე კარგად ჩანს ისლამზე შეხედულების ცვლილება. თუ თავდაპირველად (რაშიდ რიდა და ალ-ქავაქიბი) ისლამს არ განიხილავდნენ, როგორც საღვთო სამართალს, ახლა მას თვლიდნენ არაბულ კულტურულ მემკვიდრეობად და ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად არაბი ერის ჩამოყალიბებაში, ნაციონალისტების კონცეფციაში ისლამმა დაიკავა საპატიო მეორე ადგილი, არაბი ერის იდეის შემდეგ.

---

1 1931 წლის 7-17 დეკემბერს იერუსალიმში ჩატარდა ისლამური კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა დაახლ. 150 ქვეყნის წარმომადგენელი ისლამური სამყაროდან. განსახილველ საკითხებს შორის მნიშვნელოვანი იყო ისლამური იდენტობისა და არაბული ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების საკითხები (Matthews, 2003: 1-5).

2 ამ პარტიის ძირითადი მიზანი იყო არაბთა სრული დამოუკიდებლობისა და არაბთა ერთობის მიღწევა. თუმცა, ასევე მათ შეადგინეს რადიკალური სოციალ-ეკონომიკური რეფორმების პროგრამა. პარტიის ლიდერი იყო სირიელი სამართლისმცოდნე აბდ არ-რაზაკ ად-დანდაში (გარდ.1935).

ამ პერიოდში ძირითადად ყალიბდება ნაციონალიზმის სამოქალაქო გაგება, რომელიც მნიშვნელოვანწილად ევროპულზეა დაფუძნებული. ეს დაკავშირებულია როგორც თურქული სეკულარული მოდელის წარმატებებთან, ისე ნაციონალიზმის პოპულარულობის ზრდასთან ევროპაში. სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კონსტანტინ ზურაიკმა (1909-2000) და ედმონდ რაბატმა. „კონსტანტინ ზურაიკი [არის] მრჩეველი მასწავლებელი [არაბი] ნაციონალისტების მთელი თაობისათვის" (Hourani, 1970: 309).

კონსტანტინ ზურაიკი იყო ბეირუთში ამერიკის უნივერსიტეტის პროფესორი და წამყვანი ისტორიკოსი-მედიევისტი, დამასკოს მართლმადიდებლური ოჯახიდან. თავისი შეხედულებები მან ჩამოაყალიბა სტატიების კრებულში „არაბული ცნობიერება," რომელიც გამოიცა 1939 წელს. ის თვლიდა, რომ არაბული ნაციონალური ერთობის ჩამოყალიბებისას საჭიროა იხელმძღვანელონ ისლამის პრინციპებით. სხვადასხვა რელიგიებს აქვთ ერთი და იგივე ფასეულობები და მორალური პრინციპები, რომლებიც გამოიხატება სხვადასხვაგვარად ამა თუ იმ რელიგიაში. მისთვის მოციქული მუჰამადი არის არაბული ტომების გამაერთიანებელი და არაბული ნაციის დამაარსებელი. ისლამი არის მორალის წყარო და არაფერი მეტი, რადგანაც არ არის აუცილებლობა საზოგადოების მოწყობისა შარიათის საფუძველზე. ზურაიკი, როგორც სამოქალაქო ნაციონალისტი და ქრისტიანი, განასხვავებდა რელიგიურ სულს (*არ-რუჰ ად-დინიიდა*) ამა თუ იმ კონფესიური თემისადმი კუთვნილებისაგან (Abu-Rabi', 2004: 296-317; Rogan, 2009: 269-270; Kassab, 2009: 65-73).

კონსტანტინ ზურაიკის აზრით, არაბულ სამყაროს სჭირდებოდა „ეროვნული ცნობიერება" (*ვა'კავმი*), რომელიც მოიცავდა შემდეგ კრიტერიუმებს: 1. არაბთა წარსული, მათი სრული ისტორია და ენისა და რელიგიის როლი ამ ისტორიის შექმნაში და 2. თანამედროვე სამყარო. დასავლური ცივილიზაცია და არაბთა წარსული მთლიანობაში შეადგენდა ნაციონალიზმის თანამედროვე ისტორიულ პერიოდს.

კონსტანტინე ზურაიკმა განიხილა **4 ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხი: 1. არაბული ნაციონალიზმი**; 2. პალესტინის საკითხი; 3. არაბული რენესანსი; 4. არაბულ სამყაროს მომავლის საკითხი.

ედმონდ რაბატიც სირიელი ქრისტიანი, ერთ-ერთი უნიატური თემის წარმომადგენელი იყო. თავის ძირითად ნაშრომში მან სცადა არაბი ერის განსაზღვრა, რომლის გეოგრაფიულ საზღვრებში მან ჩართო სირია, პალესტინა, ლიბანი, ერაყი და არაბეთის ნახევარკუნძული. ისლამი მისთვის იყო ძალა, რომელიც აერთიანებდა არაბებს ერთიან ერში, მათი ნაციონალური რელიგია და კულტურული მონაპოვარი, მაგრამ ამასთან მხოლოდ ერთი სტადია, რომელსაც ერი გადის თავის განვითარების მანძილზე.

სამოქალაქო არაბული ნაციონალიზმის იდეოლოგებს შორის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო სატი ალ-ჰუსრი (**1880-1968), ასევე სირიელი. ის იყო ალეპოს მუსლიმური წრიდან, მიიღო კლასიკური ოს**მალური განათლება და მოექცა ახალგაზრდა თურქების იდეების გავლენის ქვეშ. ოსმალეთის იმპერიის დაცემამდე მას ეკავა სხვადასხვა თანამდებობები ოსმალეთის განათლების სამინისტროში, შემდეგ იყო განათლების მინისტრი ფაისალის მმართველობის დროს სირიაში. ფრანგების მიერ სირიის დაკავების შემდეგ, ალ-ჰუსრი ფაისალთან ერთად აღმოჩნდა ერაყში, სადაც ასევე განათლების სამინისტროში მუშაობდა. არაბულ სახელმწიფოთა ლიგის დაარსების (1945) შემდეგ ალ-ჰუსრიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო მის მუშაობაში. ერის ჩამოყალიბებაში მთავარ ფაქტორად ის მიიჩნევდა ენას. მისი აზრით, არაბ ერს შეადგენდნენ ყველა არაბულ ენაზე მოლაპარაკენი. მეორე ასეთი ფაქტორი ალ-ჰუსრისათვის იყო საერთო ისტორია. რაც შეეხება რელიგიას, ის მიიჩნევდა, რომ რელიგიამ, რომელიც არ არის ეროვნული, შეიძლება დაბრკოლებები წარმოშვას. ამიტომ, სხვებისაგან განსხვავებით, ის არ თვლიდა ისლამს არაბი ერის საფუძვლად და ანიჭებდა მას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას. ის ამტკიცებდა, რომ ეროვნული ერთობა წარმოიშვა რელიგიურზე ადრე. ამასთან, ყველა არაბი მუსლიმი არ არის. ამიტომ ალ-ჰუსრი, განასხვავებდა ისლამს, როგორც რელიგიას და ისლამს, როგორც ეთიკური და კულტურული ნორმების სისტემას, რომელსაც თვლიდა არაბებისათვის საერთონაციონალურად. ის აღიარებდა ყურანის, როგორც ლიტერატურული არაბული ენის ეტალონის, მნიშვნელობას (Tibi, 1997: 116–22; Kenny, 1963: 231-256).

ნაციონალ-სოციალიზმისა და ფაშიზმის პოზიციების გამყარებამ გერმანიასა და იტალიაში გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივ აზრზე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს *სირიის სოციალ-ნაციონალისტური პარტია* (*ალ-ჰიზბ ას-სური ალ-კავმი ალ-იჯთიმა'ი*), რომელიც დაარსდა ბეირუთში 1932 წელს ლიბანელი ქრისტიანის (ბერძნულ-მართლმადიდებლური თემის წარმომადგენელი) – ანტუან საადის (1904-1949) მიერ და ეკავა რადიკალური პოზიციები. ეს პარტია არ იყო პანარაბიზმის იდეების მომხრე, არამედ გამოდიოდა გაერთიანებისათვის ერთიანი სახელმწი-

ფოს ფარგლებში – ბილად აშ-შამის ისტორიულ ოლქში, რომელიც მოიცავდა სამანდატო სირიის, პალესტინის, ლიბანის, იორდანიის, ასევე ერაყის და კვიპროსის ტერიტორიებს. 1933 წლიდან ანტუან საადიმ დაიწყო ყოველთვიური ჟურნალის – „*ალ-მაჯალლა*“ გამოცემა. ამ ჟურნალში დაბეჭდილი საადის სტატიები და მისი გამოსვლები გახდა პარტიის იდეოლოგიური საფუძველი და ხელი შეუწყო მისი პოპულარობის ზრდას. პარტია ახლაც მოქმედებს და თავისი მომხრეები ჰყავს როგორც სირიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რადგანაც მრავალი სირიელი ისტორიულ უსამართლობად მიიჩნევს ბილად აშ-შამის კოლონიურ დაყოფას. თუმცა, სირიის სოციალისტურ-ნაციონალური პარტია როგორც ადრე, არ არის პანარაბისტული, არამედ წარმოადგენს რეგიონალური ნაციონალიზმის სახეობას. ამასთან, ის არის სეკულარული. ამ პარტიის მსგავსი იყო ეგვიპტური პარტია *ახალგაზრდა ეგვიპტე* (*მისრ ალ-ფათათ*), რომელიც ასევე წარმოიშვა იტალიურ-გერმანული გავლენით 1933 წლის ოქტომბერში და იდგა რეგიონალური ნაციონალიზმის პოზიციებზე (Kamrava, 2006: 90).

> არაბულ სამყაროში ბრიტანეთის და საფრანგეთის სამანდატო რეჟიმის დროს არაბიზმი და ისლამიზმი ორიენტირებული იყო ძირითადად ერთი და იგივე საკითხებზე: არაბული სამყაროს ერთიანობა, ბრძოლა კოლონიალიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ (Abu Rafi‘, 2004: 130).

როგორც ჩანს, ახალი იდეოლოგები მნიშვნელოვნად დაცილდნენ იმ მოსაზრებებს, რასაც ქადაგებდნენ რაშიდ რიდა და აბდ არ-რაჰმან ალ-ქავაქიბი. არაბული ნაციონალისტური იდეის სეკულარიზაცია იყო, უპირველეს ყოვლისა, ევროპული პოლიტიკური აზრის ზეგავლენის შედეგი – რაბატის, ზურაიკის და ალ-ჰუსრის კონცეფციებში ეს კარგად ჩანს. არაბული ნაციონალური აღორძინების მომხრეები არაბული სამყაროს წინაშე სვამდნენ ამოცანას, რომ გაესწროთ დასავლეთისათვის ეკონომიკურ განვითარებაში, ხოლო დასავლეთის წარმატებას ხსნიდნენ მისი ლიბერალიზმით და სეკულარულიზმით. სეკულარიზმის (‘*ილმანიჲჲა*) გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი იყო ქრისტიანთა სიჭარბე არაბული ნაციონალიზმის მთავარ იდეოლოგებს შორის. მიზეზებს შორის ასევე შეიძლება დასახელდეს ოსმალეთის იმპერიის დაცემა, რომელიც მხარს უჭერდა პანისლამისტურ დოქტრინას და ქემალისტთა წარმატებები ნაციონალური თურქული სახელმწიფოს მშენებლობაში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არაბული ნაციონალური იდეა აღმოცენდა სირიაში, სადაც განმათავისუფლებელი ბრძოლა თავდაპირველად მიმდინარეობდა ერთმორწმუნე ოსმალების წინააღმდეგ, განსხვავებით ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებისაგან, სადაც ის მიმართული იყო სხვა სარწმუნოების ევროპელების წინააღმდეგ და ამიტომ ყოველთვის წინ წამოწევდა რელიგიურ ლოზუნგებს.

თუმცა ისლამს, როგორც არაბთა აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიას, ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი პანარაბიზმის იდეოლოგიაში.

ნაციონალისტური იდეოლოგია XX ს-ის მეორე ნახევარში

მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდი აღინიშნა დეკოლონიზაციის აღმავალი პროცესით აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. არაბული ქვეყნებიც არ იყო გამონაკლისი. თუ ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდა ფორმალური დამოუკიდებლობა, ომისა და ომისშემდგომ პერიოდში გაიზარდა სუვერენული არაბული ქვეყნების რიცხვი. ნაცისტური ბლოკის ქვეყნებისათვის ომის ფორმალურად გამოცხადებამ განაპირობა არაბული ქვეყნების ნაწილის – ეგვიპტის, ერაყის, ლიბანის, საუდის არაბეთის და სირიის – მოხვედრა გაერო-ს დამფუძნებელ სახელმწიფოთა რიცხვში.

არაბული ერთობის პრაქტიკულ ნაბიჯად განიხილება არაბულ სახელმწიფოთა ლიგის შექმნა. ამას სათავე დაუდო 1944 წლის 7 ოქტომბერს ალექსანდრიის პროტოკოლის ხელმოწერამ. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა **5 არაბულმა ქვეყანამ – ეგვიპტე, ერაყი, ლიბანი, სირია და ტრანსიორდანია. (**იხ. აგრეთვე თავი IX).

> *ალექსანდრიის პროტოკოლი შეიცავს 5 მუხლს:*
>
> პირველი მუხლი ითვალისწინებს ლიგის შექმნას და განცხადებულია მისი მიზნები: „ზემოხსენებული სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილი შეთანხმებების შესრულებაზე კონტროლი; პერიოდული სხდომების ჩატარება ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის განსამტკიცებლად; მათი გეგმების კოორდინირება პოლიტიკაში; მათი თანამშრომლობის უზრუნველყოფა; მათი დამოუკიდებლობის დაცვა ყოველგვარი აგრესიისაგან ყველა მისაღები მეთოდით; არაბული ქვეყნების საქმეებზე და ინტერესებზე საერთო ზედამხედველობის განხორციელება.“ გარდა ამისა, პროტოკოლი შეიცავდა მუხლებს, რომლებიც ეხებოდა თანამშრომლობას ეკონომიკის, კულტურის და სხვ. სფეროებში და ამ თანამშრომლო-

ბის განმტკიცებას მომავალში, სპეციალურ რეზოლუციას ლიბანზე (მისი სუვერენიტეტის პატივისცემა არსებულ საზღვრებში), და სპეციალურ რეზოლუციას პალესტინაზე (*The Alexandria Protocol,* 1944).

1945 წლის 22 მარტს პროტოკოლის ხელმომწერმა ქვეყნებმა, აგრეთვე საუდის არაბეთმა და იემენმა, კაიროში ხელი მოაწერეს არაბული სახელმწიფოების ლიგის პაქტს – დააარსეს გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დღეს აერთიანებს 22 არაბულ ქვეყანას. პაქტი შეიცავდა 20 მუხლს და სამ დამატებას (Пакт Лиги, 1945).

არაბული ნაციონალიზმის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 1948 ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ, 1952 წელს სტალინის გარდაცვალებამ, 1950-იან წლებში ხელისუფლების სათავეში არაბული ეროვნული რეჟიმების მოსვლამ და ე.წ. „არაბულმა სოციალიზმმა“ (Abu Rafi‘, 2004: 83).

1960-იანი წლების ბოლოს, ისრაელთან ექვსდღიან ომში არაბთა სამარცხვინო დამარცხების (1967), პანარაბიზმის ლიდერის, ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის გარდაცვალების და 1979 წელს ეგვიპტესა და ისრაელს შორის სეპარატული ზავის ხელმოწერის შემდეგ, არაბული ნაციონალიზმის, როგორც საერთოარაბული მოქმედების პოლიტიკური კონცეფციის და იდეოლოგიური იარაღის გავლენა დაეცა. გაძლიერდა რეგიონული ტენდენციები. პალესტინის პრობლემის გადაუწყვეტელობამაც კი ვერ შეასუსტა პანარაბიზმის კრიზისი.

XXს. 60-70-იანი წლები ნაციონალური იდეის მნიშვნელოვანი აღმავლობის პერიოდს წარმოადგენდა, რომელიც გამოწვეული იყო ნაციონალისტი ლიდერების წარმატებებით რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებისას. კვლავ დღის წესრიგში დადგა პანარაბიზმის კონცეფცია – ცალკეული ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება განიხილებოდა როგორც პირველი ნაბიჯი მათი გაერთიანებისაკენ. იდგმებოდა პრაქტიკული ნაბიჯებიც, რომლებიც წარმატებით არ დამთავრდა – 1958 წლის 1 თებერვალს ეგვიპტის და სირიის გაერთიანება გაერთიანებულ არაბულ რესპუბლიკად, რომელმაც იარსება მხოლოდ 1961 წლის სექტემბრამდე; 1958 წელსვე, 14 თებერვალს ჩამოყალიბდა *ერაყისა* და *იორდანიის არაბული ფედერაცია*. თუმცა დე ფაქტო ის იყო კონფედერაცია. ერაყის მეფის ფაისალ II-ის და მისი ბიძაშვილის, იორდანიის მეფის, ჰუსაინის გაერთიანება გაგრძელდა 6 თვე და დაირღვა 1958 წლის 2 აგვისტოს, ერაყის 1958 წლის 14 ივლისის რევოლუციის შემდეგ. 1958 წელს ჩამოყალიბდა აგრეთვე *გაერთიანებული არაბული სახელმწიფოები,* რომელიც წარმოადგენდა ეგვიპტის, სირიის და ჩრდილოეთ იემენის კონფედერაციას. ეს გაერთიანება ხანმოკლე აღმოჩნდა და დაიშალა 1961 წელს. იყო არაბული ქვეყნების გაერთიანების სხვა მცდელობებიც: გაჩნდა *ფედერაციული არაბული რესპუბლიკის* შექმნის იდეა ლიბიის, ეგვიპტის და სირიის შემადგენლობით. მისი ძირითადი დებულებები გადმოცემული იყო1971 წლის 17 აპრილის ბენღაზის დეკლარაციაში. გაერთიანების ინიციატივა ეკუთვნოდა ლიბიის ხელმძღვანელს – მუამარ კადაფის. ფედერაციამ იარსება 1972 წლის 1 იანვრიდან 1977 წლის მარტამდე. 1974 წელს იყო აგრეთვე სხვა გეგმა ლიბიის და სუდანის გაერთიანებისა *არაბულ ისლამურ რესპუბლიკად.* 1974 წლის 11 იანვარს ჯერბას (ხელი მოეწერა ჯერბას კუნძულზე) დეკლარაციას ხელი მოაწერეს თუნისისა და ლიბიის ლიდერებმა ჰაბიბ ბურღიბამ და მუამარ კადაფიმ. შეთანხმების თანახმად, ბურღიბა უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი, ხოლო კადაფის სურდა შეენარჩუნებინა თავდაცვის მინისტრის პოსტი. მაგრამ, ეს პროექტი ქაღალდზე დარჩა. 1971 წლის 2 დეკემბერს სახელშეკრულებო ომანის 7 საამიროდან ექვსმა გამოაცხადა ფედერაციის შექმნა, *არაბთა გაერთიანებული საამიროების* სახელით. მე-7 საამირო – რა’ს ალ-ხაიმა შეუერთდა ფედერაციას 1972 წელს. ეს ფედერაცია დღემდე წარმოადგენს არაბთა წარმატებული გაერთიანების საუკეთესო მაგალითს.

ამ პერიოდის ნაციონალისტურ არაბულ პარტიებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს *არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია* (*ჰიზბ ალ-ბა’ას ალ-‘არაბი ალ-იშთირაქი*), ან მოკლედ *ბაასი*. ის დაარსდა სირიაში 1947 წელს მიშელ აფლაკის და სალაჰ ად-დინ ბითარის მიერ. პარტიის დამაარსებლები ეკუთვნებოდნენ სხვადასხვა კონფესიებს – შესაბამისად, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას და სუნიტურ ისლამს. პარტიის ლოზუნგი ასეთია: „არაბი ერი ერთიანია, მისი მისია სამუდამოა“ (Rogan, 2010: 305). სეკულარული პანარაბისტული პარტიები მიზნად ისახავდნენ ყველა არაბი ხალხის გაერთიანებას ერთ სახელმწიფოში თავისუფლებისა და სოციალიზმის პრინციპებოს საფუძველზე, რაც ასახვას პოულობს პარტიის სხვა ლოზუნგში: „ერთობა, თავისუფლება, სოციალიზმი.“ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი იდეოლოგი – მიშელ აფლაკი (1910-1989) წერდა: „ახლა იხურება ფურცელი ჩვენი არაბული აღორძინების ისტორიაში და იშლება ახალი. დაიხურა სუსტების... კარიერისტების... მშიშრების ფურცელი. იშლება ახალი ფურცელი, ფურცელი იმათი, ვინც ხვდება სიძნელეებს ცივი გონებით და ანთებული რწმენით.“ პარტიის სამოქალაქო ხასიათის მიუხედავად, ბაასიტებისათვის არ იყო დამახასიათებელი ათეიზმი. სხვა სამოქალაქო ნაციონალისტების მსგავსად, აფ-

ლაკი აუცილებლად თვლიდა ისლამის, როგორც ფასეულობათა სისტემის გამოყენებას, რადგანაც „ის გამოხატავს ძირითად მარადიულ ჭეშმარიტებებს“ (Galvani, 1974: 3-16).

პარტიის საპროგრამო დებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პალესტინის პრობლემას, რომელსაც აფლაკი თვლიდა ყველა არაბის საერთო უბედურებად.

მიშელ აფლაკი

60-იანი წლების დასაწყისში პარტია აარსებს თავის განყოფილებებს არაბული ქვეყნების უმრავლესობაში. **1963 წელს, სახელმწიფო გადატრიალებათა** შედეგად, პარტიამ მოახერხა ხელისუფლების სათავეში მოსვლა სირიასა და ერაყში. მართალია, ბაასისტების მმართველობა ერაყში დასრულდა იმავე წელს, მაგრამ პარტია კვლავ მოვიდა ხელისუფლების სათავეში 1968 წელს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ჯერ კიდევ 1966 წელს პარტიის მემარცხენე ფრთამ სირიაში გაათავისუფლა აფლაკი და ბითარი და აიძულა ისინი ქვეყნიდან გაქცეულიყვნენ. ეს გახდა მიზეზი სრული განხეთქილებისა ერაყულ და სირიულ ბაასს შორის. ერაყის ბაასისტებმა არ აღიარეს ახალი სირიული ხელმძღვანელობა და ამის შემდეგ ბაასის განყოფილებები სხვა ქვეყნებში არსებობს როგორც სხვადასხვა პოლიტიკური პარტია. მიშელ აფლაკი მიიღო სადამ ჰუსაინმა და ის გახდა პანარაბიზმის იდეოლოგი ერაყში (Joffé, 1983: 164-166).

სირიაში ბაასის მმართველი ფრთის მდგომარეობა არ იყო ურყევი. სამხედრო ფიასკოს შემდეგ იორდანიაში, სადაც გააგზავნეს სირიის სატანკო ნაწილები, რათა დახმარებოდნენ იორდანიის არმიასთან მებრძოლ პალესტინელებს, მოხდა მორიგი გადატრიალება, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი ჰაფეზ ასადი და მას ეკავა პრეზიდენტის პოსტი **2000 წლამდე, შემდეგ კი ის მისმა ვაჟმა ბაშარ ასადმა შეცვალა. ერაყ**ში ბაასის პარტია მმართველი პარტია იყო 2003 წლამდე, ამერიკელთა სამხედრო ოპერაციამდე და ახლა ეს პარტია იატაკქვეშა საქმიანობას ეწევა.

ბაასისტები იყვნენ კომუნისტების ტრადიციული მოწინააღმდეგეები სირიაშიც და ერაყშიც. სირიის ბაასისტები თავის დროზე პოლიტიკურად გაერთიანდნენ ეგვიპტესთან, რადგანაც ელოდებოდნენ, რომ ნასერი გაუსწორდებოდა კომუნისტებს ისევე, როგორც ეს გააკეთა თავის ქვეყანაში.

გამალ აბდელ ნასერს, XX საუკუნის ყველაზე გამორჩეულ ქარიზმატულ არაბ ლიდერს, იმედით უყურებდნენ არაბულ სამყაროში, როგორც შესაძლო საერთოარაბულ ლიდერს, რომელსაც შეეძლო ეხელმძღვანელა არაბულ ქვეყნებს ისრაელისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პანარაბიზმს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნასერის იდეოლოგიაში და ეს არ შემოიფარგლებოდა დეკლარაციებით – საკმარისია გავიხსენოთ ნასერის მხარდაჭერა ალჟირელი აჯანყებულებისადმი, რესპუბლიკური იემენისადმი, პალესტინის მოძრაობისადმი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ეგვიპტის როლი, როგორც ისრაელის მთავარი სამხედრო მოწინააღმდეგის (*Arab Nationalism and „Nasserism“*, 1958: 532-542).

იმ პერიოდის არაბულ ნაციონალიზმში მეორე ტენდენცია იყო მისი სიახლოვე ისლამთან. არაბული ნაციონალიზმი, სხვა მუსლიმური ქვეყნების ნაციონალისტური იდეების მსგავსად, ადრეულ პერიოდში არასოდეს ყოფილა სრულად განცალკევებული ისლამისაგან. ამ პერიოდში კი ნაციონალისტები კიდევ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ ისლამს. XXს-ის **50-60-იანი წლები იყო განვითარებადი ქვეყნე**ბის მიერ განვითარების მომავალი გზის არჩევის პერიოდი, ორი მსოფლიო იდეოლოგიური სისტემის დაპირისპირების დრო. არაბ ნაციონალისტებს ისლამისაკენ უბიძგებდა შემდეგი მიზეზები: არაბული ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობისათვის დასავლური კულტურისა და კომუნისტური იდეების მხრიდან შექმნილი საფრთხე; განვითარების საკუთარი, მესამე გზის ძიება. ხშირად ეს იწვევდა ისლამურ-ნაციონალისტურ სიმბიოზს.

ნაციონალიზმის ასეთი ფორმის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე უფრო ცნობილი იდეოლოგი იყო ერაყელი აბდ არ-რაჰმან ალ-ბაზაზი (**1913-1973), რომელსაც 60-იან წლებში ეკავა თავისი ქვეყნის პრე**მიერ-მინისტრის პოსტი. ეს პოლიტიკური მოღვაწე თვლიდა, რომ ისლამი და არაბული ნაციონალიზმი სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მისი აზრით, ისლამსაც და არაბულ ნაციონალიზმსაც ერთი და იგივე შინაარსი აქვს. ისლამი მჭიდროდ არის დაკავშირებული არაბულ თვითშეგნებასთან და არაბული ნაციონალური სულის განსახიერებას წარმოადგენს. არაბული ერთობა – ეს არის ნაბიჯი ისლამური ერთობისაკენ. რაშიდ რიდასა და ალ-ქავაქიბის მსგავსად, ალ-ბაზაზი არაბთა ისლამს თვლიდა ყველაზე უფრო სწორად, რადგანაც ისლამი ჩაისახა არაბთა შორის და ყურანი გარდმოვლენილ იქნა არაბულ ენაზე და სხვ. თუმცა იყო განსხვავებებიც მათ შეხედულებებში. მაგ., თუ რაშიდ

რიდა განიხილავდა არაბულ თვითშეგნებას ისლამის თვალთახედვიდან, ალ-ბაზაზი – საპირისპიროდ (Al-Bazzaz & Haim, 1954: 201-218).

ლიბიის რევოლუციის ლიდერი მუამარ კადაფი თავის კონცეფციაში ერთმანეთთან ათავსებს სოციალიზმს, ისლამს და პანარაბიზმს. მაგ., კადაფი „მწვანე წიგნში," სადაც გადმოცემულია მისი იდეები, ხაზს უსვამს, რომ „თითოეულ ნაციას უნდა ჰქონდეს თავისი რელიგია... მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი ჰარმონია." კადაფიმ ისლამი გამოაცხადა ლიბიის რევოლუციის საფუძვლად, ხოლო 1971 წელს გადაწყდა მიეღოთ ყველა გადაწყვეტილება შარიათის პრინციპებზე. თვითონ კადაფი ყოველთვის ახდენდა ისლამისადმი თავისი ერთგულების დემონსტრირებას, ხოლო ლიბია სარგებლობდა აფრიკაში მუსლიმური ორგანიზაციების ფართო მხარდაჭერით. იმავდროულად, ლიბიის რევოლუციის ლიდერი დიდხანს იზიარებდა პანარაბიზმის დებულებებს, თვლიდა ისლამს უპირატესად არაბულად, თუმცა ზენაციონალურ რელიგიად.

> მუამარ კადაფი თავისუფლებას განიხილავდა, როგორც სამი ურთიერთდაკავშირებული კონცეფციის ერთობლიობას: „პიროვნების თავისუფლება სიღარიბისაგან, უცოდინრობისაგან და უსამართლობისაგან; სამშობლოს (ლიბიის) თავისუფლება იმპერიალისტური და რეაქციული ელემენტებისაგან; მთელი არაბული სამყაროს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ემანსიპაცია" (ციტ. St John, 1983: 474).

არაბული ნაციონალიზმის ტენდენცია ისლამიზაციისაკენ სულ უფრო მტკიცდებოდა და 60-იანი წლები პანარაბიზმის დასასრულის დასაწყისი გახდა. ის სულ უფრო მეტად უთმობდა ადგილს პოლიტიკურ ისლამს. თუ ომისშემდგომ პერიოდში ნაციონალიზმის ბატონობას ხელს უწყობდა არაბული ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, მოგვიანებით სოციალ-ეკონომიკური პრობლემები გახდა მისი დაკნინების მიზეზი. ხელისუფლებას არ შეეძლო გადაეწყვიტა სიღარიბის, უმუშევრობის, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის პრობლემა. ეს კი აიძულებდა ამ ქვეყნების მოსახლეობას გაეხსენებინა ისლამში გამოხატული თავისი ტრადიციული იდეალები და მასში ეძებნა სამართლიანობა. ამის გარდა დასავლური კულტურის მასობრივი გავრცელება და ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხე სულ უფრო უბიძგებდა არაბულ საზოგადოებას ისლამიზაციისაკენ. 1967 წელს ექვსდღიან ომში სამარცხვინო დამარცხებამ უფრო მეტად დაარწმუნა არაბები თავიანთი ნაციონალური მთავრობების უუნარობაში.

> პანარაბიზმის დაკნინება დაიწყო XX საუკუნის 70-იან წლებში და თანდათანობით საბოლოო წერტილი დაესვა მის იდეოლოგიურ ბატონობას. ეს არ ნიშნავს, რომ არაბებმა შეწყვიტეს თავიანთი ენობრივი და კულტურული ერთობის შეგრძნება.
>
> პოლიტიკური ისლამის გაბატონებას ხელი შეუწყო შემდეგმა მიზეზებმა:
>
> – სოციალ-ეკონომიკური მიზეზები. თვით ქარიზმატულმა ნაციონალურმა ლიდერებმაც კი ვერ შეძლეს საზოგადოების არსებითი პრობლემების გადაწყვეტა. ამის გარდა, ნაციონალისტური რეჟიმების წარმატებები მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებაში და მასობრივ ურბანიზაციაში, შემობრუნდა მათ წინააღმდეგ – „შრომის ბაზარი ვერ აკმაყოფილებდა შრომისუნარიან მუსლიმთა მზარდ არმიას, განსაკუთრებით მის განათლებულ ნაწილს";
> – ნაციონალიზმიც და სოციალიზმიც უცხო იყო არაბული გარემოსათვის. მათთვის უფრო ახლოს იყო ისლამი, რომელიც წარმოადგენს ფასეულობათა სისტემას და მყარად არის დამკვიდრებული არაბთა ცნობიერებაში. სეკულარულმა ნაციონალურმა რეჟიმებმა არაბულ ქვეყნებში გზა გაუხსნეს დასავლურ კულტურას, რაც საზოგადოების კონსერვატორული ფენის უკმაყოფილებას იწვევდა. ისინი მასში ხედავდნენ არაბთა კულტურული და რელიგიური თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხეს;
> – ნაციონალისტური ბანაკების რიგებში არასოდეს ყოფილა ერთიანობა – ზოგჯერ თუნდაც ერთი ქვეყნის ფარგლებში, მაგ., ბაასის პარტიის სირიული ფრთა. დღეისათვის არაბულ ქვეყნებს შორის დაპირისპირება იმდენად დიდია, რომ მათ უჭირთ შეთანხმება პანარაბიზმის პირმშოს – არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ერთობლივი კომუნიკეს შინაარსზე;
> – არაბული ქვეყნების მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვება არ ნიშნავდა რეალურ დამოუკიდებლობას. მრავალი განვითარებადი ქვეყნის მსგავსად, არაბული სახელმწიფოები რჩებოდნენ ჩამორჩენილ პერიფერიებად, რომლებიც ეკონომიკურად დამოკიდებული იყვნენ დასავლეთის ქვეყნების კაპიტალზე, ხშირად თავის ყოფილ მეტროპოლიებზე. ეს გახდა კიდევ ერთი მიზეზი სამოქალაქო ნაციონალისტური რეჟიმებისადმი ნეგატიური განწყობის ზრდისა;

- ზოგიერთ ქვეყანაში პანარაბული პარტიები აგრძელებენ ხელისუფლების სათავეში ყოფნას, ხოლო მათი იდეოლოგია არის სახელმწიფო – როგორც ეს სირიაშია ან როგორც ეს იყო ერაყში 2003 წლამდე. ორივე შემთხვევაში საუბარია ბაასის პარტიის ადგილობრივ განყოფილებებზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პანარაბული იდეოლოგია იყო მხოლოდ რეჟიმის გარეგნული შეფერილობა. ირანთან ომის დროს ერაყი აქტიურად იყენებდა პანარაბულ განწყობილებებს, რათა მიეღო მდიდარი არაბული ქვეყნების დახმარება, მაშინ როცა „პანარაბული" სირია მხარს უჭერდა ირანს. გეოპოლიტიკური კანონები კიდევ ერთხელ აღმოჩნდა უფრო ძლიერი, ვიდრე იდეოლოგიური პოსტულატები.
- დღეისათვის ყველა არაბული ქვეყნის კონსტიტუციით ისლამი გამოცხადებულია სახელმწიფო რელიგიად. სახელმწიფო მჭიდროდ თანამშრომლობს რელიგიურ წრეებთან, სკოლებში მიმდინარეობს რელიგიური დისციპლინების სწავლება (ამა თუ იმ კონფესიისადმი მოსწავლეთა კუთვნილების მიხედვით), ფუნქციონირებს შესაბამისი უწყებები (ვაკფების სამინისტრო და სხვ.). ყოველივე ეს ასახავს ისლამის სულ უფრო მზარდ გავლენას, რომლის გათვალისწინება აუცილებელია.
- ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ არაბთა გაერთიანების იდეა დავიწყებულია. განათლებულ არაბებს შორის უწინდებურად ძლიერია ეროვნული სიამაყის გრძნობა, არაბი ხალხების კულტურული და ენობრივი ერთიანობის შეგრძნება და გაერთიანების სურვილი. თუმცა, ახლა ყველაფერი ეს უფრო მეტად განიხილება ისლამის პრიზმაში – თავის დროზე სწორედ ისლამის გავრცელების შედეგად მოახერხეს არაბებმა არნახული სიძლიერის მიღწევა.
- თანამედროვე პანარაბიზმი ასრულებს ინსტრუმენტის ფუნქციებს არაბული სახელმწიფოების პოლიტიკაში. მისი დევიზია „აუცილებლობა": ბაზრების გაერთიანების აუცილებლობა; ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო თანამშრომლობა; ერთობლივი ძალისხმევა ყველა არაბული ქვეყნის მთლიანობაში და ცალკე აღებულის ინტერესების დასაცავად.
- დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზმის პოზიციების დასუსტება ნაციონალიზმის დასუსტება არაბულ ქვეყნებში არის არა რელიგიური მოვლენა, არამედ საერთო ტენდენციების ასახვა არაბულ ქვეყნებში მუსლიმურ სამყაროში, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობს თანადროულად.
- არაბულმა ნაციონალისტურმა მოძრაობამ თავისი ისტორიის მანძილზე გაიარა 4 ძირითადი ეტაპი: 1. ოსმალური – ეს იყო თანზიმათის პერიოდი, რომელიც დაიწყო ოსმალეთის იმპერიაში XIX ს-ის 30-იან წლებში. ოსმალური ნაციონალიზმის, არაბულისა თუ თურქულის, თვალთახედვიდან, უნდა შექმნილიყო ახალი სამოქალაქო საზოგადოება ახალი კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად. ამ ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ აბდ არ-რაჰმან ალ-ქავაქიბი და სატი ალ-ჰუსრი. I მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიის დაცემისა და არაბული ქვეყნებზე ინგლისისა და საფრანგეთის პროტექტორატის დამყარების შემდეგ, არაბული ნაციონალური მოძრაობა შევიდა ახალ ფაზაში. 2. მსოფლიო ომებს შორის პერიოდი. 3.1948-1970 წლები. 4. 1970-დან დღემდე. 1948 წლის შემდგომი პერიოდი, თავის მხრივ, იყოფა სამ ნაწილად: ა) ბაასის პარტია, რომლის იდეოლოგიაც ეფუძნებოდა მიშელ აფლაკისა და სალაჰ ალ-ბიტარის ნააზრევს. ბ) ნასერიზმი. გ) არაბული ნაციონალისტური მოძრაობა – ჰარაქათ ალ-კავმიი�ალ-'არაბ.

პოლიტიკური ისლამი

ისლამისტური მოძრაობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არა მარტო მუსლიმური სამყაროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე, არამედ მსოფლიო პოლიტიკაზეც.

მუსლიმურ ქვეყნებში XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო „ისლამური აღორძინების" (*ან-ნაჰდა*) ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის გავრცელება, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ (1979 წ.) და სამოქალაქო ომმა ავღანეთში.

მუსლიმური მოძრაობებისა და დაჯგუფებების (ფუნდამენტალისტები, ინტეგრისტები, ტრადიციონალისტები, ექსტრემისტული და ტერორისტული ორგანიზაციები და სხვ.) მიმართ, რომლებიც იყენებენ ისლამურ დოქტრინას პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტერმინები: ისლამიზმი, ფუნდამენტალიზმი ან ინტეგრიზმი (*უსულიიია*), სალაფიზმი,[1] ჯადიდიზმი, და სხვ.

1 არაბ. სალაფიიიа (ტერმინიდან სალაფ ას-სალაჰინ – „ღვთისმოსავი წინაპრები, წინამორბედნი") მოძრაობის მიმდევრები, რომლებიც მოითხოვდნენ პირვანდელი ისლამის აღდგენას. მკვლევართა აზრით, ისლა-

მუსლიმი რეფორმატორები

მოდერნიზაციის პერიოდში რომელიც დაიწყო დასავლეთში, რეფორმატორების მიერ რელიგია აღიქმებოდა, როგორც წარსული ეპოქის რუდიმენტი, პროგრესისა და განვითარების მუხრუჭი. მოხდა საზოგადოების სეკულარიზაცია, სადაც რელიგიამ დაკარგა პოლიტიკური იდეოლოგიის მნიშვნელობა. მუსლიმური სამყარო კი, დასავლეთ ევროპის ძლიერი ზეგავლენის პირობებშიც, XIXს-ში დარჩა კონსერვატიულ საზოგადოებად და რეფორმირება გულისხმობდა „ჭეშმარიტ ისლამთან" დაბრუნებას. XIXს-ში მუსლიმური რეფორმიზმი იყო რეაქცია დასავლეთის უპირატესობაზე. თუმცა ის არ ეწინააღმდეგებოდა კონსერვატიულ ისლამს. საინტერესოა, რომ კონსერვატორების მიერ მუსლიმი რეფორმატორების კრიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ მათმა დათმობებმა და მცდელობებმა – შეერწყათ „ყოველივე საუკეთესო დასავლური" ჭეშმარიტად ისლამურთან, სინამდვილეში გამოიწვია საზოგადოების სეკულარიზაცია. მეორე მხრივ, სეკულარიზაციის პროცესები გამოწვეული იყო ევროპელთა კოლონიური პოლიტიკით და მათ მიერ მუსლიმური იმპერიის პოლიტიკური გაბანკროტებით. ვესტერნიზაციამ განხეთქილება შეიტანა მუსლიმურ საზოგადოებაში.

რეფორმისტული მოძრაობა (*ჰარაქათ ალ-ისლაჰ*) მოითხოვდა ცვლილებებს ყველა სფეროში, განსაკუთრებით განათლების სისტემაში, მათ შორის ალ-აზჰარის და ზაითუნის უმაღლეს სასწავლებლებში. მოძრაობა გამოდიოდა ახალი ტექნოლოგიების შემოღებისათვის, მოითხოვდა მეჩეთებისა და ვაკფების საქმიანობის ორგანიზაციის და სასამართლო სისტემის რეფორმირებას. მოითხოვდნენ აგრეთვე ევროპული პოლიტიკური კონტროლის დასრულებას. მოძრაობა არ ეთანხმებოდა მუსლიმთა დაყოფას სექტებად. მათი იდეოლოგები მოუწოდებდნენ მორწმუნეებს გაერთიანებულიყვნენ, დაევიწყებინათ განსხვავებები და წინააღმდეგობა სუნიტებსა და შიიტებს შორის. ისინი გამოდიოდნენ აგრეთვე *თაკლიდ*-ის (ტრადიციონალიზმი) წინააღმდეგ, და ახალი კონსენსუსის (*მუ'ასასათ იჯმა'*) დამკვიდრებისკენ, მკაცრად განსაზღვრული წესების საფუძველზე. რეფორმატორები მოითხოვდნენ უცხო ენების შესწავლას და უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებას ცოდნის ყველა დარგში. ხაზგასმული იყო ახალი კანონების მიღების აუცილებლობა, საზოგადოებრივი ინტერესებისა და მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით (İhsanoğlu, 2002: 305-306).

რეფორმების აუცილებლობა ყველაზე უკეთ გამოჩნდა ნაპოლეონ ბონაპარტეს ფრანგული არმიის შეჭრით ეგვიპტეში. საფრანგეთის მიერ ეგვიპტის დროებითმა ოკუპაციამ კვლავ აიძულა მუსლიმები დაფიქრებულიყვნენ საკუთარი საზოგადოების პრობლემებზე, სახელმწიფო მმართველობის კრიზისზე. სწორედ ეგვიპტე გახდა მუსლიმური საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესების წყარო. მოდერნიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეგვიპტის მმართველმა მუჰამად ალიმ. მან განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო რეფორმა, აგრეთვე მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურაში. ახალგაზრდების გაგზავნამ ევროპაში სასწავლებლად, ევროპული ქვეყნებიდან სამხედრო სპეციალისტების მოწვევამ გამოიწვია დასავლური იდეების შეღწევა ეგვიპტურ საზოგადოებაში (Keddie, 1972: 44).

საფრანგეთში განათლებამიღებულ ახალგაზრდებს შორის იყო ალ-აზჰარის რელიგიური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (მწერალი, მასწავლებელი, მთარგმნელი, ეგვიპტოლოგი და განმანათლებელი) რიფაა ატ-ტაჰტავი (1801-1873). საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ (1831), ფრანგი განმანათლებლების შრომების გავლენით (რუსო, მონტესკიე და სხვ.), ის ხაზს უსვამდა რეფორმების აუცილებლობას ეგვიპტურ საზოგადოებაში, შესაძლებლად მიიჩნევდა დასავლური სამყაროდან მრავალი მოწინავე იდეის და ტექნოლოგიის სესხებას. ატ-ტაჰტავის აზრით, ევროპულმა ცივილიზაციამ წარსულში გაითავისა ყველაფერი საუკეთესო მუსლიმებისაგან, ახლა კი მუსლიმებმა უნდა აიღონ ყველაფერი საუკეთესო ევროპელებისაგან. შარიათმა უნდა მიიღოს თანამედროვეობის გამოწვევა, „გა-

---

მის მთელ ისტორიაში არსებობს სალაფიჲჲას, როგორც რელიგიური მოძრაობის, სხვადასხვა სახე: კლასიკური სალაფიჲჲა, რომელიც საუკეთესოდ იყო წარმოჩენილი აჰმად იბნ ჰანბალის მიერ ისლამის მესამე საუკუნეში და აჰმად იბნ თაიმიას მიერ ისლამის მერვე საუკუნეში. ეს იყო მუჰამადისა და მისი მიმდევრების მიბაძვა თეოლოგიურ პრინციპებში სიახლეების აკრძალვის გზით; სალაფიჲჲას მეორე ფორმა განეკუთვნება კოლონიალიზმამდელ პერიოდს და მისი გამოხატულებაა XVIII და XIX სს-ის ვაჰაბიზმი; მესამე არის კოლონიური ხანის სალაფიჲჲა – ის ჩამოაყალიბეს ისეთმა სწავლულებმა, როგორებიც არიან აბდ ალ-კადირ ალ-ჯაზაირი, ას-სანუსი, ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი, მუჰამად აბდუ და რაშიდ რიდა; მეოთხე არის პოსტკოლონიური სა-ლაფიჲჲა, რომელიც წარმოდგენილია აბდ ალ-კადირ ავდას, იუსუფ ას-სიბაის, საიდ კუტბის და მუჰამად კუტბის მიერ; მეხუთე - 1967 წლის შემდგომი სალაფიჲჲა უკავშირდება იუსუფ ალ-კარადავის, მუჰამად ალ-ღაზალის და სხვა სწავლულების სახელებს (Abu Rafi', 2004: 77).

აღოს იჯთიჰადის კარიბჭე." ატ-ტაჰტავის შეიძლება ეწოდოს „მედასავლეთეობის" ერთ-ერთი პიონერი ეგვიპტის ინტელექტუალურ ელიტაში (Daniel, 2004: 46-47).

XIX ს-ში მუსლიმური განმანათლებლობის სიმბოლო და პანისლამიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი გახდა ჯამალ ად-დინ ალ-ასადაბადი (1839-1898), რომელიც ცნობილია ალ-ავღანის სახელით. მან მრავალი წელი გაატარა დასავლეთში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთი განხილულ უნდა იქნეს, როგორც საფრთხე მუსლიმური სამყაროსათვის. ის იყო ანტიკოლონიური მოძრაობის აქტიური მონაწილე და იდეოლოგი. ალ-ავღანი არ უარყოფდა დასავლური იდეებისა და ტექნოლოგიების სესხების აუცილებლობას; ამასთანავე კი თვლიდა, რომ მუსლიმურმა სამყარომ თავდაპირველად უნდა შეიძინოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა დასავლეთისაგან. ამისათვის აუცილებელია გაერთიანება უმაღლესი სასულიერო მეთაურის – ხალიფას ხელისუფლების ქვეშ. ამასთან, ალ-ავღანი უარყოფდა აბსოლუტიზმს, თვლიდა მას დესპოტიზმის ფორმად, რომლის დროსაც საზოგადოებაში ვერ მიიღწევა სამართლიანობა. დესპოტიზმის ალტერნატივა არის კონსულტაციური მმართველობის (*შურა*) პრინციპები, რომლის შესახებაც მითითებულია ყურანში. მონარქის ხელისუფლება, ალ-ავღანის აზრით, დაბალანსებული უნდა იყოს ისეთი ინსტიტუტებით, როგორიცაა კონსტიტუცია და პარლამენტი, რაც უზრუნველყოფს ხალხის მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში. ალ-ავღანი დასავლეთისაგან მუსლიმური სამყაროს ჩამორჩენის დაძლევას ხედავდა ისლამის აღორძინებაში და მისთვის თავდაპირველი სიწმინდის დაბრუნებაში. ალ-ავღანი თვლიდა, რომ აუცილებელია იჯთიჰადის გამოყენება, რათა ახლებურად მოხდეს ყურანის პოსტულატების განმარტება და მათი გამოყენება თანამედროვე პრობლემების გადასაწყვეტად (Kenny,1966: 19-27; Keddie, 1972:45-46; Hourani,1970: 108).

ალ-ავღანის მოწაფე და თანამოაზრე იყო ეგვიპტელი მუჰამად აბდუ (1849-1905). პოლიტიკური აქტივობით მისი შედარება არ შეიძლება ალ-ავღანისთან, მაგრამ მან უფრო მეტი გავლენა მოახდინა მუსლიმურ საზოგადოებაზე. ურაბი ფაშას ანტიინგლისურ აჯანყებაში მონაწილეობის შემდეგ, აბდუ გააძევეს ეგვიპტიდან, სადაც დაბრუნდა 1889 წელს. მისი შრომა „გზავნილი ერთღმერთიანობაზე" (1897) გახდა მუსლიმური რეფორმიზმის თავისებური მანიფესტი. აბდუ აკრიტიკებდა მოძველებულ შეხედულებებს, ტრადიციებს საზოგადოებაში, სამღვდელოების ფორმალიზმს – თვლიდა მათ, ჭეშმარიტი ისლამისაგან გადახვევად. ისევე როგორც სხვა რეფორმატორები, ის არ მოუწოდებდა რწმენის საფუძვლების რეფორმირებისაკენ (Black, 2001; Cleveland, 2009:126-127).

მუსლიმურ რეფორმიზმში რომანტიზმის ეპოქა – ისლამის შერწყმის მცდელობა ევროპულ იდეებთან – დამთავრდა ევროპული ქვეყნების მხრიდან კოლონიური დაპყრობების ახალი ეტაპით. ამ დროისათვის მუსლიმური ქვეყნების უმეტესობამ მიიღო არარელიგიურ პრინციპებზე დაფუძნებული სქემები პოლიტიკურ სფეროში. XIX ს-ის ბოლოს შარიათი შეიცვალა ევროპული ტიპის კანონებით, ხოლო ტრადიციული ინსტიტუტები შეიცვალა დასავლურით. 1924 წელს თურქების მიერ სახალიფოს გაუქმებამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მთელ მუსლიმურ სამყაროს.[2] განხორციელებულ სეკულარიზაციას მუსლიმური მოსახლეობა ძნელად ეგუებოდა. ზოგიერთი მუსლიმი ფილოსოფოსი ცდილობდა გაემართლებინა მომხდარი. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ორიგინალური მოაზროვნე, „მუსლიმური ლაიციმზის ანუ სეკულარიზმის მამა" – ალი აბდ არ-რაზიკი (1888-1966). თავის წიგნში – „ისლამი და მმართველობის საფუძვლები" (*ალ-ისლამ ვა უსულ ალ-ჰიქმ*), რომელიც გამოიცა მალევე ათათურქის მიერ სახალიფოს ლიკვიდაციის შემდეგ, მან ეჭვქვეშ დააყენა რელიგიისა და პოლიტიკის კავშირი ისლამში. აბდ არ-რაზიკის აზრით, თვითონ სახალიფოს კონცეფცია უცხოა ისლამისათვის, რადგანაც სახალიფო არ არის მოხსენიებული არც ყურანში და არც სუნაში. ის მიდის დასკვნამდე, რომ მუჰამადი ისახავდა არა პოლიტიკურ, არამედ რელიგიურ მიზნებს, რომელშიც არ შედიოდა იმპერიის შექმნის იდეა, მაგ. სახალიფოსი. აბდ არ-რაზიკი ამტკიცებდა, რომ სწორედ სახალიფო უშლიდა ხელს პროგრესს მუსლიმურ ქვეყნებში. ის გახდა წყარო „ყველაფერი უარესის," რაც მოხდა მუსლიმთა ისტორიაში. რელიგიას არ უნდა ჰქონდეს რაიმე საერთო მმართველობის ნებისმიერ ფორმასთან და არ უნდა მისცეს უპირატესობა რომელიმე პოლიტიკური მოწყობის ფორმას. აბდ არ-რაზიკის აზრით, ისლამში არაფერია ისეთი, რაც ხელს შეუშლიდა მუსლიმებს გაენადგურებინათ ძველი პოლიტიკური სისტემა და შეექმნათ ახალი თანამედროვე კონცეფციების საფუძველზე (Adams, 1968: 259-268; Keddie, 1972:50).

2 სახალიფოს ოფიციალური ლიკვიდაციის შემდეგ ალ-აზჰარის 16 ღვთისმეტყველმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნეს, რომ ათათურქის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ისლამს და შარიათის საფუძვლებს. მუსლიმური რეფორმაციის ცნობილი წარმომადგენელი რაშიდ რიდა თავისი ჟურნალის *(ალ-მანარ)* 6 ნომერში ასაბუთებდა ამ გადაწყვეტილების უკანონობას მუსლიმური სამართლის თვალსაზრისით.

XIX ს-ის ბოლოს – XX ს-ის დასაწყისში რელიგიური რეფორმიზმის ძირითადი არსი იყო ტრადიციული წარმოდგენების ხელახალი გააზრება ან რელიგიური დოქტრინების პირველსაწყისებისაკენ დაბრუნებით ან რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მრავალსაუკუნოვანი დანაშრევებისაგან გაწმენდის გზით. რეფორმატორები ორ ნაწილად იყოფიან: „მოდერნისტები“ და ე.წ. „მცველები“. „მოდერნისტები“ ცდილობენ დაახლოონ მეცნიერება და რელიგიური რწმენა, სოციალური იდეალები და რელიგიური დოქტრინების მორალურ-ეთიკური მითითებები არსებულ რეალობასთან წმინდა ტექსტებისა და კანონების საფუძველზე. „მოდერნისტები“ ზოგჯერ მოუწოდებენ ანტაგონიზმის დაძლევისაკენ რელიგიებს შორის. საპირისპიროდ, ფუნდამენტალისტი „მცველების“ ამოცანაა რეალობის, თანამედროვე სოციოკულტურული და პოლიტიკური სტრუქტურების ხელახალი გააზრება წმინდა ტექსტების კონტექსტში. მათი აპოლეგეტები ამტკიცებენ, რომ რელიგია კი არ უნდა დაუახლოვდეს თანამედროვე სამყაროს მის მანკიერებებთან ერთად, არამედ საზოგადოება უნდა აიგოს ისე, რომ ეთანხმებოდეს რელიგიურ პრინციპებს. მათთვის დამახასიათებელია „მტრების ძიება“. რადიკალური ფუნდამენტალისტური მოძრაობის წარმატებები მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ ისინი უთითებენ კონკრეტულ მტერს, დამნაშავეს მთელ მის უბედურებაში.

პოლიტიკური ისლამის რენესანსი: „მუსლიმი ძმები“

„მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციის შექმნით იწყება თანამედროვე ისლამიზმის ანუ პოლიტიკური ისლამის ისტორია. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისლამს ჩასახვის მომენტიდან ჰქონდა პოლიტიკური კომპონენტი: მაგ., მოციქული მუჰამადი, რომელიც ავრცელებდა ისლამს არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე, ქადაგებასთან ერთად იყენებდა პოლიტიკურ მეთოდებს – დებდა ხელშეკრულებებს ამა თუ იმ ტომებთან, აწარმოებდა სამხედრო კამპანიას და სხვ.

1924 წელს სახალიფოს ლიკვიდაცია არა მარტო ოსმალეთის იმპერიის აღსასრულის მომასწავლებელი იყო, არამედ წარმოადგენდა მუსლიმური სამყაროს პოლიტიკური ერთიანობის საბოლოო დაშლის სიმბოლოსაც – სამყაროსი, რომლის ბედიც უკვე დასავლეთში წყდებოდა.

მუსლიმური სამყარო აღმოჩნდა თავისი რელიგიური იდენტობის დაკარგვის საფრთხის წინაშე. სწორედ ამ პერიოდიდან, თანდათანობით ჩამოყალიბებული ფორმა მიიღო ისლამის პოლიტიზაციის პროცესმა. ამ იდეის მომხრეებმა 1928 წელს ეგვიპტეში დაარსეს *„მუსლიმი ძმების“ ასოციაცია* (*ალ-ჯამა'ა ალ-იხვან ალ-მუსლიმინ*), რომელიც დღეს მსოფლიოში ყველაზე დიდი რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაციაა.

„მუსლიმი ძმების“ ასოციაციის დამფუძნებლად ითვლება *ჰასან ალ-ბანა* (1906-1949), წარმოშობით პროვინციულ ქალაქ მაჰმუდიიაიდან. დამანჰურში მასწავლებელთა მოსამზადებელი სკოლის (*დარ ალ-'ულუმ*) დამთავრების შემდეგ მან დაიწყო არაბული ენის სწავლება ქ. ისმაილიიაიას დაწყებით სკოლაში. იმ დროს ისმაილიიაია, რომელიც მდებარეობდა სუეცის არხის ნაპირზე, წარმოადგენდა ქალაქს, სადაც იგრძნობოდა დასავლური გავლენა და არაბი მუსლიმები დამცირებულებად გრძნობდნენ ევროპული სახელმწიფოების კოლონიური ხელისუფლების ქვეშ. სწორედ აქ, ნიჭიერმა ორატორმა და ქარიზმატულმა ლიდერმა ალ-ბანამ დაიწყო თავისი ქადაგებები მეჩეთებსა და ყავახანებში (Leiken, 2007: 107-114).

1928 წელს ექვს თანამოაზრესთან ერთად ჰასან ალ-ბანამ დააარსა საზოგადოება,[3] რომელმაც მიზნად დაისახა: ისლამური ფასეულობების ქადაგება და ახალგაზრდა თაობის აღზრდა ისლამური სუ-

3 ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა დაიწყო ახალგაზრდების შეკრებით, რომელთაც ასწავლიდნენ სხვადასხვა რელიგიურ დისციპლინებს: ყურანის კითხვის წესები, მისი აიათების დასწავლა, ყურანის კომენტარები, ჰადისები, ჰადისების კომენტარები, მუსლიმური ეთიკის ნორმები და რელიგიური წეს-ჩვეულებები, მოციქულ მუჰამადის ცხოვრების აღწერა, ისლამის ისტორია, კამათისა და ქადაგებების წარმართვის წესები. ორი თვის შემდეგ მოსწავლეთა პირველი ჯგუფისა და საზოგადოების მუდმივი წევრების რაოდენობამ მიაღწია 70-ს (500,000 – 1940წ.). უნდა აღინიშნოს, რომ „მუსლიმი ძმების“ ქადაგება-ლექციებზე დასწრება თავისუფალი იყო ნებისმიერი პროფესიისა და ასაკის ადამიანებისათვის, იწყებოდა დღის მეორე ნახევარში და გრძელდებოდა გვიან ღამემდე, მსმენელთა სასწავლო და სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით. თავდაპირველად,1929-1930წწ. მათ იყიდეს მიწის ნაკვეთი ისმაილიაში და ააშენეს ერთსართულიანი ნაგებობა რამდენიმე ოთახისაგან, სადაც განლაგდა მოძრაობის პირველი ოფიციალური შტაბი და 2 ძირითადი სტრუქტურა – ორიენტაციის ხელმძღვანელი ბიურო და დამფუძნებელი კრება. ამის გარდა ცალკე იყო გამოყოფილი სამლოცველო დარბაზი. ერთი წლის შემდეგ, მის გვერდით აშენდა ქალთა მედრესე, გაიხსნა ისლამური ინსტიტუტი და კლუბი საზოგადოებრივი შეხვედრებისათვის, რომელსაც ჰქონდა სასტუმრო რე-

ლისკვეთებით; ისლამის განმტკიცება მსოფლიო მასშტაბით, რომლის მისაღწევად აუცილებელია ბრძოლა (*ჯიჰად*) ყველა არსებული საშუალებით დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენასთან, ეგვიპტის უცხოურ ოკუპაციასთან. ალ-ბანა დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ისლამური კანონების მკაცრად დაცვას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეუძლია მუსლიმთა არსებითი პრობლემების გადაჭრა.

„მუსლიმი ძმების" მოძრაობა ოფიციალურად დარეგისტრირდა 1930 წელს. მკვლევართა აზრით, „მუსლიმი ძმების" ასოციაციამ, თავისი განვითარების მანძილზე, გაიარა **4 ძირითადი ეტაპი: რელიგიური** განათლების, სოციალური პოლიტიკის, ნეიტრალური პოლიტიზაციის და აქტიური პოლიტიზაციის.

ასოციაცია თავის სამომავლო მიზნად ისახავდა ისლამური საზოგადოების ჩამოყალიბებას სახალიფოს ფორმით, რომლის კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო ყურანი, ხოლო სამართლებრივი სისტემა – შარიათი. ალ-ბანა მოუწოდებდა ისლამური სამშობლოს ყველა ნაწილის გაერთიანებისაკენ. ის კატეგორიულად უარყოფდა ნაციონალიზმს დასავლური გაგებით. ალ-ბანა რეალისტი იყო და პატივს სცემდა ადამიანის სიყვარულს თავისი ქვეყნისადმი. რწმენის სახელით გაერთიანების პირველი საფეხური იყო ცალკეული ქვეყნის განთავისუფლება კოლონიური რეჟიმისაგან.

> ძმობის იდეოლოგიის ძირითადი არსი ჩამოყალიბებულია შემდეგ თეზისში: „ისლამი – ეს დოგმაა და კულტი, ეს სამშობლოა, ერია, რელიგიური სარწმუნოება და სახელმწიფოა, სული და სხეულია, ყურანი და ხმალია, აბსოლუტური ერთღმერთიანობის რელიგიაა." აგრეთვე „ალაჰი ჩვენი მიზანია, მოციქული ჩვენი ბელადია, ყურანი ჩვენი კონსტიტუციაა, ჯიჰადი ჩვენი გზაა, სიკვდილი ალაჰის მიერ დადგენილ გზაზე – ჩვენი უდიდესი სურვილია."
>
> „ისლამის უნივერსალობის გაგებიდან გამომდინარე, ძმობა აერთიანებს თავის თავში სხვადასხვა რელიგიური და სოციალური ინსტიტუტების **8 ელემენტს: „მუსლიმი ძმები" – ეს... სალაფიტური მო**წოდება, სუნიტური გზა, სუფიური ჭეშმარიტება, პოლიტიკური ორგანიზაცია, სპორტული საზოგადოება, სამეცნიერო-კულტურული ასოციაცია, სავაჭრო კომპანია, სოციალური იდეაა (ციტ. Ражбадинов, 2003: 93-94; El-Ghobashy, 2005: 373-395).

ჰასან ალ-ბანას იდეებს ფართო გამოძახილი მოჰყვა ეგვიპტის საზოგადოებაში. ასოციაციის ავტორიტეტის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა სოციალურმა სამუშაოებმა – 1931 წელს საერთო სახსრებით დაიწყეს ახალი მეჩეთის მშენებლობა და ამას მოჰყვა სხვა მეჩეთების და სკოლების მშენებლობა, შემოწირულობების შეგროვება უქონელთათვის.

1932 წელს ალ-ბანამ დაიკავა უმაღლესი მოძღვრის თანამდებობა (*ალ-მურშიდ ალ-'ამ*) და გადავიდა კაიროში, რომელიც ამ დროიდან გახდა ასოციაციის ცენტრი. 1932-1933 წწ. ჩატარდა „მუსლიმი ძმების" პირველი და მეორე კონფერენცია, რომლებიც პრაქტიკულად არ ეხებოდა პოლიტიკურ თემებს და ძირითადად ეძღვნებოდა პროპაგანდისტული და ორგანიზაციული ხასიათის საკითხებს. ამ პერიოდში ასოციაციის სტრატეგიაში გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები: 1. მოძრაობის გეოგრაფიის გაფართოება და ნილოსის დელტის ფარგლებს გარეთ გასვლა ეგვიპტის დანარჩენ რაიონებში (ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით); **2. ნეიტრალური თანაარსებობის კურსი ქვეყნის ყველა პო**ლიტიკურ ძალასთან (პარტიებთანაც და ბრიტანეთის სამხედრო ხელისუფლებასთანაც); 3. აქტიური პროპაგანდისტული სამუშაო, სკოლებისა და წრეების ორგანიზება, საკუთარი საგამომცემლო ბაზის შექმნა, გაზეთების გამოშვება; **4. სოციალური სამუშაო საზოგადოებაში, იზოლაციის უარყოფა და ხალ**ხთა მასებში სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმებით მუშაობა; **5. მოძრაობის ორგანიზაციული სტრუქ**ტურის ჩამოყალიბება და სხვადასხვა პროპაგანდისტული მეთოდების გამომუშავება (Lia, 1998: 97-98).

„ძმების" გავლენა სწრაფად გაიზარდა. მალე ისინი ფლობდნენ ფილიალებს მთელ ეგვიპტეში და მის ფარგლებს გარეთ – სირიაში, პალესტინაში, ტრანსიორდანიაში და სხვა ქვეყნებში. მათ ჰქონდათ თავიანთი ტიპოგრაფია; მათ საკუთრებაში იყო სამრეწველო საწარმოები, რომელთა შემოსავლები მიდიოდა მათი საქმიანობის დაფინანსებაზე. სულ მალე ასოციაცია მონარქიულ ეგვიპტეში გახდა ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალა, რომელსაც ჰქონდა ფართო სოციალური დასაყრდენი საზოგადოების დაბალ და საშუალო ფენებში. ასოციაციას ჰყავდა თავისი შეიარაღებული *ფიდაინების* რაზმები, რომლებიც იბრძოდნენ პალესტინელების მხარეზე ბრიტანეთის არმიისა და ებრაული ჰაგანას წინააღ-

---

გიონებიდან ჩამოსული მორწმუნეებისათვის. ამის შემდეგ მოძრაობის განყოფილებები იზრდებოდა ასეთი სქემით: მეჩეთი – რელიგიური სკოლა – საზოგადოებრივი კლუბი - სოციალური სამსახურები (Lia, 1998:39-42).

მდეგ 1936 წლის აჯანყების დროს და მონაწილეობდნენ 1948 წლის პალესტინურ ომში (*Anti-American terrorism*, 2002: 27-28).

ასოციაციის სტრუქტურა:

უმაღლესი მოძღვარი, მთავარი სახელმძღვანელო საბჭო ანუ ორიენტაციის ბიურო, საკონსულტაციო საბჭო, გენერალური მდივანი, ხაზინადარი, გენერალური შტაბი, 8 კომიტეტი (ფინანსური, იურიდიული, პრესის, პოლიტიკის, სოციალური პროექტების, შარიათის, სტატისტიკის, და მთარგმნელობითი) და **8 სექტორი (პროპაგანდის, მუშათა და გლეხთა, სტუდენტების, პროფკავშირების, ისლამურ** სამყაროსთან ურთიერთობის, ფიზიკური მომზადების და ბოისკაუტთა, ფილიალებთან მუშაობის, ქალთა), ადმინისტრაციული ოფისი, ფილიალები.

ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის სექცია მოიცავდა 9 კომიტეტს. მათგან 6 დაკავებული იყო უშუალოდ მუსლიმურ ქვეყნებთან კავშირით და მოიცავდა შემდეგ რაიონებს: **1. ჩრდილოეთ აფრიკა; 2. აღმოსავლეთი და დასავლეთი აფრიკა (ეთიოპია, სომალი, ნიგერია, სენეგალი); 3. „ნაყოფიერი ნახევარმთვარე“** (სირია, პალესტინა, ლიბანი, იორდანია, ერაყი); 4. საუდის არაბეთი, იემენი და სპარსეთის ყურის ქვეყნები; **5. თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ავღანეთი; 6. ინდოეთი, ცეილონი, ინდონეზია,** მალაიზია, ფილიპინები, ჩინეთი და წყნარი ოკეანისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები.

„მუსლიმი ძმების“ საქმიანობა მონარქიის ხელისუფლებისა და ბრიტანული კოლონიური ადმინისტრაციის გაღიზიანებას იწვევდა, რაც მალე რეპრესიებში გადაიზარდა. თავდაპირველად ჰასან ალ-ბანა არ განიხილავდა ბრძოლის შეიარაღებულ მეთოდებს პრიორიტეტულად თავისი ორგანიზაციისათვის, მაგრამ ხელისუფლებასთან კონფლიქტის შემდეგ გადახედა თავის შეხედულებებს.[4] 1948 წლის დაპირისპირებების დროს „ძმებმა“ მოკლეს პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ ან-ნუკრაში ფაშა. 1949 წელს ეგვიპტის სპეცსამსახურებმა მოკლეს თვითონ ჰასან ალ-ბანა, რომლის ადგილი დაიკავა ჰასან ალ-ჰუდაიბიმ (Rogan, 2009: 271-272; Cleveland, 2009: 303; Mitchell, 1969: 82-88).

„მუსლიმი ძმების“ გერბი ჰასან ალ-ბანას პორტრეტით

1938-1941წწ. ალ-ბანამ ჩამოაყალიბა პროგრამა-მაქსიმუმი და პროგრამა-მინიმუმი. *პროგრამა-მაქსიმუმი:* „ადამიანი – მუსლიმი – მუსლიმური სახლი – ისლამური ნაცია. ისლამიზაციის პირველი ფაზა იწყება რწმენის ჩამოყალიბებით თითოეულ კონკრეტულ ადამიანში, შემდეგ მუსლიმური ოჯახის ინსტიტუტის დაარსება, რომლის საფუძველზეც ყალიბდება მთელი საზოგადოება. საზოგადოება ქმნის ისლამურ მთავრობას და სახელმწიფოს. შემდეგი ეტაპი არის საერთო არაბული ერთიანობის მიღწევა ისლამური სახელმწიფოებრიობის საფუძველზე; და ბოლოს, უმაღლესი ფაზა სრულდება საყოველთაო ისლამური მოწოდებით მთელი კაცობრიობისადმი.“

უცნაურია, მაგრამ „მუსლიმი ძმები“ სიხარულით შეხვდნენ 1952 წლის ეგვიპტის რევოლუციას. უფრო მეტიც, მასთან სხვადასხვა დროს დაკავშირებული იყო „თავისუფალი ოფიცრების“ მოძრაობის ზოგიერთი ხელმძღვანელი. მათ შორის გამალ აბდელ ნასერი. თუმცა ახალი რესპუბლიკის მთავრობისა და „მუსლიმი ძმების“ კავშირი ხანგრძლივი არ აღმოჩნდა – მხოლოდ ორი წელი გაგრძელდა. ნა-

4 ალ-ბანას პოლიტიკური პოზიცია ეფუძნებოდა სამი ძირითადი მიმართულებით კრიტიკას: ბრიტანელი სამხედროების ყოფნა ეგვიპტეში, არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფო მმართველობის ისლამური სისტემის არარსებობა.

სერმა გააუქმა მრავალპარტიული სისტემა. თავდაპირველად ის არ შეეხო „მუსლიმი ძმების“ ასოციაციას, რომელიც მხარს უჭერდა ამ წამოწყებას. თუმცა, „მუსლიმი ძმების“ პრეტენზიებმა სახელმწიფო მმართველობაში აქტიურ მონაწილეობაზე დაასრულა ეს კავშირი. ცხადი გახდა, რომ ნასერიზმის სამოქალაქო, ნაციონალისტური იდეოლოგია არ ეთანხმებოდა ძმების იდეებს, მათ შორის „ისლამურ სახელმწიფოებრიობას“. 1954 წლის ივლისში ასოციაციამ გააკრიტიკა ანგლო-ეგვიპტური შეთანხმება სუეცის არხზე და იმავე წელს განხორციელდა თავდასხმა პრეზიდენტ ნასერზე. „მუსლიმი ძმები“ დაადანაშაულეს პრეზიდენტზე თავდასხმაში და ამის შემდეგ ხელისუფლების აქტიური ბრძოლა დაიწყო „მუსლიმ ძმებთან“. მიღებულ იქნა კანონი ასოციაციის აკრძალვაზე, რომელიც დღემდე არ გაუქმებულა. ასოციაციის მრავალი წევრი აღმოჩნდა ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში. სხვები იძულებული გახდნენ იატაქვეშა საქმიანობა დაეწყოთ ან ემიგრაციაში წასულიყვნენ (Aly and Wenner, 1982:341-342; Mitchell, 1969:88-91). „მუსლიმი ძმების“ რეპრესირებულ წევრებს შორის იყო გავლენიანი იდეოლოგი საიდ კუტბი, რომელმაც ხელი არ მოაწერა შეწყალების თხოვნას ნასერისადმი. მან წარმოთქვა ცნობილი ფრაზა: „ჩემი საჩვენებელი თითი, რომელიც ყოველი ლოცვის დროს მოწმობს, რომ არ არს ღმერთი, ალაჰის გარდა, უარს მეუბნება ხელი მოვაწერო თხოვნას შეწყალების თაობაზე ტირანისაგან.“[5]

ნასერის რეჟიმმა მოახერხა დროებით შეეფერხებინა ასოციაციის საქმიანობა, მაგრამ ვერ გააანადგურა ის. ხელისუფლებაში ანვარ სადათის მოსვლის შემდეგ, მრავალი პოლიტპატიმარი შეიწყალეს. გაუმჯობესდა ხელისუფლებასა და „მუსლიმ ძმებს“ შორის ურთიერთობა. მაგ., კონსტიტუციაში ჩართულ იქნა მუხლი შარიათზე, როგორც კანონმდებლობის ძირითად წყაროზე. „მუსლიმ ძმებს“ ნება დაერთო განეახლებინა საკუთარი გაზეთის გამოშვება. ამასთან, ისლამისტების გავლენა ხალხში მნიშვნელოვნად გაიზარდა ეგვიპტის 1967 წლის 6 დღიან ომში დამარცხების გამო. „მუსლიმი ძმების“ წამყვანმა თეორეტიკოსებმა, პრეზიდენტ ანვარ სადათის მიწვევით, მონაწილეობა მიიღეს 1971 წელს მიღებული კონსტიტუციის შემუშავებაში. თუმცა, მათ ვერ მოახერხეს თავიანთი ფორმულირებების დიდი ნაწილის ჩართვა კონსტიტუციის ტექსტში. შემდეგი მცდელობა იყო პარლამენტში განსახილველად მთელი რიგი კანონპროექტების წარდგენა, მათ შორის: შარიათით გათვალისწინებული სასჯელების შემოღება, სახელმწიფო დაწესებულებებში ყურანის სავალდებულო სწავლების შემოღება, ქალთა სამოსის რეგლამენტაცია, სქესთა სეგრეგაცია, ალკოჰოლით ვაჭრობის აკრძალვა და სხვ. 70-იანი წლების პირველ ნახევარში ასოციაციამ მთლიანობაში შეინარჩუნა მშვიდობიანი ურთიერთობა ხელისუფლებასთან. სადათის რეჟიმის კრიტიკა თავშეკავებული იყო (Altman, 1979: 90-91; Aly & Wenner, 1982: 349).

1977 წლიდან დაიწყო „მუსლიმი ძმების“ მიერ ხელისუფლების მკაცრი კრიტიკა. ამის მიზეზი გახდა „მუსლიმი ძმების“ ასოციაციისათვის უარის თქმა რეგისტრაციაზე, როგორც პოლიტიკურ პარტიაზე – 1977 წლის კანონმა „პოლიტიკურ პარტიების შესახებ“ აკრძალა პოლიტიკური გაერთიანების დაარსება რელიგიურ საფუძველზე.[6] „მუსლიმმა ძმებმა“ არ გაიზიარეს ასევე სადათის პროამერიკული კურსი, რამაც გამოიწვია დასავლური გავლენის ზრდა ქვეყანაში. ისლამისტებთან ურთიერთობა საბოლოოდ გაუარესდა 1979 წელს, ისრაელთან სეპარატული ზავის ხელმოწერის შემდეგ. ამ დროისათვის „მუსლიმი ძმების“ ასოციაციას გამოეყო მთელი რიგი ექსტრემისტული დაჯგუფებები, მათ შორის *ჯიჰადი* („წმინდა ომი“) და *ათ-თაქფირ ვალ-ჰიჯრა* („დადანაშაულება ურწმუნოებაში და განდგომა“), რომლებიც იყენებდნენ ტერორისტულ მეთოდებს. სადათის დაპირისპირება ამ ექტრემისტებთან დამთავრდა მის საზიანოდ – 1981 წ. ოქტომბერში სამხედრო აღლუმის დროს, ოქტომბრის ომის დაწყების (1973) მორიგ წლისთავზე, სადათი მოკლა ჯიჰადის წევრმა ხალიდ ისლამბულიმ (1982 წლის 15 აპრილს სიკვდილით დასაჯეს) (Kepel, 1984: 101, 122-125; Wickham, 2002: 65, 96).

ჰოსნი მუბარაქის (1981-2011) მმართველობის პერიოდში ისლამისტებთან დამოკიდებულებაში მოხდა დამსჯელი ღონისძიებებისა და გარკვეული შეღავათების შერწყმა. ქვეყანაში შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა, სადათის მკვლელობაში მონაწილენი დააპატიმრეს ან სიკვდილით დასაჯეს. დაპატიმრებულთა შორის იყო ექიმი აიმან აზ-ზავაჰირი, რომელიც შემდგომ მეორე პირი გახდა ტერორისტულ ორგანიზაცია *ალ-კაიდაში*. ამასთან, გაანთავისუფლეს მრავალი ისლამისტი აქტივისტი, რომლებიც სადათის დროს ჩასვეს ციხეში (Leiken, 2007: 107-116; Said Aly and Wenner, 1982: 342-344).

5 http://www.asharqalawsat.com/ pcdaily/04–12–2001/last/html

6 ოფიციალურად ეს აიხსნებოდა ხელისუფლების მისწრაფებით არ დაეშვა კონფესიური პრობლემის გამწვავება ქვეყანაში. არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ ხელისუფლებას არ სურდა შეშფოთების საბაბი მიეცა დასავლელი ინვესტორებისა და პოლიტიკური წრეებისათვის, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ეგვიპტის განვითარებით ევროპული სტანდარტების მიხედვით.

ჰოსნი მუბარაქის პრეზიდენტობის დროს „მუსლიმ ძმებს“ ხელისუფლებასთან ერთგვარი ჯენტლმენური შეთანხმება ჰქონდათ. ოფიციალურად „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაცია აკრძალული იყო, მაგრამ ფაქტობრივად მის არსებობას არავინ ეწინააღმდეგებოდა. ასოციაცია მუბარაქის დროს გადაიქცა პარლამენტური ტიპის პოლიტიკურ პარტიად და უარი თქვა ძალისმიერ მეთოდებზე. ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად, 1984 წლიდან „მუსლიმი ძმები“ მონაწილეობდნენ არჩევნებში, წარადგენდნენ თავიანთ დამოუკიდებელ კანდიდატებს ან სხვა ლეგალური პარტიის სიებით (Wickham, 2002: 36-62, 75-87, 164-171). **2005 არჩევნებში გაიმარჯვა „მუსლიმი ძმების“ 88 კანდიდატმა. შესაბამისად, „ძმებმა“** მიიღეს საერთო მანდატების 20% (ლოზუნგი: „ისლამი – ეს [ყველა პრობლემის] გადაწყვეტაა“). ასოციაციის სოციალური დასაყრდენი აქვეს ეგვიპტური საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში. ასოციაცია გახდა ყველაზე დიდი და გავლენიანი ოპოზიციური ძალა ეგვიპტეში.[7]

2007 წელს გამოქვეყნდა „მუსლიმი ძმების“ პროგრამა, სადაც ძირითადი აქცენტები გადატანილია ეგვიპტის სახელმწიფო სისტემის რეფორმირების აუცილებლობაზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე. „მუსლიმი ძმების“ აზრით, ეგვიპტის პოლიტიკური სისტემა უნდა დაეფუძნოს ისლამურ მოდელს და შარიათს. ძირითადი პრინციპები და მიზნები ამ სფეროში ასეთია: მუსლიმური სამართლის წამყვანი პოზიცია ქვეყნის კანონმდებლობაში; კონსტიტუციური და პოლიტიკური რეფორმების გატარება, რაც ინიცირებული უნდა იყოს ხალხის მიერ, რადგანაც ხელისუფლებას მარტო არ შეუძლია ასეთი ტვირთის მხოლოდ თავის თავზე აღება; შურა (საბჭო) არის დემოკრატიული სისტემის ფორმა; ყველა მოქალაქის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა; ეგვიპტის გადაქცევა საერთაშორისო ურთიერთობების აქტიურ მონაწილედ რეგიონული და გლობალური მასშტაბით, აგრეთვე არაბულ-მუსლიმურ რეგიონში; ქვეყნის ეკონომიკური განვითარება; ეგვიპტის მოქალაქეების რელიგიური აღზრდა. პროგრამის მიხედვით, გათვალისწინებულია ახალი სტრუქტურის შექმნა, რომელიც უნდა შედგებოდეს „რელიგიური მოღვაწეებისაგან“ და რომელიც აირჩევა პირდაპირი და თავისუფალი კენჭისყრით. ეს სტრუქტურა აბსოლუტურად დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მოეთათბიროს მას რაიმე დადგენილების ან კანონის მიღებისას. პროგრამაში ხაზგასმულია სახელმწიფოს ისლამური მოდელის გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობა არ ემორჩილება ერთის უზენაესობას მეორესთან მიმართებაში. ძალა ხალხის ხელშია და სახელმწიფო უბრალოდ მუსლიმური თემის ნდობით აღჭურვილი სუბიექტია (*ვაქილ ალ-უმმა*). სხვადასხვა ინსტიტუტებისაგან შემდგარი სახელმწიფო უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის დამოუკიდებლობას ისე, რომ არ მოხდეს რომელიმე პარტიის მიერ ძალაუფლების მონოპოლია. ქვეყნის ეკონომიკა უნდა განვითარდეს ისლამური ეკონომიკის საფუძველზე. **130 გვერდიანი პროგრამა თითქმის ყველა სფეროს მოიცავს და მოცემულია დასმული ამოცანების კონკრეტული გადაწყვეტა.**

ბოლო **5 წლის მანძილზე „მუსლიმი ძმები“ იდგნენ დილემის წინაშე: ან დამოუკიდებლად ებრძოლათ ხელისუფლებისათვის მმართველ რეჟიმთან ან ჩამოეყალიბებინათ კოალიცია სამოქალაქო ოპოზიციის პოლიტიკურ ძალებთან.** პირველად **2008 წლის 18 მარტს ეროვნულ კრებაში მოხდა პარლამენტის** ყველა ოპოზიციური ძალების გაერთიანება (118 პარლამენტარი, მათ შორის „მუსლიმი ძმების“ 88 წარმომადგენელი), რათა ჩაეტარებინათ ერთობლივი საპროტესტო აქციები – ისინი გამოვიდნენ ქუჩაში პლაკატებით და გააკრიტიკეს ხელისუფლება. **2010 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში** „მუსლიმმა ძმებმა“ მიიღეს მხოლოდ ერთი სადეპუტატო მანდატი.

ამჟამად „მუსლიმი ძმების“ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა *მაჯლის აშ-შურა ალ-'ამმ* (უმაღლესი სათათბირო საბჭო). ის ირჩევს უვადო უმაღლეს მოძღვარს, რომლის უფლებამოსილება წყდება მისი უუნარობის ან სიკვდილის შემთხვევაში. **2010 წლის 16 იანვრიდან ეს თანამდებობა უკავია მუჰამად ბადის.**[8] ამასთან, საბჭო ნიშნავს ძმების მთავარ აღმასრულებელ ორგანოს (*მაქთაბ ალ-ირშად* – ხელმძღვანელი ბიურო, 12 წევრი) (Leiken, 2007: 116-121).

„მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციიდან გამოვიდნენ ისლამური სამყაროს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ქადაგებდნენ როგორც რადიკალურ, ისე ზომიერ ისლამიზმს. მაგ., ეგვიპტელი

7 2008 წლის იანვარში ჰოსნი მუბარაქმა განაცხადა, რომ „მუსლიმი ძმები“ წარმოადგენენ „დაბრკოლებას ეროვნული უსაფრთხოებისათვის“ და მათი გავლენის გაზრდა ქვეყანაში გამოიწვევს ინვესტიციების შეჩერებას და უმუშევრობის გაზრდას, აგრეთვე „ეგვიპტის სრულ იზოლაციას სამყაროსაგან.“

8 ეს თანამდებობა თანმიმდევრულად ეკავათ: ჰასანა ალ-ბანას (1928-1949), ალ-ჰუდაიბის (1949-1973), უმარ ალ-თილმისანის (1973-1986), მუჰამად ჰამიდ აბუ ან-ნასრის (1986-1996), მუსტაფა ნაშჰურის (1996-2002), მამუნ ალ-ჰუდაიბის (2002- 2004) და მუჰამად მაჰდი აკიფის (2004-2010).

აიმან აზ-ზავაჰირი, ალ-კაიდას იდეოლოგი; მაჰფუდ ნაჰნაჰი (1942-2003), ალჟირის ისლამისტური პარტიის ჰამასის (1997 წლიდან მას ეწოდება „საზოგადოებრივი მოძრაობა მშვიდობისათვის“) დამაარსებელი და სხვ.

> „სეკულარული არაბული რეჟიმების დამხობა ერთადერთი გზაა, რათა აღდგეს „ჭეშმარიტი დემოკრატია“ და შარიათი დაინერგოს არაბულ სამყაროში.“
>
> აიმან აზ-ზავაჰირი (ციტ. Abu Rafi‘, 2004: 138).

„მუსლიმი ძმების“ ასოციაციამ სათავე დაუდო სუნიტურ ფუნდამენტალისტურ მოძრაობას და დაჯგუფებებს მრავალ ქვეყანაში ეგვიპტის ფარგლებს გარეთ, უპირველეს ყოვლისა, არაბულ ქვეყნებში – სირიაში, პალესტინაში, იორდანიაში, სუდანში, თუნისში და სხვ. ტერმინი „მუსლიმი ძმები“ დღეს არის კრებითი სახელწოდება სხვადასხვა ორგანიზაციების, რომლებიც მოქმედებს ამ სახელით არაერთ მუსლიმურ ქვეყანაში. ეს დაჯგუფებები განსხვავდება თავისი ხასიათით და ბრძოლის მეთოდებით. დღეისათვის „მუსლიმი ძმების“ ასოციაცია რჩება უმსხვილეს ისლამისტურ პოლიტიკურ ორგანიზაციად მსოფლიოში. „მუსლიმი ძმების“ შემდგომი პოზიცია მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ეგვიპტის შიდაპოლიტიკურ კონიუქტურაზე.

საიდ კუტბი

„მუსლიმი ძმების“ ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგად ითვლება საიდ კუტბი (1906-1966). კუტბი, მუსლიმ მეცნიერთა აზრით, XX ს-ის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მუსლიმი მოაზროვნეა. თუმცა მის შემოქმედებაზე შეხედულებები არაერთგვაროვანია – დასავლელმა კრიტიკოსებმა მას უწოდეს „თანამედროვე ტერორიზმის მამა“. ის იყო აგრეთვე ლიტერატორი, პოეტი, პროზაიკოსი, და ლიტერატურული კრიტიკოსი.

კუტბის პოლიტიკური თეორია, რომელიც მან შეიმუშავა 1950-1960 წლებში, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ლოგიკური გააზრება სამი ცნებისა – *ჯაჰილიჲა* (ურწმუნოება), *ჰაქიმიჲა* (მმართველობა) და *ჯიჰადი*. ამ თეორიის თანახმად, ხალხი უნდა დაემორჩილოს მხოლოდ ღმერთს და შესაბამისად იმ მმართველებს, რომლებიც ემორჩილებიან ღმერთს. მმართველს, რომელიც ემორჩილება ღმერთს, აქვს მისი „მანდატი“ მმართველობაზე. ხალხის მმართველობა „მანდატის“ საფუძველზე ხორციელდება შარიათის დახმარებით. ამ ყოვლისმომცველი და წმინდა „მანდატის“ უარყოფა უტოლდება ჯაჰილიას. მმართველთან, რომელიც არ იცავს „მანდატს“ – საჭიროა ბრძოლა. ამ სიტუაციაში წინააღმდეგობა ითვლება კანონიერ აქტად – ჯიჰადად (Shepard, 2003: 521-545).

საიდ კუტბი სასამართლო პროცესზე

საიდ კუტბის თეორია გარკვეულწილად ჰგავს ადრეული ხარიჯიტების შეხედულებებს. თავის შრომებში ის ხშირად ეყრდნობა იბნ თაიმიას (1268-1328), რომელიც იწონებდა ჯიჰადს მონღოლების წინააღმდეგ, რადგანაც მონღოლი მმართველები არ იყენებდნენ შარიათს. იბნ თაიმიას თეორიის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მმართველიც კი, რომელიც აღიარებს ისლამს, მაგრამ არ მოქმედებს მკაცრად შარიათის ჩარჩოებში, უნდა დამხობილ იქნეს, რადგანაც მისი ხელისუფლება უკანონოა. ასეთი მმართველი შეიძლება გახდეს ჯიჰადის ობიექტი. ის სავალდებულოდ თვლიდა ისლამური საზოგადოების დაფუძნებას ჯაჰილიას საზოგადოების ნაცვლად, რომელიც ჭარბობდა მუსლიმურ სამყაროში, მათ შორის ეგვიპტეში. ჯაჰილიას საზოგადოებაში კუტბი გულსიხმობდა ისლამამდელ წარმართულ არაბულ საზოგადოებას თანამედროვე ნიშნებით, სადაც ღმერთის უზენაესი ხელისუფლება (*ალ-ჰაქიმიჲა*) შერყეულია იმით, რომ ხალხი თავის თავს აღმერთებს და აგრესიას ავლენს ერთმანეთის მიმართ. ის თვლიდა, რომ დასავლურ ცივილიზაციას აღარ შეუძლია დაიკავოს წამყვანი პოზიციები მსოფლიოში, რადგანაც მას აკლია მორალი. კუტბის აზრით, მხოლოდ ისლამშია ის ფასეულობები, რომელთაც შეუძლიათ გაათავისუფლონ ჩაგრული ხალხები. ის უარყოფდა იდეოლოგიურ ნასესხობებს დასავლეთიდან, რადგანაც ისლამს თვლიდა სრულყოფილ რელიგიურ სისტემად (Choueiri, 1997:93-97; Khatab, 2002: 145-170; *Anti-American terrorism*, 2002: 29-32).

საიდ კუტბის აზრით, ჯიჰადი არის არა თავდაცვითი ომი, არამედ შეტევითი, რომელიც მოწოდებულია არა იმისათვის, რომ დაიცვას „ფსევდოისლამური“ საზოგადოება გარეშე მტრებისაგან, არა-

მედ დაამხოს საშინაო მტრების ხელისუფლება და შემდეგ გაავრცელოს ისლამური წესრიგი მთელ მსოფლიოზე.

საიდ კუტბისათვის ამერიკელები, ისე როგორც დასავლეთის სხვა მცხოვრები, იყვნენ იმპერიალისტები და რასისტები. ეგვიპტეში დაბრუნების შემდეგ (1948-1950წწ. ის სწავლობდა აშშ განათლების სისტემას კოლორადოს შტატის განათლების კოლეჯში) საიდ კუტბი გახდა „მუსლიმი ძმების" ყოველკვირეული ჟურნალის მთავარი რედაქტორი; შემდეგ ხელმძღვანელობდა პროპაგანდის განყოფილებას; ბოლოს დაინიშნა სამუშაო კომიტეტის და ასოციაციის უმაღლესი ორგანოს – მმართველი საბჭოს წევრად (Qutb, 1971:37-46).

„მუსლიმი ძმების" მიერ ნასერზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ დაიწყო რეპრესიები მათ მიმართ. დაპატიმრებულთა შორის იყო საიდ კუტბიც. 1964 წელს კუტბი გაათავისუფლეს ერაყის პრემიერ-მინისტრის აბდ ას-სალამ არიფის შუამდგომლობით, მაგრამ მან სულ 8 თვე დაჰყო გარეთ. 1965წ. აგვისტოში ის კვლავ დააპატიმრეს.[9] მას ბრალი დასდეს ანტისამთავრობო შეთქმულებაში. ჩატარდა ე.წ. საჩვენებელი სასამართლო პროცესი და 1966 წლის 29 აგვისტოს 60 წლის საიდ კუტბი სიკვდილით დასაჯეს (ქაროსანიძე, 2001: 46).

საიდ კუტბმა სერიოზული წვლილი შეიტანა მუსლიმური პოლიტიკური აზრის განვითარებაში იმ დროს, როცა მუსლიმურ სამყაროში უფრო პოპულარული იყო ცნებები „ნაციონალიზმი" და „ერი-სახელმწიფო".

აბუ ლ-'ალა ალ-მავდუდი

საიდ კუტბთან ერთად, XX ს-ის წამყვან რელიგიურ-პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლება პაკისტანელი ალ-მავდუდი (1903-1979).[10]

იმდენად დიდია ალ-მავდუდის იდეების გავლენა პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე, რომ მათი აღიარება ფაქტობრივად ნორმად იქცა სუნიტი ისლამიტების დიდი ნაწილისათვის. მათ მიერ წამოყენებული კონცეფციებიდან უნდა გამოვყოთ შემდეგი:

1. ღმერთის უპირობო სუვერენიტეტი. ნაშრომში – „ისლამის პრინციპები" მოცემულია თეოცენტრული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ღმერთი ქვეყნიერების შემქმნელი და განსახიერებაა, ხოლო ადამიანი უნდა დაემორჩილოს მხოლოდ მას და შეასრულოს ყურანსა და სუნაში მოცემული კანონები. ადამიანი ასცდა სწორ გზას, რადგანაც ღმერთის გარდა აღიარა სხვა უზენაესობები: მეფეები, ეროვნული სახელმწიფოები, ან ჩვეულებები. ადამიანს სწორ გზას უჩვენებს მხოლოდ შარიათი, რომელშიც ცხოვრების სრული გეგმაა მოცემული. სწორი გზიდან გადახვევა უტოლდება ჯაჰილიას, რის გამოც აუცილებელია მასთან უმოწყალო ბრძოლა. შესაბამისად, ალ-მავდუდის აზრით, მუსლიმისათვის მიუღებელია დასავლური ცივილიზაცია, რომელიც არ აძლევს მას საშუალებას სრულად აღასრულოს რელიგიური მითითებები (Lerman, 1981: 492-498).

2. სახელმწიფოს ფუნქცია მდგომარეობს ყურანსა და სუნაში მოცემული ღვთიური გეგმის ცხოვრებაში გატარებაში. შედეგი არის „თეოდემოკრატიის" ან „წმინდა სახალიფოს " წარმოშობა. ალ-მავდუდის შრომებში ხელისუფლების თეორია უფრო სისტემატიზირებულია და გამოხატავს ისლამისტების შეხედულებებს. ალ-მავდუდის თანახმად, არსებობს მმართველობის ორი ტიპი: ღმერთის აბსოლუტური ხელისუფლება სამყაროზე და შეზღუდული პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც ეკუთვნის ხალხს. ჭეშმარიტად კანონიერია მხოლოდ ღმერთის ხელისუფლება დედამიწაზე, ამის გამო შარიათი უნდა გახდეს მთავარი არბიტრი და საბოლოო ავტორიტეტი. ალ-მავდუდი ხაზს უსვამს, რომ ისლამური მმართველობა ითვალისწინებს მთავრობის გადადგომას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, რაც ეთანხმება დასავლური დემოკრატიის პრინციპებს. თუმცა, დასავლური დემოკრატია მმართველს ანიჭებს სრულ თავისუფლებას, ხოლო ისლამური – ზღუდავს საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებას შარიათის მიერ დადგენილი ნორმებით. ამდენად, ალ-მავდუდი წინააღმდეგია დასავლური ფორმის დემოკრატიისა (Lerman, 1981: 499-502).

---

9 ციხეში დაწერა მან ცნობილი ნაშრომები, მათ შორის 30 ტომიანი „თაფსირ ალ-კურან" („ყურანის კომენტარები").

10 ალ-მავდუდის ეკუთვნის დაახლ. 120 წიგნი, ათასობით სტატია, რომლებიც პრობლემების ფართო სპექტრს მოიცავს: დაწყებული სახელმწიფო მოწყობის საკითხებიდან და ისლამური კონსტიტუციიდან ქალის მდგომარეობამდე ისლამურ საზოგადოებაში. მისმა შრომებმა დიდი გავლენა მოახდინეს „ისლამური აღორძინების" თეორეტიკოსებზე ეგვიპტეში, სუდანში, ავღანეთში და სხვა ქვეყნებში.

მისი თვალთახედვიდან, მმართველობის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს საკონსულტაციო საბჭოს (შურა). მმართველი უნდა მოეთათბიროს საბჭოს, მაგრამ კატეგორიულად გამოირიცხება მრავალპარტიულობა და შესაბამისად, ნებისმიერი ოპოზიცია. ეს ნიშნავს უარის თქმას არჩევნების ჩატარებაზე და მმართველი ელიტის შეცვლაზე. ალ-მავდუდი „ისლამური დოგმატების სიწმინდის“ დამცველად ცნობს მხოლოდ ხალიფას და მის მიერ ჩამოყალიბებულ ულემთა საბჭოს. სახელმწიფო ან საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლია ცხოვრებაში გაატაროს ზემოხსენებული პრინციპები, ავტომატურად ხვდება ჯაჰილიას მდგომარეობაში. ეს „ურწმუნოების პერიოდი“ არ დასრულებულა მუჰამადის სამოციქულო მისიის დაწყებით, არამედ ის რეალობაა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რეგიონისათვის, სადაც საზოგადოება არ არის მოწყობილი შარიათის პრინციპების შესაბამისად (იქვე, 503-509). ალ-მავდუდი გამოდიოდა მუსლიმი სამართლისმცოდნეებისა და ხალიფების წინააღმდეგ, რომელთაც მარცხი განიცადეს და ვერ დაამკვიდრეს შარიათი მუავიას დროიდან სულტან აბდულ ჰამიდამდე. „შარიათი არასოდეს არ დამკვიდრებულა, არც თეოკრატიულ სახელმწიფოში, ისლამის გავრცელებიდან მოყოლებული... მუსლიმი სამართლისმცოდნეები და სუნიტი იმამები არ ფიქრობენ, რომ სახელმწიფო ექცევა ჯაჰილიაში, რადგანაც ის განაცალკევებს რელიგიას სახელმწიფოსაგან“ (Abu Rabi‘, 2004: 114).

ალ-მავდუდი გამოდიოდა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რადგანაც ის საზოგადოებაში გათიშულობას იწვევდა. ის წერდა: „როგორც სულით, ისე მიზნებით, ისლამი და ნაციონალიზმი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს... ისლამის საბოლოო მიზანი საყოველთაო სახელმწიფოა, სადაც არ იქნება რასობრივი და ნაციონალური ცრურწმენები და მთელი კაცობრიობა გაერთიანდება ერთიან კულტურულ და პოლიტიკურ სისტემაში ყველასათვის თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით. მასში არ ექნება ადგილი კონკურენციას, რომელსაც შეცვლის მეგობრული თანამშრომლობა ხალხებს შორის. ეს იქნება სახელმწიფო, დაფუძნებული ყურანის რელიგიურ-პოლიტიკურ პრინციპებზე. ნაციონალიზმი კი ყოფს ადამიანებს ეთნიკური ნიშნით. ნაციონალიზმი უბრალოდ ნიშნავს, რომ ნაციონალისტი ყველაფერს ამჯობინებს თავის ერს... მიისწრაფვის ნაციონალური სახელმწიფოსაკენ “ (Lerman,1981: 507).

ისლამური რადიკალიზმი. ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმოქმნის მიზეზები და ძირითადი მიმართულებები. ისლამური ტერორიზმი

ისლამური რადიკალიზმი: წინაპირობები და მიზეზები

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა ისლამური ფაქტორის გავლენა მუსლიმური ქვეყნებისა და მიმდებარე რეგიონების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ტერმინების – ფუნდამენტალიზმი, ექსტრემიზმი, ფანატიზმი, ინტეგრიზმი, ისლამიზმი, ტერორიზმი, ვაჰაბიზმი, ანტიამერიკანიზმი და სხვ. მნიშვნელობის გათანაბრება, ისლამისადმი ერთგვარი ზედაპირული მიდგომის მაჩვენებელია. ისლამური ექსტრემიზმის პრობლემა არ შეიძლება გადაიჭრას, თუ არ მოხდება ამ ფენომენის შესწავლა.

> „თანამედროვე ისლამური აღორძინება, არა მხოლოდ მოდერნიზაციისა და სოციალური ძვრების შედეგია, არამედ ასახავს თვითონ ისლამის, როგორც სპეციფიკური და განსაკუთრებული რელიგიის, თავისებურებებს“ (Voll, 1982: 2).
>
> „ისლამური აღორძინება არის ფაშისტური მოძრაობა, რომელიც მიზანია არაბული საზოგადოების დაბრუნება მომთაბარეობის ხანაში... ეს არის მოძრაობა ცივილიზაციის და თანამედროვეობის წინააღმდეგ“ (Abu Rafi‘, 2004: 18).

ისლამისტური მოძრაობის რადიკალიზაცია აიხსნება არა ისლამისათვის დამახასიათებელი აგრესიულობით, არამედ კონკრეტული სოციალ-პოლიტიკური მიზეზებით. რადიკალიზმს განმარტავენ როგორც მცდელობას – დანერგონ ჭეშმარიტი ისლამი პოლიტიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ისლამური რადიკალიზმი – ეს არის ერთობლიობა სოციალ-პოლიტიკური იდეებისა და მოქმედებების, რომლებიც მიმართულია ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუტების და მთლიანად პოლიტიკური სისტემის ძირეულად შესაცვლელად. რაც შეეხება ექსტრემიზმს, ეს არის სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებების მიერ, რომელთა მიზანია პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩაგდება, საერთაშორისო სამართლის ნორმებით არაკანონიერად აღიარებული ბრძოლის მეთოდების გამოყენება.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ისლამიზმის კონსერვატიული და შეურიგებელი ხასიათი აქცევს მას საფრთხედ საზოგადოების სტაბილურობისათვის (Ruthven, 1984: 308). ხოლო „დოგმატი რე-

ლიგიისა და პოლიტიკის განუყოფლობის შესახებ, რომელიც უარყოფს სამოქალაქო სამართლის ლეგიტიმურობის ფორმალურ აღიარებას, აქცევს ისლამს შეურიგებლად პლურალისტური იდეალებისადმი“ (Miller,1993: 50-51).

რადიკალურ ისლამს ან ისლამურ ექსტრემიზმს აქვს თავისი სპეციფიკა, რადგანაც ეყრდნობა მუსლიმური სამყაროს მთელ რიგ ტრადიციებს და აქვს წინაპირობები, რომლებსაც ხშირად ყურადღებას არ აქცევენ.

რადიკალური ისლამი უკვე IX-Xსს-ში ფართოდ გავრცელდა მთელს მუსლიმურ სამყაროში და ცნობილი გახდა, როგორც აჰმად იბნ ჰანბალის (780-855) რელიგიურ-სამართლებრივი სკოლა. მისი არსი იყო უკიდურესი შეურიგებლობა ყოველგვარი სიახლისადმი, თავისუფალი აზრის უარყოფა რელიგიურ საკითხებში, რელიგიური ფანატიზმი ისლამური ნორმების დაცვაში. ამერიკელი პოლიტოლოგი ჰრაირ დეკმეჯიანი აჰმად იბნ ჰანბალს რადიკალური სუნიტური ისლამიზმის პირველ „წმინდა მფარველს“ უწოდებს (Dekmejian,1995: 28). ჰანბალიტური მაზჰაბი წარმოიშვა როგორც იდეური რეაქცია მუთაზილიტთა მოძღვრებაზე. მუთაზილიტები დარწმუნებული იყვნენ ცოდნის უპირატესობაში რწმენაზე, უარყოფდნენ რელიგიური ავტორიტეტებისადმი უსიტყვო მორჩილებას; თვლიდნენ, რომ ღვთიური სამართლიანობა გულისხმობს ადამიანის ნების თავისუფლებას. ხალიფების ალ-მამუნის (813-833) და მისი ორი მემკვიდრის – ალ-მუთასიმის (833-842) და ალ-ვასიკის (842-847) დროს მუთაზილიტების საქმიანობა სახელმწიფოს მიერ იყო აღიარებული, მაგრამ მუთავაქილის დროს (847-861) იდევნებოდა. ჰანბალიტების შეურიგებელმა სკოლამ მრავალი მიმდევარი შეიძინა ირანში, სირიაში, პალესტინაში და სხვა ქვეყნებში. თუმცა უფრო ფართოდ გავრცელდა არაბეთის ნახევარკუნძულზე, სადაც მის საფუძველზე, XVIII საუკუნეში, მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბმა (1703/4-1787) ჩამოაყალიბა რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა სუნიტურ ისლამში – ვაჰაბიზმი.

ფაქტობრივად მუსლიმთა პირველი პასუხი დასავლეთის კოლონიურ ექსპანსიაზე, მის სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ-იდეოლოგიურ გამოწვევაზე იყო პანისლამიზმი, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩისახა და ოსმალეთის სულტან აბდულ ჰამიდ II-ის დროს ფართო გაქანება ჰპოვა. პანისლამიზმის მიზანი იყო: 1. ყველა მუსლიმის ძალისხმევის გაერთიანება ევროპული სახელმწიფოების კოლონიურ ექსპანსიათან ბრძოლაში; 2) პასუხი დასავლეთის კულტურულ-იდეოლოგიურ გამოწვევაზე; 3) მუსლიმთა იდეური და სხვა სახის განსხვავებათა დაძლევა. დასავლეთის იდეოლოგიური გავლენისთვის ქმედითი წინააღმდეგობის გაუწევლობამ პანისლამისტური მოძრაობის პოპულარობა დააქვეითა, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ოსმალეთის იმპერიის კრახმა 1918 წელს და სულტან-ხალიფას ტიტულის გაუქმებამ ქემალისტური რევოლუციის (1919-1923) შედეგად (Lee, 1942: 279).

XX საუკუნის 20-60-იან წლებში ისლამურ სამყაროში სხვა იდეოლოგიური მიმდინარეობები ნაციონალიზმი და სოციალიზმი გახდა პოპულარული, რაც პანისლამიზმის შემდეგ ისლამურ სამყაროს იდეოლოგიზაციის მეორე ტალღას წარმოადგენდა. ტერმინი ისლამური სოციალიზმი ფართოდ გამოიყენება იმ წარმოდგენების აღსანიშნავად, რომელთა თანახმად, მუსლიმური რელიგია შეიცავს სოციალური სამართლიანობის საფუძვლებს და, აქედან გამომდინარე, სოციალისტური განვითარების პრინციპებსაც. ჯამალ ად-დინ ალ-ავღანიმ ჯერ კიდევ 1898 წელს გამოქვეყნდა სტატია „სოციალიზმი და რელიგია“, სადაც სოციალიზმი მისაღებ მოვლენად არის დასახელებული, ხოლო სოციალისტების მოთხოვნები – სამართლიანად (Cleveland, 2009: 125-126). ზოგიერთი ნაციონალისტური დოქტრინა (ნასერის ეგვიპტეში, ბენ ბელას და ბუმედიანის ალჟირში, კადაფის ლიბიაში, ზულ-ფიკარ ბჰუტოს პაკისტანში, ალი შარიათის ირანში) შეზღუდულად ინტეგრირებულ იქნა მუსლიმური სოციალიზმის იდეებთან (Rosenthal, 1965).

1920-1960 წწ.-ში მუსლიმურ ქვეყნებში დომინირებდა ნაციონალიზმი, თუმცა ისლამი რჩებოდა ყველგან მისი იდეოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილად. მაგრამ შემდგომ ისლამთან შედარებით უკანა პლანზე გადავიდა. მრავალი ფაქტორიდან, რომელთაც განსაზღვრეს ნაციონალისტების წარუმატებლობა, გამოვყოფთ ორს: ნაციონალისტთა ყველაზე პოპულარული ლიდერებისთვისაც კი ძნელი იყო უზრუნველეყოთ საუკუნეობრივი ეკონომიკური და ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, რადგანაც ისინი არ ფლობდნენ მნიშვნელოვან კაპიტალს, კვალიფიციურ კადრებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს და სხვ. ამას დაემატა დემოგრაფიული აფეთქება მუსლიმურ ქვეყნებში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რამაც უკიდურესად გაართულა მათ წინაშე მდგარი პრობლემები.[11] თუმცა, ყვე-

11 1955-1970წწ. მოსახლეობა ალჟირში გაიზარდა 41,2%-ით, ბანგლადეშში – 46,6% -ით, ეგვიპტეში – 42,9%-ით, ინდონეზიაში – 39%-ით, ირანში – 49,4%-ით, მაროკოში – 51,5%-ით, პაკისტანში – 48,6%-ით, თურქეთში – 48,3%-ით.

ლაზე სერიოზული ბრალდება ნაციონალისტებისადმი იყო იმ პროგრამის შეუსრულებლობა, რომელიც ითვალისწინებდა რეალური დამოუკიდებლობის რეალიზაციას.

ისლამური ნაციონალიზმის წიაღში წარმოიშვა ისლამიზმი, რომელიც ნაციონალიზმის დასუსტებასთან ერთად გაძლიერდა. ტერმინი ისლამიზმი იხმარება იმ სხვადასხვა სახისა და მიმართულების ორგანიზაციების აღსანიშნავად, რომლებიც ისლამში უპირველესად პოლიტიკურ იდეოლოგიას ხედავენ და მთავარ ყურადღებას ხელისუფლების საკითხს აქცევენ. ისლამიზმის მთავარი იდეა იყო ისლამის, როგორც უნივერსალური რელიგიის, როლის განმტკიცება, რომელსაც უნდა გადაეჭრა თანამედროვე საზოგადოების ყველა პრობლემა. მკვლევართა აზრით, სწორედ აქ გაჩნდა კონფლიქტი ორ ძალას შორის: პირველი განვითარების თანამედროვე პოლიტიკური მოდელებს ანიჭებდა პრიორიტეტს, ხოლო მეორე მხარს უჭერდა ტრადიციულ სულიერი ფასეულობებს (Fazlur, 2003: 137; Beverley, 2004).

1970-იან წლებში, როდესაც ნაციონალიზმა დაკარგა თავისი პოპულარობა, წინა პლანზე გამოვიდნენ მუსლიმი ფუნდამენტალისტები. ფუნდამენტალიზმი ისლამური სამყაროს იდეოლოგიური აღმავლობის მესამე ტალღას წარმოადგენს, რომელიც წარმოიშვა შემდეგი მიზეზების გამო: **1) ევროპული** სახელმწიფოების კოლონიური ექსპანსიის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა მუსლიმის ძალისხმევის გასაერთიანებლად; **2) დასავლეთის კულტურულ-იდეოლოგიურ გამოწვევაზე პასუხის გასაცემად**; 3) თავად მუსლიმებს შორის იდეოლოგიური განსხვავებების აღმოსაფხვრელად.

ისლამური ფუნდამენტალიზმი ძალიან რთული ფენომენია, რომლის გათანაბრება არც ტერორიზმთან, არც ფანატიზმთან და არც რელიგიურ ექსტრემიზმთან არ შეიძლება. ისლამური ფუნდამენტალიზმი ემყარება პირვანდელი, მუჰამადისა და ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას დროინდელი ისლამისკენ დაბრუნების იდეას. ამ პერიოდის მუსლიმური თემის იდეალიზაციიდან გამომდინარე, დანარჩენი ისტორია, როგორც საზოგადოების ჭეშმარიტი ღვთაებრივი გზიდან გადახვევა, უარყოფილია.

XX საუკუნეში სხვადასხვა ქვეყნის მუსლიმები ორივე მსოფლიო ომსა და მრავალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იღებდნენ მონაწილეობას, ისლამურმა სახელმწიფოებმა გასულ საუკუნეში არაერთი ეკონომიკური კრიზისი, პოლიტიკური გადატრიალება, საზოგადოებრივი სტრუქტურისა და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის რადიკალური ტრანსფორმაცია განიცადეს, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო კავშირებში ჩართვითა და მასთან დაკავშირებული დასავლური ეთიკის, ესთეტიკის, კულტურისა და ტექნოლოგიების გავლენასთან მტკივნეული ადაპტაციით, რასაც თან ახლდა აღმოსავლური საზოგადოების ზოგიერთი სექტორისა და ფენის „ვესტერნიზაცია". ისლამური რადიკალიზმის ზრდის ერთ-ერთი არსებითი ხელშემწყობი ფაქტორი სწორედ დასავლეთის პოლიტიკური და კულტურული ექსპანსიაა. მუსლიმებმა თავის თავზე აიღეს აღმოსავლეთის თვითმყოფადობის დაცვა და დაუპირისპირდნენ დასავლეთის მოდერნიზაციასა და ვესტერნიზაციას. მაქსიმალურად ცდილობდნენ დაეცვათ წარსულის რელიგიური, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობა. ისლამური საზოგადოების რეაქცია ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ფუნდამენტალიზმის სახით გამოვლინდა (Moussalli, 1999: 45-52; Fazlur, 2003: 132;143).

> „ისლამიზმის ზოგიერთი იდეოლოგის მხრიდან დასავლური დემოკრატიის კრიტიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც ზოგადი პროტესტი ევროპული კოლონიური გავლენის წინააღმდეგ და არა დემოკრატიის ტოტალური არმიღება" (Esposito & Piscatori, 1991: 434).

ბუნებრივია, რომ მუსლიმური სახელმწიფოები ფართოდ სარგებლობენ მოდერნიზაციის შედეგებით ტექნიკის, მეცნიერების, ტექნოლოგიის სფეროში. XX ს-ში მუსლიმური სახელმწიფოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა საგანმანათლებლო დაწესებულებების ზრდა და მრავალრიცხოვანი ეროვნული ინტელიგენცის შექმნა, რომელიც ყოველთვის ვერ პოულობდა სამუშაოს სამშობლოში. ჟ. კეპელის აზრით, მუსლიმი ინტელიგენციის პრობლემა გახდა „არა მოდერნიზაციაზე უარის თქმა, არამედ ამ მოდერნიზაციის ისლამიზაცია" (Кепель, 2004:51).

> „მოდერნიზაციამ არა თუ არ გახადა სეკულარიზაცია პროგრესირებადი, არამედ აქცია ისლამის აღორძინების მთავარ ფაქტორად მუსლიმურ ქვეყნებში" (Esposito,1992: 23).

„საგნები – ეს კარგი მხარეა დასავლეთის... ჩვენ არ გვეშინია არც თქვენი მეცნიერების, არც თქვენი ტექნიკის. ჩვენ გვეშინია თქვენი იდეების და თქვენი ჩვეულებების."

ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შეიძლება საუბარი რადიკალიზმის ხარისხზე, არის *თაქფირის პრინციპი* (მუსლიმის დადანაშაულება ურწმუნოებაში) და დამოკიდებულება ჯიჰადთან – საღვთო ომთან. რელიგიური ჯგუფები, რომლებიც იხრებიან ექსტრემიზმისაკენ, ადანაშაულებენ ურ-

წმუნოებაში ყველა მუსლიმს, რომლებიც არ იზიარებენ მათ შეხედულებებს. ისინი აუცილებლად მიიჩნევენ ბრძოლას იმ პოლიტიკურ რეჟიმებთან, რომელთაც უარყვეს ჭეშმარიტი რწმენა. რაც შეეხებათ ზომიერებს, მათი აზრით ურწმუნოდ უნდა გამოცხადდეს ის მუსლიმი, ვინც გადაუხვია ჭეშმარიტ გზას, ხოლო ჯიჰადი ძალის გამოყენებით უნდა გამოცხადდეს თავდაცვის მიზნით, როდესაც ისლამს ემუქრება საგარეო საფრთხე. მრავალი მკვლევარი თვლის ხარიჯიზმს ყველაზე ადრეულ ექსტრემისტულ მიმდინარეობად ისლამში და თანამედროვე მუსლიმ რადიკალებს თვლიან ხარიჯიტების მემკვიდრეებად. მმართველი-ტირანი უნდა დაემხოს, ამბობდნენ ხარიჯიტები. მათ მესამე მართლმორწმუნე ხალიფა უსმანი (644-656), რომელის ხარიჯიტებმა ტირანად ჩათვალეს, ქაფირად გამოაცხადეს (Brown, 2000: 35-37; Zeidan, 2003; *Islam in the Political Process*, 1983:7).

> ჰასან ალ-ბანა თვლიდა, რომ მუსლიმი შეიძლება დაადანაშაულო ურწმუნოებაში მხოლოდ ოთხი „დანაშაულის“ საფუძველზე: „როდესაც ადამიანი ღიად გამოთქვამს ეჭვს ისლამის ჭეშმარიტებაზე და უარყოფს მის 5 ბურჯს; უარყოფს ყურანს; განმარტავს ყურანს თავისი შეხედულებისამებრ და არა საყოველთაოდ მიღებული წესების მიხედვით; ჩადის ისეთ ქმედებებს, რაც შედის სასიკვდილო ცოდვების კლასიფიკაციაში“. ასოციაციის დამფუძნებლის აზრით, „თუ ადამიანი წარმოთქვამს შაჰადას („არ არის ღვთაება გარდა ალაჰისა და მუჰამადია მისი მოციქული“) და ასრულებს ისლამის ელემენტარულ მოთხოვნებს (ლოცვა, მარხვა და ა.შ.), ეს საკმარისია, რომ ის ჩაითვალოს მუსლიმად, თუნდაც მან გამოთქვას არასწორი თვალსაზრისი ან ჩაიდინოს ცოდვა“ (ციტ. http://www. almaqdese.com/books).

1970-იან წლებში ისლამის რადიკალიზაცია გამოიწვია შემდეგმა მიზეზებმა: 1. პალესტინის პრობლემა, რამაც ხელი შეუწყო რადიკალური განწყობილებების ზრდას არაბულ სამყაროში. 1970-იანი წლების დასაწყისში მრავალი პალესტინური ორგანიზაცია მიმართავდა ტერორს ისრაელელთა და ზოგადად დასავლეთის წინააღმდეგ, გახშირდა თვითმფრინავების გატაცებები, მძევლების აყვანა, ძალადობის აქტები. **2. 1970 წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა ნება დართო „მუსლიმი ძმე**ბის“ ორგანიზაციას განეახლებინათ მოღვაწეობა ეგვიპტეში. უკვე 1979 წლიდან, დაიწყო კონფლიქტი „მუსლიმ ძმებსა“ და ეგვიპტის ხელისუფლებას შორის (ისრაელთან სეპარატული ზავის ხელმოწერის გამო) და ტერორისტულმა აქტებმა მოიცვა ქვეყანა; **3. სირიაში 1970-იანი წლების II ნახევარში „მუს**ლიმმა ძმებმა“ მოაწყვეს ორგანიზებული ამბოხება პრეზიდენტ ჰაფეზ ასადის წინააღმდეგ. მათ მოახერხეს ორი ქალაქის, ჰამასა და ალეპოს, დაკავება. არმია იძულებული გახდა შტურმით აეღო ქალაქები, ავიაციისა და მძიმე ტექნიკის გამოყენებით; 4. მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუცია; **5. 1979-1989წწ. ომმა ავღანეთში ხელი შეუწყო მუსლიმი ექსტრემის**ტების ფანატიზმს და მათ რიგებში აღმოჩნდა ათი ათასობით მოხალისე-მოჯაჰედი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება მუსლიმური მოსახლეობის ზრდა არაისლამურ სამყაროში, განსაკუთრებით დასავლეთში. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მუსლიმთა რიცხვი ევროპასა და დსთ-ის ქვეყნებში გაიზარდა **4-ჯერ, აშშ-სა და კანადაში – 20-ჯერ. პრობლემას წარ**მოადგენს არა მუსლიმთა რაოდენობა, არამედ მათ სტატუსი. მათი უმრავლესობა შრომითი მიგრანტები არიან (Игнатенко, 2004).

ამის გარდა, არსებობდა შიდა პრობლემების მთელი კომპლექსი: ეკონომიკური კრიზისი, სოფლის მოსახლეობის მიგრაციის არაპროპორციულად მაღალი ტემპები, უმუშევრობა, კორუფციის მაღალი დონე უმაღლეს ეშელონებში, მცირე მეწარმეებისა და ვაჭარ-ხელოსნების უკმაყოფილება კონკრეტული საკანონმდებლო აქტებით, ადამიანის უფლებების დარღვევა, რეპრესიები ისლამისტების წინააღმდეგ,[12] შეზღუდვები ლეგალურ პოლიტიკურ საქმიანობაში, ეთნიკური და კონფესიური პრობლემები და სხვ. ისლამისტების წარუმატებლობამ ავღანეთში, პალესტინაში, ჩეჩნეთსა და ერაყში ხელი შეუწყო ისლამისტური ორგანიზაციების გააქტიურებას მსოფლიოში და გახდა ისლამის რადიკალიზაციის ერთი-ერთი ფაქტორი.

დაბოლოს, ისლამიზმის ისტორიაში შეიძლება გამოიყოს *სამი პერიოდი*:

1. *პირველი ეტაპი*, რეფორმიზმის პერიოდი (XVIIII ს. შუა წლები – XIX ს. შუა წლები) – ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია რელიგიური მოძრაობის აღმავლობა ოსმალეთის იმპერიის პრო-

12 რეპრესიების გამოყენება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სახელმწიფოს „რეაქცია“, როგორც მისი ადეკვატური პასუხი მცდელობაზე ზიანი მიაყენონ არსებულ წყობას. სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკა უნდა განხილულ იქნეს როგორც ანტისახელმწიფოებრივი ძალადობის ფუნდამენტური წყარო (Burgat, 1993: 39-40).

ვინციებში, მოწოდებით ისლამის ტრადიციული განმარტებების გადახედვისაკენ, მის გაწმენდისაკენ სიახლეებისაგან (*ბიდა'*). ამ მოძრაობებს შორის იყო: ვაჰაბიტების მოძრაობა ნეჯდში, სენუსიტების ლიბიაში და მაჰდისტების სუდანში. სწორედ ამ პერიოდში დასავლეთის ზეწოლით ოსმალეთის სულტნებმა დაიწყეს სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმები.

2. *მეორე ეტაპი* (XIX ს. ბოლო – XXს-ის დასაწყისი) – კოლონიალიზმის ეპოქა, როდესაც მუსლიმური მიწების დიდი ნაწილი აღმოჩნდა კოლონიური მმართველობის ქვეშ, ხოლო ვესტერნიზაციის დაჩქარებულმა ტემპებმა გამოიწვია ისლამური თვითიდენტიფიკაციის ღრმა კრიზისი. იმავდროულად ეს პერიოდი დაკავშირებული ისეთი მუსლიმი რეფორმატორების მოღვაწეობასთან, როგორებიცაა ჯამალ ად-დინ ალ-ავღანი, მუჰამად აბდუ და რაშიდ რიდა, რომლებიც ცდილობდნენ ისლამის ზოგიერთი დებულება შეეთავსებინათ მიმდინარე ცვლილებებთან. თუმცა, ვესტერნიზაციის წარუმატებელი ფორმები თვით ვესტერნიზაციის იდეის დისკრედიტაციას ახდენდა მუსლიმთა ცნობიერებაში და ხელს უწყობდა ისლამისტური კონცეფციების პოპულარიზაციას.
3. *მესამე ეტაპი* – პოსტკოლონიალიზმის ეპოქა დაიწყო პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და დაკავშირებული იყო უშუალოდ ისლამიზმის გაძლიერებასთან. უკვე ანტიკოლონიური ბრძოლის საწყის ეტაპზე ჩამოყალიბდა ორი ბანაკი, რომლებიც იდგნენ ისლამიზმისა და სეკულარიზმის პოზიციებზე. მართალია, მრავალი ანტიკოლონიური მოძრაობა აღმოცენდა ისლამის ლოზუნგებით, მაგრამ მათი ლიდერები, რომელთაც დასავლური სამოქალაქო განათლება ჰქონდათ მიღებული, თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარების პერსპექტივებს ხედავდნენ დასავლური მოდელის გადმოღებაში. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ცალკეულმა მმართველმა ელიტებმა დაიწყო გარდაქმნები მუსლიმურ საზოგადოებაში სეკულარისტული ლოზუნგებით, რამაც გამოიწვია მძლავრი ისლამისტური მოძრაობების წარმოქმნა. ისლამიზმის ძირითადი იდეა გახდა დოგმატი – ისლამი უნივერსალური რელიგიაა, რომელსაც შეუძლია გადაჭრას თანამედროვე საზოგადოების ყველა პრობლემა.

ამჟამად მსოფლიოში მოქმედებს არაერთი ისლამური მოძრაობა, მრავალრიცხოვანი ისლამური საზოგადოებები, ფრონტები, პარტიები და სხვ. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტრუქტურით, წევრთა რაოდენობით, საზოგადოების ისლამიზაციისათვის ბრძოლის სტრატეგიითა და ტაქტიკით, მმართველობის სხვადასხვა რეჟიმებზე ორიენტაციით, დაფინანსების წყაროებით და ბოლოს რელიგიური კუთვნილებით (სუნიტები ან შიიტები). თუმცა, მათ აერთიანებთ საერთო იდეოლოგია.

ტერმინი „ტერორიზმი" ნიშნავს წინასწარგანზრახულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობას.

ტერმინი „საერთაშორისო ტერორიზმი" ნიშნავს ტერორიზმს, რომლის შედეგები აისახება ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეებსა და ტერიტორიაზე.

პირველად ტერორიზმი განსაზღვრულ იქნა ერთა ლიგის 1937 წლის დოკუმენტში – „კონვენცია ტერორისტული აქტების აღსაკვეთად და რეაგირებისათვის." აღნიშნულ დოკუმენტში განმარტებულია ტერორისტული აქტები – „დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც ჩადენილია სხვა სახელმწიფოს ან მისი მოქალაქეების წინააღმდეგ იმისათვის, რომ გამოიწვიოს შიში ცალკეულ პირთა, პირთა ჯგუფს ან მოსახლეობას შორის."

მრავალი მკვლევარი იზიარებს ტერორიზმთან დაკავშირებით ასეთ განმარტებებს: ტერორი – რეპრესიების პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურები; ტერორიზმი – ძალადობა, გამოყენებული ოპოზიციის მიერ; ტერორის იარაღი – რეპრესიები; ტერორიზმის იარაღი – ტერორისტული აქტები.

ინდოელი იურისტის ე. ტუაგის გამოთვლით, **1936-1986 წლებში შემოთავაზებულ იქნა ტერორიზმის** განმარტების 115 ვარიანტი.

http://www.state.gov/www/global/terrorism/1999report/intro.htm

ამერიკელი მკვლევრის ნ. ლივინგსტონის განმარტებით, „ტერორიზმის მიზანი უფრო მეტად მდგომარეობს არა განსაზღვრული რეჟიმის ან პოლიტიკური სისტემის დამხობაში, მაშინაც კი, როდესაც ეს შესაძლებელია, არამედ იმაში, რომ დააშინოს მოწინააღმდეგე, გააკეთოს განცხადება ან მიაპყროს ყურადღება რაიმე პრობლემას" (*Defense Planning*, 1984: 169).

არსებობს ტერორისტული ორგანიზაციების კლასიფიკაცია, მათი წარმოშობის მიზეზების მიხედვით:

პირველი ჯგუფი: საზოგადოების სხვადასხვა ფენების მიერ პოლიტიკური სისტემის დასავლური მოდელის უარყოფა. ალტერნატივის სახით წამოყენებულია მმართველობის ისლამური ფორმა, უფრო ფართო გაგებით, ისლამური სახალიფო მალაიზიიდან მაროკომდე.

ამ ტიპის ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: *ალ-ჯამა"ა ალ-ისლამიიდა* (ისლამური ჯგუფი – ეგვიპტე, დაარსდა დაახლ. 1970წ. ხელმძღვანელი – მუჰამად ჰასან ხალილ ალ-ჰაქიმი, მეტსახელი აბუ ჯიჰად ალ-მასრი); *თანზიმ ალ-ჯიჰად* (ორგანიზაცია ალ-ჯიჰადი) – დაარსდა1975წ. ალექსანდრიაში (ეგვიპტე); *მუსლიმი ძმების ასოციაცია* (ეგვიპტე, დაარსდა 1928წ.); სირიის *მუსლიმები ძმების ორგანიზაცია* (1970-იანი წლებიდან არსებობს); საუდის არაბეთის *ახალი იხვანები*, რომელთაც განახორციელეს მექის მეჩეთზე თავდასხმა 1979 წელს); *მოჯაჰედდინ-ე ხალყ* („ხალხის სამართლიანი საქმისათვის მებრძოლები") – დაარსდა ირანში 1965წ. შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად, შემდგომ კი იბრძოდა ისლამური რეჟიმის წინააღმდეგ.[13]

მეორე ჯგუფი: აქვს პალესტინური საფუძველი. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ პალესტინის ტერიტორიაზე, მუსლიმური ქვეყნების მხრიდან გამოიწვია სამხედრო მცდელობები, გაენადგურებინათ ისრაელი. ასეთი ორგანიზაციაა *ჰიზბალაჰი* (*ჰეზბოლა*) (ლიბანი), რომელიც ზოგჯერ გამოდის სახელით „ისლამური ჯიჰადი."

მესამე ჯგუფი: დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის შეჭრასთან ავღანეთში და იმ მეთოდებთან, რაც მათ გამოიყენეს ავღანეთის საზოგადოებაში 1980-იან წლებში. საბჭოთა კავშირის შეჭრის დროს ჩამოყალიბდა თავისებური სამკუთხედი: ტერიტორია მოჯაჰედების მოსამზადებლად და ორგანიზებული გადაადგილებისათვის მისცა პაკისტანმა; აშშ-მა მისცა იარაღი; საუდის არაბეთი აფინანსებდა ამ ღონისძიებებს, მაგრამ საჭირო იყო დიდი ადამიანური რესურსი. ამ ტიპის ორგანიზაციებს შორის ყველაზე ცნობილია *ალ-კა'იდა*.

მეოთხე ჯგუფი: პოსტკოლონიალური კონფლიქტების და რეგიონალური დაძაბულობის მოუწესრიგებლობა. ასეთ ორგანიზაციებს განეკუთვნება „ისლამური ჯიჰადის მოძრაობა," სუნიტური ექსტრემისტული ჯგუფის *დეობანდ*ის მიმდევრები, დაარსდა 1980 წელს. პაკისტანის ტერიტორიაზე მოქმედებს ამ ტიპის ორგანიზაციები ქაშმირის შესაერთებლად პაკისტანისათვის.

ალ-კა'იდა

XX ს-ის მეორე ნახევარში ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირანის ისლამურმა რევოლუციამ და სსრკ-ის შეჭრამ ავღანეთში.[14] აშშ-ს, საუდის არაბეთის და პაკისტანის სპეცსამსახურებმა მონაწილეობა მიიღეს მოჯაჰედების მომზადებაში, რომელთაც აფინანსებდნენ და ამარაგებდნენ იარაღით. ავღანური პარტიის *ჰეზბ-ე ისლამ*ის აქტივისტები შეადგენდნენ ავღანეთის აჯანყებული არმიის ბირთვს, რომლებიც გამოდიოდნენ ავღანეთის მთავრობისა და მისი მხარდამჭერი საბჭოთა არმიის წინააღმდეგ. ჯიჰადმა ავღანეთში ხელი შეუწყო ისლამისტური მოძრაობის ევოლუციას მისი რადიკალიზაციისაკენ.

სსრკ-ის წინააღმდეგ ომმა მიიზიდა ჯიჰადისტები მთელი მსოფლიოდან. თუმცა ავღანეთმა, მასშტაბური დახმარების მიუხედავად, ვერ მიიღო ვერც მშვიდობა, ვერც თავისუფლება, და დღემდე რჩება სამყაროს ცხელ წერტილად. XXს-ის 80-იანი წლებიდან ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღეს მოხალისეებმა 43 სხვადასხვა ქვეყნიდან. სხვადასხვა მონაცემებით, მათი რაოდენობა შეადგენდა 8-დან 25 ათასამდე ადამიანს. 1989 წლის 15 თებერვალს უკანასკნელმა საბჭოთა ჯარისკაცმა დატოვა ავღანეთი. აშშ-მა თავისი მისია – მოწინააღმდეგის დასუსტება – შესრულებულად ჩათვალა და შეწყვიტა ჯიჰადის დაფინანსება. გუშინდელი „თავისუფლებისათვის მებრძოლები" ტერორისტებად იქცნენ. 1988 წლის აგვისტოში ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა პაკისტანელი დიქტატორი გენერალი ზია ულ-ჰაკი, რომელიც თავს თვლიდა ალ-მავდუდის მიმდევრად. ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბენაზირ ბჰუტომ, რომლის მამა დააპატიმრა ზია ულ-ჰაკმა, ყვე-

13 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ამჟამად ეს ჯგუფი ამოღებული აქვს ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან.

14 აშშ-ს აშფოთებდა ის ფაქტი, სსრკ-ს შეიძლებოდა განეხორციელებინა თავისი მიზნები – დაუფლებოდა სპარსეთის ყურის წყლებს და შესაბამისად, ნავთობის საბადოებს. საუდის არაბეთს, თავის მხრივ, ეშინოდა ირანის რევოლუციის რეზონანსის – 1979 წელს ტერორისტთა ჯგუფის მიერ მექაში ალ-ჰარამის მეჩეთის დაკავებამ, რომლის დროსაც ასეულობით ადამიანი დაიღუპა, აჩვენა თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს ოპოზიციურად განწყობილი მუსლიმების უკმაყოფილებას თვით საუდის არაბეთში.

ლაფერი გააკეთა ჯერ კიდევ ალ-მავდუდის მიერ დაარსებული *ჯამ'ა ალ-ისლამ*ის დასასუსტებლად, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ავღანელ ისლამისტებთან. საუდის არაბეთმა დაკარგა ინტერესი ავღანეთისა და პაკისტანისადმიც. სსრკ-ში კრიზისი იყო, ირანი დასუსტდა ირან-ერაყის ომის შემდეგ. საუდის არაბეთის მიერ დახმარების შეწყვეტა ისლამისტებისათვის ავღანეთში მოჯაჰედებმა მიიღეს, როგორც ჯიჰადის იდეალებისადმი ღალატი. 1990 წლის აგვისტოში ერაყი შეიჭრა ქუვეითში. შექმნილ ვითარებაში საუდის არაბეთის მეფე დათანხმდა სამეფოს ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო კონტინგენტის განლაგებას. ამ მომენტიდან საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი გახდა ისლამისტების თავდასხმის ობიექტი. ჯიჰადის ვეტერანების ინტერნაციონალური ბრიგადა აღარ კონტროლდებოდა. ავღანეთის ისლამისტები, ჯიჰადის „თავისუფალ მებრძოლებად" იქცნენ, რომლებიც მზად იყვნენ წასულიყვნენ ნებისმიერ ადგილას და ებრძოლათ თავიანთი იდეალებისათვის. მათ შორის იყო *უსამა ბინ ლადინი*, რომელიც ოდესღაც წარმოადგენდა საუდის არაბეთის ინტერესებს და მჭიდროდ იყო დაკავშირებული საუდის არაბეთის და ამერიკის სპეცსამსახურებთან (Migaux, 2007: 314-317).

> უსამა ბინ ლადინი დაიბადა 1957 წელს. 54 და-ძმიდან უსამა მე-17 შვილი იყო. დედა სირიული წარმოშობის (მისთვის უსამა იყო ერთადერთი ვაჟი). მამა – მუჰამად ბინ ლადინი, პროფესიით ქვისმთლელი იყო ჰადრამავთიდან (იემენი), რომელიც XX ს-ის **30-იან წლებში გადავიდა საუდის არაბეთ**ში, სადაც მაშინვე შეამჩნია სამეფო კარმა. ამის წყალობით ის გახდა ცნობილი ბიზნესმენი, სამეფოს ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეთა ძირითადი განმკარგულებელი.[15] გარდაცვალების მომენტში მისი ქონება შეადგენდა 11 მლნ დოლარს. მუჰამად ბინ ლადინის შვილები ადრეული წლებიდანვე სწავლობდნენ საუდის პრინცებთან ერთად. უსამა განათლებით მშენებელი ინჟინერი იყო; სწავლობდა ჯიდდაში მეფე აბდ ალ-აზიზის უნივერსიტეტში; გაიარა სავალდებულო რელიგიური განათლების კურსი. მისი მასწავლებლები იყვნენ მუჰამად კუტბი (საიდ კუტბის ძმა) და აბდულაჰ აზამი – ავღანური ჯიჰადის მომავალი სულიერი ლიდერი.
>
> ერთ-ერთ ინტერვიუში უსამა ყვებოდა, რომ ომის დროს ავღანეთში მასზე მოხდა ღვთიური გამოცხადების გარდმოვლენა, როდესაც საარტილერიო ჭურვი დაეცა მისგან რამდენიმე მეტრში და არ აფეთქდა. ეს შემთხვევა მან ჩათვალა ალაჰის გამოცხადებად, რაც მიუთითებდა მას ისლამის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისაკენ.
>
> მომავალი ტერორისტი №1 ცნობილი გახდა ისლამისტურ წრეებში 1980-იან წლებში, როგორც ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი არაბი მოხალისეებისა, რომლებიც იბრძოდნენ ავღანეთში. პოლიტიკური ისლამის თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, ბინ ლადინი პირადად იღებდა მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში, საბჭოთა არმიის წინააღმდეგ და უშიშარი მებრძოლი იყო (Kepel, 2002: 46-57).

ამტკიცებენ, რომ მისი ცხოვრება შეცვალა ორმა ფაქტმა: პირველი – საუდის არაბეთის სპეცსამსახურის უფროსთან, პრინც თურქ იბნ ფაისალ იბნ აბდ ალ-აზიზთან შეხვედრა **1978 წელს ჯიდდა**ში და მეორე – **1 წლის შემდეგ პაკისტანის ქალაქ ფეშავარში შეხვედრა ცნობილ პალესტინელ მქა**დაგებელთან, „მუსლიმი ძმების" წევრთან აბდულაჰ აზამთან, რომელიც გახდა უსამას „სულიერი მამა."

> აბდულაჰ აზამი (*'აბდულლაჰ 'აზზამ*) დაიბადა ჯანინის პროვინციაში (მდ. იორდანეს დას. ნაპირი), პალესტინაში 1941 წელს. დაამთავრა დამასკოს უნივერსიტეტი (1966) და კაიროს უნივერსიტეტი **(1969), სპეციალობით ისლამური სამართალი (ალ-აზჰარში მიიღო მაგისტრის ხარისხი). ასწავლიდა ამა**ნის უნივერსიტეტსა (იორდანია) და მეფე აბდ ალ-აზიზის უნივერსიტეტში ჯიდდაში (საუდის არაბეთი).
>
> მისი ძირითადი მიზანი იყო პალესტინის სრული ისლამიზაცია და შესაბამისად: „არა მოლაპარაკებებს, არა კონფერენციებს, არა დიალოგს."
>
> აზამის პროგრამა:
>
> – „ისლამური ინტერნაციონალის" შექმნა და მასში მუსლიმი მოხალისეების მიღება მთელი მსოფლიოდან ავღანელი მოჯაჰედების დასახმარებლად;
>
> – გლობალური ისლამური ტერორისტული ქსელის დაარსება მოხალისეებსა და რადიკალურ ისლამურ მოძრაობებს შორის კავშირების დარეგულირების საშუალებით;

15 ამ პერიოდში უსამას ოჯახმა მიიღო 1983 წლის საუკუნის კონტრაქტი – 3 მლრდ დოლარის ღირებულების – მექისა და მედინის მეჩეთების რესტავრაცია; მუჰამად ბინ ლადინმა ააშენა აგრეთვე მეფის სასახლე არ-რიადში.

– დაუმარცხებლობის მითის შექმნა. საბჭოთა ჯარებს გამოყვანა ავღანეთიდან – ეს არის ისლამის გამარჯვება და ამ გამარჯვების საერთაშორისო რეზონანსი გახდება შთაგონების წყარო მთელი მსოფლიოს მუსლიმებისათვის;

ფართო და მტკიცე საკადრო ბაზის შექმნა მოტივირებული და გამოცდილი მებრძოლების ბაზაზე, რომელთაც შეუძლიათ ისლამური რევოლუციის ექსპორტი."

თავისი შეხედულებები საღვთო ომზე მან გადმოსცა ჯიჰადის 5 ტომიან ენციკლოპედიაში.

აზამი დაიღუპა სამი ბომბის აფეთქების შედეგად 1989 წლის 24 ნოემბერს[16] (Migaux, 2007: 314-315).

1984 წელს უსამა ბინ ლადინმა და აბდულაჰ აზამმა დააარსეს ორგანიზაცია „*მაქთაბა ალ-ხიდმა*," რომელიც დაკავებული იყო მოხალისეების რეკრუტირებით და სახსრების შეგროვებით ავღანელი მებრძოლებისათვის. მარტო აშშ-ში ამ ორგანიზაციას 33 წარმომადგენლობა ჰქონდა სხვადასხვა შტატში. ორგანიზაციაში გაერთიანდნენ დაახლ. **20 ისლამური ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენლები**, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ავღანელი მოჯაჰედების დახმარებაში, საუდის არაბეთისა და ქუვეითის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციების თანადგომით. ეს უკანასკნელი ორი ორგანიზაცია გახდა ძირითადი ინვესტორი ავღანელი მოჯაჰედებისა – ყოველწლიურად ისინი აგროვებდნენ არაბულ ქვეყნებში დაახლ. **600 მლნ დოლარს. უსამა ბინ ლადინმა მოიპოვა რწმენისათვის მებრძოლის** რეპუტაცია და მან **1984-1986 წლებში ბევრი იმოგზაურა არაბულ ქვეყნებში სახსრების მოსაზიდად.** არაბი მოჯაჰედების დაფინასებაში დიდი როლი შეასრულა საუდის პრინცმა თურქ იბნ ფაისალმა. სწორედ მისი დახმარებით დაიწყო არაბი მოხალისეების შეკრება ავღანეთში გასაგზავნად. ამ პერიოდში აზამი იყო ჯიჰადის მთავარი იდეოლოგი ავღანეთში. მისი შეხედულებით, „ამ რელიგიური ვალდებულების შესრულება არ შეწყდება ავღანეთში გამარჯვებით და ჯიჰადი დარჩება თითოეული მუსლიმის ინდივიდუალურ მოვალეობად იქამდე, ვიდრე ჩვენ არ დავბრუნდებით ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობენ მუსლიმები, რათა იქ კვლავ გამეფდეს ისლამი, იქნება ეს პალესტინაში, ბუხარაში, ჩადში, ლიბანში, ერითრეაში, სომალიში, ფილიპინებზე, ბირმაში, სამხრეთ იემენში, ტაშკენტსა და ანდალუსიაშიც კი" (Walzer, 1995: 89-96).

მოგვიანებით, 1988 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე საბჭოთა ჯარები გავიდოდა ავღანეთიდან, ამ ორგანიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა *ალ-კა'იდა ას-სულბა* (მტკიცე საფუძველი).[17] 1988 წელს ალ-აზამიმ ასე აღწერა ალ-კაიდას დანიშნულება: „თითოეული პრინციპის გატარებას სჭირდება წინამძღოლი, რომელიც თავის თავზე აიღებს მათ განხორციელებას, გადაწყვეტს რთულ საკითხებს, და დიდ მსხვერპლს გაიღებს. არ არსებობს იდეოლოგია, ზეციერი თუ მიწიერი, რომელიც წინამძღოლს არ მოითხოვს, რომელიც ამ გამარჯვების სანაცვლოდ, რაც კი ეკუთვნის, ყველაფერს გასცემს. ის ალმით წმინდა, დაუსრულებელ გზას გადის, ვიდრე მიზანს არ მიაღწევს. *ალ-კა'იდა ას-სულბა* ასეთ წინამძღოლს აფუძნებს" (Migaux, 2007: 315).

ორგანიზაცია დღევანდელი სახით ჩამოყალიბდა **1998 წელს, როდესაც მას შეუერთდა ისლამისტური** სტრუქტურები: ეგვიპტური *ალ-ჯიჰად* (ხელმძღვანელი აიმან აზ-ზავაჰირი; *ალ-ჯამა'ა ალ-ისლამიიდა* (ეგვიპტე, ხელმძღვანელი – რიფაი აჰმად ტაჰა); პაკისტანის ულემთა ასოციაცია *ჰარაქათ ალ-ანსარ* (გენერალური მდივანი – ამირ ჰამზა); ბანგლადეშის ჯიჰადის მოძრაობა *ჰარაქათ ალ-ჯიჰად* (ხელმძღვანელი – აშ-შაიხ აბდ ალ-სალამ მუჰამადი). **1998 წლის კომუნიკეთი შეიქმნა „მსოფლიო ისლამური** ფრონტი ჯიჰადისათვის ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ." ორგანიზაციის ოფიციალური დაარსების თარიღად ითვლება **1998 წლის 12 თებერვალი, როდესაც გამოქვეყნდა ფრონტის ფათვა**, სადაც ხაზგასმული იყო, რომ „თითოეული მუსლიმის რელიგიურ ვალდებულებად ითვლება ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების მკვლელობა" (Lewis, B., 1998: 15). ფრონტს მაშინვე შეუერთდა საერთაშორისო მოძრაობა *ალ-მუჰაჯირუნ*, იორდანიის „მოციქულ მუჰამადის არმია," ქაშმირში მოქმედი მოძრაობა *ალ-ანსარ*. 1998 წლის მაისში ტელეარხ BBC-თვის მიცემულ ინტერვიუში უსამა ბინ ლადინმა განაცხადა: „ამერიკელებთან – ყველაზე დიდ ქურდებთან და ტერორისტებთან – ბრძოლის ერ-

16 არსებობს დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ სიკვდილამდე აზამს უთანხმოება ჰქონდა თავის მოწაფესთან - უსამა ბინ ლადინთან.

17 სახელწოდება მომდინარეობს არაბული სიტყვიდან ალ-კა'იდა – ბაზა. ასე უწოდებდნენ მებრძოლები ჯალალაბადის რაიონში არსებულ ბანაკს, რომელიც ამზადებდა მოჯაჰედებს ავღანეთში ომის დროს. ამ სახელწოდებით არსებობდა კომპიუტერულ მონაცემთა ბაზა იმ უცხოელთა შესახებ, რომლებიც ავღანეთში იყვნენ ჩამოსული ჯიჰადში მონაწილეობის მისაღებად 1979-1989წწ. იქ იყო 30,000-ზე მეტი მოხალისის დოსიე.

თადერთი გზა არის ანალოგიური მეთოდების გამოყენება, ამასთან ჩვენ არ განვასხვავებთ მათ, ვინც ატარებს [სამხედრო] ფორმას სამოქალაქო პირებისაგან."

ალ-კაიდას ქსელმა მალე მოიცვა მთელი მსოფლიო. ამერიკული სპეცსამსახურების ცნობით, უკვე 1999 წლისათვის ორგანიზაციის სტრუქტურები მოქმედებდა მსოფლიოს 24 ქვეყანაში (1995 წ. – 13-ში). ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ალბანეთი, ალჟირი, ავღანეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბოსნია, ეგვიპტე, ერაყი, თუნისი, თურქეთი, იორდანია, იემენი, ლიბანი, მალაიზია, მაროკო, პაკისტანი, ჰოლანდია, რუმინეთი, რუსეთი, საუდის არაბეთი, სირია, სომალი, სუდანი, ტანზანია. **2004 წლისათვის** კი *ალ-კაიდა* მოქმედებდა 60 ქვეყანაში.

ალ-კაიდა მუდმივად არის ტერორისტული ორგანიზაციების სიაში, რომელიც შედგენილია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. მასში არის კიდევ 13 ჯგუფი, რომლებიც დაკავშირებულია *ალ-კაიდასთან*. მათ შორისაა *ალ-ჯამა'ა ალ-ისლამიიდა*, *ალ-ჯიჰადი* (ეგვიპტე), *ჰამასი* და „ალ-აკსას წამებულთა ბრიგადები" (პალესტინა), *ჰარაქათ ალ-მუჯაჰიდინ*, *ჯაიშ-ე მუჰამედ*, *ლაშქარ-ი ჯანგი* (პაკისტანი), „შეიარაღებული ისლამური ჯგუფი" და „ქადაგებისა და ჯიჰადის სალაფიტური ჯგუფი" (ალჟირი).

ისლამისტური მოძრაობა თანამედროვე სახით შედგება სამი რგოლისაგან: პირველი – ალ-კაიდა და მასთან დაკავშირებული ჯგუფები, რომლებიც ასაზრდოებენ ჯიჰადისტურ იდეოლოგიას იმის მიუხედავად სუნიტურ მიმართულებას ეკუთვნიან თუ შიიტურს. ამ ჯგუფს ეკუთვნის რამდენიმე ათასი ადამიანი. მეორე რგოლს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც იზიარებს ისლამისტების რადიკალურ შეხედულებებს, მაგრამ პირდაპირ არ არის დაკავშირებული ალ-კაიდასთან. ამ რგოლს ეკუთვნის მუსლიმების **10-15%, დაახლ. 100-150მლნ. ადამიანი. მესამე რგოლს ეკუთვნიან ისინი, ვინც არ იზიარებს ის**ლამისტების შეხედულებებს, მაგრამ მხარს უჭერს მათ ანტიამერიკანიზმს.

2001 წლამდე *ალ-კაიდას* ხელმძღვანელი სტრუქტურა იყო *მაჯლის აშ-შურა* (საკონსულტაციო საბჭო), სათავეში – უსამა ბინ ლადინი, რომელიც იღებდა გადაწყვეტილებებს ტერაქტების შესრულებასა და მათ დაფინანსებაზე. მისი მოადგილე იყო ეგვიპტელი აიმან აზ-ზავაჰირი. ორგანიზაციულად *ალ-კაიდა*, ისე როგორც სხვა საერთაშორისო ისლამისტური სტრუქტურები, აგებულია „რგოლის" პრინციპით. 1-ლი რგოლი – „გადაწყვეტილების მიღების" საფეხური – შედგება რამდენიმე ასეული ადამიანისაგან. მე-2 რგოლი – „შემსრულებლები" – შედგება რამდენიმე ათეული ათასი ადამიანისაგან, რომლებიც გაერთიანებული არიან ავტონომიურ ჯგუფებში. თითოეულმა ჯგუფმა ერთგულების ფიცი (*ბაჲ'ა*) უნდა მისცეს ორგანიზაციის ამირას და დადოს წერილობითი კონტრაქტი მის ხელმძღვანელობასთან. ორივე რგოლის სათავეში იყო უსამა ბინ ლადინი, რომელიც ატარებდა ამირას ტიტულს. მისი მოადგილეები იყვნენ მუჰამად ატიფი, რომელიც პასუხს აგებდა სამხედრო ოპერაციებზე და აიმან აზ-ზავაჰირი.

> აზ-ზავაჰირი დაიბადა 1951 წელს ეგვიპტეში. მისი მამა იყო მაღალკვალიფიციური ექიმი, ბაბუა მამის ხაზით – ისლამური უნივერსიტეტის ალ-აზჰარის იმამი. ბაბუა დედის ხაზით – ელჩი. თვითონ აზ-ზავაჰირი ექიმია. 1974 მან წელს დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და მაშინვე შეუერთდა ეგვიპტის ისლამისტურ ორგანიზაცია *ალ-ჯიჰადს*. აზ-ზავაჰირმა 3 წელი ციხეში დაჰყო ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათზე თავდასხმის გამო. 1979 წელს ის პირველად აღმოჩნდა ავღანეთში. იქ ის დაკავებული იყო მოჯაჰედების მკურნალობით, ვინც მიიღო ჭრილობები საბჭოთა არმიასთან ბრძოლაში. იქვე შედგა მისი შეხვედრები პალესტინელებთან აბდულაჰ აზამთან, რომელიც ითვლება არაბი „ავღანელების" სულიერ მამად. აზ-ზავაჰირი იყო ბინ ლადინის პირადი ექიმი და მისი „მარჯვენა ხელი."
>
> 80-იანი წლების ბოლოს აზ-ზავაჰირმა საბოლოოდ დატოვა ეგვიპტე და გადავიდა ჯერ საუდის არაბეთში, სუდანში, შემდეგ აშშ-ში, ხოლო შემდეგ დასახლდა ავღანეთში.
>
> აზ-ზავაჰირის სახელს უკავშირდება 1995 წელს პაკისტანში ეგვიპტის საელჩოს აფეთქება, რის გამოც 1999 წელს ეგვიპტის სასამართლომ მას დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯა. დაუზუსტებელი მონაცემებით, აზ-ზავაჰირის ცოლი და მისი ვაჟი დაიღუპნენ ამერიკელთა დაბომბვის დროს ავღანეთში 2001 წელს (Wright, 2006: 45-46).

მეორე ხელმძღვანელი სტრუქტურა, საკონსულტაციო საბჭოს გარდა, არის სამხედრო სტრუქტურა, რომელიც იმუშავებს ორგანიზაციის სამხედრო ოპერაციების გეგმას. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მრავალ დამკვირვებელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ *ალ-კაიდას* ხელმძღვანელებმა, რომლებიც იზოლირებული არიან ავღანეთსა და პაკისტანს შორის სასაზღვრო ზონაში, თითქოს დაკარგეს მართვის სადავეები.

2002 წლის ბოლოს ალ-კაიდამ მიიღო გარკვეული ზომები, რათა უზრუნველეყო ხელისუფლების მემკვიდრეობითობა უსამა ბინ ლადინის გარდაცვალების შემთხვევაში. შესაბამისი უფლებამოსილება

ამ მემკვიდრეობაზე ცენტრალური ხელისუფლებისაგან მიიღეს 6 ადამიანმა, რომლებიც დამოუკიდებლად მოღვაწეობენ ავღანეთში, პაკისტანში, საუდის არაბეთში, იემენში, სომალიში. „ექვსეულის“ გამოყოფამ აამაღლა სხვადასხვა სტრუქტურების ავტონომიურობა (Wedgwood, 2002: 328-335).

2004 წლის თებერვალში გარდაქმნების შედეგად, ცვლილებები მოხდა *ალ-კაიდას* ხელმძღვანელ სტრუქტურაში – ჩამოყალიბდა ე.წ. ხელმძღვანელი საბჭო. მთელ რიგ საკითხებში ის იმართებოდა უსამა ბინ ლადინის მიერ. ამ საბჭოს საქმიანობაში შედიოდა ორგანიზაციის საქმიანობის საერთო მიმართულებების შემუშავება, ხოლო კონკრეტული გადაწყვეტილებები ტერაქტების განხორციელებაზე მიიღებოდა ადგილზე (Riedel, 2007:24: 33).

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურებმა მოახერხეს ალ-კაიდას ხელმძღვანელობის მთელი რიგი წარმომადგენლების განადგურება ან იზოლირება. 2002 წლის 28 მარტს ბინ ლადინის უახლოესი მომხრე – პალესტინელი აბუ ზუბაიდა დააპატიმრეს პაკისტანში. *ალ-კაიდაში* ის დაკავებული იყო ახალი მებრძოლების რეკრუტირებით და ტერაქტების ორგანიზაციით სხვა ქვეყნებში. 2002 წლის 5 ივნისს დააკავეს ინდონეზიაში ქუვეითის ქვეშევრდომი ომარ ალ-ფარუკი. დაპატიმრებამდე ის ხელმძღვანელობდა ალ-კაიდას ოპერაციებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. სწორედ ის გეგმავდა ტერაქტების სერიას ინდონეზიაში. ალ-ფარუკი გადასცეს ამერიკელებს და მისი ადგილსამყოფელი უცნობია. 2002 წლის 11 სექტემბერს პაკისტანის სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს იემენელი რამზი იბნ აშ-შაიბა. ის შედიოდა ალ-კაიდას ჰამბურგის ქვედანაყოფში და ითვლებოდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების კოორდინატორად. 2002 წლის 24 ოქტომბერს დიდ ბრიტანეთში დააპატიმრეს პალესტინელი ომარ მაჰმუდ აბუ ომარი (აბუ კათადა). მას თვლიან ალ-კაიდას ქსელის „სულიერ ლიდერად“ ევროპაში. 2002 წლის ოქტომბრის ბოლოს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დააპატიმრეს საუდელი აბდ არ-რაჰიმ ან-ნასირი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ალ-კაიდას ოპერაციებზე სპარსეთის ყურეში. დადგინდა აგრეთვე მისი მონაწილეობა 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში ტერაქტების ორგანიზებაში (Hellmich, 2005: 39-54).

აიმან აზ-ზავაჰირი არის ალ-კაიდას სტრატეგიის ავტორი. ამ სტრატეგიაში ის ხედავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. ორგანიზაცია უნდა აიგოს მცირე ჯგუფებზე, რომელთაც შეუძლიათ „დიდი შიში“ დათესონ „ისლამის მტრებში“. ასეთმა ჯგუფებმა უნდა ჩაატარონ აქციები, რომელთაგანაც მტერი (ამერიკელები და ებრაელები) მიიღებს უზარმაზარ დანაკარგს. მისი შეხედულებით, სწორედ ასეთი მოქმედებები არის „არის ერთადერთი ენა, რომელიც ესმის დასავლეთს“;
2. ისლამისტებმა, როგორც უფრო ეფექტური ტაქტიკური იარაღი, უნდა გამოიყენონ „მოჯაჰიდების მზადყოფნა თვითშეწირვის (სიუციდური) აქტისათვის“. სუიციდური აქტები უფრო ხელსაყრელი საშუალებაა მტერზე შურისძიების განსახორციელებლად, რაც გამორიცხავს „დიდ დანაკარგებს ჩვენი მებრძოლების მხრიდან“;
3. თითოეული რეგიონი ან ქვეყანა საჭიროებს მათი პირობების შესაბამისი ბრძოლის მეთოდების შემუშავებას;
4. ბრძოლა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი რეგიონის საზღვრებით, რადგანაც ასეთი სტრატეგია არაეფექტური იქნება.
5. ალ-კაიდას გავლენის სფეროებად ფრანგი ექსპერტები ასახელებენ 4 ზონას: *თავშესაფრების ტერიტორია, საბრძოლო მოქმედებების ტერიტორია, სატრანზიტო დერეფნები და საოპერაციო რაიონები* (Gunaratna, 2002: 24-45).

რაც შეეხება პირველ ზონას, მას შემდეგ რაც ალ-კაიდა იძულებული გახდა დროებით წასულიყო ავღანეთიდან, მან დაიწყო ალტერნატიული ტერიტორიების ძიება და ფუძნდებოდა იქ, სადაც სუსტი იყო ხელისუფლება. ამ ტერიტორიებს მიეკუთვნება – სასაზღვრო რაიონი ავღანეთსა და პაკისტანს შორის, ცალკეული რაიონები ქაშმირსა და ირანში, ლტოლვილთა რამდენიმე ბანაკი ლიბანში, იემენი, სომალის ცალკეული პროვინციები, აგრეთვე საჰელის რეგიონი. ახალი ტერიტორიების ძიება გრძელდება.

საბრძოლო მოქმედებების რაიონებად ასახელებენ ავღანეთს, ერაყს, ჩეჩნეთს და ჩრდილოეთ კავკასიას. სატრანზიტო დერეფნები განლაგებულია პირველ ორ ზონას შორის. ტერაქტები ამ ტერიტორიაზე არ ხორციელდება, რადგანაც სჭირდებათ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

ოპერაციის რაიონები ძირითადად არის მუსლიმური ქვეყნების ტერიტორიაზე, სადაც ისლამისტები ადვილად ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს, 2004 წლიდან ევროპაც საოპერაციო რაიონია.

ალ-კაიდას ქსელი შედგება 3 საფეხურისაგან: 1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რომელიც გეგმავს ტერაქტებს და მისი პირდაპირი გავლენა ვრცელდება ავღანეთსა და ერაყს შორის, აგრეთვე არა-

ბეთის ნახევარკუნძულზე და აფრიკულ რქაზე. **2. ორგანიზაციები, რომლებსაც აქვს ეროვნული საფუძ-**ველი. მათი დამოკიდებულება ალ-კაიდასთან სხვადასხვაგვარია. ერთნი არიან ფილიალები, მეორენი სარგებლობენ ალ-კაიდას სახელწოდებით, მესამენი ითვლებიან პარტნიორებად, რომლებიც წარმოადგენენ თანამოაზრეთა ჯგუფს (დაახლ. 15 ადამიანი ჯგუფში). ამ დონეს მიეკუთვნებიან „ექსპერტები", რომლებიც ასრულებენ ინსტრუქტორების როლს – ასაფეთქებლების მოხმარება, ინფორმატიკა, ყალბი დოკუმენტების დამზადება (იქვე, 54-62).

საერთაშორისო ტერორიზმის ბირთვს შეადგენენ მოჯაჰედების სამი თაობა – პირველს მიეკუთვნებიან ავღანეთის 1-ლი ომის ვეტერანები; შემდეგს – მებრძოლები, რომლებიც მომზადებული არიან ავღანეთის საწვრთნელ ბანაკებში იმ პერიოდში, როცა ამ ქვეყნის ხელისუფლებაში იყო მოძრაობა თალიბანი. მესამეს – ახალი ჯიჰადისტები, რომლებზედაც გავლენა მოახდინა ერაყის მოვლენებმა. პირველ თაობას წარმოადგენენ ისტორიული ფიგურები, მეორე იღებს გადაწყვეტილებებს, მესამე არის „შემსრულებელი." ფრანგი ექსპერტების აზრით, უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს პირველი ორი თაობა, რომელთა წარმომადგენელები გარდაიქმნენ „პროფესიონალურ რევოლუციონერებად." ისინი საკმაოდ კარგად არიან ცნობილი და რამდენიმე ათასს შეადგენენ (Riedel, 2007: 34-39).

ალ-კაიდას დაფინანსების წყაროები – უსამა ბინ ლადინის პირადი ქონება და ბიზნესი;[18] შემოწირულობები, რომლებსაც აგროვებენ საქველმოქმედო ორგანიზაციები[19] (საერთო თანხა – წლიურად 16 მლნ დოლარი; ბანკებს შორის, რომლებიც აფინანსებენ ტერორიზმს, ერთ-ერთ პირველ ადგილზეა „*Al Taqwa Management Organization*"; 1981 წელს დაარსდა კერძო ბანკი *დარ ალ-მალ ალ-ისლამ*); უკანონო შემოსავლები – ნარკობიზნესი, კონტრაბანდა, ფულის გამოძალვა კომერციული საწარმოებისათვის, მაქინაციები საკრედიტო ბარათებით. ამერიკელი ექსპერტების აზრით, **2001 წლის 11 სექ-**ტემბრის ტერაქტებამდე ალ-კაიდა ძირითადად იღებდა თანხებს საქველმოქმედო ისლამური ფონდებიდან. ამ პერიოდისათვის ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტი შეადგენდა **30 მლნ დოლარს. ეს ბიუჯე-**ტი მნიშვნელოვნად შემცირდა ავღანეთში ტალიბების რეჟიმის დაცემის შემდეგ (Adams,1986: 65-78).

2011 წლის თებერვალში სკრუპულოზურად მოზადებული ოპერაციის შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტმა ომაბამ **2011 წლის 1 მაისს გამოაცხადა, რომ ამერიკულმა კომანდომ ბინ ლადინი მოკლა ქალაქ აბო-**თაბადთან ახლოს, მის რეზიდენციაში (პარადოქსულია, მაგრამ ბინ ლადენის სახლი სულ რაღაც 1,3 კმ-ის მანძილზე მდებარეობდა პალესტინის სამხედრო აკადემიის კამპუსისგან). მისი ცხედარი ზღვაში დამარხეს. ლიდერის სიკვდილი დიდი დარტყმაა ალ-კაიდას ქსელისათვის, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს ქსელის განადგურებას ან ზოგადად ტერორიზმის საფრთხის მოსპობას.

---

18 საწარმოთა ქსელი — სუდანში, ეგვიპტეში, იემენში, ლიბანში, საუდის არაბეთში, კენიაში, ტანზანიაში, სომალიში, უგანდაში, ავღანეთში, მალაიზიაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

19 ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში ტერორისტულ აქტებში 19 მონაწილიდან 15 იყო საუდის არაბეთის მოქალაქე და შესაბამისად გაიზარდა ეჭვი საუდის არაბეთის მიმართ, რომ ის არის ტერორიზმის იდეური და ფინანსური მხარდამჭერი. ამერიკელი პოლიტოლოგების მიერ არაერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ ისლამისტებს აფინანსებდა საუდის არაბეთის საქველმოქმედო საზოგადოებები, რომლებიც აშშ-ში მეჩეთებისა და ისლამური ცენტრების საშუალებით ავრცელებდნენ ორთოდოქსულ სუნიტურ იდეოლოგიას – ჰანბალიზმს მისი უკიდურესი გამოვლინებით – ვაჰაბიზმით. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში დაარსდა 210 ისლამური ცენტრი და 1500 მეჩეთზე მეტი, რაც დაჯდა 93 მლნ. დოლარი. საუდის არაბეთის პრესის მონაცემებით, სამეფომ დააფინანსა აშშ-ში მშენებლობა შემდეგი ობიექტების: „დარ ას-სალამ"-ის ინსტიტუტი და მეჩეთი ფრენსოში (კალიფორნია); ისლამური ცენტრები – კოლუმბიაში (მისური), ისთ-ლანსინგში (მიჩიგანი), ლოს ანჯელესში (კალიფორნია), ნიუ-ბრუნსვიკში (ნიუ ჯერსი), ნიუ იორკში, ტაიდაში (მერილენდი), ტოლედოში (ოჰაიო), ვირჯინიაში; ისლამური კულტურის ცენტრი ჩიკაგოში; ფაჰდის მეჩეთი ლოს ანჯელესში, რომელიც ყველაზე დიდია და ერთდროულად 2000 მორწმუნეს შეუძლია ლოცვის შესრულება. მას აქვს სალექციო დარბაზი, სასწავლო დაწესებულებები, კვლევითი ცენტრი და წიგნის მაღაზია; დიდი სამხრეთ-დასავლეთის მეჩეთი ჩიკაგოში; უმარის (იბნ ალ-ხატაბის) მეჩეთი ლოს ანჯელესში; მეფე აბდ ალ-აზიზის სახელობის ისლამური კვლევების კათედრა კალიფორნიის უნივერსიტეტში (სანტა ბარბარა); მეფე ფაჰდის სახელობის ისლამური სამართლის კვლევების კათედრა ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის კოლეჯში; ისლამური აკადემია ვაშინგტონში (1200 სტუდენტი). 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ დაიხურა რამდენიმე ისლამური ცენტრი, ხოლო 2004 წელს დაიხურა ვაშინგტონში, საუდის არაბეთის საელჩოს ისლამური განყოფილება. ამჟამად შეერთებული შტატებში არის საუდის არაბეთის დაახლ. 5000 მოქალაქე. საუდის არაბეთში კი 30,000 ამერიკელია (www.ain-al-yaqeen.com/issues/20020301/feat3en.htm).

საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა მიშელ ალიო-მარიმ ჯერ კიდევ ბინ ლადენის სიცოცხლეში აღნიშნა: „არ ღირს ფიქრი იმაზე, რომ იმ დღეს, როცა ჩვენ დავაკავებთ ბინ ლადინს, ტერორიზმი გაქრება... მისი განადგურება არაფერს არ შეცვლის მსოფლიო ტერორიზმისათვის."

– 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ალ-კაიდამ გარკვეული გავლენა მოახდინა დასავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე – ნებისმიერი საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც ეხება მუსლიმურ ქვეყნებს, ისინი იძულებული არიან გაითვალისწინონ ისლამური ფაქტორი;

– ალ-კაიდამ გამარჯვება მოიპოვა პროპაგანდისტული ომის ფრონტზე, შეძლო დაეკავშირებინა ტერორიზმი რეგიონულ კრიზისებთან, მაგ., არაბ-ისრაელის კონფლიქტთან.

ლიბანის შიიტური ისლამისტური ორგანიზაცია ჰიზბალაჰი

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-მა წამოიწყო ანტიტერორისტული კამპანია. ამერიკის სპეცსამსახურებმა გამოაქვეყნეს სია 22 ტერორისტული ჯგუფის, რომელთა უმრავლესობა მუსლიმურია. ლიბანის *ჰიზბალაჰი* (=*ჰეზბოლა*) მათ რიცხვში.[20] ის არის არა მარტო ლიბანში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების მონაწილე. ჯერ კიდევ 1999 წელს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიაკუთვნა ის 28 ყველაზე უფრო საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციის სახელწოდება ნიშნავს „ალაჰის პარტიას." მოძრაობა, რომელიც თავის მიზნად ასახელებს ლიბანის მთელი მოსახლეობის ინტერესების გამოხატვას. მისი სოციალური პოლიტიკა – დანგრეული შენობების აღდგენა, სკოლების, საავადმყოფოების, სუპერმარკეტების მშენებლობა – საკმაოდ დადებით იმიჯს უქმნის ლიბანის მოსახლეობაში (უპირველესად შიიტთა შორის). ჰიზბალაჰის წევრები იმავდროულად არიან ლიბანის პარლამენტის წევრები.

ისრაელის ინტერნეტ-საიტებზე ეს ორგანიზაცია ამგვარადაა მოხსენიებული: „შიიტური მიმართულების ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია, რომელიც იმყოფება სირიის და ირანის კონტროლქვეშ" (www.ict.org.il). ორგანიზაციის მოქმედების ძირითადი შედეგი გახდა ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანა 20 წლიანი ოკუპაციის შემდეგ (2005). ირანი ფინანსურ დახმარებას უწევს ამ ორგანიზაციას თავისი იდეოლოგიური გავლენის გავრცელების მიზნით. არაოფიციალურად ცნობილია, რომ ირანის ფინანსური დახმარება ჰიზბალაჰისადმი ყოველწლიურად 80 მლნ. ამერიკულ დოლარს აღწევდა, რომელიც 1997 წლისათვის 100 მლნ-მდე გაიზარდა.[21] ამას ემატება საბრძოლო მასალებით მომარაგება. სირიის ინტერესი განპირობებულია ისრაელთან მოლაპარაკებებით გოლანის მაღლობების დაბრუნების თაობაზე. პალესტინელებსაც იმედი აქვთ ჰიზბალაჰის. პალესტინის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებულია 400,000 ლტოლვილის ბედი, რომელთაც თავი შეაფარეს ლიბანს.

ჰიზბალაჰზე დიდი გავლენა მოახდინა ირანის ისლამურმა რევოლუციამ, რომელიც გახდა კატალიზატორი იმ პროცესების, რომლებიც შემდგომ განვითარდა ლიბანის შიიტურ თემში.[22] იმ დროს არსებული კონფესიური წარმომადგენლობის პირობებში უპირატესობა ენიჭებოდათ მუსლიმ-სუნიტებს და ქრისტიან-მარონიტებს, შიიტები კი აღმოჩნდნენ პოლიტიკური გავლენის გარეშე ლიბანში. ჰიზბალაჰის წარმოშობა მხოლოდ ირანის ისლამურ რევოლუციასთან არ არის დაკავშირებული. არამედ ნაწილობრივ ერაყის „ისლამური მოწოდების პარტიის" (*ად-და'ვა*) გავლენასაც უკავშირდება, რომელიც ბაღდადში 1959 წელს იმამ ალ-ჰაქიმმა დაარსა ისლამური მოძრაობის ასაღორძინებლად. 1969 წელს ამ პარტიის ლიდერები შეთანხმდნენ შეექმნათ ლიბანის „ისლამური მოწოდების პარტია," რომელსაც ქვეყანაში ისლამური აღორძინებისათვის უნდა შეეწყო ხელი და საფუძველი მოემზადებინა ისლამური რევოლუციისათვის. ამ მიზნით ლიბანში გაგზავნეს მუსა ას-სადრი, ჰუსაინ ფადლალაჰი და მუჰამად მაჰდი შამსუდინი. თუმცა შემდეგ, მათზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების გზებზე

---

20 აშშ-ს გარდა ჰიზბალაჰი ტერორისტულ ორგანიზაციად ცნეს აგრეთვე ნიდერლანდებმა, გაერთიანებულმა სამეფომ, ეგვიპტემ, ისრაელმა, ავსტრალიამ და კანადამ.

21 2010 წლის თებერვლის მონაცემებით, ჰიზბალაჰმა ირანისაგან დახმარების სახით მიიღო 400 მლნ დოლარი (*Iran Massively Rearming Hezbollah, 2010)*.

22 უნდა აღინიშნოს, რომ ირანმა არა მარტო ბიძგი მისცა რადიკალურ მოძრაობას ლიბანში, არამედ უშუალო მონაწილეობა მიიღო ლიბანში ისლამისტური დაჯგუფების შექმნაში. ირანი ლიბანს განიხილავდა პლაცდარმად, რათა გაეფართოებინა თავისი გავლენა არაბულ სამყაროზე.

შეუთანხმებლობის გამო, ერთი მხრივ, მუსა ას-სადრისა და შამსუდინის და მეორე მხრივ, ფადლალაჰის ფრთას შორის იდეოლოგიური ანტაგონიზმი წარმოიშვა.

მუჰამად ჰუსაინ ფადლალაჰი უპირატესობას ანიჭებდა ჯერ საზოგადოების ისლამიზაციას, რასაც თავისთავად მოჰყვებოდა ქვეყანაში მმართველობის სისტემის შეცვლა; ხოლო მუსა ას-სადრისა და შამსუდინის მთავარ მიზანს ლიბანში ისლამური რევოლუცია და ზემოდან საზოგადოების ისლამიზაცია წარმოადგენდა – უნდა დამყარებულიყო ისლამური ხელისუფლება, რის შემდეგაც ჩამოყალიბდებოდა ისლამური საზოგადოება. თუმცა, ორივე ამ ფრთის მიზანი მაინც შიიზმის აღორძინება იყო.

მუსა ას-სადრის საქმიანობამ ხელი შეუწყო შიიტების გააქტიურებას. მან დაარსა ე.წ. „ღარიბთა მოძრაობა“ (*ჰარაქათ ალ-მაჰრუმინ*), ხოლო 1974 წელს, სამოქალაქო ომის წინ, გადაწყვიტა დაეფუძნებინა ისლამური მოწოდების პარტიისაგან დამოუკიდებელი შიიტური მოძრაობა „*ამალ*“ (ისლამური წინააღმდეგობის ბრიგადები – *აფვაჯ ალ-მუკავამა ალ-ისლამიიდა*). ირანის ისლამური რევოლუციის ლიდერი აიათოლა ხომეინი მოძრაობა *ამალ*ში ხედავდა იმ ძალას, რომელსაც დაეყრდნობოდა საკუთარი იდეოლოგიის ექსპორტში და დაიწყო მისთვის ფინანსური და მატერიალური დახმარების გაწევა, თუმცა, 1982 წელს ისრაელის მიერ სამხრეთ ლიბანის ოკუპაციის შემდეგ ირანისა და *ამალ*-ის ურთიერთობა დაიძაბა. 1982 წელს, ისრაელის არმია შევიდა ლიბანში (ოპერაცია *მშვიდობა გალილეას*). აშშ-მა, საფრანგეთმა, იტალიამ, დიდმა ბრიტანეთმა უსაფრთხოების მიზნით გააგზავნეს ლიბანში შეარაღებული ძალების საერთაშორისო კონტინგენტი, რომელიც ნაწილობრივ გაყვანილ იქნა 1984 წელს. ლიბანის წინააღმდეგობის მოძრაობის გავლენით, ისრაელმა გაათავისუფლა ლიბანის ცენტრალური რაიონები, თუმცა სამხრეთში შეინარჩუნა კონტროლი ლიბანის ტერიტორიის10-%-ზე. ლიბანში ირანმა 1982 წელს სირიის გავლით გააგზავნა 3000 მებრძოლი, რათა მხარი დაეჭირა ლიბანში შიიტური მოძრაობისათვის.

ამ ომის დროს ამალი ლიბანში პალესტინური წინააღმდეგობის მოძრაობას აშკარად გაემიჯნა, რომელსაც იგი სამხრეთ ლიბანის პრობლემის მთავარ მიზეზად მიიჩნევდა და ქრისტიანულ პოლიტიკურ პარტიებთან ბლოკში შევიდა, რასაც აიათოლა ხომეინი დაუპირისპირდა, ვინაიდან ამ პარტიებს ამერიკისა და ისრაელის მოკავშირეებად მიიჩნევდა. ამალ-ში მიმდინარე შიდაპოლიტიკური დაპირისპირების გამო ლიბანის შიიტურ თემში მისი ავტორიტეტი თანდათან ეცემოდა. ამდენად, ამალი უკვე ვეღარ პასუხობდა ხომეინისტური იდეების მოთხოვნებს და ხომეინისათვის ახლა საჭირო გახდა შიიტურ თემში ახალი ბაზის შექმნა. ლიბანში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები კი ხელს უწყობდა ხომეინიზმის პოპულარიზაციას. ამგვარი პოლიტიკური ატმოსფერო ხელს აძლევდა ხომეინის შეექმნა ისეთი შიიტური რადიკალური ორგანიზაცია ლიბანში, როგორიც არის ჰიზბალაჰი. მას უშუალოდ უნდა დაკისრებოდა ლიბანში ხომეინისტური იდეოლოგიის პოპულარიზაცია და რეალიზაცია, ასევე ამ იდეოლოგიაზე დაყრდნობით ბრძოლა სიონისტებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ (Cobban, 1986; Picard, 1986; Shapira, 1987).

ჰიზბალაჰის დაარსების თარიღად ითვლება 1984 წლის 16 თებერვალი.[23] ჰიზბალაჰის სულიერ ლიდერად აიათოლა ხომეინი გამოცხადდა, ხოლო პარტიის გენერალურ მდივნად – მუჰამად ჰუსაინ ფადლალაჰი.[24] 1985 წელს ის შეცვალა 31 წლის ახალგაზრდამ – ჰასან ნასრალაჰმა (=ნასრალა), რომელიც დღემდე ამ ორგანიზაციის ლიდერია. ფაქტობრივად, შიიტური პარტია ჰიზბალაჰი ლიბანში გახდა ირანის ისლამური რევოლუციის ექსპორტის ერთადერთი წარმატებული პროექტი. ამას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა: შიიტური მოსახლეობა ლიბანში, სამოქალაქო ომი ქვეყანაში, ისრაელის ინტერვენცია 1982 წელს, სირია-ირანის კარგი ურთიერთობა.

---

23 1982 წლის აგვისტოში თეირანში ჩატარდა „ჩაგრულთა პირველი კონფერენცია“, სადაც ლიბანიდან ჩავიდა გავლენიანი პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების დელეგაცია. ამ კონფერენციაზე იმამ ხომეინიმ მოუწოდა შეკრებილებს დაეწყოთ მობილიზაცია ისრაელთან საბრძოლველად. ამ მოწოდებას შეიძლება ვუწოდოთ ჰიზბალაჰის ისტორიის დასაწყისი. პარტიის დამფუძნებლები გახდნენ: აბას ალ-მუსავი და სუბჰი ალ-ტუფაიღლი – ისლამური მოწოდების პარტიიდან; ჰასან ნასრალაჰი და საიდ იბრაჰიმ ალ-ამინი, ნაიმ კასიმი, იმად მუღნია და აბუ ჰასან ხუდრ სალიამი – ამალის მოძრაობიდან; აბდ ალ-ჰადი კომუნისტური პარტიიდან.

24 დაამთავრა ან-ნაჯაფის სასულიერო სკოლა, დღეს ოფიციალურად თანამდებობა არ აქვს, მაგრამ დამაკავშირებელი რგოლია ლიბანის შიიტურ თემსა და ირანის კლერიკალურ წრეებს შორის; მისი საშუალებით ხორციელდება ამ მოძრაობის იდეოლოგიური პოლიტიკა – მანიფესტები და პროგრამები, სადაც დასაბუთებულია მათი მოქმედების სამართლიანობა წმინდა ტექსტების საფუძველზე.

1985 წლის 16 თებერვალს გავრცელდა „ჰიზბალაჰის ღია წერილი ჩაგრულებისადმი ლიბანში და მთელ მსოფლიოში“ ანუ *ჰიზბალაჰის მანიფესტი.* ეს დოკუმენტი გახდა ჰიზბალაჰის პროგრამა, სადაც გადმოცემულია ორგანიზაციის მიზნები: ქვეყანაში წესრიგის და სამართლიანობის დამყარება, რომელიც მხოლოდ ირანის მსგავსი ისლამური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ არის შესაძლებელი; აშშ-ის და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელთა პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში დიდ საფრთხეს უქმნის ისლამურ ტრადიციებს და კულტურას (*The Hizballah Program*, 2007).

> „ჩვენ ხშირად გვეკითხებიან: ვინ ვართ ჩვენ, ჰიზბალაჰი, და რა არის ჩვენი იდენტობა? ჩვენ ვართ *უმმას* [მუსლიმური საზოგადოების] შვილები, ალაჰის პარტია (*ჰიზბ ალლაჰ*), რომლის ავანგარდი გამარჯვებული გახადა ღმერთმა ირანში... ჩვენ ვემორჩილებით ბრძანებებს ერთი ლიდერისა, ბრძენის და სამართლიანისა, რომელიც არის ჩვენი ხელმძღვანელი და ფაკიჰი [სამართლისმცოდნე], რომელიც აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ პირობას: რუჰოლა მუსავი ხომეინი, ალაჰიმც დაიფარავს მას.
>
> *ჰიზბალაჰის პროგრამა, თავი „ჩვენი იდენტობა.”*

> „ჩვენ ვართ უმმა, რომელსაც ეშინია მხოლოდ ღმერთის და ჩვენ არცერთ შემთხვევაში არ შევურიგდებით ამერიკის და სიონისტების პოლიტიკურ დიქტატს ჩვენს „წმინდა მიწაზე“, რომლებიც არ გვაძლევენ საშუალებას გადავწყვიტოთ საკუთარი მომავალი ჩვენი შეხედულებების თანახმად“ (*Anti-American terrorism*, 2002: 50).

ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის (მუჰამად რაადი) სიტყვებით, ჰიზბალაჰის ტაქტიკას შეადგენს მოულოდნელობა, რათა ისრაელმა ვერ გათვალოს მისი შემდეგი ნაბიჯი. ამ მოძრაობის განსაკუთრებული თავისებურება არის სწრაფი რეაგირება სიტუაციაზე, რაც საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს პოლიტიკური წონა სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური გარემოს პირობებში.

ჰიზბალაჰის მხარდამჭერი ქალების დემონსტრაცია ბეირუთში

მუსა ას-სადრი 1978 წელს ლიბიაში ვიზიტის დროს გაუჩინარდა (არის ეჭვები, რომ ის მუამარ კადაფის ბრძანებით მოკლეს). ამის შემდეგ ის შიიტური დოქტრინით ფარულ იმამად აღიარეს. ლიბანის სამხრეთში პალესტინელებისა და ისრაელის არმიის ბრძოლების დროს დაზარალდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამან გაზარდა მოთხოვნა ძლიერი ფორმირების შექმნაზე, რომელიც შეძლებდა ლიბანის მოსახლეობის დაცვას. ას-სადრის გაქრობის შემდეგ ამალ-ში მისი ადგილი დაიკავა ნაბიჰ ბერიმ, იურისტმა, სამოქალაქო პირმა, რომელსაც არ ჰქონდა ისეთი ქარიზმა, როგორც მის წინამორბედს. ამ დანიშვნამ განაპირობა მოძრაობის შემობრუნება პოლიტიკური საქმიანობისაკენ. ნაბიჰ ბერი აშკარად არ გამოხატავდა თავის პროტესტს პრეზიდენტის – ბაშირ ჟმაელის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის კურსი იყო დასავლეთთან და ისრაელთან თანამშრომლობა. ამალ-ის ასეთი პოლიტიკის გამო მოძრაობამ მხარდამჭერები დაკარგა მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც მოითხოვდა რადიკალური ზომების გატარებას – ისრაელის არმიის და დასავლეთის საერთაშორისო კონტინგენტის გაყვანა ლიბანიდან. სირიამაც არ დაუჭირა მხარი ამალ-ის პროდასავლურ პოლიტიკას და ამით უკმაყოფილო იყვნენ ირანის სულიერი ლიდერებიც. ამგვარად ჩაენაცვლა ამალ-ს ჰიზბალაჰი.

ჰიზბალაჰი ითვალისწინებს ქრისტიანების ინტერესებსაც. 1997 წლის რომის პაპისადმი მიწერილ წერილში ჰიზბალაჰი საუბრობს მუსლიმთა და ქრისტიანთა საერთო მიზანზე – საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების შექმნაზე ისლამის ნორმების საფუძველზე. ხაზგასმულია, რომ ისინი არ ცდილობენ თავს მოახვიონ ისლამი ძალით. ფადლალაჰი არის შიიტური თემის მთავარი მუჯთაჰიდი, რომელსაც აიათოლას ტიტული ხომეინიმ მიანიჭა.

ჰიზბალაჰის ხელმძღვანელი ორგანო არის *უმაღლესი საკონსულტაციო საბჭო*,[25] რომელსაც თავმჯდომარეობს გენერალური მდივანი. საბჭოს წევრები აირჩევიან ცენტრალური საბჭოს მიერ. პარტიას აქვს პოლიტბიურო,[26] იურიდიული საბჭო, საბჭო პარლამენტის საქმეებზე, აღმასრულებელი საბჭო ანუ კომიტეტი,[27] ჯიჰადის საბჭო. პარტიას ჰყავს საკუთარი სპეცსამსახურები და უსაფრთხოების საბჭო. უთანხმოების შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა თეირანს. ძირითადი სამხედრო ძალა არის „ისლამური წინააღმდეგობა“ (*ალ-მუკავამა ალ-ისლამიჲა*), რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი. აღმასრულებელ საბჭოს აქვს რამდენიმე განყოფილება, რომლებიც პასუხს აგებენ პარტიის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტზე: სოციალური განყოფილება, ისლამური ჯანდაცვის, ინფორმაციის, პრესის, ფინანსური დახმარების, საგარეო კავშირების და ტექნიკური ადმინისტრაციის განყოფილებები. აიათოლას ფათვას აქვს განმსაზღვრელი ძალა. ჰიზბალაჰის დაფინანსების წყაროებია: შემოწირულებები, ბიზნესში მონაწილეობა საერთოკორპორაციულ საწყისებზე და, რა თქმა უნდა, მხარდაჭერა ირანიდან – ეს ყველაფერი უზრუნველყოფს პარტიის ეკონომიკურ მობილობას. პარტიიის ფულადი სახსრები ინახება ირანის ბანკებში. ჰიზბალაჰის სოციალური პროგრამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, რომლებიც უფასო სამედიცინო დახმარებას უწევენ ორგანიზაციის წევრებს, და იაფ მომსახურებას ლიბანის ყველა მოქალაქეს. პარტიის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია განათლებასაც. სპეციალიზირებული რელიგიური სასწავლებლების გვერდით პარტიას აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები – ალ-მაჰდის და ალ-მუსტაფას და უმაღლესი სასწავლებელებიც (Hamzeh, 1993: 326-329).[28]

დღეს ორგანიზაციის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ახორციელებს პოლიტბიურო,. საკონსულტაციო საბჭოს ემორჩილება რამდენიმე აღმასრულებელი კომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობაზე. იერარქიის შემდეგ საფეხურზე არის სამხედრო აპარატი და პროპაგანდის აპარატი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ტაიფის ხელშეკრულების დადებაში. ამალისაგან განსხვავებით აქ გაყოფილია სასულიერო და სამოქალაქო ძალაუფლება.

---

25 მის შემადგენლობაში არის 12 წევრი. მათი უმრავლესობა არიან რელიგიური პირები, მათ შორის: საჲიდ იბრაჰიმ ალ-ამინი, საჲიდ ჰასან ნასრალაჰი (ამჟამად გენერალური მდივანი), შაიხ ნაიმ ქასიმი, შაიხ სუბჰი ალ-ტუფაჲლი და შაიხ აბუ სალიმ იაღი.

26 მის შემადგენლობაში 15 წევრია, რომელთაც ნიშნავს საკონსულტაციო საბჭო. პოლიტბიუროს არ გამოაქვს გადაწყვეტილებები, ის არის მხოლოდ ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს პარტიის კომიტეტების მუშაობას. მას უშუალოდ ემორჩილება სამი სხვადასხვა ორგანო: 1. იძულებითი რეკრუტირებისა და პროპაგანდის ორგანო, რომელიც თავის მხრივ იყოფა სამ სექციად. მეჩეთების მქადაგებლები დიდ როლს ასრულებენ ჰიზბალაჰის დოქტრინის გასავრცელებლად. ასევე მნიშვნელოვანია სასწავლო წრეები (ალ-ჰავზა ალ-‘ილმიჲა), რომლებიც ხელს უწყობენ ჰიზბალაჰში რეკრუტირებას. კვლევისა და პროპაგანდის სექციას აქვს ორი ბეჭდვითი ორგანო – 1984 წელს დაარსდა ყოველკვირეული *ალ-‘აჰდ*, რომელმაც 2001 წელს შეიცვალა სახელწოდება – ალ-ინთიკად და ყოველთვიური *ალ-ბილად*; 2. სამშენებლო ჯიჰადის ორგანო (*მუ’ასსასათ ჯიჰად ალ-ბინა’*), რომელიც დაკავებულია მშენებლობებით, ელექტრიფიკაციით და სასმელი წყლით მომარაგებით. ის ფინანსურ დახმარებას უწევს საცხოვრებელი სახლებისა და ოფისების რეკოსტრუქციას, რომლებიც დაზარალდნენ ომის დროს. პარტიამ შექმნა ორგანიზაციები და ფონდები, რომლებიც დახმარებას უწევს შაჰიდების ოჯახებს, ინვალიდებს, დაჭრილებს და სხვ. ეს ორგანო იყოფა 8 კომიტეტად; 3. უსაფრთხოების ორგანო, რომელიც სამ სექციად იყოფა: პარტიის უსაფრთხოების სექცია იცავს პარტიის ლიდერებს და წევრებს. ცენტრალური უსაფრთხოების სექცია კრებს ინფორმაციას ქვეყნის შიგნით და გარეთ. ოპერატიულ უსაფრთხოების სამსახური აღასრულებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უსაფრთხოების ორგანოს გამოაქვს ჰიზბალაჰის მტრების წინააღმდეგ (*Encyclopedia of Terrorism*, 2003: 165-167; Hamzeh,1993: 327-328).

27 ამ საბჭოს შემადგენლობაში შედის 9 წევრი – 5-ს ნიშნავს საკონსულტაციო საბჭო, დანარჩენი 4 არიან რაიონული საბჭოების (ბეირუთი, სამხრეთის გარეუბნები, სამხრეთი და ბიკაა) თავმჯდომარეები.

28 დიდი მოციქულის სახელობის ტექნიკური ინსტიტუტი, საიჲდ აბას ალ-მუსავის სახელობის ტექნიკური ინსტიტუტი, საიჲდა აზ-ზაჰრას სახელობის ინსტიტუტი, საიჲდ რაღიბ ჰარბის სახელობის ინსტიტუტი და შარიათის ისლამური ინსტიტუტი.

ჰიზბალაჰის პირველი გენერალური მდივანი იყო ფადლალაჰი. მას შემდეგ რაც მასზე მოხდა თავდასხმა ისრაელის სპეცსამსახურების, მან შეწყვიტა თავისი საქმიანობა (დატოვა ყველა პოსტი) და დარჩა მხოლოდ სულიერ ლიდერად (*ალ-მურშიდ არ-რუჰი*). ხელისუფლების გაყოფა აიათოლასა და პრეზიდენტს შორის მოხდა 1989 წელს, აიათოლა ხომეინის სიკვდილის შემდეგ. თვითონ ორგანიზაციის შიგნით იყო პრობლემა – დაპირისპირება ზომიერ და რადიკალურ დაჯგუფებებს შორის. ამასთან, მთელი შიიტური თემი არ უჭერდა მხარს ჰიზბალაჰს. ამალ-ს უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავდა. ტაიფის შეთანხმებამ აამაღლა მისი ავტორიტეტი.

1989 წლის 22 ოქტომბერს ლიბანის ეროვნული კრება შეიკრიბა ტაიფში (საუდის არაბეთი), ეროვნული თანხმობისათვის წესდების ხელმოსაწერად. სამოქალაქო ომი დასრულებულად გამოცხადდა. ხაზი გაესვა, რომ უნდა მომხდარიყო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება და გაერო-ს რეზოლუციების შესრულება ისრაელის არმიის გაყვანასთან დაკავშირებით. სირიას დაევალა კონტროლი ამ შეთანხმების განხორციელებაზე. სირიის არმია ლიბანის ტერიტორიაზე გახდა მშვიდობის გარანტი.

ჰიზბალაჰისათვის ამ შეთანხმებას ჰქონდა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მნიშვნელობა. დასაწყისში მოძრაობის ლიდერებმა უარი თქვეს მის მიღებაზე, რადგანაც მშვიდობის დამყარება რეგიონში ავტომატურად გამოიწვევდა ჰიზბალაჰის საქმიანობის შეწყვეტას. თუმცა, მალევე ორგანიზაციამ შეაფასა სირიის (დამასკოს) პოლიტიკის გაზიარების უპირატესობა. ამასთან იმ პირობებში, როცა ყველა შეიარაღებულმა ფორმირებამ ოფიციალურად გამოაცხადა განიარაღება, ჰიზბალაჰმა შეინარჩუნა თავისი სტატუსი. ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ სირია და ირანი ხელს უწყობდნენ ჰიზბალაჰის საქმიანობას იქამდე, ვიდრე ისრაელი ინარჩუნებდა ოკუპირებულ ტერიტორიებს. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ნიშნავდა აგრეთვე ჰიზბალაჰის ჩართვას ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მშვიდობის დამყარების შემდეგ, პირველი საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში ჩატარდა 1992 წელს და პირველად, თავისი ისტორიის მანძილზე, ჰიზბალაჰმა გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ჰიზბალაჰის საარჩევნო სიით გავიდა12 დეპუტატი (შიიტებმა მიიღეს 8, დანარჩენი – 2 სუნიტი და 2 ქრისტიანი)128 ადგილიდან, კონფესიური ნიშნით კი შიიტებს ეკუთვნოდათ 19 ადგილი. მაგრამ ახალი კაბინეტი იყო პროსირიული 90%-ით, მათ შორის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე. საარჩევნო კანონმდებლობაშიც მოხდა ცვლილებები. პარლამენტის ადგილები გაიზარდა 108 –დან 128-მდე იმ რაიონების ხარჯზე, რომლებიც იყო სირიის კონტროლის ქვეშ. ლიბანელებმა, რომლებმაც დატოვეს ქვეყანა, ხმის უფლება დაკარგეს. ამან გამოიწვია ქრისტიანების უკმაყოფილება, ისინი უკმაყოფილო იყვნენ აგრეთვე სირიელების ყოფნით ქვეყანაში. ამ ორგანიზაციის რადიკალური ფრთა არჩევნების დროს მოუწოდებდა საარჩევნო უბნების დაწვისაკენ.[29] ამასთან, ჰიზბალაჰის მონაწილეობა არჩევნებში არ იყო განმტკიცებული ფათვათი ირანიდან (Hamzeh,1993: 325).

ტაიფის შეთანხმების შემდეგ ჰიზბალაჰის მიზნები გახდა: ამალთან შეტაკებების შეწყვეტა; თავდასხმები ისრაელის ძალებზე (რაც სასარგებლო იყო სირიისათვის), ლიბანის პოლიტიკურ სისტემაში ჩართვა (არჩევნებში მონაწილეობა). ჰიზბალაჰის წარმატებამ არჩევნებში საშუალება მისცა მას 4 სუნიტ დეპუტატთან და ორ მარონიტთან ერთად კავშირში შეექმნა წინააღმდეგობის მომხრეთა ბლოკი, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პარლამენტის საქმიანობაზე. ჰიზბალაჰი ხშირად წამოჭრიდა ხოლმე საკამათო საკითხებს რელიგიურ და ეთნიკურ თემებზე, ყურადღებას აქცევდა სოციალურ პროგრამას და სამხრეთ ლიბანის განთავისუფლების პრობლემას. ამალ-ისაგან განსხვავებით, ჰიზბალაჰმა უარი თქვა სახელმწიფოსთან თანამშრომლობაზე, მით უმეტეს, რომ მას ჰყავდა სპონსორი ირანის სახით. მან მიიღო 2 მლრდ. დოლარი სამხრეთ ლიბანის აღსადგენად (Beinin, 1997: 13-143; Jaber, 1997).

ცვლილებები მოხდა პროპაგანდაშიც. შაიხმა ნასრალაჰმა დააფუძნა საკუთარი პრეს-სამსახური. ჰიზბალაჰის ტელესადგურმა *ალ-მანარ*მა დიდი პოპულარობა მოიპოვა და რეიტინგით მესამე ადგილზე აღმოჩნდა.[30] ნასრალაჰმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც თითოეულ რაზმს უნდა გაჰყოლოდა ტელეოპერატორი. ორგანიზაციას აქვს ორი ვებ-გვერდი, რადიოსადგური *ან-ნურ* („სინათლე," დაარსდა 1988წ.). ყოველ ორ კვირაში გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენს, სადაც იბეჭდება მოძრაობის ლიდერების მოსაზრებები მიმდინარე მოვლენებზე. ამის გარდა, ორგანიზაციამ გაატარა სხვა

29 ყოველი არჩევნების დროს ჰიზბალაჰი ცვლიდა თავის სლოგანს. 1996 წელს მისი სლოგანი იყო: „მათ წინააღმდეგობა გაუწიეს თავიანთი სისხლით, თქვენ წინააღმდეგობა გაუწიეთ თქვენი ხმით." თუმცა 1996 წელს ჰიზბალაჰმა მიიღო მხოლოდ 7 ადგილი პარლამენტში, ხოლო 2000 წელს – 9.

30 ეს არის ერთადერთი ტელეარხი ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ეკუთვნის ისლამისტურ მოძრაობას და მას ჰყავს დაახლ. 10 მილიონი მაყურებელი. ის დაფუძნდა 1991 წელს ირანის დაფინანსებით. ამჟამად ის აკრძალულია აშშ-ში, საფრანგეთში, ესპანეთსა და გერმანიაში.

რეფორმებიც, რათა არ იწოდებოდეს ტერორისტულად. ფორმალურად დამოუკიდებელი ერთეული, საბრძოლო ფრთა – *ისლამური წინააღმდეგობის ჯგუფი* გამოეყო ორგანიზაციას. ეს ჯგუფი კარგად ორგანიზებული, კონსპირირებული შეიარაღებული სტრუქტურაა, 300-დან 500-მდე პროფესიონალი მებრძოლით, რომელთაც სპეციალური მომზადება გავლილი აქვთ ირანში. სირიისა და ირანის ჩარევა ისლამური წინააღმდეგობის სამხედრო ხელმძღვანელობაში საკამათოა. ოფიციალურად, ორგანიზაციის ლიდერები უარს ამბობენ გახმაურებულ ტერორისტულ აქციებში მონაწილეობაზე. წინააღმდეგობის ჯგუფმა კი 1991 წელს თავის თავზე აიღო 52 თავდასხმა, 1992 წელს – 63, , 1995 წელს – 344, 2003 წელს – 158. ეს მონაცემები იზრდება (Saad-Ghorayeb, 2002: 50-58).

1995 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერმა ლიდერმა, აიათოლა ალი ხამენეიმ დანიშნა ნასრალაჰი და მუჰამად იაზბაკი თავის რელიგიურ წარმომადგენლებად ლიბანში. ამის შემდეგ ყველა ლიბანელმა შიიტმა, რომელიც აღიარებს ალი ხამენეის თავის მარჯად, უნდა გადაიხადოს ისლამური გადასახადები: *ხუმსი* (1/5) და ამის პარალელურად *ზაქათი* უშუალო ჰიზბალაჰის ხაზინაში (Alagha, 2005: 39).

ისრაელის პრემიერის ეჰუდ ბარაკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ჯარების გაყვანის შესახებ, 2000 წლის 24 მაისს, ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები ჰქონდა. ერთის მხრივ, ჰიზბალაჰს შეიძლება ჩაეთვალა ეს თავის გამარჯვებად, რადგანაც მოძრაობის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეორე მხრივ, ჰიზბალაჰს შეუწყდა ადრინდელი მოტივები საბრძოლო მოქმედების საწარმოებლად და დარჩა მხოლოდ პოლიტიკურ და საქველმოქმედო ორგანიზაციად და შიიტების ინტერესების დამცველად.

ლიბანის დამოკიდებულება სირიაზე განპირობებულია იმით, რომ მას სჭირდება სირიის ნავთობი. სირიიდან ბეირუთამდე გადაჭიმულია ნავთობის გზა საუდის არაბეთიდან. ჰიზბალაჰისათვის სირია არის ის ტრანზიტი, რომლითაც შემოდის სამხედრო და ფინანსური დახმარება თეირანიდან. ის თურქეთსაც იყენებს იარაღის შემოსატანად.

ლიბანის ხელისუფლებას ჰიზბალაჰის დახმარება სჭირდება პალესტინელი ლტოლვილების პრობლემების გადაჭრისათვის. ლიბანის ბანაკებში არის დაახლ. 400,000 ადამიანი, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას. 1970-იან წლებში ისინი გახდნენ სამოქალაქო ომის მიზეზი ლიბანში. ჰიზბალაჰის ლიდერები აცხადებენ, რომ არ იქნება მშვიდობა ისრაელთან, თუ ყველა პალესტინელი არ დაბრუნდება სამშობლოში. 1990-იან წლებამდე ჰიზბალაჰსა და ჰამასს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო, ახლა გამოსწორდა. ჰიზბალაჰი წვრთნის ჰამასის მეომრებს, რომლებიც შემდეგ პალესტინის ტერიტორიაზე ეწევიან თავიანთ საქმიანობას ჰიზბალაჰის სახელით. გაიზარდა ირანის ინტერესიც პალესტინის პრობლემისადმი. 1998 წელს ჰამასის ლიდერი – აჰმად იასინი ჩავიდა ვიზიტით თეირანში ორი მიზნით: ირანის გავლენის ზრდა პალესტინის ავტონომიაში და ურთიერთობის გაუმჯობესება ჰიზბალაჰსა და ლიბანის ბანაკებში პალესტინის ზოგიერთ ჯგუფებს შორის (Joseph, 2005: 34-39).

2001 წლის ნოემბერში აშშ-მა მიმართა ლიბანის მთავრობას მოთხოვნით გაეყინა ჰიზბალაჰის ანგარიშები, რაზედაც კატეგორიული უარი მიიღო. ლიბანის ხელმძღვანელობის აზრით, ჰიზბალაჰი არ იყო ტერორისტული ორგანიზაცია. 2002 წელს შაიხ ნასრალაჰის ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია ლიბანის, პალესტინის ავტონომიის, მაროკოს, სუდანის, საამიროების, ალჟირის და იორდანიის მონაწილეობით. მათ გაკიცხეს აშშ-ის პოლიტიკა, მისი ანტიტერორისტული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ისლამისტური ორგანიზაციების განადგურებას. აშშ ასევე ადანაშაულებს ჰიზბალაჰს ალ-კაიდასთან თანამშრომლობაში (Norton, 2007: 56-64).

2005 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჰიზბალაჰმა მიიღო 14 ადგილი. ჰიზბალაჰი 2005 წლამდე მონაწილეობას არ ღებულობდა მთავრობის დაკომპლექტებაში, მაგრამ ლიბანიდან სირიის არმიის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა[31] და ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში მიიღეს ორი მინისტრის (შრომისა და ენერგეტიკის) პოსტი. ჰიზბალაჰი ცდილობდა აგრეთვე დაეკავე-

31 2005 წლის 6 ივნისს შეიხ აკიფ ალ-ნაბულსიმ, ჯაბალ ალ-ამილის ულემთა ასოციაციის თავმჯდომარემ მოიწონა ეს იდეა. ეს ცვლილება ნასრალლაჰმა ასე ახსნა: ახლანდელი პარლამენტი 1992 წლის შემდეგ „ყველაზე მნიშვნელოვანი და საშიშია," რადგანაც მან უნდა გადაწყვიტოს საბაზო პოლიტიკური და სტრატეგიული არჩევანი ლიბანისათვის მომავალში. ორგანიზაციას სჭირდება ადგილები მინისტრთა კაბინეტში, რათა შეძლოს, სულ მცირე, ესაუბროს მკაცრად და პირდაპირ ხელისუფლებას იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ის არ ეთანხმება.

ბინა 2 მნიშვნელოვანი მინისტრის პოსტი – თავდაცვის და საგარეო საქმეთა, მაგრამ საერთაშორისო ჩარევის (განსაკუთრებით, აშშ-ის და საფრანგეთის) შედეგად, ეს ვერ მოახერხა.

2006 წლის ივლის-აგვისტოში მიმდინარეობდა *მეორე ლიბანური ომი*, რომელიც არაბულ სამყაროში ცნობილი გახდა „ივლისის ომის" სახელით. ეს იყო შეიარაღებული შეტაკება ისრაელსა და ჰიზბალაჰს შორის, რომელიც ფაქტობრივად აკონტროლებს ლიბანის სამხრეთ რაიონებს. კონფლიქტის პროვოცირება მოხდა 12 ივლისს, როცა ჰიზბალაჰის ბოევიკებმა სარაკეტო დარტყმები განახორციელეს ისრაელის ჩრდილოეთით სასაზღვრო დასახლებულ პუნქტზე და იმავდროულად თავს დაესხნენ ისრაელის თავდაცვის არმიის სასაზღვრო პატრულს ისრაელ-ლიბანის საზღვარზე. ამ თავდასხმის მიზანი იყო ზეწოლა ისრაელზე, რათა აეძულებინათ ის ებრძოლა ორ ფრონტზე (ღაზას სექტორში ის აწარმოებდა სამხედრო ოპერაციას მოძრაობა ჰამასის წინააღმდეგ). ისრაელის არმიამ მოახერხა წინ წაწევა ლიბანის ტერიტორიაზე 15-20 კმ-ით და გაათავისუფლა ბოევიკების მიერ ოკუპირებული ტერიტორია. თუმცა, ერთი თვის განმავლობაში ბოევიკები ახორციელებდნენ მასობრივ სარაკეტო დარტყმებს ისრაელის ჩრდილოეთ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებზე. საბრძოლო მოქმედებები გრძელდებოდა 12 ივლისიდან 14 აგვისტომდე, როცა, გაერო-ს რეზოლუციის თანახმად, გამოცხადდა ცეცხლის შეწყვეტა კონფლიქტის ზონაში. 2006 წლის 1 ოქტომბერს დასრულდა ისრაელის არმიის გაყვანა სამხრეთ ლიბანიდან. კონტროლი სამხრეთ ლიბანზე დაევალა ლიბანის სამთავრობო არმიას და გაერო-ს სამშვიდობო ძალებს. ამ ომის შედეგად ათი ათასობით ლიბანელი დაიღუპა, ხოლო მილიონობით დევნილი გახდა. ლიბანის ეკონომიკურმა ზარალმა 2,5 მლრდ დოლარი შეადგინა (Norton, 2007: 56-64). (იხ. აგრეთვე თავი XV).

2006 წლის 1 დეკემბერს დაიწყო პოლიტიკური კრიზისი. ეს იყო ძირითადად საპროტესტო მიტინგები პრემიერ-მინისტრ ფუად სინიორას წინააღმდეგ, რომელიც პროდასავლური პოლიტიკოსია. მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ „კედრების რევოლუციისა" და 2005 წლის ივლისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მინისტრთა კაბინეტში და პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვეს ანტისირიულმა და პროამერიკულმა პოლიტიკოსებმა. ანტისირიულად განწყობილი პოლიტიკოსები ძირითადად იყვნენ წევრები „14 მარტის ალიანსისა", რომელსაც ხელმძღვანელობდა რაფიკ ჰარირის შვილი – საად ჰარირი. ოპოზიცია გაერთიანდა შემდეგ პარტიებში: პროსირიული „ამალი" და „ჰიზბალაჰი", ანტისირიული და პროფრანგული „თავისუფალ პატრიოტთა მოძრაობა". 18-თვიანი პოლიტიკური კრიზისი დასრულდა 2008 წლის 21 მაისს დოჰას შეთანხმებით, რომლის თანახმადაც უნდა მოეწვიათ პარლამენტის სხდომა (კრიზისის გამო ის 18 თვის განმავლობაში არ ჩატარებულა) და 24 საათში პრეზიდენტის პოსტზე აერჩიათ მიშელ სულეიმანი. იგი შექმნილ ვითარებაში მისაღები კანდიდატურა იყო დაპირისპირებული პარტიებისათვის (ემილ ლაჰუდის უფლებამოსილების ვადა დასრულდა 2007 წლის 23 ნოემბერს და პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური იყო). ამასთანავე მინისტრთა კაბინეტში უმრავლესობას უნდა ჰყოლოდა 16 მინისტრი, ოპოზიციას – 11 და პრეზიდენტს – 3 მინისტრი. პარლამენტის სხდომა ჩატარდა 2008 წლის 25 მაისს და აირჩიეს მიშელ სულეიმანი ხმების უმრავლესობით (128-დან 118). პარლამენტის სესიას ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის დამკვირვებლები.

2008 წლის 7 მაისს მთავრობის შეიარაღებული ძალების მხრიდან იყო მცდელობა ძალისმიერი გზით გადაეწყვიტათ საკითხი და გაენადგურებინათ ჰიზბალაჰის საინფორმაციო ქსელები. ამ ორგანიზაციის მომხრეებმა და მოკავშირეებმა თავდასხმა განახორციელეს ბეირუთზე და ტრიპოლიზე, დაიკავეს დედაქალაქის ძირითადი ნაწილი. მხოლოდ 10 მაისს, აშშ-ის, ევროკავშირის, და „ზომიერი" არაბული ქვეყნების (მათ შორის საუდის არაბეთის) დახმარებით, მოწინააღმდეგე მხარეებმა, ფუად სინიორას მთავრობამ და ოპოზიციამ, პირველ რიგში ჰიზბალაჰმა, დადეს შეთანხმება დაზავებაზე და თავიდან იქნა აცილებული ახალი სამოქალაქო ომი.[32] ეს დღე ჰასან ნასრალაჰმა გამოაცხადა „ლიბანის წინააღმდეგობის დიდების დღედ". კონფლიქტის დამთავრების შემდეგ ეროვნული ერთობის მთავრობა ჩამოყალიბდა ფუად სინიორას მიერ 2008 წლის 11 ივლისს, რომელშიც ჰიზბალაჰს ჰყავდა ერთი მინისტრი.

2008 წლის აგვისტოში მოხდა შეტაკებები სუნიტურ მოძრაობა *ალ-მუსთაკბალ*-ის და შიიტურ მოძრაობა ამალის და ჰიზბალაჰის მომხრეებს შორის ლიბანის სხვადასხვა რაიონში.

32 ეს იყო ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი ლიბანში სამოქალაქო ომის შემდეგ. ტერორისტებთან არმიის შეტაკებების დროს დაიღუპა 300 ადამიანზე მეტი, 154 ჯარისკაცი, 120 ტერორისტი და 42 მშვიდობიანი მცხოვრები. დაახლ. 40,000 ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი.

2009 წლის ნოემბერში ჩატარდა ჰიზბალაჰის მე-7 კონფერენცია, რომელზედაც არჩეულ იქნა სა-კონსულტაციო საბჭო და მიღებულ იქნა პროგრამული დოკუმენტი – პოლიტიკური მანიფესტი.[33] მოძრაობის გენერალურ მდივნად მეექვსეჯერ დამტკიცდა შაიხ საადიდ ჰასან ნასრალაჰი. მანიფესტის თანახმად, ჰიზბალაჰის პრიორიტეტული მიზნებია მოძრაობისათვის ლიდერის როლის შენარჩუნება ლიბანსა და ახლო აღმოსავლეთში, აშშ-ის „საერთაშორისო ჰეგემონიასთან“ ბრძოლა და ისრაელისათვის წინააღმდეგობის გაწევა, აქტიური მოქმედებები დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შესაქმნელად და პალესტინელი ლტოლვილების სამშობლოში დასაბრუნებლად. მანიფესტში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ჰიზბალაჰის საქმიანობასა და გეგმებზე შიდაპოლიტიკურ არენაზე – ინტეგრაცია ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში და მისი აღიარება ყველა ეროვნული პოლიტიკური ძალის მიერ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჰიზბალაჰი ოფიციალურად აღარ აცხადებს მოძრაობის მთავარ მიზნად ლიბანში ისლამური რესპუბლიკის შექმნას, თუმცა ისლამისტები აცხადებენ თავის პოზიტიურ დამოკიდებულებას „მმართველობის ისლამური სისტემისადმი.“ ჰიზბალაჰის ლიდერები უარყოფენ ლიბანში „სეგრეგაციისა და ფედერალიზმის ნებისმიერ ფორმას“; აცხადებენ, რომ ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური სისტემა, დაფუძნებული კონფესიურ სისტემაზე, „არის დაბრკოლება პოლიტიკური განვითარების გზაზე“ და მისი გაუქმება უნდა გახდეს „საბაზო პირობა“ ჭეშმარიტი დემოკრატიის დასამყარებლად, სადაც „მმართველი იქნება უმრავლესობა, ხოლო უმცირესობა იქნება ოპოზიციაში.“ თანამედროვე ლიბანში შიიტები მრავალრიცხოვან მუსლიმური თემს წარმოადგენენ, მაგრამ 1943 წლის შეთანხმების შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ დაიკავონ რეალური ხელმძღვანელი მდგომარეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. ამასთან დაკავშირებით, მოძრაობა გამოდის ახალი საარჩევნო კანონის მისაღებად, მაგრამ ისლამისტები არ მოუწოდებენ არსებული კონფესიური სისტემის დაუყოვნებლივი გაუქმებისაკენ, რადგანაც კარგად ესმით, რომ ეს არარეალურია. ამის გამო ისინი თანახმა არიან, რომ არსებული „დემოკრატიული კონსენსუსი“ ჯერჯერობით უნდა დარჩეს „ერთობლივი ცხოვრების ქარტიად.“ ისლამისტები ასევე აცხადებენ, რომ აუცილებელია ქვეყანაში ჰყავდეთ მთავრობა, რომელიც „იზრუნებს თავის მოქალაქეებზე, აღმოუჩენს სამედიცინო დახმარებას მოსახლეობას და აამაღლებს განათლების დონეს, მოაგვარებს ქალთა პრობლემებს,“ გადაწყვეტს სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემებს.

შიდაპოლიტიკურ საკითხებში ჰიზბალაჰი მთლიანობაში გამოირჩევა ზომიერებით, მაგრამ საგარეო პოლიტიკის საკითხებში მისთვის დამახასიათებელია ექსტრემიზმი, უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისრაელს და აშშ-ს. ეს ქვეყნები დასახელებულია მთავარ მტრებად, რომლებთანაც აუცილებელი ბრძოლის გაგრძელება. ამის გამო არ იცვლება ჰიზბალაჰის სტრატეგიული კუთვნილება „შეიარაღებული ექსტრემისტული ფორმირებებისადმი.“[34]

მთლიანობაში პოლიტიკური მანიფესტი ასახავს მოძრაობის კურსის ცვლილებებს, თუმცა ოპონენტების აზრით, მასში არის ექსტრემისტული დადგენილებებიც, რომლებიც არყევს „ეროვნული თანხმობის პლატფორმას.“

2009 წლის 7 ივნისის არჩევნების შედეგების მიხედვით, „14 მარტის“ ბლოკმა პარლამენტში მი-იღო **71 ადგილი 128-დან. ამ ბლოკში „მომავლის მოძრაობის“ ძირითადი პარტნიორები არიან დრუ-**ზების „პროგრესული სოციალისტური პარტია,“ სათავეში ვალიდ ჯუმბლატი და მისი საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული კრება,“ ორი „ისტორიული“ ქრისტიანულ-მარონიტული პარტია – სამირჯაჯის ლიბანური ძალები და ამინ ჟმაიელის *ქათაიბ*, შამუნის კლანის ქრისტიანი-მარონიტების ნაციონალურ-ლიბერალური პარტია, ქ. ტრიპოლის სუნიტური ბლოკი, სუნიტური ისლამისტური პარტია *ჯამა'ა*

---

33 მანიფესტი არის მეორე ოფიციალური საპროგრამო დოკუმენტი. პირველი „ღია წერილი“ მიღებულ იქნა 1985 წელს, მაგრამ იმ დროს ჰიზბალაჰის ლიდერი ისლამისტების ძირითადი მიზნები იყო „ლიბანიდან ნებისმიერი კოლონიური დაწესებულების გაძევება,“ ფალანგისტების დასჯა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობების გამო სამოქალაქო ომის დაწყების დროს და ლიბანში ისლამური რესპუბლიკის დაარსება ირანული მოდელით. მისი პუბლიკაციიდან 25 წლის განმავლობაში სიტუაცია ლიბანში და რეგიონში შეიცვალა, ზოგ შემთხვევაში ძირეულად. ცვლილებები მოხდა თვით ჰიზბალაჰშიც – ის გადაიქცა ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკურ ძალად ლიბანსა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. შესაბამისად, საჭირო გახდა პროგრამის გადახედვა.

34 2009 წლამდე ჰიზბალაჰის ბოევიკებმა განახორციელეს 198 ტერორისტული აქტი თვითმფრინავის გატაცებები, მკვლელობები და ა.შ. რამდენჯერმე განახორციელეს აგრეთვე თავდასხმები ამერიკელ მოქალაქეებზე: ყველაზე ცნობილი ტერაქტები იყო ისრაელის საელჩოს აფეთქება ბუენოს აირესში 1992წ. და ევროპის კულტურის ცენტრის – 1994წ.

ალ-ისლამიზა. ჰიზბალაჰი შედის „14 მარტის“ ბლოკის მოწინააღმდეგე „8 მარტის“ ბლოკში. ორივე ალიანსის იდეოლოგიურ შეხედულებებში მრავალი საერთოა, მაგრამ უთანხმოებაა ბევრ საკითხთან დაკავშირებით. უმრავლესობა წინააღმდეგია, რომ ჰიზბალაჰს ჰყავდეს შეიარაღებული ფორმირებები, რომელთაც ეს მოძრაობა იყენებს საბრძოლო ოპერაციების საწარმოებლად ისრაელის წინააღმდეგ და ზეწოლის საშუალებად შიდაპოლიტიკურ ბრძოლაში. ჰიზბალაჰი უარს აცხადებს დაემორჩილოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს (№1559, №1680, №1701), **რომლებიც ეხება ყველა რეგულარული** ფორმირების განიარაღებას. ჰიზბალაჰი და მისი მოკავშირეები – ამალი და თავისუფალი პატრიოტული მოძრაობა კანონიერად თვლიან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას ისრაელისადმი ლიბანის ტერიტორიის საბოლოო განთავისუფლებისათვის უცხოური ოკუპაციისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

შემოკლებები:

აარცსა –აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საისტორიო არქივი
სპა – საქართველოს პრეზიდენტის არქივი
სსცია – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი.

AAAPSS – Annals of the American Academy of Political and Social Science

AFP – Agence France Press

AINA – Assyrian International News Agency

AJES – American Journal of Economics and Sociology

AJIL – The American Journal of International Law

AP – Associated Press

ARH – The American Historical Review

ASQ – Administrative Science Quarterly

BDHRL – Bureau of Democracy, Human Rights, and Labor. Report on International Religious Freedom.

BHR – The Business History Review

BIN – Bulletin of International News

BJMES – British Journal of Middle Eastern Studies

BSOAS – Bulletin of the School of Oriental and African Studies

CMR – Cahiers du Monde russe

CMRS – Cahiers du Monde russe et soviétique

CSM – Christian Science Monitor

DOMES – Digest of Middle East Studies

EHR – The English Historical Review

HJFRT – Historical Journal of Film, Radio and Television

IHR – International History Review

IHT – International Herald Tribune

IJAHS – The International Journal of African Historical Studies

IJMES – International Journal of Middle East Studies

IPSR – International Political Science Review /Revue internationale de science politique

IRM – International Review of Mission

IRNA – Islamic Republic News Agency

JAOS – Journal of the American Oriental Society

JCLIL – Journal of Comparative Legislation and International Law

JCS – Journal of Church and State

JIA – Journal of International Affairs

JMH – The Journal of Modern History

JPaS – Journal of Palestine Studies

JPS – Journal of Persianate Studies

JRAfS – Journal of the Royal African Society

JRAS – Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland

JSCL – Journal of the Society of Comparative Legislation

MEED – Middle East Economic Digest

MEJ – Middle East Journal

MEMRI – The Middle East Media Research Institute

MENAR – Middle East/North Africa Report

MEPC – Middle East Policy Council

MER – Middle East Report

MERIP – Middle East Research and Information Project

MES – Middle Eastern Studies

NYT – The New York Times

PAPS – Proceedings of the American Philosophical Society

PSQ – Political Science Quarterly

RIPE – Review of International Political Economy

RMMM – Revue du Monde Musulman et de la Méditerranée

TWQ – Third World Quarterly

WPJ – World Policy Journal

WZKM –Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes

АКАК – Акты собранные Кавказской археологической комиссией

ИКОИРГО – Известия Кавказского отдела Русского географического общества (Тифлис)

ПОЦИА – Петербургское отделение центрального исторического архива.

ЦИАР –Центральный исторический архив России

ზოგადი ნაშრომები:

გაჩეჩილაძე, რევაზ. *ახლო აღმოსავლეთი. სივრცე, ხალხი და პოლიტიკა*. მე-2 გამოც. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008(ა).

_____, *ჩემი XX საუკუნე*. ტ. I. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008(ბ).

ჯაფარიძე, გოჩა (შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა). *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. შემდგენლები: კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე, გოჩა ჯაფარიძე. რედ. გრიგოლ ბერაძე. თბილისი: ნეკერი, 1999

Amin, Camron Michael, Benjamin C. Fortna & Elizabeth Frierson (eds). *The Modern Middle East. A Sourcebook for History*. Oxford: University Press, 2006

Arjomand, Saïd Amir (ed.). *Constitutional Politics in the Middle East. With special reference to Turkey, Iraq, Iran and Afghanistan*. Oxford and Portland Oregon: Hurt Publishing, 2008

Badie, Betrand *Les deux Etats. Pouvoirs et société en Occident et en terre de l'Islam*. Paris: Fayard, 1986.

Black, Antony. *The History of Islamic Political Thought*. New York: Routledge, 2001.

Brown, Carl L. (ed.). *Diplomacy in the Middle East. The International Relations of Regional and Outside Pow*ers, London & New York: I. B. Tauris, 2001.

Cardini, Franco. *Europe and Islam (Making of Europe).* Translated by Caroline Beamish. Oxford and Malden: Blackwell Publishers, 2001.

Choueiri, Youssef M. *A Companion to the History of the Middle East*. Oxford: Blakwell Publishing Ltd. 2005.

Cleveland, William L. *A History of the Modern Middle East*. 3rd ed. Boulder: Westview Press, 2004, 2009.

Cloarec, Vincent & Laurens, Henry. *Le Moyen-Orient au 20e siècle*. Paris: Armand Colin, 2000.

Esposito J. L. (ed.). *The Oxford Encyclopedia of the Modern Islamic World.* Vols I-IV. New York: Oxford University Press, 1995; 2011.

Esposito, J. L. *The Islamic Threat: Myth or Reality.* New York: Oxford University Press, 1992.

Felton, John. *The Contemporary Middle East: a Documentary History*. New York: SQ Press, 2008.

Ferro, Marc. *Le choc de l'islam. XVIIe-XXIe siècles*. Paris: Odile Jacob, 2003.

Gelvin, James L. *The Modern Middle East: A History.* New York: Oxford University Press, 2005.

Gettleman, Marvin E. & Schaar, Stuart (eds). *The Middle East and Islamic World Reader*. New York: Grove Press, 2003.

Goldsmith, Arthur & Davidson, Lawrence. *A Concise History of the Middle East*. 8th ed. Boulder, Colorado: Westview Press, 2006.
Halliday, Fred. *Nation and Religion in the Middle East*, London: Saki Books, 2000.
Hinnebusch, Raymond & Ehteshami, Anoushravan (eds). *The Foreign Policies of Middle East States*, Boulder, Co.: Lynne Rienner Publisher, 2002.
Hourani, Albert. *The Emergence of the Modern Middle East*. Berkeley, Los Angeles & London: University of California Press, 1981.
Hurewitz, J. C. *Diplomacy in the Near and Middle East: A documentary Record, 1535-1914*. New York: Van Nostrand, 1956.
Kamrava, Mehran. *The Modern Middle East: A Political History since the First World War*. Berkeley, Los Angeles, London: Univesrsity of California Press, 2005.
Karsh Efraim & Karsh, Inari. *Islamic Imperialism: A History*. New Haven, Conn.: Yale University Press, 2006.
Keddie, N. R. (ed.). *Scholars, Saints, and Sufis: Muslim Religious Institutions Since 1500*. Berkeley: University of California Press, 1978.
Kepel, Gilles. *Jihad: The Trail of Political Islam*. Cambridge: Harvard University Press, 2002.
_____, *Le Prophète et le Pharaon. Aux sources des mouvements islamistes*. Paris: Le Seuil, 1993.
Kissinger, Henry. *Diplomacy*. New York: Simon & Schuster, 1994.
Kushner, Harvey W. (ed.). *Encyclopedia of Terrorism*. London, New Delhi: Manohar, 2003.
Lewis, Bernard. *From Babel to Dragomans. Interpreting the Middle East*. London: Phoenix, 2004.
_____, *La formation du Moyen-Orient moderne*. Paris: Aubier, 1995.
_____, *The Crisis of Islam. Holy war and Unholy Terror*. New York: The Modern Library, 2003.
_____, *The Middle East and the West*. Bloomington: Indiana University Press, 1964.
_____, *The Middle East: A Brief History of the Last 2000 Years*. New York: Touchstone, 1997.
_____, *The Multiple Identities of the Middle East*. New York: Schocken Books, 1998.
_____, *What Went Wrong? The Clash Between Islam and Modernity in the Middle East*. New York: Perennial, 2002.
Lockman, Zachary. *Contending Visions of the Middle East. The History and Politics of Orientalism*. New York: Cambridge University Press, 2008.
Mansfield, Peter. *A History of the Middle East*. 2nd ed. London: Penguin Books, 2003.
Meyers, Eric M. (ed.). *Oxford Encyclopedia of Middle East & North Africa*. New York: Oxford University Press, 1995.
Milton-Edwards, Beverley & Hinchcliffe, Peter (eds). *Conflicts in the Middle East Since 1945*. 2nd Edition. London & New York: Routledge,Taylor & Francis Group, 2004.
Ochsenwald, William & Fisher, Sydney Nettleton. *The Middle East. A History*. 6th ed. New York: McGraw Hill, 2004.
Oren, Michel B. *Power, Faith and Fantasy. America in the Middle East. 1776 to the Present*. New York & London: W.W. Norton & Co., 2007.
Pagden, Anthony. *Worlds at War. The 2,500-Year Struggle Between East and West*. New York: Random House, 2008.
Richards, Alan & Waterbury John. *A Political Economy of the Middle East: State, Class, and Economic Development*. Boulder, San Francisco, and Oxford: Westview Press, 1990.
Rollim, Armour. *Islam, Christianity and the West.* Maryknoll, New York: Orbis Books, 2002.
Said, Edward. *L'Orientalisme. L'Orient créé par l'Occident*. Paris: Seuil, 1980.
Thobie, Jacques. *Ali et les 40 voleurs. Impérialismes et Moyen-Orient de 1914 à nos jours*. Paris: Messidor, 1985.
Varisco, Daniel Martin. *Reading Orientalism. Said and the Unsaid*. Seattle and London: University of Washington Press, 2006.

ზოგადი ნაშრომები ქვეყნების მიხედვით:

ირანი

სანიკიძე, გიორგი. *შიიზმი და სახელმწიფო ირანში*. თბილისი: ნეკერი, 2005(ა).
Abrahamian, Ervand. *A History of Modern Iran*. Cambridge University Press, 2009.
Ansari, Ali M. *Modern Iran Since 1921*. London: Longmann, 2003.

Arjomand, Saïd A. *The Turban and the Crown*, *The Islamic Revolution in Iran.* Oxford/New York: Oxford University Press, 1988.
Avery, Peter, Hambly, Gavin, Melville, Charles. *The Cambridge History of Iran*. V.7. *From Nadir Shah to the Islamic Republic*. Cambridge University Press, 1991.
Axworthy, Michael. *Empire of the Mind. A History of Iran*. New York: Basic Books, 2008.
Cole, Juan. *Sacred Space and Holy War*, *Culture and History of Shi"ite Islam*. London, New York: I.B.Tauris Publishers, 2002.
Cottam, Richard W. *Nationalism in Iran* (Updated through 1978). Pittsburgh: University of Pittsburgh Press, 1979.
Daniel, Elton L. *The History of Iran*. Westport-London: Greenwood Press, 2001.
Digard, Jean-Pierre; Hourcade, Bernard; Richard, Yann. *L"Iran au XXe siècle*. *Entre nationalisme, Islam et mondialisation.* 2ème éd. Paris: Fayard, 2007.
_____, *Irān dar qarn-eye bistom*. Tehran, 2000.
Halm, Heinz. *Le chiisme*. Trad. de l"allemand par H. Hougue, Paris: PUF, 1995.
Hourcade, Bernard. *Géopolitique de l"Iran*. Paris: Arman Colin, 2010.
Katouzian, Homa. *The Persians. Ancient, Mediaeval and Modern Iran*. New Haven & London: Yale University Press, 2010.
Keddie N.R. *Iran: Religion, Politics and Society*. Collected Essays. London: Frank Cass, 1980.
_____, *Modern Iran. Roots and Results of Revolution*. New Haven & London: Yale University Press, 2003.
Momen, Moojan. *An Introduction to Shi'i Islam. The History and Doctrine of Twelwer Shi'"*. New Haven & London: Yale University Press, 1985.
Mottahedeh, Roy P. *The Mantle of the Prophet. Religion and Politics in Iran*. New York: Simon & Shuster, 1985.
Pirnia, Hasan, Ashtiani, Abbas Eghbal, Javanmehri, Latife. *Tarikh-e kamel-e Iran*. Tehran: Ghazal, 1389/2010.
Polk, William R. *Understanding Iran: Everything You Need to Know, From Persia to the Islamic Republic, From Cyrus to Ahmadinejad*. London: Palgrave Macmillan, 2009.
Richard, Yann. *L'islam Chi'ite, Croyances et ideologies*. Paris: Fayard, 1991.
_____, *L'Iran. Naissance d"une république islamique*. Paris: Éditions de la Martinière, 2007.
Ridgeon, Lloyd (ed.). *Religion and Politics in Modern Iran. A Reader*. London: I.B. Tauris, 2005.
Upton, J. M. *The History of Modern Iran*. Cambridge, 1960.
Zarinkub, Abdolhossein. *Ruzgaran – Tarikh-e Iran az aghaz ta soghut-e saltanat-e pahlavi.* Tehran: Maharat, 1379/2000.
თურქეთი
სვანიძე, მიხეილ. *თურქეთის ისტორია (1299-2000)*. თბილისი: არტანუჯი, 2007.
Findley, Carter Vaughen. *The Turks in the World History*. Oxford Univerity Press, 2005.
_____, *Turkey, Islam, Nationalism, and Modernity: A History, 1789-2007*. Yale University Press, 2010.
Fuller, Graham E. *The New Turkish Republic. Turkey as a Pivotal State in the Muslim World.* Washington D.C.: United States Institute of Peace Press, 2009.
Heper, Metin and Landau, Jacob (eds), *Political Parties and Democratic Life in Turkey*, London: I. B. Tauris, 1991.
Howard, Douglas A. *The History of Turkey* (The Greenwood Histories of the Modern Nations). Greenwood Press, 2001.
Kinzer Stephen. *Crescent and Star: Turkey between Two Worlds*. New York: Farrar, Straus and Giroux, 2008.
Larrabee, Stephen F. & Rabasa, Angel. *The Rise of Political Islam in Turkey*. New York: Rand Publishing, 2008.
Lewis, B. *The Emergence of Modern Turkey*. London: Oxford University Press, 1967.
Mango, Andrew. *The Turks Today: Turkey after Ataturk.* London: John Murray Publishers Ltd, 2004.
Rubin, Barry & Çarkoglu, Ali. *Religion and Politics in Turkey*. London: Routledge, 2009.
Shaw, Stanford J. & Shaw, Ezel Kural. *History of the Ottoman Empire and Modern Turkey*. Volume II: Reform, Revolution, and Republic: The Rise of Modern Turkey, 1808-1975. Cambridge: Cambridge University Press, 2005.
Yavuz , Hakan M. *Secularism and Muslim Democracy in Turkey* (Cambridge Middle East Studies). Cambridge University Press, 2009.
Zürcher, Eric J. *Turkey. A Modern History*. London-New York: I.B.Tauris, 2005.

არაბული ქვეყნები

გელოვანი, ნანი. *თანამედროვე არაბული ქვეყნები*. თბილისი: უნივერსალი, 2008.

Abir, Mordechai. Saudi Arabia in the Oil Era: Regime and Elites, Conflict and Collaboration. Boulder, Co.: Westview Press, 1988.

Aburish, Said K. *The Rise, Corruption and Coming Fall of the House of Saud.* London: Bloomsbury, 1995.

Casey, Michaels. *The History of Kuwait.* Westport, Connecticut, London: Greenwood Press, 2007.

Daly M.W. (ed), *The Cambridge History of Egypt*. Vol. 2, Modern Egypt, From 1517 to the End of the Twentieth Century. New York: Cambridge University Press, 2008, pp.113-138.

Dawisha, Adeed. *Iraq. A Political History from Independence to Occupation.* Princeton and Oxford: Princeton University Press, 2009.

Goldschmidt, Arthur Jr. *Biographical dictionary of modern Egypt*. Boulder: Lynne Rienner Publishers. 2002.

Goldsmith, Arthur Jr. *Modern Egypt. The Formation of the Nation State*. 2nd ed. Boulder: Westview Press, 2004.

Hitti, Ph. *History of the Arabs*. Hong Kong & Boston:Tuttle Martial Arts,1995.

Holt, P. M. (ed.), *Political and Social Change in Modern Egypt*. London: Oxford University Press, 1968.

Hourani, A. *Histoire des peuples arabes*. Paris: Editions du Seuil, 1991.

Kedourie, Elie, & Haim, Sylvia G. (eds). *Modern Egypt: Studies in Politics and Society*. Londres: Frank Cass, 2005

Khalidi, Rashid. *Palestinian Identity: The Construction of Modern National Consciousness.* New York: Columbia University Press, 2009.

Laqueur, Walter. *A History of Zionism*. New York, 1989.

Mansfield, P. *The Arabs.* London: Penguin Books, 1976.

Marsot, Afaf Lutfi al-Sayyid. *A History of Egypt. From the Arab Conquest to the Present*. 2nd edition.

Nakash, Yitzhak. *Reaching for Power. The Shi'a in the Modern Arab World.* Princeton and Oxford: Princeton University Press, 2006.

Rasheed, Madawi. *A History of Saudi Arabia*. Cambridge: Cambridge. University Press, 2002.

Rogan, Eugene. *The Arabs. A History*. New York: Basic Books, 2009.

Sachar, Howard M. *A History of Israel from the Rise of Zionism to Our Time*. 3rd ed. New York: Alfred A. Knopf, 2007.

Traboulsi, Fawwaz. *A History of Modern Lebanon*. London, Ann Arbor, MI: Pluto Press, 2007.

Tripp, Charles. *A History of Iraq*. 3rd edition. Cambridge: Cambridge University Press, 2007.

Tucker, Spencer C. (ed.). *The Encyclopaedia of Arab-Israeli Conflict. A Political, Social, and Military History.* Vol. 1. Santa Barbara, Cal., Denver, Col. & Oxford, UK: Cartographer, International Mapping Associates, 2008.

Vassiliev, Alexei. *The History of Saudi Arabia*. New York: New York University Press, 1998.

Vatikiotis, P. J. *The Modern History of Egypt: From Muhammad Ali to Mubarak*. 4th ed. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1991.

_____, *The History of Egypt from Muhammad Ali to Sadat*. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1980.

Wagner, Healter Lehr. *Iraq* (Creation of the Modern Middle East). New York: Chelsea House Publishers, 2008.

Zamir, Meir. *The Formation of Modern Lebanon.* London and Sydney: Croom Helm, 1985.

თავი I

ახლო აღმოსავლეთის ცნება. „ახლო" და „შუა" აღმოსავლეთი: ტერმინთა ისტორია

გაჩეჩილაძე, რ., 2008ა.

Adelson, R. *London and the Invention of the Middle East. Money, Power, and War, 1902–1922*. New Haven and London: Yale University Press, 1995.

Baduel, Denoix S. Vers une Revue des mondes musulmans ou la difficulté de nommer' *Revue du Monde Musulman et de la Méditerraneé*, Nos 77-78, 1995, pp. 7-18.

Beaumont, P., Blake, G., Wagstaff, M. *The Middle East: A Geographical Study*. David Fulton, 1988.

Blake, G., Dewdney, J. Mitchell, J. *The Cambridge Atlas of the Middle East and North Africa*. Cambridge: Cambridge University Press, 1987.

Chirol, Valentine Ignatus. *The Middle East Question or Some Problems of Indian Defence.* London, 1903.

Churchill, Winston. *The Hinge of Fate*. Boston: Houghton Miffin, 1950.

Cloarec & Laurens, 2000.
Corm, G., *Le Proche-Orient éclate. De Suez à l'invasion du Liban, 1956–1982*. Paris: La Découverte/Maspéro, 1983.
Davison, R. H. Where is the Middle East? *Foreign Affairs*, Vol. 38, No 4, 1960, pp. 665-675.
Deroy, L. & Mulon, M., *Dictionnaire des noms de lieux*. Paris: Dictionnaires le Robert, 1992.
Djalili, Mohammad-Reza & Kellner, Thierry. Moyen-Orient, Caucase et Asie centrale: des concepts géopolitiques à construire et à reconstruire? *Central Asian Survey* 19 (1), 2000, pp. 117–140.
Drysdale, A., Blake, G. H. *The Middle East and North Africa. A political Geography*. Oxford: Oxford University Press, 1985.
Fisher, W.B. *The Middle East. A Physical, Social and Regional Geography*. 5th ed. London: Methuen, 1966.
Gillard, D. *The Struggle for Asia, 1828–1914. A study in British and Russian Imperialism.* London: Methuen & Co Ltd, 1977.
Goldsmith & Davidson, 2006.
Goldstein, Norm. *The Associated Press Stylebook and Briefing on Media Law*. New York: Basic Books, 2004.
Hafeez, Malik (ed.). *Central Asia. Its Strategic Importance and Future Prospects*. London: Macmillan, 1994.
Held, Colbert C. *Middle East Patterns. Places, Peoples, and Politics*. 4th ed. Boulder: Westview Press, 2006.
Hopkirk, P. *The Great Game. On Secret Service in High Asia*. Oxford: Oxford University Press, 1990.
Keddie, Nikkie R. Is there a Middle East? *IJMES*, No 4, 1973.
Kemp, G., Harkavy, R., *Strategic Geography and the Changing Middle East*. Carnegie Endowment for International Peace, Washington: Brookings Institution Press, 1997.
Koppes, C. R. Captain Mahan, General Gordon, and the Origins of the Term „Middle East". *MES*, No 12, 1976, pp. 95–98.
Laciner, Dr. Sedat. Is There a Place Called „the Middle East"? *The Journal of Turkish Weekly*, 02.06.2006.
Le Petit Robert. Dictionnaire universel des noms propres, alphabétique et analogique, rédaction dirigeé par Alain Rey. Paris: Le Robert, 1993.
Lewis, Bernard. On Occidentalism and Orientalism. *In* Lewis, B., 2004.
_____, 1964; 1995.
Lewis, M. W., Wigen, K. E. *The Myth of Continent. A Critique of Metageography.* Berkeley, London: University of California Press, 1997.
Lockman, Z., 2008.
Mahan, Alfred H. The Persian Gulf and International Relations. *National Review*, September 1902.
Mandelbaum, Michael (ed.). *Central Asia and the World*. New-York: Council on Foreign Relations Press, 1994.
Mansfield, P., 2003.
Manz, B. F. (ed.). *Central Asia in Historical Perspective*. Boulder, Co.: Westview Press, 1994.
Mesbahi, M. (ed.), *Central Asia and the Caucasus after the Soviet Union. Domestic and International Dynamics*. Gainesville, Fl.: University Press of Florida, 1994.
Mutin, G., Durand-Dastes , F. Afrique du Nord. Moyen-Orient, Monde indien. Dans *Géographie universelle.* Sous la dir. de Roger Brunet. Paris: Belin/Reclus, 1996.
Nazemroaya, Mahdi Darius. Plans for Redrawing the Middle East: The Project for a „New Middle East". *Global Research*, 18.11.2006
Near East is Mideast, Washington Explains. *NYT,* 14.08.1958; http://select.nytimes.com
Ochsenwald & Fisher, 2004.
Olcott, M. Brill. *Central Asia's New States. Independence, Foreign Policy, and Regional Security*. Washington, DC: United Institute for Peace Press, 1996.
_____, The Myth of „Tsentral'naia Aziia". *Orbis*, Vol. 38, No 4, 1994, pp. 549-565.
Palmer, Michael A. *Guardians of the Persian Gulf: A History of America's Expanding Role in the Persian Gulf, 1833-1992*. New York: The Free Press, 1992.
Paskoy, H. B. (Ed.). *Central Asia Reader: The Rediscovery of History*. Armonk, New York: ME Sharpe, 1994.
Pearcy, Etzel. The Middle East – An Indefinable Region. *Department of State Bulletin*, Vol. XL, No 1030, 23.03.1959.
Perthes,Völker. America's „Greater Middle East" and Europe: Key Issues for Dialogue. *MEPC*, Vol. XI, Fall 2004, No 3. http://www.mepc.org/ journal_vol11/0409_perthes.asp
Rahul, R., *Central Asia Major Perspectives*. New Delhi: Vikas Publishing House, 1993.
Rondot, P., *Destin du Proche-Orient*. Paris: Les Editions du Centurion, 1959.
Said, E., 1980.

Stewart, Dona J. The Greater Middle East and Reform in the Bush Administration's Ideological Imagination. *Geographical Review (New Geographies of the Middle East)*, Vol. 95, No. 3, 2005, pp. 400-424
Thobie, J., 1985.
Varisco, D., 2006.
Zubaida, S., Muslim Societies. Unity or Diversity? *Isim*, No 1, October 1998.

თავი II

ირანი XIX საუკუნეში

ნაჭყებია, ირინე. შტრიხები ფათჰ ალი-შაჰის პორტრეტისათვის: ფათჰ ალი-შაჰი და მისი ჰარამხანა. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, III, თბილისი, 2002, გვ. 79-103.
სანიკიძე, გიორგი. „თამბაქოს" საპროტესტო მოძრაობა ირანში: შიიტური სამღვდელოების პირველი დაპირისპირება ხელისუფლებასთან. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VI, თბილისი: ნეკერი, 2009, გვ. 100-109.
_____, 2005ა.
ტერ-ოგანოვი, ნუგზარ. *ირანის რეგულარული არმია და უცხოური სამხედრო მისიები*. თბილისი: მეცნიერება, 1984.
შარაშენიძე, ზურაბ. *ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობები XIX ს. დასაწყისში*. თბილისი: მეცნიერება, 1984.
შენგელია, ლუიზა. *რუსეთ-ირანის ურთიერთობები და ამიერკავკასია XIX საუკუნის I მესამედში*, თბილისი: მეცნიერება, 1988.
Abrahamian, Ervand. *A History of Modern Iran*. New York: Cambridge University Press, 2009.
Adāmī'yat, Ferāydoon. *Fekre-ye azadi va mokaddame-ye mashrutiyyat-e iran* Tehran,1340/1961.
al-Afghani, Jamal al-Din. The Reign of Terror in Persia. (*The Contemporary Review*, LXI, 1892, pp. 238-48). *In* Ridgeon (ed.), 2005, pp.1-13.
Algar, Hamid. *Mirza Malkum Khan. A study in the History of Iranian Modernism*. Los-Angeles: University of California Press, 1973.
_____, *Religion and State in Iran 1785-1906*. Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1969.
_____, The Revolt of Agha Khan Mahallati and the Transference of the Isma'ili to India. *Studia Islamica*, No 29, 1969, pp. 55-81.
Amanat, Abbas. *Resurection and Renewal: The Making of the Babi Movement in Iran, 1844-1850*. Ithaca, 1989.
_____, *Pivot of the Universe: Nasir al-Din Shah and the Iranian Monarchy, 1831-1896*. Berkeley: University of California Press, 1997.
Amin, Camron Michael, „The Statement of Purpose" of an Early Official Gazette in Qajar Iran, 1851. *In* Amin et al., 2006, pp. 99-100.
Amini, I. *Napoléon et la Perse, Les relations franco-persanes sous le Premier Empire dans le contexte des rivalités entre la France, l'Angleterre et la Russie*. Paris, 1995.
_____, Napoleon and Persia. *Iran*, The Journal of the British Institute of Persian Studies, XXXVII, London, 1999.
Arjomand, Saïd A. *The Shadow of God and the Hidden Imam. Religion, political Order and Social Change in Shi"ite Iran from the Beginning to 1890*. Chicago/London: University of Chicago Press, 1984.
_____, 1988.
Atkin, M. *Russia and Iran, 1780-1828*, Minneapolis: University of Minnesota Press, 1980.
Avery, Hambly, & Melville. 1991.
Badie, B., 1986.
Bakhshayeshi, Aqiqi. *Ten Decades of Ulama's Struggle*. Transl. by Alaedin Pazargadi, ed. by G.S. Radhakrishna. Tehran, 1985.
Bayat, M. *Mysticism and Dissent: Socioreligious Thought in Qajar Iran*. Syracuse: Syracuse University Press, 1982.
Bosworth, Edmund & Hillenbrand, Carole (eds). *Qajar Iran. Political, social and cultural change 1800-1925*. Costa Mesa, Cal.: Mazda Publishers, 1992.
Browne, Edward G. *The Persian Revolution of 1905-1909*. Cambridge University Press, 1910.
Cottam, R., 1979.
Curzon, George N. *Persia and the Persian Question*. 2 vols. London: Frank Cass, 1969.

Hurewitz, J. C. (ed.). *The Middle east and North Africa in World Politics. A Documentary Record. T. I, European Expansion, 1535-1914*. New Haven-London, 1952.
Issawi, Charles, ed. *The Economic History of Iran, 1800-1914*. Chicago: University of Chicago Press, 1971.
Kasravī, Ahmad. *Tārīkh-i Mashrūīa-ye Īrān*. Tehrān: Amir-Kabir Publications, 1319/1961.
Katouzian, Homa. *The Political Economy of Modern Iran*. London, 1981.
Kazemzadeh, Feridun. *Religion and Rebellion in Iran. The Iranian Tobacco Protest of 1891-1892.* London: Franc Cass, 1966.
_____, *Russia and Britain in Persia, 1864-1914*. New Haven & London, 1968.
Keddie, Nikki R. Stratification, Social Control, and Capitalism in Iranian Villages, before and after Land Reform. *In* Keddie, 1980.
_____, *An Islamic Response To Imperialism. Political and Religious Writings of Sayyid Jamāl al-Afghānī* . Berkeley & Los Angeles: University of California Press, 1982.
_____, *Modern Iran. Roots and Results of Revolution*. New Haven & London: Yale University Press, 2003.
_____, *Qajar Iran and the Rise of Reza Khan 1796-1925*. Costa Messa, Cal.: Mazda Publishers, 1999.
Kelly, Laurence. *Diplomacy and Murder in Tehran: Alexander Griboyedov and Imperial Russia's Mission to the Shah of Persia*. London: I.B. Tauris, 2006.
Kirmānī, Nāūīm al-Islām. *Tārīkh-i Bīdārī-yi Īrānīān*. Tehran, 1953.
Lambton, Anne K.S. *Qajar Persia*. Austin: University of Texas Press, 1988.
_____, The Impact of the West in Persia. *International Affairs*, Vol. 33, No 1, 1957.
Malkam Khan, Mirza. A Traveller's Narrative. *In* Ridgeon (ed.), 2005, pp. 14-37.
McDaniel, T. *Autocracy, Modernization, and Revolution in Russia and Iran*. Princeton, New Jersey: Princeton University Press, 1991.
Nashat, G. *The Beginning of Modern Reform in Iran*. Urbana, 1981.
Qāderi, Sayyid 'Ali. *The Life of Imam Khomeini*, Vol. I, Transl. by M.J. Khalili and S.M. Anari. Tehran, 2000.
Richard, Yann. *L'Iran. Naissance d'une république islamique*. Paris: Editions de la Martinière, 2006.
_____, *L'islam Chi'ite, Croyances et ideologies*. Paris: Fayard, 1991.
Ringer, Monica. A Manifesto for Educational Reform in Qajar Iran. *In* Amin et al. (eds), 2006, pp. 43-47.
Safai, I. *Asnād-e sīāsi-ye doūrān-e kājarīye*. Tehrān, 1967.
Sheikholeslami, Reza A. *The Structure of Central Authority in Qajar Iran, 1971-1896*. Atlanta: Scholars Press, 1997.
Smith, S. *The Babi and Baha'i Religions*. Cambridge: Cambridge University Press, 1987.
Zarinkub, 1379/2000.
Богданов, Л. О. Персия. СПб., 1909.
Вебер, Макс. „Хозяйственная этика мировых религии", с. 43-77; „Социология религии", там-же, с. 78-308; в кн. Вебер, М. *Избранное. Лики Общества.* Москва, 1994.
Иванов, М.С. Зайцев, В.Н. *Новая история Ирана (Хрестоматия)*. Москва: Наука, 1988.
Кузнецова, Н. А. *Иран в первой половине XIX века.* Москва: Наука, 1983.
Куция, Карло К. *Социально-экономическая структура и социальная борьба в городах сефевидского Ирана*. Тб.: Мецниереба, 1990.

თავი III

ოსმალეთის იმპერია XIX საუკუნეში

ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი თურქულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. ალასანიამ. თბილისი, 1976.
ალასანია, გიული. ნ. ალის „რისალე," როგორც წყარო ოსმალეთის აგრარულ ურთიერთობათა შესწავლისათვის. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, 1971, III, გვ. 226-235.
Bentwich, Norman. The New Turkish Constitution. *JSCL*, New Series, 1908, Vol. 9, No. 2, pp. 328-336.
Buzpinar, Ş. Tufan. Opposition to the Ottoman Caliphate in the Early Years of Abdülhamid II: 1877-1882. *Die Welt des Islams*, New Series, 1996, Vol. 36, Issue 1, pp. 59-89.
Davison, Roderic H. *Reform in the Ottoman Empire, 1856–1876*. Princeton: Princeton University Press,1963.
Deringil, Selim. Legitimacy Structures in the Ottoman State: The Reign of Abdulhamid II (1876-1909). *IJMES*, 1991,Vol. 23, No. 3, pp. 345-359.

Engin, D. Akarli. Economic Policy and Budgets in Ottoman Turkey, 1876-1909. *MES*, 1992, Vol. 28, No. 3, pp. 443-476.

Faroqhi, Suraiya, Donald Quartaert, & Sevket Pamuk. *An Economic and Social History of the Ottoman Empire, 1600-1914*. Vol. 2, New York: Cambridge University Press, 1997.

Findley, Carter V. The Foundation of the Ottoman Foreign Ministry: The Beginnings of Bureaucratic Reform under Selim III and Mahmud II. *IJMES*, 1972, Vol. 3, No. 4, pp. 388-416.

Fortna, Benjamin C. *Imperial Classroom: Islam, the State and Education in the Late Ottoman Empire*. Oxford University Press, 2002.

Gellner, Ernest. *Nations and Nationalism*. New Perspectives on the Past Series. Ithaca, NY: Cornell University Press, 1994.

Halacoğlu, Yusuf. *Ottoman State Organisation in the Classical Period*. Ankara: Yeni Türkiye, 2002.

Howard, D., 2001.

İhsanoğlu, Ekmeleddin. *History of the Ottoman State, Society and Civilization.* Vol. 2, Istanbul: IRCICA, 2002.

İnalcik, Halil. *Periods in Ottoman History and the Turks*. Ankara: Yeni Türkiye, 2002.

Karal, E.Z. *Osmanh Tarihi V. Cilt Nizam-1 Cedit ve Tanzimat Devirleri 1789-1856*. Ankara: Türk Tarih Kurumu Basimevi, 1947.

Karpat, Kemal H. and Zens, Robert W. *Ottoman Borderlands: Issues, Personalities, and Political Changes.* Madison, Wisconsin: University of Wisconsin Press, 2003.

Lewis, B., 1967.

Mithat, Ali Haydar. *The Life of Midhat Pasha: A Record Of His Services, Political Reforms, Banishment, and Judicial Murder, Derived From Private Documents and Reminiscences*. Nabu Press, 2010.

Naff Thomas. Reform and the Conduct of Ottoman Diplomacy in the Reign of Selim III, 1789-1807. *JAOS*, 1963, Vol. 83, No. 3.pp. 295– 312.

Saydam, Abdullah. The Reforms of Tanzimat Period. *In* Kemal Çiçek-Cem Oğuz (ed.), *The Turks*, Vol. 4, Ankara: Yeni Türkiye Yayınları, 2002, pp. 198-223.

Shaw, & Shaw, 2005.

Shaw, Stanford J. *History of the Ottoman Empire and Modern Turkey. 1. Empire of the Gazis: the Rise and Decline of the Ottoman Empire, 1280-1808*. Cambridge: Cambridge University Press, 1976.

Shaw, Stanford J. The Origins of Ottoman Military Reform: The Nizam-I Cedid Army of Sultan Selim III. *JMH*, 1965,Vol. 37, No. 3, pp. 291-306.

Subasi Turgut. Sultan Abdulmecid and Sultan Abdulaziz. *In* Kemal Çiçek-Cem Oğuz (ed.), 2002, pp.179-186.

Sugar, Peter F. *Nationalism in Eastern Europe*. Seattle & London: University of Washington Press,1994.

Weiker Walter F. The Ottoman Bureaucracy: Modernization and Reform. *ASQ*, 1968, Vol. 13, No 3, Special Issue on Organizations and Social Development, pp. 451-470.

Yalçınkaya, Mehmet Alaaddin. The Eighteenth Century: A Period of Reform, Change and Diplomacy (1703 -1789). *In* Kemal Çiçek-Cem Oğuz (ed.), 2002, pp. 91-124.

Желтяков, *А. Д. Печать в общественно-политической и культурной жизни Турции* (1729-1908). Москва: Наука, 1972.

Кинросс, Лорд. Расцвет и упадок Османской империи. Москва:Крон-Пресс,1999.

Миллер, А. Ф. *Мустафа Паша Байрактар. Оттоманская империя в начале XIX века.* Москва, Ленинград: Изд-во АН СССР,1947.

Новичев, А. Д. История Турции. **Т**. 2: Новое время. Ч. 1 (1792-1839). Ленинград: Ленинградский государственный университет, 1968.

Смирнов, В. Д. Кочибей *Гömюрджинский и другие османские писатели XVII в. о причинах упадка Турции*. Санкт-Петербург, 1873.

Тарле Е. В. *Крымская война.* В 2-х т. Т.2. Москва, Ленинград: Изд-во АН СССР, 1944.

Фадеева, И.Е. *Мидхат-паша. Жизнь и деятельность.* Москва: Наука,1977.

თავი IV

არაბული ქვეყნები XIX ს-ში

ლურსმანაშვილი, ნ. განათლების სისტემა ეგვიპტეში XIX საუკუნის I ნახევარში მუჰამად ალის მმართველობის დროს. *ახლო აღმოსავლეთი და კავკასია*, 2003, №1, გვ. 70-73.

_____, მუჰამად ალი – პიროვნება და პოლიტიკოსი. *ახლო აღმოსავლეთი და კავკასია*, 2003, №1, გვ. 101-106.

სილაგაძე, ბენიამინ. *ქართველი მამლუქები ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 1798-1801 წლებში*. თბილისი: მეცნიერება,1984.

ტიკაძე, მერაბ. მამლუქებისა და ულემების როლი ეგვიპტელი ხალხის „განმათავისუფლებელ მოძრაობაში" XVIII საუკუნის დამლევს (კაიროს ორი – 1798-1800წწ. აჯანყების შეფასებისათვის). *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, 1999, №2, გვ. 119-142.

შარაშენიძე, მ. ოსმალეთ-ეგვიპტის პირველი (1831-1833) კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. *აღმოსავლეთი და კავკასია*, 2003, №1, გვ.100-102.

ჯანელიძე, დ. ნაპოლეონის მანიფესტი მამლუქებზე. *ქართული წყაროთმცოდნეობა,* 1971, №3, გვ. 311-315.

_____, სილაგაძე ბ. *ქართველი მამლუქები ეგვიპტეში და ერაყში*. თბილისი: მეცნიერება, 1967.

ჯაფარიძე, გ. მამლუქი. წიგნში: ჯაფარიძე, გ. (ხელმ.), 1999, გვ.125-127.

Abir, M. Modernisation, Reaction and Muhammad Ali's Empire. *MES*, 1977, Vol. 13, No 3, pp. 295-313.

Abu-Manneh, Butrus. The Christians between Ottomanism and Syrian Nationalism: The Ideas of Butrus Al-Bustani. *IJMES* ,1980, Vol. 11, No 3, pp. 287-304.

Ayubi, Nazih N. *Bureaucracy and Politics in Contemporary Egypt*. London: Ithaca Press, 1980.

Baer, Werner. The Promoting and the Financing of the Suez Canal. *BHR*, 1956, Vol. 30, No. 4, pp. 361-381.

Barthorp, Michael. *War on the Nile. Britain, Egypt and Sudan 1882-1898*. Blandford Press, 1986.

Berger, Morroe. *Military Elite and Social Change: Egypt Since Napoleon*. Princeton, New Jersey: Center for International Studies, 1960.

Bruse, Masters. Aleppo: the Ottoman Empire's caravan city. In *The Ottoman City between East and West: Aleppo, Izmir, and Istanbul.* Cambridge: Cambridge University Press, 1999, pp. 17-19.

Cardini, F., 2001.

Chamberlain, M. E. The Alexandria Massacre of 11 June 1882 and the British Occupation of Egypt. *MES*, 1977, Vol. 13, No. 1, pp. 14-39.

Cole, Juan R. I. *Colonialism and Revolution in the Middle East. Social and Cultural Origins of Egypt's „Urabi Movement*. Cairo: American University in Cairo Press, 1999.

_____, *Napoleon"s Egypt: invading the Middle East*. New York: Palgrave Macmillan, 2007.

Cuno, Kenneth M. The Pasha's Peasants*: Land, Society, and Economy in Lower Egypt, 1740-1858.* Cambridge: Cambridge University Press, 1994.

Davison, R., 1963.

Djaparidze, G. The Fate of Georgian Students in the First Egyptian Student Mission sent to France by Muhammad 'Ali. *In* Daniel Crecelius and Muhammad Husam al-Din Isma'il (eds), *Abhath al-Mu'tamar al-Thalith li al-Dirasat al-"Uthmaniyya fi Misr*. Cairo: Dar al-Afaq al-'Arabi, 2004, pp. 53-58.

Dodwell, Henry. *The Founder of Modern Egypt: A Study of Muhammal 'Ali*. Cambridge: Cambridge University Press, 1931.

Dykstra, Darrell. The French occupation of Egypt,1789-1801. *In* Daly M.W. (ed.), 2008, pp.113-138.

Escovitz , Joseph H. „He Was the Muhammad Abduh of Syria" – a Study of Tahir al-Jazairi and His Influence. *IJMES*, 1986, Vol. 18, No 3, pp. 293-310.

Fahmy, Kh. *All the Pasha's Men: Mehmed Ali, His Army and the Making of Modern Egypt.* Cairo & New York: The American University in Cairo Press, 2002.

_____,The Era of Muhammad 'Ali Pasha, 1805–1848. *In* Daly M.W. (ed.), 2008, pp.139-179.

Fedorak, Charles John. The French Capitulation in Egypt and the Preliminary Anglo-French Treaty of Peace in October 1801: A Note. *IHR,* 1993, Vol. 15, pp. 525-34.

Gillispie, Charles Coulston. Scientific Aspects of the French Egyptian Expedition 1798-1801. *PAPS,* 1989, Vol. 133, No 4, pp. 447-474.

Gökbilgin, M. Tayyib. Midhat Pasha. In *İslâm Ansiklopedisi,* Vol. 8, Istanbul: Milli Eitim Basımevi,1960, pp. 270-282.

Heyworth-Dunne, J. Printing and Translations under Muhammad 'Alī of Egypt: The Foundation of Modern Arabic. *JRAS,* 1940, No 3, pp. 325-349.

Hitti, Ph., 1995.

Holt, P. M. *Egypt and the Fertile Crescent 1516-1922*. 2nd ed. London: Oxford University Press, 1980.

Hourani, Albert H. *Arabic Thought in the Liberal Age 1798-1939*. London: Oxford University Press, 1970.
_____, Ottoman Reform and the Politics of Notables. *In* William R. Polk and Richard L. Chambers (eds), *Beginnings of Modernization in the Middle East: The Nineteenth Century.* Chicago, University of Chicago Press,1968. pp. 41–68.
_____, *Syria and Lebanon*. London, New York, Toronto: Oxford University Press, 1946.
Hunter F. Robert. Egypt under the Muhammad 'Ali's successors. *In* Daly M.W (ed.), 2008, pp.180-197.
_____, *Egypt under the Khedives, 1805-1879. From Household Government to Modern Bureaucracy*. Cairo: The American University in Cairo Press. 1999.
Ibrahim, Hassan Ahmed. The Egyptian Empire,1805-1885. *In* Daly M.W (ed.), 2008, pp.198-216.
İhsanoğlu, E., 2002.
Kelly, J. B. Mehemet 'Ali's Expedition to the Persian Gulf 1837-1840. Part I, *MES,* 1965, Vol. 1, No 4, pp. 350-381; Part II, *MES,* 1965, Vol. 2, No 1, pp. 31-65.
Landen Robert G. Creating new institutions: Clot Bey's Organization of Egypt's First Modern Medical Establishment, 1827–1837. *In* Amin, et al., 2006, pp. 31-38.
Lawson, F. H. *The Social Origins of Egyptian Expansionism during the Muhammad Ali Period.* New York: Columbia University Press, 1992.
Le Strange, Guy. *Palestine under the Moslems: A Description of Syria and the Holy Land from A.D. 650 to 1500.* Translated from the Works of the Mediaeval Arab Geographers. New York: AMS Press, 1975.
Lewis, B., 1964.
Maoz, Moshe. Syrian Urban Politics in the Tanzimat Period between 1840 and 1861. *BSOAS,* 1966, Vol. 29, No. 2, pp. 277-301.
Marsot, Afaf Lutfi Al-Sayyid. *Egypt in the Reign of Muhammad Ali* (Cambridge Middle East Library). Cambridge, U.K., & New York: Cambridge University Press, 1984.
_____, The British Occupation of Egypt: Another View. *IJMES*, 1978, Vol. 9, pp.471-88.
_____, The Role of the Ulama in Egypt during the Early Nineteenth Century. *In* Holt, P. M. (ed.), 1968, pp. 264-280.
_____, 2007.
McGregor, Andrew. *A Military History of Modern Egypt. From the Ottoman Conquest to the Ramadan War*. London: Praeger Secuity International Westport, Connecticut, 2006.
Mithat, A., 2010.
Mundy, Martha & Smith, Richard Saumarez. *Governing Property, Making the Modern State. Law, Administration and Production in Ottoman Syria*. London, New York: Routledge, 2007.
Owen, Roger. *The Middle East in the World Economy, 1800-1914*. London: Methuen,1981.
Reid, Donald Malcolm. The 'Urabi revolution and the British Conquest, 1879-1882. *In* Daly M.W. (ed.), 2008, pp.217-238.
Richards, A.R. *Accumulation, Distribution and Technical Change in Egyptian Agriculture: 1800-1940.* Wisconsin, Madison: University of Wisconsin,1975.
Rivlin, Helen. *The Agricultural Policy of Muhammad Ali*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1961.
Robinson Arthur E. The Conquest of the Sudan by the Wali of Egypt, Muhammad Ali Pasha, 1820– 1824. Part I, *JRAfS*, 1925, Vol. 25, No 97, pp. 47-58; Part II, *JRAfS*, 1926, Vol. 25, No 98, pp. 164-182.
Rollim, A., 2002.
Rose, J. Holland. The Political Reactions of Bonaparte's Eastern Expedition. *EHR*, 1929, Vol. 44, No. 173, pp. 48-58.
Saliba, Najib E. The Achievements of Midhat Pasha as Governor of the Province of Syria, 1878-1880. *IJMES,* 1978, Vol. 9, No 3, pp. 307-323.
Schilcher, L. Schatkowski. The Hauran Conflicts of the 1860s: A Chapter in the Rural History of Modern Syria. *IJMES,* 1981,Vol. 13, No 2, pp. 159-179.
Shamir, Shimon. The Modernization of Syria: Problems and Solutions in the Early Period of Abdulhamid. *In* Polk, W. (ed.), 1968, pp. 351-38I.
Shamir, Shimon. Midhat Pasha and the Anti-Turkish Agitation in Syria. *MES,* 1974,Vol. 10, No 2, pp. 115-141.
Shaw, Stanford J. Ottoman Egypt in the Age of the French Revolution. Cambridge, Mass.: Harvard University Press,1964.

Shukri, Muhammad Fu'ad. *Bina' Dawlah Misr Muhammad 'Ali* (State-Building in Muhammad 'Ali's Egypt). Cairo: Dar al-fikr al-'arabi, 1948.

Silvera, Alain. The First Egyptian Student Mission to France under Muhammad Ali. *In* Kedourie & Haim (eds), 2005, pp. 23-41.

Sluglett, P. Westernization. In *Encyclopedia of the Modern Middle East and North Africa,* Vol. 4. London, New York: MacMillan Reference Books,1996, pp.234-235.

Stephens, John L. The Founder of the Khedivate. *The North American Review*, 1879, Vol. 129, No 273, pp. 171-187.

Taylor, A. J. P. Prelude to Fashoda: The Question of the Upper Nile, 1894-5. *EHR,* 1950, Vol. 65, No 254, pp. 52-80.

Thompson, Elizabeth. Ottoman Political Reform in the Provinces: The Damascus Advisory Council in 1844-45. *IJMES,* Vol. 25, No 3 (Aug., 1993), pp. 457-475.

Traboulsi, F., 2007.

Tuchman, Barbara W. Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Age to Balfour. New York: Ballantine Books,1984.

Vatikiotis, P. J., 1991.

_____, 1980.

Warburg Gabriel. The Sudan, Egypt and Britain, 1899-1916. *MES,* 1970, Vol. 6, No 2, pp. 163-178.

Winter, Michael. Turks, Arabs and Mamluks in the army of Ottoman Egypt. *WZKM,* 1980, Vol.72, pp. 97-122.

Winter, Michael & Levanoni, Amalia (eds). *The Mamluks in Egyptian and Syrian Politics and Society*. Leiden: Brill, 2004.

Аль-Джабарти, 'Абд ар-Рахман. '*Аджа'иб ал-Асар Фи-т-Тараджим ва-л-Ахбар* (Удивительная История прошлого в Жизнеописаниях и хронике событий).Т. III, часть I [Египет в период экспедиции Бонапарта (1798-1801). Перевод, предисловие и примечания И. М. Фильштинского]. Москва: Изд. Восточной литературы, 1962.

Базили, К. М. *Сирия и Палестина под турецким управлением.* Москва: Наука, 1962.

Зеленев, Е. И. *Египет: Средние века. Новое время.* СПб.: Изд. Санкт-Петербургского университета, 1999.

_____, *Государственное управление, судебная система и армия в Египте и Сирии (XVI-начало XX века).* СПб.: Изд. Санкт-Петербургского университета, 2003.

_____, *Мухаммад Али: борьба за власть в Египте (1801-1805 гг.).* СПб.: Издательство Санкт-Петербургского университета, 2002.

_____, *Доктрина османизма и ее роль в общественной и политической жизни Сирии.* Ленинград: Ленинградский государственный университет, 1990.

Котлов, Л. Н. *Становление национально-освободительного движения в арабских странах Азии.* Москва: Наука, 1975.

Крымский А. Е. *История новой арабской литературы (XIX – начало XX века)*. Москва: Наука, 1971.

Левин, З. И. *Развитие основных течений общественно-политической мысли в Сирии и Египте (новое время).* Москва: Наука, 1972.

Луцкий, В. Б. *Новая история арабских стран.* Москва: Наука,1965.

Наполеон. *Избранные произведения.* Москва: Воениздат, 1956.

Новичев, А. Д., 1968.

Смилянская, И.М. Социально-экономическая структура стран Ближнего Востока на рубеже нового времени (на материалах Сирии, Ливии и Палестины). Москва: Наука, 1979.

Тарле, Е. В. *Наполеон.* Ростов н/Д: Феникс, 1996.

Тума, Е. *Национально-освободительное движение и проблема арабского единства.* Москва: Наука, 1977.

Фадеева, И. Л. *Официальные доктрины в идеологии и политике Османской империи (османизм-панисламизм).* Москва: Наука,1985.

_____, 1977.

Фильштинский, П. М. Каирские восстания 1798-1800 гг. и описание их в хронике Абд ар-Рахмана аль-Джабарти. *Советское востоковедение,* 1958, №3, сс.46-82.

თავი V

კავკასია და ახლო აღმოსავლეთი XIX-ში

ალექსიძე, მარინა. *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*. თბილისი, 2009.

ანთაძე, კონსტანტინე. *საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში*. თბილისი, 1973.

ბარამიძე, ი. მუჰაჯირობა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. *კრ-ში კულტურულოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში.* ბათუმი, 1996.

ბარამიძე, რუსლან. ბათუმის მეჩეთები (წარსული და თანამედროვეობა). www.islam.ge

ბაქრაძე, დიმიტრი. *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში.* ბათუმი, 1987.

ბერაძე, თეიმურაზ. *და აღმოცენდა თბილისი*. თბილისი, 1977.

_____, *ძველი თბილისის სურათები*. თბილისი, 1980.

ბერძენიშვილი, ნ. *საქართველოს ისტორიის საკითხები,* II. თბილისი, 1973.

ბოდენშტადტი, ფრიდრიხ. *ათას ერთი დღე აღმოსავლეთში*. გერმანულიდან თარგმნა ა. გელოვანმა. თბილისი, 1965.

გამბა, ჟაკ ფრანსუა. *მოგზაურობა ამიერკავკასიაში*, I. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1987.

გელაშვილი, ა. *კახეთის 1812 წლის აჯანყება*. თბილისი, 2003.

გიულდენშტედტი, ი.ა. *მოგზაურობა რუსეთში და კავკასიაში.* ქართულად თარგმნა გ. გელაშვილმა. თბილისი, 1962.

გოცირიძე, გიორგი. *მუსლიმანური დღესასწაული „მოჰარამი“ თბილისში*. თბილისი, 1988.

გუგუშვილი, პაატა. *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში*, ტ. VI. თბილისი, 1979.

გასვიანი გ. *აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები*. თბილისი, 1998.

დათუნაშვილი, ილია. კავკასიაში მუჰაჯირული მოძრაობის წარმოშობის რელიგიური ფაქტორები (XIX ს.-ის II ნახევარი. *კრ.-ში* გიგინეიშვილი, ო. (რედ.). *მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია (ახალი დაუახლესი პერიოდი)*. თბილისი, 1989.

დუმბაძე, მ., *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* IV, *საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე*. თბილისი, 1973.

დუმბაძე, მ., გუჩუა, ვ. (რედ). *თბილისის ისტორია*, I. თბილისი, 1990.

ეიდენბაუმი, ევგენი. *ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები)*. თარგმნეს მ. ჩხაიძემ და გ. საითიძემ. თბილისი: არტანუჯი, 2005.

ვახუშტი ბატონიშვილი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება*, IV. თბილისი, 1973.

თაყაიშვილი, ექვთიმე. *სამუსულმანო საქართველო*. ტიფლისი, 1912.

თოთაძე ა. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბილისი, 1993.

იაშვილი, ვ. *აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში*. ბათუმი, 1948.

კაკაბაძე, სარგის. ქალაქ თბილისის აღწერა 1803 წლისა. *საისტორიო მოამბე*, II, 1925.

კაკურია, შ. *თბილისის მოსახლეობა, 1803-1870*. თბილისი, 1979.

კარლ კოხისა და ო. სპენსერის მოგზაურობა საქართველოში და *კავკასიაში*. გამოკვლევა და თარგმანი ლ. მამაცაშვილისა. თბილისი, 1981.

კაციტაძე, დავით. *ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან*. თბილისი, 1986.

კვირკველია, თ. *ძველთბილისური დასახელებანი*. თბილისი, 1985.

კომახიძე, თ. *ქალაქ ბათუმის განათლებისა* და *და კულტურის ისტორიის საკითხები*. ბათუმი, 1996.

ლამბერტი, არქანჯელო. *სამეგრელოს აღწერა*. იტალიურიდან თარგმნა ა. ჭყონიამ, თბილისი, 1937.

მაჯდ ოს-სალტანე, *თბილისის აღწერა*. სპარსულიდან თარგმნა მ. მამაცაშვილმა. თბილისი, 1971.

მგალობლიშვილი, მზია, მიქიაშვილი, ლელა. ჟაკ ფრანსუა გამბა ვაჭრობის განვითარებისა და გარანტიების შესახებ XIX ს. I ნახევრის საქართველოში (თბილისის სტრატეგიული ადგილმდებარეობის ანალიზი). *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 2, თბილისი, 2007, გვ. 302-316.

მეგრელიძე, შ. *აჭარის წარსულიდან*. თბილისი, 1964

მესხია, შოთა. *თეიმურაზ ბატონიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)*. თბილისი, 1982.

ნაჭყებია, ირინე. ნაპოლეონის ემისართა თვალით დანახული თბილისი რუსეთ-ირანის ომის დროს (1804-1813). *კრ.-ში ვალერიან გაბაშვილი – 90*, თბილისი, 2003, გვ. 400-421.

ორჯონიკიძე, ე. *ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ*. თბილისი, 1999.
პაჭკორია, მ. *რედუტ-კალე*. თბილისი, 1968.
პოლიევქტოვი, მ. ნათაძე, გ. *ძველი ტფილისი*. თბილისი, 1930.
ჟობერი, ამადე. *მოგზაურობა სომხეთში და სპარსეთში 1805-1806 წლებში* [A. Jaubert, *Voyage en Arménie et en Perse fait dans les années 1805-1806*]. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ი. ნაჭყებიამ. თბილისი, 1997.
სანიკიძე, გიორგი. *ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში*. თბილისი: ლოგოსი, 1999.
სვანიძე, მიხეილ. *ქართველები თურქეთში*. თბილისი, 1996.
_____, გიორგი ყაზბეგის ცნობები აჭარის წარსულზე. კრ.-ში *გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ*. ბათუმი, 1960.
სიჭინავა, ვ. *ბათუმის ისტორიისათვის*. ბათუმი, 1958.
შარაშენიძე, ზურაბ. *ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობები XIX ს. დასაწყისში*. თბილისი: მეცნიერება, 1984.
შენგელია, ლუიზა. *რუსეთ-ირანის ურთიერთობები და ამიერკავკასია XIX საუკუნის I მესამედში*, თბილისი, მეცნიერება: 1988.
ჩხატარაიშვილი, ქველი. დასავლეთ საქართველოს საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუკუნის დასაწყისში. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV, თბილისი, 1973.
ჭიჭინაძე, ზაქარია. *მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში*. ტფილისი, 1913.
_____, *ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი*. ბათუმი, 1911.
ხანთაძე, შოთა. *დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის*. თბილისი, 1999.
ხორავა, ბეჟან. *აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა*. თბილისი: არტანუჯი, 2004.
ჯამბურია, გივი. თბილისის მოსახლეობა XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში. *ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. III, 1958.
ჯაოშვილი, ვახტანგ. *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში*. თბილისი, 1984.
Amini, I., 1995; 1999.
Asatrian, G. Margarian, H. The Muslim Population of Tiflis (8th-19th cc.). *Iran and Caucasus*, V. 8, No 1, 2004, pp. 29-52.
Atkin, M. 1980.
Beradze, Grigol. The Transcaucasian Railway and the Muslim Pilgrimage: Iranians in Tbilisi and Batumi (Late 19th c.). *Tbilisi in the Nineteenth Century*. Abstracts of the International Conference. Tbilisi, 2002. 10-13/06.
Binā, ʻAli-Akbar. *Tārīkh-e siyāsi va diplomāsi-ye Irān*. I, Tehran, 1337Sh./1958-59.
De Baye, Le Baron. *Tiflis. Souvenirs d'une mission*. Paris, 1900.
Dowlatābādi, Yahyā Haj Mirza. *Hayyāt-e Yahyā,* jeld-e sevvom, Tehran, 1330/1951
Gamba, Jacques François. *Voyage dans la Russie méridionale, et particuliérement dans les provinces situées au-dela du Caucase, fait depuis 1820 jusqu'au 1824*. Vol. II. Paris, 1826.
Ghaffari, A. Tahlil-e tārikhi-ye nabardhā-ye Farānsa va Rusiya dar zamān-e Napoleon Bonāpārt, *Faslnāme-ye tārikh-e ravābet-e khāreji*, v. I, no. 1, Tehran. 1378/1999.
Hitchins, K. History of Iranian-Georgian Relations. *Encyclopaedia Iranica*, X, New York, Biblioteka Presica Press, 2001.
Issawi, Charles. Studies on the Economic and Social History of Iran in the Nineteenth Century. *Iranian Studies*, Vol. 16, No. 3/4, 1983, pp. 229-241.
Kashani-Sabet, Firoozeh. *Frontier Fictions. Shaping the Iranian Nation, 1804-1946*. London-New York: I. B. Tauris, 2000.
Klaproth, Von J. *Voyage au mont Caucase et en Géorgie*. Vol. 2. Paris, 1923.
Lang, D. M. *The Last Years of the Georgian Monarchy*, New York, 1957.
Lycklama a Nijeholt, Chevalier T.M. *Voyage en Russie, au Caucase et en Perse*, T. I, Paris: Arthus Bertrand, Amsterdam, C. L. Van Langenhuysen, 1887.
Nājem, Nāser. *Irān dar miān-e tufān*, Tehran, 1334Q./1915.
Natchkebia, Irene. Joseph Rousseau on Georgia and the Planned Indian Expedition (1807). *JPS*, 1. Leiden: Brill, 2008, pp. 230-242.
_____, La place de Géorgie dans le traité de Finkenstein (1807). *Dans* Nathkhebia I. et Hellot-Bellier F. (sous la dir. de), 2009, pp. 115-142.

_____, Tbilissi – Porte de la Perse à la limite des XVIIIe et XIXe siècles. *Orientalist*, I, Tbilisi, 2001, pp. 196-204.
_____, Tiflis/Tbilissi dans les écrits français du début du XIXe siècle. *Dans* Nathkhebia I. et Hellot-Bellier F. (sous la dir. de), 2009, pp. 115-142.
Nathkhebia, Irene et. Hellot-Bellier Florence (sous la dir. de), *La Géorgie et Tbilissi entre la Perse et l'Europe*, Paris: L'Harmattan, 2009.
Orsolle, Ernest. *Le Caucase et la Perse*. Paris, 1885.
Peyssonel M. De. *Essay sur les troubles actueles de Perse et de Géorgie*, Paris, 1754.
Qūzānlū, Jamīl. Jāng-e dah sāleh ya jāng-e Irān va Rūs, Tehran, 1315Sh./1936.
Sanikidze, George. An Historical Survey of Georgian-Iranian Relations in the Nineteenth Century. *JPS*, Vol. I, No 2, Leiden: Brill, 2008, pp. 148-173.
Sanikidze, George. and Walker, Edward W. *Islam and Islamic Practices in Georgia*, (Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies), Working Paper Series, University of California, Berkeley, 2004.
_____, Orthodoxy vs Islam: Russian Imperial Policy towards Georgia"s Muslims. Eastview Press, *Ab Imperio*, 4, 2008, pp. 267-281.
Seyf, Ahmad. Foreign Trade and the Economy of Iran in the Nineteenth Century. *Iran*, Vol. 34 1996, pp. 117-128.
Ter-Oganov, Nugzar. Evocation de Tiflis par deux auteurs iraniens: Majd os-Saltaneh at Yahya Dowlatabadi. *Dans* Nathkhebia I. et Hellot-Bellier F. (sous la dir. de), 2009, pp. 261-274.
Yahyā Dowlatābādi, Hāj Mirzā. *Hayyāt-e Yahyā*, III, Tehran, 1330/1951.
Zarkone, Th. Islam et l'émergence de l'intellectuel musulman. *Dans* Nathkhebia I. et Hellot-Bellier F. (sous la dir. de), 2009, pp. 299-312.
Анчабадзе, Г. Волкова, Н. *Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке.* Москва, 180.
Берже А.П. Выселение горцев. Русская старина, Т. XXXIII, 1882, январь.
Бурнашев, С. Д. *Картина Грузии или описание состояния царства Катлинского и Кахетинского.* Тифлис, 1896.
Бутков, П.Г. *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год,* II. СПб., 1869.
Гастгаузен, А. Закавказский край. т.1. СПб., 1857.
Герсеванов, М. Транзитная Тифлисско-Джульфинская дорога. *Сборник сведении о Кавказе,* III, Тифлис,. 1875
Джудич П., Заметки о Батуме. *ИКОИРГО*, т. 3, №3, Тифлис, 1873.
Дзидзария, Г.А. (ред.). *Очерки истории Абхазской АССР,* ч. 1. Сухуми, 1960.
_____, *Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия.* Второе, дополненное издание, Сухуми, 1982.
Дубровин, Н. *История воины и владычества русских на Кавказе.* I-VI, СПб., 1871-1888.
Дюкасси, П. О заграничной торговле Закавказского края. *Кавказский календарь,* Тифлис, 1853.
Иоанэсян, А.Р. *Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия.* Ереван, 1958.
Кавказ, 1847, №23
Маркова, О. П. *Восстание в Кахетии 1812 года.* Москва, 1951.
Меликсет-бег, Л.М. Старый Тифлис в описаниях А.Негри и М.Медичи (1824-30гг.). *Ars*, II-III, Тифлис, 1918.
Пушкин, А.С. Путешествие в Арзрум во время похода 1829 года. *Сочинения,* V, Москва, 1960.
Рожкова, М. *Экономическая политика царского правительства.* Москва, 1949.
Саникидзе, Георгий. Жак-Франсуа Гамба – первый консул Франции в Тбилиси (1821-1833). *პერსპექტივა-XXI*, 4, თბილისი: ნეკერი, 2002, გვ. 21-29.
Сборник статистических сведении о Кавказе. т. 2. Тифлис, 1869.
Сборник статистических сведений по Закавказскому краю, составленный по постановлению Закавказского статистического комитета состоящим при нем отделом/Под ред. Е. Кондратенко. т. I, отд. II, Тифлис, 1902.
Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из письменных списков 1886 г. Тифлис, 1893.
Тифлис по однодневной переписи 1876 г. Тифлис, 1877.
Фадеев Р.А. *Собрание сочинений,* т. I, ч. I , СПБ, 1889
Френкель, А. *Очерки Чурук-су и Батума.* Тифлис, 1879.
Цагарели, А. *Грамоты и и другие исторические документы XVIII столетия относящийся к Грузии,* II. Тифлис, 1898.

Циссерман, А.Л. *Двадцать лет на Кавказе.* т.1. СПб., 1872.
Щеглова, О.П. *Иранская литографическая книга (из истории книгопечатания в Иране – XIX век-первая декада XX века). Москва, 1979.*
Эвертский, О. *Статистическое описание Закавказского края.* СПб., 1835.
სსცია; АКАК ЦИАР; ПОЦИА

თავი VI

ახლო აღმოსავლეთი XX ს-ის დასაწყისში

სანიკიძე, გიორგი. შიიტური სამღვდელოება და პოლიტიკური ხელისუფლება ირანში. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო,* III. თბილისი, 2002, გვ. 22-51.
_____, 2005ა.
Afary, Janet. *The Iranian Constitutional Revolution*. New York: Columbia University Press, 1996.
Algar, Hamid. *Religion and State in Iran, 1785-1906. The Role of The Ulama in the Qajar Period.* Berkeley, Los Angeles: University of California Press, 1969.
Arjomand, Saïd A. The Ulama's Traditionalist Opposition to Parliamentarianism: 1907-1909. *MES,* Vol. 18, No 2, April, 1981, pp. 174-85.
_____,1984; 1988.
Bagley, F. R. C. New light on the Iranian constitutional movement – Farîdûn Âdamiyyat, *îdi'ûlûzhî-yi nahzat-i mashrûtiyyat-i Iran,* Tehran 2535 [1355]/1976. *In* Bosworth &. Hillenbrand (eds), 1992, pp. 48-64.
Bakhshayeshi, A., 1985.
Bayat, Mangol. *Iran's First Revolution*. Oxford: Oxford University Press, 1991.
Bonakdarian, Mansour. *Britain and the Iranian Constitutional Revolution of 1906-1911.* Syracuse: Syracuse University Press, 2006.
Browne, Edward G. *The Persian Revolution of 1905-1909*. Cambridge University Press, 1910.
Cottam, R., 1979.
Gathwaite, G. *Khans and Shahs: A Documentary History of the Bakhtiari in Iran*. Cambridge: Cambridge University Press, 1983.
Habibi, Mariam. *L'interface France-Iran, 1907-1938. Une diplomatie voilé*. Paris, L'Harmattan, 2004.
Kasravī, Ahmad. *Tārīkh-i Mashrūa-ye Īrān.*Tehrān: Amir-Kabir Publications, 1319/1961.
Keddie, N.R. Religion and Irreligion in Early Iranian Nationalism. *Past and Present*, No 34, July 1966.
Kermāni, Nāzem al-Eslām. *Tārikh-e bidāri-e Irāniān*. (Ed. by 'Ali-Akbar Sa'idi-Sirjāni). Vol. 1, Tehran: Bonyād farhang-e Irān, 1357/1978.
Lambton, Anne K.S. The Persian 'Ulamā and Constitutional Reform. In *Le Chi'isme imamite*, Colloque de Strasbourg, 6-9.05.1970. Paris: PUF, 1971, pp.245-269.
Lewis, B., 2003.
Martin, Vanessa. *Iran and Modernism: The Iranian Revolution of 1906*. New York: Columbia University Press, 1996.
Mottahedeh, Roy P. *Loyalty and Leadership in Early Islamic Society*. Princeton University Press, 1980.
Mozaffari, M. Transformation sociales et problèmes politiques en Iran. *Politique Etrangère*, N5, 1978, pp. 561-597.
Nahavandi, Houchang. *Le voile déchiré de l'Islamisme*. Paris, 1995.
Safai, I. *Asnād-e sīāsi-ye doūrān-e kājarīye*. Tehrān, 1967.
Shuster, M. *The Strangling of Persia*. New York, 1912.
Tsadik, D. The Legal Status of Religious Minorities: Imāmī Shī'ī Law and Iran's Constitutional Revolution. *Islamic Law and Society,* 10, 3, 2003, pp. 376-397.
Ahmad, Feroz. *The Young Turks: The Committee of Union and Progress in Turkish Politics, 1908-1914.* Oxford: Clardendon Press, 1969.
Amin, et al., 2006.
Arai, Masami. *Turkish Nationalism in the Young Turk Era*. Leiden: Brill, 1992.
Cleveland, W., 2004.
Findley, C., 2005.
Faroqhi, et al., 2001.
Georgeon, François. *Des ottomans aux turcs: naissance d'une nation*. Istanbul: Isis, 1995.

Goldsmith & Davidson, 2006.
Hanioğlu, Şükrü M. *The Young Turks in Opposition*. Oxford: Oxford University Press, 1995.
Kansu, Aykut. *The Revolution of 1908 in Turkey*. Leiden: Brill, 1997.
Kushner, David. *The Rise of Turkish Nationalism, 1876-1908*. London: Frank Cass, 1977.
Lewis, B., 2002.
Mansfield, P., 2003.
McCarthym Justin. *The Ottoman Peoples and the End of Empire*. London: Arnold and Oxford University Press, 2001.
Ochsenwald & Fisher, 2004.
Turfan, Naim M. *Rise of the Young Turks: Politics, the Military and Ottoman Collapse*. London: I.B. Tauris, 2000.
Zürcher, E., 2005.

თავი VII

ახლო აღმოსავლეთი და კავკასია I მსოფლიო ომში

აქტები – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბილისი: ივერთა მხარე,1990.
გაჩეჩილაძე, რ., 2008 ა, ბ.
კომახიძე, თ. *მემედ აბაშიძე*. ბათუმი, 1993.
მესხია, ე. *სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ისტორიიდან*. ბათუმი, 1994.
სვანიძე, მ., 2007.
სილაგაძე, აპოლონ, გურული, ვახტანგ. აჭარის მუსლიმობა და საქართველოს ერთიანობის საკითხი 1918-1920 წლებში. *საქართველოს მუსლიმთა როლი ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში*. თბილისი, 2001, გვ. 55-61.
Aksakal, Mustafa. *The Ottoman Road to War in 1914: The Ottoman Empire and the First World War* (Cambridge Military Histories). Cambridge University Press, 2010.
Asatiani, Nodar & Janelidze, Otar. *History of Georgia*. Tbilisi: Publishing House Petite, 2009.
Asquith, H.H. *Letters to Venetia Stanley*. Ed. by Micheal and Eleonor Brock. Oxford & New York: Oxford University Press, 1982.
Atabaki, Touraj (ed.). *Iran in the First World War*. London & New York, I.B. Taris, 2006.
Cloarec & Laurens., 2000.
Dadrian, Vahan N. The Armenian Question and the Wartime Fate of Armenians as Documented by the Officials of the Ottoman Empire's World War I Allies: Germany and Austria-Hungary. *IJMES,* Vol. 34. no. 1, 2002.
Daniel, E., 2001.
Digard, et al., 2007.
Elekdag, Sukru, Ambassador of the Turkish Republic. Letter to Editor. *NYT*, 11.05.1983.
Emin, Ahmed. *Turkey in the World War*. New Haven: Yale University Press, 1930.
Erickson, Edward J. *Ordered to Die: A History of the Ottoman Army in the First World War* London: Praeger, 2000.
Faroqhi, et al., 2001.
Ferro, M., 2003.
Fuller, G., 2009.
Gettleman & Schaar (eds)., 2003.
Goldsmith, A., 2004.
Helmreich, Paul C. *From Paris to Sèvres: The Partition of the Ottoman Empire at the Peace Conference of 1919-1920*. Columbus: Ohio University Press, 1974.
Hourani, A., 1981.
Jung, Dietrich & Piccoli, Wolfgango. *Turkey at the Crossroads. Ottoman Legacies and a Greater Middle East*. London: Zed Books, 2001.
Karsh Efraim & Karsh, Inari. *Empires of the Sand: The Struggle for Mastery in the Middle East, 1789-1923*. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1999.
Karsh Efraim. *Islamic Imperialism: A History*. New Haven, Conn.: Yale University Press, 2006.

Kayali, Hasan. *Arabs and Young Turks: Ottomanism, Arabism, and Islamism in the Ottoman Empire, 1908-1918*. Berkeley: University of California Press, 1997.
Kazemzadeh, Firuz. *The Struggle for Transcaucasia*. New York: Philosophical Library, 1951.
Keddie N.R., 2003.
Khalidi, R. et al., (eds.). *The Origins of Arab Nationalism.* New York: Columbia University Press, 1991.
Khalidi, Rashid. Ottomanism and Arabism in Syria before 1914: A Reassessment. *In* Khalidi et al., (eds),1991.
Laurens, Henry. *L'Orient arabe. Arabisme et islamisme de 1798 à 1945*. Paris: Armand Colin, 1993.
Lewis, B., 1995; 2002.
Mansfied, P., 2003.
Meyer, Karl E. & Brysac, Shareen Blair. *Kingmakers. The Invention of the Modern Middle East*. New York & London, W.W. Norton, 2009.
Monroe, Elizabeth. *Britain's Moment in the Middle East, 1914-1971*. 2nd ed. Baltimor: Johns Hopkins University Press, 1981.
Ochsenwald & Fisher, 2004.
Ochswenwald, William. Ironic Origins: Arab Nationalism in the Hijaz, 1882-1914. In Khalidi, R. et al., (eds.). *The Origins of Arab Nationalism.* New York: Columbia University Press, 1991.
Olson, Wm. J., *Anglo-Iranian Relations during World War I*. London: Franc Cass, 1984.
Oren, M., 2007.
Pagden, A., 2008.
Richard, Y., 2006.
Rogan, E., 2009.
Roskill, Stephen. *Hankey: Man of Secrets.* Vol. I. London: Collins, 1970.
Suni, Ronald G. *The Making of the Georgian Nation*. 2nd ed. Bloomington and Indianapolis: Indiana University Press, 1994.
Thobie, J., 1985.
Авалов, Зураб. *Независимость Грузии в международной политике 1918-1921 г.г.* Париж, 1924.
Деникин, А.И. *Очерки русской смуты,* т. IV. Берлин, 1924.
Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919.

თავი VIII

ახლო აღმოსავლეთი ომთაშორის პერიოდში

სანიკიძე, გ., 2005ა.
Akhavi, Shahrough (ed.) *Religion and Politics in Contemporary Iran: Clergy-State Relations in the Pahlavi Period*. Albany: SUNY Press, 1980.
Algar, Hamid. The Oppositional Role of the Ulama in Twentieth-Century Iran. *In* Keddie, N. R. (ed.), 1978.
Amin, Kamron M. Gender, Morality, and State Policy in Modern Iran: a Ministry of Education memorandum, 1935. *In* Amin, et al., 2006, pp. 201-2004.
Ansari, A., 2003.
Atabagi, Touraj. From Multilingual Empire to Modern State. *In* Katouzian & Shahidi (eds), 2008, pp. 41-62.
Banani, Amin. *The Modernisation of Iran, 1921-1941*. 2nd ed. Stanford University Press, 1969.
Bayat, K. The Cultural Academy and Changes of Places names in Iran. *Nashreh-e Danesh*, No II, 1990-91, pp. 12-24.
Blake, Kristen. *The U.S.-Soviet Confrontation in Iran, 1945–1962. A Case in the Annals of the Cold War*. Lanham, Maryland: University Press of America, 2009.
Chehabi, Houshang. Staging the Emperor's New Clothes: Dress Codes and National-Building under Reza Shah. *Iranian Studies*, Vol. 26, Nos. 3-4, Summer-Fall, 1993. pp. 209-230.
Cottam, R.,1979.
Cronin, S. (ed.). *The Making of Modern Iran*: State and Society under Riza Shah, 1921-1941. New York & London: Routledge, 2003.
Curzon, G., 1969.

Ehlers, E. & Floor, W. Urban Change in Iran, 1920-1941. *Iranian Studies*, Vol. 26, Nos. 3-4, Summer-Fall, 1993. pp. 251-76.

Farsoun, Samih K. & Mashayekhi, Mehrdad (eds.). *Iran. Political Culture in the Islamic Republic*. London & New York: Routledge, 1992.

Ghani, Cyrus. *Iran and the Rise of Reza Shah. From Qajar Collapse to Pahlavi Rule*. London-New York: I. B. Tauris, 1998.

Hirschgeld, Yair P. *Deutschland und Iran im Spielfeld der Mächte. Internazionale beziehungen unter Reza Schah. 1921-1941*. Düsseldorf: Droste, 1980.

Howard, D., 2001.

Kasravī, Ahmad. *On Islam / Shiism*, Transl. from Persian by Ghanooparvir, M.R. Costa-Mesa, Cal.: Mazda Publishers, 1990.

Katouzian, Homa. *State and Society in Iran. The Eclipse of the Qajars and the Emergence of the Pahlavis*. London-New York: I.B.Tauris, 2000.

_____, The Campaign against the Anglo-Iranian Agreement of 1919, *BJMES*, May 1998, Vol. 25 Issue 1, pp. 5-47.

_____, 2010.

Lambton, Anne K.S. *The Persian Land Reform*. Oxford: Clarendon Press, 1969.

Lenczowski, G. (ed.). *Iran under Pahlavis*. Stanford: Hoower Institution, 1978.

Madani, Seied Jalal ad-din. *Tarikh-e siasi-e mo'aser-e Iran*, jeld-e 1, 2. Tehran: daftar-e entesharat-e eslami, 1361/1982.

Malek ash-Sho"arā, Taqi Bahār. *Tārikh-e mokhtasar-e azhāb-e siyāsi Irān*, I, *Enqerāz-e Qājāriya*. 2nd ed. Tehran: Jibi, 1357/1978.

Mallet, P. The Persian Coup D'Etat of 20 February 1921, *Asian Affairs*, June 1994, Vol. 25 Issue 2, pp. 169-178.

Menashri, D. *Education and the Making of Modern Iran*. Ithaca: Cornell University Press, 1992.

Millward, W. G. Aspects of Modernism in Shī'a Islam. *Studia Islamica*, XXXVII, 1973.

Nejati, Gholamreza. *Tarikh-e siasi-e bistopanj sale-ye Iran.* jeld-e 1, 2. Tehran : Ghazal, 1377/1999

Paidar, P. *Women and the Political Process in Twentieth-Century Iran*. Cambridge: Cambridge University Press, 1995.

Perry, J. Language Reform in Turkey and Iran. *IJMES,* Vol. 17, No 3, August, 1985. pp. 295-311.

Ridgeon, L., (ed.), 2005.

Sabahi, Houshang. *British Policy in Persia 1918-1925*. London: Franc Cass, 1990.

Shahri, J. *Tehran-e qadim*. Tehran, 1978.

Sykes, Persy *A History of Persia*,vol. II. London, 1930.

Ta'ati, Poopak. Concerns Autonomy in Twentieth-Century Iran. *Civilisations*, 1, 1985, pp. 21-61.

Upton, J.,1960.

Wilber, Donald N. *Riza Shah Pahlavi: The Resurrection and Reconstruction of Iran*. Hicksville, NY: Exposition Press, 1975.

Zarinkub, A.,1379/2000.

Zirinski, Michael P. Imperial Power and Dictatorship: Britain and the Rise of Reza Shah, 1921-1926. *IJMES*, 24, 4, November, 1992.

Zohur va soghut-e saltanat-e pahlavi, Khaterat-e arteshbod-e sabegh-e Hossein-e Fardust, jeld-e 1, 2. Tehran, 1373/1994.

Zürrer, Wener. *Persien zwischen Englad ad Rußland. 1918-1925. Großmachteinflüsse und nationaler Wiederaufstieg am beispiel des Iran*. Bern: Peter Lang, 1978.

გიგინეიშვილი, ოთარ. ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება. კრ-ში: *მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია.* თბილისი: მეცნიერება 1983, გვ.142-157.

Ahmad, Feroz. *The Making of Modern Turkey*. London and New York: Routledge, 2002.

Armstrong, H. C. *Grey Wolf, Mustafa Kemal. An Intimate Study of a Dictator*. London, 1935, tr. into Turkish by Peyami Safa, Bozkurt (Grey Wolf), Istanbul, 1955, and answered by Sadi Borak, Armstrong'tan Bozkurt: *Mustafa Kemal ve iftiralara cevap* (*The Grey Wolf by Armstrong; Mustafa Kemal and answers to slanders*). Istanbul: Kaynak Yayinlari, 1955.

Atatürk, Kemal. *Nutuk. Cilt II. 1920-1927*. Altıncı baskı. İstanbul: Milli Eitim, 1963.

Atatürk'ün Söylev ve Demeçleri. (ASD) (Speeches and Statements by Atatürk), original text in Ottoman Turkish, I-III (in one vol.), Atatürk Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurumu [Atatürk Culture, Language and History Higher Institute]. Ankara: Atatürk Araçtirma Merkezi, 1989.

Brockett, Gavin D. Collective Action and the Turkish Revolution: Towards a Framework for the Social History of the Atatürk Era, 1923-38. *MES*, 1998, Vol. 34, No 4, Turkey before and after Atatürk: Internal and External Affairs, pp. 44-66.
Faroqhi, et al., 2001.
Georgeon, F., 1995.
İktisat Politikasının Resmi Belgeleri: Söylev, Demeç ve Yazılar. Ankara: A.Ü.S.B.F. Maliye Enstitüsü Yayını, 1963.
Jäschke H. *Die Türkei seit dem Weltkrieg*, II, Türkischer Geschichtskalender 1918-1928. Berlin: Deutsche Gesellschaft für Islamkunde, 1929.
Kili Suna. Kemalism in Contemporary Turkey. *IPSR,* 1980, Vol. 1, No. 3, Political Ideology: Its Impact on Contemporary Political Transformations, pp. 381-404.
Kinzer St., 2008.
Kirişci, Kemal and Winrow, Gareth M. *The Kurdish Question and Turkey: An Example of a Trans-state Ethnic Conflict.* London and Portland, Or.: Frank Cass,1997.
Kocatürk, Utkan. *Atatürk ve Turk Devrimi Kronolojisi, 1918-1938 (Chronology of Atatürk and the Turkish Revolution, 1918-1938)*. Ankara: Turk Inkilap Tarihi Enstitusu, 1973.
Malcolm Cooper. The Legacy of Atatürk: Turkish Political Structures and Policy-Making. *International Affairs* (Royal Institute of International Affairs), Vol. 78, No 1, 2002, pp. 115-128.
Mango Andrew. *Atatürk*. London: John Murray, 2000.
Meyer & Blair, 2009.
Olaylarla Türk Dış Politikası (1919-1995). İstanbul: E. Yayınları, 1982.
Orga, Irfan and Margarete. *Atatürk.* London: Michael Joseph, 1962.
Papers Relating to the Foreign Relations of the United States. Vol. 2. Washington, DC: US Government Printing Office, 1946.
Rustow, Dankwart A. Atatürk as Founder of a State. *Daedalus*, 1968, Vol. 97, No 3, pp. 793-828.
Şensözen, Vasfi. Osmanoğulları'nın Varlıkları ve Abdülhamid'in Emlaki. Ankara: Türk Tarih Kurumu Basimevi, 1982.
Shaw, & Shaw, 2005.
Singer Morris. Atatürk›s Economic Legacy. *MES*, 1983, Vol. 19, No 3, pp. 301-311.
Toynbee, Arnold & Kirkwood, Kenneth. *Turkey*. New York: C. Scribner's Sons, 1927.
Tunaya, Tarık Zafer. *Türkiye" de siyasi partiler, 1859-1952.* Istanbul: Arba Yayınları, 1952.
El-Amin, Mohammed Nuri. Britain, The 1924 Sudanese Uprising, and the Impact of Egypt on the Sudan. *IJAHS*, 1986, Vol. 19, No. 2, pp. 235-260.
Al-Qawaqji, Fawzi. Mudhakkirat [Memoires of] Fawzi al-Qawuqji, Vol. 1, 1914-1932. Beirut: Dar al-Quds,1975.
Anderson, Liam and Stansfield, Gareth. *The Future of Iraq: Dictatorship, Democracy, or Division?* New York: Palgrave Macmillan, 2004.
Beinin, Joel. Egypt: Society and Economy, 1923-1952. *In* Daly M.W (ed.), 2008, pp. 309-333.
Botman, Selma. The Liberal Age, 1923-1952. *In* Daly M.W (ed.), 2008, pp. 285-308.
Crowfoot, J. W. Syria and the Lebanon: The Prospect. *The Geographical Journal*, 1942, Vol. 99, No 3, pp. 130-141.
Davidson, Nigel G. The Constitution of Iraq. *JCLIL,* Third Series, 1925,Vol. 7, No. 1, pp. 41-52.
Deeb, Marius. *Party Politics in Egypt: The Wafd and Its Rivals,1919-1939.* London: Ithaca Press for the Middle East Centre, St. Antony's College, Oxford, 1979.
Gershoni, I. & Jankowski J. P. *Egypt, Islam, and the Arabs: The Search for Egyptian Nationhood, 1900–1930*. New York: Oxford University Press, 1986.
Gibb, H. A. R. The Situation in Egypt. *International Affairs* (Royal Institute of International Affairs 1931-1939), 1936, Vol. 15, No 3, pp. 351-373.
Goldschmidt, A., 2002; 2004.
Hall, Duncan H. *Mandates, Dependencies and Trusteeship*. Washington: Carnegie Endowment for International Peace, 1948.
Kazziha, Walid. The Political Evolution of Transjordan. *MES*, 1979,Vol. 15, No. 2, pp. 239-257.
Khalifa, Isam. *Al-Hudud al-Junubiya li-Lubnan*. Beirut: Dar al-Jil, 1985.
Khoury, Philip S. Factionalism among Syrian Nationalists during the French Mandate. *IJMES*, 1981, Vol. 13, No 4, pp. 441-469.
Marsot, A., 2007.

Miller, Joyce Laverty. The Syrian Revolt of 1925. *IJMES*, 1977, Vol. 8, No 4, pp. 545-563.
Morsy, Laila. The Military Clauses of the Anglo-Egyptian Treaty of Friendship and Alliance, 1936. *IJMES*, 1984, Vol. 16, No 1, pp. 67-97.
O'Rourke, Vernon. A. The British Position in Egypt. *Foreign Affairs*, 1936, Vol. 14, No 4, pp. 698-701.
Outline of Anglo-Iraq Treaty Relations, 1920-1927. *BIN*, New Series, 1927, Vol. 4, No 8, pp. 3-6.
Owen, Roger. The Political Economy of the Great Lebanon, 1920–1970. *In* Owen R., (ed.), *Essays on the Crisis in Lebanon*. London: Ithaca Press, 1976, pp.1-39.
Reid, Donald Malcolm. The 'Urabi revolution and the British conquest, 1879-1882. *In* Daly M.W (ed.), 2008, pp.217-238.
Sami, M. Moubayed. *The Politics of Damascus 1920–1946. Urban Notables and the French Mandate.* Damascus: Tlass Publication House,1999.
Shahbandar, Abd al-Rahman. *Mudhakkirat* (Memoirs). Beirut: Dar al-Irshad, 1967.
Silverfarb, Daniel. *Britain's Informal Empire in the Middle East. A Case Study of Iraq, 1929-1941*. Oxford & New York: Oxford University Press. 1986.
Simon, Reeva S. *Iraq Between the Two World Wars: the Militarist Origins of Tyranny.* New York, Chichester, West Sussex: Columbia University Press, 2004.
Syria and Lebanon: The States of the Levant under French Mandate. *BIN*, 1940, Vol. 17, No. 14, pp. 841-851.
Tripp, Ch., 2007.
Vatikiotis, P. J. *Politics and the Military in Jordan: A Study of the Arab Legion, 1921-1957.* New York: Praeger Publishers. 1967.
Vesey-FitzGerald, S. G. The Iraq Treaty, 1930. *Transactions of the Grotius Society*, Vol. 17, Problems of Peace and War, Papers Read before the Society in the Year 1931 (1931), pp. 55-65.
Zamir, M., 1985.
Новейшая история арабских стран Азии: 1917-1985. Москва: Наука, 1988.
Новейшая история арабских стран Африки: 1917-1987. Москва: Наука,1990.

თავი IX

II მსოფლიო ომი და ახლო აღმოსავლეთი

Abrahamian, Ervand. Communism and Communalism in Iran: The Tudeh and the Firqah-i Dimukrat. *IJMES,* 1, 1970.
_____, 1982; 2009.
Ansari, A., 2003.
Atabagi, Touraj. *Azerbaijan., Etnicity and the Struggle for Power in Iran*. London & New York: I. B. Tauris, 2000.
Cloarec & Laurens, 2000.
Deringil, Selim. *Turkish Foreign Policy during the Second World War: An „Active" Neutrality*. Cambridge: Cambridge University Press, 1989.
Digard, et al., 2007.
Fawcett, Louise L'Estrange. *Iran and the Cold War, The Azerbaijani Crisis of 1946*. Cambridge: Cambridge University Press, 1992.
Gasiorowski, M.-J. *US Foreign Policy and the Shah, Buliding a Client State in Iran*. Ithaca: Cornell University Press, 1991.
Goldsmith, A., 2004.
Howard, D., 2001.
Kuniholm, Bruce R. *The Origins of the Cold War in the Near East: Great Power Conflict and Diplomacy in Iran, Turkey, and Greece*. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1980.
Lewis, B., 2002.
Lewis, Thomas,V. & Fray, Richard N. *The United States and Turkey and Iran*. Cambridge, Mass., 1951.
Mansfied, P., 2003.
Ochsenwald & Fisher, 2004.
Ökte, Faik. *Varlik Vergesi Faciasi*. Istanbul, 1951.
Oren, M., 2007.

Rogan, E., 2009.
Roshwald, Aviel. *Estranged Bedfellows: Britain and France in the Middle East during the Second World War*. New York: Oxford University Press, 1990.
Shaw, Stanford J. *Turkey and Holocaust: Turkey's Role in Rescuing Turkish and European Jewry from Nazi Persecution, 1933-1945*. New York: New York University Press, 1993.
Zürcher, E., 2005.

თავი X

კავკასია და ახლო აღმოსავლეთი II მსოფლიო ომის მიწურულს და ომისშემდგომ წლებში

Atabagi, T., 2000.
Blake, K., 2009.
Byrnes, James F. *Speaking Frankly*. New York: Harper, 1947), p. 119.
Cottam, R., 1988.
Dekmejian, R. H. Soviet-Turkish Relations and Politics in the Armenian SSR. *Soviet Studies*, Vol. 19, No 4, 1968, pp. 510-525.
Elwell-Sutton, L. P. Political Parties in Iran 1941-1948. *MEJ*, Vol. 3, No 1, Jan., 1949, pp. 45-62.
Fawcett, L., 1992.
Feis, Herbert. *From Trust to Terror: The Onset of the Cold War, 1945–1950*. New York: W. W. Norton, 1970.
Halliday, Fred. On the Left in Iran. *MERIP Reports*, No 77, May, 1979.
Hasanli, Jamil. *Iran at the Dawn of the Cold War: The Soviet-American Crisis over Iranian Azerbaijan, 1941–1946*. Lanham, Md.: Roman & Littlefield, 2006.
Hess, Gary R.The Iranian Crisis of 1945-46 and the Cold War. *PSQ*, Vol. 89, No 1, 1974, pp. 117-146
Howard, Harry N. The United States and the Problem of the Turkish Straits: A Reference Article. *MES*, Vol. 1, No 1, 1947, pp. 59-72.
_____, *Turkey, the Straits, and the U.S. Policy*. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1974.
King, Charles. *The Black Sea. A History*. Oxford University Press, 2006.
Kuniholm, B.,1980.
Lenczowski, George. *Russia and the West in Iran, 1918–1948: A Study in Big – Power Rivalry.* Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1949.
_____, The Communist Movement in Iran. *MES*, Vol. 1, No. 1, Jan., 1947, pp. 29-45.
_____, United States' Support for Iran's Independence and Integrity, 1945-1959. *AAAPSS*, Vol. 401, *America and the Middle East*, May, 1972, pp. 45-55.
Mamoulia, Géorges. Les crises turque et iraniènne 1945-1947. *CMR*, 45/1-2, Janvier-juin 2004, pp. 267-292.
McFarland, Stephen. A Peripheral View of the Origins of the Cold War: The Crises in Iran, 1941–1947. *Diplomatic History,* 4, 1980, pp. 333–51.
Morozova, Irina. Contemporary Azerbaijani Historiography on the Problem of „Southern Azerbaijan" after World War II. *Iran and the Caucasus*, Vol. 9, No 1, Leiden: Brill, 2005, pp. 85-120.
Mouradian, Claire. L'immigration des Arméniens de la diaspora vers la RSS d'Arménie. 1946-1962. *CMRS*, Vol. 20, No 1, 1979, pp. 79-110.
Raine, Fernand S. The Iranian Crisis of 1946 and the Origins of the Cold War. *In* Leffler, Melvyn & Painter, David (eds). *The Origins of the Cold War: An International History*, Oxon, UK.: Routledge, 2005, pp. 93–112.
Ramazani, R. K. The Autonomous Republics of Azerbaijan and Kurdish People's Republic: Their Rise and Falls. *In* Hammond, Thomas T. (ed.). *The Anatomy of Communist Takeovers*. Yale University Press, 1975. pp.4 48-74.
Roosevelt, Archie Jr. The Kurdish Republic of Mahabad. *MES*, Vol. 1, No 3 1947, pp. 247-269.
Rossow, Robert Jr. The Battle of Azerbaijan, 1946. *MES*, Vol. 10, No 1, 1956, pp. 17-32.
Samii, Kuross A.Truman against Stalin in Iran: A Tale of Three Messages. *MES*, Vol. 23, No. 1 1987, pp. 95-107.
Suni, R., 1994.
The Soviet Letter to the Security Council re Persia. *Chronology of International Events and Documents*, Vol. 2, No. 3, January 21-February 3, 1946.

Thorpe, James A. Truman's Ultimatum to Stalin on the 1946 Azerbaijan Crisis: the Making of a Myth. *The Journal of Politics*, Vol. 40, No 1, 1978, pp. 188-195.
Truman, Harry S. *Memoirs*, Vol. 1, *Year of Decisions*. Garden City, N.Y.: Doubleday & Company, 1955
Westermann, William Linn Kurdish Independence and Russian Expansion. *Foreign Affairs*, Vol. 70, No 3, Summer, 1991, pp. 50-54.
Yegorova, Natalia. *The Iranian Crisis of 1945–46: A View from the Russian Archives*. Working paper no. 15, Woodrow Wilson International Center for Scholars: www.wilsoncenter.org /topics/pubs/ACFB51.pdf.
Гасанлы, Дж. Южный Азербайджан: начало холодной войны. Баку, 2003.
Кочкин, Н.В. СССР, США, Англия и турецкий кризис, 1945-1947. Новая и новейшая история, 3, 2002.

თავი XI

თანამედროვე ირანი

პიტიურიშვილი, თეა. რელიგიური ოპოზიცია ირანში XX საუკუნის 60-იან წლებში. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, IV, თბილისი: 2005, გვ. 49-53.
_____, „ირანის განთავისუფლების მოძრაობა“ 1961-1979 წლებში. *პერსპექტივა-XXI*, VI, 2005, გვ. 36-43.
სანიკიძე, გიორგი. აიათოლა ხომეინის პოლიტიკური შეხედულებები. *ტიპოლოგიური ძიებანი*, IV, გვ., 113-149. თბილისი, 2001, გვ. 113-149.
_____, პოლიტიკოსი, მორწმუნე და ჰუმანისტი – შესავალი წიგნში: *მოჰამად ხათამი. ისლამი, ცივილიზაციათა დიალოგი და კაცობრიობის მომავალი*. თბილისი, 2005(ბ).
_____, შიიტური სამღვდელოება და პოლიტიკური ხელისუფლება ირანში. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო,* III, გვ. 22-51, თბილისი, 2002, გვ. 22-51.
_____, ალი შარი'ათი და ისლამური რევოლუცია. *პერსპექტივა-XXI*, III, 2002, გვ. 45-53.
_____, 2005ა.
ჭიპაშვილი, გიორგი. *ირანის სახელმწიფო წყობილება*. თბ., 1990.
ხათამი, მოჰამად. *ისლამი, ცივილიზაციათა დიალოგი და კაცობრიობის მომავალი*. თბილისი, 2005.
Abdo, Genevieve. Rethinking the Islamic Republic: A Conversation with Ayatollah Hussein Ali Montazeri. *MEJ*, 1, Winter, 2001.
_____, 'Ali Shari'ati: Ideologue of the Iranian Revolution. *MERIP Reports*, January 1982, pp. 25-28.
_____, *The Iranian Mojaheddin*. London: I.B. Tauris, 1989.
Abrahamian, E., 1982; 2009.
Adelkhah, Farideh. *Being Modern in Iran*. New York: Columbia University Press, 2000.
Akhavi, Sh.,1980.
Al-e Ahmad, Jalal. *Dar Khedmat va Khianat, Roshanfekran.* Tehran: Kharazmi Publication, 1978.
_____, *L'Occidentalité. Gharbzadegi*, trad. par F. Barnès-Kotobi et M. Kotobi. Paris: L'Harmattan, 1988.
Amuzegar, Jahangir. *Iran's Economy under the Islamic Republic*. London: I.B. Tauris, 1993.
Ansari, Ali M. *Confronting Iran: The Failure of American Policy and the Roots of Mistrust*. London: Hurst & Co., 2006.
_____, *Iran and the United States in the Shadow of 9/11: Persia and Persian Question revisited. In* Katouzian & Shahidi (eds), 2007, pp. 107-122.
_____, *Iran, Islam and Democracy*. London: Royal Institute of International Affairs, 2000.
_____, 2003.
Arjomand, Saïd Amir. *After Khomeini: Iran Under His Successors*. New York: Oxford University Press, 2009.
_____, 1988.
Askarieh, Mehdi. A Case of Sustainable development of Nuclear Energy and a Brief Account of Iran's nuclear programme. *In* Katouzian & Shahidi (eds), 2007.
Avery & Lockhart (eds). 1991.
Axworthy, M., 2008.
Ayatullah Khomeini: The Mystic who lit the Fires of Hatred. *Time*, January 7, 1980
Bakhash, Saoul. Iran. *In* Brown L. C. (ed.), 2001, pp. 247-258.
Bakhshayeshi, A., 1985.

Balta P., *Iran-Irak. Une Guerre de 5000 ans.* Paris: Antropos, 2001.
Balta, P. & Roullaux, Cl. *L'Iran insurgé: 1789 en Islam?: Un tournant du monde*. Paris: Les grandes documents de Sindbad, 1978.
Bani Sadr, Abol Hassan. *Le complot des ayatollahs*. Paris: La Découverte, 1898.
Benard, Ch. and Khalilzad, Z. Secularization, Industrialization, and Khomeyni's islamic Republic. *PSQ*, No 94, 1979.
Betts, Richard K. Incentives for Nuclear Weapons: India, Pakistan, Iran. *Asian Survey*, Vol. 19, No 11, 1979, pp. 1052-1073.
Bill, J. La Révolution iranienne: passé, présent et futur. *Politique internationale*, N6, 1979/1980.
Boroujerdi M. Gharbzadegi: The Dominant Intellectual Discourse of Pre– and Post-Revolutionary Iran. *In* Farsoun & Mashayekhi (eds), 1992, pp. 30-56.
Boroujerdi, Mehrzad. *Iranian Intellectuals and the West. The Tormented Triumph of Nativism*. Syracuse, Syracuse University Press, 1996.
Brumberg, D. *Reinventing Khomeini. The Struggle for Reform in Iran*. Chicago: University of Chicago Press, 2001.
Brzezinski, Zbigniev. *Power and Principle*. New York: Farrar, Straus, Giroux, 1983.
Chehabi, Houshang. *Iranian Politics and Religious Modernism: Liberation Movement of Iran Under the Shah and Khomeini.* London, I.B. Tauris, 1990.
_____, Religion and Politics in Iran: How Theocratic is the Islamic Republic? *Dædalus*, 1991, 120, iii, pp. 69-91.
Cline, Ray S. *World Power Assessment*. Boulder: Westview Press, 1977.
Cole, J., 2002.
Dabashi, Hamid. Ali Shari'ati's Islam: Revolutionary Uses of Faith in a Post-Traditional Society. *Islamic Quarterly*, Vol. XXVII, No. 4, 1983, pp. 203– 222.
_____, *Theology of Discontent: The Ideological Foundations of the Islamic Revolution in Iran.* New York: New York University Press, 1993.
Daniel, E., 2001.
De Gobineau, Joseph. *Les religions et philosophies dans l'Asie centrale*. Paris: Galllimard, 1965.
Diba, Fahrad. *Mohammad Mosadegh*. London: Croom Helm, 1986.
Digard, et al., Tehran, 2000; 2007.
Elson, Sara Beth, & Nader, Alireza. *What Do Iranians Think? A Survey of Attitudes on the United States, the Nuclear Program, and the Economy*. RAND, National Defense Research Institute, 2001.
Farsoun Samih K. & Mashayekhi, Mohsen (eds). *Iran. Political Culture in the Islamic Republic*. London: Routledge, 1992.
Fischer, Michael. *Iran, from Religiuos Dispute to Revolution*. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1980.
Foucault, Michel. *Dits et ecrits.* Vol. III (1976–1979). Paris: Gallimard,1994,
Ganji, A. Documents on Democracy. *Journal of Democracy*, 14, 1, 2003, pp. 183-184.
Gasiorowski, Mark & Malcolm, Byrne (eds). *Mohammad Mossadeq and the 1953 Coup in Iran*. Syracuse: Syracuse University Press, 2004.
Gasiorowski, Mark. Révélations sur le Coup d'État de 1953. Quand la CIA complotait en Iran, *Le Monde diplomatique*, octobre 2000.
Gheissari, A. & Nasr, V. *Democracy in Iran*. New York,: Oxford University Press, 2006.
Gheissari, Ali (ed.). *Contemporary Iran: Economy, Society, Politics*. New York: Oxford University Press, 2009.
Halliday, F., 2000.
Halm, H., 1995.
Hiro, Dilip. *The Longest War: The Iran-Iraq Military Conflict*. New York: Routledge, Chapman and Hall, 1991.
_____, *Iran Today*, New York, Politico's, 2005.
Honarmandi, Manuchehr. *Pehlevism – maqtab-e nou*, Tehran, 1964.
Hooglund, E. (ed.). *Twenty Years of Islamic Revolution*. Syracuse: Syracuse University Press, 2002.
Houghton, David Patrick. *US Foreign Policy and the Iran Hostage Crisis* (Cambridge Studies in International Relations). Cambridge University Press, 2001.
Hourcade, Bernard. Iran: révolution islamique ou tiers-mondiste? *Hérodote*, 36, 1985, pp. 138-158.
_____, 2010.
Huntington, Samuel. *Political Order in Changing Societies*, New haven & London: Yale University Press, 1968.

Jafarzadeh, Alireza. *The Iran Threat: President Ahmadinejad and the Coming Nuclear Crisis*. Palgrave Macmillan, 2007.
Jahanbakhsh, F. *Islam, Democracy and Religious Modernism in Iran (1953-2000)*. Leiden: Brill, 2001.
Kashani-Sabet, F., 2000.
Katouzian, Homa & Shahidi, Hossein (eds). *Iran in the 21st Century: Politics, Economics and Conflict*. Routledge, 2007.
Katouzian, Homa. Arbitrary Rule: A Comparative Theory of State, Politics and Society in Iran. *BJMES*, 1997, Vol. 24, Issue 1.
_____, *Musaddiq and the Struggle for Power in Iran*. New York: I. B.Tauris, 1990.
_____, 2010.
Keddie N. R. and Mathee R. (eds), *Iran and the Surrounding World. Interactions in Culture and Cultural Politics*. Seattle and London: University of Washington Press, 2002.
Keddie, N. R., 2003.
Khan, Saira. *Iran and Nuclear Weapons: Protracted Conflict and Proliferation* (Routledge Global Security Studies). Routledge, 2009.
Khomeyni. *Islam and Revolution: Writings and Declarations of Imam Khomeini*, translated and annotated by Hamid Algar. Berkeley: Mizan Press, 1981.
Khomeyni. *Pensées politiques d'Ayatollah Khomeyni, Présentation thématique au travers de ses écrits et de ses discours depuis 1941*, Trad. et présentation par Y.A. Henry. Paris: Editions A.D.P.F., 1988.
Khosrokhavar, Farhad. Postrevolutionary Iran and the New Social Movements. *In* Hooglund, E. (ed.). 2002, pp. 3-18.
Kinzer, Stephen. *Reset: Iran, Turkey, and America's Future*. New York: Times Books, 2010.
Kramer, M. (ed.). *Shi'ism, Resistance and Revolution*. London: Mansell, 1987.
Kurzman, C. *The Unthinkable Revolution in Iran*. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 2004.
Leba, A. Le chi'isme et le renouveau islamique contemporaine. *Herodote*, 36, 1985.
Lewis, B., 2002.
Lotfian, Saideh. Nuclear policy and International Relations. *In* Katouzian & Shahidi (eds), 2007.
Madani, Jalal ad-Din. *History of Islamic Revolution of Iran*. Tehran, International Publishing Co., 1996.
_____, 1361/1982.
Mahallati, Mohammad. The Middle East: in Search of an Equilibrium between Transcendent Idealism and Practicality. *JIA*, 1996, Vol. 50, Issue 1, pp. 119-142.
Majd, Mooman. *The Ayatollah begs to Differ. The Paradox of Modern Iran*. New York: Anchor Books, 2009.
Maloney, Suzanne. *Iran's Long Reach: Iran as a Pivotal State in the Muslim World* (Pivotal State Series). Washington: United States Institute of Peace Press, 2008.
Martin, Vanessa. *Creating an Islamic State: Khomeini and the Making of a New Iran*. London & New York: I.B. Tauris, 2003.
Milani, Mohsen. *The Making of Iran's Islamic Revolution: From Monarchy to Islamic Republic*. London & Boulder (Co.): Westview Press, 1988.
Mitchel T. McJihad: Islam and US Global Order. *Social Text*, 20, 4, 2002.
Moaddel, Mansoor. *Values and perceptions of the Islamic and Middle Eastern Publics*. New York: Palgrave Macmillan, 2007.
Mohammadi, Ali (ed.), *Iran Encountering Globalization*. London-New York: Routledge, 2003.
Moin, Baqer. *Khomeini: Life of the Ayatollah*. New York: St Martins Press, 2000.
Momen, M.,1985.
Mottahedeh, R., 1985.
Nahavandi, Houchang. *Le voile déchiré de l'Islamisme*. Paris, 1995.
Naji, K. *Ahmadinejad. The Secret History of Iran's Radical Leader*. Berkeley: University of California Press, 2008.
Nasri, Farzeen. Iranian Studies and the Revolution. *World Politics*, Vol. XXXV, No. 4, 1983, pp. 607– 630
Nejati, 1377/1999.
Pahlavi, Mohammad Reza, Shah of Iran. *Answer to History.* New York: Stein & Day, 1980.
Pirnia, et al., 1389/2010.
Polk, W., 2009.
Rahnema, Ali. *An Islamic Utopian: A Political Biography of Ali Shari'ati*. London: I.B. Tauris, 1988.

Richard, Yanne. La Constitution de la République islamique d'Iran et l'état-nation, *RMMM*, 68-69, 1993/2-3.
_____, 2006.
Ridgeon, L. (ed.), 2005.
Rodinson, Maxim. *L'Islam politique et croyance*. Paris: Fayard, 1993.
Roshandel, Jalil. Evolution of the Decision-Making Process in Iranian Foreign Policy. *In* Hooglund, E. (ed.). 2002, pp. 123-142.
Sahimi, Mohammad. *Iran's Nuclear Program. I: Its History Iran's Nuclear Program. II: Are Nuclear Reactors Necessary? III: The Emerging Crisis.* www.payvand.com/ news/03/oct/1015.htlm
Saikal, A. *The Rise and Fall of the Shah*. Princeton: Univeresity Press, 1980.
Sanasarian, Eliz. *Religious Minorities in Iran*. Cambridge & New York: Cambrdidge University Press, 2000.
Schirazi, A. *The Constitution of Iran*. London: Tauris: 1997.
Shayegan, Dariush. *Qu'est-ce qu'une révolution religieuse?* Paris: éd. d'Aujoud'hui, 1982.
Ta'ati, P. 1985.
Takeyh, Ray. *Guardians of the Revolution: Iran and the World in the Age of the Ayatollahs*. New York: Oxford University Press, 2009.
_____, Iran's Nuclear Calculations. *WPJ*, Vol. 20, No. 2, Summer, 2003, pp. 21-28.
_____, *Hidden Iran: Paradox and Power in the Islamic Republic*. New York: Council of Foreign Relations, 2006.
Tarock, Adam. Iran's Nuclear Programme and the West. *TWQ*, Vol. 27, No 4, 2006.
Tatchell, Peter. Ahmadinejad accepts Israel's right to exist. *guardian.co.uk*, 29.09.2008.
Weber, Max. *Economy and Society*. Berkeley: UCLA Press, 1978
Wright, Robin. *The Last Great Revolution: Turmoil and Transformation in Iran*. New York, Alfred A. Knopf, 2000.
Zarinkub, A., 1379/2000.
Zohur .., 1373/1994.
Мамедова, Н.М. и Санаи, Мехди (отв. ред.), *Иран: ислам и власть*. Москва: Институт востоковедения РАН, изд. «Крафт+», 2001
Пахлеви, Могамед-Реза Шах Ариа Мехр. *Белая революция* (Париж, 1967
Элвелл-Саттон, Л., *Иранская нефть. К истории «политики силы»* (М.: изд. иностранной литературы, 1955.
Хомейни. *Изречения, афоризмы и наставления имама Хомейни.* Тегеран: издательство произведении имама Хомейни, 1995.
სპა; AFP; BBC; CSM; Ettela'at; IRNA; Jomhuri-e Eslami; *Keyhan; MEMRI; Newsweek; NYT; The Economist*; *Time.*

თავი XII

თანამედროვე თურქეთი

ბატიაშვილი, ზურაბ. *თურქეთის შეიარაღებული ძალები.* თბილისი: საქართველო-თურქეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, 2000.
გიგინეიშვილი, ოთარ. *1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების მოკლე ისტორია.* თბილისი: მეცნიერება,1989.
თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია. თურქულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა გიორგი სორდიამ, თბილისი: აზრი, 2000.
ლებანიძე, ტარიელ. თურქეთში მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემაზე გადასვლა და დემოკრატიული პარტიის მმართველობა. *ვალერიან გაბაშვილი 90.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 565-575.
ლებანიძე, ტარიელ. *თურქეთის შიდა პოლიტიკა 1945-1980 წლებში და პოლიტიკური პარტიები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
მაჩიტიძე, ელისო. თურგუთ ოზალის ეკონომიკური პოლიტიკა. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო,* 2008, V, გვ.119-123.
Ahmad, Feroz. *The Making of Modern Turkey.* London and New York: Routledge, 2002.
_____, *The Turkish Experiment in Democracy 1950-1975*. London: C. Hurst & Loupay, 1977.
Aral, Berdal. Dispensing with Tradition? Turkish Politics and International Society during the Özal Decade, 1983-93. *MES*, 2001,Vol. 37, No 1, pp. 72-88.

Birand, Mehmet Ali. *The Generals' Coup in Turkey: An Inside Story of 12 September 1980*. Trans. by M. A. Dikerdem. London: Brassey's Defence Publishers, 1987.
Cizre, Ümit & Yeldan, Erinç. The Turkish Encounter with Neo-Liberalism: Economics and Politics in the 2000/2001 Crisis. *RIPE*, 2005, Vol. 12, No 3, pp. 387-408.
Dagi, Ihsan D. Human Rights, Democratization and the European Community in Turkish Politics: The Özal Years, 1983-87. *MES*, 2001,Vol. 37, No 1, pp. 17-40.
Ergüder, Üstün. The Motherland Party, 1983–1989. *In* Heper & Landau (eds), 1991.
Findley, C., 2010.
Giritli, Ismet. Some Aspects of the New Turkish Constitution. *MEJ*, 1962, Vol. 16, No. 1, pp. 1-17.
Güneş-Ayata, Ayşe. The Republican People's Party. *Turkish Studies*, 2002, Vol. 3, No 1, pp. 102-121.
Hale, William M. *The Political and Economic Development of Modern Turkey.* New York: St. Martin's Press, 1981.
Harris, George S. The Role of the Military in Turkish Politics. *MEJ*, Vol. 19, No 2, Spring, 1965, pp. 169-176.
Heper, M. The Justice and Development Party Government and the Military in Turkey. *In* Rubin & Çarkoglu, 2009.
Howard, D., 2001.
İnönü, İsmet. *Hatiralar*, 2 kitap. Ankara: Bilgi Yayınevi, 1987.
Jenkins, Gareth. *Political Islam in Turkey: Running West, Heading East?* New York: Palgrave Macmillan, 2008.
Karabelias, Gerassimos. The Evolution of Civil-Military Relations in Post-War Turkey, 1980-95. *MES*, Vol. 35, No 4, Seventy-Five Years of the Turkish Republic, Oct., 1999, pp. 130-151.
Karpat, K. Military Interventions: Army-Civilian Relations in Turkey before and after 1980. *In* Heper M. and Evin A. (eds), *State Democracy and the Military: Turkey in the 1980s.* Berlin: Walter de Gruyter, 1988.
Kinzer St., 2008; 2010.
Kuyucuklu N. *Turkiye Iktisadi.* Istanbul: Filiz Kitabevi, 1993.
Lapidot, Anat. *Islam and Nationalism: A Study of Contemporary Islamic Political Thought in Turkey, 1980-1990.* Durham: University of Durham, 1995.
Larrabee & Rabasa, 2008.
Lewis, B., 1967.
Lipovsky, I. The legal socialist parties of Turkey, 1960-80. *MES,* 1991, Vol. 27. No 1, pp. 94–111.
Mango, A., 2004.
McFadden, John H. Civil-Military Relations in the Third Turkish Republic. *MES*, 1985, Vol. 39, No 1, pp. 69-85.
Moustakis, Fotios. *The Greek-Turkish Relationship and NATO*. London: Frank Cass, 2003.
Nye, Roger. Civil-Military Confrontation in Turkey: the 1973 Presidential Election. *IJMES*, 1977, Vol. 8, No 2, pp. 209-228.
Poulton, H. *Top Hat, Grey Wolf and Crescent. Turkish Nationalism and the Turkish Republic.* New York: De Gruyter, 1997.
Price, M. Philips. *Türkiye Tarihi* (İmparatorluk'tan Cumhuriyet'e Kadar). Çeviren: M. Asım Mutludoğan, 1969.
Rubin & Çarkoglu, 2009.
Shambayati, Hootan. The Guardian of the Regime: the Turkish Constitutional Court in Comparative Perspective. *In* Arjomand S. (ed.), 2008, pp.99-122.
Sherwood W. B. The Rise of the Justice Party in Turkey. *World Politics,* 1967, Vol. 20, No 1, pp. 54-65.
Szyliowicz, Joseph S. *The Turkish Elections: 1965. MEJ,* 1966, Vol. 20, No 4, pp. 473-494.
Tachau, Frank and Heper, Metin. The State, Politics, and the Military in Turkey. *Comparative Politics,* 1983,Vol. 16, No.1, pp. 17-33.
The Turks. Vol. 5, Kemal Çiçek-Cem Oğuz (ed.), Ankara: Yeni Türkiye Yayınları, 2002.
Toprak, Binnaz. *Islam and political development in Turkey*. Leiden: E. J. Brill, 1981.
Turkeş, Alparslan. *Milliyetçilik olayi*. Yedinci baski, istanbul: Yaylacık Matbaası, 1968.
Turkish Foreign Minister wins Presidency. *AP, IHT*, August 28, 2007.
Van der Lippe, John M. *The Politics of Turkish Democracy: Ismet Inönü and the Formation of the Multi-Party System, 1938–1950*. Albany, *NY:* State University *of* New York Press,*2005.*
Vaner, Semih. The Army. *In* Schick I.C. & Tonak E.A. (eds), *Turkey in Transition.* New York and Oxford: Oxford University Press,1987, pp. 248-260.
Weiker, Walter F. *The Turkish Revolution 1960-1961: Aspects of Military Politics.* New York: [s.n.], 1980.
Yavuz, Hakan M.. The Politics of Fear: The Rise of the Nationalist Action Party (MHP) in Turkey. *MEJ,* 2002, Vol. 56, No. 2, pp. 200-221.

_____, 2009.
Zürcher, E., 2003.
Данилов, В. И. Базиянц А. П. Причины государственного переворота 1960г. *Проблемы современной Турции.* Москва: Изд-во восточной литературы, 1963.
Киреев, Н. Г. *История этатизма в Турции.* Москва: Наука, 1991.
Егоров, В. К. Турецкие исламисты во власти. *Ислам и общественное развитие в начале XXI века*. Москва: ИВ РАН, 2005. сс. 136-145.
Поцхверия, Б. М. *Внешняя политика Турции в 60-х – начале 80-х годах XX в.* Москва: Наука,1986.

თავი XIII

თანამედროვე არაბული ქვეყნები

გელოვანი, ნ., 2008.
Abir, M., 1988.
Aburish, S., 1995.
Aburish, Said K. *Saddam Hussein: The Politics of Revenge*. New York: Bloomsbury, 2000.
Almana, M. *Arabia Unified: A Portrait of Ibn Saud.* London: Hutchinson Benham,1980.
Anderson, Liam & Stansfield, Gareth. *The Future of Iraq: Dictatorship, Democracy, or Division?* New York: Palgrave Macmillan, 2004.
Ayubi, Nazih N. *Bureaucracy and Politics in Contemporary Egypt*. London: Ithaca Press, 1980.
_____, Government and the State in Egypt Today. *In* Tripp Owen (eds), 2007, pp. 1-20.
Baaklini, A. Denoeux G. & Springborg R. (eds). *Legislative Politics in the Arab World. The Resurgence of Democratic Institutions.* Boulder, London: Lynne Rienner Publishers, 1999.
Badeeb, Saeed M. *Saudi-Iranian Relations, 1932-1982.* London: Saqi Books 1993.
Baker, Raymond William. Sadat's Open Door: Opposition from Within. *Social Problems,* 1981, Vol. 28, No 4, Development Processes and Problems, pp. 378-384.
Baram, Amatzia. The June 1980 Elections to the National Assembly in Iraq: An Experience in Controlled Democracy. *Orient*, September 1981, pp. 391–412.
Baram, Amatzia. *Culture, History and Ideology in the Formation of Ba"thist Iraq, 1968–89*. New York: St. Martin's Press, 1991.
Baram, Amatzia. The Ruling Political Elite in Bathi Iraq, 1968-1986: The Changing Features of a Collective Profile. *IJMES,* 1989, Vol. 21, No 4, pp.447-493.
Batatu, Hanna. *The Old Social Classes and the Revolutionary Movements of Iraq.* Princeton, NJ: Princeton University Press, 1982.
Beattie, K. J. *Egypt During the Sadat Years.* New York: Palgrave, 2000.
Beling, Willard A. *King Faisal and the Modernization of Saudi Arabia*. Boulder, Colo.: Westview Press, 1980.
Berger, M. *The Arab World Today.* New York: Anchor Books, 1964.
Birks, J. S., Seccombe I. J. & Sinclair C. A. Labour Migration in the Arab Gulf States*:* Patterns*,* Trends and Prospects. *International Migration*, Vol. 26, No 3, 1988, pp. 267-286.
Bligh, A. *From Prince to King: Royal Succession in the House of Saud in the Twentieth century.* New York: New York University press,1984.
Casey, M., 2007.
Collombier, Virginie. The Internal Stakes of the 2005 Elections: The Struggle for Influence in Egypt's National Democratic Party. *MEJ*, 2007,Vol. 61, No 1, pp. 95-111.
Cordesman, Anthony H. *The Iran-Iraq War and Western Security 1984–87: Strategic Implications and Policy Options*. London: Royal United Services Institute, 1987.
Cordesman, Anthony H. *Kuwait: Recovery and Security after the Gulf War*. Boulder, Co.: Westview Press, 1997.
Dann, Uriel. *Iraq Under Qassem: A Political History, 1958–1963.* New York: Praeger, 1969.
Darwish, Adel & Alexander, Gregory. *Unholy Babylon: The Secret History of Saddam's War.* New York: St. Martin's Press, 1991.
Dawisha, A., 2009.

Dekmejian, R. H. *Egypt under Nasir: A Study in Political Dynamics*. Albany: State University of New York Press, 1971.

_____, Saudi Arabia's Consultative Council. *MEJ*, 1998, Vol. 52, No 2, pp. 204-218.

Diamond, Larry. *Squandered Victory: The American Occupation and the Bungled Effort to Bring Democracy to Iraq.* New York: Henry Holt, 2006.

Karsh, Efraim & Inari, Rautsi. *Saddam Hussein: A Political Biography.* New York: Free Press, 1991.

Karsh, Efraim. *The Iran-Iraq War 1980-1988.* Oxford, Osprey: Osprey Publishing, 2002.

Ehteshami, Anoushiravan. Reform from above: The Politics of Participation in the Oil Monarchies. *International Affairs* (Royal Institute of International Affairs 1944-), 2003, Vol. 79, No 1, pp. 53-75.

Fakhro, Munira A. The Uprising in Bahrain: An Assesment. *In* Sick, G. & Potter, L. G. (eds), *The Persian Gulf at the Millennium: Essays in Politics, Economy, Security and Religion.* New York: St. Martin's Press, 1997, pp.170-192.

Al-Farsy, F. *Modernity and Tradition: The Saudi Equation*. London: Kegan Paul, 1990.

Ginat, R. *Egypt's Incomplete Revolution: Lutfi al-Khuli and Nasser's Socialism in the 1960s.* New York: W. H. Freeman, 1996.

Goldschmidt, A., 2004.

Habib, J. *Ibn Saud's Warriors of Islam:The Ikhwan of Najd and their Role in the Creation of the Saudi Kingdom,1910-1930.* Leiden:Brill,1978.

Heikal, M.H. *Autumn of Fury: The Assassination of Sadat*. London: Andre Deutsch, 1983.

Hiltermann, Joost R. *A Poisonous Affair: America, Iraq and the Gassing of Halabja.* Cambridge, UK, and New York: Cambridge University Press, 2007.

Hiro, Dilip. *Desert Shield to Desert Storm*. New York: Routledge, 1992.

_____, 1991.

Holden, D. & Johns, R. *The House of Saud*. London: Sidgwick & Jackson, 1981.

Hopwood, Derek. *Egypt: Politics and Society, 1945–1984.* 3rd ed. London: Routledge, 1991.

Hourani, A., 1991.

Hudson, M. C. *Arab Politics: The Search for Legitimacy*. New Haven and London: Yale University Press, 1977.

Hutchison, Kevin Don. *The Persian Gulf Crisis and Its Consequences*. Westport: Greenwood Press, 1995.

Kamel, Mohamed Ibrahim. *The Camp David Accords: A Testimony*. London: Routledge & Kegan Paul, 1986.

Kassem, M. In the Guise of Democracy: Governance in Contemporary Egypt. New York: Ithaca University Press, 1999.

Kerr, Malcolm H. *The Arab Cold War: Gamal 'Abd al-Nasir and His Rivals, 1958-1970.* 3rd ed. London, New York: Oxford University press,1971.

Khadduri, Majid. *Arab Contemporaries: The Role Personalities in Politics*. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1973.

al-Khafaji, Isam. State Terror and the Degradation of Politics in Iraq. *MER*, 1992, Vol. 6, No 176, pp.15-22.

Korany, B. Restricted Democratization from Above: Egypt. *In* Korany B., Brynen R. & Noble P. (eds.). *Political Liberalization and Democratization in the Arab World.* Vol. 2. Comparative Experiences. Boulder: Lynne Rienner Publishers, 1998.

Kuwait's Political System: Part 1. The Al Sabah Family. *The Estimate*, 1999, Vol. 11, No 12, pp.13-21.

Long, D.E. *The Kingdom of Saudi Arabia*. Gainesville: University Center for Strategic and International Studies, 1976.

Makiya, Kanan. *Republic of Fear: The Politics of Modern Iraq*. Berkeley, California: California University Press, 1998.

Mansfield, P.,1976.

McDermott, Anthony. *Egypt from Nasser to Mubarak: A Flawed Revolution.* London: Croom Helm, 1988.

al-Mdaires, Falah. Shi'ism and Political Protest in Bahrain. *DOMES,* 2002, Vol. 11, No 1, pp. 20-44.

Meital, Yoram. The Struggle over Political Order in Egypt: The 2005 Elections. *MEJ,* 2006, Vol. 60, No. 2, pp. 257-279.

Nakash, Y., 2006.

Nasser, Gamal Abdel. *Leader of the Revolution.* Egypt: Dar al-Hilal,1955.

_____, *Egypt's Liberation: the Philosophy of the Revolution.* Washington: Public Affairs Press, 1955.

O'Ballance, Edgar. *The Gulf War.* London: Brassey's Defence, 1988.

Palmer, Michael. *Guardians of the Gulf: A History of America's Expanding Role in the Persian Gulf, 1833–1992.* New York: Free Press, 1992.

Parker, J. S. F. The United Arab Republic. *International Affairs* (Royal Institute of International Affairs 1944-), 1962, Vol. 38, No 1, pp. 15-28.

Partner, P. *A Short Political Guide to the Arab World*. New York: Penguin Books, 1960.

Pelletiere, Stephen C. *The Iran-Iraq War: Chaos in a Vacuum*. New York: Praeger, 1992.

Peterson, J. E. Bahrain's First Reforms under Amir Hamad. *Asian Affairs*, 2002, Vol. 33, Part 2, pp. 216–227.

Prince Faisal speaks. Faisal, King of Saudi Arabia, 1906-1975 (ed.). New York: Ministry of Information, Prince Faisal Agency, 1963.

Rasheed, M., 2002.

Reed, Jennifer Bond. *The Saudi Royal Family.* New York: Chelsea House Publishers, 2007.

Ehteshami, Anoushiravan & Wright, Steven (eds). *Reform in the Middle East Oil Monarchies*. Berkshire, UK: Ithaca Press, 2008.

Richards & Waterbury, 1990.

Safran, N. *Saudi Arabia: The Ceaseless Quest for Security*. Cambridge,MA: Harvard University Press,1985.

Safty, Adel. Sadat's Negotiations with the United States and Israel: From Sinai to Camp David. *AJES*, 1991,Vol. 50, No 3, pp. 285-298.

Salih, Kamal Osman. Political Consequences of Modernization, 1750-1986. *MEJ*, 1991,Vol. 27, No. 1, pp. 46-66.

Al-Salloum, H. *Education in Saudi Arabia*. Beltsville:Amana Publications,1995.

Sifry, Michah L. & Cerf, Christopher. *The Gulf War Reader, History, Documents, Opinions.* New York: Random House, 1991.

Simon, Reeva Spector. Iraq Between the Two World Wars*: The Militarist Origins of Tyranny.* Oxford: Oxford University Press, 2002.

Sindi, A. King Faisal and Pan-Islamism. *In* Beling W. (ed.), *King Faisal and the Modernisation of Saudi Arabia.* London:Croom Helm,1980.

Smith, Simon C. *Britain's Revival and Fall in the Gulf. Kuwait, Bahrain, Qatar, and the Trucial States, 1950-1971*. London and New York: Taylor and Francis Group, 2004.

Swearingen, Will. Geopolitical Origins of the Iran-Iraq War. Geographical Review, 1988, Vol.78, No 4, pp. 405-16.

Tahseen, B. The Egyptian State in Transition. In Marr, P. (ed.), *Egypt at the Crossroads: Domestic Stability and Regional Role*. Washington: National Defense University Press, 1999.

Terrill, W. Andrew. *Escalation and Intrawar Deterrence during limited wars in the Middle East.* New York: Strategic Studies Institute, U.S. Army War College Carlisle, 2009.

The Gulf Crisis: Background and Consequences. Washington: *Georgetown University,*1992.

Tripp C. & Owen R. (eds), *Egypt Under Mubarak*. New York: Columbia University Press, 2007.

The Middle East and North Africa. Regional Surveys of the World. 51st edition. London: Europa Publications, 2005.

The Middle East and North Africa. Europa's Regional Surveys of the World. London: Europa Publications, 2007.

Vassiliev, A., 1998.

Wagner, Healter Lehr. *Iraq* (Creation of the Modern Middle East). New York: Chelsea House Publishers, 2008.

Waterbury, John. *The Egypt of Nasser and Sadat: The Political Economy of Two Regimes*. Princeton, New Jersey: Princeton University Press,1983.

Wynbrandt, James. *A Brief History of Saudi Arabia*. New York: Checkmark Books, 2010.

Амоев, Керим. Курды, страницы истории. *პერსპექტივა XXI,* 2006, VIII, გვ. 56-66.

Васильев, А.М. *История Саудовской Аравии* (1745-1973). Москва: Наука,1982.

_____, *Смена режимов в условиях баланса классовых сил (Египет). Современная Африка: итоги и перспективы развития. Эволюция политических структур*. Москва: Наука. Главная редакция восточной литературы, 1990.

Видясова, М.Ф., Умеров, М.Ш. *Египет в последней трети XX века.* Москва: ИИИиБВ, 2002.

Прошин, Н. И. Саудовская Аравия. Историко-экономический очерк. Москва: Наука. Главная редакция восточной литературы,1964.

Халед ибн Султан. *Воин пустыни. Личный взгляд на войну в Заливе командующего Объединенными вооруженными силами.* Москва: Дар-эль-Кэмам, 1996.

თავი XIV

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი

ლომოური, ნატალია. პოლიტიკური სიონიზმის აღმოცენება და განვითარება. *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული,10, თბილისი, 2003, გვ. 254-266.

ჯაფარიძე, თამარ. დეკლარაცია პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების შესახებ. *ქართული დიპლომატია. წელიწდეული.* V, თბ., 1998, გვ. 337-353.

_____, სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წლებში). *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, VII, თბ., 2000, გვ. 264-300.

_____, მაჰმუდ აბასი და ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის ახალი პერსპექტივები. *ქართული დიპლომატია. წელიწდეული,* XII, თბ., 2005, გვ. 337-356, 523.

_____, *სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში.* ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2006PDF.PDF www.nplg.gov.ge/.../Djaparidze%20Tako. %20Disertacia.%20 bolo2.pdf

ხონელიძე, ნოდარ. ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია – 1948 წლის 14 მაისი (დოკუმენტის შექმნის ისტორიისათვის). კრ.-ში *ვალერიან გაბაშვილი – 90.* თბილისი, 2003.

ჰერცოგი, ხაიმ. *ისრაელ-არაბების ომები.* თარგმანი ლელა ფიროსმანიშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007.

A Survey of Arab-Israeli Relations, 1947-2001. First Edition. London: Europa Publications, 2002.

Agha, Hussein & Robert Malley. Camp David: the Tragedy of Errors. *New York Review of Books* (August 9, 2001). www.nybooks.com/articles/14380

Aljuni, Salem. The Palestinian Economy and the Second Intifada. *JPaS,* 2003, XXXII, No 3, pp. 64-73.

al-Shaikh, Zakaria. Sabra and Shatila 1982: Resisting the Massacre. *JPaS,* 1984, Vol. 14, No 1, pp. 57-90.

Andoni, L. Refering Oslo: Negotiating the Hebron Protocol. *JPaS,* 1997, XXVI, No 3, pp.17-30.

Beattie, K. J. *Egypt During the Sadat Years.* New York: Palgrave, 2000.

Berger, Elmer. The Real Issues in the Arab-Israeli-Zionist Conflict. *In* Smith Gary V. (ed.), *Zionism, the Dream and the Reality: A Jewish Critique*, New York: Barnes and Noble, 1974.

Bligh, Alexander. The Intifada and the New Political Role of the Israeli Arab Leadership. *MES*, 1999, Vol. 35, No 1, pp. 134-164.

Bregman, Ahron. *Israel's Wars,1947-1993.* London and New York: Routledge, 2000.

Chertoff, Mordechai *S. Zionism: a Basic Reader.* New York: Herzl Press, 1975.

Chomsky, N. *Fateful Triangle: The United States, Israel and the Palestinians* (updated edition). London: Pluto Press, 1999.

Clinton, Bill. *My Life*. New York: Alfred A. Knopf, 2004.

Dayan, Moshe. *Diary of the Sinai Campaign*. London, 1967.

Esposito, J. L. (ed.), II, 1995.

Evron, Boas. *Jewish State or Israeli Nation?* Bloominghton and Indianapolis: Indiana University Press,1995.

Feisal – Frankfurter Correspondence. *In* Chertoff, Mordechai S. (ed.), 1975.

Friedmann, George. *Jews and the State of Israel. In* Smith Gary V. (ed.),1974.

Fromkin, D., 1989.

Gawrych, George. *The Albatross of Decisive Victory: War and Policy between Egypt and Israel in the 1967 and 1973 Arab-Israeli Wars*. Westport: Greenwood, 2000.

Gerner, Deborah J. *One Land, Two Peoples.* Boulder, San Francisco, Oxford: Westview Press,1994.

Golden, Jonathan M. *Ancient Canaan and Israel: An Introduction*. Oxford University Press, 2009.

Golub, D. *When Oil and Politics Mix: Saudi Oil Policy, 1973-1985.* Harvard: Harvard Middle east Papers, 1985.

Hammami, Rema and Tamari, Salim. The Second Uprising: End or New Beginning? *JPaS*, 2001, Vol. XXX, No 2, pp.5-25.

Hanieh Akram. The Camp David Papers. *JPaS,* 2001, Vol. 30, No 2, pp.75-97.

Heikal, M. *Nasser: The Cairo Document.* London: New English Library,1976.

Hertzberg, Arthur (ed.). *The Zionist Idea: A Historical Analysis and Reader*. Oxford: Osprey, 2002.

Hinnebusch, Raymond. *Egyptian Politics under Sadat: The Post-Populist Development of an Authoritarian-Modernizing State*. New York: Cambridge University Press, 1985.

Khalidi, Rashid. *Palestinian Identity: The Construction of Modern National Consciousness*. New York: Columbia University Press, 1997.

Kissinger, Henry. *Diplomacy*. New York: Simon and Schuster, 1994.

Kumaraswamy, P. R. *The A to Z of the Arab-Israeli Conflict*. The Scarecrow Press, Inc., 2009.

Laqueur, Walter and Rubin, Barry (eds.). *The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict*. New York: Penguin Books, 1995.

Laqueur, Walter. *A History of Zionism*. New York, 1989.

Lilienthal, Alfred M. Israel is Created. Smith Gary V. (ed.) *Zionism, the Dream and the Reality: A Jewish Critique*. New York: Barnes and Noble, 1974.

Little, Douglas. *American Orientalism. The United States and the Middle East since 1945*. 3nd ed. Chapel Hill: The University of North Carolina Press, 2008.

Lockman, Zachary. *Intifada: The Palestinian Uprising against Israeli Occupation*. Boston, MA: South End Press, 1989.

Lukacs, Yehuda. *The Israeli-Palestinian Conflict: A Documentary Record, 1967–1990*. Cambridge: Cambridge University Press, 1992.

Mansfield, P.,1992.

Masalha, Nur. *Expulsion of the Palestinians: the Concept of „Transfer". Zionist Political Thought, 1882-1948*. Washington: Institute for Palestine Studies, 1992.

Matas, David, Urman, Stanley A. Jews From Arab Countries: The Case for Rights and Redress. Justice for Jews from Arab Countries, June 23, 2003. www.jewishvirtuallibrary.org /jsource/.../jewref.html

Matz, David. Trying to Understand the Taba Talks. *Palestine-Israel Journal of Politics, Economics and Culture*. 2003, Vol. 10, No 3, pp.92-98.

Mayir V. The Balfour Declaration and its makers. *In* Kadourie E. and Haim S. (eds), *Palestine and Israel in the 19th and 20th Centuries*. London: Oxford University Press, 1982.

McDowall, D. *The Palestinians: Minority Rights* Group Report No 24. London, 1975.

Milstein, Uri. *The War of Independence*.Vol. IV: Out of Crisis Came Decision. Tel-Aviv, Zmora-Bitan Publishers, 1991.

Morris, Benny. *Righteous Victims. A History of the Zionist-Arab Conflict, 1881–1999*. New-York: Alfred Knopf, 1999.

_____, *One State, Two States: Resolving the Israel/Palestine Conflict*. New Haven and London: Yale University press, 2009.

Ofer, Dalia. *Escaping the Holocaust: Illegal Immigration to the Land of Israel, 1939-1944*. New York: Oxford University Press US,1990.

Oren, Michael B. *Six Days of War: June 1967 and the Making of the Modern Middle East*. New York: Ballantine Books, 2003.

Parker, Richard B. *The Six-Day War: A Retrospective*. University Press of Florida, 1996.

Quandt, William B. *Peace Process: American Diplomacy and the Arab-Israeli Conflict since 1967*. Berkeley and Los Angeles: University of california press,2005.

Quigley, John. *Palestine and Israel: A Challenge to Justice*. Durham: Duke *University* Press Books, 1990.

Qurie, Ahmed (Abu Ala). *Beyond Oslo, The Struggle for Palestine. Inside the Middle East Peace Process from Rabin's Death to Camp David*. New York: I.B. Tauris and Co Ltd. 2008.

Rabinovich, Itamar. *Waging peace: Israel and the Arabs, 1948-2003*. Princeton and Oxford: Princeton University Press, 2004.

Rawnsley, Gary David. Cold War Radio in Crisis: the BBC Overseas Services, the Suez Crisis and the 1956 Hungarian Uprising. *HJFRT*, 1996, Vol. 16, No 2, pp. 197-219.

Reich, Bernard (ed.). *An Historical Encyclopaedia of the Arab-Israeli Conflict*. Westport, Conn.: Greenwood Press, 1996.

Risse-Kappen, Thomas. *Cooperation among Democracies: The European Influence on U.S. Foreign Policy*. Princeton, NJ: Princeton University Press,1995.

Rollim, A., 2002.

Ross, Dennis. *The Missing Peace: The Inside Story of the Fight for Middle East Peace*. New York: Farrar, Straus and Giroux. 2004.

Roumani, Maurice. *The Jews from Arab Countries:A Naglected Issue*. Tel-Aviv: WOJAC,1983.

Sachar, Howard M. *A History of Israel from the Rise of Zionism to Our Time*. 3rd ed. New York: Alfred A. Knopf, 2007.

Schulze, Kirsten. Israeli Crisis Decision-Making in the Lebanon War: Group Madness or Individual Ambition? *Israel Studies,* Vol. 3, 1998, pp.215-230.

Shlaim, Avi. *The Iron Wall: Israel and Arab World*. New York, London: W.W. Norton and Co., 2000.

Slavicek, Louise Chipley. *Israel.* 2nd ed. (Series, Creation of the modern Middle East). Philadelphia: Chelsea House. 1956.

Terrill W. Andrew. Escalation and Intrawar during limited wars in the Middle East. September, 2009. www.StrategicStudiesInstitute.army.mil/

Tessler, Mark. *A History of the Israeli-Palestinian Conflict.* Bloomington: Indiana University Press,1994.

The Road Map. *JPaS*, Vol.32, No 4, 2003, pp.83-99.

The United Nations Partition Plan. www.merip.org/2006.

The Wye River Memorandum and Related Documents. Special Document File. *JPaS,* Vol.28, No 2, 1999, pp.135-146.

Tov Y. Bar-Siman. *The Israeli–Egyptian War of Attrition 1969–1970: A Case Study of Limited Local* War. New York: Columbia University Press, 1980.

Tucker, Spencer C. (ed.). Vol. 1,2008.

U.N. Court rules West Bank barrier illegal. CNN. July 9, 2004. http://www.cnn.com /2004/WORLD /meast/07/09/israel.barrier/index.html.

Under the Guise of Security: Routing the Separation Barrier to Enable Israeli Settlement Expansion in the West Bank. Publications. B'Tselem. Dec., 2005. www.btselem.org/english/Publications/summaries/200512 _Under_the_Guise_of_Security.asp.

United Nations Special Committee on Palestine, Recommendations to the General Assembly, A/364, 3 September 1947. Part 1. Plan of partition with economic union justification. – www.mideastweb.org.2006

Usher, Graham. *Dispatches from Palestine: the Rise and Fall of the Oslo Peace Process*. London, Sterling, Virginia: Pluto Press, 1999.

Viorst, Milton.The Road Map to Nowhere. *Washington Quarterly*, 2003, Vol. 26, No 3, pp. 177–90.

Wael R. E. Population and demographic developments in the West Bank and Gaza Strip until 1990 // UNCTAD/ECDC/SEU/1. 1994. June 28.

Wagner, Donald. Evangelicals and Israel Theological Roots of a Political Alliance. *The Christian Century*, 1998, pp. 1020-1026.

Wilson, Mary. *King Abdullah, Britain, and the Making of Jordan*. Cambridge: Cambridge University press, 1987.

Yergin D. *The Prize: The Epic Quest for Oil, Money and Power.* New York:free Press, 1990.

Исаев Г. Г. и Сотниченко, А. А. (под ред.). *Ближний Восток: война и политика.* Москва: Издательский дом Марджани, 2010.

Горбатов, О. М. *Сотрудничество СССР со странами арабского Востока и Африки.* Москва: Наука, 1973.

Даян, Моше, Шабтай Тевет. *Арабо-Израильские войны 1956, 1967*. Москва: Издательство Изографус, ЭКСМО, 2003.

Запись беседы министра иностранных дел Израиля М. Шаретта с министром иностранных дел СССР А. Я. Вышинским 6 января 1952. *Советско-израильские отношения. Сборник документов.* В 2-х тт. МИД РФ, МИД Израиля. Т. 1. 1941-1953. Кн. 1. 1941– май 1949. Москва: Международные отношения, 2000.

Киссинджер, Г. *Дипломатия.* Москва: Ладомир, 1997.

Лакер, Вальтер. *История сионизма.* Москва: Крон-Пресс, 2000.

Палестино-израильский конфликт в 2002 году: Резюме письма временного поверенного в делах СССР в Ираке А. Ф. Султанова в Ближневосточный отдел МИД СССР. 5 ноября 1947г.

Поляков, К. И., Хасянов, А. Ж. Палестина. Перспективы независимостии проблема лидерства. *Политическая элита Ближнего Востока* (сборник статей), Москва: ИИИиБВ и ИВ РАН, 2000, сс. 146-152.

Сакер, Говард М. *История Израиля От возникновения сионизма до создания государства Израиль.* Том 1. Иерусалим: Библиотека Алия, 1994.

Суецкий канал (Факты и документы). Сборник статей. Москва: Политиздат,1959.

Телеграмма министра иностранных дел СССР В. М. Молотова заместителю министра иностранных дел СССР Вышинскому в Нью-Йорк *30 сентября* 1947г. Советско-израильские отношения. Сборник документов.

თავი XV

მსოფლიო რელიგიები და მათი ისტორიული როლი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში

გელოვანი, ნანი, შანავა თამთა. კოპტური ეკლესია ფატიმიანთა მმართველობის პერიოდში. *პერსპექტივა XXI,* 2008, №IX (2), გვ. 244-248.

გელოვანი, ნანი. შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VI, თბილისი: ნეკერი, 2009, გვ. 140-148.

კიკნაძე, ლეილა. ქრისტიანობა არაბული აღმოსავლეთის კონფესიონალურ სისტემაში. *აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები.* წიგნი I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცელობა, 1993, გვ. 31-40.

_____, მუსლიმი ექსტრემისტები და ქრისტიანი კოპტები თანამედროვე ეგვიპტეში. *აზიისა და აფრიკის ისტორიის საკითხები.* წიგნი I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცელობა, 1993, გვ.162-170.

_____, „ყველაზე სახელოვანი კოპტი“ და „ახალი მსოფლიო წესრიგი“. *ისტორია და თანამედროვეობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცელობა, 1993, გვ. 34-36.

_____, ზოგიერთი შენიშვნა კოპტების როლის შესახებ ეგვიპტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. *ორიენტალისტური ძიებანი*, წიგნი 3-4, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცელობა,1995, გვ. 332-340.

_____, ეგვიპტეში კოპტური მოსახლეობის აღწარმოების საკითხისათვის. *ისტორია-ფილოლოგია*, წიგნი II, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცელობა, 2000, გვ.58-69.

ტიკაძე, მერაბ. *არაბთა ისტორია (V-XV სს.)*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცელობა, 2008.

ჯაფარიძე, გ., 1999, გვ.125-127.

Abaza, Kh. Nakhla M. The Copts and Their Political Implications in Egypt. *Policy Watch,* 1039, 2005. www.washingtoninstitute.org

Abd-Allah, Umar F. The Islamic Struggle in Syria. Berkeley: Mizan Press, 1983.

Anderson, Liam and Stansfield, Gareth. *The Future of Iraq: Dictatorship, Democracy, or Division?* New York: Palgrave Macmillan, 2004.

Ansari, Hamied. Sectarian Conflict in Egypt and the Political Expediency of Religion. *MEJ*, 1984, Vol. 38, No 3, pp.397-418.

Atiya, Aziz S. *A History of Eastern Christianity*, rev. ed. Millwood, New York: Kraus Reprint, 1980.

Attié, Caroline. *Struggle in the Levant: Lebanon in the 1950s.* London-New York: I. B.Tauris Publisher, 2004.

Aziz, T.M. The Role of Muhammad Baqir al-Sadr in Shii Political Activism in Iraq from 1958 to 1980. *IJMES*, Vol. 25, n 2, 1993.

Baaklini, A. *Legislative and Political Development: Lebanon, 1842-1972.* Duke University Press, 1976.

Batatu, Hanna. T*he Old Social Classes and the Revolutionary Movements of Iraq.* Princeton, NJ.: Princeton University Press, 1978.

Bazzi, Mohamad. Zarqawi Kin Reportedly Bombed Shrine in Iraq. *Newsday*, February 7, 2005.

BDHRL, 15.09.2006; 26.10.2001.www.state.gov/g/drl/rls/irf/

Binder, Leonard. *Politics in Lebanon*. New York: John Wiley and Sons, Inc., 1966.

Can Saudi Arabia Reform Itself? *MENAR,* No 28, July 14, 2004.

Christian Center Attacked by Army This Morning. *Barnabas Fund.* 05.01.2005. www.barnabasfund.org.

Cleveland, W., 2009.

Constitution of Iraq, 2005. lgp-iraq.org/publications/index.cfm?...&id=277

Copts Demand Equality. www.coptsunited.com/coptsdem/coptsdem.php?subaction=show full&id=1162158842 &archive=&start_from=&ucat=3&.

Darwish, N. Egypt's Terror TV. *The Independent Copt*, 2006, No 1 (5), pp. 6-7.

_____, 2009.

Denied Dignity. Systematic Discrimination and Hostility toward Saudi Shia Citizens. *Human Rights Watch. 2009*. www.hrw.org

Duss, Matthew and Juul, Peter. The Fractured Shia of Iraq. Understanding the tensions within Iraq's majority. January 2009. www.americanprogress.org/issues/2009/01 /pdf/shia_elections.

Egypt Appoints First Christian Governor in Three Decades. *AINA,*02.01.2006.

El-Khazen, Farid. *The Communal Pact of National Identities: The Making and Politics of the National Pact.* Papers on Lebanon 12. Oxford: Center for Lebanese Studies, 1991.
Fandy, M. *Saudi Arabia and Politics of Dissent.* New York: St. Martin's Press, 1999.
Felton, J., 2008.
Fischer, Eric. *Minorities and Minority Problem*. Takoma Park, MD: Erasmus House, 1980.
Full Text of Doha Agreement. 2008. www.scribd.com/doc/17232620/Lebanon-Confessionalism-and-the-C-risis-of-Democracy
Full text of the Tai'f Agreement. *The Beirut Review*, 1991, No 1, pp. 119-172.
Gharib M. Coptic Researcher: Copts Persecute Themselves. *Masri Alyoum.* 04.08.2008.
Goldberg, Jacob. The Shi'i Minority in Saudi Arabia. *In* Cole, J. and Keddie, N.R., (eds), *Shi'ism and Social Protest*, New Haven and London: Yale University Press, 1986, pp.238-245.
Goldschmidt, A., 2004.
Guindy, A. The Islamization of Egypt. *The Independent Copt,* 2006, Vol.1, No 4, pp.7-11.
Haeri Safa. Religious Chaos in Iraq Benefits The Islamic Republic of Iran. www.iran-press-service.com /ips/articles-2006/february-2006/index.shtml
Harik, Judith Palmer. *Hizbollah: The Changing Face of Terrorism*. London: I.B. Tauris, 2004.
Harris, William. *Faces of Lebanon.* Princeton: Marcus Wiener Publishers, 1997.
al-Hasan, H. *al-Shi'a fi al-mamlaka al-'arabiyya al-sa'udiyya* [The Shi'a in the kingdom of Saudi Arabia]. Vol. II. Riyadh: Dar al-Shuf, 1993.
Hinnebusch and Ehteshami (eds), 2002.
Hinnebusch, Raymond. *Asads Syria and the New World Order: The Struggle for Regime Survival.* Pertes,1995.
_____, *Syria: Revolution from Above*. London and New York: Routledge, Taylor and Francis Group, 2002.
Hirst, D. Lebanon votes back ousted PM Hariri. *Guardian*. 05.09.2000.
Hourani, Albert. *Minorities in the Arab World*. London: Oxford University Press, 1947.
Humphreys, Stephen. Islam and Political Values in Saudi Arabia, Egypt and Syria. *MES*, 1979, Vol. 33, No 1, pp.1-19.
Ibrahim, S.E. *The Copts of Egypt.* London: Minority Rights Group, 1996.
Iran Strongly Rejects Any Idea of Geographic Change in Mideast. www.netiran.com 11.04.2005.
Irani, G. *Conflict in Lebanon: Origins and Evolution*. Oxford: Centre for Lebanese Studies, 1989.
Iraq's Parliamentary Election. 2005. http://www.cbc.ca/news/background/iraq/afterelection _faq.html
Johnston, David. Iran Link is Cited. *NYT*, 22 June, 2001.
Kamrava, M., 2005.
Karas, F. Shawky. *The Copts since the Arab Invasion: Strangers in Their Land*. Jersey City, NJ.: American, Canadian, and Australian Coptic Associations, 1985.
Kepel, G., 1993.
Kifner, J. Lebanese Surprise: Syria's Man Loses by Landslides. *NYT*, 05.09.2000.
Kostiner, Joseph. On Instruments and Their Designers: The Ikhwan of Najd and the Emergence of the Saudi State. *MES*, 1985,Vol. 21, No 3. pp. 298-323.
Leach, S.L. Egypt's Coptic Christians. *CSM*, 21.01.1999. www.csmonitor.com
Lebanon – International Religious Freedom Report, 2010.
Lebanon. 1996 Parliamentary Elections. Beirut: Lebanese Center for Policy Studies, 1996.
Lijphart, Arend. Consociational Democracy. *World Politics,* 1969, Vol. 21, No 2, pp.207-225.
_____, *Patterns of Democracy: Government Forms and Performance in Thirty-Six Countries.* New Haven, CT: Yale University Press, 1999.
Luomi, Mari. *Sectarian Identities or Geopolitics? The Regional Shia-Sunni Divide in the Middle East*. Working Papers, 56. Helsinki: Finnish Institute of International Affairs, 2008.
Lyde, G. Hess, Jr. and Herbert L. Bodman, Jr. Confessionalism and Feudality in Lebanese Politics. *MEJ*, 1954, Vol. 8, No 1, pp.10-26.
MacFarquhat, David. Saudis Uneasily Balance Desires for Change and Stability. *NYT*, 4 May, 2004.
Makari, Petere. Christianity and Islam in Twentieth Century Egypt: Conflict and Cooperation. *IRM,* 2000, Vol. LXXXIX, No 352, pp. 88-98.
Makiya, Kanan. *Cruelty and Silence: War, Tyranny, Uprising and the Arab World*. New York: W.W. Norton, 1993.
Makkah Document aims to End Iraqi Sectarian Violence. *Gulf News*, October 20, 2006.

Meinardus, O. *Christian Egypt – Ancient and Modern*. 2nd rev. ed. Cairo: American University in Cairo, 1977.
Milton-Edwards and Hinchcliffe (eds), 2004.
Moosa, Matti. *Extremist Shiites: The Ghulat Sects*. Syracuse, NY: Syracuse University Press, 1988.
Najem, Tom. *The Collapse and Reconstruction of Lebanon*. Durham Middle East Papers, 59. Durham, NC: University of Durham Center for Middle Eastern Studies, 1998.
Nakash, Yitzhak. *The Shi'is of Iraq*. Princeton and Oxford: Princeton University Press, 1995.
_____, The Shi'ites and the Future of Iraq. *Foreign Affairs*, 2003,Vol. 82, No. 4, pp. 17-26.
_____, 2006.
Owen, Roger. The Political Economy of Grand Liban, 1920-70. In Owen, R. (ed.). *Essays on the Crisis in Lebanon*. London: Ithaca Press, 1976.
Meyers, Eric M. (ed.). *Oxford Encyclopedia of Middle East and North Africa*. New York: Oxford University Press, 1995.
Pennington, J.D. The Copts in Modern Egypt. *MES*, 1982, Vol. 18, No 2, pp. 158-179.
Perthes, Volker. *The Political Economy of Syria under Asad*. London: I.B Taurus. 1995.
Petran, Tabitha. *The Struggle Over Lebanon*. New York: Monthly Review Press, 1976.
Pipes, Daniel. The Alawi Capture of Power in Syria. *MEJ*, 1989, Vol. 25, No 4, pp. 429-450.
Al-Rasheed, Madawi. The Shi'a of Saudi Arabia: A Minority in Search of Cultural Authenticity. *BJMES*, 1998,Vol. 25, No 1, pp.121-138.
_____, 2003.
Rogan, E., 2009.
Rowe, Paul S. Neo-millet Systems and Transnational Religious Movements: The Humayun Decrees and Church Construction in Egypt. *JCS*, 2007, Vol. 49, No 2, pp. 329-350.
Salibi, Kamal. *A House of Many Mansions: The History of Lebanon Reconsidered*. Berkeley, 1988.
Sassine, Fares. Lebanon: Parliament's Role in a Struggle for Legality, National Reconciliation, Reform and Liberation. *UNDP Initiative on Parliaments*, Crisis Prevention and Recovery. April 2006 – www.parlcpr.undp.org
Seymour, M. The Dynamics of Power in Syria since the Break with Egypt. *MES*, 1970, Vol.6, No 1, pp. 35–47.
Shanahan, Rodger. *The Shi'a of Lebanon: Clans, Parties and Clerics* (Library of Modern Middle East Studies). London: Tauris Academic Studies, 2005.
Shukry N. What Citizenship Rights? *United States Coptic Association*, 30.11.2008. http://copts.com
Steinberg, Guido. The Shiites in the Eastern Province of Saudi Arabia (al-Ahsa'), 1913-1953. *In* Bruner, Rainner and Ende, Werner (eds), *The Twelver Shia in Modern Times: Religious Culture and Political History*. Leiden: Brill, 2001.
Sullivan, Donna J. Advancing the Freedom of Religion or Belief Through the UN Declaration on the Elimination of Religious Intolerance and Discrimination. *AJIL,* 1988, Vol. 82, No 3, pp. 487-520.
Syria Unmasked: The Suppression of Human Rights by the Asad Regime. New Haven, CT: Yale University Press, 1991.
Tagher, Jacques. *Christians in Muslim Egypt: An Historical Study of the Relations between Copts and Muslims from 640 to 1922*. Altenberge: Oros Verlag, 1998.
The Middle East and North Africa, 1999.
The Shiite Question in Saudi Arabia. *Crisis Group Middle East Report* No 45, September 19, 2005.
The World Factbook: Egypt. https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/ eg.html
Toby, Craic Jones. Rebellion on the Saudi Periphery: Modernity, Marginalization, and the Shi'a Uprising of 1979. *IJMES*, 2006, Vol. 38, No 2pp.213-233.
Traboulsi F., 2007.
Tripp Charles. *History of Iraq.* 3rd Ed. Cambridge:Cambridge University Press, 2007.
Van Dam, N. *The Struggle for Power in Syria: Sectarianism, Regionalism and Tribalism in Politics. 1961-1978*. London: Croom Helm, 1979.
Vatikiotis, P. J.,1991.
Visser, Reidar. Sistani, the United States and Politics in Iraq: From Quietism to Machiavellism, 2006. www.mafhoum.com/press9/274P4.pdf; Ayatollah Sistani's website: www.Sistani.org.
Wakin, Edward. *A Lonely Minority. The Modern Story of Egypt's Copts*. New York: William Morrow and Company, 1963.
Walid Joumblatt prevoit «une onde de choc». Entretien avec Walid Joumblatt. *L'Humanite*, 31.08.2000.

Winslow, Charles. *Lebanon: War and Politics in a Fragmented Society*. London: Routledge, 1996.
al-Wifak al-Arabi. 2003, No 54. www.al-vefagh.com/
Withdrawal Agreement Between USA and Iraq. www.blacktokyo.com/?s=airspace&x=0&y=0
Youssef, Adly A. Unite the Coptic Diaspora against Discrimination! *Copts in Egypt. A Christian Minority under Siege*. Zurich: G2W, 2006.
Zamir, Meir. *The Formation of Modern Lebanon*. London: Croom Helm,1985.
Zogby, James. *Arab Voices: What They are saying to Us, and why It Matters*. New York: Palgrave, Macmillan, 2010.
Al-Yassini, Ayman. *Religion and State in the Kingdom of Saudi Arabia*. Builder, Colo: Westview Press, 1985.
Ахундова, Н.Ч. Об организации «Исламский фронт» в Сирии. Проблемы современной советской арабистики. Ереван: Изд-во АН Арм. ССР, 1988. сс. 82-85.
Вавилов А. И. Политика США в мусульманском мире на примере Арабских стран. Опыт критического анализа. Москва: Библос-консалтинг, 2009.
Васильев, А. М. Пуритане ислама? Ваххабизм и первое государство Саудидов в Аравии (1744/45-1818). Москва: Наука, 1967.
_____, *История Востока*. Т. 2. Москва: Наука, 1994.
Видясова, Умеров, 2008.
Гасратян, А.В. *Проблемы социально-экономического развития Ливана (1970-2000 гг.).* Москва: Ин-т изучения Израиля и Ближнего Востока ИВ РАН, 2004.
Дунаева, Е.В. Иран и политическое урегулирование в Ираке. *Ближний Восток и современность.* Вып. 30. Москва: Институт Ближнего Востока, 2007, сс.46-54.
Зеленев, Е. И., 1999; 2007.
Зубов, А. Б. Парламентская демократия и политическая традиция Востока. Москва: Наука, 1990.
Игнатенко, А. А. Халифы без халифата. *Исламские неправительственные религиозно-политические организации на Ближнем Востоке: история, идеология, деятельность.* Москва: Наука. 1988.
Кудрявцев, А В. Мусульманско-коптские конфликты в Египте (70-ые годы XX – начало XXI в.). *Ближний Восток и современность.* Вып. 14. Москва: Институт Ближнего Востока, 2002, сс.158-174.
Логинов, И. В. О Статусе Шиитской Общины в Саудовской Аравии. *Ближний Восток и современность*. Вып. семнадцатый, Москва: Институт Ближнего Востока, 2003, сс.104-110.
Сапронова, М.А. Конституционная регламентация ислама в арабских странах. *Ближний Восток и современность,* №1, Вып. 10, Москва: Институт Ближнего Востока, 2001, сс. 319-330.
Сапронова М. А. *Государственный строй и конституции арабских республик.* Москва: Муравей, 2003.
Шайрян, Г. С. Этноконфессиональные конфликты. Ливан. Межэтнические конфликты в странах зарубежного Востока. Москва: Наука, 1991.
Христиане и мусульмане: проблемы диалога, Хрестоматия (сост. А. Журавский). *Москва:* ББИ, 2000.

თავი XVI

არაბული ნაციონალიზმი და ისლამიზმი

სანიკიძე, გიორგი. ისლამიზმი, ფუნდამენტალიზმი, ინტეგრიზმი, ტრადიციონალიზმი – ცნებათა განმარტებისათვის. *პერსპექტივა-XXI*, II, 1999, გვ.15-31.
ქაროსანიძე, თინათინ. ეგვიპტური არაბული ნაციონალიზმი. *პერსპექტივა-XXI*, 2006, VIII, გვ. 112-122.
_____, „მუსლიმი ძმების“ ასოციაციის ისტორიიდან. *პერსპექტივა-XXI*, 2001, III, გვ. 45-47.
The Alexandria Protocol; October 7,1944 http://avalon.law.yale.edu/20th_century/alex.asp
Iran Massively Rearming Hezbollah *in Violation of UN Security Council Resolution*, *American Chronicle*, March 28, 2010. http://israelagainstterror.blogspot.com/2010/07/iran-massively-rearming-hezbollah-in.html
The Hizballah Program. http://www.standwithus.com/pdfs/flyers/hezbollah_program.pdf. 2007.
Choueiri, Y., 2005.
Abu-Rabi‘, Ibrahim M. Contemporary Arab Thought: Studies in Post-1967 Arab Intellectual History. London, Sterling, Virginia: Pluto Press, 2004.
Adams, Charles C. *Islam and Modernism in Egypt*. New York: Russell *and* Russell, 1968.
Alagha, Joseph. Hizballah after the Syrian Withdrawal. *MER*, 2005, No 237, pp. 34-39.
Altman, Israel. Islamic Movements in Egypt. *The* Jerusalem Quarterly, 1979,Vol.10, pp.87-105.

Aly, Abd al-Monein and Wenner, Manfred W. Modern Islamic Reform Movements: The Muslim Brotherhood in Contemporary Egypt. *MEJ*, 1982, Vol. 36, No 3, pp. 336-361.

Rubin, Barry and Rubin, Judith Colp (eds). *Anti-American Terrorism and the Middle East: A Documentary Reader*. Oxford: Oxford University Press, 2002.

Arab Nationalism and „Nasserism". *The World Today*, 1958, Vol. 14, No 12, pp. 532-542.

Azzuri, Najib. *Yaqzat Al-Ummah Al-Arabiyyah*. Beirut: Al-Mua'ssasah Al-Arabiyyah Lid-Dirasat w-An-Nashr,1984.

Baig, B. G. Islamic Fundamentalism. *Social Scientist*, 1980,Vol. 9, No 1, pp. 58-65.

Al-Bazzaz, 'Abd Ar-Rahman and Haim, Sylvia G. Islam and Arab Nationalism. *Die Welt des Islams*, New Series, 1954, Vol. 3, Nos 3/4, pp. 201-218.

Beverley, Milton-Edwards. *Islamic Fundamentalism since 1945*. London and New York: Routledge, 2004.

Black, A., 2001.

Beinin, Joel. *Political Islam: Essays from Middle East Report*. Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1997.

Brown, L. Carl. *Religion and State: The Muslim Approach to Politics*. New York: Columbia University Press, 2000.

Burgat, F. Cacher la politique: les représentations de la violence en Égypte. *Maghreb-Machrek*, No 142, 1993, pp. 32-60.

Choueiri, Youssef M. *Islamic Fundamentalism*. Revised edition. London and Washington: Pinter. 1997.

Cobban, H. The Growth of Shi'i Protest in Lebanon and Its Implications for the Future. *In* Keddie N. R. and Cole J. (eds). *Shi'ism and social protest*. New Haven:Yale University Press, 1986, pp. 137-59.

Coury, Ralph M. Who „Invented" Egyptian Arab Nationalism? Part 1. *IJMES*, 1982, Vol. 14, No 3, pp. 249-281.

Daniel, Newman. *An Imam in Paris: Al-Tahtawi's Visit to France (1826–31)*. London: Saqi Books, 2004.

Defense Planning for the 1990s and the Changing International Environment. Washington, DC: National Defense University Press, Fort Lesley J. McNair, 1984.

Dekmejan, R. Hrair. *Islam in Revolution: Fundamentalism in the Arab World*. New York: Syracuse University Press, 1995.

Kushner, H., (ed.), 2003.

Esposito, J., 1992.

Esposito, John L. and Piscatori, James P. Democratization and Islam. *MEJ*, 1991, Vol.45, No 3, pp. 427-440.

Fazlur, Rahman. *Revival and Reform in islam. A Study of Islamic Fundamentalism*. Edited and with an Introduction by Ebrahim Moosa. Oxford: Oneworld, 2003.

Galvani, John. Syria and the Baath Party *MERIP Reports*, 1974, No 25, pp. 3-16.

El-Ghobashy, Mona. The Metamorphosis of the Egyptian Muslim Brothers. *IJMES*, 2005,Vol. 37, No 3, pp. 373-395.

Gunaratna, Rohan. Inside Al Qaeda: Global Network of Terror. New York: Columbia University Press, 2002.

Hamzeh A. Nizar. Lebanon's Hizbullah: From Islamic Revolution to Parliamentary Accommodation. *TWQ*, 1993,Vol. 14, No. 2 pp. 321-337.

Hellmich, Christina. Al-Qaeda: Terrorists, Hypocrites, Fundamentalists? The View from Within. *TWQ*, 2005,Vol. 26, No. 1, The Politics of Naming: Rebels, Terrorists, Criminals, Bandits and Subversives, pp. 39-54.

Hourani A., 1970.

İhsanoğlu, E., 2002.

Jaber, Hana. *Hezbollah: Born with a Vengeance*. New York: Columbia University Press, 1997.

Jankowski, James. *Egypt's Young Rebels: „Young Egypt", 1933 – 1952*. Stanford, CA: Hoover Institution Press, 1975.

Karam, Azza. *Transnational Political Islam: Religion, Ideology and Power*. London: Pluto Press, 2004.

Kassab, Elizabeth S. *Contemporary Arab Thought: Cultural Critique in Comparative Perspective.* New York: Columbia University Press, 2009.

Keddie Nikki R. Intellectuals in the Modern Middle East: A Brief Historical Consideration. *Daedalus*, Vol. 101, No 3, Intellectuals and Change, 1972, pp. 39-57.

Kenny, L. M. Sāti' Al-Husrī's Views on Arab Nationalism. *MEJ*, 1963, Vol. 17, No 3, pp. 231-256.

Kepel, Gilles. Muslim Extremism in Egypt. Berkeley: University of California Press, 1984.

_____, 2002.

Khatab, Sayed. „Hakimiyyah" and „Jahiliyyah" in the Thought of Sayyid Qutb. *MES*, 2002,Vol. 38, No 3, pp. 145-170.

Lee, Dwight E. The Origins of Pan-Islamism. *ARH*, 1942, Vol. 47, No 2, pp. 278-287.

Leiken, Robert S. and Brooke, Steven. The Moderate Muslim Brotherhood. *Foreign Affairs*, 2007, Vol. 86, No 2, pp. 107-121.

Lerman, Eran. Mawdudi's Concept of Islam. *MES*, 1981,Vol. 17, No. 4, pp. 492-509.

Lewis, Bernard. License to Kill: Usama Bin Ladin's Declaration of Jihad. *Foreign Affairs*, 1998, Vol. 77, No 6, pp. 14-19.

Lia, Brynjar. *The Society of the Muslim Brothers in Egypt: The Rise of an Islamic Mass Movement 1928-1942*. Reading, UK: Garnet, 1998.

Matthews, Weldon C. Pan-Islam or Arab Nationalism? The Meaning of the 1931 Jerusalem Islamic Congress Reconsidered. *IJMES*, 2003, Vol. 35, No. 1, pp. 1-22.

Migaux, Philippe. Al Qaeda. *In* Chaliand, Gérard and Blin, Arnaud (eds), *The History of Terrorism from Antiquity to al-Qaeda*. Translated by Edward Schneider, Kathryn Pulver, and Jesse Browner. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2007.

Miller, J. The Challenge of Radical Islam. *Foreign Affairs*, 1993, Vol. 72 No. 2, pp. 43-56.

Mitchell, Richard P. *The Society of the Muslim Brothers*. London: Oxford University Press, 1969.

Moussalli, A.S. *Moderate and Radical Islamic Fundamentalism*. Gainesville, FL: University Press of Florida, 1999.

Norton, Augustus R. *Hezbollah: A Short History.* Princeton, NJ: Princeton University Press, 2007.

_____, Hizballah through the Fog of the Lebanon War. *JPaS*, 2006, Vol. 36, No 1, pp. 54-70.

Picard, E. Political Identities and Communal Identities: Shifting Mobilization among the Lebanese Shi'a during Ten Years of War, 1975-1985. *In* Thompson, Dennis L. and Ronen, Dov (eds). *Ethnicity, and through Years Politics Development*. Boulder, CO: Lynne Riener, 1986, pp. 159-77.

Piscatori James P. (ed.). *Islam in the Political Process*. Cambridge: Cambridge University Press, 1983.

Powell, Eve M. Troutt. A Different Shade of Colonialism: Egypt, Great Britain, *and the Mastery of the Sudan*. Berkeley: University of California Press, 2003.

Raz, Ronen. Interpretations of Kawakibi's Thought, 1950-1980s. *MES*, 1996,Vol. 32, No 1, pp. 179-190.

Riedel, Bruce. Al Qaeda Strikes Back. *Foreign Affairs*, 2007,Vol. 86, No 3, pp. 24-40.

Rosenthal, E. *Islam in the Modern State*. Cambridge: Cambridge University Press, 1965.

Ruthven, M. *Islam in the World.* New York: Oxford University Press, 1984.

Qutb, S. War, Peace and Islamic Jihad. *In* Moaddel, M. and Talattof, K. (eds.), *Modernist and Fundamentalist Debates in Islam: A Reader*. New York: Palgrave Macmillan, 2002, pp. 37-46.

_____, *Islam: The Religion of the Future.* Kuwait: IIFSO, 1971.

Saad-Ghorayeb, Amal. *Hizbu'llah: Politics and Religion*. London, Sterling, Virginia: Pluto Press, 2002.

Shapira, Shimon. The Imam Musa al-Sadr: Father of the Shiite Resurgence in Lebanon. *Jerusalem Quarterly,* 1987, Vol. 44, pp.121-44.

Shepard, William E. Sayyid Qutb's Doctrine of „Jāhiliyya". *IJMES*, 2003, Vol. 35, No. 4, pp. 521-545.

St John, Ronald Bruce. The Ideology of Muammar al-Qadhdhafi: Theory and Practice. *IJMES*, 1983, Vol. 15, No 4, pp. 471-490.

Tauber, Eliezer. Three Approaches, One Idea: Religion and State in the Thought of 'Abd al-Rahman al-Kawakibi, Najib 'Azuri and Rashid Rida. *BJMES*, 1994, Vol. 21, No 2, pp. 190-198.

Tibi, Bassam. *Arab Nationalism: Between Islam and the Nation-State*. 3rd ed. New York: St. Martin's Press, 1997.

Voll, J. O. *Islam: Continuity and Change in the Modern World*. Essex (UK) and Boulder (Col.): Boulder, Longman and Westview Press, 1982.

Wedgwood, Ruth. Al Qaeda, Terrorism, and Military Commissions. *The American Journal of International Law*, 2002, Vol. 96, No 2, pp. 328-337.

Walzer, Michael. *Just and Unjust Wars: A Moral Argument with Historical Illustrations*. 3rd ed. New York: Basic Books, 1995.

Wardlaw, Grant. *Political Terrorism: Theory, Tactics, and Counter-Measures*. Cambridge: Cambridge University Press, 1989.

Wickham, Carrie Rosefsky. *Mobilizing Islam: Religion, Activism and Political Change in Egypt*. New York: Columbia University Press, 2002.

Wright, Lawrence. *The Looming Tower: Al-Qaeda and the Road to 9/11*. New York: Knopf, 2006.

Zeidan, David. *The Resurgence of Religion. A Comparative Study of Selected Themes in Christian and Islamic Fundamentalist Discources*. Leiden-London: Brill, 2003.

Каддафи М. *Зеленая книга.* http://www.kaddafi.ru.

Пакт Лиги Арабских государств, 22 марта 1945г. www.yale.edu/lawweb/avalon/ mideast/arableag.htm).
Жданов, Н.В. *Исламская концепция миропорядка.* Москва: Международные отношения, 2003.
Игнатенко, А. А. *Ислам и политика.* Москва: Институт религии и политики, 2004.
_____, 1988.
Ислам на современном Востоке: *Регион стран Ближнего и Среднего Востока, Южной и Центральной Азии.* Москва: KRAFT+, 2004.
Кепель, Жиль. *Джихад. Экспансия и закат исламизма.* Перевод с французского. Москва: Ладомир, 2004.
Левин, З. И. Арабский региональный национализм и панарабизм. В кн.: *Национальный вопрос в странах Востока.* Москва: Наука, 1982.
Ражбадинов, М. З. *Египетское движение „братьев-мусульман".* Москва: Институт изучения Израиля и Ближнего Востока, 2003.